



ტომი ეძღვნება ირაკლი აბაშიძის დაბადებიდან 110-ე წლისთავს

ენციკლოპედია ,,საქართველო‘‘ გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

თბილისი
2018

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II**, გიორგი **კვესიტაძე** (თავმჯდომარე), ზურაბ **აბაშიძე** (თავმჯდომარის მოადგილე), ავთანდილ **არაბული**, თამაზ **გამყრელიძე**, გურამ **თევზაძე**, ფრიდონ **თოდუა**, როინ **მეტრეველი**, ოთარ **ნათიშვილი**, ირაკლი **ჟორდანია**, ავთანდილ **საყვარელიძე**.

ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელები

ზაზა **აბზიანიძე**, გურამ **ალექსიძე**, ამირან **არაბული**, ერეკლე **გამყრელიძე**, რამინ **გობეჯიშვილი**, როლანდ **დუდუჩავა**, დავით **თავხელიძე**, დიმიტრი **თუმანიშვილი**, ირაკლი **იმედაძე**, აკაკი **ირემაძე**, ლია **მელიქიშვილი**, დავით **მუსხელიშვილი**, გიორგი **ნახუცრიშვილი**, ვლადიმერ **პაპავა**, მინდია **სალუქვაძე**, შოთა **სამსონია**, გულბათ **ტორაძე**, გრივერ **ფარულავა**, იაკობ **ფუტკარაძე**, იზაბელა **ქობალავა**, რამაზ **შენგელია**, თამაზ **ჭელიძე**, გიორგი **ჯაფარიძე**, თამაზ **ჯოლოგუა**.

კონსულტანტები


გიორგი **აბაშიძე**, ლევან **ალექსიძე**, გონელი **არახამია**, ბარამ **ბარამიძე**, თეიმურაზ **ბერიძე**, ელდარ **ბუბულაშვილი**, რევაზ **გაჩეჩილაძე**, გურამ **გვერდწითელი**, ვახტანგ **გოილაძე**, ალექსანდრე **დიდებულიძე**, ლევან **დოლიძე**, ირაკლი **ელიავა**, ნინო **კალანდაძე**, მარინე **კერესელიძე**, გუჩა **კვარაცხელია**, ვახტანგ **კვარაცხელია**, არჩილ **კოხრეიძე**, იაკობ **მესხია**, გიორგი **მინდიაშვილი**, ელდარ **ნადირაძე**, პეტრე **ნასყიდაშვილი**, ოთარ **ჟორდანია**, ზაზა **სოფრომაძე**, დალი **ფანჯიკიძე**, გრანი **ქავთარია**, მიხეილ **ქავთარია**, დიმიტრი **შველიძე**, გიორგი **წერეთელი**, ნანა **ხაზარაძე**, კობა **ხარაძე**, ჭიჭიკო **ჯანელიძე**, გოჩა **ჯაფარიძე**.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია მუდმივი მხარდაჭერისათვის გულწრფელ მადლობას მოახსენებს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ ,,**ქართუს**‘‘.

ენციკლოპედია ,,საქართველო‘‘ განთავსებულია ვებ-გვერდზე georgianencyclopedia.ge

საქართველო

ენციკლოპედია



თეზი-კვირა

ქართული ენციკლოპედიის *ირაკლი აბაშიძის სახელობის*
მთავარი სამეცნიერო redaქცია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთავარი რედაქტორი — ზურაბ აბაშიძე, **მთავარი რედაქტორის მოადგილე** — გიორგი ლორთქიფანიძე, **პასუხისმგებელი მდივანი** — ზურაბ ჭელიძე, **პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე** — დავით ნიორაძე, **მრჩეველი** — ავთანდილ საყვარელიძე, **მენეჯერი** — კონსტანტინე რომანოვი.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა და კარტოგრაფიის რედაქცია. რედაქციის გამგე — ცარო ვაშაკიძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი — ეთერ ლოლუა.

ეკონომიკისა და სამართლის რედაქცია. რედაქციის გამგე — ლია აბრამიშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი — მაყვალა ჭიჭინაძე.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქცია. რედაქციის გამგე — თამაზ გერსამია; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ირინე აბაშიძე, ნანა ბლიაძე, თამარ დოლიძე, მარინე თუშიშვილი, თეა კახიანი, ლიანა ძნელაძე.

ისტორიის რედაქცია. რედაქციის გამგე — მარიამ ზალდასტანიშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ლიანა მანიავა, თამარ მარგველაშვილი.

მედიცინის, ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის რედაქცია. რედაქციის გამგე — სოფიო ბაქრაძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: გიორგი აბაშიძე, ნინო წივწივაძე.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა რედაქცია. რედაქციის გამგე — თეა ალიბეგაშვილი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქცია. რედაქციის გამგე — თამაზ დვალი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ლალი მოწონელიძე, თამარ რუსიშვილი; რედაქტორი — ანა დვალი.

სიტყვანის, ბიბლიოგრაფიის, სამეცნიერო და სალიტერატურო კონტროლის რედაქცია. რედაქციის გამგე — პაატა ყიფიანი (2018-მდე — ნოდარ გიოშვილი); წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ნოდარ გიოშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ცისანა კვეზერელი, მთვარისა სილაგაძე, რუსუდან ფოფხაძე, ნელი ქაფიანიძე, იზაბელა ჩარკვიანი, დარეჯან ხიდეშელი.

ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და ტექნიკის რედაქცია. რედაქციის გამგე — ილია ლომიძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: თინა არსენაძე, ზაზა გორგაძე, ფიქრია ინასარიძე, ლიანა ნაკაიძე.

საკორექტორო. გამგე — ლეილა საათაშვილი; კორექტორი — ნანა მექვაბიშვილი.

ბიბლიოთეკა. გამგე — ნინო გოცირიძე (2018-მდე — გულო ქენქაძე).

ტექნიკური რედაქცია. ტექნიკური მდივანი — თამარ დემეტრაშვილი; სპეციალისტი — რამაზ ნოზაძე.

დამკაბადონებელი — კარინა ხარაზიშვილი.

კომპიუტერული ცენტრი. უფროსი ოპერატორი — იზოლდა მოსიძე; ოპერატორები: ნანა გიორგაძე, ციალა ხითაროვა.


რუკების კომპიუტერული უზრუნველყოფა — ზაზა გულაშვილი.

პალეოგრაფიული ცხრილები — ელენე მაჭავარიანი.

გარეკანი და სატიტულო ფურცელი — შოთა ნიორაძე.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია
გულითად მადლობას მოახსენებს თანადგომისათვის
ბატონ თამაზ სომხიშვილს.

© ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია
ISBN 978-99928-20-29-2



თეზი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ოკამის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მუხრანის ვაკის ჩრდ.-დას-ით, მდ. ქსნის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 630 *მ*, კასპიდან 18 *კმ*. 738 მცხ. (2014).

სოფლის შუაში დგას XIX ს. წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რ-იც 1978 სოფელმა განაახლა და გალავანიც შეაკეთა. ეკლესია მოხატული იყო, ამჟამად შელესილი და შეთეთრებულია. დას. ფრონტონზე დაშენებულია აგურით ნაგები სამრეკლო.

სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, სასაფლაოზე კვირაცხოვლის გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია დგას. გალავანი, რ-იც გარს ერტყა, დანგრეულია.

თ-ის მახლობლად მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორა. თ. შედიოდა სამთავისის საეპისკოპოსოში. XVII ს-ში ქსნის ერისთავებმა თ-ის მამულები უბოძეს გარაყანიძეებს. 1804 თ-ში ცხოვრობდა 33 კომლი. 1865 იგი შედიოდა გორის უბნის თ-ის სასოფლო თემში, ცხოვრობდა 41 კომლი.

ლიტ.: გ გ ა ს ა ლ ი ა ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, წგ.: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, [ტ.] 3, თბ., 1967; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

ჯ. გვასალია.

თეზ-ოკამის არხი, სარწყავი არხი კასპისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში. იწყება მდ. ქსნის მარჯვ. ნაპირიდან სოფ. ახმაჯის ჩრდ-ით. სიგრძე 34,6 *კმ*, საშუალო ხარჯი 4,5 $მ^3/წმ$. სოფ. ხვითთან წყალსატუმბით 805 *მ* სიმაღლეზე აყვანილია არხის განშტოება, რ-იც მიედინება მდ-ების ლეხურისა და ქსნის წყალგამყოფის სამხრ. ფერდობზე და მიემართება სოფ. ქვემო ჭალისაკენ. მთავარი არხი გაივლის სოფლებს: ლამისყანას, თეზს, ოკამს და იგოეთთან ერთვის მდ. ლეხურას.

ი. აფხაზავა.

„თეზქერე“ შაჰ-თამაზ I-ისა, *თამაზ I-ის* მიერ ოსმალეთის ელჩებთან 1562 გამართული საუბრის ჩანაწერი; სხვა მოსაზრებით – შაჰ-თამაზ I-ის „დღიურები“ ან „მემუარები“. „თეზქერეში“ თანმიმდევრულად არის ასახული ირან-ოსმალეთის პირველი ომის (1514–55) მსვლელობასთან დაკავშირებული მოვლენები, რ-თა დიდი უმრავლესობა ორგანულად უკავშირდება სამხრ. კავკასიის ქვეყნებს. გარდა ამისა, ნაჩვენებია სამხრ. კავკასიის საერთო პოლიტ. მდგომარეობა, დაცულია ისეთი ცნობები აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს (კახეთი, სამცხე-საათაბაგო, ქართლი) ისტორიის შესახებ, რ-თა მსგავსი არ გვხვდება იმ ეპოქის ამსახველ სხვა სპარს. წყაროებში.

„თეზქერეს“ ცნობების მიხედვით, კახეთის მეფე *ლევანი* შაჰის ვასალი იყო და მისდამი ერთგულების პოლიტიკას იცავდა. მაგრამ ცნობილია, რომ შაჰ-თამაზს მეფის „ერთგულების“ არც თუ ისე სწამდა და სწორედ მისი მოთხოვნით ლევან კახთა მეფემ იძულებით დაითხოვა კახეთიდან რუსი მეციხოვნეები. „თეზქერეში“ საინტერესო ცნობები გვხვდება სამხრ. საქართველოს შესახებაც. ძეგლში სამხრ. საქართველო მოხსენიებულია როგორც ყვარყვარეს ქვეყანა, სადაც ხშირად შემოდიან და ხანგრძლივი დროით ჩერდებიან ყიზილბაშები. „თეზქერეში“ ქართლის შესახებ შედარებით უფრო ნაკლები ცნობები გვხვდება. შაჰ-თამაზი გაკვრით იხსენიებს საქართველოს წინააღმდეგ მე-4 ლაშქრობის დროს ქართლის აოხრების ამბავს: „ლუარსაბ ხანის გურჯისტანზე გავილაშქრეთ, იქაურ ციხეთა და სიღნაღთა უმრავლესობა დავლეწეთ, ოცდაათი ათასი ტყვე წამოვიყვანეთ და იქიდან ყარაბაღს მივედით“.

ლიტ.: ტ ა ბ ა ტ ა ძ ე კ., ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო (შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეს“ მიხედვით), კრ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957; მ ი ს ი ვ ე, შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეს“ თბილისური ნუსხა, «აღმოსავლური კრებული», 1960, [ტ.] 1; შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, კ. ტაბაატაძის გამოც., თბ., 1976.

კ. ტაბატაძე.

თეთვაძე შოთა გიორგის ძე (დ. 15. IV.1932, სოფ. პტენა, ახლანდ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1977), პროფესორი (1983). 1956 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1957–61 იყო პარტ.-სამეურნეო თანამდებობებზე, 1962–91 მუშაობდა საქართვ. სოც.-პოლიტ. მოძღვრებათა ინ-ტში, 1992-იდან დღემდე სტუ-ის პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორია. მისი კვლევის საგანია საქართვ. უახლესი სოც.-პოლიტ. ისტორიის, პოლიტოლოგიის, ისტ. დემოგრაფიის, ეკოლ. თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

თეთნარი, ლეჩხუმის ქედის ჩრდ.-დას. შტოქედი, მდ-ების ცხენისწყლისა და ხოფურის (ცხენისწყლის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფი. ლეჩხუმის ქედს გამოეყოფა მწვერვალ თეთნართან (2964 *მ*). აგებულია ინტენსიურად დანაოჭებული იურული ფლიშური წყებებით. მაღალ მწვერვალებზე არის გამყინვარების კვალი. კალთები დასერილია ცხენისწყლის შენაკადთა ხევებით და შემოსილია წიფლნარ-რცხილნარით, თხემზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

ქ. ჯაფელი.

თეთნულდი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ.



თეთნულდი.



თ. გ. თეთრაძე.



თ. გ. თეთრაძე. იოკასტე, უ. შექსპირის „ოიდიპოს მეფე“.



თ. პ. თეთრაძე.



თ. პ. თეთრაძე. ვოლკოვა, მ. ჯავახიშვილის ,,კვაჭი კვაჭანტირაძე“. 1974.

ადიშჭალის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 4858 *მ*. აგებულია პალეოზოური ასაკის კრისტ. ფიქლებითა და გრანიტოიდებით. კალთებზე არის მყინვარები.

1887 თ-ზე პირველად ავიდნენ დ. *ფრეშფილდი* და მ. *დეში* ორ მეგზურთან ერთად, 1891 – გ. *მერცბახერი* და ლ. პურჩელერი ასევე ორ მეგზურთან ერთად. 1930 თ. დალაშქრეს ქართველმა მთამსვლელებმა: ალექსანდრე *ჯაფარიძემ* (ხელმძღვ.), ალექსანდრა *ჯაფარიძემ*, ი. *კაზალიკაშვილმა*, ა. ავალიანმა.

თ-ზე ალპინისტების ს. *ჯაფარიძის* და პ. დვალის დაღუპვის (1929) გამო მწვერვალის სამხრ.-დას. კალთის გაშიშვლებულ კლდეზე მიმაგრებული იყო მემორიალური დაფა. ამ ადგილს ,,ჯაფარიძის მოწმეები“ ეწოდება.

1954 ქართვ. მთამსვლელებმა მ. *გვარლიანმა* (ხელმძღვ.), გ. გულბანმა, გ. ყალაბეგაშვილმა, დალაშქრეს სამხრ.-აღმ. პამირის უსახელო მწვერვალი, რ-საც დაარქვეს „თეთნულდზე დაღუპულთა ხსოვნის მწვერვალი“.

2016 გაიხსნა მულახის თემში შემავალი, საერთაშორისო სტანდარტების სამთო-სათხილამურო კურორტი ,,თეთნულდი“. კურორტი ზ. დონიდან 2200 *მ* სიმაღლეზე მდებარეობს. მას შეუძლია 6806 დამსვენებლის მიღება. სათხილამურო კომპლექსი კი ერთდროულად 4100 მოთხილამურეს ემსახურება.

ე. ლოლუა.
მ. უთმელიძე.

თეთრამიწა, მრავალფენიანი გორანამოსახლარი მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, ქ. ქუთაისის ჩრდ.-დას-ით. სახელი ეწოდა თეთრი კირქვებით აგებული გორის მიხედვით. არქეოლ. ნაშთები პირველად შემთხვევით აღმოჩნდა 1924 (პ. ჭაბუკიანი). გათხრები მიმდინარეობდა 1964–66 (ნ. ზ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე). თ-ზე ადამიანის არსებობის კვალი ჩანს მუსტიეურ ეპოქაში. აღმოჩენილია ამ დროის კაჟის ინვენტარი: სხვადასხვა ტიპის სახოკები, წვეტანები, დისკოსებრი ნუკლეუსები, ფოთლისებრი ფირფიტა-ანატკეცები და სხვ. თ-ზე აღმოჩენილი სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ქვის (კაჟი, ობსიდიანი, არგილიტი, ბაზალტი, ქვიშაქვა და ა. შ.) იარაღი ძირითადად ნეოლითის ხანისაა, თუმცა გვხვდება ენეოლით-ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მასალაც. იარაღ-ხელსაწყოების დიდი ნაწილი ადრინდ. სამიწათმოქმედო კულტურას განეკუთვნება (ქვის თოხები, წალკატები, ხელსაფქვავები, მარცვლეულის სასრესები, ნამგლის პირის გასამართი მიკროიარაღები და სხვ.). მრავლადაა აგრეთვე ხის დასამუშავებელი ქვის იარაღი (ცულები, საჭრეთლები, სათლელები და სხვ.); არქეოლ. მასალაში გვხვდება შუბისპირები, ისრისპირები და ქვის სამაჯურის ფრაგმენტები, ობსიდიანისა და კერამ. ნაწარმის ნაშთები. თ-ზე გადანაყარის აღმოჩენა გვიჩვენებს, რომ ქვის იარაღის დამუშავება იქვე ხდებოდა. მასალა დაცულია ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწ. ისტ. მუზეუმში და საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1974, [ტ.] 6; კ ი ლ ა ძ ე ნ., ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1951, ნაკვ. 29; ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.

ნ. ბერძენიშვილი.

თეთრაულები, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის არტნის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ივრის ზემოწელში, თიანეთ-ზემო არტნის გზაზე. ზ. დ. 1380 *მ*. 16 მცხ. (2014). სახელწოდება წარმოქმნილია სოფლის ძირითადი გვარის ,,თეთრაულის“ მიხედვით.

ლიტ.: ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980.

თეთრაძე თამარ გიორგის ასული (26. VI. 1917, თბილისი, – 7. XII. 1996, იქვე), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1940 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. ამავე წლიდან იყო თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მსახიობი. სცენური მომხიბვლელობა, მაღალი საშემსრულებლო კულტურა, დახვეწილი, გამორჩეული პლასტიკა, მუსიკალობა მას საშუალებას აძლევდა ღრმად ჩასწვდომოდა გმირის ხასიათს, მის შინაგან ბუნებას. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ძიძია (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“), ცირა (გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“), ესმა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“), ნატალია (მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა“), გუსტინა (ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“), ოლეტა (უ. დიუბუას „ჰაიტი“), შეილა (ჯ. პრისტლის „ინსპექტორი მოვიდა“), იოკასტე (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე“), მოქრისი (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი“), დედა (ნ. დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნა“) და სხვ. 1962-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. წარმატებით გამოდიოდა ესტრადაზე.

თეთრაძე თამარ პეტრეს ასული (31. XII. 1922, თბილისი, – 2003, აშშ), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1976). 1942 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალური ინ-ტი, 1953 – თბილ. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის ფილოლოგიის ფაკ-ტი. 1942–65 კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მსახიობი იყო. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გულთამზე და გვირისტინე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“), მაშა (ნ. პოგოდინის „კრემლის კურანტები“), ბიანკა, ოლივია (უ. შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“, „მეთორმეტე ღამე“), ლაურენსია, ფელისიანა (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ,,ცეკვის მასწავლებელი“), ნატა ხარატელი, მუზა (მ. მრევლიშვილის ,,ხარატაანთ კერა“, კ. ბუაჩიძის ,,მკაცრი ქალიშვილები“) და სხვ. თ-ს ახასიათებდა სცენური მომხიბვლელობა, საშემსრულებლო კულტურა, მკაფიო, დახვეწილი სცენური მეტყველება. ერთნაირი სიძლიერით ასრულებდა როგორც კომედიურ, ისე დრამ. როლებს.

თეთრაძე ნუნუ ილიას ასული (23. XI. 1911, თბილისი, – 2. V. 1986, ბათუმი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1957). დაამთავრა

რუსთაველის თეატრთან არსებული თეატრ. სტუდია (აჭარის ჯგუფი). 1932–37 იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. 1937-იდან მოღვაწეობა განაგრძო ბათუმის დრამ. თეატრში. იგი განეკუთვნება მსახიობთა იმ პლეადას, რ-მაც ი. *კობალაძესთან,* მ. *ხინკაძესთან,* ხ. მეგრელიშვილთან და სხვებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა პროფ. თეატრს აჭარაში. მისი თამაში გამოირჩეოდა ემოციურობით, დრამატიზმით, ერთნაირი სიძლიერით ასრულებდა როგორც დრამატულ, ასევე ტრაგიკულ როლებს, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ემილია, ჰერტრუდა (უ. შექსპირის ,,ოტელო'', ,,ჰამლეტი''), იოკასტე (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), ვასა ჟელეზნოვა (მ. გორკის ,,ვასა ჟელეზნოვა''), ლიუბოვ იაროვაია (კ. ტრენიოვის ,,ლიუბოვ იაროვაია''), ნუნუ (ა. ყაზბეგის ,,მამის მკვლელი''), რუქაია (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ,,ღალატი'') და სხვ.

თეთრაწყარო, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კიცხის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. ჩხერიმელის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 440 *მ,* ხარაგაულიდან 4 *კმ.* 333 მცხ. (2014).

თ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში. სოფელში დგას XIX ს. ეკლესია, რ-ის კედლების წყობაში ძვ. ეკლესიის ქვებია გამოყენებული.

თეთრახევა, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა თიანეთის ტერიტორიულ ორგანოში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), თიანეთის ქვაბულში, მდ. თეთრახევის (ქუსნოს მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1120 *მ,* თიანეთიდან 2 *კმ.* 39 მცხ. (2014).

თ. თიანეთს მიბმული დასახლებაა, ამიტომ მისი წარსული მჭიდრო კავშირშია საკუთრივ თიანეთისა და მისი მიმდებარე მხარის ისტორიასთან. თ. უძველესი დროიდანვე ადამიანის სამოსახლო იყო. სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს მოლამურის ციხე, აქვეა ძვ. ნამოსახლარიც. ამ მინდორს სულხანას ქალის კვირიას სახელს ეძახიან. ვარაუდობენ, რომ სოფელს ადრე მოლამური ერქვა და მოგვიანებით, XVII–XIX სს-ში, ბარის მოსახლეობის კლებისა და ქართვ. მთიელთა მიგრაციის შემდეგ სახელი გადაერქვა. იგი თავის ციხესიმაგრით აქტიურად იყო ჩართული თიანეთის მხარის თავდაცვით სისტემაში.

სოფ. მოლამურის ძვ. დასახლება ადრე სვეტიცხოვლის მონასტრის საკუთრებად განიხილებოდა, რაც ალექსანდრე კახთა მეფემ 1579 კვლავაც განუახლა სვეტიცხოველს. მოგვიანებით, საგარეო ვითარების გაუარესებასა და სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, ისევე როგორც თიანეთის მხარის სხვა ნაწილებზე, სოფელზე თავის უფლებები გაავრცელეს ჩოლოყაშვილებმა და ნაწილობრივ ალავერდის მონასტერმა. ადმინისტრაციულად იგი *თიანეთის სამოურავოში* შედიოდა.

ერთდროულად თ-ზე (თიანეთთან ერთად) სამეფო კარიც აცხადებდა პრეტენზიებს, ცდილობდა ამ მიწების უშუალოდ სახასო საკუთრებად ქცევას. ამ მიზნით გვიანდ. შუა საუკუნეებში, სამხ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით, სამეფო ხელისუფლებამ თიანეთის მხარე ალავერდელ ეპისკოპოსს კი არ დაუქვემდებარა, სადაც, როგორც წესი, ეპისკოპოსები ჩოლოყაშვილები იყვნენ, არამედ რუსთველ ეპისკოპოსს, რ-ის სადროშოზეც იყო მიწერილი აღნიშნული მხარე. ამით სამეფო კარი ასუსტებდა თავად ჩოლოყაშვილთა მოჭარბებულ ზეგავლენას თიანეთზე.

XVII ს. ძნელბედობის გამო თ-ის (მოლამური) მოსახლეობაც შეთხელებულა, რაც ნიშნავს, რომ უკვე თვალსაჩინოა ქართვ. მთიელთა მიგრაციის პროცესი. ცნობილია, რომ სოფლის მოსახლეობა სალოცავად ივრის შენაკად ხაშრულასთან მიმდებარე ნასოფლარ ბაჩალში ადიოდა, სადაც ,,გაბიდაურთ თემის ფშაველების-სახუთმეტო'' ძელის ანგელოზისა და დედა ღვთისმშობლის სალოცავი ნიშებია. ამიტომ ვარაუდობენ, რომ თ-ში მოსახლ. ნაწილი სწორედ ამ მხრიდან არის გადმოსახლებული. სოფლის მოსახლეობა ძველთაგანვე ძირითადად მესაქონლეობასა და მემინდვრეობას მისდევდა. სოფლის სამხრ.-დას-ით, მდ. კავახევას მარჯვ. ნაპირზე, ადგილის დედის ხატია (XIX ს.), სოფლის დას-ით კი – წმ. გიორგის ხატი, რ-იც, სავარაუდოდ, გვიანდ. შუა საუკუნეებით თარიღდება.

წყარო: ბედოშვილი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3 (,,განწესება სარუსთველო დროშისა, 1722 წ.''), თბ., 1970.

კ. კახაძე.

თეთრგატკნიანები, იხ. *აყ-ყოიუნლუ.*

თეთრგვერდა დელფინი (Delphinus delphis), ზღვის ძუძუმწოვარი ცხოველი დელფინების ქვეოჯახისა. სხეულის სიგრძე 2,5 *მ*-მდე, მასა 50 *კგ*-მდე. მამრები უფრო დიდი ზომის არიან, ვიდრე მდედრები. ზურგი და ფარფლები შავი აქვს, მუცელი და გვერდების დიდი ნაწილი კი – თეთრი. ეწევა ქარავნულ (ჯოგური) ცხოვრებას. ჯოგში შედის 30–50 და მეტი თ. დ. ყველაზე ფართოდ გავრცელებული დელფინია, ბინადრობს ბალტიის, ჩრდილოეთის, ოხოტის, იაპონიისა და შავ ზღვებში. აქ გავრცელებული თ. დ. გამოყოფილია ცალკე ქვესახეობად, რადგან ზღვიდან არსად მიგრირებს. ცოცხლობს 25–30 წელს. ცურავს სწრაფად, შეუძლია განავითაროს 45–50 *კმ/სთ*-ში. ცოცხლადმშობია, მაკეობს 11 თვე, ბადებს ერთ ან, იშვიათად, ორ ნაშიერს. იკვებება თევზებით და უხერხემლო ცხოველებით. იგი რეწვის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა, რის გამოც მისი რაოდენობა მინიმუმამდე დავიდა. ამჟამად თ. დ-ის რეწვა აკრძალულია. *ნ. ნინუა.*



ნ. თეთრაძე.



თეთრგვერდა დელფინი.

თეთრგულა კვერნა, თეთრყელა კვერნა, ქვის კვერნა (Martes foina), ძუძუმწოვარი ცხოველი მტაცებელთა რიგისა. გავრცელებულია დას. ევროპაში, შუა და წინა აზიაში, ტიბეტში, რუსეთში. ბინადრობს მრავალგვარ სტაციაში (პოპულაციის ადგილსამყოფელი): ტყეში, უტყეო ადგილებში, ბუჩქნარებში, პარკებში, კულტ. ლანდშაფტში, კლდოვან ქვანაყარ კომპლექსებში, დასახლებულ ადგილებში. აღწევს ზ. დ-იდან 4000 *მ*-მდე. არის რამდენიმე ქვესახეობა.

საქართველოში გავრცელებულია კავკასიური თ. კ. (Martes foina nehringi). გვხვდება კავკ. ქედის სამხრ. კალთებზე, ცივ-გომბორის, თრიალეთის, ქართლ-იმერეთის, გურია-აჭარის ქედებზე; ქართლსა და კახეთში, კოლხეთის დაბლობზე, აჭარაში, აფხაზეთში. აქვს ძვირფასი ბეწვი, რის გამოც მასზე ნადირობენ. *გ. ენუქიძე.*



თეთრგულა კვერნა.

თეთრეკალა, სობისურა (Lycium), მცენარეთა სამხრეთამერიკული გვარი ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა. მეტ-ნაკლებად ეკლიანი ბუჩქებია, 100-მდე სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ და სუბტროპ. სარტყლებში.

საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი სახეობა – წითელნაყოფა თ. (L. barbarum), მისი სიმაღლეა 1,5–2 *მ,* ქვევით რკალივით გადაღუნული




თეთრეკალა.



თეთრთვალა.

თეთრი
ზემოთ – შუბლი,
ქვემოთ – ზურგი.



წვრილი, გრძელი ტოტები აქვს. მოგრძო ლანცეტა ფოთლები თითო-თითოდ ან ჯგუფ-ჯგუფად სხედან. ყვავილები ღია იისფერია. იზრდება მხოლოდ ქართლსა და იმერეთში. კულტივირებულია, ადვილად ველურდება. ქმნის რაყას, უმთავრესად – გზის პირებზე. თბილისსა და სოხუმის ბოტან. ბაღებში უხვად ყვავილობს და ისხამს ნაყოფს. მრავლდება თესლით, კალმით და ბუჩქის დაყოფით. იყენებენ ცოცხალ ღობედ.

თეთრთვალა (Ballerus sapa Pallas), თევზი კობრისნაირთა რიგის, კობრისებრთა ოჯახის, თეთრთვალებათა გვარის. სიგრძე 44 *სმ*-მდე, მასა 650 გ-მდე. ზღვაში გამსვლელი თევზია, მტკნარ წყლებში ქმნის ადგილობრივ ფორმას. თვალის ფერადი გარსი მოვერცხლისფერო-მოთეთროა, სქესობრივ სიმწიფეს 2–3 წლის ასაკში აღწევს, ტაფობს აპრილ-იანვარში.

იკვებება ქირონომიდებით, გვერდულებით, მოლუსკებით, კიბოსნაირებით, მიდიებით და მცენარეებით. საქართველოში მინგეჩაურის წყალსაცავის შექმნის შემდეგ შემოვიდა. ნაპოვნია მდ. მტკვარსა და ალაზანში, ჯანდარის ტბაში. საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულია კასპიის ზღვასა და მის შენაკადებში. საქართველოში მისი სარეწაო მნიშვნელობა მცირეა. *ნ. ნინუა.*

თეთრი, ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი. იხსენიება XIV–XVIII სს. ქართ. საისტორიო წყაროებში; 1995-იდან – ხურდა ფული და საანგარიშო-ფულადი ერთეული საქართველოში, რ-იც *ლარის* მეასედს უდრის. 1995 წ. 25 სექტემბრიდან მიმოქცევაშია 1, 2, 5, 10, 20, 50 თ-ის ნომინალის მონეტები.

1 თ-ის ნომინალის მონეტის შუბლზე (ავერსი), ზედა ნაწილში, გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი 1, მის ქვეშ წარწერაა – თეთრი, ხოლო წარწერის ქვემოთ არის ვაზის ლერწის სიმეტრიული გამოსახულება (სვეტიცხოვლის ტაძრის დას. ფასადის რელიეფური შემკულობის დეტალი). მონეტის დიამეტრია 15 *მმ,* სისქე – 1,25 *მმ,* მასა – 1,38 *გ.*

2 თ-ის ნომინალის მონეტის შუბლზე, მის ზედა მონაკვეთში, გამოსახულია ფრთებაწეული ფარშავანგი (ფარშავანგის გამოსახულება უძველესი დროიდანვე გაიაზრებოდა როგორც აღდგომისა და უკვდავების იდეის გამოხატულება), რ-ის ქვეშ წარწერაა – თეთრი, ხოლო ქვედა მონაკვეთში გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი 2. მონეტის დიამეტრია 17,5 *მმ,* სისქე – 1,25 *მმ,* მასა – 1,90 *გ.*

5 თ-ის ნომინალის მონეტის შუბლზე, მის ზედა მონაკვეთში, გამოსახულია ლომის ფიგურა (ალაზნის ველზე ერთ-ერთ გორასამარხში არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი მცირე ზომის ლომის ოქროს ქანდაკება), რ-ის ქვეშ გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი 5, ხოლო ქვედა მონაკვეთში წარწერაა – თეთრი. მონეტის დიამეტრია 20 *მმ,* სისქე – 1,32 *მმ,* მასა – 2,5 *გ.*

10 თ-ის ნომინალის მონეტის შუბლზე, შუა არეში, გამოსახულია ლომზე ამხედრებული ფეხშიშველა მამაკაცის ფიგურა, წმინდა მამაი (XI ს. დასაწყ. მოოქრული ვერცხლის ტონდო გელათის მონასტრიდან), რ-საც მარჯვ. ხელში ჯვარი უჭირავს, ტანთ ნაოჭებიანი გრძელი სამოსი აცვია; ლომის ფაფარი და აწეული კუდის ბოლო დეკორატიულადაა დამუშავებული; ფიგურის მარჯვ. მონაკვეთში გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი რიცხვი 10, ხოლო ქვემოთ წარწერაა – თეთრი. მონეტის დიამეტრია 22 *მმ,* სისქე – 1,27 *მმ,* მასა – 3,0 *გ.*

20 თ-ის ნომინალის მონეტის შუბლზე შუა არეში, გამოსახულია ხარირმის ფიგურა (ფიროსმანის სურათის დეტალი), რ-ის მარცხნივ გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი რიცხვი 20, ხოლო ქვეშ წარწერაა – თეთრი. მონეტის დიამეტრია 25 *მმ,* სისქე – 1,62 *მმ,* მასა – 5,0 *გ.*

50 თ-ის ნომინალის მონეტის შუბლზე, ზედა არეში, გამოსახულია ფრთოსანი ფიგურა (XI ს. სამთავისის ტაძრის აღმ. ფასადზე განთავსებული გრიფონის რელიეფური გამოსახულება), რ-ის ქვეშ გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი რიცხვი 50, ხოლო ქვედა მონაკვეთში წარწერაა – თეთრი. მონეტის დიამეტრია 19 *მმ,* სისქე – 1,40 *მმ,* მასა – 2,5 *გ.*

ყველა ნომინალის მონეტის ზურგზე (რევერსი) არის ბორჯღალის გამოსახულება, მითითებულია მონეტის მოჭრის თარიღი – 1993. კიდეზე შემოვლებულ წრიულ არშიაზე განთავსებულია ზედწერილი ქართ. და ინგლ. ენებზე – საქართველოს რესპუბლიკა REPUBLIC OF GEORGIA. მონეტის წიბო გლუვია.

1, 2, 5, 10, 20 თ-ის ნომინალის მონეტები ვერცხლისფერია, ხოლო 50 თ-ის ნომინალის მონეტა – ოქროსფერი.

გარდა ზემოთ აღნიშნული 50 თ-ის ნომინალის მონეტისა მიმოქცევაშია 2006 წლის ემისიის 50 თ-ის ნომინალის ახ. მონეტა. მონეტის შუბლზე გამოსახულია საქართვ. სახელმწ. გერბი, რ-საც გარს არტყია მზის სხივების სიმბოლური გამოსახულება. გერბის ქვეშ არის წარწერა – საქართველო – და მონეტის მოჭრის თარიღი – 2006. მონეტის ზურგზე გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი რიცხვი 50 და წარწერა – თეთრი. მონეტის ორივე მხარეს, დაცვის თვალსაზრისით, დატანილია მიკროელემენტი, ძვ. კოლხ. თეთრის ანალოგი – ლომის თავი. მონეტის წიბო დაღარულია, ჩატვიფრულია ქართ.-ინგლ. წარწერა – საქართველო GEORGIA, მ. შ. გამოსახულია ხუთქიმიანი ვარსკვლავი. მონეტის დიამეტრია 24 *მმ,* სისქე – 1,9 *მმ,* მასა – 6,5 *გ.* მონეტა ვერცხლისფერია.

თეთრი ამური (Ctenopharyngodon idella), თევზი კობრისებრთა ოჯახისა. თითქმის ყველა თევზი თითისტარისებრია. გავრცელებულია აზიაში, ჩინეთიდან ციმბირამდე. სხეულის სიგრძე 150 *სმ* აღწევს, მასა – 45 *კგ.* მტკნარი წყლის თევზია, ბინადრობს მდინარეებსა და ტბებში.



თეთრი ამური.

საქართველოში აკლიმატიზებულია 1962-იდან მრავალ ტბასა და ტბორში (მ.შ. კუმისის ტბა, ჯანპანისა და ნაქალაქევის თევზსაშენი ტბორები, მარაბდის წყალსაცავი). იკვებება წყლის მცენარეებით, წმენდს წყალსატევებს და სარწყავ არხებს, რითაც დიდი სარგებლობა მოაქვს მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. იკვებება ასევე ბალახით, ხის ფოთლებით, თევზის ლიფსიტებით, ჭიებით და მწერებით. ძვირფასი სარეწაო თევზია, იყენებენ ნედლად და დამარილებულს.

ნ. ნინუა. მ. დემეტრაშვილი.

თეთრი არაგვი, იხ. *მთიულეთის არაგვი.*

თეთრიგზის არქეოლოგიური ძეგლები, შუა საუკუნეების ნასახლარი, პატარა ეკლესიის ნანგრევები და გვიანდ. ანტიკური – ადრინდ. ფეოდ. ხანის სამარხები. მდებარეობს სოფ. ანანურის (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ახ. უბნის ჩრდ.-დას-ით, პატარა ტერასებზე. 1971 სადაზვერვო გათხრების (რ. რამიშვილი) შედეგად გამოვლინდა ორმოსამარხები და ქვის სამარხები. მათში ნაპოვნია თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, სარკე, საკინძები, მშვილდ-საკინძები, აბზინდა, მინის და სარდიონის მძივები და სხვ.

ლიტ.: რამიშვილი რ., წითლანაძე ბ., ჯორბენაძე ბ. და სხვ., ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის წინასწარი შედეგები, კრ.: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972.

რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.

თეთრი გიორგი, იხ. სტ. *მთავარის კულტი.*

„თეთრი გიორგი“, ემიგრანტ ახალგაზრდა ქართველ პატრიოტთა ორგანიზაცია უცხოეთში. დაარსდა 1924 წ. 24 ოქტომბერს პარიზში. კ. *სალიას* ცნობით, მოძრაობის იდეა და სახელწოდება ჩასახულა მეტეხის ციხეში XX ს. 20-იანი წლების დასაწყისში. დამფუძნებელი კრება გაიმართა 1925 წ. 15 ივნისს პარიზში. კრებამ მიიღო დეკლარაცია, რ-შიც გადმოცემულია ორგანიზაციის იდეოლოგიური საფუძვლები, ორგანიზაციული სტრუქტურა. „თ. გ-ის“ მიზანი ჩამოყალიბებულია 7 პუნქტად: ერის გათავისუფლება რუსეთის მონობისაგან; საქართველოს მთლიანობის აღდგენა; ბრძოლა რუს. ენის, აზროვნების და ყოველგვარი რუს. ბატონობის წინააღმდეგ; საქართველოს გაწმენდა მტრულად განწყობილი ელემენტებისაგან; საქართვ. მოსახლეობის ეროვნ. შემადგენლობის დაცვა აჭრელებისაგან; ეროვნ. ქონებისა და სამეურნეო ასპარეზის დაცვა ქართველებისათვის; ერის ფიზ., სულიერი და გონებრივი გაჯანსაღება. „თ. გ.“ თავს აცხადებდა ეროვნ. ძალთა შეკავშირებისათვის მებრძოლ ორგანიზაციად; სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ერის წარმომადგენელი, რ-იც თანაბრად დაიცავდა ყველა კლასის ინტერესებს; მის ძირითად ძალად უნდა ქცეულიყო ოჯახზე, ზნე-ჩვეულებებზე, სარწმუნოებაზე, აღზრდაზე, ენაზე დამყარებული ქართ. კულტურა.

„თ. გ-ის“ სულიერ ბელადებად გამოცხადდნენ *ალექსანდრე ბატონიშვილი* („მთის არწივი“) და ქ. *ჩოლოყაშვილი.* მათი პორტრეტები მუდამ ამშვენებდა ორგანიზაციის ყველა თავყრილობას. სიმბოლოდ აირჩიეს წარმართი ღვთაება თეთრი გიორგი, ჰიმნად – დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნი, დროშად – შავ-შინდისფერით გარშემოვლებული მთლიანად თეთრი ალამი წარწერით „საქართველო უწინარეს ყოვლისა“. ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდა მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ლ. *კერესელიძე,* რ-იც სიცოცხლის ბოლომდე (1942) მეთაურობდა მას, გარდა იმ რამდენიმე თვისა, როდესაც იგი განხეთქილების შედეგად IV ყრილობაზე გადააყენეს და მეთაურად აირჩიეს შ. *მაღლაკელიძე.* ორგანიზაციას ჰქონდა ბეჭდვითი ორგანო – გაზ. „*თეთრი გიორგი*“. „თეთრი გიორგის“ პარალელურად 1934-იდან დაიწყო მეორე გაზ. „მომავლის“ გამოცემა, რ-საც ა. *მანველიშვილი* ჩაუდგა სათავეში და, ფაქტობრივად, ოპოზიციურ ორგანოს წარმოადგენდა. „თ. გ-ს“ ჰქონდა თავისი ორგანიზაცია ბერლინში, რ-იც XX ს. 30-იან წლებში უშვებდა იმავე სახელწოდების გაზეთს. „თ. გ-ის“ არსებობა დასტურდება XX ს. 50-იანი წლების დამდეგსაც, მაგრამ ამ პერიოდში მის არსებობას უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონდა და მალევე გაუქმდა. მის სულიერ მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში“, რ-იც 1954 მიუნხენში დაარსდა.

წყარო: ბერიძე შ., მოგონება (1924–1933 წწ.), გაზ. «თეთრი გიორგი», №69–71, პარიზი, 1933; კერესელიძე ლ., ჩვენი იდეოლოგიის ზოგიერთი მხარეები: ეროვნული დისციპლინა, გაზ. «თეთრი გიორგი», №74–75, პარიზი, 1934; მანველიშვილი ალ., „თეთრი გიორგი“ (მოგონება). ხელნაწერი. დაცულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიის მუზეუმში; საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“, დამფუძნებელი კრების დეკლარაცია, პარიზი, 1925.

ლიტ.: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 3, თბ., 1993. *ლ. ურუშაძე.*

„თეთრი გიორგი“, გაზეთი, საქართველოს პატრიოტულ-ახალგაზრდული ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ პერიოდული ორგანო. გამოდიოდა პარიზსა და ბერლინში (1926–35; წლის №1-იდან №85-ის ჩათვლით). შემდგომში გადაკეთდა ეროვნ. ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ გამოცემად (1935–39; №86-იდან №106-ის ჩათვლით). იბეჭდებოდა ცვალებადი პერიოდულობით და მოცულობით. ზოგიერთ ნომერს თან ერთვოდა დამატება ქართ. და ფრანგ. ენებზე. გაზეთის დევიზი იყო: „საქართველო უწინარეს ყოვლისა“, რ-საც სხვადასხვა ნომრებში თან ახლდა გ. *საკაძის,* ა. და ლ. ბატონიშვილების, კ. *აფხაზის,* ვ. წულუკიძის, ა. *ანდრონიკაშვილის* ლოზუნგები და ქართვ. მწერალთა პატრ. გამონათქვამები. გაზეთის სახელწოდების („თეთრი გიორგი“) მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ემიგრანტ მხატვარს მ. *ბილანიშვილს.* აღსანიშნავია, რომ პარიზის გარდა, 1930 ბერლინში ხელნაწერის სახით გამოიცა „თეთრი გიორგის“ რამდენიმე ნომერი. გაზეთის რედაქტორები იყვნენ: ლ. *კერესელიძე,* მ. *წერეთელი,* ვ. *ნოზაძე,* ხოლო თანამშრომლები: კ. *სალია,* ს. *ბერეჟიანი,* ვ. ციცქიშვილი, დ. *კლდიაშვილი* და სხვ.

ლიტ.: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 3, თბ., 1993.

თეთრი გიორგის ეკლესია, წმინდა გიორგის სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. აწყურის სამხრ-ით 2 *კმ*-ზე, მაღალ გორაზე. კომპლექსში შედის ეკლესია, სამრეკლო, გალავანი და დამხმარე ნაგებობანი. ეკლესია და გალავანი განეკუთვნება X–XIII სს., სამრეკლო – XVI ს., ხოლო დამხმარე ნაგებობები XIX –XX სს. მიჯნაზეა აშენებული. ეკლესია გუმბათოვანია, თავისუფალი ჯვრის ტიპისა, აქვს ძლიერ წაგრძელებული აღმისა და დას-ის მკლავები. შენობა სამი სამშენებლო ფენისაგან შედგება, უადრესია აღმ-ის მკლავი, გუმბათი XVI ს. განეკუთვნება და აგურითაა ნაგები. 1988 ინტერიერი მთლიანად მოუხატავთ.



თეთრი გიორგის ეკლესია. ახმეტის მუნიციპალიტეტი.

თეთრი
ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.



ეკლესია მოქმედია და ექვემდებარება ალავერდის ეპარქიას.

2016–17 წწ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ეკლესიას და სამრეკლოს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შედეგადაც სამრეკლოს დაუბრუნდა თავდაპირველი სახე. კეთილმოეწყო კომპლექსის ტერიტორია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1960; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

თ. დვალი.

თეთრი ლეჭსი, გაურითმავი ლექსი. სტრიქონთა დაბოლოებანი, რებიც, ჩვეულებრივ, გარითმულია, თ. ლ-ში ბგერითი თანხმიერების თვალსაზრისით ცარიელია, ,,თეთრია‘‘. ვერლიბრისაგან განსხვავებით, თ. ლ. მეტრულად მოწესრიგებულია. ურითმობა მხოლოდ რითმიანი ლექსის ფონზე აღიქმება, ამიტომ იმ სალექსო სისტემების მიმართ, სადაც რითმა საერთოდ არ გამოიყენება, ამ ტერმინის ხმარება მართებული არ არის. თ. ლ. განსაკუთრებით კარგად ეგუება დრამ. ნაწარმოებთა სპეციფიკას. ევროპაში ამ ფორმის გავრცელება, ჩვეულებრივ, უ. შექსპირის პიესებს უკავშირდება. ქართ. პოეზიაში თ. ლ-ის კლასიკური ნიმუშია უ. შექსპირის პიესების ი. მაჩაბლისეული თარგმანები, გ. ორბელიანის ,,მუშა ბოქულაძე‘‘.

თ. დოიაშვილი.

თეთრი მღვიმე, სპელეოლოგიური და არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ხომულში (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ე. წ. ლექვთაძეების ბორცვზე. ზ. დ. 100 *მ*-ზე მდებარე მღვიმე კარსტული წარმოშობისაა, გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. მღვიმის ჭერსა და კედლებზე თეთრი ფერის (აქედან სახელწოდება), სხვადასხვა სიდიდის სტალაქტიტები და სხვა ქიმ. ნაღვენთებია, რაც იშვიათ სილამაზეს ქმნის. ძეგლი არქეოლოგიურად შეისწავლეს 1954–55 (ხელმძღვ. ა. კალანდაძე) და 1956-იდან (ხელმძღვ. კ. კალანდაძე). თ. მ. 3 დარბაზისაგან შედგება. ჭერის საშუალო სიმაღლეა 8 *მ*, საერთო ფართია 3500 *მ*^{2}. პირველყოფილი ადამიანი თ. მ-ში ორჯერ შესახლებულა. პირველად ზედა პალეოლითში (35–40 ათასი წლის წინ), ხოლო მეორედ – ენეოლითში (7 ათ. წლის წინ). მღვიმეში 10 *მ* სისქის ნალექია. ზედაპალეოლითური ხანის არქეოლ. ნაშთები მღვიმის იატაკიდან 2 *მ* სიღრმეზეა. ზევით ენეოლითური ფენა დევს, მასზე 5–10 *სმ* სისქის კალციტის ქერქია გადაფარებული. ორივე ეპოქაში ადამიანს პირველი დარბაზი საცხოვრებლად გამოუყენებია, მეორე – სარიტუალოდ, მესამე – სათავსად.

თ. მ-ის საცხოვრებელ დარბაზში ზედაპალეოლითური პერიოდის ადამიანს შემდეგი სახის იარაღი გამოუყენებია: კაჟისა და ობსიდიანის წვეტანები, საჭრისები, საფხეკები, საფხეკ-საჭრისები, დანა-ლამელები, ძვლის სადგისსახვრეტები და სხვ. სარიტუალო დარბაზში კი მღვიმური დათვის თავის ქალებია დაწყობილი. ენეოლითურ ადამიანს პირველ დარბაზში უფრო ხანგრძლივად უცხოვრია, გათხრების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე კერა და მათ გარშემო ჩაწყობილი თიხის ჭურჭელი: დერგისებრი, ქოთნისებრი, ჯამისა და ფიალის მსგავსი; აგრეთვე კვირისტავები, ცხოველთა და ადამიანთა ქანდაკებები, სარიტუალო კვერები, კაჟის საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, ისრისა და შუბისპირები, რიყის ქვის ხელსაფქვავები, სატეხ-სათლელები, ცულები, ჩაქუჩები, შურდულის ქვები, ჭურვები, ავგაროზები, სადგისები, მახათები, საქსოვი ჩხირები, მძივები, საკიდები, რქის იარაღი და სხვ. სარიტუალო დარბაზში გამოვლინდა იმიტაციური კერები, რ-ებიც ნახშირით იყო შევსებული, თიხატკეპნილი იატაკი, სამსხვერპლო. იატაკქვეშა ორმოების გარშემო დაწყობილი იყო ყველაზე სახიანი ნივთები: პირდაჭდეული ფიალები, ჯამები და ქოთნები, ორნამენტით მორთული კვირისტავები, ადამიანთა და ცხოველთა ქანდაკებები, ძვლისა და ქვის ავგაროზები, კაჟის ისრისპირები, შუბისპირები, ძვლის საპრიალებლები და ყუნწგახვრეტილი მახათები, მძივები, ქვის სატეხ-სათლელები, თიხის სარიტუალო კვერები და გოროხები. აქვე აღმოჩნდა სპილენძის ისრისპირი, რ-იც მთელ კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე ადრინდ. ლითონის იარაღია (დაახლ. ძვ. წ. V ათასწლ.).

თ. მ-ში ენეოლითური ხანის კულტმსახურების ინ-ტი ყველაზე სრულყოფილადაა წარმოდგენილი.

თ. მ-ის მიკროკლიმატი მაღალი რადიოაქტიურობით ხასიათდება (რადიაცია 2–3 კიურით განისაზღვრება), ჰაერი იონიზებულია, ზედმიწევნით სუფთა და გრილია (13^0 C), შეიცავს მომეტებულ ნახშირმჟავას. მასში არ არის პათოგენური მიკრობები და ალერგენები. ამიტომ კურორტოლოგიის ინ-ტი მღვიმეს ბრონქული ასთმით დაავადებულთა სამკურნალოდ იყენებს.

ლიტ.: კალანდაძე ა., თეთრი მღვიმე, თბ., 1994; ყიფიანი შ., ტინტილოზოვი ზ., ოქროჯვანაშვილი ა., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 1966.

კ. კალანდაძე.

თეთრი სამღვდელოება, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები, რ-ებიც, *შავი სამღვდელოებისაგან* განსხვავებით, ცოლიანები არიან. ღვთისმსახურებისათვის გამორჩეულ კანდიდატს ჯვარი ხელდასხმამდე, ანუ დიაკვნად კურთხევამდე, უნდა ჰქონდეს დაწერილი. თ. ს-ის წარმომადგენელს მეორედ ქორწინების უფლება არა აქვს. იერარქიის მიხედვით, თ. ს-ის წევრები არიან *პროტოპრესვიტერი, დეკანოზი* და *დიაკონი.* დადგენილი წესით, ისინი მუქი, უპირატესად შავი კაბით ან ანაფორით იმოსებიან და წვერთან ერთად მოზრდილ თმასაც ატარებენ. თ. ს-ის ყველა წარმომადგენელი, გარდა დიაკვნისა, სამკერდე ჯვარს ატარებს. ამასთან დამსახურების მიხედვით მათ შეიძლება ენქერის, მიტრის ან გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებაც ჰქონდეთ მინიჭებული. თ. ს-ის წევრს, საერო პირთა მსგავსად, შეუძლია ჰქონდეს საკუთარი ქონება, მათ შორის მიწა და სახლი. თ. ს-ის ყველა წარმომადგენელი ვალდებულია იმ ეპარქიის ეპისკოპოსს დაემორჩილოს, რ-შიც მსახურობს, და საეკლ. საქმეთა აღსრულებისას მისი კურთხევით იმოქმედოს.

გ. კოპლატაძე.

თეთრი სოფელი, ნასოფლარი ისტორიულ ქვემო ქართლში, მარნეულის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს შულავრისწყლის მარცხ. შენაკად ბინაძორის მარჯვ. სანაპიროზე. სომხ. მოსახლეობა მას ,,სპიტაკშენს‘‘ უწოდებს, რაც ქართ. სახელწოდების შესატყვისია.

1632–58 ბირთველმა თუმანიშვილმა თ. ს-სა და შულავრის საცილობელი მამულის დავა ასე განაჩინა: რასაც თეთრი სოფლელები მოხნავდნენ, ქერის, ბამბის ან ფეტვის ღალა იორამ ბატონიშვილისთვის უნდა გადაეცათ; სარწყავის გასაყოფად ერთი მერუე სოფლის მამასახლისს უნდა გამოეყვანა, ორი – შულავრისას.

1695–1703 მეფე ერეკლე I-მა დურმიშხან ალიხანაშვილს უბოძა კულუხის სითარხნე შულავერელი ბოშაშვილისაგან ნასყიდ ვენახზე, რ-იც მ. ს-ის კუთვნილი მიწა იყო. 1628 ვახუშტი როჭიკაშვილს თათრები სთხოვდნენ მიწაზე დადებულ გადასახადს მ. ს-იდან.

დასტურლამალის მიხედვით მ. ს-ის მალზე გადაკვეთილი იყო კაცის თავზე ნახევარშაური სახლთხუცის სარგო და ასევე მდიდარი ბეგის სარგო. 1721 აღწერით იქ ითვლებოდა ერთი მებატონე და 10 გამომღები ყმა. 1784 ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ნადირშაჰის დროს მეფის სახასო მ. ს. ქაიხოსრო ციციშვილს ,,უშოვნია'', მაგრამ შემდგომში ისევ ,,ხელი აუღია''. 1802 სულხან თუმანოვი არზით არწმუნებდა დარეჯან დედოფალს, რომ მ. ს-ის მამულში გლახა როჭიკაშვილს წილი აღარ ეკუთვნოდა; მართალია მ. სიგელები ჰქონდა, მაგრამ მეფეებს მამულები მაინც ჩამოურთმევიათ და როჭიკაშვილთა რამდენიმე თაობას აქ აღარაფერი გააჩნდა.

წყარო და ლიტ.: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940; ლორთქიფანიძე იას., ქვემო ქართლი, I–II, თბ., 1936; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965; ტ. 4–5, თბ., 1972–74; ტ. 8, თბ., 1985. *დ. ბერძენიშვილი.*

თეთრი ქვები, ძვ. წ. XVII ს. არქეოლოგიური ძეგლი, აღმოჩენილი სოფ. პატარძეულის მიდამოებში, ადგილ თეთრ ქვებში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი). გამოვლენილია ყორღანების 3 ჯგუფი. თითო ჯგუფში 15–20 გორასამარხია, რ-თა დიამეტრია 10–15 *მ*. 1990 გაითხარა ერთი ყორღანი – თეთრი ქვები I (კ. ფიცხელაური, მ. კინწურაშვილი).

ყორღანი გამართული ყოფილა შემაღლებულ ადგილზე. მიწაყრილი თითქმის რელიეფთანაა გასწორებული. ცენტრ. ნაწილში მიწაყრილის სიმაღლეა 1,10 *მ*, დიამეტრი – 30 *მ*, რ-ის ფუძეს შემოუყვება 3,70 *მ* სიგანისა და 0,30 *მ* სისქის ქვის წრე. მიწაყრილის ქვეშ გამოვლინდა დას-იდან აღმ-კენ დამხრობილი დასაკრძალავი ორმო (ზომები 3,5 *მ*×3,0 *მ*. სიღრმე 2,80 *მ*). თავდაპირველად სამარხის იატაკზე მოუთავსებიათ მოზრდილი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ორყურა ქვაბი, სატევრის პირი, მთელი ცხვარი და მსხვილფეხა საქონლის დიდი ნაჭრები; შემდეგ, როგორც ჩანს, სამარხში ჩაუდგამთ ოთხთვალა ურემი, რ-ის სიგანე და სიგრძე ანაბეჭდების მიხედვით 1,70 *მ*× 2,40 *მ* უნდა ყოფილიყო, ბორბლების დიამეტრი – 1 *მ* და 0,70 *მ*. ურემზე, მარჯვ. გვერდზე, დასვენებული იყო ხელფეხმოკეცილი მიცვალებული თავით აღმ-კენ. მის წინ, სხეულის გასწვრივ, ბრინჯაოს რაპირა იდო. იქვე იყო ქუსლმოღარული ისრისპირი, ოქროსა და პასტის მძივები. მიცვალებულის დასვენების შემდეგ ურემზე გადაფარებული ჰქონდა კაკლის ხის ლაფნისგან დაწნული ჭილოფი. სამარხში აღმოჩნდა სელანარევი და ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული მოვარდისფრო სარჩულიანი შავპრიალა თიხის ჭურჭელი (დერგები, ქილები, ბადია და სხვ.). მათი ზედაპირი შემკულია გეომ. ფორმის ორნამენტით. ნაპოვნია აგრეთვე ბრინჯაოს ქვაბის ფრაგმენტები (პირ-ყელისა და ძირის ნაწილები), ობსიდიანის ისრისპირები.

დასაკრძალავი დარბაზი გადახურული იყო კაკლის მსხვილი ძელებით, გადალესილი იყო ყვითელი თიხით. ზემოდან ეფარა ჭილოფი.

სამარხი ორმოს აღმ-ით აღმოჩნდა ელიფსური ფორმის დრომოსი (სიღრმე 1,80 *მ*), რ-იც დასაკრძალავ ორმოს არ უკავშირდებოდა, მაგრამ მასში ჩამდგარ ადამიანს გაუადვილდებოდა დასაკრძალავ კამერაში მიცვალებულის ნეშტის ან სხვა ინვენტარის მოთავსება. დრომოსი გადახურული იყო წვრილი ხის ძელებით, რ-იც ზემოდან გადალესილი იყო 0,10 *მ* სისქის ყვითელი თიხით. ეფარა ჭილოფი და ზემოდან ქვის ყრილი იცავდა. არქეოლ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: Pizchelauri K., Orthmann W., Der Kurgan ,,Tetri Kwebi'' I, «Georgica», 1992, 15. *მ. კინწურაშვილი.*

თეთრი ციხე, შუა საუკუნეების ციხისიმაგრე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ტაოს პროვინციაში (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.), თორთომისწყლის (ახლანდ. თორთუმ-ჩაი) შუაწელზე, მარცხ. ნაპირზე. XVI–XVII სს. ოსმ. წყაროებში იგი ხშირად იხსენიება ,,აღჯაყალად''. 1518 მესხმა თავადმა ქურცინამ ოსმ. სულთანს სელიმ I-ს (1470–1520) გამოუცხადა მორჩილება და სთხოვა, თავისსავე ტერიტორიაზე ეცნო თორთომისა და აღჯაყალის ბეგად. 1518 ციხეს ფლობდა ქურცინას იბაშერი, რ-იც ებრძოდა სამცხე-საათაბაგოს ხელისუფლებას, 1521 ციხე გადავიდა მესხი აზნაურის – როსტომის ხელში. 1549 მ. ც. აიღეს ოსმალებმა და მოაქციეს არზრუმის ვილაიეთის თორთომის ლივაში.



თეთრი ციხის ეკლესია.

ლიტ.: ბაკე-გრამონი ლ., ოსმალები და საქართველო XVI ს-ის I მეოთხედში, «მაცნე». ისტორიის სერია, 1978, № 3; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1964.

ა. თოდრია.

თეთრი ციხე, ისტორიულ პალაკაციოში მდებარე ციხე (თურქ. ,,აღჯაყალა''). მდებარეობდა ჩრდილის (ჩილდირის) ტბის აღმ. ნაპირზე, სოფ. ურთის პირდაპირ. ე. თაყაიშვილის მიხედვით, სოფ. აღჯაყალასთან, ჩრდილის ტბაზე მდებარეობს მოგრძო კუნძული, რ-ის ნაპირამდე წყლის არეში ჩაყრილია უზარმაზარი ქვის ლოდები, რის გამოც კუნძული ნაპირთან შეერთებულია თეთრი ქვის ხიდით. სოფლიდან კუნძულზე მისასვლელი გამაგრებული იყო გალავნებით და კოშკებით. ეს ნაგებობანი თეთრი ფერის თლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული, რამაც ალბათ სახელწოდება ,,თეთრი ციხის'' წარმოქმნა განაპირობა. კუნძულის ბოლოში, კონცხზე, ციტადელის ნანგრევები ყოფილა. მ. ც. XVI ს. ,,*მესხური დავითნის ქრონიკაში*'' ორჯერ იხსენიება. ამ ციხეს თურქები *მუსტაფა ლალა-ფაშას* ლაშქრობის დროს, 1578 წ. 8 აგვისტოს, დაეუფლნენ. ,,*გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის*'' მიხედვით, მ. ც. და მისი შემოგარენი ოსმალებმა ჩილდირის ლივაში შეიყვანეს. საქართველოს, სომხეთის, დას. ირანის ტერიტორიაზე 9 აღჯაყალაა დამოწმებული, რაც, შესაძლოა, აქ თურქების გაბატონებით აიხსნას.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1941; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.). ტექსტების მეცნ. პუბლიკაცია ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961.

ლიტ.: Такайшвили Е., „Тетрицихе" или Агджа-кала, кр.: Материалы по археологии Кавказа, в. 12, М., 1909.

ზ. ცინცაძე.

თეთრი წყალი (თანამედროვე *აღსუ*), მდინარე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მ. წ-ზე XII ს. საქართველოს სამეფოს ჩრდ.-აღმ. საზღვარი გადიოდა. მდინარე საქართველოს სამეფოს უშუალო

შემადგენლობაში მყოფ შირვანის დას. ნაწილს მიჯნავდა ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი აღმ. ნაწილისაგან.

XIII ს-ში, როდესაც საქართველოს სახელმწ. მონღოლებმა დაიპყრეს და მას ყმადნაფიცი ქვეყნები ჩამოართვეს, საქართველოს ჩრდ.-აღმ-ის საზღვარი მაინც მდ. თ. წ-ზე (მონღ. ჩაღან-უსუნი) გადიოდა. მომდევნო საუკუნეებში საქართვ. აღმ. საზღვარმა თანდათანობით დას-ით გადმოიწია.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, «მნათობი», III, თბ., 1953.

ჯ. გვასალია. ზ. ცინცაძე.

თეთრი წყარო (1940-მდე – ა ღ ბ უ ლ ა ღ ი), ქალაქი (1966-იდან) სამხრ.-აღმ. საქართველოში (ქვემო ქართლის რეგიონი). თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს გომერის შტოქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, მდ. ჭივჭავას (ხრამის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს, თბილისი–წალკის საავტ. გზაზე, რკინიგზის სადგურ თბილისი – ახალქალაქის სარკინიგზო მონაკვეთზე. ზ. დ. 1180 *მ*, თბილისიდან 57 *კმ*. 3,1 ათ. მცხ. (2014).



თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის შენობა.

თ. წ-ში ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 8,6°C, იანვ. –1,9°C, ივლ. 19,5°C. ნალექები 800 *მმ* წელიწადში.

ქალაქში არის საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტ. დაწესებულებები.

ახლანდ. თ. წ-ს ადგილზე მდებარეობდა ისტ. სოფ. *გარისი*. ამ ადგილის ძვ. სახელი ორთაშუა ყოფილა. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, ეს აიხსნება იმით, რომ იგი მდებარეობს მდინარეებს ხრამსა და ალგეთს შორის, ორივესგან დაშორებულია თანაბარი მანძილით. ე. თაყაიშვილის ცნობით, აქ 3 ეკლესიის ნანგრევი იყო. დღეისათვის თ. წ-ს აღმ. ნაწილში XIX ს. II ნახ-ში აგებული რუს. ეკლესიაა, მის გვერდით კი X ს. ძვ. ქართ. ეკლესიის ნანგრევებია, რ-ის ჩუქურთმიანი ფრაგმენტები და რელიეფები ჩართულია ახ. ეკლესიის წყობაში. გარშემო მდებარე საფლავის ქვებზე მრავალი გამოსახულებაა. ქალაქის ცენტრში კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევებია. ე. თაყაიშვილმა მიაკვლია ერთ-ერთი სააგარაკო სახლის სარდაფის კედელში ჩატანებულ წარწერიან ქვას, საიდანაც გაირკვა, რომ იოანე მახარებლის ეკლესია აუგია 1701 ქაიხოსრო აბაშიშვილს, ბარათაშვილთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელს.

ქალაქის მახლობლად შემორჩენილია უძველესი ისტ. ციხე-ქალაქი *სამშვილდე*, სამონასტრო კომპლექსი *პირღებული*.

ლიტ.: ასათიანი ნ., ჭინჭინაძე ი., ალგეთი (თეთრი წყაროს ისტორიული ძეგლები), თბ., 1985.

დ. ბერძენიშვილი. რ. კვერენჩხილაძე.

თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში (ქვემო ქართლის რეგიონი). აღმ-ით ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის, დას-ით – წალკისა და დმანისის, ჩრდ-ით – კასპისა და მცხეთის, სამხრ-ით – ბოლნისის მუნიციპალიტეტები. ფართ. 1174,5 *კმ*². მოსახლ. 21,1 ათ. კაცი (2014). ცენტრი – ქ. *თეთრი წყარო*. მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი, 1 დაბა (მანგლისი), 90 სოფელი, 2 სათავო სოფელი, 16 თემი: ასურეთის, ახალსოფლის, ბორბალოს, დაღეთის, დურნუკის (ცენტრი – დიდი დურნუკი), თონეთის (ცენტრი – დიდი თონეთი), ირაგის (ცენტრი – პატარა ირაგა), კლდეისის (ცენტრი – დიდი კლდეისი), კოდის, მარაბდის (ცენტრი – ახალი მარაბდა), ორბეთის, შეხვეტილის, ჩხიკვთის, წინწყაროს, ჭივჭავის და ჯორჯიაშვილის.

ისტორიული ცნობა. თ. წ. მ. ისტ. ქვემო ქართლის ძირითადად ორი ხეობის აუზს მოიცავს, ესენია მანგლისის ხევი, ანუ ალგეთი, და ქციის ხრამი, ანუ მდ. ქციის შუაწელი. ისტორიულად ჩამოყალიბებული ეს ორი ტერიტ.-ადმ. ერთეული წერილობით წყაროებში მანგლისის ხევისა და ,,ყოველი სამშვილდის'', გვიან კი ქციის ხრამის სახელებით იხსენიება. ალგეთის ხეობის შემადგენელი ერთეულები იყო: ასურეთისხევი, კოდა, ბოგვისხევი, ზრბითისხევი, ზისხევი, ლაკვა, მანგლისი და მისი ხევი. თითოეული მათგანი აერთიანებდა 5-იდან 20-მდე სოფელს. ,,ყოველი სამშვილდე'' მოიცავდა ქციის ხეობას (27 სოფელი), ჭივჭავას ხეობას (12 სოფელი), ირაგის ხეობას (37 სოფელი).

ბუნება. მუნიციპალიტეტის რელიეფი უმეტესად მთაგორიანია. ჩრდ. ნაწილში აღმართულია ძლიერ დანაოჭებული, შუაეოცენური ვულკანოგენური ქანებით აგებული *თრიალეთის ქედი*, რ-ის სამხრ. კალთა მოსწორებული ზედაპირებით თ. წ. მ-შია მოქცეული. შუა და სამხრ. ნაწილი უჭირავს ზედაპლიოცენური დოლერიტებით აგებულ ქვემო ქართლის პლატოს. იგი თანდათან მაღლდება აღმ-იდან (450 *მ*) დას-კენ (1400



მ) და გასწვრივადაა გაჭრილი მდ. ხრამის კანიონით. მუნიციპალიტეტის სამხრ.-დას. ნაწილში მდებარეობს ზედაცარცული ვულკანოგენური დანალექი წყებებითა და ძვ. კრისტალური ქანებით (გრანიტოიდებით) აგებული შუა ხრამის მთათა კვანძი. აქ ყველაზე დიდია ბედენის ქედი (მწვ. იაილო – 1951 *მ*, მწვ. ბედენი – 1875 *მ*), საიდანაც სამხრ.-დას-ით, სამხრ-ით და აღმ-ით გამოიყოფა შტოქედები: გელინდაღი, თავშიშველა და გომერი. თავშიშველას ქედსა და ქვემო ქართლის ლავურ პლატოთა შორის მდებარეობს ირაგის ქვაბული, რ-ის ფსკერი (ზ. დ. 1100–1200 *მ*) თიხნარითა და კენჭნარითაა აგებული. მუნიციპალიტეტის ტერიტ. ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ თანდათან დაბლდება – თავდაპირველად გადადის გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში, შემდეგ – მარნეულის ტერასულ ვაკეში.

მნიშვნელოვანი წიაღისეულია: ალგეთის ლითოგრაფიული ქვა, ბაზალტი, კირქვა და ქვიშაქვა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 12^0 C-იდან (ბარში) 3°C-მდე (მთაში) მერყეობს. იანვ. ტემპ-რა, შესაბამისად, 0^0C-იდან –9, –10°C-მდეა, ივლ. 14–15°-იდან 23–24°C-მდე. აბსოლ. მინ. –25, –30°C, აბსოლ. მაქს. 35–40°C. ნალექები წელიწადში 500 *მმ*-იდან (ბარში) 900 *მმ*-მდეა (მთაში). ნალექების მაქს. მაისშია (120 *მმ*), მინ. – დეკემბერში (30 *მმ*). თოვლიან დღეთა რაოდენობა მთაში – 62, ბარში – 15–17.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიას კვეთს მდ. ხრამის მარცხ. შენაკადები და ალგეთის სისტემის მდინარეები. მ. წ. მ-ის სამხრ. საზღვრის გასწვრივ მიედინება მდ. ხრამი, რ-ის მარცხ. შენაკადებია: კლდეისისწყალი, ახკალაფისწყალი, თორნისწყალი, ჭივჭავა და სხვ. ძირითადი მდინარეა ალგეთი, რ-იც მუნიციპალიტეტის ტერიტორიას კვეთს ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ. მისი მთავარი შენაკადებია: მარჯვ. – ლაყვისხევი და გუდარეხისწყალი; მარცხ.– ნამტვრევანისწყალი, ოძისისხევი, ბოგვისხევი, ენაგეთისხევი, ლამისხევი, ასურეთისხევი და სხვ. მდინარეები საზრდოობენ უმეტესად წვიმის წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისშია, წყალმცირობა – შემოდგომის ბოლოსა და ზამთარში. ზოგ მდინარეს იყენებენ სარწყავად. ბედენის პლატოზე არის პატარა ტბები და ჭაობები, მდ. ალგეთის ხეობაში – *ალგეთის წყალსაცავი*, რ-ის წყალი რწყავს გარდაბნისა და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტების დაახლ. 15 ათ. ჰა მიწას. სოფ. ასურეთთან გოგირდწყალბადოვანი წყალია, რ-საც სამკურნალოდ იყენებენ.

ნიადაგი სიმაღლებრივ ზონებს ქმნის. ვაკეზე წაბლა (ზოგან დამლაშებული) ნიადაგი ჭარბობს, ბორცვიან მთისწინეთში – ტყის ყავისფერი ნიადაგი. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს საშ. და მცირე სისქის ტყის ყომრალ ნიადაგს, რ-საც ზემოთ ტყის ზედა სარტყლის ღია და გაეწრებული ყომრალი ნიადაგი ენაცვლება. მაღალი ქედების თხემებსა და ბედენის პლატოზე მეორეული მთის მდელოს ნიადაგია, ზოგან, კირქვების გამოფიტვის პროდუქტებზე, – ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგი. ციცაბო ფერდობებზე გვხვდება სუსტად განვითარებული, მცირე სისქის ჩამორეცხილი ნიადაგი.

მ. წ. მ-ში 2 ათასზე მეტი სახეობის მცენარე იზრდება. ვაკეზე და ბორცვიან მთისწინეთში გავრცელებულია ჯაგეკლიანი სტეპის მცენარეულობა: ძეძვი, გრაკლა, ასკილი, გლერძა, ურცი, მაჩიტა, ძურწა, ურო, შვრიელა, ტუხტი და სხვ. ხეებიდან გვხვდება აკაკი. მთების კალთების ქვემო სარტყელი მუხისა და რცხილის ტყეებს უჭირავს. იზრდება აგრეთვე იფანი, ნეკერჩხალი, პანტა და მაჟალო. ბევრია შინდი, თხილი, ზღმარტლი, კუნელი, ასკილი და სხვ.; ზემო სარტყელში ჭარბობს წიფელი, რ-იც სუფთა კორომებს ქმნის ჩრდ. ექსპოზიციის ფერდობებზე. წიფელთან ერთად იზრდება აღმოსავლური მუხა და რცხილა. ამავე სარტყელშია ნაძვნარ-სოჭნარი და ფიჭვის კორომები. მაღალი ქედების თხემებზე მეორეული სუბალპ. მდელოებია. სამხრ. ექსპოზიციის ციცაბო კალთებზე იზრდება კლდის ქსეროფიტული მცენარეულობა.

ცხოველთაგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადრობს შველი, გარეული ღორი, დათვი, მგელი, თეთრყელა კვერნა, მაჩვი, კურდღელი, მთის მელა, მთის ბრუცა, თოვლა მემინდვრია; ფრინველთაგან – როჭო, შურთხი, კაკაბი, ჯაფარა, მინდვრის მწყერჩიტა და სხვ. ქვეწარმავლებიდან ბევრია კუ, კლდის ხვლიკი. მდინარეებში არის კალმახი, ხრამული, ტობი, შამაია.

მუნიციპალიტეტის ფლორისა და ფაუნის დასაცავად 1965 შეიქმნა *ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი* (ახლანდ. ალგეთის ეროვნ. პარკი).

ძირითადი ლანდშაფტები: 1. მშრალი სტეპური ვაკე წაბლა ნიადაგით; 2. სერებიანი მთისწინეთი ჯაგრცხილნარ-მუხნარით და ჯაგრცხილნარით ტყის ყავისფერ ნიადაგზე; 3. ბორცვიანი პლატო ჯაგრცხილნარ-მუხნარით, ჯაგეკლიანი და სტეპის ბალახმცენარეულობით ტყის ყავისფერ, წაბლა და შავმიწა ნიადაგებზე; 4. საშუალო მთები მუხისა და წიფლის (ნაწილობრივ ფიჭვის) ტყეებით ტყის ყომრალ ნიადაგზე; 5. მთის გასტეპებული მდელოები შავმიწა ნიადაგით; 6. ტყიან-მდელოიანი



თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი. ალგეთის ხეობა.



თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის გერბი.

სუბალპ. მდელოები ტყის ყომრალ და მთის მდელოს ნიადაგებზე.

მოსახლეობა. მოსახლ. 82,5% ქართველია, 7,3% – აზერბაიჯანელი, 7,3% – სომეხი, 0,9% – ბერძენი. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 500–1200 *მ* ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 18,0 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე (2014).

მეურნეობა. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მესაქონლეობა და მარცვლეულის წარმოება, განვითარებულია აგრეთვე მებოსტნეობა და მეხილეობა. მიწათმოქმედებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნურ რწყვას. ძირითადად მოჰყავთ მარცვლეული (ხორბალი), პარკოსანი, საკვები კულტურები, კარტოფილი. მრავალწლიანი ნარგავებიდან გაშენებულია ხეხილი და ვენახი. მეცხოველეობაში წამყვანია მესაქონლეობა. განვითარებულია მეფრინველეობა (შპს ,,*პოულტრი ჯორჯია*“ – კოდა). მუნიციპალიტეტში არის სოფ. მეურნ. პროდუქციის გადასამუშავებელი საწარმოები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო (თბილისი–ახალქალაქი–ყარსი) და საავტ. (თბილისი–მარნეული–თეთრი წყარო – თრიალეთი – წალკა, კოდა – თეთრი წყარო და თბილისი – მანგლისი–წალკა) გზები.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, ბიბლიოთეკები, საკლუბო დაწესებულებები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება შპს ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები: ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: *სამშვილდის* ნაქალაქარი (ძვ. წ. I ათასწლ. შუა საუკუნეები – XVIII ს.), *მანგლისის* ტაძარი (IV–V სს. – XI ს. I მეოთხედი, გადაკეთებულია XIX ს.), *პირლებულის* (XIII ს., განახლებულია XVII ს.), *გუდარეხის* (XIII ს.) სამონასტრო კომპლექსები, *წინწყაროს* დედაღვთისას (VIII–IX სს.), *გოხნარის* (XI ს. II ნახ.), *დიდი თონეთის* სამების (X–XI სს.), *დიდი კლდეისის* (XI ს.), *დრიანეთის* (X–XI სს.), *აძიკვის* (XI ს.), *აბელიის* (XIII ს.), *ფიტარეთის* (1213–22) ეკლესიები; *ნადარბაზევის სასახლე* (X–XI სს.), *ფარცხისის* ციხე-დარბაზი (X–XI სს.), *ბირთვისის* (XI ს.) და *ხულუტის* (შუა საუკუნეები) ციხეები. *სამღერეთის* (XIII–XV სს.), *ტბისის* ხუროთმოძღვრული კომპლექსები (XVII ს.). *ღოუბნის* ორმოცი მოწამის ეკლესია (XVI–XVII სს.). სოფ. *ვაშლოვნის* საცხოვრებელი კოშკი (1811).

დ. სვანიძე. ქ. ჯაყელი.



თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი. სამშვილდის ნაქალაქარი. სიონის ეკლესია. 759–777.



თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი. სამშვილდის ნაქალაქარი. ვერძი.



თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი. ხულუტის ციხე. XVII ს. I ნახევარი.

თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაარსდა 1975 საზოგადოებრივ საწყისებზე, მუზეუმის შინაარსის მქონე პროპაგანდის სახლის (1964–75) ბაზაზე. ამჟამად არის სსიპ თეთრი წყაროს კულტ. ცენტრის შემადგენლობაში. 1982 მ. წ. მ. მ-ის შენობა დაანგრიეს მოედნის გაფართოების მიზნით. ფონდი დროებით დაიხურა. 1989 მუზეუმს გადაეცა ახალი შენობა (ყოფილი ,,რაიკომის“) და დღემდე აქ არის განთავსებული. 2013 წ. 1 იანვრისთვის მუზეუმის



თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ხალხური რეწვის ნიმუშები.

ფართობი შეადგენდა 1115 *მ*^{2}, მუდმივი ექსპოზიცია – 811 *მ*^{2}, საცავები – 304 *მ*^{2}. მ. წ. მ. მ-ის არქეოლ. განყ-ბის ფონდში ინახება თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლ. მასალა, რ-იც ასახავს პერიოდს ქვის ხანიდან ფეოდ. ეპოქამდე, ასევე სხვადასხვა პერიოდის ეთნოგრ. მასალა. მ. წ. მ. მ-ის ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ფეოდ. ხანის – გუდარეხის (XII ს.), მანგლისის (V–XII სს.), სამშვილდის (V ს.), ფიტარეთის (XIII ს.) – არქიტ. ძეგლები. მუზეუმის ფონდში 10 ათასზე მეტი ექსპონატია. ფონდის შექმნასა და არქეოლ. განყ-ბის სრულყოფაში მუზეუმს დიდი დახმარება გაუწია ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმმა, საქართვ. მეცნ. აკად. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის არქეოლ. განყოფილებამ და საქართვ. კულტ. ძეგლთა დაცვის სამმართველომ; მუზეუმში მუშაობს სამეცნ. საბჭო. მ. წ. მ. მ-ს მჭიდრო კავშირი აქვს მუნიციპალიტეტში მომუშავე არ-



თეთრი წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. თიხის ჭურჭელი.

ქეოლოგებთან, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, პედაგოგებთან. ტარდება სხვადასხვა სახის სამეცნ. და თეორ. კონფერენციები, ეწყობა გამოფენები.

თეთრი წყაროს ნასოფლარი, ენეოლითის ბოლოსა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასაწყისის (ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახ.) ნამოსახლარი ქ. თეთრი წყაროდან 7 *კმ*-ზე. გაითხარა 1956–58 (ხელმძღვ. გ. *გობეჯიშვილი*). შემორჩენილია ქვის მრგვალი და ოთხკუთხა საცხოვრებელი შენო-

ბების საძირკვლები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა (ქვის იარაღის სახელოსნო, ფარეხი) ნაშთები. არქეოლ. მასალის უმეტესობა კერამიკაა. ნასახლარზე დადგენილი 2 არქეოლ. ჰორიზონტის მიხედვით წარმოდგენილია სამეთუნეო საქმის განვითარების ორი ერთმანეთზე გადაბმული საფეხური. ქვედა ჰორიზონტის კერამიკა მონატრისფრო-ვარდისფერია, შემკულია ამოკაწრული სახეებით. ზედა ფენაში ჭარბობს რელიეფური სპირალებით შემკული შავპრიალა და წაბლისფერი ჭურჭელი. ქვის იარაღებიდან გვხვდება: კაჟის, რქეულას და ობსიდიანის დაკბილული ნამგლის ჩასართები, სატეხები, ისრისპირები, ფირფიტები, ანატკეცები, ანდეზიტ-ბაზალტის სანაყები, როდინები, ხელსაფქვავები და სხვ.

თ. წ. ნ-ის მასალის უმთავრესი ნაწილი მსგავსია მტკვარ-არაქსის კულტ. საწყისი საფეხურის ძეგლებისა (დიდუბე, კიკეთი, ოზნი, ბეშთაშენი, სამშვილდე, კოდა, თამარისი და სხვ.).

ლიტ.: გობეჯიშვილი გ., თეთრი წყაროს ნასოფლარი, თბ., 1978.

გ. ფხაკაძე.

თეთრი წყლები, სოფელი თელავის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, თელავი–თბილისის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: თ. წ., ნადიკვარი, კობაძე, სეროდანი, პანტიანი). ზ. დ. 1320 *მ*, თელავიდან 19 *კმ*. 93 მცხ. (2014).

თ. წ. მთის ბალნეოლ.-კლიმ. კურორტია. ტერიტ. უპირატესად წიწვოვანი მცენარეულობით არის დაფარული. იცის რბილი, თოვლიანი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა –3°C); თბილი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 19°C). ნალექების წლიური რაოდენობაა 860 *მმ*. მეორე საკურორტო ფაქტორია მინერ. წყალი, რ-იც ქიმ. შედგენილობით სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანია; მისი მინერალიზაცია – 0,7–0,8 *გ/ლ*, ტემპ-რა 13–14°C. ხელოვნურად გათბობის შემდეგ მინერ. წყალს იყენებენ აბაზანებისათვის საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოებისა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ.

კურორტი ფუნქციონირებს ზაფხულის თვეებში, მკურნალობა ამბულატორიულია.

სოფლის მიდამოებში შემონახულია XI ს-ის გუმბათოვანი ეკლესია. კუნტურის (კუნტუს, კუნტუზის, კუნძულის) საყდარი და ფსიტის (ფსიტიანის, საფსიტეს) ციხე, რომლის თავდაპირველი ფენა ადრინდელი შუა საუკუნეებით თარიღდება. ეკლესიაში შემორჩენილია 1587 წლით დათარიღებული ასომთავრულით შესრულებული წარწერა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2008.

გ. უშვერიძე.

თეთრი წყლების სამაროვანი, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული – I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლ. ძეგლი. მდებარეობს სოფ. *თეთრ წყლებთან*, გომბორის უღელტეხილთან, თბილისი–თელავის სამანქანო გზაზე (თელავის მუნიციპალიტეტი). არქეოლ. შესწავლა მიმდინარეობდა 1966, 1972, 1974 (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური), გამოვლენილია ოთხკუთხა ორმოსამარხები (160 *სმ* ×100 *სმ*; 140 *სმ* ×100 *სმ*; 100 *სმ* ×70 *სმ*). დამხრობა დას-იდან აღმ-კენ, მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მარჯვენა (მამაკაცები) ან მარცხ. (ქალები) გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით დას-კენ. გვხვდება სამარხები მიცვალებულების გარეშეც – კენოტაფიები. მათ ჩატანებული ჰქონდათ დოქები, კათხები, ლანგრები, ჯამები, დერგები, ქოთნები, ქვაბქოთნები. თიხის ნაწარმის გარდა სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილები, ჯაჭვი, სამაჯურები, საკინძი, ნემსმახათები, რკინის შუბის პირისა და დანის ნატეხები, ძვლის ნემსმახათები და სხვ.


მასალა ინახება თელავის ისტ. მუზეუმში.

ლიტ.: მაისურაძე ბ., არქეოლოგიური გათხრები თეთრწყლებში, «კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები», IV, თბ., 1973; მისივე, იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაოს ძეგლები, თბ., 1993; ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV–VII სს.), თბ., 1973.

ც. მენაბდე.

თეთრკუდა არწივი, ფსოვი (Haliaeetus albicilla), დიდი ზომის ფრინველი შევარდნისნაირთა რიგისა. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდ. აფრიკაში. ბუდობს მაღალ ხეზე, 6–25 *მ* სიმაღლეზე; ბუდის დიამეტრი აღწევს 2 *მ*, სიმაღლე 1,3 *მ*. მარტში დედალი დებს, ჩვეულებრივ, 1 (3-მდე) კვერცხს, რ-ის ინკუბაცია გრძელდება 32 დღე. იკვებება ყოველგვარი ცხოველური საკვებით (ძირითადად თევზი, ასევე მღრღნელები, კურდღელი, შინაური ცხოველები). საერთო შეფერილობით მურაა. აქვს მოკლე თეთრი კუდი, გრძელი ფრთები. ადრე საქართველოშიც ბინადრობდა. ბოლო წლებში იშვიათად შეინიშნება. ცხოვრობდა მდინარეების, ტბებისა და ზღვის ნაპირებზე – ხევებსა და კლდეებში. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''.

რ. ჟორდანია.



თეთრკუდა არწივი.

თეთრმუცელა სელაპი (Monachus monachus), ძუძუმწოვარი ცხოველი ნამდვილი სელაპების ოჯახისა. გავრცელებულია კანარისა და მადეირის კ-ების ზონაში, აღმ-ით – ხმელთაშუა ზღვის გავლით შავ ზღვაში, ბულგარეთისა და რუმინეთის სანაპიროებთან. მეტად იშვიათი, მცირერიცხოვანი და გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველია. საქართველოში მისი ერთადერთი ეგზემპლარი 1939 აღნიშნული იყო ბათუმის მახლობლად. თ. ს-ის სხეულის სიგრძე 3–3,8 *მ* აღწევს. მაკეობა 11 თვემდე გრძელდება. ჩვილის სიგრძე არის 120 *სმ*, მასა 20 *კგ*. იკვებება თევზებით და მსხვილი კიბოსნაირებით. მცირერიცხოვნობის გამო სარეწაო მნიშვნელობა არ აქვს. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''.



თეთრმუცელა სელაპი.

„თეთრო ბატო“, ქართული (ქართლ-კახური) საყოფაცხოვრებო ჟანრის, აკორდული ფაქტურის მქონე სახუმარო სიმღერა. სიმღერა სამხმიანია. შესრულების მიხედვით სიმღერის ტექსტი რამდენადმე იცვლება – ერთ შემთხვევაში სიმღერას იწყებს პირველი ხმა, დანარჩენი ორი კი შემდეგ უერთდება, მეორე შემთხვევაში – სამივე ხმა ერთად. სიმღერის ტექსტი მეტწილად წუხილს და სინანულს გამოხატავს იმ ქმედების გამო, რასაც ადამიანი სჩადის საკუთარი კეთილდღეობისათვის. ,,ვაი, შენ, ჩემო თეთრო ბატო, თავი მოგჭრა, ქვაბში ჩაგდო'', სიმღერა სრულდება დინჯად, ერთგვარი სიმსუბუქით.

ლიტ.: ჩხიკვაძე გრ., ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, თბ., 1960.

კ. ჭოხონელიძე.

თეთროზის აღკვეთილი, დაცული ტერიტორია სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ზეგანზე, ჯავახეთის და თორის გასაყარზე. მოიცავს 3100 *ჰა*. დაარსდა 1995 ტყის მასივების და ლოკალური ენდემების დასაცავად. გეოგრაფიულად თ. ა-ის ტერიტ. მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემას მიეკუთვნება და მოიცავს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ჩრდ., სამხრ. და ცენტრ. (ღერძულ) ქვეზონებს და ახალციხის, ასპინძა-თბილისის ნაწილებს. გეოლოგიურად თ. ა. ძირითადად აგებულია ოლი-

გოცენ-ნეოგენური დანალექი და ვულკანოგენური დანალექი ფორმაციებით, ფართოდაა გავრცელებული მეოთხეული ასაკის ვულკ. კონუსები, ზეწრები და ნაკადები. თ. ა-ის ხეობაში იზრდება ვიწრო ენდემური ჯიშები: კეცხოველის და ჯავახური *ფამფარულა*, კოზლოვსკის და თეთრობის *კრაზანა*. ფიჭვნარი მეჩხერია, ხეები 10–15 *მ* არიან დაცილებული, მათ ვარჯებს კი ბურთის ფორმა აქვს. დაბალი ღვია ქმნის ბუჩქოვან იარუსს. შედარებით შეკრულ ფიჭვნარში მუხა, ცირცელი და უზანი გამოერევა. ღია ადგილები ვაციწვერას სხვადასხვა სახეობას უკავია.



თეთრყვავილა.

თეთრწსანი, ლევკოთეა (ბერძნ. leukothea), წარმართობის დროინდელი საკულტო ცენტრი გვარა-ხუცუბანთან (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), რ-საც უკავშირებენ ,,ამირანიანის'' ლეგენდას და მეფე აიეტის ისტორიას. შემორჩენილია ერთი კედლის ნაშთი, მახლობლად – უძველესი ქრისტიანული ეკლესიის სამირკველი. სტრაბონის ლევკოთეას ადგილმდებარეობა თითქმის ზუსტად ემთხვევა თ-ისას. სავარაუდოდ, ბერძენ კოლონისტებს კოლხეთში დახვდათ წარმართთა სალოცავი თ., რ-იც ზუსტად თარგმნეს და ლევკოთეა უწოდეს. ორივე სახელი იდენტურია და თეთრ ღმერთს ნიშნავს.

ცნობილია თ-ის ღვთისმშობლის ხატი, რ-იც XVIII ს-ში სოფ. აკეთში გახიზნეს. აქ გერმანოზ ქავჭარაძეს გადაუწერია თ-ის ,,დავითნი''. 2008 აშენდა ახ. წმ. გიორგის ეკლესია.



თეთრშუბლა კუტკალია.

ლიტ.: ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987; ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; იოსელიანი ა., ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973; სურმანიძე რ., თეთროსანი, ბათ., 2007; ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957. *რ. სურმანიძე.*

თეთრუაშვილი ვასილ გაბრიელის ძე (8. IV. 1872, თბილ. გუბერნია, – 7. V. 1915), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1915). 1891 დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი, 1893 – პავლეს I სამხ. სასწავლებელი (I თანრიგით) და 1901 – ნიკოლოზის გენ. შტაბის აკადემია (II თანრიგით). მსახურობდა 155-ე ყუბის ქვეით პოლკში, მე-16 გრენადერთა პოლკში. 1907–09 მიავლინეს ერევნის დროებითი გენ.-გუბერნატორის განკარგულებაში, სადაც ასრულებდა სამოქალაქო კანცელარიის მმართველისა და ერევნის გუბერნიის დაცვის ჯარების შტაბის უფროსის მოვალეობას.

პირველი მსოფლიო (1914–18) ომის დაწყებისთანავე 1914–15 დროებით ასრულებდა დაღესტნის 82-ე ქვეითი პოლკის უფროსის მოვალეობას, მონაწილეობდა ავსტრიელთა და გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1915 დაიჩინეშნა ლორეს 208-ე ქვეითი პოლკის მეთაურად.

დაიღუპა ბრძოლის ველზე. დაკრძალულია ხოლმის გუბერნიის სოფ. ტომაშევოში (უკრაინა), სამხ. სასაფლაოზე. დაჯილდოებულია ოქროს იარაღით, წმ. გიორგის, წმ. სტანისლავის, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: Военный Орден Святого Великомученика и Победоносца Георгия, М., 2004. *მ. გოგიტიძე.*

თეთრუაშვილი ნიკოლოზ გაბრიელის ძე (16. VIII. 1864 – 1920), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1916). 1886 დაამთავრა თბილ. რეალური სასწავლებელი, 1889 – მიხეილის საარტ. სასწავლებელი და 1899 – ნიკოლოზის გენ. შტაბის აკადემია (I თანრიგით). მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904–05) და პირველ მსოფლიო (1914–18) ომებში.

1919 დაინიშნა გენ. ა. *დენიკინის* ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფი ურალის ცალკეული არმიის ურალ-ასტრახანის კორპუსის მეთაურად. მონაწილეობდა ურალის არმიის უკუქცევაში კასპიის სანაპიროს გასწვრივ.

1920 აპრილში ფორტ ალექსანდროვსკში ტყვედ ჩაბარდა წითელ არმიას სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიით, თუმცა მალევე დახვრიტეს.

დაჯილდოებულია ოქროს იარაღით, წმ. სტანისლავის, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: Волков С., Генералитет Российской империи от Петра I до Николая II, т. 2, М., 2009; Гогитидзе М., Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии), кн. 1, Тб., 2007. *მ. გოგიტიძე.*

თეთრყვავილა (Galanthus), ბალახოვან მცენარეთა გვარი ამარილისებრთა ოჯახისა. პატარა, მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეებია. მათი სიმაღლე 30 *სმ* აღწევს. აქვთ ორი ხაზური ან მოგრძო ხაზური ფოთოლი და რამდენადმე გრძელი საყვავილე ღერძი, რ-ზედაც მეტწილად ერთი თავჩაქინდრული ყვავილია. 18 სახეობა გავრცელებულია კავკასიაში, დას. ევროპაში, მცირე აზიასა და ირანში. საქართველოში მთისწინეთის და მთის ტყეებში, მაღალმთის მდელოებზე 9 სახეობა იზრდება, მ.შ. 6 საქართვ. ენდემია: ვორონოვის თ. (G. woronovii); კემულარიას თ. (G. kemulariae); კეცხოველის თ. (G. ketzkhovelii); კრასნოვის თ. (G. krasnovii); ლაგოდეხის თ. (G. lagodechianus); შაორის თ. (G. schaoricus), 1–კავკასიისა. ადრე გაზაფხულზე ლამაზად მოყვავილე მცენარეებია.

ლ. ხინთიბიძე.

თეთრშუბლა კუტკალია (Decticus albifrons), მწერი სწორფრთიანების რიგისა. ფართოდაა გავრცელებული სამხრ. ევროპაში, კავკასიაში, შუა აზიაში, წინა აზიაში, ჩრდ. ავღანეთში, ჩრდ. აფრიკაში. საქართველოს დაბლობი და მთისწინა რაიონების ფაუნის ჩვეულებრივი და კარგად შესამჩნევი სახეობაა.

თ. კ. საკმაოდ დიდი ზომისაა (4 *სმ*-მდე), შეფერილობა – რუხი ან ყავისფერი. ზედა ფრთა მუცელზე გრძელია, დაფარულია მუქი ლაქებით. საქართველოში ყველგან ბინადრობს, როგორც დაბლობში, ისე მთებში 2500 *მ*-მდე.

თავისი გავრცელების თითქმის მთელ არეალში, მ.შ. საქართველოშიც, ორივე სახეობა ხორბლის, ტექ. და ბოსტნეული კულტურების მავნებელია. იხ. აგრეთვე სტ. *კუტკალიისებრნი.* *ე. აბაშიძე.*

თეიმურაზ I (1589–1663), კახეთის მეფე 1606–48, ქართლ-კახეთის მეფე 1625–32. კახეთის მეფის დავით I-ისა და *ქეთევან დედოფლის* ძე. მისი მცირეწლოვანების გამო ქვეყანას ერთხანს დედამისი ქეთევანი განაგებდა. 1607 თ. I დააქორწინეს *მამია II გურიელის* ასულ ანაზე, რ-იც 1610 გარდაიცვალა. 1612 ქართლთან კავშირის განმტკიცების მიზნით ცოლად შეირთო ქართლის მეფის *ლუარსაბ II-ის* და ხორეშანი. თ. I-მა ჯეროვნად ვერ შეაფასა ის დიდი საფრთხე, რ-იც კახეთს ემუქრებოდა ირანის მხრიდან და შაჰ *აბას I-ის* 1614 შემოსევას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა, შემდეგ კი იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო. შეეცადა დახმარება მიეღო ოსმალეთისაგან. 1615 წ. 15 სექტემბერს კახეთში დიდი ანტიირანული აჯანყება დაიწყო. თეიმურაზი კახეთში გადავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. შაჰ აბას I-მა აჯანყების ჩასახშობად გამოგზავნა 15 000-იანი ლაშქარი ალი-ყული-ხანის სარდლობით. ქართველებმა ეს ლაშქარი თ. I-ის სარდლობით წიწამურთან ბრძოლაში გაანადგურეს. ამას

ირანელთა ახ. ლაშქრობა მოჰყვა და თ. I-მა კვლავ იმერეთს შეაფარა თავი. *მარტყოფის ბრძოლის* (1625) შემდეგ თ. I, რ-იც ამ დროს დახმარების სათხოვნელად რუსეთში წასასვლელად ემზადებოდა, ქართლ-კახეთში მიიწვიეს და გაერთიანებული სამეფოს ტახტზე დასვეს. ქართლ-კახეთის შეუპოვარმა ბრძოლამ შაჰ აბას I აიძულა დათმობაზე წასულიყო. მან თ. I ცნო ქართლ-კახეთის მეფედ. მიუხედავად ამისა, ქართლ-კახეთის დაპყრობაზე მას ხელი არ აუღია. 1625 წ. 1 ივლისს მარაბდის ველზე გაიმართა ომი შაჰ აბასის მრავალრიცხოვან ლაშქარსა და ქართველებს შორის (იხ. *მარაბდის ბრძოლა 1625*). ქართველთა მხრიდან ომის ხელმძღვანელობა თავის თავზე თ. I-მა აიღო. მან სხვებთან ერთად უარყო გ. *სააკაძის* მიერ შეთავაზებული ბრძოლის წარმართვის ბევრად უფრო გონივრული გეგმა და შედეგმაც არ დააყოვნა – ქართველები დამარცხდნენ. გ. სააკაძისა და თ. I-ის ურთიერთობა ამის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა. გ. სააკაძემ საბოლოოდ დაკარგა თ. I-ისადმი რწმენა და გადაწყვიტა იმერეთის სამეფოს მემკვიდრე ალექსანდრე გიორგის ძე ქართლ-კახეთის მეფედ დაესვა და ამით სამივე ქართ. სამეფო ერთ სახელმწიფოდ გაეერთიანებინა. გ. სააკაძისა და თ. I-ის მომხრეები 1626 შემოდგომაზე ბაზალეთის ტბასთან შეხვდნენ ერთმანეთს საომრად (იხ. *ბაზალეთის ბრძოლა 1626*). გამარჯვება თ. I-სა და მის მომხრე დიდ ფეოდალებს დარჩათ. კიდევ ერთხელ ჩაიშალა საქართველოს გაერთიანების მცდელობა. 1632 თ. I-მა კიდევ ერთი წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა – დაარღვია ზავი ირანთან და ბარდა და ყარაბაღი დაარბია. განრისხებულმა შაჰმა სეფიმ იგი კახეთიდან გააძევა და მის ნაცვლად როსტომი დანიშნა. 1634 თ. I-მა შეძლო კახეთის დაბრუნება, როსტომიც და ირანის შაჰიც შეურიგდნენ ამ ფაქტს, მაგრამ თ. I-მა კახეთი არ იკმარა და ქართლის დაუფლებაც მოინდომა. მისი ბრძოლა როსტომთან მარცხით დამთავრდა. 1648 თ. I საბოლოოდ გააძევეს კახეთიდან. მან თავი კვლავ იმერეთს შეაფარა. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ცდილობდა დახმარება მიეღო ევროპიდან. ამ მიზნით რომის პაპთან და ევროპის სახელმწიფოების მეფეებთან ელჩად ნიკიფორე ირბახი (იხ. ნ. *ჩოლოყაშვილი*) მიავლინა (1626). ეს ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. ასევე უშედეგოდ სთხოვდა დახმარებას ოსმალეთსაც. საგარეო პოლიტიკაში თ. I პრიორიტეტს რუსეთზე ორიენტაციას ანიჭებდა. მან მრავალჯზის გაგზავნა ელჩობა რუსეთში. 1639 განაახლა ,,ფიცის წიგნი‘‘. 1653 შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი (შემდგომში *ერეკლე I*) წარგზავნა რუსეთს, ხოლო 1658 თვითონ გაემგზავრა მოსკოვს. თ. I-ის ხანგრძლივ დიპლ. ურთიერთობას რუსეთთან რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. რუს. პოლიტ., სავაჭრო-ეკონ. ინტერესები ირანში გამორიცხავდა რუსეთის მხრიდან თ. I-თვის ირანის წინააღმდეგ დახმარებას. რუსეთიდან დაბრუნებული თ. I, მისივე თხოვნით, *ვახტანგ V-მ* ირანში გაგზავნა. ტახტის დაბრუნების სანაცვლოდ შაჰმა მას გამაჰმადიანება მოსთხოვა, რაზეც უარი განაცხადა. თ. I დააპატიმრეს და ასტრაბადის ციხეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა. მისი ნეშტი ქართველებმა სამშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის მონასტერში დაკრძალეს.



თეიმურაზ I. კასტელის ალბომი. XVII ს.

სპარს. აგრესიის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლი თ. I ზედმიწევნით კარგად იცნობდა სპარს. ენასა და მწერლობას და მის ძლიერ გავლენასაც განიცდიდა. წერდა კიდეც: ,,სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი‘‘. მან გადმოაქართულა სპარსულენოვან სამყაროში ფართოდ გავრცელებული პოემები: ,,ვარდბულბულიანი‘‘, ,,შამიფარვანიანი‘‘, ,,ლეილმაჯნუნიანი‘‘ და ,,იოსებზილიხანიანი‘‘. თ. I ორიგინ. თხზულებებშიც არ ღალატობდა სპარს. მწერლობის ტრადიციებს როგორც თემატიკის, ისე ჟანრის სფეროში.

თ. I პრინციპულად სასულიერო თემატიკას ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა მის პოეზიაში საერო ნაკადსაც დიდი ადგილი უკავია. თავისი რელიგ. გრძნობები პოეტმა უმთავრესად იმით გაამჟღავნა, რომ სპარსულიდან გადმოღებულ პოემებშიც კი ქრისტ. აღმსარებლობისადმი ერთგულება გამოხატა.

თ. I-მა საკუთარ თავზე გამოსცადა ცხოვრების უკუღმართობა და იმედის გაცრუება. თავისი ქვეყნის უმოწყალო რბევა-აწიოკების მოწმე პოეტისათვის კარდინალური კითხვა იყო წუთისოფლის რაობა. მისი შემოქმედება გამსჭვალულია წუთისოფლის მუხანათობის განცდითა და ნაღვლიანი კილოთი (,,სოფლის სამდურავი‘‘). იგი ცდილობდა პოეტური საქმიანობით შეემსუბუქებინა მწუხარე განცდები. თ. I ხორციელი ტრფიალებისა და ბაგე-ღვინის აპოლოგეტად გვევლინება (,,გაბაასება ბაგისა და ღვინისა‘‘, ლირ. ლექსები და სხვ.).

თ. I-მა ერთ-ერთმა პირველმა სცადა ქართ. პოეზიაში ეროვნ. თემატიკის დამუშავება. პოემაში ,,ქეთევან დედოფლის წამება‘‘ მან დიდი პოეტური მღელვარებით აღწერა დედის, ქეთევან დედოფლის, თავდადება სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, ასახა ქართვ. ხალხის ბრძოლა ეროვნ. და სარწმუნოებრივი თვითმყოფობის შესანარჩუნებლად. პოემაში ,,შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა‘‘ პოეტმა ოსტატურად დახატა მშობლიური ქვეყნის ბუნება, გადმოსცა როგორც პირადი, ისე საზ. ბედუკუღმართობით გამოწვეული სევდიანი განცდები. თ. I-ს ეკუთვნის ლირ. პოემა ,,მაჯამა‘‘, ლირ. ლექსები: ,,გრემის სასახლეზე‘‘, ,,თამარის სახე დავით გარეჯას‘‘ და სხვ.

თ. I-მა ქართ. მწერლობაში სხვადასხვა ლიტ. ჟანრი შემოიტანა და ტრად. თემატიკაც გაამრავალფეროვნა. მან დაამკვიდრა მაჯამური ლექსის ფორმა (იხ. *მაჯამა*) და ამ მხრივ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ქართ. პოეზიის შემდგომ განვითარებაზე; განავითარა გაბაასების ჟანრი, რ-მაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი მწერლობაში. თ. I-ის შემოქმედებამ კლასიკური პერიოდის ქართ. პოეზიისა და, განსაკუთრებით, შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ დიდი გავლენა განიცადა. მისი ცალკეული თხზუ-

ლებანი იბეჭდებოდა 1860-იდან (ჟურნ. ,,ცისკარი''). 1875 ა. კალანდაძემ ცალკე წიგნად გამოსცა ,,ვარდბულბულიანი'', 1886 ზ. ჭიჭინაძემ – თხზ. კრებული.

თხზ.: თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობაის რედ., ტფ., 1934.

წყარო: ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ი., ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოც., თბ., 1950; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე ო., მეფობა ირაკლი მეორისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854.

ლიტ.: ა ბ ა შ ი ძ ე ზ., ბ ა ხ ტ ა ძ ე მ., ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ო., საქართველო და ქართველები, თბ., 2015; ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ნარკვევი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1940; გ უ გ უ შ ვ ი ლ ი მ., თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზა, თბ., 1979; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ., ჩანაწერები თეიმურაზ პირველის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წელს, «თსუ შრომები», 1965, ტ. 113; ნ ა კ ა შ ი ძ ე ნ., წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966.

ა. ბარამიძე. დ. კაჭარავა.

თეიმურაზ II (1700, თბილისი, – 8. I. 1762, სანქტ-პეტერბურგი), კახეთის გამგებელი 1709–15, კახეთის მეფე 1733–44, ქართლის მეფე 1744–62, პოეტი, მთარგმნელი, *ერეკლე I-ისა* და ანა მაყაშვილის უმცროსი ვაჟი; 1709 ირანში მყოფი კახეთის მეფის ერეკლე I-ის გარდაცვალების გამო შაჰმა კახეთის ტახტზე დასამტკიცებლად *დავით II* (იმამყული ხანი) დაიბარა, სადაც ის 1715-მდე დარჩა. ამ პერიოდში კახეთის მმართველად თეიმურაზ ბატონიშვილი ითვლებოდა, თუმცა მისი მცირეწლოვანების გამო კახეთს ფაქტობრივად ნიკოლოზ ალავერდელი (ჩოლოყაშვილი) განაგებდა. პოლიტ. მოსაზრებათა გამო 12 წლის თ. II ბავშვობაში დანიშნულ ბაინდურ არაგვის ერისთავის ასულს გააშორეს და *ვახტანგ VI-ის* ასულ თამარზე დააქორწინეს, რამაც მომავალში ქართლ-კახეთის გაერთიანებისას დადებითი როლი შეასრულა. თ. II-ს ლეკთა გამუდმებული თარეშის გამო ცხოვრება ხან თელავში, ხან კიდევ მანავსა და მაღაროში უხდებოდა. ხშირად ოჯახთან ერთად ფშავშიც იხიზნებოდა. ამ პერიოდში სამხრ. კავკასიაში გაბატონებისათვის ირანსა და რუსეთს წინ აღუდგა ოსმალეთი და წარმატებასაც მიაღწია. 1723, თბილისის აღების შემდეგ, ოსმალებმა შეტევა აღმოსავლეთის მიმართულებით განავითარეს. თ. II-ის ძმა, *კონსტანტინე II* (მაჰმად ყული-ხანი), კახეთის დაცვისათვის სამზადისს შეუდგა. ოსმალთა გავლენა სამხრ. კავკასიაში დღითიდღე იზრდებოდა. 1732 კონსტანტინე ოსმალებმა მოკლეს, თ. II კი ფშავში გაიქცა. მალე თ. II-მ ოსმალებს დიპლომატიურად ქედი მოუხარა, რის სანაცვლოდაც მათგან სამართავად კახეთი მიიღო. ამასობაში მოძლიერებულმა ირანმა ოსმალებს სამხრ. კავკასიაში შეუტია. თ. II-მ სპარსელებთან კავშირში ოსმალთა ჯარები, რ-ებიც ლეკებთან ერთად მოქმედებდნენ, რამდენჯერმე დაამარცხა, კახეთიდან განდევნა და ჭარის დაბრუნებასაც შეეცადა. სპარსელთა ჯარის სარდალი თამაზ ყული-ხანი (შემდეგში *ნადირ-შაჰი*) მასთან ქართველთა თანამშრომლობას მაინც ეჭვის თვალით უყურებდა. ერევანში ყოფნისას მან თავისთან დაიბარა თ. II და ქართლ-კახეთის დიდებულები. ნაწილი დააპატიმრა, ქართლ-კახეთის მმართველად კი თ. II-ის ძმისშვილი – *ალექსანდრე ბატონიშვილი* (ალი-მირზა) დანიშნა, რ-საც დიდძალი ხარკის აკრეფა დაავალა. აღმ. საქართველოში *,,ყიზილბაშობა''* დაიწყო. 1736, შაჰის გვირგვინის მიღების შემდეგ, ნადირმა ახ. გადასახადები მოითხოვა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მისი აკრეფა ძალის გამოყენებითაც ვერ მოხერხდა. შაჰის სარდალმა სეფი-ხანმა ირანელთა პოლიტიკით უკმაყოფილო თ. II სხვა თავადებთან ერთად დააპატიმრა და ირანში გაგზავნა. ნადირმა თ. II პატივით მიიღო, მაგრამ შვილის – ერეკლეს ჩამოყვანა მოსთხოვა. თვითონ უკან გააბრუნა, ერეკლე კი ინდოეთში სალაშქროდ იახლა. ირანში ყოფნის დროს თ. II-მ ერთგული სამსახურით ნადირის ნდობა დაიმსახურა. თ. II-ის ქალიშვილი ქეთევანი ნადირის ძმისწულზე დააქორწინეს. ირანელთა წინააღმდეგ ქართლში გივი *ამილახვრის* დიდი აჯანყების დროს სპარსელებმა თ. II თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. მან აჯანყებას ჩამოაშორა ქსნის და არაგვის საერისთავოები და თვითონ დაეპატრონა მათ. ქართველთა წინააღმდეგობა მაინც გრძელდებოდა. შაჰმა ქვეყნის დასამშვიდებლად და ქართლის შესანარჩუნებლად 1744 წ. ივლისში ქართლის მეფობა თ. II-ს, ხოლო კახეთისა – ერეკლეს დაუმტკიცა. მოქნილი, მიზანშეწონილი და ლოიალური პოლიტიკით თ. II-მ შეძლო ქართლში თავისი ძალაუფლების განმტკიცება, მსხვილი ფეოდალების შესამჩნევად შეზღუდვა. 1745 წ. 1 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის ტაძარში დიდი სახალხო ზეიმის ვითარებაში თ. II ქრისტ. წესით მეფედ ეკურთხა. ამან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართლ-კახეთის მომავალ გაერთიანებას, თ. II გამეფებისთანავე ენერგიულად შეუდგა მოქმედებას. შაჰს ტყვეობიდან გაათავისუფლებინა და სამშობლოში დააბრუნა შანშე ქსნის ერისთავი, რითაც აჯანყებულთა რიგები ერთგვარად დაასუსტა. სურამის ციხეში გამაგრებული გივი ამილახვარი მოლაპარაკებით შემოირიგა და საბოლოოდ დაიმორჩილა (1745). 1746 წ. 12 აპრილს თ. II-ს გარდაეცვალა მეუღლე თამარი. მეფემ ბეჟან იოთამაშვილის ასულ ანაზე იქორწინა. ნადირ-შაჰმა მმართველობის ბოლო პერიოდში ქართლ-კახეთს დიდძალი გადასახადი (200 ათ. თუმანი) შეაწერა. თ. II შაჰს განუდგა და ანანურს შეაფარა თავი, მაგრამ ნადირი შემდეგში მოურიგდა მას და ერეკლე II-ის ირანში გაგზავნა მოსთხოვა. თ. II თვითონ გაემგზავრა ირანს, მაგრამ იქ ჩასულს შაჰი მოკლული დახვდა (1747). ირანში არეულობა დაიწყო. თეიმურაზმა შექმნილი სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენა და 1749 დიდი პატივით და საჩუქრებით სამშობლოში დაბრუნდა. მას ბორჩალოს გარდა ყაზახის სახანოც უბოძეს. ირანში არეულობა გაძლიერდა, ირანზე ქართლ-კახეთის დამოკიდებულება



თეიმურაზ II. მხატვრების ე. ვინოგრადოვისა და ა. გრეკოვის გრავიურა ა. ანტროპოვის ნახატის მიხედვით. XVIII ს. 60-იანი წლები.

ფაქტობრივად მოიხსნა, თბილისის ციხეც ქართველთა ხელში გადავიდა. 1749-იდან მოხერხებული პოლიტიკისა და ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვების შედეგად ერევნის, განჯის და ნახჭევანის სახანოები ქართლ-კახეთის ყმადნაფიცი ქვეყნები გახდა. ამიერკავკასიაში თ. II-ის პირველობა დაადასტურა ირანის შაჰმა, როცა მას ირანისა და აზერბაიჯანის სპასალარობა უბოძა. ამას ხელი უნდა შეეწყო თ. II-ის გეგმისათვის, რ-ის მიხედვითაც მას სურდა ირანში სასურველი კანდიდატი გაემეფებინა, რათა ირანის ძალები თავისი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის გამოეყენებინა. თ. II კარგად გრძნობდა ქვეყნის წინაშე არსებულ სიძნელეებს. შეუძლებელი ჩანდა ლეკთა თარეშის აღკვეთა; ყოველ წუთს შესაძლებელი იყო ირანისა და ოსმალეთის ახ. აგრესიული შემოტევები; ქვეყნის შიგნით ქართლის თავადები ვახტანგ VI-ის შთამომავლებს უჭერდნენ მხარს, რ-ებიც რუსეთიდან იბრძოდნენ ტახტისათვის. ამ პრობლემათა მოგვარება თ. II-ს შესაძლებლად მიაჩნდა რუსეთიდან მიღებული დახმარების საშუალებით. რუსეთში გაგზავნილმა რამდენიმე ელჩობამ შედეგი ვერ გამოიღო. თ. II 1760 აპრილში თვითონ გაემგზავრა პეტერბურგს და რუსთა ხელმწიფეს სამხ. და ფულადი დახმარება სთხოვა, რათა ირანში ელაშქრა და იქ რუსეთისათვის სასურველი შაჰი დაესვა ტახტზე. ორი წლის ამაო ლოდინის შემდეგ თ. II იქვე გარდაიცვალა. გადაწყდა მისი ნეშტის საქართველოში ჩამოსვენება, მაგრამ გარკვეული სიძნელის გამო ეს ვერ მოხერხდა. თ. II დაკრძალეს ასტრახანში, თავისი სიმამრის, ვახტანგ VI-ის საფლავის გვერდით, მიძინების ტაძარში.

თ. II აღორძინების ხანის ქართ. მწერლობის წარმომადგენელია. იგი იყო პოეტი და მთარგმნელი. მის თხზულებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა ,,დღისა და ღამის გაბაასება'' ანუ ,,სარკე თქმულთა'', რ-ის პირველი ნაწილი სას. შინაარსისაა. ქრისტ. აღმსარებლობის სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობასთან ერთად მასში გალექსილია ბიბლ. ეპიზოდები. მეორე ნაწილი ეხება ქართველთა ზნეობისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებს. დღისა და ღამის გაბაასების ფონზე თ. II თხზულებაში გვაძლევს ეთნოგრ. თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს. ავტორის მიერ აღწუსხულია ძვ. საქართველოს არაერთი ზნეჩვეულება და ტრადიცია. ნაწარმოები ეხმაურება ანალოგიური საკითხისადმი მიძღვნილ არჩილ II-ის თხზულებას ,,საქართველოს ზნეობანი''.

ისტ. რეალიებია გადმოცემული თ. II-ის ავტობიოგრ. ლექსში ,,თავგადასავალი''. საყურადღებოა მისი ნაწარმოები ,,სასახლის ქება'', რ-შიც აღწერილია როსტომ მეფის, ერეკლე I-ისა და ვახტანგ VI-ის სასახლეები. წუთისოფლის სიმუხთლით შეწუხებულ პოეტს წარმავლად მიაჩნია ყოველივე. თხზულებაში გამოსჭვივის ,,სოფლის მდურვის'' მოტივი. ხსნის საშუალებად პოეტს ქრისტ. ზნეობის წმინდად დაცვა მიაჩნია. თ. II-ის ლირ. ლექსების უმრავლესობაში გამოხატულია ქრისტ. რელიგ. განწყობილება. პოეტის ლიტ. მრწამსის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია მისი ,,გაბაასება რუსთველთან''. თ. II იზიარებს არჩილ II-ის მიერ ქართ. მწერლობაში დამკვიდრებულ ,,მართლის თქმის'' პრინციპს, ილაშქრებს ფანტასტ. სიუჟეტების დამუშავების წინააღმდეგ.

თ. II-ს ეკუთვნის იმხანად პოპულ. თემაზე დაწერილი ,,ხილთა ქება'', თავშესაქცევი და ფორმალისტური ხასიათის ანბანთქებები, კიდურწერილობა და ა. შ. მან სპარსულიდან თარგმნა იგავ-არაკების კრებ. ,,თიმსარიანი''.

თხზ.: თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას რედ., თბ., 1939.


წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ორბელიანი პ., ჰამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981; ხერხეულიძე ო., მეფობა ირაკლი მეორისა, ლ. მიქაშვილის გამოც., თბ., 1989.

ლიტ.: აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, თბ., 2015; ასათიანი ნ., ოთხმეზური გ., სამსონაძე მ., ჯამბურია გ., საქართველოს ისტორია, ტ. 3, თბ., 2012; აფციაური ჯ., თეიმურაზი, თბ., 1991; ბარამიძე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1940; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; ბიბილაშვილი ა., თეიმურაზ II-ის ქართლში გამეფების თარიღისათვის, კრ.: მესხეთი, ტ. 5, თბ., 2002; ბლიაძე ე., საგარეო ორიენტაციის პრობლემები XVIII საუკუნის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ქუთ., 2004; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; მაჭარაძე ვ., მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. 2, თბ., 1968; როგავა თ., თეიმურაზ მეორის ,,სარკე თქმულთას'' ბიბლიური წყაროს ზოგიერთი ასპექტისათვის, «კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა», 2006, №10; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; სოლოღაშვილი ნ., ქართლ-კახეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე XVIII ს. 30-იან წლებში, «კულტურისა და ისტორიის თეორიის საკითხები», 2005, №22; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966.

გ. ნარსია. ს. ცაიშვილი.

თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) [23. IV (4. V). 1782, თბილისი, – 25. X (6. XI). 1846, სანქტ-პეტერბურგი], მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი, ქართველოლოგიური სკოლის შემქმნელი. *გიორგი XII-ის* ძე, დედა – ქეთევანი (პაპუა ანდრონიკაშვილის ასული) თეიმურაზზე მშობიარობის შემდეგ მალევე გარდაიცვალა და ბავშვის აღზრდა პაპამ, *ერეკლე II-მ* ითავა. მის აღზრდას ასევე დიდი ამაგი დასდო უფროსმა ძმამ დავით ბატონიშვილმა. აღზრდა-განათლება თავდაპირველად სამეფო კარზე მიიღო, შემდეგ – თელავის სემინარიაში. მისი მასწავლებლები იყვნენ *გაიოზ რექტორი* და პ. *ლარაძე*. 1799 დაქორწინდა ოთარ ამილახვრის ასულ ელენეზე და ამ დროიდან 1802 ზაფხულამდე თ. ბ. გორში ცხოვრობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სამეფო ტახტისათვის ბატონიშვილებს შორის ბრძოლა დაიწყო, თ. ბ. დავითის გამეფებას უჭერდა მხარს. შემდგომ აშკარად გამოიკვეთა რუსეთის მიზნები, რის გამოც თ. ბ. 1803 თებერვალს ირანში გადაიხვეწა და თავის ბიძა *ალექსანდრე ბატონიშვილთან* ერთად დაიწყო აქტ. ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ალექსანდრე ბატონიშვილის გეგმების ჩაშლის შემდეგ, 1810, თ. ბ. სამშობლოში დაბრუნდა, იმავე წლის ოქტომბერში მეუღლესთან ერთად, მცირე ამალით, პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც 1811 იანვარში ჩავიდა. აქ დაენიშნა წლიური ჯამაგირი და პენსია, აქედანვე იწყება მისი მოღვაწეობის ე. წ. პეტერბურგის პერიოდი. 1813 შეიძინა საკუთარი სახლი (ვასილევსკის კ-ზე), სადაც გარდაცვალებამდე ცხოვრობდა. პეტერბურგის მოგზაურობას მან მიუძღვნა ,,მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურღამდის'', რ-შიც დაწვრილებით აღწერა მოგზაურობის დეტალები და მარშრუტი. 1811 მარტში იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იგი წმ. ანას I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

პეტერბურგში თ. ბ-მა შემოიკრიბა იქ მოღვაწე ქართვ. მწიგნობრები, დაუკავშირდა რუს მოღვაწეებს, მწერლებს, პოეტებს, მეცნიერებს. 1814 იგი აირჩიეს ახალდაარსებული რუს. ბიბლ. საზ-ბის წევრად. 1830 საფუძველი ჩაეყარა მის მეცნ. თანამშრომლობას მ. *ბროსესთან*. უგზავნიდა განმარტებებს ,,ყოველთავე ძველთა და ახალთა საეკლ. შინა საერთო და სამოქალაქოთა ხელოვნებათა ჩვენისათა სწავლისათა''. ბროსე თ. ბ-ს თავის მასწავლებლად აცხადებდა, საკუთარ თავს კი მის ,,მდაბალ მოწაფეს'' უწოდებდა. მან ბროსესთან ერთად შექმნა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლა.



თეიმურაზ ბატონიშვილი. უცნობი მხატვარი.

ისტ. შრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფია ,,ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა''. ნაშრომი მოიცავს პერიოდს ადამიანის გაჩენიდან საქართველოში ქრისტ. რელიგ. დამკვიდრებამდე. საქართველოს ისტორია განხილულია ახლო აღმოსავლეთის ისტ. ფონზე, გამოყენებულია ანტ. (ბერძნ.-რომაული) და სომხ. წყაროები. თ. ბ. აიდეალებდა ისტ. წარსულს. რედაქტორობდა პარიზის ,,აზიური საზოგადოების'' ზოგიერთ გამოცემას საქართველოს ისტ. შესახებ. 1836 თ. ბ. სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავრა. პრუსიის იმპერატორმა ფრიდრიხ ვილჰელმ III-მ იგი დიდი პატივით მიიღო და წითელი არწივის ორდენი უბოძა (1837). ევროპაში მოგზაურობა აღწერა დღიურში. 1837 ივნისის შუა რიცხვებში მ. ბროსე პეტერბურგში ჩავიდა. ამ დროს მოხდა თ. ბ-ის პირველი შეხვედრა მასთან.

თ. ბ-მა ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროს შეითვისა სპარს. და თურქ. ენები. ეწეოდა ლიტ.-მეცნ. მოღვაწეობას. შეადგინა ,,იტალიურ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი'', ცდილობდა ირანში გაფანტული ხელნაწერების შეგროვებას და სამშობლოში ჩამოტანას. თ. ბ-მა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ,,ვეფხისტყაოსნის'' შესწავლას (,,განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა''), ტექსტის დადგენას და პოემის 1841 გამოცემას. მან შეისწავლა ლექსთწყობის საკითხებიც (,,გვარნი ანუ საზომნი ქართულისა ენის სტიხთა''). მასვე ეკუთვნის ლექსთა კრებ. ,,სამოციქულო'', პოემა ,,ვაშლი ან დარღვევა ტროადისა'', პიესა ,,სამსახეობა რაინდისა'', მემუარული ჟანრის ნაწარმოები ,,მოგზაურობა ჩემი ევროპიისა და სხვათა და სხვათა ადგილთა'', თარგმნა ტაციტუსის, ვოლტერის, პუშკინის და სხვათა ნაწარმოებები. მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკიდან ზოგიერთი უნიკალური ხელნაწერი საქართველოს დაუბრუნდა. თ. ბ. იყო ქართველოლოგთა ახ. თაობის (დ. *ჩუბინაშვილი,* პ. *იოსელიანი*), აღმზრდელი და მასწავლებელი. შეისწავლა ფიზიკა, გეომეტრია, იურისპრუდენცია, სამხ. საქმის ხელოვნება, ბოტანიკა, ზოოლოგია. 1837 დეკემბერში თ. ბ. პეტერბურგის საიმპერატორო მეცნ. აკად. საპატიო წევრად, ხოლო 1844 – კოპენჰაგენის ანტიკვართა სამეფო საზ-ბის საპატიო წევრად აირჩიეს.

დაკრძალულია ნევის მონასტრის ბაგრატიონთა სასაფლაოზე.

თხზ.: განმარტება პოემა ,,ვეფხისტყაოსნისა'', გ. იმედაშვილის გამოც., თბ., 1960; ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა, სპბ., 1848; მოგზაურობა ჩემი ევროპიისა და სხვათა და სხვათა ადგილთა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1944; სამსახეობა რაინდისა, თბ., 1947 (უავტ.).

ლიტ.: ბარამიძე არჩ., თეიმურაზ ბაგრატიონი და პირველყოფილი თემური წყობილების საკითხები ქართველ ტომებში, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1961, ტ. 26, №5; ბერძნიშვილი მ. დ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983; იმედაშვილი გ., თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ცდანი, «ლიტერატურული ძიებანი», 1949, [ტ.] 5; მესხია შ., თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1939, ნაკვ. 1; შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი, ტ. 1–2, თბ., 1972–74. *გ. შარაძე.*

თეიმურაზისეული ,,ძართლის ცხოვრება'', ,,ქართლის ცხოვრების'' ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნუსხა. გადაწერილია კახეთში XVIII ს. I მეოთხედში მოსქო, ჭვირნიშნებიან თეთრ ქაღალდზე ლამაზი ნუსხურით. მოიცავს 346 ფურცელს, ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში. 1724 ხელნაწერი იმერეთში მოხვდა და XIX ს. დამდეგამდე იქ იყო. რამდენიმე პატრონი გამოიცვალა, საბოლოოდ კი თეიმურაზ ბატონიშვილის საკუთრება გახდა (ამიტომ ეწოდა პირობით თეიმურაზისეული ნუსხა). ამჟამად დაცულია რფ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის სანქტ-პეტერბურგის განყ-ბაში. ხელნაწერის თავსა და ბოლოში, აგრეთვე არშიებზე მხედრული დამწერლობის მინაწერია. მათგან რამდენიმე ეკუთვნის ნიკოლოზ რუსთველს (ჩარქეზიშვილს). გამოთქმულია ვარაუდი, რომ შეიძლება სწორედ ის ყოფილიყო თ. ,,ძ. ც-ის'' შემკვეთ-რედაქტორი (კ. *გრიგოლია*). XIX ს. 20-იან წლებში ხელნაწერის ნაკლული ადგილები რუმიანცევისეული ნუსხის მიხედვით შეუვსია ცნობილ ქართვ. მწიგნობარსა და ასოთამწყობს გ. პაიჭაძეს.

თ. ,,ძ. ც.'' იწყება სწავლულ კაცთა ცნობილი წინასიტყვაობით (,,პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო...''), რასაც მოსდევს ვახტანგისეული ,,ქართლის ცხოვრების'' ყველა თხზ. თანმიმდევრობით – ლეონტი მროველიდან ჟამთააღმწერლის ჩათვლით – ვახტანგისეული ტექსტის რედაქტირებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით (მეფეთა ზეობის მიხედვით დასათაურება, სუმბატის ქრონიკის დაშლილად შეტანა, თამარის ისტორიკოსთა თხზულებების გაერთიანება, ვრცელი ჩანართები, ქრონოლ. მონაცემების დამატება) მხოლოდ თავიდან მოკიდებული, ვიდრე თამარის ცხოვრების ნახევრამდე. აქედან გიორგი V-ის გამეფებამდე, ვახტანგისეული რედაქციის კვალი იშვიათია. თამარის პირველი ისტორიკოსის ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი'' (მეორე ნახევარი) და ჟამთააღმწერელის ,,ასწლოვანი მატიანე'' ძვ. რედაქციით არის წარმოდგენილი. ამავე დროს თ. ,,ძ. ც-ში'' დამატებით არის შეტანილი ისეთი ჩანართები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან, რ-ებიც არ გვხვდება სხვა ნუსხებში.

თ. ,,ძ. ც-ს'' დიდი მნიშვნელობა აქვს კრებულის ტექსტის დადგენისა და მისი ისტ. შესწავლისათვის. გამოცემული არ არის. რუმიანცევისეულ და ფალავანდიშვილისეულ ნუსხებთან ერთად საფუძვლად დაედო ,,ქართლის

ცხოვრების'' ბროსესეულ გამოცემას (1849), გამოყენებულია აგრეთვე ე. თაყაიშვილისა (1906) და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემებში (1955, 1959).

ლიტ.: გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954; ენუქიძე თ., ,,ქართლის ცხოვრების'' თეიმურაზისეული ნუსხის რამდენიმე ადგილის შევსების თარიღისა და შემვსების ვინაობის საკითხისათვის, «ქართული წყაროთმცოდნეობა», VI, თბ., 1985; კაკაბაძე ს., ,,ქართლის ცხოვრების'' თეიმურაზისეული ნუსხის შესახებ. – ბიზანტინოლოგიური კრებული, თბ., 1978; Орбелиани Р. Р., Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, т. I, М.–Л., 1956; Такайшвили Е. С., Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения", т. I, в. 1–4, Тфл., 1906–12.

რ. კიკნაძე.

თეკალი, მთა ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ლეჩხუმის ქედზე. სიმაღლე 3044 *მ.* აგებულია ბაიოსური ფიქლებით, ქვიშაქვებითა და ტუფ-ბრექჩიებით. თ-ის თხემის ჩრდ.-დას. ნაწილი სუსტად მოვაკებულია და მის ზედაპირზე ორი პატარა ტბა მდებარეობს. 1900 *მ* სიმაღლემდე შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, უფრო მაღლა სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

ჭ. ჯანელიძე.

თეკალი, სოფელი ლენტეხის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე. ჩოლურის თემის ცენტრი (სოფლები: თ., ბულეში, დურაში, ლეუშერი, მამი, მუწდი, საყდარი, ტვიბი, ფანაგა, შტვილი, ჭველიერი, ჭველფი). ზ. დ. 1200 *მ,* ლენტეხიდან 15 *კმ.* 51 მცხ. (2014).

სოფლის ზემოთ, ტყიან გორაკზე, აღმართულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, X–XI სს. მაცხოვრის ეკლესია. თ-ის ეკლესია თავისი სიდიდითა და მორთულობის ხასიათით გამოირჩევა ამ კუთხის სხვა ნაგებობათაგან.

ეკლესიაში დაცულია თ-ის ჭედური ხატი ღვთისმშობელი ყრმით (X–XI სს.), აგრეთვე ხატების ფრაგმენტები.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი, 1937.

თეკენა, ისტორიული სოფელი შიდა ქართლში. პირველად იხსენიება 1392 წ. 1 დეკემბერს ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში სოფლებთან – მისაქციელთან, საფურცლესთან, ბელტისციხესთან ერთად, რ-ებიც საქართვ. მეფეს ალექსანდრე I-ს სვეტიცხოვლისათვის განუახლებია. თ. შემდეგაც იხსენიება *სიმონ I-ისა* და *როსტომის* დროს შექმნილ საბუთებში. გვიანი შუა საუკუნეების ადმ.-ტერიტ. დაყოფით, ქართლის სამეფოს III საძრომოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

დმანისხევში, მაშავრის მარჯვნივ, იყო ასევე სოფ. თეკენები (თეკენენი, თეკენამი), რ-იც საყაფლანიშვილოში ითვლებოდა.

წყარო: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ზ. ცინცაძე.

თეკენთეძრის ჭა, კარსტული სიღრუე ხვამლის კირქვულ მასივში, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაკურალეშის მახლობლად. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. სიმაღლე ზ. დ. 1620 *მ,* სიღრმე – 16 *მ,* ფსკერის ფართობი – 35 *მ* ², საერთო მოცულობა – 360 *მ* ³. ჭა ებმის სანახევროდ წყლით ამოვსებულ ჰორიზ. გვირაბს. გვირაბში ჩასვლა შესაძლებელია მხოლოდ დიდი წიფლის ფუღუროდან, რ-ის ფესვები ჭის კედლებშია გადგმული. ფსკერზე დაგუბებული წყლის სიღრმე 3–4 *მ* აღწევს. ჭის ფსკერზე გამდინარე ცივ ანკარა წყალს იყენებენ სასმელად. თ. ჭ. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

თეკლათი, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცივის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას, სენაკი–ფოთის საავტ. და სარკინიგზო გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: თ., გოლასკური, რეკა, საგვარამიო, ტყირი). ზ. დ. 20 *მ,* სენაკიდან 3 *კმ.* 444 მცხ. (2014).

თ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. ლევან II დადიანის შეწირულების წიგნში დასახელებულია თ-ის მთავარანგელოზის საწინამძღვრო ეკლესია.

თ. ბერაძე.

თეკლას მონასტერი იერუსალიმში, ქართველთა მონასტერი, აშენებულია XV ს. შუა ხანებში ზედგინიძეების, კერძოდ, ჯვარისმამის ქრისტეფორეს და მისი ნათესავების მიერ. შემდგომშიც თ. მ. ზედგინიძეების მუდმივი საზრუნავი იყო.

1966 იერუსალიმში მიაკვლიეს ასომთავრულით ამოკვეთილ სამშ. წარწერას: ,,ქ. მე, ზედგინიძემან ჯუარისმამან ქაიხოსრო, აღვაშენე ზღუდე ესე და სენაკი. წმიდაო და მჯეველ ქალწულ მოწამეო თეკლა, მეოხ და მცველ ექმენ ქაიხოსროს და მისთა დედათა-მამათა შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ!''.

წარწერა ეკუთვნის აქამდე უცნობ ქაიხოსრო ზედგინიძეს, რ-იც ჯვარისმამად, სავარაუდოდ, XV ს. II ნახევარსა და XVI ს. მოღვაწეობდა. შენობა, რ-ის კედელზეც მოთავსებული იყო სამშ. წარწერა, წარმოადგენდა წმ. თეკლას მონასტერს. წარწერა ამჟამად დაკარგულია.

2002 თ. მ-ის მახლობლად, ბერძნ. საპატრიარქოს ტერიტორიაზე, ერთ-ერთი სენაკის სარკმელთან, მიწიდან სამი მეტრის სიმაღლეზე, აღმოჩნდა კედელში თავდაყირა ჩადგმული წარწერიანი ქვა, საიდანაც ჩანს, რომ ქაიხოსრო ზედგინიძეს თავისი მშობლების სულის შესანდობლად აუშენებია 8 სახლი და 28 კამარა.

თ. მ. დღეისათვის ბერძენთა საპატრიარქოს ეკუთვნის. ქართველებს მონასტრის ნახევარი, თავიანთი ნებით, საპატრიარქოსათვის პატრიარქ თეოფანე IV-ის დროს (1608–44), კერძოდ, XVII ს. 20-იანი წლების შუა ხანებში დაუთმიათ. ბერძნებმა მონასტრის მეორე ნახევარი, პატრიარქ პაისიოსის დროს (1645–60), კოპტებისაგან შეიძინეს. უცნობია, როდის და რა ვითარებაში დაეპატრონნენ კოპტები თ. მ-ის ნახევარს.

წყარო: მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962.

ლიტ.: გაგოშიძე გ., წმინდა მიწის ქართული წარწერები, «Academia», V, 2003; მეტრეველი ე., ვინ ააშენა თეკლას მონასტერი? «ანამკი», 2002; მიქაძე გ., იერუსალიმის უცნობი ქართული საამშენებლო წარწერა, «ქართული წყაროთმცოდნეობა», III, თბ., 1976; რურუა ი., პალესტინის სიძველეთა შორის, «მნათობი», 1966, №10.

ე. მამისთვალიშვილი.

თეკლე ბატონიშვილი (1776–1846), პოეტი. *ერეკლე II-ის* უმცროსი ასული – ,,თეკლაბიჭი''; პოეტების ა. *ორბელიანისა* და ვ. *ორბელიანის* დედა. იყო იმდროინდელი საზ.-პოლიტ. ცხოვრების აქტ. მონაწილე. 1832 შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ქ. კალუგაში (რუსეთი) გადაასახლეს. თბილისში დაბრუნების შემდეგ მისი სახლი კულტ.-შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთ კერად იქცა. თ. ბ-ის ლექსებში ასახულია



თეკლე ბატონიშვილი. უცნობი მხატვარი.

სევდა ბაგრატიონთა დიდების დაკარგვისა და ცხოვრების ჩარხის უკუღმა ბრუნვის გამო; გადმოცემულია პატიმრობის სიმწარე და ბედის სამძურავი.

თხზ. [წიგნში]: ასათიანი ლ., ძველი საქართველოს პოეტი ქალები. გამოკვლევა და ტექსტები, [თბ.], 1936.

ლიტ.: ბერძნიშვილი მ. დ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983; გამეზარდაშვილი დ., ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948; კოტეიშვილი ვ., რჩეული ნაწერები ორ წიგნად, წგ. 1, თბ., 1965; უთურაშვილი ი., თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991.

ლ. კეკელიძე.



თელა.

თელა (Ulmus), მერქნიან მცენარეთა გვარი თელისებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი, ზოგჯერ მარადმწვანე (ტროპიკებსა და სუბტროპიკებში) ხეებია, იშვიათად ბუჩქები. 50-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი ჰავის ზონაში, ნაწილობრივ – სუბტროპიკებისა და ტროპიკების მთებში. საქართველოში ბუნებრივად 4-ის 5 სახეობა იზრდება, მათგან ერთი – ქართული 4. (U. georgica) საქართვ. ვიწროლოკალური ენდემია; იზრდება შირაქის ხევებში, მეტად მშრალ და მეჩხერ ტყეში (არფადარის ხევხმელზე სულ 30-მდე ხეა). საქართვ. ფოთლოვან ტყეებში შერეულია თელადუმა (თელამუში – U. elliptica), რ-იც აღწევს სუბალპ. სარტყელს, და თელა ,,კარაღაჯი'' (U. minor, U. foliacea), რ-იც გავრცელებულია მთის ტყეების შუა სარტყლამდე. 4-ის მცირე კორომებიც კი ძალზე იშვიათია. სიმაღლე 30–40 *მ* აღწევს. აქვს კონებად შეკრებილი წვრილი მოკლეყუნწიანი ყვავილები. ყვავილობს ადრე გაზაფხულზე, ნაყოფის მომწიფებისა და ჩამოცვენის შემდეგ გამოაქვს ფოთლის კვირტები. 4. ყინვაგამძლე და ჩრდილის ამტანია. ეტანება ნოყიერ და ტენიან ნიადაგს, თუმცა ბევრი გვალვასა და სუსტად დამლაშებულ ნიადაგსაც ეგუება. ცოცხლობს 200–400 წელს. მრავლდება თესლით, მყნობითა და ფესვის ნაბარტყით. უხვად იძლევა ძირკვის ამონაყარს, აქვს ღრმა და მძლავრი გვერდითი ფესვები და ქარი ვერ აქცევს. იყენებენ ბაღ-პარკებისა და მინდორსაცავი ზოლების გასაშენებლად, ქუჩებისა და გზების გასამწვანებლად. 4. უძველესი კულტურაა. ცნობილია მისი მრავალი საბაღე ფორმა. კარგად იტანს გაკაფვას. მისი გამძლე და მაგარი, ძნელად საპობი მერქანი ძვირფასი საავეჯე მასალაა (განსაკუთრებით ლამაზი ნუჟრების გამო). ჩვენი 4-ების მასობრივი შეხმობა ,,ჰოლანდიური დაავადების'' შედეგია, რ-იც გამოწვეულია სოკოთი (Graphium ulmi). ჩვენში გავრცელებული ყველა 5 სახეობა შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''.

მ. სახოკია.

თელა, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ცოდნისკარის თემში (კახეთის რეგიონი), ალაზნის ვაკეზე, მდ. ბაისუბნისხევის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 280 *მ*, ლაგოდეხიდან 12 *კმ*. 779 მცხ. (2014).

თელაგინა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ღრომის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მეჯუდის ხეობაში. ზ. დ. 1030 *მ*, ერედვიდან 15 *კმ*.

4. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თელავი, ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთის რეგიონი), თელავის მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთის ძირას და ალაზნის ვაკეზე. ზ. დ. 700 *მ*. თბილისი–თელავის სარკინიგზო ხაზის ბოლო სადგური. თბილისიდან 147 *კმ* (სოფ. ბაკურციხის გავლით). 19,6 ათ. მცხ. (2014).

ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 9°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 0,5°C, აგვ. 23°C. ნალექები 770 *მმ* წელიწადში.

4-ში არის კვების (ღვინის, ყველ-კარაქის, საკონსერვო, საკონდიტრო) მრეწვ. და ადგილ. მნიშვნელობის საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოები; სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტ. სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტი, ისტორიული მუზეუმი, სახელმწ. დრამ. თეატრი, სამედ. დაწესებულებები, კულტ. და საინფორმაციო ტურიზმის ცენტრები, სასტუმროები, აეროპორტი ,,*მიმინო*'', კულტ. და დასვენების პარკი ,,ნადიკვარი''.

4. აღმ. საქართველოს უძველესი ქალაქია. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალა გვიანდ. ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ 4-სა და მის მიდამოებში ადამიანს ძვ. წ. II ათასწლეულში უცხოვრია.

აღმოჩენილია აგრეთვე მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა: ოროდე I-ის (ძვ. წ. 57–38) პართული მონეტა, ავგუსტუსის (ძვ. წ. I და ახ. წ. I სს.) და კეისარ ნერონის (ახ. წ. 44) რომაული მონეტები, VI–VII სს. ბიზანტ. მონეტები.

პირველად მოხსენიებულია ძვ. ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს



თელავი. ქალაქის საერთო ხედი.

პტოლემეს (პტოლემაიოსი) (II ს.) „გეოგრაფიის სახელმძღვანელოში“ „Teleda“-ს ფორმით.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ IV–VIII სს-ში თ. ქალაქური ტიპის სამოსახლო შეიძლება ყოფილიყო. თ-ის ზრდას, მის გადაქცევას ქალაქად ხელი შეუწყო VIII ს. II ნახ-ში აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე ჰერეთის ფეოდ. სამთავროს წარმოქმნამ. ამ სამთავროს დამოუკიდებელი არსებობის პერიოდში თ. წარმოადგენდა ადგილ. ხელისუფლების მეტად მნიშვნელოვან ეკონ. და პოლიტ. ცენტრს. X ს. მიწურულში არაბ ავტორს ალ-მუკადასის თ. მოხსენიებული აქვს ქალაქად (არაბ. ტრანსკრიფციით ,,თებლა‘‘) სამხრ. კავკასიის სხვა მნიშვნელოვან ქალაქებს შორის (თბილისი, ბარდავი, ხუნანი, შამქორი, განჯა, შემახია, შარვანი, ბაქო, კაბალა, შაქი და სხვ.). მისივე გადმოცემით, თ-ში 500 კომლი მუსლიმანი იყო, მცხოვრებთა უმეტესობა კი ქრისტიანები იყვნენ.

ქართ. წერილობითი წყაროები თ-ს ქალაქად XI ს-მდე არ იხსენიებენ. XI ს. 20-იან წლებში კახეთის ქორეპისკოპოსმა *კვირიკე III* დიდმა წარმატებით დააგვირგვინა კახეთ-ჰერეთის პოლიტ. შერწყმის პროცესი. წარმოიქმნა ,,რანთა (ჰერთა) და კახთა სამეფო‘‘. გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოს მესვეურებმა ტახტი თ-ში დაიდგეს და ამიერიდან ის სამეფოს ცენტრი გახდა. ვახუშტის გადმოცემით, კვირიკეს თელავში აუგია ,,სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი‘‘. თ. დამოუკიდებელი ჰერეთ-კახეთის სამეფოს პოლიტ. ცენტრი იყო 1104-მდე.

XI–XIII სს-ში თ-ში არსებობდა საკმაოდ მძლავრი კერამ. წარმოების კერები. ამასთანავე იგი წარმოადგენდა ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრს, რაზეც მიუთითებს არქეოლ. მასალებში დადასტურებული უცხ. ნიმუშები. სახელდობრ, თ-ში აღმოჩენილი მოჭიქული კერამ. ნაწარმის ერთ ნაწილს პარალელები მოეძებნება სომხეთისა და აზერბაიჯანის, ხოლო ნაწილს – ხერსონესის არქეოლ. მასალასთან. თ-ში ნაპოვნია აგრეთვე აღმოსავლური ყაიდის ჯამი, რ-იც სპარსული წარმოშობისა უნდა იყოს. შეიძლება ითქვას, რომ თ-ს სავაჭრო-ეკონ. კონტაქტები ჰქონდა დამყარებული, ერთი მხრივ, სამხრ. კავკასიის ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი), ხოლო, მეორე მხრივ, – შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროს ცენტრებთან. თ-სა და საქართველოს სხვა ქალაქებს შორის სავაჭრო ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენს. გახდა ქვეყნის პოლიტ. გაერთიანების შემდეგ. ამის უტყუარი დადასტურებაა საქართველოს სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილი არქეოლ. მასალა. ამ ნივთებიდან კერამ. ნაწარმის ერთ ნაწილს პარალელები ეძებნება თბილისის, რუსთავის, უჯარმისა და დმანისის არქეოლ. მასალასთან, ხოლო თ-ის სამეთუნეო სახელოსნოებში დამზადებული კერამ. მასალის აღმოჩენა ახლომდებარე ნასოფლარებში მიუთითებს ქალაქსა და სოფელს შორის ეკონ. ურთიერთობაზე.

XIII ს. 70–80-იან წლებში თ-ის პატრონი და მფლობელი გახდა ათაბაგი *სადუნ მანკაბერდელი*. XV ს-ში, კახეთის ახ. სამეფოს წარმოქმნის პერიოდში, თ-მა დაკარგა მხარის სატახტო ქალაქის მნიშვნელობა. 1466-იდან იგი კახეთის სამეფოში შემავალი ერთ-ერთი რიგითი ქალაქი გახდა, თუმცა კვლავ ინარჩუნებდა ეკონ. ცენტრის როლს. 1614–17 შაჰ აბას I-ის შემოსევების შედეგად კახეთის თითქმის ყველა ქალაქი განადგურდა, მოიშალა მათი ეკონ. საფუძვლები. სრულ განადგურებას გადაურჩა მხოლოდ თ. საქალაქო ცხოვრების ერთგვარი აღმავლობა კახეთში მხოლოდ XVII ს. 60–70-იან წლებში შეინიშნება. *არჩილ II-მ* კახეთის დედაქალაქი *გრემიდან* ისევ თ-ში გადაიტანა. მასვე მიეწერება დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა: ააგო სამეფო სასახლე, მრავალი შენობა, განაახლა ეკლესიები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია არჩილის მიერ თ-ში აგებული და შემდეგ *ერეკლე II-ის* დროს გადაკეთებული სამეფო სასახლე. იგი დღესაც არსებობს, მაგრამ იმდენად შეცვლილია, რომ მისი თავდაპირველი სახით წარმოდგენა ძნელდება. შემორჩენილია აგრეთვე არჩილ II-ის მიერ აგებული კარის ეკლესია, ზღუდის აღმ. ალაყაფის კარი ზედა ნაგებობითურთ და აბანო. არჩილ II-ის მეფობის დროს თ-ში ძალზე გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა. ხელოსნობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარგი სამღებრო საქმიანობა იყო. თ-ის სამღებროები მთელ საქართველოში იყო ცნობილი. ამ პერიოდში თ. წარმოადგენდა ქვეყნის კულტ.-ლიტ. საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს.

1675 არჩილ II იძულებული გახდა კახეთს გასცლოდა. 1677-იდან 1703-მდე კახეთის მმართველებად ყიზილბაში ხანები ინიშნებოდნენ. ბეჟან-ხანის (1677–83), აბას-ზიადოღლის (1683–88), აბაზყული-ხანის (1688–95) და ქალბალი-ხანის (1695–1703) მმართველობის პე-



თელავის გერბი.



თელავი. ქეთევან წამებულის (მარჯვნივ) და ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩები.



თელავი. ერეკლე II-ის ქუჩა.

რიოდში თ-ის როლი შემცირდა, რადგანაც ყიზილბაშმა ხანებმა თავიანთ რეზიდენციად ქ. ყარაღაჯი აირჩიეს. 1706-იდან კახეთის მეფემ *დავით II* იმამყული-ხანმა რეზიდენცია ყარაღაჯიდან ისევ თ-ში გადაიტანა. მის დროს თ-ში და საერთოდ კახეთის სამეფოში თანდათან დაიწყო ქართ. ეროვნ. სამოხელეო ინ-ტების აღდგენა. ,,ყიზილბაშობის'' ყაიდაზე მოწყობილი ქალაქი და მთელი სამეფო კვლავ ძვ. ნორმებს უბრუნდებოდა.

დავით II-ის შემდეგ კახეთის ტახტი დაიჭირა *კონსტანტინე II* მაჰმად ყული-ხანმა, რ-იც თ-ში იჯდა. მისი მეფობისას ლეკებმა თითქმის მთელი კახეთი დაიპყრეს და თ-ის აღებაც განიზრახეს. ჭარელებმა დაღესტნელი ლეკებიც მოიხმეს და ქალაქს თავს დაესხნენ. კახეთში ავჯანყებამ იფეთქა, რ-იც თელაველებმა დაიწყეს. ერთი კვირის ბრძოლის შემდეგ მტერი დაამარცხეს. 1733 კახეთში *თეიმურაზ II* გამეფდა. მისი რეზიდენცია თ-ში განთავსდა. 1744 ირანის შაჰმა ნადირმა თეიმურაზ II – ქართლის, ერეკლე II კი კახეთის მეფედ დაამტკიცა. 1762, თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე ერეკლე II გახდა. თ-ის ისტორიაში ახალი, მეტად საგულისხმო პერიოდი დაიწყო. XVIII ს. II ნახ-ში თ. ქართლ-კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი გახდა. იგი საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობაში აქტ. როლს ასრულებდა. XVIII ს. II ნახ-ში თ. იმდენად დაწინაურდა, რომ მას თბილისის შემდეგ მოსახლ. რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი ეკავა. 1770 თ-ში 740 კომლი (3700 სული) ცხოვრობდა. თ-ის მოსახლ. თითქმის ორი მესამედი ხელოსნობა-ვაჭრობაში იყო ჩაბმული. ხელოსნები ძირითადად ფეიქრები, მჭედლები, მეწუღეები, მეთუნეები იყვნენ. აღსანიშნავია სამღებროებისა და ტყავის გადამამუშავებელი შედარებით მსხვილი სარეწების არსებობა. XVIII ს. II ნახ-ში თვალსაჩინოდ განვითარდა კულტ. ცხოვრებაც. დიდი ყურადღება ეთმობოდა სწავლა-განათლების საქმეს. XVIII ს. 40–80-იან წლებში თ-ში ფართომასშტაბიანი მშენებლობა გაჩაღდა. იმ დროის თ-ის თვალსაჩინო მატერ.-კულტ. ძეგლებიდან აღსანიშნავია ქალაქის ციხე-გალავანი და სამეფო რეზიდენცია-სასახლე. 1772 თ. ინახულა და მის შესახებ მეტად საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ცნობილმა გერმანელმა მოგზაურმა ი. *გიულდენშტედტმა*.

რუს. იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის (1801) შემდეგ თ. ახ. ადმ.-ტერ. ერთეულის – თ-ის მაზრის ცენტრი გახდა. XIX ს. 30-იანი წლების მიწურულს თ-ში ადგილობრივმა ვაჭარმა შავერდოვმა გახსნა ბამბის სართავი ,,ფაბრიკა'', რ-მაც სულ რამდენიმე წელი იარსება. სართავი დაზგები გამოწერილი იყო მოსკოვიდან. იქიდანვე ჩამოიყვანეს კვალიფიციური ოსტატები. საწარმოს პროდუქცია გასაყიდად გაჰქონდათ მოსკოვში. XIX ს. 50-იანი წლებისათვის თ-ში 250-მდე ვაჭარი იყო, რ-ებიც აღებ-მიცემობას ეწეოდნენ როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი საქონლით. 1840–41, საქართველოში გატარებული ადმ. რეფორმების მიხედვით, თ. საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამაზრო ცენტრი გახდა.

1894–99 თ-ში საქალაქო თვითმმართველობის სტრუქტურები შემოიღეს. 1921, საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ადმ.-ტერ. დაყოფით იგი თ-ის მაზრის ცენტრს წარმოადგენდა, 1929 დაყოფით კახეთის ოლქში შემავალი თ-ის მაზრის ცენტრი იყო, ხოლო 1930-იდან ცალკე გამოყოფილი თ-ის რ-ნის ცენტრი გახდა, 2006-იდან მუნიციპალიტეტის ცენტრია.

თ-ის არქეოლ. შესწავლა მიმდინარეობს 1962-იდან (გ. ლომთათიძე, ც. ჩიკოიძე). გათხრილია თ-ის ისტ. უბნები: ,,ზუზუმბოს გორა'', ,,ძველი გალავანი'', ,,ღვთა-



თელავი. ბატონის ციხე. XVIII ს. 40–80 წლები.

ების ბორცვი“, „ბატონის ციხე“. „ზუზუმბოს გორაზე“ აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. საყურადღებოა რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები, ბრინჯაოს რგოლები, რკინის სამაჯურები, თიხის ჭურჭელი და სხვ. გორის ჩრდ-ით, „მაწანწრის უბანში“, გაითხარა ძვ. წ. და ახ. წ. I სს. ქვევრსამარხები, ხოლო ძვ. გალავანში – „გორიჯვრის ბორცვი“, სადაც აღმოჩნდა რამდენიმე არქიტ. კომპლექსი (მ. შ. XI ს. კახეთის ქორეპისკოპოსთა სასახლის ნაშთი). ძვ. გალავნის სამხრ. ნაწილში გამოვლინდა ადრინდ. და შუა ფეოდ. ხანის ქალაქის ხელოსანთა უბანი, საცხოვრ. ნაგებობანი, მეთუნის სახელოსნო, ქურა და მრავალი არქეოლ. მასალა. კერამიკის მიხედვით ჩანს ადგილ. ხელოსნური წარმოების აღმავლობა და თავისებურებანი. „ღვთაების ბორცვზე“ დაზვერვის შედეგად აღმოჩნდა შუა ფეოდ. ხანის ნამოსახლარი, ქვის სამარხები და ყორჩიბაშიშვილების გვიანდ. ფეოდ. ხანის ციხის ნანგრევები. „ბატონის ციხეში“ გათხრებით გამოვლინდა ციხის მშენებლობის 2 ეტაპი: პირველი – XVII ს. II ნახევარში აშენებული – შეიძლება მეფე არჩილ II-ის მოღვაწეობის პერიოდს დაუკავშირდეს; მეორე – ძვ. ნაგებობაზე დაშენებული გალავანი – XVIII ს. II ნახ. მიეკუთვნება და ერეკლე II-ის სახელთანაა დაკავშირებული.

არქეოლოგიურად შესწავლილია Თ-ის შემოგარენის ნასოფლარები: ფოხორაულები (სოფ. კურდღელაურთან), არტოზანი (სოფ. რუისპირთან), მარკაანი (სოფ. შალაურთან), სადაც გამოვლინდა ადრინდ., შუა და გვიანდ. ფეოდ. ხანის ხუროთმოძღვრული და არქეოლ. ძეგლები (სამონასტრო ანსამბლი, ნამოსახლარები, მარანი, სამარხები და სხვ.). გაირკვა, რომ ეს ნამოსახლარები ქალაქის მასაზრდოებელ აგრ. რაიონს წარმოადგენდა.

გათხრებით დადგინდა, რომ ძვ. ქალაქი მდებარეობდა თანამედროვე ქალაქის ტერიტორიაზე, კახეთ-ჰერეთის საზღვართან.

XVII ს. 60-იან წლებში, როგორც კი დროებით სიმშვიდე დამყარდა და კახეთის სათავეში ისევ ქართველი მოღვაწეები ჭარბობენ, მეფეთა რეზიდენცია და სატახტო ქალაქის პატივი ისევ Თ-ს უბრუნდება. მეფე-პოეტის არჩილის მმართველობის ხანაში „შენდებოდა კახეთი, ვინადგან იყო მშვიდობა და უმტრობა“. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ პოეტები დავით II, თეიმურაზ II, საიათ-ნოვა და სხვ. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ოჯახში დამკვიდრებულ ლიტ. ტრადიციებზე აღიზარდა მწიგნობარ ბატონიშვილთა მთელი თაობა. 1758 Თ-ში დაარსდა *თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა*, სადაც გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა. 1782 სკოლის ბაზაზე დაარსდა *თელავის სემინარია*, სადაც არაერთი მწიგნობარი აღიზარდა. ბიოგრ. და შემოქმედებითი ეპიზოდებით Თ-თან დაკავშირებული იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. აქვე შემოქმედებით-მწიგნობრულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ვ. ბარნოვი, ნ. სულხანიშვილი, დ. თურდოსპირელი, ბ. ახოსპირელი და სხვ.

Თ-ის ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან უძველესია ღვთაების ეკლესია (V–VI სს.). შემორჩენილია XI ს. ციხის ზღუდის ნანგრევები, ე. წ. ძვ. გალავანი. XVII ს-ში არჩილ მეფემ Თ-ში სამეფო სასახლე ააგო, ხოლო თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს ინტენს. მშენებლობა გაჩაღდა. XVIII ს. II ნახ-ში Თ-მა დასრულებული, ფეოდ. ქალაქისათვის დამახასიათებელი სახე მიიღო. ქალაქთმშენებლობის ანსამბლს ოთხი დიდი ნაგებობა – ძვ. გალავანი, ბატონის ციხე, ყორჩიბაშიშვილებისა და ვახვახიშვილების ციხეები – განსაზღვრავდა. 1753 ბატონის ციხის ტერიტორიაზე კარის ახ. ეკლესია ააგეს, ხოლო XVIII ს-ის 70-იან წლებში – საზარბაზნე ბურჯი. ქალაქის ცენტრში, თელავის დრამატული თეატრის ინტერიერში მოქცეულია კოშკისებრი შენობა (XVIII–XIX სს.), რ-ის ქვედა სართული ეკლესია-სამლოცველოა, ზედა კი – თავდასაცავ-შესახიზნი დამოუკიდებელი შესასვლელითა და სათოფურებით. XIX ს. I ნახ-ში Თ-ში გაცხოველებული მშენებლობა დაიწყო. შეიქმნა ხელოსანთა სავაჭროებით მჭიდროდ განაშენიანებული ახ. ქუჩა (შემდეგში „ზემო ბაზარი“), გაიზარდა ბინათმშენებლობა. ქალაქი ციხის კედლებს გარეთ გაიშალა. ძველმა ციხეებმა თანდათან დაკარგეს მნიშვნელობა, ხოლო საზარბაზნე ბურჯები ზედ მიდგმულ საცხოვრ. სახლებს შეერწყა. გადაკეთდა ბატონის ციხის შიგა ტერიტორიაც. XX ს-ში ქალაქმა ძირეულად შეიცვალა სახე – აშენდა საზ. და კულტ.-საგანმან. შენობები. 1947 შედგა Თ-ის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის პროექტი (არქიტ. ა. ნიკოლაიშვილი, თანაავტორი ზ. მინდორაშვილი და სხვ.). ქალაქის არქიტ. ცენტრი კვლავ ბატონის ციხეა. მის ირგვლივ მოეწყო მოედნები. ძვ. ერთსართულიანი სახლები და ქოხმახები ახალმა შენობებმა შეცვალა. ძირფესვიანად გადაკეთდა ლენინის ქუჩაც (ამჟამად ერეკლე II-ის გამზირი), რ-იც მრავალსართულიანი საცხოვრ. სახლებით, სახელმწ. დაწესებულებებითა და ადმ. შენობებით განაშენიანებულ ქუჩა-ხეივნად იქცა. აშენდა თეატრი, სასტუმროები: „თელავი“, „კახეთი“. ქალაქში დგას ერეკლე II-ის, ი. ჭავჭავაძის ძეგლები, ომში დაღუპულთა მემორიალი. 2011–12 განხორციელდა „ქ. თელავის რეაბილიტაციის პროექტი“.



თელავის ერთ-ერთი განახლებული ქუჩა.

1984 გამოჩენილმა ქართველმა პიანისტმა ე. *ვირსალაძემ* თელავში დააარსა კამერული მუსიკის საერთაშ. ფესტივალი, სახელწოდებით – „ქება ვაზისა“, რ-იც 20 წლიანი პაუზის შემდეგ, 2010

წლიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ყოველწლიურად ტარდება.

იხ. აგრეთვე სტ-ები: *თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თელავის ისტორიული მუზეუმი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის სურათების გალერეა, „თელავის ღვინის მარანი“.*

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1955–59; ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: აფრასიძე გ., საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბ., 1984; ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; ორბელიანი ა., თელავი, თბ., 1997; პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XII ს. I მეოთხედამდე), თბ., 1970; მისივე, რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982; რჩეულიშვილი ლ., თელავი, თბ., 1963; ჩიკოიძე ც., ქალაქი თელავი, თბ., 1979; ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. 2, თბ., 1970; ჯავახიშვილი გ., თელავის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1998; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 1-ii, თბ., 2015. *ლ. მენაბდე. თ. პაპუაშვილი. შ. საღარაძე. ც. ჩიკოიძე. ვ. ჯაოშვილი.*

თელავის აეროპორტი „მიმინო“, იხ. *„მიმინო“*.

თელავის ისტორიული მუზეუმი გ. ჩუბინაშვილის სახელობისა, დაარსდა 1927 როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მისი დამაარსებლები იყვნენ: გ. მელითაური, კ. გეგელიძე და დ. ჩხეიძე (თურდოსპირელი). მუზეუმი განთავსდა XIX ს. ხაზინის შენობაში და 8 წლის განმავლობაში საზ. საწყისებზე მუშაობდა. 1935 მუზეუმმა გაიარა სახელმწ. რეგისტრაცია, 1943 ეწოდა თელავის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმი, ხოლო 1985 – თელავის სახელმწ. ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმი და მიენიჭა გ. *ჩუბინაშვილის* სახელი (2008-იდან მუზეუმის იურიდ. სტატუსი: სსიპ; ექვემდებარება საქართვ. კულტ. და ძეგლთა დაცვის სამინისტროს). 2011 ეწოდა თ. ი. მ.

მუზეუმი განთავსებულია მეფე ერეკლე II-ის ყოფ. სასახლის რამდენიმე დარბაზში. სამუზეუმო კომპლექსში ,,ბატონის ციხის“ სახელწოდებით შედის ,,კახთ მეფეთა სასახლე“ (აგებულია 1884–86 წწ.), მეფის კარის ეკლესიები (X–XVIII სს.), ერეკლეს მიერ XVIII ს. 50-იან წლებში დაარსებული ფილოს. საღვთისმეტყველო სკოლის ნაგებობის ნაშთები, მეფის აბანო (XVII ს.) და სასახლის ტერიტორიაზე გაყვანილი საიდუმლო გვირაბი (XVIII ს.), აღმ. და დას. მხარის უნიკალური კარიბჭეები, აგრეთვე ყოფ. წმ. ნინოს სასწავლებლის, ქ. იაშვილის სახ. სამხატვრო გალერეისა (XIX ს.) და ადმ. კორპუსები. მუზეუმის შენობას მინიჭებული აქვს კულტ. მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

მუზეუმში ფუნქციონირებს 9 განყ-ბა: ძვ. ისტორიის, უახლესი ისტორიის, ეთნოგრაფიის, არიცხვა-დაცვის, სამეცნ.-მეთოდური, საექსკურსიო-საგანმან., მეფე ერეკლე II-ის სასახლე-მემორიალი, საექსპოზიციო განყ-ბა, ქ. იაშვილის სახ. თელავის სურათების გალერეა (გაიხსნა 1963), სამეცნ. ბ-კა, სადაც ინახება მრავალი უნიკალური წიგნი და ძვ. პერიოდიკა (5000-ზე მეტი წიგნადი ფონდით). მუზეუმის ფართობია 2927 $მ^2$. აქედან მუდმივი ექსპოზიციის – 1836 $მ^2$, საცავების – 460 $მ^2$. ფონდში 67 000-ზე მეტი ექსპონატია.

მუზეუმში მეფე ერეკლე II-ისა და ბაგრატოვანთა სამეფო გვარის წარმომადგენელთა მემორიალურ ნივთებთან ერთად დაცულია ნუმიზმატიკის, ადრეფეოდ. და გვიანდ. შუა საუკუნეების არქეოლ. მასალა, XVII–XIX სს. სპილენძის საოჯახო ნივთების, საბრძოლო იარაღის, სამოსელის, ხალიჩებისა და ფარდაგების მდიდარი კოლექციები, ხელნაწერები, მეფე ერეკლეს სტამბაში დაბეჭდილი წიგნები, სახვითი ხელოვნების საინტერესო ნიმუშები, ჭ. იაშვილის სახ. სამხატვრო გალერეაში დაცულია მის მიერ მუზეუმისათვის საჩუქრად გადაცემული კოლექციის 187 ექსპონატი, მათ შორის: XIX ს. ჰოლანდიური, ფრანგ., გერმ., რუს. (ი. აივაზოვსკის, ა. კრამსკოისა და ,,პერედვიჟნიკების“ პერიოდის სხვა მხატვართა ნაწარმოებები) მხატვრობისა და მცირე პლასტიკის ნიმუშები, აგრეთვე ქართვ. მხატვართა (ე. ახვლედიანი, ლ. გუდიაშვილი, ჯ. ხუციშვილი და სხვ.) ნამუშევრები.

ფონდის არქეოლ. მასალა ასახავს საზ. განვითარების ყველა საფეხურს – კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე ადამიანის პირველი ნაკვალევიდან გვიანფეოდ. ხანის ჩათვლით. მასალა (საყოფაცხოვრებო ნივთები, სხვადასხვა იარაღი) მოპოვებულია იყალთოში, გურჯაანში, თელავში, ზუზუმბოს გორაზე, ვანთაში და სხვა ადგილებზე წარმოებული არქეოლ. გათხრებით. მუზეუმშია კახეთის მნიშვნელოვანი ძეგლების ფოტოსურათები, ძვ. რუკები, ნახაზები; ადრეფეოდ. ხანის სარკოფაგი, ქვის ფრაგმენტი რელიეფით იყალთოს წმ. სტეფანეს ეკლესიიდან (X–XI სს.), კრამიტები ასომთავრული წარწერებით, კანკელის ფილა, იყალთოს ფერისცვალების ეკლესიის კანკელის სვეტი (VII ს.), ქტიტორთა პორტრეტები იყალთოდან (VI ს.), ალავერდის ტაძრის კანკელის სვეტი (XII ს.), კუნტურის ტაძრის ბალავრის ქვის ნაწილი (1587) ქართ. ასომთავრული წარწერით, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის განძი სოფ. მაღრაანიდან; ძვ. ქართ. ხელნაწერები: ,,ჟამნი“, ,,სადღესასწაულო გასაკეთებელი“, ვახტანგ VI-ისა და მეფე ერეკლე II-ის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები – ,,სახარება“ (1709), ,,კონდაკი“ (1709), ,,საქმე მოციქულთა“



თელავის ისტორიული მუზეუმი

(1709), ,,პარაკლიტონი'' (1786), ,,სახარება'' (1786), ,,მცირე ზატიკი'' (1788), ,,მარხვანი'' (1793); ხატები: ,,ღვთისმშობელი ყრმით'', ,,ქრისტეს ხელთუქმნელი ხატი'', ,,წმინდა გიორგი'', ,,იოანე ნათლისმცემელი''; ასევე საერო, საეკლ. და საოჯახო ნივთები; ნუმიზმატიკური კოლექციები: ქართ. (თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, დედოფალ რუსუდანის, ლაშა-გიორგისა და ერეკლე II-ის დროს მოჭრილი) მონეტები, არაბ., მონღოლური და რუს. ფული; ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს უნიკალური ნივთები; ოქრომკედით ნაქარგი შავი ხავერდის ქულაჯა, რ-იც საჩუქრად გადმოსცა მუზეუმს ბაგრატიონთა შთამომავალმა, აშშ-ში მცხოვრებმა ქ. ნაკაშიძემ (მისი დიდი ბებია იყო ერეკლე II-ის ქალიშვილი ქეთევანი), მეფე ერეკლე II-ის ხმალი წარწერით: ,,მეფემან ერეკლე დადიანს უძღვნი'' (1770); ბარძიმი, ირგვლივ ძვირფასად შემკული სლავური წარწერით (1794), ერეკლე II-ის საგვარეულო თასი, მისივე ნაქონი ფაიფურის თეფში, კედლის საათი (რომაული ციფრებით, ციფერბლატზე ყვავილოვანი ორნამენტებით), ერეკლე II-ის ახლობლების პორტრეტები და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი მასალა; ქართ. ტანსაცმელი – თავადის, გლეხის, ქალაქური, თუშური და ხევსურული; სხვადასხვა სახის ხელსაქმის ნიმუშები: ნაქარგები, ნოხები, ფარდაგები, თავად გ. ანდრონიკაშვილის ოჯახიდან ჩუქურთმიანი კარები, ჩუქურთმიანი კარადა და კომოდი; ყურძნის მტევნებით შემკული სპილენძის თასი თავად ყორჩიბაშვილის ოჯახიდან; ქართ. აკვანი, კიდობანი, კერამ. ნაწარმი, თიხის დოქები, ხის ხონჩები და სხვადასხვა საოჯახო ნივთი და სხვ. მუზეუმის ფოტოფონდი წარმოდგენილია ქ. თელავის შესანიშნავი ხედებით, ყოფა-ცხოვრების ამსახველი 7000-ზე მეტი ფოტომასალით (ა. როინაშვილი, ვ. როინაშვილი, დ. ერმაკოვი, ვ. ბარკანოვი, ბარკალაია, სოსნოვი, ტორი, სიმონოვი და სხვ. ფოტოხელოვანთა ნამუშევრები).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 1-II, თბ., 2015.

ც. ამირანაშვილი
გ. ბატიაშვილი.
თ. მახათელაშვილი.
თ. რუსიშვილი

თელავის მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიის თბილისის გუბერნიაში.

თ. მ. შეიქმნა 1801 წ. 12 ნოემბერს. თ. მ-ში შემავალმა თუშეთმა, ფშავმა და ხევსურეთმა 1826 თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის დისტანციები შეადგინეს, რ-ებიც შემდეგში საპრისტავოებად იწოდებოდა.

1840 წ. 10 მარტის ბრძანების თანახმად, რ-იც *საქართველო-იმერეთის გუბერნიის* შექმნას ეხებოდა, თ. მ. მნიშვნელოვნად გაფართოვდა, მას გაუქმებული *სიღნაღის მაზრა* შეუერთეს, 1841 წ. 16 ოქტომბერს კი ექვს საპოლიციო უბნად დაყვეს: თელავის, ყვარლის, სიღნაღის, უკანამხრის, თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის.

1842 თ. მ-ს ჩამოაშორეს თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის უბნები, რ-თაც დამოუკიდებელი თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგი შეადგინეს. თელავის უბანში დარჩა ოთხი საპოლიციო უბანი: თელავის, ყვარლის, სიღნაღისა და უკანამხრის.

1844 წ. 29 ნოემბერს დამტკიცდა დებულება თ. მ-ის გაყოფის შესახებ. მას ტერიტორიის ნაწილი ჩამოაშორეს და კვლავ აღადგინეს სიღნაღის მაზრა. თ. მ. თელავისა და ყვარლის უბნებად დაიყო.

1868 წ. 12 თებერვალს კავკასიის მეფისნაცვლის ცირკულარით, *თბილისის გუბერნიის* შემადგენლობაში მყოფი თიანეთის ოკრუგი თიანეთის საპრისტავოდ გადააკეთეს და თ. მ-ს შეუერთეს.

1874 წ. 3 ნოემბ. დებულებით, თ. მ-ს თიანეთის საპრისტავო ჩამოაცილეს და მისგან *თიანეთის მაზრა* შექმნეს.

თ. მ-ს თბილ. გუბერნიის აღმ. ნაწილი ეკავა, რ-იც ალაზნის ვალის უდიდეს ნაწილსა და ალაზნის შენაკადების (თელავისრიყე, ლოპოტა, თურდო, კისისხევი და დურუჯი) ხეობებს მოიცავდა. იგი ორ – წინანდლისა და ყვარლის – საბოქაულოდ იყოფოდა. ყვარლის ბოქაულის რეზიდენცია ყვარელში იყო, წინანდლისა – წინანდალში. თ. მ. გაუქმდა 1930. მისი ტერიტ., თანამედროვე ადმ. დაყოფის მიხედვით, თელავის, ახმეტის, ყვარლის და სიღნაღის მუნიციპალიტეტებს მოიცავს.


ზ. ცინცაძე.

თელავის მეაბრეშუმეობის საჯიშე-საცდელი სადგური, დაარსდა 1958. სადგურის ამოცანა იყო აბრეშუმის ჭიის ჯიშების გამრავლება, მათთვის დამახასიათებელი ბიოლ. და ტექნოლ. ნიშან-თვისებების შენარჩუნება-გაუმჯობესება და საგრენაჟო ქარხნების მომარაგება ელიტური გრენით (კვერცხით). საჯიშე გრენის დამზადება ხდებოდა ოთხწლიანი, სამწლიანი და ორწლიანი სქემით. თ. მ. ს.-ს. ს. მუშაობდა სამწლიანი სქემით. მას ქალაქის ტერიტორიაზე ეკავა 3 ჰა მიწის ნაკვეთი, აქედან 2 ჰა-ზე გაშენებული იყო თუთის პლანტაცია, 1 ჰა-ზე – საჭიე ბინები, ტექნოლ. და მიკროსკოპული ანალიზის ლაბორატორიები; გრენის გამოსაზამთრებელი მაცივარი და ადმ. ნაგებობანი. ქალაქიდან 3 *კმ*-ზე სადგურს ჰქონდა 8 ჰა თუთის პლანტაცია.

2000 თ. მ. ს.-ს. ს-მა საბოლოოდ ფუნქციონირება შეწყვიტა.

ა. მარჯანიშვილი.
გ. ნიკოლეიშვილი.

თელავის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთის რეგიონი). თ. მ-ს ჩრდ-ით და დას-ით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი, ჩრდ.-აღმ-ით – რუსეთის ფედერაცია (დაღესტანი), აღმ-ით – ყვარლის, სამხრ.-





თელავის მუნიციპალიტეტის გერბი.

აღმ-ით – გურჯაანის, სამხრ-ით – საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. ფართ. 1082,5 *კმ*². მოსახლ. 38,7 ათ. კაცი (2014). ცენტრი – ქ. *თელავი*. მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი, 29 სოფელი, 18 სათავო სოფელი, 4 თემი: თეთრი წყლების, რუისპირის, სანიორის, ფშავლის.

ისტორიული ცნობა. წერილობითი წყაროების მიხედვით, V ს-ში ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტ. (ჰერეთის საერისთავოს შემადგენლობაში) ქართლის სახელმწიფოში შემავალი ,,ქვეყანა'' იყო. VIII ს. II ნახ-ში აწინდელი კახეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ქართ. პოლიტ. ერთეული – ჰერეთის სამთავრო, რ-იც სხვა მხარეებთან ერთად, მოიცავდა შიგნით კახეთსაც, ე. ი. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიასაც. XII ს. დასაწყისში (ივ. ჯავახიშვილის ქრონოლოგიით 1104–05 წწ.) დავით აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთი გაერთიანებულ საქართველოს ფეოდ. სახელმწიფოს შემოუერთა. ამიერიდან თ. მ-ის ტერიტ. საბოლოოდ მოქცეულია ,,ყოველი საქართველოს'' პოლიტ. ფარგლებს შიგნით და წარმოადგენს მის ორგანულ, განუყოფელ ნაწილს.

XV ს-ში საქართველოს ერთიანი ფეოდ. მონარქიის პოლიტიკურად დაშლის შედეგად წარმოიქმნა გვიანდ. შუა საუკუნეების კახეთის სამეფო (1465–1762) და თ. მ-ის ტერიტორიაც მის შემადგენლობაში შევიდა. XVIII ს. II ნახევარში (1762) ის უკვე ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო. 1801 რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შედეგად თ. მ-ის ტერიტ. თელავის მაზრად ჩამოყალიბდა. 1917-მდე იგი შედიოდა ტფილისის გუბ. თელავის მაზრაში, 1921 ადმ.-ტერიტ. დაყოფით ისევ თელავის მაზრის შემადგენლობაშია, 1930–2006 დამოუკიდებელი რ-ნია, 2006-იდან – მუნიციპალიტეტი.

ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) თავის ნაშრომზე (,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'') თანდართულ სოფლების სიაში ახლანდ. თ. მ-ში შემავალი სოფლებიდან შეტანილი აქვს აკურა, გულგულა, ვარდისუბანი, იყალთო, კისისხევი, კონდოლი, კურდღელაური, რუისპირი, ქვემო ხოდაშენი, შალაური, წინანდალი. იოანე ბაგრატიონი 1794–99 ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დავალებით შესრულებულ ნაშრომში ,,ქართლ-კახეთის სოფლების აღწერა'' თ. მ-ში შემავალ სოფლებად იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დასახელებულ სოფლებს და შუამთის მონასტერს.

ბუნება. თ. მ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილი უჭირავს კახეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ.-დას. კალთებს. იგი აგებულია იურული და ცარცული ასაკის თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, თიხებით, მერგელებით, მერგელოვანი ფიქლებითა და კირქვებით. რელიეფი ძლიერ დახრილია და ღრმად არის დანაწევრებული V-ანაც სათავეს იღებს მდ. კისისხევი.

თ. მ-ის ცენტრ. ნაწილი უჭირავს მდ. ალაზნის აკუმულაციურ ვაკეს (350–600 *მ*). იგი აგებულია მეოთხეული ალუვიური, პროლუვიური და პროლუვიურ-დელუვიური კენჭნარით, ქვიშაქვებითა და თიხებით. ვაკე მდ. ალაზნით ორ ნაწილადაა გაყოფილი და უმნიშვნელოდ არის დახრილი სამხრ.-აღმ-კენ. ხევ-ხეობებით დანაწევრებული მთისწინეთის ზოლში ფართოდ არის განვითარებული გამოზიდვის კონუსები და შლეიფები.

ალაზნის ვაკეზე ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი



თელავის მუნიციპალიტეტი. ალაზნის ველი.

სებრი ციცაბოფერდობიანი ხეობებით. კავკასიონის მთავარი ქედის განშტოებებია საჯიხვე (მთა საჯიხვისთავი) და ანდარაზანი (მთა დიდი ანდარაზანი). წყალგამყოფთა თხემები დაკბილულია, ზოგან – გაშიშვლებული. კავკასიონის თხემურ ზოლში, აგრეთვე განშტოებათა მაღალ ნაწილში შეინიშნება მეოთხეული გამყინვარების კვალი პატარა ტროგული ხეობების, ცირკებისა და კარების სახით.

თ. მ-ის სამხრ.-დას. ნაწილი უჭირავს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთას. იგი აგებულია ძირითადად სარმატულ-კიმერიული კონგლომერატებით, ფხვიერი ქვიშაქვებითა და თიხებით. თხემურ ზოლში გაშიშვლებულია ცარცული კირქვები და ვულკანოგენური წყება – ტუფ-ბრექჩიები, ტუფ-ქვიშაქვები, პორფირიტები; თხემი მოსწორებულია. მდ-ების: თურდოს, კისისხევის, ვანთისხევის და სხვ. ხეობებითა და მშრალი ხევებით ღრმად დანაწევრებული გომბორის ქედის კალთა დამრეცად ეშვება ალაზნის ვაკისაკენ. ყველაზე მაღალია გომბორისა და მანავისცივის მთებს შორის მდებარე მონაკვეთი; უმაღლესია მთა ცივი (1991 *მ*), საიდ-ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 11–12°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 0,2°C, ივლ. 22–24 °C. აბსოლ. მაქს. 39°C, აბსოლ. მინ. –21°C. ნალექები 700–800 *მმ* წელიწადში.

გომბორის ქედზე, ზ. დ. 1200 *მ*-მდე, ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავაა, იცის გრილი ზაფხული, იანვ. საშ. ტემპ-რა –1°C, –3°C, ივლ. 19–22°C. აბსოლ. მინ. –25°C, აბსოლ. მაქს. 38°C. ნალექები 800–900 *მმ* წელიწადში. საშ. და მაღალმთიან ზონაში ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული; იანვრის საშ. ტემპ-რა –3°C, –6°C, ივლ. 16–20°C, ნალექები 900–1000 *მმ* წელიწადში.

კახეთის კავკასიონის დაბალმთიან ზონაში (1100–1200 *მ*-მდე) ზომიერად ნოტიო, თბილი ჰავაა, იცის გრილი ზაფხული. იანვ. საშ. ტემპ-რა –3, –3,5°C, ივლ. 18–19°C. ნალექები 1100–1150 *მმ* წელიწადში. უფრო ზემოთ ტემპ-რა ეცემა, ხოლო ნალექების რაოდენობა მატულობს და წლიურად საშ. 2000 *მმ* აღწევს.

თ. მ-ის მთავარი მდინარეა ალაზანი მარცხ. (სტორი და ლოპოტა) შენაკადებით. მარჯვ. შენაკადები უმთავრესად პერიოდული

მდინარეებია (თურდო, კისისხევი, ვანთისხევი, აკურისხევი და სხვ.). მდინარეების ნაწილი ალაზნამდე ვერ აღწევს – გზაში იკარგება ჩაჟონვის, აორთქლებისა და სარწყავად ხარჯვის გამო. ხშირია წყალმოვარდნა. ზოგი მდინარე სელური (ღვარცოფული) ხასიათისაა.

მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს, ვაკეზე, ჩამოყალიბებულია ალუვიური, ძლიერ კარბონატული თიხნარი ნიადაგი, მარცხ. მხარეზე – მდელო-ტყის ალუვიური, უკარბონატო თიხნარი ნიადაგი. იგივე ტიპი ფრაგმენტულად ვრცელდება მთისწინეთის, დაბალ- და საშუალმთიანეთის მთავარ მდინარეთა სანაპიროებზე. მთისწინეთის ზონაში ყავისფერი ნიადაგია. კახეთის კავკასიონისა და გომბორის ქედების კალთების ქვემო ნაწილში, შერეული ფართოფოთლოვანი ტყის ქვეშ, ჩამოყალიბებულია ტყის ყომრალი ნიადაგი; გომბორის ქედზე – კორდიან-კარბონატული ნიადაგი; ტყის ზონის ზემოთ მთის მდელოს კორდიანი, ალაგ-ალაგ კორდიან-ტორფიანი, შემდეგ კი მთის მდელოს პრიმიტ. ნიადაგია.

ალაზნის ვაკესა და მთისწინეთში თითქმის მთელი ტერიტ. კულტ. ლანდშაფტებს უჭირავს. დაუმუშავებელ მიწებზე სტეპის (უროიან-ვაციწვერიანი და ჯაგეკლიანი სტეპი), ტყესტეპის (ჯაგრცხილა, კუნელი, ასკილი, ძეძვი, შავჯაგა და სხვ.) და მეორეული ტყის (მუხნარ-ჯაგრცხილნარი) მცენარეულობაა. ვაკეზე შემორჩენილია ლეშამბოიანი ტყის ნაშთებიც. მდ. ალაზნის სანაპიროზე გავრცელებულ ჭალის ტყეებში იზრდება ვერხვი, ტირიფი, ჭალის მუხა, მურყანი და სხვ.

გომბორის ქედის დაბალმთიან და, ნაწილობრივ, საშუალმთიან ზოლში (1400 *მ*-მდე) მუხნარი, რცხილნარ-მუხნარი და ზოგან წიფლნარია. ტყის ზედა ზონაში (1800–2000 *მ*-მდე) გაბატონებულია წიფლნარი, რ-შიც შერეულია რცხილა და არყის ხე. პირველადი სუბალპ. მდელოები ცალკეულ კუნძულებადაა ცივის, მანავისცივისა და სხვა მთათა მიდამოებში.

კახეთის კავკასიონის კალთაზე ზ. დ. 800–1000 *მ*-მდე გაბატონებულია რცხილნარ-მუხნარი, რ-შიც შერეულია წიფელი, ზოგან ცაცხვი და წაბლი. 800–1000 *მ*-იდან 2000–2300 *მ*-მდე წიფლის ტყეებია, რასაც ერევა მუხა, რცხილა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, 2500–2600 *მ*-მდე სუბალპ. ტყე-ბუჩქნარი და მდელოებია. 3200–3400 *მ* სიმაღლემდე ვრცელდება ალპ. ბალახეულობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება მურა დათვი, შველი, არჩვი, მგელი, მელა, ტურა, გარეული ღორი, კურდღელი, დედოფალა, ბუჩქნარის მემინდვრია. მრავლადაა ფრინველი, მდინარეებში – ხრამული, მურწა, წვერა, ლოქო, კობრი და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. ჭალები, ძირითადად ტყის მცენარეულობით და ალუვიური ნიადაგებით; 2. ვაკე მდელოსტეპის მცენარეულობით ალუვიურ-კარბონატულ ნიადაგებზე; 3. ვაკე გამოზიდვის კონუსებით, ტყე-ბუჩქნარით, მდელო-ტყის ალუვიური, პროლუვიური და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით; 4. გამოზიდვის კონუსებიანი მთისწინეთი ჯაგრცხილნარ-მუხნარით, ტყის ყავისფერი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით, რცხილნარ-მუხნარით მთის ყავისფერ და ყომრალ ნიადაგებზე; 5. დაბალი მთები მუხნარითა და რცხილნარ-მუხნარით, ტყის ყომრალი და ტყის ყავისფერი ნიადაგებით; 6. ციცაბოფერდობიანი საშუალო მთები წიფლის, მუხისა და წაბლის ტყეებით, ტყის ყომრალი ნიადაგებით; 7. საშუალო მთები რცხილნარ-მუხნარითა და ფიჭვნარით, ტიპური და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგებით; 8. მთა-მდელოს ლანდშაფტი სუბალპ. ტყე-მდელოს და ალპ. მდელოს მცენარეულობით მთის მდელოს ნიადაგებზე.

მოსახლეობა. თ. მ-ის მოსახლეობის 86,5% ქართველია, 12,8% – აზერბაიჯანელი; ცხოვრობენ აგრეთვე ოსები, სომხები, რუსები და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 400–800 *მ* ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 35,8 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე.

მეურნეობა. სოფ. მეურნ. წამყვანი დარგია მევენახეობა; მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, განვითარებულია აგრეთვე მებაღეობა, ეთეროვანი ზეთების წარმოება, სარძეო-სახორცე მიმართულების მეცხოველეობა. ვაზის გავრცელებული ჯიშებია რქაწითელი, კაბერნე, საფერავი და სხვ. ნათესებში ყველაზე მეტი ფართობი უკავია საგაზაფხულო ხორბალს, საკვებ კულტურებს, სიმინდს. ითესება აგრეთვე საგაზაფხულო ქერი და მზესუმზირა. დიდი ფართობი უჭირავს ბოსტნეულსა და ბაღჩეულ კულტურებს.

მრეწვ. წამყვანი დარგია მეღვინეობა. XIX ს-იდან ფართო ბაზარზე გავიდა წინანდლის საუფლისწულო მამულის მეღვინეობის პროდუქცია. განვითარდა ევრ. წესით დაყენებული სუფრის სამარკო ღვინოების წარმოება. განთქმულია თ. მ-ის სამარკო ღვინოები: ,,წინანდალი'', ,,თელიანი'', ,,ნაფარეული''. ღვინის ქ-ნები არის თელავში, კურდღელაურში, წინანდალში, ნაფარეულში, თელიანში, აკურაში და სხვ. (იხ. სტ-ები *,,თელავის ღვინის მარანი''* და *,,თელიანი ველი''*). აღსანიშნავია ეთერზეთების მწარმოებელი შპს ,,კოპალა – 1898'' (ნაფარეული), არის მექანიკური და რკინაბეტონის ქ-ნები, კვების მრეწვ. საწარმოებიდან – თელავის ყველ-კარაქისა და საკონსერვო ქ-ნები, პურკომბინატი.

თ. მ. საქართვ. მნიშვნელოვან ცენტრებს უკავშირდება რკინიგზით, საავტ. მაგისტრალებით და საჰაერო მიმოსვლით. გაყვანილია საავტ. გზები თელავი–გომბორი–თბილისი და თელავი–გურჯაანი–საგარეჯო–თბილისი. 1950 ამოქმედდა თელავის აეროპორტი. 2016 გაიხსნა აეროპორტი *„მიმინო“*.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი დაწესებულებები, სავჭარო, სამუსიკო, სამხატვრო და სპორტ. სკოლები, პროფ. სასწავლებელი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, თელავის სახელმწ. უნ-ტი, ბ-კები, საკლუბო დაწესებულებები, ისტ.მუზეუმი (თელავი), სამხატვრო გალერეა (თელავი), ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი (წინანდალი), მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (იყალთო), თელავის სახელმწიფო დრამ. თეატრი, ნადიკვრის საზაფხულო თეატრი.

თელავში არის კულტ. და საინფორმაციო ტურიზმის ცენტრები, სასტუმროები, კულტ. და დასვენების პარკი ,,ნადიკვარი''.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება შპს ,,თელავის რაიონული საავადმყოფო'', შპს ,,ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი'', შპს ,,უნიმედი კახეთი'' და სხვა სამედ. დაწესებულებები.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. ისტ. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია *ძველი შუამთის* მონასტერი (V–VII სს.), *იყალთოს* სამონასტრო კომპლექსი (VI–IX სს.) და *იყალთოს აკადე-*



თელავის მუნიციპალიტეტი. რუისპირის წმინდა შიოს მონასტერი. XII–XIII სს.



თელავის მუნიციპალიტეტი. კისისხევის ყველაწმინდის გუმბათოვანი ეკლესია. VI–VII სს. გადაკეთებულია X–XI სს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძის და გ. ბედოშვილის გამოც., თბ., 1986.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XII ს. I მეოთხედამდე), თბ., 1970; მისივე, რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 1_{11}–თელავის მუნიციპალიტეტი, თბ., 2015.

თ. პაპუაშვილი.
ნ. სულხანიშვილი.
ვ. ჯაოშვილი.

თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა, დაარსდა 1758 ერეკლე II-ის ინიციატივით. რექტორად დაინიშნა *თბილისის სემინარიის* რექტორი ფ. *ყაითმაზაშვილი*. თ. ს.-ს. ს. არ იყო მხოლოდ სასწ. დაწესებულება, აქ რექტორის მოთავეობით მთარგმნელობითი მუშაობაც იყო გაჩაღებული. 1782 სკოლა გადაკეთდა *თელავის სემინარიად*.

თელავის საცდელი სადგური მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა, დაარსდა 1953 კახეთის ურაიათუბნის (ახლანდ. ვაზისუბნის) საცდელი სადგურის (1922), მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. საკავშირო ინ-ტის, აგრეთვე კურდღელაურის ექსპერ. ბაზის საფუძველზე. მუშაობდა კახეთის პირობებში ხილისა და ყურძნის მოსავლიანობის გაზრდისა და ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე. თ. ს. ს-ში ფუნქციონირებდა მევენახეობის აგროტექნიკის, ვაზის სელექცია-ჯიშთმცოდნეობის, ღვინის ტექნოლოგიის, მეხილეობის, მცენარეთა დაცვის განყ-ბები; აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის და აგროკლიმატოლოგიის ლაბორატორიები; ვაზის აბორიგენული (300-მდე) და უცხ. (600) ჯიშების საკოლექციო ნაკვეთი; მუზეუმი, ენოთეკა, ბ-კა; უვადო სარგებლობაში იყო ექსპერ. ბაზები (კურდღელაურის, რუისპირის, ვაზისუბნის), ასევე შალაურის სანერგე, თელავის ექსპერ. ღვინის ქარხანა. თ. ს. ს-ში შემუშავდა ვაზის სამრეწველო სორტიმენტი კახეთისათვის; გამოვლინდა რქაწითელის (№48) და ბუდეშურისებური საფერავის ვარიაციები; საფერავი 359-ის, მწვანე კახური 12-ის, ხიხვის მაღალმოსავლიანი კლონები (ავტორები: დ. ტაბიძე, ვ. ლოლაძე, ნ. სულხანიშვილი, ა. გავაკეთაშვილი).

2010-იდან თ. ს. ს. გარდაიქმნა დანერგვა-კონსულტირების მცირერიცხოვან ჯგუფად.

ნ. ჩხარტიშვილი. ნ. ჩხიკვაძე.

თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრი ვაჟა-ფშაველას სახელობისა, ქართული დრამატული თეატრი თელავში, რ-ის ტრადიციები ჯერ კიდევ XVII ს. II ნახევრიდან იღებს სათავეს სასკოლო-საეკლ. და ერეკლე II-ის სასახლის კართან არსებული თეატრების წარმოდგენებით. 1866 თეატრმა პირველ სპექტაკლად უჩვენა გ. ერისთავის ,,გაყრა''. იმავე წელს დაიდგა ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში''. მუდმივ თეატრ. დასს კი საფუძველი 1880-იდან ჩაეყარა. ამავე პერიოდში თეატრში ოპერეტაც კი დაუდგამთ (ჟ. ოფენბახის ,,მეჯლისი იტალიელებით''). XX ს. დასაწყისში თელავის თეატრში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები: ნ. გაბუნია, ვ. აბაშიძე, ა. ცაგარელი, მ. საფაროვა-აბაშიძე, ნ. ჩხეიძე, ლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი და სხვ. 1887–91 თელავის თეატრ. სპექტაკლებში მონაწილეობდა ა. ყაზბეგი (ა. მოჩუბარიძისა და ა. მოხევის ფსევდონიმით) და ე. ჩერქეზიშვილი (1917). პროფ. თეატრი თელავში გაიხსნა 1931–32 სეზონზე. 1931 თელავის სახ. თეატრს მიენიჭა სახელმწ. თეატრ. სტატუსი. ხელმძღვანელად დაინიშნა ვ. *გარიკი* (ვაჩნაძე). ამ პერიოდში თეატრ. დასში ირიცხებოდნენ: ძმები ს. და ბ. ზაქარიაძეები, პ. ახვლედიანი, თ. ბურბუთაშვილი, გ. პაპოშვილი, დ. მდივნიშვილი და სხვ. 50-იანი წლებიდან თეატრის სპექტაკლებში ხშირად მონაწილეობდნენ ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშვილი, შ. ღამბაშიძე, აქვე ხანგრძლივად მუშაობდა ე. ვერულაშვილი. 1990 თეატრს მიენიჭა ვაჟა-ფშაველას სახელი, ხოლო 2003-იდან – აკად. თეატრ. სტატუსი. სხვადასხვა წლებში თეატრში მოღვაწეობდნენ რეჟისორები: მ. ხერხეულიძე, მ. იარალი, გ. რობაქიძე. ა. ყიასაშვილი, ს. მებურიშვილი, გ. როსება, ბ. გამრეკელი, ნ. იონათამიშვილი, მ. ბესტავაშვილი, ნ. გოძიაშვილი, რ. ქართველიშვილი, შ. ბასილაშვილი, ვ. მაღალაშვილი, ნ. ხატისკაცი, ლ. პაქსაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ა. ქანთარია და სხვ. 2010–12 თეატრის მმართველი იყო დ. სხირტლაძე. 1982–83 სეზონში ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'' დადგა რეჟისორმა ჰ. *ვედეკინდმა*. თეატრის დადგმებიდან აღსანიშნავია: უ. შექსპირის ,,ოტელო'', კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა'', პ. ბომარშეს ,,ფიგაროს ქორწინება'', ,,კრაზანა'' (ე. ვოინიჩის მიხედვით), ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი'', ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' და ,,მზიანი ღამე'', რ. ჯაფარიძის ,,ჯარისკაცის ქვრივი'', ვ. ჰიუგოს ,,მარია ტიუდორი'',



თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა.

მ. ლერმონტოვის ,,მასკარადი'', ფ. გარსია ლორკას ,,სისხლიანი ქორწილი'', მ. ჯავახიშვილის ,,არსენა მარაბდელი'', პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'', თ. ჭილაძის ,,როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის'', ,,ნახვის დღე'', ,,სურათები საოჯახო ალბომიდან'' და ,,ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო'', გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა'', ო. მამფორიას ,,იეთიმ გურჯი'', რ. ინანიშვილის ,,ჩემი წყალ-ჭალის ხმები'' და ,,ალალე'', ლ. გოთუას ,,მეფე ერეკლე'', გ. დოჩანაშვილის ,,თავფარავნელი ჭაბუკი'', ჟ. ანუის ,,ქურდების მეჯლისი'' და სხვ. თეატრის დასში ირიცხებიან (2017) მსახიობები: თ. ხუნაშვილი, ი. იანტბელიძე, ნ. კურტანიძე, ზ. ლომიძე, ვ. ფეიქრიშვილი, გ. გელაშვილი, ნ. ხუმარაშვილი, ო. აღნიაშვილი, ნ. არავიაშვილი, კ. ქართველიშვილი, ლ. ჯალიაშვილი, დ. ნაცვლიშვილი, ი. შუშანაშვილი, ე. თავდიდიშვილი; ტექ. რეჟისორი – მ. ძამუკაშვილი; მხატვარი – ლ. როსტომაშვილი; მთ. რეჟისორი – გ. ჩაკვეტაძე, ე. ბაბილაშვილი, მ. აბრამიშვილი, ბ. სონღულაშვილი, ა. ცინკვერაშვილი, მ. მაისურაძე, ე. პაპუნაშვილი, დ. ბუნაშვილი, ე. ნერსესოვი, ლ. წიფლაშვილი; სამხატვრო ხელმძღვანელი – პ. გულიაშვილი.

ლიტ.: ზურაბიშვილი მ., თელავის თეატრი, თბ., 1984.

მ. გოგოლაშვილი. შ. ცუცქირიძე.

თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, იხ. *თელავის ისტორიული მუზეუმი.*

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი. გოგებაშვილის სახელობისა, დაარსდა 1939 თელავის პედაგოგიური (სამასწავლებლო) ტექნიკუმის (1924–39) ბაზაზე. 1939–51 ეწოდებოდა თელავის სამასწავლებლო ინ-ტი, 1951–99 – თელავის სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტი; 1940 ი. გოგებაშვილის დაბადებიდან მე-100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ინ-ტს მისი სახელი მიენიჭა, 1992 ინ-ტმა ავტონომია მოიპოვა და 1999 მიენიჭა უნ-ტის სტატუსი.

1992 თელავის პედ. ინ-ტში შეიქმნა ახ. სასწ. გეგმები; შემოიღეს ახ. სასწ. დისციპლინები: ქართ. და მსოფლიო კულტ. ისტორია, ქართ. სამართლის ისტორია, რელიგ. ისტორია, საღვთო სჯული; არასპეც. ფაკ-ტებზე სავალდებულო იყო ქართ. ენა და ლიტ-რა, საქართვ. ისტორია, საქართვ. გეოგრაფია. 1999-თვის ინ-ტში სწავლების ვადა იყო 5 წელი სწავლების დასწრებული და დაუსწრებელი ფორმით; მოქმედებდა სახელმწ. და კერძო დაფინანსების სექტორები.

2017-თვის თ. ს. უ-ში სწავლება მიმდინარეობდა განახლებული პროგრამით ქართ. ენაზე. სწავლება იყო სამსაფეხურიანი: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, მუშაობდა აგრეთვე პროფ. განათლების საფეხური.

თ. ს. უ-ში ფუნქციონირებდა 5 ფაკ-ტი შესაბამისი დეპარტამენტებით: აგრ. მეცნიერებათა; განათლების; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტები. მოქმედებდა აგრეთვე ქართ. ენაში მომზადების საგანმან. პროგრამები აზერბ. და სომხურენოვანი მოსახლეობისათვის.

თ. ს. უ-ში ფუნქციონირებს საუნივერსიტეტო ენციკლოპედია,



თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სოციოლოგიური კვლევითი ჯგუფი, უცხო ენებისა და პროფ. გადამზადების ცენტრი, კავკ. კვლევების ცენტრი, არქეოლ. კაბინეტი, იურიდ. კლინიკა, შავი ზღვის საერთაშ. უნ-ტის მეგობრობის უცხო ენათა ცენტრი. მოქმედებს სხვადასხვა ქვეყნის კულტ. და ლიტ-რის შესწავლის ცენტრები.

დაარსებისთანავე თ. ს. უ-ს დაეთმო ,,კახეთის სამეფოს სასახლე''. 1973 კი განლაგდა მხოლოდ მისთვის აშენებულ სპეც. კომპლექსში. ამჟამად უნ-ტი განთავსებულია 4 სასწ. კორპუსში, აქვს ღია და დახურული სპორტული მოედნები, ხელოვნების და კულტ. ცენტრი, რაც განლაგებულია 7 ჰა ფართობის გამწვანებულ ტერიტორიაზე.

თ. ს. უ-ს აქვს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბ-კა 2 ათ-ზე მეტი დაცვითი ერთეულით; 30-ზე მეტი კაბინეტ-ლაბორატორია, სასწ. სახელოსნო; ფუნქციონირებს ინტერნეტის ქსელი, კომპიუტერული ცენტრი, აგრეთვე საზ. ორგანიზაციები: სპორტული, ახალგაზრდა მეცნიერთა, ინტელექტუალთა; იუმორისტული და სადისკუსიო კლუბები; სტუდენტურ ცხოვრებას კოორდინაციას უწევს უნ-ტის სტუდენტური თვითმმართველობა.

1947–73 გამოვიდა თელავის ინ-ტის შრომების 8 ტ., შემდეგ შრომები იბეჭდებოდა ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტის ერთობლივ შრომათა კრებულებში, 1998-იდან განახლდა თელავის პედ. ინ-ტის შრომათა კრებულის გამოცემა. ამჟამად ყოველწლიურად ქვეყნდება თ. ს. უ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტთა და სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებულები. 2010-იდან წელიწადში ორჯერ გამოდის ჟურნ. ,,თელავის უნივერსიტეტი''.

თ. ს. უ. თანამშრომლობს საქართვ. სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე ამერ. და ევრ. უნ-ტებთან. თელავის უნ-ტის სტუდენტები და აკად. პერსონალი მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში; თ. ს. უ-ში წარმატებით ხორციელდება რამდენიმე საერთაშ. პროექტი, მ. შ. ,,ერაზმუს მუნდუსისა'' და ,,ტემპუსის'' პროექტები. უნ-ტში იმართება რესპ. და საერთაშ. მასშტაბის კონფერენციები. თ. ს. უ-ის საპატიო დოქტორის წოდება აქტ. თანამშრომლობისა და სამეცნ.-პრაქტ. მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვთ გერმანიის (ქ. ბიბერახი) და თურქეთის ცნობილ მეცნიერებს.

1999-იდან თელავის უნ-ტში დაწესებულია ანტონ I კათოლიკოსის ი. ბერიტაშვილის, ლ. ბერიშვილის, გაიოზ რექტორის ი. გოგებაშვილის, ერეკლე II-ის, გ. ლეონიძის, ა. რაზმაძის, გ. ჩოხელის, ივ. ჯავახიშვილის სახელობითი სტიპენდიები. თსუ-ში ფუნქციონირებს მარი ბროსეს საზ-ბა.

თელავის სახელმწ. ინ-ტის დირექტორები იყვნენ: დ. შაფაქიძე (1939–41), ტ. სარიშვილი (1941–42), შ. სიხარულიძე (1942–43), ნ. ჩახვაშვილი (1943–46), დ. შაფაქიძე (1946–50); თელავის სახელმწ. ინ-ტის რექტორები: ი. ნანობაშვილი (1950–54), ვ. ციხისთავი (1954–59), ნ. ქორთუა (1959–84), კ. ივანიძე (1984–85), ნ. მალუძე (1985–88), რ. ჭიკაძე (1988–2004), გ. გოცირიძე (2004–10), თ. ჯავახიშვილი (2010–13), ა. ღელაღუტაშვილი (2013–14); 2015-იდან ი. შიოშვილი.

ი. შიოშვილი.

თელავის სემინარია, საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სასწავლებელი. 1782 *თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა* გადაკეთდა მ. ს-დ. პირველ რექტორად ერეკლე II-მ დანიშნა გაიოზი (იხ. *გაიოზ რექტორი*), რ-იც მხოლოდ 1782–83 ხელმძღვანელობდა სემინარიას, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობის ჩატარება მოასწრო. მისი პედ. შეხედულებანი ნათლად გამოიკვეთა სემინარიის დაარსებისადმი მიძღვნილ ზეიმზე წარმოთქმული სიტყვით: ,,აწ თქვენდამი მივაქცევ ყოველსა სიტყვასა ჩემსა, საყვარელნო შვილნო ჩემნო, რათა განმშვენდეთ ყოვლად ძვირფასითა ამით სიბრძნისა სწავლულებითა, დანერგეთ ესე გონებასა და გულსა შინა თქვენსა, დაიცვევით საუნჯე ესე დიდფასი, იღვაწეთ სვლად ყოვლადდიდებულსა ამას გზასა ზედა, განაშენეთ ადგილი ესე საღმრთო წმიდითა ქცევითა თქვენითა, თანამოღვაწე ექმენით ყოვლად დიდებულსა ამას გზასა – ჰაზრსა ხელმწიფისა ჩვენისასა, ჰყავთ თავი თქვენი სიბრძნისა შემკულებითა ნუგეშად მამობრივისა გულისა მისისა“. 1783 გაიოზ რექტორმა დატოვა თელავი. იგი შეცვალა დ. ალექსი-მესხიშვილმა, *დავით რექტორად* წოდებულმა. მისი მოსვლის დღიდან სემინარიაში უფრო ფართოდ გაიშალა საგანმან. მუშაობა; იგი თვითონ ასწავლიდა გრამატიკას, თეორ. ფიზიკას, ეთიკას. იოანე ბატონიშვილის სიტყვებით: ,,დავითმა ასწავლა სკოლასა შინა თელავს მრავალთა მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი“ (უმეტესწილად ეს იყო საერო ხასიათის დისციპლინები). სემინარიაში ასწავლიდნენ: გრამატიკას, პოეტიკას, რიტორიკას, ლოგიკას, კატეგორიას, მეტაფიზიკას, ფიზიკას, ფილოსოფიას, საღვთო სჯულს, საეკლ. ისტორიას, ქართ. ენას, არითმეტიკას, სამოქალაქო ისტორიას და სხვ. სემინარიაში დანერგილი იყო მოსკოვის სასწ. აკადემიების სქოლასტიკა, სახელმძღვანელოთა უმრავლესობა თარგმნილი იყო რუსულიდან, ამიტომ მათში ქართ. ენის ლექსიკასა და სინტაქსს ეტყობოდა რუსიციზმის გავლენა. სწავლება უმეტესად გავრცელებული იყო ,,კითხვა-მიგების“ მეთოდით. დავით რექტორმა სემინარიაში დააარსა ლიტ.-შემოქმედებითი წრე, სადაც იმართებოდა პაექრობა-დისპუტები; დასწრება თავისუფალი იყო, შედეგად დამწყრე საზოგადოებაშიც იღვიძებდა ინტერესი განათლებისა და მეცნიერებისადმი. წრეში გაერთიანებული იყო 14 სემინარისტი: მ. ანდრონიკაშვილი, ე. ქობულაშვილი, დ. მიქელაძე, ი. გარეჯელი და სხვ. მეფე ერეკლე ყურადღებას არ აკლებდა სემინარიას. ხშირად ეწვეოდა ამ სასწავლებელს და წახალისების მიზნით აჯილდოებდა წარჩინებულ მოსწავლეებს. სემინარიაში აღიზარდა მრავალი გამოჩენილი საერო თუ სას. მოღვაწე. მ. ს-მ XIX ს. დამდეგამდე იარსება.

თელავის სურათების გალერეა ქ. იაშვილის სახელობისა, დაარსდა 1963 ექიმ-კოსმეტოლოგ ქეთევან იაშვილის პირადი კოლექციის ბაზაზე, რ-იც მან უსასყიდლოდ გადასცა *თელავის ისტორიულ მუზეუმს*. კოლექცია განთავსდა მონადირეთა კავშირის შენობაში, სადაც ის გაიხსნა კიდეც იმავე წელს ქ. იაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით. 1974 მუზეუმს გადაეცა თელავის II საშ. სკოლის შენობა (,,ბატონის ციხის“ დას. ნაწილში), სადაც 1977 კოლექციამ სამუდამოდ დაიდო ბინა. 2011–12 წლებში თელავის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად შენობა დაანგრიეს. ახალი შენობა მშენებლობის პროცესშია.

მ. ს. გ-ში ძირითადად თავმოყრილია ქართ., რუს. და ევრ. სამხატვრო სკოლების მნიშვნელოვანი ორიგინალები; მათი ძირითადი ნაწილი გამოფენილია სტაციონარულ ექსპოზიციაში, ნაწილი კი ფონდში ინახება. ექსპოზიციაში გამოფენილი ფერწერული ტილოებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართ. რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გ. გაბაშვილის სურათები: ,,ალავერდობა“, ,,ნატიურმორტი“, ,,აღმოსავლეთის ბაზარი“; ლ. გუდიაშვილის ,,XII საუკუნე“; ე. ახვლედიანის ,,ალაზნის ველი“, ,,ფიქრის გორა“, ,,ძველი თელავი“; დ. გველესიანის ,,ავტოპორტრეტი“; ი. თოიძის ,,ქალის პორტრეტი“, ,,ფშაველი ქალი“; რუსი ფერმწერების: ი. აივაზოვსკის ,,ზღვის პეიზაჟი“; ი. კრამსკოის მიერ შესრულებული პორტრეტები; ი. კლევერის პეიზაჟები; ძმების კ. და ვ. მაკოვსკების ,,საოჯახო პორტრეტი“; ვ. მაკოვსკის ,,შეხვედრა“ (ეტიუდი); ვ. პალენოვის ,,შვეიცარიის პეიზაჟი“; გერმ. მხატვრის კ. პილოტის ,,მეფე ლუი XVII იაკობინელების ტყვეობაში“; XVIII–XIX სს. უცნობი ევრ. ოსტატების მიერ შესრულებული სურათები, რ-თა შორის ჭარბობენ ჰოლანდ. და იტალ. მხატვრები. ფერწერული ტილოების გარდა, ექსპოზიციაში წარმოდგენილია უნიკალური ნივთები: ,,რომის ხედები“ (მოზაიკა), ,,აგატის ქვა“ თევზის თავის ფორმისა, ,,იაპონური ღმერთი“ (ბრინჯაო), იაპონური იატაგანი (ვადა სპილოს ძვლის), ,,მადონა ყრმით“ (სპილოს ძვალი) და სხვა მრავალი.

გ. ბატიაშვილი.
თ. მახათელაშვილი.



თელავის სემინარიის ყოფილი შენობა. ამჟამად I საჯარო სკოლა.

„თელავის ღვინის მარანი“ (სააქციო საზოგადოება), ღვინის კომპანია, ღვინის მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საწარმო. მდებარეობს კახეთში, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. კურდღელაურში (თელავის მუნიციპალიტეტი). დაარსდა 1915. შემდეგ (1917) მოხდა მისი ნაციონალიზაცია. მომდევნო წლების განმავლობაში საწარმო ფუნქციონირებდა სახელმწ. დაქვემდებარებაში. 1969 აქ აშენდა კურდღელაურის ღვინის ქ-ნა – პირველადი მეღვინეობის



„თელავის ღვინის მარანი“.

საწარმო, სადაც ხდებოდა ყურძნის მიღება-გადამუშავება და ჩამოსასხმელი ღვინის გადატვირთვა დასაძველებელ და ჩამომსხმელ საწარმოებში.

1995-იდან, კურდღელაურის ღვინის ქ-ნის პრივატიზების შემდეგ, მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა და საწარმოს დაუბრუნდა პირვანდელი სახელწოდება – ,,თ. ღ. მ.“ 1997–2013 ჩატარდა მარნის სრული ტექ. გადაიარაღება, კომპა-



„თელავის ღვინის მარანი“. ქვევრები.

ნია აღიჭურვა ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელი თანამედროვე მანქანა-დანადგარებით: ფილტრაციისა და სტაბილიზაციის დანადგარებით, ტემპ-რის სრული კონტროლის სამაცივრე სისტემით, უჟანგავი ფოლადის ცისტერნებით ღვინის დადუღებისა და შემდგომი შენახვისათვის და 1000 მუხის კასრით ღვინის დასაძველებლად. დაინერგა წარმოების სრული ციკლი – ვაზის ნერგის გამოყვანიდან ღვინის ბოთლში ჩამოსხმამდე. ამ მიზნით შეიქმნა ვაზის სანერგე მეურნეობა, 300 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა ვენახი (წინანდლის,



„თელავის ღვინის მარანი“. სავაჭრო ნიშანი.

მუკუზანისა და ქინძმარაულის ზონებში) როგორც ადგილობრივი, ასევე უცხ. ყურძნის ჯიშებისაგან. კომპანია წელიწადში უშვებს 70 სხვადასხვა დასახელების 4,5 მლნ-ზე მეტ ბოთლ ღვინოს სავაჭრო ნიშნით ,,მარანი“ და ,,სატრაპეზო“, აგრეთვე სხვა ალკოჰოლურ სასმელებს (ჭაჭის არაყი, ბრენდი, ცქრიალა ღვინო). გამოშვებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი საექსპორტოა და იგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (აშშ, ბალტიისპირეთი, იაპონია, ინგლისი, კანადა, პოლონეთი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, შვეიცარია, ჩინეთი, ჰოლანდია და სხვ.).

საწარმოს პროდუქციას ღვინის საერთაშ. კონკურსებსა და დეგუსტაციებზე (2000–17) მიღებული აქვს 3 გრან-პრი (2003, 2005 – რუს. ფედერაცია; 2004 – უკრაინა) და 28 ოქროს, 105 ვერცხლისა და 141 ბრინჯაოს მედალი. კომპანიის ღვინოები შეტანილია წიგნში ,,მსოფლიოს 1000 საუკეთესო ღვინო“ (პარიზი, 2006, 2008).

ზ. რამაზაშვილი.

თელავისხევი, თელავისრიყე, პერიოდული მდინარე თელავის მუნიციპალიტეტში, ალაზნის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 21 *კმ*, აუზის ფართ. 50 *კმ*^{2}. სათავეს იღებს გომბორის ქედის აღმ. განშტოება კაცებისღვედზე, ზ. დ. 1900 *მ*-ზე. ჩამოუდის ქ. თელავს. საზრდოობს ატმოსფერული ნალექებითა და მიწისქვეშა წყლით. გაზაფხულზე იცის წყალმოვარდნა.

თ. კიკილაშვილი.

თელათგორი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის წინარეხის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 770 *მ*, კასპიდან 18 *კმ*, კავთისხევიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ*. 211 მცხ. (2014).

სოფლის ტერიტორიაზე მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორა. სოფელი წყაროებში გვხვდება თელეთგორის სახელითაც.

შეტანილია ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სოფელთა სიაში. 1865 თ. შედიოდა ხიდისთავის უბნის წინარეხის სასოფლო თემში, ცხოვრობდა 18 კომლი. თ-ის მამულები ეკუთვნოდა თურმანიძეებს.

სოფლის შუაში, შემაღლებულ ადგილზე, გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია დგას. ეკლესიას დას-ით აქვს სწორკუთხა მინაშენი, რ-იც წმ. თევდორეს სახელს ატარებს. იგი ეკლესიას უკავშირდება დას. კედელში გაჭრილი კარით.

წყარო: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბ., 1964. *ჯ. გვასალია.*

თელათგორის არქეოლოგიური ძეგლები, მრავალფენოვანი გორა-ნამოსახლარი, ნაქალაქარი და სამაროვანი სოფელ თელათგორში, მდ. კავთურის (მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში (გაითხარა კასპის რ-ნის ექსპედიციის მიერ 1976–89 წლებში). ნამოსახლარი გორა, ე. წ. საფუზრების გორა, ამოზიდული ტიპისაა. ზედაპირულად აკრეფილია გვიანბრინჯაოს ხანიდან ანტ. ხანამდე ყველა დროის თიხის ჭურჭლის ნატეხები. გორანამოსახლარს სამხრეთიდან ეკვრის ნაქალაქარი (ფართ. დაახლ. 15 *ჰა*). დადასტურებულია 3 კულტ. ფენა: I – გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის (ძვ. წ. XIII–VIII სს.) ორმოსამარხები. გაითხარა გრუნტში ჩაჭრილი ოვალური ფორმის 11 სამარხი, სადაც მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით. ჩატანებული ჰქონდათ ლეგად გამომწვარი და შავად გაპრიალებულზედაპირიანი ჭურჭელი, შემკული პრიალა ხაზებით, რომბებით, ირიბი და დაშტრიხული სამკუთხედებით, ტალღისებური და ბადისებური სარტყლებით. აღმოჩნდა აგრეთვე ფოთლისებრი სატევრები.

II ფენაში (ძვ. წ. III–I სს.) გამოვლინდა ნასახლართა ნაშთები. გაითხარა 5 სახლი. იატაკი თიხატკეპნილია, სახლი კრამიტით ყოფილა გადახურული. იატაკზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა წითლად შეღებილ-მოხატული სუფრის ჭურჭელი და ქვევრის ნატეხები. მოხატულობაში ჭარბობს გეომ. სახეები და სიუჟეტური ნახატები. ნასახლარზე მრავლად იყო წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტი.

III ფენაში (I–III სს.) გამოვლინდა რომაული ხანის სამაროვანი. სამარხები უშუალოდ ნასახლარში იყო ჩაჭრილი. გაითხარა 7 სამარხი (ორმოსამარხი, კრამიტსამარხი და ქვევრსამარხი). ყველა ტიპის სამარხში დამარხვის წესი იდენტურია. მიცვალებული ასვენია მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით სამხრეთისკენ ან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. სამარხის ნივთებიც იდენტურია – მცირე ზომის

სუფრის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის სამკაული. კრამიტსამარხში აღმოჩნდა ავგუსტუსისა და გოტარზესის I ს. ვერცხლის მონეტები.

მასალა ინახება კავთისხევის არქეოლ. ბაზაში.

ლიტ.: ბოხოჩაძე ა., ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, ПАИ за 1978 и 1979 гг.; სიხარულიძე ა., აშუთიძე ა. მოგვთა კარის სამაროვანი, «საქართვ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე», 99, №2, 1980; Гагошидзе Ю., Самадло I-II, Тб., 1981–82.

რ. კვიტაშვილი.

„თელასი“ (სააქციო საზოგადოება), თბილისის ელექტროსადისტრიბუციო კომპანია, რომელიც დედაქალაქის მომხმარებლებს ელექტროენერგიით უზრუნველყოფს. სააქციო საზ-ბად ჩამოყალიბდა 1995 მაისში თბილ. საქალაქო საბჭოსთან არსებული მუნიციპალური საწარმოს „თელასის“ ბაზაზე, რ-იც, თავის მხრივ, შეიქმნა 1993 წ. 7 ოქტომბერს.

საქართვ. დედაქალაქში ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების ისტ. დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1887, როდესაც ი. ჭავჭავაძის თაოსნობით თბილისში ამუშავდა პირველი ელექტროსადგური, რ-საც 90-იან წლებში იყენებდნენ ქალაქის ზოგიერთი საზოგადოებრივი ნაგებობის გასანათებლად. მერიის არქივში დაცულ დოკუმენტებში თბილ. ენერგეტიკული ნაგებობების სამმართველო პირველად მოხსენიებ**ულია 1921.** „თბოელექტროქსელი“ (შემოკლებით „თელასი“) დაფუძნებულ იქნა 1937 თბილ. საქალაქო საბჭოსთან, ასრულებდა ორ ფუნქციას – ტექნიკურს და კომერციულს. იმ პერიოდში „თ.“ ელექტროენერგიას იღებდა მხოლოდ ერთი ობიექტიდან – *„ზაჰესიდან“*, რ-იც აშენდა რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწ. გეგმის (ГОЭЛРО) მიხედვით.

ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში (1991–98) ქალაქის ელექტროქსელი დიდი შეფერხებებით მუშაობდა – ხშირი იყო ავარიები, დაგროვდა სხვადასხვა ხასიათის ტექ.-ეკონ. პრობლემები. საჭირო გახდა ქსელის რეაბილიტაცია. დღის წესრიგში დადგა „თ.-ის“ პრივატიზების საკითხი, რ-იც განხორციელდა 1998 წ. 22 დეკემბერს. პრივატიზების შედეგად აქციების 75%-ის მფლობელი 1999 წ. 4 იანვრიდან გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი დამოუკიდებელი ენერგოკომპანია „სილქ როუდ ჰოლდინგს ბ. ვ-ის“ (Silk Road Holdings B. V.) ამერ. კორპორაცია „ეი-ი-ეს-ი“ (AES). ამ პერიოდიდან „თ-ს“ ეწოდა „ეი-ი-ეს თელასი“. საქართვ. ენერგოსისტემაში კორპორაცია „ეი-ი-ეს-ის“ შემოსვლით განხორციელდა მსხვილი ინვესტიციები, რ-იც მოხმარდა „თ-ის“ ქსელის განვითარებასა და რეაბილიტაციას. 2003 აგვისტოში ამერიკულმა კორპორაცია „ეი-ი-ეს-მა“ „სილქ როუდ ჰოლდინგს ბ. ვ-ის“ აქციათა პაკეტის 100% მიჰყიდა ფინურ კომპანიას – სააქციო საზ-ბა „რაო ნორდიკ ოი-ს“ (RAO Nordic Oy), რ-ის ერთადერთი აქციონერია ღია სააქციო საზ-ბა *„ინტერ რაო“*. ამ დროიდან „თ-ის“ აქციათა 75% ჯგუფ „ინტერ რაოს“, ხოლო აქციათა დაახლოებით 25% სახელმწიფოს საკუთრებაა.

ამჟამად „თ.“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელური კომპანიაა, რ-იც ახორციელებს ელექტროენერგიის განაწილებასა და გასაღებას. მისი საქმიანობის ძირითადი სფეროა: ელექტროენერგიის შესყიდვა და გაყიდვა; ელექტრული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია; ელექტროენერგიის სატრანზ. მომსახურება; აბონენტთა ტექ. მომსახურება; თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგებისა და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირება.

საქართველოში თბილისი ელექტროენერგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია. 2017 მონაცემებით დედაქალაქში ელექტროენერგიის წლიური მოხმარება შეადგენს დაახლოებით 2,9 მლრდ. *კვტ·სთ*, რაც ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერგიის 27,6 % შეადგენს. კომპანია ემსახურება 600 ათას აბონენტზე მეტს. მომხმარებელთა მომსახურება და ელექტრული ქსელის ექსპლუატაცია ხორციელდება 9 ბიზნესცენტრში, რ-ებიც განთავსებულია ქალაქის ყველა ადმ. რ-ნში. დედაქალაქის ელექტრული ქსელის საერთო სიგრძე 5338 *კმ* შეადგენს. 110/35 *კვ*-იანი დამადაბლებელი ქვესადგურების რაოდენობაა 36; 6–10/0,4 *კვ*-იანი სატრანსფორმატორო ქვესადგურების – 1986. თბილისი ელექტროენერგიას ძირითადად ღებულობს ჰიდროელექტროსადგურებიდან – *„ენგურჰესი“*, *„ხრამჰესი-I“*, *„ხრამჰესი-II“* და „გარდაბნის თბოელექტროსადგურიდან“.

ზ. ვაშაკიძე.

თელეთი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების: *ზემო თელეთის, მუხრან-თელეთისა* და *ქვემო თელეთის* გავრცელებული სახელწოდება.

თ. მდებარეობდა ქვემო ქართლში, მდ. ალგეთის ხეობაში, თბილ. მახლობლად, თელეთის ქედის სამხრ. კალთაზე. მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრებაში“ XVI ს. 40-იან წლებში შაჰ-ისმაილის შემოსევისას: „ღელე თელეთისა“ და „მთა თელეთისა“, სადაც მეფე ლუარსაბ I დახვდა მას ქართველთა ჯარით. თ. მოხსენიებულია აგრეთვე XVII–XVIII სს. ისტ. საბუთებში. მას იხსენიებს *ვახუშტი*



თელეთი. წმინდა გიორგის ეკლესია.

ბატონიშვილიც (XVIII ს.): ,,კუმისის აღმოსავლით, მტკურისაკენ, არს თ ე ლ ე თ ი ბ ი და ეკლესია წმიდისა გიორგისა სასწაულთმოქმედი''. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ ქვემო ქართლის სოფლების სიაში ალგეთის ხეობაში მოხსენიებულია თელეთის 4 სოფელი, ხოლო მისსავე რუკებზე დატანილია ორი თელეთი: ხატის-თელეთი და მუხრან-თელეთი.

XVIII ს-ში თ. *ბარათაშვილებს* აღარ ეკუთვნოდათ. მისი მებატონე ამილახორი და მუხრანბატონია. სახელი მუხრან-თელეთიც მაშინ ეწოდა. წმ. გიორგის ეკლესია, სადაც დიდი დღეობა ,,თელეთობა'' იმართებოდა, არის XIX ს-ში აგებული სომხ. ეკლესია, რ-იც ძვ. ეკლესიის ადგილზე დგას.

თ. თოდრია.

თელეთის ბრძოლა 1522, ბრძოლა ქართლის სამეფოსა და სპარსეთს შორის. 1518-იდან აღმ. საქართველო და სამცხე-საათაბაგო სეფიანთა სპარსეთის ვასალები გახდნენ. ქართვ. მეფე-მთავრები ვასალობიდან გათავისუფლებისათვის იბრძოდნენ. 1522 შაჰ ისმაილ I-მა ურჩი ვასალის დამორჩილების მიზნით ქართლში ლაშქრობა გადაწყვიტა. დავით X-მ შაჰს ზავი სთხოვა. ისმაილი დავითის თავისთან გამოცხადებასა და მისგან მაჰმადიანობის მიღებას მოითხოვდა, რაზედაც იგი არ დათანხმდა. ამასთან დავით X თავდაცვისათვის ემზადებოდა. მას კახეთიდან და სამცხიდან მაშველი რაზმები მოუვიდა, ასევე დაიქირავა ჩრდ. კავკასიელი მეომრები, გაამაგრა ციხე-კოშკები, განსაკუთრებით – თბილ. ციხე. ბრძოლა გაიმართა სოფ. თელეთთან (ახლანდ. გარდაბნის მუნიციპალიტეტი). პირველ შეტაკებაში ქართველებმა მტერი უკუაქციეს, მაგრამ მტრის სარდლობამ ჯარი შემოაბრუნა და ქართველთა ლაშქარს კვლავ შეუტია. მეფის შვილი, ლუარსაბი, ენერგიულად ეკვეთა მტერს, მოსწყვიტა მას ერთი ფრთა და გაქცეულს უკან დაედევნა. ყიზილბაშთა სხვა რაზმებიც გაიქცნენ. შაჰს მოშორებით რჩეული რაზმი ჰყავდა ჩასაფრებული. როცა მტერს დადევნებული ქართველები ამ ადგილს გასცდნენ, ყიზილბაშებმა ზურგიდან დაარტყეს მათ და ქართველები დაამარცხეს. მეფე შიდა ქართლში დაბრუნდა და ახ. ბრძოლისათვის სამზადისს შეუდგა. მაგრამ შაჰის ჯარმა ციხისთავის ღალატით თბილისი აიღო, ააოხრა, ეკლესიები გაძარცვა და შემდეგ გადაწვა, ავლაბრის ხიდთან მეჩეთი ააგო და თბილ. ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენა.

თ. ბ-ის შესახებ ქართ. ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ნ. ბერძენიშვილს თ. ბ. რეალობად მიაჩნდა. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით (დ. კაციტაძე, რ. კიკნაძე), შაჰ ისმაილი საქართველოში არ ყოფილა. ვახუშტი თვლიდა, რომ თ. ბ-ის ფაქტი სიმართლეა, თუმცა საეჭვოდ მიაჩნდა ამ ბრძოლაში თავად შაჰის სარდლობა. ახ. ქართლის ცხოვრების მიხედვით შაჰ ისმაილის ეს ლაშქრობა ლუარსაბ I-ის დროს მოხდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*

თელეთის ძეგლი, *თრიალეთის ქედის* სამხრ.-აღმ. განშტოება. აღმ-ით ეშვება მტკვრის ხეობამდე, სამხრ-იდან საზღვრავს თბილ. ქვაბულს. გადაჭიმულია 13–14 *კმ*-ზე. სიმაღლე – 1100 *მ*-მდე. აგებულია შუაეოცენური ვულკანოგენური ქანებით. აქვს მოსწორებული თხემი და მშრალი ხევებით დანაწევრებული კალთები. შემოსილია უმეტესად ჯაგეკლიანი ბუჩქნარით. კალთების ქვემო ნაწილში ხელოვნურად გაშენებული ტყეებია, მ. შ. ფიჭვნარი. თ. ძ-ის აღმ. დაბოლოებაზეა მთა *შავნაბადა.* ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე შეფენილია სოფლები: შინდისი, ტაბახმელა; სამხრ. კალთაზეა ზემო თელეთი, მუხრან-თელეთი და ქვემო თელეთი. *მ. ხარატიშვილი.*

თელეთობა, რელიგიური ხალხური დღესასწაული, რომელიც თბილისის მახლობლად, სოფელ თელეთში, წმ. გიორგის ეკლესიაში ამაღლების (აღდგომიდან მეორმოცე დღეს) დღესასწაულზე აღინიშნება. სოფლის მთავარი სიწმინდის წმ. გიორგის ეკლესიის და მასში დაბრძანებული წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ხატის გამო სოფელს XIX ს-მდე ხატის თელეთი ერქვა.

თ-ზე ღამის გასათევად შესაწირავით მიდიოდნენ თელეთელი და სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსული მლოცველები (ქართველები, სომხები), განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მას თბილისელები. ძველად კრწანისიდან და ორთაჭალიდან მიმავალ მლოცველებს ხელში ყვავილების თაიგულები ეკავათ, რ-თა შუაში ანთებული სანთელი ჰქონდათ ჩამაგრებული, ისმოდა ზურნა-დუდუკის ხმა, ისროდნენ შუშხუნებს. მლოცველებს თან მიჰქონდათ უხვი სანოვაგე, მიჰყავდათ შესაწირი პირუტყვი და ფრინველი. ამ სალოცავს ძირითადად ხალხი შვილიერებას, ამასთანავე ჯანმრთელობასა და სხვა გასაჭირში შეწევნას შესთხოვდა. ეკლესიაში წირვის დასრულების შემდგომ იმართებოდა ლხინი, რ-იც თელეთიდან ორთაჭალის ბაღებში გრძელდებოდა. თ-ის დასასრულს ამავე ბაღებში დიდი ჯირითი და სპორტ. თამაშობებიც იმართებოდა. თელეთში დღემდეა შემორჩენილი სახალხო დღესასწაული, რ-ის დროსაც დოღთან და ბავშვთა ფეხბურთთან ერთად ჭიდაობაც იმართება.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე თ., მამადავითობა და თელეთობა, ჟურნ. «სიტყვა», 2010, № 11–12. *ნ. ღამბაშიძე.*

თელია აკაკი ვლადიმერის ძე (15. XII. 1919, ფოთი, – 28. VII. 1994, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1968), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990). 1942 დაამთავრა თსსი-ის სამკურნალო ფაკ-ტი. იმავე წელს (ომის პირობებში) გაიწვიეს საბჭ. არმიის რიგებში, სადაც თავდაპირველად მუშაობდა ლეგიონის უმცროს ექიმად, ხოლო შემდეგ – ჰოსპიტალში ქირურგ. განყ-ბის გამგედ. 1947–52 იყო ქირურგ. განყ-ბის გამგე; 1968–80 – თსსი-ის სამკურნალო ფაკ-ტის საფაკულტეტო ქირურგ. კათედრის პროფესორი, 1980–86 – გამგე.

თ. იკვლევდა საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებების კლინიკისა და ქირურგ. მკურნალობის საკითხებს; ბავშვთა და ჭაბუკთა ასაკის წყლულოვანი დაავადების ეტიოპათოგენეზს, კლინიკასა და ქირურგ. მკურნალობის თავისებურებებს. შეიმუშავა სტენოზით გართულებული წყლულოვანი დაავადების ორიგინ. კლასიფიკაცია. 1977 ნაშრომთა ციკლისათვის – ,,კუჭის პათოლოგიის პრობლემები'' თ-ს მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები.

თხზ.: სტენოზით გართულებული წყლულოვანი დაავადების კლინიკა და მკურნალობა, თბ., 1956; მწვავე პანკრეატიტი, თბ., 1993; Язвенная болезнь детского и юношеского возраста, Тб., 1975 (თანაავტ. И. Н. Пипия).

თელია ალექსანდრე (დავით) ზაქარიას ძე (დ. 30. VI. 1954, თბილისი), იმუნოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1998). 1978 დაამთავრა თსსი, 1993-იდან თსსუ-ის ალერგოლოგიის და კლინ.

„თელიანი ველის“ პროდუქცია



წინანდალი.



საფერავი.

იმუნოლოგიის კათედრაზე ეკავა სხვადასხვა თანამდებობები; მ. შ. 1996–2001 იყო კათედრის გამგე, 2003–05 – ექსპერიმენტული და კლინ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, 2005–06 – თსსუ-ის რექტორი. 2006-იდან თსსუ-ის ალერგოლოგიის და კლინ. იმუნოლოგიის მიმართულების სრული პროფესორია.

თ. არის საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი (1977-იდან), 2000-იდან – საქართვ. ასთმოლოგთა, ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, 2012-იდან – საქართვ. ექიმთა პოსტდიპლომური ასოციაციის პრეზიდენტი, საქართვ. სამედ.-ბიოლ. აკადემიის წევრი (1998).

თ-ს სამეცნ. შრომები ეხება ალერგოზების ეპიდემიოლოგიას, ბრონქული ასთმის, კვებითი ალერგიის და ატოპიური დერმატიტის შესწავლას ბავშვთა და მოზრდილთა პოპულაციაში და სხვა.

თხზ.: კლინიკური კვლევების წარმოების და განხორციელების მეთოდოლოგიის საფუძვლები, წგ. 1–2, თბ., 2001–06.

თელია ზაქარია (შაქრო) ლევანის ძე (5. V. 1931, აბაშა, – 14. IX. 2013, თბილისი), გრაფიკოსი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1958). მისი პედაგოგები იყვნენ ვ. *გრიგოლია* და ვ. *კუშელავა*. 1962-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1998-იდან – პროფესორი). მისი შემოქმედების მთავარი თემაა ქართ. პეიზაჟი და ინდუსტრიული მშენებლობანი. აღსანიშნავია თ-ს ფერადი ლინოგრავიურები. ნამუშევრები: „ფოლადის გამოდნობა“ (1967), „ზამთარი“ (1968), სერია „ინდუსტრიული ქალაქები“ (1970), „ენგურჰესის მშენებლობა“ (1971), „თბილისის აღმშენებლობა“ (1976), „ბორჯომის ხეობა“ (1982) და სხვ. მონაწილეობდა როგორც რესპ. და საკავშ., ისე საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში (პოლონეთი – 1965, ჩეხოსლოვაკია – 1965, გერმანია – 1968). მისი ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002).



ზ. თ ე ლ ი ა. „ზამთარი“. ლინოგრაფია. 1968.

თელიანი (1990-მდე – ყ ა რ ა ღ ა ჯ ი), სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: თ., სასირეთი). ზ. დ. 580 *მ*, კასპიდან 21 *კმ*, გრაკლიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 981 მცხ. (2014).

„თე ლიანი ველი“ (სააქციო საზოგადოება), ქართული ღვინის



ღვინის სარდაფი „თელიანი ველი“.

კომპანია. შეიქმნა 1997 „თელიანის ღვინის ქარხნის“ ბაზაზე, რ-იც ჯერ კიდევ XIX ს-ში აშენდა წინანდალში თელიანის ვენახების მახლობლად. წინანდალი ტრადიციულად ქართ. მეღვინეობის ცენტრს წარმოადგენდა და სწორედ ამიტომ 1886–87 ამ ტერიტორიაზე თავად ა. ჭავჭავაძის ღვინის მარნის ადგილზე რუს. იმპერატორის ძმის, მიხეილ რომანოვის განკარგულებით აშენდა ორსართულიანი, 150 ათას „ვედროიანი“ ღვინის სარდაფი. 1891 ამ ღვინის სარდაფში მოიწვიეს ცნობილი ფრანგი მელვინე ა. მოსანო ბორდოდან. მან პირველმა შემოიღო საქართველოში ადგილ. ყურძნის ჯიშებისაგან ევრ. ტიპის ღვინის დაყენების წესი. მისი ინიციატივით საქართველოში ჩამოიტანეს და გააშენეს ფრანგ. ყურძნის სხვადასხვა ჯიში. უცხო ჯიშებისგან განსაკუთრებით თელიანის ველზე გაშენებულმა კაბერნე-სოვინიონმა ივარგა, რისგანაც ა. მოსანომ ღვინო „თელიანი“ დაამზადა. პირველი ბოთლი ღვინო იმპერატორს გაუგზავნა პეტერბურგში წარწერით: „კაბერნე-სოვინიონი, თელიანის ველიდან 1893, ანტუან მოსანო“. ღვინომ საიმპერატორო წრეში დიდი მოწონება დაიმსახურა.

1956 თელიანის ვენახებთან აშენდა წითელი დაძველებული ღვინოების სპეციალიზებული ქ-ნა, საიდანაც საბჭ. პერიოდში მუხის კასრებით საექსპორტოდ გაჰქონდათ წითელი სამარკო ღვინოები (თელიანი და მუკუზანი) კუბაში, ინგლისში, დანიაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. ქ-ნას ღვინოების დასაძველებლად ჰქონდა მუხის კასრების საკუთარი წარმოება.

2004 „თ. 3-ის“ სტრატეგიული პარტნიორი გახდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), რ-მაც შეიძინა კომპანიის აქციები. ამ ინვესტიციით კომპანიამ თელავში ააშენა ახ., თანამედროვე ტიპის ღვინის საწარმო (გაიხსნა 2005), გააშენა ვენახები. აქვე აიგო პატარა სასტუმრო, რ-იც მასპინძლობს ქართ. მეღვინეობით დაინტერესებულ ყველა სტუმარს. კომპანიის საპროექტო სიმძლავრეა 3000–4000 ტ ყურძნის გადამუშავება წელიწადში, ხოლო წარმადობა – დაახლოებით 2500 ბოთლი საათში. ქ-ნა ნედლეულით მარაგდება საკუთარი ვენახებიდან (ახმეტის, წინანდლისა და ქინძმარაულის რ-ნები). გარდა ამისა კომპანია ყოველწლიურად ყიდულობს ყურძენს მსხვილი ფერმერებისაგან. „თ. 3.“ აწარმოებს 30 დასახელების ღვინოს: წითელ, თეთრ და ვარდისფერ, აგრეთვე ცქრიალა (მშრალი, ნახევრადმშრალი, ნახევრადტკბილი) ღვინოებს, ჭაჭას („ჭაჭა ოქრო“, „ჭაჭა ვერცხლი“) და ბრენდს. პროდუქცია გადის 25-ზე მეტ ქვეყანაში (მ. შ. აზერბაიჯანი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ჩეხეთი, ჰოლანდია და სხვ.).

2005 წ. მაისში „თ. 3-მა“ გახსნა სომელიეების პირველი სკოლა საქართველოში, რ-ის მიზანია, მომხმარებელს მეტი ინფორმაცია მიაწოდოს ქართ. და ევრ. ღვინის კულტურის შესახებ. კომპანიას აქვს ენოთეკა, სადაც შეიძლება სხვადასხვა მოსავლის საუკეთესო ღვინოების დაგემოვნება. „თ. 3.“ თავის მომხმარებელს წლის ნებისმიერ დროს სთავაზობს ღვინის ტურებს, რ-იც ითვალისწინებს როგორც „თ. 3-ის“ საწარმოს და ვენახების დათვალიერებას, ასევე კახეთის ღირსშესანიშნაო-



„თელიანი ველის“ პროდუქცია.

ბების მონახულებას და საუკეთესო ღვინოების დაგემოვნებას. ქ-ნის ტერიტორიაზე განლაგებულია მაღაზია, სადაც შესაძლებელია „თ. ვ-ის“ საკოლექციო ღვინოების შეძენა. მაღაზიაში იყიდება ღვინის აქსესუარები და საჩუქრები, რ-ებიც ექსკლუზიურად მხოლოდ აქაა წარმოდგენილი.

ამჟამად სააქციო საზ-ბა „თ. ვ.“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რ-იც დაკავებულია შემდეგი საქმიანობით: 1. მეღვინეობა და მევენახეობა – „თელიანი ველი“; 2. ბრენდის და საკონიაკე სპირტების წარმოება „Le Caucase“; 3. მუხის კასრების წარმოება – „კუპა“; 4. საკუთარი დისტრიბუცია საქართველოში; „თელიანი თრეიდინგ უკრაინა“ – ღვინისა და სპირტიანი სასმელების დისტრიბუცია უკრაინაში.

ქ-ნის პროდუქციას 2006–17 სხვადასხვა საერთაშ. გამოფენებსა და დეგუსტაციებზე მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მ. შ.: 6 ოქროს, 35 ვერცხლისა და 79 ბრინჯაოს მედალი. 2007 „თ. ვ-ს“ მიენიჭა ISO 22000 და ISO 9001 საერთაშ. სტანდარტების შესაბამისი სერტიფიკატი. *ნ. ავალიშვილი.*

თელოვანი, სოფელი ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (საბურთალოს რ-ნი), 2007-მდე შედიოდა მცხეთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს არმაზის ქედის აღმ. კალთაზე ზ. დ. 920 *მ.*

თ. მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) დიღმის სოფელთა სიაში. თ-ის შეწირულობა სვეტიცხოვლის ტაძარს 1398 განუახლა ალექსანდრე მეფემ, ხოლო 1559 – სიმონ მეფემ. თ-ში სვეტიცხოვლის გარდა ყმა-მამულებს ფლობდნენ ციციშვილები და მაღალაშვილები. XVII ს-ში სოფელს უნდა გამოეყვანა 9 მოლაშქრე. სოფლის მიდამოები დასახლებული ჩანს IV ს-იდან მოყოლებული მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

თ-ის შემოგარენში გვიანდ. შუა საუკუნეების ორი ერთნავიანი ეკლესიაა – წმ. ნინოსი და ჯვრიანის წმ. გიორგისა. წმ. ნინოს ეკლესია ნაგებია აგურითა და ქვიშაქვით, წმ. გიორგის ეკლესია, რ-იც შუა საუკუნეების ნასოფლარის ტერიტორიაზეა, – ქვიშაქვით. ნასოფლარის ტერიტორიაზე შემორჩენილია ქვითკირის შენობათა ნანგრევები (ამჟამად ტყით არის დაფარული). სოფლის ჩრდ-ით 1 *კმ*-ზე, ტყეში, დგას შუა საუკუნეების ქვაჯვარი, რ-იც ერთმანეთისაგან მიჯნავდა ბაგრატიონების, სვეტიცხოვლის ტაძრისა და მაღალაშვილების მამულებს.

ჯ. გვასალია. კ. გიორგობიანი.

თელოვანი, ნასოფლარი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსოვრისის მახლობლად. 1669 წილკნის საეპისკოპოსოს სამწყსოს სიაში სოფ. თ. მოხსენიებულია სოფ. ქსოვრისის მეზობლად. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) მუხრანის თემის სოფლებში თ-ს არ ახსენებს, სოფელთა სიაში კი მიუთითებს ორ სოფელ ქსოვრისზე. უეჭველია, რომ ქსოვრისმა დაფარა სოფ. თ-ის ტერიტორია.

მდ. ქსნიდან გამოყვანილ არხთაგან ერთ-ერთი – თ-ის რუ – გამოყვანილია VI ს-ში ისე წილკნელი ეპისკოპოსის მიერ. ნასოფლარის ცენტრ. ნაწილში დიდი მარნის ნანგრევებია.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ჯ. გვასალია.

თელოვნის განძი, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XIII–XII სს.) არქეოლოგიური ძეგლი. აღმოჩნდა შემთხვევით 1910, თელოვნის ხეობაში (ბორჯომის მუნიციპალიტეტი). შეიცავს 4 სეგმენტისებრ იარაღს, თოხს და გაურკვეველი დანიშნულების ნივთის ნატეხს. იქვე აღმოჩნდა კოლხ. ცულის ჩამოსასხმელი ბრინჯაოს ყალიბი.

მასალა დაცულია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ი. გაგოშიძე.

თელოვნის ჯვარპატიოსნის ეკლესია, VIII–IX სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფ. ქსოვრისის აღმ-ით 2–3 *კმ*-ზე, ძვ. ნასოფლარზე. გეგმა თავისებურია – წარმოადგენს ტრიკონქს, რ-შიც განივი მკლავები ბევრად უფრო ვიწროა და დაბალი, ვიდრე საკურთხეველი და დას. მკლავი. ამის გამო, მკაფიოდ ვლინდება სიგრძივი ღერძი – აღმ-იდან დას-ით წაგრძელებული ერთიანი სივრცე. ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილებისა და დეკორატიული მორთულობისათვის გამოყენებულია კირქვის ან შირიმის თლილი კვადრები. გუმბათი მთლიანად თლილი ქვითაა ამოყვანილი. შესასვლელი სამია – სამივე დას-ის სწორკუთხა მკლავიდან. საკურთხევლის დაბალი შვერილი აფსიდის ორივე მხარეს კედლების სიბრტყეში მოქცეულია თითო აფსიდიანი სათავსები – სამკვეთლო და სადიაკვნო. მკლავების გადაკვეთით მიღებული ცენტრ. სივრცის სწორკუთხედიდან მრგვალი გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება ტრომპების მეშვეობით. ფასადებზე კარის ზღუდარებსა და სარკმლის სათაურებს მორთულობა ამშვენებს. რვაწახნაგა გუმბათის ყელი, რ-შიც გაჭრილია 4 სარკმელი, დეკორატიული თაღებითაა შემკული. ეკლესია შიგნით და გარედან შელესილი იყო. ინტერიერში შემორჩენილია IX–X სს. მხატვრობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. XVIII ს-ში ძეგლი საფუძვლიანად შეუკეთებიათ. ამავე პერიოდისაა დას-იდან მიშენებული სამრეკლო. 1952–54 ძეგლის რესტავრაციის შედეგად (არქიტ. ვ. ცინცაძე) გაწმინდეს, გაამაგრეს, აღადგინეს კედლებისა და გუმბათის ყელის დანგრეული ნაწილები, გადახურეს ახ. სახურავით და ძვ. გეგმის მიხედვით შემოავლეს ახ. გალავანი.



თელოვნის განძი. თოხი.

თელოვნის ჯვარპატიოსნის ეკლესია. VIII–IX სს.



2007 ძეგლს კვლავ ჩაუტარდა რესტავრაცია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990; ც ი ნ ც ა ძ ე ვ., თელოვანის ჯვარპატიოსანი (VIII–IX სს. ძეგლი), «ქართული ხელოვნება», ტ. 5, თბ., 1959.

თემი, ძველქართული ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი. სემანტიკურად თ. უძველესი ქართული ისტ.-გეოგრ. ტერმინის – ,,სოფელი'' – ეკვივალენტია: იგი აღნიშნავს როგორც გარკვეულ ტერიტორიას, ასევე ამ ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოებასაც (ასეთი მნიშვნელობა აქვს მას ახლაც), ამიტომ ეს ტერმინი შეესატყვისებოდა მეორე ძველქართულ ტერმინსაც – ,,ქუეყანა''. ამისდა კვალად თ. შეიძლება ეწოდებოდა რომელიმე ,,ჴევსაც'' მისი მოსახლეობით, რომელიმე მხარესაც (მაგ. კახეთს) და მთელ სახელმწიფოსაც (მაგ. საქართველოს, საბერძნეთს და ა. შ.). უძველეს წყაროებში არ გვხვდება, იგი მხოლოდ XII ს-იდან მოიხსენიება. ამ გარემოების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილს ეს ტერმინი XII ს-ში ახლო ხანში წარმოქმნილად მიაჩნდა. არ არის გამორიცხული, რომ იგი გაცილებით უფრო ძველი იყოს და რომელიმე ძვ. ქართ. კილოდან გვიან შემოსულიყო სალიტერატურო ქართულში.

საბჭ. ხელისუფლების პირველ პერიოდში თ. იყო უმცირესი ადმინ.-ტერიტ. ერთეული, რ-იც შედიოდა მაზრის შემადგენლობაში.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

დ. მუსხელიშვილი.

,,თემი'', კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი სოციალ-ფედერალისტური მიმართულების გაზეთი, რ-იც ერთა თანაცხოვრების იდეას ქადაგებდა. გამოდიოდა ორშაბათობით თბილისში 1911–15. გამომცემელი და მთავარი რედაქტორი იყო გ. *დიასამიძე,* თანარედაქტორი – ს. *მგალობლიშვილი.* 1912-იდან დროდადრო ერთოდა მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი მიძღვნილი ილუსტრირებული დამატებები, რ-ებიც უფასოდ ურიგდებოდა ხელის მომწერებს. საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართვ. მოღვაწეთა შესახებ წერილები ფოტოილუსტრაციით ქვეყნდებოდა. ,,თ-ში'' დოკუმენტური სიზუსტით აისახა ა. წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, დაიბეჭდა მისი გარდაცვალების, თბილისში ჩამოსვენებისა და დაკრძალვის ფოტომასალები. თ-ში გამოქვეყნებულია ს. მგალობლიშვილის ,,მოგონებები'', ა. წერეთლის პუბლიც.-იუმორისტული ციკლი ,,ნადუღი'', ,,ჩემი თავგადასავალი'', ა. ლაისტის ,,მოგონებები'' და სხვ.

ლიტ.: ჩ ი კ ვ ი ლ ა ძ ე დ., წერილები, თბ., 1989.

დ. ჩიკვილაძე.

თემისტიოსი (Themistios) (დაახლ. 317–388), ბერძენი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი და რიტორი. განათლება მიიღო *კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლასა* და კონსტანტინოპოლში. ამდენად, თ. დაკავშირებულია ქართ. ფილოს. აზროვნების საწყისებთან. შემორჩენილია თ-ის ცნობები კოლხეთის სკოლის შესახებ, სადაც იგი მაღალ შეფასებას აძლევს ქართ. გვიანანტიკურობის ამ დიდ კულტ.-საგანმან. ცენტრს. თვით თ-ის ცნობის თანახმად, მამამისს, ფილოსოფოს ევგენიოსს, ამავე სკოლაში მიუღია განათლება. .თ. იყო არისტოტელეს ნაშრომთა მეტად გავლენიანი კომენტატორი და არსებითად წინ წასწია არისტოტელეს ფილოს. და ლოგიკის შესწავლის საქმე. არისტოტელეს თხზულებებზე შექმნილი მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან შემორჩენილია კომენტარები: ,,პირველ ანალიტიკებზე'', ,,მეორე ანალიტიკებზე'', ,,ფიზიკაზე'', ,,ცის შესახებ'', ,,მეტაფიზიკაზე'', ,,სამშვინველის შესახებ''. ამ კომენტარებმა დიდი გავლენა იქონია ბერძენ, არაბ და ლათინ ავტორებზე. თ. არისტოტელეს ნაშრომებს განმარტავდა პარაფრაზირების მეთოდით. აღსანიშნავია, რომ ლათინურენოვანი ფილოს. ისეთი დიდი წარმომადგენელი, როგორიც ალბერტ დიდი იყო, არისტოტელეს ნაშრომთა კომენტირებისას უპირატესობას ამ მეთოდს ანიჭებდა.

ქართვ. ფილოსოფოსთაგან თ-ის შემოქმედებას იკვლევდნენ: შ. *ნუცუბიძე,* ლ. *მჭედლიშვილი,* შ. *ხიდაშელი,* გ. *თევზაძე* და სხვ. ამ დიდი ბერძენი მოაზროვნის როლი ქართ. ფილოს. აზროვნების ფორმირების პროცესში საგანგებოდაა ხაზგასმული თ. *ირემაძის* ფილოს. გამოკვლევებში.

ლიტ.: [თემისტიოსი], წგ.: გეორგიკა, ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961; თ ე ვ ზ ა ძ ე გ., ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1995; ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1956; ხ ი დ ა შ ე ლ ი შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1988; I r e m a d z e T., Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus, Amsterdam – Philadelphia, 2004.

თ. ირემაძე. ლ. მჭედლიშვილი. შ. ღვალაძე.

თემობა, 1. *თემის* კრება, თავყრილობა. როგორც სოც. ინ-ტი, დამოწმებულია საქართვ. მთიანეთში. თ-ზე თავს იყრიდა მთელი თემის ან სასოფლო თემის, ერთი ან რამდენიმე სოფლის, ხეობის ან მთელი კუთხის მოსახლეობა. მაგ., ამ მნიშვნელობით თ. შემონახული იყო მოხევეების ძვ. ყოფაში, სადაც იგი ნიშნავდა თემის ერთობლიობას, უფრო მეტად – თემის კრებას, ხალხის თავყრილობას, რ-ზეც თემის ბჭეთა თაოსნობით განიხილავდნენ და წყვეტდნენ თემის ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს.

2. კუთხური (იმერ.) – სალხინო, საზეიმო შეკრება სოფელში.

ლიტ.: ყ ა ზ ბ ე გ ი ალ., მოხევეები და მათი ცხოვრება, თხზ., ტ. 5, თბ., 1950; ხ ა რ ა ძ ე რ., თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1959, ტ. 4, ნაკვ. 2.

ვ. ითონიშვილი.

თემური საკუთრება, იხ. სტ. *საკუთრება.*

თემურლენგი, თ ე მ უ რ ი (ევრ. ტ ა მ ე რ ლ ა ნ ი) (1336, ხოჯა-ილგარი, ქ. შაჰრისაბზის მახლობლად, ახლანდ. უზბეკეთი, – 18. II. 1405, ოთრარი, ახლანდ. ყაზახეთი), შუაზიელი ამირა და მხედართმთავარი, ბარლასთა გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის, თარაღაის შვილი. აქტიურად მონაწილეობდა შინაფეოდ. ბრძოლებში. 1362 ფეხში დაიჭრა, რის გამოც თემურლენგი (სპარს.-ტაჯ. – ,,კოჭლი თემური'') შეარქვეს. თ-ს უსწავლელობის მიუხედავად, სარდლის თანდაყოლილი დიდი ნიჭი ჰქონდა, რ-იც მისი ლაშქრის ორგანიზებაშიც გამოვლინდა. 1370 თ-მა მიიღო ამირას ტიტული და ერთპიროვნულად დაიწყო ქვეყნის მართვა ჩინგიზ-ყაენის შთამომავალთა სახელით. თ-ის მთავარი პოლიტ. ამოცანა ჩინგიზ-ყაენის იმპერიის აღდგენა იყო. ამ მიზნით იგი დაუნათესავდა ჩინგიზიდებს (ცოლად ითხოვა ჩინგიზიდი უფლისწულის ქალი). 1373–74 დაიმორჩილა სამხრ. ხორეზმი, ხოლო 1388 საბოლოოდ დაიპყრო ხორეზმი და დაანგრია მისი დედაქალაქი ურგენჩი. 1389, 1391, 1394–95 თ-მა სასტიკად დაამარცხა ოქროს ურდო და გაძარცვა მისი დედაქალაქი სარაი ბერქე; 1398 შეიჭრა ინდოეთში და დაიპყრო დელი. 1400 თ-მა დაიწყო ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ, 1402 ანკარასთან ბრძოლაში დაამარცხა ოსმალეთის სულთანი ბაიაზიდ I და დაატყვევა იგი. 1386–1403 მან

რვაჯერ დალაშქრა და ააოხრა საქართველო (იხ. *თემურლენგის ლაშქრობანი საქართველოში*). 1404 ბოლოს თ-მა ჩინეთში ილაშქრა, მაგრამ ეს ლაშქრობა შეწყდა 1405 თებერვალში თ-ის გარდაცვალების გამო. დასაფლავებულია სამარყანდში, გურ-ემირის მავზოლეუმში.

თ. დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნ. და კულტ. განვითარებას. ლაშქრობების დროს დატყვევებული ოსტატები მავერანაჰრის ქალაქებში აგებდნენ სასახლეებს, მეჩეთებს, მედრესეებს, მავზოლეუმებს, რ-ებიც შემონახულია ხელოვნ. ნიმუშების სახით.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., თემურლენგი, წგ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982; Новосельцев А. П., Об исторической оценке Тимура, «Вопросы истории», 1973, №2; Якубовский А. Ю., Тимур (Опыт краткой характеристики), იქვე, 1946, №8–9.

დ. კაციტაძე.

თემურლენგის ლაშქრობანი საქართველოში, შუააზიელი მხედართმთავრის *თემურლენგის* ბრძოლა საქართველოს დასაპყრობად. 1386–1403 თემურლენგმა რვაჯერ დალაშქრა საქართველო. 1385 ოქროს ურდოს ხანი *თოხთამიში* სამხრ. კავკასიის ქვეყნებზე გავლით ჩრდ. ირანს შეესია. ამის საპასუხოდ თემურლენგიც მრავალრიცხოვანი ჯარით ირანისაკენ დაიძრა, საიდანაც 1386 შემოდგომაზე სამცხის მხრიდან საქართველოში შემოიჭრა. ბაგრატ V-მ, რ-იც თბილისში იყო გამაგრებული, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ტყვედ დანებებოდა. თემურლენგმა ბაგრატ V-ს რჯულის გამოცვლა შესთავაზა ტახტის დაბრუნების სანაცვლოდ, რაზეც საქართველოს მეფემ უარი განაცხადა; მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ მტრის ხელიდან თავდახსნის სხვა გზა აღარ იყო, დათანხმდა. თემურლენგმა მას ტახტი დაუმტკიცა და 12-ათასიანი მხედრობით საქართველოში გამოისტუმრა. ბაგრატმა ამის შესახებ გზიდან საიდუმლოდ აცნობა თავის შვილს, გიორგის, რ-მაც გაჟლიტა მტრის ჯარი და მეფე დაიხსნა. თემურლენგის ეს ლაშქრობა გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით. მიქელ პანარეტოსის ცნობით, საქართველოს დედაქალაქში ,,რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარცვა და დაწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს''. თემურლენგს თბილისიდან ნადავლად წაუღია აგრეთვე საქართველოს მდიდარი სამეფო ბიბლიოთეკა.

1387 გაზაფხულზე თემურლენგი მრავალრიცხოვანი ჯარით მეორეჯერ შემოესია საქართველოს. ბაგრატმა და გიორგიმ მოსახლეობა მიუდგომელ ადგილებში გახიზნეს და მომზადებული დახვდნენ მტერს. მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, თემურლენგმა მოახერხა საქართველოში შემოჭრა, მაგრამ ზურგიდან თოხთამიშის გამოჩენის გამო მალევე იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

1394 თემურლენგი ორჯერ შემოესია საქართველოს: პირველად სამცხე-საათაბაგოს დაესხა თავს, მეორედ – არაგვის ხეობას. ამჯერადაც თოხთამიშის გამოჩენამ გააბრუნა იგი საქართველოდან. 1399 მიწურულს თემურლენგი მეხუთედ მოვიდა სამხრ. კავკასიაში და გამოსაზამთრებლად ყარაბაღში დაბანაკდა, საიდანაც რჩეული მხედრობით პირადად ილაშქრა ჰერეთ-კახეთში, საშინლად ააოხრა და გაძარცვა ეს მხარე. 1400 გაზაფხულზე თემურლენგი უზარმაზარი ლაშქრით მეექვსედ შემოიჭრა საქართველოში. გადაწყვეტილი ჰქონდა საქართვ. მთელი მოსახლეობის გათათრება ან პირწმინდად გაჟლეტა. ქართველები გიორგი VII-ის მეთაურობით მამაცურად შეებრძოლნენ მტერს მდ. საგიმის პირას, ქვემო ქართლში, მაგრამ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. თემურლენგი კვალდაკვალ დაედევნა მათ. სასტიკად მოაოხრა ქვემო ქართლი, თბილისი, მუხრანის ვაკის მიდამოები, ქსნისა და ლეხურის ხეობები და გარს შემოერტყა გორის ციხეს, სადაც გიორგი VII იყო გამაგრებული. გიორგიმ გაარღვია მტრის ალყა და გამაგრდა ძამის ციხეში, სადაც შვიდი დღე-ღამის განმავლობაში მამაცურად იგერიებდა მტრის გაფთრებულ იერიშებს. ძამის ციხის დაცემის შემდეგ საქართველოს მეფემ სავანეთის ციხეში გადაინაცვლა. მტერმა ეს ციხეც აიღო. გიორგი VII გადავიდა დას. საქართველოში. თემურლენგმა ვერ გაბედა ტყიან და უგზო ქვეყანაში მეფის დადევნება და ჯავრი სამცხეზე იყარა. შემდეგ გადავიდა თრიალეთში, იქიდან თემძის ხეობით – მცხეთაში და დალაშქრა არაგვის ხეობა, ააოხრა ტაო. ლაშქრობა გაგრძელდა მთელ გაზაფხულ-ზაფხულს. მტერმა მოაოხრა მთელი აღმ. და სამხრ. საქართველო, დალეწა ციხე-კოშკები, გაძარცვა და დაანგრია ეკლესია-მონასტრები, გაკაფა ბაღ-ვენახები, დაწვა და გაანადგურა სოფლები და დაბა-ქალაქები, გაჟლიტა უამრავი ხალხი. ამ ლაშქრობიდან თემურლენგმა 60 ათასზე მეტი ტყვე წაიყვანა.

1401 თემურლენგი მეშვიდედ მოადგა საქართველოს ასაოხრებლად. გიორგი VII-მ ზავი შესთავაზა. თემურლენგი დათანხმდა, რადგანაც ოსმალეთის სულთანთან გადამწყვეტი შეტაკების წინ ზავი მისთვის ხელსაყრელი იყო. 1401 *შამქორის ზავის* პირობებით საქართველო კისრულობდა ხარკის გადახდას, თემურლენგის ლაშქრობებში მონაწილეობის მიღებას, სამიმოსვლო გზების უსაფრთხოების დაცვას. ქართველებს ეკრძალებოდათ მუსლ. ქვეყნებში სახალხოდ ქრისტ. რიტუალის შესრულება, ხოლო თავიანთ ქვეყანაში პატივით უნდა მოპყრობოდნენ მუსლიმანებს; სამაგიეროდ თემურლენგი საქართველოს მშვიდობას და ხელშეუხებლობას აღუთქვამდა. მიუხედავად ზავისა, იგი იმავე წელს თავს დაესხა თორთუმის ციხეში გამაგრებულ ქართველებს და მოაოხრა იქაური მხარე.

1403 ივლისში, ოსმ. სულთან ბაიაზიდ ილდირიმის დამარცხების შემდეგ, თემურლენგი მერვედ შემოიჭრა საქართველოში, მოაოხრა სამცხე და ალყა შემოარტყა *ბირთვისის* ციხეს, რ-ის ერთი მუჭა გარნიზონი სამი კვირის განმავლობაში მამაცურად იგერიებდა მტრის იერიშებს. ციხის აღების შემდეგ თემურლენგმა გაილაშქრა დას. საქართველოზე და გიორგი VII-ის დევნაში მივიდა აფხაზეთის საზღვრამდე. ბოლოს იგი, რაკი საქართველოს მეფის წინააღმდეგობა ვერ გატეხა, იძულებული გახდა დაზავებოდა გიორგი VII-ს. ზავი იმეორებდა შამქორის ზავის პირობებს და, რაც მთავარია, ცნობდა საქართველოს, როგორც ქრისტ. ქვეყანას. ეს იყო ქართვ. ხალხის დიდი გამარჯვება, რ-იც მოპოვებულ იქნა ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლისა და უზარმაზარი მატერ. ზარალის ფასად.

ლიტ.: კაციტაძე დ., საქართველო XIV–XV სს. მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975; ლორთქიფანიძე მ., მუსხელიშვილი დ., მეტრეველი რ., საქართველოს ისტორია, ტ. 2, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძო-



გ. თენაძე.

ლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV–XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

კ. ტაბატაძე.

თენაძე გიორგი ნოდარის ძე (დ. 24. V. 1962, გორი), სპორტსმენი (ძიუდოისტი), საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი. ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (სეული, 1988). სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩემპიონი (1984). ევრ. ჩემპიონი (გუნდური, 1987), მსოფლიო უნივერსიადის მესამე პრიზიორი (1985), მსოფლიო და ევრ. ჩემპიონატების მესამე პრიზიორი (1989), ევრ. თასის მფლობელი (1987), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1986, 1989–90), მეორე (1985) და ორგზის (1987–88) მესამე პრიზიორი. საქართვ. ძიუდოისტ ქალთა ნაკრების მწვრთნელი (2006).

თეოდიცეა (ფრანგ. théodicée < ბერძნ. theos ღმერთი და dikē – სამართლიანობა), ღმერთის (მისი ყოვლისშემძლეობის, სიბრძნისა და სიკეთის) გამართლება თავისსავე შექმნილ სამყაროში არსებული ბოროტების მიუხედავად. ცნება თ. შემოიტანა გ. ვ. *ლაიბნიცმა* და გარკვეული პერიოდი ღმერთის შესახებ თეოლ.-ფილოს. მოძღვრების აღსანიშნად გამოიყენებოდა. თ-ის მთავარი პრობლემა შემდეგი სახით შეიძლება გადმოიცეს: როგორ შეიძლება ღმერთის ყოვლისშემძლეობა, სიბრძნე და სიკეთე თანხმობაში იყოს სამყაროში არსებული ბოროტების გამოვლინებებთან (ავადმყოფობა, სიკვდილი, ომი და ა.შ.)? ანტიკურობიდან მოყოლებული, ამ საკითხის შესახებ უამრავი მოსაზრება (ეპიკურე, ლაკტანცი და სხვ.) გამოითქვა. განსაკუთრებით საინტერესო ის თვალსაზრისია, რ-იც ლაიბნიცსა და ჰეგელს მიეწერება. ლაიბნიცის მიხედვით, ბოროტება სამყაროს დამახასიათებელი იმანენტური მომენტია. მართალია, ღმერთს სიკეთე სურს, მაგრამ ადამიანური თავისუფლების უზრუნველყოფის გამო იგი სამყაროში ბოროტების არსებობასაც უშვებს. მისი აზრით, ჩვენი სამყარო არის ,,ყველა შესაძლო სამყაროთაგან საუკეთესო'', რადგან მასში სწორედ თავისუფლების შესაძლებლობაა გარანტირებული. რადგან ადამიანური თავისუფლება არსებობს, არსებობს ბოროტებაც, როგორც კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანის შესაძლებლობა. ჰეგელისთვისაც ,,თეოდიცეა'' წარმოადგენს ,,ღმერთის გამართლებას ისტორიაში''.

ქართვ. მოაზროვნეებიდან თ-ის პრობლემის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, მსჯელობდნენ ისინი, რ-ებიც ლაიბნიცისა და მისი მიმდევრების მოძღვრებას იცნობდნენ. მათგან განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ა. ბაგრატიონისა და ი. *ხელაშვილის* ფილოს. და თეოლ. ნაშრომები. შ. *ნუცუბიძე* თავისი ალეთეოლოგიური მოძღვრების კონტექსტში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თ-ის პრობლემა ყოველი ტიპის ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი ძნელი და უხერხული პრობლემაა, რ-ის გადაჭრასაც ყველა დიდი ფილოსოფოსი (პლატონი, არისტოტელე, ლაიბნიცი, ჰეგელი და სხვ.) ცდილობდა. მისი აზრით, აქ მთავარი ის არის, რომ სამყაროს ნაკლოვანება, დროითი ხასიათი და ცვალებადობა ნათელი და გასაგები უნდა გახდეს. ამასთანავე ეს ისე უნდა მოხდეს, რომ ღმერთის არსებობის საკითხს საფრთხე არ შეექმნას. XX–XXI სს. ქართ. ფილოსოფიაში თ-ის პრობლემას (უმეტესწილად, ლაიბნიცზე, კანტსა და ჰეგელზე დაყრდნობით) განიხილავდნენ მ. *გოგიბერიძე*, კ. *ბაქრაძე*, ს. *წერეთელი*, გ. *თევზაძე*, მ. ბიჭაშვილი და სხვ. გ. თევზაძემ ,,ახალი ფილოსოფიის ისტორიაში'' (2009) თ-ის პრობლემის ლაიბნიცისეული გაგება ფილოს. ისტორიის მთლიან კონტექსტში გაიაზრა და ნათლად აჩვენა, რომ ეს საკითხი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საკაცობრიო აზროვნების თითქმის ყველა ეტაპზე.

ლიტ.: ბ ა ქ რ ა ძ ე კ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 6, თბ., 1972; ბ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი მ., ლაიბნიცის მეტაფიზიკა და ენის ფილოსოფია, თბ., 2005; გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე მ., ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1941; თ ე ვ ზ ა ძ ე გ., ახალი ფილოსოფიის ისტორია, ნაწ. 1. განმანათლებლობა (ფრენსის ბეკონიდან იმანუელ კანტამდე), თბ., 2009; ი რ ე მ ა ძ ე თ., ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე, თბ., 2013; ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., შრომები, ტ. 2, თბ., 1979; წ ე რ ე თ ე ლ ი ს., ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, ტ. 2, თბ., 1986.

თ. ირემაძე.

თეოდორა (Theodōra) (984–1056), ბიზანტიის დედოფალი (1054–56), კონსტანტინე VIII-ის ასული, *ბასილი II* ბულგართმმუსვრელის ძმისწული. მეფობდა 1042, ხოლო კონსტანტინე VIII-ის გარდაცვალების შემდეგ (1054) უკვე მოხუცებული გაამეფეს. თ-ს ბაგრატ IV-თვის უთხოვია, ,,რათა მოსცეს ასული თვსი მართა (იხ. *მარიამი*, ბიზანტიის დედოფალი), რათა შვილად თვსად აღზარდოს'', რასაც ბაგრატ IV დიდი სიხარულით დაეთანხმა: ,,ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თვსი მართა...''.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966.

ლ. მანიავა.

თეოდორე I, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 685–689 წლებში.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

თეოდორე II, თ ე ვ დ ო რ ე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1188–1204/05. 1191 თამარ მეფემ ,,სისხლთა დათხევამდის'' თ. II ანტონ ქუთათელთან და სხვა ეპისკოპოსებთან ერთად გაგზავნა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულ დიდგვაროვან ფეოდალებთან მოსალაპარაკებლად, ხოლო ბასიანის ბრძოლის წინ თამართან ერთად ბრძოლის ველამდე გააცილა ქართველთა ლაშქარი. თ. II-მ გააფართოვა გელათისა და შიომღვიმის სამეფო მონასტრების სამფლობელოები.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.

თეოდორე III, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, დაახლ. 1429–35, ალექსანდრე I დიდის პირადი მოძღვარი. კათოლიკოსად მოიხსენიებს ალექსანდრე I 1429, 1431, 1433 და 1434 სვეტიცხოვლისათვის გაცემულ შეწირულების წიგნებში. 1431 ალექსანდრე I-მა ,,აგარეანთაგან მიტაცებული'' ლორე აიღო. ბრძოლის წინ პატრიარქს ქართვ. მეომრები დაულოცავს: ,,...აწ იბრძოლეთ ძლიერად, და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ, ქრისტესთჳს წამებულთა გუერდს მიითუალვით''.

თ. III აქტიურად მონაწილეობდა თემურლენგის შემოსევების შედეგად გაპარტახებული ქვეყნის ეკონ. აღდგენაში: ყიდულობდა ნასოფლარებს, გადამწვარ ადგილებს და ასახლებდა გლეხებს. მის დროს ალექსანდრე დიდმა დაამთავრა სვეტიცხოვლის აღდგენა და განუახლა ძვ. შეწირულობანი, შესწირა ვირშის მონასტერი

სოფლებითურთ. ამ დროს მცხეთის საპატრიარქოს შეუერთდა აგრეთვე არმაზის ციხე ეკლესიით და სოფლებით, ჯვრის მონასტერი სოფლებიანად და სხვ.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970; ლომინაძე ბ., XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, წგ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

თეოდორე აჭარელი (ავალიანი) (დ. 1762 ან 1765, სოფ. დანდალო), სასულიერო მოღვაწე. 1813 ქობულეთიდან თან გაჰყვა ტრაპიზონში მიმავალ სოლომონ II-ს, რ-მაც მ. ა. თავის ამალაში ჩარიცხა; აქ მან დაიბრუნა ქრისტიანული სარწმუნოება და თევდორედ (ივერპულო) იწოდა. მეფის გარდაცვალების შემდეგ (1815) ქ. სმირნას (ახლანდ. იზმირი) ქრისტ. ეკლესიას შეაფარა თავი, სადაც თან ახლდა თავისი ძმისშვილი ბერმონაზონი ნეოფიტე. 1822, ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროს, მთაწმინდისკენ მიმავალი, ანაფორით შემოსილი მ. ა. ოსმალებმა შეიპყრეს, აწამეს და ზღვაში გადააგდეს.

2002 საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმ. სინოდის სხდომამ მ. ა. წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 17. II (1. III) დააწესა.

ლიტ.: სურმანიძე რ., წმინდანის ნაკვალევზე, გაზ. «აჭარა», 2003, №41; მისივე, ავალის შთამომავალნი, თბ., 2011; ფუტკარაძე შ., წმიდა თევდორე აჭარელი, გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 2002, №48.

რ. სურმანიძე.

თეოდორე ბალსამონი (Theódōros ho Balsamōn), XII ს. ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე, იურისტი. დაიბადა კონსტანტინოპოლში. ერთხანს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხარტოფილაქსი, ანუ იურიდ. მრჩეველი ყოფილა, 1185–91 – ანტიოქიის პატრიარქი. მისი მთავარი ნაშრომია XIV ტიტულის ,,სჯულისკანონის'' და ,,სჯულისკანონთა'' კრებულის (,,ნომოკანონების'' – საეკლ. კანონიკური კრებულების) კომენტარები. გამოყენებული აქვს მრავალი ისეთი ისტ. საბუთი, რ-ებიც სხვაგან არ მოიძებნება. მ. ბ. კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების (381) მეორე კანონის განმარტების დროს აღნიშნავს: ,,ნუ გაიკვირვებთ, თუ სხვა ეკლესიებსაც ჰპოვებ ავტოკეფალურად, როგორც, მაგალითად, ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას... იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც .... ანტიოქიის უწმინდესი პატრიარქი იყო უფალი პეტრე, გამოტანილი იქნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა''. უკანასკნელი გამოკვლევებით, პატრიარქი პეტრე არის V ს. 70–80-იან წლების ანტიოქიის პატრიარქი პეტრე ფულონი; ამრიგად მ. ბ-ის ცნობა მყარი საბუთია საქართვ. ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღებისა V ს-ში.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 8, თბ., 1970.

ლიტ.: ლომოური ნ., საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია, «ჯვარი ვაზისა», 1990, №3; Tamarati M., L'église géorgienne, Roma, 1910.

ნ. ლომოური.

თეოდორე თაფლაისძე, ხუროთმოძღვარი, რომელმაც X ს. დასაწყისში ააშენა სოფ. ერედვის წმ. გიორგის ტაძარი. სამხრ. ფასადის მრგვალ სვეტზე მოთავსებული სამშ. წარწერის ბოლოს ნათქვამია: ,,მე თეოდორე თაფლაძისძემან დავდე საძირკველი, წელნი იყუნეს ხფი...'' ე.ი. 906 წელს. მ.მ-ის მიერ აგებული ეკლესია წარმოადგენს სამეკლესიიან ბაზილიკას. ეკლესიამ დღემდე ძირითადად თავდაპირველი სახით მოაღწია. შენობის მთლიანი კომპოზიცია, განსაკუთრებით შიდა სივრცის მხატვრული გადაწყვეტა, რ-შიც ძვ. ხუროთმოძღვრების თემა ახლებურად არის გააზრებული, დამახასიათებელია იმ გარდამავალი საფეხურებისათვის, რ-იც უშუალოდ წინ უსწრებს ფეოდ. ხანის ქართ. ხუროთმოძღვრების მეორე აყვავების პერიოდს.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; მეფისაშვილი რ., ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, «ქართული ხელოვნება», 1955, №4.

თეოდორე მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჭუაძე) (დ. 11. IV. 1967, სიღნაღი), სასულიერო მოღვაწე. სპი-ის სამშ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ (1990) ჩაირიცხა ახალციხის სას. სემინარიაში. 1991 წ. 22 თებერვალს აღიკვეცა ბერად, ამავე წლის 2 ივნისს – ბერ-დიაკვნად, 8 სექტემბერს კი – მღვდელ-მონაზვნად ეკურთხა. 1993-იდან საფარის მამათა მონასტრის წინამძღვარია. 1993 მ. მ-ს მიენიჭა იღუმენის, ხოლო 1996 – *არქიმანდრიტის* პატივი.

1996 წ. 27 ოქტომბერს სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქმა *ილია II-მ* სინოდის თანამწირველობით მ. მ. ბოდბელ ეპისკოპოსად აკურთხა. 1998-იდან მ. მ. იყო ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის მმართველი, 2004–05 – თბილ. სას. აკადემიის და სემინარიის რექტორი, 2005 თებერვლიდან – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი. 2003 მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2006 მიტროპოლიტის პატივი მიენიჭა.

მ. მ. დაჯილდოებულია წმ. გიორგის I ხარისხის ორდენით (2007).



თეოდორე აჭარელი. ფრესკა.

თეოდორიტე კვირელი (393–458), საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, 423–449 და 450–458 ქ. კვირის (მდებარეობდა ანტიოქიის მახლობლად, სირიაში) ეპისკოპოსი. იყო ნესტორელობის მიმდევარი. მას ეკუთვნის მრავალი თეოლ. ხასიათის თხზულება და ,,საეკლესიო ისტორია''. ამათგან 7 თხზულება ქართულად უთარგმნიათ შუა საუკუნეებში. ,,საეკლესიო ისტორია'' თარგმნა *ეფრემ მცირემ.* ეს თხზულება ორიგინ. ნაშრომია და მნიშვნელოვანი წყაროა ქართლის გაქრისტიანების შესწავლისათვის. სხვა თხზულებებში მ. კ-ს მოჰყავს საინტერესო ცნობები ქართვ. ტომების – მოსხების, თობელ-იბერების, ლაზების, ჭანების, აბაზგების, ტიბარენების შესახებ, იხსენიებს ქ. ბიჭვინთას და სხვ.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის და ა. გამყრელიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1961.

ნ. ლომოური.

თეოდოს I, აფხაზ მეფეთა დივანის (ქრონიკის) მიხედვით, აფხაზთა მე-7 ,,მეფე'' (ერისთავი) VIII ს-ში, *დემეტრე I-ის* ძე.

თეოდოს II (გ. დაახლ. 825), აფხაზთა სამეფოს (დას. საქართველო) მეფე დაახლ. 798–825, *ლეონ II-ის* ძე. მონაწილეობდა კახეთის მთავარ გრიგოლსა და აშოტ I კურაპალატს შორის ქართლის დაუფლებისათვის ატეხილ ბრძოლაში (ემხრობოდა აშოტს). ,,მატიანე ქართლისა'' მ. II-ს არასწორად მიაწერს ბუღა თურქის წინააღმდეგ ბრძოლას. ბუღა თურქი შემოესია საქართველოს 853, როცა აფხაზთა მეფე მ. II-ის ძმა და მემკვიდრე დემეტრე (დიმიტრი) II იყო.

ლიტ.: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX–X სს.),

თბ., 1963; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1959. *ვ. გუჩუა.*

თეოდოს III, აფხაზთა სამეფოს (დას. საქართველო) მეფე დაახლ. 975–978, *გიორგი II-ის* ძე. ბავშვობიდანვე ბიზანტიაში იზრდებოდა. ლეონ III-ის გარდაცვალების (967) შემდეგ მსხვილ ფეოდალთა ჯგუფმა, რ-იც ცენტრ. ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგი იყო, თ. III დაუპირისპირეს ძმას – ახალგამეფებულ *დემეტრე III-ს.* ტახტისათვის ბრძოლაში თ. III დამარცხდა. დემეტრე III-ის ბრძანებით იგი დააბრმავეს, რის გამოც წყაროებში მოიხსენიება როგორც ,,თვალდამწვარი'', ,,მწუხარე''. თ. III გამეფდა უძეოდ გარდაცვლილი დემეტრე III-ის შემდეგ. ბრმა მეფის მმართველობას ფეოდ. ანარქიის გაძლიერება მოჰყვა. გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ ტახტიდან გადაყენებული თ. III 978 ტაოში გაგზავნა დავით III კურაპალატთან. ამის შემდეგ ის წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1959. *ვ. გუჩუა.*

თეოდოსი (ერისკაცობაში – ნიკოლოზ გიორგის ძე ხელაშვილი) (1777–1844), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი, კალიგრაფი, არქიმანდრიტი (1827). *დავით რექტორის* მოწაფე. 1800 დაამთავრა თელავის სას. სემინარია. 1802 აკურთხეს მღვდლად. 1804–14 იყო თელავის მიძინების ტაძრის დეკანოზი, 1814–24 – თბილ. კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის საღვთო სჯულის და ქართ. სიტყვიერების პედაგოგი, 1826–31 – თელავის სას. სემინარიის ზედამხედველი, 1827-იდან – არქიმანდრიტი, 1831–44 კი – იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი. თ. ავტორია თეოლ. ხასიათის არაერთი ნაშრომისა, რ-თა დედნები დღეს დაკარგულად ითვლება. იგი თანაუგრძნობდა 1832 შეთქმულებას. ეწეოდა ფართო საქველმოქმედო და საზ. მოღვაწეობას. *ლ. ურუშაძე.*

თეოდოსი განგრელი, VII ს. იერუსალიმში მოღვაწე მონაზონი. წარმოშობით პაფლაგონიის ქ. განგრიდან. აქტიურ მხარდაჭერას უწევდა ბიზანტ. საიმპერატორო კარის მიერ დევნილ მონოთელიტებისა და მონოფიზიტების წინააღმდეგ მებრძოლ საეკლ. პირებს. მან გამოაქვეყნა ანასტასი აპოკრისიარის მისდამი მიწერილი წერილი, რ-იც აღწერდა მაქსიმე აღმსარებლის, თვით ანასტასი აპოკრისიარისა და ანასტასი მონაზვნის ბიზანტიონიდან გაძევებისა და ლაზეთში გადასახლების (662) ამბავს. თ. გ-მა ანასტასის წერილს დაურთო აგრეთვე 668/669 დაწერილი საკუთარი მოგონება მაქსიმეს შესახებ. თხზულებაში ლაზიკასთან დაკავშირებით დაცული ცნობები დიდი სანდოობით გამოირჩევა, ვინაიდან ავტორის თანადროულ მოვლენებს ეხება და თვითმხილველის წერილს ემყარება. თ. გ-ის ცნობით, VII ს. II ნახევარში *აფშილეთი,* ისევე როგორც მისიმიანეთი, *ეგრისის* პროვინციაა და ეგრისის ხელისუფალი უშუალოდ ფლობს აფშილეთის, მისიმიანეთის, *სვანეთისა* და *ლეჩხუმის* ტერიტორიას. თვით *ლაზიკის* (ეგრისის) პატრიკიოსისა და მაგისტროსის გრიგოლის რეზიდენცია – ,,პირველი სახლი'' – სწორედ აფშილეთის ტერიტორიაზე, სოფ. ჯიხასორაში, მოქვის მახლობლად, მდებარეობდა. ნაშრომში მოხსენიებულია, აგრეთვე, ეგრისის გეოგრ. პუნქტების სახელები: სკოტორი, მუკორისი, სვანეთის ციხე, ბუკოლუსი, თაკვირია, ფუსტა, თუსუმე, სხემარი. ანასტასი აპოკრისიარის წერილის ნაწყვეტები დაცულია ექვთიმე მთაწმიდელისეულ თარგმანში (,,ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მაქსიმე აღმსარებლისა''). *წყარო:* გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 1, თბ., 1941.

ლიტ.: ლეთოდიანი დ., აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV–VIII საუკუნეებში, თბ., 1991; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977.

ნ. მიწიშვილი.

თეოდოსიოპოლი, ქ. *ერზურუმის* ისტორიული სახელწოდება. ეწოდა ბიზანტიის იმპ. თეოდოსიუს II-ის პატივსაცემად.

თეოდოსის ლავრა, მონასტერი პალესტინაში, მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მე-10 *კმ*-ზე. დააარსა თეოდოსი კვინობიარქმა (423–529). მისი ბიოგრაფის მოწმობით (თეოდოსის ცხოვრება 530 წ. ახლო ხანებშია დაწერილი), თ. ლ-ში არსებული რამდენიმე ეკლესიიდან ერთი სპეციალურად ქართველებისათვის იყო განკუთვნილი: ,,ერთში მამათა სიმრავლე ბერძნ. ენაზე სწირავს ღმერთს მსხურპლსა ქებისას, მეორეში ბესთა ნათესავი თავისი საკუთარი ენით აღავლენს უზენაესისადმი ვედრებას...''. კ. კეკელიძის მოსაზრებით, ,,ბესში'' ლაზები უნდა იგულისხმებოდნენ.

ლიტ.: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980.

თეოლოგია (ბერძნ. theos – ღმერთი და logos – სიტყვა, მოძღვრება), მოძღვრება ღმერთის შესახებ. ქართულად თ. ითარგმნება როგორც ღვთისმეტყველება.

ტერმინი თ. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში გვხვდება და აღნიშნავდა ,,ღმერთის შესახებ საუბარს'', ღმერთთა ისტორიების მოყოლას, თხრობას. თ-ის ამგვარი გაგების უძველესი ნიმუშები გვხვდება *პლატონის* ,,სახელმწიფოში'', რ-შიც ავტორი თ-ის ასეთ გააზრებას ჭეშმარიტების საკითხს უკავშირებს და სვამს კითხვას ერთის, კეთილის და უცვლელის ჭეშმარიტების შესახებ. თ-ის ცნების გარდაქმნა ხდება *არისტოტელესთან,* რ-იც მას ღვთაებრივზე ორიენტირებულ თეორ. მეცნ. მწვერვალად მიიჩნევს. ეს ღვთაებრივი კი წარმოადგენს ყოფიერების პირველად პრინციპს. მაშასადამე, არისტოტელესთან მოხდა თ-ის ტრანსფორმირება: ის მითოლოგიურიდან მეტაფიზიკურ ცნებად გარდაიქმნა. ქრისტიანობაში თ-ის ცნება II ს-იდან იკიდებს ფეხს. *ევსებიუს კესარიელთან* თ. აღნიშნავს ,,ღმერთის ქრისტიანულ გაგებას''. პატრისტიკაში იგი ქრისტიანობის მთელ შინაარსს კი არ მოიცავდა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მის იმ ასპექტს, რ-იც პირდაპირ ღმერთს ეხება. გრიგოლ ნაზიანზელს იმიტომაც ეწოდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომ მისი მოძღვრების მთავარ თემას ღმერთი წარმოადგენდა. XIII ს-ში ცნება თ. განსაკუთრებით მკვიდრად იკიდებს ფეხს. მისი, როგორც მეცნიერების, განვითარების უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენდა ქრისტ. სქოლასტიკა (ანსელმ კენტერბერიელი, პიერ აბელიარი, პეტრე ლომბარდიელი, ალბერტ დიდი, ბონავენტურა, თომა აკვინელი და სხვ.). სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა, ჩამოყალიბდა და განვითარდა თ-ის არაერთი მიმართულება, დარგი და ქვედარგი. დღეს თ-ის, როგორც მეცნ. დისციპლინის, შემ-

დეგ მიმართულებებს განასხვავებენ ერთმანეთისაგან: ისტ. თ. (ბიბლიის განმარტება, ეკლესიის ისტორია, დოგმების ისტორია და თ-ის ისტორია), სისტემ. თ. (დოგმატიკა, აპოლოგეტიკა, ეთიკა) და პრაქტ. თ. (ჰომილეტიკა, ლიტურგიკა, კატეხიზმო და სულზე ზრუნვა). ასევე ერთმანეთისგან განსხვავდება ,,გამოცხადებითი თეოლოგია'' და ,,ბუნებითი თეოლოგია''. გამოცხადებითი თ-ის შესწავლის საგანია რწმენის ჭეშმარიტებანი, რამდენადაც ისინი ღვთის სიტყვასა და ქმედებას, მაშასადამე, მის გამოცხადებას ეფუძნება. ბუნებითი თ-ის კვლევა-ძიების საგანს კი შეადგენს რწმენის ჭეშმარიტებანი, რ-ებიც ადამიანის ,,ბუნებითი გონების'' მიერ განისაზღვრება და შესაძლებელია მისი შემეცნება.

სქართველო ში თეოლ. პრობლემატიკის კვლევა განსაკუთრებით ნაყოფიერად წარიმართა შუა საუკუნეებში. ამას, უწინარეს ყოვლისა, ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი თეოლ. ლიტ-რის ძველბერძნული ენიდან ქართ. ენაზე თარგმნამ. ძვ. ქართ. კულტურის წამყვან კერებში (ათონის მთა, გელათისა და იყალთოს აკადემიები და ა. შ.) ინტენსიურად ითარგმნებოდა ქრისტ. თ-ის ფუძემდებლური ტექსტები (ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, ლიტურგიკა, ჰომილეტიკა, ჰიმნოგრაფია, ჰაგიოგრაფია, კანონიკა, პოლემიკა და ა. შ.). ქართ. თ-ის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ,,კაბადოკიის სამი მნათობის'' (ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი), იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურის, მაკარი მეგვიპტელის, ფსევდოდიონისე არეოპაგელის, მაქსიმე აღმსარებლის, იოანე დამასკელის, თეოდორე აბუკურას, იოანე სინელის და სხვათა ნაშრომების ძველქართულმა თარგმანებმა. ქართ. ღვთისმეტყველების, როგორც მეცნ. დისციპლინის, ჩამოყალიბებაში ფასდაუდებელია *დიონისე არეოპაგელის* სახელით ცნობილი ავტორის ნაშრომთა ქართ. თარგმანები. შ. *ნუცუბიძისა* და ე. *ჰონიგმანის* ჰიპოთეზის თანახმად, *არეოპაგიტიკის* ავტორია გამოჩენილი თეოლოგი და ფილოსოფოსი *პეტრე იბერი*. ეს თარგმანები *ეფრემ მცირემ* (XI ს.) შეასრულა. ფსევდოდიონისე არეოპაგელმა დაამუშავა დადებითი, უარყოფითი და მისტიკური თ-ების კონცეფცია, რ-იც მთელ ქრისტ. პატრისტიკასა და სქოლასტიკაში უდიდესი გავლენითა და აღიარებით სარგებლობდა. ქართ. საღვთისმეტყველო ტრადიციის ჩამოყალიბებაზე ამ ტექსტებმა გადამწყვეტი გავლენა იქონია. შუა საუკუნეების ქართ. აზროვნებაში თ-ისა და ფილოს. ურთიერთმიმართების განხილვის პროცესში კარგად გამოიკვეთა ის როლი და მისია, რასაც ძვ. ქართ. მოაზროვნეები თ-ს აკისრებდნენ. ეფრემ მცირე ფილოს. ადგილსა და დანიშნულებას ღვთისმეტყველების მსახურებაში ხედავდა. მან თარგმნა იოანე დამასკელის „დიალექტიკა“. თარგმანზე დართულ წინასიტყვაობაში ეფრემ მცირე თავის წამოწყებას ამართლებს და ასაბუთებს იმით, რომ ეს მეცნიერება საჭიროა ჭეშმარიტი ღვთისმეტყველების დასაცავად: როგორც ვენახს სჭირდება ღობე, ასევე სჭირდება საეკლ. მოძღვრებებს „საფილასოფოსოჲ სწავლაჲ“. ფილოსოფიურად განათლებული მორწმუნე კარგად ახერხებს მისი მოწინააღმდეგის (ანუ ურწმუნოს) განიარაღებას: „... ამათ მიერ წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგუმერდენ მათ ...“. ეფრემ მცირე ფილოსოფიას „გარეშე სიბრძნედ“ მიიჩნევდა, ფილოს. ცოდნის გამოყენებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ღვთისმეტყველების უპირატესი სტატუსის შენარჩუნებისთვის. მაშასადამე, ეფრემ მცირე თ-ს მეცნ. სისტემაში განსაკუთრებულ ფუნქციას აკუთვნებდა და მის პირველად მნიშვნელობაზე მსჯელობდა. ქართ. თეოლ. მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა *არსენ იყალთოელმა* (XI–XII სს.), რ-მაც გამორჩეული თეოლ. ნაშრომები ქართ. ენაზე თარგმნა, საღვთისმეტყველო კვლევა-ძიებათა შემაჯამებელ კრებულში მოათავსა და სახელად „დოგმატიკონი“ უწოდა. იგი ქართ. თეოლ. ლიტ-რის მნიშვნელოვანი ძეგლი და ქართ. პოლიტ. თ-ის დაფუძნების პირველი მცდელობაა. ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თვალსაზრისთაგან მკვეთრად განსხვავდება *იოანე პეტრიწის* (XII ს.) მოსაზრება თ-ისა და ფილოს. როლის შესახებ. პეტრიწმა ნეოპლატონიკოს პროკლეს „თეოლოგიის საწყისები“ თარგმნა და დაწვრილებით განმარტა ქართ. ენაზე. მისთვის პროკლეს ფილოს. თ. თავისთავად ღირებულებას წარმოადგენს, ამიტომ ის „თეოლოგიის საწყისებს“ ნაბიჯ-ნაბიჯ განმარტავს. ქართვ. მოაზროვნეს სურს, რომ ამ ნაშრომის ფარული შრეები გამოავლინოს და მის არსს ჩასწვდეს. ამ მიზნით ის ისევ პროკლეს და ანტ. ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლებს ეყრდნობა. პეტრიწის კომენტატორული მეთოდი შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ახსნა-განმარტებითი მეთოდებისგან მკვეთრად განსხვავდება. იგი ამ თვალსაზრისით უფრო მეტად რენესანსის მოაზროვნეებთან ამჟღავნებს ნათესაურ კავშირს – პეტრიწი ორიგინ. წყაროებიდან თარგმნის და განმარტავს პროკლეს. იგი „განმარტებაჲს“ წინასიტყვაობაში ვრცლად მიმოიხილავს თავისი ნაშრომის შექმნის ძირითად მოტივებს. მისი აზრით, პლატონი, პროკლე და, საერთოდ, პლატონიკოსთა სკოლა ზუსტად ჩასწვდა სამყაროს საიდუმლოებას. ამდენად, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან არისტოტელესა და პერიპატეტიკოსებისაგან. ეს უკანასკნელნი ამქვეყნიურ სიბრძნეს გვაწვდიან მაშინ, როცა პლატონი და მისი მოწაფეები ზექვეყნიურ, ღვთაებრივ საიდუმლოს გვაზიარებენ (ამგვარი რამ არისტოტელესა და მის მიმდევრებს არ ხელეწიფებათ). ამიტომ პეტრიწის სიმპათია პლატონისა და პლატონიკოსებისაკენ იხრება, თუმცა ის არისტოტელეს ფილოსოფიას არ უარყოფს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან პროკლესეული ფილოს. თ. ქრისტ. რწმენის დასაბუთებისთვის პეტრიწს საიმედო საშუალებად მიაჩნდა. პეტრიწთან ფილოსოფია და ღვთისმეტყველება ერთ დიდ საერთო მიზანს ემსახურება – დაუსახოს ადამიანს მართებული საერო და სას. ორიენტირები.

ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, განსაკუთრებით მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ქართ. კულტურა აღმოჩნდა მძიმე კრიზისში, რ-ისგანაც თავის დაღწევა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ვერ მოხერხდა. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის მეცნ. თეორ. დარგებზე, პირველ რიგში კი – თ-ზე. ამ თეორ. დისციპლინების განახლება საქართველოში მოგვიანებით მოხერხდა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ს.-ს. *ორბელიანის*, *ანტონ I-ის* და სხვათა საღვთისმეტყველო შემოქმედება. განსაკუთრებით კი უნდა

გამოიყოს ანტონ I-ის ოთხტომიანი ,,ღვთისმეტყველება'' (1779), რ-იც ჯერ კიდევ არ არის გამოცემული და რ-ის შესწავლაც მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. თეოლ. მეცნიერების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს ანტონ I-ის ფილოს. სკოლის წარმომადგენლებმა: ფილიპე ყაითმაზაშვილმა, დოსითეოზ ჩერქეზიშვილმა, *გაიოზ რექტორმა*, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელმა (გ. 1815), ამბროსი ნეკრესელმა (XVIII–XIX სს. მიჯნა) და სხვ. ქართ. თ-ის განვითარებისა და შემდგომი ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ი. *ხელაშვილმა*, ღვთისმეტყველმა და ფილოსოფოსმა, ს. *დოდაშვილის* თანამოაზრემ. ი. ხელაშვილის ფილოს. ღვთისმეტყველება ქრისტ. სარწმუნოების მთავარი ღირებულებების განმტკიცებასა და აღორძინებას ისახავს მიზნად. მან მართლმადიდებლობის მრწამსი ასე განსაზღვრა: სიმშვიდე, თავმდაბლობა და ქრისტესმიერი კაცთმოყვარეობა. იგი საგანგებოდ განიხილავს ისეთ სიღრმისეულ თეოლ. პრობლემებს, როგორიცაა ღმერთის არსებობის, სულის უკვდავების, სულისა და სხეულის ურთიერთმიმართების, ნების თავისუფლების და სხვ. საკითხები. ქართ. საღვთისმეტყველო კვლევების თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმო და მნიშვნელოვანია ი. ხელაშვილის „ღვთისმეტყველება სამნაწილედი“, რ-იც 1815 არის დაწერილი და შედგება: ბუნებითი ღვთისმეტყველებისაგან, განცხადებითი ღვთისმეტყველებისა და ზნეობითი ღვთისმეტყველებისაგან. ქართ. ღვთისმეტყველების ისტორიაში თავისი ადგილი აქვს ი. ხელაშვილის მეტად საყურადღებო ქადაგებებს, რ-ებიც მას ქ. პეტერბურგში, დედოფალთა და ბატონიშვილთა კარის ეკლესიაში წარმოუთქვამს. ამ ქადაგებებშიც ჩანს ქართვ. ღვთისმეტყველის ფართო და ღრმა განათლების კვალი: იგი მსჯელობისას იშველიებს არა მარტო საღვთო წერილს, არამედ ფილოსოფიასაც.

ქართ. თეოლ. ტრადიციის განახლება და მისი თვისებრივად ახალ სიმაღლეებზე აყვანა დაკავშირებულია გ. ქიქოძის (იხ. *გაბრიელი)* საღვთისმეტყველო მოღვაწეობასთან. ამას მოწმობს მისი ორტომიანი „ქადაგებანი“ (თქმულნი 1860–70 წლებში). ამ ნაშრომში ქართ. მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების მნიშვნელოვანი საკითხები მეტად ორიგინალურადაა დამუშავებული და გადმოცემული. ისინი ითარგმნა რუს. და ინგლ. ენებზე.

XX ს. საქართველოში, კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ, საღვთისმეტყველო კვლევა-ძიება ფაქტობრივად შეწყდა და თეოლ. პრობლემები მხოლოდ ირიბად თუ განიხილებოდა შუა საუკუნეების ფილოს. ისტორიის სხვადასხვა საკითხთა განხილვის დროს. ამდენად, ქართ. ღვთისმეტყველება, როგორც მეცნ. დისციპლინა, თავისი ბუნებრივი განვითარების მიღმა აღმოჩნდა.

თეოლ. პრობლემების აქტ. კვლევა-ძიება კომუნისტური რეჟიმის შესუსტებისა და დამხობის შემდეგ კვლავაც შესაძლებელი გახდა. XX ს. ბოლოსა და XXI ს. საქართველოში მრავალი საყურადღებო მონოგრაფია, სტატია, ენციკლოპედია, ლექსიკონი, ჟურნალი და ა.შ. გამოიცა, რ-ებშიც თ-ის ფუძემდებლური საკითხები და აქტუალური პრობლემები ინტენსიურად განიხილება. ამდენად, ქართ. ღვთისმეტყველება, ერთი მხრივ, თავის ისტ. ფესვებს უბრუნდება, ხოლო, მეორე მხრივ, დროის გამოწვევებს პასუხობს. ამ პროცესში მას დიდად წაადგება ქართ. საღვთისმეტყველო ტრად. და სიბრძნისმეტყველების „უშრეტი წყაროები“.

ლიტ.: ანტონ ბაგრატიონი, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1980; არეოპაგიტული კრებული. დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველქართულ მწერლობაში, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1983; ზაქარაძე ლ., იონა ხელაშვილი – დიდი ქართველი ღვთისმეტყველი ეპოქათა გზაგასაყარზე, «უფლის ციხე», № 2, თბ., 2012; იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ. რაფავას გამოც., თბ., 1976; იოანე პეტრიწი, განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, ტ. 2, შ. ნუცუბიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტფ., 1937; ირემაძე თ., ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, «უფლის ციხე», №2, თბ., 2012; მისივე, ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე, თბ., 2013.

თ. ირემაძე.

თეოსოფია (ბერძნ. theos – ღმერთი და sophia – სიბრძნე, ცოდნა; ნიშნავს ,,ღვთაებრივ სიბრძნეს'').

თ., ფართო გაგებით, ღვთაებრივის ჭვრეტას ნიშნავს. ის არის მოძღვრება ღვთაებრივის მისტიკური ჭვრეტის შესახებ, რ-იც მიზნად ისახავს ღმერთთან, ღვთაებრივთან შესაძლო გაერთიანებას. თეოსოფები იყვნენ: ნეოპითაგორელები, გნოსტიკოსები, მისტიკოსები და ა. შ. ცნობილ ფილოსოფოსთაგან თეოსოფები იყვნენ: ფილონ ალექსანდრიელი, ი. ბემე, ფ. შელინგი, ფ. ქ. ფონ ბაადერი და სხვ. ამდენად, მრავალი მისტიკური, ოკულტისტური და გნოსტიკური ტრადიცია თ-დ იწოდება. მაგ., ებრ. მისტიკის დიდი ნაწილი, კერძოდ კი კაბალა და ხასიდიზმი, ებრ. თ-ს წარმოადგენს. კაბალა ებრ. რელიგიის მიღმაც გავრცელდა. ამის საუკეთესო მაგალითებია პ. დ. მირანდოლას, ი. როიხლინისა და სხვათა კაბალისტური ნაშრომები.

თ., ვიწრო გაგებით, ნიშნავს XIX ს. ბოლოს ცნობილი ოკულტისტის, ე. ბლავატსკაიას (1831–91) მიერ ჩამოყალიბებულ ეზოთერულ მოძრაობას, რ-იც ინდურ სიბრძნეზე (განსაკუთრებით ბუდიზმსა და ბრაჰმანიზმზე) დაყრდნობითა და ღვთაებრივი არსებისა და ზეგრძნობადი სამყაროს შემეცნების საფუძველზე ადამიანების ზნეობრივი სამყაროს გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ე. ბლავატსკაიას მოსაზრების თანახმად, თ. არის უმაღლესი ჭეშმარიტებების გამოცხადება, რ-იც ღვთაებრივიდან მომდინარეობს და ადამიანის შინაგან არსში ცხადდება. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ე. წ. „ქრისტიანული თეოსოფია“, რ-იც ი. ბემეს ნააზრევისაგან იღებს დასაბამს, და ე. ბლავატსკაიას ე. წ. „თანამედროვე თეოსოფია“.

ქრისტ. თ-ის დიდი გავლენა იგრძნობა როზენკროიცერთა ნაშრომებში, კერძოდ კი, ი. ვ. ანდრეას (1586–1654) შემოქმედებაში, ასევე ცნობილი პიეტისტის, ი. არნდტის (1555–1621) ნაშრომში „ჭეშმარიტი ქრისტიანობის ოთხი წიგნი“. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტი გავლენა იქონია ცნობილი მისტიკოსის, ე. სვედენბორგის (1688–1772) თეოსოფიურ მოძღვრებაზე, კერძოდ კი, მის მთავარ ნაშრომზე „ჭეშმარიტი ქრისტიანული რელიგია“. ე. სვედენბორგის თეოსოფიური მოძღვრება ი. *კანტის* მწვავე კრიტიკის საგანი გახდა. აკადემიური, ინტელექტუალური თ-ის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფ. კ. ეტინგერმა (1702–82). აღსანიშნავია, რომ „ქრისტიანული თეოსოფია“ XX ს. აზროვნებაში – ნ. ბერდიაევის, ლ. ციგლერისა და, ნაწილობრივ, რ. შტაინერის მეშვეობით – უდავოდ ანგარიშგასაწევი მიმდინარეობა იყო.

საქართველოში მისტიკურ-თეოსოფიურ კვლევებს XX ს.

პირველი ათწლეულების ქართველ მოაზროვნეებს შორის საგანგებო ადგილი ეკავა. ე. ბლავატსკაია 1858–63 ცხოვრობდა ოდესასა და თბილისში. ცნობილია, რომ გარკვეული პერიოდი თბილისში მოღვაწეობდა გ. *გურჯიევი*, რ-მაც 1919 აქვე დააარსა „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინ-სტიტუტი“. მისი საქმიანობა ბოლ-შევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ აიკრძალა. მსგავსი სახის ინ-ტები შემდეგ ჩამოყალიბდა ამერიკაში, ინგლისსა და ევროპის სხვა მრავალ ქვეყანაში. გურჯიევი ცნობილი გახდა, როგორც ე. წ. მისტიკურ-ოკულტისტური მოძ-ღვრების, „მეოთხე გზის შემქმნე-ლი“, რ-საც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა.

აკადემიური ქრისტ. თ. ოდით-განვე იქცევდა ფილოს. ისტორიის ქართვ. მკვლევართა სათანადო ყურადღებას. ი. ბემეს მისტიკურ-თეოსოფიური კონცეფციის მი-მოხილვა და შეფასება გვხვდება მ. *გოგიბერიძის*, კ. *ბაქრაძის* და სხვათა ნაშრომებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. *თევზაძის* ნაშრომები ფილოს. ისტორიის შესახებ, სადაც ვრ-ცლადაა განხილული ი. ბემეს, ფ. ვ. ი. შელინგის, ფ. ფონ ბაადერის და სხვ. მისტიკოს-თეოსოფთა კონ-ცეფციები.

საქართველოში საგანგებო ინ-ტერესის საგანი გახდა ქრისტ. თ-ის ერთ-ერთი განშტოება – ა ნ თ რ ო პ ო ს ო ფ ი ა და მისი დამფუძნებელი რ. შტაინერი. ამას ისიც ადასტურებს, რომ ქართ. ენაზე მისი მრავალი ანთროპოსო-ფიული თხზულებაა თარგმნილი. რ. შტაინერის „თეოსოფია“ 1970 ქართ. ენაზე თარგმნეს ზ. *გამსა-ხურდიამ* და მ. *კოსტავამ*. მათვე ეკუთვნის თ-ის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა.

ლიტ.: ახალი ფილოსოფიის ისტო-რია, ნაწ. 1. განმანათლებლობა (ფრენ-სის ბეკონიდან იმანუელ კანტამდე), თბ., 2009; ახალი ფილოსოფიის ისტო-რია, ნაწ. 2 (იმანუელ კანტიდან ფრიდ-რიხ ნიცშემდე), თბ., 2012; გ ო გ ი ბ ე რ-ი ძ ე მ., ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1941; გ უ რ ჯ ი ე ვ ი გ., სიყვარუ-ლის ორი სახე, თარგმნა მ. ხერგიანმა, თბ., 1992; თ ე ვ ზ ა ძ ე გ., აღორძინების ეპოქის ფილოსოფია (მარსილიო ფი-ჩინოდან იაკობ ბოემემდე), თბ., 2008; შ ტ ა ი ნ ე რ ი რ., თეოსოფია: შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სა-მყაროს ზეგრძნობადი შემეცნების სფე-როში. თარგმნეს ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავამ, თბ., 1970. *თ. ირემაძე.*

თეოფანე ბიზანტიელი (Theo-phanēs Byzantios), VI ს. II ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი. მისი საისტორიო თხზულება მოიცავს 566–581 ამბებს. შემორჩა მხოლოდ ფრაგმენტები ფოტიოსის (IX ს.) თხზულებაში ,,ბიბლიოთეკა“. ერთ-ერთ ფრაგმენტში მოთხრო-ბილია სპარსეთის წინააღმდეგ 572 ქართლისა და სომხეთის აჯანყების შესახებ, მოხსენიებუ-ლია ქართლის მთავარი გურგე-ნი. აქვე პირველადაა ნახსენები თბილისი, ,,ტფილისის“ სახე-ლით, როგორც იბერიის დედაქა-ლაქი.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერ-ლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936. *ნ. ლომოური.*

თეოფანე ჟამთააღმწერელი, ა ღ მ ს ა რ ე ბ ე ლ ი (Theophanēs Ho-mologētēs) [დაახლ. 760, კონსტან-ტინოპოლი, – 12. III. 818, კ. სა-მოთრაკია (ეგეოსის ზღვაში)], ბი-ზანტიელი მემატიანე, ბერი, ხატ-თაყვანისმცემელი. ეკლესიამ წმინ-დანად შერაცხა. მისი ,,ქრონოგრა-ფია“ დაწერილია დაახლ. 810–814 და მოიცავს 284–813 მოვლენებს (თ. ჟ. იყენებს წელთაღრიცხვის იმ სისტემას, რ-ის მიხედვითაც ერა ძვ. წ. 5493 წ. 1 სექტ. იწ-ყებოდა). საკმაოდ მრავლად აქვს ცნობები საქართველოს შესახებ, რ-თა ერთი ნაწილი (ქართლის გაქრისტიანება, ლაზთა მეფის წათეს ირანელთაგან განდგომა და ხელახალი გაქრისტიანება, ბიზან-ტიელთა და ირანელთა ბრძოლა ქ. პეტრასთვის, 562 ზავი ბიზანტია-სა და ირანს შორის, ირანელების ლაშქრობა სვანეთში) სხვა წყარო-ების საფუძველზეა შედგენილი და რაიმე მნიშვნელოვან სიახლეს არ შეიცავს. განსაკუთრებული მნიშვ-ნელობა ენიჭება მის ცნობებს ბიზანტ. იმპ. ჰერაკლეს ირან-თან ომების დროს ქართლისა და ლაზიკის პოზიციის გასარკვევად, აგრეთვე სამხრ. კავკასიაში არაბ-თა ლაშქრობების ისტორიისათ-ვის. აქვე არის სხვა ცნობები სა-ქართველოს პოლიტ. ვითარების შესახებ VII–VIII სს-ში.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწ-ერლების ცნობები საქართველოს შეს-ახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 1, თბ., 1941.

თეოფანეს გამგრძელებლები (Theophanes Continuatus), ბიზანტი-ური მატიანის პირობითი სახელი. შედგენილია 961–963, წარმოად-გენს *თეოფანე ჟამთააღმწერელის* თხზულების გაგრძელებას, მოი-ცავს ბიზანტ. იმპერატორთა 813–961 ისტორიას. შედგენილია რამდენიმე მემატიანის მიერ. შეი-ცავს საინტერესო ცნობებს საქარ-თველოს შესახებ: ქართველთა მონაწილეობაზე *თომა სლავის აჯანყებაში* (821–823); უნიკალურ ცნობას ბიზანტიელთა მარცხიანი ლაშქრობის შესახებ დას. საქარ-თველოში IX ს. 30–40-იან წლებ-ში: ,,ისე, რომ ძალიან ცოტანიღა დაბრუნდნენ იქიდან უკან. ჯარის ერთმა ნაწილმა ხომალდის დამ-სხვრევა განიცადა და სიცოცხლე შესწირა, სხვები კიდევ, თუმცა ხმელეთზე გადავიდნენ, მაგრამ პირველების უბედურება გაიზი-არეს, აი, ასე დაიღუპა ეს ჯარი“. სხვა წყაროებში ამგვარი ცნო-ბები არსად მოიპოვება და IX ს. დას. საქართველოს პოლიტ. ვი-თარების გასარკვევად თ. ბ-ის ამ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საინტერესოა ცნობა იბე-რიის კურაპალატის (სავარაუდოდ, ადარნასე კურაპალატის) 922 ბი-ზანტიაში ყოფნის შესახებ.

წყარო და პუბლ.: Theophanes continu-atus, rec. I. Becker, Bonnae, 1838; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები სა-ქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1952.

ნ. ლომოური.

თეოფილაქტე (რ უ ს ა ნ ო ვ ი) (1765 – 19. VII. 1821, სიღ-ნაღი), საქართველოს ეგზარქოსი 1817–21. ეგზარქოსობამდე თავ-დაპირველად კალუგის, შემდეგ რიაზანის არქიეპისკოპოსი იყო. საქართველოში აქტიურად ატარებდა ცარიზმის კოლონიურ-რუსიფიკატორულ პოლიტიკას. მან დანიშვნისთანავე 1817 წ. 9 ნოემბრის ბრძანებულებით თბილ. სიონის საკათედრო ტაძარში შე-მოიღო კვირაში სამი დღე რუსუ-ლად წირვა-ლოცვა; იმპ. ალექსან-დრე I-ს წარუდგინა ,,საეკლესიო რეფორმების“ პროექტი, რ-იც მიზნად ისახავდა ქართვ. სამღვდე-ლოების მთლიანად ცარიზმის სამსახურში ჩაყენებას. სინოდმა მოიწონა თ-ს პროექტი, რ-იც იმ-პერატორმა 1818 წ. 28 დეკემბერს დაამტკიცა. თ. პირადად ხელმძღ-ვანელობდა ამ რეფორმის გატარე-ბას დას. საქართველოში, რისთ-ვისაც მან 1819 მაისში დაიწყო იმერეთში, გურიასა და სამეგრე-ლოში საეკლ. გლეხებისა და მა-მულების აღწერა; საეკლ. გლეხებს შეაწერა გადიდებული ფულადი გადასახადი, ხოლო ძვ. ნატურით გადასახადი შეუცვალა ფულადით, შეამცირა ეპარქიათა და სამრევ-ლო ეკლესიების რაოდენობა და სხვ. თ-ს ამ ღონისძიებებმა გამოი-წვია მოსახლეობის აჯანყება (იხ.

იმერეთის აჯანყება 1819–20), რ-შიც ჩაბმული იყო საეკლ. გლეხობა და ქართვ. სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის ნაწილი. მ. აჯანყებულთა შიშით, რ-ებიც მის გაძევებას მოითხოვდნენ, 1819 წ. 9 ივლისს 300 რუსი ჯარისკაცისა და 2 ქვემეხის თანხლებით თბილისში დაბრუნდა. ცარიზმის მიერ აჯანყების ჩახშობის შემდეგ მ. აჯანყების მონაწილეებს რუს. ხელისუფლებასთან აბეზღებდა. მან ქართ. სამღვდელოების რუსულად აღზრდის მიზნით დააარსა სას. სასწავლებლები თბილისში, თელავში, გორში, სიღნაღში; ხელს უწყობდა ოსურ მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებას.

წყარო: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. 6, ч. 1, Тфл., 1874; Е [п и с к о п] К [и р и о н], Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тфл., 1901.

ლიტ.: М а х а р а д з е Н., Восстание в Имеретии 1819–20 гг., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1942, ნაკვ. 3.

ე. ბუბულაშვილი.

თეოფილაქტე სიმოკატა (Theophylaktōs Simokattes), VII ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი, წარმოშობით ეგვიპტიდან. განეკუთვნებოდა ბიზანტიის იმპერიის საზოგადოების ზედა ფენას. იყო იმპ. ჰერაკლეს (610–641) მრჩეველი. მისი თხზ. ,,ისტორია'' (,,მსოფლიო ისტორია'') *მენანდრე პროტექტორის* შრომის გაგრძელებას წარმოადგენს და იმპ. მავრიკიოსის (582–602) დროინდელ ამბებს მოიცავს. თხრობის მთავარი თემაა ბიზანტიის იმპერიის მიერ ბალკანეთის ნ.-კუნძულზე ავარებისა და სლავების, ხოლო აღმოსავლეთში სასანიანთა ირანის წინააღმდეგ გამართული ომები. მ. ს-ს ,,ისტორიაში'' მოიპოვება მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს შესახებ, ასე მაგ.: თურქთა მიერ ,,კოლხთა ბელადებისა და სამასი ათასი კოლხის ამოხოცვის'' (მიცვალებულები 4 დღის სავალზე იყო მოფენილი) შესახებ. როგორც გაირკვა, მ. ს-ს აღნიშნული ფაქტი შეიძლება გაზვიადებულია, მაგრამ ისტ. რეალობას ემყარება. დაახლ. 558 (562-მდე) ცენტრ. აზიიდან გამოქცეულმა ჟუჟანებმა (ისინი აღმ. ევროპაში ავართა სახელით არიან ცნობილნი) ბალკანეთში გადასვლამდე, აზოვის ზღვის აღმ-ით ოგორთა განადგურების შემდეგ, შავი ზღვის ჩრდ.-აღმ. სანაპიროზე განსახლებული ქართველური მოსახლეობა ამოხოცეს. ეს ამბავი ქართ. წყაროშიცაა ასახული (ჯუანშერი). მ. ს. საუბრობს აგრეთვე, VI ს. 80-იანი წლების მშვიდობიანობის შესახებ ეგრისში: ,,ფასისის წყალსაც აღარ ამღვრევდა სისხლი; მისი მშვიდობიანი მდინარება სიწყნარის ბრწყინვალებით რწყავდა კოლხეთს და მიდიელ მოსახლეს არსად აჭაჭანებდა''.

მ. ს. დაწვრილებით გადმოსცემს ირანელთა სარდლის ბარამის შეჭრას სვანეთში 589–590, სადაც იგი სასტიკად დამარცხდა.

წყარო: Theophylacti Simocatte Historiae, ed. C. de Boor, Lipsiae, 1887; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 1, თბ., 1941; ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: გ ო ი ლ ა ძ ე ვ., თეოფილაქტე სიმოკატას ერთი ცნობა კოლხთა შესახებ და მისი რეალობის საკითხი, «ბიზანტინოლოგია საქართველოში», II, თბ., 2009; მ ი ს ი ვ ე, ჰუნ-თურქები კავკასიაში, თბ., 2008; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბ ე რ ა ძ ე ი., სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ, «თსუ შრომები», 1998, ტ. 7.

ვ. გოილაძე. ნ. ლომოური.

თეოფილაქტოს ბულგარელი, ო ხ რ ი დ ე ლ ი (XI ს. I ნახ. – 1126 შემდეგ), ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, მწერალი. XI ს. 70-იან წლებში იყო რიტორიკის მასწავლებელი კონსტანტინოპოლში, შემდეგ – წმ. სოფიოს ტაძრის დიაკონი, 1088–89 – ბულგ. საარქიეპისკოპოსოს (ცენტრი – ოჰრიდი) არქიეპისკოპოსი. მიმოწერა ჰქონდა ბიზანტ. დედოფალ *მარიამთან* (1071–81), რ-ის შთაგონებით მ. ბ-მა დაწერა კაპიტ. ნაშრომი ,,იოანეს სახარების განმარტება''. მასვე დააწერინა მარიამმა ტრაქტატი თავისი ვაჟის, ტახტის მემკვიდრის, კონსტანტინე პორფიროგენეტის აღსაზრდელად.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5–6, თბ., 1963–66.

თეოფილე, ბიზანტიის იმპერატორი (829–842). 830 არაბთა წინააღმდეგ აჯანყებულ დას. საქართველოს დასახმარებლად გაუგზავნა სამხ. ექსპედიცია თეოფობეს და ბარდას სარდლობით, თუმცა ბიზანტიელები სასტიკად დამარცხდნენ და დიდად შემცირებულნი დაბრუნდნენ უკან.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1952.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.

თეოფილე ხუცესმონაზონი, XI ს. II ნახევრის და XII ს. დამდეგის მწერალი, მთარგმნელი. მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში, ღვთისმშობლის მონასტერში. თავის მოძღვრად და მასწავლებლად მიიჩნევდა *გიორგი მთაწმიდელს*. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო მეფე გიორგი II-ის დავალებით არა უადრეს 1073-ისა. მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ მინაწერის თანახმად, 1114 იგი *ეფრემ მცირესთან, არსენ იყალთოელთან* და *იოანე ტარიჭისძესთან* ერთად ჩამოვიდა საქართველოში. მ. ხ. მეტად ნაყოფიერად მოღვაწეობდა სას. მწერლობის მრავალ დარგში. მას დიდი წვლილი მიუძღვის მეტაფრასული მწერლობის განვითარებაში. თარგმნა მეტაფრასული ხასიათის ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური თხზულებანი, მ. შ. აღსანიშნავია სვიმეონ მეტაფრასტის საკითხავები (სექტემბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეთა), აგრეთვე ეპიფანე კვიპრელის, ანასტასი სინელის, კირილე ალექსანდრიელის, იოანე ოქროპირის თხზულებანი. მასვე ეკუთვნის თეოდორიტე კვირელისა და ეპიფანე კვიპრელის დოგმატ. თხზულებათა თარგმანები. ეგზეგეტიკურ თხზულებათაგან მისი თარგმნილია იოანე ოქროპირისეული ძველი აღთქმის წიგნების კომენტარები. მ. ხ-ის მთარგმნელობით მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართ.-ბიზანტ. ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. მისი ნათარგმნი თხზულებების ზოგიერთ ბერძნ. დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია, მ. შ. უნდა აღინიშნოს თეოდორე კვირელის „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“ და ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

რ. მიმინოშვილი.

თეოფობი (VI ს.), ლაზი (ეგრისელი) წარჩინებული, მოღვაწეობდა ეგრისში დიდი ომიანობის (542–562) პერიოდში. 550–551 საომარი ოპერაციების მიმდინარეობისას უკმაყოფილო იყო ბიზანტ. სარდლების ძალმომრეობით. ამით ისარგებლა ირანელთა სარდალმა მერმეროემ და მისი გადაბირება მოახერხა. თ-მ ირანელებს უბრძოლველად დაუთმო სტრატეგიული ციხესიმაგრე უქიმერიონი (ქუთაისის მახლობლად). ამ ციხესიმაგრის დაკარგვით ეგრისელებს და ბიზანტიელებს გარკვეული დროით ხელიდან გამოეცალათ ტერიტორია უქიმერიონიდან

ლიხის მთამდე, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი.

წყარო: პროკოპი კესარიელი, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

დ. ლეთოდიანი.

თეოფრასტე (Theophrastos) (დაახლ. ძვ. წ. 372–369, ქ. ერესოსი, კ. ლესბოსი, – ძვ. წ. 288–285, ათენი), ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი და ბუნებისმეტყველი; არისტოტელეს მოწაფე და მეგობარი. არისტოტელეს სიკვდილის შემდეგ, როგორც მისი მიმდევარი, სათავეში ჩაუდგა პერიპატეტიკოსთა სკოლას და დიდი წვლილი შეიტანა მის აყვავებაში. თ. იყო ანტ. ეპოქის დიდი ენციკლოპედისტი. იგი ავტორია მრავალი შრომისა (დაახლ. 225 დასახელება), რ-ებიც ეხება მისი ეპოქის მეცნ. და ფილოს. თითქმის ყველა დარგს, თუმცა მათი უმრავლესობა დაკარგულია. თ-ს ბოტან. ტრაქტატები ,,მცენარეთა ისტორია'' და ,,მცენარეთა მიზეზთათვის'' განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დისციპლინის ისტორიისთვის. ამ დარგში იგი ითვლება დაკვირვებისა და ინდუქციური განზოგადების მეთოდების მამამთავრად. შრომაში ,,ქვათათვის'', რ-იც მინერალოგიას შეეხება, თ. კოლხეთს მოიხსენიებს. იგი ამოდის ,,კავშირის'' ცნებიდან და აკრიტიკებს არისტოტელეს მოძღვრებას სულიერ და სხეულებრივ სუბსტანციებს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირისა და ,,უძრავი მამოძრავებლის'' შესახებ. ფართოდაა ცნობილი თ-ს ნაშრომი ,,ხასიათები'', რ-შიც მისი ეთიკური კონცეფციაა გადმოცემული. დიდია თ-ს დამსახურება ლოგიკაში. მან გააფართოვა სილოგიზმის I ფიგურის ცნება ისე, რომ მასში აგრეთვე შესულიყო არისტოტელეს მიერ გვიან აღმოჩენილი ახ. მოდუსები, რ-თაგან შემდგომ IV ფიგურა შეადგინეს; გამოიკვლია პირობითი და გაყოფითი სილოგიზმები. თ-ს დამსახურებას არისტოტელეს ლოგიკის განვითარების საქმეში დიდად აფასებდა ცნობილი ქართვ. მოაზროვნე, ფილოსოფოსი და ლოგიკოსი ს. *დოდაშვილი.* თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში – ,,ლოგიკა'' (რუს. ენაზე, სანქტ-პეტერბურგი, 1827) იგი საგანგებოდ აღნიშნავდა თ-ს წვლილს არისტოტელეს სილოგიზმის თეორიის I ფიგურის სილოგიზმების ჩამოყალიბებაში.

ლიტ.: ბერძნიშვილი მ., ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969; დოდაშვილი ს., თხზულებანი, შემდგ. თ. კუკავა, თბ., 2001; Die Metaphysik Theophrasts, hrsg. von J. Henrich, Münch.–Lpz., 2000.

თ. ირემაძე.

თერაპევტთა ასოციაცია საქართველოსი, ჩამოყალიბდა 2003 თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ,,ზოგადთერაპიული კლინიკის'' და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის მედიცინის ფაკ-ტის შინაგან დაავადებათა კათედრის ბაზაზე. ასოციაციის პრეზიდენტია დ. *გორდელაძე.* თ. ა. მონაწილეობს ექიმთა უწყვეტი სამედ. განათლების და პროფ. განვითარების პროცესში, საერთაშ. სამეცნ. ყრილობებსა და კონფერენციებში. თავისი როლი შეასრულა პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში შინაგან დაავადებათა სპეციალობის შენარჩუნების, თერაპევტთა როლისა და ფუნქციების გამოკვეთის საკითხში.

თ. ა. მონაწილეობს საკანონმდებლო და საექსპერტო საქმიანობაში, თანამშრომლობს ჯანდაცვის სამინისტროსთან, საქართვ. სამედ. ასოციაციების გაერთიანებასთან და სხვ. მისი ინიციატივით 2004-იდან ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის იურიდ. ფაკულტეტზე სასწ. პროგრამაში შეიტანეს ,,სამედიცინო სამართლის'' კურსი. თ. ა. აქტიურად არის ჩართული საზ. საქმიანობაში, მოსახლეობის საქველმოქმედო სამედ. შემოწმებებში, ჯანდაცვის სტრატეგიის მიმართულებების და სამედ. განათლების საკითხების განხილვასა და განსაზღვრაში. *დ. გორდელაძე.*

თერაპია (ბერძნ. therapeia – მკურნალობა), მედიცინის დარგი, რ-იც შეისწავლის შინაგანი დაავადებების მიზეზებს (ეტიოლოგია), განვითარების მექანიზმს (პათოგენეზი), კლინიკურ გამოვლინებას (სიმპტომატოლოგია), დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

თ-ში გამოიყოფა შემდეგი სპეციალობები: კარდიოლოგია, პულმონოლოგია, გასტროენტეროლოგია, ჰეპატოლოგია, ჰემატოლოგია, ნეფროლოგია, ენდოკრინოლოგია, რევმატოლოგია და სხვ.

იხ. აგრეთვე სტ. *შინაგანი მედიცინა.*

თერაპიის ეროვნული ცენტრი, ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. დაარსდა 1961 ექსპერ. თერაპიის სამეცნ. ლაბორატორიის ბაზაზე. 1999 მას ცენტრის სტატუსი მიენიჭა.

ინ-ტი და შემდეგ უკვე ცენტრი იკვლევდა არტერიულ ჰიპერტონიას, ათეროსკლეროზს და გულის იშემიურ დაავადების, სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების პათოლოგიას, აგრეთვე გერონტოლოგიის და გერიატრიის, ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის კვების, სამედ. გენეტიკისა და შთამომავლობის საკითხებს და სხვ.

თ. ე. ც-ში იყო 26 სამეცნ. განყ-ბა, ლაბორატორია, კლინიკა, საკონსულტაციო პოლიკლინიკა, ბ-კა. 1961–99 ინ-ტს ხელმძღვანელობდა ნ. *ყიფშიძე,* 1999–2011 გენ. დირექტორი იყო მ. კვიტაშვილი.

თ. ე. ც-ის ბაზაზე არსებობდა სამეცნ.-საკოორდინაციო თერაპიის ცენტრი, გერონტოლოგიისა და გერიატრიის სამეცნ.-მეთოდური ცენტრი, ულტრაბგერითი გამოკვლევებისა და ლაზეროთერაპიის რესპ. ცენტრი.

1994 ინ-ტს გამოეყო მიოკარდიუმის ინფარქტის განყ-ბა და დაარსდა გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი (ახლანდ. გ. *ჩაფიძის* სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი), რ-იც დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას.

თ. ე. ც-მა 2011-იდან შეწყვიტა ფუნქციონირება.

,,თერგდალეულები'', XIX ს. 60-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული მოძრაობის წარმომადგენლები. ტერმინი ,,თერგდალეული'' ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: 1. როგორც თიკუნი XIX ს. 50-იანი წლების II ნახ-ში რუსეთში განათლების მისაღებად წასული ახალგაზრდებისა (რაკი რუსეთში წასვლისას მდ. თერგის გადალახვა უწევდათ, ხუმრობით ,,თ.'' შეარქვეს); 2. როგორც სახელი გარკვეული საზ. მოძრაობის წევრისა, რადგან სწორედ რუსეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდები ჩაუდგნენ სათავეში ამ მოძრაობას. „თ-ის“ განმან. იდეებმა ასახვა პოვეს მათსავე მხატვრულ და პუბლიც. ნაწარმოებებში, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ახ. ლიტ. მიმდინარეობას. თ. იყვნენ ი. *ჭავჭავაძე,* ა. *წერეთელი,* ნ. *ნიკოლაძე,* ი. *გოგებაშვილი,* გ. *წერეთელი,* კ. *ლორთქიფანიძე,* ს. *მესხი,* ვ. *თულაშვილი,* ს. *აბაშიძე,* პ. ნაკაშიძე და სხვ. ამ წრის ჟურნალ-გაზეთები – ,,საქართველოს მოამბე'', ,,დროება'', ,,კრებუ-

ლი‘‘ და მათში გამოქვეყნებული თხზულებანი გამოხატავდა ძირითადად ,,თერგდალეულობის‘‘, როგორც საზ. მოძრაობის, არსს.

,,თ-ის‘‘ მოძრაობის დასაწყისად მიჩნეულია 1861 წელი, როდესაც ჟურნ. ,,ცისკარში‘‘ გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის სტატია – «ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდგან ,,შეშლილის‘‘ თარგმნაზედა». ამ სტატიას მაშინ ცხარე კამათი მოჰყვა ქართ. ენისა და ლიტ-რის საკითხებზე. საზ-ბა ორად გაიყო – ახალგაზრდები მხარს უჭერდნენ ი. ჭავჭავაძეს, ხანდაზმულები კი მათ ედავებოდნენ. კამათმა თაობათა ბრძოლის სახე მიიღო, რის გამოც შემდეგ ამ დავა-პაექრობას ,,მამათა და შვილთა ბრძოლა‘‘ უწოდეს.

,,თ-ის‘‘ საერთო მიზანი იყო საქართვ. საზ. ყოფის შეცვლა და მისი განვითარების ახ. გზაზე გამოყვანა. ამ მიზნის მისაღწევად მათ აუცილებლად მიაჩნდათ განათლების, სოც. და ეროვნ. საკითხების მოგვარება.

,,თ.‘‘ განათლების აპოლოგეტები იყვნენ და აუცილებელ საყოველთაო განათლებას ქადაგებდნენ. ამას ისინი არა მხოლოდ თეორიულად მოითხოვდნენ, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ. მათ სახელთან არის დაკავშირებული *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* ჩამოყალიბება, სკოლების გახსნა და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ი. გოგებაშვილის პედ. მოღვაწეობა. განათლება რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო, სალიტ. ენა ხალხისას უნდა დაახლოებოდა. ენის მოსალოდნელმა რეფორმამ ცხარე კამათი, შეხლა-შემოხლა გამოიწვია, მაგრამ ,,თ-მა‘‘ ეს საქმე გამარჯვებით დააგვირგვინეს – სამწერლობო (სალიტ.) ენის ძირეული რეფორმით იგი ხალხის სასაუბრო ენას დაუახლოვეს.

,,თ.‘‘ ხელოვნებასა და მწერლობას ხალხის, საზ-ბის მსახურად მიიჩნევდნენ, ხალხისა და ქვეყნის ჭირ-ვარამი, შვება-ლხენა მწერლობის ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო. ეს შეხედულება მკაფიოდ და ნათლად არის გამოთქმული ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის და სხვათა ნაწერებში. ყოველი მათგანი ბოლომდე ერთგული დარჩა ამ შეხედულებისა.

სოც. ურთიერთობათა სფეროში ,,თ-ის‘‘ ძალისხმევა ბატონყმობის გაუქმებისკენ იყო მიმართული. აუცილებელი იყო ხალხის ცნობიერების აღზრდა, რასაც დიდად შეუწყო ხელი მწერლობამ. დ. *ჭონქაძის* ,,სურამის ციხის‘‘ გამოქვეყნების შემდეგ ბატონყმობა მკაცრად და დაუნდობლად სწორედ ,,თ-მა‘‘ გააკრიტიკეს თავიანთ მხატვრულ-პუბლიც. ნაშრომებში, რითაც არსებითად მოამზადეს საზ. აზრი დიდი რეფორმის ჩასატარებლად. ბატონყმობის გადავარდნას და ახ. საზ. წყობილების თანდათანობით დამკვიდრებას, მათი ვარაუდით, შრომის გათავისუფლებაც უნდა მოჰყოლოდა – ,,შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის‘‘ (ი. ჭავჭავაძე, ,,აჩრდილი‘‘), მაგრამ ეს არ უნდა მომხდარიყო კლასობრივი ბრძოლის საშუალებით, როგორც ამას სოციალისტები ქადაგებდნენ. კლასობრივი ბრძოლა ,,თ-ს‘‘ მიუღებელ და საშიშ მოვლენად მიაჩნდათ, რამდენადაც იგი მცირერიცხოვანი ერების თვითგანადგურებას მოასწავებდა. ამიტომ, ,,თ-ის‘‘ შეხედულებით, აუცილებელი იყო ერის შინაგანი მთლიანობა. ადამიანთა და წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდი უნდა აღდგენილიყო და ახ. სამყარო ყველას ერთად ეშენებინა.

,,თ-ის‘‘ მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც ლაკონიურად და სხარტად გამოხატა ილიამ ცნობილი ფრაზით – ,,ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს‘‘ (,,მგზავრის წერილები‘‘). ამ დიდი ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებლად მიაჩნდათ ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდის გავლა, რასაც, მათი აზრით, პრაქტიკულად უზრუნველყოფდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომია. ეს იყო ,,თ-ის‘‘ პოლიტ. იდეალი, რ-ის ერთგულნიც ისინი ბოლომდე დარჩნენ. მაგრამ ,,თ-ის‘‘ ამ მისწრაფებას განხორციელება არ ეწერა.

მიუხედავად იმისა, რომ თ-ს საერთო შეხედულებები აერთიანებდათ, ,,თერგდალეულობას‘‘ მყარად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სახე არ ჰქონია. ამას მოგვიანებით ი. გოგებაშვილიც აღნიშნავდა, რ-ის აზრითაც, ,,მესამოცეებმა‘‘ რეალურად მოქმედი ორგანიზაცია ვერ შექმნეს. XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისში ამ მოძრაობამ არსებობა შეწყვიტა, თუმცა შემდგომ ,,თ.‘‘ მწერლობაშიც და საზ. ასპარეზზეც აქტიურად მოღვაწეობდნენ.

,,თ-ის‘‘ მოძრაობის დაშლას სხვადასხვა მოვლენამ შეუწყო ხელი: ი. ჭავჭავაძე, რ-იც ,,საქართველოს მოამბის‘‘ დახურვის (1863) შემდეგ დუშეთში მსახურობდა, მოწყვეტილი აღმოჩნდა თბილისის საზ-ბას; 60-იანი წლების ბოლოს ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრნენ. ევროპული სამყაროს გაცნობამ მათზე ძლიერი გავლენა იქონია და ამის შემდეგ საქართვ. არჩევანი რუსეთსა და ევროპას შორის ,,თ-თვის‘‘ ცხარე კამათის საგნად იქცა. დავა ატყდა იმის თაობაზეც, თუ რა ეთხოვათ საქართველოში ჩამოსული ალექსანდრე II-თვის: უმაღლესი სასწავლებლის – უნივერსიტეტის (გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე) თუ სამხ. სასწავლებლის გახსნა. უმრავლესობა ამ უკანასკნელს ემხრობოდა. ნ. ნიკოლაძე არც ერთ მათგანს არ იზიარებდა. მას მართებულად მიაჩნდა იმპერატორისათვის ერობის – თვითმმართველობის შემოღება ეთხოვათ, რაც ხალხს სახელმწიფო მართვას მიაჩვევდა. ეს შორსმჭვრეტელური წინადადება იყო, თუმცა მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. უთანხმოება ჩამოვარდა ი. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძეს შორის საადგილმამულო ბანკის დაარსების გამოც.

სხვადასხვა საკითხებზე ამგვარმა იდეურმა დავამ ,,თ-ის‘‘ მოძრაობა შიგნიდან დაშალა. ამას დაემატა ისიც, რომ ნ. ნიკოლაძემ და გ. წერეთელმა 70-იანი წლების დასაწყისში ახ. მიმართულებას ჩაუყარეს საფუძველი, რ-იც *,,მეორე დასის‘‘* სახელით არის ცნობილი, ხოლო *,,პირველი დასის‘‘* სახელი ,,თ-ის‘‘ მოძრაობას დარჩა.

ლიტ.: აბაშიძე კ., ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბ., 1962; გაფრინდაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, [ტ.] 2, თბ., 1976; კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. 2, თბ., 1960; რატიანი პ., თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962; საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). თ. ჯოლოგუას გამოც., ტ. 2, თბ., 2007; ჯოლოგუა თ., დიმიტრი ყიფიანი [1830–1860], თბ., 2002.

ა. ბაქრაძე.

თერგვისი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ტირძნისის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 840 *მ*, გორიდან 24 *კმ*. 182 მცხ. (2014).

თერგი, მდინარე საქართველოსა (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) და



მდინარე თერგი.

რუსეთის ფედერაციაში (ჩრდ. ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ინგუშეთი, ჩაჩნეთი, დაღესტანი). სიგრძე 623 *კმ* (აქედან საქართვ. ფარგლებში 85 *კმ*). აუზის ფართ. 43,2 ათ. *კმ*^{2}. სათავეს იღებს მწვ. ზილგახოხის ჩრდ. და აღმ. კალთების მყინვარებიდან, ზ. დ. 2800 *მ*-ზე მაღლა. სათავიდან 30 *კმ*-ზე მიედინება კავკასიონის მთავარ და გვერდით ქედებს შორის. ზემოწელში, *თრუსოს ხეობის* მონაკვეთზე, იერთებს მრავალ მყინვარულ ნაკადს, რ-თაგან აღსანიშნავია სუათისი, ჯიმარისწყალი, რესიწყალი, წოწოლთისწყალი, ესიქომი. სოფ. კობთან თ. მკვეთრად უხვევს ჩრდ-კენ და კვეთს გვერდით ქედს. სტეფანწმინდა-დარიალის მონაკვეთზე თერგს ერთვის მდინარეები: სნოსწყალი, ხდე, ჩხერი, ყაბახი და სხვ. დარიალში თერგს უზარმაზარი ვარდნა აქვს და მისი კალაპოტის აბსოლ. ნიშნულები კლდეკარის უვიწროეს ნაწილში (მდ. ხდის შესართავის მიდამოებში) ეცემა 1350 *მ*-მდე, ხოლო საქართვ. ჩრდ. საზღვართან – 1200 *მ*-მდე.

დარიალის ხეობის შემდეგ თ. კვეთს კლდოვან ქედსა და შავ მთებს. ბარში იტოტება. მდ. სუნჯის შეერთების შემდეგ მიედინება კასპიისპირა დაბლობზე და ერთვის კასპიის ზღვას. შესართავთან აჩენს დელტას (ფართ. 4 ათ. *კმ*^{2}).

თერგის აუზის მდინარეთა ჩამონადენი მაღალმთიან ზონაში 30–40 *ლ/წმ* შეადგენს 1 *კმ*^{2}-ზე, ქვედა ზონაში – 20 *ლ/წმ*. მდინარეთა წყალდიდობა ზაფხულში იცის, ძლიერი წვიმებისა და მყინვარების ინტენს. დნობის დროს, წყალმცირობა – ზამთარში.

თ. მდიდარია თევზით (კალმახი, თერგის ორაგული, კობრი, ფარგა და სხვ.). ნაწილობრივ თ-ის ხეობაში გადის *საქართველოს სამხედრო გზა*.

თ. მოხსენიებულია *ვახუშტი ბატონიშვილის* შრომაში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'': ,,მდინარესა ჴევისასა ეწოდების არაგჳე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის-მდინარე ძუელადვე, და აწ უწოდებენ თერგსა''.

გ. გოგინეიშვილი.

თერგის ციხე, მდებარეობდა მდინარეების თერგისა და სუნჯის შესართავთან. ის 1567 რუსეთის მეფემ ივანე IV-მ კავკასიაში პოზიციების განსამტკიცებლად ააგებინა. მანამდე 1563 კახეთის მეფემ ლევანმა ელჩები გააგზავნა მოსკოვში. რუსეთის მთავრობა მათ დახმარებას შეჰპირდა და რაზმი გამოაგზავნა, თუმცა კახეთის მეფე მალე იძულებული გახდა დაეთხოვა რუსთა რაზმი, რის შემდეგაც რუსეთმა თ. ც. დაანგრია.

1587–89, კახეთ-რუსეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ, რუსეთი კვლავ შეეცადა თავისი პოზიციების განმტკიცებას კავკასიაში და 1588 ისევ ააგო ახ. ციხესიმაგრე თერგის შესართავთან ახლოს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

თერეგვანი, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის თერეგვანის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. შუა ფრონის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 840 *მ*, თიღვიდან 7 *კმ*.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი ბ. იაშვილის სახელობისა, საქართველოში და პედ. საქმიანობას. ცენტრის ხელმძღვანელის – ბ. *იაშვილის* ინიციატივით აშენდა დამწვრობის რესპ. ცენტრი 110 საწოლზე, რ-მაც 1984-იდან დამოუკიდებელი სამედ. დაწესებულების სახით განაგრძო ფუნქციონირება. მას ,,აღდგენითი მკურნალობის ორთოპედიულ-ქირურგ. საავადმყოფო (დამწვრობის ცენტრით)'' ეწოდა, ხოლო 1996-იდან – თ. დ. და ა. პ. ქ. ს.-პ.ც.



ბ. იაშვილის სახელობის კლინიკა. ბ. იაშვილი ოპერაციის დროს.

ცენტრის საქმიანობა წარმოდგენილი იყო ორი მიმართულებით: 1. თერმული დაზიანების მწვავე შემთხვევის მკურნალობა (დიდი ფართობის ღია დამწვრობითი ჭრილობები, რ-იც საჭიროებს გადაუდებელ ინტენს. და ქირურგ. მკურნალობას დაზიანებული კანის საფარველის აღსადგენად); 2. ადრეულ პერიოდში გადატანილი თერმული ტრავმის შედეგად განვითარებულ ფუნქციურ და კოსმეტოლოგიურ მოშლილობათა აღდგენა ქირურგ. რეკონსტრუქციული პლასტ. ოპერაციებით და სათანადო კონსერვატორული მკურნალობით. 1994-იდან დამყარდა თანამშრომლობა აშშ-ის იმავე პროფილის ცენტრთან, რ-ის შემდეგ შეიქმნა შპს ,,ესთეტ. პლასტიკის ქირურგიული ცენტრი'' (ხელმძღვ. – პ. ჯანაშია). ამჟამად, ფირმა ფუნქციონირებს ,,იაშვილი-ჯანაშიას'' კლინიკის სახელით. 2015-იდან ცენტრი განთავსებულია ს. ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე.

თერმული წყლები (ბერძნ. thermē – სითბო), მომატებული ტემპერატურის მიწისქვეშა წყლები. ზედაპირზე ამოდის წყაროებისა და ჭაბურღილების საშუალებით და ამოაქვს მიწის სიღრმული სითბო. პირობითად გამოყოფენ სუბთერმულ (20–37^0 C), თერმულ (37–42^0 C) და ჰიპერთერმულ (42^0 C-ზე მეტი) წყლებს. მათ ხშირად გეოთერმულ წყლებსაც უწოდებენ.

ზედაპირიდან ფორების, ბზარებისა და ნაპრალების საშუალებით ჩაჟონილი ატმოსფერული წყალი გროვდება ხელსაყრელი კოლექტორული თვისებების მქონე ფენაში და იქმნება სხვადასხვა სიღრმეზე განლაგებული, განსხვავებული სიმძლავრის წყალშემცველი ფენა (ჰორიზონტი ან კომპლექსი). თ. წ. იძენს სიღრმისა და კონკრეტული ადგილისათვის დამახასიათებელი სიღრმული სითბოს

ნაკადის შესაბამის ტემპერატურას. გადაადგილებისას, ქანებთან ურთიერთქმედების ხარჯზე, წარმოიქმნება განსხვავებული შედგენილობის წყლები. ხშირად მათ ემატება სიღრმიდან მომდინარე გადახურებული წყალი, ორთქლი ან მათი ნარევი, ე. წ. იუვენური შემადგენელი, და შესაბამისად იცვლება წყლის ქიმ. შემადგენლობა. თანამედროვე ვულკ. არეებში გვხვდება მაღალტემპერატურული წყალ-ორთქლის ნარევის გამოსასვლელები (გეიზერები). თ. წ-ს ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებდა ჰიგიენური და სამკურნ. მიზნებით.

თანამედროვე ენერგეტ. კრიზისის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისებას, რ-თა შორის გამორჩეული ადგილი უკავია თ. წ-ს. მათი თანამედროვე ტექნოლოგიით გამოყენება გულისხმობს მოხმარებული, სითბომოხსნილი წყლის უკან ჩაბრუნებას წყალშემცველ ფენაში და მიწისქვეშა ხელოვნური გეოთერმული ცირკულაციური სისტემის (გცს) შექმნას, რითაც დავიცავთ ფენას დაშრობისაგან, გარემოს დაბინძურებისაგან და გავახანგრძლივებთ საბადოს ექსპლუატაციის ვადას.

საქართველოში დღეისათვის აღრიცხულია 30–112° C ტემპერატურის 300-მდე წყარო და ჭაბურღილი, რ-ებიც თავმოყრილია 44 საბადოში. მათ ბაზაზე შეიქმნა მრავალი ბალნეოლოგიური კურორტი (*თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, წყალტუბო, ცაიში, მენჯი* და სხვ.).


თერო.

თ. წ. ფართოდ გამოიყენება აგრეთვე მრეწველობაში, სოფლისა და კომუნ. მეურნეობაში. გეოთერმულ ენერგეტიკაში ახ. ტექნოლოგიების დანერგვით შესაძლებელია გათბობითა და ცხელი წყლის მომარაგებით უზრუნველვყოთ ზუგდიდი, ხობი, სენაკი, წყალტუბო, სამტრედია, ვანი, თბილისი და მრავალი დასახლებული პუნქტი.

ტრად. თბომომარაგების გეოთერმულით ჩანაცვლება მნიშვნელოვნად გაზრდის ეკონომიკას. იხ. აგრეთვე სტ. *თბოენერგეტიკა*.

ნ. ცერცვაძე.

თერნალი, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის შუახევის თემში (აჭარის არ), არსიანის ქედის დას. განშტოების – ღორექეთის დას. ფერდობზე. ზ. დ. 1200 *მ*, შუახევიდან 6 *კმ*. 76 მცხ. (2014).

თერნალი, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გვიშტიბის თემში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის დაბლობზე, მდ. წყალტუბოსწყლის (გუბისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 100 *მ*, წყალტუბოდან 3 *კმ*. 774 მცხ. (2014). სოფელშია შპს *„თერნალი-ჩაი“*.

„თერნალი-ჩაი“ (შპს), ჩაის ფაბრიკა სოფ. თერნალში (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი). აშენდა 1941 წყალტუბოს №1 ჩაის ფ-კის სახელწოდებით. გამოიმუშავებდა შავი ბაიხაოს ჩაის. ფ-კის სიმძლავრე იყო 85,2 *ტ* ჩაის ნედლეულის გადამუშავება დღე-ღამეში (1985). პროდუქცია იგზავნებოდა მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. 2007, ფ-კის პრივატიზაციის შემდეგ, ჩამოყალიბდა შპს „თ.-ჩ.“ იმავე წელს განხორციელდა ჩაის ფ-კის ტექ. გადაიარაღება. საწარმოს სიმძლავრეა 8–10 *ტ* მწვანე და ამდენივე შავი ბაიხაოს ელიტური ჩაის წარმოება-დაფასოება წელიწადში (2016). საწარმო მთლიანად მარაგდება ადგილობრივი ნედლეულით (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებიდან). წარმოებული პროდუქციის ძირითადი სახეებია: დაფასოებული მწვანე და შავი ბაიხაოს ელიტური ჩაი, აგრეთვე მწვანე და შავი ერთჯერადი ჩაი. პროდუქციის რეალიზაცია ხდება საქართველოში. საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქციას მიღებული აქვს საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა ჯილდო (2008, 2010, 2011).

ლ. აბრამიშვილი.

თერო (Lathyrus tuberosus), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა. აქვს 25–100 *სმ*-მდე სიმაღლის კარგად შეფოთლილი ღერო, მეწამული წითელი სურნელოვანი ყვავილები. ფართოდ გავრცელებული მცენარეა. საქართველოში თითქმის ყველგანაა – მდელოებზე, ბუჩქნარებში, მდინარეთა ტერასებზე, ნათესებში და რუდერულ ადგილებზე დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე. თაფლოვანია.

ი. ლაჩაშვილი.

თერძი, დერციკი, ტანსაცმლის მკერავი. XIX ს-ში ხარაზებთან ერთად თ-ები ქალაქელი ხელოსნების უმრავლესობას შეადგენდნენ. კერავდნენ ჩოხა-ახალუხს, ხვანჯრიან შარვალს, ქულაჯას, ყაბალახს, ფაფანაკს და სხვ. ტანსაცმლის მოსართავად იხმარებოდა ჩაფარი – ყაითანი. კარგად ფასობდა და დიდი მოწონებით სარგებლობდა ე. წ. „ფაზარის“ (ნუხის) ყაითანი. ჩაფარიში ადგილობრივადაც იქსოვებოდა. თბილისში ცნობილი იყო ვანციანის ჩაფარიში. ჩოხა იკერებოდა ძირითადად ადგილობრივი, შინამრეწველური წესით დამზადებული შალისაგან. ცნობილი იყო ლეკური, თუშური და რაჭული შალები. ხმაროობდნენ ფაბრიკულ ქსოვილებსაც.

იკერებოდა ჩერქეზული – ოთხჩაქიანი – და ჩვეულებრივი ქართული ჩაქიანი ჩოხა. ჩოხას სახელოსნოში აჭრევინებდნენ და ოჯახში აკერინებდნენ. თ-ებს ფურგონებით მიჰქონდათ გამოჭრილი ჩოხები, ახალუხები, კაბები, ყარაჩოხელის უბეგანიერი შარვლები და შესაკერად ხალხში არიგებდნენ.

ნ. აბესაძე.

თერჯოლა, ქალაქი (1983-იდან) დასავლეთ საქართველოში (იმერეთის რეგიონი). თერჯოლის


თერჯოლა. საერთო ხედი.

მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდ. ჩხარის (ჩოლაბურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 200 *მ*, ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 14 *კმ*, თბილისიდან 210 *კმ*. 4,6 ათ. მცხ. (2014).

ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 13,9°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 3,7°C, აგვ. 23,9°C; აბსოლ. მინ. –20°C, აბსოლ. მაქს. 42°C. ნალექები 1310 *მმ* წელიწადში.

თ-ში არის კვების მრეწველობის, მ. შ. ღვინის (შპს *„თერჯოლის ღვინის ქარხანა“*) და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, ბ-კა, სახვითი ხელოვნების მუზეუმი, სამედ. დაწესებულებები.

თ. პირველად დამოწმებულია ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის შეკვეთით 1546 დამზადებული ფხორტელის ხატის წარწერაში „თერჭოლის“ სახელწოდებით. ამ სახელწოდებითაა დატანილი *ვახუშტი ბატონიშვილის* რუკათა მეორე ატლასშიც (1742–43). XVIII ს. მთელ რიგ ისტ. დოკუმენტებში გვხვდება აგრეთვე სახელწ. „თერჯოლაც“. *თ. ბერაძე. ვ. ჯაოშვილი.*

თერჯოლის განძი, XIII ს. ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩენილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებს თუზსა და საზანოს შორის 1948. განძი ამჟამად შედგება 152 ვერცხლის მონეტისაგან. მისი ძირითადი ნაწილი (139 ც.) მიეკუთვნება რუმის სელჩუკებს და მოჭრილია შემდეგი სულთნების სახელით: 1. ალა ად-დინ ქეიყუბად I (1219–39); 2. ყიას ად-დინ ქეიხუსრევ II (1237–46); 3. იზ ად-დინ ქეიქაუს II (1246–48); 4. ქეიქაუს II, ყილიჩ არსლან IV და ალა ად-დინ ქეიყუბად II (სამი ძმის თანამოსაყდრეობის პერიოდი – 1249–57); 5. რუქნ ად-დინ ყილიჩ არსლან IV (1257–65). მათი დიდი ნაწილი მოჭრილია იკონიის სასულთნოს ორ უდიდეს ზარაფხანაში – კონიასა და სივასში.

განძის მეორე ნაწილი შედგება მანუილ I კომნენოსის (1238–63) ტრაპიზონის 9 ასპრისაგან, მანგუყაინის (1252–61) 2 დირჰემისაგან და თითო-თითო ცალი II ტიპის ყაანურისა და დავით VII ულუს (1247–70) დირჰემისაგან. განძი სავარაუდოდ, ჩამარხულია XIII ს. 60-იანი წლების ბოლოს, არა უგვიანეს 1278-ისა.

ლიტ.: Джалагания М. А., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв., Тб., 1979. *გ. დუნდუა.*

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში (იმერეთის რეგიონი). აღმ-ით ესაზღვრება ჭიათურის, დას-ით – წყალტუბოს, ჩრდ-ით – ტყიბულის, სამხრ-ით – ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები. ფართ. 357,0 *კმ*². მოსახლ. 35,6 ათ. კაცი (2014). ცენტრი – ქ. *თერჯოლა*. მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი, 45 სოფელი, 5 სათავო სოფელი, 13 თემი: ალისუბნის (ცენტრი – ქვედა ალისუბანი), ახალი თერჯოლის, ბარდუბნის, გოდოგნის, ეწრის, ზედა საზანოს, თუზის, კვახჭირის, ნახშირლელის, რუფოთის, სიქთარვის, ჩხარის, ძევრის.



1. ბაღდათის მუნიციპალიტეტი

ისტორიული ცნობა. ახლანდ. თ. მ-ის ტერიტორიაზე ადამიანი პალეოლითის ხანიდან დამკვიდრდა. აქ აღმოჩენილია ზედა პალეოლითური (*საკაჟიას* მღვიმე), ნეოლითური (ჩიხორის, ტარიელის გამოქვაბული, ავთანდილის გამოქვაბული), ანტიკური (კოხის გორა, ნეფარიძეების გორის ნასახლარები), გვიანი შუა საუკუნეების (თამარის გამოქვაბული) ხანის ნასახლარები, მრავალფენიანი არქეოლ. ძეგლი *საგვარჯილე* (ზედაპალეოლითი – ადრე ბრინჯაოს ხანა), ციხურა (ნეოლითი – ანტ. ხანა), ძვ. წ. I ათასწლ. – ახ. წ. II–III სს. სამაროვნები (სოფ. ვარდიგორა), ახალთუბნის სამაროვანი (თერჯოლა, გურაბანიძეების უბანი), ჩხარის (ძვ. წ. III–II ათასწლ.), ჩიხორის (გვიანი შუა საუკუნეები) ნაქალაქარები. ასევე აღმოჩენილია ბრინჯაოს კოლხ. ცულები და თოხები, თიხის ჭურჭელი, ქვის, ბრინჯაოს, რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, სხვადასხვა პერიოდის მონეტები. ამ ტერიტორიაზე აგებულია მრავალი ეკლესია (VII–VIII სს-იდან XX ს. დასაწყისამდე) და საერო დანიშნულების ნაგებობები: გენათელის სასახლე (XVIII ს.), სკანდის ციხე-დარბაზი (V–XVIII სს.), გვიანი შუა საუკუნეების საზანოს ციხე, გოგნის ციხე (XII–XVIII სს.), ბერციხე (XVIII ს.) და ა. შ.

დას-ისა და აღმ-ის გზავჯვარედინზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო სკანდის ციხე (VI ს.). იქვე, ძევრ-სკანდაზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზა სავაჭრო და აღმ. ცენტრით ჩხარში, რ-ის ზეგავლენით მთელ მხარეს „ჩხარის ქვეყანას“ უწოდებდნენ. ოსმალთა მომძლავრების პერიოდში



თერჯოლის მუნიციპალიტეტის შენობა.



თერჯოლის მუნიციპალიტეტის გერბი.

,,ჩხარის მხარეს'' მოდიოდა და სახლდებოდა სამხრ. საქართველოდან ლტოლვილი მოსახლეობა.

1921-მდე ახლანდ. თ. მ-ის ტერიტ. ქუთაისის გუბ. შორაპნის



თერჯოლის საჯარო სკოლა.

მაზრაში შედიოდა, 1921 საქ. სსრ ადმ.-ტერ. დაყოფით – შორაპნის მაზრაში, 1930 დაყოფით – ქუთაისის ოლქში. ამავე წელს გამოიყო ცალკე, როგორც ჩხარის რ-ნი. 1950 ეწოდა თერჯოლის რ-ნი, 2006 – თ. მ.

ბუნება. მუნიციპალიტეტის სამხრ. ნაწილი უჭირავს *იმერეთის დაბლობის* აღმ. მონაკვეთს (აბსოლ. სიმაღლე 135 *მ*), რ-იც ვრცელდება მდ. ყვირილისა და მისი შენაკადის ჩოლაბურის გასწვრივ. აგებულია მეოთხეული კენჭნარით, ქვიშითა და თიხით, თანამედროვე მდინარეული ნალექებით.

დაბლობს ჩრდ-ით აკრავს სიმონეთის ტალღისებური ვაკე. იგი აგებულია სარმატული და შუამიოცენური თიხებით, ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, მერგელებითა და კირქვებით, მცირე ფართობზე (დას-ით) გავრცელებულია ოლიგოცენური ასაკის თიხა და ქვიშაქვა, აგრეთვე პალეოცენური კირქვა. ვაკე დანაწევრებულია მდ. ყვირილის სისტემის მდინარეებით. მის დას. ნაწილში, კირქვების გავრცელების ზოლში, განვითარებულია რელიეფის კარსტული ფორმები: მღვიმეები, ძაბრები და მცირე დახშული ტაფობები. მღვიმეები არის მდ. ძევრულის ზემო დინების ხეობაშიც. ვაკეზე აღმართულია ბროლისქედის სერი, რ-იც გაჭრილია მდ. ჭიშურის კანიონით.

მუნიციპალიტეტის ჩრდილო, ამაღლებული ზოლი უკავია ოკრიბა-არგვეთის ქედს, რ-იც სიმონეთის ვაკეს გამოყოფს შიდა ოკრიბის დაბალმთიანეთისაგან და აგებულია ძირითადად ზედა- და ქვედაცარცული ასაკის კირქვებით, მერგელებით, გლაუკონიტიანი ქვიშაქვებითა და თიხებით. ქედის სამხრ. კალთა დანაწევრებულია მდ-ების ჩოლაბურისა და ყვირილის მარჯვ. შენაკადების ხეობებით. დამახასიათებელია რელიეფის კარსტული ფორმები.

მუნიციპალიტეტში არის საკრამიტე და სააგურე თიხა (მდ. ჩხარის მარცხ. ნაპირზე), საშენი ქვა (ეკლარის, ნავენახევისა და კვახჭირის საბადოები), ქალცედონი (აჯამეთის საბადო), კირქვა და მარმარილო (გოდოგანი), დოლომიტი (კვახჭირი, ჭოგნარი), მნიშვნელოვანი წიაღისეულია აგრეთვე სიმონეთის თერმული მინერ. წყალი.

მუნიციპალიტეტის დიდ ნაწილში ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული. მდ. ჩოლაბურის შესართავის ქვემოთ, იმერეთის დაბლობზე ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. იცის რბილი, თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული კარგად გამოხატული მუსონური ქარებით. საშ. წლ. ტემპ-რა დაბლობსა და სიმონეთის ვაკეზე 13,9-იდან 14,1°C-მდეა, იანვ. საშ. ტემპ-რა 3,7-იდან 4,3°C-მდე, აგვ. 23,6–23,9°C; აბსოლ. მინ. –20°C, აბსოლ. მაქს. 42°C. უფრო ჩრდ-ით, ოკრიბა-არგვეთის სერის კალთებზე, საშ. წლ. ტემპ-რა 10,5–13°C, იანვ. 2–3°C, აგვ. 21–23°C; აბსოლ. მინ. –22°C, აბსოლ. მაქს. 40°C. ნალექები 1350 *მმ* წელიწადში, ნალექების მაქს. ზამთარშია, მინ. – ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში. ხშირად იცის ქარი (ბრიზი და ფიონი).

თ. მ-ის მთავარი მდინარეა ყვირილა, მისი ყველაზე დიდი შენაკადია (მარჯვნიდან) ჩოლაბური, ჩოლაბურს მარჯვნიდან უერთდება წყალუხვი მდ. ძევრულა (ძერული). სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია: ბუჯა, მაძარულა, ძუსა, ჩხარა, ხაუჩა, ქვერუნა, როკიანისღელე (სიმონეთისღელე), ჭიშურა, წყალწითელა და სხვ. მდინარეები საზრდოობენ წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში.

მუნიციპალიტეტის დაბლობ ნაწილში, მდინარეების გასწვრივ, უკარბონატო ალუვიური ნიადაგია, დაბლობის ამაღლებულ ნაწილში და სიმონეთის ვაკეზე – სუბტროპ. ეწერი ნიადაგი. აქა-იქ მცირე ნაკვეთებად არის ყვითელმიწებიც. ოკრიბა-არგვეთის სერის სამხრ. კალთაზე კორდიან-კარბონატული ნიადაგია, ამავე სერის მაღალ ადგილებში – ტყის ყომრალი ნიადაგი.

მცენარეული საფარი კოლხ. ტიპისაა, ტყეები შემორჩენილია უმთავრესად ოკრიბა-არგვეთის სერზე, სადაც ხარობს რცხილა, მუხა, ჯაგრცხილა, არის აგრეთვე ნეკერჩხალი, კუნელი, ზოგან – წიფელი, ცაცხვი და თელა. აქა-იქ გამოერევა წაბლი. ქვეტყეში გვხვდება მარადმწვანეთაგან ბზა, ბაძგი, წყავი, ფოთოლმცვივანებიდან – იელი და ზღმარტლი. სიმონეთის ვაკეზე და დაბლობში ტყეები მთლიანად გაჩეხილია, შემორჩენილია აღკვეთილები მუხნარრცხილნარისა და ჯაგრცხილნარის მცირე კორომების სახით. მდინარის ნაპირებზე გავრცელებულია ტირიფი და მურყანი. ტყეებში უხვადაა ლიანები.

ტყე-ბუჩქნარებში ბინადრობს მგელი, კავკ. კვერნა, მაჩვი, ტურა, მელა, გვხვდება დიდი რაოდენობით კურდღელი, ტყის თაგვი, ბუჩქნარის მემინდვრია, დედოფალა, იშვიათად – წავი. ფრინველებიდან გავრცელებულია ყვავი, შაშვი, ჩხიკვი, ოფოფი, კოდალა, მოლაღური, მწყერი, გუგული, გვრიტი. დაბლობში გვხვდება ხოხობიც. მდინარეებში არის კოლხური წვერა, კავკ. ქაშაპი, კავკ. მდინარის ღორჯო, ლოქო, ბოლოწითელი, კოლხური ტობი, ყვირილაში ზოგჯერ შემოდის ზუთხი. მრავლადაა ქვეწარმავალი.

ტყის აღდგენისა და ცხოველთა მომრავლების მიზნით მუნიციპალიტეტში შეიქმნა გოდოგნისა და ნახშირღელის აღკვეთილები. სოფ. ძევრთან არის კარსტული მღვიმე საგვარჯილე.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. ჭალები მდელო-ტყის მცენარეულობითა და ალუვიური ნიადაგით; 2. ვაკე-დაბლობი კოლხ. მცენარეულობით, ალუვიური და სუბტროპ. ეწერი ნიადაგებით; 3. ვაკე-ბორცვიანი მთისწინეთი კოლხ. მცენარეულობით, კორდიან-კარბონატული, ყვითელმიწა და სუბტროპ. ეწერი ნიადაგებით; 4. კუესტურ-ბორცვიანი მთისწინეთი კოლხური მცენარეულობითა და კორდიან-კარბონატული ნიადაგებით.

მოსახლეობა. მოსახლ. 99,4% ქართველია. უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 200–600 *მ* ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმ-

ჭიდროვეა 99,6 კაცი 1 კმ²-ზე (2014).

მეურნეობა. სოფ. მეურნ. ძირითადი დარგია მევენახეობა, განვითარებულია აგრეთვე მებოსტნეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები. მრავალწლიანი კულტურებიდან ძირითადია ვაზი, არის აგრეთვე ხეხილის ნარგავები. ვაზის უმთავრესი ჯიშებია ცოლიკოური და ციცქა. ამ ყურძნისაგან ამზადებენ ორდინარულ და სამარკო ღვინოებს. უმთავრესად თესავენ სიმინდს და საკვებ კულტურებს. მეცხოველეობა სახორცე-სარძეო მიმართულებისაა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ძევრულჰესის (ტყიბულჰესის) ჰიდროტექ. ნაგებობათა ნაწილი და საგენერატორო სადგური. მრეწველობის მთავარი დარგებია საშენ მასალათა და კვების მრეწველობა. აჯამეთში არის სილიკატური აგურის ქ-ნა, ჩხარში – კრამიტისა და იატაკის ფილების ქ-ნა, ეკლარში – ქვის დასამუშ. საწარმო. კვების მრეწვ. ძირითადად წარმოდგენილია ღვინის ქ-ნებით (შპს *„თერჯოლის ღვინის მარანი“*).

მუნიციპალიტეტის სამხრ. ნაწილს კვეთს საქართველოს მაგისტრ. რკინიგზის ხაზი და თბილისი–ქუთაისის საავტ. გზატკეცილი. გადის აგრეთვე თერჯოლა–ტყიბულისა და ჩხარი–ბარდუბნის საავტ. გზები.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. თ. მ-ში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, სპორტის სასახლე, დავით და სერგო კლდიაშვილების სახლმუზეუმი (ზედა სიმონეთი), სახვითი ხელოვნებისა (თერჯოლა) და მხარეთმცოდნეობის (ჩხარი) მუზეუმები, საკლუბო დაწესებულებები.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია *სკანდის ციხის* ნანგრევები (IV ს.), *ჩხარის* წმ. გიორგის ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები), *ოქონის* მაცხოვრის ეკლესია ჩხარის მახლობლად (განვითარებული შუა საუკუნეები. მოხატულობა – XVI–XVIII სს.), *თავასის* სამების ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები), *გოგნის* ციხე (შუა საუკუნეები) და ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია (1778).

ლიტ.: ბუცხრიკიძე ა., მატერიალური კულტურის ძეგლები თერჯოლის რაიონში, ქუთ., 2005.

დ. უკლება. ვ. ჯაოშვილი.

„თერჯოლის ღვინის მარანი“ (შპს), ღვინის საწარმო ქ. თერჯოლაში. აშენდა 2004 კომპანია *„მეღვინეობა ხარებაის“* მიერ. განლაგებულია 10 ჰა-ზე. წარმოების სიმძლავრე გათვლილია 1500 ტ-მდე ყურძნის გადამუშავებაზე წელიწადში. 2011 განხორციელდა საწარმოს ძირეული რეკონსტრუქცია და აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით. ყურძნის მიღება-გადამუშავებასთან ერთად საწარმოში ხდება ღვინის დაძველება ფრანგული მუხის კასრებში. ღვინო მზადდება აგრეთვე ტრადიციული იმერული წესით ქვევრში. ქვევრში ღვინის დავარგება თერჯოლის ღვინის საწარმოს მახლობლად მდებარე რუშავის წმ. გიორგისა და წმ. სერაფიმ საროველის სტავროპიგიალური დედათა მონასტრის ეზოში მდებარე მარანში ხდება. „თ. ღ. მ.“ უშვებს სხვადასხვა დასახელების წყნარ („კრახუნა“, „ცოლიკოური“, „ძელშავი“, „ოცხანური საფერე“, „ალადასტური“, „ოჯალეში“, „უსახელოური“, „ციცქა“, „ხვანჭკარა“) და ცქრიალა (ნახევრად მშრალი, მშრალი) ღვინოებს დას. საქართველოს რ-ნებში მოყვანილი ვაზის საღვინე ჯიშებისაგან. საწარმოს სიმძლავრე წყნარი ღვინოების დამზადებაზე შეადგენს 4 მლნ. ბოთლს, ხოლო ცქრიალა ღვინოების დამზადებაზე – 100 ათას ბოთლს წელიწადში. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშ. ბაზრებზე.

საწარმო აგრეთვე უშვებს წიპწის ზეთს, რ-იც მდიდარია ვიტამინებით და მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკასა და კულინარიაში.

„თ. ღ. მ-ის“ ღვინოებს სხვადასხვა საერთაშ. გამოფენებსა და დეგუსტაციებზე მიღებული აქვს მრავალი ჯილდო.

თესლბრუნვა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორიგეობით თესვა-მოყვანა მინდვრებად დაყოფილ მიწის ნაკვეთზე. მისი მიზანია სახნავ-სათესი ფართობის მაღალეფექტური გამოყენება, მოსავლიანობის ზრდა და ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება. თ. გულისხმობს სას.-სამ. კულტურების გეგმაზომიერ მორიგეობას დროსა და სივრცეში. თ-ში მონაწილე კულტურები ყოველ მინდორზე წლიდან წლამდე ენაცვლება ერთმანეთს (მორიგეობა დროში), თანაც ერთსა და იმავე კულტურას ყოველწლიურად გადაანაცვლებენ ერთი მინდვრიდან მეორეზე, შემდეგ – მესამეზე და ა. შ. (მორიგეობა სივრცეში). კულტ. მცენარეები ბიოლ. თავისებურებისა და ნიადაგის ნაყოფიერებაზე ზეგავლენის მიხედვით შეიძლება დაიყოს 4 ჯგუფად: 1. მთლიანსათესი მარცვლოვნები; 2. სათოხნი კულტურები; 3. ერთ- და მრავალწლოვანი საკვები ბალახები; 4. ტუბერიანი და ძირხვენა მცენარეები. თესვის ვადების მიხედვით განასხვავებენ საშემოდგომო, საადრეო საგაზაფხულო და საგვიანო საგაზაფხულო კულტურებს. განარჩევენ თ-ის 3 ტიპს: მინდვრის, საკვებ და სპეციალურ თ-ს. მ ი ნ დ ვ რ ი ს თ. უმეტესად მოიცავს მარცვლოვან და ტექ. კულტურებს; ს ა კ ვ ე ბ ი თ. – უმთავრესად საკვებ კულტურებს, ხოლო ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი თ. – ბოსტნეულს, თამბაქოს, ბრინჯს, ბამბას და სხვ. კულტურებს, რებიც სპეც. პირობებს და აგროტექნიკას მოითხოვენ. ცალკეული ტიპის ფარგლებში თ-ებს აჯგუფებენ წამყვანი კულტურების მიხედვით.

ერთი თ. მეორისაგან შეი-



თერჯოლის სპორტის სასახლე.

თერჯოლის ღვინის მარნის პროდუქცია



კრახუნა.



ქინძმარაული.



წიპწის ზეთი.

ძლება განვასხვაოთ აგრეთვე იმ ღონისძიებათა კომპლექსით, რ-იც ხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისა და გაკულტურებისათვის. ასეთია ანეულიანი, ნათესბალახიანი, ნაყოფცვლითი, ეროზიასაწინააღმდეგო და კომბინირებული თ.

მინდვრების რაოდენობა თ-ში მერყეობს 2–3-იდან 10–12-მდე. კულტურების მორიგეობით თესვას რ ო ტ ა ც ი ა ეწოდება. მორიგეობის ციკლის დამთავრება (როცა თითოეული კულტურა ყველა მინდორს მოივლის) ერთი როტაციაა. არის ისეთი თ-ც, როდესაც ერთხელ დათესილი რომელიმე კულტურა (უმთავრესად მრავალწლოვანი) რამდენიმე წელი შეუცვლელად რჩება მინდორზე. ასეთ თ-ს გ ა მ ო თ ი შ უ ლ მ ი ნ დ ვ რ ი ა ნ ი ეწოდება. თითოეულ მინდორზე ჩვეულებრივ ითესება ერთი კულტურა ან კულტურების ნარევი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი სწორი თ-ის დანერგვაზე მუშაობა დაიწყო 1932 საქართვ. მიწათმოწყობის საპროექტო ინ-ტმა. თ-ების დაპროექტების საფუძველი იყო საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1967 შემუშავებული სანიმუშო სქემები, რ-ებშიც გათვალისწინებულია მინდვრის, ეროზიასაწინააღმდეგო და საკვები თ-ების შემოღება საქართვ. 11 ზონასა და 3 ქვეზონაში. მაგ., ალაზნის ვაკის მევენახეობის სპეციალიზაციის ზონაში, სადაც თამბაქოც მოჰყავდათ, რეკომენდებული იყო შ ვ ი დ მ ი ნ დ ვ რ ი ა ნ ი თ. – 1. საშემოდგომო ხორბალი, ნაწვერალზე – სიმინდი და სოია ერთად (სასილოსედ); 2. თამბაქო, ეთერზეთოვანი კულტურები; 3. საშემოდგომო ხორბალი, ნაწვერალზე – სიმინდი და სოია ერთად (სასილოსედ); 4. სიმინდი სამარცვლედ; 5. საშემოდგომო ხორბალი, ნაწვერალზე – სიმინდი და სოია ერთად (სასილოსედ); 6. შვრიანარევი ცერცველი მწვანე საკვებად, ნათიბზე – სიმინდი (სამარცვლედ ან სასილოსედ); 7. სიმინდი სამარცვლედ, სამარცვლე პარკოსნები, საკვები ძირხვენები, ან ა თ მ ი ნ დ ვ რ ი ა ნ ი თ. – მრავალწლოვანი ბალახების ორი მინდვრით და სხვ.

მთისა და გორების ფერდობების სახნავ მიწებზე, რ-თა დაქანება 8–12^0 აღემატება, ურჩევენ სპეც. ეროზიასაწინააღმდეგო თ-ს. ასეთ თ-ში სათოხნი კულტურების შერევა ძალზე შეზღუდულია, ხოლო მრავალწლოვან ბალახნარევებს 3–5 მინდორი უჭირავს. 12^0-ზე უფრო დაქანებულ ფერდობებზე სათოხნი კულტურების თესვა არ არის რეკომენდებული. თ-ში უნდა მონაწილეობდეს მხოლოდ მთლიანსათესი მცენარეები (ერთდა მრავალწლოვანი ბალახები, თავთავიანი მარცვლოვნები). დას. საქართველოსათვის რეკომენდებულ მინდვრის თ-ში წამყვანი ადგილი უჭირავს სიმინდს, რ-შიც შეითესება სოია ან ლობიო. თ-ში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საშემოდგომო შუალედურ კულტურებს: ტურნეფსს, რაფსს, ცულისპირას, ცერცველას, ბარდას და სხვ.

შუალედური კულტურები, რომლებიც მოჰყავთ ორ ძირითად კულტურას შორის დარჩენილი თავისუფალი დროის შუალედში, ძირითადად გამოიყენება ცხოველების საკვებად (მწვანე საკვები, სენაჟი, სილოსი, ბალახის ფქვილი), ასევე მწვანე სასუქად. ისინი ნიადაგს ამდიდრებენ ორგ. ნივთიერებებით, პარკოსნები – აზოტითაც. ამავე დროს იცავენ ნიადაგს ეროზიისაგან, აუმჯობესებენ მის სტრუქტურას, ხელს უწყობენ ნაყოფიერების ამაღლებას.

თ-ის შემოღების შესაძლებლობას განაპირობებს მიწათსარგებლობის პირობები (სახნავი მიწების ფართობი, ნაკვეთების სიდიდე და სხვ.).

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის თითოეული ზონისათვის რეკომენდებულია შესაფერისი მინდვრის, საკვები და სპეციალური თ-ის რამდენიმე სქემა, რაც საშუალებას იძლევა ზონის შიგნით კონკრეტული პირობებისათვის, ნიადაგის თვისებების, რელიეფისა და ტენით უზრუნველყოფის გათვალისწინებით შეირჩეს თ-ის ყველაზე მორგებული ვარიანტი.

XXI ს. დასაწყისისათვის საქართველოში თ-თან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის თეორ. და პრაქტ. ნაწილში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

შ. ჭანიშვილი.

თექა, მოთელილი მატყლის საფენი ქეჩა. თექის წარმოების ძირითად ნედლეულს მატყლის ბოჭკო წარმოადგენს, რ-საც აქვს მოთელვის და ძაფად დაგრეხვის თვისებები. ამ ქსოვილის დამზადება და მისი მხატვრული დამუშავება უძველესი დროიდან დიდ ადგილს იკავებდა საქართველოს კულტ., ესთეტიკურ და ეკონ. განვითარებაში. არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნიმუშები და ძველი ისტორიკოსების, გეოგრაფებისა და მოგზაურების ცნობები (ჰეროდოტე, სტრაბონი, უფრო გვიან – მარკო პოლო, ჟ. შარდენი) მოწმობს იმის შესახებ,



დეკორატიული თექა.

რომ საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა პირველადი მასალის (მატყლის) დამუშავების შედეგად მიღებული ქსოვილი. ასევე მრავლადაა ცნობები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, სადაც მოსახლეობის მთავარი საარსებო წყარო მეცხოველეობა იყო (კერძოდ, ხევსურეთსა და მთა-თუშეთში), არსებული მატყლის ქსოვილის, კერძოდ, თ-ის, კულტურულ ტრადიციებზე, სამოსის (*ნაბადი, სვანური ქუდი, კახური ქუდი, ყაბალახი, ჩოხა*), ხალიჩების და ფარდაგების მრავალფეროვნებაზე.

ისტორიულად თ-ს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში



თექის სამოსი.

(თუშეთი, კახეთი, ხევი, ჯავახეთი) ამზადებდნენ და მას მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა. ამზადებდნენ თავსაბურავებს, სამოსელს. კედლის დეკორებს იყენებდნენ სახლის ინტერიერის გასალამაზებლად. იყენებდნენ ასევე, სასაპალნე და ტვირთმზიდი პირუტყვის აღკაზმულობაში, მწყემსები და მეცხვარეები (მომთაბარეობისას) – კარვების გადასახურად. თ-ის საუკეთესო ნიმუშია სახიანი ნაბადი, რ-იც თუშეთში მზადდებოდა და მარტივი და დახვეწილი ორნამენტებით გამოირჩეოდა. მას არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ საკულტო დანიშნულებაც გააჩნდა. ორნამენტულ ნახატებში ძირითადად გეომ. ორნამენტი დომინირებს. ასევე გვხვდება მცენარეული და ანიმალისტური ორნამენტული სიმბოლოები, მათი საკრალური მნიშვნელობა დღეს დავიწყებულია.

ადრეულ საუკუნეებში თ. შეულებავი მატყლისაგან მზადდებოდა მისი ბუნებრივი ფერებით: თეთრი, ყავისფერი, შავი. V–VI სს-ში ჩნდება შელებილი მატყლის ნაწარმი. კავკასიაში გავრცელებული ცხვრის ჯიშებიდან უმაღლეს ხარისხის მატყლად ითვლება თუშური ცხვრის რბილი, ნაზი და მბზინავი მატყლი, იგი ტექნოლ. თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა, რადგან გრეხისა და გაჭიმვის მიმართ დიდი გამძლეობა აქვს, ახასიათებს ღებვისადმი დიდი მორჩილება. ასევე სხვადასხვანაირად იღებება ცხვრის სხეულის სხვადასხვა ნაწილიდან ანაკრეჭი მატყლი. კარგად იღებება ზურგის ნაწილის მატყლი, ცუდად იღებს საღებავს კისრის ბუსუსა მატყლი, თუმცა გამოყენების მხრივ აღნიშნული მატყლი მეტად სასარგებლოა.

თ-ის ქსოვილს მისი 100% ბუნებრივი მატყლის შემადგენლობის გამო სამკურნალო თვისებებიც აქვს. ასევე იგი ანეიტრალებს ადამიანის ორგანიზმიდან გამომავალ ტოქსიკურ ნივთიერებებს და იცავს მას ელექტრომაგნიტური ველისაგან. ყველაზე მარგებელი თვისებებით შეუღებავი მატყლისგან შექმნილი თ-ის ქსოვილი გამოირჩევა.

ლიტ.: აზიკური ნ., თუშური ნაბადი, თბ., 1999; ბუაძე ე., ბოჭორიშვილი რ., თექა, ქუთ., 2013; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის რედ., ტ. 2, ნაწ., 2, თბ., 1976; რუხაძე ო., თექა, თბ., 2013; ცაგარელი ნ., ქართული თექა, თბ., 1982.

გ. ჯალაბაძე.

თეძალი, 2014-იდან თ ა ქ ა ლ ო, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ყაჩაღანის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), მარნეულის ვაკეზე, მდ. დებედის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 310 *მ*, მარნეულიდან 27 *კმ*, შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 *კმ*. 1,5 ათ. მცხ. (2014).

თეძამი, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, გორის და კასპის მუნიციპალიტეტებში. მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადი (ერთვის სოფ. მეტეხთან). სიგრძე 51 *კმ*, აუზის ფართობი 394 *კმ*^{2}. სათავეს იღებს თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, 2300 *მ* სიმაღლეზე. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა



მდინარე თეძამი.

ზამთარსა და ზაფხულ-შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 2,32 *მ*^{3}/*წმ*. ზამთრობით ჩნდება ყინულნაპირისი, თოშ. წყალი სუფთა და გამჭვირვალეა. იყენებენ სარწყავად.

მდ. თ. და თ ე ძ მ ი ს ხ ე ვ ი მოხსენიებულია *ვახუშტი ბატონიშვილის* (XVIII ს.) შრომაში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა‘‘.

ი. აფხაზავა.

თეძმის ტუფი, თ ე ძ მ ი ს ქ ვ ა, ვულკანური ფერფლისაგან შემდგარი ანდეზიტური შედგენილობის ეოცენური ასაკის ნაცრისფერი, ალაგ-ალაგ მომწვანო ფერის ქანი. თ. ტ. ნაწილობრივ გათიხებული და გაცეოლითებულია. იყენებენ სამშ. მიზნებისათვის, გავრცელებულია თეძმის ხეობაში. აქ გვხვდება ანდეზიტ-ბაზალტური შედგენილობის მოიისფრო და მომწვანო ფერის ტუფებიც, რ-ებიც სასიამოვნო შესახედავია. გამოყენებულია ქართლის ისტ. ძეგლებსა (სვეტიცხოვლის ტაძრის გუმბათი მცხეთაში და სხვ.) და თანამედროვე ნაგებობებში (ყოფ. სასტუმრო ,,ივერია‘‘ თბილისში და სხვ.) როგორც შესამოსი მასალა. ამჟამად ადვილად ფიტვადობის გამო მოსაპირკეთებელ მასალად არ გამოიყენება.

ვ. ქოიავა.

თეძმისხევი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 640 *მ*, კასპიდან 18 *კმ*. 132 მცხ. (2014).

თეჯისი, სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთის ძირას, წალკის წყალსაცავის ჩრდ-ით, მდ. გორიან-ჩიუსუზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 1740 *მ*, წალკიდან 20 *კმ*. 243 მცხ. (2014).

სოფლის ძვ. სახელია ერან-თურანი, რაც ასახულია რუკებზე. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) იხსენიებს ერან-თურანის ხევს; რუკაზე კი მის ორ შენაკადზე აღნიშნულია სოფლები: თურანი – აღმ-ით, ერანი – დას-ით. XVI ს-ში ქართლის მეფე ლუარსაბმა თრიალეთის ნასოფლარი თურანი შესწირა წმ. გიორგის ჯვარს, რ-იც ერთხანს სადგერში, ხოლო შემდეგ ატოცში იმყოფებოდა, XVII ს. ერთი საბუთის მიხედვით, ნასოფლარი თურანი ქართველთა მეფეს ატოცის წმ. გიორგისათვის შეუწირავს. გივი თუმანიშვილს კი ნასოფლარი აღუდგენია, რის გამოც მეფემ მას თურანის მოურავობა უბოძა, ხოლო ატოცის დეკანოზმა – მოურავობის მოუშლელობის პირობა.

ერანი XVIII ს. დასაწყისში ნასოფლარი იყო, 1721 აღწერით კი იგი სამეფო სოფელია, სადაც 4 გამომღები და 2 ბოგანო ყმა ითვლება. მოგვიანებით ამ ორი სოფლის გაერთიანებით შეიქმნა სოფ. ერან-თურანი. თ. უწოდეს ბერძნებმა, რ-ებიც XIX ს. 30-იან წლებში რუს. მთავრობამ არზრუმ-ბაიბურთ-გიუმიშხანედან თრიალეთში გადმოასახლა.

ძველად სოფელში 4 ეკლესია იდგა, ორი მათგანის მხოლოდ ბუდეებიღა ჩანს. სოფლის ერთი ეკლესია ერთნავიანი ნაგებობაა, რ-იც გვიან დასახლებულ ბერძნებს საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. ნაშენია უხეშად დამუშავებული ქვებით, გარს არტყია გალავანი. მისი მოზრდილი ლოდები მშრალი წყობითაა ერთმანეთზე დალაგებული. მეორე ეკლესია გორაზეა. იგი დარბაზულია. ორივეს საკუთარი საკურთხეველი და სატრაპეზო ლოდი აქვს. შესასვლელი სამხრეთიდანაა, მინა-

შენიდან. ასეთივე კარი მინაშენის სამხრეთ კედელშიცაა მოწყობილი. სახურავჩაქცეული ეკლესია დიდი, უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები. ეკლესიაში დაახლ. 5 *მ* სიმაღლისა და 1,5 *მ* სიგანის სუფთად გათლილი მენჰირი დგას. ზედ მაღალი ჯვარია ამოჭრილი. ეკლესიის ირგვლივ ვეება ლოდების მშრალი წყობით ამოყვანილი წრიული გალავანია, მის გარეთ – უფრო მცირე ზომის ლოდებით ნაწყობი ასეთივე წრიული ნაგებობა. საფიქრებელია, რომ ეს ციკლოპური გალავანი თავიდან გარს ევლებოდა მენჰირს, რ-ზეც შუა საუკუნეებში ჯვარი ამოჭრეს. ააგეს ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების ეკლესია და მენჰირი შიგნით მოაქციეს. ამჟამად თ-ში თურქულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი, ნაწ. 1–2, თბ., 1935; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1964; რუხაძე ტრ., პოეტი სვიმეონ დეკანოზი შოთას ძე (შოთაშვილი), «ლიტერატურული ძიებანი», III, თბ., 1947. *დ. ბერძენიშვილი.*

თვალაბეიშვილი სერგო არსენის ძე (1896, სოფ. საპაიჭაო, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 1927), საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. 1921–24 საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დას. საქართველოში. 1917-იდან საქართვ. ს.-დ. (მენშევიკური) პარტიის წევრი. 1918–21 თ. იყო საქართვ. სახ. გვარდიის ვანის რ-ნის შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და საქართველოს ანექსიის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ აქტიურად ჩაება ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. 1922–24 იყო საქართვ. დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხ. ცენტრის რწმუნებული ვანის რ-ში, სადაც ხელმძღვანელობდა 1924 აგვ. აჯანყებისთვის (იხ. *აგვისტოს აჯანყება 1924*) მზადებას. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1924 სექტ., თ. დააპატიმრა საქ. სსრ ,,საგანგებო კომისიამ'' (ე. წ. ,,ჩეკამ''). გათავისუფლების შემდეგ, 1925–27, ეწეოდა არალეგალურ პოლიტ. მოღვაწეობას. ხელმძღვანელობდა საქართვ. ს.-დ. პარტიის რაიონულ იატაკქვეშა ორგანიზაციას. მოკლულ იქნა ,,ჩეკას'' მიერ 1927.

ლიტ.: დვალიშვილი ო., ქართული ეროვნული სულის უკვდავება, ქუთ., 2005. *ლ. ურუშაძე.*

თვალადი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის კავთისხევის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 780 *მ*, კასპიდან 14 *კმ*. 489 მცხ. (2014).

თ. იხსენიება *ვახუშტი ბატონიშვილთან* (XVIII ს.) თვალივის სახელწოდებით: ,,თვალივს სახლე მეფეთა, ნეშენობა დიდი''. ფეოდ. ხანაში თ-ში ქართლის მეფეთა საზაფხულო სამყოფი იყო.

სოფელსა და მის მიდამოებში ქართ. ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლია. სოფელში, ბორცვზე, აღმართულია გვიანდ. შუა საუკუნეების კავთის ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია. მისგან დაახლ. 5 *კმ*-ზე, გორაკზე, დგას XIX ს. კავთის წმ. გიორგის ეკლესია; შუა სოფელში, ფერდობზე – XIX ს. სამების ერთნავიანი ეკლესია. ონოფრიანთ უბანში კი – XIX ს. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია; მექანარიანთ უბანში, ამაღლებულ ადგილზე, აღმართულია გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. ნიკოლოზის ეკლესია. ხალხი ამ ადგილს მეფის ნასახლარს უწოდებს და ქართლის მეფე როსტომის (1632–58) სახელს უკავშირებს. ნამოსახლარის უკან (ძლევის ქედზე) გვიანდ. შუა საუკუნეების ძლევის ქედის წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესიაა. თავდაპირველად ეს იყო მცირე ზომის ნაგებობა, რ-საც XIX ს-ში დასავლეთიდან თითქმის მისივე მოცულობის სათავსი მიაშენეს. სამხრ. მინაშენი კიდევ უფრო გვიანდელია.

სოფელში დგას ნ. *ცხვედაძისა* და გ. *შატბერაშვილის* სახლ-მუზეუმები.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მაკალათია ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

ჯ. გვასალია. გ. კალმახელიძე.

თვალაძე გიორგი მიხეილის ძე (25. VII. 1908, თბილისი, – 1. II. 1984, იქვე), ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1940). 1931 დაამთავრა თსსი. ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მთათუშეთში. მისი ძალისხმევით მაღაროსკარში გაიხსნა პირველი საავადმყოფო. 1934–40 მუშაობდა ლენინგრადის სამხ. სამედ. აკად. ნორმალური ანატ. კათედრაზე და ბეხტერევის სახ. ტვინის ინ-ტში, 1941–44 იყო ამიერკავკასიის სამხ. ჰოსპიტლის მთავარი ექიმი, 1947-იდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა თბილ. სახელმწ. ფიზკულტურის ინ-ტის ნორმალური ანატ. კათედრას. 1938 მიწვეული იყო ექიმად ყინულმჭრელზე ,,იოსიფ სტალინი'' (იყო გაზ. ,,კომუნისტის'' საკუთარი კორესპონდენტიც).

თ-მ პირველმა გამოაქვეყნა ქართ. ენაზე ადამიანის ანატ. ატლასი, რ-იც 1959 გამოიცა. საფუძველი ჩაუყარა ადამიანის ანატ. პროგრამირებულ სწავლებას. თ. რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია.

თხზ.: ადამიანის ანატომია. სახელმძღვანელო სტუდენტთათვის, ნაწ. 1–2, თბ., 1950–51; სახელმძღვანელო ადამიანის ანატომიის პროგრამირებული სწავლებისათვის, თბ., 1969. *მ. თვალაძე.*

თვალაძე ვენერა სევერიანის ასული [დ. 20. VII. 1932, სოფ. ქვაითი (ხუნწი), ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი], ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2001). 1959 დაამთავრა თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის (ამჟამად ილიას სახელმწ. უნ-ტი) ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკ-ტი. 1961–66 მუშაობდა კ. მარქსის სახ. საქართველოს სახელმწ. რესპუბლიკურ ბ-კაში (ამჟამად საქართვ. პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნ. ბ-კა). 1966-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სახბიბლიოთეკო სასწავლებელში, 1983-იდან – სპი-ში პოლიტ. პარტიების ისტორიის, პოლიტოლოგიისა და საერთაშ. ურთიერთობების კათედრაზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ. შ. რამდენიმე მონოგრაფია, სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო.

თ. არის ომისა და შრომის ვეტერანი, ღირსების ორდენის კავალერი.

თვალთვაძე გური კალისტრატეს ძე [12 (25). X. 1907, წალენჯიხა, – 8. II. 1970, თბილისი], გეოფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1930 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1934-იდან ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკად. გეოფიზიკის ინ-ტში თავისსავე დაარსებულ სეისმომეტრიის განყ-ბას. თ. სასარგებლო წიაღისეულის სეისმომეტრიული მეთოდით ძიების ფუძემდებელია საქართველოში. მისი შრომები ეხება კავკასიაში დედამიწის ქერქის აგებულებისა და ფიზ. თვისებების შესწავლის საკითხებს. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას საქართვ. უმაღ-

ლეს სასწავლებლებში (1945–70), იყო საქართვ. ზოოვეტერინალური ინ-ტის ფიზ. კათედრის გამგე (1939–56). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Строение земной коры Грузии по сейсмическим данным и построение системы теоретических годографов, Тб., 1960; Глубинное строение Восточной Грузии по сейсмическим данным, Тб., 1973 (თანაავტ.: М. С. Иоселиани, Р. К. Махарадзе, В. К. Чичинадзе).

ლიტ.: ბალავაძე ბ., იოსელიანი მ., გური კალისტრატეს ძე თვალთვაძე, თბ., 1977. *მ. იოსელიანი.*

თვალთვაძე ფატმან (ფატი) ანტონის ასული (18. XI. 1897, წალენჯიხა, – III. 1973, თბილისი), მწერალი, მთარგმნელი. 1914 დაამთავრა კერძო გიმნაზია ქუთაისში. 1915 სწავლა დაიწყო მოსკ. გერიეს უმაღლეს ქალთა კურსების ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე, მაგრამ უსახსრობის გამო მესამე კურსიდან სწავლას თავი დაანება და სამშობლოში დაბრუნდა. 1925-იდან ცხოვრობდა მოსკოვში და რუსულ ენაზე თარგმნიდა ქართვ. მწერალთა ნაწარმოებებს. მათგან აღსანიშნავია: კ. გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენა'' (1942), ა. ყაზბეგის ,,რჩეული'' (ორ ტომად, 1948), ვაჟა-ფშაველას ,,რჩეული'' (1957), ე. ნინოშვილის ,,რჩეული'', რ. გვეტაძის ,,მოთხრობათა კრებული'' (1947), რ. ბეჟანიშვილის ,,სამამულე რქა'' (1961), ო. იოსელიანის ,,ვარსკვლავთცვენა'' (1963), გ. აბაშიძის ,,ლაშარელა'' (1968), ს.-ს. ორბელიანის ,,მოგზაურობა ევროპაში'' (1969) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ნ. ჩიხლაძე.*

თვალთხევი, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მდ. ივრის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 14,2 *კმ*, აუზის ფართ. 38,1 *კმ*^{2}. სათავეს იღებს გომბორის ქედის სამხრ. კალთაზე. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე, ზამთარში წყალმცირეა. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 0,3 *მ*^{3}/*წმ*.

ი. აფხაზავა.

თვალი, ისტორიული პუნქტი გარეკახეთში. პირველად ,,თვალნის'' ფორმით იხსენიება 1392 ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, გიორგიწმინდის, ბერთუბნისა და პატარძეულის გვერდით. Თ. იხსენიება აგრეთვე 1712 ონოფრე მაჭუტაძის შეწირულობის გუჯარში დავითგარეჯისადმი. ერეკლე II-ის 1778 წ. 17 იანვ. ოქმით დადასტურებულ ნინოწმინდელის მიერ სამართლის მიცემის არზაში ნათქვამია: ,,პატარძეულს არის საკვამლო ოთხი, თვალზედ არის ორი''. არქიმანდრიტ ნიკოლოზის მიერ გაგია ხიზანიშვილისათვის ბოძებულ 1774 წ. 25 აპრ. წყალობის წიგნში უკვე თვალ-საგარეჯოს ფორმით გვხვდება. ერეკლე II-ის მიერ 1789 წ. 22 ივნისს დადასტურებულ არზაში დავის თაობაზე ნათქვამია: ,,შენ უნდა მოიკითხო თვალზედ და გიორგი წმინდლეთში ფიცით სარწმუნო კაცთაგან''.

ი. *გიულდენშტედტი* იხსენიებს თვალ-საგარეჯოს მხარეს, რ-იც, მისი ცნობით, თითქმის მთელ გარეკახეთის მხარეს მოიცავდა, მისი უკიდურესი აღმ. პუნქტი კი მანავი იყო.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970; ტ. 7, თბ., 1981; გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., თბ., 1962.

ზ. ცინცაძე.

თვალიაშვილი ვლადიმერ იოსების ძე (დ. 18. IX. 1949, ქუთაისი), ვეტერინარი ექიმი. ვეტერინარიის მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2004). 1976 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტი. 1985-იდან იყო ამავე ინ-ტის ქირურგ. კათედრის გამგე, 1997–2004 – ტაბახმელის ბიოკომბინატის გენ. დირექტორი, 2006–10 – საქართვ. აგრ. უნ-ტის არაგადამდებ სნეულებათა დეპარტამენტის უფროსი. 2010-იდან ამავე უნ-ტის სავეტერინარო ფაკ-ტის სრული პროფესორია. Თ-ს ნაშრომებში გაშუქებულია რქოსანი პირუტყვის თავის ტვინის ზოგიერთი ნერვის ანგიოარქიტექტონიკა და ენის, ხახის, ხორხის ნერვების ანატ. საკითხები. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და 2 სახელმძღვანელოსი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2002).

თხზ.: დიროფილარიოზით გამოწვეული პოსტოპერაციული გართულებები ძაღლებში, კრ.: პარაზიტოლოგიის აქტუალური პრობლემები საქართველოში, ტ. 10, თბ., 2009.

თვალიაშვილი თამარ ნიკოლოზის ასული (4. IV. 1905, თბილისი, – 21. V. 1985, იქვე), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1976). თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა თბილ. და მოსკ. თეატრ. სტუდიებში. დაამთავრა (1925) თბილ. კონსერვატორიასთან არსებული დრამ. ფაკ-ტი. 1926 მუშაობდა თბილ. ,,წითელი თეატრის'', 1927 – ბათუმის თეატრის, ხოლო 1928–59 – თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის მსახიობად. Თ. იყო ჩინებული ტრავესტი (პატარა გოგონებისა და ბიჭების როლების შემსრულებელი). გარდასახვის ნიჭი, უშუალობა და გულწრფელობა ხელს უწყობდა მსახიობს შეექმნა ერთმანეთისაგან განსხვავებული როლები, რ-თა შორის აღსანიშნავია: გოჩა (ვ. კობელის ,,გოჩა''), ფრიც ბაუერი (ნ. საცის ,,ფრიც ბაუერი''), მეღორის შვილიშვილი (ს. ზაიაიცკის ,,რობინ ჰუდი''), კარლო (ს. მთვარაძის და შ. ბუაჩიძის ,,აურიე რგოლი''), კურდღელი (ე. შვარცის ,,წითელქუდა''), აჩაკუნე (გ. ნახუცრიშვილის ,,პატარა მეომრები''), ქაჯანა (ნ. ლომოურის ,,ქაჯანა''), ზურაბი (დ. ჭონქაძის ,,სურამის ციხე''), ჯულიეტა (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა'') და სხვ. დადგა სპექტაკლი – ნ. ფომიჩევის ,,ასე იწყება ცხოვრება''. Თ. უმეტესწილად ლირ.-დრამ. ამპლუას მსახიობი იყო. ბოლო წლებში ძირითადად ხანდაზმულ ქალთა როლებს ასრულებდა. იგი განსაკუთრებით ძლიერი იყო კლასიკურ რეპერტუარში. *შ. ცუცქირიძე.*



თ. თვალიაშვილი.



თ. თვალიაშვილი. ჯულიეტა, უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“.

თვალიაშვილი ლამარა ალექსის ასული (დ. 3. IV. 1935, თელავი), ორთოპედ-ტრავმატოლოგი, სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1987), საქართვ. დამს. გამომგონებელი (1988), სსრკ გამომგონებელი (1983).

1961 დაამთავრა თსსი. 1969-იდან მუშაობს ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (ახლანდ. აკად. ო. ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი).

Თ-ის სამეცნ. მუშაობის ძირითადი სფეროა დისტრაქციული მეთოდის გამოყენებით მტევნის და ტერფის ანომალიების და დაზიანებების მკურნალობა.

Თ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 7 გამოგონების და 18 რაციონალური წინადადების ავტორი.

თვალივი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჟინვალის ტერიტორიულ ორგანოში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ფშავის არაგვის მარცხ. მხარეს, მწვ. გორმაღლის დას. კალთაზე. ზ. დ. 1100 *მ*, დუშეთიდან 22 *კმ*. 59 მცხ. (2014).

სოფლის სამხრ.-აღმ-ით, მდ. არაგვის მარცხ. ნაპირას, გორმაღლის ტყიან ფერდობზე, მდებარეობს ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რ-ის მთავარი ნაგებობა – წმ. გიორგის ეკლესია – ხარჭაშნელ ეპისკოპოსთა კათედრალური



ლ. თვალიაშვილი.

ტაძარი იყო. ეპარქია მოიცავდა ერწო-თიანეთს, ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთს. ხარჭაშნელი ეპისკოპოსი პირველად XIII ს. მეორე ნახევრის ისტ. წყაროში იხსენიება (კათედრამ არსებობა შეწყვიტა XIX ს. დასაწყისში). თ-ის ეკლესია ერთნავიანი ნაგებობაა, რ-საც აღმ-ით ნახევარწრიული შვერილი აფსიდი აქვს, ნაგებია ნატეხი კლდის ქვით. აფსიდი გარედან შემოსილია შირიმის თლილი კვადრებით. დასიდან მიშენებული აქვს აგურის სამრეკლო (დანგრეულია), რ-ის I სართული კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. ინტერიერში, საკურთხევლის აფსიდის წინ, აგურით ნაგებ კანკელზე შემორჩენილია მოხატულობის ნაწილი – ვედრების კომპოზიცია და მის ორივე მხარეს მოციქულთა ფიგურების ფრაგმენტები. ეკლესიას ემჩნევა ძლიერი გადაკეთების კვალი. სტილისტიკური ნიშნების საფუძველზე ეკლესია VIII–IX სს-ით თარიღდება, ხოლო XVI ს-ში საფუძვლიანადაა გადაკეთებული. ეკლესიის დას. შესასვლელის ზემოთ კედლის წყობაში ჩართულია ფილა, რ-ზეც ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებია შემორჩენილი.



ა. ა. თვალჭრელიძე.

გარდა ტაძრისა, კარიბჭესა და ეკლესიის საკურთხეველს შორის შემორჩენილია ადრეული ეკლესიის საძირკვლის ნაშთი. ეკლესიის ეზოში, გალავნის აღმ. კედლის გასწვრივ, ხუთი სათავსის ნანგრევია. კომპლექსის გეგმით წრიული გალავნის სამხრ.-აღმ. კუთხეში ჩაშენებულია ოთხსართულიანი კოშკი.

ლიტ.: ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008; წ ე რ ე თ ე ლ ი კ., სოფ. თვალივის წმ. გიორგის კათედრალური ტაძარი, კრ.: არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1982; Записки общества любителей Кавказской археологии, под ред. А. Берже и Д. Бакрадзе, Тфл., 1875. *კ. წერეთელი.*

თვალის სნეულებანი, თვალის კაკლის, მისი დანამატების (ქუთუთოები, კონიუნქტივა, საცრემლე ორგანოები) და თვალბუდის დაავადებანი; თვალის სნეულებებს მიაკუთვნებენ აგრეთვე თვალის რეფრაქციის ანომალიებს (ახლომხედველობა, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი). თ. ს. შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი; ინფექციური ან არაინფექციური, მწვავე ან ქრონიკული, ცალმხრივი ან ორმხრივი და სხვ. თ. ს-თა გავრცელება და ხასიათი დამოკიდებულია სოც., საყოფაცხოვრებო, გეოგრ. და კლიმ. პირობებზე, აგრეთვე მოსახლეობის სპეც. სამკურნალო და პროფილაქტიკური დახმარების ორგანიზაციაზე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, კერძოდ, თბილისში 1892 გ. *ტარსაიძის* ხელმძღვანელობით გაიხსნა თვალის სნეულებათა სპეციალიზებული საავადმყოფო, ხოლო 1921 – თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის თვალის სნეულებათა პირველი კათედრა.

იხ. აგრეთვე სტ. *ოფთალმოლოგია.*

თვალუეთი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის სვერის თემში (იმერეთის რეგიონი), ჭიათურის პლატოზე, მდ. საძალიხევის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 600 *მ,* ჭიათურიდან 19 *კმ.* 255 მცხ. (2014).

თ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს. I ნახევარში.

თვალჭრელიძე ავთანდილ კონსტანტინეს ძე (11. III. 1947, ლუცკი, უკრაინა, – 5. III. 2014, ქუთაისი), ინჟინერ-მექანიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1998). დაამთავრა ნ. ბაუმანის სახ. მოსკ. უმაღლესი ტექ. სასწავლებელი (1971), 1974-იდან მუშაობდა ქუთაისის პოლიტექ. ინ-ტში (ახლანდ. ა. წერეთლის სახელმწ. უნ-ტი) პროფესორის, კათედრის გამგის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ფაკ-ტის დეკანის თანამდებობებზე.

კვლევის ძირითადი მიმართულებაა საინჟ. ამოცანებში მექან., თბური, მასაცვლითი და ელექტრომაგნ. პროცესების მათ. მოდელირება. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა.

თხზ.: Numerical analysis of thin-walled structure finite displacements. Finite Rotations in Structural Mechanics, «Proceedings of the Euromech. Colloquium», 197, Jablonna (Polland), 1985 (თანაავტ. N. Valishvili); Основные уравнения теории оболочек с учетом больших деформаций и сдвигов, «Сообщения АН ГССР» , 1986, т. 121, №1.

თვალჭრელიძე ალექსანდრე ანტონის ძე [19. XI (1. XII). 1881, სტანიცა ბატალპაშინსკაია (ახლანდ. ქ. ჩერკესკი), რუს. ფედერაცია, – 29. VII. 1957, თბილისი], გეოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1949), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1912 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა. 1910 ზაფხულში სტაჟირებას გადიოდა გეტინგენის (გერმანია) უნ-ტში. 1912–13 მუშაობდა პეტერბურგის მეცნ. აკად. გეოქიმ. ლაბორატორიაში, სადაც აკად. ვ. ვერნადსკის ხელმძღვანელობით შეასრულა გამოკვლევა რუბიდიუმის, ცეზიუმისა და თალიუმის გეოქიმიაში. 1918–19 მუშაობდა ქ. ნოვოჩერკასკში, დონის პოლიტექ. ინ-ტსა და ქალთა უმაღლეს კურსებზე. თ. ქართ. გეოლ. სკოლისა (საკუთრივ მინერალოგიურ-პეტროგრაფიულ კვლევათა) და საქართველოში გეოლ. განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელია. 1919 თ. სათავეში ჩაუდგა თავისსავე დაარსებულ მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრას თსუ-ში; 1928–48 კი ხელმძღვანელობდა აგრეთვე თავისსავე დაარსებულ ამავე პროფილის კათედრას სპი-ში. თ. იყო კავკასიის მინერ. ნედლეულის ინ-ტის ფუძემდებელი და პირველი დირექტორი (1929–57). 1941-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკად. საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოს თავ-რე; მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალტომიანი ნაშრომი საქართველოს ბუნებრივი რესურსების შესახებ. თ-ის შრომები ეხება მინერალოგიის, პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გეოლ. საკითხებს. მანვე აღმოაჩინა და შეისწავლა გუმბრისა და ასკანის ბენტონიტური თიხების, აგრეთვე სხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოები. ავტორია უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებისა: ,,გეომეტრიული კრისტალოგრაფია'' (1920), ,,კრისტალთა ოპტიკის შესავალი'' (რუს. ენაზე – 1933, 1934; ქართ. ენაზე – 1938, 1957), ,,მაგმური ქანების პეტროგრაფია, ტ. 1 – ინტრუზიული ქანები'' (1950). თ-ის პატივსაცემად ერთ-ერთ მინერალს ეწოდა *თვალჭრელიძეიტი.* საქართვ. მეცნ. აკადემიაში დაწესებულია ა. თვალჭრელიძის სახ. პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: თავის საბანი მიწა და ზოგიერთი მისი მოსაპოვარი ადგილი დასავლეთ საქართველოში, «ტფილისის უნ-ტის მოამბე», 1923, ტ. 3; Базальт, глины бентонитовые, глины флоридиновые, камни цветные и поделочные, редкие минералы и металлы, шпат исландский, წგ.: Минеральные ресурсы ССР Грузии, Тфл., 1933; Бентонитовые глины Грузинской ССР и ближайшие задачи их освоения, წგ.: Бентонитовые глины Грузии и их применение в народном хозяйстве, Тб., 1953; Андезит, базальт, гагат, глины бентонитовые, წგ.: Природные ресурсы Грузинской ССР, т. 2, М., 1959.

ლიტ.: ალექსანდრე თვალჭრელიძე (1881–1957). ბიობიბლიოგრაფია, შემდგ.

გ. მგელაძე-ბორჯაძე, თბ., 1978 (შესავალი წერილი კ. და ვ. ჯავრიშვილებისა).

ვ. ჯავრიშვილი.

თვალჭრელიძე ალექსანდრე გიორგის ძე (დ. 13. VIII. 1949, თბილისი), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1985), საქართვ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკად. ნამდვილი წევრი (1999). 1971 დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწ. უნ-ტი. 1974–89 მ. მუშაობდა კავკასიის ა. თვალჭრელიძის სახ. მინერ. ნედლეულის ინ-ტში (მეცნიერი თანამშრომელი, სექტორის გამგე), 1989–94 – ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში (განყ-ბის გამგე, დირექტორის მოადგილე). 1985–89 და 1998–2005 იყო თსუ-ის პროფესორი, 1999–2001 – საქართვ. საერთაშ. სავაჭრო პალატის აღმასრულებელი დირექტორი, 2003–04 – საქართვ. გეოლ. სახელმწ. დეპარტამენტის თავ-რე, 2004–05 – სამთო პროექტების გენერალური დირექტორი, 2010–14 – შპს ,,ჯორჯიან მინერალსის'' დირექტორი (წარმომადგენელი საქართველოში).

მ. 2009-იდან არის კავკასიის ა. თვალჭრელიძის მინერ. ნედლეულის ინ-ტის განყ-ბის გამგე, 2015-იდან – შპს გეოლ. მომსახურების ცენტრის გეოლ. პროექტების მენეჯერი, თსუ-ის მოწვეული პროფესორი.

მ-მ აღმოაჩინა, დათვალა მარაგი და უზრუნველყო სამთო საქმიანობის დაწყება ჩოვდარის ოქროს საბადოზე (აზერბაიჯანი), მუშაობდა სოფ. ზესხოს კოლჩედანურ სპილენძ-პიროტინულ საბადოზე (საქართველო) და ბელოუსოვსკის კოლჩედანურ მაღაროზე (ყაზახეთი).

მ. არის საქართველოს და რუსეთის მინერალოგიური საზოგადოებების წევრი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 19 მონოგრაფია. არის მთავარი რედაქტორი და გამომცემელი საქართველოში, რუსეთში, გერმანიასა და ნიდერლანდში გამოცემული 5 საერთაშ. სამეცნ. კრებულისა.

მონაწილეობს საერთაშ. პროექტებში.

თვალჭრელიძე გიორგი ალექსანდრეს ძე [27. XII. 1914 (9. I. 1915), ქ. ნოვოჩერკასკი, რუს. ფედერაცია, – 3. XII. 1991, თბილისი], გეოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1973). 1938 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის სამთო-გეოლ. ფაკ-ტი. 1946–81 მუშაობდა ა. თვალჭრელიძის სახ. კავკასიის მინერ. ნედლეულის ინ-ტში, 1981–88 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტის დირექტორი; 1988-იდან – ამავე ინ-ტის დირექციის მრჩეველი. მ. იკვლევდა სასარგებლო წიაღისეულის გეოლ. და მეტალოგენიის საკითხებს. თავის ნაშრომებში განაზოგადა საქართველოს, კავკასიის და მთელი ხმელთაშუა ზღვის სარტყლის ქვეყნებში ენდოგენური მეტალოგენიისა და სასარგებლო წიაღისეულის განაწილების კანონზომიერების საკითხები. ხელმძღვანელობდა მეტალოგენიურ კვლევებს კავკასიაში, მისი თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით შედგა კავკასიის, ყირიმის, კარპატებისა და ბალკანების მეტალოგენიური რუკები. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში. მ. იყო მადნეული საბადოების გენეზისის საერთაშ. ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საკავშ. აკად. მადანწარმოშობის საბჭოს კავკ. სექციის თავმჯდომარე, კავკასია-ყირიმ-კარპატების პეტროგრაფიული საბჭოს თავმჯდომარე, საკავშ. პეტროგრაფიული კომიტეტის წევრი და სხვ. მიღებული აქვს საქართვ. მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. პრემია (1986) და სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Эндогенная металлогения Грузии, М., 1961; Рудные провинции мира. Средиземноморский пояс, М., 1972; Металлогенические особенности главных типов вулканических поясов, М., 1977.

მ. ყუფარაძე.

თვალჭრელიძე პარმენ, იხ. *ცაბელი პ.*

თვალჭრელიძე ტატა (ტატიანა) გიორგის ასული (14. VII. 1940, თბილისი, – 21. VI. 1992, იქვე), კინომცოდნე. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი (1963) და რსფსრ მეცნ. აკად. ხელოვნებათმცოდნეობის ინ-ტის ასპირანტურა (1971). 1972-იდან სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში. 1987 აქვე დააარსა კინოს ენისა და სტრუქტურის სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია, რ-საც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. მისი წერილები კინოხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში. მისი ავტორობით მომზადდა არაერთი ტელე- და რადიოგადაცემა, მ. შ. საქართვ. ტელევიზიის I არხის გადაცემათა ციკლი ,,ფილმი და რეჟისორი''. მისი სცენარებით გადაღებულია დოკუმენტური ფილმები: ,,სესილია თაყაიშვილი'' (რეჟ. თ. ბაქრაძე, 1980), ,,ეროსი მანჯგალაძე'' (რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 1983), სამეცნ.-პოპულ. ფილმი ,,ჯადოსნური სცერი'' (რეჟ. ვ. სემიონოვი, 1985) და სხვ.

თხზ.: სიმართლე ეკრანზე, თბ., 1981; კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., 1989.

მ. კერესელიძე.

თვალჭრელიძეიტი (სახელი ეწოდა ა. ა. *თვალჭრელიძის* პატივსაცემად), სულფიდების კლასის მინერალი. ქიმ. შედგენილობა $Hg_{12}(Sb, As)_8 S_{15}$. კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. გვხვდება ტყვიისებრ-ნაცრისფერი მარცვლოვანი აგრეგატების სახით. აქვს ალმასისებრი ელვარება. ახასიათებს ტკეჩადობა ერთი მიმართულებით. სისალე (სიმაგრე) მინერალოგიური სკალით 3-მდე; სიმკვრივე – 7380 *კგ/მ*^{3}. წარმოიქმნება ჰიდროთერმული გზით. აღმოჩენილია გომის (ზემო რაჭა) დარიშხანა-ანტიმონიუმ-ვერცხლისწყლის საბადოში.


ლიტ.: Доклады АН СССР, 1975, т. 225, №4.

ვ. ჯავრიშვილი.



გ. თვალჭრელიძე.

თვარაძე ზაზა რევაზის ძე (18.V. 1957, თბილისი, – 6. XI. 2007, იქვე), მწერალი. 1979 დაამთავრა თსუ-ის ფილოსოფია-ფსიქოლ. ფაკ-ტი. 1980-იდან 2000-მდე იყო ჟურნ. ,,ბალავერის'' ლიტ. რედაქტორი, შემდეგ – რედაქტორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალებში: ,,არილსა'' და ,,მკურნალში'', ასევე ქართ. ენციკლოპედიის რედაქციაში. იყო მწერალთა გაერთიანება ,,არილისა'' და ,,პენ-ცენტრის'' წევრი. მ-ის ნაწარმოებები იბეჭდებოდა 1993-იდან. გამოცემულია ლექსების კრებულები: ,,ტან-ცზი სიცივეში'' (2003), „Tyrannosaurus Rex“ (2005), ,,პილიგრიმი'' (2011); პოემა ,,მხიარული ლანდები'' (2011); მოთხრობების კრებულები: ,,მოხეტიალე'' (1999), ,,თავგადასავალი'' (2008); რომანი ,,სიტყვები'' (2005–11). ზღაპრისთვის ,,მონტებულსუ, ანუ ელის არაჩვეულებრივი თავგადასავალი'' მიენიჭა ლიტ. პრემია ,,გალა'' (2009, გარდაცვალების შემდეგ). ნაყოფიერად მუშაობდა მხატვრულ თარგმანში.



რ. თვარაძე.

მ. თუმოშვილი.

ცხრილი 1

თვე	ხანგრძლივობა (დღ-ღ)
იანვარი	31
თებერვალი	28 ან 29
მარტი	31
აპრილი	30
მაისი	31
ივნისი	30
ივლისი	31
აგვისტო	31
სექტემბერი	30
ოქტომბერი	31
ნოემბერი	30
დეკემბერი	31

ტორი (1988), პროფესორი (1992). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1952). სხვადასხვა დროს იყო გაზ. ,,სახალხო განათლების'' პა-სუხისმგებელი მდივანი, რედაქტო-რის მოადგილე (1952–57), ჟურნ. ,,ცისკრის'' პასუხისმგებელი მდი-ვანი (1957–62), ქართ. ენციკლოპე-დიის ენის, ლიტ-რისა და ხელოვნ. რედაქციის გამგე (1966–67), გაზ. ,,ლიტერატურული საქართველოს'' რედაქტორი (1967–68), საქართვ. მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინ-ტის თანამშრომელი (1968–91), მარჯანიშვილის სახ. თეატრის დირექტორი (1973–75), ქართ. ლიტ-რის სახელმწ. მუზეუმის დი-რექტორი (1988), ქართ. ლიტ. ინ-ტის რუსთველოლოგიის განყ-ბის გამგე (1991–95), მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტის რელიგიების ისტორიის კათედ-რის გამგე (1991–98), ს.-ს. ორბე-ლიანის სახ. თბილ. პედაგოგიური უნ-ტის ქართ. ლიტ-რის კათედრის გამგე (1995–96). 1998-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკად. ლიტერა-ტურის ინ-ტის სექტორის გამგე.

თ-მ სამეცნ. და ლიტ. მოღვაწეო-ბა 1952-იდან დაიწყო, გამოქვეყ-ნებული აქვს 150-ზე მეტი წერა-ლი, თოთხმეტი წიგნი და თარგ-მანები. იყო ,,ქართული პროზისა'' და ,,ქართული მწერლობის'' ოცდა-ათტომიან გამოცემათა ერთ-ერთი შემდგენელი, ასევე არაერთი სხვა წიგნის შემდგენელი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი.

თ-ის თაოსნობით, თავისსავე შემუშავებული კონცეფციის სა-ფუძველზე, საქართველოს სკო-ლებში 1994-იდან შემოიღეს ახ. საგანი რელიგია და კულტურა, რ-ის ხუთი სახელმძღვანელოს (მესამე-მეშვიდე კლასებისათვის), აგრეთვე პროგრამების ავტორი თვითონ იყო.

თ-ის სამეცნ. საქმიანობა უმთავ-რესად მოიცავდა ქართ. მწერლო-ბის, რელიგ. და რელიგ.-ფილოს. აზ-რის ისტ. საკითხებს. ამ მხრივ აღსა-ნიშნავია მისი გამოკვლევები: ,,არ-ეოპაგელი და რუსთაველი'' (1971), ,,გალაკტიონი'' (1972), ,,სიბრძნე ბალაჰვარისი'' (1973), ,,თხუთ-მეტსაუკუნოვანი მთლიანობა'' (1985), ,,სოფელი და ზესთასოფე-ლი'' (1983), ,,სიყვარულის პლატონ-ური მოძღვრება'' (1985), ,,სიყვარუ-ლის არეოპაგიტული მოძღვრება'' (1986), ,,სიყვარულის არეოპაგი-ტული მოძღვრება და ქართული მწერლობა'' (1987), ,,სამყაროს მთლიანობის პრობლემა და არეო-პაგიტიკა'' (1988).

თ-ის თარგმანთაგან აღსანიშ-ნავია უ. ფოლკნერის ,,სოფელი'' (1972) და ,,ქალაქი'' (1975).

თხზ.: ლიტერატურული წერილები, თბ., 1962; წიგნი და მკითხველი, თბ., 1971; წერილები, ლეგენდა გალაკტიო-ნის ცხოვრებისა, თბ., 1978; გადასახე-დი, თბ., 1997; ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა, თბ., 2001; ,,ცისკრის'' პირველი დღეები. მოგონებათა წიგნი, თბ., 2008. *თ. ჩხენკელი.*

თვაურები, სოფელი კასპის მუ-ნიციპალიტეტის ლამისყანის თემ-ში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. ქსნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 840 *მ*, კასპიდან 18 *კმ*. 81 მცხ. (2014).

თვაური გიორგი ივანეს ძე (9. IV. 1920, სოფ. წინარეხი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 9. XI. 1999, თბილისი), საბჭოთა კავ-შირის გმირი (23. II. 1945), მფრი-ნავი, გვარდიის პოდპოლკოვნიკი. 1942 დაამთავრა ქ. ტამბოვის სამხ.-საავიაციო სასწავლებელი. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მონაწილეობდა ბელორუსიისა და პოლონეთის ბრძოლებში, ბერლი-ნის ოპერაციაში, შეასრულა 200 საბრძოლო გაფრენა. ომის დამ-თავრების შემდეგ მსახურობდა გერმანიაში. 1962-იდან თადარიგ-ში გავიდა. მიღებული აქვს სა-ხელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძო-ლო ორდენები და მედლები, ასევე უცხოეთის ორდენები.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

თვე, კალენდარულ სისტემაში შე-მავალი დროის ერთეული, რომე-ლიც გრიგორიუსის კალენ-დარული წელიწადის დაახლოებით 1/12 ნაწილის ტოლია და შეიცავს 28-იდან 31-მდე *დღ-ღ* (იხ. ცხრ. 1), დაახლოებით 4 *კვირას*. თვეების ძვ. ქართული, წარმართული და ხალხუ-რი სახელწოდებები იხ. სტატიაში *კალენდარი*.

ქართულში, ისევე, როგორც მრავალ სხვა ენაში (იხ. ცხრ. 2), სიტყვა ,,თვე'' ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას ,,მთვარე'', რაც დაკავშირებულია დედამიწის გარშემო მთვარის გარემოქცევას-თან დაახლოებით 1 კალენდარუ-ლი თვის განმავლობაში (იხ. სტ. *მთვარე*). *ი. ლომიძე.*

„თვეების გაბაასება“, *გაბა-ასების* ჟანრის ქართული ხალხუ-რი თხზულება. ვრცელი, შაირის საზომით გამართული ლექსი, რ-შიც ერთმანეთს ეპაექრება წელი-წადის თორმეტივე თვე. მისი ნი-მუშები ჩაწერილია საქართველოს ყველა კუთხეში.

ლიტ.: კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., ხალხუ-რი პოეზია, თბ., 1961; უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ვ., ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1964; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ქართული ხალხური სი-ტყვიერების ისტორია, თბ., 1956; ხალ-ხური სიბრძნე, ტ. 4, თბ., 1965.

ჯ. ბარდაველიძე.

თვენი, თ თ უ ე ნ ი, თ უ ე ნ ი, ჰიმნო-გრაფიული კრებული, რომელშიც კალენდარული თანამიმდევრობი-თაა დალაგებული მთელი წლის ყოველდღიური საგალობლები. იგი მოიცავს თორმეტი თვის ჰიმ-

ცხრილი 2.

სიტყვები ,,მთვარე'' და „თვე'' მსოფლიოს ზოგიერთი ხალხის ენაზე

ენა	მთვარე	თვე
აზერბაიჯანული, თურქული	ay	ay
აფრიკაანსი	maan	maand
ბელორუსული	месяц	месяц
ბირმული	လ	လ
გერმანული	Mond	monat
დანიური, ნორვეგიული	månen	måned
ესტონური	kuu	kuu
ინგლისური	moon	month
ინდონეზიური	bulan	bulan
ლაოსური	ᨷᩮᩬᨶᨻᩮᩣ	ᨶᨻᩮᩣ
ლატვიური	mēness	mēnesis
ლიტვური	mėnulis	mėnuo
მალაგასიური	volana	volana
მაორი	marama	marama
რუმინული	lună	lună
რუსული	месяц	месяц
საშოური	masina	masina
სლოვაკური	mesiac	mesiac
სპარსული		
ტაჯიკური	моҳ ماه	моҳ ماه
უზბეკური	oy	oy
ფინური	kuu	kuukausi
ყაზახური	ай	ай
ჩინური	月亮	月
ჰოლანდიური	maan	maand

ნოგრაფიულ რეპერტუარს და სახელწოდება Თ-ც აქედან მიიღო. ეს სახელწოდება ქართ. ლიტ. ისტორიაში გაჩნდა X ს. 70-იან წლებში შედგენილ ე.წ. იელის *იადგარში.* მასში დადასტურებული ტერმინი (საწელიწადო თუენი) შეესაბამება X ს. იადგარებში (Sin 1,65) გამოყენებულ ტერმინს ,,საწელიწადო იადგარი'', რ-იც აღნიშნავს არა მთლიანად იადგარს, არამედ მის მხოლოდ ერთ ნაწილს – სათვეო განყოფილებას, მთლიანი კრებულისათვის კი გამოყენებულია სახელწოდება იადგარი. X ს. იადგარებისა და *გიორგი მთაწმიდელის* რედაქციის Თ-ის სტრუქტურისა და ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის შედარება ცხადყოფს, რომ Თ., როგორც დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული კრებული, ჩამოყალიბდა იადგარების დანაწევრების შედეგად. ეს დასტურდება Თ-ის ნუსხებს დართული გიორგი მთაწმიდელის ანდერძებითაც. გიორგი მთაწმიდელს Თ. შეუდგენია რამდენიმე ბერძნ. წყაროს: პეტრეწმიდის, სვიმეონწმიდის, აია-სოფიას, კაუვი ეკლესიის ჰიმნოგრაფიული კრებულების მიხედვით. ბერძნულის გარდა გამოყენებული აქვს XI ს-მდე არსებული ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი. Თ-ში შესატანი მასალა, რ-იც აკმაყოფილებდა მთაწმიდელის მთარგმნელობით პრინციპებს, უცვლელად არის გადმოტანილი X ს. იადგარებიდან, თუმცა შედარებულია ბერძნ. წყაროსთან და ისეა რედაქტირებული. X ს. ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარს, უცვლელად გადმოტანილს Თ-ში, გიორგი მთაწმიდელმა ,,ქართული'' უწოდა. ,,ქართულად'' სახელდებულ, X ს. იადგარების სახით არსებულ მასალაში იგულისხმება აგრეთვე Თ-ის I რედაქცია, რ-იც გარდამავალი საფეხურია გიორგი მთაწმიდელის რედაქციის Თ-სა და X ს. ქართ. იადგარებს შორის. იგი შედგენილი უნდა იყოს X–XI სს. მიჯნაზე. მას საფუძვლად დაედო X ს. იერუსალიმური ტრად. იადგარები. Თ-ის I რედაქცია თავისი შედგენილობით ქართ. მოვლენაა, რ-შიც შეზავებულია ღვთისმსახურების ორი ტრადიცია – იერუსალიმური და კონსტანტინოპოლური. იგი, სავარაუდოდ შექმნილია იერუსალიმში მოღვაწე ქართვ. სას. პირთა მიერ, შემქმნელ-რედაქტორად კი *ექვთიმე მთაწმიდელს* მიიჩნევენ.

გიორგი მთაწმიდელმა Თ-ის კალენდარი თავისსავე თარგმნილ კონსტანტინოპოლური *სვინაქსარის* კალენდარს შეუდარა და Თ-ის კალენდარში (განსხვავებით სვინაქსარისაგან) შეიტანა ქართვ. წმინდანთა ხსენებები და ჰიმნოგრაფიული მასალა, კერძოდ, იოანე და ექვთიმე მთაწმიდელები, ილარიონ ქართველი, წმ. ნინო, იოდასაფი. წმ. ნინოს ხსენებისა და საგალობლების შეტანისას გიორგი მთაწმიდელი სარგებლობდა X ს. იადგარების მასალით, სადაც წმ. ნინოს ხსენება უკვე იყო (Sin. 59, 64; იელის იად.), იოდასაფის ხსენება კი ამ იადგარებში არ იყო შესული. იგი დასტურდება Თ-ის I რედაქციაში, საიდანაც გადავიდა გიორგი მთაწმიდელის Თ-ში. რადგან Თ-ის I რედაქციაში იოდასაფი და საგალობელი მის სახელზე უკვე არსებობდა, გიორგი მთაწმიდელისათვის ეს იყო იმის დასტური, რომ ქართ. ეკლესია უფრო ადრე აღიარებდა იოდასაფს წმინდანად, ვიდრე საბერძნეთისა.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის Თ-ს XVIII ს-მდე კანონიკური ხასიათი ჰქონდა. XVIII ს-ში ალექსი მესხიშვილმა და ანტონ კათოლიკოსმა Თ. შეუფარდეს რუს. ლიტურგიკულ პრაქტიკას, შეასწორეს რუს. ტიპიკონის მიხედვით; ამასთანავე შეიტანეს მასში ქართვ. წმინდანთა ხსენებები და საგალობლებიც. ანტონ კათოლიკოსის რედაქციის სამი თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი) მასალა დაიბეჭდა კიდეც.

ლიტ.: გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი), ლ. ჯღამაიას გამოც., თბ., 2007; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ახალი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თთუენისა, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 8, თბ., 1962; კ ვ ი რ ი კ ა შ ვ ი ლ ი ლ., ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბ., 1982.

ლ. ჯღამაია.

თვითმმართველობა, საჯარო ან კერძო კორპორაციის წევრთა უფლება, თავად მართონ კორპორაციის საქმეები ან განახორციელონ კონტროლი ამ საქმეთა მართვაზე. საქართველოში მოქმედებს Თ-ის ისეთი ფორმები, როგორიცაა მოსამართლეთა, სასკოლო, სტუდენტური და სხვა Თ-ები.

Თ-ის უმნიშვნელოვანესი ფორმაა ადგილობრივი თვითმმართველობა. ადგილ. Თ. არის მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, კანონის ფარგლებში არჩეული ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, საკუთარი პასუხისმგებლობით მართონ ადგილ. მნიშვნელობის საქმეები. სახელმწიფოში ძლიერი ადგილ. Თ-ის არსებობა დემოკრ. მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებისა და სამართლებრივი სახელმწ. პრინციპის რეალიზების აუცილებელი პირობაა.

საქართველოში ადგილ. Თ. ხორციელდება მუნიციპალიტეტებში ადგილ. ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრ. ორგანოების მეშვეობით. მუნიციპალიტეტი არის თვითმმართველი ერთეული – საჯარო სამართლის იურიდ. პირი, რ-იც იქმნება საქართვ. პარლამენტის დადგენილებით. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრ. ორგანო და უმაღლესი თანამდებობის პირი – მერი. საკრებულოს, მერს ირჩევენ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით. მერის მიერ აღმასრ. ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება მუნიციპალური დაწესებულება – მერია.

მუნიციპალიტეტი სარგებლობს ადმ. დამოუკიდებლობით სახელმწიფოს მიმართ. ადგილ. ხელისუფლების უფლებამოსილებები და რესურსები გამიჯნულია სახელმწ. უფლებამოსილებებისა და რესურსებისგან, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის სამართალშემოქმედებითი და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. იმავდროულად, სახელმწ. ხელისუფლება ახორციელებს ადმ. ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე.

მუნიციპალიტეტის ძირითადი უფლებამოსილებებია: მუნიციპალიტეტის სოც.-ეკონ. და სივრცითი განვითარების დაგეგმვა, ადგილ. მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის განვითარება, მშენებლობის ნებართვების გაცემა და მშენებლობის ზედამხედველობა, ტერიტორიის კეთილმოწყობა, ნარჩენების შეგროვება და გატანა, ქუჩების დასუფთავება, მუნიციპალური ტრანსპ. ორგანიზება, სოფლების წყალმომარაგების უზრუნველყოფა, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის ორგანიზება, ადგილ. სოც. პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, ადგილ. მნიშვნელობის კულტ. ობიექტების მართვა და სხვ.

თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტის ძირითადი საკუთარი საბიუჯეტო შემოსულობებია ქო-

ნების გადასახადი, ადგილ. მოსაკრებლები, კაპიტ. შემოსავლები, გრანტი და სესხი. მუნიციპალიტეტის ძირითადი არასაკუთარი საბიუჯეტო შემოსულობებია გათანაბრებითი, კაპიტ., მიზნობრივი და სპეც. ტრანსფერები. თვითმმართველი ერთეული დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების ხარჯვებს.

მუნიციპალიტეტს აქვს დამოუკიდებელი ქონება საკუთრების უფლებით. მის საკუთრებაშია ადგილ. მნიშვნელობის ისეთი ქონებრივი ობიექტები, როგორიცაა მუნიციპალური ადმ. შენობები, ადგილ. მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კულტ. ობიექტები და სხვ.

ი. კობახიძე.

თვის შაური, სამეფო გადასახადი შუა საუკუნეების თბილისში. იხდიდა თითოეული სავაჭრო და სახელოსნო დუქნის მფლობელი თვეში ერთი შაურის ოდენობით.

თვრინი, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კლდეეთის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. ფუთურასღელის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 300 *მ,* ზესტაფონიდან 5 *კმ.* 589 მცხ. (2014).

თ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში, სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხე-დარბაზი გალავნითა და საცხოვრ. ნაგებობებით. XIX ს. ქვის ეკლესია.

თ. ბერაძე.

თიანეთი, დაბა (1960-იდან), აღმოსავლეთ საქართველოში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი). თიანეთის მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს თიანეთის ქვაბულში, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1100 *მ,* თბილისიდან 78 *კმ.* 2,5 ათ. მცხ. (2014).



თიანეთი. მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი.

თ-ში ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 7,5°C, იანვ. საშ. ტემპ-რა –4,7°C, აგვ. 18,5°C; აბსოლ. მინ. –34°C, აბსოლ. მაქს. 36°C. ნალექები 880 *მმ* წელიწადში, მაქს. – გაზაფხულზე, მინ. – ზამთარში.

თ-ში არის კვებისა და ადგილ. მრეწველობის საწარმოები, სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამედ. დაწესებულებები, ვაჟა-ფშაველას სახ. კულტ. და დასვენების პარკი, მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი.

თ. სააგარაკო ადგილია. მის მიდამოებშია ხუროთმოძღვრული კომპლექსი *თიანეთის ცხრაკარა.*

მ. ბალიაური.

გ. ზარდალიშვილი.

თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქია. მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მოიცავს არაგვისა და ივრის ხეობების ისტ. კუთხეებს – ერწო-თიანეთსა და ძვ. ფხოვის ტერიტორიას. ეპარქიას აღმ-იდან ესაზღვრება ალვან-თუშეთი, რ-იც ალავერდის ეპარქიის შემადგენლობაშია; დას-იდან – ხევისა და სტეფანწმინდის ეპარქია; სამხრ. და სამხრ.-დას-იდან – გუდამაყარ-მთიულეთი, რ-იც წილკნის ეპარქიას მიეკუთვნება; სამხრ.-აღმ-იდან – მცხეთა-თბილისის ეპარქია. ჩრდ-ის საზღვარი საქართვ.–რუს. სახელმწ. საზღვარს ემთხვევა ძვ. ქისტეთის, იმავე ინგუშეთის რესპუბლიკასთან.

ძვ. ქართულ საისტ. მწერლობაში აღმ. საქართველოს მთიელ მოსახლეობას საერთო სახელი ,,მთეულნი'' ეწოდებოდათ. მთეულნი კახეთის ჩრდ. არაგვისა და თერგის ხეობაში სახლობდნენ. სადაც თითოეულ კუთხეს თავიანთი საკუთარი, ისტ.-ეთნოგრ. და ყოფა-ცხოვრების შესაფერისი, ტრად. სახელიც ჰქონდა. ამ მხარის უკიდურეს სამხრ-ით, მდინარე ივრის დას. მხარეს, მდებარეობდა ,,ერწუ'', ანუ ,,ერწო''. ერწოს ზემოთ, იორზე, იყო ,,თიანეთი'', რ-იც ადრიდანვე არა მარტო ქალაქურ დასახლებას, არამედ მთელ კუთხეს ერქვა. გუდამაყრის ხეობის აღმით, ფხოველთა მთებზე, შეფენილი იყო ,,ფხოეთი'', იგივე ფხოვი, რ-იც XV ს-მდე ფშავისა და ხევსურეთის



თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია. ნადოკრა, წმინდა არჩილ მეფის მონასტერი.

ზოგადი სახელი იყო. ამდენად, სამღვდელმთავროს გეოგრ. საზღვრები ვრცელდება აღმ. საქართველოს მთის ისტ. კუთხეებზე – ფშავსა და ხევსურეთზე (ადრინდ. წერილობითი ძეგლების მიხედვით – ,,ფხოვზე'') და ერწოსა და თიანეთზე (გარკვეულ პერიოდში ეს მხარე ,,ჟალეთის ქვეყნის'' სახელით იყო ცნობილი).

ქვეყნის პოლიტ. მდგომარეობის მიუხედავად, თანამედროვე თ. და ფ.-ხ. ე-ის იურისდიქციაში არსებული ტერიტორიები მუდამ მცხეთის საკათოლიკოსოს გამგებლობაში ითვლებოდა.

XIX ს. დასაწყისიდან, საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, კახეთისა და აღმ. საქართველოს მთიანეთის საეკლ. ცხოვრება ერთ – კახეთ-ალავერდის ეპარქიას დაექვემდებარა. 1917, ავტოკეფალიის აღდგენისას, განახლდა წილკნის ეპარქიაც, რ-იც აერთიანებდა აღმ. საქართველოს ,,მთეულთ'' – მთიულეთს, გუდამაყარს, ხევს, ფშავს, ხევსურეთს, ერწო-თიანეთსა და სხვ. 2003 წ. 18 აგვისტოს ურბნისის საკათედრო ტაძარში ჩატარებულ საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრებაზე წილკნისა და ალავერდის ეპარქიათა ტერიტორიების საფუძველზე დაარსდა თ. და ფ.-ხ. ე. ამგვარი სახელწოდება – ,,თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის'' – არ გვხვდება საქართვ. საეკლ. წარსულში, თუმცა იგი არსით საუკუნეთა წინ გაუქმებული ,,ჟალეთის'', შემდეგ კი ძვ. ,,ხარჭაშოს'' ეპარქიის განახლებას ნიშნავს (ხარჭაშოს ეპისკოპოსი ,,ხარჭაშნელად'' იწოდებოდა).

თიანეთის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროისა და კატეგორიის არქეოლოგიური ძეგლები, გამოვლენილი თიანეთსა

და მის შემოგარენში. თიანეთის უბნის, ე. წ. ბაღიანების ჩრდ-ით, დიდგორის ხევში 1964 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის ჟალეთის არქეოლ. ექსპედიციამ ჩაატარა სადაზვერვო გათხრები (ხელმძღვ. დ. მუსხელიშვილი). აღმოჩნდა კლდის ქვებით და დუღაბით ორპირად ნაგები კედლის ნაშთები, ჩაკირული ქვევრის ნაწილი, კეცის ფრაგმენტები, ნაცროვან ფენაში – დამწვარი ხის ძეგლების ნაშთები. ნაპოვნია XI–XIII სს. მოჭიქული და მოუჭიქავი სამზარეულო და სუფრის თიხის ჭურჭლის (ჯამი, ქოთანი, ხელადა) ფრაგმენტები.

ბაღიანებში გამოვლენილია განვითარებული შუა საუკუნეების ნამოსახლარი, მის მიდამოებში, კუხაციხეზე კი – დიდი ზომის მიწისქვეშა აკლდამები.

თიანეთიდან ცხრაკარის მიმართულებით, ფაშაურთგორაზე, აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრინდ. ეტაპის შავლეგა თიხის ჭურჭლის ნატეხები და განვითარებული შუა საუკუნეების მინის სამაჯურის ფრაგმენტები.

ადგილ. საკირეებში გამოვლინდა ადრინდ. შუა საუკუნეების დაზიანებული სამარხები. ნაპოვნია ბრინჯაოს საკინძის ღეროები, ბეჭედი და სარდიონის მძივები.

თიანეთიდან 5 *კმ*-ზე, ე. წ. ვაჟის წყაროსთან, აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდის ქვევრის ნატეხები.

მასალა ინახება დუშეთის არქეოლ. საცავში და თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე», 1978, №1; ჯორბენაძე ბ., ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, IV – ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982.

ბ. ჯორბენაძე.

თიანეთის მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიის თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში. მ. მ. შეიქმნა 1874 წ. 3 ნოემბერს. იგი თიანეთის საპრისტავოს ბაზაზე ჩამოყალიბდა. 1875 წ. 1 იანვარს მ. მ. ოფიციალურად გაიხსნა.

მ. მ. თავისი ტოპოგრ. თავისებურების გამო მთისა და ბარის ზოლებად იყოფოდა და მისი მთიანი ნაწილი მაზრის ადმინისტრაციისათვის ნაკლებად მისაწვდომი იყო, განსაკუთრებით – ზამთარში. ფაქტობრივად გამოდიოდა, რომ მ. მ-ის მთიანი ნაწილი მაზრის უფრ. მმართველობის სფეროში არ შედიოდა.

თბილისის გუბერნატორის შუამდგომლობით კავკასიის მეფისნაცვალმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და 1880 წ. 17 ნოემბერს მ. მ-ის მთიანი ზოლისაგან ჩამოყალიბდა თიანეთის საპრისტავო (ოფიციალურად გაიხსნა 1881 წ. 1 თებერვალს), რ-იც მაზრის შემადგენლობაში შედიოდა.

მ. მ-ს თბილ. გუბერნიის ჩრდ.-აღმ. ნაწილი ეჭირა, კავკასიონის ორივე ქედის კალთებზე მდებარეობდა და ფშავისა და ხევსურეთის არაგვის, ივრისა და ალაზნის ზემოწელის, თუშეთის ალაზნის, არღუნისა და ასის სათავეთა წყლების აუზს მოიცავდა. მ. მ. სამ უბნად იყოფოდა: თუშეთ-კახეთის, ფშავ-ხევსურეთისა და ერწოს. თუშეთ-კახეთის უბნის ცენტრი ახმეტა იყო, ერწოს უბნის მსაჯულის ადგილსამყოფელი სოფ. ღულელებში იყო, ფშავ-ხევსურეთისა – ბარისახოში.

მ. მ-ს აღმ-ით ესაზღვრებოდა დაღესტნის ოლქი და *თელავის მაზრა*, რ-თა შორის გამყოფი საზღვრო ხაზი კავკასიონის მთავარ ქედსა და მისი სამხრ.-დას. განშტოების – დიდგვერდ-ნაქერალას მთაგრეხილს გასდევდა; სამხრ-ით – *თბილისის მაზრა*, რისგანაც ქართლის ქედის აღმ. განშტოებითა და გომბორის ქედით გამოიყოფოდა; დას-ით – *დუშეთის მაზრა*, მათ შორის გამყოფი ხაზი გუდამაყრის, ქართლისა და ცხვარიჭამიას ქედებს გასდევდა; ჩრდ-ით, კავკასიონის გვერდითი ქედის გაყოლებით, თერგის ოლქი საზღვრავდა. მ. მ. გაუქმდა 1930.

წყარო: სცია, ფ. 26, ან 2 ს. 2035, ფ. 1, ფ. 7, ან II ს. 1 ფ. 110; სცია, ფ. 7, ან 1, ს. 1982, ფ. 49; ПСЗРИ, 2 изд. т. XLIX, ст. 54010.

ზ. ცინცაძე.

თიანეთის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი). აღმ-ით ესაზღვრება ახმეტის, დას-ით და ჩრდ-ით – დუშეთის, სამხრ-ით – მცხეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. ფართ. 906,3 *კმ*^{2}, მოსახლ. 9,5 ათ. კაცი (2014). ცენტრი – *თიანეთი*. მ. მ-ში არის 2 დაბა (თიანეთი, *სიონი*), 84 სოფელი, 10 თემი: არტნის (ცენტრი – ზემო არტანი), ახალსოფლის, ზარიძეების, ნაქალაქარის (ცენტრი ზემო ნაქალაქარი), ჟებოტის, სიმონიანთხევის, ტუშურების, ღულელების, ჩეკურაანთგორის, ხევსურთსოფლის.

თიანეთის მუნიციპალიტეტი



ისტორიული ცნობა. სიტყვა „თიანეთი“ ორი მნიშვნელობით იხმარება: ერთ შემთხვევაში იგი აღნიშნავს გეოგრაფიულ მხარეს, მეორე შემთხვევაში – დასახლებული პუნქტის სახელწოდებას. ტყიანი გორებით შემოსაზღვრულ ადგილზე მდებარეობის გამო დაბას თავიდან „მთიანეთი“ ერქვა. დროთა ვითარებაში პირველი ასო „მ“ დაიკარგა და მივიღეთ ტოპონიმი „თიანეთი“.

თიანეთი (ერწოსთან ერთად) ისტორიულად წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს. იგი ადმინისტრაციულად კახეთის სამეფოში შედიოდა. საისტ. წყაროებში როგორც გეოგრ. მხარის სახელწოდება, პირველად IV ს-ში ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით იხსენიება. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს‘‘ თანახმად, ქარ-



თიანეთის მუნიციპალიტეტის გერბი.

თლის მთიელების მოსაქცევად წასული წმ. ნინო წობენიდან ,,გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა‘‘. ამავე ცნობას იმეორებს ლეონტი მროველი. ჯუანშერი ამ მხარეს იხსენებს ვახტანგ გორგასლის მიერ ოსეთზე ლაშქრობის მზადებასთან დაკავშირებით: ,,წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი ორმოცდაათი ათასი მხედარი. და წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარი დარიალანისა‘‘. მოგვიანებით ვახტანგ გორგასალმა აქ ააშენა ეკლესია და დასვა ეპისკოპოსი, ,,მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ხევსურეთისა და ხერკისა‘‘. ,,მატიანე ქართლისაში‘‘ რამდენჯერმეა მოხსენიებული თიანეთი, ერწო და ჟალეთი. კერძოდ, წყაროში თიანეთი იხსენიება ბაგრატ III-ის კახეთის ქორეპისკოპოს დავითთან ბრძოლის დროს. ბაგრატი ,,დადგა თიანეთს და იწყო შემუსრვად კახეთსა‘‘. დაახლოებით X ს-ში კახეთის სამთავროს ცენტრი თავდაპირველად ბოჭორმაში, ხოლო XI ს. დასაწყისში თიანეთშია გადანაცვლებული. როცა ბაგრატ IV კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლისას თიანეთში გადავიდა, მან დაწვა ,,დარბაზი ბოდოჯისა‘‘ – კახეთის მეფის კვირიკეს სასახლე (ეს დარბაზი სამეფო რეზიდენციად ითვლებოდა, რ-იც დღევანდელ ცხრაკარას ადგილას ყოფილა აგებული). ამის შემდეგ კახეთის ადმინისტრაციულმა ცენტრმა თელავში გადაინაცვლა, აღნიშნული ტოპონიმი კი გაქრა, ხოლო კუთხის პოლიტიკურმა ცენტრმა მთელი სანახების – ,,(მ)თიანეთის‘‘ სახელი დაიმკვიდრა. ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი‘‘ ერწო-თიანეთის მცხოვრებთ ასახელებს სხვა მთიულებს შორის, რ-ებიც მეფის მხარეზე იბრძოდნენ აჯანყებული ფხოველების დასამორჩილებლად: ,,მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა; დვალთა, ცხრაზმელთა, მოჯევეთა, ჯადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა‘‘. ერწო-ჟალეთზე გადიოდა სავაჭრო გზის ერთ-ერთი განშტოება, რ-იც ქართლს კავკასიის აღბანეთთან და სომხეთთან აკავშირებდა.

XIII ს. დასასრულს მონღოლებმა არაგვის ხეობასთან ერთად ერწო-თიანეთიც მიწასთან გაასწორეს: ,,წამოვიდნენ და მომართეს მთიულეთს, მოაოჯრეს სომხითი, ქართლი, ერწო-თიანეთი და დადგნენ მუხრანს და ხერკს და ერწო-თიანეთს და ბაზალეთს, და სტყუევნიდიან, სადა ვის მოაგელიან...‘‘ (ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII ს.).

1478 თიანეთი მოარბია უზუნ-ჰასანმა. შაჰ-აბასმა გაგზავნა დიდი ჯარი ხერკისა და ერწო-თიანეთის წინააღმდეგ. თიანეთს როსტომთან დაპირისპირების გამო თავს აფარებდა თეიმურაზ I. როსტომმა ერწო-თიანეთი ზაალ არაგვის ერისთავს მისცა. 1722 თიანეთი მოარბია ლეკებმა.

მხარის შესახებ ისტ. და გეოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი.

არქეოლოგიური გათხრებისას თ. მ-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილია რომაული, სასანური (იხ. *თოლენჯის განძი*) და ბიზანტიური მონეტები, რ-თა მიხედვითაც შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ პერიოდში ივრის ხეობის მოსახლეობა ინტენსიურად იყო ჩართული საერთაშ. სავაჭრო ურთიერთობებში.

XV ს-ში, ერთიანი საქართველოს ფეოდ. სახელმწიფოს პოლიტ. დაშლის შემდეგ, ერწო-თიანეთი კახეთის სამეფოს ერთ-ერთი სამოურავო გახდა (იხ. *თიანეთის სამოურავო*).

1917-მდე ახლანდელი თ. მ-ის ტერიტ. შედიოდა *თიანეთის მაზრის*, 1924-იდან – *დუშეთის მაზრის* შემადგენლობაში. 1932-იდან ყალიბდება დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად.

ბუნება. თ. მ-ის ტერიტ. მდებარეობს კავკასიონის სამხრ. კალთაზე და მოიცავს მდ. ივრის ზემო დინების აუზს სათავიდან სოფ. ბოჭორმამდე. აქვს საშუალო და მაღალმთიანი რელიეფი. მხოლოდ სამხრ. ნაწილში უკავია მცირე ფართობი ვაკეებს (თიანეთისა და ერწოს ქვაბულების ძირზე) და გორაკ-ბორცვებს. მუნიციპალიტეტის ტერიტ. ჩრდ. ნაწილი აგებულია ქვედაიურული ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით, სამხრ. – ზედაიურული ქვიშაქვებით, მერგელოვანი ფიქლებითა და კირქვებით (ფლიშური წყება), უფრო სამხრ-ით გავრცელებულია ქვედა და ზედაცარცული კირქვები, მერგელები და ქვიშაქვები, აგრეთვე მესამეული ქვიშაქვები, მერგელები, თიხები, კონგლომერატები. თიანეთისა და ერწოს ქვაბულები აგებულია მეოთხეული რიყნარით, ქვიშებით, თიხებით.

მუნიციპალიტეტის ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებია ქართლის, კახეთის, გომბორისა და საბადურის ქედები. ქართლის ქედის მნიშვნელოვანი მწვერვალებია: ჭიჩო, სასოვეთავი, ელიასნიში. მუნიციპალიტეტს აღმ-იდან ესაზღვრება კახეთის ქედი (მწვ. გარეჯა, მუხათი) და გომბორის ქედის ჩრდ.-დას. ნაწილი. ქართლის ქედსა და ივრის ხეობას შორის განედურადაა გაწოლილი საბადურის ქედი, რ-იც ერწოს ქვაბულს სამხრ-იდან ესაზღვრება. თ. მ-ის მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულია ივრის ხეობა, რ-იც მუნიციპალიტეტის სამხრ. ნაწილში გაფართოებულია და თიანეთის ქვაბულს ქმნის. მის სამხრ-ით სიონის ქვაბულია, რ-იც ამჟამად თითქმის მთლიანად სიონის წყალსაცავს უკავია, უფრო სამხრ-ით კი – ერწოს ქვაბული.

თ. მ-ის ყველაზე დაბალ ნაწილში ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. უფრო ზემოთ (1100 *მ*-იდან 1900 *მ*-მდე) ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული, კიდევ უფრო მაღლა ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ცივი ზამთარი და მოკლე ზაფხული. ქედების თხემებზე, 2400–2500 *მ* ზემოთ, ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ზომიერად ნოტიო ჰავაა. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა დაბალ ნაწილში 8,5°C, 2400 *მ* სიმაღლეზე იგი 0°C-მდე ჩამოდის, ხოლო ქედების თხემებზე გაცილებით უფრო დაბალია. იანვ. საშ. ტემპ-რა დაბალ ნაწილში –2, 0 °C-მდეა, მაღალმთიან ნაწილში კი –10 °C-ზე დაბლა ეცემა. ივლ. ტემპ-რა დაბალ ზონაში 19°C-ია, მთაში კი 8–10 °C არ აღემატება. აბსოლ. მინ –28, –40 °C შორის მერყეობს. აბსოლ. მაქს. 20–22°C-იდან 35–36°C-მდე აღწევს. ნალექები თ. მ-ის დაბალ ნაწილში არის 620 *მმ* წელიწადში, მაღალ ნაწილში – 1300 – 1800 *მმ*.

თ. მ-ის მთავარი მდინარეა იორი, მისი შენაკადებია ქუსნო, საგამი, აძეძი. იორი და მისი შენაკადები თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით საზრდოობენ. წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა – ზამთარში. მდ. ივრის წყლის ბაზაზე აგებულია სიონის წყალსაცავი, რ-იც ასაზრდოებს ზემო სამგორის სარწყავ სისტემასა და სამგორის წყალსაცავს, არეგულირებს მდ. ივრის ჩამონა-

დენს. სიონის წყალსაცავის კაშხალთან აგებულია სიონჰესი.

თ. მ-ის დაბალ ნაწილში ტყის ყავისფერი ნიადაგია, ერწოსა და თიანეთის ქვაბულებში – უკარბონატო ალუვიური ნიადაგი, ქედების კალთებზე – ტყის ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგი, რ-საც უფრო მაღლა კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოთა ნიადაგი ცვლის; ქართლისა და კახეთის ქედების თხემზე, მცირე ფართობზე, გვხვდება მცირე სისქის კორდიან-ტორფიანი ნიადაგი.

თ. მ-ის ქედების კალთების ქვემო ნაწილში გავრცელებულია მუხნარ-რცხილნარი. ქართლის, კახეთისა და გომბორის ქედების კალთები და თხემების დიდი ნაწილი უკავია წიფლნარს. საბადურის ქედზეც წიფლნარებია კოლხ. ქვეტყის ელემენტებით. ქართლისა და კახეთის ქედების ჩრდ. ნაწილში და გომბორის ქედზე სუბალპ. მდელოებია, მცირე ფართობზე არის ალპ. მდელოებიც.

მაღალ მთებში ბინადრობს არჩვი, ტყეებში – კავკ. ირემი, კავკ. მურა დათვი, მგელი, მელა, მაჩვი, კვერნა, იშვიათად – ფოცხვერი. მრავლადაა მღრღნელი: თაგვი, ვირთაგვა, ბუჩქნარის მემინდვრია, ჩვეულებრივი მემინდვრია და სხვ. ალპ. მდელოებზე შემორჩენილია ენდემური კავკ. შურთხი და კავკ. როჭო. მტაცებელ ფრინველთაგან მაღალმთიან ნაწილში გვხვდება კრავიჭამია, მთის არწივი, ჭკა. ტყეში ბინადრობს ძერა, ქორი, კოდალა, შაშვი, ჩხიკვი და სხვ. იორსა და მის შენაკადებში არის კალმახი, ქაშაპი, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა, მურწა და სხვ. თევზით მდიდარია სიონის წყალსაცავი, სადაც ადგილ. სახეობებთან ერთად ბინადრობენ შემოყვანილი თევზები (სარკისებრი კობრი და სხვ.).

ძირითადი ლანდშაფტები: 1. დაბალი მთები მუხნარითა და რცხილნარ-მუხნარით, ტყის ყომრალი და ყავისფერი ნიადაგებით; 2. საშუალო სიმაღლის მთები რცხილნარ-წიფლნარით და წიფლნარით, ზოგან კოლხ. ქვეტყის ელემენტებით ტყის ყომრალ და კორდიან-კარბონატულ ნიადაგებზე; 3. მთა-თაშორისი ქვაბულები რცხილნარ-მუხნარით, ტყის ყომრალი, ალუვიური და კორდიან-კარბონატული ნიადაგებით; 4. მთა-მდელოს ლანდშაფტი (სუბალპ. და ალპ.) მთის მდელოებით კორდიან-ტორფიან ნიადაგებზე.

მოსახლეობა. მოსახლ. 98,1% ქართველია. ცხოვრობენ აგრეთვე სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 1000 –1200 *მ* ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 10,4 კაცი 1 *კმ* ^{2}-ზე (2014).

მეურნეობა. მეურნ. წამყვანი დარგია მეცხოველეობა. მუნიციპალიტეტის მთელი ფართობის დაახლ. 40% უჭირავს სას.-სამ. სავარგულებს. მოჰყავთ მარცვლეული და საკვები კულტურები, მრავალწლიანი კულტურებიდან – ვაშლი და ქლიავი.

თ. მ-ში არის კვების (ყველ-კარაქის) და ადგილ. მრეწველობის (ტეტყის სახერხი და სხვ.) საწარმოები. მუნიციპალიტეტში რკინიგზა არ არის. საავტ. გზა მიდის თბილისისა (საბადურის, სიონის ან ჟინვალის გავლით) და ახმეტის მიმართულებით.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. თ. მ-ში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, საკლუბო დაწესებულებები; *თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი*, მირზა *გელოვანის* მემორიალური სახლ-მუზეუმი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება შპს ,,თიანეთის სამედიცინო ცენტრი‘‘.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მუნიციპალიტეტის ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან შემონახულია: *თიანეთის ცხრაკარა* (XI ს. I მეოთხედი), მარიამ წმინდის ეკლესიის კომპლექსი ჟებოტის მიდამოებში, *ჟალეთის* ხუროთმოძღვრული კომპლექსი (VIII–IX სს., შუა საუკუნეები), *ბოჭორმის ციხე*, სოფ. ნადოკრაში არჩილის მონასტერი, ჟალეთის ბაზილიკა (IX ს. დასასრული, X ს. დასაწყისი) სოფ. სიონთან, საყდრიონის წმ. გიორგის ეკლესია (VIII–IX სს.) და სხვ.

ი. აფხაზავა. მ. ბალიაური. გ. ზარდალიშვილი.



თიანეთის მუნიციპალიტეტი. ბოჭორმის ციხე. წმინდა გიორგის ეკლესია. X ს.



თიანეთის მუნიციპალიტეტი. საყდრიონის წმინდა გიორგის ეკლესია. VIII–IX სს.

თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა (არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული პირი – ააიპ). დაარსდა 1951, 1990 მუზეუმისათვის აშენდა შენობა. მისი ფართობია 340 *კვ. მ*, მუდმივი ექსპოზიცია – 300 *კვ. მ*, საცავი – 20 *კვ. მ*.



თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მუზეუმის ფონდში დაცულია 3957 ექსპონატი – თიანეთის მუნიციპალიტეტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლ. ექსპედიციებისა და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად მოპოვებული მასალები ადრე ბრინჯაოს ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე, ეთნოგრ. ყოფის ამსახველი მასალები, საეკლ. დანიშნულების ნივთები, ოთხთავის ხელნაწერი და ნაბეჭდი გამოცემები, ქსოვილების ნიმუშები (აღმ. საქართველოს მთიანეთის XIX ს. ფარდაგები, ხევსურული ხალხ. სამოსელი და აქსესუარები), შუა საუკუნეების კერამ. ჭურჭელი და სხვ. თ. მ. მ-ის ბაზაზე დაარსდა მირზა *გელოვანის* მემორიალური სახლ-მუზეუმი.

თ. მ. მ-ში ეწყობა გამოფენები: ,,ერწო-თიანეთის არქეოლოგია‘‘,

,,ნუმიზმატიკური მასალა მუზეუმის ფონდებიდან'', ,,ხევსურული ფარდაგები''. მუზეუმი ახორციელებს საგანმან. პროგრამებს: ,,კავშირი წარსულთან'' (IX–X კლასის მოსწავლეებისთვის), ,,ტრადიცია და ფშავი'' (ფარდაგის ქსოვის ხელოვნების სწავლება).

თიანეთის სამოურავო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული გვიანდელ შუა საუკუნეების კახეთის სამეფოში. მოიცავდა ისტ. ერწო-თიანეთს. ამ სამოურავოს შემადგენლობაში ფშავ-ხევსურეთიც უნდა ყოფილიყო, რადგან ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ,,ფშავლები მონებენ, ვისაცა უპყრავს თიანეთი''. ფშავის მოურავი კი თიანეთში იჯდა. ივრის ხეობის ზემო წელის მომცველ თ. ს-ს აღმ-ით პანკისისა და თუშეთის სამოურავო ესაზღვრებოდა და სასაზღვრო ხაზი კახეთის ქედს გასდევდა; დას-ით – არაგვის საერისთავო, მათ შორის სასაზღვრო ხაზი კი ფშავის არაგვისა და გუდამაყრის არაგვის წყალგამყოფ გუდამაყრის ქედს გაუყვებოდა; სამხრ-ით – მარტყოფის სამოურავო, რ-იც მისგან კახეთის მთით გამოიყოფოდა; ჩრდ-ით – კავკასიონის ქედი. თიანეთის მოურავები კახეთის ფეოდ. გვარის წარმომადგენლები, ჩოლოყაშვილები, იყვნენ. XVIII ს. მიწურულისათვის თ. ს-მ, როგორც ჩანს, ფუნქციონირება შეწყვიტა. XVIII ს. და XIX ს. დასაწყისისათვის კახეთის ექვს სამოურავოთა რიგში თ. ს. აღარ იხსენიება.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *ზ. ცინცაძე.*

თიანეთის ქვაბული, ივრის ხეობის გაფართოებული მონაკვეთი *თიანეთის* მიდამოებში. შემოსაზღვრულია კახეთისა (აღმ-ით) და ქართლის (დას-ით) ქედებითა და მათი შტოქედებით, რ-ებიც ვრცელდება ზ. დ. 1060 *მ*-იდან 1700 *მ*-მდე. ქვაბულის ფსკერი ბრტყელი აკუმულაციური ვაკეა, აგებულია ალუვიურ-პროლუვიური მასალით, რ-ის სისქე რამდენიმე ასეულ მეტრს უდრის. ვაკე მოუყვება მდ. იორს და მის შენაკადებს – ქუსნოსა და საგამს. თიანეთთან ქვაბულის ფსკერის სიგრძეა 17 *კმ*, სიგანე – 3–5 *კმ*. თ. ქ-ის ფერდობები აგებულია ცარცული ასაკის კირქვებით, მერგელებით, ქვიშაქვებით; დანაწევრებულია ხევებით.

თ. ქ. მთლიანად შემოსილი იყო შერეული ფართოფოთლოვანი ტყით. ქვაბულის ფსკერი კულტ. მცენარეულობას უჭირავს. ადგილ-ადგილ გვხვდება მეორეული მდელო-ბუჩქნარი. *გ. ჩანგაშვილი.*

თიანეთის ცხრაკარა, სასახლე, XI ს. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი. მდებარეობს თიანეთის ჩრდ.-დას-ით 1 *კმ*-ზე, საჭურის ხეობის მარცხენა ნაპირის მაღლობზე, საიდანაც კარგად მოჩანს ივრის ხეობა, კვეტერასკენ მიმავალი გზა, საჭურის ხეობა და ზემო თიანეთის გარკვეული მონაკვეთი. ქვის თხელი ფილების სწორი რიგებით ნაგები სასახლე ორსართულიანი ყოფილა. ოთახები ერთმანეთს აგურით ამოყვანილი თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდებოდა. ქვედა სართული 4–4,5 *მ* სიმაღლისა იყო, ზედა კი, როგორც ჩანს, – უფრო მაღალი. შენობას ჰქონდა აივანი, რ-იც ღია ეზოში გადიოდა. სასახლე დიდი ზომებითა და დაგეგმარების სირთულით გამოირჩევა სხვა ცნობილ საერო ფეოდ. სასახლეთაგან. გ. *ჩუბინაშვილი* იზიარებს ს. *ჯანაშიას* მოსაზრებას, რომ ცხრაკარას ნანგრევები უნდა იყოს ერთ-ერთი ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული კახეთის მეფე კვირიკე III-ის (1010–32) სასახლე თიანეთში ,,დარბაზი ბოდოჯისა'', რ-იც ბაგრატ IV-ს (1027–72) დაუწვავს. ,,გარდაადგა თიანეთსა და დაწვა დარბაზი ბოდოქისა, სახლი სახლოვანი დიდისა კვირიკე მეფისა აგებული'' – მოგვითხრობს მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება.

ლიტ.: სონღულაშვილი ჯ., კიდევ ერთი ცხრაკარა ივრის ხეობაში, «ძეგლის მეგობარი», 1974, №36; Чубинашвили Г., Архитектура Кахетии, Тб., 1959; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008.

თიბათვე, იხ. *ივნისი.*

თიბილაანი, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ხეთაგუროვოს თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. ფრონის ხეობაში. ზ. დ. 1020 *მ*, ქურთიდან 23 *კმ*.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თიბისა, იხ. *ივლისი.*

,,თიბისი ბანკი'' (TBC Bank), სააქციო საზოგადოება, ერთ–ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკი საქართველოში. დაფუძნდა 1992 წ. 17 დეკემბერს. 1994 მაისში მას მიენიჭა საერთაშ. ოპერაციების წარმოების ლიცენზია, ხოლო 2000 სექტემბერში – საერთაშ. რეიტინგი. ,,თ. ბ.'' წარმოდგენილია აგრეთვე აზერბაიჯანის (,,თიბისი კრედიტი'') და ისრაელის (,,თიბისი ინვესტი'') ბაზრებზე. 2014 წ. 11 ივნისს ,,თ. ბ-მა'' განახორციელა საქართველოდან აქციების ყველაზე მასშტაბური განთავსება ლონდონის საფონდო ბირჟაზე, საერთო ღირებულებით 256 მლნ. დოლარი. 2016 ბანკმა ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში გადაინაცვლა, 2017-იდან კი მისი აქციები საფონდო ბირჟაზე 350 უმსხვილეს კომპანიასთან ერთად განთავსდა.

,,თ. ბ-ის'' მთლიანმა კაპიტალმა 2016 წ. 31. XII. მდგომარეობით 1,6 მლრდ. ლარი შეადგინა, მისმა მთლიანმა აქტივებმა ამავე პერიოდისათვის – 10,8 მლრდ. ლარი, ხოლო საკრედიტო პორტფელმა – 7,4 მლრდ. ლარი. ბანკი ყველაზე დიდ წილს (44,2 %) ფლობს ფიზ. პირების სესხებისა და ფიზ.



„თიბისი ბანკი". სათავო ოფისი. თბილისი.

პირების ანაბრების (40,8%) ბაზარზე.

,,თ. ბ.'' საქართველოში მოქმედ კერძო კომპანიებს სთავაზობს სესხებს არსებული ბიზნესის განვითარებისათვის, აფინანსებს ფიზ. პირებს (იპოთეკური, სამომხმარებლო სესხები), ახდენს ფულადი ანაბრების ოპერაციებს ფიზ. და იურიდ. პირებთან, ელექტრონულ საბანკო მომსახურებას (სატელეფონო სერვისცენტრი, ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, სწრაფი გადახდის აპარატები), პლასტ. ბარათების გამოშვებას და მომსახურებას. 2011 ,,თ. ბ-მა'' შეისყიდა ბანკ ,,კონსტანტას'' 80%-იანი წილი და წარმატებით შევიდა მიკროსაფინანსო ბაზარზე, 2014 კი 100%-მდე გაზარდა თავისი ინვესტიცია ბანკ ,,კონსტანტაში''.

2016 ,,თ. ბ-მა'' შეიძინა ,,ბანკი რესპუბლიკის'' 100%-იანი წილი, ორი საფინანსო ინ-ტის შერწყმის პროცესი 2017 მაისში დასრულდა. ამ ტრანზაქციით ,,თ. ბ-მა'' გაამყარა პოზიციები საცალო საბანკო მომსახურების მიმართულებით და ბაზარზე გახდა ლიდერი ბანკი სესხებისა და დეპოზიტების მხრივ. გაერთიანების შედეგად ,,თ. ბ-ის'' კლიენტების რაოდენობა გაიზარდა 2 მლნ-მდე, ფილიალების – 167-მდე, ხოლო ბანკომატების 530-მდე.

ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში (კ. მარჯანიშვილის ქ. №7). შენობა აგებულია 1913 (არქიტ. ა. *როგოისკი*). თავდაპირველად აქ განთავსებული იყო ,,კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების'' სახლი, 1935-იდან – ცენტრ. უნივერმაღი, ხოლო 2005-იდან (რეკონსტრ. შემდეგ; არქიტ. გ. კიკნაძე) იგი ,,თ. ბ-ის'' კუთვნილებაა. შენობა ,,მოდერნის'' სტილისაა, მთლიანად შენარჩუნებული აქვს პირვანდელი იერსახე და თბილ. არქიტ. ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.

2002–16 წლებში ,,თ. ბ.'' მრავალჯერ დაჯილდოვდა არაერთ ნომინაციაში, მ. შ. როგორც ,,საუკეთესო ბანკი საქართველოში'' მსოფლიოს წამყვანი გამოცემების (,,The Banker'', ,,Euromoney'', ,,Emeafinance'', ,,Global Finance'') მიერ, ასევე მიღებული აქვს მრავალი ჯილდო ,,საუკეთესო ინტერნეტ ბანკისთვის''. 2013 ,,თ. ბ-ის'' ინტერნეტ ბანკი მსოფლიოს წამყვანმა ფინანსურმა ჟურნალმა ,,Global Finance'' დაასახელა ,,მსოფლიოში საუკეთესო ინტეგრირებულ ვებ-გვერდად''.

ბანკი ეწევა ქველმოქმედებას. იგი ყოველწლიური ლიტ. პრემიის ,,საბას'' (გაიცემა 2003-იდან) დამფუძნებელი და ორგანიზატორია.

„თიმთი“ (შპს, ,,TMT ltd''), საკონსერვო მრეწველობის საწარმო. დაარსდა 2006 კასპის საკონსერვო კომბინატის ბაზაზე, რ-იც ფუნქციონირებდა 1960-იდან. კომპანია აწარმოებს ნატურალურ, ეკოლო-



„თიმთი“. საწარმოს ერთ-ერთი საამქრო.

გიურად სუფთა (კონსერვანტების გარეშე) ხილ-ბოსტნეულის კონსერვების ნაირსახეობებს: მურაბებს, ფაფებს, ჯემებს, წვენებს, მარინადს, საწებელს, დაკონსერვებულ ბოსტნეულს, აჯიკას, ასევე მშრალ ხილს (ჩირი). ხილისა და ბოსტნეულის შეგროვება ხდება შიდა ქართლის რეგიონის მაცხოვრებლებისგან, ასევე ქვემო ქართლსა და დას. საქართველოში. პროდუქცია დაფასოებულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის შუშის ქილებში და პოლიეთილენის ბოთლებში (წვენი), გამოდის სავაჭრო ნიშნით ,,TMT''. რეალიზაცია ხდება ადგილ. ბაზარზე, ასევე გადის საექსპორტოდ ევრ. და ამერ. ქვეყნებში.

თივაძასრა (Poa), ბალახოვან მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახებია. 300-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ცივსა და ზომიერ ზონაში, ტროპიკებში – მხოლოდ მთებში.

საქართველოში იზრდება 16 სახეობა. უმრავლესობა მდელოსა და ველის მცენარეა, გვხვდება აგრეთვე ტყეშიც (P. nemoralis, P.remota), უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოში. სიმაღლის მიხედვით არჩევენ თ-ის მაღალ (სათიბის) და დაბალ (საძოვრის) ტიპს. დაბალ მარცვლოვანთა შორის ცნობილია მდელოს თ. (P. pratensis); მისი სიმაღლე 30-*სმ*-ზე მეტია, კარგად შეფოთლილი ღერო აქვს. საგველა გადაშლილია, ყვავილის კილი – ბეწვებიანი. გვალვა- და ყინვაგამძლეა. ვერ იტანს ნიადაგის დამლაშებას. გაძოვის შემდეგ სწრაფად იზრდება.

შ. ნახუცრიშვილი.

თივი, სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემში (კახეთის რეგიონი), ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 420 *მ*, ყვარლიდან 20 *კმ*. 327 მცხ. (2014).

თივის მოედანი, ბზის მოედანი, შეიქმნა XIX ს. 20–30-იან წლებში თბილისში, მტკვრის მარცხ. სანაპიროზე მდებარე რიყის ტერიტორიის უკიდურეს სამხრ.-აღმ. ნაწილში, ღვინის (სირაჯხანის) აღმართის და ტიკის შესახვევის ჩრდ.-დას-ით, ზურაბაშვილის, მირზოევის და სხვ. ქარვასლების მახლობლად. მოედანმა სახელი მიიღო რიყესა და მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე (ავლაბრის, ახლანდ. მეტეხის, ხიდთან) არსებულ სავაჭრო-სასტუმრო სახლებში (ქარვასლებში) უცხოეთი-



თივის (ბზის) მოედანი.



თივაქასრა.



თითა.

დან ქარავნებით ჩამოსული ვაჭრების თუ საქმოსნების სასაპალნე და შესაბმელი პირუტყვისათვის (აქლემი, ცხენი, ხარი, სახედარი) საგანგებოდ შერჩეული ადგილის გამო, სადაც ღამის სათევად გაჩერებულ პირუტყვს უყრიდნენ თივას, ბზეს, შვრიას და ა. შ.

ლიტ.: კვირკველია თ., ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985.

თ. ბერიძე.

თითა, სასუფრე ყურძნის ჯიში. გავრცელებულია საქართვ. სხვადასხვა რ-ნში. განსაკუთრებით ცნობილია ,,ქართლური თითა'', რ-იც შიდა ქართლსა და მესხეთში მოჰყავთ. ფოთოლი კვერცხისმაგვარი ფორმისაა, ძლიერ დანაკვთული, მარცვალი გრძელია, თითისებრი მოყვანილობის (აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც), ფერად მომწვანო-მოყვითალოა, მოტკბო-მომჟავო გემო და სუსტი არომატი აქვს. მოსავალს დარგვიდან მესამე წელს იძლევა. შაქრიანობა – 18,4–19,8%; მჟავიანობა – 5,3–6,0 *გ/დმ*^{3}. მტევნის საშ. მასა 151 *გ* (მაქს. – 400 *გ*). მოსავალი ჰექტარზე 75–80 *ც* აღწევს. პერსპექტიულია მესხეთისთვისაც.

რ. რამიშვილი.

თითეგის თეატრი, თეატრალური წარმოდგენის სახეობა, სადაც შავად შემოსილი მეთოჯინეები (მსახიობები) თითებზე შემოცმული კოსტუმ-ხელთათმანებით წარმოადგენენ გარკვეული სიუჟეტებისა თუ ცეკვების პაროდიებს. დასაბამს იღებს *თოჯინების თეატრიდან*. თ. თ-ის სცენა წარმოადგენს მაგიდას (1 *მ* სიგრძისა და 50 *სმ* სიგანის). აქ მაყურებელი ხედავს მხოლოდ ხელის მტევნებს, თითებს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ თოჯინების თეატრშია. თ. თ-ის წარმოდგენებში გადამწყვეტი ფუნქცია პლასტიკურ გამომსახველობას, განათებასა და კოსტიუმების მხატვარს ენიჭება.



თითეგის თეატრი. სცენა სპექტაკლიდან ,,ექსტრავაგანსა''.

საქართველოში თ. თ. დაარსდა 1991 რეჟისორისა და მსახიობის ბ. კუპრეიშვილის და მისი თანამოაზრეების თაოსნობით. თეატრის პირველი სპექტაკლი იყო ,,ექსტრავაგანსა'', რ-იც შედგებოდა ქართული ცეკვების ,,ხორუმის'', ,,ოსურისა'' და ,,კარმენის'' მიხედვით დადგმული ეტიუდებისა და მინიატიურული კოსტიუმების მოდების ჩვენებისაგან. დაარსების დღიდან თ. თ-მა არაერთი ჟანრისა და მიმართულების წარმოდგენა განახორციელა, მისი გამომსახველობის ძირითადი საშუალებები ყოველთვის ორიგინალურია და ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარზეა დაფუძნებული.

2004 თბილისში შედგა თ. თ-ის ოფიც. პრეზენტაცია განახლებული დასით. თეატრმა მდებარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. ამჟერად იგი წარმოდგენებს მართავს მარჯანიშვილის თეატრის შენობაში. თ. თ-ის დადგმებიდან აღსანიშნავია მ. უნტის, ,,ა'' და ,,ბ'' (1995, პრემია წლის ყველაზე თამამი თეატრალური იდეის განხორციელებისათვის), თ. გუჯენოღლუს ,,მატრიოშკა'' (2000), ბრიტანული როკ-ჯგუფის პინკ ფლოიდის მუს. კომპოზიციაზე შექმნილი ,,კედელი'' (2006). თ. თ-ში ასევე განხორციელდა შერეული ტიპის წარმოდგენები (ცოცხალი და თოჯინური პლანი): ,,ჩემი ჰამლეტი'' (უ. შექსპირის მიხედვით, 2010), ,,სევილიელი დალაქი'' (ჯ. როსინის მიხედვით, 2012), ,,თამაში მაგიდასთან'' (2015), ,,ფიროსმანი – ზმანება'' (2016) და სხვ.

თეატრს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშ. ფესტივალსა და პროექტში.

თითი, სიგრძის საზომი უძველესი ერთეული, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყანაში და მცირედ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. საქართველოში მიჩნეული იყო 2,1 *სმ* ტოლად. ნახსენებია დაბადების (ბიბლია) ქართულ თარგმანში. საზომად ხშირად მოიხსენიება სამედ. ხასიათის ნაშრომებში. იხმარებოდა XVIII ს. ჩათვლით.

გ. ჯაფარიძე.

თითისტარი, თავსა და ბოლოში წვრილი, ქვედა ნაწილში გამსხვილებული ჩხირი, რომლის ბზრიალით ძაფს ართავენ. შედგება ხის ტარისა და ხისავე კვირისტავისაგან (ცნობილია აგრეთვე ძვლის, ქვის, ლითონის, იშვიათად – ოქროს კვირისტავები). დანიშნულების მიხედვით თ. ორგვარია: სართავი და საძახავი. ქართ. ხალხურ სართავ ტექნიკაში სართავი თ-ის სახესხვაობებიდან აღსანიშნავია ხის ჯამში (სახრელი, ნატეხარა და სხვ.) მბრუნავი პატარა უკვირისტავო თ., რ-საც აღმ. საქართველოში ქართ. თ. ეწოდება. ამავე ტიპის კვირისტავიანი თ-ები დას. საქართველოში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი – ტარკვირისტავი (იმერეთი), ხელტარი (აჭარა), პატარა თ. (რაჭა), ჩერია (სამეგრელო), ჩერიჩერშლა (სვანეთი) და სხვ.

ქართ. თ-ის პროტოტიპი ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი. ბედენის აკლდამაში ნაპოვნი (ძვ. წ. XIX ს.) თ. და კვირისტავი ფორმითა და დამზადების ტექნიკით მიაგავს თანამედროვე ქართ. თ-ს. საქართველოში არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ადრეული ხანის კვირისტავები. ენეოლითის ხანის ძეგლებში (ყვირილის ხეობა, გამოქვაბული სამელე კლდე) მოპოვებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ორნამენტიანი და უორნამენტო კვირისტავები იმაზე მიუთითებს, რომ იმდროინდელ საქართველოში რთვისა და ქსოვის საქმე საკმაოდ განვითარებული ყოფილა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2013; ჩაჩაშვილი გ., ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1954, ტ. 18 B.

გ. ჩაჩაშვილი.

თითმერია ჯუმბერ იპოლიტეს ძე (20. II. 1939, ზუგდიდი, – 2. I. 2007, თბილისი), მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი. 1962 დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი. იყო ალმანახ ,,კრიტიკის'' (1973–75) და ჟურნ. ,,საბჭოთა ხელოვნების'' (1976–84) პასუხისმგებელი მდივანი; საქართვ. მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტ. ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი (1985–87). 1996-იდან იყო გაზ. ,,კრიმინალური ქრონიკის'' მთავარი რედაქტორი.

გამოქვეყნებული აქვს ლიტ.-კრიტ. წერილების კრებულები: ,,პანორამა'' (1966, 1986), ,,დრო, ფიქრი, სიტყვა'' (1979); ,,ისევ ... დრო. ფიქრი. სიტყვა'' (1999), ,,საუბრები'' (2004); შემდგენელია კრებულებისა: ,,იაკობის სამრეკლო'' (1990), ,,აკაკის სამრეკლო'' (1990) და სხვ. თ-მ თარგმნა ვ.

შუკშინის მოთხრობათა კრებულები: ,,მგლები'' (1978) და ,,წყენა'' (1987); დ. გრანინის ,,მიზნის არჩევა'' (1977); XI ს. იაპონელი მწერალი ქალის სეი-სიონაგონის რომანი ,,მარტოობის ჟამის ჩანაწერები'' (1983); XIII ს. II ნახევრისა და XIV ს. დასაწყისის იაპონელი მწერალი ქალის ნიძიოს რომანი ,,საჩუმათო ამბავი'' (1987); ლ. ტოლსტოის ,,რა არის ხელოვნება?'' (1984) და ,,მოთხრობები, ნამდვილი ამბები, იგავ-არაკები'' (1988); ე. ედიგეის ,,თვითმკვლელის დღიური'' და ი. ხმელევსკაიას ,,რა თქვა მიცვალებულმა'' (1989); ა. ქალანთარიანის რომანი ,,მარათონი'', სალვადორ დალის ,,ერთი გენიოსის დღიური'' (1988) და სხვ.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999) და ფრიტიოფ ნანსენის საპატიო მედლით.

თიკანაძე გურამ (გიორგი) ვასილის ძე (12. IX. 1932, სოფ. კვირიკეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 27. VII. 1963, თბილისი), ფოტოხელოვანი, ალპინისტი. სპორტის ოსტატი (1963), იტალიის საერთაშ. (1959) და საქართვ. ახალგაზრდობის I (1957) ფესტივალის ლაურეატი. დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი (1956). 1956–59 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინ-ტში. წლების განმავლობაში იკვლევდა საქართვ. მღვიმეებს. ფოტოგრაფიით დაინტერესდა 1962-იდან – იყო თბილ. ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის თავ-რე.

თ. ქართ. ფოტოხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მან მიაღწია ფოტოხელოვნებაში დოკუმენტურობისა და მხატვრულობის სინთეზს. მისი შემოქმედება გამოირჩევა ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. თ-მ ფოტოსურათისათვის ,,ოლე'' ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვენის მსოფლიო ფესტივალის (1959) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა; ასევე ბრინჯაოს მედალი მიიღო 1962 მოდენაში (იტალია) გამართულ საერთაშ. ფოტოსალონზე ფოტოსურათისათვის ,,თბილისის ზღვა''. მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ,,ქალი-საუკუნე'', ,,მოხუცის პორტრეტი'', ,,აჭარელი მევენახე'', ,,ველდრება'', ,,მთაწმინდა'', ,,უშბა'', ,,შესვენება'', ,,უშბის პლატო'', ,,უშბა სამხრეთიდან'' და სხვ. თ-ის ნამუშევრები გამოფენილი იყო იტალიაში, აშშ-ში, იაპონიაში, უნგრეთში, ბელგიაში, ჰონკონგში (იყო ჰონკონგის ფოტოგრაფიული საზ-ბის საპატიო წევრი). თბილისში მისი პირველი გამოფენა მოეწყო 1973. თ-ის ფოტოალბომები გამოიცა 1959, 1976 და 1987 წლებში.

თ. იყო ცნობილი ალპინისტი. საქართვ. ალპ. კლუბის წევრი. განახორციელა რამდენიმე რთული ასვლა კავკასიონსა და პამირზე. 1961 ხელმძღვანელობდა უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსს, 1963 მწვ. შხარიდან დაშვებისას ტრაგიკულად დაიღუპა. 1980 სვანეთში (ლატალის თემი) გაიხსნა თ-ის სახ. სპორტ. ცენტრი. ამავე წელს, აქვე, დაარსდა ზეიმი ,,გურამობა'', რ-იც აღინიშნება 12 სექტემბერს.

ლიტ.: გურამ თიკანაძე. კრებული შეადგინა მ. ლებანიძემ, თბ., 1976.

თიკანაძე ივანე ელიშუქის ძე (1868, სოფ. მაკვანეთი, ოზურგეთის მაზრა, – 1943, თბილისი), მეან-გინეკოლოგი, მეცნ. მეანობის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1897), პროფესორი (1919). 1894 დაამთავრა პეტერბურგის სამხ.-სამედ. აკადემია. საქართველოში დაბრუნების შემდეგ 9 წელი მუშაობდა ქ. ოზურგეთის ამბულატორიაში. 1907 მეანობა-გინეკოლოგიაში დახელოვნების მიზნით კვლავ პეტერბურგს გაემგზავრა. I მსოფლიო ომის წლებში თ. მოქმედ არმიაში იყო. ომის შემდეგ დაინიშნა თბილ. სამხ. ჰოსპიტლის მეანობა-გინეკოლოგიის განყ-ბის გამგედ და ჰოსპიტლის მთავარ ექიმად. 1919, თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტზე მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის დაარსებისთანავე, თ. აირჩიეს კათედრის გამგედ, ამ კათედრას იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

თ. შეისწავლიდა სასქესო ორგანოების ანომალიებს და მათი ოპერაციული გზით მკურნალობის წესებს, სასქესო ორგანოების სიმსივნეების ეტიოგენეზსა და მკურნალობას, ორსულთა ტოქსიკოზს, საშვილოსნოსა და მისი დანამატების ანთებით პროცესებს, უნაყოფობის პრობლემას და სხვ. დღესაც ფართოდ იყენებენ საშვილოსნოდან ატონიური სისხლდენის წინააღმდეგ თ-ის მიერ შემუშავებულ მეთოდს. თ-მ საქართველოში დანერგა მრავალი მეანგინეკოლოგიური ოპერაცია. გ. *ლამბარაშვილთან* ერთად პირველმა გამოიყენა რენტგენის სხივები მეანობაში. ნ. *კახიანთან* და გ. *მუხაძესთან* ერთად საქართველოში პირველმა გააკეთა ხელოვნური საშოს შექმნის ოპერაცია და სხვ.

თ. იყო საქართვ. მეან-გინეკოლოგთა სამეცნ. საზ-ბის ერთ-ერთი დამაარსებელი და თავ-რე, მას დიდი დამსახურება მოუძღვის თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის ორგანიზაციის საქმეში. აქტიურად მონაწილეობდა ჟურნ. ,,საბჭოთა მედიცინის'' დაარსებაში და წლების განმავლობაში იყო მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

თხზ.: სამეცნიერო ტერმინოლოგიის მასალები (რუსულ-ქართული სამეანო და საგინეკოლოგიო ტერმინოლოგია), ტფ., 1920; მშობიარობის შემდეგი ატონიური სისხლის დენა და მასთან ბრძოლის საშუალებანი, ტფ., 1931.



გ. თიკანაძე.

თიკანაძე მიხეილ იგორის ძე (20. V. 1905, სოფ. მაკვანეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 12. V. 1983, თბილისი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). სსრკ-ის დამს. მწვრთნელი (1956), საერთაშ. კატეგორიის მსაჯი (1957), საქართვ. ფიზკულტ. და სპორტის დამს. მოღვაწე (1959). მწვრთნელად მუშაობდა 1935-იდან. 20 წელზე მეტხანს იყო საქართვ. ნაკრების მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით საქართვ. ნაკრებმა გაიმარჯვა სსრკ-ის ხალხთა V სპარტაკიადაზე (1971). აღზარდა უძლიერესი ოსტატების მთელი პლეადა, მ.შ. მსოფლიოს, ევრ. და სსრკ-ის ჩემპიონები და პრიზიორები: ვ. *ბალავაძე*, ტ. ალიბეგაშვილი, ვ. არსენიანი და სხვ.



მ. თიკანაძე.

თიკვი, ფერადი ქსოვილის არასიმეტრიული ნაკუწებითა და ზონრებით შემკობილი შესამოსელი ან საფენი. ზოგჯერ ეს ნაკუწები ერთმანეთზეა გადაკერებული, ზოგჯერ კი რაიმე ნეიტრალურ ფონზე არის დაკერებული. თ-ის დამზადების ხერხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინები: ზიკი და ნაფთულა. თ-ის ტექ. გამოყენებით ქართვ. მთიულეები ამზადებდნენ მამაკაცის საშუბლეს (ოფლისაგან დასაცავად), ტრად. სამოსის ნაწილებს, საბნებს, საფენსაღამურებს, კედლის საფრებს. თ-ებს იყენებდნენ ჩითების კერვისას, ტანსაცმლის ნაკერის დასაფარავად და სხვ.

ლიტ.: ა ზ ი კ უ რ ი ნ., თიკვი და ნაფთულა ქართულ ხალხურ ქსოვილსა და შესამოსელზე, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», 2004, ტ. 26. *ე. ნადირაძე.*

თიკუნი, ხალხური მელექსის ფსევდონიმი საქართველოს მთიანეთში; განსაკუთრებით დამახასიათებელია ხევსურ მელექსეთათვის. ზოგი მთქმელი რამდენიმე თ-ით არის ცნობილი.

ლიტ.: ქართული ფოლკლორი, I–II, თბ., 1964. *დ. გოგოჭური.*

თილანი, იხ. *ბათმანი.*

თილითი, სოფელი ისტორიულ ოდიშში. თ-ის თანამედროვე სახელია *აბააჟვახუ.* თ. დამოწმებულია 1516–1639 რამდენიმე საეკლ. დოკუმენტში და არქანჯელო ლამბერტის რუკაზე. საეკლ. დოკუმენტების მიხედვით თ-ში იყო ერთ-ერთი სასახლე დას. საქართველოს კათოლიკოსისა, რ-ის წინაშე ფეოდ. ვალდებულება ჰქონდა ამ სოფელში მოსახლე დაახლოებით ორმოცი ყმა გლეხის ოჯახს. თ-ის საეკლ. სასახლეში დიდი მშენებლობა ჩაუტარებია აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოსს *მალაქია II-ს.* ამ სოფელში რამდენიმე მსახურს აფხაზეთის კათოლიკოსის სამხ. სამსახური ემართა. სოფელი დღეს აღარ არსებობს. თ-ის სასახლის ნანგრევები შემორჩენილია ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფ. თხინის ერთ-ერთ უბანში, რ-საც ,,კაპა ჟვაბუს'' (სიტყვასიტყვით – ,,შენობის იქით'') ეწოდება. ამ ნანგრევებს დღემდე ,,თლით აბაას'', ანუ ,,თიღითის შენობას'' ეძახიან. ეს არის ნაგებობათა კომპლექსი გორაკზე, რ-საც გალავანი შემოუყვება. გალავნის შიგნით დგას ერთნავიანი ეკლესია. აქვე, ჩრდ. დას-ით, მდ. მოქვის მარცხ. ნაპირზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც არქანჯელო ლამბერტის რუკაზე სოფ. თ. არის მითითებული, საცხოვრებელი პალატების ნანგრევებია. ეს სოფელი მოიშალა XVII ს. მიწურულში, აფხაზეთის მიერ ჩრდ.-აღმ. ოდიშის დაპყრობის დროს.

ლიტ.: ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს პოლიტიკური რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, «მაცნე». ისტორიის სერია, 1973, №3. *თ. ბერაძე.*

თილისმა (ბერძნ. სიტყვიდან télesma – აღსრულება, რელიგიური წესების შესრულება), ნივთი, მცენარე, ცხოველი, რომელსაც ადამიანისათვის ბედნიერება, სიკეთე, წარმატება, ბარაქა, ნაყოფიერება მოაქვს; ზოგჯერ მას ადამიანის დაცვის თვისებასაც მიაწერენ. განსხვავებით *ავგაროზისგან* (ადამიანის მხოლოდ დამცველი ფუნქციის, პასიური ხასიათის მქონე საგანი), თ-ს ადამიანზე აქტიური ზემოქმედების უნარი გააჩნია. იგი როგორც ამულეტი, შეიძლება იყოს ორგანული ან არაორგანული წარმოშობის, ადამიანის მიერ გაკეთებული, ხშირად შელოცვილი ნივთი. სახართველოში თ-ად მიიჩნევენ ცხენის ნალს, ზოდიაქოს ნიშნებს, ე. წ. ნატვრისთვალს (ზოგჯერ ასეთად თვლიდნენ ქვას, რ-საც გველი ფლობდა), ძვირფას თუ ნახევრადძვირფას ქვებს, მათგან გაკეთებულ საგნებს, მაგ., ქართ. მითოლოგიური პერსონაჟის – ამირანის ალმასის ჯადოსნური დანა და სხვ. უძველეს ხანაში ადამიანის დაცვის თუ სიკეთის, ნაყოფიერების მოტანის თვისებას სხვადასხვა სახის სამკაულს მიაწერდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ფუნქცია ჰქონდა ვანში აღმოჩენილ ყელსაბამს კუს გამოსახულებიანი საკიდებით (კუ ოჯახური სიმყუდროვის, მარადიულობის, ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენს).

თ-ს ზოგჯერ უარყოფითი დატვირთვა აქვს. მას ვნების მოტანის მომჯადოებელ თვისებას მიაწერენ.

თ-ის ისევე, როგორც ამულეტის, ტარებას ქრისტიანობა კრძალავს.

იხ. აგრეთვე *ავგაროზი.*

წყარო: ლორთქიფანიძე ნ. ძველი ქართული სამკაული, თბ., 2015; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011; Чупсин Г. Ф. Амулеты и талисманы кавказских народов, Махач-Кала, 1929.

ნ. მინდაძე.

თიმარი, საკარგავი, ფეოდალური მიწათმფლობელობის ყველაზე გავრცელებული ფორმა შუა საუკუნეების ოსმალეთში. სულთნები თ-ს დაპყრობილ ქვეყნებში სამხ. ვალდებულებების შესრულების პირობით უბოძებდნენ თურქ მხედრებს – სიფაჰიებს. თ-ს აგრეთვე ,,კილიჩ'' – ხმალი ეწოდებოდა იმის გამო, რომ აღნიშნული მიწები მხედრებს ხმლით ჰქონდათ მოპოვებული. სიფაჰის არ ჰქონდა თ-ის გასხვისების უფლება. თ. 1–3 სოფლისაგან შედგებოდა, შემოსავალი განისაზღვრებოდა 3–20 ათ. ახჩამდე (ფულის ერთეული ოსმალეთში), მაგრამ იგი ხშირად დაწესებულ მინიმუმზე დაბალი იყო. ყოველ 3 ათ. ახჩა შემოსავალზე თ-ის მფლობელს სულთნის ლაშქრობებში ერთი შეიარაღებული მეომარი უნდა გამოეყვანა. ოსმ. ბატონობის პერიოდში თ. ფართოდ გავრცელდა სამცხე-საათაბაგოში. იგი გაუქმდა XIX ს. 30-იან წლებში სამხ.-ლენური სისტემის ლიკვიდაციასთან ერთად.

ლიტ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბ., 1957. *ვ. ჩოჩიევი.*

„თიმსარიანი“, ერთი ჩარჩოთი შემოფარგლული არაკების კრებული (XVIII ს.), სხვაგვარად ,,შვიდვეზირიანიც'' ეწოდება (შვიდი ვეზირი ქალის მზაკვრული ბუნების ამსახველი არაკების მეშვეობით ცდილობს უდანაშაულო უფლისწულის გადარჩენას). თ. უკავშირდება ზაჰირი სამარყანდელის ლექსნარევი პროზით დაწერილ სპარს. ძეგლ ,,სინდბადნამეს'' (XII ს.), რ-იც, თავის მხრივ, მომდინარეობს ინდურ-ფალაურ-არაბული წყაროებიდან. ქართ. ვერსია ძირითადად მისდევს სპარს. წყაროს, თუმცა გვაქვს განსხვავებანი, დაწყებული სათაურით (სპარს. ,,თამსილ'' ნიშნავს არაკს) და საკუთარი სახელებითა თუ არაკების დეტალებით დამთავრებული. თ-ის ავტორობა თეიმურაზ II-ს (1700–1762) მიეწერება. ტექსტი ოთხჯერ არის გამოცემული (1903 – ე. თაყაიშვილი; 1935 – ა. გაწერელია; 1939 – გ. ჯაკობაია; 1965 – თ. გორელიშვილი. ეს უკანასკნელი კრიტიკულია, სპარს. ტექსტთან შეჯერებული). *ა. გვახარია.*

თინიკაანი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ქარჩოხის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ქსნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1570 *მ*, ახალგორიდან 34 *კმ*. 26 მცხ. (2002).

სოფლის თავში დგას ადრინდ. შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – სამების ეკლესია. ეკლესიაში აღმოჩნდა ანტ. ხანის ბრინჯაოს შტანდარტი, რ-იც ეკუთვნოდა ქარჩოხის ხევის ხევისთავს (ქარჩოხის ხევი VI ს. II ნახევარში შედიოდა ცხრაზმის საერისთავოში), ე. ი. წარმოადგენდა ხევისთავის ინსიგნიას და, როგორც ჩანს, იხმარებოდა როგორც ადრეფეოდალურ, ასევე განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში მანამ, სანამ არსებობდა მცირე ადმ. ერთეულები – ხევები. შტანდარტი დაცულია ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: ღუნაშვილი ვ., ხევისთავის ინსიგნია ცხრაზმის ხეობიდან, «ძეგლის მეგობარი», 1988, №3.



თინუსი.

თინუსი (Thunnus thynnus Linnaeus 1758), თევზი სკუმბრიასებრთა ოჯახისა. მისი მაქს. სიგრძე – 450 *სმ*, მასა – 600 *კგ*, ცოცხლობს 15 წლამდე. ხასიათდება დიდი მიგრაციულობით, მრავლდება ხმელთაშუა და შავ ზღვებში მაის-ივლისში. პელაგიური სითბოსმოყვარული ქარავნული მტაცებელი თევზია. იკვებება თევზებით და მოლუსკებით.

გავრცელებულია შავ ზღვაში საქართველოს, ბულგარეთის, რუმინეთის, ყირიმისა და კავკასიის

ჩრდ.-დას. ნაწილის სანაპიროებთან; ატლანტის და წყნარი ოკეანეების ტროპ. და განსაკუთრებით სუბტროპ. არეალებში, ასევე ევრ. სანაპიროების ჩრდ.-ბრიტანეთის კუნძულებამდე. ერთეულების სახით გვხვდება ისლანდიაში, სამხრ. და ჩრდ. ამერიკის სანაპიროებთან.

მნიშვნელოვანი სარეწაო თევზია. დიდი რაოდენობით იჭერენ ატლანტისა და წყნარ ოკეანეებში, ასევე ხმელთაშუა ზღვაში, შედარებით მცირე რაოდენობით – შავ ზღვაში. შეტანილია (1982-იდან) ზღვის კანონმდებლობის კონვენციის I დანართში; ბუნების დაცვის საერთაშ. კავშ. (IUCN) – არასრული მონაცემებით (DD).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი გ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Световидов А. Н., Рыбы Черного моря, М.–Л., 1964.

ნ. ნინუა.

თირი, ისტორიული სოფელი შიდა ქართლში, ცხინვალის ჩრდ.-დას-ით 8 *კმ*-ზე. სახელწოდება, როგორც ჩანს, მომდინარეობს ამ ადგილებში არსებული ქარაფების ძვ. სახელწოდებიდან – თირის კლდე, იგივე ქვიშაქვის კლდე. ,,თირი არს კლდე დაბალი და ადვილი სათლელი'' (საბა). XVII–XVIII სს. შიდა ქართლის ტერიტორია და მ. შ. თ. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ,,სამკვიდრო მამული'' იყო და აქ რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა. აქვეა *თირის მონასტერი*. დღეს სოფელს მონასტერი ჰქვია (იხ. *ზემო მონასტერი* და *ქვემო მონასტერი*).

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1976.

თირის მონასტერი, XIII ს. 80-იანი წლების სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს შიდა ქართლში, ცხინვალის ჩრდ.-დას-ით მე-9 *კმ*-ზე, სოფ. ქვემო მონასტერთან (ძველად – სოფ. *თირი*), მდ. ლიახვის ერთერთი შენაკადის ,,თირისწყლის'' (,,მუმლის წყალი'') ხეობაში, გრძელი ქედის სამხრ. კალთაზე. განთავსებულია ქარაფების გაყოლებით შექმნილ ტერასებზე. ძეგლი ცნობილია მხოლოდ მონასტრის სახელითაც, მაგრამ ისტ. წყაროებსა და ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც თ. მ.

თ. მ-ის ხუროთმოძღვრულ ანსამბლში გაერთიანებული იყო სხვადასხვა დროისა და დანიშნულების საკულტო, სამეურნეო და საცხოვრ. ნაგებობები: ღვთისმშობლის ეკლესია სამხრ. და ჩრდ. მინაშენებით, სატრაპეზო, სამრეკლო, ,,საიკონომოსო'', კლდეში ნაკვეთი მღვიმეები და ბერთა საცხოვრ. სენაკები, გალავნის კედელი და კოშკი. ეკლესიისა და სამრეკლოს გარდა, დანარჩენი ნაგებობები ნანგრევების სახითაა მოღწეული. შენობები ძირითადად ნაგებია ბაზალტის თლილი ქვით, გამოყენებულია აგური და რიყის ქვა.

ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა აღმ-ით სწორკუთხედში ჩაწერილი ნახევრადოვალური მოხაზულობის განიერი საკურთხევლით, რ-ის ღერძზე და სამხრ. კედელზე გაჭრილია თაღოვანი სარკმლები. ერთი საფეხურით ამაღლებულ საკურთხეველს ნავისგან ყოფს დეკორატიულად გაფორმებული ხუთთაღიანი კანკელი (იგი ხელმეორედაა აწყობილი უსისტემოდ). თავდაპირველად ეკლესიას ჩრდ.-აღმ. ჰქონდა მცირე ზომის სამკვეთლო. საკურთხეველში და აქა-იქ კედლებზე შემორჩენილია XIV–XV სს-ით დათარიღებული მონუმენტური კედლის მხატვრობის ნაშთები.

ნავის დას. ნაწილში კედლით გამოყოფილია სადგომი, რ-იც ნავს უკავშირდება თაღოვანი გასასვლელით, ხოლო მის ორსავე მხარეს კედელში ჩაჭრილია თახჩები, ქვეშ ამაღლებული ბაქნებით; სადგომს ცალკე შესასვლელი აქვს სამხრ-იდან. ეკლესიის აღმ., დას. და სამხრ. კედლებზე გაჭრილია 9 თაღოვანი და მრგვალი სარკმელი. ეკლესიის ფასადები (გარდა ჩრდისა) და კარ-სარკმლები უხვადაა შემკული ორნამენტით.

თ. მ. თავის დროზე შეძლებულ საეკლ. სენიორიას წარმოადგენდა, რ-იც ფლობდა სოფლებს და ყმამამულს. მონასტრის კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ ქართვ. მეფეები, ფეოდ. საგვარეულო ოჯახები: თავხელიძეები, თაქთაქიძეები, მაჩაბლები.

თავხელიძეთა საგვარეულომ XIV ს. ბოლო მეოთხედში ღვთისმშობლის ეკლესიის დას-ით მთის ფერდზე ააგო ქვის ორსართულიანი სამრეკლო. სამრეკლოს პირველი სართული დაბალი კუბია, ხოლო მეორე სართული – ცხრამალიანი ფანჩატური სფერული გუმბათითა და კონუსური სახურავით. ფანჩატურზე ასასვლელი ქვის კიბე განთავსებულია გალავნის კედელთან სამხრ.-აღმ-ით. პირველი სართულის აღმ. კედელზე, თაღოვანი შესასვლელის ტიმპანზე ჩაკვეთილია ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რ-შიც მოხსენიებული არიან სამრეკლოს მაშენებელი ქტიტორები – რატი, ასათ, ხელა და მაჩაბელ თავხელიძეები. XV ს. პირველ მეოთხედში ეკლესიას სამხრ.-აღმ-ით მიაშენეს საგვარეულო საძვალე კარიბჭით, დაადგინეს მნათე სათანადო შემოსავლით და ეკვდერი აკურთხეს ,,ბორტის ღვთისმშობლის სახელზე'' (ეკლესიაში დავანებული ყოფილა შემოწირული ძვირფასი საეკლ. ნივთები, მათ შორის ,,ბორტის ღვთისმშობლის'' სახელით ცნობილი ხატი: მონასტერს ზოგჯერ ,,ბორტის ღვთისმშობლის შობის'' სახელითაც მოიხსენიებდნენ); გარდა ამისა, ისინი თ. მ-ის სახელით შესაწირავებით (ზეთი, საკ-



თირის მონასტერი. XIII ს. 80-იანი წლები.

მეველი, ფლური) ეხმარებოდნენ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერს, რაც აღნუსხულია ,,გოლგოთის სვინაქსარის'' მინაწერში და ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებში.

XVI–XVII სს. თ. მ. ,,სასაფლაოდ, სამკვიდროდ და სამამულოდ'' გადაეცათ თაქთაქიძეებს. ეკლესიის სადგომის დას. შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილ 1682 მხედრული წარწერის მიხედვით, რუისის მთავარეპისკოპოსმა ფილიპე თაქთაქიძემ და მისმა ძმებმა ელიზბარ და არდაშელმა ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით მდებარე მცირე ზომის სამკვეთლო გააფართოვეს კლდეში ჩაკვეთილი წმ. ნიკოლოზის სახელზე ნაკურთხი საგვარეულო საძვალით.

მონასტერი სამაჩაბლოში მდებარეობს და, როგორც ჩანს, რომელიღაც პერიოდში იგი მაჩაბელთა გვარის მფლობელობაშიც იქნებოდა (ეკლესიაში თაქთაქიძეებთან ერთად გვხვდება მაჩაბელთა საფლავის ქვები).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებული სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მდებარე ძეგლები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მათ შორისაა თ. მ., რ-ის სახურავი ომის შემდეგ ჩაიქცა, რამაც ინტერიერში შემორჩენილი ფრესკები მნიშვნელოვნად დააზიანა. 2013 ეკლესია გადაიხურა თუნუქის ფურცლებით.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 5, თბ., 1974.

ლიტ.: ანდღულაძე ნ., თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976; გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1976; მეგრელიძე ი., სტალინირისა და ზემო ნიქოზის სიძველეები, სტალინირი, 1952; Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975. *ნ. ანდღულაძე.*

თირკნა, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში. იხ. *ტრკნა.*

თისელი, სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტის აწყურის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ოშორის მთის ჩრდ. კალთაზე, მდ. თისელისღელის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ზემოწელში. ზ. დ. 1300 *მ*, ახალციხიდან 30 *კმ*, აწყურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ.* 147 მცხ. (2014).

თ. მდებარეობს ისტ. სამცხეში. XVI ს-ში სამცხე ოსმალებმა დაიპყრეს. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 თ. ახალციხის ლივის აწყურის ნაჰიეში შედიოდა; იქ ცხრა კომლი ქართვ. ცხოვრობდა, რებსაც მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი (საზეთედ); ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი, ჰქონდათ ბოსტნები და იხდიდნენ გადასახადს 5000 ახჩის ოდენობით. 1829 *ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით*, თ. სამცხესთან ერთად რუს. იმპერიაში შევიდა. 1838–39 თ-ის ტერიტორიაზე მოქმედებდა მინის მანუფაქტურული საწარმო, რ-ის ნაშთები დღესაც შეიმჩნევა. ამჟამად თ-ში მცხოვრებთა გვარებია: მჭედლიძე, ჭუმბურიძე, დათიაშვილი, ტატურაშვილი, თენოშვილი, მახათაძე და სხვ.

სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 1,5 *კმ*-ზე, ძვ. ნასოფლარია. ხევის მარჯვნივ, ქედზე ციხეა გალავანშემოვლებული ორი კოშკით. კედლები ნაგებია მეტ-ნაკლებად დამუშავებული ქვების ნარევი წყობით. ქვედა კოშკი მრგვალია და სამი მხრიდან სათოფურები აქვს; ზედა კოშკი ზურგიანია (იხ. *ზურგიანი კოშკი*), რ-ის ბრტყელი კედელი ციხის ეზოსკენაა მიქცეული; იგი, როგორც ჩანს, ორსართულიანი ყოფილა და მასაც სათოფურები ჰქონია. ციხის სიახლოვეს XIV–XV სს. მიჯნის ღვთისმშობლის პერანგშემოძარცვული გუმბათიანი ეკლესიაა (ჩუქურთმიანი ქვები სოფლის სახლებშია ჩატანებული), ეკლესიის ირგვლივ ახლაც მოქმედი სასაფლაოა, მახლობელ კლდეებში კი – გამოქვაბულები. 2016 წელს საქართვ. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ დაიწყო ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რ-იც ამჟამადაც გრძელდება. ხეობის აყოლებით, წყლის ორი ტოტის შესაყარში, ფერდობზე დგას ერთნავიანი ეკლესია, რ-საც დას-იდან კვადრატული სამრეკლო ეკვრის. შემორჩენილია გალავნისა და სხვადასხვა მცირე სათავსის ნაშთები. ეკლესიის პერანგის კარგად დამუშავებული ლოდები აქაც შემოცლილია. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ნაშთი ბერძნ. და ქართ. წარწერებით. ეკლესია XIV ს. დამდეგისაა. 2017 ჩატარდა მოხატულობის კონსერვაცია. ხევის აყოლებით მიდის ცხენის სავალი გზა, რ-იც ოშორისა და ასპინძის ხევებში გადადის. ხეობის ორი ტოტის შესაყარში, კლდოვანსა და ტყიან მთაზე, კიდევ ერთი ციხეა. მისკენ მიმავალი ბილიკები ცალკეული კოშკებითა და კედლებითაა გადაკეტილი. ციხე ორნაწილიანია, ქვედა ციხეს გალავანი არტყია. კედლები ნაგებია კლდის ნატეხი ქვით და კირხსნარით. ზედა ციხეს კლდოვანი კონცხი უჭირავს, გალავანს ნახევარწრიული ბურჯები აქვს. ციხის ყველაზე მაღალ ადგილზე ოთხკუთხა კოშკია, რ-ის შემორჩენილი კედლის სიმაღლე არის 3 *მ*. ეს ციხე ზემოაღწერილ ციხეზე ძვ. უნდა იყოს და, როგორც ჩანს, განვითარებული შუა საუკუნეებისაა. შემორჩენილია თ-ის სვინაქსარი, რ-ის მინაწერები XIV–XVI სს. განეკუთვნება. მათგან ირკვევა, რომ თ-ის მონასტერი დიასამიძეთა ფეოდ. საგვარეულოს ეკუთვნოდა. ერთ მინაწერში იხსენიება ფიფნას ასული დოდა, რ-საც 300 თეთრი შეუწირავს თ-ის ღვთისმშობლის ეკლესიაში დამკვიდრებულ მონაზონთათვის ეკლესიის ასაგებად; ეს ეკლესია თ-ის გუმბათიანი ტაძარი უნდა იყოს. თ-ის მონასტერი შეწირულებათა სახით ფლობდა ყმა-მამულს სამცხე-საათაბაგოს სხვადასხვა სოფლებში.

ლიტ.: ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII–XVI სს., თბ., 1955; თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, დ. კლდიაშვილის გამოც., თბ., 1986; შარიქაძე თ., ბორჩალოს მაზრის სამრეწველო საწარმოთა ისტორიიდან, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1987, №2; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941. *დ. ბერძენიშვილი.*

თიტმარი (Thietmari), XIII საუკუნის გერმანელი პილიგრიმი. მან მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობამდე (1217–21) ცოტა ხნით ადრე მოინახულა წმინდა მიწა. თ-ის მონათხრობში მეტად საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: 1217, შეძლებისდაგვარად მშვიდობიანად რომ მიეღწია აკონიდან სინას მთაზე მდებარე წმ. კატერინას მონასტრამდე (სადაც მრავალი ქართვ. მოღვაწეობდა), თ-მა ჩაიცვა ქართვ. ბერის ტანსაცმელი და დაიყენა გრძელი წვერი ქართველი ბერების ყაიდაზე. ეს შემთხვევა კარგად გვიჩვენებს ქართ. სახელმწიფოსა და ქართველების გავლენას მთელ მაშინდელ აღმ. სამყაროში. თ-ის ცნობით (1217), ,,ქართველები თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის, არიან მძლავრად შეიარაღებულნი და დიდ ზიანს აყენებენ სარკინოზებს. ატარებენ თმასა და წვერს, ყველა მათგანს აქვს ტონზურა (საქოჩრეზე მოპარსული ადგილი) როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებს: საერო პირებს – კვადრატული, სასულიეროებს – მრგვალი. აქვთ საკუთარი დამწერლობა და ახურავთ ერთი წყრთის სიგრძის ქუდები''.

ლიტ.: თვარაძე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004. *ა. თვარაძე.*

ალ-თიფლისი, ალ-თაფლისი, არაბული ნისბა (წარმომავლობის სახელი), რ-იც უკავშირდება თბილისს (არაბ. – თიფლის, თაფლის). მას VIII ს. შუა წლებიდან ატარებდა სხვადასხვა პროფესიის (მუჰადისები, ღვთისმეტყველები, სამართლისმცოდნეები, ლიტერატორები, პოეტები, ექიმები, ვაჭრები, ხელოსნები და სხვ.) მრავალი მუსლიმანი – შიიტი და სუნიტი მოღვაწეები, რ-ებიც დაიბადნენ და ცხოვრობდნენ თბილისში ან დაკავშირებული იყვნენ მასთან თავიანთი მოღვაწეობის რაღაც ეპიზოდით. მათი ეთნ. წარმომავლობა, როგორც წესი, უცნობია. მუსლიმანი ბიოგრაფები ამაზე ყურადღებას არ ამახვილებენ, მაგრამ დასაშვებია, რომ მათ შორის გამაჰმადიანებული ქართველებიც ყოფილიყვნენ. მრავალი თბილისელი მუსლიმანი, რ-ებიც განათლების მისაღებად ამ ნისბით გაემგზავრნენ ახლო და შუა აღმოსავლეთის დიდ კულტ. ცენტრებში, სამუდამოდ დარჩნენ იქ საცხოვრებლად. ისინი მოღვაწეობდნენ ბაღდადში, დამასკში, ისპაანში, კაიროში, ალექსანდრიაში, იერუსალიმში, ნიშაბურში; XII–XIII სს-ში შეიმჩნევა მათი მიგრაცია მცირე აზიის ქალაქებში. რამდენიმე ალ-თ-მა, თავისი წვლილი შეიტანა შუა საუკუნეების მუსლ. კულტურის განვითარებაში, მათ შორის იყვნენ:

ისა ალ-რაკი ალ-თ. X ს. ექიმი, ასტროლოგი, ავტორი შრომისა ,,მედიცინა‘‘. მოღვაწეობდა სირიაში;

აბუ მუჰამად ალ-ჰასან იბნ ბუნდარ ალ-თ. X ს. დამლევისა და XI ს. დამდეგის შიიტი ლიტერატორი და გრამატიკოსი. მოღვაწეობდა თბილ. საამიროში. იყო არაბ. პოეზიის, კერძოდ, იბნ ალ-რუმის და ალ-მუთანაბის შემოქმედების მკვლევარი. მიეკუთვნებოდა იმ არაბ ფილოლოგთა რიცხვს, რ-ებიც სწავლობდნენ პოეტურ ნასესხობებს არაბი პოეტების, მ. შ. ალ-მუთანაბის, ლექსებში. ითვლებოდა პოეტური მოტივების (მაანი) კრიტიკის სპეციალისტად. მის შრომებს, რ-თაგან ერთი – ,,საქებარი და საძრახისი თვისებები‘‘ – მიეძღვნა თბილ. ამირას ალი იბნ ჯაფარს, ჩვენამდე არ მოუღწევია;

ჰუბაიშ ალ-თ. XII ს. გამოჩენილი აზერბაიჯანელი მეცნიერი. დაიბადა და ახალგაზრდობის წლები გაატარა თბილისში. მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ფილოლოგიაში, მედიცინაში, ასტრონომიაში, ასტროლოგიაში; სახელოსნო ტრაქტატი ,,ხელობათა აღწერა‘‘ არაბ. და სპარს. ენებზე. სავარაუდოა, რომ მან თბილისი დატოვა დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის აღების (1122) შემდეგ. ცხოვრობდა ბაღდადში; XII ს. 50-იანი წლებიდან (არა უგვიანეს 1183–84) – რუმის სასულთნოს ქალაქ კონიაში;

ნაჯმ ალ-დინ ალ-თ. (გ. 1234), მუჰადისი, სუფი შეიხი, იმამი, პოეტი. თბილისიდან ემიგრირებულმა განათლება მიიღო ბაღდადში, იყო სახელგანთქმული სუფი შეიხის შიჰაბ ალ-დინ ალ-სუჰრავარდის მიმდევარი. ასრულებდა დიპლ. დავალებებს, იცოდა სამართალი, რელიგ. საფუძვლები, ეთიკა, გრამატიკა, პოეზია და სხვ. წერდა ლექსებს, რ-თაგან 8 შემონახულია იბნ შაქირ ალ-ქუთუბის, ალ-საფადისა და ალ-ირბილის ბიოგრ. ჟანრის თხზულებებში.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII–XIV საუკუნეებში, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, №4; 1990, №1. *გ. ჯაფარიძე.*

თიძილისა (2010-იდან – განთიადი), სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), მდ. ქციის მარჯვ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 1550 *მ,* წალკიდან 12 *კმ.* 583 მცხ. (2014).

თიძმათაში, უელტეხილი წალკის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ქედზე, მდ. ჯუჯიანის სათავეებთან. სიმაღლე 2168 *მ.* მიდამოები აგებულია პლიოცენური ანდეზიტური ლავებით. დაფარულია სუბალპური მდელოებით. თ. წალკის მუნიციპალიტეტს აკავშირებს ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებთან.

დ. უკლება.


თიძორი, სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის ვაკეზე (კოლხეთის დაბლობი), შავი ზღვის ნაპირას. ზ. დ. 5 *მ,* ზუგდიდიდან 36 *კმ.* 37 მცხ. (2014).

თიღვა, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. დასავლეთის ფრონის მარჯვ. ნაპირზე. მუნიციპალიტეტისა და თემის ცენტრი. ზ. დ. 840 *მ,* ყორნისიდან 2 *კმ.*

თ. შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. პირველად იხსენიება X ს-ში ,,მატიანე ქართლისაში‘‘ *ბაგრატ III-თან* დაკავშირებით. ხშირად გვხვდება აგრეთვე XII–XVIII სს. ქართ. ისტ. წყაროებსა და საბუთებში. მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც (XVIII ს.). ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია, რომ თ. როსტომ მეფეს ზაალ წერეთლისთვის უბოძებია (1648). 1748 ერეკლე II-მ შაწშე ქსნის ერისთავს განუახლა თ-ის კუთვნილების საბუთი. 1715 თ-ში 52 გლეხი ცხოვრობდა, 1804 – 25 კომლი, რ-ებიც ეკუთვნოდა ამირეჯიბსა და მაჩაბელს.

სოფელში დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – სამონასტრო კომპლექსი, რ-ის მთავარი ნაგებობაა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. იგი ისტ. წყაროებში ჯვრის მონასტრის სახელითაცაა ცნობილი (ვახუშტი ბატონიშვილი). ეკლესიის ჩრდ. ფასადის კარის თავზე ასომთავრულით ამოკვეთილ ქტიტორულ წარწერაში მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის ასული თამარი. იგი თავისი ქმრის, შირვანის მეფის, გარდაცვალების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, 1150–52 ეს მონასტერი ააშენა და მონაზვნად აღიკვეცა. დაკრძალულია იქვე.


ტაძარი გეგმით სწორკუთხედში ჩახაზული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა აღმოსავლეთის აფსიდი-




თიღვა. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. 1150–52.



თიხნარის ბაზი.





თლიის სამაროვანი.

თა და სამი სწორკუთხა მკლავით. აფსიდებითვეა დასრულებული საკურთხევლის ორივე მხარეს მდებარე სამკვეთლო და სადიაკვნეც. გუმბათი საკურთხევლის კუთხეებსა და თავისუფლად მდგარ ორ ბოძს ეყრდნობა. ძეგლის თავისებურებას წარმოადგენს დას. მხარეს, ეკლესიის მთელ სიგანეზე მოწყობილი ნართექსი და მის თავზე, II სართულის დონეზე არსებული პატრონიკე, რ-იც დას. მკლავს სამი მხრიდან ეკვრის.

თ-ის ეკლესია მკვეთრად გამოირჩევა ფასადების მორთულობის ასკეტური სიძუნწით, მაგრამ მისი მცირერიცხოვანი მოჩუქურთმებული საპირეები XII ს. ქართ. ხუროთმოძღვრული ორნამენტის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. ეკლესია გარედან შემოსილია სუფთად გათლილი მოწითალო ქვით, შიგნით კი შერეული მასალაა გამოყენებული, ტაძრის არქიტ. მასების წყობა დახვეწილია. ჩანს რამდენიმე შეკეთების კვალი. ტაძარს გარს არტყია გალავანი, რ-ის შიგნით შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების სამონასტრო ნაგებობათა ნაშთი. ჩრდ. ნაწილში იდგა სასახლე. აქედან პირდაპირ მიემართებოდა კიბე ეკლესიის პატრონიკეებისაკენ.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ფრონის ხეობა, თბ., 1963; რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., თიღვა. შირვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა, თბ., 1960; М е п и с а ш в и л и Р., Ц и н ц а д з е В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

ჯ. გვასალია. შ. საღარაძე.

თიღვის მუნიციპალიტეტი, დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შიდა ქართლის რეგიონი). ცენტრი – სოფ. *თიღვა*. შეიქმნა საქართვ. პრეზიდენტის 2007 წლის 10 მაისის №296 ბრძანებულებით. თ. მ-ში შევიდა ავნევის, ახალშენის, თიღვის, ლოპანის, ნულის, ოქონის თემები. მუნიციპალიტეტშია 1 დაბა (ყორნისი) და 83 სოფელი.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თიხა, ძირითადად თიხის მინერალებისაგან შემდგარი დანალექი და ჰიდროთერმულად შეცვლილი ქანი. თ. გამოიყენება კერამ., სამშენებლო, ნავთობის, კომბინირებული საკვების წარმოებაში, ქანდაკების ორიგინალის შესაქმნელად, სამკურნალოდ, და სხვ. იხ. აგრეთვე სტატიები: *ასკანის ბენტონიტური თიხის საბადოები, ბენტონიტური თიხები, გუმბრის თიხა, გუმბრის მათეთრებელი თიხის საბადო.*

თიხნარის ბაზი (Bombus argillaceus Scopoli, 1763), სიფრიფანაფრთიანების (Hymenoptera) რიგისა და ფუტკრების ზეოჯახის (Apoidea) საზოგადოებრივი მწერი. აქვს შავი ფერის თავი და მუცელი, მკერდი დაფარული აქვს შავი და ყვითელი ბუსუსებისაგან შემდგარი ზოლებით, ულვაშები შავი ან ყავისფერია. გავრცელებულია ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში, დასავლეთ თურქმენეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. იბუდებს მიწაში მღრღნელების მიერ მიტოვებულ სოროებში. იკვებება ყვავილის მტვრით და ნექტარით, ამტვერიანებს პარკოსნების, ბაიასებრთა, ტუჩოსნების, რთულყვავილოვანთა, შავწამალასებრთა ოჯახების ყვავილებს. გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''. *ი. სხირტლაძე.*

თიხრევი, ისტორიული სოფელი შიდა ქართლში, ფრონის ხეობაში. თ. პირველად იხსენიება 1634 წ. 23 ოქტ. საბუთში: ,,გარდაწყვეტილობის წიგნი როსტომ მეფისა დავით და რამაზ დავითაშვილების მამულის გაყრის საქმეზე'' ღვერთესთან, აბანოსთან, სატივესთან, წაბლოვანასა და სტკოცასთან ერთად. გვიანდ. შუა საუკუნეების ტერიტ. დაყოფით თ. ქართლის სამეფოს IV სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 4, თბ., 1972.

ზ. ცინცაძე.

თლია, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის ვანელის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. თლიისწყლის (დიდი ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1820 *მ*, ჯავიდან 23 *კმ*.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თლია, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის ყემულთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მწვ. მაჩხარის სამხრ. კალთაზე, მდ. მაჩხარდონის (ფაწის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1840 *მ*, ჯავიდან 30 *კმ*.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თლიაჭანა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ვანათის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. პატარა ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1540 *მ*, ერედვიდან 14 *კმ*.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თლიის სამაროვანი, გვიანდ. ბრინჯაოსა და რკინის ხანის (ძვ. წ. XII–VII სს.) არქეოლ. ძეგლი სოფ. თლიის ტერიტორიაზე (ჯავის მუნიციპალიტეტი). მცირე მასშტაბით არქეოლ. გათხრები მიმდინარეობდა 1889 (ხ. კანიუკოვი), 1890 (ვ. დოლბეჟევი, ფ. ჰეგერი), 1891 (პ. უვაროვა). 1955-იდან მიმდინარეობდა სისტემ. არქეოლ. გათხრები (ბ. ტეხოვი). ორმოსამარხებსა და ქვის სამარხებში მიცვალებულები იწვნენ მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილნი. ჩატანებული ჰქონდათ ბრინჯაოს იარაღი (ცულები, სატევრები, შუბისპირები), სამკაული (აბზინდები, ბალთები, მშვილდსაკინძები, საკისრე რგოლები, სამაჯურები, დუგმები, ღილები, მძივები და სხვ.), ჭურჭელი (სიტულები, თასები, ტოლჩები), მცირე რაოდენობით რკინის ნივთები (აკინაკი, სატევარი, მოხრილი დანები, შუბისპირები, მშვილდსაკინძები); სარდიონის, მინისა და პასტის მძივები; ცოტა თიხის ჭურჭელი. ნივთების მნიშვნელოვანი ნაწილი შემკულია ცხოველის გამოსახულებიანი (ირემი, ცხენი, ძაღლი, გველი, თევზი) და გეომ. (სვასტიკა, ,,მალტური'' ჯვარი, სხივიანი წრეები და სხვ.) ორნამენტით, ზოგი კი მოხატულია ურარტული და სკვითური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სტილით, თ. ს-ზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალა დას. საქართველოსა და ყობანის სამაროვნის ნივთების მსგავსია. თ. ს. *კოლხური კულტურის* გავლენის სფეროს განეკუთვნება.

მოსახლეობა, რ-საც თ. ს. ეკუთვნოდა, გვაროვნული წყობილების საფეხურზე იდგა. სამაროვნის არსებობის ბოლო საუკუნეებში გაძლიერდა გვაროვნული წყობის დაშლის პროცესი. მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობას, მიწათმოქმედებას, განვითარებული იყო ბრინჯაოს მეტალურგია. რკინის ფართო წარმოებაზე გადასვლა მხოლოდ ძვ. წ. VII ს. დაიწყო.

თ. ს-ის მასალა დაცულია მოსკ. ისტ. მუზეუმში, ცხინვალსა და ვენაში.

ლიტ.: Т е х о в Б. В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971.

ლ. ფანცხავა.

თლილი, ღ რ მ ა ნ ი, მთა ხულოსა და ადიგენის მუნიციპალიტეტე-

ბის საზღვართან, არსიანის ქედის აღმ. განშტოებაზე, მდინარეების ძინძისწყლისა (ქვაბლიანის მარჯვ. შენაკადი) და ღრმანისწყლის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე 2540 *მ.* აქვს გუმბათისებრი მოყვანილობა. აგებულია ანდეზიტ-დაციტური ლავით. კალთებზე ზოგან ქვაყრილებია. შემოსილია სუბალპ. მდელოებით. *ქ. ჯაყელი.*

თლუღი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზედა თლუღისა* და *ქვედა თლუღის* გავრცელებული სახელწოდება.

სოფელი თ. მდებარეობს ისტ. ქვემო რაჭაში, შაორის წყალსაცავის ჩრდ-ით, ამბროლაურის სამხრ-ით 15 *კმ*-ზე. ზედა თლუღში, სოფლის სასაფლაოზე, ნაეკლესიარია ტეხისის წმ. გიორგისა, რ-ის დღეობას – ტეხისობას – აღდგომის მესამე კვირას დღესასწაულობენ. ეკლესიიდან გადარჩენილია შენობის ბუდე (ფართ. 13*მ*×4 *მ*). 1926 ნაგებობა ჯერ კიდევ მდგარა, რ-იც აღწერილი აქვს გ. ბოჭორიძეს. 1927 იგი დაუნგრევიათ და ქვა ადგილობრივი სკოლის მშენებლობისათვის გამოუყენებიათ. ეკლესია მთლიანად მოხატული ყოფილა. ჩრდ. კედელზე გამოსახული იყო მერაბ წულუკიძე და მისი მეუღლე ანიკა ჩიჯავაძე ეკლესიის მოდელით ხელში. იქვე ყოფილა მათი ვაჟის – გიორგის გამოსახულებაც. როგორც ჩანს, ტეხისის წმ. გიორგის ეკლესია მერაბ წულუკიძეს აღუდგენია და მოუხატვინებია XVII ს. II ნახევარში. წულუკიძეების სათავადო ქვემო რაჭის სამხრ. ნაწილს მოიცავდა და თლუღიც ამავე სათავადოში შედიოდა. ნაეკლესიარს აკრავს გალავანი, რ-იც სასაფლაოს დაუზიანებია. ნაეკლესიარის აღმ-ით, დაახლ. 200 *მ*-ზე, ქედის კლდოვან ბორცვზე, კოშკის ნანგრევია (ფართ. 7*მ* × 8*მ*). ნაგებია რეგულარულად ნაწყობი ადგილ. კლდის მოზრდილი ლოდებით და კირხსნარით. კოშკი სოფლიდან ეკლესიისკენ მიმავალ გზაზეა და მისივე თანადროულია. 1544, როდესაც იმერთა მეფემ, ბაგრატ III-მ აღადგინა ნიკორწმინდის მონასტერი, ეკლესია საეპისკოპოსო საყდრად აქცია, მას შესწირა სოფლები და ყმა-მამული; მათ შორის ჩამოთვლილია: ,,თლუღს: ჯელმოკლიძე კვამლი ოთხი; კაციტაძე კვამლი სამი; კაბილაძე კვამლი ორი; თლუღს პარტახტი ერთი; ზემო თლუღს: კობახიძე კვამლი ერთი''. ორივე სოფელში 200-მდე კომლია. იქ მოსახლეთა გვარებია: გურაბანიძე, ჭიჭინაძე, ქემოკლიძე, ცაგურიშვილი, კბილაძე, ქევანიშვილი, კაციტაძე, მიქაუტაძე, დონაძე, მუსერიძე, გოცირიძე, ციმაკურიძე, კობახიძე, გურგენიძე, როინიშვილი, კვიტაშვილი, ბელიაშვილი და სხვ.

ლიტ.: ბერაძე თ., რაჭა, თბ., 1983; ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 6, თბ., 1977.

დ. ბერძენიშვილი.

თმოგველები, დიდგვაროვან ფეოდალთა საგვარეულო XII–XIV სს. საქართველოში, *მხარგრძელთა* განშტოება. ამ გვარის ფუძემდებელი იყო სარგის ვარამის ძე მხარგრძელი, რ-საც თამარ მეფემ ამირსპასალარ გამრეკელ *თორელის* სიკვდილის შემდეგ სამამულოდ უბოძა თორელის საკარგავი – თმოგვის ციხე (ისტ. ჯავახეთში) და მისი მიმდგომი მხარე. XIII ს. დასაწყისიდან თ-ის საგვარეულო მონასტრად იქცა ვაჰანის (ვანის) სამეფო მონასტერი (თმოგვის მახლობლად). თ-ის მამული – თმოგვის მხარე – XIII–XIV სს-ში წარმოადგენდა დიდ ფეოდ. სენიორიას, თვით თმოგვი კი – შუა საუკუნეების ტიპურ ციხე-ქალაქს. თ. აქტიურად მონაწილეობდნენ XII–XIII სს. საქართველოს პოლიტ. და კულტ. ცხოვრებაში (იხ. *სარგის თმოგველი,* თაყაიდინ *თმოგველი*). მათ ფეოდ. შუღლი ჰქონდათ სამხრ. საქართველოს მეორე დიდ საგვარეულოსთან – სამცხის მთავრებთან, ჯაყელებთან. ამ ბრძოლაში თ. დამარცხდნენ და XIV ს-ში დატოვეს თმოგვი, გადასახლდნენ კახეთსა და შიდა ქართლში. კახეთში ისინი დაეუფლნენ უჯარმას, ხოლო შიდა ქართლის დას. ნაწილში – ნიქოზს და ეწოდათ თავდაპირველად თმოგველ-უჯარმელები, ხოლო შემდეგ – თმოგველ-უჯარმელ-ფავლენი-შვილები. აქ მათ საგვარეულო საყდრად გაიხადეს ნიქოზის ეკლესია. საისტორიო წყაროებში თ-ად ხშირად იხსენიებიან არა მარტო ამ საგვარეულოს წევრები, არამედ თმოგვის მხარის მცხოვრებლებიც.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე; ჟამთააღმწერელი, იქვე; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.), ლ. მუსხელიშვილის გამოც., ტფ., 1939; ჟორდანია თ., ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ,,ძეგლი'' ვაჰხანის ქვაბთა, ტფ., 1896.

ლიტ.: კაკაბაძე ს., თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, ტფ., 1913; მისივე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წგ. 1, ტფ., 1914; მესხია შ., სამინაო პოლიტიკური ვითარება და სამხელეო წყობა XII ს. საქართველოში, თბ., 1979.

ნ. შოშიაშვილი.

თმოგველი თაყაიდინ სარგისის ძე, XIII ს. დასაწყისის ქართველი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე, თმოგვის საფეოდალოს სამამულედ მფლობელი, *თმოგველების* საგვარეულოს წარმომადგენელი.

თ. მონაწილეობდა ბასიანის ბრძოლაში (1203), აგრეთვე ქართველთა ლაშქრობაში ირანში (1210), სადაც ქ. მარანდის ახლოს მისი წინამძღოლობით 500 წარჩინებულისაგან შემდგარმა ქართვ. მზვერავმა რაზმმა გაანადგურა ირანელთა რიცხობრივად ჭარბი ლაშქარი. ამის შემდეგ თ. წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო და ლიტ. იხ. სტ-თან თმოგველები. *ნ. შოშიაშვილი.*

თმოგველი სარგის, XII–XIII სს. მიჯნაზე მოღვაწე ქართველი დიდებული, *თმოგველების* ფეოდ. სახლის ფუძემდებელი, ვარამ ზაქარიას ძე მხარგრძელის ძე. თ. აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. პოლიტ. ცხოვრებაში. გიორგი რუსზე თამარის დაქორწინების შემდეგ ოთხმა მხარგრძელმა, მ. შ. სარგისმა, მოაწყო ძლევამოსილი ლაშქრობა თურქთა წინააღმდეგ დვინის მხარეში. თამარ მეფის წინააღმდეგ ფეოდალთა ამბოხების დროს სარგისი სხვა მხარგრძელებთან ერთად თამარს ემხრობოდა. ამბოხების ჩაქრობის შემდეგ თამარმა დააჯილდოვა თავისი ერთგული ფეოდალები, კერძოდ, სარგისს უწყალობა იმხანად გარდაცვლილი ამირსპასალარის გამრეკელ *თორელის* საკარგავი – თმოგვის ციხე (ჯავახეთში), რის შემდეგაც სარგისი იწოდა თ-ად. თ. მონაწილეობდა *შამქორის ბრძოლაში* (1195). შალვა *ახალციხელთან* ერთად მონაპირეობდა (ე. ი. იცავდა საზღვრებს) ჯავახეთში და მასთანვე სარდლობდა ქართველთა ლაშქარს კარის (ახლანდ. ყარსი) ციხის თურქებისაგან გასათავისუფლებლად. ზოგი მეცნიერი მას მწერალ *სარგის თმოგველთან* აიგივებს.

წყარო და ლიტ. იხ. სტ-თან თმოგველები. *ნ. შოშიაშვილი.*

თმოგველი სარგის თაყაიდინის ძე, XIII ს. 30–60-იანი წლების

ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. ,,ჟამთააღმწერლის'' ცნობით, „... კაცი ფილოსოფოსი და სწავლული და მრავალღონე“ (იხ. *სარგის თმოგველი*).

თმოგვი (ყოფ. მ ა რ გ ა ს თ ა ნ ი), სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტის ნაქალაქევის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), მტკვრის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1260 *მ*, ასპინძიდან 23 *კმ*. 301 მცხ. (2014).

თმოგვი, ციხე-ქალაქი ისტორიულ ჯავახეთში, ახლანდ. ასპინძის მუნიციპალიტეტში. მდებარეობდა მტკვრის ორივე სანაპიროზე, ციხე კი მარცხ. ნაპირის მიუვალ კლდოვან მთაზეა აგებული. გალავნის შიგნით არის ეკლესია, საცხოვრ. და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, მტკვარზე ჩამავალი გვირაბი, ორი ღრმა ორმო წყლისათვის. დას-ით სამ საფეხურად განლაგებული კედელბურჯებია ამოშენებული. კლდის დედაციხის შემოზღუდული მცირე ფართობი კოშკებსა და სხვა ნაგებობებს უკავია. ციხის გალავნის გარეთ, დას-ით, კლდეში გამოკვეთილია წმ. ეფრემის ეკლესია, რ-ის კანკელიც კლდეშივეა ნაკვეთი. ციხის კარიბჭესთან გუმბათჩამონგრეული მეორე ეკლესიაა საკურთხეველში მოხატულობის ნაშთით. იგი XIV ს. დასაწყისით თარიღდება.

ციხეზე ძირითადად გამოიყოფა მშენებლობის ორი ფენა. თავდაპირველად მშენებლობა ტუფის გათლილი, თანაბარი კვადრებით დაუწყიათ (რეგულ. წყობა). მეორე, გვიანდ. მშენებლობის ფენა კი უხეში, ფლეთილი ქვის ნარევი წყობითაა ნაგები.

ნაქალაქარი მტკვრის ორივე მხარესაა, ორივეგან სასახლის ნაშთებით. მარცხ. სანაპიროზე მდებარე სასახლე მშენებლობის უძველეს ფენას მიეკუთვნება, მარჯვნივ კი XIV ს-ით დათარიღებული ნასახლარია. აქვეა ქვითა და ქართ. აგურით ნაგები სამსათავსიანი აბანო. მტკვარზე ორგან ნახიდარი შეიმჩნევა. ერთი მათგანი ორ სასახლეს შორის ყოფილა გადებული, მეორე, სატრანსპ. ხიდი, უფრო ქვემოთ იყო და ქალაქის ორ ნაწილს აკავშირებდა.

თ-ის დაწინაურება და მისი ციხედ გადაქცევა უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც წუნდა, როგორც ჯავახეთის საერისთავოს ცენტრი, მოიშალა. სავარაუდოდ, ეს მოხდა IX ს-ში, გვარამ მამფალის დროს, რ-საც ,,დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტანი. და ჰბრძოდა სარკინოზთა'', – მოგვითხრობს ,,მატიანე ქართლისა''. ციხე აკონტროლებდა ისტ. საქარავნო გზას, რ-იც ბიზანტიიდან მტკვრის ხეობით საქართველოში შემოდიოდა, შემდეგ კი მუსლ. აღმოსავლეთის ქვეყნებს უკავშირდებოდა. აქაურ ვიწროებში იგი საიმედოდ კეტავდა ზედა თმოგვისაკენ მიმავალ გზასაც, რ-იც შემდეგ ბუზმარეთსა და ნიალის ველზე გადადიოდა. თ-ის ციხე წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება 914 არაბთა შემოსევისას. ,,მატიანე ქართლისას'' ცნობით, არაბმა სარდალმა აბუ ლ-კასიმმა მოაოხრა ქართლი, სამცხე და ჯავახეთი, მოადგა თ-ის ციხეს და, რა იხილა მისი სიმტკიცე, უომედოდ ჩათვალა ბრძოლა და ციხეს გაეცალა. არეშტის სტელის წარწერის მიხედვით საფიქრებელია, რომ თ. კუმურდოსთან ერთად IX ს. ბოლოსა და X ს. I ნახ-ში ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ, შემდგომში კი ის სამეფო ციხე უნდა გამხდარიყო. სუმბატ დავითის ძის ცნობით, ბაგრატ III-მ თავისი მამიდაშვილები სუმბატი და გურგენი თ-ის ციხეში გამოკეტა, სადაც ისინი 1011–12 წლებში გარდაცვლილან.

ისევე როგორც ყველა ფეოდ. ხანის ციხესიმაგრეს, თ-საც თავისი შესავალი საციხისთავო ქვეყანა ჰქონდა. ეს იყო, პირველ ყოვლისა, მის მახლობლად არსებული სოფლები, ძირითადად მტკვრის კანიონის ორივე ნაპირზე. ამ ერთიანობას ქართ. წყაროთა მიხედვით ერქვა ,,ციხე-ქვეყანა''. საქართვ. მეფეები თ-ის ციხე-ქვეყანას თავის ერთგულ მოხელეებს აძლევდნენ ხოლმე პირად მფლობელობაში. XI ს. წყაროებში ჩანს ფარსმან თმოგველი, რ-საც ,,მატიანე ქართლისა'' მოიხსენიებს ,,ციხეთა უფალთა კაცთა'' შორის. მისი წოდება ,,თმოგველი'' მიუთითებს, რომ იგი იყო თ-ის, მაშინდელი ჯავახეთის უმნიშვნელოვანესი პუნქტის, მფლობელი. როგორც ჩანს, ზედა თმოგვისა და სათხის ეკლესიათა წარწერებში ერისთავთ-ერისთავის წოდებით მოხსენიებულია ჯავახეთის ერისთავი. ფარსმანი პირველი თმოგველია, რ-იც წყაროებში იხსენიება. აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ მხარგრძელებამდე ფეოდალები, რ-თაც მეფე თ-ს უბოძებდა, თმოგველებად აღარ იწოდებიან. ეს უნდა მიუთითებდეს ფარსმანის განსხვავებულ მდგომარეობაზე, შესაძლოა მის ადგილობრივ წარმოშობასა და სამამულო მფლობელობაზე.

1073 მეფე *გიორგი II-მ* თ. ნიანია ქვაბულის ძეს მისცა, შემდეგ კი იგი მისი ძის, კახაბერის მფლობელობაშია. 1089, აღდგომას მომხდარი მიწისძვრის დროს, თ-ის ციხე დანგრეულა, იქვე დაღუპულა კახაბერ ნიანიას ძე ცოლითურთ.

თამარის მეფობაში თ. გადაეცა სარგის ვარამის ძე მხარგრძელს. ამის შემდეგ მხარგრძელთა აღნიშნული შტო დიდი ხნით იმკვიდრებს თ-ის მფლობელობას, რასაც ასახავს მათი ზედწოდებაც – ,,თმოგველები''. XIII ს. დასაწყისში ისინი დაეპატრონენ ვანის ქვაბთა მონასტერსაც და თავიანთი სამამულო სამფლობელოს ჩამო-



თმოგვი. ციხე-ქალაქი.

ყალიბება-გაფართოება ამ მონასტრისათვის ახ. ტიპიკონის შედგენით დაიწყეს. მათი მამულებიდან ვანის ქვაბთა მონასტრის განგების მინაწერებში კონკრეტულად დასახელებულია მიწები ფიაში, მირაშხანში, ზედა ვარძიაში, რ-ებიც თმოგველებს მონასტრისათვის შეუწირავთ.

XIII ს. ბოლოსათვის თმოგველთა ძლიერება თანდათან დაეცა. XIV ს. I ნახ-ში ისინი ჯავახეთში აღარ არიან. ამ დროს უნდა გულისხმობდეს ,,ვეფხისტყაოსნის'' ეპილოგის ერთი სტროფი, რ-იც პოემის გამგრძელებელს მიეწერება: ,,ეს ამბავი დარჩენოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად, აგრეგ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად''. აქ თმოგვისა და მისი შესავალი ქვეყნის თმოგველთაგან მიტოვებაზეა საუბარი.

შემდგომში თ-ისა და ვანის ქვაბებს ღარიბასძენი დაეპატრონენ. თ-ის 1350 წარწერა გვაუწყებს, რომ მურვან კვითხის ძეს, მეფის საწოლის მწიგნობარს, თ-ის ზღუდე აუშენებია.

მეფის მოხელე მურვანი ღარიბასძეთა საგვარეულოს წარმომადგენელია და ისიც თ-ისა და მისი მიმდგომი ქვეყნის მფლობელად ჩანს. ვარაუდობენ, რომ მან XIV ს. დასაწყისში თავის სამკვალედ ააგო თ-ის კარიბჭის გუმბათიანი ეკლესია. მისი შთამომავლები იხსენიებიან ვანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონის გვიანდელ მინაწერებში.

XIV ს. 30-იან წლებში მაჰმადიანური სამთავროებისაგან შევიწროებულმა სომხურმა მოსახლეობამ ჯავახეთს მოაშურა. სომხ. მოსახლეობის კვალი წუნდისა და თ-ის სიახლოვეს ჩანს მემორიალური ქვაჯვრების მიხედვითაც (ისინი შემორჩენილია აქაურ საფლავებზე) მათი წარწერები 1356–1425 თარიღდება.

XV ს-იდან სამცხის ათაბაგებმა ჯავახეთიც დაიპყრეს. ამის შემდგომ თ-ის ქვეყანაშიც გამოჩნდა მათი ნაკვალევი: ვანის ქვაბთა მონასტრის განგების XV–XVI სს. მინაწერებში ათაბაგების შეწირულობანიცაა აღნიშნული. ივანე ათაბაგს ,,თმოგუს მისი საპატრონოსა ტაბღისაგან'' 1500 თეთრი შეუწირავს.

XVI ს. მცხეთის ეკლესიის სამწყსოსა და საქონებლის სიიდან ჩანს, რომ ძველ მემამულე ფეოდალთა მიწებს ახ. მფლობელები გასჩენია. ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ჩანან: ,,თმოგუელნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა ელისბაასს და იოთამს აქუს. ბულღადარასშვილნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა რჩეულაანთა და ფროდიანთა აქუს''... ძვ. თმოგველთა სამფლობელოში ახლა ორი ფეოდ. საგვარეულო ჩანს: შალიკაშვილებისა და რჩეულაშვილების სახით. ამ უკანასკნელთა ხელში უნდა ყოფილიყო ვანის ქვაბთა მონასტერიც, რ-ის მინაწერებში ისინი ხშირად ფიგურირებენ.

1521–25 ერთი თურქ. დოკუმენტის მიხედვით, ,,თმოგვის ციხე საკმაოდ ცნობილი და მიუვალი ციხეა... იმ თმოგვის წყლის ზემო წელში მგელციხედ წოდებული მტკიცე ციხეა. ისიც თმოგვის ნაჰიეს ექვემდებარება. თმოგვის ციხის პატრონს ელიზბარს უწოდებენ... და იმ ურჯულო ყვარყვარეს მეტად სახელოვანი აზნაურია''.

XVI ს. ბოლოს ოსმალთაგან დაპყრობილ სამხრ. საქართველოში თ. ახალქალაქის ლივაში შემავალი ნაჰიეს ცენტრი იყო. ,,*გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის*'' მიხედვით, თმოგვის ნაჰიე მოიცავდა მტკვრის კანონის სოფლებს ნაქალაქევიდან მოყოლებული სამხრეთისაკენ სოფ. ვაშლობის ჩათვლით, 22 სოფელსა და ნასოფლარებს. ოსმ. ადმ. დანაწილებით, აღნიშნული ნაჰიე იყო ძვ. თმოგვის ციხე-ქვეყანა, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეურნეო, ადმ.-ტერიტ. ერთეული.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ვარძია და თმოგვის ციხე-ქვეყანა, «ძეგლის მეგობარი», 1988, № 2; სხირტლაძე ზ., ღმრთისმშობლის მიძინების კომპოზიცია კუმურდოს ეკლესიაში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1992, ტ. 2.

დ. ბერძენიშვილი.

თმოგვის ციხე, ციხე მტკვრის მარცხენა ნაპირის მიუვალ კლდეზე, ჯავახეთში (ახლანდ. ასპინძის მუნიციპალიტეტი).

თ. ც. წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება X ს-ში. იგი აკონტროლებდა ისტ. საქარავნო გზას, რ-იც ბიზანტიიდან მტკვრის ხეობით შემოდიოდა საქართველოში, შემდეგ კი აღმოსავლეთის მუსლ. ქვეყნებს უკავშირდებოდა.

იხ. აგრეთვე სტ. *თმოგვი*.

თოგალი, მ ა ი ა, სპილენძის ჟანგი. იხმარება თიხის ჭურჭლის ჭიქურქვეშა მოხატულობისათვის, ამავე დროს იგი მწვანე ჭიქურის კაზმის აუცილებელი შემადგენელი მასალაა. თ. სპილენძის ხელოსან მექვაბეებთან შეძენილი სპილენძის ჟანგაა, ხოლო მეჭურჭლეების მიერ გადამუშავებული, დამწვარი, დაფქული და სითხეში გახსნილი თ. მაიაა.

დამწვარი თ., ანუ მაია ჭიქურის შემადგენელი წამლებიდან წისქვილში ყველაზე ბოლოს უნდა დაიფქვას, შემდეგ წისქვილი კარგად უნდა გაირეცხოს. თაღარში ჩაყრილ დაფქულ თ-ს ზომაზე წყალში გახსნიან, რითაც ხატავენ ჭურჭელს. მოხატვა ხდება საგანგებო ყალმით, რ-საც თხის ბალნის ან ვირის ფაფრისაგან შეკრულ, ხის ტარზე დამაგრებულ ფუნჯს უწოდებენ. კახელი ხელოსნები, ვირის ფაფრის გარდა, კამეჩის ბალნით ან ცხენის ძუის ფუნჯით სარგებლობენ. შროშელი მეჭურჭლეები ჭურჭლის მოსახატავად ჯოხზე დახვეულ ბამბას იყენებენ.

ლიტ.: ბედუკაძე ს., მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1957, ტ. 19A და 21B.

მ. ზანდუკელი.

თოგოიანი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის სამთავისის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. ლეხურის ხეობაში. ზ. დ. 690 *მ*, კასპიდან 12 *კმ*. 75 მცხ. (2014).

თოდაძე გივი ასლანის ძე (დ. 9. V. 1926, ქუთაისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1951). 1951–92 მუშაობდა არქიტექტორად სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებში: ,,ქუთაისპროექტი'', ,,საქქალაქმშენსახპროექტის'' ქუთაისის ფილიალი, ,,ქუთქალაქპროექტი'' და სხვ. იყო ქუთაისის მთ. მხატვარი (1975–76). 1992-იდან დღემდე არის ინდივიდ. საწარმოს ,,იერსა-



გ. ა. თოდაძე. რუსთაველის ხიდი. ქუთაისი.



გ. ნ. თოდაძე.

ხეს'' დირექტორი. ძირითადი ნამუშევრები: ქუთაისში – მაუდის ფაბრიკის საბავშვო ბაღი (1957, არქიტ. თ. კოპტანაშვილთან ერთად); რუსთაველის სახ. ხიდი (1965; ინჟ. გ. ჩომახიძე), სამხატვრო გალერეა (1976, არსებული შენობის რეკონსტრუქცია არქიტ. ს. გაგუასთან ერთად); მეგობრობის მემორიალი ,,ნიკეა – ქუთაისი'' (1985, არქიტ. გ. ჯაბუასთან ერთად, მოქანდაკე – გ. ნიკოლაძე); თერჯოლაში – ქორწინების სახლი (1965) და სამხატვრო გალერეა (1967). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996), არის თერჯოლის (2000) და ქუთაისის (2003) საპატიო მოქალაქე. 2011 საქართვ. არქიტექტორთა კავშირმა მიანიჭა ,,არქიტექტურის რაინდის'' საპატიო წოდება. *თ. გერსამია.*



გ. თოდუა.

თოდაძე გიორგი ნიკოლოზის ძე (დ. 21. II. 1945, თბილისი), მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1982). დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო (1968) და სარეჟისორო (1977) ფაკ-ტები. 1968-იდან კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრის მსახიობია. აქ განსახიერებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქელეში (კ. გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცება''), ადიკო (შ. დადიანის ,,გუშინდელნი''), სტეპანი (ნ. გოგოლის ,,ქორწინება''), კაპიტანი ლუკაში (ი. ჰაშეკის ,,გულადი ჯარისკაცი შვეიკი'') და სხვ. ამავე თეატრში განხორციელებული მისი დადგმებიდან გამოირჩევა: კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია'', ნ. დუმბაძის ,,მარადისობის კანონი'', რ. ერისთავის ,,ისევ ვოლვილები'', ა. დენერის ,,დონ სეზარ დე ბაზანი'', ჟ. ანუის ,,ევრიდიკე'', უ. შექსპირის ,,ფალსტაფი'', ა. კამიუს ,,კალიგულა'' და სხვ. თ-მ სპექტაკლები დადგა გორის სახელმწ. თეატრში, თბილ. თავისუფალ თეატრში და სხვ. 1995 დააარსა ბავშვთა თეატრი. სკოლა-სტუდია ,,ბერიკები'', რ-მაც დიდი წარმატება მოიპოვა საერთაშ. ფესტივალებზე (იაპონია, მონაკო, გერმანია, ეგვიპტე).

2005-იდან თბილ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელია. ეწევა პედ. მოღვაწეობას საქართვ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტში.

თოდაძე ერმალო ბესარიონის ძე (1. I. 1887, სოფ. ზედა დიმი, ახლანდ. ბაღდადის მუნიციპალიტეტი, – 1. I. 1969, თბილისი), ქირურგ-უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1936), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1916 დაამთავრა იურიევის (ახლანდ. ტარტუ) უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1917–18 მოქმედ არმიაში იყო. 1921-იდან მუშაობდა თბილისში გ. მუხაძესთან, 1937-იდან – თსსი-ის პედიატრიული, სანიტ. და სტომატოლოგიური ფაკ-ტების ზოგადი ქირურგ. კათედრის გამგედ. თ-მ შეისწავლა თირკმლისა და საშარდე გზების კენჭოვანი დაავადებები, შარდ-სასქესო ორგანოთა ტუბერკულოზი, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების პათოლოგიის საკითხები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: შარდის პერმანგანატ-სინჯი. თირკმლების პათომორფოლოგიურ ცვლილებებთან შეფარდება, ტფ., 1935; Общая хирургия. Краткий курс, Тб., 1959.

ლიტ.: ბაბუხადია ვ., ერმალო თოდაძე, თბ., 1971.

თოდოსაკი, თოდოსა, ოსტატი. მოხსენიებულია ატენის სიონის (VII ს.) სამხრ. ფასადის აღმ. ნიშში მთავრული შრიფტით შესრულებულ სომხ. წარწერაში: ,,მე თოდოსაკი მშენებელი ამ წმინდა ტაძრისა''. უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით (გ. აბრამიშვილი) თ. ტაძრის რესტავრატორად (X ს.) არის მიჩნეული.

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Памятники типа ,,Джвари''. Исследование по истории грузинского искусства, Тб., 1948.

თოდრია სილიბისტრო (სილია) ესეს ძე [4 (16). I. 1880, სოფ. იანეული, ოზურგეთის მაზრა, – 8. VI. 1936, თბილისი], რევოლუციონერი, ლიტერატორი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი 1901-იდან. 1902–05 მუშაობდა ბათუმის, ბაქოს არალეგალურ სტამბებში, შემდეგ კი – მოსკ. კომიტეტის სტამბაში. 1915 თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მისი უშუალო მონაწილეობით გამოდიოდა გაზ. ,,ბრძოლა'' და ,,კავკაზსკაია პრავდა''. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1918 კომპარტიის კავკ. კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად გადავიდა ჩრდ. კავკასიაში. 1919 თბილისში მოაწყო არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ იყო თბილ. რევკომის პირველი თავ-რე, საქ. სსრ სოცუზრუნველყოფის, მიწათმოქმედების სახ. კომისარი, საქ. სსრ მწერალთა კავშირის თავ-რე, ჟურნ. ,,ნიანგის'' რედაქტორი, შრომის სახ. კომისარი, საქ. სსრ ცაკისა და ამიერკავკასიის სფსრ ცაკის მდივანი. იყო კომინტერნის II კონგრესის დელეგატი.

თოდუა ბონდო თადეოზის ძე (დ. 20. X. 1940, ზუგდიდი), ბიოლოგი, ბოტანიკოსი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996). დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტი (სსმი) (1964). იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (ქ. ოჩამჩირე, ,,აბნილოსი''), ბოტან. კათედრის გამგე (სსმი); 2005-იდან არის ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ზუგდიდის ფილიალის დირექტორის მოადგილე სასწ. და სამეცნ. დარგში და ბიოლ. კათედრის გამგე. გამოყვანილი და გამორჩეული აქვს ტყისა და დეკორაციულ მცენარეთა 4440-მდე ახ. ფორმა, რ-ებიც გაშენებულია ვ. გულისაშვილის სახ. თბილ. სამთო მეტყეობის ინ-ტის აფხ. სამეცნ.-საკვლევ სატყეო სადგურის ტერიტორიაზე (ქ. ოჩამჩირე ,,აბნილოსი''), მათგან უმრავლესობა გადარჩენილია. თ-ს სამეცნ. კვლევის სფეროა ციტოლოგია, კერძოდ კარიოლოგია (ქრომოსომების კომპლექტის, ანუ კარიოტიპების შესწავლა). შეისწავლა 550-მდე მერქნიან მცენარეთა სახეობებისა და ფორმების კარიოტიპები. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

თოდუა გრიგოლ სიმონის ძე (27. XII. 1928, სოფ. კოხნარი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 11. V. 2011, თბილისი), ეკონომისტი, ეკონომიკის ფილოსოფიის მიმართულების დამფუძნებელი საქართველოში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1970). 1951 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1959–70 მუშაობდა ა. პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედაგოგიურ ინ-ტში. 1971–76 იყო თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის პოლიტ. ეკონომიის კათედრის პროფესორი, 1976–81 – ეკონ. ფაკ-ტის დეკანი, 1995–2004 – საერთაშ. ეკონ. და ეკონ. მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგე, 2006-იდან – თსუ-ის პროფესორი. იყო პოლიტ. ეკონომიაში დოქტორის სამეცნ. ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავ-რე (1977–80).

თ-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონ. თეორიისა და ეკონ.

მოძღვრებათა ისტ. პრობლემათა კვლევაში. გამოცემული აქვს მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. ორგზის დაჯილდოდა ღირსების ორდენითა (2002, 2003) და ივ. ჯავახიშვილის მედლით (1976, 2004).

თხზ.: XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ. 1–2, თბ., 1983–87; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 2004; Актуальные проблемы диалектической взаимосвязи экономических категорий, Тб., 1979.

თოდუა დავით გიორგის ძე (დ. 9. V. 1961, თბილისი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2002). 1983 დაამთავრა თსუ-ის საინჟინრო-ეკონ. ფაკ-ტი, 1983–93 მუშაობდა სხვადასხვა უწყებაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, 1993–95 – შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 1995–99 – შს სამინისტროს ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსად, 1999–2001 – შს სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავ-რედ. 2001–04 იყო შს მინისტრის მოადგილე, დაჯილდოებულია ,,ღირსების ორდენით'' (1998).

ლ. დოლიძე.

თოდუა თემურ ტარიელის ძე (15. VI. 1954, ზუგდიდი, – 2014, თბილისი), ისტორიკოსი, არქეოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1997). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1979). სამეცნ.-პედ. საქმიანობას ეწეოდა თსუ-სა და სტუ-ში. იკვლევდა პონტოს სამეფოსა და კოლხეთის, საქართველო-რომის ურთიერთობათა ასპექტებს, ანტ. ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტ. და არქეოლ. საკითხებს. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 8 მონოგრაფიისა. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია აშშ-ში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, რუსეთში, ბულგარეთში, პოლონეთში.

თხზ.: რომაული სამყარო და კოლხეთი, თბ., 2003; რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, თბ., 2006; ძველი კოლხეთი და გარე სამყარო, თბ., 2008; ანტიკური პოლისი, თბ., 2011; Крепости Митридата Евпатора в Колхиде. – «Вестник древней истории», 1988, №1; Колхида в составе Понтийского царства, Тб., 1990; Three inscriptions from Pityus on the Caucasus frontièr, «Saalburg Jahrbuch», 44, Mainz am Rhein, 1988; On the question of cultural development of the coastal toun of Colchis, «Polis et civitas», Napoli, 1992; Roman Phalerae from Colchis, «Acta Musei varnaensis», VIII,1, Varna, 2001; Stamps of Roman military unit from the Black sea littoral (Colchis). –In: Ancient West and East, V, Leiden-Boston, 2006; I romani nella Terra del vello d'oro, Ferara, 2012.

თოდუა კოჩა (1813 – გ. წ. უცნობაა), სამეგრელოს 1857 გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. მეთაურობდა საჭილაო-სუჯუნის გლეხთა ლაშქარს. აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1858, 10 წლით გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში, სადაც გარდაიცვალა.

ლიტ.: ლ ე მ ო ნ ჯ ა ვ ა დ., გლეხთა აჯანყება სამეგრელოში. 1856–57, თბ., 1957.

თოდუა მაგალი არეს ძე (19. I. 1927, სოფ. სალხინო, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 3. V. 2016, თბილისი), აღმოსავლეთმცოდნე, მთარგმნელი. შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი (2013). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1971). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1949). 1950–61 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ში. 1961-იდან სამეცნ. მუშაობას ეწეოდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში (1968-იდან – ამავე ინ-ტის სპარს. ფილოლოგიის განყ-ბის გამგე). 1991–95 იყო ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნ-ტის რექტორი, 1995–2008 – გელათის მეცნ. აკად. პრეზიდენტი, 2002–08 – ,,გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის'' დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი, 2008-იდან – ჟურნ. ,,ქართველოლოგიის'' დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი.

თ. იკვლევდა სპარს. ლიტრის ისტორიისა და ქართ.-სპარს. კულტ.-ისტ. ურთიერთობათა საკითხებს. იყო მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მონოგრაფიისა და თარგმანის ავტორი: ,,ვისრამიანი'' (ტექსტი, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი, 1964; თანაავტ. ა. გვახარია), «,,ქილილა და დამანას'' საბასეული ვერსია» (1967); ,,ქილილა და დამანა'', სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა და კომენტარები დაურთო მ. თოდუამ (1975); ,,Тбилисская коллекция персидских фирманов'' (ტ. II, 1989; ტ. I, 1995), «ფირდოუსი და მისი ,,შაჰ-ნამე''» (1995), ,,შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი'' (თარგმნილი ქართულიდან სპარს. ენაზე მოჰამედ-ქაზემ იუსეფ-ფურის მიერ. სტრიქონთარგმანი, გამოკვლევა და რედაქცია მ. თოდუასი, რაშთი, 2002), ,,Isa-Name. The Saviour and the Holy Virgin in persian poetry'' (2002) და სხვ.

თ-მ (ა. გვახარიასთან ერთად) ,,ვისრამიანის'' ქართ. და სპარს. ტექსტების შეჯერების საფუძველზე დაადგინა სპარს. ,,ვისრამიანის'' (,,ვის ო რამინ'') ლიტ. ტექსტი – გამოიცა თეირანში 1970. საქართვ. და უცხოეთის ხელნაწერთა საცავებსა და კერძო კოლექციებში მიაკვლია ირანში მოღვაწე ქართვ. პოეტების უცნობ ლექსებს.

თ-ს ნათარგმნი აქვს სპარს. ლიტ-რის კლასიკოსების ნაწარმოებები: ,,ნიზამი. რჩეული'' (1956); ,,რუდაქი. ლირიკა'' (1957); ნიზამი განჯელი, ,,ლეილი და მაჯნუნი'' (1986, 2003); ომარ ხაიამი, ,,55 რობაი'' (2001); ,,იესო ქრისტე სპარსულ პოეზიაში'' (2004); ჯალალ-ალ-დინ რუმი, ,,ფილოსოფიური ლირიკა'' (2007) და მრავალი სხვ.

თ-ს მიღებული აქვს პრემიები: ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია ,,საგურამო'' (2008), საქართველოს ეროვნული პრემია (2008), ,,მსოფლიოს საუკეთესო ირანისტი'' (დაჯილდოვა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა; 2008).

თხზ.: ქართულ-სპარსული ეტიუდები, [წგ.] 1–2, თბ., 1971–75.

თოდუა ნუგზარ შალვას ძე (დ. 1. V. 1964, სოფ. დიდი ჭყონი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1998). 1986 დაამთავრა თსუ-ის ვაჭრობის ეკონ. ფაკ-ტი. 1990-იდან მუშაობს თსუ-ში სხვადასხვა თანამდებობაზე; 2002-იდან ხელმძღვანელობს მარკეტინგის კათედრას. თ. არის ჟურნალების: ,,ეკონომიკა და ბიზნესის'', ,,ახალი ეკონომისტის'', ,,ბიზნესი და მენეჯმენტის'' სარედაქციო კოლეგიის წევრი, თსუ-ის სამეცნ. შრომების კრებულის ,,მარკეტინგის აქტუალური საკითხების'' სარედაქციო კოლეგიის თავ-რე, ასოციაცია ,,მარკეტინგული კვლევის ცენტრის'' დამფუძნებელი და თავ-რე (2001-იდან). ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა, მ. შ. ოთხი მონოგრაფიისა და ამდენივე სახელმძღვანელოსი. მისი სამეცნ. შრომები ეხება პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევის საკითხებს. მიღებული აქვს თსუ-ის ჯორჯ შულცის სახ. ახალგაზრდა მეცნიერთა პრემია (1997), თსუ-ის სამეცნ. პრემია სახელმძღვანელოსათვის ,,საქონლის ექსპერტიზა საერთაშორისო ვაჭრობაში'' (1999).



თ. თოდუა.

თხზ.: ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი განვითარების სტრატეგიები აჭარაში, თბ., 2006; საქართველოს ინტერნეტ ბაზრის მარკეტინგული კვლევა, თბ., 2008; საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა, თბ., 2012.

თოდუა პავლე ანდრიას ძე (დ. 10. VI. 1941, სოხუმი), ფიზიკოსი. ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1990). 1964 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი. 1964–69 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. კიბერნ. ინ-ტში (ამჟამად – სტუ-ის კიბერნ. ინ-ტი), 1969–72 – სსრკ მეცნ. აკად. პ. ლებედების სახ. ფიზ. ინ-ტში, ხოლო 1973-იდან – სსრკ სახსტანდარტის მეტროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. არის ღია სააქციო საზ-ბა ,,ზედაპირისა და ვაკუუმის შემსწავლელი სამეცნ.-კვლ. ცენტრის'' გენერალური დირექტორი, მოსკოვის ფიზ.-ტექ. ინ-ტის ფიზიკური და კვანტური ელექტრონიკის ფაკ-ტის დეკანი, ნანომეტროლოგიის კათედრის დამაარსებელი და გამგე, სამეცნ.-სასწავლო ცენტრის ,,ნანოტექნოლოგიები'' დამაარსებელი. თ-ს სამეცნ.-კვლ. მუშაობის მიმართულებაა სიგრძის ზემაღალი სიზუსტით გაზომვების თეორია და ტექნოლოგია. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და რამდენიმე პატენტის ავტორი. 2002 მიენიჭა ,,რუსეთის ფედერაციის საპატიო მეტროლოგის'' წოდება.



ფ. თოდუა.

თხზ.: Нанотехнологии, метрология, стандартизация и сертификация в терминах и определениях (თანაავტ. М. Ковальчук), М., 2009.

თოდუა უტუ, სამეგრელოს 1857 გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. სამართლიანობისათვის ხალხი ,,მართალიას'' უწოდებდა. იგი მეთაურობდა სალიპარტიანოს, მდ. ხობისწყლისა და მდ. ცხენის-წყლის მიდამოებში მოქმედ სახალხო ლაშქარს. აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1858, თ. შეიპყრეს და კოსტრომაში გადაასახლეს.

ლიტ.: ლემონჯავა დ., გლეხთა აჯანყება სამეგრელოში. 1856–1857, თბ., 1957.



თოვლის მემინდვრია.

თოდუა ფრიდონ იპოლიტეს ძე (9. I. 1944, ზუგდიდი, – 7. X. 2017, თბილისი), რადიოლოგი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2001) და პირველი ვიცე-პრეზიდენტი (2004–13), ამავე აკად. ფიზიოლ. და მედ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (2013), საქართვ. სამედიცინო აკად. ნამდვ. წევრი (1995). მედ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1987). სსრკ სახელმწ. (1988) და საქართვ. სახელმწ. (1996) პრემიების ლაურეატი. საქართვ. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (2008–12).

1968 დაამთავრა თსსი, 1968–91 მუშაობდა ქ. მოსკოვში, ა. ვ. ვიშნევსკის სახ. ქირურგ. ინ-ტში, სადაც გაიარა გზა რიგითი მეცნიერი თანამშრომლიდან კომპიუტერული ტომოგრაფიის განყ-ბის (სსრკ-ში პირველად მის მიერ შექმნილი) ხელმძღვანელამდე.

1990 დააარსა და ხელმძღვანელობდა *კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.* 1998–2017 იყო საქართვ. ჯანმრთელობის სამინისტროს რეზიდენტურის სასწ. პროგრამის დირექტორი. 1999-იდან ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის დიაგნოსტიკური მედ. დეპარტამენტს.

თ. იყო ა. ა. ვიშნევსკის (1979), ა. ვ. ვიშნევსკის (1986) და ა. ჩაჩავას (1994) პრემიების ლაურეატი.

მიღებული აქვს ევრ. ღირსების ორდენი ერთიან ევრ. მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის (1999), დაჯილდოებულია პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენით (2010), მალტის ორდენით (1999), ბელგიის სამეფო კარის შევალიეს წოდებით (1999); ანდრია პირველწოდებულის ორდენით (2000) და ა. შვაიცერის ორდენით ,,ჰუმანიზმისა და ხალხის სამსახურისთვის'' (2003); მიღებული აქვს ზაზა ფანასკერტელის ოქროს მედალი (2003) და მისივე სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის ,,ცერებროვასკულურ პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა'' (2008), საფრანგეთის მთავრობის ჯილდო – მადლიერების ჯვარი (2004), აკად. გ. მუხაძის მედალი (1993) და პრემია (2010), ივ. ჯავახიშვილის ოქროს მედალი (2004). იყო ევრ. მეცნ. და ხელოვნების აკად. წევრი (2010). 2010 აირჩიეს გრაცის (ავსტრია) სამედ. უნ-ტის საპატიო დოქტორად, 2012 – რუსეთის სამედ.-ტექ. მეცნ. აკად. წევრად, ბაქოს სახელმწ. უნ-ტის საპატიო დოქტორად.

თ. იყო სხვადასხვა ასოციაციის, საზ-ბის, ფედერაციის საბჭოს წევრი, საქართვ. რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი (1995), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. ქართული ენციკლოპედიის მთ. სამეცნ. საბჭოს წევრი და სხვ.

თ. იყო მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 14 მონოგრაფიის, ავტორი. მიღებული აქვს 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა გამოგონებაზე.

დაჯილდოებულია ,,ღირსების ორდენით'' (1996, 2006), ვახტანგ გორგასლის ორდენით (2009), წმ. გიორგის ოქროს ორდენით (2014). არის თბილ. საპატიო მოქალაქე (1998).

თხზ.: თავის ტვინის დაავადებათა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, თბ., 2001; ხერხემლისა და ზურგის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, თბ., 2001; საფლაპავი მილის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ენდოსკოპიის ატლასი, თბ., 2001; თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიის ატლასი, თბ., 2006; კლინიკური ნეირორადიოლოგია, თბ., 2013; ექსტრაკრანიალური სისხლძარღვების პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა, თბ., 2014; პორტული ჰიპერტენზიის გართულებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, თბ., 2015. *ს. ბაქრაძე.*

„თოვლიანი უფსკრული", კარსტული უფსკრული დასავლეთ საქართველოში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), ბზიფის ქედზე, ულელტეხილ ძინის მიდამოებში. შედის *ილუზია-თოვლიან-მეჟენის მღვიმურ სისტემაში.* სიმაღლე ზ. დ. 1960 *მ.* გამომუშავებულია ზედაიურული და ქვედაცარცული ასაკის სქელშრეებიან, ძლიერ დამსხვრეულ და დანაპრალებულ კირქვებში. ,,თ. უ.'' ითვლება ერთ-ერთ ღრმა კარსტულ სიღრუედ. ერთმანეთს ცვლიან ღრმა შახტები და დამრეცფსკერიანი ვიწრო დერეფნები. ერთ-ერთი შახტის სიღრმეა 160 *მ.* უფსკრულში თოვლი, ყინულის ნატეხები, ნაირგვარი სტალაქტიტ-სტალაგმიტები და ტრავერტინებია. ჩასასვლელიდან 350 *მ* სიღრმეზე ჩნდება ნაკადი, რ-ის დებიტი უფსკრულის ბოლოში 0,5 $მ^3/წმ$, ხოლო ტემპ-რა 2°C აღწევს.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

თოვლის მემინდვრია (Chionomys nivalis), ძუძუმწოვარი ცხოველი მღრღნელების რიგისა. გავრცელებულია დას. ევროპაში, მცირე აზიაში, სირიაში, პალესტინაში, თურქეთში, ირანში, რუსეთში. ბინადრობს მთის მდელოებზე, ქვანაყარ და კლდოვან სტაციებში. ვრცელდება ტყიდან სუბნივალურ ზონამდე. არსებობს რამდენიმე ქვესახეობა. საქართველოში გვხვდება თრიალეთური თ. მ. (Chionomys nivalis trialeticus) ბორჯომის ხეობაში, ბაკურიანში, ჯავახეთში. სამეურნეო მნიშვნელობა არ აქვს.

ლიტ.: ენუქიძე გ., ცხრაწყაროს ალპური ზონის ბიოცენოზის ზოგიერთი ხერხემლიანი ცხოველი, «საქართველოს მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინ-ტის შრომე-

ბი», ტ. 8, თბ., 1948; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. 3, თბ., 1963. *გ. ენუქიძე.*

„თოვლის ჯიქი“, საპატიო წოდება ალპინიზმში სსრკ-ში (1992-იდან ანიჭებს რუს. ალპინიზმის ფედერაცია). ენიჭებოდათ მთამსვლელებს, რ-ებიც სსრკ-ის ყველა შვიდიათასმეტრიან სიმაღლის მწვერვალებზე ადიოდნენ. ესენია: კომუნიზმის პიკი (ისმაილ სამანი), გამარჯვების პიკი, ლენინის პიკი (იბნ სინა), კორჟენევსკაიას პიკი; 1985-იდან გამარჯვების პიკის მაგივრად დაემატა ხან-თენგრის პიკი; 1989-იდან დაემატა მეხუთე მწვერვალი – ისევ გამარჯვების პიკი. ქართვ. სპორტსმენებიდან თ. ჯ-ის წოდება მოიპოვეს ლ. ალიბეგაშვილმა (1973), პ. ჩოჩიამ (1985), რ. *გიუტაშვილმა* (1989), თ. ბაქანიძემ (1989), გ. გიგაურმა (1989), ა. გიგანმა (1989), ა. დოლიძემ (1989), თ. შარაშენიძემ (1993), ბ. *გუჯაბიძემ* (1997), ლ. სარქისოვმა (1997).

თოთანი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ეგრისის ქედის დას. დაბოლოებაზე, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 470 *მ*, მესტიიდან 83 *კმ*, ქ. ჯვარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 26 *კმ*. 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

თოთაძე აზზორ ბაგრატის ძე (დ. 20. IX. 1939, ზესტაფონი), ეკონომისტი, დემოგრაფი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2002). 1963 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკტი. 1977–90 მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 1991–2006 იყო საქართვ. მეცნ. აკად. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინ-ტის განყ-ბის გამგე. 1998–2005 – საქართვ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტროს დემოგრ. დეპარტამენტის თავ-რე. 1968–2005 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში. არის სამეცნ. ჟურნალების ,,დემოგრაფიის'' (1999-იდან) და კავკ. საერთაშ. უნ-ტის ,,მაცნეს'' (2012-იდან) მთ. რედაქტორი, საქართვ. დემოგრ. აღორძინების ფონდის დაარსების (2013) ერთ-ერთი ინიციატორი.

თ-ის სამეცნ. შრომები ეძღვნება საქართვ. ეკონომიკის, სოციოლოგიის, საქართვ. და კავკ. დემოგრაფიის საკითხებს. მის სახელს უკავშირდება საქართველოში ისტ. დემოგრაფიისა და დემოგრ. პუბლიცისტიკის განვითარება. თ-ის ზოგიერთი ნაშრომი გამოცემულია უცხოეთში – რუსეთში, აშშ-სა და აზერბაიჯანში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999) და დავით აღმაშენებლის სახ. პრემიით (ორგზის – 2010, 2011).

თხზ.: საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1994; საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე, თბ., 1999; ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ., 2006 (ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე); საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, თბ., 2009; მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს, თბ., 2013; The population of the Caucasus, N.Y., 2009 (თანაავტ. ვ. ლორთქიფანიძე).

თოთელეში, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ლახამულის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი). ზ. დ. 1400 *მ*. 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

თოთი, კლდოვანი მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონზე, სიმაღლე 3954 *მ*. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. მისასვლელი გზა ტვიბერისა და ლეხზირის მყინვარებიდან (მდ. მულხრის აუზი). თ-ზე პირველად ავიდნენ 1933 მთამსვლელები: ალექსანდრე *ჯაფარიძე* (ხელმძღვანელი), ალექსანდრა *ჯაფარიძე*, ი. *მარი*, ბ. გინცენბერგი და სხვ.

მ. უთმელიძე.

თოთი, კარულ-ხეობური მყინვარი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) აუზში. მარჯვნიდან, 2670 *მ* სიმაღლეზე, უერთდება მყინვარ ტვიბერს. თ-ის სიგრძეა 2,6 *კმ*, ფართ. 2 *კმ*^{2}. ფირნის ხაზი ზ. დ. 3180 *მ*-ზეა. *რ. შენგელია.*

თოთი, უელტეხილი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) აუზში. სიმაღლე 3500 *მ*. დაფარულია თოვლ-ყინულით. მყინვარ ტვიბერის აუზს აკავშირებს ლეხზირის ხეობასთან.

მ. უთმელიძე.

თოთი, სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სიონის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. თერგის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 2120 *მ*, სტეფანწმინდიდან 8 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

თ-ის მთა-ბარი არაგვის ერისთავის მოურავის შიოლა ლუდუშაურის საკუთრებას წარმოადგენდა. მან XVII ს. I მეოთხედში აქ დაასახლა ოსები. ლუდუშაურების პრივილეგიური მდგომარეობის დაქვეითების შემდეგ თ. გადასულა ყაზბეგების ხელში.

1865 თ. შედიოდა მთიანი ოლქის სიონის სასოფლო თემში, სადაც ცხოვრობდა 6 კომლი.

ლიტ.: ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971; Документы по истории Грузии, т. 1, Тб., 1954.

ჯ. გვასალია.

თოთიაურნი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ბაკურხევის (გუდამაყრის არაგვის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1580 *მ*, დუშეთიდან 61 *კმ*. 16 მცხ. (2014).



ა. თოთაძე.

თოთიბაძე გიორგი (გოგი) კონსტანტინეს ძე (29. X. 1928, თბილისი, – 8. IV. 2010, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1983). სსრკ სამხატვრო აკად. წ.-კორ. (1975). საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის წ.-კორ. (1996-იდან). აფხაზეთის ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1976). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1953), მისი პედაგოგები იყვნენ: კ. სანაძე, მ. თოიძე, ი. გაბაშვილი, უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე. იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1970-იდან – პროფესორი, 1972–82 – რექტორი). 1982–90 იყო სსრკ სამხატვრო აკად. ფერწერისა და გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოების ხელმძღვანელი. თ. ჟანრული ფერწერის წარმომადგენელია. მუშაობდა ძირითადად პორტრეტისა და გრაფიკის დარგში. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1954-იდან. თ-ის



გ. თოთიბაძე.



გ. თ ო თ ი ბ ა ძ ე. „ზაქარია ფალიაშვილი“. 1973.



გ. თოთიბაძე. „ოთარ ჭილაძე“. 1959.

პერსონალური გამოფენა მოეწყო თბილისში 1981. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია თანამედროვეობისადმი მძაფრი ინტერესი, ზუსტი, რეალისტური ნახატი, თავდაჭერილი კოლორიტი. პორტრეტები გამოირჩევა შესრულების დახვეწილი, ფაქიზი მანერით. მრავალფიგურიან კომპოზიციებში ზუსტადაა გადმოცემული თანამედროვეობა. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ,,ახალ სამგორის მიწაზე“ (1953, თბილ. სამხატვრო აკად. მუზეუმი), ,,ჩაის პლანტაციის გმირები“ (1961), ,,სტუდენტები“ (1962 – ორივე დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა), ,,კახელი მევენახეები“ (1967, იქვე), ,,თამადა“ (1967, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), ,,მრავალჟამიერი“ (1986) და სხვ. პორტრეტები: ნ. ამირეჯიბი (1959, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა), მ. ქავთარაძე (1956), ზ. ფალიაშვილი (1961, ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი, თბილისი), ნ. მუსხელიშვილი (1962, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა) და სხვ. მუშაობდა აგრეთვე წიგნის გრაფიკის დარგში.

თ. გერსამია.

თოთხამი, მთა *გვირგვინას ქედზე.* იხ. *აბუხალო.*

თოთხამი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის არაგვის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ახალქალაქის პლატოზე. ზ. დ. 1660 *მ,* ახალქალაქიდან 7 *კმ.* 167 მცხ. (2014).



ა. თოიძე.

თოთხამის ციხე, მდებარეობდა გუჯარეთის ხეობაში. ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს თავის წიგნში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: ,,არს გუჯარეთის ჩრდილოეთ, მაღალ მთის თხემსა ზედა, ციხე ტოთხამი, მჭვრეტელი ქართლ-იმერეთისა“. ციხის სახელი ,,ტოთხამი“ დაკარგულია და ვახუშტის ნაშრომის გარდა არც ერთ წყაროში აღარ იხსენიება. ადგილობრივები ახლა მას ,,ბარძუნჯვარს“, ე. ი. მაღალ ჯვარს, უწოდებენ.

ხეობის ზედა დასახლებული პუნქტების – გუჯარეთისა და წითელსოფლის – ჩრდ-ით, ძამისა და ტანის ხეობებში მიმავალ გზაჯვარედინზე, 2300 *მ* სიმაღლის მთის თხემზე აღმართულ მ. ც-ს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ეკავა. მისი აგებით ხეობის ზემო წელის ციხისუფალი აკონტროლებდა ქართლის პროვინციებიდან ჯავახეთ-თრიალეთის საძოვრებისაკენ მიმავალ გზას.

დღეს მხოლოდ მ. ც-ის გალავნის უმნიშვნელო ნაშთია შემორჩენილი. მ. ც-ს, ჩანს, ადრევე დაუკარგავს ფუნქცია, კერძოდ, XIII ს-ში, როდესაც თორელებმა ძამის ხეობა იგდეს ხელთ და მის ციხესაც დაეპატრონნენ. მ. ც. მხოლოდ გზის ჩამკეტი სეზონური ციხე არ ყოფილა, მის საციხისთავო ერთეულში უნდა ყოფილიყო ახლომდებარე, ამჟამად უსახელო ნასოფლარები, აგრეთვე სოფლები გუჯარეთი და წითელსოფელი.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., გიორგაძე მ., ჩაჩხუნაშვილი ც., ჭანიშვილი გ., გუჯარეთი, თბ., 1987.

ზ. ცინცაძე.

თოთხმეტი აპრილი 1978, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ეტაპი, მშობლიური ენის დასაცავად ქართველი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი. 1978 დასაწყისიდან საქართველოში სსრკ-ის ახ. კონსტიტუციის პროექტი განიხილებოდა. მოქმედი (1936 წლის) კონსტიტუციით ქართ. ენას, რესპუბლიკების უმრავლესობისაგან განსხვავებით, საგანგებო მუხლით სახელმწიფოებრივი სტატუსი ჰქონდა მინიჭებული – აღიარებული იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწ. ენად. საბჭ. კავშირის მესვეურთა გადაწყვეტილებით, ახ. კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, ქართ. ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი უნდა გაუქმებულიყო. ახ. კონსტიტუცია უნდა მიეღო 1978 წ. 14 აპრილს მოწვეულ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას.

კრემლის ამ მიზნის განხორციელებას ქართვ. ხალხი წინ აღუდგა. მოძრაობას თსუ-ის სტუდენტები ჩაუდგნენ სათავეში. 12 აპრილიდან თბილისში გრანდიოზული დემონსტრაციები დაიწყო. მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე და რუსთაველის გამზირზე სტუდენტებმა „მჯდომარე გაფიცვა“ გამოაცხადეს. მანიფესტანტები მოითხოვდნენ ახ. კონსტიტუციაში ქართ. ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის ძალაში დატოვებას. ისინი მზად იყვნენ სისხლით დაეცვათ მშობლიური ენის უფლება. დემონსტრაციის დასაშლელად მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე საბჭ. შინაგანი ჯარის რაზმები იდგნენ. დემონსტრანტების წინაშე გამოვიდა საქართვ. კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ე. *შევარდნაძე* და ხალხს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება აღუთქვა. ამის შემდეგ კრემლი დათმობაზე წავიდა. 14 აპრილს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ ქართ. ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი უცვლელად დატოვა. ამრიგად, დემონსტრანტთა მოთხოვნები შესრულდა და მალე, ყოველგვარი ექსცესის გარეშე, მანიფესტაცია შეწყდა. ამ დღის აღსანიშნავად 14 აპრილს დაწესდა ქართ. ენის დღე.

გ. ნარსია.

თოთირა-თეფე I, აღრინდელი სამიწათმოქმედო ხანის (ძვ. წ. V. ათასწლ.) ნასოფლარი ყაზახის რაიონში (აზერბაიჯანი). დაზვერვითი გათხრების შედეგად (ი. ნარიმანოვი, ჯ. რუსტამოვი) გორანამოსახლარზე (სიმაღლე 6 *მ,* დიამ. 100 *მ*) დადასტურებულია წრიული გეგმის ალიზის ნაგებობანი. ნაპოვნია უხეში, ხელით ნაძერწი კერამიკა – წრიული და ნუშისგულისებური კოპებით შემკული ბრტყელძირიანი და ქუსლიანი ქილები და მათი ფრაგმენტები, ობსიდიანის დანისებური ფირფიტები (ლამელები) და მათზე ნაკეთები იარაღი, კაჟის ნამგლის ჩასართები, გახეხილ-გაპრიალებული ცულები, ხელსაფქვავები, როდინი და სხვ., მსხვილფეხა საქონლის ძვლებისა და ირმის რქისაგან ნაკეთები თოხები, წვრილფეხა საქონლის ძვლებისაგან დამზადებული სადგისები, საპრიალებლები და სხვ.

თ.-თ. I ახლოს დგას ქვემო ქართლის ნამოსახლარებთან და შულავერ-შომუთეფეს კულტ. განვითარებულ საფეხურს განეკუთვნება.

ბორცვის ზედა ფენებში მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის თხელი ფენა და შესაბამისი არქეოლ. მასალა.

ლიტ.: Рустамов Д. Н., Разведочные раскопки в Тойретепе, წგ.: Материальная культура Азербайджана, т. 6, Баку, 1965 (აზერბ. ენაზე, რუს. რეზიუმეთი).

თ. კიღურაძე.

თოჩაძე ალექსანდრა (შურა) მოსეს ასული (15. III. 1907, თბილისი, – 11. VI. 1985, იქვე), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1950). მხატვარ მ. *თოიძის* ქალიშვილი. სწავლობდა თბილ. მ. პერინის საბალეტო და კინომსახიობთა სტუდიებში. 1937–64 თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე შეასრულა 50-ზე მეტი როლი, მ. შ. აღსანიშნავია: დეზდემონა და კორდელია (უ. შექსპირის ,,ოტელო“ და ,,მეფე ლირი“), ეკატერინე ჭავჭავაძე (მ. მრევლიშვილის ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი“), გაიანე (ა. სუმბათა-



ა. თ ო ი ძ ე – დეზდემონა, ა. ხ ო რ ა ვ ა – ოტელო. უ. შექსპირის „ოტელო“. 1937.


შვილის ,,ღალატი‘‘), ფაიხოში (დ. ერისთავის ,,სამშობლო‘‘), ვარვარა კარპოვნა (კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია‘‘), კნეინა ჩიტუნია (შ. დადიანის ,,გუშინდელნი‘‘), ირინა გოდუნოვა (ვ. სოლოვიოვის ,,დიდი ხელმწიფე‘‘), მარიანა სანჩესი (გ. მდივნის ,,ალკაზარი‘‘), როქსანა (ე. როსტანის ,,სირანო დე ბერჟერაკი‘‘) და სხვ.

1925-იდან იღებენ კინოში, როლები: ძინა ძაძუ (,,ძინა ძაძუ‘‘, 1926), ირინა (,,ქალაქში შესვლა აკრძალულია‘‘, 1928), მარო (,,უკანასკნელი საათი‘‘, 1929), კატო (,,გაყრა‘‘, 1930), ჟუჟუნა (,,ჟუჟუნას მზითევი‘‘ 1934), ნინო ჭავჭავაძე (,,მოგზაურობა არზრუმში‘‘, 1936, ,,ლენფილმი‘‘). გადაღებულია კინოფილმებში „ქეთო და კოტე“ (1948) და სხვ. თეატრსა და კინოში თ. მხატვრული ოსტატობით ასრულებდა როგორც ლირ.-დრამ., ისე ჟანრულ-სახასიათო როლებს. 1971-იდან გარდაცვალებამდე იყო მ. თოიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

თოიძე ბადრი ამირანის ძე (24. X. 1941, სოფ. მაკვანეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 18. III. 2016, თბილისი), მომღერალი (ბანი), საქართვ. სახ. არტისტი (1990), ზ. ფალიაშვილის სახ. (1980) და საქართვ. სახელმწ. (2002) პრემიების ლაურეატი.

1967 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (ვ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით). 1962–74 მღეროდა ანსამბლ ,,*გორდელაში*‘‘ (იყო მისი ერთ-ერთი დამაარსებელი). 1975-იდან იყო ანსამბლ ,,*რუსთავის*‘‘ (ხელმძღვ. ა. ერქომაიშვილი), სოლისტ-მომღერალი და ლოტბარი, 2000-იდან სიცოცხლის ბოლომდე კი – დირექტორი. მისი მონაწილეობით ანსამბლმა 500-ზე მეტი სიმღერის ფონოჩანაწერი გააკეთა. თ-მ გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. 1993-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტში. არის ხელოვნების დოქტორი (2012), პროფესორი (2013).


თოიძე გრიგოლ (გივი) ვახტანგის ძე (დ. 18. XII. 1932, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1988), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1981), თბილ. საპატიო მოქალაქე (1999). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1960; პედაგოგი – კ. სანაძე), იქვე ეწევა პედ. მოღვაწეობას, 1995-იდან – პროფესორი. თ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფერწერულობა, ზუსტი ნახატი, თემის აქტუალურობა, მოქალაქეობრივი პათოსი, მაღალი პროფესიონალიზმი. გატაცებით ქმნის ძვ. თბილ. პეიზაჟებს. ძირითადი ნამუშევრებია: ,,შემოდგომა‘‘ (1966),



გ. თ ო ი ძ ე. „ახალი ცხოვრების დილა“. 1967.

,,ახალი ცხოვრების დილა‘‘ (1967, ორივე კერძო საკუთრება), ,,ზამთარი‘‘ (1969, აღმ. ხალხთა ხელოვნ. მუზეუმი, მოსკოვი), ,,საყვარელი ქუჩა‘‘ (1974), ,,იდგნენ და ელოდნენ‘‘, ,,ქართული მიწის მადლი‘‘, ,,ენგურჰესი‘‘ (სამივე 1975, ყველა კერძო საკუთრება), ,,დღესასწაული ხევსურეთში‘‘ (1978, პანო, რუსთაველის სახელმწ. პრემია, ლიტერატორთა შემოქმედებითი სახლი, ბიჭვინთა), ,,ჩემს მეხსიერებაში‘‘ (1987), ,,სიზმარი‘‘ (1995), ,,ძველი თბილისი‘‘ (1996, კერძო საკუთრება) და სხვ. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1959-იდან, მ. შ. საზღვარგარეთის ქვეყნებშიც (რუსეთი, იტალია, საბერძნეთი, იაპონია, ინგლისი). პერსონალური გამოფენა ჰქონდა ქ. ნიქოზიაში (1987, კვიპროსი). მხატვრის ნამუშევრები ინახება საქართვ., რუს., იტალ., გერმ. ქალაქების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

თოიძე ირაკლი მოსეს ძე [14(27). III.1902, თბილისი, – 13.IV. 1985, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში], ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1980). საქართველოსა (1970) და რუსეთის (1951) ხელოვნ. დამს. მოღვაწე, თბილ. საპატიო მოქალაქე (1982). მ. *თოიძის* ვაჟი. ხატვა დაიწყო 10 წლისამ. 12 წლის იყო, როდესაც გამოფინა თავისი ნახატები, ხოლო 17 წლის თ. ,,ქართველ მხატვართა საზოგადოებაში‘‘ მიიღეს. მისი პირველი მასწავლებელი მამამისი იყო. 1930 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა მ. თოიძის მიერ დაარსებულ სამხატვრო სტუდიასა და თბილ. სამხატვრო აკადემიაში. იყო ქართვ. მხატვართა ახალგაზრდა თაობის აქტ. წარმომადგენელი. თანამშრომლობდა გაზეთების რედაქციებთან: ,,ზარია ვოსტოკა‘‘, ,,რაბოჩაია პრავდა‘‘, იყო ,,რევოლუციის მხატვართა ასოციაციის‘‘ (,,АХР-ის‘‘) საქართვ. ფილიალის, შემდეგ კი ,,*სარმის*‘‘ თავ-რე. 1931-იდან ცხოვრობდა მოსკოვში. თ-ის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია თემატიკის აქტუალურობა. ასრულებდა ჩანახატებს ნატურიდან, ქმნიდა ყოფით სურათებს (,,რევოლუცია‘‘, 1923, ,,კარნავალი‘‘ 1928; ,,სტალინი რიონჰესზე‘‘, 1936); ბევრსა და საინტერესოდ მუშაობდა ილუსტრაციის დარგში. დაასურათა ,,ვეფხისტყაოსანი‘‘ (1937), ,,საქართველოს ისტორია‘‘ (1950), შექმნა ქართვ. კულტ.




ბ. თოიძე.



გ. თოიძე.



ი. თოიძე.



ი. თოიძე. „დის პორტრეტი“.

მოღვაწეთა პორტრეტების სერია. თ. ქართ. პლაკატის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი პლაკატები გამოირჩევა თემატიკის აქტუალურობით. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა პლაკატმა „დედასამშობლო გვეძახის“ (1941). იყო სტალინური პრემიის ოთხგზის ლაურეატი (1941, 1948, 1949, 1951). თ-ის ნამუშევრების დიდი კოლექცია თავმოყრილია მამის – მ. თოიძის სახლ-მუზეუმში (მ. ლაღიძის ქ. №1).



მ. თოიძე.

თოიძე ლევან მალხაზის ძე (20. VII. 1929, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 17. X. 1996, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1979), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე. 1951 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი, 1952–55 იყო ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი, 1956–61 – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის, 1961–90 – საქართვ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1996-იდან გარდაცვალებამდე – საქართვ. პარლამენტის საინფორმაციო-კვლევითი და საბიბლიოთეკო ცენტრის ექსპერტთა წევრი. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, საქართვ. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში. 1972-იდან მუშაობდა ქსე-ის ისტ. რედაქციაში და მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პირველი ქართ. ენციკლოპედიის მომზადებაში. თ. მეცნ. ახ. დარგის – კონფლიქტოლოგიის – ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში. იყო საისტ. საზ-ბის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, ი. ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა დამდგენი კომისიის მდივანი, საკონსტიტუციო კომისიის წევრი, მთელი რიგი სამთავრობო და საზ. სტრუქტურების ექსპერტ-კონსულტანტი.



მ. თ ო ი ძ ე. „ზამთარი დღე“. 1912.

თხზ.: ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991; როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991; ავტონომიების ჩამოყალიბება საქართველოში, ჟურნ. «Georgica», 1992, №15, 1993, №16; საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921–1923 წლები), თბ., 1999; Исторические и политико-правовые аспекты грузино-осетинского конфликта, Тб., 1994 (თანაავტ.); Образование осетинской автономии в Грузии. Осетинский вопрос, Тб., 1994; Исторические и политико-правовые аспекты грузино-осетинского конфликта, Тб., 1995 (თანაავტ.); К вопросу о политическом статусе Абхазии, Тб., 1996.

დ. სტურუა.

თოიძე მოსე ივანეს ძე (21. I. 2(II). 1871, თბილისი, – 17. VI. 1953, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი, სსრკ-ის სახ. მხატვარი (1953). სსრკ-ის სამხ. აკად. ნამდვ. წევრი (1947), შრომის გმირი (1932). თანამედროვე ქართ. ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი. რევ. მხატვართა ასოციაციის („რევმასი“) საქართვ. ფილიალის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. მისივე ძალისხმევით 1922 თბილისში დაარსდა სამხატვრო სტუდია, რაც 1930-მდე ხელმძღვანელობდა. შემდეგ პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1930-იდან – პროფესორი).

თ. სწავლობდა თბილ. სახელოსნო სასწავლებელში, იქვე მუშაობდა ზეინკალ-მასწავლებლადაც. 1896-იდან მეცადინეობდა პეტერბურგში დიმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოში, შემდეგ ი. რეპინის რეკომენდაციით ჩაირიცხა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად. აქედან გადავიდა ი. რეპინის სახელოსნოში. სადიპლომო თემად წარადგინა დიდი ფერწერული ტილო „მცხეთობა“ („ხატობა“, 1898, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი), რ-იც 1901 მოწყობილ სას.-სამ. გამოფენაზე ჟიურიმ ოქროს მედლით დააჯილდოვა. 1903 მონაწილეობდა „პერედვიჟნიკების“ 31-ე საგაზაფხულო გამოფენაში („მრეცხავი“, 1902), 1904 – „კავკასიის მხატვართა საზოგადოების“ გამოფენაში („ხელოსნის პორტრეტი“, 1901; „ებრაელის პორტრეტი“, 1903; ყველა – საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი). მუშაობდა სახვითი ხელოვნ. თითქმის ყველა დარგში, განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საყოფაცხოვრებო და ისტ.-რევ. ჟანრებს; ამას გარდა, ნაყოფიერად მოღვაწეობდა პეიზაჟის, ნატიურმორტის, პორტრეტის ჟანრში. მისი სურათებისათვის დამახასიათებელია ეპოქის მოწინავე იდეების რევოლუციურად აღქმა, დინამ. კომპოზიცია, ფერწერულობა. 1918 მხატვარმა შექმნა ტილო „რევოლუცია“ (დაკარგულია). სხვა ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: „მრისხანე ბატონი“ (საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი), „1905 წლის აჯანყება თბილისში“, „26 კომუნარის დახვრეტა“ (1928, დაკარგულია), „სამოვრის მელოდია“ (1928, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი). თ. გამოჩენილი კოლორისტია. მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი თემაა ძვ. თბილისის ყოფა



მ. თ ო ი ძ ე. „ძველი თბილისის უბანი“. 1916.

და ხედები (,,ბაზაზხანა'', 1914; ,,მეთევზის დუქანი'', 1919; ,,სამჭედლო'', 1920; ,,მზიანი დღე'', 1912; ,,ძველი თბილისის აშუღი'', 1940). პოეტური და რომანტ. განწყობილების მატარებელია სურათების ციკლი ,,თბილისის მთვარიანი ღამეები''. თ. ნაყოფიერად მოღვაწეობდა როგორც ილუსტრატორი. საყურადღებოა მხატვრის მიერ შექმნილი პორტრეტები: ,,სტახანოველ კიკნაძის პორტრეტი'' (1928), ი. გრიშაშვილის პორტრეტი (1939, ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმი), მ. ჭიაურელის პორტრეტი (საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი) და სხვ. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: ,,კვალი'', ,,ცნობის ფურცელი'', ,,ჯეჯილი'', ,,ნაკადული'', ,,ფასკუნჯი''. მასვე ეკუთვნის ე. ნინოშვილის ორტომეულის ილუსტრაციები. იყო პატარა ზომის, აკვარელით შესრულებული სურათების ავტორი, თ-ის პერსონალური გამოფენა მოეწყო თბილისში (1972, 1979). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971; დუდუჩავა მ., სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა, ესთეტიკა, წგ. 1, თბ., 1973; თოიძე ა., მოსე თოიძე, თბ., 1972; ფირალიშვილი ო., მოსე თოიძე, თბ., 1953; Беридзе В., Езерская Н., Искусство советской Грузии, М., 1975. *ი. უზნაძე.*

მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმისა), გაიხსნა 1972 წ. 18 იანვარს მხატვრის დაბადებიდან მე-100 წლისთავზე თავისსავე ბინაში. ფონდში 214 სურათია, რთაგან ექსპონირებულია 146, მ. შ. თბილ. თემაზე: ,,ძველი თბილისის აშუღი'', ,,თბილისის სახურავები'' და სხვ. სახლ-მუზეუმში ინახება მ. თოიძის შვილის, ირაკლი თოიძის 40 სურათი და მისი ცნობილი პლაკატი II მსოფლიო ომის თემაზე – ,,დედასამშობლო გვეძახის''. წარმოდგენილია აგრეთვე სხვა მხატვრების: ქ. მაღალაშვილის, კ. სანაძის, ე. ბაღდავაძის, გ. თოიძის, ბ. ფოგელის, ე. კრატკოვის, ე. კიბრიკის, მ. მუსაევის და სხვათა ნამუშევრები, ი. ნიკოლაძის და კ. მერაბიშვილის სკულპტურები. ექსპონირებულია 86 სპარს. მინიატიურა (XIV–XVI სს.) თ-ის პირადი კოლექციიდან. სახლ-მუზეუმში პერიოდულად ეწყობა სხვა მუზეუმებიდან წამოღებული თ-ის სურათების გამოფენა; მ. შ. ცნობილია: ,,შოთა რუსთაველი იერუსალიმში'', ა. თოიძის (მხატვრის ქალიშვილი) პორტრეტი ე. ჭავჭავაძის როლში. სახლ-მუზეუმში ტარდება თემატური ლექცია-საუბრები ხელოვნებათმცოდნეობისა და ცალკეულ მხატვართა შემოქმედების შესახებ, საქველმოქმედო თემატური საღამოები, შეხვედრები, უცხოელ და ახალგაზრდა ქართვ. მხატვართა გამოფენები.

ქველმოქმედების მიზნით 1990–91 სახლ-მუზეუმში პირველად ამოქმედდა ხელოვნებათმცოდნეობისა და ფსიქოთერაპიის საკვირაო სკოლა. სახლ-მუზეუმი აქტიურად მუშაობს ლტოლვილი ბავშვების ფსიქოთერაპიაზე არტ-თერაპიის მეშვეობით. 1994–95 სახლ-მუზეუმში ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ მოაწყო საერთაშ. შეხვედრები ლტოლვილთა ფსიქორეაბილიტაციის თემაზე. 1998 იანვრიდან სახლ-მუზეუმში ტარდება მეცადინეობა არტ-თერაპიაში. მუზეუმის დამაარსებელი და პირველი დირექტორი იყო ა. თოიძე (1972–85). *თ. ალიბეგაშვილი.*



მოსე თოიძის სახლ-მუზეუმის ინტერიერი.

თოიძე შალვა სამსონის ძე [28. V (10. VI). 1910, სოფ. გურიანთა, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 28. VIII. 1990, თბილისი], ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1952), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1931 დაამთავრა თსსი. 1941–45 მოქმედ არმიაში მუშაობდა სამედ. სანიტ. ბატალიონის წამყვან ქირურგად. 1954–1987 განაგებდა ოპერაციული ქირურგ. და ტოპოგრ. ანატ. კათედრას თსსიში. 1987-იდან კონსულტანტი იყო.

თ-მ შეისწავლა შინაგანი ორგანოების მსხვილი სისხლძარღვებისა და სპინალური ნერვების ანატ. ცვალებადობა, დაამუშავა ღვიძლზე, სუბდიაფრაგმულ სივრცესა და ბაღქონის აბგაზე ოპერაციული მიდგომის წესები. ს. ხეჩინაშვილთან და შ. ტყემალაძესთან ერთად შექმნა ხორხის ამოკვეთისას ხახის დეფექტის დახურვის ორიგინ. მეთოდი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

თხზ.: ტოპოგრაფიული ანატომია, გამოც. მე-2, თბ., 1968 (თანაავტ. ნ. დემეტრაძე); ოპერაციული ქირურგია, თბ., 1983; ტოპოგრაფიული ანატომია, თბ., 1990.

თოკი, სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტის ვარგავის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1640 *მ*, ასპინძიდან 28 *კმ*. 45 მცხ. (2014).

თ. ისტ. ჯავახეთის სოფელია. მისი სახელწოდება განაპირობა კანიონიდან ციცაბო აღმართზე მიმავალმა დაკლაკნილმა ბილიკმა. სამხრ. საქართველოში სიტყვა თოკი, ბაწარი, ბილიკების სახელებად გვხვდება.

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 სოფ. თ. ხერთვისის ლივაში, ტყიანი ჯავახეთის რაიონში შედიოდა. იქ 10 კომლი ქართვ. მოსახლე ცხოვრობდა: გოგინა თედორეს ძე, ივანე – ძმა მისი; ელია – ძე მისი; ქიტია გეგენასძე; რამაზა; პეტრე – ივანეს ძმა; ავგაროზის შვილიშვილი; გელენა – ძე მისი; გიორგი; ბადურა მასურას ძე. ისინი იხდიდნენ წლიურ გადასახადს 12000 ახჩის ოდენობით. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი; ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი, ჰქონდათ ბოსტნები და ერთი თვალი წისქვილი ექვსი თვით.

ამჟამად თ-ში 30 კომლი ცხოვრობს, მათი გვარებია: თამარაძე, ზარიძე, თედორაძე, ლეკიშვილი.

სოფელში დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, XIV ს. ერთნავიანი ეკლესია, რ-საც ჩრდ-იდან პატარა მინაშენი აქვს. ეკლესიის ეზოში მრავლადაა სტელები მათი ბაზისებით, აგრეთვე საფლავის ქვებად დადგმული ყოჩების და ცხვრების ქანდაკებები. ეკლესია ამჟამად რესტავრირებულია.

ეკლესიის სამხრ.-აღმ-ით არის ძვ. სასაფლაო, უფრო ქვევით – ნასახლართა ბუდეები და ოთხკუთხა კოშკი; მისი ზომებია: გარედან – 20 *მ* × 12 *მ*, შიგნიდან – 14 *მ* × 6 *მ*. ნაგებია რეგულარულად ნაწყობი თლილი ქვით და კირის ხსნარით, კედლის სისქე 3 *მ*-ია. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ ბეგს უცხოვრია, გვარად

აბაშიძეს. თ-ის სამხრ.-დას-ით, კანიონში დაშვებული ბაღების გაღმა, კლდეზე, წმ. გიორგის სამონასტრო კომპლექსია. კარგად ჩანს სამონასტრო ადგილის გასამაგრებლად ამოშენებული კედლები. გალავნის შიგნით სათავსების კვალია, რ-ებიც მონასტერს ეკვრის, აქვეა წყაროც. დღეს შემორჩენილი ნაგებობებიდან ყველაზე ძვ. უნდა იყოს დაყუდებული ბერის პატარა სამლოცველო, დას-ით გახსნილი თაღით. ამ პატარა ნაგებობას ნალისებრი თაღები აქვს. ერთნავიანი ეკლესიაა, როგორც ჩანს, შემდეგ არის აშენებული. მას მინაშენი აქვს ჩრდ-იდან. აღმ. და დას. სარკმლებს გარედან ამკობს წარბი ჯვრის გამოსახულებით. საკურთხეველში ორი მაღალი ნიში და სატრაპეზო ქვაა. ჩანს შელესილობისა და მოხატვის კვალი. ეკლესიის დას-ით ორი საცხოვრ. სათავსი ყოფილა ბერებისათვის. სამონასტრო კომპლექსი IX და XII სს-ით თარიღდება.



თოლია.

ლიტ.: ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941. *დ. ბერძენიშვილი.*

თოლენჯი, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის სიმონიანთხევის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ერწოს ქვაბულის ჩრდ. ნაწილში. ზ. დ. 1120 *მ,* თიანეთიდან 29 *კმ.* 208 მცხ. (2014).

შემორჩენილია მარიამწმინდის ეკლესიის, ლომისის, კვირიასა და ადგილისდედის ხატების ნანგრევები. ძვ. ნასახლარები განლაგებულია სოფლის ზემოთ, ქედის გაყოლებაზე.

ლიტ.: რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1978, №1; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ. 2], თბ., 2008. *ბ. ჯორბენაძე.*

თოლენჯის განძი, V–VI სს. სასანური ვერცხლის მონეტების (71 ც.) განძი. 1923 აღმოჩნდა სოფ. თოლენჯში (თიანეთის მუნიციპალიტეტი). შეიცავს ფეროზის (459–486; – 2 ც.), ვალარშის (484–488; – 1 ც.), ხოსრო I-ის (531–579; – 6 ც.) სახელით სპარსეთის სხვადასხვა ზარაფხანაში (სტაჰრი, აჰურამაზდ-არტაშირანი, ისპაანი, ნიშაბური, დინავარი, რეი, ამოლი, ბალხი, გუნდი-შაპური, არდაშირხვარე, ფირუზკერტი, ჯორჯანი, მერვი, გერათი, სუზი, არმენია) მოჭრილ დრაქმებს. თ. გ. ჩამარხული უნდა იყოს VI ს-ში. ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009.

თოლია (Larus Linnaeus), წყალმცურავ ფრინველთა გვარი, თოლიასებრთა ოჯახისა (Laridae Vigors), მეჭვავიასებრთა რიგი (Charadriiformes Huxley). ბინადრობს ზღვის ან შიდა წყალსატევების პირას. თ-ები საკმაოდ ერთგვაროვან ჯგუფს წარმოადგენენ, ახასიათებთ საკმაოდ მოზრდილი სხეული, გრძელი და მოხრილი ფრთები, საშუალო ზომის მასიური და ქვევითკენ ოდნავ მოხრილი ნისკარტი. თ-ების ზომა მერყეობს 25–81 *სმ* შორის, მასა 100 *გ*-იდან 2 და მეტ *კგ*-მდე. უმეტესობა შეფერილობით თეთრი ან ღია ნაცრისფერია, ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა კონფიგურაციის შავი ნახატით თავზე; მუცელი თეთრი, წვრილნისკარტა, მამრებს გამრავლების პერიოდში მოვარდისფრო ან ჩალისფერი დაჰკრავს. ახალგაზრდა ფრინველი ჭრელია – შავი, ყავისფერი, რუხი და თეთრი მოკლე ზოლებით. ამგვარი შეფერილობა მათ მტაცებლებისაგან იცავს. თ-ები წელიწადში ერთხელ მრავლდებიან. თუ პირველი კვერცხდება დაიღუპება, მდედრი კვერცხებს კვლავ დებს. ბუდის ადგილს მამრი ირჩევს და აშენებს კიდეც. ბუდეს იკეთებენ მარჩხობებში, კლდეებსა და ლერწმის ბარდებში, ზოგჯერ პირდაპირ მიწაზეც. კრუხობს და მართვეებს კვებავს ორივე მშობელი. თ-ების ძირითადი საკვებია თევზი, ასევე მოლუსკები, ჭიები, კანეკლიანები, მღრღნელები, ამფიბიები, მწერები, ზოგჯერ ლეში, კენკრა. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში თ-ების სახეობათა უმეტესობამ განიცადა სინანთროპიზაცია, ისინი ადამიანის ახლოს სახლდებიან და ნაგავსაყრელების ხშირი სტუმრები არიან. თ. დებს 1–4 მორუხო ჭრელ კვერცხს. 20–30 დღეში, უმეტეს შემთხვევაში კი 24–26 დღეში იჩეკებიან ბუმბულით დაფარული მართვეები. სხვადასხვა სახეობის თ-ები ფრენას 4–6 კვირაში იწყებენ. სქესმწიფობას მცირე ზომის თ-ები 2-3 წლის ასაკში აღწევენ, დიდი ზომისანი კი – 5 წლის ასაკში.

თ. მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, გვხვდება 60-მდე სახეობა, მათგან საქართველოში – 14 სახეობა, თუ ზოგიერთი მკვლევრის აზრს გავითვალისწინებთ და მეზღვიებსაც თ-ების ოჯახში გავაერთიანებთ, მაშინ თოლიასებრთა ოჯახი ჩვენში 17 სახეობამდე გაიზრდება.

საქართველოში გვხვდება: ვერცხლისფერი თ. (Larus argentatus Pontoppidan), სომხური თ. (Larus armenicus Buturlin), ოდუენის თ. (Larus audouinii Payraudeau), კასპიური თ. (Larus cachinnans Pallas), ხმელთაშუაზღვის თ. (Larus michahellis Naumann), ვეჟანი თ. (Larus canus Linnaeus), ფრთაშავი თ. (Larus fuscus Linnaeus), წვრილნისკარტა თ. (Larus genei Breme), მოხარხარე თ. (Larus ichthyaëtus Pallas), ზღვის დიდი თ. (Larus marinus Linnaeus), მასით 2 *კგ*-მდე აღწევს; შავთავა თ. (Larus melanocephalus Temminck), მცირე თ. (Larus minutus Pallas) მასით 100–150 *გ* არ აღემატება; ჩვეულებრივი თ. (Larus ridibundus Linnaeus), სამთითა თ. (Rissa tridactyla Linnaeus). მეზღვიები ამჟამად, მკვლევართა უმეტესობის აზრით, ცალკე ოჯახადაა გამოყოფილი, ესენია: გრძელკუდა მეზღვია (Stercorarius longicaudatus Vieillot), მოკლეკუდა მეზღვია (Stercorarius parasiticus Linnaeus), საშუალო მეზღვია (Stercorarius pomarinus Temminck). საქართველოში 4 სახეობის თ. მობუდარია, 10 ან 13 კი – მიმომფრენი. ჩვენში ბუდობს სომხური, ხმელთაშუა ზღვის, ვეჟანი და ჩვეულებრივი თ-ები.

ა. ბუხნიკაშვილი.

თოლოსი (ძვ. ბერძნ. thólos), ცრუ გუმბათით გადახურული წრიული გეგმის მქონე შენობა, ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული ტიპი. წინა აზიაში თ-ები შენდებოდა უკვე ენეოლითის ხანაში (არპაჩია, ჰალაფი და სხვ., ძვ. წ. VI–IV ათასწლ.). საქართველოში ალიზით ნაგები უძველესი ცრუგუმბათიანი შენობები აღმოჩენილია ადრინდ. მიწათმოქმედთა ნამოსახლარებზე (შულავერი, არუხლო, იმირის გორა და სხვ., ძვ. წ. VI–IV ათასწლ.). თ-ის სახელით უფრო ხშირად მოიხსენიება კრეტა-მიკენურ სამყაროში გავრცელებული ცრუგუმბათიანი მრგვალი აკლდამები. ადრინდ. მინოსური ხანის (ძვ. წ. III ათასწლ.) უძველესი თ-ები აღმოჩნდა კ. კრეტაზე, აგიატრიადასთან და ფესტოსის მახლობლად, ლებენაში. ზოგი თ. გამოიყენებოდა თითქმის 500 წლის განმავლობაში, ძვ. წ. XIX–XVIII სს-მდე. შუა მინოსური ხანის თ-ები აღმოჩნდა კნოსოსსა და ფესტოსში. კონტინენტურ საბერძნეთში თ.

პირველად გაჩნდა მიკენურ ხანაში (ძვ. წ. XIV–XIII სს-ში); ცნობილია მიკენის სასახლის გალავანს გარეთ გათხრილი გრანდიოზული თ. – ე. წ. ატრევსის საგანძური, რ-იც აქეური საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ხუროთმოძღვრული ძეგლია.

ანალოგიური კონსტრუქციის თლილი ქვით ნაგები თ-ები აღმოჩენილია საქართველოშიც, ბორჯომის ხეობაში.

ძვ. ბერძნები თ-ს უწოდებდნენ ეზოში ჩადგმულ გუმბათისებრ სათავსებს, რ-ებიც სამზადებად და სანოვაგის შესანახად გამოიყენებოდა. კლასიკური ხანის ათენში თ. ეწოდებოდა ბულევტერიონის მახლობლად არსებულ წრიულგეგმიან ნაგებობას, რ-შიც დღის განმავლობაში ისხდნენ პრიტანები (ათენის ხუთასთა საბჭოს მორიგე წევრები) და იქვე სადილობდნენ საზ-ბის ხარჯზე სხვა სახელმწ. მოხელეებთან და ცალკეულ დამსახურებულ მოქალაქეებთან ერთად.

ხუროთმოძღვრებაში თ. (ან ფოლოსი) ეწოდება აგრეთვე წრიული მოხაზულობის გეგმის მქონე შენობას, რ-იც აღმართულია საფეხურებიან პოდიუმზე და გარშემორტყმულია სვეტებით.

ი. გაგოშიძე.

თომა არწრუნი, X ს. სომეხი ისტორიკოსი, ცნობილ ნახარართა (დიდგვაროვან, მსხვილ ფეოდალთა) – არწრუნთა გვარის წარმომადგენელი. იგი სას. პირი იყო და, როგორც ვართაპეტს (მოძღვარს), საპატიო ადგილი ეკავა თავის წრეში. თ. ა-ის ძირითადი ნაშრომი ,,არწრუნთა სახლის ისტორია'', ავტორის წინასიტყვაობის მიხედვით, დაწერილია ვასპურაკანის მთავრების – გრიგოლისა და მისი ვაჟის გაგიკის – დაკვეთით. თ. ა-ის ამ თხზულებაში გადმოცემულია არწრუნთა გვარის გენეალოგია და ვასპურაკანის ისტორია უძველესი დროიდან X ს-მდე, ამასთან ერთად მოთხრობილია დანარჩენი სომხეთისა და სომხეთის მეზობელი ქვეყნების შესახებაც. თავისი მოგვარე მთავრების მეხოტბე ისტორიკოსი მიკერძოებით და გაზვიადებულად წარმოგვიდგენს ვასპურაკანისა და მისი მთავრების როლსა და მნიშვნელობას სომხ. ისტორიაში, ხოლო სომხეთისას – დანარჩენ კავკასიაში. ის, რომ ირანელთა პოლიტ. ტრადიციების გამგრძელებელმა არაბებმა თავიანთ წინამორბედთა მსგავსად დანარჩენი კავკასიის დასაპყრობ ბაზად სომხეთი აირჩიეს, საკმარისი აღმოჩნდა, რათა თ. ა-ს, ზოგიერთ მის თანამემამულეთა მსგავსად, სომხეთი კავკასიაში ჰეგემონად, საქართველო და ალბანეთი კი მის მორჩილ ქვეყნებად წარმოედგინა. ისტ. მასალისადმი ტენდენციური დამოკიდებულების მიუხედავად, თ. ა. არაერთ საყურადღებო ცნობას გვაწვდის მისი თანადროული საქართველოს შესახებ. იგი საგანგებოდ აღნიშნავს ბუღა თურქის ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლებში ქართ. ტომის წანარების სიმამაცეს, რ-ებმაც აიძულეს არაბთა სარდალი გასცლოდა მათ ციხესიმაგრეებს. წანართა გმირობას ამიერკავკასიის სხვა ხალხებიც გაუმხნევებია და ფართო გამოძახილი მოჰყოლია შედარებით შორეულ ვასპურაკანის სამთავროში. თ. ა. ასევე საგანგებოდ წარმოაჩენს ქართვ. *კონსტანტი (კოსტანტი) კახის* და ალვანელი სოლომონის მოწამებრივ სიკვდილს სარწმუნოებისა და მამულისათვის. საყურადღებოა, აგრეთვე, მისი ცნობა საქართველოში ბუღა თურქის ლაშქრობის თარიღის დასაზუსტებლადაც.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი ე., თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ, «მრავალთავი», IV, თბ., 1975.

გ. მაისურაძე.

თომა მეწოფეცი, მ ე წ ო ფ ე ლ ი (1376/79 – 1445), სომეხი ისტორიკოსი, ვასპურაკანის ქაჯბერუნის ოლქის სოფელ აღიოვოტიდან. მისი მშობლები აზნაურთა ფენას ეკუთვნოდნენ. თ. მ-მა პირველდაწყებითი განათლება მეწოფის მონასტერში მიიღო, შემდეგ კი ცოდნა სხვა მონასტრებში გაიღრმავა, მაგრამ კავშირი მეწოფის მონასტერთან არ გაუწყვეტია, რის გამოც ,,მეწოფეცი'' (მეწოფელი) შეარქვეს. თ. მ. სომხ. ეკლესიისა და სარწმუნოების თავგადადებული დამცველი იყო და ებრძოლა ყოველგვარ ანტიმონოფიზიტურ მიმდინარეობას, მათ შორის – სომეხ უნიტარებს, ქართვ. ქალკედონიტებს და სხვებს. ქალკედონიტების მიმართ მისი დამოკიდებულების მიუხედავად, სომხეთის გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებად მას ქართ. სახელმწიფოს მფარველობა მიაჩნდა. ეს გაორებული დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს მიმართ ცხადად ეტყობა მის საისტ. თხზულებებს. ერთი მხრივ, იგი გულისტკივილით აღწერს მომთაბარე ურდოების მიერ საქართველოს გავერანებას, მეორე მხრივ კი, ვერ ივიწყებს კონფესიურ სხვაობას ქართველებთან. თ. მ-ის ძირითადი ნაწარმოებია ,,ისტორია თემურლენგისა და მისი შთამომავლობისა'', რ-შიც უხვადაა საყურადღებო მასალა XIV–XV სს. ქართლის პოლიტ. მდგომარეობის შესახებ. თხზულებაში გადმოცემული ისტ. სიუჟეტებიდან ყურადღებას იქცევს თემურლენგის მიერ 1386 ბაგრატ V-ის შეპყრობა და შემდგომ განვითარებული მოვლენები, 1402 გიორგი VII-ის მარცხი და ქართლის აოხრება, 1416 ახალციხის დარბევა ყარაიუსუფის მიერ, 1438 სივნიეთის პატრონის ბეშქენ ორბელიანის მოწამვლა და ალექსანდრე I-ის დამოკიდებულება სომეხთა მიმართ, 1440 ჯეჰან-შაჰის მიერ სამშვილდისა და თბილისის აოხრება და სხვა. საინტერესოა, აგრეთვე, მისი ცნობები საქართველოს ეთნ. შემადგენლობის შესახებ.

საქართველოსა და სომხეთის გარდა თ. მ. უაღრესად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აღნიშნული პერიოდის შუა აზიის, ირანის, სირიის, მცირე აზიის და ჩრდ. აზერბაიჯანის პოლიტ. და რელიგ. ვითარების შესახებ.

თხზ.: ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა, კ. კუციას გამოც., თბ., 1987.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ლ., თომა მეწოფელი, თბ., 1937; მ ი ს ი ვ ე, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941.

გ. მაისურაძე.

თომა სლავის აჯანყება, ბიზანტიაში ძალაუფლების მოსაპოვებლად 821–823 გამართული ბრძოლა. აჯანყების მეთაურის თომა სლავის შესახებ არსებული ცნობები ურთიერთსაწინააღმდეგოა. *იოსებ გენესიოსის* თანახმად, იგი წარმოშობით სკვითი ან სომეხი იყო. თეოფანეს გამგრძელებელი მას სლავად მიიჩნევს. მიქაელ II-ის (820–829) გამეფებამდე მცირე ხნით ადრე მან საიმპერატორო გვირგვინისათვის დაიწყო ბრძოლა. საბოლოოდ იგი დამარცხდა და იმპერატორმა მიქაელმა სიკვდილით დასაჯა.

აჯანყების დროს თომა სლავის დროშის ქვეშ გაერთიანებული იყვნენ იმპერიის აღმ. პროვინციების თემები, მცირე აზიისა და კავკ. ხალხები. იოსებ გენესიოსის ცნობით, თომა სლავის ლაშქარში შედიოდნენ აგარიანთა, ინდთა, ეგვიპტელთა, ასირიელთა, მიდიელთა, აბაზგთა, ჯიქთა, იბერთა, კაბირთა, სლავთა, ჰუნთა, ვანდალთა და მეოტთა, ლაზთა და

ალანთა, ხალიბთა და არმენიელთა წარმომადგენლები. თეოფანეს გამგრძელებელი არ იხსენიებს აბაზგებსა და ლაზებს, მაგრამ აქაც, ისევე როგორც გენესიოსთან, ხაზგასმულია, რომ თომას მომხრე ყველა ტომი მანიქეველი იყო.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1952.

ლიტ.: Л и п ш и ц Е., Восстание Фомы Славянина, «Вестник древней истории», 1939, №1. *ნ. მიწიშვილი.*



მ. თომაძე.

თომაძე გია დავითის ძე (დ. 19. VIII. 1955, ხაშური), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1998). 1978 დაამთავრა თსსი. 1979–84 მუშაობდა მოსკ. მე-20 საავადმყოფოში ქირურგად; 1984-იდან იყო თსსი-ის ქირურგიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი; კათედრის პროფესორი – 1996-იდან. 2009-იდან დღემდე თსსუ-ის ქირურგიის №2 დეპარტამენტის ხელმძღვანელი და პროფესორია. ამავე დროს, არის გადაუდებელი ქირურგ. და ტრავმატოლოგიის ცენტრის ზოგადქირურგ. კლინიკის სამედ. დირექტორი, საქართვ. ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი 1997-იდან.

თ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი. მისი სამეცნ. მოღვაწეობის ძირითადი სფეროა ზოგადი ქირურგია, გადაუდებელი ქირურგია, ტრანსპლანტოლოგია.

თომაძე მაია პეტრეს ასული (26. VI. 1954, თბილისი, – 18. XII. 1994, იქვე), მომღერალი (სოპრანო). საქართვ. სახ. არტისტი (1987), ბარსელონის ფ. ვინიასის სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1987, გრან-პრი და ოქროს მედალი). 1976 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის ვოკალური ფაკ-ტი (პროფ. გ. ქართველიშვილის კლასი). ამავე წლიდან იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრის სოლისტი. თ-ის დებიუტი (ეთერის პარტია ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერში'', 1977) აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო როლად (აღსანიშნავია, რომ 1987 ანალოგიურ კონკურსში ოპერის უკვე ახ. სცენურ დადგმაში კვლავ თ-ის ეთერს მიენიჭა პირველობა). 1980–83 თ-მ სტაჟირება გაიარა მოსკ. დიდ თეატრში (ნ. შპილერის ხელმძღვანელობით). ამ სცენაზე თ-მ შეასრულა ტატიანას (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი''), ნატაშა როსტოვას (ს. პროკოფიევის ,,ომი და მშვიდობა'') და იფიგენიას (ვ. გლუკის ,,იფიგენია ავლიდში'') პარტიები. 1983-იდან თ. კვლავ თბილ. საოპერო თეატრის სოლისტია. წარმატებით შეასრულა სოპრანოს ყველა წამყვანი პარტია, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია: თამარი (ო. თაქთაქიშვილის ,,მთვარის მოტაცება''), სილვანა (გ. ყანჩელის ,,და არს მუსიკა''), იოლანტა (პ. ჩაიკოვსკის ,,იოლანტა''), დონა ანა (ვ. ა. მოცარტის ,,დონ ჟუანი''), აიდა, ელისაბედი (ჯ. ვერდის ,,აიდა'', ,,დონ კარლოსი''), ფატა-მორგანა (ს. პროკოფიევის ,,სამი ფორთოხლის სიყვარული'') და სხვ. წარმატებით ასრულებდა აგრეთვე გ. ჰენდელის, კ. გლიუკის, ვ. ა. მოცარტის, ლ. ბეთჰოვენის, ი. ბრამსის, რ. შუმანის, პ. ჩაიკოვსკის, ს. რახმანინოვის, ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ო. თაქთაქიშვილის, ბ. კვერნაძის და სხვათა ნაწარმოებებს. თ-ს ჰქონდა იშვიათი სილამაზის, რბილი ტემბრის ხმა, გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალობით. 1992-იდან სამუშაოდ გადავიდა ფინეთში, ქ. ჰელსინკიში. გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (იაპონია, გერმანია, ფილიპინები, შვეიცარია, რუმინეთი), თანამშრომლობდა მსოფლიოს წამყვან დირიჟორებთან.

,,გედის სიმღერად'' იქცა თ-ის მიერ შესრულებული ეთერის პარტია ბათუმის საოპერო თეატრის სცენაზე (1994). *გ. ტორაძე.*

თომაძე პეტრე ალექსანდრეს ძე (13. II. 1917, ხაშური, – 13. V. 1996, თბილისი), ოპერის მომღერალი (ბანი), საქართვ. დამს. არტისტი (1963). 1951 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ს. ინაშვილის კლასი). 1951–77 იყო ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის სოლისტი. ორ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში წარმატებით ასრულებდა თეატრის რეპერტუარის წამყვან პარტიებს, რ-თაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა აბიო, ცანგალა (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'', ,,დაისი''), მაკარი (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე''), ხევისბერი (ო. თაქთაქიშვილის ,,მინდია''), ქორა მახვში (ო. თაქთაქიშვილის ,,მთვარის მოტაცება''), მეფე (მ. ბალანჩივაძის ,,დარევჯან ცბიერი''), გრემინი (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი''), კონჩაკი (ა. ბოროდინის ,,თავადი იგორი''), ტკაჩენკო (ს. პროკოფიევის ,,სემიონ კოტკო''), პიმენი (მ. მუსორგსკის ,,ბორის გოდუნოვი''),



პ. თ ო მ ა ძ ე. „ჯადოქარი“.

ბაზილიო (ჯ. როსინის ,,სევილიელი დალაქი'') და სხვ. 1977-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალურ ინ-ტში და თბილ. II სამუს. სასწავლებელში.

მ. კოჭლავაშვილი.

თომიზმი, თომა აკვინელის (XIII ს.) თეოლოგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება და მასთან დაკავშირებული მსოფლმხედველობა.

თ-ში ქრისტ. ტრადიცია, არისტოტელურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით, სისტემ. ერთიანობის სახით არის წარმოდგენილი. თომა აკვინელი, არისტოტელეს მსგავსად, გრძნობადი შემეცნების მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავს. სწორედ ამგვარი შემეცნების მეშვეობითაა შესაძლებელი საერთო საწყისი პრინციპების ჩამოყალიბება. თომა აკვინელის მოძღვრებას დიდი გავლენა ჰქონდა ქრისტ. ფილოსოფიასა და თეოლოგიაზე.

თ-ის მრავალი დებულება კათოლ. ეკლესიის მიერ ოფიც. მოძღვრებად იქნა აღიარებული. XIX–XX სს. თომა აკვინელსა და მის მიმდევრებზე დაყრდნობით განვითარდა ე. წ. ,,ნეოთომიზმი'', როგორც ,,ნეოსქოლასტიკის'' მთავარი მიმართულება. ნეოთომიზმის მთავარი ყურადღების საგანია სინამდვილესა და შესაძლებლობას შორის მიმართება, არსებულთა იერარქიის პრინციპი, ბუნების ფილოსოფია, ინტელექტისა და ნების მიმართება, ღმერთისა და სასრული არსებების მიმართება. ნეოთომიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი ჟ. მარიტენი (1882–1973).

თომა აკვინელის მოძღვრების შესახებ ჯერ კიდევ XVIII ს. ქართველ მოაზროვნეებს ჰქონდათ სარწმუნო ცნობები. ა. ბაგრატიონი თავის ადრეულ ნაშრომში ,,სპეკალი'' (1752), ალბერტ დიდთან ერთად თომა აკვინელსაც მოიხსენიებს. თომა აკვინელის თეოლ. მოძღვრება ცნობილი იყო

XIX ს. საქართველოში. ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელმა (1815) ქართულად თარგმნა თომა აკვინელისა და მისი მასწავლებლის, ალბერტ დიდის მოძღვრებათა მნიშვნელოვანი ასპექტები. ეს მოძღვრებები საქართველოში სომხეთის გზითაც შემოდიოდა. XX ს-ში, კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ქართ. აზროვნებაში თეოლ. (მათ შორის, კათოლ. და სხვ.) ტრადიციის კვლევა-ძიება, ფაქტობრივად, შეწყდა. თუმცა არსებობდა გამონაკლისებიც: 1) ნ. *ნათაძემ* 1973 საგანგებო მონოგრაფია დაწერა თომა აკვინელის ფილოსოფიის შესახებ; 2) გ. *თევზაძემ* თომა აკვინელის მოძღვრების შესახებ XX ს. მეორე ნახევარში, რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნ. სტატია შექმნა. საბჭოთა პოლიტ. რეჟიმის ცვლილების კვალდაკვალ, თომა აკვინელისა და თ-ის მიმართ ინტერესი ქართ. ფილოსოფიაში გაიზარდა. უფრო მეტიც, XXI ს. ქართ. ფილოსოფიაში თომა აკვინელი შუა საუკუნეების ავტორთაგან ერთ-ერთი პრიორიტეტული ავტორი აღმოჩნდა. მისი მოძღვრება შუა საუკუნეების ლათინურენოვანი ფილოს. წარმომადგენელთა შემეცნების თეორიების ანალიზის დროს უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ალბერტ დიდის, დ. ფრაიბერგელისა და თომა აკვინელის მოძღვრებები ინტელექტის შესახებ, ფილოს. და თეოლ. ურთიერთმიმართების საკითხი და ა. შ.

ლიტ.: თ ე ვ ზ ა ძ ე გ., შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1996; ი რ ე მ ა ძ ე თ., დავა ინტელექტის ერთიანობის შესახებ (ავეროესი, ალბერტ დიდი, თომა აქვინელი), «ენა და კულტურა», № 2, თბ., 2001; მ ი ს ი ვ ე, თომა აქვინელის ჰერმენევტიკული საქმიანობა, კრ.: ქართული აზროვნება – განათლების პრობლემები – ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, რედაქტორ-შემდგენლები: თ. ირემაძე, ლ. ზაქარაძე, გ. ბარამიძე, მ. გოგატიშვილი, თბ., 2008; მ ი ს ი ვ ე, ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე, თბ., 2013; ნ ა თ ა ძ ე ნ., თომა აქვინელის ფილოსოფია, თბ., 1973.

თ. ირემაძე.

თონე, თ ო რ ნ ე (ძველ ქართულში გვხვდება თ უ რ ნ ე, ს ა ც ხ ო ბ ე ლ ი პ უ რ ი ს ა ჲ, ს ა ც ხ ო ბ ე ლ ი კ ე ც ი ს ა ჲ), მიწაში ჩადგმული უძირო, ცილინდრული ფორმის თიხის ნაკეთობა. გავრცელებულია საქართვ. ბარში და ზეგანზე მაღალი წებოვნების მქონე პურის საცხობად. ქართ. მეთონეობა, ძირითადად, ორი სახის თ-ს იცნობს: საოჯახო ანუ სოფლურ თ-ს და პროფესიონალი მეპურის თ-ს. სოფლად გავრცელებულია პატარა, საშუალო და დიდი ზომის პირმოხვეული და პირგანიერი თ-ები. საოჯახო თ-ის მაქს. სიმაღლე, როგორც წესი, 1 მეტრია. გამოსაწვავ ქურაში თ-ის მოსათავსებლად და მისი მოხერხებულად ტრანსპორტირების მიზნით მას ხშირად რამდენიმე ნაჭრად ჭრიდნენ და მიწაში ჩადგმის დროს აწყობდნენ. ნაჭრებად არ იჭრება ჯერ კიდევ შემორჩენილი თონის სახეობა, რ-საც ქალები ამზადებენ.

საქართვ. სხვადასხვა კუთხეში თ. მიწაში სხვადასხვა სიღრმით იდგმება: მთლიანად, სანახევროდ ან მხოლოდ ძირით. თ-ის მიწის-ზედა ნაწილის გასამაგრებლად და სიმხურვალის შესანარჩუნებლად თ-ს ირგვლივ წნელით შემოწნავენ (ყავრით, ტკეჩით, ფიცრით მოპირკეთება), წნულისა და თ-ის კედელს შუა ცარიელი ადგილი მიწით ამოივსება და დაიტკეპნება. კარმიდამოიან სამოსახლოში თ. დაფარულია და უმთავრესად ეზოშია გამართული. თ. გვხვდება აგრეთვე სამეურნეო ნაგებობების დერეფანში. დარბაზულ სახლში თ. საცხოვრებლის შიდა კომპლექსში იყო მოქცეული. თ-ს იყენებდნენ აგრეთვე პროდუქტების ,,ჩასათუთქად'', ხის ნაწილების გამოსაშრობად და გათბობის მიზნითაც. პროფესიონალი მეპურის თ. სოფლად გავრცელებული თ-ისაგან სიდიდითაც განსხვავდება (გაცილებით დიდია) და მოყვანილობითაც. საქართველოში ცნობილია ურბნისის (V–VII სს.), თბილისის (XI, XII სს.), რუსთავის (XII–XIII სს.), უფლისციხის (XIV–XVI სს.) და სხვა განათხარი თ-ები. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ყველაზე ძველია ძვ. წ. VIII ს. ურარტული თ.

რ. თოდუა.

თონეთი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების *დიდი თონეთისა* და *პატარა თონეთის* გავრცელებული სახელწოდება.

თორაკია, ტანსაცმლის ნაწილი, მახვილპირიანი ფარის ტიპის ნიშანი, რომელზედაც ხშირ შემთხვევაში გამოსახულია ჯვარი და მდიდრულადაა შემკული. ატარებდნენ დედოფლები, მაღალი წრის ქალები, გვხვდება აგრეთვე წმინდანთა ჩაცმულობაშიაც: ქართულ ხელოვნებაში თ-თი შემკული არიან ზედაზნისა და ატენის ქტიტორები, ასევე წმინდანები, განსაკუთრებით – ეკატერინე და ელენე, რ-თა გამოსახულებები გვხვდება კრიხის, ბოჭორმის, მაცხვარიშის, ვარძიის, ანანურის და სხვათა მხატვრობაში.

ლიტ.: ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი ნ., ქართული კოსტიუმი, თბ., 1964.

ე. ნადირაძე.

თორაძე ალექსანდრე (ლექსო) დავითის ძე (დ. 30. V. 1952, თბილისი), პიანისტი და პედაგოგი. ა. კასაგრანდეს (იტალია, 1975) და ვან კლაიბერნის სახ. (აშშ, 1977) საერთაშ. კონკურსების ლაურეატი. კომპოზიტორ დ. *თორაძისა* და კინომსახიობ ლ. *ასათიანის* შვილი. სამუსიკო განათლება თავდაპირველად მამის, შემდეგ კი რ. როჟოკისა და ე. გურევიჩის ხელმძღვანელობით მიიღო თბილისის ცენტრ. სამუსიკო სკოლასა და ვანო სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიაში (1958–71). 1971–78 სწავლობდა მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. კონსერვატორიაში (პედ. ი. ზაკი, ბ. ზემლიანსკი და ლ. ნაუმოვი). ამ პერიოდს განეკუთვნება მისი წარმატებები საკავშ. თუ საერთაშ. კონკურსებზე. 1983-იდან თ. ცხოვრობს აშშ-ში და ეწევა ნაყოფიერ საშემსრულებლო და პედ. მოღვაწეობას, წარმატებით თანამშრომლობს მსოფლიოს გამოჩენილ დირიჟორებთან და ორკესტრებთან, ჩრდ. ამერიკაში იგი გამოდიოდა ნიუ-იორკის, ბოსტონის, ჩიკაგოს, ფილადელფიის, ცინცინატის, ლოს ანჯელესის, კლივლენდის, პიტსბურგის, ,,მეტროპოლიტან ოპერის'' და სხვ. ორკესტრებთან; ევროპაში – ბერლინის ფილარმონიულ ორკესტრთან, მილანის ,,ლა სკალასთან'', პეტერბურგის, რომის, ტორინოს, ლონდონის, ბირმინჰემის, დუბლინის, პარიზის, მიუნხენის, ამსტერდამის, როტერდამის, ბუდაპეშტის, პრაღის, დრეზდენის, ლაიფციგის, სტოკჰოლმის, ოსლოს, ჰელსინკის, აგრეთვე თელავივის, ტოკიოს, სეულის, ბრაზილიის, არგენტინის, ჩილეს და სხვ. ორკესტრებთან.

თ-ის რეპერტუარი მოიცავს სხვადასხვა სტილის ნაწარმოებებს. განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა ვ. ა. მოცარტის, ფ. ლისტის, ს. პროკოფიევის, ს. ი. სტრავინსკის, მ. რაველის, ს. რახმანინოვის და სხვ. ნაწარმოებთა შესრულებით.

2012 თ-მ ჩაწერა ფრანკფურტის რადიოს ორკესტრთან ერთად (დირიჟ. ჰ. იარვი) ს. პროკოფიევის და დ. შოსტაკოვიჩის საფორტეპიანო კონცერტები, რ-მაც მუს. კრიტიკოსთა საყოველთაო მოწონება დაიმ-



ტრადიციული ქართული თონე.



ა. თორაძე.



ა. თორაძე როიალთან.

სახურა. ს. პროკოფიევის მე-3 საფორტე-პიანო კონცერტი აღიარებულია ამ ნაწარმოების საუკეთესო ჩანაწერად.

თ. წარმატებით მონაწილეობს ისეთ პრესტიჟულ ფესტივალებში, როგორებიცაა ,,ჰოლივუდ ბოული'', ,,სარატოგა'', ,,ბლოსომი'', ,,თეთრი ღამეები,'' ზალცბურგის, როტერდამის, სტრესას, მიკელის, რურისა და ედინბურგის ფესტივალები.



დ. თორაძე.

თ. თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი პიანისტია. მის შესრულებას ახასიათებს მასშტაბურობა, ვირტუოზულობა, არტისტული ტემპერამენტი. თ-მ ქ. საუთბენდში (ინდიანას შტატი) ადგილობრივ უნ-ტში, სადაც იგი (1991—2017) ფორტეპიანოს კათედრის ხელმძღვანელი იყო, დააარსა თ-ის საფორტეპიანო სტუდია, რ-იც აღიარებულია მუს. აღმზრდელობით ცენტრად. აქ ოსტატობას სრულყოფდა არაერთი ქართველი პიანისტი. 2005 თ-მ თავისი სტუდიის წევრებთან და აღზრდილებთან ერთად ფართომასშტაბიანი საკონცერტო გასტროლები გამართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. თ. სისტემატურად ჩამოდის თბილისში, მართავს კონცერტებს, საქველმოქმედო საღამოებს. მისი სტუდიის წევრები წარმატებით მართავენ კონცერტებს მთელ მსოფლიოში. 2011 მას გადაეცა ინდიანას შტატის გუბერნატორის ჯილდო (ხელოვნების დარგში). 2014-იდან არჩეულია ამავე შტატის ქ. საუთბენდის ,,დიდების დარბაზის'' წევრად.



ვ. თორდია.

ლიტ.: ტ ო რ ა ძ ე გ., გამოჩენილი ქართველი პიანისტი ლექსო თორაძე, ჟურნ. «ხიდი», 2004, №2. *გ. ტორაძე.*

თორაძე გია ედუარდის ძე (დ. 23. IV. 1957, თბილისი), გენერალმაიორი (1995). დაამთავრა თბილ. უმაღლესი საარტ. სასწავლებელი (1978). 1978–83 მსახურობდა უნგრეთში, 1983–85 – მოსკოვში, იყო დივიზიონის მეთაური; 1985–88 იყო მ. ფრუნზეს სახ. აკადემიის მსმენელი. 1988–89 – მოტომსროლელი კადრის ბატალიონის მეთაური, შემდეგ – ბატალიონის შტაბის უფროსი. 1989–92 მუშაობდა საქართვ. რესპ. სამოქალაქო თავდაცვის შტაბში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1993–94 იყო I საარმიო კორპუსის მეთაური. 1994–95 – შს სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი. 1998–99 – აღმოსავლეთის მიმართულების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი. 1999–2002 – თავდაცვის ეროვნ. აკადემიის პრორექტორი.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2002). *ლ. დოლიძე.*

თორაძე დავით (გუგული) ალექსანდრეს ძე (14. IV. 1922, თბილისი, – 6. XI. 1983, იქვე), კომპოზიტორი. საქართვ. სახ. არტისტი (1961), სტალინური პრემიის ლაურეატი (1951). 1937–39 სწავლობდა თბილ. კონსერვატორიის საკომპოზიციო (ს. ბარხუდარიანის კლასი) და საფორტეპიანო (ა. ვირსალაძის კლასი) განყ-ბებზე, 1939–41 კი – მოსკ. კონსერვატორიაში (რ. გლიერის საკომპოზიციო კლასი). 1953-იდან იყო თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1973-იდან – პროფესორი), 1962–68 – საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რის პირველი მოადგილე. თ. ძირითადად მუს.-თეატრ. და სიმფონიურ ჟანრებში მოღვაწეობდა. მისი გამორჩეული ნაწარმოებებია: ოპერები – ,,მთების ძახილი'' (1947) და ,,ჩრდილოეთის პატარძალი'' (1958); ბალეტები – ,,გორდა'' (1949 – ყველაზე სარეპერტუარო ქართ. ბალეტი), ,,მშვიდობისათვის'' (1953) და ,,მწირი'' (1977) – ამ უკანასკნელის მიხედვით შექმნილმა ტელეფილმმა ნიუ-იორკის საერთაშ. კონკურსზე დიდი წარმატება მოიპოვა და გრან-პრი დაიმსახურა (1978). ,,გორდა'' და ,,ჩრდილოეთის პატარძალი'' წარმოადგინეს ქართ. ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში (1958), ხოლო ,,გორდა'' – აგრეთვე უნგრეთსა (1966) და საფრანგეთში (პარიზი, 1966) თეატრის გასტროლების დროს; ოპერეტები – ,,ნათელა'' (1950) და ,,შურისმაძიებელი'' (1952); ორი სიმფონია [I (1946), და II ,,ქებათა-ქება ნიკორწმინდას'' (1968), თანამედროვე ქართ. სიმფ. მუსიკის თვალსაჩინო ნიმუშია], საგუნდო სიმფონია ,,ქართული ხალხური ჩანამღერები'' (გ. ტაბიძის ლექსებზე, 1974), საფორტეპიანო კონცერტი (1983), ,,აფრიკული ესკიზები'' საესტრადო ორკესტრისათვის (1962), საესტრადო სიმღერები (,,მოდი ჩემთან''), კინომუსიკა ფილმებისათვის ,,ჭირვეული მეზობლები'', ,,პალიასტომი'', ,,შეხვედრა წარსულთან'', ,,დღე უკანასკნელი – დღე პირველი'' (დიდი პოპულარობა მოიპოვა ამ ფილმში გაჟღერებულმა ლირიკულმა სიმღერამ ,,გზა მშვიდობისა''), ,,კაცია ადამიანი?!'' და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ლ ო ნ დ ა რ ი ძ ე ე., დავით თორაძე, თბ., 1993; ტ ო რ ა ძ ე გ., მუსიკის სამყაროში, თბ., 2010; Х у ч у а П., Советская опера и балет, წგ.: Грузинская музыкальная культура, М., 1978.

გ. ტორაძე.

თორდია ვაჟა (პანტიკო) შალვას ძე (დ. 22. I. 1935, სოფ. ზედა ეწერი, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ავიამშენებელი ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1991), თბილ. საავიაციო ინ-ტის პროფესორი (2002), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში (1983), თბილ. საპატიო მოქალაქე (2000). 1967 დაამთავრა ქ. სარატოვის (რუსეთი) პოლიტექ. ინ-ტის თვითმფრინავმშენებლობის ფაკ-ტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილ. საავიაციო ქ-ნაში ინჟინერად, 1978-იდან იყო ამავე ქ-ნის დირექტორი, 1985–91 – სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების გენ. დირექტორი, 1991–92 – საქართვ. მრეწველობის მინისტრის მოადგილე, 1993–98 – საქართვ. პრეზიდენტის მრჩეველი, 1998-იდან – ისევ თბილ. სახელმწ. საავიაციო საწარმოო გაერთიანების, 2000-იდან კი – შპს ,,თბილავიამშენის'' გენ. დირექტორი, 2002–08 – საქციო საზ-ბა *,,თბილავიამშენის''* სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე, 2008–13 – შპს ,,თბილავიამშენის'' დირექტორი.

თ-ს უშუალო ხელმძღვანელობით ქ-ნაში დაიწყო რეაქტიული მოიერიშე სუ-25 თვითმფრინავების, მისი მოდიფიკაციებისა და ,,ჰაერი-ჰაერი'' კლასის მართვადი რაკეტების სერიული წარმოება. მისივე თაოსნობით ჩატარდა საწარმოს ტექ. გადაიარაღების, კომპიუტერიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესები.

თ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის, რაციონალიზატორული წინადადებისა და არაერთი გამოგონების ავტორია. მიღებული აქვს სახელმწ.


ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999), ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი (2002).

თორდია რადიშ ტერენტის ძე (დ. 21. VIII. 1936, აბაშა), ფერმწერი და გრაფიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1990). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1962). მისი პედაგოგები იყვნენ ს. ქობულაძე, უ. ჯაფარიძე. 1962-იდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. საქართვ. მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი (1978-იდან).

პოეტური სულის მოძრაობაა ასახული თ-ს ჯერ კიდევ XX ს. 60–70-იან წლებში შესრულებულ სურათებში: ,,მოხუცი ბაბუაწვერათი'' (1968, საქართვ. სურათების გალერეა; მეორე ვარიანტი – პიტერ ლუდვიგის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ქ. კელნი), ,,მსახიობი ქალი ყვავილებით'' (1978, საქართვ. სურათების გალერეა). ფაქიზი განწყობილებითაა გადმოცემული ,,მარინეს პორტრეტი'' (1980, საქართვ. სურათების გალერეა). ამავე პერიოდში შეასრულა თბილ. მეტროპოლიტენის სადგურ ,,ტექნიკური უნივერსიტეტის'' მოზაიკური პანო [(1980) თანაავტორებთან ერთად, საქართვ. სახელმწ. პრემია (1980)]. მხატვრის პროფ. ოსტატობა, დახვეწილი კოლორიტი და ნახატის თანდათანობითი სრულყოფა კარგად აისახა 80–90-იან წლებში შესრულებულ სურათებში: ,,მოხუცის პორტრეტი'' (1980, საქართვ. სამხატვრო ფონდი), ,,ზაფხული, ლიკანი და



რ. თ ო რ დ ი ა. „მუსიკა“. 1973.




რ. თ ო რ დ ი ა. „საღამო“. 1999.

გოგონა'' (1981, საფრანგეთი, კერძო კოლექცია), ,,მუსიკოსი'' (1981, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), ,,მხატვრის სახელოსნო'' (1981, საფრანგეთი, კერძო კოლექცია), ,,ცირკი'' (1983, გერმანია, კერძო კოლექცია), ,,ცირკი, ბავშვობის მოგონებები'' (1984, საფრანგეთი, კერძო გალერეა), ,,კაფე'' (1985, ბერლინი, კერძო კოლექცია), ,,შემოდგომა ტყეში'' (1986, შვეიცარია, კერძო კოლექცია), ,,გოგონა სანთლით'' (1987, კანადა, კერძო კოლექცია), ,,ქალი ჩიტით'' (1988, გაეროს მუზეუმი, ნიუ-იორკი), ,,ცირკი'' (1989, კერძო კოლექცია, ვაშინგტონი), ,,მელანქოლია'' (1992, ხელოვნების გალერეა, ქ. ჰიურთი, გერმანია), ,,გოგონა ნაძვის ხესთან'' (1994, თურქეთი, კერძო კოლექცია) და სხვ. თ-ს პერსონალური გამოფენები მოეწყო: ტუნისში (1984), მოსკოვში (1988), თბილისში (1988, 1990), კელნში (1992). ცალკეული ნამუშევრები ექსპონირებული იყო სირიაში, ინდოეთში, ესპანეთში, კანადაში, აშშ-ში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, იტალიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცასა და სხვ. ქვეყნებში. თ-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართ. ფერწერის განვითარებაში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). *ა. ჩხარტიშვილი.*

თორდუა ვლადიმერ დიმიტრის ძე [19. II (4.III). 1914, სოფ. თეკლათი, ცხაკაიას რ-ნი (ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი), – 17. IX. 1999, თბილისი], მწერალი, დამსახურებული ჟურნალისტი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45), შემდეგ დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1954). იყო გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკის'' პ/მგ მდივანი და სხვ. ავტორია წიგნებისა: ,,ჩიტი ციცინო'' (1948), ,,ომგადახდილის თვალით'' (1952), ,,დღეები და ადამიანები'' (1955), ,,მოთხრობები ნამდვილ ადამიანებზე'' (1967), „როგორ უყვარდათ, როგორ კვდებოდნენ'' (1975), ,,ნაკვესები, ნოველები და მინიატიურები'' (1985) და სხვ. თარგმნა უკრაინელი მწერლის ვ. სტეფანიკის ,,რჩეული'' (1954). თ-ს ნოველები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ჩეხურ, ბულგარულ, ლატვიურ ენებზე. აკაკი წერეთლის სახ. პრემიის ლაურეატი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



რ. თორდია.

თორელაანი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), გუდამაყრის ხეობაში. ზ. დ. 1250 *მ*, დუშეთიდან 50 *კმ*. 16 მცხ. (2014).

სოფ. თ-თან უერთდება ერთმანეთს გუდამაყრის ანუ შავი არაგვის ძირითადი სათავეები – ბაკურხევი და ბურსაჭირი.

თორელები, დიდგვარიან ფეოდალთა საგვარეულო XII–XIV საუკუნეების საქართველოში. სახელწოდება წარმოდგება მათი საგვარეულო მამულიდან – *თორი* (ახლანდელი ბორჯომის მუნიციპალიტეტი). თ-ის წარმომავლობაზე სამეცნ. ლიტ-რაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება: ს. კაკაბაძე თ-ს მიიჩნევს *მხარგრძელთა* საგვარეულოს განშტოებად. ლ. მუსხელიშვილის აზრით, თ-ის სახლი უკავშირდება *სამძივართა* გვარს; ნ. შოშიაშვილს მიაჩნია, რომ თ-ის სახლი წარმოიქმნა გამრეკელთა საგვარეულოდან (პირველად იხსენიება X ს-ში), ხოლო გამრეკელი, გვარის აღმნიშვნელი სიტყვა, თ-ში იქცა სახელად, რაც XII ს-იდან მართლაც დასტურდება მხოლოდ თ-ისა და მათი შთამომავლების – ჯავახიშვილების – გვარში (ისევე, როგორც კახა).

სამეცნ. ლიტ-რაში გამოთქმულია მოსაზრება (ს. კაკაბაძე, ნ. შოშიაშვილი, ს. ცაიშვილი), რომ XII–XIII სს. გენიალური ქართვ. პოეტი შოთა რუსთაველი თ-ის საგვარეულოდან იყო და რუსთაველი იმიტომ ეწოდა, რომ მესხეთის

რუსთავს ფლობდა სამამულედ. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ თ-ის საგვარეულო მესხური წარმომავლობის იყო და ამ საფეოდალოში შედიოდა რუსთავი; აგრეთვე ისიც, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში შოთა იხსენიება მეჯურჭლეთუხუცესად. ეს სახელო კი ამ პერიოდში თ-ს ეპყრათ.

XII ს. II ნახევრიდან XIII ს. 60-იან წლებამდე თ-ის სახლის თავადები (ე. ი. ფეოდ. საგვარეულოს უფროსები) იყვნენ როგორც საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები (ახალქალაქის ერისთავთერისთავები), ისე დარბაზის რიგის მოხელეები – უწყების მეთაურები (ამილახვრები, ამირსპასალარები, მეჯურჭლეთუხუცესები). ამასთან ერთად, თ-ს ზოგჯერ საგამგებლოდ ეძლეოდათ სახასო ქვეყნის (ე. ი. სამეფო დომენის) რომელიმე ნაწილიც. მაგ., 1163 ანისის გამგებელი ყოფილა კახა თორელი. ასევე საგამგებლოდ ჰქონდათ თ-ს, როგორც ჩანს, საუფლისწულო დომენი – ძამის ხეობა – და სამეფო დომენი – ,,კარული ქვეყანა'' (კარის, ანუ ყარსის მიმდგომი მხარე). ორივე ეს მხარე მათ შემდეგ საკუთარ მამულად აქციეს (,,კარული ქვეყანა'' თორელ-ახალციხელებს XIII ს. 70-იან წლებში მედროვე სადუნ მანკაბერდელმა წაართვა). თ-მა ხელთ იგდეს სხვა მამულებიც: ახალციხე (სამცხეში), ღობაიეთი (ჯავახეთში), ქვეში (ქვემო ქართლში), ძამა (შიდა ქართლში). ამის მიხედვით წარმოიქმნა თ-ის საგვარეულო განშტოებები: *ახალციხელები, ღობაარები,* ქვეშელი, ძამელი. XII ს-იდან თ-ის ფეოდ. მფლობელობა გავრცელდა თემძის ხეობაზეც. აქ XIII ს-ში ჩამოყალიბდა თორელ-ჯავახიშვილთა ახ. საფეოდალო, რ-იც XIV ს-იდან იქცა ჯავახიშვილთა სათავადოდ.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე; ჟამთაღმწერელი, იქვე.

ლიტ.: მუსხელიშვილი ლ., თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს. წარწერებთან დაკავშირებით, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10 B; შოშიაშვილი ნ., თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრ.: შოთა რუსთაველი, თბ., 1966.

ნ. შოშიაშვილი.

თორელი გამრეკელ კახას ძე, XII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე ქართველი დიდგვარიანი ფეოდალი. საისტ. წყაროებში იხსენიება 1177–90 წლების ამბებთან დაკავშირებით. მან მემკვიდრეობით მიიღო თორის მამული და თემძის ხეობა, აგრეთვე სახელო ქვეყანა – ჯავახეთი, რ-საც განაგებდა როგორც ახალქალაქის ერისთავთერისთავი. 1177 თ. (ისევე, როგორც სამხრ. საქართველოს სხვა ფეოდალები) თავის მამასთან ერთად მიემხრო ორბელთა მეთაურობით *დემნა (დემეტრე) უფლისწულის* გასამეფებლად მოწყობილ ამბოხებას, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, მიატოვა აჯანყებულები და *გიორგი III-ის* მხარეზე გადავიდა. ამის შემდეგ იგი თანდათანობით დაწინაურდა სამეფო კარზე. 1185 თამარ მეფემ თ-ს უბოძა ამილახვრობა და ციხე-ქალაქი *თმოგვი* (რ-იც ჩამოერთვა გადაყენებულ მსახურთუხუცეს *აფრიდონს*). 1186, ამირსპასალარ სარგის მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ, თამარმა თ-ს ამირსპასალარობა უწყალობა. თ., როგორც მონაპირე მხარის, ჯავახეთის, ერისთავთერისთავი, მტრებისგან იცავდა საქართვ. სამხ. საზღვრებს. 1186–87 მან დაამარცხა არანიდან და გელაქუნიდან შემოსეული თურქები და განდევნა ისინი პალაკაციოდან და ძაღლისხევიდან (სამხრ. საქართველო). თ-ის სარდლობით მეფის ლაშქარმა ჯავახეთში დაამარცხა *იური ანდრიას ძის* (გიორგი რუსის) გასამეფებლად ამბოხებული ფეოდალები, რ-თაც სურდათ ახალქალაქისა და თმოგვის ხელში ჩაგდება.

თ-ის გარდაცვალების შემდეგ თამარმა მის სახლს დაუტოვა როგორც თორის მამული, ისე ახალქალაქის საერისთავთერისთავო, მაგრამ ამირსპასალარობა გადასცა არა თ-ის შვილს, არამედ ზაქარია მხარგრძელს. გამრეკელის სახლს თამარმა ჩამოართვა აგრეთვე თმოგვი და სამამულედ უწყალობა სარგის ვარამის ძე მხარგრძელს (თმოგველთა სახლის დამფუძნებელს).

წყარო: სტეფანოს ორბელიანის ,,ცხოვრება ორბელიანთა''-ს ძველი ქართული თარგმანები, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1978. იხ. აგრ. სტ-თან თორელები.

ნ. შოშიაშვილი.

თორელი გამრეკელ კახას ძე, XIII ს. 30–40-იანი წლების მოღვაწე, ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი, ახალქალაქის (ე. ი. ჯავახეთის) ერისთავთერისთავი, მეჯურჭლეთუხუცესი. 30-იან წლებში სხვა დიდ ფეოდალებთან ერთად მიენდო მონღოლებს, რ-ებმაც თ-ს დაუტოვეს მისი სამამულე და სახელო ქვეყნები. 1245 თ. მონღოლებმა ერთ-ერთი დუმნის (ჯავახეთი და სამცხე კარნუ-ქალაქამდე) თავად დანიშნეს. მონაწილეობდა *კოხტასთავის შეთქმულებაში* მონღოლთა წინააღმდეგ. მომხრე იყო დავით ლაშას ძის გამეფების. 40-იანი წლების შემდეგ ის წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო იხ. სტ-თან თორელი გ. კ.

ლიტ.: კაკაბაძე ს., მიქელ კათალიკოსის დაწერილი ორი სიგელი XIII საუკუნისა, «საისტორიო მოამბე», 1945, [ტ.]1. იხ. აგრ. სტ-თან თორელები.

ნ. შოშიაშვილი.

თორელი კახა გამრეკელის ძე (გ. დაახლ. 1177), XII ს. შუა წლების მოღვაწე ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი, ახალქალაქის (ე. ი. ჯავახეთის) ერისთავთერისთავი. საისტ. წყაროებში იხსენიება 1152–77 ამბებთან დაკავშირებით. თ. მოხსენიებულია საორბისის ეკლესიის (თემძის ხეობა) 1152 წარწერაში, როგორც ტაძრის მაშენებელი და ამ მხარის მემამულე (ე. ი. თავისი ძირითადი საგვარეულო მამულის თორის გარდა ამ პერიოდში მას უკვე ჰქონია მამული თემძის ხეობაშიც). თამარის ისტორიკოსის ცნობით, 1163 თ. გიორგი III-ს სომხ. (შირაქის) ცენტრის – ანისის – გამგებლად დაუნიშნავს. ამ ცნობაში ის იხსენიება როგორც ,,დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე''.

1177 თ. თავისი შვილებით დემნა უფლისწულის ამბოხებას მიმხრობია, მაგრამ შემდეგ კვლავ მეფის მხარეს გადასულა. ამის შემდეგ თ. საისტ. წყაროებში აღარ იხსენიება.

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Саорбисская церковь, «Христианский Восток», 1915, т. 4, в. 2; იხ. აგრ. სტ-თან თორელები.

ნ. შოშიაშვილი.

თორელი კახა გამრეკელის ძე, XIII ს. 50–60-იანი წწ. მოღვაწე, ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი. ახალქალაქის ერისთავთერისთავი, მეჯურჭლეთუხუცესი. მისი საგვარეულო მამული იყო თორის მხარე და თემძის ხეობა, მამული თავის საერისთავო ქვეყანაში – ჯავახეთშიც ჰქონდა.

XIII ს. 50-იან წლებში თ. სხვა ქართვ. მეომრებთან ერთად მონაწილეობდა მონღოლთა ლაშქრობაში ბაღდადზე, რ-ის აღების შემდეგ (1258) დავით VII ულუმ ის დიპლ. მისიით ირანში ჰულაგუ-ყაენთან გაგზავნა. ამ ელჩობის დროს თ-მა ორტაღებისაგან (სავაჭრო-საკრედიტო ორგანიზაცია) სესხად აიღო ფული და ირანში იაფად შეიძინა ,,ბაღდადური ალაფი'',

შემდეგ მოგებით გაყიდა და იყიდა სოფ. ხოვლე, რ-იც შესწირა თავის მონასტერს რკონში. ამ ფაქტის შესახებ თ-ის ,,დაწერილი'' წარმოადგენს ძვ. ქართ. საბუთების ბრწყინვალე ნიმუშს როგორც თავისი დიპლ. ფორმით, ისე შინაარსით. იგი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ეპოქის შესასწავლად. 1260 თ-მა მხარი არ დაუჭირა დავით ულუს აჯანყებას მონღოლების წინააღმდეგ. მონაწილეობა მიიღო მონღოლთა ლაშქრობაში ეგვიპტის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ამის გამო დავით ულუს მისთვის ჩამოურთმევია მეჭურჭლეთუხუცესობა და სარგის ჯაყელისათვის გადაუცია. ალბათ თორელებისა და ჯაყელების მეტოქეობის შედეგი იყო ის, რომ თ-მა, ჟამთააღმწერლის გადმოცემით, გადამწყვეტი როლი ითამაშა მონღოლთა დამსჯელი რაზმის გამარჯვებაში აჯანყებული დავით ულუსა და სარგის ჯაყელის ლაშქარზე.

XIII ს. 60-იანი წწ. შემდეგ თ. წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო: შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965; ჟამთააღმწერელი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ნ. შოშიაშვილი.

თორთლაძე გია ოთარის ძე (დ. 12. VII. 1960, თბილისი), სპორტსმენი (ალპინისტი), არქეოლოგი. დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1983). იკვლევს დას. საქართვ. ღია ზედაპალეოლითურ ნამოსახლარებს. საქართვ. მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი (1997–2001) და მთამსვლელთა საერთაშ. ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი (2001, თბილისი). ამავე ასოციაციის პრეზიდენტი (2001-იდან). არის მრავალი ალპინისტური ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელი. შესრულებული აქვს 150-ზე მეტი ასვლა სხვადასხვა კატეგორიის სირთულის მწვერვალებზე, მ. შ. შვიდათასიანებზე და რვაათასიანებზე, სამჯერ დალაშქრა ევერესტი – 8848 *მ* (1999, 2001, 2012). თ. არის პირველი ქართვ. მთამსვლელი, რ-იც ნამყოფია აფრიკის (,,კილიმანჯარო''– 5895 *მ*), ჩრდ. ამერიკის (,,მაკ-კინლი''–6194 *მ*) და სამხრ.-ამერიკის (ანდები, ,,აკონკაგუა'' – 6960 *მ*) უმაღლეს მწვერვალებზე. თ. არის დოკუმენტური ფილმების ავტორი (მთამსვლელობა).

თ. იყო საქართვ. პარლამენტის ორი მოწვევის (2004–08; 2008–12) წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997), ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (1999) და ნეპალის სამეფო ორდენით (2003).

შ. მირიანაშვილი.

თორთლაძე ლევან ალექსანდრეს ძე (დ. 25. X. 1948, ქუთაისი), ზოოტექნიკოსი. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2004). 1971 დაამთავრა ქ. იჟევსკის სას.-სამ. ინ-ტი. 1976–78 მოღვაწეობდა მოსკოვში საკავშ. მეცხოველეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1974–89 ეკავა სხვადასხვა თანამდებობა უდმურტეთის რესპუბლიკაში. 1989-იდან მუშაობდა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო უნ-ტში რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლ. კათედრაზე, 2002-იდან იყო ამავე კათედრის გამგე. 2006-იდან არის საქართვ. აგრ. უნ-ტის კერძო ზოოტექნიკის დეპარტამენტის უფროსი. თ-მ შეისწავლა საქართველოში შემოყვანილი ძროხის მაღალპროდუქტიული ჯიშების აკლიმატიზაციის საკითხები, ძროხის რძისა და ხორცის წარმოების ტექნოლოგია და სხვ. 2006-იდან თ. სომხეთის სახელმწ. აგრ. უნ-ტის საპატიო დოქტორია, ასევე საქართვ. მეცხოველეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, 2011-იდან – საქართვ. ხორცისა და თევზის მეწარმეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი.

თ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის და 3 სახელმძღვანელოს ავტორია. აქვს 2 პატენტი გამოგონებაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შვედეთის დახმარების პროგრამის პროექტის განხორციელებაში მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია შვედეთის სამეფო ოჯახის მედლით. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2002).

თხზ.: მეძროხეობა და მისი განვითარების პერსპექტივები რაჭის რეგიონში, წგ.: წარსული, აწმყო და მომავალი, თბ., 2012.

თორთლაძე სულიკო სპირიდონის ძე (20. XI. 1919, ქუთაისი, – 9. V. 1982, იქვე), სპორტსმენი, კალათბურთელი. სსრკ-ის დამსახურებული მწვრთნელი (1967). დაამთავრა თსუ და ქუთაისის პედ. ინ-ტი. თამაშობდა ქუთ. ,,დინამოში'' (1938–40; 1944) და თბილ. ,,დინამოში'' (1945–52). სსრკ-ის ჩემპიონი (1950), მეორე (1947) და მესამე (1948) პრიზიორი, სსრკ-ის თასის მფლობელი (1949). მისი აღზრდილები არიან: ზ. *საკანდელიძე,* მ. *ქორქია,* ნ. *დერიუგინი,* ზ. გრძელიძე და გ. დარსაძე.

თორთომი, თორთუმი, პროვინცია ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ამჟამად თურქეთის ტერიტ.). ცენტრი – *თორთომის ციხე* (ნანგრევებიღაა შემორჩენილი მდ. თორთომის შუაწელზე), მოიცავდა მდ. ოლთისის (თურქ. ოლთუჩაი) შენაკადის – მდინარე თორთომის (თურქ. თორთუმჩაი) – ხეობას. თ. ტაოს მხარეში შედიოდა. ეკლესიურად ექვემდებარებოდა იშხნის ეპისკოპოსს. აქ იყო ქართ. კულტურის მძლავრი კერები – ოშკისა და ხახულის მონასტრები. თავისი მდებარეობის გამო თ-ს ერთ-ერთ პირველს უხდებოდა სამხრ-იდან შემოსეული მტრის იერიშის მოგერიება. XIII ს-ში ტაოს ერისთავმა თაყა ფანასკერტელმა თ-ის ციხესთან დაამარცხა თურქთა მომთაბარე ტომები. შემდგომში თ. სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა. XVI ს-ში მას საქართველოს სხვა ტერიტ. ნაწილთან ერთად ოსმალეთი დაეუფლა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

დ. მუსხელიშვილი.

თორთომის ციხე (თურქ. წყაროებში – თორთუმი, ევროპულ წყაროებში – კორკონი), მდებარეობს ისტორიულ ტაოში (ამჟამად თურქეთის ტერიტ.), მდ. ჭოროხის მარჯვ. შენაკადის, თორთომისწყლის (ახლანდ. თორთუმჩაი) სათავეებთან. ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში თ. ც. კარგად ყოფილა შემონახული და, როგორც ე. *თაყაიშვილი* შენიშნავს, ძლიერ წააგავდა გორის ციხეს.

მდინარის შუაში, მაღალ კლდოვან კუნძულზე, აღმართული თ. ც. დიდი და კარგად გამაგრებუ-



გ. თორთლაძე.

თორთომის ციხე.



ლი სიმაგრე ყოფილა. თურქების დახასიათებით, ,,თორთუმის ციხესიმაგრე, ერთ-ერთი უმტკიცესი, ჯოჯოხეთური და აულებელი სიმაგრე, ცის კამარას მიბჯენილი ბასტიონებით, ერთ-ერთი ყველაზე განთქმულია ციხესიმაგრეთა თანავარსკვლავედში“. თორთომის შიდაციხეში სხვადასხვა საფორტიფიკაციო ნაგებობასთან ერთად განლაგებული ყოფილა საცხოვრებელი სახლები და ეკლესია, რ-ის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. ოსმალთა დაპყრობების შემდეგ თ. ც-ში სულთან სულეიმანის ჯამეც გაჩნდა. თ. ც-ის ქვედა გარეუბანში შვიდასამდე კეთილმოწყობილი ნაგებობა მდგარა. ქალაქს ჰქონდა აბანოები, ფუნდუკები, დუქნები. აქვე ყოფილა მარილის საბაჟოც. საცხოვრებელ სახლებს გარს ერტყა ბაღ-ვენახები. განსაკუთრებით ფასობდა ყურძენი, მსხალი, ატამი, რ-ებიც დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ვაჭრებს ერზურუმში.

თ. ც. ტაოს ერთ-ერთი თემის – *თორთომის* – ადმ. ცენტრი იყო. დროთა განმავლობაში მას სხვადასხვა ფეოდ. საგვარეულო ფლობდა, მ. შ. ფანასკერტელები, ჯაყელები. XVI ს. დასაწყისში თ. ც-ს დაეუფლნენ ჯაყელთა ვასალები, ქურცინა და მისი შვილები. ამავე საუკუნის შუა წლებში მას განაგებდა ვინმე როსტომი. თ. ც-ს უაღრესად დიდი სამხ.-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მცირე აზიიდან საქართველოში შემომავალ უმთავრეს გზებს იცავდა. ციხის მდებარეობა საშუალებას აძლევდა მეციხოვნეებს გამკლავებოდნენ მოწინააღმდეგის ჭარბ ძალასაც (მაგ., თ. ც-თან თაყა ფანასკერტელმა დაამარცხა შემოსული თურქმანი დამპყრობლები). ეს გარემოება მტერმაც კარგად იცოდა და საქართველოში დასამკვიდრებლად ამ ციხის აღებასაც ცდილობდა. XI ს-ში თ. ც-ში ბიზანტ. გარნიზონი იდგა, მოგვიანებით კი, XIV–XV სს-ში, თ. ც. თემურლენგისა და უზუნ-ჰასანის ჯარისკაცებს ეპყრათ. მაგრამ მტრის ყოველი ასეთი წარმატება ეპიზოდური ხასიათისა იყო. 1549, ერთკვირიანი ბრძოლის შემდეგ, თ. ც. ოსმალებმა აიღეს და იგი თორთომის სანჯაყის ადმ. ცენტრად გამოცხადდა.

წყარო: ა ბ უ ლ ა ძ ე ც., თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბ., 1983; ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი ს ,,მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. 1, თბ., 1971; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: Т а к а й ш в и л и Е., Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, Тб., 1952.

გ. ჭეიშვილი.

თორი, თ ო რ ნ ი, *აბჯრის* საუკეთესო სახე ძველ საქართველოში, ,,ტანსაცვამი რკინისა ჯაჭვივით“ (ს.-ს. ორბელიანი). თ. მთლიანად ლითონით იყო დამზადებული. იცავდა მებრძოლის თორაკს – მკერდს, ბეჭებსა და კიდურებს. თ-ის შემადგენელი ლითონის ნაწილები ერთმანეთთან ჯაჭვით იყო დაკავშირებული. თ-ით შეჯავშნულს თოროსანი ეწოდებოდა, იგი კარგად იყო დაცული. თ. ცეცხლსასროლი იარაღის შემოღების შემდეგაც იხმარებოდა.

ლიტ.: ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი კ., ქართული საჭურველი. ჯაჭვი, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1956, ტ. 19 B;



თორი.

ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვ. 3–4, თბ., 1962.

კ. ჩოლოყაშვილი.

თორი, ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში. მოიცავდა სამი ხევის აუზებს: გუჯარეთის-წყალს, შავწყალასა და ხეობას, ანუ მტკვრის ორსავე სანაპიროს ტაშისკარიდან დვირამდე. ჩრდ.-დას-იდან თ-ს ქართლ-იმერეთის ქედი ესაზღვრებოდა, სამხრ-იდან – კოდიანის, შარვაშეთისა და თორის მთები, აღმ-იდან ნაირის, აბუხალოს, გვირგვინასა და ყერძენის მთები. ესაა ძირითადად ტყიანი მთებისა და ალპური საძოვრების მხარე, რ-ის მეურნეობაში წამყვანია მესაქონლეობა. ვენახ-ხილიანი ზოლი აქ მხოლოდ მტკვრის ნაპირებზეა, აქვე მისდევდნენ მიწათმოქმედებასაც.

ლეონტი მროველის ცნობით, უძველესი დროიდანვე თ. სამცხის შემადგენლობაში ითვლებოდა. გიორგი მერჩულისა და ძვ. სომხური გეოგრაფიის ცნობათა მიხედვით, V–X სს-ში თ. ადმინისტრაციულად ქართლის შემადგენლობაში იყო. თ-ის ძირითადი სამი ერთეული თავისთავად კიდევ მცირე საციხისთავო ქვეყნებად იყოფოდა, რომელთაც თავიანთი რელიგ. ცენტრებიც ჰქონდათ. ასეთები იყო: შავწყალაზე ციხისჯვარ-თორი (ამ ადრევე დაწინაურებული ცენტრის სახელი შემდეგ მთელ ოლქზე გავრცელდა); გუჯარულაზე – თოთხამ-გუჯარეთი, უზნარიანის ციხე და ტიმოთესუბნის მონასტერი, ყვერბილის ციხე და ლიკანის მონასტერი, დვირის ხევში – გურჯის ციხე და ტაძრისის მონასტერი, დვირის ციხე და საკვირიკეს მონასტერი. XI ს-ში თ-ის დასავლეთი (ტაძრისის მონასტერი დვირის ხევში) სამცხეში შედიოდა, ხოლო აღმ. ნაწილი (ახალდაბა და ნემვის მონასტერი) – ქართლში.

XI–XIII სს. თ-ის აღმავლობის პერიოდია. სხვა პირობებთან ერთად ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ თ-ის ოლქის მფლობელ თორელთა ფეოდ. საგვარეულო საქართვ. სამეფო კარზე ამ დროს ფლობდა დარბაზის რიგის საპატიო სახელოებს. მაშინ გაქალაქდა ახალდაბა, განახლდა ძვ. ციხეები (ნემვი, საკვირიკე, საყდრივაკე), აშენდა ახ. ეკლესია-მონასტრები (კიმოთისმანი, დვირი, საკირე), ხიდები.

XIV–XV სს-ში თ. თანდათან გადავიდა საათაბაგოში – ჯაყელთა ფეოდ. სამთავროში. ამისდა კვალად თორელებმაც ქართლში გადაინაცვლეს, თ-ში კი ავალიშვილთა, გოგიბაშვილთა, ბუმბულისძეთა ახ. ფეოდ. ერთეულები შეიქმნა. XVI ს. ბოლოს მთელ სამხრ. საქართველოსთან ერთად თ-ც ოსმალთა ბატონობას დაექვემდებარა. ,,*გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის*“ მიხედვით, თ-ს მაშინ პეტრეს ლივა ეწოდებოდა, რ-იც ორად იყო გაყოფილი: პეტრეს ციხის ნაჰიედ, ცენტრით პეტრეს ციხეში, და ქაშვეთის ნაჰიედ, ცენტრით სადგერში. ეს მხარე თითქმის დაცლილი ყოფილა მოსახლეობისაგან და მხოლოდ რვა დასახლებული პუნქტიღა იყო შემორჩენილი. 1639 ირან-ოსმალეთის ზავის მიხედვით, თ. ისევ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

ფეოდ. ხანის თ. ეპარქიების მიხედვით ასე ნაწილდებოდა: შავ-

წყალა და ხეობა კორტანეთამდე მაწყვერელს ემორჩილებოდა, გუჯარეთი – ქართლის კათოლიკოსს, ნეძვ-ახალდაბის ქვეყანა კი – მროველს. 1739 მაწყვერლის სამწყსო თ-ში ურბნელ ეპისკოპოსს გადაეცა.

XIX ს-იდან დაიწყო მოსახლეობისაგან დაცლილი თ-ის ხელახალი დასახლება. 30-იანი წლებიდან ჩამოსახლდნენ გიუმიშხანედან გამოქცეული ბერძნები, რ-ებმაც ბოლოს ციხისჯვარში მოიყარეს თავი. ამავე წლებში ჩამოასახლეს რუსები, შემდეგ – უკრაინელები პოლტავის გუბერნიიდან. მოსახლეობა მოვიდა ქართლიდან, იმერეთიდან; XIX ს. II ნახ-ში ცხინვალის რაიონიდან ჩამოსახლდნენ გუჯარეთის ხევისა და მიტარბის ოსები.

თ. ამჟამად ბორჯომის მუნიციპალიტეტში შედის.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბ., 1985; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013.

დ. ბერძენიშვილი.

თორი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის ტერიტორიულ ორგანოში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1600 *მ.* 17 მცხ. (2014).

თორია, სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ეშტიის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ჯავახეთის ზეგანზე. ზ. დ. 1880 *მ,* ნინოწმინდიდან 15 *კმ.* 491 მცხ. (2014).

თ. მდებარეობს ისტ. ჯავახეთში. *„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“* მიხედვით, 1595 თ. ახალქალაქის ლივის აკშეჰირის რ-წში შედიოდა. იქ 21 კომლი ცხოვრობდა, რ-თა უმრავლესობა ქართველები იყვნენ: ფასია, მერაბა – ძმა მისი, პაპა ფასიასძე, გრიგოლ თორნიკესძე, ჯანიბეგ სარგიზისძე, ხოსრო გრიგოლისძე, არსლან აღბუღასძე და სხვ. ისინი წლიურად იხდიდნენ 13000 ახჩას; მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი; ჰყავდათ ფუტკარი, ღორი, ცხვარი; ჰქონდათ ბოსტნები და ერთი თვალი სელის ზეთის სახდელი.

ერთი საბუთის მიხედვით, 1847 ეს სოფელი უკაცრიელი ყოფილა და მემამულე ყანდანოვის სოფ. ხულგუნოში მცხოვრები სახაზინო გლეხები (14 კომლი) ითხოვდნენ გადასახლებას თ-ში. 1886–87 იქ უკვე 45 კომლი ცხოვრობდა.

დღევანდელ თ-ში კათოლიკე სომხები ცხოვრობენ.

სოფლის განაპირას, მის დას-ით, შემორჩენილია ძვ. ქართ. ეკლესიის ნაშთი. პერანგშემოცლილი საკურთხევლის ბათქაშს გარედან და შიგნიდან ეტყობა გათლილი კვადრების ჰორიზ. მწკრივების ანაბეჭდები. ნანგრევებში ჩანს ქვაჯვარის ბაზა, ვერძისა და ცხენის ქანდაკებები. ქვაჯვარის ბაზა და კოპიანი ქვის ჯვარია საფლავებზეც ახ. სომხ. „სურბის“ მახლობლად.

სოფელს ჩრდ.-აღმ-იდან მაღალი მთა დაჰყურებს, რ-ის თხემი ვულკ. ქვის მასივითაა დაფარული. სამხრ. ფერდობზე ამავე ქვებით შექმნილია სამი გამაგრებული ტერასა, მთის წვერზე კი ქვაყრილებით მოზღუდულია წრიული ტერიტორია, რ-ის დიამეტრი დაახლ. 10 *მ*-ია. მის შიგნით, ასევე ტერასებზე, ჩანს ნასახლართა ბუდეები. ნაკლებად დამრეც, ადვილად მისადგომ ჩრდ. და დას. მხარეს თხრილია თავდაცვის გასაძლიერებლად. შიშიანობის დროს აქ უნდა ყოფილიყო სოფლის მაცხოვრებელთა თავშესაფარი.

სიმაგრის დას-ით, ქედის გაგრძელებაზე, ახ. სალოცავია – „სურბი“, რ-შიც ძვ. ქვაჯვრის ბაზა დგას. მისი ოთხივე მხარე დამუშავებული და შემოღარულია, ერთ გვერდზე მოგრძო ჯვარია გამოსახული.

ლიტ.: ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58.

დ. ბერძენიშვილი.

თორის ქვაბული, მთიანი ქვაბული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში. მოიცავს მდინარეების გუჯარეთისწყლისა და ბორჯომულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადები) აუზებს. სამი მხრივ შემოსაზღვრულია თრიალეთის ქედის ტოტებით: ჩრდ-ით – გვირგვინას ქედით, აღმ-ით და სამხრ-ით – ციხისჯვრის ქედებით, დას-ით კი ღიაა ბორჯომის ხეობისაკენ. ქვაბული დანაწევრებულია ბორჯომულის, გუჯარეთისწყლისა და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადების ხეობებით. დამახასიათებელია რელიეფის ტექტონ.-ეროზიული და ნაირგვარი ვულკანური ფორმები. მეოთხეული პერიოდის ვულკანურმა პროცესებმა არსებითი როლი შეასრულა ქვაბულის ბუნებაზე. თ. ძ-ის სხვადასხვა სახის ყომრალი ნიადაგი მეტწილად ტყითაა დაფარული, ძირითადად მუქწიწვოვნებით (სოჭი, ნაძვი) და წიფლით. არის ნაძვნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარ-ფოთლოვანი ტყეებიც, ზოგან – მარტო ფიჭვნარიც. გვირგვინასა და ციხისჯვრის ქედების თხემებზე სუბალპ. მდელოებია. სუფთა ჰავა, ბუნებრივი ტყეები, მინერ. წყლების სიუხვე, ლამაზი წყალსატევები (კახისის, წეროს, დაბაძველის ტბები), განუმეორებელი თვალწარმტაცი ლანდშაფტი, თ. ძ-ს მნიშვნელოვან ჯანმრთელობის კერად აქცევს. აქ მდებარეობს ბალნეოლ. და კლიმ. კურორტები: *ბორჯომი, ცემი, წაღვერი, ლიბანი, ბაკურიანი, ტბა* და სხვ.

დ. უკლება.

თორმანეული, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ყორნისის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), ყორნისისწყლის (აღმოსავლეთის ფრონის შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 880 *მ,* თიღვიდან 20 *კმ.*

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თორნიკე ერისთავი (გ. 985), სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, დავით III დიდი კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, *ათონის ივერთა მონასტრის* ერთ-ერთი მაშენებელი, ტაოელი დიდებულის ჩორდვანელის ძე. ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა იოანე. ერთხანს ათონის მთაზე, ათანასე დიდის ლავრაში, მოღვაწეობდა. 979 თ. ე-ს ბიზანტ. სამეფო კარმა შუამდგომლობა სთხოვა დავით კურაპალატთან, რათა იგი დახმარებოდა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში. თ. ე-მა თავდაპირველად ბერობა მოიმიზეზა და შემოთავაზებაზე უარი თქვა, მაგრამ შემდეგ, ხელისუფლებისაგან მოსალოდნელი რისხვის თავიდან ასაცილებლად, დათანხმდა. დავით კურაპალატმა თ. ე-ის სარდლობით ბიზანტიაში გაგზავნა 12 ათასი მხედარი, რ-ებმაც სძლიეს სკლიაროსს და ხელთ იგდეს დიდი ნადავლი. ბიზანტ. ხელისუფლების დაპირების თანახმად, ნადავლი თ. ე-ს ეკუთვნოდა. ნაწილი ამ სიმდიდრისა მან ათანასეს ლავრას და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, ხოლო უდიდესი ნაწილი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა. 980 წლის ახლო ხანებში თ. ე-ს ბიზანტ. კეისარმა სვინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე ბერი) წოდება უბოძა. თ. ე-ის შეკვეთით გადაწერილია ოშკის ბიბლია (978) და კირილე ალექსანდრიელის თხზულების „განძის“ – 981 წლის ნუსხა.

წყარო: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლი-

ტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 2, თბ., 1967. *ა. ბოგვერაძე.*

თორსა, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის დაბლობზე. თორსა-დღვაბის თემის ცენტრი (სოფლები: თ., დღვაბა, საბუკიო). ზ. დ. 10 *მ*, ხობიდან 12 *კმ*, ხეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 535 მცხ. (2014).

თორტიზა, მთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდ.-დას. განშტოება გვირგვინას ქედზე, მდინარეების ძამისა და გუჯარეთისწყლის წყალგამყოფზე. სიმაღლე 1996 *მ*. აგებულია პალეოცენ-ეოცენური კირქვებით, თიხებითა და ქვიშაქვებით. ხევებით დასერილი ციცაბო კალთა ქვევით შემოსილია წიფლის, ხოლო ზევით – წიფლნარ-მუქწიწვოვანი ტყით. მწვერვალზე მეორეული მდელოა. *ქ. ჯაყელი.*

თორტიზა, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ბერბუკის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. მეჯუდის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 660 *მ*, გორიდან 7 *კმ*. 882 მცხ. (2014).

სოფლის განაპირას სამხრ.-დასით, დგას ხუროთმოძღვრული ძეგლი – XIX ს. ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

თორღა, ციხე კახეთში. დღევანდელი მოსახლეობა ,,თორღვას გალავანს'' უწოდებს. მისი ნანგრევები მდებარეობს მდ. სტორის ზემო წელზე, აბანოსა და ნაკოდევის ხევების შესაყართან, კლდოვან მთაზე. ციხესიმაგრის კონტური, მართლაც, ერთ მთლიან გალავანს წარმოადგენს, რ-იც მთის თხემზეა შემოვლებული. აღსანიშნავია შიდაციხე ეკლესიისა სხვა საცხოვრებელი ნაგებობების ნანგრევებით. თ. აკონტროლებდა კახეთიდან თუშეთში გადამავალ გზას. წყაროებში მხოლოდ გვიანდ. საუკუნეებში იხსენიება, მაგრამ თვით ნაგებობა უეჭველად ადრინდ. შუა საუკუნეების ხანისაა. თ. გვიანდ. საუკუნეების კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მთავარი ციხისიმაგრე იყო, რ-შიც სამეფო საგანძური ინახებოდა. 1614 კახეთის დალაშქვრისას თ. აიღო შაჰ აბასმა. ვახუშტის დროს (XVIII ს. პირველი ნახ.) მას ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა.

ლიტ.: ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013. *დ. მუსხელიშვილი.*

თორღვა პანკელი, ქართველი ფეოდალი, კახეთის გამგებელი XIII ს. 40-იან წლებში, *კოხტასთავის შეთქმულების* მონაწილე. დავით VII ულუმ ბათო-ყაენთან ურდოში გამგზავრების წინ კახეთი თ. პ-ს ჩააბარა და დედოფალ ჯიგდა-ხათუნსა და მესტუმრე ჯიქურს დაუმორჩილა. რაკი დავითს შეაგვიანდა, თ. პ-ს ეგონა, რომ იგი აღარ დაბრუნდებოდა, განუდგა მას და კახეთის დასაკუთრება მოინდომა. დავით VII-ის დაბრუნების შემდეგ შეშინებულმა თ. პ-მა ვერ გაბედა მეფესთან მისვლა. ის ფიცით მიინდვეს და უვნებლობა აღუთქვეს, მაგრამ მერე ჯიქურის ბრძანებით კლდეკარიდან გააგდეს.

წყარო: ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, ნაწ. 1, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3). *რ. კიკნაძე.*

თორღვას აბანო, ადგილობრივი მნიშვნელობის მთის ბალნეოკლიმატური კურორტი, მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში, ცენტრიდან 50 *კმ*-ის დაშორებით, მდ. სტორის ხეობაში, კავკასიონის სამხრ. ფერდობზე, ზ. დ. 1800 *მ* სიმაღლეზე.

ტერიტ. წიწვიანი ტყით არის დაფარული. კლიმატი ხასიათდება ზომიერად რბილი ზამთრით (იანვ. საშ. ტემპ-რა –5°ჩ) და ზომიერად თბილი ზაფხულით (აგვ. საშ. ტემპ-რა 14,8°ჩ). ნალექების წლიური რაოდენობა 1400 *მმ*.

კურორტზე არის თერმული მინერ. წყალი, ქიმ. შედგენილობით სუსტად სულფიდური, ქლორიდულ-კარბონატულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი, რ-შიც გოგირდწყალბადის გარდა შედის კაჟის მჟავაც. მინერალიზაცია 0,4–0,6 *გ/ლ*. ტემპ-რა 34–37°ჩ.

წყალს იყენებენ საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოებისა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ.

თორღვას ბრძოლა 1578, ბრძოლა კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტებს შორის. 1574 გარდაიცვალა კახეთის მეფე ლევანი. მის შვილებს შორის დაიწყო ბრძოლა ტახტის დასაუფლებლად. თავდაპირველად ტახტზე ქაიხოსრო ავიდა (ლევანის შვილი შამხალ ყარამუსალის ასულისაგან). ალექსანდრემ (ალექსანდრე II, ლევანის შვილი გურიელის ქალისაგან) თავი ყაზახს შეაფარა. ალექსანდრეს მიემხრნენ ქართლის მეფე დავით X (დაუთ-ხანი), მისი სიმამრი ბარძიმ ამილახვარი, ელიზბარ ქსნის ერისთავი და რამდენიმე კახი თავადი. ბრძოლა გაიმართა თორღვას (ახლანდ. ახმეტის მუნიციპალიტეტი). ალექსანდრემ გაიმარჯვა და სამეფო ტახტიც მას დარჩა.

წყარო: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., I, თბ., 1940; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*

თორღვას ციხე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკუნეების კოშკი, აღმართულია სოფ. მუცოს განაპირას ჩრდ.-დასით, მაღალი კლდის შუა წელზე. კონტროლს უწევდა არხოტის-წყლის გასწვრივ გამავალ გზას და იცავდა მუცოს მისადგომებს. ციხის სახელი დაკავშირებულია ვინმე თორღვასთან, რ-იც თემის მიმართ გარკვეული დამსახურებისათვის ერთხანს აღზევებულა, მაგრამ შემდეგ, როდესაც მოინდომა თემ-



თორღა. ციხის გალავნის ნაწილი.

ზე გაბატონება, თემი აღდგა მის წინააღმდეგ. იგი ამ ბრძოლამ შეიწირა კიდეც. სწორედ მისი აღზევების დროსაა აშენებული მისი საცხოვრებელიც. იგი მდებარეობს მუცოს ზედა ტერასაზე ,,ზენუბანში'' – კლდოვან პლატფორმაზე, რ-საც ,,ბროლის კალოსაც'' უწოდებენ. აქ ჩრდ-აღმ. ნაწილში არის ზღუდის ნაშთი ვიწრო გასასვლელით, რ-იც მიემართება ტერასის ბოლოში აღმართული თორღვას სამსართულიანი კოშკურა საცხოვრებლის – ციხე-სახლისაკენ. მას სამი მხრიდან უფსკ-

რული აკრავს. ნაგებია ფიქალით, ხოლო კედლებში სათოფურებია დატანებული.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008; ქ ა ლ დ ა ნ ი ა., თორღვას ციხე მუცოსა, «ძეგლის მეგობარი», 1983, №62.

თოუმიში, თ უ მ უ შ ი, მდინარე დას. საქართველოში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში. სიგრძე 25 *კმ*, აუზის ფართ. 62 *კმ*^{2}. სათავე აქვს კოდორის ქედის სამხრ. მთისწინეთში, 450 *მ* სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას სოფ. ნაოჩთან. საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზამთარში. წყალმცირეა აგვ.-სექტ-ში. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 1,64 *მ*^{3}/*წმ*.

ი. აფხაზავა.

თოუმიში, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის კუტოლის თემში (აფხაზეთის არ), მდ. თოუმიშის ნაპირას. ზ. დ. 120 *მ*, ოჩამჩირიდან 25 *კმ*, ტამიშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 13 *კმ*.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

„თოფალოინი“, სახუმარო ხასიათის ქართული (აჭარული) ხალხური ცეკვა. სახელწოდება მომდინარეობს თურქულიდან („თოფალ ოინ“ – კოჭლის თამაში). ცეკვას ახასიათებს სიკოჭლისათვის დამახასიათებელი მოძრაობები – თეძოებში მტვრევა. მისი ელემენტები გამოიყენება აგრეთვე ცეკვა „განდაგანში“.

ლიტ.: თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ცეკვის განმარტებანი, თბ., 1986; მ ს ხ ა ლ ა ძ ე ალ., ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან (ჭიბონი და ტრადიცია აჭარაში), თბ., 1969.

ა. თათარაძე.

თოფანჭიალასი, თ უ ფ ა ნ გ ჩ ი ა ღ ა ს ი, თ უ ფ ე ნ ქ ჩ ი ა ღ ა ს ი, (თურქ. tüfenkçi – მეთოფე, ağa – უფროსი), მეთოფეთა უფროსი. ირანში შაჰ-აბას I-ის დროს ჩამოყალიბდა მუდმივი ჯარი, რ-ის შემადგენლობაში შედიოდა თოფანჭიების (მეთოფეთა) 12000-კაციანი კორპუსი. სათათბირო ორგანოში – „უმაღლეს მეჯლისში“ – შედიოდა 7 „სახელმწიფოს საყრდენი“ დიდი მოხელე, რ-თაგან ერთი თ. იყო. ეს თანამდებობა ირანში ქართველებსაც ეკავათ (XVIII ს-ში თ. იყო როსტომ-ხან *სააკაძე*, აგრეთვე მისი დისწული – პოეტი ქაიხოსრო-ხან ქართველი). ოსმალეთში თოფით შეიარაღებულ იენიჩარებს თუფენქჩი ეწოდებოდა.

ლიტ.: ფ უ თ უ რ ი ძ ე ვ., ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

თოფაძე გიორგი ლევანის ძე (დ. 18. IV. 1940, თბილისი), ინჟინერ-ტექნოლოგი, მეწარმე, ბიზნესმენი, მეცნიერი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1998), თსუ-ის პროფესორი (1998), რამდენიმე ეროვნ. და საერთაშ. აკად. წევრი, საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი საბავშვო ლიტ-რისა და ხელოვნების დარგში (ჯ. ხანთაძესთან ერთად, 1999). 1962 დაამთავრა სპი-ის კვებისა და ქიმ. ტექნოლ. ფაკ-ტი. 1970–75 იყო თბილ. საპნის ქ-ნის დირექტორი, 1975–86 – საწარმოო გაერთიანება „თბილლუდის“ გენ. დირექტორი, 1986–94 – ლილოს ლუდის ქ-ნის დირექტორი, 1995–2008 – საქართვ. სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, 1998–2007 – საქართვ. ეროვნ. ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, 2007–08 – პრეზიდენტი, 1999–2003, 2004–05, და 2012–16 საქართვ. პარლამენტის წევრი.

1994-იდან არის ბიზნესჯგუფ „ყაზბეგის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, 1999-იდან – თავისსავე დაფუძნებული პოლიტ. მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ორგანიზაციის თავ-რე. 1997 და 1998 დასახელდა საქართველოს წლის საუკეთესო ბიზნესმენად და გადაეცა ოქროს მედალი. 1999 ქ. ბრიუსელში ფირმა „ევრომარკეტმა“ დაასახელა საუკეთესო ბიზნესმენად აღმ. ევროპაში ბიზნესის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის. 2005 პირველს გადაეცა საქართვ. ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნ. აკად. მიერ დაწესებული მეცენატის ოქროს მედალი. ეწევა მრავალმხრივ ქველმოქმედებას; არის არაერთი სამეცნ. პუბლიკაციისა და მონოგრაფიის ავტორი.

თოფი, ხელის ცეცხლსასროლი იარაღი, „ცეცხლის სასროლი, ხელმეხა ქართულად ჰქვიან“ (ს.-ს. ორბელიანი). ევროპული ისტ. დოკუმენტები ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებას XIV ს. I ათწლეულით ათარიღებენ, თუმცა XIII ს-ში არსებობდა არაბული ცეცხლსასროლი იარაღი ე. წ. „მოდფა“.

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი XV ს-ში გამოჩნდა. სავარაუდოდ იგი პირველად დას. საქართველოს სანაპიროზე ბურგუნდიელებმა გამოიყენეს 1445, ხოლო ოსმალებმა 1479 არტილერია იხმარეს ქართული ციხესიმაგრეების წინააღმდეგ. მიიჩნეოდა, რომ თ. პირველად 1489 კოჯრის ციხის აღებისას გამოიყენა აყ-ყოიუნლუს (თეთრბატკნიანთა) ლაშქარმა. როგორც აღმოჩნდა, თეთრბატკნიანებმა მანამდეც, 1485, არტილერიის გამოყენებით აიღეს ახალციხე.

XVI ს. II ნახ-იდან ქართული ციხე-სიმაგრეების არქიტექტონიკაში სათოფურები მკვიდრდება. სათოფურები საცხოვრებელ სახლებსაც ჰქონდა (მთიულეთ-გუდამაყარი, ხევსურეთი, სვანეთი და სხვ.) დატანებული. XVI ს. 80-იან წლებში მოსახლეობის თ-ით აღჭურვილი იყო მხოლოდ 4 %, XVII ს. დამლევისათვის კი ცეცხლსასროლი იარაღის ხვედრითი წილი მოსახლეობაში 1/3-ის ფარგლებში მერყეობდა, ყოველ შემთხვევაში 40 %-ს არ აღემატებოდა. XVIII ს. დამდეგიდან ცეცხლსასროლი იარაღი საყოველთაოდ ვრცელდება.



გ. თოფაძე.

ცეცხლსასროლი იარაღის (თ-ის) განვითარების ისტორია ჩახმახის კონსტრუქციის მიხედვით, რამდენიმე ეტაპად იყოფა: 1. ფითილიანი, 2. გორგოლაჭიანი, 3. კაჟიანი, 4. ფისტონიანი, 5. სახაზინო დასატენი ნემსიანი შაშხანა.

საქართველოში და მთლიანად კავკასიაში ფითილიანი და გორგოლაჭიანი თ-ები, შეიძლება ითქვას, არ უწარმოებიათ. ძირითადად გამოიყენებოდა იმპორტირებული (ოსმალეთი, ყირიმი) იარაღი, ხოლო XVII—XVIII სს-იდან, კაჟიანი თ-ების ეპოქიდან, ვითარება იცვლება. საქართველოში და ზოგადად კავკასიაში იწყება ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება და XVIII ს-ში უკვე ყალიბდება კაჟიანი თ-ების კავკასიური ტიპი, სადაც საპატიო ადგილი ქართულ იარაღს უჭირავს. ამ პერიოდში უკვე ვხვდებით სხვადასხვა დასახელების კაჟიან და ფისტონიან თ-ებს: სიათა, მაჟარი, ოსტამული, გველისტუჩა, მაჭახელა, თოფხანე, ნალფარა, ერჯიბი, ბაზალა, მუსტაფა, ჯაზაირი, ხარა, ჩარმა, ხოროსანი, ქოფაჩი, ფილთა, არშავიანი, ბურა, ძეგლიგი, თურგანი, ჩაქალოზი, ხირიმი, მოგვიანებით ყარაბინი და სხვა.



ქართული კაჟიანი თოფები.



ჩახმახი.



ქართული თოფი ,,მაჭახელა‘‘.

თ-ის წარმოებაში ყველაზე რთული ლულის დამზადება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ლულა ადგილობრივადაც მზადდებოდა, რასაც მოწმობს ბათუმისა და მესტიის მუზეუმში დაცული ლულის საბურღი დაზგები, იგი მაინც დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ჩრდ. კავკასიიდან, ყირიმიდან, ოსმალეთიდან და ევროპიდან. მაგ., საქართველოში ცნობილი თ-ის სახელწოდება ,,მუსტაფა‘‘, რ-იც მეფე ერეკლე II-ის თოფზეც იხსენიება (,,მტერ[ო] გძლევ აჯი მუსტაფით‘‘ ,,მეფე ირაკლი ჭეშმარიტ შემწეობით‘‘), მომდინარეობს დაღესტნელი (ჩრდ. კავკასია) მეიარაღე ოსტატისგან, ჰაჯი მუსტაფასგან, რ-ის დამზადებული ლულები იმდენად პოპულარული იყო, რომ თავად თოფსაც ,,მუსტაფას‘‘ ეძახდნენ. მეფე ერეკლეს ,,მუსტაფა‘‘ თ-ის ლულა დაღესტნურია, ხოლო დანარჩენი დეტალები დამზადებულია ადგილობრივად.

XVIII ს-ში ლულები დიდი რაოდენობით შემოდიოდა ყირიმიდან და სწორედ ყირიმულ ლულაზე აწყობილ ქართულ თ-ს დაერქვა შესაბამისი სახელი — ,,ხირიმი‘‘ ანუ ,,ყირიმი‘‘, რ-იც პოპულარობით სარგებლობდა. ეს სახელი მეფე ბაქარის თ-ის წარწერაშიც იხსენიება: ,,თოფო ყირიმო მეფისა ბაქარისავო‘‘, ,,თოფო იხილე მირთმეუა მეფის კონსტანტინესად‘‘. ეს თ. ისტ. მოვლენას უკავშირდება, როდესაც ბაქარ ბატონიშვილმა და კახეთის მეფე კონსტანტინემ ,,ჰყვეს პირი ერთობა-სიყვარულისა‘‘, მაშინ ბაქარმა თ. საჩუქრად გადასცა მეფე კონსტანტინეს.

ხირიმი არის კაჟიანი თ., რ-იც შედგება ლულის, კონდახისა და ჩახმახისაგან. ლულა ზის კონდახის ღარში და ჩამაგრებულია სამი ან ოთხი სალტით. ყირიმული ლულა რვაწახნაგიანია. ლულასთან ახლოს ოქროზარნიშით შესრულებულია გეომეტრიული ორნამენტები, ხოლო ზედა წახნაგზე დატანილია ხუთკუთხიანი დამღა, რ-იც ძალზე ხშირად ოქროს ფურცლითაა დაფარული. ჩახმახი შედგება ჩახმახის ყბისაგან, კვესისაგან, ზამბარისა და სასხლეტი რკალისაგან. ხირიმის თ-ებს და საერთოდ ქართულ ან თუნდაც კავკასიურ თ-ებს წვრილი, განივკვეთში ოვალური ფორმის კონდახები ჰქონდათ, რებიც უმეტეს შემთხვევაში ძვლის (სპილოს ან ღომვეშაპის) დუგლუგებით ბოლოვდებოდა. კონკრეტულად ქართული თ-ებისთვის ძალზე დამახასიათებელი იყო დუგლუგზე გადაჭიმული მოზარნიშებული ან მოსევადებული ლითონის სალტე, ასევე ძვლის ინკრუსტაცია სასხლეტ რკალთან და სხვ. გასროლა ხორციელდებოდა შემდეგნაირად: ლულის ტუჩიდან იტენებოდა დენთი, ტყვია და ძონძი, ჩახმახის საფალიე დაფაზეც იყრებოდა ცოტაოდენი დენთი და ეხურებოდა კვესი. ამის შემდეგ შეაყენებდნენ ჩახმახს. სასხლეტი რკალის გამოკვრით მოქმედებაში მოდიოდა დაჭიმული ზამბარა და ჩახმახის ყბა მასში ჩამაგრებული კაჟით ძლიერად ეცემოდა კვესს, რის შედეგადაც წარმოიქმნებოდა ნაპერწკალი. კვესი ანჯამის საშუალებით გადავარდებოდა უკან და ნაპერწკალს საფალიე დაფაზე მოხვედრის საშუალებას აძლევდა, სადაც აალებული დენთი შეაღწევდა ლულაში და ხდებოდა გასროლა. კაჟიანი თ-ის სროლის სიშორე (მომაკვდინებელი) 100—150 ნაბიჯი იყო.

ისტ. დოკუმენტების მიხედვით ჩახმახებს ამზადებდნენ თბილისში, ცხინვალში, ოზურგეთში და სხვ. მაჭახელაში (აჭარა) არჩევდნენ თ-ის ორ სახეობას: თოხანასა და ნალფარას. თოხანას ხრახნიანი ლულა და გარედან დამასკური ფოლადის სტრუქტურული ორნამენტი ჰქონდა. მაჭახელამ სახელი გაითქვა საქართველოსა და თურქეთში. გამოყოფდნენ სვანურს – ,,ლუშნუ თვეფე‘‘, ფშაურს და თუშურ თ-ებს. ადგილ. წარმოების თ-ები XIX ს-ში ქარხნული წარმოების რუსულმა და ევროპულმა თ-ებმა შეცვალა.

საქართვ. სახელმწიფო სამხ. სამეცნ.-ტექ. ცენტრმა ,,დელტამ‘‘ შეიმუშავა და 2015-იდან აწარმოებს სხვადასხვა დანიშნულებისა და ტექ. მახასიათებლების მქონე 8 მოდიფიკაციის სნაიპერულ შაშხანას ,,სატევარს‘‘, რ-იც წარმოადგენს მოდულური სქემით დამზადებულ ზუსტი სროლისთვის განკუთვნილ იარაღს სხვადასხვა მანძილებზე სამუშაოდ, შაშხანის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამხ. დანიშნულებით, ასევე სპორტული სნაიპინგისთვის.

საქართვ. ეროვნულ მუზეუმში დაცულია ადგილობრივი წარმოებისა და შემოტანილი თ-ების დიდი კოლექცია, ლულის დასამზადებელი დაზგები, საპირისწამლეები, პატრონტაშები და სხვ. აქვეა ერეკლე II-ის მეორე თ-ც, წარწერით ,,ქ.[ქრისტე] ირაკლის სიქადულო საძლეველო მტერთა ჯვაროო ქრისტესო‘‘, აგრეთვე ქართველი მეფეების არჩილის, ბაქარის, სოლომონ I-ის, სოლომონ II-ისა და გიორგი XII-ის თ-ები, რ-თაც ქართული წარწერები ამშვენებთ. იხ. აგრეთვე სტ. იარაღი.

ლიტ.: კახაძე ნ., ,,მაჭახელის ხეობა‘‘, თბ., 1974; ქაფიანიძე მ., ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა თოფები (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია), «საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე», ტ. 2 (47-B), თბ., 2011; ჩოლოყაშვილი კ., თოფი ქართული წარწერით, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე» 1953, ტ. 17; წურწუმია მ., საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის საკითხისათვის, «ქართველოლოგია», თბ., 2011, № 2; მისივე, ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, «საისტორიო კრებული» ტ. 4, თბ., 2014; ჯავახიშვილი ივ., ,,მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის‘‘ [ტ.] 3–4, თბ., 1962.

მ. ქაფიანიძე.
კ. ჩოლოყაშვილი.



სნაიპერული შაშხანა. ,,სატევარი-2‘‘.

თოფჩია აკაკი სარდიონის ძე (14. III. 1916, სოფ. სირიაჩქონი, ახლნად. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 13. IX. 1999, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1967). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979), საქართვ. მწერალთა კავშირის წევრი (1969). 1946–49 იყო გაზ. ,,სახალხო განათლების‘‘ რედაქციის განყ-ბის გამგე. 1949-იდან ეწეოდა სამეცნ.-პედ. და ლიტ.-საზ. მოღვაწეობას. 1949–61 მუშაობდა პედაგოგიკის მეცნ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ცხინვალისა და ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტებში. 1961-იდან მოღვაწეობდა

თსუ-ში. თ. იყო ქართ. ენისა და ლიტ-რის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის გამგე (1978–89).

თ. მრავალი პუბლიკაციისა და წიგნის ავტორია. აღსანიშნავია მისი ნაშრომები: ,,წერილები ლიტერატურულ საკითხებზე'' (1960), ,,ლიტ.-კრიტიკული წერილები'' (1969), ,,ლიტერატურული წერილები'' (1972), ,,ლეო ქიაჩელი'' (1977, 1984), ,,ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან'' (1980); ასევე: ,,ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია'' (1969), ,,ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (1991). 1996 გამოქვეყნდა მისი მემუარული ნაწარმოები ,,სინდისის ღმერთების ბარიკადებზე'' (1995). მიღებული აქვს ი. გოგებაშვილის სახ. პრემია (1985).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

ლიტ.: ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი გ., წინასიტყვაობა წიგნისა ,,ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან'', თბ., 1980; ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე თ., მასწავლებელთა თანამდგომი, გაზ. «განათლება», 1991, 18. XII, №5; ჯ ი ბ ლ ა ძ ე გ., პედაგოგიკა და მეთოდიკა, თბ., 1974.

თ. ჩიჯავაძე.

თოფურია გურამ ვარლამის ძე (27. III. 1930, თბილისი, – 31. V. 2006, იქვე), ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ (დაღესტნური) ენათა მკვლევარი. საქართვ. მეცნ. აკადემიის წ.-კორ. (1997). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1988). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის კავკ. ენათა განყ-ბა (1954). 1957-იდან სამეცნ. მოღვაწეობას ეწეოდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტში. 1973–87 იყო ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1987-იდან – მთის იბერიულ-კავკ. ენათა განყ-ბის გამგე.

თ-ს ძირითადი შრომები ეძღვნება ლეზგიური და სხვა დაღესტნური ენების მორფოლოგიის, ფონეტიკისა და ლექსიკის საკითხებს, დაღესტნურ ენათა ზოგად პრობლემატიკას (ბრუნების კლასიფიკაცია, მისი ჩამოყალიბება და განვითარების საკითხები, პალეოერგატივის ცნება და სხვ.); ავტორია მონოგრაფიებისა: ,,ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები'' (1959), ,,ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში'' (1995, რუს. ენაზე); ნაშრომებისა ქართველურ ენათა მორფოლოგიისა თუ ლექსიკის, ისტ. ტოპონიმიკის საკითხებზე: ,,ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმიკიდან)'' (1968), ,,მოქმედებითი ბრუნვის ისტორიისათვის სვანურში'' (1977), ,,სიტყვაწარმოების ერთი მოდელის შესახებ ქართულში (სახელური -უ სუფიქსისათვის ქართულში)'' (1998) და სხვ.

თ. სამჯერ იყო არჩეული ევრ. კავკასიოლოგთა საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტად. იყო რამდენიმე სამეცნ. ჟურნალის რედკოლეგიის წევრი («იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული», «მაცნე», «ეტიმოლოგიური ძიებანი»). მიღებული აქვს არნ. ჩიქობავას სახ. პრემია (1996).

თხზ.: ქართულ-ქართველური ეთნონიმიკის ლინგვისტური საკითხები, I. – «იკე», XVII, თბ., 1970; ლინგვისტური გეოგრაფია, ტოპონიმია და ენის ისტორია (ქართველურ ენათა მასალაზე), კრ.: «ხელეური» (ეძღვნება გ. ჩიტაიას დაბადებიდან 90 წლისთავს), თბ., 1985.

გ. ბურჭულაძე.

თოფურია დანიელ (ნოდარ) არსენის ძე [1. X. 1929, სოფ. განათლებისკარი (ახლანდ. მაცხოვრისკარი), ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 5. IV. 1996, თბილისი], ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1991), საქართვ. დამს. ეკონომისტი (1985). 1952 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. მუშაობდა დაღესტანსა და გალის რ-ნში სახელმწ. დაწესებულებებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1964–69 იყო უფრ. მეცნ. თანამშრომელი საქართვ. სახელმწ. საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1978–86 – საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწ. საგეგმო კომიტეტის კვების მრეწველობის განყ-ბის უფროსი; 1969–96 პარალელურად ეწეოდა პედ. საქმიანობას თსუ-ის პოლიტ. ეკონ. კათედრაზე. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნ. ,,ეკონომიკის'' რედაქციასთან.

1992 თ-მ დააარსა სოფ. განათლებისკარის განათლებისა და კულტ. აღორძინების საქველმოქმედო ფონდი, რ-იც ფულადი პრემიით ყოველწლიურად აჯილდოებდა სოფლის საუკეთესო პედაგოგებსა და წარჩინებულ მოსწავლეებს. თ-ს გარდაცვალების შემდეგ განათლებისკარის სკოლას მიენიჭა მისი სახელი.

თ-ის მეცნ. კვლევის სფერო იყო საზ. წარმოების ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის, საქართვ. აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონ. და მართვის ორგანიზაციის აქტუალური პრობლემები. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მ. შ. 3 მონოგრაფიისა და 4 სახელმძღვანელოსი.

თხზ.: ხილბოსტნეულის წარმოება-გადამუშავების კომპლექსის ეფექტიანობა, თბ., 1977; წარმოების ეფექტიანობის ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1978; ინტეგრაცია, ინტენსიფიკაცია, ეფექტიანობა – სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი, თბ., 1988.



გ. თოფურია.

თოფურია დიმიტრი სოლომონის (სამსონის) ძე (11. II. 1861, აბაშა, – 1934), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1916). 1877-იდან მსახურობდა ჯარში. 1879 დაამთავრა თბილისის იუნკერთა სასწავლებელი. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78), რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომებში. 1910 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1914-მდე მსახურობდა ზაქათალის 164-ე ქვეითი პოლკის მეთაურის თანაშემწედ. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო (1914–18) ომში. იმყოფებოდა გერმანელთა ტყვეობაში. 1914–17 მეთაურობდა ჩებოქსარის 308-ე ქვეით პოლკს. 1918 დაბრუნდა საქართველოში. მსახურობდა ქართ. ჯარში. 1921, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, დარჩა საქართველოში. 1924 აჯანყების დროს ხელმძღვანელობდა სამეგრელოს ეროვნ.-დემოკრ. ორგანიზაციას.



დ. ა. თოფურია.

დაჯილდოებულია ოქროს იარაღით, წმ. გიორგის, წმ. სტანისლავის, წმ. ანას სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: გ ო გ ი ტ ი ძ ე მ., ბ ე ჟ ი ტ ა შ ვ ი ლ ი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; ზ ა ლ დ ა ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1994; В о л к о в С., Генералитет Российской Империи от Петра I до Николая II, т. 2, М., 2009.

მ. გოგიტიძე.



გ. თოფურია.

თოფურია ვარლამ ტრიფონის ძე (8. I. 1901, სოფ. ონტოფო, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 21. VIII. 1966, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1935). დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი საენათმეცნიერო განხრით (1922). სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა თსუ-სა (1926–66) და საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინ-ტში (1936–66). თავდაპირველად იყო ენის, ისტ. და მატერ. კულტურის ინ-ტის ლექსიკოლო-

გიის (1936–41), შემდეგ – ენათმეცნიერების ინ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბის (1941–60) გამგე; ენათმეცნიერების ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1941–43), დირექტორი (1943–49). 1945-იდან გარდაცვალებამდე განაგებდა თავისივე ინიციატივით დაარსებულ ახ. ქართ. ენის კათედრას თსუ-ში.

თ. ხელმძღვანელობდა ქართ. ენის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნ. საბჭოს, მონაწილეობდა ქართ. სალიტ. ენის ნორმების დამდგენი რესპ. კომისიის მუშაობასა (ერთხანს იყო კომისიის მდივანი) და მეცნ. ტერმინოლოგიის შექმნა-დანერგვაში.

თ. იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის, ეპიგრაფიკისა და ქართ. ენის სწავლების აქტუალურ საკითხებს. მისი პირველი სამეცნ. ნაშრომია ,,სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით'' (1923); ავტორია 250-მდე შრომისა, ხოლო მისი რედაქციით გამოცემულია 70-მდე წიგნი.

თ. საქართველოში პირველთაგანია, ვინც მთის იბერიულ-კავკ. ენებს სწავლობდა ადგილზე, საველე პირობებში. ასე შეიქმნა თ-ს პირველხარისხოვანი შრომები ლაკური ენის ფონეტიკა-მორფოლოგიისა თუ სინტაქსის საკითხებზე. განსაკუთრებულია მისი როლი სვანური ენის მეცნ. შესწავლაში (,,სვანური ენა'', 1. ზმნა, 1930). ა. შანიძესთან ერთად დააარსა სვანური ტექსტების გამოცემის სერია. გამოიცა ,,სვანური პოეზია'', 1 (1939); ,,სვანური პროზაული ტექსტები'': 1. ბალსზემოური კილო (1939); 2. ბალსქვემოური კილო (1957); 3. ლენტეხური კილო (1967); 4. ლაშხური კილო (1979). ამ სერიაში გამოქვეყნებული ტექსტების საგრძნობი ნაწილი თ-ს მიერაა ჩაწერილი და სვანური ენის დოკუმენტაციას წარმოადგენს.

ქართ. და ქართველურ ენათა ფონეტიკის საკვანძო საკითხებია განხილული თ-ს შრომათა ციკლში ,,ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში'' (5 ნაწილად, 1926–41); საგანგებო შრომათა სერია მიუძღვნა ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებას (6 ნაშრომი, 1938–59); ქართველურ ენათა ისტ.-შედარებითი შესწავლის საკითხებს: ,,ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში'' (1937), ,,რედუქციისათვის ქართველურ ენებში'' (1946), ,,გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში'' (1954), ,,ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი'' (1961) და სხვ.

თ. 1922-იდან სწავლობდა ქართ. დიალექტებს; გამოსცა გამოკვლევა ,,ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები'' (1963). მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით გამოქვეყნდა ,,ქართული დიალექტოლოგია'', I (1961), რ-შიც დიალექტების მიმოხილვათა მეტი წილი თ-ს ეკუთვნის.

ქართ. ეპიგრაფიკას ეძღვნება თ-ს შრომები: ,,შიდა ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები'' (1924), ,,ქვაჯვარანი საქართველოში'' (1942). ძვ. ქართულის საკვანძო საკითხებს ეხება გამოკვლევები: ,,ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში'' (1942), ,,დ- თავსართიანი ზმნები ქართულში'' (1942) და სხვ. სახელთა ბრუნება, ფუნქციები გამოკვლეულია ნაშრომებში: ,,წოდებითი ბრუნვისათვის'' (1953), ,,ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებისათვის ქართულში'' (1942), ,,წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში'' (1965) და სხვ. გამოქვეყნდა თ-ს ,,თანამედროვე ქართული ენა'' 5 მონაკვეთად (1932–33), ,,ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები'' (1967) და სხვ.

თ-მ საფუძველი ჩაუყარა ქართ. ენის სწავლების მეცნ. მეთოდიკას: ,,ქართული წერის დედანი'' – დაწყებითი სკოლების მოსწავლეთათვის (I გამოც. 1933); წერილების სერია ,,მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში'' (1953–60); ცალკე წიგნად – ,,ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი'' (1965, 1988, 2005).

თ. იყო ,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის'' მთავარი რედაქციის წევრი და III ტომის რედაქტორი, რისთვისაც 1971 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია; იყო ასევე ,,ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის'', ,,რუსულ-ქართული ლექსიკონისა'' და ,,ქართულ-რუსული ლექსიკონის'' თანაავტორი.

თხზ.: შრომები, ტ. 1, თბ., 1967; ტ. 3, თბ., 1979; ტ. 2, თბ., 2002; Сванский язык. – «იკე», XII, თბ., 1985.

ლიტ.: თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე მ., ვარლამ თოფურია, თბ., 1968; კ ი ზ ი რ ი ა ა., ქ ა ლ დ ა ნ ი მ., ვარლამ თოფურია (ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა), თბ., 1968; ვარლამ თოფურია. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. მ. პატარაია, ვ. გოგილაშვილი, თბ., 1984. *გ. ბურჭულაძე.*

თოფურია ზაზა მიხეილის ძე (დ. 22. V. 1945, ხონი), პათოლოგ-ანატომი; მედ. მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი (1989). 1969 დაამთავრა თსსი, რის შემდეგ მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტის პათანატომიის კათედრაზე სხვადასხვა თანამდებობებზე (1989-იდან პროფესორი).

1996–2006 იყო შრომის, ჯანმრთელობის და სოც. დაცვის სამინისტროს განათლებისა და მეცნ. განყ-ბის გამგე, აკრედიტაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტის თავ-რე, 1996–2004 – თბილ. სახელმწ. სამედ. აკადემიის პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედ. კათედრის გამგე.

თ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 6 მონოგრაფიის ავტორი. მისი სამეცნ. მუშაობის ძირითადი სფეროა სარძევე ჯირკვლის სიმსივნეები; ფილტვის არასპეციფიური ანთებითი გენეზის დაავადებები; ჯანდაცვის ორგანიზაციის საკითხები.

თხზ.: ძვლის ცისტების მორფოგენეზი და პათოლოგიური ანატომია, თბ., 2009 (თანაავტ.: რ. ჩიხლაძე, ლ. ბექაური).

თოფურია ზურაბ ვლადიმერის ძე [24. III(6. IV). 1905, ვარშავა, – 30. X. 1963, მოსკოვი], ინჟინერ-რადიოტექნიკოსი. დაამთავრა ამიერკავკასიის ენერგეტ. ინ-ტი (1931), ჰქონდა გამოგონებები, რთაგან ცნობილია ე. წ. ,,მოდულაციის ხერხი თოფურიას სქემით''. 1940-იდან მოღვაწეობდა მოსკოვში, ხელმძღვანელობდა სპეც. ტექ. სამუშაოებს. 1949-იდან იყო სსრკ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე, 1954–63 – ჟურნ. ,,რადიოტექნიკის'' პასუხისმგებელი რედაქტორი. ახ. ტიპის რადიოაპარატურის შექმნისათვის (სპეციალისტების ჯგუფთან ერთად) 1951 მიენიჭა სტალინური პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თოფურია ირაკლი ივანეს ძე (12. II. 1923, თბილისი, – 4. II. 2006, იქვე), ექიმ-პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1970), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1983). 1944 დაამთავრა თსსი. არის მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. მსახურობდა მოტომსროლელი ბატალიონის სანიტ. სამსახურის უფროსად. 1946-იდან მუშაობდა ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და

ტროპიკული მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1959–62 იყო ინ-ტის დირექტორი. მ. შეისწავლიდა ადამიანის პარაზიტული დაავადებებისა და ბრუცელოზის ეპიდემიოლოგიის, დიაგნოსტიკის, კლინიკის, მკურნალობის, მათ წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის აქტუალურ საკითხებს. მისი სამეცნ. მოღვაწეობის შედეგები ეფექტურად იყო დანერგილი სამედ. პრაქტიკაში, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში მალარიის ლიკვიდაციას და სხვა პარაზიტულ თუ ტროპ. სნეულებათა მკვეთრ შემცირებას. 1961–62 ვიეტნამში მივლინებით ყოფნის დროს ეწეოდა ანტიმალარიულ მუშაობას. იყო საქართვ. მეცნ. აკად. გეოგრაფიული საზ-ბის სამედ. გეოგრაფთა სექციის თავ-რე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. დიდი სამამულო ომის II ხარისხის ორდენი.

თხზ.: მალარია საქართველოში, თბ., 1977; Изменения некоторых показателей крови и морфофункционального состояния желудка при смешанных гельминтозах человека, Материалы II Всесоюзного съезда паразитологов, К., 1983 (თანაავტ. Л. С. Курцикашвили).

თოფურია სამსონ ბესარიონის ძე [12 (24). VI. 1854, სოფ. ძველი აბაშა, – 23. VI(6.VII). 1904, აბასთუმანი, დაკრძალულია ქუთაისში], ექიმი.

ქუთ. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძო ოდესის უნ-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტზე, 1885 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი და ამავე წელს ცოდნის გასაღრმავებლად გაემგზავრა ბერლინში, სადაც 2 წელი იმუშავა რ. *ვირხოვთან*. შემდეგ ერთხანს შვეიცარიაში მუშაობდა – შეისწავლა მკურნალობის რენტგენოლოგიური და ფიზიოთერაპიული მეთოდები. მისი თაოსნობით 1890 ქუთაისში აიგო პირველი კლინ. საავადმყოფო, რ-საც სიცოცხლის ბოლომდე ედგა სათავეში. მანვე გახსნა ქუთაისში პირველი ამბულატორია.

ლიტ.: მ ხ ე ი ძ ე გ., ექიმი სამსონ თოფურია, თბ., 1959; ნ ი კ ო ლ ა ძ ე ნ., ექიმ სამსონ თოფურიას ცხოვრება და მოღვაწეობა, «ივერია», 1903, № 232; წ ე რ ე თ ე ლ ი ა., მოგონება, ფიქრები კუბოს წინ, იქვე, 1904, №164.

ვ. აბაშიძე.

თოფურია სერგო ბაგრატის ძე (27. XII. 1931, სოფ. ხუნწი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 15. III. 2011, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1976), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1987). დაამთავრა სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტი (1953). 1960–66 იყო საქართვ. სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის (სოხუმი) მათ. და თეორ. მექანიკის კათედრის გამგე, 1967-იდან – სტუ-ის ზოგადი მათემატიკის კათედრის გამგე. მ-ს შრომები ეძღვნება ორთოგონალური მწკრივებისა და მათი გამოყენების საკითხებს. ავტორია უმაღლესი მათ. სრული კურსისა (თეორია და ამოცანათა კრებული ტ. 1–5, თბ., 1988–93) და საშუალო სკოლებისათვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოებისა (2 ტომად). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998), გიორგი ნიკოლაძის მედალი (2002).

თხზ.: Ряды Фурье–Лапласа на сфере, Тб., 1987; Граничные свойства продифференцированного интеграла Пуассона для различных областей и их некоторые применения, Тб., 2003.

თოფურიძე არჩილ ვალენტინის ძე (24. II. 1938, თბილისი, – 4. V. 2011, იქვე), მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1989), დაღესტნის ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1963). მისი პედაგოგები იყვნენ ნ. კანდელაკი, შ. მიქატაძე, ვ. თოფურიძე. მ. იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1970–90). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1964-იდან, კერძოდ, 1977 მონაწილეობდა თბილისში მოწყობილ 5 მოქანდაკის ჯგუფურ გამოფენაში. ძირითადი ნამუშევრები: მაქსიმ გორკი (ბრინჯაო, 1971, თბილისი), ქალის ფიგურა (მარმარილო, 1973, ბიჭვინთა), შინმოუსვლელთა მემორიალი (სპილენძი, 1981, ჭიათურა), ქვაში შესრულებული ბარელიეფები და ფიგურები (1985, ქ. მაჰაჩყალის სახელმწ. დრამ. თეატრის შენობა) და სხვ. მ-ის ნამუშევრები ინახება თბილისის, მიუნხენის, მოსკოვის, კიევისა და სხვა ქალაქების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

თოფურიძე ბორის ნიკოლოზის ძე (1920, სენაკი, – 1999, თბილისი), მსახიობი, რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1981). დაამთავრა საქართვ. თეატრ. ინ-ტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჭიათურის (1939–42), ქუთაისის (1942–50 და 1952–53), სენაკის (1948 და 1991–95), ზუგდიდის (1948–49), თელავის (1951–52), სოხუმის ქართულ (1958–1991), ზესტაფონის (1995–99) თეატრებში. შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ფარადფაშა (ვ. გუნიას ,,და-ძმა''), გიჟუა (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ველარ ნახავ''), გეგეჭკორი (შ. დადიანის ,,გეგეჭკორი''), გრიშა (ვ. შალიკაშვილის ,,უნიადაგონი''), მილოვზოროვი, ნეზნამოვი (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), ბერესტი (ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი''), შაქრო, ყვარყვარე (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება'', ,,ყვარყვარე''), გელა (ა. ყაზბეგის ,,ხევისბერი გოჩა''), სტალინი (შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან''), ბახვა ფულავა (გ. წერეთლის ,,პირველი ნაბიჯი''), გერასიმე, გამცემლიძე (ნ. დუმბაძის ,,მე ვხედავ მზეს'', ,,საბრალდებო დასკვნა''), აბდუშაჰილი (ა. წერეთლის ,,ბაში-აჩუკი''), ჩუბიკოვი (ა. ჩეხოვის ,,ხელის თხოვნა''), შამუელ სევიჯი (ჯ. პატრიკის ,,უცნაური მისის სევიჯი'') და სხვ. მ-ის დადგმებიდან აღსანიშნავია ი. გოგებაშვილის ,,იავნანამ რა ჰქმნა'', ვ. მესაბლიშვილის ,,წინა დღე'' და სხვ. მ-ის შესრულება გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, დახვეწილი პლასტიკით.

თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე (ფსევდონიმები: ,,კარსკი'', ,,ისარი'') [16(28). VIII. 1871, სოფ. ხობი, – 4. X. 1942], სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. იყო ,,მესამე დასის'' წევრი. 1895–96 მოსკოვის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე სწავლობდა. შემდეგ (1896) ჟენევის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე შევიდა. 1901 პარიზში ცხოვრობდა. 1902 თბილისში დაბრუნდა.

1917 თებერვლის ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციის შემდეგ მ. იყო საქართველოს ეროვნ. საბჭოს, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (1919–20), დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავ-რე, ქუთაისის ქალაქისთავი, 1918 – საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებული ბათუმში ინგლისისა და ამერიკის მისიებთან მოლაპარაკების საწარმოებლად. მ. რედაქტორობდა ჟურნ. ,,საქართველოს ეკონომისტს'', რ-იც 1919 რუს. და ქართ. ენებზე გამოდიოდა თბილისში.

თხზ.: საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები, ტფ., 1926.

უ. სიდამონიძე.

თოფურიძე ელენე ივანეს ასული (3.V.1922, ბათუმი, – 29. IX. 2004, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1976). სწავლობდა თსუ-ის ფილოსოფიის ფაკ-ტზე (1940–44). დაამთავრა მოსკ. მ. ლომონოსოვის



ა. თ ო ფ უ რ ი ძ ე. „ბოქსიორი“. 1978.



ბ. თ ო ფ უ რ ი ძ ე. ალან ბერდანოვი, მუხთაროვის „ალანის ოჯახი“.


ვ. თოფურიძე.

სახ. სახელმწ. უნ-ტის ფილოსოფიის ფაკ-ტი (1945). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინ-ტის ესთეტიკის განყ-ბის გამგე (1982–98).

თ-ის კვლევის ძირითადი სფეროა თეორ. ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის, ესთეტიკის ისტორიისა და კულტუროლოგიის აქტუალური პრობლემები.

თ. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც: იტალიურიდან თარგმნა ნაწყვეტები იტალ. რომანტიზმის მამამთავრის ალესანდრო მანძონის თეორ. შრომებიდან (1955, რუს. ენაზე), რუსულიდან თარგმნა სერვანტესის ,,სალამანკის გამოქვაბული'' (დაიდგა თბილ. თეატრ. ინ-ტის სცენაზე, 1960), ედუარდო დე ფილიპოს ,,მოჩვენებანი'' (დაიდგა თელავის თეატრის სცენაზე, 1970); რუსულად თარგმნა გ. *თევზაძის* ,,იმანუილ კანტი. თეორიული ფილოსოფიის პრობლემები'' (1979).

მონაწილეობდა ესთეტიკოსთა საერთაშ. კონგრესებში შვედეთში (1968), იტალიაში (1970), რუმინეთში (1972). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ესთეტიკური პრობლემა ჯოვანი ჯენტილეს აქტუალისტურ ფილოსოფიაში, კრ.: ესთეტიკის საკითხები, თბ., 1968; რენესანსის არსის ზოგიერთი ასპექტი, «თსუ შრომები». ფილოსოფია, 1989, №292; ადამიანის პრობლემა ქართულ ფოლკლორში (მითი ამირანზე და მითოსური ცნობიერება), «ხელოვნება», 1995, №4–5–6; Элеонора Дузе, М., 1960; Эстетика Бенедетто Кроче, Тб., 1967 (ტოკიო, 1978, იაპონურ ენაზე); Философская концепция Луиджи Пиранделло, Тб., 1971; Человек в античной трагедии, Тб., 1983.

ლიტ.: ამბოკაძე მ., ფილოსოფოსი ელენე თოფურიძე, თბ., 2009.

თოფურიძე ვალენტინ ბაგრატის ძე [31. XII. 1907 (13. I. 1908), თბილისი, – 13. XI. 1986, იქვე], მოქანდაკე. საქართვ. სახ. მხატვარი (1960), სსრკ სამხატვრო აკად. ნამდვილი წევრი (1970), სტალინური პრემიის ლაურეატი (1950). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1931), იყო ი. ნიკოლაძისა და ნ. კანდელაკის, ე. ლანსერეს, ი. შარლემანის მოწაფე. იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1955-იდან პროფესორი). თ. ძირითადად მონუმენტალისტია. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ლ. კეცხოველი (ქვა, 1936, თბილისი, 9 აპრილის სახელობის ბაღი, აიღეს 1998), რუსთაველი (ქვა, მარმარილო, 1937–38, ახალციხე), კომპოზიციური ჯგუფი ,,საქართველო'' (ბრინჯაო, 1939, სას.-სამ. გამოფენა, მოსკოვი), ,,გამარჯვება'' (ბრინჯაო, 1947, ჭიათურის თეატრის შენობის ფასადი), ოთხი ფიგურა (გლეხი, მეშახტე, სპორტსმენი ქალი და ვაჟი), კინოთეატრ ,,რუსთაველის'' მთავარ ფასადზე (ყველა ქვა, 1939, თბილისი), ვ. ლენინი (ბრინჯაო, 1956, თბილისი, თავისუფლების მოედანი, აიღეს 1989), შრომა, მეცნიერება, ტექნიკა – სკულპტურული კომპოზიცია (თუჯი, 1958, შ. მიქატაძესთან ერთად, თბილისი, პარლამენტის შენობის წინ, აიღეს 1989). ქალიშვილის პორტრეტი (1930), მოხუცი მემწვანილე (1943), მ. იაშვილის პორტრეტი (1956), მუზა (1968), კაცის ფიგურა (1970, ყველა ტონირებული თაბაშირი, მხატვრის სახელოსნო).


ვ. თოფურიძე. ,,ილია და აკაკი'' (შ. მიქატაძესთან ერთად). არქიტექტორი გ. მელქაძე. 1958.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თოფურიძე ციალა (ეთერ) ევტიხის ასული (8. VII. 1925, დაბა წაღვერი, – 3. III. 2009, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი (1990), საქართვ. უმაღლესი სკოლის დამს. მუშაკი (1983). დაამთავრა თსუ-ის დას. ევრ. ენათა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1948). 1958-იდან მუშაობდა თბილ. უცხო ენათა სახელმწ. ინ-ტში, სადაც 1974–87 ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთული ლიტ-რის კათედრას.

თ-ს ეკუთვნის ნაშრომები: ,,რობერტ ბერნსი'' (1959), «,,გაჯავრებული ახალგაზრდები'' და ჯონ ბრეინი» (1964), «ჯეფრი ჩოსერი და მისი ,,კენტერბერიული მოთხრობები''» (1977), ,,ლორენს სტერნის მხატვრული სამყარო'' (1990), «ოსკარ უაილდის ,,დორიან გრეის პორტრეტი''» (1996), «თეოდორ დრაიზერის რომანი ,,გენიოსი''» (1961), ,,ერნესტ ჰემინგუეი'' (1973), «რობერტ პენ უორენის ,,მეფის მთელი მხედრიონი''» (1978). თ. ძირითადად აშშ-ის ლიტ-რის მკვლევარია. შეადგინა და გამოსცა ამერ. ნოველების ორტომეული წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (ტ. I–1967, ტ. II–1968). უმთავრესად იკვლევდა უ. ფოლკნერის შემოქმედებას: «ფოლკნერის რომანის ,,ხმაური და მძვინვარების'' მაკბეთური სათაური» (1975, რუს. ენაზე), «უილიამ ფოლკნერის ,,აბესალომ, აბესალომ!-ის'' არქიტექტონიკა» (1978, გერმ. ენაზე), ,,ცნობიერების ნაკადის ტექნიკა ჯოისისა და ფოლკნერის შემოქმედებაში'' (1984), ,,ფაუსტის სახის გაგებისათვის უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში'' (1990). მონოგრაფიაში ,,უილიამ ფოლკნერის რომანის პოეტიკა'' (1984) განხილულია ფოლკნერის პროზის მხატვრული თავისებურება. ავტორია ნარკვევებისა ქართ.-ინგლ. ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე. ქართ. ენაზე თარგმნა ჯ. ბრეინის რომანი ,,გზა მაღალი საზოგადოებისაკენ'' (ნ. ბადრიაშვილთან ერთად), ი. პეტროვასთან ერთად ინგლ. ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა კრებ. «,,ხოგაის მინდია'' და ქართველ მწერალთა მოთხრობები» (1966), გ. ნატროშვილის ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი'' (1968).

თოფურიძე ჯემალ ვახტანგის ძე (31. XII. 1948, თბილისი, – 22. IV. 1978, იქვე), მწერალი. დაამთავრა თსუ-ის საზღვარგარეთის ეკონ.-გეოგრ. ფაკ-ტი (1970), 1970–74 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტში, 1974–78 – შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატურის ინ-ტში.

მოთხრობების წერა სტუდენტობისას დაიწყო. მისი ნაწარმოებები ძირითადად ქვეყნდებოდა ,,ცისკარსა'' და ,,ლიტერატურულ საქართველოში'': ,,ნუციკო ემხვარი'', ,,ლექსო'', ,,თედოს ოცნება'', ,,დაბადება'', ,,კაცი'', ,,მარტო''. თ. ე.

წ. ურბანისტული პრობლემების წარმომადგენელია. მისი მოთხრობები მძაფრი ტკივილიანი განცდებითაა აღბეჭდილი, სავსეა მძიმე ცხოვრებისაგან შეჭირვებული ადამიანის თანაგრძნობით.

მოთხრობისათვის ,,დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია'' (1978) 1979 მიენიჭა საქართვ. მწერალთა კავშირის პრემია (სიკვდილის შემდეგ). მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია მოკლემეტრაჟიანი ფილმები: ,,ნუ მოიწყენ შემოდგომისას'' (1979, რეჟ. ზ. ინაშვილი), ,,გამოუსწორებელი'' (1987, რეჟ. თ. მენაბდე), ,,მათთვის, ვინც მამამ მიატოვა'' (1989, რეჟ. ზ. ურუშაძე). ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფის შედეგად.

თხზ.: დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია (მოთხრობები). შესავალი წერილი გ. გვერდწითელისა, თბ., 1978 (მე-2 გამოც., 1994); გამოუსწორებელი, თბ., 2003; ჯიბის წიგნი (შემდგ. მ. დუმბაძე), თბ., 2007.

თოფჩიშვილი მირიან ვლადიმერის ძე (დ. 10.III.1935, თბილისი), გეოლოგი. საქართვ. მეცნ. ეროვნული აკად. წ.-კორ. (1997). გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1993). 1958 დაამთავრა სპი. 1959-იდან მუშაობს ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში. იყო სტრატიგრაფიის და პალეონტოლ. სექტორის ხელმძღვანელი (1992–95), გეოლოგიის ინ-ტის დირექტორი (1995–2006); 2006-იდან ამავე ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელია.

თ-ის შრომები ეხება კავკასიის, ძირითადად საქართვ. ქვედაიურულ-აალენური ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონტ. პრობლემებს. განამარხებული ფაუნის ნაშთების შესწავლის საფუძველზე სრულიად ახლებურად გადაჭრა აღნიშნული ნალექების სტრატიგრაფიის საკვანძო საკითხები. კერძოდ, პალეოორგანიზმების ახალმა მასალამ განაპირობა ზოგიერთი ადგილ. სტრატიგრაფიული ქვედანაყოფის ასაკის ახლებური ინტერპრეტაცია. განახორციელა ადგილობრივი გეოლ. ჭრილების კორელაცია სტანდ. სტრატიგრაფიული სკალის ქვედანაყოფებთან და დაადგინა ბიოსტრატიგრაფიული ზონების არსებობა. გამოყო რვა საერთაშ. და სამი პროვ. რეგიონალური ზონა (ლონა), ქვედაიურულ-აალენურ ასაკის ნალექებში კი – 12 სტრუქტურულ-ფაციესური ზონა. თითოეული მათგანისთვის შეიმუშავა ადგილ. სტრატიგრაფიული სქემა, რ-ებშიც აისახა გარკვეული ტიპის ქანების და არსებული ფაუნის ასოციაციების კანონზომიერი ცვლა დროში.

თ-მა ახ. ინტერპრეტაციით წარმოადგინა საქართვ. ტერიტორიის გეოლ. განვითარების კანონზომიერებანი ადრეიურულ და აალენურ დროში; აღადგინა აგრეთვე მოლუსკების არქისტრატიგრაფიული ჯგუფის – ამონიტების შიდა ხვეულების ცალკეული სტრუქტურის წარმოშობისა და განვითარების გზები, რაც წარმატებით გამოიყენება თავფეხიანი მოლუსკების სისტემატიკაში. მიღებული მეცნ. შედეგები ფართოდ გამოიყენება პრაქტ. გეოლოგიაში.

თ. არის რუს. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკადემიის (2006) და მინერ. ნედლეულის მეცნ. საერთაშ. აკადემიის (1997) აკადემიკოსი; საქართვ. სტრატიგრაფიული კომიტეტის თავმჯდომარე (2000); რუს. პალეონტოლ. საზ-ბის ნამდვილი წევრი (1987); საერთაშ. ჟურნალების „Стратиграфия и седиментология нефтегазоносных бассейнов“ და ჟურნ. „საქართველოს ნავთობისა და გაზის“ სამეცნ. საბჭოს და რედკოლეგიის წევრი. მონოგრაფიისათვის ,,Стратиграфия нижнеюрских и ааленских отложений Грузии'' თ-ს მიენიჭა აკად. ა. ჯანელიძის სახ. პრემია (1996). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

თხზ.: Стратиграфия и фауна нижнеюрских отложений Дзирульского массива, «Труды ГИН АН ГССР». Новая серия, 1969, вып. 21; Нижнеюрско-ааленские аммониты Большого Кавказа в пределах Грузии, იქვე, Новая серия, 1990, вып. 100; Стратиграфия нижнеюрских и ааленских отложений Грузии, იქვე, Новая серия, 1996, вып. 108; Стратиграфия юрских отложений Грузии, იქვე, Новая серия, 2006, вып. 122 (თანაავტ.); Biostratigraphic characterization of Lower Jurassic deposits of Georgia by Ammonites, «Spain Cuadernos Iberica», 1998, №24.

ვ. ზესაშვილი.

თოფჩიშვილი როლანდ ანდრიას ძე (დ. 25. IV. 1949, სოფ. დიღომი), ეთნოლოგი, ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (2003). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1972). 1993-იდან იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი და გვარების შემსწავლელი საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი. ამავე ინ-ტში 2006-იდან ხელმძღვანელობს კავკასიის ეთნოლოგიის განყ-ბას. პედ. საქმიანობას ეწეოდა თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. უნ-ტში. 2006-იდან არის თსუ-ის პროფესორი, ხელმძღვანელობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტის ეთნოლოგიის სასწ.-სამეცნ. ინ-ტს. ეთნოლოგიაში არის 8 სახელმძღვანელოსა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (აქედან 41 წიგნია). იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის კარდინალურ პრობლემებს. მისი კვლევის სფეროა: საქართვ. და კავკასიის მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები; საქართვ. მოსახლეობის ისტორიული დემოგრაფია; უცხო ეთნიკურ ერთეულთა საქართველოში დასახლებისა და ქართველებთან მათი ურთიერობის პრობლემები; ოსთა საქართველოში მიგრაცია და ქართულ-ოსური კულტ.-ისტორიული ურთიერთობის საკითხები; ქართული გვარსახელების ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტები; ქართველთა რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები; ქართველთა ეთნიკური ისტორია; ქართველთა ისტ.-ეთნოგრაფიული ჯგუფები; კავკასიის ეთნოლოგია; ეთნოსის თეორია; თეორ. ეთნოლოგია; თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფა და კულტურა. თ-ის სამეცნ. გამოკვლევები და დასკვნები საფუძვლად დაედო რელიგ.-კონფესიური მიზეზით გვარშეცვლილ და ეროვნებადაკარგულ ქართველთა გვარსახელებისა და ეროვნების აღდგენას. 1998 აირჩიეს გელათის მეცნ. აკად. წევრად.



მ. თოფჩიშვილი.

თხზ.: საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997; ქართული გვარსახელების ისტორიიდან, თბ., 2003; ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008; საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011; სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბ., 2013; აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ, თბ., 2015; დვალეთი და დვალები: საქართველოს დაკარგული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი, თბ., 2016; ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში, თბ., 2017; საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017.

თოფხანა, ქვემეხების, მორტირებისა და თოფ-დამბაჩების დამამზადებელი ქარხანა. საქართველოში თ. XVIII ს. შუახანებში. დააარსა ერეკლე II-მ თ. მდებარეობდა თბილისში ბატონის მოედანზე (ახლანდელი *ერეკლე II-ის მოედანი*), იქვე თოფხანის ქუჩაც იყო. თოფჩიბაშის ხელმძღვანელობით ქვემეხს მბურღავები, ხუროები, დურგლები, მქლიბავები ამზადებდნენ. ისინი გასამ-



გ. თოხაძე.

რჯველოს ფულით იღებდნენ. ერეკლე II-ის განკარგულებით თ-ის ოსტატებს პირადი თავისუფლება და საგადასახადო შეღავათებიც ენიჭებოდათ. 1725 მ. ელიევიჩმა რუსულიდან ქართულად თარგმნა საარტ. საქმის სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოთი ისარგებლა ერეკლე II-ის თოფჩიბაშმა გიორგი თარხანმა და ჩამოასხა ზარბაზნები. გიორგი თარხანის საქმე განაგრძო პაატა ანდრონიკაშვილმა, რ-საც საარტ. განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული. მან თბილისში მოაწყო საამქრო, სადაც გადაადნო ძველი ზარბაზნები და ჩამოასხა ისინი ევროპული კალიბრების მიხედვით. 1784-იდან ერეკლე II-ს ზარბაზნების კეთებაში ავსტრიელი ი. გეტინგიც ეხმარებოდა, რ-იც კრწანისის ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანს ჩაუვარდა ტყვედ. თ-ის საქმიანობის შესასწავლად მეფე ქართველ ახალგაზრდებს რუსეთში აგზავნიდა. კრწანისის ომში ქართული არტილერია ირანულს ბევრად აღემატებოდა. აღა მაჰმად-ხანმა ქვემეხები გაანადგურა, ოსტატები კი ოჯახებით თეირანში გადაიყვანა სამუშაოდ.

ქართველებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსული საარტ. საქმის განვითარებაში. რუსული არტილერიის პირველმა ფელდცეიხმაისტერმა ა. ბაგრატიონმა, რ-მაც საარტ. საქმე კენისბერგსა და ჰააგაში შეისწავლა, ქართ.-რუს. ენაზე შეადგინა საარტ. წიგნი. ამ დარგის ქართვ. ავტორები იყვნენ აგრეთვე ი. და გ. ბაგრატიონები. რუსული არტილერიის განვითარებაში ღვაწლი მიუძღვის პოლკ. ს. ჩოლოყაშვილს, რ-მაც XVIII ს-ში რუსეთში სატყორცნო მანქანის გამოგონებისათვის უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. მან საქართველოში დაიწყო თ-ის გაუმჯობესება, მაგრამ გენ. გ. ტოტლებენმა ის რუსეთში გადაასახლა.

ლიტ.: ბაძოშვილი თ., სამთო-მეტალურგიული წარმოება XVIII საუკუნეის აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2012; კლიმიაშვილი ა., საარტილერიო მშენებლობა აღმ. საქართველოში XVIII ს. II ნახევარში, ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე, 1962, ტ. IV.

კ. ჩოლოყაშვილი.

თოქალთო, ცხენის ზურგზე, უნაგირის ქვეშ დასაფენი ქეჩა, რ-საც ზემოდან ტყავი აქვს გადაკრული; თ-ს მეუნაგირეები ამზადებდნენ. იხ. აგრეთვე სტ. *უნაგირი.*

გ. ჯალაბაძე.


თოქმაზიშვილი მიხეილ დავითის ძე (დ. 25. III. 1955, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2010). 1977 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1981–98 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განყ-ბის გამგე; 1999–2005 – ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწ. პედ. უნ-ტის ეკონ. და მენეჯმენტის კათედრის პროფესორი; 1998–2005 – საქართვ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკის განყ-ბის ხელმძღვანელი, 2005–12 – საქართვ. ეროვნ. ბანკის საბჭოს წევრი, სახელმწ. შესყიდვების სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2000). მუშაობდა პოლონეთის საერთაშ. სოც.-ეკონ. კვლევების ცენტრში – Case-ის საქართვ. ფილიალში (2000–10), მსოფლიო ბანკის პროგრამის ხელმძღვანელად საქართველოში (1996–99). 2010-იდან საქართვ. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნ-ტის ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის პროფესორია, 2014-იდან – თსუ-ის ეკონ. და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკ-ტის ასოცირებული პროფესორი, 2016-იდან – ქართ. ენციკლოპედიის ეკონ. სამეცნ. საბჭოს წევრი.

თ. არის მრავალი საერთაშ. პროექტის თანაავტორი, რ-ებიც ხორციელდებოდა ევროკავშირის, გაეროსა და მსოფლიო ბანკის ეგიდით. სამეცნ. შრომები აქვს ბიზნესის მართვის, ეკონ. პოლიტიკის, საქართვ. ეკონომიკის, მაკროეკონომიკის, საერთაშ. ეკონომიკის, ფინანსებისა და სოც. რეფორმების სფეროებში, რ-ებიც გამოქვეყნებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში.

თხზ.: შემოსავლების განაწილების თეორია: ისტორია და მეთოდოლოგია, თბ., 1995; პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა, თბ., 2008; Challenges of the Post-Communist Financial-Currency Policy, N.-Y., 2009 (თანაავტ. ა. სილაგაძე); Aid for Trade Needs Assesment – Georgia, UNDP, Finland, 2011.

თოღა, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე აღმოსავლეთ საქართველოში, იხ. *მაჭი.*

თოხაძე გივი მაქსიმეს ძე (20. X. 1922, ფოთი, – 25. X. 2010, თბილისი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1949 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. ინ-ტის დამთავრების შემდეგ სამი წელი იმუშავა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრში (ასრულებდა ეპიზოდურ როლებს ის-



გ. თ ო ხ ა ძ ე. უშანგი, კადრი ფილმიდან „საბუდარელი ჭაბუკი“.

ეთი კორიფეების გვერდით, როგორებიც იყვნენ ა. ვასაძე, ა. ხორავა და სხვ.). 1956-იდან ხანგრძლივად და ნაყოფიერად მოღვაწეობდა კინოში. მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია უშანგი (შ. მანაგაძის „საბუდარელი ჭაბუკი“, 1957). გადაღებულია კინოფილმებში: „ჭიაკოკონა“ (რეჟ. ი. ქავთარაძე, 1961), „ბაში-აჩუკი“ (რეჟ. ლ. ესაკია, 1956), „მე ვიტყვი სიმართლეს“ (რეჟ. ლ. ხოტივარი, 1957), „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1959), „გლახის ნაამბობი“ (რეჟ. ლ. ესაკია, 1961), „ჩარი-რამა“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1972), „ამბავი სურამის ციხისა“ (რეჟ. ს. ფარაჯანოვი, 1984), „უძინართა მზე“ (რეჟ. თ. ბაბლუანი, 1992), „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ (რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 1996), „ანთიმოზ ივერიელი“ (რეჟ. გ. ჭოხონელიძე, 2001) და სხვ. არაერთი კინოსტუდიის მიერ მიწვეული იყო და მონაწილეობდა შემდეგ კინოფილმებში: „ქოროღლი“ (გურჯი-ოღლი, „აზერბაიჯანფილმი“, 1961, რეჟ. სეით-ზადე), „ველურ ნაპირზე“ (კაპანაძე, „ლენფილმი“, 1965, რეჟ. ა. გრანიკი), „ეშმაკის დუჟინი“ (მანსული, ოდესის კინოსტუდია, რეჟ. ვ. იულინი, 1970), „რუსტამი და სუჰრაბი“ (შაჰი აფრასიაბი, „ტაჯიკფილმი“, 1971, რეჟ. ბ. კიმიაგაროვი), „უგრიუმ მდინარე“ (იბრაჰიმ-ოღლი, სვერდლოვსკის კინოსტუდია, 1968, რეჟ. ი. ლაფშინი) და სხვ. ჰქონდა გამორჩეული გარეგნობა, გმირის ხასიათის გათავისების არაჩვეულებრივი უნარი, შთამბეჭდავი ხმა. გახმოვანებული აქვს მრავალი

კინოფილმი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თოხაძე ვლადიმერ ამბაკოს ძე [30. V (11. VI). 1892, ქ. ოზურგეთი, – 22. VII. 1972, თბილისი], პედიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1940), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1921 დაამთავრა ოდესის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1941–57 განაგებდა თსსი-ის საფაკულტეტო პედიატრიის, ხოლო 1957–72 – ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრას. სწავლობდა მინერალების, ცილების, ნახშირწყლებისა და ვიტამინების ცვლას ბავშვთა ორგანიზმში სხვადასხვა დაავადების დროს, პაროტიდულ მენინგიტს და სხვ. თ. იყო საქართვ. პედიატრთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1959–72). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ორდენი და მედლები.

თხზ.: კლინიკური და ბიოქიმიური მონაცემები რევმატიზმის შესახებ ბავშვებში ჰოსპიტალური კლინიკის მასალის მიხედვით, «თბილისის სახელმწ. სამედიცინო ინ-ტის შრომები», 1961, ტ. 21.

თოხაძე თამაზ ლეონიდეს ძე (16. X. 1928, ქ. ოზურგეთი, – 17. V. 1993, თბილისი), ოტორინოლარინგოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1970). 1951 დაამთავრა თსსი. 1970–71 იყო ამავე ინ-ტის პროფესორი, 1971-იდან – თსსი-ის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის გამგე. თ-მ შექმნა სმენის გამოკვლევის ორი ორიგინ. მეთოდი. იკვლევდა ხორხის კიბოს ჰისტოლოგიურ თავისებურებებს. შეისწავლა ხახის ლიმფოიდური ორგანოების მიერ ინტერფერონის გამომუშავების ფუნქცია და განსაზღვრა ამ ორგანოების როლი ანტივირუსულ იმუნიტეტში.

თხზ.: ხახის ლიმფოიდური ორგანოების როლი ანტივირუსულ იმუნიტეტში, «საბჭოთა მედიცინა», 1971, №3; Некоторые гистохимические особенности предрака и рака гортани и их клиническое значение, Тб., 1969.

თოხაძე ნიკოლოზ (1901, თბილისი, – 1975, პარიზი), ოფიცერი, საფრანგეთის არმიის კოლონელი (პოლკოვნიკი). დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზია, 1920 – ქართვ. ოფიცერთა სამხ. სკოლა (იუნკერთა სასწავლებელი). იყო საქართველო-სომხეთის (1918 ნოემბრ.-დეკ.), 1921 რუსეთ-საქართველოს ომებისა და თურქებისაგან ბათუმის გათავისუფლების აქტ. მონაწილე. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ თავდაპირველად გადავიდა თურქეთში, შემდეგ – საფრანგეთში, სადაც 1925 დაამთავრა ,,სენ სირის'' სამხ. აკადემია. გაამწესეს უცხოეთის ლეგიონში. 1934 მიენიჭა კაპიტნის, 1936 – მაიორის, 1958 კი – კოლონელის სამხ. წოდება.

II მსოფლიო ომის (1939–45) წლებში თ. ირიცხებოდა გენ. დე გოლის ,,თავისუფალი საფრანგეთის'' არმიაში. იყო ალჟირსა და მაროკოში ჩატარებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაციის მონაწილე. 1941–46 მეთაურობდა ათასეულს ინდო-ჩინეთში, ხოლო 1948–52 – მადაგასკარზე; 1953–56 იყო ბრიგადის მეთაური მაროკოში. 1956-იდან რამდენიმე წლის განმავლობაში მეთაურობდა ვენსენის უცხ. ლეგიონის შტაბს. დიდი საბრძოლო დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდა საფრ. უმაღლესი სამხ. და სამოქალაქო ჯილდოები: საპატიო ლეგიონის სრული კავალრის წოდება და ორდენი, ,,დიდი კომანდორის'' ოქროს ჯვარი, ღირსების ორდენი და სხვ.

XX ს. 60-იანი წლების დამდეგიდან, თადარიგში გასვლის შემდეგ, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პარიზში; არჩეული იყო ქართვ. იუნკერთა კავშირის გამგეობის უცვლელ წევრად, ერთხანს – თავმჯდომარედ. თანამშრომლობდა ქართ. ემიგრანტულ პრესასთან. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ლიტ.: ურუშაძე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005. *ლ. ურუშაძე.*

თოხეჩო, ფეხეჩო (ქართლ-კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი), მძიმე ეჩო (ქართლი), დიდი ეჩო (ქსნის ხეობა), ხის სათლელი იარაღი. თ. შედგება პირის, ტანის, ყუისა და ხელტარისაგან. ტრაპეციის ფორმის რკინის გალესილ პირს მარჯვნივ და მარცხნივ ,,ნიღრები'' აქვს. პირის შუა ნაწილში ,,ყელია'' მოთავსებული, რ-შიც ჯდება ეჩოს ხელტარი. ეჩოს ტარი ყელთან სქელია, შემდეგ ვიწროვდება და ბოლოში მოხრილია.

თ-თი სრულდებოდა ,,მსხვილი სათლელი სამუშაოები'', თლიდნენ სახვნელი იარაღების რვილებს, კევრის ფიცრებს, ურმის დედნებს და ა. შ.

ლიტ.: გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962; რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა რაჭაში, თბ., 1950. *გ. გასიტაშვილი.*

თოხთა, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ცხრაძმის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ცხრაძმულის (ქსნის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1520 *მ*, ახალგორიდან 25 *კმ*. 13 მცხ. (2002).

თ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XV ს-ში. თ-ის აღმ-ით დგას ადრინდ. ფეოდ. ხანის ეკლესია ,,ქაშვეთი''. სოფლის მახლობლადაა ე. წ. თ-ის სამიმოსვლო გადასასვლელი, რ-იც ქსნისა და არაგვის ხეობების დამაკავშირებელია.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თოხთამიში (გ. 1406 ან 1407), ოქროს ურდოს ხანი, ჩინგიზ-ყაენის შთამომავალი. 1377–80 დამკვიდრდა თეთრ ურდოში, ხოლო 1380-იდან – ოქროს ურდოში. 15 წელი ებრძოდა *თემურლენგს*, ცდილობდა ფეხის მოკიდებას სამხრ. კავკასიაში. 1385 დერბენდისა და კავკასიის სხვა გადმოსასვლელების გამოვლით შეიჭრა აზერბაიჯანში, ჩრდ. ირანში, აიღო და სასტიკად დაარბია ქ. თავრიზი. ივ. ჯავახიშვილის აზრით, თ-ს არ შეეძლო ჩრდ-იდან ირანში შეჭრილიყო ქართველებთან წინასწარი შეთანხმებისა და მოკავშირეობის გარეშე. საყურადღებოა ისიც, რომ ჩრდ. ირანში ლაშქრობის დროს თ-ის ლაშქარში ,,ურწმუნოებიც'' ერივნენ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა თემურლენგმა სამხრ. კავკასიის დაპყრობა და კავკასიის გადმოსასვლელების საიმედოდ ჩაკეტვა. 1395 ჩრდ. კავკასიაში, მდ. თერგის პირას ბრძოლაში თემურლენგმა სასტიკად დაამარცხა თ., რ-მაც ვოლგის ბულგარეთს შეაფარა თავი. მოკლა ციმბირის ხანმა შადიბეკმა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.



თოხი.

თოხი, მიწის დასამუშავებელი ქვისა ან ლითონის იარაღი. დას. საქართველოში (იხ. სტ-ები *თეთრამიწა, საგვარჯილე* და სხვ.) ენეოლითის ხანიდან გვხვდება ქვის თ-ები. გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან ფართოდ გავრცელდა დას. საქართველოში, მესხეთ-ჯავახეთში, შიდა ქართლში, იშვიათად – ჩრდ. კავკასიაში. ორდუსა და მეხჩის ციხის (ახლანდ. თურქეთი) განძებში აღმოჩენილია ბრინჯაოს თ-ები. ძვ. წ. VII–VI სს-იდან ფორმის მიხედვით თ-ები დიფერენცირებულია, რაც მიწათმოქმედების მრავალდარგიანობას მოწმობს (მოთოხნა, ახოს აღება, ყამირის გატეხა და სხვ.). თ-ები გვხვდება სხვადასხვა განძის შემადგენლობაში (ურეკი, მელექედური, ზენითი და სხვ.) და სამარხებსა და დასაკრძალავ მოედნებზე (მუხურჩა, ურეკი, ერგეტა და სხვ.).



თოხიტარა.

დანიშნულების მიხედვით თ. იყო საღომე, სასიმინდე, საველახე, საბოსტნე და სხვ. ცნობილია თ-ის სხვადასხვა სახელწოდება: კეკო, ბრტყელი, ლინგა, ყუაინი, ყუნწიანი, მხრებიანი, მხრებდაქნილი, ჩეკია და სხვ. საქართველოში უფრო ორი ტიპის თ-ს ხმარობდნენ: მხრებდაქნილს (,,იმერული'') და ბრტყელს, ოთხკუთხას (,,ქართული''). ნიადაგის დამუშავებას იწყებდნენ თ-ით, რ-ითაც მიწას თოხნიდნენ, აფხვიერებდნენ და სარეველა ბალახისაგან ასუფთავებდნენ. თ. დღესაც ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მცირე ზომის საბოსტნე ნაკვეთებში.

ლიტ.: ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; ჯაფარიძე ო., მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, «თსუ შრომები», 1953, ტ. 49. *გ. ჯალაბაძე.*

თოხიტარა (Aegithalos caudatus), ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. მომცრო ტანისაა, გრძელბოლოიანი; თავის ნაწილი და მუცლის მხარე თეთრი აქვს, ზურგის მხარე – შავი. ადგილ-ადგილ ვარდისფერი ან მოყავისფრო ელფერი დაჰკრავს. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში.

საქართველოში მრავლადაა როგორც მობინადრე ფრინველი; გვხვდება ტყეებში, ბაღებში, ვენახებში, ადამიანის სამოსახლოსთან ახლოს. ბუდეს ხეზე იკეთებს, იკვებება მწერებით, რითაც მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს. საქართველოში გავრცელებულია ქვესახეობა A. C. ibericus. კრუხობს წელიწადში ორჯერ.

ა. ბუხნიკაშვილი. რ. ჟორდანია.

თოხლიაური, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთის ძირას, თბილისი–გურჯაანის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 700 *მ,* საგარეჯოდან 7 *კმ.* 983 მცხ. (2014).

,,თოხნური'', უძველესი ქართული ხალხური მრავალხმიანი შრომის სიმღერა. მღერიან თოხნის დროს. ჩვენამდე მოღწეული თ. ორ-, სამ- და ოთხხმიანია. ასრულებენ მამაკაცები, ზოგჯერ – ორი გუნდი ერთიმეორის შენაცვლებით. ორ- და სამხმიანი თ. გვხვდება აღმ. საქართველოში, ოთხხმიანი (ნადურის ან ყანურის სახელწოდებით) – გურიასა და აჭარაში. მეტრის, რიტმისა და კილოს მხრივ მრავალფეროვანია; ხშირად ერთ თ-შიც შეინიშნება მეტრისა და კილოს მონაცვლეობა. პოეტური ტექსტი იმპროვიზებულია, დამოკიდებულია სიმღერის დამწყებზე. თ. მხნე და ხალისიანი სიმღერაა, მთავრდება უნისონსა და კვინტაზე, იშვიათად – კვარტაზე.

ლიტ.: ანთაძე ვლ., ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, თბ., 1961; მამალაძე თ., შრომის სიმღერები კახეთში, თბ., 1963. *გ. ჩხიკვაძე.*

თოხოლჩა, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ღულელების თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ერწოს ქვაბულის სამხრ. ნაწილში, მდ. თრანულის (ივრის აუზი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1110 *მ,* თიანეთიდან 34 *კმ.* 22 მცხ. (2014).

თოჯინების თეატრი, თეატრალური წარმოდგენის სახეობა, სადაც მოქმედებენ თეჯირის ამოფარებული მსახიობების მიერ მართული თოჯინები. მართვის ხასიათისა და თოჯინების აგებულების მიხედვით განასხვავებენ თ. თ-ის სხვადასხვა ტიპს – სათითურებიანი, მარიონეტების, ჩრდილების, უთეჯირო, რ-თა საფუძველზეც შემდეგ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი თეატრები: *თითების თეატრი, მარიონეტების სახელმწიფო თეატრი, ჩრდილების თეატრი.* თ. თ-ს საფუძველი ჩაეყარა წარმართულ წეს-ჩვეულებებსა და თამაშობებში. მრავალ ქვეყანაში, მ.შ. საქართველოშიც თ. თ. სათავეს იღებს რელიგიურ-მისტერიულ სანახაობებში. იგი უძველესი ხელოვნებაა და მოხსენიებულია ჯერ კიდევ ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, არისტოტელეს, ჰორაციუსის, მარკუს ავრელიუსის და სხვათა შრომებში. დროთა განმავლობაში თ. თ. თანდათან კარგავდა რელიგიურ შინაარსს და საერო ხასიათს იღებდა. ყოფით კომედიურ სიუჟეტებში თეატრი ამხელდა სოც. უსამართლობას, უთანასწორობას. XIX ს. II ნახევარში, საქართველოში ცნობილი იყო თ. თ. „დედოფლების კარავი“. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებული თოჯინების სახელებია: ჭუპრა, კუკა, კუკნა, დედოფალა, ტიკინა და სხვ. ადრინდელი ქართ. მეთოჯინეები იყვნენ ლ. და ნ. ტორაძეები და დ. ჭითავა. საქართველოში ფუნქციონირებს: *თოჯინების სახელმწიფო თეატრი (თბილისის)* გ. მიქელაძის სახელობისა, *ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი* ი. გოგებაშვილის სახელობისა, *ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრი და სხვ.* მდიდარი ისტორია აქვს *თოჯინების სახელმწიფო რუსულ თეატრს.* თ. თ-ის სადადგმო ტრადიცია არსებობს გორში, თელავში, ბორჯომში და სხვ. 1958-იდან თ. თ-ების მოღვაწეთა საერთაშ. ასოციაცია („უნიმა“) რეგულარულად აწყობს საერთაშორისო ფესტივალებს, კონკურსებს. 2011 საქართველოში განახლდა „უნიმას“ წარმომადგენლობა, რ-ის საპატიო პრეზიდენტები არიან გ. სარჩიმელიძე და რ. *გაბრიაძე.*

ლიტ.: ცაგარეიშვილი ს., ქართული თოჯინების თეატრის ისტორიისათვის, თბ., 1972.

თოჯინების მუზეუმი თ. თუმანიშვილის სახელობისა, დაარსდა 1937 წელს თბილისში საბავშვო მწერლისა და პედაგოგის თ. თუმანიშვილის თაოსნობით. მუზეუმს საფუძვლად დაედო მისი თოჯინებისა და სათამაშოების მდიდარი კოლექცია, საგვარეულო ნივთები და ბ-კა, რ-ებიც მან უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს.

მუზეუმის შექმნაში განსაკუთ-



თოჯინების მუზეუმი. ერთ-ერთი საგამოფენო კუთხე.

რებული წვლილი შეიტანა მხატვარ-ეთნოგრაფმა ნ. *ბრაილაშვილმა,* რ-ის ნამუშევრებმა არაერთი პრემია მოიპოვა საზღვარგარეთ (თოჯინები: ,,მანანა'', ,,ეკა'', ,,ჟუჟუნა'', ,,რუსუდანი'', ,,ზეზვა'', ,,სოფიკო'', ,,მაიკო'', ,,რუსიკო'', ,,ბალერინა'', ,,კვახურები'', ,,რეზო'' და სხვ.). თ. თუმანიშვილთან ერთად კონსტრუქტორ-გამომგონებელმა რ. ბაგთაბეგაშვილმა პირველმა შექმნა ეროვნ. თემაზე მოძრავი მუს. სათამაშოები: ,,მეჩონგურე ქალთა ანსამბლი'', როიალზე დამკვრელი დედოფალა ,,ელისო'', ,,მარინა'', მოცეკვავე დედოფალები ,,პირიმზისა'' და ,,სვეტლანა'', მომღერალი დედოფალა და სხვ. კონსტრუქტორ-გამომგონებელმა ი. ფრანგულოვმა შექმნა ქართ. და



თოჯინების მუზეუმი. „დედოფალა“. დ. კვესიტაძის „დედოფალა“.

ევრ. ცეკვების მთელი სერია (,,სამაია‘‘, ,,ქართული‘‘, ,,კინტოური‘‘, ,,ესპანური‘‘ და სხვ.). მუზეუმის ექსპოზიცია გაამდიდრა მხატვარ ნ. ბელიაევას ქართ. თოჯინებმა ,,ლუარსაბი და დარეჯანი‘‘ (ვ. გოძიაშვილისა და ც. წუწუნავას სცენური სახეების მიხედვით); მხატვრების: ლ. ვილჩევსკაიას, გ. ალექსანდროვის, დ. ჭუბაბრიას, ნ. ანთაძის, ე. მირიანაშვილის დედოფლებმა. 1998 მუზეუმმა შეიძინა თ. კვესიტაძის თოჯინები: ,,ქართველი თავადის ოჯახი‘‘ და ,,დედოფალა‘‘.

მუზეუმის მეცნიერ მუშაკებს საქართვ. ყველა კუთხიდან აქვთ ჩამოტანილი და შესწავლილი სათამაშოები და თამაშობანი. მუზეუმის ექსპონატთა მოდელებზე არაერთი დედოფალა დაამზადა საქართვ. სათამაშოების ფაბრიკებმა. თ. მ-ს მხარში ედგნენ დიდი ხელოვანები, მეცნიერები და საზ. მოღვაწეები: ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ვ. სიდამონ-ერისთავი, მ. თოიძე, უ. ჯაფარიძე, ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, გ. ჩუბინაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, დ. უზნაძე, ს. ჯანაშია და სხვ.

ფონდში განსაკუთრებული ადგილი უკავია საზღვარგარეთის 40 ქვეყნიდან ჩამოტანილ და შეძენილ ორიგინ. ექსპონატებს – ძვ. და თანამედროვე მუს. სათამაშოებს (XIX–XX სს.), სახსოვარ-შემოწირულობებს. მუზეუმში დაცულია მექან. თოჯინების კოლექცია, საავტორო თოჯინები, რ-თა შორისაა ფლამენგოს მოცეკვავეები, ინდიელი ბელადი და იაპონელი ქალბატონები, ქართ. ზღაპრებისა და ლიტ. ნაწარმოებთა გმირები, მოცეკვავეები, აგრეთვე სხვადასხვა სათამაშო, ანტ. ავეჯი, წიგნები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ნაქარგობების იშვიათი კოლექცია და სხვ.

მუზეუმის ექსპონატები წარმოდგენილი იყო საქართვ. და საზღვარგარეთის ქვეყნებში მოწყობილ გამოფენებსა და კონკურსებზე – აშშ-ში, იაპონიაში, ინდოეთში, ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მიღებული აქვთ დიპლომები და სიგელები. მუზეუმის დედოფალების ფოტოები გამოფენილია ზონებერგის (გერმანია) სათამაშოების მუზეუმში, ვარშავისა და ბერლინის ეთნოგრ. მუზეუმებში.

თავდაპირველად თ. მ. განთავსებული იყო ათარბეგოვის (ახლანდ. ძმები ზუბალაშვილების) ქუჩაზე მდებარე №1 საბავშვო ბაღის შენობაში, 1958 კი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გადავიდა, ხოლო 1986-იდან ბინა დაიდო ბავშვთა სურათების გალერეის შენობაში. 2012 თბილ. სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო მუზეუმის შენობაც დაინგრა და თ. მ-მა დროებით ბინა დაიდო მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობაში.

თოჯინების სახელმწიფო რუსული თეატრი, დაარსდა თბილისში 1936 მოზარდ მაყურებლისთვის. ორგანიზატორი და პირველი მხატვარ-რეჟისორი იყო ნ. მარშაკი. 1936 თეატრმა მოაწყო ნ. მარშაკის პიესის ,,ცირკი‘‘ პრემიერა. 1937 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ს. მარშაკის ,,ორი ძმა‘‘. 1938 თეატრი გადავიდა ახალ შენობაში. 1939 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1941 თეატრი ევაკუირებული იქნა ალმა-ათაში. 1942 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1943 თეატრი დაბრუნდა თბილისში. 1944 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1945 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1946 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1947 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1948 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1949 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1950 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1951 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1952 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1953 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1954 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1955 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1956 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1957 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1958 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1959 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1960 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1961 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1962 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1963 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1964 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1965 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1966 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1967 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1968 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1969 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1970 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1971 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1972 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1973 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1974 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1975 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1976 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1977 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1978 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1979 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1980 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1981 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1982 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1983 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1984 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1985 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1986 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1987 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1988 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1989 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1990 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1991 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1992 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1993 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1994 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1995 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1996 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1997 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1998 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 1999 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2000 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2001 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2002 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2003 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2004 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2005 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2006 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2007 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2008 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2009 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2010 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2011 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2012 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2013 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2014 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2015 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2016 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2017 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2018 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2019 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2020 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2021 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2022 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2023 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2024 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2025 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2026 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2027 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2028 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2029 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2030 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2031 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2032 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2033 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2034 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2035 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2036 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2037 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2038 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2039 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2040 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2041 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2042 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2043 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2044 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2045 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2046 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2047 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2048 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2049 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2050 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2051 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2052 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2053 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2054 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2055 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2056 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2057 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2058 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2059 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2060 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2061 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2062 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2063 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2064 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2065 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2066 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2067 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2068 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2069 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2070 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2071 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2072 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2073 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2074 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2075 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2076 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2077 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2078 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2079 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2080 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2081 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2082 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2083 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2084 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2085 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2086 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2087 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2088 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2089 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2090 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2091 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2092 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2093 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2094 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2095 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2096 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2097 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2098 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2099 ნ. მარშაკის ხელმძღვანელობით დაიდგა ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘. 2100 დაიდგა ნ. მარშაკის ,,ბოროტი ჯადოქარი‘‘.



თოჯინების სახელმწიფო რუსული თეატრი. „წითელქუდა“. პ. შვარცის „წითელქუდა“.

ბელთა რუსული თეატრის ბაზაზე. თეატრის პირველი ხელმძღვანელი იყო ნ. მარშაკი, მასთან ერთად მუშაობდნენ თეატრის მოღვაწეები და მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები: მ. რუსლანოვი, მ. ბარუტჩევი, კ. ვაისერმანი, ნ. ნერიასოვი, ო. ორიოლი, მ. ბუბუტეიშვილი, ნ. ფედორჩენკო, ო. იაკოვიჩი, მ. მარკევიჩი, ლ. ლევსკი, ტ. სააკოვი.

თოჯინურ სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდა კომპოზიტორი ი. ბეიერი. პირველი სპექტაკლი ,,ლისიჩკა-სესტრიჩკა‘‘ დაიდგა 1936. მას მოჰყვა ე. შვარცის ,,წითელქუდა‘‘ (1945), გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“ (1947) და სხვ.

1936 თოჯინების თეატრში სპექტაკლები დადგა მსახიობმა, საქართვ. დამს. არტისტმა ა. ენგელგარდტმა.

სხვადასხვა დროს თეატრში მუშაობდნენ: მთ. რეჟისორები – ა. ენგელგარდტი, მ. დანიელაშვილი, ვ. სმირნოვა (ს. ობრაზცოვის მოწაფე), ა. ჩხიკვაძე, მ. ბუკია; რეჟისორები – მ. ვახნიანსკი, ვ. დალგუსტური, რ. შაფთოშვილი, თ. აბაშიძე, თ. შონია, გ. სარჩიმელიძე, ლ. წულაძე, თ. ბადრიაშვილი, ი. ლობოვი; კომპოზიტორები – მ. დავითაშვილი, ა. რაქვიაშვილი; მხატვრები – ი. შტენბერგი, ვ. ჩერნიშოვი, ლ. გნატოვსკი, მ. ციცქიშვილი, რ. კომახსაზოვი, ვ. ტერეხოვა და სხვ. თეატრში წარმატებით მუშაობდა ქორეოგრაფი ი. *ზარეცკი*. თ. ს. რ. თ-ის საუკეთესო დადგმებია: ნ. ნაკაშიძის ,,ბაკი-ბუკი‘‘ (1952); ა. ენგელგარდტი – ვ. შვემბერგერის ,,დათვი და გოგონა‘‘ (1967), ვ. სმირნოვა – ე. ჩეპოვეცკის „მე წიწილა, შენ წიწილა“ (1971), ი. ვილკოვსკის „აი და მიციკი‘‘ (1973), ი. ვილსკოევის „რიმტიმტის თავგადასავალი“ (1974), მ. პავლიკის „ზღაპრების წიგნი“ (1975), ვ. ლივშიცის „იდუმალი ჰიპოპოტამი“ (1977), ი. ელისეევის „ორი ოსტატი“ (1979), მ. სუპინინის „ბუკა“ (1982), ვ. ორლოვის „ოქროს წიწილა“ (1987), დ. ურბანის „ყველა თაგვს უყვარს ყველი“ (1988); ს. მიხალკოვის ,,სამი გოჭი“ (1988), მ. გონაშვილის ,,ცირკის ჩირაღდნები“ (1989), ნ. შურღაიას „ეკო, ბეკო, ბეკეკო“ (1990) და სხვ.

1998 თეატრმა შეაჩერა დამოუკიდებლად ფუნქციონირება.

თოჯინების ქართული თეატრი, თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სსიპ), თოჯინების პირველი პროფესიული სახელმწიფო თეატრი საქართველოში. დაარსდა 1934 თბილისში გ. *მიქელაძის* თაოსნობით ,,თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის‘‘ სახელწოდე-

ბით. თეატრის დაარსებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ასევე მ. სარაულს, ქ. ჯუღელს, ნ. მახარაძეს. დასის პირველი წევრები იყვნენ: ე. სიბილა, გ. ლომაია, მ. სარაული, ე. ბარბაქაძე, ვ. ნიკოლაიშვილი, ე. ცქიტიშვილი, ე. ხერხეულიძე. თეატრის პირველი ხელმძღვანელი იყო გ. მიქელაძე (1934–69). პირველი წარმოდგენა (ს. ფედორჩენკოს ,,ჭუჭრუტანაში გავიხვრები, ჩემსას კი მაინც გავხდები'') გაიმართა 1934 წ. 26 მაისს. ქართული თოჯინური სცენის პირველი ესკიზი შექმნა პ. *ოცხელმა*. თოჯინები გამოთალა მ. სარაულმა. 1936 თ. ჟ. თ-ს შეუერთდა ჩრდილების თეატრი (ხელმძღვ. – გ. კოსტავა) და ეწოდა თბილ. თოჯინებისა და ლანდების სახელმწ. ქართ. თეატრი. აქ იდგმებოდა ზღაპრები, ფეერიები, სათავგადასავლო პიესები, თანამედროვე და კლასიკურ ნაწარმოებთა ინსცენირებები. რეპერტუარი ძირითადად განკუთვნილი იყო ბავშვებისათვის. სხვადასხვა დროს წარმოადგინეს: გ. როსებას ,,ცაცო'', ვ. კობელის ,,წკიპა'', ვ. პოლიაკოვის ,,მოგზაურობა უცნაურ ქვეყნებში'', ლ. ბრაუსევიჩის ,,ჩექმებიანი კატა'', ტ. ხავთასის ,,თხუპნია'', ა. ტოლსტოის ,,ბურატინოს თავგადასავალი'', ს. პროკოფიევას ,,გუგულიანი საათი'', ვაჟა-ფშაველას ,,შვლის ნუკრი'', გ. ნახუცრიშვილის ,,კომბლე'', გ. ლანდაუს ,,ფიფქიას სკოლა'', ა. პოპესკუს ,,მზის სხივი'', ,,ცისფერი ზღარბი'', ნ. გერნეტისა და ტ. გურევიჩის ,,ბატის ჭუკი'', ა. ჰენზელის ,,მელაკუდა'', ტ. გაბეს ,,ბროლის ქოში'', ლ. ლოპეისკაიასა და გ. კრჩულოვას ,,პატარა წერო და საფრთხობელა'', ნ. ღვინეფაძის ,,ჩვენი აიბოლიტი'', მ. აბრამიშვილის ,,ნიშხა, ნიშხა, ბარბალუკა'' და სხვ. II მსოფლიო ომის წლებში (1939—45) თეატრის რეპერტუარში წარმოდგენილი იყო ომის თემაზე შექმნილი სპექტაკლები — კ. გოგიაშვილის ,,რუხი მგელი'', ,,გემრიელი სადილისათვის'', ვ. სუხოდოლსკის ,,ქარიშხალში'' და სხვ. 1940-იდან იდგმებოდა აგრეთვე სპექტაკლები მოზრდილთათვის — ს. ობრაზცოვისა და ს. პრეობრაჟენსკის ,,დიდი ივანე'', ნ. გერნეტის ,,ალადინის ჯადოსნური ლამპარი''. ა. ბელიაშვილის ,,სვანეთის მთებში'' და სხვ. ამ პერიოდში თეატრი წარმატებით ფლობდა



თოჯინების ქართული თეატრი. ,,გამოუქვეყნებელი ნოველა''.

თოჯინის მართვის ყველა სისტემასა და ყველა სცენურ ფორმას (სათითურებიანს, ტროსტებიანს, მარიონეტებს, ნიღბებს, ე.წ. ,,შავ კაბინეტს'' და ,,ცოცხალ პლანს'' — მსახიობი თოჯინასთან ერთად). 1960-იდან თ. ჟ. თ. არის უნიმა-ის (თოჯინების თეატრის მოღვაწეთა საერთაშ. ასოციაცია) წევრი. მისთვის კადრებს ამზადებს საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტი. 1994 თ. ჟ. თ-ს მისი დამაარსებლის გ. მიქელაძის სახელი მიენიჭა და ეწოდა თბილისის გ. მიქელაძის სახ. თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი, 1995 – თბილისის გ. მიქელაძის სახ. თოჯინების სახელმწიფო თეატრი, 2013-იდან კი – ახლანდელი სახელი. 1999–2012 თეატრის ხელმძღვანელი იყო რეჟ. თ. ბადრიაშვილი. 2013–17 თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის რეჟ. ე. მაცხონაშვილის ინიციატივით შემოქმედებითი კოლექტივი გადახალისდა და შეივსო ახალგაზრდა მსახიობებით. 2017-იდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია რეჟ. ნ. საბაშვილი. დასში ირიცხებიან (2017 წლის მონაცემებით) მსახიობები: დები — თ. ბაქრაძე, თ. ბაქრაძე, მ. გაბუნია, თ. კიწმარიშვილი, ი. კუკულაძე, მ. მალხაზიშვილი, გ. მემმარიაშვილი, ნ. ნატროშვილი, ნ. პაპიაშვილი, მ. სულხანიშვილი, ნ. შეშაბერიძე, მ. ძაგნიძე- ბიჭიაშვილი, მ. წიკლაური, ნ. ხმიადაშვილი, გ. ტალახაძე, ვ. ჭელიძე, გ. ღონ-



თოჯინების ქართული თეატრი. ,,ბატის ჭუკი''.

ღაძე. 2000-ის შემდეგ თეატრში დადგმული სპექტაკლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. აბრამიშვილის ,,ზღაპარი წითელქუდაზე'' (რეჟ. გ. სარჩიმელიძე, მხატვარი თ. ჰაინე), ,,ვარსკვლავი'' (რეჟ. მ. ლორთქიფანიძე, მხატვარი გ. აბაკელია), ,,გედების ტბა'' (რეჟ. შ. ცუცქირიძე, მხატვარი თ. ჰაინე), გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა'' (რეჟ. ვ. მაღლაფერიძე, მხატვარი გ. აბაკელია), მ. ნატროშვილისა და მ. აბრამიშვილის ,,ფეხბურთელი ბაჭია'' (რეჟ. ვ. მაღლაფერიძე, მხატვარი თ. ჰაინე), თ. სოლოღაშვილის ,,ბურატინო'' (რეჟ. გ. სარჩიმელიძე, მხატვარი ო. ყუფუნია). გ. მაცხონაშვილის ,,13 თიბათვისა'' (რეჟისურა და სცენოგრაფია გ. მაცხონაშვილის), ო. ჰენრის ,,გამოუქვეყნებელი ნოველა'' (რეჟ. ე. მაცხონაშვილი, მხატვარი ვ. ქორიძე), ნ. საბაშვილის ,,საქართველო'' (რეჟისურა და სცენოგრაფია ნ. საბაშვილის). წლების განმავლობაში თეატრის მთ. რეჟისორი იყო გ. სარჩიმელიძე; დამდგმელი რეჟისორები: მ. დანიელაშვილი, შ. ცუცქირიძე, ნ. იონათამიშვილი, ვ. მაღლაფერიძე, ა. ჩხიკვაძე და სხვ.; მთ. მხატვრები: ი. მდივანი, რ. კონდახსაზოვი, გ. აბაკელია. ცალკეულ დადგმებზე მიწვეული იყვნენ მხატვრები: მ. გოცირიძე, მ. ბერძენიშვილი, მ. მალაზონია, ნ. ყაზბეგი, ვ. ფეტვიაშვილი, თ. ჰაინე და სხვ.; სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდნენ: კომპ. მ. დავითაშვილი, ლ. იაშვილი, ს. მირიანაშვილი, ა. შავერზაშვილი და სხვ. თ. ჟ. თ. წარმატებით მონაწილეობს თოჯინების თეატრების ადგილობრივ და საერთაშ. ფესტივალებსა და სიმპოზიუმებში. *თ. კახიანი. შ. ცუცქირიძე.*

თოჯინური ფილმი, იხ. *მულტიპლიკაციური ფილმი.*

თრანი, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ლულელების თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ერწოს ქვაბულის სამხრ. ნაწილში, მდ. თრანულის (ივრის აუზი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1080 *მ*, თიანეთიდან 30 *კმ*. 88 მცხ. (2014).

თ. წყაროებში X ს-იდან იხსენიება. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სვეტიცხოველს ეკუთვნოდა. აქ აღმოჩენილი ნამოსახლარებისა და სამაროვნების მიხედვით ჩანს, რომ ერწო-თიანეთის ეს ნაწილი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. თ. მონღოლებმა ერწო-თიანეთის

სხვა სოფლებთან ერთად დაარბიეს. ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ თ. კახეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო.

XVII ს-ში, შაჰ-აბასის ლაშქრობის დროს, თ. დაიცალა. შემდეგ აქ დაიწყო მთიელთა მიგრაციის პროცესი, რ-იც XIX–XX სს-შიც გაგრძელდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.

თრანის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროისა და კატეგორიის არქეოლოგიური ძეგლები სოფ. თრანის ტერიტორიაზე. შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, ინ-ტის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი).

1963–69 სოფ. თრანსა და სოფ. მაგრანეთს შორის, ე. წ. რკინის კალოზე, გათხრილია ძვ. წ. VIII–VI სს. 2 იარუსად განლაგებული 37 ქვაყრილიანი ორმოსამარხი. მიცვალებულები ესვენენ კიდურებმოხრილი მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე. ჩატანებული ჰქონდათ თიხის ჭურჭელი, რკინის მოხრილი საჩეხი დანები, შუბისპირები, ბრინჯაოს შედგენილტარიანი მახვილი, ისრისპირები, სარტყლები, სამაჯურები, ირმის ქანდაკება და სხვ.

1969 სოფლის ჩრდ. ნაწილში გაითხარა ინდივიდ. და საოჯახო V–VII სს. სამარხები (მ. შ. 3 ქვის სამარხი, 1 შირიმის ქვებით გადახურული ორმოსამარხი), რებიც დამხრობილი იყო დას-იდან აღმ-კენ. სამარხში იყო ბრინჯაოს საკინძები (მათგან ორს აქვს ოქროს თავი და ძოწის თვლებითაა შემკული); მშვილდსაკინძები, მინის მძივები და სხვ.

1966 სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ადგილ. ბადათგორაზე, გამოვლინდა VIII–IX სს. დაზიანებული სამარხები, სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს, ვერცხლისა და მინის ბეჭდები.

1969 მდ. თრანულის მარჯვ. ნაპირას, ადგილ ოდინაანთ ნასახლარზე, გათხრილია XII–XIII სს. სამეთუნეო საწარმო. შესწავლილია 2 სამეთუნეო ქურა, რ-ის ახლოს აღმოჩენილია თიხის სამფეხა სადგარები, მილიანი ჭინჭილები, ხელადები და სურები. კერამიკა ერთფეროვანია, გამომწვარია მოწითალოდ, თხელკეციანია და გამოყვანილია მორგვზე, შემკულია ორნამენტით.

თრანის მიდამოებში შუა საუკუნეთა რამდენიმე ნასოფლარია: კოტაისძირი, კოკოთახოები, ბადათგორი და სხვ. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია მდ. თრანულას მარჯვ. ნაპირზე შემორჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების პატარა ერთნავიანი ეკლესიის (3,5 *მ* × 2,7 *მ*) – პირიმზის ხატის – ნანგრევები (დარჩენილია ჩრდ. და სამხრ. კედლები), რ-ის ირგვლივ მიმობნეულია მცენარეული და გეომ. ორნამენტით შემკული კრამიტები. გალავნის შიგნით შეიმჩნევა სამარხები. ოდინაანთ ნასახლარზე მცირე მოცულობის მიხეილთჯვრის ხატია. რკინის კალოს აღმ-ით, წმინდა ტყეში, ადგილის დედის პატარა ეკლესია დგას. სოფლის სამხრ-ით, მდ. თრანულის მარცხ. ნაპირზე, შემორჩენილი იყო რიყის ქვით და მტკიცე დუღაბით ნაგები, გეგმით ოთხკუთხა ხიდის ბურჯი, რ-საც შუაში წყალსაწრეტი ხვრელი ჰქონდა დატანებული (მოგვიანებით ააფეთქეს და სამშ. მასალად გამოიყენეს). მის ახლოს ძვ. ნაგზაურია, რ-იც გადის ნასოფლარზე. მეორე მოპირდაპირე ბურჯის კვალი არ შეინიშნება. ყველა ეს ძეგლი შუა საუკუნეებს განეკუთვნება. თ-ის ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილი სხვადასხვა პერიოდის ძეგლები მეტყველებს იმაზე, რომ ეს ტერიტ. უძველესი დროიდან ინტენსიურად იყო ათვისებული, რასაც ხელს უწყობდა მის მახლობლად გამავალი ძვ. გზა. მასალა ინახება არქეოლ. კვლევის ცენტრის ბაზაში.

ლიტ.: კობაიძე ლ., ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, II. რკინის კალოს სამაროვანი, თბ., 1978; რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე». ისტორიის, არქეოლ., ეთნ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1978, №1; ჯორბენაძე ბ., ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, მის წგ.: ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, IV, თბ., 1982.

რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.

თრდატი (გ. დაახლ. 395), ფარნავაზიანთა სახლის რევიანთა შტოს დამაარსებელი. *მირიან III-ის* უფროსი ძის – რევის ძე. თ. და მისი დედა სალომე კახეთსა და კუხეთს ფლობდნენ და უჯარმაში ცხოვრობდნენ. დაახლ. 338–341 მათ სომხების დახმარებით მოინდომეს ბაკურ მეფის ტახტიდან გადაყენება, მაგრამ დამარცხდნენ. 368 რომაელთა და სომეხთა დახმარებით თ. ქართლში გამეფდა, თუმცა მალე იძულებული გახდა ტახტი დაეტოვებინა. რომსა და



თრანის არქეოლოგიური ძეგლები.



თრანის არქეოლოგიური ძეგლები. ჭურჭელი.

ირანს შორის ქართლის გაყოფის შემდეგ, 369-იდან, თ. რომაელთა გავლენის სფეროში მოქცეულ ქართლის ნაწილში მეფობდა. რადგან ირანის გავლენის ქვეშ მყოფ ქართლის მეფეს ვარაზ-ბაკურს გარდაცვალებისას მცირეწლოვანი ვაჟიშვილები დარჩნენ, თ., როგორც ვარაზ-ბაკურის სიმამრი და უკვე ,,კაცი მოხუცებული'', ირანის გავლენის სფეროში მყოფ ქართლშიც გამეფდა. დაახლ. 395 წ. თეთრი ჰუნების დახმარებით თ. *ბაქარიანთა* კუთვნილი ქართლის ტახტიდან ვარაზ-ბაკურის უფროსმა ძემ – ფარსმანმა – გადააყენა.

,,მეფეთა ცხოვრების'' დახასიათებით, თ. იყო ,,კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი'', რ-მაც ,,სიბრძნითა თჳსითა დაამშჯდნა სპარსნი, გამოაჩინნა ჯჳარნი და შეკაზმნა ეკლესიანი''. მანვე ,,გამოიღო რუსთავი'' (ე. ი. გაიყვანა არხი), ააშენა ეკლესია ნეკრესში, ხოლო მშენებლობა დაიწყო რუსთავში. თ. *ამიანე მარცელინუსის* მიერ ქართლის მეფედ დასახელებული *საურმაგის* იდენტური პიროვნებაა.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'', შატბერდის კრებული, თბ., 1979.

ლიტ.: გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, «მნათობი», 1988, №3.

ვ. გოილაძე.

თრელიგორების ნასახლარი, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი დიღმის მასივში, საქართვ. სამხ. გზის გასწვრივ. მდებარეობს 1,5 *კმ*-ზე გადაჭიმულ თრელიგორებად წოდებულ ბორცვებზე, მდ. დიღმურას მარცხ. სანაპიროზე. ნასახლარზე გათხრების შედეგად (1968, ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) დადასტურდა ადამიანთა ცხოვრების უწყვეტი კვალი ენეოლით-ადრინდ. ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული ადრინდ. ფეოდ. ხანის ჩათვლით (დაახლ. ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახ. – ახ. წ. IV ს.). გათხრილია რამდენიმე ურთიერთ-

მონაცვლე კულტ. ფენა. თითოეულ ფენაში დადასტურდა ძლიერი ცეცხლის კვალი, რაც იმის მაუწყებელია, რომ დასახლებას არაერთგზის განუცდია მტრის შემოსევა. თრელის, მტკვარ-არაქსის კულტურის ენეოლით-ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ნასახლარზე გამოვლენილი ბათქაშის ნატეხები და ხის ძელების კვალი მიუთითებს აქ თიხით შელესილი ხის ნაგებობების არსებობაზე. ნასახლარი მრავალფენიანია. გათხრილი ფართობის ზოგიერთ უბანზე გამოვლინდა 3 სტრატიგრაფიულად ურთიერთმონაცვლე ფენა. ამ პერიოდის კერამიკა გამომწვარია მოწითალოდ, აქვს სქელი კეცი, ნაძერწია ფენებად და ძირითადად ანგობირებულია.

თ. ნ-ზე გამოვლენილია გვიანდ. ბრინჯაო – ადრინდ. რკინის ხანის 7 სამშენ. ფენა, ხოლო ნასახლარის ზედა ფენები შეიცავს გვიანდ. ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანის მასალას.

გორა I-ზე და გორა II-ზე გაითხრა ასამდე ნაგებობა. ეს ბორცვები ტერასულად იყო დასახლებული. სწორკუთხა ფორმის, ნახევრად მიწური ერთოთახიანი შენობები რიყისა და ფლეთილი ქვით ტალახის ხსნარზეა ნაგები. გადახურვა ბანურია. სათავსებში იატაკი ძირითადად თიხატკეპნილია, ზოგან კი ნაწილობრივ ქვის ფილებითაა მოგებული. ყველა საცხოვრ. ნაგებობაში აღმოჩენილია პურის საცხობი ღუმელი, რ-საც ეკვრის სხვადასხვა ფორმის სამსხვერპლო ბაქნები. მოპოვებული მასალით დასტურდება, რომ მოსახლეობა ინტენს. ეწეოდა მიწათმოქმედებას (ქვევრები, ყურძნის წიპწები, ხორბალი), მესაქონლეობას (წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები) და ასხამდა ბრინჯაოს ნივთებს (აღმოსავლეთამიერკავკასიური ბრინჯაოს ცულის ყალიბი და სხვ.). საცხოვრ. ოთახების გარდა გათხრილია დარბაზული შენობა, რ-ის ფართ. 120 $მ^2$ აღემატება.

თ. ნ. გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანაში ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული დასახლება იყო მთელ კავკასიაში.

ლიტ.: თბილისი I. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978; საქართველოს ძველი ქალაქები, თბ., 2006.

მ. აბრამიშვილი.
რ. აბრამიშვილი.

თრელის სამაროვანი, ადრინდელი ბრინჯაო–ფეოდალური ხანის ძეგლი დიღმის მასივში. მდებარეობს საქართვ. სამხ. გზის გასწვრივ, *თრელიგორების ნასახლარის* სამხრ. ბორცვების აღმ. ფერდობებზე და მათ ძირში. გათხრები მიმდინარეობს 1969-იდან (ხელმძღვ. 1969–85 – რ. აბრამიშვილი, 1985-იდან – მ. აბრამიშვილი). გათხრილია ორასამდე სამარხი. თ. ს. წარმოადგენს თრელიგორებსა და მის მახლობლად არსებული დასახლების ერთ-ერთ სასაფლაოს. აქაურ მოსახლეობას ეკუთვნოდა აგრეთვე საფურცლის, ჩალიპირაგორების, ვაშლივჯვრისა და დიღმის მასივის ტერიტორიაზე არსებული სხვა სამაროვნები.

თ. ს-ის ყველაზე ადრინდ. სამარხები მტკვარ-არაქსის კულტ. სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება, მ. შ. უძველესია ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახ. ორმოსამარხები. III ათასწლ. I ნახევრიდან თ. ს-ზე ჩნდება ქვის წრეებით გარშემორტყმული ქვაყრილიანი ორმოსამარხები. ამ ტიპის სამარხები აქ გაბატონებულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ჩათვლით. ძვ. წ. III ათასწლ. I ნახ. ერთ-ერთ სამარხში დადასტურებულია მიცვალებულზე წითელი საღებავის (ჟანგმიწის) დაყრა. თ. ს-ზე მტკვარ-არაქსის კულტ. ბოლო პერიოდს განეკუთვნება ღრმა დასაკრძალავორმოიანი ყორღანული სამარხი. თ. ს-ის მტკვარ-არაქსის კულტ. სამარხების ინვენტარი მხოლოდ კერამ. ნაწარმითაა წარმოდგენილი. თიხის ჭურჭელი ხელით არის ნაძერწი. მათგან ადრინდელები მორუხო-მოწითალოდაა გამომწვარი, ხოლო ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ბოლო საფეხურების კერამიკა კი შავპრიალაზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანია.

შუა ბრინჯაოს ხანის ინჰუმაციურ სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია თავით ჩრდ.-დას.-კენ. ამავე ხანის ბოლოს (ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანები) დადასტურებულია კრემაციაც. ერთ შემთხვევაში თვით სამარხიცაა დამწვარი. შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში ორივე სქესის მიცვალებულები მარჯვ. გვერდზე არიან დაკრძალულნი. გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან რკინის ფართო ათვისების ხანის ჩათვლით (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ. – ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ.) მიცვალებულები დამხრობილი არიან თავით ჩრდ.-კენ. ამ პერიოდიდან დაწყებული მამაკაცები დაკრძალული არიან მარჯვ. გვერდზე, ხოლო ქალები – მარცხენაზე.

თ. ს-ის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხების თიხის ჭურჭლის დიდი ნაწილი უკვე ჩარხზეა დამზადებული – აქვთ ლეგა-შავპრიალა ზედაპირი და ვარდისფერი ან რუხი შიდაპირი. ზედაპირი შემკულია გეომ. ორნამენტით, რ-იც დატანილია ამოღარვის საშუალებით და ტვიფრით. ამ დროიდან გვხვდება ასევე გაპრიალების მეთოდით შემკული თიხის ჭურჭელი, გვიანდ. ბრინჯაოს ხანის გარდამავალი პერიოდის სამარხებში კი – მქისე თიხის ჭურჭელი, რ-თა ტანი ჩარხის საშუალებით დატანილი კონცენტრული ღარებით არის დაფარული. კერამ. გარდა გვხვდება ბრინჯაოსყუნწიანი სატევარი, ბრინჯაოს პირამიდისებურთავიანი საკინძები, სარდიონისა და პასტის მძივები, მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხის ძვლები და სხვ. თ. ს-ის ამ პერიოდის სამარხები განსხვავდება ე. წ. თრიალეთური კულტურის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებისაგან და, ინარჩუნებს რა თავის ლოკალურ თავისებურებას, მსგავსებას პოულობს ცენტრ. კავკასიის (ზემო იმერეთი, შიდა ქართლი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ჩრდ.-დას. სომხეთი) შუა ბრინჯაოს ხა-



თრელის სამაროვანი.

ნის ბოლო საფეხურისა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხებთან.

თ. ს-ის ამ პერიოდის სამარხებში დადასტურებულია დაკრძალვის წეს-ჩვეულება, რ-იც სამარხში ხარის თავ-ფეხის ჩატანებით გამოიხატებოდა; ამავე სამარხებში აღმოჩენილი კანთაროსის ფორმის თიხის სასმისები ადასტურებს, რომ თბილისი განეკუთვნებოდა სამხრ. კავკასიის იმ რეგიონს, რ-ის მოსახლეობასაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მცირეაზია-ეგეოსურ სამყაროსთან.

გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრინდ. ეტაპზე, ძვ. წ. XV–XIII სს-ში, თ. ს. შედის ლჭაშენ-წითელგორის არქეოლ. კულტურის წრეში, რ-იც ძირითადად გავრცელებულია თბილისში, აღმ. კახეთსა და აზერბ. უკიდურეს დას. რ-ნებში, ხოლო სამხრ-ით – ქვემო ქართლსა და სომხეთში. აღნიშნული კულტ. ძეგლები, როგორც ჩანს, გენეტიკურად უკავშირდება შუა ბრინჯაოს ხანის ე. წ. თრიალეთურ კულტურას.

ძვ. წ. XIV ს. ბოლოდან თ. ს-ზე გავრცელდა ე. წ. სამთავრული კულტურა, შეიცვალა სამარხთა ტიპი (ძირითადად გვხვდება ქვაყრილიანი ორმოსამარხები) და ინვენტარი. ძვ. წ. XIII–XI სს-ში ქვის წრეები მხოლოდ წარჩინებულ მეომართა სამარხებს შემოუყვება. აღნიშნული დროიდან, რკინის ფართო ათვისების ხანის ჩათვლით, თ. ს-ზე ვრცელდება სამთავრული კერამიკა, რ-ისთვისაც დამახასიათებელია ზოომორფულყურიანი ჭურჭელი. ძირითადად სამთავროს სამაროვნის ანალოგიურია სხვა ინვენტარიც – იარაღი, მძივ-სამკაული და სხვ.

თ. ს-ზე რკინის ფართო ათვისების ხანაში ჩნდება დასაკრძალავ-დარბაზიანი სამარხები (ფართ. 70 $მ^2$), რ-ებიც თავიანთი კონსტრუქციით (ჯარგვალი), დაკრძალვის წეს-ჩვეულებით (მიცვალებულის კრემაცია, თვით სამარხის დაწვა, ადამიანების მსხვერპლად შეწირვა), ინვენტარით და სიმდიდრით (ასზე მეტი თიხის ჭურჭელი, რამდენიმე ბრინჯაოსა და რკინის ნივთი, ოქროს მძივები და სხვ.) მკვეთრად განსხვავდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ამ პერიოდის ძეგლებისაგან და მსგავსებას პოულობს აზერბაიჯანისა და ჩრდ.-დას. ირანის თანადროულ ძეგლებთან. თ. ს-ის დასაკრძალავდარბაზიანი სამარხები ძვ. წ. VIII ს. II ნახ-ით და VII ს. I ნახ-ით თარიღდება.

თ. ს-ის ჩრდ. უბანზე და თვით თრელიგორების ბორცვების აღმ. ფერდობებზე გაითხარა ანტ. ხანის სამარხები. აღმოჩნდა ელინისტური ხანის (ძვ. წ. III–I სს.) ქვევრსამარხები და რომაული პერიოდის (ახ. წ. I–III სს.) ორმოსამარხები. განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა ახ. წ. III ს. II ნახ. წარჩინებული მეომრის სამარხი. მიცვალებულისათვის, მდიდრული ინვენტარის გარდა, ჩაუყოლებიათ ცხენი და ძაღლი.

ფეოდ. ხანის ქვაყუთები აღმოჩნდა თრელიგორების უკიდურესი სამხრ. ბორცვის აღმ. ფერდობზე და მის თხემზეც. ეს სამარხები უმეტესწილად უინვენტაროა.

ლიტ.: თბილისი I. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978; საქართველოს ძველი ქალაქები, თბ., 2006.

მ. აბრამიშვილი.

თრეხვი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის ზემო ხვედურეთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხვედრულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1040 *მ,* ქარელიდან 12 *კმ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

თ-ის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 400 *მ* დაშორებით, გზის პირას, სასაფლაოზე დგას შუა საუკუნეების ერთნავიანი ეკლესია, რ-იც ძლიერ დაზიანებულია. ნაგებია ნატეხი ქვიშაქვით, კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ადგილები შირიმის ქვისაა. ეკლესიას გარს არტყია ქვიშაქვის ლოდებით ნაწყობი დაბალი გალავანი. სოფლის დას-ით, განაპირას, შუა საუკუნეების ეკლესიის ნაშთია. სოფლის მახლობლად, მდ. ხვედრულის მარცხ. ნაპირზე, ციცაბო კლდის ქარაფებში, გამოკვეთილია ქვაბთა 4 კომპლექსი. აქედან I, II და III კომპლექსი თ-ის სამხრ.-დას-ითაა, ე. წ. სოროთხევში, და წარწერის მიხედვით XI ს-ით თარიღდება; IV კომპლექსი სოფ. მეხეთის მახლობლად მდებარეობს და V–VI სს-ით თარიღდება. ყოველ კომპლექსში სხვადასხვა რაოდენობის სათავსებია. ქვაბების უმეტესი ნაწილი შემდეგ გადაკეთებული და გაფართოებული ბუნებრივი მღვიმეებია. ფასადები ამოშენებული იყო ქვით-კირის კედლებით (ჩამოშლილია), შიგნით სათავსების კლდოვანი ზედაპირი დამუშავებულია, კედლებში დაყოლებულია სარკმლები, საჭრაქეები, ნიშები, თახჩები. ქვაბებში გვხვდება ქვევრები, ხოლო III კომპლექსში – მარანი. იქ, სადაც კლდეში წყალი ჟონავდა, მოწყობილია პატარა წყალსაცავები. I კომპლექსის ერთ-ერთ ქვაბში 1957 აღმოჩნდა (გ. გაფრინდაშვილი) წარწერიანი ქვაჯვარი – ფირუზისფერი ქვიშაქვის სწორკუთხა ფილა, რ-ზეც გამოსახულია აყვავებული ჯვარი. ჯვრის ქვედა მკლავის ძირში, წრიულ კოპზე, ამოკვეთილია თარიღი – ქორონიკონი 1066, ხოლო მის ორივე მხარეს განლაგებული ასომთავრული წარწერის თანახმად ქვაბი აუშენებია *ლეონტი მროველს* ალფ-არსლანის მიერ საქართველოს აოხრების პირობებში ღვთაების ხატისა და რუისის საყდრისშვილთა თავშესაფრად, ,,დიდი თურქობის'' დროს (XI ს.) – მოსახლეობის თავდასაცავად.

ლიტ.: გაფრინდაშვილი გ., ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, «საქართვ. მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყბის მოამბე», 1961, №1.

ჯ. გვასალია.

თრიალეთი, მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში. მოიცავდა მდ. ქციის ზემო წელისა და მდ. ზურტაკეტის (შავწყაროსწყლის) აუზებს წალკისა და გომარეთის მაღალმთიან პლატოებზე. დას-იდან მას ჯავახეთის მთები ესაზღვრება, ჩრდ-იდან – თრიალეთის ქედი, აღმ-იდან – ლაკვისა და ბედენის მთები, სამხრ-იდან კი – მაშავრის ხეობა.

თ. პირველად იხსენიება რომაელ ავტორ პლინიუს უფროსთან (ახ. წ. I ს.), სადაც იგი ტაშირთან ერთად იბერიის ოლქადაა დასახელებული. ლეონტი მროველის მიხედვით, თ. უძველესი დროიდანვე შიდა ქართლში შედიოდა და სპასპეტის საგამგეო იყო. ადრეულ შუა საუკუნეებში ის ქვემო ქართლის პიტიახშს ექვემდებარებოდა. წერილობითი წყაროებიდან მიღებული ცნობების გარდა, ამაზე მიუთითებს თ-ის დას. საზღვარზე არსებული ნასოფლარი – სახელწოდებით ,,საპიტიახშო'', რ-იც ამ სამფლობელოს მიჯნად შეიძლება მივიჩნიოთ. ჯუანშერის ცნობითაც: ,,პიტიახში ნათესავი ფეროზისი, მთავრობდა თრიალეთს, ტაშირსა და აბოცს''. არაბთა მიერ დაპყრობილ საქართველოს ოლქებში თ-იც იხსენიება, რ-იც IX ს-ში არაბებს გვარამ მამფალმა წაართვა ტაშირ-აბოცთან და ჯავახეთ-არტაანთან ერთად. IX ს. 70-იან წლებში ლიპარიტ ბაღვაშმა ,,შეიპყრნა... ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა'' და საფუძველი



თრიალეთის კულტურა. ვერცხლის სასმისი. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისი.



თრიალეთის კულტურა. თიხის პითოსი. ძვ. წ. XVIII ს.



თრიალეთის კულტურა. ოქროს თასი. ძვ. წ. XVII ს.

ჩაუყარა *კლდეკარის საერისთავოს*. X ს-ში აშენდა თ-ის ახალქალაქი. ბაღვაშთა პოლიტ. ექსპანსიის გამო, თ-ის ცნება ხშირად ვრცელდებოდა მის მეზობელ ხეობებზედაც. თ-ის შიგნით არსებული მიკროქვეყნები იყო ზურტაკეტი, ნარიანი, ფარავანი, ყაბისყური, საციხისთავო ერთეულები – ნარდევნისა, სანთისა და სხვ. ყველა ამათ ერქვა ,,ქუეყანანი თრიალეთისანი‘‘.

თ. კახეთის მოსახლეობისათვის უძველესი დროიდანვე საძოვრებით განთქმული მხარე იყო შიდა და ქვემო ქართლში, ცენტრალური და ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო აქ თავს იყრიდა ოთხივე მაგისტრალი და მრავალი გზა-ბილიკი, ამის დადასტურებაა ციხეებისა და ქარვასლა-ფუნდუკების ნაშთები, გეოგრ. სახელწოდებანი. ასეთი მნიშვნელობის გამო საქართველოს გამაერთიანებელ მეფეთათვის თ. აუცილებელ სჭიროებას წარმოადგენდა. დავით IV აღმაშენებლის დროიდან თ. სამეფო საკუთრებად იქცა, რ-საც მეფის ერთგული მოხელე მართავდა. საფიქრებელია, რომ ამ დროიდან მხარის ცენტრმა წალკაში გადაინაცვლა და მისი სახელი მთელ ოლქზე გავრცელდა. ამის პირველი დადასტურებაა XII ს. ,,ქართლის ცხოვრების‘‘ ძვ. სომხ. თარგმანი: ,,თრიალეთთა ქვეყანა, რომელიცაა წალკელთა‘‘. ამავე ხანებში უნდა დაარსებულიყო წალკის საეპისკოპოსო კათედრა თ-ის მღვდელმთავრისა, რ-იც პირველად XIII ს. ძეგლში იხსენიება.

მონღოლთა ბატონობიდან მოყოლებული (XIII ს.), თ. მოსახლეობისაგან თანდათან იცლებოდა. ეს პროცესი გაგრძელდა თემურლენგის შემოსევების დროსაც (XIV–XV სს.). ფეოდ. ხანის გვიანდელ საუკუნეებში თ-ის სოფელთა უმეტესობა სამეფო იყო და სხვადასხვა პირებს ჰქონდათ ჩაბარებული სამოურავოდ. მოსახლეობის მოზიდვის მიზნით სამეფო ხელისუფლება მათ გარკვეულ შეღავათებს უწესებდა, მაგრამ მტრის ხშირმა შემოსევებმა, ლეკიანობამ თ. XVIII ს. ბოლოსათვის მთლიანად გააუდაბურა. XIX ს. 30-იანი წლებიდან რუსულმა ხელისუფლებამ არზრუმ-გიუმიშხანედან აქ თურქულად მოლაპარაკე ბერძნები ჩამოასახლა, გაჩნდნენ მოახალშენე სომხები, ქართველები მოვიდნენ ჯავახეთიდან, შიდა ქართლიდან, კახეთიდან.

ამჟამად თ. წალკის მუნიციპალიტეტში შედის, ზურტაკეტის სოფლები კი – დმანისის მუნიციპალიტეტში.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, I, თბ., 1979; მისივე, თრიალეთის უცნობი წარწერები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», I, თბ., 1982.

დ. ბერძენიშვილი.

თრიალეთი (ყოფ. როზენბერგი), დაბა (1944-იდან) წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), თეთრი წყარო–წალკის საავტ. გზაზე. დაბა თრიალეთის ტერიტ. ორგანოს ცენტრი (თ., სოფ. კავთა). მდებარეობს ჭოჭინის პლატოზე, მდ. ხრამის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1500 *მ*, წალკიდან 10 *კმ*. 565 მცხ. (2014).

თრიალეთის კულტურა, ბრინჯაოს ხანის კულტურა. გამოვლენილი და შესწავლილია ძირითადად თრიალეთის ტერიტორიაზე და მეზობელ რ-ნებში. არქეოლ. გათხრები ჩატარდა 1936–40, 1947 (ბ. *კუფტინი*). თ. კ-ის ძეგლებში უმთავრესად იგულისხმება ყორღანული სამარხები (გორასამარხები). თ. კ-ის ძეგლებია: ადრინდ. ბრინჯაოს ხანის დასასრულის (ძვ. წ. III ათასწლ. ბოლო) და შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) ყორღანული სამარხები; გვიანდ. ბრინჯაო – ადრინდ. რკინის ხანის სამაროვნები. ყორღანების ნაწილი ტომთა ბელადებს და გვაროვნულ არისტოკრატიას ეკუთვნოდა, მომცრო და ღარიბი ყორღანები რიგითი მოსახლეობისა იყო. ყორღანული სამარხის ტიპებია: ორმოიანი, დასაკრძალავმოედნიანი, ქვით ნაგები დასაკრძალავდარბაზიანი, ორმოში ძელებით ნაგები აკლდამიანი, კლდეში ჩაჭრილი კამერიანი სამარხები. ისინი დაფარული იყო მიწაყრილით, ქვაყრილით ან ქვა-მიწაყრილით. სამარხი ორმო და დასაკრძალავი დარბაზი სქელი ძელებით იხურებოდა და გრძელი დრომოსი (ორმოს – გრუნტში ჩაჭრილი, დარბაზს – ქვით ამოყვანილი) უკეთდებოდა. ზურტაკეტის (თრიალეთი) უდიდესი ყორღანების ქვაყრილის დიამეტრია 100 *მ*, სიმაღლე – 8 *მ*; დასაკრძალავი დარბაზის შიგა ფართობი 150 $მ^2$ აღწევდა, კედლების სიმაღლე – 4–6 *მ*. ალაზნის ველზე გათხრილი დიდი ყორღანის მიწაყრილის სიმაღლეა 15 *მ*, თრიალეთის X ყორღანის ორმოს სიღრმეა 8 *მ*; თრიალეთის XVII გორასამარხის ორმოს ზომებია 14 *მ*×8 *მ*×6 *მ*. კუშჩის XXXVI ყორღანის დასაკრძალავი დარბაზის შიდა ფართობი 175 $მ^2$ აღწევდა, მისი ხის სვეტები ფურცლოვანი ოქროთი ყოფილა გარშემოკრული (აღმოჩენილია ფრაგმენტები). ამ ყორღანების აგება მხოლოდ გვარებისა და ტომების ერთიანი ძალებით იყო შესაძლებელი. სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულების ნეშტი (კრემაციაქმნილი ან იშვიათად ინჰუმაციური) ხშირად დასაკრძალავ ოთხთვალა ეტლზე ესვენა. ნივთებთან ერთად ატანდნენ დაკლულ საქონელს ან მის ნაწილებს, ზოგჯერ – მსხვერპლად შეწირულ მსახურს თუ მონას. ეს მიუთითებს პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესზე. სამარხებში აღმოჩენილია ჭურჭელი (შავპრიალა თიხის ფაქიზად გრავირებული; მოწითალო თიხის სხვადასხვა სტილის ფერადი მოხატულობით); ობსიდიანისა და ლითონის იარაღ-საჭურველი (სპილენძის, ბრინჯაოს, ვერცხლის და სხვ.), სამკაული (ოქრო-ვერცხლის იუველირული და ტორევტიკული ნაკეთობანი, ქვისა და პასტის მძივები და სხვ.). მრავალი მათგანი უტოლდება მსოფლიო ხელოვნებისა და ხელოსნობის ნიმუშებს.

თ. კ. ეკუთვნის ეკონომიურად დაწინაურებულ მესაქონლე-მიწათმოქმედთა ტომებს, რ-თა განვითარებას ხელს უწყობდა სამხრ. საქართველოს ბუნებრივი პირობები. თ. კ. მტკვარ-არაქსის კულტ. მემკვიდრეა. მსგავსი ძეგლები ცნობილია კახეთში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და სომხეთში. ხელოსნური ნაწარმის თავისებური ფორმებით, მხატვრული სტილით, დამზადების ტექნიკით, დაკრძალვის წესით თ. კ. დამოუკიდებელ



თრიალეთის კულტურა. ოქროს ქანდაკება. ძვ. წ. II ათასწლეული.

ხასიათს ატარებს.

ლიტ.: გოგაძე ე., თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972; მენაბდე მ., დავლიანიძე ც., თრიალეთის სამაროვნები, თბ., 1968; ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969; Жоржикашвили Л. Г., Гогадзе Э. М., Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тб., 1974; Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941; Месхиа, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб, 1948; Пиотровский Б. Б., Археология Закавказья, Л., 1949.

ე. გოგაძე.

თრიალეთის ქედი, ქედი მცირე კავკასიონის ჩრდ. პერიფერიაზე, ახალციხისა და თბილისის ქვაბულებს შორის. იწყება *საბადურის ქედით* და მთავრდება თბილისთან *თელეთის ქედით*. სიგრძე 180 *კმ*. სიგანე 20–32 *კმ*. აგებულია ძირითადად პალეოგენური ვულკანოგენური ნალექებით (პორფირიტული ლავური განფენები, ტუფ-ბრექჩიები, ტუფები, ტუფოგენური ქანები), აგრეთვე ზედაცარცული კირქვებით, პალეოცენისა და ოლიგოცენის თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. ქედის დას. ნაწილში გავრცელებულია ახალგაზრდა ანდეზიტური ლავები. მ. ძ-ის მთავარი განშტოებებია: დას. ნაწილში – გვირგვინა, საბადური, ჭობარეთი; აღმ. ნაწილში – საწკეპელა, დიდგორი, თელეთი. მ. ძ-ის უმაღლესი მწვერვალია შავი კლდე (2850 *მ*); სხვა მწვერვალების (არჯევანი, საყველო, კოდიანი, ოშორა, ორთათავი, ქვაჯვარი, კენჭიყარა და სხვ.) სიმაღლე 2300–2800 *მ* აღწევს. მ. ძ-ის მნიშვნელოვანი უელტეხილია ცხრაწყაროს (2454 *მ*). რელიეფს ძირითადად ქმნის ეროზიული ქედები და ხეობები. განვითარებულია აგრეთვე ვულკ. წარმონაქმნები, ქვაბულები, მეწყრები, გამოქვაბულები და სხვ. ქედის ჩრდ. კალთაზე საფეხურებივითაა განლაგებული 5 მოსწორებული ზედაპირი, რ-თა აბსოლ. სიმაღლე 900-იდან 2400 *მ*-მდე ცვალებადობს. კალთები 1200–1300 *მ*-მდე შემოსილია მუხნარითა და მუხნარ-რცხილნარით, მთისწინეთი – ჯაგრცხილნარ-მუხნარითა და ჯაგეკლიანი ბუჩქნარით. 1200–1300 *მ*-იდან 2000–2200 *მ*-მდე წიფლნარი და წიფლნარ-მუქწიწვოვანი ტყეებია. ქედის ყველაზე მაღალი ნაწილი შემოსილია სუბალპ. და ალპ. ბალახეულით.

შ. ცხოვრებაშვილი.

თრიალეთური დანაოჭება, ალპური ტექტონიკური ციკლის პირენეულ-ტექტონიკურ მოძრაობათა ადრეული ოროგენული ფაზისი. კავკასიაში გამოვლინდა ზედაეოცენურის წინ. გამოყო პ. *გამყრელიძემ* 1949. მ. დ. მკაფიოდაა გამოხატული აჭარა-თრიალეთის ზონაში, სადაც დადგინდა, რომ შუაეოცენურის ბოლოს ამ ფაზისის შედეგად მოხდა აზევება და გადარეცხვა (ე. წ. რეგრესიული ნალექების წარმოქმნა). ამავე პროცესის შედეგია ,,არეულშრეებრივი'' კონგლომერატების წარმოქმნა თბილ. მიდამოებში, შუაეოცენური ქანების გადარეცხვა ახალციხის დეპრესიის ორივე ფერდობზე და სხვ. მ. დ. გამოვლინდა აგრეთვე *საქართველოს ბელტზე* და *კავკასიონის* ნაოჭა სისტემაში, აგრეთვე მცირე კავკასიონის სამხრ. ნაწილშიც (სევან-ჰაქერის ზონა). აჭარა-თრიალეთისა და სევან-ჰაქერის ზონებში მ. დ-ს თან სდევდა ინტრუზიული აქტივობა.

ე. გამყრელიძე.

თრიმლი (Cotinus), მცენარეთა გვარი თუთუბოსებრთა ოჯახისა. შეიცავს ორ სახეობას. საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია მხოლოდ ერთი სახეობა – C. coggygria, ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან პატარა ზომის ხეა. წვრილი, მომწვანო ყვავილები აქვს. ნაყოფი კურკიანაა. გვხვდება საქართვ. თითქმის ყველა რაიონში, გარდა გურიის, ქვემო იმერეთისა და სამეგრელოსი. მთებში ვრცელდება ზ.დ. 900–1000 *მ*-მდე, გვალვაგამძლე, სითბოს და სინათლის მოყვარულია. აღმ. საქართველოში ნათელი ტყეების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. გვხვდება აგრეთვე ბუჩქნარებში, გამეჩხრებულ მუხნარებში და ჯაგრცხილნარებში. იზრდება კლდეებსა და ნაშალზე. მრავლდება თესლითა და ამონაყრით. ფოთლები გამოიყენება ტყავის მოსათრიმლად. მერქანი მოყვითალოა, იყენებენ სახარატო საქმეში; მერქნისაგან მიღებულ საღებავს – ტყავისა და მატყლის შესაღებად. დეკორატიულია, განსაკუთრებით ლამაზია შემოდგომით, როდესაც ფოთლები მთლიანად უწითლდება. იყენებენ მშრალი ფერდობების გასამწვანებლად და გასამაგრებლად.

მ. ლორია.

თრუსო, ხეობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. იხ. აგრეთვე *თრუსოს ხეობა.*

თრუსოს მთავარანგელოზის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, X ს. მთავარანგელოზის ერთნავიანი ეკლესია. მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ისტ. თრუსოში, მდ. სუათისისა და თერგის შესაყართან მდებარე მთის თხემზე, სოფ. კარკუჩის აღმოსავლეთით 1,5 *კმ*-ზე. ძეგლს სამხრ-იდან 2 გვიანდელი მინაშენი აქვს, რ-თაგან ერთი კარიბჭის დანიშნულებას ასრულებდა, მეორე დანგრეულია. ეკლესიას აღმ-ით ნახევარწრიული ფორმის, უსწორმასწორო კონქით გადახურული აფსიდი აქვს. ერთადერთი სწორკუთხა კარი სამხრ-იდან არის გაჭრილი. გარედან გადახურულია ტიმპანით, რ-ის თაღის წიბოს მახლობლად, ნალესობაზე ხელის მტევანია აღბეჭდილი. საკურთხევლის ბაქანი იატაკის დონიდან 2 საფეხურითაა შემაღლებული, მის წინ მართკუთხა ფორმის ქვა დევს, რ-ის შუაში ამოკვეთილია ფოსო, როგორც ჩანს, ჯვრის ჩასამაგრებლად. ეკლესია გადახურულია ცილინდრული კამარით, რ-ის ცენტრ. თაღი ორსაფეხურიან პილასტრებზე ამოყვანილ საბჯენ თაღს ეყრდნობა. ძეგლის ფასადები შელესილი და შეთეთრებულია. სარკმლები შემკულია ნახევარწრიული რელიეფური თავსართებით. მ. მ. შ. გადახურულია ფიქლის ქვებით. სახურავის კეხზე, აღმ. მხარეს, აღმართულია ქვის ჯვარი. გადმოცემით, ეკლესიის კარის თავზე ქართ. წარწერა ყოფილა ამოკვეთილი.

გ. ბაგრატიონი.

თრუსოს უღელტეხილი, უღელტეხილი კავკასიონის მთავარი ქედისა და ხოხის ქედის დამაკავშირებელ თრუსოს ქედზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე 3150 *მ*. მ. შ-ზე გადადის სატალფეხო ბილიკი თერგის ხეობიდან (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), საქართველოს ისტორიული მხარის *დვალეთის* ზახის ხეობაში კალთები შემოსილია ადგილ კასარამდე ალპ. მცენარეულობით.

თრუსოს ხეობა, თ რ უ ს ო, ხეობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს თერგის ზემო დინებაში,



თრუსოს მთავარანგელოზის ეკლესია. X ს.



თრიმლი.



თრუსოს ხეობა.

კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ. კალთასა და ხოხის ქედს შორის, თრუსოს უღელტეხილიდან. ხეობის უდაბლესი ნაწილი ზ. დ. 2000 *მ* (სოფ. კობთან). თ. ხ. აგებულია ქვედა- და შუაიურული ფიქალ-ქვიშაქვების ძლიერ დანაოჭებული შრეებით, ზედაიურული კარბონატული წყებებით. ფართოდაა გავრცელებული ზედაპლიოცენ-პლეისტოცენ-ჰოლოცენური ეფუზივები (ანდეზიტები და სხვ.), **მინერ**. წყლებიდან გამ**ოლექილი** ტრავერტინები, მყინვარული და მდინარეული ნაფენები. გარშემო ქედებზე თანამედროვე მყინვარებია (სუათისი, მნა, რესი და სხვ.), კარგადაა გამოხატული ძვ. გამყინვარების ტროგები, ცირკები, მორენები, ვულკ. კონუსები და ლავური ღვარები. თ. ხ. მდიდარია ჰიდროკარბონატული მინერ. წყლებით. შემოსილია სუბალპ. ბალახეულით. არის ანდეზიტის კარიერები. ხეობაში მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლები: აბანო, კეტრისი, ზემო და ქვემო ოქროყანა, ჯიმარა, სუათისი, მნა, ბურმასიგი და სხვ.



თეთრი თუთა.

ბუნების მრავალფეროვნებისა და სილამაზის გამო თ. ხ-ს ,,გეოლოგიურ მუზეუმს'' უწოდებენ.



ხართუთა.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: ,,ჩასავალთ ზეით არს თრუსო სამ ხევად, აღმოსავლით აქუს ხევი, დასავლით ზახა და მაღრანდვალეთი, სამხრით მთიულეთი, ჩრდილოთ ქურთაული, და მოზღუდვილ არს კავკასით, თვნიერ ხევიდამ''.

XIV ს. დასაწყისში *ვახტანგ III-მ* ქსნის ერისთავს შალვა ქვენიფნევ-ელს დამსახურებისათვის სხვა მამულებთან ერთად თ. ხ. უწყალობა. XVI–XVIII სს-ში თ. ხ. იყო არაგვის ერისთავების მფლობელობაში, XIX ს-ში კი შედიოდა ანანურის, ხოლო შემდეგ დუშეთის მაზრების შემადგენლობაში.

თ. ხ-ის უძველესი მოსახლეობა ქართულია (წანარები). XIII–XV სს-ში თრუსოში სახლობდნენ *დვალები*, რ-თა ნაწილი XVII–XVIII სს-ში შეერწყა მოსულ ოსურ მოსახლეობას.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ლ. მარუაშვილი. ჯ. გვასალია.

თს ფონდი, საქველმოქმედო ფონდი. დაარსდა 2015 ბიზნესმენის, მეცენატისა და ქველმოქმედის თ. *სომხიშვილის* თაოსნობით. მისი მიზანია განათლების, მეცნ. და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა. ფონდის ინიციატივითა და დახმარებით საქართველოში განხორციელდა არაერთი პროექტი. მხარს უჭერს ქართული ენციკლოპედიის რედაქციის საქმიანობას, აფინანსებს სტუდენტების სწავლებას უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში. 2016 ფონდმა თბილისში გახსნა პროფ. განათლების კოლეჯი ,,ხვალინდელი წარმატება'', რ-იც ამზადებს საერთაშ. ავიაციის სპეციალისტებს.

თუალთა, X–XI სს. ქართული სავანე *შავ მთაზე*. ზოგი მეცნიერი (პ. პეეტერსი, მ. თარხნიშვილი) მას წყაროთა მონასტერს უწოდებს (,,თუალად ითქმის წყაროთა გამოსადინებელი...'' – საბა). აქაურ მოღვაწეთაგან ცნობილია ილარიონ თუალელი, გიორგი ათონელის პირველი მოძღვარი. თ-ის მონასტერში მდიდარი ბიბლიოთეკა ყოფილა, რ-ითაც ხშირად სარგებლობდა ეფრემ მცირე.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 2, თბ., 1980.

თუზი, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ-ების ძუსისა და ბუჯის წყალგამყოფ სერზე, ჭიათურა–ზესტაფონის საავტ. გზაზე, თემის ცენტრი (სოფლები: თ., ვარდიგორა, თავასა, კაკაბაური, ჯგილათი). ზ. დ. 450 *მ*, თერჯოლიდან 19 *კმ*, ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2014).

თ-ის მიდამოებში, მდ. ვარხმელის (ძუსის მარცხ. შენაკადი) ხეობაში არის თუზის კარსტული მღვიმე, გამომუშავებული ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში. იწყება 12 *მ* სიღრმის ჭით. სიღრმეში წარმოდგენილია 7 დარბაზი. მღვიმეშია თეთრი და ქარვისფერი სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ჰელიქტიტები, კალციტის სვეტები.

თ-ში შემორჩენილია გვიანდ. შუა საუკუნეების ფრესკებით მოხატული ეკლესია. თ-ის მიდამოებში იდგა XI–XII სს. ეკლესია ლაპიდარული წარწერებით. ამჟამად ეკლესია დანგრეულია. წარწერები ინახება ჩხარის მუზეუმში. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) რუკაზე დატანილია თ-ის ციხე-დარბაზი.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

ც. ვაშაკიძე. თ. ბერაძე.

თუთა, თ უ თ ი ს ხ ე, ბ ჟ ო ლ ა (Morus), ფოთოლმცვივანი ხეებისა და, იშვიათად, ბუჩქების გვარი თუთისებრთა ოჯახისა. ორსახლიანი, იშვიათად, ერთსახლიანი მცენარეა. ერთსქესიანი ყვავილები შეკრებილია თავაკებად ან თავთავისებრ ყვავილედებად. ნაყოფი ცრუ კურკიანაა, ნაირგვარი შეფერილობის. გვარის 24-მდე სახეობა გავრცელებულია აღმ. და სამხრ.-აღმ. აზიაში, ევროპაში, ჩრდ. ამერიკის სამხრ. ნაწილში, ნაწილობრივ – აფრიკის ზოგიერთ თბილ, სუბტროპ. და ტროპ. ჰავის სარტყლებში. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი იზრდება თ-ის 2 სახეობა: თეთრი თ. (M. alba) და ხართუთა (M. nigra). თ ე თ რ ი თ-ის სამშობლოდ ჩინეთს მიიჩნევენ. საქართველოში შემოტანილია და მის მოშენებას ძველთაგანვე მისდევდნენ. გავრცელებულია საქართველოს დაბლობ რეგიონებში და ნაწილობრივ ტყის შუა ზონაში ზ. დ. 1000 *მ*-მდე. მდინარეთა ნაპირებზე და ჭალის ტყეებში ხშირად გვხვდება გაველურებული. ცოცხლობს 200–300 წელს. ფოთლები გამოიყენება აბრეშუმის ჭიის საკვებად. ნაყოფი შეიცავს 10%-ზე მეტ შაქარს, იყენებენ საჭმელად (როგორც ნედლს, ისე გამხმარს). მერქანი გამოიყენება სადურგლო და სახარატო საქმეში. დეკორ. გვალვაგამძლე და სინათლისმოყვარული მცენარეა. ამრავლებენ თესლით, მყნობით და გადაწვენით. ქართვ. სელექციონერებმა გამოიყვანეს და წარმატებით დანერგეს თუთის ფოთლის მაღალპროდუქტიული ჯიშები: ,,თბილისური'', ,,ივერია'', ,,ქუთათური'', ,,ჰიბრიდი-2'' და სხვა, რ-ებიც კარგად იტანენ სხვადასხვა საშიშ დაავადებას. სელექციური ჯიშის ერთი ხე იძლევა 8–15 *კგ* ფოთოლს, 1,5–2,5-ჯერ მეტს, ვიდრე არასელექციური; ხართუთა 12–15 *მ* სიმაღლის ხეა. მოშენებულია ძირითადად ქართლსა და კახეთში, სადაც იგი იშ-

ვიათად გაველურებულიც გვხვდება ჭალის ტყეებში. ნაკლებ ყინვა- და გვალვაგამძლეა. ფოთოლი აბრეშუმის ჭიის საკვებად უვარგისია. მისი სამშობლოა წინა აზია.

მ. ლორია.

თუთაევი აღალო ათანასეს ძე (გ. 26. V. 1912), მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური მოღვაწე, ქველმოქმედი. თანამშრომლობდა ქართ. პრესასთან (,,დროება'', ,,ივერია'', ,,თემი'' და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიც. წერილებს, პიესებს, ნაკვესებს. XIX ს. 70-იან წლებში აქტიურად მონაწილეობდა გორის კულტ.-საგანმან. ცხოვრებაში. იყო გორის სცენისმოყვარეთა საზ-ბის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. 1877 ნ. დიასამიძესთან ერთად საკუთარი ხარჯით გადააკეთა გორის ძვ. როტონდა და თეატრი დააარსა. 80-იანი წლებიდან ცხოვრობდა თბილისში, ჰქონდა საღებავების ქარხანა, რ-ის შემოსავლის ნაწილს საქველმოქმედო საქმეებს ახმარდა (მატერიალურად ეხმარებოდა სკოლებს, ეკლესია-მონასტრებს და სხვ. დიდუბეში, საკუთარ სახლში, დაარსებული ჰქონდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო). თ-ის პიესები (,,ცოლი ვიტირო თუ ფული?'', ,,უცნაური არშიყი'' და სხვ.) იდგმებოდა თბილისში, გორში, თელავში, ცხინვალში, ოჩამჩირეში და სხვ. დაკრძალულია გორში.

ლიტ.: ქართული პიესები, ტფ., 1909.

თ. ჯოლოგუა.

თუთბერიძე ალექსანდრე ილიას ძე (დ. 12. III. 1934, თბილისი), მეტალურგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (2004). 1958 დაამთავრა სპი-ის მეტალურგიის ფაკ-ტი. 1958-იდან მუშაობს ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტში, ლითონთა წნევით დამუშავების ლაბორატორიაში. 1989–2006 ხელმძღვანელობდა ამავე ლაბორატორიას. პარალელურად (1988–2002) პედ. საქმიანობას ეწეოდა სპი-ის ლითონების წნევით დამუშავების კათედრაზე. 2010-იდან მეტალურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელია.

თ-ის სამეცნ. კვლევის მიმართულებაა ლითონების წნევით დამუშავება, მილების გლინვის პროცესების თეორიისა და ტექნოლ. რეჟიმების კვლევა-დამუშავება. გამოცემული აქვს დამხმარე სახელმძღვანელოები საქართვ. ტექ. უნ-ტის მეტალურგიული ფაკ-ტის სტუდენტებისათვის.

თუთბერიძე ბეჟან დავითის ძე (დ. 15. X. 1943, სოფ. ფუთი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), გეოლოგი. გეოლ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1997). 1969 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით და იქვე დაიწყო მუშაობა. 1997–2006 იყო თსუ-ის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის გამგე, 2003–05 – გეოლ. ფაკ-ტის დეკანი, 2012-იდან გეოლ. დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

თ-ის შრომები ეხება ვულკანოლოგიის, გეოქიმიის, პეტროლოგიისა და მინერალოგიის საკითხებს. შეისწავლა საქართვ. ნეოგენურ-ანთროპოგენურ ვულკანიზმთან დაკავშირებული პოსტვულკ. ჰიდროთერმული მინერალიზაციის პროცესები. ავტორია სახელმძღვანელოსი ,,მინერალოგია'' (თბ., 2010). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: Молодой вулканизм восточной части Джавахетского нагорья, Тб., 1990; Геология и петрология Альпийского позднеорогенного магматизма центральной части Кавказского сегмента, Тб., 2004.

თუთბერიძე ეთერ გიორგის ასული (დ. 24. II. 1974, მოსკოვი), მწვრთნელი (ფიგურული სრიალი). რუსეთის ფედერაციის დამს. მწვრთნელი (2014). წვრთნის სპორტსმენებს ერთეულ თანრიგში. მისი აღზრდილები არიან ოლიმპიური ჩემპიონი ი. ლიპნიცკაია (სოჭი, 2014) და მსოფლიოს ჩემპიონი ე. მედვედევა (2016).

თუთბერიძე ლევან ჯუანშერის ძე (დ. 4. XII. 1959, თბილისი), კინორეჟისორი, მსახიობი, პროდიუსერი. 1982 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის კინოფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1978, გადაიღო დოკუმენტური ფილმი ,,თუშური ყველი'' (პრიზი კიევის კინოფესტივალზე საუკეთესო დოკ. ფილმისათვის, 1980). მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია შემდეგი ფილმები: ,,გასეირნება ყარაბაღში'' (ა. მორჩილაძის რომანის ,,მოგზაურობა ყარაბაღში'' მიხედვით, 2005; გრან-პრი დსთ-ის და ბალტიის ქვეყნების ღია ფესტივალ ,,კინოშოკზე'' და არაერთი პრიზი სხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე. ,,ცხრა მთას იქით'' (2013, ,,ოქროს ჟასმინი'', საუკეთესო ფილმისათვის, საერთაშ. კინოფესტივალი ,,ჟასმინი'', ირანი, 2015), ,,მოირა'' [კომუნიკაციების მსოფლიო კათოლ. ასოციაციის პრიზი სან-სებასტიანის (ესპანეთი) საერთაშ. კინოფესტივალზე, 2015 წარდგენილი იყო „ოსკარზე" (აშშ-ის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო) ნომინაციით საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი და სხვ. გადაღებულია მხატვრულ ფილმებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული როლი – დიმიტრი II – რ. ხოტივარის ამავე სახელწოდების ფილმში (1982). ეწევა აქტიურ საზ. და პედ. მოღვაწეობას. 2009-იდან შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნ-ტის ასოც. პროფესორია. დაჯილდოებულია ,,ღირსების ორდენით''.

მ. კერესელიძე.

თუთია (ლათ. Zincum), Zn, ელემენტთა პერიოდული სისტემის მე-12 ჯგუფის პირველი (ძვ. კლასიფიკაციით, IV პერიოდის II ჯგუფის) ელემენტი. ატომური ნომერი 30, ატომური მასა 65,38. მოვერცხლისფრო-თეთრი ლითონია ოთახის ტემპ-რაზე მყიფეა, 100–150 °C პირობებში ხდება პლასტიკური და ადვილად იგლინება. ცნობილია თ-ის 5 მდგრადი ბუნებრივი იზოტოპი (მასური რიცხვებით 64, 66, 67, 68, 70) და ხელოვნურად მიღებული 9 რადიოაქტიური იზოტოპი.

თ-ის შენადნობი სპილენძთან (Cu) ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და ეგვიპტეში, ინდოეთში (VII ს.), ჩინეთში (XI ს.). სიტყვა ,,ცინკი'' პირველად გვხვდება გერმ. ექიმისა და ბუნებისმეტყველის პარაცელსიუსის (1493–1541) შრომებში. სუფთა სახით თ-ის მიღების მეთოდი 1746 შეიმუშავა გერმ. ქიმიკოსმა ა. მარგრაფმა.

თვითნაბადი ლითონის სახით თ. ბუნებაში არ გვხვდება. ცნობილია თ-ის 66 მინერალი, მ. შ. ყველაზე გავრცელებულია სფალერიტი – ე. წ. მატყუარა თ. თ-ის მსოფლიო მარაგი შეფასებებით შეადგენს 1.8 მლრდ. ტ. თ-ის საბადოებით მდიდარია ბოლივია, ირანი, ავსტრალია.

საქართველოში თ. ტყვიასთან ერთად გვხვდება. მისი საერ-



ლ. თუთბერიძე.



მეტალური თუთია.

თო მარაგი შეადგენს 980 ათ. ტ. სამრეწველო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კვაისას საბადოს.

Თ-ს, ძირითადად, ღებულობენ პოლიმეტალური მადნებიდან ელექტროლიზური მეთოდით.

ნაერთებში Თ. ორვალენტიანია. წითელი ვარვარის პირობებში ენერგიულად შლის წყლის ორთქლს. ჟანგბადთან გახურებით წარმოქმნის Თ-ის ჟანგს – ZnO, რ-იც ჰიდროჟანგთან ($ZnOH_2$) ერთად ამფოტერულია. ხსნარებიდან Თ. ადვილად აძევებს Cu, Ag, Au და სხვა სუსტ ლითონებს. მისი მარილების უმეტესობა უფერულია, წყალში კარგად იხსნება.



თუთუბო.

ლითონურ Თ-ს ძირითადად (45–60%) იყენებენ კოროზიისაგან ფოლადის დასაცავად ე. წ. მოთუთიებით. სუფთა ლითონური Თ. გამოიყენება ასევე კეთილშობილი ლითონების (Ag, Au) აღსადგენად, Თ-ს მოიხმარენ, როგორც უარყოფითი ელექტროდის მასალას დენის წყაროებში.

Თ-ს (10%) იყენებენ სხვადასხვა შენადნობების, მ. შ. თითბრის (70% Cu და 30% Zn). ალუმინთან და მაგნიუმთან Თ-ის შენადნობებს მათი მაღალი მექ. და სამსხმელო თვისებების გამო მოიხმარენ მანქანათმშენებლობაში, იარაღის წარმოებაში და სხვ. Თ-ის ჟანგს (ZnO) იყენებენ საღებავების (თუთიის მათეთრებელი) წარმოებაში, პარფიუმერიასა და კოსმეტიკაში, ასევე მედიცინაში.

Თ. ბიოგენური ელემენტია, დიდ როლს ასრულებს ცოცხალ უჯრედებში ფერმენტების მონაწილეობით მიმდინარე პროცესებში, მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანის ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის. Თ. მონაწილეობს ინსულინის, ტესტოსტერონის და ზრდის ჰორმინის სინთეზში. Თ-ის ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს დაღლილობას, გაღიზიანებას, დეპრესიას, მხედველობის დაქვეითებას, ინსულინის დონის დაწევას, ანემიას და სხვ. ამასთან დადგენილია, რომ თუთიის სიჭარბე ხელს უწყობს ზოგიერთი მძიმე დაავადების (ათეროსკლეროზი, დიაბეტი, ანემია, ციროზი და სხვ.) განვითარებას, ახდენს კანცეროგენულ ზემოქმედებას ორგანიზმზე.

XX ს. 70-იან წლებში ე. *ანდრონიკაშვილმა* (თანამშრომლებთან ერთად) შენიშნა სიმსივნურ წარმოქმნებში Თ-ის მოჭარბებული კონცენტრაცია. შემდგომი კვლევებით დადასტურდა კავშირი ორგანიზმში მოხვედრილი Თ-ის რაოდენობასა და ავთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნების განვითარებას შორის. ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ სხივური თერაპიით შესაძლებელია უჯრედებში (როგორც ჯანსაღ, ასევე ავთვისებიან) Თ-ის კონცენტრაციის 2-ჯერ და უფრო მეტად დაწევა, რაც ანელებს უჯრედების დაყოფას. ე. ანდრონიკაშვილის აზრით, სწორედ ამით აიხსნება დასხივების სამკურნალო ეფექტი.


Თ-ით მდიდარ საკვებ პროდუქტებს განეკუთვნება ხამანწკები, გოგრისა და მზესუმზირის თესლი, ხორბლის ქატო, ქერისა და შვრიის ფქვილი, კაკაო, შოკოლადი, კვერცხის გული, საქონლის ღვიძლი, თევზის ზოგიერთი სახეობა, ასევე კაკალი, ლობიო, მწვანე ჩაი.

გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს მოთუთიებული საყოფაცხოვრებო ჭურჭლის გამოყენება, რადგანაც Თ. არამდგრადია მჟავებისა და ფუძეების მიმართ; მისი ხსნადი მარილები კი ძლიერ ტოქსიკურია.

ლიტ.: Андроникашвили Э. Л., В борьбе за право знать, Тб., 1989; Скальный А. В., Цинк и здоровье человека, М., 2003.

ი. ლომიძე. ლ. ნაკაიძე.

თუთის აბრეშუმხვევია (Bombyx mori, L.), პეპელა ნამდვილი აბრეშუმხვევიების (Bombycidae) ოჯახისა. განვითარების ფაზებია: კვერცხი (გრენა), ჭია (მუხლუხი, მატლი), ჭუპრი, პეპელა. გრენის ფაზაში ჩანასახი ვითარდება. გრენიდან გამოსული ჭია მაშინვე იწყებს ჭამას, იზრდება და აგროვებს საკვებს მომდევნო ფაზებისთვის და აბრეშუმის პარკის გასაკეთებლად. 25–30 დღეს ცოცხლობს. ამ პერიოდში 4-ჯერ იცვლის კანს და 5 სხვადასხვა ასაკს გადის. იკვებება თუთის ფოთლით. ერთი ჭია სიცოცხლეში 20–25 გ ფოთოლს ჭამს. ჭია პირველივე ასაკიდან გამოყოფს ძაფს აბრეშუმის გამომყოფი ჯირკვლებიდან, რ-იც მე-5 ასაკში სხეულის საერთო მასის 40%-ს აღწევს. ამის შემდეგ ჭია წყვეტს კვებას, ადის ცახზე და ახვევს პარკს. ეს პროცესი 3 დღეს გრძელდება. პარკში ჭია ჭუპრად იქცევა. ჭუპრიდან გამოსული პეპელა ზრდასრული ფაზაა. პეპლის ფუნქციაა გამრავლება. მას ფრენის უნარი დაკარგული აქვს. მდედრი პეპელა 10–15 დღეს ცოცხლობს და 500–700 გრენს დებს. მეაბრეშუმეობაში ფართოდ იყენებენ Თ. ა-ს ჯიშურ სახესხვაობებს. გეოგრაფიული წარმომავლობის მიხედვით არის Თ. ა-ს იაპ., ჩინ., ევრ., მცირეაზიული, კავკ. და სხვ. ჯიშები; ვოლტინურობის მიხედვით – მონოვოლტინური (იძლევა 1 თაობას), ბივოლტინური (იძლევა 2 თაობას) და პოლივოლტინური (იძლევა რამდენიმე თაობას).



თუთის აბრეშუმხვევია: 1 – კვერცხი ანუ გრენა (ქვემოთ – მზიური 1, ზემოთ – მზიური 2); 2 – ჭია (მუხლუხი, მატლი); 3 – ჭუპარი; 4 – კვერცხები.

საქართველოში უმთავრესად გავრცელებულია ადგილ. გამოყვანილი თეთრპარკიანი ჯიშები: ,,იმერული'', ,,კახური'', ,,თბილნიიშ-3'', ,,ქართლი'', ,,თბილისური'', ,,ჩინებული'', ,,ევერია'' და ძირითადად მათი ჰიბრიდები: მზიური-1, მზიური-2, დიღმური-1, დიღმური-2, დიღმური-6, დიღმური-7; პართენოკლონები: პკ-31, პკ-33, პკ-43, აგრეთვე კლონჯიშური ჰიბრიდები: პკ-31×ასგა, პკ-33×ასგა, პკ-43×დიღმური-6, პკ-43× დიღმური-7. ჯიში ,,თბილნიიშ–3'' 1966-იდან დარაიონებულია აღმ. საქართველოში. ჭია თეთრია, ახვევს ოვალური ფორმის პარკს. 1 გ მურიდან მიიღება 3,8–4,2 კგ პარკი, ძაფის სიგრძეა 1100–1200 მ. მზიური-1 და მზიური-2 დარაიონებულია შიდაქართლის რეგიონში. მათი პარკიდან მიღებული ძაფით დამზადებულმა ქსოვილმა 1998 ესპანეთში ევროპის ხარისხის კომიტეტის უმაღლესი ჯილდო – პლატინის ვარსკვლავი დაამსახურა. Თ. ა-ს ჯიში ,,თბილისური'' დარაიონებულია 1972-იდან, მონოვოლტინურია, ახვევს მოგრძო-ოვალურ, ოდნავ წელში

გამოყვანილ პარკს. 1 *გ* მურიდან მიიღება 3,8–4,4 *კგ* პარკი, ძაფის სიგრძეა 1300–1400 *მ*.

ნ. ბარამიძე. გ. ნიკოლეიშვილი. შ. ღვინეფაძე.

თუთუბო (Rhus), ფოთოლმცვივანი, მარადმწვანე ხეებისა და ბუჩქების გვარი თუთუბოსებრთა ოჯახისა. მისი 150 სახეობა გავრცელებულია ზომიერად თბილ, სუბტროპ. და ტროპ. ჰავის სარტყლებში.

საქართველოში გავრცელებულია Თ-ს ერთი სახეობა Rh. coriaria. იგი ბუჩქი ან ტანდაბალი ხეა. აქვს პატარა ყვავილები და წითელი კურკიანა ნაყოფი. გვხვდება კახეთში, ქართლში, აჭარაში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთსა და აფხაზეთში. გავრცელებულია ნათელი ტყეების ზონაში, გამეჩხრებულ მუხნარებში, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში ზ. დ. 1000 *მ*-მდე. სითბოს მოყვარული და გვალვაგამძლე მცენარეა. ფოთლები და ყლორტები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. ფოთლების, ღეროს ქერქისა და ნაყოფისაგან მიიღება სხვადასხვა ფერის საღებავი. ნაყოფს სასიამოვნო მომჟავო გემო აქვს და იხმარება საჭმლის საკაზმად. მრავლდება თესლით და ფესვის ამონაყრით. *მ. ლორია.*

თულარი, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), ივრის ზეგანზე, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: Თ., კაზლარი). ზ. დ. 450 *მ*, საგარეჯოდან 43 *კმ*, ბადიაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. 3,1 ათ. მცხ. (2014).

თულაშვილი ანა ივანეს ასული (24. II. 1874, თბილისი, – 27. V. 1956, იქვე), პიანისტი, პედაგოგი, ქართული საფორტეპიანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1941). 1894 დაამთავრა თბილ. სამუსიკო სასწავლებელი (პედ. ა. *მიზანდარი*). ერთხანს მეცადინეობდა თბილისში ნ. ნიკოლაევთან, ოსტატობას სრულყოფდა პარიზის კონსერვატორიაში პროფ. ლ. დიმერთან, აგრეთვე ვენაში. 1903-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამუსიკო სასწავლებელში, 1917-იდან კი – თბილ. კონსერვატორიაში (1925-იდან პროფ., პირველი ქართვ. პიანისტი ქალი – პროფესორი). ეწეოდა ინტენს. საკონცერტო მოღვაწეობასაც როგორც სოლისტი და ანსამბლისტი. მისი მოწაფეები იყვნენ: ვ. *შიუკაშვილი*, რ. *კერერი*, თ. *ამირეჯიბი*, ე. *ექსანიშვილი*, გ. *ქავთარაძე*, მ. *ჩხეიძე*, ო. *ბარამიშვილი*, ე. დავლიანიძე, გ. *მაჭუტაძე* და სხვ. ავტორია მეთოდური ხასიათის ნაშრომებისა – ,,ჩემი სწავლების მეთოდის შესახებ'', ,,პედალისა და პედალიზაციის შესახებ'', მონოგრაფიისა ,,ალოიზ მიზანდარი'', მრავალი წერილისა მუს., კერძოდ, პიანისტური ხელოვნების საკითხებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: დავლიანიძე ე., პროფესორი ანა თულაშვილი (მონოგრაფია), თბ., 2003. *გ. ტორაძე.*

თულაშვილი გიორგი ლევანის ძე (1.VI. 1867 – დაახლ. 1918), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917). დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი და მოსკოვის ალექსანდრეს სამხ. სასწავლებელი. 1884-იდან იყო სამხ. სამსახურში. 1894 მსახურობდა კურინის 79-ე ქვეით პოლკში, 1897–1900 – უმცრ. ოფიცრად მოსკოვის ქვეით იუნკერთა სასწავლებელში. 1900–03 იყო იმავე სასწავლებლის ადიუტანტი, 1904–14 – ალექსის სამხ. სასწავლებლის ასეულის მეთაური. 1910 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). 1916-იდან იყო იზმაილოვის ინვალიდთა სახლის უფროსი. დაკრძალულია მოსკოვში, გერმანელთა სასაფლაოზე. დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. სტანისლავის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. *მ. გოგიტიძე.*

თულაშვილი ვახტანგ დიმიტრის ძე (6. XI. 1834, სოფ. ზირბითი, ახლანდ. თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი, – 9. XII. 1910, თბილისი), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზ. მოღვაწე. 1861-იდან დაუახლოვდა ი. ჭავჭავაძეს. წვლილი შეიტანა ჟურნ. ,,*საქართველოს მოამბისა*'' და გაზ. ,,*დროების*'' დაარსებაში. თანამშრომლობდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებთან (,,*ივერია*'', ,,*მოამბე*'' და სხვ.), სადაც აქვეყნებდა კრიტ.-პუბლიც. წერილებს სახ. განათლების, ისტ. და ჟურნალისტიკის სხვადასხვა საკითხებზე. Თ. იყო ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' ერთ-ერთი დამაარსებელი და ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. მან ამაგი დასდო ქართ. თეატრის აღდგენის საქმეს.

ლიტ.: კალანდაძე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, თბ., 1985; კეკელიძე მ., ვახტანგ თულაშვილი, თბ., 1980; Пурцеладзе А., Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, «Закавказская речь», 1911, №№ 256, 257; 1912, №№ 131, 132, 136, 138. *ნ. ალანია.*

თულაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე (21. VIII. 1863, თბილისი, – 20. II. 1930, იქვე), სამხედრო ინჟინერ-მშენებელი და პედაგოგი. საშუალო განათლება მიიღო თბილ. სამხ. გიმნაზიაში (1882 შემდეგ კადეტთა კორპუსი), სპეციალური – პეტერბურგის სამხ.-საინჟ. სასწავლებელსა და ნიკოლოზის სამხ.-საინჟ. აკადემიაში (დაამთავრა 1890, სხვა ცნობით 1892). 1892–95 მსახურობდა მოსკ. სამხ. ოლქში, 1896–1903 – მოსკ. ქალაქის მმართველობის ინჟინრად, 1904–08 – მოსკ. უნ-ტის კლინიკების არქიტექტორად. კერძო დაკვეთით აშენებდა საცხოვრებელ სახლებს (1895–1918). ასწავლიდა ფორტიფიკაციასა და სამშ. საქმეს მოსკ. ალექსანდრეს სამხ. სასწავლებელში (1895–1918), ინჟ. პრიოროვის სამშ. კურსებზე (1904–14), ქალაქის სამშ. კურსებზე (1905–09). 1921 მიიწვიეს თბილ. უნ-ტში პოლიტექნიკური ფაკ-ტის დაარსებასთან დაკავშირებით (გაიხსნა 1922 წ. 16 იანვარს). 1922 არჩეულ იქნა დოცენტად და ფაკ-ტის მდივნად. კითხულობდა სამშ. სამუშაოთა, სამოქალაქო ხუროთმოძღვრების, ფუძე-საძირკვლების, სახუროთმოძღვრო გეგმარების თეორ. საფუძვლებისა და გათბობა-ვენტილაციის კურსებს. გარდაცვალებამდე მუშაობდა სპიში. თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის საქართველოში ხუროთმოძღვრული დარგის ორგანიზაციასა და პირველ ინჟინერ-მშენებელთა აღზრდაში.



ა. თულაშვილი.

ლიტ.: მეტრეველი რ., კვალი განათლებული, თბ., 1975; ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1918–1928, [ტ.] 1, ტფ., 1928. *გ. ბერიძე.*

თულუხი (თურქ. – ტიკი), წყლის საზიდავი რუმბი. ამზადებდნენ



მეთულუხე წყლით დატვირთული თულუხით.



ჰ. თუმანიანი.

ხარის ან კამეჩის ტყავისგან, რ-საც ქვემოდან სახელოსავით ჰქონდა მიკერებული წყლის ჩამოსასხმელი. იტევდა 4–5 ფუთ წყალს და ყულფებით იყო დამაგრებული ცხენის ან სახედრის კეხზე. წყალს თ-ში პირიდან ასხამდნენ, ჩამოსხმა კი „სახელოს“ საშუალებით ხდებოდა. 1893-იდან ქალაქის თვით-მმართველობამ თბილისში თ-ები ხის კასრებით შეცვალა, თუმცა სახელწოდება მაინც ძვ. შემორჩა. წყლის მზიდავს *თულუხჩი* ან მე-თულუხჩე ერქვა.

ლიტ.: გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტფ., 1927; ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973.

გ. ჯალაბაძე.

თულუხჩი, მ ე თ უ ლ უ ხ ე, *თულუხით* წყლის მზიდავი. დიდი ხნის განმავლობაში თბილისი მტკვრის წყლით მარაგდებოდა, დამტარებლები კი თ-ები იყვნენ, რ-ებიც ან თავად დაატარებდნენ მხრებზე მოკიდებულ წყლით დატვირთულ თულუხს, ან ცხენს, ვირსა და ჯორს აჰკიდებდნენ ზურგზე. უნაგირის კეხზე წყვილად გადაბმულ თულუხს გადაკიდებდნენ და ტყავის თასმით ამაგრებდნენ. წყლის აღების პროცესი რთული იყო, ამიტომ სამხ. უწყებამ ჩულურეთში, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გვერდით, დადგა წყალსაქაჩი. ეკლესიასა და წყალსაქაჩს შორის, წყლის მზიდავთათვის გაკეთებული იყო მდინარეზე ჩასასვლელი ვიწრო ბილიკი. თბილისში 1887 გაიხსნა ქალაქის წყალსადენი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, XX ს. დასაწყისამდე წყლით მომარაგების ასეთ სახეს არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2013.

ნ. ჯიქია.

თულქითეფეს ბრძოლა 1752, ბრძოლა ქართლ-კახეთისა და შაქის სახანოს ლაშქარს შორის თულქითეფეს ველზე, ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე (ახლანდ. აზერბაიჯანის რესპუბლიკა). *განჯის ბრძოლაში* (1752) ქართლ-კახეთის ლაშქრის დამარცხებამ მნიშვნელოვნად შეარყია თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გავლენა და ავტორიტეტი ამიერკავკასიაში. ამით ისარგებლეს ქართლ-კახეთის ვასალურმა სახანოებმა (შამშადილუ, ყაზახ-ბორჩალო, ბაიდარი და სხვ.) და შაქის მხარეზე გადავიდნენ, რ-მაც ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა. ქართველებმა დახმარებისათვის რუსეთს მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს საკუთარი ძალებისა და ჩრდ. კავკასიიდან დაქირავებული ჯარის დახმარებით 1 სექტემბერს თ. ბ-ში მტერი დაამარცხეს. ამ ბრძოლის შემდეგ ქართველთა გავლენა განჯისა და ერევნის სახანოებზე აღდგა, ხოლო ავტორიტეტი ამიერკავკასიაში ისევ გაიზარდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. ნარსია.

თუმანი, ფულის ერთეული. 1. მონღოლურად 10000-ს ნიშნავდა და 10000 *დინარს* უდრიდა. XVII ს. დასაწყ. თ. 10 მინალთუნს შეიცავდა. მინალთუნი კი 5 *აბაზს* უდრიდა და 1000-ით აღინიშნებოდა. ქართ. თ. შეიცავდა 10000 ნახევარდრაქმიან სპილენძს. რიცხობრივი შემადგენლობით ქართ. თ. მონღოლურისგან არ განსხვავდებოდა, მაგრამ მონღ. თ-ის ძირითადი ერთეული იყო ოქროს დინარი, ქართ. თ-ისა კი – ნახევარდრაქმიანი სპილენძი. 2. XVIII–XIX სს. ირან. ოქროს მონეტის სახელწოდება. უდრიდა 3 მან. (3 მინალთუნი). 3. თ. შემდგომში ათი მანეთის აღმნიშვნელად იხმარებოდა.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული საფას-საზომმომცდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9, თბ., 1996).

ი. ჯალალანია.

თუმანიანი ჰოვანეს თათევოსის ძე [7 (19). II. 1869, სოფ. დსელი, ლორეს მაზრა, ახლანდ. თუმანიანის რ-ნი, – 23. III. 1923, მოსკოვი], სომეხი მწერალი და საზ. მოღვაწე. პირველდაწყებითი განათლება სოფელში მიიღო. შემდეგ ჯალალოღლის (ახლანდ. სტეფანავანი) ოთხკლასიან სასწავლებელში და თბილ. ნერსესის სემინარიაში სწავლობდა (უკანასკნელი ვერ დაამთავრა უსახსრობის გამო). სწავლას მოწყურებულმა თვითგანვითარებას მიჰყო ხელი. 1886 გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მისი ადრინდ. ნაწარმოებებია: ,,ძაღლი და კატა“, ,,უიღბლო ვაჭრები“ (ორივე, 1886). თ. მრავალმხრივი შემოქმედი იყო. წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს, ბალადებს. მის ნაწარმოებებში ასახულია სომხ. სინამდვილისთვის დამახასიათებელი სოც.-ფსიქოლ. კონფლიქტები, ხალხის ზნე-ჩვეულებანი, სომეხი ხალხის წარსული და აწმყო. მისი საუკეთესო პოემებია: ,,ანუში“ (1890, გამოქვეყნდა 1892), ,,მარო“ (1887, გამოქვეყნდა 1892), ,,თმოგვის ციხის აღება“ (1902, გამოქვეყნდა 1905); სომხ. საგმირო თქმულებების საფუძველზე შექმნა პოემა ,,დავით სასუნცი“ (1902). ფართოდაა ცნობილი თ-ის მიერ სომხ. და აღმ. ლეგენდების სიუჟეტებზე შექმნილი მრავალი ბალადა და ზღაპარი (,,ერთი წვეთი თაფლი“, გამოქვეყნდა 1909; ,,გულადი ნაზარა“, 1908, გამოქვეყნდა 1912 და სხვ.). თ-ის მოთხრობები (,,გიქორი“, 1898; გამოქვეყნდა 1907 და სხვ.) სომხ. პროზის საუკეთესო ნიმუშებია.

თ. ქართვ. და სომეხი ხალხების ძმობა-მეგობრობის თავდადებული და მგზნებარე დამცველი იყო. ამ თემაზე შექმნა მრავალი ლექსი: ,,შერიგება“ (1893), ,,საქართველოს შესახებ“ (1916), ,,საქართველოს სული“ (1919), ,,საქართველოს პოეტებს“ (1919) და სხვ. მისი არაერთი ნაწარმოები თარგმნა ქართულად ი. გრიშაშვილმა (ოვ. თუმანიანი, რჩეული ნაწერები, თბ., 1924).

თხზ.: Երկերի ժողովածու, հ. 1–6, Ե., 1940–51; հ. 1–4, Ե., 1969; რჩეული ნაწერები, თბ., 1956; ლექსები და პოემები, თბ., 1969.

ლიტ.: ა რ ვ ე ლ ა ძ ე ბ., ოვანეს თუმანიანი და საქართველო, თბ., 1969; ლ ა ი შ ვ ი ლ ი ნ., ოვანეს თუმანიანი ქართულად (ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი), თბ., 1973; Г а н а л а н я н О. Т., Очерки армянской поэзии XIX–XX веков, 2 изд., Ер., 1964.

ბ. არველაძე.

თუმანიშვილები, საქართველოს მეფეთა კარის მდივან-მწიგნობრების გვარი: ზ ა ქ ა რ ი ა – XV ს-ში გიორგი VIII-ისა და კონსტანტინე მეფის კარის მდივან-მწიგნობარი; ნ ა ს რ ი – XVII ს. დასაწყისში ლუარსაბ II-ის კარის მწიგნობარი; ბ ი რ თ ვ ე ლ ი – XVII ს. II ნახევარში როსტომ მეფის მდივან-მწიგნობარი. გიორგი XI-ის კარზე მოღვაწეობდნენ ძმები ზ უ რ ა ბ ი და ს უ ლ ხ ა ნ ი. მათი შვილები და შვილიშვილები იყვნენ: გ ი ვ ი ზ უ რ ა ბ ი ს ძ ე, დ ა ვ ი თ გ ი ვ ი ს ძ ე, შ ი ო შ ს უ ლ ხ ა ნ ი ს ძ ე, ს უ ლ ხ ა ნ შ ი ო შ ი ს ძ ე და სხვ. ამათგან ყველაზე ცნობილია გ. ზ. *თუმანიშვილი*. გივის ბიძაშვილი შ ი ო შ ი ც ერეკლე I-ის კარის მდივან-მწიგნობარი იყო (XVII–XVIII სს. მიჯნა). მისი თანამედროვენი იყვნენ ერეკლე I-ის დედის ელენეს კარის მწიგნობარი ე ს ტ ა ტ ე, ლევან ბატონიშვილის კარის მწიგნობარი ზაქარია, მდივანი ო თ ა რ ი. XVIII ს-ში მოღვაწეობდნენ გ ი ო რ გ ი ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ძ ე; მრავალ საბუთთა გადამწერი გ ო რ ჯ ა ს პ ი მდივანი, თეიმურაზ II-ის მწიგნობარი, რ-იც 30–50-იან წლებში ჩანს; მისი შვილები ს უ ლ ხ ა ნ ი და მ ა ნ უ ჩ ა რ ი (60

წ-დან – XIX ს. დასაწყისამდე). მანუჩარის ხელით მრავალი საბუთია ნაწერი, იგი ყოფილა მდივანი ლაშქარნივისი, ე. ი. მდივანი, რ-იც ლაშქრის აღწერასა და სალაშქრო საქმეებთან დაკავშირებულ მიწერ-მოწერას წარმართავდა ერეკლე II-ის კარზე. 1781, მეფის დავალებით, მან მგალობელ დიმიტრი გარსევანიშვილთან ერთად აღწერა ქსნის საერისთავო. ერეკლე II-ის კარზე მდივნად იყვნენ იოსები და ეგნატე ბაინდურის ძე (1746–1820). ეგნატე დახელოვნებული კალიგრაფი ჩანს. ასევე საინტერესო კალიგრაფები არიან მისი შვილები იესე, დავითი და პოეტი გიორგი თუმანიშვილი. თ-ის გვარის კიდევ მრავალი წარმომადგენელი იღვწოდა ქართ. კულტურის ამ სარბიელზე.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967. *ვ. ბერიძე.*

თუმანიშვილი ავთანდილ ბირთველის ძე (1795 – გ. წ. უცნობია), მწერალი. მოღვაწეობდა რუსეთში, დაახლოებული იყო იქ მყოფ ქართვ. ბატონიშვილებთან, რ-თა დავალებითაც დაწერა ქ. გორის ისტორია. მათივე დაკვეთით რუსულიდან გადმოთარგმნა ,,ლეოღრაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა'' (ხელნ. H–2171). წერდა სატირულ ლექსებს, რ-ებიც დაცულია ხელნაწერის სახით (H–2130).

თხზ.: Описание грузинского города Гори, წგ.: Бухникашвили Г., Гори. Исторический очерк, Тб., 1947.

ლიტ.: ბუხნიკაშვილი გ., ავთანდილ თუმანოვი და მისი წიგნი ,,აღწერილობა საქართველოს ქალაქის გორისა'', «ლიტერატურული საქართველო», 1939, №28; რატიანი პ., ცოცხლად დამარხული ტალანტი, თბ., 1982; რუხაძე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

გ. მიქაძე.

თუმანიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე (14. VI. 1821, სოფ. ხელთუბანი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 29. X. 1872, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1870). კავალერიის გენ. გ. ა. *თუმანიშვილისა* და გენ.-ლ. კ. ა. *თუმანიშვილის* მამა. მონაწილეობდა ყირიმის ომში (1853–56); 1862 მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება. 1868–69 მუშაობდა თერგის ოლქის სამხ. განყოფილების უფროსად. 1869–70 მეთაურობდა ნავაგინის 78-ე ქვეით პოლკს, 1870–72 – კავკასიის საარმიო კორპუსის მე-20 ქვეით დივიზიას.

დაჯილდოებულია ოქროს ხმლით, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. *მ. გოგიტიძე.*

თუმანიშვილი გივი ზურაბის ძე, XVII–XVIII სს. პოეტი და კალიგრაფი. 1688–1721 იყო ერეკლე I-ის, არჩილ II-ის, ლევან ბატონიშვილისა და ვახტანგ VI-ის კარის მდივან-მწიგნობარი. 1701–05 არჩილ II-ის დავალებით გადაწერა ,,არჩილიანი'', 1721 ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილთან ერთად აღწერა საბარათიანო. მისი ლექსები დაცულია ხელნაწერების სახით. თ-ს ეკუთვნის ვახტანგ VI-ის ეპიტაფია.

თხზ.: აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფის ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს, წგ.: მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1907.

ლიტ.: მეტრეველი ე., ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, «თსუ შრომები», 1951, ტ. 43. *გ. მიქაძე.*

თუმანიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე (24. XI. 1856, სოფ. ხელთუბანი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 18. X. 1918, პიატიგორსკი), რუსეთის იმპერიის არმიის კავალერიის გენერალი (1916). გენ.-ლ. *კ. თუმანიშვილის* ძმა. სამხ. განათლება მიიღო ნიკოლოზის საკავალერიო სკოლაში, 1885 დაამთავრა გენ. შტაბის ნიკოლოზის აკადემია (სანქტ-პეტერბურგი). 1896–1900 იყო მე-6 საკავალერიო დივიზიის შტაბის უფროსი, 1900–01 მეთაურობდა კიევის 27-ე დრაგუნთა პოლკს. 1902 მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება. 1901–04 ასრულებდა ვარშავის სამხ. ოლქის სარდლის საგანგებო დავალებათა გენერლის მოვალეობას. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში (1904–05), მეთაურობდა ციმბირის კაზაკთა დივიზიის მე-2 ბრიგადას. 1906–07 იყო მე-2 საკავალერიო კორპუსის შტაბის უფროსი, 1907–10 – ვარშავის სამხ. ოლქის მორიგე გენერალი. 1910 მიენიჭა გენ.-ლ-ის წოდება. 1910-იდან მეთაურობდა მე-13 საკავალერიო დივიზიას. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, თავი გამოიჩინა კრასნიკთან და ვილნოსთან ბრძოლებში. 1916 მარტში დანიშნეს მე-7 საკავალერიო კორპუსის მეთაურად. 1917 რევოლუციის შემდეგ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და ჩაირიცხა კიევის სამხ. ოლქის შტაბის რეზერვში. 1918 სამკურნალოდ გაემგზავრა ჩრდ. კავკასიაში, სადაც ტყვედ ჩაუვარდა ბოლშევიკებს და სხვა სამხ. ტყვეებთან ერთად დახვრიტეს.

დაჯილდოებულია ოქროს იარაღით, წმ. ანას I, წმ. სტანისლავის I, წმ. გიორგის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. *მ. გოგიტიძე.*

თუმანიშვილი გიორგი გიორგის ძე (29. VII. 1880 – 26. X. 1917), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917). ინფანტერიის გენერლის გ. ი. *თუმანიშვილის* შვილი. განათლება მიიღო თბილ. კადეტთა კორპუსში და სანქტ-პეტერბურგის კონსტანტინეს საარტილერიო სასწავლებელში. სამხ. სამსახურში იყო 1898-იდან. 1909 დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის გენ. შტაბის ნიკოლოზის აკადემია (I თანრიგით). 1911–12 იყო ყარსის ციხესიმაგრის შტაბის სამწყობრო განყ-ბის უფროსი, 1912–14 – 24-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი. 1916 მიიღო პოლკოვნიკის წოდება. 1915–17 იყო გენ. შტაბის მთავარი სამმართველოს უფროსი. 1917 დანიშნეს სამხ. მინისტრის თანაშემწედ. 1917, ოქტომბრის გადატრიალების დროს, მოკლეს პეტროგრადში.



გ. ი. თუმანიშვილი.

დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. *მ. გოგიტიძე.*

თუმანიშვილი გიორგი ეგნატეს ძე (1774–1837), პოეტი და მწიგნობარი. 1790-იდან იყო ერეკლე II-ის, შემდეგ გიორგი XII-ის მდივან-მწიგნობარი. მოგვიანებით გადავიდა რუს. სახელმწ. სამსახურში. 1820 მიიღო სტატსკი სოვეტნიკის ჩინი. დიდი წვლილი შეიტანა ქართ. ლიტ. ძეგლთა შეკრებასა და გამრავლებაში. მისი დავალებით გადაიწერა მრავალი ქართ. ხელნაწერი. თვითონაც კალიგრაფი იყო. თ. ბესიკისა და საიათნოვას პოეტური სკოლის მიმდევარია. იგი არის აგრეთვე ,,ვეფხისტყაოსნის'' ერთ-ერთი ინტერპოლატორი.

თხზ. იხ.: მიქაძე გ., გიორგი თუმანიშვილი, კრ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1962; რუხაძე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

ლიტ.: ბარამიძე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 3, თბ., 1952. *გ. მიქაძე.*

თუმანიშვილი გიორგი იესეს ძე (6. III. 1839, სოფ. ხელთუბანი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 30. V. 1901, ჟიტომირი, უკრაინა), რუსეთის იმპერიის არმიის ინფანტერიის გენერალი (1901). ინჟინერ-გენ. ნ. ი. *თუმანიშვილის* ძმა განათლება მიიღო პირველ კადეტთა კორპუსში. სამხ. სამსახურში იყო 1857-იდან, რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877–78) დროს მეთაურობდა კავკ. პირველ მესანგრეთა


ბატალიონს. 1887 მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება. 1887–89 მეთაურობდა სარკინიგზო ბრიგადას, 1889–96 – მე-5 მესანგრეთა ბრიგადას, 1896–97 – 32-ე ქვეით დივიზიას. 1896-იდან მიენიჭა გენ.-ლ-ის წოდება.

დაჯილდოებულია წმ. ანას I, წმ. სტანისლავის I, წმ. ვლადიმირის, სხვადასხვა ხარისხისა და პრუსიის გვირგვინის III ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: Гогитидзе М., Грузинский генералитет (1699–1921), К., 2001.

მ. გოგიტიძე.

თუმანიშვილი გიორგი მიხეილის ძე [27. I (8. II). 1854, თბილისი, – 26. I. 1920, იქვე], საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. მ. ბ. *თუმანიშვილის* შვილი. 1871 დაამთავრა თბილ. გიმნაზია, 1875 – ოდესის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი სამართლის კანდიდატის წოდებით. ერთხანს მსახურობდა ფოთის სასამართლო უწყებაში, შემდეგ – მეფისნაცვლის კანცელარიაში საგლეხო განყ-ბის უფროსად. 1891 გადადგა სამსახურიდან. იმავე წელს ნ. ნიკოლაძისაგან შეიძინა გაზ. ,,ნოვოე ობოზრენიე'', რ-საც ვ. *თუმანიშვილთან* და კ. *თუმანიშვილთან* ერთად გამოსცემდა 1903-მდე. თ-ის სტატიები და წერილები იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში; თანამშრომლობდა ,,დროებასა'' და ,,ივერიასთან''. 1878–79 გამოუშვა ქართ. ,,ალმანახი'', შექმნა ქართ. საგამომცემლო ამხანაგობა, რ-მაც პირველმა გამოსცა წიგნად ნ. ბარათაშვილისა და სხვა ქართვ. პოეტების თხზულებანი. თ-ს სხვადასხვა საკითხზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი და ,,დახასიათებანი და მოგონებანი'' იმდროინდელ ლიტ. და პოლიტ. მოღვაწეებზე. მონაწილეობდა კავკასიაში საერობო დაწესებულებათა დაარსებაში, იყო კავკასიის-მცოდნეობის კურსების ორგანიზატორი. თ. აქტიურად მონაწილეობდა ქართ. თეატრის საქმიანობაში. იყო ქართ. დრამ. ამხანაგობის ერთ-ერთი დამაარსებელი.



გ. დ. თუმანიშვილი.

თხზ.: Характеристики и воспоминания, I–III, Тфл., 1900–07.

ლიტ.: გამეზარდაშვილი ზ., გიორგი თუმანიშვილი (ლიტერატურის კრიტიკოსი), თბ., 1992; კალანდაძე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, IV, თბ., 1986; საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ (თუმანიშვილების წერილები), ე. აბრამიშვილის გამოც., თბ., 1965; ხუციშვილი ს., ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1969.

თუმანიშვილი გიორგი პავლეს ძე [19(31). X. 1872, ქუთაისი, – 1937], რკინიგზის მშენებელი ინჟინერი. დაამთავრა პეტერბურგის მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინ-ტი (1896). 1896–1902 მუშაობდა თბილისი–ერევნის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე უბნის უფროსად, შემდგომ – ამ ხაზის მმართველად. იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მთ. ინჟინერი (1906–18); გაიყვანა კახეთის (1915–19), ნატანები–ოზურგეთის, სენაკი–გაგრის რკინიგზები (1922–25). 1925 დაინიშნა საქართვ. გზატკეცილების სამმართველოს უფროსად. იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კონსულტანტი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თუმანიშვილი გიორგი (იეჟი) პავლეს ძე (21. VI. 1916, მოსკოვი, – 9. XII. 2010, ფლორიდა, აშშ), პუბლიცისტი, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის წლებში (1918–21) მისი ოჯახი ცხოვრობდა თბილისში. საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ ოჯახი ემიგრაციაში წავიდა ვარშავაში. დაამთავრა ტორუნის სამხ.-საზღვაო სასწავლებელი (1937) და ჩაირიცხა სამხ.-საზღვაო ფლოტში. 1938 მიიღო პოლონეთის ფლოტის პორუჩიკის, 1941 – კაპიტნის წოდება. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. 1950 თ. გადადგა სამხ. სამსახურიდან და დასახლდა აშშ-ში. ეწეოდა აქტ. სამწერლო და პუბლიც. მოღვაწეობას. მისი არაერთი მოთხრობა გამოქვეყნდა ინგლისსა და ნიუ-იორკში გამომავალ პოლონურ ჟურნალში ,,პრეგლად პოლსკი'' (,,პოლონეთის მიმოხილვა'').

დაჯილდოებულია პოლონეთის უმაღლესი სამხ. ჯილდოთი – ორდენით ,,ვირტუტი მილიტარი'' (1945), პოლონეთის დამსახურების ორდენის ოფიცრის ჯვრით (2004), პოლონეთის აღორძინების ორდენის კომანდორის ჯვრით და ვარსკვლავით (2009). 1990 მიენიჭა პოლონეთის კომანდორ-ლეიტენანტის, 2008 კი პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ მიანიჭა კონტრადმირალის წოდება.

ლ. ურუშაძე.

თუმანიშვილი გრიგოლ (გივი) დიმიტრის ძე (10. VIII. 1925, თბილისი, – 17. VII. 2007, იქვე), ბიოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1983), საქართვ. სამედ.-ბიოლ. და ეკოლ. აკადემიების ნამდვ. წევრი (1994). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი (1949). საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიკის (1965–66), შემდეგ კი (1966-იდან) ექსპერ. მორფოლ. ინ-ტის ბიოფიზიკის განყ-ბის (1973 განვითარების ბიოლ. განყ-ბად იქნა რეორგანიზებული) ხელმძღვანელი. 1969-იდან იყო თბილ. სახელმწ. უნ-ტის ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის პროფესორი, 1982-იდან – ამავე კათედრის გამგე.

თ-მა საქართველოში პირველმა წამოიწყო გამოკვლევები განვითარების ბიოლოგიაში. თ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: უჯრედის გამრავლებისა და დიფერენცირების მარეგულირებელი მექანიზმები, გენების აქტივობის რეგულირება, უჯრედის ულტრასტრუქტურა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. შეისწავლა ზრდის შემაჩერებელი ფაქტორების ბირთვული ლოკალიზაცია და ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორების ციტოპლაზმური ლოკალიზაცია, ცხოველთა ორგანოების რეგენერაციის კანონზომიერებათა მექანიზმები. აღმოაჩინა გულის კეილონები. შექმნა უჯრედის დიფერენცირების ორიგინ. თეორია.

თ. წლების განმავლობაში იყო ,,ცხოველთა ინდივიდური განვითარებისა და ონტოგენეზის მართვის პროცესების'' საკავშირო საკოორდინაციო საბჭოს წევრი (1972-იდან), 2002-იდან – ამავე საბჭოს თავჯდომარე. იყო ,,საქართველოს მწვანეთა'' მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ლიდერი, ,,მწვანეთა'' ეკოლ. ასოციაციის პრეზიდენტი (1988), 1992–2000 – მეცნ. და ტექნოლ. დეპარტამენტის ზოგადი ბიოლ. საექსპერტო საბჭოსა და საქართვ. პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის 4 სამეცნ. მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო და 1 მეთოდური მითითება.

1997 თ. აირჩიეს რეგენერაციის შემსწავლელთა საერთაშ. ასოციაციის პრეზიდენტად. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997) და ივ. ჯავახიშვილის მედლით (1986). იყო პარლამენტის წევრი (1992–95).

თხზ.: უჯრედების დიფერენცირება, თბ., 1979; ცოცხალი სისტემების ონტოგენეზური თეორია, თბ., 1991.

თუმანიშვილი დავით ეგნატეს ძე (1780 – გ. წ. უცნობია), პოეტი და კალიგრაფი. მოღვაწეობდა რუსეთში. 1826 მიიღო ნადვორნი სოვეტნიკის ჩინი. თ-ის შემოქმედებას აშულური პოეზიის დაღი აზის. თემატურად მისი ლექსები ერთფეროვანია, ძირითადია სატრფიალო მოტივი. აღსანიშნავია თ-ის დამსახურება ქართ. ლიტ-რის პოპულარიზაციაში. მან გადანუსხა და მოკაზმა მრავალი ქართ. ხელნაწერი.

ლიტ.: მ ი ქ ა ძ ე გ., დავით თუმანიშვილი, «ლიტერატურული ძიებანი», 1963, [ტ.] 14; რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954; საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ (თუმანიშვილების წერილები), ე. აბრამიშვილის გამოც., თბ., 1965. *გ. მიქაძე.*

თუმანიშვილი დიმიტრი გიორგის ძე (1821–88), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1884). მონაწილეობდა ყირიმის (1853–56) და რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომებში. 1877 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1883-მდე მსახურობდა ალექსანდროპოლის ციხის სახაზო ბატალიონის მეთაურად. დაკრძალულია თბილისში, იოანე ღვთისმეტყველის ვერის რუს. ეკლესიის გალავანში.

მ. გოგიტიძე.

თუმანიშვილი დიმიტრი გრიგოლის ძე (დ. 25. III. 1950, თბილისი), ხელოვნების ისტორიკოსი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1991). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1973). 1977-იდან მუშაობს საქართვ. მეცნ. აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართ. ხელოვნების ისტორიის ინ-ტში (2006-იდან – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართ. ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნ. ცენტრი). 1999–2006 იყო ინ-ტის დირექტორის მოადგილე. 2008-იდან დღემდე არის ეროვნ. ცენტრის სამეცნ. საბჭოს თავ-რე. ეწევა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ში, თბილ. სას. სემინარია-აკადემიასთან არსებულ საღვთისმეტყველო ინ-ტში. თ-ის კვლევის საგანია შუა საუკუნეების და ახ. დროის ქართ. ხუროთმოძღვრება, აქვს წერილები ხელოვნებათმცოდნეობის ცალკეულ თეორ. საკითხებზე, ქართ. ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიაზე, ქართ. კულტ. მოღვაწეებზე. არის ქართ. ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშ. სიმპოზიუმების (1977, 1983, 1989, თბილისი) მონაწილე.

თხზ.: წერილები, ნარკვევები, თბ., 2001; გელათი–900, თბ., 2007 (თანაავტ.); გზაჯვარედინზე. წერილები, ნარკვევები, თბ., 2008; მცხეთის წმ. ჯვრის ტაძარი, თბ., 2008 (თანაავტ.); ქართული ქრისტიანული ხელოვნება, თბ., 2008 (თანაავტ.); გზად ხელოვნებისკენ, თბ., 2015.

თუმანიშვილი დიმიტრი იოსების ძე (დ. წ. უცნობია, – გ. 1821), პოეტი. მდივნად იყო ერეკლე II-ის, შემდეგ გიორგი XII-ის კარზე. მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტ. ურთიერთობის დამყარებაში. თ-ის პოეზიას ბესიკის ლირიკის გავლენა ატყვია. მისი ლექსებისათვის დამახასიათებელია გრძნობის სიცხოველე, სევდიანი განწყობილება, მწიგნობრული, მაღალფარდოვანი სტილი, განყენებული სახეებისა და ცნებების სიუხვე, უცხო ლექსიკის გამოყენება. მასვე ეკუთვნის სახოტბო და ფილოს.-რელიგ. ხასიათის ლექსები. თ-ის ლექსი ,,ახალ აღნაგო'' პოპულ. სიმღერად იქცა, ითარგმნა რუსულად და ინგლისურად. სიმღერას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ა. პუშკინზე, რ-მაც ეს ფაქტი აღნიშნა თხზულებაში ,,მოგზაურობა არზრუმში''. თ-ის სიმღერა ნოტებზე გადაიტანა ზ. ფალიაშვილმა.

თხზ.: ლექსები, მ. ხელთუბნელის რედ., თბ., 1938; [წიგნში] რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

ლიტ.: ლ ე ო ნ ი ძ ე გ., ალ. პუშკინი და ქართული სიმღერა, კრ.: ა. ს. პუშკინი საქართველოში, თბ., 1938.

გ. მიქაძე.

თუმანიშვილი ვასილ მიხეილის ძე (27. IX. 1857, თბილისი, – 27. I. 1912, იქვე), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. მ. ბ. *თუმანიშვილის* შვილი. თბილ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკ. უმაღლეს ტექ. სასწავლებელში, საიდანაც გადავიდა პეტროვო-რაზუმოვსკის სატყეო-სამეურნეო აკადემიაში, რ-იც ავადმყოფობის გამო ვერ დაასრულა. აქტიურად თანამშრომლობდა კავკ. რუსულენოვან პრესასთან, აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის პუბლიც. წერილებს.

1891–1904 თავის ძმებთან გ. და კ. თუმანიშვილებთან ერთად სათავეში ედგა გაზ. ,,ნოვოე ობოზრენიეს''. თ-მა დიდი ამაგი დასდო საქართველოში თეატრ. ხელოვნების განვითარებას. იგი გიმნაზიაში სწავლის დროიდანვე მონაწილეობდა წარმოდგენებში, დაუმეგობრდა შემდგომში სახელმოხვეჭილ თეატრ. მოღვაწეებს: ა. სუმბათაშვილ-იუჟინსა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს. რუსეთში ყოფნისას თ. ერთ-ერთი ინიციატორი იყო საქველმოქმედო მიზანდასახულობის ე. წ. ,,კავკასიური საღამოებისა''. იყო, აგრეთვე, ,,ქართული დრამატული საზოგადოების'' დამფუძნებელთაგანი და მმართველობის წევრი. 1886–88, როგორც რეჟისორი, ხელმძღვანელობდა თბილ. ქართ. თეატრს, თამაშობდა სცენაზე. 1905 აირჩიეს თბილ. დრამ. საზ-ბების მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ლიტ.: ვასილ თუმანიშვილი, «თემი», 1912, №57; საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ (თუმანიშვილების წერილები), ე. აბრამიშვილის გამოც., თბ., 1965. *თ. ჯოლოგუა.*



თ. თუმანიშვილი.

თუმანიშვილი (თ უ მ ა ნ ო ვ ა) თამარ ვლადიმერის ასული (1919, შანხაი, – 29. V. 1996, ლოს-ანჯელესი), ქართული წარმომავლობის ამერიკელი ბალერინა და მსახიობი. ცხოვრობდა შანხაიში. იქ 5 წლისამ პირველად იხილა ლეგენდარული ანა პავლოვას ხელოვნება (,,მომაკვდავი გედი'') და თვითონაც ბალერინობა გადაწყვიტა. ცეკვას თავდაპირველად სწავლობდა შანხაიში, 1926-იდან კი – პარიზში, ო. პრეობრაჟენსკაიას რუს. საბალეტო სკოლაში. თ-ის დებიუტი შედგა 1929 (მაშინ იგი 12 წლისა იყო) პარიზის ,,გრანდ ოპერის'' სცენაზე, ბალეტ ,,ჟანის მარაოში''. 1932 იგი მიიწვია იმხანად პარიზში მოღვაწე ჯ. *ბალანჩინმა.* ამ დროიდან თ., უკვე როგორც წა-



თ. თუმანიშვილი. პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა". ავრორა.



ი. მ. თუმანიშვილი.

მყვანი სოლისტი, მონაწილეობდა ევრ. და ამერ. ცნობილ საბალეტო დასებში: ,,ბალე რიუს დე მონტე კარლო'' (1932–38), ,,ბალე 1933'' (1933), ,,ორიჟინალ ბალე რიუს'' (1940), ,,ბალე ტიეტრ'' (1944–45), ,,გრან ბალე დიუ მარკიზ დე კიუევა'' (1943), ,,ფესტივალ ბალე'' (1952–54), ,,გრანდ ოპერა'' (1947–59), ,,ლა სკალა'' (1951–52, 1958). თ-ის წარმატებას განაპირობებდა მისი ბრწყინვალე საშემსრულებლო ოსტატობა და უბადლო გარეგნობა. შესრულებული პარტიებიდან (100-მდე) განსაკუთრებით აღსანიშნავია: ჟიზელი (ა. ადანის ,,ჟიზელი''), ესმერალდა (ჩ. პუნის ,,ესმერალდა''), ოდეტა-ოდილია, ავრორა (პ. ჩაიკოვსკის ,,გედების ტბა'', ,,მძინარე მზეთუნახავი''), კოპელია (ლ. დელიბის ,,კოპელია''), სალომე (ა. გლაზუნოვის ,,სალომე''), გაიანე (ა. ხაჩატურიანის ,,გაიანე'') და სხვ.; აგრეთვე წამყვანი პარტიები ჯ. ბალანჩინის დადგმებში: ჟ. ბიზეს ,,ბროლის კოშკი'', ჟ. ორიკის ,,მოცარტიანა'', ,,კონკურენცია'', ი. სტრავინსკის ,,ანგელოზის კოცნა'', ჟ. შარის ,,შვიდი სასიკვდილო ცოდვა'' და სხვ. გადაღებულია კინოფილმებში: ,,XX საუკუნის ტალიონი'' (ანა პავლოვას ცხოვრება, ასრულებდა პავლოვას როლს), ა. ჰიჩკოკის ,,დაშვებული ფარდები'', ჟ. ტურმერის „დიდების დღეები'' (პარტნიორობას უწევდა გ. პეკს მის სადებიუტო როლში) და სხვ. დადგა ა. ხაჩატურიანის ბალეტი ,,გაიანე''. ეწეოდა პედ. მოღვაწეობასაც. თ. გამოჩენილი ფრანგი მოცეკვავის ს. ლაფარის უცვლელი პარტნიორი იყო. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მათმა ცეკვამ ჟ. ორიკის ბალეტში ,,ფედრა''.

ლიტ.: ცამციშვილი ა., უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი, თბ., 1962; 100 ქართველი უცხოეთში, თბ., 2011.

თუმანიშვილი იასონ კონსტანტინეს ძე [2.X. 1883, თბილისი,– 20. X. 1955, ასუნსიონი (პარაგვაი)], რუსეთის არმიის საზღვაო ოფიცერი. I რანგის კაპიტანი (პოლკოვნიკი, 1920). გენ.-ლ. კ. თუმანიშვილის შვილი. 1904 დაამთავრა კადეტთა საზღვაო კორპუსი, 1913 – სანქტ-პეტერბურგის ნიკოლოზის საზღვაო აკადემია. 1904–17 მსახურობდა რუსეთის სამხ. ფლოტში. I მსოფლიო ომის (1914–18) დასაწყისში თ. უფრ. ლეიტენანტის (1914) ჩინით მიავლინეს შავი ზღვის ფლოტში, სადაც ასრულებდა შავი ზღვის ფლოტის შტაბის ოპერატიული ნაწილის უფრ. ფლაგ-ოფიცრის მოვალეობას. 1917 აგვისტოში დროებითმა მთავრობამ დანიშნა დამხმარე კრეისერ ,,იმპერატორ ტრაიანეს'' მეთაურად. 1919 ივნისიდან მსახურობდა შავი ზღვის პორტების სამხ. კონტრდაზვერვის განყ-ბის უფროსად. 1920 დაინიშნა ხომალდ ,,რუსეთის'' კომენდანტად, რ-ითაც ამავე წლის ნოემბერში ევაკუირებულ იქნა ყირიმიდან კონსტანტინოპოლში. მოგვიანებით 1925 გადავიდა პარაგვაიში, სადაც იგი მიიწვიეს სამდინარო ფლოტის ჩამოსაყალიბებლად. 1932 მონაწილეობდა პარაგვაის ომში ბოლივიელთა წინააღმდეგ, სადაც მის მიერ შექმნილმა სამდინარო ფლოტმა პარაგვაის გამარჯვება მოუტანა. საბრძოლო დამსახურებისათვის 1932 მიენიჭა პარაგვაის ფლოტის II რანგის კაპიტნის (კაპიტან დე ფრეგატა), შემდეგ კი I რანგის კაპიტნის (კაპიტან დე ფრეგატა პრინციპე) წოდება. პარაგვაის ფლოტში ეკავა სამხ. პრეფექტურის (ფლოტის მმართველობის ორგანო) მრჩევლის თანამდებობა. მოგვიანებით თ. პარაგვაის პრეზიდენტმა ოქროს მედლით დააჯილდოვა.

მიღებული აქვს წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენები.

ლიტ.: გოგიტიძე მ., თბილისელი თავადი დამსახურებული პარაგვაელი, ჟურნ. «ისტორიანი», 2014, მარტი, №3(39).

მ. გოგიტიძე.

თუმანიშვილი იოსებ (ბეგა) მიხეილის ძე [2 (15). I. 1909, თბილისი, – 8. VII. 1981, მოსკოვი], რეჟისორი, პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1964), სასცენო მოღვაწეობა დაიწყო თბილისში 1923. დაამთავრა დრამ. კურსები ი. ზავადსკის ხელმძღვანელობით (1929). იყო თეატრ-სტუდიის მსახიობი, 1938–46 – კ. სტანისლავსკის სახ. საოპერო თეატრის (1941-იდან კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. მუს. თეატრის) მთ. რეჟისორი, სადაც დადგა ოპერები: ბ. მოკროუსოვის ,,ჩაპაევი'' (1943), ჯ. ვერდის ,,ბალ-მასკარადი'' (1946). 1946–53 მოსკ. ოპერეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. აქ დადგა სპექტაკლები: ი. დუნაევსკის ,,ლაღი ქარი'' (1948), გ. მილიუტინის ,,ტრემბიტა'' (1949, სტალინური პრემია, 1950) და სხვ. 1953–61 მუშაობდა მოსკ. ა. პუშკინის სახ. თეატრში მთ. რეჟისორად, 1962-იდან კრემლის ყრილობათა სასახლის, 1964–70 დიდი თეატრის მთ. რეჟისორი იყო. აქ დადგა ჯ. ვერდის ,,დონ კარლოსი'' (1963), ვ. მურადელის ,,ოქტომბერი'' (1964) და სხვ. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგა ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'' (1953), დ. თორაძის ,,ჩრდილოეთის პატარძალი'' (1958); რუსთაველის თეატრში – ე. როსტანის ,,სირანო დე ბერჟერაკი'' (1944); ,,ლა სკალას'' თეატრში – მ. მუსორგსკის ,,ხოვანშჩინა'' და ,,ბორის გოდუნოვი'' (1967). მისი დადგმები გამოირჩეოდა მასშტაბურობით, მაღალი პროფ. კულტურით. 1951-იდან თ. მოსკ. ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნების ინ-ტის პედაგოგი იყო (1965-იდან – პროფესორი). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თუმანიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე (1867, გორი, – 1950, თბილისი), მეან-გინეკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, საქართვ. დამს. ექიმი (1941). 1893 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ვარშავის, ბერლინისა და ვენის გინეკოლოგიურ კლინიკებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იყო თბილ. მიხეილის საავადმყოფოს და ამიერკავკასიის ოლღას სახ. სამეანო ინ-ტის გინეკოლოგიური განყ-ბის გამგე, საქართვ. რესპ. ჯანდაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, თ. მრავალი ნაშრომის ავტორია მეან-გინეკოლოგიის დარგში. შეისწავლა ბადექონის შემწოვი თვისებები, ფიბრომიოზულ სანაშვილოსნოში ორსულობის გართულებები და სხვ.

ჯ. ქორჩილავა. რ. შენგელია.

თუმანიშვილი ირინე ალექსანდრეს ასული (10. VIII. 1916, თბილისი, – 30. XII. 1996, იქვე),



ი. ა. თუმანიშვილი. „ფანტაზია". 1994.

მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი. 1935–41 სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკად. გრაფიკის ფაკ-ტზე. მისი პედაგოგები იყვნენ: ი. შარლემანი, ვ. გრიგოლია, ვ. ქუთათელაძე, ს. ქობულაძე. 1941-იდან 25 წლის განმავლობაში მუშაობდა საქართვ. სახელმწ. ხელოვნების მუზეუმში მხატვარ-რესტავრატორად და ასლების გადამღებად. იყო საქართვ. მხატვართა კავშირის წევრი (1950-იდან). მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მხატვართა კავშირის აკვარელისტთა სექციას. მონაწილეობდა რესპ. და საკავშ. გამოფენებში. თ-ის ნამუშევრები ინახება საზღვარგარეთ (აშშ, მექსიკა, ჰოლანდია, ისრაელი და სხვა) კერძო კოლექციებში. XX ს. II ნახევრის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ქვეყნდებოდა მისი მრავალი პუბლიკაცია მხატვრების შემოქმედებაზე. მხატვარი ძირითადად პეიზაჟებსა და ნატიურმორტებს ხატავდა. მუშაობდა აკვარელის ტექნიკით. ტუშით, კალმითა და ფლომასტერით შესრულებული აქვს ასევე ორ ათეულამდე ექსლიბრისი. 1977 გამოსცა ბუკლეტი ,,Exlibris'' (თბ., 1977); 1979 კი ხელოვნებათმცოდნე ზ. კვასხვაძის თანაავტორობით – წიგნი ,,ქართული ექსლიბრისი'' (თბ., 1979; ტექსტი ქართ. და რუს. ენებზე).

მ. გაჩეჩილაძე.

თუმანიშვილი ისააკ შიოს (სოლომონის) ძე (1803, თბილისი, – 23. IV. 1880, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1869). რუსეთ-ოსმალეთის, (1828–29) და ყირიმის (1853–56) ომების მონაწილე. 1860 მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება. 1863-იდან მეთაურობდა ნავაგინის 78-ე ქვეით პოლკს, ირიცხებოდა კავკასიის არმიაში, 1868–69 თავმჯდომარეობდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის საველე აუდიტორიატს (სამხ. სასამართლო). 1871–79 იყო თბილისში ამიერკავკასიის საიმპერატორო ქალთა ინ-ტის სამეურვეო საბჭოსა და რუს. საიმპერატორო გეოგრ. საზ-ბის კავკასიის განყ-ბის წევრი.

დაჯილდოებულია ოქროს იარაღით, წმ. ანას I, წმ. სტანისლავის I, თეთრი არწივის და წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენებით.

დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე. *მ. გოგიტიძე.*

თუმანიშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (19. V. 1862, თბილისი, – 4. II. 1933, კანი, საფრანგეთი), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1917). კავალერიის გენ. გ. ა. *თუმანიშვილის* ძმა. 1883 დაამთავრა ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელი (სანქტ-პეტერბურგი). მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904–05) და I მსოფლიო (1914–1918) ომებში. 1908-იდან მეთაურობდა ლიტვის ულანთა მე-5 პოლკს, 1912-იდან – კავკასიის მე-9 საკავალერიო დივიზიის I ბრიგადას, იმავე წელს მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება, 1916-იდან ხელმძღვანელობდა ამურისპირეთის I ცხენოსანთა ბრიგადას; 1917 მარტში გადაიყვანეს სამხრ.-დას. ფრონტის არმიების მთავარსარდლის გენ. ა. ბრუსილოვის განკარგულებაში, ამავე წლის აპრილიდან დანიშნეს მე-9 საკავალერიო დივიზიის მეთაურად. 1918 ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. მონაწილეობდა სამხ. მოსამსახურეთა რუს. საზ-ბის საქმიანობაში, 1930–31 თავმჯდომარეობდა ამ საზ-ბის კავკასიის არმიის ოფიცერთა კავშირს.

დაჯილდოებულია ოქროს იარაღით, წმ. ანას I, წმ. სტანისლავის I, წმ. გიორგის და წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. *მ. გოგიტიძე.*

თუმანიშვილი ლევან კონსტანტინეს ძე (4. X. 1881, თბილისი, – 27. VII. 1948, კემბრიჯი, აშშ), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917). გენ.-ლ. კ. *თუმანიშვილის* შვილი. თ. იყო რუსეთ-იაპონიისა (1904–05) და I მსოფლიო (1914–18) ომების მონაწილე. 1913–15 – დას. ფრონტის 22-ე საარტ. დივიზიის მე-2 ბატარეის მეთაური, 1916-იდან – დივიზიონის მეთაურის მოადგილე. სამოქალაქო ომის დროს რუსეთიდან ემიგრაციაში წავიდა.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით და წმ. გიორგის იარაღით. *ლ. დოლიძე.*

თუმანიშვილი მიხეილ ბირთველის ძე [19(31). V. 1818, სოფ. ხელთუბანი, გორის რ-ნი, – 2(14). II. 1875, თბილისი], პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრ. კრიტიკოსი, ეთნოგრაფი. ,,თბილისის კერძო ბიბლიოთეკის'' (1842–48) დამფუძნებელი წევრი და ერთ-ერთი დირექტორი. სწავლობდა თბილ. I გიმნაზიაში (1831–36). 1837-იდან სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობაზე იყო. თ-ს XIX ს. ქართ. ლიტ-რისა და ჟურნალისტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი ლირ. ლექსები ესადაგება იმ დროის პროგრ. იდეებსა და განწყობილებებს. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ნ. ბარათაშვილთან ერთად მონაწილეობდა პოეზიის ,,ანთოლოგიის'' შედგენაში (1833, გადაწერილია მისი ხელით), ხელმძღვანელობდა ხელნაწერი ჟურნ. ,,თბილისის გიმნაზიის ყვავილის'' გამოცემას (1835, რუს. ენაზე). თარგმნა ა. პუშკინის ,,ბახჩისარაის შადრევანი'', ,,კავკასიის ტყვე'' და სხვ.

თ. სამართლიანად ითვლება XIX ს. ქართ. თეატრის პირველ კრიტიკოსად. მის წერილებში, რებიც დაიბეჭდა გაზ. ,,კავკაზში'', ჟურნ. ,,ცისკარსა'' და გაზ. ,,დროებაში'', გადმოცემულია გ. ერისთავის თეატრის დაარსების ისტორია, მსახიობების დახასიათება, განხილულია პიესები. ყურადღებას იმსახურებს თ-ის წერილები და შრომები ქართ. ეთნოგრაფიაში. თ. აქტ. მონაწილეობას იღებდა კავკ. მუზეუმის ეთნოგრ. კაბინეტისა და რუს. გეოგრაფიული საზ-ბის კავკასიის განყ-ბის მუშაობაში. საქართველოს ეროვნ. მუზეუმში დაცულია თ-ის მიერ 1854 შეგროვებული ხევსურული კოსტიუმები და იარაღის კოლექციის ნაწილი, მათი აღწერილობა.

თხზ.: რჩეული თხზულებანი, თბ., 1981; ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. 9, თბ., 1992.

ლიტ.: ზანდუკელი მ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 2, თბ., 1962; კალანდაძე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II, თბ., 1984; რამიშვილი დ., მიხეილ თუმანიშვილი, თბ., 1957; ურუშაძე ნ., მიხეილ თუმანიშვილი (თეატრალური კრიტიკოსი), თბ., 1978; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1969; ჭუმბურიძე ჯ., ქართული კრიტიკის ისტორია, I, თბ., 1974; ხელთუბანელი მ., სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938.


თუმანიშვილი მიხეილ გიორგის ძე (22. VII. 1848, სოფ. ხელთუბანი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 30. III. 1905, სანქტ-პეტერბურგი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1902). გენ.-ლ. ნ. გ. *თუმანიშვილის* ტყუპისცალი. 1866 დაამთავრა ნიკოლოზის კადეტთა კორპუსი, 1868 – ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელი. სამხ. სამსახურში იყო 1868-იდან. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. 1889–95 იყო დაღესტნის ოლქის ყაზი-ყუმუხის მხარის უფროსი. მისი შემდგომი მოღვაწეობა დაკავშირებულია რკინიგზის ჟანდარმერიასთან. 1895–96 იყო სამარის, 1896–1902 – ფინეთის რკინიგზის ჟანდარმთა საპოლიციო სამმართველოს უფროსი, 1902–05 – პეტერბურგ-ვინ-

დავის რკინიგზის ჟანდარმთა საპოლიციო სამმართველოს უფროსი.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის, აგრეთვე უცხოეთის ორდენებით.

დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში, სმოლენსკის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე.

მ. გოგიტიძე.



მ. ი. თუმანიშვილი.

თუმანიშვილი მიხეილ გრიგოლის ძე (1895, თბილისი, –21. II. 1921, ტაბახმელა), სამხედრო მოღვაწე. საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის (1918–21) ეროვნ. არმიის შტაბს-კაპიტანი. 1915 დაამთავრა პეტერბურგის საარტ. სასწავლებელი. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. პორუჩიკის სამხ. წოდებით იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის ეროვნ. არმიის ფორმირებისთანავე (1918) ჩადგა მის სამსახურში. 1921 თებერვალში იბრძოდა ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ ტაბახმელაში, სადაც დაილუპა სხვა ქართვ. მებრძოლებთან ერთად. დაკრძალეს თბილისში, ე. წ. ,,სობოროსთან'', ამჟამინდელი პარლამენტის შენობის წინ.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის ორდენით და წმ. გიორგის ჯვრით.

ლიტ.: მიხეილ გრიგოლის ძე თუმანიშვილი, გაზ. «კოლხური კოშკი», თბ., 1995, №23 (28). *ლ. ურუშაძე.*

თუმანიშვილი მიხეილ ივანეს ძე (6. II. 1921, თბილისი, – 11. V. 1996, იქვე), რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. საქართვ. (1961) და სსრკ (1985) სახ. არტისტი, კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1980), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1986). 1949 დაამთავრა საქართვ.



,,მიხეილ თუმანიშვილი''. მოქანდაკე გ. ჯაფარიძე. არქიტექტორი თ. ჯორჯაძე. ბრინჯაო. 1997.

შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (პედ. გ. ტოვსტონოგოვი). იმავე წლიდან 1971-მდე იყო თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის რეჟისორი, 1965–66 – მთ. რეჟისორი. 1971–75 – საქართვ. ტელევიზიის სადადგმო რედაქციის მთ. რეჟისორი, 1975-იდან – კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' თეატრ. სახელოსნოს მთ. რეჟისორი. Თ-ის რეჟისორული ინდივიდუალობა გამოირჩეოდა ნაწარმოების ორიგინ. ინტერპრეტაციით, მკვეთრი თეატრ. ფორმით, სცენური დეტალებისა და ნიუანსების ვირტუოზული დამუშავებით, აქტიორული ანსამბლურობით. მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: ი. ფუჩიკის ,,ადამიანებო, იყავით ფხიზლად!'', ჯ. ფლეტჩერის ,,ესპანელი მღვდელი'', კ. ბუაჩიძის ,,ამბავი სიყვარულისა'', გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა'', პ. კოპოუტის ,,როცა ასეთი სიყვარულია'', უ. შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'', ,,მეფე ლირი'', ,,იულიუს კეისარი'', ჟ. ანუის ,,ანტიგონე'', ო. იოსელიანის ,,სანამ ურემი გადაბრუნდება'', ჟ. რასინის ,,ფედრა'', ა. ჩხაიძის ,,ხიდი'' და სხვ. (ყველა რუსთაველის სახ. თეატრში). 1978 საქართვ. თეატრ. ინ-ტში მისივე სახელოსნოს მსახიობთა და რეჟისორთა ექსპერ. ჯგუფის ბაზაზე შეიქმნა თანამოაზრეთა შესანიშნავი კოლექტივი – ,,კინომსახიობთა თეატრი'' (იხ. *კინომსახიობთა სახელმწიფო დრამატული თეატრი*). აქ მან დადგა სპექტაკლები: მოლიერის ,,დონ ჟუანი'', ლ. კლდიაშვილის ,,ბაკულას ღორები'', თ. უაილდერის ,,ჩემი პატარა ქალაქი'', ლ. თაბუკაშვილის ,,ნატამრალი'', უ. შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'' და სხვ.; ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში – ვ. მოცარტის ,,დონ-ჟუანი'' (1983), ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'' (1986), ჯ. ვერდის ,,ბალმასკარადი'' (1988).

1949-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში (1973-იდან – პროფესორი), ავტორია არაერთი სტატიისა თეატრ. ხელოვნების საკითხებზე და წიგნებისა: ,,სანამ რეპეტიცია დაიწყება'' (1977), ,,რეჟისორი თეატრიდან წავიდა'' (1989), ,,ახლა კი ფარდა'' (1998). 1999 დაარსდა Თ-ის სახელობის ხელოვნების საერთაშ. ფესტივალი ,,საჩუქარი'' (ხელმძღვ. ქ. დოლიძე). გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი მიენიჭა კინომსახიობთა თეატრს.

თბილ. საპატიო მოქალაქე (1986). თბილისში კინომსახიობთა სახელმწ. დრამ. თეატრის წინ დგას მ. თუმანიშვილის ძეგლი.

დაკრძალულია ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ანდრონიკაშვილი ვ., ,,მაესტრო'', თბ., 1996; თუმანიშვილი ფიქრობს, თუმანიშვილი თხზავს, თუმანიშვილი ასწავლის. კრ. სამ ტომად, თბ., 2004; კიკნაძე ვ., ქართველი რეჟისორები, წგ. 2, თბ., 1970; მუშლაძე დ., თანამედროვე ქართული რეჟისურა, თბ., 1973; ტურიაშვილი მ., მიხეილ თუმანიშვილის რეპეტიცია – ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'', თბ., 2012; ურუშაძე ნ., ძიებისა და გამარჯვების გზით, «საბჭოთა ხელოვნება», 1960, №10.

თუმანიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე (22. VII. 1848, სოფ. ხელთუბანი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – დაახლ. 1918, სანქტ-პეტერბურგი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1911). გენ.-მ. მ. გ. *თუმანიშვილის* ტყუპისცალი. სამხ. სამსახურში იყო 1866-იდან. დაამთავრა ნიკოლოზის კადეტთა კორპუსი, ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებელი. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში (1877–78). 1894-იდან – პოლკოვნიკი; მეთაურობდა საიმპერატორო ბადრაგის ლაიბგვარდიის ყირიმელ თათართა რაზმს, 1903-იდან – გენ.-მ. მეთაურობდა ციმბირის კაზაკთა დივიზიის მე-2 ბრიგადას, 1905–12 იყო საგანგებო დავალებათა გენერალი იმპერატორის კარზე.

დაჯილდოებულია წმ. ანას I, წმ. სტანისლავის I, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის და უცხოეთის სახელმწიფოთა (პრუსია, იაპონია, თურქეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი და სხვ.) ორდენებით. *მ. გოგიტიძე.*

თუმანიშვილი ნიკოლოზ იესეს ძე (24. X. 1844, სოფ. ხელთუბანი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 1917, სანქტ-პეტერბურგი), რუსეთის იმპერიის არმიის ინჟინერ-გენერალი (1907). ინფანტერიის გენ. გ. ი. *თუმანიშვილის* ძმა. 1863-იდან სამხ. სამსახურში იყო. დაამთავრა პირველი კადეტთა კორპუსი, 1864 პავლეს სამხ. სასწავლებელი და გენ. შტაბის ნიკოლოზის საინჟ. აკადემია (I თანრიგით). 1880–82 იყო ქუთ. საინჟ. დისტანციის უფროსი, 1882–97 – ყარსის ციხესიმაგრის საინჟ. სამმართველოს უფროსი. 1892 მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება. 1897–99 იყო იმიერკასპიისპირეთის ოლქის

საინჟ. ნაწილის უფროსი. 1899 მიენიჭა გენ.-ლ. წოდება; 1903-იდან მეთაურობდა 38-ე ქვეით დივიზიას. მანჯურიის პირველი არმიის ინჟინერთა ინსპექტორის თანამდებობაზე მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში (1904–05). 1905-იდან იყო ვარშავის სამხ. ოლქის საინჟ. ნაწილის უფროსი, 1906-იდან – ბრესტ-ლიტოვსკის ციხესიმაგრის კომენდანტი; 1910 დანიშნეს სამხ. საბჭოს წევრად, სადაც 1912–14 თავმჯდომარეობდა რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებული ანგარიშებისა და საქმეების შემსწავლელ დროებით კომისიას. I მსოფლიო ომის (1914–18) დაწყებისთანავე დანიშნეს დვინის სამხ. ოლქის უფროსად, 1915–16 – პეტროგრადის სამხ. ოლქის უფროსად, ხოლო 1916–17 – დას. ფრონტის არმიების მომარაგების უფროსად.

დაჯილდოებულია წმ. ალექსანდრე ნეველის, წმ. სტანისლავის I, წმ. ანას I, წმ. ვლადიმირის II ხარისხის, თეთრი არწივისა და უცხოეთის ქვეყნების, ოქროს ვარსკვლავის I (ბუხარა), ,,ლომი და მზის'' I (სპარსეთი) ორდენებით.

მ. გოგიტიძე.

თუმანიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე (13. II. 1868, თბილისი, – დაახლ. 1921), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1914). დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი და ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელი. არმიაში მსახურობდა 1885-იდან. იყო რუსეთ-იაპონიისა (1904–05) და I მსოფლიო (1914–18) ომების მონაწილე. 1910–13 იყო მე-15 მესანგრეთა ბატალიონის უფროსი. 1918–21 მსახურობდა ქართ. ჯარში.

დაჯილდოებულია წმ. ანას I, წმ. სტანისლავის I, წმ. ვლადიმირის III ხარისხის ორდენებით.

მ. გოგიტიძე.

თუმანიშვილი სულხან გორჯასპის ძე, XVIII ს. II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1787–93 იყო საქართველოს წარმომადგენელი რუსეთის სამეფო კარზე. ცდილობდა რუსეთ-ოსმალეთის (1787–91) ომის შემდეგ დადებულ საზავო ხელშეკრულებაში გაეთვალისწინებინათ ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესები. მართლაც, *იასის საზავო ხელშეკრულებით 1791* ოსმალეთი პირობას დებდა, რომ ახალციხის საფაშოს ქართ. მოსახლეობას თურქეთის მხრიდან არავითარი საშიშროება არ ელოდა.

გ. აკოფაშვილი.

თუმანიშვილი ქეთევან დიმიტრის ასული (31.VIII. 1919, თბილისი, – 30. VII. 2001, იქვე), მუსიკათმცოდნე, კომპოზიტორი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1976). 1943 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (ი. რიაზანოვის საკომპოზიციო და ა. ვირსალაძისა და ვ. კუფტინას საფორტეპიანო კლასები). 1949-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1956-იდან – თბილ. კონსერვატორიაში). 1974-იდან იყო პროფ., 1973-იდან – მუს. თეორიის კათედრის გამგე.

თ. ავტორია სიმფონიური, საგუნდო, კამერულ-საკრავიერი, კამერულ-ვოკალური მუს. ნაწარმოებებისა, რ-თაგან აღსანიშნავია ბალეტი-ზღაპარი ,,ნაცარქექია'' (1967), სიმფ. პოემა ,,გამზრდელი'' (1943), ორი კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფ. ორკესტრისათვის (1943, 1952), ,,ამირანი'', შერეული გუნდისა და ფორტეპიანოსათვის (1955), ,,ალუბლები'', ა კაპელა შერეული გუნდისათვის (1955), სამი საბავშვო გუნდი ა კაპელა (1958), სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1944), საფორტეპიანო ტრიო (1947), ,,მესტვირული'', პიესა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1959) და სხვ. თ. ავტორია არაერთი სამეცნ. ნაშრომისა ცალკეულ კომპოზიტორთა შემოქმედებისა და ხალხ. მუსიკის, მუს. ფორმების თავისებურებათა შესახებ.

თუმანიშვილ-ფერეთელი ანასტასია მიხეილის ასული [25. VIII(6. IX). 1849, თბილისი, – 7. II. 1932, იქვე], საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. თბილისში დაამთავრა თავდაპირველად ფავრის პანსიონი, შემდეგ – ამიერკავკ. კეთილშობილ ქალთა ინ-ტი (1865). იყო ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' აქტ. წევრი. ,,მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებისა'' და ქალთა საზ-ბა ,,განათლების'' დამაარსებელი. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებაში. 1883 თანამშრომლობდა ჟურნ. ,,*ნობათთან*''. 1890 დააარსა ჟურნ. ,,*ჯეჯილი*'', რ-მაც დიდი როლი ითამაშა ქართ. საბავშვო ლიტ-რის განვითარებაში. იყო ჟურნ. ,,კვალის'' თანარედაქტორი.

თ.-ფ-ის პირველი თარგმანი (ა. დოდეს მოთხრ. ,,მარშლის გულმტკივნეულება'') დაიბეჭდა 1876; პირველი ორიგინ. მოთხრ. ,,მამის მსხვერპლი'' – 1880. მასვე ეკუთვნის ორიგინალური, ნათარგმნი და გადმოკეთებული საბავშვო მოთხრობები (კრებულები: ,,მოლაღური'', 1887; ,,ხუთი ამბავი'', 1888; ,,კონა'', 1923; ,,ცხოვრების გამჭრიახობა'', 1924; ,,ყვავილი'', 1926 და სხვ.).

თხზ.: [წიგნში] ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი, შედგ. ა. ღვინიაშვილის მიერ, თბ., 1959.

ლიტ.: ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი მ., საბავშვო ლიტერატურის მოამაგის ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1941.

ნ. ალანია.



ქ. თუმანიშვილი.

თუმანოვი (თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი) კირილე ლევანის ძე (13. X. 1913, სანქტ-პეტერბურგი, – 1997, რომი), ამერიკელი მეცნიერი, ისტორიკოსი. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ მამასთან ერთად აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. თ-მა დაამთავრა ლენოქსის ცნობილი სკოლა (მასაჩუსეტსი, აშშ), ჰარვარდის უნ-ტი (აშშ). მასწავლებლების ჯ. კოდინგტონის და რ. ბლეიკის დახმარებით გაემგზავრა ევროპაში, სადაც დაეუფლა სომხურ ენას ნ. *ადონცის*, ხოლო ქართულს – მ. *წერეთლის* აქტ. მეცადინეობით.

1943 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ჯორჯტაუნის უნ-ტში (აშშ), იქვე კითხულობდა ლექციებს 1970-მდე, შემდეგ ემერიტუს პროფესორის სტატუსით ჩამოშორდა აქტ. აკად. მოღვაწეობას. საცხოვრებლად გადავიდა იტალიაში, ქ. რომში.



კ. თუმანოვი.

თ. იკვლევდა კავკასიის ისტ. საკითხებს. სწავლობდა საქართველოს და სომხეთის ანტ. და შუა საუკუნეების ისტორიას. მისი ძირითადი ნაშრომია ,,ნარკვევები ქრისტიანული კავკასიის ისტორიიდან'' (1963), რ-შიც დიდ ადგილს უთმობდა იმ სოც. გარემოს აღწერას, სადაც ქართ. მოსახლეობას ანტ. და შუა საუკუნეებში უხდებოდა ცხოვრება, ასევე – ისტ. გეოგრაფიას. მისი სტატია ,,სომხეთი და საქართველო'' შესულია ,,კემბრიჯის შუა საუკუნეების ისტორიის'' მეოთხე ტომში (1966–67). სტატიები მიუძღვნა შუა საუკუნეების ქართ. საისტ. მწერლობას, ასევე ქართ. ხელნაწერებისა და ბაგრატიონების ისტორიას.

სამეცნ. მოღვაწეობის ბოლოს

მთელი ყურადღება გენეალოგიის პრობლემატიკას დაუთმო, კერძოდ, ქართ., სომხ. და ალბ. არისტოკრატიული გვარების ისტ. კვლევას. ქართ. გენეალოგიის შესწავლას მიუძღვნა ნაშრომები: ,,კავკასიის ქრისტიანული ისტორიის გენეალოგიის და ქრონოლოგიის სახელმძღვანელო (სომხეთი, საქართველო, ალბანეთი)'' (1976), ,,რუსეთის იმპერიის ქართული წარჩინებული გვარები'' (1984), ,,ქრისტიანული კავკასიის დინასტიები ანტიკურობიდან XIX საუკუნემდე'' (1990). ყველა ეს ნაშრომი ფრანგ. ენაზეა დაწერილი. ამათ გარდა ასევე გენეალოგიის კვლევას მიუძღვნა არაერთი სამეცნ. სტატია, რ-ებიც ძირითადად კავკასიის ქვეყნების გენეალოგიასა და ბიზანტიის ისტ. საკითხებს ეხება. გენეალოგიის კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა მალტის ორდენის რაინდის წოდება.



თუნგი.

თ. დაკრძალულია მალტის ორდენის კამპო ვერანოს ეკლესიის სასაფლაოზე.

ლიტ.: Любимов С. В., Титулованные роды Российской империи, М., 2004; Hewsen R., H., In Memoriam: Cyril Toumanoff, «Journal of the Society for Armenian Studies», 1995, vol. 8. *ლ. თავაძე.*

თუმანიშვილი ივანე ილიას ძე (20.I.1910, თბილისი, – 20.X.1982, იქვე), გეობოტანიკოსი, კავკასიის მცენარეული საფარის მკვლევარი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1930 დაამთავრა თბილ. სატყეო ინ-ტი, 1935–37 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ბოტანიკის ინ-ტის სწავლული მდივანი, 1939–63 დირექტორი, 1959 ამავე ინ-ტში განაგებდა თავისივე თაოსნობით შექმნილ პალინოლოგიის ლაბორატორიას. თ-მა დაამუშავა კავკ. მთის ტყეების ტიპოლოგიის საკითხები. ერთერთმა პირველმა დაიწყო კავკ. ტყის მცენარეულობის და ჰოლოცენური ისტ. შესწავლა სპორისა და მტვრის მარცვლის ანალიზის მეთოდით, დაამუშავა მთიანი ქვეყნის ბოტან.-გეოგრ. დარაიონების პრინციპები, შეისწავლა სახეობათა წარმოქმნის პროცესები მცენარეებში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ზ. ღვინიანიძე.*



თურანულა.



თურაშაული.

თუნგი, 1. თიხის ან სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი. წყლის ჭურჭლად სპილენძის თ-ს უფრო საქართვ. მთიან რ-ნებში ხმარობდნენ. 2. ძველებური ღვინის საწყაო. ღვინის საწყაოდ თ. ქართ. წყაროებში XVI ს-იდან იხსენიება. საქართვ. სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ტევადობის თ. ყოფილა გავრცელებული, მაგ., შიდა ქართლში 4-, 5-, 6- და ზოგან 8-ლიტრიანი. XVIII ს-ში თ-ის ტევადობა (3–3,5 *ლ*) ორ *ხელადას* შეადგენდა.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 3 – ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა – მეტროლოგია, ტფ., 1925 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9, თბ., 1996). *გ. ჯალაბაძე.*

თურანი, ნასოფლარი ისტ. თრიალეთში, წალკის მუნიციპალიტეტში (ამჟამინდელი სოფ. თეჯისის აღმ. ნაწილი), მდებარეობს ბეშქენაშენისწყლის (მდ. ქციის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. შენაკადის ნაპირზე. ორი მეზობელი სოფელი – ერანი და თურანი – მოგვიანებით გაერთიანდა ერან-თურანის სახელწოდებით. 1529 ერთი საბუთის მიხედვით, ლუარსაბ I-ს თრიალეთის ნასოფლარი თ. გაუთავისუფლებია ყოველგვარი სამეფო ხარჯისაგან და შეწირულება მიუბარებია დეკანოზ სვიმონ შოთაშვილისა და მისი ძმებისათვის. ქართლის მეფის მიერ ატოცის წმ. გიორგისადმი შეწირული ნასოფლარი თ. აუშენებია გივი თუმანიშვილს; ამიტომ მეფემ მას თ-ის მოურავობა უბოძა, ატოცის დეკანოზმა ნათანმა კი ამ მოურავობის მოუშლელობის პირობა დადო. იმავე გივი თუმანიშვილის წერილში ქაიხოსრო დეკანოზისადმი ჩანს, რომ გივის თ-ში 20 კომლი კაცი დაუსახლებია. სათიბსა და საზღვარზე მეზობელ სოფელთან ცილობა შექმნილა. თუმანიშვილის ცნობით, სათიბის შენარჩუნების შემთხვევაში სოფელში კიდევ დასახლდებოდა და ეკლესიას შეემატებოდა 60 კომლი. *დასტურლამალის* მიხედვით, ერანი და თურანი უკვე სახასო ნასოფლარები იყო. სოფლის 4 ეკლესიიდან ორის მხოლოდ ბუდეა გადარჩენილი, მესამე უხეშად ნათალი ქვით ნაგები დარბაზული შენობაა, გვიან გადაკეთებული. მისი გალავანი ერთმანეთზე უხსნაროდ დალაგებული დიდი ლოდებისაგან შედგება. გორაზე არის მეოთხე, ორი ტოლნავიანი დარბაზული ეკლესია; ორივეს საკურთხეველში სატრაპეზო ლოდებია, შესასვლელები სამხრეთიდანაა. კედლები ნაგებია დიდი ლოდებით, სახურავი არა აქვს. სამხრ. ნავში 5 *მ* სიმაღლისა და 1,5 *მ* სიგანის სუფთად გათლილი მ ონოლითი დგას, ზედ ამოჭრილი მაღალი ჯვრით. ქვა ეკლესიის კედლებთან შედარებით ბევრად მაღალია, ირგვლივ მშრალად ნაწყობი დიდი ლოდების წრიული გალავანია, რ-საც 3 ქვით შედგენილი შესასვლელი აქვს. საფიქრებელია, რომ ეს ციკლოპური გალავანი თავიდან მენჰირს ერტყმოდა გარს; შუა საუკუნეებში კი მასზე ჯვარი ამოჭრეს და ირგვლივ ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების ეკლესია შემოაშენეს. ამჟამად თეჯისში XIX ს. 30-იან წლებში მოსული თურქულენოვანი მოსახლეობაა.

ლიტ.: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის I, თბ., 1964; რუხაძე ტ., პოეტი სვიმონ დეკანოზი, «ლიტერატურული ძიებანი», III, თბ., 1947; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965; ცსსა. ფ. 1451, საქმე №2, გვ. 652.

დ. ბერძენიშვილი.

თურანულა (Populus euphratica), ხე ტირიფისებრთა ოჯახისა. სიმაღლე 10–12 *მ*. აქვს მუქი რუხი ქერქი. ნორჩი ყლორტები მოთეთრო-მონაცრისფროა, შიშველი ან ოდნავ შებუსული. ხნიერ ტოტებზე ფოთლები კვერცხისებრ-რომბული ან ფართო დელტისებრი, დაკბილული და გრძელყუნწიანია, ნორჩ ყლორტებზე – ხაზური ან ხაზურ-ლანცეტა, კიდემთლიანი და მოკლეყუნწიანი; იშვიათი სახეობაა.

საქართველოში გვხვდება მხოლოდ ქიზიყში (პანტიშარა, დათვისხევი), მთის ქვედა სარტყელში, მდინარის გაყოლებაზე, ზ.დ. 700–800 *მ*-მდე. სითბოს და სინათლის მოყვარული ხეა. ხარობს ტენიან და მსუბუქ ნიადაგზე, თუმცა კარგად იტანს ჰაერის სიმშრალეს. დეკორატიულია. აქვს ფართოშრიანი, მოწითალო, მსუბუქი მერქანი, იყენებენ წვრილმანი ნაკეთობისთვის. ქერქი შეიცავს ფისს, რსაც ხმარობენ ხალხ. მედიცინაში. მრავლდება თესლითა და ფესვის ამონაყარით. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''. საქართველოს გარეთ იზრდება ასევე აზერბაიჯანში, სომხეთში, შუა აზიაში, მცირე აზიასა და ირანში.

თურაშაული, ძველი ქართული ვაშლის ზამთრის ჯიში. აქვს მომრგვალებული ფორმის ვარჯი. მოსავალს იძლევა მე-10, მე-12 წელს. უხვმსხმოიარეა, ერთი ხიდან საშ. მოსავალია 250–300 *კგ*. მეწლეა. ნაყოფი მომრგვალო, ოდნავ კონუსური, სქელკანიანი, ფერად მწვანეა და მუქი მოწითალო ზოლები გასდევს, რბილობი თეთრია, ტკბილი და წვნიანი. ოქტ. შუა რიცხვებში იკრიფება და გაზაფხულამდე ინახება. ტრანსპორტაბელურია. იყენებენ ნედლად და გადასამუშავებლად.

გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, ქართლში, მესხეთში, სამაჩაბლოსა და კახეთში. განარჩევენ თ-ის ქართლურ, მესხურ, კახურ და ლეჩხუმურ კლონებს. დაავადებათა მიმართ გამძლეა. *შ. ახვლედიანი.*

თურძო, მდინარე აღმ. საქართველოში, თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 32 *კმ*, აუზის ფართ. 114 *კმ*^{2}. სათავე აქვს გომბორის მთის აღმ. კალთაზე. ალაზნის ვაკეზე ქმნის ვრცელ გამოზიდვის კონუსს. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნა – ზაფხულ-შემოდგომაზე.

თ. კიკილაშვილი.

თურდოსპირელი (ნამდვ. გვარი – ჩხეიძე) დავით ანდუყაფარის ძე [23. IV (5. V). 1888, სოფ. ვარდისუბანი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 23. XII. 1948, თბილისი], მწერალი. გ. *ქუჩიშვილის* ძმა. 1911 დაამთავრა თბილ. ქართ. გიმნაზია, 1911–15 სწავლობდა კიევის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე, სადაც მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ე. ნინოშვილის სახ. რევ. ლიტ. წრე, გამოიცა ჟურნ. ,,მერცხლები''. 1915 სამშობლოში დაბრუნდა და ჟურნალისტურ მოღვაწეობას შეუდგა; მის სახელთან არის დაკავშირებული ჟურნალების: ,,მახვილი'', ,,ჩვენი დროშა'', ,,პირველი ტალღა'' გამოცემა, მისივე თაოსნობით დაარსდა თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუშაობდა მასწავლებლად სვანეთში, ფშავში, კახეთში. 1906 ცალკე წიგნად გამოაქვეყნა მოთხრ. ,,თავისუფლების მსხვერპლნი'', რ-ის დიდი ნაწილი ჟანდარმთა სამმართველომ დაწვა; 1913 გამოვიდა მისი ლექსებისა და ნოველების პირველი კრებული ,,სიმთა ქვითინი''. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: ,,კომუნისტი'', ,,ახალგაზრდა კომუნისტი'', ,,პიონერი'', ,,ოქტომბრელი'' და სხვ. თ-ის მხატვრული ნაწარმოებები გამოიცა ცალკე წიგნებად (1926, 1929, 1937, 1947, 1961). აღსანიშნავია მისი საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: ,,პირველი ბილიკები'' (1929), ,,საყმაწვილო მოთხრობები'' (1937), ,,საბავშვო მოთხრობები'' (1947), წერდა აგრეთვე პუბლიც. წერილებს, რ-თაც ხშირად აქვეყნებდა სალომეშვილისა და არგუსის ფსევდონიმებით.

თხზ.: არაზინდო, თბ., 1961.

ნ. ალანია.

თურძოს ხევი, ხევი მდინარე *თურძოს* გასწვრივ კახეთში (თელავის მუნიციპალიტეტი), ცივგომბორის მთიდან მდ. ალაზნამდე. უძველეს ხანაში და ადრე შუა საუკუნეებში წარმოადგენდა სასაზღვრო ხევს ქართლის სამეფოსა (ივერია) და ალბანეთის სამეფოს შორის, ხოლო შემდეგ – ქართლის სამეფოს, კახეთისა და ჰერეთის პროვინციებს შორის. ხევში მდებარეობს სოფ. *გულგულა*, რ-იც სასაზღვრო ორიენტირი იყო ზემოხსენებული პროვინციებისათვის.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *დ. მუსხელიშვილი.*

თურმანაული გიორგი სიმონის ძე (10. III. 1935, სოფ. ხომი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 29. VIII. 2014, თბილისი), ექიმი-ფარმაკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992), საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1995). 1964 დაამთავრა თსსი. 1964-იდან ფარმაკოლოგიის კათედრაზე ეკავა სხვადასხვა თანამდებობა: 1983–2003 იყო კათედრის გამგე, 2006-იდან – კათედრის პროფესორი, 1984–2014 – საქართვ. ფარმაკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

თ-ის სამეცნ. შრომების ძირითადი მიმართულებაა: კარდიოტროპული საშუალებების უჯრედული მოქმედების მექანიზმების შესწავლა არითმიის, სტენოკარდიის, არტერიული ჰიპერტენზიისა და გულის უკმარისობის ადრეულ სტადიებზე; გერიატრიული ფარმაკოლოგია, კარდიოვასკულარულ სისტემაზე მოქმედი პრეპარატებისა და ბიორითმების ურთიერთქმედების კანონზომიერებანი და სხვ.

თ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. სახელმძღვანელოების, სასწ. მონოგრაფიის, 6 მეთოდური რეკომენდაციის და 2 გამოგონების ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002).

თხზ.: კლინიკური ფიტო-ფარმაკოთერაპიის საფუძვლები, თბ., 2009; კლინიკური ფარმაკოლოგია. სახელმძღვანელო სტუდენტებისა და პრაქტიკოსი ექიმებისთვის, თბ., 2012; სამედიცინო ბაზისური ფარმაკოლოგია, თბ., 2012; სასწრაფო სამედიცინო დახმარება, თბ., 2012; სამედიცინო ფარმაკოლოგია სამკურნალო პრეპარატების კლინიკური გამოყენებით, თბ., 2013.

თურმანიძე ზაზა ანდრიას ძე (დ. 1. IV. 1965, სოფ. მახათაური, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი). სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1989), საქართვ. დამს. მწვრთნელი. დაამთავრა საქართვ. აგრ. უნ-ტი (1988). მსოფლიოს თასის მფლობელი (1989), ევრ. ჩემპიონი (1987), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1994); სსრკ-ის ჩემპიონი (1990), მეორე (1986) და მესამე (1989) პრიზიორი; სსრკ-ის ხალხთა IX სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1986), საქართვ. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1992–2013).


ღირსებისა (2000) და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

თურმანიძე თამაზ ივანეს ძე (დ. 4. IX. 1932, ბორჯომი), აგროეკოლოგი, საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. წ.-კორ. (1992), გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1995). 1957 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკ-ტი. 1974–84 იყო საქართვ. ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი. 1984–89 მუშაობდა სსრკ მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტთან არსებულ საერთაშ. პროექტების ცენტრში ერთ-ერთი პროექტის დირექტორად. 1991-იდან საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. აგროეკოლოგიური სამეცნ.-კვლ. ცენტრის დირექტორია, 2000-იდან – საქართვ. ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწ. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე. თ. ეწევა სამეცნ.-პედ. საქმიანობას ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტსა და საქართვ. აგრარულ უნ-ტში. დაამუშავა ვაზის კულტურის ზრდა-განვითარების, ყურძნის მოსავლიანობასა და ხარისხზე ეკოლ. პირობების ზეგავლენის შეფასება-პროგნოზირების მეთოდები. იკვლევს ბუნებრივ გარემოზე აგროსამრეწველო კომპლექსის ზემოქმედების მონიტორინგის ორგანიზაციის პრობლემებს, აგრეთვე კლიმატ. ცვლილებების მოსალოდნელ ზეგავლენას სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტურობაზე. შექმნა კატასტროფული გვალვების, წყალმოვარდნების, მკაცრი ყინვების გრძელვადიანი (სეზონური) პროგნოზირების მეთოდები.

თ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 5 მონოგრაფიისა. არის გაეროს მსოფლიო მეტეოროლ. ორგანიზაციის აგრომეტეოროლოგიის კომისიის წევრი, საქართვ. აგროეკოლოგიის საზ-ბის პრეზიდენტი (1991), მიწათმოქ-



ზ. თურმანიძე.



თ. ი. თურმანიძე.



თ. დ. თურმანიძე.



ი. თურმანიძე.



ლ. თურმანიძე.



ქ. თურმანიძე-აბზიანიძე.

მედების საერთაშ. ფედერაციის წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2002).

თხზ.: ვაზის ეკოლოგია, თბ., 2003; საქართველოს სასურსათო უშიშროების ეკოლოგიური პრობლემები, თბ., 2006; კლიმატი, სტიქია და სასურსათო უშიშროება, თბ., 2010.

თურმანიძე თეიმურაზ დარისპანის ძე (9. II. 1948, ქუთაისი, – 26. I. 2008, თბილისი), მხატვარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1985). საქართვ. სახელმწ. პრემიების (1985, 1991) და ი. გოგებაშვილის სახ. ეროვნ. პრემიის (1995) ლაურეატი. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1971). პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამხატვრო აკადემიასა (1975-იდან; პროფესორი – 1989-იდან) და ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტში (1978-იდან). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1971-იდან. მ-ის მიერ შექმნილი ფერწერული ტილოები, გრაფ. ნამუშევრები, თეატრ.-დეკორ. ხელოვნების ნიმუშები სტილისტურ მრავალფეროვნებასთან ერთად მხატვრული ამოცანების, ჩანაფიქრის თავისებურებებისა და შესაბამისი სახვ. ხერხების მრავალწახნაგოვნებით გამოირჩევა: ,,შავი პირამიდა'' (1973, კერძო კუთვნილება, შვეიცარია), ,,თეთრი ბორბალი'' (1981, კერძო კუთვნილება, ნიუ-იორკი), ,,ბრმები'' (1983, კერძო კუთვნილება, თბილისი), მონუმენტური პანოები ,,დედა ენა'' (1985) და ,,სულხან-საბა ორბელიანი'' (1997) (ორივე ყოფილი ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტი, თბილისი), სივრცობრივი კომპოზიცია მეტალში ,,თავისუფლება'' (1991–93, გერმანია, ფრანკფურტი), სივრცობრივი, რელიეფური კომპოზიცია და კედლის მხატვრობა ,,ივერია – კერპთა მხარე'' (1986, კერძო კუთვნილება, ბელგია, ლიეჟი). მ-ის ნამუშევრები ექსპონირებული იყო აშშ-ში, ესპანეთში, კანადაში, საფრანგეთში, ინგლისსა და სხვ. ქვეყნებში მოწყობილ გამოფენებზე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003). *ი. ქარაია.*

თურმანიძე ირაკლი ნოდარის ძე (დ. 13. XII. 1984, ჩაქვი), სპორტსმენი, ძალოსანი. XXI ოლიმპიური თამაშების (2016, რიო-დე-ჟანეირო) ბრინჯაოს პრიზიორი. ევროპის ჩემპიონი (2015) და მესამე პრიზიორი (2012). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ატაცში (2015). საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. მწვრთნელი ა. ბასილია.

თურმანიძე ლამარა ჩიტოს ასული (3. I. 1921, სოფ. საღვინე, შორაპნის მაზრა, – 1986), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1968). დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალური ინ-ტი. 1938–47 მოღვაწეობდა ჩოხატაურის თეატრში, 1950-იდან – მახარაძის (ახლანდ. ოზურგეთის) ა. წუწუნავას სახ. სახელმწ. თეატრში. იყო ფართო დიაპაზონის მსახიობი, გამოირჩეოდა არტისტული ტემპერამენტით, სცენური მომხიბვლელობით. ასახიერებდა ძლიერი, დრამ. ხასიათის მქონე გმირებს. მისი რეპერტუარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ბებია (ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი''), ჯავარა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''), ირინე (დ. კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება''), საბედო (გ. მრევლიშვილის ,,ზვავი''), ელიზავეტა (ვ. დარასელის ,,კიკვიძე''), სოფიო (ბ. ლავრენიევის ,,რღვევა''), ქეთევანი (ვ. კანდელაკის ,,სარეველა'') მარიამ ტიუდორი (ჰიუგოს „მარიამ ტიუდორი“), იულია (ვოინიჩის „კრაზანა“) და სხვ.

თურმანიძე მურად ღუტუს ძე (დ. 22. II. 1959, ზესტაფონი), გენერალმაიორი (2005). დაამთავრა საქართველოს პოლიტექ. ინ-ტის სატრანსპორტო ფაკ-ტი საავტომობილო გზების მშენებლობის სპეციალობით (1983). 1983–94 იყო საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს განყ-ბის უფროსი. 1994–2004 მუშაობდა საქართველოს სახელმწ. დაცვის სპეც. სამსახურში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 2004–10 იყო საქართველოს სახელმწ. დაცვის სპეც. სამსახურში უფროსის მოადგილე. ამჟამად თადარიგშია. არის სპორტის ოსტატი (კალათბურთი, 1980).

ლ. დოლიძე.

თურმანიძე რაულ სერგოს ძე (დ. 27. X. 1950, ზესტაფონი), ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1993), საქართვ. საინჟ. აკად. წევრი (1996). გამომგონებელი. 1972 დაამთავრა სპი-ის მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი, იქვე მუშაობდა მანქანათმშენებლობის ტექნოლ. კათედრაზე, 1996-იდან იყო ამავე კათედრის გამგე, ხოლო 1996–2004 – პროორექტორი სამეცნ. დარგში. 2011-იდან ხელმძღვანელობს მანქანათმშენებლობის ტექნოლ. მიმართულებას. მ-ის სამეცნ. კვლევის მიმართულებაა მიკროიარაღების ახ. კონსტრუქციების შექმნა, სალი შენადნობებისაგან პრეციზიული ბურღების, ფრეზებისა და სპეც. დანიშნულების მიკროიარაღების დამზადების ტექნოლ. პროცესები. დაამუშავა საჰაერო ხრახნების ახ. კონსტრუქციები, რ-იც საშუალებას იძლევა ექსპლუატაციის პროცესში შეიცვალოს ხრახნის გეომეტრია. ხელმძღვანელობდა ადამიანის მენჯ-ბარძაყის სახსრისათვის საჭირო იმპლანტანტების სფერული ზედაპირის მიღების პროექტს და ოპტიმალური წყვილების შერჩევის ახ. ტექნოლ. პროცესის დანერგვას. მიღებული აქვს 32 პატენტი და საავტორო მოწმობა. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი მ.შ. სამი მონოგრაფია, შვიდი სახელმძღვანელო. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003) და სხვ. სახელმწ. ჯილდოებით.

თხზ.: Воздушные винты изменяемой геометрии, Бухарест, 2003 (თანაავტ. Л. Дадоне); Эндопротезы суставов человека. Материалы и технологии, К., 2011 (თანაავტ.). *შ. ნემსაძე.*

თურმანიძე სულხან, გორის მოურავი XVI ს. დამლევს. ქართლის მეფის *სიმონ I-ის* თანამებრძოლი. 1599 მონაწილეობდა *გორის ციხის* თურქ დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

თურმანიძე ხოსრო, XVI ს. II ნახ. პოეტი, მთარგმნელი, ,,შაჰნამეს'' ქართული ვერსიების – ,,როსტომიანის'' ერთ-ერთი ავტორი. ქართლის მეფის სვიმონის (1558–99) დავალებით დაამთავრა ,,როსტომიანის'' ლექსითი ვერსიების ციკლი. თარგმნიდა უშუალოდ სპარსულიდან. ხელთ ჰქონდა ,,შაჰნამეს'' გვიანდელი ჩანართებიანი, ,,ბარზუნამეს'' შემცველი რედაქცია. მ-მ შეავსო სერაპიონ *საბა-შვილის* მიერ გადმოღებული ,,როსტომიანის'' პირველი ნაწილი (,,სპანდიერ ბარზუს ამბავი'' და ,,აქა ქაიხოსროსაგან ჯანის ხოშანი და ხელმწიფედ დალოცვა''). მ-ის თარგმანი საკმაოდ ზუსტია, თუმცა მხატვრულად შედარებით სუსტი (შდრ. მთარგმნელის არჩილ II-ისეული შეფასება – ,,დიდის საქმისა უცოდნი''...).

თარგმ. იხ.: შაჰნამეს ქართული ვერსიები, ტ. 2, ტფ., 1934.

ლიტ.: კობიძე დ., შაჰნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1959. *ა. გვახარია.*

თურმანიძე-აბზიანიძე ქეთევან ვლადიმერის ასული (21. V. 1898, ხაშური, – 20. XI. 1999, თბილისი), სახალხო მკურნალი, ,,აქიმ თურმა-

ნიძეთა'' მრავალსაუკუნოვანი გვარის სახელოვანი მემკვიდრე; კომპანია თურმანიძის დამფუძნებელი.

თურმანიძეთა საგვარეულო საიდუმლოებას ბიძამ, აღიარებულმა სახ. მკურნალმა – მალაქია თურმანიძემ (1860–1942) აზიარა: ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თურმანიძეთა საგვარეულო მალამოს რეცეპტი და დამზადების წესი ქალს გაანდეს.

1998 თ.-ა-ს 100 წლის იუბილეზე პირველს გადაეცა საზ-ბა ,,თეთრი მანდილის'' მიერ დაწესებული ჯილდო ,,თეთრი კამეა'', ხოლო იმავე წელს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ხალხ. მედ. განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

თურმანიძეები, ცნობილ სახალხო მკურნალთა საგვარეულოს წარმომადგენლები. მკურნალობენ მათ მიერ ტრადიციული რეცეპტით დამზადებული მალამოთი, რ-ის დამზადების წესს გადასცემენ თავიანთ მემკვიდრეებს (იხ. *თურმანიძის მალამო*).

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1812, კახეთის აჯანყების დროს, დაჭრილი პოეტის ა. ჭავჭავაძის სამკურნალოდ ქუთაისიდან მიიწვიეს თურმანიძე. არსებობს ცნობა იმის შესახებაც, რომ იტალ. სახ. გმირი ჯ. გარიბალდი ფეხის ამპუტაციას გადაარჩინა და განკურნა საქართველოდან იტალიაში საგანგებოდ მიწვეულმა ერთ-ერთმა თურმანიძემ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თ. რუს. არმიაშიც მსახურობდნენ ქირურგებად (მაგ., ბ. თურმანიძე). საბჭ. ხელისუფლებამ მკურნალობის ოფიც. ნებართვა მისცა თ-ის ზოგიერთ წარმომადგენელს, მათ შორის იმდროისათვის ცნობილ სახალხო მკურნალს მალაქია თურმანიძეს (1860–1942).

იხ. აგრეთვე სტ. *ხალხური მედიცინა*.

ლიტ.: თურმანიძე ნ., შენგელია რ., ქართული ეროვნული მედიცინა და თურმანიძეები, თბ., 1992; ჩაჩანიძე ვ., ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გარშემო, თბ., 1974; Никобадзе И. И., Татишвили И. Я., Курчишвили И. Б., Основные этапы развития медицины в Грузии, Тб., 1964. *მ. შენგელია.*

თურმანიძის მალამო, ტრადიციული რეცეპტით დამზადებული მალამო, რომლითაც თურმანიძეები მკურნალობენ ინფიცირებულ ჭრილობებს, კანის ზოგიერთ დაავადებას, დამწვრობას და სხვ. 1998 ქ. *თურმანიძე-აბზიანიძის* თაოსნობით დაფუძნდა მალამოს მწარმოებელი კომპანია ,,თურმანიძე''. ქარხნულად დამზადებული თ. მ. ხუთი სახისაა და გამოიყენება დამწვრობის (თერმული, ქიმიური, რადიაციული, მზის) სამკურნალოდ; ახასიათებს ანტიანთებითი, ანალგეზიური და ანტისეპტიკური თვისებები; იყენებენ ქირურგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, პედიატრიაში, პროქტოლოგიაში და სხვ.

თურნავა სერგო ერისტოს ძე (20. III. 1915, სოფ. ნათლისმცემლის უბანი, ახლანდ. აგარაკი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 14. II. 2001, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, ქართ.-ფრანგ. ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარი, მთარგმნელი. საფრანგეთის არტურ რემბოს კულტ. ცენტრისა და კანადის საზ-ბის ,,ეკრიტიურ ფრანსეზ დან ლე-მონდის'' წევრ-კორესპონდენტი (1981). დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი ფრანგული ენისა და ლიტ-რის განხრით (1940). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ცენტრ. ბ-კაში, 1966-იდან – რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტში; იკვლევდა უმთავრესად XIX ს. და აგრეთვე XX ს. ქართ.-ფრანგ. ლიტ. ურთიერთობათა საკითხებს.

თ-ს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი ნაშრომები: ,,ანდრე სტილი'' (1960), ,,XX საუკუნის ფრანგი მწერლები'' (1962), ,,თანამედროვე ფრანგული ლიტერატურა'' (1964), ,,რენე ლაფონი და საქართველო'' (1969), ,,ანდრე სტილის შემოქმედებითი გზა'' (1972), ,,ლიტერატურული ნარკვევები'' (1978), ,,საზღვარგარეთული ქართველოლოგია'' (1978), ,,ბედი ქართლისა'' (1991) და სხვ.; თარგმანები: გერმანულიდან – ირმა ფესტერტერმანის ,,მოგონებანი მამაჩემზე'' (1958), ფრანგულიდან – (ა. ჭუმბაძესთან ერთად) ,,მორის ტორეზი – ხალხის შვილი'' (1976).

თ. წლების განმავლობაში აქვეყნებდა სტატიებს როგორც ქართ., ისე უცხ. ჟურნალ-გაზეთებში ქართვ. მწერლებსა და მეცნიერებზე, კერძოდ, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, ი. აბაშიძის, ნ. დუმბაძის, გ. ციციშვილის და სხვათა შესახებ.

თხზ.: საბჭოთა ქართველოლოგიის მიღწევები დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ლიტერატურაში, თბ., 1939; არტურ რემბო და ქართული საზოგადოებრიობა, ჟურნ. «კონტაქტი», პარიზი, 1980, №1258; კოლაუ ნადირაძე – ქართველი პოეტი, იქვე, 1980, №1149; ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბ., 1999; XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1999.

თურქაშენი, თურქაშენი, სოფელი ისტ. არდაჰანის ოლქის გელის რ-ნში, კოლას ხევში (ამჟამად თურქეთის ტერიტ.). ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან შემონახულია ორი ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიები ნაშენია ნათალი ქვით. იქვეა ძვ., ქვისგან ნაგები, გეგმით მრგვალი კოშკის ნანგრევები, რ-საც ადგილ. მცხოვრებნი კოლას უწოდებდნენ.

ლიტ.: გივიაშვილი ი., კოპლატაძე ი., ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004; თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. ემიგრანტული ნაშრომები, თბ., 1991; ტაო-კლარჯეთი – ისტორიისა და კულტურის ძეგლები, კატალოგი, თბ., 2017.

თურქეთი (Türkiye), თურქეთის რესპუბლიკა (Türkiye Cumhüriyeti), სახელმწიფო დასავლეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.



თურქეთის გერბი.

თ-ს რესპუბლიკის დამყარებამდე (1923 წ. 29 ოქტომბრამდე) ოფიც. სახელწოდება – ოსმალეთი (იხ. *ოსმალეთის იმპერია და საქართველო*). ესაზღვრება აზერბაიჯანი, სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, ერაყი, ირანი, სირია. ფართ. 783,6 ათ. კმ². მოსახლეობა 78,7 მლნ. მცხ. (2015). სახელმწ. ენა – თურქული, დედაქალაქი – ანკარა. მორწმუნეთა უმრავლესობა მუსლიმანი-სუნიტები. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, საკანონმდებლო ორგანო – დიდი ეროვნული კრება (ორპალატიანი პარლამენტი), ფულის ერთეული – თურქ. ლირა.

თ. ნატოს წევრია 1952-იდან, ხოლო ევროპული კავშირის ასოცირებული წევრი – 1963-იდან.



თურქეთი. ანკარა. ქალაქის პანორამა.



თურქეთი. სტამბოლი.

1922 წ. 1 ნოემბერს ოსმალეთის სულთნის პოსტი იურიდიულად გაუქმდა. 1923 წ. 29 ოქტომბერს თ. რესპუბლიკად გამოცხადდა, რ-ის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს მუსტაფა ქემალი (1934-იდან – ათათურქი). 1924 წ. 3 მარტს გაუქმდა ხალიფატი. 1924 მიიღეს თ-ის რესპ. პირველი კონსტიტუცია. თ-ის ამჟამინდელი კონსტიტუცია მოქმედებს 1982-იდან, რ-ის 177 მუხლიდან 113 შეცვლილია.

2017 წ. 16 აპრილს გამართულმა საყოველთაო რეფერენდუმმა მხარი დაუჭირა მორიგ საკონსტიტუციო ცვლილებებს და საპარლამენტო პოლიტიკური სისტემის შეცვლას საპრეზიდენტო მმართველობით.

1918–21 ოსმალეთმა ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და თბილისმა და ანკარამ ელჩები გაცვალეს. გასაბჭოების შემდეგ კი საქართველო ვეღარ ატარებდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. მისი საზღვარი თ-თან დადგინდა საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თ-ის 1921 წ. 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით. მისი მუხლები გამეორდა 1921 წ. 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებაში, რ-საც გასაბჭოებული საქართველოც აწერდა ხელს. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ქართველი და სომეხი მეცნიერების მიერ გამოქვეყნდა სამეცნ. სტატიები, რებიც შეიცავდა ტერიტ. პრეტენზიებს თ-ის მიმართ. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას გარკვეული შორსმიმავალი მიზნები ჰქონდა, რაც შემდგომ არ განხორციელდა.



თურქეთი. ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991) თ. ერთ-ერთი პირველი სახელმწ. იყო, რ-მაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1992 წ. 21 მაისს ორ ქვეყანას შორის დამყარდა დიპლ. ურთიერთობა და მოხდა ელჩების გაცვლა.

1992 წ. 30 ივლისს თბილისში ჩამოვიდა თ-ის პრემიერ-მინისტრი ს. *დემირელი* და საქართველოსა და თ-ის რესპ-ებს შორის დაიდო ხელშეკრულება ,,მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილ-მეზობლური ურთიერთობის შესახებ‘‘; საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, როდესაც ქვეყანაში მძიმე ეკონ. ვითარება შეიქმნა, თ-ის მთავრობამ საქართველოს აღმოუჩინა ფინანსური და სხვა სახის დახმარება.

თ-ს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო ეკონ. და პოლიტ. კავშირურთიერთობა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი კასპიის ზღვის აუზის აზერბ. სექტორიდან თურქეთის მიმართულებით და საქართვ. სატრანზიტო პოტენციალის გამოყენებით მილსადენების გაყვანამ: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი (ორივე გაიხსნა 2006). 2017 ოფიციალურად გაიხსნა და ამოქმედდა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რ-იც სამხრეთ კავკასიასა და ცენტრ. აზიას ევროპასთან აკავშირებს.

გარდა 1988 გახსნილი სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტისა, 1995-იდან მოქმედებს სასაზღვრო გადასასვლელი ქ. ვალესთან, ხოლო 2014-იდან – სოფ. კარწახთან. თ. საქართველოს სტრატეგიული და უმთავრესი სავაჭრო-ეკონ. პარტნიორია. საქართველოსა და თ-ს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. 2017 სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 1589 მლნ. აშშ დოლარი. ამავე დროს არსებობს დიდი დისბალანსი ურთიერთვაჭრობაში: თ-ის ექსპორტი საქართველოში ხუთჯერ აღემატება იმპორტს საქართველოდან. ვითარდება თანამშრომლობა ეკონ., სამეცნ.-ტექ., სამხ. ურთიერთობათა, კულტ., განათლებისა და მეცნ. სფეროში. XXI ს. დასაწყისიდან ხდება ჩრდ.-აღმ. თ-ში მდებარე ქართული ისტორიული ძეგლების რესტავრაცია.

ლიტ.: კომახიძე ნ., მეზობელი კარისაო. საქართველო-თურქეთის ურთიერთობის თავისებური ახალი ეტაპი, თბ., 1994; სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და თურქეთს შორის, გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 1992 წ. 5/II.

რ. გაჩეჩილაძე.

თურძესტანიშვილი ბაადურ (ბორის), XVIII ს. I ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. მონაწილეობდა ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის გამართულ მოლაპარაკებაში. 1724 თავის ნათესავებთან ერთად რუსეთში გაჰყვა ვახტანგ VI-ს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: პაიჭაძე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თბ., 1960.

თურძესტანიშვილი გიორგი (ეგორ) ბაადურის (ბორისის) ძე (1730, სანქტ-პეტერბურგი, – 25. I. 1795, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1789). ბ. *თურქესტანიშვილის* ვაჟი. 1751-იდან სამხ. სამსახურში იყო. 1784-იდან პოლკოვნიკის ჩინით მუშაობდა სამხ. კოლეგიის ობერ-კონტროლიორად, 1785-იდან – გენ.-კონტროლიორად. ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის II–III ხარისხის ორდენებით, რ-ებიც მას პირადად გადასცა იმპერატორმა ეკატერინე II-მ.

სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა საკუთარ მამულში, იაროსლავლის გუბერნიაში. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ლიტ.: Джавахишвили Н., Грузины под Российским флагом, Тб., 2003.

მ. გოგიტიძე.

თურძესტანოვა (თურქესტანიშვილი) ვარია (ბარბალე) ილიას ასული (20. V. 1775 – 22. V. 1819, პეტერბურგი), რუსეთის საიმპერატორო კარის ფრეილინა, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ფავორიტი. ბ. *თურქესტანიშვილის* შვილიშვილი.

შემორჩენილია 1882–83 ჟურნ. ,,რუსსკი არხივში‘‘ დაბეჭდილი

თ-ს მიმოწერა შვეიცარიელ დიპლომატ ფ. ქრისტიანთან, რაც 6 წელიწადი გრძელდებოდა. თ-ს წერილები ეპისტოლური ჟანრის თვალსაჩინო ნიმუშია და იმდროინდელი საზ. ცხოვრების საინტერესო სურათს გვიხატავს. 1914 იმავე ჟურნალმა (1–2) დაბეჭდა თავადის ქალის ვ. ფ. შახოვსკაია-სტრეშნევას დოკუმენტური მონოგრაფია ,,თავადის ასული თურქესტანოვა – უზენაესი სამეფო კარის ფრეილინა''. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ნ. ღვინეფაძე.

თურქესტანოვი (თურქესტანიშვილი) ბორის პეტრეს ძე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცნობილი მოღვაწე, მიტროპოლიტი. იხ. *ტრიფონი.*

თურქია ბორის შალვას ძე (16. II. 1937, სოხუმი, – 19. XI. 2007, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1997). საქართვ. სა-ინჟინრო აკად. წ.-კორ. (1996). 1960 დაამთავრა თბილ. ტრანს-პორტის ინჟინერთა ინ-ტი გვირაბების მშენებლობის სპეციალობით. 1961-იდან მუშაობდა თბილ. საშენ მასალათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, თბილ. ჰიდროენერგეტიკის ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ხელმძღვანელობდა გვირაბების ლაბორატორიას. 1994-იდან იყო საშენ მასალათა კვლევით ინ-ტის დირექტორის მოადგილე. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას, იყო სპი-ის ხიდებისა და გვირაბების კათედრის პროფესორი.

თ-ს სამეცნ.-კვლ. მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ახ. ტიპის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების შექმნასა და მათ დამუშავებასთან, გვირაბების გაყვანის ორგანიზებასთან. გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო, მიღებული აქვს პატენტები გამოგონებებზე.

თხზ.: გვირაბების გაყვანის სამუშაოთა ორგანიზაცია, თბ., 1994; მოლიანი კვეთით საგვირაბო გამონამუშევრების დამუშავება ბურღვა-აფეთქების ხერხით, თბ., 1995.

თურქია რენო ვალერიანის ძე (11. VIII. 1926, სოხუმი, – 14.I.1979, თბილისი), ფერმწერი. საქართვ. დამს. მხატვარი (1976). 1956 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია, სადაც 1959-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1957-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. ნამუშევრები: ,,შოთა რუსთაველი და ჩახრუხაძე ბექა ოპიზარის სახელოსნოში'' (1956, თბილ. სამხატვრო აკადემიის მუზეუმი),



რ. თურქია. „თბილისი იზრდება“. 1976.

,,შემოდგომა'' (1957, მოსკ. სამხატვრო ფონდი), ,,სამშობლოდან მოშორებით'' (1977, ჭადრაკის სასახლე, თბილისი). მუშაობდა სხვადასხვა ჟანრში: ნატიურმორტები – ,,ქართული ჭურჭელი'', ,,შებოლილი თევზები'', ,,ცოცხალი'' (ყველა 1976), ,,მთვრალი ყანწები'' (1977) და სხვ.; პეიზაჟები – ,,შავი არაგვის ხეობა'' (1976), ,,თივის ზვინი'' (1977) და სხვ.; პორტრეტები – გ. მესხი (1966), გ. ტაბიძე (1967), მ. ლებანიძე (1972), ლ. ასათიანი (1976), ვაჟა-ფშაველა (1976), ვ. მაიაკოვსკი (1976, კერძო კუთვნილება), ნ. ფიროსმანაშვილი (1977) ი. ცურტაველი (1978) და სხვ.; თ-ს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თბილ. თემას: ,,ძველი თბილისის კუთხე'', ,,წვიმის შემდეგ'', ,,გოგირდის აბანო'' (ყველა 1976, კერძო კუთვნილება), პეიზაჟების სერია ,,თბილისის შემოგარენი'' (1978) და სხვ.

ლიტ.: Рено Туркиа. Живопись – Портрет. Пейзаж. Натюрморт, М., 1984 (ალბომი).

თურქისტანიშვილი დავით, XVII ს. II ნახევრისა და XVIII ს. დასაწყისის მწიგნობარი, პოლიტიკური მოღვაწე. გიორგი XI-მ თ. გაგზავნა მოსკოვში არჩილ II-თან. გზად დაღესტანში დაატყვევეს. ტყვეობაში შამხალმა დაიახლოვა და ერთხანს თავისთან დაიტოვა. საქართველოში დაბრუნებული თ. არჩილმა ყირიმის ხონთქართან გაგზავნა დახმარების საძიებლად, შემდეგ კი თან იახლა რუსეთში. 1799-იდან მოღვაწეობდა მოსკოვში, არჩილის კარზე, რ-იც ქართ. კულტ. კერად იქცა. შეადგინა არჩილის თხზულებათა კრებ. ,,არჩილიანი'' (რუს. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის სანქტ-პეტერბურგის ფილიალი, ხელნ. №22 და S–424).

წყარო: ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958. *გ. იმედაშვილი.*

თურქისტანიშვილი ერასტი (დ. წ. უცნობია, – 1735), მწიგნობარი. ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში 1724. მეფის დავალებით რუსულიდან ქართულად თარგმნა ,,აპოფთეგმატა'' (იხ. *აპოფთეგმა*), რ-ის ორი რედაქცია არსებობს – ვრცელი და მოკლე. თ-ის მიერ თარგმნილი მოკლე რედაქცია ვახტანგ VI-მ გალექსა და ,,სიბრძნე მალაღობელი'' უწოდა.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; ძოწენიძე ლ., რუსული ,,აპოფთეგმატას'' ქართული რედაქციები, თბ., 1959.

გ. იმედაშვილი.

თურქმანჩაის ზავი 1828, ზავი რუსეთსა და ირანს შორის. დაიდო 1828 წ. 10 (22) თებერვალს სოფ. თურქმანჩაიში (თავრიზის მახლობლად). ამ ზავით დასრულდა რუსეთ-ირანის 1826–28 ომი. რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოები (აღმ. სომხეთი). რუსეთს დარჩა უპირატესი უფლება კასპიის ზღვაზე ჰყოლოდა სამხ. ფლოტი. ირანს დაეკისრა 20 მლნ. მან. კონტრიბუცია. თ. ზ-მა განამტკიცა რუსეთის მდგომარეობა სამხრ. კავკასიაში და შეასუსტა ინგლისის პოზიციები ირანში. რუსეთს საშუალება მიეცა, გადაეჭრა საქართველოს ისტ. ტერიტორიის – ჭარ-ბელაქნის საკითხი (ჭარი ირანის საყრდენი იყო რუსების წინააღმდეგ ომში). 1830 რუს. ჯარმა ჭარ-ბელაქანი ბრძოლით აიღო და იქ რუს. მმართველობა შემოიღო (იხ. *საინგილო*). თ. ზ-ს მტრულად შეხვდნენ ირანის მმართველი წრეები. მათი ანტირუსული პროპაგანდის შედეგი იყო თეირანში რუს. მისიის დარბევა და ა. გრიბოედოვის მკვლელობა 1829 წ. 30 იანვარს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

თურქოლოგია, კომპლექსური ჰუმანიტარული მეცნიერება, რომელიც შეისწავლის თურქულენოვანი ხალხების ენას, ისტორიას, ლიტერატურას, ფოლკლორს, ეთნოგრაფიას, პალეოგრაფიას, დიპლომატიკას, ნუმიზმატიკას, ხელოვნებას და სხვ.

საქართველოში თ., როგორც დამოუკიდებელი მეცნ. დისციპლინა, ჩამოყალიბდა თსუ-ის დაარსების შემდეგ (1918), თუმცა დ. *ბაქრაძის* თურქოლოგიური ნაშრომები დღემდე ინარჩუნებს აქტუალურ მეცნ. ღირებულებას. საქართველოში თ-ის ფუძემდებე-

ლია ს. ჯიქია, რ-მაც 1936 თსუ-ში შემოიღო თურქ. ენის სისტემ. კურსი, პარალელურად ინდივიდუალურად ეწეოდა სამეცნ.-კვლ. საქმიანობას აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინ-ტში (ენიმკი). თსუ-ში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის (1945) და საქართვ. მეცნ. აკადემიასთან აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის გახსნამ (1960) არსებითი როლი შეასრულა, ზოგადად, აღმოსავლეთმცოდნეობისა და, კერძოდ, თ-ის განვითარების საქმეში. თურქოლოგიური კვლევა გაიშალა საქართვ. მეცნ. აკად. სხვადასხვა ინ-ტებსა და მუზეუმებში (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინ-ტი, ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი, შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატურის ინ-ტი, ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწ. უნ-ტის სამეცნ.-კვლ. ცენტრი). თსუ-ის გარდა, 1991-იდან თურქოლოგიურ განათლებას იღებენ ახალგაზრდები ილიას სახელმწ. უნ-ტში, ა. წერეთლის სახ. სახელმწ. უნ-ტში (ქუთაისი), ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტში და სამცხე-ჯავახეთის სახელმწ. უნ-ტში. საქართველოში თურქოლოგიური კვლევის მიმართულებანი განისაზღვრა შემდეგი რიგით:

1. ენობრივი კონტაქტები – თურქული ლექსიკა ქართულში და ქართული – თურქულში, აზერბაიჯანულსა და ჩრდ. კავკასიის თურქულენოვან ხალხთა მეტყველებაში (ს. ჯიქია, ც. *აბულაძე*, მ. ბელთაძე, შ. გაბესკირია, ე. გუდიაშვილი, ნ. გურგენიძე, გ. თუმშალიშვილი, მ. კემულარია, ქ. ლორთქიფანიძე, ლ. რუხაძე, ე. სარიშვილი, ი. შერვაშიძე, ვ. ჯანგიძე, მ. *ჯიქია*). ესაა ისტ. და თანამედროვე ლექსიკა, სოც.-ეკონ. ტერმინოლოგია, ონომასტიკა [ს. ჯიქია, ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი'', წგ. 3 (1958); ნ. გურგენიძე, ,,აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში'' (1973); მ. ჯიქია, ,,თურქიზმები ქართულ ანთროპონიმიაში'' (2008)]. თურქ.-ლაზური ენობრივი კონტაქტების ს. ჯიქიას მიერ დაწყებულ თემატიკის კვლევას აგრძელებს ლ. თანდილავა.

2. დიალექტოლოგია – საქართველოში მცხოვრებ თურქულენოვან ხალხთა მეტყველება (ს. ჯიქია, ე. გუდიაშვილი, ნ. გურგენიძე, გ. თუშმალიშვილი, გ. ქამუშაძე, ნ. ჯანაშია, ვ. ჯანგიძე).

3. თურქულ ენათა ისტორია – რუნული წარწერები, ქართ. ანბანის ნიშნებით ტრანსლიტერირებული XVIII ს. თურქ. ტექსტები (ს. ჯიქია, ც. აბულაძე, მ. ბელთაძე, ი. შერვაშიძე, ვ. ჯანგიძე).

XX ს. 60-იანი წლებიდან ლინგვისტიკაში კვლევის ახ. მეთოდის დამკვიდრებას მოჰყვა თურქ., აზერბ. და უზბეკური ენების სტრუქტურის, ფონეტიკისა და ფონოლოგიის, სიტყვის რანგობრივი სტრუქტურის, სინტაქსური ვალენტობისა და სემანტიკური ველების კვლევა [ნ. ჯანაშია, ,,თურქული ზმნის მორფოლოგია'', 1981 (რუს. ენაზე); მ. ჯიქია, ,,თურქული ენის სიტყვაფორმათა სტრუქტურა'', 1984 (რუს. ენაზე); ნ. ნ. ჯანაშია, ,,მყოფადობის'' და ,,მქონებლობის'' გამოხატვის სემანტიკა თურქ. ენაში (2000); ა. *ცალქალამანიძის*, თ. აფხაზავას, ე. ბჟალავას, ნ. სეხნიაშვილის და სხვათა სტატიები].

თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე ენის რეფორმების პროცესი და შედეგები შეისწავლა გ. ანთელავამ. მანვე გამოსცა ,,ახალი'' სიტყვების მოკლე თურქულ-რუსული ლექსიკონი (1979); თურქულ-რუსული ლექსიკონი (ნეოლოგიზმები, 1986). ყურადღება მახვილდება თურქ. ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხებზე. იუნუს ემრეს ნაწარმოებთა ლექსიკა გამოიკვლია შ. გაბესკირიამ, მონოგრაფია დაიბეჭდა 1983 (რუს. ენაზე). შედგენილია თურქულ-ქართული, აზერბაიჯანულ-ქართული და ქართულ-აზერბაიჯანული მოკლე ლექსიკონები (ს. ჯიქია, ვ. ჯანგიძე); ლ. ჩლაიძის რედაქციით გამოიცა თურქულ-ქართული ლექსიკონი ორ ტომად (2001); ე. მამულიას მიერ შედგენილი თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი (2006); ქართულ-თურქული (2010) და თურქულ-ქართული (2015) ლექსიკონები შეადგინა და გამოსცა ე. კვანტალიანმა.

თურქოლოგები (თ. ალფენიძე, ც. ახალაძე, ი. გოცირიძე, ლ. ერაძე, ნ. კლდიაშვილი, შ. კოპალიანი, ქ. ტომარაძე, გ. *შაყულაშვილი*, მ. შონია, მ. წიკლაური, ე. ბ. ჯაველიძე და ე. *ჯაველიძე*) იკვლევენ და ადგენენ თურქ., აზერბ. და უზბეკეთის კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების მსოფლმხედველობის პრობლემატურ საკითხებს, ნაწარმოებთა მხატვრულ ღირსებასა და ჟანრულ თავისებურებებს, სუფიზმის არსს, სიმბოლიზმს, სატირასა და იუმორს, აშულურ პოეზიას, ურბანისტულ ლიტერატურას, ლექსის სტრუქტურას, საერთოდ პოეტიკის საკითხებს [გ. შაყულაშვილი, საიათნოვას აზერბ. ლექსები (1970); ეტიუდები ძვ. თბილისის პოეზიიდან (იეთიმ გურჯი, 2009); ე. ჯაველიძე, „რუჯი ბაღდადი“ (1968), „ფუზული“ (1972); თურქული ლიტერატურის სათავეებთან: 1. „ჯელალ-ედ-დინ რუმი“ (1979, რუს. ენაზე), 2. „იუნუს ემრე“ (1985, რუს. ენაზე); თურქ. პოეტიკა (1988); „ფუთუვეთი – სულიერი ნიადაგი ძმობა“ (2010); ე. ბ. ჯაველიძე, თურქული სიმბოლიზმის გაგებისათვის, აჰმედ ჰაშიმი (2006)].

თურქოლოგები (ი. გოცირიძე, ე. გუდიაშვილი, გ. შაყულაშვილი, ლ. ჩლაიძე) თარგმნიან და იკვლევენ თურქულენოვან ხალხთა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, მითოლ. და ფოლკლორულ ძეგლებს. ლ. ჩლაიძემ 1974 გამოაქვეყნა ოღუზნამეს ქართ. თარგმანი, შესავლითა და კომენტარებით, ქოროღლის ეპოსის ქართ. ვერსია (თბ., 1978 და ერზურუმი, 1994), კავკასიის არა მხოლოდ თურქულენოვანი ხალხის ფოლკლორი ,,კავკასიური ფოლკლორი'' (2006), ,,კავკასიის ხალხთა ფოლკლორი'', კრებული (2008). გ. შაყულაშვილმა და ე. ჯაველიძემ თარგმნეს ,,დედე ქორქუთის წიგნი'' და გამოსცეს კომენტარებით (1987). თურქოლოგები (თ. ალფენიძე, ც. ახალაძე, გ. ბათიაშვილი, ი. გოცირიძე, ე. გუდიაშვილი, ლ. ერაძე, ვ. კეკელიძე, ქ. ტომარაძე, გ. შაყულაშვილი, ლ. ჩლაიძე, ნ. ნ. და ნ. ჯანაშიები, ა. ჯანელიძე) პარალელურად წარმატებით ეწევიან მთარგმნელობით საქმიანობას. მათ თარგმნეს და გამოაქვეყნეს თურქი და აზერბაიჯანელი მწერლების მრავალი პოეტური თუ პროზაული თხზულება.

ს. ჯიქიამ, თ. აფხაზავამ, ე. ბჟალავამ, ნ. გოგიაშვილმა, ი. გოცირიძემ, ნ. გურგენიძემ, ე. კვანტალიანმა, ე. სარიშვილმა და ვ. ჯანგიძემ უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისათვის შეადგინეს სახელმძღვანელოები და ქრესტომათიები.

აღწერილია საქართვ. სიძველეთსაცავებში შენახული თურქულენოვანი ხელნაწერები და საბუთები,

შედგენილია კატალოგები (ს. ჯიქია, ც. აბულაძე, მ. ილურიძე), მასალა შესულია სამეცნ. მიმოქცევაში (ს. ჯიქია, ც. აბულაძე).

თურქეთისა და თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტ. საკითხები სამი მიმართულებით მუშავდება: 1. საქართველოს ისტორიის ოსმ. წერილობითი წყაროები (ოსმ. საისტორიო წყაროების ტექსტი, თარგმანითა და კომენტარებით), 2. თურქეთ-საქართველოს ისტ. ურთიერთობა და 3. თურქეთის ისტორია.

1. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' გამოცემით [წგ. 1, თურქ. ტექსტი (1947), წგ. 2, ქართ. თარგმ. (1941) და წგ. 3, გამოკვლევა (1958)] ს. ჯიქიამ სათავე დაუდო ,,დევთეროლოგიას'', მ-ის ახალ მიმართულებას საერთაშ. მასშტაბით. ს. ჯიქიას აქტ. თანამშრომლობით, გამოიცა არაერთი ოსმ. ნარატიული და დოკუმენტური წყარო. ნ. *შენგელია* რეგულარულად აქვეყნებს სოფიისა და სტამბოლის არქივებში მოძიებულ ოსმ. სიგელებს, ,,იჯმალ'' და ,,თაჰრირ'' დავთრებს (,,ნოდარ შენგელია 75'', 2008), ,,ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი'', გამოსცეს ც. აბულაძემ, მ. *სვანიძემ* (1979), 2011 გამოვიდა აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები (ზ. შამიკაძე).

გამოცემულია XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიის ოსმ. დოკუმენტები (ც. აბულაძე, 1983), გურჯი-ზადეს 1723 წ. ,,თბილისის დაპყრობის წიგნი'' (ც. აბულაძე, 1975), ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას კავკასიაში ლაშქრობის ამსახველი აბუბექრ ბინ აბდულაჰის ,,გამარჯვებათა წიგნი'' (მ. ილურიძე, 2006). საარქივო მასალების პუბლიკაციის პარალელურად ყურადღება მახვილდება დაბეჭდილი ოსმ. ტექსტების თარგმანსა და კომენტირებაზე. ევლია ჩელების, იბრაჰიმ ფეჩევის, მუსტაფა სელიანიქის, მუსტაფა ნაიმას, სოლაქ-ზადეს, მუნეჯიმბაშის, ჩელები-ზადეს, ქათიბ ჩელების, აჰმედ ვასიფის, მეჰმედ რეშიდის და სხვა ოსმალო მემატიანეთა შრომებში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ გამოაქვეყნეს ს. ჯიქიამ, გ. *ალასანიამ*, გ. ანჩაბაძემ, გ. ფუთურიძემ, ნ. შენგელიამ, ვ. *ჩოჩიევმა*, ე. ჯაველიძემ.

2. თურქეთ-საქართველოს ისტ. ურთიერთობათა კვლევა, თავის მხრივ, ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ოსმალეთის მიერ სამხრ.-დას. საქართველოს დაპყრობა, ახალციხის საფაშოს დაარსება და მისი სოც.-ეკონ. მდგომარეობა (ა. ავალიანი, გ. ანჩაბაძე, ხ. *ახვლედიანი*, ვ. *გაბაშვილი*, შ. *ლომსაძე*, მ. სვანიძე, გ. *ტივაძე*, ვ. ჩოჩიევი), ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო (ვ. *გაბაშვილი*, ო. *გიგინეიშვილი*, მ. მახარაძე, მ. სვანიძე, რ. შარუმაშვილი, ვ. ჩოჩიევი).

3. საქართველოში თურქეთის ისტ. შესწავლა ფაქტობრივად XX ს. 50-იანი წლებიდან იწყება. ესაა თურქეთის პოლიტ. და სოც.-ეკონ. საკითხები, შუა საუკუნეების ხანის დაპყრობითი ომები, სამხ.-ლენური სისტემა, მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის წესები, საგადასახადო სისტემა, სოც. მოძრაობები (მ. სვანიძე, გ. ფუთურიძე, ნ. შენგელია); თურქეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ისტორია, ვაჭრობა, ხელოსნობა (ვ. გაბაშვილი, დ. გუდიაშვილი); ოსმ. იმპერიის ადმ. სისტემა, პროვინციების მმართველობა (მ. სვანიძე); XVIII ს. დასასრულის თურქეთის ურთიერთობა რუსეთთან, ირანთან და საფრანგეთთან, კავკასიის საკითხი (ო. გიგინეიშვილი, მ. სვანიძე); XIX–XX სს. თურქ. საზ-ბის იდეოლოგიის, საგარეო პოლიტიკის, ახალგაზრდა თურქთა კავშირებისა და ა. შ. საკითხები (ო. გიგინეიშვილი, ,,თურქიზმი და თურქეთის საგარეო პოლიტიკა'', 1963).

თურქ. უახლესი ისტ. საკითხებზე მუშაობდნენ და მუშაობენ გ. ანთელავა, ზ. ბატიაშვილი, წ. ბაწაში, რ. გაჩეჩილაძე, ნ. დანგაძე, ნ. კომახიძე, ე. მაკარიძე, ე. მაჩიტიძე, მ. სვანიძე, გ. სორდია, რ. ყავრელიშვილი. ,,თურქეთის ბიბლიოგრაფია'' (ისტორია) გამოიცა ორჯერ (1971 და 2006) – შემდგენელი ნ. ბოსტაშვილი.

ლიტ.: აბულაძე ც., რაზე მუშაობენ ქართველი თურქოლოგები, ჟურნ. «ფიროსმანი», №7, სტამბოლი, 2009 (ქართულ და თურქულ ენებზე); XVI–XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, ნ. შენგელიას გამოც., თბ., 1987; სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია, თბ., 1999; წერეთელი გ., ჯიქია ს., აღმოსავლეთმცოდნეობა საქართველოში, «თსუ შრომები», ტ. 73. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, I, თბ., 1959; ჯიქია ს., თურქული ენებისა და ლიტერატურის შესწავლის მდგომარეობა საქართველოში, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, №1; Джанашия Н. Н., Сванидзе М. Х., Тюркология в Грузии. Проблемы современной тюркологии, Алма-Ата, 1980; Сванидзе М. Х., Изучение в Грузии истории Турции за 30 лет (1945–1975), Тюркологический сборник. 1976, Л., 1978; Abuladze Ts., Gürcistan'daki Türkoloji Çalişmaları, «Türk Dili», №630, Ankara, 2004.

ც. აბულაძე.

თურქულენოვანი ხალხები, თურქულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები. ო. ხ. ცხოვრობენ 12 მლნ. კვ. *კმ*-ზე ჩრდილო ყინულოვანი ოკეანიდან ინდოეთამდე და ატლანტის ოკეანის სანაპიროდან ჩინეთის დიდ კედლამდე, კერძოდ კი შუა აზიაში (უზბეკები, ყაზახები, თურქმენები, ყირგიზები), სამხრ.-აღმ. აზიასა და ციმბირში (ალთაელები, იაკუტები, შორები, ხაკასები, დოლგანები, თუვები), ვოლგა-კამის აუზში (ბაშკირები, ჩუვაშები), ჩრდ. კავკასიაში (ბალყარები, ყარაჩაელები, ყუმუხები, ნოღაელები), ირანში (აზერბაიჯანელები, ავშარები, ყაჯარები, ყაშყაელები, ჰალაჯები), ამიერკავკასიაში (აზერბაიჯანელები, ყარაფაფახები, ურუმები), შავი ზღვისა (ყირიმის თათრები) და კასპიის ზღვისპირეთში (ყარაყალფახები), მცირე აზიაში (თურქები). თურქული წარმომავლობის მცირერიცხოვანი ერები მოსახლეობენ უკრაინაში (თათრები, ყარაიმები), ლიტვაში (თათრები, ყარაიმები), პოლონეთში (ყარაიმები), მოლდავეთში (გაგაუზები), მაკედონიაში, ბულგარეთსა და რუმინეთში (თურქები), ჩინეთში (სალარები და ე. წ. ყვითელი უიღურები), მონღოლეთში (უიღურები), ავღანეთში (თურქმენები). ცალკეული თურქული ერის ფორმირებას უძღოდა მრავალრიცხოვანი მიგრაციები. ცენტრ. აზიიდან V–VI სს-ში შუა აზიისკენ დაიძრნენ ოღუზები. X–XII სს-ში ძველ უიღურთა და ოღუზთა მიგრაციის დიაპაზონი გაფართოვდა აღმ. თურქმენეთისა და მცირე აზიისკენ. ამავდროულად თუვების წინაპართა კონსოლიდაცია ხდებოდა ხაკასებსა და ალთაელებთან. მეორე ათასწლეულის დასაწყისშივე ენისეის ნაპირებიდან ყირგიზი ტომები გადმოსახლდნენ დღევანდელი ყირგიზეთის ტერიტორიაზე. XV ს-ში გაერთიანდნენ ყაზახთა ტომები.

ქართველებთან თურქული მოდგმის ხალხებს ურთიერთობა V ს-იდან უნდა ჰქონდეთ. თურქული მოდგმა პირველად იხსენიება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“: ვარსქენი მიდის „ჰონთა ზედა საბრძოლველად“. ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალი ცდილობდა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა ჩრდ. კავკასიაში მომთაბარე თურქული წარმომავლობის ჰუნთა ურდოები.

ადრეულ საუკუნეებში ხაზართა და ქართველთა მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომ ხაზარული იყო ერთი იმ ექვს ენათაგანი, რ-იც „იზრახებოდა ქართლსა შინა“. ცნობილია საქართველოს სამეფოს ურთიერთობა ანატოლიაში ჩამოყალიბებულ სელჩუკთა პირველ თურქულ სახელმწიფოსთან. თურქ-სელჩუკთა მმართველი თუღრულ-ბეგი ლიპარიტ ბაღვაშთან ურთიერთობდა, ხოლო ალფ-არსლანმა ბაგრატის მეფობისას რამდენჯერმე დალაშქრა საქართველო. დავით აღმაშენებლის მიერ 1118 წ. ჩამოსახლებული „ყივჩაღთა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს“. თამარის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ქართლში მცხოვრებ ყივჩაღთა ცოცხალი მეტყველების მაგალითებიც კია ფიქსირებული. მემატიანის ცნობით, „*დიდი თურქობის*“ დროს გეგონებოდა, რომ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა“ ქართლში იყო ჩამოსახლებული. ობიექტური ისტ. პირობების გამო *თურქ-სელჩუკთა* სამხედრო აქტივობა იზღუდება, ხოლო ფეოდალური საქართველო პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. მთელი რიგი ომების შემდეგ საქართველოზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ თურქული სასულთნოები არა მხოლოდ აღმ. ამიერკავკასიაში, არამედ, ირანის აზერბაიჯანშიც; მათ წარმომადგენლებს იღებდნენ ქართველთა სამეფო კარზე „პატივითა“ და „ზარით“, იყო ხმა „მგოსანთა და მოშაირეთა“, „ეწყობოდა დარბაზობა“, „ნადირობა და ბურთაობა“. წყაროების ანალიზიდან გამომდინარე, ურთიერთობა ძველ თურქულენოვან სამყაროსთან მხოლოდ ომებით არ განისაზღვრებოდა და კულტ.-ეკონ. სფეროსაც მოიცავდა. თავიანთი კვალი, რა თქმა უნდა, მონღოლებმაც დატოვეს. მათი შემოსევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგთაგანი იყო სწორედ თურქული ელემენტების გაზრდა-გაძლიერება ახლო აღმოსავლეთში.

საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში XV ს-იდან იწყება იმ მომთაბარე თურქმენული ტომების, ელების (თურქ. el–ტომი, ხალხი) ჩამოსახლება, რ-თა შთამომავლებიც არიან დღევანდელი ყარაფაფახ-თარაქამები, ანუ დღეს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა დიდი უმრავლესობა. თურქმანული ტომების საქართველოში ჩამოსახლება და დამკვიდრება მე-17 ს-მდე ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, მე-17 ს-იდან კი სეფიანთა დინასტიის შაჰების მიზანმიმართულ პოლიტიკად იქცა. შაჰ აბას I-მა მრავალრიცხოვან მასებად ჩაასახლა ელის ხალხი კახეთში. ქართლის ტერიტორიაზე XV–XVIII სს-ში არსებობდა ელების რამდენიმე სახანო და სასულთნო – შამშადილოს, ყაზახის და ბორჩალოს; შემდგომში ეს სახანოები გაერთიანდა ყაზახ-შამშადილოს სახანოდ. მე-18 ს-ში ელის მოსახლეობა ადგილობრივ ფეოდალურ ურთიერთობათა გარემოცვაში მოექცა, შემუშავდა „ელის დებულება“, რ-იც შევიდა დასტურლამალში. ქვემო ქართლის მოსახლეობისაგან დაცლილ, გაუკაცრიელებულ მიწებზე ერეკლე II-მ ჩაასახლა სპარსელებისგან შევიწროებული 250 თურქმანული ოჯახი. ადრიანოპოლის ზავის თანახმად, რუსეთის იმპერიის გენერლის პასკევიჩის მიერ აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, ნიკოლოზ I-მა აღმ. ანატოლიის ვილაიეთებში მცხოვრებ თურქულენოვან ბერძნებს – ურუმებს – 1830 წლისათვის წალკის მიდამოებში დასახლების უფლება მისცა. საქართველოში თურქულენოვანი ხალხები ამ ორი ერთეულითაა წარმოდგენილი.

ლიტ.: ალასანია გ., ქართველები და ისლამამდელი თურქები, თბ., 2008; სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბ., 2007; შენგელია ნ., მცირეაზიელი სელჩუკები და საქართველო (XI საუკუნის ბოლო მეოთხედი – XIII საუკუნე), თბ., 2003; Корелов И. А., Иноязычные греки (урумы) на территории Грузии (историко-этнографический очерк), «Известия АН Грузинской республики (Моамбе)», 1989, №2.

მ. ჯიქია.

თურქული ენები, მონღოლურსა და თუნგუსურ-მანჯურულ ენებთან ერთად მიეკუთვნება ალთაურ ენათა მაკროოჯახს, რაც, ტიპოლოგიური მსგავსების გარდა, მათ ნათესაობასაც ითვალისწინებს. ენათა ამ გაერთიანებაში შეაქვთ. წინარე თურქულიდან მომდინარეობს 2 შტო: საერთო თურქული და ბულგარული; ბულგარულისაა ჩუვაშური, აწ მკვდარი ვოლგა-დუნაისპირეთის ბულგარული და ხაზარული. საერთო თურქულისაა: I. დასავლური (ყივჩაღური) ჯგუფის ენები: 1. ა) ყარაიმული, ყუმუხური, ყარაჩაულ-ბალყარული, ნოღაური, ყირიმის თათრული, ყარაყალფახური, ყაზახური; ბ) ბაშკირული, თათრული (ყაზანის); 2. ყირგიზული; II. სამხრეთული (ოღუზური) ჯგუფის ენებია: თურქული, აზერბაიჯანული, თურქმენული, გაგაუზური; III. აღმოსავლური (უიღურული) ჯგუფის ენები: უიღურული, სალარული, სარი-იულურული, უზბეკური; IV. ჩრდილოური (ციმბირული) ჯგუფის ენები: 1. ა) ალთაური; ბ) თუვიური, ყარაგასული; გ) ხაკასური, კამასიური, შორული, დოლგანური, ჩულიმურ-თურქული; 2. იაკუტური. ძველი, საშუალო და ახალი თურქული ენობრივი პერიოდები წარმოდგენილია, ორხონულ-ენისეური (რუნული), უიღურული, მანიქეური, ბრაჰმი, არაბული, ნესტორიანული, სლავური (კირილიცა) და ლათინური დამწერლობის ძეგლებით. ამათგან ორხონულ-ენისეური და ძველი უიღურული დამწერლობა საკუთრივ თურქული წარმომავლობისაა, თურქული ენებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა ჰარმონია; ტიპოლოგიური მოდელი აგლუტინაციურია. გრამატიკული მნიშვნელობები გადმოიცემა აფიქსაციით, რედუპლიკაციით, თხზვით, დამხმარე სიტყვებით, სიტყვათა წყობით, ინტონაციით და სხვ. თურქულ ენებს სქესის გრამატიკული კატეგორია არ გააჩნიათ; ყველა ენაშია კუთვნილების კატეგორია; წინადადება ნომინატიური წყობისაა, მსაზღვრელი პრეპოზიციულია საზღვრულისადმი. ჭარბადაა არაბულიდან, სპარსულიდან და მეზობელ ხალხთა ენებიდან ნასესხები სიტყვები. ძირითადი ლექსიკური ფონდი, ანდაზები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი თურქულ ენებში საერთოა. 220 მილიონი ადამიანი ერთნაირად ითვლის: bir, iki, üc, dört/ tört, beş, alti, yedi/yeddi/ceti, sekiz, dokuz/ tokuz, on... თურქული ენის პირველი ლექსიკონი (9000 სიტყვა) და გრამატიკის სახელმძღვანელო «Divanu Lugati't – Türk» 1072 წელს მაჰმუდ კაშგარელმა შეადგინა. თურქული ენები ორი ტიპისაა: ლიტერატურული და ხალხურ-დიალექტური. ლიტერატურული ენები ორი სხვადასხვაობითაა წარმოდგენილი: გავრცელების დიდი არეალებისა და ხანგრძლივი მოქმედების მქონეა ორხონისა და ენისეის წარწერათა ენა და ძველი უიღურული სალიტ. ენა, სოღდიურ ანბანზე აღმოცენებული მანიქეური დამწერლობითა და ბრაჰმი შრიფტით. ყარახანთა მუსლიმურ სახელმწიფოში (ცენტრით – კაშგარი) XI–XII სს-ში ჩამოყალიბდა ყარახანული სალიტერატურო ენა. XIII–XIV სს-ში სირდარიის ქვემო წელში და ნაწილობრივ ოქროს ურდოს ტერიტორიაზე აღმოცენდა

ხორეზმული ლიტერატურული ენა, რ-შიც ბევრია ყივჩაღური წარმომავლობის ლექსიკა, ყველაზე მნიშვნელოვანი შუასაუკუნეების თურქული სალიტერატურო ენების განვითარების ისტორიაში ჩაღათაური ენის პერიოდი იყო... – და მცირე გეოგრაფიული და დროითი მასშტაბის მქონე ენები, რ-თაც საერთო ტრადიცია არ გააჩნიათ, მაგ., არაბული გრაფიკის მქონე სელჯუკურ ძეგლთა ენა, XIII–XIV სს. ეგვიპტისა და სირიის ყივჩაღური ძეგლები – მათ მამელუკურსაც უწოდებენ. ამავე პერიოდისაა ვოლგისპირეთის ეპიტაფიათა ენა. ლიტერატურულ ენათა გვერდით მოსახსენებელია ლათინური ანბანით ჩაწერილი Codex Cumanieus-ი, 1294 იტალიელი და გერმანელი ბერების მიერ შედგენილი ლათინურ-სპარსულ-ყივჩაღური ლექსიკონი, ახალი აღთქმის ნაწყვეტები, ლოცვათა თარგმანი და 50 გამოცანა. საუკუნეთა მიღმა დიალექტები სამწერლობო და ოფიციალურ ენებად იქცნენ. ეს ენებია: აზერბაიჯანული, ალთაური, ბალყარული, ბაშკირული, გაგაუზური, დოლგანური, თათრული, თუვიური, თურქმენული, თურქული, იაკუტური, უზბეკური, უიღურული, ურუმული, ყაზახური, ყარაგასული, ყარაიმული, ყარაყალფახური, ყარაჩაული, ყირგიზული, ყუმუხური, შორული, ჩუვაშური, ხაკასური და სხვ. ეს ენები მსგავსი ჟღერადობის სიტყვებს შეიცავენ. ეთნიკური თურქები საკუთარ ლექსიკურ ფონდში არსებული ძირითადი სიტყვების მეშვეობით ერთმანეთთან კომუნიკაციას თავისუფლად ამყარებენ.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს ურთიერთობას თურქულენოვან სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ომებს მშვიდობიანი პერიოდი მოჰყვებოდა, იცვლებოდა კულტურულ-შემეცნებითი ინფორმაცია, რაც ილექებოდა ენობრივ ქსოვილზე და ამდიდრებდა ლექსიკას. ქართველურ სინამდვილეში დადასტურებული თურქული წარმომავლობის ლექსემათა ერთობლიობა – იქნება ეს დიალექტები თუ ქართული სალიტ. ენა კონკრეტულ ისტორიულ ჭრილში, მხოლოდ გვარის ფუძეს შემორჩენილი თუ საუკუნეთა განმავლობაში დესემანტიზებული პირის სახელი, მეთევზეობასა თუ მომთაბარე მეცხოველეობასთან დაკავშირებული ტერმინები, პროფესიათა სახელდება, კერძების სახელწოდებები, ზოოფორული სახელები თუ ფიტონიმები და სხვ. – გულისხმობს არა მხოლოდ ანატოლიელ თურქებთან, აზერბაიჯანელებთან, ყუმუხებთან, ნოღაელებთან, ყარაჩაელებსა და ბალყარებთან, არამედ გადაშენებულ ჰუნებთან თუ პაჭანიკებთან, ხაზარებსა და ყივჩაღებთან სხვადასხვა სახის კონტაქტების შედეგად დამკვიდრებულ სიტყვებს. ესენია: აზმანი, ათაბაბა, ათაბაგი და სხვ., ხოლო ანატოლიური თურქულის ჩრდილო-აღმოსავლურსა და აზერბაიჯანულის დიალექტებში ქართულიდან შესულია შემდეგი ლექსემები: აბლაბუდა, ალაგი, ანწლი, არეული, ასკილი, აჭრილი, ახო, ბალბა და სხვ.

ქართველურ ანთროპონიმიაში მოკვლეულია 400-ზე მეტი თურქული წარმომავლობის ერთეული: ათაბეგა, ალთუნა, აფაქ, ბეგა, ბედუკა, და სხვ. თურქიზმების ადაპტაცია საკუთარ სახელებში ხდება მაანთროპონიმებელი -ა სუფიქსით, ხოლო თურქული ლექსემის შემცველ გვართა ფუძეებს ერთვის – -შვილი, -ძე, -ია, -იანი, -ური და სხვ. საგვაროვნო ფორმანტები: ქუჩუკა <თურქ. küçük ‘პატარა’ – ქუჩუკაშვილი, შიშმანა <şişman ‘მსუქანი’ – შიშმანაძე, დემურ <თურქ. demür ‘რკინა’ – დემურია, გელბახ <თურქ. gel bak ‘მოდი ნახე’ – გელბახიანი, ბუჩუკ <თურქ. buçuk ‘ნახევარი’ – ბუჩუკური და სხვ. დღეს ქართველთა ონიმიას გვარებში სამუდამოდ დამკვიდრებული თურქული ლექსემების გვერდით პირის სახელთაგან მხოლოდ ასლანი, ელგუჯა, თემური, თენგიზი, ყაფლანი და ხათუნა შერჩა.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ც., სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., 1965; გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი ე., ზოგიერთი ქართველური ლექსიკური ელემენტის შესახებ თურქულ დიალექტებში, «თსუ შრომები», 1967, ტ. 7; გ უ რ გ ე ნ ი ძ ე ნ., თურქული ნასესხობები აჭარულსა და გურულ დიალექტებში, «მაცნე». ენისა და ლიტ. სერია, 1968, №4; მ ი ს ი ვ ე, დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 2016; თ უ შ მ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., თურქიზმები იადიგარ დაუდსა და სააქიმო წიგნში, თბ., 1999; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ქ., თურქიზმები კლასიკური პერიოდის ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, «მაცნე», ენისა და ლიტ. სერია, 1993, №3; რ უ ხ ა ძ ე ლ., თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში, თბ., 2013; შ ა ყ უ ლ ა შ ვ ი ლ ი გ., ეტიუდები ძველი თბილისის ლექსიკიდან, თბ., 2006; ჯ ა ნ გ ი ძ ე გ., ქართული ნასესხობები აზერბაიჯანულ ენაში, «თსუ შრომები». აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, ტ. 118, 1967; მ ი ს ი ვ ე, თურქული ლექსიკა იოანე ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში, «მაცნე». ენისა და ლიტ. სერია, 1986, №4; მ ი ს ი ვ ე, ქართული ლექსიკა თურქული ენის დიალექტებში, იქვე, 1980, №2; მ ი ს ი ვ ე, ქართული ლექსიკური სუბსტრატული ფენის კვლევის მნიშვნელობა აზერბაიჯანული და თურქული ენების ისტორიის შესწავლისათვის, იქვე, 1988, №3; ჯ ი ქ ი ა მ., თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიაში, თბ., 2008; ჯ ი ქ ი ა ს., აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან: I. – «ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები», 1960, ტ. 3; II. «მაცნე». ენისა და ლიტ. სერია, 1984, №4. *მ. ჯიქია.*

თურძული მონეტების განძი, 1909 თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი განძი. განძის შემადგენლობაში იყო აჰმად III-ის სახელით ჰიჯრით 1115 (1703/4) მოჭრილი ონლიქები.

ლიტ.: ა ნ თ ა ძ ე მ., საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV–XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, თბ., 1982. *გ. დუნდუა.*

თურჩუს მღვიმე, კარსტული მღვიმე *თურჩუს ქვაბულის* ჩრდ.-აღმოსავლეთ ნაწილში. გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში. სიღრუის სიგრძე 10 *მ*-მდეა, შესასვლელის სიგანე – 5,6 *მ*, სიმაღლე – 0,8–1,0 *მ*, ფსკერის ფართ. – 20 $მ^2$, საერთო მოცულობა – 40 $მ^3$. მღვიმე აღმოჩენილი და გამოკვლეულია ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტის სპელეოექსპედიციის (შ. ყიფიანი) მიერ 1959.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

თურჩუს ქვაბული, თ უ რ ჩ უ ს პ ო ლ ი ე, ქვაბული ხონის მუნიციპალიტეტში, *ასხის მასივის* სამხრ. კალთაზე, სოფ. გორდის ჩრდ-ით. ქვაბულის სიგრძეა 3 *კმ*, სიგანე – 2 *კმ*. აგებულია ცარცული და გადოლომიტებული კირქვებით. მ. ძ-ის ფსკერზე გაედინება პატარა მდ. თურჩუ, რ-იც ქვაბულის სამხრ. ნაწილში კარსტულ სიღრუეებში იკარგება, შემდეგ კვლავ ზედაპირზე გამოდის.

თუძულთი ნინურტა I, ასურეთის მეფე ძვ. წ. 1245–09. წარმატებით აგრძელებდა წინამორბედთა ბრძოლას მითანის სამეფოს წინააღმდეგ. დაიპყრო ტერიტორიები ჩრდ. შუამდინარეთში, საიდანაც ილაშქრა კიდევ უფრო ჩრდ-ით, ნაირისა და *„ზემო ზღვის ქვეყნების“* წინააღმდეგ. მანამდე ასურელებს ასე შორს ჩრდ-ით არ ულაშქრიათ. ერთ-ერთ თავის წარწერაში თ. ნ. I ამბობს: „... როდესაც ღვთაება ასურმა ნაირის ქვეყნებზე და ზემო ზღვის ნაპირას (მდებარე) ქვეყნებზე გამგზავნა..., ნაირის ყველა ქვეყანა და ზემო ზღვის ნაპირას (მდებარე) ყველა ქვეყანა ჩემმა ხელმა დაიპყრო. მათი 40 მეფე დავიმორჩილე,



თუღი.

ჩემს ფერხთ წინაშე დავამხე და ხარკი დავადე‘‘. თ. ნ. I-ის კიდევ ერთი წარწერა იხსენიებს ნაირის ქვეყნებისა და (ზემო) ზღვისპირა ქვეყნების 40 მეფეს.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. *ნ. მიწიშვილი.*

თუღანოვი მახარბეკ საფარის ძე [11. VI. 1880 (ან 1878), სოფ. დურ-დური, ჩრდ. ოსეთი, – 4. VII. 1952, ქ. ორჯონიკიძე (ახლანდ. ვლადიკავკაზი)], ოსი ფერმწერი, გრაფიკოსი, მკვლევარ-ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, ჩრდ. ოსეთის სახ. მხატვარი (1946), საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1940). 1898 დაამთავრა ვლადიკავკაზის რეალური სასწავლებელი. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, ხოლო 1907-იდან – მიუნხენის ა. აჟბეს სტუდიაში. 1930-იდან მოღვაწეობდა საქართველოში (ცხინვალი). იყო თბილისში დაფუძნებული ოსური გაზ. ,,ნოგ ცარდი‘‘ (,,ახალი ცხოვრება‘‘) ერთ-ერთი დამაარსებელი და აქვე გამოუშვა მისი პირველი ნომრები. 1932–52 იყო საქართვ. მხატვართა კავშირისა (1934–50 – მისი პრეზიდიუმის წევრი) და 1943–52 – საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის სამხრ. ოსეთის სამეცნ.-კვლ. ინტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი და სამეცნ. საბჭოს წევრი. მხატვრულად გააფორმა ნართული ეპოსი, თქმულება ამირანზე, ოსური ხალხ. ზღაპრები და ა. შ. 1900 შექმნა ილუსტრაცია (,,ტარიელის და ჯიქის შერკინება‘‘), რ-იც შესულია ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ ადაპტირებულ რუს. გამოცემაში (სანქტ-პეტერბურგი, 1901), მასვე ეკუთვნის კომპოზ. დ. არაყიშვილის პორტრეტი (1937). თ-ის პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში (1935, 1956, 1962). თ. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნ. მოღვაწეობას ოსეთისა და კავკ. ხალხის ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ნართული ეპოსის, ხალხ. შემოქმედების ისტორიის და სხვ. დარგში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: ურუშაძე ლ., ქართულ-ოსური კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების ისტორიისათვის (მახარბეკ თუღანოვი და საქართველო), თბ., 2009; Хакимм М., Махар бек Туганов – народный художник Осетии, Орджоникидзе, 1962. *ლ. ურუშაძე.*

თუღი, გრძელ ტარზე წამოცმული ოქროს, ვერცხლის ან მოოქროვილი სპილენძის ბურთულა, რ-საც ზემოდან დამაგრებული ჰქონდა ნახევარმთვარე, ხოლო ქვემოთ, ტარზე – ცხენის ძუის კონები; ოსმალეთში ანიჭებდნენ მაღალი თანამდებობის მოხელეებს ძალაუფლების ნიშნად. კანონით ზუსტად არ იყო დადგენილი თ-თა რაოდენობა, მაგრამ ფადიშაჰს (სულთანს) შვიდ თ-ზე ნაკლები არ შეიძლება ჰქონოდა, დიდ ვეზირს ხუთი თ. ეკუთვნოდა, ვეზირებს სამი თ. ჰქონდათ, ხოლო ფაშებს, ღირსების მიხედვით – ერთი, ორი ან სამი თ. ერთთუღიანი ფაშა, უმეტეს შემთხვევაში მირლივა (სანჯაყბეგი) იყო; ორთუღიანი – მირ-მირანი (ბეგლარბეგი, ვალი); სამთუღიანი – ვეზირი და ვეზირის ხარისხით ვილაიეთის ბეგლარბეგად დანიშნული ფაშა. თ. ეძლეოდათ უვადოდ და მის მფლობელს შესაბამისი ამალაც ეკუთვნოდა. ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს (საბეგლარბეგოს) განაგებდა ორ- და ზოგჯერ სამთუღიანი ფაშა: ,,ისაყ ფაშას არღარა აქუნდა ვეზირობა სამის თუღითა, გარნა იყო ორთუღიანი პირველისამებრ‘‘ (ვახუშტი).

ლიტ.: გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982; ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, მოგზაურობის წიგნი, გ. ფუთურიძის გამოც., ნაკვ. 2 – გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგეობა XVI ს-ში, კრ.: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963.

მ. სვანიძე.

თუშაბარამიშვილი დავით მიხეილის ძე (1. VI. 1922, სოფ. შრომა, ახლანდ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, – 20. VII. 1992, თბილისი), არქეოლოგი, საქართვ. და კავკასიის ძვ. ქვის ხანის მკვლევარი. ისტ. მეცნ. კანდიდატი, საქართვ. კულტურის დამს. მუშაკი. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი (1955–70), არქეოლ. განყ-ბის ხელმძღვანელი (1973–89) და წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1989–92), საქართვ. არქეოლ. კვლევის ცენტრის ქვის ხანის სექტორის ხელმძღვანელი (1984–87) და უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1989–92). სხვადასხვა დროს ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. იყო თსუ-ის ისტ. ფაკ-ტის არქეოლოგიის კათედრის დოცენტი.

თ-ის სახელთან დაკავშირებულია ქვის ხანის მრავალი ძეგლის აღმოჩენა-შესწავლა; მუზეუმის არქეოლ. განყ-ბის ქვის ხანის უმდიდრესი ფონდის შექმნა, მუზეუმის არქეოლ. გამოფენაზე ქვის ხანის ექსპოზიცია; საქართველოში ქვის ხანის სპეციალისტების აღზრდა.

აღგილობრივ და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. მონოგრაფია და სტატიები. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ,,საქართველოს სსრ წითელი წიგნის‘‘ მომზადებასა და გამოქვეყნებაში. თ-ის აღმოჩენებსა და ნაშრომებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსა და კავკასიაში პირველყოფილი ადამიანის საზ-ბის განვითარებისა და განსახლების შესწავლაში.

მიღებული აქვს მთავრობის საპატიო სიგელები, აკად. ივ. ჯავახიშვილის მედალი და სხვ.

ლ. მოლოდინი.

თუშები, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ცხოვრობენ თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. ენა – ქათული, რელიგია – ქრისტიანული (მართლმადიდებლობა). თ-ის ისტორიული განსახლების არეალი აღმ. საქართველოს მთიანეთში შედის (კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ და პირიქით ქედებს შორის). ქართლის სამეფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV–III ს. მიჯნა) თუშეთი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. IV ს-ში იგი გაქრისტიანების გამო შევიწროვებული ფხოველების თავშესაფარი გახდა. თ. აქტიურად იბრძოდნენ საქართველოში შემოსული მტრების წინააღმდეგ, მათ ძირითად ფუნქციას ქვეყნის ჩრდ. საზღვრების დაცვა შეადგენდა. ისევე, როგორც აღმ. საქართველოს მთიანეთის სხვა მკვიდრნი, თ-ც ტერიტორიული თემების/საზოგადოებების პრინციპით ცხოვრობდნენ. უშუალოდ ემორჩილებოდნენ სამეფო სახლს — მათ შორის სოციალური დიფერენციაცია არ ყოფილა, თუშეთში არ იყვნენ თავადაზნაურები, სახელმწიფოს აქ თავისი მოხელე – მოურავი ჰყავდა.

თუშური მოსახლეობა ისტორიულად ორ ჯგუფად იყოფა: *წოვათუშებად* და *ჩაღმათუშებად*. ეს ორი ჯგუფი ეთნოგრაფიული, ყოფითი და კულტურული ტრადიციების მიხედვით თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სხვაობა მათ შორის ენობრივია: ჩაღმათუშები ერთენოვანნი არიან და მეტყველებენ ქართული ენის თუშურ (ჩაღმათუშურ) დიალექტზე, რ-იც ლინგვისტურად



თუშები.

ფშაურ, ხევსურულ და მოხევურ საუკუნეთა განმავლობაში ამ პირობებს შეგუებული ცხვრის განსაკუთრებული ჯიში – *თუშური ცხვარი* გამოიყვანეს (იხ. აგრეთვე *თუშური ცხენი*). საქართველოში განსაკუთრებით სახელგანთქმულია თუში მეცხვარეების მიერ დამზადებული *თუშური ყველი*. XIX ს-ში თუშური ყველი არა მარტო თბილისის ბაზარზე, არამედ რუსეთის მრავალ ქალაქშიც იყიდებოდა.

თ. მეურნეობის დარგებიდან ძირითადად მეცხვარეობას მისდევდნენ. კახეთის ბარში, საზამთრო საძოვრებზე ცხვარი მათ საუკუნეების განმავლობაში ჩამოჰყავდათ. ეს საძოვრები კახეთში თ-ს ისტორიულად ეკუთვნოდათ – ისინი მეფეთა მიერ ჰქონდათ ბოძებული.

იმის გამო, რომ მაღალ განვითარებას მიაღწია გადარეკვითმა, მთაბარულმა მეცხვარეობამ, თ-მა

თუშური საცხოვრებელი სახლი.

თუშურ მეცხვარეობასთან იყო დაკავშირებული მცნობის ინსტიტუტი. მცნობი არის ბატკნისა და მისი დედის (ნერბის) ცნობის განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული მწყემსი.

მეცხვარეობის განვითარების მაღალი დონის მიუხედავად, თ. ტრად. მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. ისინი თესავდნენ ჭვავს, ხოლო საგაზაფხულოდ – ქერსა და შვრიას. ქერი თ-ის ძირითადი საკვები იყო, ხოლო შვრიას საქონლის საკვებად და არყის გამოსახდელად იყენებდნენ. იმის გამო, რომ მამაკაცების უმეტესობა ძირითადად დაკავებული იყო მეცხვარეობით, სამიწათმოქმედო სამუშაოებს ხშირად ქალები ასრულებდნენ (მთელ საქართველოში მხოლოდ თუში ქალი ხმარობდა ცელს).

ორიგინ. იყო თუშური საცხოვრებელი სახლი, რ-იც მშრალი წყობით იყო აგებული. თ., ჩვეულებრივ, სახლებს პირმზითში აშენებდნენ, შემაღლებულ ადგილებზე, რათა თოვლის ზვავისაგან დაცული ყოფილიყვნენ.

თ-ის საგვარეულო და სასოფლო ხუთ-ექვს სართულიანი კოშკები საიმედო თავშესაფარი იყო მტრის თავდასხმის დროს. პირველი სართული ტყვეების დასამწყვდევ დილეგს წარმოადგენდა. კოშკები იყო როგორც პირამიდულსახურავიანი (,,წვერიანი ციხე''), ისე ერთქანობიანი (,,სიპით დახურული ციხე''); გადახურული იყო ფიქალის ქვებით. პირველი მათგანი მხოლოდ პირიქითის ხეობაში ყოფილა გავრცელებული *დართლო-დან* მოყოლებული სოფ. ჭონთიომდე. კოშკებს თ. აგებდნენ როგორც დუღაბით, ისე უდუღაბოდ. გადმოცემით, მშვიდობიანობის დროს კოშკის თავზე ჯვარს აღმართავდნენ, ომის დროს კი – ,,ბაირახს''. ყველა კოშკს ზედა სართულებში ჰქონდა ჩარდახები, სამზირები, შუკუმები. პირველ სართულს კარი არ ჰქონდა. მას შესასვლელი მეორე თვალის (სართულის) ბანის ერდოდან ჰქონდა. კოშკში მეორე სართულზე კიბით ადიოდნენ. აქ ქალები და ბავშვები თავსდებოდნენ, ხოლო უფრო ზემოთ – მეომარი ხალხი.

ყველა სოფელს თავისი სალოცავი, ხოლო ზოგან ორ სოფელს საერთო სალოცავი ჰქონდა. სალოცავი ორი ტიპისა იყო: ,,კოშკი'' და ,,დარბაზი''. აქ ინახავდნენ ხატის დროშას და ჭურჭელს. სალოცავ-ნაგებობებებთან ახლოს მისვლა ქალებს ეკრძალებოდათ.

სასოფლო სალოცავებს ,,ჯვარი'' ეწოდებოდა. ასეთი ,,ჯვრები'' ქრისტ. წმინდანების სახელწოდებისაც (სამება, წმიდა გიორგი, მთავარანგელოზი, მიქელგაბრიელი) იყო და წინარექრისტიანულისაც (კოპალე, იახსარი, ბატონ ბიჭეხელი, ფიწალე, წასნეს ჯვარი, ლაღი ბიჭეხელი, ლაშარის ჯვარი).

თ. გამოირჩევიან ტილოების, ფარდაგების, წინდების ქსოვის მაღალი ტექნოლოგიით, აგრეთვე ჩითების (ნაქსოვი ფეხსამოსი), ქუდების დამზადებით (იხ. *თუშური ქუდი*). შინამრეწველობის ამ დარგების განვითარებას, ბუნებრივია, მატყლის სიუხვე განაპირობებს. დადგენილია, რომ თუშური ცხვრის მატყლი უმაღლესი ხარისხის, რბილი, ნაზი და მბზინავია. აქ მატყლს ქალები ამუშავებდნენ. გოგონები ხუთი-ექვსი წლის ასაკიდან უკვე დამოუკიდებლად ქსოვდნენ წინდებს, ხოლო ცხრა-ათი წლისანი – ჩითებს. ცამეტი-თხუთმეტი წლის ქალიშვილები უკვე ფარდაგებისა და შალის დახელოვნებული მქსოველები იყვნენ.

ისტორიულად თუშეთში ჩვეულებითი სამართალი მოქმედებდა. სოფ. დართლოში ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი უხუცესთა თორმეტი ქვის სავარძელი. ოჯახის უფროსი მამაკაცი იწოდებოდა ,,ბერად‘‘, ქალი – ,,ბერდედად‘‘.

თ-მა ხატობებში ფანდურზე დამღერება იცოდნენ. ფანდურის თანხლებით ასრულებდნენ ორსართულიან საკულტო ფერხულს – ,,ქორბელელასაც‘‘.

თუშეთში XX ს. 20–30-იანი წლებისათვის ფაქტობრივად თ. აღარ დარჩნენ – ისინი კახეთში ჩამოსახლდნენ (ზემო ალვანი, ქვემო ალვანი, ლალისყური, ფშაველი). მთაში ასვლა-ჩამოსვლა ძირითადად დაკავშირებული იყო მეცხვარეობასა და მესაქონლეობასთან, მდიდარი საზაფხულო საძოვრების გამოყენებასთან. ბოლო პერიოდში თუშეთის მთა ერთგვარად გამოცოცხლდა, რაც განპირობებულია ტურიზმის განვითარებით.

ქართული გვარები თუშეთში ბოლოვდება -ურ (-ულ), -ძე და -შვილი სუფიქსებით: იჭირაული, ბუხაჩაური, რაინაული, სისვაური, ჩხერაული; ჩუნთაიძე, ბექურაიძე, გულუხაიძე, ხაჩიძე, იმედიძე, ჭვრიტიძე, ოშორიძე, ჭოლიკიძე, მოზაიძე, მურთაზაშვილი, ცისკარიშვილი, ბუქურაული, მაჩაბლიშვილი, შავხელიშვილი, ლაგაზიძე, დურმიშხანიძე, ბონდურიშვილი, ბობღიაშვილი, გარსევანიძე და სხვ.

ლიტ.: აზიკური ნ., მგოსანნი გლოვისანი, თბ., 1986; მისივე, თუშური ფარდაგი, თბ., 1999; ბოჭორიძე გ., თუშები, თბ., 1993; ბრეგაძე ნ., მეცხვარეობის ისტორიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის», VII, თბ., 1979; თოფჩიშვილი რ., წოვა-თუშები, თბ., 2009; ქალდანი ა. კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოს მთიანეთში, წგ.: საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობები, თბ., 1986.

რ. თოფჩიშვილი.

თუშეთი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. ეკუთვნის *კახეთის* მთიანეთს. მოიცავს თუშეთისა და პირიქითა ალაზნის ხეობებს (მდ. ანდის ყოისუს სათავეებს, ახმეტის მუნიციპალიტეტი). თ-ის ფართობი 896 *კმ*^{2}. მოსახლეობა – *თუშები*.

IV ს-ში თ. გაქრისტიანების გამო შევიწროებული წარმართი მთიელების თავშესაფარი გახდა. V ს-იდან აღმოსავლურ-ქართ. სახელმწ. შემადგენელი ნაწილი გახდა. VIII ს-ში თ. ღუნძეთთან და წუქეთთან ერთად ქმნიდა ერთ ადმ. ერთეულს. კახეთის ძვ. სამეფოს არსებობის დროს (VIII–XI სს.) პანკისის საერისთავოში შედიოდა, შემდგომში – კახეთის საერისთავოში. ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის (XV ს.) შემდეგ, XVI–XVIII სს-ში, თ-ის სამოურავო კახეთის სამეფოს ფარგლებში მოექცა. თ-ის უმაღლესი სას. ხელისუფალი ალავერდის ეპისკოპოსი იყო. XVII ს. II ნახევარში თ. წარმოადგენდა მეფე ერეკლე I-ის საყრდენს ტახტისათვის ბრძოლაში.

XVIII ს-დან დაიწყო თ-ის ბარში ჩამოსახლება და XX ს-ის დასაწყისისათვის ისინი მთლიანად კახეთში (ალვანის ველზე) დამკვიდრნენ. დღეისათვის ისინი ძირითადად ზემო და ქვემო ალვანში სახლობენ. მათი ნაწილი დღესაც მთაბარობს მთათუშეთის ისტორიულ სოფლებში.

ლიტ.: ბოჭორიძე გ., თუშეთი, თბ., 1993; თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017; კანდელაკი მ., მეკოდეობის ტრადიცია თუშეთში, თბ., 1995; მაკალათია ს., თუშეთი, ტფ., 1933; შანიძე ა., თუშები. – მნათობი, №2, 1970; ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე: ეთნოგრაფიული ექსკურსები თუშეთის ახლო წარსულში, თბ., 1990.

დ. მუსხელიშვილი.

თუშეთის ალაზანი, ჩაღმის ალაზანი, მდინარე ახმეტის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის ჩრდ. კალთაზე, თუშეთის ქვაბულში, მდ. ანდის ყოისუს ერთ-ერთი მდგენელი. სიგრძე 59 *კმ*, აუზის ფართობი 825 *კმ*^{2}. სათავე აქვს აწუნთის ქედის აღმ. კალთაზე. საზრდოობს თოვლის, მყინვარული, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა შემოდგომა-ზამთარში. საშუალო წლიური ხარჯი 24 *მ*^{3}/*წმ*. თ. ა-ის მთავარი შენაკადებია: მარცხ. წოვათისწყალი, მარჯვ. გომეწრის ალაზანი (გომეწრის წყალი), ორწყალი და ხისოსწყალი (ჭანჭახოვნის წყალი). *თ. კიკილაშვილი.*

თუშეთის დაცული ტერიტორიები, შეიქმნა 2003. აერთიანებს თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალს, ეროვნულ პარკს და დაცულ ლანდშაფტს. თუშეთის ეროვნ. პარკის ფართობია 83,453 ჰა, მოიცავს მთავარი კავკასიონის გვერდითი ჩრდილოეთ (პირიქითა) ქედის სამხრ. კალთებს, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს, მათ შორის არსებულ თუშეთის ქვაბულსა და სპეროზას ქედს. თუშეთის სახელმწ. ნაკრძალის ფართობის 10,694 ჰა მოიცავს პირიქითის ალაზნის, გომეწრის



თუშეთი. პირიქითი თემი. სოფელი დართლო.

ალაზნის და ჭანჭახოვანის ხეობებს, სოფლებს – ომალოს, დიკლოს, შენაქოს, ქუმელაურთას და ხისოს მიმდებარე მასივებს, პირიქითის ალაზნის შეერთების ადგილიდან დაღესტნის საზღვრამდე მდინარის ორივე ფერდობზე არსებულ ტყეებს. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ფართობია 27,903 ჰა. მოიცავს თუშეთის ყველა სოფელს, ასევე ქვახიდისწყლის, ლაროვნისწყლის, გომეწრის ალაზნის სათავისა და წოვათისწყლის ხეობებში არსებული მწყემსების საზაფხულო ბინებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს. დაცული ლანდშაფტის დანიშნულებაა არ დაიკარგოს თუშეთის სოფლების ტრად. იერსახე, შენარჩუნდეს ბუნებრივი და ისტ.-კულტ. ლანდშაფტები, გარემოსთვის ზიანის მიუყენებლად განვითარდეს ტურიზმი და მოხდეს ტრად. სამეურნეო დარგების წახალისება. თ. დ. ტ-ის ფლორის 230 წარმომადგენელი კავკასიის ენდემია, მცენარეთა 11 სახეობა მხოლოდ საქართველოში გვხვდება. თუშეთის ნაკრძალსა და ეროვნ. პარკში გავრცელებულია საქართვ. ენდემები: თუშური ტილჭირი, კოწახური, მაჩიტა, დათვისთხილა, შროშანი, თუშური ასკილი, თებულოს ბაია, ანას კლდისვაშლა და სხვ. თ. დ. ტ-ში ხშირია ფიჭვნარი, თითქმის არ არის ფართოფოთლოვანი ტყე. ფიჭვნარები თუშეთის ქვაბულის ფსკერზე მიმდინარე ალაზნის ნაპირებიდან ასდევს მთის ფერდობებს და ზღვის დონიდან 2000–2200 *მ* აღწევს, სადაც ფიჭვის ტყეს არყნარი ცვლის, 2300 *მ*-ზე მაღლა ხშირი დეკის ბუჩქნარია, არყის ხეები იშვიათ ცირცველთან ერთად მეჩხერად არის წარმოდგენილი, ტყეების ქვედა იარუსში უფრო ჩრდილოეთისათვის დამახასიათებელი მცენარე ლინეა გვხვდება. ტყის ზოლი 2600 *მ*-ზე ალპ. და სუბალპ. ზონების საზღვარზე წყდება, რ-ის ზევით მხოლოდ ალაგ-ალაგ იზრდება მოცვის და კენკრის მცირე ბუჩქები, კარგად ხაროს დეკის ბუჩქნარი. 3000 *მ*-ზე ოდნავ მაღლა ბალახეული საფარი ადგილს უთმობს ადგილის ნაშალს, ქვაღორღს და ვულკ. წარმოშობის მორენებს. თუშეთის მწვერვალები: დანოს მთა, ქომიტო და დიკლოს მთა 4000 *მ*-ზე მაღალია და მარადიული თოვლით არის დაფარული.

3000 *მ*-ზე მაღლა გვხვდება კავკ. ჯიხვი. მთის ფერდობებზე სახლობს კიდევ ერთი ენდემი – კავკ. შურთხი. სუბალპ. და ალპ. ზონების საზღვარზე, დეკიანებში, ბინადრობს არჩვი (ფსიტი). თ. დ. ტ. ნიამორის უკანასკნელი თავშესაფარია – რამდენიმე ათეული ბინადრობს მთის მდინარეების მიერ გაჭრილ ციცაბო, ფიჭვითა და ბუჩქნარით დაფარულ კლდეებზე, რ-ებიც აქ მრავლადაა. მსხვილი ჩლიქოსნებიდან ხშირია შველი, უფრო იშვიათია ირემი. დაღესტნიდან ხშირად მიგრირებს გარეული ღორი. მტაცებელი ცხოველებიდან ბინადრობენ: კლდის და ტყის კვერნა, მურა დათვი, მელა, მგელი, ფოცხვერი.

თ. დ. ტ. მდიდარია ფრინველებით. სუბალპ. და ალპ. ზონების საზღვარზე, დეკიანებში, გვხვდება ენდემი – კავკ. როჭო. ბინადრობენ: წყლის შაშვი, ნისკარტმარწუხა, წითელთავა მთიულა, მთის მწყერჩიტა, წითელფრთიანი კლდეცოცია, კაკაბი, რამდენიმე სახეობის ბუ, ჩვეულებრივი კირკიტა, კაკაჩა, შევარდენი, მიუვალ კლდეებზე – ორბი, მთის არწივი და ბატკანძერა.

ლიტ.: საქართველოს ბუნება, თბ., 2013.



თუშეთი. სახელმწიფო ნაკრძალი.

თუშეთის საბუე, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშეთის (ომალოს) თემში (კახეთის რეგიონი). 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

თუშეთის ქედი, იხ. *პირიქითის ქედი.*

თუშეთის ქვაბული, მაღალმთიანი გასწვრივი ქვაბული აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდ. კალთაზე. მოიცავს მდ-ების თუშეთის ალაზნისა და პირიქითის ალაზნის აუზებს. ყოველმხრივ ჩაკეტილია მაღალი ქედებით. თ. ქ. აგებულია ძირითადად იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. მაკრატელას ქედი მას ორ ნაწილად ყოფს: ჩრდ-ით პირიქითის ხეობაა, ხოლო სამხრ-ით – გომეწრის. თ. ქ-ის ფსკერის აბსოლ. სიმაღლე 1500–1600 *მ* ფარგლებშია. გაბატონებულია ღრმად დანაწევრებული ეროზიული რელიეფი; კავკასიონის მთავარ ქედზე, პირიქითისა და მაკრატელას ქედებზე გლაციალური რელიეფიცაა. ქვაბულის აღმ. ნაწილში შემონახულია ომალოს, შენაქოსა და დიკლოს რელიქტური ვაკე-პლატოები. თ. ქ-ში მიედინება პირიქითის ალაზანი (შენაკადებით: მარცხ. – ფარსმისწყალი, ჭეშოსწყალი, დიდხევი, ჩიღოსწყალი; მარჯვ.– ლაროვნისწყალი) და თუშეთის ალაზანი (შენაკადებით: მარჯვ. – ბიქურთა, ორწყალი, ხისოსწყალი, მარცხ. – წოვათისწყალი). თ. ქ-ის აღმ. ნაწილში მთავარი მდინარეების და მათი შენაკადების ხეობათა ქვემო კალთები შემოსილია ფიჭვნარ-არყნარი ტყით, ზოგან მხოლოდ ფიჭვნარია. ქვაბულის უდიდესი მაღალი ნაწილი სუბალპ. და ალპ. ბალახმცენარეულითაა დაფარული. თ. ქ. სამანქანო გზით, აბანოს უღელტეხილის გავლით, უკავშირდება შიდა კახეთს.

დ. უკლება.

თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონი, აღმოსავლეთ კავკასიონის ერთ-ერთი მონაკვეთი დუშეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში. მდებარეობს კავკასიონის ჩრდ. კალთაზე და მოიცავს მდ-ების *ან-*


ო. თუშიშვილი.

დის ყოისუს, არღუნისა და *ასის* ზემო დინებათა აუზებს. სამხრ. საზღვარი გასდევს მთავარი ქედის თხემს მწვ. შავ კლდეს და უღელტ. არხოტისთავისღელეს შორის; დას. – კიდეგანის ქედს, აღმ. – შავგალავნის ქედსა და ანდის ყოისუს მარჯვ. შენაკადების წყალგამყოფს, ჩრდ. – პირიქითის ქედის თხემს მწვ. დიკლოსმთიდან მწვ. თებულოსმთამდე, შემდეგ კვეთს მდ. არღუნის ხეობას და ადის ხევსურეთის ქედზე, მწვ. თბილწყალმაღლის ჩრდ-ით, აქედან კი კვეთს ასის ხეობას და აღწევს კიდეგანის ქედამდე.

თ.-ხ. პ. აგებულია ქვედა- და შუაიურული ასაკის თიხაფიქლოვანი წყებებით, რ-იც აჩენს ძლიერ შეკუმშულ, ზოგან დიაბაზებით გარღვეულ ნაოჭების სისტემას. გვხვდება აგრეთვე მორენული და ალუვიური ნაფენები. ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებია: მთავარი წყალგამყოფი ქედი (მწვერვალები: არხოტისთავი, დიდი ბორბალო, ბულანჩოსწვერი და სხვ.), რ-ის უღელტეხილები ზ. დ. 3300 *მ*-ზე დაბლა მდებარეობს (არხოტისთავისღელე, აბანო და სხვ.); მარადთოვლიან-მყინვარებიანი კიდეგანის, ხევსურეთისა და პირიქითის ქედები მრავალი განშტოებებით; თუშეთის ქვაბული და მდინარეთა ხეობები.

თ.-ხ. პ-ის მთა-ხეობათა რელიეფის მორფოლ. ხასიათი ჩამოყალიბებულია ეროზიის მოქმედებით, თხემურ ზოლში შექმნილია რელიეფის გლაციალური ფორმები. თ.-ხ. პ. მდებარეობს ზომიერი ნოტიო ჰავის ოლქში და ახასიათებს ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობა – დაწყებული ცივზამთრიანი და ხანგრძლივ გრილზაფხულიანი ჰავიდან (დაბალ მთებში) დამთავრებული მაღალმთის მარადთოვლიან-მყინვარებიანი ჰავით (ქედების თხემებზე). იან. საშ. ტემპ-რა –5-იდან –10°C-მდეა, ივლ. 12–16°C. წელიწადში 600-იდან 1500 *მმ*-მდე ნალექი მოდის. ხეობებსა და ქვაბულებში ჰავა შედარებით მშრალი, კონტინენტურია. თ.-ხ. პ-ის მთავარი მდინარეები: ანდის ყოისუ (სათავეებით თუშეთის ალაზნითა და პირიქითის ალაზნით), ასა (სათავეში არხოტისწყალი), არღუნი (შენაკად ანდაქით) კასპიის ზღვის აუზს მიეკუთვნებიან და საზრდოობენ წვიმის, თოვლის, მიწისქვეშა და მყინვარული წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში, წყალმცირობა – ზამთარში. თავისებურია თ.-ხ. პ-ის ნიადაგ-მცენარეულობა: ქვედა ზონაში მცირე და საშ. სისქის ყომრალ და ღია ყომრალ ნიადაგებზე, ზ. დ. 2300–2500 *მ*-მდე, გავრცელებულია არყნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი. 2500–2700 *მ* ზემოთ, მთის მდელოს კორდიან და კორდიან-ტორფიან ნიადაგებზე – სუბალპ. მდელოები და ბუჩქნარები, ხოლო უფრო ზემოთ, 3300–3500 *მ*-მდე, მთის მდელოს მცირე სისქის კორდიან ნიადაგებზე, ალპ. მდელოებია.

ლიტ.: კურდღელაიძე გ., თუშეთი, თბ., 1983. *დ. უკლება.*


თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონი და აბუდელაურის ღურჯი ტბა.

თუში, ჭურის ურემი, დიდი ქვევრების გადასატანი დაბალი ურემი, რ-საც აჩაჩა ურმისაგან განსხვავებით ბორბლების მაგიერ ღერძზე ხის საგორავები ჰქონდა დამაგრებული. შემონახული იყო ზემო იმერეთის ერთ-ერთ რაიონში (საჩხერის მუნიციპალიტეტი). თ-ს, როგორც შერეული ტიპის სპეც. საზიდ საშუალებას, იყენებდნენ ზემო იმერეთის ხალხურ კერამიკული წარმოების ცენტრებში (შრომა, ბელღევი, ბოსლევი) დიდი საღვინე ქვევრების გადასაზიდად მელვინეობის რ-ნებში.

ლიტ.: გეგეშიძე მ., ქართული ხალხური ტრანსპორტი, ტ. 1, თბ., 1956. *მ. გეგეშიძე.*

თუშიშვილი გურამ შოთას ძე (დ. 5. II. 1995, თბილისი), სპორტსმენი (ძიუდო). ევროპის ჩემპიონი პირად და გუნდურ შეჯიბრში (2017). დიდი მუზარადის მფლობელი (2017, ბაქო). ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონი (2013, 2015) და მესამე პრიზიორი (2011). ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონი (2011) და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მფლობელი (2011).

ზ. უსუფაშვილი.

თუშიშვილი ოთარ გიორგის ძე (დ. 14. VI. 1978, გორი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (პეკინი, 2008). მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის (2006) და ორგზის ბრინჯაოს (2005, 2007) პრიზიორი. ევრ. ჩემპიონატების სამგზის მესამე პრიზიორი (1999, 2001, 2010). ახალგაზრდებს შორის ევრ. და მსოფლიოს ჩემპიონატების მესამე პრიზიორი (1996). ღირსების ორდენის კავალერი.

თუშმალიშვილი ალექსანდრე თომას ძე (1876, თბილისი, – 1938, იქვე), აგრონომი. 1894 დაამთავრა თბილ. მე-2 ვაჟთა გიმნაზია. მუშაობა დაიწყო სოფ. მუკუზნის საუფლისწულო მამულში. 1897 საუფლისწულო უწყებამ თ. მიავლინა აბრაუ-დიურსოს (ახლანდ. ანაპის რ-ნი, კრასნოდარის მხარე) მამულში. დაბრუნდა 1900 და მუშაობა განაგრძო წინანდლის საუფლისწულო მამულში. 1911 დაინიშნა მუკუზნის საუფლისწულო მამულის მმართველად. თ-მა სხვადასხვა დროს კახეთში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა: საფუძველი ჩაუყარა ამერიკული ვაზის სადედეს; სოფ. ჩუმლაყში ააშენა სათბური; მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის გახსნა დაწყებითი სასწავლებელი; დააარსა ბიბლიოთეკა; ააშენა ქსენონი; სოფ. ვაზისუბანში მოაწყო საცდელ-საჩვენებელი ვენახი. 1914 თ. დაინიშნა სტავროპოლის გუბერნიის, ტემპელჰოფის საუ-

ფლისწულო მამულის მმართველად, ხოლო 3 წლის შემდეგ – ისევ მუკუზნის საუფლისწულო მამულის მმართველად. საბჭ. ხელისუფლების წლებში სოფ. კონდოლისა და იყალთოს მეურნეობებში მოაწყო სათბურ-სანერგეები, გააშენა ახ. ვენახი. თ-ის თაოსნობით წინანდალში აიგო ელექტროსადგური, გაშენდა კონიაკის ქ-ნა. 1932 დაინიშნა მუკუზნის მეურნეობის უფროს სპეციალისტად. არის საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

თ. ჩხეიძე.

თუშმალიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე (1.V.1921, თბილისი, – 18. III. 2006, იქვე), მეღვინე. 1933 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. მუშაობა დაიწყო ყულარის (მარნეული) ღვინის ქ-ნაში. მიწვეული იყო მასანდრის ღვინის ქ-ნაში (ყირიმი) მთ. სპეციალისტად. საქართველოში დაბრუნების შემდეგ სხვადასხვა დროს იყო თბილ. შამპანური ღვინოების ქ-ნის დირექტორი, ,,სამტრესტის'' მმართველი, საგარეჯოს საექსპორტო ღვინოების ქ-ნის დირექტორი, მებაღეობა-მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ხელმძღვანელობდა მეღვინეობის განყ-ბას. წლების განმავლობაში იყო ,,სამტრესტის'' მთ. მრჩეველ-კონსულტანტი.

თ. იყო სსრკ მეღვინეობის ცენტრ. სადეგუსტაციო ჟიურის წევრი, მრავალჯერ იყო მიწვეული საერთაშ. დეგუსტაციებსა და კონკურსებზე ჟიურის წევრად.

თ. უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოში ახ. ღვინის ქ-ნების მშენებლობას. მონაწილეობდა ახ. სამარკო ღვინოებისა და *კონიაკების* ნაირსახეობების შექმნაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: Валупко Г., Жизнь замечательных виноделов, Симферополь, 2008.

ბ. კალანდაძე.

თუშმალიშვილი ქეთევან კონსტანტინეს ასული (დ. 28. IV. 1953, თბილისი), მევიოლინე და პედაგოგი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1997), პროფესორი (1998). მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (პარიზი, 1979). საქართვ. ფილარმონიის სოლისტი. თბილ. ცენტრ. სამუს. სკოლის დამთავრების შემდეგ (1965, პედ. ვ. შიუკაშვილი, ნ. რობიტაშვილი, კ. ვარდელი) თავდაპირველად სწავლა განაგრძო მოსკ. სამუსიკო სკოლაში (1966–72), ხოლო შემდეგ – იქვე, პ. ჩაიკოვსკის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში, სადაც სწავლობდა პროფ. ბ. ბელენკის ხელმძღვანელობით (1972–77). 1979-იდან ეწევა ფართო საშემსრულებლო მოღვაწეობას (ბულგარეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, გერმანია, სსრკ-ის ქალაქები). მონაწილეობდა არაერთ ახალგაზრდულ საერთაშ. მუს. ფესტივალში (ლაურეატი და დიპლომანტი). 1984-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში, 1992-იდან სოლო ვიოლინოს კათედრის გამგეა. თ-ს რეპერტუარში აქვს მსოფლიო კლასიკური სავიოლინო ლიტ-რის მრავალი ნიმუში, თითქმის მთელი ქართ. სავიოლინო მუსიკა (მთელი რიგი ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია). მისი შესრულება გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, მუს. კულტურით, ტექ. სრულყოფილებით.

გ. ტორაძე.

თუშურაშვილი რობინზონ სერგოს ძე (დ. 21. II. 1930, თბილისი), მილიციის გენერალ-მაიორი (1991). სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს (1977) და საქ. სსრ ტრანსპორტის დამს. მუშაკი (1980). დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინრების ინ-ტი (1957), მოსკ. უმაღლესი პარტ. სკოლა (1964). 1951–53 მსახურობდა საბჭ. არმიის რიგებში. 1959–65 მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1965–76 იყო რესპ. სახელმწ. ავტოინსპექციის უფროსი. 1976–89 – საქართვ. შს სამინისტროს სამმართველოს უფროსი, 1989–90 – თბილისის შს სამმართველოს უფროსი, 1990–92 – საქართვ. შს მინისტრის პირველი მოადგილე, 1995–2004 – კლუბ ,,დინამოს'' თავ-რის პირველი მოადგილე. 2004-იდან თადარიგშია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

თუშური დიალექტი, ქართული ენის დიალექტი, რ-ზედაც მეტყველებს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის – *თუშეთის* მოსახლეობის ძირითადი ნაწილი.

XIX ს. II ნახ-სა და XX ს. I ნახ-ში თუშეთიდან მოსახლეობის თითქმის მთლიანი მიგრაციის შედეგად კახეთის ბარში გაშენდა თუშებით დასახლებული სამი სოფელი – ზემო ალვანი, ქვემო ალვანი და ლალისყური. თ. დ. დღეს ამ სამ სოფელშია გავრცელებული. ისტ. თუშეთში კი მუდმივი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილია დარჩენილი რამდენიმე სოფელში. თუშეთი სადღეისოდ წარმოადგენს თ. დ-ის არა გავრცელების, არამედ მისი ფორმირების ტერიტორიას.

თ. დ. ენობრივად აღმ. ქართვ. მთის დიალექტებს მიეკუთვნება და ფშაურ-ხევსურულ და მოხეურ დიალექტებთან ერთად ერთიანდება ე. წ. ფხოური კილოების ჯგუფში, ხასიათდება უაღრესი არქაულობით და ბევრ საერთოს ავლენს ძვ. და საშუალო ქართულთან. არქ. ენობრივი ნიშნის მიხედვით ეხმაურება ქართ. ენის სამხრ.-დას. დიალექტებს – აჭარულსა და იმერხეულს.

თ. დ-ის ფონოლოგიურ ინვენტარში დღეს სალიტ. ქართულისაგან განსხვავებული რამდენიმე ბგერა დასტურდება, რ-ებიც გრაფიკულად ასე გამოიხატება: ჴ, ჲ, ჷ, ჱ, ჭ. ამათგან ჴ დამოუკიდებელი ფონემაა, რ-ის ფონეტ. სახეც და ფონოლოგიური დისტრიბუციაც მთლიანად ძვ. სალიტ. ქართულისას იმეორებს. ჲ დასტურდება ხმოვანფუძიან სახელებთან ფრაზის აბსოლუტურ ბოლოში (ანუ ფიქსირებული პაუზის წინ), როგორც სახ. ბრუნვის ნიშნის უმარცვლო რეფლექსი. ჷ გვხვდება აგრეთვე როგორც ხმოვნის ე. წ. ,,ფშვინვიერი შემართვა'' ჩვენებითი ნაცვალსახელების თავკიდურად, ჷ აგრეთვე სახ. ბრუნვის რეფლექსია თანხმოვანფუძიან სახელებთან ფრაზის იმავე პოზიციაში, სადაც ჲ დასტურდება. ჱ – ფარინგალური მკვეთრი ბგერაა. იგი გამოხატავს ხმოვნის ძლიერ დამართვას და ახასიათებს პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე პოზიციურად მიღებულ გრძელ ხმოვნებს. ჭ, როგორც ძლიერი დამართვა, ასევე ახასიათებს სუფიქსურ -ა-ს. დასტურდება აგრეთვე პირთა სპეციფ. თუშურ სახელებში. ჱ ბგერა ის ფონეტ. ერთეულია, რ-იც თ. დ-ს განასხვავებს ქართ. ენის ყველა სხვა დიალექტისაგან და ნახურ-დაღესტნური ენების გავლენის შედეგადაა მიჩნეული. ჭო-ს უმარცვლო ალოფონია და ვლინდება როგორც III სუბიექტური პირის ნიშნის ალომორფი ზმნური სიტყვაფორმის აბსოლ. ბოლოში. ფონეტ. პოზიციის შეცვლის შემთხვევაში ო ხმოვანი სრული სახით აღდგება.

ფონეტ. პროცესებიდან თ. დ-ს ახასიათებს როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია. ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის შედეგია ხმოვნების საბოლოო შერწყმა გრძელ ხმოვნად, რ-საც უვითარდება ძლი-



გ. თუშმალიშვილი.



თუშური ქუდი.

ერი დამართვა. თანხმოვნებში ასიმილატორებია ხშული ბგერები, ასიმილაციას კი სპირანტები განიცდიან.

თ. დ-ის მორფოლ. თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: სახ. ბრუნვის ნიშნად ფრაზაში სიტყვის პოზიციის მიხედვით ხმოვანფუძიან სახელებთან მონაცვლეობს Ø და ჲ, თანხმოვანფუძიან სახელებთან – Ø და ი̆: ფრაზის შიგნით რეალიზდება Ø ალომორფი, ფრაზის ბოლოს – ჲ და ი̆. მოთხრ. ბრუნვის ნიშნად მხოლოდ ერთი ალომორფი – მ გვაქვს როგორც ხმოვან-, ისე თანხმოვანფუძიან სახელებთან. ადგილობითის მნიშვნელობით გამოიყენება უთანდებულო მიც. ბრუნვა და სახელის ფუძე უსუფიქსოდ. გამოსვლითობის მნიშვნელობა აქვს ა სავრცობიან მოქმ. ბრუნვის ფორმებს. ნანათესაობითარ სახელთა ვით. ბრუნვის უთანდებულო ფორმები ასრულებს -თვის თანდებულიანთა ფუნქციას (ამ ფაქტის კვალიფიკაცია სხვაგვარადაც შეიძლება: ნათ. ბრუნვის -თვის თანდებულს თ. დ-ში -ად შეესაბამება). წოდ. ბრუნვის -ო თ. დ-ში ხშირად -ვ-დ რედუცირდება. თ. დ-ში ორიგინალურია ე. წ. ლოკალურ ბრუნვათა ,,სადაობით-გამოსვლითი'' ფორმები -ზეით(ა) და -შიით(ა) ბოლოსართებით, რ-თაც შეიძლება რთული თანდებულების კვალიფიკაციაც მიეცეს. ამგვარი ე. წ. სადაობით-გამოსვლითები შეიძლება ხელახლადაც იბრუნოს. -ებ-იანი მრავლობითით გაფორმებულ სახელს მოთხრ. ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის -მ ფორმანტის ნაცვლად -თ დაერთვის. ობიექტ. პირის ნიშნით აისახება როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ობიექტი, სახელობითბრუნვიანიც და მიცემითბრუნვიანიც. ობიექტური პირის ნიშნებად დასტურდება ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ პოზიციური ალომორფები. იგივე ალომორფები გამოიყენება II სუბიექტური პირის ნიშნებადაც. ნამყო უსრულში III სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანი -ეს ფორმანტია. -ენ-ს აქ თ. დ. არასოდეს ხმარობს.

თ. დ-ის ზმნის დრო-კილოთა სისტემაში დადასტურებულია უწყვეტილისა და წყვეტილის ხოლმეობითის მწკრივები, რ-ებსაც I და II პირის ფორმებთან -იდ, ხოლო II პირის ფორმებთან -ი სუფიქსები აწარმოებს. ამ მწკრივთა მეორე პირის ფორმები კონტექსტის მიხედვით ზოგჯერ თხოვნის მნიშვნელობასაც შეიცავს და ასედაც ეძახიან – თხოვნითი ბრძანებითები. თხოვნის გამოსახატავად თ. დ-ს სპეც. -ღ ნაწილაკიც მოეპოვება, რ-იც წინადადების სხვადასხვა წევრს დაერთვის. ეს ნაწილაკი ზოგჯერ ე. წ. თხოვნით ბრძანებითებსაც დაერთვის და თხოვნის შინაარსს აძლიერებს. ნატვრითობის გამოსახატავად ძალზე პროდუქტიულია -მც(ა) ‖ -მ ნაწილაკი. აგრეთვე ორიგინალურია თ. დ-ში მტკიცებითი -წ ნაწილაკი (ხომ-ის მნიშვნელობით). ასეთივე მნიშვნელობის გამაძლიერებელი ფუნქცია აქვს -ოდ ფორმანტს.

თ. დ-ს აქვს მნიშვნელოვანი სინტაქსური თავისებურებანიც: მსაზღვრელი საზღვრულს ბრუნვაში სრულად ითანხმებს; ამავე დროს, ატრიბუტული მსაზღვრელი ზოგჯერ საზღვრულთან უბრუნველია. სახელობითბრუნვიანი ობიექტი ზმნას რიცხვში ყოველთვის ითანხმებს, არა აქვს მნიშვნელობა მრავლობითის წარმოება ებ-იანია თუ ნარ-იანი. ნ ფორმანტი თავს იჩენს ნამყოში სუბიექტის მრავლობითის -ეს მაწარმოებლის გვერდითაც.

თ. დ. მდიდარია დიალექტური ლექსიკით, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: განსაკუთრებული საცხოვრებელი გეოგრ. გარემო, ცხოვრების მთაბარული წესი, სხვა კუთხეებისაგან განსხვავებული სამეურნეო ყოფა-საქმიანობა, ორიგინ. ტრად. რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებები, სიახლოვე ნახურ და დაღესტნურ ენობრივ სამყაროსთან და სხვ.

ლიტ.: ბოჭორიძე გ., თუშეთი, თბ., 1993; კურდღელაიძე გ., თუშეთი, თბ., 1983; უთურგაიძე თ., თუშური კილო, თბ., 1960; ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I–II, თბ., 1989–98.

გ. ცოცანიძე.

თუშური ენა, იხ. *ფშავ-თუშური ენა.*

თუშური ქუდი, მამაკაცის ნაბდის თავსაბურავი. გავრცელებულია აღმ. საქართველოში (კოკორა ქუდის სახელით ნაწილობრივ იმერეთსა და რაჭაშიც გეხვდება). საგანგებოდ შეთელილი შავი ნაბდისაგან მზადდებოდა აჭრილი ან შედგენილი თარგის მიხედვით. ნაბდის ნაჭერს (შოლტა) სიგანეზე ოთხ თანაბარ ნაწილად გადაკეცავდნენ, დაკეცილს ორივე მხრიდან ირიბად ჩაჭრიდნენ, ნაწიბურებს ამოკერავდნენ და ნაკერზე შავ ყაითანს მოაყოლებდნენ. შეკერილ ჩაჩას კალაპოტზე ჩამოაცვამდნენ და ნაპირებს სამაგად გადაუკეცავდნენ. ქუდის ცაზე დაკერებული ყაითნის ჯვარედინად გადაკვეთის წერტილზე ყაითანმოვლებულ ნაბდისავე ღილს დააკერებდნენ. ძველად ქართველი მეომრები ძლიერი დარტყმის შესასუსტებლად ჩაჩქნის ქვეშ თავზე თ. ქ-ს იხურავდნენ. თ. ქ-ებს ოჯახში დიასახლისები ამზადებდნენ, სახელოსნოებში კი – ხელოსნები. ასეთი სახელოსნოები იყო თელავში, ახმეტაში, სიღნაღში, გორში, დუშეთში, თბილისში და სხვ. ახლა თ. ქ-ებს თელავში უმთავრესად ფაბრიკული ქეჩისაგან ამზადებენ.

ლიტ.: ჩაჩაშვილი გ., ქართლელი გლეხი მამაკაცის კოსტიუმი XIX საუკუნისა, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1957, ტ. 19A და 21 B; ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. 3–4, თბ., 1962.

ლ. მოლოდინი.

თუშური ყველი, „გუდის“ ყველი, ქართული ყველის ერთ-ერთი სახეობა. ,,გუდა'' ყველის სხვა სახეობებისაგან (იმერული ყველი, სულგუნი და სხვ.) გამორჩეულია თავისი საგემოვნო თვისებებით და უნიკალური ტექნოლოგიით. დამზადების ძირითადი პრინციპები დღემდე უცვლელია, თუმცა დღევანდელ პირობებში მისი წარმოება ახ. თანამედროვე ტექნოლ. საფუძველზე მოთხოვნადია და დიდ ინტერესს იწვევს.

,,გუდის'' ყველი მზადდება თუშური ცხვრის რძისაგან. ცხვარს მთის საძოვრებზე გარეკვისას, ბატკნის ასხლეტის შემდეგ, წველიან 1,5–2 თვე. მიღებული რძე იფილტრება და იწყება მისი შედედება. ზოგ შემთხვევაში ხდება უმი ან პასტერიზებული რძის შედედება მაჭიკით. შემდეგ შედედებული მასა მარილდება, გუნდავდება და იდება სპეციალურ გუდაში, სადაც ყველი მომწიფდება. შემდგომში მისი შენახვა განაპირობებს ყველის სპეციფ. თავისებურებებს: სუნს, მოცხარო, მომლაშო პიკანტურ გემოს და რამდენადმე მყიფე მკვრივ კონსისტენციას. 1 *კგ* თ. ყ-ის მიღებისათვის საჭიროა 6 ლ ცხვრის რძე.

თუშური ცხვრის რძე ძროხის რძისაგან განსხვავებით თითქმის ორჯერ მეტ ცილას (5,7%) და ცხიმს (7,2%) შეიცავს, ამიტომ თუშური ყველი (,,გუდა'') მაღალკალორიულია და დიდხანს ინარჩუნებს ფიზ. და ქიმ. მდგრადობას. ამ ყველს უძველესი დროიდან ამზადებენ აღმ. საქართველოში. განთქმულია ალვანის ,,გუდის'' ყველი.

ზ. ფალავანდიშვილი.

თუშური ცხენი, საჯდომ-სასაპალნე ჯიშის ცხენი. გამოყვანილ-

ია აღმ. საქართველოს მთაგორიანი ზონის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მრავალწლიანი ხალხ. სელექციის გზით. ენდემური, ადგილობრივი ჯიშია. ტანად პატარა, მკვრივი აგებულების, ფერით უმთავრესად ქურანაა. ფაშატის საშ. განაზომია (*სმ*-ობით): სიმაღლე მინდაოში 134, ტანის ირიბი სიგრძე 137, გულმკერდის ირგვლივი 156, ნების ირგვლივი 16,9. თ. ც. გამოირჩევა სიმარდით, მოქნილობით, გამძლეობით, საკვებისადმი ნაკლები მომთხოვნელობით და მაღალი ნაყოფიერებით. ცხენების ჯიშების კლასიფიკაციის მიხედვით, იგი მიეკუთვნება სამომშენებლო ჯიშს. თ. ც-ს იყენებდნენ ორთვლიან საზიდრებში, მომთაბარე მეცხოველეობაში და სამხ. დანიშნულებისთვის. თ. ც. მთაში საჯდომ-სასაპალნე მუშაობისათვის უბადლოა. მისი რე-



თუშური ცხენი.

პროდუქტორი იყო ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის თ. ც-ის სანაშენე ფერმა. *დ. კობალავა.*

თუშური ცხვარი, ნახევრად დუმიანი ცხვრის ჯიში. გამოყვანილია აღმ. საქართველოს მომთაბარე მეურნეობის პირობებში მრავალწლიანი ხალხ. სელექციით (XIII–XIV სს.) ძვ. ქართ. ცხვრების შეჯვარებით სხვა უხეშმატყლიან ჯიშებთან.

თ. ც. საქართვ. უძველესი აბორიგენული ჯიშია. იგი კომბინირებული-მეხორცეულ-სამატყლე-მერძეული მიმართულებისაა. ამტანია, გამძლეა, ნაკლებმომთხოვნია საკვებზე, რომლის უდიდეს ნაწილსაც (80%-ზე მეტს) ბუნებრივ პირობებში მოიპოვებს.

თ. ც. კომპაქტურია, მაგარი კონსტიტუციისაა, იტანს დიდ მანძილზე გადარეკვას, კარგად იყენებს მწირ საძოვრებს. კვების გაუმჯობესებით მკვეთრად მატულობს მისი მეხორცული და სამატყლე პროდუქტიულობა. თ. ც. ნაკლებნაყოფიერია, აქვს მაღალი ხარისხის ხორცი და თეთრი, დრეკადი, ელასტიური, მბზინავი მატყლი, რისგანაც ქსოვენ უმაღლესი ხარისხის ხალიჩებს. თ. ც-ის რძის ცხიმიანობა 6–8%-ია, მისგან მზადდება *თუშური ყველი.* თ. ც-ის ცოცხალი მასაა: ერკემლისა – 56–60 *კგ,* მაქს. 90 *კგ*-მდე; ნერბისა – 41–42 *კგ,* მაქს. 60 *კგ.* წელიწადში ორჯერ პარსავენ. ერკემლის ნაპარსია 3–4 *კგ,* მაქს. 6,5 *კგ*-მდე; ნერბისა – 2,5–3 *კგ,* მაქს. 5,5 *კგ*-მდე. მატყლის კულულის სიგრძეა 11–17 *სმ,* მაქს. 31 *სმ.*

XX ს. 90-იან წლებამდე კახეთში ფუნქციონირებდა თ. ც-ის ჯიშსაშენი და სანაშენე ფერმები.

მ. რჩეულიშვილი.

თუხარელი გიორგი ალექსანდრეს ძე [5 (17). V. 1891, გორი, – 17. IV. 1937], სამხედრო მოღვაწე, დივიზიის კომისარი (1935). საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პოლკოვნიკი (1921-მდე). 1911 დაამთავრა გიმნაზია ქ. განჯაში. 1911–13 სწავლობდა ოდესის სამხ. სასწავლებელში. I მსოფლიო ომის მონაწილე. იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე. 1918 აფხაზეთში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1921 ჩაირიცხა წითელ არმიაში. 1921–23 იყო ქართულ შენაერთებში ჯერ ბრიგადის, შემდეგ დივიზიის შტაბის უფროსი. 1924–27 მეთაურობდა მე-2 ქართულ და მე-5 კავკასიურ მსროლელ პოლკებს. მონაწილეობდა გურიასა და სვანეთში 1924 აჯანყების ჩახშობაში. იმავე წლის ნოემბრიდან პირველი ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური. 1930 მოსკოვში დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია. იმავე წლის იანვრიდან მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური. 1931 ნოემბრიდან მე-3 კავკასიური მსროლელი დივიზიის მეთაური. 1936–37 იყო ამიერკავკასიის სამხ. ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწე. რეპრესირებულია (1937), რეაბილიტირებულია (1957). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები. *ნ. კალაძე.*


თუხარელი მაია დიმიტრის ასული (დ. 11. VI. 1960, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2001). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი რუსული ენისა და ლიტ-რის სპეციალობით (1981). იმავე წელს მუშაობა დაიწყო იქვე რუს. ენისა და ლიტ-რის კათედრაზე. 1998–2006 პარალელურად იყო თსუ-ის ზუგდიდის ფილიალის ფილოლოგიის ფაკ-ტის რუს. ენისა და ლიტ-რის კათედრის ხელმძღვანელი. 2012-იდან არის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკ-ტის ასოცირებული პროფესორი. იკვლევს თ. დოსტოევსკის, ა. ჩეხოვის, ვ. ბრიუსოვის, მ. ლერმონტოვის და სხვა რუს მწერალთა შემოქმედებას, ქართ. რუსისტიკის საკითხებს. აქვეყნებს ნაშრომებს სამეცნ. პერიოდულ გამოცემებში.

თუხარელი ოთარ გიორგის ძე (25. III. 1922, თბილისი, – 14. II. 1997, კრასნოდარი, დაკრძალულია თბილისში), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). დაღესტნის ავტონ. რესპ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1982). თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკად. არქიტ. კათედრის პროფესორი (1981). აღმ. ქვეყნების არქიტ. საერთაშ. აკად. ნამდვილი წევრი (1993). დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. საინჟ. ინ-ტი (1946), ხოლო 1953 – მოსკ. არქიტ. ინ-ტი. ამავე წლიდან მუშაობდა არქიტექტორად მოსკ. სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებში. 1960–64 იყო საპროექტო ინ-ტის ,,საქსოფლმშენსახპროექტის'' მთ. არქიტექტორი (თბილისი), 1967–70 – საქართვ. მშენებლობის სახელმწ. კომიტეტის თავმჯდომარე, 1970–89 – თბილ. ზონალური სამეცნ.-კვლ. და საპროექტო ინ-ტის დირექტორი.

ძირითადი ნამუშევრები: საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტი (1976, თბილისი, კრწანისი; არქიტ. ბ. ბარქაიასთან ერთად, თანაავტორი ვ. ვასილიძე); 14-სართულიანი მსხვილპანელიანი საცხოვრ. სახლი (1981, ავტორთა ჯგუფთან ერთად, განხორციელებულია თბილისსა და ქუთაისში); 16-სართულიანი საცხოვრ. სახლი მონოლითური ბეტონისაგან (1985, ავტორთა ჯგუფთან ერთად).



თუშური ცხვარი.



ო. თუხარელი.

ო. თუხარელი. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა. თბილისი, კრწანისი. 1976.



თ. გერსამია.

თუხარისი, ციხესიმაგრე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, უძველესი ქართული პროვინციების *ტაოსა* და *კლარჯეთის* საზღვარზე; ძვ. ქართ. ტრადიციის თანახმად, თ. საქართვ. ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქია; დააარსა ქართველთა ერთ-ერთმა ლეგენდარულმა ეთნარქმა – ოძრხოსმა. IV ს-ში თ-სა და კლარჯეთს ბიზანტია დაეუფლა. V ს. II ნახევარში თ. კვლავ ქართლის სამეფოს დაუბრუნდა. შემდგომში იგი ,,ქართველთა საკურაპალატოში'' (ტაო-კლარჯეთის სამთავროში) შედიოდა. IX–XI სს-ში თ. იყო ჯაყელთა საგვარეულოს ცენტრი და ერისთავთა რეზიდენცია. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის (XV ს.) შემდეგ სამცხე-საათაბაგოს ერთ-ერთი ცენტრი გახდა. XVI ს-ში საქართველოს სხვა მიწა-წყალთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983.

დ. მუსხელიშვილი.

თუხარისის საეპისკოპოსო, ადმინისტრაციული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში, იმიერტაოში. უცნობია თ. ს-ს როგორც წარმოშობის, ასევე გაუქმების ზუსტი დრო. თუხარისის ეპისკოპოსი მოიხსენიება ,,მატიანე ქართლისაში'': ,,... ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთაუფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა, თჳნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ეპისკოპოსისა''. მემატიანის ეს ცნობა 1045–47 ამბებს ეხება და თ. ს-ს წყაროებში მოხსენიების ერთადერთი ფაქტია.

თუხარისის ეპისკოპოსად შეიძლება მივიჩნიოთ დავით აღმაშენებლის თანამედროვე ბეშქენ ჯაყელი, რ-იც 1118 სელჩუკებთან ბრძოლაში დაიღუპა.

XIV ს. დასაწყისში თუხარელნი მოხსენიებული არიან ,,სამცხის თავადთა ნუსხაში''. ეს იმაზე მიუთითებს, რომ XIV ს. დასაწყისში თ. ს. აღარ არსებობდა, თუხარისი ფეოდ. მამული იყო და მისი მფლობელები თუხარელებად იწოდებოდნენ.

ლიტ.: ბახტაძე მ., ეპისკოპოსის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.

მ. ბახტაძე.

თუხტი, მასის ერთეული. იხ. *სტილი.*

თუჯი, *რკინის* შენადნობი *ნახშირბადთან* (2,14%-ზე მეტი ოდენობის C-ით), რომელიც მუდმივი მინარევების სახით ასევე შეიცავს სილიციუმს Si, მანგანუმს Mn, ფოსფორს P და გოგირდს S (ნაკლები C-ის შემცველი შენადნობები *ფოლადს* წარმოადგენს). თ. ბრძმედში რკინის (Fe) მადნის გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი პროდუქტია, რ-იც ცხელ მდგომარეობაში წნევით ძნელად დასამუშავებელია. დნება 1150—1200 °C – დაახლ. 300 °C-ით ნაკლებ ტემპ-რაზე, ვიდრე სუფთა რკინა. თ-ის სიმკვრივეა 7100—7300 *კგ/მ*^{3}.

თ-ის ჩამოსხმის ტექნოლოგია აითვისეს ჩინეთში დაახლ. X ს-ში, საიდანაც მონღოლ-თათართა მეშვეობით გავრცელდა სხვა ქვეყნებში. XIV—XV სს-ში იწყებენ თ-ის ზარბაზნების



თუჯი. გრიფონი საკრებულოს წინ.

გამოყენებას (ჩინეთი, არაბეთი, საფრანგეთი, ინგლისი; XVI ს — რუსეთი). XVIII ს-ში ინგლისში ააგეს პირველი თ-ის ხიდი და დაიწყეს თ-ის რელსების დამზადება. მაღალი კოროზიამედეგობის გამო გავრცელდა თ-ისგან დამზადებული საყოფაცხოვრებო ნაკეთობანი (უთოები, სასანთლეები, ღუმელები და სხვ.), სამშენებლო კონსტრუქციები (აივნები, ხიდები, მოაჯირები, კიბეები და სხვ.), ჭურჭელი (როგორც საკვების დასამზადებელი — ტაფები, ქვაბები, ,,თუჯიები'' და სხვ., ასევე სამეცნ. და სამრეწვ. დანიშნულებისა) და აგრესიულ ქიმიურ გარემოში მოხმარებისთვის გამიზნული ნაკეთობანი (საკანალიზაციო მილები და ჭების სახურავები და სხვ.). თ-ს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ. უმთავრესია ფოლადის მიღება ე. წ. ბესემერისგან თ-ის ბესემერის *კონვერტერში.* კონვერტერის ამონაგისა და წიდის მჟავური თვისებების გამო გაქრევის პროცესში თ-იდან შეუძლებელია P-ისა და S-ის მოცილება, ამიტომ ბესემერის თ-ში ამ მავნე მინარევების რაოდენობა მინიმალური უნდა იყოს (არა უმეტეს 0,07% P და 0,06% S). ასეთი თ. შეიძლება გამოვადნოთ მხოლოდ განსაკუთრებული მცირეფოსფორიანი და მცირეგოგირდიანი მადნებისგან. სამსხმელო თ-ს იყენებენ ზუსტი და პროფილური სხმულების წარმოებისთვის (გამყარებისას თ. ფართოვდება და მჭიდროდ და ზუსტად ავსებს სამსხმელო ფორმას); სპეციალურ, ანუ ბრძმედის ფეროშენადნობებს (ფერომანგანუმი, ფეროსილიციუმი, სარკისებრი თ. და სხვ.) იყენებენ ფოლადისა და თ-ის განჟანგვისა და ლეგირებისთვის.

თ-ს, რ-ის სტრუქტურაში C გრაფიტის სახით შედის, რუხი თ. ეწოდება, ხოლო თუ რკინის კარბიდის (Fe_3C) ანუ ცემენტიტის სახითაა – თეთრი თ. რუხი თ. თერმულად ადვილად მუშავდება. აქვს მაღალი სამსხმელო თვისებები და სხვ. მცირესილიციუმიან თეთრ თ-ს უმთავრესად ფოლადად გადამუშავებისთვის იყენებენ, განსაკუთრებული შემადგენლობის (C 2,4–2,8%, Si 0,8–1,4%, Mn≤1,0%, S≤0,1%, P≤0,2%) თეთრ თ-ს კი – ჭედადი თ-ის მისაღებად. მისგან ამზადებენ საავტომობილო კარტერებს, სამუხრუჭე ხუნდებს, კუთხედებს და სხვ. მანქანათმშენებლობასა და მეტალურგიაში ამჟამად გამოყენებული ლითონების 75-80% თ-ის სხმულს შეადგენს.

საქართველოში XVIII ს. შუა წლებში თბილისში, ერეკლე II-ის თაოსნობით, დაარსდა ცეცხლსასროლი საჭურვლის ქარხანა (*თოფხანა*), სადაც იარაღის გარდა (მორტირები, *ქვემეხები,* თოფ-დამბაჩები) ამზადებდნენ სამეურნეო იარაღსაც (ჯაჭვები, ფიწლები, სახნისები და სხვ.). თ-ის (ასევე ფერადი ლითონების) ჩამოსასხმელი წარმოების გასამართავად ერეკლე II-მ 1763 ერზურუმიდან (თურქეთი) 800 ბერძნული ოჯახი ჩამოასახლა (იხ. სტ. *მეტალურგია*). ლითონის გამოდნობა-ჩამოსხმის და დამუშავების პროცესი ორგანიზებული იყო როგორც უძველესი ადგილობრივი ტრადიციების, ასევე უახლესი ევროპული და რუსული გამოცდილების საფუძველზე, რასაც, ერეკლე II-ის თვალსაზრისით, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობისთვის. ამ პერი-



თუჯის მოაჯირი მეტეხის ხიდზე.

ოდში მოძიებული, ასევე უძველესი დროიდან ცნობილი საბადოების ბაზაზე (ბოლნისი, ბორჩალო და სხვ.) მოქმედი წარმოება არსებითად გაფართოვდა XIX ს-ში. 1862 თ-ის გამოდნობა დაიწყეს ჩათახის (ბოლნისის მუნიციპ.,) ქარხანაში, რ-იც ე. ლიბის პროექტით აშენდა. ქარხნის ამოქმედება განაპირობა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის დაწყებამ: აუცილებელი გახდა მშენებლობისთვის საჭირო შავი ლითონის ადგილზე წარმოების ორგანიზება. აქ აიგო ორი მცირე ბრძმედი, რ-თა საერთო მოცულობა 30 $მ^3$ აღწევდა. 1875-მდე ჩათახის თ-ის ქარხანამ გადაამუშავა 5 728 *ტ* რკინის მადანი, გამოუშვა 3 452 *ტ* თ. და მისი ნაკეთობები და 390 *ტ* რკინა. 1875 ქარხანა დაიხურა: წარმოების მასშტაბის სიმცირემ, საწვავის (ხის ნახშირი) სიძვირემ, მოძველებულმა ტექნოლ. სქემამ მისი შემდგომი ექსპლუატაცია მიზანშეუწონელი გახადა. ქარხანა აღადგინეს მხოლოდ 1923. იმავე წლის მაისში საწარმომ პირველი ქართული ფოლადი გამოუშვა, მაგრამ 1926 კვლავ დაიხურა. 1932 თბილისის გარეუბანში — ავჭალაში დაიწყო ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის *„ცენტროლიტის“* მშენებლობა. თ-ის პირველი სხმული გამოუშვეს 1934. XX ს. ბოლომდე აქ მზადდებოდა თ-ისა და ფოლადის დეტალები თბილისის ვაგონშემკეთებელი, ჩარხმშენებელი, ს/გ “ელმავალმშენებელი”, ს/გ “ელექტროაპარატი” და სხვ. ქარხნისებისათვის. 1948 დაარსდა *რუსთავის მეტალურგიული კომბინატი*, სადაც პირველი თ. გამოუშვეს 1954 (ბრძმედის აშენების შემდეგ). XX ს. II ნახევარში რუსთავში ასევე მოქმედებდა ქარხნები „თუჯსასხმელი“, “ცენტროლიტი”, “მეტალოკონსტრუქციები” და სხვ. 1975—80 საქართველო წელიწადში საშუალოდ 800 ათას *ტ* თ-ს, 1,5 მლნ *ტ* ფოლადს, 500 ათას *ტ* ფოლადის მილებს და სხვ. ნაკეთობებს აწარმოებდა.

1980-იდან საქართველოში თ-ის წარმოების ზრდა შეფერხდა, 1990-იდან კი მკვეთრად დაეცა. XX ს-ის მიწურულს თბილისის “ცენტროლიტის” ბაზაზე დაარსდა რამდენიმე მცირე შპს, სადაც თ-ის წარმოება-დამუშავების მასშტაბები მცირეა. რუსთავის მეტალ. კომბინატის ბაზაზე ამჟამად (2017) ორი ქარხანა ფუნქციონირებს, რ-თაგან პირველმა შეინარჩუნა ძვ. სახელწოდება და ძირითადად მილებს აწარმოებს. მეორე, შპს *„ქართული ფოლადი“* (2011), სამშენებლო არმატურასთან ერთად, მცირე რაოდენობით ამზადებს უნაკერო მილებს, თ-ის სხმულებს, მ. შ. ფასონურს, ლითონკონსტრუქციებს და სხვ. XXI ს დამდეგს რუსთავის “ცენტროლიტი”, “თუჯსასხმელი” და სხვ. ქარხნები დაიხურა.

საქართველოში თ-ის თვისებების ყოველმხრივი მეცნიერული კვლევა-შესწავლა დაიწყო პ.მელიქიშვილის სახ. ქიმიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში *ლ.პისარჟევსკისა* და *გ.ნიკოლაძის* თაოსნობით, სადაც 1935 გაიხსნა მეტალურგიის განყოფილება. შემდგომი კვლევები გაგრძელდა ამ განყოფილების ბაზაზე 1945 შექმნილ საქართვ. მეცნ. აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინ-ტში (2006-იდან – ფ. თავაძის *მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი*).

თ-ის წარმოება-დამუშავების პროცესის ყველა ეტაპის სპეციალისტებს ამზადებდა სპი-ის მეტალურგიის ფაკ-ტი (2006-იდან – სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკ-ტი).

ლიტ.: არევაძე ნ., შავი და ფერადი მეტალურგიის მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში, კრებ.: ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქ-

ცხრილი. თუჯის 10 უდიდესი მწარმოებელი ქვეყანა (2015):

	ქვეყანა	მლნ. *ტ*	*კგ*. 1 სულ მოსახლეზე
1	ჩინეთი	543,748	405.9
2	იაპონია	66,943	525.9
3	რუსეთი	43,945	299.4
4	ინდოეთი	29,646	24.7
5	სამხრეთი კორეა	27,278	527.6
6	უკრაინა	25,676	570.6
7	ბრაზილია	25,267	125.0
8	გერმანია	20,154	244.9
9	აშშ	18,936	58.3
10	საფრანგეთი	8,105	125.3

საქართველოში თუჯის წარმოება შეადგენდა
1980 – 0.8 მლნ. *ტ* (1 სულზე 153.9 *კგ*)
2017 – 0.01 მლნ. *ტ* (1 სულზე 2.7 *კგ*)

ტუალური პრობლემები, ტ. 1, თბ., 2015; ბ ა ძ ო შ ვ ი ლ ი თ., სამთო-მეტალურგიული წარმოება XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2012; თ ა ვ ა ძ ე ფ., თუჯი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980; კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX ს-ში, თბ., 1962. *ი. ლომძე, ლ. ნაკაიძე*

თძმა, ძველ ქართულ ხალხურ მრავალხმიან სიმღერა-საგალობლებში მელოდიისა და სიტყვიერი ტექსტის წამყვანი ხმა. მის შემსრულებელს მთქმელი ეწოდება. ხალხში თქმას პირველ ხმას უწოდებენ, რადგან თავისი ფუნქციით იგი წამყვანია. სინამდვილეში კი (მუს. ფაქტურაში) შუა ხმაა. თქმა სიმღერა-გალობას იწყებს და ძირითად ჰანგს მღერის. დანარჩენი ხმები კი (*ზილი, კრინი, მაღალი ბანი, ბანი, შემხმობარი, დაბალი ბანი, შემდეგი*) მას მისდევს, მისძახის, უბანებს, უხმობს. იხ. აგრეთვე *მთქმელი*.



თხა.

ლიტ.: მ ა ჩ ა ბ ე ლ ი დ., ქართველთა ზნეობა, I. გალობა, «ცისკარი», 1864, №5; ჯ ავ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938. *გ. ჩხიკვაძე.*

თძმულება, ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი ჟანრი, უპირატესად რეალისტური მოთხრობა გარდასულ ამბავზე. ზოგჯერ შეთხზული ამბავიც უდევს საფუძვლად. გვხვდება როგორც პროზაული, ისე ლექსის სახით. პროზაული თ. გადმოცემასა და ლეგენდას უახლოვდება. ქართ. ფოლკლორში თ-ების დიდი ნაწილი საისტ. ხასიათისაა და ეძღვნება ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, შოთა რუსთაველს, ერეკლე II-ეს, სოლომონ I-ს, სამას არაგველს, ბახტრიონის ციხის აღებას და სხვ. გვხვდება სოციალური (მაია წყნეთელის, თამრო ვაშლოვნელის, უშგულელების), ეტიოლოგიური (ბაზალეთის ტბის წარმოშობის, ბუსა და ოფოფის გაჩენის) და სხვ. ხასიათის თ-ებიც. ეპიკური ციკლის თ-ებში (,,ამირანიანი'', ,,როსტომიანი'', ,,ტარიელიანი'', ,,ეთერიანი'' და სხვ.) ხშირია პროზისა და ლექსის მონაცვლეობა. თ. გვხვდება თანამედროვე ფოლკლორშიც.



თხაწართხალა.

გამოც.: [წიგნში] ხალხური სიბრძნე, [ტ.] 3, თბ., 1964; Грузинские народные предания и легенды. Сост. Е.Б. Вирсаладзе, М.,1973.


ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქ., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956. *ქ. სიხარულიძე.*

თხა (Capra hircus), წყვილჩლიქოსანი მცოხნავი ცხოველი ძროხისებრთა (Bovidae) ოჯახისა. შინაური თ-ის წინაპარია გარეული თ-ის ორი სახეობა – *ნიამორი* და რქახრახნილი თ., აგრეთვე ამომწყდარი სახეობა – C. prisca. თ. მოშინაურებულია დაახლ. 8500 წლის წინათ. გვარში (Capra) გაერთიანებულია 8 ქვესახეობა. თ. ადვილად ეგუება სხვადასხვა გარემო პირობებს, რის გამოც მოშენებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ბუნებრივ-ეკოლ. ზონაში. დას. საქართველოში გავრცელებულია მეგრული თ., აღმ. საქართველოში – გაუმჯობესებული ნაჯვარი თ. იგი გამოიყენება რძის, ხორცის, ბეწვის (მატყლის), თივთიკისა და ტყავის მისაღებად. ცოცხლობს 9–10, მაქსიმუმ 17 წელს; სამეურნეო გამოყენების საშ. ვადაა 7–8 წელი. სქესობრივად მწიფდება 5–9 თვის ასაკში, დასაგრილებლად 14–18 თვისას უშვებენ. მაკეობა დაახლ. 5 თვეს გრძელდება. თ. იგებს 1–2, იშვიათად 3 თიკანს. ზრდასრული მამალი თ-ის (ბოტის) საშ. ცოცხალი მასაა 60–65 *კგ*, მაქს. – დაახლ. 100 *კგ*, დედალი თ-ისა (ნეზვის), შესაბამისად – 40–60 *კგ*-მდე. ლაქტაციის ხანგრძლივობა 180–320 დღეა. პროდუქტიულობის მიხედვით განასხვავებენ სარძეო, სამატყლე, სათივთიკე და კომბინირებული მიმართულების ჯიშებს. სარძეო ჯიშის დედალი თ. წელიწადში 400–700 *კგ* რძეს იწველის, რეკორდული მონაწველი 3507 *კგ*-მდეა. რძის ცხიმიანობაა 3,5–5,0%. სამატყლე ჯიშის თ-ის მატყლს ერთგვაროვანი ბოჭკოები აქვს. მამალი თ-ის ნაპარსია 4–5 *კგ*, დედლის – 3–5 *კგ*. სათივთიკე ჯიშებიდან წელიწადში საშ. იღებენ 0,2–0,5 *კგ* თივთიკს, მაქს. – 2 *კგ*-მდე. 2013 წლის მონაცემებით, მსოფლიოში აღრიცხულია 300-მდე ჯიშის თ. მათი სულადობა მსოფლიოში აღემატება 1 მილიარდს, ხოლო საქართველოში აღრიცხულია 49,8 ათ. სული (2015). მსოფლიოში აწარმოებენ 18 მლნ-მდე ტ რძეს და 5 მლნ-ზე მეტ ტ ხორცს (2013). *გ. გოგოლი.*

თხაწართხალა (Chamaenerium angustifolium), ბალახოვანი მცენარე ონაგრასებრთა ოჯახისა. აქვს მომრგვალო ან ოდნავ წიბოებიანი 50–150 *სმ* სიმაღლის დაუტოტავი ღერო, მორიგეობით განლაგებული მოგრძო ან ხაზურ-ლანცეტისებრი, მჯდომარე ან მოკლეყუნწიანი ფოთლები (ფოთლის ზედა მხარე პრიალა და მუქი მწვანეა, ქვედა – მოლეგო და ბადისებრ დაძარღვული), მრავალყვავილიანი, კენწრულ მტევნებად შეკრებილი მეწამული ყვავილები, მრავალთესლიანი, კოლოფა ნაყოფი. გვხვდება საქართვ. ყველა მაღალმთიან რ-ნში. იზრდება მთის ზედა და სუბალპ. სარტყლის ტყეებში, მდელოებზე, ტყის პირებსა და ნაკაფ ადგილებში, დაჩრდილულ და ტენიან ხეობებში. ახასიათებს ხანგრძლივი ყვავილობა (ივნისიდან–აგვისტომდე). ყვავილი გამოირჩევა ნექტრის სიუხვით, ფესვი ტკბილია და გამოიყენება საჭმელად; შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს.

ლ. ხინთიბიძე.

თხევადი კრისტალები, ორგანული ნივთიერებები ან ნარევები, რომელთა შემადგენელი მოლეკულები არის წაგრძელებული ან ბრტყელი და გარკვეულ ტემპერატურულ ან კონცენტრაციულ ინტერვალში მათთვის დამახასიათებელია როგორც სითხის (დენადობა), ისე მყარი სხეულის თვისებები (მოლეკულების განლაგების გარკვეული წესრიგი, ფიზ. პარამეტრების ანიზოტროპია და სხვ.). თ ე რ მ ო ტ რ ო პ უ ლ ი თხევადკრისტალური ფაზა თერმოდინამიკურად სტაბილური შუალედური მდგომარეობაა მყარ სხეულსა და სითხეს შორის და დაიმზირება გარკვეულ ტემპერატურულ ინტერვალში. როცა თხევადკრისტალური მდგომარეობის არსებობა დამოკიდებულია ნარევის ერთ-ერთი კომპონენტის კონცენტრაციაზე, მათ ლ ი ო ტ რ ო პ უ ლ თ. პ-ს უწოდებენ. მიღებული კლასიფიკაციით, თ. პ. იყოფა ორ კლასად: ნ ე მ ა ტ უ რ (N) და ს მ ე ქ ტ ი კ უ რ (S) თ. პ-ად. N თ. პ-ს ახასიათებს მოლეკულების ორიენტაციული მოწესრიგებულობა, S თ. პ-ს კი, დამატებით – მოლეკულების ფენოვანი წყობაც. S თ. პ-ის ტიპებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია სტრუქტურულად მარტივი A და C ტიპები. თუ N თ. პ-ის მოლეკულებს აქვთ ოპტ. აქტივობა (ქირალობა) ან თუ არაქირალურ ნემატიკებს ემატება რაიმე



თხევადი კრისტალების ტექსტურა.

თხევადი კრისტალების გამოყენება



ელექტრონული საათები





აიფონი 8



ელექტრონული წიგნი



აიპედი მინი

სახის ქირალური მოლეკულები, მიიღება სივრცულად მოდულირებული ჰელიკოიდური (სპირალური) სტრუქტურა, რ-ის პერიოდი (სპირალის ბიჯი) ასეული *ნმ*-დან უსასრულობამდე ფარგლებშია და მგრძნობიარეა გარეშე ზემოქმედების (ელექტრ., სითბური) მიმართ. ასეთ მ. ჰ-ს ქირალურ ნემატიკებს (N*) ან ქოლესტერულ მ. ჰ-ს (Cholesteric - Ch) უწოდებენ. ჰელიკოიდური სტრუქტურა გააჩნიათ, ასევე, ქირალურ სმექტიკურ C ტიპის (SC*) მ. ჰ-ს. არსებობს აგრეთვე თხევადკრისტალური პოლიმერები. თხევადკრისტალური სტრუქტურა აქვს ბიოლ. წარმოშობის მრავალ ნივთიერებას.

მ. ჰ-ის აღმომჩენად მიიჩნევენ ავსტრიელ ბოტანიკოსს ფ. რაინიტცერს (1888). მ. ჰ-ის კლასიფიკაციის ავტორია ფრანგი მეცნიერი ჟ. ფრიდელი (1922); მ. ჰ-ზე ელექტრ. და მაგნ. ველების გავლენის შესწავლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სანქტ.-პეტერბურგის სკოლამ (XX ს. 30-იანი წწ.) ვ. ფრედერიკსის ხელმძღვანელობით. გერმანელმა მეცნიერებმა ვ. მაიერმა და ა. ზაუპემ შექმნეს მ. ჰ-ის მოლეკულურ-სტრუქტურული თეორია (XX ს. 50-იანი წწ.). მ. ჰ-ის თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევაში და მათ სინთეზში დიდი წვლილი შეიტანეს ფრანგმა მეცნიერმა ჟ. პ. დე ჟენმა (ნობელის პრემია, 1991), ამერიკელმა გ. ბრაუნმა, ინგლისელმა ჯ. გრეიმ, რუსმა მეცნ. ი. ჩისტიაკოვმა და სხვ.


XX ს. 70-იანი წლებიდან დაიწყო მ. ჰ-ის ფართომასშტაბური შესწავლა და გამოყენება, რასაც ხელი შეუწყო ელექტრო- და თერმოოპტ. ეფექტების აღმოჩენამ, აგრეთვე ტექნოლოგიების განვითარებამ. მ. ჰ-ის მართვისათვის საკმარისია მცირემოდებული ძაბვა (1–5 *ვ*) და, შესაბამისად, მცირე ენერგია. შედეგად, მ. ჰ-ის ფართოდ იყენებენ მრავალ ტექ. სამეცნ. კვლ. და სამომხმარებლო ხელსაწყოში – მობილურ ტელეფონებში, ტელევიზორებში, ციფრულ ფოტო- და ვიდეოკამერებში, საზომ ხელსაწყოებში, საათებში, კომპიუტერულ დისპლეებში და სხვ.

საქართველოში მ. ჰ-ის შესწავლა მიმდინარეობს 1972-იდან საქართვ. მეცნ. აკად. კიბერნეტიკის ინ-ტში (2006-იდან – სტუ-ის კიბერნეტიკის ინ-ტი). უმთავრესად შეისწავლება სპირალური სტრუქტურის მქონე მ. ჰ.; დადგენილია მრავალკომპონენტიან თხევადკრისტალურ სისტემებში სპირალური სტრუქტურის წარმოქმნის მექანიზმი და მისი კავშირი შემადგენელი მოლეკულების აღნაგობასთან, ზემოლეკულური სტრუქტურის მახასიათებლებსა და ამ სტრუქტურებზე გარე ძალების ზემოქმედებასთან. ეს შედეგი მიიღეს ფიზიკოსებმა გ. *ჭილაიამ,* ს. არონიშიძემ და სხვ., ქიმიკოსებმა კ. *ჯაფარიძემ,* ზ. *ელაშვილმა* და სხვ. აღსანიშნავია, რომ პირველი გამოკვლევა სპირალური სტრუქტურების ინდუცირებისათვის არათხევადი კრისტალური დანამატების (მენთოლისა და ტიგოგენინის წარმოებულების) გამოყენების შესახებ, გამოაქვეყნეს კიბერნეტიკის ინ-ტის მეცნიერებმა (გ. ჭილაია, ზ. ელაშვილი) თსუ-ის მეცნიერებთან (გ. ძოწენიძე და სხვ.) თანამშრომლობით. დადგენილია, რომ ორიენტაციული მოწესრიგებულობის პარამეტრი ერთი და იგივეა ქოლესტერულ და ნემატურ მ. ჰ-ში; ქირალურ სმექტიკურ მ. ჰ-ში დამზერილია ბრეგის დიფრაქცია, ინდუცირებული წრიული დიქროიზმი და სინათლის შთანთქმის ჩაქრობა – ბორმანის ეფექტი და განსაზღვრულია დიელექტრიკული შეღწევადობის ტენზორი.

მ. ჰ-ის გამოყენება ხელსაყრელია ინფორმაციის გამომსახავ და გადამცემ მოწყობილობებში მოხმარებული სიმძლავრის სიმცირის გამო. მნიშვნელოვანი წარმატებები მიღწეულ იქნა სპექტრის ფართო უბანში შეუფერხებლად, თანაბრად და უწყვეტად გადაწყობადი საღებარდამატებული ქოლესტერული თხევადკრისტ. ლაზერების კვლევაში (გ. ჭილაია, გ. პეტრიაშვილი, ა. ჭანიშვილი).

მ. ჰ-ის პრაქტ. გამოყენების მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულია გამოსახულების გარდამქმნელების ახ. ტიპი: ლითონი–დიელექტრიკი–ნახევარგამტარი – მ. ჰ., რ-თა მახასიათებლები არსებულ ანალოგებს აღემატება. ამ შედეგებისთვის მეცნიერთა ჯგუფს (ს. არონიშიძე, კ. ვინოკური, ზ. ელაშვილი, დ.

თხევადი კრისტალების მეზოფაზები



ნემატური სმექტიკური ქოლესტერული

სიხარულიძე, გ. ჭილაია, კ. ჯაფარიძე) მიენიჭა საქართველოს სახელმწ. პრემია მეცნ. და ტექ. დარგში (1989).

ლიტ.: ჭილაია გ., თხევადი კრისტალები, თბ., 2016; Беляев В., Чилая Г., Жидкие кристаллы в начале XXI века, ИИН, МГОУ, М., 2015; Де Жен П., Физика жидких кристаллов, М., 1977; Chilaya G., Induction of chirality in nematic phases, «Revue de Physique Appliqué», 1981, v. 16, №15; Chandrasekhar S., Liquid crystals, Cambridge, 1992; Blinov L. M., Chigrinov V. G., Electrooptic effects in liquid crystal materials, N.Y., 1994.

გ. ჭილაია.

თხეიში, თხეიშურა, მდინარე ეგრისის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხაიშურის (ენგურის მარცხ. შენაკადი) ერთ-ერთი მდგენელი. სათავეს იღებს თხეიშიშდუდის მყინვარზე. სიგრძე 18,6 *კმ*, აუზის ფართ. 222 *კმ*^{2}. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულში, წყალმცირობა – ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 10,5 *მ*^{3}/*წმ*. იყენებენ ხეტყის დასაცურებლად. *ნ. უკლება.*

თხეიშიშდუდი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, ეგრისის ქედზე, მდ. თხეიშის სათავეში. სიმაღლე 3046 *მ*. აგებულია შუაიურული პორფირიტებით. კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. ბალახეულით. ჩრდ. კალთაზე არის ამავე სახელწოდების პატარა მყინვარი. *მ. უთმელიძე.*

თხელიძე მალხაზ რევაზის ძე (20. III. 1962, რუსთავი, – 2001, იქვე), მეტალურგი. 1984 დაამთავრა მეტალურგიის ფაკ-ტი, ლითონთა წნევით დამუშავების სპეციალობით. 1984–87 მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქ-ნაში დგანი ,,400-ის'' ცვლის ოსტატად, 1988–98 – მილსადენი საამქროს უფროსად.



მ. თხელიძე.

426 *მმ*-იანი დიამეტრის უნაკერო მილების გლინვის ტექნოლ. შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის ავტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1998).

თხილა, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ჟებოტის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), კახეთის ქედის დას. კალთაზე, ახმეტა–თიანეთის საავტ. გზაზე. ზ. დ. 1080 *მ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

თხილაგანი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოფეთის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. ხევისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 480 *მ*. 15 მცხ. (2014).

თხილაგანი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზემო ხეთის თემში (გურიის რეგიონი), გურიის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ხევისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ზემოწელში. ზ. დ. 460 *მ*, ჩოხატაურიდან 23 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ*. 38 მცხ. (2014).

თხილაიშვილი ჰასან დედორეს ძე (14. VI. 1891 – 1942), ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. აქტიურად იბრძოდა აჭარის საქართველოსთან შეერთებისა და იქიდან ოსმალო დამპყრობთა განდევნისათვის. ამ მიზნით მოსახლეობაში ეწეოდა ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას. 1918 თ-მა ქართველ პატრიოტებთან ერთად ჩაშალა ოსმალთა ცდა რეფერენდუმის ჩატარებისა, რისთვისაც იგი დააპატიმრეს. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იყო ჩაქვის თემის მილიციის კომისარი, ქობულეთის სამაზრო მილიციის უფროსი, ქობულეთის მაზრის აღმასკომის თავ-რე, სამაზრო სასამართლოს და აჭარის ცაკ-ის წევრი. წერდა ლექსებს, რ-თა თემაა სამხრ. საქართველოს ბრძოლების ისტორია, მესხეთის წარსული. დიდი მუშაობა გასწია ქობულეთის რ-ნში ქართ. სკოლების გახსნისთვის.

ლიტ.: ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათ., 1972.

თხილამურები, თოვლზე, ჭაობიან ადგილზე ან წყალზე გადასაადგილებელი მოწყობილობა. თ. ორი სახისაა – სასიარულო (საბიჯებელი) და სასრიალო. სასიარულო, თავის მხრივ, ორგვარია – თოვლისა და ჭაობისა.

თ. ძველთაგანვე ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიასა და შუა აზიის მთიანეთში, ციმბირში, ევროპასა და ჩრდ. ამერ. ცივ ზოლში. რუსეთის ჩრდილოეთისა და სკანდინავიის ქვეყნებში მოსახლეობა უხსოვარი დროიდან იყენებდა სასრიალო თ-საც, როგორც თავისი არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებას.

საქართველოს მთისწინეთსა და მაღალმთიანეთში სასიარულო თ. უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. ქართ. ხალხ. თ. სხვადასხვა მოყვანილობისა იყო (გირკალისებრი, მრგვალი, ელიფსური, ოვალურჭვინტიანი) და დამზადების ტექნიკითაც განსხვავდებოდა. გირკალისებრი თ. გავრცელებული იყო ხევსურეთში, მრგვალი – უმთავრესად სვანეთში, სამეგრელოში, ლაზეთში, აფხაზეთსა და მთიულეთში; ელიფსური – ქართლში, აჭარაში, რაჭაში, ნაწილობრივ სვანეთში, სამეგრელოსა და იმერეთში, ხოლო ოვალურჭვინტიანი – აჭარაში, გურიასა და ლაზეთში. საქართვ. მთიანეთში ცნობილია ადგილობრივი წარმოების თ. ამ მარტივ სასრიალო თ-ს სვანეთში ლაჩარხალალი ჰქვია, თუშეთში – ქოკები, მთიულეთში – კაგდები და სხვ. ძველად საქართვ. მთიანეთში სასიარულო (საბიჯებელ) თ-ს იყენებდნენ ზამთარში, ნადირობისას, და დათოვლილი ბილიკების დასატკეპნად, სამგზავროდ; ოვალურ თ-ს – ნადირობისა და ლაშქრობის დროს. ქართ. ხალხ. თ-ის დიდი კოლექცია დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ-ბის ფონდებში. ამ ტიპის თ-ის გამოყენება საქართველოსა და კავკასიაში ძვ. ბერძნ. საისტორიო მწერლობაშიცაა დადასტურებული.

სასრიალო თ-ს განეკუთვნება სპორტული (სარბოლო, სასლალომო, სახტომი), ტურისტული, სანადირო და სპეციალური დანიშნულების თ. იხ. აგრეთვე სტ. *სათხილამურო სპორტი.* *ფ. ნავერიანი.*

თხილვანა, ხულოს მუნიციპალიტეტის თხილვანის თემის სოფლების *ზედა თხილვანისა* და *ქვედა თხილვანის* გავრცელებული სახელწოდება.

თ-ის თემის ტერიტორიაზე მრავალი ისტ. ძეგლია, მ. შ. შუა საუკუნეების თამარის ციხე; იოანე მახარობლის ეკლესია, აშენებული ცნობილი მემატიანის აბუსერისძე ტბელის (XIII ს. 20–30-იანი წლების მიჯნა) დის, ერისთავთერისთავ აბუსერ ხიხელის მეუღლის ვანენის მიერ. შემორჩენილია ძვ. ქართ. ორნამენტით შემკული დიდი თაღიანი ქვა 7-სტრიქონიანი წარწერით (ქვა დაცულია აჭარის სახელმწ. მუზეუმში). თ-ის მახლობლად ისტ. ხიხანის ციხეა.

ლიტ.: შარაშიძე ლ., მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, «ძეგლის მეგობარი», 1982, №59.

ი. სიხარულიძე.

თხილთაწყარო, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ჩხარის (ჩოლაბურის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 480 *მ*, თერჯოლიდან 14 *კმ*. 86 მცხ. (2014).

თხილი (Corylus), წიფლისებრ-ყვავილოვანთა რაზმის, არყისებრთა ოჯახისა და თხილის გვარის ფოთოლმცვივანი ბუჩქი, იშვიათად ხისმაგვარი. თანამედროვე კლასიფიკაციით, თ. გამოყოფილია ცალკე თხილისებრთა (Corylaceae) ოჯახად. იგი ერთ-ერთი უძველესი კაკლოვანი სუბტროპ. კულტურაა. არქეოლოგების მიერ ნაპოვნია მისი ნაჭუჭი, რ-იც ქვის ხანას მიეკუთვნება. თ-ის წარმოშობის კერად აღიარებულია შავი ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპირო, კავკასია და მცირე აზია. პონტოდან და მისი მოსაზღვრე რ-ნებიდან თ-ის კულტურა გაიტანეს ბერძნებმა და გაავრცელეს თავიანთ კოლონიებში (ქ. აველანას მიდამოებში), საიდანაც დაედო საფუძველი თ-ის გავრცელებას ევროპასა და ამერიკაში. გვარი შეიცავს 20-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ევროპის, აზიისა და ჩრდ. ამერიკის ფოთლოვანი ტყეების ზონაში ზ. დ. 1500–1800 *მ*-მდე. ჯერ კიდევ VI ს-ში შეინიშნებოდა თ-ის ველური სახეობების გაკულტურების შემთხვევები. მათი ბუნებრივი ჰიბრიდიზაციისა და შერჩევის შედეგად წარმოიშვა გარემო პირობებს შეგუებული მაღალმოსავლიანი ჯიშები და ფორმები.

თ-ის ბუჩქი შედგება 4–6 დედა ტოტისაგან, ფოთლები ოვალური ფორმისაა, ორმაგად დაკბილული კიდით. ყვავილობს ზამთრის პერიოდში. მტვრიანებიანი (მამრობითი) ყვავილები უყვავილოსაფროა და მჭადა ყვავილედადაა შეკრებილი, ბუტკოიანი (მდედრობითი) ყვავილები კი კვირტშია ჩამალული და გარეთ მხოლოდ დინგები აქვს გამოყოფილი. თითოეული ყვავილის ირგვლივ ვითარდება სამ-სამი ურთიერთშეზრდილი თანაყვავილედი, რ-იც ნაყოფის მომწიფებისას სხვადასხვა ფორმის ნაყოფსაფარს (ბუდეს) ქმნის. ნაყოფი ერთთესლიანი კაკალია. მწიფდება ივლისის II ნახ-იდან სექტემბრამდე. მოსავალი ერთი ბუჩქიდან (ძირიდან) ჯიშების მიხედვით, სრულ მსხმოიარობის პერიოდში მერყეობს 7–10 *კგ*-მდე. მრავლდება თესლით, ბუჩქის დაყოფით, ფესვის ამონაყრით, კალმების დაფესვიანებით და მყნობით. თ-ის სიცოცხლის ხანგრძლივობის გენეტ. რესურსი 180–200 წელია, თითოეული დედა ტოტი კი 70–80 წელს ცოცხლობს. ის სითბოს, სინათლისა და ტენისმოყვარული, ყინვა- და გვალვაგამძლე, ჩრდილის ამტანი მცენარეა; ხარობს თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე, განსაკუთრებით მაღალ მოსავალს იძლევა ორგ. ნივთიერებებითა და ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე.

თ. დეკორ. და ანტიეროზიული მცენარეა. ნიადაგის ზედა ფენებში განვითარებული ძლიერი ფესვთა სისტემა ამაგრებს და იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისაგან. თ-ს მავნებლებიდან ყველაზე მეტად აზიანებს თ-ის ცხვირგრძელა (Curculio nucum), შავი ხარაბუზა (Oberea linearis), თ-ის კვირტის ტკიპა (Phytoptus avellanae) და ამერ. თეთრი პეპელა (Hyphantria Cunea), ბუგრები, ამბროზიის ხოჭო, მზომელები, ჩრჩილები, კუსებურა ბაღლინჯოები და სხვ. დაავადებებიდან გავრცელებულია თ-ის ნაცარი (phyllactinia corylae), თ-ის ნაცრისფერი და ყავისფერი სიდამპლე.

საქართველოში თ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწვ. კულტურაა. ზ. დ. 2200-მდე ბუნებრივად იზრდება მისი 6 სახეობა: ჩვეულებრივი თ. (C. avellana) და პონტოური თ. (C. pontica), რ-ებიც გავრცელებულია მთელ საქართველოში ქვეტყედ მუხნარებში, ფართოფოთლოვან და წიწვოვანნარევ ტყეებში; *დათვისთხილა*, იმერული თ. (C. imeretina), *კოლხური თხილი* და კახური თ. (C. cachetica) საქართვ. ენდემებია. დაახლოებით გვხვდება 47 ჯიშის და ფორმის თ. ბაღებში ძირითადად ენდემური, სამრეწველოდ დარაიონებული ჯიშებია გავრცელებული, კერძოდ, ანაკლიური, გულშიშველა, ხაჭაპურა, შველისყურა, დედოფლის თითი, ნემსა, ჩხიკვისთავა, ჩია, საივანობო და სხვ. ქართ. თ-ის განსაკუთრებული გემური და ხარისხობრივი მაჩვენებლები განპირობებულია ჯიშების ბიოლ. თავისებურებებით და ადგილმდებარეობის ბუნებრივი პირობებით. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად საქართველოში საშობაო „ჩიჩილაკი“ თ-ის ტოტისგან მზადდება, ხოლო თ-ისგან დამზადებული ქართ. ჩურჩხელა – „ჯანჯუხა“ საუკეთესო გემური თვისებებით გამოირჩევა. *ნ. მიროტაძე.*

თხილიანა, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ფშავის არაგვის (არაგვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1260 *მ*, დუშეთიდან 58 *კმ*. 53 მცხ. (2014).

თხილის ფარმოება, კვების მრეწველობის ერთ-ერთი დარგი. *თხილს* კაკლოვან კულტურებს შორის სამეურნეო მნიშვნელობით ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. თხილის გულის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები ფართოდაა ცნობილი, მათ მაღალ კვებით ღირებულებას განაპირობებს ნაყოფში ცხიმების (60–70%), ცილების (15–16%), შაქრებისა და ვიტამინების (B_1, B_2, B_6, C, E), მაღალი შემცველობა. კალორიულობით თხილის გული ხორბალს აჭარბებს 2–3-ჯერ, ხორცს – 3–4-ჯერ, რძეს – 8–9-ჯერ, კარტოფილს – 11,8-ჯერ. თხილის ნაყოფი მოიხმარება როგორც ნედლი და მოხალული, ასევე გადამუშავებული სახითაც. 400 *გ* თხილის მიღება უზრუნველყოფს ზრდასრული ადამიანის დღე-ღამური კალორიების მოთხოვნილებას საკვებზე.

თხილი ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში, განსაკუთრებით – საკონდიტრო წარმოებაში (კანფეტების, შოკოლადების, ჰალვის, გოზინაყის, ჩურჩხელისა და სხვ. დასამზადებლად). თავისი გემური და მაღალკალორიული მახასიათებლებით მეტად ფასეულია თხილის ზეთი, რ-საც იყენებენ კვების მრეწველობაში, მედიცინაში, პარფიუმერიაში, ფერწერასა და ლაქ-საღებავების წარმოებაში. თხილის მერქანი საუკეთესო მასალაა ავეჯის დასამზადებლად, ახალგაზრდა მერქნისგან წნავენ კალათებს, აკეთებენ ღობეებს, კასრის სალტეებს. ქერქი, ფოთლები, ნაყოფის საბურველი მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით და გამოიყენება ტყავის დასამუშავებლად. თხილის ნაჭუჭისაგან ამზადებენ ეკოლოგიურად სუფთა ბრიკეტებს, რ-საც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს შეშას ენერგეტ. თვალსაზრისით, ფასით კი – ქვანახშირსა და გაზს. მისი ნაყოფი მაღალი შენახვისუნარიანობით და ტრანსპორტაბელურობით გამოირჩევა.

მსოფლიოში თხილის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნებია: თურქეთი, იტალია, საქართველო, აზერბაიჯანი, ესპანეთი, აშშ, ირანი, ჩინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი. ამათგან ყველაზე მსხვილი მწარმოებელი და შესაბამისად ექსპორტიორი ქვეყანა თურქეთია.



თხილი.

მის წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული თხილის 70%, ხოლო ექსპორტირებულის – 80%. მეორე ადგილზეა იტალია, რ-იც აწარმოებს თხილის მსოფლიო წარმოების 16% და ახორციელებს ექსპორტის 12%. უმსხილესი თხილის იმპორტიორი ქვეყანაა გერმანია, მისი წილი მსოფლიო იმპორტში დაახლოებით 36%-ია. საყურადღებოა, რომ თხილის მსოფლიო იმპორტის 75% ევროპის სახელმწიფოებზე მოდის.

თხილის გამოყენება კვების მრეწველობაში მსოფლიოში ყველაზე მაღალია შვეიცარიაში, სადაც წლიურად მოსახლეობის ერთ სულზე 2,096 *კგ* თხილი მოიხმარება. მას შემდეგი თანმიმდევრობით მიჰყვება ავსტრია, ბელგია, გერმანია და ლუქსემბურგი; ხოლო თხილის მწარმოებელი ქვეყნებიდან ყველაზე მეტი მოხმარებით მოსახლეობის ერთ სულზე გამოირჩევა იტალია (0,52 *კგ*), საბერძნეთი (0,37 *კგ*) და თურქეთი (0,25 *კგ*).

საქართველოში თხილის წარმოებას მეტ-ნაკლებად სერიოზული ეკონ. მნიშვნელობა ჰქონდა და მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო XX ს. 20-იან წლებამდე. ქვეყნიდან დიდი რაოდენობის თხილი გადიოდა, თუმცა საბჭ. პერიოდში თხილის პლანტაციის ფართობი 8–10-ჯერ შემცირდა (იმ პერიოდში ჩაის, ციტრუსების, დაფნისა და ტუნგის კულტურების უპირატესი განვითარების გამო, რ-თა პროდუქციაზე საკავშ. ბაზარზე დიდი მოთხოვნა იყო), შესაბამისად შემცირდა თხილის წარმოებისა და ექსპორტის მოცულობები. ეკონ. ეს დარგი ნელ-ნელა უკანა პლანზე გადავიდა.

თხილის კულტურა საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის განსაკუთრებით პოპულარული XX ს. ბოლო ათწლეულში გახდა. ამას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირებამ და ლიბერალიზაციამ, მხოლო, მეორე მხრივ, ადგილ. თხილის მიმართ მსოფლიო ბაზრის ინტერესის ზრდამ და კლიმატურ-ნიადაგურმა პირობებმა, რაც უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი თხილის წარმოებას. საქართველოში თხილის კულტურა სამრეწვ. მნიშვნელობით გავრცელებულია სამეგრელოს, გურიის, აჭარის, იმერეთისა და კახეთის რეგიონებში, სადაც ნარგაობა წარმოდგენილია ფერმერულ და ოჯახურ მეურნეობებში როგორც მცირე ფართობებზე, ასევე ფართო მასივების სახით. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, 2015 წლისათვის საქართველო მსოფლიოში მე-ის წ-ის მხრივ მესამე ადგილზეა თურქეთისა და იტალიის შემდეგ, ხოლო ექსპორტის მაჩვენებლებით კი მეორე ადგილზე დგას. 2015 წლისათვის ქვეყანაში წარმოებულ იქნა 35,3 ათ. ტ თხილი, ხოლო 2016 წ. – 29,5 ათ. ტ, საიდანაც ექსპორტზე გავიდა შესაბამისად 19,4 და 27,1 ათ. ტ.

ამჟამად საქართველოზე მოდის მსოფლიოში წარმოებული თხილის 2%, ხოლო ექსპორტირებულის – 3%-მდე. ცხადია, ამ მონაცემებით საქართველო თხილის მსოფლიო ბაზარზე სერიოზულ კონკურენტად არ იქნებოდა აღიარებული, რომ არა ქართ. თხილის განსაკუთრებული გემური და ხარისხობრივი მახასიათებლები. ქართ. თხილი წარმატებით ექსპორტირდება ევრ. და აზიის მრავალ ქვეყანაში. აზიის ქვეყნებში (ერაყი, ავღანეთი, ირანი და ჩინეთი) ძირითადად ნაჭუჭიანი თხილი გადის, ხოლო დარჩეული და დაკალიბრებული თხილის ძირითადი ბაზარი ევროპაა, საიდანაც ყველაზე დიდი მოთხოვნა გერმანიაზე მოდის. ქვეყანაში წარმოებული თხილის დაახლოებით 5% ადგილ. ბაზარზე იყიდება, რ-ის მნიშვნელოვან ნაწილს იყენებენ საკონდიტრო საწარმოები.

2016 წ. საქართველოდან სულ ექსპორტზე გავიდა 179,5 მლნ. დოლარის ღირებულების თხილი, რაც ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 8%-ია. ექსპორტის ზრდა განაპირობა ქართ. თხილის მიმართ მსოფლიო ბაზარზე გაზრდილმა მოთხოვნამ, გარდა ამისა, ბოლო წლებში მისი პლანტაციების ინტენსიურად გაშენებამ როგორც ადგილ., ასევე უცხ. კომპანიების მიერ და შესაბამისად მოსავლის ზრდამ.

ბოლო პერიოდში დას. საქართველოს რამდენიმე რ-ნში ინტენსიურად დაიწყო ბიოთხილის წარმოების პროცესი (აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება ბიოწარმოების კანონის შესაბამისად). ბიოსერთიფიკატის მქონე თხილი ბაზარზე უფრო მაღალი მოთხოვნით და ფასით გამოირჩევა.

თხილის მოსავლის უდიდესი ნაწილი სამრეწვ. გადამუშავებისთვისაა გათვალისწინებული.

საექსპორტოდ განკუთვნილი თხილის გადამუშავება ხდება საქართველოს ქ-ნებში. ამჟამად ქვეყანაში 150-ზე მეტი სხვადასხვა იურიდ. ტიპის საწარმო ფუნქციონირებს, მ. შ. ზუგდიდში – 32 დიდი და 70 პატარა ქ-ნა, სენაკში – 14, ოზურგეთში – 8, ქუთაისში – 5, სამტრედიაში – 4, ზესტაფონში – 3, თბილისში – 5.

საქართველოში თხილის ბაზრის სტრუქტურა, ძირითადად სამი რგოლისგან შედგება: თხილის მწარმოებლები (ფერმერები); თხილის გადამმუშავებელი ქ-ნები და სადისტრიბუციო კომპანიები, რებიც შუამავლის როლს ასრულებენ გადამმუშავებელ ქ-ნებსა და ფერმერებს შორის, აგრეთვე გადამმუშავებელ ქ-ნებსა და თხილის საექსპორტო ბაზრებს შორის. ყველა რეგიონში ფუნქციონირებს თხილის შემსყიდველი პუნქტები.



თხილის წარმოების ერთ-ერთი საამქრო.

თხილზე მოთხოვნა მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 8%-ით იზრდება, რაც დიდ სტიმულს აძლევს თხილის მწარმოებლებს. მისი ამჟამინდელი საშ. ფასი საერთაშ. ბაზარზე 8–9 აშშ დოლარს შეადგენს. ამასთან, ეს ფასი მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც თხილის წარმოების შემდგომი განვითარების პერსპექტივებს ქმნის.

ლიტ.: ბაღდაძე ა., თხილის წარმოების მნიშვნელობა საქართველოში, ჟურნ. «პროაგრო», 2013, №1; ლასარეიშვილი ლ., თხილის კულტურის წარმოების მეცნიერული საფუძვლები, თბ., 1995; მიროტაძე ნ., მიროტაძე გ. და სხვ., თხილი, თბ., 2016.

ა. ბაღდაძე.

თხილისწყარო, სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემში (კახეთის რეგიონი). ზ. დ. 240 *მ*, 122 მცხ. (2014).

თხილნარი, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), მდ. ჭოროხის მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: თ., აგარა, ზედა თხილნარი, მახო, მურვანეთი, ომბოლო, სიმონეთი). ზ. დ. 120 *მ*, ხელვაჩაურიდან 3 *კმ*. 2,2 ათ. მცხ. (2014).

თხილნარის განძი, ბრინჯაოს ხანის განძი, ძვ. წ. XIV–XIII სს. არქეოლოგიური ძეგლი. აღმოჩნდა 1994 სოფ. *თხილნართან*, მდ. ჭოროხის მარცხ. ნაპირზე. წარმოადგენს დასავლურ ქართ. (კოლხური) კულტურისათვის დამახასიათებელ ე. წ. მდნობელის განძს. მის შემადგენლობაში იყო 44 ნივთი: ბრინჯაოს ცულები (მ. შ. ერთერთი პირველი სახეობის მასიური კოლხ. ცული), სამივე ტიპის სეგმენტური იარაღი, ე. წ. წუნი (ცული, რ-საც ჩამოსხმის დროს დასრულებული სახე არ მიუღია და ხელახალი გადადნობისათვის შეუნახავთ) და ზოდების ნატეხები. თ. გ-ში შედიოდა აგრეთვე ცულების გორდა პირები, ყუისა და სატარე ხვრელის ნატეხები.

თ. გ-ის აღმოჩენა გვიჩვენებს, რომ დას. საქართველოში მსხვილი მეტალ. კერების გარდა, მოქმედებდა ლითონჩამომსხმელი სახელოსნოებიც.

მასალა დაცულია ბათუმის არქეოლ. მუზეუმში. *ა. კახიძე.*

თხილოვანი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გრემისხევის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ალევის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ნარეკვავის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1060 *მ*, დუშეთიდან 22 *კმ*, მცხეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 30 *კმ*. 12 მცხ. (2014).

თხინა, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), კოდორის ქედის სამხრ. კალთის ძირას, მდ. მოქვის მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: თ., აბააჟვახუ, ახივაა). ზ. დ. 130 *მ*, ოჩამჩირიდან 25 *კმ*.

სოფლის მახლობლად არის თხინის, თიხის და ხის ღარისთავის კარსტული მღვიმეები. სამივე მღვიმე გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში. თხინისა და ხის ღარისთავის მღვიმეები გამოირჩევა უხვი ნაღვენთი წარმონაქმნებით.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

თხინალა, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ბოშურის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1350 *მ*, გორიდან 35 *კმ*. 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

თხინალა, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების *დიდი თხინალისა* და *პატარა თხინალის* გავრცელებული სახელწოდება.

თხინაშკარი, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის რეფო-შუმელეთის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე. ზ. დ. 15 *მ*, გალიდან 8 *კმ*.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თხინვალი, თხინვალა, სოფელი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ვაკის რ-ნი). 2007-მდე შედიოდა მცხეთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ლისის ქედზე, ლისის ტბის დას-ით. ზ. დ. 720 *მ*.

თ. თხილოვნას სახელით წერილობით წყაროებში პირველად დამოწმებულია ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის მიერ ჯავახიშვილებისათვის 1466 გაცემულ წყალობის სიგელში. კონსტანტინე II ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებს უბოძებს ადრე გაბაშვილთა სამკვიდრო მამულებს – ,,ცხირეთის გუერდს'', ხანდაკს და ქალაქის (თბილისის) პირთა სოფელ თხილოვანას, რ-იც ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) ქართლის სოფლების ჩამოთვლისას ტფილისის მხარის სოფლების სიაში აქვს შეტანილი და იხსენიება როგორც თხილოვანა, თხილოვნა, თხინვალა. თ. ნახსენებია ,,დასტურლამალშიც''. გვიანდ. შუა საუკუნეების ადმ.-ტერ. დაყოფით თ. ქართლის სამეფოს მეოთხე (მემარცხენე) სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. XIX ს. რუს. ადმ.-ტერ. დაყოფით უკვე თ-ის სახელწოდებით თბილ. გუბერნიის თბილ. მაზრის თბილ. საპოლიციო უბნის დიღმის სასოფლო საზოგადოებას ეკუთვნოდა.

სოფლის დას-ით შემორჩენილია XVII–XVIII სს. ხუროთმოძღვრული კომპლექსი – გაბაშვილთა ნასახლარი. მასში შედის წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესიები და სასახლე. ნაგებობები ძლიერ დაზიანებულია. წმ. გიორგის ეკლესია აღმართულია გზის პირას, გორაკზე. ნაგებია კაშკაშა ვარდისფერი აგურით. ქვისაა მხოლოდ ლავგარდანი და კედლებში ჩაყოლებული ცალკეული ჩანართები – ქვაზე ამოკვეთილი მზის საათი და გოლგოთის რელიეფური ჯვარი აღმ. ფასადის ზემო ნაწილში. საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს აფსიდებიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა. გადახურულია კამარით. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია ქვის მაღალი კანკელით, ინტერიერი შელესილია, ეკლესია მოგვიანებით გაუმაგრებიათ მეორე (გარეთა) კედლის შემოშენებით. გარედან სრულიად მარტივია, შიგნითა დამუშავება კი (კედლის ღრმა ნიშების მწკრივი, ამოკაწრული დეკორატიული სახეები) გვიანდ. ფეოდ. ხანის ქართ. საერო ხუროთმოძღვრების გავლენას მოწმობს. ეკლესიის აღმით ფეოდალის (გაბაშვილების) ორსართულიანი სასახლის ნაშთია. იგი XX ს. 20-იან წლებამდე შედარებით უკეთ იყო დაცული. ახლა თითქმის მთლიანად დანგრეულია. ეს იყო გეგმით მართკუთხა, თითო ისრული კამარით გადახურული, აგურით ნაგები შენობა, დარბაზით ყოველ სართულზე. სასახლეში, რ-იც XVIII ს. შუა წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს, შერწყმული იყო საცხოვრ. სახლისა და გამაგრებული კოშკის ფუნქციები, რასაც ადასტურებს სამი ნახევარწრიული ბურჯით გამაგრებული აღმ. კედელი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 414, ან

2.ს. 48; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т., Окрестности Тбилиси, Тб., 1960. *ზ. ცინცაძე.*

თხინვალი (ყოფ. ახალსაყდარი), სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურიის რეგიონი), ნასაკირალის სერის სამხრ. კალთაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 80 *მ*, ოზურგეთიდან 13 *კმ*, მერიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 733 მცხ. (2014).

თხისზურგის ძეძი, განედური ქედი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ლუხუნისა და რიცეულის წყალგამყოფი. უმაღლესი მწვერვალის სიმაღლე ზ. დ. 1878 *მ*. აგებულია ბაიოსური პორფირიტებით, ტუფებით, ტუფბრექჩიებითა და ტუფ-ქვიშაქვებით. თხემი მოსწორებულია. ქედი შემოსილია წიფლისა და რცხილის ტყით. *ს. ნემანიშვილი.*

თხის რძა, ზოდიაქოს თანავარსკვლავედი, იხ. სტ. *ზოდიაქო.*

თხმელა, მცენარის გვარი არყისებრთა ოჯახისა; იგივეა, რაც *მურყანი.*

თხმელარი, სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 15 *მ*, აბაშიდან 6 *კმ*, მარნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 253 მცხ. (2014).

თხმელის ციხე, ციხე გვიანდ. შუა საუკუნეების იმერეთის სამეფოში. მდებარეობდა ხანისწყლის ხეობაში. 1703 ააშენეს ოსმალო დამპყრობლებმა ბაღდათში თხმელის (მურყნის) ხისაგან, რის გამოც მ. ც. ეწოდა. შემდეგ ხანებში აქ ქვითკირის ციხე ააგეს, სადაც თურქ. იენიჩართა გარნიზონი იდგა და ტყვეებითაც ვაჭრობდნენ.


წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *ზ. ცინცაძე.*

თხმორი, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ნამანევის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. შარეულის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 840 *მ*, ამბროლაურიდან 30 *კმ*. 36 მცხ. (2014).

სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სიგელში მთის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი. გვიანდ. შუა საუკუნეებში მ. რაჭის საწულუკიძეოს შემადგენლობაში იყო; XIX ს. დასაწყისში მ. ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრალს ეკუთვნოდა ხუთი კომლი ყმაგლეხით. 1953 მ-ში აღმოჩნდა სპილენძ-ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი, რ-იც თარიღდება ძვ. წ. XI–IX სს-ით. *თ. ბერაძე.*

თხმორის განძი, ძვ. წ. XI–IX სს. არქეოლოგიური ძეგლი. აღმოჩნდა შემთხვევით 1953 სოფ. *თხმორში.* თიხის შავპრიალა დაზიანებულ დერგში ეწყო გვიანდ. ბრინჯაოს ხანის კოლხ. კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები, რ-თაგან შემორჩა 5 სახის სხვადასხვა ზომის თოხი და მათი ნატეხები (20 ც.), 6 სახეობის სეგმენტისებური იარაღი (20 ც.), სატევრის პირის ფორმის მინიატიურული საკიდები (13 ც.). ორყურა კელტი (1 ც.) და სპილენძის ზოდები. მ. გ-ის ნივთები საწარმოო ძალთა განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. მ. გ-ში შემავალი სხვადასხვა ტიპის თოხი და სეგმენტური იარაღი მოწმობს კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ,,ტყის ტიპის'' მიწათმოქმედების არსებობას. სპილენძის ზოდებისა და თოხების ნატეხების აღმოჩენა ადასტურებს, რომ აქ არსებობდა ადგილ. ლითონის ჩამოსასხმელი სახელოსნო, ხოლო კიმერიული კელტის აღმოჩენა მიუთითებს ძვ. წ. II–I ათასწლ. მიჯნაზე დონსა და დნეპრისპირეთთან სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობაზე. ნივთებზე გამოსახული მხატვრული სიუჟეტები მოწმობს, რომ მ. გ-ის მფლობელთა რელიგ. შეხედულებებში მნიშვნელოვანი ადგილი ნაყოფიერებისა და სიუხვის მფარველ ღვთაებას ეჭირა.









წყარო: ღამბაშიძე ო., თხმორის განძი, თბ., 1963. *ო. ღამბაშიძე.*

თხოთის მთა, მთა მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რეხულისა და ქსნის ხეობებს შორის. *კვერნაქების* ერთ-ერთი მონაკვეთი. სიმაღლე ზ. დ. 845 *მ*-მდე. ერთმანეთისაგან ყოფს მუხრანის ველსა და მტკვრისპირა ველს – აშურიანს. მ. მ-ზე მდებარეობდა კასპისკენ გადასასვლელი. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' და ლეონტი მროველის თხზულების მიხედვით, IV ს. 30-იან წლებში, მცხეთაში წმ. ნინოს მისიონერული მოღვაწეობის დროს, მეფე მირიანი მუხრანისკენ წავიდა სანადიროდ. ნადირობისას მეფემ გადაწყვიტა ქრისტიანთა ამოწყვეტა. თხოთის მთაზე ასულს მზე დაუბნელდა და გზა ველარ გაიგნო. მირიანმა თავდაპირველად თავის ღმერთებს მიმართა, შველა რომ ვერ მიიღო, ნინოს ღმერთს შეევედრა ხსნას. მართლაც, მაშინვე განათდა და მეფემ იწამა ქრისტეს ძალა. მეორე დღესვე მირიანმა და ნინომ შეუთვალეს თხოვნა კეისარს, მოსანათლავად მღვდლები გამოეგზავნა. მცხეთელთა მონათვლის შემდეგ, ღვთიური მითითებით, წმინდა ნაძვის ხისაგან გამოთლილი სამი ჯვარი აღმართეს მ. მ-ზე, ქალაქ უჯარმასა და იმ ბორცვზე, სადაც ახლა ჯვრის მონასტერია. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ,,თხოთის მთასა ზედა მოიქცა მეფე მირიან ქრისტიანედ. აწ არს მუნ ნიში ჯუარისა, რომელი აღმართა წმიდამან ნინომ, სუეტისაგან გამოკუეთილი''.

მ. მ-ზე დღეს დგას VII–VIII სს. ჯვრის ფორმის წმ. ნინოს ეკლესია



თხოთის მთა. წმინდა ნინოს ეკლესია. VII–VIII სს.

(იხ. სტ. *აღაიანის არქეოლოგიური ძეგლები*).

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964.

ჯ. გვასალია.


თხორჟევსკი ივანე ფელიქსის ძე [1843, სევასტოპოლი, – 3 (16). IV. 1910, თბილისი], რუსი პოეტი, მთარგმნელი. მეუღლესთან, ალექსანდრა ალექსანდრეს ასულთან [30.XII. 1855 (11.I. 1856), ოდესა, – II. 1933, ლენინგრადი], ერთად ხშირად აქვეყნებდა ლექსებს საერთო ფსევდონიმით ,,ივან-და-მარია''. XIX ს. 70-იანი წლების დასასრულს ცოლ-ქმარი თბილისში ჩამოვიდა და აქაურ ლიტ-საზ. ცხოვრებაში ჩაება. მათი ნაწარმოებები იბეჭდებოდა იუმორისტულ ჟურნ. ,,ფალანგაში'', რ-იც 1880–81 გამოდიოდა თბილისში რუს. ენაზე. ამ ჟურნალის აკრძალვისთანავე, 1881 დეკემბრიდან, თ-მ ადგილ. პროგრ. ძალების დახმარებით გამოსცა მხატვრულ-იუმორისტული ჟურნ. ,,გუსლი'' (1881–82), რ-შიც იბეჭდებოდა მისი, აგრეთვე დ. ერისთავის, დ. მინაევის, ა. პლეშჩეევის, ა. პალმის და სხვათა ნაწარმოებები. თ-ს დიდ დახმარებას უწევდნენ ცნობილი ქართვ. პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე და სხვა ქართვ. მოღვაწეები. 1901 თ-ს თაოსნობით გამოიცა ჟურნ. ,,არგონავტი''. მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაიკავა ქართ. თემატიკამ. 1897 თბილისში გამოვიდა კრებ. ,,ქართული პოეზიის ნიმუშები'', რ-შიც წარმოდგენილია თ-ს მიერ თარგმნილი გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, რ. ერისთავის და სხვათა ნაწარმოებები. ეს იყო ქართვ. მწერლების ნაწარმოებთა ერთ-ერთი პირველი კრებული რუს. ენაზე.

ლიტ.: Макарова Г., Кто такие «Иван-да-Марья?», ჟურნ. «Вопросы и ответы», 1969, №10; Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе, ред. и вводная ст . В. С. Шадури, Тб., 1949.

ვ. შადური.

თხუბუნი (ყოფ. ვარდისუბანი), სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის მაჭარის თემში (აფხაზეთის არ), შავიზღვისპირა დაბლობზე. ზ. დ. 40 *მ*, გულრიფშიდან 1 *კმ*.

თ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.




ია (Viola odorata).

ი, ქართული ანბანის მეცხრე (ძვ. ქართ. ანბანის მეათე) ასო; მისი სახელია ,,ინი‘‘; გრაფიკული სიმბოლო წინა რიგის მაღალი აწეულობის არალაბიალიზებული ხმოვანი ბგერისა. ასომთავრულში იწერებოდა ⵉ, ნუსხურში – ⵑ. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავს ათს (10). მხედრული დამწერლობის ოთხხაზოვან სისტემაში მისი მოხაზულობა შუა ორ ხაზში თავსდება.

ი-ს გრაფ. განვითარება წარმოდგენილია V–XVII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერებისა და ისტ. საბუთების მიხედვით.

ია (Viola), მცენარეთა გვარი იისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახებია, ზოგჯერ – ნახევრად ბუჩქები. აქვთ მორიგეობით გაწყობილი ან ფესვთან როზეტად შეკრებილი ფოთლები, იისფერი, ყვითელი ან თეთრი მარტოული ყვავილები. გვირგვინის ქვედა ფურცელი წაზრდილია დეზად, რ-შიც სანექტრეა მოქცეული. ზოგიერთს უვითარდება კლეისტოგამური ყვავილები. ნაყოფი სამსაგდულიანი კოლოფია. ზოგ სახეობას ახასიათებს ამფიკარპია. ცნობილია 500-მდე სახეობა. უმრავლესობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში გავრცელებულია 26 სახეობა, მათგან 3 კავკასიის ენდემია, ორი კი – სწორრქიანი ი. (V. orthoceras) და სოსნოვსკის ი. (V. sosnowskyi) – საქართველოსი. საქართველოში ი. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, სუბ-

ალპურ და ალპურ მდელოებზე, კლდეების ნაპრალებში, ჩამონაზვავებზე, ზოგი (V. alba) სარეველაა. O. დეკორ. მცენარეა (*იაჟუჟუნა* – V. tricolor და სხვ.). პარფიუმერიაში იყენებენ სურნელოვან O-ს (V. odorata).

იაბლოჩკინა ალექსანდრა ალექსანდრეს ასული [3 (15). XI. 1866 – 20. III. 1964, მოსკოვი], რუსი მსახიობი, თეატრალური მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1937). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1943). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1885 თბილისში, რუს. დრამის თეატრში. იყო ქალიშვილი რუსი მსახიობის, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე იაბლოჩკინისა, რ-საც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში რუს. თეატრის დაარსე-



ა. იაბლოჩკინა. სცენა სპექტაკლიდან „ფიგაროს ქორწინება“.

ბასა და განვითარებაში. 1872 O. 6 წლის ასაკში პირველად გამოვიდა სცენაზე თბილისში. მოგვიანებით, მამის ზედამხედველობით თბილ. რუს. დრამის თეატრში განახორციელა როლები: კატერინა (უ. შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“) და ნატაშა (ა. შახოვსკის, ა. გრიბოედოვისა და ნ. ხმელნიცკის „საკუთარი ოჯახი, ანუ დაქორწინებული პატარძალი“). 1888-იდან გარდაცვალებამდე იყო მოსკ. მცირე თეატრის მსახიობი. O. გამოირჩეოდა ბრწყინვალე სასცენო მეტყველებით, არტისტიზმით, ნატიფი გემოვნებით.

1901 O. საგასტროლოდ იმყოფებოდა თბილისში მოსკ. საიმპერატორო მცირე თეატრის მსახიობთა კორპორაციის დასთან ერთად. წარმოდგენილი იყო ა. ოსტროვსკის „შეშლილი ფული“, რ-შიც O-მ განახორციელა ლიდიას როლი.

1917-იდან (რუს. თეატრ. საზ-ბის დამაარსებლის, მ. სავინას გარდაცვალების შემდეგ) იყო რუს. თეატრ. საზ-ბის უცვლელი თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: Филиппов В., А. А. Яблочкина, М.–Л., 1947.

იაგორაშვილი ვახტანგ ერმალოს ძე (დ. 5. IV. 1964, თბილისი), სპორტსმენი (თანამედროვე ხუთჭიდი). ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (1988, სეული). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1991). დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტი (1985). ევროპის ჩემპიონი პირად (1989) და გუნდურ (1987, 1989) ჩათვლაში. მსოფლიო თასის მფლობელი (1988), კეთილი ნების თამაშების გამარჯვებული (1986) და მეორე პრიზიორი (1990). სსრკ ჩემპიონი (1986, 1988, 1991) და თასის მფლობელი (1986, 1988). მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში (1985). 1997-იდან ასპარეზობაზე აშშ-ის სახელით გამოდიოდა. მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1998). პან-ამერიკული თამაშების გამარჯვებული (2003). წარმოადგენდა აშშ-ს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე (2004). ხელმძღვანელობდა ფარიკაობის სკოლას ვილმინგტონში (მასსაჩუსეტსი, აშშ). პენსილვანიის უნ-ტის კაცთა და ქალთა გუნდების მწვრთნელი თანამედროვე ხუთჭიდში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

იადგარი (სპარს. – ხსოვნა, სახსოვარი), ქრისტიანული ღვთისმსახურების ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ქართული ჰიმნოგრაფიული კრებული. მასში თავმოყრილია საეკლ. წელიწადის სხვადასხვა პერიოდისათვის განკუთვნილი განსხვავებული ფორმისა და დანიშნულების საგალობლები; O. არის ღვთისმსახურების იერუსალიმური წესის ამსახველი ძეგლი, რ-ის ბერძნ. მოდელი ჩვენამდე მოღწეული არ არის. O-ის შედგენილობის თავისებურებაა კალენდარულ დღესასწაულთა რიგის ქრისტეს შობით დაწყება; მარტსა და აპრილს შორის ჩართულია დიდმარხვისა და ზატიკის მოძრავი პერიოდების საგალობლები; შეიცავს ე. წ. აღდგომის დასდებლების, ანუ ოქტოიქოსის საგალობლების რვახმიან კომპლექტს.

O-ის არსებობა VII ს. დასასრულიდან ივარაუდება და იგი სხვადასხვა რედაქციით არის ხელნაწერებში წარმოდგენილი. უძველეს რედაქციაში პალესტინური ლიტურგიკული პოეზიის ადრეული ნიმუშების, ძირითადად V–VII სს., თარგმანებია. საგალობლების ეს ფონდი ასახავს ლიტურგიკული გალობის ფორმების განვითარების იმ ეტაპს, როცა ბიბლ. ოდებისა და ფსალმუნების მისამღერებად (რეფრენებად) განკუთვნილი მარტივი მონოსტროფული საგალობლების გვერდით ქრისტ. ღვთისმსახურებაში დამკვიდრება იწყო საგალობელთა ახალმა, მრავალსტროფიანმა და მრავალკომპონენტიანმა ფორმებმა (სტიქარონებმა და ჰიმნოგრაფიული კანონის ადრეულმა ნიმუშებმა). კრებულის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ტიპიკონის მნიშვნელობის მქონე უძველესი ლიტურგიკული ძეგლის, ,,იერუსალიმური კანონარის“, ანუ ლექციონარის ვრცელი ქართ. ვერსიის სტრუქტურა და მასში ასახული მონოსტროფული საგალობლების უძველესი ფენა, რ-მაც ად. ფორმის საგალობლებთან ერთად შეადგინა პირველი დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული კრებული. ქართ. საღვთისმსახურო პრაქტიკაში O-ის ძვ. რედაქცია დამკვიდრებული იყო VII–IX სს-ში.

IX – X სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა O-ის მთლიანად განახლებული რედაქცია. ეს ფაქტი განპირობებული იყო VIII ს-ში ბერძნ. საეკლ. მუსიკის რეფორმით, რ-იც საბაწმიდის მონასტერში განხორციელდა. წარმოიშვა გალობის ახ. ფორმები, დამყარებული საგალობლების რიტმულ-მუს. საზომთა – ძლისპირთა და ტროპართა – შორის არსებულ სილაბურ თანაფარდობაზე. ითარგმნა და შედგა ძლისპირთა ქართ. კრებულები, რაც თარგმნილი და ორიგინ. ახ. რეპერტუარის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ახ. O-ის შევსების პროცესი X ს. დასასრულამდე გაგრძელდა. O-ის დღემდე მოღწეული ყველა ნუსხა X ს-ით თარიღდება. მათი უდიდესი ნაწილი პალესტინის ქართ. სამწერლო კერებშია შედგენილი და ამჟამად ქართ. ხელნაწერთა სინურ კოლექციაშია თავმოყრილი. O-ის ძვ. და X ს. რედაქციის ნუსხებმა შემოინახეს ბერძნულიდან თარგმნილი მრავალრიცხოვანი საგალობელი ტექსტი, რ-თა დიდ ნაწილს დედნები არ ეძებნება. ნუსხათა ნაწილში საგალობლებს ახლავს აღნიშვნები ნევმური მუს. დამწერლობით.



ა. იაბლოჩკინა.



ვ. იაგორაშვილი.

X ს. რედაქციის ხელნაწერთა შორის გამორჩეულია *მიქაელ მოდრეკილის* მიერ შედგენილი კრებული (978–988), რ-შიც ფაქტობრივად შეჯამებულია დიდი Ი-ის ჩამოყალიბების პროცესი და ყველაზე სრულადაა წარმოდგენილი ქართვ. ჰიმნოდთა შემოქმედება.

ქართ. Ი-ებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზანტ. ჰიმნოგრაფიის ისტორიის კვლევისათვის, რადგანაც ისინი ,,იერუსალიმურ ლექციონართან'' ერთად ასახავენ ჰიმნოგრაფიის განვითარების უწყვეტ პროცესს XI ს. დამდეგამდე, როცა Ი-მა, როგორც ჰიმნოგრაფიული კრებულის ადრეულმა სახემ, ადგილი დაუთმო ღვთისმსახურების ბიზანტ. წესისათვის დამახასიათებელ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებს.


Ი. დიპლომატიკური ტერმინიცაა და ზოგჯერ შეწირულობის სიგელის მნიშვნელობით იხმარება.

გამოც.: ინგოროყვა პ., ძველქართული სასულიერო პოეზია, წგ. 1 – ტექსტები. VIII–X სს., ტფ., 1913; უძველესი იადგარი, ე. მეტრეველის, ც. ჭანკიევის და ლ. ხევსურიანის გამოც., თბ., 1980; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1970, საბ. №№231, 233; ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. ორი ძველი რედაქცია X–XI სს. ხელნაწერების მიხედვით, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1971; Les hymnes de la Résurrection, I. Hymnographie liturgique géorgienne. Textes du Sinaï 18. Introduction, traduction et annotation par Ch.Renoux, Paris, 2000.

ლიტ.: ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965; კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ., 1951; მისივე, უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუენისა, – მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1962; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური რედაქცია, ნაკვ. 1. შეადგინეს: ე. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა და ლ. ჯღამაიამ, თბ., 1978; ხევსურიანი ლ., ჯღამაია ლ., X საუკუნის დიდი იადგარის ერთი ნუსხის შესახებ, «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), XVIII, თბ., 1999; Кекелидзе К., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тфл., 1908.

ლ. ხევსურიანი.

„იადიგარ დაუდი“, XVI ს. ენციკლოპედიური ხასიათის ქართული სამედიცინო ძეგლი (ავტორი *დავით XI*). ,,Ი. დ.'' მოიცავს იმდროინდელი მედ. თითქმის ყველა საკითხს. წიგნის ზოგად ნაწილში, მოკლე ანატ.-ფიზიოლ. მონაცემების შემდეგ დეტალურადაა განხილული ჰიგიენისა და დიეტეტიკის საკითხები, აგრეთვე დიაგნოსტიკური საშუალებები. ავტორი დაწვრილებით აღწერს დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდებს, ძილღვიძილის, სქესობრივი ჰიგიენის საკითხებს, იხილავს საკვები პროდუქტებისა და სამკურნ. საშუალებების თვისებებს, მათ კვებითსა და სამკურნ. ღირებულებასა თუ მავნეობას. თანმიმდევრულადაა განხილული იმ დროს არსებული მედიც. თითქმის ყველა სპეციალობა: პირველ რიგში ნერვული და ფსიქ. დაავადებები, შემდეგ – თვალის, ყურის, კბილის, სახსრებისა და კანის, შარდ-სასქესო და სხვ. შინაგანი ორგანოების დაავადებები, ციებ-ცხელება, მოტეხილობები, სიდამწვრე და ა. შ. „Ი. დ-ში'' თითქმის ყველა დაავადება ცალ-ცალკეა დახასიათებული, აღწერილია აგრეთვე კლიმატურ-ბალნეოლ. და სხვა ბუნებრივი ფაქტორების სამკურნ. თვისებები და მათი გამოყენების წესები. გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა (1938; II გამოც. 1985).



„იადიგარ დაუდი“. კარაბადინის გარეკანი.

მ. შენგელია.

ᲘᲐᲓᲛᲝᲜ, იხ. *ბულბული.*

„იავნანა“, ძველი ქართული ხალხური საწესო ლექს-სიმღერა, წარმოშობით – წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელი. ,,ნანინას'' ციკლის სიმღერების მსგავსად, ,,Ი-ც'' მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას სახელთანაა დაკავშირებული. ,,Ი-მ'' დაკარგა პირვანდელი საწესო ხასიათი. დღეს მისი დანიშნულებაა ბავშვის დაძინება, თუმცა ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ ტექსტს ძირითადად ინფექციური დაავადებებისაგან (ე. წ. ,,ბატონებისგან'') ბავშვის განსაკურნებლად მღეროდნენ. ,,Ი-ს'' ციკლის ლექსებს აქვს ისტ.-შემეცნებითი და დიდაქტიკურ-ესთეტ. მნიშვნელობა. ,,Ი.'' გამოირჩევა მარტივი, მაგრამ შთამბეჭდავი მღერადი მელოდიით, რ-საც ასრულებს ერთი ან მონაცვლეობით ორი მთქმელი (ქალი) გაბმული (ბურდონული) ბანის ფონზე. სიმღერა ერთმუხლოვანია და მდორედ ვითარდება. იგი უმთავრესად ქართლ-კახურ ფოლკლორში გვხვდება. იმერულ და გურულ სასიმღერო შემოქმედებაში უფრო გავრცელებულია ,,საბოდიშო'', ანუ ,,ბატონები'', სამეგრელოში – ,,ია პატნეფი''. საქართვ. სხვადასხვა კუთხეში არსებობს განსხვავებული ,,Ი-ები'', მაგ., სამკურნალო ,,Ი.'', რ-იც ფანდურის თანხლებით სრულდება. ჰანგითა და სიტყვიერი ტექსტით ,,ბატონებისაგან'' სრულიად განსხვავებულია ღვთის კარზე სათქმელი ,,Ი.'' (ორ- ან სამხმიანი, გავრცელებული კახეთში, მთიულეთში), რ-საც ასრულებენ სალოცავში მისული ქალები.

ღვთის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულების ნაწილი – ზედაშის ,,Ი.'' – შემორჩენილია კახეთში. მას უხუცესი ქალი ასრულებს ზედაშის ქვევრთან, ოჯახის სხვა წევრების ბანის ფონზე. იგი ზოგიერთი ნიშნით სახადისა და სავედრებელი ,,Ი-ების'' მსგავსია. მეცნიერები ,,Ი-ს'' ჰანგს მიიჩნევენ უძველეს ინტონაციურ ფორმულად, რ-იც საფუძვლად უდევს სხვა ფუნქციის მქონე არაერთ ნიმუშს. ,,Ი-ს'' მელოდიას დამუშავებული სახით ვხვდებით ნ. ავალიშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვათა შემოქმედებაში. ქართ. მხატვრულ ლიტრაში ,,Ი-ს'' მოტივებზე შექმნეს ლექსები რ. ერისთავმა, ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. ტაბიძემ და სხვ.

ლიტ.: ასლანიშვილი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, თბ., 1954; ბენაშვილი ა., ქართული ხმები, ტფ., 1885; გარაყანიძე გ., ეთნომუსიკის თეატრის ერთი უცნობი ნიმუშისათვის (ზედაშის იავნანა), წგ.: ტრადიციული მრავალხმიანობის მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2014; ზანდუკელი ფ., ქართული აკვნის ლექს-სიმღერები, «მაცნე», 1964, №2; ჩხიკვაძე გ., ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, თბ., 1948; ჩხიკვაძე ზ., სალამური. სახალხო სიმღერები, ტფ., 1896; Аракишвили

Д. И., Грузинское народное музыкальное творчество, М., 1916.

გ. ჩხიკვაძე. ნ. კალანდაძე.

„იავნანა“, საერთაშორისო ფონდი. დააარსა პ. *ბურჯულაძემ* 2004 მოწოდებით – „ერთად გადავარჩინოთ მომავალი“, რ-იც ითვალისწინებდა ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარებას, სოციალურად დაუცველი ოჯახების გამთლიანებას, ამ კატეგორიის ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერას. საქველმოქმედო საქმიანობის ძირითად ნაწილს ფონდი ახორციელებს შემოწირულობებითა და საქველმოქმედო საღამოებიდან მიღებული შემოსავლებით. 2007 წ. 9 ოქტომბერს „ი-ს“ საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა.



ფონდ „იავნანას“ ლოგო.

გაეროს ბავშვთა ფონდ „იუნისეფთან“, არასამთავრობო და სხვა საერთაშ. ორგანიზაციებთან ერთად, 2004-იდან საქართველოში ხორციელდება რეფორმები ბავშვზე ზრუნვის სფეროში, რაც გულისხმობს ბავშვთა სააღმზრდელო ინსტიტუციებიდან მათ ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებას, დღის ცენტრებისა და ბავშვზე ზრუნვის სხვა სერვისების განვითარებას. ფონდი სოც. მუშაკებთან ერთად შეუდგა კონკრეტული ბავშვებისა და ოჯახების დახმარების პროექტების განხორციელებას. ძირითადი ყურადღება გამახვილდა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე, მათ უზრუნველყოფაზე საცხოვრებელი პირობებით, საჭირო ნივთებითა თუ საკვებით.

ფონდმა თავისი წვლილი შეიტანა საზღვარგარეთ ქართ. კულტურის პოპულარიზაციასა და ქვეყნის პრობლემების წარმოჩენაში. 2008 წ. აგვისტოს ომის შემდგომ ფონდის საქველმოქმედო აქციის მხარდასაჭერად საქართველოში ჩამოვიდნენ საოპერო ვარსკვლავები: რ. ვარგასი, ლ. დინტინო, ხ. გომეს მარტინესი და ო. რომანკო-პრიმავერა. საღამოს ბენეფიციარები აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული ოჯახები და ბავშვები გახდნენ, მათგან 7 წლის დ. რაზმაძე „ი-ს“ შვილობილი გახდა. 2008–14 ყოველთვიური დახმარება ერიცხებოდა აგვისტოს ომში დაობლებულ 133 ბავშვს. საქველმოქმედო აქციებში ცნობილ ქართველ არტისტებთან ერთად სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: მ. კაბალიე, პ. დომინგო, დ. ზაჯიკი, მ. კრაიდერი, ფ. ფურლანეტო, დ. ხვოროსტოვსკი, რ. ვარგასი, რ. ბრუზონი, მ. ალვარესი, მ. ბერტი, ე. კისინი, დ. ვიშნევა და სხვ.

ფონდმა თავისი მოღვაწეობის განმავლობაში გასწია 6,1 მლნ. ლარის ქველმოქმედება და 7000-ზე მეტ ბავშვს დაეხმარა, შეიძინა 114 საცხოვრებელი სახლი სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. ნიჭიერ სტუდენტთა და მოსწავლეთა დახმარებისა და წახალისების პროექტის ფარგლებში დახმარება გაუწია სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 850-ზე მეტ სტუდენტს და მოსწავლეს.

გ. ახალაია.

„იავქალთი“, სვანური საფერხულო სიმღერა. სიტყვიერი ტექსტი უკავშირდება სვანების მიერ რაჭის ერთ-ერთ სოფელზე გალაშქრებას. სრულდება მხოლოდ მამაკაცების მიერ ორპირული სამხმიანი სიმღერით – თავში მდგომი ხელჯოხიანი წამყვანი მიუძღვის მარჯვნივ ნახევარწრედ შეკრულ მონაწილეებს, რ-ებიც ტალღისებურად, ხვიარისებურად მოძრაობენ. მაყურებელთაგან რომელიმე მამაკაცის ჩათრევის შემდეგ წრე იკვრება. სოფ. ლატალში წამყვანს ხელში არყიანი სასმისი ეჭირა, რ-საც შესვამდა და მომდევნოს გადასცემდა. ვხვდებით უწმაწურ გამოთქმებს, რის გამოც მკვლევრები მას ნაყოფიერების კულტის რიტუალთან აკავშირებენ. მუს. ზომა 4/4.

ლიტ.: თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2010.

იაზიკოვი ნიკოლოზ დანიელის ძე (1740–9.IX.1803), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1777-იდან). რუსეთის საიდუმლო აგენტი საქართველოში. 1770 მეფის მთავრობამ ი. საქართველოში გამოგზავნა იმ კონფლიქტისა და სადავო საკითხთა გასარკვევად, რ-იც წარმოიშვა, ერთი მხრივ, მეფე ერეკლე II-სა და გენ. გ. ტოტლებენს, მეორე მხრივ, ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შორის. ამასთან, მას ევალებოდა შეეკრიბა ცნობები საქართველოს შესახებ. ი-ის მისიის შედეგად გენ. გ. ტოტლებენი საქართველოდან გაიწვიეს და ამით ურთიერთობა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ერთგვარად გაუმჯობესდა. 1771 ივნისში ი. რუსეთში დაბრუნდა.

საქართველოში ყოფნის დროს ი-მა შეაგროვა ცნობები ქვეყნის საშინაო მდგომარეობის შესახებ. საყურადღებოა მისი ე. წ. „ჩანაწერები“, სადაც აღწერილია აღმ. და დას. საქართველოს გეოგრ. პირობები, ბუნებრივი სიმდიდრეები, ეკონომიკა, მიმოსვლის გზები, დიდი ქალაქები და სოფლები, მმართველობის სისტემა, სასამართლო, ფინანსები, საგადასახადო სისტემა. მოცემულია ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის დახასიათება, აღმ. და დას. საქართველოს კულტურული იერი, ქართ. არისტოკრატიის ევროპეიზაციის დასაწყისი და სხვ.

წყარო: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. 1, СПб., 1891.

ლიტ.: П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

იაზონი, и а з о н (ძვ. ბერძნ. Ἰάσων, ეტრუსკული Easun), ბერძნული მითოლოგიის გმირი, იოლკუსის მეფის, ესონის ვაჟი. ესონმა შვილი აღსაზრდელად ბერძენ კენტავრ ქირონს მიაბარა. ამ უკანასკნელს ბავშვისთვის იასონი („განმკურნებელი“) დაურქმევია. ჭაბუკობაში შესულმა ი-მა პელიას (ბიძას) სამემკვიდრეო სამეფო ტახტის დაბრუნება მოსთხოვა, რის სანაცვლოდ ურთულესი დავალების აღსრულება – კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოპოვება დაეკისრა. ამისათვის მან ქალღმერთ ათენას დახმარებით ხომალდი „არგო“ ააგო, ილაშქრა კოლხეთში და იქიდან ოქროს საწმისით დაბრუნდა (იხ. *არგონავტების თქმულება*).

იაზონის მღვიმე, კარსტული მღვიმე თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ქუთაისის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. წყალწითელას კანიონის უკიდურეს სამხრ. ნაწილში, სოფ. გოდოგანთან. იხ. *წყალწითელას* (*იაზონის*) *მღვიმე.*

იათაშვილი შოთა გოდერძის ძე (დ. 2. IX. 1966, თბილისი), პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი. 1988 დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი, 1990 – საზ. პროფესიათა ფაკ-ტის კინოსარეჟისორო კურსები. 1992–94 იყო ლიტ. გაზ. „რუბიკონის“ რედაქტორი; 1995–97 – გაზ. „სერაფიმის თეატრის“ მთ.



ნ. იაკობაშვილი.

რედაქტორი; 1997–2000 – ჟურნ. ,,სტუდიის'' ლიტ. ნაწილის გამგე; 1996–2000 – ლიტ. გაზ. ,,ალტერნატივის'' (შემდგომ ჟურნალის) მთ. რედაქტორი, 2003-იდან არის გამომც. ,,კავკასიური სახლის'' რედაქტორი, 2013-იდან – ჟურნ. ,,ახალი საუნჯის'' მთ. რედაქტორი, 2014-იდან რადიო ,,თავისუფლებაში'' უძღვება რუბრიკას ,,ბიბლიოთეკა''. ი. ავტორია პოეტური და პროზაული კრებულებისა. პოეტური კრებულებიდან აღსანიშნავია ,,სიკვდილის ფრთები'' (1993), ,,ბენზინის ყვავილები'' (2000), ,,სანამ დროა'' (2006), ,,შრამი'' (2010), ,,პოეტური გამოცდილების სიმწარე'' (2015) და სხვ.; პროზაული კრებულები: ,,კონტრაჟური'' (1998), ,,ყვავილთა ყვავილი და ინჟინერი'' (2000), ,,ფოტომამები'' (2005), ,,მიზიდულობა'' (2012). თარგმნილი აქვს ს. სონტანგის ,,რადიკალური ნების სტილები'' (1999), ,,ამერიკელი პოეტები'' (2004). მისი ნაწარმოებები თარგმნილია უცხ. ენებზე.

2007 მიენიჭა ლიტ. პრემია ,,საბა'' ნომინაციაში წლის საუკეთესო პოეტური კრებული (კრებულისათვის ,,სანამ დროა''); 2011 – იგივე პრემია ნომინაციაში წლის საუკეთესო კრიტიკა (ლიტ. კრიტ. ნაშრომისათვის ,,დალაგება'', 2010); 2009 – საერთაშ. პრემია ,,Киевские лавры''.

მ. თუმოშვილი.

იაილა, ყოფილი სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში.

იაილო, მთა წალკის მუნიციპალიტეტში, ბედენის ქედზე. სიმაღლე 1951 *მ.* აგებულია ნეოგენური და მეოთხეული ლავებით. კალთები შემოსილია ფოთლოვანი ტყით. თხემზე მეორეული მდელოებია.

მ. უთმელიძე.

იაკობ ალფეს მონასტერი, ქართველთა მონასტერი იერუსალიმში. მდებარეობს ბერძენთა საპატრიარქოს მახლობლად, აღდგომის ეკლესიის გვერდით. გადმოცემის მიხედვით, ის აგებულია წმ. მოციქულის წამებით აღსრულების ადგილას. ტ. *გაბაშვილის* მიხედვით: ,,... იაკობ ალფეს მონასტერი, გიორგი კურაპალატის მეფისაგან აღშენებული'' ყოფილა. ტ. გაბაშვილის ,,მიმოსლვის'' ხელნაწერში არის შედარებით ვრცელი ინფორმაცია: ,,იაკობ მოციქულის ალფეს საფლავი აღუშენებია გიორგი მეფეს ქართველთასა, აწ რომ სომეხთ უჭირავს. იტყვიან, ზარაფხანა მეფეთა ჩვენთა იმ მონასტერში ყოფილა''. იგი უნდა აეშენებინათ 1072-მდე, გიორგი II-ის უფლისწულობის პერიოდში.

ი. ა. მ-ის შენარჩუნებისათვის ქართველების ბრძოლის ერთადერთი და უკანასკნელი მომენტი აისახა ჯვრის მონასტრის ხელნაწერში, რ-იც 1514 თარიღდება. ჯვარისმამა ბეენა ჩოლოყაშვილმა სომხებს დავა გაუმართა მონასტრის გამო. ,,აქა მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდისა საყდარზედა'', – წერს ბეენა, მაგრამ ქართველებმა მონასტერი დიდხანს ვერ შეინარჩუნეს. 1517 სულთანმა სელიმ I-მა მონასტერი იერუსალიმის პატრიარქის, სოფრონიუსის მეურვეობას დაუქვემდებარა. სავარაუდოა, რომ ვერც ბერძნებმა შეძლეს ი. ა. მ-ის ვალებიდან განთავისუფლება, რის გამოც ქართველები იძულებული გახდნენ ის სომხებისთვის მიექირავებინათ. ხელშეკრულების გაფორმებას ესწრებოდა პატრიარქი გერმანი, მაშასადამე, ი. ა. მ. სომხების ხელში გადავიდა 1534–79.

დაახლ. 1610 სომხებმა იაკობის მონასტერში სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს იპოვეს დიდძალი განძი. ჩანს, მართალი იყო ტ. გაბაშვილი, როცა წერდა, რომ ი. ა. მ-ში საქართველოს მეფეთა ზარაფხანა იყო.

წყარო: გაბაშვილი ტ., მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1956.

ლიტ.: მარი ნ., იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1955; ჯეჯელავა ლ., წმ. იაკობის ქართული მონასტერი იერუსალიმში, წგ.: ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991.

ე. მამისთვალიშვილი.

იაკობაური, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის შუბანის თემში (აჭარის არ), სხალთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1280 *მ,* შუახევიდან 27 *კმ.* 106 მცხ. (2014).

იაკობაშვილი ბიძინა აბიათარის ძე [1(14). V. 1906, სოფ. ჩიხა, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 1. X. 1968, თბილისი], აგრონომი. სოფ. მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1959), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1929 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი. 1941–43 იყო ანასეულის ჩაისა და სუბტროპ. კულტურების საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი; 1943–46 – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის დირექტორი; 1961–62 – სოფლის მეურნეობის მინისტრი. 1932-იდან გარდაცვალებამდე ეწეოდა სამეცნ.-კვლ. და პედ. საქმიანობას უმაღლეს სასწავლებლებში. იკვლევდა ჩაისა და სუბტროპ. კულტურების სელექციის საკითხებს. ავტორია სახელმძღვანელოებისა: ,,სუბტროპიკული კულტურების სელექცია'' (1956), ,,გენეტიკის სახელმძღვანელო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის'' (1964) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *გ. თოდუა.*

იაკობაშვილი ზურაბ ალექსის ძე (დ. 4. II. 1992, ყვარელი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). მსოფლიო ჩემპიონი (2017). დაამთავრა სტუ (2014). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2017). ევროპის თასის გამარჯვებული (გუნდური, 2017), მსოფლიო თასის მესამე პრიზიორი (გუნდური, 2016). შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიადის გამარჯვებული (2007). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი კადეტებში (2008) და 23 წლამდე სპორტსმენებში (2015).

იაკობაშვილი ნიკოლოზ ზოსიმეს ძე [3 (16). XII. 1914, სოფ. ჩიხა, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 23. VI. 1989, თბილისი], კვების მრეწველობის დარგის სპეციალისტი, საქართველოში ეთეროვანი ზეთების კვლევის ფუძემდებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1986), საქართვ. დამს. ინჟინერი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1988). 1938 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი. 1943–46 მუშაობდა კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ ,,საქეთერზეთში'' მთ. ინჟინრად, 1946–59 – მმართველად. 1959–70 იყო ,,საქცხიმეთერზეთის'' მმართველი, 1970-იდან საქართვ. კვების მრეწველობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ხელმძღვანელობდა ეთერზეთების მრეწველობის განყ-ბას.

ი-ის შრომები ეძღვნება ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის ბიოქიმიურ და ტექნოლ. შესწავლას, ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიას და გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების გამოყენებას. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით თბილისში 1968 ჩატარდა ეთეროვანი ზეთების მრეწველობის სპეციალისტთა IV მსოფლიო კონგრესი. იყო მრავალი საერთაშ. კონკურსისა და სიმპოზიუმის მონაწილე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ეთეროვანი ზეთების წარმოების ტექნოლოგია, თბ., 1951; ეთერზეთოვანი კულტურებისა და ზეთების წარმოება საქართველოში, თბ., 1982; Эфиромасличная промышленность ГССР, Тб., 1967 (თანაავტ. Г. А. Топадзе).

იაკობაშვილი სოზარ ბიძინას ძე (2. VII. 1933, თბილისი, – 25. XI. 2008, კიევი, დაკრძალულია თბილისში), მეტალურგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1978), გამომგონებელი (1983), საქართვ. საინჟ. აკადემიის და ეკოლოგიის, ადამიანისა და ბუნების დაცვის საერთაშ. აკადემიის ნამდვ. წევრი (2000). 1956 დაამთავრა სპი-ის მეტალ. ფაკ-ტი. 1958–65 მუშაობდა რუსთავის მეტალ. ქ-ნაში მეფოლადედ. 1965–69 უკრაინის ე. პატონის სახ. ელექტროშედუღების ინ-ტში იყო შედუღების ლაბორ. გამგე, ხოლო 1969–73 საქართვ. მეტალ. ინ-ტში ხელმძღვანელობდა ამავე დასახელების ლაბორატორიას. იყო საერთაშ. ასოციაცია „შედუღების“ ერთ-ერთი დამაარსებელი. სპი-ში ჩამოაყალიბა შედუღების მეტალურგიის კათედრა და მასთან სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია. იყო შედუღების მეტალ. და ტექნოლ. კათედრის გამგე (1989–93). დაარსა საქართველო-უკრაინის საერთაშ. სამეცნ.-ტექ. ცენტრი შედუღებასა და მონათესავე ტექნოლოგიებში გადამზადებისათვის.

ი-ის შრომები ეძღვნება საშემდუღებლო ტექნოლოგიების ყველა მიმართულებას. მისმა გამოგონებამ (ფოლადის დამუშავების ახალი ტექნოლოგია და ღუმლის კონსტრუქცია) ლაიფციგის საერთაშ. ბაზრობაზე (1975) დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ახ. თაობის „ცს“ სერიის ციკლოკონვერტორული საშემდუღებლო კვების წყაროები. კვების წყაროს ცს–200-ის დამუშავებისა და დანერგვისათვის (ლიცენზია გაიყიდა გერმანიაში), 1975 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. იყო საერთაშ. სამეცნ. ტექ. ჟურნალ „მეტალურგიის, შედუღებისა და მასალათმცოდნეობის პრობლემების“ მთ. რედაქტორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა, მონოგრაფია, სახელმძღვანელო. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: შედუღების პროცესების თეორია, თბ., 1980; მეტალურგია, თბ., 1987.

იაკობაძეები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის დიოკნისის თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 960 *მ,* ხულოდან 8 *კმ.* 258 მცხ. (2014).

იაკობ ვერონელი (Jakob von Verona), XIV საუკუნის იტალიელი პილიგრიმი. მისი ცნობით (1340) „ქართველები ნათლობაში ლათინთა მსგავს წესებს იყენებენ, ხოლო ლიტურგიაში ბერძნულ ფორმას მისდევენ. წმინდა საფლავის ეკლესიაში ქართველებს თავიანთი კაპელა ნუბიელების გვერდით აქვთ. ქართველები სარკინოზთა მსგავს ტანისამოსს ატარებენ, ცხოვრობენ მონღოლთა ახლოს, ჰყავთ უაღრესად მძლავრი მეფე (იგულისხმება გიორგი ბრწყინვალე, რ-ის მოღვაწეობის დროს განსაკუთრებით გაიზარდა ქართველთა როლი პალესტინასა და იერუსალიმში). ქართველები არიან მეტად ღვთისმოსავი, მძლავრი და ერთგული ქრისტიანები“.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004. *ა. თვარაძე.*

იაკობ ზედაზნელი მონასტერი, ქართველთა მონასტერი იერუსალიმში, სიონის მთაზე, დაარსებულია V ს-ში. XI–XII სს. 40-იან წლებამდე ქართველთა ხელში იყო, შემდეგ კი ლათინებმა სომხებს გადასცეს. მოგვიანებით, სალადინმა, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, ი. ზ. მ. სომხებს დაუმტკიცა.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ა ვ., იაკობის მონასტრის საკითხი და ჯვაროსანთა ურთიერთობა ქართულ-სომხურ კოლონიებთან იერუსალიმის წმინდა მიწაზე XII საუკუნეში, «ქართული დიპლომატია». წელიწდეული, 11, თბ., 2004.

ე. მამისთვალიშვილი.

იაკობი, ქართლის ეკლესიის მეორე მამამთავარი (ეპისკოპოსი) IV ს. შუახანებში. ი. მღვდელი იმ პირთა შორის იყო, რ-ნიც მეფე *მირიან III-ის* თხოვნით რომის იმპერიიდან ახლად მოქცეული ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში იოანესთან (იხ. *იოანე I*) ერთად მოვიდნენ. ქართველთა მონათვლის შემდეგ იოანე ქართლის პირველ ეპისკოპოსად დაადგინეს, ი. კი სას. მოღვაწეობას ეწეოდა. იგი „ერთ ერისთავთან“ ერთად თან ახლდა წმ. ნინოს თიანეთის მოსახლეობის მოსაქცევად მოგზაურობისას. გარდაცვალების წინ წმ. ნინომ იოანე ეპისკოპოსს „დაჰვედრა“ (ლეონტი მროველის სიტყვით „მეფეს შეევედრა“), რათა მის „შემდგომად“ ი-ს „დაეპყრა საყდარი“ (ე. ი. ქართლის ეკლესიის მეთაური გამხდარიყო). იოანეს გარდაცვალების შემდეგ ი. ქართლის სამეფოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი გახდა, მაგრამ მეფე მირდატის ზეობისას (368), როდესაც ქართლში რომაელებთან ერთად სომხებიც შემოვიდნენ, ი. ეპისკოპოსობიდან გადააყენეს და მის მაგივრად *იობი* დასვეს. 369 ქართლის სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ, როგორც ჩანს, იობი რომის გავლენის სფეროში მოქცეული ქართლის ეკლესიის მეთაური გახდა, ი. ეპისკოპოსმა კი ირანის ქვეშევრდომობაში მყოფი ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტი დაიკავა. სავარაუდოდ, ამის შემდეგ ი. მალე გარდაიცვალა.

წყარო: ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ვ. გოილაძე.



ს. იაკობაშვილი.

იაკობიძე დავით ალექსანდრეს ძე (დ. 1. IV. 1946, დაბა საჩხერე, ახლანდ. ქალაქი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. კანდიდატი (1976), პროფესორი (2013), ქ. ჭიათურის საპატიო მოქალაქე (2014). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1968). იყო საქართვ. ეკონ. და მართვის ინ-ტში ფინანსებისა და ფასწარმოქმნის განყ-ბის გამგე (1978–82), საქართვ. სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტის პოლიტ. ეკონომიის კათედრის გამგე (1982–89), სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ინ-ტის საბაზრო ეკონ. განყ-ბის გამგე (1989–91), საქართვ. ფინანსთა მინისტრი (1993–97). 2001–03 მუშაობდა საქართვ. პრეზიდენტის კანცელარიაში მრჩევლად, 2006-იდან არის თსუ-ის, ხოლო 2013-იდან – საქართვ. ტექ. უნ-ტის პროფესორი.



დ. იაკობიძე.

ი. მრავალი სამეცნ. ნაშრომის (მ. შ. მონოგრაფიების) და პუბლიც. წერილების ავტორია. მისი სამეცნ. შრომები ეხება საქართვ. ეკონ. განვითარების საკითხებს გლობალიზაციის პირობებში, მისი ფუნქციონირების მაკროეკონომიკურ ამოცანებს და მათი გადაწყვეტის სპეციფ. მექანიზმს.

ი. მონაწილეობდა ეროვნ. ფულადი ერთეულის – ლარის გამოშვებაში, ეროვნ. ხაზინისა და ზარაფხანის შექმნაში და სხვ. მისი ხელმოწერაა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ეროვნ. ვალუტაზე – ლარზე.

თხზ.: საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თბ., 2009; გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე, თბ., 2011.

იაკობ შემახელი, შ ე მ ა ხ ე ლ ი, XVIII ს. სომეხი ავტორი. მას ეკუთვნის მცირე საისტორიო თხზულება,

რ-იც ვახტანგ VI-ის მოღვაწეობასა და, საერთოდ, 1721–36 მომხდარ პოლიტ. ამბებს ეხება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. მაისურაძე.

იაკობ შემოქმედელი (სამებელი, გვარად – დუმბაძე), XVII–XVIII სს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, პოეტი. შემოქმედის მიტროპოლიტად იხსენიება 1647-იდან. ქართლის მეფის, გიორგი XI-ის დავალებით გალექსა *ბაგრატ მუხრანბატონის* ანტიმაჰმადიანური თხზულება ,,უსჯულოს მოჰამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება'' (შედგება 289 თექვსმეტმარცვლიანი სტროფისაგან). მასვე ეკუთვნის თითოსტროფიანი ლექსები – არჩილ II-ის ხოტბა, პასუხი იოსებ თბილელის შეკითხვა-გამოცანებზე, რ-იც ბიბლ. თემას ეხება, და ერთიც წაღმა-უკუღმა წასაკითხი ფორმალისტური ლექსი. ზოგიერთი ხელნაწერის მიხედვით, ი. შ-ს მიეწერება გადაკეთებული ,,აბდულმესიანი'', რ-შიც ქების ობიექტი თამარისა და დავითის ნაცვლად არის არჩილ II. ი. შ-ს ქებით იხსენიებენ არჩილ II, დავით გურამიშვილი, ანტონ I, იოანე ბატონიშვილი და სხვ.

ლიტ.: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1962; Марр Н. Я., Из книги царевича Багратa о грузинских переводах духовных сочинений и героической повести „Дареджаниани", «Известия Академии наук», 1899, т. 10, №2. *ბ. დარჩია.*

იაკობ ხუცესი, ცურტაველი, V ს. II ნახევრის ქართველი მწერალი, ჰაგიოგრაფი. ავტორია ,,შუშანიკის მარტვილობისა'' (,,წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ''), ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართ. ორიგინ. ძეგლისა, რ-შიც აღწერილია, თუ როგორ უღალატა ქართლის პიტიახშმა, ვარსქენმა ქვეყანას, დაგმო თავისი სარწმუნოება, სპარსელთა გულის მოსაგებად მიიღო მაზდეანობა და ქრისტიანობის ერთგულებისათვის აწამა მეუღლე. ი. ხ-ის შესახებ ცნობები შემონახულია თავისსავე ნაწარმოებში, საიდანაც ჩანს, რომ ის ყოფილა ვარსქენ პიტიახშის კარის მღვდელი, შუშანიკთან დაახლოებული პირი; ქართლის პიტიახშის კარზე, დაბა ცურტავში, მომხდარი ტრაგედიის თანამედროვე და მონაწილე. თხზულება დაწერილია 476–83, შუშანიკის მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის მიერ ვარსქენის სიკვდილით დასჯამდე. ფიქრობენ, რომ უფრო გვიან ი. ხ. გახდა ცურტავის ეპისკოპოსი და 506 დაესწრო საეკლ. კრებას (ამ კრების მონაწილეთა შორის მოიხსენიება ცურტავის ეპისკოპოსი იაკობი). მისი ნაწარმოები მოღწეულია შეცვლილი სახით (უნდა აკლდეს დასაწყისი, ზოგი დეტალი გამოტოვებულია და ა. შ.). უძველესი ხელნაწერი X საუკუნისაა. ,,შუშანიკის მარტვილობით'' იწყება ქართ. ლიტ-რის ისტორია და მას განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართ. კულტურისათვის.

ი. ხ. მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატია. ბუნებრივი თხრობა და მოქმედების ექსპრესიული გან-



ვითარება, პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების ღრმა ფსიქოლ. ანალიზი, მხატვრული დეტალების ოსტატური დამუშავება, ცხოვრებისეული მოვლენების შეუფარავი ასახვა და მძაფრი სიტუაციების რელიეფური წარმოჩენა, ლაკონური სტილი და მდიდარი ლექსიკა, გმირთა მეტყველების ინდივიდუალობა და დრამ. ინტონაციებით დატვირთული დიალოგები, მაღალი ესთეტ.-ლიტ. გემოვნებითა და შემოქმედებითი ფანტაზიით შექმნილი შთამბეჭდავი სახეები თვალსაჩინოს ხდის ი. ხ-ის ტალანტს, ხოლო მის ნაწარმოებს პირველხარისხოვან ქართ. ლიტ. ძეგლთა გვერდით მიუჩენს ადგილს. ნაწარმოების იდეური მიზანდასახულობითა და ჟანრობრივი სპეციფიკით გამოწვეული შეზღუდულობის მიუხედავად, ი. ხ-მა ჰაგიოგრაფიული ტრაფარეტის ნაცვლად შექმნა მაღალმხატვრული ნაწარმოები. მწერალმა შუშანიკი დაგვიხატა მტკიცე პიროვნებად, ქრისტიანობისა და ქართლის ეროვნ. ინტერესების დამცველ ქალად, რ-იც წინ აღუდგა სამშობლოს მოღალატე მეუღლის პოლიტ.-სარწმუნოებრივ ზრახვებს და ამით დაიცვა არა მხოლოდ თავისი ქალური ღირსება, არამედ სარწმუნოება და ქართლის ეროვნ.-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. შუშანიკი მისაბაძი მაგალითი უნდა გამხდარიყო შთამომავლობისათვის. ნაწარმოებში მხილებულია ქართლის ზოგიერთი დიდებულის ანტიეროვნული საქციელი. შუშანიკის მოწამებრივი ღვაწლის აღწერასთან ერთად, მწერალი გვაძლევს V ს. ქართლის ყოფა-ცხოვრების სურათებს, ასახავს ქვეყნის პოლიტ.-ეკონ. და სოც. მდგომარეობას, საეკლ. ორგანიზაციას, ზნე-ჩვეულებებს, კულტ. ვითარებას. ამიტომ იგი შესანიშნავი ისტ. წყაროც არის. ნაწარმოების მაღალმხატვრული დონე და იდეურ-შინაარსობრივი სიღრმე საფიქრებელს ხდის, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო ი. ხ-ის შემოქმედების ერთადერთი ნაყოფი, მით უმეტეს, რომ ავტორს წინასწარ განუზრახავს შუშანიკის ღვაწლის აღწერა. ,,შუშანიკის მარტვილობა'' ადრევე ითარგმნა სომხ. ენაზე. ამ თარგმანის გადამუშავების საფუძველზე შეიქმნა სომხ. მოკლე რედაქცია. არსებობს ,,შუშანიკის მარტვილობის'' მოკლე ქართ. რედაქციაც, რ-იც სომხ. მოკლე რედაქციიდანაა თარგმნილი არა უგვიანეს 940-ისა.

ძეგლი პირველად გამოსცა მ. საბინინმა (1882), ლათინურად თარგმნა პ. პეეტერსმა (1935), რუსულად – კ. კეკელიძემ (1956), ვ. დონდუამ (გამოქვეყნდა 1978), ფრანგულად – ს. წულაძემ, ინგლისურად – ე. ფულერმა, გერმანულად – ნ. ამაშუკელმა, ესპანურად – ა. მარტინესმა, უნგრულად – მ. იშტვანოვიჩმა; ინგლ. პარაფრაზი ეკუთვნის დ. ლანგს (1956). 1978 ქართ. საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა ,,შუშანიკის წამების'' დაწერის 1500 წლისთავი. ეს თარიღი 1979–83 იუნესკოს გადაწყვეტილებით მსოფლიო მასშტაბით აღინიშნა.

თხზ.: მარტვილობაჲ შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1938; თბ., 1978; [წიგნში] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, თბ., 1963.

ლიტ.: ბარამიძე ა., ,,შუშანიკის წამების'' ახლებური გაგების გარშემო, «მნათობი», 1978, №10; ბარამიძე რ., ქართული მწერლობის სათავეებთან, თბ., 1978; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ონიანი შ., იაკობ ხუცე-

სის ,,წამება წმიდისა შუშანიკისი‘‘, თბ., 1978; შუშანიკის წამება. საიუბილეო კრებული. გამოკვლევები და წერილები, თბ., 1978; ჭილაძე თ., იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის წამება‘‘, თბ., 1978; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

ლ. მენაბდე.

იაკოვენკო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (13. XII. 1919, კრასნოდარი, – 1992, კიევი), ფერმწერი. საქართველოს და აჭარის არ-ის დამს. მხატვარი. 1921-იდან ცხოვრობდა და მუშაობდა ბათუმში. სწავლობდა ლენინგრადის ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტ. ინ-ტში (2 კურსი, 1941). ი-ს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ომის თემას, ასევე ყოველდღიურობას, საბჭოთა ხალხის შრომას (,,დასვენების წუთები‘‘, ,,ჩაის პლანტაციები‘‘, ორივე XX ს. 60-იანი წლები; ,,პორტი‘‘, 1978). ამავე დროს მუშაობდა პორტრეტისა და პეიზაჟის ჟანრში (,,ივანე ფრანკო‘‘, 1958; ,,ავტოპორტრეტი‘‘, XX ს. 60-იანი წლები; ,,წვიმის შემდეგ‘‘, 1967; ,,მთები‘‘, 1979). მას გარკვეული წვლილი მიუძღვის აჭარის სამხატვრო სკოლის ჩამოყალიბებაში. ი-ს ნამუშევრები ინახება აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზეუმში.

ლიტ.: ჯანბერიძე გ., აჭარის სახვითი ხელოვნება, ბათ., 2013–14; Русские художники Грузии. XX век, Тб., 2007.

ალ-იაკუბი აბუ ლ-აბას აჰმად იბნ იაკუბი (გ. დაახლ. 897), არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი. ცნობილია მისი ორი თხზულება: 1. გეოგრაფიული – ,,ქვეყნების წიგნი‘‘ (,,ქითაბ ალ-ბულდანი‘‘), რ-შიც სხვა ქვეყნებთან ერთად აღწერილია სამხრ. კავკასია, ჩამოთვლილია მისი მხარეები, მითითებულია მათ შორის მანძილები; 2. ისტორიული – ,,ისტორია‘‘ (,,თარიხი‘‘), რ-შიც აღწერილია არაბთა ლაშქრობები სამხრ. კავკასიის ქვეყნებში, სომხეთისა და საქართველოს დაპყრობა; ავჯანყებები არაბთა წინააღმდეგ სომხეთში, ქართლსა და კახეთში. თბილ. ამირას განდგომა სახალიფოსაგან და ბუღა თურქის ლაშქრობა საქართველოში (853). ალ-ი-ის ცნობით არაბმა სარდალმა ხალიდ იბნ იაზიდმა ,,ხელში ჩაიგდო წანარების (კახეთის სამთავრო) ჯოგები და შემდეგ მოუწოდა ზავისკენ; შეუთანხმდა 3000 ფაშატსა და 20000 ცხვარზე‘‘.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Избр. соч., т. 4, М. – Л., 1957; Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, пер. и прим. Н. А. Караулова, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1903, в. 32.

ბ. სილაგაძე.

იაკუბოვიჩი მიხეილ ანდრიას ძე [10(23). II. 1906, ოდესა, – 9. XI. 1963, თბილისი], ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1948). 1930 დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი ხიდებისა და სამშ. კონსტრუქციების სპეციალობით. 1930–48 მუშაობდა თბილ. სამშ. ტრესტის მთ. ინჟინრად, ამიერკავკასიის ,,სახპროექტის‘‘ მშენებლობის განყ-ბის გამგედ, ,,თბილმშენის‘‘ მთ. კონსტრუქტორად, ხოლო 1948-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტში. 1950-იდან იყო სპი-ის ხიდებისა და სამშ. კონსტრუქციების კათედრის გამგე, პარალელურად ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ (1954) რკინაბეტონის კონსტრუქციების ლაბორატორიას.

ი-ის სამეცნ. კვლევები ეხება მშენებლობაში მსუბუქი რკინაბეტონის კონსტრუქციების პრაქტიკაში დანერგვის მეთოდებს, კერამზიტბეტონის გამოყენების პრობლემებს ხიდთმშენებლობაში. მისი მონაწილეობით საქართველოში დაპროექტდა და აშენდა 70-მდე დიდი ნაგებობა, მ.შ. მთავრობის სახლი (1938, მთ. კონსტრუქტორი), თსუ-ის II კორპუსი, ყოფ. ,,იმელი‘‘, დინამოს ძვ. სტადიონი, კავშირგაბმულობის სახლი, 8 ქ-ნა (მეტალურგიული, ლოკომოტივების სარემონტო და სხვ.), 18 ფ-კა, 17 საავტომობილო ხიდი; მისივე მონაწილეობით მოსკ. საგამოფენო ცენტრში აშენდა საქართვ. პავილიონი. შეიმუშავა მსუბუქი (პემზისა და ტუფის ქვის შერევით მიღებული) რკინაბეტონით აშენებული ასაწყობი მონოლითური კონსტრუქციების (ხისტი ჩარჩოები, თაღები, კამარები, გადახურვები და სხვ.) გამოყენების მეთოდები. თურქმენეთში, სომხეთსა და უკრაინაში მრავალი სამოქალაქო და საყოფაცხოვრებო ობიექტი აშენდა მისი შემოთავაზებული მასალებითა და მეთოდებით, კერძოდ, ,,ლუმაშელის‘‘ (ნიჟარა-ქვის) შერევით მიღებული რკინაბეტონით. 1960 კასპიის ზღვაზე, ნავთობსარეწ მშენებლობაში ი-ის ხელმძღვანელობით გამოიცადა და დაინერგა ასაწყობი წინასწარდაძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციები.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი შრომა, მ. შ. 9 მონოგრაფია. დაჯილდოებულია სახელმწ. ჯილდოებით.

თხზ.: Автодорожные мосты из легкого железобетона, М., 1956; Бетон и железобетон на ракушечниках и известняках Украины, К., 1958; Конструкции и мосты из легкого железобетона, М., 1960.

ლიტ.: Кинцурашвили С., Джанберидзе Н., Архитектура Советской Грузии, М.–Тб., 1958.

მ. სალუქვაძე.

იაკუთი იბნ აბდ ალ-ლაჰ ალ-რუმი ალ-ჰამავი (1179 – 20. VIII. 1229, ჰალაბი), არაბი ლიტერატორი და გეოგრაფი. წარმოშობით მცირეაზიელი ბერძენი. ავტორია მრავალი ნაშრომისა, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი გეოგრ. ლექსიკონი – ,,ქვეყნების ანბანზე გაწყობილი ლექსიკონი‘‘ (,,მუჯამ ალ-ბულდან‘‘). მასში მოცემულია საინტერესო ცნობები სამხრ. კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თბილისის აღწერას: ,,თაფლისი ან თიფლისი... იგი ჯურზანის მხარის დედაქალაქია..., ესაა ქალაქი, რომლის იქითაც აღარ ვრცელდება ისლამი; მის შუაში მიედინება მდინარე, რომელსაც ეწოდება კურ-



ნ. იაკოვენკო. ავტოპორტრეტი.



წინასწარდაძაბული მსუბუქი რკინაბეტონის სარკინიგზო ხიდი მდინარე ღალიძგაზე. პროექტის ავტორი და მშენებლობის ხელმძღვანელი მ. იაკუბოვიჩი.

რი და რომელიც ერთვის ზღვას. მასში დოლაბებია საფქვავად. მას არტყია დიდი გალავანი. იქ არის ძლიერ ცხელი აბანოები, რომლებიც არ საჭიროებს გაცხელებას და არც წყლის ამოქაჩვას... ესაა ცხელი წყარო, რომელიც ამოდის მიწიდან... ეს აბანოები, როგორც გადმომცა ამის შესახებ ბევრმა თბილისის მცხოვრებთაგან, მუსლიმებისთვისაა და სხვები მასში არ დადიან...“ ლექსიკონში შესულია მრავალი ცნობა საქართველოს შესახებ. დასახელებული და განმარტებულია: აბხაზი, ულთა (ოლთისი), უნიქი (ადგილი ბასიანში, სადაც ქართველებმა დაამარცხეს რუქნ ალ-დინი), ბასინი (ბასიანი), თიფლისი (თბილისი), ჯურზანი (ქართლი), ხუნანი, დმანისი, ჯურჯი (ქართველი) და სხვ.



მ. იაკუშინი.

თხზ.: Jacut's geographisches Wörterbuch aus den Handschriften zu Berlin, St. Petersburg und Paris, London und Oxford, hrsg. von F. Wüstenfeld, Bd. 1–6, Lpz., 1866–73.

პუბლ.: ჲაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ე. სიხარულიძის გამოც., ნაკვ. 1, თბ., 1964.

გ. ჯაფარიძე.

იაკუშინი მიხეილ იოსების ძე [2 (15). XI. 1910, მოსკოვი, – 3. II. 1997, იქვე], სპორტსმენი (ფეხბურთელი, ჰოკეისტი, მწვრთნელი). სპორტის დამს. ოსტატი (1940), სსრკ დამს. მწვრთნელი (1957), სსრკ ჩემპიონი (1936) და მეორე პრიზიორი (1950) ბურთით ჰოკეიში, სსრკ თასის ცხრაგზის მფლობელი (1937–41, 1947–50), სსრკ ჩემპიონი ჰოკეიში შაიბით (1947); ფეხბურთში – სსრკ ჩემპიონი (1935, 1936 გაზაფხული, 1937, 1940), სსრკ თასის მფლობელი (1937). სამწვრთნელო კარიერა დაიწყო მოსკ. „დინამოში“ (1944–50), რ-მაც მისი ხელმძღვანელობით 1945 ნოემბერში წარმატებული ტურნე მოაწყო ინგლისში. მწვრთნელის რანგში სსრკ ჩემპიონი (1945, 1949, 1954, 1955, 1957, 1959), სსრკ თასის მფლობელი (1953), სსრკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი (1967–68), თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი (1950–53, 1962–1964 აპრილამდე, 1974–75). მის მიერ ჩამოყალიბებული ქართული გუნდი პირველად გახდა სსრკ ჩემპიონი (1964, აპრილიდან მწვრთნელი გ. *კაჩალინი*). მისივე ხელმძღვანელობით სსრკ ნაკრებმა წარმატებით გაიარა ევრ. ჩემპიონატის შესარჩევი ტური (1959), ასევე ევრ. ჩემპიონატზე დაიკავა მეოთხე ადგილი (1968). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

იალალი, მთის საზაფხულო *საძოვარი.*

იალბუზი, კავკასიონის ქედის უმაღლესი მწვერვალი. მდებარეობს ყაბარდო-ბალყარეთის (რფ) ტერიტორიაზე (1944–55 ი. საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული). მთის მასივი აღმართულია კავკასიონის გვერდით ქედზე და წარმოადგენს უმთავრესად ანდეზიტებით აგებული ჩამქრალი ვულკანის ორმწვერვალიან კონუსს. დას. მწვერვალის სიმაღლეა 5642 *მ*, აღმ-ისა – 5621 *მ*. გამყინვარების საერთო ფართ. – დაახლ. 134 *კმ*^{2}. დიდი მყინვარებია: აზაუ, ირიკი, ტერსკოლი.

ი-ს ყაბარდოელები უწოდებენ „ოშხო-მახოს“, ბალყარები –„მინგითაუს“, ჩერქეზები –„აშ-გამახოს“. მისი სპარს. სახელია „ელბოროსი“, საიდანაც დამკვიდრდა ქართ. იალბუზი და რუს. ელბრუსი.

ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მას „იალბუზად“ მოიხსენიებს და „კავკასთაგან უმაღლესად მჩენარეს“, „ქარმყინვარეს“ და „მარადის მყინვარეს“ უწოდებს.

ი-ის აღმ. მწვერვალზე 1829 წ. 10 ივლისს ავიდა ყაბარდოელი ქილარ ხაშიროვი – კავკასიის გამაგრებული ხაზის გენერლის, გ. ა. ემანუელის მეთაურობით ჩატარებული საერთაშ. სამეცნ. ექსპედიციის ერთ-ერთი გამყოლი. ევრ. წყაროებში ქ. ხაშიროვის ასვლა საეჭვოდ არის მიჩნეული. პირველ ამსვლელებად სახელდებიან ინგლ. ექსპედიციის წევრები, რ-ებიც ი-ზე ავიდნენ 1868 (ხელმძღვ. დ. *ფრეშფილდი*).

1874 წ. 28 ივლისს ი-ის დას. მწვერვალზე ავიდა ბალყარელი გამყოლი ა. სოტაევი ინგლ. ექსპედიციის წევრებთან ერთად (ხელმძღვ. ფ. გროვი).

1890 ი-ის დას. მწვერვალზე, 1896 კი აღმ. მწვერვალზე ავიდა რუსი ტოპოგრაფი და მთამსვლელი ა. ვ. *პასტუხოვი* და საფუძველი დაუდო ი-ის შესწავლას.

1925 წ. 12 ივლისს ი-ის აღმ. მწვერვალზე „11-ის თავშესაფრიდან“ ავიდნენ საქართვ. გეოგრ. საზ-ბის მთასვლა-მგზავროსნობის განყ-ბის მიერ ორგანიზებული ექსპედიციის წევრები გ. *ნიკოლაძის* ხელმძღვანელობით. ექსპედიციას ახლდნენ გამყოლები გ. *წიკლაური* და ი. *კაზალიკაშვილი.* ასვლაში მონაწილეობდა 19 მთამსვლელი, მათგან – 5 ქალი (მ. ბეჟანიშვილი, ე. ლორთქიფანიძე, ა. ნიკოლაიშვილი, მ. ტყავაძე, ლ. ჩხეიძე). ხელმძღვანელის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა ს. *ჯაფარიძე.*

1927 წ. 15 აგვისტოს ი-ის დას. მწვერვალი სამხრ.-აღმ-იდან, უნაგირას გავლით დალაშქრეს მთამსვლელებმა ს. ჯაფარიძემ (ხელმძღვ.), დ. და შ. მიქელაძეებმა და ი. ფროლოვმა.

1943 წ. 13 და 17 თებერვალს ალპინისტურმა რაზმმა, რ-შიც შედიოდნენ ქართვ. მთამსვლელებიც (ბ. ხერგიანი, გ. ხერგიანი, გ. სულაქველიძე და სხვ.) ი-ის ორივე მწვერვალიდან ჩამოხსნა გერმანელ ფაშისტთა მიერ აღმართული სვასტიკიანი დროშები და საბჭოთა დროშები აღმართა.



მწვერვალი იალბუზი.

0. და მისი მიდამოები სამთოსათხილამურო სპორტის და ტურიზმის ცენტრია.

ლიტ.: კავკასიონზე. კრ., შემდგ. დ. ფურცელაძე, რედ. ნ. კეცხოველი, თბ., 1959; ბერიშვილი ე., სპორტის ენციკლოპედია, თბ., 2006; БСЭ, т. 30, М., 1978; Кудинов В. Ф., Эльбрусская летопись, Ставрополь, 1969. *ე. ლოლუა. მ. უთმელიძე.*

იალგუზი, ყოფილი სოფელი გორის მუნიციპალიტეტში.

„იალის თამაში“, მამაკაცთა პანტომიმური სანახაობა, ცეკვა-თამაში, რ-იც XIX-მდე შემორჩა ძვ. თბილისს. იმართებოდა გაზაფხულზე, *ყველიერის* დღესასწაულზე. „0. 0.“ იმ დროისთვის ასე გამოიყურებოდა: მხარზე ბაღდადგადაგდებული რამდენიმე მამაკაცი ზურნის ხმაზე ჩაკვრით უვლიდა წრეს. ერთ-ერთი მათგანი მოცეკვავეებს ჯოხით უტევდა, ემუქრებოდა და ცეკვის რიტმზე ბაღდადების, სარტყლების გადაყრას, პერანგების გახდას მოითხოვდა. მოცეკვავე მამაკაცები რამდენიმეჯერ შემოუვლიდნენ წრეს და მიმდევრობით იწყებდნენ სამოსის გახდას. შემდეგ იმავე წესით იცვამდნენ და ცეკვაც ამით მთავრდებოდა. მკვლევართა აზრით, „0. 0.“, *„მელია ტელეფიას“* მსგავსად, ნაყოფიერების, სიყვარულისა და შვილიერების მფარველი ღვთაების, *კვირიას* სადიდებელი რიტუალის ნაშთი უნდა იყოს.

ლიტ.: თათარაძე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2010; ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948.

იალნოს ქედი, საშუალო სიმაღლის განედური ქედი გარეკახეთში, მცხეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში. *საგურამოს ქედის* აღმ. გაგრძელება. იგივე ძვ. „აკრიანის მთები“. სიგრძე 18 *კმ.* უმაღლესი წერტილია მთა იალნო (*ვახუშტი ბატონიშვილის* მიხედვით – „იალონი“). სიმაღლე 1874 *მ.*

0. ქ. აგებულია ნეოგენური დანალექი ქანებით (კონგლომერატები, ქვიშაქვები, თიხები). საგურამოს ქედთან შეერთების ადგილზე გადაკვეთილია თბილისი–თიანეთის საავტ. გზატკეცილით. ქედი წარმოადგენს წყალგამყოფს, ერთი მხრივ, მდ-ების – თეზმისა (არაგვის მარცხ. შენაკადი) და გორანის (იორის მარჯვ. შენაკადი) და, მეორე მხრივ, მდ-ების – ნორიოსხევის (ლოჭინისხევის მარჯვ. შენაკადი) და მარტყოფისწყლის (ლოჭინისხევის მარცხ. შენაკადი). ქედის კალთები შემოსილია შერეული ფართოფოთლოვანი ტყით (მუხნარი, მუხნარ-რცხილნარი და წიფლნარი). თხემზე მეორეული სუბალპ. მდელოებია. *ლ. მარუაშვილი.*

იალქნიანი გემი, იხ. *აფრიანი (იალქნიანი) გემი.*

იალღუზიძე (ნამდვ. გვარი – გაბარათი) იოანე გიორგის ძე [1775, სოფ. ზალდა, ახლანდ. ქურთის მუნიციპალიტეტი, – 5(17). VIII. 1830, თბილისი], ოსი პოეტი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე. დაიბადა აზნაურის ოჯახში. ერეკლე II-ის შუამდგომლობით მიაბარეს დავითგარეჯის მონასტერში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილ. სას. სემინარიაში. საზ. საქმიანობა დაიწყო გადამწერობით (2-ჯერ გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი“). 1815–21 თბილისში, ოსეთის სას. კომისიაში მუშაობდა თარჯიმნად. ქართულიდან ოსურად თარგმნიდა სას. წიგნებს („საცისკრონი ლოცვანი“, 1820; „გამოკრებილი კურთხევანი“, 1824). 0-ს ასევე უთარგმნია ოთხთავი (დაცულია ხელნაწერი). 1820-იდან თბილ. სას. სემინარიაში ოს ბავშვებს ასწავლიდა რუს. და ქართ. ენებს. 1820 ქართ. გრაფიკის (როგორც ნუსხა-ხუცურის, ისე მხედრულის) საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი, ხოლო 1821 – პირველი საანბანო წიგნი ოსურ ენაზე. 0-ის პოეტური შემოქმედებიდან აღსანიშნავია პატრ. პოემა „ალღუზიანი“ (1885, ქართ. ენაზე), რ-შიც მოთხრობილია მეფე ალღუზის საგმირო საქმენი.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ოსური ენის ისტორიისათვის, «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1925, ტ. 5; თედეევი ო., ქართული ოთხთავის ოსური თარგმანის ისტორიისათვის, «თსუ შრომები», 1964, ტ. 108; Гукаев Дз. А., О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, «Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института», 1955, в. 7.

იალღუნი (Tamarix), მერქნიან მცენარეთა გვარი იალღუნისებრთა ოჯახისა. ზაფხულმწვანე, იშვიათად მარადმწვანე ბუჩქები ან ტანდაბალი ხეებია. სიმაღლე 3–12 *მ* აღწევს. წვრილი გრძელი ყლორტები დაფარული აქვს პატარ-პატარა მოცისფრო ან მონაცრისფრო ქერქლისებრი ფოთლებით, რ-ებიც მარილის გამომყოფი ჯირკვლებით არის მოფენილი. 54-მდე სახეობა გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, წინა და ცენტრ. აზიასა და აფრიკაში. საქართველოში 3 სახეობა გვხვდება – ოთხმტვრიანი 0. (T. tetrandra), მრავალტოტიანი 0. (T. ramosissima) და ჰოჰენაკერის 0. (T. hohenackeri). გავრცელებულია როგორც ბარად, ისე მთაში. იზრდება ჭალის ტყეებში, ზღვისპირა ქვიშაზე, ტბების, მდინარეებისა და სარწყავი არხების ნაპირებზე, რიყეზე, სტეპისა და უდაბნოს დამლაშებულ ნიადაგზე და სხვ. 0. სინათლის მოყვარული და სწრაფმზარდია. კარგად იტანს გვალვას. თავისი ნაზი ფოთლებისა და უხვი ყვავილების გამო დეკორატიულია, განსაკუთრებით გამოსადეგია მლაშობების გასამწვანებლად. თაფლოვანი მცენარეა. ზოგი სახეობა სარწყავი კულტურების სარეველაა. ამრავლებენ კალმით, თესლითა და ფესვის ამონაყრით. მერქანს იყენებენ სახარატო საქმეში. შეიცავს საღებავ და მთრიმლავ ნივთიერებებს. გამოსადეგია უდაბნოში მოძრავი ქვიშის დასამაგრებლად.



იალღუნი (Tamarix tetrandra).

მ. სახოკია.

იამანიძე თამაზ შალვას ძე (21. III. 1944, ზესტაფონი, – 18. X. 2014, თბილისი), სამთო ინჟინერი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. წ.-კორ. (2001). ტექ. მეცნ. დოქტორი (1996), პროფესორი (1990). 1968 დაამთავრა სპი-ის სამთო-გეოლ. ფაკ-ტი სამთო ელექტრომექანიკოსის სპეციალობით. 1975 მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის სამეცნ.-საორგანიზაციო განყ-ბის სწავლულ მდივნად. 1985–88 იყო საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული „დანერგვის“ კომისიის თავ-რე; 1988–2008 საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, 2008–14 კი – საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიური საბჭოს მრჩეველი. პარალელურად გ. წულუკიძის სახ. სამთო ინ-ტში ხელმძღვანელობდა მანქანათა დინამიკისა და მათ. მოდელირების სამეცნ.-კვლ. ჯგუფის მუშაობას.



თ. იამანიძე.

0-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: საშუალო და დიდი სიმძლავრის საბურღი დანადგარების დინამიკა; ქანისა და სანგრევი ინსტრუმენტის ურთიერთქმედების მათ. მოდელირება და ანალიზი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა, მ. შ. 2 მონოგრაფია.



შ. იამანიძე.



ბ. იანვარაშვილი.



ბ. იანვარაშვილი. შ. მილორავა, სცენა სპექტაკლიდან ,,საბედისწერო ოპერაცია''.

თხზ.: სანგრევი ინსტრუმენტისა და ქანის ურთიერთქმედების პროცესების ოპტიმიზაცია, თბ., 1995; Исследование виброзащиты станков вращательно-ударного бурения, М., 1975.

იამანიძე შოთა დავითის ძე (15. III. 1937, თბილისი, – 15. X. 1971, იქვე), სპორტსმენი (ფეხბურთელი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1969). დაამთავრა სპი (1965). თბილისის ,,დინამოს'' კაპიტანი (1961–66). სსრკ ჩემპიონი (1964) და მესამე პრიზიორი (1959, 1962, 1967). სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი (1960). სსრკ ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1956). სამჯერ დასახელდა სსრკ ,,33 საუკეთესო ფეხბურთელის'' სიაში. სსრკ ოლიმპიური ნაკრების წევრი (ჩაატარა 2 მატჩი). გამოირჩეოდა დახვეწილი ტექნიკით და თამაშის საუცხოო ორგანიზაციის უნარით. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

იამგიკო, ძველი ბერძნული პოეზიის სალექსო ზომა, რ-იც ეყრდნობა ორმარცვლიან ტერფთა, ანუ იამბთა გარკვეულ რაოდენობას. სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში გრძელ მარცვალს მახვილიანი შეენაცვლა. ბერძნულის გავლენით აღმოცენებული ქართ. ქორეული (იხ. *ქორე)* 0. სამოცმარცვლიანია, შედგება ხუთი თორმეტმარცვლიანი ტაეპისაგან. ძვ. ქართ. ჰიმნოგრაფიაში 0. X ს-იდან გვხვდება იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, ეზრასა და სხვათა შემოქმედებაში. ქართ. 0-სთვის დამახასიათებელია კიდურწერილობა. XI ს-იდან ქართ. 0-ში ჩნდება რითმა (ბორენას, დემეტრე I-ის საგალობლები). იამბიკური 12-მარცვლიანი ტაეპი გატეხილია ორ არათანაბარ (ხუთ- და შვიდმარცვლიან) ნაწილად. 0-ს ნიმუშია მეფე დემეტრეს (1125–59) ცნობილი საგალობლის ბოლო ხუთტაეპიანი სტროფი:

,,შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული,
მორჩი კეთილი ედემში დანერგული,
ალვა სულნელნი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თჳსით მზე ხარ გაბრწყინებული''.

0., როგორც ლიტურგიული კანონი, გაყოფილია რვა ,,გალობად''. თითოეულ ,,გალობაში'' არის ოთხი სტროფი, ხოლო სტროფი ზოგჯერ ხუთზე მეტ ტაეპს შეიცავს (იმის მიხედვით, თუ რამდენი ასოა 0-ს აკროსტიქში).

ლიტ.: ბერაძე პ., ქართული იამბიკოს შესახებ, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1943, ტ. 4, №6; გაწერელია ა., ქართული ლექსი, თბ., 1955; ინგოროყვა პ., თხზ. კრ. შვიდ ტომად, ტ. 3, თბ., 1965; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *ლ. ჯღამაია.*

იამი, მონღოლთა სამფლობელოში შემავალ ქვეყნებში, მ. შ. საქართველოსა და რუსეთში, სამხ.-სტრატეგიული მიზნით გზებზე აგებული საფოსტო სადგური. დააარსა უგედეი-ყაენმა 1236 სახელმწიფოში მიმოსვლის საშუალებათა მოწესრიგების მიზნით. 0-ის თითოეულ უფროსს (იამჩის) მუდმივად უნდა ჰყოლოდა 20 ცხენოსანი გამყოლი, ცხენები, ჰქონოდა ხარშებმული ურმები და აუცილებელი სანოვაგე. ყველაფერი ეს ადგილ. მოსახლეობას უნდა გაეღო (იხ. *საიამე*).

წყარო: ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1974; Козин С. А., Сокровенное сказание. Монгольская хроника 1240 г. Юань Чао Биши, т. 1, М. – Л.,1941; Рашид-ад-дин, Сборник летописей, пер. с перс., т. 2, М.– Л., 1960.

ლიტ.: Бартольд В. В., Туркестан в эпоху монгольского нашествия, Соч., т. 1, М., 1963. *რ. კიკნაძე.*

იანეთი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმათის თემში (გურიის რეგიონი), მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 80 *მ*, ოზურგეთიდან 13 *კმ*. 236 მცხ. (2014).

პირველად მოხსენიებულია 1558 წლით დათარიღებულ იმერთა მეფის, გიორგის სიგელში გელათისადმი, იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილთანაც (XVIII ს.). XIX ს. დასაწყისში 0-ში იდგა ხის ეკლესია, რ-იც აიგო 1790.

ი. ბერაძე.

იანეთი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის დაბლობზე, მდ. გუბისწყლის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. სათავო სოფელი. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 40 *მ*, სამტრედიიდან 6 *კმ*. 2,0 ათ. მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში.

იანეული, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბუკისციხის თემში (გურიის რეგიონი), სუფსის დაბლობზე, მდ. სუფსის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 240 *მ*, ჩოხატაურიდან 9 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 *კმ*. 385 მცხ. (2014).

იანვარაშვილი ბარბალე ივანეს ასული [17 (30). XII. 1908, ბაქო, – 27. VIII. 1995, თბილისი], მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1979). 1926–28 სწავლობდა ბაქოს კონსერვატორიაში ვოკალის ფაკ-ტზე. 0-ის დებიუტი პროფ. სცენაზე შედგა 1920, 12 წლის ასაკში, როდესაც ბაქოში გასტროლებზე ჩასულ ქართ. თეატრ. დასთან ერთად წარმატებით შეასრულა ლუიზას როლი ა. დენერის ,,ორ ობოლში''. 1928–37 0. ბაქოს ქართ. თეატრის მსახიობად მუშაობდა, ხოლო 1938–95 თბილისის ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. გამოირჩეოდა კასკადების (ოპერეტაში სწრაფი ცეკვა-სიმღერა) უბადლო შესრულებით, სცენური მომხიბვლელობით, ტემპერამენტით, პლასტიკურობით. განასახიერა 200-მდე როლი, რ-თა შორის აღსანიშნავია: კეცია (შ. მილორავას ,,სიმღერა თბილისზე''), თელი (უ. ჰაჯიბეკოვის ,,არშინ მალალან''), მაშო (ლ. იაშვილის ,,ბაბაჯანას ქოშები''), როზალია (ი. მილიუტინის ,,ჩანიტას კოცნა''), ორომსე (შ. აზმაიფარაშვილის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ''), თათანა (შ. მილორავას ,,საბედისწერო ოპერაცია''), ნუცა და ნენე (ვ. ცაგარეიშვილის ,,მზის დაბნელება'') და სხვ. 0. ქართვ. მსახიობთა იმ თაობას განეკუთვნება, რ-თა მოღვაწეობამაც შექმნა თბილისის მუს. კომედიის თეატრის სახე. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. ესტრადის განვითარებაშიც.

იანვარი (ლათ. Januarius), კალენდარული წლის პირველი თვე (31 დღ-ლ). სახელი ეწოდა რომაელთა ღმერთის იანუსის პატივსაცემად. შემოიღეს რომში ძვ. წ. 700; ძვ. წ. 46 წლის დასაწყისად დაამტკიცეს 1 იანვარი. ძვ. ქართ. წარმართული კალენდრით – აპანი, აპნის.

იანიძ-თეფე, მრავალფენიანი ნამოსახლარი გორა. მდებარეობს ურმიის ტბის აღმ. სანაპიროდან 30 *კმ*-ში, აღმ. აზერბაიჯანის პროვინციაში, სოფ. ტაზეჰ კანდის (ირანი) ახლოს. ნამოსახლარის ფართობი დაახლ. 81 ათ. *მ*^{2}, მაქს. სიმაღლე – 16,5 *მ*. 1958–59 ნამოსახლარი აღმოაჩინა ჩ. ბარნეიმ. არქეოლ. გათხრები ჩატარდა 1960, 1961, 1962.

0.-თ. დასახლებული იყო ენეოლითისა და ადრინდ. ბრინჯაოს ხანაში. ამის შემდეგ იგი ხელახლა აითვისეს მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულში. ენეოლითური ფენა წარმოდგენილია ოთხკუთხა ალიზის ნაგებობებით. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია მოწითალო კერამიკა. ადრინდ. ბრინჯაოს

ხანაში მკვიდრდება წრიული ნაგებობები და მუქი კერამიკა მისთვის დამახასიათებელი ნაკაწრი ორნამენტით. გ. დ. სამერსმა ჩ. ბარნეის დროინდელი გათხრების მონაცემების შესწავლის საფუძველზე წარმოადგინა საკუთარი შეხედულება ნამოსახლარის სტრატიფიკაციის შესახებ, რ-ის მიხედვით ადრინდ. ბრინჯაოს ხანაში ფიქსირდება 18 ფენა. ქვედა თოთხმეტისთვის დამახასიათებელია წრიული, ხოლო ზედა ოთხისთვის – ოთხკუთხა ნაგებობები.

მტკვარ-არაქსის კულტურა ირანში პირველად ტ. ბარტონ-ბრაუნის მიერ იქნა აღმოჩენილი 1948 ურმიის ტბის დას-ით მდებარე მრავალფენიან ნამოსახლარ *გოითეფეზე* წარმოებული არქეოლ. გათხრების დროს.

ჩ. ბარნეის მიერ ი.-მ-ზე წარმოებული არქეოლ. გათხრების შემდეგ, XX ს. 60–70-იან წლებში, ირანში მომუშავე სხვა მეცნიერების ყურადღება მტკვარ-არაქსის ფენომენზე გამახვილდა. ი.-მ-ს ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ფენების სტრატიგრაფიული თანმიმდევრობის შესწავლის საფუძველზე შემუშავებული ქრონოლოგია შემდგომში ამ რეგიონის სხვა ძეგლებისთვისაც იქნა გამოყენებული.


ნამოსახლარი ი.-მ. ჰაფტავან თეფესთან, გოითეფესთან და ჰასანლუსთან ერთად წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან მრავალფენიან ძეგლს ჩრდ.-დას. ირანში, სადაც კავკასიური წარმომავლობის ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის სტრატიფიცირებული ფენები არის წარმოდგენილი.

ლიტ.: Burney Ch. A., Excavations at Yanik Tepe, North-West Iran, «Iraq», vol. 23, №2, 1961; მ ი ს ი ვ ე, The Excavations at Yanik Tepe, Azerbaijan, 1961: Second preliminary report, «Iraq» vol. 24, №2, 1962; მ ი ს ი ვ ე, The Excavations at Yanik Tepe, Azerbaijan, 1962: Third preliminary report, «Iraq», vol. 26, №1, 1964; Summers G. D., Yanik Tepe and the Early Trans-Caucasian Culture: Problems and Perspectives.– In: A. Sagona (ed.), A view from the Highlands. Archaeological studies in honour of Charles Burney (Herent), 2004; მ ი ს ი ვ ე, Yanik Tepe, Northwestern Iran. The Early Trans-Caucasian Period. Stratigraphy and Architecture, Ancient Near Eastern Studies. Supplement Series, 41. Peeters, 2013; მ ი ს ი ვ ე, The early Trans-Caucasian Culture in Iran: Perspective and Problems, «Paléorient», vol. 40, № 2; The Kura-Araxes culture from the Caucasus to Iran, Anatolia and the Levant. Between unity and diversity, 2014.

ლ. ჭაბაშვილი.

იანიშევსკი (Janiszewski) ლეონ (1810, კალიში, პოლონეთი, – 27. II. 1861, თბილისი), პოლონელი პოეტი და მუსიკოსი. სწავლობდა კალიშის კლასიკურ გიმნაზიასა და ვარშავის უნ-ტში. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის დევნილი 0. 1841 გადმოასახლეს თბილისში, სადაც ლიტ. და მუს.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა. აღსანიშნავია მისი ნარკვევი ,,ქედის მოხრა ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავზე, წმინდა დავითის გორაზე, თბილისში; 9. I. 1842'' (1843) და ლექსი ,,არმყოფთან'' (1850), რ-შიც XIX ს. თბილისის კულტ. ცხოვრებაა აღწერილი. 20 წლის განმავლობაში 0. მუსიკას ასწავლიდა ამიერკავკ. კეთილშობილ ქალთა ინ-ტში. 1847 გამოაქვეყნა 2 პოლკა ფორტეპიანოსათვის: ,,თბილისური პოლკა'' და ,,მშვენიერი ქართველი ქალი''. 0. თანამშრომლობდა გაზ. ,,კავკაზში'', აქვეყნებდა ლიტ. სტატიებსა და მუს. რეცენზიებს.

ქ. ჭავჭანიძე.



ნ. იანქოშვილი. „ნინო ჭავჭავაძე''. 1958. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

იანძოშვილი მერი ვახტანგის ასული (27. X. 1918, თბილისი, – 24. VII. 1983, იქვე), ფილოლოგი, მთარგმნელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1968). საქართვ. მეცნ. დამსახურებული მოღვაწე (1980). დაამთავრა თსუ-ის ინგლ. ენის განყ-ბა (1940). 1943-იდან მუშაობდა იქვე. 1968 უცხო ენების ინ-ტში დააარსა და სათავეში ჩაუდგა რომანულ-გერმ. ფილოლ. კათედრას. 1974-იდან გარდაცვალებამდე იყო თსუ-ის ინგლისური ფილოლ. კათედრის გამგე. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად 0. ეწეოდა ნაყოფიერ მეცნ. მუშაობას. მისი ნაშრომები ეხება ლინგვისტიკის და თეორიული ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, უცხო ენების სწავლების მეთოდიკას, ლექსიკოგრაფიის საკითხებს. ნაშრომთაგან აღსანიშნავია: ,,გრამატიკული კატეგორიების არსი თანამედროვე ინგლისურ ენაში'', ,,გრამატიკული მოვლენების ბლუმფილდისეული მეთოდი'', ,,ენის მექანიზმი და პროგრამისეული სწავლება'', ,,სიტყვის მნიშვნელობის ბირთვული სტრუქტურა'' და სხვ. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნილი აქვს რ. კიპლინგის მოთხრობები (1947), ჩ. დიკენსის ,,პიკვიკის კლუბის ჩანაწერები'' (1959).

თხზ.: ინგლისური ენის სახელმძღვანელო, თბ., 1979 (თანაავტ.); ძირითადი ინგლისურის სტრუქტურები დაპროგრამებული სავარჯიშოების სახით, თბ., 1979 (თანაავტ.); Inglish by Patterns, Tb., 1976.

იანძოშვილი ნათელა არჩილის ასული (30. VIII. 1918, გურჯაანი, – 12. X. 2007, თბილისი), ფერმწერი და გრაფიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1976). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1995). თბილ. საპატიო მოქალაქე (2000). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1943). 0. ძირითადად პორტრეტისტი და პეიზაჟისტია. გამოფენებში მონაწილეობდა 1943-იდან. თბილისში 1960–82 მოეწყო მისი ნამუშევრების 8 პერსონალური გამოფენა. ძირითადი ნამუშევრები: პორტრეტები – ,,ნინო ჭავჭავაძე'' (1958), ,,მამის პორტრეტი'' (1959, ორივე შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი), ,,ირმა ჩოფიკაშვილი'' (1960), ,,ანა კალანდაძე'' (1961), ,,მუხრან მაჭავარიანი'' (1969), ,,მედეა ჯაფარიძე'' (1976), ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი'' (1978), ,,მიხეილ თუმანიშვილი'' (1978, ყველა კერძო კუთვნილება); პეიზაჟები – ,,მცხეთის ჯვარი'' (1967), ,,კახეთი'' (1974), ,,შატილის კუთხე'' (1980); დაზგური გრაფიკა – ,,მთვარიანი ღამე'' (1945), ,,მეფე თამარი'' (1960). ავტორია სერიებისა: ,,სვანეთი'', ,,მექსიკა'', ,,კუბა''. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული ,,ვეფხისტყაოსნის'' დასურათება (18 ილუსტრაცია, 1964–66).



ნ. იანქოშვილი.



ნ. იანქოშვილი. წიგნის გარეკანი.

იაპონური სოფორა (Sophora japonica L.), ხე პარკოსანთა Fabaceae (Leguminosae) ოჯახიდან. ტოტები გლუვია, ღია მწვანე ფერის, დაფარულია მეჭეჭებით. ფოთლები კენტფრთათართულია, 7–15 კიდემთლიანი, ფორმით კვერცხისებრი ან ოვალურია, წვერში წაწვეტებული. ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან მონაცრისფრო, თეთრი ბეწვით შებუშვილი ფოთოლაკებით. ფოთლის ყუნწის ძირი მნიშვ-

ნელოვნადაა გაგანიერებული; ღია მოყვითალო ფერის ყვავილები კენწრულ საგველა ან მტევნისებრ ყვავილედებშია შეკრებილი. ნაყოფი 6–8 *სმ* სიგრძის ხორცოვანი, წვნიანი, უხსნარი, შეჭყლეტილ-ცილინდრული ფორმის პარკია. ფერად მწვანეა, ყვითლად მოარშიებული. თესლები პარკის გაგანიერებულ ნაწილებში ზის. ნაყოფი ხეზე ზამთარშიც რჩება. ყვავის ივლის-აგვისტოში.



იაპონური სოფორა (Sophora japonica).

საქართველოში XIX ს-ში შემოიტანეს ბათუმსა და სოხუმში. საქართველოში 5 *მ*-მდე იზრდება. მრავლადაა თბილისის და აღმ. საქართველოს ქალაქების პარკებში. გვალვაგამძლე, სითბოს მოყვარული მცენარეა. ნიადაგისადმი რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა არა აქვს. თესავენ შემოდგომაზე ან გაზაფხულზე.

გამოიყენებოდა ემპირიულ მედიცინაში. თაფლოვანი მცენარეა.



იაჟუჟუნა (Viola tricolor).

იაჟუჟუნა, სამფეროვანი ია (Viola tricolor), ერთ- და ორწლოვანი ბალახოვანი მცენარის სახეობა იისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. დეკორატიულ მებაღეობაში ფართოდ იყენებენ ისეთ ფორმებსა და ჯიშებს, რ-ებსაც სხვადასხვა შეფერილობის ყვავილები აქვთ, აგრეთვე ი-სა და სხვა იების რთულ ჰიბრიდებს. გაჩნია ძალიან დატოტვილი, ბოჭკოებით მდიდარი ფესვთა სისტემა. ნაყოფი წარმოადგენს სამსაგდულიან კაფსულას, საიდანაც გასკდომისას 1 *მმ* ზომის უამრავი მოყვითალო-მოყავისფრო თესლი იყრება. იზრდება ქვიშიან, ტორფიან და თიხნარ, აგრეთვე ნეშომპალიან, ქვიშიან ნიადაგზე საკმარისი ტენიანობის პირობებში.

ლ. ასეიშვილი.

იარალი და ზაძარია, ქართული საყარაულო რაზმის მეთაურები. მათ გამოეპარათ ოსმალებისა და ყირიმელი თათრების შემოჭრა, თუმცა *თევდორე კველთელის* გმირობის შედეგად ქართველებმა მოახერხეს ჯარის შეგროვება. ბრძოლა მოხდა 1609 სოფ. ნიაბთან, სხერტის ჭალაში (ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი). ი. და ზ. გმირულად დაიღუპნენ ბრძოლის ველზე.

წყარო და ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედ., [თბ.], 1939; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

იარაღი, რაიმე სამუშაოს შესასრულებლად საჭირო საგანი ან მოწყობილობა: 1. (სამხედრო), შეიარაღებულ ბრძოლაში მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის, მისი ტექნიკის და ნაგებობების გასანადგურებელი მოწყობილობებისა და საშუალებების საერთო სახელწოდება.

ი-ის განვითარება წარმოების წესზე, განსაკუთრებით კი საწარმოო ძალთა განვითარების დონეზეა დამოკიდებული. ი-ის ახალ სახეობათა შექმნა იწვევს მნიშვნელოვან, ზოგჯერ, ძირეულ ცვლილებებს ბრძოლის ხერხებსა და ფორმებში, აგრეთვე ჯარის ორგანიზაციაში. თავის მხრივ, იგი ვითარდება სამხ. ხელოვნების ზეგავლენით. ი. გაჩნდა კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე, როგორც ნადირობისა და თავდაცვის საშუალება. პირველ ი-ს – კეტს ან კომბალს, მათ სახესხვაობებს – ბუმერანგს, აგრეთვე პირიან ხის *შუბს, შურდულსა* და ბოლას (ქამანდის სახესხვაობა) პალეოლითის ეპოქაში იყენებდნენ. პალეოლითის დასასრულს შუბსატყორცნი გამოჩნდა, მეზოლითის ეპოქაში – *მშვილდ-ისარი,* ნეოლითის ეპოქაში ჩნდება ი-ის ახ. სახეობანი – ქვის ცული, ლახტი და სატევარი (ხანჯალი).

ი-ის შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია დამცავი შეიარაღების შექმნა, ლითონის (ბრინჯაო, რკინა) გამოყენებამ შეცვალა ი-ის სახეობები. დაიწყო სპეციალიზებული სამხ. ი-ის – მახვილების, ჩუგლუგების (თოხნაჯახების), შუბებისა და სხვ. – დამზადება. ძვ. აღმოსავლეთის, განსაკუთრებით საბერძნეთისა და რომის არმიებში, აგრეთვე ქართულ ლაშქარში იყენებდნენ მძიმე ლოდსატყორცნ მანქანებს (,,მეფემან ბაგრატ... მოადგა ქალაქსა შანქორს, დაუდგნა ფილაკავანნი‘‘, მატიანე ქართლისა). დენთის გამოგონების შემდეგ გაჩნდა ცეცხლსასროლი ი., რ-ის პირველ ნიმუშებს (მოდფა) არაბები XII–XIII სს-ში იყენებდნენ. იმდროინდელი ქვემეხებით ქვის ბირთვებს ისროდნენ. პირველი ხელის ცეცხლსასროლი იარაღი იყო პიშჩალი (რუს.), პერტინალი (ფრანგ.), ფილთამეხი (ქართ.).

XV ს-ში გაჩნდა ხელის ცეცხლსასროლი ი. – არკებუზი. XV–XVI სს-ში დაიწყეს თუჯისა და ბრინჯაოს ლულიანი ქვემეხის დამზადება, რ-ითაც თუჯისა და ბრინჯაოს ბირთვებს ისროდნენ. მარცვლოვანმა დენთმა გაამარტივა ი-ის დატენა და გაზარდა სროლის სისწრაფე. XVI ს-ში ფითილიანი საკეტის, სასხლეტი კაუჭისა და ჩახმახის გამოგონების შემდეგ შექმნეს უფრო სრულყოფილი თოფი – მუშკეტი, აგრეთვე დამბაჩა. XVII ს-ში თოფს ხიშტი დაემატა (ხიშტი – პირგრძელი ლახვარი, ს.-ს. ორბელიანი). ამავე საუკუნეში გამოჩნდა ლულიდან დასატენი კაჟიანი თოფი და ხრახნილ-ლულიანი შორსმსროლი ქვემეხი. XIX ს. შუახანებში არმია და ფლოტი შეიარაღდა სახაზინო ნაწილიდან დასატენი ქვემეხებით, სავაზნე-კოლოფიანი შაშხანებით, კარაბინებით, ნაღმებით. ი-ის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია ავტომ. ი-ის (ავტომ. ზარბაზანი, ტყვიამფრქვევი და სხვ.) შექმნა (XIX ს. მიწურული), რ-ის სწრაფი გავრცელება უკვამლო დენთის გამოგონებასთან არის დაკავშირებული.

I მსოფლიო ომში (1914–18) ავიაციისა და ტანკების გამოყენებას მოჰყვა მათი შეიარაღების განვითარება (საავიაციო და სატანკო ტყვიამფრქვევები, ქვემეხები, საავიაციო ბომბები), წყალქვეშა ნავების გამოყენებას კი – საზღვ. ფლოტის შეიარაღება ტორპედოებით, სიღრმული ბომბებით, ნავსაწინაღო ჯურვებით, საზღვ. ავიაცია აღიჭურვა საავიაციო ბომბებითა და ტორპედოებით.

არსებობს მასობრივი განადგურების ი. (მგი) – ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ბირთვული – და ჩვეულებრივ ი. ცეცხლსასროლი (პისტოლეტები, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები, ავტომ. შაშხანები, ხელის, დაზგისა და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები, ხელის ყუმბარმტყორცნები და ხელყუმბარები), საარტილერიო (სხვადასხვა ტიპის ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, მცირეკალიბრიანი ავტომ. საზენიტო ზარბაზანი, სახომალდე არტილერია, სატანკო ზარბაზნები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები), სანაღმო

(ტანკებისა და ქვეითთა საწინააღმდეგო და საზღვაო ნაღმები), სატორპედო (სხვადასხვა ტიპის ტორპედოები), რაკეტული (ტანკსაწინააღმდეგო მართული, ტაქტიკური, ტაქტიკურ-ოპერატიული, სტრატეგიული და საზენიტო მართული, ბირთვული საბრძოლო ნაწილის მქონე) და ცივი O.

შორეულ აღმოსავლეთში (იაპონელები, კორეელები, ჩინელები), ასევე ტროპიკული სარტყელის ტყეებში მცხოვრები ხალხები (ინდიელები, აფრიკელები) სანადიროდ, საბრძოლველად და მოწინააღმდეგის გასანადგურებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ ბუნებრივ და ხელოვნურად შექმნილ შხამებს, რ-ებიც გავრცელებული იყო ძვ. მსოფლიოში (ეგვიპტე, საბერძნეთი, რომის იმპერია, პონტოს სამეფო), ასევე შუა საუკუნეებში. 1915 გერმანელებმა პირველად გამოიყენეს ქიმ. O. (1915 – ქლორი, 1916 – ფოსგენი, 1917 – იპრიტი და შხამიანი კვამლი). II მსოფლიო ომის (1939–45) პერიოდში ქიმ. O-ს გამოყენებისგან ყველა მხარემ თავი შეიკავა [ქიმ. O-ის განთავსების, წარმოების, შენახვის, გადაცემის, გამოყენების აკრძალვისა და მისი სრული განადგურების შესახებ პარიზის კონვენციის (1992) ხელმოწერის პროცესში მონაწილეობდა საქართვ. დელეგაციაც. ქიმ. O-ის არსებული მარაგი უნდა განადგურებულიყო 1995-იდან].


უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა ბიოლოგიური მოქმედების O., პირველ რიგში, მძიმე ინფექციური დაავადებების გამომწვევი გადამტანები. ძვ. მსოფლიოში ალყაშემორტყმული სიმაგრეების წინააღმდეგ შხამიანი გველების, შავი ჭირისა და სხვ. დაავადებების გადამტანებს იყენებდნენ, ცნობები ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება. XX ს-ში კვლევები ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) O-ის შექმნაზე მიმდინარეობდა, რ-საც მოწინააღმდეგის ზურგში მოსახლეობის, ასევე საკვები და სას.-სამეურნეო რესურსების გასანადგურებლად გამოიყენებდნენ. 1972 დაიდო ჟენევის კონვენცია ,,ბაქტერიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის დამუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვის და მათი მოსპობის შესახებ‘‘, რ-საც საქართველო 1996 შეუერთდა. მთავრობის მიერ შემუშავებულია განსაკუთრებით საშიშ პათოგენებსა და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების გეგმა (2014).

1945 აშშ-ის არმიამ გამოიყენა O-ის ახ. სახეობა – ბირთვული O. (დაიბომბა იაპონიის ქ-ები – ჰიროსიმა და ნაგასაკი). იგი შექმნეს აგრეთვე სსრკ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ჩინეთში, შემდგომში კი სხვა ქვეყნებშიც.

II მსოფლიო ომის მომდევნო პერიოდში სწრაფად განვითარდა სამიზნესთან მგი-ის მიტანის ახ. საშუალებები – ფრენის სხვადასხვა სიშორის მქონე რაკეტები, მ. შ. კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები. რაკეტების სასტარტო დანადგარების განთავსება ხდება მიწისქვეშა შახტებში (სტაციონარული ბაზირება) ან მობილურ საშუალებებზე – წყალქვეშა ნავებზე, საზღვაო ხომალდებზე (ავიამზიდები, კრეისერები, რაკეტული კატარღები და სხვ.), თვითმფრინავებზე, სპეც. საავტომობილო საშუალებებზე, რკინიგზის სპეც. მატარებლებში. შესაძლებელი გახდა O-ის კოსმოსურ სივრცეში განთავსებაც. შეიქმნა რაკეტები კასეტური საბრძოლო ნაწილებით, თვითდამიზნებადი და მოძრავი სამიზნის მდევარი რაკეტები, მართვადი რეაქტიული ჭურვები და ნაღმები, ბრძოლის მოსამზადებელი, ცეცხლისა და O-ის სამართავი ხელსაწყოები და მოწყობილობები (რადიოსალოკაციო სადგურები, ლაზერული მანძილმზომები და სამიზნეები, კერძოდ, ღამის ხედვის სამიზნე ხელსაწყოები და სხვ.); შემუშავდა ლაზერული და მძლავრი რენტგენული გამოსხივების მქონე O., აკუსტიკური ზემოქმედების O., რობოტიზებული და დისტანციურად მართვადი O. (უპილოტო თვითმფრინავები, განნაღმვის, ბრძოლის ველიდან საევაკუაციო, ტვირთმზიდი, მცირეგაბარიტიანი სადაზვერვო, დივერსიული და სხვ. დანიშნულების რობოტები და მოწყობილობები) და ა. შ. ბირთვული საბრძოლო ნაწილის მქონე რაკეტები მიიჩნეოდა ისტორიაში პირველ O-ად, რ-საც შეეძლო სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა. გამოკვლევებმა და მოდელირებამ (იხ. სტ. *იმიტაციური მოდელირება*) სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ბირთვული O-ის მასობრივი გამოყენება გამოიწვევს გლობალურ მრავალსაუკუნოვან ეკოლოგიურ კატასტროფას. ამან განაპირობა მგი-ის შემუშავების, გამოცდის, გამოყენების, გავრცელებისა და აკრძალვის საერთაშ. შეთანხმებების დადება.

XX ს. ბოლოს შეიქმნა და განვითარდა არალეტალური მოქმედების O. როგორც ინდივიდ. მოხმარებისთვის, ასევე შინაგანი ჯარებისა და ანტიტერორისტული ქვედანაყოფებისათვის (ტრავმული მოქმედების, რეზინის ტყვიებიანი, ელექტროშოკური; ცრემლსადენი და სხვა გამაღიზიანებელი მოქმედების აირბალონები; ინფრააკუსტიკური, ფსიქოლოგიური მოქმედების და სხვ.); ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები (აირწინაღები, დამცავი კოსტიუმები და სხვ.), თავშესაფრები, შენიღბვის საშუალებები, ფარული თავდასხმის აღმოჩენისა და შეტყობინების სისტემები; პარალელურად ვითარდება მოწინააღმდეგის დაცული ობიექტების გასანადგურებელი O-ის სახეობები: ბეტონგამტანი და მიწისქვეშა ნაგებობების გამანადგურებელი; ზუსტი დამიზნების და ,,წერტილოვანი მოქმედების‘‘ ცეცხლსასროლი, ნაღმსატყორცნი და საავიაციო O. და სხვ. ახალ სწრაფადგანვითარებად სახეობას წარმოადგენს რადიოელექტრონული და ინფორმატიკული ბრძოლის საშუალებები (კიბერ O.), რ-იც არღვევს შესაძლო თუ რეალური მოწინააღმდეგის სამხ. და საწარმოო-სოც. პროცესების სამართავ კომპიუტერულ სისტემებს.

საქართველოში ტერმინი O., როგორც თავდასხმის მოსაგერიებლად და ბრძოლის საწარმოებლად განკუთვნილი საომარი საშუალებების ზოგადი სახელწოდება, უკვე XV ს-იდან ჩნდება და თანაარსებობს *აბჯართან* ერთად. მომდევნო ხანებში O. უკვე დამკვიდრებული სიტყვაა. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით ,,იარაღი... არს ჭურჭელნი ხელოვანთა სახმარნი რკინათა თუ ძელთაგან, მეომართა აღსაკაზმავი, გინა ცხენთა‘‘. საგულისხმოა, რომ თუ აბჯარში მოიაზრებოდა მხოლოდ საბრძოლო O., თავად O-ში შედიოდა აგრეთვე სახელოსნო ნივთებიც. საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, O-ის სრულყოფაზე ოდითგან ზრუნავდნენ. ისტორიულად, საქართველოში დამზადებულ საჭურველს საუკეთესოდ მიიჩნევდნენ არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაღალხარისხოვანი ფოლადისა და საჭურვლის დამზადების საიდუმლოებას საუკუნეების განმავლობაში ოსტატები თაობიდან თაობას



იარაღი და თავდაცვის საშუალებები საქართველოში. ტაბულა. XX ს. 50-იანი წწ. მხატვარი – ნ. ბრაილაშვილი.

გადასცემდნენ. საქართველოში ბოლო დრომდეა შემონახული ჯვა-ვარდენის (ტალღოვანი ფოლადი) წარმოების საიდუმლოება და მისგან საბრძოლო ი-ის დამზადების ტექნიკაც.

ქართულ საჭურველს ორ ჯგუფად ყოფენ: თავდაცვითი და შესატევი ი. პირველს მიეკუთვნება თავსარქმელი, ჯაჭვი, ჯავშანი, *ფარი* და სხვ. მეორე ჯგუფშია: დასარტყმელი, საძგერებელი, საკვეთი, სატყორცნი და ცეცხლსაფრქვევი.

ისტ. წყაროები მიუთითებს, რომ ქართველი მეომრები სხვადასხვა სახის თავსარქმელს ხმარობდნენ: კონუსურ და სფეროკონუსურ *მუზარადს*, ჯაჭვით ნაქსოვ ჩაბალახს, ჩაჩქანს, რ-იც ჯამის ფორმის თავსარქმელისა და მასზე ჩამობმული ჯაჭვისგან შედგებოდა. ძლიერი დარტყმის შესასუსტებლად ჩაჩქანის ქვეშ თუშურ ქუდს იხურავდნენ, მუზარადის ქვეშ – სვანურს.

საქართველოში გავრცელებული იყო პატარა რგოლებისგან ასხმული ჯაჭვის პერანგი, რ-საც სამოსის ზემოდან იცვამდნენ. დამზადების ტექნიკის მიხედვით განასხვავებდნენ ფარეშიან, უფარეშო და შედუღებულ ჯაჭვებს. ეს უკანასკნელი უფრო გამძლედ ითვლებოდა. ჯაჭვის დამზადების პროცესს ძველად ეწოდებოდა ჯაჭვის ,,ქსოვა'' ან ,,ასხმა'', რ-საც ქვიშით წმენდდნენ. ჯაჭვის დამზადება საინტერესოდაა აღწერილი ხევსურულ ფოლკლორში.

ქართველი მეომრის აღკაზმულობას ავსებდა ჯაჭვიანი კიდურთსაფარი – ,,საფუხრე'', რ-იც მეომრის მარჯვენა ხელს თითქმის მთლიანად ფარავდა. მარცხენა ხელს კი ფარი იცავდა. საქართველოში ფარის დამზადების ხელოვნება მაღალ დონეზე იყო განვითარებული.

შუბი არის ადამიანის მიერ შექმნილი პირველი რთული კონსტრუქციის ი., რ-საც საძგერებლად და სატყორცნად იყენებდნენ. მას ძვ. ქართულში უწოდებდნენ „ჰოროლს“, „ლახუარს“, ,,გმურს'', ,,წათს'' და სხვ. XII ს-იდან „შუბი“ ყველაზე გავრცელებულ ტერმინად გვევლინება როგორც სალიტ. ენაში, ასევე ეთნოგრ. ყოფაში.

ძველად ქართვ. მეომრის თანმხლებ ნივთს წარმოადგენდა საბრძოლო მათრახი, რ-იც სხვადასხვა სიმსხოსი იყო. მას, ჩვეულებრივი მათრახისგან განსხვავებით, ხარის ტყავის ღვედისგან დამზადებული მსხვილი და ენაბრტყელი ბოლო ჰქონდა. ღვედს დასამრგვალებლად და განსაზღვრული სიმსხოს მისაცემად შინდის ხის ფიცარში ამოჭრილ რგოლში (ადიდაში) უყრიდნენ და მათრახს მავთულს აწნავდნენ, ტარს კი ხის ან ძვლისგან ამზადებდნენ.

უძველეს ქვისსატყორცნ ი-ს წარმოადგენს *შურდული*.

ქართული *მშვილდი* მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რქისგან (,,აჯიმშვილდი'') ან ხისგან მზადდებოდა. საქართველოში დამოწმებულია სამშვილდე ხის (უპირატესად, შინდის) მოხარშვა.

ხმალი საქართველოში ჩნდება V–VI სს-ში (გორგასალმა ,,აღმოიხადა ხრმალი და შეამთხვია ჯვარსა'', ჯუანშერი).

გვიანფეოდალურ ხანაში ქართველმა ხელოსნებმა აითვისეს ცეცხლსასროლი ი-ის წარმოება. ახალი ი-ით ჩვენი წინაპრების დიდ დაინტერესებაზე მეტყველებს ისიც, რომ გარდა შავი დენთის წარმოებისა, ვახტანგ VI-ს ნაშრომში ,,წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის'' თოფის წამლის დამზადების ქართ. ხერხიც აქვს აღწერილი. ისტორიამ შემოგვინახა ცეცხლსასროლი ი-ის გამოჩენილ ქართველ ოსტატთა სახელები: გუდამაყრელი პაპო და ხევსური სამნა. ამ უკანასკნელს პირადად იცნობდა მეფე ერეკლე II. დაახლოებით ამავე პერიოდში ოზურგეთელმა ოსტატებმა აითვისეს ღარლულიანი (კუთხვილლულიანი) თოფების წარმოება.

მაღალი საბრძოლო თვისებებით ხასიათდებოდა ქართული დამბაჩები. ქართული სისტემის დამბაჩას ,,მაჭახელა'' ეწოდა მისი წარმოების ერთ-ერთი ცენტრის (აჭარა) მიხედვით.


XVIII ს. 80–90-იან წლებში თბილისში, მეფე ერეკლე II-ის თაოსნობით დაარსდა ცეცხლსასროლი საჭურვლის ქ-ნა, სადაც ქვემეხებსა და მორტირებს ამზადებდნენ.

თანამედროვე მაღალეფექტური ი-ის შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს საქართვ. თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სახელმწ. სამხ. სამეცნ.-ტექ. ცენტრში ,,*დელტაში*'', რ-იც აერთიანებს რამდენიმე სამეცნ.-კვლ. ინ-ტსა და სპეც. საწარმოს. 1993 აქ დამუშავდა, გამოიცადა და სერიულად დამზადდა პირველი თანამედროვე სამამულო საბრძოლო ი. – ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი. შეიქმნა თანამედროვე საბრძოლო (,,დიდგორი'', ,,ლაზიკა'') და სამედ.-საევაკუაციო ჯავშანტექნიკის ნიმუშები, სხვადასხვა კალიბრის საარტილერიო და ნაღმსატყორცნი (მ. შ. პორტატული უხმაურო) მაღალი განვლადობის მობილური დანადგარები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, ინდივიდუალური შეიარაღებისა და თავდაცვის საშუალებები (სპეც. სამიზნეები, ხელის ყუმბარ- და ნაღმმტყორცნები, სნაიპერული შაშხანა ,,სატევარი'', პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ,,იამანი'', სპეც. დანიშნულების ჯავშანჟილეტები, ჩაფხუტები და სხვ.), საბრძოლო და არალეტალური ვაზნები, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, უპილოტო საფრენი აპარატები და სხვ. საქართველოს არმია შეიარაღებულია ყველა თანამედროვე ტიპის ჩვეულებრივი ი-ით და გააჩნია მგი-ისგან თავდაცვის საშუალებები.

2016 საქართველოს ისტორიაში პირველად ქართ. წარმოების ი. გავიდა საექსპორტოდ.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ქართველი მთიელები ი-ს თავიანთი პრაქტიკული საჭიროების გამო ძალზე აფასებდნენ და ამავე დროს მრავალ ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ, ამიტომაც მან აქტიურად შეაღწია ხალხის ყოფიერებასა და სულიერ ცხოვრებაში. ხშირი იყო საკულტო სალოცავებში ი-ის შეწირვის შემთხვევები, რაც სარწმუნოებრივ შინაარსს ატარებდა. მშობიარობის წინ მომავალი დედა ბალიშის ქვეშ ხანჯალს დებდა, რათა ავი სულები ახალშობილთან არ მიეშვა. ზოგან მშობიარეს ხანჯალი ხელში ეჭირა (ფშავი), ხოლო მეუღლე ან რომელიმე ახლო ნათესავი ი-ის სროლით ცდილობდა უწმინდურის განდევნას და ქალისთვის მშობიარობის სიმძიმის შემსუბუქებას.

ი-ს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ჯვრისწერის დროს. ტაძრისა და სახლისაკენ მიმავალ გზებზე ახალდაქორწინებულებს აუცილებლად შეიარაღებული ახლობლები და ნათესავები, მაყრები აცილებდნენ, რ-ებიც განასახიერებდნენ ყოველგვარი უბედურებისაგან დამცველ ძალას, ანუ მაგიური ძალის მფლობელებად მოიაზრებოდნენ. მომავალში იგი ქორწილის ჩვეულებრივ დანამატად გადაიქცა. ამასვე განეკუთვნება ცნობილი ტრადიცია – ახალ-



ი. იარვეტი.

დაქორწინებულთა გავლა გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ. ფშავში ახალდაქორწინებულები გარს უვლიდნენ სახლს, კედლებს ცივ ი-ს ურტყამდნენ, შემდეგ კი შედიოდნენ შინ. თუშეთში პატარძალს კარებთან უნდა გადაებიჯებინა ხანჯალზე ან ქუდზე, მოახლოებული სტუმრები კი თოფის სროლით ამცნობდნენ სოფელს ამის შესახებ. სვანური ქორწილის დროს ქალიშვილის სახლში მალულად ტყვიას შეაგდებდნენ ანდა მის კარებთან თოფს ისროდნენ შემდეგი შემოძახილით: ,,დღეის ამას იქით ეს ქალიშვილი ჩვენია''.

საბრძოლო ი-ს დაკრძალვის დროსაც იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგ., ხევსურეთში გარდაცვლილს მარჯვენა ხელში აჭრინებდნენ ხმალს, მარცხენაში ანთებულ სანთელს და წარმოთქვამდნენ: ,,მშვიდობიანად იმგზავრე იმქვეყანაში, გზა შენთვის ხსნილია, შენი სულისთვის გზა ნათელია, ნუ დარჩები სიბნელეში, არ შეშინდე, ხმლით მოიგერიე მტერი, იყავ გულმაგარი'', ხოლო ჭირისუფლები გარდაცვლილს ხანჯალსა და ხმალზე დაიტირებდნენ. დასაფლავების შემდეგ რამდენიმე ხნით იკრძალებოდა შრომა და თოფის სროლა. ამ წესის დარღვევა ლაჩრობად ითვლებოდა და ხშირად შუღლშიც გადაიზრდებოდა ხოლმე. ეს წესი ვრცელდებოდა მთელ ხევსურეთში, არხოტის გარდა, რადგან იგი სასაზღვრო ზოლში მდებარეობდა და თოფის სროლის აკრძალვა ხიფათის შემცველი იყო. იქ სროლა მხოლოდ დაკრძალვის დღეს არ შეიძლებოდა.

საბრძოლო ი-ს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვაჟკაცის ,,კაი ყმად'' გამოცხადების დროსაც. როდესაც ყმაწვილს უსრულდებოდა 15 წელი, ხევსურები მას საზეიმოდ გადასცემდნენ ოჯახის საბრძოლო ი-ს. ამ პროცესს წინ უძღოდა ფეხონზე ყმაწვილის ღირსებებზე საუბარი და საერთო ნება-სურვილი – ,,დროა ამ ვაჟკაცმა აისხას იარაღი''. წლების განმავლობაში საბრძოლო ი., ხანჯალი და ხმალი, წარმოადგენდა ქართ. ეროვნ. ტანსაცმლის (ჩოხა) აუცილებელ ელემენტს. ხევსურულ ტანსაცმელში ყოველთვის გათვალისწინებული იყო ადგილი საბრძოლო სათითენისათვისაც (საცერული). ქართულ ჩოხას ჰქონდა ხმლისა და ხანჯლის ჩამოსაკიდი ადგილები, უფრო გვიან გაჩნდა სავაზნე ჯიბეები.

მთიელებში ის მხარე, რ-საც საუკეთესო ხარისხის საბრძოლო ი. ჰქონდა და ცნობილი იყო თავისი სიმამაცით, სარგებლობდა შესაბამისი ავტორიტეტით. იმ ოჯახს, რ-საც გააჩნდა საუკეთესო საბრძოლო ი., ასევე დიდი პატივით ეპყრობოდნენ. თანაბარი ფიზ. და საბრძოლო მომზადების დროს საუკეთესო ი. ხშირად წყვეტდა ორთაბრძოლის ბედს.

საბრძოლო ი-ის დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ გაცვლითი ოპერაციების დროს ი. ფულის ეკვივალენტურ ფასეულობად ითვლებოდა. მთიელთა წესის მიხედვით, ოჯახის გაყრის დროს გარდაცვლილი მამის ქონება ძმებს შორის თანაბრად იყოფოდა, მაგრამ ეს წესი არ ეხებოდა საბრძოლო ი-ს – მამის ერთ მთავარ იარაღს მხოლოდ უფროს ვაჟს გადასცემდნენ.

2. სანადირო დანიშნულების აღჭურვილობა (იხ. სტ. *ნადირობა*); 3. სახელოსნო ნივთი (ს.-ს. ორბელიანი; იხ. სტ. *ხელოსნობა*); 4. მიწის დასამუშავებელი (იხ. სტ. *სოფლის მეურნეობა*) და სხვა სამეურნეო ინვენტარი; 5. სამედიცინო დანიშნულების ინსტრუმენტები (იხ. სტ-ები *მედიცინა, ორთოპედია, სტომატოლოგია, ქირურგია*); 6. სპორტული ინვენტარი.

ლიტ.: მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1984; ყვინიშვილი ი., ქართული საბრძოლო სისტემები. ტრადიცია და ისტორია, თბ., 2002.

მ. ქაფიანიძე. ი. შაიშმელაშვილი.

იარაჯულები, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ზარიძეების თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ვერხველის (ქუსნოს ზემო დინება) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1200 *მ*, თიანეთიდან 8 *კმ*. 123 მცხ. (2014).

იარაჯულების სამაროვანი, IV–VIII სს. არქეოლოგიური ძეგლი, აღმოჩნდა 1962 სოფ. იარაჯულებში, ადგილ სამარწყვეში (თიანეთის მუნიციპალიტეტი). მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა რამდენიმე ქვის სამარხი. მათში ნაპოვნია სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: ბრინჯაოს საკინძები, ბეჭდები, მშვილდსაკინძები, აბჯრისა და სარტყლის ნაწილები, საბეჭდავი; ვერცხლის საკინძები, რკინის აბზინდა და დანა; სარდიონისა და მინის მძივები.

მასალა ინახება თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.]2, თბ., 2008; ჯორბენაძე ბ., ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, IV. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982.

ბ. ჯორბენაძე.

იარვეტი იური ევგენის ძე (18. VI. 1919, ტალინი, – 5. VII. 1995, იქვე), ესტონელი მსახიობი. ესტონეთის დამს. არტისტი (1964), სსრკ სახ. არტისტი (1975), ფლობდა ტალინის ჩემპიონის წოდებას ტანვარჯიშში. 1940 მიიღეს ტალინის მუშათა თეატრის მოცეკვავეთა ანსამბლში. 1949 დაამთავრა ტალინის თეატრ. ინ-ტი. იმავე წლიდან მუშაობდა სამხრ. ესტონეთის თეატრის მთ. რეჟისორად. 1952-იდან იყო ტალინის კინგისეპის სახ. დრამ. თეატრის მსახიობი. 1965–67 ესტონეთის ახალგაზრდულ თეატრში მოღვაწეობდა. ი-მა სასცენო მოღვაწეობა კომიკური როლების შესრულებით დაიწყო, შემდეგ კი შექმნა ტრაგიკომიკური და რთული დრამ. სახეები. ი-ს მიერ შექმნილი როლებიდან აღსანიშნავია: კრეონი (სოფოკლეს „ანტიგონე''), მასხარა, ვოიტინსკი (ტამსაარეს „მეფეს სცივა'', „ადამიანი და ღმერთი''), კლავდიუსი (უ. შექსპირის „ჰამლეტი''), პოპრიშჩინი (ნ. გოგოლის „შეშლილის წერილები'') და კრეპი (ს. ბეკეტის „კრეპის უკანასკნელი ფირი''). ი-ს მიერ განხორციელებული სცენური სახეები აჩვენებს ადამიანის შინაგანი სამყაროს ღრმა წვდომის უნარს, მის შემოქმედებით ევოლუციას პლასტ. მონახაზის არტისტიდან შინაგანი ფსიქოლოგიზმის ოსტატამდე.



ი. იარვეტი. გრაფი სეგედი, კადრი ფილმიდან „დათა თუთაშხია''.

ი. გადაღებულია ფილმებში: „მკვდარი სეზონი'' (1968), „მეფე ლირი'' (1971), „სოლარისი'' (1972) და სხვ.; ქართ. სატელევიზიო მრავალსერიან მხატვრულ ფილმში „დათა თუთაშხია'' (1978) გრაფი სეგედის როლის შესრულებისთვის მიიღო სსრკ სახელმწ. პრემია (1981;

როლი გაახმოვანა რ. *თავართქილაძემ*, რ-ის ხმის ტემბრი და თხრობის მანერა ორგანულად შეერწყა გმირის მხატვრულ სახეს).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *მ. კერესელიძე.*

იარლიყი (თურქ. – ბრძანება), ოქროს ურდოს ყაენების მიერ გაცემული შეღავათიანი სიგელები მათი ხელქვეითი საერო და სასულიერო პირებისადმი. ი. არის მნიშვნ. ისტ. წყარო, რ-იც შეიცავს XIII–XV სს. ცნობებს ურდოსა და მის ქვეშევრდომობაში მყოფი ტერიტორიების პოლიტ. წყობილების, მმართველობის, კერძო და სახელმწ. სამართლის და სხვ. შესახებ.

ქართულ ისტ. წყაროებში ,,წყალობის წიგნის'' მნიშვნელობით იხმარებოდა ი ე რ ლ ა ყ ი.

ჟამთააღმწერლის სიტყვებით: „იერლაყი, რომელ არს ბრძანება''. ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, ი. არის „მეფეთაგან შეწყალების უსტარი''. თეიმურაზ ბაგრატიონი ი-ს ფირმანთან აიგივებს. მონღოლთა ყაენი წყალობას ი-ით ადასტურებს. მაგ.: სარგის ჯაყელს ჰულაგუ ყაენმა დამსახურებისათვის „კარნუ ქალაქი და მიმდგომი მისი ქვეყანა უბოძა იერლაყითა''. ეგვიპტეში წარმატებული ელჩობის შემდეგ (ქრისტეს საფლავის სალოცავი ქართველებს გადაეცათ) ელჩი პიპაი ქვენიფნეველი „მოვიდა წინაშე მეფისა (გიორგი V) და მოიღო იერლაყი შეწყალებისაჲ''.

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., «მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის» (მსკი), 1954, ნაკვ. 30.

იასამანი (Syringa), მცენარის გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი პატარა ხე ან ბუჩქია. გავრცელებულია აღმ. და ცენტრ. აზიაში, აღმ. ევროპაში. კულტურაში მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი (S.vulgaris), სპარსული (S. persica), უნგრული (S. josikaea) და ჩინური (S.chinensis) ი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი გვხვდება XI ს-იდან. ცნობილია 30-მდე სახეობა და 1300-მდე ჯიში. აქვს მარტივი ფოთლები, კიდემთლიანი, ზოგჯერ ჩაჭრილი, იშვიათად – ფრთისებრდანაკვთული. მარტივი ან ბუთხუზა, ზოგჯერ სურნელოვანი, თეთრი, ვარდისფერი, ლილისფერი, მეწამულ-ალუბლისფერი და სხვა. ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედად. ნაყოფი წაგრძელებული კოლოფია, იხსნება ორ საგდულად, თითოეულში ფრთისებრი თესლია. ი. კარგად ვითარდება განათებულ ადგილებში, ყინვა- და გვალვაგამძლე, ნიადაგის მიმართ ნაკლებმომთხოვნია. მრავლდება თესლით, გადაწვენითა და მყნობით.

საქართვ. ეროვნ. ბოტან. ბაღის საკოლექციო ნაკვეთში დაცულია ი-ის 75-მდე ჯიში. ნაკვეთს, სადაც ეს კულტურა ხარობს, სირინგარიუმს უწოდებენ. მისი გაშენება 1970 დაიწყო.

ი. დეკორ. და სამკურნ. მცენარეა. პარფიუმერიაში იყენებენ ი-ის ყვავილის ექსტრატს, სადურგლო საქმეში – მერქანს.

ნ. ანთაძე.

იასამანი (ნამდვ. სახელი და გვარი – მიხეილ პავლეს ძე კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი) [26. III (7. IV). 1885, სოფ. შხეფი, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 4. I. 1955, თბილისი], პოეტი, მთარგმნელი. დაამთავრა ხარკოვის უნტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1912). რევ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის გადასახლებული იყო ციმბირში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1902. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, კორესპონდენციებს, ლიტ. სტატიებს; თარგმნიდა ძირითადად უკრაინულიდან. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ტ. შევჩენკოს ნაწარმოებთა თარგმნასა და ქართ.-უკრ. ლიტ. ურთიერთობათა სფეროში.

თხზ.: ლექსები, ტფ., 1922.

იასაული (თურქ.–ბრძანების აღმსრულებელი), 1. მმართველობითი და მართლმსაჯულებითი აპარატის დაბალი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. მიეკუთვნებოდა ე. წ. ხელჯოხიანთა (იხ. *არგნოსანი*) ჯგუფს. შეცვალა გაერთ. საქართვ. დროინდელი *მანდატური* და არგნოსანი. საკუთრივ სააღმსრულებლო საქმის გარდა ი-ს გამოკვლევა-გამოძიების დავალებაც ეძლეოდა. მასვე განაწესებდნენ გამოსაღებთა ამკრეფ-გადამხდევინებლად და სამეფო სამეურნ. თუ სხვა სამუშაოთა ზედამდეგადაც. *დასტურლამალით* ცნობილია სამეფო ი-ების 2 დასი – *ეშიკაღასბაშისა* (23 კაცი) და ქარხნის ანუ საწყობის *ნაზირის* სახელოსი (17 კაცი). ი-ები სხვა სახელოებშიც (სალაროში, დავთარხანაში) იყვნენ. არსებობდა სადედოფლო ი-ების დასიც (17 ი.). ი-ების გასამრჯელო, ზოგჯერ მათი დღიური ხარჯიც, მძიმე ტვირთად აწვებოდა ჩაგრულ ხალხს. იასაულობა, დაინტერესებული პირის თხოვნითვე, ზოგჯერ სხვა უფრო გავლენიან მოხელესა თუ დიდ ფეოდალსაც ეკისრებოდა. 2. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ – საქალაქო პოლიციის მოხელე. გორში, დუშეთში, თელავსა და სიღნაღში განწესებული იყო თითო-თითო ი., ხოლო თბილისში – ოთხი. შეესატყვისებოდა უბნის პოლიციის უფროსს რუს. ქალაქებში. 3. XVI ს-იდან თანამდებობრივი წოდება ყაზახთა ჯარში, თავდაპირველად – არჩევითი. შემდეგ (XVIII ს.) გაუთანაბრდა რუს. არმიის ობერ-ოფიცრის ხარისხს, ბოლოს – როტმისტრობას, ასეულის მეთაურობას ცხენოსან ჯარში. *დ. ფურცელაძე.*

იასის საზავო ხელშეკრულება 1791, საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის. დაიდო ომის (1787–91) დამთავრების შემდეგ ქ. იასიში (რუმინეთი) 1791 წ. 29 დეკემბერს (1792 წ. 9 იანვ.). საზავო მოლაპარაკების საერთო ხელმძღვანელობა რუს. მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა ფელდმარშალ გ. პოტიომკინს. გამოიყო ელჩები (ა. ნ. სამოილოვი, დე რიბასი და ს. ლ. ლაშქაროვი). საზავო მოლაპარაკების პერიოდში (1789–91) გ. ა. პოტიომკინთან მისული წერილებიდან და იქ მყოფი იმერეთის მეფის ელჩის, ბ. გაბაშვილის (იხ. *ბესიკი*) საქმიანობიდან ნათლად ჩანს, რომ ქართვ. პოლიტ. მოღვაწეები რუსეთზე კვლავაც დიდ იმედებს ამყარებდნენ. ერეკლე II მოითხოვდა, რომ ოსმალეთს ხელი აეღო არა მარტო ქართლ-კახეთზე, არამედ აზერბაიჯანზეც; რაც მთავარია, მოითხოვდა 1790 ივერიელთა მეფე-მთავრების ტრაქტატის დამტკიცებას რუსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოთა მიერ. 1791 წ. 24 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა ბესიკი, ხოლო 5 ოქტომბერს კი – გ. პოტიომკინი. 14 ოქტომბერს რუსეთის დელეგაციას სათავეში ა. ბეზბოროდკო ჩაუდგა. საზავო მოლაპარაკება 30 ოქტომბერს განახლდა, რ-ზეც მან მხოლოდ გაკვრით დასვა ქართლ-კახეთის საკითხი, იმერეთს კი არც შეხებია. ზავმა აღადგინა *ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების* (1774) პირობები (რასაც იმდროინდელი საქართველოსათვის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა). ი. ს. ხ-ის მე-5 მუხლი ეხებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს. რუსეთმა ფაქტობრივად აიძულა ოსმალეთი,



იასამანი.

ქართლ-კახეთის მიმართ რაიმე პრეტენზიებზე ხელი აეღო; ასევე, ოსმალეთის მთავრობა პირობას დებდა, რომ სათანადო ბრძანებებს გაუგზავნიდა განაპირა ტერიტორიების ფაშებს, რათა მათ ამიერიდან ქართლ-კახეთის მიმართ ,,აშკარა თუ ფარული'' ბოროტმოქმედებები შეეწყვიტათ. დას. საქართველოს მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა – რუსეთი ფაქტობრივად ინარჩუნებდა ორივე ქართ. სამეფოს მფარველის როლს (თუმცა ამ ეტაპზე ურიგდებოდა ოსმალთა ფორმალურ ბატონობას ლიხთიმერეთში). ი. ს. ხ-მ კვლავაც დაადასტურა, რომ რუსეთის იმპერია სამხრ. კავკასიაზე ხელს არ აიღებდა.

ლიტ.: მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ., ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *ვ. მაჭარაძე.*

იასნოში ვალენტინა ადამის ასული (9. IX. 1924, სანქტ-პეტერბურგი, – 3. VIII. 2011, თბილისი), ენტომოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1991), საქართვ. ეკოლ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1995). 1946 დაამთავრა ლენინგრადის სას.-სამ. ინ-ტის მცენარეთა დაცვის ფაკ-ტი. 1953–66 მუშაობდა თბილისში მცენარეთა კარანტინის სამსახურის ლაბორატორიაში მთ. სპეციალისტად. 1966-იდან მოღვაწეობდა საქართვ. მცენარეთა დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1967 მოსკოვში მიიღო მედალი ბიოლ. კონტროლისათვის საქართველოში. 1976–97 იყო ამავე ინ-ტის ბიოლ. კონტროლის განყ-ბის უფროსი. 1975–2001 მონაწილეობდა საერთაშ. ფორუმებში.

ი-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულება იყო სასარგებლო ორგანიზმების ინტროდუქცია და მათი გამოყენება მცენარეთა მავნებლებისა და სარეველების წინააღმდეგ. ი-მ თანამშრომლებთან ერთად შეიმუშავა მცენარეთა მავნებელი ფრთათეთრას პარაზიტი მწერის – ენკარზიას (Encarsia formosa) გამრავლებისა და გამოყენების ტექნოლოგია ბოსტნეული კულტურების დახურული გრუნტის მეურნეობისათვის და სხვ.

ი. იყო რუს. და საქართვ. ენტომოლოგიური საზ-ბის წევრი. 2012-იდან მისი სამეცნ. კოლექცია დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმში. ი. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Афелиниды Европейской части СССР и Кавказа (Chalcidoidea Aphelinidae), М.–Л., 1966 (თანაავტ. М. Н. Никольская); Классификация паразитических перепончатокрылых семейства Aphelinidae (Hymenoptera, Chalcidoidea), «Энтомологическое обозрение», т. 55, М.–Л., 1976.

ც. ჩხუბიანიშვილი.

იასონ არაგვის ერისთავი (გ. 1688), გიორგი არაგვის ერისთავის ძე. 1660 ვახტანგ V-მ დედოფლის სახლთუხუცესობა უბოძა. 1688-ის ახლო ხანში შაჰის დახმარებით არაგვის საერისთავოს მეთაური გახდა. მალევე ირანის წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართლის მეფე გიორგი XI-მ თავის ერთგულ თავადებს მოაკვლევინა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გ. აკოფაშვილი.

იასონი, იხ. *იაზონი.*

იაფეტი, ძველი აღთქმის მიხედვით, ნოეს ერთ-ერთი ძე, რ-იც მამასთან და ძმებთან ერთად გადაურჩა წარღვნას. ი. და მისი ძმები – სემი და ქამი – იყვნენ მსოფლიოს ხალხთა მამამთავრები. გენეალოგიური ტაბულა ძველ აღთქმაში (დაბ. თ. 10), რ-იც ბაბილონის ტყვეობის შემდგომი დროისაა, ასახავს არა მარტო ძვ. ებრაელთა გეოგრ. ცოდნას, არამედ მათ პოლიტ., ნაციონალურ თვალსაზრისსაც: ებრაელებს თავი მიაჩნდათ სემის ჩამომავლებად, მათთვის საძულველი ქანაანელები და ეგვიპტელები კი – ქამის ნაშიერებად. ი-ის ძეთა სახელები (გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშეხი) აღნიშნავს ხალხებს, რ-ებიც დამკვიდრებული იყვნენ პალესტინის ჩრდ-ით. ზოგჯერ შესაძლებელია ამ სახელების იდენტიფიკაცია ისტ. წყაროებში დადასტურებულ ტომთა სახელებთან. ამ ტომთა ერთი ნაწილი ინდოევრ. ენებზე ლაპარაკობდა. თვით სახელი ი-ც არ არის სემიტური, იგი დაკავშირებული უნდა იყოს ბერძნ. მითოლოგიაში ცნობილი ტიტანის – პრომეთეს მამის, იაპეტის, სახელთან. ძვ. ქართ. ისტ. წყაროებში ქართველთა წინაპრად მიჩნეულია ი-ის შვილის – თარშის ძე თარგამოსი, რ-ის მეორე შვილი იყო ქართლოსი (ლეონტი მროველის მიხედვით). ი-ის სახელი გამოიყენა ნ. მარმა ე. წ. *იაფეტური ენების* აღსანიშნავად.

წყარო: ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955. *მ. შანიძე.*

იაფეტური ენები, ქართულისა და მისი მონათესავე ენების აღმნიშვნელი ტერმინი. შემოღებულია ნ. *მარის* მიერ ენათმეცნიერებაში იმ დროისათვის დამკვიდრებული ტერმინების – სემიტურისა და ქამიტურის – ანალოგიით. ახ. ტერმინის შემოტანა განაპირობა იმჟამინდელ მკვლევართა ,,სქოლასტიკურმა'' დამოკიდებულებამ ქართ. ენასთან და ქართველური ენების მსხვლი ენობრივი ოჯახებიდან იზოლირებულად წარმოდგენის ტენდენციამ. ტერმინი ნაწარმოებია ბიბლ. ნოეს უმცროსი ვაჟის – იაფეტის სახელისგან. ამით ხაზი ესმებოდა ი. ე-ის ნათესაობას სემიტური (ქამიტური) ენების ოჯახთან.

ი. ე-ის ისტორია იწყება 1908-იდან, როდესაც პეტერბურგის უნ-ტმა გამოსცა ნ. მარის კაპიტალური ნაშრომი ,,ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები ქართულის სემიტურთან ნათესაობის წინასწარი უწყებით''. ქართ. ენის სემიტურთან ნათესაობის იდეამ მოითხოვა ქართულის მონათესავე ენების შესწავლა. ამდენად, ი. ე-ის ბირთვს ქართველური ენები შეადგენდა. აქედან დაიწყო ი. ე-ის წრის გაფართოება: 1909–13 დიდი ყურადღება დაეთმო სომხურის, ოსურისა და მთის კავკ. ენების (ნახურისა და დაღესტნური ჯგუფების) შესწავლას. აფხ.-ადიღ. ენების ფართოდ შემოტანამ ი. ე-ის წრეში წინ წასწია მკვდარი ენების – ელამურის, შუმერულის, ქალდეურის, პელაზგურისა და ეტრუსკულის აქამდე უცნობი ენობრივი მოვლენების ახსნის საქმე და ი. ე-ის ოჯახი შეივსო მკვდარი სამწერლობო ენების ფართო სპექტრით.

1917-იდან ფართოვდება ი. ე-ის საზღვრები. ყურადღების ცენტრში მოექცა პირენეს ნ.-კ-ზე გავრცელებული ბასკური ენა, აგრეთვე ყარაჟუმის მთიანეთში გავრცელებული ბურიშული (ბურუშასკი), ვერშიყული, 1920-იდან კი – რიგი რომანული ენები, ასევე ირლანდიური და კელტური. 1922-იდან გაღრმავდა ესპანეთის ბასკების ენის შესწავლა, ალბანურში კი გამოიკვეთა ილირიულის სუბსტრატი. ი. ე-ის თეორიამ იმჟამინდელ ევროპაში ფართო გამოხმაურება პოვა. მაგ., ფ. ა. ბრაუნი ძვ. გერმ. ენის ძირებს ი. ე-ის საშუალებით ხსნიდა და ა. შ.

1924 ნ. მარმა ყურადღება მიაქცია ვოლგისა და კამისპირეთის

ენებს: ბულგარულს, ხაზარულს, ჩუვაშურს, ზირანულს, ვოგულურს, ოსტიაკურს და გააერთიანა ისინი ი. ე-ის ოჯახში. 1926–31 ი. ე-ის წრე გამდიდრდა სკვითური, გურთული, ბრეტონული და გოთური ენებით.

კვლევის შემდგომ გაღრმავებას შედეგად მოჰყვა ახ. ენათმეცნ. თეორიის შექმნა (იხ. *იაფეტური თეორია*) და ტერმინი ,,ი. ე.'' გლოტოგონიური პროცესის ერთიანობის განსაკუთრებული სტადიის აღსანიშნავად იქნა გამოყენებული.

ლიტ.: М а р р Н. Я., Избранные работы, т. I–V, М.–Л., 1933–37; მ ი ს ი ვ ე, Кавказ и памятники его духовной культуры, «ИАН», СПб., 1912; მ ი ს ი ვ ე, Халдская клинообразная надпись из села Леска Ванского округа, იქვე, 1915; მ ი ს ი ვ ე, Кавказский культурный мир и Армения, «Журнал Министерства народного просвещения», 1915; მ ი ს ი ვ ე, Ossetica – Japhetica, «ИАН», П., 1918; მ ი ს ი ვ ე, Армянский термин ачдау, იქვე, 1920; მ ი ს ი ვ ე, Предварительный отчет по командировке в пределы древней Этрурии и Баскию, იქვე, 1921; მ ი ს ი ვ ე, К вопросу об яфетидизмах в албанском, «Яфетический сборник», I, П., 1922; მ ი ს ი ვ ე, Абхазско-русский словарь. Пособие к лекциям и в исследовательской работе, Л., 1926; М е л и к с е т - Б е к о в Л. М., Академик Н. Я. Марр и яфетическая теория, Тфл., 1936; М е щ а н и н о в И. И., Марр – основатель советского языкознания, М.–Л., 1949. *მ. ბაბუხადია.*

იაფეტური თეორია, и а ф е т и д о л о г и я, ნიკო მარის მიერ 1923–34 წლებში შექმნილი საენათმეცნიერო თეორია (ე. წ. ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება) ერთიანი გლოტოგონიური პროცესების (ენის წარმოშობისა და განვითარების) შესახებ.

თავდაპირველად ტერმ. ,,იაფეტიდოლოგია'' *იაფეტური ენების* კვლევა-ძიებას გულისხმობდა, მაგრამ შემდეგ იგი მსოფლიო ენათა შემსწავლელი სამეცნ. დისციპლინის სახელწოდებად იქცა. შესაბამისად, იაფეტიდოლოგიის კვლევის ობიექტი პალეოგლოტოგონია გახდა. ამით ის განსხვავდება ინდოევროპეისტიკისაგან, რ-იც იაფეტიდოლოგიის თვალსაზრისით ენათა ნეოგლოტოგონიურ პერიოდს შეისწავლის. კვლევის ობიექტთა ამგვარი სხვაობა საფუძვლად დაედო იაფეტიდოლოგიისა და ისტ.-შედარებითი ენათმეცნ. მეთოდებს შორის პრინციპულ განსხვავებას. ამის გაუთვალისწინებლობა ყოველთვის ქმნიდა სერიოზულ ვაკუუმს ი. ი-ის ირგვლივ.

ი. ი. ორ ძირითად პოსტულატს ემყარება: 1. ყველაფერი სტადიებისა და 2. ყველაფერი შრეების, ფენების მიხედვით.

პ ი რ ვ ე ლ ი პ ო ს ტ უ ლ ა ტ ი გულისხმობს, რომ ენის განვითარების ყოველ საფეხურზე ადამიანის აზროვნება რამდენჯერმე ძირფესვიანად შეიცვალა, აზროვნების ერთი სტადია ცვლიდა მეორეს. ყოველი სტადიის შიგნით ცვლილებები ევოლუციურად მიმდინარეობდა, ახ. სტადიაზე გადასვლა კი ხდებოდა რევოლუციურად, ძვ. აზროვნების ნორმების მსხვრევით და ახ. ნორმებზე გადასვლით. სტადიური ძვრები იმდენად ძლიერი იყო, რომ ახ. თაობები ძველთან შედარებით სხვა სამყაროდან მოსულს ჰგავდნენ. თუკი აზროვნება ამ ძვრებში ვერავითარ კვალს ვერ ტოვებდა, ენა აღმოჩნდა ის ფენომენი, რ-იც ამ ცვლილებათა კვალს შრეების სახით ინარჩუნებდა. სწორედ მათი საშუალებით შეიძლება აზროვნების სტადიური განვითარების საფეხურების ამოცნობაც. ბუნებრივია, რომ აზროვნების პარალელურად იცვლებოდა ენაც, მაგრამ, აზროვნებისაგან განსხვავებით, ენა ახ. საფეხურზე გადასვლისას, აზროვნების ახ. სისტემაზე მორგებისას და ახ. წესზე თავისი ელემენტების გადახარისხებისას ინარჩუნებდა ძვ. მდგომარეობის ელემენტებს – დანალექებს, დანაშრევებს. სწორედ ამ დანაშრევების საშუალებით შეიძლება გავიგოთ, თუ როგორი იყო ენა და აზროვნება სტადიური განვითარების წინა საფეხურზე. ამდენად, ენობრივი მოვლენების ანალიზი ნიშნავს სიტყვის მნიშვნელობათა გათვალისწინებას სტადიების მიხედვით (და არა მხოლოდ ერთი სიბრტყიდან გამომდინარე, ჰორიზონტალურად).

მ ე ო რ ე პ ო ს ტ უ ლ ა ტ ი გულისხმობს, რომ საზ-ბის განვითარების ადრეულ საფეხურებზე კოლექტივები ორგანიზებული იყო არა მათი წევრების სისხლისმიერი ნათესაობით, არამედ იმ წარმოების ხასიათის მიხედვით, რ-საც ისინი ეწეოდნენ. კოლექტივები ვითარდებოდნენ საწარმოო პრინციპის მიხედვით, ერთიანდებოდნენ ისე, რომ ქმნიდნენ ფენებს ერთ ახ. წარმოებაში. შემდეგ ეს ფენები გადაიქცეოდნენ უფრო დიდ დაჯგუფებებად (,,საწარმოო-სოციალურ დაჯგუფებებად'').

თანამედროვე ენების ანალიზისას მათში აღმოჩნდება იმდენი ფენა (შრე, დანალექი), რამდენი კოლექტივიც იღებდა მონაწილეობას მათ შექმნაში. ნასესხობები გვიანდელი, ნეოგლოტოგონიური პერიოდის ფაქტები ან გვიან ჩამოყალიბებული ენათშორისი კანონზომიერებებია, რ-ებიც წინა სტადიათა კანონზომიერებებისაგან ძირფესვიანად განსხვავდება.

იაფეტიდოლოგიას უშუალოდ უკავშირდება პალეონტოლოგიური მეთოდი, პალეოფონეტიკა, პალეოსემანტიკა, რ-ებიც მარისეული ზოგადი თეორიის კონტექსტში უნდა იქნეს გააზრებული.

მარის თეორია თავის დროზე გააკრიტიკეს როგორც ისტ.-შედარებითი ენათმეცნიერების, ისე, საერთოდ, ზოგადენათმეცნ. თვალსაზრისით. განსაკუთრებით გამკაცრდა კრიტიკა 1950-იდან და მიზნად დაისახა მარიზმის დაძლევა და ტრად. ლინგვისტიკის პრინციპების დაცვა. ამ საკითხებს მიეძღვნა სპეც. დისკუსია გაზეთ ,,პრავდის'' ფურცლებზე (1950). დისკუსია გაიხსნა არნ. ჩიქობავას სტატიით. მასში მონაწილეობა მიიღო ი. სტალინმაც.

ლიტ.: А б а е в В. И., Н. Я. Марр (1864–1934), «Вопросы языкознания», 1960, №1; Вопросы теории и истории языка в свете трудов И. В. Сталина по языкознанию, М., 1952; Г у х м а н М. М., Типологические исследования, «Теоретические проблемы советского языкознания», М., 1968; М а р р Н. Я., Избранные работы, т. I–V, М.–Л., 1933–37; М е щ а н и н о в И. И., Введение в яфетидологию, Л., 1929; მ ი ს ი ვ ე, Члены предложения и части речи, М.–Л., 1945; П о л и в а н о в Е.Д., Избр. работы. Статьи по общему языкознанию, М., 1968.

მ. ბაბუხადია.

იაღლუჯის ნამარხი ფაუნა (Iagluja Fossil Fauna), ნამარხ ძუძუმწოვართა ფაუნა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, იაღლუჯის მაღლობის აღმ. ნაწილში, ქ. რუსთავის პირისპირ, ეროზიულ ხევში. ხევში გაშიშვლებული ნეოგენური (მეოტის-პონტოური) ნალექი შეიცავს ნამარხ ძუძუმწოვართა ფაუნას, რ-ის შემადგენლობაში აღმოჩენილია ხმალკბილა ვეფხვის, მასტოდონტის, სამთითა ცხენის – ჰიპარიონის, მარტორქის, ჟირაფის, გრეხილრქიანი ანტილოპებისა და ფრინველების ნაშთები. ი. ნ. შ-ს დიდი სამეცნ. ღირებულება აქვს. მსგავსი პალეოზოოლოგიური ძეგლი მსოფლიოში სულ რამდენიმეა.

ლიტ.: საქართველოს წითელი წიგნი, თბ., 1982.

იაღლუჯის ქედი, ქედი ქვემო ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს, სოღანლუღის ვაკესა და მდ. ალგეთის ქვემო დინებას შორის. სიგრძე 17 *კმ*, სიგანე 11 *კმ*. სიმაღლე 763 *მ*-მდე. აგებულია სინკლინურად გაღუნული ნეოგენური მოლასური კონგლომე-

რატებისა და ქვიშაქვების შრეებით. მოკლებულია მუდმივ მდინარეულ ჩამონადენს. შემოსილია უროიანი და უროიან-წივანიან-ვაციწვერიანი სტეპის ბალახეულობით, ნაწილობრივ – ქსეროფიტული ბუჩქნარით.

ი. ჟ-ის აღმ. ნაწილს კვეთს თბილისი–ყაზახის გზატკეცილი.

ლ. მარუაშვილი.

იაღუფლო, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის დმანისის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), დმანისის პლატოზე. ზ. დ. 1360 *მ*, დმანისიდან 3 *კმ*, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 *კმ*. 478 მცხ. (2014).

სოფელში მდებარეობს ფეოდ. ხანის ნამოსახლარი, სამაროვანი და ეკლესია (ამჟამად მცირე ნაშთია შემორჩენილი). აქვე აღმოჩნდა ვარდისფერი მთლიანი ტუფისგან დამზადებული V–VIII სს. სარკოფაგი. სახურავზე შიდა მხრიდან ამოკვეთილია ტოლმკლავა ბოლნური ჯვარი.

მ. კოპალიანი.



ბ. იაშვილი.

იაყუბ-ყაენის ლაშქრობანი საქართველოში, XV ს. 80-იან წლებში ,,საღვთო ომის'' საბაბით აყ-ყოიუნლუს თურქმანების ორგზის ლაშქრობა საქართველოში. 1482 ოქტ. იაყუბ ფადიშაჰი სამცხეში შეიჭრა, ალყა შემოარტყა ახალციხეს, ბრძოლით დაიკავა ქალაქი და დიდი ალაფი წაიღო; მერე თურქმანები აწყურს მიადგნენ. ციხის დამცველები და მაწყვერელი დამორჩილდნენ იაყუბს და აწყურის ციხე ჩააბარეს. ყვარყვარე ათაბაგმა თურქმანებს ხარაჯის მიცემა აღუთქვა. 1487 იაყუბმა თავისი სარდალი ხალილბეგი გამოგზავნა საქართველოში. იგი აქ მთელი წელიწადი აშენებდა ციხეებს და ქართველთა რაზმებს ებრძოდა. 1488 ზამთარში თურქმანთა ლაშქარი დედაქალაქისაკენ დაიძრა. ზარბაზნებით აღჭურვილმა მტერმა თავდაპირველად კოჯრის ციხე აიღო, შემდეგ თბილისს მიადგა, მაგრამ მისი დამორჩილება გაუჭირდა. მეფე *კონსტანტინე II-მ* თურქმანებს ზავი შესთავაზა. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა და მეფე იძულებული გახდა დედაქალაქს გასცლოდა. 1489 თებ-ში თურქმანებმა დაიკავეს თბილისი და იქ თავიანთი რაზმი ჩააყენეს.



დ. იაშვილი.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ჰ ა ს ა ნ რ უ მ ლ უ ს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., შენიშვნები რ. კიკნაძისა, თბ., 1966.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე რ., საქართველო–ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1964, ტ. 7; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად), ტ. 3, თბ., 2012; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

რ. კიკნაძე.

იაშვილი ბესიკ პავლეს ძე (დ. 17. IV. 1929, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1985); სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკადემიის (1994), სამხ.-სამედიცინო მეცნ. აკადემიის (1998) და სამედ.-სოციალურ მეცნ. აკადემიის (2001) წევრი.

1953 დაამთავრა თსსი. 1953–61 მუშაობდა ქ. რუსთავის საავადმყოფოს ქირურგად, ამავე დროს დააარსა სისხლის გადასხმის სამსახური. 1961-იდან აკად. გ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა: დონორთა განყ-ბის ხელმძღვანელი, რადიოლოგიური განყ-ბისა და ქირურგ. კლინიკის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, დამწვრობის განყ-ბის გამგე, შემდგომში დამწვრობის რესპ. ცენტრის ხელმძღვანელი (1974–84); რესპ. აღდგენითი მკურნალობის ორთოპედიულ-ქირურგიული საავადმყოფოს (დამწვრობის ცენტრით) მთ. ექიმი და ამავე ცენტრის ხელმძღვანელი (1984–95), *თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის* დირექტორი (1995–2009), 2009-იდან კლინიკის ხელმძღვანელი. 2011-იდან აღნიშნულ ცენტრს მიენიჭა ი-ის სახელი.

ი. არის დერმატო-კოსმეტოლოგიისა და პლასტიკური ქირურგიის ინ-ტის დამაარსებელი პროფ. ა. სიხარულიძესთან ერთად (1994) და რექტორი (1997–2007). 1997 მისი ინიციატივით დაფუძნდა შპს ,,ბ. იაშვილისა და პ. ჯანაშიას ესთეტიკური პლასტიკური ქირურგიის ცენტრი''.

ი. არის მრავალი სამეცნ. შრომის და 12 გამოგონების ავტორი. მისი შრომები ეხება დამწვრობითი დაავადებებისა და პლასტიკური ქირურგიის პრობლემურ საკითხებს. დაჯილდოებულია ,,ღირსების ორდენით'' (1999). არის მრავალი საერთაშ. ასოციაციის წევრი. თბილისის საპატიო მოქალაქე (2015). 2018 მიენიჭა საქართვ. ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება.

თხზ.: თერმული დაზიანებები და პლასტიკური ქირურგია, თბ., 2015.

ს. ბაქრაძე.

იაშვილი გიორგი მიხეილის ძე (15. IV. 1954, თბილისი, – 24. V. 2013, იქვე), ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2004). დაამთავრა თსსუ (1976). იყო საქართვ. სპორტის აკადემიის სპორტის, მედიცინის, ფიზ. რეაბილიტაციისა და ადაპტაციური სპორტის კათედრის გამგე (1988–2007), რეაბილიტაციის კოლეჯის დირექტორი (2005–07). ილიას სახელმწ. უნ-ტის მოწვეული პროფესორი (2007–11). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

იაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე (დ. 19. IX. 1980, ბრივ-ლა-გაარდი, საფრანგეთი), სპორტსმენი (რაგბი). ქართული წარმომავლობის ფრანგი რაგბისტი. მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (2011), ევროპის ჩემპიონი (2004, 2006–07, 2010), ,,დიდი მუზარადის'' მფლობელი (2004, 2010). რაგბის თამაში დაიწყო ,,ბრივში'', შემდეგ – პარიზის უნ-ტის გუნდში. ინგლისის ჩემპიონი (,,გლოსტერი'', 2002). კარიერა გააგრძელა საფრანგეთის ,,ბიარრიც ოლიმპიკში'' (საფრანგეთის ორგზის ჩემპიონი 2005, 2006; ჰაინეკენის თასის ორგზის ფინალისტი). ევროპის გამოწვევის თასის მფლობელი (2012). საფრანგეთის ნაკრების წევრი 2002-იდან. გამოირჩევა დახვეწილი ტექნიკით, ზუსტი გადაცემითა და დარტყმით.

იაშვილი ვლადიმერ ელიაზარის ძე (10. X. 1904, ოზურგეთი, – 9. III. 1971, თბილისი), ფსიქიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1956), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1968). 1930 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1937-იდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის პათოფიზიოლ. განყ-ბას. მეორე მსოფლიო ომის (1939–45) დროს იყო ფრონტის ერთ-ერთი ჰოსპიტლის სამკურნ. ნაწილის უფროსი.

ი. სწავლობდა ფსიქიკურ დაავადებათა კლინიკას, ფსიქოზთა პათოფიზიოლ. საფუძვლებს, ი. თარხნიშვილის ფსიქოგალვანურ რეფლექსსა და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

იაშვილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე [1813, კალუგა (რუსეთი), – 7. II. 1864, ვილნო (ახლანდ. ვილნი-

უსი)], რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1858). გენ.-მ. ვ. მ. *იაშვილის* შვილი. დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი (1834). 1842–48 მონაწილეობდა სამხ. მოქმედებებში კავკასიაში, 1849 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. იყო ჰუსართა ლაიბგვარდიის პოლკის მეთაური (1849). 1853–56 მონაწილეობდა ყირიმის ომში. 1856 დაინიშნა ფლიგელ-ადიუტანტად. 1858 ჩაირიცხა იმპერატორის ამალაში. 1863–64 იყო ვილნოს სამხ. გუბერნატორი.

მ. გოგიტიძე.

იაშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე (15. VII. 1764, სანქტ-პეტერბურგი, – 20. VII. 1815, სოფ. მურომცევო, კალუგის გუბ.), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1801). გენ.-მ. ვ. ვ. *იაშვილის* მამა და არტილერიის გენ. ლ. მ. *იაშვილის* უფროსი ძმა. 1786 დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის საარტილერიო და საინჟ. კადეტთა კორპუსი. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში (1787–91), იბრძოდა ბენდერის, კინბურნისა და იზმაილის ციხესიმაგრეებთან. 1798 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1800 დაინიშნა მე-6 საარტ. პოლკის მეთაურად. 1801 მონაწილეობდა იმპ. პავლე I-ის მკვლელობაში; იმპ. ალექსანდრე I-ის განკარგულებით გადაასახლეს თავის მამულში (სოფ. მურომცევო, კალუგის გუბ.). 1812 რუსეთის სამამულო ომის დროს მ. კუტუზოვის ნებართვით ჩაება ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ იმპ. ალექსანდრე I-მა იგი კვლავ თავის მამულში დააბრუნა. დაჯილდოებულია ოქროს ხმლით, ოქროს ჯვრებით.

მ. გოგიტიძე.

იაშვილი ზურაბ დავითის ძე (3. XI. 1936, თბილისი, – 12. VIII. 1987, იქვე), საესტრადო მომღერალი (ტენორი), რეჟისორი და იმპრესარიო. საქართვ. დამს. არტისტი (1972). 1960 დაამთავრა თბილ. უცხო ენათა სახელმწ. პედ. ინ-ტი (ინგლ. ენის განხრით). 1958-იდან მღეროდა ინ-ტში ჩამოყალიბებულ თვითმოქმედ ვოკალურ-საკრავიერ კვარტეტში. 1961 კვარტეტი *„ორერას“* სახელწოდებით ფილარმონიის შემადგენლობაში შევიდა როგორც პროფ. კოლექტივი, რ-შიც 0. სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა (1971–81 – სოლისტი, 1981–87 – ხელმძღვანელი). 1981 დაამთავრა ლენინგრადის კულტ.-მასობრივი ღონისძიებების სახელმწ. ინ-ტი, მოიპოვა სამეცნ. ხარისხი და გახდა კულტ.-მასობრივი ღონისძიებების დამდგმელი რეჟისორი (1983). 0-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის ლირიკული ტენორი, რითაც ამდიდრებდა და ალამაზებდა კვარტეტის ჟღერადობას. გამოირჩეოდა სცენური მომხიბვლელობით, პლასტიკით. ანსამბლთან ერთად შემოიარა მსოფლიოს ხუთი კონტინენტის მრავალი ქვეყანა (კონცერტები დაგეგმილი იყო 0-ს, როგორც იმპრესარიოს, ძალისხმევით). მონაწილეობა მიიღო სრულმეტრაჟიან მუს. ფილმში „ორერა – სრული სვლით“.

ნ. გელოვანი.

იაშვილი ირინე ლუარსაბის ასული (დ. 5. XI. 1942, თბილისი), მევიოლინე, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1970). ლ. ს. *იაშვილის* შვილი და მოწაფე. 1959 დაამთავრა თბილ. „ნიჭიერთა ათწლედის“ სავიოლინო განყ-ბა, 1964 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ორივე ლ. იაშვილის ხელმძღვანელობით), შემდეგ – მოსკ. კონსერვატორიის ასპირანტურა (დ. ოისტრახის ხელმძღვანელობით). 1959–64 თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ორკესტრის ვიოლინოების ჯგუფის კონცერტმაისტერი იყო, 1966–73 – საქართვ. სახელმწ. კამერული ორკესტრის (ხელმძღვ. მ. ლ. *იაშვილი* და ი. *პოლიტკოვსკი*) სოლისტი, 1964–93 – თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1992-იდან პროფ.), 1994–2012 – ქ. ნოვი-სადში (იუგოსლავია, სერბეთი) ხელოვნების აკად. პროფესორი, 2012-იდან – ქ. ადანაში (თურქეთი) კონსერვატორიის პროფესორი. მუშაობს ქალიშვილთან, მ. დუგლაძესთან ერთად.

XX ს. 60-იანი წლებიდან საქართველოსა და უცხოეთში (ჰოლანდია, გერმანია) გამოდიოდა როგორც სოლო კონცერტებით, ასევე დებთან – მ. და ნ. იაშვილებთან ერთად.

0-ის შემოქმედება გამოირჩევა მაღალი რანგის საშემსრულებლო ტექნიკით (სრულყოფილი, დახვეწილი ბგერა, სტილის შეგრძნება).

მ. ჯაფარიძე.

იაშვილი ლევან მიხეილის ძე [6(17). VIII. 1772, სანქტ-პეტერბურგი, – 19. 1V. 1836, კიევი], რუსეთის იმპერიის არმიის არტილერიის გენერალი (1819). გენ.-მ. მ. ა. *იაშვილის* შვილი და გენ.-მ. ვ. მ. *იაშვილის* ძმა. 1786 დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის საარტილერიო და საინჟ. კადეტთა კორპუსი. რუსეთ-ოსმალეთის ომში (1787–91) იბრძოდა ქ. აკერმანთან, ბენდერისა და კინბურნის ციხესიმაგრეებთან, მონაწილეობდა იზმაილის ციხესიმაგრის შტურმში, 1792–95 – ვარშავისა და პრაღის გარემოცვასა და აღებაში. 1799 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1805–06 მეთაურობდა პირველ ცხენოსან-საარტ. ბატალიონის ასეულს. 1808 მიიღო გენ.-მ. წოდება. 1812 რუსეთის სამამულო ომის დროს იყო პ. ვიტგენშტეინის ცალკე კორპუსის არტილერიის უფროსი. მისმა დანაყოფმა მიიღო „გიორგის სამკლავურები“ – წარჩინების განსაკუთრებული ნიშანი. 1831 მიიღო უფლება, ეპოლეტებზე ეტარებინა იმპ. ნიკოლოზ I-ის ვენზელი. მისი პორტრეტი, შესრულებული ინგლ. მხატვრის ჯ. დოუს მიერ, ინახება ზამთრის სასახლის სამხ. გალერეაში. დაჯილდოებულია წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმ. ანას (I ხარისხი, ალმასებით), წმ. ვლადიმირის (I, II ხარისხი), წმ. ალექსანდრე ნეველის, წმ. იოანე იერუსალიმელის, კომანდორთა ჯვრით, ოქროს ხმლით (ალმასებით), პრუსიის „წითელი არწივის“ (I ხარისხი) ორდენით და სხვ.

დაკრძალულია კიევში, ვიდუბიცკის მონასტრის შესასვლელში.

ლიტ.: Гогитидзе М., Грузинский генералитет, К., 2001; Месяц, Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии), кн. 1, Тб., 2007.

მ. გოგიტიძე.

იაშვილი ლილი მიხეილის ასული (10. V. 1920, თბილისი, – 30. XI. 1983, იქვე), კომპოზიტორი. საქართვ. სახ. არტისტი (1981). 1953 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (ი. ტუსკიას საკომპოზიციო კლასი). 1960-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სამუსიკო სასწავლებლებში (კომპოზიცია). 1970–83 იყო საცირკო-საესტრადო სასწავლებლის მუს. თეორ. დისციპლინების პედაგოგი. როგორც კომპოზიტორი 0. ძირითადად კამერულ-ვოკალურ და საესტრადო ჟანრებში მოღვაწეობდა. მისი სიმღერებიდან აღსანიშნავია: „ია, ია“, „სიმღერა თბილისზე“, „თბილისური საღამოები“, „სიმღერა ბათუმზე“, „პატარა სიმღერა“, „სიყვარულის ზღაპარი“ და სხვ. 0. ავტორია საბავშვო მუს. კომედიებისა „ბაბაჯანას ქოშები“ (1968 დაიდგა თბილ. მუს. კომედიის თეატრში, 1972 – პო-



ზ. იაშვილი.



ი. იაშვილი.



ლ. იაშვილი.



ლ. იაშვილი.

ლონეთში) და ,,ირმისა'' (თბილ. მუს. კომედიის თეატრი, 1973). ი-ის მრავალი საბავშვო სიმღერა საზღვარგარეთის ქვეყნებში გასტროლების დროს წარმატებით შეასრულა ბავშვთა ანსამბლმა ,,*მზიურმა*''. *გ. ტორაძე.*



ლ. ს. იაშვილი.



მ. ლ. იაშვილი.



ნ. იაშვილი.



ნ. ნ. იაშვილი.

იაშვილი ლუარსაბ სეითის ძე (31. III. 1907, თბილისი, – 29. X. 1993, იქვე), მევიოლინე, ალტისტი და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1983), საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961), თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პროფესორი (1947-იდან). 1931 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (პროფ. ვ. *ვილშაუს* სავიოლინო კლასი). 1932–35 სწავლობდა ლენინგრადის კონსერვატორიის ასპირანტურაში (ალტის კლასი, ხელმძღვ. პროფ. ა. სოსინი). 1925–28 უკრავდა ,,*ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების*'', საოპერო სტუდიისა და რუსთაველის თეატრის ორკესტრებში, 1928–45 – საქართვ. პირველი სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობაში (ალტი). როგორც სოლისტი და კონცერტმაისტერი სისტემატურად გამოდიოდა საქართვ. სახელმწ. ფილარმონიისა და რადიოს ორკესტრებში. 1935-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. კონსერვატორიასა და ცენტრ. სამუსიკო ათწლედში. ამავე წელს კონსერვატორიაში დააარსა სპეც. ალტის კლასი. მისი მოწაფეები იყვნენ: ი. ლეუსი, ს. აიწშტაინი, ჰ. შავერდიანი, გ. მელიქიშვილი, თავისი ქალიშვილები – მარინე, ირინე და ნანა იაშვილები, ალტისტი ა. ბეგალიშვილი. მასთან სწავლობდნენ მომავალი კომპოზიტორები – რ. ლაღიძე, ი. გეჯაძე, შ. შილაკაძე და სხვ. ი. მრავალი მეთოდური ხასიათის შრომის ავტორია. 1967–74 ი. მივლინებული იყო ეგვიპტეში ქ. კაიროს კონსერვატორიის პედაგოგად. *გ. ტორაძე.*

იაშვილი მარინე ლუარსაბის ასული (20. X. 1932, თბილისი, – 2. VII. 2002, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში), მევიოლინე. საქართვ. სახ. არტისტი (1967), ზ. ფალიაშვილისა (1975) და შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (2003) პრემიების, აგრეთვე არაერთი საერთაშ. კონკურსის პირველი ქართვ. ლაურეატი (ი. კუბელიკის სახ., ქ. პრაღა, 1949; ჰ. ვენიავსკის სახ., ქ. პოზნანი, 1952; დედოფალ ელისაბედის სახ., ქ. ბრიუსელი, 1955); ლ. *იაშვილის* შვილი და მოწაფე. 1958 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში პროფ. კ. მოსტრასის კლასში (დაამთავრა 1958). 1957-იდან იყო ,,მოსკონცერტის'' სოლისტი; 1958–66 და 1982-იდან – მოსკ. კონსერვატორიის, ხოლო 1966–82 – თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1947-იდან პროფ.); 1967–73 – საქართვ. ფილარმონიის კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და სოლისტი (მეუღლესთან – ი. *პოლიტკოვსკისთან* ერთად); 1985–90 – მოსკ. კონსერვატორიის ვიოლინოს კათედრის გამგე და პროფესორი.

ი. თანამედროვეობის თვალსაჩინო მევიოლინე იყო. მისი საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩეოდა უმაღლესი პროფ. კულტურით, ტექ. სრულყოფილებით, ნატიფი გემოვნებით, ექსპრესიით. ი-ს მდიდარ და მრავალფეროვან რეპერტუარში შედიოდა ქართვ. კომპოზიტორების ნაწარმოებები, რ-თა პირველი შემსრულებელი და პროპაგანდისტიც თავად იყო. გასტროლებს მართავდა საქართველოში და საზღვარგარეთ. 1975–79 მუშაობდა იუგოსლავიის ქ. ნოვი-სადის ხელოვნებათა აკად. სავიოლინო კათედრის გამგედ და პროფესორად. კონცერტებთან ერთად სისტემატურად მართავდა ,,მასტერ-კლასებს''. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ,,ღირსების ორდენი'' (1997).

გ. ტორაძე.

იაშვილი მიხეილ ალექსის ძე (1748—1811), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (წოდების მინიჭების თარიღი უცნობია), გენ.-მ. ვ. მ. *იაშვილის* და არტილერიის გენ.-ლ. მ. *იაშვილის* მამა. რუსეთ-ოსმალეთის (1768–74) ომის მონაწილე. მსახურობდა სენტრორეცკის და სანქტ-პეტერბურგის დენთის ქარხნების უფროსად.

მ. გოგიტიძე.

იაშვილი ნანა ლუარსაბის ასული (დ. 14. X. 1949, თბილისი), მევიოლინე. საქართვ. სახ. არტისტი (1988). მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ. (პარიზი, 1967, I პრემია) და მონრეალის (1972) საერთაშ. კონკურსების ლაურეატი. ლ. ს. *იაშვილის* შვილი და მოწაფე. 1970 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (პროფ. ლ. კოგანის ხელმძღვანელობით, მასთანვე ასპირანტურა, 1975). 1983–89 მუშაობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში. 1990-იდან უცხოეთშია. 1992–99 ქ. ესენის (გერმანია) უმაღლესი სამუსიკო სკოლის პროფესორი იყო. ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას. ი-ის შესრულება გამოირჩევა არტისტული ტემპერამენტით, ემოციურობით, პროფ. კულტურით, ვირტუოზული ტექ. ოსტატობით. მისი მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარი შეიცავს კლასიკური სავიოლინო ნაწარმოებების უმთავრეს ნიმუშებს.

გ. ტორაძე.

იაშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (13. VII. 1936, თბილისი, – 29. VI. 2005, იქვე), ბიოლოგი, ნიადაგმცოდნე. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1999), საქართვ. ეროვნ. (2000) და ეკოლ. მეცნ. (2000) აკად-ების ნამდვ. წევრი, საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002). ი-მა დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. (1959) და ეკონ. (1975) ფაკ-ტები. 1959-იდან მუშაობა დაიწყო საქართვ. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, სადაც 1976–91 იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში. 1974–86 მონაწილეობდა აგრ. მეცნ. საკავშ. და საერთაშ. კონგრესებში. 1983 მონოგრაფიისათვის ,,ნიადაგის აღდგენა'' მიენიჭა თ. *დავითაიას* სახ. პრემია. 1991-იდან იყო საქართვ. სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი, 1991–96 – კონცერნ ,,საქართველოს'' ვიცე-პრეზიდენტი, 1991–2000 – ქართ. ჭიდაობის ეროვნ. ფედერ. პრეზიდენტი, 1996–2002 – საქართვ. პარლამენტის აგრ. კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი. ი. ეწეოდა აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობას, ასევე მოღვაწეობდა თსუ-ში. 2004–05 იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის განყ-ბის გამგე. ,,საქართველოს ნიადაგური რუკის'' ერთ-ერთი შემდგენელი.

ი-ის მეცნ. კვლევა-ძიების თემატიკა მოიცავს ძირითადად ნიადაგმცოდნეობისა და სოფლის მეურნეობის ეკონ. პრობლემებს. ი-მა შეისწავლა სვანეთის ნიადაგები, მუშაობდა სას.-სამ. დანიშნულების მიწების იჯარის, საქართვ. მიწების რესურსების, გარემოს დაცვის და სხვ. საკითხებზე. იყო საერთაშ. ნიადაგმცოდნეობის საზ-ბის წევრი, საქართვ. ნიადაგმცოდნეთა საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი. ი. ავტორია მრა-

ვალი სამეცნ. ნაშრომისა და 4 მონოგრაფიის. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2001).

თხზ.: მიწის რესურსები და მათი რაციონალური გამოყენება, თბ., 1976; ტექნოლოგიური ლანდშაფტების რეკულტივაცია, თბ., 2004 (თანაავტ. ვ. ლეჟავა).

იაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე (28. XI. 1900, ქუთაისი, – 10. IV. 1981, თბილისი), აგროეკონომისტი. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1948), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1925 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი. 1928-იდან თსუ-ში, სას.-სამ. და ზოოვეტ. ინ-ტებში (1929–35), ასევე სას.-სამ. პროფილის სხვადასხვა დაწესებულებაში ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. 1930–34 იყო ამაერკავკ. მეცხოველეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ეკონ. და ორგანიზაციის განყ-ბის გამგე, 1944-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. და სამართლის ინ-ტში, 1950–81 – საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტ. ურთიერთობის საქართვ. საზ-ბაში, იყო იაპონია – სსრკ-ის თბილ. განყ-ბის პრეზიდენტი. 1954-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკად. კონსულტანტი სოფლის მეურნეობის ეკონ. საკითხებში.

ი. აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. აგრ. პოლიტიკის წარმართვაში. ი-მა მონაწილეობა მიიღო კოლხეთის დაბლობის სას.-სამ. ათვისების გენ. გეგმის დამუშავებასა და განხორციელებაში, აგრეთვე თბილ. საგარეუბნო მეურნეობის განვითარების პროექტის შედგენაში.

ი-ის შრომებში დამუშავებულია სას.-სამ. საწარმოთა დაგეგმვის, სოფლის მეურნეობის დარაიონების, წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის, მეურნეობის გაძღოლის სისტემებისა და თესლბრუნვების ორგანიზაციის, მიწის ფონდების გამოყენების, მელიორაციის, გარემოს დაცვის, მევენახეობისა და მელვინეობის ეკონომიკის საკითხები. ი-ს ეკუთვნის პირველი ნაშრომი ქართულ ენაზე მიწის ეკონომიკური შეფასების შესახებ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. 15 მონოგრაფია). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მელიორაცია სოფლის მეურნეობაში, თბ., 1970; საქართველოს სსრ მიწის ფონდი, ტ. 1–2, თბ., 1961–75.

იაშვილი პავლე ბესარიონის ძე (1.I.1894, სოფ. სომიწო, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 20. XI. 1989, თბილისი), საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი. დაამთავრა ქუთაისის ქართ. გიმნაზია (1914), სწავლობდა მოსკოვის უნ-ტის იურიდ. (1916–17) და ბერლინის უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტებზე (1920–26). 1931-იდან იყო გერმ. ენის მასწავლებელი თსუ-ში, 1967-იდან – პროფესორი.

დიდი წვლილი მიუძღვის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების თარგმნასა და ქართ. ფილოს., ეკონ. და სოც.-პოლიტიკური ტერმინოლოგიის დამუშავებაში. ი-მა თარგმნა კ. მარქსის ,,კაპიტალი'', ფ. ენგელსის ,,ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა'', კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ,,წერილები კაპიტალის შესახებ''.

თხზ.: იაშვილი პ. მოგონებები, თბ., 2001.

ლიტ.: რეხვიაშვილი ნ., რაჭის ქრონიკა, თბ., 2015.

იაშვილი პაოლო ჯიბრაილის ძე [3(15). VIII. 1892, სოფ. არგვეთი, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 22. VII. 1937, თბილისი], პოეტი, საზოგადო მოღვაწე, XX ს. ქართ. პოეზიის ერთ-ერთი რეფორმატორი, *,,ცისფერყანწელების''* ჯგუფის მოთავე. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რედაქტორობდა გიმნაზიის ჟურნ. ,,Стрелок Колхиды'' (1911). გიმნაზიაში გამოამჟღავნა ინტერესი მოდერნიზმისადმი, ეს-წრებოდა პოეზიის საღამოებს, გ. რობაქიძის ლექციებს. სწავლა დაასრულა ანაპის შეპეტოვის კერძო გიმნაზიაში. 1913 ქუთაისში რედაქტორობდა თავისსავე დაარსებულ ჟურნ. ,,ოქროს ვერძს'' (№1–5). გაამჟღავნა როგორც დას. ლიტ. ნოვაციებისადმი სწრაფვა, ასევე, ქართ. პოეზიის მოდერნიზაციის სურვილი. 1913 ი. გაემგზავრა პარიზში, ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინ-ტში ფერწერის შესასწავლად, თუმცა პოეზიის სიყვარულმა ის მონმარტრის ლიტ.-ბოჰემურ გარემოში მოახვედრა; კაფე ,,როტონდაში'' დაუახლოვდა სხვადასხვა ეროვნების მოდერნისტ თუ ავანგარდისტ პოეტებსა და მხატვრებს. 1915 დამდეგს სამშობლოში დაბრუნდა და შეძლო ახალი მიმართულების – სიმბოლისტური ჟურნ. *,,ცისფერი ყანწების''* გამოცემა (1916, №1–2). სიმბოლისტური ჯგუფის წევრები: ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ს. კლდიაშვილი, შ. აფხაიძე 1917-მდე რუსეთში სწავლობდნენ და იქიდან აწვდიდნენ ჟურნალს მასალას. ი. გატაცებული იყო ქართ. ლექსთწყობის რეფორმაციით (სონეტი, ტრიოლეტი, თავისუფალი ლექსი, ახლებური ბგერწერა); რეტროგრადული პოეზიის გამოწვევისა და ეპატაჟის მიზნით მან შექმნა ვითომდა პოეტი ქალის, ელენე დარიანის ეროტიკული დღიურები (1915–24) – XX ს. ქართ. პოეზიის ერთადერთი წარმატებული ლიტ. მისტიფიკაცია.

ი. ოსტატურად იყენებდა მოდერნისტულ თუ სიმბოლისტურ გამოცდილებას (,,ქორწილი'', 1915; ,,*** პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე'', ,,ტრიპტიხი'', ორივე 1916 და სხვ.). მისი ლირიკული გმირი, პოეტი-დენდი, ოცნებებისა და ქიმერების ტყვეობაშია (,,ვალერიან გაფრინდაშვილს'', 1915; ,,ავტოპორტრეტი'', 1917; ,,ტიციან ტაბიძეს'', 1919); სამყაროს დასასრულის აპოკალიფსური მოლოდინი, გაორება და სულის მიუსაფრობა არის გადმოცემული ურბანისტულ ლექსებში: ,,ევროპა'', ,,ფარშავანგები ქალაქში'', ,,წითელი ხარი'' (სამივე 1916). ნატიფი ბგერწერა, გაუცვეთავი პოეტური ტროპები, ასონანსური რითმები, ზომიერად გამოყენებული ნეოლოგიზმები და დიალექტიზმები ამდიდრებს მის პოეტურ პალიტრას.



პ. ჯ. იაშვილი.


,,ცისფერი ორდენის'' აღმავლობა დაიწყო 1918-იდან, როცა დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქს მოაშურა დას. საქართვ. შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, ჯგუფის ძირითადმა ბირთვმა თბილისში დაიდო ბინა. 1918 ი-ის მეთაურობით კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა ,,ცისფერყანწელთა'' პირველი საღამო. 1917-იდან ი-ისა და ტ. ტაბიძის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა მწერალთა კავშირს, კაფე ,,ქიმერიონს''; გამოვიდა ჟურნ.-გაზეთები: *,,მეოცნებე ნიამორები''*, *,,ბარრიკადი''*, *,,რუბიკონი''*, ,,მშვილდოსანი'', *,,ბახტრიონი''* (ცისფერყანწელთა პერიოდიკამ გამოსვლა შეწყვიტა ბოლშევიკების მიერ 1924 აჯანყების ჩახშობის შემდეგ). საქართვ. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ი. მწვავე შემოქმედებით კრიზისს განიცდიდა. უპარტიო მწერლებს ახალი მთავრობა აიძულებდა, გადაეხადათ იდეოლოგიური ხარკი – ხოტბა შეესხათ სოციალ. აღმშენებლობისათვის. ი. იძულებული გახდა, შეგუებოდა ახალ რეალო-



რ. ი. იაშვილი.







რ. ი. იაშვილი. ღვინის დეკორატიული სასმისები – „ირემი“. 1960.

ბას, რაც რთული და მტკივნეული აღმოჩნდა, თუმცა, დაკვეთით დაწერილის გარდა, მაინც მოახერხა ,,გულიდან ხორცად გამონატანი“ ლექსების დაწერა (,,Urbi“, ,,პოეზია“, ,,მაგიდა – ჩემი პარნასი“, ,,ბაღის ამბავი“, ,,როგორც აფრის ტკაცუნი“, ,,დებედაჩაის ღამე“, ,,ქუთაისისთვის“; 1924–34). O-ს ეკუთვნის აგრეთვე მოთხრობები ,,ფერადი ბუშტები“ (1924), ,,სამი ტკივილი“ (1925); დაუმთავრებელი პოემა ,,გზა მშვიდობისა“ (1936–37); ლიტ. წერილები, ა. პუშკინის, კ. ბალმონტის, ვ. მაიაკოვსკის, შ. ბოდლერის, ა. რემბოს, ო. უაილდისა და სხვათა თხზულებების თარგმანები.

O-ის ლექსების პირველი წიგნი 1955 გამოიცა, თხზულებათა პირველი ვრცელი კრებული – 1959.

O-ის სიცოცხლის ბოლო წლები პარადოქსებით გამოირჩეოდა: იყო ამიერკავკასიის ცაკის წევრი (1934-იდან), 1934 მიიწვიეს მწერალთა საკავშ. ყრილობაზე. 1936 ქართ. ხელოვანთა დელეგაციასთან ერთად დიდი პატივით მიიღეს კრემლში, დაჯილდოვეს ორდენით. ამავე დროს ცდილობენ O-ის ცილისწამებათა ქსელში გახვევას, რათა სახელი გაეტეხათ მისთვის. O-მა ყოველივე ამას პროტესტის უკიდურესი ზომით – თვითმკვლელობით უპასუხა, 1937 წ. 22 ივლისს მწერალთა კავშირში გამართული სხდომის დროს თავისივე სანადირო თოფით თავი მოიკლა. მორგიდან პოეტის ცხედარი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მიასვენეს. ოჯახის წევრების გარდა, O. უკანასკნელ გზაზე მხოლოდ კ. ნადირაძემ გააცილა.

O-ის საზ.-პოლიტ. რეაბილიტაციის შემდეგ (1954) მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს (1957).

თხზ.: პოეზია. პროზა. თარგმანები, თბ., 1965; პოეზია. პროზა. წერილები. თარგმანები, თბ., 1975; საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად, თბ., 2004; ლექსები, სერიიდან ,,ჩემი რჩეული“, თბ., 2012.

ლიტ.: ავალიანი ლ., პაოლო იაშვილი, თბ., 1977; მისივე, ,,გიჟი დროის“ ქართული მწერლობა, თბ., 2005; ასათიანი გ., თანამდევი სულები, ტ. 3, თბ., 2002; კვერენჩხილაძე რ., წამების გზა, წგ. 1, თბ., 2014; კლდიაშვილი ს., ახლობელი და შორეული, თბ., 1964; მზიური პაოლო. მოგონებები პაოლო იაშვილზე, შემდგ. ლ. ავალიანი, თბ., 1995; ნიკოლეიშვილი ა., პაოლო იაშვილი, თბ., 2000; ქიქოძე გ., ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958. *ლ. ავალიანი.*

იაშვილი რევაზ იოსების ძე (16. VII. 1929, თბილისი, – 2. VIII. 1996, იქვე), მხატვარ-კერამიკოსი, თანამედროვე ქართული შავკრიალა კერამიკის ფუძემდებელი. საქართვ. სახ. მხატვარი (1985). 1947–55 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში. 1960–96 იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1974-იდან პროფესორი). 1979–80 O-მა შეიმუშავა კერამ. ჭიქურების მოხატვის საკუთარი მეთოდიკა – ე.წ. ,,მშრალი ჭიქურები“. მისი ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ლაკონიური და მეტყველი ფორმები, უბრალოება, მხატვრული განზოგადება, ეროვნ. ტრად. ელემენტების ჰარმონიული შერწყმა თანამედროვე მხატვრულ ფორმებთან. ნამუშევრები: ,,მცირე ზომის პლასტიკა“ (1959, საპატიო დიპლომი, ქ. ოსტენდეს კერამ. მსოფლიო გამოფენაზე, ბელგიაში), ღვინის ჭურჭელი – ,,ირემი“ (1960, ოქროს მედალი სსრკ-ის სახ. მიღწევათა გამოფენაზე), ,,ხარი“ (1962, ვერცხლის მედალი პრაღის კერამ. მსოფლიო გამოფენაზე); გააფორმა წყაროები ზედაზენზე (1965), რიკოთის უღელტეხილზე (1966), წყალტუბოში (1966). 1990 ჩიკაგოს (აშშ) საერთაშ. გამოფენაზე ქართ. მხატვრული კერამიკა წარმოდგენილი იყო O-ის რეტროსპექტული კოლექციით. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

იაშვილი რევაზ ნიკოლოზის ძე (26. V. 1927, თბილისი, – 26. XI. 1994, იქვე), ქირურგ-პროქტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1977), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). საქართველოში დამოუკიდებელი პროქტოლოგიური სამსახურის ერთ-ერთი ორგანიზატორი და პროქტოლოგიის კათედრის დამაარსებელი. 1951 დაამთავრა მოსკოვის I სამედ. ინ-ტი. 1951–54 მუშაობდა მოსკოვის საოლქო სამეცნ. კვლ. ინ-ტში, ხოლო 1955-იდან – თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტში. 1968-იდან იყო თავისივე ჩამოყალიბებული პროქტოლოგიური განყ-ბის გამგე. 1979–81 ხელმძღვანელობდა პროქტოლოგიურ კურსს, ხოლო 1981-იდან განაგებდა პროქტოლოგიის კათედრას. 1968–84 იყო რესპ. მთავარი პროქტოლოგი.

O. იკვლევდა მსხვილი და სწორი ნაწლავის დაავადებათა (პოლიპოზი, დივერტიკულოზი, სიმსივნე და სხვ.), აგრეთვე პროქტოგინეკოლოგიური ერთობლივი დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს. იყო საქართვ. ექიმთა ასოციაციის ღირსებისა და სამართლის კომისიის თავ-რე, საზ-ბა ,,თბილისელის“ სამედ.-საკონსულტაციო სამეცნ. და პრაქტ. საბჭოს თავ-რე, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირის წევრი. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: ზოგიერთი ერთობლივი პროქტოგინეკოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, თბ., 1938; გულის სისხლძარღვთა ქირურგიული ანატომია და მისი გამოყენებითი მნიშვნელობა, თბ., 1962; კარის ვენის უკმარისობის მოდელირება და მისი ქირურგიული მკურნალობა, თბ., 1976; Дивертикулярная болезнь толстой кишки (диагностика и лечение), Тб., 1986.

იაშვილი სეით ლუარსაბის ძე (16. I. 1875, სოფ. არგვეთი, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 27. I. 1963, თბილისი), გეოგრაფი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ოდესის სახელმწ. უნტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტი (1902). ლ. ს. *იაშვილის* მამა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თბილ. გიმნაზიაში ასწავლიდა ბუნებისმეტყველებასა და გეოგრაფიას. გიმნაზიაში პედ. საქმიანობასთან ერთად მუშაობდა საშ. სკოლებისათვის საბუნებისმეტყველო პროფილის სახელმძღვანელოების შედგენაზე. იგი ავტორია ბუნებისმეტყველებისა და გეოგრ. პირველი ქართ. სახელმძღვანელოებისა: ,,ბუნებისმეტყველება“ (ჰაერი, წყალი და დედამიწა, 1915); ,,ბოტანიკა“ (1926); ,,საზოგადო გეოგრაფია“ (აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია, 1916); ,,ევროპა“ (1918). 1922–30 დაიბეჭდა მის მიერ გადამუშავებული და შესწორებული ,,ბუნებისმეტყველება“, გეოგრ. სახელმძღვანელოები – ,,ევროპა, ჩრდ. ამერიკის შტატები და იაპონია“, ,,სასოფლო მეურნეობის ქვეყნები“, ,,მსოფლიოს მოკლე გეოგრაფია“, ,,საბჭოთა კავშირის მოკლე გეოგრაფია“, ,,დაწყებითი გეოგრაფია“ და ,,კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფია“. ზემოთ დასახელებული ყველა სახელმძღვანელო მიღებული და გამოყენებული იყო ჩვენი ქვეყნის არასრულ და სრულ საშ. სკოლებში 1935 წლამდე. ამავე პერიოდში მის მიერ ქართ. ენაზე ითარგმნა, ა. ბარკოვისა და ა. პოლოვინკინის ,,ფიზიკური გეოგრაფია“ (1935), ჩ. დარვინის «ბუნებისმეტყველის მოგზაურობა დედამიწის გარშემო გემ ,,ბიგლით“» (1951) და სხვ. O. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ნამდვ. წევრი (1899-იდან). მინიჭებული აქვს ,,შრომის გმირის“ საპატიო წოდება (1932).

თხზ.: ჩემი წარსულიდან, თბ., 1965.

ლ. აბრამიშვილი.

იაშთხვა, სოხუმის მუნიციპალიტეტის სოფლების *ვერხნიაია იაშთხვისა* და *ნიჟნიაია იაშთხვის* გავრცელებული სახელწოდება.

იაშთხვა, პალეოლითური ხანის ღია ტიპის ნამოსახლარი-სახელოსნო. მდებარეობს სოხუმის ჩრდ-ით 2 *კმ*-ზე, ოსტროუმოვის ხეობასა და იაშთხვისა და ბირცხის მთებს შორის, ზ. დ. 80 – 140 *მ.* არქეოლ. კვლევა-ძიება ჩატარდა 1935–38 (ს. *ზამიატნინი*). ძეგლზე, რ-ის ფართობია რამდენიმე *ჰა*, ს. ზამიატნინმა გამოყო 14 პუნქტი, სადაც თავმოყრილია ქვის მასალა. ნივთების დიდი ნაწილი ნაპოვნია მიწის ზედაპირზე, ნაწილი – გათხრების შედეგად. მასალად გამოყენებულია დანიური იარუსის კაჟი. ი-ის კოლექციაში აშელის, მუსტიეს და ზედა პალეოლითის ხანის რამდენიმე ათასი ქვის ნივთია. ანატკეცებისათვის დამახასიათებელია მასიურობა, დარტყმის დიდი მოედანი, რელიეფური ბურცობი და სქელი პატინა. ხელცულები და საჩეხი იარაღი მასიურია და პრიმიტიულადაა დამუშავებული. გვხვდება კლექტონური ანატკეცები, ლევალუაზური ნუკლეუსები და ანატკეც-ლამელები. შედარებით მცირეა შუა პალეოლითური (მუსტიეს) და ზედა პალეოლითური მასალა. მუსტიეს ხანისაა ქვის სახოკები, წვეტანები, ნაწილობრივ ორმხრივ დამუშავებული იარაღი და სხვ. ზედა პალეოლითურია სხვადასხვა სახის საჭრისები და საფხეკები.

1958 ი-ზე აღმოჩნდა (ნ. ბერძენიშვილი) ახ. პუნქტები, სადაც ნაპოვნია მრავალრიცხოვანი ქვის ნაწარმი (მ. შ. აშელის ადრინდ. პერიოდის ხელცულები). 1961–65 გამოვლინდა ქვედა და შუა პალეოლითური ხანის მასალის თავმოყრის პუნქტები (ი. კორობკოვი).

ლიტ.: Бердзенишвили Н. З., Новые данные о палеолите Абхазии, «დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინ-ტის შრომები», 1959, ტ. 30; Замятнин С. Н., Палеолит Абхазии, «Труды Ин-та абхазской культуры», 1937, в. 10; Коробков И. И., Итоги пятилетних исследований Яштухского палеолитического местонахождения, «Советская археология», 1967, № 4. *დ. თუმანიშვილი.*

იაძე ოლეგ გიორგის ძე (დ. 29. III. 1961, სოფ. მეტეხი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (სამბო). საქართვ. დამს. მწვრთნელი. ევროპის სამბოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (2012). სსრკ ჩემპიონი სამბოში ჭაბუკებსა (1978) და ახალგაზრდებში (1979). საქართვ. ჭაბუკთა (1986–88), ახალგაზრდული (1988–91) და ეროვნული (1991–2012) ნაკრები გუნდების მთ. მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით ეროვნულმა ნაკრებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა (1997). ი-მ დაამთავრა საქართვ. სახელმწ. ფიზკულტ. ინ-ტის სპორტული ფაკტი (1987). საქართვ. სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი (2004-იდან). კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი (2012–13). მისი აღზრდილები არიან: მსოფლიო ჩემპიონები: ბ. ჯანიაშვილი, მ. კურდღელაშვილი, ი. გამხიტაშვილი (საქართვ. სამბოს ფედერაციამ XX ს. საუკეთესო ქართველ სამბისტად აღიარა), მ. ჯანანაშვილი. დაჯილდოებულია სამბოს საერთაშ. ფედერაციის ვერცხლის მედლით სამბოს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ღირსების ორდენის კავალერი (1997).

თხზ.: მარადისობის ჭაბუკი: მოჭიდავე ივანე გამხიტაშვილი, თბ., 2000.

იახსარი, წარმართული ღვთაება ფშავ-ხევსურეთში. მისი კულტი გავრცელებული იყო აგრეთვე თუშეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, ერწო-თიანეთში. ი-ის ხატი ქისტაურთა თემის მთავარ სალოცავად ითვლებოდა. საკულტო ცენტრი იყო ფშავში (სოფ. შუაფხო). ხშირად მოიხსენიება მითებსა და თქმულებებში, ლექსებსა და ბალადებში და სას. ტექსტებში. სხვა ღვთისშვილებისაგან განსხვავებით, ი. ზეციურ მოციქულად ითვლებოდა, რ-იც სვეტის ან ჯვრის სახით წარმოდგებოდა. ხალხური რწმენა-წარმოდგენით, მას მიეწერებოდა ფშავ-ხევსურეთში ავსულებთან (დევები, ქაჯები, ეშმაკები) შეურიგებელი ბრძოლა, საკუთარი საყმოს წევრებისა და მისი მავედრებელი უცხო მლოცველების მფარველობა. ი-ის დროშით ხევისბერები ცდილობდნენ სულით ავადმყოფისაგან ბოროტი ძალის განდევნას, არაბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილის (ზვავში დაღუპული, მეხდაცემული, წყალში დამხრჩვალი) ,,სულის გამოხსნას'' და ა. შ.

ყოველ წელს სოფ. შუაფხოში, ლაშარობის კვირაში (პეტრე-პავლობის მომდევნო ორშაბათი), ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს იახსრობა აღინიშნება. ამ დღესასწაულზე ი-სთვის ტრად. ძღვენი ქადა და სანთელია.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I – ფშავი, თბ., 1974; კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, თბ., 2007; ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, [წგ.] 1, თბ., 1974 (ქართული ფოლკლორი, IV); შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, [ტ.] 1 – ხევსურული, ტფ., 1931; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979. *თ. ოჩიაური.*



ო. იაძე.

იაჰია ანტიოქიელი იბნ საიდ იბნ იაჰია ალ-ანტაქი (დაახლ. 980–1066), ქრისტიანი არაბი ისტორიკოსი და ექიმი. შეადგინა ალექსანდრიის პატრიარქ ევტიხის (გ. 939) ,,მსოფლიო ისტორიის'' გაგრძელება (,,თარიხ ალ-ზაილი''). თხზულება ორ ტომად არის დაწერილი და მთავრდება 1066-ის ამბებით. ნაშრომი წარმოადგენს პირველწყაროს ჩრდ. აფრიკის, სირია-მესოპოტამიისა და ბიზანტიის ისტ. შესასწავლად. მასში აღწერილია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა კეისარ ბასილ II-ის (976–1025) დროს, კერძოდ, დავით III-ის კურაპალატად დანიშვნა, ტაოს გადასვლა ბიზანტიის ხელში, 1019 გიორგი I-ის მიერ ამ ტერიტორიის დაბრუნება, ქართველთა მეფის კავშირი ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმთან ბიზანტიის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის მოსაწყობად, ამ მოლაპარაკების ჩაშლა, ბასილის ლაშქრობა საქართველოში (1020), გიორგი I-ის დამარცხება და საქართველოს აწიოკება. ხელახალი ლაშქრობისათვის კეისრის მზადება (1022), გიორგი მეფის დამარცხება, ბაგრატ გიორგის ძის დაბრუნება კონსტანტინოპოლიდან, მისი გამეფება საქართველოში და ბიზანტიის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დროებით შემოერთება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; Крымский А., Яхья Антиохийский, Энциклопедический словарь, изд. Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, т. 82, СПб., 1904. *ბ. სილაგაძე.*

იბერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქართველი ტომების სახელწოდება ანტიკური და ბიზანტიური წყაროების მიხედვით. ცხოვრობდნენ *იბერიის* ტერიტორიაზე. მთავარი როლი ითამაშეს ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებაში.

იბერები (ბერძნ. Ibēres, ლათ. Hiberi, Hiberes) ესპანეთისა, ესპანეთის უძველესი მოსახლეობა. თავდაპირველად ცხოვრობდნენ სამხრ.

და აღმ. ესპანეთის ტერიტორიაზე, შემდეგ (ძვ. წ. VII–III სს.) – მთელ პირენეს ნ.-კ-ზე. წარმოშობით ჩრდ. აფრიკულ ტომებად მიიჩნევენ. ძველთაგანვე არსებობდა აზრი კავკ. იბერებთან მათი ნათესაობის შესახებ (*აპიანე ალექსანდრიელი, სტრაბონი*), რაც ცნობილი იყო ქართვ. მოღვაწეებისთვის (გიორგი მთაწმინდელი) ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. ჰიპოთეზა ი-სა და ქართვ. ტომთა ნათესაობის შესახებ დღესაც გადაუჭრელია. იბერულ ტომთაგან დაწინაურებული იყვნენ ტურდეტანები, ტურდულები, ბასტეტანები, კარპეტანები, ინდიგეტები, ედეტანები და სხვ. ტომები ერთიანდებოდნენ ქალაქური ტიპის გამაგრებულ სამოსახლოთა გარშემო (ნუმანცია, სეგოვია, ტარაგონია და სხვ.). იბერიის კულტურის მნიშვნელოვან ცენტრს ტურდეტანების მხარე (ახლანდ. ანდალუსია და მურსია) წარმოადგენდა, სადაც, ანტ. ავტორთა მიხედვით, ტარტესის სახელმწ. არსებობდა (დაარსდა ძვ. წ. 1100). ი-ის კელტებთან შერწყმის შედეგად ძვ. წ. VI–III სს-ში ჩამოყალიბდა კელტიბერთა ტომი. ი-მა განიცადეს ფინიკიელებისა და ბერძნების გავლენა. ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა. ძვ. წ. V–III სს-ში იბერია კართაგენელებმა დაიპყრეს, ძვ. წ. III–II სს-ში – რომაელებმა (რ-ებმაც ძვ. წ. 19–18 მთელი ესპანეთი დაიპყრეს). ძვ. წ. II ს.–ახ. წ. I ს-ში მოხდა ი-ის რომანიზაცია.

წყარო: აპიანე ალექსანდრიელი, მითრიდატეს ომების ისტორია, თ. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959.

ნ. ლომოური.

იბერთა მონასტერი იერუსალიმში [შემდგომ – იოანე მახარებლის (ღვთისმეტყველი) მონასტერი], ერთ-ერთი პირველი და უძველესი ქართული სავანე იერუსალიმში. სავარაუდოდ, ი. მ. ი. *პეტრე იბერის* მიერ იყო აგებული. არსებული ცნობებიდან უპირატესობა უნდა მივანიჭოთ იოანე რუფუსის გადმოცემას, რ-ის მიხედვით, პეტრე იბერმა მონასტრის ასაშენებლად აირჩია ერთი ადგილი «სიონის ეკლესიის ზემოთ (ჩრდ-ით), ეგრეთ წოდებულ ,,დავითის კოშკთან'' და იქ ააგო მონასტერი, რ-საც დღესაც იბერთა მონასტერი ჰქვია» (დაახლ. 444–52). პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, რომ იუსტინიანე კეისარს (VI ს.) სხვა მონასტრებთან ერთად განუახლებია ,,იბერთა მონასტერი იერუსალიმში''.

1932 იერუსალიმში, იბერთა მონასტრის სავარაუდო მდებარეობის ადგილას, აღმოჩნდა ქვა ბერძნ. წარწერით. ეპიტაფიის შინაარსი და მისი მოძიების ადგილი ზუსტად მიგვითითებს ქართველთა მონასტრის არსებობაზე დავითის კოშკთან. სამუელის საფლავის ქვის წარწერა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ მონასტერი იმავე VI ს-ში, სამუელის სიცოცხლეშივე განადგურდა გაურკვეველი მიზეზით.

ა. ცაგარლის მიერ მოპოვებული მასალა გვაჩვენებს, რომ იერუსალიმის ერთ-ერთი უძველესი იოანე მახარებლის მონასტერი იგივეა, რაც პეტრეს დაარსებული იბერთა მონასტერი.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1965; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1949.

ლიტ.: მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998.

ე. მამისთვალიშვილი.

იბერთა მონასტერი პალესტინაში, იხ. *ქართული მონასტერი პალესტინაში.*

იბერი (ნამდვ. გვარი – საღინაძე) ელდარ დავითის ძე (დ. 7. II. 1939, ქ. ცაგერი), ჟურნალისტი, მედიის მკვლევარი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2000). 1962 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა, 1974 – ჟურნალისტიკის უმაღლ. სკოლა მოსკოვში. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართვ. სახტელერადიო კომიტეტში განყ-ბის გამგედ, მთ. რედაქტორად, სატელევიზიო პროგრამების მთ. რედაქციის დირექტორად, ტელერადიოკომიტეტის თავ-რის მოადგილედ. პარალელურად ეწეოდა სამეცნ. და პედ. საქმიანობას ი. ჭავჭავაძის სახ. თბილ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტში, ასევე თსუ-ის ჟურნალისტიკისა და სოც. და პოლიტ. მეცნ. ფაკ-ტებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი.

თხზ.: რადიოჟურნალისტიკა, თბ., 1996, 1999, 2003; მასობრივი კომუნიკაცია, თბ., 2003 (თანაავტ. რ. სურგულაძე); საქართველოს რადიოს ისტორია, თბ., 2009 (თანაავტ.: თ. მჟავანაძე, ნ. ტალახაძე); საქართველოს ტელევიზიის ისტორია, თბ., 2016; ელექტრონული მედიის პროგრამირება, თბ., 2017.

თ. დოლიძე.

იბერი პეტრე, იხ. *პეტრე იბერი.*

იბერია, ივერია, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს სახელწოდება ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში. გვიანდ. შუა საუკუნეების, ახ. და უახლესი დროის ქართ. წყაროებსა და ლიტრაში ტერმ. ,,ივერია'' იხმარებოდა მთელი საქართველოს აღსანიშნავად. ამასთან, აღმ. საქართველოს უწოდებდნენ ზემო ივერიას, ხოლო დას. საქართველოს – ქვემო ივერიას. ამ სახელწოდების წარმომავლობა ნათელი არ არის. იგი ელინისტურ ხანაში უცხოენოვან (ბერძნულ) გარემოში გაჩნდა. ზოგი მკვლევარი მას ქართულ ,,იმერს'' (იქითა მხარე) უკავშირებს და მიიჩნევს დას. საქართველოში ლიხს-იქითა ან მესხეთის მთებსიქითა ქვეყნის აღსანიშნავად შექმნილ ტერმინად, ზოგი კი უკავშირებს ძვ. წ. V ს. ბერძენ ავტორებთან დამოწმებულ *სასპერების* სახელს (მათი სახელი შემორჩა ისტ. სპერის ოლქს). სემიტურ-ბერძნულ სამყაროში ი-დ ცნობილ ქვეყანას ადგილობრივი მოსახლეობა ,,ქართლს'' უწოდებდა. ელინისტური ხანიდან ი. აღნიშნავდა მუდამ ერთ გარკვეულ პოლიტ. ერთეულს (სახელმწიფოს), რ-იც აღმ. და სამხრ. საქართველოს ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა და რ-ზეც უმეტესად აღმოსავლურ-ქართ. ტომები (ქართები-იბერები) სახლობდნენ. ძვ. წ. VII ს-იდან ამ ტერიტორიაზე ცენტრ. და ჩრდ.-აღმ. მცირე აზიიდან მუშქთა ქართველური ტომების ინფილტრაცია ხდება. ადრეხეთური კულტურის გავლენის სფეროში მყოფმა მუშქმესხებმა აქაური მოსახლეობის პოლიტ. და კულტ. ცხოვრებაში აქტ. როლი ითამაშეს. წინაელინისტურ ხანიდან აქ ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი გაერთიანება – ი-ს სამეფო ყალიბდება.

მუშქ-მესხთა თავდაპირველი განსახლების ადგილი ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' ქრონიკაში *აზოს* (აზონი) სამშობლოდაა დასახელებული და *არიან-ქართლად* იწოდება (ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით არიან-ქართლი კლარჯეთი უნდა იყოს). ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა ხანაში, როდესაც აზომ ი. დაიმორჩილა, *მცხეთაში* არიან-ქართლიდან მოტანილი *გაცისა* და *გაიმის* კერპები აღმართა. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ აზო ი-ის პირველი მეფე იყო. მისი განდევნის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა ადგილ. წარმოშობის პირი (,,მცხეთის მამასახლისების'' საგვარეულოს წევრი) *ფარნავაზ I.* იგი ი-ის მეფეთა ახ. დინასტიის – *ფარნავაზიანების*

– ფუძემდებელი გახდა. ფარნავაზისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროს (ძვ. წ. III ს.) 0. საკმაოდ გაძლიერდა და ვრცელი სახელმწიფო გახდა. შიდა ქართლის, კახეთისა და მესხეთის გარდა მასში შედიოდა დას. საქართველოს ნაწილი (არგვეთი, აჭარა). მის შემადგენლობაში ივარაუდება ისტ. ოლქები – გოგარენე, ხორძენე და პარიადრის მთის კალთები. 0-ის სამეფოს ძალაუფლება აგრეთვე აღმ. საქართველოს მთიანეთზე და დას. საქართველოს გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდა. ქართ. ისტ. ტრადიცია უკვე ფარნავაზის ხანას მიაწერს სამეფოს დაყოფას 7 საერისთავოდ: 1. არგვეთი, 2. კახეთი და კუხეთი, 3. გარდაბანი, 4. ტაშირი და აბოცი, 5. ჯავახეთი, კოლა და არტაანი, 6. სამცხე და აჭარა, 7. კლარჯეთი. ცალკე ერთეულს ქმნიდა შიდა ქართლი, რ-იც სპასპეტის საგამგებლოს წარმოადგენდა. ამ ტრადიციის თანახმად, ფარნავაზის სუვერენობას აღიარებდა ეგრისიც.

ქართული წერილობითი ტრადიცია ფარნავაზს ქართული მწიგნობრობის შექმნას მიაწერს, რასაც ზოგი მეცნიერი დამწერლობის შექმნად მიიჩნევს, ზოგისთვის კი ეს არსებული მწიგნობრობის რეფორმას გულისხმობს (იხ. *ქართული დამწერლობა*).

0-ის დედაქალაქი მცხეთა სხვადასხვა მხრიდან მომავალი გზის გადაკვეთის ადგილას მდებარეობდა. აქ თავს იყრიდა ალბანეთიდან, სომხეთიდან, კოლხეთიდან, ჩრდ. კავკასიიდან მომავალი გზები. მცხეთაზე გადიოდა დიდი საერთაშ. სატრანზიტო-სავაჭრო გზა, რ-იც ინდოეთიდან მოდიოდა და კოლხეთის შავიზღვისპირა ქალაქებისაკენ მიემართებოდა (*იხ. აბრეშუმის დიდი გზა*). მტკვრის ხეობაში, მცხეთის გარდა, იყო 0-ის მნიშვნელოვანი ცენტრები – უფლისციხე, წუნდა, ოძრ(ა)ხე და სხვ. *სტრაბონის* ცნობით, ელინისტური ხანის 0. წარმოადგენდა ქალაქებითა და დაბებით მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას, სადაც იყო კრამიტისსახურავიანი და ხუროთმოძღვრების წესით ნაგები სახლები, აბანოები, ბაზრები და სხვა საზ. შენობები. 0-ის ქალაქებში იყო სავაჭრო-სახელოსნო უბნები, ხშირად – უცხო ტომის ხალხით დასახლებული. მაგ., მცხეთაში უკვე კარგა ხნით ადრე არსებობდა ებრ. დასახლება. 0-ის სამეფოში დაწინაურებული იყო სამშენებლო საქმე. აიგო ციხესიმაგრეები: *არმაზციხე*, ზადენციხე (სევსამორა), კახეთში – *ნეკრესი*; აშენდა მცხეთა და სხვ., აღიმართა უზენაეს ღვთაებათა კერპები (*არმაზის, ზადენის, აინინასი* და *დანინასი*) და სხვ.

ელინისტური ხანის 0. ადრეკლასობრივი წინაფეოდ. სახელმწიფო იყო. სტრაბონი მიუთითებს იბერიის მთისა და ბარის მოსახლეობაში არსებულ განსხვავებაზე. მისი ცნობით, ბარში უფრო მშვიდობიანი, მიწათმოქმედი, ხოლო მთაში კი მეომარი ხალხი ცხოვრობდა; სტრაბონი 0-ის საზოგადოებაში ოთხ სოციალურ ფენას ასახელებს: 1. ისინი, ვისგანაც სვამენ მეფეებს, 2. ქურუმები, 3. მიწათმოქმედნი და მეომარნი, 4. ხალხი (ლაოი) – სამეფო მონები. მატერ. დოვლათის მწარმოებელ ძირითად მასას წარმოადგენდნენ თავისუფალი მეთემენი – მიწათმოქმედნი და მეომარნი. დამორჩილებულ სამიწათმოქმედო თემებს ძირითადად სამეფო საგვარეულო უწევდა ექსპლუატაციას. პრივილეგიურ თემებს წარმოადგენდნენ აგრეთვე სამხ.-სამოხელეო არისტოკრატია და ქურუმობა. მთის მოსახლეობა სამეურნეო საქმიანობით, ჩაცმა-დახურვის წესითა და ზნე-ჩვეულებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ბარის მოსახლეობისაგან, თუმცა 0-ის სახელმწიფო სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ძვ. წ. II და I ს. I ნახ-ში 0. დასუსტდა და გაძლიერებულ სომხ. სამეფოებთან ბრძოლაში ზოგი ტერიტ. (სტრაბონის ცნობით, გოგარენე, ხორძენე და პარიადრის მთის კალთები) დაკარგა.

ძვ. წ. 65 0. დალაშქრა რომაელმა სარდალმა პომპეუსმა. მიუხედავად ენერგიული წინააღმდეგობისა, 0-ის მეფე *არტაგი* ბოლოს და ბოლოს დამორჩილდა რომაელებს.

მალე 0. განთავისუფლდა რომზე დამოკიდებულებისგან. რომსა და 0-ს შორის დამყარდა მოკავშირეობითი ურთიერთობა. ახ. წ. I–II სს-ში კი 0. კვლავ გაძლიერდა და ხშირად რომს მეტოქეობასაც უწევდა ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. 0-ის გაძლიერებას ხელი შეუწყო კავკასიონის გადმოსასვლელებზე კონტროლის დაწესებამ და საგარეო ლაშქრობებში ,,კავკასიანებისა'' და, უფრო გვიან, იმიერკავკასიაში შემოსული მომთაბარე ტომების გამოყენებამ. I ს. 30–50-იან წლებში (მეფე *ფარსმან I-ისა* და მისი ვაჟის – *რადამისტის* დროს) 0-მ მოახერხა მთლიანად დაებრუნებინა ადრე სომხეთის მიერ ჩამორთმეული მიწები – აქ გამეფდა ფარსმან I-ის ვაჟი *მითრიდატე II* და 0. მცირე ხნით მთელ სომხეთსაც დაეუფლა.


I ს. II ნახ-ში 0-მ ძირითადად შეინარჩუნა რომთან მეგობრული ურთიერთობა, რასაც ადასტურებს მცხეთის გარეუბანში 1867 ნაპოვნი წარწერიანი ქვა (ახ. წ. 75), რ-ის თანახმადაც, აქ არსებული თავდაცვითი სისტემა განამტკიცა იმპ. *ვესპასიანემ* (69–79). 1996 ბაგინეთში აღმოჩნდა თეთრი კირქვისგან დამზადებული ოთხკუთხა ფორმის მონოლითური კვარცხლბეკი, რ-იც 0-ის მეფეთა სასახლის კომპლექსში შემავალ ა. წ. I ს. წარმართული ტაძრის ცენტრში იდგა. სავარაუდოდ, მასზე რომის ერთ-ერთი იმპერატორის ქანდაკება უნდა ყოფილიყო აღმართული. II ს. 30–50-იან წლებში, *ფარსმან II-ის* დროს, როცა 0. თავისი ძლიერების მწვერვალზე იყო, 0-ის ტერიტორიამ შავ ზღვას მიაღწია და რომაელთა სამფლობელოების ნაწილი შეიერთა, რის გამოც რომთან დაძაბულობამ იჩინა თავი. ფარსმან II-მ მრავალგზის შეუთვალა უარი იმპ. *ადრიანეს* (117–138) მიწვევაზე და მხოლოდ მისი მემკვიდრის – ანტონინუს პიუსის (138–161) დროს მოინახულა რომი მეუღლით, ვაჟიშვილით და წარჩინებულთა დიდი ამალით. რომაელები მოუხიბლავს იბერთა სამხ. ვარჯიშს. იმპერატორს დედაქალაქში (ქალღმერთ ბელონას ტაძარში) დაუდგამს ცხენზე მჯდომი ფარსმანის ქანდაკება, აგრეთვე ,,გაუფართოებია ფარსმანის სამეფო'', ე. ი. უცვნია 0-ის ფართოდ გაწეული საზღვრები (იხ. *რომის სახელმწიფო და საქართველო*).

ახ. წ. I–II სს-ში 0. წარმატებით ებრძოდა პართიასაც. III ს. 20-იანი წლებიდან საგარეო ვითარება არსებითად შეიცვალა. პართიის სახელმწიფოში შემავალი ფარსის მფლობელმა არდაშირ პაპაკანის ძემ 224 პართიის მეფე არტაბან V დაამარცხა და სასანიანთა იმპერიის შექმნას დაუდო საფუძველი. ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა არდაშირ I-ის ძემ შაბურ I-მა (241–272) დაიწყო. 260 ამოკვეთილ ,,ზოროასტრის ქაბას'' წარწერაში 0-ის მეფე ამაზასპი ირანის დიდე-

12 საქართველო II - I საუკუნეებში (ქვ. წ. აღ.)



საქართველო I - II საუკუნეებში (ახ. წ. აღ.)



ბულთა შორის მეოთხე ადგილზე იხსენიება. იმავე პერიოდიდან რომის იმპერია აღმოსავლეთში თავის საზღვრებს აფართოებდა, რის გამოც ი-ის შიდაპოლიტიკური ვითარება და საგარეო კურსი ბევრად იყო დამოკიდებული ამ ძლიერ მეზობლებთან ურთიერთობის მოწესრიგებაზე. რომის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურებამ III ს. დასასრულს შედეგი გამოიღო, 298 ქ. ნისიბისში რომსა და ირანს შორის დადებული ზავით ი-ზე 40 წლით რომის პროტექტორატი დამყარდა. პროტექტორატის ხანაში მოხდა არსებითი გარდატეხა როგორც ი-ის, ისე სომხეთისა და ეგრისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაახლ. 318 ამ ქვეყნებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

პროტექტორატის ვადის გასვლისთანავე (338) მეფე მირიანის (*იხ. მირიან III*) ძეთა შორის ტახტისათვის დაწყებულ დაპირისპირებაში ირანი და რომი ჩაებნენ, რაც 369 მათ შორის ი-ის გაყოფითა (საზღვრად მდინარე მტკვარი დაიდო) და ფარნავაზიანთა სამეფო სახლში *ბაქარიანთა* (მეფობდნენ ირანის გავლენის სფეროში მოქცეულ ი-ის ნაწილში) და *რევიანთა* (მეფობდნენ რომის, შემდგომ ბიზანტიის გავლენის სფეროში მოქცეულ ი-ში) შტოების წარმოქმნით დასრულდა. *ვახტანგ I* გორგასლის ,,ცხოვრების“ ავტორი ჯუანშერი V ს. ამბების გადმოცემისას ,,მირიანიდან ვახტანგამდე“ მიუთითებს 157 წლის გასვლას, ,,ათი მეფისა“ და ,,რვა ნათესავის“ (იგულისხმებიან რევიანი მეფეები) გარდაცვალებას.

ირანისა და რომის (შემდეგში ბიზანტიის) მბრძანებლები განსაკუთრებულ ინტერესს ჩრდ. კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი დარიალისა და დარუბანდის ზეკარებისადმი იჩენდნენ. მათზე კონტროლის დაწესება ჩრდ. კავკასიის მიმდებარე ველებზე ოსური და ჰუნურ-თურქული გაერთიანებების შექმნის შემდეგ უფრო აქტიური გახდა. კავკასიონის ზეკარების ჩაკეტვის აუცილებლობამ გავლენა იქონია აღმ. ამიერკავკასიაში სასანიანთა მიერ შექმნილ მმართველობის სისტემაზე. სასანიანებმა თავიანთ გავლენაში მოქცეულ ი-ში თავისი მოხელე (ქრამ ხუარ ბორზარდი) ჯერ კიდევ IV ს. შუახანებში დასვეს, V ს. დამდეგიდან კი ი-ის ირანული ნაწილი ალბანეთის ქ. ბარდაში მჯდომ ირანელ მოხელეს – *მარზაპანს* დაუქვემდებარეს. ამ სახელოს ირანის ცნობილი მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულოს წარმომადგენლები მემკვიდრეობით ფლობდნენ. ი-ის მთლიანობა 439 აღდგა, ქვეყანა ირანის გავლენის სფეროში მოექცა. ი-მ განსაკუთრებულ სიძლიერეს ვახტანგ გორგასლის ზეობაში მიაღწია. მისი მმართველობისას, როგორც წყაროშია ნათქვამი, მოქცევიდან 170 წლისთავზე (ე. ი. 488) ი-ის ქართულმა ეკლესიამ *ანტიოქიის საპატრიარქოსგან* ავტოკეფალია მოიპოვა; ვახტანგ მეფემ გაატარა საეკლ. რეფორმა, დაიწყო მზადება დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადასატანად. V ს. ი-ში სასანიანთა რელიგიური პოლიტიკის გამო ,,წვრილი ერიდან“ მრავალი ,,მიქცეული იყო ცეცხლმსახურებაზე“, ამიტომ ვახტანგ გორგასალმა ქვეყნიდან განდევნა ცეცხლმსახურნი და ,,წესის შემშლელი ეპისკოპოსები“. ირანის ხელისუფლებამ ვახტანგ მეფეს პრობიზანტიური ორიენტაცია არ აპატია. 491 გაზაფხულზე ,,იორსა ზედა“ ირანელებთან ბრძოლაში ვახტანგ მეფე მძიმედ დაიჭრა და უჯარმაში გარდაიცვალა. ვახტანგ გორგასლის მემკვიდრეები იძულებული შეიქნენ ირანელთა ბატონობას შერიგებოდნენ. ქვეყნისათვის, სადაც უცხოელთა ბატონობის გამო შერყეული იყო ქრისტიანობა, მნიშვნელოვანი იყო ჩრდ. შუამდინარეთიდან *ასურელი მამების* მოსვლა. ქართული ეკლესიის მიერ ,,განმანათლებლად“ და ,,სჯულის გამწმენდად“ მიჩნეულმა ასურელმა მამებმა, რ-ებიც, მკვლევართა დიდი ნაწილის მტკიცებით, წარმომავლობით ქართველები იყვნენ, ი-ში სამონასტრო მშენებლობას და მონაზვნურ ცხოვრებას დაუდეს საფუძველი. დაახლ. 537 სასანიანებმა ი-ში მეფობა გააუქმეს. მეფე ბაკურ ფარნავაზიანის (*იხ. ბაკურ V*) შვილებმა კახეთის მთიულეთს შეაფარეს თავი. ქვეყნის მართვა-გამგეობა ირანელი მარზპანის ხელში გადავიდა. IV–V სს-ებში რევიანების შტოდან გამოსული მოღვაწეებიდან აღსანიშნავია თრდატ რევის ძე, *ბაკურ იბერიელი*, *პეტრე იბერი*; ბაქარიანთა შტოდან – ფარსმან ვარაზ-ბაკურის ძე, ვახტანგ გორგასალი და სხვ.

I–III სს-ში ი-ში მიმდინარეობდა საზ-ბის მკვეთრი ქონებრივი და სოც. დიფერენციაცია. თავისუფალ მეთემეთა ერთმა ნაწილმა დაკარგა საკუთრება და დაქვემდებარებული თემების წევრებს (,,გლეხებს“) შეერწყა, ანდა ,,ტაძრეულთა“ (სამეფო მიწების პირობით მფლობელობაში მქონე მიწისმოქმედთა) ფენა შექმნა; მეორე ნაწილი კი აღზევდა და სამხ.-სამოხელეო არისტოკრატიასთან ერთად ,,ერისაგან“ გამოყოფილ ,,აზნაურთა“ წრე შექმნა. სამეფო სახლის წევრები სეფეწულთა უმაღლეს ფენას წარმოადგენდნენ. ამ დროს განუყოფლად ბატონობდა სამეფო ტახტის მამიდან შვილზე გადასვლის წესი. დიდი რაოდენობით მიწას ფლობდნენ წარმართული ტაძრებიც, რ-ებიც ქვეყანაში ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადების შემდგომ თანდათან განადგურდნენ.

ი-ის კულტურა უცხო (ბერძნ.-რომაული, ირან. და სხვ.) ელემენტებთან ერთად შეიცავს მძლავრ ორიგინ. ნაკადს.

ანტ. ხანის ი-ის კულტურის შესასწავლად მნიშვნელოვანი მასალაა მოპოვებული მცხეთასა და მის მიდამოებში, კლდეეთში, უფლისციხეში და სხვ. ჩატარებული არქეოლ. გათხრებით აღმოჩნდა ოქრომჭედლობისა და მხატვრული ხელოსნობის მრავალი შესანიშნავი ნივთი, დიდძალი კერამ. და ლითონის ინვენტარი, მოზაიკისა და სკულპტურის ნიმუშები. ნაპოვნია ბერძნ. და არამეული წარწერები, აღმოჩნდა არქიტექტურის ძეგლები – სასახლეებისა და ტაძრების, აბანოებისა და საწარმოო კერების ნაშთები, დიდძალი ნუმიზმატიკური მასალა. ი-ში ჭრიდნენ ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტის მინაბაძებს, რაც მსოფლიო ბაზარზე ი-ის აქტ. მონაწილეობით იყო გამოწვეული. ი-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილია უცხო ქვეყნებში მოჭრილი ელინისტური ხანის მონეტებიც.

მნიშვნელოვანი არქეოლ. გათხრები ჩატარდა დედოფლის მინდორზე (ქარელის მუნიციპალიტეტი), ნასტაგისში (მცხეთის მუნიციპალიტეტი), ნეკრესში (ყვარლის მუნიციპალიტეტი) და სხვ. ნეკრესში გაითხარა II–IV სს. ცეცხლის ტაძარი, ანტ. ხანის ქალაქის ზღუდის ნაწილი: IV–VI სს. ნაგებობის ნაშთები (სასახლე, მარანი), VI ს. ეკლესია და სხვ. აღმოჩენათა შორის მეტად მნიშვნელოვანია IV–VI სს-ით დათარიღებული არქიტ. ნაგებობის კედლებში მეორეული გამოყენებით ჩატანებული ქვის

ფილები და ერთი საფლავის ქვა უძველესი ქართული წარწერებით.

ლიტ.: აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, [წგ.] 1, თბ., 1963; გოილაძე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში. «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1982, №2; მისივე, ფარნაზავიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990; მისივე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991; მისივე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991; ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი ახ. წ. II საუკუნისა, თბ., 1957; ლომოური ნ., დასავლეთ საქართველო რომის პოლიტიკურ სისტემაში ა. წ. I–III სს-ში, «ქართული დიპლომატია». წელიწდეული, 6, თბ., 1999; ლორთქიფანიძე გ., ნონეშვილი ა., ქართლის (იბერიის) სამეფო და რომის იმპერია I–III საუკუნეებში, ივანე ჯავახიშვილი – 140, „მარადისობის გზა“, თბ., 2017; ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968; მცხეთა, [ტ.] 1 – არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937 – 1946 წწ. განათხარის მიხედვით, თბ., 1955; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ქავთარია გ., ფარნავაზი, თბ., 1999; მისივე, აზონი, თბ., 2000; შოშიტაშვილი ნ., რომი და საქართველო (საქართველოს ილუსტრირებული ისტორია), თბ., 2016; წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; ჭილაშვილი ლ., ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1960; ჯანაშია ს., შრომები, [ტ.] 1 – 2, თბ., 1943 –52.

გ. მელიქიშვილი. ვ. გოილაძე.

„იბერია რეფრეშმენტსი“ (,,PepsiCo Bottler in Georgia“ – ,,პეპსი-კოლას ბოთლერი საქართველოში“), სააქციო საზოგადოება, გაზიანი და უალკოჰოლო სასმელების, მსოფლიო ბრენდის ,,პეპსიკოს“ პროდუქტების მწარმოებელი და დისტრიბუტორი კომპანია. დაარსდა 2001 თბილისში. იგი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი თანამედროვე ტიპის საწარმოა. 2004 ფრანჩაიზის (სასყიდლიანი) ხელშეკრულება გააფორმა საერთაშ. ამერ. კომპანია ,,პეპსიკოსთან“ (,,პეპსის“ სახელი სასმელს დაერქვა 1898, კომპანია ,,Pepsi-Cola Company“ დაარსდა 1902 აშშ-ში). კომპანია ,,პეპსიკოს“ კონცენტრატებისა და ტექნოლ. გამოყენებით აწარმოებს ძლიერგაზირებულ უალკოჰოლო გამაგრილებელ სასმელს ,,*პეპსის*“ (იგივე ,,პეპსი-კოლა“). გარდა ამისა, ,,ი. რ.“ ამზადებს და დისტრიბუციას უწევს შემდეგ პროდუქტებს: ,,პეპსი ბრენდის“ (Pepsi Brand), ,,აკვაფაინის წყლებს“ (Aquafina Waters), ,,ლიპტონის ჩაის“ (Lipton Teas). პროდუქციის რეალიზაცია ხდება საქართველოში, ასევე გადის საექსპორტოდაც.

იბერიის თემი (ბერძნ. Théma Ibērias), იბერიის საკატეპანო, ბიზანტიის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული XI ს-ში. შეიქმნა კეისარ ბასილი II-ის დროს *დავით III კურაპალატის მემკვიდრეობის* მიღების შემდეგ. ი. თ-ში შედიოდა იმიერტაო, ჩრდ. ბასიანი, ოლთისი, თორთომი, კოლა, არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი და ე. წ. ,,ზემონი ქუეყანანი“ – არაქს-ევფრატის აუზში მდებარე ვრცელი ტერიტ., რ-იც ეთნიკურად არაერთგვაროვანი მოსახლეობით იყო დასახლებული. მოგვიანებით მის შემადგენლობაში შევიდა კლარჯეთის ნაწილი, ხოლო კონსტანტინე X მონომაქოსის დროს (1042–55) – შირაქის სამეფო ქ. ანისით, რ-იც ი. თ-ის დედაქალაქად იქცა.

ი. თ-ის შესახებ ისტ. წყაროებში ცნობები მწირია. სტრატეგოსებისა და სხვა თანამდებობის პირთა სია გარკვეულად ივსება სფრაგისტიკული მასალის საფუძველზე.

ი. თ-ის მმართველს ჰყავდა გადასახადის ამკრეფნი და თანაშემწეები სამოქალაქო და სამხ. საქმეებში, მ. შ. აღმ-ის დიდი დომესტიკოსი. ბიზანტ. რეგულარული გარნიზონის გარდა, ი. თ-ს ადგილ. მოსახლეობის ჯარიც იცავდა, რის სანაცვლოდაც გადასახადისაგან თავისუფალ სახელმწ. მიწის ნადელს ღებულობდა.

ი. თ-ს ჩრდ.-აღმ-ით ესაზღვრებოდა ქართველთა (საზღვარი ბანისწყალზე გადიოდა) და ვანანდის სამეფოები, დას-ით – ბიზანტ. აღმ. ერთეული – ქალდიის თემი, სამხრ.-დას-ით და სამხრ.-აღმ-ით – ტარონისა და ვასპურაკანის ოლქები. ი. თ-ის შექმნით ბიზანტიამ გაამაგრა იმპერიის ჩრდ.-აღმ. საზღვრები და შექმნა სამხ. პლაცდარმი სომხ. სამეფო-სამთავროებისა და საქართველოს წინააღმდეგ. ი. თ-მა არსებობა შეწყვიტა თურქსელჩუკთა შემოსევების შედეგად დაახლ. 1072–74. მისი ბოლო მმართველი იყო *გრიგოლ ბაკურიანის ძე.*

წყარო: არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1974; გიორგი კედრენე, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963; Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия, пер. с арм. Н. Эмина, М., 1864.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წწ., თბ., 1969; ნოდია ი., იბერიის საკატეპანოს დაარსება, «თსუ შრომები», 1974, ტ. 155 – 156; Степаненко В. П., Алексеенко Н. А., Фема Иверия в XI в. (по данным сфрагистики), «Античная древность в средние века», 2009, вып. 39. *ი. ნოდია.*

იბერის ძე, ეგრისის სამეფოს პირველი ეპისკოპოსი 318-იდან. წარმოშობით კაპადოკიელი ქართველი. V ს. სომეხი ისტორიკოსის, აგათანგელოსის გრიგოლ პართელის ,,ცხოვრების“ არაბულ ვერსიაში იგი ,,იბირ-ბ-ზ-ხუას“ სახელით იხსენიება, რაც, ნ. მარის მოსაზრებით, ,,იბერ სკუას“ დამახინჯებული ფორმაა. მას შემდეგ რაც კაპადოკიის ეკლესიის მეთაურმა ლეონტი კესარიელმა (დაახლ. 315–325) სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი სომეხთა ეპისკოპოსად აკურთხა, ქ. სებასტიის (ახლანდ. ქ. სივასი, თურქეთი) ეპისკოპოსს, პეტრეს, სთხოვა ეგრისის ეკლესიის მეთაურად ი. ძ. დაესვა ისე, ,,როგორც ამას საეკლესიო კანონი მოითხოვდა“. აგათანგელოსის სიტყვით, ,,ეს ქართველი“ იყო ,,ცხოვრების წესით სამაგალითო, ღვთისმოსავი, საეკლესიო წიგნთა მცოდნე“. იგი დიაკონი იყო, როცა ორმოც წამებულთა ნეშტი იპოვეს (ქ. კესარეის დუქსის ბრძანებით სებასტიელი ქრისტიანები 303 წ. 9 მარტის ყინვიან ღამეს შიშველები შერეკეს ტბაში და ასე დახოცეს, ძვლები კი დაწვეს და ნარჩენები დაამალეს, რათა ქრისტიანებს არ ეპოვათ. 3 დღის შემდეგ ქრისტიანებმა წამებულთა ძვლები იპოვეს და „დაჰკრძალეს ლუსკუმასა“).

40 სებასტიელი წამებულის თვითმხილველმა ი. ძ-მ ეგრისის ეკლესიის ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ ეგრისის დედაქალაქ ციხეგოჯში დაიდო ბინა, სადაც IV ს-შივე 40 სებასტიელი წამებულის სახელზე დიდი ზომის ერთნავიანი ბაზილიკა ააგო. რამდენჯერმე გადაკეთებული ეს ეკლესია დღესაც ძვ. სახელს ატარებს.

ლიტ.: გოილაძე ვ., ეგრისის ისტორიის ერთი ფურცელი, «მნათობი», 1988, №10; მისივე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991; Марр Н. Я., Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием, СПб., 1905.

ვ. გოილაძე.

იბერიული ანთროპოლოგიური ტიპი, საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპი. გამოყოფილია ქართველი ანთროპოლოგის მ. *აბდუშელიშვილის* მიერ (1964). ქართვ. ანთროპოლოგებმა შეისწავლეს საქართვ. ყველა ეთნ. და ტერიტ. ჯგუფი, შექმნეს თანამე-





„იბერია რეფრეშმენტსის“ პროდუქცია.

დროვე მოსახლეობის ანთროპოლ. კლასიფიკაცია და გამოყვეს ძირითადი ტიპები. ი. ა. ჭ. გავრცელებულია აღმ. საქართველოს მოსახლეობაში და წარმოდგენილია ორი ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვარიანტით. აღმ.-ქართული ვარიანტისათვის დამახასიათებელია მკვეთრად პროფილირებული სახე, ოდნავ დაწეული ცხვირის ფუძე და წვეტი, მცირე სიმაღლის ცხვირი, თმოვანი საფარველის უხვი განვითარება, ფართო შუბლი, სა-შუალო სიგანის თვალის ჭრილი, თხელი ზედა ტუჩი, ზედა ქუთუთოს ნაოჭის საშუალოზე მაღალი პროცენტი, საშუალო სიგანის სახე, თმის ზომიერად მუქი ფერი. ნიშანთა ეს კომპლექსი გვხვდება თეთრი წყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, წითელწყაროს, ხაშურის, გორის, კასპის, თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში. ნიშანთა გარკვეული კომპლექსით ხასიათდება აგრეთვე საქართვ. სამხრ. რეგიონებში მცხოვრები ჯგუფები. სამხრ.-ქართული ანთროპოლ. ვარიანტის დამახასიათებელი ნიშნებია: თმისა და წვერის უხვი განვითარება, დახვეწილი ყვრიმალები, მკვეთრად პროფილირებული სახე, სწორი შუბლი, ცხვირის მაღალი უნაგირი, ძირითადად ორთოქეილური ზედა ტუჩი, ფართო შუბლი, ხრტილოვან ნაწილში გამოდრეკილი ცხვირის ზურგი, დაშვებული ცხვირის წვეტი, დაბალი სახე და დაბალი ტანი. ნიშანთა ასეთი კომპლექსი ძირითადად ახასიათებთ მესხეთის, ჯავახეთის, ბოლნისის და ბორჯომის, აგრეთვე სოფ. სარფში მცხოვრებ ქართველებს (ლაზებს). აღმ.-ქართული და სამხრ.-ქართული ვარიანტები ანთროპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან, რაც მათი ერთ ტიპში გაერთიანების მორფოლოგიური საფუძველია. ი. ა. ჭ-ის გენეზისი, მ. აბდუშელი-შვილის მიხედვით, წინააზიური რასის ძირითადი სუბსტრატის კავკასიონის ტიპთან შერევის შედეგია. ამასთან აღმ.-ქართულმა ვარიანტმა განიცადა მეტი ცვლილება სამხრ.-ქართულ ვარიანტთან შედარებით. ამ უკანასკნელმა უფრო მეტად შეინარჩუნა წინააზიური ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ლიტ.: ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი მ., ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია, თბ., 1979; მ ი ს ი ვ ე, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964. *ლ. ბითაძე.*

იბერიული დამწერლობა გვიან-ანტიკური და შუა საუკუნეების ქართული და უცხოური ისტორიოგრაფია ერთმნიშვნელოვნად აღიარებს, რომ ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება – *იბერია* სამწერლობო ტრადიციის მქონე ქვეყანაა. სწორედ იბერიის პერიოდს ემთხვევა ლეონტი მროველისეული ცნობა ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ და ის პარალელს პოვებს იუდაისტურ, ბერძნ.-რომაულ, ბიზანტ. და სირიულ-აღმოსავლურ ისტორიოგრაფიაში მრავალი საუკუნის განმავლობაში (III–XVIII სს.) საყოველთაოდ გაზიარებულ ტოპოსთან იბერიელთა სამწერლობო ტრადიციის შესახებ. ეს ტოპოსი არის ერთ-ერთი რუბრიკა მსოფლიოს ხალხთა და ენათა კლასიფიკაციის პირველი ნუსხის, ე. წ. დიამერიზმებისა: Διαμερισμός, τῆς γῆς εἰς τοὺς τρεῖς υἱοὺς τοῦ Νῶε, tabula linguarum et populorum).

დიამერიზმები, როგორც სამყაროს ერთიანი, უნივერსალური ისტორიის ტოპოსი, ჩამოყალიბდა ახ. წ. I ს-ში (93) იოსებ ფლავიუსის საისტორიო თხზულებაში Ἰουδαικὴ Ἀρχαιολογία (იუდაებრივი სიძველენი). ამ სქემის მიხედვით რელიგიურ ისტორიოგრაფიაში გამორჩეული სტატუსით დაკანონდა ბიბლ. წარმომავლობის 72 ეთნოსი და ენა (იხ. შესაქმე 10, ნეშტთა I, 4–24). ახ. წ. 218–235 იპოლიტე რომაელისა და სექსტუს იულიუს აფრიკანუსის ქრონიკებში ბიბლ. 72 ეთნოსი და მათი ენები კლასიფიცირდა კულტურული ნიშნითაც, კერძოდ, სამწერლობო ტრადიციით: საკრალურ 72-ს ცალკე გამოეყო სემის, ქამისა და იაფეტის თხუთმეტი შთამომავალი, რ-თაც სამწერლობო ტრადიციები აქვთ, ანუ წერა-კითხვა იციან (οἱ ἐπιστάμενοι γράμματα, qui litterati sunt). III ს-იდან მოყოლებული, რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა მიხედვით, იაფეტის შთამომავალთაგან ხუთი სამწერლობო ტრადიციების მქონეა; მათგან თითქმის ყველგან პირველი ადგილი უკავიათ იბერებს (Ἴβηρες, ibirii, iberi), რ-ებიც სირიულ-აღმოსავლურ წყაროებში ზოგჯერ ჩანაცვლებულია ეთნონიმით: Gurzani, Georgii. მაგ., იპოლიტე რომაელის თანახმად: Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματά εἰσιν [Japhet]: Ἴβηρες, Λατινοι, οἷς χρῶνται οἱ Ῥωμαῖοι, Σπανοί, Ἕλληνες, Μῆδοι, Ἀρμένιοι [მათგან ისეთები, რ-თაც სამწერლობო ტრადიციები აქვთ, არიან (იაფეტისაგან): იბერები, ლათინები, რ-ებიც რომაელებად იწოდებიან].

იმავეს (სხვადასხვა ვერსიით) იმეორებს III–XVIII სს. თითქმის ყველა წყარო, რ-იც დიამერიზმების ამ მოდელს იყენებს, მ. შ. იულიუს აფრიკანუსის ქრონიკა, დიამერიზმების VII ს. ლათინური რედაქცია, IX ს. სირიული ვერსია, XI–XII სს. კონსტანტინოპოლელი პატრიარქის, ევტუხეს (Eutychios vel Saʾīd ibn Batrīk) რედაქცია და ა. შ.

ეს ტოპოსი იუდაისტურ ისტორიოგრაფიაშიც აისახა; III ს-იდან მოყოლებული *თალმუდის* ტექსტის განმარტებებში, ხელნაწერთა სქოლიოებსა თუ მინაწერებში სხვადასხვა ეგზეგეტიკურ საკითხებზე მსჯელობისას არაერთგზის დასტურდება ცნობა დამწერლობის მქონე ხალხთა (მ. შ. იბერიელების) შესახებ.

დიამერიზმებში დასახელებულ ნაკლებად ცნობილ ხალხთა, მ. შ. იბერიელთა, იდენტიფიკაციის საკითხები ინტენსიური კამათის საგანი იყო ევროპის სამეცნ. წრეებში XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში. ამ დისკუსიის ამსახველი სტატიები 10 წლის განმავლობაში იბეჭდებოდა თეოლოგიური ჟურნალის ,,Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft'' ფურცლებზე. ცნობილმა მეცნიერებმა – ს. კრაუსმა, გ. მიულენჰოფმა, ა. გუთშმიდმა, ს. პოზნანსკიმ, ზ. ბერგერმა, ვ. ბახერმა, მ. შტაინშნაიდერმა საგანგებო ნაშრომები მიუძღვნეს ამ საკითხებს. მათი თვალსაზრისი ი. ლ-ის სიძველის შესახებ საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ერთნი ამას შეუძლებლად მიიჩნევენ. მეორე ჯგუფმა, განსაკუთრებით ძვ. აღთქმის ცნობილმა მკვლევარმა ს. კრაუსმა, დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ იბერიელებისა და მათი დამწერლობის მოხსენიება ადრეულ ტექსტებში სრულიად კანონზომიერი იყო: ,,დიამერიზმების ანბანურ დამწერლობათა კატალოგებში იბერიული დამწერლობა ყველგან შეტანილია და საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპექტულ ენათა 15 დამწერლობას შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილასაა ნახსენები. [...] ჩვენ მიერ მიმოხილული წყაროები იმდენად სანდოა, რომ გაუმართლებელი ხდება ყოველგვარი ეჭვი იბერიელთა დამწერლობის ირგვლივ" (S. Krauß, 1906: 43–44).

გვიანანტიკურსა და შუა საუკუნეების ფართო ისტორიოგრაფიულ კონტექსტში III–XVIII სს. განმავლობაში ამ ტოპოსის უწყვეტად მოხსენიება იმის დასტურია, რომ ი. დ. ახ. წ. III ს-თვის იმდროინდელი კულტურული სამყაროსთვის კარგად ცნობილ რეალობას წარმოადგენს.

უწყვეტი და მკაფიო ისტორიოგრაფიული ტრადიციისაგან განსხვავებით, ი. დ-ის სანდო, უეჭველი იდენტიფიცირება არქეოლ. (ეპიგრაფიკული) მასალის საფუძველზე დღემდე მიღწეული არ არის.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. დამატება I: თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისთჳს, თბ., თაყაიშვილი ე., აპოკრიფული თხზულება, რომელიც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეულ ხელნაწერს, იხ. «ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე» ტ. 17, 1953; კეკელიძე კ., ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში, იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.1, თბ.,1956; Bacher W., Zur Zahl der biblischen Völkerschaften, (Maguar Zsido Szelme XI Budapest (1902), Bauer A. – R. Helm (edd.), Hippolytus: Chronicon (=Hippolytus: Werke IV), Leipzig. Brooks, Guidi, Chabot, 1955, Descriptio populorum et plagarum (De familiis linguarum), (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. vol. 6 Scriptores Syri, t. VI, Paris, deinde Louvain/Leuven, 1903); Gelzer H., Sextus Julius Africanus und die byzantinische Chronigraphie, Leipzig, 1894; Gutschmid A., Untersuchungen über den Διαμερισμὸς τῆς γῆς und andere Bearbeitungen der Mosaischen Völkertafel, იხ. Gutschmid A.: Kleine Schriften V, Leipzig. Dillmann A., Das Buch der Jubileen oder die kleine Genesis, Tübingen. Doborjginidze N., Christian Historiography and the Topos of Fifteen Literary Languages (Evidence on the Iberian Script, «The Kartvelologist» (13)- Journal of Georgian Studies, Tbilisi; Krauß S., Die Zahl der biblischen Völkerschaften, («Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft», (ZAW) 19, Gießen). Krauß S., («Zur Zahl der biblischen Völker, ix. Zeitschrift für (die alttestamentliche Wissenschaft», (ZAW) 20, 26, Gießen). Lagarde Paul de, Praetermissorum libri duo, Göttingen; Lagarde Paul de, Biblische Völker, (Die Goettingischen gelehrten Anzeigen, Bd. 4, Göttingen, Mommsen Th., Über den Chronographen vom Jahre 354, («Abhandlungen der Philologisch-historischen Classe der Königlich Sächsischen Gesellschaft der Wissenschaften», Leipzig, (1850); Müllenhoff P., Die römische Weltkarte und Chronographie, (Deutsche Altertumskunde, III. Berlin 1892); Nestle E., Die Schreibkundigen Völker von Genesis 10, («Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft (ZAW) 25, Gießen). Poznański S., Zur Zahl der biblischen Völker, («Zeitschrift für die alttestamentliche Wissenschaft», (ZAW) 24, 1904; Gießen).

ნ. დობორჯგინიძე.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, მეცნიერული თეორია იბერიულ-კავკასიურ ენათა (იხ. *იბერიულ-კავკასიური ენები*) სტრუქტურის, ისტორიისა და გენეზისის შესახებ. იბერიულ-კავკ. ენათა მიმართ ინტერესი თვალსაჩინო ხდება XVIII ს. II ნახ-იდან. პირველი ცნობები ამ ენათა შესახებ უკავშირდება ი. *გიულდენშტედტის* სახელს. მის ,,მოგზაურობათა'' II ტომში (1791) წარმოდგენილია როგორც ქართველური ენების (ქართული, მეგრული, სვანური), ისე მთის კავკ. ენების (აფხაზური, ყაბარდოული, ჩაჩნურ-ინგუშურ-თუშური, ხუნძური, ანდიური, დიდოური, დარგუული და ლაკური) ლექსიკური მასალა (გაბმული ტექსტები). ლექსიკური შედარებების საფუძველზე ამ ენებში მან გამოყო საერთო წარმომავლობით დაკავშირებულ ენათა ოთხი ჯგუფი: 1. ქართული, მეგრული, სვანური; 2. ჩაჩნური, ინგუშური და თუშური (=ბაცბური); 3. ხუნძურ-დიდოური და დარგულ-ლაკური; 4. ყაბარდოული და აფხაზური. თვით ჯგუფებს შორის ნათესაობის საკითხს ი. გიულდენშტედტი არ შეხებია.

მთის კავკ. ენების (ხუნძურისა და ყაბარდოულის) პირველი, მოკლე და საკმაოდ ზერელე გრამატ. მიმოხილვა ეკუთვნის ჰ. *კლაპროთს* (1814), მაგრამ ეს ნაშრომი, ლინგვისტური თვალსაზრისით, არსებითად მოკლებულია რაიმე მეცნიერულ ღირებულებას. XIX ს. I ნახ-ში შეიქმნა გრამატ. ნაშრომები მთის კავკ. ენათა – ადიღეურის (1835–40), უდიურისა (1845) და ბაცბურის (1848) – შესახებ, მაგრამ ეს ნაშრომები თავის დროზე არ გამოქვეყნებულა. კავკ. ენათა ნამდვილი მეცნ. ანალიზი იწყება გერმ. მეცნ. გ. როზენის შრომებით. როზენი ძირითადად ეხებოდა ქართველურ ენებს (მან პირველმა შეისწავლა ჭანური), მაგრამ იქვე წარმოადგინა აფხ. ენის მოკლე გრამატ. მიმოხილვაც, რ-შიც მრავალი საყურადღებო დაკვირვება აქვს გამოთქმული. მან პირველმა მიუთითა აფხ.-ადიღურ და იბერიულ (ქართველურ) ენათა საერთო წარმომავლობაზე.

მთის კავკ. ენათა შესწავლის შემდეგი ეტაპები დაკავშირებულია ა. შიფნერის, პ. *უსლარის,* რ. *ერკერტის,* ა. *დირის* მოღვაწეობასთან. მათ დიდი როლი ითამაშეს ამ ენათა კვლევაში. ინტერესს იბერიულ-კავკ. ენათა მიმართ გასული საუკუნიდანვე იჩენდნენ რუსი და უცხოელი ენათმეცნიერები (ჰ. *შუხარდტი,* ა. სომერფელტი, კ. ჰ. *შმიდტი,* გ. *დეეტერსი,* ჟ. *დიუმეზილი,* კ. *ბოუდა,* ჰ.*ფოგტი,* ი. მესაროში, ს. ბიხოვსკაია, ა. ბოკარევი, ე. ბოკარევი, ა. ჰენკო, ლ. ჟირკოვი, ნ. იაკოვლევი, გ. *კლიმოვი* და სხვ.). 1950-იდან აღნიშნულ ენათა კვლევაში განსაკუთრებით ინტენსიურად ჩაებნენ ადგილ. კადრები, რ-თა უმეტესობას განათლება თსუ-ში აქვთ მიღებული. ეს ენები დღეს უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (აშშ, გერმანია, ინგლისი, ნორვეგია, საფრანგეთი, ჰოლანდია და სხვ.) შეისწავლება.

თსუ-ს დაარსებიდანვე ,,თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკ. ენებისა და მახლობელი აღმოსავლეთის ენების შესწავლა ჰქონდა დასახული'' (ივ. ჯავახიშვილი). საფუძველი ჩაეყარა მთის იბერიულ-კავკ. ენათა სისტემ. კვლევას ადგილზე: ა. *შანიძე* სწავლობდა წოვა-თუშურს, ს. *ჯანაშია* – აფხაზურსა და ადიღურს, არნ. *ჩიქობავა* – ხუნძურს, ვ. *თოფურია* – ლაკურს. არნ. ჩიქობავამ თსუ-ში კავკ. ენათა კათედრა დააარსა (1933), ხოლო ენათმეცნ. ინ-ტში მთის იბერიულ-კავკ. ენათა განყ-ბა ჩამოაყალიბა (1936) და საქართველოში, იბერიულ-კავკ. ენათა კავკასიოლოგიური სხვა ცენტრებისგან (მოსკოვი, ლენინგრადი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩაჩნეთი და ინგუშეთი, აფხაზეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ადიღე, აზერბაიჯანი) განსხვავებით, მთის იბერიულ-კავკ. ენათა ყოველი ქვეჯგუფის ენების შესწავლა დაიწყო. სწორედ უპირველესად აქ ჩატარებული გეგმაზომიერი კვლევა-ძიების შედეგად ი.-ჰ. ე. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეცნ. დისციპლინად.

შესწავლილია მთის იბერიულ-კავკ. ენათა ცალკეული ენები და დიალექტები (ქართველურ ენათა შესახებ იხ. *ქართველოლოგია, ქართველური ენები*). ქ. *ლომთათიძეს* ეკუთვნის მონოგრაფიები: ,,აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი'' (1944), ,,აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის'' (1954); გამოქვეყნებულია ხ. *ბღაჟბას* ,,აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი'' (1964), მ. ციკოლიას ,,აფხაზური ენის აბჟუური დიალექტი'' (1969), ლ. ჭკადუას ,,დროთა და ძირითად მოდალურ წარმოებათა სისტემა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში'' (1970)

და სხვ. გამოცემულია ბ. ჯანაშიას ,,აფხაზურ-ქართული ლექსიკონი'' (1954), ქართვ. და აფხ. ენათმეცნიერთა წერილები აფხ. ენის შესახებ. დაიბეჭდა გ. *როგავას* (თანაავტ. ზ. კერაშევა) ,,ადიღეური ენის გრამატიკა'' (1966). აფხ.-ადიღ. ენათა სტრუქტურისა და ისტორიის ცალკეულ საკითხებს ეძღვნება გ. როგავას ,,სახელის ფუძის აგებულება და გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში'' (1956) და ,,ორგანული და ნივთიერი კუთვნილების კატეგორია ადიღეურ ენაში'' (1980), ქ. ლომთათიძის ,,ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში'' (1982), თ. გვანცელაძის ,,ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოების ძირითადი პრინციპები აფხაზურსა და აბაზურ ენებში'' (1991); ს. ჯანაშიას, გ. როგავას, ქ. ლომთათიძის, ვ. შენგელიას, რ. ჯანაშიას, თ. გვანცელაძის, ნ. მაჭავარიანის, ი. შადურისა და სხვ. ნაშრომები.

ნახურ ენათა სტრუქტურას ეხება მონოგრაფიები: ,,ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა'' (კ. ჭრელაშვილი, 1975), ,,ნახური ჯგუფის ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი'' (დ. იმნაიშვილი, 1977); გამოიცა დ. და ნ. ქადაგიძეების ,,წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი'' (1984); ასევე თ. გონიაშვილის, რ. გაგუას, ლ. სანიკიძის, ბ. შავხელიშვილის, რ. ფარეულიძის, მ. ჩუხუას და სხვათა წერილები.

დაღესტნურ ენათაგან ცალკე ენებისა თუ დიალექტების მთლიანი მიმოხილვაა მოცემული მონოგრაფიებში: ,,ხუნძური ენა'' (არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, 1962), ,,ანდიური ენა'' (ი. ცერცვაძე, 1965), ,,ბოთლიხური ენა'' (1963) და ,,ბაგვალური ენა'' (ტ. *გუდავა*, 1971), ,,ახვახური ენა'' (1967) და ,,კარატაული ენა'' (ზ. მაჰომედბეკოვა, 1971), ,,დიდოური ენა ჰინუხურ და ხვარშიულ ენებთან მიმართებაში'' (დ. იმნაიშვილი, 1963), ,,დიდოური ენის ჰინუხური დიალექტი'' (1963), ,,ხვარშიული ენა, II. ფონეტიკა'' (ე. ლომთაძე, 1998), ,,კუბაჩური ენა'' (1963), ,,თაბასარანული ენა'' (1965), ,,აღულური ენა'' (1970) და ,,დარგუული ენის მეჰებური დიალექტი'' (ა. მაჰომეტოვი, 1982); ,,უდიური ენა'' (1971), ,,წახური და მუხადური ენები'' ორ წიგნად: I. ფონეტიკა, II. მორფოლოგია (ე. ჯეირანიშვილი, 1984); ,,უდიურის გრამატიკული ანალიზი'' (ვ. ფანჩვიძე, 1974); ,,არჩიბული ენა და მისი ადგილი დაღესტნურ მონათესავე ენათა შორის'' (ო. კახაძე, 1979). დაღესტნურ ენათა ცალკეულ საკითხებს ეძღვნება: ,,ზმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი ხუნძურსა და ანდიურ ენებში'' (1959), ,,ანდიურ ენათა კონსონანტიზმი'' (1964) და ,,დიდოურ ენათა კონსონანტიზმის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი'' (ტ. გუდავა, 1979); ,,ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები'' (1959), ,,ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში'' (გ. თოფურია, 1994), ,,დარგუული ენის ფონეტიკა'' (შ. გაფრინდაშვილი, 1968), ,,დაღესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკა'' (ბ. გიგინეიშვილი, 1978), ,,არსებით სახელთა მრავლობითის წარმოება დარგუულსა და ლაკურში'' (ლ. ღვინჯილია, 1978), ,,თანხმოვანთა შეთავსებადობის საკითხები ხუნძურ ენაში'' (ნ. ბარნოვი, 1983), ,,გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში'' (ო. კახაძე, 1984), ,,სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში'' (1984), ,,დიდოურ ენათა ვოკალიზმის დიაქრონიული ანალიზი'' (1994), ,,სახელის მორფონოლოგიური კატეგორიები ბეჟიტურ ენაში'' (1996), ,,ზმნა და ნაზმნარი სახელები ბეჟიტურ (ბეჟიტურ-ჰუნზიბურ) ენაში'' (ე. ლომთაძე, 2000); ,,ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურში'' (1986), ,,ლაკური ზმნა'' (1987), ,,ზმნური სიტყვათწარმოება ლაკურ ენაში'' (გ. ბურჭულაძე, 1993). გარდა ამისა, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას გზამკვლევ სტატიებში, ნ. არდოტელის, ი. გუდავას, ტ. გურგენიძის, ბ. კიკვიძის, ვ. კიკილაშვილის, ტ. სიხარულიძის, ზ. ჯაფარიძისა და სხვ. წერილებში გამოკვლეულია ზოგიერთი დაღ. ენის ფონეტიკა-მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ლექსიკის კონკრ. საკითხები.

იბერიულ-კავკ. ენათაგან ქართულის სხვა ენებთან გენეზისური ურთიერთობის საკითხი სპეც. ლიტრაში პირველად მ. *ბროსემ* წამოჭრა (1834) და ქართული მიაკუთვნა ინდოევრ. ენათა ოჯახს, ფ. *ბოპმა* კი ქართულთან ერთად სხვა ქართველური ენებიც აქ გააერთიანა (1846–47). მ. მიულერმა (1854–55) ქართველური და, საერთოდ, კავკ. ენები ურალურ-ალთაურ ენებს დაუკავშირა. 1864 ფრ. მიულერმა და პ. უსლარმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, იბერიულ-კავკ. ენები ცალკე ოჯახად გამოყვეს. ნ. *მარმა* ისინი სემიტურ ენათა მონათესავედ მიიჩნია: თავდაპირველად იაფეტურ შტოდ ჩათვალა, ხოლო შემდეგ (1916) – ცალკე ოჯახად. უფრო გვიან (1920-იდან) ნ. მარი იაფეტურ ენებს უკავშირებდა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის მკვდარ ენებსა და ცოცხალ ბასკურს, 1923-იდან კი მან საერთოდ უარყო ენათა გენეტ. ნათესაობა (იხ. *იაფეტური ენები, იაფეტური თეორია*). ნ. ტრუბეცკოი უარყოფდა ქართველურ ენათა მთის იბერიულ-კავკ. ენებთან ნათესაობას (1924). ნ. მარმა ადრევე (1926) შენიშნა, რომ ქართველურ ენათა მყარი მეცნ. კვლევა წარმოუდგენელია ,,მთის ყველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავლის გარეშე''. Ი.-ჰ.ე-ის ცენტრ. პრობლემას, იბერიულ-კავკ. ენათა შიდანათესაობას მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის ,,ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა'' (1937). ამ ენათა მორფოლ. სტრუქტურის კვლევის შედეგად ავტორი ასკვნის: ქართველური და მთის იბერიულ-კავკ. ენები ისტორიულად ახლომონათესავე ენები ყოფილან, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში დასცილებიან ერთმანეთს. მართლაც, იბერიულ-კავკ. ენათა ამ მიმართულებით შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ,,ერთობა აქ დადასტურდა, სადაც ახლა ყველაზე დიდი სხვაობა გვაქვს ... რაც უფრო შორს ვიხედებით წარსულში, მით უფრო მეტია საერთო'' (არნ. ჩიქობავა). მართალია, გენეტ. ნათესაობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი – რეგულარული სახის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობანი – იბერიულ-კავკ. ენებში ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი, მაგრამ ცალკეული ჯგუფთაშორისი ძიებანი ამ მიმართულებითაც ტარდება (ნ. ტრუბეცკოი, ტ. გუდავა, ქ. ლომთათიძე). ასეთი ძიებისას, კონკრეტულად და საზოგადოდ იბერიულ-კავკ. ენათა კვლევისას, ერთი საერთო სახის სიძნელე იჩენს თავს: ყოველი მათგანი, გარდა ქართულისა, მოკლებულია საკუთარ წერილობით ძეგლებს – ენის ისტ. ერთ-ერთ უპირველეს წყაროს. ამდენად, ისტ.-შედარებითი კვლევა აქ შეზღუდულია და, ბუნებრივია, ვერ გვაძლევს იმ შედეგებს, რასაც, მაგ., ინდოევრ. ენათა შესწავლა (არნ. ჩიქობავა).

ამას გარდა, იბერიულ-კავკ. ენათა შორის ბგერათშესატყვისობათა დადგენის დროს ამ ენათა სხვა თავისებურებების გათვალისწინებაცაა საჭირო. ასე, მაგ., აფხ.-ადიღ. ენათაგან, რ-თა ნათესაობას არავინ უარყოფს, აფხაზურსა და აბაზურში ერთი რიგის თანხმოვანთა შორის უდავოდ დასტურდება ,,კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა, მაგრამ იგი არარეგულარული ხასიათისაა... მოიცავს თითო ან, საუკეთესო შემთხვევაში, ორ-ორ ძირეულ ერთეულს'' (ქ. ლომთათიძე). ეს კი ძირითადად შეპირობებულია იმით, რომ იბერიულ-კავკ. ენები ფონოლოგიური სისტემის მიხედვით საზოგადოდ მრავალთანხმოვნიანია (მაგ., ინდოევრ. ენათა ორი ათეული თანხმოვნის ნაცვლად აქ ზოგჯერ 80-მდეა), ხოლო ძირთა შედგენილობით – ერთთანხმოვნიანი (ქ. ლომთათიძე). იმავე დროს, არნ. ჩიქობავას აზრით, გასათვალისწინებელია, რომ იბერიულ-კავკ. ენათა შორის, დივერგენციის პროცესთან ერთად ძალზე ძლიერია კონვერგენციული მოვლენებიც (,,კავკასია – ენათა მთა'') და სხვ. კვლავ ძალაშია ისტ. ენათმეცნიერების გადაუდებელი ამოცანა, რ-იც ა. მეიემ ამ 100-ზე მეტი წლის წინ დასახა, – იბერიულ-კავკ. ენათა ისტ.-შედარებითი გრამატიკის შექმნა, რასაც, არნ. ჩიქობავას აზრით, უნდა მოჰყვეს ამ ენათა საერთო ძირების ისტ. ლექსიკონის შედგენა. ამ ძირითადი ამოცანების გადაჭრის შემდეგ შესაძლებელი გახდება იბერიულ-კავკ. ენათა შორის რეგულარული სახის კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა დადგენა. ამას უნდა მოჰყვეს იბერიულ-კავკ. ენათა გარენათესაობის მტკიცება. უკვე დაწყებულია იბერიულ-კავკ. ენებთან წინა აზიის ძვ. არაინდოევროპული და არასემიტური ენებისა (პროტოხეთური, ხურიტული, ურარტული) და ბასკურის ისტ.-გენეტ. ურთიერთობის საკითხთა კვლევა.

იბერიულ-კავკ. ენათა ისტორიისა თუ ცალკეული ჯგუფების შესახებ გამოქვეყნებულია განმაზოგადებელი სახის შრომები: ,,იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია'' (1965) და ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი'' (არნ. ჩიქობავა, 1979); ,,აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები'' (ქ. ლომთათიძე, 1976), ,,კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში'' (ნ. ანდღულაძე, 1968). 1977 საქართვ. მეცნ. აკად. ენისა და ლიტ-რის განყ-ბასთან ჩამოყალიბდა ბასკური ენისა და კულტურის საზ-ბა. 1976 თსუ-ში ახ. ქართ. ენის კათედრაზე დაიწყეს მუშაობა ბასკური ენის პრობლემებზე, გამოქვეყნდა მონოგრაფიები: ,,ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა'' (არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქტორობით, 1976), შ. ძიძიგურის ,,ბასკურ-კავკასიური პრობლემა'' (1981) და ,,ბასკები და ქართველები'' (1978, ქართ. ენაზე, 1982 – რუს. ენაზე), ნ. მარის ,,ბასკურ-კავკასიური ლექსიკური პარალელები'' (1987, რუს. ენაზე), ი. ზიცარის ,,რეკონსტრუქციები ბასკური ენის სფეროებში'' (1987, რუს. ენაზე). გ. წერეთელმა გამოაქვეყნა ნაშრომი ,,საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები'' (1939); 1982 გამოვიდა ვ. გვახარიას ,,ზმნა და სახელი ურარტულში''. თ. გამყრელიძემ გამოიკვლია არაინდოევრ. ელემენტები ხეთურ-ნესიტურში (1956). მიმდინარეობს სხვა ენებთან ქართველურ ენათა უძველესი კონტაქტების კვლევა. გამოვლენილია ლექსიკური შეხვედრები წინა აზიის ძვ. ენებთან – ურარტულთან (გ. მელიქიშვილი), ხეთურთან (გ. გიორგაძე).

ასეთი მუშაობის შედეგად თბილისი იბერიულ-კავკ. ენათა კვლევა-ძიების ცენტრად იქცა, ხოლო თსუ უკვე 65 წელზე მეტია, ქართველურ ენათა სპეციალისტებთან ერთად, ზრდის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტებს, რ-ებიც წარმატებით მუშაობენ არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფ. საბჭოთა კავშირის ყველა კავკასიოლოგიურ ცენტრში. არნ. ჩიქობავას ინიციატივით 1965-იდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იბერიულ-კავკ. ენათა შესწავლის რომელიმე ცენტრში ტარდებოდა ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა რეგიონალური სამეცნ. სესიები (1991-მდე ჩატარდა 13 სესია, ხოლო 1991 თბილისში გაიმართა კავკასიოლოგთა საერთაშ. სიმპოზიუმი), რ-ებიც იბერიულ-კავკ. ენათა შესწავლის სხვადასხვა საკითხს ეძღვნებოდა. საქართვ. მეცნ. აკადემიის გრიფით 1974-იდან გამოდიოდა საერთაშ. ორგანო *«იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული»*. იბერიულ-კავკ. ენათა ისტ.-შედარებითი კვლევა არ არის თვითმიზანი – იკვლიოს და დაადგინოს მხოლოდ ამ ენათა გენეტ. ნათესაობა. მათი შესწავლა უპირველესად კავკასიის ხალხთა, მ. შ. ქართვ. ერის, მეცნ. ისტორიის დადგენითაა ნაკარნახევი (პ. უსლარი, ი. ჯავახიშვილი). იბერიულ-კავკ. ენათა კვლევა მეტად აქტუალურია ზოგადენათმეცნ. თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით ფასეულია ამ ენათა მონაცემები თანამედროვე ტიპოლ. კვლევისას.

ლიტ.: «იკვ», I–XXXIV, თბ., 1946–2000; «იკვწ», I–XXI, თბ., 1974–94; ქ უ რ დ ი ა ნ ი მ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბ., 2007; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979; ჩ უ ხ უ ა მ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2008; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგ. 2 – ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; Б о к а р е в Е. А., К л и м о в Г. А., Иберийско-кавказские языки, წგ.: Языки народов СССР, т. 4. Иберийско-кавказские языки, М., 1967; К л и м о в Г. А., Введение в кавказское языкознание, М., 1986; Л о м т а т и д з е К. В., К вопросу о закономерном и регулярном характере звуковых соответствий. – «იკვწ», IX, თბ., 1982; M a r r Н. Я., Кавказоведение и абхазский язык, იხ. მისი: Избранные работы, т. I. Этапы развития яфетической теории, Л., 1933; Материалы по яфетическому языкознанию, I–XII, Л., 1910–25; B o u d a K., Introducción a la lingüistica Caucasica, «Acta Salmanticensía. Filosofía y letras». Universidad de Salamanca, 1960, t. XV, № 1; D e e t e r s G., Die kaukasischen Sprachen, «Handbuch der Orientalistik», Bd. 7, Leiden – Köln, 1963; D i r r A., Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Lpz., 1928.

გ. ბურჭულაძე.

,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება'', არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ორგანო. გამოდის 1946-იდან. გამოცემულია 44 ტომი (2016). 2008-იდან მთ. რედ. ვ. *შენგელია.* იბეჭდება (ქართ. და უცხ. ენებზე) როგორც აღწერითი, ისე ისტ.-შედარებითი ხასიათის წერილები თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველური და მთის იბერიულ-კავკ. (აფხ.-ადიღ., ნახური, დაღესტნური) ენების ფონეტიკის, გრამატ. სტრუქტურის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიის საკითხებზე; ქვეყნდება დიალექტოლოგიური სახის ტექსტები და ლექსიკური მასალა. ,,0.-ჰ. ე-ში'' წარმოდგენილია აღნიშნულ ენათა ტიპოლ. კონტაქტის საკითხები სხვა წარმომავლობის ენებთან. იბეჭდება იბერიულ-კავკ. ენათა სფეროში გამოცემულ შრომათა რეცენზიები,

საენათმეცნიერო ცხოვრების ამსახველი ქრონიკები. *გ. ბურჭულაძე.*

,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფელიფლეული“, კავკასიისმცოდნე ენათმეცნიერთა სამეცნიერო ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1974-იდან; ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკადემია და სარედაქციო კოლეგია, რ-შიც შედიოდნენ ცნობილი ენათმეცნიერები იბერიულ-კავკ. ენათა შესწავლის სხვადასხვა სამეცნ. ცენტრიდან. ,,ი.-ჰ. ე. ფ-ის“ დაარსების ინიციატორი და მისი მთ. რედაქტორი იყო არნ. ჩიქობავა, რ-ის რედაქტორობითაც გამოცემულია I–XIV ტომები (1974–87). 1988–94 გამოვიდა XV–XXI ტომები (XVI ტ-იდან რედ. – ქ. ლომთათიძე). 2002 გამოვიდა XXII ტ., რ-ის შემდეგაც ჟურნალის გამოცემა შეწყდა. ჟურნალი ძირითადად ემყარებოდა იმ საენათმეცნიერო კონცეფციასა და პრინციპულ დებულებებს, რ-ებიც საფუძვლად ედო ამ ორგანოს წინამორბედ «ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეულს» (1923–24 გამოვიდა მხოლოდ გაერთიანებული 1–2 ტომი). ,,ი.-ჰ. ე. ფ-ში“ იბეჭდებოდა წერილები ლინგვისტური თეორიის, იბერიულ-კავკ. ენათა სტრუქტურისა და ისტორიის, ენობრივი კონტაქტების, ბასკურ-კავკ. ენათა ურთიერთობის თაობაზე; ქვეყნდებოდა რეცენზიები და ბიბლიოგრ. სახის მიმოხილვები, ინფორმაციები სხვადასხვა სამეცნ. ცენტრში იბერიულ-კავკ. ენათა შესწავლის შესახებ, იბერიულ-კავკ. ენათა სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილ რეგიონალურ სამეცნ. სესიათა ანგარიშები, პერსონალია. სტატიები იბეჭდებოდა ქართ., რუს., ინგლ. და გერმ. ენებზე. ,,ი.-ჰ. ე. ფ-ის“ ავტორები იყვნენ არა მარტო ქართვ. სპეციალისტები, არამედ უცხოელი ენათმეცნიერებიც. ჟურნალი საერთაშ. მნიშვნელობის ერთ-ერთი სერიოზული ლინგვ. პერიოდული გამოცემა იყო. *გ. ბურჭულაძე.*

იბერიულ-კავკასიური ენები, კავკასიაში კომპაქტურად დასახლებულ ხალხთა ენების ყველაზე დიდი ჯგუფი, რ-იც მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს ქმნის. მასში ოთხ ჯგუფს გამოყოფენ: 1. იბერიული (ანუ ქართველური) ჯგუფი – ქართული, ზანური (კოლხური), ანუ მეგრულ-ჭანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური; 2. აფხაზურ-ადიღური (ანუ აფხაზურ-ჩერქეზული) ჯგუფი – აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული და უბიხური; 3. ნახური, ანუ ჩაჩნური ჯგუფი – ჩაჩნური, ინგუშური და წოვა-თუშური (ანუ ბაცბური); 4. დაღესტნური ჯგუფი – ა) ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი – ხუნძური, ანდიური, ბოთლიხური, ღოდობერიული, კარატაული, ჭამალალური, ტინდიური, ბაგვალალური, ახვახური, დიდოური, ჰინუხური, ხვარშიული, კაპუჭური (ანუ ბეჟიტური), ჰუნზიბური; ბ) ლაკურ-დარგუული ქვეჯგუფი – ლაკური, დარგუული; გ) ლეზგიური ქვეჯგუფი – ლეზგიური, თაბასარანული, აღულური, წახური, მუხადური (რუთულური), უდიური, ბუდუხური, კრიწული, ხინალუღური, არჩიბული. ყველა ეს ენა (სულ 37), გარდა უბიხურისა, გავრცელებულია კავკასიის მიწა-წყალზე, ხოლო უბიხები 1864 სოჭი-ადლერის მიდამოებიდან მთლიანად გადაასახლეს თურქეთში. დღეს მათი ენა გაქრობის პირასაა.

ენათა ამ ოჯახის აღსანიშნავად სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელწოდება გამოიყენებოდა – პალეოკავკასიური, იაფეტური, ალაროდიული, ქართულ-შარომატიული. ამჟამად კი ძირითადად ორი ტერმინია დამკვიდრებული – იბერიულ-კავკ. ენები და კავკ. ენები. პირველს ის უპირატესობა აქვს, რომ იგი გარკვევით შემოსაზღვრავს იმ წრეს ენებისას, რ-ებიც არ არის მხოლოდ კავკასიაში გავრცელებული – ინდოევროპულ (სომხური, ოსური, თალიშური, ქურთული), თურქულ (აზერბაიჯანული, ყუმუხური, ყარაჩაული, ბალყარული, ნოღაური) და სემიტურ (ასურული) ენებს. ამდენად, ტერმინი ,,იბერიულ-კავკასიური ენები“ საშუალებას იძლევა ენათმეცნ. ცნება ,,კავკასიური ენები“ გაიმიჯნოს გეოგრ. ცნებისაგან ,,კავკასიის ენები“. ყველა ეს ენობრივი ჯგუფი, გარდა ქართველურისა, ერთიანდება ტერმინით – მთის იბერიულ-კავკ. ენები ან უფრო მოკლე ფორმით – მთის კავკ. ენები. მისი სინონიმია ჩრდილოკავკ. ენები, რ-საც უპირისპირდება ქართველური ენების აღმნიშვნელი – სამხრეთ კავკ. ენები.

ი.-ჰ. ე. წარმოდგენილია 12 სამწერლობო და 25 უმწერლობო ენით. დამწერლობის მქონე ენები: ქართული, აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, ჩაჩნური, ინგუშური, ხუნძური, ლაკური, დარგუული, ლეზგიური, თაბასარანული. ამ ენათაგან უძველესი დამწერლობა აქვს მხოლოდ ქართ. ენას, ხოლო დანარჩენი ახალდამწერლობიანი ენებია, რ-თა უმრავლესობის დამწერლობა (ანბანი) XX ს. 20-იან წლებში შეიქმნა თავდაპირველად ლათ. გრაფიკის საფუძველზე, ხოლო შემდეგ (1938-იდან) ლათინური რუს. გრაფიკით შეიცვალა; უფრო ადრე კი XIX ს. II ნახ-ში, რუს. გრაფიკის საფუძველზე და ცალკეული ქართ. ასოებისა და დიაკრიტიკული ნიშნების დამატებით რუსმა ენათმეცნიერმა პ. *უსლარმა* (1816–75) დაამუშავა აფხაზური, ჩაჩნური, ხუნძური, ლაკური, დარგუული, ლეზგიური და თაბასარანული ენების ანბანები. იყო ცალკეული მცდელობა, მთის კავკ. ენებისათვის გამოეყენებინათ არაბ. დამწერლობა, მაგრამ უშედეგოდ. დაღესტნურ ენათა ახ. ანბანების შექმნის პროცესი დღესაც გრძელდება. სულ რამდენიმე წელია (1990-იდან), რაც დამუშავდა ანბანები აღულური, რუთულური და წახური ენებისათვის. სინას მთაზე ახალაღმოჩენილი ალბანური ტექსტი (იხ. *ალბანური დამწერლობა*) საფუძველს იძლევა, ძვ. ალბანური ენა დაუკავშირდეს ლეზგიური ქვეჯგუფის ენებს, კერძოდ უდიურ ენას, მაგრამ ეს დამწერლობა VIII ს-იდან გაქრა. კავკასიურ, კერძოდ, ლეზგიურ ენათა თანამედროვე დამწერლობები ახალშექმნილ ანბანებს ემყარება.

ი.-ჰ. ე-ს ბევრი რამ აქვთ საერთო როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, ისე სინტაქსსა და ლექსიკაში, მაგრამ მნიშვნელოვანია სხვაობაც. ამიტომაც ამ ენათა გენეტ. ნათესაობის პრობლემა დღესაც დისკუსიის საგანია (იხ. *ქართველური ენები*). გამოსაკვლევია იბერიულ-კავკ. ენათა გარე ნათესაობის საკითხიც სხვა ენებთან.

ლიტ. იხ. სტ-თან *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.* *გ. თოფურია.*

იბნ აბდ ალ-ზაჰირი (1223, კაირო, – 1292, იქვე), არაბი ისტორიკოსი. ცხოვრობდა ეგვიპტეში მამლუქი სულთნების – ბეიბარსის, კალავუნის და ხალილის – დროს, იყო მათი პირადი მდივანი. ეკუთვნის რამდენიმე ისტ. თხზულება, მ. შ. ავტორია ერთი დღიურისა, რ-შიც აღწერა ბეიბარსის ლაშქრობა მცირე აზიაში 1277 და ეპისტოლეს სახით გაუგზავნა ეგვიპტის ვეზირს. ეს დღიური სრული სახით შემოგვინახა *ალ-კალკაშანდიმ.* მასში სხვა ამბებთან ერთად

მოთხრობილია ბეიბარსის საზეიმო შესვლა რუმის სასულთნოს სატახტო ქალაქ კაისერიში, სადაც მედრესეები, ხანაგები და რიბატები მოფენილი იყო ქართული ნოხებით.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ქართული ნოხების ექსპორტის შესახებ XII საუკუნეში, კრ.: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ., 1991. *გ. ჯაფარიძე.*

იბნ ალ-ადიმი ქემალ ალ-დინ აბუ ლ-კასიმ (1192, ჰალაბი, – 1262, კაირო), არაბი ისტორიკოსი, ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი. ავტორია მრავალი თხზულებისა, რ-თაგან მნიშვნელოვანია მშობლიური ჰალაბის ისტორია ძველი დროიდან 1243-მდე (,,ზუბდათ ალ-ჰალაბ ფი თარიხ ჰალაბ''). ნაშრომში არის საინტერესო ცნობები ქართველებისა და საქართველოს შესახებ. 0. ა.-ა. მოგვითხრობს მანციკერტის (მანასკერტი) ბრძოლაში (1071) ქართველთა მონაწილეობაზე, გვაწვდის დიდგორის ბრძოლის (1121) ახალ ვერსიას, ეხება XIII ს. დასაწყისში საქართველო-აიუბიდთა ურთიერთობებს.

ლიტ.: კუტალია გ., ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ, «საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე», 1974, ტ. 74, № 2. *გ. ჯაფარიძე.*

იბნ ალ-ასაქირი ალი იბნ ალ ალ-ლაჰ (1105, დამასკი, – 25. I. 1176, იქვე), არაბი ისტორიკოსი. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან მთავარია ,,ქალაქ დამასკის ისტორია'' (,,თარიხ მადინა დიმაშქ'') 80 ტომად (გამოცემულია მხოლოდ ნაწილი). თხზულებაში მოცემულია დამასკის ისტ. ტოპოგრაფია და იმ პირების ბიოგრაფიები, რ-ებიც დაკავშირებულნი იყვნენ დამასკთან, მ. შ. დასახელებულია რამდენიმე მუსლიმი მოღვაწე ალ-თიფლისის ნისბით.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII–XIV საუკუნეებში, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 4; 1990, №1. *გ. ჯაფარიძე.*

იბნ ალ-ასირი აბუ ლ-ჰასან ალი (12. V. 1160, ჯაზირათ იბნ უმარი, – 1234, მოსული), არაბი ისტორიკოსი. ავტორია რამდენიმე კაპიტალური ნაშრომისა, რ-თაგან მნიშვნელოვანია თხზულება ,,სრული ისტორია'' (,,თარიხ ალ-ქამილი''), 12 ტომად. თხრობა იწყება სამყაროს გაჩენიდან და გრძელდება 1231-მდე. ნაშრომის დიდი ნაწილი კომპილაციურია. ჩვენთვის საინტერესოა ნაშრომის ორიგინ. ნაწილი (XII ს. დასასრულისა და XIII ს. დასაწყისის ისტორია), სადაც უხვად არის მასალა საქართველოს ისტ. შესახებ. აღწერილია ქართველების პირველი ცდა თბილისის გათავისუფლებისა (1037/38) და მათი მარცხი; ალფ-არსლანის ლაშქრობა; დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის გათავისუფლება (1122), დავით აღმაშენებლის გარდაცვალება (1125); გიორგი III-ის მიერ ანისის აღება (1161); ბრძოლა ხლათის მმართველ შაჰ არმენთან, ქართველთა მიერ არზრუმისა და დვინის დაკავება (1162), ლაშქრობები აზერბაიჯანში (1165/6), ხლათში, ყარსში; თამარ მეფის გარდაცვალება (1207), თათარ-მონღოლთა გამოჩენა შუა აზიაში, მათ წინააღმდეგ საქართველოსა და მისი მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების კოალიციური ლაშქრობის მზადება ლაშა-გიორგის ინიციატივით. მონღოლთა გამოჩენა სამხრ. კავკასიაში.

0. ა.-ა. მონღოლთა შესახებ წერდა: ,,ადამის დროიდან დღემდე ქვეყნიერებას არ განუცდია ასეთი უბედურება. თათრები არავის ინდობდნენ: ისინი ხოცავდნენ ქალებს, მამაკაცებს და ბავშვებს''. აღწერილი აქვს ჯალალედდინის მიერ თბილისის აღება. ხვარაზმელებმა ,,დახოცეს, რაც კი იქ ქართველები იყვნენ, ჯალალ ედდინს არ გადაურჩა არც დიდი, არც პატარა, გარდა იმისა, ვინც მაჰმადის სარწმუნოება მიიღო''. ავტორის ცნობით, სულთნის ჯარები ძალიან ცუდად ექცეოდნენ თბილისის მუსლიმებსაც „და უსამართლოდ სტანჯეს ისინი. ამ უბედურებმა ქართველებს მისწერეს და მოსვლას ეხვეწებოდნენ, ქალაქს გაგიღებთო''.

ლიტ.: მაჭავარიანი ი., არაბ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები საქართველოს შესახებ, «მოამბე», 1897, №12; 1898, №1; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; სილაგაძე ბ., XII–XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; ჯაფარიძე გ., იბნ ალ-ასირის ერთი ცნობის შესახებ, კრ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წგ. 1, თბ., 1976. *გ. ჯაფარიძე.*

იბნ ალ-დავადარი, XIV ს. არაბი ისტორიკოსი, ეგვიპტის სულთნის ალ-ნასირ ნასირ ალ-დინ მუჰამადის (1294–1340 ინტერვალებით) თანამედროვე და მისი კარის მოხელე. ავტორია ცხრატომიანი ისტორიისა – ,,მარგალიტების განძი და რჩეული კრებულები'' (,,ქანზ ალ-დურარ ვა ჯამი ალ-ღურარ''), რ-იც 1335–36 დაასრულა. გამოცემულია ამ თხზულების VI–IX ტომები (კაირო, 1960–71), რ-შიც მოთხრობილია ეგვიპტის ფატიმიდთა, აიუბიდთა და მამლუქთა ისტორია; უკანასკნელი, IX ტომი, რ-იც სულთან ალ-ნასირ ნასირ ალ-დინ მუჰამადის მოღვაწეობას ეძღვნება, შეიცავს საინტერესო ცნობებს XIV ს. I მეოთხედის საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის. 0. ა-დ. რამდენჯერმე მოიხსენიებს ქართველებს (ალ-ქურჯ), ეხება მათ ელჩობას ეგვიპტეში 1311–12, ქართველთა მონაწილეობას მონღოლთა მხარეზე ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ სირიის ლაშქრობაში 1312–13. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მისი ცნობა 1321 ფუსტატში (ეგვიპტე) სულთნის ბრძანებით ქართველთა ეკლესიის (ქანისათ ალ-ქურჯ) დანგრევის თაობაზე.

წყარო: Die Chronik des Ibn ad-Dawadari. Neunter Teil: Der Bericht über den Sultan al-Malik an-Nasir Muhammad ibn Qalaun. Hrsg. von H. Rocmer, Kairo, 1960.

ლიტ.: გოჩოლეიშვილი დ., იბნ ალ-დავადარი 1312/13 წლის ქართველთა ერთი ლაშქრობის შესახებ, კრ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წგ. 1, თბ., 1976; ჯაფარიძე გ., ქართველთა ერთი ეკლესიის შესახებ ეგვიპტეში, «მნათობი», 1988, № 6. *გ. ჯაფარიძე.*

იბნ ალ-კალანისი (დაახლ. 1073 – 28. III. 1160), არაბი ისტორიკოსი. დამასკის ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი; ეკავა რაის ალ-დივანის (კანცელარიის გამგის) თანამდებობა. ავტორია ,,დამასკის ისტორიის დამატებისა'' (,,ზაილ თარიხ დიმაშქ''), რ-იც მოიცავს პერიოდს X ს. 70-იანი წლებიდან 1150 წლამდე. თხზულებაში დაცულია ორი საყურადღებო ცნობა საქართველოს შესახებ: ერთი ეხება ქართველთა ლაშქრობას ქ. განჯაზე 1110 და სამხ. კონფლიქტს დიდ სელჩუკთა სულთანთან, მეორე კი – *დიდგორის ბრძოლას 1121. გ. ჯაფარიძე.*

იბნ ალ-მარისთანია უბაიდ ალ-ლაჰ იბნ ალი იბნ ნასრ (1145/46/47 – 11. VIII. 1203, დაბა ჯურხაბანდი, ნახიჩევანის მახლობლად), არაბი მეცნიერი, მუჰადისი, ისტორიკოსი, ასტროლოგი და ექიმი. მოღვაწეობდა აბასიანთა სახალიფოში. ბაღდადში ააშენა ,,ცოდნის სახლი'' წიგნთსაცავი-თურთ. 1202 ოქტ.-ნოემბერში ხალიფა ალ-ნასირის (1180–1225) ბრძანებით ელჩად გაგზავნეს თბილისში, თამარის კარზე. მასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა

ალ-ნასირთან მყოფი ქართველთა ელჩიც. 0. ა-მ. გამოემგზავრა ბაღდადიდან – ვაზირის სასახლიდან მთელი ცერემონიალის დაცვით. მას უბოძეს შავი ხალათი და ტაილასანი (თავსაბური), შეკაზმული ცხენი და ხმალი. ხალიფამ თამართან გამოატანა ეპისტოლე, რ-ის შინაარსი უცნობია. თბილისში თავისი დავალების შესრულების შემდეგ 0. ა-მ. აზერბაიჯანში გაემგზავრა. გარდაიცვალა გზაში, ნახიჩევანის მახლობლად.

ლიტ.: სიხარულიძე ე., იაკუთის ლექსიკონის ერთი ცნობის შესახებ, «სემიტოლოგიური ძიებანი», III, თბ., 1987. *ე. სიხარულიძე.*

იბნ ალ-ფუვატი ქამალ ალ-დინ (25. VI. 1244, ბაღდადი, – I. 1323, იქვე), არაბი ისტორიკოსი. მოღვაწეობდა ბაღდადსა და აზერბაიჯანში. 1261–62 და 1280–81 მარაღის (აზერბაიჯანის) ობსერვატორიაში განაგებდა ბიბლიოთეკას. მისი შრომებიდან აღსანიშნავია ,,მოკლე კრებული ცნობებისა ლაკაბთა ლექსიკონში'' (,,თალხის მაჯმა ალ-ადაბ ფი მუჯამ ალ-ალკაბ''), რ-იც არასრული სახითაა (IV–V ტომები) შემონახული. მასში არის ცნობები თბილისელ მუსლიმანებზე, რ-ებიც მუშაობდნენ მარაღის ობსერვატორიაში, მათ შორისაა თბილისის ყადი, ცნობილი მათემატიკოსი და ასტრონომი ფახრ ალ-დინ ალ-ხილათი.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., XIII საუკუნის თბილელი მეცნიერი მარაღის ობსერვატორიაში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1984, № 2. *გ. ჯაფარიძე.*

იბნ არაბშაჰი (1389, დამასკი, – 1450, კაირო), არაბი ისტორიკოსი. 1400 *თემურლენგმა* დაატყვევა და ოჯახთან ერთად სამარყანდში გადაასახლა. მან შეისწავლა სპარს., თურქ. და მონღ. ენები. 1436 დასახლდა კაიროში, სადაც გარითმული პროზით დაწერა თხზ. ,,ბედის საკვირველებანი თემურის ცხოვრებაში'' (,,ქითაბ ჰჯაიბ ალ-მაკდურ ფი ახბარ თიმურ''). თხზულებაში საქართველოსა და ქართველების შესახებ აღნიშნულია, რომ „ხალხი გულკეთილია, ხოლო ქვეყანა პატარა, მაგრამ საუცხოოდაა გამაგრებული ციხე-გალავნებით, მღვიმე-გამოქვაბულებით, მთებით, უფსკრულებით, ხეობებით და ამ მაცდური ბუნების გამო მტრისათვის ძნელად მისადგომია''. მასში აღწერილია თემურლენგის ლაშქრობები საქართველოში 1400 და 1403, ქართველთა თავდადებული ბრძოლა, მეფე გიორგი VII-ის თხოვნით შირვანშაჰ იბრაჰიმ I-ის თემურთან შუამავლობის ამბავი და ამ გზით მიღწეული დაზავება.

ლიტ.: კაციტაძე დ., საქართველო XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975; ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1974.

გ. ჯაფარიძე.

იბნ ბიბი (გ. 1272), სელჩუკიან სულთანთა კარის ისტორიკოსი. მან სპარს. ენაზე დაწერა საისტ. ხასიათის თხზულება: ,,უმაღლესი ბრძანებულებანი უდიდებულესი საქმეების შესახებ'' (,,ქითაბ ალ-ავამირ ალ-ალაია, ფი'ლ-უმურ ალ-ალაია''), რ-საც ,,სელჩუკთა წიგნსაც'' (,,სელჩუკნამე'') უწოდებენ. ჩვენთვის საინტერესოა თხზულების ის ნაწილი, რ-შიც გადმოცემულია საყურადღებო ცნობები სულთან ალაედინ ქეიყუბადსა (1219–39) და საქართველოს მეფე რუსუდანს (1222–45) შორის არსებული ურთიერთობის შესახებ XIII ს. 30-იან წლებში. 0. ბ-ის ცნობით, როდესაც რუსუდანმა გაიგო სელჩუკთა ლაშქრის საქართველოში შემოჭრის (1232) ამბავი, სელჩუკთა მხედართმთავარ ქამიართან მოციქულები გაგზავნა და მოლაპარაკება შესთავაზა. ,,ჩვენი სურვილია, ჩემი ასული, სელჩუკიანთა ქვეყნის გამგებლის მემკვიდრეზე – მელიქ ყიას ად-დინ ქეიხუსრევზე დაქორწინდეს'' – წერდა დედოფალი. 0. ბ. აღნიშნავს, რომ ქამიარმა რუსუდან დედოფლის წინადადება და კავკასიის განთქმული მტკიცე ციხეებიდან 30–40 ციხის დაპყრობის ამბავი აცნობა სულთანს და თან დედაქალაქში მდიდარი ნადავლი გაგზავნა. სულთანმა ქამიარს შეატყობინა, რომ იგი თანახმა იყო რუსუდან დედოფლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე – მშვიდობიანი ურთიერთობისა და დანათესავების შესახებ – და აუწყებდა, რომ შეწყვეტდა თავდასხმებს საქართველოს ტერიტორიაზე. 0. ბ-ის ცნობები ახლებურად აშუქებს ამ პერიოდის საქართველოსა და მცირე აზიის სელჩუკთა ურთიერთობის ცალკეულ საკითხებს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; შენგელია ნ., იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყუბადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1975, № 1.

ნ. შენგელია.

იბნ ეზრა მოშე ბენ იაკოვ (1055, გრანადა, – 1135/40), ებრაელი პოეტი, ფილოლოგი. ცხოვრობდა ესპანეთში. წერდა ებრ. და არაბ. ენებზე. 0. ე-ს ახალგაზრდობის-დროინდელი ლექსები (პეიზაჟური, სატრფიალო და ე. წ. ღვინის თემაზე) გამოირჩევა ღრმა ლირიზმით. მოგვიანო ხანის პესიმისტური ოდები ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე და სამგლოვიარო ელეგიები (კრებ. ,,თარშიში'', ანუ 1200 სტრიქონი) ყურადღებას იქცევს დახვეწილი სტილით, სრულყოფილი ფორმით. 0. ე-ს მიერ არაბ. ენაზე დაწერილი ლიტ-რის ისტორია ,,საუბრებისა და მოგონებების წიგნი'' დღესაც ინარჩუნებს მეცნ. ღირებულებას ბიბლიის ტექსტებისა და ესპანეთის ებრ. ლიტ-რის კვლევისათვის. ვარაუდობენ, რომ ,,ვეფხისტყაოსანში'' მოხსენიებული ,,ეზროს'' არის 0. ე. მისი ლექსები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე, მ. შ. ქართულადაც.

თხზ.: [წიგნში] შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, თბ., 1979.

ნ. ბაბალიკაშვილი.

იბნ ვასილი (20.IV. 1208, ჰამა, – 1298, იქვე), არაბი ისტორიკოსი, სამართალმცოდნე, ყადი. ავტორია რამდენიმე თხზულებისა. მათგან მნიშვნელოვანია ,,გამქარვებელი სევდისა აიუბიდთა ამბებში'' (,,მუფარიჯ ალ-ქურუბ ფი ახბარ ბანი აიუბ''), რ-იც ეხება აიუბიდთა დინასტიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიას 1263-მდე (თხზულების ოთხი ტომი 1248 ამბების ჩათვლით გამოიცა კაიროში 1954–77). თხზულებაში არის საინტერესო ცნობები XIII ს. პირველ ათეულში საქართველოსა და აიუბიდთა სახელმწ. ურთიერთობებისა და ხლათისათვის ბრძოლის შესახებ, რ-იც 1210 დასრულდა 30-წლიანი ზავით. საყურადღებოა 0. ვ-ის ცნობა ჯალალედინის შემოსევის დროს თბილისელ მუსლიმთა ანტიქართული განწყობილების შესახებ. *გ. ჯაფარიძე.*

იბნ ისფანდიარი (XII–XIII სს. მიჯნა), სპარსელი მემატიანე. ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა ტაბარისტანის პროვინციის მფლობელის, არდაშირ იბნ ჰასანის (1172–1202) სამსახურში. ავტორია თხზულებისა ,,ტაბარისტანის ისტორია'' (,,თარიხ-ი ტაბარისტან''). თხზულება შეიცავს ვრცელსა და ძვირფას ინფორმაციას 1210-მდე ტაბარისტანის პროვინციის პოლიტ. და სოც.-ეკონ. ისტორიის, ლიტ-რის და, საზოგადოდ, კულტ. ცხოვრების შესახებ. მასში მოიპოვება საგულისხმო მასალები XII ს. საქართველოს ისტორიი-

სათვის. ჩვენთვის საინტერესოა თხზულების III ნაწილი, სადაც არდაშირ იბნ ჰასანის ზეობის წლებში განვითარებული მოვლენებია აღწერილი. ამ ნაწყვეტში მოხსენიებულია თამარ მეფე, მისი ლაშქრობები განჯა-არანის მიდამოებში და ციტირებულია ნიზამი განჯელის ერთი ბაიათი, რ-ის შინაარსი თამარ მეფეს და ილდეღიზიან აბუ ბაქრს შეეხება.

ი. ი. თამარ მეფის ვინაობაზე საგანგებოდ ჩერდება. აღნიშნავს როგორც მის მდგომარეობას და ტიტულს – ,,თბილისის და აბხაზის ფადიშაჰი'', ისე სახელსაც – ,,ტამარ''. თამარ მეფის სახელით მოხსენიების სულ რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული აღმ. წყაროებში, მ. შ. ი. ი-ის მოწმობა ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია. იგი მოგვითხრობს თამარ მეფის დიპლ. ურთიერთობაზე არდაშირ იბნ ჰასანთან, ხოლო მისი შუამავლობით – ხორეზმშაჰ თექეშთან. ის ფაქტი, რომ ტაბარისტანის მფლობელი ხორეზმშაჰის კარზე სხვა ძვირფასეულობასთან ერთად თბილისურ ქსოვილებსაც გზავნის, საგულისხმოა, ერთი მხრივ, იმდროინდელ თბილისსა და საზოგადოდ საქართველოში საფეიქრო წარმოების დონის განსაზღვრისა და, მეორე მხრივ, ირანსა და შუა აზიასთან საქართველოს სავაჭრო-ეკონ. და კულტ. ურთიერთობის გაშუქებისათვის. ,,თბილისური ქსოვილების'' გავრცელების ამაზე უადრესი მოწმობა (XII ს. 80-იანი წლების დამდეგი) აღმ. მატიანეებსა თუ გეოგრ. თხზულებებში ჯერჯერობით არ გამოვლენილა.

ლიტ.: ბერაძე გ., მასალები XII ს. საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში, კრ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წგ. 1, თბ., 1976. *გ. ბერაძე.*

იბნ რუსთა აბუ ალი აჰმად იბნ უმარ (IX ს. II ნახ. – X ს. I ნახ.), არაბულენოვანი გეოგრაფი, წარმოშობით სპარსელი. ი. რ-ს ეკუთვნის მრავალტომიანი, ენციკლოპედიური შინაარსის ნაშრომი ,,წიგნი ძვირფასი ნივთების შესახებ'' (,,ქითაბ ალ-ალაკ ან-ნაფისა''). მიკვლეულია ამ მრავალტომეულის მხოლოდ VII ტომი, მიძღვნილი ასტრონომიისა და გეოგრაფიისადმი. სავარაუდოდ, ნაშრომი დაწერილია 903–913, გამოსცა მ. დე გუამ 1892. ნაშრომში აღწერილია საქართველო, სამხრ. კავკასია, მ. შ. მდ. მტკვარი არაქსთან ერთად. ი. რ-ს მცდარი წარმოდგენით, მტკვარი სათავეს ალანთა ქვეყანაში (თანამედროვე ჩრდ. ოსეთი) იღებს. ჩამოთვლილია სამხრ. კავკასიის ოლქები (ქუვარ), კერძოდ, დასახლებულია ჯურზანი (ქართველი) და სუღდაბილი (სოღდებილი), მტკვრის მარცხ. ნაპირზე მდებარე ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი, თანამედროვე ავლაბარი. განსაკუთრებით საინტერესოა ი. რ-ს ცნობა მაღალ მთებს შორის ერთ-ერთი მთის მწვერვალზე მდებარე ციხის შესახებ. მისი გადმოცემით, ამ ციხეს, რ-საც ალანთა კარს (ბაბ ალან; დარიალი, დარიალანი) უწოდებენ, ყოველდღიურად ათასი კაცი იცავდა.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Избр. сочинения, т. 4, М.–Л., 1957; Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, пер. и прим. Н. А. Караулова, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» (СМОМПК), 1903, в. 32. *გ. ჯაფარიძე.*

იბნ სინა, აბუ ალი იბნ სინა (ლათინიზებული – ავიცენა) (980, სოფ. აფშანა, ბუხარის მახლობლად, – 18. VI. 1037, ჰამადანი), ფილოსოფოსი, ექიმი და პოეტი. მოღვაწეობდა ბუხარაში, ხვარაზმსა და სპარსეთში. ისლამის რელიგიის ჩარჩოებში შეძლო ანტ. ფილოსოფიისა და მეცნიერების კრიტიკულად ათვისება და თავისი დროის მთელი ცოდნის სისტემატიზაცია. მისი მთავარი შრომაა ფილოს. ენციკლოპედია, რ-იც მოიცავს ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკასა და მეტაფიზიკას.

ი. ს-ს უმნიშვნელოვანესი სამედ. თხზულება ,,სამკურნალო მეცნიერების კანონი'' ლათ. ენაზე XII ს-ში ითარგმნა და პირველად 1473 გამოქვეყნდა მილანში, არაბ. ენაზე შედგენილი ორიგინალი კი 1593 დაიბეჭდა რომში. არსებობს ამ ნაწარმოების 30 გამოცემა. მასში ავტორი ეხება სამკურნ. მცენარეთა მოშენებასა და ფიზიოლოგიას, მედ. ზოგად თეორიას, ანატომიას, ფიზიოლოგიას, ქირურგიას, დიაგნოსტიკას, მწვავე და ქრონ. დაავადებების განვითარებას, მკურნალობას, პროფილაქტიკას და სხვ. დაავადების განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გარემო პირობებს. მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ გადამდებ სნეულებებს რაღაც უჩინარი ორგანიზმები იწვევენ და დაავადებანი ჰაერისა და წყლის მეშვეობით ვრცელდება. ცდილობდა დაედგინა კავშირი ფიზიოლ. პროცესებსა და ფსიქ. მოვლენებს შორის. უარყოფდა მოსაზრებას, თითქოს ფსიქ. დაავადებებს ავი სულები იწვევდნენ. ი. ს-მ ზუსტად აღწერა მრავალი დაავადება. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჰიგიენასა და კვების რეჟიმს. შექმნა ახ. ფარმაცია. მის ფარმაკოპეაში შეტანილია ხალხური, განსაკუთრებით ჩინ. მედიცინაში ცნობილი მრავალი სამკურნალო საშუალება.

იბნ ქემალი, შემსუდდინ აჰმედ ბენ სულეიმანი (1468–1534), ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე. სახელმწ. და სამეცნ. სარბიელზე დაწინაურდა სულთნების, ბაიაზიდ II-ისა და სულეიმან კანუნის დროს. იყო ღრმად განსწავლული ისლამმცოდნეობაში, პოეზიაში, ისტორიაში. სულთან ბაიაზიდ II-ის ბრძანებით დაწერა „ოსმალო სულთნების ისტორია'' (,,თევარიჰ-ი ალ-ი ოსმან), სულ რვა წიგნი. შემდეგში მან IX და X წიგნებიც (დავთრებიც) შეადგინა, სადაც გადმოსცა სელიმ I-ისა და სულეიმან კანუნის საქმიანობა. VII დავთარში აღწერილია ბაიაზიდ II-ის მოღვაწეობა. მასში ავტორი დაწვრილებით განიხილავს ოსმალთა დაპყრობით ომებს, მოჰყავს მთელი რიგი ცნობები საქართველოში ოსმალთა ლაშქრობების შესახებ. ავტორი საგანგებოდ აღწერს საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებს, განსაკუთრებით ტრაპიზონის მომიჯნავე ადგილებს, აღნიშნავს საქართველოს საზღვრების სიახლოვეს და სხვ. ი. ქ-ის თხზულება მეტად საყურადღებო წყაროა საქართველოსა და სამხრ. კავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის.

ლიტ.: შენგელია ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.
ნ. შენგელია.

იბნ შადადი ბაჰა ალ-დინ აბუ ლ-მაჰასინ იუსუფ (1144/5, მოსული, – 1234/5, ჰალაბი), არაბი ისტორიკოსი და მწერალი. ავტორია რამდენიმე შრომისა, რ-თაგან მნიშვნელოვანია ,,სალაჰ ალ-დინის ბიოგრაფია''. ნაშრომში ვრცლადაა წარმოდგენილი ეგვიპტის ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. მოთხრობილია 1192/3 სალაჰ ალ-დინის კარზე საქართველოს მეფის ელჩების გამოცხადების, სულთნისათვის თამარის წერილისა და მუსლიმთა მიერ 1187 მიტაცებული ჯვრის მონასტრის გამოსახსნელად 200 ათასი დინარის გადაცემის ამბავი.

ლიტ.: Цагарели А. А., Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, «Православный палестинский сборник», 1888, т. 4, в. 1. *ბ. სილაგაძე.*

იბნ ხორდადბეჰი აბუ ლ-კასიმ უბაიდ ალ-ლაჰ იბნ აბდ ალ-ლაჰ (დაახლ. 820–912), არაბი გეოგრაფი, წარმოშობით სპარსელი. ავტორია ჩვენამდე მოღწეული პირველი გეოგრ. თხზულებისა ,,წიგნი გზებისა და სახელმწიფოების შესახებ'' (,,ქითაბ ალ-მასალიქ ვა ლ-მამალიქ''). წიგნში საინტერესო ცნობებია დაცული სამხრ. კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. აღწერილია სამარშრუტო გზები და ამ გზებზე მდებარე ქალაქები, მ. შ. სოღდებილის ციხე, რ-იც არაბ. და ქართ. წყაროების მონაცემებით IX ს-ში თბილისში, მტკვრის მარცხ. ნაპირზე მდებარეობდა და მოქმედი ციხე იყო.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; Крачковский И. Ю., Избр. соч., т. 4, М.–Л., 1957; Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, пер. и прим. Н. А. Караулова, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» (СМОМПК), 1903, в. 32. *ბ. სილაგაძე.*

იბნ ჰაუკალი აბუ ლ-კასიმ იბნ ალი ალ-ნასიბი (V. 943, ნასიბინი, – 977-ის შემდეგ), არაბი გეოგრაფი და მოგზაური. მოიარა მრავალი ქვეყანა ესპანეთიდან ინდოეთამდე. X ს. შუა ხანებში იყო თბილისში. ავტორია თხზულებისა ,,წიგნი გზებისა და სახელმწიფოების შესახებ'' (,,ქითაბ ალ-მასალიქ ვა ლ-მამალიქ''). მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფიზ. გეოგრაფიის მონაცემებს, ეკონ. და კულტ. ხასიათის მოვლენებს, ისტ.-ეთნ. მასალებს, აღწერილია სამხრ. კავკასიის ქალაქები; წინამორბედი ავტორებისაგან განსხვავებით 0. ჰ. ვრცლად აგვიწერს თბილისს: ,,სიდიდით ის მხოლოდ ბაბ ალ-აბვაბს (დერბენდს) ჩამოუვარდება. მას გარს შემოვლებული აქვს ორმაგი თიხის კედელი სამი კარით... თავისი კეთილდღეობით აღემატება სხვა მდიდარ სახელმწიფოებსა და ნაყოფიერ ქვეყნებს... ქალაქი წარმოადგენს მნიშვნელოვან სასაზღვრო პუნქტს, იგი მდინარე მტკვარზე მდებარეობს. თბილისში მცურავი წისქვილებია, რომლებიც ფქვავენ ხორბალს. თბილისში უცხოელთათვის უშიშროება და სტუმართმოყვარეობა სუფევს. აქ ყველას, მათთან შემთხვევით მოსულსაც კი მეგობრულად ექცევიან, ვისაც კი ოდნავი გულისხმიერება ან ცოდნა აქვს მეცნიერებისა''. აღნიშნავს, რომ თბილისის მუსლიმები იყვნენ სუნიტები. პირველად იხსენიებს თბილისის ყადის.

ლიტ.: სიხარულიძე ე., იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, კრ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წგ. 1, თბ., 1976.
ე. სიხარულიძე.

იბრაჰიმ I, შირვანშაჰი (გ. 1417), აზერბაიჯანელი სახელმწიფო მოღვაწე, შირვანის მბრძანებელი (1382–1417), შირვანშაჰების დერბენდის დინასტიის დამაარსებელი. იყო ნიჭიერი პოლიტიკოსი; ატარებდა შირვანის გაძლიერების მოქნილ პოლიტიკას. 1386 0. I. თემურლენგს ძვირფასი საჩუქრებით ეახლა ყარაბაღში, მორჩილება აღუთქვა მას, ქვეყანა აოხრებას გადაარჩინა და თავისი ბატონობაც უზრუნველყო. 1402 0. I-ს დაავალეს საქართველოს შემოსავალ-გასავლის დაზუსტება. თემურლენგმა 0. I-ს *გიორგი VII-სთან* მოლაპარაკების შუამავლობა მიანდო. თემურლენგის სიკვდილის შემდეგ 0. I-მა ისარგებლა თემურიანებს შორის ატეხილი ბრძოლით და წვრილსა და საშუალო ფეოდალებზე დაყრდნობით შირვანის დამოუკიდებლობა აღადგინა. იგი შეუკავშირდა გიორგი VII-ს და მათ 1406 დროებით თავრიზიც კი დაიკავეს. 1411 დეკ. შუა რიცხვებში 0. I, შაქის მმართველი სიდი აჰმადი და *კონსტანტინე I* ,,შავბატკნიან'' თურქმენებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. ისინი ყარაიუსუფმა შეიპყრო. კონსტანტინე მეფე და მისი ძმა სამას ქართვ. აზნაურთან ერთად სიკვდილით დასაჯეს, 0. I კი გადარჩა, მაგრამ შირვანი ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს ვასალად იქცა.

ლიტ.: კაციტაძე დ., საქართველო XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV–XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982. *დ. კაციტაძე.*

იბრაჰიმ-ბეგი ალ-ქაბირ ალ-მუჰამად [1735, სოფ. მარტყოფი, – 1815, დონგოლა (სუდანი)], ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოს გამგებელი, წარმოშობით ეგვიპტეში ტყვედ გაყიდული ქართველი (აბრამ შინჯიკაშვილი). 1768 მიიღო ბეგობა. 1775–98 შუალედებით ეკავა შაიხ-ალ-ბალადის პოსტი, რ-იც იყო უმაღლესი თანამდებობა მამლუქთა ორგანიზაციაში. 1785–87 ხელმძღვანელობდა ანტიოსმალურ აჯანყებას, 1798–1801 – ბრძოლებს საფრ. ექსპედიციის წინააღმდეგ ეგვიპტეში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იქიდან ფრანგების განდევნაში. 1801–05 მონაწილეობდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, რ-იც დასრულდა წარმოშობით ალბანელი მუჰამად ალის გამარჯვებით. მუჰამადმა 1811 წ. 1 მარტს მამლუქთა ძირითადი ნაწილი გაჟლიტა კაიროში. 0.-ბ. თანამებრძოლებთან ერთად სუდანში გადაიხვეწა, სადაც გარდაიცვალა. 1817 გადმოასვენეს და დაკრძალეს კაიროში. მიმოწერა ჰქონდა ერეკლე II-თან, რ-ის ძირითადი მიზანი იყო რუსეთ-საქართველოს და ეგვიპტის შეთანხმებული მოქმედება საქართველოდან და ეგვიპტიდან ოსმალთა გასაძევებლად. 0.-ბ. ათავისუფლებდა და სამშობლოში აბრუნებდა ეგვიპტეში გაყიდულ ქართვ. ტყვეებს. მარტყოფში გაგზავნა ფული ეკლესიის ასაშენებლად. მისივე ხარჯით მარტყოფში, შინჯიკაშვილების უბანში აშენდა სამსართულიანი კოშკი.

ლიტ.: სილაგაძე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 1798–1807 წლებში, თბ., 1984; ჯანელიძე დ., სილაგაძე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967; ჯაფარიძე გ., მამლუქთა წერილები ეგვიპტიდან, «დროშა», 1971, № 8.
გ. ჯაფარიძე.

იბრაჰიმი, იბრაჰიმ ჯაყელი, ახალციხის ფაშა 1759–61. მოითხოვდა ტყვეებით ვაჭრობის თავისუფლებას დას. საქართველოში. 1760 შემოდგომაზე დიდი ლაშქრით იმერეთში შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა. ახალციხეში დაბრუნებულს ხალხი აუჯანყდა. იგი ფაშობიდან გადააყენეს და ქალაქიდან გააძევეს. სულთანმა იგი ყარსის ფაშად გადაიყვანა.

ლიტ.: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX ს. შუა წლებამდე), თბ., 1975. *შ. ლომსაძე.*

იბრაჰიმ ფეჩევი, იხ. *ფეჩევი* იბრაჰიმ.

იბრაჰიმ ქათხუდა ალ-კაზდაღლი (გ. 1754), ეგვიპტის მამლუქი გამგებელი 1748–54. წარმოშობით ქართველი კაზდაღლის სახლიდან, რ-საც მართავდნენ კაიროში დისლოცირებული იენიჩართა კორპუსის სამხ. მეთაურები. 1735 0. ჟ. გახდა იენიჩართა კორპუსის ჩავუში (ოფიცერი), 1738–39 იყო მექაში პილიგრიმთა ქარავნის გამყოლი და ბადრაგი, კაზდაღლის სახლის მეთაური, 1748 – აზებანის კორპუსის ქათხუდა (ქაჰია, მამასახლისი, მოურავი). რიდვანთან ერთად ეგვიპტიდან გააძევა ოსმალო გამგებელი რაჯაბ-ფაშა და მცირე ხნით გახდა იენიჩართა კორპუსის ქათხუდა, ფორმალურად რანგით მეორე აღას შემდეგ (მისი მოადგილე), ფაქტობრივად კი პირველი პირი და შემდეგ უკვე ამ სახელით იხსენიებოდა. ქათხუდა

რიდვანთან ერთად მან შექმნა დუუმვირატი, რ-იც 1754-მდე განაგებდა ეგვიპტეს. დუუმვირატში წამყვანი იყო ი. ძ., რ-საც ჰქონდა ისეთი ,,სიძლიერე და სიდიდე, გამჭრიახობა მართვისას და უდავო ძალაუფლება, როგორისთვისაც მანამდე არავის მიუღწევია ეგვიპტეში'' (ეგვ. ისტორიკოსი ალჯაბარათი). ი. ძ. ქვეყანას მართავდა ოსმალური ინ-ტების მეშვეობით. ყიდულობდა მამლუქებს და ხელს უწყობდა მაღალ თანამდებობებზე მათ დაწინაურებას. XVII ს. II ნახ. ეგვიპტეს განაგებდნენ მისი სახლიდან გამოსული მამლუქები, რ-თა შორის მრავალი ქართველი იყო. ზოგიერთი ცნობით, ი. ძ. მოკლეს მეტოქეებმა. დაკრძალულია კაიროში, მცირე კარაფას სასაფლაოზე.

გ. ჯაფარიძე.

იბსენი (Ibsen) ჰენრიკ იოჰან (20. III. 1828, შიენი, – 23. V. 1906, ქრისტიანია, ახლანდ ოსლო), ნორვეგიელი დრამატურგი, ეროვნული თეატრის ფუძემდებელი. ქ. გრიმსტადში დაწერა პირველი ლექსები და დრამა ,,კატილინა'' (1850). 1850 სასწავლებლად წავიდა ქრისტიანიაში, სადაც აქტიურად ჩაება საზ., პოლიტ. და ლიტ. ცხოვრებაში. 1852–57 ხელმძღვანელობდა ქ. ბერგენის პირველ ეროვნ. თეატრს.

ი-ის შემოქმედებითი მოღვაწეობა აქტიურ ფაზაში შევიდა 1849–99 წლებში. მისი შემოქმედების მწვერვალია ფილოს.-სიმბოლური დრამა ,,ბრანდი'' (1865) და ,,პერ გიუნტი'' (1866, დაიდგა 1876). საყოველთაოდ ცნობილი პიესებია: ,,ნორმა, ანუ პოლიტიკოსის სიყვარული'' (1851), ,,სიყვარულის კომედია'' (1862), ,,საზოგადოების ბურჯი'' (1877), ,,თოჯინების სახლი'' (1879), ,,მოჩვენებანი'' (1881).

ი-ის დრამატურგიამ დიდი როლი ითამაშა მსოფლიო თეატრ. ხელოვნ. განვითარებაში. მისი პიესები წარმატებით იდგმება მსოფლიოს თეატრების სცენებზე.

ქართ. საზ-ბა ი-ის შემოქმედებას მის სიცოცხლეშივე გაეცნო. 1898 ლ. ალექსი-მესხიშვილმა დადგა ,,ნორა'' (,,თოჯინების სახლი''), რ-იც თარგმნეს ვ. გუნიამ და ა. ცაგარელმა. ნორას როლს ასრულებდა ნ. ჩხეიძე, ჰელმერისას – ლ. ალექსი-მესხიშვილი. 1903 ჟურნ. ,,მოამბის'' №4–8 დაიბეჭდა ი. პოლუმორდვინოვის თარგმანი ,,ხალხის მტერი'' (,,ექიმი შტოკმანი''), რ-იც წარმოადგინა ქართულმა დრამატულმა საზ-ბამ ა. წერეთლისა და კ. მესხის დადგმით. 1906 თეატრ. ამხანაგობის დასმა დადგა ,,მოჩვენებანი'' (მთარგმნელი და რეჟ. ვ. გუნია); 1914 ,,საზოგადოების ბურჯი'' წარმოადგინა ქართ. დრამ. საზ-ბის დასმა. იდგმებოდა სხვა პიესებიც. ქართ. პრესაში (,,ივერია'', ,,კვალი'', ,,ცნობის ფურცელი'') ხშირად წერდნენ ი-ის შესახებ კ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. ნათაძე და სხვ. 1928 ი-ის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნ. ,,მნათობში'' (№3) დაიბეჭდა ვ. ხუროძის წერილი, ამავე წელს – კ. გამსახურდიას ესეი ,,ჰენრიკ იბსენი''. 1972 შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრში რეჟ. რ. სტურუამ დადგა ,,დოქტორი სტოკმანი''; 1974 კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში კი რეჟ. თ. ჩხეიძემ წარმოადგინა ,,მოჩვენებანი''. ი-ის პიესები ამჟამადაც წარმატებით იდგმება ქართ. თეატრის სცენაზე.

თხზ.: Samlede vaerker, bd. 1–21, Oslo, 1928–57; Собр. соч., т. 1–4, М., 1956–58; დრამები (ბრანდი. – პერ გიუნტი. – ნორა, ანუ თოჯინების სახლი. – მოჩვენებანი. – ხალხის მტერი. – ჰედა გაბლერი), დ. ლაშქარაძის წინასიტყვაობით., თბ., 1974.

ლიტ.: ამირეჯიბი თ., ჰ. იბსენი ქართულ სცენაზე, «საბჭოთა ხელოვნება», 1956, №4; გამსახურდია კ., ჰ. იბსენი, მის წგ.: ახალი ევროპა, ტფ., 1924; გელოვანი ა., ჰენრიკ იბსენი, თბ., 1957; ჯინორია ო., ჰენრიკ იბსენი კვლავაც იბრძვის, «საბჭოთა ხელოვნება», 1960, №8; Адмони В. Г., Генрик Ибсен, М., 1956. *მ. ტიტვინიძე.*

იგავ-არაკი, მცირე ფორმის ლექსი ან მოთხრობა, რ-შიც ამბავი გადმოცემულია ნართაულად, ალეგორიებით. ი.-ა-ში, ადამიანების გარდა, მოქმედებენ ცხოველები, მცენარეები. თხრობის დასასრულს ავტორი მკითხველს სთავაზობს რჩევა-დარიგებას ყოფით ან ზნეობის საკითხებზე. ი.-ა. ცნობილია უძველესი დროიდან. საყოველთაოდ აღიარებულია ესოპეს (საბერძნეთი, ძვ. წ. VI ს.), ფედრუსის (რომი, ახ. წ. I ს.), ჟ. ლაფონტენის (საფრანგეთი, XVII ს.),გ. ე. ლესინგის (გერმანია, XVIII ს.), ი. კრილოვის (რუსეთი, XIX ს.) ი.-ა-ები, აგრეთვე ინდ. კრებული ,,პანჩატანტრა'' (III–IV სს.), რ-იც საქართველოში ცნობილია სპარს. გზით შემოსული ,,ქილილა და დამანას'' სახელწოდებით. თანამედროვე ლიტ-რაში პოპულარობა მოიპოვა აგრეთვე ამერ. მწერლის, ჯ. თერბერის ,,სადღეისო იგავ-არაკებმა''.

ქართ. მწერლობაში ი.-ა. ძველთაგანვე დამკვიდრდა. გვაქვს როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ი.-ა-ები. მას ხშირად იყენებდნენ შოთა რუსთაველი, დ. გურამიშვილი, ვახტანგ VI, ა. წერეთელი. იგავ-არაკული თხრობის უბადლო ნიმუშია ს.-ს. *ორბელიანის* ,,სიბრძნე სიცრუისა''. *გ. გაჩეჩილაძე.*

იგავი, 1. მოკლე ალეგორიული მოთხრობა, რომელიც, ჩვეულებრივ, ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნით მთავრდება. იგივეა, რაც *იგავ-არაკი*. 2. სამართლის ისტორიაში – სამართლის წიგნში მოყვანილი კერძო შემთხვევა, კაზუსი და მისი საკანონმდებლო მოწესრიგება. ასეთ იურიდ.-ტექ. ხერხს მიმართავდნენ სამართ. ნორმის უკეთ გაგების მიზნით მაშინ, როდესაც საჭირო იყო ჩვეულებრივი მართლურთიერთობისაგან განსხვავებული რთული შემთხვევის საკანონმდებლო გადაწყვეტა. ი-ის, ანუ ,,სიტყვით მაგალითის'' (საბა) სახითაა გადმოცემული ბერძნ. სამართლის ქართ. ვერსიის (,,სამართალი ბერძული'') 204 და 280 მუხლები (შდრ. მმ. 203 და 279).

იგნატოვი ნიკოლოზ (კოკა) იულის ძე (29. VII. 1937, თბილისი, – 6. VIII. 2002, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, მონუმენტალისტ-დეკორატორი. საქართვ. სახ. მხატვარი (1978), შოთა რუსთაველის (2001), სსრკ (1974) და საქართვ. (1981) სახელმწ. პრემიების ლაურეატი. სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1956–62), იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1989-იდან – პროფესორი).



ნ. იგნატოვი.

ი-ის ნამუშევრები თანამედროვე მონუმ.-დეკორ. მხატვრობის ნიმუშია, მ. შ. აღსანიშნავია თბილისში შესრულებული ფრესკები: ,,ცოდნის წყარო'' (1968, ქართ. ენციკლოპედიის მთ. რედაქცია), ,,ფიროსმანის მონატრება'' (1972, მთაწმინდის მიღებათა დარბაზი), ,,ბერიკაობა'' (1976, კინოს სახლი), ,,ჩემი თეატრი'' (1977, რუსთაველის სახ. თეატრი), ,,ოქროს საწმისი'' (1980, სასტუმრო ,,ვაკე''). საინტერესოა მისი ბიჭვინთაში შესრულებული ფრესკა ,,სიმღერა საქართველოზე'' (1967, ცენტრ. საკურორტო შენობის ინტერიერი). შოთა რუსთაველის სახ. თეატრში გააფორმა სპექტაკლები: ,,სიბრძნე სიცრუისა'' (ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, 1965), უ. შექსპირის ,,მეფე ლირი'' (1966) და სხვ.; თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში – ბ. კვერნაძის ბალეტი ,,ქორეოგრაფიული ნოველები''



ნ. იგნატოვი. ,,ფიროსმანის მონატრება‘‘. ფრაგმენტი. 1972. მთაწმინდის მიღებათა დარბაზი.



ნ. იგნატოვი. ,,ნატურმორტი.‘‘ 1990. ეროვნული გალერეა.

(1963), რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები‘‘ (1976) და სხვ. შექმნა დეკორაციების ესკიზები კინოფილმებისათვის (,,ერთი ცის ქვეშ‘‘, 1961; ,,თბილისის 1500 წელი‘‘, 1963 და სხვ.). ავტორია ქართვ. ლიტერატორთა და მეცნიერთა პორტრეტებისა (ყველა – გ. ლეონიძის სახ. ლიტ-რის მუზეუმი, 1968), გრაფ. ნამუშევრებისა (,,ქართული ლიტერატურის ანთოლოგია‘‘, 1972; სერია ,,ძველი თბილისი‘‘, 1977) და სხვ. გამოფენებში მონაწილეობდა [თბილისი, მოსკოვი, ბუდაპეშტი, ნიუ-იორკი, პარიზი, ბერლინი, მიუნხენი, სან-დიეგო (აშშ)] 1962 წლიდან. მისი ნამუშევრები დაცულია ბახრუშინის სახ. (მოსკოვი), უიტნის (ნიუ-იორკი) მუზეუმებში, ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში (მოსკოვი), შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

ᲘᲒᲝᲔᲗᲘ, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ოკამის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. ლეხურის ნაპირზე, ნატახტარი–ხაშურის საავტ. გზაზე. ზ. დ. 670 *მ*, კასპიდან 9 *კმ*. 559 მცხ. (2014).

სოფლის მიდამოებში მოპოვებული არქეოლ. მასალით დასტურდება, რომ ადამიანს აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია. XV ს-ში ი. შედიოდა საამილახვროს შემადგენლობაში. 1865 ი-ში ცხოვრობდა 9 კომლი და გორის უბნის სამთავისის სასოფლო საბჭოს ეკუთვნოდა. 1930 ი. შედიოდა კასპის რ-ნის ქვემო ჭალის სასოფლო საბჭოში და ცხოვრობდა 227 სული მოსახლე. სოფლის სამხრ.-აღმ-ით დგას განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლი, ე. წ. ,,წითელი საყდარი‘‘. 1983 ძეგლს ჩაუტარდა რესტავრაცია. მის მახლობლად გამართული ყოფილა საბაჟო.

სოფლის სამხრ.-დას-ით, სასაფლაოსთან დგას ადრინდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია, რ-ის სიახლოვეს ამავე პერიოდის წმ. გიორგის ეკლესიაა.

ლიტ.: მაკალათია ს., ლეხურის ხეობა, თბ., 1964; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.]5, თბ., 1990.

ჯ. გვასალია.

ᲘᲒᲠᲘᲙᲐ, იხ. *აპრილი.*

ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ (ფრანგ. idéalisme < ბერძნ. idea – იდეა; ქართ. „თაურხატი‘‘, „ნიმუში‘‘, „არსი‘‘), ფილოსოფიურ მიმართულებათა და კონცეფციათა ერთობლიობა, რ-თა მიხედვითაც სინამდვილის წყარო არის გონება, შემეცნება, აზროვნების პროცესი. იდეალური არსი არის სინამდვილის, ცოდნისა და მორალის საფუძველი. ამდენად, ადამიანთა ცალკეული მოქმედებებიც კი გონივრული განსჯის შედეგად უნდა იქნეს განსაზღვრული და შეფასებული.

„იდეალიზმი‘‘, როგორც ფილოს. შეხედულებების აღმნიშვნელი ტერმინი, გერმ. ენობრივ ველში ჩნდება XVIII ს-ში, მის მთავარ საპირისპირო ცნებად კი განიხილება „მატერიალიზმი‘‘. მაგ., *ლაიბნიცისთვის პლატონი* იდეალისტია, ხოლო ეპიკურე – მატერიალისტი. ეს ხედვა განავრცეს ქ. ვოლფმა და მისმა მიმდევრებმა, რ-თა მიხედვით სული არამატერიალური ობიექტია; მაშასადამე, სულის არსებობა არამატერიალური სახისაა. ამ ჭრილში, ი-ის საპირისპირო ცნებად „რეალიზმი‘‘ გვევლინება. უფრო მეტიც, იდეალისტთა მიხედვით, სამყარო დაფუძნებულია სულში, გონებაში. საგნის არსებობა ნიშნავს იმას, რომ ის იქნა გონების მიერ გაგებული და აღქმული. იდეალისტისთვის გონების მიღმა და გარეთ არსებული რეალობის შესახებ ვარაუდის დაშვებაც კი მიუღებელია, რადგან მის შესახებ ცოდნის ფლობა შეუძლებელია. ცოდნის მთავარი წყარო არის გონება და მისი უნარი.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ ი-ს სხვადასხვა სახეებს: ჯ. ბერკლის სუბიექტური ი., ი. *კანტის* ტრანსცენდენტალური (კრიტიკული) ი., გერმ. აბსოლუტური (ობიექტური) ი., ანგლო-ამერიკული ი., პანფსიქიზმი, პერსონალური ი. და სხვ. ისტორიულად სამყაროს იდეალისტური ხედვა უკავშირდება პლატონის სახელს, რ-მაც თავის დიალოგებში (განსაკუთრებით კი „სახელმწიფოში‘‘) განავითარა იდეების თეორია, რ-შიც იდეები საგნებისა და ქმედებების თაურხატებად, მთავარ მოდელებად აღიქვა. პლატონის მიხედვით, სახელმწიფოს იდეალური მმართველი არის ის, ვინც იდეების სამყაროს შესახებ ფლობს ცოდნას, რადგან სწორედ მან იცის, თუ როგორ უნდა მართოს სამართლიანად სახელმწიფო. პლატონის იდეათა თეორიის გარდასახვა მოხდა შუა საუკუნეებში უნივერსალიების შესახებ გამართულ დავა-კამათში, როდესაც ობიექტური რეალობის არსებობას ხაზი გაესვა არა მარტო სულში, გონებაში, ცნობიერებაში, არამედ თვით იდეათა თვითმყოფად რეალობაშიც. სწორედ ამ ტიპის თვითმყოფად იდეებს ეწოდა უნივერსალიები.

ისტ. თვალსაზრისით შეიძლება ვისაუბროთ სუბიექტური და ობიექტური ი-ის შესახებ. ფილოს. ისტორიაში სუბიექტური ი-ის მთავარ წარმომადგენლად ირლანდიელი ფილოსოფოსი და თეოლოგი ჯ. ბერკლი მიიჩნევა, ხოლო ობიექტური ი-ის თვალსაჩინო წარმომადგენელი გერმ. ფილოსოფოსი გ. *ჰეგელია*. ი-ის განვითარების ისტორიის მწვერვალს კი წარმოადგენს გერმანული ი., რ-იც მოიცავს ფილოს. ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეპოქას ი. კანტსა და გ. ჰეგელს შორის. მისი მთავარი წარმომადგენლები არიან: ი. ფიხტე, ფ. შელინგი და გ. ჰეგელი. თავად კანტის ფილოსოფია კი ტრანსცენდენტური ი-ის სახელით

შეიძლება იქნას მოხსენიებული, რადგან კანტი არ უარყოფს გარე სამყაროს არსებობას. მისი აზრით, არსებობს ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი „ნივთი თავისთავად“, რ-ის შემეცნება ჩვენ არ შეგვიძლია. ის ჩვენი შემეცნებითი უნარების მიღმაა. ადამიანს მხოლოდ იმ ნივთების შემეცნება ძალუძს, რ-ებიც მის შემეცნებით „მე-ს ევლინება“. მაშასადამე, ჩვენ შეგიმეცნებთ ნივთებს, როგორც მოვლენებს.

გერმანული ი-ის ნაყოფიერი რეცეფცია მოხდა ბრიტანულ ი-ში, რ-იც XIX ს. ბოლო მესამედსა და XX ს. პირველ მესამედში ინგლისში წამყვან ფილოს. მიმდინარეობას წარმოადგენდა. ეს მიმართულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჰეგელის იდეალ. ფილოსოფიას და მის გარკვეულ ტრანსფორმაციასაც ახდენდა. ბრიტანული ი-ის დამფუძნებლად ითვლება თ. ჰ. გრინი. მისი ცნობილი მოწაფე იყო ბ. ბოზანკეტი, რ-იც თ. ჰ. გრინთან და ფ. ჰ. ბრედლისთან ერთად ინგლისური ნეოჰეგელიანობის მთავარ წარმომადგენლად ითვლება.

საქართველოში ი-ს კვლევას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. თავდაპირველად ის პლატონის და პლატონიკოსების მოძღვრების რეცეფციით იწყება (*იოანე პეტრიწი*), შემდეგ ახალი დროის რაციონალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლების (მაგ., გ. ლაიბნიცი, კ. ვოლფი) შეხედულებების გაცნობითა და საკუთარ შემოქმედებაში ინტეგრირების გზით ხორციელდება (*ანტონ I*, ი. *ხელაშვილი*), შემდეგ კი ი. კანტის ტრანსცენდენტური ი-ის ნაყოფიერი ათვისებით ვლინდება, რისი ნათელი დასტურიც ს. *დოდაშვილის* „ლოგიკაა“ (1827). გერმანული იდეალ. ფილოსოფიის წარმომადგენლების შეხედულებები საგანგებო მსჯელობის საგნად არის ქცეული შ. *ნუცუბიძის* ალეთოლოგიურ ნაშრომებში. გერმ. იდეალიზმის მრავალმხრივი კვლევა-ძიება კი XX ს. ქართულ ფილოსოფიაში კ. *ბაქრაძის* სახელს უკავშირდება. მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები: „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“ (1929) და „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ (1936). პირველ ნაშრომში გერმ. ი-ის მთავარ პრინციპად სუბიექტის პრინციპია მიჩნეული, ხოლო დიალ. მეთოდი კი სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებული დუალიზმის მოხსნის მთავარ საშუალებად არის მიჩნეული, რ-ის საბოლოო შედეგიც მონისტური სისტემის აგებაა. მეორე გამოკვლევა პირველი გამოკვლევის თემატურ განვრცობას წარმოადგენს და ჰეგელის დიალექტ. ნააზრევის თავისებურებებს ეხება. მასში ხაზგასმულია სისტემისა და მეთოდის ორგ. ერთიანობა ჰეგელის აზროვნებაში, რასაც გადამწყვეტი როლი ენიჭება ჰეგელის იდეალ. ფილოს. შექმნის პროცესში. სუბიექტური და ობიექტური იდეალიზმის აქტუალურ პრობლემებს ფილოსოფიის ისტორიის ჭრილში კ. ბაქრაძე განიხილავს თავის ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომში „ახალი ფილოსოფიის ისტორია“ (1969). აღსანიშნავია, რომ XX ს-ში საბჭ. საქართველოს ოფიც. ფილოსოფიის წარმომადგენლები ი-ის პრობლემატიკას ხშირად ცალმხრივად, მატერიალისტური, მარქსისტულ-ლენინური აზროვნების კონტექსტში განიხილავდნენ. ამის დასტურია ამ პერიოდში გამოქვეყნებული არაერთი ნაშრომი მატერიალიზმისა და იდეალიზმის ურთიერთმიმართების შესახებ (დ. *კალანდაძე*, ვ. კერძევაძე, ვ. *კილაძე*, შ. *კობახიძე*, პ. შარია, ვ. ქაცარავა და სხვ.).

იდეალიზმისა და იდეალ. ფილოსოფიის სხვადასხვა საკითხებს ეძღვნება ცნობილი ქართველი მკვლევრების (მ. *გოგიბერიძე*, ს. *წერეთელი*, გ. *თევზაძე*, თ. *ბუაჩიძე*, ა. პოპიაშვილი და სხვ.) არაერთი საყურადღებო ნაშრომი.

ლიტ.: ბაქრაძე კ., დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში, ტფ., 1929; მისივე, სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში, ტფ., 1936; ბუაჩიძე თ., ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა, თბ., 1976; გოგიბერიძე მ., მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე, ტფ., 1928; თევზაძე გ., იმანუელ კანტი, თბ., 1974; ირემაძე თ., ალეთოლოგიური რეალიზმი. შალვა ნუცუბიძე და მისი აზროვნების ახლებური საწყისები, გერმ. თარგმნა გ. თავაძემ, თბ., 2013; წერეთელი ს., ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ, თბ., 1956.

თ. ირემაძე.

იდილია (<ბერძნ. eidyllion – მცირე ფორმის ლექსი, სურათი სოფლისა და მწყემსების ცხოვრებიდან), მცირე ფორმის პოეტური ნაწარმოები. მისი აღმოცენება უკავშირდება ძვ. ბერძენი პოეტის, თეოკრიტეს (ძვ. წ. III ს.) სახელს. რომაულ ლიტ-რაში თეოკრიტეს მიმდევარია ვერგილიუსი (ძვ. წ. 70–19), ავტორი ლირ. კრებულისა „ბუკოლიკები“. ევრ. პოეზიაში ი. ხელახლა იჩენს თავს რენესანსის პერიოდიდან. ყველა დროის ი-ს ახასიათებს საერთო ინტერესი ყოფითი სურათების, ბუნების ფონზე ადამიანის გრძნობების პოეტიზირებისა და სოც. კონფლიქტებისაგან განტვირთული ატმოსფეროსადმი. ქართ. მწერლობაში საინტერესო იდილიური სურათების შემცველია დ. გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“. ამ ფორმას ხშირად იყენებს რ. ერისთავი. XX ს-ში იდილიური ატმოსფეროთი გამსჭვალული ლირ. ნიმუშები შექმნეს გ. ტაბიძემ, ა. კალანდაძემ.

გ. გაჩეჩილაძე.

იდლეთი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის წინარეხის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. კავთურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 680 *მ*, კასპიდან 10 *კმ*, კავთისხევიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ*. 263 მცხ. (2014).

ი. პირველად მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII ს.) კავთისხევის სოფელთა სიაში. 1930 ი. შედიოდა კასპის რ-ნის კავთისხევის სასოფლო საბჭოში და ცხოვრობდა 676 მოსახლე.

სოფლის განაპირას, აღმ-ით, დგას ნათლისმცემლის ეკლესია. იგი მცირე ზომის ქვიშაქვის ლოდებით ნაგები, „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის გუმბათოვანი ეკლესიაა, რ-იც VI ს. I ნახ-ით თარიღდება. შენობის გეგმა წარმოადგენს თანაბარმკლავიან ჯვარს – ერთადერთი შესასვლელით დას-იდან. აღმ. მკლავი ნახევარწრიული აფსიდია, დანარჩენი მკლავები კი სწორი კედლებითაა შემოფარგლული. გუმბათის ყელი ოთხ საბჯენ თაღს ეყრდნობა. იგი ოთხწახნაგაა, ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება და ოთხივე კუთხე როგორც შიგნიდან, ისე გარედან ჩამოჭრილი აქვს. გუმბათის ყელის კუბური სივრცე გადახურულია



იდლეთის მთავარანგელოზის ეკლესია. გვიანდელი შუა საუკუნეები.

ოთხი სეგმენტით შეკრული კამარით.

ეკლესიის შიგნით შემორჩენილია XII ს. მხატვრობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები.

სოფლის ცენტრში დგას განვითარებული შუა საუკუნეების კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია, სოფლის ცენტრშია აგრეთვე მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის მეორე დარბაზული ეკლესია, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ლიტ.: მაკალათია ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

ჯ. გვასალია.

ᲝᲓᲚᲘᲐᲜᲘ, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: Ო., ლებურცხილა, ნაშიხვი, ჭალე). ზ. დ. 740 *მ*, მესტიიდან 86 *კმ*. 292 მცხ. (2014).

ᲐᲚ-ᲝᲓᲠᲘᲡᲘ აბუ აბდ ალ-ლაჰ მუჰამად (1100, სეუტა, მაროკო, – 1161 ან 1165, იქვე), არაბი გეოგრაფი და მოგზაური. დაახლ. 1138 დასახლდა პალერმოში, სადაც ცხოვრობდა სიცილიის მეფის, როჟერ II-ის კარზე. მისი დავალებით შეადგინა მსოფლიოს იმ დროისათვის ცნობილი ნაწილის რუკა (ქაღალდსა და ვერცხლის ბრტყელ, მრგვალ ფირფიტაზე) და თხზულება ,,გასართობი სხვადასხვა მხარეში მოგზაურობის დანატრებულისათვის'' (ზოგჯერ ,,როჟერის წიგნსაც'' უწოდებენ). წიგნი შეიცავს საინტერესო მასალას ევროპისა და აფრიკის, აღმ. სლავების, ასევე სამხრ. კავკასიისა და საქართველოს ისტ. გეოგრაფიის შესახებ. Ო-ის ცნობით, მთელ წინა აზიაში იყო განთქმული თბილისური *ენდრო* (იყენებდნენ ქსოვილების შესაღებად). ,,ბაბ ალ-აბვაბიდან (დერბენდიდან) თბილისამდე ხარობდა მთელ დედამიწაზე საუკეთესო ენდრო, რ-საც აგროვებდნენ და აქედან გაჰქონდათ გურგანში, საიდანაც მას ინდოეთშიც მიეზიდებოდნენ''.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Избр. сочинения, т. 4, М.–Л., 1957.

გ. ჯაფარიძე.

ᲝᲓᲣᲛᲐᲚᲐ, სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), მდ. ოშორის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: Ო., ოშორა). ზ. დ. 1100 *მ*, ასპინძიდან 3 *კმ*, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 30 *კმ*. 299 მცხ. (2014).

სოფელი იხსენიება ,,*გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში*''. **„ᲝᲓᲣᲛᲐᲚᲐ“,** იმპროვიზაციული ხასიათის მესხურ-ჯავახური საცეკვაო პანტომიმური ქმედება. მას საფუძვლად უდევს უძველესი ცეკვა ,,*ლალოინი*'', ე. წ. მუნჯური ფერხული (თურქულად ლალ – ნიშნავს მუნჯს, ოინი – ქმედებას). „Ო.'' ,,ლალოინის'' გართულებული, თეატრალიზებული ვარიანტია. ცეკვის შინაარსი ასეთია: დამპყრობთა მხარეს გადასული და მათგან დაწინაურებული ქართვ. თავადი ყოველნაირად ცდილობს თანამემამულეთა შევიწროებას, რათა მტრის ნდობა დაიმსახუროს. ხალხის მოთმინების ფიალა ივსება, მოღალატეს ამხელენ. იგი თავს გაქცევით შველის. ცეკვა ძირითადად აგებულია ხაზობრივ პრინციპზე, რაც მის არქაულ წარმოშობაზე მიუთითებს. ზოგიერთი მოძრაობა ცეკვების – ,,*ლაზურისა*'' და ,,*ხორუმის*'' – მოქმედებას ენათესავება. თეატრალიზებული სახით აღადგინა ქორეოგრაფმა გ. *სალუქვაძემ.* მუს. ზომა 4/4/.

ლიტ.: Гварамадзе Л., Грузинский танцевальный фольклор, Тб., 1987.

ლ. გვარამაძე.

ᲘᲔᲒᲔᲠᲘ (Jäger), XIX ს. I ნახევრის, გერმანელი ნატურალისტ-ენტომოლოგი. 1825 იმოგზაურა ყირიმსა და კავკასიაში. ამ მოგზაურობის აღწერა გამოსცა 2 წიგნად (1825, 1827). იყო თბილისში, საიდანაც გაემგზავრა კახეთში (თელავი, შილდა, სიღნაღი და სხვ.). Ო-მა დაწვრილებით აღწერა თბილისი, გაევროპელების გზაზე დამდგარი ქართ. საზ-ბა. განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის დამატება, რ-იც მთავრდება კავკასიისა და საქართველოს (განსაკუთრებით კახეთის) ფიზ.-გეოგრ. ნარკვევით. მიმოხილულია მეურნეობის ცალკეული დარგები: მებამბეობა, მევენახეობა, ღვინის დაყენების ტექნოლოგია და სამკურნ. მცენარეულობა, მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა, აგრეთვე ვაჭრობა, სამიმოსვლო გზები, ზღვაოსნობა და სხვ. აბრეშუმის შესახებ თავში ჩართულია დოკუმენტი – თბილისში უცხოელი მეაბრეშუმეების ჩანაწერები (კასტელა და დიდლო) მეაბრეშუმეობაში ევრ. ხერხის შემოღების შესახებ (თითქმის ყველა თავი მთავრდება მოცემულ რაიონში ნაპოვნი მწერების სიით).

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу 1800–1830 гг., Тб., 1946.

ც. ყიფიანი.

ᲘᲔᲓᲚᲘᲩᲙᲐ (Jedlička) იარომირ (9. X. 1901, პრაღა, – 1. VIII. 1965, იქვე), ჩეხი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, მთარგმნელი. დაამთავრა პრაღის უნ-ტის ინგლ. და სლავური ფილოლ. განყ-ბა. ასწავლიდა ქართ. ენას თავდაპირველად პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში (1946–48), შემდეგ – პრაღის უნ-ტში (1953–61). ჩეხურ ენაზე თარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი'' (1958 გამოაქვეყნა პოემის პროზაული, ხოლო შემდეგ პოეტური თარგმანი), ს.-ს. ორბელიანის, დ. გურამიშვილის, დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის თხზულებანი, ქართ. ხალხ. ზღაპრები და სხვ. Ო. იკვლევდა ძვ. და თანამედროვე ქართ. ენას. გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართ. ენის მორფოლ. საკითხებზე (,,ძველი ქართული ენის სტრუქტურა'', 1961; ,,სიტყვაწარმოება და ბრუნება ძველ ქართულში'', 1963 და სხვ.), ავტორია მრავალი წერილისა ქართვ. ენათმეცნიერთა ნაშრომებზე, ქართ. ენის განმარტებით ლექსიკონზე, საქართველოში ძვ. ქართ. ენის, აგრეთვე აფხ. ენის შესწავლის მდგომარეობის შესახებ; აქვეყნებდა რეცენზიებს უცხოელი კავკასიოლოგების ნაშრომებზე.

თხზ.: ჩეხური ენა. ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის, თბ., 1972.

ლიტ.: ბარამიძე ა., იარომირ იედლიჩკა საქართველოში, «ლიტერატურული გაზეთი», 1957, 28 ივნ.; ლეონიძე გ., მეგრელიძე ი., ქართული კულტურის მეგობარი, «კომუნისტი», 1965, 18 აგვ.; მეგრელიძე ი., ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები. იარომირ იედლიჩკა, «სამშობლო», 1970, 14 აგვ.; Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie, v. 21–22, P., 1966.

ი. მეგრელიძე.

ᲘᲔᲖᲔᲙᲘᲔᲚᲘ, XII ს. ქართველი სასულიერო პოეტი. სავარაუდოდ ბერი იყო. ანტონ I ,,წყობილსიტყვაობაში'' (XVIII ს.) მას ,,საკვრველ პიიტიკოსს, ღმრთისმეტყველ-რიტორს, ჭეშმარიტ ფილოსოფოსს'' უწოდებს და იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის თანასწორად მიიჩნევს. Ო-ს თვლიან იოანე პეტრიწის ლიტ. სკოლის წარმომადგენლად. ჩვენამდე მოაღწია მისმა სამმა იამბიკომ, აქედან ორი აკროსტიქულია.

თხზ.: [წიგნში] ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, შედგ. ი. ლოლაშვილის მიერ, თბ., 1978.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ლოლაშვილი ი., იოანე პეტრიწი-ჭიმჭიმელი, წგ.: იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, თბ., 1968.

ი. ლოლაშვილი.

ᲘᲔᲖᲘᲓᲔᲑᲘ (საკ. სახელწ. – ეზიდი), იხ. *ეზიდები.*

ᲘᲔᲗᲘᲛ ᲒᲣᲠᲯᲘ (ნამდვ. სახელი და გვარი – იეთიმ იბრაჰიმის ძე

დაბღიშვილი) (1875, თბილისი, – 15. VII. 1940, იქვე), სახალხო მომღერალი-მელექსე, თბილისური აშულური პოეზიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. 1905–07 ბაქოს ნავთის სარეწებში მუშაობდა. მონაწილეობდა მუშათა დემონსტრაციებში, რისთვისაც 4 წელი პატიმრობაში გაატარა. 1895-იდან თხზავდა ლექსებს ქართ., სომხ., აზერბ. ენებზე. პირველი წიგნი – პოემა ,,ანაბაჯის ლექსი'' – 1909 გამოვიდა, ლექსთა კრებ. ,,ახალი მგოსანი და სიმღერები'' – 1911, ,,იეთიმის ახალი ლექსები'' – 1913, ,,ტანგო'' – 1914 და სხვ. 1928 ი. გრიშაშვილმა, ხოლო 1958 ა. თევზაძემ გამოსცეს პოეტის ,,რჩეული ლექსები''. ი. ბ-ის ლექსები უმთავრესად სიმღერების სახით ვრცელდებოდა, რ-ებსაც თვითონვე ქმნიდა და ასრულებდა კიდეც. მის პოეზიაში ასახულია ქალაქის მუშების, ხელოსნების, წვრილი ვაჭრებისა და გლეხობის მისწრაფებანი, სიმართლის იდეალები და თბილისური ბოჰემის განწყობილება.

ი. ბ. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: რჩეული ლექსები, თბ., 1960; ლექსები, თბ., 1979.

ლიტ.: გრიშაშვილი ი., თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1963; მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ხალხური მწერალი იეთიმ-გურჯი, «თეატრი და ცხოვრება», 1924, №20 (კრიპტ.: ვ. ბ.). *გ. იმედაშვილი.*

იელი (Rhododendron luteum), ზაფხულმწვანე ბუჩქი როდოდენდრონის გვარისა. სიმაღლე 2 *მ* აღწევს. აქვს სურნელოვანი დიდი, წინწკლებიანი ყვითელი ან ნარინჯისფერი ყვავილები. გავრცელებულია ცენტრ. და აღმ. ევროპაში, ბალკანეთსა და მცირე აზიაში, კავკასიასა და უკრაინაში. თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება, უფრო მეტად კი – დასავლეთში. იზრდება ზღვის დონიდან 2000 *მ*-მდე ქვეტყედ ტყის პირებზე. სუბალპურ სარტყელში ქმნის ბუჩქნარს – იელიანს. ყვავილობს ფოთლის გამოტანამდე ან მასთან ერთად აპრილ-ივნისში. დეკორატიულია ყვავილობისას ან შემოდგომაზე თავისი კაშკაშა წითლად შეფერილი ფოთლების გამო. მისი ყველა ნაწილი შხამიანია. კულტურაში ცნობილია ი-ის მრავალი ჰიბრიდული ჯიში. *მ. სახოკია.*

იელი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის წვირმის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1680 *მ*, მესტიიდან 15 *კმ*. 44 მცხ. (2014).

სოფელში არის იოანე მახარებლის (განვითარებული შუა საუკუნეები), წმ. გიორგის (,,ჯგრაგ''; VIII–IX სს.), იოანე ნათლისმცემლის (,,ჯგრავანი''; განვითარებული შუა საუკუნეები), ღვთისმშობლის (,,ლამარია''; შუა საუკუნეები), მთავარანგელოზის (,,თარინგზელ''; შუა საუკუნეები), მაცხოვრის (,,მაცხვარ''; X–XI სს.) ეკლესიები.

იენაში, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), უშბის მასივის სამხრ. კალთის ძირას, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ლატალის თემის ცენტრი (სოფლები: ი., იფხი, კვანჭიანარი, ლახუშდი, ლაჰილი, ლელბაგი, ლეშუკვი, მაცხვარაში, ნანყვამ-ზაგრალი, სიდიანარი, შყალერი). ზ. დ. 1360 *მ*, მესტიიდან 10 *კმ*. 227 მცხ. (2014).

სოფელში არის XII–XIV სს. იონა წინასწარმეტყველის ეკლესია ,,იან''.

ლიტ.: არჩვაძე გ., იენაშის ეკლესია ,,ჟღერს ქვის ჰარმონია'', ნაკვ. 3. საკითხავი ყმაწვილთათვის, ტ. 14, თბ., 2007.

იენის უნივერსიტეტი ფრიდრიხ შილერის სახელობისა, გერმანიის ერთ-ერთი დიდი უნივერსიტეტი. დაარსდა 1558 იენის აკად. გიმნაზიის ბაზაზე. ჰქონდა თეოლ., იურიდ., სამედ., ნატიფი ხელოვნ. ფაკ-ტები. ი. უ-თან დაკავშირებულია ი. გოეთეს, ი. ფიხტეს, ფ. შელინგის, ფ. შილერის, გ. ჰეგელისა და სხვათა მოღვაწეობა. II მსოფლიო ომის დროს უნ-ტი ძლიერ დაზიანდა. ომის დამთავრების შემდეგ კი უნ-ტთაგან პირველად ი. უ. გახსნეს (1945).

ი. უ-სა და თსუ-ს შორის დადებულია მეგობრობის ხელშეკრულება (1966 ნოემბრიდან), რ-ის საფუძველზე ვითარდება სამეცნ.-პედ. თანამშრომლობა, გამოვიდა მეგობრობის კრებულის ,,საქართველოს'' ნომრები; 1978-იდან ყოველწლიურად გამოდის კრებული ,,გეორგიკა'' (1978 №1, ქართული ენა; 1979 №2, ქართული ფილოსოფიური აზრი და ა. შ.). უნ-ტები იწვევენ პროფესორ-მასწავლებლებს სალექციო კურსების წასაკითხად.

მოქმედებს სტუდენტთა ურთიერთგაცვლის პროგრამა.

იენიჩარი (თურქ. yeniçeri – ახალი ჯარი), რეგულარული ქვეითი ჯარის კორპუსი ოსმალეთში. შეიქმნა 1361 მურად I-ის (1360–89) დროს. თავდაპირველად ი-თა კორპუსს აკომპლექტებდნენ ომის დროს ტყვედ წაყვანილი ქრისტიანი ახალგაზრდებისაგან, რ-ებსაც ამაჰმადიანებდნენ. დაპყრობითი ომების ზრდასთან ერთად საჭირო გახდა ი-თა რიგების გაზრდა. XV ს-იდან შემოიღეს რეგულარული ჯარის დაკომპლექტების ახ. წესი – დევშირმე (შეკრება) – ბალკანეთის დაპყრობილ ქვეყნებში 10 ქრისტიან ოჯახს ყოველ წელიწადს 3 ან 5 ბავშვი უნდა გამოეყვანა. ამისათვის ოსმალეთში არსებობდა სპეც. ორგანიზაცია ,,ავჯემი ოღლანი'' (,,უცხოელთა ბიჭები''), რ-იც ყმაწვილებს სოფლებში აგზავნიდა თურქ. ენის შესასწავლად, ხოლო 3–4 წლის შემდეგ იწყებდნენ მათ მომზადებას სამხ. სამსახურისთვის. ამ დროს საქართველოში ძალზე გავრცელებული იყო ტყვის სყიდვა. მონებად გაყიდული ქართველები ხშირად ავსებდნენ ი-თა რიგებს. ქართველები თავიანთი პირადი ვაჟკაცობით ი-თა კორპუსში მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ და ი-თა აღებიც (მეთაურები) გამხდარან. მაგ., *გურჯი იუსუფ-ფაშა* დიდი ვეზირიც კი იყო. ი-ები იყვნენ სულთნის ტახტის დასაყრდენი მნიშვნელოვანი პოლიციური ძალა. XVII ს. დასაწყისიდან სამხ.-ლენური სისტემის კრიზისმა, საგარეო ომებში დამარცხებამ გამოიწვია ი-თა ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება. შემცირდა მათი რაოდენობა. ი-ები ერეოდნენ სულთნის მთავრობის პოლიტიკაში, აქტიურად მონაწილეობდნენ სასახლის კარზე მოწყობილ შეთქმულებებში და რეაქციული ძალების საყრდენად გადაიქცნენ. 1826 სულთან მაჰმუდ II-მ (1808–39) ი-თა კორპუსი დაშალა.

ლიტ.: სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990; მისივე, ოსმალეთის ისტორია, თბ., 1999. *მ. სვანიძე.*

იერემია (ებრ. ירמיהו – ,,უფალი განადიდებს''), ძველი აღთქმის ერთ-ერთი „დიდი წინასწარმეტყველი''. მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა, რ-იც დაახლ. ძვ. წ. 626 დაიწყო, იუდეის სამეფოს დამოუკიდებლობის ბოლო პერიოდს დაემთხვა. იგი თვლიდა, რომ ბრძოლა ბაბილონთან ამაო იყო და იუდეველებს მოუწოდებდა დამორჩილებოდნენ დამპყრობლებს. იერუსალიმის დაცემის შემდეგ (ძვ. წ. 586) იგი ეგვიპტეში წაიყვანეს და იქ გარდაიცვალა. ი-ს სახე-



იეთიმ გურჯი.



იელი (Rhododendron luteum).

ლით ცნობილი წიგნი მთლიანად მას არ ეკუთვნის; ტექსტის მოცულობა და თავთა თანამიმდევრობა განსხვავებულია ებრ. ორიგინალსა და უძველეს ბერძნ. თარგმანში – სეპტუაგინტაში. ქართ. ტექსტი ამ მხრივ ბერძნულს უახლოვდება. არსებობს 0-ს წიგნის რამდენიმე ძვ. ქართ. თარგმანი. ფრაგმენტები შემორჩენილია V–VII სს. ხანმეტ ტექსტებში. წიგნი მთლიანად შეტანილია ოშკის ბიბლიაში (978). არსებობს მისი წიგნის სხვა, უფრო გვიანდელი ტექსტებიც (XII ს. „გელათის ბიბლია“). 0-ს სახელიდან, რ-ის გოდებაზე იერუსალიმის დაცემის გამო მოთხრობილია ბიბლიაში, მოდის ი ე რ ე მ ი ა დ ა – ანუ მოთქმა, გოდება, ჩივილი, წუწუნი.

ლიტ.: დ ა ნ ე ლ ი ა კ., იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი, თბ., 1964; B e n t z e n A., Introduction to the Old Testament,Cph., 1962.

მ. შანიძე.

იერემია იბერიელი, V ს. ქართველი სასულიერო მოღვაწე. კ. კეკელიძის მოსაზრების თანახმად, იგი იგივე იერემია ურჰაელია. მას ბერძნულიდან ქართულად უნდა ეთარგმნა IV ს. თხზულება ,,დიდაჰე“, ანუ ,,ათორმეტთა მოციქულთა მოძღვრება“. კონსტანტინოპოლში არსებულ ,,დიდაჰეს“ ამ ნუსხაში იერემია ურჰაელი თავს ,,ყარიბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებულ ქართველ მართლმადიდებელს“ უწოდებს. იერემია ურჰაელი (იგივე 0. 0.) იმ სას. პირთა შორისაა დასახელებული, რ-ებიც უგზოობის გამო (ყველა გზა ზღვასა და ხმელეთზე შეკრული იყო) 431 ქ. ეფესოში შემდგარ ანტინესტორულ მსოფლიო საეკლ. კრებას ვერ დაესწრნენ და 431 წ. 13 აგვისტოს კონსტანტინოპოლიდან კრების მესვეურებს წერილი მისწერეს. წერილში 0. 0. ხელს ასე აწერს:,,Yeremia Iberos partium Persidis“, ე. ი. თავს ქართლის ,,სპარსული ნაწილის“ ეპისკოპოსად ასახელებს. 431-თვის ქართლი რადგან ისევ ბიზანტიასა და ირანს შორის გაყოფილ ქვეყნად რჩებოდა, 0. 0. ირანელთა გავლენაში მყოფი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო (კ. კეკელიძე მას მთელი ქართლის ეპისკოპოსად თვლიდა). 439 ქართლი მთლიანად ირანს დაექვემდებარა. 0. 0-მა შესაძლოა ამ დროს დატოვა ქართლი და ქ. ურჰაში (ედესა, ანტიოქია) გადასახლდა, რის შემდეგაც ,,ურჰაელად“ იწოდა. ძვ. წყაროებში რადგან ,,ურჰა“ და ,,ქართლი“ ზოგჯერ იდენტური შინაარსის ტერმინებად იხმარებოდა (იაკობ სპარსის კოპტურ ვერსიაში პეტრე იბერი ურჰაელად იწოდება), გამორიცხული არ არის, 0. 0. ,,იერემია ურჰაელადაც“ მოეხსენიებინათ.

ლიტ.: გ ო ი ლ ა ძ ე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., იერემია იბერიელი, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1956.

ვ. გოილაძე.

იეროდიაკონი, იხ. *დიაკონი.*

იეროთეოსი, იხ. *იოანე ლაზი.*

იერუსალიმი (ბერძნ. Ierusalēm, ებრ. – იერუშალაიმი, არაბ. – ალკუდსი – წმინდა), ქალაქი წინა აზიაში, პალესტინაში, მკვდარი ზღვის დას-ით, ნახევრად უდაბნო ზეგანზე. 809,4 ათ. მცხ. (2013). ქრისტიანთა, იუდეველთა და მუსლიმთა ,,წმინდა ქალაქი“.

0. პირველად თელ-ელ-ამარნის არქივში იხსენიება (ძვ. წ. 1400), როდესაც იგი უკვე კარგად გამაგრებულ ქალაქს წარმოადგენდა. მოგვიანებით სხვადასხვა სახელმწიფოთა – იუდეველთა სამეფოს, ძვ. რომის, ბიზანტიის, არაბთა სახალიფოს და სხვათა შემადგენლობაში იყო. 1517 0. თურქებმა დაიპყრეს და ოთხი საუკუნე განაგებდნენ, 1917 დეკემბერს კი ბრიტანეთის ჯარებმა დაიკავეს. 1922–48 იყო პალესტინის ადმ. ცენტრი. არაბეთ-ისრაელის ომის (1948–49) შემდეგ 0. ორ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთი 0. იორდანიას გადაეცა, დასავლეთი – ისრაელს. 1950 იანვარში დას. 0. ისრაელის დედაქალაქად გამოცხადდა. 1967 ივნისში ისრაელმა 0-ის აღმ. ნაწილი დაიკავა და 1980 გაერთიანებული ქალაქი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა, რასაც გაერო არ ცნობს. თუმცა, 2018 აშშ-მა დაიწყო თავისი საელჩოს გადატანა თელ-ავივიდან 0-ში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო უძველესი დროიდან დაკავშირებული იყო 0-თან, თუმცა ამის დამადასტურებელი პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია. I ს. I მესამედში, სავარაუდოდ, ქართლის სამეფოს კავშირი ჰქონდა 0-თან და შეძლებისდაგვარად მონაწილეობდა იქ მიმდინარე პროცესებში (,,მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ლეონტი მროველი). შუა საუკუნეებში საქართველოსა და 0-ის ურთიერთობის მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ქართვ. მწერლების (საისტორიო, სას. და საერო), უცხოელი პილიგრიმების, დიპლომატების და მოგზაურთა თხზულებებში. ქართ. და უცხ. წერილობითი წყაროები, არქეოლ. მასალა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ საქართველოს წმინდა ქალაქთან ურთიერთობის საკმაოდ ნათელი სურათი.

ქართველთათვის 0-ის მნიშვნელობა უაღრესად დიდია, რადგან იგი არის ქრისტეს მოღვაწეობისა და ჯვარცმის ქალაქი; წმ. ნინოს მოღვაწეობის ქალაქი; წმ. ქალაქი და ქრისტიანობის წარმოშობის კერა (აღმ. საქართველოში ქრისტიანობა უშუალოდ 0-იდან შემოვიდა და გავრცელდა კიდეც). 0-ის გავლენაზე მიუთითებს მისი ტოპონიმების (ბეთანია, ბეთლემი, თაბორი, სიონი და სხვ.) პირდაპირ გადმოტანა, ბაზილიკური არქიტ. სტილის გავრცელება, ძვ. ქართ. ეკლესიების შიდა მოწყობა, მცხეთის ახალ 0-ად გამოცხადება. IX ს-მდე მირონი საქართველოში 0-იდან შემოჰქონდათ, X ს. დამ-



იერუსალიმი. ქალაქის ხედი.

ლევამდე საქართველოს ეკლესიებში წირვა-ლოცვის რიტუალის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა წესდება, ტიპიკონი, რ-იც ცნობილი იყო ,,იერუსალიმის კანონის'' სახელით; 0. იყო სატახტო ქალაქი დავით წინასწარმეტყველისა, რ-იც ბაგრატიონთა წინაპრად ითვლებოდა; ქართ. დიასპორის მნიშვნელოვანი ცენტრი (ქართ. ეთნიკური ელემენტი 0-ში სხვადასხვა დროს სხვადასხვა რაოდენობისა და განსხვავებული სოც. წარმოშობის იყო). იხ. სტ. *იერუსალიმის ქართული დიასპორა*. ქართველები იქ V ს-იდან XVIII ს-მდე ცხოვრობდნენ; სხვადასხვა დროს ქართველებს 0-ში ჰქონდათ 20 მონასტერი, 3 ეკლესია და 7 სამლოცველო; 0-ში იღვაწეს პეტრე იბერმა და იოანე ლაზმა (V ს.), იოანე ზოსიმემ (X ს.), გიორგი პროხორემ და გიორგი მთაწმინდელმა (XI ს.), იეზეკიელმა და ნიკოლოზ გულაბერისძემ (XII ს.), გრიგოლ ჩახრუხაის ძემ (XIV–XV სს. მიჯნა), ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (XVII ს.) და სხვ.

საქართველოსა და 0-ის ურთიერთობიდან უმთავრესი მაინც იქ არსებული ეკლესია-მონასტრები იყო. მათი თანდათანობით დაკარგვის კვალობაზე სუსტდებოდა კავშირი წმ. მიწასთან. ქართ. სავანეებს სხვები (ბერძნები, სომხები, ლათინები) დაეპატრონნენ. სამშობლოდან დახმარებას მოკლებული ბერ-მონაზვნების და 0-ში მუდმივად მცხოვრები ქართვ. საერო პირების რაოდენობა მცირდებოდა. XVIII ს-იდან ქართველების მიმოსვლა და მოღვაწეობა 0-ში თითქმის შეწყდა.

მხოლოდ 1960 განხორციელდა ქართვ. მეცნიერთა ექსპედიცია 0-ის ჯვრის მონასტერში (იხ. *იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია*). 1991, საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს მრავალმხრივი კონტაქტები აქვთ 0-თან.

ლიტ.: მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998; მისივე, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008; ჯაფარიძე გ., ქართველები იერუსალიმში, ახლადმიკვლეული არაბული დოკუმენტების შუქზე, «ლიტერატურული საქართველო», 1985, 15 თებ.

ე. მამისთვალიშვილი.

იერუსალიმის გზა, იგივეა რაც *ირმის ნახტომი.*

იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესია, იერუსალიმის საპატრიარქო, პირველი ქრისტიანული ეკლესია (,,ეკლესიათა დედად'' წოდებული) იერუსალიმში. 49 იერუსალიმში შედგა მოციქულთა კრება იაკობის თავმჯდომარეობით, რ-იც იერუსალიმის ეკლესიის პირველ ეპისკოპოსად ითვლება. მანვე პირველმა დაწერა საღვთო ჟამისწირვის განგება. იქვე ჩამოყალიბდა ეკლესიის შინაგანი სტრუქტურა მოციქულთა მიერ. იერუსალიმიდან დაიძრნენ მოციქულები ქრისტეს სიტყვის საქადაგებლად.

იერუსალიმის (ელიას) ეკლესიას განსაკუთრებული ავტორიტეტი ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (213–251) მოუხვეჭა, რ-იც კლიმენტი ალექსანდრიელის მოწაფე იყო ორიგენესთან ერთად. რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნამ განაპირობა ეკლესიის სულიერი აღმავლობის შეფერხება. ალექსანდრიიდან პალესტინის კესარიაში



იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის ღოგო.


სამოღვაწეოდ გადმოსული ორიგენე დააპატიმრეს და აწამეს (250). მოწამებრივად აღესრულა ეპისკოპოსი ალექსანდრეც (251).

ეკლესიაში მიტროპოლიური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ, იერუსალიმის საეპისკოპოსო პალესტინის კესარიის მიტროპოლიტს დაუქვემდებარეს. მიუხედავად ამისა, იერუსალიმის ეპისკოპოსს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. იერუსალიმის ეპისკოპოსსა და კესარიის მიტროპოლიტს შორის უთანხმოება არაერთხელ ჩამოვარდნილა. კესარიის მიტროპოლიტ აკაკიოსს მკვეთრად დაუპირისპირდა იერუსალიმის ეპისკოპოსი კირილე და თავისი ტახტის სამოციქულოობიდან გამომდინარე, პირველობა მოითხოვა. კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა IV ს. დასასრულს, როდესაც პალესტინა სამ პოლიტ. პროვინციად (კესარია, სკვითოპოლისი და პეტრა) დაიყო. გაძლიერდა იერუსალიმის ეპისკოპოსის პრეტენზია პატრიარქის ტიტულზე. იერუსალიმის ეპისკოპოსმა იუვენალიოსმა (422–458) III მსოფლიო კრებაზე (431) მოითხოვა, ანტიოქიის საპატრიარქოსგან გამოეყოთ პალესტინა, ფინიკია და არაბეთი. ამ მოთხოვნას შეეწინააღმდეგა ანტიოქიის პატრიარქი იოანე, შემდგომ კი მისი მემკვიდრეები – დომინოს II და მაქსიმე. საკითხის გადაჭრა დიდხანს ვერ მოხერხდა. მხოლოდ IV მსოფლიო კრებაზე (451) გადაწყდა, რომ იერუსალიმის ეპისკოპოს იუვენალიოსისათვის ებოძებინათ ე. წ. ,,სამი პალესტინის'' სამწყსო, ანუ კესარიის, სკვითოპოლისისა და პეტრას ეპარქიები, რ-ებშიც იმ დროისათვის დაახლ. 60 საეპისკოპოსო შედიოდა, და ამ გზით იერუსალიმის ეპისკოპოსი პატრიარქად გამოეცხადებინათ. იგი რიგით მეხუთე ადგილს დაიკავებდა რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატრიარქების შემდეგ, ვინაიდან ისინი პატრიარქებად გაცილებით ადრე იქნენ დადგენილი (მოგვიანებით, 1054 წლის დიდი სქიზმის გამო რომის ეკლესიის ჩამოცილების შემდეგ, იერუსალიმის საპატრიარქომ მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა).

ამრიგად, ისტ. მოვლენების განვითარებისა და იერუსალიმის ეპისკოპოსთა მცდელობით, იერუსალიმის ეპისკოპოსს 451 პატრიარქის ტიტული ებოძა.

იერუსალიმის საპატრიარქოს აღზევებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის იმპ. იუსტინიანეს (527–565), რ-მაც ეკონ. დახმარების გარდა, გამონაკლისის სახით, იერუსალიმის ეკლესიისათვის საგანგებო კანონები შეიმუშავა. ააშენა ტაძრები და მონასტრები. იერუსალიმის წმ. ადგილების მიმართ ყურადღება გამოიჩინეს შემდგომმა იმპერატორებმაც, განსაკუთრებით კი ჰერაკლემ (610–641).

638 იერუსალიმი ხალიფა უმარ I იბნ ალ-ხატაბმა (634–644) დაიპყრო, მაგრამ იერუსალიმის საპატრიარქოს წმ. ადგილებზე უფლებები არ დაუკარგავს. უმარმა იერუსალიმის პატრიარქს უბოძა თავისივე ხელმოწერილი სიგელი (ახტინამე), რ-ითაც საპატრიარქოს უფლებები განმტკიცდა, თუმცა მისი დაცემის მომასწავებელიც



იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის დროშა.

აღმოჩნდა. დამასკოს უმაიანთა და ბაღდადის აბასიანთა დინასტიების ხელშეწყობით იერუსალიმის საპატრიარქოში ერთგვარი მშვიდობა დამყარდა. ქრისტიანთა განსაკუთრებული დევნა ომარ II იბნ აბდ ალ-აზიზის (711–720) დროს დაიწყო. იგი განმეორდა და კიდევ უფრო სასტიკი ხასიათი მიიღო X ს. II ნახ-ში. მაშინ დაარბიეს აღდგომის ტაძარი და მოკლეს პატრიარქი იოანე VII (964–966), ხოლო ხალიფა ალ-ჰაქიმის (996–1021) დროს ცეცხლს მისცეს და მთლიანად გაანადგურეს (1009) აღდგენილი აღდგომის ტაძარი.

არაბთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად, იერუსალიმის ეკლესია მართლმადიდებლობის ბურჯად რჩებოდა. ეს განსაკუთრებით ხატმებძოლობის პერიოდში გაცხადდა, როდესაც თავისი მოძღვრებით მის წინააღმდეგ გაილაშქრა საბას მონასტრის მოღვაწემ, წმ. იოანე დამასკელმა (გ. 749) და სხვა დიდმა საეკლ. მწერლებმა.

იერუსალიმელი ქრისტიანები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როდესაც იერუსალიმი სელჩუკებმა დაიპყრეს (1071). მაშინ აიკრძალა პილიგრიმობა წმ. ადგილებში. 1099 ჯვაროსნებმა იერუსალიმი დაიპყრეს და იქ იერუსალიმის სამეფო დააარსეს. განდევნეს მართლმადიდებელი პატრიარქი და მის სანაცვლოდ ლათინთა პატრიარქი დაადგინეს. მართლმადიდებელი პატრიარქები იძულებული გახდნენ, კონსტანტინოპოლში გადასულიყვნენ და ეკლესია იქიდან ემართათ, რადგან ლათინები მათ იერუსალიმში ყოფნის უფლებას არ აძლევდნენ.

1250 ეგვიპტის მმართველობა ხელში ჩაიგდეს მამლუქებმა. მოგვიანებით (1268) მათი ძალაუფლება სირიასა და პალესტინაზეც გავრცელდა. მამლუქების მიერ იერუსალიმიდან ჯვაროსნების განდევნამ (1291) განაპირობა ძველი ვითარების აღდგენა, თუმცა მართლმადიდებელთა დევნა ახალი დამპყრობლების დროსაც არ შეწყვეტილა. ბურჯელი (ჩერქეზი) მამლუქების მმართველობის ხანაში (1383–1517) იერუსალიმში ძალიან გაძლიერდნენ ქართველები. მათი აღზევება ხსნის მიმნიშნებელი აღმოჩნდა წმ. სალოცავებისათვის, რ-ებსაც მამლუქებისაგან დევნილი ბერძენი ბერები სომხებისა და ლათინების შემოტევებისგან ველარ იცავდნენ. იმ დროს იერუსალიმის საპატრიარქოს ბიზანტიის იმპერატორებიც ეხმარებოდნენ, მაგრამ კონსტანტინოპოლის დაცემის (1453) შემდეგ, ეს დახმარება შეწყდა. იერუსალიმის ყოველი მომდევნო პატრიარქი ცდილობდა, დამპყრობლებთან ახალი ხელშეკრულება დაედო, რ-საც ყოველთვის უმარ I იბნ ალ-ხატაბთან დადებული ხელშეკრულება ედო საფუძვლად.

მამლუქთა ბატონობას პალესტინაში ბოლო მოუღო სულთანმა სელიმ I-მა (1512–20) და იერუსალიმი კონსტანტინოპოლის სულთანთა ხელისუფლებას დაუქვემდებარა (1517). სელიმ I-მა ცნო ბერძენთა უფლებები წმ. ადგილებზე და პატრიარქ დოროთეოს I-ს (ატალას, 1506–37) უბოძა ამის დამადასტურებელი ფირმანი. ოსმალთა ბატონობის პერიოდში (1517–1917) იერუსალიმის საპატრიარქოს უმთავრესი პრობლემა იყო წმ. მიწის სალოცავების მათგან დაცვა.

I მსოფლიო ომის შემდეგ პალესტინა ინგლისელებმა დაიპყრეს (1917 დეკემბერი). კვლავ გააქტიურდა ე. წ. ,,არაბული პრობლემა'', რ-იც, ფაქტობრივად, 1845 დაიწყო განახლებული პანსლავისტური მოძრაობის მიერ. ,,არაბული პრობლემა'' ორ საკითხს მოიცავდა: 1. იერუსალიმის საპატრიარქოსათვის ეწოდებინათ ,,ბერძნული'' (Rum Patriarkhate), როგორც ეს დადგენილი იყო საიმპერატორო კანონმდებლობით; 2. საპატრიარქო არაბულენოვანი მართლმადიდებლებისათვის დაეთმოთ.

1958 იორდანიის ხელისუფლების მიერ გამოიცა საგანგებო კანონი, რ-იც სრულად იცავს საპატრიარქოს უფლებებს (ტიტულს, სტატუსს და ა.შ.).

ამჟამად იერუსალიმის საპატრიარქოს იურისდიქცია ვრცელდება ისრაელის, პალესტინისა და იორდანიის ტერიტორიებზე. საპატრიარქოს რეზიდენცია მდებარეობს იერუსალიმში. კრებისა და სინოდის მიერ არჩეულ პატრიარქს ამტკიცებენ ისრაელის, იორდანიისა და პალესტინის ხელისუფლებები.

იერუსალიმის პატრიარქის სრული ტიტულია: ,,მისი ღვთაებრივი უნეტარესობა, პატრიარქი წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინისა, სირიისა, არაბეთისა, გალმა იორდანისა, გალილეისა, კანისა და წმიდისა სიონისა''.

საპატრიარქოში მოღვაწეობს 25 მღვდელმთავარი, რომელთაგან 15 სინოდის წევრია. ისინი, სხვა სამღვდელო პირებთან ერთად, წმინდა საფლავის საძმოს წარმოადგენენ.

საპატრიარქოს აქვს საეგზარქოსები საბერძნეთში, კონსტანტინოპოლში, კვიპროსზე, მოსკოვში; მეტოქები – სინას ნ.-კ-ზე, კაიროში, ალექსანდრიაში, საბერძნეთში, კვიპროსზე, ლიბანში, თურქეთში.

იერუსალიმის საპატრიარქოს მფარველობს სინა-რაითის სამთავარეპისკოპოსო, რაც იმით გამოიხატება, რომ სინას მთის მთავარეპისკოპოსის კურთხევა ხდება იერუსალიმის პატრიარქის ხელდასხმით.

იერუსალიმის საპატრიარქო ფლობს 37 ტაძარს და 1 მონასტერს იორდანიაში; 17 ტაძარს – ისრაელში; 11 ტაძარს და 24 მონასტერს – პალესტინაში. მათგან 22 მცირე მონასტერი მდებარეობს იერუსალიმში (ძველ ქალაქში). ღვთისმსახურება აღესრულება ბერძნ. და არაბულ ენებზე.

საპატრიარქოს აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანოები: ,,ნეა სიონ'' (ბერძნ. ენაზე, გამოდის 1904-იდან) და ,,ნურ ალ-მასსიხ'' (ქრისტეს ნათელი, არაბულ ენაზე); აქვს გამომცემლობა და სტამბა, ასევე, გიმნაზია, ქალთა სკოლა, ობოლთა თავშესაფარი, მოხუცთა თავშესაფარი, კლინიკა ,,წმ. ბენედიქტე'' და ა. შ.

იერუსალიმის საპატრიარქო აქტიურად მონაწილეობს როგორც სრულიად მართლმადიდებელთა, ასევე ეკუმენურ შეკრებებში.

არსებობს გადმოცემა, რომ ადგილი, სადაც ჯვრის ქართველთა მონასტერი აშენდა (XI ს.), ჯერ კიდევ მირიან მეფემ (IV ს.) მიიღო საჩუქრად კონსტანტინე დიდისაგან. ვახტანგ გორგასალმა (V ს.) კი გაადიდა და გააშვენა მირიან მეფის მიერ აგებული მცირე სალოცავი და სხვა ეკლესიებიც ააგო, რ-თა დასაცავად სოფ. მალხაში 600 ქართველი დატოვა.

პროკოპი კესარიელის ცნობით, იმპ. იუსტინიანეს (527–565) იერუსალიმში განუახლებია დავითის კოშკთან მდებარე იბერთა მონასტერი. მკვლევართა ვარაუდით, ეს ის მონასტერია, რ-იც *პეტრე იბერმა* (V ს.) დააარსა. მასვე დაუარსებია ბეთლემის მახლობლად მდებარე ე. წ. ,,ლაზთა მონასტერიც''.

ქართველები ბერძენ, არაბ და სხვა ქრისტიანებთან ერთად, მოღვაწეობდნენ აგრეთვე პალესტინის უძველეს მონასტრებში: პალავრაში, საბას ლავრაში და ა. შ. XI ს. I ნახ-ში შავშელმა ბერმა, გიორგი პროხორემ (1066) ააშენა ჯვრის

მონასტერი, რ-იც იერუსალიმსა და მის მახლობლად მდებარე სავანეებში დამკვიდრებულ ქართველთა რელიგიურ და სამწიგნობრო კერად იქცა.

იერუსალიმის ქართული სავანეები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ბაჰრელი მამლუქების დინასტიის (1250–1390), განსაკუთრებით კი აზ-ზაჰირ რუქნ ად-დინ ბაიბარსის (1260–77) მმართველობის დროს. მაშინ ჯვრის მონასტერი ხელთ იგდო და მიზგითად გადააკეთა (1273) შეიხმა ხიდრმა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ იმ დროს საქართვ. პოლიტ. ძლიერება შერყეული იყო. მიუხედავად ამისა, ქართველებმა მაინც შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება: დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი (1305 ან 1310/11) და თავადვე მფარველობდნენ გოლგოთას (1308); შემდეგ გიორგი ბრწყინვალის (1299, 1318–46) დახმარებით ხელთ იგდეს ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღებიც. ქართველები ძალიან გაძლიერდნენ ბურჯელი (ჩერქეზი) მამლუქების მმართველობის ხანაში (1382–1517). სწორედ იმ დროს ქართველთა საძმო ბერძენთა ზოგიერთ მონასტერს არა მხოლოდ მფარველობდა, არამედ შეაკეთა კიდევაც ისინი და ახლებიც დააარსა. ამიტომ ამ მონასტრებს იბერიელთა მონასტრებად მოიხსენიებდნენ. იერუსალიმის ბერძნ. საპატრიარქოს არქივში დაცულ დოკუმენტებში იბერიელთა მონასტრებად მოიხსენიება: წმ. ნიკოლოზისა, წმ. იაკობისა, წმ. გიორგისა (ებრაელთა უბანში), წმ. იოანე ღვთისმეტყველისა, წმ. თეკლასი, წმ. მთავარანგელოზთა, წმ. ბასილისა, წმ. მარინესი, წმიდათა თეოდორეთა, წმ. დიმიტრისა, წმ. ეკატერინესი და ჯვრის მონასტერი. ამ სიას რამდენადმე ავსებს ქართულ ხელნაწერთა მოწაცემები, რ-თა მიხედვითაც ქართველებს ეკუთვნოდა აგრეთვე: დერტავი, დერთუფა, კაპათა, შეჰანი, კატამონი.

მას შემდეგ, რაც მამლუქთა სასულთნო ოსმალებმა დაიპყრეს (1517), ქრისტ. ეკლესიებს გაზრდილი გადასახადის გადახდა გაუჭირდათ. სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოდან დახმარებამ იკლო. ჩვენს თანამემამულეებს ვალი დაედოთ, რის გამოც 1558 ფრანცისკანელებმა მიისაკუთრეს წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი (ახლა უწოდებენ St. Sauveur). თითქმის იმავდროულად სომხებმა ხელში ჩაიგდეს წმ. იაკობის დიდი მონასტერი, რ-იც ასევე ქართველებს ეკუთვნოდათ.

1582 ქართველები გოლგოთის ეკლესიის დაკარგვის საფრთხის წინაშეც აღმოჩნდნენ. იერუსალიმის პატრიარქმა სოფრონიოსმა (1579–1608) მოახერხა სულთან აჰმედ II-ისაგან მიეღო დასტური (1605) იმის შესახებ, რომ გოლგოთა ბერძენთა საკუთრება იყო. ნელ-ნელა ქართველებმა ყველა მონასტერი დაკარგეს, ჯვრის მონასტრის გარდა.

XVII ს. უკანასკნელ მეოთხედში ჯვრის მონასტრის ჯერიც დადგა. ამ საკითხზე 1681 საქართველოში ჩამოვიდა იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს II (1669–1707). მაშინ ქართველებმა ვალის მხოლოდ ერთი ნაწილის გადახდა შეძლეს, მაგრამ მოგვიანებით სრულად დაფარეს. მიუხედავად ამისა, დოსითეოს II-მ, საგანგებო სინოდალური განჩინებით (1683), ჯვრის მონასტერი იერუსალიმის საპატრიარქოს გამგებლობაში შეიყვანა და მასზე მეთვალყურეობა დააწესა.

იერუსალიმსა და საქართველოს შორის არსებული ახლო ურთიერთობა აისახა საქართველოს ტოპონიმიკაშიც. მცხეთისა და თბილისის მიდამოებში გავრცელდა იერუსალიმური ტოპოგრაფიული სახელწოდებები: გეთსამანია, ბეთლემი, თაბორი, ბეთანია. დაარსდა მონასტრები პალესტინის მონასტერთა სახელწოდებებით: პალავრა (ქართლში, X ს.), საბა განწმენდილის მონასტერი (მესხეთში, XIII ს.), ქოზიფას მონასტერი (VIII–IX, XV სს.). არაერთ ეკლესიას ეწოდა სიონი (თბილისის, ბოლნისის, დმანისის, ხევის) და ა. შ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ იერუსალიმისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ურთიერთობა შეწყდა. მისი განახლება მხოლოდ XX ს. 80-იან წლებში მოხერხდა. 1980 საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი *ილია II* იერუსალიმის საპატრიარქოს ეწვია. 1981 საქართველოში ჩამოვიდა იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროსი, რის შემდეგაც ილია II იერუსალიმს კიდევ ორჯერ (2000, 2012) ესტუმრა.

ლიტ.: მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980; მამისთვალიშვილი ე., საქართველოსა და იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008; ჯაფარიძე გ., საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბ., 2016; Χρυσοστόμου Παπαδοπούλου (Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος), Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων, ἐν Ἀθήναις, 1970; მისივე: Ἡ Ἱερὰ Μονὴ τοῦ Σταυροῦ καὶ ἡ ἐν αὐτῇ Θεολογικὴ Σχολή, Ἐν Ἱεροσολύμοις, 1905; Α. Τσελίκα, Καταγραφή του αρχείου του Πατριαρχείου Ιεροσολύμων, Δελτίο του Ιστορικού και Παλαιογραφικού Αρχείου, τομ. Ε΄, Αθήνα, 1992. *თ. მესხი.*

იერუსალიმის სამეფო, დასავლეთევროპული ყაიდის უმსხვილესი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც დაარსდა ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის (1096–99) დროს ჯვაროსნების მიერ 1099, იერუსალიმის აღების შემდეგ. ი. ს-თან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო 3 ფეოდ. სამთავრო – ანტიოქიის სამთავრო, ედესისა და ტრიპოლის საგრაფოები. ი. ს-ს პირველი მეფე იყო გოდფრუა ბუიონელი. ტერიტორიულად და ორგანიზაციულად ი. ს. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბოდუენ (ბალდუინ) I-ის მეფობაში (1100–18). ი. ს-ს ოფიც. ენა იყო ფრანგული. მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა დაპყრობილ მოსახლეობასა და დამპყრობელ ,,ლათინ'' ფეოდალებს შორის, რებმაც მართლმადიდებლური ტაძრების დიდი უმრავლესობა დაისაკუთრეს. იერუსალიმში ჯვაროსანთა ბატონობის ხანაში ჯვრის მონასტერი ქართველთა ხელში იყო და ლათინთა დიდი პატივისცემით სარგებლობდა, თუმცა ლათინთა სამეფოს არსებობის ბოლო პერიოდში ჯვაროსნები ცდილობდნენ გარკვეული უფლებები მოეპოვებინათ ჯვრის მონასტერზე და მას მძიმე გადასახადებით ბეგრავდნენ. სწორედ ამავე პერიოდში ჯვრის მონასტრის მამულებისა და ზვრების ნაწილი ი. ს-ს მეფის, ბოდუენ IV-ის ხელში იყო. ეგვ. სულთანმა *სალაჰ ალ-დინმა* (სალადინი) 1187 ომი გამოუცხადა ი. ს-ს, რ-იც თითქმის მთლიანად დაიპყრო. იერუსალიმის ქართულ სავანეებს იმედი მიეცათ, რომ სალადინის შემწეობით ისინი დაიბრუნებდნენ ლათინთაგან ჩამორთმეულ მონასტრებს, მამულებსა და უფლებებს წმინდა ადგილებზე. სალადინის ისტორიკოსის ცნობით, 1187 მეფე თამარმა ელჩობა გაგზავნა იერუსალიმში საგანგებო დავალებით, რ-იც შეეხებოდა ქართველების უფლებების აღდგენას მათ მიერ იერუსალიმში მოპოვებულ წმინდა

ადგილებზე. უცხოური წყაროებით, *დავით IV* აღმაშენებელს კავშირი ჰქონდა ი. ს-თან, ხოლო ქართ. მატიანეებში (,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი'') შემონახულია ცნობა, რომ ,,მეფენი იერუსალიმთანი'' ,,სძლუნობდეს და სძმობდეს'' საქართველოს მეფე გიორგი III-ს.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979.

იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია, იერუსალიმის ქართული სავანის – ჯვრის მონასტრის – სიძველეთა შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიცია. ი. ს. ე. მოეწყო 1960 ოქტ.-ნოემბერში ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის შემადგენლობით. ძვ. ქართ. წყაროების მონაცემებით, მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე გამოსახული უნდა ყოფილიყო შოთა რუსთაველის პორტრეტი. ი. ს. ე-მ მანამდე არსებულ აღწერილობათა (ტ. გაბაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი და სხვ.) მიხედვით მიაგნო ფრესკის ადგილს, რ-იც მთლიანად შავი საღებავით იყო დაფარული. საღებავის ზემოთა ფენის მოშორების შემდეგ შესაძლებელი გახდა ფრესკის მთლიანად აღდგენა. გამოჩნდა საერო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი წმინდანის – იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის – წინაშე მუხლმოდრეკილი და ხელაღპყრობილი შოთა რუსთაველი. აღდგა ფრესკის წარწერაც, რ-იც მანამდე წყაროებში ზუსტად არ იყო მოხსენიებული: ,,ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ''. პოეტის გამოსახულების ქვემოთ მინაწერია: ,,რუსთველი''. ი. ს. ე-მ ფრესკის ფერად ფოტოებთან ერთად საქართველოში ჯვრის მონასტრის სხვა ფოტომასალაც ჩამოიტანა. შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტი თავისი სიძველითა და მნიშვნელობით უნიკალური მონაპოვარია პოეტის ბიოგრაფიისათვის. უკანასკნელ წლებში იგი რამდენჯერმე დაზიანეს. ბოლო (2004) დაზიანების შედეგად გადაფხეკილი ფრესკა აღდგენილია (2005).

ლიტ: აბაშიძე ი., სიტყვები. გზები. სახეები. თბ., 1971; აბაშიძე ი., შანიძე ა., წერეთელი გ., შოთა რუსთაველი ჯვრის მონასტერში, «საბჭოთა ხელოვნება», 1960, №12; შანიძე ა., ვეფხისტყაოსნის საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1966.

ს. ცაიშვილი.

იერუსალიმის ქართული დიასპორა, ქართული ეთნიკური ელემენტის განსახლება იერუსალიმში, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდის ზოგიერთი უცხოელი მოგზაური, პილიგრიმი და პოლიტიკური მოღვაწე (ქართ. საისტ. მწერლობაში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება). ამათგან შეიძლება დავასახელოთ ბენიამინ ტუდელელი (XII ს.), კირაკოს განძაკეცი (XIII ს.), ჟაკ დე ვიტრი (XIII ს.), იოჰან ტუხერი, ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი (XV ს.), ჰერცოგი ფრიდრიხ II, იან ვანტი (XVI ს.), ბერნარდ სური (XVII ს.) და სხვ. ი. ქ. დ. დროთა განმავლობაში იცვლებოდა, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზით: საქართველოში არსებული პოლიტ.-ეკონ. და მისი საერთაშ. მდგომარეობით; ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში, პალესტინასა და საკუთრივ იერუსალიმში არსებულ ვითარებას. იერუსალიმისა და მის მიდამოებში არსებული ქართველთა ხალხმრავალი ახალშენების (მაგ., სოფ. მალხა) არსებობის მაჩვენებელია არქეოლ. მასალა და თქმულებები. იერუსალიმში მრავალრიცხოვანი ქართ. თემის არსებობაზე მიუთითებს V ს-ში პეტრე იბერის მიერ ამ ქალაქში სასტუმრო სახლისა და მონასტრების დაარსება, საეპისკოპოსოს არსებობა VI ს-ში. იერუსალიმში ქართველთა რაოდენობა ძლიერ შემცირდა თავდაპირველად სპარსელების (614), შემდეგ კი არაბების მიერ იერუსალიმის დაპყრობისა და ქრისტიანთა დევნის შედეგად. IX ს-იდან ი. ქ. დ. კვლავ ძლიერდება. X ს-იდან ქართვ. ბერმონაზვნები ისე მომრავლდნენ, რომ 1050 საქართველოს მეფე ბაგრატ IV კურაპალატმა იქ ეპისკოპოსი დანიშნა. ქართველებისათვის წარმატებული იყო იერუსალიმში ჯვაროსანთა პერიოდი. მუსლიმთა მიერ იერუსალიმის დაპყრობისა (1187) და მეფე თამარის დაუღალავი მცდელობის შედეგად, მისი მეფობის ბოლო პერიოდში, მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, თუმცა ქართ. ეკლესია-მონასტრები კვლავ მუსლიმანთა ხელში დარჩა. ი. ქ. დ-ის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო მამლუქი სულთნის, ბეიბარსის მეფობის დროს (1260–77), რაც ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებშიც აისახა. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის გაუარესებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველთა მონაწილეობამ მონღოლთა ლაშქრობებში ეგვიპტის წინააღმდეგ. გერმანელი ი. ტუხერის თქმით, XV ს. 70–80-იან წლებში ქართველებს იერუსალიმში, რაოდენობის მიხედვით, მესამე ადგილი ეკავათ ევრ. კათოლიკეებისა და ბერძნების შემდეგ. იმავე საუკუნის ბოლოს აქ მრავალი ქართვ. სას. და საერო პირი უნახავს გერმ. ბერნარდ ფონ ბრაიდენბახს. სხვა ცნობით, ქართველებს თავიანთი სასაფლაოც ჰქონდათ ქალაქის გარეთ, დამასკოს ჭიშკართან, აგრიპას ველზე. მათი მდგომარეობა დამძიმდა თურქების მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ (1517). ამ დროიდან იწყება ქართველთა პოზიციების შესუსტება, რაც, პირველ რიგში, მონასტრების დაკარგვით გამოიხატა. ქართ. კოლონია სულ უფრო მცირდებოდა და XVII ს. შუა ხანებიდან მან არსებობა შეწყვიტა.

წყარო: კონჭოშვილი პ., მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ..., ტფ., 1901.

ლიტ.: გოჩოლეიშვილი დ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან (XIII ს. 70-იანი წლები), «მაცნე». ისტორიის, არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1975, №4; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, ზ. ალექსიძისა და ჯ. ოდიშელის გამოც., თბ., 1995; მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962; ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში. ავტორის წინასიტყვაობით, თარგმ. ფრანგულიდან შალვა ვარდიძისა, სტამბოლი, 1921; ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გ. ჯაფარიძის გამოც., თბ., 1995; ჯაფარიძე გ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე, წგ.: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV, თბ., 2005; მისივე, როდის დაუბრუნეს ქართველებს მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტერი, წგ.: შოთა მესხია-90, თბ., 2006.

ე. მამისთვალიშვილი.

იერუსალიმის ქართული მონასტერი, იხ. *ჯვრის მონასტერი იერუსალიმში.*

იერუსალიმის ქართული ფარფენები, 1962 აღმოჩენილი ქართული მონასტრის წარწერები. იხ. *პალესტინის ქართული წარწერები.*

იერუსალიმის ფმინდა გიორგის მონასტერი, დაარსების დრო უცნობია, დაუდგენელია ქართულმა თემმა დააარსა იგი, თუ სხვათა საკუთრება გადავიდა მის ხელში,

თუმცა ეს მონასტერი XV ს-ში ქართველებს ეკუთვნოდათ. ამას ადასტურებს ფ. სურიანო. XVI ს. 60-იანი წლების ჯვრის მონასტრის ერთი აღაპით, სამცხელმა ფილიპე შაქარაშვილმა სულხანის შვილის ვარაზის მიერ გაგზავნილი საიერუსალიმო თეთრით წმ. გიორგის ეკლესია შეაკეთა. ტ. *გაბაშვილის* აზრით, იერუსალიმში ,,ჰურიათ უბანში დადიანთა აღშენებული, და მოსახსენებელი მისი მუნვე არს‘‘. ალბათ ეს *ლევან II დადიანია*, რ-ის მზრუნველობა იერუსალიმის ქართ. სიწმინდეებისადმი ცნობილია.

მონასტერი ქართველების მიერ დაარსებულად და მათ კანონიერ საკუთრებად მიაჩნდა იერუსალიმის პატრიარქს *დოსითეოს II-ს*. ის ამ მონასტერს სხვა რამდენიმე ქართ. ეკლესია-მონასტერს შორის ასახელებს. იმავე დოსითეოსმა 1683 მონასტერი საქართველოდან წაღებული ფულით აღადგინა, როგორც ,,ივერთა მონასტერი‘‘. იმავე საუკუნის დასასრულიდან მონასტერი ბერძენთა საპატრიარქოს ფაქტობრივ მფლობელობაში გადავიდა, თუმცა 1706 ეპისტოლეთი პატრიარქმა განაცხადა, რომ მონასტერს ქართველებს უბრუნებდა.

წყარო: ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1956.

ლიტ.: მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998; მისივე, საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008.

ე. მამისთვალიშვილი.

იესე, ალიყული-ხანი (დაახლ. 1680/81–1727), ქართლის მეფე 1714–16, ლევან ბატონიშვილის ძე, ვახტანგ VI-ის ძმა. 1705–14 ირანში შაჰის სამსახურში იყო. ებრძოდა შაჰის წინააღმდეგ აჯანყებულ ავღანელებს, პირველ რიგში ბიძამისის – ქართლის მეფე *გიორგი XI-ის*, ხოლო შემდეგ ძმის – ქართლის მეფე *ქაიხოსროს* მეთაურობით. 1708 გიორგი XI-მ ი. ქირმანის (ქალაქი და ისტ. ოლქი ირანის სამხრ.-აღმ. ნაწილში) ნაიბად დანიშნა, 1709 (გიორგი XI-ის დაღუპვის შემდეგ) შაჰმა კი ქირმანის ბეგლარბეგობა უბოძა. ი-ს მუსლ. სახელი ალიყული-ხანი ეწოდა.

1711 ი. დაინიშნა თოფჩიბაშად (არტილერიის უფროსი). 1714, როცა ვახტანგმა (შემდეგში ვახტანგ VI) უარი თქვა მაჰმადიანობის მიღებაზე, შაჰმა ი. ქართლის მეფედ დაამტკიცა. ქართლის ჯარით ეხმარებოდა კახეთის მეფე დავით II-ს (იმამყული-ხანს) ლეკების შემოსევების მოგერიებაში. 1716, როცა ქართლის მეფობა ვახტანგმა მიიღო, ი. თელავს გაიხიზნა, მაგრამ შეიპყრეს და გადასცეს *ბაქარს*, რ-იც ქართლს განაგებდა. თბილ. სასახლეში პატიმრად ყოფნის დროს ი-მ უარყო მაჰმადიანობა და ქრისტიანობას დაუბრუნდა. 1721 ვახტანგ VI-მ ი. გაათავისუფლა, დაუბრუნა წართმეული ქონება, უბოძა მუხრანი და მსაჯულთუხუცესობა (მდივანბეგობა). 1723, როცა შაჰთამაზ II-მ ქართლის მეფობა კახეთის მეფე *კონსტანტინე II-ს* (მაჰმადყული-ხანს) მისცა და მან თბილისი დაიკავა, ი. ვახტანგ VI-ის დავალებით ბაქართან ერთად მიეგება თბილისის ასაღებად მოსულ ოსმალთა ჯარს. ოსმალები თბილისში შევიდნენ, კონსტანტინე დააპატიმრეს და ქართლის გამგებლობა ბაქარს გადასცეს. ბაქარის ოსმალთაგან განდგომის შემდეგ, 1724, ი. შეურიგდა დამპყრობლებს, კვლავ გამაჰმადიანდა და მუსტაფა ეწოდა. მართალია, ოსმალებმა ქართლის გამგებლობა ი-ს მისცეს, ფაქტობრივი მმართველი ოსმალთა ფაშა იყო. ი. მტერთან ერთად ებრძოდა ვახტანგ VI-სა და ბაქარს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჩხეიძე ს., ცხოვრება მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. გუჩუა.

იესე ბატონიშვილი, ლევან კახთა მეფის ძე. 1556 ირანისათვის ერთგულების დასამტკიცებლად ლევანმა შაჰ-თამაზთან გაგზავნა დიდი ძღვენით. შაჰმა ი. ბ. მძევლად დაიტოვა და შეეცადა მამის საპირისპიროდ კახეთის ტახტზე მის აყვანას. 1559/60 ი. ბ. გამაჰმადიანდა ისა-ხანის სახელით. მალე მან ისევ უარყო მაჰმადიანობა და გაქცევა დააპირა, მაგრამ შეიპყრეს და 1562 წ. 23 დეკემბერს ალამუთის ციხეში ჩასვეს.

წყარო: ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ; სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1966.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

იესე ძსნის ერისთავი, XVII ს. I ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე. 1736–41 თავის ძმასთან, შაწილ ქსნის ერისთავთან ერთად მეთაურობდა ქსნის საერისთავოს ავჯანყებას ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. ავჯანყების დამარცხების შემდეგ ირანში გაიწვიეს და ნადირ-შაჰის ბრძანებით დააპატიმრეს. 1745 საქართველოში მომავალი გზაში გარდაიცვალა.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. აკოფაშვილი.


იესე ქსნის ერისთავი (გ. 1745), XVIII ს. I ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე. 1736–41 თავის ძმასთან, შაწილ ქსნის ერისთავთან ერთად მეთაურობდა ქსნის საერისთავოს ავჯანყებას ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. ავჯანყების დამარცხების შემდეგ ირანში გაიწვიეს და ნადირ-შაჰის ბრძანებით დააპატიმრეს. 1745 საქართველოში მომავალი გზაში გარდაიცვალა.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. აკოფაშვილი.

იესო ქრისტე (ბერძნ. Ἰησοῦς Χριστός), განკაცებული ძე ღმერთი, ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი, რომელმაც ცოდვით დაცემული ადამიანის გამოხსნის, მისთვის დასაბამით მინიჭებული ხატებისა და მსგავსების განახლებისა და განღმრთობის მიზნით ქალწულ მარიამისაგან შეისხა ხორცი და როგორც სრული ღმერთი და სრული კაცი მოევლინა ქვეყნიერებას.

მართლმადიდებელი ეკლესია ი. ქ-ს ორ შობას აღმსარებლობს. კერძოდ, ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი, ერთი მხრივ, დაუსაბამოდ და მარადიულად იშვება მამისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, უკანასკნელ ჟამს ქალწულ მარიამისაგან ხორცშესხმული (განკაცებული) ევლინება ქვეყნიერებას. საეკლესიო დოგმატების თანახმად, ძე ღმერთმა საკუთარ ჰიპოსტასში ურთიერთდამტევნელობით, შეურწყმელად, შეურევნელად, განუყოფლად და განუშორებლად შეაერთა სალვთო და ადამიანური ბუნება. თვით სახელდება ,,იესო ქრისტე‘‘ ცხადყოფს და სრულად იტევს ჭეშმარიტ სწავლებას ღვთის განკაცების შესახებ, ვინაიდან, ერთი მხრივ, ებრაული სახელი ,,იესო‘‘ ნიშნავს ,,მაცხოვარს‘‘ ანუ ,,მხსნელს‘‘ (ჭეშმარიტი მხსნელი და მაცხოვარი მხოლოდ ბუნებითი ღმერთია), ხოლო მეორე მხრივ, ბერძნ. სახელი ,,ქრისტე‘‘ (რასაც ებრაულში შეესატყვისება ,,მესია‘‘), ნიშნავს ,,ცხებულს‘‘, რითაც მაცხოვრის



ქრისტე პანტოკრატოსი, სინას მონასტერი. ხატი. VI ს.



კ. ჰ. ბლოხი. ,,ქადაგება მთაზე‘‘. დანიის ეროვნული ისტორიული მუზეუმი. 1877.

ჭეშმარიტი ადამიანური ბუნება ცხადდება (საზოგადოდ, მხოლოდ ქმნილება შეიძლება იყოს ცხებული და არა ,,ღმრთეება‘‘). აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტად ცხებულია მაცხოვრის კაცობრივი ბუნება მაცხოვრისვე ,,ღმრთეებით‘‘.

წმ. წერილში ი. ძ. მრავალი სახელით არის მოხსენიებული: ძე ღვთისა, ძე კაცისა, ძე დავითისა, მხსნელი, სიმართლის მზე, მოძღვარი, იესო ნაზარეველი, კრავი, ცხებული, ყრმა ღვთისა და სხვა.


წუთისოფლად მოსული ღმერთის – ი. ძ-ს ცხოვრებისა და სწავლებების შესახებ მოძღვრებას გადმოგვცემს ახალი აღთქმის წიგნები, რ-თა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ოთხი მახარებლის მიერ (მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე) დაწერილი ოთხი სახარება. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ზედმიწევნითი სიზუსტით იყო ნაწინასწარმეტყველები მესიასთან დაკავშირებული მოვლენები: შობა ქალწულისგან (ესაია წინასწარმეტყველი 7.14); წუთისოფელში მისი მოვლინება ბაბილონური ტყვეობიდან 490 წ. შემდეგ (დანიელ წინასწარმეტყველი 9); ბეთლემში დაბადება (მიქა წინასწარმეტყველი 5. 1-2); ყრმობის ასაკში ეგვიპტისთვის თავის შეფარება და კვლავ უკან, პალესტინაში დაბრუნება (ოსია წინასწარმეტყველი. 11.1); დასახლება ნაზარეთში (ესაია წინასწარმეტყველი 11.1); ახალი აღთქმის დადება იუდეველებისა და წარმართებისადმი (იერემია წინასწარმეტყველი 31. 30-31); დიდებით შესვლა იერუსალიმში (სოფონია წინასწარმეტყველი 3. 14-20; ზაქარია წინასწარმეტყველი 9.9); ტანჯვა და სიკვდილი (ესაია წინასწარმეტყველი 53); სიკვდილისა და ჯოჯოხეთის მეუფების შემუსრვა (ოსია წინასწარმეტყველი 13.14); მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომა (იონა წინასწარმეტყველი 2; ოსია წინასწარმეტყველი 6. 1-2); ამაღლება და გარდამოვლენა სულიწმინდისა (იოველ წინასწარმეტყველი 2. 28-32).

სახარებისეული თხრობის თანახმად, მთავარანგელოზმა გაბრიელმა მარადქალწულ ყოვლადწმინდა მარიამს ახარა, რომ სულიწმინდა გადმოვიდოდა მასზე, შობდა ძეს და დაარქმევდა მას იესოს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამი და მისი დამწინდველი – მართალი იოსები ქ. ნაზარეთში ცხოვრობდნენ. ისინი დიდი იუდეველი მეფის, ბეთლემელი იესეს ძის – დავითის შთამომავალნი იყვნენ. ამიტომაც ავგუსტოს კეისრის ბრძანებით დაწყებული აღწერისას ქ. ბეთლემში (დავითის ქალაქში) უნდა ჩასულიყვნენ. სწორედ მგზავრობის დროს ბეთლემის ერთ-ერთ გამოქვაბულში (ძვ. ქართულით – ,,ქვაბში‘‘) იშვა იესო. მესიის დაბადება პირველად ანგელოზებისგან მწყემსებს ეუწყათ, რ-ებიც მიეახლნენ და თაყვანი სცეს მას. რვა დღის მესია, ებრაელთა წესისამებრ, წინადაცვითეს და ,,იესო‘‘ უწოდეს, როგორც ეს ანგელოზისგან იყო გაცხადებული. აღმ-იდან მოსულმა მოგვებმა მხსნელის დაბადება ცაზე გამოჩენილი ვარსკვლავით შეიტყვეს, რ-მაც მათ ქრისტეს სამყოფელისკენ უწინამძღვრა. პალესტინაში ჩასულმა მოგვებმა იესოს ძღვენი მიართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური; ოქრო – როგორც ბუნებით მეუფეს, გუნდრუკი (საკმეველი) – როგორც ღმერთს და მური (მირონის სახეობა) – როგორც მოკვდავ ადამიანს, რითაც ღვთის განკაცება აღიარეს.

ანგელოზის უწყებით, იოსებმა ახალშობილი იესო ღვთისმშობელთან ერთად ეგვიპტეში გაარიდა ებრაელთა მეფე ჰეროდეს, რ-მაც მოგვებისაგან შეიტყო, რომ აღსრულდა ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველება და იშვა იუდეველთა ახალი მეფე. ჰეროდემ მოსმენილი ამბავი საკუთარი სამეფო ტახტის დაკარგვის წინაპირობად მიიჩნია, ამიტომ გამოსცა ბრძანება, რ-ის თანახმადაც ბეთლემსა და მის შემოგარენში ორი წლის ასაკამდე ყველა ყრმა უნდა დაეხოცათ. ჰეროდეს გარდაცვალების შემდეგ წმინდა ოჯახი პალესტინაში დაბრუნდა და ქალაქ ნაზარეთში დასახლდა, რითაც აღსრულდა ერთ-ერთი წინასწარმეტყველება, რომ იესოს ნაზარეველი ეწოდებოდა.

ოთხთავი ქრისტეს ბავშვობის შესახებ თითქმის არაფერს გვამ-



ლეონარდო და ვინჩი. ,,საიდუმლო სერობა‘‘. სანტა–მარია დელე გრაციეს მონასტრის სატრაპეზოს მოხატულობა. 1495–97. მილანი.

ცნობს, გარდა ლუკას სახარებისა, რ-შიც მახარებელი აღწერს პასექის დღესასწაულზე წმინდა ოჯახის გამოჩენას იერუსალიმში 12 წლის იესოსთან ერთად და იქვე აღნიშნავს: ,,ხოლო ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა და აღივსებოდა სიბრძნითა, და მადლი ღმრთისაჲ იყო მის ზედა'' (ლუკა, 2.40). იესოს სასაუბრო ენა არამეული იყო.

0. ძ. 30 წლის ასაკში იოანე ნათლისმცემლის მიერ მოინათლა მდ. იორდანეში, რითაც დასაბამი დაედო მესიის საზოგადოებრივ ასპარეზს. 40 დღე მარხვითა და ლოცვით უდაბნოში განმარტოებულმა იესომ მაცდური ეშმაკი დაამარცხა. პირველი სასწაული გალილეის ქ. კანაში ქორწილის დროს აღასრულა, სადაც რამდენიმე მოციქულთან ერთად იმყოფებოდა და წყალი ღვინოდ აქცია. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სასწაულის ,,ჟამი'' ჯერ არ დამდგარიყო, მაცხოვარმა დედის, ყოვლადწმინდა მარიამის თხოვნით მოახდინა ის. ქ. კანაში განხორციელებული საკვირველთმოქმედება იესოს საღვთო დიდების წარმომჩენი პირველი ნიშანი იყო, რაშიც მოციქულებმა მისი ღვთაებრივი ძალმოსილება განჭვრიტეს. შემდგომში განხორციელებული მრავალი სასწაულის მიზეზით მაცხოვარს, გარდა თორმეტი მოციქულისა, სხვა მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, რამაც იუდეური სინედრიონის წევრები, ფარისევლები და სადუკეველები დიდად შეაშფოთა.

ერთ-ერთი მოციქულის, ვერცხლისმოყვარეობის ვნებით გონებადაბნელებული იუდას გაცემის შედეგად მესია შეიპყრეს, პალესტინაში დადგენილი რომაელი მმართველის, პილატეს მეშვეობით ჯვარცმის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და გოლგოთის მთაზე ორ ავაზაკს შორის აცვეს ჯვარს (იხ. *ჯვარცმა*). ჯვარზე კაცობრივი ბუნებით მოკვდინებული 0. ძ. სამი დღის შემდეგ აღდგა (იხ. *აღდგომა*), აღდგომიდან მეორმოცე დღეს კი ამაღლდა (იხ. *ამაღლება*) და დაჯდა ,,მარჯვენით მამისა''.

განკაცებული ღმერთის, 0. ძ-ს ქვეყნიური ცხოვრება 33 წელი გაგრძელდა. უფლის ჯვარცმით, სიკვდილითა და აღდგომით აღსრულდა ძველაღთქმისეული მოლოდინი ჯოჯოხეთის მეუფების შემუსრვისა და კაცობრიობის



პ. პერუჯინო. ,,ჯვარცმა''. ფრაგმენტი. 1482.

ახალ სულიერ მდგომარეობას დაედო დასაბამი.

მართლმადიდებელი ეკლესია 0. ძ-ს ორ მოსვლას ასწავლის, რთაგან პირველი ადამიანთაგან დაფარულად, უდიდესი სიმდაბლით და შეურაცხი სახით, ანუ ,,მონის ხატით'' განხორციელდა ქ. ბეთლემში, ხოლო მეორე მეუფებითი დიდებით აღსრულდება სამერმისოდ, საუკუნეთა დასასრულს, რასაც კაცობრიობის მკვდრეთით



ჯ. ჰ. ბლოხი. ,,ფერისცვალება''. XIX ს.

აღდგომა და საყოველთაო სამსჯავრო მოჰყვება.

0. ძ., როგორც განკაცებული ღმერთი და მესია, საქართველოში I ს-შივე იქნა განდიდებული მცხეთელი ებრაელების მიერ. უძველესი ისტ. წყაროების თანახმად, ღვთისმშობლის მიერ საკუთარი ძისთვის მოქსოვილი *საუფლო კვართი* პალესტინაში ჩასულ ელიოზ მცხეთელს ერგო წილისყრის შედეგად. მან კვართი მცხეთაში ჩამოაბრძანა და გადასცა საკუთარ დას – სიდონიას, რმაც უდიდესი სიწმიდის – საუფლო კვართის მიღებისას ,,მიირქვა იგი და სული განუტევა''. ელიოზის და კვართთან ერთად დაკრძალეს დღევანდელი სვეტიცხოვლის ტაძრის ადგილას. ,,საფლავი იგი'' (კვართის სამკვიდრო) დღემდე ხელშეუხებელია. საუფლო კვართის სვეტიცხოველში არსებობის გამო მცხეთა მეორე იერუსალიმად იწოდება.

ანდრია მოციქულის (პირველწოდებულის) მოციქულებრივი მოღვაწეობის შედეგად 0. ძ-ს მოძღვრებას ქართველი ხალხი I ს-იდანვე ეზიარა, ხოლო IV ს. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ არსებითად განსაზღვრა ჩვენი ქევყნის კულტ., სოც. და პოლიტ. ცხოვრება და ისტორია.

ივანბა ვიქტორ ელიზბარის ძე (დ. 28. VIII. 1938, ოჩამჩირე), აფხაზი მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). სწავლობდა სოხუმის სამხატვრო სასწავლებელში (1956–59), შემდეგ თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1959–65). გამოფენებში მონაწილეობს 1961-იდან, კერძოდ აფხაზეთისა (1961) და ამიერკავკასიის მხატვართა (თბილისი, 1971) გამოფენებში. ძირითადი ნამუშევრები: ,,ბედნიერება'' (1961), ,,ს. ჭანბას პორტრეტი'' (1961), ,,დაჭრილი ნუკრი'' (1962–63), ,,ოცნება'' (1963), ,,მამაკაცის პორტრეტი (1965), ,,მგზავრული'' (1967), ,,მოსავალი'' (1969), ,,კოცნა'' (1970), ,,ქალიშვილის პორტრეტი'' (1971), ც. ბჟანის ბიუსტი (ოჩამჩირე, 1964), ლენინის ძეგლი (გუდაუთა, 1966), ,,სამშობლოსათვის დალუპულთა მემორიალი'' – ბ. ღოღობერიძესთან ერთად (სოხუმი, 1968), ,,კავკასიის დამცველები'' – ბ. ღოღობერიძესთან ერთად (გაგრა, 1987). პროექტები: მონუმ.-დეკორატიული კომპოზიციები ,,აფსირტე ოქროს ვერძთან ერთად'' (ბიჭვინთა,



ვ. ივანბა. ,,დიმიტრი გულია'' (არქიტექტორი ნ. ხვედელიანი). ქვა. 1981. თბილისი.

1971), დ. გულიას ძეგლი (თბილისი, 1981). მისი ნამუშევრები დაცულია სოხუმში დ. გულიას სახლ-მუზეუმსა და სამხატვრო გალერეაში. მუშაობდა სოხუმის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგად (1965–67).

ივანდიდი, სოფელი ხონის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის დაბლობზე, ხონი – ქუთაისის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 95 *მ*, ხონიდან 2 *კმ*, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 19 *კმ*. 1,7 ათ. მცხ. (2014).

ივანე I (ყვარყვარე) ჯაყელი – ციხისჯვარელი, საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XII ს. 90-იან – XIII ს. 50-იან წლებში, მეჭურჭლეთუხუცესი, სამცხის სპასალარი. XII ს. 90-იან წლებში მეფის მომხრეთა ბანაკში იყო და ებრძოდა თამარის წინააღმდეგ შეთქმულ დიდგვაროვან აზნაურებს. მონაწილეობდა ჯალალედინის წინააღმდეგ ბრძოლებში, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მონღოლებს სამცხეში და, ვიდრე რუსუდან მეფის ნებართვა არ მიიღო, მტერთან მოლაპარაკება არ დაიწყო (სხვა ,,საქვეყნოდ გამრიგენი'' მონღოლებს უომრად ნებდებოდნენ). ჩაღათა ნოინმა ი. I სამცხის გამგებლად დატოვა.

დაახლ. 1242–43 ი. I-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო *რუსუდანისა* და დავითის ქუთაისიდან თბილისში გადასვლასა და დავით უფლისწულის მონღოლთა ურდოში მეფედ დასამტკიცებლად გაგზავნაში. უმეფობის ხანაში დაამარცხა მცირე აზიის თურქები, რ-თაც დაიპყრეს სამხრ. საქართველოს მიწა-წყალი. მას დახმარებისათვის მიმართეს სანაპირო თემების – ტაოს, შავშეთ-კლარჯეთის, კოლა-არტაან-კარნიფორის გამგებლებმა. ი. I-მა 10000-იანი ლაშქარი შეკრიბა. ბრძოლა მოხდა ვანის ვაკეზე. ქართველებმა გაიმარჯვეს. ბრძოლის შემდეგ ი. I სამცხეს დაბრუნდა, ხოლო დამარცხებულ მტერს თავისი შვილიშვილები, ივანე (პაპა) და სარგისი, დაადევნა. მათ დაიბრუნეს მტრის მიერ დაკავებული ტერიტ. და თურქები საქართველოს საზღვრებიდან გააძევეს. ი. I-მა აქტ. მონაწილეობა მიიღო ტახტის მემკვიდრის – დავით გიორგის ძის – მოძებნასა და ჩამოყვანაში (შემდეგ იგი მეფედ დასამტკიცებლად ურდოში გაისტუმრეს). ი. I *კოხტასთავის შეთქმულების* ერთ-ერთი მეთაური და ინიციატორი იყო.

წყარო: ჟამთააღმწერელი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982. *შ. ლომსაძე.*

ივანე II ჯაყელი, სამცხის გამგებელი, ათაბაგი 1391–1444 (ვახუშტის მიხედვით), *ბექა II-ის* ძე. თავდაპირველად საქართველოს მეფე გიორგი VII-სთან ერთად იბრძოდა თემურლენგის წინააღმდეგ. დაახლ. 1400–01 განუდგა გიორგი VII-ს და დამპყრობელს დამორჩილდა. ცდილობდა სამცხისათვის მოეპოვებინა საეკლ. დამოუკიდებლობა, მაგრამ წინ აღუდგა მცხეთის საპატრიარქო და მესხეთის საეპისკოპოსოთა დიდი ნაწილი. ი. II-ის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ ბოლო მოუღო *ალექსანდრე I* დიდის მტკიცე პოლიტიკამ. 1414 მეფესთან ბრძოლაში (ასპინძასთან, კოხტასთავს) დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ალექსანდრე I-მა ერთგულების ფიცი დაადებინა და ათაბაგობა დაუბრუნა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ისტორია XI–XV სს., თბ., 1949; მისივე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982. *შ. ლომსაძე.*

ივანე III (22. I. 1440 – 27.X. 1505, მოსკოვი), მოსკოვის დიდი მთავარი 1462-იდან. მის დროს დასრულდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. 1480 მან ბოლო მოუღო მონღოლ-თათართა ბატონობას რუსეთზე. გაიზარდა მოსკოვის საერთაშ. ავტორიტეტი. მოსკ. სახელმწიფოს გაძლიერება მხედველობიდან არ გამორჩენიათ ქართვ. პოლიტ. მოღვაწეებს. 1483 და 1491 კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა ელჩები გაგზავნა დიდი მთავრის კარზე და საფუძველი ჩაუყარა კახეთის სამეფოსა და რუსეთის პოლიტ. ურთიერთობის ახ. ეტაპს.

ლიტ.: ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X–XVI სს.), თბ., 1956; მისივე, ძველი რუსული მასალები (XI–XVI სს.) საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1962.

ივანე IV მრისხანე (25. VIII. 1530, სოფ. კოლომენსკოე, – 18. III. 1584, მოსკოვი), მოსკოვის დიდი მთავარი 1533-იდან, პირველი რუსი მეფე (1547-იდან) რიურიკოვიჩების დინასტიიდან. თვითმპყრობელობის გაძლიერებისა და სახელმწიფოს ცენტრალიზაციის განმტკიცების მიზნით გაატარა მთელი რიგი რეფორმები (1549–60). მის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიასთან (განსაკუთრებით ყაბარდოსთან) ურთიერთობას. 1557 მოსკოვში ჩასული ყაბარდოელი ელჩები რუს. მთავრობას მოახსენებდნენ, რომ მათთან ერთად ,,ერთი ფიცითა და პირობით არიან შეკრულნი ივერიის მთავარი და ივერიის მთელი ქვეყანა'' და ქართველებიც ითხოვდნენ რუსეთის მფარველობასა და დახმარებას. ი. IV-ის მეფობის დროს წამოიჭრა კახეთის საკითხი – 1563 კახეთის მეფე ლევანმა ელჩები გაგზავნა მასთან. რუსეთის მთავრობა დახმარებას შეჰპირდა ქართველ ელჩებს და გამოგზავნა რუსთა რაზმი. 1567 კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით ი. IV-მ მდ-ების – თერგისა და სუნჯის შესართავთან ციხე აგებინა.

თურქეთ-ყირიმის პროტესტის გამო კახეთის მეფე იძულებული გახდა დაეთხოვა რუსთა რაზმი. ამის შემდეგ რუსეთმა თერგის ციხე დაანგრია. ამრიგად, კახეთ-რუსეთის პოლიტ. ურთიერთობა ისევ შეწყდა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII სს. მიჯნაზე, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1944, ნაკვ. 1; ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X–XVI სს.), თბ., 1956; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ნ. ნაკაშიძე.

ივანე ბურსელი, XIII ს. მოღვაწე, კათოლიკოს *აბრაჰამ I-თან* და თბილისის ყადისთან ერთად მონაწილეობდა ავჯანყებულ *დავით VIII-სა* და მონღოლებს შო-

რის მოლაპარაკებებში. მასთან იყო შეფარებული ჟინვანის ციხიდან გამოპარული *ვახტანგ III*, სადაც ის დავით VIII-ს ჰყავდა გამოკეტილი. ი. ბ-მ შეძლო ძმების დაზავება. შემდგომში ი. ბ. ერთ-ერთ მოლაპარაკებაში მონაწილეობისას ყაენის მიერ საქართველოს ასაოხრებლად გამოგზავნილმა *ხუტლუბულამ* მოკლა.

წყარო: ჯამთააღმწერელი, წგ.: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1973.

ივანე დიაკონი, XI ს. ქართველი ოქრომჭედელი. ჩვენს დრომდე მოაღწია მისმა ნამუშევარმა – მარტვილის საწინამძღვრო ჯვარმა. მხატვრის ვინაობას გვამცნობს ჯვრის უკანა მხარეს, გარე კონტურზე შემოყოლებული წარწერა. ჯვრის ზომაა 55×36 *სმ*. ფორმით ისეთივეა, როგორიც სხვა ქართ. საწინამძღვრო ჯვრები – ტარზე წამოცმული, უფრო გრძელი ქვემო მკლავითა და თანაბარი ზემო სამი მკლავით; მკლავების ბოლოები ფართოვდება და ყოველ კიდეში ფოთლოვანი ყუნწები აქვს გამობმული. წინა პირზე, შუაგულში, ჯვარცმული ქრისტეს რელიეფური გამოსახულებაა. ჯვრის განივი მკლავების ბოლოებში გამოსახულია თითო ანგელოზი (წელზევით), მარიამი და იოანე; ზემო მკლავი უჭირავს ქრისტე ყოველისმპყრობლის ფეხზე მდგომ მთლიან ფიგურას, ბასილი დიდისა და გრიგოლის წელზევით ფიგურებს, ქვემო მკლავი – წვეროსანი წმინდანის მთლიან ფიგურას. ჯვრის არე ორნამენტითაა დაფარული. ზურგის მხარეს მთელი არე უჭირავს მცენარეულ ორნამენტს (წარწერა არშიაზეა).

ი. დ. ქართ. ოქრომქანდაკებლობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

ივანე კალატოზი, ოსტატი, რომელმაც ააშენა სოფ. სოხთის (ჯავის მუნიციპალიტეტი) ეკლესია. იგი მოხსენიებულია ეკლესიის ერთ-ერთი კედლის საამშენებლო წარწერაში. ეკლესია ერთნავიანია, რ-საც ჰქონდა გარშემოსავლელი (ამჟამად, ამ გარშემოსავლელიდან დარჩენილია მხოლოდ სვეტისთავებისა და კედლის სვეტების ფრაგმენტები). აღმ. მხარეს, საკურთხევლის ქვეშ, მოწყობილია დიდი კრიპტა (სამარხი-სამლოცველო) საგანგებო შესასვლელით გარედან, აღმოსავლეთიდანვე. განსაკუთრებით საინტერესოა ეკლესიის რელიეფური გამოსახულებები (ცხოველების, მხედრებისა და სხვ.), რ-ებიც აგრეთვე ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ტექ. თვალსაზრისით შენობა კარგადაა ნაგები. ხუროთმოძღვრული ფორმებისა და მორთულობის მიხედვით X ს-ით თარიღდება.

ლიტ.: ბერიძე ვ.. ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში, XI ს. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, სპასალარი, კლდეკარის ერისთავი. გადახვეწილი იყო ბიზანტიაში ბაგრატ IV-გან შერისხულ და ბერად აღკვეცილ მამასთან, ლიპარიტ IV-თან ერთად. ამ უკანასკნელის თხოვნით 1059 საქართვ. მეფემ შეიწყნარა ი. ლ. ძ., დაუბრუნა მამაპაპეული მამული და სპასალარად დანიშნა. ერთხანს იგი ერთგულად ემსახურებოდა ბაგრატ IV-ს, დიდი პოლიტ. უფლებები მოიპოვა და ეკონომიკურადაც გაძლიერდა. ალფ-არსლანის შემოსევების დროს (იხ. *ალფ-არსლანის ლაშქრობანი საქართველოში 1064, 1068)* ი. ლ. ძ. მეთაურობდა ალფ-არსლანთან მეფის სამოციქულო მისიას. 1069 დაამარცხა განძის ამირა ფადლონი. 1073 კი ისევ მეფის მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩადგა – აუჯანყდა გიორგი II-ს, კახელები მოიშველია და ქსნისპირა ადგილები დაიჭირა. გიორგი II იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო: ი. ლ. ძ-ს სამშვილდე უბოძა, მის შვილს, ლიპარიტს კი – ლოწობანი. 1074 ი. ლ. ძ. ისევ განუდგა მეფეს, მაგრამ ამჯერად კახელები გიორგი II-ს მიემხრნენ და იგი იძულებული გახდა მეფეს დაზავებოდა. შემდეგ ი. ლ. ძ-მ ქ. გაგი გამოსტაცა მეფის მეციხოვნეებს და საქართვ. მტერს, განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა. დაახლ. 1074 კი მორჩილებით ეახლა საქართველოს ასაოხრებლად მოსულ თურქ-სელჩუკების სულთან მელიქ-შაჰს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ი. ლ. ძ. გამოიპარა. 1080 მელიქ-შაჰი შეესია საქართველოს და ი. ლ. ძ. ოჯახიანად ტყვედ ჩაიგდო. შემდეგ იგი წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983.

რ. მეტრეველი.

ივანე მონისძე, XI ს. ქართველი ოქრომჭედელი. შემორჩენილია მის მიერ ხელმოწერილი და ზუსტად დათარიღებული (1040) ოთხი სწორკუთხა ფირფიტა (17,5 *სმ* × 7,5 *სმ*) მღვდელმთავრების – წმ. ბასილის, წმ. ნიკოლოზის, წმ. გრიგოლის, წმ. ათანასეს –გამოსახულებებით და ხუთი მედალიონი (d=8,5 *სმ*): წმ. მიქაელის, წმ. გაბრიელის, წმ. ურიელის, წმ. რაფაელის და წმ. მოწამე დავით მარგვეთელის ნახევარფიგურებით. წმ. ნიკოლოზის და წმ. ბასილის ფირფიტები დაკრული იყო შემოქმედის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის არშიაზე (ამჟამად შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში). წმ. გრიგოლის, წმ. ათანასეს ფირფიტები, მთავარანგელოზების – მიქაელის, გაბრიელის, ურიელის – მედალიონები დაცული იყო ბარონ ა. შტიგლიცის კოლექციაში (ამჟამად სახელმწიფო ერმიტაჟში), წმ. რაფაელის და წმ. დავით მარგვეთელის მედალიონები განთავსებული იყო შემოქმედის ღვთისმშობლის ხატზე, შემდგომ მ. ბოტკინის კოლექციაში (ამჟამად რუსულ მუზეუმში, სანქტ-პეტერბურგი). ოთხივე ფირფიტა ერთნაირი მოყვანილობისაა – ვიწრო, მაღალი, ზემოთ ნახევარწრიული მოხაზულობით. სამი მხრიდან შემოვლებული ჭდეებიანი ლილვაკით. თითოეულზე თითო გამოსახულებაა შესრულებული გლუვ ფონზე, ფრონტალურად, მთელი ტანით. ხუთივე მედალიონი ერთი და იმავე ზომისაა გარშემოწერილი ჭდეებიანი ლილვაკით. ნახევარფიგურები მოცემულია ასევე ფრონტალურად (წმ. დავით მარგვეთელი მცირე ბრუნშია), გლუვ ფონზე. ცხრა დეტალისაგან შედგენილი ნაკრები ერთისა და იმავე ძეგლის მოჭედილობის ნაწილებს წარმოადგენს. ი. მ-ის ქმნილებების მეტყველი სახეები ინდივიდუალიზებულია, სხეულთა პროპორციები – სწორი. პლასტიკურად დამუშავებული ფიგურები თავისუფალ პოზაში ხაზგასმული მონუმენტურობით არის აღბეჭდილი. მოქანდაკე მიზანსწრაფულად



ივანე მონისძე. ჭედური ფირფიტები წმინდა ნიკოლოზისა (მარცხნივ) და წმინდა ბასილის (მარჯვნივ) გამოსახულებით. 1040. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

ქმნის მოცულობით ფორმებს. აქ საქმე გვაქვს ქართ. ოქრომქანდაკებლობის იმ საფეხურთან, როდესაც ოსტატები სკულპტურულ-პლასტიკურ ამოცანებს ისახავენ მიზნად.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; საყვარელიძე თ., ალიბეგაშვილი გ., ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, თბ., 1980; Амиранашвили Ш., История грузинского искусства, М., 1956, 1963; Кондаков Н., Бакрадзе Д., Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890; Мирзоян А., Грузинская средневековая торевтика в собрании Эрмитажа (исследования и атрибуты), СПб., 2016; Грузия IX–XVII вв. Синай-Византия-Русь. Православное искусство с 6 до начала 20 века. Кат. Выставки, СПб., 2000. В-100; Новикова-ская-Бухман С., Произведения Иване Монисдзе в собрании Русского музея. Памятники культуры. Новые открытия. Сб., М., 2002; Такайшвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. I, Тфл., 1905; Ракитина К., Памятники грузинского чекана по серебру IX–XII вв. из собрания Эрмитажа // ТГЭ, Л., 1961, вып. 5; Alibegasvili G., Beridze V., Volskaja A., Khuskivadze L., I Tesôri della Georgia, Milano, 1984.

ე. კავლელაშვილი.

ივანე მორჩაისძე, XI ს. ქართველი ხუროთმოძღვარი, რომელმაც 1032 საფუძვლიანად გადააკეთა იშხნის ტაძარი, რასაც გვამცნობს სამხრ. სარკმლის ირგვლივ გაკეთებული წარწერა. იშხნის ტაძარი მდებარეობს ძვ. ქართ. პროვინცია ტაოში (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). იგი VII ს-ში აშენდა და არაერთხელ შეკეთდა და განახლდა. საბოლოო, მხატვრულად დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე ტაძარმა ი. მ-ის ხელში მიიღო. ფასადების დამუშავების საერთო სისტემით იშხნის ტაძარი XI ს. დამახასიათებელი ძეგლია. ჩუქურთმათა სიუხვე და დახვეწილობა, მრავალფეროვნება, შესრულების მაღალი დონე, ი. მ-ს შუა საუკუნეთა ბრწყინვალე ქართვ. ოსტატების გვერდით აყენებს.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; ქსე, ტ. 5, თბ., 1980.

ივანენკო დიმიტრი დიმიტრის ძე [16(29). VII. 1904, პოლტავა (უკრაინა), – 30. XII. 1994, მოსკოვი], რუსი ფიზიკოს-თეორეტიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1931). დაამთავრა პოლტავის პედ. ინ-ტი (1923) და ლენინგრადის უნ-ტი (1927). სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა უკრაინისა და რუსეთის სამეცნ. დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. 1943-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფიზ. ფაკ-ტის პროფესორი.

ი-ს მეცნ. ინტერესების სფერო უაღრესად ფართოა: ბირთვული ფიზიკა, გრავიტაცია, კოსმოლოგია, კლასიკური ელექტროდინამიკა და კვანტური ველების თეორია, ბიოლოგიური ფიზიკა (ცოცხალ ორგანიზმებზე ბირთვული გამოსხივების ზეგავლენა), ფიზიკის ისტორია და სხვ. გ. გამოვთან და ლ. *ლანდაუსთან* ერთად ი-მ განიხილა უნივერსალური მუდმივების თეორია (1928); ვ. ფოკთან ერთად აღწერა ფერმიონების მოძრაობა გრავიტაციულ ველში (1929; თანამედროვე მათ. თვალსაზრისით პირველი ყალიბრული მოდელი). 1930 ი-მ და ვ. *ამბარცუმიანმა* ივარაუდეს, რომ ბირთვში ელექტრონი არ არსებობს, ის ჩნდება ნეიტრონის ბეტა-დაშლის პროცესში. ექსპერ. მონაცემებზე დაყრდნობით ი-მ პირველმა გამოთქვა ვარაუდი ატომბირთვის პროტონ-ნეიტრონული აგებულების შესახებ (1932; ი-ს შრომაზე დაყრდნობით იგივე ვარაუდი შემდგომ გამოთქვა ვ. *ჰაიზენბერგმაც*). ი-ს ბირთვული ძალების მოდელი, რ-იც ითვალისწინებს მასიური ნაწილაკებით გაცვლას (1934, ი. *ტამთან* ერთად), იაპონელმა მეცნიერმა ხ. იუკავამ საფუძვლად დაუდო ბირთვული ძალების მეზონურ თეორიას.

1949 გამოიცა ი-ს „ველის კლასიკური თეორია“, რ-შიც ჩამოყალიბებულია სინქროტრონული გამოსხივების თეორია (სტალინური პრემია, სხვებთან ერთად, 1950). 1964 დ. *კურდღელაიძესთან* ერთად ი-მ იწინასწარმეტყველა *კვარკების* დეკონფაინმენტის შესაძლებლობა; 1965 მათვე გამოთქვეს ჰიპოთეზა *კვარკული ვარსკვლავების* არსებობის შესახებ; 1983 ი-მ გ. სარდანაშვილთან ერთად ჩამოაყალიბა გრავიტაციის ყალიბრული თეორია.

ი. ეწეოდა მრავალმხრივ მეცნ.-ორგანიზატორულ და მეცნ.-პედ. მოღვაწეობას. მისი ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია GR5 გრავიტაციასა და ფარდობითობის ზოგად თეორიაში (თბილისი, 1968). იყო სსრკ-ში პირველი უცხოენოვანი სამეცნ. ჟურნ. „Physikalische Zeitschrift der Sowjetunion“ დაარსების (1931) ინიციატორი.

ი-მ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში თეორ. ფიზიკის განვითარებაში. მის მოსწავლეთა შორის არიან ქართვ. მეცნიერები: დ. *კურდღელაიძე*, ვ. *მამასახლისოვი*, მ. *მირიანაშვილი*, გ. სარდანაშვილი, ზ. ხუხუნაიშვილი, რ-თა სამეცნ. მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება ი-ს შემოქმედებას.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: The neutron hypothesis, «Nature», vol. 129, 1932; The gauge treatment of gravity, «Physics Reports», 94, 1983 (თანაავტ. G. Sardanashvily).

ლიტ.: Дмитрий Дмитриевич Иваненко, «Новости науки», 2014, № 1; 110 лет со дня рождения Дмитрия Дмитриевича Иваненко, «Советский физик», 2014, № 6.

ივანეული, სოფელი ტყიბულის მუნიციპალიტეტის ხრესილის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ-ების ძიროვნისწყლისა და ჯუხის (წყალწითელას აუზი) წყალგამყოფზე. ზ. დ. 500 *მ*, ტყიბულიდან 14 *კმ*, ხრესილიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 18 მცხ. (2014).

ივანე ქვაციხისელი, ფოლკლორის პერსონაჟი, დაღუპული მონადირის ციკლის – თქმულება „ივანე ქვაციხისელის“ მთავარი გმირი. ფოლკლორული ვარიანტების მიხედვით, საფერხულო ტიპის სიმღერებში გადმოცემულია მონადირე ი. ქ-ის ტრაგიკული ამბები. ჯიხვების კვალს გადევნებულმა ივანემ კლდეზე ასასვლელად თოვლისგან თავისივე გაკეთებული საფეხურები დაბრუნებისას ვეღარ იპოვა. საბოლოოდ იგი დაიმტვრა. ქვას, რ-იც მას გადმოჰყვა, ქვაციხე უწოდეს, მონადირეს კი – ქვაციხისელი. ი. ქ-ის სახეს შერჩენილი აქვს უძველესი რწმენა-წარმოდგენების შემცველი პლასტები.

ლიტ.: ვირსალაძე ელ., ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964; ღლონტი ა., ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1989; ჩოლოყაშვილი რ., უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში, თბ.,

2004; Вирсаладзе Е. Б., Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1976.

თ. დოლიძე.

ივანე (იოვანე) შავლიანი, აფხაზთა (დასავლეთ საქართველო) მეფე (დაახლ. 868–880), *შავლიანთა* დინასტიის პირველი წარმომადგენელი. ტახტი ხელთ იგდო *გიორგი I* აღწეფელის ქვრივის მეშვეობით. მდგომარეობის განსამტკიცებლად თავის ძეს და მემკვიდრეს, ადარნასეს ცოლად შერთო *გვარამ (გუარამ) მამფლის* ასული. ი. შ. და ადარნასე, წინა დინასტიის მეფეთა მსგავსად, განაგრძობდნენ ბრძოლას საქართველოში ჰეგემონობის მოსაპოვებლად.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1959.

ვ. გუჩუა.

ივანე ფიქრიძე, XVI–XVII სს. მიჯნის ოქრომჭედელი. მისი შესრულებულია ღვთისმშობლის ოქროს ხატი, ჩადგმული 12 მოციქულის დიდ ხატში, რ-იც შემოქმედის მონასტერში ინახებოდა. ხატი მამია გურიელისა და მისი მეუღლის, თინათინის მიერ იყო შეწირული. ერთ-ერთი წარწერა ასეთია: «ქორონიკონსა ორასოთხმოცდაცხრასა (=1601 წ.) ივანეს ოქრომჭედელს შეუნდოს ღმერთმან წიქრიძეს». ე. თაყაიშვილს მიაჩნია, რომ ივანეს (=იოვანეს) შესრულებულია სოფ. გურიანთის ე. წ. ციხის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატიც, შეწირული იმავე მამიასა და თინათინის მიერ.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

ივანიშვილი ბიძინა გრიგოლის ძე (დ. 18. II. 1956, სოფ. ჭორვილა, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი), საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ბიზნესმენი, ქველმოქმედი. 1980 დაამთავრა თსუ-ის საინჟ.-ეკონ. ფაკ-ტი. 1986 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვის შრომისა და სოც. პრობლემების ინ-ტში. 2006 საქართვ. სწავლულ ექსპერტთა საბჭომ საქართვ. ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და სულიერების აღორძინებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

2012 წ. 21 აპრილს ი-მა შექმნა პარტია *,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო''*, სათავეში ჩაუდგა თავისსავე შექმნილ ოპოზიციურ პარტიათა კოალიციას, რ-მაც 2012 საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა. 2012 წ. 25 ოქტომბერს იგი აირჩიეს საქართვ. პრემიერ-მინისტრად. ამ პერიოდში ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწ. პროგრამა (უფასო გახდა გადაუდებელი ოპერაციები და მშობიაროba), დაიწყო თვითმმართველობის სისტემის რეფორმა და შემუშავდა სოფლის გადარჩენის პროექტი; პრიორიტეტებად იქნა დასახული ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების აღდგენა და დამკვიდრება; ბიზნესის გათავისუფლება სახელმწ. წნეხისაგან; დემოკრ. ინ-ტების ქმედითობის გაძლიერება და ევროინტეგრაციაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარება. 2013 წ. 20 ნოემბერს ი-მა, თანამდებობაზე არჩევამდე წინასწარ გაკეთებული განცხადების საფუძველზე, საკუთარი სურვილით დატოვა პრემიერ-მინისტრის პოსტი და სამოქალაქო სექტორს დაუბრუნდა, რითაც უნიკალური პოლიტ. პრეცედენტი შექმნა. 2018 არჩეულ იქნა პარტია *,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს''* თავმჯდომარედ.

1995 ი-მა დააარსა საერთაშ. საქველმოქმედო ფონდი *,,ქართუ''*, რ-ის ერთადერთი დონორი ი-ის ოჯახია. ფონდის მეშვეობით მან განახორციელა ქვეყნის მოდერნიზაციაზე ორიენტირებული მრავალი მასშტაბური პროექტი, კერძოდ: ხელოვნების, კულტ. მემკვიდრეობის დაცვის, სპორტის, სოფლის მეურნეობის, მედ. და ჯანმრთელობის დაცვის, ინფრასტრუქტურის, ტურიზმის ხელშეწყობის, ეკოლოგიის, მეცნიერებისა და განათლების დარგებში.


ი-მა 2013 დააარსა აგრეთვე *საქართველოს თანაინვესტირების ფონდი.*

ლიტ.: ბიძინა ივანიშვილი: საქმით ნათქვამი, თბ., 2012.

ივანიცკი თენგიზ ვახტანგის ძე (24. VII. 1924, თბილისი, – 26. VI. 1992, იქვე), გეოქიმიკოსი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1947 დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი (ახლანდ. სტუ). 1947-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში (1955-იდან ხელმძღვანელობდა გეოქიმიის განყ-ბას). 1955–75 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ში. აქტიურად მონაწილეობდა ქართული ენციკლოპედიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის საქმიანობაში. ი-ს შრომები ძირითადად ეხება მადნეულ საბადოთა მინერალოგია-გეოქიმიისა და მაგმური ქანების გეოქიმიის საკითხებს. ი-მ (ვ. ქოიავასთან ერთად) გამოსცა პირველი ორიგინ. სახელმძღვანელო ქართ. ენაზე გეოქიმიაში (ზოგადი გეოქიმიის მოკლე კურსი, თბ., 1972).

თხზ.: გეოქიმიური კვლევები საქართველოში, მათი შემდგომი პერსპექტივები და ამოცანები, «საქართველოს გეოლოგიური საზ-ბის მოამბე», 1973, ტ. 8, ნაკვ. 1–2; Геология, минералогия и геохимия свинцово-цинковых и полиметаллических месторождений Грузии, Тб., 1963; Геохимия некоторых рудных и редких элементов в магматических породах Грузии, Тб., 1987.

ივანიცკი-ინგილო რაფიელ ალექსანდრეს ძე (23. VII. 1886, სოფ. კახი, ახლანდ. აზერბაიჯანი, – 11. VII. 1966, მადრიდი, დაკრძალულია პარიზში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე), იურისტი, პუბლიცისტი, საზ. მოღვაწე. სწავლობდა თელავის სას. სასწავლებელში, შემდეგ – პეტერბ. უნ-ტის იურიდიულ ფაკ-ტზე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა იურისტად, აქვეყნებდა პუბლიც. წერილებს (,,ინგილოს'' ფსევდონიმით), ეწეოდა აქტიურ პოლიტ. საქმიანობას; იყო დამფუძნებელი კრების დეპუტატი საინგილოდან საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922, ემიგრაციაში გაემგზავრა. ცხოვრობდა გერმანიასა (ბერლინი) და ავსტრიაში (ვენა), 1924–48 – იტალიაში (რომი). ი.-ი-მ 1942 იტალიურ ენაზე გამოსცა ნაშრომი *,,საქართველო და მისი მგოსანი შოთა რუსთაველი''*, რ-საც ახლდა *,,ვეფხისტყაოსნის''* არასრული თარგმანი და გაფორმებული იყო რომის ოპერის თეატრის მხატვარ-დეკორატორის გ. აბხაზის ილუსტრაციებით. 1948 პარიზში კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის კურთხევით იგი თავდაპირველად დიაკვნად, ხოლო შემდეგ მღვდლად ეკურთხა. გაამწესეს მადრიდის წმ. ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღოლად. მალე არქიმანდრიტის პატივი მიენიჭა.



ბ. ივანიშვილი.

ლიტ.: ბუბულაშვილი ე., რაფიელ ივანიცკი-ინგილოს ბიოგრაფიისათვის, მის წგ.: რელიგიის ისტორიის საკითხები, თბ., 2010; პაპიაშვილი ვ., ჰერეთის ისტორია, მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვა, თბ., 2012; შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3, თბ., 2003; ჩაჩანიძე ვ., ,,ვეფხისტყაოს-

ნის“ იტალიური გამოცემები, «საბჭოთა ხელოვნება», 1965, №11; ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე დ., ისტორიული პორტრეტები: დასაწყისი XX საუკუნისა, თბ., 2008.

ივანობა, *იოანე ნათლისმცემლისადმი* მიძღვნილი დღესასწაული. იმართება წელიწადში ორჯერ, 24 ივნ. (7 ივლ.) და 29 აგვ. (11 სექტ.). პირველი თარიღი მისი შობის დღეა, ხოლო მეორე – თავისკვეთის.

ი-ს დღესასწაულს კახეთში ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ო ბ ა ს ეძახდნენ. ხალხი იოანე ნათლისმცემელს ნათლობის შემოღებას უკავშირებდა და ყოვლისმშველელად (მკურნალად) მიაჩნდა.

რაჭასა და ლეჩხუმში ამ დღეს ი. ერქვა. მას ღომის ლოცვასაც ეძახდნენ, ვინაიდან ეს დღე მარცვლეულის სიუხვის საწინდარი იყო. ლეჩხუმში დიასახლისი ნიგვზიან ან ყველიან ტაბლას (რიტუალურ პურს) აცხობდა, რაჭაში კი – ჩიტის გამოსახულების განატეხს (ასევე რიტუალური პური). ლეჩხუმელი დიასახლისი ტაბლას ღომის ყანაში წაიღებდა, იღოცებდა, რომ ღომი ჩიტს არ შეეჭამა, ტაბლას წაღმა შეატრიალებდა და იქვე შეჭამდა. რაჭველი დიასახლისიც იმავეს შესთხოვდა ღმერთს, რის შემდეგაც განატეხს ღელეზე წაიღებდა და შიგ ჩააგდებდა. მამაკაცებს მისი ჭამა ეკრძალებოდათ, ხოლო ვისაც ღომი არ ეთესა, ის ამ დღეს უქმად ატარებდა.

სვანეთში ამ დღეს ა ნ ო ბ ს ან ა ნ გ ლ ე ზ ს ეძახდნენ. იოანე ნათლისმცემელს ფეტვის მჭადებს სწირავდნენ და მთელი ოჯახისათვის თვალის სიჯანსაღეს შესთხოვდნენ.

ხევში, სტეფანწმინდიდან 3–4 *კმ* დაშორებით, იოანე ნათლისმცემლის მთავარი ხატია, მისი ნიშები კი სხვადასხვა სოფლებშიც გვხვდება. ლეგენდის მიხედვით, ერთხელაც ქისტებს მოხევე ქალები გაუტაციათ. გამტაცებლებს მონადირეები დასდევნებიან და ქალები გადაურჩენიათ, სანაცვლოდ თემს მათი თხოვნა შეუსრულებია და იოანე ნათლისმცემლის სალოცავი იქ გადაუტანიათ, სადაც მონადირეებს ნანადირევი ეწყოთ. მისი დღესასწაული დიდი პატივით აღინიშნებოდა 29 აგვისტოს (11 სექტ.). იოანე ნათლისმცემელი ხევში ხიზნების, ოჯახის, კერძოდ კი ბავშვების მფარველად მიაჩნდათ. მას ჯანმრთელობას შესთხოვდნენ; ასევე შესთხოვდნენ, რომ ბავშვებს სახადი, ანუ *ბატონები* კეთილად მოეხადათ.

ი-ის დღესასწაულზე ღამისთევით მიდიოდნენ. მიჰქონდათ ქადასანთელი, მიჰყავდათ თეთრი ფერის ცხვარი, წითელი მამალი, რ-ებსაც ან გაუშვებდნენ, ან კლავდნენ. მძიმე მარხვის გამო ძირითადად ხმელი სუფრა იმართებოდა, საკლავი კი მეორე დღეს იკვლებოდა, რიტუალური პურებიც მეორე დღეს იჭრებოდა. სამი დეკანოზიდან ერთი საკლავს კლავდა, მეორე რიტუალურ პურებს ჭრიდა, მესამე კი ხალხის შეწირულ სასმელს იბარებდა. ბოლოს ყველა ილხენდა. ამ დღეს ხევში დანის ხმარება იკრძალებოდა, რადგან ნათლისმცემელს თავი მახვილით მოჰკვეთეს.

ნათლისმცემელი მშობიარე და მელოგინე ქალების მფარველადაც მიაჩნიათ.

ლიტ.: ა ბ ა კ ე ლ ი ა ნ., ა ლ ა ვ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ქ., ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991; გ ა რ დ ა ფ ხ ა ძ ე-ქ ი ქ ო ძ ე ფ., ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), თბ., 1995; ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., მოხევეების ყოფა-ცხოვრება, თბ., 2015; ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ნ., ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულები, თბ., 2011; წ ე რ ე დ ი ა ნ ი ნ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 2004. *ნ. ღამბაშიძე.*

ივანობისთვე, იხ. *ივნისი.*

ივანოვი ბორის ემანუელის ძე (14. X. 1943, თბილისი, – 6. VIII. 2017, მოსკოვი), გენერალ-მაიორი (1993), თბილ. შს სამმართველოს ისნის მილიციის რაიონგაყოფილების უფროსის მოადგილე (1983–87), უფროსი (1988), საქართველოს რესპ. თავდაცვის სამინისტროს სამხ. პოლიციის უფროსი (1992–93). 1995–2003 მსახურობდა რფ-ის შს სამინისტროსა და გენ. პროკურატურაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 2004-იდან თადარიგში გავიდა.

ლ. დოლიძე.

ივანოვი გრიგოლ მიხეილის ძე (5. I. 1820 – 1877), არქიტექტორი. 1833–39 სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. 1850 მიიღო არქიტ. აკადემიკოსის წოდება. 1852–57 თბილ. საქალაქო არქიტექტორი იყო. ი-ის პროექტით თბილისში დასრულდა (1856) წმ. ნიკოლოზის ბერძნ. ეკლესიის მშენებლობა ხარფუხში. ი. ავტორია XIX ს. თბილ. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საცხოვრებელი სახლის – არშაკუნის სახლის (ახლანდ ა. ქუთათელაძის სახ. თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია) პროექტისა (1856–57). მის მიერვეა შედგენილი დ. თამამშვის ქარვასლის პროექტი (1853) და ცნობილი არწრუნის ქარვასლის (ყოფ. სასახლის ქუჩაზე) გადაკეთების პროექტები (1854 და 1855). ი. ეკლექტიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია, რასაც თბილ. არქიტექტურაში გოთიკის, ადრინდელი რენესანსული მოტივები და ცალკეული ისლამური ელემენტებიც შემოჰქონდა. ამავე დროს, მის მიერ დაპროექტებული სახლების გეგმა მიუთითებს იმაზე, რომ იგი ითვალისწინებდა თბილ. სპეციფიკას, კერძოდ, იყენებდა როგორც ქუჩის მხარეს დაკიდულ ხის აივნებს, ისე ეზოს დიდ აივნებსაც. 1858 ი. მუშაობდა არქიტექტორად კავკასიის საინჟ. ოლქში. თბილისიდან წასვლის შემდეგ 1859–60 მუშაობდა ასტრახანის საგუბერნიო არქიტექტორად, ხოლო შემდეგ პეტერბურგში დაბრუნდა, სადაც 1864–74 მისი პროექტით აშენდა რამდენიმე დიდი საცხოვრ. სახლი. 1864 მო-



გ. ი ვ ა ნ ო ვ ი. საქართველოს სამხატვრო აკადემია. XIX ს. 80-იანი წწ. ფოტო.

ნაწილეობა მიიღო თბილისში კავკასიის მეფისნაცვლის სასახლის პროექტის კონკურსში.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წლები, ტ. 2, თბ., 1963; საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 4, აღწ. 6, საქმე 623; Русский биографический словарь, СПб., 1897. *თ. გერსამია.*

ივანოვი ვიქტორ ვლადიმერის ძე (დ. 19. V. 1948, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (2004). 1971 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი. 1971-იდან მუშაობს ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინ-ტში (JINR, დუბნა, რუსეთი) სხვადასხვა თანამდებობაზე. 2003–13 იყო JINR ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორ. (LIT JINR) დირექტორი, 2013-იდან არის ამავე ლაბორ. მთ. მეცნიერი თანამშრომელი და სექტორის ხელმძღვანელი.

0-ის სამეცნ. კვლევის სფეროა ექსპერ. შედეგების ავტომატიზებული დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები, მათ. სტატისტიკა, მაღალი ენერგიების ფიზიკა, რთული სისტემების მოდელირება და ანალიზი. მონაწილეობს მრავალი საერთაშ. სამეცნ. პროექტის შესრულებაში. 1995–2002 იყო ფიზ. და ქიმიის სოლვეის საერთაშ. ინ-ტის (ბრიუსელი, ბელგია) წევრი. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ასეული სამეცნ. ნაშრომი. არის სამეცნ. ჟურნ. „Particles and Nuclei. Letters“-ის რედკოლეგიის წევრი. 2009-იდან ნაციონალური კვლევითი ბირთვული უნ-ტის «МИФИ»-ის პროფესორია. სამეცნ. შრომების ციკლებისათვის მიღებული აქვს JINR-ის I (1998, 2005) და II (2002) პრემიები და სახელმწ. ჯილდოები.

ივანოვი იაკობ ალექსანდრეს ძე (1807 – დაახლ. 70-იანი წლები), არქიტექტორი. 1817–24 სწავლობდა კრემლის მშენებელთა ექსპედიციის საარქიტექტურო სკოლაში (მოსკოვი). 1824 დაინიშნა არქიტექტორის თანაშემწედ. 1841–46 0. თბილისში მუშაობდა. 1841–44 იყო თბილ. საქალაქო არქიტექტორი და ასრულებდა ყველა მნიშვნელოვან არქიტ. სამუშაოს (ძირითადად საცხოვრ. სახლების პროექტები). ფასადთა დამუშავების დროს იგი იყენებდა გვიანი რუს. კლასიციზმის ელემენტებს, რ-საც ხელისუფლების მიერ „აპრობირებული“ ფასადების სავალდებულო ალბომები ნერგავდა. ამავე დროს ითვალისწინებდა თბილისურ სპეციფიკას და თავისი წვლილი შეიტანა XIX ს. საცხოვრ. სახლის არქიტ. განვითარებაში. იგი იყენებდა თბილისური საცხოვრებლის ისეთ ელემენტს, როგორიცაა ხის დიდი აივნები ეზოს მხრიდან. 1842-იდან ხის დაკიდული აივნები ჩნდება ფასადებზედაც. 1846 0-მა ხის აივნის სვეტების დასაკავშირებლად კოჭების ნაცვლად პირველად გამოიყენა სვეტებზე დაბჯენილი თაღები. ამის შედეგად ქალაქის არქიტექტურაში დამკვიდრდა ახ. ფორმა, რ-იც შემდგომ ფართოდ გავრცელდა. 0. არის ზუბალაშვილის ქარვასლის პროექტის (1844) ავტორი (აშენდა მტკვრის ხიდის ყურეში, დაანგრიეს 1940). მანვე შეადგინა თბილ. თეატრის ორი პროექტი (1844 და 1845 წლებში), რ-ებიც არ განხორციელდა. თბილისიდან წასვლის შემდეგ იგი მუშაობდა რუს. სხვადასხვა ქალაქში არქიტექტორად, კერძოდ, 1849–56 მისი პროექტით ქ. ტულაში აშენდა ოფიცერთა სახლი.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წლები, ტ. 1–2, თბ., 1960–63; საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 4, აღწ. 7, საქმე №1533. *თ. გერსამია.*

ივანოვკა (ყოფ. ხუნძურეთი), სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ირაგის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), ბედენის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. თორნის-წყლის (ხრამის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1460 *მ*, თეთრი წყაროდან 15 *კმ*. 83 მცხ. (2014). სოფელში აღმართულია შინმოუსვლელთა ობელისკი.

0-ის მიდამოებში, ნადარბაზევად წოდებულ ადგილზე, მდებარეობს ხუროთმოძღვრული კომპლექსი ნადარბაზევი, რ-შიც შედის სასახლე (X–XI სს.), გალავანი და სხვა ნაგებობები.

ივანწმინდა (ყოფ. წითელსოფელი), სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), მდ. ყვირილის მარცხ. ნაპირზე. მერჯევის თემის ცენტრი (სოფლები: 0., მერჯევი). ზ. დ. 510 *მ*, საჩხერიდან 6 *კმ*. 623 მცხ. (2014).

ივარდავა დიღარ თომას ძე (დ. 28. XII. 1940, სოფ. ზედა ეწერი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), პოეტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1965). ლექსების პირველი კრებ. „ასე იწყება ლერწმის შრიალი“ 1965 გამოაქვეყნა. ძირითადი კრებულებია: „რტოები არ იმსხვრევიან“ (1968), „ჩუქურთმა ხეზე“ (1969), „ლარჭემის ხმები“ (1971), „ნათლის სამოსელი“ (1973). ლექსთა ციკლებისათვის „ყინული ლღვება“, „სადაც ზღვაა და ლურჯი მთებია“, „მზეო, მაცოცხლებელო“, „გმირული ორატორია“, „ჩემი ცხოვრების ხუთი ფურცელი“ 1978 მიენიჭა საქართვ. კომკავშირის პრემია. 0-ს ლექსები და „ესეისტური ეტიუდები“, რამდენიმე წიგნად გამოვიდა 1998–2002. წარმატებულია 0-ს, როგორც მთარგმნელის, მოღვაწეობაც. თარგმნილი აქვს ა. მიცკევიჩის, ე. ვერჰარნის, ა. ბლოკის, ა. ახმატოვას, მ. ცვეტაევას ლექსები. თავად მისი ლექსები თარგმნილია ინგლ., გერმ., პოლონურ, რუს., აზერბ., სომხ. ენებზე.

2005 ლექსთა კრებულისათვის „დედა აჭარა“ მიენიჭა მ. აბაშიძის სახ. პრემია, 2000 – ქართული ლირიკის განვითარებისათვის – გ. ტაბიძის სახ. პრემია, ხოლო 2007 – ლექსების კრებულისათვის „წარსულის დიდება“ – დავით აღმაშენებლის სახ. პრემია.

ივაშჩენკო მიხეილ მიხეილის ძე (1881, პეტერბურგი, – 22. VIII. 1946, თბილისი), რუსი არქეოლოგი. 1916 მონაწილეობდა თ. უსპენსკის ხელმძღვანელობით ტრაპიზონში ჩატარებულ ისტ.-არქეოლ. კვლევა-ძიებაში. 1924–31 მუშაობდა სოხუმში. იყო აფხ. სამეცნ. საზ-ბის წევრი, შემდეგ – მდივანი, ხელმძღვანელობდა არქეოლ. გათხრებს (ეშერის სამაროვანი, ზღვისპირა დოლმენები, ოჩამჩირის ნამოსახლარი); იკვლევდა კოლხ. კულტ. ძეგლებს. 0-ს ეკუთვნის დებულება ყობანური კულტურის კოლხურ კულტურაზე დამოკიდებულების შესახებ. დიდი დამსახურება მიუძღვის თრიალეთის (1936–37) და მცხეთის (1938–41) მდიდარი არქეოლ. მემკვიდრეობის შესწავლაში. დაამუშავა აგრეთვე ნუმიზმატიკური, ეთნოგრ. და სამხ.-ისტ. საკითხები.

თხზ.: Гердзеульский клад монет Кесарии Каппадокийской, Л., 1931; Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, «Известия Научно-исследовательского института кавказоведения», 1935, в. 3; Миклухо-Маклай и Новая Гвинея, Тб., 1938; Адмирал В. М. Головнин, М.–Л., 1946. *ა. კალანდაძე.*

იველაშვილი თინათინ ვლადიმერის ასული (დ. 8. VIII. 1948, სოფ. სარო, ახლანდ. ასპინძის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი, ეთნოგრაფი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992). 1974 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1979–92 მუშაობდა



თ. ივერი.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში. 1992-იდან იყო თსუ-ის მესხეთის ფილიალის პროფესორი, 1994–2005 – ისტორიის ფაკ-ტის დეკანი, 1995–2005 – ეთნოგრაფიის კათედრის გამგე. 2008-იდან არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწ. უნ-ტის პროფესორი. მისი კვლევის სფეროა ეთნოსოციალური, ეთნორელიგიური ურთიერთობები, რელიგ. კონფესიები, რელიგიური კონფლიქტები და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხები. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი და 10-ზე მეტი მონოგრაფია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000), სამცხე-ჯავახეთის სახელმწ. უნ-ტის მედლით (2015).

თხზ.: საქორწინო წეს-ჩვეულებები სამცხე-ჯავახეთში (XIX ს-ის II ნახ. – XX ს.), თბ., 1987; ქართული ტრადიციული სუფრა და თანამედროვეობა, თბ., 1988; სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, თბ., 2005; ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში, თბ., 2009; ეთნიკური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში, თბ., 2015 (ქართ. და ინგლ. ენებზე); ქართველები, თბ., 2016 (თანაავტ.).



ᲘᲕᲔᲠᲘ (ნამდვ. გვარი – ჯავახიშვილი) თამარ ავთანდილის ასული (დ. 8. IX. 1971, თბილისი), საოპერო მომღერალი (ლირიკული სოპრანო). ,,ვერდის ხმებისა'' (ბუსეტო, 1998, II პრემია) და მოცარტის სახ. (ზალცბურგი, ,,გრან პრი'', I პრემია) საერთაშ. კონკურსების ლაურეატი. 1996 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (გ. ბეჟუაშვილისა და ი. გერსამიას კლასები). 1995–2000 ბათუმის საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. დიდი წარმატებით შეასრულა კლასიკური საოპერო რეპერტუარის მრავალი პარტია. 2000-იდან მოღვაწეობს ევრ. საოპერო თეატრებში (ბონი, გერმანია, 2000; გრაცი, ავსტრია, 2001; ,,ლა ფენიჩე'', ვენეცია, 2002 და სხვ.). შემდგომ წლებში არაერთი პარტია შეასრულა ვენის საოპერო თეატრში: ტატიანა (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი''), დონა ანა (ვ. ა. მოცარტის ,,დონ ჯოვანი'', ეს პარტია შეასრულა აგრეთვე მიუნხენში, ბავარიის ეროვნულ თეატრში), ემილია გრიმოლდი (ჯ. ვერდის ,,სიმონ ბოკანეგრა''), ნედა (რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები''); პარიზის ,,ბასტილიის ოპერის'' სცენაზე: ელიზაბეტა (ჯ. ვერდის ,,დონ კარლოსი''), მიმი (ჯ. პუჩინის ,,ბოჰემა''), ელექტრა (ვ. ა. მოცარტის ,,იდომენეო''), დეზდემონა (ჯ. ვერდის ,,ოტელო''); ტოკიოში: ლეონორა (ჯ. ვერდის ,,ტრუბადური''); ,,ლა სკალაში'': ლუიზა მილერი (ჯ. ვერდის ,,ლუიზა მილერი'') და სხვ. 2013–14 გამოდიოდა პარიზისა და ავსტრალიის ეროვნ. საოპერო თეატრებში.



თ. ივერი. ეთერი (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'').

ქართ. რეპერტუარიდან აღსანიშნავია მარიხი, მარო (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'', ,,დაისი''), ქეთო (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე''). 2016 ი-მა წარმატებით შეასრულა ეთერის პარტია ზ. ფალიაშვილის ოპერის განახლებულ დადგმაში ,,აბესალომ და ეთერი''. ი. თანამშრომლობს მსოფლიო მნიშვნელობის დირიჟორებთან (ლ. მააზელი, კ. დევისი, დ. ბარენბოიმი, რ. მუტი, ჯ. ლივაინი, ა. პაპანო, დ. ორენი, ფ. ლუისი და სხვ.). ი-ს ხმა გამოირჩევა ხავერდოვანი ტემბრით, მაღალ რეგისტრში – სუფთა, გამჭვირვალე ჟღერადობით, უზადო საშემსრულებლო ტექნიკით, რაც სამსახიობო ოსტატობასა და ტემპერამენტთან ერთად წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე. 2014 დააარსა ფონდი ,,უსაფრთხო საზოგადოება'', რ-მაც პირველი საქველმოქმედო კონცერტი გამართა (2014) თბილისში, რუსთაველის თეატრში. მიღებული აქვს მ. აბაშიძის სახ. ეროვნ. ჯილდო (ბათუმში მოღვაწეობისათვის), აგრეთვე ე. ვეხტერის ჯილდო ვენის ,,შტაატსოპერაში'' წარმატებული გამოსვლისათვის და ჰელპმანის პრესტიჟული პრემია (ავსტრალია).

ლიტ.: ბუხრიკიძე დ., შვიდი პატარა დოკუმენტური ნოველა ქართველ მომღერლებზე, «ანაბეჭდი», 2007, №23; თამარ ივერი – საოპერო სცენის ვარსკვლავი საქართველოდან, «ჯორჯიან ეარვეისი», 2008, №10; კილასონია ს., თამარ ივერი – პრიმადონა საქართველოდან, «ამარტა», 2009, №35.

მ. ჯაფარიძე.

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ, იხ. *იბერია.*

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ, სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტის დაბა ასპინძის ტერიტორიულ ორგანოში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ახალციხის ქვაბულის სამხრ.-აღმ. ნაწილში, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1180 *მ.* 356 მცხ. (2014).

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“, პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1877 წ. 3 მარტიდან ყოველკვირეული გაზეთის, 1879–85 – ჟურნალის, 1886-იდან – ყოველდღიური გაზეთის, 1906-იდან გაზეთის დახურვამდე (1906 წ. 27.VIII) – ყოველკვირეული გაზეთის სახით. დამაარსებელი და რედაქტორი – ი. *ჭავჭავაძე.* სხვადასხვა დროს ,,ი-ის'' თანარედაქტორები იყვნენ: ს. *მესხი* (1881), ი. *მაჩაბელი* (1882–84), ა. *სარაჯიშვილი* (1901–03), გ. *ყიფშიძე* (1903–05) ფ. *გოგიჩაიშვილი* (1905–06). ,,ი.'' იყო ცარიზმის რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო. მისი პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნ. თვითშეგნების ამაღლებას და პოლიტ. დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს. ,,ი.'' თემატურად მრავალფეროვანი იყო, რაც განსაზღვრა ქართვ. ხალხის ეროვნულმა, სოც.-ეკონომიურმა და კულტ. ვითარებამ და რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმან. იდეებმა. გაზეთი აშუქებდა ისტ., ენათმეცნ., ეთნოგრ., გეოგრ., სოციოლოგიის საკითხებს და სხვ. ი. ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიც. ჟანრი ,,შინაური მიმოხილვა'', რ-იც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. გაზეთი სათანადო შეფასებას აძლევდა კაპიტალ. წარმოების ხასიათსა და განვითარების თავისებურებას. დიდი ადგილი ეთმობოდა სახ. განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. ,,ი-მ'' განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართ. მწერლობის განვითარების საქმეში. ,,ი-სთან'' თანამშრომლობდნენ მწერლები: ა. *წერეთელი*, ი. *გოგებაშვილი*, *ვაჟა-ფშაველა*, ა. *ყაზბეგი*,

ნ. *ლომოური*, ე. *გაბაშვილი*, ს. *მგალობლიშვილი*, ს. *ჭრელაშვილი* და სხვ.; თვალსაჩინო ჟურნალისტები: ა. *ყიფშიძე*, გ. ყიფშიძე, ა. *ნანეიშვილი*, ა. *ახნაზაროვი*, დ. *მიქელაძე*, გ. *ლასხიშვილი* და სხვ. გაზეთი მდიდარ ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს თანამედროვე რუს. და ევრ. ლიტ-რაზე, თავს უყრიდა და აქვეყნებდა ქართ. ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

1989 წ. 20 თებერვალს გაზ. ,,0.'' აღადგინა ზ. ჭავჭავაძემ, გამოდიოდა პერიოდულად ი. ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთის სახით. სარედაქციო კოლეგია: კ. კახაძე, რ. კვირიკია, გ. ნიკოლაიშვილი, დ. ტაკიძე, ლ. ღვალაძე, თ. ჩხეიძე. 1997 ,,0-ის'' გამოცემა შეწყდა.

ლიტ.: კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბ., 1986; ტ ა ბ ი ძ ე ნ., ილია ჭავჭავაძის ,,ივერია'', თბ., 1977. *ს. ხუციშვილი.*

„ივერია“, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1923 გაზ. ,,ხომლის'' ნაცვლად. სულ გამოვიდა 2 ნომერი. დაიბეჭდა მწერალთა კავშირის 1923 კონფერენციის მასალა, ს. მგალობლიშვილის, ლ. ქიაჩელის და სხვა მწერალთა ლიტ. ნაწარმოებები.

„ივერია“, ჟურნალი (1949–91), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო. გამოდიოდა პარიზში. სულ გამოიცა 36 ნომერი. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ: ე. პატარიძე, ს. ჭირაქაძე, მ. ქავთარაძე, ო. პატარიძე. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: გ. გაბლიანი, გ. *ზალდასტანიშვილი*, ა. მანველიშვილი, გ. პატარიძე-უროტაძისა, ჯ. *კაშია*. მათთან ერთად ჟურნალთან თანამშრომლობდნენ რ. *ივანიცკი-ინგილო*, შ. კალანდაძე, ა. ს. *ასათიანი*, რ. *გაბაშვილი*. მრავლისმომცველია ,,0-ის'' ბეჭდვითი პროდუქცია. საყურადღებოა შემდეგი წერილები: ს. ჭირაქაძე, ,,სპირიდონ კედიას მოღვაწეობა'' (№1, 1949); რ. ინგილო, ,,ეკლესია და სახელმწიფო'' (№2, 1949); ,,შოთა რუსთაველის საფლავი იერუსალიმში'' (გ. სვეტის წერილი, თარგმნილი გ. აბულაძის მიერ; №9, 1961); შ. კალანდაძე, ,,გრიგოლ რობაქიძის ხსოვნას'' (№10, 1963); გ. გაბლიანი, ,,მეორე მსოფლიო ომი და ქართველები'' (№24, 1981); ა. მანველიშვილი, ,,რუსეთის ორიენტაცია'' (№27, 1984); ჯ. კაშია, ,,სტალინიზმის არსება'' (№29, 1986); მ. ქავთარაძე, «ჩვენი დროის ,,სიბრძნე სიცრუისა''» (№12, 1966). ჟურნალის ნომრები ინახება გ. შარაძის კერძო კოლექციაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ქართ. ემიგრაციის მუზეუმში.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 3, თბ., 1993. *თ. დოლიძე.*

„ივერია“, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი. თავდაპირველად შეიქმნა როგორც ვოკალურ-საკრავიერი კვარტეტი ა. *ბასილაიას*, ჯ. ბაღაშვილის, ვ. ტატიშვილისა და გ. ლეონიძის შემადგენლობით. 1968 გადაკეთდა ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლად (ხელმძღვ. ა. ბასილაია, 2009-მდე). ანსამბლს დაემატნენ: ლ. კობალაძე, ლ. ზღვაური, თ. *წიკლაური*, დ. აბულაძე, ნ. კვაშალი, ზ. ლალიაშვილი, ვ. ლალიაშვილი, ზ. ცისკარიძე, მ. თოდაძე, ბ. შხიანი, გ. ლორია, ა. შარაშენიძე, თ. *ყვითელაშვილი*, ს. პავლიაშვილი, გ. *სეფაშვილი*, თ. თათარაშვილი, თ. ამონაშვილი, ლ. ურუშაძე, ა. კვაშალი, გ. ბაღაშვილი, ქ. წიკლაური, ნ. გელაშვილი, ზ. იაკაშვილი და სხვ.). 1968–83 ანსამბლის რეჟისორი და რამდენიმე მიუზიკლის ლიბრეტოს ავტორი იყო ა. გ. *გელოვანი*, 1983-იდან – ჯ. ბაღაშვილი. არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ანსამბლმა შექმნა ოცდაორი საკონცერტო პროგრამა (ოცდაორივე პროგრამის სცენარის ავტორი – ჯ. ბაღაშვილი; რეჟისორები: 1968–83 ა. გელოვანი, 1983-იდან – ჯ. ბაღაშვილი), ხუთი მიუზიკლი [(ხუთივე მიუზიკლის მუსიკის ავტორი – ა. ბასილაია): ,,რწყილი და ჭიანჭველა'' (1976), ,,ჩხიკვთა ქორწილი'' (1979, ორივე ლიბრეტოს ავტორები – ა. გელოვანი და ჯ. ბაღაშვილი, რეჟ. – ა. გელოვანი), ,,არგონავტები'' (1983, ლიბრეტო ჯ. ბაღაშვილის, რეჟ. – ნ. კიტია), ,,თოვლის ბებოს ზღაპარი'' (1986), ,,ფიროსმანი'' (1996, ორივე ლიბრეტოს ავტორი და რეჟ. – ჯ. ბაღაშვილი)]. სხვადასხვა დროს ანსამბლმა გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს 60-მდე ქვეყანა, გამართა 5000-ზე მეტი კონცერტი. ,,ივერიას'' ეკუთვნის თბილისის საკონცერტო დარბაზში ზედიზედ ჩატარებული კონცერტებისა და სპექტაკლების რეკორდული მაჩვენებელი (1986 ,,თოვლის ბებოს ზღაპრის'' 164-მა სპექტაკლმა ჩაიარა სრული ანშლაგით).

მაღალმხატვრულმა პროფ. დონემ, თითოეული შემსრულებლის პროფესიონალიზმმა, მსუბუქმა და დახვეწილმა იუმორმა, მუს. ქსოვილის მელოდიურობამ განაპირობა ანსამბლის დიდი პოპულარობა.

ნ. გელოვანი.

„ივერია“ (სააქციო საზოგადოება ,,ს ა ს ტ უ მ რ ო ი ვ ე რ ი ა''), სასტუმრო თბილისში. გაიხსნა 1967 (არქიტ. – ო. *კალანდარიშვილი*,



ანსამბლი ,,ივერია''.

ლოვანი და ჯ. ბაღაშვილი, რეჟ. – ა. გელოვანი), ,,არგონავტები'' (1983, ლიბრეტო ჯ. ბაღაშვილის, რეჟ. – ნ. კიტია), ,,თოვლის ბებოს ზღაპარი'' (1986), ,,ფიროსმანი'' (1996, ორივე ლიბრეტოს ავტორი და რეჟ. – ჯ. ბაღაშვილი)]. სხვადასხვა დროს ანსამბლმა გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს 60-მდე ქვეყანა, გამართა 5000-ზე მეტი კონცერტი. ,,ივერიას'' ეკუთვნის თბილისის საკონცერტო დარბაზში ზედიზედ ჩატარებული კონცერტებისა და სპექტაკლების რეკორდული მაჩვენებელი (1986 ,,თოვლის ბებოს ზღაპრის'' 164-მა სპექტაკლმა ჩაიარა სრული ანშლაგით).

მაღალმხატვრულმა პროფ. დონემ, თითოეული შემსრულებლის პროფესიონალიზმმა, მსუბუქმა და დახვეწილმა იუმორმა, მუს. ქსოვილის მელოდიურობამ განაპირობა ანსამბლის დიდი პოპულარობა.

ნ. გელოვანი.

„ივერია“ (სააქციო საზოგადოება ,,ს ა ს ტ უ მ რ ო ი ვ ე რ ი ა''), სასტუმრო თბილისში. გაიხსნა 1967 (არქიტ. – ო. *კალანდარიშვილი*,



სასტუმრო ,,ივერია''. არქიტექტორი ო. კალანდარიშვილი. 1967.







,,ივერია''. პარფიუმერულ-კოსმეტიკური ფაბრიკის ნაწარმი.

ლაძე, გ. კორძახია; მხატვრები: ბ. *ბერძენიშვილი,* თ. წერეთელი, ვ. ქოქიაშვილი). სასტუმროს ჰქონდა რესტორანი, საბანკეტო დარბაზი, ეროვნ. სამზარეულოს დარბაზი, ლუდისა და ღამის ბარები, კაფე, სამორინე, საკონფერენციო დარბაზი, სახურავზე განთავსებული იყო საცურაო აუზი. ,,ი.'' ემსახურებოდა როგორც ადგილ., ისე უცხოეთის მოქალაქეებს. 1992-იდან აქ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და თბილისის ომის (1991–92) დროს დაზარალებული ოჯახები ცხოვრობდნენ. 2009 სექტემბრიდან, რეკონსტრუქციის შემდეგ, აქ განთავსდა სასტუმრო *,,რედისონ ბლუ ივერია''*.

„ივერია“ (სააქციო საზოგადოება), პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ფაბრიკა. დაარსდა 1959 (პირველი პროდუქცია გამოუშვა 1960). იყო ამ დარგის პირველი საწარმო ამიერკავკასიაში. 1966-მდე შედიოდა საქ. სსრ კვების მრეწველობის ,,საქეთერზეთის'' ტრესტში, 1967-იდან გადავიდა საკავშ. დაქვემდებარებაში. იმ დროისათვის პროდუქციის ძირითადი ასორტიმენტი იყო პარფიუმერიული და კოსმეტიკური ნაწარმი (სუნამო, ოდეკოლონი, ლოსიონი, შამპუნი, კბილის პასტა, ნელსაცხებელი, თმის ნატურალური საღებავი). პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალების ძირითად ნაწილს იღებდა მოკავშირე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან, მინის ჭურჭელს – ქსნის (საქართველო), მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის (რუსეთი), კიშინიოვის (მოლდოვა) და სხვა მინის ქ-ნებიდან. მზა პროდუქცია იგზავნებოდა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. XX ს. 90-იანი წლებიდან ფ-კამ დაიწყო ადგილ. ნედლეულისა და სამკურნ. მინერ. წყლების (ლუგელა, ბიისი, ნუნისი, თბილ. გოგირდოვანი წყალი; ასკანის თიხა და სხვ.) გამოყენებით ახ. პროდუქციის გამოშვება (კბილის პასტა ,,ლუგელა'', ფეხის კრემი ,,ნუნისი'', შამპუნი ,,ინით'' და სხვ.). 1992–93 ფ-კა ,,ი-მ'' და ფრანგულმა კომპანია ,,ნატალი ერგინმა'' შექმნა ერთობლივი პროდუქტი შამპუნების სერიის (,,ფიჭვი'', ,,მანგო'', ,,ქოქოსი'') სახით.

1996-იდან ფ-კა ,,ივერიის'' ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ფაბრიკა ივერია''. 2003 საწარმოს რესტრუქტურიზაციისა და მისი დაშლის შემდეგ, ერთ-ერთი განაყოფის ბაზაზე დაარსდა კომპანია – სააქციო საზ-ბა ,,ი.'', რ-იც აგრძელებს პარფიუმერიული და კოსმეტიკური პროდუქციის წარმოებას. მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ძირითად ასორტიმენტს შეადგენს თმის (შამპუნი, თმის ბალზამი, თმის კონდიციონერი), კანის (ხელის, საბავშვო, გაპარსვის შემდგომი, ფეხის კრემები, ლოსიონი), პირის ღრუს მოვლის (სამკურნ.-პროფილაქტიკური კბილის პასტა) საშუალებები, პარფიუმერია (ოდეკოლონი, სუნამო, ტუალეტის წყალი). ამ პროდუქციის შექმნისათვის საჭირო ნედლეულის დიდ ნაწილს საწარმო იღებს ცნობილი ევრ. კომპანიებიდან (Huntsman, Croda, Undesa, Galaxy, Sabo, Frey+Lau); პლასტმასისა და მინის ფლაკონებს – მინსკიდან (ბელარუსი), კიევიდან (უკრაინა), ავრეთვე ადგილ. კომპანიებიდან; ტუბებს – თურქეთიდან; სამკურნ. მცენარეების ნაყენებს და ეთერზეთებს – ადგილ. საწარმოებიდან. პროდუქციის რეალიზაცია ხდება შიდა ბაზარზე. *დ. სილაგავა.*

„ივერია“ (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია. დაარსდა 2013 თბილისში ადგილობრივი ინვესტიციით. პირველი პროდუქცია გამოუშვა 2014 თებერვალში. საწარმო აღჭურვილია მოწინავე ევრ. წარმოების უახლესი დანადგარებით. მისი საპროექტო სიმძლავრეა 8–10 ტ მზა პროდუქცია დღეში (2015). უშვებს სოსისს, მოხარშულ ძეხვსა და სერველადს, აგრეთვე დელიკატესებს, სულ 70-მდე დასახელების პროდუქციას, მ. შ. სამარხვოს (სოსისი, მოხარშული ძეხვი და სერველადი), რ-იც ,,ი-მ'' პირველმა დანერგა საქართველოში ბელგიური კომპანიის (,,Clarys Food Ingredients'') სპეციალისტების დახმარებით. ამ პროდუქტში შემავალი ყოველი ინგრედიენტი (სოკო, წიწიბურა, ბრინჯი, სოიო, მცენარეული ცილა



,,ივერია''. ხორცპროდუქტების მწარმოებელი ქარხანა.

და სხვ.) ვეგეტარიანულია და არ შეიცავს ცხოველურ ცილასა და ცხიმს. ,,ი-ს'' წარმოებისათვის საჭირო ნედლეული ამერ. და ევრ. სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოაქვს. მისი პარტნიორი კომპანიებია: ,,ვან ჰესი'' (გერმანია); ,,ვიბერგი'', ,,ალმი'', ,,შალერი'' (ავსტრია) და სხვ. პროდუქცია გამოდის სავაჭრო ნიშნით ,,ივერია''. კომპანიას თბილისსა (3) და ბათუმში (1) აქვს რამდენიმე საფირმო მაღაზია, რ-თა გაფართოება იგეგმება.

პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, 2016 წლის ბოლოს გლდანში ექსპლუატაციაში შევიდა საწარმოს ახ. შენობა, რ-იც 4300 $მ^2$ ფართობზეა განთავსებული.

ივერია, ვაშლის ქართული ჯიში, გავრცელებულია ქართლში. გამოყვანილია სოფ. სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში სელექციონერ თ. ცერცვაძის მიერ ზამთრის ბანანისა და კეხურას შეჯვარებით. ხე ინტენსიურად იზრდება, აქვს



ვაშლის ჯიში ივერია.

მომრგვალო-პირამიდული ფორმის ვარჯი. მოსავალს მე-6–7 წელს იძლევა, უხვმოსავლიანია, ერთი ხიდან საშ. მოსავალია 300–350 *კგ*. ნაყოფი მსხვილია (200–220 გ-მდე), მომრგვალო, მოყვითალო-წითელი, რბილობი – მოთეთრო, საკმაოდ მკვრივი, წვნიანი, მოტკბო-მომჟავო. იკრიფება ოქტომბერში, კარგად ინახება მაისამდე. სასუფრე ჯიშია, ტრანსპორტაბელური. *შ. ახვლედიანი.*

ივერიელი (ლ ე კ ი შ ვ ი ლ ი) ვაჟა პლატონის ძე (1. X. 1925, ფოთი, – 27. VI. 1999, თბილისი), ენდოკრინოლოგი, მეცნ. და კლინიკური ენდოკრინოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1981), საქართვ. მედ. მეცნ. და სამედ.-ბიოლ. აკადემიების ნამდვ. წევრი (1981).

1946 დაამთავრა თსსი. 1958-მდე მუშაობდა სსრკ სამედ. აკადემიის აკად. ვ. ბარანოვის ენდოკრინოლოგიური ჯგუფის მეცნიერ მუშაკად. 1962–63 მივლინებული იყო დიდი ბრიტანეთის ენდოკრინოლოგიურ ცენტრებში. 1972–78 მუშაობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ენდოკრინოლოგად. 1967–83 განაგებდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ენდოკრინოლოგიის კათედრას, 1991-იდან იყო თბილ. სახელმწ. სამედიცინო აკადემიის ენდოკრინოლოგიის კათედრის გამგე. 1997-იდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მისივე თაოსნობით დაარსებულ ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრს (1999 ცენტრს მისი სახელი ეწოდა).

ი-მა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოსომატური და კორტიკო-ვისცერალური თეორიების საფუძვლების დამუშავებაში. აღსანიშნავია ი-ის შრომა, მიძღვნილი გულის ანევრიზმისადმი, რ-ის დიაგნოზიც საქართველოში პირველად მან დასვა. ი-მა შეისწავლა შაქრიანი დიაბეტის გართულებათა ეტიოპათოგენეზის, ეპიდემიოლოგიის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხები; ზოგადი სიმსუქნის ეტიოპათოგენეზის და მკურნალობის საკითხები; შაქრიანი დიაბეტისა და ზოგიერთი სიმსუქნის დიეტოთერაპიისა და მოსახლეობის ჯანსაღი კვების პრობლემები. ი-მა სსრკ-ის მასშტაბით პირველმა შეისწავლა დიაბეტური რეტინოპათიის პრობლემები. მის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია დიაბეტური რეტინოპათიის შესახებ ფართოდ გავრცელდა საკავშირო მასშტაბით. ი-ის შრომებში ნაჩვენები იყო დარღვეული დიაბეტური მეტაბოლიზმის კომპენსაციის უდიდესი მნიშვნელობა ნეიროპათიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის საქმეში. ი. 1974-იდან იყო საქართვ. ენდოკრინოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე, 1991-იდან – საქართვ. დიაბეტური ასოციაციის პრეზიდენტი. იყო უმაღლესი და საშ. სპეც. განათლების სამინისტროს პრემიის ლაურეატი (1980), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: ენდოკრინულ ჯირკვალთა დაავადებები, თბ., 1962; ენდემური ჩიყვის გავრცელების დინამიკა საქართველოში, თბ., 1992 (თანაავტ.); Диабетическая ретинопатия, М., 1968 (თანაავტ. Д. Скотт); Диабетическая ретинопатия, Тб., 1974 (თანაავტ.); О патогенезе диабетического поражения миокарда, М., 1984 (თანაავტ.); Классификация ангиопатии нижних конечностей при сахарном диабете, М., 1988 (თანაავტ.). *ს. ბაქრაძე.*

ივერიელი მანანა ბენიამინის ასული (დ. 20. XI. 1955, ბორჯომი), სტომატოლოგ-პაროდონტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1997).

1979, თსსი-ის დამთავრების შემდგომ, მოღვაწეობს ამავე ინ-ტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრაზე – იყო კათედრის ასისტენტი (1984–95), დოცენტი (1995–97), პროფესორი (1997–2006), გამგე (1995–2006).

2007-იდან იყო თსსუ-ის თერაპიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, 2009–14 – თსსუ-ის ა. ურუშაძის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი, 2009-იდან პარალელურად ხელმძღვანელობს თსსუ-ის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვან დაავადებათა დეპარტამენტს.

ი. მრავალი სამეცნ. შრომის (მ. შ. 3 სახელმძღვანელო, 2 გამოგონება და 2 მეთოდური რეკომენდაცია) ავტორია. მისი კვლევები ეხება პაროდონტიტის მკურნალობის უახლეს მიმართულებებს; პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების (სტომატიტების) დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს და სხვ.

ი. არის საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (2009).

თხზ.: პაროდონტის დაავადებების ფარმაკოთერაპია, თბ., 2009; პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები, თბ., 2012; პაროდონტოლოგია, თბ., 2014.

ივერიის მთა, მთა გუდაუთის მუნიციპალიტეტში, *ახალი ათონის* მიმდებარე ტერიტორიაზე, ფსირცხის დაბალმთიან კირქვულ მასივზე, მდინარეების – მანიკვარისა და ფსირცხის – წყალგამყოფი. ზ. დ. 300 *მ*. აგებულია ძირითადად ცარცულ-პალეოგენური კირქვებით. მთაზე შემონახულია ციტადელი კოშკებით. ი. მ-ის ჩრდ. კალთაზე მდებარეობს *ახალი ათონის მღვიმე*.

ივერიის მღვიმე, მღვიმე გუდაუთის მუნიციპალიტეტში. იხ. *ახალი ათონის მღვიმე*.

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, კარის ღვთისმშობელი, პორტაიტისა. X ს-იდან ათონის წმ. მთაზე, ივერთა მონასტერშია დასვენებული. იგი ღვთისმშობლის ერთ-ერთი ყველაზე სათაყვანო სასწაულმოქმედი ხატია.

ი. ჯ. ღ. ხ. ოდიგიტრიის ტიპისაა. იგი შესრულებულია ფერწერით და შემკულია ოქრონაქანდაკევი მოჭედილობით.

ხატის ისტორია ხატმებრძოლეობის პერიოდთანაა დაკავშირებული. გადმოცემის მიხედვით, ქ. ნიკეასთან ახლოს მცხოვრებ ქვრივ ქალს იგი სახლში ჰქონდა დაბრძანებული. იმპ. თეოფილეს ზეობაში ხატთაყვანისმცემელთა დევნისას (IX ს.) ქალმა ხატი, გადარჩენის მიზნით, წყალს გაატანა.

ხატის ისტორიის შემდგომი ეტაპი გრძელდება X ს. მიწურულს, როდესაც იგი ათონის ქართველთა მონასტრის სიახლოვეს ზღვაში გამოჩნდა და ქართველმა მოწესემ, წმ. გაბრიელმა ნაპირზე გამოაბრძანა. ღირსმა მამა გაბრიელმა იგი პატივით დაასვენა ივერიის მონასტრის ეკლესიაში, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ხატი ბერებს ადგილზე აღარ დახვდათ – იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე იყო დავანებული. ხატი პირვანდელ ადგილს დაუბრუნეს, მაგრამ იგი კვლავ კარიბჭეში დახვდათ. ამის შემდეგ ეწოდა ხატს პორტაიტისა, ანუ კარის ღვთისმშობელი.

ათონის მთის სიწმინდეთა იმ მრავალრიცხოვან აღწერებში, რებიც საუკუნეების განმავლობაში შეუდგენიათ პილიგრიმებს, მოგზაურთ, სიძველეთა მოყვარულებსა თუ სწავლულებს, ტრადიციულად, საგანგებო ადგილი ეთმობა კარის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს და ქართველთა მონასტერთან



ვ. ივერიელი.



ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი.

მისი გამოჩენის შესახებ არსებულ გადმოცემას.

ი. ყ. ღ. ხ-ის ათონის ქართველ მოღვაწეებთან და საქართველოსთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს მისი თავდაპირველი მოჭედილობა, მასზე შესრულებული ქართ. საქტიტორო წარწერა, აგრეთვე მონასტრის აღაპების ხელნაწერი კრებული. არსებული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ღვთისმშობლის ხატის მოჭედილობა შესრულდა სამცხის ათაბაგისა და ამირსპასალარის – ყვარყვარე დიდის ძის (ქაიხოსროს გაზრდილის) – ამბროსის მიერ. არსებული ცნობების მიხედვით, ხატი უნდა მოეჭედათ 1500–04 წლებში.

საუკუნეების განმავლობაში ქართველ მეფე-მთავართა, საეკლ. მოღვაწეთა და მომლოცველთა მიერ გაღებული შეწირულობები მონასტრის განახლება-გაძლიერებასთან ერთად სწორედ ი. ყ. ღ. ხ-ზე ზრუნვით იყო განპირობებული. 1680, აშოთან მუხრანბატონის ღვაწლით, ივერთა მონასტერში, კარიბჭესთან ახლოს, აიგო ეკლესია და ღვთისმშობლის ხატი იქ იქნა გადასვენებული. მას შემდეგ იგი ამ ტაძარშია დაბრძანებული. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ხატის ხსენებას დღესასწაულობს 12 თებერვალს, 31 მარტს, 12 ოქტომბერს და ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.

ლიტ.: სხირტლაძე ზ., ივერიის კარის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატი, «მაყვლოვანი», 2012, №7; მისივე, The Original Cladding of the Portaitissa Icon, «Oriens Christianus», 2005, Bd. 89.

ზ. სხირტლაძე.

ივლიანთგორი, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ზარიძეების თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ლიშოს მთის სამხრ.-დასით, მდ. ვერხველის (ქუსნოს ზემო დინება; ივრის აუზი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1700 *მ*, თიანეთიდან 12 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

ივლისი (ლათ. Julius), კალენდარული წლის მეშვიდე თვე (31 *დღ-ღ*). სახელი ეწოდა იულიუს კეისრის პატივსაცემად. ძვ. ქართ. წარმართული კალენდრით – თიბისა. ი-ის ხალხ. სახელწოდებებია მკათათვე და კვირიკობისთვე. ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, ადრე ავი და კვინტოლიონიც ეწოდებოდა.

ივლიტა, სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტის სხვილისის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), მდ. ფოცხოვისწყლის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 960 *მ*, ახალციხიდან 3 *კმ*. 227 მცხ. (2014).

სოფელში, ძველ სასაფლაოზე, დგას ღვთისმშობლის ეკლესია (წმ. ივლიტა).

ივნევი რიურიკ (ნამდვ. სახელი და გვარი – მიხეილ ალექსანდრეს ძე კოვალიოვი) [11(23). II. 1891, თბილისი, – 19. II. 1981, მოსკოვი], რუსი პოეტი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო კრებულით ,,თვითდაწვა'' (1913). იყო ეგოფუტურისტების, ხოლო რევ. შემდეგ – იმაჟინისტთა წრის აქტ. წევრი. ავტორია ლექსების კრებულებისა: ,,ჩემი ქვეყანა'' (1943), ,,რჩეული ლექსები. 1912–1972'' (1974). რამდენიმე წელი დაყო საქართველოში. ი-ის ლიტ. მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ცხოვრებასთან და კულტურასთან. გარდა ლექსებისა, ქართ. თემაზე აქვს დაწერილი რომანები: ,,სიყვარული უსიყვარულოდ'' (1925), ,,ღია სახლი'' (1927) და სხვ. თარგმნიდა ქართვ. კლასიკოსებისა და თავის თანამედროვე პოეტების ნაწარმოებებს, აგრეთვე აზერბ. და ოს მწერალთა თხზულებებს.

თხზ.: რჩეული ლექსები, თბ., 1947; У подножия Мтацминды. Мемуары. Новеллы разных лет. Повесть, М., 1973.

გ. გიგოლოვი.

ივნისი (ლათ. Junius), კალენდარული წლის მეექვსე თვე (30 *დღ-ღ*). სახელწოდება მომდინარეობს ძვ. რომაელთა ქალღმერთ იუნონას სახელიდან. ძვ. ქართ. წარმართული კალენდრით – მარიალისა. ი-ის ხალხ. სახელწოდებებია თიბათვე და ივანობისთვე.

ივრეთი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ღრომის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1040 *მ*, ერედვიდან 8 *კმ*. 918 მცხ. (2002).

ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ივრის ზეგანი, გარეკახეთის ზეგანი, მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარეებს – მტკვარსა და ალაზანს შორის. გადაჭიმულია 170 *კმ*-ზე თბილისის მიდამოებიდან ალაზნის ქვემო დინებამდე, გარდაბნის, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. სიგანე 60 *კმ*, სიმაღლე ზ. დ. 80-იდან 1000 *მ*-მდე. აგებულია ძირითადად სუსტად დანაოჭებული კაინოზოური ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, თიხებითა და კირქვებით. რელიეფი ვაკე-ბორცვიანია – მოიცავს ვაკე-ტაფობებს, ბორცვებს, დაბალ სერებს და მთებს. მნიშვნელოვანი ვაკეებია: *შირაქის ვაკე* და *ტარიბანა*. ვაკეები წარმოქმნილია მეოთხეულ პერიოდში ფხვიერი ნაფენების მიერ სინკლინების ამოვსებით. საშ. სიმაღლის მთებია: ნიკორაციხე (1001 *მ*), დემურდაღი (991 *მ*), ნატახტარი (966 *მ*), დიდი უდაბნო (905 *მ*), გარეჯის უდაბნო (879 *მ*), ზილჩა (846 *მ*). ი. ზ-ზე არის ბედლენდები, ტალახიანი ვულკანები, ხელოვნური გამოქვაბულები. ჰავა მშრალი სუბტროპიკულია. იანვ. საშ. ტემპ-რა ი-იდან –2^{0}C-მდეა, ივლ. 23–24^0 C. ნალექები 400–600 *მმ* წელიწადში. მთავარი მდინარეა იორი. არის მარილიანი ტბები – ყაჯირი, მუხროვანი, ქოჩები, აზამბურის ტბათა ჯგუფი. გავრცელებულია შავმიწა, წაბლა, ყავისფერი, მურა და მლაშობიცობიანი ნიადაგები; უროიანი, ჭანგიანი, ვაციწვერიანი, ნაირბალახოვანი, ნაირბალახოვან-მარცვლოვანი სტეპის მცენარეულობა, აგრეთვე ჯაგეკლიანი (უმეტესად ძეძვიანი და ღვიიანი) ბუჩქნარი. ზეგნის სამხრ. ნაწილში არიდული ნათელი ტყეებია. ივრის ხეობაში ფრაგმენტებადაა ჭალის ტყეები (ტუგაის ტყეები). ზეგანზე გვხვდებიან ფაუნის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც არიან ქურციკი, დურაჯი, ხოხობი და სხვ., რ-ებიც სადღეისოდ თითქმის განადგურებულია. მრავლადაა მღრღნელები და ქვეწარმავლები. ი. ზ-ის ბუნებრივი ლანდშაფტი გარდაქმნილია ადამიანის ზეგავლენით, ატარებს უმეტესად სტე-

პურ, ტყესტეპურ, არიდული ტყისა და ნახევარუდაბნოს ხასიათს. ფაუნისა და ფლორის დასაცავად შექმნილია *ვაშლოვნის სახელმწიფო ნაკრძალი. ლ. მარუაშვილი.*

ივრის ზეგნის არქეოლოგიური ძეგლები, ქვისა და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები *ივრის ზეგანზე.* ამ მხარეში საცხოვრებლად განსაკუთრებით კარგი ბუნებრივი პირობები უნდა არსებულიყო ადამიანის ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბების დროიდან. ამის ნათელი დადასტურებაა დავითგარეჯის ლავრის სამონასტრო კომპლექსის მიდამოებში ადამიანის მსგავსი პრიმატის ქვედა ყბის ფრაგმენტის აღმოჩენა, ამაზევე მიგვითითებს ამ მხარის მრავალ პუნქტში მილიონი წლის წინ განმარხებული ცხოველების ძვლიანი მასალის გამოვლენაც.

ივრის ზეგანი მჭიდროდ ჩანს დასახლებული ქვის ხანაშიც. აქ ამ დროის ადამიანის საცხოვრებელი ადგილებიდან განსაკუთრებით გამორჩეულია ზიარის ნასადგომრები, სადაც კულტ. ფენები ღია ცის ქვეშ დღემდე დაუზიანებლად არის შემორჩენილი. ქვის ხანის ადრეულ პერიოდში ადამიანის მიერ დამზადებული იარაღი ივრის ზეგნის ყველა მხარეში დიდი რაოდენობით გვხვდება. სპილენძ-ქვის ხანის არქეოლ. ძეგლები გამოვლენილია სოფ. ჯიმითთან და ჭერემთან.

მომდევნო, ადრინდ. ბრინჯაოს ხანის არქეოლ. ძეგლები ივრის ზეგანზე ჯერჯერობით მხოლოდ ქვაყრილიანი გორასამარხების იმ სახით არის ცნობილი, რ-ებიც ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახევრის *მტკვარ-არაქსის კულტურის* კუთვნილ მასალას შეიცავს. ისინი, როგორც წესი, კოლექტიურია, უფრო ხშირად – უორმოო მიწისზედა დასაკრძალავი დარბაზით. ამ დროის მხოლოდ ორი სამარხია ცნობილი კატაკომბური დასაკრძალავი ნაგებობით. ამ სამარხებში მიცვალებულები, როგორც წესი, გვერდზეა დაკრძალული, მოხრილი კიდურებით. გვხვდება მათი ადგილზე კრემაციის შემთხვევებიც.

ივრის ზეგანზე და მის ირგვლივ, მთისწინეთში, განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა კავკასიისათვის უცხო, ძვ. წ. III ათასწლ. ალაზან-ბედენის კულტურის სამარხეული ძეგლები. ისინი მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ჩნდება და მისი ფინალური ეტაპის თანადროულია. მას ხშირად ცალკე, მარტყოფულ კულტურად მოიხსენიებენ.

ივრის ზეგნის რიგ ნამოსახლარზე, რ-ებიც ჯერ კიდევ გამოუკვლეველია, ალაზან-ბედენური კულტურის მხოლოდ ნიშნებია ფიქსირებული. მაგრამ ამ მხარეში შესწავლილი მრავალი სამარხეული კომპლექსი საშუალებას იძლევა ამ კულტურის დამახასიათებელ ნიშნებზე საკმაოდ დაბეჯითებით ვისაუბროთ. ამ სამარხთა შორის ძალიან ბევრია განსაკუთრებით დიდი მასშტაბის ინდივიდუალური, ელიტური გორასამარხები, ხის მორებით ნაგები გრანდიოზული დასაკრძალავი დარბაზებით. დარბაზებში ხის ოთხთვალა ურმებზე კრემაციაქმნილი მიცვალებულების ჭილოფში გახვეული ფერფლია დაკრძალული. მრავალ არტეფაქტთან ერთად სამარხებში განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ნატიფი ხელოვნებით დამზადებული თიხის ჭურჭელი, ვერცხლითა და ოქროთი ინკრუსტირებული ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი და ძვირფასი ლითონისგან ნაკეთები სამკაული. ძალიან ხშირია დასაკრძალავი დარბაზის გადახურვაზე და თვით დარბაზში ადამიანის მსხვერპლშეწირვა, რაც თანადროული საზოგადოების სოც.-ეკონომიკური დანაწევრების აშკარა მანიშნებელია.

ივრის ზეგანზე და მის ირგვლივ, მთისწინეთში, განსაკუთრებით მდიდარია ძვ. წ. II ათასწლ. პირველი ნახ. შუა ბრინჯაოს ხანის *თრიალეთის კულტურა* როგორც ნამოსახლარებით, ისე სამარხეული ძეგლებით.

ივრის ზეგანზე, როგორც წესი, შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები შეწყვილებულია. ადრეული ძეგლები მდინარის ტერასებზეა განლაგებული, გვიან კი მთის თხემზე და მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით არის გამაგრებული. ამან, სამარხეული მასალების კვლევასთან ერთად, შესაძლებელი გახადა ამ ორი ეპოქის ერთიმეორესთან გენეტიკურად დაკავშირება და სამხრ. კავკასიის ცენტრ. ნაწილში კულტურის განვითარების უწყვეტი ჯაჭვისთვის თვალის გადევნება.

ივრის ზეგნის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხარის დას. ნაწილში, დავითგარეჯის მრავალმთაში, აშკარად შეინიშნება თრიალეთური კულტურის თავისებურ მასალათა ჯგუფის არსებობა. იგი მოიცავს მიმდებარე მტკვრისპირეთს რუსთავის შემოგარენში, თბილისის აღმ. მონაკვეთს ლილოსთან, არაგვის მარჯვ. ნაპირს და დღევანდელი სომხეთის ჩრდ. ნაწილამდე (ლორიბერდი) აღწევს.

თრიალეთის კულტურის ეს ლოკალური ჯგუფი წარმოდგენილია ორმოიანი გორასამარხებით, რ-შიც უმეტესწილად მიცვალებული დაკრძალულია ოთხთვალა ხის ურემზე თრიალეთის კულტურისათვის ტიპური თიხის ჭურჭლით, ბრინჯაოს იარაღით და ოქროს სამკაულით, მაგრამ ყველა ამ კომპლექსს გამოარჩევს ბრინჯაოს გრძელი რაპირები, რ-ებიც მხოლოდ ამ მკვეთრად შემოსაზღვრული მხარის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში გვხვდება.

აღმ. საქართველოს უძველესი კულტურის კვლევისას და მისი განვითარების საფეხურების დადგენისას საგანგებო ყურადღებას იქცევს გვიანდ. ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის, ძვ. წ. XIII ს. ძეგლები.

ამ დროს ცალკეულ ნაწილებად იშლება ერთიანი ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა. ერთი კულტურა ყალიბდება მტკვრის შუა დინებასა და მის სამხრ-ით თრიალეთის მთიანეთში, მეორე კი – იორ-ალაზნის აუზში (იხ. *იორ-ალაზნის აუზის კულტურა).*

ამ პერიოდში ივრის ზეგანზე – დავითგარეჯის მრავალმთაში და დიდი შირაქის პლატოზე ჩნდება ისეთი არქეოლ. ძეგლები, რ-თა მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ აქ ადრეული ცივილიზაციების ჩამოყალიბება.

დავითგარეჯის მრავალმთაში აეროფოტოგადაღებების დეშიფრაციის შედეგად ამ დროის ნაქალაქარების მთელი სისტემა აღმოჩნდა. ისინი, როგორც წესი, განთავსებულია სახნავ-სათეს ველებთან ან რკინის მადნის გამოვლინებებთან და მათ გადამამუშავებელ სახელოსნოებთან. ყველა მათგანი ერთნაირი გეგმარებისაა. ნაქალაქარი მთის თხემზე გალავნებით და თავდაცვითი თხრილებით გარშემოვლებული ციტადელია, მთის ფერდზე კი – ტერასებად განლაგებული საცხოვრებელი კვარტლები, რებიც ასევე კარგად არის დაცული საფორტიფიკაციო ნაგებობით. მათგან ზოგიერთი წინასწარ შედგენილი პროექტით, რეგულარული გეგმარებით არის განაშენიანებული. ყველა ეს ძეგლი ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულის და ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისის ქრონოლ. ჩარჩოებში თავსდება. შემდგომ კი

დავითგარეჯის მრავალმთა, შესაძლოა რაღაც კატასტროფის შედეგად, უკაცრიელდება, ამ მხარეში ადრექრისტიანული სამონასტრო კომპლექსების დაარსებამდე.

დავითგარეჯის მრავალმთაში ყველაზე დიდი ქალაქური დასახლებაა ,,ნაომარი გორის'' კომპლექსი. იგი მთის თხემზე, სიგრძივ 1 *კმ* მანძილზე, სამ ბორცვზეა განაშენიანებული და ცენტრ. ადგილი უკავია ირგვლივ განლაგებულ მცირე დასახლებებს შორის. ქალაქი კარგად დახელოვნებული პროფესიონალი ხუროთმოძღვრის მიერ წინასწარ შემუშავებული პროექტით რეგულარული გეგმარებით არის ერთდროულად განაშენიანებული, ყოველგვარი გვიანი, პროექტთან შეუთავსებელი მინაშენის გარეშე.

ქალაქის მთელი გეგმარება მისადაგებულია რელიეფთან. რთული და დახვეწილი საინჟინრო ნაგებობაა ქალაქის წყალმომარაგების საიდუმლო სისტემა, რ-იც ქვის ფილებით ნაგები 900 *მ*-ის სიგრძის გვირაბს წარმოადგენს ქვით ამოყვანილი მოზრდილი წყალსაცავით.

ქალაქის დას. ნაწილში დიდი ციტადელია, რ-იც ოთხი კოშკებიანი გალავნით არის დაცული. თითოეული გალავანი 4–5 *მ* სიგანისაა. ციტადელის შიდა, პირველი გალავნით შემოსაზღვრულ არეში მხოლოდ საკულტო ნაგებობებია. პირველ და მეორე გალავანს შორის ელიტური, შესაძლოა, ქურუმთა საცხოვრებელი სათავსოებია, გარე, მესამე და მეოთხე გალავნები კი ციტადელის ირგვლივ ტერასულად არის განლაგებული და თავდაცვით ფუნქციას ასრულებს.

ციტადელის ზედა, ძვ. წ. XII–IX სს. ნაგებობების ქვეშ აღმოჩნდა ძვ. წ. XIII ს. გალავანი, რ-იც კარგად დაკუთხული ქვის ბლოკებით არის ნაგები. ციტადელის ქვედა გალავნის თანადროული სამოსახლოების მთელი სისტემა ტერასებად არის განლაგებული ,,ნაომარი გორის'' ბორცვის სამხრ. ფერდზე.

,,ნაომარი გორის'' ძვ. წ. XII–IX სს. სამოსახლო კვარტალში, რ-იც სიგრძივ ბორცვის თხემს გასდევს, ერთი ქუჩის ორ მხარეს განლაგებული განსაკუთრებით დიდი ზომის სიმეტრიული შენობებია. ქალაქის ამ ნაწილის სამხრ.-აღმ-ით, მთის ფერდზე მისი თანადროული, დიდი ქვით ნაგები ორგანყოფილებიანი მიწისზედა სამარხი ნაგებობებია.

ყურადღებას იქცევს ნაქალაქარის ჩრდ-ით, დაახლ. 1 *კმ* მანძილზე, თავბრტყელ ბორცვზე დიდი ოთხკუთხა, როგორც ჩანს, საკულტო ნაგებობა. იგი აეროფოტო და გეომაგნიტური ანაზომების მიხედვით ახლო პარალელებს პოულობს ხეთური ტაძრების გეგმარებასთან.

სატელიტური გადაღებების დეშიფრაციის შედეგად პალეოურბანული დიდი დასახლებები აღმოჩნდა ივრის ზეგნის აღმ. ნაწილშიც, შირაქის პლატოზე. მ. შ. ყველაზე უკეთაა გადარჩენილი დიდი ქალაქის ნაშთები ადგილ ,,დიდნაურში''.

შირაქის ველის პალეოგარემოს კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აქ ამ ქალაქის არსებობის პერიოდში სამი წყალუხვი მდინარე მოედინებოდა დას. მთიანეთიდან აღმ-ის მიმართულებით – ,,დიდრუი'', ,,ჩალიანხევი'' და ,,დიდნაური (დიდნარუალი)''. ქალაქი ამ უკანასკნელ ორ მდინარეს შორის მდებარეობდა და 15 *ჰა* ფართობზე იყო განფენილი. ქალაქის ოთხკუთხა ფართობს მძლავრი გალავანი იცავდა, რ-ის სიგანეა 7 *მ*, სიმაღლე დაახლ. 15 *მ*. გალავნის კონსტრუქცია ტიპურია ამ მხარის გვიანდ. ბრინჯაო-რკინის ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობებისთვის.

გალავანს ირგვლივ, 1,5 *კმ* მანძილზე, 20 *მ* სიგანისა და 4 *მ* სიღრმის, ფსკერისკენ შევიწროებული თავდაცვითი თხრილი აქვს შემოვლებული. მის გასაყვანად დაახლ. 70000 $მ^3$ მკვრივი დედაქანია ამოღებული, რ-იც, როგორც ჩანს, გალავნის მშენებლობის დროს არის გამოყენებული. მრავალი მინიშნება არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ ქალაქი მძლავრი მიწისძვრის შედეგად დაინგრა. ქალაქის შიდა ტერიტორიაზე სულ მცირე ფართობია არქეოლოგიურად გამოკვლეული, მაგრამ შედეგი მნიშვნელოვანია, რადგან აღმოჩნდა ქვის საძირკველზე ხის 3 და თიხით ნაგები დიდი შენობები კარგად დაგეგმარებული მოედნებისა და ქუჩების გასწვრივ, რებიც წვრილი კენჭების, საკმაოდ სქელი ფენით არის მოგებული. ქალაქის ტერიტორიაზე მონაპოვარი დიდძალი ბრინჯაოსა და თიხის ნაკეთობები მის თარიღს ძვ. წ. XIII ს-ით განსაზღვრავს, რასაც ქალაქის სამაროვანზე მოპოვებული კომპლექსებიც გვიზუსტებს. მნიშვნელოვანია, რომ სამაროვანზე რიგით ორმოსამარხთა შორის აღმოჩნდა ელიტური, გვირგვინოსანი სამხ. პირის სამარხიც.

შირაქის ველზე, ,,დიდნაურის'' ნაქალაქარის გარდა, სატელიტური გადაღებების დეშიფრაციის დახმარებით მიკვლეულია მსგავსი გეგმარების კიდევ ორი დასახლება.

ამგვარად, როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულს, ივრის ზეგანზე – შირაქის პლატოზე და დავითგარეჯის მრავალმთაში გამოვლენილი ნაქალაქარები და მათი თანამდევი მცირე დასახლებები წარმოადგენს სოც.-ეკონ. და პოლიტ. საერთო ინტერესების საფუძველზე ჩამოყალიბებულ მცირე გაერთიანებებს – შესაძლოა, ქალაქ-სახელმწიფოებს.

შემდგომ, არქეოლ. მასალის მიხედვით, ივრის ზეგანი აქემენიდური იმპერიის მძლავრი ზეგავლენის სფეროში ექცევა, მომდევნო, ძვ. წ. I ათასწლ. დასასრულს კი ეს მხარე აშკარად შიდა ქართლის სამყაროს განუყოფელ ნაწილად გვევლინება.

ლიტ.: ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV–VII სს.), თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, უდაბნოს არქეოლოგიური შესწავლის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 2001; მ ი ს ი ვ ე, ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. XIV–XIII სს., თბ., 2004; მ ი ს ი ვ ე, დასაშვებია თუ არა სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ. წ. II–I ათასწლეულების არქეოლოგიურ კულტურათა ეთნიზაცია, წგ.: კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, თბ., 2012; Б у г и а н и ш в и л и Т. В., Палеологические памятники Иоро-Алазанского бассейна, «Экспедиции», т. 1, Тб., 1969; В а р а з а ш в и л и В., Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна, Тб., 1992; O r t h m a n n W., Der Kurgan „Tetri Kwebi I“, «Georgia – Zeitschrift für Kultur und Geschichte Georgiens und Kaukasus», Heft 15, Konstanz, 1992; მ ი ს ი ვ ე, Burial mound of Bakurtsikhe (Central Transcaucasia, Valley of Alazani); კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, თბ., 2001; მ ი ს ი ვ ე, South Caucasian. Ancient Civilization in Gareji Desert (Udabno), «Festschrift für Manfred Korfmann Mauerschau, Bd. 2, Remshalden-Grumbach, 2002.

კ. ფიცხელაური.

ᲘᲖᲐᲑᲔᲚᲐ (Isabel) (22. IV. 1451 – 26. XI. 1504), კასტილიისა (1474-იდან) და გაერთიანებული ესპანეთის დედოფალი 1479-იდან. გაატარა რიგი რეფორმები, რ-თა შედეგადაც შექმნა ცენტრალიზებული მმართველობის სისტემა. 1492 ესპანეთიდან საბოლოოდ განდევნა არაბები. Ი. ხელმძღვანელობდა ინტენსიურ დიპლ. ურთიერთობებს. მისი მმართველობის დროს საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა ესპანეთთან. ეგვიპტეში საქართველოს დიპლ. მისიის

(1493–94) ხელმძღვანელი *ნილოსი* იერუსალიმში შეხვდა ესპ. ელჩებს, რ-ებისგანაც ქართველებმა 0-ს მიერ არაბთა დამარცხების ამბავი შეიტყვეს. მოლაპარაკების შემდეგ ესპ. ელჩები თბილისში ქართლის მეფე *კონსტანტინე II-ს* ეწვივნენ. გადაწყდა ესპანეთში დიპლ. მისიის გაგზავნა. ესპ. სამეფო კარზე ქართვ. დიპლომატები 1495 წარსდგნენ. მათ 0-ს კონსტანტინე II-ის წერილიც გადასცეს, სადაც იგი დედოფალს სწერდა: ,,გევედრებით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გამოილაშქროთ და... მეც პირადად შვილებითურთ და მთელი ლაშქრით,... შენთან ერთად საბრძოლველად წამოსასვლელად მზად ვიქნები. ხოლო სიყვარულის ნიშნად ამ მცირე ძღვენს გაახლებთ: იეზდის 19 ოქროქსოვილს, 40 მისხალს ობოლ მარგალიტს და 17 ვეფხვის ტყავს''. ამ ელჩობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ლიტ.: მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე ე., ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, «ცისკარი», 1986, №3; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

ლ. მანიავა.

იზაბელა, ვაზის ამერიკული ჯიში. ბუნებრივი ჰიბრიდია. ძირითადად გავრცელებულია დას. საქართველოს ტენიან რ-ნებში (ე. წ. ,,ადესა''), აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარეში, ყირიმში და სხვა. კარგად უძლებს ფილოქსერასა და სოკოვან დაავადებებს (მილდიუმი, ოიდიუმი). ნაყოფი შავია, აქვს სპეციფ. გემო, მწიფს მოგვიანებით. იყენებენ საჭმელად და მეღვინეობაში ადგილ. მოხმარებისათვის.

იზაშვილი ნიკოლოზ პავლეს ძე [1(14). XII. 1910, თბილისი, – 17. II. 1993, იქვე], ქირურგ-უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1931 დაამთავრა თსსი-ის სამკურნ. ფაკტი. 1966-იდან საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ა. წულუკიძის სახ. უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე იყო სამეცნ. დარგში. იკვლევდა უროლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს, საირმის მინერ. წყლების მოქმედების მექანიზმს უროლოგიურ დაავადებათა დროს და სხვ. მიღებული აქვს საველმწ. ჯილდოები.

თხზ.: პროსტატის ადენომა და მისი ოპერაციული მკურნალობა, თბ., 1962.

,,იზვესტია კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვა'', რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების პერიოდული სამეცნიერო ბეჭდვითი ორგანო. ძირითადად გამოდიოდა თბილისში. I წიგნი გამოვიდა 1872. შემდეგი წიგნები იბეჭდებოდა ყოველ 1–2 წელიწადში ნაწილ-ნაწილ, ცალკეულ ნაკვეთებად. 1917-მდე სულ გამოვიდა 25 წიგნი. მასში ძირითადად იბეჭდებოდა განყ-ბის ადმ.-ორგანიზაციული საქმიანობის ანგარიში და მის წევრთა მიერ ჩატარებული სამეცნ.-კვლ. მუშაობის შედეგები, კრიტ. და ბიბლიოგრ. სტატიები, პერიოდული გამოცემები, საერთო კრებებზე წაკითხული მოხსენებები და სხვ.

გამოცემაში აქტიურად მოღვაწეობდნენ როგორც ქართველი, ისე საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეცნიერები: დ. ზ. *ბაქრაძე*, კ. *ბოროზდინი*, დ. პ. *გედევანიშვილი*, დ. გერსევანოვი, ნ. *დინიკი*, რ. *ერისთავი*, ა. *ერიციანი* (ერისთოვი), ე. *ვეიდენბაუმი*, ა. *ვოეიკოვი*, ა. კოშინი, ე. მარკოვი, ნ. პალიბინი, ა. *პასტუხოვი*, გ. *რადე*, ლ. სიმონოვიჩი, გ. *სმირნოვი*, ა. *სოროკინი*, ი. *სტებნიცკი*, პ. უსლარი, პ. ჩიხაჩევი, ა. *ცაგარელი*, გ. *წულუკიძე*, ი. *ხოძკო*. გამოცემის რედაქტორები იყვნენ: დ. კოვალენსკი, ლ. *ზაგურსკი*, მ. ვორონოვი, დ. პაგირევი, ა. *ლაისტერი* და სხვ.

ე. ლოლუა.
ვ. ჯავრიშვილი.

იზი (Izzi) სელეიმან ეფენდი (გ. 1755), ოსმალო ისტორიკოსი და პოეტი. ორჯერ, 1743 და 1746, ეკავა სულთნის კარზე ოფიც. ჟამთააღმწერლის (,,ვაკა-ი ნუვისი'') თანამდებობა. მისი ორტომიანი ისტორია მოიცავს 1730–50 ამბებს. თხზულებაში საყურადღებო ცნობებია დაცული სამხრ. კავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის. 0. საგანგებოდ აღწერს ირანის საშინაო მდგომარეობას ამ პერიოდში, ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ შექმნილ ვითარებას, ტახტისათვის გამართულ ბრძოლას, რ-შიც, მისი თქმით, მონაწილეობდა ,,თბილისის ხანი თეიმურაზი''. თეიმურაზი თავს დაესხა სპარსელებს და დაიკავა ,,ერევანი, განჯა და თბილისი'', მაგრამ ლეკების მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

ლიტ.: შ ე ნ გ ე ლ ი ა ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.

ნ. შენგელია.

იზიდ-ბოზიდი, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 683–685 წლებში.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

იზმაილ ფაშა, ახალციხის ფაშა 1827–28. მან შეცვალა ჰაჯი-ყადირ-ოღლი ოსმან ფაშა. 1827 თებერვალში ა. ერმოლოვის მიერ პურის შესასყიდად გამოგზავნილი ხალხი უარით გაისტუმრა. ამ საკითხზე მას შემდგომ თვეებში ა. ერმოლოვთან ჰქონდა მიმოწერა. 1828 აგვისტოში, ი. პასკევიჩის მიერ ახალციხის აღების დროს, საფაშოს უკვე ორთულიანი ახმედ ფაშა ხელმძღვანელობდა. 0. ფ. ჯაყელთა გვარის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

უ. ბლუაშვილი.

იზოტოპები (ბერძნ. isos – ტოლი, ერთნაირი, მსგავსი და topos – ადგილი), ერთი განსაზღვრული ქიმიური ელემენტის ატომების (ნუკლიდების) სახესხვაობები, რომელთა ბირთვი შეიცავს პროტონების ერთნაირ და ნეიტრონების განსხვავებულ რაოდენობას. ამიტომ 0-ის (ნეიტრალური ატომების) ელექტრონული გარსი შეიცავს ელექტრონების ერთნაირ რაოდენობას. შედეგად, 0-ს ახასიათებს იდენტური ქიმ. თვისებები და უკავია ერთი და იგივე ადგილი ელემენტთა პერიოდულ სისტემაში (0-ის ბირთვული თვისებები განსხვავებულია). განასხვავებენ სტაბილურ (მდგრად) და რადიოაქტიურ 0-ს. 0-ის რადიოაქტიური დაშლის ტიპი, აგრეთვე სპინი, მაგნ. დიპოლური მომენტი და ბირთვის ზოგიერთი სხვა თვისება დამოკიდებულია ბირთვში პროტონებისა და ნეიტრონების რაოდენობის თანაფარდობაზე. 0. სტაბილურია ამ თანაფარდობის მხოლოდ გარკვეული მნიშვნელობებისათვის (ნახ.).


იზაბელა.

ტერმინი 0. 1910 შემოიღო ინგლ. ფიზიკოსმა ფ. სოდიმ. 0-ის დასახელება და სიმბოლოები ანალოგიურია ქიმ. ელემენტის (ქე) დასახელებისა და სიმბოლოების. როგორც წესი, ქე-ის სიმბოლოს მარცხნივ და ქვევით მიუთითებენ რიგით ნომერს Z (ქე-ის ატომბირთვში პროტონების რაოდენობა), მარცხნივ და ზევით კი – მასურ რიცხვს *A* (ატომბირთ-


ვში პროტონების და ნეიტრონების საერთო რაოდენობა). მაგ., ქლორის Ი. არის $^{35}_{17}$Cl და $^{37}_{17}$Cl. გამონაკლისია *წყალბადის* Ი. მასური რიცხვებით 1, 2 და 3, რ-თაც ერთმანეთისგან განსხვავებული დასახელებები და სიმბოლოები აქვს: პროთიუმი H, ანუ $^{1}_{1}$H (სტაბილური), დეიტერიუმი D, ანუ $^{2}_{1}$H (სტაბილური) და ტრიტიუმი T, ანუ $^{3}_{1}$H (რადიოაქტიური).

Ი-ის არსებობა აღმოაჩინეს ურანის რადიოაქტიური დაშლის ექსპერიმენტული კვლევისას (1900–07). მოგვიანებით, ინგლ. ფიზიკოსებმა ჯ. ტომსონმა და შემდგომ ფ. ასტონმა აღმოაჩინეს ნეონის Ne, ქლორის Cl, ვერცხლისწყლის Hg და სხვ. ქე-ის სტაბილური Ი. 1934 ფრანგმა ფიზიკოსებმა ი. კიურიმ და ფ. ჟოლიო-კიურიმ ხელოვნურად მიიღეს აზოტის N, ფოსფორის P და *სილიციუმის* Si რადიოაქტიური Ი., რითაც პირველად აჩვენეს ახ. ნუკლიდების სინთეზის შესაძლებლობა. 1940-თვის უკვე განხორციელებული იყო დედამიწაზე არსებული ყველა ქე-ის იზოტოპური ანალიზი. დღეისთვის ცნობილია 81 ბუნებრივი ქე-ის 275 სტაბილური იზოტოპი და 118 ბუნებრივი და ხელოვნური ქე-ის დაახლ. 1500-მდე რადიოაქტიური იზოტოპი.

სტაბილური Ი-ის მაქსიმალური რაოდენობა (10) აქვს *კალას* Sn; არსებობს ისეთი ქე (მაგ., *ოქრო* Au, *იოდი* I და სხვ.), რ-თაც მხოლოდ თითო სტაბილური იზოტოპი გააჩნია. ეს განსხვავება განპირობებულია ნუკლიდის ბირთვში პროტონებისა და ნეიტრონების რაოდენობით: ბირთვები, რ-ებიც შეიცავს პროტონების და/ან ნეიტრონების ე.წ. მ ა გ ი უ რ რიცხვს (2, 8, 20, 28, 50, 82, 126; ბოლო რიცხვი მხოლოდ ნეიტრონებს შეესაბამება), უფრო მდგრადია, ვიდრე მათი „მეზობელი“ ბირთვები (იხ. ნახაზზე მდგრადობის არე). მიმდინარეობს სამეცნ. კვლევები (ლივერმორი, ბერკლი, აშშ; დარმშტადტი, გერმანია; RIKEN, იაპონია; დუბნა, რუსეთი და სხვ.) ახალი ზემძიმე ქე-ის Ი-ის სინთეზის განსახორციელებლად, რ-თა მიზანია ე. წ. „სტაბილობის კუნძულის“ არსებობის ჰიპოთეზის შემოწმება: ნუკლიდები პროტონების მაგიური რიცხვით Z=126, შესაძლოა, საკმარისად მდგრადი აღმოჩნდეს.

რადიოაქტიური Ი-ის ნახევარდაშლის პერიოდი $T_{1/2}$ (Ი-ის სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა $\tau=T_{1/2}/\ln 2$) ფართო საზღვრებში იცვლება. მაგ., ლითიუმის იზოტოპს $^{4}_{3}$Li აქვს $T_{1/2}$=0,9·10^{-22} *წმ*, ხოლო ტელურს $^{238}_{52}$Te – $T_{1/2}$=2,2·10^{24} *წ*.

დედამიწაზე გავრცელებული Ი-ის უმრავლესობა შორეულ წარსულში მიმდინარე ბირთვულ პროცესებში წარმოიშვა. Ი-ის წარმოშობას, ბუნებაში მათ გავრცელებასა და პროცენტულ თანაფარდობას ხსნის თანამედროვე წარმოდგენები სამყაროსა და ასტრონომიული ობიექტების ევოლუციაზე (იხ. *კოსმოლოგია*). ამ წარმოდგენების შემოწმება ტარდება მ.შ. *დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე* მიმდინარე ექსპერიმენტებში, რ-ებშიც მონაწილეობენ ქართვ. ფიზიკოსებიც. ბუნებრივი ქე-ის იზოტოპური შემადგენლობა



იზოტოპების სტაბილურობის (ნახევარდაშლის პერიოდის) დამოკიდებულება ბირთვში პროტონებისა და ნეიტრონების რაოდენობის თანაფარდობაზე.

დედამიწაზე, როგორც წესი, არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს გარემოში მიმდინარე ქიმ. და ფიზ. პროცესების შედეგად, მაგრამ იცვლება რადიოაქტიური დაშლის პროცესში. Z>82 მქონე ყველა იზოტოპი რადიოაქტიურია და წარმოიქმნება უფრო მძიმე Ი-ის რადიოაქტიური დაშლების ჯაჭვის შედეგად. Ი-ის მასური რიცხვი A α-დაშლისას მცირდება 4-ით, ხოლო β- და γ-დაშლისას არ იცვლება.

ატმოსფეროსა და დედამიწის ქერქში შემავალი მსუბუქი ქე-ის იზოტოპური შემადგენლობა უმნიშვნელოდ ვარირებს მიმდინარე პროცესების (ნივთიერებების აგრეგატული მდგომარეობის ცვლილება – აორთქლება, გახსნა, დიფუზია და სხვ.) გამო. ბიოსფეროში ინტენსიურად მიგრირებული ზოგიერთი ქე-ის (წყალბადი H, *ნახშირბადი* C, აზოტი N, *ჟანგბადი* O, გოგირდი S) იზოტოპური შემადგენლობა იცვლება ცოცხალ ორგანიზმებში ნივთიერებათა ცვლის პროცესებში. ნამარხ ყინულებში (ანტარქტიდასა და არქტიკაში მოპოვებულ ყინულის კერნებში) ჟანგბადის Ი-ის $^{18}_{8}$O/ $^{16}_{8}$O ფარდობის საფუძველზე ხდება პალეოკლიმატური პირობების რეკონსტრუქცია. დიდი $T_{1/2}$ მქონე Ი-ის პროცენტული შემადგენლობის საფუძველზე ადგენენ გეოლოგიური ნიმუშების, ასევე, მეტეორიტებისა და სხვა ცური სხეულების ასაკს (მაგ., ურან-

ტყვიის ან კალიუმ-არგონის მ-ის პროცენტულ შემადგენლობაზე დაყრდნობით); არქეოლ. მასალების დათარიღებისათვის ზომავენ ნახშირბადის მ-ის $^{14}_{6}C/^{12}_{6}C$ ფარდობას და სხვ. სტაბილურ და რადიოაქტიურ მ-ს ფართოდ იყენებენ მეცნ. და ტექ. სხვადასხვა დარგში, ასევე სამხედრო მიზნებით. სტაბილური და რადიოაქტიური მ-ის შემცველ პრეპარატებს მოიხმარენ ზოგიერთი დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის (კომპიუტერულ ტომოგრაფიაში კონტრასტის ფონზე იოდის $^{127}_{53}I$ სტაბილურ იზოტოპს, პოზიტრონულ-ემისიურ ტომოგრაფიაში ფტორის $^{18}_{9}F$ იზოტოპს და სხვ.). კობალტის და ცეზიუმის რადიოაქტიური მ. $^{60}_{27}Co$ და $^{137}_{24}Cs$ γ-გამოსხივების წყაროს წარმოადგენს და ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მიზნისათვის. ატომურ ენერგეტიკაში ბირთვულ „საწვავად“ იყენებენ ურანისა და პლუტონიუმის $^{233}_{92}U$, $^{235}_{92}U$, $^{239}_{94}Pu$, $^{241}_{94}Pu$ რადიოაქტიურ მ-ს. $^{232}_{92}U$ იზოტოპი გამოიყენება კოსმოსური აპარატების ენერგეტიკულ დანადგარებში.

საქართველოში მნიშვნელოვან გამოკვლევებს მ-ის შესწავლასა და გამოყენებაში საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, სოხუმის მახლობლად მდებარე გასაიდუმლოებულ ორ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, გერმ. მეცნიერების, მ. ფონ არდენეს და გ. *ჰერცის*, ხელმძღვანელობით, სადაც მიმდინარეობდა სამუშაოები ურანის $^{235}_{92}U$ და $^{238}_{92}U$ მ-ის განცალკევების პრობლემებზე შესაბამისი სამრეწვ. ტექნოლოგიების შესაქმნელად. 1950-იდან ამ ბაზაზე ჩამოყალიბდა *სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი*. აქ მოღვაწეობდნენ შ. ბურდიაშვილი (ფილტრებისა და დიფუზიური მანქანების შექმნა, სტალინური პრემია, 1951), რ. *დემირხანოვი* (ლითიუმის მ-ის ელექტრომაგნიტური განცალკევება, სტალინური პრემია, 1953), ქ. *ორჯონიკიძე* (მაღალი სიზუსტის მას-სპექტრომეტრი მ-ის მასის დეფექტის გასაზომად, სტალინური პრემია 1953) და სხვ. სოხუმის ფიზ.-ტექ. ინ-ტში ი. *გვერდწითელის* თაოსნობით დაიწყო სტაბილური მ-ის (ბორის, ჟანგბადის, ნახშირბადის, აზოტის და სხვ.) განცალკევების, მ-ით ნიშანდებული ნაერთების სინთეზისა და მათი ხარისხის კონტროლის ანალიზური მეთოდების დამუშავება.

XX ს. 50-იანი წლების ბოლოს ჰელიუმის იზოტოპების განცალკევების კრიოგენულ მეთოდებზე პ. *კაპიცას* ხელმძღვანელობით მუშაობდა რ. ბაბლიძე.

1962 სოხუმის ფიზ.-ტექ. ინ-ტის ბაზაზე თბილისში დაფუძნდა სტაბილური მ-ის ინ-ტი (ამჟამად *საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი*), სადაც ხორციელდებოდა მსუბუქი ქე-ის იზოტოპური ნარევიდან ცალკეული მ-ის გამოყოფისა და სხვა იზოტოპით გამდიდრების სამუშაოები. ცენტრის კვლევის ძირითადი მიმართულებებია მაღალგამდიდრებული და მაღალი სისუფთავის ნაზშირბადის $^{13}_{6}C$, აზოტის $^{15}_{7}N$, ბორის $^{10}_{5}B$ და $^{11}_{5}B$, ჟანგბადის $^{17}_{8}O$ და $^{18}_{8}O$ და სხვა სტაბილური მ-ის წარმოება, რ-იც ეფუძნება დაბალტემპერატურული რექტიფიკაციისა და მ-ის გაცვლის ქიმიურ მეთოდებს (ე. *ოზიაშვილი*, ფ. ასათიანი, გ. თევზაძე; სახელმწ. პრემია 1982). ცენტრის სამეცნ.-ტექნოლ. და საწარმოო პროდუქცია განკუთვნილია ატომური ენერგეტიკის, მიკროელექტრონიკის, მედიცინის, სოფლის მეურნეობისა და სხვ. დარგებისათვის. 1960–90 ცენტრი იყო ერთადერთი სტრუქტურა ევრაზიაში სტაბილური მ-ის წარმოების სფეროში.

XX ს. 60-იან წლებში მნიშვნელოვანი შედეგები წყალბადის მ-ის შესწავლაში მიღებული აქვს თ. *ცეცხლაძეს* (იხ. აგრეთვე სტ. *ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკა*).

XX ს. 50–70-იან წლებში თსუ-ში მსუბუქი ქე-ის მ-ის თვისებებს თეორიულად იკვლევდნენ ვ. *მამასახლისოვი*, ი. *ვაშაკიძე*, გ. *ჭილაშვილი* და სხვ.

1974-იდან საქართვ. მეცნ. აკადემიის *ფიზიკის ინსტიტუტში* ჰელიუმის მსუბუქი $^{3}_{2}He$ იზოტოპის *ზედნადობას*, აგრეთვე სხვა თვისებებს იკვლევდნენ გ. *ვაჩნაძე*, ი. *მამალაძე*, ჯ. *სანიკიძე*, ჯ. *წაქაძე*, გ. *ხარაძე* და სხვ. უფრო ადრე, 1946-იდან $^{4}_{2}He$ იზოტოპის ზედენადობას იკვლევდა ე. *ანდრონიკაშვილი*.

1960-იან წლებში თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტზე გ. *მირიანაშვილის*, ა. ბურჭულაძისა და ვ. *კოკოჩაშვილის* ძალისხმევით დაარსდა რადიონახშირბადის სამეცნ.-კვლ. ლაბორ. არქეოლოგიური სინჯების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრისთვის (ამ დანიშნულების რიგით მეორე სამეცნ.-კვლ. ლაბორ. სსრკ-ში). 1975–2003 თსუ-ის რადიონახშირბადის ლაბორ., ბრატისლავის უნ-ტის ბირთვული ფიზიკის კათედრასთან კოლაბორაციაში, იკვლევდა კოსმოგენური და ანთროპოგენული რადიონუკლიდების, კერძოდ, $^{14}_{6}C$ იზოტოპის დროით ვარიაციებს 1900–80 პერიოდში (წარსულში მზის აქტივობის ვარიაციების შესაფასებლად) და სხვა რადიოეკოლოგიურ პრობლემებს. 1995–2003 ს. ფაღავამ, ვ. რუსეცკიმ და სხვებმა, სლოვაკ კოლეგებთან ერთად, შეისწავლეს სტრონციუმის $^{90}_{38}Sr$, ცეზიუმისა $^{137}_{55}Cs$ და პლუტონიუმის $^{239,\ 240}_{94}Pu$ მ-ის განაწილება შავი და კასპიის ზღვების სანაპირო ზოლში, წყალსა და ბიოტაში. 2007–09 შესწავლილ იქნა რადონის $^{222}_{86}Rn$ იზოტოპის განაწილება თბილ. სხვადასხვა უბნებში – ვერა, მთაწმინდა, კალა, სოლოლაკი, კრწანისი, ასევე დელისისა და ვეძისის ერთ- და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების ნაწილში (აღმოჩნდა, რომ $^{222}_{86}Rn$ კონცენტრაცია აქ 1,5–2,5-ჯერ აღემატება ე.წ. „სამოქმედო დონეს“ – 148 *ბკ/მ*^{3}). ამავე იზოტოპის გავრცელებას შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და დას. საქართვ. რეგიონის *თერმულ წყლებში* იკვლევდა ნ. *კეკელიძე* (თსუ-ის თანამშრომლებთან ერთად), ხოლო ა. ამირანაშვილი, ვ. ჩიხლაძე და სხვ. (მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინ-ტი) – თბილისის შემოგარენში.

თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტზე XX ს. 70-იანი წლებიდან მოქმედებს იზოტოპური ანალიზის ლაბორ. (ვ. ნაბიჭვრიშვილი, ქ. მენთეშაშვილი, თ. შენგელაია, ვ. ჯაში და სხვ.), სადაც მაღალი სიზუსტის თანამედროვე გამზომი აპარატურით ტარდება ნიმუშების იზოტოპური ანალიზი, კერძოდ, კვების პროდუქტებში, საშენ მასალებსა და ნიადაგის ნიმუშებში $^{137}_{55}Cs$ ცეზიუმის იზოტოპის კონცენტრაციის გაზომვა (რაც ძალზე აქტუალური იყო ჩერნობილის ატომურ სადგურზე 1986 კატასტროფის შემდეგომ პერიოდში), ხელსაწყოების ყალიბრება და სხვ.

1976 თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტის გამოყენებითი ბირთვ. ფიზ. ლაბორ. ბაზაზე შეიქმნა სსრკ-ში პირველი *რესპუბლიკური მას-სპექტრომეტრული ცენტრი* (ხელმძღვ. მ. *კავილაძე*; 2006-იდან – ბირთვული ფიზ. სასწ.-სამეცნ. ლაბორ., გამგე ნ. გუბაძე), სადაც ტარდებოდა და ტარდება ელემენტური და იზო-

ტოპური პრეციზიული ანალიზი მას-სპექტრომეტრული მეთოდებით – სეტყვის მარცვლისა და ბირთვის ანალიზი (წყალბადის HD/H_2 ფარდობების შესწავლა); გოგირდის იზოტოპური ფარდობების $^{32}_{16}S$/ $^{34}_{16}S$ დადგენა საქართვ. სიღრმულ და ზედაპირულ წყლებში; სიღრმული აირების (რადონი, წყალბადი, ჰელიუმი, ნეონი) და აეროზოლების ელემენტური და იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრა მიწისძვრის წინმსწრები მოვლენების შესწავლასთან დაკავშირებით; ნახშირბადისა და ჟანგბადის იზოტოპური ფარდობების დადგენა სხვადასხვა ობიექტებში; ნავთობში არსებული მინარევების იზოტოპური და ელემენტური ანალიზი; მეტეორიტებში ლითიუმისა და ბორის იზოტოპური ფარდობების $^{6}_{3}Li$/ $^{7}_{3}Li$ და $^{10}_{5}B$/ $^{11}_{5}B$ დადგენა და მეტეორიტის ნივთიერების ელემენტური შემადგენლობის განსაზღვრა (მეთოდმა პირველად გახადა შესაძლებელი მეტეორიტის მიკრომოცულობებში 10^{-15}– 10^{-14}გ დონეზე მსუბუქი ქე-ების იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრა: მ. კავილაძე, ნ. გუბაძე, ქ. ხაბულიანი, ლ. ცაგურიშვილი); რადიოაქტიური 0-ის შემცველობის განსაზღვრა საშენ მასალებში, საკვებ პროდუქტებში, სასმელ წყალში, ნაადაგში, საყოფაცხოვრებო ნივთებში და სხვ.

2008 თ. კერესელიძის ხელმძღვანელობით თსუ-ში ჩამოყალიბდა აიდაჰოს (აშშ) უნ-ტთან ერთობლივი მულტიდისციპლინური სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, სადაც მიმდინარეობს ურბანულ გარემოში ადამიანის ჯანმრთელობაზე რადონის $^{222,220,219}_{86}Rn$ 0-ით და მათი რადიოაქტიური დაშლის პროდუქტებით (პოლონიუმი $^{218,216,215,214,210}_{84}Po$, ბისმუტი $^{214,212,211,210}_{83}Bi$, ტყვია $^{208,207,206}_{82}Pb$, თალიუმი $^{207}_{81}Tl$) განპირობებული რისკების შეფასება, ასევე ნახშირბადის $^{14}_{6}C$ იზოტოპის მეთოდით ორგანული წარმოშობის არქეოლოგიური, გეოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეოგეოგრაფიული სინჯების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრის მეთოდოლოგიის სრულყოფა.

1983–2011 თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტზე მიმდინარეობდა კოსმოგენური ნახშირბადის $^{14}_{6}C$ იზოტოპის კონცენტრაციის გაზომვები ხეების 1600–1940 წლების პერიოდის შესატყვის წლიურ რგოლებში. ამ კვლევებმა გამოავლინა (ვ. ბოჭორიშვილი, პ. კერესელიძე, ზ. ლომთათიძე, რ. მეცხვარიშვილი, ი. ჟორჟოლიანი, ს. წერეთელი და სხვ.) გალაქტიკური კოსმოსური სხივების ინტენსივობის 22-წლიანი ციკლურობა მზის აქტივობის მაუნდერის მინიმუმის პერიოდში (1645–1715). დადგინდა, რომ $^{14}_{6}C$ იზოტოპის გავრცელება საიმედო ინფორმაციას იძლევა წარსულ ეპოქებში მზის აქტივობის შესაფასებლად.

რადიოაქტიურ 0-ს ფართოდ იყენებენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკა და მკურნალობა ხორციელდება იოდის $^{131}_{53}I$ იზოტოპის ფარმაკოლოგიური პრეპარატით (ტაბლეტები), საუნივერსიტეტო კლინიკის „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის“ (გენ. დირექტორი გ. *ინგოროყვა*) ონკოლოგიის დეპარტამენტში (ხელმძღვ. დ. ლომიძე). გულის, თირკმელების, ძვლების პათოლოგიის დიაგნოსტიკისთვის, ასევე გინეკოლოგიური და სხვ. დაავადებების სამკურნალოდ იყენებენ ტექნეციუმის $^{99}_{43}Tc$ იზოტოპს ($T_{1/2}$ =211,1 ათ. წ). ფ. *თოდუას* სახ. სამედიცინო ცენტრში – *კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში* მიოკარდის სისხლმომარაგების შეფასებისთვის იყენებენ აგრეთვე ტექნეციუმის $^{99m}_{43}Tc$ ($T_{1/2}$ =6 *სთ*) და თალიუმის $^{201}_{81}Tl$ ($T_{1/2}$ =73 *სთ*) 0-ს: მიოკარდის დაზიანების ადგილებში 0-ის დაგროვება დატვირთვისას დაქვეითებულია მოსვენებულ მდგომარეობასთან შედარებით.

ა. *ცივაძის* ხელმძღვანელობით (მოსკოვი, რუსეთის მეცნ. აკად. ფიზ. ქიმიისა და ელექტროქიმიის ინ-ტი) შემუშავდა და წარმოებაში დაინერგა ლითიუმის, კალიუმის, კალციუმისა და მაგნიუმის 0-ის განცალკევების ახალი ექსტრაქციული მეთოდები ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალეფექტური ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით. შესწავლილია ამ პროცესების ფიზ.-ქიმ. საფუძვლები.

ნ. *კვარაცხელია* იკვლევდა 0-ის გამოყენებას და რადიონუკლიდების მიგრაციის საკითხებს მიწათმოქმედებასა და ნიადაგმცოდნეობაში.

ლიტ.: სოხუმის იღია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, თბ., 2015; Астон Ф., Учение о радиоактивности и современность, М., 1973; Трифонов Д. Н., Кривомазов А. Н., Лисневский Ю. И., Химические элементы и нуклиды, М., 1980; Kaviladze M., Gubadze N., et al., About a complex method of observations at the Rn, H, He, Ne, organic gases and heavy elements from aerosols in order to predict the earthquakes, Dubna, 2000; Kaviladze M. Sh., Gubadze N. V., Determination of Li and B isotopic composition in the microvolumes of meteorites by a highly sensitive, precise metod, «International Journal of Mass–Spectrometry and Ion process», 1997, vol. 161; Tsereteli S. et al., Study of Variations of Cosmic Ray Intensities over the Last Several Centuries by Determination of Cosmogenic Radiocarbon Concentration, «Bulletin of the Georgian Academy of Sciences», 2005, №2.

ი. ლომიძე. ლ. ნაკაიძე.

ᲘᲗᲘᲗᲐᲚᲐ, სოფელი საინგილოში (აზერბაიჯანის რესპ. ბელაქნის რ-ნი). 0. დააარსეს *ალიაბადის* მცხოვრებლებმა 1860–63. ახლად შერჩეულ მიწაზე დასახლება დაიწყეს ინგილოებმა და ,,ითითალა“ დაარქვეს. უვარგისი მიწების გამო ზოგიერთი მოსახლე უკანვე დაბრუნდა ალიაბადში.

სტატისტ. ცნობის მიხედვით, 1872 0-ში მხოლოდ 36 კომლი იყო, 1886 აღწერით – 68 (362 სული). 1980 მითითებულია 1370 სული, ხოლო ბოლო დროის მონაცემებით ითვლიან 700 კომლს. ცხოვრობენ მაჰმადიანი ინგილოები, სუნიტები.

სოფელში მცხოვრები საგვარეულოებიდან აღსანიშნავია: ზუბეილანები (ზუბეიშვილი), თარავალანები (თარვალიშვილი), კაწანები (კაწაშვილი), მატონები (მატოშვილი), ჯინდრიანები (ჯინდრიშვილი), შაპანები (შაპაშვილი) და სხვ.

ალიაბადელების მიერ სხვადასხვა ადგილას დაარსებულ დასახლებებს შორის 0. ბელაქნის რ-ში ერთადერთია, რ-მაც დღემდე შეინარჩუნა ქართ. ენა და ქართ. სკოლა.

ისტ. ძეგლებიდან ყურადსაღებია თამარის ციხე – ,,ფერი ყალა“, რ-იც მდებარეობს ბელაქნის რ-ნში, ლაგოდეხ–შაქის მთავარი გზიდან დაახლ. 4–5 *კმ*-ის დაშორებით მდ. ბელაქნისწყლის ხეობაში. ბელაქნის ჩრდ-ით, მაღალი მთის კალთაზე უძველესი ნაგებობის ნანგრევებია, რ-საც ,,წერეთელ თახთს“ (წერეთლის ტახტი) ეძახიან.

ლიტ.: ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (საინგილო), თბ., 1979; ბურჯანაძე თ. და სხვ., ინგილოდ წოდებულ ქართველთა ტრაგედია, თბ., 2001; ჯანაშვილი მ., საინგილო, თბ., 1910 (კანზე – 1913).

ა. ასრათოვი (ომარაშვილი).

ᲘᲗᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ვალერიან ჯამბულის ძე (დ. 25. X. 1925, სოფ. ყანობი, ახლანდ. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), ეთნოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1978). 1953 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. 1957–

63 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, ხოლო 1963-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში. 1972-იდან არის ამავე ინ-ტის დირექციასთან არსებული სამეცნ. საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს წევრი. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ცენტრ. კავკასიის მთიელთა საოჯახო ყოფის თემაზე, რ-შიც შესწავლილია ვეინახების (ჩაჩნებისა და ინგუშების), ოსებისა და ქართველ მთიელთა ოჯახის სტრუქტურა, საოჯახო ურთიერთობის ფორმები და ტრადიციები. 1981–2006 იყო სოციალურ ურთიერთობათა შესწავლის საქართვ. ეთნოგრაფიის განყ-ბის უფროსი.

Ი. ლექციებს კითხულობდა თსუ-ში, რეგულარულად ხელმძღვანელობდა ეთნოგრ. ექსპედიციებს მთიულეთ-გუდამაყარში, ფშავ-ხევსურეთში, ერწო-თიანეთში, ქსნისა და ლიახვის ხეობებში, ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და ოსეთში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მ. შ. წიგნების სახით – ი. ჭავჭავაძის, ა. ყაზბეგის, თ. სახოკიას, გ. ბოჭორიძის, ს. ჯანაშიას და სხვათა ღვაწლის ამსახველი გამოცემები ქართულ ეთნოგრაფიაში. 2003 მიენიჭა ა. ყაზბეგის პრემია.

თხზ.: ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969; ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971; კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, თბ., 1977; სიმონ ჯანაშიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში, თბ., 1991. *ხ. იოსელიანი.*

ᲘᲗᲝᲜᲘᲫᲕᲘᲚᲘ ვახტანგ ვალერიანის ძე (19. XII. 1958, თბილისი, – 29. XI. 2000, იქვე), ეთნოლოგი. 1980 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. 1985–2000 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში მეცნიერ თანამშრომლად. 1986–2000 იყო თსუ-ის კავკასიის ისტ. კათედრის თანამშრომელი, იქვე კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიასა და ზოგად ეთნოლოგიაში (1986–89), 1990-იდან გარდაცვალებამდე კი – კავკასიის ხალხთა ისტორიასა და ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა ისტორიაში (ქართ. და რუს. ენებზე). საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე – ,,აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV–XVIII საუკუნეებში‘‘.

1990 Ი. იყო ვენის უნ-ტის (ავსტრია) მიწვეული პროფესორი, პარალელურად მუშაობდა ავსტრიის მეცნ. აკადემიის ეთნოლოგიის ინ-ტში. 1998–2000 იყო საერთაშ. ასოციაციის ,,კავკასია: ეთნიკური ურთიერთობები, ადამიანის უფლებები, გეოპოლიტიკა‘‘ (,,საკეაგ‘‘) დამფუძნებელი წევრი.

Ი-ს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, რ-თა საფუძველზე 22 წიგნი გამოქვეყნდა (უმეტესობა მისი გარდაცვალების შემდეგ).

თხზ.: არაგვის ხეობა, თბ., 1986; არაგვი და არაგველები, თბ., 1989; ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში, თბ., 1990; აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992; ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995; აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XV–XVIII საუკუნეებში (მთიულეთი და გუდამაყარი), თბ., 2001; დვალეთის ისტორია მრუდე სარკეში, თბ., 2002; ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002; ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2003; ნარკვევები ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან, თბ., 2003; ხანდოს ხევი, თბ., 2003; უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, თბ., 2005; დვალები და დვალეთი (ორტომეული), თბ., 2016.

ლიტ.: გოცირიძე გ., ვახტანგ ითონიშვილის გახსენება, კრ.: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, IV, თბ., 2002. *ლ. ურუშაძე.*

ᲘᲗᲠᲐᲤᲘᲡᲘ, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის მსხლების თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1040 *მ*, ჯავიდან 8 *კმ*.

Ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ᲘᲗᲮᲕᲘᲡᲘ, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), ჭიათურის პლატოზე. თემის ცენტრი (სოფლები: Ი., ბეგიაური, ბჟინევი). ზ. დ. 640 *მ*, ჭიათურიდან 12 *კმ*, დარკვეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. 1,9 ათ. მცხ. (2014).

სოფლის მახლობლად არის მრავალფენიანი არქეოლ. ძეგლი *დარკვეთის ეხი*.

ᲘᲗᲮᲕᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ, მრავალფენიანი ნამოსახლარი და ანტიკური ხანის სამაროვანი სოფელ *ითხვისთან*, ადგილ ჩილათაზე. გათხრები ჩატარდა 1962–63 (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი). ნამოსახლარის უძველესი ფენა ადრინდ. ბრინჯაოს ხანისაა (ძვ. წ. III ათასწლ.). მასში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა. გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანის ფენებში (ძვ. წ. II–I ათასწლ.) ნაპოვნია დიდი რაოდენობით შავად გამომწვარი კოლხ. კერამიკა, ბრინჯაოსა და რკინის



ითხვისის არქეოლოგიური ძეგლები. კილიკი შავფიგურებიანი. ძვ. წ. V ს. II მეოთხედი.

იარაღი, ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბები, წიდა და ა. შ. ადრინდ. ანტ. ხანის კულტ. ფენებში ადგილ. მასალასთან ერთად აღმოჩნდა უცხოური ნივთებიც (ბერძნ. შავლაქიანი კერამიკა, აღმ. საქართველოდან შემოტანილი მოხატული ჭურჭელი და სხვ.). გაითხარა 12 სამარხი, რ-თაგან სიმდიდრით გამოირჩევა ძვ. წ. IV ს. ერთ-ერთი სამარხი. ხის სარკოფაგში დაკრძალული იყო წარჩინებული ქალი მოახლითურთ, რ-საც ჩატანებული ჰქონდა მრავალი ნივთი. ძვ. წ. V ს. მდიდრულ სამარხში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ძვ. წ. V ს. II მეოთხედის ანტიკური შავფიგურებიანი კილიკი და შავლაქიანი ჯამი. ჯამზე და ერთ ადგილ. თიხის დოქზე ბერძნ. ასოებით ამოკაწრულია მფლობელის სახელი – ,,მეტოს‘‘. ეს წარწერა ბერძნ. დამწერლობის გამოყენების უძვ. მაგალითია საქართველოში. ჩილათის სამოსახლომ ადრინდ. ფეოდ. ხანამდე იარსება.

ლიტ.: გაგოშიძე ი., ითხვისის სამარხი, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1967, ტ. 25 B. *ი. გაგოშიძე.*

ᲘᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲤᲐᲠᲘᲐᲜᲐ (Parlatoria oleae), მწუწნავი მწერი კოქციდების ქვერიგისა. Ი. Ფ-ს სხეულის სიგრძეა 1–2 *მმ*, იისფერია, მონაცრისფრო-მოთეთრო ფარით დაფარული. მამალი ფრთიანია, აქვს მოგრძო ფარი. ნაყოფზე, ფარიანას კვების ადგილას, მრგვალი წითელი ლაქა ჩნდება. წლის განმავლობაში 2–3 თაობა ვითარდება. განაყოფიერებული დედალი გამოიზამთრებს და გაზაფხულზე 20–60 კვერცხს დებს. პირველი თაობის მატლები აპრილში იჩეკება, მეორე თაობისა – ივლის-აგვისტოში. მატლები დედალს ფარის გარშემო ემაგრებიან და მჭიდრო კოლონიებს ქმნიან; ხეხილის ძლიერი დაზიანების შემთხვევაში მთლიანად ფარავენ მცენარის ტოტებსა და შტამბს. მეორე თაობის მატლები ნაყოფზეც გადადიან. Ი. Ფ. ძლიერ აზიანებს კურკოვან და თესლოვან ხეხილს. ასუსტებს, ახმობს ტოტებსა და თვით მცენარესაც. ამ



იისფერი ფარიანა.

მავნებლის მოსასპობად მცენარეს ასხურებენ პესტიციდებს, იყენებენ ბრძოლის ბიოლ. მეთოდსაც.

ზ. ჰაჯიბეილი.

იისფერი ქსილოკოპა (Xylocopa violacea), ნეოგენური პერიოდის რელიქტი, ფუტკრების ტროპიკული ჯგუფის წარმომადგენელი. დედალი სიგრძით 20–23 *მმ*-ია, სხეული შავია მეტალისფერ-იისფერი ბზინვარებით, რ-იც დაფარულია შავი ბუსუსებით. თავი მკერდზე ვიწრო აქვს, ულვაშები – შავი, ქვემოდან ჟღალი შეფერილობის, ბოლოში მოღუნული. ულვაშის მე-2 ნაწევარი ტოლია მომდევნო სამი ნაწევრისა, ფეხები შავი აქვს, ფრთები – მურა, ლურჯ-იისფრად შეფერილი. მამალი სიგრძით 20–22 *მმ*-ია, ძალიან ჰგავს დედალს.



იისფერი ქსილოკოპა.

სახეობა ავტოქტონური ხმელთაშუაზღვისეული წარმოშობისაა. მისი გავრცელების ჩრდ. საზღვარი გადის სამხრ.-დასავლეთ მხარეს (დას. კარპატები, სამხრ. ოდესის ოლქი). გვხვდება ასევე ყირიმში, ჩრდ. კავკასიაში, დას. და სამხრ. კასპიისპირა სანაპიროზე, ცენტრ. აზიაში, ევროპაში (საფრანგეთი, დას. გერმანია), ამიერკავკასიაში. გვხვდება ტყის პირებზე, მინდვრებზე, ველებსა და გაველიანებული ხევების ფერდობებზე. ბუდეს იკეთებს ხის მკვდარ, ხმელ მერქანში, სადაც აკეთებს სხვადასხვა გასასვლელებსა და საკნებს. მერქანს ღრღნის თავისი მძლავრი ყბებით. იკვებება ყვავილის მტვრით, ნექტრით. მოზრდილი მატლები იზამთრებენ ხის მკვდარ მერქანში. მაისში გამოდის ზრდასრული იმაგო, რ-იც მთელი წლის განმავლობაში ფრენს.

პოლიტროფია. ძირითადად ეტანება პარკოსნების (Papilionaceae) ოჯახის ყვავილებს, რ-თაც ამტვერიანებს (ბუნებაში ამ სახეობის დასაცავად, კერძოდ, მისი გავრცელების ადგილებში უნდა შენარჩუნდეს ნაწილობრივ გამხმარი ხეები მისი ბუდის მოსაწყობად და შთამომავლობის გასაზრდელად). საქართველოში გავრცელებულია მცირე კავკასიონზე (მესხეთ-ჯავახეთი). რიცხობრივად შემცირებადი სახეობაა.

ი. სხირტლაძე.

იისციხე, ნასოფლარი კასპის რაიონში, სოფ. ხოვლესთან. ვახუშტი ბატონიშვილი ი-ს იხსენიებს ,,ისციხის'' ფორმით და მიაკუთვნებს ხოვლის ხევს. სოფ. ი. XV ს-ში ჯავახიშვილების კუთვნილება იყო, ხოლო XVII ს-ში კი – ციციშვილებისა.

ნასოფლარში შემორჩენილია X–XI სს. დარბაზული ეკლესია. ი-ის დას-ით 1 *კმ*-ზე, ადგილ ,,მამუკას კლდესთან'', მაღალ გორაზე წმ. გიორგის დარბაზული ეკლესიაა, რ-იც შორიდან ციხის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქედან უნდა მომდინარეობდეს სოფლის სახელწოდება ,,იისციხე''.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ჯ. გვასალია.

იკაო, იხ. *სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.*

იკეთი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ზახორის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ*, ახალგორიდან 80 *კმ*, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 33 *კმ*.

ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

იკვი, XI ს. I ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი. მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. შაბწყალას (მდ. თემძის შენაკადი) ტყიან ხეობაში. თვით სოფ. ი. აღარ არსებობს, მოსახლეობა გადასახლდა სამგორში.



იკვი. წმინდა გიორგის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი. XI ს. I ნახევარი.

ტაძარი ნაგებია ნატეხი ქვით, ფასადები შემოსილია სუფთად გათლილი კვადრებით. ასევე თლილი ქვითაა ამოყვანილი თაღები და სხვა კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები. ეკლესიის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვრის მოხაზულობა, რ-ის მკლავთაგან სამი მოკლეა და სწორკუთხა, მეოთხე, აღმ. მკლავი, წაგრძელებულია და საკურთხევლის აფსიდითაა დასრულებული. მაღალი ექვსსარკმლიანი გუმბათის ყელი აფრებზეა ამოყვანილი; საკურთხევლის ორივე მხარეს მოთავსებული სამკვეთლო და სადიაკვნე დაბალი და ვიწრო გასასვლელებით უკავშირდება ძირითად დარბაზს. ტაძრის გეგმა გარე მასებშიც ნათლად მჟღავნდება. გარედან ეკლესიის ოთხივე ფასადი მდიდრულადაა შემკული. მორთულობის სისტემას ქმნის გლუვი ლილვებით გამოყვანილი დეკორატიული თაღედი. აღმ. ფასადზე სამი თაღია. მათგან ცენტრალური, ეკლესიის შიდა სივრცის შესაბამისად, მაღალია და გვერდითებზე გაცილებით განიერი, გვერდითები კი დაბალია და სიგანით მკლავებს შორის მოქცეული მონაკვეთების ტოლი. სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე თაღები ასიმეტრიულადაა განლაგებული. აქაც ჯვრის მკლავის შესაბამისი თაღი მაღალი და განიერია, ამ თაღის აღმ-ით კი, მკლავებს შორის მოქცეული სათავსის კედელზე, ტოლი სიმაღლის ორი თაღია გამოყვანილი. დას. ფასადი განსხვავებულია. აქ ფასადის მთელი არე ერთ დეკორატიულ თაღს უჭირავს. მკლავებს შორის მოქცეული კუთხე კი ფესტონებით მორთული თაღითაა დასრულებული. ეკლესიის ორივე შესასვლელს შემოვლებული აქვს განიერი, მოჩუქურთმებული საპირე. მთლიანად ჩუქურთმითაა დაფარული ტიმპანებიც. მოჩუქურთმებულია სარკმლის საპირეები. აღმ. ფასადზე, საკურთხევლის სარკმლის ქვემოთ ორნამენტირებული რომბებიცაა. გუმბათის ყელი სამმაგი გრეხილი ლილვით შედგენილი პილასტრებითა და მათზე გადაყვანილი თაღებითაა შემკული. ყოველი თაღის ცენტრში სარკმელია, რ-საც ირგვლივ განიერი, მოჩუქურთმებული საპირე აქვს შემოვლებული. გუმბათის თაღედი დაყრდნობილია მაღალ, მოჩუქურთმებულ სარტყელზე. გუმბათის ყელი დასრულებულია პროფილირებული ლავგარდნით. ინტერიერს ამკობს ეკლესიისავე თანადროული მოხატულობა, რ-იც ზედა ნაწილში დაზიანებულია. ეკლესიას დას-ით, მთელ სიგრძეზე მიშენებული აქვს სათავსი. მისგან მხოლოდ კედლებია შემორჩენილი.

ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა 1939–40 წლებში (ავტორები: ნ. ჩუბინაშვილი, ვ.

წილოსანი). აღადგინეს ფასადები და გუმბათის ყელი, სამხრ-იდან შეუქმნეს სუბსტრუქცია, ჩრდ-ით კი მთის ფერდობი კედლით გააძაგრეს. შემდგომში სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა 2005 (ავტ. ლ. მენთეშაშვილი).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

იკვლივგორანა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კოჭბაანის თემში (კახეთის რეგიონი), იალნოს ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ივრის ხეობაში. ზ. დ. 1190 *მ,* საგარეჯოდან 72 *კმ.* 13 მცხ. (2014).

სოფლის სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 2 *კმ* მანძილზე, დგას VIII–IX სს. ლომისის ეკლესია.

იკვლივი, მთა იალნოს ქედზე. სიმაღლე 1766 *მ.* აგებულია ნეოგენური ქვიშაქვებით, თიხებით, კონგლომერატებით. ქვემო კალთებზე ფართოფოთლოვანი ტყეებია, ზემოთ – მეორეული სუბალპ. მდელოები. *მ. უთმელიძე.*

იკვნევი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ატენის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1200 *მ,* გორიდან 33 *კმ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

წყაროებში პირველად მოიხსენიება 1658. სოფლის მახლობლად ეკლესიის ნანგრევებია. ი-ის ტერიტორიაზე მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ბალთა.

იკოთი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ბოლის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ქსნის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 890 *მ,* ახალგორიდან 3 *კმ.* 1,1 ათ. მცხ. (2002).

ი. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. ანტ. ხანის არქეოლ. ძეგლები. ი. შედიოდა ქსნის ხევსა და ქსნის საერისთავოში, ცხოვრობდნენ ქსნის ერისთავთა მოურავები – აზნაური ფიცხელაურები. შემორჩენილია შუა ფეოდ. ხანის წმ. გიორგის ეკლესია ე. წ. ,,აშხადურა‘‘, წმ. მარინეს ეკლესია (რ-ზეც მისი განმაახლებლის – გიორგი XII-ის რძლის, ქეთევან წერეთლის 1797 წ. წარწერაა) და ფიცხელაურთა გვიანდ. ფეოდ. ხანის კოშკი.

1804 ი-ში ცხოვრობდა 338 მოსახლე, 1865 ი. ქსნის უბნის სოფელი იყო, სადაც ცხოვრობდა 62 კომლი, ხოლო 1930 წ. – 916 სული მოსახლე.

ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. *ჯ. გვასალია.*

იკონოგრაფია (ბერძნ. eikōn – გამოსახულება, სახე და graphō – ვწერ, ვხაზავ, ვხატავ), სახვით ხელოვნებაში პერსონაჟების ან სიუჟეტური სცენების გამოსახვის მტკიცედ დადგენილი სისტემა. იკონოგრაფიული სისტემები წარმოიშვა ძვ. მსოფლიოს ხელოვნების რელიგ. კულტთან და რიტუალთან კავშირის შედეგად. მისი კანონების დაცვა აუცილებელი იყო პერსონაჟის ან სცენის იოლად გამოსაცნობად და გაბატონებულ თეოლ. კონცეფციასთან შესათანხმებლად (ღვთისმშობლის, მაცხოვრის, დღესასწაულების ი-ები – ქრისტ. ხელოვნებაში, ბუდასი – ბუდისტურ ხელოვნებაში და სხვ.). დროთა განმავლობაში, ხელოვნების ახ. შინაარსით გამდიდრებასთან ერთად, იკონოგრაფიული სქემები თანდათან იცვლებოდა. აღორძინების ხანის ევროპაში რეალიზმის განვითარებამ და მხატვართა შემოქმედებითმა ინდივიდუალობამ განაპირობა იკონოგრაფიული სქემების თავისუფალი გადაწყვეტა.

ხელოვნებათმცოდნეობაში ი. ნიშნავს ხატების ტიპოლოგიური ნიშნებისა და სქემების აღწერასა და სისტემატიზაციას. იკონოგრაფიული მეთოდი წარმოიშვა XIX ს. 40-იან წლებში საფრანგეთსა და გერმანიაში შუა საუკუნეების ხელოვნების, მისი წყაროების რელიგიასთან და ლიტ-რასთან კავშირის შესასწავლად.

საქართველოში შუა საუკუნეების ხელოვნების იკონოგრაფიული კვლევის პიონერია ნ. *კონდაკოვი.* თავისი იკონოგრაფიული მეთოდის დამკვიდრებასა და განვითარებაში გ. მილემ გამოიყენა ქართ. ქრისტ. ხელოვნების ძეგლები, ასევე ქართ. ხელოვნების ძეგლებს იყენებდნენ ი. პოკროვსკი, დ. აინალოვი, ვ. ლაზარევი, გ. ალპატოვი, ვ. ბარტოლდი და სხვა მკვლევრები. საქართველოში ეს მეთოდი დანერგეს შ. *ამირანაშვილმა,* დ. *გორდეევმა,* მას წარმატებით იყენებდნენ გ. ჩუბინაშვილი, თ. ვირსალაძე, ე. პრივალოვა და სხვ. კვლევის იკონოგრაფიული მეთოდი გამოიყენება ისტ.-მხატვრული ანალიზის მეთოდთან ერთად. იგი გვეხმარება ხელოვნების შინაარსის, ფორმის, მხატვრული დონის, ეროვნულობის, ეპოქის ზუსტად დადგენაში.

იკორთა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის არცევის თემში. ახლანდ. *ქვემო იკორთა.*

ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი რეზიდენცია შიდა ქართლში. 1732 ი-თან გაიმართა ბრძოლა, რ-ის დროსაც მოიგერიეს ლეკი ფეოდალების თავდასხმა. 1736 ქსნის ერისთავი შანშე ირანს განუდგა და ი-ის ციხეში გამაგრდა. ნადირშაჰის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი სეფე-ხანის მეთაურობით ი-თან



იკორთა. იკორთის გუმბათოვანი ტაძარი. 1172.

დამარცხდა. თუმცა იგი ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა და ციხეს დაეუფლა.

XVI ს. მიწურულიდან ი-ის მონასტერი იქცა ქსნის ერისთავთა საძვალე-სამარხად.

სოფლის განაპირას, მთის კალთაზე აღმართულია ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – გუმბათოვანი ტაძარი, რ-იც აგებულია 1172. გეგმით ოთხკუთხა შენობის გუმბათი საკურთხევლის კუთხეებსა და ორ ბოძს ეყრდნობა. აღმით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. ტაძარი უხვად ნათდება გუმბათის მაღალ ყელში დატანებული 12 სარკმლიდან. კედელ-კამარები თავიდანვე შელესილი და მოხატული იყო და XII ს. II ნახევრის შესანიშნავი მონუმ. მხატვრობის ნიმუშს წარმოადგენს (ფრაგმენტები შემორჩენილია აფსიდში, ჩრდ. კედელსა და გუმბათზე). სამხრ. და დას. შესასვლელებს მიშენებული ჰქონდა კარიბჭეები (დანგრეულია). ახლანდელი სამხრ. კარიბჭე გვიანდელია. ტაძრის ფასადები და გუმბათის ყელი მდიდრულადაა მოჩუქურთმებული და გამოირჩევა შესრულების მაღალი ოსტატობით. ი-ის ტაძარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართ. ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ქრონოლ. და მხატვრულ-სტილისტიკური თავისებურებებით იგი ერთ-ერთი უადრესი ნიმუშია XII–XIII სს. მიჯნაზე შექმნილი ქართლის გუმბათოვან ეკლესიებს შორის, რ-თა მიხედვითაც საბოლოოდ შემუშავდა ქართ. გუმბათოვანი ეკლესიის კანონიკური სახე. ეკლესიის აგების თარიღი აღნიშნული იყო დას. ფასადის დიდ წარწერაში, რ-იც მ. ბროსემ და თ. ჟორდანიამ წაიკითხეს (წარწერა აღარ არსებობს). ეკლესიას აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა XIV, XVII, XIX და XX სს-ში. ი-ის ტაძარში დაკრძალული არიან *კახეთის აჯანყების 1660* ხელმძღვანელები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. ეკლესიის მახლობლად, ფლატის პირას ძვ. ციხე-დარბაზის ნანგრევებია.

ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; ზაქარაია პ., ქართული ხუროთმოძღვრება XI–XVIII სს., თბ., 1990.

ჯ. გვასალია.

ილარიონ თუალელი (დაახლ. 970, სამხრ. საქართველო, – 1041), სასულიერო პირი, წმინდანი. მოღვაწეობდა ხახულის, შემდგომ კი – თუალის მონასტერში (ანტიოქიის მახლობლად, დღევანდელი თურქეთი). გიორგი მცირის ცნობით, გიორგი მთაწმიდელი მშობლებმა ი. თ-ს მიაბარეს აღსაზრდელად, რამეთუ იგი იყო „უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღურებათა შინა განთქმული“. მანვე აღკვეცა გიორგი მთაწმიდელი ბერად.

ი. თ-ს შესახებ არსებული მწირი ცნობები გვაუწყებს, რომ იგი სახელგანთქმული მთარგმნელი და მწიგნობარი იყო. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ღირსი ი. თ. შერაცხულია წმინდანად. მისი ხსენების დღეა 24 ივლ. (6. აგვ.).

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ.–ათენი, 2003. *თ. მარგველაშვილი.*

ილარიონი, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. IX ს. 50-იანი წლების ბოლოს. კათოლიკოსობამდე იყო წყაროსთავის მონასტრის მაშენებელი და წინამძღვარი: ,,ილარიონ მამაჲ და მაშენებელი წყაროსთავისაჲ, რომელიცა კათალიკოზ იქმნა მცხეთას“. ი. შერაცხულია წმინდანად და მოიხსენიება 5 (18) ოქტომბერს კლარჯეთის ღირს მამათა და დედათა შორის.

წყარო: გიორგი მერჩული, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი..., წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ.–ათენი, 2003.

ილარიონი (გვარად ვაჩნაძე) (1767–1823 წ. შემდეგ), დავით-გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი XIX ს. 20-იან წლებში. 1808–10 ხელმძღვანელობდა დავითგარეჯის მონასტრის შეკეთებას, რ-იც იოანე ბატონიშვილმა საკუთარი სახსრებით წამოიწყო. 1811 განაახლა ფერიცვალების ეკლესიის სამხრ. კედელი. ი-ს დროს მონასტერი ეკონომიკურად დაწინაურდა. 1813-იდან მართავდა ნეკრესის ეპარქიას. 1817 ბრალი დასდეს საეკლ. ქონების დატაცებაში, თუმცა 1820 გაამართლეს და აღადგინეს თავისსავე სამწყსოში. 1823 წ. 7 სექტემბერს განმარტოვდა კარდანახის წმ. საბას მონასტერში. გარდაიცვალა იქვე.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე.

ილარიონ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – დავით ნოდარის ძე ქიტიაშვილი) (დ. 22.XI.1957, ქ. ხაშური), 1980 ჩაირიცხა სპი-ის ენერგეტიკის ფაკ-ტზე. 1996-იდან იყო სტიქაროსანი ხაშურის წმ. მარინეს ტაძარში, სადაც მედავითნეობა შეისწავლა. 1998 წ. 4 ნოემბერს იობ მიტროპოლიტმა (ურბნისისა და რუისის) დიაკვნად, ხოლო 1999 წ. 15 თებერვალს მღვდლად აკურთხა და სურამის წმ. გიორგის ტაძრის წინამძღვრად დაადგინა. 2000 წ. 4 დეკემბერს ქოზიფის მამათა მონასტერში ბერად აღიკვეცა. ამავე წელს დაინიშნა წრომის ამაღლების ტაძრის, ხცისის წმ. გიორგის, ხცისის იოანე ნათლისმცემლის, შობის მამათა მონასტრისა და ახალსოფლის ივერიის ღვთისმშობლის ტაძრების წინამძღვრად.

2001 წ. 4 დეკემბერს იღუმენის პატივი მიენიჭა. 2002 წ. 17 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის *ილია II-ის* ლოცვა-კურთხევითა და წმ. სინოდის განჩინებით გამორჩეულ იქნა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსად. 2011 მთავარეპისკოპოსობა, ხოლო 2013 წ. 1 სექტემბერს მიტროპოლიტობა ებოძა.

ი. მ-ის შემწეობით ეპარქიაში მოქმედი ეკლესიების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, გამოიცა ეპარქიის გაზეთი „უძველეული მხედარი“, დაფუძნდა სას., ქრისტ.-საგანმან., მინანქრის სკოლები და სხვ.

ი. მ. დაჯილდოებულია წმ. გიორგის ორდენით (2007).

ილარიონ სამთავნელი (ვაჩე ყანჩაელის ძე), სამთავისის ეპისკოპოსი. ცხოვრობდა XI ს-ში. მის სახელთან არის დაკავშირებული *სამთავისის* კათედრალისა (1030) და *აშურიანის* ეკლესიის (1032) აგება. აშურიანის ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში ნათქვამია, რომ ი. ს. თავად ყოფილა მშენებელი ოსტატი. იგი მოხსენიებულია აგრეთვე სამთავისის ტაძრის აღმ. ფასადის წარწერაში. სამთავისის ტაძარს თავისი მხატვრული ღირსებითა და ისტ. მნიშვნელობით დიდი წილი უდევს. შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრების განვითარებაში. მისი მშენებელი მომწიფებული ოსტატი და გაბედული შემოქმედი ჩანს. შენობის ფასადთა რთული დინამიკური კომპოზიცია, გემოვნებით შერჩეული შესამოსი ქვის ფერები, შენობის პროპორციები ხუროთმოძღვრის მაღალი ოსტატობის მაჩვენებელია. ი. ს-ის მიერ შემოტანილი დეკორ. სისტემა ფართოდ

გავრცელდა და XIII ს. I ნახევრამდე იარსებდა.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; სოხაშვილი გ., სამთავისი, თბ., 1973. *ვ. ბერიძე.*

ილარიონ ქართველი (822–875), სასულიერო მოღვაწე. დაიბადა კახეთში, დიდგვაროვან ოჯახში. დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის განვითარებაში. ი. ქ-ის ქტიტორული მოღვაწეობა დაკავშირებულია კახეთის 3 ძეგლთან. ესენია: ფერისცვალების ეკლესია დავითგარეჯის ლავრაში, ე. წ. ი. ქ-ის ფილიალი იმავე ლავრაში და აკურის მამადავითის დედათა მონასტერი. ი. ქ-მა ცხოვრების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. მოიარა პალესტინა (იერუსალიმი, თაბორი, გოლგოთა, ბეთლემი, იორდანიის უდაბნო, საბაწმიდის ლავრა), ბითინია (ოლიმპი), რომი, ბიზანტია (კონსტანტინოპოლი, თესალონიკე), სადაც ეცნობოდა ქრისტ. სამყაროს კულტ. უდიდეს კერებს, ლიტ. მიღწევებს, სამონასტრო ცხოვრების წესსა და რიგს. ი. ქ-ის სახელზე თხზულებების მთელი ციკლია შექმნილი – ცხოვრებები და საგალობლები, სადაც ი. ქ. წარმოგვიდგება როგორც მონასტერთა მაშენებელი, წინამძღვარი, კახეთში დედათა და მამათა მონასტრების წესისა და კანონის დამდები. ი. ქ. სახელგანთქმული მკურნალი იყო. მას ,,უვერცხლო მკურნალს'' უწოდებდნენ, რადგან ყველას უანგაროდ მკურნალობდა. დაკრძალულია კონსტანტინოპოლის მახლობლად ჰრომანის (რომანის) ქართველთა მონასტერში. ღირსი ი. ქ. შერაცხულია წმინდანად. მისი ხსენების დღეა 19 ნოემბ. (2 დეკ.).

თსსუ-ში დამკვიდრდა ი. ქ-ის სახელობის პრემია საუკეთესო სახელმძღვანელოსა და მეცნ. მონოგრაფიისთვის.

ლიტ. იხ. სტ-თან *,,ილარიონ ქართველის ცხოვრება''.* *მ. დოლაქიძე.*

ილარიონ ქართველი ახალი (ერისკაცობაში – იესე ხახულის ძე ყანჩაველი, 1776 – 12. II. 1864, ათონის მთა, საფლავი უცნობია), სასულიერო მოღვაწე, წმინდანი. წყაროების მიხედვით, იგი დაიბადა ლოსიათხევში შემავალ სოფ. ალავერდში. თუმცა ბოლოდროინდელ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ი. ქ-ის ბიოგრაფები მისი დაბადების ადგილად მიიჩნევენ შორაპნის მაზრის სოფ. ლოსიათხევს.

6 წლის იესე მშობლებმა ბიძას, ბერ-დიაკონ სტეფანეს მიაბარეს, რ-იც *ტაბაკინის* (ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) მონასტერში მოღვაწეობდა. ბიძის გარდაცვალების შემდეგ იგი ერთხანს იმავე მონასტერში დამკვიდრდა. შემდეგ ოჯახს დაუბრუნდა. მამამისმა ქუთაისში სამეფო კარზე მიიყვანა, სადაც მისი აღზრდა ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტ გ. სოლოღაშვილს დაევალა. ი. ქ-მა მონასტერში სასულიეროსთან ერთად საერო განათლებაც მიიღო. 1789 იმერეთის სამეფო კარზე მეფე *სოლომონ II-ის* მოხელედ დანიშნეს და მალევე, მეფის რჩევით, დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ კი – მღვდლად.

იმერეთის სამეფოს გაუქმების (1810) შემდეგ ი. ქ. სოლომონ II-ს ქ. ტრაპიზონში ახლდა. სამშობლოში დაბრუნებული ი. ქ. ერთხანს თავის სოფელში დამკვიდრდა. შემდგომ სოლომონ II-ის ქვრივის, დედოფალ მარიამის თხოვნით რუსეთში წავიდა, თუმცა იქ შექმნილი მიუღებელი სიტუაციის გამო 1819 ათონის მთაზე გაემგზავრა და ღარიბი პილიგრიმის სახელით სიწმინდეები მოილოცა. ერთხანს ივირონის ქართულ მონასტერში დამკვიდრდა, შემდეგ დიონისეს მონასტერში გადავიდა, სადაც 1821 ბერად აღიკვეცა და სახელად ილარიონი ეწოდა.

ი. ქ-მა ასკეტური ცხოვრებისა და ღვთისმოსაობის გამო ათონის მთაზე სწრაფად გაითქვა სახელი. მას ათონელი მამები ,,მოძღვართმოძღვარს'' უწოდებდნენ. მალევე იგი სქიმმონაზვნად იკურთხა.

ი. ქ. მწიგნობრულ მოღვაწეობას ეწეოდა. მის მიერ გადანუსხული ხელნაწერების ნაწილი ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. 1824 ათონის მთაზე მოღვაწე ბენედიქტე (იგივე ვენედიქტე) ქიტიშვილის დაკვეთით მან გადაწერა ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი წმ. ისაკ ასურის ,,სწავლანი'', 1830 კი ივირონის მონასტერში – სწავლანი ,,სამოთხე''. ამავე მონასტერში მას 1840 გადაუნუსხავს 196 ხელნაწერი. მინაწერზე ი. ქ. მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ივირონის მონასტერში არსებული ქართ. ხელნაწერები სიძველის გამო ნადგურდებოდა და ჭირდებოდა გადარჩენა. 1827 არქიმანდრიტ სერაფიმეს დავალებით მან შეადგინა კატალოგი სახელწოდებით ,,ქართული წიგნის სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა მთაწმინდას''.

1827 ი. ქ-მა თავისივე გადაწერილი ერთი კრებული (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული) საქართველოში გამოგზავნა გამოსაცემად, მაგრამ მისი პუბლიკაცია იმ დროს ვერ მოხერხდა. მან ივირონის მონასტერში დაცული სხვადასხვა ხელნაწერი წიგნებიდან შეადგინა ამონაწერები, რ-ებიც 12 ტომად მოამზადა და სათაურად ,,ყვავილნარი'' უწოდა. გადმოცემით, ეს კრებული იღუმენმა ზოგრაფმა რუსეთში ჩაიტანა და თორმეტივე ტომი შემდგენელის მიუთითებლად გამოსცა.

2002 წ. 17 ოქტომბერს სქიმმონაზონი ი. ქ. საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდმა წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ დადგინდა 14 (27) თებ.

ლიტ.: ბუბულაშვილი ე., ახალი მასალები წმ. ილარიონ ქართველი ახლის მოღვაწეობის შესახებ, «გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები», I, თბ., 2014; მღვდელმონაზონი ანტონი (მთაწმინდელი), მღვდელ სქიმმონაზვნის ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნარკვევები, თბ., 2009; საისტორიო მასალა, იმერეთის მეფის სოლომონის უკანასკნელი დღენი, «მწყემსი», 1890, №11; 13–16; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. 4, შეადგინა ქ. შარაშიძემ, კ. კეკელიძის საერთო რედ., თბ., 1953. *ე. ბუბულაშვილი.*

,,ილარიონ ქართველის ცხოვრება'', IX ს. სასულიერო მოღვაწის, *ილარიონ ქართველის* ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება. დღემდე მოღწეულია მისი ხუთი რედაქცია: ვრცელი ათონური (ხელნაწერი თარიღდება 1074-ით), მეტაფრასული (ხელნაწერთა უმრავლესობა XVIII ს-ით თარიღდება), მოკლე (XIII–XIV, XVIII სს.), ძვ. სვინაქსარული (XII ს-იდან) და გვიანდ. სვინაქსარული (XVIII ს-იდან) რედაქციები. მათი წარმომავლობისა და ურთიერთმიმართების შესახებ ორი ვარაუდია გამოთქმული: 1. ვრცელი ათონური რედაქცია ექვთიმე მთაწმინდლის მიერ ბერძნ. ენაზე დაწერილი ხოტბა-ენკომიის თავისებურად გადმოკეთებას, ხოლო მეტაფრასული რედაქცია, რ-ის ავტორად თეოფილე ხუცესმონაზონი არის მიჩნეული, ათონური რედაქციის გადამუშავებას უნდა წარმოადგენდეს (კ. კეკელიძე). მოკლე რედაქცია ამ ვარაუდის გამოთქმის დროს (1919–20) არ ყოფილა გათვალისწინებული

(ხელნაწერი აღმოჩნდა 1946). 2. ,,Ი. ძ. Ც.'' ქართ. ენაზე დაიწერა (ბ. კილანავა, მ. დოლაქიძე); მისი ვრცელი ათონური და მეტაფრასული რედაქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა, თუმცა წყარო – თხზულების მოკლე რედაქცია – საერთო აქვთ. იგივე რედაქცია უდევს საფუძვლად სვინაქსარულსაც (ე. გაბიძაშვილი). ამ ვარაუდის თანახმად, ექვთიმე მთაწმინდლისა და თეოფილე ხუცესმონაზონის ავტორობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

,,Ი. ძ. Ც-ში'' აღწერილია მისი სამონასტრო მოღვაწეობა კახეთში, მოგზაურობა პალესტინაში, რომში, კონსტანტინოპოლში, თესალონიკესა და ბითვინიის ოლიმპზე. თხზულება საყურადღებოა ქართ. სამონასტრო კოლონიზაციის ისტ. შესწავლის თვალსაზრისით. ის ერთადერთი წყაროა, რ-იც გვაწვდის ცნობებს IX ს-ში ბითვინიის ოლიმპზე ქართველთა მოღვაწეობისა და კონსტანტინოპოლის მახლობლად ჰრომანას (რომანის) ქართველთა მონასტრის დაარსების შესახებ. თხზულების მეტაფრასული რედაქცია გამოსცა მ. საბინინმა (1882), ვრცელი ათონური – მ. ჯანაშვილმა (1901), ძვ. სვინაქსარული – კ. კეკელიძემ (1919) და სხვ. რუსულად თარგმნეს ა. მურავიოვმა (1860) და მ. საბინინმა (1872), ლათინურად – პ. პეეტერსმა (1913).

ტექსტი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 2–4, თბ., 1967–71.

ლიტ.: დოლაქიძე მ., ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974; კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 4, თბ., 1957; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1992; მეტრეველი ე., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998; ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ. – ათენი, 2003; Martin Hilard B., La pérégrination du moine géorgien Hilarion au IX siècle, «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», vol. XXXIX, P., 1981; Peeters P. S., Hilarion d'Iberie, «Analecta Bollandiana», XXXII, Brux., 1913.

მ. დოლაქიძე.

ილდამუსა, სამეფო ქალაქი კოლხაში. იხსენიება ურარტუს მეფე სარდურ II-ის მატიანეში, სადაც საუბარია, თუ როგორ გაილაშქრა მან კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ, ბრძოლით დაიპყრო და გადაწვა მისი სამეფო ქალაქი, გაჟლიტა მოსახლეობა, დახოცა კოლხას მეფის ნაცვლები და Ი-ში წარწერა დადგა.

Ი-ზე ნათქვამია, რომ ის სამეფო ქალაქია. ამაში აუცილებლად დედაქალაქი არ იგულისხმება, თუმცა ის სამეფოს მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

ილდეღიზიდები, ელდეღიზიდები, ფეოდალური დინასტია აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ ირანში (1136–1225). დააარსა შამსადინ ილდეღიზმა (1136–74). აზერბაიჯანის მთავრის, ყიზილ-არსლანის (1186–91) სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მის ძმისშვილებს შორის გაიმარჯვა აბუ ბაქრმა (1191–1210). ერთ-ერთი ძმა ამირ მირანი შირვანის შაჰს შეეხიზნა. შირვანშაჰი საქართვ. მეფის ყმადნაფიცი იყო. მათ დახმარება სთხოვეს მეფე თამარს. საქართვ. ლაშქარმა აბუ ბაქრი დაამარცხა (იხ. *შამქორის ბრძოლა 1195*). Ი-ის ძლიერება შეარყია მონღოლთა შემოსევამ (1220–22), ხოლო ჯალალედინმა (1225) საბოლოოდ გაანადგურა Ი-ის სახელმწიფო.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979.

ილდეღიზიდთა მონეტა, XII–XIII სს. აზერბაიჯანის მმართველი ათაბაგების, ილდეღიზიდების მიერ მოჭრილი არასწორი ფორმისა და სხვადასხვა მასის სპილენძის მონეტა. მის ერთ მხარეს ათაბაგების უშუალო სიუზერენის – ერაყის სელჩუკი სულთნისა და ბაღდადის ხალიფას სახელებია ამოკვეთილი, მეორე მხარეს – თვით ათაბაგის სახელი. Ი. მ. აღმ. საქართველოშიც იყო გავრცელებული. აღმოჩენილია დმანისში, რუსთავში, აგრეთვე XII–XIII სს. განძებში (ლილოს, კრწანისის, თბილისის განჯისკარის, რიყის).

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; Босворт К. Э., Мусульманские династии, пер. с англ., М., 1971.

ი. ჯალაღანია.

ილემი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლების – *ზედა ილემისა* და *ქვედა ილემის* გავრცელებული სახელწოდება.

ილია II (ერისკაცობაში – ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი) [დ. 4. I. 1933, ქ. ორჯონიკიძე (ახლანდ. ვლადიკავკაზი)], სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1977-იდან). მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი. მშობლები (მამა – გიორგი შიოლაშვილი, დედა – ნატალია კობაიძე) ქრისტ. სარწმუნოების თავგამოდებული მიმდევრები იყვნენ. Ი. II მათგან ეზიარა ქრისტ. მოძღვრების ანბანს. მონათლეს ქართულ ეკლესიაში (დაარსებული იყო გ. შიოლაშვილის მიერ 1947) და ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის პატივისცემით ირაკლი დაარქვეს. სამ. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1952), მოსკოვის სას. აკადემიაში ჩაირიცხა. 1957 წ. 16 აპრილს 24 წლის ირაკლი შიოლაშვილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, *მელქისედეკ III-ის* ლოცვა-კურთხევით თბილისში, წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში *ზინობი მიტროპოლიტმა* (მაჟუგამ) ბერად აღკვეცა. ამიერიდან მას წინასწარმეტყველ ილიას სახელი ეწოდა. შემდეგ კი პატრიარქმა მელქისედეკ III-მ სიონის საკათედრო ტაძარში დიაკვნად აკურთხა.

დიაკვნად ხელდასხმული ილია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა წმ. სერგი



ილია II.

რადონეჟელის ლავრაში მღვდელ-მონაზვნად აკურთხა და ოქროს სამკერდე ჯვრით დააჯილდოვა.

1960 მღვდელ-მონაზონმა ილიამ მოსკოვის სას. აკადემია წარჩინებით დაასრულა და ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიენიჭა ნაშრომისათვის „ათონის ივერიის მონასტრის ისტორია'', რის შემდეგაც საქართველოში დაბრუნდა და ბათუმის საკათედრო ტაძარში დაიწყო მღვდელმსახურება. 1961 მიანიჭეს იღუმენის, ხოლო შემდეგ – არქიმანდრიტის პატივი. 1963 წ. 26 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა *ეფრემ II-მ* ილია შემოქმედის ეპისკოპოსად

აკურთხა. ამასთან იგი დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად, 1967 – ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავრად. 1969 ებოძა მიტროპოლიტის პატივი. 1963 დაინიშნა მცხეთის სას. აკადემიის რექტორად (1972-მდე).

მეუფე ილია ნაყოფიერად იღვწოდა როგორც შემოქმედის, ისე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიებში, თავგამოდებით იყო ჩართული მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა შეკრებებში. აქტიურად იბრძოდა საქართვ. მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშ. მასშტაბით აღიარებისათვის.

1977 წ. 9 ნოემბერს, კათოლიკოს-პატრიარქ *დავით VI-ის* გარდაცვალების შემდეგ, წმ. სინოდის გადაწყვეტილებით ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია შიოლაშვილი დადგინდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ. 1977 წ. 23 დეკემბერს მიტროპოლიტი ილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. 1977 წ. 25 დეკემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა ილია შიოლაშვილის კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე აღსაყდრება. 2010-იდან ი. II-ის წოდებაა: ,,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი‘‘.

აღსაყდრების შემდეგ ი. II ზრუნავდა მრევლის შემოკრებაზე და ახერხებდა კიდეც მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მოზიდვას. გახშირდა და სისტემ. გახდა ქადაგებები; მთელ საქართველოში, ყველა ეკლესიაში განუწყვეტლივ იკითხებოდა ფსალმუნები; მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სას. ლიტ-რის გამოსაცემად; დაიწყო კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეების ბეჭდვა-გავრცელება; გამოვიდა რამდენიმე სახის საეკლ. კალენდარი. ი. II-ის მცდელობით დაარსდა და გამოვიდა ჟურნალები: „ჯვარი ვაზისა‘‘, „საღვთისმეტყველო კრებული‘‘, „საქართველოს საპატრიარქო‘‘, „საპატრიარქოს უწყებანი‘‘ და სხვ. გამოიცა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, დიდი სჯულისკანონი, ბიბლია და სხვ. აღსანიშნავია ი. II-ის ეპისტოლეთა ტომეულების, სიტყვებისა და ქადაგებათა გამოცემა. მისი თაოსნობით შეიქმნა მისიისა და ევანგელიზაციის განყ-ბა, სასწ. კომიტეტი, საგამომცემლო განყ-ბა; მუშაობს პრესცენტრი, გამოდის გაზეთი „მადლი‘‘; შექმნილია ახალგაზრდული ცენტრი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს პატრიარქის მიერ დაარსებულ საპატრიარქოს ტელევიზიას „ერთსულოვნება‘‘.

განსაკუთრებულია ი. II-ის წვლილი საერთაშ. ურთიერთობების გაუმჯობესებაში. მან გასული საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისათვის გააგრძელა და ბოლომდე მიიყვანა – 1990 წ. 23 იანვარს კონსტანტინოპოლის (მსოფლიოს) საპატრიარქოს წმ. სინოდის სხდომაზე განიხილეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მსოფლიო მასშტაბით აღიარების საკითხი. 1990 წ. 4 მარტს ი. II-მ მიიღო კონსტანტინოპოლის პატრიარქის, დიმიტრიოს I-ის საგანგებო სიგელი, რ-თაც დადასტურებულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურობა. ამასთან ხაზგასმულია მისი სიძველე და თვით-მმართველობა უძველესი პერიოდიდან. ი. II-ის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ტაძრების მასობრივი აღდგენა-მშენებლობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წმ. სამების საკათედრო ტაძრის აშენება. მისივე მცდელობით გაიზარდა სას. პირთა და ეპარქიათა რაოდენობა, აღდგა სამონასტრო ცხოვრება.

ი. II უდიდეს ყურადღებას აქცევს ქვეყანაში სწავლა-განათლების საქმეს. მისი ძალისხმევით დაფუძნდა თბილისის სას. აკადემია (1988), გელათის მეცნიერებათა აკადემია (1995), წმ. თამარის სახ. უნ-ტი (2004), წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნ-ტი (2008) და სხვა სასწ. დაწესებულებები.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ი. II-მ შემოიღო საყოველთაო ნათლობა, რ-იც პირველად 2008 წ. 19 იანვარს გაიმართა. პატრიარქი ნათლავს ჯვარდაწერილი მშობლების ყოველ მესამე და შემდგომ შვილს. 2018 ჩატარდა რიგით 52-ე ნათლობა.

პატრიარქის შეწევნით საპატრიარქოს კარის ეკლესიასთან გაიხსნა მოწყალების სახლი. ანალოგიური დაწესებულებები არსებობს ქვეყნის სხვა კუთხეებშიც. იგი განუხრელად ზრუნავს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებზე, მნიშვნელოვანია მისი შეხვედრები ქართ. ემიგრაციასთან ევროპის ქვეყნებში, ირანში, თურქეთში, საინგილოში და სხვ.

ი. II-ის თაოსნობითა და ლოცვა-კურთხევით ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მოხდა ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა კანონიზება. საქართვ. ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ილია ჭავჭავაძე, წმ. ნინოს მშობლები – სუსანა და ზაბულონი, ამბროსი ხელაია, მიტროპოლიტი ნაზარი კრებულთან ერთად, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, ცოტნე დადიანი, ტბელ აბუსერისძე, თევდორე აჭარელი, მღვდელი თევდორე, კლარჯელი მამანი და დედანი, კირიონ III, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ.

ი. II-ის სახელთანაა დაკავშირებული ღვთისმსახურების დროს ქართული საგალობლების აღდგენა-განახლება. თავად პატრიარქი ავტორია რამდენიმე შესანიშნავი საგალობლისა („წმინდაო ღმერთო‘‘, „დავიღალე‘‘, „კირიელეისონ‘‘ და სხვ.), მუსიკალური ნაწარმოებებისა (ძირითადად ქართულად, მიძღვნები ღვთისმშობლისადმი), რ-ებმაც მსოფლიო მასშტაბით საყოველთაო მოწონება და აღიარება დაიმსახურა. ი. II გამოირჩევა მხატვრობის ნიჭითაც (თამარის ფრესკა დიდუბის ეკლესიაში, წმ. სამების ხატი წმ. სამების ტაძარში, ღვთისმშობელი მანგლისის საპატრიარქო რეზიდენციაში, ვახტანგ გორგასალი – რუსთავის ეკლესიაში და სხვ.). პატრიარქის ძალისხმევით თბილ. სას. აკადემიაში ჩამოყალიბდა ხატწერის სკოლა.

საქართველოს პატრიარქის თაოსნობით მოხდა სახელმწიფოსა და ეკლესიის კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი).

2002 წ. 7 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის დიდმა სამეცნ. საბჭომ ი. II საპატიო დოქტორად აირჩია, ხოლო 2005 წლის 11 მარტს კი საქართვ. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიამ – საპატიო აკადემიკოსად.

1997 წელს აღსაყდრების 20 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა დავით აღმაშენებლის ორდენით; მიღებული აქვს მსოფლიოს (კონსტანტინოპოლის) საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმი-

ნეთის, საქართველოს საპატრიარქოების; პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოები. არის ნიუ-იორკის სას. აკადემიის ღვთისმეტყველების დოქტორი, კრეტის სას. აკადემიის საპატიო წევრი, გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშ. აკადემიის წევრი, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიის ღვთისმეტყველების დოქტორი.

თხზ.: ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი (ორტომეული), თბ., 1997.

ლიტ.: დიდნი საქმენი, თბ., 2011; ილია II – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ოთხტომეული, მთ. რედ. მ. ალუდაური, ტ. 1–3, თბ., 2016–17; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., პატრიარქი – ერის სულიერი მამა, თბ., 2008; მრავალსა წელსა. ფოტოალბომი, თბ., 2015; ნათელი ქრისტენი – საქართველო, თბ., 2003; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. კრებული, მიძღვნილი უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ისადმი, თბ., 2007; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 1996.

რ. მეტრეველი.

ილია ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (2. IX. 1790, თბილისი, – 18. VII. 1854, მოსკოვი), მეფე *გიორგი XII-ის* ძე. 1808 დედასთან, დედოფალ მარიამთან ერთად ადმ. წესით რუსეთში გადაასახლეს. ცხოვრობდა მოსკოვში. აქ 1844 ფრანგულიდან ქართულად თარგმნა ინგლ. ფილოსოფოსის ს. კლარკის (1675–1729) მიმოწერა გერმ. ფილოსოფოს გ. ლაიბნიცთან (1646–1716): ,,ბაასი ორთა უჩინებულესთა ფილოსოფთა ევროპიისათა კლარკ და ლეიბნიცისა''. 0. ბ. რუს. არმიის რიგებში მსახურობდა და ლაიბ-ეგერთა პოლკის ოფიცრად ირიცხებოდა. მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში, თავი გამოიჩინა ბოროდინოს ბრძოლაში. ,,ესე დაესწრა დიდსა ბრძოლაში ბოროდინოს და აღმოჩნდა სახელოვნად'' – წერს მასზე ბაგრატ ბატონიშვილი.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., ქართველი ბატონიშვილების საოჯახო უმორიდან, «სტალინირის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1959, ტ. 7; ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1984; О р б е л и Р. Р., Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, в. 1, М. – Л., 1956.

ა. ბარამიძე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მრავალფუნქციური საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულება. დაფუძნდა 2006 განსხვავებული და ხანგრძლივი ისტორიის მქონე ინ-ტებისა და დაწესებულებების გაერთიანების შედეგად. 2006-იდან 2011-მდე მის შემადგენლობაში შევიდა ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტი, ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედ. უნ-ტი, ფიზ. აღზრდისა და სპორტის აკადემია, დ. გურამიშვილის პედ. კოლეჯი, ი. გოგებაშვილის პედ. კვლევითი ინ-ტი, ე. ხარაძის სახ. აბასთუმნის ეროვნ. ასტროფიზიკური ობსერვატორია, სეისმოლოგიური მონიტორინგის ცენტრი, ზოოლოგიის, ბოტანიკის, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის, პოლიტოლოგიის, დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის და ს. წერეთლის სახ. ფილოსოფიის ინ-ტები. ამჟამად 0. ს. უ. ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი და საგანმან. დაწესებულებაა საქართველოში, რ-საც თბილისში აქვს 11 სასწ. კორპუსი. 2016 მონაცემებით, 0. ს. უ. 252 პროფესორსა და 520 მკვლევარს, 18 ემერიტუს-პროფესორსა და 14 560 სტუდენტს აერთიანებს.

2017-ისთვის 0. ს. უ-ის შემადგენლობაშია შემდეგი ინ-ტები და კვლევითი ცენტრები: ადიქტოლოგიის, გამოყენებითი ფიზიკის, თეორიული ფიზიკის, გამოყენებითი ფსიქოლოგიის და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინ-ტები, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ზოოლოგიისა და ეკოლოგიის ინ-ტები, ენტომოლოგიის და ბიოკონტროლის კვლევითი ცენტრი, ლინგვისტურ კვლევათა ინ-ტი, კავკასიის კვლევის საერთაშ. სკოლა, სოც. და კულტურის კვლევების ინ-ტი, ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინ-ტი, ქიმიური ბიოლოგიისა და შედარებითი ლიტ-რის ინ-ტები, ძილღვიძილის შემსწავლელი თ. ონიანის ლაბორატორია, მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ხელოვნების სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, აღმოსავლეთმცოდნეობის, პოლიტოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ინ-ტები, მიკრობების გენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტი, ბიოფიზიკის ინ-ტი, ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლა, ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების ინ-ტი.

ამჟამად უნ-ტში მოქმედებს 2 სკოლა და 2 ფაკ-ტი; 50-მდე საბაკალავრო და 40-მდე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა; 30-მდე კვლევითი ინ-ტი და ცენტრი; სასწ. და სამეცნ. ბაზები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში; მრავალფეროვანი ფონდითა და მდიდარი ელექტრონული რესურსებით აღჭურვილი ბ-კა; წიგნის სახლი ,,ლიგამუსი''; გამომცემლობა და სტამბა; თეატრი; მუსიკის ცენტრი.

0. ს. უ-ში მოქმედებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფ. და სასერტიფიკატო პროგრამები.

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკ-ტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიმართულებაა, სადაც 4 საფეხურზე (პროფესიული, საბაკალავრო, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ხორციელდება სწავლება (ლიტერატურა, ხელოვნება, უცხო ენები, ისტორია, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული პროცესები, ტრადიციები და სხვ.).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და საინჟინრო ფაკ-ტი აძლევს სტუდენტებს ინტერდისციპლინარული განათლების მიღების საშუალებას. ფაკ-ტს აქვს დიდი მატერ. ბაზა, რ-იც გამოიყენება სამეცნ. კვლევებისა და ტექნიკური მომზადებისთვის; საველე კვლევითი ბაზები; აბასთუმნის ობსერვატორია; სახელოსნოები; დნმ-ლაბორატორია, სადაც ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების გენებს შეისწავლიან; მიმდინარეობს შავი ზღვის ფაუნის, ფლორისა და გეოლოგიის კვლევები.

ბიზნესის სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ამზადებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სპეციალისტებს, რ-ებიც წარმატებით შეძლებენ ადმინისტრირების და სამეცნ.-კვლ. საქმიანობის განხორციელებას როგორც ადგილ., ისე საერთაშ. მასშტაბით.

სამართლის სკოლა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სამართ. საკითხების გაგების, გაანალიზებისა და მიღებული ცოდნის პრაქტ. გამოყენების სწავლებას, ამზადებს თეორ. ცოდნით და პრაქტ. უნარ-ჩვევებით აღჭურვილ, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე იურისტებს. სტუდენტს მიეწოდება სპეც. ცოდნა სამართლის რაობის, მეთოდებისა და ისტორიის, საჯარო სამართლის, კერძო სამართლის, სისხლის სამართლისა და საერთაშ. სამართლის სპეციალიზაციათა სასწ. დისციპლინების ფარგლებში. სტუდენტები მონაწილეობენ როგორც კვლევით, ისე პრაქტ. საქმიანობაში.

0. ს. უ-ში მოქმედებს სან-დიეგოს სახელმწ. უნ-ტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები, რ-ებიც საქართველოში სა-

ბუნებისმეტყველო და ტექ. დარგების განვითარებასა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას უწყობს ხელს. სან-დიეგოს უნ-ტი ამზადებს სტუდენტებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებში. პროგრამისთვის განკუთვნილი აუდიტორიები, საინჟინრო და სამეცნ. ლაბორატორიები და კომპიუტერული ცენტრი შექმნილია იმავე კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად და იმავე ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად, რ-ებიც გამოიყენება სან-დიეგოს სახელმწ. უნ-ტში, აშშ-ში. კურსებს უძღვებიან SDSU-ის ამერიკელი პროფესორ-მასწავლებლები. SDSU-საქართველო ი. ს. უ-სთან თანამშრომლობით აბიტურიენტებს სთავაზობს ელექტრული ინჟინერიისა და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამებს.

ი. ს. უ. არაერთი საერთაშ. ასოციაციისა და ქსელის წევრია. ამავე დროს მეცნიერების, ტექნოლოგიის, განათლებისა და კვლევების მიმართულებით ის აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის, გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ირლანდიის, შვედეთის, შვეიცარიის, პოლონეთის, უნგრეთის, ლატვიის, ლიტვის, უკრაინის, კვიპროსის, თურქეთის, ჩინეთის, ტანზანიის უნ-ტებთან და კვლევით ცენტრებთან.

მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით, ი. ს. უ. მხარს უჭერს და ახორციელებს შემდეგ პროექტებს: სამეცნ. პიკნიკი, სამეცნ. კაფე, ბიზნესინკუბატორი, მომავლის სამრეწვ. ინოვაციების ლაბორატორია – ,,ფაბლაბი'' და კომპიუტერული და მობილური თამაშების ინოვაციების ლაბორატორია – ,,გეიმლაბი''.

ი. ს. უ-ის საპატიო დოქტორები არიან ლ. კვაჭაძე, ხოსე მარია ასნარ ლოპესი, პ. ჰიკი, ვ. ბუკოვსკი, ვ. ნოვოდვორსკაია, ანა იზაბელ დე პალაციო ი დელ ვალე-ლურსუნდი, კ. გინზბურგი, ვ. ლანდსბერგისი, მარი ან ისლერ ბეგინი, ვ. ჰაველი, ი. სერაგელდინი, ა. კვიტაშვილი, ქ. კერნერი, რ. საფრანსკი, იოსიჰირო ფრენსის ფუკუიამა, ე. ჯენსენი, გ. მარგველაშვილი, თ. ჰოიზერმანი, ნ. კლეიმანი, ლ. დაიმონდი, ს. კრასნერი, ვ. ბაბეკი, ზ. ვაიგელი, ფ. ეგერი, ჯ. ი. სკანლონი, ჰ. უ. გუმბრეხტი.

ი. ს. უ-ის მმართველობის ორგანოებია აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნ-ტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკად. საბჭო, რ-ის თავმჯდომარეა უნ-ტის რექტორი.

ილიაწმინდა (2012-მდე – უ ლ ი ა ნ ო ვ კ ა), სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ილიაწმინდის თემში (კახეთის რეგიონი), ივრის ზეგნის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 630 *მ*, სიღნაღიდან 20 *კმ*, მაღაროდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. 560 მცხ. (2014).

სოფელი თბილისის გუბერნიის 1870 წ. რუკაზე დატანილია როგორც ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ვ კ ა.

ილია ჭავჭავაძის მწვერვალი, კლდოვანი მწვერვალი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდ-ების ხდისა და არმხის (თერგის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფი. მდებარეობს შანის ქედის სამხრ. ნაწილში. სიმაღლე 3800 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. ახასიათებს ნივალური ლანდშაფტი. მისასვლელი გზა – ხდის ხეობიდან. 1938 მწვერვალზე ავიდა ქართვ. ალპინისტთა ჯგუფი ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

კ. ჯავრიშვილი.

,,ილიონი'', ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა 1922–23 თბილისში. გამოსცემდა ,,ილიონის'' მწერალთა ჯგუფი. გამოვიდა: 1922 – №№1, 2, 3; 1923 – №4. ჟურნალში იბეჭდებოდა კ. გამსახურდიას, ვ. გორგაძის, დ. აგლაძის, ა. ჭუმბაძის, ს. ფაშალიშვილისა და სხვათა მხატვრული ნაწარმოებები, პუბლიცისტიკა, ლიტ. და ბიბლიოგრაფიული სტატიები (რედ. კ. გამსახურდია). *ი. ლორთქიფანიძე.*

ილიურთა, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშეთის (ომალოს) თემში (კახეთის რეგიონი). ზ. დ. 2500 *მ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

ი-ის შუაში დგას 1870 აგებული წმ. გიორგის გუმბათოვანი ეკლესია და გვიანდ. შუა საუკუნეების რამდენიმე ციხე-სახლი. მრავალი მათგანი აღდგენილი და სახეშეცვლილია. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია ორი ხუთსართულიანი კოშკი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.

ილიუხინის სახელობის უფსკრული, კარსტული მღვიმე გაგრის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), არაბიკის კირქვულ მასივზე, მდ. ჟოეკვარის ტროგული ხეობის ზემოწელში, ზ. დ. 2300 *მ* სიმაღლეზე. მორფომეტრიული მონაცემებით შედის საქართვ. 1000 *მ*-ზე ღრმა კარსტული უფსკრულების პირველ ათეულში.

მღვიმის ზედა ნაწილი გამომუშავებულია ზედაიურულ კირქვებში. უფსკრულის სიღრმე 1275 *მ*-მდეა, საპროექტო სიგრძე 5890 *მ*, საერთო მოცულობა 34000 $მ^3$.

უფსკრული ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული ორი ჩასასვლელით (,,პეროვსკაია'' და ,,ვოლჩია'') იწყება, 220 *მ* სიღრმეზე ოთხად იტოტება, შემდეგ სამი მათგანი ნაზვავით იხშობა, ხოლო ძირითადი მაგისტრალი 1240 *მ*-ზე სიფონური ტბით მთავრდება. უფსკრულის შორეულ ნაწილში არის დარბაზი, რ-ის სიგრძეა 250 *მ*, სიგანე – 80 *მ*, სიმაღლე – 270 *მ*.

ცალკეულ დარბაზში ჭარბადაა მძლავრი კალციტოვანი ქერქის ნამტვრევები. მღვიმეში უხვადაა სიფონური მონაკვეთები. 1984 ექსპერიმენტით დადასტურდა უფსკრულში გამდინარე ნაკადის კავშირი კარსტულ მდ. რეპრუასთან (გაგრის მუნიციპალიტეტი).

,,პეროვსკაიას'' ჩასასვლელი მიკვლეულია საქართვ. მეცნ. აკად. სპელეოლოგიური საბჭოს (ხელმძღვ. თ. *კიკნაძე*) და მოსკ. საქალაქო სპელეოსექციის (ვ. ილიუხინი) გაერთ. ექსპედიციის მიერ 1980 წელს.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.



ილმაზლო, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ქაფანახჩის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), მარნეულის ვაკეზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 300 *მ*, მარნეულიდან 25 *კმ*. 998 მცხ. (2014).

ი-ს მიდამოებსა და მარნეულს შორის, მარნეულის ვაკის პლეისტოცენური ალუვიონის ქვეშ, ზედაპირიდან 40–136 *მ* სიღრმეში დამარხულია, ზოგან კი ზედაპირზე გამოდის ქვემო ქართლის პლატოს დოლერიტული ლავური ღვარის შუალედური მონაკვეთი. მისი ამონთხევის ცენტრი ადგილზე არ არსებობს.

შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში'', როგორც ,,ილმაზლოს ლავური მოწმე''.

ილორგანი, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ოხურეის თემში (აფხაზეთის არ), მდ. ღალიძგის ნაპირზე. ზ. დ. 20 *მ*, ოჩამჩირიდან *6 კმ*.

Ო. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ᲝᲚᲝᲠᲘ, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), შავი ზღვის ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: Ო., ზენი, ნაგვალოუ, ოხურეი, სუკი). ზ. დ. 10 *მ*, ოჩამჩირიდან 4 *კმ*.

წყაროებში პირველად იხსენიება XII ს-ში. სოფელში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია (XI ს.), რ-იც დას. საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა.

XII–XVII სს-ში Ო. ოდიშის საერისთავოში, შემდეგ ოდიშის სამთავროში შედიოდა. XVIII–XIX ს. I ნახ-ში Ო. სამურზაყანოს შემადგენლობაში იყო.

1886 ჩატარებული აღწერის მიხედვით Ო-ში 1120 მართლმადიდებელი ქრისტიანი და 6 სუნიტი მაჰმადიანი, ორი თავადი, 136 აზნაური, 6 სასულიერო პირი და 982 გლეხი სახლობდა.

Ო. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ᲝᲚᲝᲠᲘ, ყოფილი სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში (შეუერთდა ქ. სამტრედიას).

Ო. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში, დატანილია ა. ლამბერტის რუკაზე. სავარაუდოა, რომ თავის დროზე სოფელი ოლორის წმ. გიორგის ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა და სახელწოდებაც აქედან უნდა მიეღო.

თ. ბერაძე.

ᲝᲚᲝᲠᲝᲑᲐ, წმინდა გიორგის დღესასწაული. იმართებოდა 20 ნოემბერს სოფ. ოლორში (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი), წმ. გიორგის ეკლესიაში (XI ს.). XVII–XVIII სს. მონაცემებით, დღესასწაულის წინა საღამოს სამგრელოს მთავარი სამღვდელოებისა და დიდებულების თანხლებით შემოუვლიდა ეკლესიის გალავანს, მის შემოგარენს და შესასვლელს საკუთარი ბეჭდით დაბეჭდავდა. მეორე დილით, ისევ მხლებლების თანხლებით, მთავარი თვითონვე ხსნიდა საბეჭდავს. მლოცველებს ეზოში ხვდებოდა ხარი (ხალხური წარმოდგენით წმ. გიორგის სახ. ცხოველი), რ-იც თითქოს ღამით სასწაულებრივად შეჰყავდა წმინდანს. ხარს კლავდნენ და ხორცის ნაჭრებს მლოცველებს ურიგებდნენ. მორწმუნეები მას დიდი სასოებით ინახავდნენ როგორც ბოროტისა და ავი სენისაგან დამცველს. ხორცის უმეტესი ნაწილი რქებითურთ ოდიშის მთავარს ეკუთვნოდა, ნაწილი იმერეთის მეფეს და გურიის მთავარსაც ეგზავნებოდა. გადმოცემით, ძველად ხარის მაგივრად ტაძარში შემოდიოდა სამსხვერპლო ირემი. ოლორის წმ. გიორგისა და მისი დღეობის ძალა აღიარებული იყო მთელ დას. საქართველოში და რიგ მეზობელ ხალხებში. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე Ო. გარკვეული სახეცვლილებით იმართება.

წყარო: ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, თარგმ. იტალიურიდან ა. ჭყონიასი, თბ., 1938; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი ს მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975.

ლიტ.: Д ж а н а ш и а Н. С., Статьи по этнографии Абхазии, Сух., 1960.

ი. სურგულაძე.

ᲝᲚᲢᲝ, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში. ალაზნის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს კახეთის ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 2120 *მ*, სიგრძე 43 *კმ*, აუზის ფართ. 337 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნა კი – ზაფხულსა და შემოდგომაზე. საშ. ხარჯი 6,5 *მ*^{3}/*წმ*.

ი. აფხაზავა.

ᲝᲚᲢᲝᲖᲐ, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ალევის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე, მდ. ქსნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 850 *მ*, დუშეთიდან 22 *კმ*, ქსნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ*. 114 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. წიღკნელის სარგოს 1669 წიგნში იხსენიება ფორმით ,,ირტოზა‘‘. ამავე ძეგლის მიხედვით ირტოზაში ცხოვრობდნენ აზნაური კორინთლები. შემორჩენილია XVII ს. ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რ-შიც შედის კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია, მასზე დას-იდან მიდგმული ორსართულიანი კოშკი და სამხრიდან და ჩრდ-იდან მიშენებული სამი სადგომი. Ო. შედიოდა ქსნის საერისთავოში.

1818 Ო-ში ცხოვრობდა 9 კომლი, 1930 დუშეთის რ-ნის მჭადიჯვრის სას. საბჭოში შემავალი სოფელი იყო და ცხოვრობდა 197 სული მოსახლე. 1965 კი დუშეთის უბნის ჭილურტის სასოფლო თემს ეკუთვნოდა და ცხოვრობდა 4 კომლი.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ჯ. გვასალია.

ᲝᲚᲢᲝᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ, ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი, გვიანდელი ბრინჯაოს, გვიანდელი ანტ. ხანის სამარხები ქ. ახმეტის დას-ით 4 *კმ*-ზე, მდ. ილტოს მარცხ. ნაპირას. გაითხარა 1965–67 (ხელმძღვ. შ. დედაბრიშვილი). ნამოსახლარი მთის ფერდობზე ტერასებად იყო განლაგებული. არქეოლოგიურად შესწავლილია 4 კულტ. ფენა. I ფენა ადრინდ. ბრინჯაოს ხანისაა. მასში აღმოჩნდა გეგმით სწორკუთხა, თიხატკეპნილატაკიანი ნაგებობების ნაშთები, სამეურნეო დანიშნულების ორმოები და ამავე პერიოდის რამდენიმე ორმოსამარხი. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ თიხის ჭურჭელი. II ფენა შეიცავდა ადრინდ. ბრინჯაოსა და შუა ბრინჯაოს ხანის ნაშთებს. III ფენაში იყო მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკა. I–III ფენები ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ. – III და II ათასწლ. მიჯნით თარიღდება. ამ დროს ნამოსახლარი მნიშვნელოვან დასახლ. პუნქტს წარმოადგენდა. ზედა, IV ფენა შეიცავდა ერთმანეთში შერეულ სხვადასხვა დროის (ადრინდ. და შუა ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ანტ. და ფეოდ. ხანის) კერამიკას. აღმოჩენილი ჭურჭელი 2 ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. მოყავისფრო ან მურა ფერის მრავალრიცხოვანი სამზარეულო, უხეშად ნაძერწი ჭურჭელი; 2. სუფრის ან პირადული სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ჭურჭელი. ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მასალა ე. წ. *მტკვარ-არაქსის კულტურის* სფეროს განეკუთვნება, შუა ბრინჯაოს ხანის მასალა კი *თრიალეთის კულტურის* მასალის მსგავსია.

აქვე გამოვლინდა კენოტაფი, რ-იც შუა ბრინჯაოდან გვიანდ. ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპს ეკუთვნის. გათხრილია აგრეთვე გვიანდ. ბრინჯაოს ადრეული საფეხურისა და გვიანდ. ანტ. ხანის ორმოსამარხები. მიცვალებულები ესვენენ გვერდზე, ხელფეხმოკეცილნი. ჩატანებული ჰქონდათ თიხის ჭურჭელი, ანტ. ხანის სამარხებში – ბრინჯაოს სამკაულიც.

ლიტ.: Д е д а б р и ш в и л и Ш. Ш., Памятники эпохи ранней и средней бронзы, Труды Кахетинской археологической экспедиции, т. 1, Тб., 1969.

ე. გოგაძე. შ. დედაბრიშვილი.

ᲝᲚᲢᲝᲡ ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, იხ. *ილტოს არქეოლოგიური ძეგლები.*

ᲝᲚᲣᲖᲘᲐ-ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲜ-ᲛᲔᲯᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲚᲕᲘᲛᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, კარსტული უფსკრული გუდაუთის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), ბზიფის კირქვული მასივის ე. წ. ,,გამყოფ შტოქედზე‘‘, ზ. დ. 1960–2000–2390 *მ*-ზე. მორფომეტრიუ-

ლი მონაცემებით შედის საქართვ. 1000 *მ*-ზე ღრმა კარსტული უფსკრულების პირველ ათეულში.

გამომუშავებულია ზედაიურული და ქვედაცარცული ასაკის კირქვების, გადოლომიტებული კირქვებისა და შეცემენტებული კონგლომერატების წყებებში. მღვიმური სისტემის ჯამური სიღრმეა 1753 *მ*, სიგრძე 24080 *მ*, ფსკერის ფართ. 150000 $მ^2$, საერთო მოცულობა 2000000 $მ^3$.

თ ო ვ ლ ი ა ნ ი უ ფ ს კ რ უ ლ ი ს ძირითადი მაგისტრალი ხუთი დიდი გალერეისგან შედგება, რ-ებიც, თავის მხრივ, რიგ განშტოებებს შეიცავს. მღვიმის ყველაზე დიდ დარბაზს წარმოადგენს ზედაპირიდან 1300 *მ* სიღრმეზე მდებარე ,,იქს'' დარბაზი, რ-ის სიგრძეა 220 *მ*, სიგანე 70 *მ*, ხოლო სიმაღლე 50 *მ* აღემატება.

მ ე ჟ ე ნ ი ს უ ფ ს კ რ უ ლ ი შედგება მკვეთრად გამოხატული ვერტ. და ჰორიზ. ნაწილებისგან, რ-ებიც ერთმანეთს მოკლე დერეფნებით უკავშირდება. თოვლიანი და მეჟენის უფსკრულები ერთმანეთს ჩასასვლელიდან 630 *მ* სიღრმეზე უერთდება, 410 *მ*-ით მაღლა მდებარე უფსკრული ,,ი ლ უ ზ ი ა'' თოვლიან-მეჟენს შეუერთდა, რითაც მღვიმური სისტემის ჯამურმა სიღრმემ 1753 *მ* შეადგინა და მსოფლიოს უღრმეს უფსკრულთა სიაში მე-2 ადგილზე გადაინაცვლა.

მღვიმურ სისტემაში არის ნაირგვარი სტალაქტიტ-სტალაგმიტები, ტრავერტინები, ჰელიქტიტები, მღვიმური თოვლი. მიწისქვეშა მყინვარის ფართ. 6000 $მ^2$ აღწევს. სისტემაში გაედინება მიწისქვეშა ნაკადი მრავალრიცხოვანი შენაკადებით, რ-თაც დონეების ძლიერი რყევა ახასიათებთ. სხვადასხვა მონაკვეთებში ბინადრობენ ობობები, მრავალფეხიანები და სხვ.

მღვიმური სისტემა აღმოჩენილია მოსკ. სახელმწ. უნ-ტის სპელეორაზმის მიერ 1971. შესწავლასა და გამოკვლევაში სხვადასხვა წლებში მონაწილეობდნენ რუს. და ევრ. გამოცდილი სპელეორაზმები.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

ილურიძე ვასილ ანზორის ძე (25. II. 1925, თბილისი, – 17. III. 1972, მოსკოვი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). სსრკ დამს. მწვრთნელი (1962), სსრკ პირველი ჩემპიონატის ჩემპიონი (1945), სსრკ ჩემპიონატების სამგზის მეორე (1948, 1951–52) და ოთხგზის მესამე (1947, 1949–50, 1954) პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, ასევე მეორე პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (1947). საერთაშ. სტუდენტური თამაშების ჩემპიონი (1949, 1951), სსრკ ნაკრების წევრი (1945–52). საქართვ. ნაკრებისა და სსრკ ნაკრების (1960–68) მწვრთნელი. საერთაშ. კატეგორიის მსაჯი (1958). მისი აღზრდილები არიან ვ. *რუბაშვილი,* შ. *ლომიძე.*

ილუსტრაცია (ლათ. illustratio – განათება, ვიზუალური გამოსახულება), რაიმე, ლიტერატურული თუ სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შინაარსთან დაკავშირებული ვიზუალური გამოსახულება, ანუ სიტყვიერი ინფორმაციის განმარტება ნახატის მეშვეობით. ი-ის მთავარი ფუნქციაა ტექსტის ამა თუ იმ საკვანძო მომენტების დასურათებით ხაზგასმა ან მასში ჩადებული ფარული აზრის გამოკვეთა. ი. ეხმარება მკითხველს ნაწარმოებისა თუ სამეცნ. ნაშრომის უკეთ გააზრებასა და ჩაწვდომაში. ი. შეიძლება იყოს რეალისტურ-ნატურალისტური, აბსტრაქტულ-დეკორატიული, სქემატურ-გეომეტრიული და ა. შ. ი. ძირითადად წიგნის შინაარსთან არის დაკავშირებული, მაგრამ შესაძლოა სხვადასხვა ტიპის შემეცნებითი, სასწავლო, სარეკლამო დანიშნულებაც ჰქონდეს, ანუ თვალსაჩინოებისთვის იქნეს გამოყენებული. ი-ის ტიპური ფორმის ჩამოყალიბება ბეჭდური მრეწველობის დაწყებას უკავშირდება, მაგრამ მისი ჩანასახი წინაქრისტიანულ ხანაშიც, კერძოდ კი – ეგვიპტური პაპირუსების დასურათებაშიც შეიმჩნევა. ი-ის წინაპირობაა ადრექრისტიანული და შუა საუკუნეების წიგნების მინიატიურული მხატვრობაც, ჩინური წიგნის დასურათების ქსილოგრაფიების ნიმუშები (VI–VII სს.) და, ზოგადად, აზიური ქვეყნების (იაპონია, ირანი, ინდოეთი და ა. შ.) ხელოვნებაში არსებული აკვარელით ან გრავირებით შესრულებული, ტექსტთან ერთად განხორციელებული ფიგურატიული კომპოზიციებიც, რ-ებიც ხშირად ალბომებშია მოქცეული. ბეჭდური წიგნის ილუსტრირების დაწყებამდე არსებული მინიატიურები ძირითადად ფუნჯითა და კალმით, ბუნებრივი პიგმენტებისგან შედგენილი საღებავებითა და ოქროსა და ვერცხლის ფერებით სრულდებოდა. მინიატიურათა კომპოზიციების სიუჟეტები მომდინარეობდა წიგნის შინაარსიდან, ხშირად ერთვებოდა პორტრეტული გამოსახულებებიც, ჟანრული სცენებიც და ა. შ. მინიატიურის ი-ად გადაქცევა XV ს. გერმანიაში, წიგნის ბეჭდვის დასაწყისიდან იღებს სათავეს. პირველ ეტაპზე ი. და ტექსტი ქსილოგრაფიის ტექნიკით (XV ს. 60-იანი წწ.) იბეჭდებოდა, წიგნად იკინძებოდა და ზოგჯერ ფერადდებოდა ხელით. აღორძინების ეპოქაში ი. უფრო მეტად ერთვება წიგნის ორგანიზმში და ტექსტის თანაბარზომიერ ადგილს იკავებს. XVII ს-ში სპილენძის ფირფიტაზე გრავირების ტექნიკის დანერგვამ ი-ების ბეჭდვა უფრო გააადვილა (შ. ეიზენი – საფრანგეთი, დ. ხოდოვეცკი – გერმანია). XVIII ს. ბოლოს გერმანიაში ა. ზენეფელდერის (1771–1834) მიერ გამოგონებულმა ლითოგრაფიის ტექნიკამ ბევრად იოლი გახადა დიდი ფორმატის ი-ის ბეჭდვა. XIX ს. ბოლოს ი-ის რეპროდუცირებისთვის გამოყენებული თითქმის ყველა არსებული ტექნიკა (ქსილოგრაფია, ლითოგრაფია, ოფორტი და სხვ.) გამოდევნა ფოტომექანიკურმა ბეჭდვამ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ი-ის საწყისები ხელნაწერი წიგნის გაფორმებიდან იღებს სათავეს. ეს ი-ები გამოირჩეოდა ფაქიზი კოლორიტულობით, დეკორატიულობით, შესრულების მაღალი დონით. ქართ. ხელნაწერი წიგნის ხელოვნებამ განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. საუკუნეთა განმავლობაში (V–XVIII სს.) ადრეული პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო სისადავე და სიმკაცრე [ადიშის



ილუსტრაცია. ს. ქობულაძე. ილუსტრაცია წიგნისა ,,ვეფხისტყაოსანი''. 1935–37.



ილუსტრაცია. გ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ,,დათვები‘‘. 1961.

ოთხთავი (897), ჯრუჭის I ოთხთავი]. დროთა განმავლობაში წიგნის ტექსტი უფრო მჭიდროდ უკავშირდება გაფორმების მხატვრულ-დეკორატიულობას, შემდგომში გაფორმება – წიგნის ტექსტს. ხელნაწერი მდიდრდება სიუჟეტური კომპოზიციებით (IX–X სს.). XI ს. ხელნაწერებში ჭარბადაა დეკორ. მოტივები. XIII ს-იდან შემკულობის სისტემა შეიცვალა, ორნამენტი გართულდა, კომპოზიცია დინამ. გახდა. მომდევნო საუკუნეებში ეს ტენდენცია შენარჩუნდა.

XVII ს. საერო წიგნის გაფორმებაში შეიმჩნევა ირანული გავლენა, თუმცა მთელ რიგ ხელნაწერებში (მ. *თავაქარაშვილისეული* ,,ვეფხისტყაოსანი‘‘, ,,ვისრამიანი‘‘, ,,ქილილა და დამანა‘‘) ოსტატები ცდილობენ ქართ. ტრადიციების შენარჩუნებას.

გვიანი ხანის მხატვრებიდან აღსანიშნავია *ავგაროზ ბანდაისძე*, *ალექსი-მესხიშვილები*, ნიკოლოზ სიონის დეკანოზი, ირანში მოღვაწე მხატვარი *სიაუში* და ალიყული ჯაბადარი, დ. ე. *თუმანიშვილი* და სხვ.

წიგნის მხატვრულ გაფორმებას და ილუსტრაციებით შემკობას ქართ. ბეჭდური წიგნის გაფორმებაშიც თავისი გამორჩეული ადგილი აქვს დამკვიდრებული.

XVIII–XIX სს. II ნახევრამდე თბილისში, მოსკოვში, მოზდოკსა თუ პეტერბურგში ნაბეჭდი ქართ. სტამბური წიგნების მხატვრულად გასაფორმებელი დეკორის ელემენტებიცა და ილუსტრაციებიც, ძირითადად, ევრ. და რუს. წიგნებიდან იყო გადმოტანილი და მხოლოდ თითო-ოროლა ი-ის ნიმუშში შეიძლება შევნიშნოთ ეროვნ. ნიშნების გამოვლენის მცდელობა, მაგ.: 1712 წლის ,,ვეფხისტყაოსანში‘‘ მეფე ვახტანგის ფიგურა აშკარად პორტრეტული მსგავსების მცდელობითაა გამოსახული, ცალკე ი-დაა გამოყოფილი ბაგრატოვანთა საგვარეულო გერბიც; ,,მარხვანის‘‘ ერთ-ერთ ი-ზეც (ტფილისი, 1793) წვერულვაშიანი, ქართული იერის მამაკაცი შეიცნობა, ჩოხის მსგავსი სამოსით.

თანამედროვე ქართ. ბეჭდური წიგნის მხატვრული გაფორმება და ი-ების გამოყენება თვითნასწავლი მხატვარ-გრავიორის გ. *ტატიშვილის* სახელს უკავშირდება. მან დამოუკიდებლად შეისწავლა ქსილოგრაფიის რთული ტექნიკა და წიგნთა ი-ებს გრავიურაში ასრულებს. გ. ტატიშვილის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნამუშევრებია ,,დედა ენისა‘‘ (პირველად 1876 წ. გამოიცა და 1912 წლამდე 27-ჯერ დაიბეჭდა) და ,,ბუნების კარის‘‘ ი-ები. მისივე შესრულებულია საბავშვო წიგნების ,,ხუმარა სპილოების‘‘ (1897), შიო მღვიმელის ,,სამი ცელქის‘‘ და ,,ოქროს თავთავის‘‘ ი-ები.

XIX ს. ბოლოს განეკუთვნება ორი მნიშვნელოვანი ილუსტრირებული წიგნი: მ. (გობრონ) საბინინის ,,საქართველოს სამოთხე‘‘ (1882) და შოთა რუსთაველის ქართველიშვილისეული ,,ვეფხისტყაოსანი‘‘ (1888). ეს უკანასკნელი მხატვრულად შემკულია გ. ტატიშვილის მიერ, ი-ები კი მ. *ზიჩს* ეკუთვნის, ანუ ამ პერიოდში უკვე გამოიცემა ილუსტრირებული სას. და საერო ხასიათის წიგნები.

უხვადაა, ასევე, ილუსტრირებული XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში გამოსული ჟურნალ-გაზეთები (,,კვალი‘‘, ,,ცნობის ფურცელი. სურათებიანი დამატება‘‘, ,,ეშმაკის მათრახი‘‘, ,,თეატრი და ცხოვრება‘‘, ,,ტარტაროზი‘‘ და სხვ.), რ-ებიც იბეჭდება როგორც ევროპელი და რუსი, ასევე ნაცნობი თუ უცნობი ქართვ. მხატვრების ნამუშევრების ჩართვით. გამოყენებულია ო. *შმერლინგის*, მ. *თოიძის*, ა. *გოგიაშვილის*, ი. როტერის, ა. რ. *მრევლიშვილის*, ა. ლ. ბერიძის, გ. *ზაზიაშვილის*, პ. ღიბრაძის (მღებრაძე), შ. გ. *ქიქოძის* საგაზეთო ტექსტების დასასურათებელი ი-ები და კარიკატურები.

XX ს. 10–20-იან წლებში, გარდა წიგნის მხატვრობისა, ჟურნალ-გაზეთების ილუსტრირებაზე ასევე აქტიურად მუშაობენ მხატვრები: ვ. *სიდამონ-ერისთავი*, ა. ყ. *ქუთათელაძე*, ს. ნადარეიშვილი, *დონი* (დ. ნაცვლიშვილი) და სხვები. 10-იან წლებში დასურათებული წიგნის მნიშვნელოვანი ნიმუშია ჰ. ჰრინევსკის მიერ ილუსტრირებული ი. ჭავჭავაძის ,,თხზულებანი‘‘ (ტფ., 1914). საბავშვო წიგნებს აფორმებდნენ: შ. ქიქოძე (,,ამირანის ლექსი‘‘, ტფ., 1913), პ. ღიბრაძე (მღებრაძე) (ნ. ნაკაშიძის ზღაპარი ,,ზარაბი-ბილის ხელმწიფის ქალი‘‘. ქუთ., 1914), ო. შმერლინგი (ე. მარკოვი ,,აბ-აბი‘‘, ტფ., 1927) და სხვ.

XX ს. დასაწყისში ზოგადად სახვით ხელოვნებაში სერიოზული ძვრები იწყება, რაც აისახა წიგნის გრაფიკაშიც. ხდება ევროპასა და რუსეთში წარმატებულად განვითარებადი უახლესი მიმდინარეობების – სიმბოლიზმის, კონსტრუქტივიზმის, სუპრემატიზმის, კუბისტურ-ფუტურისტული ძიებების გაზიარება, ეს განსაკუთრებით გაიზიარეს მხატვრებმა: ი. და კ. *ზდანევიჩებმა*, ი. *გამრეკელმა*, ლ. *გუდიაშვილმა*, ბ. *გორდეზიანმა*, ა. *ბაჟბეუქ-მელიქიანმა* და სხვებმა (1917 ა. კრუჩონიხის გამოცემულ კრებულსა „Учитесь худоги“ და ალბომში ,,1918‘‘, ასევე, „Малохолия в капоте“-ში შევიდა კ. ზდანევიჩის ნახატები და კოლაჟები; 1924 კი გამოვიდა ჟურნ. ,,H_2SO_4‘‘, რ-იც ი. გამრეკელის და ბ. გორდეზიანის კუბისტურ-ფუტურისტული ნახატებით გაფორმდა). შემოქმედების ადრეულ წლებში მოდერნისტულმა ტენდენციებმა უ. *ჯაფარიძის* მიერ გაფორმებულ წიგნშიც იჩინა თავი (ი. იმედაშვილი, ,,მზეთამზე‘‘, ტფ., 1926).

1922 დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა პირველი კრებული, რ-ის ყდასაც მხოლოდ ქართ. შრიფტის მხატვრული ფორმებით ქმნის ი. შარლემანი. წიგნი



ილუსტრაცია. ა. ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე. ილუსტრაცია წიგნისა ,,არსენას ლექსი‘‘. 1965.

ილუსტრირებულია ფოტოებით, შამილის შესახებ არსებულ ტექსტში კი გამოყენებულია ნ. *ფიროსმანაშვილის* ფერწერული ნამუშევრის ი.

1922-იდან იწყება მზადება და 1925 გამოდის ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა ორტომეული, რ-ის ი-ებს ასრულებენ მხატვრები: მ. თოიძე, ე. *ლანსერე*, ა. ქუთათელაძე, შ. *ძნელაძე*, ი. *თოიძე*, შ. *მამალაძე*.

ამ წლებიდან წიგნის ხელოვნებას ემსახურებოდნენ როგორც

უშუალოდ გრაფიკოსები, ასევე ფერმწერები, მოქანდაკეები, არქიტექტორები და თვითნასწავლი მხატვრებიც კი.

XX ს. 30-იანი წლების წიგნის მხატვრობის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა შოთა რუსთაველის საიუბილეოდ ,,ვეფხისტყაოსნის'' გაფორმებისათვის გამოცხადებული კონკურსი. 1937 პოემის საიუბილეო გამოცემებისთვის 0-ები შეასრულეს ს. *ქობულაძემ*, თ. *აბაკელიამ*, ი. თოიძემ. ცოტა ადრე, 1934, დაიბეჭდა ლ. გუდიაშვილის მიერ გაფორმებული ,,ვეფხისტყაოსანი''.

ამავე წლების მნიშვნელოვანი წიგნია, ასევე, 1934 დაბეჭდილი ფირდოუსის ,,შაჰ-ნამეს'' საიუბილეო გამოცემა, რ-იც მხატვარ ი. *გაბაშვილის* მიერ უხვადაა ილუსტრირებული.

40–50-იანი წლების წიგნის დასურათებაში რეალისტური ნახატით შესრულებული 0-ები ჩნდება (ა. ქუთათელაძე, ს. ქობულაძე, ვ. გიორგობიანი, ე. *ბაღდავაძე*, ს. ნადარეიშვილი, ი. გაბაშვილი, უ. ჯაფარიძე, მ. დაუშვილი და სხვა მრავალი ცნობილი თუ უცნობი მხატვარი).

50-იანი წლების II ნახევრიდან ქართულ სახვით ხელოვნებაში ეროვნ. ტენდენციების ათვისების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძვრები იწყება, იხვეწება და მკვიდრდება გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა (ოფორტის სხვადასხვა სახეობა, ლინოგრავიურა, ლითოგრაფია...). წიგნის გრაფიკის ნიმუშების შინაარსობრივ გადაწყვეტაში მატულობს მისწრაფება რომანტიზმისკენ, ბუნების სიღრმეების წვდომისკენ, ,,ხალხურობის'' ელემენტების შემოტანისკენ. ახლებურად და უფრო ფართოდაა გაგებული წიგნის გაფორმების პრობლემებიც. მხატვარ-ილუსტრატორი უფრო და უფრო ხშირად გვევლინება წიგნის მთლიანი ორგანიზმის შემქმნელად.

1950–60 წლებში წიგნის მხატვრულ გაფორმებაში ახალი თაობის მხატვრები ებმებიან: ბ. *ბერძენიშვილი*, დ. დუნდუა, დ. ვ. *ერისთავი*, გ. *კალაძე*, ჯ. ლოლუა, მ. *მალაზონია*, ნ. ვ. *მალაზონია*, თ. *მირზაშვილი*, ზ. *ნიჟარაძე*, გ. *ოჩიაური*, ა. სლოვინსკი, გ. *ფირცხალავა*, ო. ქოჩაკიძე, თ. *ყუბანეიშვილი*, ი. ჩიკვაიძე, ო. *ჯიმშარიანი*.

გამოხატვის ფორმები უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ხდება. სიღრმისეული ფსი-



ილუსტრაცია. ლ. შენგელაია-აბაშიძე. ილუსტრაცია წიგნისა ,,წამება წმინდისა შუშანიკისა''. 1980.

ქოლ. წვდომითაა გამორჩეული თ. ყუბანეიშვილის ვაჟა-ფშაველას ,,გველის მჭამელის'' (1960) 0-ები; სიფაქიზისა და სიძლიერის ერთობლივად გამომხატველია გ. ოჩიაურის 0-ები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისთვის.

1970–80 წლებშიც წიგნის ილუსტრირებას ემსახურებოდნენ წამყვანი მხატვარ-გრაფიკოსები: ნ. *ზაალიშვილი*, ლ. ა. *ზამბახიძე*, ს. *კინწურაშვილი*, ქ. მატაბელი, ვ. რურუა, ი. ფარჯიანი, კ. ფაჩულია, ლ. *შენგელაია-აბაშიძე*, გ. *წერეთელი*, თ. ხუციშვილი და სხვ.

ამ თაობის მხატვრებს თავისი განუმეორებელი ხელწერა გააჩნიათ. მათ შემოქმედებაში ვხვდებით ,,ხელნაკეთ'', ,,ხელნახატ'' ბეჭდურ წიგნებს. ამ წიგნთა მთლიანი მაკეტი – ტექსტი და 0. ერთ მთლიანობაშია გააზრებული და შესრულებული. ამგვარი გაფორმების ერთ-ერთი პირველი მაგალითია ა. *ბანძელაძის* მიერ გაფორმებული ,,არსენას ლექსი'' (1966).

ეს ტრადიცია შემდგომ წარმატებით გააგრძელეს სხვადასხვა თაობის მხატვრებმა: ლ. დავითიანი, გ. კაკაბაძე, გ. კ. კალაძე, მ. მალაზონია, ლ. მარგიანი, ო. მეგრელიძე, თ. მირზაშვილი, დ. პოპიაშვილი, ი. ფარჯიანი, ლ. ჩაგანავა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბავშვო წიგნის 0-საც, რ-იც ყოველთვის სათუთი მიდგომით იყო გამორჩეული. XX ს-ში შესანიშნავი 0-ები იქმნებოდა სხვადასხვა თაობის წამყვანი მხატვრების მიერ (ი. გაბაშვილი, ე. *აბზელდიანი*, ე. ბაღდავაძე, ს. ქობულაძე, გ. *როინიშვილი*, ზ. ნიჟარაძე, ჯ. ლოლუა, თ. მირზაშვილი, ა. ბანძელაძე, რ. მახარაძე, ზ. დეისაძე, მ. მორჩილაძე, ს. კინწურაშვილი და სხვ.). განსაკუთრებით გამორჩეული იყო 0-ები საბავშვო ჟურნალისთვის ,,დილა'', რ-ის გაფორმებაშიც თითქმის ყველა თაობის წამყვანი მხატვარი იყო ჩართული.

2000-იდან იკვეთება ჟურნ. ,,დილას'' გამფორმებელთა ახალ-ახალი სახელები (გ. ჩაჩანიძე, ნ. სანაია, ლ. სულაკაური, ნ. ჩაკვეტაძე); გამოდის სხვა საბავშვო ჟურნალებიც: აფხაზეთის კულტურის სამინისტროს საგანმანათლებლო ცენტრის საყმაწვილო ჟურნ. ,,იალქანი'' და საბავშვო ჟურნ. ,,აფქიო'' (მხატვარი დ. მუხაძე);

ამავე წლიდან წიგნის ილუსტრირებაში აქტიურად ებმებიან მხატვრები: ნ. მორბედაძე, ვ. მუსხელიშვილი, ო. თავაძე, ნ. ჯიმშარიანი, ნ. აფციაური, ნ. ფერაძე, მ. ხომერიკი, გ. ჩაჩანიძე, კ. ბახტაძე, დ. მუხაძე, ო. მეგრელიშვილი, ლ. ტაბლიაშვილი, დ. ბერძენიშვილი, თ. მელიქიშვილი, ა. ბალანჩივაძე, ქ. ლომაშვილი, ნ. ჩოჩელი, ლ. გარდავა და სხვ.

ხდება შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის'' ახლებური გააზრება. პოემის 0-ებს ქმნიან: მ. ცეცხლაძე (2005), ლ. აბაშიძე-შენგელია (2007), ქ. მატაბელი (2009), ი. ოჩიაური (2012), დ. მაჭავარიანი (2012).

2014 დაიბეჭდა ,,ვეფხისტყაოსანი'' (სინთეზური ხელოვნების ნიმუში – მხატვრის წიგნი. ,,ტაია ფილმის'' ინიციატივით. იდეის ავტორი ქ. გალდავა). მის ილუსტრირებაში ჩართული იყო 15 მხატვარი [თ. კვესიტაძე, თ. ვარვარიძე, თ. ჯავახიშვილი, კ. სულაბერიძე, რ. ხიზანიშვილი (გობეჯიშვილი), მ. სუმბაძე, უ. ხუმარაშვილი, მ. გოგრიჭიანი, მ. ცეცხლაძე, თ. მელიქიშვილი, ი. მჭედლიშვილი, გ. ალექსი-მესხიშვილი, მ. ჯაფარიძე, ო. ტიმჩენკო, ო. მურაჩაშვილი];

გამოიცა ასევე კომიქსით ანუ ნახატს თანდართული მცირე ტექსტებით მოთხრობილი – ,,ვეფხისტყაოსანი'' – გრაფიკული რომანი (I ნაწ., თბ., 2016), რ-იც პ. დავითაიას მიერ შესრულდა. ეს წიგნი ყველა ასაკის ადამიანისთვისაა განკუთვნილი, განსაკუთრებით კი იგი ბავშვებს ეხმარება, რათა ადრეულ ასაკშივე, ფილმის მსგავსად, კადრირებულად, ხატოვნად გაეცნონ ნაწარმოების შინაარსს. ამგვარივე მიდგომით მუშაობს ,,ვეფხისტყაოსნის'' ილუსტრირებაზე მხატვარი დ. მაჭავარიანიც (2016-17), რ-იც აქტიურად იყენებს ციფრულ გრაფიკას.

წიგნის ი-ის შექმნაში, ხელთქმნილობის პარალელურად თანდათან მკვიდრდება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, რ-საც წარმატებით იყენებენ ახალგაზრდა ხელოვანები (დ. ჯამრიშველი, ს. ბენიძე, თ. ნადარეიშვილი, ე. ტაბლიაშვილი და სხვ.).

ქართული საილუსტრაციო მხატვრობა მუდმივად ვითარდება და მის განხორციელებაში ებმებიან ხელოვანთა ახალ-ახალი თაობის წარმომადგენლები. ყოველივე ეს კი ქართული ი-ის მომავალ წარმატებაზე მიგვანიშნებს. *მ. გაჩეჩილაძე.*

„იმა მთაზედა“ (სხვა ვარიანტით – ,,ია მთაზედა‘‘), ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში. არსებობს ამ საფერხულო ბალადის სიტყვიერი ტექსტის ქართლური, კახური, ფშაური, მთიულური და რაჭული ვარიანტები. შეიცავს მითოლ. და საწესო ელემენტებს. ძირითადი მოტივია ირემზე ნადირობისას სიმამრის მიერ სასიძოს განგმირვა, მამისა და ქალიშვილის დიალოგი, მამის შეჩვენება შვილის მიერ და მოკლული საქმროს საძებნელად წასვლა. სრულყოფილი სახით (ჰანგით) მხოლოდ ქართლსა და მესხეთში შემორჩა.



ა. იმედაშვილი.

ლიტ.: მაღრაძე ვ., ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები, თბ., 1987; ჩიჯავაძე ო., ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009; ჩხიკვაძე გ., ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, თბ., 1960.

იმამყული-ხანი (XVI ს. უკანასკნელი მეოთხედი, – 1633), ირანის ჯარის ყულარაღასი, გამოჩენილი სარდალი. ქართველი, *ალავერდი-ხან* უნდილაძის შვილი (პიეტრო დელა *ვალეს* ცნობით იგი დედითაც ქართველი იყო). ირიცხებოდა უმაღლეს ამირათა რიგებში. მისი მეთაურობით ირანელებმა კ. ჰორმუზიდან განდევნეს პორტუგალიელები და დაიპყრეს ბაჰრეინისა და ლარის მხარე (1623).

ი.-ხ-მა ირანში დიდი საირიგაციო და სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა (გაიყვანა გზები, არხები, ააგო ხიდები, ფუნდუკები, კაშხლები). იგი ძალზე გონიერი და მწიგნობარი კაცი იყო, აინტერესებდა პლატონისა და არისტოტელეს თხზულებანი, არაბულ ენაზე კითხულობდა ბიბლიას. დანათესავებული იყო ქართვ. ფეოდალებთან ირანსა და საქართველოში (მისი ერთი ქალიშვილი, ანდუყაფარ ამილახორის ცოლი, საქართველოში ცხოვრობდა, მეორე დაუდ-ბეგ გურჯიზე იყო გათხოვილი, ხოლო მესამე ალიყული-ბეგს, როსტომ-ხან სააკაძის ძმას ჰყავდა ცოლად).

ი.-ხ-ის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სპარს., ქართ. და ევრ. წყაროები. პიეტრო დელა ვალე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ი.-ხ. მფარველობდა ქეთევან დედოფალს, ლუარსაბ II-ს, თეიმურაზ I-ის შვილებს, რომ მას ძალიან უყვარდა საქართველო. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ი.-ხ. ცდილობდა ქეთევან დედოფლის გადარჩენას. მიუხედავად ბეგლარბეგობისა და ყულარაღასობისა, ი.-ხ-ს საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობებში მონაწილეობა არ მიუღია. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე სპარსულად მხატვრული ნაწარმოებებიც კი დაიწერა (,,ჯანგნამეი ყეშმ‘‘, ,,ფარუხნამე‘‘). მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ი.-ხ-ის პიროვნებასა და მოღვაწეობას თეიმურაზ I-ის პოემაში ,,წამება ქეთევან დედოფლისა‘‘. შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ი.-ხ-ის გავლენა ირანში თანდათანობით შესუსტდა, მას დაუპირისპირდა ქართვ. ბატონიშვილი ხოსრო-მირზა (როსტომი). ი.-ხ-ს დაბრალდა თავისი ძმის, დაუდხან უნდილაძის ავჯანყებაში მონაწილეობა და შაჰ-სეფი I-ის ბრძანებით ი.-ხ. და მისი სამი ვაჟი სიკვდილით დასაჯეს.

წყარო: ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტის ქართ. თარგმანი და გამოც. ნ. გელაშვილისა, თბ., 1981.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI–XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), კრ.: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, [ტ.] 2, თბ., 1972; კუცია კ., კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, იქვე, [ტ.]1, თბ., 1963. *დ. კაციტაძე.*

იმედაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე [18. II (2. III). 1882, თბილისი, – 30. IX. 1942, იქვე], მსახიობი. საქართვ. სახალხო არტისტი (1932). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო თბილისში 1900. სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და სხვა თეატრებში. 1921–24 წლებში მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში, 1928–31 – კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ ქუთაის-ბათუმის თეატრში (ახლანდ. თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი), 1939–42 – ქუთ. ლ. მესხიშვილის სახ. თეატრში. იყო ლ. მესხიშვილისა და ვ. აბაშიძის მოწაფე, ქართ. თეატრის საუკეთესო ტრადიციების მიმდევარი და დამამკვიდრებელი ქართ. სცენაზე. მონაწილეობდა ყველა ჟანრის (ტრაგედია, კომედია, ვოდევილი, მუს. კომედია და სხვ.) სპექტაკლებში. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა კლასიკური ტრაგიკული როლების შესრულებით.

ი. ქართ. თეატრში ითვლება ოტელოს (უ. შექსპირის „ოტელო‘‘) როლის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად. ასევე წარმატებით ითამაშა ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე‘‘), მეფე ლირი (უ. შექსპირის „მეფე ლირი‘‘), კარლ მოორი (ფ. შილერის „ყაჩაღები‘‘),



ა. იმედაშვილი. ოტელო. უ. შექსპირის ,,ოტელო‘‘. 1915.

დათო (ა. სუმბათაშვილის „დალატი‘‘), ესტევანი (კ. მარჯანიშვილის მიერ 1922 დადგმული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო‘‘) და სხვ. ი. გამოირჩეოდა დიდი ტემპერამენტით, პროფ. კულტურით, დახვეწილი აქტიორული ტექნიკითა და სასცენო მეტყველებით. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. სცენაზე სწორი ქართ. მეტყველების დამკვიდრებაში. 1921-იდან მოღვაწეობდა კინოში; შეას-

რულა გელას („მოძღვარი“, 1922), ექიმის („ამოკი“, 1927), კარდინალ მონტანელის („კრაზანა“, 1928), ასტამირის („ელისო“, 1928) და სხვ. როლები. 0. იყო რეჟისორი, ანტრეპრენიორი, მთარგმნელი; სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის, ჭიათურის, ქუთაისისა და სხვა თეატრებს, მსახიობთა დასებს. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

თხზ.: მოგონებანი, თბ., 1963.

ლიტ.: ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი ა., ალექსანდრე იმედაშვილი, თბ., 1956; ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი ლ., ალექსანდრე იმედაშვილი, თბ., 1972.

ლ. ცაგარეიშვილი.

იმედაშვილი გაიოზ იოსების ძე (11. II. 1906, სოფ. ხაშმი, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 13. II. 1995, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1969). დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1929). 1935-იდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტში. იკვლევდა ძვ. ქართ. სას. და საერო მწერლობის, უპირატესად ,,ვეფხისტყაოსნის“, პოეტიკისა და სტილის საკითხებს. მის წიგნში ,,რუსთველოლოგია“ (1941) ისტ.-კრიტ. მიმოხილვასთან ერთად შეჯამებულია კვლევის ძირითადი ეტაპები და უმთავრესი პრობლემატიკა. ფუნდამენტური ნაშრომი ,,რუსთველოლოგიური ლიტერატურა“ (1957–65, 2002) შეიცავს 1712–1956 წლების ბიბლ. ანოტაციებს ,,ვეფხისტყაოსანზე“. 0-ის მუშაობის შედეგები განზოგადებულია გამოკვლევებში «,,ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა» (1968) და «,,ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ქართული მწერლობა» (1989). აღსანიშნავია 0-ის მონოგრაფიები: ,,ქართული საგალობლის პოეტიკის საკითხები“ (1960), ,,რაინდული რომანი ქართულ მწერლობაში“ (1965), ,,იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზები“ (1984), ასევე გამოკვლევები ძვ. ქართ. ეპიკური ძეგლებისა (,,ამირანდარეჯანიანი“, ,,სეილანიანი“, ,,სირინოზიანი“) და წერილები 0-ის თანამედროვე ქართვ. მწერალთა შემოქმედებაზე (ი. გრიშაშვილი, ტ. გრანელი, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გ. ტაბიძე და სხვ.).

თხზ.: ვისრამიანისა და ტრისტან-იზოლდას ურთიერთობისათვის, თბ., 1939; ქართული კლასიკური ხანის მწერლობის პატრიოტიკა, თბ., 1942; ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, «ლიტერატურული ძიებანი», 1944, [ტ.] 2; ძველი ქართული ენისა და სტილის მიჯნებზე, თბ., 1966; ,,Четыре солнца“ в ,,Слове о полку Игореве“, М.–Л., 1950.

ლიტ.: დ ო ღ ო ნ ა ძ ე ი., ოჯახური დინასტიები საქართველოში (ქართ., რუს., ინგლ. ენებზე), მ., 2004; კ ი კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., მე გადარჩენილი კაცი ვარ (გაიოზ იმედაშვილი), «ქართველოლოგია», 2014, №4; ჩ ხ ე ი ძ ე ო., ქართული სტილის ძიებაში, «ჩვენი მწერლობა», 2006, №5; ც ა ი შ ვ ი ლ ი ს., ლიტერატურული წერილები, თბ., 1977; ხ ა ჩ ი ძ ე ლ., სამშობლოს ჩრდილი, წგ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, თბ., 2012.

კ. იმედაშვილი.

იმედაშვილი იოსებ ზაქარიას ძე (23. III. 1876, სოფ. ხაშმი, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 5. V. 1952, თბილისი), მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ლექსიკოგრაფი. 1891 დაიწყო სწავლა თბილ. სახელოსნო-საზეინკლო სასწავლებელში, საიდანაც ორი წლის შემდეგ გარიცხეს მოსწავლეთა აკრძალულ წრეებში მონაწილეობისათვის. XIX ს. 90-იანი წლებიდან ეწეოდა რევ. საქმიანობას, რისთვისაც ორჯერ იყო დაპატიმრებული (1904, 1910). მეორე დაპატიმრებისას 4 წლით კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ ავადმყოფობის გამო მეტეხის ციხეში პატიმრობით შეუცვალეს. 1906 აირჩიეს I სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩევლად. 1905–06 ხელმძღვანელობდა ივრის ხეობის, ე. წ. ,,გარეკახეთის ერთობის“ რევ. მოძრაობას. 1892-იდან თავისი გვარ-სახელითა თუ ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებს, ფელეტონებს, მოთხრობებს, რეცენზიებს, ლექსებს და სხვ. ,,ივერიაში“, ,,ცნობის ფურცელში“, ,,კვალში“, ,,ნაკადულსა“ თუ ,,ჯეჯილში“. 1895-იდან დაიწყო წიგნების გამოცემა: შიო მღვიმელის ლექსები ,,ნატვრა“ (1896), ვაჟა-ფშაველას ,,ბახტრიონი“ (1897), ა. პუშკინის ქართ. თარგმანები (1899), მ. გორკის მოთხრობების პირველი ქართ. თარგმანები (1902); შეადგინა და გამოსცა ქართ. და ნათარგმნი პიესების ორი კრებული – ,,ცხოვრების სარკე“ (1899, 1901). 1903–04 წლებში გამოაქვეყნა სატირული რომანი ,,აახ-ვააახ“. 0. ავტორია რომანებისა: ,,განახლებული სიცოცხლე“ (1919–21), ,,ციბრუტა“ (1940). XX ს. 20-იან წლებში ცალკე წიგნებად გამოიცა მისი პიესები (,,ნამუსიანი ხალხი“, ,,ალების ცეკვა“, ,,მზე ჩაესვენა“ და სხვ.) და პოემები (,,მზეთამზე“, ,,მშვენიერა“). ავტორია აგრეთვე პიესებისა – ,,ი. ლაღიაშვილი“ (1920), ,,უკანასკნელი დედოფალი“ (1929); ისტ.-ბიოგრ. ნარკვევებისა ლ. აღნიაშვილსა და ი. როსტომაშვილზე; თარგმანებისა სომხ. და აზერბ. ენებიდან.


0. ნაყოფიერად იღვწოდა ლექსიკოგრაფიაშიც. მუშაობდა ,,ახალ სიტყვათა ლექსიკონსა“ და ,,ფსევდონიმთა ლექსიკონზე“.

0-ის ინტერესთა სფეროს განეკუთვნებოდა ქართული თეატრიც. იყო ავჭალისა (1893) და ავლაბრის მუშათა თეატრის (1902) ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რეჟისორი, 1910-იდან კი – ჟურნ. ,,*თეატრი და ცხოვრების*“ რედაქტორ-გამომცემელი.

თხზ.: ჩემი ცხოვრების წიგნი, კ. იმედაშვილის წინასიტყვაობით, თბ., 1978.

ლიტ.: ბ ა ქ რ ა ძ ე ა., ცოცხალი წარსული, ტ. 5, ბათ., 2004; გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ო., განმანათლებელი, «ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული», ტ. 1, ქუთ., 2009; გ ო მ ა რ თ ე ლ ი თ., სახალხო თეატრების ფარდასთან, თბ., 1990; დ ო ღ ო ნ ა ძ ე ი., ოჯახური დინასტიები საქართველოში, მ., 2004 (ქართ., რუს., ინგლ. ენებზე); ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი გ., იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზები, თბ., 1984; იოსებ იმედაშვილი. ავტობიოგრაფია, წგ.: მწერლების ავტობიოგრაფიები, წგ. 1, თბ., 2013; ჯ ა ნ ა შ ი ა რ., იოსებ იმედაშვილის უცნობი წერილები, «ბურჯი ეროვნებისა», 1999, №3–4.

კ. იმედაშვილი.




ი. იმედაშვილი.

იმედაშვილი კობა იოსების ძე (დ. 18. IV. 1935, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1958). პირველი კრიტ. წერილი ,,რატომ ჩამორჩება ლიტერატურული კრიტიკა“ გამოაქვეყნა 1955 (ე. ჩხენკელთან ერთად), პირველი წიგნი ,,ადამიანი და დრო“ – 1967. 1959-იდან მუშაობდა ქართ. ლიტ-რის ინ-ტში. სხვადასხვა დროს პარალელურად მუშაობდა რუსთაველის თეატრის სალიტ. ნაწილის გამგედ, თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში, იყო სახელმწ. ტელე-რადიოკორპორაციის, გაერთიანება ,,სხივის“ ხელმძღვანელი, ,,ჯ. სოროსის საგანმანათლებლო ჟურნალის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მთ. რედაქტორის მოადგილე, 1992–2003 – მთავარი სახელმწ. მრჩეველი სახელმწ. მეთაურის აპარატში, 1993–2003 – სახელმწ. კანცელარიის კულტ., მეცნიერების, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.



კ. იმედაშვილი.

0. ავტორია წიგნებისა: ,,ოცდაათი წლის შემდეგ“ (1977), ,,მონოლოგები და დიალოგები“ (1982), ,,მიჯნა“ (1987), ,,საუბრები“ (1990), ,,დიდი და ძნელი გამოცდე-



ლ. იმედაშვილი.



ი. იმედაძე.



ბი'' (1991) და სხვ. მისი კვლევის საგანია მ. ჯავახიშვილის, გ. რობაქიძის, ო. ჩხეიძის, ნ. დუმბაძის, ჭ. ამირეჯიბის და სხვათა შემოქმედება. გამოქვეყნებულია Ი-ის საბავშვო მოთხრობები: ,,ჩიორა'' (1969), ,,თომას თავგადასავალი'' (2010).

1993–95 გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებისათვის Ი-ს 1996 მიენიჭა საქართვ. სახელმწიფო პრემია.

თხზ.: ჩემი პირველი ქრესტომათია, თბ., 2010; ჩემი საუკუნე, თბ., 2016.

ლიტ.: დ ო ღ ო ნ ა ძ ე ი., ოჯახური დინასტიები საქართველოში, მ., 2004 (ქართ., რუს., ინგლ. ენებზე).

ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ლაშა კობას ძე (დ. 17. III. 1960, თბილისი), პროზაიკოსი, სცენარისტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1982). პირველი მოთხრობა 1978 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი – ,,პოეტური აღსარება'' – 1986. 1985–2000 მუშაობდა ქართ. ლიტ-რის ინ-ტში, 1997–2000 – პრეზიდენტის პრესსამსახურში, 2004–06 – ტელეკომპანია ,,იმედში''; 2008-იდან კი – თბილ. საკრებულოში საგარეო ურთიერთობათა განყ-ბის უფროსად. Ი. ავტორია წიგნებისა: ,,ქართული ბესტსელერი'' (1999), ,,იმიტაციური მწერლობა'' (2000), ,,იესოს საქმე'' (2001), ,,პატრიარქის ზაფხული'' (2007) და სხვ.; სცენარებისა კინოფილმებისათვის: ,,გუშინ, დღეს, ხვალ'' (1984), ,,ბარიერი'' (1985), ,,კიდევ ერთი ქართული ისტორია'' (2000), ,,მატარებელი'' (2001), ,,სკამი'' (2004) და სხვ. Ი-ის ნაწარმოებების ენა ლაკონიურია, სახიერი და დინამიკური, ძირითადი პრობლემა – ადამიანის პიროვნული თავისუფლება. მის შემოქმედებაში ასახვა პოვა ძველმა და ახალმა თბილისმა თავისი ბოჰემური ტიპაჟებით, სპეციფ. ენითა და ჩვეულებებით. ამ მხრივ გამოირჩევა რომანი ,,თბილისური ამბავი'' (2012).

Ი-ს მიღებული აქვს ლიტ. პრემიები: ,,საბა'' (2007) – საუკეთესო პროზაული კრებულისათვის ,,სამი მკვლელობა ძველ თბილისში'' და ,,ხერთვისი'' (2007) – საუკეთესო ლიტ. ნაწარმოებისათვის პატრ. თემაზე ,,თვითნასწავლ პატრიოტთა თაობა''; საერთაშ. კინოფესტივალ ,,ოქროს არწივის'' პრემია საუკეთესო სცენარისათვის (1995; ფილმი ,,მიზერერე''); გაეროს ბავშვთა ფონდის პრემია ბავშვთა უფლებების შესახებ საუკეთესო ნაწარმოებისათვის (2000).

2013 Ი. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲔ ირაკლი ვლადლენის ძე (დ. 2. I. 1952, თბილისი), ფსიქოლოგი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის წ.-კორ. (2009). ფსიქოლ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (2001). დაამთავრა თსუ-ის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკ-ტი ფსიქოლ. სპეციალობით (1973). თსუ-ის პროფესორი (2015). არის საქართვ. განათლების მეცნ. აკად. და საქართვ. ფილოს. მეცნ. აკად. წევრი. წლების განმავლობაში მუშაობდა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. ინ-ტში. ხელმძღვანელობდა განწყობის ფსიქოლ. ლაბორატორიას (1985–89), ზოგადი ფსიქოლ. განყ-ბას (1989–90), ფსიქოლ. ისტ. ლაბორატორიას (1990–2006); იყო ფსიქოლ. ინ-ტის დირექტორი (2006–12), საქართვ. ფსიქოლ. საზ-ბის პრეზიდენტი (1991-იდან). დ. უზნაძის პრემიის ლაურეატი (2005).

Ი-ის შრომები ეხება თეორ. ფსიქოლ. სხვადასხვა საკითხებს: განწყობის ფსიქოლოგიის, ფსიქოლ. ისტორიისა და მეთოდოლოგიის, ქცევის, მოტივაციის, პიროვნებისა და განვითარების ფსიქოლ. სფეროდან. მასვე ეკუთვნის ქცევის პოლიმოტივაციის ორიგინ. მოდელი. გამოთქმული აქვს მნიშვნელოვანი მოსაზრებები განწყობის ზოგად-ფსიქოლ. თეორიის ანალიზისა და განვითარების შესახებ. გამოკვლეული აქვს მსოფლიო ფსიქოლ. აზრის განვითარების ისტორია. Ი-ს ეკუთვნის რამდენიმე სახელმძღვანელო, რ-ებითაც მიმდინარეობს სწავლება საქართვ. უმაღლეს სასწავლებლებში.

თხზ.: ფსიქოლოგიის შესავალი, თბ., 2001 (თანაავტ.); XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები, თბ., 2004; ფსიქოლოგიის ისტორია, თბ., 2008; ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2005, 2011; გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში, თბ., 2013; ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე, თბ., 2014; Категория поведения в теории установки, Тб., 1991; Uznadze's scientific body of work and problems of general psychology, «Journal of Russian and East European Psychology», 2009, vol.47.

ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲔ ნათელა ვალერიანის ასული (დ. 2. VI. 1929, თბილისი), ფსიქოლოგი. ფსიქოლ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1986). დაამთავრა თსუ-ის ფილოსოფია-ფსიქოლ. ფაკ-ტი ფსიქოლ. სპეციალობით (1952). 1957–78 მუშაობდა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. ინ-ტში. 1973–2006 ხელმძღვანელობდა ფსიქოლ. კათედრას თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტში. არის ილიას სახელმწ. უნ-ტის პროფესორ-ემერიტუსი, საქართვ. განათლების მეცნ. აკად. წევრი (2001). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი ქართულ და უცხოურ ენებზე.

Ი. არის ფსიქოლინგვისტიკისა და ემოციების ფსიქოლოგიის სპეციალისტი. საერთაშ. აღიარება მოუტანა ბილინგვიზმის ფუნდამენტური ფსიქოლ. მექანიზმებისა და მეორე ენის ათვისების ასაკობრივ კანონზომიერებათა შესწავლამ. აღნიშნული პრობლემატიკა გააზრებულია განწყობის თეორიის პოზიციიდან. იკვლევდა ბავშვთა ემოციებს. შექმნა ბავშვთა შფოთვის გაზომვის პროექციული მეთოდიკა, რ-იც გამოიყენება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. შეისწავლა მოზარდთა შფოთვის დაძლევის სტრატეგიები.

თხზ.: ემოციური აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ., 1973; Психологические вопросы усвоения русского языка в грузинской школе, Тб., 1966; Экспериментально-психологические исследования овладения и владения вторым языком, Тб., 1979; The acquisition of Georgian, კრ.: The Crosslinguistic Study of Language Acquisition, N. Y., 1994.

„ᲘᲛᲔᲓᲘ“, ქართველი ხალხოსნების ყოველთვიური ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1881 იანვრიდან 1883 მარტამდე. სულ დაიბეჭდა 27 ნომერი 20 წიგნად. ,,Ი.'' განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გლეხობის ყოფა-ცხოვრების ასახვას თანამედროვეობასა და ისტ. წარსულში, მოითხოვდა აგრ. საკითხების გადაწყვეტას სახელმწიფოებრივი სისტემის შეცვლის საფუძველზე. ჟურნალი მკვეთრად გაემიჯნა იმჟამინდელ ლიბერალურ შეხედულებებს – იბეჭდებოდა მ. ასათიანის, ს. ჭრელაშვილის, მ. გურგენიძის, ა. ფურცელაძისა და სხვათა წერილები; აგრეთვე ს. მგალობლიშვილის, ზ. გულისაშვილისა და სხვათა მოთხრობები; ვაჟა-ფშაველას ადრინდ. შემოქმედების ნიმუშები; დ. აბდუშელიშვილის ბიბლიოგრაფიები (რედ.-გამომცემელი – მ. გურგენიძე).

ლიტ.: კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4, თბ., 1986; ხ უ ნ დ ა ძ ე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 11, ტფ., 1927; ჯ ო რ ჯ ა ძ ე ა., წერილები, თბ., 1989. *ს. ხუცოშვილი.*

„ᲘᲛᲔᲓᲘ“, ყოველთვიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1908 გაზ. ,,*ეკალის*'' ნაცვლად. სულ გამოვიდა 14 ნომერი (რედ.-გამომცემელი – ი. გაჩეჩილაძე). გაზეთში სხვა მასალებთან

ერთად დაბეჭდილია ლ. ტოლსტოის ზოგიერთი მოთხრობა და სტატიები. დაიხურა თბილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით.

ი. ლორთქიფანიძე.

„იმედი“, შპს ,,ტელეიმედი‘‘, ტელეკომპანია. დაარსდა 2001, მაუწყებლობს 2003 წ. 15 მარტიდან (დამფუძნებელი – ჰოლდინგი ს. ს. ,,O-მედია‘‘ ბ. პატარკაციშვილის ხელმძღვანელობით).

ტელეკომპანიის ტექ. ხარისხს უზრუნველყოფს თანამედროვე სატელევიზიო ტექნოლოგიები. ინგლისურმა კომპანიამ ,,On – Air Systems‘‘ ,,O-ის‘‘ მაუწყებლობისათვის დაამონტაჟა ავტომატიზებული სისტემა, ფირმა ,,Rhoda Schwarz‘‘ კი ტელესიგნალის გავრცელებაზე ზრუნავს.

,,O-ს‘‘ კონსულტაციას უწევდნენ ჟურნალისტები: ვ. პოზნერი და კ. ლეგატი, ამერ. საკონსულტაციო კომპანია ,,Quadrant Entertaiment Group‘‘ და ნორვეგიული კომპანია ,,Teleplan‘‘.

საქართველოს ძნელადმისადგომმა რეგიონებმა სატელევიზიო სიგნალი პირველად ,,O-ის‘‘ მეშვეობით მიიღეს. 2004 ,,O.‘‘ ოლიმპიური თამაშების ექსკლუზიური მომწოდებელი იყო საქართველოს ტერიტორიაზე. მაუწყებლობს 24-საათიან რეჟიმში. მის გადაცემათა ბადეში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საინფორმაციო და მუსიკალურ-გასართობ პროგრამებს, სერიალებსა და მხატვრულ ფილმებს, თოქ- შოუებს. 2007 წ. 7 ნოემბერს, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ფონზე, საქართვ. ხელისუფლებამ ტელეკომპანიის საქმიანობა ძალადობრივი მეთოდით დროებით შეაჩერა. ამჟამად ტელეკომპანია აგრძელებს ფუნქციონირებას.

იმერა, სოფელი წალკის მუნიციპალიტეტის ბარეთის (ყოფ. ბაშქოი) თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), ბედენის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 1600 *მ,* წალკიდან 11 *კმ.* 317 მცხ. (2014).

სოფელში დგას XI ს. პეტრე-პავლეს ეკლესია.

იმერეთი, 1. ფართო მნიშვნელობით დასავლეთ საქართველოს ისტორიული სახელწოდება, ისევე როგორც ეგრისი, ლაზიკა, კოლხეთი, აფხაზეთი; 2. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე (ადმ.-ტერ. დაყოფა იხ. სტ-ში *იმერეთის რეგიონი*). ეთნოგრაფიულ O-ს აღმ-იდან ქართლისგან ლიხის ქედი გამოყოფს, სამხრ-ით სამცხე ესაზღვრება, ჩრდ-ით – რაჭა და ლეჩხუმი, დას-ით – სამეგრელო, ხოლო სამხრ.-დას-ით – გურია. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან – O., ე. ი. ლიხსიქითა მხარე. გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ ტერმინი ,,იმერეთი‘‘ მომდინარეობს ,,იბერების‘‘ სატომო სახელიდან. XV ს. II ნახ-იდან O. დამოუკიდებელი ფეოდ. სამეფო იყო (იხ. სტ. *იმერეთის სამეფო*).

აღმ. საქართველო თუ ქართულ წყაროებში ამერეთად (ლიხის ქედის ამიერ მხარედ) იწოდებოდა, დას. საქართველოს (ლიხის ქედის იმიერ მხარეს) O-ს უწოდებდნენ. XIX ს-ში აღმ. საქართველოში მცხოვრებთათვის ,,იმერელში‘‘ დას. საქართველოს ყველა მკვიდრი მოიაზრებოდა. დას. და აღმ. საქართველოში მცხოვრები ქართველების აღსანიშნავად ქართველი ისტორიკოსებიც ხშირად ,,იმერნი და ამერნის‘‘ ხმარობდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: ,,...ძლიერისა ბრძოლითა მოსწყდნენ მრავალნი იმერნი და ამერნი‘‘. ასე რომ ,,იმერეთი‘‘ მომდინარეობს სიტყვიდან ,,იმიერი‘‘ (შემოკლებით – იმერ), რაც ქართული საისტ. წყაროებით გულისხმობს იქითას, გაღმას, გადაღმას, მიღმას.

O. ორ ნაწილად – ზემო იმერეთად და ქვემო იმერეთად იყოფა. ზემო O. ქართლ-იმერეთის ქედიდან იწყება და აღწევს იმ ადგილამდე, სადაც მდინარეები ყვირილა (ჩრდ.) და ხანისწყალი (სამხრ.) მდ. რიონს ერთვის. ქვემო O. მოიცავს ტერიტორიას მდ. ყვირილის შესართავიდან მდ. ცხენისწყლამდე. ქვემო O. კოლხეთის დაბლობზეა გაშლილი. ის მეტნაკლებად პლატოა, ვაკეა, ხოლო ზემო O. მთაგორიანი მხარეა. გარდა ზემო და ქვემო O-ისა, გამოიყოფა აგრეთვე *ოკრიბა*.O-ის ცენტრია ქ. ქუთაისი. XVIII–XIX სს. მიჯნაზე O-ში 120 ათ. მცხოვრები იყო.

,,ზემო იმერეთი‘‘ ფეოდ. ხანის გვიან საუკუნეებში გაჩენილი ტერმინია. უფრო ადრე O-ის აღმ. მხარის სახელწოდება არგვეთი (მარგვეთი) იყო. შემდეგ თანდათან ,,არგვეთი‘‘ დღევანდელი O-ის აღმ. ნაწილს ეწოდა, ხოლო დას. ნაწილს კი – ,,სამოქალაქო‘‘. ,,იმე-



ზემო იმერეთი. სოფელი მორძგვეთი,

რეთს‘‘ პირველად იხსენიებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: ,,მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს‘‘.

ეთნოგრაფიულად ზემო და ქვემო ი. განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რასაც, უპირველეს ყოვლისა, რელიეფი, ბუნებრივ-გეოგრ. გარემო და კლიმატი განსაზღვრავდა. ზემო ი-ში ზაფხული ზომიერად გრილია, ხოლო ზამთარი შედარებით ყინვიანი. აქ ჰავა უფრო მშრალია, რელიეფი ხასიათდება გორებისა და ხეობების სიხშირით. ამდენად, ზემო ი-ში მეტწილად ხევური დასახლებაა. ქვემო ი-ში, რ-იც კოლხეთის დაბლობის გაგრძელებას წარმოადგენს, ზამთარი და ზაფხული უფრო თბილია. აქ დასახლება გაშლილ ვაკეზე მდებარეობს და ეზო-კარმიდამო დიდია.

არგვეთში (ზემო ი-ში) ძირითადად მევენახეობა და მესაქონლეობა იყო გავრცელებული. ვაზის კულტურა მაღლობ ადგილებში კარგად იყო განვითარებული (ვანი, ბაღდათი, ჭიათურა, საჩხერე, ხარაგაული). იმერელი გლეხები ძირითადად ფეტვის მჭადით იკვებებოდნენ. ფეტვის გამშრალ თავთავებს ჩამურში ცეხვავდნენ. იმერეთის ჩრდ.-დას. რ-ნებში გვიანბრინჯამდე შემოინახა ხორბლის ძველი ჯიშებიც: მახა, იფქლი, ზანდური, კენტტხილა. 1578 ქუთაისის საყდრის დავთრის მოხედვით ქვემო იმერელი გლეხები სწირავდნენ: ღვინოს, საკლავს, ღომს, ფეტვს, გოჭს, ქათამს, ყველს, კვერცხს, თევზს. ქვემო (ვაკე) ი-ში წამყვანი კულტურებია მცენარეები: დაფნა, ლეღვი, ხურმა და სხვ. ი-ის პლატოზე მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებს, ი-ში მარცვლეულის ყველა ჯიში ითესებოდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ,,სთესენ ღომსა ფრიად და გამოიზრდებიან მით‘‘. მოგვიანებით ი-ში მარცვლეული კულტურებიდან სიმინდის მოყვანამ წამყვანი ადგილი დაიკავა, რამაც უკან გადასწია ტრად. მარცვლეული კულტურები – ხორბალი, ქერი და ფეტვი. ი-ში ყანების დამუშავების ნადური ფორმა არსებობდა. ბარის სოფლებში ბამბასაც თესდნენ (თითქმის ყველა ოჯახი), რ-საც ტანსაცმლისა და ლოგინისათვის იყენებდნენ.

ი-ში მესაქონლეობა მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. ძროხა უზრუნველყოფდა ოჯახს რძის პროდუქტებით, ჰყავდათ ცხვარი და თხაც. *იმერული ცხვარი*, რ-იც კარგი გამრავლების უნარით, ნაზი მატყლითა და ხარისხიანი ხორცით გამოირჩევა. ამას 1578 ქუთაისის საყდრის დავთარიც ადასტურებს. ხანისწყლის ხეობის საეკლ. გლეხებს მატყლის გადასახადი ჰქონდათ დაკისრებული. ი-ის თითქმის ყველა სოფლის მკვიდრი თუ დიდი რაოდენობით იხდიდა ღვინოს (13-იდან 25 კომკამდე), ხანისწყლის ხეობის სოფლების (კორხითის, პიტინისხევის, ხოლასკურის, ალისმერეს) მცხოვრებნი ამ გადასახადისაგან თავისუფალი იყვნენ, სამაგიეროდ მათ შეწერილი ჰქონდათ გადასახადი იფქლზე, პურზე, სანთელზე. აქვე მეცხენეობის მაღალი დონის დამადასტურებელია ისიც, რომ მათ ევალებოდათ ,,ცხენით სამსახური‘‘, ,,ყოვლის დღით ულაყით სამსახური‘‘ და ,,მეულაყეობაჲ‘‘.

ი-ში საცხოვრებელი სახლები ძირითადად ხის იყო, რასაც აქაური კლიმატური პირობები (ტენიანობა) და ფლორა (ტყის სიხშირე) განაპირობებდა. გვხვდებოდა როგორც ერთსართულიანი, ისე ორსართულიანი *ოდა-სახლები*. ოდასთან ახლოს, ეზო-კარმიდამოში, განცალკევებით იდგა სამზარეულო სახლი, რ-შიც საჭმელს ამზადებდნენ.

ზემო ი-ში მთლიანად და ქვემო ი-ის მაღლობ ადგილებში ძირითად სატრანსპორტო საშუალებას ჩოჩიალა, ანუ აჩაჩა ურემი წარმოადგენდა. მისი კონსტრუქციული თავისებურება თრევისა და გორვის პრინციპის შეერთებას წარმოადგენდა. მის წინა ნაწილში მოთავსებული ფრჩხილები, რ-ებიც მიწაზე ეთრეოდა, სრიალებდა და მუხრუჭის ფუნქციას ასრულებდა. ღობეები წნულისაგან კეთდებოდა. ჭიშკარი ფიცრული ჰქონდათ.

XVII ს. შუა ხანებში ი-ში ნამყოფი რუსი ელჩი. ა. იევლიევი ი-ის დასახლებების შესახებ წერდა: ,,სოფლები და დაბები, აგრეთვე თვით სოფლებსა და დაბებში სახლები, ერთმანეთისაგან დაცილებულია, გაფანტულია ბორცვებზე, დაბლობებზე, მთებს შორის და მთებზედაც. სადაც წყაროებია, მათი დასახლება იქ არის და სახნავ-სათესიც. მხოლოდ მიჯრით, ერთად კი არ არიან დასახლებულები, არამედ ორი, სამი, ათი, ოცი კომლი და ესენიც ერთმანეთისაგან ერთი ისრის ტყორცნის მანძილით არიან დაშორებულები. ყოველ ეზოს გარშემორტყმული აქვს ყოველგვარი ხილეული და ვაზი, ისე გეგონება, ტყეში ცხოვრობენ, არც კი მოჩანს‘‘. ი-ში დასახლების ფორმის შესახებ საფრანგეთის მეფის კონსული ჟაკ ფრანსუა *გამბაც* მოგვითხრობს, რ-იც 1820—24 იმყოფებოდა საქართველოში: ,,იმერლები სამეურნეოდ დაბლობს იყენებენ, მაგრამ სახლ-კარად მაღლობ პლატოებს ირჩევენ წყაროებთან ახლოს. ციებისაგან თავის დასაცავად ამ წინდახედულობის გარდა... სახლებში ცეცხლი მუდმივად დღედაღამ უნთიათ. ეს ჰაერის გაწმენდის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა და, ამასთანავე, მიწის სინესტესაც შთანთქავს... ხორცს მაინცდამაინც არ ეტანებიან; ძალზე უყვართ მჟავე. ღვინოს ბევრს სვამენ. მათი ტანსაცმელი, განსაკუთრებით კი თხის ბეწვისაგან დამზადებული ქეჩის მოსასხამები, ტემპერატურის მკვეთრ დაცემას მათ იოლად გადაატანინებს ხოლმე. ამის გამო მათ ციება არ ემართებათ. სწორედ ამან შეუნარჩუნა ამ ხალხს სილამაზე და სილაღე, რის გამოც მათ ადამიანთა მოდგმის ნიმუშად თვლიან...‘‘ არანაკლებ ხოტბას ასხამდა აქაურ მკვიდრებს გერმანელი მოგზაური მ. *ვაგნერი* (იმოგზაურა 1843–46): ,,ქუთაისის იმერელ მოსახლეობაში ამოიცნობა ქართული ძირითადი ტიპი, მაგრამ სახის ნაკვთები გამომეტყველია და კეთილშობილი. იმერელი მამაკაცებისა და ქალების სილამაზე განთქმულია. მათი სწორი, თხელი, კეთილშობილი ფორმები სხეულის ნამდვილი სანატურო მოდელებია... ასევე სახის სილამაზით მსოფლიოს ცოტა ხალხები თუ შეედრებიან ძველი კოლხეთის მაცხოვრებლებს – იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის მკვიდრთ. თვით ამაყი ჩერქეზი მამაკაცებიც კი უკან დგანან... უღარიბეს ქოხში ხანდახან შეხვდები ჭრელი ძონძებით დაფარულ ქალს, რომლის მშვენიერი სხეული, მარმარილოში გამოკვეთილი, არაფრით ჩამოუვარდება პიტის სასახლეში ვენერას ქანდაკებას...‘‘

ი-ის ლანდშაფტი (უსწორმასწორო რელიეფი და ტყე), ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდა ქართლიდან და სამცხიდან მტრის შესვლას. ის ი-ის მოსახლეობას მტერთან ბრძოლას უადვილებდა.

ქართლი და კახეთი კი, ამ მხრივ, შემოსული მტრისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო, რაც ადგილობრივი მოსახლეობის შემცირებას ან მიგრაციას იწვევდა. დემოგრაფიულად გაპარტახებულ ქართლსა და კახეთს, მთასთან ერთად, დას. საქართველოს, პირველ რიგში, ი-ის ნამატი მოსახლეობა ავსებდა. ეს პროცესები ერთჯერადი არ იყო – ის საქართველოს მთელი ისტორიისათვის იყო დამახასიათებელი.

ზემო ი-ში დიდი რაოდენობით ამზადებდნენ გობებსა და ჯამებს, რ-ებიც XIX ს-ში სოფ. პერევიდან კალოობისას ქართლშიც გაჰქონდათ გასაყიდად. სკივრების (ზანდუკების) დამზადებით ცნობილი იყო ზემო ი-ის სოფ. მოხვი. აქ წელიწადში 2500 სკივრს აკეთებდნენ. XIX ს-ში ამ ნივთზე დიდი მოთხოვნა იყო, რადგან მას მზითევში ატანდნენ.

იმერლები ხის დახელოვნებული მუშაკები იყვნენ. ამზადებდნენ ხის სას.-სამ. იარაღს, საოჯახო დგამ-ჭურჭელს, წნავდნენ კალათებს, გოდრებს, მეტად განვითარებული იყო მეჭურჭლეობა, ქვის კარიერის დამუშავება, ფეიქრობა. აქ თიხის ჭურჭლის ნაწარმის არაერთი ცენტრი არსებობდა (შროშა, ტყემლოვანა, ოკრიბა, ვანი). XI ს-ში რაჭაში ფართოდ გამოიყენებოდა არგვეთის სოფ. ნავარძეთში დამზადებული ჭურები.

ოკრიბის მიკრორაიონში უძველესი დროიდან მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ რკინას, აგრეთვე ძვირფას მინერალს – გიშერს. ოკრიბელებს გიშრის დამუშავების ხელობა მამა-პაპით მოსდგამდათ. ოკრიბული გიშერი საქართველოს გარეთაც გადიოდა. მას ავი თვალისაგან დაცვის თვისებასაც მიაწერდნენ. ოკრიბაში უხვად მოიპოვებოდა ქვა, რისგანაც საცეხველს ამზადებდნენ. საცეხველში ძირითადად მარცვლეულს (უფრო ღომს), აგრეთვე სელს, მარილს, საჭმლის შესაზავებელ სუნელებს აქუცმაცებდნენ, ცეხვავდნენ არყის გამოსახდელ ხილს.

ი-ის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო მევენახეობა-მეღვინეობა. აქაურ გლეხებს საუკუნეების განმავლობაში ვაზის 75-ზე მეტი ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი. ძველთაგანვე გავრცელებული იყო როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ საყრდენზე გამართული ვენახი, მაღლარს დაბლარი ენაცვლებოდა. ზოგან ვაზი ხეზეც ჰქონდათ აშვებული და მაღალ ბოძებზეც. ი. არის თავისებური გარდამავალი რეგიონი აღმ. და დას. საქართველოს შორის, სადაც მევენახეობის დარგში განვითარდა ორივე მხარისათვის დამახასიათებელი კულტ.-სამეურნეო ტრადიციები. XIX ს. ბოლოს ფრანგი ბარონი დე ბაი წერდა: ,,ვაზი ამ ქვეყანაში ყველა მცენარეთა დედოფალია, ხოლო ღვინო ადამიანისათვის ნამდვილ კულტს წარმოადგენს‘‘.

ი-ში საკმაოდ განვითარებული იყო მეფრინველეობა, მელორეობა, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.

ამ უკანასკნელის შესახებ ა. იევლიევი წერდა: ,,იმერეთსა და სადადიანოში ყაჭი (აბრეშუმი) ყველა ქალაქშია გავრცელებული და ყოველი ადამიანი თავისას ყიდის, ვის როგორც შეუძლია. ყაჭი იაფია... უცეცხლო თაფლი უზომოდ იაფია...‘‘

ი-ში ჭურ-მარანი გარეთაა მოწყობილი, ცოტა შემაღლებულ ადგილზე და გარშემო ხეებითაა შემოჩრდილული, რადგან ტენიან ნიადაგიან რეგიონში შენობაში ქვევრების ჩაყრა საზიანოა ღვინისთვის, უმზეობა მას შმორის სუნსა და გემოს სძენს. არცთუ იშვიათია ვაზის ტალავერით დაჩრდილული ჭურისთავი, რ-იც ჰერმეტულად იხურება. მას თავდაპირველად ხის ქერქის ოფიჭო ახურავს, შემდეგ ხის მრგვალი სარქველი – ბადიმი აფარია, ბადიმზე ზემოდან აყალო მიწაა მოტკეპნილი და ბოლოს ფხვიერი მიწაა მოყრილი. იქვე ჭურთან ხის ან ქვის მარანია, რ-შიც ძირითადად ჭირნახული ინახება. არცთუ იშვიათია სამი მხრიდან დახურული ,,პირღია‘‘ მარნები, რ-თა ფასადის მხარე ჭურისთავისკენ ღიაა. მარნის ძირითადი ატრიბუტია ყურძნის ფეხით დასაწური, ხშირად ხის მორისგან გათლილი საწნახელი. იყენებდნენ ,,გაკუთხულ‘‘, ანუ ორივე მხრიდან ბრტყლად გათლილ საწნახელსაც.

ი-ში მექვევრეობის რამდენიმე მნიშვნელოვანი კერა არსებობდა. ასეთებია: *შროშა,* ბოსლევი, დიდწიფელა, ჩხიროული, ნავარძეთი... შროშა დღესაც ხალხური კერამიკული წარმოების უმნიშვნელოვანესი კერაა საქართველოში. ამ სოფლის მოსახლეობის ერთ-ერთ უმთავარეს საქმიანობას მეთუნეობა წარმოადგენს. ჭურჭელს გლეხი მიწათმოქმედებისაგან მოუწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში აკეთებდა. ეს დარგი პროფესიულ დონემდე ჰქონდა აყვანილი და შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან წყაროსაც წარმოადგენდა.

საქართველოში პოპულარულია *იმერული ყველი,* რ-იც ძროხის რძისაგან მზადდებოდა.

ტრადიციული იყო ი-დან გარე სამუშაოზე სიარული, რასაც მცირემიწიანობა განაპირობებდა. ამ მიზნით ისინი განსაკუთრებით ქართლისაკენ მიეშურებოდნენ.

ი-ში ხელოსნობისა და შინამრეწველობის რამდენიმე ცენტრი არსებობდა. იგივე შეიძლება ითქვას სავაჭრო პუნქტების შესახებ (ქუთაისი, შორაპანი, ვარციხე და სხვ.). ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად მიიჩნეოდა ,,წიქვაძის ფონი‘‘, რ-იც სამტრედიიდან სამხრ.-აღმ-ით 3 *კმ*-ში მდებარეობდა. ეს რიონის ყურე იყო და ამ გვარს ეკუთვნოდა. აქ, მდ. რიონზე გამართული იყო ,,საქვემორო ნავები‘‘. ,,წიქვაძის ფონთან‘‘ დაკავშირებულ ვანის რაიონს და ,,მთის ძირის‘‘ მოსახლეობას აქ ჩამოჰქონდა სიმინდი, ლობიო, ნიგოზი, ხილი, ჩირი, ღვინო, შალი, თავშალი, რ-ებიც ხსენებული ნავებით გადაჰქონდათ ქერჩსა და თურქეთში. საქვემორო ნავების სიდიდეზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მას 12 კაცი მართავდა. სავაჭრო ცენტრი XIX ს. 80-იან წლებამდე არსებობდა.

ცნობილია იმერული სტუმარმასპინძლობის წესები. იმერელი გლეხკაცი თავისი ქცევითაც გამოირჩეოდა. ბარონი დე ბაი ქუთაისში სტუმრობისას აღნიშნავდა, რომ ,,სტუმართმოყვარეობა ამ ქვეყანაში დიდი ყურადღებითა და ელეგანტურობით გამოირჩევა. იგი ღებულობს სიდიადის ორმაგ ხასიათს, რადგანაც აქ უცხოელებს პატივს სცემენ განსაკუთრებულად, მეტად მიმზიდველი თავაზიანობით. ამ მიღებაზე სტუმრებს ისე ეპყრობიან, როგორც დიდი ხნის მეგობრებს‘‘.

ი-ში მთელ რიგ აგრარულ დღესასწაულებს აღნიშნავდნენ. მაგ. ზემოიმერული *კოხიჯრობა,* რ-იც ამაღლების ორშაბათს ემთხვეოდა.

ძველად ი-ში წელიწადში ერთხელ თითქმის ყველა ოჯახი იხდიდა ,,სამხთო წირვას‘‘, რ-ის დროსაც ღმერთს ევედრებოდნენ პურ-ღვინის ბარაქას. ,,საანგელოზო ჭური‘‘ განკუთვნილი იყო ოჯახის მფარველი ანგელოზისათვის.

ოჯახის ანგელოზის პატივსაცემად მსხვერპლის შეწირვა ყოველწლიურად მაისის თვეში ხდებოდა. ამ დროს ოჯახებში განსაკუთრებული მზადება იყო – აცხობდნენ ხაჭაპურებს, რ-შიც ყველთან ერთად დებდნენ ცხრა სახის ბოსტნეულს; კლავდნენ ქათმებს. კვერებს და ქათამს გობზე დააწყობდნენ. საღამო ხანს მამაკაცები ჭურთან მიდიოდნენ და მის გარშემო იჩოქებდნენ. ოჯახის უფროსი აიღებდა გობს ანთებული სანთლებით და იწყებდა ლოცვას. ოჯახის ანგელოზს შესთხოვდა ყოფილიყო მფარველი და დამცველი მისი ოჯახისა. ლოცვის დამთავრების შემდეგ ჭურს მოხდიდნენ და ღვინოს შესვამდნენ.

ქართული ტრადიციები ბუნებასთან, ლანდშაფტთან, კლიმატთან გლეხი კაცის შემოქმედებითი ურთიერთობის შედეგად ჟალიბდებოდა. საამისოდ Ი-ში (და, საერთოდ, დას. საქართველოში) ქალების შუბლზე წაკრული მოსახვევი შეიძლება დავასახელოთ. აქ ქალები, უმეტეს შემთხვევაში, შუბლშეხვეული, შუბლწაკრული საქმიანობდნენ. ქალებს ხშირად უწევდათ გარეთ გასვლა, ამიტომ, ზამთარში სითბოდან გახურებული შუბლით სიცივეში გასვლა თავის გაციებას და ტკივილს იწვევდა, ხოლო წაკრული შუბლი სიცივის დროს სითბოს შენარჩუნებას უწყობდა ხელს. ზაფხულში კი, ცეცხლთან ტრიალის დროს თავს ზედმეტი სიმხურვალისაგან იცავდა.

Ი-ში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ნათესაური ურთიერთობების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გვარი იყო. აქ გვარის საუკუნოვანი არსებობის დამადასტურებელია გვარის დანაყოფები, რ-ებიც მისი სეგმენტაციის შედეგადაა მიღებული. იმერეთში გვარის დანაყოფების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გვქონდა: ბაბუიშვილობა, საგნებელი (ანუ მისაგნებელი) გვარი და ბუნე (ბუნი). Ი-ის სოფლებში ტრადიციულად გვარები და გვარის დანაყოფები უბნებად ცხოვრობდნენ. აკრძალული იყო ერთი გვარის წარმომადგენელთა ერთმანეთზე დაქორწინება.

Ი-ში კანონიკური ქრისტიანული სახელები იყო გავრცელებული, მაგრამ საისტორიო საბუთებით ირკვევა, რომ გვიანობამდე არქმევდნენ ძვ. ქართულ სახელებსაც. 1790—1803 ხონის საყდრის ბეგარის დავთარში გვხვდება შემდეგი სახელები: ახალკოჩა, ბუჭუელა (ბუჭუა), დედულა (დედულიკა), ლეკჯელა (ლეკჯა), მამისთუალა, მოზვერა. ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, იმერეთშიც ნათლობის შემდეგ იყენებდნენ არაქრისტიანულ სახელებს და რადგან ხალხი მათ ამ სახელებით სცნობდა, საბუთებშიც მეტსახელებით შეჰყავდათ.

Ი-ში ქართული საეკლ. არქიტექტურიდან აღსანიშნავია *ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი*, სადაც მოქმედებდა *გელათის აკადემია, კაცხის სვეტი, კაცხის ტაძარი, მღვიმევის* მონასტერი, *უბისის* მონასტერი და სხვ., საერო არქიტექტურიდან – *გეგუთის სასახლე*, რ-იც არა მარტო მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია, არამედ სამონადირეო ცენტრიც იყო.

ლიტ.: გაბუნია ლ., მევენახეობა იმერეთში. – მასალები საქართველოს ეთნოლოგიისათვის, XVIII, თბ., 1975; გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების კულტურა იმერეთში. – მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1978; თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017; კაკაბაძე ც., შროშული კერამიკა (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1982; კახიანი კ., გლეხის კარმიდამო იმერეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1964; რუხაძე ჯ., ხანი იმერეთის ხევსურეთია, თბ., 1989; მისივე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976; შავიანიძე დ., ოკრიბა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ქუთაისი, 2005; ჯალაბაძე ნ., მემინდვრეობა იმერეთში. – მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1978.

რ. თოფჩიშვილი.

„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“, ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა; გამოდიოდა 1912 წ. 26 სექტემბრიდან 1915 წ. 4 აგვისტომდე ქუთაისში, გაზ. „კოლხიდის“ ნაცვლად. რედ.-გამომცემლები – გ. ჭელიძე (1912–13; 1914-ის №№ 01–86; 1915); ბ. ჯაიანი (1914 №№ 87–150). 1914 წ. 22 აგვისტოდან გამოდიოდა «გაზეთ „იმერეთის“ დეპეშები» დღეში ორჯერ, დილა-საღამოს, ქართ. და რუს. ენებზე. „Ი-თან“ თანამშრომლობდნენ ნ. *ლორთქიფანიძე*, ვ. წერეთელი, დ. ჩიანელი, გ. გველესიანი, ს. ქვარიანი, ა. პაპავა, ვ. კაკაბაძე, ი. გოგია, ტ. ჯაფარიძე და სხვ.

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ 157-Ე ᲥᲕᲔᲘᲗᲘ ᲞᲝᲚᲙᲘ, რუსული საიმპერატორო არმიის სამხედრო ერთეული. დაარსდა 1863 წ. 6 ნოემბერს სახელწოდებით „იმერეთის ქვეითი პოლკი“. თავდაპირველად შედგებოდა სამი, ხოლო 1879 აპრილიდან – ოთხი ბატალიონისაგან.

1864 წ. 25 მარტს ეწოდა „იმერეთის 157-ე ქვეითი პოლკი“. თავი ისახელა 1877–78 რუსეთ-ოსმალეთის ომში. I, II და III ბატალიონებს ებოძათ წმ. გიორგის დროშა წარწერით – „ყარსის აღებისათვის 1877 წლის 6 ნოემბერს“, ხოლო ჯარისკაცებს კი ქუდებზე ნიშანი წარწერით – „წარჩინებისათვის 1877 და 1878 წლების თურქეთის ომში“.

ლიტ.: Хроника кавказских войск, в двух частях. Сост. А. Л. Гиззети, под ред. И.С. Чернявского, Тфл., 1896. *ო. ჟორდანია.*

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ 1810, ბრძოლა იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის. აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუს. მთავრობამ დაიწყო მოქმედება იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი შეერთებისათვის რუსეთის იმპერიასთან. *სოლომონ II* რუს. მთავრობას 1804 ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შესრულებას სთხოვდა. 20 თებერვალს ქუთაისში გამოქვეყნდა ბრძანება სოლომონ II-ის ტახტიდან გადაყენებისა და იმერეთში რუს. მმართველობის შემოღების შესახებ. ცარიზმის მოხელეებმა მოტყუებით ჩაიგდეს ხელში სოლომონ II და უცდიდნენ იმპერატორის ბრძანებას მისი პეტერბურგში გადასახლების შესახებ, მაგრამ მეფემ თავისი მომხრეების დახმარებით მოახერხა გაქცევა და თავი ახალციხის საფაშოს შეაფარა. აქედან მან აჯანყებისაკენ მოუწოდა იმერეთის მოსახლეობას, რ-თა უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. რუსი მოხელეები, ისე როგორც აღმ. საქართველოში, აქაც იძულების წესით მოითხოვდნენ გლეხებისაგან სურსათს, გადაზიდვის საშუალებებს და სხვ. სამსახურს. უკმაყოფილო იყო თავადაზნაურობაც, რ-იც პრივილეგიებს კარგავდა. იმერეთში სახალხო-განმათ. ბრძოლა გაჩაღდა. თბილისიდან რუს. მთავრობამ გაგზავნა 3200 კაცისაგან შემდგარი ჯარი, რ-იც 2 ნაწილად გაიყო და იმერეთს შეესია. ამ ჯარის ერთი ნაწილი აჯანყებულებმა საზღვართან დაამარცხეს. შემდეგ იმერეთისაკენ ახ. ჯარით დაიძრა გენ.-ლ. ბარონი როზენი. მან ჩხერის ციხესთან დაამარცხა 5 ათ. კაცისაგან შემდგარი იმერთა ჯარი და ქუთაისს მიადგა. გენერალთან მივიდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები – დადიანი და გურიელი. თვითმპყრობელობის მხარეზე გადავიდა იმერეთის ფეოდალთა ერთი ნაწილი. სოლო-

მონ II ერთხანს ხანისწყლის ხეობაში გამაგრდა, მაგრამ ბოლოს დამარცხდა და სექტ. მიწურულს იძულებული გახდა ისევ ახალციხის საფაშოსათვის შეეფარებინა თავი. იმერეთში სამეფო გააუქმეს და რუს. მმართველობა შემოიღეს.

წყარო: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., იმერეთის სამეფოს გაუქმება (პუბლიკაცია), «საისტორიო მოამბე», 1956, №9.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად), მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტ. 4, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*

იმერეთის აჯანყება 1819–20, სახალხო აჯანყება რუსეთის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ. იმერეთის რუსეთთან შეერთების (1810) შემდეგ შეწყდა თურქთა თავდასხმები და შეიქმნა მშვიდობიანი განვითარების პირობები, მაგრამ გაჩნდა ბიუროკრ. აპარატი, გაიზარდა სახელმწ. გადასახადები და შრომითი ბეგარა, გაუარესდა სამართალწარმოება, ფესვი გაიდგა მექრთამეობამ. რუს. მთავრობამ მიზნად დაისახა გაეზარდა სახაზინო შემოსავალი, ამისათვის საჭიროდ მიიჩნია საეკლ. რეფორმების გატარება, რითაც გლეხთა საეკლ. გადასახადი კიდევ უფრო გაიზარდა. ამ ღონისძიებას უკმაყოფილოდ შეხვდა მოსახლეობის ყველა ფენა. 1819 ივლისში დაიწყო რეფორმების გატარება, რ-საც სათავეში ჩაუდგა მიტროპოლიტი *თეოფილაქტე.* თავადაზნაურობამ მშვიდობიანი გზით სცადა რეფორმის შეჩერება, მაგრამ უშედეგოდ. აჯანყდა შორაპნის ოკრუგის მოსახლ. და რეფორმის გაუქმება მოითხოვა. ასევე აჯანყდა რაჭის მოსახლეობა. რეფორმის გასატარებლად გაგზავნილი მოხელეები ხალხმა გურია-სამეგრელოში არ შეუშვა. მთავრობამ სასწრაფოდ გაგზავნა იმერეთში ჯარის ნაწილები. 9 ივლისს თეოფილაქტე იძულებული გახდა თბილისს გამგზავრებულიყო. ამან მღელვარება შეანელა, მაგრამ როცა რუს. ხელისუფლებამ აჯანყების საქმის ძიება დაიწყო, მოსახლეობამ კვლავ იარაღს მოჰკიდა ხელი. იმერეთი აჯანყებამ მოიცვა, აჯანყებულთა ხელში იყო მთელი რაჭა. მოსახლეობა თავს ესხმოდა რუსთა რაზმებს, შეწყდა გადასახადების გადახდა. აჯანყებამ აამოძრავა ოსმალეთში მყოფი იმერელი ემიგრანტები; ფეოდალთა ნაწილმა განიზრახა, ესარგებლა შექმნილი მდგომარეობით და იმერეთში ადგილ. სამეფო ხელისუფლება აღედგინა. მათ მოიწვიეს ირანში მყოფი *ალექსანდრე ბატონიშვილი* (ერეკლე II-ის ძე), მაგრამ მასთან მოლაპარაკება გაჭიანურდა. საბოლოოდ არჩევანი სოლომონ I-ის შვილიშვილ ივანე აბაშიძეზე შეჩერდა. რუს. მთავრობამ მისი დაპატიმრება გადაწყვიტა. აბაშიძე გურიაში გადავიდა და თავის ნათესავს, გურიის მთავრის ბიძას, ქაიხოსრო ბატონიშვილს შეაფარა თავი. ქაიხოსროს მხარეზე დადგნენ დავით გიორგის ძე გურიელი და დავით ზაალის ძე ერისთავი. რუს. მთავრობამ 1820 წ. 4 მარტს დააპატიმრა ექვთიმე გენათელი, *დოსითეოს ქუთათელი, დარეჯან ბატონიშვილი,* რამდენიმე გავლენიანი თავადი და აზნაური და მათი რუსეთში გაგზავნა გადაწყვიტა. ამას აჯანყების ახ. აღმავლობა მოჰყვა. აჯანყებას თანაუგრძნობდა გურია-სამეგრელოს მოსახლეობაც, მაგრამ რუს. სარდლობის მუქარამ დადიანი და გურიელი აიძულა მთავრობის მხარე დაეჭირათ. იმერეთის მმართველმა პოლკ. ი. პუზირევსკიმ ქაიხოსრო ბატონიშვილს ივანე აბაშიძის გაცემა მოსთხოვა. ქაიხოსრომ უარი განაცხადა. 1820 აპრილში გურიაში რაზმით შესული ი. პუზირევსკი შემოქმედის ციხესთან მოკლეს. რუსთა რაზმმა უკან დაიხია. ქაიხოსრომ თურქეთს შეაფარა თავი. იმავე დროს აჯანყდა სამეგრელოს მოსახლეობაც მთავრის ძმის – გიორგი დადიანის მეთაურობით. რუს. სარდლობამ სამეგრელოში ჯარი შეიყვანა და აჯანყებულები დაამარცხა. გიორგი დადიანი აფხაზეთს შეეფარა. იმერეთში რუსთა დამატებითი ძალები შეიყვანეს გენ. ა. *ველიამინოვის* სარდლობით. იმერეთის დამორჩილების შემდეგ, 21 მაისს, რუსთა ჯარმა კვარას ციხესთან დაამარცხა აჯანყებული რაჭველები და რაჭა მოარბია. დააპატიმრეს 70 კაცი, მათგან 10 ჩამოახრჩვეს, ნაწილი კი რუსეთს გადაასახლეს. ველიამინოვი დიდი რაზმით და არტილერიით გურიაში შევიდა. 24 ივლისს რუსთა ჯარმა აიღო და მიწასთან გაასწორა შემოქმედის ციხე, მოარბია ახლომახლო სოფლები, შემდეგ აიღო გრიგოლეთი, ნიგოზდიდი, გურიის საერისთავოს სიმაგრეები. აჯანყების მეთაურები ემიგრაციაში წავიდნენ. მრავალი აჯანყებული რუსეთს გადაასახლეს, მათი ქონება ხაზინას გადაეცა. ი. აბაშიძე, ქ. გურიელი, ვ. ბაგრატიონი და დ. ერისთავი ემიგრაციაში გარდაიცვალნენ. მომდევნო წლებში მათი ნათესავები და მომხრეები რუს. მთავრობას შეურიგდნენ, სამშობლოში დაბრუნდნენ და ყმამამული დაიბრუნეს.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველო XIX ს-ის პირველ მეოთხედში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., საქართველოს ახალი ისტორია, თბ., 2011; საქართველოს ისტორია (ოთხ ტომად), მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტ. 4, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ხ ო მ ე რ ი კ ი მ., იმერეთის სამეფოს გაუქმება, იმერეთის 1819–1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012. *ქ. ჩხატარაიშვილი.*

იმერეთის დაბლობი, კოლხეთის დაბლობის აღმ. ნაწილი, მდ. ცხენისწყლის შესართავიდან (დას-ით) ქ. ზესტაფონამდე (აღმ-ით). ზ. დ. 15–150 *მ,* სიგრძე 65 *კმ,* მაქს. სიგანე 35 *კმ.* 0. დ. ოდნავ დახრილი აკუმულაციური ვაკეა. აგებულია მეოთხეული ალუვიური ნაფენებით. ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია, იცის რბილი, თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 11,5 – 14,6^{0}C, აბსოლ. მინ. –20^{0}C, აბსოლ. მაქს. 42^{0}C. ნალექები 1300–1800 *მმ* წელიწადში. ვაკე-დაბლობის ლანდშაფტში ჭარბობს კოლხ. მცენარეულობა ალუვიური და ეწერი ნიადაგებით. მცირე ფართობი უჭირავს მუხნარიან და ეწერ ნიადაგებიან ვაკე-დაბლობს, აგრეთვე ჭალებს, სადაც კოლხ. მდელო-ტყის მცენარეულობა და ალუვიური ნიადაგებია.

ლ. მარუაშვილი.

იმერეთის მაღლობი, ზ ე მ ო ი მ ე რ ე თ ი ს მ ა ღ ლ ო ბ ი (პლატო), საქართველოს მთათაშორისი ბარის ამაღლებული ნაწილი ზესტაფონის, ხარაგაულის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. აღმ-ით და სამხრ-ით ესაზღვრება ლიხის ქედი, დას-ით – იმერეთის დაბლობი, ჩრდ-ით – რაჭის ქედი. გეოლოგიურად ემთხვევა ძ ი რ უ ლ ი ს კ რ ი ს ტ ა ლ უ რ მ ა ს ი ვ ს, კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ნაოჭა ზონებს შორის მოქცეულ შუალედურ მასივს, რ-იც აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით, კრისტალური ფიქლებით და ნაწილობრივ დაფარულია სუსტად დანაოჭებული მეზოკაინოზოური დანალექი ქანებით. გეომორფოლოგიურად იყოფა ორ ძირითად ნაწილად: გაშიშვლებული

კრისტალური სუბსტრატის არეში (სამხრ.-აღმ. ნაწილი) გაბატონებულია საშუალმთიანი ეროზიული რელიეფი (აბსოლ. სიმაღლე 1500 *მ*), ლიხის ქედის თხემზე, გედსამანიის ქედზე და სოფ. გეზრულის მიდამოებში შემორჩენილია ძვ. პენეპლენიზებული ზედაპირის ნაშთები. მეზო-კაინოზოური დანალექი წყებების არეში (ჩრდ. ნაწილი) განვითარებულია სუსტად დანაწევრებული პლატო კანიონისებრი ხეობებითა და კარსტით ზედაცარცულ კირქვებში (აქაა მღვიმეები – დევისხვრელი, ამაშუკეთი, ნიგოზეთი, გვარჯილის კლდე, მღვიმევი და სხვ., კარსტული ძაბრები, უწყლო ხეობები). პლატოზე ამართულია გორაძირის ორი ვულკ. კონუსი. ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია, იცის შედარებით ცივი და უხვნალექიანი ზამთარი. მთავარი მდ-ებია: ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა. გაშიშვლებული კრისტალური სუბსტრატის არეში გავრცელებულია კოლხ. ტიპის ფოთლოვანი ტყეები; დანალექი ქანებით აგებულ ნაწილში ტყე გაჩეხილია, შემორჩენილია მხოლოდ ხეობათა ციცაბო ფერდობებზე. Ო. მ-ზეა ქალაქები: ჭიათურა, საჩხერე, დაბა ხარაგაული. *ლ. მარუაშვილი.*

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ, 2016-მდე იმერეთის მხარე (შეიქმნა 1994), ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს *იმერეთის დაბლობს, იმერეთის მაღლობს* და რაჭის, მესხეთის, ლიხის ქედების განშტოებებს. ჩრდ-ით ესაზღვრება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, დას-ით და სამხრ.-დას-ით – გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის, აღმ-ით – შიდა ქართლის, სამხრ-ით – სამცხე-ჯავახეთის რეგიონები. Ო. რ-ის ფართობია 6,4 ათ. *კმ*^{2}. მოსახლ. 533,9 ათ. კაცი (2014). ცენტრი – ქ. *ქუთაისი.*

რეგიონში არის 11 მუნიციპალიტეტი [ბაღდათის მუნიციპალიტეტი (იხ. *ბაღდათის რაიონი*), *ვანის მუნიციპალიტეტი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, საჩხერის მუნიციპალიტეტი, ტყიბულის მუნიციპალიტეტი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, ხონის მუნიციპალიტეტი*], 11 ქალაქი, აქედან 1–თვითმმართველი (ქუთაისი), 2 – დაბა (*კულაში, ხარაგაული*), 549 – სოფელი, 38 სათავო სოფელი, 125 – თემი.

Ო. რ. ემთხვევა ისტ.-ეთნოგრ. მხარე *იმერეთს.* მოსახლ. 99,7% ქართველია, ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვ. საშ. სიმჭიდროვეა 83,2 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე (2014).

მოსახლ. დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. ოჯახური და სხვა ტიპის მეურნეობები სარგებლობენ 72101 ჰა სახნავი მიწით, მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს 12246 ჰა, ვენახებს – 8584 ჰა, ხეხილის ბაღებს – 2038 ჰა. მოჰყავთ სიმინდი, ლობიო, განვითარებულია მეხილეობა (ვაშლი, მსხალი, ატამი, თხილი, კაკალი და სხვ.), მევენახეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, მეცხოველეობა (მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა. მეფუტკრეობა).

Ო. რ. ქვეყნის მნიშვნელოვანი საკურორტო-რეკრეაციული რაიონია. მის ტერიტორიაზე არის სამკურნ. მინერ. და თერმ. წყლები (*წყალტუბო, საირმე, ნუნისი* და სხვ.).

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მთ. რედ. ირ. ჟორდანია, ტ. 1–2, თბ., 2015. *ე. ლოლუა.*

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ, ქართული ფეოდალური სახელმწიფო XV–XIX სს-ში. წარმოიქმნა საქართველოს ფეოდ. მონარქიის პოლიტ. დაშლის შედეგად. ეს პროცესი საქართველოში მონღოლთა ბატონობის დამყარებიდან (XIII ს. 30-იანი წლები) დაიწყო და XV ს. II ნახ-ში დასრულდა. XIII ს. II ნახევარში *დავით VI* ნარინი ფაქტობრივად იმერეთის მეფე იყო. Ო. Ს-ში შემავალი ოდიშისა და გურიის სამთავროები XVI ს. შუა წლებში ცალკე პოლიტ. ერთეულებად ჩამოყალიბდა. XVII ს. დამდეგს Ო. Ს-ს აფხაზეთის სამთავრო ჩამოსცილდა, უფრო გვიან კი – სვანეთისა. ამის შემდეგ მისი ტერიტ. საკუთრივ იმერეთითა და რაჭით შემოიფარგლა. ლეჩხუმი ხან იმერეთის მეფეს ეპყრა და ხან ოდიშის მთავრებს. Ო. Ს-ს აღმ-ით ქართლის სამეფოსაგან ლიხის ქედი ყოფდა, დას-ით, ოდიშის სამთავროსაგან – მდ. ცხენისწყალი, ჩრდ-ით – კავკასიონის ქედი და სამხრ-ით, გურიის სამთავროსა და ახალციხის საფაშოსაგან – ფერსათის, ანუ მესხეთის მთები. Ო. Ს-ს დას. და სამხრ. საზღვრები ხშირად იცვლებოდა: დას-ით იმერეთის მეფეს საჭილაოსამიქელაოს ოდიშის მთავარი ეცილებოდა, სამხრ-ით საჯავახოს გურიელი ითვისებდა. XVII ს-ში Ო. Ს-ს 40 ათ. მეომრის გამოყვანა შეეძლო. XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე ამ სამეფოში დაახლ. 120 ათასამდე მცხოვრები იყო. Ო. Ს-ში, ისე როგორც საერთოდ საქართველოში, ფეოდ.-ბატონყმური ურთიერთობა იყო. არსებობდა რიგი სათავადოებისა (მხეიძეთა, ჩხეიძეთა, რაჭის ერისთავთა, იაშვილთა, ლორთქიფანიძეთა, აბაშიძეთა, აგიაშვილთა, წერეთელთა, წულუკიძეთა, მიქელაძეთა, ჩიჯავაძეთა და სხვ.), რ-თაც საგადასახადო, ადმ. და, ნაწილობრივ, სასამართლო იმუნიტეტი ჰქონდათ მოპოვებული და ტერიტორიულად და პოლიტიკურად განცალკევებულ ფეოდ. ერთეულებს წარმოადგენდნენ (იხ. *სათავადო*). XVIII ს. შუა წლებში Ო. Ს-ში 100-მდე თავადი იყო. ისინი მეფის ან უფლისწულის ვასალები იყვნენ. მაგრამ თავადები, განსაკუთრებით დიდებული თავადები, ,,ხელმწიფობისაკენ'' (სუვერენობისაკენ) მიისწრაფოდნენ და ამ ნიადაგზე იმერეთის მეფესა და მათ შორის განუწყვეტელი ბრძოლა იყო გაჩაღებული.


Ო. Ს-ს სათავეში მეფე იდგა. ის იყო ქვეყნის უზენაესი მმართველი, რ-იც წარმოშობით ბაგრატიონთა დინასტიის დასავლურ შტოს (დავით ნარინის შტოს) ეკუთვნოდა (იხ. *ბაგრატიონები*). მეფეს ფორმალურად შეუზღუდველი უფლებები ჰქონდა, მაგრამ ფაქტობრივად მისი ძალაუფლება დიდად იყო დამოკიდებული მსხვილი თავადების ნება-სურვილზე. Ო. Ს-ს სატახტო ქალაქი ქუთაისი იყო. აქვე მდებარეობდა მეფის მთავარი რეზიდენცია. სამეფოს კარზე არსებობდა ,,დარბაზი'', ანუ სახელმწ. საბჭო, რ-შიც მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი მსხვილი საერო და სას. ფეოდალები შედიოდნენ. Ო. Ს-ს მართვა-გამგეობის სტრუქტურა ქართლისა და კახეთის სამეფოთა მიმსგავსებით იყო აგებული. 1651–61 Ო. Ს. ოთხ სამხ.-ტერიტ. ერთეულად – სადროშოდ, ანუ სასარდლოდ დაიყო: რაჭის, არგვეთის (ზემო იმერეთი), ვაკისა და ოკრიბა-ლეჩხუმის. Ო. Ს-ში სარდლის სახელო, ისევე როგორც სხვა სახელოები, მემკვიდრეობით ეპყრათ გარკვეულ თავადურ საგვარეულოებს: ,,ზემო ქვეყნის'', ანუ ,,ზემო მხარისა'' (ზემო იმერეთი) – წერეთლებს, ვაკისა (ქვემო იმერეთი) – წულუკიძეებს, ოკრი-

ბა-ლეჩხუმისა – აგიაშვილებს და რაჭისა – რაჭის ერისთავებს. 1769, რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, რაჭის სასარდლო ზემო იმერეთის სასარდლოს შეუერთდა.

ი. ს-ში ყველაზე მსხვლი ფეოდალი მეფე იყო, რ-ის დომენი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში იყო მოქცეული. სოლომონ II-ის დროს (1789–1810) მეფის დომენი 26 სამოურავოსაგან შედგებოდა. თითოეულ სამოურავოს საკუთრივ მეფის მოურავი განაგებდა. მაღალი თანამდებობის საერო მოხელეთა შორის ი. ს-ში უპირველესი ადგილი სახლთუხუცესს ეკავა.

ი. ს-ს უმაღლესი საეკლ. ხელისუფალი დას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო, რ-იც ხშირად ,,ჩრდილოსა და აფხაზეთის'' ან ,,აფხაზ-იმერთა'' ან კიდევ ,,პონტო ჩრდილოით აფხაზეთ-იმერთა და ყოვლისა ქვემოისა ივერიისა კათალიკოსად'' იწოდებოდა. მისი რეზიდენცია XVI ს. II ნახ-ში ბიჭვინთაში იყო, ხოლო შემდეგ – გელათში. აქ კათოლიკოსს ეჭირა წმ. გიორგის ეკლესია, რ-იც საკათოლიკოსო ეკლესიად მიიჩნეოდა. კათოლიკოსის ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ როგორც ი. ს-ს, ისე დას. საქართველოს სამთავროების საეკლ. მსახურნი. მიუხედავად ქვეყნის პოლიტ. დაქსაქსულობისა, საეკლ. სფეროში ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ცენტრალიზებული იყო. ი. ს-ში 4 საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: ქუთაისის, გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის. აქვე იყო გელათის, ჯრუჭის, მღვიმევის მონასტრები და მრავალი სხვა ეკლესია-მონასტერი.

1555 ირან-ოსმალეთის *ამასიის ზავით* ი. ს-ს გურია-ოდიშის სამთავროები და სამცხე-საათაბაგოს დას. ნაწილი ოსმალეთს ერგო. ამის შემდეგ, XVI–XVIII სს. განმავლობაში, იგი ოსმალეთის აგრესიის მუდმივი ობიექტი გახდა. XVII ს. I ნახ-იდან ი. ს. ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად იხდიდა ხარკს. ამავე საუკუნის 60-იან წლებში კი ქუთაისში ოსმ. გარნიზონი იდგა. იმერეთის მეფეს ავიწროებდნენ ოდიშისა და გურიის მთავრები, ეურჩებოდნენ საკუთარი მსხვლი თავადებიც. განსაკუთრებით გამწვავდა დამოკიდებულება იმერეთის მეფესა და *ლევან II დადიანს* შორის. დადიანი განუწყვეტლივ თავს ესხმოდა ი. ს-ს. XVII ს. 30-იან წლებში კი იმერეთის მეფე გიორგი III ტყვედ ჩაიგდო და მისი გათავისუფლების საფასურად მეფის მემკვიდრისაგან მიიღო მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე მდებარე ტერიტ. – საჭილაო-სამიქელაო, ჩხარისა და ჩიხორის ვაჭრები, მრავალი ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი და იარაღი, აგრეთვე თვალ-მარგალიტი. მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე გაბატონებული დადიანი ახლა უფრო თავისუფლად თარეშობდა მთელ ქვემო იმერეთში და ფაქტობრივად ეს ტერიტ. ქუთაისამდე მიტაცებული ჰქონდა. დადიანის მძლავრობამ იმერეთის მეფე *ალექსანდრე III* (1639–60) აიძულა, დახმარების სათხოვნელად რუსეთის ხელმწიფისათვის მიემართა. 1649 მან ელჩი გაგზავნა რუსეთში და რუსეთის ხელმწიფეს, ალექსი მიხეილის ძეს მფარველობაში მიღება და ოდიშის მთავრის წინააღმდეგ დონელი კაზაკების გამოგზავნა სთხოვა. 1650 რუსეთის მთავრობამ საპასუხო ელჩობა გამოგზავნა იმერეთში ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი ივლევის მეთაურობით (იხ. *ტოლოჩანოვისა და ივლევის ელჩობა* იმერეთში). ალექსანდრე III-მ და მისმა დიდებულებმა რუს. ხელმწიფისადმი ვასალური ერთგულების ფიცი მიიღეს, მაგრამ ამ ელჩობას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშის სამთავროს საქმეები აირია. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ ისარგებლა ამ გარემოებით და ოდიშში დალაშქრა, დაიპყრო უნაგირას მთის აქეთ ,,აღმოსავლეთის კერძი'' და იმერეთისა და ოდიშის საზღვრად მდ. ცხენისწყლის ნაცვლად უნაგირას მთა დააწესა. ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ (1660) ი. ს. ფეოდ. ანარქიამ მოიცვა. მეფის ხელისუფლება დასუსტდა. *ბაგრატ IV* სამჯერ ჩამოაგდეს ტახტიდან, ასეთივე იყო იმერეთის სხვა მეფეთა ბედიც. ი. ს-ში შექმნილი ვითარება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ოსმალეთის აგრესიის გაძლიერებას. 1752, როცა *სოლომონ I* გამეფდა, ი. ს-ს მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები (ქუთაისის, შორაპნის, ცუცხვათის, ბაღდათის) ოსმალებს ეპყრათ. სამეფოს შიგნით განკერძოებისათვის მებრძოლი არგვეთის თავადი ლევან აბაშიძე და რაჭის ერისთავები მძლავრობდნენ. მათ ზურგს



უმაგრებდა ოსმალეთი. იგი დიდი ხალისით აძლევდა თავშესაფარს და დამხმარე ლაშქარს იმერეთის მეფის წინააღმდეგ მებრძოლ თავადებს. ხშირად განგებ უპირისპირებდა მეფეს სამეფო სახლის რომელიმე წევრს ან ამა თუ იმ ძლიერ თავადს და ამით ცენტრ. ხელისუფლებას უფრო მეტად ასუსტებდა. ᲝᲡ-ს საშინაო და საგარეო მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა სოლომონ I-ის მეფობის დროს (1752–84). სოლომონ I ენერგიულად ებრძოდა ოსმალეთის აგრესიას, ხოლო ქვეყნის შიგნით – ფეოდ. რეაქციას. მეფემ დაიმორჩილა თავადი აბაშიძეები, გააუქმა რაჭის საერისთავო, აღკვეთა ტყვეებით ვაჭრობა, რაც ქვეყანას გადაშენებას უქადდა. სოლომონმა დაამარცხა თურქი ინტერვენტები და XVIII ს. 60-იან წლების მიწურულს გაათავისუფლა მათგან იმერეთის ციხესიმაგრეები (ცუცხვათი, შორაპანი, ბაღდათი, ქუთაისი). ამაში სოლომონს დიდად შეუწყო ხელი რუსეთ-ოსმალეთის 1768–74 ომმა და ᲝᲡ-ში რუსთა სამხ. კორპუსის შემოსვლამ გენ. ტოტლებენის მეთაურობით. ამ წარმატებებმა ხელი შეუწყო მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა, მაგრამ ოსმალთა აგრესიის საფრთხე მაინც არსებობდა. გურია-ოდიშის მთავრებიც არ ემორჩილებოდნენ მეფეს. სოლომონ I ოსმალთა ქვეშევრდომობისაგან იმერეთის საბოლოოდ გათავისუფლებას, მთავრების დამორჩილებას და ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას ცდილობდა. მან 1774 (ისე როგორც ადრე, 1768) დახმარებისათვის რუსეთს მიმართა და მფარველობაში მიღება სთხოვა. მაგრამ ამ დროს რუსეთს არ სურდა *ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების* დარღვევა და ოსმალეთთან ურთიერთობის გართულება. რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოთა შორის *გეორგიევსკის ტრაქტატის* დადების შემდეგ, იმავე 1783, სოლომონ I-მა სცადა მსგავსი ხელშეკრულება დაედო რუსეთთან, მაგრამ მის მცდელობას შედეგი არ მოჰყვა. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ ცენტრ. ხელისუფლების ძლიერება ისევ შეირყა. დაიწყო იმერეთის ტახტის პრეტენდენტთა შორის ბრძოლა. ფეოდ. შინაომები კვლავ განახლდა. 1784 გამეფებული *დავით II* (გიორგის ძე) მალე ტახტიდან ჩამოაგდო დავით არჩილის ძემ და 1789 თვითონ გამეფდა *სოლომონ II-ის* სახელით. დამარცხებული დავით გიორგის ძე ბრძოლას განაგრძობდა. მხოლოდ XVIII ს. მიწურულისათვის შეძლო სოლომონ II-მ სამეფოს საბოლოოდ შემომტკიცება. მაგრამ გამწვავდა მისი დამოკიდებულება ოდიშის მთავარ *გრიგოლ დადიანთან.* თურქებიც განუწყვეტლივ არბევდნენ ᲝᲡ-ს საზღვრისპირა ტერიტორიებს. რუსეთის მთავრობა სარგებლობდა დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის ჩამოვარდნილი შუღლით და მას თავისი ინტერესებისათვის იყენებდა, ამავე მიზნით ეხმარებოდა იგი დადიანსაც. 1801, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუს. სამხ. მოხელეებმა დაიწყეს ნიადაგის მომზადება ᲝᲡ-ს გასაუქმებლად. ასეთ ვითარებაში მყოფმა სოლომონ II-მ ხელისუფლების შესანარჩუნებლად 1804 წ. 25 აპრილს რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა. *ელაზნაურის შეთანხმებით,* რ-ის პირობები რუსეთის მიერ იყო ნაკარნახევი, იმერეთის მეფე ყველაფერში რუსეთს უნდა დამორჩილებოდა. სოლომონი კი საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და რუს. იმპერატორის ვასალობას თხოულობდა. ურთიერთობა იმერეთის მეფესა და ცარიზმის ადგილ. მოხელეებს შორის თანდათან მწვავდებოდა. სოლომონი დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და მის შესანარჩუნებლად ბრძოლას განაგრძობდა (იხ. *იმერეთის აჯანყება 1810),* მაგრამ 1810 რუს. თვითმპყრობელობამ გააუქმა ᲝᲡ. და იქ თავისი მმართველობა დაამყარა.

წყარო: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1962; დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973: Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1659 по 1770 гг. Под ред. М. Броссе, СПб., 1861; Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650–1652. Документы издал М. Полиевктов, Тфл., 1926.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფო 1768–1784 წწ., «ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე», 1961, ტ. 3; მისივე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784–1789 წწ., იქვე, 1960, ტ. 2; მისივე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789–1802 წწ., იქვე, 1962, ტ. 4; გვენეტაძე ე., იმერეთის სამეფოს წარმოქმნის ისტორიიდან, თბ., 2003; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ.), თბ., 1989; სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), [ტ.] 1, თბ., 1973; წიტაიშვილი დ., იმერეთის სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიიდან, ქუთ., 2004; Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968; Пайчадзе Г., Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, Тб., 1970; Пирцхалаишвили А. Г., Имеретия и Гурия в период 1804–1840 гг., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1942, ნაკვ. 1.

ო. სოსელია.

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲘᲗᲘ ᲞᲝᲚᲙᲘ, რუსული საიმპერატორო არმიის სამხედრო ერთეული. დაარსდა 1845 თებერვალში კავკასიის ცალკე კორპუსის გასაძლიერებლად. 1845 სექტემბერში პოლკს ეწოდა ,,ყუბანის ეგერთა პოლკი'', რ-იც მე-19 ქვეითი დივიზიის შემადგენლობაში შევიდა.

ლიტ.: Хроника кавказских войск, в двух частях. Сост. А. Л. Гиззети, под ред. И. С. Чернявского, Тфл., 1896.

ო. ჟორდანია.

ᲘᲛᲔᲠᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ (ნამდვ. სახელი და გვარი – ლიდია მგალობლიშვილი) (1878–1969), პოეტი. პირველი ლექსი 1896 გამოაქვეყნა ჟურნ. ,,კვალში''. მისი ლექსები იბეჭდებოდა გაზ. ,,ივერიასა'' და ,,სახალხო ფურცელში'', ჟურნალებში: ,,თეატრი და ცხოვრება'' და ,,მეგობრობა''.

ავტორია ლექსთა ერთი კრებულისა, რ-იც 1960 გამოიცა. მისი ცნობილი ლექსია ,,ამას ამბობდა ქართველი''.

ᲘᲛᲔᲠᲔᲢᲘᲜᲡᲙᲔᲑᲘ, იმერეთის ბაგრატიონების სამეფო შტო. 1804 წელს მეფე სოლომონ II-მ *ელაზნაურის შეთანხმების* მე-2 პუნქტით იმერეთის ტახტის მემკვიდრედ (იმ შემთხვევაში თუ თავად მას ვაჟი არ შეეძინებოდა) წინამორბედი მეფის, დავით II-ის შვილი, კონსტანტინე ბატონიშვილი გამოაცხადა. 1810, სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ კონსტანტინე ბატონიშვილი რუსეთში გადაასახლა. რუსეთის იმპერიის სახელმწ. საბჭოს 1804 წ. 12 სექტემბრის დადგენილებით და 1812 წ. 12 მარტის მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეების შვილები ინარჩუნებდნენ ბატონიშვილის წოდებას, მათი შთამომავლები კი, შესაბამისად, ატარებდნენ ,,ქართ-

ველი თავადის'' (გრუზინსკი) და ,,იმერეთის თავადის'' (ი.) წოდებას. კონსტანტინეს, როგორც მეფის შვილს, ბატონიშვილობა შეუნარჩუნეს, ხოლო მის შვილებს – კონსტანტინეს, ნიკოლოზსა და ალექსანდრეს (ვარშავის გენერალ-გუბერნატორი) – თავადი ი-ების წოდება დაუკანონეს, რაც შემდგომში მათ გვარად იქცა. 1865 მათ უგანათლებულესი თავადის ტიტული მიენიჭათ. მამრობითი ხაზით ამ შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი იყო გიორგი ი. (1900–78).

ლიტ.: ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980; დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები. ტ. 2, თბ., 1964; ხომერიკი მ., იმერეთის სამეფოს გაუქმება, იმერეთის 1819–1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012.

იმერეტინსკი (ბაგრატიონი) ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (24. XII. 1837, სანქტ-პეტერბურგი, – 17. XI. 1900, ვარშავა), რუსეთის იმპერიის არმიის ინფანტერიის გენერალი (1896), იმერეთის მეფის, დავით II-ის შვილიშვილი. 1855 დაამთავრა პეტერბ. პაჟთა კორპუსი. 1857 მსახურობდა მე-14 ქართულ გრენადერთა პოლკში; მონაწილეობდა ჩაჩნეთისა და დაღესტნის დამორჩილებაში. 1859–61 თადარიგში იყო. 1863 დაამთავრა გენ. შტაბის აკადემია. მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების (1863–64) ჩახშობაში. შემდეგ დაინიშნა ვარშავის სამხ. ოლქის ჯარების შტაბის უფროსად. 1869 მიიღო გენ.-მ-ის წოდება. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877–78) დროს იმპერატორმა დაავალა თვალყური ედევნებინა პლევნის მეორე იერიშისთვის (ბულგარეთი, 1877 წ. 18 ივლ.). 1877 წ. 22 აგვ. აიღო ლოვეჩის (ბულგარეთი) ციხესიმაგრე. 1877 მიიღო გენ.-ლ-ის, 1878 – გენ.-ადიუტანტის წოდება. 1879 დაინიშნა გვარდიული ნაწილებისა და პეტერბ. სამხ. ოლქის ჯარების შტაბის უფროსად. 1878-იდან 12 წლის განმავლობაში იყო რუს. არმიის მთავარი სამხ. პროკურორი და მთავარი სამხ. სასამართლოს უფროსი, 1892-იდან – სახელმწ. საბჭოს წევრი, 1897 წ. 1 იანვრიდან – ვარშავის სამხ. ოლქის ჯარების სარდალი და ვარშავის გენ.-გუბერნატორი.

იმერეტინსკი (ბაგრატიონი) ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (30. XII. 1830, სანქტ-პეტერბურგი, – 24. X. 1894, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1881). ინფანტერიის გენერალ ა. *იმერეტინსკის* ძმა. 1863–64 იყო ვილნოს მაზრის უფროსი, 1866–69 – ვოლინის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი, 1872-იდან – იმპერატორის ამალის გენ.-მაიორი. *ლ. დოლიძე.*

იმერთუბანი (ყოფ. ყარათუბანი), სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის გორგულის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1170 *მ*, ადიგენიდან 2 *კმ*, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 29 *კმ*. 210 მცხ. (2014).

,,იმერი“ (სააქციო საზოგადოება), ერთ-ერთი უძველესი სამკერვალო კომპანია საქართველოში. 1928 წ. 16 სექტემბერს სამკერვალო სახელოსნო ,,მაკრატლის'' ბაზაზე (მდებარეობდა ა. წერეთლის ქ. №2) დაარსდა ქუთაისის №4 სამკერვალო ფ-კა. 1935 წ. აშენდა ფკის ახ. შენობა გეგუთის ქუჩაზე (ახლანდ. ლ. ასათიანის ქუჩა), ხოლო ძვ. შენობაში გაფართოვდა ინდივიდ. დაკვეთის საამქრო, რ-იც მომსახურებას უწევდა დას. საქართველოს მომხმარებლებს. ამავე წელს ფ-კას ეწოდა ს. მ. კიროვის სახელი. წლების განმავლობაში მის ბაზაზე შეიქმნა არაერთი ფილიალი (ზესტაფონი, ჭიათურა, ზუგდიდი, ალპანა, ტყიბული), რ-ებიც შემდეგ დამოუკიდებელ საწარმოებად ჩამოყალიბდა.

II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ფ-კაში არაერთხელ ჩატარდა წარმოების გაფართოებისა და ტექ. გადაიარაღების სამუშაოები, აითვისეს და გამოუშვეს მრავალი ახ. მოდელი. 1968 ივლისში ჩამოყალიბდა ს. მ. კიროვის სახ. ქუთაისის №1 საწარმოო-სამკერვალო გაერთიანება, რ-შიც შევიდა ქუთაისის (სათავო საწარმო), ზესტაფონისა და ჭიათურის სამკერვალო ფ-კები. მოგვიანებით (1979) მათ შეუერთდა ლენტეხის ახლად დაარსებული სამკერვალო ფ-კა. საწარმოში იკერებოდა მამაკაცის, ქალისა და ბავშვის პალტოები, შალის, ბამბისა და ჯინსის შარვლები, ტყავის შემცველელისგან – ქურთუკები და სხვა სამკერვალო ნაწარმი, რ-ებიც საქართველოს რნების გარდა იგზავნებოდა მოკავშირე რესპუბლიკებში, საექსპორტოდ კი – კუბასა და მოზამბიკში. ფ-კა მარაგდებოდა როგორც ადგილობრივი, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების და საზღვარგარეთის საწარმოებიდან შემოსული ქსოვილითა და სხვა დამხმარე მასალებით.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყანაში განვითარებული მძიმე პოლიტ. და ეკონ. მდგომარეობის მიუხედავად, ფ-კას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. 1990-იდან, საწარმოო გაერთიანების დაშლის შემდეგ (1989), ფ-კას ეწოდა ქუთაისის სამკერვალო ფ-კა ,,იმერეთი'', 1994-იდან ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა, სამკერვალო კომპანია ,,იმერეთი'', ხოლო 2000-იდან კვლავ შეეცვალა სახელი და დაერქვა ,,ი.''

საწარმო მთლიანად ქართ. კომპანიაა. აღჭურვილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (გერმანია, იაპონია, იტალია, ესპანეთი) ცნობილი ფირმების თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. ორიენტირებულია ძირითადად ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კერვაზე. გამოშვებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადის ექსპორტზე დას. ევროპის ქვეყნებში. ,,ი.'' თანამშრომლობს გერმ. კომპანია ,,ლებეკთან'' (1997-იდან), რ-იც მის ერთ-ერთ უმსხვილეს და უმთავრეს პარტნიორად ითვლება, აგრეთვე სხვადასხვა იტალიურ ფირმასთან. სთავაზობს მათ ტანსაცმელს მათივე მოთხოვნების შესაბამისად პარტნიორთა მიერ შემოთავაზებული მასალითა და ფურნიტურით. ფ-კა, უცხოური დაკვეთების გარდა, უშვებს (2011-იდან) ტანსაცმელს ადგილ. ბაზრისათვის. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ფ-კის ტერიტორიაზე არსებულ და თბილისში გახსნილ საფირმო მაღაზიებში.


ლ. აბრამიშვილი.

იმერლები, ქართველთა ტერიტორიული, ლოკალური, ეთნოგრაფიული ჯგუფი. ი. დას. საქართველოში, *იმერეთის* ისტ.-ეთნოგრ. მხარეში ცხოვრობენ. აღმ. საქართველოს მკვიდრნი ი-ს ლიხის ქედის იმიერ მხარეს მცხოვრებ ქართველებს უწოდებდნენ. იმერეთი და იმერელი შედარებით გვიან წარმოქმნილი სახელწოდებებია. ადრე შუა საუკუნეებში ამ ისტ.-ეთნოგრაფიულ მხარეს არგვეთი და აქ მცხოვრებ ქართველებს — არგვეთელები ეწოდებოდათ. როგორც დიდი ისტ.-ეთნოგრ. მხარე, იმერეთი ორ მიკრორეგიონად – ქვემო და ზემო იმერეთად იყოფა, შესაბამისად — ქვემო და



იმერლები.

ზემო O-ად. ცალკე გამოიყოფოდა ოკრიბა, რ-ის მკვიდრებს ოკრიბელებს უწოდებდნენ. O. მეტყველებენ ქართული სალიტ. ენის იმერულ დიალექტზე. ქვემო O-ის ეთნოგრაფიულ ყოფას, როგორც კოლხეთის დაბლობზე მცხოვრებლებისა, ბევრი საერთო ჰქონდა მეგრელთა ყოფასთან, ხოლო ზემო O-ის ტრადიციები უახლოვდებოდა ქართლელთა წეს-ჩვეულებებს. მათი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების არაერთგვაროვნებას რელიეფი, ლანდშაფტი განაპირობებს, რადგან ქვემო O. ვაკეზე, ხოლო ზემო O. გორაკ-ბორცვებზე ცხოვრობდნენ. განსხვავებული იყო დასახლების ფორმაც. გეოგრაფიული ფაქტორი O-ს იცავდა საგარეო მტრისაგან. უცხოელი მოგზაურები ყოველთვის აღფრთოვანებას გამოხატავდნენ მათი გარეგნობის გამო. საქართველოს ისტორიაში O-ს მნიშვნელოვანი როლი აქვთ შესრულებული — ქართლ-კახეთის შეთხელებულ მოსახლეობას ისინი ავსებდნენ. O. მშრომელი და მუყაითი მეურნეები არიან, განსაკუთრებით მისდევენ მევენახეობა-მეღვინეობას, გამოყვანილი აქვთ ადგილობრივ პირობებს შეხამებული ვაზისა და ხეხილის ჯიშები, არიან გამორჩეული სტუმართმოყვარენი, კერამიკული ნაწარმით ამარაგებენ საქართველოს სხვა ისტ.-ეთნოგრ. მხარეებს. საყოველთაოდ ცნობილია *იმერული ყველი*. O-ს მაღალ დონეზე აქვთ განვითარებული კარ-მიდამოს მოვლის კულტურა.



უ. იმერლიშვილი.

იმერეთი მუსიკალური ტრადიციებით საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული მხარე იყო. იმერულ მუსიკალურ დიალექტში გამოიყოფა ზემოიმერული და ქვემოიმერული კილოკავები, რაც განპირობებულია რეპერტუარითა და შესრულების მანერით. ხალხური სიმღერები იმერეთში ძირითადად სამხმიანია, თუმცა ზემო იმერეთში ორხმიანი სიმღერებიც გვხვდებოდა. გვხვდება მრავალხმიანობის ყველა ტიპი. შესრულების ფორმებიდან იმერული სიმღერებისათვის დამახასიათებელია ორპირულობა, ერთპირულობა, ტერცეტისა და გუნდის მონაცვლეობა და სოლო მღერა. ზემოიმერულ კილოკავის რეპერტუარის დიდი ნაწილი ქართლურსა და კახურს იმეორებს. ქვემო იმერლები მღერიან საკმაოდ ხმამაღლა. იმერული სიმღერებია: ,,კეისრული‘‘, ,,პატარა საყვარელო‘‘, ,,ნადური‘‘, ,,ცხენოსნური‘‘, ,,დელი-დელა‘‘, ,,ჭონა‘‘, ,,გონჯა‘‘... საკრავებიდან გავრცელებული იყო ჩონგური. იმერეთში ქეიფისას ყოველ სადღეგრძელოს მოსდევდა დამსწრეთა გუნდური სიმღერა. როგორც XIX საუკუნეში ფრანგი *ბარონი დე ბაი* აღნიშნავდა, ,,სუფრაზე სიმღერა ჩვეულებრივი იმერეული წესია‘‘. ძველად იმერელ მომღერლებს შიდა ქართლში ქორწილებშიც ხშირად იწვევდნენ.

ლიტ.: მაისურაძე ნ., ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1991.

რ. თოფჩიშვილი.

ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲐᲜᲗᲙᲐᲠᲘ, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის წრომის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 790 *მ*, ხაშურიდან 15 *კმ*. 2014 აღწერით მოსახლ. რიცხვნობა არ აღემატება 10 კაცს.

ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ უშანგი მიხეილის ძე (დ. 11. VI. 1943, თბილისი), მხატვარი. საქართველოს დამს. მხატვარი (1985), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიისა (1995) და მ. აბაშიძის პრემიის ლაურეატი (1996). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1970). 1970–72 მუშაობდა მესხეთის თეატრის მთ. მხატვრად. 1974 რუსთაველის თეატრში გააფორმა პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი‘‘ (მ. შველიძესთან ერთად). 1979–93 O. მუს. თეატრის მთ. მხატვარი იყო, სადაც გააფორმა სპექტაკლები: კ. გოგიაშვილისა და მ. ჩირინაშვილის ,,ძველი თბილისის სურათები‘‘, გ. ნახუცრიშვილის ,,ნაცარქექია‘‘ და სხვ.; კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში – ფ. დიურენმატის ,,მილიონერის ვიზიტი‘‘, ლ. გოთუას ,,გმირთა ვარამი‘‘, კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია‘‘. 1979 პოლონეთის ქ. ლოძის მუს. თეატრში გააფორმა ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე‘‘ (რეჟ. გ. მელივა), რ-იც წლის საუკეთესო სპექტაკლად იქნა მიჩნეული. 1984-იდან თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მხატვარია. გააფორმა სპექტაკლები: ს. პროკოფიევის ,,სამი ფორთოხლის სიყვარული‘‘, ჯ. ვერდის ,,დონ კარლოსი‘‘, აგრეთვე ,,საბალეტო ნოველები‘‘ (რეჟ. გ. მელივა, ბალეტმაისტერი გ. ალექსიძე), რ-იც ევრ. რამდენიმე ქვეყანაში იყო წარმოდგენილი.

ᲘᲛᲔᲠᲝᲓᲔᲚᲤᲘᲡᲘ (Imerodelphis Thabagarii Mchedlidze 1959), დელფინების (Delphinidae) ოჯახის წარმომადგენელი გვიანი მიოცენიდან (დაახლ. 11 მილიონი წლის წინანდელი დანალექი ქანებიდან). O-ის ბუნებრივ შესახსრებაში არსებული თითქმის სრული ჩონჩხი (არასრული თავის ქალა, ხერხემლის, ნეკნებისა და კიდურების ფრაგმენტები) ნაპოვნია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. კვალითში, მდ. ყვირილის მარცხ. ნაპირზე. O. მომცრო ზომის დელფინია. სხეულის სიგრძე დაახლ. 140–150 *სმ* უნდა ყოფილიყო. მთელი რიგი მორფოლ. ნიშან-თვისებებით O. განსხვავდება მისი თანამედროვე დელფინების სხვა სახეობებისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ზომის ქოანები, რ-ებიც სხვა ფორმებთან შედარებით საკმაოდ უკანაა გადაწეული. ეს, სავარაუდოდ, მიუთითებს იმაზე, რომ O. უკეთ იყო შეგუებული წყლის გარემოში ცხოვრებას და თავისუფლად შეეძლო ესუნთქა წყლის ზედაპირზე. O. კვების ნირით მტაცებელი იყო. ნამარხი ნაშთები ცნობილია მხოლოდ სოფ. კვალითიდან.

ლიტ.: Мчедлидзе Г. А., Ископаемый дельфин Imerodelphis Thabagarii из сармата окрестностей Зестафони,«Сообщения АН Грузинской ССР», 1959, т. 33, вып. 6; მისივე, Ископаемые китообразные Кавказа, Тб., 1964; მისივე, Fossil Cetacea of the Caucasus, Wash., 1988 (D.C.: Smithsonian Institution Libraries and National Science Foundation).

მ. ბუხსიანიძე.

ᲘᲛᲔᲠᲝᲪᲔᲢᲣᲡᲘ (Imerocetus karaganicus Mchedlidze 1964), უკბილო ვეშაპების ნამარხი სახეობა შუა მიოცენიდან (დაახლ. 14–13 მილიონი წლის წინანდელი კარაგანული ასაკის დანალექი ქანებიდან). O-ის თავის ქალა და კიდურის ძვლები ნაპოვნია საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯალაურთაში. O. მცირე ზომის ვეშაპია. მისი თავის ქალა სხვა ზედა მიოცენურ უკბილო ვეშაპებთან შედარებით ვიწროა და წაგრძელებული, მხრის ძვალი კი უფრო გრძელი. ეს და

სხვა პრიმიტიული ნიშან-თვისებები 0-ს განასხვავებს მიოცენური ნამარხი ვეშაპებისგან. 0-ის ნამარხი ნაშთები მხოლოდ სოფ. ჯალაურთიდანაა ცნობილი.

ლიტ.: Мчедлидзе Г. А., Ископаемые китообразные Кавказа, Тб., 1964; მისივე, Fossil Cetacea of the Caucasus, Wash., 1988 (D.C.: Smithsonian Institution Libraries and National Science Foundation).

მ. ბუხსიანიძე.

იმერული ბალიშა ცრუფარიანა (Neopulvinaria imeretina), მწუწნავი მწერი კოქციდების ქვერიგისა. ვაზისა და სხვა მცენარეების მავნებელია. პოლიმორფული სახეობაა. ზრდასრული, სქესობრივად მომწიფებული დედლის სხეული მოგრძო ოვალურია, სიგრძით 3–11 *მმ,* ჭრელია, კვერცხის დების პერიოდში გამოყოფს თეთრ საკვერცხე ჩანთას (ოვისაკს). 0. ბ. ც. საქართველოში ვაზის საშიში მავნებელია. ცრუფარიანას მატლები და ახალგაზრდა დედლები ვაზის ფოთლის ზედა და ქვედა მხარეს, მტევნის კლერტზე, ყუნწზე, მწვანე ყლორტზე, პწკალზე სახლდებიან; ფოთლები ხმება და ცვივა, ყლორტი და მტევანი არანორმალურად ვითარდება, კლერტი ჭკნება და ნაყოფი ზრდადაუმთავრებელი რჩება. მწერის ტკბილ, წებოვან გამონაყოფზე საფრფოტი სოკო ვითარდება, რ-იც ვაზის მწვანე ნაწილებს შავი ფიფქით ფარავს და ყურძნის ხარისხს აუარესებს. 0. ბ. ც. 1955 პირველად აღწერეს საქართველოში (კერძოდ, იმერეთში), შემდეგ – საფრანგეთსა და იტალიაში. მის მოსასპობად იყენებენ ქიმიურ პრეპარატებს, რ-ებსაც შემოდგომაზე ასხურებენ მცენარეს. კარგ შედეგს იძლევა კვერცხის დების პერიოდში მავნებლის მექანიკური გასრესაც.

ე. აბაშიძე. ზ. ჰაჯიბეილი.

იმერული დიალექტი, ქართული ენის დიალექტი, რომელზედაც მეტყველებს ეთნოგრაფიული კუთხის – იმერეთის – მოსახლეობა. ,,იმერეთი'' თავდაპირველად ეწოდა სურამის (ლიხის) ქედის იქითა (დასავლეთის) მხარეს მთლიანად, შესაბამისად, ,,იმერელი'' იყო დას. საქართველოს ყველა მცხოვრები. შემდეგ ,,იმერეთის'' მნიშვნელობა დავიწროვდა და ერთი კუთხის სახელად იქცა, ხოლო ,,იმერელმა'' ეთნ. ერთეულის მნიშვნელობა მიიღო.

გეოგრაფიულად ეს მხარე ორ ნაწილად იყოფა: ზემო და ქვემო იმერეთად. ამის შესაბამისად იმერულ კილოში გამოყოფენ ორ კილოკავს: ზ ე მ ო ი მ ე რ უ ლ ს (ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი) და ქ ვ ე მ ო ი მ ე რ უ ლ ს (თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათი, ვანი, წყალტუბო, ხონი, სამტრედია). კილოკავებს შორის სხვაობა იმდენად დიდია, რომ ზოგი მკვლევარი მათ ცალ-ცალკე დიალექტებად მიიჩნევდა (კ. კუბლაშვილი), ზოგი კი საჭიროდ თვლიდა შუაიმერული ცალკე კილოკავად გამოყოფას (ვ. ფანჩვიძე).

კილოკავებში გამოიყოფა რამდენიმე თქმა: ზემოიმერულში – ხარაგაულური, საჩხერულ-ჭიათურული, ზესტაფონური; ქვემოიმერულში – თერჯოლური, ოკრიბული, ბაღდათური, ვანური, სამტრედიული, ხონური.

0. დ. გამოირჩევა როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ფონეტ. ცვლილებების მრავალფეროვნებით. მასში სპორადულად დასტურდება ჲ, ჳ ბგერები, რ-იც ამა თუ იმ ფონემის პოზიციურ ნაირსახეობას წარმოადგენენ (შჲაჭრა, ძმაჲ, მოჲ, ჩუენ, მჳაჭრა...). გავრცელებულია როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა კონტაქტური ასიმილაცია (მიუტანა → მუუტანა, შეუყვარდა → შოუყვარდა, ნემსი → ნეფსი, ტბა → ტპა...), დისიმილაცია (შეაგდო → შიაგდო, ერთჯერ → ერთჯელ, წლეულს → წრეულს...), ხშირია მეტათეზისის, აფრიკატიზაციის, სუბსტიტუციის შედეგად გამოწვეული ცვლილებები.

მახვილი 0. დ-ში მკვეთრად განსხვავებულია კილოკავებისა და ზოგჯერ თქმების მიხედვითაც, მაგრამ ხერხდება მეტ-ნაკლებად საერთო ტენდენციის დადგენაც. ივარაუდება, რომ ზემოიმერულში გვაქვს დინამ. მახვილი ტონური მახვილის ელემენტებით. ფრაზაში შემავალ რომელიმე სიტყვაში, ხანდახან ყოველ სიტყვაშიც კი, ხმოვანი გაგრძელებულად წარმოითქმის და ტონიც მაღლდება: ,,ვისვავ ხომე წამალს და მირჩება''. ქვემოიმერულში მახვილი მოუდის წინადადების ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანს, ხოლო მომდევნო ხმოვანი სუსტდება: ,,იმან არ იცოდა თხრვა''. თავისებურად გამოხატული მახვილი ახასიათებს ოკრიბულს: წინადადების ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან პირველი ხმოვანი ტონური მახვილის გამო გრძელდება, ბოლოდან მეორე ხმოვანს კი მკვეთრი მახვილი მოუდის: ,,ძლივს არ ამოვაწიე ამ სიცხეში''.

0. დ-ში სახელთა ბრუნებისას თავს იჩენს რიგი თავისებურებანი: სახელობითში ხმოვანფუძიან სახელებთან გვაქვს -ი (ძმაი, ვინმეი...), ნათ. და მოქმ. ბრუნვის -ის, -ით ნიშნები ფუძეს ვერ კვეცენ და არც თავად რედუცირდებიან (დაის, ღელე-ით...), მავრცობ ხმოვნად გამოიყენება -ა (ძმასა, ძმისა...) და -ი (ძმისი, ძმითი...), რ-ებიც შეიძლება დაერთოს თანდებულსაც (მაღლიდანა, მაღლიდანი...). თავისებურად იწარმოებენ მრ. რიცხვის ფორმებს პირის ნაცვალსახელები: ქვემოიმერულში გვაქვს: ეგენი, ამგენმა, ამგენს და ა.შ., ზემოიმერულში – ესენი, ამათმა // ემათმა, ამათ და სხვ. შეინიშნება მრავლობითის ორმაგი წარმოების შემთხვევებიც: აგენები, ეგენები...

ზმნებში მა- ზმნისწინი დასტურდება მ-ს წინ (გამამიგზავნა, გამამიტანა); რთული ზმნისწინის შემადგენლობაში შე-ს ნაცვლად გვაქვს შა- (შამეიტანა). შეინიშნება III სუბიექტ. პირის ნიშნების უნიფიკაციის ტენდენცია: წერ-ენ, წერდ-ენ, დაწერ-ენ; ჭრი-ენ, ჭრიდ-ენ, დაჭრ-ენ.

ქვემოიმერულში მრავლობითობის გამოსახატავად გამოყენებულია -ყე (//-ყენ //-კენ, მორფემათა ზღვარზე – -სკენ //-წყენ) და -არიენ //-ლარიენ ფორმანტებიც (რ- ნარევ ფუძეებთან -არიენ მეშველი ზმნის დართვისას ხდება დისიმილაცია: დამჟდარარიენ → დამჟდალარიენ. -ლარიენ ელემენტი სხვა ფუძეებთანაც გამოვლინდება, რაც შედეგია მისი დამოუკიდებელ ფორმანტად გააზრებისა: მოდი-ლარიენ). ამ ფორმანტებით გამოიხატება მრავლობითობა: ა) ობიექტისა (გეკუთვნისყენ ,,გეკუთვნით'', გიცდილარიენ ,,გიცდით''); ბ) პირდაპირი ობიექტისა (ღმერთმა გაცოცხლოსყენ ,,გაცოცხლოთ''); გ) რეალური სუბიექტისა (უყვარსყენ, უყვარლარიენ ,,უყვართ''); დ) რეალური ობიექტისა (უყვარლარიენ ,,უყვარს მას ისინი''). გვაქვს დამთხვევები: ,,უყვარლარიენ'' ნიშნავს – მათ ის, მას ისინი, მათ ისინი...

0. დ-ს ახასიათებს თავისებურებანი ზმნის დრო-კილოთა წარმოების მხრივ. აწმყოში თავს იჩენს ფუძის გაერთფორმიანების ტენდენცია, ფუძე რთულდება თემის ნიშნებით: წერ-ავ-ს, ტეხ-ავ-ს... ქართლის მომიჯნავე რეგიონში -ავ → -ამ, -ევ → -ემ პაუზისა და თანხმოვნის წინა პოზიციაში (თიბ-ამ-ს, ყეფ-ამ-ს, აძლ-ემ-ს...) და საპირისპიროდ, -ამ→ -ავ (ჩაასხ-



იმერული ბალიშა ცრუფარიანა.

ავ-ს, იზ-ავ-ს...). ფუძეში ხმოვანმონაცვლე ზმნები პარალელურ ვარიანტებს გვიჩვენებენ (კრეფ-ავ-ს // კრიფ-ავ-ს, კპეჩ-ავ-ს // კპიჩ-ავ-ს...). ფართო გამოყენებისაა მიმღეობის ფუძისაგან -ობ → -ოფ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნები (ხმარულ-ოფ-ს, ტანულ-ოფ-ს...).

ი. დ-ში აწმყო-მყოფადის ფორმებში ხშირია თემის ნიშანთა შენაცვლების შემთხვევები: - ებ → -ი (აძალის, აბრალის), - ი → -ობ (შეფერობს → შეფეროფს), - ებ → -ობ (ღრიალობს, ფრიალობს), ფონეტ. საფუძველზე - ევ → -ოვ (ამტრ-ოვ-ს)...



იმერული მუხის ფოთოლი და ნაყოფი.

თავისებურებებით ხასიათდება სტატ. ზმნების ფორმათა წარმოება ზემოიმერულსა (ვჯდია, წვია, დვია) და ქვემოიმერულში (ვჯდანა, დენა ,,დევს''...). ფართოდაა გავრცელებული მეშველზმნიანი წარმოება (ვჯდანავარ, ვგდივარ, ვყვირივარ, ვშვენივარ, ვგორავარ, ვჩქარობვარ...). ნამყო ძირითადში ზოგ ზმნასთან I და II პირის ფორმებში - ე სუფიქსის ნაცვლად გვხვდება - ი (დავაპი, დააპი...) ან - ევ-ი → - ე-ი, უპირატესად ზემოიმერულში (ვიყიდევი // ვიყიდეი, მოვიყვანევი // მოვიყვანეი...). II კავშირებითის წარმოებაში ჩნდება უნიფიკაციის ტენდენცია. ქვემოიმერულში უპირატესობა ენიჭება - ე ფორმანტს (დეიხჩვეს ,,დაიხჩოს'', დეიდვეს ,,დაიდოს''), ზემოიმერულში – ო-ს (წახვიდო ,,წახვიდე'', გედევიდოს ,,გადავიდეს''). უნიფიკაცია თავს იჩენს III სერიის ფორმათა წარმოების დროსაც. I შედეგობითში ძირითადია - ი დაბოლოებიანი წარმოება (მოუკლია, დოუბია...). ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელია ე. წ. IV სერიის ფორმათა წარმოება, რაც ძირითადად III პირში გამოიყენება (მინავალა, მინავალიყო, მინავალიყოს, ნაყვარება, ნაგდება, ნათბობა...).



იმერული ყველი.

ი. დ-თვის დამახასიათებელი ძირითადი სინტაქსური მოვლენებიდან აღსანიშნავია მსაზღვრელის სახ. ბრუნვის ფორმით გამოყენება ყველა ბრუნვაში (დიდი ბოვშმა, დიდი ბოვშს..). ზოგჯერ მსაზღვრელი გვხვდება ფუძის სახითაც (დიდ ბოვშმა). აქტ. სემანტიკის გამომხატველ გარდაუვალ ზმნათა II სერიის ფორმებთან სუბიექტი წარმოდგენილია მოთხრ. ბრუნვის ფორმით (ბიჭმა მევიდა; გამეემშვიდობა ამ კაცმა...). ეს მოვლენა უფრო ხშირად ქვემოიმერულში იჩენს თავს და მეგრულთან უშუალო კონტაქტის შედეგი უნდა იყოს.

ი. დ-ში უხვადაა წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დარგობრივი ლექსიკის დიალექტური ნაირსახეობანი. გამოიყოფა არქ. ფენა, ეთნოგრ. თავისებურებების ამსახველი ლექსიკა, ზანიზმები.

ი. დ-ის თავისებურებანი ასახულია XV–XVI სს. სიგელ-გუჯრებში, რაც დიალექტის ისტ. თვალსაზრისით შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

ლიტ.: გ ა ხ ჩ ი ლ ა ძ ე პ., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, – ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება'', 1956, ტ. 8; გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თოფურია ვ., ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; კ ა ხ ა ძ ე ო., ოკრიბულის თავისებურებანი, ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება'', 1954, ტ. 6; კ უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985; ნ ო ზ ა ძ ე ლ., კავშირებითის ფორმათა წარმოებისათვის ზემოიმერულში, «იკე», XXV, თბ., 1986; ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე ვ., მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, ,,საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე'', 1945, ტ. 6, №10; ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., იმერული დიალექტი, მის წგ.: ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970; ძ ო წ ე ნ ი ძ ე ქ., ზემოიმერული კილოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები), თბ., 1973; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ნ. ჭუმბურიძე.

იმერული მუხა (Quercus robur subsp. imeretina), ზაფხულმწვანე ხე წიფლისებრთა ოჯახისა, საქართველოს ენდემი. სიმაღლე 30 *მ* აღწევს. აქვს მოკლეყუნწიანი ფოთლები და გრძელყუნწიანი, ვიწრო ცილინდრული ნაყოფი. გავრცელებულია კოლხეთში. სხვა ფართოფოთლოვან ხეებთან (ჰართვისის მუხა, ძელქვა, ლაფანი, მურყანი, იფანი, რცხილა) ერთად დაბლობებსა და მთისწინეთის ტერასებზე ზ. დ. 300 *მ*-მდე ქმნის შერეულფოთლოვან ტყეებს, ჩრდილის ამტანი და ტენის მოყვარული ჯიშია. ძლიერი ფესვები აქვს და ამიტომ ქარგამძლეა. იზრდება ღრმა თიხიან და წითელმიწა გაეწრებულ ნიადაგებზე. ი. მ-ის მასივები უფრო მეტად შემონახულია ქუთაისის მიდამოებსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტში; ძელქვასთან ერთად იგი დაცულია აჯამეთის ნაკრძალში. დეკორ. მცენარედ აშენებენ ბოტან. ბაღებში. შეტანილია საქართველოს ,,წითელ ნუსხაში''.

მ. სახოკია.

იმერული ყველი, ქართული ყველის ერთ-ერთი სახეობა. მზადდება ძროხის რძისგან. მასთან დაკავშირებული ტრადიციული ტექნოლ. პროცესები ხანგრძლივ ემპირიულ დაკვირვება-გამოცდილებაზეა დამყარებული. ი. ყ. მოუხარშავ ყველთა ჯგუფს განეკუთვნება და რადგან იგი ხელით ამოჰყავთ, აჭარაში ხ ე ლ უ რ, ხ ე ლ ე უ რ ყველს უწოდებენ, მეგრელები და სვანები კი – ,,კაზლა'' ყველს. ცნობილია, რომ ყველის წარმოებაში მთავარ პროცედურას რძის კვეთა-შედედება წარმოადგენს, რისთვისაც იხმარება ს ა კ ი დ ე ლ ი (მაჭიკი, დვრიტა, სადედი, დედო). კარგად იკვეთება ახალგამოწველილი თბილი რძე, რ-საც ეს სითბო უნდა შეუნარჩუნდეს საკიდლის მოქმედების მთელ პერიოდში. გამოცდილი მეყველე ადვილად საზღვრავს კვეთის ხანგრძლივობას; თუ კვეთა არ დასრულდა, ყველის მასა არ შედედდება. რძის მასის სათანადოდ შედედების შემდეგ, მეყველე იწყებს მის შეგუნდავებას, ამოყვანას. ზედმეტი შრატისგან გასათავისუფლებლად მას ნელ-ნელა წურავს, თუმცა ისე, რომ შერჩეს საკმაო სისველე, რაც ყველის დამწიფების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. გაწურულ, მომრგვალებული ფორმის ყველს ხის ან თიხის ჯამზე დებენ, სადაც ის აფუვდება. დილით ამოყვანილ ყველს საღამომდე ჯამში ტოვებენ, შემდეგ კი ქვამარილს აყრიან. კენჭი ან ხვრიში მარილით ყველის შენელება ქართველი მეურნის წარმატებულ მიგნებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ასეთი ფრაქციის მარილი ყველში ნელ-ნელა, ზომიერად შედის, რაც ყველის დამწიფებასა და თ ვ ლ ე ბ ი ს (ფორების) განვითარებას უწყობს ხელს. შემაგრებული და დამარილებული ყველი ჯამიდან გადააქვთ დიდ სათავსოში – ხ ა ლ ა მ შ ი (დერგში, ქოცოში) და ინახავენ საგანგებოდ გაკეთებულ წათხში, რ-შიც არომატიანი ყველის მისაღებად ზოგჯერ ტარხუნის ან პიტნის კონებს დებენ. ყველიან დერგს ინახავენ სამეურნ. სათავსში ბნელ ადგილას (საერთოდ, სიბნელე და თავდახურულობა ყველის საიმედო შენახვის ერთ-ერთი წინაპირობაა), სადაც ერთ წლამდე გემოშეუცვლელად ინახება. საზამთროდ შესანახ ყველს აგვისტო-სექტემბერში აგროვებენ და ყველიერის დროს. ამ ყველს ახმობენ უმზეო ადგილას, შემდეგ კი მისგან აკეთებენ ბრინჯიან ხარშოს. 1 *კგ* ყველის მისაღებად საჭიროა 6–7 *ლ* რძე, თუ მისი ცხიმიანობა შეადგენს არანაკლებ 6,3%. იმერეთის გარდა,

ამ ტიპის ყველს საქართვ. სხვა რეგიონებშიც ამზადებენ. აღმ. საქართველოში, ძროხის რძის გარდა, ყველის დასამზადებლად იყენებენ კამეჩის, თხის, ცხვრის რძესაც და მათ ნარევსაც. ასეთ ყველს აქვს დამახასიათებელი გემონაკრაობა და სუნი.

საწარმოო პირობებში **ი. ყ.** მზადდება ტექნოლ. მოთხოვნებისა და ინსტრუქციების მიხედვით, კვების მრეწველობაში მოქმედი სანიტარიული ნორმების გათვალისწინებით. ახ. გაფილტრულ საღ რძეს უტარებენ პასტერიზაციას 72–74 °C ტემპ-რაზე, შემდეგ რძეს აგრილებენ შედედების ტემპ-რამდე (32–34 °C), უმატებენ რძემჟავა ბაქტერიების სუფთა კულტურებზე დამზადებულ დედოს და განუწყვეტელი მორევით შეაქვთ კალციუმის ქლორიდის 40%-იანი ხსნარი. რძის შედედება ხდება შესაბამისი ფერმენტით, მაჭიკის ან პეფსინის ფხვნილის გამოყენებით და გრძელდება 30–35 *წთ.* შედედებულ მასას (დელამოს) ჭრიან სპეც. დანებით და გადააქვთ ყალიბებში, სადაც 4 *სთ* განმავლობაში რამდენჯერმე გადაბრუნებით მიმდინარეობს მისი თვითდაწნეხვა. თვითდაწნეხვისა და დამკვრივების შემდეგ ყალიბიდან ამოღებულ ყველს ათავსებენ 16–18% კონცენტრაციის 8–12 °C ტემპ-რის წათხში. **ი. ყ.**-ის რეალიზაცია დასაშვებია წათხში არანაკლებ ერთი დღით დაყოვნების შემდეგ.

მზა **ი. ყ.** უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: სინოტივე – არაუმეტეს 52%, მარილი – 1-იდან 4%-მდე, ცხიმიანობა მშრალ ნივთიერებაში – არანაკლებ 45%.

ი. ყ.-ს ფართოდ იყენებენ ხაჭაპურის დასამზადებლად, მისგან მზადდება აგრეთვე პიტნითა და ტარხუნით გადაზელილი ყველი (სამეგრელოში მას „გებჟალიას“ უწოდებენ) და სხვ.

ძროხის რძისგან დამზადებული **ი. ყ.** დიეტურია, მას ურჩევენ დიაბეტით ან კუჭის წყლულით დაავადებულებს.

ლიტ.: თოფურია ნ., იმერული ყველის დამზადების ხალხური ტექნოლოგია, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», ტ. 19, თბ., 1978; პეტრიაშვილი ვ., რძე და მისი სხვადასხვაგვარი გამოყენება, ტფ., 1898; Калантар А., Молочное дело на Кавказе, Тфл., 1901; Сборник технологических инструкций по производству рассольных сыров, М., 1984.

ე. ნადირაძე. ე. კობერიძე-ბერაძისა.

იმერული ცხვარი, უძველესი ადგილობრივი ქართული ცხვრის ჯიში. დღევანდელი სახით მისი ჩამოყალიბება მოხდა IV–VI საუკუნეებში. ტანად პატარაა, აქვს თხელი, წაგრძელებული სხეული, მოკლე კონუსისებრი კუდი, მაგარი კიდურები. უფრო ხშირად თეთრია, ზოგჯერ ჭრელი ან ფერადი. ნერბის ცოცხალი მასაა 29,2 (უდიდესი – 39) *კგ*, ვერძისა – 34,9 (უდიდესი – 45) *კგ*. მატყლი წმინდა და გარდამავალბეწვიანია, ურევია მქისე ბეწვიც, რბილია. ნერბის კულულის სიგრძეა 13,3 *სმ* (თივთიკის სართული – 10), ვერძისა – 17,4 *სმ* (თივთიკის სართული – 11,6). ნერბის წლიური ნაპარსია 1,53 *კგ*, ვერძისა – 2,7 *კგ*. ერთ-ერთი ყველაზე ადრე მწიფე ბადი ჯიშია, სწრაფად იზრდება. 4 თვისა – სქესობრივად, 6 თვის კი ფიზიოლოგიურად მომწიფებულია; ინერბება და 11–13 თვის ასაკში იგებს 2–5 ბატკანს, რ-თაგან 2-ს დაუხმარებლად ზრდის. პოლიესტრულია, ე. ი. მრავლდება წლის ყველა სეზონში.

საუკუნეების განმავლობაში ხალხური სელექცია მიმდინარეობდა 2 წელიწადში 5 დოლისა და მრავალნაყოფიერი თაობის მიღების მიმართულებით. ადრეულობის, პოლიესტრულობისა და მრა-



იმერული ცხვარი.

ვალნაყოფიერების წყალობით **ი. ც.**-ს ახასიათებს თაობათა სწრაფი ბრუნვა: ერთი ნერბის შთამომავლობა 3 წლის ასაკში 15–20 სულს აღწევს, ხოლო რეკორდული ნერბის შთამომავლობამ 3,5 წლის ასაკში 76 სულს მიაღწია. **ი. ც.** გამოირჩევა ხმელი კონსტიტუციით. 1 ნერბიდან წელიწადში შესაძლებელია 50 *კგ*-ზე მეტი ხორცის (ნაკლავის მასა) მიღება. ნაკლავის გამოსავლიანობა – 43–47%; ხორცი გემრიელია, სპეციფ. სუნი არა აქვს.

ი. ც. გავრცელებულია იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში, სადაც 2004 წლის აღწერით სულადობამ 31,4 ათ. შეადგინა. **ი. ც.**-ის არეალში ბოლო 80 წლის განმავლობაში შეიყვანეს თუშური, ჰემფშირული, ყარაჩაული და სხვ. ჯიშის ერკემლები, რამაც შეამცირა ხალასჯიშიანის სულადობა და გააუარესა ჯიშური თვისებები. დიდი მნიშვნელობა აქვს მისი უნიკალური გენოფონდის გამოყენებას ინდუსტრიულ მეცხვარეობაში.

მ. რჩეულიშვილი. გ. გოგოლი.

იმერული ხეჭრელი (Rhamnus imeretina), კოლხური რელიქტური მცენარე ხეჭრელისებრთა ოჯახისა. 1,5–4 *მ* სიმაღლის ბუჩქი ან ხეა. ფოთლის ქვედა მხარე მონაცრისფრო ხავერდისებრია, ზედა კი – მუქი მწვანე და თითქმის შიშველი. ზარისებრი ყვავილები ფოთლის იღლიაში შეკრებილია კონებად. ნაყოფი მომრგვალო შავი კურკიანაა. გავრცელებულია დას., აღმ. (ცხინვალის რეგიონი, ზემო ქართლი) და სამხრ. საქართველოში (მესხეთი), ტაო-კლარჯეთში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია). იზრდება ქვეტყედ ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებსა და ტყისპირებზე მთის შუა სარტყლიდან ზ. დ. 2000 *მ*-მდე. დეკორ. მცენარეა.



იმერული ხეჭრელი.

მ. სახოკია.

იმერუხუთი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის უხუთის თემში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. კვინისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 400 *მ*, ვანიდან 26 *კმ*. 223 მცხ. (2014).

იმერწყალი, სოხუმის მუნიციპალიტეტის სოფ. *შუბარის* სახელწოდება 1956-მდე.

იმერხევი, ტერიტორიული რეგიონი, შედიოდა ისტორიულ *შავშეთში*. ვარაუდობენ, რომ ფეოდ. ხანაში ადმ. ერთეული იყო. XVI ს-ში იგი საქართველოს სხვა მიწებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა. ქართ. მოსახლეობით დასახლებული ეს მხარე ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია.

იმერხევი, სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის ხაშუფსეს თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის გორაკბორცვიან მთისწინეთში, მდ. ხაშუფსეს მარცხ. მხარეს. ზ. დ. 320 *მ*, გაგრიდან 25 *კმ*.

ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

იმერხევი (ყოფ. ხევა), სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის ზღუდრის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ღვანანის (დამის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 920 *მ*, ქარელიდან 18 *კმ*. 28 მცხ. (2014).

იმერხეული დიალექტი, კლარჯული, ქართული ენის დიალექ-

ტი. შემორჩენილია ისტ. შავშეთ-კლარჯეთის ტერიტორიაზე, მდინარეების – იმერხევისა და შავშეთისწყლის აუზებში (მდ. ჭოროხის ხეობამდე). ამჟამად თურქეთის საზღვრებშია.

ტერმ. ,,Ი. დ.'' ქართ. დიალექტოლოგიაში დამკვიდრდა იმ ძირითადი გეოგრ. ადგილის მიხედვით, სადაც დღეს იმერხეული მეტყველებაა გავრცელებული, თუმცა საქმის რეალურ ვითარებას უფრო კლარჯული (ან შავშურ-კლარჯული) შეეფერება. იმერხეულად მეტყველთა შორის ორი ფენა გამოიყოფა: ტაო-კლარჯეთის ძირძველი მოსახლეობის შთამომავალნი და აჭარა-მესხეთიდან XIX ს. მუჰაჯირებად წასულ ქართველთა შთამომავალნი. ამათ შორის ენობრივ სხვაობას მეცნიერებიც ამჩნევენ და თვით მოსახლეობაც.

იმერხეულის დიალექტოლოგიურ სახეს ორი ფაქტორი განაპირობებს: საქართველოსაგან ამ კუთხის ხანგრძლივი მოწყვეტით განპირობებული ფონეტ.-გრამატ. არქაიზმები და თურქ. გარემოში ასევე ხანგრძლივი ცხოვრებით გაჩენილი უამრავი ლექსიკური ნასესხობა.

შ. ფუტკარაძე ადასტურებს Ი. დ-ის შიგნით კილოკაურად განსხვავებულ ხუთ ნაირსახეობას: მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა მეტყველებას ბურსის ვილაიეთში, ქ. ინეგოლისა და ინეგოლის რ-ნის სოფლებში; ტაოს ქართ. მეტყველებას ისტ. ტაოს სოფლებში; იმერხეულ მეტყველებას მდ. იმერხევის აუზში შემავალ სოფლებში; ლივანურ მეტყველებას ბორჩხისა და მურღულის რ-ნების სოფლებში; მაჭახლურ მეტყველებას ზედა მაჭახლის სოფლებში.

აღსანიშნავია ფონეტ. თავისებურებები: დაცულია ჴ (ჴელი ,,ხელი'', ჴარი ,,ხარი''). გვხვდება უ (დეკეული, ბეური, ყაუს ,,ჰყავს''), დასტურდება ჲ როგორც ი-ს რეფლექსი (ანაჲ –,,დედა'', ფენჯერეჲ – ,,ფანჯარა'', ფენჯერაჲს – ,,ფანჯრის'', წაჲ – ,,წადი'', აჲ – ,,ადი''). გავრცელებულია ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია (დაეძინა > დეეძინა, დაუძახა > დოუძახა); ბოლოკიდურ პოზიციაში დისიმილაციით აე > ეე > იე (თმაები > თმეები > თმიები); ნაწილობრივი ასიმილაციით იცვლება აი კომპლექსი (დაიჭირა > დეიჭირა); რეგრესიული დისტანციური ასიმილაციის შემთხვევები (დეიჭედებიან > ,,დაიჭიდებიან''). ოა, ოე, ეა კომპლექსებში ხდება დისიმილაცია (მოვათავე > მოათავე > მუათავე, მოველი > მოელი > მუელი, შეაქო > შიაქო). ხდება მჟღერი აფრიკატების დეზაფრიკატიზაცია (ჩაზვრა, გოუზახა). ვე და ვი კომპლექსები იცვლება შესაბამისად ო და უ ხმოვნებით (ზოლი – ,,ძველი'', სირცხული – ,,სირცხვილი'').

მორფოლ. თავისებურებანი: ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები სახ. ბრუნვაში დაირთავენ – ი // -ჲ-ს (ანაჲ–,,დედა'', ბაბოჲ – ,,მამა'', გიდელაჲ–,,გიდელი''); მოთხრობითში ამ ტიპის სახელებთან გაჩნდება -მა (ანამა, ბაბომა). მავრცობ ხმოვნად დასტურდება -ა (მირზასა) და -ი (მირზასი). გვხვდება -დამ თანდებული (ქვეშედამ ,,ქვეშიდან''). რეალური სუბიექტის მრავლობითობა გამოიხატება -ან // -ენ ფორმანტებით (აქან –,,აქვთ'', ძინუან – ,,სძინავთ'', უქნიან –,,უქნიათ''). -ავ და -ამ თემის ნიშნები გახმოვანებას იცვლიან ნამყო უსრულსა და მასზე დაფუძნებულ მწკრივებში (მალევდა ,,მალავდა''). ამავე თემისნიშნიან ზმნათაგან ვნებითი არქ. წესით იწარმოება (იმალვის, იბმის).

სინტაქსური თავისებურებანი: ,,ეშინია'' ტიპის ზმნებთან დაცულია ძვ. ქართულისებური კონსტრუქცია: ჩიტიდამ მეშინოდა, ,,ჩიტისგან მეშინოდა – ჩიტისა მეშინოდა''. აქტ. სემანტიკის გარდაუვალი ზმნების II სერიის ფორმებთან ქვემდებარე დასმულია მოთხრ. ბრუნვაში: წეუდა კაცმა. ,,დაუძახა'' ზმნასთან ობიექტი დგას სახ. ბრუნვაში: დუუძახა ქელოღლანი –,,დაუძახა ქელოღლანს''.

ლექსიკაში შენახულია არქ. ფენა, ქართ. ლექსიკა კარგადაა დაცული სას.-სამ. ტერმინოლოგიაში. შეინიშნება დიალექტური ინოვაციები: მრავლადაა თურქ. ნასესხობანი, თითქმის მთლიანად თურქულია ნათესაობის ტერმინოლოგია. ტოპონიმიკა ქართულია. სიტყვებიც კი, რ-ებიც ცოცხალ მეტყველებაში აღარ იხმარება, დაცულია ტოპონიმიკაში (ბოსლეთი – ბოსელს ,,ახორი'' ჰქვია; ვაკეთი – ვაკეს ,,დუზი'' ჰქვია).

ლიტ.: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათ., 1993; Марр Н. Я., Дневник поездки в Шавштетию, «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», VII, СПб., 1911.

გ. ცოცანიძე.

ᲘᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐ (<ლათ. immigro – ჩავსახლდები), ცოცხალ ორგანიზმთა სივრცითი გადაადგილების, ანუ *მიგრაციის* ერთ-ერთი სახეობა. *ემიგრაციასთან* ერთად ახასიათებს როგორც ადამიანებს, ასევე ცხოველებს.

ცხოველთა Ი. მათი პოპულაციის რეგულარული გადაადგილებაა ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეში. ცხოველების გადაადგილება გულისხმობს ბუნების მიერ ბოძებული მოხმარების საგნების, და არა მათი წარმოებისათვის შრომის პირობების ძიებას. ესაა პრინციპული განსხვავება ცხოველთა სამყაროს ნებისმიერი პოპულაციის მიგრაციასა და მოსახლეობის მიგრაციას შორის. ცხოველთა Ი. ყველაზე მეტად გავრცელებულია თევზებსა და ფრინველებში (გადამფრენი ფრინველები).

მოსახლეობის Ი. ნიშნავს ერთი სახელმწიფოს (ან გარკვეული ტერიტორიის – კონტინენტის, რეგიონის, ოლქის, მხარის, რაიონის, ქალაქის, მუნიციპალიტეტის და სხვ.) მოსახლ. გარკვეული ნაწილის (მიგრანტების, ანუ გადასახლებაში მონაწილე ადამიანების) სხვა სახელმწიფოში (ან გარკვეულ ტერიტორიაზე – კონტინენტზე, რეგიონში, ოლქში, მხარეში, რაიონში, ქალაქში, მუნიციპალიტეტში და სხვ.) დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად გადასვლას. მოსახლეობის მიგრაციას (და მ. შ., ბუნებრივია, Ი-საც) ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარებისთვის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. იმ ტერიტორიისთვის, საიდანაც მოსახლეობა გაედინება, ეს არის ემიგრაცია, ხოლო სადაც მოსახლეობა სახლდება – Ი. ტერმინები Ი. და ემიგრაცია უფრო ხშირად გამოიყენება გარე მიგრაციული (ანუ სახელმწიფოთაშორისი) პროცესების დახასიათებისას.

Ი. განპირობებულია სოც.-ეკონ., პოლიტ., ეთნ. (ეროვნ.), რელიგიური და სხვა მიზეზებით. ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა დედამიწის ცალკეული ნაწილების ათვისებაში. არსებითი, ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მას მრავალი ქვეყნის (აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ისრაელი, არგენტინა და სხვ.) მოსახლეობის ფორმირებაში.

Ი. საგრძნობ გავლენას ახდენს როგორც გამოსვლის, ასევე ჩასახლების ადგილის (სახელმწიფოს) მოსახლ. რიცხოვნობის დინამიკაზე. მისი შედეგები განპირობებულია არა მხოლოდ იმიგრანტების

რაოდენობით, არამედ მათი სქესობრივ-ასაკობრივი, ეთნ., რელიგიური და სხვ., სტრუქტურების თავისებურებებითაც. Ო. იწვევს მოსახლ. სხვადასხვა ეთნ. ჯგუფების შერევას.

Ო-ის გამომწვევ ეკონ. მიზეზებს მიაკუთვნებენ: იმიგრანტების გამოსვლის ადგილებში (ქვეყნებში) არსებულ არახელსაყრელ ეკონ. პირობებს, ინფლაციას, უმუშევრობას, ეკონ. კრიზისს, აგრეთვე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების დონეთა მკვეთრ განსხვავებას, რის გამოც განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა ცხოვრებისთვის ეძებს უფრო კომფორტულ პირობებს, ეკონ. კეთილდღეობას, მაღალანაზღაურებად სამუშაოს და ა. შ. მკვლევართა უმეტესობა Ო-ის გამომწვევ გადამწყვეტ ფაქტორად სწორედ ეკონ. მიზეზებს მიიჩნევს.

Ო-ის პოლიტ. მიზეზებს კი მიეკუთვნება ეროვნ., რასობრივი ან რელიგიური ნიშნით შევიწროებისაგან გაქცევა – ე. წ. პოლიტმიგრანტები, დევნილები, სახელმწიფოებს შორის ეროვნ. უმცირესობების გაცვლა, უფრო სტაბილური პოლიტ. სიტუაციის მქონე ქვეყანაში გადასახლება, ასევე სხვისი ტერიტორიის ანექსია და მისი კოლონიზაცია. მათი გამომწვევი მიზეზებია რიგ ქვეყნებში შიგა და გარე კონფლიქტები, ასევე პოლიტ. და სამართ. არასტაბილურობა. უკანასკნელ წლებში დას. ქვეყნებმა თავიანთი სტაბილურობით მიიზიდეს დაახლ. 13 მლნ. ადამიანი, რ-ებმაც საკუთარი სამშობლო დატოვეს, რათა შეიარაღებული კონფლიქტებისა და დევნისაგან დაეცვათ თავი. პოლიტ. მიზეზით იმიგრირებულთა ძირითადი ნაწილი XX ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან გამოჩნდა. თავდაპირველად მიგრაციის მკვეთრი ზრდა გამოიწვია „ცივი ომის“ დამთავრებამ, სსრკ-ის დაშლამ, ეთნ. კონფლიქტების გამწვავებამ და სამოქალაქო ომების გაჩაღებამ, რის შედეგადაც ადამიანთა უდიდესმა ნაწილმა დაიწყო იუგოსლავიის, აღმ. ევროპის, აზიისა და აფრიკის ტერიტორიებიდან დას. ევროპაში გადასვლა.

სამართლებრივი თვალსაზრისით Ო. არის ორი სახის: ლეგალური (კანონით აღიარებული, ნებადართული) და არალეგალური (სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიგრაციული კანონის დარღვევით შესვლა ან ყოფნა).

ისტორიულად მოსახლ. Ო-მ არსებითი როლი შეასრულა დედამიწის დასახლებაში, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკასა და მათი დემოგრ. სტრუქტურის ფორმირებაზე.

მოსახლ. Ო. ყველა ისტ. ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. ყველაზე მასშტაბური იყო ისეთი იმიგრაციული პროცესები, რ-ებიც თან სდევდა: ხალხების დიდ გადასახლებას ევროპაში (IV–VII სს.); არაბულ დაპყრობებს (VII–VIII სს.); თურქული და მონღოლური ხალხების ექსპანსიას (XI–XVII სს.); დიდი გეოგრ. აღმოჩენების ეპოქაში განხორციელებულ კონტინენტთაშორის მიგრაციებს (XV ს. შუა ხანები – XVII ს. შუა ხანები) – ძირითადად ევროპიდან ამერიკასა და ავსტრალიაში; ორ მსოფლიო ომთან დაკავშირებულ მოსახლეობის გადაადგილებებს; ბრიტანული ინდოეთის ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – ინდოეთად და პაკისტანად – გაყოფის დროს 16 მლნ-ზე მეტი ადამიანის გადასახლებას; ებრაელების ისრაელში რეპატრიაციასთან დაკავშირებულ მიგრაციებს; საბჭ. კავშირის დაშლის შედეგად დაწყებულ მიგრაციებს.

Ო-ისთვის, როგორც მიგრაციის ერთ-ერთი კომპონენტისთვის, დამახასიათებელია ისეთივე ფუნქციები, რ-ებიც ახასიათებს ზოგადად მიგრაციულ პროცესებს.

Ო-ის ზომებსა და ინტენსივობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მიმღები ქვეყნის ეკონ. მიმზიდველობა. ამიტომაც, რომელიმე ქვეყნის ან ტერიტორიის Ო-ის მაღალი დონე მისი ეკონ. კეთილდღეობის საზომადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, ანუ ეკონ. განვითარებული ქვეყნებისთვის უმეტესად დამახასიათებელია არა ემიგრაციული, არამედ იმიგრაციული პროცესები.

Ო. მიმღები ტერიტორიის მოსახლ. რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, ყოველთვის იწვევს მის თვისებრივ ცვლილებებსაც მრავალი პარამეტრის (სქესის, ასაკის, ეროვნების, პროფესიის, განათლების დონისა და ა.შ.) მიხედვით.

Ო-ის მასშტაბების, ანუ მისი მოცულობისა და ინტენსივობის დონის დასახასიათებლად გამოიყენება როგორც აბსოლ., ასევე შეფარდებითი სტატისტ. სიდიდეები. უწინარეს ყოვლისა, ეს არის წლის განმავლობაში (თუმცა შესაძლებელია დროის სხვა ინტერვალიც) მოცემულ ტერიტორიაზე სხვა ტერიტორიიდან (როგორც ქვეყნის შიგა, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარედან) შემოსულთა რაოდენობა. Ო-ის პროცესის შესწავლა-დახასიათებისათვის საჭირო ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენს: *მოსახლეობის აღწერა*, რ-შიც არის ცნობები მოცემულ დასახლებულ პუნქტში ცხოვრების ხანგრძლივობის შესახებ (ცხოვრობს დაბადებიდან, თუ ჩამოვიდა სხვა ქვეყნიდან ან ამავე სახელმწ. სხვა დასახლებული პუნქტიდან და – როდის); მიგრაციული პროცესების მიმდინარე სტატისტ. აღრიცხვა, რ-იც გულისხმობს აღწერებს შორის პერიოდში Ო-ის შესახებ მონაცემების მიღებას (ეს მონაცემები აღწერის მონაცემებთან შედარებით ნაკლებად ზუსტია); მოსახლეობის სოციოლოგიურ-დემოგრ. გამოკვლევები (მათი მეშვეობით ხდება მიგრაციული ქცევის შესწავლა, რ-საც გაცილებით უფრო ლოკალური და მცირე მასშტაბები აქვს, ვიდრე მოსახლ. აღწერისას ან მიგრაციის მიმდინარე სტატისტ. აღრიცხვას).

მიუხედავად იმისა, რომ Ო. ემიგრაციის გაგრძელებას წარმოადგენს (რომ არ ყოფილიყო ემიგრაცია, ანუ რომელიმე დასახლებული ადგილიდან ადამიანის წასვლა, გადასახლება, მაშინ არც მათ სადმე ჩასვლას, ანუ Ო-ს ექნებოდა ადგილი), თავის მხრივ, მისი დასრულება არ ნიშნავს მხოლოდ საცხოვრ. ადგილის გამოცვლას. იგი გულისხმობს იმიგრანტის შეგუებას ახ. საცხოვრ. ადგილთან (ადაპტაციისა და მოწყობის საკმაოდ ხანგრძლივ პროცესებს). მისი დასაწყისი იმიგრანტის ახალმოსახლედ, ხოლო დასასრული კი ახალმოსახლის მკვიდრ მოსახლედ გადაქცევაა, რაც დაახლ. 10 წელს გრძელდება.

Ო-ის შედეგია ისიც, რომ იმიგრანტთა გამოსვლის ადგილებში გაცილებით მაღალია მოსახლ. დემოგრ. დაბერების დონე (მოხუცთა ხვ. წ. მთელ მოსახლეობაში), ვიდრე მათი ჩასახლების ადგილებში. ამასთან, Ო. უმეტესწილად აუმჯობესებს მიმღები მოსახლ. კვლავწარმოების რეჟიმსაც. ამიტომაც აუცილებელია ქვეყნის ერთიანი დემოგრ. პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქვეყნის იმიგრაცი-

ული პოლიტიკის შემუშავებასა და ცხოვრებაში რეალიზებას ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გამრავლებისა და წინსვლა-განვითარებისათვის. Ო-ის რეგულირება ხდება თითოეული ქვეყნის მიერ შემუშავებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ლიტ.: ს ა ხ ვ ა ძ ე ა., იმიგრაციული პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ. კრ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II (კრებული ეძღვნება ი. ჭავჭავაძის დაბადების 170-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავს), თბ., 2007; Народонаселение. Энциклопедический словарь, М., 1994; Р ы б а к о в с к и й Л. Л., Миграция населения – стадии миграционного процесса, М., 2001. *ა. სახვაძე.*

ი მ ი გ რ ა ც ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი. საყოველთაო აღწერით 2014 საქართვ. მოსახლეობის 5%-ს შეადგენენ იმიგრანტები, მ. შ. 51,9% მამაკაცია, 48,1% – ქალი. იმიგრანტთა 77,4% საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს, ხოლო 22,6% – სოფელში. მათი 45,5% ცხოვრობს თბილისში, 12,9% – იმერეთში, 11% – ქვემო ქართლში, 7,2% – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 7,1% – კახეთში, 5,5% – აჭარაში და ა. შ. იმიგრანტთა 51,6%-თვის წინა საცხოვრებელი ქვეყანა რუსეთი იყო, 8,3%-თვის – საბერძნეთი, ხოლო 8,1%-თვის – უკრაინა.

ქვედა პალეოლითის ხანიდან დედამიწაზე ხალხთა გადაადგილებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. მიგრაციული პროცესები ინტენსიური იყო საქართვ. ტერიტორიაზეც, თუმცა გლობალური ეთნიკური ძვრები ამას არასდროს გამოუწვევია, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა უწყვეტად მრავლდებოდა. მრავალეთნიკურ საქართველოში მიგრაციული პროცესის შედეგად სხვადასხვა ეთნოსის გაჩენას სხვადასხვა ისტორია და წინაპირობა აქვს.

ე ბ რ ა ე ლ ე ბ ი ს საქართველოში შემოსვლას „ქართლის ცხოვრება“ ძვ. წ. VI ს-ში ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს. ლეონტი მროველის ცნობით, ებრაელი იმიგრანტები ქართლში, კერძოდ, მცხეთის მახლობლად ხერკში (საგურამოში) დასახლებულან. ვახუშტი ბატონიშვილი თვლიდა, რომ ებრაელები საქართველოში უფრო ადრე, კერძოდ, ძვ. წ. VIII ს-შიც ჩამოსახლდნენ. მათი შემოსვლა შემდგომაც გრძელდებოდა. ქართლის მოქცევის ქრონიკების მიხედვით, ებრაელები მცხეთაში ძვ. წ. 169 მოსულან. ისინი VI ს-ში ბიზანტიის გავლით დამკვიდრდნენ როგორც დას., ასევე აღმ. საქართველოში. XIX ს. დასაწყისში შემოდიან ასევე ირანიდან, ერაყიდან და თურქეთიდან. ამავე პერიოდში საქართველოში სახლდებიან რუსეთიდან და ევროპიდან გადმოსახლებული ებრაელებიც.

რუსეთის იმპერიაში 1897 ჩატარებული საყოველთაო აღწერით საქართველოში 12,2 ათ. ებრაელი ცხოვრობდა: თბილ. გუბერნიაში – 5188, ხოლო ქუთ. გუბერნიაში – 7006. 1926 აღწერით კი ცხოვრობდა 30,2 ათ. ებრაელი. ებრაელების ყველაზე დიდი რაოდენობა 1970 მონაცემებით დადასტურდა – 55,4 ათ., 1989 აღწერით – 24 ათ., ხოლო 2014 მონაცემებით – დაახლ. 3 ათ.

ს ო მ ხ ე ბ ი საქართველოში, ლეონტი მროველის ცნობით, ძვ. წ. IV–III სს-მდე სახლობდნენ, ძირითადად სამხრეთის საზღვრისპირა რაიონებში. საქართველოში სომხური მოსახლეობის Ო-ის პირველი გააქტიურება დაკავშირებულია ქრისტ. სარწმუნოების მიღებასთან და მცხეთასთან, რ-იც წმ. ნინოს მოღვაწეობით, სამხრ. კავკასიაში ქრისტ. რელიგიის უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა. VII ს-მდე ქართლის ცენტრ. რ-ნებში სომხური დასახლებები არ იძებნება. შემდგომ საუკუნეებში მათ საქართველოში შემოსვლას არაბთა შემოსევებმაც შეუწყო ხელი, თუმცა მათი მეტ-ნაკლებად მასობრივად შემოსვლის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. სომეხ იმიგრანტთა ერთი ნაწილის საქართველოში ჩამოსახლების შესახებ პირველი ცნობა უკავშირდება დავით აღმაშენებლის ღონისძიებებს შიდა ქართლში სამოქალაქო ცხოვრების ასაღორძინებლად. სომეხთა ერთი ნაწილი მან გორში, ხოლო თბილისის აღების (1122) შემდეგ მრავალი ანისელი სომეხი თბილისშიც დაასახლა. ეკონ. მოსაზრებებით, 1779 ერევანზე ლაშქრობისას ერეკლე II-მ რვა სომხური სოფელი აჟარა და საქართველოში ჩამოასახლა. მათი შემოსვლის ახალი დიდი ტალღა XIX ს-ში იწყება. 1804 თბილისში 2 ათასზე მეტი სომეხი გადმოსახლდა. მათი განსაკუთრებით ინტენსიური ჩამოსახლება განაპირობა რუსეთის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ და ის 1829–31 განხორციელდა სამცხე-ჯავახეთში. აქ, ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად, რუსეთისათვის გადაცემული თურქეთის ტერიტ-იდან აყრილი 25 ათ. სომეხი ჩამოასახლეს. სომხების გადმოსახლება მთელი XIX და XX სს. განმავლობაში გრძელდებოდა. მხოლოდ 1897–1902 55 ათ. ლტოლვილი სომეხი შემოვიდა. ასევე დიდი რაოდენობით ჩამოასახლეს სომხები 1914–18 და XX ს. 30-იან წლებშიც. ამ პერიოდში სომხების რაოდენობა საქართველოში 108 ათასით გაიზარდა, რაც, ძირითადად, სომეხ იმიგრანტთა შემოსვლით იყო გამოწვეული. 2014 აღწერით საქართველოში 168,1 ათ. სომეხი ცხოვრობს.

ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ე ლ ე ბ ი ს წინაპარი მომთაბარე ტომების საქართველოში შემოსვლა XV ს-იდან დაიწყო და ის ირანელი და თურქი დამპყრობლების მიერ სამხედრო-პოლიტ. მოსაზრებებით ხორციელდებოდა. ამ პერიოდში თავდასხმებით აოხრებული მიწები ადგილ. ქართ. მოსახლეობისაგან დაიცალა და მათ ნაცვლად მომთაბარე მეჯოგე ტომები – ელები დასახლდნენ. მაგ., 1478 ირანის შაჰმა ქართლში დიდი რაოდენობით ელები დატოვა. ასეთ ძალადობრივ ჩამოსახლებას სხვა შაჰებიც ახორციელებდნენ. ყველაზე დიდი იყო XVII ს. დასაწყისში შაჰ-აბასის მიერ განხორციელებული ჩამოსახლება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მან ქვემო ქართლის დებედის ხეობიდან ადგილ. მოსახლეობა აყარა და ტერიტორია მთლიანად ბორჩალუს ელებით დაასახლა: „მოიყვანნა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“. მოგვიანებით, თურქმანულმა და თურქულმა მომთაბარე ტომებმა თანდათანობით ქართლის შიგნითაც გადაინაცვლეს, რის შედეგადაც შულავრისა და ფოლადაურის ხეობებში მათი არაერთი სოფელი გაჩნდა. ძირითადად სწორედ ეს გარემოება გამოიყენა რუსეთის იმპერიამ XIX ს-ში და კოლონიზატორული მოსაზრებებით თბილ. მაზრაში თავდაპირველად ბორჩალოს დისტანცია შექმნა, შემდეგ თბილ. გუბერნიაში – ბორჩალოს მაზრა (1880), ცენტრით დიდ შულავერში (ის მოიცავდა წალკას, თეთრ წყაროს, დმანისს, ბოლნისს, მარნეულს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე ტერიტორიებს).

2014 აღწერით, საქართველოში 233 000 აზერბაიჯანელი ცხოვ-

რობს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 6,3%.

ბერძნები საქართველოში ჯერ კიდევ ძვ. წ. VII ს-იდან ჩნდებიან. მათ მიერ ხდებოდა შავი ზღვის სანაპიროს ინტენსიური კოლონიზაცია. აღმ. საქართველოში ისინი უფრო გვიან, ძვ. წ. III ს-ში, ჩნდებიან. ბერძნული მოსახლეობის ეს ნაწილი შემდგომში უკვალოდ გაქრა: ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილირდა. XVIII ს. II ნახ-ში ერეკლე II-მ, სამთამადნო მრეწველობის განვითარების მიზნით, თურქეთის პროვინციიდან ბერძენთა 800 ოჯახი ჩამოასახლა. ამავე პერიოდში საქართველოსკენ დაიძრნენ ბერძნები ირანის აზერბაიჯანიდანაც.

საქართველოში ბერძნები კომპაქტურად XIX–XX სს. განმავლობაშიც დასახლდნენ. 1806–07 ჩამოსული ბერძნები ქვემო ქართლში იწყებენ დამკვიდრებას. 1813 თურქეთიდან 120 ოჯახი გადმოსახლდა სოფ. წინწყაროში (ახლანდ. თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი).

რუსეთ-თურქეთის 1828–29 ომის შედეგად ბერძნები თურქეთიდან რამდენიმე ეტაპად – ოთხ ჯგუფად ჩამოვიდნენ. ისინი ძირითადად თრიალეთში, კერძოდ, წალკის მიდამოებში დაასახლეს. XIX ს. 60-იან წლებში ბერძნები მასობრივად ჩამოსახლდნენ აფხაზეთსა და აჭარაში.

1897 აღწერით, რუსეთის იმპერიაში 167 ათ. ბერძენი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში – 41,6 ათ. 1926 საქართველოში 54 ათ., ხოლო 2014 აღწერით 5 500 ბერძენი ცხოვრობს, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 0,1%.

ქისტები და *ვეინახები* საქართველოში ჩაჩნებისა და ინგუშების საერთო სახელწოდებად იხმარებოდა. ქართულ წყაროებში ვეინახები ძურძუკებად ან დურძუკებად იხსენიებიან. ვეინახები საქართველოში ძვ. წ. III ს-ში შემოსულან. ,,ქართლის ცხოვრების'' მიხედვით, ფარნავაზის ძემ საურმაგმა დურძუკთა დიდი რაოდენობა „დახსნა მთიელეთს, დიდოეთითგან ვიდრე ერისამდე, რომელი არს სუანეთი“. ვეინახები საქართველოში XIII ს-შიც სახლდებიან. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა XVIII ს. ბოლოსა და XX ს. შუა პერიოდში. ისინი პირველად თიანეთის მაზრის სოფ. ხორბალოში, ხოლო 1826 – პანკისის ხეობაში, სოფ. დუისში დასახლდნენ. 1886 საოჯახო სიებით თბილ. გუბერნიაში 2497 ქისტი ცხოვრობდა. 1897 რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერით კავკასიაში 413 ათ. ქისტი ცხოვრობდა და აქედან 371 ათ. (89,8%) – საქართველოში. სხვა მონაცემებით, მათი რეალური რაოდენობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო. 2002 აღწერის მიხედვით მხოლოდ სამ სოფელში – დუისში, ომალოსა და ჯოყოლოში 6552 ქისტი ცხოვრობს.

ოსების საქართველოში პირველი შემოსვლა ჩრდ. კავკასიის ცენტრ. ველებზე მონღოლთა გამოჩენამ განაპირობა. ოსები თავს ცენტრ. კავკასიონის ხევებს აფარებენ. მათი ქართლში ყოფნა დაახლ. 30 წელიწადს გაგრძელდა. ოსთა ახალშენები ქართლის მთიანეთში XVII ს. შუა ხანებში ჩნდება. ერთი ცნობით, იმ ადგილებში 200-მდე ოსი ცხოვრობდა. ვახუშტი ბაგრატიონის რუკების მიხედვით, ოსთა განსახლების ადგილები მხოლოდ ხეობათა სათავეები იყო, ხოლო შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში მათი მეტ-ნაკლებად კომპაქტურად დასახლებული პუნქტები არ არსებობდა. ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები, ენობრივი მასალა, ოსური ფოლკლორი, ხუროთმოძღვრული ძეგლები, ტოპონიმები, ეპიგრაფიკა მკაფიოდ აჩვენებს, რომ საქართველოში ოსები ძირითადად მხოლოდ XVII ს-ში იწყებენ ჩამოსახლებას. ისინი ქართლის შიდა დაბლობებში XVIII ს. გამოჩნდნენ, მათი ჩამოსახლება მთელი XIX ს. განმავლობაში გრძელდებოდა, თუმცა საქართველოში ოსების რაოდენობა XIX ს. II ნახ-მდე უმნიშვნელო იყო.

საქართველოში ოსების ჩამოსახლება ჩრდ. კავკასიიდან, მათი ისტორიული სამშობლოდან, მასობრივად იწყება 1860-იდან. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის მიხედვით, 1833 რუსეთის იმპერიაში 37750 ოსი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში – 14 000. 1860 ჩრდ. კავკასიაში 46 802 ოსი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში – 19 324. 1880, ე. ი. 20 წლის შემდეგ, კავკასიის სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით საქართველოში უკვე 52 ათ-მდე ოსი ცხოვრობდა, ე. ი. 33 ათასით მეტი. რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივი მატების შედეგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო და ის მხოლოდ ოსების მასობრივ 0-ს უკავშირდება. ამ პერიოდიდან ჩამოსახლებული ოსები უკვე ქართლის ბარის რაიონებში სახლდებიან. ეს პროცესი გრძელდებოდა მთელი XX ს. განმავლობაშიც. თუ 1926 საქართველოში ოსების რაოდენობა 113 ათ. იყო, 1989 უკვე 164 ათ. გახდა. 2014 აღწერით, საქართველოში 14,4 ათ. ოსი ცხოვრობს (მთლიანი მოსახლეობის 0,4%). იმიგრაციული პროცესი განსაკუთრებით ქ. ცხინვალს შეეხო, რ-შიც ოსებს XX ს-მდე არასდროს უცხოვრიათ. ამას მოწმობს XIX ს. განმავლობაში რუსი მოხელეების მიერ ჩატარებული არაერთი ოფიციალური აღწერა. ოსები ცხინვალში ცხოვრებას მხოლოდ 1922 შემდეგ იწყებენ. ქალაქში მათი რაოდენობა 4 წელიწადში (1926) უკვე არის 1152; 1998 აღწერით კი ცხინვალში 31537 ოსია ფიქსირებული. ასეთი დიდი მატება, ძირითადად, მხოლოდ იმიგრაციული პროცესებით შეიძლება იყოს გამოწვეული.

რუსები საქართველოში XIX ს. დასაწყისიდან ჩნდებიან. ამ დროიდან იქმნება სპეციალური სამხ. დასახლებები. დიდი რაოდენობით ჩამოდიან რუსი მოხელეებიც. 1825 წ. 300-მდე სკოპეცი დაასახლეს სოფ. მარანსა და კოდორში. მათ რიონზე ნაოსნობისათვის იყენებდნენ. 1830 კანონით შიდა რუსეთიდან სამხრ. კავკასიაში გადმოასახლეს ე. წ. ერეტიკოს-რასკოლნიკები. მათი პირველი გადმოსახლება მოხდა რედუტ-კალესა (ყულევი) და სოხუმ-კალეში. 1841–43 ყირიმიდან სამხრ. საქართველოში დუხობორების 3 ჯგუფი ჩამოასახლეს – სულ 140-მდე ოჯახი (1600-მდე სული).

1845-თვის სამხრ. კავკასიაში უკვე 10 000-მდე სხვადასხვა სექტის რასკოლნიკი (დუხობორები, სუბოტნიკები, მოლოკნები) ცხოვრობდა. მათი დიდი ნაწილი საქართველოში ჩაასახლეს. უკვე 1855 საქართველოში რუს იმიგრანტთაგან შეიქმნა 21 რუსული სოფელი, რ-ებშიც 1119 ოჯახი ცხოვრობდა. 1863 რუს. კოლონისტთა რაოდენობამ 12658 მიაღწია. რუსების ჩამოსახლება მთელი XIX ს. განმავლობაში გრძელდებოდა. ეს პროცესი განსაკუთრებულად გააქტიურდა XX ს-ში. XX ს. 30-იან წლებში საქართველოში საცხოვრებლად დაახლ. 200 ათ. რუსი, 80-იან წლებში კი მხოლოდ ტყვარჩელში 1616 ადამიანი ჩამოასახლეს. 1897 საქართველოში 98 365 რუსი ცხოვრობდა, 1939 – 308 ათ., 1954 – 408 ათ., 1979–372

ათ., 2014 აღწერით მათი რაოდენობა 26 500 აღწევს (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 0,7%).

გერმანელი კოლონისტები საქართველოში XIX ს. დასაწყისში გამოჩნდნენ. ვიურტემბერგელთა პირველი ჯგუფი 181 ადამიანის (31 ოჯახი) შემადგენლობით 1817 სექტემბერში სართიჭალაში დასახლდა. 1817–18 საქართველოში სულ გერმანელთა 494 ოჯახი – 2023 ადამიანი დასახლდა. ისინი განსახლდნენ სართიჭალაში, თბილისში (სოფ. კუკია, დიღუბე), ქვემო ქართლში (ასურეთი, ბოლნისი). 1865 მონაცემებით გერმანელ კოლონისტთა რაოდენობა 6114 იყო, 1897 – 9405, 1939 – 20,5 ათ. 2014 მონაცემებით საქართველოში მხოლოდ 650-მდე გერმანელი ცხოვრობს.

ქურთების პირველი გამოჩენა საქართველოში, კონკრეტულად მესხეთში, VI ს-ში მოხდა. 1886 საოჯახო სიებით საქართველოში 2762 ქურთი ცხოვრობდა, ხოლო 1897 – 4362. მათი რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 1918–20 თურქეთიდან, კერძოდ, ყარსიდან მათი გადმოსახლებით. 1926 საქართველოში 12479 ქურთი ცხოვრობდა (*ეზიდებთან* ერთად), 1989 – 33331, 2014 – 12 200.

უკრაინელები საქართველოში XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში ჩნდებიან. 1897 მათი რაოდენობა 10451 შეადგენდა. ისინი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით (დაახლ. 30 ათ.) 1926–39 ჩამოვიდნენ. 1998 უკრაინელთა რიცხვი 53 ათ. შეადგენდა, 2014 კი – დაახლ. 7 ათ.

ლიტ.: ანთაძე კ., საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში (ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1973; გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX საუკუნეებში, ტ.1, თბ., 1949; თოთაძე ა., საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, თბ., 2009; მანჯგალაძე გ., გერმანელი კოლონისტები საქართველოში, თბ., 1974; ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა: ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1996.

ვ. ლორთქიფანიძე.

იმირასანი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ *სავანეთის* ძველი სახელწოდება.

იმირი, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის შულავრის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 350 *მ*, მარნეულიდან 10 *კმ*, შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 1,2 ათ. მცხ. (2014).

იმირის გორა, ადრინდელი სამიწათმოქმედო კულტურის (ძვ. წ. VI ათასწლ.) გორანამოსახლარი სოფ. იმირის (მარნეულის მუნიციპალიტეტი) სამხრ.-დას-ით, მდ. ხრამის მარჯვ. ნაპირას. გაითხარა 1966–71 (ხელმძღვანელები: ა. ჯავახიშვილი, ო. ჯაფარიძე). ნამოსახლარი წარმოადგენს 4–5 *მ* სიმაღლისა და 90 *მ* დიამეტრის ბორცვს, რ-იც წარმოიქმნა ალიზის ნაგებობათა ნგრევისა და პერიოდული განახლების შედეგად. 5 *მ*-ზე მეტი სისქის კულტ. ფენაში დადგენილია 7 სამშ. ჰორიზონტი. საცხოვრებელი კომპლექსები შედგება საცხოვრ. და სამეურნ. ნაგებობებისა და მათ შორის მოქცეული სამეურნ. ეზოსაგან. ცრუგუმბათოვან ნაგებობათა უმრავლესობა წრიულგეგმიანია. აღნიშნული კომპლექსები ერთმანეთთან დაკავშირებულია მორკალული კედლებით და წრიულადაა განლაგებული ცენტრ. მოედნის გარშემო. ი. გ-ის მკვიდრი მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, ნადირობასა და თევზჭერას. ი. გ-ის ქვედა ჰორიზონტებში აღმოჩენილია ჭდეული



იმირის გორა. საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები. ძვ. წ. V–IV ათასწლეული.

ორნამენტით და კონუსური კოპებით შემკული უხეშად ნაძერწი ჭურჭელი; ობსიდიანისა და კაჟის ნაწარმი, ძვლის ნაკეთობანი. ზედა ჰორიზონტებში ნაპოვნია სხვადასხვა სახის რელიეფური ორნამენტით შემკული უხეშად ნაძერწი და შედარებით უკეთ ნაძერწი მოვარდისფროზედაპირიანი თიხის სადა ჭურჭელი, ძვლის თოხები, ირმის რქისაგან დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების იარაღი, თიხის რამდენიმე ანთროპომორფული ქანდაკების ფრაგმენტი. ი. გ. შულავერ-შომუთეფეს კულტ. ადრეული საფეხურის ტიპური ძეგლია.

ადრინდ. ბრინჯაოს ხანიდან ი. გ. სამაროვნად გამოუყენებიათ. მის ცენტრ. ნაწილში გაითხარა მტკვარ-არაქსის კულტ. და ადრინდ. და შუა ბრინჯაოს ხანის, გვიანდ. ბრინჯაო–ადრინდ. რკინის ხანის სამარხები, ფეოდ. ხანის (XIII–XIV სს.) 3 მდიდრული სამარხი.

ლიტ.: ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965–1971 წწ.), თბ., 1975; ჯავახიშვილი ალ., უძველესი საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე, «ძეგლის მეგობარი», 1968, №14; მისივე, ქვემო ქართლის უძველესი ნასოფლარები, იქვე, 1972, №30; მისივე, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа. V–III тыс. до н. э., Тб., 1973.

თ. კილურაძე.

იმირჭალა, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის შულავრის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), მდ. ხრამის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 320 *მ*. 208 მცხ. (2014).

იმიტაციური მოდელირება, სიტუაციური მოდელირება, მათემატიკური *მოდელირების* ერთერთი სახეობა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შევქმნათ პროცესის იმიტაციური მოდელი, აღვწეროთ პროცესი ისე, როგორც ის რეალობაში განვითარდებოდა. შექმნილი მოდელი შეიძლება „გავათამაშოთ“ კომპიუტერში როგორც ცალკეული შემთხვევისათვის, ისე შემთხვევათა მოცემული სიმრავლისთვის, რაც შესასწავლი პროცესის სტატისტ. თავისებურებებს გამოავლენს. მოდელის პარამეტრების შეცვლის გზით – ექსპერ. სიტუაციის იმიტაციით – მოიპოვებენ ინფორმაციას შესასწავლი პროცესის შესახებ სხვადასხვა პირობებში, რეალური ექსპერიმენტების ჩაუტარებლად.

მათემატიკური მოდელირება იყოფა ორ სახეობად – ანალიზურ და იმიტაციურ მოდელირებად. არსებობს ობიექტები, რ-თა ანალიზური მოდელები ან ამ მოდელთა ანალიზური ამოხსნის მეთოდები არ არის შექმნილი, ან ანალიზური მოდელი იმდენად უხეშად ასახავს საკვლევი ობიექტის ფიზიკურ არსს, რომ შედეგი არ შეიძლება მივიჩნიოთ სარწმუნოდ. ასეთ შემთხვევებში ანალიზურ მოდელს ჩაანაცვლებენ იმიტატორით, ანუ იმიტაციური მოდელით. ი. მ. არის ობიექტის მათ. აღწერა, რ-იც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპიუტერულ რიცხვით ექსპერიმენტებში ობიექტის დაპროექტების,

ფუნქციონირების შეფასებისა და ანალიზისათვის.

Ი. მ-ს მიმართავენ მაშინ, როცა რეალურ ობიექტზე ექსპერიმენტი შეუძლებელია სიძვირის, რეალური ექსპერიმენტის (დაკვირვების) ხანგრძლივობის ან შესაძლო რისკების გამო, როცა ანალიზური მოდელის აგება გაძნელებულია ან როცა ეს მოდელი შეიცავს არაწრფივ დამოკიდებულებებს, უკუკავშირებს, შემთხვევით (სტოქასტურ) პარამეტრებს და სხვ.

განასხვავებენ Ი. მ-ის შემდეგ მიმართულებებს: აგენტური მოდელირება – ეს მიმართულება (1990–2000) სისტემის გლობალურ კანონზომიერებებს და სისტემის ყოფაქცევას შეისწავლის მისი ცალკეული აქტიური ნაწილების, აქტიური ობიექტების – აგენტების – ყოფაქცევისა და ურთიერთგავლენის შესახებ არსებული წარმოდგენებისა და ვარაუდების საფუძველზე; დისკრეტულ-მოვლენური მოდელირება – ამ მიდგომის დროს მოვლენის უწყვეტი განვითარების ნაცვლად იხილავენ შესასწავლი სისტემის მხოლოდ ცალკეულ ძირითად მდგომარეობას, მაგ., „მოლოდინი“, „შეკვეთის დამუშავება“, „ტრანსპორტირება“, „გადმოტვირთვა“ და სხვ. ეს მიდგომა ფართოდ არის გავრცელებული და ხშირად გამოიყენება ლოგისტიკისა და მასობრივი მომსახურების სისტემებიდან სატრანსპორტო სისტემებამდე. Ი. მ-ის ეს მიმართულება განსაკუთრებით ხელსაყრელია საწარმოო პროცესების მოდელირებისათვის. 1960 ჯ. გორდონმა შექმნა შესაბამისი მოდელირების პროგრამული ენა GPSS (General Purpose Simulation System). სპეციალური მათ. აპარატი დისკრეტული დინამ. სისტემების მოდელირებისათვის – ე.წ. პეტრის ქსელები – აღწერა კ. პეტრიმ 1962; სისტემური დინამიკა – ეს მიდგომა იყენებს შესასწავლი სისტემის პარამეტრების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და დროში ურთიერთგავლენის გრაფიკულ დიაგრამებს, შემდეგ კი ამ დიაგრამების საფუძველზე ხდება შექმნილი მოდელის იმიტირება კომპიუტერით. ასე აგებენ ბიზნესპროცესების, ქალაქის განვითარების, ეკოლ. დინამიკის, ეპიდემიის გავრცელების და სხვ. მოდელებს. მიდგომა შექმნა ჯ. ფორესტერმა XX ს. 50-იან წლებში.

თავისუფალ მიმოქცევაში არსებობს Ი. მ-ის რამდენიმე პროგრამული სისტემა (Maxima, OpenModelica, Allan, Dymola, Object Math., Omola და სხვ.). 1992-იდან ტარდება Ი. მ-ის ევროპულ საზოგადოებათა ფედერაციის (EUROSIM) კონგრესები. 1993-იდან გამოიცემა საერთაშ. ჟურნ. ,,Modelling Practice and Theory‘‘.

საქართველოში Ი. მ-ის სფეროში მუშაობენ თსუ-ში (ჟ. თოლორდავა, ს. სოსელია და სხვ.: საქმიანი სისტემის თეორ. და გამოყენებითი ასპექტები, სასწ. პროცესის სხვადასხვა ფორმის აქტივიზაციის მეთოდები, სათამაშო იმიტაციური მოდელირების პრინციპები და საქმიანი თამაშები), სტუ-ში (ა. *ფრანგიშვილი*, ზ. გასიტაშვილი, მ. ოხანაშვილი, გ. სურგულაძე, მ. ქანთარია, მ. ხართიშვილი და სხვ.: მარკეტინგის ბიზნესპროცესების Ი. მ., კომპიუტერული ქსელების Ი. მ., პეტრის ქსელები და სხვ.), ა. წერეთლის სახელმწ. უნ-ტში (ა. ბარდაველიძე და სხვ.: ექსპერიმენტის დაგეგმვის სტრატეგიული და ტაქტიკური ტექნოლოგიის Ი. მ. Matlab-ის გარემოში), გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში EMCOS (რ. *ზარიძე*, დ. ქარქაშაძე, რ. ჯობავა, ფ. ბოგდანოვი და სხვ.: ელექტრომაგნ. ანტენების მოდელირება, მობილური ტელეფონის გამოსხივების გავლენა ცოცხალ ორგანიზმზე და სხვ.), საქართველოს უნ-ტში (კ. თავზარაშვილი) და სხვ. სამეცნ. ცენტრებში. ქართველი მეცნიერები მონაწილეობენ აგრეთვე ვრცელ კვლევით სამუშაოებში, რ-ებიც ტარდება მსოფლიოს წამყვან სამეცნ. ცენტრებში – LHC (იხ. სტ. *დიდი ჰადრონული კოლაიდერი*), სადაც Ი. მ-ს იყენებენ ელემენტარულ ნაწილაკთა მრავლობითი დაბადების პროცესების აღსაწერად (ა. მესტვირიშვილი, ი. *მინაშვილი*, მ. მ. წულაია და სხვ.); IceCube (იხ. სტ. *კოსმოსური სხივები*), სადაც მაღალენერგიული ნეიტრინოების ატომბირთვებთან ურთიერთქმედების Ი. მ-ში მონაწილეობს გ. ჯაფარიძე და სხვ. ზ. *კაკუშაძის* მიერ შექმნილია ფინანს. ოპერაციების რისკების, ასევე გენეტ. რისკების შეფასების პროგრამული ინსტრუმენტები, რ-თა გამოყენებით შესაძლებელია შესაბამისი პროცესების Ი. მ.

ლიტ.: გულუა დ., თურქია მ., ბიზნეს-პროცესების მოდელირება პეტრის ქსელებით, თბ., 2014; სურგულაძე გ., ფრანგიშვილი ა., გასიტაშვილი ზ., აბულაძე ი., სატრანსპორტო ნაკადების მართვისა და დაგეგმარების კომპიუტერული ტექნოლოგიები, თბ., 2006; Карпов Ю., Имитационное моделирование систем. Введение в моделирование с AnyLogic 5, СПб, 2006; Mattsson S. E., Andersson M., Aström K. J., Object-oriented modeling and simulation. –In: D. Linkens (ed.), CAD for Control Systems, N.Y., 1993; Schriber Th., Simulation using GPSS,Wiley, 1974; Kakushadze Z., Willie Yu., Statistical Risk Models, «The Journal of Investment Strategies», 2017, №6, №2. *ზ. გასიტაშვილი. ი. ლომიძე.*


ᲘᲛᲜᲐᲗᲘᲡ ᲢᲑᲐ, ტბა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, გურიის დაბლობზე. ზ. დ. 0,6 *მ*, სარკის ფართ. 0,06 *კმ*^{2}, აუზის ფართ. 0,48 *კმ*^{2}, უდიდესი სიღრმე 2 *მ*. წყალი მტკნარია. საზრდოობს წვიმის წყლით. ტბაში ბინადრობს ლოქო, წვერა, ქორჭილა და სხვა სახეობის თევზი. *ი. აფხაზავა.*

ᲘᲛᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ გრიგოლ მოსეს ძე (3. XII. 1912, ტყვარჩელი, – 14. X. 1997, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995). დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1937). 1946-იდან მუშაობდა ენათმეცნ. ინ-ტში (1995-იდან) წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად. იკვლევდა ქართ. სალიტ. ენასა და მის დიალექტებს, რებსაც მიუძღვნა მონოგრაფიული გამოკვლევები: ,,ქართული ენის კახური დიალექტი‘‘ (1956, ა. მართიროსოვის თანაავტორობით); ,,ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი (1966); ,,ქართლური დიალექტი‘‘ (1974; გამოკვლევა და ტექსტები, I); ,,ქართული ენის გურული დიალექტი‘‘ (2005). მოამზადა და გამოსცა ,,ქართული დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფია‘‘ (1969).

ᲘᲛᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ვახტანგ ივანეს ძე (22. IX. 1939, ლანჩხუთი, – 24. I. 2017, თბილისი), ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი, ქართველოლოგიის ისტორიის მკვლევარი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1979). 1966 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1968-იდან ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას თსუ-ში ახ. ქართ. ენის კათედრაზე. 2006-იდან იყო თსუის ჰუმანიტარული ფაკ-ტის ქართ. ფილოლ. მიმართულების ასოცირებული პროფესორი; ამავე წლიდან – საქართვ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ქართ. სალიტ. ენის ნორმათა საექსპერტო კომისიის წევრი. Ი-ის კვლევის სფერო იყო ძვ. და ახ. ქართული ენა, უცხოეთის სამეცნ. ცენტრებში დაცული უძველესი ქართ. ხელნაწერებისა და

გამოჩენილ ქართვ. საზ. მოღვაწეთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ამ მიზნით შეისწავლა ავსტრიაში, გრაცის უნ-ტისა და ვენის ნაციონალური ბ-კების ძველი ქართ. ხელნაწერები და ავსტრ. მეცნიერის, ჰუგო შუხარდტის არქივის ქართული მასალები. გრაცში დამუშავებული მასალები (2000) საფუძვლად დაედო ნაშრომს ,,უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში'' (2004), რ-საც იმავე წელს მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახ. საუნივერსიტეტო პრემია. ნაშრომს ,,ზმნა ძველ ქართულში'' (ტ. 1–2, მაინის ფრანკფურტი, 1996) 1999 მიეკუთვნა ა. შანიძის სახ. პრემია. შვეიცარიაში იოლანდა მარშევთან ერთად გამოსაცემად მოამზადა ვრცელი ,,გერმანულ-ქართული ლექსიკონი'', რ-იც გერმანიაში დაიბეჭდა (1999). Ი-ის შრომები იბეჭდებოდა საზღვარგარეთ (ავსტრია, ნიდერლანდი, გერმანია, ბელგია); კითხულობდა ლექციებს ქართ. ენისა და ლიტ-რის შესახებ ვენის, მაინის ფრანკფურტის, ბერნისა და სხვ. უნ-ტებში. 1997–2006 ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტში კითხულობდა ქართ. ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის კურსს.

თხზ.: ათანასი ალექსანდრიელი, ,,ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი'' (ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი), თბ., 1970; ,,მამათა ცხოვრებანი'' (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), თბ., 1975; სინას მთიდან გრაცამდის (გრაცის ქართული ხელნაწერების ისტორია), თბ., 2001; ,,არდავიწყება მოყვრისა...'' (ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან), თბ., 2006.



თ. იმნაიშვილი.

ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ თამაზ ზურაბის ძე (დ. 28. VII. 1954, თბილისი), სპორტსმენი, სასტენდო სროლა (მრგვალი სტენდი). სპორტის დამს. ოსტატი (1981). დაამთავრა თბილისის ფიზ. კულტურის სახელმწ. ინ-ტი (1975), თსუ-ის ეკონომიკის ფაკ-ტი (1987). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1988). მსოფლიო ჩემპიონი (1981) და მესამე პრიზიორი (1979–80) პირად შეჯიბრებაში, მეორე (1983, 1990) და მესამე (1979, 1981, 1986) პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1981) პირად შეჯიბრებაში და ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1977–78, 1980–81, 1984–85, 1987). მსოფლიო თასის მფლობელი (1990), სსრკ ჩემპიონი (1986). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ახალგაზრდებში (1973–74). სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონი, საერთაშ. კატეგორიის მსაჯი. საქართვ. სპორტის დეპარტამენტის ინსტრუქტორი (1980–91), საქართვ. ეროვნ. ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (1994–2004), საქართვ. სროლის სახეობათა ეროვნ. ფედერ. ვიცე-პრეზიდენტი (1992). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ივანე ბესარიონის ძე (10. I. 1906, სოფ. ლაშისღელე, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 26. I. 1988, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა თსუ საენათმეცნიერო განხრით (1930). 1930–38 ეწეოდა პედ. საქმიანობას ლანჩხუთში, მცხეთასა და თბილისში. 1939–45 მუშაობდა თსუ-ის ქართ. ენის კათედრაზე, კათედრის გაყოფის შემდეგ – ძვ. ქართ. ენის კათედრაზე (1945–88). 1949–51 იყო ა. პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის გამგე.

Ი. იკვლევდა ძვ. ქართ. ენის ძეგლებს. მოამზადა და გამოსცა ,,ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია'' (1979), ახალი აღთქმის წიგნებიდან – ,,იოანეს გამოცხადება'' და მისი თარგმანები (1961), თხზულების ძვ. ქართ. ვერსიასთან ერთად წარმოდგენილია ანდრია კესარიელის ,,თარგმანებაჲ''. ტექსტს ახლავს გამოკვლევა და ლექსიკონი. ასევე გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ გამოსცა ,,წამება შვიდთა ყრმათა მაკაბელთა'' (1980).

ი. აბულაძესთან ერთად Ი. მონაწილეობდა ქართ. ოთხთავის ძვ. რედაქციის გამოცემაში სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (გამოსცა ა. შანიძემ, 1945), ძვ. ქართ. ენის კათედრის სხვა წევრებთან ერთად – სინური და უდაბნოს მრავალთავების გამოცემაში.

Ი-მა შეადგინა სასწ. დანიშნულების ,,ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია'' ორ ტომად (ტ. 1, 1949; ტ. 2, 1963). ამავე დანიშნულებისაა აგრეთვე Ი-ის გამოცემა ,,საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში'' (ტ. 1, 1963; ტ. 2, 1966). მონაწილეობდა ,,ვეფხისტყაოსნის'' სიმფონიის შედგენაში.

Ი-მა ძვ. ქართ. ენის გრამატიკის საკითხებს მიუძღვნა ფუნდამენტური ნაშრომები. მან შეავსო და ცალკე წიგნად გამოსცა (1972) ძვ. ქართ. ენის მიმოხილვა და ტაბულები. ძვ. ქართ. ზმნის მორფოლ. სტრუქტურის კვლევას ეძღვნება მონოგრაფია ,,ზმნა ძველ ქართულში'', რ-იც გამოსაცემად მოამზადა და 1996 მაინის ფრანკფურტში გამოსცა მისმა შვილმა ვ. *იმნაიშვილმა*. ამ ნაშრომისათვის ი. და ვ. იმნაიშვილებს მიენიჭათ ა. შანიძის სახ. პრემია.

Ი. თანაავტორია (ა. შანიძესა და ლ. კვაჭაძესთან ერთად) ქართ. ენის სასკოლო სახელმძღვანელოებისა. მას ეკუთვნის მეთოდიკური წერილები ძვ. და ახ. ქართ. ენის სწავლების საკითხებზე სკოლაში; წერილების სერია თანამედროვე ქართ. სალიტ. ენის ნორმალიზაციის საკითხებზე. წიგნად გამოიცა მისი ,,ქართული პოეტური ენის საკითხები'' (1966), აგრეთვე ,,ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა'' (1968).

თხზ.: ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948–49; სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; სინური მრავალთავი. გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975. *ზ. ჯუმბურიძე.*

ᲘᲛᲜᲐᲫᲔ ევგენი სიმონის ძე (4. XII. 1875 – დაახლ. 1944), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1916). 1893 დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი, 1895 – კონსტანტინეს საარტ. სასწავლებელი, 1903 – ნიკოლოზის გენ. შტაბის აკადემია (I თანრიგით). 1893-იდან მსახურობდა ჯარში (მე-20 საარტ. ბრიგადაში). 1904–07 იყო ვილნოს სამხ. ოლქის შტაბის უფრ. ადიუტანტის თანაშემწე. 1911 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). 1915–16 მეთაურობდა კავკასიის მე-12 მსროლელ პოლკს. 1916-იდან იყო ციმბირის მე-14 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი, 1918-იდან – თეთრი მოძრაობის მონაწილე, 1919–20 – ოდესის სამხ. სასწავლებლის უფროსი. 1920-იდან ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში. 1930-იდან ცხოვრობდა დეტროიტში, ხელმძღვანელობდა ვეტერანთა საზ-ბას. 1932-იდან გადავიდა ნიუ-იორკში. 1938-იდან იყო ჟურნალ ,,ჯარი და ფლოტის'' წარმომადგენელი. დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის I ხარისხის, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, ასევე ოქროს იარაღით.

სავარაუდოდ გარდაიცვალა ნიუ-იორკში და იქვეა დაკრძალული.

ლიტ.: Гогитидзе М., Грузинский генералитет, К., 2001; მისივე, Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии), кн. 1, Тб., 2007. *მ. გოგიტიძე.*

ᲘᲛᲜᲐᲫᲔ ვლადიმერ გურამის ძე (დ. 27. XII. 1954, ბათუმი), ბრიგა-

დის გენერალი (2003). დაამთავრა თბილ. უმაღლესი საარტ. სასწავლებელი (1976), სანქტ-პეტერბურგის უმაღლესი სამხედრო აკადემია (1986). 1999–2000 იყო დასავლეთის ოპერატიული მიმართულების სარდლის I მოადგილე, 2000–01 – სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი, 2002–03 – საქართვ. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი. 2016-იდან არის ვეტერანთა საქმეების სახელმწ. სამსახურის დირექტორი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2002). *ლ. დოლიძე.*

იმნაძე ნიკოლოზ იაკობის ძე (XIX ს. 60-იანი წლები, ლანჩხუთი, – 1931-ის შემდეგ), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალი (1920). რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი (1917). მსახურობდა საქართვ. დემოკრატიული რესპუბლიკის სამხ. სამინისტროში. 1918-იდან იყო ქართ. ჯარის საველე შტაბის უფროსი, თბილ. რაზმის მეთაური. 1921 ემიგრაციაში წავიდა.

ლ. დოლიძე.

იმპიჩმენტი (ინგლ. Impeachment – წინააღმდეგობის გაწევა, ხელის შეშლა <ლათ. impetere – თავდასხმა, შეტევა), ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ხელისუფლებისათვის შეუფერებელი მაღალი თანამდებობების პირთა ხელისუფლებისაგან ჩამოცილების მექანიზმი, მათი თანამდებობიდან გადაყენება შესაბამისი საფუძვლებისა და პროცედურის გათვალისწინებით.

ი-ის მიზანია არა კორუმპირებულ თანამდებობის პირთა დასჯა, არამედ ხელისუფლებისაგან მათი ჩამოცილებით საკუთრივ ხელისუფლების დაცვა, მისი სიჯანსაღის უზრუნველყოფა, მის მიმართ ხალხის ნდობის შენარჩუნება. სწორედ ამიტომ ი. სამართლიანად განიხილება, როგორც ,,ხელისუფლების დაცვის მთავარი ინსტიტუტი'' (ასე უწოდეს მას ინგლისის თემთა პალატაში). ი. გამოხატულებაა იმ სამართ. პრინციპისა, რ-ის მიხედვითაც არავინ დგას ,,კანონზე მაღლა''. ი. ასრულებს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ აღმასრ. და სასამართლო ხელისუფლებათა გაკონტროლებისა და მათზე ზემოქმედების ფუნქციას. საპრეზიდენტო რესპ. მმართველობაში იგი წარმოადგენს ერთადერთ დამაბალანსებელ მექანიზმს საპრეზიდენტო ვეტოსა და სასამართლო კონტროლის საპასუხოდ. ი-ის საწყისი ფორმები ჩაისახა შუა საუკუნეების ინგლისის საპარლამენტო პრაქტიკაში, როგორც მეფის მინისტრების გადაყენების საშუალება. ყველაზე უფრო დასრულებული, კლასიკური ფორმით დღეს იგი აშშ-ში არსებობს. ი-ის მექანიზმის არსებითი და უცვლელი ნიშანია მასზე საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივა. იგი ,,საპარლამენტო უზენაესობის'' ერთგვარ გამოხატულებასაც წარმოადგენს.

ი-ს პოლიტ. ბუნება აქვს. საკანონმდებლო ხელისუფლება ი-ის საკითხის გადაწყვეტისას არა მარტო ისახავს პოლიტ. მიზნებს, არამედ ხელმძღვანელობს მხოლოდ პოლიტ. კრიტერიუმებით. პოლიტიკურია ი-ის მიზანიც, საფუძვლებიცა და სასჯელიც. ამ თვალსაზრისით ი-ის მუქარაც ამ პოლიტ. მიზნებს ემსახურება. ი-ის საფუძველია არა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი ნებისმიერი დარღვევა, არამედ მხოლოდ პოლიტ. ხასიათისა, ანუ ისეთი, რ-იც ეჭვქვეშ აყენებს მოცემული თანამდებობის პირისადმი ხალხის ნდობას და აშკარას ხდის სახელისუფლო მოვალეობებთან მის შეუსაბამობას. შეიძლება ითქვას, რომ ი-ის საფუძველია თანამდებობის პირის მიერ ხალხის ნდობის ღალატი. ი-ს სასჯელად შეიძლება მოჰყვეს არა სისხლის სამართ. მსჯავრდება ან ქონებრივი სანქციების დაკისრება, არამედ მხოლოდ თანამდებობიდან გადაყენება. პროცედურულად მას კვაზი-იურიდ. ხასიათი აქვს. უფრო მეტად იგი წააგავს სისხლის სამართ. პროცესს და, ჩვეულებრივ, ორსაფეხურიანია; მოიცავს ბრალდების წარდგენისა და მისი განხილვის სტადიებს. გამოიყენება ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულების საშუალო (75%-იანი) სტანდარტი, რაც შესაწინავად უზრუნველყოფს იმას, რომ არც უსაფუძვლოდ იქნეს გადაყენებული და არც უსაფუძვლოდ შენარჩუნდეს ხელისუფლებაში პირი, რ-ის მიმართაც დეპუტატთა უმრავლესობას ჩამოუყალიბდა სახელისუფლებო მოვალეობებთან მისი შეუსაბამობის რწმენა. აშშ-ის, ინგლისისა და საქართვ. გარდა, ი., როგორც უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი, შემოღებულია მრავალ ქვეყანაში. მათ შორისაა ავსტრია, გერმანია, ბრაზილია, ჩეხეთი, ინდოეთი, ირლანდია, რუსეთი, ესტონეთი, ლიტვა და სხვ.

ი-ის ინ-ტი საქართველოში შემოღებულია 1995 კონსტიტუციით და უშუალოდ უკავშირდება საპრეზიდენტო რესპ. მმართველობის შემოღებას. 1997 წ. 11 ნოემბერს მიღებული იქნა ,,საქართველოს ორგანული კანონი იმპიჩმენტის შესახებ'', რ-მაც დააზუსტა კონსტ. დებულებები. 2002 წ. 10 აპრილსა და 2008 წ. 1 ნოემბერს მასში განხორციელდა ზოგიერთი ცვლილება-დამატება. 2010 წ. 15 ოქტომბერს მიღებულმა საკონსტიტუციო კანონმა კი ზოგიერთი ცვლილება შეიტანა კონსტ. დებულებებში, რ-ებიც ამოქმედდა 2013 ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. ი-ის ინ-ტის შემოღებამ თავისი ასახვა პოვა აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს, საკონსტიტუციო სამართალწარმოებისა და უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონებსა და პარლამენტის რეგლამენტში. საქართვ. კონსტიტუციის თანახმად (მ.მ. 63, 64, 75), ი-ს ექვემდებარებიან საქართვ. პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს თავ-რე, მთავრობის წევრები, სახელმწ. აუდიტის სამსახურის გენ. აუდიტორი და ეროვნ. ბანკის საბჭოს წევრები. თანამდებობიდან გადაყენების საფუძველია დანაშაულის ჩადენა ან კონსტიტუციის დარღვევა, რაც დადასტურებული უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით. ი-ის წესით, თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. ამასთან, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას ესაჭიროება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა. სხვა პირებთან მიმართებით კი საკმარისია უბრალო უმრავლესობის თანხმობა. მისი შემოღების დღიდან საქართვ. არცერთი მოწვევის პარლამენტს ი-ის მექანიზმი არ აუმოქმედებია, ამდენად ამ სფეროში საპარლამენტო თუ სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს. შესაბამისად, ცნობილი არ არის, თუ როგორია ი-ის ქართ. მექანიზმი მოქმედებაში, რა არის მისი ღირსება-ნაკლოვანებები, ანდა რა მიმართულებით მოხდება კონსტ. დებულებების განმარტება მათ მიერ, ვინც ი-ს განახორციელებს.

ლიტ.: გოცირიძე ე., იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში (კონ-

სტატუციური დილემები), რედ. ლ. ალექსიძე, თბ., 2013. *ე. გოცირიძე.*

ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘ (ინგლ. import <ლათ. importo – შემომაქვს), საქონლის, კაპიტალის, სამუშაოს, მომსახურების, ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტების და სხვ. შემოტანა ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე, საზღვრის გადაკვეთით, უკან გატანის ვალდებულების გარეშე (იხ. აგრეთვე *საგარეო ვაჭრობა*).

ᲘᲛᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ (ფრანგ. impressionnisme <impression – შთაბეჭდილება), XIX ს. ბოლო მესამედის მიმდინარეობა ევროპულ სახვით ხელოვნებაში. საკუთრივ ი-ის ისტორია დაახლ. 12 წელიწადს მოიცავს. მათი პირველი გამოფენა 1874 შედგა, ბოლო, მერვე გამოფენა კი – 1886. სწორედ ამ ბოლო გამოფენაზე აღიარა საზ-ბამ იმპრესიონისტები, თუმცა ამ დროისათვის მიმდინარეობა სრული სახით უკვე აღარ არსებობდა.

პრეისტორია ამ მიმდინარეობას მნიშვნელოვნად უფრო ვრცელი აქვს. მისი საწყისები ჯერ კიდევ რომანტიკოსებსა და აკადემისტებს შორის მხატვრული ტენდენციების დაპირისპირებით გამოიხატება. 1863 მხატვრებმა, რ-თა ნამუშევრებიც არ მიიღო ოფიციალურმა ჟიურიმ, საკუთარი ნაწარმოებები ცალკე გამოფინეს ე.წ. ,,განკიცხულთა სალონში'' (პარიზი). სწორედ აქ იხილა საზ-ბამ პირველად ე. მანეს ,,საუზმე მდელოზე'' (1863), რ-საც სკანდალური გამოხმაურება მოჰყვა.

1874 გაზაფხულზე ნადარის სახელოსნოში, კაპუცინების ბულვარზე მოწყობილ გამოფენაზე ექსპონირებულ ნამუშევრებს შორის იყო კ. მონეს მიერ 1872 შესრულებული ნისლიანი პეიზაჟი, სახელწოდებით ,,შთაბეჭდილება, ამომავალი მზე''. ახალგაზრდა მხატვრები ფერწერული ტილოების დაუსრულებლობასა და ,,მოუწესრიგებლობაში'' დაადანაშაულეს. კრიტიკოსმა ლუი ლერუამ კი კ. მონეს ნამუშევრის სახელწოდება ამ მხატვართა მთელ ჯგუფს მიუსადაგა და მათ ,,იმპრესიონისტები'' უწოდა.



იმპრესიონიზმი. კ. მონე. ,,შთაბეჭდილება, ამომავალი მზე''. 1872. მარმოტანის მუზეუმი. პარიზი.

კნინობითად შერქმეული სახელი სამუდამოდ დამკვიდრდა. ამ მხატვრებს ფერის, სინათლისა და სივრცის სუბიექტური განცდა აერთიანებდათ. ისინი ცდილობდნენ გადმოეცათ ბუნებიდან მიღებული ყველაზე უშუალო შთაბეჭდილებები. იმპრესიონისტები უარს ამბობდნენ სახელოსნოში მუშაობაზე და იყენებდნენ პლენერის მეთოდს,



პოლ სეზანი. ,,ბუფეტი''. 1873–77.

რაც ღია ცის ქვეშ მუშაობისას ფერის, განათებისა და ჰაერის ცვალებადი მდგომარეობის დაფიქსირების მცდელობას გულისხმობდა. აქედან მომდინარეობს მათი ნამუშევრებისთვის ჩვეული ფრაგმენტულობა, მოტივის დემონსტრაციული შემთხვევითობა, წამის გაჩერების მცდელობა. იგივე მიზეზი უდევს საფუძვლად ეტიუდების სერიულობასაც [სერიები: ,,თივის ზვინები'' (1890–91), ,,რუანის ტაძარი'' (1890) – კ. მონე]. მოუხელთებელი ხილულის ძიებასა და დევნაში იმპრესიონისტებმა უარი თქვეს ვალიორების მრავალწლიან სისტემასა და ტონალურ მთლიანობაზე. მათ მეტად აინტერესებდათ არა საგანი, არამედ მისი ურთიერთმიმართება გარემოსთან, განათებასთან და ჰაერთან. სუფთა, ლოკალური ტონების მხატვრული შესაძლებლობების უკეთ ათვისებაში ფრანგ მხატვრებს დაეხმარა იაპონური გრაფიკა. მათი გატაცება აღმოსავლური მოტივებით იმდენად ძლიერი იყო, რომ თავდაპირველად იმპრესიონისტებსაც ,,იაპონელებს'' ეძახდნენ, უმთავრესად განზოგადებული სილუეტის და ლოკალური ფერადოვანი ლაქების სიყვარულის გამო. სახვითი ხელოვნებისადმი ოპტიკური მიდგომის აბსოლუტიზაციამ იმპრესიონისტები ,,მხედველობის ფანატიკოსებად'' აქცია.

იმპრესიონისტების გაერთიანება ე. მანეს ირგვლივ დაიწყო. მან სრული სამხატვრო აკადემიური განათლება მიიღო, თუმცა XIX ს. 70-იანი წლების მის ნამუშევრებში უკვე ბევრი საერთო იკვეთება ი-თან: პლენერზე ხატვა, ამონათებული პალიტრა – ,,კროკეტის პარტია'' (1873), ,,ნავში'' (1874), შემთხვევითობის განცდა – ,,ბარი ფოლი-ბერჟერი'' (1882). დარბაზი ირეალურის ზღვარზე მყოფი მოლიცლიცე სამყაროს მსგავსად აღიქმება, თუმცა საგნობრიობა და მატერიალურობა გამოსახულებებს დაკარგული მაინც არა აქვს. ე. მანეს შემოქმედებაში, ერთი მხრივ, დასრულდა XIX ს. ფრანგული ხელოვნების კლასიკური რეალისტური ტრადიციები და, მეორე მხრივ, გამოიკვეთა პრობლემები, რ-ებიც პრინციპულად მნიშვნელოვანია XX ს. დასავლეთევროპული რეალიზმის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

XIX ს. დასასრულის სკანდინავიური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოვლენაა ანდერს ცორნის (1860–1920) შემოქმედება. მხატვარი მუშაობდა ევროპის მრავალ ქვეყანაში, ბოლოს კი ამერიკაშიც მოღვაწეობდა. ზეთის ტექნიკით მუშაობას ის ძირითადად პარიზში გატარებული წლების შემდგომ იწყებს (1887–93). ამ პერიოდში მას ხიბლავს ბასტიენ-ლეპაჟის მხატვრობა და ძირითადად ყოფითი სცენების ამსახველ ნამუშევრებს ქმნის. ა. ცორნი ხშირად ფართო, ძლიერი მონასმით ძერწავს სახესა და ხელებს, თავისი მოდელების დანარჩენ დეტალებს კი მხოლოდ ზოგადად მონიშნავს (,,კოკლენის პორტრეტი'', 1889). მის შემოქმედებაში ხშირია ი-ის მახასიათებელი, თუმცა ძნელია მას ტიპური იმპრესიონისტი უწოდო. მხატვარს გამოარჩევს სინათლისა და განათების შედეგად ცვალებადი ფერის, ასევე ჰაერის, გარემოს და რეფლექსების პრობლემებით დაინტერესება. იგი ბოლომდე გამოსახულების მოცულობითი მატერ. საგნობრიობის ერთგული რჩება.

მახასიათებლები თავს იჩენს XIX ს. ისეთი რუსი მხატვრების შემოქმედებაში, როგორებიც არიან ი. გრაბარი, კ. კოროვინი, ფ. მალიავინი. რაც შეეხება ვ. სეროვის ნამუშევრებს, აღსანიშნავია ფერწერული ტილო ,,გოგონა ატმებით'' (1887), რ-იც რუსული იმპრესიონისტული პორტრეტის კლასიკურ ნიმუშადაა მიჩნეული.

XIX–XX სს. მიჯნაზე მოღვაწე

ქართველი მოდერნისტი მხატვრების შემოქმედებაში სხვა ევროპულ მხატვრულ ტენდენციებთან ერთად იმპრესიონისტულმა ძიებებმაც იჩინა თავი. მნიშვნელოვანია შუქ-ჩრდილის ის ეფექტები, რაც ბ. ფოგელისა (,,აივნიანი სახლები სურბ-ნიშნის უბანში'', ,,აბანოს ქუჩა'', ორივე 1930; ,,ბოსფორი'',



ვ. სეროვი. ,,გოგონა ატმებით''. 1887.

1910) და რ. ზომერის (,,შაჰ ისმაილის მეჩეთი'', ,,მეტეხის ხიდი'', XX ს. 10-იანი წლები) ნამუშევრებში იჩენს თავს. განათების მკვეთრი კონტრასტები, ჰაერითა და სინათლით გაჯერებული სივრცე და წარმავალი, მყისიერი ქმედების ფიქსირების მცდელობა გამოარჩევს მ. თოიძისა (,,ძველი თბილისი'', 1915; ,,სოფლის პეიზაჟი'', 1918) და ვ. სიდამონ-ერისთავის (,,ბრძოლის შემდეგ'', ,,რეპეტიციაზე'', ორივე XX ს. 20-იანი წლები; ,,სოფლის კუთხე'', 10-იანი წლები) ფერწერულ ტილოებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 0. მათი შემოქმედების დამახასიათებელი ერთადერთი მიმდინარეობა არ არის და ის ამ ქართველი მხატვრების ნაწარმოებებში ბევრ სხვა იმხანად აქტუალურ ევროპულ მიმდინარეობასთან თანაარსებობს. *თ. ბელაშვილი.*

იმუნოლოგია (<ლათ. immunitas – განთავისუფლება, თავის დახსნა; ბერძნ. logos – სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერება ორგანიზმის დაცვით (უპირატესად სპეციფიკურ) რეაქციათა შესახებ. 0. შეისწავლის იმუნური სისტემის უჯრედული და ჰუმორული კომპონენტების ურთიერთქმედებას ნორმასა და პათოლოგიაში. თანამედროვე სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას 0-ის ინტენსიური განვითარება წარმოადგენს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მოლეკულურ ბიოლოგიასა და გენეტიკაში გამოყენებული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, იმუნური სისტემის ფუნქციონირების მრავალი მექანიზმი გაიშიფრა. ბევრმა მათგანმა ძირფესვიანად შეცვალა იმუნური სისტემის შესახებ ადრე არსებული შეხედულებები.

0. როგორც მეცნიერება, თავდაპირველად ინფექტოლოგიის სფეროში წარმოიშვა. უფრო მოგვიანებით გაირკვა, რომ იმუნური სისტემა, ნერვულ და ენდოკრინულ სისტემასთან ერთად, ფუნქციურად ერთიან, ორგანიზმის ზოგადმარეგულირებელ სისტემას წარმოადგენს. ამიტომ ძნელად თუ მოიძებნება ისეთი დაავადება, რ-ის დროსაც იმუნური სისტემის რომელიმე რგოლში პათოლოგიური ძვრები არ ვითარდებოდეს. ეს დარღვევები ზოგჯერ დაავადების აღმოცენების მიზეზს, ზოგჯერ კი მის შედეგს წარმოადგენს. ორგანიზმის ჰომეოსტაზის მუდმივობის შენარჩუნება იმუნური სისტემის მთავარი დანიშნულებაა. იმუნური სისტემა ორგანიზმში შეჭრილ მიკროორგანიზმებს და, ასევე, ორგანიზმში წარმოქმნილ სიმსივნურ უჯრედებს ანადგურებს. წარმატებული იმუნური პასუხის შედეგია ინფექციური აგენტებისადმი მდგრადობა და სიმსივნის განვითარების აღკვეთა. იმუნური სისტემა ერთმანეთისგან განარჩევს ,,საკუთარ'' და ,,უცხო'' უჯრედებს. იმუნური სისტემის გამანადგურებელი ზემოქმედებისაგან საკუთარი ქსოვილების დაცვა ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. საკუთარი ქსოვილების განადგურების თავიდან აცილებას აუტოტოლერანტობა (საკუთარისადმი შეგუება) ეწოდება. მისი დარღვევის შემთხვევაში აუტოიმუნური დაავადებები ვითარდება. ნორმაში იმუნური პასუხი მხოლოდ უცხო, და ამასთანავე, ორგანიზმის დამაზიანებელი აგენტის წინააღმდეგ უნდა აღიძრას. ამდენად, იმუნური სისტემის მთავარი ფუნქცია ორგანიზმისთვის უცხო, საშიში აგენტის განადგურებაა საკუთარი ქსოვილების დაზიანების გარეშე.

იმუნურ სისტემაში განარჩევენ ცენტრ. და პერიფერიულ ორგანოებს. ძვლის ტვინი და თიმუსი ცენტრ. (პირველადი) ლიმფური ორგანოებია. ცენტრ. ლიმფურ ორგანოებში ყოველდღიურად მრავალი ლიმფოციტი წარმოიქმნება და მწიფდება. მომწიფების შემდეგ ისინი მზად არიან თავიანთი ფუნქციის შესასრულებლად. მწიფე ლიმფოციტები ცენტრ. ორგანოებს ტოვებენ და პერიფერიაზე გადადიან. მათი ნაწილი მეორად ლიმფურ ორგანოებსა და ქსოვილებში ცირკულირებს. ლიმფოციტები პერიფერიული სისხლის ლეიკოციტების 20–40% შეადგენს.

პერიფერიული (მეორადი) ლიმფური ორგანოები და ქსოვილებია: ლიმფური კვანძები, ელენთა და ლორწოვან გარსებთან ასოცირებული ლიმფური ქსოვილი. მათი ფუნქციაა ორგანიზმში მოხვედრილი ანტიგენის დაჭერა და ლიმფოციტთან მისი შეხვედრის უზრუნველყოფა, რასაც იმუნური პასუხი მოჰყვება.

იმუნური პასუხი შეიძლება იყოს თანდაყოლილი და ადაპტაციური (შეძენილი), უჯრედული და ჰუმორული. იმუნურ პასუხში მონაწილე უჯრედებია: T-ლიმფოციტი, B-ლიმფოციტი, NK-უჯრედი, ნეიტროფილი, ეოზინოფილი, ბაზოფილი, პოხიერი უჯრედი, მონოციტი და სხვ. B-ლიმფოციტი ანტიგენის საპასუხოდ ანტისხეულებს წარმოქმნის. ანტისხეული ცილაა, რ-იც ანტიგენს სპეციფიკურად უკავშირდება.

ალერგია, ასთმა, იმუნოდეფიციტები, რევმატული დაავადებები, ვასკულიტები, ენდოკრინული სისტემის, თირკმლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ნერვული სისტემის, კუნთოვანი სისტემის, სისხლის იმუნური დაავადებები და კიბო – ეს იმ პათოლოგიათა ჩამონათვალია, რ-ებიც უშუალოდ კლინიკური 0-ის სფეროს მიეკუთვნება.

ვაქცინაცია (იმუნიზაცია), პრაქტიკული 0-ის ყველაზე დიდი და მრავალსაუკუნოვანი ,,პროექტია''. საყოველთაო ვაქცინაციის შედეგად XX ს. ბოლოს მთლიანად იყო ლიკვიდირებული ყვავილი და პოლიომიელიტი. მნიშვნელოვნად შემცირდა გრიპის, შავი ჭირის, ქოლერის, ტიფის, ტკიპისმიერი ენცეფალიტის და სხვ. შემთხვევები. სადღეისოდ შექმნილია ვირუსული ჰეპატიტებისა და პაპილომავირუსების, კომბინირებული (უნივერსალური) ანტიგრიპოზული ვაქცინები, მიმდინარეობს აივ-ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა.

იმუნოდეფიციტები – იმუნოდეფიციტური მდგომარეობა (ხშირად გვხვდება ბავშვებსა

და მოხუცებში). ვითარდება ერთიანი იმუნური სისტემის რამდენიმე კომპონენტის დეფიციტის შემთხვევაში. თანდაყოლილ, ანუ პირველად იმუნოდეფიციტს გენეტ. დეფექტი იწვევს, შეძენილი, ანუ მეორადი იმუნოდეფიციტი კი სხვა რაიმე დაავადების ან გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ვითარდება.

ა უ ტ ო ი მ უ ნ უ რ ი დ ა ა ვ ა დ ე ბ ი ს დროს იმუნური სისტემა საკუთარ ქსოვილებს აზიანებს (მაგ., სისტემური წითელი მგლურა, რევმატოიდული ართრიტი, ჰაშიმოტოს დაავადება და ავთვისებიანი მიასთენია). ამ შემთხვევაში ანტიგენი, რ-იც იმუნურ პასუხს აღძრავს, საკუთარია. ბუნებრივია, რომ მისი განადგურების მცდელობა საკუთარი ქსოვილის დაზიანებით მთავრდება. კლასიკური მაგალითი: ადამიანის ორგანიზმში არის ორგანოები, რ-ებიც მთელი სხეულისგან გამიჯნულია ფიზიოლოგიური ბარიერებით (ცენტრ. ნერვული სისტემა, ფარისებრი ჯირკვალი, თვალი, მამაკაცის სასქესო ჯირკვლები, ნაყოფი). ისინი წარმოადგენენ საკუთარი იმუნური სისტემის უცხო სხეულს. ამ ბარიერების დარღვევისას ყალიბდება აუტოიმუნური კონფლიქტი.

ა ლ ე რ გ ი ა, ისევე როგორც აუტოიმუნური დაავადება, იმუნური პასუხის რეგულაციის დარღვევის შედეგია. ალერგიის შემთხვევაში იმუნური პასუხი გარემოს უსაფრთხო ანტიგენების (ყვავილისა და ოთახის მტვერი, საკვები პროდუქტები და სხვ.) საწინააღმდეგოდ აღიძვრება. ასეთი იმუნური პასუხი საკუთარ უჯრედებსა და ქსოვილებს აზიანებს.

ს ი მ ს ი ვ ნ ი ს O. – იმუნური სისტემა სიმსივნურ უჯრედებს გამოიცნობს და ანადგურებს. გადარჩება მხოლოდ ის სიმსივნური უჯრედი, რ-იც იმუნური სისტემის ზედამხედველობას თავიდან აიცილებს. სიმსივნეებზე იმუნური ზედამხედველობის იდეა ფ. ბერნეტს ეკუთვნის. თანამედროვე შეხედულებით გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ იმუნურ სისტემას სიმსივნური უჯრედის აღმოჩენისა და განადგურების უნარი აქვს, არამედ ისიც, რომ სიმსივნე თავად ზემოქმედებს იმუნურ სისტემაზე, რითაც თავის საწინააღმდეგო იმუნურ პასუხს აქვეითებს.

ტ რ ა ნ ს პ ლ ა ნ ტ ა ც ი ი ს O. – კლინიკური მედიცინის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი სფეროა. იმუნოლოგიური მიდგომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ტრანსპლანტოლოგიის მიღწევები.

კვლევის იმუნოლოგიური მეთოდები დიდი სპეციფიკურობითა და მგრძნობელობით გამოირჩევა. იმუნოფლუორესცენციული, იმუნოფერმენტული, რადიოიმუნური და სხვა მეთოდები მედიცინის ყველა დარგში გამოიყენება. ნანოტექნოლოგიების დახმარებით შექმნილი ,,ექსპერ-ტესტები'' რამდენიმე წუთში არა მარტო სხვადასხვა ინფექციების დიაგნოსტირების, არამედ ონკომარკერების, სომატური და გენეტიკური დარღვევების პრედიქტორების, წამალდამოკიდებულების, ორსულობის და სხვ. გამოვლენის საშუალებას იძლევა. იგივე ითქმის პროფილაქტიკისა და მკურნალობის იმუნურ მეთოდებზეც. იმუნური სისტემის კომპონენტების გამოყენება დაავადებათა სამკურნალოდ იმუნოთერაპიის სახელითაა ცნობილი. მას, ქიმიოთერაპიასთან და რადიოთერაპიასთან ერთად, ხშირად იყენებენ სიმსივნეების სამკურნალოდ. იმუნოთერაპია ფართოდ გამოიყენება ასევე იმუნოდეფიციტების, აუტოიმუნური პათოლოგიების, ალერგიის და სხვა დაავადებების დროს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ამ პრობლემატიკაზე მუშაობს თსსუ, თსუ, ,,დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი'', სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინ. იმუნოლოგიის სამეცნ.-პრაქტიკული ცენტრი'', თსსუ-ის ვ. *პახუტაშვილის* სახ. სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინ-ტი, საქართვ. იმუნოლოგთა და ალერგოლოგთა ასოციაცია და სხვ. მედიცინის ამ სფეროს ღირსეული წარმომადგენლები არიან: ნ. *გოგებაშვილი*, ვ. ბახუტაშვილი, ი. *მალაშხია*, ვ. მეუნარგია, ბ. *კორსანტია*, ი. *გიორგაძე*, ა. გამყრელიძე, ა. *თელია*, მ. გოთუა და სხვ.

ბ. კორსანტია. თ. ჩიქოვანი.

ინაიშვილი დურსუნ ხასანის ძე (15.X.1912, ქობულეთი, – 22. XI. 1993, ბათუმი), გრაფიკოსი. აჭარის არ-ის ხელოვნების დამს. მოღვაწე (1957). 1938 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია. მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: ,,წისქვილი'' (1958), ,,ქედის ხეობა'' (1965), ,,კისლოვოდსკი'' (1969), რ-ებიც ინახება აჭარის არ-ის კულტურის სამინისტროში. დაჯილდოებულია სიგელებითა და მედლებით.

ინაიშვილი ხასან დურსუნის ძე (22. IX. 1942, ქობულეთი, – 11. VIII. 2009, ბათუმი), ფერმწერი. საქართვ. დამს. მხატვარი (1982). სახვითი ხელოვნების დარგში საქართვ. მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი (1988). 1959–65 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში. იყო აჭარის მხატვართა კავშირის თავ-რე, საქართვ. მხატვართა კავშირის წევრი (1966-იდან). მუშაობდა პორტრეტის, ნატიურმორტის, პეიზაჟის ჟანრში. 1965-იდან მონაწილეობდა აჭარაში, საქართვ. სხვადასხვა ქალაქსა და, აგრეთვე, საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში. ძირითადი ნამუშევრები: „ქართლის პეიზაჟი'' (1961), ნატურმორტი „თევზები'' (1965), ,,ცხვრის ფარა მთაში'' (1966), ,,ყვავილები ფანჯრის რაფაზე'' (1968), „სოფელი ჩაისუბანი'' (1973), „ქალთა ბრიგადა'' (1975). O-მა მრავალი ნამუშევარი მიუძღვნა ბათუმს – „ბათუმის პორტი'', ,,ბათუმი შენდება'', ,,ბათუმის ძველი უბანი'', „წითელი



ხ. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ნატურმორტი ,,თევზები''. 1981.

სახურავები'' (1967), „ჩემი ეზო'' (1968). მისი ნამუშევრები დაცულია კიევის რუს. ხელოვნების, მოსკ. აღმ. ხალხთა ხელოვნების მუზეუმებში.

ინალ-იფა შალვა დენისის ძე (20. X. 1914, სოფ. გუფი, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქი, ახლანდ. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, აფხაზეთის არ, – 22. IX. 1995, სოხუმი), აფხაზი ეთნოგრაფი. აფხაზეთის არ-ის მეცნ. დამს. მოღვაწე (1964). ისტ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1966). დაამთავრა მ. გორკის სახ. სოხუმის პედ. ინ-ტი (1941). 1946-იდან მუშაობდა ქ. სოხუმის დ. გულიას სახ. ენის, ლიტ-რისა და ისტ. ინ-ტში, 1958-იდან იყო ამავე ინ-ტის ისტორიისა და ეთნოგრ. განყ-ბის გამგე, 1968-იდან – დირექტორის მოადგილე. O-ს ძირითადი შრომე-

ბი ეხება აფხაზთა ყოფისა და კულტ. პრობლემებს.

თხზ.: Очерки по истории брака и семьи у абхазов, [Сух.], 1954; Абхазы (Историко-этнографические очерки), 2 изд., [Сух.], 1965; Страница исторической этнографии абхазов, Сух., 1971; Вопросы этно-культурной истории абхазов, Сух., 1976.

ინანიშვილი გივი ვახტანგის ძე (დ. 7. VI. 1937, თბილისი), მეტალურგი, ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998). 1960 დაამთავრა სპი. საქართვ. მეცნ. აკად. არქეოლ. კვლევის ცენტრის განყ-ბის გამგე (1987-იდან). საქართვ. ტექ. უნ-ტის პედაგოგი (1993-იდან). საქართვ. იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტი (1994-იდან). სსიპ ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტის პროფესორი (2013-იდან). საერთაშ. სიმპოზიუმებისა და კონგრესების მონაწილე, 40-მდე სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მისი შრომები ძირითადად მეტალურგიის ისტორიის საკითხებს ეხება. იკვლევს სამთო-მეტალურგიულ წარმოებასთან და ლითონდამუშავებასთან დაკავშირებულ არქეოლ. ძეგლებს, მათ გენეზისსა და ადგილს მსოფლიო ცივილიზაციაში.


თხზ.: ძვ. წ. VII–VI სს. კოლხეთის ლითონის ზოგიერთი ნივთის ტექნოლოგიური კვლევის შედეგები, «კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები», II, თბ., 1985; კოლხეთის რკინის მეტალურგიის შესწავლის ისტორიისათვის, წგ.: გურია, I, თბ., 1996; ქართული მეტალურგიის სათავეებთან, თბ., 2015; Электронномикроскопическое исследование структуры археологического железа, «Известия АН СССР». Металлы, 1976, №1; Исследование древних шлаков железного производства на территории Грузии, წგ.: История науки, Тб., 1984; Юго-Восточная Европа в эпоху раннего металла, Тб., 1987; Metallurgische Verfahren und Kenntnisse im alten Georgien. Georgien–Schätze aus dem Land des Goldenen Vlieses, Bochum, 2001; About the History of Iron Production in Georgia, «METALL», 2007, N14, 1/2, Bochum. *ბ. ჯორბენაძე.*

ინანიშვილი რევაზ კონსტანტინეს ძე (20. XII. 1926, სოფ. ხაშმი, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 26. XII. 1991, თბილისი), მწერალი. შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1977). 1943–45 მუშაობდა 31-ე ქარხანაში. 1947 ჩაირიცხა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე, რ-იც დაამთავრა 1956 (1949–51 სწავლა შეწყვიტა ოჯახური მდგომარეობის გამო). 1960–66 მუშაობდა გამომც. ,,ნაკადულში'', 1966-იდან – კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' სასცენარო განყ-ბაში, 1985–88 – მწერალთა კავშირის მდივნად, 1989-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ჟურნ. ,,დილის'' რედაქტორი. პირველი მოთხრობა ,,სახსოვარი'' გამოაქვეყნა 1950, ხოლო პირველი კრებული ,,პირველი მოთხრობები'' – 1953. მოთხრობების ძირითადი კრებულებია: ,,მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან'' (1958), ,,წვეთები ფოთლებზე'' (1962), ,,ცისფერი გორგალი'' (1968), ,,საღამო ხანის ჩანაწერები'' (1971), ,,ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა'' (1974), ,,ჩიტების გამომზამთრებელი'' (1978) და სხვ.; საბავშვო კრებულები: ,,ბედნიერი მთა'' (1960), ,,ბიბო'' (1964), ,,სად ცხოვრობს მეზღაპრე'' (1970), ,,მგლის ლეკვები'' (1973), ,,შორი თეთრი მწვერვალი'' (1976; რუსთაველის სახ. პრემია, 1977) და სხვ.

ი. თითქოს უმნიშვნელო, სხვისთვის შეუმჩნეველ ამბებსა და ადამიანურ თვისებებზე მოგვითხრობს. მისი მოთხრობების გმირებიც, ერთი შეხედვით, უბრალო ადამიანები არიან, მაგრამ მწერალი გვარწმუნებს, რომ სამყაროს სწორედ ასეთი ადამიანები გადაარჩენენ. ანანურელი ულამაზო (,,ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები''), ქვეყნის ამომგდები იოსება (,,უშიშარი ბიჭი იოსება''), მეოცნებე გოგონა, რ-იც თვალდახუჭული მეტს ხედავდა, ვიდრე თვალხილული (,,გოგონა, ღამე რომ შეუყვარდა''), იმ სიკეთესა და სილამაზეს აფრქვევენ, რ-ის გარეშეც ყოველდღიურობა აუტანელი გახდებოდა. ა. ბაქრაძემ ი-ის მოთხრობებს ,,სულის პურით'' უწოდა. მის მოთხრობებს კიდევ ერთი მთავარი გმირი ჰყავს – ქართული სიტყვა, ლაღი და ტევადი, მოქნილი და ყოვლისშემძლე; მოთხრობები ფრაზის სისადავითა და სიზუსტით გამოირჩევა. ი-ის შემოქმედების არსებითი თავისებურებებია ადამიანისადმი სათუთი სიყვარული და პატივისცემა, თხრობის ლირიზმი, სახეთა და ხასიათების ოსტატური ხატვა.

ი-ის სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: ,,არდადეგები'', ,,დაბრუნებული ღიმილი'', ,,ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება'' (თანაავტ. ნ. მჭედლიძე), ,,ფერმა მთაში'', ,,ზაფხული სოფლად'' (,,პასტორალი'', თანაავტ. ო. იოსელიანი), ,,ნატვრის ხე'' (გ. ლეონიძის მიხედვით, თანაავტ. თ. აბულაძე), ,,ქვიშანი დარჩებიანო'' (თანაავტ. გ. შენგელაია). მწერლის მოთხრობები თარგმნილია უცხო ენებზე. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თხზ.: მთვარის ასული, თბ., 1987; მომღერალი სახლი, თბ., 2006; კრებული, სერიიდან ,,ქართული პროზის საგანძური'', თბ., 2010; ნაწარმოები 6 ტომად, სერიიდან ,,ჩემი რჩეული'', თბ., 2012. *ი. აბაშიძე. მ. თუშიშვილი.*




რ. ინანიშვილი.

ინასარიძე გიორგი ზაქარიას ძე [25. X(7.XI). 1907, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 11. VI. 1992, თბილისი], ფთიზიატრ-უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1942), პროფესორი (1947), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). 1930 დაამთავრა თსსი. II მსოფლიო ომის დროს (1939–45) მოქმედ არმიაში იყო საველე მოძრავი ჰოსპიტლისა და 46-ე არმიის მთ. ქირურგი. 1949 მისი ინიციატივით თბილ. ტუბერკულოზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში დაარსდა უროლოგიის განყ-ბა, რ-საც 1992-მდე თვითონვე განაგებდა. 1955–59 იყო ამ ინ-ტის დირექტორი. ი-მ ანატომიურად, ექსპერიმენტულად და კლინიკურად შეისწავლა შარდ-სასქესო ორგანოების ვენური სისტემა, მამაკაცის სასქესო ორგანოების ტუბერკულოზის პათოგენეზისა და მკურნალობის საკითხები, საშარდე ორგანოების კანდიდამიკოზი, დაამუშავა სანაღვლე გზების ოპერაციის ორიგინ. მეთოდი და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები.

თხზ.: Библиографический указатель отечественной урологии и смежных областей за 100 лет (1855–1955), т. 1–5, Тб., 1959–72.

ინასარიძე გიორგი მოსეს ძე (25.XII. 1920, სოფ. მარელისი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 26. II. 1984, თბილისი), საბჭოთა კავშირის გმირი (18. VIII. 1945). პოლკოვნიკი (1940). დაამთავრა საავიაციო სკოლა ქ. ოდესაში. II მსოფლიო ომის დროს (1939–45) იბრძოდა ცენტრ. (1941-იდან), კალინინის (1942-იდან), ბელორუსიის I (1943-იდან) ფრონტებზე; განახორციელა 188 საბრძოლო გაფრენა. კენიგსბერგის დაჯგუფების განადგურებაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება. 1945 დაამთავრა სამხ.-საჰაერო ძალების პოლკის შტურმანთა უმაღლესი საოფიცრო სკოლა. 1946–51 მუშაობდა საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში. იყო თიანეთის (1953–55),



შ. ინასარიძე.



ხ. ინასარიძე.



ა. ინაური.

ბორჯომის (1955–61), რუსთავის (1961–63) სამხ. კომისარი. 1963-იდან თადარიგში გავიდა. დაჯილდოებულია სახელმწ. და საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ინასარიძე კარლო (15. XI. 1919, სოფ. კუშუბაური, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 24. VII. 2007, დაკრძალულია ლევილში, საფრანგეთი), მწერალი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე. თბილ. კინომსახიობთა სტუდიაში სწავლის პერიოდში გაიწვიეს II მსოფლიო ომში, სადაც ტყვედ ჩავარდა. ქართვ. ემიგრანტების დახმარებით ,,ქართული ლეგიონის'' საქმიანობაში ჩაერთო. ომის შემდეგ გერმანიაში შეისწავლა იურისპრუდენცია, ფილოსოფია, კინოსა და თეატრის ისტორია. მისი სადოქტორო დისერტაცია იურისპრუდენციაში მიეძღვნა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის სამართლებრივ ასპექტებს. 0. იყო ნ. ჟორდანიას პოლიტ. თანამოაზრე, ემიგრაციაში მოქმედი საქართველოს სოც.-დემოკრ. პარტიის წევრი. პარიზში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალები: ,,მებრძოლი საქართველო'' და ,,ჩვენი დროშა''. იგი ასევე თანამშრომლობდა ვ. ნოზაძის ჟურნ. ,,კავკასიონთან''. დიდი წვლილი მიუძღვის ჟურნ. ,,თანამემამულის'' დაარსებაში.

0. იყო რადიო ,,თავისუფლების'' ქართული რედ. დირექტორი. მოღვაწეობდა ,,ოთარ კეთილაძის'' და ,,დავით თაბორიძის'' ფსევდონიმებით. მან თავი მოუყარა ქართვ. ემიგრანტების – გ. *როგავაძის*, მ. *წერეთლის*, რ. არსენიძის, ვ. *ნოზაძის* და სხვათა ხმების ფონოგრამებს; საქართველოში გამოგზავნა უცხოეთში გამოცემული არაერთი ქართ. წიგნი და ჟურნ.-გაზეთი; შ. და გ. მაღლაკელიძეების, კ. ვეკუას, ი. და ა. ნიკურაძეების არქივები, რ-ებიც ინახება საქართვ. სხვადასხვა ინტსა და მუზეუმში. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართვ. პირველი დემოკრ. რესპ. მთავრობის არქივის სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

0-ს საქართვ. და ქართვ. ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ქველმოქმედებისა და საეკლ. მშენებლობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მიენიჭა საქართვ. საპატიო მოქალაქის წოდება (1996).

თხზ.: ხელოვნების მეშვიდე სამყარო. ფილმის არსი, სტილი და კანონზომიერება, მიუნხენი, 1953; რადიომეტყველება, მიუნხენი, 1971; ფილმისმეტყველება, მიუნხენი, 1975; გრიგოლ რობაქიძე (ცხოვრება და შემოქმედება), მიუნხენი, 1981; ივერიონი (დაარსების 1000 წლისთავი), მიუნხენი, 1981; პატარა ,,ოქროს ხანა (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918–1921 წწ.''), მიუნხენი, 1984.

ლიტ.: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 1, თბ., 1990; ტ. 3, თბ., 1993.

გ. შარაძე.

ინასარიძე შალვა ტროფიმეს ძე (17. IX. 1900, თელავი, – 20. III.1978, ბათუმი), რეჟისორი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1943). 1924–25 სწავლობდა ბათუმის თეატრ. სტუდიაში. სტუდიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქუთაისისა და ჭიათურის თეატრებში. 1930–37 იყო მოსკ. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ინ-ტის სტუდენტი. 1937, სარეჟისორო ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ბათუმის მუშა ახალგაზრდობის თეატრში მთ. რეჟისორად. 1937 წ. 18 მარტს დაარსდა ბათუმის სახელმწ. პროფ. თეატრი, სადაც 0. გარდაცვალებამდე მუშაობდა დამდგმელ რეჟისორად. რამდენჯერმე იყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

0. ეწეოდა როგორც შემოქმედებით, ასევე პედ. მოღვაწეობას, მისი აღზრდილია ბათუმის თეატრის მსახიობთა არაერთი თაობა. 0-მ სხვადასხვა დროს დადგა სპექტაკლები: გ. მდივნის „ალკაზარი'', შ. დადიანის „გუშინდელნი'', ა. ოსტროვსკის „უმზითვო'', უ. შექსპირის „ჰამლეტი'' და სოფოკლეს „მეფე ოიდიპოსი'' (ორივე ა. ჩხარტიშვილთან ერთად). ა. შტეინის „პერსონალური საქმე'' 1957 წარმოადგინეს აჭარის ლიტ-რისა და ხელოვნების დეკადაზე თბილისში. 0. ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ხულოს თეატრის დაფუძნებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ინასარიძე ხვედრი ნიკოლოზის ძე (დ. 6. XII. 1932, პარიზი), მათემატიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნული აკად. აკადემიკოსი (2001; წ.-კორ. 1989). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1987). დაამთავრა თსუ-ის მექან.-მათ. ფაკტი (1958). ამავე წლიდან დაიწყო მუშაობა საქართვ. მეცნ. აკად. ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტში მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ – წამყვან მეცნიერ თანამშრომლად (1986–89). 1989-იდან ინ-ტის ალგებრის განყ-ბის გამგეა. 1990–97 იყო საქართვ. მათ. ეროვნ. კომიტეტის პრეზიდენტი, 2006-იდან – თბილისის მათ. მეცნიერების ცენტრის ხელმძღვანელი. პედ. მოღვაწეობას ეწევა საქართვ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში (1966–2012 – თსუ, 1995–2003 – თსუ-ის მესხეთის ფილიალი, 2015-იდან – სტუ). სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ჰომოლოგიური და ჰომოტოპიური ალგებრა, ასოციაციური რგოლების K-თეორია, არაკომუტატური გეომეტრია, ჰომოლოგიის თეორიები, ალგებრული ტოპოლოგია, კატეგორიათა თეორია. 0. არის რამდენიმე საერთაშ. მათ. კონფერენციის ორგანიზატორი და მონაწილე; რამდენიმე საერთაშ. მათ. ჟურნალის დამფუძნებელი და მთ. რედაქტორი: ,,Homology, Homotopy and Applications'' (1998–2006), ,,Journal of Homotopy and Related Structures'' (2006-იდან), „Tbilisi Mathematical Journal'' (2008-იდან); საერთაშ. მათ. ჟურნალის ,,Georgian Mathematical Journal'' რედკოლეგიის წევრი (2006-იდან). მიღებული აქვს საქართვ. მეცნ. აკადემიის ა. რაზმაძის სახ. პრემია (1998), ირანის მეცნ. და ტექნოლოგიის ხორეზმის სახ. საერთაშ. პირველი პრემია (1999).

თხზ.: Homotopy of pseudosimplicial groups, nonabelian derived functors and algebraic K-theory, «Математический сборник», 1975, т. 98, №3; Higher nonabelian cohomology of groups, «Glasgow Math. Journal», 2002, vol. 44 (თანაავტ.: T. Kandelaki and R. Meyer); Localisation and colocalisation of triangulated categories at thick subcategories, «Mathematica Scandinavica», 2012, vol. 110.

ინაური ალექსი ნიკოლოზის ძე [29. IV (12. V). 1908, გორი, – 28. VI. 1993, თბილისი], საბჭოთა გენერალ-პოლკოვნიკი (1967), საბჭოთა კავშირის გმირი (1985). 1931 დაამთავრა წითელ მეთაურთა ჩრდ. კავკასიის მთიელ ეროვნებათა საკავალერიო სკოლა, 1948 – გენ. შტაბის აკადემია. II მსოფლიო ომის მონაწილე. 1942–43 იყო სამხრ.-დას. და სამხრ. ფრონტებზე მოქმედი 34-ე დივიზიის მეთაური, შემდეგ მეთაურობდა I საკავალერიო დივიზიას. ომის დროს მონაწილეობდა მთელ რიგ თავდაცვითსა და შეტევით ოპერაციებში. 1944 მიიღო გენ.-მ-ის, ხოლო 1953 – გენ.-ლ-ის წოდება. 1949–53 იყო გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მექანიზებული დივიზიის მეთაური, 1953-იდან – საქ. კომპარტიის ცკ-ის და მისი ბიუროს წევრი, 1953–54 – საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, 1954–88 – საქ. სსრ სახელმწ. უშიშროების

კომიტეტის თავ-რე. დაჯილდოებულია უმაღლესი სახელმწ. და საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. *ნ. კალაძე.*

ინაური, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბელოთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. პატარა ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1780 *მ.*

სოფლის ზემოთ, ძველ ნასოფლარზე, დგას მაღალი, ე. წ. ზურგიანი კოშკი, რ-ის ახლოს, ტყეში, შემორჩენილია მრავალმხრივ საინტერესო, VIII–IX სს. ძლიერ დაზიანებული გუმბათოვანი ეკლესია.

ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шида-Картли, Тб., 1975.

ინაშარიძეები, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის მერისის თემში (აჭარის არ), შავშეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. მერისის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 430 *მ,* ქედიდან 8 *კმ.* 200 მცხ. (2014).

ინაშაური, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის ამაღლების თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. კვინისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 200 *მ,* ვანიდან 12 *კმ.* 509 მცხ. (2014). ი-ში არის გოგირდოვანი მინერ. წყალი.

მოხსენიებულია ი. გიულდენშტედტთან. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ი. თავდაპირველად სალომინაოს, შემდეგ სალომინაოს ბაზაზე ჩამოყალიბებული საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა. *თ. ბერაძე.*

ინაშვილი ალექსანდრე (სანდრო) იობის (იოველის) ძე [11(23). VIII. 1887, თბილისი, – 4. VI. 1958, იქვე], მომღერალი (ბარიტონი), ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. და სსრკ სახ. არტისტი (1950). თავდაპირველად მღეროდა ა. *კავსაძისა* და ნ. *სულხანიშვილის* ქართ. ხალხური სიმღერის გუნდებში. 1912-იდან გამოდიოდა თბილ. სახალხო თეატრის სპექტაკლებში (ხელმძღვ. ს. *ევლახიშვილი*), იმღერა ტორეადორის (ჟ. ბიზეს ,,კარმენი''), რიგოლეტოს და ჟერმონის (ჯ. ვერდის ,,რიგოლეტო'' და ,,ტრავიატა''), ფიგაროს (ვ. ა. მოცარტის ,,ფიგაროს ქორწინება'') პარტიები. 1916 დაამთავრა თბილ. სამუსიკო სასწავლებელი (ე. *რიადნოვის* კლასი), 1917-იდან თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო.



ა. ინაშვილი. ტორეადორი. ჟ. ბიზეს ოპერა ,,კარმენი''.

1923 ი. ა. სუმბათაშვილ-იუჟინისა და ვ. სარაჯიშვილის დახმარებით იტალიაში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო ე. ჯირალდონისთან. 1923–25 წარმატებით გამოდიოდა იტალ. და ესპანურ საოპერო თეატრების სცენებზე. 1926–32 მღეროდა მოსკოვის დიდი თეატრისა და ლენინგრადის საოპერო თეატრის სცენებზე. 1933 დაბრუნდა თბილისში და მუშაობდა თბილ. ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და სოლისტად. ხავერდოვანი ტემბრის ხმისა და ბრწყინვალე აქტიორული ნიჭის წყალობით შექმნა შესანიშნავი ვოკალურ-სცენური სახეები ქართ. და უცხ. ოპერებში, რ-თაგან აღსანიშნავია: მურმანი და კიაზო (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'', ,,დაისი''), გოჩა (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი''), აბდულ-არაბი (დ. არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე'' – იყო ამ პარტიის პირველი შემსრულებელი), ევგენი ონეგინი (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი''), ფიგარო (ჯ. როსინის ,,სევილიელი დალაქი''), ბორის გოდუნოვი (მ. მუსორგსკის ,,ბორის გოდუნოვი''), დემონი (ა. რუბინშტეინის ,,დემონი''), მეფისტოფელი (შ. გუნოს ,,ფაუსტი''), ესკამილიო (ჟ. ბიზეს ,,კარმენი''), სკარპია (ჯ. პუჩინის ,,ტოსკა'') და სხვ. ი. ეწეოდა საკონცერტო, სარეჟისორო და პედ. მოღვაწეობასაც. დადგა ოპერები: ჯ. ვერდის ,,აიდა'' და პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი''. მისი მოწაფეები არიან მ. *ამირანაშვილი,* თ. *ზაალიშვილი,* პ. *თომაძე,* შ. *კიკნაძე,* ი. *შუშანია* და სხვ.

ლიტ.: კაშმაძე შ., სანდრო ინაშვილი, თბ., 1948; მჭედლიძე დ., ქართველ მომღერალთა სამი თაობა, თბ., 1968. *მ. გედევანიშვილი.*



ა. ინაშვილი.

ინაშვილი ნიკო (გ. 6. XI. 1870, თბილისი), პუბლიცისტი და პედაგოგი. დაამთავრა თბილ. სას. სემინარია. ერთხანს თბილისშივე ასწავლიდა ქართ. ენას ფავრის პანსიონში, შემდეგ ჩაირიცხა კიევის უნ-ტში, საიდანაც პეტერბურგის უნ-ტში გადავიდა, მაგრამ უკვე ტუბერკულოზით იყო დაავადებული და სტუდენტობის წლებშივე გარდაიცვალა. ი. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნ. ,,მნათობთან''. ჟურნალის პირველივე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში ,,საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი?'' (1869, მარტი) ი-მა დაასაბუთა ეროვნ. ჟურნალისტიკის დიდი მნიშვნელობა საერთო-ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცებისათვის, საზ-ბის ცხოვრებისა და აზრის ჰუმანიზაციის, ხალხის ,,გონებითი, ზნეობითი და ნივთიერი წარმატებებისათვის''. თარგმნა ინგლ. ფილოსოფოსისა და ეკონომისტის, ჯ. ს. მილის ,,ქალების განთავისუფლება'' (,,მნათობი'', 1869, მაისი–აგვისტო), თარგმანის წინასიტყვაობასა და კომენტარებში ი-მა საქართველოში პირველთაგანმა წამოჭრა ე. წ. ,,ქალთა საკითხი'' (ქალთა ემანსიპაციის პრობლემა).

თხზ.: ზნეობათა გონებითი და ესთეტიკური გახსნა, «დროება», 1868, №№36–39.

ლიტ.: ნიკოლაძე ნ., თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1960; ხუნდაძე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 1, ტფ., 1927; ჯორჯაძე ა., წერილები, თბ., 1989. *თ. ჯოლოგუა.*

ინაძე მერი პლატონის ასული (9. X. 1928, თბილისი, – 21. V. 2012, იქვე), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1968). 1944–49 სწავლობდა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტზე. 1952–2006 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის ძვ. ისტორიის განყ-ბაში. 1968 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე ,,ძველი კოლხეთის შავიზღვისპირა ქალაქები''.

ი. იკვლევდა ანტ. ხანის ისტორიის საკითხებს. მისი ნაშრომები ეხება ძველი კოლხეთის სახელმწიფოს წარმოქმნასა და განვითარებას, ქალაქებსა და სატაძრო ცენტრებს, სავაჭრო ურთიერთო-

ბებს, შავიზღვისპირეთის ბერძნ. ახალშენებს, ელინიზმის გავლენას სამხრ. კავკასიაში და სხვა.

1997 მიენიჭა ს. ჯანაშიას სახ. პრემია.

თხზ.: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982; ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994; ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009; Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968.

ინგეთი, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის ქისტაურის თემში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1080 *მ*, ახმეტიდან 12 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

სოფლის მახლობლად, 1–1,5 *კმ*-ში, ტყეში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია.

ინგილოები, ქართული ეთნოსის ეთნოგრაფიული/ტერიტორიულ-ლოკალური ჯგუფი. ცხოვრობენ კახეთის ჩრდ.-აღმ-ით თანამედროვე აზერბაიჯანის ზაქათალის, კახისა და ბელაქნის რ-ნებში. ,,ინგილო'' ეწოდა ამ ქვეყნის მკვიდრ უძველეს ქართულ მოსახლეობას. ამ მხარის ადგილობრივ მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველებს ,,ახლად მორჯულებულები'' (ძველი თურქულით ,,იანგოლი'') უწოდეს, საიდანაც წარმოდგა ,,ინგილო'' და ამ მხარის სახელწოდება ,,საინგილო''. 1897 აღწერით ზაქათალის მაზრაში ქართული ენა მშობლიურ ენად 12.394 ადამიანმა აღიარა. გამოიყოფა ი-ის ორი ჯგუფი – ქრისტიანი და მაჰმადიანი. საბჭოთა პერიოდში და ახლაც აზერბაიჯანის ხელისუფლება ქართველებად მხოლოდ ქრისტიან ი-ებს მიიჩნევს. ისინი ქართულსუფიქსიან გვარებსაც ატარებენ. აღწერებში ქართველები (ი.) თითქმის ერთი და იმავე რაოდენობით იყვნენ დაფიქსირებული (14 ათასი). მაჰმადიანი ი. აზერბაიჯანელებად არიან ჩაწერილი და გვარებიც აზერბაიჯანულის ანალოგიური აქვთ – მამის სახელზე რუსული -ევ (-ოვ) სუფიქსის დართვით. მაჰმადიანი ი-ის არაერთი ცდა, დაებრუნებინათ ქართული გვარები და ეროვნება, წარუმატებელი აღმოჩნდა.



ინგილოები.

აღმ. კახეთში, ანუ საინგილოში ქართველები ეთნიკურ უმცირესობად იქცნენ XVII ს-ში, როდესაც შაჰ-აბასის მიერ ირანში გადასახლებული ქართველების ნასახლარებზე დაღესტნელი ხუნძები და წახურები ჩამოსახლდნენ. XVIII–XIX სს-ში ი-თა მნიშვნელოვანი რაოდენობა გალეკდა, რადგან აღმ. კახელი გლეხები ,,უბატონო თემების'' მხარეზე გადადიოდნენ და მათ შორის სახლდებოდნენ. საბჭ. პერიოდში საინგილოში მცხოვრები ქართველების ძალადობრივი ასიმილაცია მიმდინარეობდა. როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი ი. ქართული ენის *ინგილოურ დიალექტზე* საუბრობენ. შევიწროვების გამო კახის რ-ნის სოფ. ყორაღანიდან ქრისტიანი ი. 1930, კახეთში, დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. სამთაწყაროში გადმოსახლდნენ. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საინგილოში მცხოვრები ქართველები თავის თავს ,,ინგილოს'' აღარ უწოდებენ. მათ დაიმკვიდრეს სახელწოდება ,,ჰერი/ჰერელი'', რადგან ეს მხარე XV ს-მდე ,,ჰერეთის'' სახელს ატარებდა.

იხ. აგრეთვე სტ. *საინგილო.*

რ. თოფჩიშვილი.

ინგილოური დიალექტი, ქართული ენის დიალექტი. გავრცელებულია საინგილოში, რ-იც ამჟამად აზერბაიჯანის შემადგენლობაშია და მოიცავს კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რ-ნებს. საქართველოს ფარგლებში ი. დ-ზე მეტყველებს დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. სამთაწყაროს მოსახლეობა.

X–XVII სს-ში ეს მხარე ჰერეთის (XVII ს-ში კახეთ-ჰერეთის) შემადგენლობაში შედიოდა. XVIII ს-ში ჩნდება ტერმ. ,,ინგილო''. შესაბამისად, ინგილოთა სამოსახლოს ეწოდა ,,საინგილო''. ვარაუდობენ, რომ ,,ინგილო'' მიღებულია ძვ. თურქ. იანგილი ფორმიდან (yangili→ yangilo ,,ახალი → ახალმორჯულებული''). თავდაპირველად ,,ინგილო'' სოც. შინაარსის ცნება იყო და არა ეთნიკური.

ი. დ. იყოფა კაკურ და ალიაბადურ კილოკავებად. კაკურში გამოიყოფა ალიბეგლოური თქმა, ხოლო ალიაბადური იყოფა ალიაბადის, მოსულისა და ითითალის თქმებად.

ი. დ-ში დაცულია ჯ ფონემა (ჯელი ,,ხელი''); არის ვ ფონემის წყვილბაგისმიერი უ ვარიანტი (ქუაჲ ,,ქვა''); დასტურდება სუსტი ხმოვანი ჷ, რ-იც ა, ე, ი და ო ხმოვნების ალოფონია (ჷმოჲ ,,ამოდი''), უმლაუტიზებული ხმოვნები ӧ (ზჷლ – ,,ძველი'') და ӱ (კӱრტ – ,,კვირტი''), რ-ებიც ზოგჯერ ოპოზიციას ქმნიან ო და უ ხმოვნებთან და სიტყვათგანმასხვავებელ ფუნქციას იძენენ: ზჷლ ,,ძველი'' – ზოლ ,,ძვალი''; კӱრტ ,,კვირტი'' – კურტ ,,კრუხი''..., ზოგჯერ კი თავისუფლად მონაცვლეობენ მათთან: ჩონ // ჩӧნ (,,ჩვენ''). ი. დ-ში ქართ. ენის მჟღერ ჯ და ძ აფრიკატებს ცვლის შესაბამისი მჟღერი სპირანტები: ჯ → ჟ (დაჟდა ,,დაჯდა''), ძ → ზ (ზმაჲ ,,ძმა''). დასტურდება ხმოვანთა ფშვინვიერი, მკვეთრი და იოტიზებული (ჰ-// ჱ// ჲ-) შემართვა (ჰეკალ// ჱეკალ// ჲეკალ ,,ეკალი''); გვხვდება გემინირებული ბბ, მმ, შშ, რრ, ლლ, გგ, წწ თანხმოვნები (კამმეჩი ,,კამბეჩი'', სილლაჲ ,,სილა'', ლობბაზ ,,მასხარა'' და სხვ.).

ი. დ-ს ახასიათებს როგორც დამავალი (Vჲ, Vუ), ასევე აღმავალი (ჲV, უV) დიფთონგები (ხუალ ,,ხვალ'', მოხუელ ,,მოხვედი'', ჲუქ ,,საპალნე''). პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე ხდება ხმოვანთა კონტაქტური ასიმილაცია: აე → ეე: (დეენახა ,,დაენახა''), ოე → ეე (მეეწონა ,,მოეწონა''), იე → ეე (მეეც ,,მიეც''), ხოლო სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე – ხმოვანთა დისიმილაცია: ეე → იე (სამარიები < სამარეები, ტყიები ← ტყეები).

ი. დ-ში I პირისნიშნისეული ვ თანხმოვანი იწვევს პრეფიქსისეული ა ხმოვნის ლაბიალიზაციას (დოვკალი – ,,დავკალი''). ინტერვოკალურ ლაბიალურ პოზიციაში იკარგება ვ სუბიექტ. პირის ნიშანი: ოვა → ოა → უა (მუალ ,,მოვალ'')... აღსანიშნავია ასიმილაცია-დისიმილაციის ნიმუშები: აუ → ოუ → ოუ → ოვ (ოუღი → ო- უღი → ოვღი ,,აუღია''), აუ → აუ → ავ (პროგრესული დისიმილაციის გზით: აქავრობა ,,აქაურობა'', გოზავრ → გოზაური ,,ღვინოარყის ჭურჭელი''), ანალოგიურად: ეუ → ეუ → ევ (დეკევლ ,,დეკეული'', დანაშავლ ,,დანაშაული''). დასტურდება ვა // უა → ო (ზოლ ← ძვალი, ჭომ ← ჭვამ ← ვჭამ), პა-

რალელურად – ვა → უ (დევაკუნ ,,დიაკვანი'') და ვე → უ (ქართულ ,,ქართველი'').

ი. დ-ში ვერ ძლებს ხშულ თანხმოვანთა ჯგუფები და სხვადასხვა გზით ხდება მოსალოდნელი არაბუნებრივი კომპლექსების აცილება: ა) ხმოვნის ჩართვით: კიბილ – ,,კბილი'', შიტოჲ – ,,შტო'', ღრუმ – ,,ღრმა''; ბ) სკ, სტ, სპ, შკ კომპლექსების წინ ე. წ. პროთეტული ხმოვნის გაჩენით: ისკამი – ,,სკამი'', ისტაქან // ესტაქან – ,,სტაქანი'', იშკოლ // უშკოლ – ,,შკოლა'', იშკაფ – ,,შკაფი''; გ) თანხმოვანთა დაკარგვით – კინაჲ – ,,რკინა'', წკინავს – წყინავს – ,,ბრწყინავს''; დ) თანხმოვანთა კომპლექსში შემავალი მეორე წევრის (ხშულის) ნაპრალოვანთან მონაცვლეობით – გზელი – ,,გრძელი'', ბზოლაჲ –,,ბრძოლა''. ი. დ. თავიდან იცილებს ხმოვანთა უშუალო თანამიმდევრობასაც: ა) დიფთონგიზაციის გზით – აჲღა – ,,აიღო'', – დეკევლი – ,,დეკეული''; ბ) ხმოვნის დაკარგვით – მოვყონი ‖ მოუყონი – ,,მოუყვანია'', გ) თანხმოვნის ჩართვით – შუგაჲ ,,შუა'', ყმუვილ ,,ყმუილი'', ნიგორი ,,ნიორი''... მაგრამ ეს წესი ირღვევა, თუ ხმოვანთმიმდევრობა ა) მორფემათა ზღვარზეა: ერთი – აერთევს; ბ) მიღებულია თანხმოვნის დაკარგვით: იმააც (იმასაც); გ) ორი სიტყვის შეხორცებით: მეუმ (←მე უნ←მე უნდა), რაზიოვაჲ (←აზერბ. რაზი + ქართ. ობა ,,თანხმობა''); ასევე უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებში: ტაიჲ (აზერბ. დაჲы ,,დედის ძმა''), ყაუმ (აზერბ. გოჰუმ ,,ნათესავი, მოყვარე'') და სხვ.

ი. დ-ის მორფოლ. თავისებურებებიდან აღსანიშნავია -ყე ‖ -ყ ნაწილაკის ხმარება, რ-ითაც გამოიხატება: ა) პირდ. და ირ. ობიექტთა მრავლობითობა: დაჯოცა-ყე ‖ დაჯოცაყ ,,დახოც-ნ-ა'' (პირდ. ობიექტი), აჭამა-ყე ‖ აჭამაყ ,,აჭამა'' მან მათ ის (ირ. ობიექტი); ბ) რეალური სუბიექტის მრავლობითობა ინვერსიულ ზმნებში: ჰქონდა-ყე // ჰქონდა-ყ ,,ჰქონდათ''; გ) ხოლმეობითი (მრავალგზისობა): ცხოვაყ (ცხვება ხოლმე), (ვ)ჭომყ (ვჭამ ხოლმე); დ) სახელებთან -ყენ ,,-კენ'' თანდებულის ფონეტ. ვარიანტია – კარევისყენ ,,კარებისაკენ''.

ი. დ-ის ალიაბადურ კილოკავში თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს ბრუნვის ნიშნად შენარჩუნებული აქვთ -ი (დედაკაცი, შოლი), ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ბრუნვის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი (მამა, ჟაფა), მაგრამ კაკურ კილოკავში საპირისპირო ვითარებაა: თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები ბრუნვის ნიშნის გარეშე იხმარება (დედაკაც, შულ), ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები კი - ჲ-ს (←ი) დაირთავენ (მამაჲ, დაჲ). მოთხრ. ბრუნვის ნიშნად ი. დ-ში გვხვდება - მა (კაცმა), - მამ (←მან): ამამ ,,ამან''. მიც. ბრუნვის ნიშნად: -ს, -ჲ, -ჰ და ϴ: ენაჲ უკიდევს (←ენას უკიდებს ,,ენაჩლუნგია''). ნათ. ბრუნვის ნიშნად წარმოდგენილია შემდეგი ალომორფები: ი⌜ს⌝ (ჟეჲრანი ჯორც ,,ჯეირანის ხორცი''), - ჲ (მამაჲ გულგაზ ,,მამის ცხვირსახოცი'') და ϴ (კორცხ დანაღოჲ ქათამ ,,კვერცხის დამდები ქათამი''). მოქმ. ბრუნვის ალომორფებია: -ჲთი (ჩოშკაჲთი ,,ხმლით''), - ითი (ჯელითი ,,ხელით''), - ი (ფეყი ,,ფეხით'') და ϴ (დამ მაასლევარ ,,ღამით მოვალ''). ვით. ბრუნვის ნიშნად დასტურდება: ა⌜დ⌝ (გადურა ჩოვცომ ,,ბიჭურად ჩაუცვამს'') და - ჲ (მასხარაჲ მიგდევს ,,მასხრად მიგდებს''). გამოყოფილია ლოკალური ბრუნვები: სადაობით-გამოსვლითი (კარშიჲთით ,,გარედან''), ნათ.-გამოსვლითი (კაციზგნი⌜თ⌝ ,,კაცისგანით''), ნათ.-მიმართულებითი (წაუდა თქ᷈ნს ,,წავიდა თქვენსას''). დასტურდება სახელთა მრ. რიცხვის ორმაგი წარმოება (ქებევებ ,,რქებები''). გავრცელებულია მეშველზმნიანი წარმოება ყველა ტიპის ზმნათა I და II პირში (ხატავ–ვარ/-ხარ ,,ვხატავ – ხატავ'', ბ᷈რდღვი-ვარ/-ხარ ,,ვბერდები–ბერდები'', ტ᷈რუ-ვარ/-ხარ ,,ვტირი–ტირი''.

ი. დ-ში უნიფიცირდება -ავ სუფიქსი (წ᷈რ-ავ-ვარ ,,ვწერ'', დრ᷈კ-ავ-ვარ ,,ვდრეკ'', ყოფ-ავ-ვარ ,,ვყოფ''). თხოვნით-ბრძანებითის II პირის ფორმად გამოყენებულია II კავშირებითის ფორმა (წახ᷈დო!). ნამყო ძირითადის I და II პირის ფორმებში წარმოება უნიფიცირებულია: კაკურში – ი ან ϴ (შოჲნახ // შოჲნახი ,,შეევინახე''. შაჲნახ ,,შეინახე''), ალიაბათურში – პირიქით, -ე სუფიქსი ვრცელდება (ვიცანე–იცანე ,,ვიცანი–იცანი''); უნიფიცირებულია კავშირებითების წარმოება II და III სერიებში (წაჲყონას – II კავშირებითი, მეგეცას – III კავშირებითი), ხოლო ალიაბათურში – ო (მოკლოს ,,მოკლას''); კაკურში დინამ. ვნებითის აწმყოს მრ. რიცხვის III პირში დასტურდება -ი-ს დაბოლოება (კდევის), ხოლო ალიაბათურში – ა (კდება); კითხვით ნაცვალსახელთან ერთად გამოიყენება კითხვითის -ა ნაწილაკი (მინ არისა? ,,ვინ არის?'').

უცხო ენიდან ნასესხებია ზოგი ზმნიზედა, ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული და აფიქსები [ჰევაშ-ჰევაშ ,,ნელ-ნელა'', ჰათაარ ,,როგორ'', ჰამ ,,თან'', დენა ,,ცალი''. ამმა ,,მაგრამ'', გა // გაჰ ,,ხან'', ანჟახ ,,მდე'' -ბე (,,-თვის''), ჰაჲფ (შებრალების შორისდებული)], ხელობის აღმნიშვნელი სუფიქსი -ჩი (კოლხოზ-ჩი ,,კოლმეურნე'', ოვ-ჩი ,,მონადირე''); ლაფ ,,ძალიან''... დამკვიდრებულია აღმატებითი ხარისხის წარმოების აზერბ. წესი – პირველ მარცვალს დაერთვის მ თანხმოვანი (კომკორაწ ,,ძალიან მკვახე'', წიმწითელ ,,სულმთლად წითელი'').

შეინიშნება აზერბ. გავლენით წარმოქმნილი ფრაზეოლოგიური კალკები: მასწავლებელი სა ზისა? ,,მასწავლებელი სად ცხოვრობს?'' თავში ჩავარდნაჲ ,,მიხვედრა, გააზრება''.

ი. დ-ში საგრძნობია უცხო ენიდან ნასესხები ლექსიკის სიუხვე (ავლუჲ ,,შხამი'', ბარუჲ ,,კედელი'', თექაჲ ,,ჯიხვი'', მაშაყ ,,ფოცხვერი'', ტაღარ ,,გუდაჲ'', ხაჩ ,,ჯვარი'', ზაჲ ,,უვარგისი, გაფუჭება'' და სხვ.). დაცულია ძვ. ქართულისეული ფენა (ასტამი ,,ცომის საფქეკი'', ტაბლა ,,მაგიდა, სუფრა'', გაჯდა ,,გახდა, გაძრობა'', დაზოვაჲ, ზოვაჲ ,,მოგება, შობა, დაბადება...).

ლიტ.: ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966; კ უ ზ ი ბ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ხმოვანთა სისტემა ინგილოურში, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1991, №4; რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978; ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე რ., ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988; ჩ ა ნ გ ა შ ვ ი ლ ი გ., საინგილო, თბ., 1970; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საინგილო, ტფ., 1913.

ვ. კუზიბაბაშვილი.

ინგირი (1938-მდე – ჯოღეჯიანი), სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ჩხოუშის (ჯუმის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ი., ოირემე). რკინიგზის სადგური. ზ. დ. 70 *მ*, ზუგდიდიდან 5 *კმ*. 4,0 ათ. მცხ. (2014).

ინგლისი (England), ოფიციალური სახელწოდება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო (The United Kingdom of Great

Britain and Northern Ireland), რომელსაც შემოკლებით დიდ ბრიტანეთს ან ინგლისს უწოდებენ, შეიქმნა 1707 წ-ისა და შოტლანდიის პარლამენტების გაერთიანებისა და 1800 მასთან ირლანდიის შეერთების შედეგად. 1921 გაერთიანებულ სამეფოს გამოეყო კ. ირლანდიის დიდი ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო; სამეფოს შემადგენლობაში დარჩა მხოლოდ ჩრდ. ირლანდია. გაერთიანებული სამეფო არის კონსტიტუციური მონარქია (სამეფო დინასტიის სახელია უინძორი), რ-საც მართავს მაჟორიტარული საარჩევნო წესით არჩეული პარლამენტი; მთავრობას ქმნის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი.

გაერთიანებული სამეფო განლაგებულია კ. დიდ ბრიტანეთზე, კ. ირლანდიასა და 6 ათასამდე მომცრო კუნძულზე. მას გარს ეკვრის ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთის ზღვა და ლა-მანშის სრუტე. 1994-იდან წყალქვეშა სარკინიგზო გვირაბის მეშვეობით იგი უკავშირდება ევროპის კონტინენტს.

გაერთიანებული სამეფოს მთავარი შემადგენელი ნაწილის, წ-ის, ფართობია 130,4 ათასი *კმ²*, მოსახლეობა 53 მლნ. (2011), ხოლო მთელი გაერთიანებული სამეფოს ფართობია 224 ათასი *კმ²*, მოსახლეობა – 63 მლნ., დედაქალაქი – ლონდონი (8,4 მლნ. მცხ.).

XVIII ს-ში წ-ში დაიწყო მსოფლიოში პირველი ,,სამრეწველო რევოლუცია“, რასაც მოჰყვა ქვეყნის სწრაფი ეკონ. განვითარება და XIX ს-ში გაერთიანებული სამეფო მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეშვეობით მან შექმნა დიდი კოლონიური იმპერია, რ-იც მოიცავდა ინდოსტანის ნ.-კ-ს, სამხრ.-აღმ. აზიის ნაწილს, ავსტრალიის კონტინენტს, ახალ ზელანდიას, აფრიკისა და ჩრდ. ამერიკის ნაწილებს, სადაც გავრცელდა ინგლისური ენა და, ზოგან, პოლიტ. მართვის ბრიტანული სისტემა.

XX ს-ში გაერთიანებული სამეფო ჩაბმული იყო ორ მსოფლიო ომში, საიდანაც სამხედრო თვალსაზრისით გამარჯვებული, მაგრამ ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებული გამოვიდა. 1947-იდან ოციოდე წლის განმავლობაში მისი კოლონიური იმპერია დაიშალა, მიუხედავად ამისა, გაერთიანებული სამეფო დღემდე ფლობს მძლავრ ეკონომიკას, რ-იც მსოფლიოში სიდიდით მეექვსეა, ხოლო ევროპაში – მესამე.

გაერთიანებული სამეფო გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრთა შორის ერთ-ერთია; 1949-იდან ის ნატოს წევრია; 1973-იდან ევროპული კავშირის წევრი. 2016 ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად გადაწყდა ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლა (Brexit). თავისი ყოფილი კოლონიების უმრავლესობასთან ერთად იგი ქმნის ,,თანამეგობრობას“ (Commonwealth).

ინგლისი და საქართველო. 1920 წ. 10 იანვარს გაერთიანებულმა სამეფომ დე ფაქტო ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო 1921 იანვარში დე იურე აღიარა იგი, თუმცა საქართველო და დანარჩენი სამხრ. კავკასია არ შედიოდა იმდროინდელი მსოფლიო ჰეგემონის, გაერთიანებული სამეფოს, პოლიტ. და ეკონ. ინტერესების სფეროში. საქართველოში მყოფი უკანასკნელი ბრიტანული სამხედრო ნაწილები ბათუმიდან გაემგზავრნენ 1920 წ. 9 ივლისს, იმავე წლის 16 დეკემბერს საფრანგეთმა და გაერთიანებულმა სამეფომ დაბლოკეს ერთა ლიგაში საქართველოს მიღება. 1921 წ. 16 მარტს ხელი მოეწერა ბრიტანულ-რუსულ სავაჭრო ხელშეკრულებას, რ-ის თანახმად რუსეთი არ ჩაერეოდა ბრიტანეთის ინდოეთის საქმეებში, ხოლო სანაცვლოდ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა არ ჩაერეოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი იმ ქვეყნების საქმეებში, რ-ებიც 1918-იდან დამოუკიდებლები გახდნენ. ამან გააადვილა საბჭ. რუსეთის ექსპანსია ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე, მ. შ. საქართველოში. ამ პერიოდის ქართულ-ბრიტანული კავშირები მნიშვნელოვანწილად და-ძმა ო. და მ. უორდროპების სახელს უკავშირდება (იხ. *უორდროპი მ. ს. და უორდროპი ო.*).

1992 გაერთიანებული სამეფო აღმოჩნდა იმ ქვეყნების პირველ ხუთეულში, რ-ებმაც საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარეს და სრული დიპლომ. ურთიერთობა დაამყარეს მასთან. თბილისში გაიხსნა გაერთიანებული სამეფოს საელჩო, ხოლო ლონდონში – საქართველოს საელჩო. წარმატებით ვითარდება ორმხრივი პოლიტ., სავაჭრო-ეკონ. და ჰუმანიტარული ურთიერთობები. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა დახმარებას უწევს საქართველოს დემოკრატიული და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებაში, შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაში, ევრო-ატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის საქმეში. გაერთიანებული სამეფო საქართველოს შიდა კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების საკითხში თანამშრომლობს საერთაშ. და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ბრიტანელები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში ევროპული კავშირის მონიტორინგის მისიის საქმიანობაში. გაერთიანებული სამეფო ცნობს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ



ინგლისი. ლონდონის ხედი.



ინგლისი. ლონდონი. ტრაფალგარის მოედანი.

საზღვრებს და მისი შემადგენელი ნაწილების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის), დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის ერთგულია. ის მაქსიმალურ დახმარებას უწევს ქართულ დიპლომატიას საერთაშ. არენაზე. ქართული სამხ. კონტინგენტი ბრიტანელი ჯარისკაცების მხარდამხარ მოქმედებდა ერაყსა და ავღანეთში. დიდი ბრიტანეთი რეგულარულად მონაწილეობს საქართველოში დაგეგმილ მსხვილ სამხედრო წვრთნებში, როგორიცაა Noble Partner და Agile Spirit.

საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა მჭიდრო და მრავალგანზომილებიანი ურთიერთობები. ორმხრივი თანამშრომლობა მოიცავს პოლიტიკის, სავაჭრო-ეკონომიკურ, თავდაცვის, განათლების, კულტურის, საპარლამენტთაშორისო და სხვა სფეროებს. XXI ს. დასაწყისში დინამიკურად განვითარდა დარგობრივი თანამშრომლობა, რამაც განაპირობა ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლის აუცილებლობა.

2014 საფუძველი ჩაეყარა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ორმხრივ პოლიტიკურ ფორმატს – ,,უორდროპის დიალოგს'', რ-იც ქართულ-ბრიტანული თანამშრომლობის საკითხთა ფართო სპექტრის განხილვას ემსახურება და თითქმის სრულად მოიცავს ორმხრივ სექტორულ თანამშრომლობას. 2016 ორმხრივი ფორმატი თვისებრივად ახალ საფეხურზე გადავიდა და მას ,,უორდროპის სტრატეგიული დიალოგი'' ეწოდა.

ბრიტანეთის პარლამენტში საქართველოს ინტერესების წარმოჩენაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოსთან მეგობრობის ინტერპარტიული საპარლამენტო ჯგუფი.

საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის განათლებისა და კულტურის დარგში თანამშრომლობას უძღვება ბრიტანეთის საბჭო (British Council), რ-იც მდებარეობს თბილისში და საქართველოს მასშტაბით ახდენს მთელი რიგი კულტ.-საგანმან. პროგრამების ადმინისტრირებას.

აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს საგანმან. დაწესებულებები როგორც სასწავლო, ასევე სამეცნ.-კვლევითი მიმართულებით.

საქართველოში ოც წელზე მეტია წარმატებით მოღვაწეობს კომპანია ,,ბრითიშ პეტროლეუმი'', რ-იც დღეისათვის ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია და მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს მსოფლიო კლასის ენერგოტრანსპორტირებასა და საწვავის მიწოდების საქმიანობით.

აქტიურია რეგიონთაშორისი თანამშრომლობა. დამეგობრებული ქალაქებია თბილისი–ბრისტოლი, ქუთაისი–ნიუპორტი, ახალციხე – ნიუქასლი.

ლიტ.: გაჩეჩილაძე რ., გაერთიანებული სამეფო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, თბ., 2016.

რ. გაჩეჩილაძე.

ინგოროყვა გიორგი ილიას ძე (დ. 8. XII. 1950, ხაშური), ნეიროქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2001), პროფესორი (2002). 1973 დაამთავრა თსსი. 1994–99 იყო ამავე ინ-ტის ნეიროქირურგიის კურსის ხელმძღვანელი, 1999–2007 – აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური რესპ. საავადმყოფოს ნეიროქირურგიის ცენტრის დირექტორი, 2004-იდან – თსსი-ის ნეიროქირურგიის კათედრის გამგე, 2007–09 – თბილ. I საავადმყოფოს საუნივერსიტეტო კლინიკის ნეიროქირურგიის ცენტრის დირექტორი; 2009-იდან – შპს ,,მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის'' გენ. დირექტორი.

ი. მრავალი სამეცნ. შრომის ავტორია, რ-ებიც ეხება ნეიროქირურგიის აქტუალურ პრობლემებს. არის საქართვ. ნეიროქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ამერიკის, ევროპის ასოციაციის წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (2012).



პ. ინგოროყვა.

ინგოროყვა პავლე იესეს ძე (1. I. 1893, ფოთი, – 20. XI. 1983, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე. ექსტერნად დაამთავრა გიმნაზია. 1912–15 სწავლობდა პეტერბურგის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე. იყო საქართვ. დემოკრ. რესპ. დამფუძნებელი საბჭოს წევრი (1917), 1918 წ. 26 მაისის საქართვ. დამოუკიდებლობის აქტზე ერთ-ერთი ხელმომწერი; საქართვ. საკათალიკოსო საბჭოს წევრი (1917). არჩეული იყო საქართვ. საისტ.-საეთნოგრაფიო საზ-ბის წევრად (1917–21). იყო ერთ-ერთი ინიციატორი ცენტრ. სამეცნ. არქივის (1920), საქართვ. მწერალთა კავშირის (1923) და ჟურნ. ,,მნათობის'' დაფუძნებისა (1925). რედაქტორობდა სას. ჟურნ. ,,სვეტიცხოველს'' (1917), მწერალთა კავშირის გაზ. ,,ლაშარს'' (1923), ჟურნალებს: ,,კავკასიონი'' (1924) და ,,ახალი კავკასიონი'' (1925). ი-მ დააარსა გამომცემლობა ,,ქართული წიგნი'' (1925–30). იყო მონაწილე საქართვ. სახალხო კომისართა საბჭოს ინიციატივით შექმნილი შერეული რუს.-ქართ. კომისიისა, რ-საც დაევალა რევოლუციამდე სხვადასხვა დროს რუსეთში გატანილ სიძველეთა და საბუთების დაბრუნება საქართვე-

ლოში (1922). 1929–39 განაგებდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბას. 1931, როგორც პოლიტიკურად მიუღებელი მწერალი, გარიცხეს მწერალთა კავშირიდან. 1936–38 იყო ,,დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის'' რედაქციის განყ-ბის გამგე.

ი-ს პირველი ნაშრომი – ,,ძველქართული სასულიერო პოეზია. VIII–X სს. წგ. I. ტექსტები'' 1913 გამოიცა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი მცდელობა ქართ. სას. პოეზიის ძეგლთა შესწავლისა და გამოცემისა, სრულიად ახ. მხატვრ.-ესთეტ. სამყაროს ჩვენებისა. 1914-იდან ი-ს გამოკვლევები ქართ. მწერლობის, კულტ., ისტორიის საკითხებზე იბეჭდებოდა სამეცნ. კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში (,,ძველი საქართველო'', ,,საქართველოს მუზეუმის მოამბე'', ,,ენიმკის მოამბე'', ,,კავკასიონი'', ,,მნათობი'' და სხვ.). ი-მ ძვ. ქართ. ლიტ-რაში აღმოაჩინა ე. წ. რიტმული პოეზიის ნიმუშები – *მიქაელ მოდრეკილის* საგალობელთა კრებულში გაშიფრა ძვ. ქართ. სანოტო სისტემა. ამ საკითხს მიუძღვნა ნაშრომი ,,ანტიკური ხანისა და საშუალო საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა''.

ი-ს შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ფუნდამენტური ნაშრომი ,,გიორგი მერჩულე'' (1954), რ-შიც განხილულია V–X სს. მთელი ქართ. სას. პოეზია, გამოვლენილი და გამოქვეყნებულია მანამდე უცნობი პოეტ-ჰიმნოგრაფების თხზულებანი. მონოგრაფიაში თავმოყრილია მეცნიერის მრავალწლიანი კვლევა-ძიებანი, დაწვრილებითაა შესწავლილი ქართ. ჰიმნოგრაფიული პოეზია.

ი-მ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო შოთა რუსთაველისა და ,,ვეფხისტყაოსნის'' კვლევას. ორჯერ გამოსცა ,,ვეფხისტყაოსანი'' (1953, 1971). ამ საკითხს მიუძღვნა ნაშრომები: ,,რუსთველიანა'' (1926), ,,რუსთაველი და მისი პოემა'' (1937), ,,რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა'' (1940–41), ,,რუსთველიანას ეპილოგი'' (1963). იგი ავტორია ასევე მონოგრაფიებისა: ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი (1938), ,,აკაკი წერეთელი'' (1940), ,,ილია ჭავჭავაძე'' (1951).

ი-ს რედაქტორობითაა გამოცემული გიორგი მერჩულის ,,ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა'' (1950), ,,ჩვენი საუნჯის'' VI ტომი; თანარედაქტორობით: ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული (1925–30), ,,ვისრამიანი'' (1938), ,,ქილილა და დამანა'' (1949); ასევე გამოსცა ნ. ბარათაშვილის (1970), ა. წერეთლის (1940–53), ვაჟა-ფშაველას (1956) თხზულებანი. დაკრძალულია ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

თხზ.: თხზულებანი შვიდ ტომად, თბ., 1963–2012.

ლიტ.: ჩხეიძე რ., ბედი პავლე ინგოროყვასი (ბიოგრაფიული რომანი), თბ., 2003. *რ. ჩხეიძე.*

ინგუშეთი, რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციაში, ჩრდ. კავკასიაში. დედაქალაქი – მაგასი (დაარსდა 1994), უდიდესი ქალაქი – ნაზრანი (1995-მდე დედაქალაქი). ი-ს უჭირავს 3628 *კმ*². ჩრდ-ით ესაზღვრება სტავროპოლის მხარე (რფ), აღმ-ით – ჩაჩნეთი, სამხრ-ით – საქართველო, დას-ით – ჩრდ. ოსეთი. მოსახლეობა 480 ათ. კაცი (2017).

1934 ჩაჩნეთი და ინგუშეთი გაერთიანდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ერთ ავტონ. ოლქში (დედაქალაქი – გროზნო), რ-ის შემადგენლობიდან გავიდა 1992 რესპუბლიკის სტატუსით და ასე შევიდა რფ-ის შემადგენლობაში.

ჩაჩნებს და ინგუშებს საერთო წარმომავლობა, მსგავსი მონათესავე ენები და კულტურა გააჩნიათ. ისინი ჩრდ. კავკასიაში ჩამოყალიბდნენ ეთნიკური ნიშნების საფუძველზე, როგორც დამოუკიდებელი ხალხები. მათი საერთო სახელწოდებაა *ვეინახები*. ცალკე ხალხად ჩამოყალიბების შემდეგ ინგუშებმა თვითსახელწოდება ,,ღალღაი'' შეინარჩუნეს. რაც შეეხება ტერმინს „ინგუში'', იგი გვიანდელია და XVIII ს-მდე არ არსებობდა. როგორც ვარაუდობენ, მისი გაჩენა უნდა უკავშირდებოდეს ი-ის სოფლის (აულის) „ანგუშტის'' სახელს. ინგუშური ენა მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიური ოჯახის ნახურ ჯგუფს. 1923 ზ. მალსაგოვმა ლათინურის საფუძველზე შექმნა ინგუშური ანბანი. 1938 შეიმუშავეს რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი.

ი. ისტორიულად მცირემიწიან რაიონს წარმოადგენს, რაც აფერხებდა მიწათმოქმედების განვითარებას. ი-ის სავარგულები საკმაოდ მწირი ნიადაგისაგან შედგებოდა, ამას მკაცრი კლიმატური პირობებიც ემატებოდა და მოსავლიანობა ძალზე დაბალი იყო. ჩრდ. კავკასიის თითქმის ყველა ხალხი მისდევდა მესაქონლეობას. ასე იყო ი-ის დაბლობ ტერიტორიებზეც. რაც შეეხება მთიან ი-ს, სხვა რეგიონებთან შედარებით მთის საძოვრების სიმცირის გამო მესაქონლეობამ დიდ მასშტაბებს ვერ მიაღწია.

ი-ის კულტურის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს მეზობელმა კავკასიელმა ხალხებმა და ზოგიერთმა უცხო ეთნოსმა. მნიშვნელოვანია ქართული კულტურის ინგუშების კულტურაზე გავლენის ფაქტი. საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე (IV ს.) დაიწყო მთიან რეგიონებში მისი



ინგუშეთი. დედაქალაქ მაგასის ხედი.

გავრცელება. მთაში ქრისტიანობის შეტანას ადგილ. წარმართი მოსახლეობის მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა ხვდებოდა. ასეთ შემთხვევაში სამეფო ხელისუფლება ძალის გამოყენებასაც არ ერიდებოდა. ანალოგიური მეთოდებით ხდებოდა ქრისტიანობის გავრცელება დურძუკებში, კერძოდ ი-ში. IX ს-ში აშენდა და შემდეგ საუკუნეში გაფართოვდა თხაბაერდის ქრისტ. ტაძარი მდ. ასას ხეობაში. იგი ღვთისმსახურების ძირითად ცენტრს წარმოადგენდა ვეინახებისათვის. XI–XIII სს-ში მთიან ი-ში აშენდა ალბი-ერდის, თარგიმის, გალი-ერდის, დელითისა და სხვა ეკლესიები. ქართული ფეოდ. მონარქიის მიზანდასახულობა და ინტენსიურობა განპირობებული იყო დარიალის უღელტეხილზე კონტროლის დაწესების სურვილით.

ქრისტიანობის გავრცელებას ი-ში ქართული ენისა და ქართული დამწერლობის გავრცელება მოჰყვა. ამის დასტურია ეკლესიის კედლებზე მრავლად აღმოჩენილი ქართ. წარწერები, ქართულწარწერიანი ჯვრები და საფლავის ქვები, ქართული დამწერლობით შესრულებული ადგილობრივი საკუთარი სახელები და ტოპონიმები. ბევრ ეკლესიაში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა. ი-ში ფართოდ იყო გავრცელებული ქართული ქრისტ. ტერმინოლოგია. ამ ფონზე სასაზღვრო რაიონებში ხდებოდა ეთნიკური ელემენტების შერწყმა და რელიგიური რიტუალების ორმხრივი დიფუზია. ინგუშურ ენაზე დიდი გავლენა იქონია ქართულმა ენამ. ინგუშურ ენაში დამკვიდრდა მრავალი ქართული სიტყვა. ონომასტიკაში, ტოპონიმიკასა და ეთნონიმიკაში არსებობს ბევრი ნიშანი ქართველი და ინგუში ხალხების კულტურულ-ისტორიული კავშირების დასადასტურებლად.

XVIII ს-ში მრავალი ინგუში მოინათლა ქრისტიანად იმ იმედით, რომ თავს დააღწევდნენ ყაბარდოელი და დაღესტნელი ფეოდალების მხრიდან ჩაგვრასა და შევიწროებას. ინგუშების საქართველოში გადმოსახლება XIX ს-შიც გრძელდებოდა.

ლიტ.: კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ე., ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია (უძვ. დრო–XVIII საუკუნე), თბ., 2014; Государственные и титульные языки России, Энциклопедический словарь-справочник, ред. В. П. Нерознак, М., 2002; Д е ш е р и е в Ю. Д., Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный, 1963; М а р г о ш в и л и Л. Ю., Культурно-этнические взаимноотношения между Грузией и Чечено-Ингушетией в XIX–нач. XXв. (Кисты Панкиси), Тб., 1990. *ე. კოპალიანი.*

ინგუშეთის ქართული წარმოშობის ქრისტიანული ძეგლები, XVIII ს. მიწურულიდან მკვლევართაგან ინგუშეთში გამოვლენილი და შესწავლილი ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები: ნაეკლესიარნატაძრალები (ტყობია-ჲერდას ტაძარი, ალბი-ჲერდის, თარგემის, მაღი-ჲერდის ეკლესიები და სხვ.); მონუმენტური და მცირე პლასტიკის ძეგლები (ჯვრები, ქვის ჯვრის კვარცხლბეკი, ქვის ემბაზი, ჯვრების გამოსახულებანი სამლოცველოებზე, ტაძრის სახურავის კრამიტებზე, კოშკებზე, აკლდამებზე); ეკლესიის ექსტერიერის შემამკობელი რელიეფები (სიუჟეტურ-კომპოზიციურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ორნამენტული მოტივებითა და შესრულების ტექნიკით ისინი ანალოგიებს პოულობს შუა საუკუნეთა საქართვ. არქიტექტურულ, კედლის მხატვრობის, ჭედურ, ქვისა და ხეზე კვეთილობის ძეგლებში, რაც მათთან გენეტ. კავშირით აიხსნება და, ამავე დროს, გააჩნიათ ლოკალური ნიშნებიც); საეკლ. კედლის მხატვრობის ნიმუშები; ადგილობრივ მცხოვრებთა ქრისტ. სამარხები; სამლოცველო, სამშ., ლიტურგიკული შინაარსისა და ადგილ. სახელწოდებების აღმნიშვნელი ძველქართული წერილობითი ძეგლები (უმთავრესად X–XI სს. და XII–XIV სს.). ისინი საისტორიო, ენობრივ (ქრისტ. ლექსიკის, ონომასტიკის, ტოპონიმიკის), ფოლკლორულ და ეთნოგრ. მასალებთან ერთად, ნათელყოფენ შუა საუკუნეების ინგუშეთში ქრისტიანობის გავრცელების მაღალ დონეს, ქრონოლ. დიაპაზონს, ქართ. ღვთისმსახურების, მოსახლეობაში ქართ. ენისა და დამწერლობის არსებობას.

ინგუშეთში არსებული ქრისტ. კულტ. ძეგლები ნათლად მიუთითებს შუა საუკუნეების საქართველო-ინგუშეთის (ისტ. „დურძუკეთი“) მჭიდრო ისტ. ურთიერთობებზე, რაც ჩამოყალიბდა ადრე შუა საუკუნეთა მიწურულიდან კავკასიის ხალხთა პოლიტ., სოც.-ეკონ. და კულტ. სფეროებში მიმდინარე იმანენტური პროცესებით (ფეოდ.-ფორმაციული ძვრები, ძლიერი მეზობელი სახელმწიფოებისაგან თავდაცვა, ტრანსკავკასიური გზების ფლობა, მთისა და ბარის ეკონ. კავშირები, ძირძველი ეთნო-კულტ. ურთიერთობანი, ეთნო-ფსიქ. წყობა და სხვ.) და საქართველოს სახელმწიფოს მიერ წარმართული კავკ. პოლიტიკით, რის შედეგადაც წარმოქმნილი საერთო კავკ. სახელმწიფოებრიობის რელიგ.-კულტ. საფუძვლად ქრისტ. რელიგია და კულტურა გვევლინება.

ლიტ.: ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე გ., „არსენი მ“-ის სამშენებლო-კერამიკული წარწერა ტყობჲა-ჲერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან, კრ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1998; მ ი ს ი ვ ე, ქართული ფსალმუნი მაღი-ჲერდას ეკლესიიდან (ინგუშეთი), საერთაშორისო კონგრესი „ქართველოლოგიის პრობლემები და



ტყობია-იერდის ტაძარი. X ს. II ნახევარი. დასავლეთის ფასადი.

პერსპექტივები“. მასალები, I, თბ., 2015; მისივე, Изображение епископа Георгия (X в.) из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия). Международная научная конференция «Кавказ и этнология», Б., 2009; მისივე, Надпись «Патриарха Востока Мелкиседека» из грузино-ингушского христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия), გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, 2014, №7; Чубинашвили Г. Н., Ткобя-Ерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), კრ.: Вопросы истории искусства. Исследования и заметки, т. 2, Тб., 2002.

გ. ლამბაშიძე.

ინგუშური ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფის ენა. გავრცელებულია ძირითადად ჩაჩნეთში, ინგუშეთში, ნაზრანის, სუნჯისა და მალგობეკის, ასევე ჩრდ. ოსეთის მოსაზღვრე რ-ნებში.

ი. ე-თვის დამახასიათებელია ხმოვანთა შედარებით რთული და თანხმოვანთა მარტივი სისტემა. სპეციფიკურია ჳ (<ჳ), ს (<უ, ი) ხმოვნები და ოა (<ჳ) დიფთონგი; თანხმოვანთაგან: ფარინგალური ფშვინვიერი ჳ, ფარინგალური სპირანტები, ჱ, ჰ, ჲ ლარინგალური მკვეთრი Ქ-ს მსგავსი ბგერა და კბილბაგისმიერი ფ, რ-იც შედარებით ახ. წარმოშობისაა.

არსებით სახელებს აქვს ბრუნვის, რიცხვის კატეგორია. ზოგი ზედსართავი სახელი და 4-ის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი განარჩევს გრამატ. კლასს. ძირითადი ბრუნვებია სახ., ნათ., მიც., ერგატივი. ნათ. ბრუნვის ფორმას ემყარება ერგატივისა და სხვ. ბრუნვათა ფორმები.

ზმნა იუღლება გრამატ. კლასების მიხედვით. გამოიყოფა 4 (ვ, ჲ, ბ, დ) კლას- ნიშანი, რ-თა მიმართება მხ. და მრ. რიცხვში გვაძლევს ექვს ჯგუფს. გარდამავალი ზმნის სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაშია. ზმნას აქვს დროის, კილოს, რიცხვის კატეგორიები; საგარემოებო ფორმები. არის ნაზმნარი სახელები (მასდარი, მიმღეობა) და აბსოლუტივები.

წინადადების ძირითადი კონსტრუქციებია: ნომინატიური, დატიური, ერგატიული, პოსესიური და ლოკატიური. ჰიპოტაქსი არაა განვითარებული.

ი. ე-ის ლექსიკა შეიცავს როგორც საერთონახურ, ისე საკუთრივ ინგუშურ ძირებს. მრავლადაა ნასესხები სიტყვები რუს., ქართ., ოსური, სპარს., არაბ. ენებიდან.

ი. ე-ში არ გამოიყოფა დიალექტები. მცირე განსხვავება შეინიშნება ბარისა და მთის მცხოვრებთა მეტყველებაში. ი. ე. სამწერლობო ენაა. სალიტ. ენას საფუძვლად უდევს ბარის მცხოვრებთა მეტყველება. დამწერლობა შეიქმნა 1923, თავდაპირველად ლათ. გრაფიკის საფუძველზე. 1938-იდან შემოღებულია რუს. გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანი.

ლიტ.: იმნაიშვილი დ., ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურსა და ჩაჩნურში, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 12; მისივე, Система гласных и регрессивно-дистанционная их ассимиляция в чеченском и ингушском языках, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული», 1974, [ტ.] 1; Долакова Р. И., Ингушский язык, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; Мальсагов З. К., Ингушская грамматика, Владикавказ, 1925; Оздоев И. А., Синтаксис ингушского литературного языка (Простое предложение), Грозный, 1964; Joanna Nicholas, Ingush Grammar, Berkley: University of California Press, 2010.

დ. იმნაიშვილი.

ინდაური, ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. მოიცავს 2 გვარის თითო სახეობას: ჩვეულებრივი ი. (Meleagris gallopavo) – გავრცელებულია აშშ-ის სამხრ.-აღმ-ით და მექსიკაში, კოპლებიანი ი. (Agriocharis ocellatus) – ბინადრობს ცენტრ. ამერიკაში.

შინაური ი. წარმოიშვა ჩვეულებრივი ი-საგან. ის თავისი გარეული ნათესავებისაგან დიდი ზომითა და წონით განსხვავდება. შინაურ ფრინველთა შორის ი. ყველაზე დიდია და მას სახორცედ ამრავლებენ. მოზრდილი ი-ს მასაა 12–16 *კგ*, ყველაზე დიდი – 20 *კგ*-მდე. კვერცხს დებს მე-10, მე-11 თვიდან, ჩვეულებრივ, იანვარ-მარტში (წელიწადში დაახლ. 90 კვერცხი, ყველაზე მეტი – 150-მდე), კვერცხის მასაა 80–88 გ. მისი ინკუბაცია 28 *დღ-ღ* გრძელდება. შემოდგომაზე თითო ი-გან შეიძლება გამოვზარდოთ 40–60 და მეტი ფრთა მოზარდეული, რაც 3–4



ინდაური.

თვეში 160–200 *კგ* ხორცს იძლევა. ნასუქი ი-ის ნაკლავის გამოსავალი 85–90% აღწევს. სანაშენე ი-ებს იყენებენ 3 წლამდე.

მეინდაურეობა კარგადაა განვითარებული ინგლისში, აშშ-ში, კანადაში, რუსეთსა და უკრაინაში.

საქართველოში ი. რუსეთიდან შემოიყვანეს XVIII ს-ში. გავრცელებულია შინაური ი-ის მრავალი ჯიში: ფართომკერდა, ბრინჯაოსფერი, ინგლისური და ჰოლანდიური თეთრი, ბელტსვილური და სხვ. საქართველოში ხშირია შინაური ი-ის პოპულაცია – შავი, ბრინჯაოსფერი, ნაცარა, ჩალისფერი და სხვ.

ჩალისფერი ი-ის სამშობლოდ ამერიკა ითვლება. გავრცელების არეალის მიხედვით განასხვავებენ თიანეთის, დუშეთის, კახეთისა და დას. საქართველოს ი-ებს, მ. შ. შედარებით მაღალპროდუქტიულია დუშეთ-თიანეთისა, რ-ებიც იყენებენ ბუნებრივ საძოვრებს და ახასიათებთ გასუქების კარგი უნარი. 7–8 თვის ასაკში თითქმის ზრდასრულია, იძლევა გემრიელ ხორცს, დედლების ცოცხალი მასაა 5–6 *კგ*, ხოლო მამლებისა – 9–10 *კგ*.

XX ს. 50-იან წლებში ზოოვეტერინარული ინ-ტის პროფ. ნ. ანთაძემ კრწანისის სასწ. ექსპერ. მეურნეობაში ხალასი მოშენების გზით გამოიყვანა ჩალისფერი ი-ის ადგილ. ჯიშური ჯგუფი.

ი-ის ხორცში დიდი რაოდენობით არის ფოსფორი, ამ მხრივ ის თევზს უტოლდება, შეიცავს PP ვიტამინსაც, მისი თეთრი ხორცი განსაკუთრებით მდიდარია ცილებით, რკინით, გამოირჩევა მცირე ცხიმიანობით, დაბალი კალორიულობით, გემრიელია, ორგანიზმიც კარგად ითვისებს; დიეტური პროდუქტია.

ლიტ.: მიტიჩაშვილი რ., ნოზაძე რ., ჩაგელიშვილი ა., ფრინველის გენეტიკა და სელექცია, თბ., 2010.

ნ. ანთაძე. რ. ნოზაძე.

ინდექსი (ლათ. index – სია, რესტრი, მიმანიშნებელი, აგრეთვე საჩვენებელი თითი), რიცხვი, ასო ან სიმბოლოთა სხვა კომბინაცია, რ-იც მიუთითებს ელემენტის ადგილს სიმრავლეში. ი. შეიძლება ახასიათებდეს რაიმე სისტემის მდგომარეობასაც, მაგ., აქტივობას, მწარმოებლურობას, განვითარების დონეს, რაიმეს ცვლილებას. არსებობს, მაგ., ქარი-სიცივის ი., რ-იც ამინდის სიმკაცრეს განსაზღვრავს; სხეულის მასის ი.; სამეცნ. ნაშრომთა ციტირების ი.; მკვლევრის (ან სამეცნიერო კოლექტივის, ან დაწესებულების) სამეცნ. პროდუქტიულობის ჰირშის ი. (ეკონ. მეცნიერებებისათვის – ჰერფაინდალის

Ო.); კრიტიკული Ო-ები (ფლუქტუაციურ არეში სხვადასხვა თერმოდინამიკურ მახასიათებელთა ანომალიების აღმწერი); სიბლანტის Ო.; ვულკანური აქტივობის Ო.; ინკვიზიციის მიერ აკრძალულ გამოცემათა Ო.; მონაცემთა ბაზის Ო.; საფოსტო Ო. და სხვ.

ეკონომიკაში იყენებენ დისტრიბუციის (განაწილების) Ო-ს, სამომხმარებლო ფასების (ინფლაციის) Ო-ს, ფასებისა და შემოსავლების Ო-ს, საფონდო (ბირჟის დინამიკის) Ო-ს და სხვ.

მათემატიკაში იყენებენ ვექტორული ველის განსაკუთრებული წერტილის Ო-ს, რიცხვის Ო-ს მოდულით შედარებისას, ქვეჯგუფის Ო-ს და სხვ. ელიფსური ოპერატორების Ო-ის თეორია ითვლება XX ს. მათემატიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად. ატია-ზინგერის კლასიკურმა თეორემამ ელიფსური ოპერატორების ანალიზური და ტოპოლოგიური Ო-ების ტოლობის შესახებ (1963; ფილდსის პრემია – 1966; აბელის პრემია – 2004) დასაბამი მისცა მათემატიკის ისეთი მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა ტოპოლოგიური K-თეორია, არაკომუტატური დიფერენციალური გეომეტრია, სინგულარული სივრცეების ტოპოლოგია და ანალიზი და სხვ.

საქართველოში ნ. *მუსხელიშვილის*, ი. *ვეკუას*, ნ. *ბერიკაშვილის* და სხვ. მათემატიკოსთა მიერ მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები სინგულარულ ოპერატორთა განსაზღვრული კლასის, ე. წ. ნიოტერის ოპერატორების Ო-ისთვის.

ლიტ.: Бицадзе А.В., Самарский А. А., О некоторых простейших обобщениях линейных эллиптических задач, «Доклады АН СССР», 185(4), 1969; Кордюков Ю. А., Теория индекса и некоммутативная геометрия на многообразиях со слоением, УМН, 64(2), 2009; Кутателадзе С. С., Основы функционального анализа, 3-е изд., Новосибирск, 2000; Сарданашвили Г. А., Геометрия и квантовые поля. Современные методы теории поля, т. 4, М., 2000; Schick T., L2-index theorems. KK-theory and connections, «Journal of Mathematics», 11, N. Y., 2005.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ ადამიანის განვითარებისა (ინგლ. Human Development Index – HDI), ცხოვრების დონის, განათლებისა და სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის საერთაშორისო შედარებისათვის გამოყენებული ინტეგრალური მაჩვენებელი (2013-მდე – ცალკეული ქვეყნებისათვის ადამიანის პოტენციალის განვითარების Ი.). იგი გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნისა და ტერიტორიის (რეგიონის) შედარებისათვის. ეს Ი. შეიმუშავა 1980 პაკისტანელმა ეკონომისტმა მაჰბუბ ელ ჰაქმა. გაეროს განვითარების პროგრამა 1990 წ. ,,ადამიანის განვითარების ანგარიშში'' იყენებს ამ Ი-ს. ადამიანის განვითარების Ი-ის გასაანგარიშებლად გამოიყენება სამი სახის Ი. (რ-ის დროსაც ხდება შესაბამისი ქვეყნის ფაქტობრივი მაჩვენებლის შედარება აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით მსოფლიოში საუკეთესო ქვეყნის მაჩვენებელთან): 1. დაბადებულთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა; 2. ქვეყნის მოსახლეობის განათლების დონე (განათლებაზე დახარჯული წლების რაოდენობა და სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობა); 3. ცხოვრების დონე, რ-იც ფასდება მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ერთობლივი ეროვნ. შემოსავლით მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის შესაბამისად (აშშ დოლარი). ამ მაჩვენებელთა გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულებით:

1. I_1 (Life Expectancy Index – LEI) = [LE–20]/[85–20], რ-ის მნიშვნელობებად მიჩნეულია LE – დაბადებულთა სიცოცხლის მოსალოდნელი საშ. ხანგრძლივობა ქვეყანაში (მინიმუმი – 20 წელი, მაქსიმუმი – 85 წელი);

2. I_2(Education Index – EI) = (MYSI+EYSI)/2, სადაც MYSI არის 25 წლისა და უფროსი ასაკის პირთა მიერ სასკოლო სწავლებაზე დახარჯულ წელთა Ი., უდრის MYSI /15,0; EYSI – 5 წლისა და უფროსი ასაკის პირთა მიერ სიცოცხლის განმავლობაში დაწყებით, საშ. და უმაღლეს განათლებაზე დახარჯულ წელთა Ი., უდრის EYSI/18,0;

3. I_3 – შემოსავლის Ი. (Income Index – II) – მთლიანი ეროვნ. პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით; გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით: I_3 (II) = [In(GNIpc) – In(100)]/[In(75000) – In(100)].

გაეროს ექსპერტების მიერ მთლიანი ეროვნ. პროდუქციის მიმართ თვეში მინიმალურ მნიშვნელობად მიჩნეულია 100 $.

ადამიანის განვითარების Ი. მოცემული სამი მაჩვენებლის Ი-თა საშ. გეომეტრიულის ტოლია:

$$HDI = \sqrt{I_{Health} * I_{Education} * I_{Income}}.$$

2010-იდან ადამიანის განვითარების Ი-ის გასაანგარიშებელ ინდიკატორთა წრე გაფართოვდა სამი ახ. ინდიკატორით: სოც.-ეკონ. უთანაბრობით კორექტირებული ადამიანის განვითარების Ი., გენდერული უთანაბრობის Ი. და მრავალზომიანი სიღარიბის Ი.

საქართველოს შესახებ ადამიანის განვითარების Ი-ს გაეროს განვითარების პროგრამა 1996-იდან აქვეყნებს. გაეროს კლასიფიკაციით, ადამიანის განვითარების Ი-ის მიხედვით ქვეყნები ოთხ ჯგუფად იყოფა: ძალიან მაღალი (49 ქვეყანა), მაღალი (56 ქვეყანა), საშუალო (39 ქვეყანა), დაბალი (44 ქვეყანა). 2015 წლის მდგომარეობით, საქართველო (188 ქვეყნიდან 70-ე ადგილი უკავია, ადამიანის განვითარების Ი. არის – 0,769; საშუალოდ ადამიანის განვითარების Ი. მსოფლიოში კი – 0,711) მიეკუთვნება ადამიანის განვითარების მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნების საშ. დონეს. ამ Ი-ის მიხედვით პირველ ადგილზეა ნორვეგია (2015 წ. – 0,949).

ლიტ.: არჩვაძე ი., ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორის მიხედვით საქართველოს ადგილი მსოფლიოში, «საქართველოს ეკონომიკა», 2007, №2; ასათიანი რ., ადამიანის განვითარების ინდექსი, წგ.: თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია, თბ., 2014; Human Development Report, N.Y., 2014. *ი. არჩვაძე.*

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ ეკონომიკაში, რაიმე ეკონომიკური მოვლენის თანმიმდევრული ცვალებადობის გამომხატველი პროცენტული რიცხვითი მაჩვენებელი. ეკონომიკაში Ი-ები გამოიყენება რთული ერთობლიობის შეფარდებითი დახასიათებისათვის (ზრდისა და მატების Ი-ები, გეგმის შესრულების Ი-ები, ტერიტორიული Ი-ები); ერთობლიობის სტრუქტურის ცვლილებებზე დამოკიდებული საშ. სიდიდეების დინამიკის ანალიზში; რთული მოვლენის ცვლილებებში ცალკეული ფაქტორების კავშირების შესწავლისა და წილის შესაფასებლად.

Ი-ების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: კვლევის ობიექტების მიხედვით Ი-ები შეიძლება იყოს მოცულობითი (რაოდენობითი, მოცულობის მიხედვით, პროდუქციის გამოშვება ნატურალურ განზომილებაში და სხვ.) და ხარისხობრივი (ფასი, თვითღირებულება, შრომის მწარმოებლურობა, მოსავლიანობა და სხვ.); საკვლევი ობიექტის ელემენტების მომცველობის ხარისხის მიხედვით – ინდივიდუალური

(მარტივი), ჯგუფური და საერთო (შეწონილი); შედარების ბაზის მიხედვით – დინამიკური, ტერიტორიული; შეწონის სახის მიხედვით – მუდმივი წონებით, ცვალებადი წონებით; გაანგარიშების მეთოდოლოგიის და აგების ფორმის მიხედვით – აგრეგირებული და საშუალო (არითმ. და ჰარმონიული); გამოსაკვლევი ობიექტის ხასიათის მიხედვით – რაოდენობრივი მაჩვენებელი, ხარისხობრივი მაჩვენებელი; მოვლენის შედგენილობის მიხედვით – ფიქსირებული შემადგენლობის, ცვალებადი შემადგენლობის; გამოთვლის პერიოდის მიხედვით – თვიური, კვარტალური, წლიური. შესადარი ბაზის მიხედვით განასხვავებენ საბაზისო (უცვლელი ბაზის) და ჯაჭვურ (ცვლადი ბაზის) Ი-ებს.

Ი-ების აგრეგირებული ფორმა წარმოადგენს საერთო Ი-ების ძირითად ფორმას. ინდივიდ. Ი-ები იძლევა ამა თუ იმ ერთობლიობის ცალკეული ელემენტების შედარებით დახასიათებას. მაგ., ცალკეული სახეობის პროდუქციის წარმოების Ი., კონკრეტული საქონლის ფასის Ი. აგრეგირებული Ი-ის შემთხვევაში შესასწავლი მოვლენა შეისწავლება სხვა ნიშნებთან კავშირში. მაგ., ფასების ზრდა სასურსათო საქონელზე (პურზე, ხორცზე, კვერცხზე და ა. შ.). აღნიშნულის გათვალისწინებით, ნებისმიერ აგრეგირებულ Ი-ში ორი ელემენტია: ინდექსირებადი ნიშანი, რ-ის მიხედვითაც შეისწავლება ცვლილება; წონადი ნიშანი, რ-ის მიხედვითაც ხდება იმ ეკონ. მოვლენების ცვლილების შესწავლა, რ-თა შემადგენელი ელემენტები არათანაბარზომადია (მაგ., პური და თვითმფრინავით მგზავრობა).

ინდივიდ. Ი-ების საშ. შეწონით მიიღება იგივე შედეგი, რაც აგრეგირებული Ი-ის დროს. ჯგუფური Ი-ები მოიცავენ ერთობლიობის ნაწილს (რომელიღაც ჯგუფს). ზოგჯერ მათ სუბინდექსსაც უწოდებენ, მაგ., პროდუქციის წარმოების Ი-ები მრეწვ. ცალკეული დარგების მიხედვით. საერთო Ი-ები ახასიათებს ერთობლიობას მთლიანობაში. თავისი შინაარსით ისინი კრებსითი შეფარდებითი მაჩვენებლებია და გამოხატავენ საშუალო ცვლილებას, მაგ., ფასების, ხელფასების, პროდუქციის წარმოების მოცულობის და ა. შ.

ინდექსირებადი სიდიდეების შემადგენელი ნაწილების შესადარებლად გაანგარიშებაში გამოიყენება თანაფარდობის მაჩვენებელი – წონა, რ-იც უზრუნველყოფს რაოდენობრივ შედარებადობას საანგარიშო და საბაზისო პერიოდებს შორის. მაგ., ფიზ. მოცულობის Ი-ის გაანგარიშებისას წარმოებული პროდუქცია ფასდება ერთსა და იმავე ფასებში. თვითღირებულების Ი-ის გასაანგარიშებლად სარგებლობენ პროდუქციის ერთეული რაოდენობით. ამასთან, რაოდენობრივი (მოცულობითი) მაჩვენებლების დინამიკის Ი-ების გაანგარიშებისას აიღება საბაზისო პერიოდის წონები, ხარისხობრივი მაჩვენებლების დინამიკის Ი-ების გაანგარიშებისას კი – საანგარიშო პერიოდის წონები. Ი-ების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს თითოეული ფაქტორის გავლენა განზოგადებული (საშედეგო) მაჩვენებლის (ნიშნის) ცვლილებაზე. ყოველ Ი-ში გამოიყოფა სამი ელემენტი: ინდექსირებადი მაჩვენებელი, რ-ის დონეთა თანაფარდობა ახასიათებს Ი-ს; შედარებადი დონე, რ-ის შედარებასაც ახდენენ სხვა დონესთან; საბაზისო დონე, რ-ის მიმართაც ხდება შედარება. Ი-ის გაანგარიშებისათვის ხდება შედარებადი დონის შეფარდება საბაზისო დონესთან და მიღებული შედეგი გამოიხატება კოეფიციენტის სახით (თუ საბაზისო მაჩვენებელს აიღებენ 1-ად) ან პროცენტის სახით (თუ საბაზისო მაჩვენებელი მიჩნეულია 100%-ად). პროდუქციის ფიზ. მოცულობის Ი. გვიჩვენებს, თუ რამდენად შეიცვალა პროდუქციის ღირებულება მისი წარმოების მოცულობის ცვლილების შედეგად, ფასების Ი. – თუ რამდენად შეიცვალა პროდუქციის ღირებულება ფასების ცვლილების შედეგად. ფასების Ი-ის გაანგარიშებისათვის თანმიმდევრულად ხორციელდება საქონელ-წარმომადგენელთა კალათის განსაზღვრა, კალათის ღირებულების გამოთვლა; საბაზისო წლის არჩევა და Ი-ის გამოთვლა; ინფლაციის დონის გამოთვლა. ფასების დონის ცვლილების დასახასიათებლად გამოიყენებენ ე. წ. პააშეს Ი-სა და ლასპეიერსის Ი-ს.

ეკონ. პრაქტიკაში სარგებლობენ აგრეთვე ბაზრის, საფონდო ბირჟის, დოუ-ჯონსის, შემოსავლების კონცენტრაციის (ჯინის), ცხოვრების ღირებულების და სხვა Ი-ებით.

საქართველოში ყველაზე ფართოდ გამოიყენება სამომხმარებლო ფასებისა და ცხოვრების ღირებულების Ი-ები, რ-თა გაანგარიშება ხორციელდება 1996-იდან. 2016 წელს 1995 წელთან შედარებით სამომხმარებლო ფასების Ი-მა 434,5% შეადგინა, ლარის Ი-მა აშშ დოლართან – 204,5%, ხოლო ლარის მყიდველობითი უნარიანობის Ი-მა – 23,0%. სამომხმარებლო ფასების საშ. წლიურმა დონემ 2016 წ. 2015 წელთან შედარებით შეადგინა 102,1%, რადგან ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის Ი. სამომხმარებლო ფასების Ი-ის შებრუნებული მაჩვენებელია, 2016 წ. ქართ. ლარის მყიდველობითი უნარიანობის Ი. წინა წელთან შედარებით იქნება 97,9% [(1/102,1) × 100].

პროდუქციის ფიზიკური მოცულობის, მოსახლეობის რიცხოვნობის ან დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკის დასახასიათებლად გამოიყენება ინდივიდუალური Ი. 2010 წ. საქართვ. ეროვნ. მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 1628,1 ათ. კაცი, 2016 წ. კი – 1763,3 ათ. კაცი. დასაქმებულთა რიცხოვნობის Ი. 2016 წლისთვის იქნება 108,3% [(1763,3/1628,1) × 100].

მთლიანი შიდა პროდუქტის საბაზისო (უცვლელი ბაზის) Ი-ები 2010–16 წწ. იყო (%-ობით): 2010 წ. – 100,0; 2011 წ. – 107,2; 2012 წ. – 114,1; 2013 წ. – 117,9; 2014 წ. – 123,4; 2015 წ. – 127,0; 2016 წ. – 130,6, ხოლო ჯაჭვური (ცვლადი ბაზის) Ი-ები (წინა წელთან შედარებით): 2010 წ. – 106,2; 2011 წ. – 107,2; 2012 წ. – 106,4; 2013 წ. – 103,4; 2014 წ. – 104,6; 2015 წ. – 102,9; 2016 წ. – 102,8.

შემოსავლების კონცენტრაციის (ჯინის), ანუ საზ-ბის დიფერენციერების დონის მახასიათებელი Ი-ის მნიშვნელობა მერყეობს 0-იდან 1-მდე. რაც უფრო ახლოსაა ეს მაჩვენებელი 0-თან, მით უფრო თანაბარადაა განაწილებული მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები. ჯინის Ი. საქართველოში საკმაოდ მაღალია: 2016 წ. მთლიანი შემოსავლების მიხედვით მან შეადგინა 0,40, ფულადი სახსრებისა და ხარჯების მიხედვით – შესაბამისად, 0,41 და 0,43. მსოფლიოს 138 ქვეყნიდან, რებზეც მოიპოვება მონაცემები ჯინის Ი-ზე, საქართველო ფულადი შემოსავლების მიხედვით 33–34 ადგილებს იყოფს ფილიპინებთან და აღმატება როგორც პოსტსაბ-

ჭოთა ყველა ქვეყანას, ისე გერმანიის (0,27), საფრანგეთის (0,30) და მთლიანად ევროკავშირის საშ. (0,31) მაჩვენებლებს.

საქართველოში საშ. ოჯახის საარსებო მინიმუმმა 2010 იანვარში შეადგინა 214,7 ლარი, 2017 იანვარში კი – 287,9 ლარი. შესაბამისად, ბოლო 7 წელიწადში საშ. ოჯახის საარსებო მინიმუმის (ცხოვრების ღირებულების) ი-მა შეადგინა 129,9% (278,9:214,7).

საქართველოს ეროვნ. მეურნეობაში დასაქმებულთა საშ. ყოველთვიური ნომინალური ხელფასი იყო (ლარებში): 2000 წ. – 72,3; 2010 წ. – 597,6; 2016 წ. – 940,0. შესაბამისად, საშ. ნომინალური ხელფასის ი. 2016 წ. 2000 წელთან შედარებით შეადგენდა 1300,1% (940,0:72,3=1300,1%), ხოლო 2010 წელთან შედარებით – 157,3% (940,0:597,6=157,3%). რეალური ხელფასის გაანგარიშება ხდება ნომინალური ხელფასის ი-ის თანაფარდობით სამომხმარებლო ფასების ი-თან. სამომხმარებლო ფასების ი-მა 2016 წ. 2000 წელთან შედარებით შეადგინა 227,1%, ხოლო 2010 წელთან შედარებით – 119,9%. შესაბამისად, საქართვ. ეროვნ. მეურნეობაში დასაქმებულთა რეალური ხელფასის ი. 2016 წელს 2000 წელთან შედარებით იყო 572,5% (1300,1:227,1), ხოლო 2010 წელთან შედარებით – 131,2% (157,3:119,9).

საფონდო ბაზრის დინამიკის დასახასიათებლად გამოიყენება ბაზრის ი., რ-იც იანგარიშება მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდების ფასების ჯამის თანაფარდობით ბაზარზე გატანილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობასთან. საქართველოში საფონდო ბაზრის განვითარების დაბალი დონის გამო, ეს ი-ები პრაქტიკულად არ გამოიყენება.

ლიტ.: გაბიაშვილი ბ., სტატისტიკის ზოგადი თეორია, თბ., 2006; Липпе Ф., Экономическая статистика, Висбаден, 1994; Минашкин В. Г., Шмойлова Р. А., Садовникова Н. А. и др. , Теория статистики, М., 2008.

ი. არჩვაძე.

ინდივიდუალური მეწარმე, ფიზიკური პირის სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ფორმა, მეწარმე სუბიექტი. საქართველოში მისი უფლებები მოწესრიგებულია კანონით ,,მეწარმეთა შესახებ‘‘. ი. მ. არ არის იურიდ. პირი, თუმცა მისი რეგისტრაცია სავალდებულოა. ი. მ. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის როგორც ფიზ. პირი. ინდივიდ. მეწარმეობის განმახორციელებელი ფიზ. პირი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პირადად აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით. ი. მ-ს არ სჭირდება მართვის სპეც. ორგანოები, როგორც ეს სამეწარმეო საზ-ბების (*სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი*) შემთხვევაშია, იგი სამეწარმეო საქმიანობას ორგანიზებას უწევს და ახორციელებს უშუალოდ. ი. მ-ის სამართლებრივი ფორმა შესაძლებლობას იძლევა, სამეწარმეო საქმიანობა განხორციელდეს მცირე კაპიტალით, ნაკლები დანახარჯებისა და დიდი სამეწარმეო თავისუფლების პირობებში, რაც მას მიმზიდველს ხდის მცირე მეწარმეობის განსახორციელებლად.

წყარო: კანონი მეწარმეთა შესახებ, «საქართველოს პარლამენტის უწყებანი», 1994, №21–22, მ. 455.

ლიტ.: ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბ., 2002; ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.

ლ. ლაზარაშვილი.

ინდიკატიური დაგეგმვა, მაკროეკონომიკური *დაგეგმვის* ერთ-ერთი სახე, რომლითაც განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კურსი, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები (მთლიანი შიდა პროდუქტი, დასაქმების მაჩვენებლები, ინვესტიციების მოცულობები და სხვ.). ი. დ. არის გრძელვადიანი (10 და მეტი წელი), საშუალოვადიანი (3–5 წელი) და მოკლევადიანი (უმთავრესად 1 წელი). ი. დ., დირექტიულისაგან განსხვავებით, ჯერ ერთი არაა სავალდებულო, ატარებს ინფორმაციულ, სარეკომენდაციო ხასიათს და მეორე – კონკრეტულად არ მიუთითებს მაჩვენებელთა შემსრულებელ სუბიექტებს, შესაბამისად, მათთვის არ წარმოადგენს კონკრეტულ დავალებას. მისი საჭიროება და სარგებლიანობა გამოიხატება სათანადო მეცნ. კვლევებისა და გათვლების საფუძველზე, სამომავლო მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო დოვლათის, მისი შექმნის რესურსების მონაცემების განსაზღვრით. ამდენად, იგი გამოსადეგია როგორც ქვეყნის მთავრობისთვის, ასევე კონკრეტული ეკონ. სუბიექტებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასეთი გეგმის მნიშვნელობა სახელმწ. ბიუჯეტის შედგენისას; მესამე – ინდიკატიური გეგმა არაა და არც შეიძლება იყოს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონ. მართვის ინსტრუმენტი, რადგან ამგვარი დეცენტრალიზებული ეკონომიკა მაკროდონეზე არ იმართება, მაგრამ ის ეკონომიკაზე მარეგულირებელი ზემოქმედების ბერკეტად გვევლინება.

თავიდან გაჩნდა ი. დ-ის თეორ. იდეა, შემდეგ რიგ ქვეყნებში იგი კიდევაც განხორციელდა. ამ იდეის ავტორები იყვნენ ინსტიტუციონალისტურ და სოციოლოგიურ მიმართულებათა წარმომადგენელი ეკონომისტები. დაგეგმვის იდეა და საკითხები მუშავდებოდა XX ს. 30-იანი წლებიდან. 1928 მექსიკაში, ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით, მუშაობა დაიწყო ეროვნ. ეკონ. განვითარების გეგმის შესადგენად. 1932 გერმანიაში შეიმუშავეს მაკროეკონომიკური გეგმა, რ-ის ძირითადი მიზანი იყო უმუშევრობის დაძლევა. 1933 ინდოეთში შემუშავდა ეროვნ. ეკონ. გაორკეცების გეგმა, 1938 კი შეიქმნა ეროვნ. საგეგმო კომიტეტი. საფრანგეთში დაგეგმვის იდეის დამამკვიდრებლის როლი სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელმა ფ. პერუმ შეასრულა. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში აშშ-შიც გამოჩნდნენ დაგეგმვის მომხრენი. განსაკუთრებით ამაში წამყვანი როლი შეასრულა ინსტიტუციონალისტმა უ. მიჩელმა. მან 1937 სპეც. ჟურნალიც კი დააარსა სახელწოდებით – ,,გეგმიანი მეურნეობა‘‘. კ. ლანდაუერმა გამოსცა წიგნი ,,ეროვნული ეკონომიკური დაგეგმვა‘‘, რ-შიც ავტორი ასაბუთებდა ი. დ-ის არსს და მისი ანტიკრიზისულ ინსტრუმენტად გამოყენების შესაძლებლობას. აშშ-ში 1975 მომზადდა კანონპროექტი სახელწოდებით – ,,კანონი დაბალანსებული ზრდისა და ეკონომიკური დაგეგმვის შესახებ‘‘, მაგრამ მაკროეკონომიკური დაგეგმვა ფართოდ ვერ გავრცელდა, თუმცა ეროვნ. მასშტაბის რიგი ეკონ. და სოც. პროგრამა ამჟამადაც მუშავდება. აღსანიშნავია, რომ

ბიუჯეტური დაგეგმვა თითქმის ყველა სახელმწიფოში ხორციელდება და ინდიკატიურთან ერთად დირექტიულ ხასიათს ატარებს.

Ი. Დ-ისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა II მსოფლიო ომის (1939–45) შემდეგ. ამ მხრივ აღსანიშნავია საფრანგეთის, შვედეთის, იაპონიის, სამხრ. კორეისა და ინდოეთის, მალაიზიის, ტაივანის, ნიდერლანდების, მექსიკის და სხვა ქვეყნების პრაქტიკა. მაგ., საფრანგეთში Ი. Დ-ის სფეროში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გამოცდილება დაგროვდა, რაც მიუთითებს მაკროეკონომიკური გეგმიანობის მნიშვნელოვან როლზე ამ ქვეყნის განვითარებაში. პირველი ხუთწლიანი ინდიკატიური გეგმა იაპონიაში 1948–52 წლებისთვის შეადგინეს, ხოლო ოფიციალურად ხუთწლიანი გეგმა 1955 დაამტკიცეს. მას შემდეგ სისტემატურად დგებოდა პერსპექტიული საშუალოვადიანი და მიმდინარე (მოკლევადიანი) გეგმები. შეადგინეს ათწლიანი გეგმაც 1980–90 წლებისათვის, რ-იც შვიდ წელიწადში შესრულდა. შექმნილი იყო დაგეგმვის სახელმწ. ორგანო – ეკონომიკური დაგეგმვის სახელმწ. სამმართველო.

მაკროეკონომიკურმა Ი. Დ-მ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სამხრ. კორეისა და ზოგი სხვა ქვეყნის ეკონ. განვითარების პროცესში.

Ი. Დ-ის მოდელები განსხვავებულია ქვეყნების ტრადიციების, საზ. მსოფლმხედველობის, პოლიტ. სისტემის, ეკონ. თავისებურებათა მიხედვით. პირობითად გამოყოფენ სამ ძირითად სახეობას: ევროპულს (საფრანგეთი, შვედეთი, ნორვეგია), აზიურს (იაპონია, სამხრ. კორეა, ტაივანი), ამერიკულს (აშშ, კანადა, მექსიკა). ამ სახეობათა განსხვავება ძირითადად მდგომარეობს დაგეგმვის მეთოდების გამოყენების მასშტაბებსა და სისრულეში. ისინი ზოგან უფრო სრულადაა გამოყენებული, ზოგან – ნაწილობრივ.

ბოლო წლებში სახელმწიფოთა პოლიტიკაზე ლიბერალურ მიმართულებათა გავლენით, რ-თა ძირითადი დოქტრინა მდგომარეობს დერეგულირების მიზანშეწონილობასა და სახელმწ. მარეგულირებელი ფუნქციების შესუსტებაში, დაგეგმვისადმი ყურადღება განელდა. ამასთან, უკანასკნელ ხანს მსოფლიო ეკონომიკაში წარმოჩენილი ტენდენციები გვიჩვენებს ამ მიდგომის გაუმართლებლობას, ზიანს ეკონ. სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. ამდენად, სავარაუდოა მსოფლიოში Ი. Დ-ისადმი ყურადღების შემობრუნება.

ცალკე შეიძლება გამოვყოთ გეგმიანობა, რ-იც უკანასკნელ ხანებში ხორციელდება ჩინეთში სახელმწ. და კერძო საკუთრების თანაბარუფლებიანობის, კომუნისტური იდეოლოგიისა და საბაზრო ურთიერთობათა თანაარსებობის პირობებში. აღრინდელი დირექტიული დაგეგმვა შეცვალა Ი. Დ-ის ელემენტებით გაჯერებულმა საგეგმო სისტემამ, რ-იც, ერთი მხრივ, არბილებს ცენტრალიზებული ადმ. ბერკეტების გამოყენებას და საგეგმო მაჩვენებელთა დირექტიულ ხასიათს, არასტრატეგიულ და კერძო ეკონ. ობიექტთა მიმართ; მეორე მხრივ, გარკვეულწილად ზღუდავს საბაზრო მექანიზმს და საერთო-საქვეყნო ეკონ. პოლიტიკას უთმობს მნიშვნელოვან ადგილს. ასეთმა პრაქტიკამ დადებითი შედეგი გამოიღო და უზრუნველყო ჩინეთის „ეკონომიკური სასწაული“ – არნახული ტემპებით განვითარება.

საქართველოში Ი. Დ. შემოიღეს XX ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც განხორციელდა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, მანამდე არსებული ე. წ. სოციალ. სისტემის დემონტაჟის, ეკონომიკაში კერძო საკუთრების უპირატესობის, თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების აღიარებისა და დამკვიდრების პერიოდში. ამ მიზნით შესწავლილია საფრანგეთის, იაპონიის, სამხრ. კორეის და სხვა ქვეყნების პრაქტიკა. სასარგებლო იყო დირექტიული დაგეგმვის გამოცდილების არსებობა, რაც წინა პერიოდებში იყო ქვეყანაში დაგროვილი. საქართველოში დიდძალი მეცნ. მასალა არსებობდა ქვეყნისა და მისი რეგიონების ეკონ. და სოც. განვითარების საკითხების კვლევის შედეგების, მ. შ. ეკონ. რესურსების შეფასების, განვითარების მიღწეული დონის ანალიზისა და პერსპექტივის პროგნოზების სახით. ინდიკატიური გეგმის პროექტის, რეკომენდაციების მოსამზადებლად მნიშვნელოვან მეცნ. სამუშაოებს ასრულებდა ეკონ. და სოც. პრობლემების სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-იც ფუნქციონირებდა ეკონ. სამინისტროს დაქვემდებარებაში (გაუქმდა 2006).

Ი. Დ-ის ფუძემდებლური სახელმწ. დოკუმენტი იყო 1994 წ. 11 ოქტომბრის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“. შემდგომ წლებში მას მოჰყვა კიდევ რამდენიმე სახელისუფლებო დოკუმენტი ქვეყანაში Ი. Დ-ის სრულყოფის თაობაზე. Ი. Დ. იქცა ქვეყანაში ეკონ. და სოც. პოლიტიკის, კონკრეტული სოც.-ეკონ. პროგრამების შემუშავების, საბიუჯეტო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ბერკეტად. ამ პერიოდიდან მოყოლებული მუშავდებოდა და გამოიყენებოდა საშუალოვადიანი (ხუთწლიანი) და მიმდინარე (წლიური) ინდიკატიური გეგმები. კერძოდ, შემუშავდა 1993–94, 1995–2000, 2000–05 წლების, აგრეთვე ამ პერიოდების ცალკეული წლების ინდიკატიური გეგმები. ამგვარი საგეგმო მუშაობა ხელს უწყობდა ეკონ. რეგულირების, ანალიზის, ახ. საბაზრო ურთიერთობის პირობებში საქმიანობის მეთოდების ათვისებასა და ეფექტიანობას არა მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურებში, არამედ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რეგიონულ და დარგობრივ მმართველობით ორგანოებში.

ინდიკატიური კომპლექსური დაგეგმვა საქართველოში 2004 წლის საკანონმდებლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეწყდა.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., სოციოლოგიური ეტიუდები, ტ. 1, თბ., 1990; კ ა კ უ ლ ი ა რ., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003; მ ა ლ ა შ ხ ი ა გ., მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995; საქართველოს პარლამენტის უწყებები, თბ., 1997; წ ო წ ე რ ი ა ი., ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ინდიკატიური დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, თბ., 1995; ჭ ი თ ა ნ ა ვ ა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1999.

გ. მალაშხია.

„ᲘᲜᲓᲘ-ᲛᲘᲜᲓᲘ“, პოპულარული ქართული (გურული) ხალხური სიმღერა. ასრულებს ტრიო სამხმიან გადაძახილთან ერთად. გამორჩეულია იმით, რომ მთავრდება კვარტ-კვინტაკორდით, რაც ქართ. სასიმღერო ფოლკლორისთვის იშვიათობაა.

ლიტ.: არტემ ერქომაიშვილის სანოტო კრებული, შემდგ. ანზ. ერქომაიშვილი, თბ., 2005.

ნ. კალანდაძე.

ᲘᲜᲓᲝᲚᲝᲒᲘᲐ, ი ნ დ ი ა ნ ი ს ტ ი კ ა, დისციპლინათა კომპლექსი, რო-

მელიც შეისწავლის ინდოსტანის ხალხების კულტურულ მემკვიდრეობას, ენებს, იდეოლოგიურ შეხედულებებს, ლიტერატურასა და ხელოვნებას, ინდოეთის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიას. ევროპაში ჩამოყალიბდა XIX ს-ში, თუმცა ინდოეთისადმი ინტერესს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იჩენდნენ.

ინდურ-ქართული ურთიერთობის განხილვა შეიძლება ლინგვისტური, ლიტ. და კულტ.-ისტ. თვალსაზრისით. შუა საუკუნეებში საქართველოსა და ინდოეთს მჭიდრო ეკონ. და სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ. ინფორმაცია ინდოეთის შესახებ საქართველოში მოჰქონდათ ვაჭრებს, აგრეთვე ქართვ. მეფეებსა და მხედართმთავრებს, რ-ებიც მონაწილეობდნენ ირანის შაჰებისა თუ მონღოლთა ლაშქრობებში ინდოეთის წინააღმდეგ (ჯუანშერის ცნობა ვახტანგ გორგასლის საბრძოლო მოქმედების შესახებ ინდოეთში, ერეკლეს ლაშქრობა იმავე ქვეყანაში ნადირ-შაჰთან ერთად, რ. *დანიბეგაშვილის* მოგზაურობა და სხვ.). ინდ. ენების, კერძოდ, სანსკრიტის შესწავლა თსუ-ის დაარსებიდანვე დაიწყო გ. *ახვლედიანის* ხელმძღვანელობით. 1920 გამოქვეყნდა გ. ახვლედიანის სანსკრიტის პირველი ქართ. სახელმძღვანელო. მანვე თარგმნა ქართულად ,,რიგვედის'' ჰიმნების ნიმუშები. საქართველოში ინდოლოგიური მუშაობა მიმდინარეობდა თსუ-სა და საქართვ. მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში. ქართვ. ინდოლოგ-ლინგვისტები იკვლევდნენ ძვ. ინდური ენის გრამატ. სტრუქტურას, ინდოირანული ენების შედარებითი გრამატიკისა და ტიპოლოგიის საკითხებს, აგრეთვე ინდოირანული ენების ურთიერთმიმართებასა და ქართულთან მათი ენობრივი კონტაქტების საკითხებს (თ. ჭავჭავაძე, გ. ნახუცრიშვილი, ე. ალექსიძე, მ. მოდებაძე, მ. *ანდრონიკაშვილი*, ნ. კენჭოშვილი). ქართ. ენაზე ითარგმნა ,,რიგვედა'', ეპიკური პოემები ,,მაჰაბჰარატა'' და ,,რამაიანა'', კალიდასას დრამები, რ. თაგორი, ინდოელი მწერლების ნაწარმოებები ჰინდისა და ურდუს ენებიდან.

ლიტ.: ანდრონიკაშვილი მ., ინდური ,,რიგვედის'' ჰიმნებისა და ძველი ინდური ეპოსის ,,მაჰაბჰარატას'' ეპიზოდის ,,ნალა და დამაჲანტის'' თარგმანი, კრ.: «არმაღანი», თბ., 1977; ახვლედიანი გ., სანსკრიტი, ტფ., 1920; Андроникашвили М., О лексических встречах древнеиндийских языков с картвельскими, კრ.: Санскрит и древнеиндийская культура, М., 1979.

მ. ანდრონიკაშვილი.

ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასა, თანამედროვე კლასიფიკაციური სქემების თანახმად, შეესაბამება ევროპეოიდული დიდი რასის სამხრეთულ შტოს. მისი გავრცელების არეალი მოიცავს ტერიტორიას 44-ე და მე-20 პარალელებს შორის ინდოეთიდან ატლანტის ოკეანემდე. გავრცელებულია სამხრ. ევროპის, ჩრდ. აფრიკის, არაბეთის ნ.-კ-ის, ერაყის, ირანის სამხრ. ოლქებისა და ჩრდ. ინდოეთის ტერიტორიაზე. თავის მხრივ, ი.-ხ. რ. აერთიანებს ხმელთაშუა-ბალკანურ, წინააზიურ და ინდო-პამირულ ქვერასებს. სხვა მოსაზრებით ი.-ხ. რ. და ბალკანურ-კავკასიური რასები განიხილება სამხრეთევროპეოიდული რასის შემადგენლობაში, რ-შიც შედიან უფრო დაბალი კატეგორიით – ლოკალური რასების სახით. სამხრ. ევროპეოიდული რასობრივი შტოს წარმოქმნის დრო და გავრცელების არეალი მიუთითებს საბჭ. ანთროპოლოგის ნ. ნ. ჩებოქსაროვისა და მ. *აბდუშელიშვილის* მოსაზრებების მართებულობას.

ზოგადად, ი.-ხ. რ. ხასიათდება კანის ღია, საშუალო და მუქი შეფერილობით, თვალების მუქი ფერით (85–100%), ტალღოვანი თმით, თმოვანი საფარველის უხვი ან საშ. განვითარებით, გრძელი და ვიწრო ცხვირით, ცხვირის ზურგის გამოდრეკილი ფორმებით, ვიწრო და საშ. სიგანის მკვეთრად პროფილირებული სახით, თავის დოლიქო-მეზოკრანული და ბრაქიკრანული ფორმით, სხეულის საშუალო ან დიდი სიმაღლით (162–172 *სმ*).

განსხვავება ამ რასის სამივე დანაყოფს შორის აღინიშნება კანის ფერის, თავის ფორმისა და სხეულის სიმაღლის მიხედვით.

ლიტ.: Абдушелишвили М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964; მისივე, Антропология древних и современных народов Кавказа. Горизонты антропологии, «Труды Международной научной конференции памяти академика В.П. Алексеева», М., 2003; Рогинский Я. Я., Левин М.Г., Антропология, М., 1978; Чебоксаров Н. Н., Основные принципы антропологических классификаций, წგ.: Происхождение человека и древнее расселение человечества, «Труды Ин-та этнографии АН СССР». Новая серия, т. 16, М., 1951. *ლ. ბითაძე.*

ინდუიზმი (სანსკრ. ჰინდუმატა; სანათანა – დჰარმა – მარადიული რელიგია, გზა, კანონი. თანამედროვე – ჰინდუდჰარმა), ძველი აღმოსავლეთის ჩვენამდე მოღწეულ რელიგიათა შორის უძველესი (ძვ.წ. III ათასწლეული) რელიგია. ი-ს დაახლ. მილიარდი მიმდევარი ჰყავს და ასობით სხვადასხვა სექტასა და მიმდინარეობას მოიცავს. მისი სახელწოდება მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს; ზოგიერთის აზრით, ტერმინი მოიხსენიება ისტ.-გეოგრ. ჭრილში (სინდ – რეგიონი პაკისტანში; მდ. ინდუს-ი) და მას არანაირი რელიგ. დატვირთვა არ აქვს. ყველაზე გავრცელებული შეხედულება კი დაკავშირებულია ინდოეთში XVIII–XIX სს-ში მყოფ ბრიტანელ კოლონიზატორებთან. მკვლევართა აზრით, ამ სახელწოდებაში იგულისხმება ადგილ. მოსახლეობა, ინდოელები, რ-ებიც არც მუსლიმები იყვნენ, არც ქრისტიანები და არც იუდეველები. ი. ძირითადად ირანულ-სირიული და ადგილ. ინდური კულტების შერწყმის შედეგად წარმოიშვა. სხვები კი მიიჩნევენ, რომ ტერმ. ,, ი.'' სიტყვა ,,ჰინდუსგან'' მომდინარეობს. ასე მოიხსენიებდნენ ძვ. ირანელები იმ ხალხს, რ-იც მდ. ინდის აღმით ცხოვრობდა. ამ გზით დამკვიდრდა ევრ. ენებში ,,ინდოელიც'' (,,ინდუსი'') და ,, ი''-ც. ვედების სახელითაა ცნობილი მისი წმ. წიგნები (ბრაჰმანა, არანიაკა, უპანიშადა, სუტრა, მაჰაბჰარატა და რამაიანა), რ-ებიც ეპიკურ თხზულებებზეა დაფუძნებული და ათასწლეულის განმავლობაში იქმნებოდა. ინდუისტური მოძღვრება ეფუძნება ბრაჰმას, რ-იც სამყაროს სულია, მისგან შედგება ყოველივე და სუფევს ყველგან (პანთეისტური კოსმოლოგია) ვიშნუსა და შივასთან ერთად. მის მიმდევრებს სწამთ რეინკარნაცია, უზენაესთან მისაახლოებლად ხელახლა დაბადებისა და გარდაცვალების ციკლი სანსარა (სამსარა) და კარმა (კეთილი და ბოროტი საქმეების ჯამი). იგი განსაზღვრავს მათ ბედსა და მომავალს.

საქართველოში ი. XX ს. 80-იან წლებში კერძოდ, ქ. სოხუმში ,,კრიშნას ცნობიერების'' სახელით ჩამოყალიბდა, მაგრამ მალევე ამ ჯგუფის წევრები დააპატიმრეს და მოძრაობის ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. 1986 აქვე დაარსდა ვედური კულტურის ცენტრი, რ-შიც 500-მდე ადამიანი იყო გაერთიანებული, თუმცა მოგვიანებით მათი რიცხვი 200-მდე შემცირდა.

ლიტ.: რელიგიები საქართველოში,თბ., 2008; The Hindu World, ed. by M. S. and G. R. Thursby, N. Y., 2004; The tantric body: the secret tradition of Hindu religion. Flood, D. Gavin, L., 2006; The quest for the origins of Vedic culture: the Indo-Aryan migration debate, Br. F. Edwin, Oxf., 2001; World Religions, ed. by W. G. Oxtoby and A. F. Segal. Second ed., Oxf., 2012.

რ. შაინძე.

ᲘᲜᲓᲣᲠᲗᲐ, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშეთის (ომალოს) თემში (კახეთის რეგიონი), მდ. თუშეთის ალაზნის ჩრდ-ით. ზ. დ. 2630 *მ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

სოფლის თავზე, კლდოვანი მთის ფერდობზე, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ხუთსართულიანი კოშკი, მიდამოებში – XVII–XVIII სს. ციხე-სახლი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.



ინდურთა. ხუთსართულიანი კოშკი. XVII–XVIII სს.

ᲘᲜᲓᲣᲡᲐ, ყოფილი სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ᲘᲜᲕᲐᲖᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, პარაზიტული დაავადებები, ცხოველური პარაზიტების შეჭრით გამოწვეული დაავადებები.

სამედიცინო პარაზიტოლოგია შეისწავლის პარაზიტის აგებულების თავისებურებებს, მის სასიცოცხლო ციკლს და იყოფა სამედ. პროტოზოოლოგიად და სამედ. ჰელმინთოლოგიად, რ-ებიც, შესაბამისად, შეისწავლიან ადამიანში გავრცელებულ უმარტივესებსა და ჭიებს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ცხოველურ ორგანიზმებსაც, რ-ებიც ფეხსახსრიანებში არიან გაერთიანებული. ზოგიერთი მათგანი დაავადების გამომწვევია, ზოგი – პარაზიტული და ინფექციური დაავადების გადამტანი.

საქართველოში გავრცელებული 0. დ-იდან, როგორიც არის ამებიაზი, ლამბლიოზი, ტოქსოპლაზმოზი, ფასციოლოზი, ტენიოზი, ექინოკოკოზი, ტრიქინელოზი და ა.შ., თავისი მძიმე მიმდინარეობით და გავრცელების სიხშირით, გამოირჩევა ლეიშმანიოზი და ექინოკოკოზი.

ლეიშმანიოზი ტრანსმისიული პროტოზოული დაავადებაა. ფართოდაა გავრცელებული ტროპ. და სუბტროპ. ზონის ქვეყნებში, ძირითადად აფრიკაში, ინდოეთში, ხმელთაშუა ზღვის, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. მსოფლიოს 88 ქვეყანაში ლეიშმანიოზი ენდემური დაავადებაა.

ცნობილია ადამიანის ლეიშმანიოზის სამი ფორმა: კანის ლეიშმანიოზი (Leishmania tropica და Leishmania mexicana), კან-ლორწოვანის ლეიშმანიოზი (Leishmania braziliensis) და შინაგანი ორგანოების – ვისცერული ლეიშმანიოზი (Leishmania donovani) ანუ კალააზარი. ლეიშმანიოზების გამომწვევები პარაზიტული თვისების მქონე უმარტივესებია. მათი გადამტანები კი არის მცირე ზომის მწერები, მოსკიტები – ფლებოტომუსები. ადამიანი ავადდება ლეიშმანიებით (Leishmania) ინფიცირებული მოსკიტის კბენით. დაავადების ძირითადი რეზერვუარი ძაღლისებრთა ოჯახის (ძაღლი, ტურა, მელა, მგელი) სახეობებია.

საქართველოში გავრცელებულია ლეიშმანიოზის ორი ფორმა: კანის ლეიშმანიოზი და ვისცერული ლეიშმანიოზის ხმელთაშუა ზღვის ფორმა, რ-საც დამატებით ბავშვთა ლეიშმანიოზსაც უწოდებენ (Leishmaniosis infantum) და ახასიათებს ბუნებრივი კერობრიობა, ტრანსმისიულობა, მკვეთრად გამოხატული სეზონურობა. ვისცერული ლეიშმანიოზის პირველი 4 შემთხვევა აღწერილია 1913. სავარაუდოდ, ეს იყო პირველი ცნობები მთელ კავკასიის რეგიონში ამ დაავადებაზე. 1954-ისთვის აღმ. საქართველოში აღირიცხა ვისცერული ლეიშმანიოზის 540 შემთხვევა. 1995–2013 წლებში საქართველოში დაფიქსირდა ვისცერული ლეიშმანიოზის 2375 შემთხვევა, 2011–13 წლებში – 337, რ-თაგან 6 დასრულდა ლეტალურად. 2014 წელს – მხოლოდ 46, 2015 წელს – 68, 2016 წელს კი – 53 შემთხვევა.

დაავადების შემთხვევების მატება დაკავშირებულია მისი ძირითადი რეზერვუარის – ძაღლების რაოდენობის ზრდასთან, თუმცა ეს პროცესი აღინიშნება მრავალ სხვა ქვეყანაშიც, მ. შ. ევროპის სამხრეთში, რაც გლობალური დათბობის პრობლემებს უკავშირდება და რამაც გადამტანებით გამოწვეული დაავადებების მატება გამოიწვია. კერების მიხედვით თბილისში გამოკვეთილი იყო სამი რაიონი – მთაწმინდა, ვაკე და კრწანისი – ანუ მთისპირა და ტყისპირა რაიონები, სადაც მაწანწალა ძაღლები აფარებენ თავს. თუმცა ბოლო წლებში დაავადება გავრცელდა მარცხ. სანაპიროს რაიონებშიც (განსაკუთრებით ისან-სამგორსა და ნაძალადევში), რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაავადებული ცხოველები – ძაღლები და გადამტანი მწერები – ფლებოტომუსები მეტ-ნაკლებად თბილისის ყველა რაიონში გვხვდება.

2013 ვისცერული ლეიშმანიოზი, გარდა თბილისისა, კიდევ 17 მუნიციპალიტეტის (მცხეთა, რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, თეთრი წყარო, ბოლნისი, გორი, კასპი, ქარელი, თელავი, საგარეჯო, გურჯაანი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, ახმეტა, ქუთაისი) ტერიტორიაზე დაფიქსირდა.

ბოლო წლებში ლეიშმანიოზის კერა დაფიქსირდა დას. საქართველოშიც, კერძოდ, ქუთაისში. ქვეყნის დას. ნაწილში ლეიშმანიოზის გადამტანები არ ბინადრობდნენ, მაგრამ ბოლო წლებში მათი გავრცელების არეალი გაფართოვდა, რამაც გამოიწვია ქ. ქუთაისში ვისცერული ლეიშმანიოზის კერის ჩამოყალიბება.

ლეიშმანიის გადაცემა ხდება დაინფიცირებული მდედრი ფლებოტომუსის კბენით. ფლებოტომუსი მცირე ზომის სისხლმწოვი მწერია, რ-იც ბუდიდან შორს არ დაფრინავს. გამრავლებისათვის საჭირო პირობებს მოსკიტები პოულობენ ცხოველთა ბუნაგებში, გამოქვაბულებში, მღრღნელების სოროებში, კლდის ნაპრალებში, ხის ფულუროებში, შენობების ბზარებში, დაჩრდილულ ნაგვის გროვებში, ნიადაგში. ინფიცირებიან დაავადებული ცხოველის სისხლის წოვის დროს. დაინფიცირებული მწერის კბენისას პარაზიტი გადადის ჯანმრთელი ადამიანის სისხლში ან ცხოველის ორგანიზმში და ასნებოვნებს მას.

საკვების ანუ სისხლის მოსაპოვებლად ფლებოტომუსი საღამოს ან ღამის საათებში დაფრინავს. მათი ცხოველქმედება ივნის-აგვისტოს ემთხვევა.

დაავადების გავრცელებაში წამყვანი ფაქტორია ძაღლები (რო-

გორც მაწანწალა, ასევე სახლის). ახალგაზრდა ცხოველში დაავადება სწრაფად მიმდინარეობს და ხშირად სიკვდილით მთავრდება, ზრდასრულ ძაღლში კი დაავადების კლინიკა წაშლილია; აღინიშნება უსიმპტომო მტარებლობაც. ვისცერული ლეიშმანიოზით დაავადებული ძაღლების მკურნალობის ეფექტური საშუალება ჯერჯერობით არ არსებობს, ამიტომ ეპიდემიოლოგიური საშიშროების გამო ძაღლი ექვემდებარება ევთანაზიას.

ადამიანებში ვისცერული ლეიშმანიოზის საინკუბაციო პერიოდი 20 დღიდან 1 წლამდეა, საშუალოდ 3–5 თვე. დაავადებისათვის ზოგადად დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა, მოთენთილობა, ადინამია, სიფერმკრთალე, უმადობა, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ანემია. სპეციფიკური მკურნალობის გარეშე ავადმყოფი შეიძლება დაიღუპოს. ვისცერული ლეიშმანიოზის დიაგნოზი ეფუძნება კლინიკურ სურათს და ანამნეზურ მონაცემებს.

ადამიანიდან ადამიანზე ვისცერული ლეიშმანიოზი არ გადადის.

საქართველოში კანის ლეიშმანიოზის სპორადული შემთხვევები ძირითადად ფიქსირდება მცხეთის მუნიციპალიტეტში. იგი ხასიათდება შედარებით მსუბუქი მიმდინარეობით და მწერის (ფლებოტომუსის) ნაკბენი ადგილის დაწყლულებით. შეჭრის ადგილას პარაზიტი ხვდება ადგილობრივი შემაერთებელი ქსოვილის უჯრედებში, სადაც რჩება 1 წლამდე. საინკუბაციო პერიოდი რამდენიმე დღიდან 4 კვირამდეა. კანის ლეიშმანიოზის დროული მკურნალობის შემდეგ უხეში ნაწიბური არ რჩება.

საქართველოში კანის ლეიშმანიოზის ერთ-ერთ რეზერვუარად მიჩნეულია მაჩვები. ლეიშმანიის დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია პარაზიტის იდენტიფიკაცია სისხლისა და ქსოვილის ნაცხებში. ასევე გამოიყენება სხვა დიაგნოსტიკური საშუალებები, მაგალითად, იმუნოლოგიური სინჯები. ავადმყოფს უნიშნავენ სპეციფ. ანტილეიშმანიოზურ პრეპარატს.

ლეიშმანიოზის კონტროლისა და პროფილაქტიკისათვის აუცილებელია:

1. ლეიშმანიოზით დაავადებულ ადამიანთა დროული გამოვლენა და მკურნალობა;

2. ინფექციის რეზერვუარის კონტროლი, რაც გულისხმობს ინფიცირებული ცხოველების გამოვლენას, მათ მკურნალობას ან ევთანაზიას, მოხეტიალე ძაღლების პოპულაციის რეგულირებას;

3. ბრძოლა მოსკიტებთან, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს უკანონო ნაგავსაყრელების ლიკვიდაციას და ინსექტიციდებით დამუშავებას;

4. საგანმან. მუშაობა მოსახლეობაში, განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვების მშობელთა შორის.

ადამიანის ჰიდატიდოზის (ექინოკოკოზის) გამომწვევია Echinococcus-ის გვარის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობა – ექინოკოკის სოლიტერი (Echinococcus granulosus), რ-იც იწვევს ბუშტუკოვან ექინოკოკოზს, და ალვეოკოკის სოლიტერი (Echinococcus multilocularis), რ-იც იწვევს ალვეოლურ ექინოკოკოზს. უფრო ხშირად გვხვდება დაავადების ბუშტუკოვანი ფორმა.

საქართველოში 2014 წელს აღინიშნა ექინოკოკის 62 შემთხვევა. 2015 წელს – 45, 2016 წელს –108.

ზრდასრული ექინოკოკი მიეკუთვნება ყველაზე მცირე ზომის თასმა ჭიებს, რ-თა სიგრძე 2–8 *მმ*-ია. სტრობილა (სხეული) შედგება სამი ან ოთხი პროგლოტიდისაგან. ბინადრობს შინაური და მტაცებელი ცხოველების (ძაღლის, მგლის, ტურას, მელიის, აფთრის) ნაწლავებში, რ-ებიც ექინოკოკის კვერცხებს ფეკალურ მასებთან ერთად გამოყოფენ და გარემოს აბინძურებენ. ადამიანისთვის დაავადების ძირითადი წყარო ძაღლია. ექინოკოკის კვერცხი დიდხანს ძლებს ძაღლის ბეწვზე, საოჯახო ნივთებზე, წყალში, საკვებში, ხილზე, მწვანილზე, ბალახზე, ნიადაგში. ბალახთან ერთად ხვდება შუალედური მასპინძლის (ცხვარი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ღორი) კუჭ-ნაწლავში და ექინოკოკოზით აავადებს. დაბინძურებული საკვების (ბოსტნეული, მწვანილი, კენკრა), ხელებისა და წყლის საშუალებით ექინოკოკის კვერცხები ხვდება ადამიანის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. ადამიანისა და ცხოველის კუჭ-ნაწლავში მოხვედრილი კვერცხის გარსი ირღვევა და იქიდან ჩანასახი (ონკოსფერო) გამოდის 6 კაუჭით და აქტიური მოძრაობის უნარით. ის იჭრება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კედლებში და სისხლის ნაკადის მეშვეობით – ღვიძლსა ან ფილტვებში, უფრო იშვიათად კი სხვა ორგანოებსა და ქსოვილებში (თავის ტვინი, ელენთა, თირკმელი, კუნთები, ძვლები) აღწევს, სადაც ვითარდება პარაზიტის ცისტური (ბუშტუკოვანი) სტადია (ჰიდატიდური ცისტა). ჰიდატიდური ცისტა შეიცავს სითხეს და ათასობით შვილეულ ბუშტუკს, რ-ებშიც, თავის მხრივ, მოთავსებულია ჩანასახოვანი პროტოსკოლექსი (სხეულის წინა ნაწილი, ანუ მისამაგრებელი ორგანო). თუ ძაღლმა ან რომელიმე მტაცებელმა ექინოკოკით დაავადებული ცხოველის ორგანო შეჭამა, მის ნაწლავში განვითარდება ექინოკოკის სოლიტერი. ეს პათოლოგია საქართველოშიც არის გავრცელებული. ბუშტუკოვანი ექინოკოკოზი მიმდინარეობს ღვიძლის დაზიანებით, ამასთან, ხშირად ლოკალიზებულია მარჯვენა წილში. იშვიათად ცისტა რამდენიმეა.

მეტად მნიშვნელოვანია დაავადების პროფილაქტიკა, რ-იც ტარდება ექინოკოკოზის კერებში.

საქართველოში 0. დ-ის კვლევა დაიწყო 1913, როდესაც ბათუმში გაიხსნა მალარიის საწინააღმდეგო სადგური. შემდგომ ეტაპზე, ს. *ვირსალაძის* ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით, თბილისში დაარსდა ტროპ. დაავადებათა სადგური, რ-ის ბაზაზეც 1924 შეიქმნა ტროპ. დაავადებათა ინ-ტი. მისი პირველი დირექტორი იყო ს. ვირსალაძე. შემდგომ ინ-ტის დირექტორები იყვნენ: ს. *კანდელაკი*, გ. *მარუაშვილი* (მისი ძალისხმევით მოხდა მალარიის, როგორც მასობრივი დაავადების და ანკილოსტომოზის ლიკვიდაცია საქართველოში), ი. თოფურია, ბ. ბარჯაძე, თ. ჩირგაძე, გ. ჭუბაბრია. ამჟამად, ინ-ტს ხელმძღვანელობს ნ. კოკაია.

თ. გოგიჩაძე. ო. ზენაიშვილი.

ინვარიანტი (ლათ. invarians, ნათ. ბრ. invariantis – უცვლელი), უცვლელი სიდიდე. განასხვავებენ 0-ს მათემატიკაში, ფიზიკაში, პროგრამირებაში, ფოლკლორისტიკაში (ფოლკლორული ნაწარმოების მოცემული სიუჟეტური ტიპისთვის დამახასიათებელი უცვლელი ნაწილი), ლინგვისტიკაში, ეკონომიკაში (პრეისკურანტის 0.) და ა. შ. მათემატიკაში 0-ების თეორიის მიმართ თანამედროვე მიდგომა ჩაისახა გერმ. მათემატიკოსის ფ. კლაინის (1849–1928) ,,ერლანგენის პროგრამაში'' (1872). მანამდე, რ. *დეკარტის* მიერ კოორდინატთა მეთოდის შემოღებამ შესაძლებელი გახადა გეომ., შემდგომ კი ფიზ. ობიექტების აღწერა ალგებრის მეთოდებით, რამაც შესაბამისი დარგების მძლავრი და სწრაფი

განვითარება განაპირობა. მეორე მხრივ, კოორდინატთა სისტემის შემოღება, ამოცანის შინაარსიდან გამომდინარე, მრავალნაირად არის შესაძლებელი და მკვლევრის არჩევანზეა დამოკიდებული. შესაბამისად, გეომ. თუ ფიზ. ობიექტის აღწერა დამოკიდებული ხდება სუბიექტურ ფაქტორზე. ფ. კლაინმა გეომ. ობიექტი დაუკავშირა ამ ობიექტის რიცხვითი მახასიათებლებისგან აგებულ O-ებს, ანუ ისეთ კომბინაციებს, რ-ებიც უცვლელი რჩება კოორდინატთა სისტემის ამა თუ იმ გარდაქმნებისას. კოორდინატთა გარდაქმნების სიმრავლე შეადგენს გარდაქმნათა სხვადასხვა ჯგუფს (იხ. სტ. *ჯგუფთა თეორია*) – ორთოგონალურს, უნიტარულს, აფინურს (წრფივს), პროექციულს და ა. შ. ფ. კლაინმა გარდაქმნათა თითოეულ ჯგუფს დაუკავშირა შესაბამისი გეომეტრია, რითაც ერთიანი მიდგომით შეძლო აღეწერა მანამდე დაუკავშირებელი ევკლიდური, ლობაჩევსკის, რიმანისა და იმ დროისთვის ცნობილი სხვა გეომეტრიები. O-ების სიმრავლეში (მოცემული ჯგუფის მიმართ) შესაძლებელია მოიძებნოს O-თა პოლინომური ბაზისი. მოცემული გეომ. ყველა სხვა O. გამოისახება საბაზისო O-ების პოლინომებით (უფრო ზოგად შემთხვევებში – რაციონალური ფუნქციებით). თვით საბაზისო O-ები, საზოგადოდ, არ არის ალგებრულად დამოუკიდებელი, მათ შორის არსებობს პოლინომური თანაფარდობები. ამ კავშირებს – *სიზიგიებს* – ფ. კლაინმა მოცემული გეომეტრიის ძირითადი თეორემები უწოდა. დაისვა ამოცანა: გარდაქმნათა მოცემული ჯგუფისთვის აიგოს O-ების პოლინომური ბაზისი და მოიძებნოს სიზიგიების სრული სისტემა. O-თა პოლინომური ბაზისის და სიზიგიების სრული სისტემის არსებობა ზოგად შემთხვევაში დაამტკიცა გერმ. მათემატიკოსმა დ. *ჰილბერტმა* (1897). შემდგომ კვლევებში ნაწილობრივ განხორციელდა კლაინისა და ჰილბერტის პროგრამა გარდაქმნათა ზოგიერთი ჯგუფისთვის [გერმ. მათემატიკოსები ჰ. ვეილი (1885–1955), ზ. არონგოლდი (1819–84)] და დაისვა ახალი ამოცანები. ფიზიკაში O-ების თეორიის მიღწევები უკავშირდება ა. *აინშტაინის* ფარდობითობის კერძო (1905) და ზოგად (1915) თეორიებს.

O-თა თეორიის ტერმინებში ფარდობითობის თეორია თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა ვ. *პაულიმ* (1922). გარდაქმნათა სხვადასხვა ჯგუფების (უნიტარული, ორთოგონალური, სიმპლექტური, ზოგადი წერტილოვანი, კანონიკური, კონფორმული, სუპერსიმეტრიული და სხვ.) მიმართ O-ების შესწავლას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს როგორც ფიზ. გამოყენებებისთვის, ასევე O-თა თეორიის განვითარებისთვის.

საქართველოში O-თა თეორიის განვითარებასა და გამოყენებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ა. ელაშვილმა, მ. ელიაშვილმა, ა. *კვინიხიძემ*, ი. ლომიძემ, ჯ. *ჩქარეულმა*, ნ. *ცინცაძემ*, ა. *ხვედელიძემ*, ა. *ხელაშვილმა*, ჯ. ჯავახიშვილმა, მ. ჯიბლაძემ, გ. *ჯორჯაძემ* და სხვ. ა. ელაშვილმა მიიღო ცხადი ფორმულა სასრულგანზომილებიანი ვექტორული *V* სივრცისთვის მარტივი ან დაუყვანადი $G \subset GL(V)$ ქვეჯგუფის O-თა ალგებრის ბაზისის ალგებრულად დამოუკიდებელი პოლინომიალური O-ების რაოდენობისათვის. ა. ელაშვილმა და მ. ჯიბლაძემ მიიღეს სასრული ციკლური ჯგუფების რეგულარული წარმოდგენების პოლინომიალურ O-თა ალგებრის საბაზო O-ების რაოდენობის გამომსახველი ცხადი ფორმულა, რ-დანაც გამომდინარეობს ორადობის თეორემა (ეს თეორემა შემდგომ ა. ელაშვილმა, დ. პატარაიამ და მ. ჯიბლაძემ დაამტკიცეს კომბინატორული მეთოდებით). მ. ელიაშვილმა, გ. ციციშვილთან ერთად, შეისწავლა ორგანზომილებიანი დისკრეტული სიმეტრიის ჯგუფის O-ები და გამოიყენა მიღებული შედეგები გრაფენის თვისებების აღსაწერად. ა. კვინიხიძე, ჯ. ჩქარეული და სხვ. იკვლევენ O-ებს (სიმეტრიებს) ყალიბრული გარდაქმნების ჯგუფის მიმართ. ჯ. ჩქარეულმა, ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინ-ტის სხვა თანამშრომლებთან ერთად, შეისწავლა ლორენც-ინვარიანტობის შესაძლო დარღვევის შედეგები. ი. ლომიძემ სასრულ-განზომილებიან სივრცეში ააგო ზოგადი უნიტარული და ორთოგონალური ჯგუფების ალგებრული O-ების პოლინომური ბაზისი და მისი გამოყენებით იპოვა ზოგიერთი ფიზ. ამოცანის ახალი ფორმულირება და ამონახსნები. ნ. ცინცაძემ და ჯ. ჯავახიშვილმა ააგეს ლორენც-ინვარიანტული თერმოდინამიკური სიდიდეები და გამოიყენეს ზემაღალტემპერატურული *პლაზმის* აღსაწერად. ა. ხვედელიძე [ვ. გერდტთან და სხვ. (JINR, რუსეთი) ერთად] უნიტარული ჯგუფის ქვეჯგუფების პირდაპირი ნამრავლის O-ებს იყენებს კვანტური კომპიუტერის მდგომარეობების აღსაწერად. ა. ხელაშვილმა (თ. ხაჩიძესთან ერთად) აჩვენა, რომ სუპერსიმეტრიული გარდაქმნების მიმართ ინვარიანტული პოტენციალი აუცილებლად კულონური უნდა იყოს. გ. ჯორჯაძე იყენებს უნიტარული, ლორენცის, კონფორმული და ზოგადი წერტილოვანი გარდაქმნების ჯგუფების O-ებს ველის კვანტური თეორიის, მაღალი ენერგიების ფიზიკისა და კოსმოლოგიის ამოცანებში.

ლიტ.: ვეკუა ი., ტენზორული ანალიზისა და კოვარიანტთა თეორიის საფუძვლები, თბ., 1982; ლომიძე ი., ოპერატორთა უნიტარული და ორთოგონალური ინვარიანტები და მათი გამოყენება ფიზიკურ და მათემატიკურ ამოცანებში, თბ., 2009; Векуа И. Н., Основы тензорного анализа и теории ковариантов, М., 1978; Гуревич Г. Б., Основы теории алгебраических инвариантов, Л.–М., 1948; Horn R., Johnson Ch., Matrix Analysis, 2-nd ed., Cambr., 2013.

ი. ლომიძე.

ინვენტარიზაცია, ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ბუღალტრული ნაშთების ფაქტობრივი მდგომარეობის დადასტურება. O. საკუთრების დაცვის, ნედლეულის, მასალის, მზა ნაწარმის ხარისხობრივი მდგომარეობის, სასაწყობო მეურნეობის სწორი გაძღოლისა და მიმდინარე აღრიცხვის კონტროლის საუკეთესო ხერხია. O. შესაძლოა სხვადასხვა დანიშნულებით ჩატარდეს. ჩატარების სიხშირის მიხედვით იგი შესაძლოა იყოს ყოველწლიური და პერიოდული.

ყოველწლიური O. ტარდება წლის ბოლოს და მისი მიზანია ინფორმაციის მოპოვება აღრიცხვის სისრულისა და აღრიცხული ქონების არსებობის შესახებ. იგი ძირითადად აუდიტორების დაკვირვებით მიმდინარეობს. *პერიოდული* O. გულისხმობს საჭიროებიდან გამომდინარე ყოველდღიურ, ყოველკვირეულ, ყოველთვიურ, კვარტალურ და ნახევარწლიურ საკონტროლო აღწერას. პერიოდული O. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც, საქონლის სწრაფი ბრუნვის ხასიათიდან გამომდინარე (მაგ., საცალო ვაჭრობაში), არ ხდება გასული ქონების ქრონოლ. აღრიცხვა. ასეთ

ვითარებაში ი-ის პერიოდებს შორის გაყიდული საქონლის რაოდენობა ან ღირებულება განისაზღვრება სწორედ შეძენილი საქონლის რაოდენობით კორექტირებულ ნაშთებს შორის სხვაობის დადგენის გზით. ქონების ი-ის შედეგის საბუღალტრო ჩანაწერებთან შედარებამ შესაძლოა გამოავლინოს შემდეგი გარემოებები: ქონება სრულად არ არის აღრიცხული (არ იქნა დროულად აღრიცხული შეძენილი ქონება); ქონება დაზიანებული, მოძველებული ან გამოსაყენებლად უვარგისია (საჭიროა შეფასების გადასინჯვა ან ქონების აღრიცხვის შეწყვეტა); ქონების ზედმეტობა (საბუღალტრო ნაშთი ნაკლებია, რაც შესაძლოა არასწორი აღრიცხვის შედეგი იყოს), რამაც შეიძლება სხვა საქონლის დანაკლისის ილუზია შექმნას; ქონების დანაკლისი (საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით საქონლის რაოდენობა მეტი უნდა იყოს. არასწორი აღრიცხვის გარდა, ეს შესაძლოა განპირობებული იყოს ქონების ხელყოფით, მითვისების მცდელობით და სხვ.).

ი-ით მოპოვებული ინფორმაციის სარგებლიანობას ზრდის მისი მაკონტროლებელი როლი და დამადასტურებელი ხასიათი. თუ პერიოდულად და განსაკუთრებით წლის ბოლოს ფინანს. ანგარიშგების მომზადების ეტაპზე ქონების არსებობა ი-ის გზით არაა დადასტურებული, ნაკლებად სარწმუნო ხდება წლ. ფინანს. ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპის მტკიცება. ი-ს, მისი კლასიკური გაგების მიუხედავად, შესაძლოა ქონებასთან ერთად ექვემდებარებოდეს ყველა სახის ფინანს. ვალდებულება, მ. შ.: 1. ძირითადი საშუალებები; 2. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები; 3. ფინანსური აქტივები (სალაროში არსებული ფულადი სახსრები, საბანკო ანგარიშების ნაშთები, დებიტორებთან საანგარიშსწორებო ანგარიშების ნაშთები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფულადი დოკუმენტები); 4. ფინანსური ვალდებულებები; 5. დაუმთავრებელი წარმოება; 6. ბიოლოგიური აქტივები და სხვ.

ი. შეიძლება იყოს სრული ან შერჩევითი (ნაწილობრივი). **სრული ი.** მოიცავს პირის ყველა სახის ქონებისა და ფინანს. ვალდებულების შემოწმებას, ხოლო **ნაწილობრივი ი.** დროს მოწმდება ერთი ან რამდენიმე სახის ქონება და ვალდებულება, მაგ., მხოლოდ სასაქონლო-მატერ. ფასეულობები, ფულადი სახსრები ან ფინანს. ვალდებულებები.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია საბიუჯეტო ორგანიზაციებში საველდებულო ი-ის ჩატარების წესები (,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის'' დამტკიცების შესახებ, საქართვ. ფინანსთა მინისტრის ბრძანება, 2010 წ. 3 ივლ.). ამ წესებით განისაზღვრება სავალდებულო ი-ის ჩატარების პერიოდულობა, სარეკომენდაციო ვადები, ი-ის ჩატარების საერთო წესი, საინვენტარიზაციო კომისიის ვალდებულება და პასუხისმგებლობა, ფაქტობრივი ნაშთების შემოწმების პროცედურები და სხვ. საქართველოში მოქმედი პრაქტიკით, კერძო სექტორში ი-ის ჩატარების რაოდენობას, თარიღსა და ობიექტს ბრძანებით ადგენს იურიდ. პირის ხელმძღვანელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ი. ტარდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის წერილობითი ბრძანების საფუძველზე, რ-იც მოიცავს ამ პროცესის ორგანიზების აუცილებელ პროცედურებსა და ინსტრუქციებს. ი-ის ჩასატარებლად იქმნება კომისია, არანაკლებ სამი კაცის შემადგენლობით. კომისია დაკომპლექტებული უნდა იყოს სათანადო პროფილის სპეციალისტებით (მაგ., ბუღალტერი, ტექნოლოგი, საქონელმცოდნე და სხვ.), ორგანიზაციის შიდა კონტროლის სამსახურის წარმომადგენლებით.

ი-ის ჩატარება შესაძლოა საჭირო გახდეს წლ. ფინანს. ანგარიშგების შედგენის წინ, ბუღალტრული ნაშთების დადასტურების მიზნით; ქონების იჯარით გაცემის, ყიდვა-გაყიდვის ან რაიმე სხვა ფორმით გასხვისების დროს; მატერ. პასუხისმგებელი პირის ან ხელმძღვანელის შეცვლისას; ქონების უკანონოდ მითვისების (დატაცების), ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოსავლენად ან ქონების დაზიანებისას; სტიქიური უბედურების, ხანძრის, ავარიისა და სხვ. შემდეგ; სუბიექტის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის დროს; ძირითადი საშუალებების გადაფასების დროს.

ლიტ.: აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება, თბ., 2010; გოდერძიშვილი ი., ბუღალტრული აღრიცხვის თეორია, თბ., 1998; ხარაბაძე ე., ბუღალტრული აღრიცხვა, თბ., 2009.

ლ. ჭუმბურიძე.

ინვესტიცია (გერმ. Investition <ლათ. investio – ვმოსავ, ვაცმევ), კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მოგების მიღების მიზნით. ადრეულ პერიოდში ი-ის სინონიმები იყო ისეთი კატეგორიები, როგორიცაა სიმდიდრე, დანაზოგი, დაგროვება, კაპიტალი. ცენტრალიზებული, გეგმიანი ეკონომიკის პირობებში იყენებდნენ ტერმინს „კაპიტალური დაბანდებები'', ე. ი. დანახარჯები ძირითადი ფონდების კვლავწარმოების, გადიდებისა და სრულყოფისათვის, ანუ ი. გაიგივებული იყო კაპიტ. დაბანდებებთან. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში „ინვესტიციის'' კატეგორიის შესახებ თვალსაზრისი შეიცვალა, რამაც თავისი ასახვა პოვა კანონმდებლობაშიც. ეკონ. ლიტ-რაში ,,ინვესტიციის'' ცნება ახლოს დგას დანაზოგების ცნებასთან. მართლაც, ი. საჭიროებს დანაზოგებს, მაგრამ ყველა დანაზოგი ი-ის სტატუსს ვერ ღებულობს. ი-დ გადაიქცევა ის დანაზოგი, რ-საც ირიბად თუ პირდაპირ იყენებენ წარმოების გასაფართოებლად და დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით.

ი-ის კატეგორიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მაშინ, როდესაც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში დაიწყო პოლიტ. და ეკონ. გარდაქმნები, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით ეკონ. ფორმირების პროცესი.

ი. თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. დღეს იგი ერთ-ერთი ხშირად გამოსაყენებელი კატეგორიაა, თუმცა ლიტ-რაში ცნებას ხშირად საკმაოდ წინააღმდეგობრივად განმარტავენ.

ერთმანეთისგან განასხვავებენ ფინანსურ და რეალურ ი-ებს. **ფინანსური ი.**, როდესაც კაპიტალის დაბანდება ხდება კორპორაციის ან სახელმწ. მიერ გამოშვებული აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შესასყიდად. **რეალური ი** არის ის ი., როდესაც კაპიტალის დაბანდება ძირითადად ხდება საწარმოო კაპიტალში კერძო კორპორაციების ან სახელმწიფოს მიერ. კერძო კორპორაციები კაპიტალს აბანდებენ ეკონ. იმ დარგებში, სადაც მეტი მოგება მიიღება, ხოლო სახელმწ. კორპორაციები კი – მცირეშემოსავლიან დარგებში, მაგ., ინფრასტრუქტურაში.

თანამედროვე ეკონ. გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საინვესტიციო საქმიანობას, რაც გულისხმობს Ო-ის დაბანდებას და პრაქტ. საქმიანობის განხორციელებას მოგების მიღების ან უფრო სასარგებლო ეფექტის მიღწევის მიზნით.

Ო. შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს: კაპიტალის სხვადასხვა ფორმით პირდაპირი დაბანდება (რეალური Ო.); კაპიტალის არაპირდაპირი ფორმით დაბანდება ფინანს. აქტივების საშუალებით (ფინანსური Ო.); მატერ. აქტივების ფორმით ყიდვა (მიწა, ძირითადი ფონდები); მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში ჩადებული კაპიტალი; დაბანდებები არამატერიალურ აქტივებში – პატენტები, ლიცენზიები, სარგებლობისა და საავტორო უფლებები, სავაჭრო ნიშნები, ნოუ-ჰაუ, ადამიანური კაპიტალი (აღზრდა, განათლება, მეცნიერება), ფასიანი ქაღალდების შეძენა, ლიზინგის ყიდვა და ა.შ.

Ო-ისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია იმის მიხედვითაც, თუ რას ისახავს კაპიტალის ინვესტირება მიზნად – პირდაპირ ინვესტირებას, პორტფელური Ო-ების ზრდას თუ ინტელექტუალური სფეროს ინვესტირებას, რაც დაკავშირებულია კადრების მომზადებასთან, სპეციალისტების ტრენინგთან, კადრების გადამზადებასთან და ა.შ.

ინვესტირების პერიოდების მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებენ მოკლევადიან (1 წლამდე), საშუალოვადიან (1–3 წლამდე), გრძელვადიან (3 წელზე მეტი) Ო-ებს. Ო-ების ეფექტიანობის შესაფასებლად გაიანგარიშება მათი გამოსყიდვის ვადის (კაპიტალის უკუგების) კოეფიციენტები.

საკუთრების ფორმის მიხედვით საინვესტიციო რესურსები შეიძლება სხვადასხვა ფორმის იყოს – კერძო, სახელმწიფო, უცხოური ან შერეული.

ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხ. Ო-ების მოზიდვა. ამისათვის საჭიროა ქვეყანაში უცხოელი ინვესტორისათვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს არსებობა. ყოველივე ეს გულისხმობს თანაბარ პირობებს ადგილ. და უცხ. Ო-ისთვის, ლიბერალური საინვესტიციო გარემოს შექმნას, რაც ინვესტორისთვის მასტიმულირებელი პირობაა.

საინვესტიციო საქმიანობის დასახასიათებლად აუცილებელია უცხ. Ო-ების რაოდენობისა და მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით მისი პროცენტული წილის განსაზღვრა.

ინვესტირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო პირდაპირი უცხ. Ო-ების მოზიდვას, არამედ რეინვესტირების პროცესის განხორციელებასაც. რეინვესტირება ეს არის პროცესი, როდესაც ინვესტორი Ო-ებს ზრდის მიღებული შემოსავლიდან ან მოგების ხარჯზე. რეინვესტირების დროს ინვესტორები საგადასახადო შეღავათებს იღებენ, რაც მათი მასტიმულირებელია.

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მახასიათებელია ასევე უცხ. ქვეყნების Ო-ების ქვეყანაში შემოდინების მაჩვენებელი.

Ო-ების დახასიათებისთვის, გარდა მომგებიანობის მაჩვენებლისა, ანგარიშობენ რისკის დონის მაჩვენებელს, თუ რაოდენ სარისკო კაპიტალის დაბანდება. საინვესტიციო საქმიანობაში რისკის გამომწვევი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორი: საკანონმდებლო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური. რისკებსა და მოგებას შორის შეფარდების აღწერისათვის გამოიყენება აქტივების შემოსავლიანობის შეფასების მოდელი (CAPM-ის მოდელი). საინვესტიციო რისკის ოდენობა უჩვენებს Ო-ისა და მისგან შემოსავლის დაკარგვის ალბათობას.

საქართველოში გარკვეულწილად Ო-ებზე არის დამოკიდებული ეკონომიკისა და მისი დარგების განვითარება. Ო-ების არარიცხვიანობა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში 1997-მდე არ ხდებოდა, რადგან არ არსებობდა მისი აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგია და სისტემა. 1997-იდან დღემდე Ო-ების ნაკადი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. შიდა დანაზოგების დაბალი ტემპების გამო დიდია უცხ. Ო-ების როლი ეკონომიკაში. 1997 წ. იგი შეადგენდა 242,6 მლნ. აშშ დოლარს, 2010 წ. – 845,1 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო 2015 წ. იგი გაიზარდა 1564,5 მლნ. აშშ დოლარამდე, 2017 წ. კი – 1861,9 მლნ. აშშ დოლარამდე. 2017 Ო-ებმა შეადგინა მშპ-ის 31,9%.

საქართველოში Ო-ებს აბანდებენ ევროკავშირისა და დსთ-ის ქვეყნები, თურქეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი და სხვ. პირდაპირი უცხ. Ო-ების დაბანდება ძირითადად ხდება შემდეგ სფეროებში: საფინანსო სექტორი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, უძრავი ქონება, დამმუშავებელი და სამთომომპოვებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და სხვ. ბოლო 10 წლის განმავლობაში უცხ. Ო-ების დინამიკა ძალზე ცვალებადი იყო. 2010–11 წლებში პირდაპირმა უცხ. Ო-ებმა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) შეადგინა 7,3–7,7%, 2012–13 წლებში იგი შემცირდა 6,5-იდან 6,3%-მდე, 2014–15 წლებში კი გაიზარდა შესაბამისად 10,6 და 11,2%-მდე, ხოლო 2016–17 წლებში შეადგინა შესაბამისად 11,1% და 12,3%. Ო-ების ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის.

2017 წ. პირდაპირი უცხ. Ო-ების მეოთხედზე მეტი – 25,9% დააბანდა აზერბაიჯანმა. სულ დაბანდებული Ო-ების 39,44% მოდიოდა ევროკავშირის ქვეყნებზე, რ-თა შორის ყველაზე მსხვილი ინვესტორი იყო გაერთიანებული სამეფო (13,6%), ნიდერლანდები (12,0%) და ჩეხეთი (7,2%). დსთ-ის ქვეყნების Ო-ების 92,2% აზერბაიჯანზე მოდის. რუსეთის წილი შემცირდა Ო-ებში 2016 წლის 2,3%-იდან 2017 წლის 1,8%-მდე. ამავე პერიოდში გაიზარდა ჩინეთის Ო-ები – 1,7%-იდან 2,8%-მდე, აშშ-იდან მიღებული Ო-ები – 3,5%-იდან 4,0%-მდე, თურქეთიდან მიღებული Ო-ები – 12,0%-იდან 15,0-მდე. 2017 წ. Ო-ების ყველაზე მსხვილი დაბანდების სფერო იყო კავშირგაბმულობა და ტრანსპორტი (28,3%), საფინანსო სექტორი (16,3%), მშენებლობა (15,8%), ენერგეტიკა (10,1%). უცხ. Ო-ების თითქმის 4/5 (78,2%) დაბანდებულ იქნა თბილისის ეკონომიკაში.

ვ. სართანია.

ᲝᲙᲘᲗᲘᲡ ტᲑᲐ, ტბა ბიჭვინთის კონცხზე, გაგრის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (აფხაზეთის არ). ზ. დ. მინუს 0,8 *მ*, ტბის სარკის ფართ. 0,40 *კმ*^{2}, უდიდესი სიღრმე 3,2 *მ*, წყლის მოცულობა 810 *მ*^{3}. ადრე ტბიდან ნაკადული გაედინებოდა, წყალი მტკნარი იყო. ამჟამად ტბის დონის ხელოვნურად დაწევის გამო ტბაში ზღვის წყალმა დაიწყო ჩაჟონვა და წყლის მარილიანობა 5 *გრ/ლ*-მდე გაიზარდა. Ო. ტ-ში რამდენიმე სახეობის თევზია.

ი. აფხაზავა.

ᲝᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ, საგანმანათლებლო პროცესი, რომლის

ფარგლებშიც განათლების სისტემა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ხარისხიან განათლებას მოსწავლის ინდივიდ. საგანმან. საჭიროების გათვალისწინებით, მიუხედავად მისი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვ., ეთნ., რასობრივი, რელიგ., გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.

Ი. Ბ. განკუთვნილია სპეც. საგანმან. საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისათვის, თუკი მოსწავლე, რ-საც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასის ეროვნ. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინ. მოთხოვნებს, საჭიროებს სპეც. საგანმან. მომსახურებას ან ეროვნ. სასწავლო გეგმის ადაპტაციას და ალტერნატიულ სასწ. გეგმას. სპეც. საგანმან. საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე ფიზიკურად უნარშეზღუდულია, დარღვეული აქვს ინტელექტუალური, სენსორული (სმენა ან მხედველობა) და მეტყველების განვითარება, ქცევითი და ემოციური მდგომარეობა, საჭიროებს გრძელვადიან ჰოსპიტალიზაციას, აქვს პედ. ხელმიშვებულობით განპირობებული სირთულეები სწავლაში.

განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. საქართვ. კონსტიტუციის, ზოგადი განათლების შესახებ საქართვ. კანონის, პროფ. განათლების შესახებ საქართვ. კანონის, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის, საქართველოს ეროვნ. სასწავლო გეგმისა და ,,განათლება ყველასათვის'' საერთაშ. პროგრამის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისათვის, მიუხედავად მისი საჭიროებისა და მახასიათებლებისა.

დიდი ხნის განმავლობაში ქართული საზ-ბისათვის ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა ჰომოგენურობა განათლების სისტემაში, რაც საბჭოთა სისტემისგან მემკვიდრეობით გვერგო. სსსმ ბავშვები მკაცრად სეგრეგირებულები იყვნენ საზ-ბისაგან სპეციალურ სკოლებში და არ ჰქონდათ შესაძლებლობა, თანატოლებთან ერთად მიეღოთ განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში. ცვლილებები სსსმ ბავშვებისთვის განათლების სფეროში დაიწყო 1994-იდან არასამთავრობო სექტორის მიერ.

სსსმ ბავშვების განათლება, როგორც პრიორიტეტი, სახელმწიფომ აღიარა 2004, როდესაც დაიწყო განათლების სისტემის რეფორმა. Ი. Ბ-ის პრინციპების დანერგვას საქართველოში მნიშვნელოვანი ფინანს. და მეთოდოლ. დახმარება გაუწია ნორვეგიის მთავრობამ. საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს მიერ განხორციელდა პირველი სახელმწ. პროექტი: ,,ინკლუზიური სწავლების დანერგვა თბილისის 10 სკოლაში'', რ-მაც დიდად შუწყო ხელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად იზოლირებული ბავშვების საზ-ბაში ინტეგრირებას და საფუძველი დაუდო Ი. Ბ-ის შემდგომ პროექტებს, პროგრამებს და ინიციატივებს. საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს Ი. Ბ-ის დანერგვას საქართველოს ყველა სკოლაში.

ა. ლაღიძე. თ. პაჭკორია.

ᲘᲜᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ (ინგლ. inclusive – შემცველი), მაღალი ენერგიის მქონე ელემენტარულ ნაწილაკთა არადრეკადი ურთიერთქმედების პროცესი, რომელშიც შეისწავლება მეორეული (რეაქციის შედეგად წარმოქმნილი) ნაწილაკების მხოლოდ გარკვეული ნაწილის (ერთი ან რამდენიმე ნაწილაკის) თვისებები (ყველა მეორეული ნაწილაკის მახასიათებლების შესწავლა ხდება ექსკლუზიურ პროცესებში). Ი. პ-ის შესწავლის მნიშვნელობა ელემენტარულ ნაწილაკთა (ენ) ურთიერთქმედებების შესასწავლად პირველად აღნიშნეს ა. *ლოგუნოვმა*, მ. *მესტვირიშვილმა* და ნგუენ ვან ჰიეუმ (1967) და რ. ფეინმანმა (1969; მანვე შემოიღო თვით ტერმინი Ი. პ.). Ი. პ-ის ალბათობა გამოითვლება როგორც ჯამი იმ ექსკლუზიური პროცესების ალბათობებისა, რ-თა შედეგად წარმოიქმნება Ი. პ-ში შესასწავლი ენ-ები. Ი. პ. იძლევა ნაკლებ ინფორმაციას კონკრეტული რეაქციის შესახებ, ვიდრე ექსკლუზიური პროცესი, მაგრამ ენ-თა ურთიერთქმედების ზოგად კანონზომიერებებს წარმოაჩენს უფრო მკაფიოდ, რადგანაც კერძო და შემთხვევითი დეტალები გამოირიცხება მრავალი შესაძლო ექსკლუზიური რეაქციით გასაშუალოებისას. შეჯახების ენერგიის გაზრდისას მეორეულ ენ-თა რაოდენობა იზრდება. მაგ., პროტონ-პროტონული (pp) ურთიერთქმედებისას ენერგიით ~ 60 *გევ* (pp მასათა ცენტრის სისტემაში) წარმოიქმნება საშუალოდ 20, ხოლო ~ 8000 *გევ* ენერგიისას – 100-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის (π, K, N, Λ, Σ, B და სხვ.) ჰადრონი. *დიდ ჰადრონულ კოლაიდერში* მძიმე ბირთვების (ტყვიის, ოქროს და სხვ.) დაჯახებისას წარმოიქმნება ათიათასობით მეორეული ნაწილაკი (ნახ.). მეორეულ ნაწილაკთა ასეთი დიდი რაოდენობისას Ი. პ-ების შესწავლა არის ინფორმაციის მოპოვების ერთადერთი საშუალება. Ი. პ., რ-შიც შეისწავლიან, მაგ., მხოლოდ π^+ მეზონების კუთხურ და იმპულსურ განაწილებებს, რასაც სიმბოლურად ჩაწერენ $pp''\pi^+X$, წარმოადგენს ყველა იმ ექსკლუზიური პროცესის ჯამს, სადაც ჩნდება ერთი მაინც π^+ მეზონი. სისტემაში მეორეულ ენ-თა რაოდენობა და ტიპი X შეიძლება იყოს ნებისმიერი, რაც კი ნებადართულია ენერგიის, იმპულსის, ელექტრული მუხტის და სხვა ტიპის კვანტური რიცხვების მუდმივობის კანონებით. მაღალი ენერგიების ფიზიკაში ბოლო წლების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი აღმოჩენა – მასშტაბური ინვარიანტობა (იხ. აგრეთვე სტატია *კვარკული თვლის წესები*), მრავალრიცხოვანი ჰადრონული რეზონანსები, *კვარკებისა* და გლუონების თვისებების (და თვით არსებობის) დადგენა, ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა და სხვ. – მოხდა პროცესების ინკლუზიური მეთოდით გამოკვლევისას. Ი. პ-ების შესასწავლად იყენებენ ენ-თა სხვადასხვა ტიპის დეტექტორებს. დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე მოქმედი ასეთი დეტექტორები – ATLAS, CMS, ALICE – აგებულია ქართველ ფიზიკოსთა და ინჟინერთა მონაწილეობით. Ი. პ-თა როგორც თეორ., ასევე ექსპერ. შესწავლა ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით მიმდინარეობს მსოფლიოს მრავალ სამეცნ. ცენტრში – CERN-ში (შვეიცარია), FERMILAB-ში (აშშ), JINR-ში (რუსეთი) და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი Ი. პ-ებს შეისწავლიან და იყენებენ თსუ-ის ე. ანდრონიკაშვილის *ფიზიკის ინსტიტუტში* და *მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში* და სხვა ცენტრებში.

ლიტ.: B a n n e r M. etc., Observation of very large transverse momentum jets at the

CERN pp collider, «Physical Letters», 1982, v. 118 B; Feynman R., Very high-energy collisions of hadrons, «Physical Review Letters», 1969, v. 23; Logunov A. A., Mestvirishvili M. A., Nguen Van Hieu, High energy behaviour of inelastic cross section, «Physical Letters», 1967, v. 25 B.

ი. ლომიძე.

ᲝᲜᲝ, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღაროსკარის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ფშავის არაგვის (არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1220 *მ*, დუშეთიდან 44 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲐ (ლათ. Innovatio – სიახლე, განახლება), ადამიანის შემოქმედებითი (ინტელექტუალური) მოთხოვნილება, შექმნას (შემოიტანოს) წინანდელთან ან მოქმედთან შედარებით ახალი გადაწყვეტილება, იდეა, მეთოდი, ნაკეთობა. Ი. ფაქტობრივად გეხვდება ყველა სფეროში: სამეცნ. კვლევებში, ტექნოლოგიებში, მართვის პროცესებში, ეკონომიკაში, ხელოვნების დარგებში, სტრატეგიულ საკითხებში თუ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. ტერმინი ,,ინოვაცია'' მეცნიერებაში პირველად შემოიტანა ავსტრიელმა მეცნიერმა ი. შუმპეტერმა XX ს. 30-იან წლებში.

Ი-ები სამეცნ. კვლევებში მიმართულია ახ. ფიზ.-ქიმ. და სხვ. მეთოდების შემუშავებისა და გამოყენებისაკენ, სამეცნ. პრაქტიკაში მათი დანერგვითა და გავრცელებით.

Ი-ები ტექნოლოგიებში გამიზნულია საწარმოო პროცესებში ახ. მასალების შექმნა-გამოყენებისა და დამუშავების ახ. მეთოდების დანერგვისაკენ, რაც განაპირობებს ახ. პროდუქციის გამოშვებას, წარმოებაში მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების, ახ. აღმოჩენებისა და გამოგონებების გამოყენებით. ინტენსიურად ინერგება თვისებრივად ახ. ტექნოლოგიები: თანამედროვე მიკროპროცესორული ტექნოლოგია, წარმოების კომპიუტერიზაცია, რობოტული და ლაზერული ტექნიკა, ბიოტექნოლოგია, მიკრობიოლოგიური მეცნიერების უახლესი მიღწევები, ნანოტექნოლოგია და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ Ი-ის შედეგად ზოგჯერ საწარმოო პროცესები რთულდება და ნაკეთობის თვითღირებულებაც იზრდება, ექსპლოატაციის საბოლოო ეტაპზე ხდება ეფექტიანობის ამაღლება. Ი. არის ბიზნესის, ეკონომიკის, ტრანსპორტის, კომუნიკაციების დაჩქარებული განვითარების პირობა და მძლავრი კატალიზატორი.

Ი-ები მართვის პროცესებში (ეკონომიკა, წარმოება, სამხ. საქმე, ზოგიერთი შემოქმედებითი პროცესი – თეატრი, კინო, სასწ. პროცესი) მიზნად ისახავს შედეგის მიღებასა და დასახული ამოცანის შესრულებას.

Ი-ის სიხშირით გამოირჩევა ყოველდღიური მოხმარების საგნების წარმოება (სურსათი, სამკურნ. პრეპარატები, სამოსი და ა. შ.), აგრეთვე განსაკუთრებული დანიშნულების ნაწარმის გამოშვება, მაგ., სამხ. ტექნიკის, კოსმოსის ათვისების აპარატების, დედამიწის შემსწავლელი მეცნ. დარგების, მედიცინის, ბიოტექნოლოგიების, ფარმაკოქიმიის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, კომუნიკაციების და სხვა სფეროებში.

Ი. თავისი ხასიათით შეიძლება იყოს თანმიმდევრული (ევოლუციური) და/ან მკვეთრად ცვალებადი, ნახტომისებრი (რევოლუციური), როცა რადიკალურად იცვლება ძველად ხმარებული მეთოდი, წარმოების წესი, ნაკეთობა (პროდუქტი). ამასთან, ახლის გამოყენება მომხმარებელი საზ-ბის ინტერესს, გატაცებას, მოხმარების მასობრიობას იწვევს. ასეთ დროს წარმოების გადაწყობა ხდება ბაზრის მოთხოვნილებათა მიხედვით, მისი დაკმაყოფილების გათვალისწინებით; ამდენად, Ი. ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა წარმოებისა და რეალიზაციის სფეროს განვითარებისათვის.

Ი-ის დაფიქსირება ხშირად ხდება აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადების სახით, იმისდა მიხედვით, რამდენად მნიშვნელოვანი და რევოლუციურია იგი საზ-ბის ინტერესებისათვის.

Ი-ები ფართოდ გამოიყენება სას.-სამ. აგრო-სექტორში, წვრილ ინდივიდ. წარმოებაში: მუდმივად ხდება სახელობო *იარაღის* გაუმჯობესება და სრულყოფა, ახ. ტექნოლოგიური მასალების, ახ. ჯიშებისა და სათესლე მასალების, მცენარეთა დაცვის ახ. მეთოდების შემოღება, შრომის პროცესის გასამარტივებლად და შედეგის გასაუმჯობესებლად.

Ი-ების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია მოდა ახ. პროდუქტზე მრავალ სფეროში (კოსმეტიკა, სამკაულები, ყოველდღიური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სათვალე, საკანცელარიო საქონელი და სხვ.).

Ი. შეიძლება იყოს ინიცირებული (შემოტანილი) საავტორო წინადადების ფორმით და პირიქით, წარმოებისა და ბაზრის მოთხოვნით (დაკვეთით). თავისთავად, ეს პროცესები დიდ გავლენას ახდენს მუშახელის გამოყენებაზე, დასაქმებაზე, ეკონ. განვითარების მახასიათებლებზე, რაც ითხოვს სამართლებრივი და ეკონ. კანონების დარეგულირებას, სახელმწ. მართვის პროცესების სრულყოფას.

Ი-ის შეფასება ტექნიკასა და ეკონომიკაში ხდება მისი სიჩქარით, სხვადასხვა რეიტინგული კოეფიციენტებით, მაგ., ბლუმბერგის ინდექსით, რ-იც ასახავს მაღალტექნოლ. კომპანიებისა და მთლიანად ქვეყანაში წარმოების სფეროს გლობალურ კონკურენტუნარიანობას, სამ. და უმაღლესი სპეც. განათლების, კადრების მომზადების დონეს და სხვა. ეკონ. და სამართლებრივი კრიტერიუმები განსაზღვრავს წარმოების მახასიათებლებს: ინდივიდ. მეწარმეობას და ჯგუფურ ფორმებს (არტელებს, კოოპერატივებს, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებს, სააქციო საზ-ბებს, მსხვილ კორპორატიულ ფორმებს). ამიტომ, რეალური Ი-ებით მდიდარი სახელმწ. ქმნის მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკას, რაც მისი წარმატების საფუძველია. სამართლებრივი ნორმატივებით და ფინანს. ხელშეწყობით საზ-ბის ინვესტიციური შემოქმედებითი აქტივობის ზრდა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

Ი-ების მხრივ შემოქმედებით აქტივობას განსაზღვრავს კომერციალიზაციაზე ორიენტირებული სამეცნ.-კვლ. და საინჟინრო-ტექნოლ. საქმიანობა.

საქართველოში Ი-ის სფეროში წამყვან როლს ასრულებს საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემია და უნ-ტები. Ი-ების დარეგულირება ხდება სახელმწიფოს ინოვაციური სააგენტოს, აკადემიის ,,ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრისა'' და სპეც. დანიშნულების **საწარმოებ**ის მიერ.

განსაკუთრებული როლი ენიჭება საქართველოში საერთაშ. წყაროებიდან ცოდნისა და მეცნ.-ტექ. მიღწევების შემოდინების ხელშეწყობას, ქართვ. მეცნიერთა და სპეციალისტთა საავტორო წინადადებების რეალიზაციას უცხოეთში, ანუ ორმხრივ ტრანსფერს.

ინოვაციური წინადადებების ეფექტიანობითა და მათი დანერ-

გვით წარმოებასა თუ პრაქტიკაში, საავტორო წინადადებების კომერციალიზაციის ხაზით, საქართველო ჯერჯერობით მოწინავე ქვეყნების რიგში არ მოიაზრება, თუმცა ქვეყანაში ი-ების განვითარების რეალური პოტენციალი არსებობს. მისი ამოქმედება და საზ-ბის სამსახურში ჩაყენება მნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანაა. აუცილებელია მაღალტექნოლოგიური ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაც.

ლიტ.: ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2006; Мединский В. Г., Скамой Д. Г., Инновационное предпринимательство, М., 2002.

გ. აბდუშელიშვილი.

ინოკენტი (ერისკაცობაში – ივანე ვასილის ძე ბელიაევი) (23. IX. 1862, ვლადიმირის გუბერნია, – 9. IX. 1913, პეტერბურგი, დაკრძალულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ნიკოლსკის საძმო სასაფლაოზე), საქართველოს ეგზარქოსი, ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსი 1909–13. ვლადიმირის სას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძო ამავე ქალაქის სას. სემინარიაში. 1885 ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა ყაზანის სას. აკადემია. 1895 ბერად აღიკვეცა. იმავე წლის 26 მარტს ხელდასხმულ იქნა მღვდლად და მალევე არქიმანდრიტის პატივი მიენიჭა. 1899 თავდაპირველად იყო სუმსკის, შემდგომ კი ხარკოვის მთავარეპისკოპოსი, 1901 დეკემბრიდან – ნარვის ეპისკოპოსი, 1903-იდან კი – ტამბოვისა და შაცკის ეპარქიის მმართველი. ამ დროს მან მონაწილეობა მიიღო ღირსი სერაფიმე საროველის წმ. ნაწილთა აღმოყვანებაში. აღნიშნულ ეპარქიაში აქტიურად იბრძოდა მომრავლებული სექტანტების წინააღმდეგ.

ი-ის საქართველოში ჩამოსვლა დაემთხვა ქუთაისში გამართულ საეპარქიო ყრილობის სხდომას. დეპუტატებმა ყრილობის სახელით ახალჩამოსულ ეგზარქოსს მისალმება გაუგზავნეს და გამოთქვეს იმედი, რომ ივერიის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებათა განახლებისა და აღდგენის საქმეში საჭირო ნაბიჯებს გადადგამდა. საპასუხო მიმართვაში ეგზარქოსი გადაჭრით აცხადებდა უარს ივერიის ეკლესიის მისწრაფებებისა და უფლებების აღდგენის ხელშეწყობაზე.

ი. სარგებლობდა კავკასიის მეფისნაცვლის, ვორონცოვ-დაშკოვის მფარველობით და მოხერხებულად, შენიღბულად ავიწროებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლ ქართველ სას. პირებს. ხშირად უკონტროლოდ ერეოდა საეგზარქოსოს საფინანსო საკითხებში. მისი მოღვაწეობის უღირსი საქმეების შესახებ ეპისკოპოსმა დავითმა (იხ. *დავით მიტროპოლიტი*) 1912 მიმართვა გაუგზავნა რუსეთის წმ. სინოდს.

ი-მ ქართვ. ავტოკეფალიის მომხრეთა გულის მოსაგებად დაუშვა საღვთო სჯულის სწავლება ქართ. ენაზე. მისივე ინიციატივით ბოდბის, სამთავროსა და მამკოდის მონასტრებში ჩამოყალიბდა მოწყალების დების მოსამზადებელი კურსები. ამავე მიზნით თბილისში დაარსდა წმ. ნადეჟდას სახ. სამძო.

ი. არჩეული იყო მოსკოვისა და ყაზანის სას. აკადემიების საპატიო წევრად, წმ. იოანე კრონშტადტელის სახ. ეკლესიურ-საქველმოქმედო საზ-ბის წევრად. დაჯილდოებული იყო ძვირფასი ქვებით შემკული პანაღიით, კუნკულაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

ლიტ.: ცინცაძე კ., ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001; Православная энциклопедия, т. 22, М., 2010; Цагарели А., Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, СПб., 1912; Экзарх Грузии Иннокентий, «Церковные ведомости», 1913, №37.

ე. ბუბულაშვილი.

ინოკენტი, ინოჩენციო VI [Innocentius; ერისკაცობაში – ეტიენ ობერი (Etienne Aubert)] (გ. 2. IX. 1362, ავინიონი), ავინიონის პაპი 1352–62. იურისტი, სამოქალაქო სამართლის პროფესორი და მთ. მოსამართლე ტულუზაში. კარდინალი 1342-იდან. 1352 წ. 18 დეკემბრიდან – პაპი. 1355 რომში მეფედ აკურთხა კარლ IV. მის დროს გათავისუფლდა პაპის ოლქის ნაწილი და აღდგა პაპის ხელისუფლება. 1356 ი. VI-მ თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა ბერტრამო და წერილობით მიმართა თბილისელ კაპიტულს, სამღვდელოებასა და ერს, პატივით მიეღოთ იგი.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902.

ინოკენტი, ინოჩენციო XI [Innocentius; ერისკაცობაში – ბენედეტო ოდესკალჩი (Benedetto Odescalchi)] (16. V. 1611, კომო, – 2. VIII. 1689, რომი), რომის პაპი 1676–89. იურისტი, იყო პაპის პროტონოტარიუსი, 1645-იდან – კარდინალი, 1654-იდან – ნოვარის ეპისკოპოსი, 1676 წ. 21 სექტემბრიდან – პაპი. იბრძოდა ნეპოტიზმისა და კურიის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. ი. XI-სთან ურთიერთობა ჰქონდათ ქართლის სამეფოს წარმომადგენლებს. პატრ ანჯელო ფილინელს მისთვის რომში ჩაუტანია ქართლის მეფის, *გიორგი XI-ისა* და არქიეპისკოპოს ექვთიმე რატიშვილის წერილები.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902.

ინოჩენცი აბდონ ფერდინანდის ძე (1856, რომი, – 3. XI. 1935, თბილისი), თბილისში მოღვაწე იტალიელი მოცეკვავე, პალეტმაისტერი და პედაგოგი. მილანის საბალეტო სკოლის კურსდამთავრებული. 1982–84 ცეკვავდა იტალიაში ტურინისა და რომის თეატრებში, მილანის ,,ლა სკალაში''. 1984–87 მოღვაწეობდა კიევში, საქალაქო თეატრში, პარალელურად გახსნა საბალეტო სტუდია. 1887 მოიწვიეს თბილისში. 1894-მდე მუშაობდა თბილ. ,,სახაზინო თეატრში'' მთ. ბალეტმაისტერად. 1888–1920 ასწავლიდა იმხანად თბილისში ახლადშემოსულ და ძალზე პოპულარულ სამეჯლისო ცეკვებს თითქმის ყველა სასწ. დაწესებულებაში – კადეტთა კორპუსში, წმ. ნინოს კეთილშობილთა სასწავლებელში, აგრეთვე ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში. 1891 ,,სახაზინო თეატრში'' შედგა ი-ისა და მისი მეუღლის – მოცეკვავის, პედაგოგისა და ბალეტმაისტერის მ. *პერინის* ბენეფისი. 1895 მათ ჩამოაყალიბეს ,,საბალეტო და სამეჯლისო ცეკვების სტუდია'', რ-მაც 1930-მდე იარსება. სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას.



ა. ინოჩენცი.

ლ. ჩხეიძე.

„ინჟმშენი“ (სააქციო საზოგადოება ფირმა ,,ინჟმშენი'') თბილისის მერიისა, სამშენებლო ორგანიზაცია. თბილისის გაზიფიკაციასთან დაკავშირებით 1958 საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნა სამშ.-სამონტაჟო ორგანიზაცია ,,თბილგაზმშენი'', რ-საც დაევალა თბილისის ტერიტორიაზე ბაქო–თბილისის მაღალი წნევის გაზსადენისა და გაზგამანაწილებელი სადგურების მშენებლობა. 1960-იდან თბილისში ფართო მასშტაბით გაიშალა კომუნ. და სხვ. ობიექტების მშენებლობა. 1961 ,,თბილგაზმშენის'' ბაზაზე ჩამოყალიბდა მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საინჟ. ნაგებობათა მშენებლობის ტრესტი ,,ინჟმშენი''. 1965 მას შეუერთდა

ქალაქის გზათა მშენებლობის სამმართველო. 1994 ტრესტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით იგი გარდაიქმნა თბილ. მერიის მუნიციპალურ საწარმოო ფირმა ,,ინჟმშენად'', რ-იც 1996 ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბად.

,,0-მა'' თავისი არსებობის განმავლობაში ქალაქში მრავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის საინჟ. ნაგებობა ააშენა; გაიყვანა გარდაბანი–თბილისის, ბულაჩაური–თბილისის გაზსადენების მაგისტრალები, მაღალი და საშ. წნევის გაზსადენები ქალაქის ტერიტორიაზე; ასევე რამდენიმე მაღალი წნევის წყალსადენი: ნატახტარი–თბილისი, ქსანი–ნატახტარი, ჟინვალი–თბილისი (შემოვლითი წყალსადენი), მისაქციელი–ნატახტარი. ქალაქის ტერიტორიაზე ააშენა სათავო ნაგებობები, მაგისტრ. თბოქსელები; კვარტალური საქვაბეები ვარკეთილ-3-ში, ვაზისუბანში, ვარკეთილში და სხვ.; ავტომ. სატელეფონო სადგურები 30000 ნომერზე მუხიანის დასახლებაში, ვაზისუბანში, ვარკეთილში და სხვ.; მიწისქვეშა გადასასვლელი ფილარმონიასთან, ავტოსტრადა კახეთის გზატკეცილზე; საბაგირო გზა ლისის ტბაზე; სპორტდარბაზი და საცურაო აუზი სანაპიროზე; მონადირეთა კავშირის შენობა (ბაგებში); მსხვილბლოკიანი საცხოვრ. სახლები გლდანის, ვარკეთილის, დიდი დიღმის დასახლებებში, ყოფ. საბურთალოსა (ახლანდ. ვ. ჭაბუკიანის, ს. ცინცაძისა და გ. კარტოზიას) და საირმის ქუჩებზე, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი (2001) თავისუფლების მოედანზე; პრეზიდენტის სასახლე (2009). რესტავრაცია ჩაუტარა სასტუმრო „თბილისი მარიოტს'' და სხვ. სააქციო საზ-ბა ,,0-მა'' 2015 შეწყვიტა ფუნქციონირება.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ, იხ. სტ. *ინსტიტუციონალური ეკონომიკა.*

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ, ი ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა, ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც იკვლევს არაფორმალური და ფორმალური საზოგადოებრივი ინსტიტუტების (ინდივიდები, ფირმები, სახელმწიფო, სოციალური ნორმები) გავლენას ეკონომიკაზე. იგი თანამედროვე ბაზრებს განიხილავს როგორც ამ ინ-ტების მოქმედების შედეგს, ეკონომიკური ინ-ტების ევოლუციას კი მიიჩნევს კულტ. განვითარების პროცესის ნაწილად. 0. Ე. წარმოიშვა XIX–XX სს. მიჯნაზე, თუმცა მისი საწყისები გვხვდება შორეულ წარსულში პლატონის, არისტოტელეს, ასევე ევრ. განმანათლებელთა – შ. მონტესკიეს, ჯ. ლოკის, ტ. ჰობზის და სხვათა შრომებში. 0. Ე-ის თეორ. ბაზას წარმოადგენს ინსტიტუციონალიზმი, რ-იც შეისწავლის სახელმწიფოს ფორმალური და საზ. ორგანიზაციების – ინ-ტების როლს და ზეგავლენას ადამიანების სოც., პოლიტ. და ეკონ. ქცევებზე. იგი ინ-ტებს განიხილავს როგორც საზ-ბის სოც. სტრუქტურის მდგრად ნაწილს და განსაზღვრავს სოც. ცხოვრებას კულტურული, ნორმატიული და სხვადასხვა მარეგულირებელი ნორმებით. მას საფუძველი ჩაუყარეს თ. ვებლენმა, ჯ. კომონზმა და უ. მიჩელმა. ისინი ითვლებიან ადრეული ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლებად. კანონმდებლობისა და ეკონომიკის კავშირი და ქცევითი ეკონომიკა, რ-იც დაფუძნებულია კოგნიტურ მეცნიერებაზე, როგორც ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ლინგვისტიკის, ანთროპოლოგიის მეცნიერებათშორის დარგზე, გახდა მათი კვლევების მთავარი ობიექტი. მათ ადამიანების, როგორც ეკონ. გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტების, ქცევები წარმოადგინეს როგორც უმთავრესად ინ-ტებისა და წეს-ჩვეულებების ზემოქმედების შედეგი. მათი მოძღვრება შემდგომ განავითარეს ნეოინსტიტუციონალიზმის ფუძემდებლებმა – კ. პოლანმა, დ. ნორთმა, ჯ. გელბრეითმა, რ. კოუზმა და სხვ., რ-ებმაც ტრად. ინსტიტუციონალიზმში შეიტანეს ახ. თეორიები ორგანიზაციის, ინფორმაციის საკუთრების უფლების და ტრანსაქციული ხარჯების შესახებ და დაეფუძნენ ინ-ტების სოციოლოგიურ ხედვას. სწავლობდნენ წესების, ნორმების გზით ინ-ტების ზემოქმედებას ერთმანეთზე, მათ გავლენას საზ-ბაზე და ადამიანის, ორგანიზაციებისა და ხელისუფლების ქცევებზე, მათ მიერ რაციონალური არჩევანის გაკეთებაზე. ნეოინსტიტუციონალიზმი აერთიანებს რაციონალურობას, როგორც მიზნის მისაღწევ ეფექტიან მეთოდს და ორგანიზაციულ კულტურას; იგი მიიჩნევს, რომ როგორც ინ-ტის, ასევე ინდივიდის დონეზე გადაწყვეტილების მიღება ხდება როგორც რაციონალურად სარგებლის მაქსიმიზაციის და მწირი რესურსების ეფექტიანი გამოყენების, ასევე კულტურული და მორალური ღირებულებების შენარჩუნებისა და დაცვის გათვალისწინებით. ამასთან უარყოფს სოც. განვითარების კლასიკურ, ეკონ. მიდგომას, სადაც გადაწყვეტილების მიღება რაციონალური ქცევებით ხდება და ეკონ. და მატერ. სიკეთის ზრდისკენაა მიმართული. მიიჩნევა, რომ საზ. პროცესები, სოც. და ორგანიზაციული ფენომენები უფრო უკეთ შეიძლება კოგნიტური და კულტუროლოგიური მიდგომით აიხსნას. ნეოინსტიტუციონალიზმის თეორ. სკოლა სამ განსხვავებულ მიდგომას აერთიანებს, ესენია: ისტ. ინსტიტუციონალიზმი, რაციონალური არჩევანის ინსტიტუციონალიზმი და სოციოლოგიური ინსტიტუციონალიზმი.

ინსტიტუციონალიზმის თეორ. პრინციპები დღესაც მოქმედებს საზ. აზრის განვითარებაზე. მსოფლიოს და ცალკეული ქვეყნების ეკონ. განვითარებამ უკანასკნელ პერიოდში ცხადყო ინსტიტუციონალიზმის რიგ შეხედულებათა საფუძვლიანობა და მათი პრაქტიკაში გამოყენების მიზანშეწონილობა. ამ სკოლის პოზიციებიდან ხდება ეკონომიკური პრობლემების ახსნა, ეკონ. სოციალური და კულტ. ფენომენების ინტეგრირება. ეკონ. განვითარების წინაპირობად სახელდება სოციალური ინ-ტების მოდერნიზაცია.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ინსტიტუციონალიზმის ცალკეული საკითხები ყოველთვის იყო ქართვ. საზ. მოღვაწეებისა და განმანათლებლების მსჯელობის საგანი. ეროვნულობას, ენას, კულტურას, რელიგიას სახელმწიფოს ეროვნ. მოწყობის უდიდეს ფასეულობად აღიარებდნენ ი. ჭავჭავაძე, მ. წერეთელი, ა. ჯორჯაძე, დ. ყიფიანი, ნ. ნიკოლაძე და სხვა საზ. მოღვაწეები.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სახელმწ. მოდელის შემუშავება ქვეყნის ყველა მთავრობის პოლიტ. დღის წესრიგის უმთავრეს საკითხთა შორის იყო. დემოკრატიული ინ-ტების ფორმირება და ხელისუფლების რეფორმები მიჩნეულ იქნა ეკონ. განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობად. ეკონ. განვითარებაში წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იქნებიან სახელმწ. ინ-ტები საზ. ღირებულების მატარებელნი და

დამცველნი. დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შესაბამისად ეკონ. მართვის დერეგულირებამ, ძლიერი სახელმწ. ინ-ტების ჩამოყალიბებამ, სოც. პასუხისმგებლობის და ეროვნ. გეზის მქონე, დემოკრ. ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ფორმირებამ.

ი. ე-ის საკითხებზე მეცნიერ-კვლევართა სპეც. ნაშრომები არ შექმნილა. ცალკეულ საკითხებზე შეიძლება აღინიშნოს რ. აბესაძის, ა. აბრალავას, ი. მესხიას, ე. მექვაბიშვილის, გ. პაპავას, ვ. პაპავას, ა. სილაგაძის, ნ. ჭითანავას, ლ. ჩიქავას და სხვათა ნაშრომები. ავტორები ეხებიან ცენტრალიზებული გეგმიანი სოციალ. ეკონომიკიდან დეცენტრალიზებულ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ და პოსტტრანსფორმაციულ პერიოდებში სახელმწიფოს გარდაქმნის პრობლემებს. ი. ე-ის სწავლება, როგორც საჯარო მმართველობის, ასევე ეკონომიკის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის მიმართულებით მიმდინარეობს საქართვ. საზოგადოებრივ საქმეთა ინ-ტში, თსუ-ში, სტუ-ში, ილიას უნ-ტში და სხვა უნ-ტებში.

ლიტ.: გ ე ბ ე რ ი მ., პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელოვნება, თარგმ. ინგლ., თბ., 2005; კ ი უ ნ გ ი კ., მსოფლიო ზნეობა მსოფლიო ეკონომიკისათვის და მსოფლიო პოლიტიკისათვის, თარგმ. ინგლ., თბ., 2005; მ ა ლ ა შ ხ ი ა გ., მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995; პ ა პ ა ვ ა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002; ს ი ლ ა გ ა ძ ე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010; ფ რ ი დ მ ე ნ ი მ., კაპიტალიზმი და თავისუფლება, თარგმ. ინგლ., თბ., 2002; წ ე რ ე თ ე ლ ი მ., ერი და კაცობრიობა, თბ., 1990.

გ. მალაშხია.
მ. თოქმაზიშვილი.

ინტაბუეთი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯვარცხმის თემში (გურიის რეგიონი), მდ. გუბაზეულის (სუფსის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 220 *მ*, ჩოხატაურიდან 4 *კმ*, სავჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25*კმ*. 191 მცხ. (2014).

ინტალიო (იტალ. intaglio – ჭრა, კვეთა), ძვირფასი ჭრილი ქვა (*გემა*), რ-ზედაც გამოსახულება სიღრმეშია ამოკვეთილი. ი-ს ძირითადად კუთვნილების დამადასტურებელ ბეჭდად იყენებდნენ. გაჩნდა ძვ. წ. IV ათასწლეულში (ძვ. აღმ. ქვეყნები), ფართოდ გავრცელდა ანტ. ეპოქაში. გამოიყენებოდა ანტ. საქართველოში, განსაკუთრებით კი შუა საუკუნეებში. გვხვდება საბეჭდავების სახითაც. იხ. აგრეთვე სტ. *გლიპტიკა*.


ინტეგრალური აღრიცხვა (ლათ. integralis – მთელი), მათემატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის განუსაზღვრელი და განსაზღვრული ინტეგრალების თვისებებს, ინტეგრალების გამოთვლის მეთოდებს და მათი გამოყენების არეს. ი. ა. მჭიდროდაა დაკავშირებული *დიფერენციალურ აღრიცხვასთან* და მასთან ერთად შეადგენს მათ. ანალიზის საფუძველს.

ი. ა-ის უძველესი ამოცანები ანტ. ხანის გეომეტრიიდან მომდინარეობს და ეხება წირების სიგრძის, გეომ. ფიგურების ფართობისა და სხეულთა მოცულობის გამოთვლას. *არქიმედე* იკვლევდა წრეწირის სიგრძის, წრის ფართობის, სფეროსა და ცილინდრის ზედაპირების ფართობებისა და მათი მოცულობის გამოთვლის ამოცანებს, ამასთან, იყენებდა ევდოქსის (ძვ. წ. V–IV სს.) მიერ შემოღებულ ამოწურვის მეთოდს. არქიმედეს ეკუთვნის პარაბოლითა და კოორდინატთა ღერძით შექმნილი ფიგურის ფართობის გამოთვლაც. ეს მეთოდები XVII ს-ში გააგრძელეს ბ. კავალიერიმ (1598–1647), ე. ტორიჩელიმ (1608–47), პ. ფერმამ (1601–65), ბ. პასკალმა (1623–62) და სხვ., რ-თაც ამოხსნეს მრავალი კერძო ამოცანა. 1659 ი. ბაროუმ (1630–77) აღმოაჩინა კავშირი გლუვი წირის მხების აგების ამოცანასა (დიფერენციალური აღრიცხვის ამოცანა) და ფართობის გამოთვლის ამოცანას შორის.


ი. ა-ს XVII ს. 70-იან წლებში საფუძველი ჩაუყარეს ი. *ნიუტონისა* და გ. *ლაიბნიცის* შრომებმა, დადგინდა კავშირი ი. ა-სა და დიფერენციალურ აღრიცხვას შორის და დამუშავდა ინტეგრალების გამოთვლის (ინტეგრების) ტექნიკა. თანამედროვე სახე ინტეგრების მეთოდებმა მიიღო, ძირითადად, ლ. *ეილერის* შრომებში. მეთოდების განვითარება თითქმის დასრულდა კ. ფ. გაუსის (1777–1855), მ. ოსტროგრადსკის (1801–61), პ. ჩებიშევის (1821–94) და ბ. რიმანის (1826–66) გამოკვლევებით.

ისტორიულად ინტეგრალს უწოდებენ $f(x)$ ფუნქციის გრაფიკითა და აბსცისათა Ox ღერძის $[a, b]$ მონაკვეთით შემოსაზღვრული მრუდწირული ტრაპეციის ფართობს, რ-ის გამოსათვლელად $[a, b]$ მონაკვეთს დაყოფენ ამა თუ იმ ხერხით n ნაწილად $\Delta x_1,\dots \Delta x_n$ და აგებენ საფეხურებიან ფიგურას (ნახაზზე გამუქებულია). ამ ფიგურის ფართობი ტოლია $F_n=y_i\Delta x_1+\dots+y_n\Delta x_n$, სადაც y_i არის $f(x)$ ფუნქციის მნიშვნელობა Δx_i მონაკვეთის რომელიმე წერტილში ($i=1,\dots,n$). ლაიბნიცმა ამ ჯამის ზღვარი აღნიშნა სიმბოლოთი $\int ydx$. ტერმინი „ინტეგრალი“ შემოიღო ლაიბნიცის მოსწავლემ იოჰან ბერნულიმ (1667–1748), „უსასრულო რაოდენობის შესაკრებთა ჯამის“ განსასხვავებლად ჩვეულებრივი ჯამისგან. ჟ. ფურიემ შემოიღო განსაზღვრული ინტეგრალის თანამედროვე აღნიშვნა $\int_a^b ydx$, სადაც a და b ინტეგრების შუალედის საწყისი და ბოლო წერტილებია. ბ. რიმანმა (1854) და ჟ. დარბუმ (1875) ნიუტონისა და ლაიბნიცის მიერ შემოღებულ ცნებებს მისცეს მკაცრი მათ. შინაარსი. დარბუს თანახმად, რ ი მ ა ნ ი ს ინტეგრალი $\int_a^b f(x)dx$ განიხილება როგორც საერთო ზღვარი (თუკი ასეთი არსებობს) $y=f(x)$ ფუნქციის გრაფიკზე შ ე მ ო ხ ა ზ უ ლ ი და ამ გრაფიკში ჩ ა ხ ა ზ უ ლ ი საფეხურებიანი ფიგურების ფართობებისა, როცა $[a, b]$ მონაკვეთის დაყოფათა რიცხვი უსასრულოდ იზრდება, ხოლო $\Delta x_1,\dots \Delta x_n$ შუალედები უსასრულოდ მცირდება. თუ ასეთი ზღვარი არსებობს, ინტეგრალქვეშა ფუნქციას ინტეგრებადი (რიმანის აზრით) ეწოდება. არსებობს განსაზღვრული ინტეგრალის გამოთვლის სხვა მეთოდებიც, რ-თაგან უმნიშვნელოვანესია ე.წ. ლ ე ბ ე გ ი ს ი ნ ტ ე გ რ ა ლ ი. ა. ლებეგმა (1875–1941) განაზოგადა რიმანის ინტეგრალი ფუნქციათა უფრო ფართო კლასისთვის. ამისთვის საკმარისი აღმოჩნდა შუალედებად დაეყოთ არა ფუნქციის განსაზღვრის არე, არამედ ცვლილების არე (იხ. ნახაზი). თუ ფუნქცია ინტეგრებადია ლებეგის აზრით, მაშინ ის რიმანის აზრითაც ინტეგრებადია და ინტეგრების შედეგები ერთმანეთის ტოლია. მაგრამ არსებობს ლებეგის აზრით ინტეგრებად ფუნქციათა ფართო კლასი, რ-იც რიმანის აზრით არაინტეგრებადია.

განსაზღვრული ინტეგრალის გამოთვლის შედეგი (ინტეგრალქვეშა ფუნქციის ინტეგრებადობის შემთხვევაში) არის რიცხვი (განზოგადებებში, შესაძლოა, უსასრულობაც). განსაზღვრული ინტეგრალის გამოთვლა მჭიდროდ უკავშირდება მოცემული $f(x)$ ფუნქციის პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ს მოძებნას



რიმანის ინტეგრალის გეომეტრიული შინაარსი.



ლებეგის ინტეგრალის გეომეტრიული შინაარსი.

– ისეთი (დიფერენცირებადი) $f(x)$ ფუნქციის მოძებნას, რ-ის წარმოებული $f'(x)$ ტოლია $[a, b]$ მონაკვეთზე განსაზღვრული $f(x)$ ფუნქციისა ამ მონაკვეთის ყოველ წერტილში. თუ $F(x)$ არის $f(x)$ ფუნქციის ერთ-ერთი პირველადი, მაშინ $F(x)+C$ ასევე პირველადია: $[F(x)+C]'=F'(x)=f(x)$, სადაც C ნებისმიერი მუდმივი შესაკრებია; $F(x)+C$ წარმოადგენს ფუნქციათა ოჯახს – $f(x)$ ფუნქციის ყველა პირველადის ზოგად გამოსახულებას – და ეწოდება $f(x)$ ფუნქციის განუზღვრელი ინტეგრალი; აღინიშნება $\int f(x)dx$ სიმბოლოთი. ნიუტონ-ლაიბნიცის ფუნდამენტური თეორემის თანახმად, განსაზღვრული ინტეგრალი $\int_a^x f(x)dx$, როგორც ცვლადი ზედა საზღვრის ფუნქცია, მოცემული $f(x)$ ფუნქციის პირველადია.

ელემენტარული ფუნქციის პირველადი ყოველთვის არ გამოისახება ხოლმე ელემენტარული ფუნქციებით. ამიტომ ინტეგრება, დიფერენცირებისგან განსხვავებით, წარმოადგენს გარკვეულ „ხელოვნებას“. ისტორიულად, Ი. ა-ის ერთ-ერთი ფუნდამენტური ამოცანა იყო იმ ფუნქციათა კლასის დადგენა, რ-თა პირველადი გამოისახება ელემენტარული ფუნქციებით. კერძოდ, x ცვლადის ნებისმიერი რაციონალური ფუნქციის ინტეგრება შესაძლებელია ელემენტარულ ფუნქციათა კლასში (პ. ლაპლასი, 1729–1827). ელემენტარული ფუნქციების შემცველი ალგებრული გამოსახულებების ინტეგრებისთვის იყენებენ ინტეგრალქვეშა გამოსახულების გარდაქმნის სხვადასხვა, ხშირად საკმარისად შრომატევად მეთოდს, რ-თაგან უმთავრესია ჩასმის (ახალი დამოუკიდებელი ცვლადის შემოღების) და ე. წ. ნაწილობითი ინტეგრების მეთოდები, რ-იც ჯერ კიდევ ნიუტონმა, განსაკუთრებით კი ლ. ეილერმა და კ. ფ. გაუსმა განავითარეს. ამ მეთოდების გამოყენებით ცდილობენ ინტეგრალქვეშა გამოსახულება დაიყვანონ ისეთ სახეზე, რომ შესაძლებელი გახდეს უმარტივესი ელემენტარული ფუნქციებისთვის შედგენილი ინტეგრალთა ცხრილის გამოყენება. ამასთან, ფუნქციის ინტეგრებადობისთვის, ანუ მისი პირველადის არსებობისთვის, Ი. ა-ის ძირითადი თეორემით, საკმარისია საინტეგრო ფუნქციის უწყვეტობა. ინტეგრალის არსებობის ფაქტი არ იძლევა თუნდაც რაიმე მითითებას მისი გამოთვლის ხერხისა და სასრული ფორმით, ანუ ელემენტარული ფუნქციების სასრული კომბინაციის სახით მისი წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ. სასრული ფორმით ინტეგრალების პოვნის მრავალი სირთულე გადაჭრა ჟ. ლიუვილმა (1809–82). შედგენილია განუზღვრელ და განსაზღვრულ ინტეგრალთა ვრცელი ცხრილები, მ. შ. ელექტრონულ-ციფრულ ფორმატში. ინტეგრალთა გამოთვლის ზოგადი ალგორითმი ნაპოვნია მხოლოდ ზოგიერთი ტიპის ფუნქციებისთვის. ამ მიმართულებით შემდგომი წინსვლა უკავშირდება ინტეგრების სიმბოლური ალგორითმების შექმნას და განვითარებას, რაც შესაძლებელი გახდა თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. მაგ., ალგორითმი, რ-იც შეიმუშავა ამერ. მათემატიკოსმა რ. რიშმა (1968), იძლევა საშუალებას გაირკვეს, ელემენტარულია თუ არა მოცემული ელემენტარული ფუნქციის პირველადი და დადებითი პასუხის შემთხვევაში პოულობს ამ პირველადს. რამდენადაც $f(x)$ ფუნქციის პირველადის გამოთვლა, ანუ ინტეგრების ოპერაცია, გარკვეული აზრით დიფერენცირების შებრუნებული მოქმედებაა, ზოგიერთი ავტორი იყენებს ტერმინს „ანტიდიფერენციალი“ და აღნიშნავს განუზღვრელ ინტეგრალს სიმბოლოთი D^{-1}. ასეთი აღნიშვნა მოსახერხებელია ე. წ. არამთელი რიგის დიფერენციალებისა და ანტიდიფერენციალების განხილვისას, რაც მათ. ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა.

Ი. ა. შეისწავლის ერთი დამოუკიდებელი ცვლადის $f(x)$ ფუნქციის განსაზღვრული ინტეგრალის მრავალრიცხოვან განზოგადებებს

Ი. ა. შეისწავლის კავშირებს სხვადასხვა ჯერადობის ინტეგრალებს შორის. არსებობს ე. წ. ინტეგრალური ფორმულები – გაუსის ფორმულა, რ-იც აკავშირებს სივრცით (მოცულობით) ინტეგრალს ამ მოცულობის საზღვარზე გამოთვლილ ინტეგრალთან (შევნიშნოთ, რომ ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულა წარმოადგენს გაუსის ამ ფორმულის კერძო შემთხვევას); სტოქსის ფორმულა, რ-იც აკავშირებს (გამრუდებულ) ზედაპირზე გამოთვლილ ინტეგრალს ამ ზედაპირის შემომსაზღვრელ (ჩაკეტილ) წირზე გამოთვლილ ინტეგრალთან და სხვ.

გამოყენებითი ხასიათის მრავალი ამოცანა მოითხოვს ინტეგრალის ცნების გავრცელებას იმ შემთხვევებისთვის, როცა $f(x)$ ფუნქცია არაა შემოსაზღვრული თავისი განსაზღვრის $[a, b]$ მონაკვეთზე ან განსაზღვრულია უსასრულო მონაკვეთზე. მაშინ, მაგ., $\int_a^\infty f(x)dx$ განისაზღვრება ზღვრული გადასვლის გამოყენებით, როგორც $\lim \int_a^b f(x)dx$ როცა $\alpha\to a,\ b\to\infty$. თუ $f(x)$ არაა შემოსაზღვრული მისი განსაზღვრის $[a,b]$ მონაკვეთის რაიმე $c\in[a,b]$ წერტილში, მაშინ $\int_a^b f(x)dx$ განისაზღვრება, როგორც

$$\lim\left[\int_a^{c-\alpha} f(x)dx+\int_{c+\beta}^b f(x)dx\right],$$

როცა $\alpha\to0$, $\beta\to0+$ (ნულისკენ მისწრაფება ხდება მარჯვნიდან). ინტეგრალის ამ განზოგადებებს არა საკუთრივი ინტეგრალი ეწოდება. თუ ზღვრები ზემოთ მოყვანილ ფორმულებში არ არსებობს, არასაკუთრივ ინტეგრალს განშლადს უწოდებენ. ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ არსებობდეს, მაგ., ზღვარი

$$\lim\left[\int_a^{c-\alpha} f(x)dx+\int_{c+\alpha}^b f(x)dx\right],$$

როცა $\alpha\to0+$. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ არსებობს $\int_a^b f(x)\,dx$ კოშის მთავარი მნიშვნელობით.

Ი. ა-ის მეთოდებსა და შედეგებს ფართოდ იყენებენ მექანიკაში, თეორიულ ფიზიკაში, ეკონომიკურ მოდელირებაში და სხვ.

საქართველოში XVII–XIX სს-ში რენესანსისა და მომდევნო პერიოდის მიღწევებს Ი. ა-ში გამოხმაურება არ მოჰყოლია. მდგომარეობის შეცვლა დაიწყო 1918-იდან, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე. ა. *რაზმაძემ* მოამზადა და გამოსცა მათ. ანალიზის სამი სახელმძღვანელო (ორი სიცოცხლეშივე, 1920 და 1923), სადაც Ი. ა. აისახა ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოცემულ შესაბამის ლიტერატურასთან კავშირში. 1938 დაისტამბა ლ. *გოკიელის* სახელმძღვანელო „მათემატიკური ანალიზის შესავალი“, რ-იც 1948-იდან ჩაანაცვლა ე. წ. „ოთხი ავტორის“ (ა. *ხარაძე*, ვ. *ჭელიძე*, ბ. *ხვედელიძე*, ი. *ქარცივაძე*) ორტომეულმა „მათემატიკური ანალიზის კურსი“. ამასთან, უნდა აღინიშნოს ინტეგრალის ცნების განვრცობისა და განზოგადების ცდები ქართვ. მეცნიერთა მიერ. ამ მიმართულებით აღიარებული შედეგები ეკუთვნის ა. რაზმაძის მოწაფეს ვ. ჭელიძეს

(იხ. სტ. *დანყუას ინტეგრალი*). XX ს. 80-იანი წლების ბოლოს ი. ქარცივაძის ავტორობით გამოიცა მათ. ანალიზის თანამედროვე კურსი, სადაც აისახა, პირველ რიგში, დიოდონეს (საფრანგეთი), რუდინის (აშშ), ზორიჩის (რუსეთი) და სხვათა შეხედულებები. XX ს. II ნახ-იდან რ. კურანტისა და ლ. ბერსის ძალისხმევით, ი. ა-ის სასწავლო კურსებს დაემატა ე. წ. ,,კალკულუსის'' სწავლებაც, რაც მიზნად ისახავდა კლასიკური მათ. ანალიზის (თეორიული კურსის) რეალურ ანალიზამდე მიყვანას. ეს მიმართულება ვითარდება საქართ. უმაღლესი განათლების სისტემაშიც. ვითარდება განსაზღვრული ინტეგრალის რიცხობრივი გამოთვლის (კვადრატურული პროცესების) მეთოდებიც. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია თ. *ვაშაყმაძის* შედეგები. XX ს. ბოლოდან დაწყებული ქართვ. მათემატიკოსების მიერ (ს. *თოფურია*, პ. *ზერაგია* და სხვ.) გამოცემულია მრავალი სახელმძღვანელო ი. ა-სა და კალკულუსის საფუძვლებში, როგორც მათ. სპეციალობების, ასევე ეკონომისტებისა და სხვა სპეციალობების სტუდენტებისთვის.

ლიტ.: რაზმაძე ა., ინტეგრალური აღრიცხვის კურსი, ნაწ. 1 – განუსაზღვრელი ინტეგრალები, ტფ., 1922; ჭელიძე ვ., წითლანაძე ე., მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. 1–2, თბ., 1963–68; ხარაძე ა., ქარცივაძე ი., მათემატიკური ანალიზის კურსი, თბ., 1963–68; Курант Р., Курс дифференциального и интегрального исчисления, 4-е изд., т.1–2, М., 1967–70; Фихтенгольц Г. М., Курс дифференциального и интегрального исчисления, 7-е изд., т. 2, М., 1969; Bronstein M., Symbolic Integration, I – Springer, 2005; Geddes K. O., Czapor S. R., Labahn G., Algorithms for Computer Algebra. – Kluwer Academic Publishers, 1992.

ი. ლომიძე.

ინტეგრალური განტოლება, განტოლება, რომელიც საძიებელ ფუნქციას ინტეგრალის ნიშნის შიგნით შეიცავს. ფიზ. და მათ.-ფიზ. მრავალრიცხოვან ამოცანებს მივყავართ სხვადასხვა ტიპის ი. განტოლებამდე. პირველი $_b$ გვარის წრფივი ი. გ. ეწოდება $\int_a K(x,t)\,u(t)\,dt = f(x)$ სახის განტოლებას, ფრედჰოლმის მეორე გვარის ი. გ. – განტოლებას $u(x)-\lambda\int_a^b K(x,t)u(t)dt=f(x)$ (თუ $f(x)\equiv 0$, მაშინ მას ეწოდება ფრედჰოლმის ერთგვაროვანი ი. გ.). ყველა განტოლებაში ფუნქცია $K(x,y)$ – ი. გ-ის ბირთვი – ცნობილია და განსაზღვრულია $\alpha\le x\le b$, $\alpha\le y\le b$ კვადრატზე; ასევე ცნობილია ფუნქცია $f(x)$ ($\alpha\le x\le b$) და λ პარამეტრი. საძებნია ფუნქცია $u(x)$ ($\alpha\le x\le b$). $K(x,y)$, $f(x)$, $u(x)$ ფუნქციებსა და λ პარამეტრს შეუძლია მიიღოს როგორც ნამდვილი, ისე კომპლ. მნიშვნელობები. თუ ბირთვი $K(x,y)$ ნულის ტოლი ხდება, $K(x,y)=0$, როდესაც $y>x$, მიიღება ე. წ. ვოლტერას ი. გ.:

$$u(x)-\lambda\int_a^x K(x,t)\,u(t)\,dt=f(x).$$

ი. გ-ს ეწოდება განსაკუთრებული ან სინგულარული, თუ ინტეგრების ერთი საზღვარი მაინც არის უსასრულო ან თუ ბირთვი $K(x,y)$ სინგულარულია $\alpha\le x\le b$, $\alpha\le y\le b$ კვადრატის ერთ ან რამდენიმე წერტილში ან რომელიმე წირზე.

ი. გ. შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ცვლადის ფუნქციებისათვის. ასეთია, მაგ., ი. გ.

$$u(x,y)-\lambda\int_{a_1}^{b_1}\int_{a_2}^{b_2} K(x,y,s,t)\,u(s,t)dsdt=f(x,y).$$

განიხილავენ აგრეთვე არაწრფივ ი. გ-ებს, მაგ.,

$$u(x)=\lambda\int_a^b K(x,t)f[u(t),t]dt$$

(ჰამერშტაინის ი. გ.) ან

$$u(x)=\lambda\int_a^x K(x,t,u(t)]dt$$

(ვოლტერას არაწრფივი ი. გ.) და სხვ.

ფრედჰოლმის მეორე გვარის ი. გ-ის ამონახსნი $u(x)$ იძებნება შემდეგი მეთოდებით: 1. ვოლტერა-ნეიმანის მეთოდი: $u(x)$ იძებნება λ-ს ხარისხების მწკრივის სახით, რ-ის კოეფიციენტები დამოკიდებულია x-ზე: $u(x)=\sum_{j=0}^{\infty}\lambda^j(K^jf)(x)$ (ე. წ. ლიუვილ-ნეუმანის მწკრივი); აქ $(Kf)(x)\equiv\int_a^b K(x,t)(K^{j-1}f)(t)dt$, $(Kf)(x)\equiv\int_a^b K(x,t)(f)dt$. ეს მწკრივი კრებადია, როცა პარამეტრი λ საკმარისად მცირეა: $|\lambda||b-a|\max_{a\le x,t\le b}|K(x,s)|<1$;

2. ფრედჰოლმის მეთოდი: $u(x)$ ამონახსნი λ-ის იმ მნიშვნელობებისთვის, რ-თათვისაც ის არსებობს, გამოისახება λ ცვლადის მთელი ფუნქციების საშუალებით; 3. ჰილბერტ-შმიდტის მეთოდი: იმ შემთხვევაში, როდესაც ბირთვი სიმეტრიულია, ე. ი. როცა $K(x,y)\equiv K(y,x)$ ამონახსნი $u(x)$ გამოისახება ორთოგონალურ $u_k(x)$ ფუნქციათა მწკრივების საშუალებით, ამასთან, ფუნქციები $u_k(x)$ აკმაყოფილებს შესაბამის ერთგვაროვან განტოლებას:

$$u_k(x)-\lambda\int_a^b K(x,t)\,u_k(t)dt=0;$$

4. ზოგიერთ კერძო შემთხვევაში ამონახსნი მარტივად მოიძებნება ლაპლასის გარდაქმნის საშუალებით; 5. იმ შემთხვევაში, როდესაც $K(x,y)=\sum_{i=1}^{n}p_i(x)q_i(y)$ (ე. წ. გადაგვარებული ბირთვი), $u(x)$-ის მოძებნა დაიყვანება ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე.


ი. გ-ზე ხშირად დაიყვანება ჩვეულებრივი ან *კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების* სასაზღვრო ამოცანები; ასეთ დაყვანას აქვს როგორც თეორ., ისე პრაქტ. მნიშვნელობა. ი. გ-ებს ფართოდ იყენებენ მექანიკაში, დრეკადობის თეორიაში, თეორიულ ფიზიკაში, კერძოდ, *ველის კვანტურ თეორიაში*.

საქართველოში ი. გ-ების გამოყენება და განვითარება უკავშირდება ნ. *მუსხელიშვილის*, ა. *ბიწაძის*, ი. *ვეკუას*, ვ. *კუპრაძის* და სხვათა სახელებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მუსხელიშვილის გამოკვლევები სინგულარული ი. გ-ების მიმართულებით.

ლიტ.: მუსხელიშვილი ნ., სინგულარული ინტეგრალური განტოლებები: ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები და მათი ზოგიერთი გამოყენება მათემატიკურ ფიზიკაში, გამოც. მე-3, თბ., 1982; Краснов М. Л., Интегральные уравнения, М., 1975; Петровский И. Г., Лекции по теории интегральных уравнений, 3 изд., М., 1965; Смирнов В. И., Курс высшей математики, 6-е изд., т. 4, ч. 1, М., 1974.

ინტეგრალური სქემები, თანამედროვე ელექტრონიკის ძირითადი ელემენტური ბაზა. ინტეგრალური სქემა (მიკროსქემა) ეწოდება მიკროელექტრონულ ხელსაწყოს, რ-იც ასრულებს ელექტრომაგნ. სიგნალების მიღების, გარდაქმნისა და დამუშავების, აგრეთვე ინფორმაციის შენახვის გარკვეულ ფუნქციას, ხასიათდება ელემენტების ჩაწყობის მაღალი სიმკვრივით, მზადდება ერთიან ტექნოლ. ციკლში ერთ საფენზე, კონსტრუქციულად განუყოფელია და გამოცდის, მიღების, მიწოდებისა და ექსპლუატაციისადმი წაყენებული მოთხოვნების თვალსაზრისით განიხილება როგორც ერთი მთლიანი.

ფიზიკურად ი. ს. წარმოადგენს ერთ საფენზე განთავსებულ ერთმანეთთან დაკავშირებულ კომ-



ინტეგრალური სქემა.

პონენტთა (დიოდების, ტრანზისტორების, კონდენსატორების, რეზისტორების და სხვ.) ერთობლიობას, რ-იც ასრულებს ინფორმაციის გარდაქმნის გარკვეულ ფუნქციას.

ტერმინი ,,ინტეგრალური'' აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ი. ს-ის კომპონენტები კონსტრუქციულად გაერთიანებულია (ინტეგრირებულია) ერთ ხელსაწყოში, რ-საც უფრო რთული ფუნქციის შესრულება შეუძლია, ვიდრე ცალკეულ კომპონენტებს.

კომპონენტებს, რ-ებიც შედის ი. ს-ის შემადგენლობაში და რ-ებიც არ შეიძლება გამოიყოს მისგან დამოუკიდებელი ხელსაწყოს სახით, ეწოდება ი. ს-ის ელემენტები.

პირველი ი. ს. შეიქმნა XX ს. 60-იანი წლების დასაწყისში ნახევარგამტარების ფიზ. და ტექნოლ., აგრეთვე ელექტრონიკის განვითარების შედეგად. ი. ს-ის შექმნამ და მათი წარმოების განვითარებამ განაპირობა ელექტრონიკის პერსპექტიული მიმართულების – *მიკროელექტრონიკის* წარმოშობა.

ცნობილია ორი პრინციპულად სხვადასხვა ი. ს. – ნახევარგამტარული და ფიროვანი. ნახევარგამტარული ი. ს. არის მიკროსქემა, რ-ის ელემენტები შექმნილია ნახევარგამტარის ზედაპირულ ფენაში. ფიროვან ი. ს-ში ელემენტებია სხვადასხვა ფირები, დაფენილი დიელექტრიკულ ფუძეზე. ფირების დაფენის მეთოდისა და ამასთან დაკავშირებული დაფენილი ფენის სისქის მიხედვით არჩევენ თხელფენოვან (1–2 *მკმ*) და სქელფენოვან (10–20 *მკმ*) სისქის ი. ს-ს. დაფენილი პასიური ელემენტების შემცველ ფუძეზე აქტ. ელემენტების (დიოდების, ტრანზისტორების) განთავსებით და პასიურ ელემენტებთან მათი შეერთებით მიიღება ე. წ. ჰ ი ბ რ ი დ უ ლ ი ი. ს. ზოგჯერ აქტ. ელემენტებს ამზადებენ ნახევარგამტარული კრისტალის ზედაპირულ ფენაში, ხოლო პასიურ ელემენტებს – ამ კრისტალზე წინასწარ შექმნილ იზოლირებულ ფენაში. ასეთ ი. ს-ს უწოდებენ შ ე თ ა ვ ს ე ბ უ ლ ს. თანამედროვე მიკროელექტრონიკის საფუძველს წარმოადგენს ნახევარგამტარული ი. ს.; ფიროვანი ი. ს. თითქმის აღარ გამოიყენება. ნახევარგამტარული ი. ს-ის განვითარება განაპირობა ტრანზისტორების მიღების პლანარული (ბრტყელი) ტექნოლ. შექმნამ. ასეთი ი. ს. იყოფა ორ კლასად: ბიპოლარული და ი. ს. სტრუქტურით მეტალი-დიელექტრიკი-ნახევარგამტარი (ე. წ. მდნ სტრუქტურა).

ი. ს-ის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ე. წ. ინტეგრაციის ხარისხი, რ-იც აჩვენებს კრისტალზე განლაგებული ელემენტების (მაგ., ტრანზისტორების) რაოდენობას და წარმოადგენს ი. ს-ის სირთულის შეფასების კრიტერიუმს. ინტეგრაციის ხარისხის მიხედვით არჩევენ მარტივ, საშუალო, დიდ და ზედიდ ი. ს-ს.

მიკროელექტრონიკის განვითარების ტენდენციას წარმოადგენს ინტეგრაციის ხარისხისა და ი. ს-ის მიერ შესრულებული ფუნქციის გაზრდა. ამჟამად ინტეგრაციის ხარისხმა მიაღწია 3 მილიონამდე ტრანზისტორს კრისტალზე, ხოლო ფუნქციურად ერთ ი.ს-ში წარმოდგენილია მთელი ელექტრონული სქემა (მაგ., მიკროპროცესორი).

ინტეგრაციის ხარისხის გარდა ი. ს-ს ზოგჯერ ახასიათებენ ჩაწყობის სიმკვრივით. ჩაწყობის სიმკვრივე ეწოდება ელემენტების (ძირითადად, ტრანზისტორების) რაოდენობას კრისტალის ერთეულოვან ფართზე (*ძმ*$^{-2}$). ეს მაჩვენებელი ახასიათებს არსებულ ტექნოლ. დონეს.

ი. ს. მიიღება ერთ კრისტალზე მისი ყველა ელემენტისა და მათი შეერთებების ერთდროული შესრულებით ერთ ტექნოლ. ციკლში, რ-იც შეიცავს სხვადასხვა ფიზ., ქიმ., მეტალურგიულ და სხვა პროცესებს. ამათგან ძირითადია:

* ეპიტაქსია – ნახევარგამტარული თხელი ფენების გაზრდა კრისტალზე;
* დაჟანგვა – ჟანგეულის დაფენა ნახევარგამტარულ კრისტალზე;
* ამოწამვლა – ნახევარგამტარულ სტრუქტურაში ლოკალური ადგილებიდან ჟანგეულის ფენების მოშორება (ე. წ. ფანჯრების გახსნა);
* ლეგირება – ნახევარგამტარში მინარევების შეყვანა დიფუზიის მეთოდით;
* ლითოგრაფია – ტოპოლოგიური სურათის გადატანა ნახევარგამტარის ზედაპირზე;
* მეტალიზაცია – კონტაქტებისთვის თხელი მეტალური ფენების დაფენა ნახევარგამტარულ სტრუქტურაზე.

ი. ს-ის წარმოების ტექნოლ. პროცესი მრვალოპერაციულია და ხანგრძლივი. დიდი ი. ს-ის დასამზადებლად სრულდება 800-ზე მეტი ოპერაცია; პროცესის ხანგრძლივობა 50 დღემდეა.

მიკროელექტრონიკაში ერთ ნახევარგამტარულ ფირფიტაზე მზადდება რამდენიმე ასეული (ათასეული) ი. ს.; ტექნოლ. ციკლში ერთდროულად მზადდება რამდენიმე ასეული ათეთი ფირფიტა, ანუ რამდენიმე ათასი (ასეული ათასი) ი. ს.

ი. ს-ის დამუშავების ძირითადი ეტაპებია:

* დაპროექტება (სქემოტექ. ეტაპი);
* კრისტალის დამზადება (ტექნოლ. ეტაპი);
* აწყობა, გაზომვა და გამოცდა (დამასრულებელი ეტაპი).

მთავარ ამოცანას, რ-იც დგას ი. ს-ის დამზადების სამივე ეტაპზე, წარმოადგენს მისი მაღალი ხარისხისა და საიმედობის შესაბამისი დონის უზრუნველყოფა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი სამეცნ.-კვლ. ინ-ტ *,,მიონში''* მუშავდებოდა როგორც სტანდ. ი. ს., კერძოდ, ბიპოლარული ციფრული სქემები და ი. ს. შოტკის დიოდებით, ასევე ორიგინ. დამუშავების სხვადასხვა დანიშნულების (მ. შ. წრფივი) სქემები. მათი წარმოება მიმდინარეობდა ,,მიონის'' ქარხანასა და მის ორ ფილიალში (ქ. თელავი და წალკის რ-ნის სოფ. ავრანლო). წარმოება უშვებდა რამდენიმე ათეულ მილიონ ი. ს-ს წელიწადში. ინ-ტში ათვისებულ იქნა მდნ სტრუქტურების მიღების ტექნოლოგია და დამუშავდა ი. ს. ამ სტრუქტურებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ,,მიონის'' მიერ სპეც. ტიპის ი. ს-ის შექმნა სპეცტექნიკისათვის, ე. წ. ,,სილიციუმი საფირონზე'' სტრუქტურით; ამ მიმართულებით ინ-ტი წამყვანი იყო სსრკ-ის მასშტაბით. აქ მიმდინარეობდა ი. ს-ზე რადიაციის გავლენის შესწავლა, ინტენს. კვლევები გალიუმის არსენიდზე (GaAs) ი. ს-ის შესაქმნელად და სხვ.

,,მიონისა'' და მისი ქარხნის მიერ გამოშვებული ი. ს. ფართოდ გამოიყენება სპეც. აპარატურაში, სამხ. ტექნიკასა და მასობრივი მოხმარების მოწყობილობებში როგორც სსრკ-ის მასშტაბით, ისე საზღვარგარეთ. მილიონობით ი. ს. იგზავნებოდა ექსპორტზე.

ლიტ.: ბ ე ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ა., ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკა, თბ., 2009; Е ф и м о в И. Е., К о з ы р ь И. Я., Г о р б у н о в Ю. И., Микроэлектроника, M., 1987; Microelectronic circuits, ed.: A. S. Sedra, K. C. Smith., N.Y., 1987.

რ. ჩიქოვანი.

,,ინტელექტი'', გამომცემლობა. დაარსდა 1994 თბილისში (ხელმძღვ. – კ. კუდავა). ,,ი-ს'' აქვს რამდენიმე საავტორო სერია, მათ შორისაა: ,,ნობელის პრემიის ლა-

ურეატები'', ,,100 ლექსი'', ,,ჩანაწერები'', ,,ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი'' და ა. შ. ამ სერიებით გამოიცა როგორც ქართულ ენაზე შექმნილი, ასევე სხვა ენებიდან თარგმნილი თანამედროვე და კლასიკური პოეზიისა და პროზის არაერთი ნიმუში.

,,0.'' გამოსცემდა სახელმძღვანელოებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლებისათვის, ყოველთვიურ სალიტ. ჟურნალ ,,ქართულ მწერლობას''.

,,0-თვის'' მნიშვნელოვანი პროფილებია: სამეცნ.-პოპულ. ლიტერატურა, ლექსიკონები და საბავშვო ლიტ-რა. *თ. დოლიძე.*

ინტელექტუალური საკუთრება, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შემადგენელი უფლებები, რომელთა ერთობლიობაც შეადგენს ინტელექტუალური შემოქმედებით დაკავებულ ადამიანთა ქონებას. მათი ობიექტია ადამიანის ინტელექტუალური შემოქმედების ნებისმიერი შედეგი, რ-იც დაცულია სამრეწვ. და კომერციულ ურთიერთობებში უნებართვო გამოყენებისაგან. იურიდ. ცნება „ინტელექტუალური საკუთრება" ამჟამინდელი გაგებით დამკვიდრდა 1967 0. ს-ის მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ. ამ კონვენციის მე-2 (VIII) მუხლი იძლევა 0. ს-ის ობიექტების ჩამონათვალს, რ-იც არ არის (და არც შეიძლება იყოს) ამომწურავი. იგი მოიცავს ლიტ-რას, ხელოვნებასა და სამეცნ. ნაშრომებს; მსახიობთა შესრულებას და მათ ჩანაწერებს, რადიო- და ტელეგადაცემებს; გამოგონებებს, დაკავშირებულს ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროსთან; მეცნ. აღმოჩენებს; სამრეწვ. ნიმუშებს (დიზაინებს); სასაქონლო და მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებს და სხვა კომერციულ აღნიშვნებს; აგრეთვე ითვალისწინებს ჩამოთვლილი და სხვა მსგავსი ობიექტების გამოყენებით წარმოქმნილი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას.

0. ს-ის ერთ-ერთი სფეროა **საავტორო სამართალი** – ინტელექტუალურ უფლებათა სამართლის ნაწილი, რ-იც აწესრიგებს ლიტერატურასთან, მეცნიერებასთან და ხელოვნებასთან დაკავშირებულ ინტელექტუალური შემოქმედების შედეგით წარმოქმნილ ურთიერთობებს. საავტორო სამართ. უფლებები წარმოიშობა და ძალას იძენს ავტომატურად, ინტელექტუალური შემოქმედების შედეგის ობიექტური ფორმით გამოხატვასთან ერთად. საავტორო სამართლებრივ პირად არაქონებრივ უფლებებს ეკუთვნის ავტორად და შემსრულებლად აღიარების მოთხოვნის, სახელის, ნაწარმოების გამოქვეყნებისა და ხელშეუხებლობის უფლებები. მათი სხვა პირთათვის გადაცემა დაუშვებელია. განსაკუთრებული უფლებები ვრცელდება ნაწარმოების, შესრულების, ჩანაწერისა და სამაუწყებლო გადაცემის ნებისმიერი სახით უნებართვო გამოყენებაზე (სარგებლობაზე); ამ უფლებათა სხვა პირისათვის გადაცემა დასაშვებია ჩვეულებრივი ქონების მსგავსად.

0. ს-ს ეკუთვნის აგრეთვე **სამრეწველო საკუთრება** – სამრეწვ. საკუთრების სამართლის შემადგენელი, მრეწველობასთან და კომერციასთან დაკავშირებული ქონებრივი ინტელექტუალური უფლებები, რ-ებიც ვრცელდება ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროსთან დაკავშირებულ გამოგონებებზე, სასარგებლო მოდელებზე (მცირე გამოგონებებზე), სამრეწვ. ნიმუშებზე (დიზაინებზე), სასაქონლო და მომსახურების ნიშნებზე, საფირმო სახელწოდებებზე, გეოგრ. აღნიშვნებზე და მათთან დაკავშირებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთაზე. ცნება ,,სამრეწველო საკუთრება'' დამკვიდრდა 1883 სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის ამოქმედების შემდეგ.

0. ს-ს უკავშირდება საერთაშორისოდ აღიარებული ცნობილი ტერმინი ,,ნოუ-ჰაუ'' – სამრეწვ. და კომერციული საიდუმლოება, რ-საც შეაღგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, კონკურენტულ გარემოში გამოსაყენებელი ინტელექტუალურ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცოდნა (ინფორმაცია) – საიდუმლოების დაცვა უზრუნველყოფილია ტექ. და ორგანიზაციული ღონისძიებებით. ნოუ-ჰაუს ეკუთვნის, მაგ., საიდუმლოდ შენახული გამოგონებები, რეცეპტები, ლაბორ. ცდების შედეგები, კომერციული პარტნიორების სიები და ეკონ. ურთიერთობებში გამოსაყენებელი სხვა მონაცემები.

0. ს. დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

ლიტ.: ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური უფლებები, თბ., 2006; მისივე, ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბ., 2013; ჯორბენაძე ს., ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1998.

დ. ძამუკაშვილი.

ინტელიგენცია (ლათ. Intelligentia – შემეცნებითი ძალა, ცოდნა < intelligens > მოაზროვნე, გონიერი), სოციალური ფენა, რომელიც გონებრივ, შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, ამავე დროს ხელს უწყობს კულტურის განვითარებასა და გავრცელებას. მისთვის დამახასიათებელია დას. ფასეულობებზე დამყარებული მეტ-ნაკლებად საერთო ღირებულებანი, ქვეყნის ევროპეიზაცია-მოდერნიზაციისაკენ და პროგრესისაკენ სწრაფვა. 0-ის საერთო თვისებებია განათლება, დამოუკიდებელი, კრიტ. აზროვნება, კეთილშობილება, სულიერება, ჰუმანიზმი, ცივილიზებული ქცევის მანერები, მაღალი მორალურ-ზნეობრივი პრინციპები და ა. შ. ტერმინი 0-ის სოც. საზრისი წარმოიშვა პოლონეთში და აქედან გავრცელდა რუსეთში (თუმცა XIX ს. 60-იან წლებში ამ ტერმინის პირველი შემომტანი პ. ბიბრო-კინი ამტკიცებდა, რომ იგი გერმანული სინამდვილიდან აიღო, სადაც intelligenz ინტელექტუალური საქმიანობით დაკავებულ ადამიანთა ფენას ასახავს), შემდეგ კი დამკვიდრდა სხვა ენებში. XIX ს. 40-იანი წლებიდან პოლონეთში 0-დ მიიჩნევდნენ პატრიოტ, უმაღლეს სასწავლებლებში ღრმად და საფუძვლიანად განსწავლულ ადამიანებს. ლიდერებს, რ-თაც შეეძლოთ გაეწიათ მთელი საზ-ბის, ერისა და ქვეყნის წინამძღოლობა. პოლონეთში 0-ის გაგება დაუკავშირდა განათლებულ, მცოდნე, დამსახურებული წარმოშობის ახალ არისტოკრატულ იდეას, რ-იც ჩამოყალიბების შემდეგ ჩაანაცვლებდა მემკვიდრეობით არისტოკრატიას. რუსეთში კი 0-ის საქმიანობა რაღაც მესიანისტურ სიმაღლემდე იყო ასული, თუმცა ახასიათებდა კრიტ. აზროვნება, მონაწილეობდა არა მარტო ინტელექტუალურ მოძრაობებში, არამედ ქვეყნის საზ. ცხოვრების ყველა სფეროში, ხოლო რადიკალური ნაწილი აქტიურად მოქმედებდა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა პოლიტ. გაერთიანებას, ღიად უჭერდა მხარს 1905–07 და 1917 თებერვლის რევოლუციებს, ხოლო მცირე ნაწილი – 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებასაც.

საქართველოში ი-ის ბუნდოვანი კონტურები, იმის მიუხედავად, რომ თავად ტერმინი ჩვენში XIX ს-ში დამკვიდრდა, XVII ს. ისახება, როდესაც დას. ევროპასთან გაცხოველდა სავაჭრო ურთიერთობა და ვაჭრებს ელჩები, მეცნიერები, მისიონერები მოყვნენ. გარდა სარწმუნოებრივი საქმიანობისა, მათ ,,საერო'' მოქმედებითაც (ექიმები, მხატვრები ასწავლიდნენ ლათინურ და ევროპულ ენებს) მოიცვეს ქვეყანა. სიტყვა ,,ფრანგი'' ევროპელსა და კათოლიკესთან ერთად ნასწავლის, განათლების სინონიმად იქცა. მისიონერები ქართველ მოღვაწეებს აცნობდნენ ევროპაში მიმდინარე პოლიტ. პროცესებს და მათაც აქეთკენ მოუწოდებდნენ. აღნიშნულის გაგრძელება იყო ვახტანგ VI-ის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი საქმიანობაც, ხოლო ის სათავეები უნდა დავინახოთ XVIII ს. ბოლო პერიოდისათვის. მეტი პროგრესი საჯარო განათლებაში სწორედ ამ დროიდან შეინიშნება, როდესაც მრავალ მონასტერში აღდგა ან თავიდან გაიხსნა სკოლები, 1755 კი თბილისსა და თელავში დაარსდა სას. აკადემიები, სადაც ასწავლიდნენ თეოლოგიას, გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, მათემატიკას და სხვ. ამ საქმეში თავისი სიტყვა თქვეს კათოლიკე მისიონერებმაც. 1749 აღდგა 20-იან წლებში გაუქმებული ქართული სტამბა, რ-ის მუშაობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა კალიგრაფიულ საქმიანობას, XVIII ს. II ნახ-ში კალიგრაფთა სპეციალური კურსებიც კი არსებობდა. ქართლ-კახეთის სამეფოში აქტიურად იღვწოდნენ ევროპ. მეცნიერების, ფილოსოფიის, მწერლობის გადმოსანერგად – თარგმნიდნენ ფიზიკის, ფილოსოფიურ, მათემატიკურ, საბუნებისმეტყველო, სამხ. ხასიათის თხზულებებსა და სახელმძღვანელოებს. რადიკალური რეფორმებია დასახული ი. ბატონიშვილის შემუშავებულ პროექტში, რ-იც ითვალისწინებდა სახელმწ. წყობილების შეცვლა-გაუმჯობესებას, ევროპულად გამართვას, სამი უმაღლესი ტიპის ლიცეუმის გახსნას, თუმცა ყოველივეს წერტილი დაუსვა 1801 ანექსიამ.

ახალ ისტორიულ ვითარებაში, 1802 თბილისში დაარსდა კეთილშობილთა სასწავლებელი, რ-იც 1830 გადაკეთდა გიმნაზიად და მიზნად ისახავდა ქართული ფეოდ. არისტოკრატიის მსახურეულ არისტოკრატიად გარდაქმნას, რაც თანდათან წარმატებით განხორციელდა. დაარსდა გაზეთები (,,საქართველოს გაზეთი'', ,,*ტფილისის უწყებათანი*'', ,,*სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი*'', მოგვიანებით ,,*კავკასიის მხარეთა უწყებანი*''), ქართვ. ახალგაზრდობა ეზიარა უმაღლეს განათლებას (ს. დოდაშვილი, ე. ერისთავი და სხვ.), სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლებულ ბატონიშვილებსა თუ მათ თანამოაზრეებს, ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, აღარ აკმაყოფილებდათ რუსეთსა და ანექსირებამდელ საქართველოში შემოსული მოწინავე, პროგრესული აზრების, განსაკუთრებით ფრანგ განმანათლებელთა იდეების გაცნობა-მიღება. ცდილობდნენ გარშემომყოფნი ეზიარებინათ ახალი იდეების, ქცევის ნორმებისა თუ ეპოქისათვის დამახასიათებელი სიახლეებისადმი, რაშიც თავისი წვლილი შეჰქონდა ქვეყანაში არსებულ ლიტ. წრეებსა და სალონებს, ,,ტფილისის კერძო ბიბლიოთეკას''. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ხელისუფლების მხრიდან ქართველ თავადებთან აზნაურების გათანაბრება, თავადაზნაურთა საკრებულოს დაარსება და თავადაზნაურობის, როგორც საერთო უფლების მქონე წოდებრივი ერთეულის, გამოსვლა საზ. პოლიტიკურ ასპარეზზე.

აღნიშნულმა გარემოებებმა ერთობლიობაში საფუძველი ჩაუყარა ქართველი ი-ის ჩამოყალიბებას, რ-იც, ორიოდე გამონაკლისის გარდა, მთლიანად თავადაზნაურული იყო. მიუხედავად პირველი თაობის ი-ის რეაქციული, კონსერვატორული, არისტოკრატიულ-ლიბერალური ჯგუფების საერთო სოციალური კონსერვატიზმისა, მისი არისტოკრატიულ-ლიბერალური ნაწილი, წოდებრივი თანამოძმეებისაგან განსხვავებით, გამოდიოდა თავადაზნაურობის შიდასოციალური ბარიერების წინააღმდეგ და გაბატონებული წოდების (თავადობა, აზნაურობა) შიგნით იღვწოდა დემოკრატიზმისა და თავისუფლების დასამკვიდრებლად, რითაც ახდენდა პროგრესულ გავლენას მაშინდელ ქართ. საზოგადოებაზე, ი-ის რეაქციული და კონსერვატორული ჯგუფების ჩათვლით. 1832 წლის შეთქმულებისას განცდილი მარცხის შემდეგ ი-მ მოახერხა მნიშვნელოვანი სტიმული მიეცა კოლონიურ უღელში მყოფი საქართველოსა და ქართველთა პოლიტ.-კულტურული გამთლიანება-აღმავლობისათვის, ქართვ. ერის კონსოლიდაციისათვის. ჟურნალის (,,ცისკარი'') დაარსება, ბიბლიოთეკის გამართვა, ქართ. ხელნაწერი წიგნებისა თუ საქართველოს ისტ. წყაროების, პოეზიაზე, საერთოდ ლიტრაზე ზრუნვა და სხვა ქმედებები ამ მიზანს ემსახურებოდა და თავისი წვლილი შეჰქონდა ერის შემდგომი წინსვლის, მისი თვითშეგნების გამომუშავება-დადგინებაში.

უკვე XIX ს. I ნახ-ის ბოლო წლებიდან გაისმის ი-ის პროტესტი არსებული სოც. სიმახინჯის – ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ, რამაც მეტი გაბედულება, დინამიკურობა და მასშტაბურობა შეიძინა 60-იან წლებში, რუსეთის იმპერიის დიდი რეფორმების ხანაში, საზ. ასპარეზზე გამოსულმა ქართ. კლასიკური ლიბერალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლებმა – თერგდალეულებმა (ი. ლიბერალ-დემოკრატ-ნაციონალისტთა ახალმა თაობამ), რ-თა შორის იყვნენ ლიბერალ-კონსერვატორ-დემოკრატი და ლიბერალ-რადიკალ-დემოკრატი მამულიშვილები. ი-მ საკუთარი თვალთახედვის არეალში მოაქცია ქვეყნის ცხოვრების ყველა სფერო, გამოკვეთა თავისი ეროვნ.-დემოკრ. პროგრამა – გადაჭრით უარყო ბატონყმობა (ადამიანის პიროვნული თავისუფლების გამქელავი სისტემა), წინ წამოსწია ისეთი საკითხები, თემები და პრობლემები, რ-თა მიზანი იყო ,,ჩვენი დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა მოსალოდნელის ფათერაკისაგან'' – ე. ი. საერთო-ეროვნულ თვითშეგნებაზე ზრუნვა, ქვეყნის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ეროვნ. სუვერენიტეტისათვის ბრძოლა, რაშიც ქვეპრობლემებად კონსოლიდირდებოდა მრავალი სხვა საკითხი. აქეთკენ იყო მიმართული პერიოდული ორგანოების (,,*საქართველოს მოამბე*'', ,,*დროება*'', ,,*ივერია*'', ,,*ობზორ*'', ,,სასოფლო გაზეთი'' და სხვ.), წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, სკოლების, ბანკების, სხვა საზ.-კულტურულ დაწესებულებებში მოღვაწე ი-ის ძალისხმევა.

ქართველი ი-სთვის ასევე ნაცნობია დასავლეთში უკვე საკმაოდ გავრცელებული სოციალ. იდეები,

მისი მიმდევრების თეორ. თუ პრაქტიკული საქმიანობა. ქართვ. Ო-ის ერთი ნაწილი ეხმაურება იმ პრობლემებსა და პროცესებს, რ-იც ხორციელდება ევროპის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ლიბერალური სოციალიზმით გატაცებული Ო-ის ეს ჯგუფი ცდილობს ეროვნ. საკითხის ეკონ. წარმატების საკითხთან, მისი მეშვეობით კი სოციალისტურ აზროვნებასთან დაკავშირებას და რადგან მათ მსოფლმხედველობაში წამყვანი ადგილი ეროვნულ საკითხს ეთმობა, ისინი მოკლე ხანში სწრაფად, უმტკივნეულოდ, ბუნებრივად ავსებენ ქართ. კლასიკური ლიბერალურ-დემოკრატიული Ო-ის რიგებს.

ამათგან განსხვავდება XIX ს. 70-იან წლებში ასპარეზზე გამოსული რუს სოციალისტ-რევოლუციონერ ნაროდნიკთა იდეურად თანამოაზრე ქართველ ხალხოსან ინტელიგენტთა ჯგუფი, რ-ებიც გამოხატავენ გლეხობის ინტერესებს, მოითხოვენ მსხვილი მიწათმფლობელობის გაუქმებას, მიწის უფასოდ გადაცემას ღარიბებისათვის და ა.შ. თავიანთი პერიოდული ორგანოებითა თუ ორგანიზაციებით Ო-ის ეს თაობა იღვწის საკუთარი მოთხოვნების რეალიზაციისათვის და უპირისპირდება Ო-ის ლიბერალურ-დემოკრატიულ ნაწილს. საქართველოში არსებული იდეური გარემო და რუსული პირობებისაგან ქართული სინამდვილის პრინციპული განსხვავებულობა 80-იანი წლებისთვის აიძულებს ქართველ ხალხოსან Ო-ს ხელი აიღონ რუსი ნაროდნიკების გავლენით მიღებულ თეორიულ წარმოდგენებზე. ისინი იკრიბებიან ი. *ჭავჭავაძის* გარშემო და მასთან ერთად განაგრძობენ საზ.-კულტურულ საქმიანობას.

XIX ს. 90-იანი წლებიდან, განსაკუთრებით XIX–XX სს. მიჯნიდან თანდათან უფრო მრავალმხრივი ხდება ქართული Ო-ის ინტერესები, ფართოვდება ის სოციალური წრე, საიდანაც ივსება მათი რიგები. ესენი მასწავლებლები, იურისტები, ექიმები, ჟურნალისტები, გამომცემლობათა თანამშრომლები, მოსწავლეები, რუსეთის იმპერიისა თუ მის ფარგლებს გარეთ მყოფი სტუდენტები და პროფესურა, სხვადასხვა საზოგადოებების (წერაკითხვის გამავრცელებელი, საისტორიო-საეთნოგრაფიო, თეატრალური და სხვ.) წარმომადგენლები თბილისისა და ქუთაისის ბანკის თანამშრომლები, ქართული სპეციფიკიდან გამომდინარე – სამღვდელოებაც. კვლავაც აქტიურია თერგდალეულ ლიბერალ-დემოკრატ-ნაციონალისტთა სახელოვანი თაობა. ყოფილ ხალხოსანთა ნაწილიც, ფასეულობათა გადაფასების შემდეგ კაპიტალიზმს პროგრესულ მოვლენად აცხადებს, გვევლინება ეროვნ. ბურჟუაზიის დამცველად და ახალ რეალობაში ახალ პოლიტ. მიმდინარეობას უყრის საფუძველს. თანდათან იქმნება პოლიტ. პარტიები, რ-თა შორის მიმდინარეობს მძაფრი იდეური ბრძოლა მოსახლეობაში გავლენის მოსაპოვებლად, რასაც შეეწირა ი. ჭავჭავაძე. ეს მკვლელობა კიდევ უფრო აკონსოლიდირებს ქართველი ინტელიგენციის ბრძოლას. მათი ნაწილი ან ხელმძღვანელობს, ანდა ღიად უჭერს მხარს სასურველ პარტიას, Ო-ის მოქმედებაში ერთმანეთს ენაცვლება ლეგალური და არალეგალური საქმიანობა, ორივე მიმართულია ქართველი ერის კულტურულ-პოლიტ. წინსვლისათვის. მომავალი უნ-ტისთვის შენობის აგება, აქტიური მონაწილეობა 1905–07 რევოლუციაში, ბრძოლა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნა და ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენის მიზნით გერმანიასთან დაკავშირება – აი, ცარიზმის დამხობამდე Ო-ის ქმედებათა არასრული ჩამონათვალი.

სოციალ-ფედერალისტების პარტიამ, რ-იც ქართული Ო-ის დიდ ნაწილს აერთიანებდა, I მსოფლიო ომში საქართველოს მიერ ავტონომიის მოპოვების შანსი დაინახა და პროგერმანული პოზიცია დაიკავა. პარტია რუსეთიდან გამოყოფის და გერმანიის მფარველობაში გადასვლის პროპაგანდას ეწეოდა.

1917 თებერვლის შემდეგ აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, დაარსდა უნ-ტი, ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის Ო-ს, რ-ის აქტიურობამ საქართველოს დემოკრატიული (პირველი) რესპუბლიკის წლებში მოიცვა ეროვნ. მეცნიერების, კულტურისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა სფერო. პოლიტ. კუთვნილებისა თუ სიმპატიის მიუხედავად, Ო. ენერგიულად ელტვოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღიარებას, რაც 1918 პირველად მოხდა გერმანიის, ხოლო 1920 (როგორც გაირკვა, ტაქტიკური მოსაზრებით) – საბჭოთა რუსეთის მიერ.

1921 რუსეთის მიერ საქართველოს ფაქტობრივი ანექსიით შექმნილმა რეალობამ გამოიწვია პოლიტ. კრიზისი, რასაც მოჰყვა პარტიათა უმეტესობის ,,თვითლიკვიდაცია'', სათავე დაედო კომპარტიის ხანგრძლივ მმართველობას. ქართველი ნაციონალ-უკლონისტები ცდილობდნენ მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ ქვეყნის პოლიტ. სუვერენიტეტი, თუმცა უშედეგოდ. უფრო რეალისტი გამოდგა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა რიგებში გაერთიანებული Ო-ის ერთი ნაწილი, რ-მაც მონაწილეობა მიიღო საბჭოების I ყრილობაში, ხელისუფლებას მოსთხოვა და აიძულა პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში დაეკანონებინათ ქართული ენის სახელმწ. სტატუსი, მაგრამ სხვა არსებითი მოთხოვნების გატანა ვერ შეძლო.

საბჭოთა რესპუბლიკის პირველი წლები წინააღმდეგობრივი ხანაა. ახალი ხელისუფლების საარჩევნო სტრუქტურებში მონაწილეობს ქართველი Ო-ის ნაწილი, მათი უმეტესობა კი თანაუგრძნობს 1922 და 1924 აჯანყებებს, თან ქვეყნის უკეთესი მომავლის რწმენით იღვწის მისი მეცნიერულ-კულტ. პოტენციალის განმტკიცებისათვის, რაც გულისხმობს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებას, მმართველ ორგანოებთან თანამშრომლობას.

1926 თსუ-ის რექტორობიდან ივ. ჯავახიშვილის განთავისუფლებით იწყება ინტელიგენციისადმი დამოკიდებულების ახალი ეტაპი. კომპარტიის პოზიციები მტკიცეა, ჰყავს იდეური მხარდამჭერები და ცდილობს მოიცვას საზ. კულტურული ცხოვრების – მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების ყველა სფერო, თუმცა დასავლეთთან ურთიერთობები ჯერ კიდევ დაშვებულია. ქართულ Ო-ს აქვს კონტაქტები უცხოეთთან და მეტ-ნაკლები წარმოდგენა იქ მიმდინარე პროცესებზე.

XX ს. 30-იანი წლებიდან მდგომარეობა მწვავდება. 1930 თსუ-ს, როგორც ეროვნული ცნობიერების ცენტრს, აუქმებენ და ცვლიან პედინსტიტუტით, რაც Ო-ის პროტესტს იწვევს. 1933 გერმანიაში იმარჯვებს ფაშიზმი, საერთაშ. ვითარების შესაბამისად ხდება სსრკ-ის პოლიტიკის გარკვეული გამემარჯვენება. 1932 წ. 23 აპრილს საკ. კპ. (ბ) ცეკას დადგენილებით

,,სალიტერატურო სამხატვრო ორგანიზაციების გაუქმების შესახებ'' თითქოს Ო-ის მიმართ დამოკიდებულება იცვლება. 1933 წ. 8 იანვარს ხელისუფლებამ აღადგინა თსუ, ხოლო 1934 ი. სტალინის დასტურით, მწერალთა I საკავშ. ყრილობაზე მ. ტოროშელიძის მოხსენებაში უკუგდებული იქნა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისადმი, ჩვენი კულტურული წარსულისადმი საბჭ. ხელისუფლების მხრიდან მანამდე არსებული უარყოფითი დამოკიდებულება. მომდევნო წლებში შოთა რუსთაველისა და ი. ჭავჭავაძის იუბილეების აღნიშვნა, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მომზადება, მცხეთის არქეოლოგ. გათხრების და მისი შედეგების საზოგადოებისათვის გაცნობა, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის გარე სამყაროსთან კავშირურთიერთობების წარმოჩენა, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების დარგში მიღებული წარმატებებია საქართველოს მეცნ. აკად. დაარსება, თბილისის განაშენიანება-კეთილმოწყობა და მრავალი სხვა რამ ცხადყოფს Ო-ის მხრიდან ქართველი ერის სასარგებლოდ კრემლის ახალი პოლიტიკით შექმნილი რეალობის გამოყენებას, თანაც ისე, რომ ყოველივე მორგებოდა ცენტრის ოფიციალურ კურსს.

1920–30-იანი წლების საბჭ. რეპრესიებმა Ო-ის მნიშვნელოვანი ნაწილი იმსხვერპლა. შეთითხნილი ბრალდებების, დასმენებისა და სახელმწიფო ტერორის კამპანიებს უამრავი ადამიანისა და მათი ახლობლების განადგურება მოჰყვა. ეს საქართველოს უახლეს ისტორიაში უმძიმესი პერიოდი იყო.

XX ს. 50-იანი წლების II ნახ. ეპოქათა მიჯნაა, რა დროიდანაც იწყება ახალი ხანა სსრკ-ში. მიმდინარე პოლიტ. ცვლილებებით საქართველოს უბრუნდება რეპრესირებულ მეცნიერთა, მწერალთა, ხელოვანთა სახელები და მემკვიდრეობა. სიახლეთა მასშტაბურობის მიუხედავად [თბილისის (იხ. *ცხრა მარტი 1956*), უნგრეთის, ნოვოჩერკასკის მოვლენები რეალურად მიმდინარეობს მხოლოდ ფასადის კოსმეტიკა, თუმცა პროგრესი მაინც აშკარაა. ახლა უკვე პოლიტ. (პარტ.) სახელმწ. აპარატში, მის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, II მსოფლიო ომის შემდეგ ინტელიგენტური ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდების ერთი ნაწილი, რ-თაგან ზოგი რეპრესირებულ პირთა შთამომავალია, აღიარებს სისტემის ნაკლოვანებებს, ახდენს ფასეულობათა გადაფასებას, რეალობისა და საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ხელს უწყობს არსებული რეალობის გარდაქმნას.

ასპარეზზე გამოდის ქართველ ხელოვანთა და ტექნიკური Ო-ის ახალი თაობა, რ-საც გააზრებული აქვს თავისი საქმიანობის მნიშვნელობა საქართველოს მომავლისათვის.

Ო-ის პატრიოტული ნაწილი ყოველ წარმატებას და მნიშვნელოვან მოვლენას იყენებს ეროვნ. ცნობიერების, თვითშეგნების მუხტის გასაღვივებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული სპორტის წარმატებები, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე, თბილისის მეტროპოლიტენის გახსნა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დაფუძნება (ყველა 1966), თსუ-ის 50 წლისთავის იუბილე (1968); მეცნიერებაში, მწერლობაში, თეატრსა და კინოში მოვიდა ღირსეული, ახალი თაობა, დაარსდა ჟურნ. ,,*ცისკარი*'' (1956), გაზ. ,,თბილისი'', ,,ვეჩერნი ტბილისი'' (1958), ალმანახი, ,,*ხომლი*'' და სხვ.

მრავალმხრივია Ო-ის საქმიანობა XX ს. 70–80-იანი წლების I ნახ-ში. ამ დროისთვის ახალი თაობის ქართველმა მეცნიერებმა მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება. მხატვრულ ლიტ-რაში, თეატრში, კინოში, სახვით ხელოვნებაში წინ წამოიწია ეროვნულმა და საკაცობრიო პრობლემატიკამ, რუსთაველის თეატრმა სახელი გაითქვა უცხოეთში, ალაპარაკდნენ ქართული კინოს ფენომენზე. Ო-ის ინიციატივით რესპუბლიკის ხელისუფლებამ საბჭოური სადღესასწაულო თარიღები ჩაანაცვლა სახალხო დღესასწაულებით (,,*თბილისობა*'', შოთაობა, გარეჯობა, საბაობა და სხვ.). დაწესდა ,,ხსოვნის დღე'', რ-იც საეკლ. დღესასწაულების აღნიშვნის უზრუნველსაყოფად იყო შემოღებული. პარალელურად ქართველი Ო-ის რადიკალურმა პატრიოტულმა ნაწილმა შექმნა ე.წ. ,,ჰელსინკის ჯგუფი'', რ-ის დამფუძნებელთა დიდი სიდენტური მოღვაწეობა 1956-იდან იღებს სათავეს. 1975 ძალას იკრებს სტუდენტური მოძრაობა, რაშიც უნტის პროფესორთა წვლილიც იყო. აღსანიშნავია საზ.-კულტურულ ცხოვრებაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლის ზრდა.

საბჭ. ხელისუფლების მცდელობამ ამოეღო საბჭ. საქართველოს ახალი კონსტიტუციიდან მუხლი ქართული ენის სტატუსის შესახებ, 1978 წლის 14 აპრილს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სტუდენტების, ახალგაზრდებისა და Ო-ის მასობრივი მანიფესტაცია გამოიწვია. ამ ფონზე რესპუბლიკის ხელისუფლებამ დაარწმუნა საბჭ. ხელმძღვანელობა, რომ აუცილებელი იყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნება, რაც დიდი გამარჯვება იყო. 14 აპრილი საყოველთაოდ აღინიშნება ქართული ენის დღედ.

სსრკ-ში 1985 დაწყებულმა ე. წ. პერესტროიკამ მსოფლიო მასშტაბის ცვლილებებს დაუდო სათავე. პროცესებს არც ქართული Ო. ჩამორჩა, რ-იც ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის თანამონაწილე იყო. იგი იყენებდა საკავშირო თუ რესპუბლიკურ უმაღლესი საბჭოების ტრიბუნებს და არც რადიკალურ ქმედებებზე ამბობდა უარს. Ო-ის ერთი ჯგუფის მიერ 1987 წ. 11 დეკემბერს შეიქმნა პირველი ლეგალური საზ. ორგანიზაცია ,,ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება'', რ-საც მოჰყვა ხელისუფლებისადმი ლოიალურად თუ ოპოზიციურად განწყობილი სხვადასხვა ორგანიზაციების გამოსვლა ასპარეზზე. დროთა განმავლობაში მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

მოსკოვის მცდელობას საკავშირო კონსტიტუციიდან გაექრო რესპუბლიკის კავშირიდან გასვლის უფლება, მოჰყვა Ო-ის რადიკალური ნაწილისა და ფართო საზოგადოების პროტესტი და პირველი 100 ათასიანი კაციანი დემონსტრაცია, რ-იც ნათლად უჩვენებდა საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. საპასუხოდ, 1989 წ. 18 მარტს, აფხაზეთის ასსრ პარტიულ და საბჭოთა ნომენკლატურასთან ერთად, გუდაუთის სოფ. ლიხნში მიიღეს ,,მიმართვა'' რუსეთის ფედერაციაში შესვლის მოთხოვნით, რამაც ქართული საზ-ბის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. საქართვ. დიდ ქალაქებში მოეწყო Ო-ის თავყრილობები; ქართველმა ისტორიკოსებმა დასაბუთებული პასუხი გასცეს ლიხნის მიმართვას. თბილისში დაიწყო დემონსტრაციები, რაც მერე საყოველთაო გამოსვლებში გადაიზარდა. რესპ. ხელისუფლებამ ვერ შეძლო ვითარების დარეგულირება, დაძაბულობას კი 9 აპრილის დრამ. მოვლენები მოჰყვა.

ამ მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა Ო-ისა და ზოგადად საზ-ბის განწყობა, რამაც მნიშვ-

ნელოვნად განაპირობა მომდევნო პოლიტიკური პროცესები (იხ. *ცხრა აპრილი 1989*). 1991 საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ დასაბამი მისცა ახალ ისტ. ეპოქას, რ-შიც ი-მ თავისი ახალი როლი და ფუნქცია გამოკვეთა.

ლიტ.: ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ., ნათმელაძე მ., წგ.: საქართველოს ისტორია. მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტომის რედ. მ. ნათმელაძე, ტ. 4, თბ., 2012; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 5–6, თბ., 1971–73; კოხრეიძე ა., სიმონ ხუნდაძე ადრინდელი ქართველი განმანათლებლების – გრიგოლ ორბელიანისა და დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა მკვლევარი, «საისტორიო მოამბე», 2003, №75–76; მისივე, სიმონ ხუნდაძე, თბ., 2005; ნანეიშვილი მ., ილია ჭავჭავაძის საზროვნო საგნის რაობისათვის, «მაცნე». ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1987, №4, 1989, №2; მისივე, პოლიტიკაზე-პოლიტიკის გაღმიდან, თბ., 2003; სურგულაძე ა., ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის II ნახევარში, თბ., 1973; ქიქოძე გ., რჩეული თხზულებანი სამ ტომად, თბ., 1963–68; მისივე, თანამედროვეს ჩანაწერები, თბ., 2003; ხუნდაძე ს., ქართველი ინტელიგენციის პროფილე XIX საუკუნეში, ტფ., 1927; მისივე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 1–2, ტფ., 1927; მისივე, დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1936; მისივე, ნარკვევები, თბ., 1941; მისივე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბ., 1949; ჯავახიშვილი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თხზ., თორმეტ ტომად, ტ. 12, თბ., 1998; ჯორჯაძე ა., ეროვნული პრობლემების გარშემო, თხზ., ტ. 1, ტფ., 1911; მისივე, ჩვენი საზოგადოებრიობა, თხზ., ტ. 2, ტფ., 1911; მისივე, მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის, თხზ., ტ. 5, ტფ., 1914.

ა. კოხრეიძე.

„ინტერკლინიკა“, იხ. *სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო ცენტრები.*

ინტერნეტი (ინგლ. Internet), „მსოფლიო-ქსელი“, ერთმანეთზე მიერთებული კომპიუტერების საჯაროდ ხელმისაწვდომი ქსელი, რომელიც ეფუძნება TCP/IP პროტოკოლთა სტეკს და პაკეტთა მარშრუტიზაციას; გამოიყენება ინფორმაციის შენახვისა და გადაცემისთვის. ი. ქმნის გლობალურ საინფორმაციო სივრცეს და წარმოადგენს მსოფლიო ქსელის (World Wide Web, WWW) და მონაცემთა გადაცემის მრავალი სხვა სისტემის საფუძველს. ზოგჯერ ი-ს უწოდებენ „ქსელთა ქსელს“ ან უბრალოდ „ქსელს“ (The Net), სადაც მომხმარებლებს, თუ მათ აქვთ უფლებები („წვდომა“), შეუძლიათ ნებისმიერი კომპიუტერიდან მიიღონ ინფორმაცია.

ი-ის შექმნა XX ს. II ნახ-ში დაიწყო. 1962 ჯ. ლიკლაიდერმა (აშშ) შექმნა კომპიუტერული ქსელის პირველი დეტალურად დამუშავებული კონცეფცია, ხოლო ლ. კლეინროკმა (აშშ) – პაკეტების კომუტაციის თეორია (1961–64) მონაცემთა გადაცემისას. დამოუკიდებელი თანასწორუფლებიანი კომპიუტერების ქსელში გაერთიანება უზრუნველყოფს მონაცემთა შენახვას (განადგურებისგან დაცვას) და ქსელის ქმედითუნარიანობას მისი ნაწილის დაზიანების შემთხვევაშიც კი. შემოთავაზებულ იქნა გადასაცემი შეტყობინების მცირე ნაწილებად – პაკეტებად დაშლა, ციფრულ ფორმატში მათი გადაყვანა და ქსელში ყველა პაკეტის ერთდროულად გადაცემა. დანიშნულების ადგილზე (მიმღებთან) ცალკეული პაკეტები ხელახლა უნდა „აიწყოს“ თავდაპირველ შეტყობინებად. 1967 დაიწყო მუშაობა პირველი ინტერნეტქსელის ARPANet შექმნაზე (ARPA, Advanced Research Projects Agency – მოწინავე კვლევითი პროექტების სააგენტო, აშშ, შეიქმნა 1957). 1969 ARPANet ქსელმა სპეციალური კაბელით გააერთიანა ლოს-ანჟელესის კალიფორნიის უნ-ტის, სტენფორდის საერთაშ. კვლ. ინ-ტის, იუტას შტატის უნ-ტისა და კალიფორნიის შტატის სანტა-ბარბარას უნ-ტის კომპიუტერები. 29 ოქტომბერს 22:30 შედგა პირველი წარმატებული გადაცემა 640 *კმ* მანძილით დაშორებულ ორ კვანძს შორის. შემდგომში ARPANet ქსელი სწრაფად განვითარდა და გაფართოვდა. კვანძებში დაყენებულ კომპიუტერებს დაეკისრა სხვადასხვა კომპიუტერული სისტემისა და ენის ერთმანეთთან შესათანხმებელი ,,თარგმანის“ შესრულება. 1971 შეიქმნა პროგრამა ქსელით *ელექტრონული ფოსტის* გადასაგზავნად. 1973 ტრანსატლანტური სატელეფონო კაბელით ქსელს მიუერთდა დიდი ბრიტანეთისა და ნორვეგიის დაწესებულებები. 1982–83 სტანდარტიზებულ იქნა პროტოკოლები – მონაცემთა გაცვლისა და გადაცემის ,,ენა“. 1983 წ. 1 იანვრიდან ქსელი გადავიდა TCP/IP პროტოკოლზე, რ-საც დღემდე იყენებს. 1984–85 ARPANet ქსელის პარალელურად ამოქმედდა NSFNet (აშშ-ის ნაციონალური სამეცნ. ფონდის ქსელი), რ-იც სხვადასხვა უნ-ტის 10 ათასამდე კომპიუტერს აერთიანებდა 1.5 *მგბაიტ/წმ* გადაცემის სიჩქარის მქონე ქსელით. 1990-ისთვის მან მთლიანად ჩაანაცვლა ARPANet, რ-მაც არსებობა შეწყვიტა. 1988 შესაძლებელი გახდა ქსელით სარგებლობა რეალურ დროში (ჩატში).

1989 ბირთვული გამოკვლევების ევროპულ საბჭოში (CERN) ბრიტანელმა მეცნიერმა ტ. ბერნერს-ლიმ, ბელგიელ რ. კაიოსთან თანაავტორობით, ჩამოაყალიბა მსოფლიო ქსელის (WWW, ,,მსოფლიო აბლაბუდა“) კონცეფცია. მანვე ორი წლის განმავლობაში შეიმუშავა პროტოკოლი HTTP, ენა HTML და რესურსთა უნიფიცირებული იდენტიფიკატორები URI. 1991-იდან მსოფლიო აბლაბუდა მისაწვდომი გახდა ი-ით. თანამედროვე სახე ი-მა მიიღო 1993, მ. ანდერსონის მიერ Mosaic ბრაუზერის (პროგრამული უზრუნველყოფა და ინტერფეისი ვებ-გვერდების, საბუთების, ფაილების, კატალოგების წასაკითხად, სამართავად და სხვ.) შექმნის შემდეგ. 1995-იდან ი-ის ტრაფიკს (ინფორმაციის გადაგზავნის მარშრუტიზაციას) მართავენ ქსელის პროვაიდერები, ხოლო NSFNet ქსელი კვლევით ამოცანებს დაუბრუნდა. 1996-იდან ი-ის ცნება განუყოფელია მსოფლიო აბლაბუდის ცნებისგან.

ქართულ ენაზე შესრულებული პირველი ვებ-საიტი „დედაენა“ 1996 დასაწყისში შექმნა რ. სირაძემ (ფინეთი). ეს ვებ-საიტი UNICOD კოდირებაზე იყო დაფუძნებული. მეორე ქართ. ვებ-საიტი „შავლეგო“ დააარსა 1996 InfoTech-მა (ბ. გუგუშვილი, ფინეთი). ინტერნეტ-ტექნოლოგიებისადმი და ი-ში ქართ. დამწერლობის გამოყენებისადმი მიძღვნილი პირველი ქართ. ვებ-საიტი „ქართული ვების ტიპოგრაფია“, რ-იც დააარსა 1997 დასაწყისში BPG-InfoTech-მა (ბ. გუგუშვილი), იყენებს UNICOD კოდირებასა და დინამიკურ ფონტებს.

ქართ. წარმოების პირველი UNICOD ფონტები ი-ისა და ვებისათვის გახდა BPG-InfoTech-ის (ბ. გუგუშვილი) მიერ შექმნილი BPG SanSer, BPG Classic და რ. სირაძის შექმნილი RsWWW Net.

Internetworldstats.com-ის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ი-ის მომხმარებელთა რიცხვი სწრაფად იზრდება. ზუსტი მონაცემები, რამდენი მომხმარებელი ჰყავს ქართულ ი-ს, დღეისათვის არ არსებობს. ეს განპირობებულია

იმითაც რომ ი-ის მფლობელი აბონენტი, შემდგომ ხდება ამ ი-ის გამნაწილებელი, ანუ ხშირად რეგისტრირდება ერთი აბონენტი, სინამდვილეში კი მომხმარებელი რამდენიმე პირია. Internetworldstats-ის მონაცემებით, 2010 წლისათვის საქართველოში ი-ით სარგებლობს 1,300 მილიონი ადამიანი (2000 წ. ი-ით სარგებლობდა მხოლოდ 20 ათასი მომხმარებელი).

ი-ს არ აქვს ერთიანი ხელმძღვანელობა, ის დამოუკიდებელია ბიზნესისა და ცალკეული კომპანიებისგან. ამჟამად ი-თან მიერთება შესაძლებელია რადიოარხებით, საკაბელო ტელევიზიით, ტელეფონით, მ.შ. ფიჭურით, სპეციალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზებით, კავშირგაბმულობის თანამგზავრთა საშუალებით. გაეროს ინფორმაციით 2017 ი-ით სარგებლობდა დედამიწის მოსახლეობის 48%. 2010-იდან ი-ის მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 1,5 მილიარდით. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა ი-ში ფიჭური კავშირგაბმულობით წვდომის (ანუ მობილური ი-ის) გავრცელებამ, სოციალური ქსელების განვითარებამ და ინტერნეტ-გადაცემის (ტრაფიკის) გაიაფებამ. ი-ის გავრცელებამ თანამედროვე მსოფლიოში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. ზოგიერთი შეფასებით, მისი მნიშვნელობა შესადარია ბორბლისა და დენთის გამოგონებასთან.

ტელევიზიისგან განსხვავებით, ი. იძლევა ინფორმაციის მოძიებისა და არჩევის მაქსიმალურ თავისუფლებას; ი-ით სულ უფრო ფართოდ ხორციელდება ბიზნეს-ოპერაციები (ინტერნეტ მაღაზიები, ინტერნეტ აუქციონები, რეკლამა, ელექტრონული გადახდები, მარკეტინგული გამოკვლევები და სხვ.); ჩამოყალიბდა და 210 ქვეყანაში მოქმედებს ბანკთაშორისი საერთაშ. სისტემა SWIFT (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication), რ-იც 10 ათასზე მეტ საბანკო და საფინანსო ორგანიზაციას აერთიანებს. ფართოდ გავრცელდა თემატური ფორუმები, ბლოგები, პირადი გვერდები, სადაც შესაძლებელია საკუთარი ინფორმაციის (მ.შ. შემოქმედებითი ხასიათის მქონე) განთავსება სხვა მომხმარებელთათვის გაზიარების მიზნით; ი-ს ფართოდ იყენებს მასმედია; ამასთან, ი-გამოცემები შესაძლებელია განახლდეს ახალი ინფორმაციის გაჩენისთანავე. შეიქმნა და სულ უფრო ვითარდება ინფორმაციის ვრცელი ფონდები (ელექტრონული ბიბლიოთეკები, მონაცემთა ბაზები, ელექტრონული არქივები, საძიებო სისტემები და სხვ., მ.შ. აუდიო- და ვიდეოინფორმაციის ბანკები); ტრაფიკის სიჩქარის მატებამ შესაძლებელი გახადა რეალურ დროში (,,on-line'' რეჟიმში) ურთიერთობა, როგორც ტექსტურ, ასევე ვიდეო და ხმოვან რეჟიმში; ტელეკონფერენციების ჩატარება ,,on-line'' რეჟიმში, კინოფილმების, ასევე თეატრ. და სპორტ. ღონისძიებების ჩვენება რეალურ დროში; განვითარდა ელექტრონული თამაშები როგორც ელექტრონულ მოწინააღმდეგესთან (კომპიუტერთან), ასევე მრავალმომხმარებლიანი. სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ძალთა კოორდინაცია სოციალურად მნიშვნელოვანი ან/და რთული და შრომატევადი ინტელექტუალური ამოცანების გადასაწყვეტად, მაგ., განაწილებული გამოთვლების შესასრულებლად (სისტემები Grid, Stardust@home, Galaxy Zoo და სხვ.), ონ-ლაინ-ენციკლოპედიების შესაქმნელად (ვიკიპედია) და სხვ.

ი-ში ინფორმაციის მოძიებისა და მისი კოპირების სიმარტივემ განაპირობა საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გარკვეული სირთულეები. ასევე აქტუალური გახადა პარაზიტული ინფორმაციისგან (ე. წ. სპამი) მომხმარებლების დაცვა და პირადი და საიდუმლო ინფორმაციის დაცვა არასანქცირებული წვდომისგან (ე. წ. ხაკერებისგან).

ი-ით სარგებლობის უფლება გაერომ აღიარა ადამიანის ერთერთ ძირითად უფლებად (შესაბამისი რეზოლუცია მიღებულია 03.VI. 2011).

საქართველოში 2017 წლის მონაცემებით ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურებით სარგებლობდა 736,622 ფიზიკური და 39,311 იურიდიული პირი. სააბონენტო სიმკვრივე (ფიზიკური პირების პენეტრაცია შინამეურნეობების მიხედვით) შეადგენდა 66%.

2017 წლის მონაცემებით მობილური ინტერნეტმომსახურებით (მონაცემთა გადაცემა) სარგებლობდა 2,605,936 პირი. მობილური ინტერნეტით მოსარგებლე აბონენტთა წილი სულ მოსახლეობის რაოდენობაში შეადგენდა 70,1%. *დ. ღარიბაშვილი.*

ინტერპარტიული საბჭო, საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების ნებაყოფლობითი გაერთიანება. იხ. *საქართველოს ეროვნული საბჭო.*

ინტერპოლი, კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Criminal Police Organization, ,,Interpol''), დამნაშავეთა რეგისტრაციის საერთაშორისო ცენტრი. ი-ის იდეა წარმოიშვა 1914 საერთაშ. კრიმინალური პოლიციის I კონგრესზე მონაკოში. მასში მონაწილეობა მიიღეს პოლიციისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა 24 ქვეყნიდან. მათი მიზანი იყო, ეპოვათ თანამშრომლობის გზები კრიმინალთან ბრძოლის საქმეში. ოფიციალურად ი-ის ორგანიზაცია დაარსდა 1923. მისი მიზანია სხვადასხვა ქვეყნის საპოლიციო ხელისუფალთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ი-ში გაწევრიანებულია 190 ქვეყანა (2014). უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა – აერთიანებს ი-ის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, იკრიბება ყოველწლიურად, ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს პრეზიდენტის, სამი ვიცე-პრეზიდენტისა და ცხრა დელეგატის შემადგენლობით – ყოველი მათგანი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი უნდა იყოს; მრჩეველთა კოლეგია; გენ. სამდივნო (მუდმივმოქმედი ორგანო), რ-იც კოორდინაციას უწევს ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების საპოლიციო ორგანოების საქმიანობას, აგროვებს დოკუმენტაციას ძებნილი პირების შესახებ და ა.შ. ოფიც. ენებია: ფრანგული, ინგლისური, ესპანური და არაბული. შტაბ-ბინა ქ. ლიონშია (საფრანგეთი).

საქართველო ი-ში გაწევრიანდა 1993 სექტემბერში. შეიქმნა საქართვ. ინტერპოლის ეროვნ. ცენტრ. ბიურო, რ-იც აქტიურად საქმიანობს საქართველოში და საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის, დაკავებისა და გადაცემის (იხ. *ექსტრადიცია*) საქმეში.

ლ. ალექსიძე.

,,ინტერ რაო'' (საჯარო სააქციო საზოგადოება ჯგუფი ,,ინტერ რაო''), დივერსიფიცირებული ენერგეტიკული ჰოლდინგი, რომელიც მართავს აქტივებს როგორც რუსეთში, ასევე ევროპისა და დსთ-ის ქვეყნებში. დაარსდა

1997, როგორც რაო ,,ეეს როსიას‘‘ (რუსეთის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა) შვილობილი სტრუქტურა, რ-იც პასუხისმგებელი იყო ელექტროენერგიის ექსპორტსა და იმპორტზე. მისი საქმიანობა მოიცავს ელექტრო- და თბოენერგიის წარმოებას, ენერგოგასაღებას, საერთაშ. ენერგოტრეიდინგს; ინჟინერინგს, ენერგომოწყობილობების ექსპორტს, რფ-ის ფარგლებს გარეთ გამანაწილებელი ელექტროქსელების მართვას.

,,0. რ.‘‘ ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის ერთადერთი რუსული ოპერატორია. მიწოდებების არეალი მოიცავს ფინეთს, ბელარუსს, ლიტვას, უკრაინას, საქართველოს, აზერბაიჯანს, ყაზახეთს, ჩინეთსა და მონღოლეთს. ჯგუფი მართავს ენერგოგასაღების კომპანიებს – გარანტორ მიმწოდებლებს რუსეთის 12 რეგიონში. ასევე ფლობს კომპანიებს, რ-ებიც ელექტროენერგიას აწვდიან მსხვილ სამრეწვ. მომხმარებლებს. ჯგუფის სტრატეგია მიმართულია ეფექტური საერთაშ. დივერსიფიცირებული ჰოლდინგის შექმნაზე, რ-იც საქმიანობას წარმართავს ელექტროენერგეტიკის ყველა ძირითად კონკურენტულ სეგმენტში. ამ სტრატეგიის რეალიზაცია შესაძლებლობას მისცემს ,,0. რ-ს‘‘ 2020-თვის შევიდეს მსოფლიოს უმსხვილესი ენერგეტ. კომპანიების ათეულში. მისი აქციონერები არიან: ჯგუფი ,,როსნეფტეგაზი‘‘ (27,63 %), ჯგუფი ,,ინტერ რაო კაპიტალი‘‘ (18,49%), ,,ფსკ ეეს‘‘ (18,57%), ჯგუფი ,,რუსჰიდრო‘‘ (4,9%), Free-float (აქციების დაახლოებითი წილი, რ-იც თავისუფალ ბრუნვაშია – 30, 40%). ჯგუფში შემავალი ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე აღემატება 33 *მეგვტ*.

2017 ,,0. რ-ს‘‘ ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობამ შეადგინა 6,230 მლრდ. *კვტ·სთ*, ხოლო ექსპორტის მოცულობამ – 16,699 მლრდ. *კვტ·სთ*. რფ-ის ფარგლებს გარეთ ,,0. რ.‘‘ საქმიანობას ახორციელებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის რამდენიმე სეგმენტში: ელექტროენერგიის ტრეიდინგი; გენერაცია; გადაცემა, განაწილება და გასაღება; ინჟინირინგი და მოწყობილობების მიწოდება. იგი ელექტროენერგიის ტრეიდინგს ახორციელებს სკანდინავიის ბაზარზე – მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ელექტროენერგიით მოვაჭრე ბირჟაზე ,,Nord Pool‘‘, ბალტიისპირეთის ქვეყნებში. კომპანია ასევე მართავს გენერაციის უცხ. აქტივებს (საერთო დადგმული სიმძლავრით 4255 *მეგვტ*): სამ თბოელექტროსადგურს – ,,მოლდავეთის სრესი‘‘ (მოლდავეთი), ,,თრაკია ჰესი‘‘ (თურქეთი), ,,ეკიბასტუზის სრესი-2‘‘ (ყაზახეთი), საერთო სიმძლავრით 2998 *მეგვტ*; ქარის ელექტროენერგიის ერთ სადგურს ,,Vydmantai Wind Park UAB, რ-ის სიმძლავრეა 30 *მეგვტ* (ლიტვა); ორ ჰიდროელექტროსადგურს *,,ხრამჰესი-I‘‘* და *,,ხრამჰესი-II‘‘* (საქართველო), რ-თა საერთო სიმძლავრეა 227 *მეგვტ*.

,,0. რ-ს‘‘ შემადგენლობაში შედის გამანაწილებელი ელექტროქსელური კომპანია *,,თელასი‘‘* (საქართველო). *ნ. ალაფიშვილი.*

ᲘᲜᲢᲠᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ (ბერძნ. Thronos – ტახტი), ახალარჩეული პატრიარქის ან პაპის ტახტზე აყვანის წესგანგება. მოხსენიებული ტერმინი ბერძნულია, თუმცა მას აქვს ქართული შესატყვისი – ,,აღსაყდრება‘‘. იგივე მნიშვნელობის მატარებელია ,,კათოლიკოსად დადგენა‘‘.

მამა გიორგი (ვაშალომიძე).

„ᲘᲜᲢᲣᲠᲘᲡᲢ ᲞᲐᲚᲐᲡᲘ“ (შპს), ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო ბათუმში. აშენდა 1939 (არქიტ. ა. *შჩუსევი*) წმ. ალექსანდრე ნეველის მართლმადიდებელი ტაძრის ფუნდამენტზე (ტაძარი მოქმედებდა XIX ს. ბოლოდან 1936-მდე, ვიდრე მას საბჭ. პერიოდში დაანგრევდნენ). თავისი არსებობის განმავლობაში სასტუმრო 2-ჯერ გადაკეთდა – 1979–80 და 2005–06 წლებში. 2004-იდან სასტუმრო ,,ინტურისტი‘‘ ჩამოყალიბდა შპს-დ და ეწოდა ,,0. პ.‘‘.

სასტუმრო ხუთსართულიანია, მდებარეობს ბათუმის ცენტრში, ბულვარიდან და ზღვის სანაპიროდან რამდენიმე წუთის სავალზე. შენობის ფასადი თავისი ნახევარწრიული ფორმით საინტერესოდ არის გადაწყვეტილი. სასტუმროში განთავსებულია 145 ნომერი (ერთადგილიანი და ორადგილიანი ოთახები, ლუქსი, პრემიერისა და პრეზიდენტის ნომრები); გარდა ამისა – 4 რესტორანი, ღვინის სახლი, 3 საკონფერენციო დარბაზი, სპა ცენტრი, ღამის კლუბი და სამორინე, მინი ბარი, სილამაზის სალონი, ფიტნესცენტრი, ღია და დახურული საცურაო აუზები და სხვა სახის დანიშნულების საყოფაცხოვრებო ობიექტები.

ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, გადამდები დაავადებები, რომლებიც ინფექციის შედეგად ვითარდება. ინფექცია არის ორგანიზმის ქსოვილებში დაავადების გამომწვევი აგენტის შეჭრა, გამრავლება და ამ აგენტსა და მის მიერ გამომუშავებულ ტოქსინებზე ორგანიზმის ქსოვილების რეაქცია. ინფექციის გამომწვევი შეიძლება იყოს ვირუსი, ვიროიდი, პრიონი, ბაქტერია, უმარტივესი, სოკო, ჰელმინთი.

0. დ-ის განვითარება ყოველთვის დაკავშირებულია ორგანიზმში სპეციფიკური, ამ დაავადების გამომწვევი ინფექციური აგენტის მოხვედრასთან. ერთი და იგივე აგენტი ყოველთვის ერთსა და იმავე ინფექციურ დაავადებას იწვევს.

0. დ-ები ხასიათდება ტიპური ანუ ციკლური მიმდინარეობით, როცა დაავადების ცალკეული პერიოდები გარკვეული თანმიმდევრობით მოჰყვება ერთმანეთს



სასტუმრო ,,ინტურისტ პალასი‘‘. 1939. ბათუმი.

და მთავრდება განსაზღვრული დროის განმავლობაში. ციკლური მიმდინარეობით ძირითადად ხასიათდება მწვავე Ო. დ-ები, ამასთან, ცალკეული პერიოდების ხანგრძლივობა სხვადასხვა სუბიექტში განსხვავებულია.

Ო. დ-ის მიმდინარეობაში არჩევენ: 1) ინკუბაციურ პერიოდს, 2) პროდრომულ, ანუ პირველი კლინიკური ნიშნების გამოვლინების პერიოდს, 3) პათოგნომურ, ანუ ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების გამოვლინებისა და 4) გამოჯანმრთელების პერიოდებს.

Ო. დ-ის კიდევ ერთი თავისებურებაა დაავადების გადატანის შემდეგ მიულებლობის, ანუ იმუნიტეტის განვითარება ამ დაავადების გამომწვევი აგენტის მიმართ.

Ო. დ-ის გადაცემის გზებია: პირდაპირი – ლორწოვანთან და კანთან კონტაქტით, პლაცენტის გავლით, სისხლითა და ტრანსპლანტანტებით, ხველით, ცემინებით; არაპირდაპირი – წვეთოვანი, აეროვანი, საკვებითა და წყლით, საგნებით, ვექტორებით (ფეხსახსრიანებით). ინფექციური აგენტის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ შესაძლებელია: 1. ინფექცია არ განვითარდეს; 2. გამოვლინდეს კლინიკურად, მისი გამოსავალი შეიძლება იყოს: სრული გამოჯანმრთელება, ლეტალური გამოსავალი, პროცესის გაქრონიკულება; 3. გამოვლინდეს სუსტად გამოხატული კლინიკური ნიშნებით – სუბკლინიკურად, მისი გამოსავალია გამოჯანმრთელება ან მტარებლობის განვითარება; 4. ჩამოყალიბდეს მტარებლობა.

ქიმიოთერაპია ინფექციური აგენტის დამაზიანებელი ეფექტის წინააღმდეგ მიზანმიმართული მკურნალობაა. მისი ძირითადი მიზანია დაბალი ტოქსიკურობა, მაღალი ბიოშეღწევადობა, გახანგრძლივებული მოქმედება, მინიმალური გვერდითი ეფექტების არსებობა. ანტიინფექციური ქიმიური საშუალებებია: ანტიბიოტიკები, სულფანილამიდები, ნიტროფურანის ნაწარმები, ანტიტუბერკულოზური, ანტიპროტოზოული, ანტიფუნგური, ანტიჰელმინთური, ანტივირუსული საშუალებები. ანტიინფექციური ქიმიოთერაპიული საშუალებების გამოყენების ისტორია დაიწყო 1929, ა. ფლემინგის მიერ პენიცილინის აღმოჩენით.

არსებობს ინდივიდ. (შეძენილი) და მემკვიდრეობითი (თანდაყოლილი) იმუნიტეტი. ლუი პასტერმა და მისმა მოსწავლეებმა – პიერ პოლ ემილ რუმ და შარლ ედუარდ შამბერლანმა – შეიმუშავეს Ო. დ-ისაგან ხელოვნური მიულებლობა დამცველი ვაქცინებით. მათ დაასაბუთეს, რომ დასუსტებული პათოგენური მიკრობების ორგანიზმში შეყვანა შემდგომში იცავს მას ყველაზე ძლიერი ინფექციისაგან.

ამჟამად, მთელ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება Ო. დ-ების პრევენციულ ღონისძიებათა მძლავრი სისტემა: იმუნიზაცია და ვაქცინაცია.

იმუნიზაცია – ეს არის ორგანიზმის მზაობა სპეციფიკურ გამომწვევებთან საბრძოლველად. მისი მიზანია ცალკეული ადამიანების ან მოსახლეობის დაცვა ე. წ. ,,მართვადი'' ინფექციებისაგან. იმუნიზაცია 2 ტიპისაა: პასიური და აქტიური. პასიური – ესაა მზა ანტისხეულების შეყვანა ორგანიზმში იმუნური პრეპარატებისა და გლობულინების სახით. ამ დროს ყალიბდება ხანმოკლე იმუნიტეტი. აქტიური იმუნიზაცია ხორციელდება ვაქცინაციის საშუალებით. ორგანიზმში ვაქცინის შეყვანას, აცრა ეწოდება.

ვაქცინები 4 ჯგუფისაა: 1. ცოცხალი – შეიცავს დასუსტებულ, ვირულენტობადაქვეითებულ ცოცხალ მიკროორგანიზმებს. მაგ., პოლიომიელიტის, წითელას, ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინები; 2. ინაქტივირებული – შეიცავს დახოცილ მიკრობებს (ყივანახველის, ტიფის); 3. ანატოქსინები – შეიცავს მიკრობთა ინაქტივირებულ ტოქსინებს, მაგ., დიფტერიის, ტეტანუსის; 4. ბიოტექნოლოგიით მიღებული – B ჰეპატიტის, პაპილომავირუსული ინფექციის. ლიცენზირებული ვაქცინების რიცხვი 60-ს აჭარბებს.

იმუნიზაციის კალენდარი

ვაქცინა	ა ს ა კ ი								
B ჰეპატიტი (ჰეპ B/HepB)	0-12 *სთ*								
ბცჟ (BCG)		0-5 *დღ-ღ*							
დყატ+B ჰეპ+ჰიბ +იპვ (ჰექსა/DPaT+HepB+Hib+IPV)			2 *თ*	3 *თ*	4 *თ*				
პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (პნევმო/PCV)			2 *თ*	3 *თ*		12 *თ*			
როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა (როტა/Rota)			2 *თ*	3 *თ*					
წითელა, წითურა, ყბაყურა (წწყ/MMR)						12 *თ*		5 *წ*	
დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი (დყტ/DPT)							18 *თ*		
პოლიომიელიტის ორალური ვაქცინა (ოპვ/OPV)							18 *თ*	5 *წ*	
დიფთერია-ტეტანუსი (DT)								5 *წ*	
ტეტანუს-დიფთერია (Td)									14 *წ*

არჩევენ ენდემურ ინფექციებს, როცა მოცემულ გეოგრ. არეში Ო. Დ. მუდმივად არსებობს, რაც ამ ტერიტორიაზე არსებულ გარკვეულ პირობებს უკავშირდება; ეპიდემიურს, როცა Ო. Დ. გარკვეულ ტერიტორიაზე პერიოდულად ჩნდება და ვრცელდება; პანდემიურს, როცა ეპიდემია ფართოდ ვრცელდება, მოიცავს ქვეყნებს, კონტინენტს ან კონტინენტებს. ცნობილია Ო. Დ-ის ე. წ. გლობალური პანდემიები, როცა დაავადება სწრაფად და ერთდროულად ვრცელდება ყველა კონტინენტზე (მაგ., გრიპი).

ცნობები გადამდებ დაავადებებზე არსებობს ძვ. ჩინეთის, ეგვიპტის, ასევე ბაბილონის უძველეს ხელნაწერებში. Ო. Დ-ით გამოწვეული დამანგრეველი ეპიდემიები და პანდემიები მუდმივად თან სდევდა კაცობრიობის ისტორიას ყველა პერიოდში. მაგ., შუა საუკუნეებში შავი ჭირით გარდაიცვალა ევროპის მოსახლეობის ერთი მესამედი. XVII–XVIII სს-ში ევროპის ქვეყნებში მარტო ყვავილით ყოველწლიურად ავადდებოდა 10 მილიონზე მეტი ადამიანი. პარტახტიანი ტიფის ეპიდემია თან სდევდა ყველა ომს. ამ ინფექციით დაილუპა უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე ერთად აღებული სხვადასხვა სახეობის იარაღით. XX ს. გრიპის პირველი პანდემიის დროს (1918–22 წწ.), რ-იც ისტორიაში შევიდა ,,ისპანკას'' სახელით, დაავადდა 500 მილიონზე მეტი ადამიანი, მათგან 20 მლნ. გარდაიცვალა.

საქართველოში Ო. Დ-ის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია უშუალოდაა დაკავშირებული თსსი-ის Ო. Დ-თა კათედრის მოღვაწეობასთან, რ-იც დაარსდა 1930. მისი პირველი გამგე შ. *მიქელაძე* იყო. პედ. მუშაობასთან ერთად კათედრაზე დაიწყო ნაყოფიერი სამეცნ. მოღვაწეობა იმ პერიოდისათვის ინფექციური პათოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე. კათედრის პირველი წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ყვავილის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოგვიანებით, 1934 კათედრის ინიციატივით საქართველოში დაარსდა წითელას საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელი სადგური, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ პერიოდისათვის ფართოდ გავრცელებული წითელას მკურნალობის საქმეში.

1933–43 კათედრას ხელმძღვანელობდა ნ. *ანდრიაძე*. მისი წევრები ქვეყნის მასშტაბით ეწეოდნენ კონსულტაციებს. მათი სამეცნ. პუბლიკაციები ეხებოდა ქუნთრუშას, წითელი ქარის, მუცლის ტიფის, ნაწლავთა ინფექციების ეტიოლოგიისა და მკურნალობის პრობლემებს. კათედრის ინიციატივით დაინერგა დიფტერიული კრუპის მკურნალობა ინტუბაციით, რამაც შეამცირა ბავშვთა ლეტალობა. 1942 კათედრას შეუერთდა ტროპიკულ სნეულებათა კათედრა. 1943–54 კათედრის გამგე იყო მ. *კანდელაკი*, 1954–80 – გ. *კვიტაშვილი*, რ-ის უშუალო ინიციატივით ქვეყანაში ჩამოყალიბდა ინფექციონისტთა მძლავრი სკოლა. 1980-იდან კათედრას ხელმძღვანელობდა ე. *ბოცვაძე*. მისი ძალისხმევით ჩვენს ქვეყანაში ყოველმხრივ შეისწავლეს ვირუსული ჰეპატიტების პრობლემები. ამ პერიოდში ასევე მნიშვნელოვანი იყო სამეცნ. შრომები, რ-იც ეხებოდა ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის ინფექციების ეტიოლოგიის და მკურნალობის პრობლემებს, ნაწლავთა ინფექციების შესწავლას და სხვ.

1999-იდან კათედრის გამგე, ხოლო 2006-იდან – ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელია ე. *ვაშაკიძე*. კათედრის სამეცნ. კვლევები ამჟამად მიმართულია ქრონ. ვირუსული ჰეპატიტების, გენერალიზებული ბაქტერიული ინფექციების, სეფსისის პათოგენეზისა და მკურნალობისკენ. მაღალკვალიფიციური კადრი ჩართულია უნიკალურ, გლობალური მნიშვნელობის – ,,საქართველო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში'', რ-იც პირველი ეტაპის წარმატებით განხორციელების გამო გაგრძელდა 10 წლით.

ქვეყანაში Ო. Დ-ის პრობლემატიკაზე მუშაობს შემდეგი პროფილური დაწესებულებები: სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი''; შპს ,,აკად. ვ. ბოჭორიშვილის სახ. სეფსისის და ინფექციურ პათოლოგიის კლინიკა''; შპს ,,თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო''; შპს ,,ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი''; შპს ,,ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''; შპს ,,ქუთაისის ინფექციური საავადმყოფო''.

Ო. Დ-თან ბრძოლის მოთავე დაწესებულება ქვეყანაში არის ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

არსებობს 2 დარგობრივი ასოციაცია: ,,საქართველოს ინფექციონისტთა ასოციაცია'' (პრეზიდენტი – ე. ვაშაკიძე) და ,,საქართველოს ინფექციონისტთა, ეპიდემიოლოგთა, მიკრობიოლოგთა, პარაზიტოლოგთა, ჰეპატოლოგთა ასოციაცია'' (პრეზიდენტი – თ. *ცერცვაძე*). *პ. იმნაძე.*

ბავშვთა Ო. Დ., გადამდები დაავადებების გარკვეული ნაწილი, რ-ებიც უფრო ბავშვთა ასაკისათვის არის დამახასიათებელი, ესენია: წითელა, წითურა, ყბაყურა, ჩუტყვავილა, ქუნთრუშა და სხვ. ბავშვთა Ო. Დ-ის ზოგიერთი ინფექციის პრევენცია ხდება იმუნიზაციით.

ეს დაავადებები ხასიათდება ტიპური, წაშლილი ან სუბკლინიკური მიმდინარეობით. ისინი შეიძლება იყოს მწვავე და ქრონიკული.

ბავშვთა Ო. Დ-ის გადატანის შემდეგ ვითარდება კონკრეტული გამომწვევის მიმართ სპეციფ. და ხანგრძლივი (მთელი ცხოვრების განმავლობაში), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – სუსტი იმუნიტეტი.

ბავშვთა Ო. Დ-ის გადაცემის გზებია: ჰაერ-წვეთოვანი, ფეკალურ-ორალური, ტრანსპლაცენტური ან ლაქტაციის პერიოდში, ტრანსმისიური.

ახალშობილის იმუნური სისტემის მოუმწიფებლობას მივყავართ ე. წ. ფიზიოლოგიურ იმუნოდეფიციტამდე, რ-იც გამოირჩევა განსაკუთრებული მიმდებლობით ვირუსული და ბაქტერიული ინფექციებისადმი. ახალშობილები კი თითქმის მთლიანად დამოკიდებული არიან დედისგან პასიურად (ტრანსპლაცენტურად და ძუძუთი კვებისას) მიღებულ ანტისხეულებზე. ვაქცინაცია არის პროტექციის საუკეთესო საშუალება, რ-ითაც მშობელს შეუძლია დაიცვას შვილი დაახლ. 16 ინფექციური დაავადებისგან. იხ. იმუნიზაციის კალენდარი.

1. ჰეპ B (Hep B) – B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა;

2. ბცჟ (BCG) (კალმეტ-გერენის ბაცილა) – ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინა;

3. დყატ+B ჰეპ+ჰიბ +იპვ (ჰექსა/DPaT+HepB+Hib+IPV) – დიფთერიის, ყივანახველის (არაუჯრედული/აცელულარული), ტეტანუსის, B ჰეპატიტის, b ტიპის ჰემოფილუს

ინფლუენცას, ინაქტივირებული პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინა;

4. პნევმო (PCV) – პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა;

5. როტა (Rota) – როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა;

6. წწყ (MMR) – წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა;

7. დყტ (DPT) – დიფთერია-ყივანახველა-ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინა;

8. ოპვ (OPV) – პოლიომიელიტის ორალური ვაქცინა;

9. დტ (DT) – დიფთერია-ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინა (ანატოქსინი);

10. ტდ (Td) – ტეტანუს-დიფთერიის საწინააღმდეგო ვაქცინა (ანატოქსინი) ;

იპვ (IPV) – პოლიომიელიტის ინაქტივირებული ვაქცინა;

აატი – ადამიანის ანტიტეტანური იმუნოგლობულინი;

ატშ – ანტიტეტანური შრატი;

აა – ანტიტეტანური ანატოქსინი;

HBsAG–B ჰეპატიტის ვირუსის ზედაპირული ანტიგენი.

საქართველოში ბავშვთა ინფექციებთან ბრძოლის ისტორია დაკავშირებულია თბილ. ბავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოსთან და თსსი-ის ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა კათედრის მოღვაწეობასთან, რ-იც დაარსდა XX ს. 40-იან წლებში. ამ კათედრას ხელმძღვანელობდნენ ვ. ნემსაძე, ვ. მჭედლიშვილი, ა. ხოჭავა. ამჟამად კათედრას თსსუ-ის ბავშვთა ინფექციური სნეულებების დეპარტამენტი ეწოდება (ხელმძღვ. – მ. ხოჭავა).

იმუნიზაციის ეროვნ. კალენდრით გათვალისწინებული ყველა აცრა მოსახლეობისთვის უფასოა. სახელმწიფო მოსახლეობის იმუნიზაციისთვის იძენს მხოლოდ იმ ვაქცინებს, რ-საც აქვს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეკვალიფიკაცია, რაც მაღალი ხარისხის და უსაფრთხო იმუნიზაციის გარანტიაა. პარალელურად არსებობს კერძო იმუნიზაციის ცენტრებიც, სადაც შესაძლებელია ინდივიდ. იმუნიზაციის გეგმის განხორციელება იმ ვაქცინებით, რ-ებსაც ამა თუ იმ მიზეზით სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს.

მ. ხოჭავა.

ინფლაცია (ლათ. inflatio – გაბერვა), საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საერთო დონის ზრდა. ი-ის დროს წინა პერიოდთან შედარებით ფულის ერთი და იმავე მოცულობით ხდება უფრო ნაკლები საქონლისა და მომსახურების შეძენა. ამ დროს მცირდება ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა, ფული უფასურდება, ანუ კარგავს თავისი რეალური ღირებულების ნაწილს. ი-ის საპირისპირო პროცესია დეფლაცია, რაც ნიშნავს საქონლისა და მომსახურების ფასის საერთო დონის შემცირებას. ტერმინი ,,ინფლაცია'' პირველად გამოიყენეს ჩრდ. ამერიკაში სამოქალაქო ომის პერიოდში (1861–65) და გულისხმობდა ქაღალდის ფულის რაოდენობის ზრდას.

ი-ის წარმოშობის მიზეზებია: **მონეტარული ფაქტორები** – მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება მიმოქცევაში ფულის მასის უცვლელი მოცულობის პირობებში, სახელმწ. ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ემისიური ფულით, ჭარბი ინვესტირება, მ. შ., საკრედიტო, როდესაც ინვესტიციების მოცულობა აჭარბებს ეკონ. შესაძლებლობებს; **სტრუქტურული ფაქტორები** – ეკონ. სტრუქტურის დეფორმაცია, რ-იც გამოიხატება სამომხმარებლო სექტორის დარგების ჩამორჩენით, ინვესტიციების ეფექტიანობის შემცირება და მოხმარების ზრდის შეზღუდვა, ეკონ. მართვის სისტემის არასრულყოფილება, მონოპოლიზაციის მაღალი დონე; **საგარეო ფაქტორები** – ექსპორტიდან ამონაგების შემცირება, საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო.

ფასების ზრდის ტემპის მიხედვით განასხვავებენ ი-ის სამ ძირითად სახეს: **მცოცავი** (ზომიერი) ი. – ფასების ყოველწლ. ზრდა არ აღემატება 10%-ს და ფული არ უფასურდება. ასეთი ი. არ წარმოადგენს საფრთხეს ეკონომიკისათვის, ვინაიდან პროგნოზირებადია და ადვილად რეგულირებადი, იგი ხელს უწყობს ეკონ. ზრდას; **გალოპირებადი** (ნახტომისებრი) ი. – ფასების საშუალო წლ. ზრდა მერყეობს 10–20%-იდან 50–200%-ის დიაპაზონში, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ეკონ. განვითარებაზე. მისი რეგულირებისათვის გამოიყენება სპეც. ფინანს. ბერკეტები, ხშირად ტარდება ფულის რეფორმა; **ჰიპერინფლაცია** – ფასების ყოველთვიური ზრდის ტემპი აჭარბებს 50%-ს, დამახასიათებელია სტრუქტურული გარდაქმნების მქონე ქვეყნებისათვის, აგრეთვე ომისა ან პოლიტ. რყევების პერიოდებისათვის. ასეთი ი. მკვეთრად აუფასურებს ფულის ერთეულს, შლის საგადასახდელო სისტემას, ზრდის ეკონ. განვითარების დისპროპორციებს და ქმნის კრიზისულ სიტუაციას.

გამომწვევი მიზეზების მიხედვით განასხვავებენ ი-ის შემდეგ სახეებს: **მოთხოვნის** ი-ს – წარმოიქმნება ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შედეგად, რ-საც წარმოება ვერ აკმაყოფილებს. საქონლის დეფიციტი ზრდის მოთხოვნას, რ-იც, თავის მხრივ, იწვევს მისი ფასის ზრდას; **მიწოდების** (ხარჯების) ი-ს – წარმოიქმნება საწარმოო რესურსების არაეფექტიანი გამოყენების პირობებში, რაც ზრდის წარმოების ხარჯებს და შესაბამისად – საქონლის ფასს. ასეთი ი. აუფასურებს ფულს, ვინაიდან უცვლელი შემოსავლების პირობებში მყიდველები იძენენ იმავე საქონლის ნაკლებ რაოდენობას; **სტრუქტურულ დაინსტიტუციურ** ი-ს – განპირობებულია ეკონომიკაში სტრუქტურული ძვრებით, კერძოდ, ფასების ზრდით მის ცალკეულ სექტორებში, სადაც პროდუქციაზე მოთხოვნა ჭარბობს მიწოდებას. ასეთი ზრდა დამახასიათებელია ინოვაციური დარგებისათვის, რ-თა პროდუქციაზე მაღალია მოთხოვნა.

ი-ის უარყოფითი შედეგებია ფულადი მარაგის (ანაბრები, კრედიტები, ნაშთები ანგარიშებზე და სხვ.) და ფასიანი ქაღალდების გაუფასურება, შემოსავლების სტიქიური, არაკონტროლირებადი გადანაწილება – ი-ის დროს ზარალდებიან კრედიტორები, გამყიდველები, ექსპორტიორები, საბიუჯეტო სფეროს მუშაკები, ხოლო იგებენ მოვალეები, მყიდველები, იმპორტიორები, რეალური სექტორის მუშაკები; მახინჯდება ყველა ძირითადი ეკონ. მაჩვენებელი – მთლიანი შიდა პროდუქტი, რენტაბელობა, პროცენტი და სხვ.; ფასების ვარდნას თან სდევს ეროვნ. ვალუტის გაცვლითი კურსის ვარდნა.

ი-სთან ბრძოლის მეთოდებია: **წარმოების სტაბილიზება** და **სტიმულირება** – რაც გულისხმობს ეკონ. სტრუქტურულ გარდაქმნას, ადგილ. წარმოების განვითარებას, ეკონ. შედეგებზე

მეწარმეების პასუხისმგებლობის ზრდას; დაბეგვრის რეფორმა; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება უმეტესად არამწარმოებლური ხარჯების შემცირების გზით; ვაჭრობის ლიბერალიზაცია – ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვების შემცირება ან გაუქმება; საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება; სავალუტო კურსის რეგულირება; სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია; ეკონომიკის დემონოპოლიზაცია.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკისათვის ხშირად იყო დამახასიათებელი Ი-ის მაღალი დონე. საშ. წლ. Ი-ს მაჩვენებელი 1980–89 წლებში 0,6 % იყო, ხოლო 1990-იდან მისმა დონემ დაიწყო ზრდა. 1990 წ. Ი-მ შეადგინა 1,7%, 1991 წ. კი – 4,9%. 1992-იდან Ი-მ მიიღო გალოპირებადი სახე და მიაღწია 21,3%. ამის მიზეზი იყო იმ პერიოდში არსებული მძიმე ეკონ. პირობები, ეროვნ. ვალუტის არარსებობა და დამოკიდებულება მიმოქცევაში არსებულ რუს. რუბლსა და აშშ დოლარზე. 1993 წ. გარდამავალი ვალუტის – კუპონის – შემოღებამ კიდევ უფრო გააძლიერა Ი-ის ზრდის ტემპი, რაც წლ. 34,6% შეადგინა, ხოლო 1994 წ. – 56,3%. 1995 წ. განვითარდა ჰიპერინფლაცია – 1990 წელთან შედარებით საქართველოში ფასები 356,9 ათასჯერ გაიზარდა მაშინ, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტი თითქმის 4-ჯერ. ამავე წელს საქართვ. ეროვნ. ვალუტის – *ლარის* შემოღებამ დადებითად იმოქმედა Ი-ის ვარდნის ტენდენციაზე. 1996 წლის განმავლობაში Ი-ის მაჩვენებელი შემცირდა 42,9%-იდან (წლის დასაწყისში) 13,8%-მდე (წლის ბოლოს). Ი-ის მაჩვენებლის ვარდნა განპირობებული იყო გატარებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო, აგრეთვე რეგულირებადი ფასების სწორი პოლიტიკით. 1997–98 წლებისათვის დამახასიათებელი იყო დეფლაციური პროცესები. 1998 დეკემბრისათვის Ი-ის მაჩვენებელი გახდა უარყოფითი – 0,6%, ხოლო 1999-იდან Ი-მ ისევ მიიღო გალოპირებადი ხასიათი, რ-ის ძირითადი მიზეზი იყო სავალუტო კრიზისი და ცვლილებები საგადასახადო პოლიტიკაში. 2000–10 წლებში Ი. საქართველოში ატარებდა მცოცავ ხასიათს და ძირითადად ერთნიშნა მაჩვენებლით გამოისახებოდა (გარდა 2006–08 წლებისა, როცა Ი-ის მაჩვენებელი გაიზარდა 10%-ზე მეტად და განპირობებული იყო ძირითადად იმპორტის ფასების ზრდით). გამონაკლისი იყო 2009 აგვისტოს თვე, როდესაც Ი-ის მაჩვენებელი გახდა უარყოფითი – 3,1%. 2011 წლის ბოლოსათვის კი განვითარდა დეფლაციური პროცესი, გამოწვეული მოხმარების საერთო დონის შემცირების ტენდენციით. ეს პროცესი გაგრძელდა 2012 წელსაც. მხოლოდ 2013 წლის მიწურულს დაიწყო მისმა მაჩვენებელმა ზრდა და 2014 წ. საშუალოდ შეადგინა წლ. 3,1%. 2014 ნოემბერში განვითარებული სავალუტო კრიზისის შედეგად ეროვნ. ვალუტის კურსის ვარდნის გამო გაიზარდა სამომხმარებლო ფასები, რამაც განაპირობა Ი-ის მაჩვენებლის ზრდა წლის დასაწყისში 1,4%-იდან წლის ბოლოსათვის 4,9%-მდე. 2015 წ. ეროვნ. ვალუტის მკვეთრად მერყევმა გაცვლითმა კურსმა გამოიწვია Ი-ის მაჩვენებლის რყევა წლის განმავლობაში 1,3%-იდან 6,3%-მდე, 2016 წ. – 5,6%-იდან – 0,2%-მდე, ხოლო 2017 წ. – 3,9%-იდან 6,9%-მდე. საშ. წლიურმა Ი-მ კი შეადგინა შესაბამისად 4,0%, 2,1% და 6,0%.

საქართველოსათვის, როგორც იმპორტზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული ქვეყნისათვის, მეტწილ შემთხვევაში დამახასიათებელი იყო იმპორტირებული Ი., გამოწვეული როგორც იმპორტის ფასების ზრდით, ასევე ეროვნ. ვალუტის კურსის ვარდნით გარე შოკების შედეგად.

ლიტ.: ბლანშარი ო., მაკროეკონომიკა, თარგმ. ინგლ., თბ., 2010; ელიავა ლ., საქართველოს თანამედროვე ფინანსური გამოწვევები, თბ., 2015.

ლ. ელიავა.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲙᲐ (ფრანგ. Informatique; ინგლ. Computer science), მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სამეცნიერო ინფორმაციის სტრუქტურას და მის ზოგად თვისებებს, აგრეთვე მისი შექმნის, წარმოდგენის, შეკრების, ანალიზურ-სინთეზური დამუშავების, შენახვის, ძიებისა და გავრცელების ოპტიმალურ მეთოდებსა და საშუალებებს გადაწყვეტილებათა მიღების უზრუნველსაყოფად. Ი. ჩამოყალიბდა კიბერნეტიკის, ლოგიკის, ლინგვისტიკის, გამოთვლითი ტექნიკის, სემიოტიკის, ფსიქოლოგიის, პოლიგრაფიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, შრომის მეცნ. ორგანიზაციის მიჯნაზე. Ი. შედგება შემდეგი დარგებისაგან: ინფორმატიკის თეორია, სამეცნიერო კომუნიკაცია, სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობის ორგანიზაცია და ისტორია.

Ი-ის თეორიის ძირითადი ამოცანაა სამეცნ. ინფორმაციის შექმნის, გარდაქმნის, გადაცემისა და ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მისი გამოყენების ზოგად კანონზომიერებათა კვლევა. თეორიულ Ი-ს მიეკუთვნება გამოთვლადობის თეორია და ხელოვნური ინტელექტის პრობლემები, გამოთვლათა სირთულის თეორია, მონაცემთა ბაზებისა და სტრუქტურების საკითხები, ადამიანისა და კომპიუტერული პროგრამის ურთიერთობის საშუალებები (სამომხმარებლო ინტერფეისი, პროგრამირების ენები, ცოდნის ასახვის მეთოდები და ა.შ.) და სხვ.

Ი. მოიცავს შინაარსობრივ (სემანტიკურ) ინფორმაციას, მაგრამ იგი არ შეისწავლის მისი თვისებრივი შეფასების საკითხებს. ამგვარი შეფასება ცალკეული სამეცნ. დარგის სპეციალისტის ამოცანაა.

სამეცნ. ინფორმაცია არის ლოგიკური ინფორმაცია, რ-იც მიიღება შემეცნების პროცესში, იგი ადეკვატურად ასახავს ობიექტური რეალობის კანონზომიერებებს და გამოიყენება საზ.-ისტ. პრაქტიკაში.

სამეცნ. ინფორმაციის წარმოდგენის, გადაცემის, მიღებისა და ასახვის პროცესების ერთობლიობა შეადგენს სამეცნ. კომუნიკაციას. სამეცნ. კომუნიკაციის პროცესში აუცილებლად მონაწილეობენ მეცნიერები და სპეციალისტები. განარჩევენ კომუნიკაციის ,,არაფორმალურ'' და ,,ფორმალურ'' პროცესებს. ,,არაფორმალური'' პროცესის შემთხვევაში სამეცნ. ინფორმაციის გადაცემა და მიღება ხორციელდება უშუალოდ მეცნიერებს ან სპეციალისტებს შორის.

მრავალი საკითხი, რ-ებსაც დღეს Ი. შეისწავლის, ადრე სხვა დარგების (ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ბიბლიოგრაფია, ლინგვისტიკა და სხვ.) შესწავლის ობიექტი იყო. ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში გაჩნდა მოსაზრება, რომ ერთიან დარგად გაერთიანებულიყო სამეცნ. დოკუმენტების შეგროვებასთან, დამუშავებასა და შენახვასთან, ძიებასა და გავრცელებასთან

დაკავშირებული ყველა პროცესი. ამ დარგს ბელგ. იურისტმა პ. ოტლემ ,,დოკუმენტაცია'' უწოდა, რ-საც ხშირად Ი-ის სინონიმად ხმარობენ. მეცნიერების სწრაფმა განვითარებამ და სამეცნ.-ტექნ. რევოლუციამ განაპირობა Ი-ის, როგორც ახ. დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება. XX ს. დასაწყისში იქმნება დოკუმენტაციის დარგში საერთაშ. სამეცნ. ინ-ტი, ხოლო უფრო მოგვიანებით (1938) – დოკუმენტაციის საერთაშ. ფედერაცია. II მსოფლიო ომის (1939–45) შემდეგ დამუშავდა ინფორმაციული ძიების მექანიზაციის საკითხი, შეიქმნა სხვადასხვა საინფორმაციო-საძიებო სისტემები. Ი-ის მნიშვნელოვანი მიმართულებაა **ბუნებრივი ინფორმატიკა**, რ-იც შეისწავლის ინფორმაციის დამუშავების თავისებურებებს ცოცხალ ბუნებაში, ტვინის სტრუქტურებსა და საზოგადოებაში (ევოლუცია, განვითარების ბიოლოგია, დნმ-ის და გენომის სტრუქტურა, იმუნური სისტემები, უჯრედული მემბრანები, ჯგუფური ყოფაქცევისა და მენეჯმენტის თეორია და ა.შ.).

Ი-ის განვითარებას დიდი ბიძგი მისცა კომპიუტერის გამოგონებამ და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ.

კომპიუტერული Ი. ემყარება სამ ძირითად იდეას: 1. საკმარისია მხოლოდ 2 ობიექტი, რ-ებითაც კომპიუტერს შეუძლია აღწეროს ნებისმიერი ინფორმაცია (მაგ., 0 და 1; წერტილი/ტირე; „ჩართულია“/,,ამორთულია“; „დამაგნიტებულია“/,,განმაგნიტებულია“ და ა. შ.); 2. საკმარისია მხოლოდ 5 მოქმედება (ინგლ. მათემატიკოსის ა. ტიურინგის ფორმულირებით), რომ კომპიუტერმა შეასრულოს „ნებისმიერი ბრძანება“: ერთი პოზიციით მარჯვნივ (მარცხნივ) გადატანა; მოცემულ პოზიციაზე სიმბოლოს ამოცნობა; მოცემულ პოზიციაზე 0 ან 1 დასმა; 3. ნებისმიერი პროგრამის ფუნქციონირებისათვის საკმარისია მხოლოდ 3 წესი: თანმიმდევრობა („ჯერ - ეს, შემდეგ - ის“); ამორჩევა („თუ - ეს, მაშინ – ის, ან თუ არა – მაშინ“; „IF – THEN, ELSE“); განმეორება („გააგრძელე, სანამ“; „WHILE“).

XX ს. 40-იანი წლებიდან Ი-ის დარგში გამოდის მრავალი ჟურნალი: «Journal of Documentation» (L., 1945-იდან), «American Documentation» (Wash., 1950-იდან; 1970-იდან – «Journal of the American Society for Information Science»); «Научно-техническая информация» (1961-იდან) და სხვ. ტარდება საერთაშ. სამეცნ. კონფერენციები, მოსწავლეთა და სტუდენტთა ოლიმპიადები Ი-ში და სხვ.

ა. ფრანგიშვილი.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ, გამოყენებითი მათემატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ინფორმაციის შეფასების, კოდირების, გადაცემის, შენახვის, მიღების, დეკოდირებისა და დახარისხების მათემატიკური აღწერის მეთოდებსა და საშუალებებს. Ი. თ. წარმოიშვა ინფორმაციის შეკუმშვის ზომაზე და ხმაურიან არხზე ინფორმაციის საიმედოდ გადაცემის სისწრაფის ზღვრების დასადგენად. Ი. თ., ძირითადად, შეისწავლის ინფორმაციის რაოდენობრივ ზომას.

Ი. თ-ის, როგორც მეცნიერების, დასაწყისად ითვლება ამერ. მეცნიერის კ. შენონის სტატია „კომუნიკაციის მათემატიკური თეორია“ (1948), რ-შიც შემოღებულია Ი. თ-ის ძირითადი ცნებები, მ. შ. ინფორმაციის რაოდენობის ერთეული **ბიტი** (ინგლ. bit, binary digit). Ი. თ. გამოიყენება ინფორმაციის შეკუმშვისთვის დანაკარგების გარეშე (მაგ., ZIP ფაილების შექმნელად), დანაკარგებით (მაგ., MP3 მუსიკის ან JPEG სურათების ფორმატები), ხმაურიანი არხებით ინფორმაციის გადაცემისას [მაგ., მობილური ტელეფონები, ინტერნეტის DSL ხაზები, კოსმოსური ხომალდებიდან ინფორმაციის (სურათების) დაბრუნება დედამიწაზე] და სხვ.

Ი. თ-ის გამოყენებით პოულობენ კოდირების მეთოდებს. იგი საშუალებას იძლევა, მოცემული ინფორმაცია აისახოს მაქსიმალურად შეკუმშულ კოდში, იმის გათვალისწინებით, რომ გადაცემისას შეიძლება მისი ნაწილი დაიკარგოს ან შეიცვალოს. ამისთვის კოდში უნდა იყოს დამატებითი სიმბოლოები, რ-ებიც არასრულად და (ან) არასწორად გადაცემული ინფორმაციის ამოცნობის საშუალებას იძლევა. მაგ., ქართულ ენაში (და სხვა ენებშიც) კავშირები, რ-ებიც ხშირად გვხვდება, მოკლე სიტყვებით გამოითქმის, ხოლო შედარებით იშვიათი სიტყვები გრძელია, რაც საშუალებას იძლევა ვიმეტყველოთ მოკლე წინადადებებით. მეორე მხრივ, ჩვეულებრივი ენა „ჭარბად ინფორმატიულია“, სიტყვებში ბევრი „ზედმეტი“ სიმბოლოა, რაც საშუალებას იძლევა შეცდომების შემთხვევაშიც კი ამოვიცნოთ საჭირო ინფორმაცია. შესაბამისად, Ი. თ-ის ამოცანაა, ინფორმაციის იმ მინ. რაოდენობის დადგენა, რ-საც უნდა შეიცავდეს ტექსტი (სიტყვები, სიმბოლოები და ა.შ.), რათა მისი ამოცნობა შეცდომებით გადაცემის შემთხვევაშიც იყოს შესაძლებელი. დანაკარგების გარეშე შეკუმშვის მაგალითია **მორზეს კოდი**. უფრო ხშირად ხმარებული ასოები აქ წვრილდგენილია მოკლე კოდებით (მაგ., „ე“ – მხოლოდ წერტილით), ხოლო შედარებით იშვიათი ასოები – უფრო გრძელი კოდებით. ეს საშუალებას იძლევა სიტყვები მოკლე კოდებით გამოისახოს.

მოვლენის შესახებ ინფორმაციის რაოდენობა I გამოითვლება **ჰარტლის** ფორმულით: $I=\log_{1/2}p=-\log_2 p$ (1928; $I = \lambda o \gamma (\pi)$ {\displaystyle I=log⁡γ(π)} p მოვლენის მოხდენის ალბათობაა). თუ მომხდარ მოვლენათა ალბათობებია $p_1,\ldots,p_K$, მაშინ $I=-(\log_2 p\ I = \lambda o \gamma (\pi)$ {\displaystyle $I=log⁡γ(π)\})_{საშ}=-\mathrm{Sum}\,(p_i \log_2 p_i)$ (შენონის ფორმულა, 1948). თერმოდინამიკური ენტროპიისთვის ცნობილ **ბოლცმანის** ფორმულასთან ამ ფორმულის მსგავსების საფუძველზე ხშირად იხილავენ ენტროპიას Ი. თ-ში, როგორც ინფორმაციის არქონის ზომას. ამ მიდგომის თანახმად, ინფორმაციის ნებისმიერი რაოდენობის მოსაპოვებლად აუცილებელია შესაბამისი რაოდენობის ენერგიის დახარჯვა, ანუ ინფორმაციას აქვს გარკვეული ,,ენერგეტიკული ფასი''.

ინფორმაციის რაოდენობის ერთეული ბიტი (1 *ბიტ*) შეესაბამება ინფორმაციას ისეთი მოვლენის მოხდენის შესახებ, რ-ის ალბათობაა 1/2; $8=2^3$ *ბიტ* შეადგენს 1 ბაიტს (*ბტ*). Ი. თ-ში გამოიყენება უფრო დიდი ერთეულებიც (იხ. ცხრილი): $1024=2^{10}$ *ბტ* = 1 *კბტ* (KB), 2^{20} *ბტ* = 1 *მგბტ* (MB).

თუ მოვლენის ალბათობაა 1 ან 0, მაშინ შესაბამისი ინფორმაციის რაოდენობაა 0. ქართულ 33-ასოიან ანბანში თითოეული ასოს ინფორმაცია საშუალოდ (თუ ჩავთვლით, რომ ყველა ასო ერთნაირი სიხშირით იხმარება) შეადგენს დაახლოებით 5 *ბიტ* ($33\approx 2^5=32$). UNICODE მანქანური კოდების სისტემა შეიცავს 2^{16} სიმბოლოს; თითოეული სიმბოლოს ინფორმაცია შეადგენს 16 *ბიტ*=2 *ბტ*. ტექსტში არსებული ინფორმაციის სრული რაოდენობა ტოლია სიმბოლოთა სრული რაოდენობის ნამრავლისა ერთი სიმბოლოს ,,ფასზე'' – სიმბოლოში ინფორმაციის რაოდენობაზე.

ი. შ-ის თანახმად, ინფორმაციის გაცვლა მიმდინარეობს სამ საფეხურად: კოდირება (ციფრულ ფორმატში გადაყვანა); გადაცემა (ამა თუ იმ ფიზიკური ბუნების გადამტანით); დეკოდირება (ციფრული ფორმატიდან თავდაპირველი, მაგ., გამოსახულების ან ხმოვანი ფორმატის აღდგენა).

,,ხმაურიანი'' გადამცემი არხის ინფორმაციული გამტარუნარიანობა (დროის ერთეულში გადაცემული ინფორმაციის რაოდენობა) განისაზღვრება შენონის თეორემით, ფორმულით $C = f_m \log_2 (P_{სიგნ}/P_{ხმაურ} + 1)$, სადაც f_m გადასაცემი სიხშირეების ზოლის სიგანეა, ხოლო $P_{სიგნ}$ და $P_{ხმაურ}$ – არხში სიგნალისა და ხმაურის სიმძლავრეები. კოდირებისა და დეკოდირების საფეხურზე ანათვალთა მინიმალურ აუცილებელ რაოდენობას განსაზღვრავს ნაიკვისტ-კოტელნიკოვ-შენონის თეორემა: ნებისმიერი ფუნქცია, რ-იც შეიცავს სიხშირეებს 0-იდან f_c-მდე, შეიძლება ნებისმიერი სიზუსტით გადავცეთ რიცხვთა მიმდევრობით, რ-თა გადაცემის შუალედია $(2f_c)^{-1}$ წმ.

ი. შ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმა: ი. *ფრანგიშვილმა*, თ. *ვაშაყმაძემ* (თსუ), ჰ. *მელაძემ* (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნ-ტი), ა. *ფრანგიშვილმა* (სტუ), გ. *ხარატიშვილმა* და სხვ.

ინჩხური, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლების *დიდი ინჩხურისა* და *პატარა ინჩხურის* გავრცელებული სახელწოდება.

ინჩხურის განძი, სამონეტო განძი. აღმოჩნდა 1988 სოფ. ინჩხურში (მარტვილის მუნიციპალიტეტი) ადგილ ღვამუშზე. მონეტები ეწყო თიხის ქოთანში და შედგმული იყო დიდი ლოდის ქვეშ. განძი შეიცავს 234 ცალ ვერცხლის დირჰემს, რ-ებიც მოჭრილია ომაიანთა (9 ცალი) და აბასიანთა (225 ცალი) ხალიფების მიერ სახალიფოს სხვადასხვა ზარაფხანაში (ბაღდადი, ბასრა, მოჰამედია, ნიშაბური, ქუფა, ჯი, აარრანი, არმენია) ჰიჯრის 87–199 (707–815) წწ-ში, აგრეთვე ბიზანტიის იმპ. მავრიკი ტიბერიუსის (582–602) ოქროს სოლიდს.

განძის შემადგენლობა ასახავს დას. საქართვ. ფულადი მიმოქცევის სურათს VIII–IX სს. მიჯნაზე. ი. ბ-ისა და საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილი მისი თანადროული განძების განხილვა გვიჩვენებს აღმ. და დას. საქართველოს ერთიანობას ფულადი მიმოქცევის სფეროში. განძი ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმსა და გ. ელიავას სახ. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

თ. ქუთელია. ც. ღვაბერიძე.

ინწკირვეთი, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის წყალსაყრის თემში (აჭარის არ), მდ. ჭვანისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1300 *მ*, შუახევიდან 30 *კმ*. 217 მცხ. (2014).

ინწკირველი ალექსანდრე სოლომონის ძე (15. I. 1898, სოფ. ნაგომარი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 6. V. 1967, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). საქართვ. არქიტექტორთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1924–30 სწავლობდა უმაღლეს სამხატვრო-ტექ. ინ-ტში, არქიტ. სპეციალობით (მოსკოვი). ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილ. რამდენიმე საპროექტო ინ-ტში არქიტექტორად სხვადასხვა თანამდებობაზე (არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელის ჩათვლით). ი. აგეგმარებდა დასახლებულ ადგილებს, აგრეთვე საცხოვრ. სახლებს, ადმ. შენობებს, სანატორიუმებს და სკოლებს. ამასთან ერთად, 1930–60 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვ. საინჟ.-სამშ. ინ-ტში (ამჟამად სტუ). ძირითადი ნამუშევრები: წყალტუბოში – სოცდაზღვევის სანატორიუმი (1947, არქიტ. თ. ფოცხიშვილთან ერთად), სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმის კომპლექსი (1956, არქიტ. ვ. ჩანტლაძესთან ერთად, თანაავტ. ვ. ნასარიძე) და სხვ.

გ. მარსაგიშვილი.

ინწკირველი ამბროსი ნესტორის ძე (28.XI. 1887, სოფ. ბახვი, ოზურგეთის მაზრა, – 23. I. 1969, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. კანდიდატი (1938), პროფესორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1968). დაამთავრა კიევის კომერციული ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი (1915). ინ-ტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმსა და ფოთში, მასწავლებლობდა ქ. ფოთის ქალთა გიმნაზიაში. 1919 დაინიშნა თბილ. ქალაქის გამგეობის მდივნად, 1920 კი აირჩიეს საქართვ. კოოპერატიული ბანკის გამგეობის წევრად, კითხულობდა ლექციებს თბილ. პედ. (საპედაგოგიო) ინ-ტში. 1923 მიიწვიეს თსუ-ში ბუხჰალტრული აღრიცხვის დისციპლინებში ლექციების წასაკითხად. 1944 აირჩიეს მისივე ინიციატივით იქვე დაარსებული საბუხჰალტრო აღრიცხვისა და სამეურნ. საქმიანობის ანალიზის კათედრის გამგედ, სადაც ორი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა.

ი-ის სამეცნ. შრომები ეხება ბუხჰალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების თეორ. და პრაქტ. საკითხებს. ავტორია ათობით სამეცნ. ნაშრომისა, მ. შ. 12 სახელმძღვანელოსი. მან ქართ. ენაზე შეადგინა პირველი ორიგინ. სახელმძღვანელოები: ,,საბანკო ანგარიშწარმოება'' (1927), ,,კოლმეურნეობათა ანგარიშსწორება'' (1930), ,,სამრეწველო ანგარიშსწორება'' (1934) და სხვ. მისი ნაშრომი საკოლმეურნეო ბუხჰალტერიაში ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო იყო არა მარტო ქართ., არამედ რუს. ენაზეც.



გ. ინწკირველი.

თხზ.: ბუხჰალტერიის ზოგადი კურსი ორ ნაწილად: თეორია და პრაქტიკა, ტფ., 1924; ანგარიშმცოდნეობის საფუძვლები, გამოც. მე-3, ტფ., 1931; საბუხჰალტრო აღრიცხვის თეორიის კურსი, თბ., 1961.

ინწკირველი გიორგი (გივი) ზაქარიას ძე (8. III. 1926, თბილისი, – 19. VII. 2004, იქვე), იურისტი, პოლიტოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1997). იურიდ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1986). დაამთავრა თსუის იურიდ. ფაკ-ტი (1948). 1951-იდან მოღვაწეობდა თსუ-ში, იყო იურიდ. ფაკ-ტის დეკანი (1952–66 და 1989–98), სამართ. თეორიისა და კონსტ. სამართ. კათედრის გამგე (1964–2004). ი-ის ძირითადი შრომები ეხება სახელმწ. და სამართ. ზოგადი თეორიის, პოლიტ. მოძღვრებათა ისტორიის, დემოკრატიისა და კონსტ. სამართ. პრობლემებს. ი. ხელმძღვანელობდა თსუ-ის სტრუქტურაში არსებული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სამეცნ.-საკოორდინაციო საბჭოს. იყო საქართვ. საკონსტიტუციო სამართ. სამეცნ.-საკონსულტაციო საბჭოს თავ-რე; მსოფლიო იურისტთა ასოციაციის საპატიო წევრი (1998); უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა საერთაშ. აკად. ნამდვ. წევრი (1994) და სხვ. 1993 საქართვ. პარლამენტმა აირჩია სახელმწ. საკონსტიტუციო კომისიის წევრად და ამ კომისიის თავ-რის მოადგილედ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. მ.შ. ღირსების ორდენი (1996) და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის

ორდენი (2001). თბილ. საპატიო მოქალაქე (2002).

თხზ.: კანონი და პიროვნება, თბ., 1974; სამართალმცოდნეობა, თბ., 1992 (თანაავტ. და რედ.); სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2011.



ლ. ინწკირველი.

ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ ლევან გრიგორის ძე (1.VI.1927, ქუთაისი, – 31.X. 2010, იქვე), სპორტსმენი (კალათბურთი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1950). ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ტიტულოვანი და სახელოვანი წარმომადგენელი. დაამთავრა თსუ (1952). თამაშობდა თბილ. ,,დინამოში'' (1947–64). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1950, 1953–54), სამგზის მეორე (1959–61) და ორგზის მესამე (1948, 1952) პრიზიორი. სსრკ თასის სამგზის მფლობელი (1949–51). საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის მეორე პრიზიორი საქართვ. ნაკრების შემადგენლობაში (1959). თბილ. ,,დინამოს'' მოთამაშე მწვრთნელი (1963–64) და მთ. მწვრთნელი (1967–70). მისი ხელმძღვანელობით გუნდი გახდა სსრკ ჩემპიონი (1968), მეორე პრიზიორი და თასის მფლობელი (1969), ითამაშა ევროპის თასის მფლობელთა თასის ფინალში. წვრთნიდა ,,ნორჩ დინამოელებს'', რ-ებიც სსრკ ჩემპიონები გახდნენ (1970). საქართვ. დამს. მწვრთნელი (1969). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ შოთა ვალერიანის ძე (14. IX. 1929, ოზურგეთი, –14. XI. 1994, თბილისი), მოჭადრაკე, მწვრთნელი. სსრკ დამს. მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან საერთაშ. დიდოსტატები: ზ. *აზმაიფარაშვილი,* ნ. *გურიელი,* გ. ზაიჩიკი, საერთაშ. დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში დ. *გურგენიძე;* საერთაშ. ოსტატები: ა. იაშვილი, თ. ტაბატაძე; ოსტატები: ც. კახაბრიშვილი, თ. ლომაია, ქ. და ნ. მელაშვილები, მ. წერეთელი; საქართვ. დამს. მწვრთნელები: გ. მაჭარაშვილი, კ. ჩიგოგიძე, გ. ხომერიკი.

წლების განმავლობაში ჭადრაკის კუთხე მიჰყავდა გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკასა'' და ჟურნ. ,,პიონერში''. გამოქვეყნებული აქვს თეორ. ხასიათის წერილები ჭადრაკზე, ავტორია წიგნისა ,,სისადავის სიდიადე'' (2004).

დ. გურგენიძე.

ᲘᲜᲬᲝᲑᲐ, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 22 *კმ,* აუზის ფართ. 83 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნა – ზაფხულსა და შემოდგომაზე. ქვემო დინებაში 0-ს სარწყავად იყენებენ. *ი. აფხაზავა.*

ᲘᲜᲬᲝᲑᲐ, ს ა ბ უ ე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს სოფ. საბუედან (ყვარლის მუნიციპალიტეტი) 6–7 *კმ*-ზე, მდ. ინწობის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. კომპლექსში შედის VIII–IX სს. ნათლისმცემლის სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ტაძარი, მასზე სამხრ-იდან მიშენებული სამსართულიანი კოშკი, ქვის ზღუდის ფრაგმენტები, გალავნის სამხრ. ნაწილში ჩართული ორსართულიანი კოშკი, რ-ის პირველი სართული კარიბჭეა, და სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები. გალავნის გარეთ შემორჩენილია სათოფურებით აღჭურვილი კოშკის ნანგრევები. ეკლესია ნაგებია თანაბარი ზომის უხეშად დამუშავებული ქვით, ასევე გამოყენებულია აგურიც. საკურთხევლის კუთხეები და სარკმლის გარეთა ღიობი გამოყვანილია შირიმით. აფსიდით დასრულებული მთავარი ეკლესიის ვიწრო და მაღალი, გეგმით წაგრძელებული შუა ნავი უშუალოდ უკავშირდება სამსხვერპლოსა და სადიაკვნეს. მთავარ ეკლესიას სამხრ-ით და დას-ით ორი შესასვლელი აქვს. შენობის დას. ნაწილში განიერი დერეფანია, რ-იც გვერდის ეკლესიებს ერთმანეთთან აკავშირებს. სამხრ. ეკლესიას სამხრეთიდან აქვს ორმალიანი თაღოვანი შესასვლელი, რ-ის ნალისებრი ფორმის თაღები მათ შორის აღმართულ სვეტს ეყრდნობა. ეკლესია შიგნიდან მოხატული ყოფილა (შემორჩენილია მხატვრობის კვალი).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 1-, თბ., 2013.

ᲘᲜᲬᲣᲮᲘ, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშეთის (ომალოს) თემში (კახეთის რეგიონი). ზ. დ. 2200 *მ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

ᲘᲝᲐᲙᲘᲛᲔ, ი ო ვ ა კ ი მ ე, აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოსი დაახლოებით XV ს. 70-იან წლებში, ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი. ქართლ-იმერეთის მეფის, *ბაგრატ VI-ის,* დადიანისა და გურიელის თანამზრახველობით 0. კათოლიკოსად აკურთხა არა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, არამედ დას. საქართველოში ჩამოსულმა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა *მიქაელმა* (1470/74–84). ამ აქტით ბაგრატ VI-მ პოლიტიკურად დაშლილ საქართველოში დასავლეთის ეკლესიაც მცხეთისაგან დამოუკიდებელი გახადა. იმავე პატრიარქ მიქაელის სახელით შედგა კანონიკური ძეგლი „მცნებაჲ სასჯულოჲ'', რითაც აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოსი გაუთანასწორდა მცხეთის კათოლიკოს-პატრიარქს და განსაზღვრა მისი



ინწობა. სამონასტრო კომპლექსი. VIII–IX სს.

იურისდიქცია [იურიდიულად განამტკიცა აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოსის დამოუკიდებლობა აღმ. საქართველოს უმაღლესი საეკლ. ხელისუფლებისგან].

წყაროებში 0. დახასიათებულია როგორც საეკლ. საქმეების ენერგიული გამგებელი, რ-იც განსაკუთრებით ზრუნავდა საკუთრივ აფხაზეთში ქრისტ. რელიგიის განმტკიცებაზე. 0-მ დიდი ამაგი დასდო ქართველთა ჯვრის მონასტერს იერუსალიმში, რის გამოც ხსენებულ მონასტერში საუკუნო აღაპი დაუწესეს.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ლომინაძე ბ., საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

თ. მარგველაშვილი.

იოაკიმე მღვდლის ელჩობა რუსეთში 1586–87, სახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში. *ალექსანდრე II-მ* კახეთიდან უკან დაბრუნებულ *დანილოვის ელჩობას* თან გააყოლა თავისი ელჩები: იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა. 1586 ოქტომბერში ელჩები წარუდგნენ რუს. ხელმწიფეს. ალექსანდრე II-ის სახელით ისინი რუსეთისაგან ითხოვდნენ მდ. თერგზე ციხის აგებას და იქ ჯარის ჩაყენებას; თერგიდან საქართველოსკენ მომავალი გზის დაკავებას, რ-იც საშამხლოზე გადიოდა; კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას და გარეშე მტერთაგან დაცვას. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ქართვ. ელჩები კახეთში დაბრუნდნენ. მათ თან ჩამოჰყვათ რუსი ელჩები ბირკინის მეთაურობით (იხ. *ბირკინის ელჩობა* კახეთში).

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967. *ვ. მაჭარაძე.*

იოაკიმიდი ლუკა ალექსანდრეს ძე (22. VI. 1909, თბილისი, – 1992, კრასნოდარის მხარე, რუსეთი), სპორტსმენი (წყალბურთი), მწვრთნელი. სსრკ დამს. მწვრთნელი (1956). საქართვ. მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი. სსრკ მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელი (1967–70). XX ს. 40–70-იან წლებში იყო საქართვ. მოცურავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი. თბილ. ,,დინამოს'' წყალბურთელთა გუნდის მეკარე და მთ. მწვრთნელი (1949–52). მისი აღზრდილები არიან პ. *მშვენიერაძე*, ნ. *გვახარია*.

იოანე, XII ს. II ნახ. ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლის რომანას მონასტერში. თამარ მეფის შეკვეთით მას გადაუწერია ვანის სახარება, რ-იც ბიზანტ. ოსტატ მიქაელ კორესელს მოუხატავს და დაუსურათებია. მორთულობა (კამარები, თავსამკაულები, მინიატიურები) წიგნისა და თავების დასაწყისშია თავმოყრილი. ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურით შესრულებული სახარება (29 *სმ* × 21 *სმ*) სეპიის (ღია ყავისფერი) მელნით ორ სვეტადაა ნაწერი. მორთულობის სიმდიდრითა და შესრულების ხასიათით ვანის სახარება ერთი უპირველესთაგანია ქართ. ,,არისტოკრატიულ'' ხელნაწერთა შორის.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

იოანე ეპისკოპოსი, XV ს. საეკლესიო მოღვაწე, მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი (ისტ. წყაროები მიტროპოლიტადაც მოიხსენიებს). 1437–39 *ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების* მონაწილე, გრიგოლ ეპისკოპოსსა და ერთ ქართვ. დიდებულთან (სახელი უცნობია) ერთად საქართვ. დელეგაციის აქტ. წევრი და ხელმძღვანელი. რომის პაპის ჩანაფიქრით, უნდა მომხდარიყო კათოლ. და ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანება, რაც ფაქტობრივად ვატიკანის პოლიტ. ბატონობის აღიარებას ნიშნავდა. ქართ. დელეგაცია დარწმუნდა, რომ პაპისაგან საქართველო რეალურ დახმარებას ვერ მიიღებდა, ამიტომ მათ გაერთიანების აქტს ხელი არ მოაწერეს. საეკლ. კრების დროს დელეგაციის წევრებზე ფიზ. ზემოქმედებისა და ძალდატანების საშიშროება შეიქმნა, ამიტომ გრიგოლ ეპისკოპოსმა შეკრება მიატოვა და საქართველოში დაბრუნდა. 0-მ ღარიბის ტანსაცმელი გადაიცვა და იტალიაში იმოგზაურა პაპის პოლიტიკის მხილების მიზნით.

ლიტ.: ჟუჟუნაძე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, კრ.: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970. *დ. ნინიძე.*

იოანე (ჯორჯაძე) (გ. 1763), საეკლესიო მოღვაწე, მწიგნობარი, დავითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი (1736–63), ნეკრესის მიტროპოლიტი (ნეკრესელი 1740–51), ბოდბის ეპისკოპოსი (ბოდბელი 1751–63). მღვდელმთავრობის დროს დავითგარეჯის მონასტერში ცხოვრობდა. 1751 ბოდბეში გადავიდა. მონაწილეობდა *ერეკლე II-ის* მიერ თბილისში გამართული საეკლ. კრების (1748) მუშაობაში, რ-მაც მიიღო კანონები მღვდელმსახურებისა და სარწმუნოების ნორმების დაცვის შესახებ.

ლიტ.: ლომინაძე ბ., გარეჯის სენიორია, მის წგ.: ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე.

იოანე (ავალიანი) (1783–1858), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ეპისკოპოსი (1852). დაამთავრა თბილ. კეთილშობილთა სასწავლებელი. 1814 აკურთხეს მღვდლად. 1819 დეკანოზის პატივი მიენიჭა. 1826–34 იყო თბილ. ზნეობითი სასამართლოს წევრი. 1831 დაჯილდოვდა ენქერით. თანაუგრძნობდა 1832 შეთქმულების მონაწილეებს რუსეთის წინააღმდეგ. 1834 დაინიშნა სინოდის კანტორის წევრად. 1834-იდან იყო არქიმანდრიტი, ხოლო 1840–52 – ვიკარი. 1852 მიეკუთვნა ეპისკოპოსის ხარისხი და დაინიშნა გორის ეპისკოპოსად (1852–58). ეწეოდა საქველმოქმედო და საზ. მოღვაწეობას, თანამშრომლობდა პერიოდულ პრესასთან. დაჯილდოებულია წმ. ანას ორდენით. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში. *ლ. ურუშაძე.*

იოანე I, ქართლის პირველი მამამთავარი (ეპისკოპოსი) IV ს. 20–60-იან წლებში. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' მიხედვით, მირიან მეფის თხოვნით იმპ. კონსტანტინემ ქართლში გამოგზავნა ,,იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი'', ხოლო ლეონტი მროველის ცნობით: ,,წარმოგზავნა მღდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად, და მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი''. ქართლში წამოსულებმა მონათლეს მირიან მეფე, დედოფალი ნანა, მათი სახლობა, დიდებულები და ,,ყოველი ერი''. 0. I-მა უფლის ,,სამჭუალნი და ხურონი განძი'', რ-იც კონსტანტინემ გამოატანა, ერუშეთს ჩაიტანა, ხოლო ,,ფიცარნი იგი უფლისანი'' მანგლისში დატოვა, სადაც ეკლესიის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. მისი ზრუნვით აღუმართავთ სალოცავი ჯვრები; მონაწილეობა მიუღია მცხეთის საეპისკოპოსოს ჩამოყალიბებასა და წმ. ნინოსთან ერთად

მთის მოსახლეობის ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევაში. ი. I, ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' თანახმად, მეფე ბაკურის დროს გარდაიცვალა და მის შემდეგ ეპისკოპოსად *იაკობი* დაჯდა.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'', შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *თ. მარგველაშვილი.*

იოანე II, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. VII ს. 20-იანი წლების ბოლოს, ადარნასე ბაკურის ძის ერისმთავრობის დროს. ,,ქართლის ცხოვრების'' ჩანართი ტექსტის ცნობა შეცდომით ი. II-ს მიაწერს *იოანე გუთელის* ეპისკოპოსად კურთხევას. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' მიხედვით, ადარნასეს დროს გარდაიცვალა სამი კათოლიკოსი: ,,ერისთავობდა ადარნასე, და მისა ზე სამნი კათალიკოზნი იცვალნეს: იოვანე, ბაბილა, თაბორ''.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963; ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *ბ. ლომინაძე.*

იოანე II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, იხ. *იოანე V.*

იოანე II, ტრაპიზონის მეფე (1266–97). ბიზანტიის კეისარმა მიხეილ პალეოლოგოსმა ტრაპიზონის სამეფოს თავისი პოლიტ. გავლენის ქვეშ მოქცევის მიზნით ი. II-ს ქალიშვილი შესთავაზა თანამეცხედრედ, მოტყუებით კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა და განუცხადა, რომ მას უფლება არ ჰქონდა თავისი თავისთვის კეისარი ეწოდებინა და კეისრისათვის განკუთვნილი შესამოსელ-ნიშნები გამოეყენებინა. ტრაპიზონის საკეისროს, რ-ის მოსახლეობა უმთავრესად ქართველური ტომის – ლაზების ანუ ჭანებისაგან – შედგებოდა, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1282 აპრილში საქართვ. მეფემ, დავით VI ნარინმა, ილაშქრა ტრაპიზონის სამეფოში და, თუმცა ტრაპიზონის აღება ვერ შეძლო, საკეისროს დიდი ნაწილი დაიპყრო. 1284 საქართველოში გათხოვილი ი. II-ის და – თეოდორა – დავით VI-ის ჯარის დახმარებით ტრაპიზონში შეიჭრა და კეისრის ტახტი დაიკავა. საკეისრო საქართველოს პოლიტ. გავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ შემდეგში ვითარება შეიცვალა და ი. II-მ ხელისუფლება დაიბრუნა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982. *ლ. მანიავა.*

იოანე III, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. VIII ს. 40–60-იან წლებში. კათოლიკოსად აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა თეოფილაქტემ (744/45–751) და ანტიოქიის ეკლესიის წმ. სინოდის გადაწყვეტილებით გადასცა პროტრეპტიკონი. ქართლში დაკანონდა ადგილ. კრების მიერ არჩეული კათოლიკოსის ადგილზე ინტრონიზაცია ანტიოქიისაგან ყოველგვარი დასტურის გარეშე. ი. III-ის შესახებ ცნობა დაცულია ბერძნულ, ანტიოქიურ ქრონოგრაფში, საიდანაც შეტანილია *ეფრემ მცირის* (XI ს. II ნახ.) საისტ. თხზულებაში. ი. III-მ ეპისკოპოსად აკურთხა *იოანე გუთელი.*

წყარო: ეფრემ მცირე, უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევსასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების, თ. ბრეგვაძის გამოც., თბ., 1959; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *ბ. ლომინაძე.*

იოანე IV (ოქროპირი), ქართლის კათოლიკოსი 980–1001. კათოლიკოს ბასილ III-ის თხზულების ,,თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსი'' მიხედვით, იოანეს მშობლებს შვილი არ ჰყავდათ და წმ. *შიო მღვიმელს* ევედრებოდნენ შემწეობას. შვილის შეძენის შემდეგ, მშობლებმა ი. IV შიომღვიმის მონასტერს მიაბარეს, სადაც ეზიარა იმ სიწმინდესა და სიბრძნეს, რის გამოც მას ოქროპირი უწოდეს: ,,რომელი ყოვლითურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი უკეთუ ვისმე უნდენ ცნობად, მიიღეთ ხელად მისთჳს აღწერილი წიგნი''...

ი. IV საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 3 (16) მარტი.

წყარო: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 1, ტფ., 1892 (კანზე: 1893).

ლიტ.: კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, თბ., 1900; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *თ. მარგველაშვილი.*

იოანე V (ოქროპირი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1033–49. ადრე მოღვაწეობდა კალიპოსსა და ათონის მონასტრებში იოანე და ექვთიმე მთაწმინდელებთან. იგი კარგი მქადაგებელი ყოფილა, ამიტომაც უწოდებიათ ოქროპირი. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ცნობილია ,,ოქროპირად'' წოდებული რამდენიმე კათოლიკოსი. ი. V მეორე ოქროპირია [სტ-ში *გიორგი III* (ტაოელი) ნახსენებია როგორც ი. II, რ-შიც იგულისხმება არა ნუმერაციით მეორე კათოლიკოს-პატრიარქი, არამედ რიგით მეორე ,,ოქროპირი'']. ი. V-ს დაუმტკიცებია მელქისედეკ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისათვის ბოძებული ,,დაწერილი'', აუგია ფოკის (ისტ. ჯავახეთი) ეკლესია, რ-ის სამშ. წარწერაში თვითონაა მოხსენიებული. ანტონ I-ის ,,წყობილსიტყვაობაში'' ი. V. დახასიათებულია როგორც გამოჩენილი საეკლ. მოღვაწე.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთა XI საუკუნისა, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.

იოანე VI, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XII ს. პირველ მეოთხედში. იყო დავით აღმაშენებლის სახელმწ. ღონისძიებების ენერგიული გამტარებელი, 1104 თავმჯდომარეობდა *რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას,* რ-მაც ეპისკოპოსობიდან გადააყენა ცენტრ. ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვარიანი ფეოდალები და მათ ადგილზე დაადგინა მეფის ერთგულნი; მოაწესრიგა საეკლ. წყობილების დარღვეული ნორმები, შეიმუშავა და დადგენილების სახით გამოუშვა ახ. საეკლ. კანონები. ი. VI-მ დავით აღმაშენებლის საგანგებო ,,ანდერძი''-ტიპიკონით (1123) შიომღვიმის სამეფო მონასტერს მიანიჭა მის საყმო მამულში სასამართლო და საგადასახადო შეუვალობა. ი. VI ეპისკოპოსებთან და მეუდაბნოეებთან ერთად მონაწილეობდა იმ საღვთისმეტყველო დისკუსია-პაექრობაში, რ-იც დავით აღმაშენებელს ჰქონდა სომეხ მონოფიზიტებთან. ზრუნავდა საზღვარგარეთის ქართ. კულტ. ცენტრებში ლიტ. მუშაობის გააქტიურებისათვის.

წყარო: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1953; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება,

ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ,,ძეგლისწერა'' რუის-ურბნისის კრებისა, წგ.: დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის რედ., თბ., 1975; Mapp H. Я., Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.–Л., 1940.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *ბ. ლომინაძე.*

იოანე VI კანტაკუზენი (Iōannēs Kantakuzēnos) (დაახლ. 1293, კონსტანტინოპოლი, – 15.VI. 1383, მისტრა), ბიზანტიის პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, იმპერატორი 1341–53. აუჯანყდა იოანე V პალეოლოგოსს და თავი იმპერატორად გამოაცხადა. ატარებდა ფეოდ. არისტოკრატიის სასარგებლო პოლიტიკას, რამაც საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. ამის გამო იძულებული გახდა უარი ეთქვა ტახტზე და ბერად აღკვეცილიყო. 0. VI-მ მონასტერში დაწერა ,,ისტორია'', რ-იც 1320–56 მოვლენებს ეხება და გვიანდ. ბიზანტ. ხანის ისტორიის მდიდარ ფაქტობრივ მასალას მოიცავს. ცნობილია მისი ხრისობული (სიგელი) ივერთა მონასტრის მამულების შესახებ: «ჩემს მეუფებას სურს ყოველნაირად დაუბრკოლებლივ იქნეს დაცული შეწუხებული პატივდებული მონასტრის წილი, ყველაფერში, რაც შეუძენია, და არასოდეს იქნეს შეწუხებული ვინმესგან... ეს პატივდებული მონასტერი ... დაჯილდოვებულია ფულად სახსრით, ესე იგი ივერთა მონასტერი, რისთვისაც მიენიჭა წინამდებარე ხრისობული ჩემი მეუფებისა, გაცემული ივლისის თვის თოთხმეტს, 1351 წლისა, რასაც ხელს აწერს... იოანე, ქრისტე-ღმერთის მიმართ მორწმუნე მეფე და თვითმპყრობელი რომაელთა კანტაკუზენი».

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 8, თბ., 1970. *ნ. ლომოური.*

იოანე VII, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1205/06–10. ეკუთვნოდა სამღვდელოების კონსერვატიულ წრეს. იღვწოდა ქართ.-დიოფიზიტური ეკლესიის პრივილეგიური მდგომარეობისათვის. ზაქარია მხარგრძელს მოუწვევია ვანის სომეხი კათოლიკოსი და ვარდაპეტნი, რ-ებთანაც 0. VII-ს საღვთისმეტყველო პაექრობა ჰქონდა და ,,იღგა, ვითარცა გოდოლი შეურყეველი, ტურფად აღშენებული, ესრე მტკიცედ და განშუენებულითა პირითა''. იცავდა და ქადაგებდა მართლმადიდებლობას, რის შემდეგაც ,,მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად''. ქართ. საეკლესიო ტრადიციით, 0. VII ,,ანგელოზთა სწორად'' იწოდება.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

ბ. ლომინაძე.

იოანე VIII, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1505–09 წლებში. მოიხსენიება აწყურის მთავარეპისკოპოსის, ნიკოლოზ მაწყვერელის ერთგულების ფიცის წიგნში, რ-იც სხვადასხვა დროით თარიღდება, თუმცა თ. ჟორდანია და ქ. შარაშიძე 0. VIII-ს კათოლიკოსობას *დავით X-ის* (1505–25) მეფობის პერიოდს ამთხვევენ. აღნიშნული საბუთის მიხედვით, აწყურის ეპისკოპოსი მთავარეპისკოპოსად კურთხევისათვის ემადლიერება 0. VIII-ს და აღთქმას დებს: ,,სიცოცხლესა ჩემსა თჳნიერ მცხეთისა სახლი დედა-ქალაქი არა აღვიარო და თქვენ, მაკურთხევლის ჩემისა იუვანე კათალიკოზისაგან კიდე სხუასა კათალიკოზს არა დავემორჩილო...''. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ამ პერიოდისთვის სამცხე-საათაბაგოს ეკლესია აღმ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა.

წყარო: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *თ. მარგველაშვილი.*

იოანე IX (ავალიშვილი), აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1612–16, მწიგნობარი, კალიგრაფი, მხატვარი. კათოლიკოსობამდე საფარის მონასტრის წინამძღვარი იყო, შემდგომში – ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი, მოგვიანებით ქართლის მთავარეპისკოპოსობა უბოძეს. 0. IX და მისი ძმა ზაქარია დაახლოებული იყვნენ ქართლისა და კახეთის სამეფო ოჯახებთან. 1614, აბას I-ის აღმ. საქართველოში შემოსევის დროს, იმერეთში გაიხიზნა და დიდხანს *მალაქია II-თან* ცხოვრობდა, გარდაიცვალა იქვე. 1609 0. IX-ს *თეიმურაზ I-ის* დედის – ქეთევან დედოფლის დაკვეთით გადაუწერია და აშიებით შეუმკია ლოცვან-დაუჯდომელი. ერის-კაცობის დროს მასვე გადაუწერია და მხატვრულად გაუფორმებია ,,ვეფხისტყაოსანი''.

წყარო: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: კაკაბაძე ს., ვეფხისტყაოსნის 1600 წლის ახლოდროინდელი მხატვრული ხელნაწერი, «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2. *ბ. ლომინაძე.*

იოანე X (დიასამიძე) (გ. 1700), აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1688–92, 1695–1700. *ერეკლე I-მა* ნიკოლოზ კათოლიკოსი გადააყენა და მის ნაცვლად თავისი ბიძა, იოანე, დანიშნა. 0. X კათოლიკოსად კურთხევამდე რუსთავის მიტროპოლიტი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: ,,არა იცვალებოდნენ კათალიკოზი და ეპისკოპოსნი საყდართა თჳსთაგან. ამან შესცვალა და დასხნა თჳსნი, კათალიკოსად დიასამიძე იოანე, მთავარეპისკოპოსად ნაცვლიშვილი, ტფილელად ყაფლანისშვილი დომენტი, მანგლელად ჯავახიშვილი იოსებ''.

0. X. მხარს უჭერდა ერეკლე I-ს *გიორგი XI-ის* წინააღმდეგ ბრძოლაში. ზრუნავდა მცხეთის საპატრიარქო ეკლესიის ეკონ. გაძლიერებისათვის. 1692 დავითგარეჯის მონასტერს მცხეთის შემოსავლიდან დაუწესა ყოველწლიური ულუფა-ჯამაგირი სურსათის სახით.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები საქართველოს XVI–XVIII საუკუნეთა ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», ნაკვ. 29, თბ., 1951.

ბ. ლომინაძე.

იოანე XXII (Ioannes), ერისკაცობაში – ჟაკ დიუეზი (Jacques Duèze) (დაახლ. 1244 ან 1249, კაპორი, – 4. XII. 1334, ავინიონი), რომის პაპი 1316–34. პაპის ტახტი დაიმკვიდრა ავინიონში. ებრძოდა ლუდვიგ IV ბავარიელს. მის დროს დამტკიცდა საეკლ. სამართლის კოდექსი. სამღვდელოებაში შემოიღო მძიმე საგადასახადო სისტემა. 0. XXII-სა და *გიორგი V* ბრწყინვალეს შორის დამყარდა დიპლ. ურთიერთობა. 1328 კათოლიკეთა საეპისკოპოსო ტახტი სმირნიდან გადმოიტანა თბილისში, სადაც 1329 კათოლიკეთა პირველ ეპისკოპოსად დომინიკელი *იოანე ფლორენციელი* დანიშნა.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., თბ., 1902. *ვ. გოილაძე.*

იოანე ანჩელი, რკინაელი, XII–XIII სს. ქართველი საეკლე-

სიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი; ანჩის მთავარეპისკოპოსი, თამარ მეფის თანამედროვე. მის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები ერთობ მწირია. ტბეთის სახარების (XII ს.) ანდერძში იგი არსენ ბერის (XI–XII სს.) ძმად იხსენიება; XII ს. ხატის (ანჩისხატის) წარწერიდან ირკვევა, რომ თამარ მეფის ბრძანებით ი. ა-მა ხატი მოაჭედინა ბექა ოპიზარს. ხატზე წარწერაა: „... მე, იოანე ანჩელმან, რკინაელმან, ჴელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჭედვად...“. ი. ა-ს ეკუთვნის აკროსტიქული საგალობელი ,,გალობანი ანჩისხატისანი“ (კიდურწერილობა – ,,საშინელსა ანჩისა ხატსა უგალობ უნდოი იოვანე ანჩელი“), რ-იც გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1903.

თხზ.: [წიგნში] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შემდგ. სოლ. ყუბანეიშვილი, [ტ.] 1, თბ., 1946.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ს უ ლ ა ვ ა ნ., XII–XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.

ლ. ჯღამაია.

იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (16. V. 1768, თბილისი, – 15. II. 1830, სანქტ-პეტერბურგი), სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, განმანათლებელი, მწერალი, მეცნიერი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, გენერალ-ადიუტანტი (1803), გიორგი XII-ის ვაჟი. დაწყებითი განათლება დავით რექტორის ხელმძღვანელობით მიიღო. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი ითამაშა ერეკლე მეფის კარზე მყოფმა პოლიტ. აგენტმა ი. *რაინეგსმა* და ავსტრიელმა მეცნიერმა ი. გეტიკმა.

ი. ბ. ახალგაზრდობიდანვე ჩაება საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1789 ლეკებს ებრძოდა ზედაველაზე, 1790 იმერეთში ერეკლე მეფის დავალებით იცავდა სოლომონ II-ის ტახტს პრეტენდენტთა შემოსევებისგან. 1795 აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში მოწინავე რაზმის სარდალი იყო: კრწანისის ბაღებში მოიგერია მტრის პირველი დარტყმა, უკუაგდო იგი, შემდეგ კი ერეკლე მეფე დატყვევებისგან იხსნა. 1796 სოფ. შილდას იცავდა ომარ-ხანის (ხუნძახის ბატონი) შემოსევებისგან. 1798 სოფ. დირბთან დაამარცხა ლეკები. იმავე წელს დავით ბატონიშვილთან ერთად გაილაშქრა ყარსის საფაშოს წანააღმდეგ და გაიმარჯვა. 1800 თავი გამოიჩინა ომარ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ნიახურასთან. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ აქტიურად ეხმარებოდა დავით ბატონიშვილს ტახტის შემომტკიცებაში. 1801 რუს. მთავრობამ ი. ბ. აიძულა სამშობლო დაეტოვებინა (მმებთან ერთად) და რუსეთში გადასახლებულიყო. იგი თავდაპირველად მოსკოვში შეჩერდა, 1802 თებერვლიდან კი პეტერბურგში დამკვიდრდა.

ი. ბ-მა ადრე დაიწყო სამეცნ. მოღვაწეობა. 1794–98 ხელმძღვანელობდა (დავით ბატონიშვილთან ერთად) ქართლ-კახეთის აღწერას. 1799 დაწერა მნიშვნელოვანი ნაშრომი ,,სჯულდება“ (იხ. *იოანე ბატონიშვილის სჯულდება*), რ-შიც დასმულია საქართველოს მართვისა და პოლიტ.-საზ. და კულტ.-ეკონ. ცხოვრების რეორგანიზაციის საკითხები. ინტერესს იწვევს ავტორის აზრი ,,განათლების მოხელის“ პოსტის შემოღების შესახებ, რ-საც უნდა ეხელმძღვანელა სკოლებისა და სტამბის საქმიანობისთვის; საჭიროდ თვლიდა სათათბირო ორგანოს შექმნას, გაზეთის დაარსებას, უმაღლესი სასწავლებლების გახსნას თბილისში, გორსა და თელავში; დაწყებითი განათლების შემოღებას ვაჭართა და გლეხთა შვილებისთვის და სხვ.

პეტერბურგში დამკვიდრების შემდეგ პოლიტ. ასპარეზს ჩამოცილებული მეცნიერი ენციკლოპედიურ განათლებას დაეწაფა და გულდასმით მუშაობდა მეცნ. და ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ისტორია, ლექსიკოგრაფია, ფილოსოფია, ესთეტიკა, მუსიკა, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, სამხ. საქმე და სხვ.); გარს იკრებდა ენების მცოდნე და მუყაით მწიგნობრებს და წარმართავდა მათ კულტ.-საგანმან. მოღვაწეობას – ათარგმნინებდა და თვითონაც თარგმნიდა პროგრ. იდეების შემცველ სამეცნ. შრომებს, სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, სამკურნალო წიგნებს და გზავნიდა საქართველოში. მისი აზრით, ქართველების ხსნა ფართო განათლებითა და მრავალგვარი ცოდნის დაუფლებით იყო შესაძლებელი. თვითონაც აქტ. შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა: თარგმნიდა საჭირო წიგნებს, ქმნიდა სახელმძღვანელოებსა თუ ლექსიკონებს, სამკურნ. წიგნებსა და ენციკლოპედიური ხასიათის შრომებს. აღსანიშნავია მისი ორიგინ. თხზულებები: ისტ. ხასიათის ,,ქართლ-კახეთის აღწერა“, ,,ბაგრატიონთა შთამომავლობა“; ,,ქართული ლექსიკონი“, რ-ის მხოლოდ ფრაგმენტია მოღწეული (აა-ანოლა), ,,მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონი“, ,,სალექსიკონო მასალები“, ,,ქართული გრამატიკა“, ,,სწავლანი“ – ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება, სამშობლოს მონატრებით დაწერილი ,,პატარა ედემით განძება“ და სხვ. რაც შეეხება რუს.-ქართ. და საბუნებისმეტყველო ლექსიკონებს, რ-ებიც თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში მას მიეწერებოდა, შედგენილია სხვა ავტორის მიერ ი. ბ-ის დავალებითა და ზედამხედველობით.

ი. ბ-ის შემოქმედების გვირგვინია ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება ,,ხუმარსწავლა“, ანუ ,,კალმასობა“, რ-იც დაიწერა 1813–28. ი. ბ., როგორც საქართვ. საზ. ცხოვრების ევრ. ყაიდაზე გარდაქმნის მოსურნე და მქადაგებელი, თხზულებაში საინტერესოდ გადმოსცემს განმანათლებელთა იდეებს და მათ განხორციელებას უკავშირებს თავისი ქვეყნის პოლიტ. ძლიერებასა და კულტ.-ეკონ. აღორძინებას. სწორედ ,,ხუმარსწავლაშია“ ჩართული ავტორის პირველი გრამატ. ნაშრომი, რ-იც სიტყვა-მიგების წესითაა დაწერილი. შინაარსობრივად იგი მიჰყვება *დავით ბატონიშვილის*, *ანტონ I-ის* და განსაკუთრებით *გაიოზ რექტორის* გრამატიკებს. მეორე დამოუკიდებელი გრამატ. ნაშრომი (1829) სახელმძღვანელოდაა გათვალისწინებული და არ იმეორებს პირველს. ავტორს უსარგებლია მთლიანად დავით ბატონიშვილის გრამატიკით, თუმცა მასში ცალკეული (უმნიშვნელო) გადახვევები მაინც შეინიშნება. ი. ბ-ის გრამატიკებმა ქართ. გრამატ. აზრის განვითარებაზე გავლენა ვერ იქონია (ა. ფოცხიშვილი).

თხზ.: სჯულდება, ივ. სურგულაძის გამოც., თბ., 1957; ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბედოშვილის გამოც., თბ., 1986; ხუმარსწავლა, ც. კანაბარიშვილის და ც. კიკვიძის გამოც., წგ. 1–2, თბ., 1990–91.

ლიტ.: გ ო გ უ ა ძ ე ნ., იოანე ბატონიშვილის ,,გრამატიკა“, «კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე», 1962, ტ. 4; კ ი კ ნ ა ძ ე ლ., იოანე ბატონიშვილის კალმასობისეული ქართული გრამატიკის ტექსტისათვის, «მრავალთავი» (ფილოლ.-ისტ. ძიებანი), XX, თბ., 2003; კ ო ტ ი ნ ო ვ ი ნ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან. XVIII–XIX სს., თბ., 1973; ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995; ქართული ლიტერატურის ისტორია, რედ. კ. კეკელიძე, ტ. 2, თბ., 1966; ქ ი ქ ო ძ ე გ., წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985; ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე ლ., იოანე ბაგ-

რატიონის ,,ქართული ლექსიკონი'', თბ., 1975. *ლ. კიკნაძე.*

იოანე ბატონიშვილის სჯულდება (,,წინადადებაჲ''), ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო წყობილების რეფორმის პროექტი, რ-იც *იოანე ბატონიშვილმა* წარუდგინა მეფე გიორგი XII-ს 1799 წ. 10 მაისს. პროექტის ავტორი ცდილობს ,,განწირულებასა შინა'' მყოფ სრულიად საქართველოს უჩვენოს მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი. იგი იხილავს სახელმწ. მმართველობისა და სამხ. უწყების რეფორმის საკითხებს. მისი მიზანია სახელმწ. ხელისუფლების გაძლიერება და ფეოდალთა თვითნებობის აღაგმვა. ძეგლის მიხედვით, საქართველოს უნდა ჰყავდეს დისციპლინებული რეგულ. არმია, რ-ის შესაქმნელად საჭიროა სახელმწ. შემოსავლის გადიდება სხვადასხვა გადასახადის შემოღებით. ყოველ ათ კომლ ყმას ერთი უცოლშვილო ყმაწვილი კაცი უნდა მიეცა სახელმწიფოსათვის ,,თავისის პურით ხუთს წელიწადს''. ასე უნდა შექმნილიყო ჯარი ,,ვიდრე ორი ათას კაცამდე''. არმიიდან დათხოვნის შემდეგ ჯარისკაცებს ეძლეოდათ ქორწინების ნებართვა. ცალკე უნდა შექმნილიყო ცხენოსანი ჯარი, *მდევარი* არ უნდა მოშლილიყო, უნდა გაუმჯობესებულიყო არმიის შეიარაღება, შექმნილიყო არტილერია.

ძეგლში შენარჩუნებულია სახელოების მემკვიდრეობითობის პრინციპი, თუმცა საჭიროდაა მიჩნეული სამოხელეო აპარატის გარკვეული რეფორმა, ახ. სახელოების შემოღება. სჯულდება ითვალისწინებს მამულების, ქვრივ-ობერთა და ელჩების უფროსების, განათლების მოხელის თანამდებობებს. პროექტის ავტორი მეფეს ურჩევს, ხელი შეუწყოს ქართველთა შორის ვაჭრობის განვითარებას. აუცილებლადაა მიჩნეული ქვეყანაში ხელოსნობის განვითარება, თბილისში, გორსა და თელავში გათვალისწინებულია სასწავლებლების გახსნა, წერილების საცავის, ანუ დავთარხანის და ,,ბიბლიოთიკის'' სახლის აშენება.

სჯულდების თანახმად უნდა განვითარებულიყო საჯარო სასჯელთა სისტემა. სამშობლოს მოღალატე – ,,მამულის მუხანათი'' – მკაცრად უნდა დასჯილიყო, მიუხედავად მისი პიროვნებისა. ძეგლის ავტორი კაცისმკვლელთა მიმართ ვახტანგის სჯულით გათვალისწინებულ ,,სისხლს'' მსუბუქად მიიჩნევს და სასჯელად აწესებს მარჯვ. ხელის მოჭრას. ვინც მესამედ მოჰკლავდა კაცს, სიკვდილით უნდა დასჯილიყო. სჯულდება მნიშვნელოვანი ძეგლია გვიანდ. შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტ. და ეკონომიკ. აზროვნების, ქართ. სამართლის, საქართვ. სახ. მეურნ., სამხ. წყობილებისა და განათლების სისტემის ისტ. შესასწავლად.

ტექსტ.: ბაგრატიონი ი., სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1957.

გ. ნადარეიშვილი.

იოანე გედიელი, ბედიის მთავარეპისკოპოსი XI ს. II ნახევარში. ჰქონდა სვინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე ბერი) საეკლ. წოდება. 1065, როდესაც ბაგრატ IV-ის ასული *მარიამი* (მართა) ცოლად გაჰყვა ბიზანტ. იმპერატორის – კონსტანტინე X დუკას ვაჟს მიხეილს (შემდგომში იმპ. მიხეილ VII), კონსტანტინოპოლში ჩასულ ქართვ. ბიზანტიის მომავალ დედოფალს თან ახლდა სამეფო დელეგაცია: პეტრე პატრიკი, ი. ბ. და ,,სხუაჲ ერი ფრიადი''.

წყარო: გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1994.

ლიტ.: კუდავა ბ., იოანე ჭყონდიდელი (XI საუკუნის ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის), «არტანუჯი», 1994, № 2–3. *ბ. კუდავა.*

იოანე ბერაი, X ს. ქართველი კალიგრაფი. აღიზარდა და მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. პარხლის ოთხთავისა და შატბერდის კრებულის გადამწერი. პარხლის ოთხთავი (22,9 *სმ* × 19,9 *სმ*, 259 ფურცელი, ეტრატი) გადაწერილია 973. ნაწერი შესრულებულია მრგლოვანით, ორ სვეტად, სეპიის (ღია ყავისფერი) ფერი მელნით. ყოველი თავის დასაწყისში სინგურის სათაურები და ინიციალებია, ხოლო თავსა და ზოგიერთი მუხლის ბოლოს – სინგურისავე წვრილი ჯვრებია, რითაც კალიგრაფი ხელნაწერს უფრო საზეიმო იერს ანიჭებს. შატბერდის კრებული (973–976) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლია თავისი მდიდარი შინაარსის გამო. იგი შეიცავს უძვირფასეს ქართულ საისტ. წყაროს – ,,ქართლის მოქცევის'' მატიანეს, გრიგოლ ნოსელის, ეპიფანე კვიპრელისა და ბასილი კესარიელის თხზულებებს, დავითის ფსალმუნებს და სხვ. იგი საშუალო ზომის სქელი წიგნია (28,0 *სმ.* × 22,0 *სმ*, 286 ფურცელი, ეტრატი). კრებულის 126 ფურცელი ასომთავრულითაა გადაწერილი ორ სვეტად, ყავისფერი მელნით და ერთი ხელითაა შესრულებული. შემდეგ ნუსხური უშუალოდ აგრძელებს მთავრულს. აქ სამი ხელი გაირჩევა (ალბათ, ამ ნაწილის გადაწერაში იოანეს ძმა და ბიძა – მიქაელ მოდრეკილი – მონაწილეობდნენ). შატბერდის კრებულის გაფორმება მარტივი და უპრეტენზიოა. ი. ბ. თავისი დროის შესანიშნავი კალიგრაფი იყო.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967. *ვ. ბერიძე.*

იოანე ბოლნელი, X–XI სს. საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მქადაგებელი; ბოლნისის ეპისკოპოსი. ერთხანს ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა; გარდაიცვალა ბოლნისში. ი. ბ. ქართ. *ჰომილეტიკის* უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. ჩვენამდე მოღწეული მისი ჰომილიები ძირითადად სახარების ამა თუ იმ ეპიზოდის განმარტებაა, ამასთან მორალურ-ეთიკური ხასიათის შეგონებებსაც



იოანე ბერაი. შატბერდის კრებული. X ს.

შეიცავს. ი. ბ-ის ქადაგებანი ქართ. მჭევრმეტყველებისა და მხატვრული სიტყვის მაღალი ოსტატობის თვალსაჩინო ნიმუშია. მისმა ცნობილმა ქადაგებამ ,,ღვინისმსმელთა და მომთვრალეთათვის'' გავლენა იქონია ს.-ს. ორბელიანის შესაბამის ქადაგებაზე.

თხზ.: ქადაგებანი, ტფ., 1911.

ლიტ.: ბარამიძე რ., იოანე ბოლნელი, თბ., 1962; კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება, [ტ.] 1, თბ., 1975; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

რ. ბარამიძე.

იოანე გუთელი, გუთეთის (ასე იწოდებოდა ადრე შუა საუკუნეებში ყირიმის ნ.-კ-ის სამხრ. ნაწილი) ეპისკოპოსი 758-იდან (გ. წელი უცნობია). იოანეს მამას ლეონი ერქვა, დედას – ფოტიანე. ლეონის მამა პონტოდან იყო გადასახლებული გუთეთში. იოანე ბავშვობიდანვე ,,ასკეტურ ცხოვრებას'' ეზიარა.

ბიზანტ. იმპ. კონსტანტინე V კოპრონიმის (743–775) მიერ კონსტანტინოპოლში მოწვეულმა მსოფლიო საეკლ. კრებამ (754) ხატთაყვანისცემის აკრძალვა დაადასტურა. კრებაზე დამსწრე გუთეთის ეპისკოპოსი დადგენილების მიმხრობის გამო იმპერატორმა თრაკიაში ჰერაკლიის მიტროპოლიტად დანიშნა, მის მაგივრად გუთეთის მოსახლეობამ იოანე აირჩია. გუთეთის ეკლესია იმხანად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, ამიტომ იოანე გუთეთის ეპისკოპოსად კონსტანტინოპოლის პატრიარქს უნდა ეკურთხებინა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ხატმებრძოლი იყო, გუთეთის მოსახლეობა კი ხატთაყვანისმცემლად რჩებოდა, ამიტომ იერუსალიმში საკურთხებლად ჩასული იოანე იქ სამი წელი უშედეგოდ ელოდა ხელდასხმას (საეკლესიო სამართლიდან გამომდინარე, იერუსალიმის პატრიარქს სხვა საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ეპარქიის ხელდასხმის უფლება არ ჰქონდა). იერუსალიმიდან გუთეთში დაბრუნებული იოანე, როგორც მის ,,ცხოვრებაშია'' ნათქვამი, მრევლის მოთხოვნით იბერიაში ჩამოვიდა და აქ იქნა ხელდასხმული გუთეთის ეპისკოპოსად.

ი. ბ-ის ,,ცხოვრებასა'' და ,,დიდ სჯნაქსარში'' არსებულ ცნობებზე დაყრდნობით, ქართ. სამეცნ. ლიტრაში მისი ხელდასხმის ადგილად ქ. მცხეთა იყო მიჩნეული – სავარაუდოდ, იგი *იოანე III* ქართლის კათოლიკოსმა აკურთხა.

ი. ბ-ის ,,ცხოვრების'' ცნობებიდან გამომდინარე, იგი ცოცხალი ჩანს კონსტანტინოპოლის პატრიარქის პავლეს (766–780) დროსაც. 780 ი. ბ. კონსტანტინოპოლში ჩასულა და ხატთაყვანისმცემელთა მხარდასაჭერად უქადაგია. მას შემდეგ, რაც იმპერიამ გუთეთი ხაზართა ხანს დაუთმო, ი. ბ. მცირე აზიაში გაიქცა და 4 წელი ქ. ამასტრიდაში იმყოფებოდა. იქ გაიგო ხაზართა ხანის გარდაცვალების ამბავი, მეორმოცე დღეს, 26 ივნისს, კი ი. ბ-ც გარდაიცვალა. ამასტრიდის ეპისკოპოსმა გიორგიმ და ქალაქის მოსახლეობამ მისი ნეშტი ,,საკმეველითა და სანთლებით ხომალდამდე მიაცილეს''. ი. ბ. ქ. პართენიტონში, წმ. მოციქულთა მონასტერში თავის მამობილთან დაკრძალეს. შერაცხულია წმინდანად. ღირსი იოანეს ხსენების დღეა 26 ივნისი (9.07).

წყარო: წმინდა იოანე გუთელის ცხოვრება, თარგმ. ბერძნულიდან ე. ჭელიძისა, «ლიტერატურა და ხელოვნება», 1992, №324; Житие преподобного отца нашего Иоанна Эпископа Готии, «Записки Императорского Одесского общества истории древностей», т. 3, Одесса, 1883.

ლიტ.: გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991; წმინდანთა ცხოვრება, ტ. 3, თბ., 2001.

ვ. გოილაძე.

იოანე და გიორგი-იოანე, ბეთანიელი ბერები და წმინდა აღმსარებელნი.

არქიმანდრიტი იოანე (ერისკაცობაში – ვასილ მაისურაძე) (1882, ცხინვალი, – 1957, ბეთანია) 14 წლის ასაკში ბეთანიის მონასტერში მორჩილად მოღვაწეობდა. 1903 ათონის მთაზე წმ. იოანე ღვთისმეტყველის სავანეში დამკვიდრდა, სადაც ბერად აღიკვეცა. იქვე 1917 წ. 24 მაისს მღვდლად აკურთხეს. 17 წლის მოღვაწეობის შემდეგ, 1920, სხვა ქართვ. ბერებთან ერთად იძულებით დატოვა ათონის მთა და არმაზის მონასტერში დაიწყო მსახურება, მაგრამ მალე მონასტერში მოღვაწე ერთ ბერთან ერთად მძიმედ დაჭრეს. გადარჩენილებმა თავი მცხეთას შეაფარეს. 1922-იდან იოანე ბეთანიის მონასტერში დამკვიდრდა და სავანის წინამძღვარი გახდა.

არქიმანდრიტმა გიორგი-იოანემ (ერისკაცობაში – გიორგი მხეიძე) (1. I. 1887, სოფ. ქვემო კრიხი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 12. IX. 1962, ბეთანია) დაწყებითი განათლება რაჭის სოფ. ჭელიაღელეში მიიღო. შემდეგ სწავლა ყვარელში განაგრძო, მოგვიანებით კი – პეტერბურგის სამხ. სასწავლებელში. 1909, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ი. ჭავჭავაძის პირად მდივნად მსახურობდა, მაგრამ ბერმონაზვნური ცხოვრების გზა აირჩია და მღვდელმონაზონ ალექსის (შუშანია) დაემოწაფა. მოგვიანებით კი მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა) მცირე სქემაში აღკვეცა.

1924 გიორგიმ ბეთანიის მონასტერში მამა იოანესთან ერთად დაიწყო მოღვაწეობა. 1957 წ. 9 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკის კურთხევით დიდ სქემაში აღიკვეცა და იოანე ეწოდა. 1961 წ. 21 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა *ეფრემ II-მ* გიორგი-იოანეს არქიმანდრიტის პატივი მიანიჭა.

ი. და გ.-ი-ს ბეთანიაში მოღვაწეობა მრავალ სირთულესა და გაჭირვებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ბოლომდე შეძლეს მონასტრის შენარჩუნება და აღორძინება.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ 2003 ი. და გ.-ი. წმინდანთა დასში შერაცხა და ხსენების დღედ 8 (21) სექტემბერი დაადგინა. 2014 წ. 20 თებერვალს კი ი. და გ.-ს წმინდა ნაწილთა ,,აღმოყვანება'' განხორციელდა.

ლიტ.: არქიმანდრიტი ლაზარე, ბეთანია – სახლი სიგლახაკისა, თბ., 2002; გაზ. «საპატრიარქოს უწყებანი», 2003, №35 (243); ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ. – ათენი, 2003. *თ. მარგველაშვილი.*

იოანე დამასკელი [Iōannēs Damaskēnos (დაახლ. 675, დამასკი, – 753)], ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მწერალი. იგი ითვლება ქრისტ. აზროვნების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან წარმომადგენლად. კარგად იცნობდა ანტიკური ხანის ბერძნულ ფილოსოფიას და თავის ნაშრომებში მის ქრისტიანულ ინტერპრეტაციასა და ტრანსფორმაციას ახდენდა. ი. დ. კარგად აცნობიერებდა არისტოტელეს ლოგიკის მნიშვნელობას ერეტიკოსთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამის ნათელი მაგალითია მისი მთავარი ნაშრომი „ცოდნის წყარო'', რ-იც სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი („ფილოსოფიური თავები'') ფილოს. გამოკვლევებს მოიცავს და მისი მიზანი ქრისტ. ფილოსოფიის კატეგორიათმოძღვრების გადმოცემაა. ფილოს. ისტორიაში ეს ნაწილი „დიალექტიკის'' სახელწოდებით შევიდა; მეორე ნაწილში („წვალებათათვს'') ი. დ. ერესებს აღწერს და ერეტიკოსთა (ნესტო-

რიანელები, მონოფიზიტები, მანიქეველები და ა. შ.) წინააღმდეგ იბრძვის; მესამე ნაწილი („გარდამოცემაჲ“) მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემას ეძღვნება. აქ ი. დ. ისეთი ამაღლებული საკითხების შესახებ მსჯელობს, როგორიცაა ღმერთი, სამყაროს წარმოშობა, ანგელოზები, ადამიანი და ბუნება. ამავე კონტექსტში იგი საეკლ. კანონებსაც განმარტავს.

ი. დ. იმ ბიზანტ. მოაზროვნეთა რიცხვს მიეკუთვნება, რ-ებმაც საქართველოში დიდი აღიარება მოიპოვეს. მისი „ცოდნის წყარო“ (კერძოდ კი, ამ ნაშრომის პირველი და მესამე ნაწილები) შუა საუკუნეებში ორჯერ ითარგმნა ქართულ ენაზე ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მიერ. არსებობდა „ცოდნის წყაროს“ პირველი ნაწილის („დიალექტიკა“) სამი ქართული თარგმანი (ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისა). შუა საუკუნეების ქართულსა და კავკასიურ აზროვნებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „დიალექტიკას“, რ-იც არსენ იყალთოელის ქართ. თარგმანიდან XIII ს-ში სომხ. ენაზე თარგმნა სომეხმა ბერმა სიმეონ პღინძაჰანეციმ.

ქართ. ენაზე, გარდა „ცოდნის წყაროსი“, თარგმნილია ი. დ-ის სხვა თხზულებებიც. არსენ იყალთოელის მიერ შედგენილი „დოგმატიკონი“ მოიცავს ი. დ-ის სხვა ქრისტოლოგიურ ნაშრომებსაც, კერძოდ – მის პოლემიკურ და დოგმატურ თხზულებებს.

ი. დ-ის თეორიული ნააზრევი შუა საუკუნეების ქართ. ქრისტ. ფილოსოფიის ფორმირების პროცესში მთავარ როლს თამაშობდა. ამ პერიოდის ქართვ. სწავლულები მისი შემოქმედების ეფექტური გამოყენების წყალობით ცდილობდნენ წარმართ ფილოსოფოსთა სწავლებების უარყოფას. ი. დ-ის დარად, ეფრემ მცირე ფილოსოფიის ადგილსა და დანიშნულებას ღვთისმეტყველების მსახურებაში ხედავდა. ეფრემმა ი. დ-ის „დიალექტიკის“ თავისსავე თარგმანს დაურთო წინასიტყვაობა, რ-შიც იგი ამ წამოწყებას შემდეგნაირად ამართლებს და ასაბუთებს – ეს მეცნიერება იმისთვისაა საჭირო, რომ ჭეშმარიტი ღვთისმეტყველება იქნეს დაცული. როგორც ვენახს სჭირდება ღობე დასაცავად, ასევე სჭირდება საეკლ. მოძღვრებებს „საფილასოფოსოჲ სწავლაჲ“. ფილოსოფიურად განათლებული მორწმუნე იოლად შეძლებს მოწინააღმდეგის (ანუ ურწმუნოს) განიარაღებას: „ამათ მიერ წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგუმერდენ მათ“.

აღსანიშნავია, რომ ი. დ-ის თხზულებათა შემცველ ხელნაწერებში გამოთქმული შეხედულებები ასახულია არა მარტო შუა საუკუნეების მეცნიერთა, არამედ ახალი დროის ფილოსოფოსთა შრომებშიც. საქართველოში მის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს. ქართველმა მეცნიერებმა მისი შემოქმედების სხვადასხვა ასპექტები საფუძვლიანად შეისწავლეს. ი. დ-ის ქრისტოლოგიურ სწავლებას ეძღვნება შ. *ნუცუბიძის*, მ. *გოგიბერიძის*, გ. *თევზაძის*, მ. რაფავას, ე. ჭელიძის, თ. *ირემაძის* და სხვათა ნაშრომები.

თხზ.: დიალექტიკა, თბ., 1976; მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ., 2000.

ლიტ.: თ ე ვ ზ ა ძ ე გ., შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1996; ი რ ე მ ა ძ ე თ., ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე, თბ., 2013; ხ ი დ ა შ ე ლ ი შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1988.

თ. ირემაძე.

იოანე ზედაზნელი, ზედაზნის მონასტრის დამაარსებელი, სირიელი საეკლესიო მოღვაწე. საქართველოში მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში, თან მოიყვანა მრავალი მოწაფე (იხ. *ასურელი მამები*). თავდაპირველად მცხეთაში ცხოვრობდა, შემდეგ მცხეთის მახლობლად, მდ. არაგვის გაღმა, ზედაზნის მთაზე ააშენა მონასტერი, საიდანაც თავისი მოწაფეები დაგზავნა ქართლისა და კახეთის მხარეებში ქრისტიანობის განსამტკიცებლად და ეკლესია-მონასტრების დასაარსებლად. ი. ზ-ს საქართველოში მოსვლიდანვე დახმარებასა და მფარველობას უწევდა ქართლის კათოლიკოსი *ევლალე I*. ი. ზ-ის მოღვაწეობა აუწერიათ VI–VII სს-ში, მაგრამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. X ს-ში მისი ცხოვრება აღწერა კათოლიკოსმა *არსენ II-მ,* რ-საც გამოუყენებია ძვ. ტექსტი. მის შესახებ ცნობებს შეიცავს *შიო მღვიმელის* მეტაფრასული „ცხოვრებაც“. ი. ზ. დაკრძალულია ზედაზნის მონასტერში, ტაძრის სამკვეთლოსთან. საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესია ღირს ი. ზ-ს იხსენიებს 7 (20) მაისს თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ და მოწაფეთა მისთაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963. *ბ. ლომინაძე.*

იოანე ზონარა (Iōannēs Zonaras), XI ს. დასასრ.–XII ს. I ნახ. ბიზანტიის სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი. მეფის კარზე მას ეკავა მაღალი სამხ. პირის (ყორჩიბაშის) და მწიგნობართუხუცესის თანამდებობები. მოხუცებულობის დროს ბერად აღიკვეცა და სიცოცხლის უკანასკნელი წლები წმინდა გლიკერიის კუნძულზე მდებარე მონასტერში გაატარა.

ავტორია „მსოფლიო ქრონიკის“, რ-იც მოიცავს ამბებს ქვეყნის დასაბამიდან ვიდრე 1118-მდე. თხზულება საკმაოდ დიდი მოცულობისაა. ი. ზ. ფართოდ იყენებს ანტ. და შუა საუკუნეების ავტორთა შრომებს. მისი „ისტორიის“ მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ შემოგვინახა მრავალი ძვირფასი საისტ. წყარო, რ-ებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ასე მაგ.: ი. ზ-მ და იოანე ქსიფილინოსმა აღადგინეს *დიონ კასიოსის* 1–21 წიგნი, რ-თა დედნები დღემდე დაკარგულად ითვლება. ი. ზ-ს თხზულებაში საკმაოდ უხვადაა ცნობები საქართველოს შესახებ: პომპეუსის ლაშქრობა, წათე I-ის მონათვლისა და მისი ლაზიკაში გამეფების ამბავი; *იოანე ოქროპირის* გადასახლება აფხაზეთის განაპირა კუთხეში – ბიჭვინთაში და სხვ. აგრეთვე XI ს. საქართველოს (გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის) ურთიერთობაზე ბიზანტიასთან. იბერების სიმამაცის შესახებ ი. ზ. წერს: „იბერები ალბანელებზე უფრო კარგი მებრძოლები არიან; ისინი არც მიდიელებსა და არც სპარსელებს არ დამორჩილებიან და მხოლოდ მაკედონელთა ძლიერებას (ვერ გაუმაგრდნენ) გაექცნენ. ალექსანდრე მაკედონელმა ვირკანიის (ე. ი. კასპიის) ზღვიდან მოულოდნელი დარტყმით დასცა იბერიელები. მაშინაც არ გაქცეულან იბერები უბრძოლველად, დიდი ბრძოლა გაუმართეს. ბევრი მათგანი ამოწყდა და ბევრიც ტყვედ ჩაიგდო ხელში მაკედონელმა“. ი. ზ-ს ეს ცნობა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ აქ საუბარია ალექსანდრე

მაკედონელის საქართველოში ყოფნის შესახებ (რასაც მხარს უჭერს გ. წერეთელი და მ. ბროსე, საწინააღმდეგო აზრისა არიან ამ საკითხზე ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია).

თხზ.: Epitomae historiarum, v. 1–6, Lipsiae, 1868–75; libri XIII–XVIII, v. 3, Bonnae, 1897; [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966. *ნ. ლომოური.*

იოანე-ზოსიმე, X ს. მწიგნობარი და საეკლესიო მოღვაწე. ბიოგრ. ცნობები მის შესახებ ძუნწადაა შემონახული, ძირითადად, ქართ. ხელნაწერთა სინური კოლექციის ანდერძ-მინაწერებში. ი.-ზ-ს სახელს უკავშირდება მრავალი ხელნაწერის როგორც შედგენა-გადაწერა, ისე შემოსვა-განახლება. მისი მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია პალესტინასთან: თავდაპირველად იმყოფებოდა *საბაწმიდის ლავრაში* (40-იანი წლების დასაწყისიდან 60-იანი წლების დასასრულამდე), შემდგომ კი – სინას მთაზე. უადრესი ხელნაწერი, რ-იც ადასტურებს ი.-ზ-ს მოღვაწეობას სინაზე, არის Sin.-35, მის მიერ შემოსილი 973, ხოლო უგვიანესი – ა. ცაგარლის კატალოგის № 93 და № 92 (ამჟამად გაფანტულია სხვადასხვა სიძველეთსაცავში), გადაწერილი და შემოსილი 986.

ი.-ზ. იმ ქართ. საბაწმიდელ-სინელ საეკლ. მოღვაწეთა წარმომადგენელია, რ-ებიც ქრისტ. ღვთისმსახურების წინაბიზანტიური, ანუ იერუსალიმური წესის აღმსრულებელი უკანასკნელი თაობა გამოდგა. საქართველოს პოლიტ. ორიენტაციამ X ს. II ნახ-ში განსაზღვრა ქართ. ეკლესიის გადასვლა კონსტანტინოპოლის სალვთისმსახურო წესზე. ამ პროცესმა, როგორც ჩანს, განაპირობა საბაწმიდელ-სინელ მწიგნობართა მოღვაწეობის შინაარსი და მიმართულება. თავისი დროის სიახლეთა დანერგვასთან ერთად ისინი ცდილობდნენ, იერუსალიმური ტრადიციის ამსახველი მრავალი ძეგლი თუ ლიტურგიკული წესი შეეფარდებინათ ახ. პრაქტიკასთან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ი.-ზ-ს, როგორც ლიტურგისტის, მოღვაწეობა. მის მიერ შედგენილი კრებულები ერთდროულად მოიცავს სიახლესაც და სიძველესაც. პირველ რიგში გამოყოფენ მის ენციკლოპედიური ხასიათის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულს Sin.- 34-ს, რ-იც, თვით ი.-ზ-ს თქმით, მას შეუდგენია სწავლულ კაცთათვის (,,მეცნიერისა კაცისათჳს''). ანდერძის მიხედვით, კრებულის შედგენა ი.-ზ-ს 965 დაუსრულებია, მაგრამ გარკვეული შენიშვნა-განმარტებები თუ სხვა მასალა კრებულში შეტანილი ჩანს მისი მოღვაწეობის სინურ პერიოდში. Sin.- 34-ის ზოგიერთი ნაწილი, რ-იც დაკარგულად ითვლებოდა, დაცული აღმოჩნდა პეტერბურგის საჯარო და ლაიფციგის უნ-ტის ბ-კების ხელნაწერთა კოლექციებში. ეს შევსება კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის Sin.-34-ის მნიშვნელობას. მრავალი ძეგლი, რ-იც მხოლოდ ი.-ზ-ს კრებულებმა შემოინახა, პირველად Sin.-34-შია შეტანილი ან მხოლოდ ამ ხელნაწერითაა მოღწეული. ხელნაწერის შენიშვნა-განმარტებებსა და ანდერძ-მინაწერებში ნათლად ჩანს, თუ როგორ იძიებს ი.-ზ. ამა თუ იმ ძეგლის წარმომავლობისა და სიძველის რედაქციებს, ავჯერებს მათ თანამედროვე პრაქტიკასთან და ქმნის სრულიად ახ. მთლიანობას. ამგვარ ღიშვიათ ძეგლებს მიეკუთვნება პასქალისტური ხასიათის ვრცელი ნაშრომი ,,ცნობისათჳს და უწყებისა, ჴეშმარიტად რომელი მოგუეთხრა ჩუენ მოძღუართა მიერ, განსაზღვრული გამოძიებისათჳს ჟამთა და წელთა...'' (Sin. -34, Sin.- 38), რ-შიც განმარტებულია ქართ. და ბერძნ. ტრადიციაში სხვადასხვა კალენდარული გამოთვლების წესი და მოცემულია მე-13 მოქცევის (781–1312) 532-წლიანი ციკლის ტაბულა (გამოცემულია). განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომში მოცემული ქრონოლოგიური სისტემები, მ. შ. ,,ქართველთა სათვალავი''. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა წყაროს საფუძველზე შედგენილი ,,კრებაჲ თთუეთაჲ წელიწადისათაჲ'', რ-იც პალესტინური ტრადიციის საეკლ. დანიშნულების ვრცელი კალენდარია. საეკლ. დღესასწაულთა და ხსენებათა, მ. შ. ქართვ. წმინდანების ხსენებათა, გარდა კალენდარი შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს პალესტინის წმინდა ადგილებისა და ეკლესია-მონასტრების, აგრეთვე ჰაგიოგრაფიისა და ლიტურგიკის საკითხების შესასწავლად. ი.-ზ. დიდ ყურადღებას უთმობდა ჰიმნოგრაფიული კრებულების შედგენას. კრებულთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე ადრეული Sin.- 34 ხელნაწერი, რ-შიც *იადგარის* ორი – უძველესი და ახ. – რედაქციებია შეტანილი. ამ კრებულში აისახა ძველიდან ახ. ტიპის საგალობლებზე გადასვლის პროცესი, ამ ეტაპზე საღვთისმსახურო პრაქტიკაში ძვ. და ახ. ტრადიციების ურთიერთშეთავსება.

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ი.-ზ. მოიხსენიება როგორც ,,მჩხრეკალი'', ანუ ტექსტის დამდგენელი და რედაქტორი, მომგებელი, ხელნაწერის შემმოსველი. იგი არსად არის დასახელებული ავტორად ან მთარგმნელად. ამის მიუხედავად, მას მიაწერენ ავტორობას ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლისა, როგორიცაა ,,ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ'', რ-ის სამი ნუსხა ი.-ზ-ს ხელით არის გადაწერილი. მკვლევართა ნაწილი მას მხოლოდ ამ ძეგლის გადამწერად მიიჩნევს. ი.-ზ-ს მიეწერება ასევე ორიგინ. აკროსტიქული ლექსი Sin.-34-იდან. ეს არის შესხმის ფორმით დაწერილი თავისებური ანდერძი Sin.-34-ის იადგარისა. ლექსის ორმხრივ კიდურწერილობაში იკითხება სახელი ,,გეორგი'', რ-საც მკვლევართა ნაწილი ლექსის ავტორად მიიჩნევს.

ლიტ.: ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965; ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. ორი ძველი რედაქცია X–XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1971; კეკელიძე კ., იოანე ქართველის კალენდარი (X ს.). – იხ. მისი: ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან, V, თბ., 1957; მისივე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ., 1951; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980; შანიძე ა., ქართული ხელნაწერები გრაცში. – «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1929, ტ. 9; ჭანკიევი ც., პალესტინელ გადამწერ ,,იოვანეთა'' შესახებ. – «მრავალთავი», III, თბ., 1973; ხევსურიანი ლ., Sin. 34-ის შედგენილობის საკითხისათვის, იქვე, VI, თბ., 1978; მისივე, იოანე-ზოსიმეს ერთი ხელნაწერის შესახებ, «მრავალთავი», VII, თბ., 1980; ჯავახიშვილი ივ., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947; Mapp Н. Я., Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.–Л., 1940; Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, «Православный Палестинский сборник», т. 4, вып. 1, СПб., 1888; Brosset M., Études de chronologie technique, I. – «Men. de l'Academie Imp. des Sciences de St. Petersbourg», VII série, XI, №13, 1868; Garitte G., Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï. – «CSCO», vol. 165, Subsidia, t. 9, Louvain, 1956; Le Calendrier palestino-géorgien du Sinaïticus 34, édité, traduit et commenté par G. Garitte, Bruxelles, 1958; Esbroeck M. van, Les manuscrits de Jean Zosime Sin.- 34 et Tsagareli 81, «Revue de Kartvélologie», vol. XXXIX, Paris, 1981.

ლ. ხევსურიანი.

იოანე იტალოსი (Iōannēs Italos), XI საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი. იგი ითვლება ქრისტიანული აზროვნების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან წარმომადგენლად ბიზანტიაში. ი. ი. კარგად იცნობდა პლატონისა და არისტოტელეს ნააზრევს და ამტკიცებდა, რომ ამ ორ დიდ ბერძენ მოაზროვნეს შორის არავითარი არსებითი წინააღმდეგობა არ არსებობს. ამით იგი თავისი მასწავლებლის, მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიურ გზას აგრძელებდა, რ-იც ფილოსოფიური ღვთისმეტყველების მნიშვნელოვანი პრობლემებისა და საკითხების ანალიზის დროს პლატონს, არისტოტელესა და „უბადლო პროკლეს“ ეყრდნობოდა. სწორედ ფსელოსისა და ი. ი-ის სახელთანაა დაკავშირებული XI ს. ბიზანტიაში ე. წ. „პროკლეს რენესანსის“ წარმოშობა, რ-მაც შემდეგ პროკლეს აზროვნების მძაფრი კრიტიკაც კი განაპირობა ნიკოლოზ მეთონელის (XII ს.) მხრიდან.

შუა საუკუნეების ქართული აზროვნებისთვის არა მარტო მიქაელ ფსელოსის პიროვნება და შემოქმედება აღმოჩნდა ღრმა ინტერესის საგანი, არამედ ი. ი-ისაც. ცნობილია მისი წერილი აფხაზი გრამატიკოსისადმი, რ-იც 1082 წლით თარიღდება. ეს წერილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოანე პეტრიწისადმი მიძღვნილი ქართ. კვლევების კონტექსტში, რადგან გამოითქვა ვარაუდი, რომ წერილის ადრესატი სწორედ იგი უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება დღემდე ერთ-ერთ სამუშაო ჰიპოთეზას წარმოადგენს და მისი დამაჯერებელი დასაბუთება თუ უარყოფა სამომავლო კვლევა-ძიების საქმეა. მიუხედავად წერილის ადრესატისა, უწინარეს ყოვლისა, საყურადღებოა თავად ამ წერილის შინაარსი, რ-იც ფილოს. გრამატიკის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს. გარდა ამისა, ეს წერილი ბიზანტ.-ქართ. კულტურული ურთიერთობების მნიშვნელოვანი დოკუმენტიცაა, რადგან ის ი. ი-ისა და მისი ქართ. მეგობრის ინტელექტუალური სიახლოვის დასტურია. იტალოსი მადლიერებით მოიხსენიებს მეგობარს იმის გამოც, რომ მან ჭეშმარიტების სიყვარული შეინარჩუნა და ბოლომდე მისი მოძღვრების ერთგული დარჩა. სწორედ ამით გამოირჩევა იგი მრავალი გზასაცდენილი ორატორისა და სოფისტისაგან.

ი. ი-ის ცხოვრებასა და შემოქმედებას საგანგებოდ განიხილავდნენ ქართვ. მეცნიერები. XX ს. 20-იან წლებში გ. *წერეთელმა* თბილისში გამოსცა ი. ი-ის ლოგიკური ტრაქტატები ორიგინალის ენაზე. 1966 კი გამოვიდა ნ. კეჭაღმაძის გამოცემა, რ-მაც მოგვიანებით, 1970, საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა ი. ი-ის ცხოვრებასა და შემოქმედებას. გარდა ამისა, სხვა ქართველ მკვლევრებსაც (გ. *თევზაძე*, მ. მჭედლიძე) აქვთ საინტერესო სამეცნ. გამოკვლევები იტალოსის მრავალფეროვანი შემოქმედების შესახებ. საქართველოში კარგად იყვნენ ცნობილი ი. ი-ის მოწაფეებიც, მ. შ. ბრწყინვალე დიალექტიკოსი, პლატონის შესანიშნავი მცოდნე და არისტოტელეს ნაშრომების განთქმული კომენტატორი ევსტრატე ნიკეელი (XI–XII სს.), რ-ის ერთ-ერთი პოლემიკური ნაშრომის ქართ. თარგმანი არსენ იყალთოელის „დოღმატიკონშია“ განთავსებული.

თხზ.: თხზულებანი. ბერძნული ტექსტი ვარიანტებითა და შენიშვნებით ქვეყნდება გ. წერეთლის მასალების მიხედვით, ნ. კეჭაღმაძის რედ. და წინასიტყვ., თბ., 1966; ფილოსოფიური განმარტებანი, წინასიტყვ. და თარგმ. მ. მჭედლიძისა, წგ.: ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია (X–XII საუკუნეები), ტ. 3, თბ., 1996.

ლიტ.: კ ე ჭ ა ღ მ ა ძ ე ნ., იოანე იტალოსის შემოქმედება, თბ., 1970; მ ჭ ე დ ლ ი ძ ე მ., ბიზანტიელი ფილოსოფოსები – მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი ქართულ მწერლობასა და მეცნიერებაში, კრ.: ბიზანტინოლოგია საქართველოში, თბ., 2007.

თ. ირემაძე.

იოანე კინამოსი (Iōannēs Kinnamos), XII ს. ბიზანტიელი ქრონისტი. იყო იმპ. მანუელ I კომნენოსის (1143–80) მდივანი და დაახლოებული პირი. მისი ისტ. ქრონიკა „შემოკლებული ისტორია“ დაწერილია 1180–83 და მოიცავს 1118–76 პერიოდს. მოყვანილი ფაქტები უმეტესად ემყარება ოფიც. დოკუმენტებს, პირველწყაროებს. ი. კ. გვაწვდის ცნობებს XII ს. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ (იბერიელების მონაწილეობა ბიზანტ. ჯარში, იბერიელთა და აბაზგთა ელჩები კეისრის კარზე), საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ამ დროის ტრაპიზონს.

თხზ.: Epitome rerum ab Ioanne et Alexio Comnenis gestarum, Bonnae, 1836; [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966.

ნ. ლომოური.

იოანე კუმურდოელი, კუმურდოს ეპისკოპოსი X ს-ში. მისი თაოსნობით აშენდა კუმურდოს დიდი საკათედრო ტაძარი (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი). ი. კ. მოხსენიებულია ტაძრის 964–967 სამშ. წარწერაში. შემდეგ მოღვაწეობდა სინას მთაზე ქართველთა მონასტერში, სადაც თავისი ხარჯითა და თაოსნობით გადააწერინა არაერთი ხელნაწერი (სვიმეონ სალოსის ცხოვრება, იადგარი გამოკრებილი და სხვ.).

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1962; ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

ბ. ლომინაძე.

იოანე ლაზი, იოანე ევნუხი, იეროთეოზი, მითრიდატე ლაზი (გ. 464 ან 465, სირია), V ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, *პეტრე იბერის* აღმზრდელი და მასწავლებელი, მისი სულიერი მამა. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ი. ლ. (ერისკაცობაში – მითრიდატე ლაზი) კოლხეთის რიტორიკული სკოლის წარმომადგენელი იყო. შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ი. ლ. კონსტანტინოპოლში გაჰყვა ქართველ მეფისწულ მურვანს, რ-იც კეისარ თეოდოსი II-ის კარზე მძევლად იქნა გაგზავნილი. „პეტრეს ცხოვრების“ ასურული რედაქციით, ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორიის“, „სევეროს ანტიოქიელის ცხოვრების“ და ზოგიერთი გვიანდ. თხზულებით კი დასტურდება, რომ ი. ლ. კონსტანტინეპოლში შეხვდა პეტრე იბერს, რ-თანაც დამეგობრდა და გახდა მისი ნათლია, ასევე მისი აზრებისა და მისწრაფებების მოზიარე. ორივე ბერად აღიკვეცა იერუსალიმში და სიკვდილამდე ერთად ეწეოდნენ სამონასტრო საქმიანობას, რასაც ადასტურებს პეტრე იბერის ბიოგრაფი იოანე რუფუსი და არაერთი ქართული წყარო. ი. ლ. შემკული იყო მორჩილებით, ზნეობით, რწმენით და თავმდაბლობით.

ი. ლ. ქართული ფილოსოფიური ისტორიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. შ. *ნუცუბიძის* მოსაზრება არეოპაგიტული კორპუსის ავტორის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტობის შესახებ, ბელგიელი მეცნიერის, ე. *ჰონიგმანის* მიერ მიკვლეული ახ. არგუმენტებით არის გამყარებული, რ-იც სწორედ ი. ლ-ის პიროვნებას ეხება. არეოპაგიტული წიგნების ავტორი ხშირად მოიხსენიებს „თავის ღვთაებრივ წინამძღოლს“ იეროთეოსს,

ამასთან, მსჯელობები ზეციური და ამქვეყნიური იერარქიების შესახებ სწორედ იეროთეოსის მიერ არის გაშლილი არეოპაგიტიკაში. „პეტრეს ცხოვრებაში“ აღწერილი ი. ლ-ის ზმანება ზეციურ ძალთა (მათი რაოდენობისა და სახელწოდებების) შესახებ უახლოვდება არეოპაგიტულ მოძღვრებაში „ზეცათა მღვდელთმთავრობისათვის“ ტრაქტატში წარმოდგენილ ანგელოზთა სამ ტრიადულ რიგს. თუმცა ი. ლ-ის ჩვენებაში ანგელოზთა დიონისური ტრიადების ნაცვლად ზეციურ ძალთა სხვა თანმიმდევრობაა მოცემული. ჰონიგმანის აზრით, ი. ლ. და იეროთეოსი ერთი და იგივე პიროვნებაა. არეოპაგიტულ წიგნებში მოხსენიებული დიონისეს მასწავლებელი იეროთეოზი არის პეტრე იბერის მეგობრისა და თანამოაზრის, ი. ლ-ის ფსევდონიმი.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1965; Хонигман Э., Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита, пер. с франц. Ш. Нуцубидзе, «თსუ შრომები», 1955, ტ. 59.

ლიტ.: ლოლაშვილი ივ., არეოპაგიტიკის პრობლემები, თბ., 1972; მისივე, ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში, თბ., 1973; ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; მისივე, პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა, შრომები, ტ. 5, თბ., 1975; ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა, მის წგ.: ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1963; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967; ხიდაშელი შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია (IV–XIII სს.), თბ., 1988. *ლ. ზაქარაძე.*

იოანე ლიდე (Iōannēs Laurentius Lydus) [490, ფილადელფია, ახლანდ. ალაშეჰირი (თურქეთი), – VI ს. II ნახ.], ბიზანტიელი ისტორიკოსი. 511-იდან კონსტანტინოპოლში სწავლობდა ფილოსოფიას. იმპ. ანასტასის დროს (491–518) მსახურობდა კეისრის ჯარში. იმპ. იუსტინიანეს დროს კი (527–565) იყო როგორც სამოქალაქო, ისე სამხ. სამსახურში. სარგებლობდა დიდი პატივით. 40 წლის სამსახურის შემდეგ, VI ს. 50-იან წლებში კვიპროსზე დასახლდა და ხელი მიჰყო ლიტ. საქმიანობას. ჩვენამდე მოაღწია მისმა სამმა ნაშრომმა: 1) „თვეების შესახებ“, 4 წიგნად (მოღწეულია ფრაგმენტულად); 2) „ციურ ნიშთა შესახებ“; 3) „რომაელთა სახელმწიფოს თანამდებობათა შესახებ“. ეს უკანასკნელი შედგება სამი წიგნისაგან: I – შეიცავს ხანას ენეასიდან იულიუს კეისრამდე; II და III – იულიუს კეისრიდან იუსტინიანემდე. ეს სამი ნაშრომი 554 უნდა იყოს დაწერილი და წარმოადგენს ძვირფას საისტ. მასალას, განსაკუთრებით ის ნაწილი, რ-იც ი. ლ-ს თანადროულ ხანას, VI საუკუნეს ეხება. „კოლხიდას ამჟამად ლაზიკეს ეძახიან ჰეგემონისაგანო“ – ამბობს ლიდე, რაც ამ ქვეყანაში ლაზების ჰეგემონობას უნდა გულისხმობდეს.

თხზ.: Chronographia, Bonnae, 1831; [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965. *ლ. მანიავა.*

იოანე მალალა (Iōannēs Malālas) (დაახლ. 491–578), ბიზანტიელი ქრონისტი. წარმოშობით სირიის ანტიოქიიდან. მისი ზედწოდება (სირიულად malal – რიტორი) მოწმობს, რომ იგი ვექილი უნდა ყოფილიყო. ი. მ-ს საისტ. თხზულება „ქრონოგრაფია“ (შემონახული ხელნაწერის სახით) მოიცავს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის დასაბამიდან 553-მდე (მაგრამ ფიქრობენ, რომ ის 574-მდე უნდა ყოფილიყო მისული). ი. მ-ს „ქრონოგრაფია“ ფართოდ იყო საზ-ბაში გავრცელებული და მას იყენებდნენ შემდგომი დროის მწერლები. თხზულებაში არის საინტერესო ცნობები სლავური ქვეყნების ისტორიისათვის, აგრეთვე საქართვ. ისტორიის, კერძოდ, VI ს-ში დას. საქართველოს ურთიერთობის შესახებ ბიზანტია-ირანთან. ი. მ. აღნიშნავს, რომ 527–535 იბერიის მეფე იყო ძამანარძე. ამ ცნობით დასტურდება ქართლში მეფეების არსებობა VI ს-ში. თხზულება თარგმნილია სლავურ და ქართ. ენებზე.

თხზ.: Chronographia, Bonnae, 1831; [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936; ტ. 5, თბ., 1963.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973. *ნ. ლომოური.*

იოანე მანგლელი (ერისკაცობაში – იოსებ სააკაძე) (1668 – 28. III. 1751, ყიზლარი), სასულიერო მოღვაწე. ბავშვობიდან დავითგარეჯაში იზრდებოდა, იქვე აღიკვეცა ბერად. მოგვიანებით ქართლის მეფე *ბაქარმა* მანგლისის ეპისკოპოსად აკურთხებინა. ოსმალების შემოსევების შედეგად მანგლისის ეპარქიის განადგურების შემდეგ ი. მ. ხირსის მონასტერში გაიხიზნა. 1724 დარუბანდში წავიდა და თან თერთმეტი სას. პირი გაიყოლა. დაღესტანში თავდაპირველად ააგო ხის სამლოცველო, შემდეგ კი – ღვთისმშობლის მიძინების ქვის ეკლესია.

ი. მ-მა თავისი ცხოვრებით და სასწაულებრივი საქმიანობით ლეკების დიდი ყურადღება მიიპყრო და მრავალი მათგანი მართლმადიდებლობაზეც მოაქცია. მისი მოღვაწეობის ამბავი შეიტყო პეტრე დიდმაც, რ-მაც *ვახტანგ VI-თან* ერთად ი. მ-ს ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინა.

1737 ი. მ. გადავიდა ასტრახანში, სადაც წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია ააგო. მისთვის ცნობილი გახდა, რომ ყიზლარში მცხოვრებ ქართველებს ეკლესია არ ჰქონდათ, ხოლო ოსეთში ქრისტიანობა ფეხზე მყარად არ იდგა. ამ მიზეზით მან დატოვა ასტრახანი, ყიზლარს მიაშურა და ჯვართამაღლების ეკლესია ააგო. იქვე სკოლაც გახსნა, სადაც მქადაგებლებსა და მისიონერებს ამზადებდნენ. ი. მ. თავდაუზოგავად იღვწოდა ოსებისა და ინგუშების მოსაქცევად. მან *იოსებ სამებელთან* ერთად პროექტი შეადგინა (1746 სინოდმა დაამტკიცა), რ-ის მიხედვითაც დაარსდა ოსეთის ქრისტიანობის აღმდგენი კომისია. იგი ძირითადად ქართვ. სამღვდელოებისგან შედგებოდა.

ი. მ. ყიზლარში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. გარკვეული დროის შემდეგ თეიმურაზ II-ის ბრძანებით იგი საქართველოში ჩამოასვენეს და თბილ. სიონის ტაძარში დაკრძალეს. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და ხსენების დღედ 28. III (10.IV) დაადგინა.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, ა. მიქაბერიძის რედ., თბ.–ათენი, 2003; ჟურნ. «კარიბჭე», 2005, № 4 (15). *თ. მარგველაშვილი.*

იოანე მახარებლის მონასტერი, იხ. *იბერთა მონასტერი იერუსალიმში.*

იოანე მესვეტე, XI ს. ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა ჭყონდიდში (მარტვილი). 1031 გადაწერა ჰაგიოგრაფიული კრებული. 1050 მონაწილეობდა მარტვილის ოთხთავის გადაწერაში. ჰაგიოგრაფიული კრებ. (17, 3 *სმ* × 12,2 *სმ*, 117 ფურცელი) ნაწერია ყავისფერი მელნით ერთ სვეტად, კუთხოვანი ნუსხურით. ასოები ნუსხურისთვის ძალიან მსხვილია. სინგურით ნაწერი სათაურები მთავრულია. წიგნის გაფორმება მარტივი და უპრეტენზიოა. მარტვილის ოთხთავის (29 *სმ* × 19 *სმ*, ეტრატი) მეორე ნაწილიც (133



იოანე მესვეტე. საზედაო ასო. მარტვილის ოთხთავიდან. XI ს.

ფურცელი) 0. მ-ს ეკუთვნის. ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად, სეპიისფერი მელნით. გადაწერაში ვინმე არსენიც მონაწილეობდა, შესაძლებელია, მოჩუქურთმებული საზედაო ასოები მისი შესრულებული იყოს.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; შმერლინგი რ., ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები (ალბომი), თბ., 1940.

ვ. ბერიძე.

იოანე მთაწმიდელი, იოანე ათონელი (დაახლ. 920–1005), ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი; ერისკაცობაში – სამცხის ერთ-ერთი დიდებული – ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი. ბერად შედგა ოთხთა ეკლესიის ლავრაში. შემდეგ ბიზანტიაში მოღვაწეობდა ოლიმპის მთაზე, სადაც მიიყვანა თავისი მცირეწლოვანი შვილიც, შემდეგში *ექვთიმე მთაწმიდელი*. 965 ექვთიმესა და რამდენიმე მოწაფესთან ერთად გადასახლდა ათონის მთაზე, ათანასე დიდის ლავრაში. ქართ. ბერებმა თავდაპირველად იოანე მახარებლის ეკლესია ააშენეს, შემდეგ კი დამკვიდრდნენ *ათონის ივერთა მონასტერში*, რ-ის აღმშენებელი და პირველი წინამძღვარი იყო 0. მ. ცნობილია მისი განსაკუთრებული როლი ათონის სამწიგნობრო კერის საქმიანობაში. ეწეოდა ფართო ორგანიზაციულ საქმიანობას, ზრუნავდა ათონზე ქართველთა სამძოს გაფართოებისა და სამონასტრო კომპლექსის შემდგომი გაძლიერებისთვის, ყიდულობდა დომენებს. ყოველივე ამით მან კეთილგანწყობა მოიპოვა როგორც ქართველთა, ისე ბერძნული ლავრის წევრებს შორის, უზრუნველყოფდა ქართული მონასტრების მკვიდრთა კეთილმეზობლურ ურთიერთობას ბერძნულ და ლათინურ მონასტრებთან. 0. მ. ცდილობდა ივირონის (ივერთა) საეკლ.-სამონასტრო ცხოვრების მიმართ ფართო ინტერესის გაღვივებას ბიზანტიის ხელისუფალთა და სხვა ბერძენ მოღვაწეთა შორის. იმპერატორების – ნიკიფორე ფოკას, იოანე ციმისხის და ბასილი II-ის – ოქრობეჭდებით 0. მ-მა საკმაოდ შთამბეჭდავი მატერიალური დახმარება მიიღო, რ-იც ათანასე დიდის ლავრისა და ქართველთა მონასტრების კეთილდღეობას მოახმარა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ათონის ბერძნ. ლავრის დამაარსებლისა და წინამძღვრის, ათანასე დიდის დამოკიდებულება იოანე ათონელთან, რაც იყო ბერძნ. სამოს პატივისცემის გამოვლენა ათონის პირველი ქართვ. მოღვაწეების მიმართ. ამ დაფასების დადასტურებაა ისტ. მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი ,,სამადლობელი იბერიელთა მიმართ'', რ-იც 984 ათანასე დიდმა მიუძღვნა იოანე იბერს, და მისი სახით, მთელ ქართველ სამძოს (ივირონის არქივი, №6), ,,სამადლობელს'' ხელს აწერდნენ ათანასე დიდი და ათონის სხვა მონასტრების ცნობილი მოღვაწენი. ამ დოკუმენტის ბერძნ. ტექსტის ქართ. თარგმანი ორჯერ არის გამოქვეყნებული (გეორგიკა, VIII, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1970; ე. ჭელიძე, წმ. ათანასე ათონელი, სამადლობელი იბერიელთა მიმართ, წგ.: მუშაკი სულიერისა ვენახისაჲ, მიძღვნილი მ. ქავთარიას 80 წლის იუბილესადმი, თბ., 2012). ათანასე დიდმა თავისი ანდერძით ქართვ. ბერი ბერძენთა დიდი ლავრის ეპიტროპად (წინამძღვრად) დანიშნა. ამავე ანდერძით 0. მ-ის გარდაცვალების შემდეგ წინამძღვრობა მის შვილს, ექვთიმეს, გადაეცემოდა.

0. მ-ის უპირველესი ზრუნვის საგანი სკრიპტორიუმების შექმნა და განვითარება იყო. სამონასტრო კერის სამწერლობო ცენტრად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა კულტ.-საგანმანათლებლო პროგრამამ. სკრიპტორიუმებზე ზრუნვა, უპირველეს ყოვლისა, გამჟღავნდა იმით, რომ იოანემ თავისი შვილი ექვთიმე განსწავლა ქართ. და ბერძნ. მწერლობაში და ბერძნ. სას. ძეგლების ქართ. ენაზე თარგმნის გრანდიოზული პროგრამა დაუსახა მიზნად. 0. მ-ის ღვაწლი ქართ. ენაზე თარგმნისა და ქართ. ხელნაწერების შექმნაში ყველაზე მეტად გამჟღავნებულია



იოანე მთაწმიდელი.

მეტატექსტებში, ანუ ათონზე გადაწერილი ხელნაწერების ანდერძმინაწერებში. მათში იოანე ჩანს როგორც უაღრესად განსწავლული ღვთისმეტყველი, რ-ის მსჯელობები უზუსტესი ტერმინოლოგიით არის გაჯერებული და მარტივად და გასაგებად გადმოსცემს ურთულეს საღვთისმეტყველო მოძღვრებას. ექვთიმეს მიერ თარგმნილი ძეგლების ანდერძ-მინაწერებში ექვთიმეს გვერდით იხსენიებენ იოანეს. ამის ნათელი მაგალითია ექვთიმეს მიერ თარგმნილი ბასილი დიდის ,,სწავლათა'' უძველესი ხელნაწერი (Ath. 32, 977).

0. მ-ის დამსახურებას ათონის სამონასტრო კერის დაფუძნებასა და გაძლიერებაში თანამედროვეთა მხრივ სათანადო აღიარება მოჰყვა. მასზე შეიქმნა საგალობლები [,,ათონის კრებულის'' (XII ს. I ნახ.) მეორე რედაქციაში შესულია ორი საგალობელი], ეპიგრამები. იოანესა და სხვა ათონელი მოღვაწეების ხსოვნის აღსანიშნავად XVIII ს. I ნახ. ანონიმმა ავტორმა დაწერა იოანეს, ექვთიმესა და გიორგი მთაწმიდელების ,,ცხოვრება'' ბერძნ. ენაზე (ბერძნ. ტექსტი თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა მ. მაჩხანელმა, თბ., 1982).

0. მ-ის მოღვაწეობის დადასტურებაა ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი ცნობილი ეგზეგეტიკური თხზულება – იოანე ოქროპირის ,,მათეს თავის თარგმანება'', რ-შიც ნათლად იკვეთება იოანეს შემოქმედებითი ლიტ.-მთარგმნელობითი მოღვაწეობის ხასიათი, მისი როლი თხზულების თარგმნაში.

0. მ-ის ზრუნვა მონასტერ-სკრიპტორიუმებზე, მისი კულტ.-საგანმან. მისია ქართვ. ერისა

და სახელმწიფოს წინაშე შეფასებულია ათანასე დიდის სიტყვებით ,,სამაღლობელიდან‘‘: იოანე ათონელი იყო შემოქმედი ,,მრავალრიცხოვანი, შეუდარებლად დიდი და წარმოდგენაზეც აღმატებული საქმეებისა‘‘.

წყარო: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, რედ. ა. შანიძე, თბ., 1946.

ლიტ.: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1945; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980; მეტრეველი ე., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996; ხინთიბიძე ე., ათონის ლიტერატურული სკოლა და ახალი მხატვრული სტილი ქართულ აგიოგრაფიაში, ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, თბ., 2013.

მ. რაფავა.

იოანე მინჩხი, X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი. დას. საქართველოს (აფხაზეთის) მეფის, გიორგი II-ის (922–957) თანამედროვე, წარმოშობით დას. საქართველოდან, სოფ. ინჩხიდან ყოფილა, რაზეც მისი ზედწოდება (მინჩხი) მიუთითებს. ვარაუდობენ, რომ პალესტინაში, სინას მთაზე მოღვაწეობდა. მისი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა სწორედ სინურმა ხელნაწერებმა შემოინახა. მიქაელ მოდრეკილის ,,იადგარში‘‘ (978–988) შესულია იამბიკური საზომით დაწერილი 0. მ-ის 4 საგალობელი (გამოაქვეყნა ი. ჯავახიშვილმა 1947). ქართ. ჰიმნოგრაფიაში მან შემოიღო ახ. სალექსო ფორმა *მინჩხური*.

თხზ.: [წიგნში] ინგოროყვა პ., ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წგ. 1 – ტექსტები, ტფ., 1913; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, [ტ.] 1, თბ., 1946.

ლიტ.: ინგოროყვა პ., თხზ. კრ. შვიდ ტომად, ტ. 3, თბ., 1965; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ლ. ჯღამაია.

იოანე მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ნიკოლოზ გიორგის ძე მარღიშვილი) (1874, გორი, – 13. XI. 1929), სასულიერო მოღვაწე. გორის სას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გორის და შემდგომ ყიზლარის ტაძრის საეკლ.-სამრევლო სასწავლებელში. 1900 წ. 28 ოქტომბერს ბერად აღიკვეცა. 1901 წ. 28 იანვარს მღვდელმონაზვნად აკურთხეს. 1904 სწავლა გააგრძელა ქუთაისის და შემდეგ თბილ. სას. სემინარიაში. 1910–14 სწავლობდა მოსკოვის სას. აკადემიაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1915 გორის სას. სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. იმავე წლის 29 აგვისტოს მიენიჭა არქიმანდრიტის პატივი. 1919 სოხუმში მოღვაწეობდა. 1921 წ. 15 ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით ეპოძა ეპისკოპოსის ხარისხი და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველი გახდა.

0. მ-ის ეპარქიაში მოღვაწეობა ძალზე რთულ პერიოდს დაემთხვა; საქართველოს სახელმწიფომ დაკარგა დამოუკიდებლობა. რუსეთის ეკლესია ეწინააღმდეგებოდა და კანონიერად არ ცნობდა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის რუსი სამღვდელოება მღვდელმთავარს ეპარქიის ეკლესია-მონასტრების კუთვნილებაში ეცილებოდა. 0. მ. დაუღალავად იღვწოდა ეპარქიაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციების განმტკიცებისთვის. მიტროპოლიტის პატივის მინიჭების შემდგომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ალავერდის ეპარქიის დროებით მმართველად გადაიყვანეს.

1926 წ. 20 ოქტომბერს თავისივე თხოვნის საფუძველზე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს, მაგრამ გარკვეული პირობების შეუსრულებლობის გამო 1927 წ. 3 მარტს 0. მ. დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ორი თვით რუსეთში გაემგზავრა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1928 წ. 20 ოქტომბერს, ბოდბის ეპარქიის მმართველად დაინიშნა, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. დაკრძალულია თბილ. სიონის ეკლესიის ეზოში.

ლიტ.: ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეებში), თბ., 2010; ჟვანია ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ჭუთ., 1994.

თ. მარგველაშვილი.

იოანე მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – გიორგი ვახტანგის ძე გამრეკელი) (დ. 28. X. 1946, თბილისი), სასულიერო მოღვაწე. სწავლობდა თბილ. პოლიტექნიკურ ინ-ტში გეოლოგიის ფაკ-ტზე, ხოლო შემდეგ – ნოვოჩერკასკის გეოლოგიის ინ-ტში. 1983-იდან იგი სიონის საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანი იყო. 1985–88 სწავლობდა მცხეთის სას. სემინარიაში. 1987 აკურთხეს დიაკვნად, 1988 – მღვდლად. იმავე წლიდან მსახურობდა ანჩისხატის ეკლესიაში, ხოლო 1989 იანვრიდან – სიონის საპატრიარქო ტაძარში.

1989 წ. 8 თებ. 0. მ. სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერად და თბილ. სას. აკადემიისა და სემინარიის რექტორად დაინიშნა. 1993 წ. 19 ივლისიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის *ილია II-ის* ლოცვა-კურთხევით საქართვ. საპატრიარქოს სასწ. კომიტეტის თავ-რე გახდა.

1995 0. მ. აირჩიეს გელათის მეცნ. აკადემიის აკადემიკოსად. იგი ხელმძღვანელობს წმ. წერილის ქართულ ენაზე მთარგმნელთა ჯგუფს, ჟურნალ „რწმენა და ცოდნას‘‘, კითხულობს ლექციებს სას. აკადემიასა და სემინარიაში, თსუ-ში. 2005-იდან სას. აკადემიისა და სემინარიის პრორექტორად დაინიშნა.

2008 წ. 27 ივნ. საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის განჩინებით 0. მ. გამორჩეულ იქნა ცურტავის ეპისკოპოსად. 11 სექტემბერს სამების საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა და 14 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ შესრულდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა.

2010 0. მ-ს მთავარეპისკოპოსის წოდება მიენიჭა და რუსთავისა და მარნეულის მმართველ მღვდელმთავრად დაადგინეს, ხოლო 2011 წ. 28 აგვ., მიტროპოლიტის პატივი უბოძეს.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორდენით (2007).

იოანე მოსხი (დაახლ. 550 – დაახლ. 634), ბიზანტიელი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბევრს მოგზაურობდა სირია-პალესტინის ქრისტ. კერებში თავის მოწაფესთან, სოფრომ პალესტინელთან ერთად. თავიდანვე მიაჩნდათ, რომ იგი წარმოშობით მოსხი, ანუ მესხი იყო (როსვეიდი, ალოიზიუს ლიპომანუსი); ეს აზრი შემდეგ განავითარეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. ისინი თვლიდნენ, რომ 0. მ. თავის თხზულებებს ბერძნ. და ქართ. ენებზე წერდა. შ. ნუცუბიძის აზრით, მას ეკუთვნის აგრეთვე ქართ. მოკლე რედაქცია თხზულებისა ,,სიბრძნე ბალავარისა‘‘. 0. მ-ის სახელს უკავშირდება ბიზანტ. ლიტ-რაში ნოველის ჟანრის დამკვიდრება. ჩვენამდე მოაღწია მისი ნოველების კრებულმა, რსაც ბერძნ. ვერსიაში ,,ლიმონარი‘‘ (,,მდელო‘‘), ხოლო ქართ. ვერსიაში ,,სამოთხე‘‘ ეწოდება. არსებობს

აგრეთვე არაბ. ვერსია ,,ბუსთანის'' სახელწოდებით. ბერძნ. და ქართ. ვერსიების უძველესი ხელნაწერები X ს-ით თარიღდება.

თხზ.: ლიმონარი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1960; ალ-ბუსთანი, რ. გვარამიას გამოც., თბ., 1965.

ლიტ.: Нуцубидзе Ш. И., К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф», Тб., 1956. *რ. მიმინოშვილი.*

იოანე მტბევარი, X ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი. როგორც ტბეთის სახარების (995) მინაწერიდან ჩანს, 978-იდან ტბეთის ეპისკოპოსი ყოფილა, 995 კი მაწყვერელად დაუდგენიათ. მიქაელ მოდრეკილის ,,იადგარში'' (978–988) დაცულია VII–IX სს. ბერძენ ავტორთა ჰიმნების თარგმანები, რ-ებიც ი. მ-ს ეკუთვნის. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართ. ჰიმნოგრაფიული ტერმინი ,,მოკაზმული''.

თხზ. იხ. სტ-თან იოანე მინჩხი.

ლ. ჯღამაია.

იოანე ნათლისმცემელი, სახარებების თანახმად, იესო ქრისტეს უახლოესი წინამორბედი, რ-მაც მესიის (ქრისტეს) მოსვლა იწინასწარმეტყველა. ი. ნ-ს მიენიჭა ნათლობის მადლი, ნათლობა სინანულისა, რის გამოც ეწოდა ,,ნათლისმცემელი''. ცხოვრობდა უდაბნოში, ამხელდა საზ-ბის ბიწიერებას და მოუწოდებდა მონანიებისაკენ. მდ. იორდანეში მონათლა მრავალი იუდეველი. მისივე ხელით მიიღო იესო ქრისტემ ნათლობის მადლი. იოსებ ფლავიუსის (ახ. წ. I ნახ.) ცნობით, ი. ნ. ჰეროდე I-ის (I ს. I ნახ.) თანამედროვე იყო. ჰეროდემ თავისი საყვარლის, ჰეროდიადას, საამებლად იგი საპყრობილეში ჩასვა, შემდეგ კი თავი მოაკვეთინა. ი. ნ-ის კულტი ქრისტიანობაში უფრო ადრინდ. ებრ. სექტიდან უნდა შესულიყო.

ი. ნ-ის თემა აისახა მხატვრობასა (ა. ვე როკიო, ლეონარდო და ვინჩი, პ. ბრეიგელი, ა. ივანოვი) და ქანდაკებაში (დონატელო, ო. როდენი და სხვ.). შუა საუკუნეების ხატწერაში იგი ვედრების (ქრისტე, ღვთისმშობელი, ი. ნ.) კომპოზიციის ერთ-ერთი აუცილებელი ფიგურა იყო. საქართველოში მის სახელზე არაერთი ეკლესია-მონასტერია აგებული. წმ. ი. ნ-ის ხსენების დღეებია: ნათლისღება – 19 იანვარი, შობა – 7 ივლისი და თავის კვეთა – 11 სექტემბერი.

იოანე ოქროპირი, იოანე ოქროპირი (Iōannēs Chrysostomos) (344–354, ანტიოქია, – 14.IX. 407, კომანის ახლოს, პონტო), ქრისტიანული ეკლესიის ბიზანტიელი მოღვაწე, ,,ეკლესიის მამათაგანი'', მწერალი, იყო ბრწყინვალე ორატორი (ამიტომ V ს-იდან შეარქვეს ,,ოქროპირი''). კონსტანტინოპოლის პატრიარქი 398-იდან. მიიღო საფუძვლიანი განათლება. მისი მასწავლებლები იყვნენ წარმართი ფილოსოფოსი ლიბანიოსი და თეოლოგი დიოდორუს ტარსუსელი. გამოდიოდა არიანელობის წინააღმდეგ, აქტიურად ერეოდა საერო და სას. ხელისუფალთა შორის ბრძოლაში, ბიზანტიის პოლიტ. ცხოვრებაში, რის გამოც ორჯერ (403 და 404) გადააყენეს პატრიარქობიდან და გადაასახლეს კუკუსოში (,,მცირე არმენია''), აქედან კი 407 – ბიჭვინთაში. ი. ო. გარდაიცვალა გზაში, კომანის (*კამანი*) ახლოს, სადაც დღესაც ინახება მისი სარკოფაგი.

ი. ო-ის მდიდარი ლიტ. მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია ქადაგებებმა, რ-ებიც ცხადად წარმოგვიდგენს ფეოდალიზაციის გზაზე მდგარი ბიზანტიის საზ. ყოფას. ი. ო. დაურიდებლად ამხელდა საზ. ცხოვრების მანკიერ



იოანე ოქროპირი. სარკოფაგი. სოფელი კომანი.

მხარეებს, საერო და საეკლ. ხელისუფალთა უსამართლობას. როგორც ყველაზე დიდი ,,საეკლესიო მამა'', იგი მეტად პოპულარული იყო ბიზანტ. მწერლობაში. ი. ო-ის შემოქმედებას კარგად იცნობს ძვ. ქართ. მწერლობაც.

ლიტ.: აბულაძე ი., ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, «ენიმკის მოამბე», 1944, ტ. 14. *რ. მიმინოშვილი.*

იოანე პავლე II (ლათ. Iōannēs Paulus II; იტალ. Giovanni Paolo II; პოლ. Jan Paweł II), ერისკაცობაში – კაროლ იოზეფ ვოიტილა (Woityla) [18. V. 1920, ვადოვიცე (პოლონეთი), – 2. IV. 2005, ვატიკანი], რომის პაპი 1978–2005. 1946 ეკურთხა მღვდლად. 1962–65 მონაწილეობდა მსოფლიო საეკლ. კრებებში; 1967 გახდა კარდინალი, 1978 წ. 16 ოქტომბერს კი – რომის პაპი. ი. პ. II (1523-იდან მოყოლებული) იყო პირველი არაიტალიელი (პოლონელი), რ-იც რომის პაპად აირჩიეს. არის მრავალი ლიტ. ნაწარმოების ავტორი. 1980 ვატიკანში საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი *ილია II* შეხვდა ი. პ. II-ს, სადაც გადაწყდა, რომ ქართველ მკვლევარებს მუშაობის უფლება ეძლეოდათ ვატიკანის არქივებში, ასევე, თბილისში 1992 გაიხსნა ვატიკანის წმინდა საყდრის სადესპანო. 1999 წ. 8 ნოემბერს ი. პ. II ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს.



იოანე პავლე II.

2011 პაპმა ბენედიქტე XVI-მ ი. პ. II ნეტარად შერაცხა.

იოანე პეტრიწი, შუა საუკუნეების (XI ს.) გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი (გადმოცემით იოანე ფილოსოფოს ჭიმჭიმელსაც უწოდებდნენ). ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, მხოლოდ XVIII ს. მწიგნობარნი იუწყებიან, რომ ი. პ. სამცხიდან იყო, დიდგვაროვანი ჩამომავლობისა, ახალგაზრდობაში სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში, სადაც მას ასწავლიდნენ ბიზანტ. რენესანსის წარმომადგენლები: მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი. ი. პ-ს აქტ. მონაწილეობა მიუღია იდეურ მოძრაობაში, რ-საც იტალოსი მეთაურობდა. იტალოსის გასამართლებისა (1083) და მისი მიმდევრების დევნის შემდეგ ი. პ. პეტრიწონის მონ-



იოანე პეტრიწი. მოქანდაკე დ. მიქატაძე. არქიტექტორი (რ. ბერიძე). ბრინჯაო. 1995.

ასტერში გადასახლდა. ერთხანს შავ მთაზე *ეფრემ მცირესთან* იყო, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა *გელათის აკადემიას*. ქართულად თარგმნა ნემესიოს ემესელის იმ დროს კარგად ცნობილი ნაშრომი „ბუნებისათჳს კაცისა", მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საწყისების" მისეული ქართ. თარგმანია ვრცელი კომენტარითურთ. პეტრიწისეული კომენტარი წარმოადგენს ნაშრომის რეცეფციის მნიშვნელოვან მცდელობას, რადგან ქართვ. ფილოსოფოსი ამ ნაშრომს განიხილავს იმანენტურად, თავად პროკლეს ფილოსოფიაზე დაყრდნობით. ამის გამო, პროკლეს ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი, მის შესახებ შუა საუკუნეებში შექმნილი კომენტარების შესწავლის დროს ი. პ-ს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. „თეოლოგიის საწყისების" დღემდე გავრცელებულ გამოცემებში ეს არადამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი, მხოლოდ ზედაპირულად განიხილებოდა ან უსამართლოდ იყო გაკრიტიკებული (მაგ., ე. რ. დოდსის პროკლეს „თეოლოგიის საწყისების" ცნობილი გამოცემა). პროკლეს ფილოსოფიური შემოქმედების კვლევაში არსებული ეს ხარვეზი მხოლოდ იმის მეშვეობით გასწორდება, თუკი „თეოლოგიის საწყისების" ქართული თარგმანი და კომენტარი პროკლეს ბიზანტიელ და ლათინელ კომენტატორებთან მჭიდრო კავშირში იქნება განხილული და შეფასებული.

ი. პ-მა ნეოპლატონიკოს პროკლეს „თეოლოგიის საწყისების" ყველა თავი დაწვრილებით, სიტყვა-სიტყვით განმარტა, ისევე, როგორც ბერტოლდ მოსბურგელმა, რ-მაც პროკლეს ამ ნაშრომის ძალზე ვრცელი კომენტარი შექმნა. პროკლეს ამ ნაშრომის პეტრიწისეული კომენტარი გვარწმუნებს, რომ ქართვ. ავტორი ანტიკურ ფილოსოფიას ჩინებულად იცნობდა; ის არ იყენებდა მეორეულ წყაროებს და სახეცვლილ ინფორმაციებს ანტ. მოაზროვნეების შესახებ. პეტრიწისთვის პროკლეს ფილოსოფია თავისთავად ღირებულებას წარმოადგენს, ამიტომ ის „თეოლოგიის საწყისებს" ნაბიჯ-ნაბიჯ განმარტავს; ქართველ მოაზროვნეს სურს, რომ ამ ნაშრომის ფარული შრეები გამოავლინოს და მის არსს ჩასწვდეს. ამ მიზნით ის ისევ პროკლეს და ანტ. ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლებს ეყრდნობა. ი. პ-ის კომენტატორული მეთოდი შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ახსნა-განმარტებითი მეთოდებისგან მკვეთრად განსხვავდება. ამ თვალსაზრისით, იგი უფრო მეტად რენესანსის მოაზროვნეებთან ამჟღავნებს ნათესაურ კავშირს: პეტრიწი ორიგინ. წყაროებიდან თარგმნის და განმარტავს პროკლეს. იგი „განმარტებაჲს" წინასიტყვაობაში საფუძვლიანად მიმოიხილავს თავისი ნაშრომის შექმნის ძირითად მოტივებს. მისი აზრით, სწორედ პროკლეა ის მოაზროვნე, რ-მაც პლატონის გვიანდელი მოძღვრება შესაფერისად გაიგო და ადეკვატურად განავითარა. აქ ნათლად ჩანს, რომ პეტრიწისთვის პლატონის ფილოსოფია წარმოადგენს პირველად „ინსტანციას". პლატონი და პლატონიკოსები თავიანთი ფილოსოფიით მკვეთრად განსხვავდებიან არისტოტელესა და პერიპატეტიკოსებისაგან. ეს უკანასკნელნი ამქვეყნიურ სიბრძნეს გვაწვდიან მაშინ, როცა პლატონი და მისი მოწაფეები ზექვეყნიურ, ღვთაებრივ საიდუმლოს გვაზიარებენ. ამგვარი რამ არისტოტელესა და მის მიმდევრებს არ ხელეწიფებათ. ამიტომ ი. პ-ის სიმპათია უფრო პლატონისა და პლატონიკოსებისაკენ იხრება, მიუხედავად იმისა, რომ ის არისტოტელეს ფილოსოფიას არ უარყოფს. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ სტაგირელის ლოგიკა მისი კომენტარის საგანგებო ინტერესთა სფეროს მიეკუთვნება. პლატონისა და მისი ფილოსოფიის, ასევე მისი მიმდევრების ამგვარი პატივისცემა ლათინურენოვან სამყაროში პეტრიწზე გაცილებით გვიან იკიდებს ფეხს. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ გვიანი შუა საუკუნეების გერმ. მოაზროვნე ალბერტ დიდი (XIII ს.) და მისი სკოლა. თუმცა ი. პ. ორიგინ. (ბერძნული) წყაროების დიდი ცოდნით გამოირჩევა, მაშინ როცა ალბერტ დიდი ბერძნ. ენას ვერ ფლობდა. კიდევ ერთი თვალშისაცემი განსხვავება პეტრიწსა და პროკლეს სხვა კომენტატორებს შორის არის ის, რომ იგი პროკლეს განმარტავს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ხსენების გარეშე. აქაც პეტრიწის, როგორც პროკლეს მკვლევრის, უთუო უპირატესობა ჩანს: „თეოლოგიის საწყისების" ახსნა-განმარტებისას მან არ გამოიყენა ნეოპლატონიზმის გვიანდელი ვერსიები (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). ი. პ-სთვის პროკლეს ფილოსოფიას და მის „ერთის მეტაფიზიკას" თავისთავადი ღირებულება გააჩნია. ის, შესაძლებელია, სამყაროს ქრისტ. სურათის შესაქმნელად გამოვიყენოთ, მაგრამ თავდაპირველად მისი შესაფერისი გაგება და განმარტებაა აუცილებელი.

ანტ. სამყაროს ფილოს. ტექსტებს ი. პ. საფუძვლიანად იკვლევს. იგი თვლის, რომ წიგნის დედააზრს მხოლოდ მისი ადეკვატური განმარტებით გავიგებთ; ანუ ამა თუ იმ ავტორის შემოქმედება იმანენტურად, პირველად წყაროებზე დაყრდნობით უნდა განვმარტოთ. ამ თვალსაზრისით ი. პ-ის ახსნა-განმარტებითი მეთოდი მსგავსია იტალიური რენესანსის ცნობილი წარმომადგენლის, მარსილიო ფიჩინოს (1433–99) კომენტატორული მეთოდისა.

ი. პ-სთვის ფილოსოფია აღარაა ღვთისმეტყველების მსახური. ის, ეფრემ მცირისგან განსხვავებით, „გარეშე ფილოსოფოსებს" დიდ ყურადღებას აქცევს და მათი შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს, რაც უკვე აღარ ნიშნავს „მსახურად ყოფნის" აუცილებლობას. პეტრიწთან ფილოსოფია და ღვთისმეტყველება ერთ დიდ საერთო მიზანს ემსახურება – დაუსახოს ადამიანს მართებული საერო და სას. ორიენტირები.

ი. პ-ის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია პითაგორას მოძღვრებამაც. „თეოლოგიის საწყისების" კომენტარში იგი საუბრობს პითაგორასა და მისი მიმდევრების

შესახებ და ამ მოაზროვნეებს „ძველ ღვთისმეტყველთა“ რიცხვს მიაკუთვნებს. ამასთანავე, პეტრიწი პარმენიდესა და ძენონსაც პითაგორელებს მიაკუთვნებს. აქედანაც ჩანს, რომ ქართვ. ფილოსოფოსი ამ მოაზროვნეებისადმი გარკვეულ სიმპათიას ამჟღავნებს. ეს კიდევ უფრო ცხადად ვლინდება პეტრიწისეულ ძიებაში „წმინდა ღვთისმეტყველებისა“, რ-იც, როგორც ქრისტ. ფილოსოფია, მხოლოდ ღვთაებრივ და ზეცაურ არსთა შესახებ მოძღვრება უნდა ყოფილიყო. Ი. პ. ძველ ბერძენ მოაზროვნეთაგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პითაგორასა და მის მოწაფეებს, რადგან ეს ფილოსოფოსები (მათი აბსტრაქტული აზროვნების მეშვეობით) „წმინდა ღვთისმეტყველების“ შექმნას დიდად უწყობდნენ ხელს. მაშასადამე, Ი. პ-მა ანტ. ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს მიმართა და თანამედროვეობას ანტ. სიბრძნის ათვისების აუცილებლობაზე მიუთითა. მისი ფილოსოფიური შემოქმედება გვაჩვენებს, რომ ქრისტიანობას აუცილებლად სჭირდება „გარეშე სიბრძნე“, ანუ პლატონი, არისტოტელე, პროკლე და სხვ. ე.ი. რწმენას აუცილებლად სჭირდება ცოდნა, თუმცა ამგვარი პოზიცია შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში მიუღებელი იყო. ამას ადასტურებს XIII ს. ანონიმი ავტორი, რ-მაც პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ პეტრიწისეული თარგმანი და კომენტარი გადაწერა და თან მცირედი, მაგრამ მეტად საყურადღებო შენიშვნაც დაურთო თავის ნამუშევარს. Ი. პ-ის კომენტატორული საქმიანობა, ამ უცნობი მოღვაწის აზრით, საფრთხესაც შეიცავს. მას მიაჩნია, რომ პროკლეს ფილოსოფია ადამიანთათვის შეიძლება „წარმწყმედი“ და საცთური აღმოჩნდეს, ამიტომ იგი მის „ბოროტად გამოყენებას“ უფრთხის. პროკლეს ამ ნაშრომით ადამიანები შეიძლება „წარიწყმიდონ“ ანდა „განათლდნენ“ (ე. ი. ღვთისმეტყველები გახდნენ).

მიუხედავად ამგვარი სკეპტიკური დამოკიდებულებისა, შეიძლება ითქვას, რომ Ი. პ-ის გზა ქართ. აზროვნებაში მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მას მოწინააღმდეგეებთან ერთად საიმედო მიმდევრებიც გამოუჩნდნენ – ს.-ს. ორბელიანი, ანტონ და იოანე ბაგრატიონები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია Ი. პ-ის ფილოსოფიის ანტონისეული რეცეფცია. იგი თავის ნაშრომებში საგანგებო ყურადღებას აქცევდა Ი. პ-ის ღვაწლს. „წყობილსიტყვაობაში“ (1768) მას ქართ. კულტურის მნიშვნელოვანი მიღწევების აღნუსხვა სურდა. Ი. პ-ის მოღვაწეობა, ამ მხრივ, მისთვის სამაგალითო იყო. ანტონს მიაჩნდა, რომ სწორედ პეტრიწმა ჩაუყარა საფუძველი ქართ. კულტურის აღორძინებას, გაარღვია ქართული ფილოსოფიის ლოკალური საზღვრები და ის ინტერნაციონალური გახადა („ქართლი ჰქმენ ათინანი“). სწორედ ამიტომაა ანტონი აღტაცებული („განლიგებული“) Ი. პ-ის მოღვაწეობით. მისი ფილოს. ნაშრომის – „სპეკალის“ (1752) – რამდენიმე ვრცელი თავი პეტრიწის შემოქმედებასა და პიროვნებას ეხება. შეიძლება ითქვას, რომ „სპეკალი“ ახალი დროის ქართულ აზროვნებაში Ი. პ-ის ფილოსოფიის ყველაზე სანდო და საინტერესო ანალიზს გვთავაზობს. შემთხვევითი არც ის არის, რომ ამ ნაშრომის ბოლო თავები სწორედ პეტრიწს ეძღვნება, თუმცა ანტონ ბაგრატიონის ამ თვალსაზრისს ყველა არ იზიარებდა. ტიმოთე გაბაშვილი (XVIII ს.) პეტრიწის თხზულების უცნობი გადამწერის ეჭვს უსაფუძვლოდ არ თვლიდა და „თეოლოგიის საწყისების“ ქრისტ. რწმენის შესაბამის წაკითხვას მოითხოვდა. ამდენად იგი ამ ნაშრომის ქართვ. მთარგმნელის საქმიანობასაც ეჭვქვეშ აყენებდა, თუმცა Ი. პ-ის ღვაწლის ანტონისეული შეფასება უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. მას სრულად იზიარებდა XIX ს. დიდი ქართვ. მოაზროვნე, ფილოსოფოსი და ლოგიკოსი ს. *დოდაშვილი*. აღსანიშნავია ისიც, რომ XX ს. ქართ. ფილოსოფიის მოთავეებმა (შ. *ნუცუბიძე*, ს. *გორგაძე*, მ. *გოგიბერიძე* და სხვ.) Ი. პ-ის ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაზე დაყრდნობით გააახლეს და აღორძინეს ქართ. სიბრძნისმეტყველების ერთ დროს „მივიწყებული წყაროები“.

XX ს-ში Ი. პ-ის შემოქმედების კვლევა-ძიების საქმე არსებითად გაუმჯობესდა. დაწყებული ნ. მარის საეტაპო ნაშრომიდან, პეტრიწის ფილოსოფია სულ უფრო მეტად მოექცა ყურადღების ცენტრში. სწორედ XX ს. I ნახ-ში გამოიცა Ი. პ-ის ძირითადი შრომები და შეიქმნა არაერთი საყურადღებო ნაშრომი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მის ფილოსოფიურ ნააზრევს საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნეს: გ. თევზაძემ, შ. ხიდაშელმა, ი. ფანცხავამ, თ. კუკავამ, დ. მელიქიშვილმა და სხვ. XXI ს. დასაწყისში Ი. პ-ის ფილოსოფია უკვე დასავლური ფილოს. აზროვნების ინტეგრალური ნაწილი გახდა. ამ მხრივ აღსანიშნავია გ. თევზაძის, თ. ირემაძის, ჰ. ქ. გიუნტერის, ლ. ალექსიძის, ლ. გიგინეიშვილის და სხვათა ნაშრომები. Ი. პ-მა, ფილოს. ნაშრომების გარდა, დატოვა მნიშვნელოვანი თარგმნილი და ორიგინ. ლიტ. მემკვიდრეობა, მან ბერძნულიდან ხელახლა თარგმნა ბიბლიური წიგნები და იოანე სინელის „კლემაქსი“ („კიბე“). ბერძნულიდანვე გადმოაქართულა მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული საკითხავები – წმიდანთა ცხოვრებანი და წამებანი (მაგ., ცნობილია თეოდორა ალექსანდრიელისა და მერკვირის „ცხორებანი“, ზოსიმესა და ბარბარეს „მარტვილობანი“), აგრეთვე იოსებ ფლავიუსის საისტორიო შრომა „მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყუადასაბამობისანი“ („მსოფლიო ისტორია იოსიპოსისაჲ“), რ-ის თხუთმეტმა წიგნმა ჩვენამდე მოაღწია და სხვ. Ი. პ-მა დაწერა ორიგინ. ასკეტიკურ-მისტ. პოეტური ტრაქტატი „სათნოებათა კიბე“, რ-საც საფუძვლად დაედო „კლემაქსის“ ექვთიმე მთაწმიდლისეული ქართ. თარგმანი; გალექსა „სათვეო სჯანქსარი“, ანუ „გალობანი ყოველთა წმიდათანი“. მასვე მიაკუთვნებენ მცირე ზომის იამბიკურ ლექსებს, რ-თაგან ზოგს ჩვენამდე არ მოუღწევია.

Ი. პ-მა შექმნა ლიტ. სკოლა, აღზარდა მრავალი მოწაფე, გამოუჩნდნენ მიმდევრებიც. თავისებურია მისი ენა და სტილი. იგი ქმნიდა ახ. ფილოს. ტერმინოლოგიას. ბერძნ. დედანთან ზუსტი მიმართების მიზნით უხვად იყენებდა ქართ. ენისთვის შეუფერებელი მიმღეობიანი კონსტრუქციების წინადადებებს, რაც ართულებდა მის სამწერლო ენას. Ი. პ-მა დიდი გავლენა მოახდინა ძვ. ქართ. ფილოს. აზროვნებაზე, საერო პოეზიასა და საისტ. მწერლობაზე, განსაკუთრებით კი ანტონ I-ის ლიტ. სკოლაზე.

Ი. პ-მა დიდი ამაგი დასდო ენციკლოპედიური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებას. მან პროკლე დიადოქოსის თხზულების „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ თარგმანი გააღრმავა და გაამდი-

დრა კომენტარებითა და შენიშვნებით, დაურთო ბოლოსიტყვაობა, რ-შიც ჩამოაყალიბა თავისი თეოლ. სისტემა. თარგმანის კომენტარებს ეწოდება ,,განმარტებაჲ პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს''. ეს ,,განმარტებაჲ'' ენციკლოპედიური ხასიათისაა.

ი. პ. შერაცხულია წმინდანად. ღირსი მამის ხსენების დღეა 10(23) თებერვალი.

თხზ.: განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, ტ. 2. შ. ნუცუბიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტფ., 1937; პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ტ. 1. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., შესავალი სტატია მ. გოგიბერიძისა, თბ., 1940; განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღვთისმეტყველების საფუძვლებისა''. დ. მელიქიშვილის გამოც., თბ., 1999; Kommentar zur Elementatio theologica des Proklos. Übersetzung aus dem Altgeorgischen, Anmerkungen, Indices und Einleitung von L. Alexidze und L. Bergemann, Amsterdam/Philadelphia, 2009.

წყარო და ლიტ.: ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1980; არეოპაგიტული კრებული. დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველქართულ მწერლობაში, გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა, თბ., 1983; ალექსიძე ლ., იოანე პეტრიწი და ანტიკური ფილოსოფია, თბ., 2008; გოგიბერიძე მ., რუსთაველი, პეტრიწი. პრელუდიები, თბ., 1961; თევზაძე გ., იოანე პეტრიწი, თბ., 2006; იეკი უ. რ., განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა ლ. ზაქარაძემ, თბ., 2010; ირემაძე თ., ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, «უფლის ციხე», 2012, № 2; მისივე, ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, თბ., 2013; კუკავა თ., იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა, თბ., 1971; მელიქიშვილი დ., იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975; ფანცხავა ი., იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხები, თბ., 1941; ყიფიანი ი., ნარკვევები ენციკლოპედიური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1987; ხიდაშელი შ., იოანე პეტრიწი, თბ., 1956; მისივე, ქართული ფილოსოფიის ისტორია (IV–XIII სს.), თბ., 1988; Mapp H., Я., Иоанн Петрицский – грузинский неоплатоник XI–XII вв., «Записки Восточного отделения Императорского Русского археологического общества», XIX, СПб., 1909; Gigineishvili L., The Platonic Theology of Ioane Petritsi, Gorgias Press (United States), 2007.

თ. ირემაძე.
ი. ლოლაშვილი.

იოანე პრესბიტერი, შუა საუკუნეებში გავრცელებული ლეგენდების თანახმად, ძლევამოსილი ქრისტიანი მეფე-მღვდელმთავარი აღმოსავლეთში. ოტო ფრაიზინგელის (XII ს.) ცნობით (1145), ი. პ. ცხოვრობდა სპარსეთს იქით. მან დაამარცხა სპარსეთისა და მიდიის მეფეები, შემდეგ კი იერუსალიმისაკენ გაემართა ჯვაროსანთა დასახმარებლად. შემდგომი დროის წერილობითი ძეგლებისა და მკვლევართა თანახმად, ი. პ-ის სამფლობელო მდებარეობდა აზიაში, ეთიოპიაში ან ინდოეთში, მისი რეალური პროტოტიპი კი რომელიმე აქაური მმართველი იყო. არის მოსაზრება, რომ ი. პ-ის ლეგენდარული ტიპი უნდა ჩამოყალიბებულიყო იმ ინფორმაციის საფუძველზე, რ-მაც XII ს. I ნახ-ში დას. ევროპაში შეაღწია დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის შესახებ.

ლიტ.: გოგოლაძე ა., იოანე პრესვიტერის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ, თბ., 2005.

შ. ბადრიძე.

იოანე რუფუსი (Iōannēs Rufus), V ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი. *პეტრე იბერის* მოწაფე. წარმოშობით არაბი სამხრ. პალესტინიდან (ასკალონიდან). ბეირუთში სწავლობდა სამართლის მეცნიერებას. პატრიარქმა პეტრე ფულონმა ი. რ. ანტიოქიის მღვდლად აკურთხა. პატრიარქის გადაყენების შემდეგ იგი პალესტინაში დაბრუნდა, სადაც გაიცნო პეტრე იბერი და დაუახლოვდა მას. პეტრე იბერის გარდაცვალების შემდეგ მაიუმის ეპისკოპოსად დაინიშნა.

ი. რ-მა ბერძნ. ენაზე დაწერა ვრცელი მონოგრაფია ,,პეტრე იბერის ცხოვრება''. თხზულება შეიცავს 150 ნაბეჭდ გვერდს. მასში დაწვრილებით არის გადმოცემული პეტრეს არა მარტო ბიოგრ. ცნობები მისი ჩამომავლობისა და ნათესაობის შესახებ (ხოლო რაკი იგი სამეფო საგვარეულოს წევრი იყო, ამიტომ იქ აღნიშნულია ქართველ მეფეთა სამი თაობა), არამედ მისი აზრები, საუბრები მეგობრებთან და მოწაფეებთან, უმთავრესად *იოანე ლაზთან* (პეტრე იბერის აღმზრდელი და თანამოკალმე). ი. რ. პეტრეს უწოდებს ,,ჩვენს პავლეს'', ,,მეორე მოციქულ პეტრეს'' და ,,მეორე მოსეს''. თხზულების ბერძნ. დედანი დაკარგულია. დარჩენილია VI ს-ში შესრულებული სირიული თარგმანი. ი. რ-ს ეკუთვნის აგრეთვე ,,პლეროფორიები'' (დაწერილი 512–518), რ-თა უმეტესი ნაწილი აგებულია პეტრე იბერის მიერ გამოთქმულ შეხედულებებზე. ამ შრომით ავტორი მიზნად ისახავდა *ქალკედონის საეკლესიო კრების* (451) დადგენილებების განქიქებას.

თხზ.: პეტრე იბერის ცხოვრება, [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973.

ლ. მანიავა.

იოანე საბანისძე, VIII ს. მწერალი, ჰაგიოგრაფი; ავტორი ,,აბო თბილელის წამებისა'', რომელშიც აღწერილია არაბი ჭაბუკის – აბოს მარტვილობა, მისი თავდადება ქრისტიანობისათვის. აბო არაბეთიდან ქართლში გამოჰყვა ნერსე ერისთავს, აქ იგი გაეცნო ქრისტ. სარწმუნოებას, უარყო მაჰმადიანობა და მიიღო ქრისტიანობა. არაბებმა მოსთხოვეს რჯულის უარყოფა და ქრისტიანობის ერთგულებისათვის 786 წ. თავი მოჰკვეთეს. აბოს წამებას დიდი საზ. რეზონანსი ჰქონდა. ქართ. ეკლესიამ წმინდანად შერაცხა იგი. ქართლის კათოლიკოსმა სამოელმა (780–790) საგანგებო წერილით მიმართა ი. ს. ძ-ს, აბოსთან დაახლოებულ პირს, და მისი წამების აღწერა სთხოვა. ი. ს. ძ-მ ქართ. ჰაგიოგრაფიული მწერლობის ბრწყინვალე ძეგლი შექმნა (786–790), თხზულებას წაუმძღვარა სამოელ კათოლიკოსის ეპისტოლე და თავისი პასუხი. კათოლიკოსის მოკრძალებული ტონი გვაფიქრებინებს, რომ ი. ს. ძ. საერო პირი უნდა ყოფილიყო. იგი დიდად განათლებული, სას. მწერლობის კარგი მცოდნე და გაწაფული მწერალი ყოფილა. სავარაუდოა, ი. ს. ძ-ს ეკუთვნოდეს აგრეთვე ერთი ძვ. საგალობელი აბო თბილელის შესახებ, შემონახული ჭილ-ეტრატის იადგარში (IX–X სს.; ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, H–2123).

,,აბო თბილელის წამება'' 4 თავისაგან შედგება. I თავი დამრიგებლობითი ხასიათისაა, სადაც საუბარია აბოს მარტვილობის მნიშვნელობაზე; II და III თავებში აღწერილია აბოს ქართლში მოსვლა, მისი მოღვაწეობა და მოწამებრივი აღსასრული; IV თავი ჰიმნოგრაფიული ხასიათისაა და შეიცავს აბო თბილელის ქებას. თხზულების ეს ნაწილი ქართ. ორიგინ. ჰიმნოგრაფიის უძველესი ნიმუშია. აბოს მარტვილობის აღწერით ი. ს. ძ-მ მიზნად დაისახა ეროვნ. თვითშეგნების განმტკიცება. ქართველთა ეროვნ. გადაგვარების მიზნით არაბები ქართველებში მაჰმადიანობას ავრცელებდნენ. ასეთ ვითარებაში

არაბი აბოს ქრისტ. სარწმუნოებაზე მოქცევა მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. მწერალს ეროვნ. თვითმყოფობის შენარჩუნების ძირითად საშუალებად ქრისტ. სარწმუნოების დაცვა მიაჩნდა. აბოს წამების ფაქტი მან გამოიყენა მაჰმადიანობასთან შედარებით ქრისტიანობის უპირატესობის დასადასტურებლად და ეროვნ.-სარწმუნოებრივი სიამაყის გრძნობის გასაღვივებლად. თხზულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არაბთა ბატონობით შევიწროებული და ეროვნ. გადაგვარების საფრთხის წინაშე მდგომი ქართველებისათვის. ი. ს. ძ-თვის დამახასიათებელია მკაცრად გააზრებული კომპოზიცია, თხრობის ლაღი და ხატოვანი მანერა, ღრმა დრამატიზმი. ნაწარმოები მნიშვნელოვანი ისტ. წყაროა VIII ს. ქართლის პოლიტ.-ეკონ. ცხოვრების, ეროვნ.-სარწმუნოებრივი იდეალების, საზ. ყოფის შესასწავლად. მოღწეულია X ს. ხელნაწერით. პირველად გამოსცა მ. საბინინმა (1882), მეორედ – კ. კეკელიძემ (1935), რ-მაც ნაწარმოები თარგმნა რუსულად (1956). გერმანულად თარგმნა შულცემ (1905), ლათინურად – პ. პეეტერსმა (1934).

თხზ.: წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი..., წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფ., 1935; მ ი ს ი ვ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

შ. ონიანი.

იოანეს (ჰოვანეს) დრასხანაკერტცი, დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი (889–931), სომეხი ისტორიკოსი. 897-იდან სომხეთის კათოლიკოსი. ავტორი თხზულებებისა ,,სომეხი მამამთავრების რიგი'' და ,,სომხეთის ისტორია'', რ-შიც აღწერილია სომხეთის თავგადასავალი ქვეყნის დასაბამიდან 914-მდე. განსაკუთრებით ფასეულია თხზულების ის ნაწილი, რ-იც IX ს. შუა ხანებს ეხება. აქ ავტორი სომხეთის ისტორიის პარალელურად, მასთან უშუალო კავშირში საქართველოს შესახებაც მრავალ საგულისხმო ცნობას გვაწვდის. ი. დ-ის ცნობით ეგრის-აფხაზეთის მეფე *კონსტანტინე III-მ,* რ-იც IX ს. დასასრულს და X ს. დასაწყისში ჩრდილოეთის, კერძოდ, ალანთა კარის მოსაზღვრე ქვეყნისათვის ენერგიულად იბრძოდა: ,,შეკრიბა ჯარი და გაემართა ჩრდილოეთის მხარით კავკასიის მთის ხევებით, რათა გუგართა ქვეყანა და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა ერთხელვე თავის ხელქვეით დაემორჩილებინა''.

ი. დ. მოგვითხრობს ქართველთა კურაპალატ ადარნასეს ურთიერთობაზე სომხეთის სამეფოსთან. კერძოდ, იგი ადარნასეს ,,ქართველთა მეფედ'' დადგენას მთლიანად სუმბატ სომეხთა მეფის დამსახურებად მიიჩნევს. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით ეს ცნობა გადაჭარბებულია, თუმცა შესაძლებელია სუმბატს, როგორც ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენელს, მხარი დაეჭირა ადარნასეს გამეფებისათვის. ი. დ-ის შრომებში დაცული ცნობები ადასტურებს ქართ. სინამდვილეში შექმნილ ლეგენდას ბაგრატიონთა გვარის ღვთიური წარმოშობის შესახებ, რ-იც გაიზიარეს ჩვენმა მეზობელმა ხალხებმა (სომხებმა, ბიზანტიელებმა).

თხზ: ცნობები საქართველოს შესახებ, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1937; სომხეთის ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1965. *გ. მაისურაძე.*

იოანე სენეძერიმი, ჰერეთის მეფე დაახლ. 960 – X ს. ბოლოს, *აშხანიკის* ძე. თავის სამეფოს შეუერთა მარჯვ. ნაპირის ალბანეთის ნაწილი. მოვსეს კალანკატვაცი მას ,,ალბანეთის სამეფოს აღმდგენლად'' მოიხსენიებს. ი. ს-ს კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდა აზერბ. სალარიდთა დინასტიის წარმომადგენლებთან (დეილემის მთავართა საგვარეულო) და ტაოს მეფე *დავით III* დიდ კურაპალატთან.

წყარო: История агван Моисея Каганкатваци, пер. с арм., СПб., 1861, кн. 3, гл. 22.

ლიტ.: პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, შ. მესხიას რედ., თბ., 1973.

თ. პაპუაშვილი.

იოანეს (ჰოვანეს) ერზინკაცი, ე რ ზ ი ნ კ ე ლ ი, XIII ს. სომეხი პოეტი და ასტროლოგი. მისი ნაშრომი ,,ზეციური მოძრაობისათვის'' დაწერილია თბილისში 1284. მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ და მათი მკაცრი მმართველობის პირობებშიც კი თბილისი სომეხი პოეტის აღტაცებას იწვევს. ქართველთა სამეფოს იგი ,,ღვთივ დაცულს'', ხოლო მის მთავარ ქალაქს ,,სახელგანთქმულსა და მემატიანეთგან ფაიტაკარანად (სომხურად – ,,ხისგან ნაგები ქალაქი'') წოდებულ დიდ დედაქალაქ თბილისს'' უწოდებს. ი. ე-ს თბილ. სომეხთა საკრებულო ტაძარში სიტყვა წარმოუთქვამს ასტროლოგიის საკითხებზე. *გ. მაისურაძე.*

იოანე სკილიცე (Iōannēs Skylitzēs), XI ს. ბიზანტიელი ქრონისტი, მეტსახელად ,,თრაკესიელი''. დაწერილი აქვს ,,ისტორიული მიმოხილვა'' 811–1079 ამბებისა. თხზულების ძირითადი ნაწილი (811–1059) შესულია *გიორგი კედრენეს* ისტორიულ მიმოხილვაში (ი. ს-ს შრომის სრული ბერძნ. ტექსტი ჯერ გამოვლენილი არ არის), ხოლო 1059–79 ისტორია ცალკეა დაბეჭდილი და კედრენეს შრომას ბოლოში დაერთვის. ი. ს-მ თავისი თხზულება დაგეგმა როგორც თეოფანე ჟამთააღმწერლის ,,ქრონოგრაფიის'' გაგრძელება, რ-იც 811-ით ამთავრებს ამბების თხრობას. 811-იდან 944-მდე ი. ს. სარგებლობს ე. წ. ,,თეოფანეს გამგრძელებლებით'', ხოლო 944 შემდგომი ამბები აღწერილი აქვს უპირატესად იმ პირველწყაროების მიხედვით, რ-ებიც ჩვენამდე მოღწეული არაა, ამიტომაც ი. ს-ს თხზულების ამ მონაკვეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესოა კედრენე-სკილიცეს შრომის ის ადგილი, სადაც მოთხრობილია ნიკიფორე ქსიფიასის და ნიკიფორე ფოკას ძის ავჯანყების ამბავი, მეფე გიორგი I-ის კავშირის შესახებ ავჯანყებულებთან.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963.

ლიტ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973. *ლ. მანიავა.*

იოანე, სტეფანე და ესაია ქართველნი, სასულიერო მოღვაწეები, წმინდანნი და მართალნი. წმ. დასში მართლად იწოდებიან ის ქრისტიანები, რ-ებმაც თავიანთი ცხოვრება ღვთის დიდებას და ერის სამსახურს მოახმარეს. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში „მართლის'' წოდებით ოთხი წმინდანი სახელდება: ილია ჭავჭავაძე, იოანე, სტეფანე და ესაია. ცნობები ბოლო ამ სამ წმინდანზე საკმაოდ მწირია, თუმცა დასტურდება, რომ სამივე იერუსალიმში მოღვაწეობდა და ქრისტეს საფლავის საპატიო მცველები იყვნენ. საქართველოს ეკლესიამ მათი ხსენების დღედ 4 (17) ნოემბერი დაადგინა.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ. – ათენი, 2003.

იოანე ტარიჭისძე, XI–XII სს. ქართველი მთარგმნელი. ანტონ I-ის ,,წყობილსიტყვაობაში'' (XVIII ს.) მას ეძღვნება ორსტროფიანი იამბიკო, რ-შიც ნათქვამია: ი. ტ-მ ,,გუთარგმნა წიგნი, შეგუმკო ეკლესია'', საქართველოში ,,სწავლა განჰფინა''. ,,ქართლის ცხოვრების'' ერთ-ერთი ნუსხის გვიანდელი მინაწერის მიხედვით, რ-იც ს.-ს. ორბელიანს ეკუთვნის, ი. ტ. საზღვარგარეთ მოღვაწეობდა. იგი დაახლ. 1114 დაბრუნდა საქართველოში თეოფილე ხუცესმონაზონთან და არსენ იყალთოელთან ერთად. კ. კეკელიძე ი. ტ-ს ნეოპლატონიკოსად სახავს და მას მიაწერს ამონიოს ერმისის 2 თხზულების თარგმანს, რ-ებსაც სხვა მკვლევრები (ს. გორგაძე, ი. ლოლაშვილი) იოანე პეტრიწს მიაკუთვნებენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღორძინების ხანის მწერლებს ი. ტ. შეიძლება ერეოდეთ იოანე პეტრიწში.

ლიტ.: იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1968; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *ი. ლოლაშვილი.*

იოანე ფლორენციელი (გ. 1348), დომინიკელი ბერი, *თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს* პირველი ეპისკოპოსი (1329). შედიოდა იმ კათოლიკე მისიონერთა სიაში, რ-ებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ. ი. ფ. საქართველოში თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსებამდე, დაახლ. 1318 ჩამოვიდა. ცნობები მისი პიროვნების შესახებ ძალზე მწირია. რომის პაპის, *იოანე XXII-ის* წერილიდან ვგებულობთ, რომ იგი დიდად განათლებული, მოკრძალებული და სათნოებით გამორჩეული პიროვნება ყოფილა. ი. ფ-ს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი საღვთო საგნები, კარგად იცოდა ქართული ენა და ქართ. ადათ-წესები; იგი სიყვარულით სარგებლობდა როგორც ქართველებში, ასევე საქართველოში მცხოვრებ არაქრისტიანებს შორისაც. მის სახელს უკავშირდება არაერთი წიგნის ქართულ ენაზე თარგმნა, თუმცა არც ერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია. ი. ფ-ს კათოლიკე ეკლესია დიდ მოღვაწედ და „მოციქულად'' ასახელებს.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ქართული ეკლესიის ისტორია, თბ., 1995; მჭედლიძე გ., XIX საუკუნის გამოუქვეყნებელი ისტორიული დოკუმენტები ქუთაისში მოღვაწე იტალიელი პატრების შესახებ, «ქართველოლოგია», 2015, №4. *თ. მარგველაშვილი.*

იოანე ძონძოზის ძე, X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი. მის შესახებ ბიოგრ. ცნობები არ მოგვეპოვება. ავტორია მიქაელ მოდრეკილის ,,იადგარში'' (978–988) მოთავსებული ვრცელი იამბიკური საგალობლისა – ,,გალობანი ქრისტეჱს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაილტელყოფილისა ქართველისანი''. მას ტაო-კლარჯეთის ლიტ. სკოლის წარმომადგენლად მიიჩნევენ.

ბიბლ. იხ. სტ-თან იოანე მინჩხი. *ლ. ჯღამაია.*

იოანე ღვთისმეტყველი, მახარებელი (გ. დაახლ. 26. IX. 110, ქ. ეფესო), ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი. სახარების, გამოცხადებისა (აპოკალიფსი) და სამი ეპისტოლეს ავტორი.

ი. ღ. თავიდან იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო, შემდგომ კი იესო ქრისტეს საყვარელი მოწაფე გახდა. იგი ,,სიყვარულის მოციქულადაც'' იწოდება. მისი სახარებისა და ეპისტოლეების უმთავრესი თემა სიყვარულია.

უფლის მოციქულებიდან ი. ღ. ერთადერთია, რ-იც მოწამეობრივი სიკვდილით არ აღესრულა. მან 100 წელზე მეტხანს იცოცხლა. ქრისტიანული გადმოცემით, ი. ღ. იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის მსგავსად ხორციელად ზეცად ამაღლდა.

ი. ღ-ის იკონოგრაფიული ნიშანია არწივი, როგორც ღვთისმეტყველური აზრის აღმაფრენის სიმბოლო, რის გამოც ქრისტეს მოციქულთაგან მხოლოდ მას ეწოდა ,,ღვთისმეტყველი''. მართლმადიდებელი ეკლესია მოციქულის ხსენების დღეს 8(21) მაისს აღნიშნავს.

საქართველოში ი. ღ-ის სახელი სიყვარულსა და სიკეთესთან ასოცირდება. ძველი დროიდან მოყოლებული არაერთი ეკლესია-მონასტერია აშენებული ი. ღ-ის, იმავე იოანე მახარებლის სახელზე, მ. შ. გომისჯვრისა და სასხორის იოანე მახარებლის, თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიები და სხვ.

იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. დგას ვერის პარკში, ლურჯი მონასტრის გვერდით, სამხრ. მხარეს (ნ. ნიკოლაძის ქუჩის დასაწყისი). ეკლესია აიგო მრევლის მიერ შემოწირულობით და შეგროვებული თანხით. აშენებდნენ სამოქალაქო პირები: ინჟ. კ. ანტონოვი და მოიჯარე ლ. ბაკისოვი. ეკლესია აკურთხეს 1901 წ. 13 მაისს (ძვ. სტილით). ეკლესია წარმოადგენს ძვ. რუს. არქიტ. ფორმებისა და ელემენტების სტილიზაციას, რ-იც მაშინდელ რუსეთში შემუშავდა. ი. ღ. ე-ში XX ს. 90-იანი წლებიდან მღვდელთმსახურება ქართ. ენაზეც მიმდინარეობს.



წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია. XX ს. თბილისი.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წწ., ტ. 2, თბ., 1963.

იოანე შავთელი, XII–XIII სს. ქართველი პოეტი, სასულიერო მოღვაწე. როგორც ზედწოდებიდან ჩანს, წარმოშობით სოფ. შავთიდან ყოფილა. მას მიეწერება ძვ. ქართ. ლიტ-რის კლასიკური ეპოქის ძეგლი ,,*აბდულმესიანი*''. ,,ქართლის ცხოვრების'' ცნობით, ი. შ. იყო ,,ფილოსოფოსი და



იოანე შავთელი. ,,აბდულმესიანი''. პ. იოსელიანის გამოცემა. 1838.

რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოლუაწეებათა შინა განთქმული''. იგი თამარ მეფის თანამედროვე და ნდობით აღჭურვილი პირი ყოფილა. მემატიანეთა ცნობით, თამარს ახლდა ვარძიასა და ომრხეში *ბასიანის ბრძოლის* (1203) დროს, აქვე შეუთხზავს ,,გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი''. მასვე მიეწერება სას. ხასიათის სხვა თხზულებებიც. ი. შ. სას. პირი ჩანს, რაზეც მიუთითებს მის თხზულებებში გამოვლენილი ღრმა საღვთისმეტყველო განათლება. ზოგ წყაროში მოხსენიებულია ,,ნეტარად'', ,,წმინდანად''. ,,აბდულმესიანში'' იგი თავის თავს ,,მწირსა'' და ,,მსხემს'' უწოდებს. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ღირსი ი. შ-ის ხსენების დღე წელიწადში ორჯერ დაადგინა: 1(14) აპრილს (ევლოგი სალოსელთან ერთად) და 9 (22) ივნისს.

თხზ.: [წიგნში] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, [ტ.] 1, თბ., 1946; ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ. – ათონი, 2003.

ს. ცაიშვილი.

იოანე ცეცე (Iōannēs Tzetzes) (დაახლ. 1110–1180), ბიზანტიელი პოეტი და ფილოსოფოსი. მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში. მამის მხრიდან, როგორც თვითონ აცხადებდა, იყო წმინდა ბერძნ. სისხლის, ხოლო დედის მხრიდან – კავკასიურ-იბერიული წარმოშობის. მიიღო საფუძვლიანი ფილოლ. და გრამატ. განათლება. თავის შრომებს უძღვნიდა წარჩინებულ ბიზანტიელებს და კეისრებს. მის ყველაზე ვრცელ ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს ,,ისტორიათა წიგნი'', ანუ ფილოლ.-ისტ. ,,პოემა'', რ-საც, ჩვეულებრივ, ,,ხილიადები'' ეწოდება. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები და განმარტებები ჰომეროსის, ჰესიოდეს, არისტოფანეს, ლიკოფრონის და სხვა ანტ. ავტორთა თხზულებების შესახებ. ი. ც. გვაწვდის ძვ. კოლხეთთან დაკავშირებულ საყურადღებო მითოგრაფიულ, გეოგრ. და ეთნოგრ. ცნობებს.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 7, თბ., 1967.

ლიტ.: ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

იოანე ციბე (Iōannēs Tdzibos), VI ს. ბიზანტიელი სტრატეგოსი. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527–565) ლაზიკეში გაგზავნა იოანე ციბედ წოდებული ,,კაცი არაწარჩინებულთა და არასახელოვანთა შთამომავალი, რომელმაც სტრატეგოსობამდე მიაღწია. ის იყო, რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმე გაამრუდა და არივ-დარია, მანვე დააჯერა იუსტინიანე ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა, სახელად პეტრა. იქ იჯდა ის ვითარცა აკროპოლისში, და ძარცვავდა ლაზთა ქონებას. ი. ც-მ შემოიღო ე. წ. მონოპოლი, თვით გადაიქცა მეწვრიმალედ და მთელი ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომელად''. ი. ც-ს წარმომავლობის შესახებ არსებობს ვარაუდი, რომ იოანე შეძლებული ლაზი, ლაზეთის გავლენიანი ფეოდალი იყო. შესაძლებელია, იუსტინიანემ იმის გამო, რომ სხვა პროვინციებიდან გაგზავნილმა მოხელეებმა ვერ შეძლეს ლაზეთში ვაჭრობის მონოპოლიის გატარება, გადაწყვიტა ეს მოვალეობა დაეკისრებინა ასეთი პირისთვის. ი. ც-ს მეტსახელი ,,ჯიბო'', ,,ჯიბუ'' სწორედ ლაზთა შორის გვხვდება. ეგრისის მეფე გუბაზმა და მისმა დიდებულებმა ვერ აიტანეს ბიზანტ. მოხელის ასეთი თვითნებობა და ირანის შაჰ ხოსროს მიმართეს დახმარებისათვის. ირანელთა და ეგრისელთა შეერთებულმა მხედრობამ ციხე-ქალაქი პეტრა აიღო. ი. ც. მიყენებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979.

იოანე ზარეცი, იოანე ზარეცი, XVI–XVII საუკუნეების სომეხი ისტორიკოსი. სომხ. ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ცნობილია მისი ნაშრომი, რ-იც შემონახულია *არაქელ დავრიჟეცის* ,,ისტორიათა წიგნში''. ი. ზ-ის თხზულებაში ჩრდ. აზერბაიჯანის პოლიტ. მოვლენების აღწერასთან ერთად (1571–99), მოცემულია საყურადღებო ცნობები ქართლის მეფის, სიმონ I-ის ბრძოლების შესახებ ოსმალთა წინააღმდეგ.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. მაისურაძე.

იოანე ჯიმჯიმელი, იხ. *იოანე პეტრიწი.*

იოანე ჭყონდიდელი, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი დაახლ. 1060 – 1110. იხსენიება სჯნგელოზის ტიტულით. XI ს. 50-იან წლებში, ჯერ კიდევ ერისკაცობაში, თავის ძმასთან პეტრიკთან ერთად თან ახლდა ბაგრატ IV-ს და დედოფალ მარიამს კონსტანტინოპოლში ბიზანტ. იმპ. კონსტანტინე IX მონომაქოსის (1042–54) კარზე. აქ ისინი შეხვდნენ ათონიდან ჩამოსულ გიორგი მთაწმინდელს და ათონში დიდი შესაწირავი გაატანეს, რისთვისაც იოანეს და მის ძმას ათონში აღაპი დაუწესეს. 1059 მან ბაგრატ IV-ის დავალებით ქ. ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოიყვანა გიორგი მთაწმინდელი, რ-ის ინიციატივითაც იოანე ჭყონდიდელად აკურთხეს. ი. ჭ. დაეხმარა გიორგი მთაწმინდელს საქართველოში მოუწესრიგებელი საეკლ. საქმეების გამართვაში; 1065 და 1066–67 ი. ჭ. ბაგრატ IV-ის ელჩი იყო ბიზანტ. იმპერატორის კარზე. ამ ელჩობის დროს მას გიორგი ხუცესმონაზვნისთვის უთხოვია, დაეწერა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ქართ. ეკლესიის მიერ ი. ჭ-ის ხსენების დღედ დადგენილია 3(16) იანვარი.

წყარო: გიორგი მცირე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ.,1966. *ბ. ლომინაძე.*

იოანე ხახულელი, X–XI სს. სასულიერო მოღვაწე, კალიგრაფი და მთარგმნელი, ბაგრატ III-ის თანამედროვე. გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით, რის გამოც ,,ოქროპირი'' უწოდეს.

ი. ხ-ის მიერ საქართველოში შესრულებული ხელნაწერი ანდერძის მიხედვით, მისი მოძღვარი იოანე გრძელის ძე ყოფილა. არაერთი წყარო ადასტურებს ი. ხ-ის ხელდასხმას თავდაპირველად ბოლნისის, ხოლო შემდეგ – ხახულის ეპისკოპოსად. დაახლ. 1019 არსენ ნინოწმინდელთან ერთად ათონის მთაზე გაემგზავრა და იქვე დამკვიდრდა სამოღვაწეოდ.

მკვლევართა ნაწილი ი. ხ-ს და *იოანე ბოლნელს* ერთსა და იმავე პიროვნებად მიიჩნევს, რადგან დიდ მსგავსებას პოულობენ მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაში – ერთნაირად გამოირჩეოდნენ მჭევრმეტყველი ქადაგებებით და, ასევე, ორივენი ბაგრატ III-ის თანამედროვენი იყვნენ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ღირსი ი. ხ. წმინდანად შერაცხა და ხსენების დღედ 10 (23) მარტი დაადგინა.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ.– ათენი, 2003. *თ. მარგველაშვილი.*

იოანიკე (ერისკაცობაში – ივანე მაქსიმეს ძე რუდნევი) (20. II. 1826, ტულის გუბერნიის ნოვოსელსკის მაზრა, – 4. VI. 1900, დაკრძალულია კიევ-პეჩერის ლავრაში), საქართველოს ეგზარქოსი 1877–82. 1835–39 სწავლობდა ნოვოსელსკის სას. სასწავლებელში, შემდგომ სწავლა განაგრძო ტულის სას. სემინარიაში, ხოლო 1849 დაამთავრა კიევის სას. აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. სტუდენტობის დროს იგი კიევ-პეჩერის ლავრაში აღიკვეცა ბერად. მალევე ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, ხოლო 1850 – ბერმონაზვნად. 1856 მიანიჭეს ექსტრაორდინარული პროფესორის წოდება და უბოძეს არქიმანდრიტის ხარისხი. 1861 ეპისკოპოსის ხარისხში იქნა აყვანილი. 1864 წ. 12 იანვარს დაინიშნა სარატოვისა და ცარიცინის ეპარქიის მმართველად, ხოლო 1873 წ. 13 ივნისს – ნიჟნინოვგოროდისა და არზამასის ეპისკოპოსად. 1877 წ. 14 თებერვალს სანქტ-პეტერბურგის სას. აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს. იმავე წელს ი. დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსად.

მოქნილი დიპლომატიური საქმიანობის წარმართვის მიზნით ი-მ ქართული ენა იმდენად შეისწავლა, რომ ღვთისმსახურების დროს ზოგიერთ ფრაზას ქართულად წარმოთქვამდა. მისი ინიციატივით, აღმ. საქართველოს სამღვდელოებას გადაეცა სანთლის ქარხნის შემოსავლები, რამაც ერთგვარად გააუმჯობესა მათი მატერიალური მდგომარეობა. ი-მ გარკვეული შეღავათები დაუწესა სას. სასწავლებლის პედაგოგებს, ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა სას.-სამრევლო სკოლებში. მისი ინიციატივით 1879 მცხეთის სამთავროს მონასტრიდან თბილისში გადმოიტანეს ქალთა საეპარქიო სასწავლებელი, ამ სასწავლებელთან არსებულ ობოლ ბავშვთა თავშესაფარს კი 40 ათასი რუბლი შესწირა. მან დიდი ყურადღება მიაქცია სას. სასწავლებელში ქართ. სასულიერო გალობის სწავლებას.

1882 წ. 27 ივნისიდან ი. მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტად გადაიყვანეს, შემდგომ კი კიევის ეპარქიის მიტროპოლიტი გახდა. დაჯილდოებულია წმ. ანას II ხარისხისა და წმ. ვლადიმირის III ხარისხის ორდენებით. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად.

ლიტ.: ბუბულაშვილი ე., XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), კრ.: საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004; ფერაძე ი., საქართველოს ეგზარქოსები, «მოგზაური», 1901, №4; ცინცაძე კ., ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001; Православная энциклопедия, т. 25, М., 2010. *ე. ბუბულაშვილი.*

იოანისიანი აბგარ რუბენის ძე [30. V (12. VI). 1908, თბილისი, – 1991], სომეხი ისტორიკოსი. სომხ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1947-იდან). 1947–53 იყო სომხ. მეცნ. აკად. ისტორიის ინ-ტის დირექტორი, 1949–60 – სომხ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი, 1960–63 და 1967-იდან – სომხ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი. კვლევის მთავარი თემები: უტოპიური სოციალიზმის ისტორია, სომეხი ხალხის განმათ. მოძრაობა და სამხრ. კავკასიის შეერთება რუსეთთან. ი. ყურადღებას აქცევდა საქართველოს სომხ. მოსახლეობის ობიექტურ ინტერესებს. მისი აზრით, სომხ. სავაჭრო კაპიტალის მფლობელები დაინტერესებული იყვნენ ერეკლე II-ის მიერ დამოუკიდებელი და ძლიერი კავკ. სახელმწიფოს შენარჩუნებით. სომხ. ისტორიოგრაფიაში ერეკლე II-ის კავშირი ყარაბაღის ხან იბრეიმთან სომეხთა ინტერესებისათვის არახელსაყრელადაა მიჩნეული. ამ მოსაზრებას იზიარებს ი. იგი აღნიშნავს, რომ ოცი წლის განმავლობაში ერეკლე II ყარაბაღის ხან იბრეიმის მოკავშირე იყო და მასთან მეგობრობა ეწინააღმდეგებოდა ყარაბაღელი სომხების ინტერესებს.

თხზ.: Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ер., 1947.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. მაისურაძე.*

იობელისი, რქისაგან დამზადებული ძველი ჩასაბერი საკრავი. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით ,,საყვირია მოკეცილი‘‘. მოიხსენიება ,,დაბადების‘‘ ქართ. თარგმანში. სტვირსა და ქნარზე დამკვრელთა წარმომავლობას კაენის შთამომავალ იუბალს უკავშირებენ. შესაძლოა, ,,ნესტუნი იობელისნი‘‘ იუბალისეულ ჩასაბერ საკრავებს აღნიშნავდეს.

ლიტ.: შოშიაშვილი ე., ბუკი, «ანალგაზრდა ეთნო-მუსიკოლოგთა კონფერენციის მასალები», თბ., 2014; ჩიჯავაძე ო., საკრავები ძველ საქართველოში, თბ., 2009. *ნ. კალანდაძე.*

იობი, ბიბლიური პერსონაჟი. ეშმაკის შთაგონებით ღმერთმა ღვთისმოსავ ი-ს გამოსაცდელად მრავალი სატანჯველი მოუვლინა, საბოლოოდ კი მოთმინებისათვის უხვად დაავჯილდოვა. ი-ის სახელით ცნობილი ბიბლ. წიგნის ავტორის ვინაობა გაურკვეველია. ჟანრობრივად ეს წიგნი განეკუთვნება ძვ. აღმოსავლეთში გავრცელებულ ,,სიბრძნის ლიტერატურას‘‘. შედგენილია დაახლ. ძვ. წ. V ს-ში. თხრობითი ნაწილი დაწერილია პროზად, დიალოგი ი-სა და მის მეგობრებს შორის პოეტური ფორმისაა. უძველესი ქართ. თარგმანი შემონახულია ოშკის ბიბლიაში (978).

ლიტ.: Bentzen A., Introduction to the Old Testament, Cph., 1962. *მ. შანიძე.*

იობი, ქართლის ეკლესიის მეთაური (ეპისკოპოსი) IV ს. შუახანებში. ,,მეფეთა ცხოვრების‘‘ ავტორის ცნობით, ,,მოკუდა იაკობ ეპისკოპოსი, და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოსისა დიაკონი‘‘.

ი-ის წარმომავლობის შესახებ მკვლევრები სხვადასხვა აზრისანი არიან. იგი მიჩნეულია ,,მცხეთის ადგილობრივი სომხური თემის წარმომადგენლად‘‘ (ჰ. მურადიანი), ეროვნებით ქართველად, რ-იც ქართლის ეკლესიის მეთაურად ხელდასხმამდე სომხეთში მოღვაწეობდა (გ. მაისურაძე). IV ს. შუახანების ქართლში შექმნილი მძიმე პოლიტ. ვითარების გამო ქართლის ეპისკოპოსად იგი ნერსე სომეხთა ეპისკოპოსმა აკურთხა.

,,მოქცევაჲ ქართლისაჲს‘‘ ქრონიკის შატბერდულ რედაქციაში იობის სომხობაზე არაფერია ნათქვამი და მითითებულია, რომ ,,ნერსე სომეხთა კათალიკოსის დიაკონი იობ‘‘ ქართლის ,,მთავარეპისკოპოსი‘‘ თრდატ მეფის დროს იყო.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ‘‘, შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1992; მისივე, IV ს. 60-იანი წლების ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1990. *ვ. გოილაძე.*

იობ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ელგუჯა ზურაბის ძე აქიაშვილი) (დ. 29. V. 1960, სოფ. სნო. ახლანდ. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), სასულიერო მოღვაწე. 1978 ჩაირიცხა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტზე.

სტუდენტობის წლებში სიონის საპატრიარქო ტაძრის სტიქაროსანი იყო. 1982 საქართვ. საპატრიარქოში ეკონომისტად, 1983-იდან კი – საფინანსო-სამეურნეო განყ-ბის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. 1984 გაიწვიეს სამხ. სამსახურში. დაბრუნების შემდეგ კვლავ მუშაობა განაგრძო საპატრიარქოში არქივარიუსად. 1985 ჩაირიცხა მცხეთის სას. სემინარიაში.

1988 წ. 3 იანვარს ი. მ. სამთავროს მონასტერში ბერად აღიკვეცა. იმავე წლის 19 იანვარს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა *ილია II-მ* დიაკვნად აკურთხა, ხოლო 28 მარტს – მღვდლად. 1988 წ. 22 ივნისს დაინიშნა მარტყოფის ღვთაების მონასტრის წინამძღვრად. 1989 ი. მ. მონაწილეობდა აჭარაში მოწყობილ მისიონერულ მოგზაურობაში. 1989 წ. 3 სექტემბერს ილუმენის პატივი მიენიჭა, იმავე წლის ოქტომბერში ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გადაიყვანეს აჭარაში სხალთის ახლად გახსნილ მამათა მონასტერში, 1990 წ. 28 აგვისტოს კი – ვარძიაში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ი. მ-ს არქიმანდრიტის პატივი მიანიჭა. 1990 ივლისიდან საქართველოს საპატრიარქოს ახლად ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის განყ-ბის თავ-რედ დაინიშნა, იმავდროულად ასრულებდა მარტყოფის ღვთაების მონასტრის წინამძღვრის მოვალეობასაც.

1992 მაისში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმ. სინოდის გადაწყვეტილებით ი. მ. გამორჩეულ იქნა მანგლელ ეპისკოპოსად. 1992 სექტემბრიდან დაინიშნა სას. აკადემიისა და სემინარიის პრორექტორად. იმავე წლის 25 დეკემბერს გადაიყვანეს ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად და ხულოს სას. სასწავლებლის რექტორად. ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში მოღვაწეობის დროს მისი ძალისხმევით გაიხსნა მრავალი ეკლესია-მონასტერი, აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუბრუნდა ქრისტ. სარწმუნოებას. 1995 გაზაფხულზე წმ. სინოდის გადაწყვეტილებით ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის გაყოფის შემდეგ ი. მ. დაინიშნა ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსად, 1996 წ. 21 ოქტომბრიდან – რუის-ურბნისის ეპარქიის მმართველად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1996 წ. 25 დეკემბერს მიენიჭა მთავარეპისკოპოსის, 2000 დეკემბერში – მიტროპოლიტის პატივი. 2003 პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა ქორეპისკოპოსის თანამდებობიდან და სათავეში ჩაუდგა საპატრიარქოს საღვთისმეტყველო და ლიტურგიკულ კომისიებს. ი. მ. დაჯილდოებულია წმ. გიორგის უმაღლესი ორდენით (2007).

იოდი (ბერძნ. iōdēs – იისფერი, ლათ. Iodum), I, პერიოდული სისტემის მე-17 (ძვ. კლასიფიკაციით – მე-7) ჯგუფის ქიმიური ელემენტი, ატომური ნომერი – 53, ატომური მასა – 126,9045. აღმოაჩინა ფრანგმა ქიმიკოსმა ბ. კურტუამ 1811. ი. მიეკუთვნება ჰალოგენებს. მოშავო-მორუხო ფერის კრისტალებია ლითონური ბზინვარებით, $t_{ღნ.}$ 113,5 °C, $t_{დუღ.}$ 184,35 °C. მოლეკულა ორატომიანია. ბუნებაში გვხვდება მხოლოდ ერთი სტაბილური იზოტოპი ^{127}I. ხელოვნურად მიღებულია სამი რადიოაქტიური იზოტოპი ^{125}I, ^{131}I და ^{132}I. იზოტოპი ^{125}I ურანის ბირთვული დაშლის ერთ-ერთი პროდუქტია.

ოთახის ტემპერატურაზე ი. აქროლადია, წარმოქმნის მკვეთრი სუნის იისფერ ორთქლს (საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდება). ცუდად იხსნება წყალში, კარგად – გოგირდნახშირბადში, ორგ. გამხსნელებში (სპირტი, ბენზოლი, ნავთი, ეთერი და სხვ.), ასევე მისი მარილების – იოდიდების წყალხსნარებში. ი. ქიმიურად აქტიურია, მაგრამ რეაქციისუნარიანობით ჩამორჩება სხვა ჰალოგენებს – ფთორს, ქლორსა და ბრომს. სუსტად გაცხელებისას ადვილად ურთიერთქმედებს ლითონებთან და წარმოქმნის იოდიდებს. შედარებით მაღალ ტემპერატურაზე წყალბადთან ურთიერთქმედებით იძლევა იოდწყალბადს – მკვეთრი სუნის უფერო აირს, რ-იც ნესტიან ჰაერზე ძლიერ ბოლავს. ნაერთებში ამჟღავნებს ცვალებად ვალენტობას (–1, +1, +3, +5, +7). ი-ის ორთქლი ადვილად აღიზიანებს ლორწოვან გარსს. მაღალი კონცენტრაციით საშამლავია, ორგანიზმზე სისტემატური ჭარბი ზემოქმედებისას იწვევს დერმატიტებს. სახამებელს ლურჯად ღებავს (ამ თვისებას იყენებენ ანალიზურ ქიმიაში ი-ის აღმოსაჩენად).

ი-ის მიღების სამრეწველო ნედლეულს წარმოადგენს ნავთობისა და ბუნებრივი აირების ჭაბურღილების წყალი, ასევე წყალმცენარეების ზოგიერთი სახეობა (შავ ზღვაში გავრცელებული *ფილოფორა*, ზღვის კომბოსტო – *ლამინარია*) და ზღვის წყალი. ზოგჯერ მოიპოვება ვულკანების ახლოს, თერმულ წყლებში. შეფასებებით, ი-ის ამჟამინდელი სამრეწველო მსოფლიო მარაგი შეადგენს 14,7 მლნ·ტ და მისი 95% არის ჩილესა (9 მლნ. ტ) და იაპონიაში (4,9 მლნ. ტ).

ი-ს იყენებენ მთელი რიგი იოდშემცველი არაორგ. და ორგ. ნაერთების მისაღებად. გამოიყენება როგორც აქცეპტორი ნაჯერი ნახშირწყალბადების დეჰიდრირებისას, ანალიზურ ქიმიაში, ფოტოგრაფიაში, მრეწველობაში – სხვადასხვა ლითონების (მაგ., ტიტანის, სტრონციუმისა და ჰაფნიუმის) რაფინირებისთვის. ტექნიკაში ი-ს მოიხმარენ კატალიზატორად ნეილონისა და სინთეზური კაუჩუკის წარმოებაში, ზოგიერთი ქიმიური ნაერთის სტაბილიზაციისათვის, ასევე საავტომობილო აკუმულატორების, თხევადკრისტალური დისპლეების, სინათლის ჰალოგენური წყაროების წარმოებაში, ზემძლავრი ლაზერების შესაქმნელად. ი-სა და მის ნაერთებს ფართოდ (მთელი წარმოების 50%-ზე მეტს) იყენებენ მედიცინასა და სხვადასხვა დანიშნულების მედიკამენტებში, პირველ რიგში, როგორც ანტისეპტიკს (სპირტხსნარის სახით). ი-ის ანტისეპტიკური მოქმედება შემჩნეული იყო უძველეს დროში – ჩინეთში წყალმცენარეების ნაყენში დასველებულ ქსოვილს ჭრილობებს ადებდნენ (ძვ. წ. 3000). ი-ის რადიოაქტიური იზოტოპები გამოიყენება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის, სტაბილური იზოტოპი კი – კომპიუტერულ ტომოგრაფიაში კონტრასტული ფონის შესაქმნელად.

საქართველო, განსაკუთრებით მაღალმთიანი რეგიონები, მიეკუთვნება ბუნებრივად იოდდეფიციტურ რეგიონს, სადაც ნიადაგსა და გრუნტის წყლებში ი-ის ნაკლებობა ქმნის სოფლის მეურნეობის პროდუქტებში და, შედეგად, მოსახლეობაში ი-ის დეფიციტის საფრთხეს. ეს, პირველ რიგში, უარყოფითად აისახება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირებაზე. ნიადაგის ი-ით გამდიდრება შესაძლებელია მისი შემცველი სასუქების (ნახშირისა და ტორფის წვის პროდუქტები, დამწვარი წყალმცენარეების ფერფლი) გამოყენებით. მაღალმთიანი რეგიონების

მოსახლეობისა და ცხოველების რაციონში კი I-ის შევსება ხორციელდება საკვებში დანამატების შეტანით: სუფრის მარილს უმატებენ კალიუმისა და ნატრიუმის იოდიდებს. საქართვ. კანონმდებლობით, საცალო სავაჭრო ქსელში არაიოდირებული მარილის რეალიზაცია 2005-იდან აკრძალულია. საქართველოში ხორციელდება მონიტორინგი მოსახლეობაში I-ის დეფიციტით გამოწვეული დაავადებების გავრცელებაზე, მიმდინარეობს ამ დაავადებათა რეგიონალური თავისებურებების შესწავლა, ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებები.

ლიტ.: გოცაძე თ., იოდის დეფიციტი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, წგ.: პროფილაქტიკური მედიცინა XXI საუკუნეში. სამეცნ. შრ. კრებული, ტ. 2, თბ., 2005; გრიგორაშვილი გ., ფილია ნ., იოდიზებული და ვიტამინიზებული ჩაის გამოყენება იოდდეფიციტური მდგომარეობების კორექციისათვის, იქვე, Химическая энциклопедия, т. 2, M., 1990. *ლ. ნაკაიძე.*

იოდმანგანი, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე II ს-ში, მეფე ქსეფარნუგის ეზოსმოძღვარი. მოხსენიებულია *არმაზის ბილინგვაში.*

წყარო: წერეთელი გ., არმაზის ბილინგვა, «ენიმკის მოამბე», 1943, ტ. 13.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, რედ. შ. მესხია, თბ., 1973.

იოვანე, VIII ს. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ქართლის ერისმთავრის, *არჩილის* ძე. ,,მატიანე ქართლისაჲს'' ცნობით, მამის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ I. დას. საქართველოში გადავიდა და დაეუფლა ეგრისს, სვანეთს, თაკვერს, არგვეთს და გურიას, რებიც, ჯუანშერის ცნობით, *მირის* სიკვდილის შემდეგ არჩილს დარჩენია საუხუცესოდ.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008. *ა. ბოგვერაძე.*

იოვანე, დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი. მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან, როდესაც საუბარია მეფის სიქველის შესახებ. სხვა მრავალ ჩამოთვლილ ქველმოქმედებათა შორის ნათქვამია: ,,რომელთაგანი თჳსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა''. I. იხსენიება *დავით აღმაშენებლის ანდერძში* შიომღვიმისადმი, როგორც ,,სულიერი ბერი, მოძღვარი ჩემი იოვანე''.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IX–XIII სს., ტ. 1, თბ., 1984.

ლიტ.: გოგოლაძე ა., დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, თბ., 2001; ოდიშვილი ჯ., დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, წგ.: ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები, თბ., 2010.

მ. წალდასტანიშვილი.

იოვანე მელი, XI ს. ქართველი კალიგრაფი. მისი გადაწერილია წმინდანთა ცხოვრების კრებული, რ-იც ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანებს შეიცავს. წიგნი (341 ფურცელი, 24,3 *სმ* × 18,0 *სმ*), ეტრატზე კუთხოვანი, საკმაოდ მსხვილხაზოვანი ნუსხურით ერთ სვეტადაა ნაწერი. საზედაო ასოები, ყოველი თხზულების პირველი სტრიქონი და თავსამკაული შინდისფერი მელნითაა შესრულებული. წიგნის მთელი გაფორმება I. მ-ს ეკუთვნის. მორთულობა მარტივი და უპრეტენზიოა. ტექსტისა და სამკაულების შესრულება კალიგრაფის მაღალ პროფ. დონეს მოწმობს.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

«იოვანე ოქროპირის ცხოვრების» ადრეული ქართული ხელნაწერი, ბერძნულ ენაზე სხვადასხვა ავტორთა მიერ შექმნილია *იოანე ოქროპირის* ცხოვრება-მოქალაქეობის ამსახველი არაერთი თხზულება. მათგან ყველაზე ცნობილია VII ს. მოღვაწის – გიორგი ალექსანდრიელის ,,იოვანე ოქროპირის ცხოვრება'', რ-იც სხვადასხვა ქრისტიანი ხალხის ენაზე ითარგმნა. ქართველებიც დაინტერესებულან ამ თხზულებით და უთარგმნიათ მისი კიმენური და მეტაფრასული რედაქციები. მეტაფრასული რედაქცია ორჯერაა თარგმნილი თეოფილე ხუცესმონაზვნისა (ათ. 36, XI ს.) და *ეფრემ მცირის* მიერ (384, XI–XII სს.). ქართველებს ქართ. კიმენური და ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი მეტაფრასული რედაქციების საფუძველზე თავადაც შეუქმნიათ ახ. კომპილაციური რედაქცია (A 188, XIII). საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა კიმენური რედაქცია, რასაც მოწმობს მისი შემცველი ხელნაწერების რაოდენობა და მათი ქრონოლ. ჩარჩოები (X–XIX სს.). კიმენური რედაქციის ხელნაწერთაგან ერთ-ერთი უძველესი ქართ. თარიღიანი ხელნაწერია H. 2124. მას ერთვის გადამწერისა და მომგებლის ანდერძები, რ-ებშიც არის ზუსტი ცნობები ამ ხელნაწერის შექმნის შესახებ (256v – 157r). იგი გადაუწერიათ 968 პალესტინაში, ხარიტონის ლავრაში. გადამწერია ივანე საფარელი, მომგებელი – სინას მთის მკვიდრი, ხუცესი მიქაელ ფანასკერტელი, რ-საც ხელნაწერი სინას მთისთვის შეუწირავს, საიდანაც იგი ჩამოუტანია პ. უსპენსკის, შემდეგ კი მის სხვა ხელნაწერებთან ერთად პეტერბურგის სჯარო ბ-კის საკუთრება გამხდარა. იქ ხელნაწერს გაუკეთდა ახ. ყდა და გატარდა ნომრით H·C·13. 1923 იგი სხვა ქართ. ნუსხებთან ერთად ჩამოიტანეს საქართველოში და გადასცეს საქართვ. სახელმწ. მუზეუმს. დაცულია ხელნაწ. ეროვნულ ცენტრში, შეიცავს 258 ფურცელს. მისი ზომაა 16 × 13; ნაწერია ეტრატზე კალიგრაფიული ნუსხურით. საზედაო ასოები მხატვრულადაა გაფორმებული. 1 v-ზე იოვანე ოქროპირის გამოსახულებაა მთელი ტანით, რ-საც ახლავს მთავრული ასოებით შესრულებული დაქარაგმებული წარწერა: ,,წმიდაო იოვანე, შეიწყალე გიორგი''. 258r-ზე არაბ. მინაწერია: ,,დავთარი, რომელშიც არის იოვანე ოქროპირის ამბავი. წყეულიმც იყოს ის, ვინც გაიტანს მას სინას მთიდან''. ყდა ხისაა, გადაკრული აქვს მოყავისფრო ტყავი. ყდის ზედა ფრთაზე ამოტვიფრულია მოოქრული ჯვრის გამოსახულება, ქვედა ფრთაზე – ბარძიმი.

ხელნაწერში დაცული იოვანე ოქროპირის ცხოვრების ქართ. ვერსიის ტექსტი საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით. იგი თარგმნილია ბერძნულიდან, რ-ის დამამტკიცებელი სხვადასხვა ხასიათის ჩვენებები მასში საკმაოდ მრავლადაა. მაგრამ ტექსტში არაბ. ენის ზეპირი გავლენის კვალიც შეინიშნება, რაც ვლინდება ზოგიერთი საკუთარი სახელის არაბიზებული ფორმით ხმარებასა და რამდენიმე შემთხვევაში – სინტაქსშიც. მსგავსი ვითარება პალესტინაში ბერძნულიდან თარგმნილ სხვა ძეგლებშიც გვხვდება, მაგ., ნიკოდიმოსის სახარებაში. ეს აიხსნება იმ არაბულენოვანი გარემოთი, რ-იც არსებობდა VIII–X სს-ში პალესტინასა და მის ცნობილ ინტერნაციონალურ სკრიპტორიუმებში, სადაც ქართველები მოღვაწეობდნენ და სადაც ინტენსიურად ვითარდებოდა არაბ. ქრისტ. ლიტ-რა. ქართ. ვერსია საინტერესო ჩანს იოვანე ოქროპირის ბერძნ. ჰაგიოგრაფი-

ული დოსიეს შესწავლის თვალსაზრისითაც, ვინაიდან საფიქრებელია, რომ ქართვ. მთარგმნელმა გამოიყენა გიორგი ალექსანდრიელისეული ,,იოვანე ოქროპირის ცხოვრების'' არა დღეისათვის ცნობილი გამოქვეყნებული ბერძნ. ტექსტი, არამედ მისგან რამდენადმე განსხვავებული სხვა ტექსტი.

ლიტ.: აბულაძე ი., ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველქართულ მწერლობაში, შრომები, III, თბ., 1982; იმნაიშვილი ი., ათასი წლის ქართული წიგნი, გაზ. «თბილისი», 1968, 28. XII; ,,იოვანე ოქროპირის ცხოვრების'' ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით, რ. გვარამიას გამოც., თბ., 1986; ჭუმბურიძე ზ., ათასწლოვანი ხელნაწერი, მის წგ.: ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983; Gvaramia R., Version géorgienne ancienne de la Vie de saint Jean Chrysostome, «Le Muséon», t. 99, fasc. 3–4, Louvain, 1986. *რ. გვარამია.*

იოვანე ფუკარალისძე, XII ს. II ნახ. ქართველი კალიგრაფი, მნათე, ე. წ. ტბეთის მეორე ოთხთავისა და წყაროსთავის სახარების ერთ-ერთი გადამწერი. მოღვაწეობდა სამხრ. საქართველოში. ტბეთის ოთხთავი გადაწერილია გიორგი III-ის მეფობაში, ტბეთის ეპისკოპოს პავლე მტბევარის დაკვეთით, 1161 წლის ახლო ხანებში. ი. ფ-ის წიგნის ბოლო ნაწილი (279–318 ფურცლები) გადაუწერია, რ-იც ზანდუკს (სარჩევს) შეიცავს. წყაროსთავის სახარება (25,1 *სმ* × 17,9 *სმ*) 1195 გადაწერილია იოანე საფარელ-მტბევარის ბრძანებით. გადაწერაში ვინმე გიორგი სეთაჲსძეც მონაწილეობდა. წიგნში ჩართული მახარებელთა გამოსახულებები სხვა ავტორის შესრულებულია. სახარება ბექა ოპიზრის მიერ შესრულებულ ვერცხლის ჭედურ ყდაშია ჩასმული. ორივე კალიგრაფის ხელი ჰგავს ტბეთის ოთხთავის იოვანესეულ ნაწილს და მათი გარჩევა ერთმანეთისაგან ძნელია. სახარების ტექსტი ,,კლასიკური'' ნუსხურით ორ სვეტადაა გადაწერილი, ხელი ზომიერადაა დახრილი, ასოები მკაფიოა, ნაწერი – მშვიდი.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; Такайшвили Е. С., Тбетское четвероевангелие XII века, «Материалы по археологии Кавказа», т.12, М., 1909.

იოვენ I, ქართლის ეპისკოპოსი ვახტანგ გორგასლის მეფობის დასაწყისში, დაახლ. V ს. 40-იან წლებში.

წყარო: ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'', შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

იოვენ II, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 668–670 წლებში.

წყარო: ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'', შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *მ. ზალდასტანიშვილი.*

იოვენის „ქრონოგრაფია“, ბიზანტიელი ისტორიკოსის იოვენის მიერ (მისი ბიოგრაფია უცნობია). ლათინთა ბატონობის ხანაში (1204–61) დაწერილი თხზულება ,,მოკლე ქრონოგრაფია''. მასში აღწერილია ამბები დასაბამიდან ვიდრე 1204-მდე. 948-მდე ამბები გადმოცემულია *გიორგი ამარტოლის* ,,ქრონოგრაფიის'' მიხედვით, ხოლო შემდგომი პერიოდის აღსაწერად ავტორი სარგებლობს *იოანე სკილიცეს* შრომით. ი. ,,ძის'' ბოლო ნაწილში მოთხრობილია ბაგრატ IV-ის ქალიშვილის *მარიამის* (მართა ყოფილის) ბიზანტიაში გათხოვებისა და შემდგომ მისი იქ მოღვაწეობის შესახებ. მარიამ დედოფალი მოხსენიებულია პატივით, როგორც მართა ავღუსტინა.

პუბლ.: იოვენის ქრონოგრაფია, [წიგნში]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966.

იონა, ქართლის ეპისკოპოსი დაახლ. V ს. 20-იან წლებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲს'' მიხედვით, მისი ეპისკოპოსობის დროს „დაეცა ქვემოჲ ეკლესიაჲ. და იონა მოიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა-წარმოიღო“. ი-ს ეპისკოპოსობა არჩილ I-ის მეფობის პერიოდს უკავშირდება.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

იონა (ერისკაცობაში – ივანე სიმონის ძე ვასილევსკი) (1. III. 1762, კალუგა, – 22. VI. 1849, პეტერბურგი), საქართველოს ეგზარქოსი 1821–32. 1792 მღვდლად ეკურთხა, ერთი წლის შემდეგ დეკანოზის პატივი მიენიჭა. 1807 აღიკვეცა ბერად და დაინიშნა მონასტრის წინამძღვრად. 1808 დაინიშნა კალუგის სემინარიის რექტორად, 1810 კი – პეტერბურგის სას. აკად. ინსპექტორად. 1821 აპრილიდან ასტრახანის ეპარქიას განაგებდა. მთავარეპისკოპოსის ხარისხით იმავე წლის ოქტომბერში დაინიშნა საქართვ. ეგზარქოსად. 1828 წ. 22 აგვისტოს რუს. სინოდის გადაწყვეტილებით მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი.

ი. მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა კავკასიის მთიანეთში მცხოვრებთა შორის ქრისტიანობის აღდგენას. ამ მიზნით განსაკუთრებით გააქტიურდა ,,ოსეთის სასულიერო კომისიის'' საქმიანობა. მისი შუამდგომლობით კავკასიაში დაარსდა სას. სასწავლებელი.

ი-ს დროს ოსი მოსახლეობისათვის შემოიღეს ღვთისმსახურება ოსურ ენაზე. მან ხელი შეუწყო იოანე იალღუზიძეს ქართ. შრიფტის გამოყენებით ქართულიდან ოსურ ენაზე ეთარგმნა ლოცვები, კატეხიზმო, სახარება და სხვა სას. ლიტერატურა. ი. ცდილობდა საქართვ. ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვის დროს სლავური საეკ. გალობა დაეწესებინა. მისი ინიციატივით სას. სასწავლებელში სლავური გალობის სწავლება შემოიღეს. 1832 წ. 5 მარტს ეგზარქოსი ი. გადაიყვანეს პეტერბურგში.

ლიტ.: ფერაძე ი., საქართველოს ეგზარქოსები, «მოგზაური», 1981, № 4; Кирион, Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тфл., 1901. *ე. ბუბულაშვილი.*

იონა მროველი (ერისკაცობაში – ივანე გაბრიელის ძე გედევანიშვილი) (1737–1821), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მოგზაური, მიტროპოლიტი (1775). 1753 აკურთხეს იეროდიაკვნად. 1770 მიენიჭა არქიმანდრიტის პატივი. 1770–75 იყო მცხეთის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტი, 1775–80 – რუისის მიტროპოლიტი. 1780 ჩამოერთვა მიტროპოლიტობა და გამწესდა დავითგარეჯის მონასტერში. ი. მ-მ მოახერხა კონსტანტინოპოლში (სტამბოლი) ჩასვლა, რათა კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან მიეღო კურთხევა და აღედგინა დაკარგული პატივი. 1785–92 იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში (ოსმალეთი, იავა, იერუსალიმი, დამასკი, ანტიოქია, ეგვიპტე, ბეირუთი, ელიდა, ნეაპოლი, ტრიესტი, ვენეცია, ალექსანდრია, სინას მთა, ვენა, მოლდავეთი). 1792–95 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კიევში, 1795–1821 – მოსკოვში, ჩუდოვის მონასტერში. მეტად საყურადღებოა ი. მ-ის თხზულება ,,მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა'', რ-იც 1852 გამოსცა პ. იოსელიანმა. თხზულებაში ზედმიწევნითაა აღწერილი

Ი. მ-ს მოგზაურობა. იგი დაწერილი უნდა იყოს 1804–05. თხზულება წარმოადგენს გეოგრაფიული ლიტ-რის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლს.

ლიტ.: «მწყემსი», 1898, №4.

ლ. ურუშაძე.

„ᲘᲝᲜᲘ“ (სააქციო საზოგადოება), ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობის საწარმო. დაარსდა 1970 წ. 6 იანვარს ზესტაფონის რნის (ახლანდ. მუნიციპალიტეტი) სადგურ სვირის ტერიტორიაზე, როგორც თბილ. ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ზესტაფონის საცდელი წარმოება – იმ დროისათვის ამ პროფილის ერთადერთი ქ-ნა სსრ კავშირში. ინ-ტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი იყო საქართვ. დამს. ინჟინერი და რაციონალიზატორი გ. პ. სამხარაძე. 1988 წ. 1 იანვარს საწარმო შეუერთდა შორაპნის სამეცნ.-საწარმოო კომპლექსს ,,მარსს‘‘, 1991 კი კვლავ გამოეყო დამოუკიდებელ წარმოებად შეცვლილი სახელწოდებით – ,,ზესტაფონის ელექტრომექანიკური ქარხანა‘‘. 1994 ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა, ,,Ი.‘‘ საწარმო ძირითადად ორიენტირებული იყო ელექტრონულ-იონური ტექნოლ. პროდუქციისა და ელექტრომოწყობილობების დამზადებაზე. ელექტრონულ-იონური ტექნოლ. პროდუქციიდან იგი უშვებდა მაღალი ძაბვის ნახევარგამტარულ გარდამქნელებს, მაღალი ძაბვის კაჟბადიან გამმართველებს, ასევე პოლიმერული დაფარვის მქონე ავტომატიზებული ხაზების სხვადასხვა მოდელს და სხვ. პროდუქცია მიეწოდებოდა საბჭ. კავშირის რესპუბლიკებს და გამოიყენებოდა სამრეწვ. საწარმოებში სხვადასხვა დანიშნულებით. შემდგომში სააქციო საზ-ბამ აგრეთვე აითვისა დროსელ-ტრანსფორმატორების, ზეთიანი და სახაზო ტრანსფორმატორების, ორ- და სამსადენიანი ზლუდარების გამოშვება, რ-ებიც ძირითადად წარმოადგენს მაკომპლექტებელ მოწყობილობას რკინიგზის მაგისტრალების ავტობლოკირებისა და სიგნალიზაციის კომუნიკაციებისათვის. ქ-ნა ასევე უშვებდა ფართო მოხმარების ელექტროსაქონლის ავტოტრანსფორმატორებს, აკუმულატორების ძაბვის გარდამქმნელებს (12/220ვ) და მის სამუხტ მოწყობილობებს. 2000–10 საწარმომ აითვისა ახ. პროდუქცია – კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურები კტპ და გკტპ, ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძები.

XX ს. 90-იან წლებში ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ საერთაშ. გამოფენაზე საწარმოს მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ, კერძოდ, მაღალი ძაბვის გამმართველმა, მიიღო უმაღლესი შეფასება და მედალი. *ი. თუთარაშვილი.*

ᲘᲝᲜᲘᲖᲔᲑᲘ, იონმიმოცვლითი სორბენტები, მყარი, პრაქტიკულად უხსნარი ნივთიერებები ან მასალები, რომელთაც იონების მიმოცვლის უნარი აქვს. იონები ელექტრული მუხტის მატარებელი ერთატომიანი ან მრავალატომიანი ნაწილაკებია, მაგ., H^+, Al^{3+}, NH_4^+, OH^-, PO_4^{3-}. Ი-ს ელექტროლიტების (მარილების, მჟავების და ფუძეების) ხსნარებში შეუძლია დადებითი (კათიონების) და უარყოფითი (ანიონების) იონების ჩანაცვლება ეკვივალენტური რაოდენობის იმავე მუხტის მატარებელი სხვა იონებით. უმეტეს შემთხვევაში Ი-ის სტრუქტურა წარმოადგენს სივრცულ ბადეს ან ცხაურს ფიქსირებული უძრავი იონებით, რ-თა მუხტი საპირისპირო ნიშნის მუხტის მქონე მოძრავი იონებით კომპენსირდება. სწორედ ეს მოძრავი იონები მონაწილეობს ხსნართან იონურ მიმოცვლაში. მუხტის ნიშნის მიხედვით განასხვავებენ მჟავური ბუნების კათიონიტებს და ფუძე ბუნების ანიონიტებს. Ი-ს, რ-თაც შეუძლია როგორც კათიონების, ასევე ანიონების მიმოცვლა, ამფოტერულს უწოდებენ.

ქიმიური ბუნების მიხედვით განასხვავებენ არაორგანულ (მინერალურ) და ორგანულ Ი-ს, წარმოშობით კი – ბუნებრივსა და ხელოვნურს (სინთეზურს). Ი-ს, დიდი მიმოცვლითი მოცულობის გარდა, უნდა ჰქონდეს მაღალი მექან. სიმტკიცე, ქიმიური და თერმული სტაბილურობა, რათა ხანგრძლივად შეინარჩუნონ მუშაობის უნარი და შესაძლებელი იყოს მათი მრავალჯერადი რეგენერირება.

გავრცელებისა და გამოყენების მხრივ წამყვანი როლი ენიჭება ორგანულ Ი-ს. ეს ბადისებრი უხსნარი პოლიელექტროლიტები, როგორც წესი, სინთეზური იონმიმოცვლითი ფისებია.

არაორგანული Ი., ძირითადად, ბუნებრივი წარმოშობისაა. მათ მიეკუთვნება ალუმინსილიკატები (ზოგიერთი თიხოვანი მინერალი, *ცეოლითები*, პერმუტიტები), ჰიდროჟანგები და მრავალვალენტიანი მეტალების მარილები (მაგ., ცირკონიუმის ჰიდროჟანგი და ფოსფატი).

Ი-ის გამოყენების უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს წყლის გაწმენდა (დემინერალიზაცია), ზღვის წყლისა და მარილების მაღალი შემცველობის მქონე გრუნტის წყლების გამტკნარება, რისთვისაც, ძირითადად, იონმიმოცვლით ფისებსა და ცეოლითებს მოიხმარენ. Ი. გამოიყენება ასევე ჰიდრომეტალურგიაში (იშვიათი მეტალების დაყოფისა და გაწმენდისათვის), რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავებისათვის, ჩამდინარე წყლებიდან მავნე და საშიში მინარევების მოსაშორებლად. ქიმიურ მრეწველობაში Ი. გამოიყენება ორგანული და არაორგანული სინთეზის პროდუქტების გასაწმენდად და გამოსაყოფად, კატალიზატორებად, ტექნოლოგიური პროცესების ანალიზური კონტროლისთვის. Ი-ს მოიხმარენ შაქრის რაფინირებისთვის, ვიტამინებისა და სამკურნალო პრეპარატების წარმოებაში, ღვინისა და წვენების თვისებების გასაუმჯობესებლად, ასევე მედიცინაში სისხლის პლაზმის კონსერვირებისათვის და ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ.

1945 კ. *სალდაძემ* სსრკ-ში პირველად მიიღო გამტკნარებული წყალი იონმიმოცვლითი სორბენტების გამოყენებით. 1946-იდან იყენებდა სორბციულ ტექნოლოგიებს და იონმიმოცვლით სორბენტებს ზესუფთა ურანისა და ბერილიუმის მისაღებად, ასევე ბუნებრივი წყლებიდან რადიოაქტიური მინარევების გამოსაყოფად. 1953-იდან კ. სალდაძის მიერ დაარსებულ ლაბორატორიებში [მოსკოვი, ნიჟნი-ტაგილი (რუსეთი), ჩერკასები (უკრაინა) და ბათუმი], ასევე კემეროვოში (რუსეთი) დაარსებულ ქიმიური მრეწველობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში მისი ხელმძღვანელობით დადგინდა კორელაცია იონმიმოცვლითი ფისების თერმულ და ქიმიურ მედეგობასა და პოლიმერებში გახსნილ ფრაქციათა რაოდენობას შორის, ასევე იონმიმოცვლითი ფისების დესტრუქციის მექანიზმი და საფეხურები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითების კვლევას საფუძველი ჩაეყარა XX ს. 50-იან წლებში. აღნიშნულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა გ. *ცინცაძე* (სსრკ ბუნებრივი ცეოლითების კვლევის საბჭოს თავ-რე).

შეისწავლეს სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითებისა და მათი იონჩანაცვლებული ნიმუშების ქრომატოგრაფიული თვისებები; დადგინდა მათი გამოყენების შესაძლებლობები პრაქტიკაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში (თ. *ანდრონიკაშვილი* თანამშრომლებთან ერთად). შეისწავლეს და წარმოადგინეს (1963, გ. ციციშვილი, შ. *სიდამონიძე*), რომ სილიციუმის მაღალი შემცველობის სინთეზურ ცეოლითებს, განსაკუთრებით კი მათ დეკათიონურ ფორმებს, გააჩნია მაღალი კატალიზური და სელექტიური აქტივობა, რაც ცეოლითურ კატალიზში ფუნდამენტურ შედეგად არის მიჩნეული. გარდა ამისა, ნ. *სხირტლაძემ* აღმოაჩინა ბუნებრივი ცეოლითების – კლინოპტილოლიტების უმდიდრესი საბადო (მინერალების შემცველობა მათში 94–95%-ია) მდ. *ხეკორძულის* ხეობაში.

ლიტ.: Широв А. А., Ионообменная очистка сточных вод, растворов и газов, Л., 1983; Кокотов Ю. А., Иониты и ионный обмен, Л., 1980; Цицишвили Г. В., Андроникашвили Т. Г., Природные цеолиты, М., 1985. *ლ. ნაკაიძე.*

იონჩა, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ძვილეთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. შუა ფრონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 790 *მ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 17 *კმ*.

ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

იორ-ალაზნის აუზის კულტურა, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების მატერიალური კულტურა. ამ კულტურის მატარებელი ტომები საკმაოდ დაწინაურებული იყვნენ მიწათმოქმედებაში, მესაქონლეობაში, მეტალურგიასა და მეთუნეობაში. ადრინდ. და შუა ბრინჯაოს ხანაში თავდაპირველად შედიოდა *მტკვარ-არაქსის კულტურის* (ძვ. წ. III ათასწლ.), შემდეგ *თრიალეთის კულტურის* (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) გავრცელების არეალში. გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის აღნიშნულ ტერიტორიაზე კვლავ მთელი ცენტრ. ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელი კულტურა ჩანს გავრცელებული. დაახლ. ძვ. წ. XIII ს-იდან კი აღნიშნულ ტერიტორიაზე, ძველის განვითარების საფუძველზე, ჩამოყალიბდა განსხვავებული კულტურა. მისთვის დამახასიათებელია ე. წ. კახური შედგენილტარიანი სატევრები და მახვილები, ბრინჯაოს მთელმასრიანი შუბისპირები მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით, კონცენტრული ღარებით შემკული თიხის ჭურჭელი და სხვ. დაახლ. ძვ. წ. XI ს-იდან ამ კულტურის განვითარების შედეგად გაჩნდა 3 ლოკალური ვარიანტი, რ-თა გავრცელება დაახლ. ისტ. კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრებს ემთხვევა. მატერ. კულტ. ეს ჯგუფები ერთმანეთისაგან, ძირითადად, საბრძოლო იარაღის თავისებურებებით განსხვავდება. ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ. ბოლოდან, სახელმწ. წარმოშობის წინა საფეხურზე, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოხდა მატერ. კულტ. ნიველირება, თუმცა ძვ. წ. II ათასწლეულში შემუშავებული ამ კულტურის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც გადმოვიდა. ეს გარემოება აღნიშნულ პერიოდში მატერ. კულტ. განუწყვეტელ განვითარებას ადასტურებს.

ლიტ.: ლომთათიძე გ., ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბ., 1974; ფიცხელაური კ., იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965; მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV–VII სს.), თბ., 1973; ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969.

კ. ფიცხელაური.

იორამაშვილი სოსო (იოსებ) მაქსიმეს ძე (13. I. 1905, სოფ. დირბი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 11. IX. 1965, თბილისი), მწერალი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1936). წლების განმავლობაში მუშაობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა თუ გამომცემლობებში. 1942–45 მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. არმიიდან დაბრუნების (1946) შემდეგ შეუდგა ლიტ. მოღვაწეობას. მისი მოთხრობების პირველი კრებ. ,,ვერხვის ჭალაში'' გამოქვეყნდა 1954. ი-ის ნაწარმოებების ძირითადი თემაა სოფელი, ნადირობა. იგი სათავგადასავლო ჟანრის ერთ-ერთი პიონერია საქართველოში (,,კარავი მტკვრის პირას'', 1959). ავტორია მოთხრ. კრებულებისა: ,,ნაცნობი სახე'' (1956), ,,უცნაური შეხვედრა'' (1968), ,,ჯაბა ელიაური'' (1962), ,,კოჭლი კაკაბი'' (1964), ,,მოთხრობები'' (1965), ,,გაღმა ვენახი'' (1967), ,,წითელი ვაშლის საიდუმლოება'' (1977) და სხვ. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას (მათე ზალკა, ,,გენერალი'', 1941 და სხვ.).

ლიტ.: ნანიტაშვილი თ., ლიტერატურის აღმზრდელობითი დანიშნულება, გაზ. «თბილისი», 1967, 20. XII; ნატროშვილი გ., მწერლის ცოცხალი სახეები, გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1985, 4. X. №40.

იორამისა და კირილეს ელჩობა რუსეთში 1592–93, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში. კახეთიდან რუსეთში გაბრუნებულ პლეშჩეევის ელჩობას თან გაჰყვნენ ქართვ. ელჩები – თავადი იორამი და კირილე არქიმანდრიტი, რ-ებიც რუს. ხელმწიფეს მფარველობის პირობის შესრულებას სთხოვდნენ. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ საშამხლო-დაღესტნის დაპყრობას, თერგიდან კახეთამდე გზის გაწმენდას და ზარბაზნის ოსტატებისა და არტილერისტების გაგზავნას კახეთში. ქართვ. ელჩების ენერგიული მცდელობის შედეგად ბორის გოდუნოვმა საშამხლოს წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967. *გ. მაჭარაძე.*

იორდანიშვილი პეტრე ანდრიას ძე (1905, თბილისი, – 8. IV. 1977, იქვე), სპორტსმენი (მოჭიდავე, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა). სსრკ დამს. მწვრთნელი (1957). საერთაშ. კატეგორიის მსაჯი (1949). საქართვ. ფიზკულტ. და სპორტის დამს. მოღვაწე (1970). 1936 თბილისში ჩამოაყალიბა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის პირველი სექციები. აღზარდა ოლიმპიური, მსოფლიოს და სსრკ ჩემპიონები: დ. გვანცელაძე, ვ. *ილურიძე*, დ. *ციმაკურიძე*, ა. *ქორიძე*, რ. *ძნელაძე*, თ. მაჭავარიანი. იყო სსრკ ჭიდაობის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს წევრი. მისი სახელი ეწოდა თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე საჭიდაო დარბაზს (,,პეტრეს დარბაზი'').

იორდანიშვილი სოლომონ გიორგის ძე (24. X. 1898, თელავი, – 26. IX. 1953, თბილისი), ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი, ლიტერატურის ისტორიკოსი, რუსთველოლოგი, მთარგმნელი. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1915 ჟურნ. ,,თეატრსა და ცხოვრებაში'' ს. კაეშნიშვილის ფსევდონიმით. თანამშრომლობდა ქართ. პერიოდულ გამოცემებთან როგორც რუს. ენიდან მთარგმნელი. 1926 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (საენათმეცნიერო განხრით). 1935–38 მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ენისა და ლიტ-რის ინ-ტში მეცნიერ თანამშრომლად,

კითხულობდა ლექციებს უნ-ტში ძვ. ქართულ ლიტ-რასა და რუსთველოლოგიაში, ასწავლიდა სანსკრიტს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტზე (1945), იყო ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი-მდივანი (1935–37). 1945-იდან განაგებდა სამუზეუმო სექტორს, ამავე წლიდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ენის ინ-ტის ლექსიკოლოგიის განყ-ბაში. 1945 მიენიჭა ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხი ნაშრომისათვის «,,ვეფხისტყაოსნის'' ბალმონტისმიერი რუსული თარგმანი» (ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1964). O-მა მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ,,ვეფხისტყაოსნის'' ხელნაწერებსა და ტექსტის დადგენის საკითხებს. საგანგებო წერილით არკვევდა პოემის ევრ. ენებზე თარგმანების ავკარგიანობას – განხილული აქვს ფრანგ. (მ. ბროსე, ი. მეუნარგია), გერმ. (ა. ლაისტი), ინგლ. (მ. უორდროპი), პოლონური (ს. ლაფჩინსკი), უნგრული (ბ. ვიკარი) თარგმანები; შეისწავლა ,,ვეფხისტყაოსნის'' მ. ბაჟანისეული (უკრ. ენაზე) და მ. შავლოხოვისეული (ოსური) თარგმანები. მის მიერ შესრულებული ,,ვეფხისტყაოსნის'' რუს. პწკარედი (1933, გამოქვეყნდა 1966) ლათ. ტრანსკრიფციითა და ყოველი ტაეპის პროზაული თარგმანით საფუძვლად დაედო პოემის მხატვრულ თარგმანებს რუს. და უცხ. ენებზე. 1938 ე. ორბელიანთან ერთად ფრანგულად თარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი'' (გამოქვეყნდა 1977). 1938 მოსკოვში გამოვიდა ,,ვეფხისტყაოსნის'' მ. უორდროპისეული თარგმანი ე. ორბელიანისა და O-ის მიერ შევსებული, მათივე რედაქციით. 1948 გამოაქვეყნა პოემის ჩანართ-დანართი სტროფები.

აღსანიშნავია O-ის სიტყვა-სიტყვითი თარგმანები გერმ. (,,ნიბელუნგები'', 1934), ფრანგ. (,,სიმღერა როლანდზე'', 1942), ინდური (,,რამაიანა'', 1943) ეპოსის ძეგლებისა; დ. გურამიშვილის თხზულებათა სიტყვასიტყვითი თარგმანი რუს. ენაზე (1938), ,,ვისრამიანის'' რუს. თარგმანი (გამოიცა 1949, 1960, 1989).

O-მა ა. ბარამიძესთან ერთად მეცნიერულად შეისწავლა და გამოსცა დ. გურამიშვილის ,,დავითიანი'' (1931), რ-საც ლექსიკონი დაურთო (გ. ლეონიძესთან ერთად); ,,შაჰნავაზიანი'' (1935), გ. ლეონიძისა და O-ის რედაქციით, ლექსიკონი და საძიებელი შეადგინა O-მა. O-ის რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოიცა ს.-ს. ორბელიანის თხზულებები: ,,სიბრძნე-სიცრუისას'' რუს. თარგმანი (1939), ,,მოგზაურობა ევროპაში'' (1940, დაურთო ლექსიკონიც) და ,,სიტყვის კონა'' (1949). გამოსცა ასევე ესპეს იგავები (1944), თეიმურაზ ბატონიშვილის (ბაგრატიონი) ნაწარმოებები (1945, 1947, 1948). O-მა სპეც. წერილები და რეცენზიები მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას ლიტ. მემკვიდრეობის გამოცემისა და თარგმანის საკითხებს. 1930 გამოაქვეყნა სტატია ,,ვაჟას ენის შესახებ'' (დროშა, №13); რუსულიდან ქართულად თარგმნა რ. *დანიბეგაშვილის* ,,მოგზაურობა ინდოეთში'' (1950), დაურთო წინასიტყვაობა და დამატებანი შენიშვნებითურთ. გ. ახვლედიანთან ერთად გამოსცა ,,რუსულ-ქართული ლექსიკონი'', ორტომეული (1931–35), ს.-ს. ორბელიანის ,,ქართული ლექსიკონის'' ერთ-ერთი ხელნაწერი (1949) და სხვ. 1930–35 მონაწილეობდა ქართ. სამეცნ. ტერმინოლოგიის შემუშავებაში. მისმა გამოკვლევამ ,,ქართული კომპოზიტების დაწერილობისათვის'' დაადგინა სავალდებულო ნორმები რთულფუძიან სიტყვათა ორთოგრაფიაში (1934).

თხზ.: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (შეადგინა შ. ძიძიგურამა), თბ., 1953; ნარკვევები, თბ., 1964.

ლიტ.: გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., სოლომონ იორდანიშვილი – რედაქტორ-გამომცემელი, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, №2; სოლომონ იორდანიშვილი. ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებელი, შემდგ. ე. იორდანიშვილი, თბ., 1974.

ლ. იორდანიშვილი.

იორდასალამი (Paeonia), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების, იშვიათად ბუჩქების ან ბუჩქბალახების გვარი იორდასალამისებრთა ოჯახისა. აქვთ წითელი, ვარდისფერი ან, იშვიათად, მოყვითალო, მარტოული დიდი ყვავილები, ფოთლურა ნაყოფი. გვარში 35-მდე სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში, ევროპაში, ჩრდ.-დას. ამერიკასა და კავკასიაში. საქართველოში გვხვდება 10 სახეობა, რ-თაგანაც 2 – ლაგოდეხის O. (P. lagodechiana) და კავკასიის O. (P. caucasica) – კავკასიის ენდემია, 7 კი – მაიკოს O. (P. majko), ქართლის O. (P. carthalinica), რუპრეხტის O. (P. ruprechtiana), მლოკოსევიჩის O. (P. mlokosewitschii), ვიტმანის O. (P. wittmaniana), სტევენის O. (P. steveniana), მსხვილფოთოლა O. (P. macrophylla) – საქართველოს ენდემი. სახეობათა უმრავლესობა მესამეული პერიოდის რელიქტია. ზოგიერთი მათგანი ფართოფოთლოვან რელიქტურ ტყეებში გვხვდება. მეტად ლამაზი დეკორ. მცენარეებია. მებაღეობაში უამრავი ჯიშია გამოყვანილი. ზოგ სახეობას ხალხურ მედიცინაში იყენებენ.

გ. ნახუცრიშვილი.
ლ. ხინთიბიძე.



იორდასალამი.



მდინარე იორი.

იორი, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, თიანეთის, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. სათავეს იღებს კახეთის ქედის ჩრდ-ით, მწვ. დიდ ბორბალოსთან, ზ. დ. 2800 *მ*-ზე. აზერბაიჯანის გავლით ერთვის მინგეჩევირის წყალსაცავს. სიგრძე 320 *კმ*, აუზის ფართ. 4650 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. მიწისქვეშა წყალზე მოდის ჩამონადენის 38,7%, წვიმაზე – 33,3%, თოვლზე – 28,0%. წყალდიდობა იცის მარტ–ივლისში, წყალმოვარდნები – ზაფხულ-შემოდგომაზე, მდგრადი წყალმცირობა – ზამთარში. გაზაფხულზე მოდის წლ. ჩამონადენის 43%, ზაფხულში – 30%, შემოდგომაზე – 16%, ზამთარში –11%. წლ. ჩამონადენია 341 მლნ. *მ*^{3}. O-ის შენაკადებია: მარცხ.– საგამი, გომბორი, ლაფიანხევი; მარჯვ. – ხაშრულა, ქუსნო, აძეში, გორანა და სხვ. ქვემო დინებაში აქვს დროებითი შენაკადები.

O-ზე აგებულია მდინარის ჩამონადენის მარეგულირებელი *სიონის წყალსაცავი.* O-ის წყლით შეიქმნა

თბილისის წყალსაცავი (,,თბილისის ზღვა''). მდინარეზე აგებულია რამდენიმე სარწყავი სისტემა, რთაგან მთავარია სამგორის ზემო და ქვემო მაგისტრ. არხები.

ი. აფხაზავა.

იორი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ალევის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1120 *მ,* დუშეთიდან 7 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

იორმუღანლო, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. 2014-იდან – *მუღანლო.*

იოსებ ალავერდელი, ა მ ბ ა ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი, საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი *ასურელი მამა.* მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში *იოანე ზედაზნელთან* ერთად. ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში, შემდეგ მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირას დააარსა ალავერდის მონასტერი (ააგო წმ. გიორგის ეკლესია, დასაფლავებულია იქვე). მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო კახეთის ამ მხარეში ქრისტიანობის განმტკიცებას. ი. ა. იხსენიება ასურელი მამების – *დავით გარეჯელის, შიო მღვიმელის* – ,,ცხოვრებათა'' მეტაფრასულ რედაქციებში (XII ს.). XVIII ს-ში შეადგინეს ი. ა-ის სვინაქსარული ,,ცხოვრება''. გადმოცემით, ი. ა. თან ატარებდა ჯვარს, გამოთლილს იმ ჯვრის ხისაგან, რ-ზეც გააკრეს იესო ქრისტე. ღირსი ი. ა-ის ხსენების დღეა 15 (28) სექტემბერი.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 3–4, თბ., 1968–71.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ს. მიქაბერიძე, თბ. – ათონი, 2003. *ბ. ლომინაძე.*

იოსებ არღუთინსკი, დ ო ლ გ ო რ უ კ ი, იხ. *არღუთინსკი* ი.

იოსებ გენესიოსი (ლათ. Josephus Genesios), X ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი. მან იმპ. კონსტანტინე VII პორფიროგენეტის დავალებით 945–959 დაწერა საისტორიო შრომა ,,მეფობანი'', რ-იც ოთხი წიგნისაგან შედგება და მოიცავს 813–867 წლების ისტორიას. იგი საკმაოდ ტენდენციურადაა დაწერილი, მეოთხე წიგნს დამატების სახით დართული აქვს ბასილ I-ის მეფობის ისტორია. ი. გ. სარგებლობდა როგორც წერილობითი, ისე ზეპირი წყაროებით. ამ უკანასკნელთ ის უკრიტიკოდ ეპყრობოდა და თავის ,,ისტორიაში'' შეჰქონდა ხალხში გავრცელებული ყოველგვარი ჭორები ხატისმებრძოლ კეისართა შესახებ. II წიგნში მოთხრობილია *თომა სლავის აჯანყების* ამბავი, რ-შიც სხვა ტომებთან ერთად მონაწილეობდნენ იბერები, აბაზგები და ლაზები.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, ნაკგ. 2, თბ., 1952.

ლიტ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973.

,,იოსებზილიხანიანი'', ,,იოსებისა და ზელიხას'' ლეგენდის სპარსული ლიტერატურული ვერსიების ქართული რედაქციები. პირველი მათგანი, XVI ს. ქართ. მწერლობის ანონიმური ძეგლი, მომდინარეობს ჯამის მიმბაძველთა წრეში შემუშავებული ვერსიიდან. მთარგმნელი თავისუფლად ეკიდება დედანს, განიცდის ,,ვეფხისტყაოსნის'' პოეტიკის გავლენას (ტექსტში ერთგან იხსენიება ზაალი, ამიტომ ამ ვერსიას პირობითად ზაალისეულსაც უწოდებენ). ,,ი-ის'' მეორე ქართ. ვერსიის (1629) ავტორია *თეიმურაზ I.* თეიმურაზის თხზულების წყარო დაუდგენელია. პ. კეკელიძის აზრით, ეს არის ,,თავისებური კომბინაცია ბიბლიური ეპიზოდისა და მისთვის ცნობილი აღმოსავლური ვერსიებისა''. ,,ი-ის'' ქართ. ვერსიებს დიდი მნიშვნელობა აქვს აღმ. ვერსიების შესწავლისათვის.

გამოც.: ჯ ა კ ო ბ ი ა გ., იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები (კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლის დართვით), ნაწ. 1, ტფ., 1927.

ლიტ.: გ ვ ა ხ ა რ ი ა ა., ,,იოსებზილიხანიანის'' ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, ტ. 1, თბ., 1958; ქართული ხელნაწერი წიგნი. V–XIX საუკუნეები, თბ., 2012. *ა. გვახარია.*

იოსებ თბილელი, ერისკაცობაში – ს ა ა კ ა ძ ე (1620–88), საეკლესიო მოღვაწე, პოეტი; თბილ. მიტროპოლიტი. გიორგი სააკაძის ძმისწული. ი. მ. ქვათახევის მონასტერში აღიზარდა და იქვე აღიკვეცა ბერად. აქედან გარკვეული დროით ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად გადაიყვანეს. პ. *იოსელიანის* ცნობით, ნიკორწმინდიდან ქართლში დაბრუნებულ ი. მ-ს როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის ინიციატივით ოსმალთაგან გაუქმებული აწყურის ეპარქია ჩააბარეს იმ იმედით, რომ იქ მღვდელმსახურება აღდგებოდა, თუმცა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და მეფემ ი. მ-ს თბილისის მიტროპოლიტობა უბოძა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზ. ცხოვრებაში, იბრძოდა ცენტრ. ხელისუფლების განსამტკიცებლად. როგორც გიორგი XI-ის მომხრე, დაიღუპა განდგომილ არაგვის ერისთავთან ბრძოლაში.

ი. მ-ის პოეტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართ. პატრ. ეპოსის თვალსაჩინო ძეგლს, პოემა ,,დიდმოურავიანს'' (1681–87), რ-იც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართვ. ხალხის ბრძოლის ამსახველი გმირული ეპოპეაა. ი. მ-მა ხოტბა შეასხა გიორგი სააკაძეს; ამავე დროს, გამოკვეთა საზ. აზრი საქვეყნო გასაჭირზე, საზ. სამსჯავროზე გამოიტანა ერის ტკივილი და საწუხარი. ,,დიდმოურავიანი'' მნიშვნელოვანი ისტ. წყაროცაა. იგი პირველად პ. იოსელიანმა გამოსცა 1851. ი. მ-ს ეკუთვნის აგრეთვე სას. შინაარსის თხზულებები: ,,ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღმრთისა'', ,,წმიდანთა კრებათათვის'', ,,ქება და წამება წმიდისა მარინასი, თქმული შაირად''; აგრეთვე ,,ანბანთქება''. ი. მ. ,,ვეფხისტყაოსნის'' ერთ-ერთი ინტერპოლატორია (დაურთო 67 სტროფი). მის სახელთანაა დაკავშირებული თბილ. სიონის ბ-კის დაარსება, რ-ისთვისაც ი. მ-ს მრავალი ხელნაწერი წიგნი შეუძენია.

თხზ.: დიდმოურავიანი, წგ.: ჩვენი საუნჯე, [ტ.] 4, თბ., 1960.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; ფ ი რ ც ხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი რ., იოსებ ტფილელის ,,დიდმოურავიანის'' ხელნაწერული მემკვიდრეობისათვის, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, №2; ქართული მწერლობა, ტ. 6, თბ., 1987; ც ა ი შ ვ ი ლ ი ს., შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი, თბ., 1974. *რ. ფირცხალაიშვილი.*

იოსები (ჯ ა ნ დ ი ე რ ი შ ვ ი ლ ი), (გ. 1770), აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1755–64. თავდაპირველად რუსთავის ეპისკოპოსი იყო. 1755 საეკლ. კრებამ ანტონ I გადააყენა და კათოლიკოსად ი. დაადგინა. მისი ინიციატივით 1762 ჩატარდა საეკლ. კრება, სადაც შემუშავდა დადგენილება, რ-ის მიხედვითაც აღიკვეთა მღვდელმსახურების წესების დარღვევა. 1764, კათოლიკოსის ტახტზე ანტონ I-ის აღდგენასთან დაკავშირებით, ი. კვლავ რუსთავის ეპისკოპოსად განამწესეს. მალე იგი შეუერთდა ანტონ I-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკს, რის გამოც სოფ. მეტეხში გადაასახლეს.

ი. განკურნების ღვთითმიმადლებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. საქართვ. სამოციქულო ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად. ხსენების დღეა 17 (30) ოქტომბერი.

წყარო: დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. – ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *თ. მარგველაშვილი.*

იოსები (ბაგრატიონი) [გ. 13 (24). V. 1776], აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) კათოლიკოს-პატრიარქი 1769–76. 1745-იდან იყო გენათელი. იმერთა მეფის, ალექსანდრე V-ის ძე და სოლომონ I-ის უფროსი ძმა.

ი. გელათისათვის განსაკუთრებით იღვწოდა – დაუბრუნა დაკარგული და შესწირა საკუთარი სახსრებით ნაყიდი ყმა-მამულები.



იოსები (ბაგრატიონი). ფრესკა.

აქტიურად ერეოდა იმერეთის სამეფოს პოლიტ. ცხოვრებაში. მან სოლომონ I-ს შერიგების მიზნით უშუამავლა რაჭის ერისთავ როსტომთან, რ-საც მეფესთან შერიგება ურჩია და უსაფრთხოების აღთქმა დაუდო. მეფემ პირობა არ შეასრულა და მასთან მისული ერისთავი შვილებთან ერთად სასტიკად დასაჯა. ამ ფაქტის შემდეგ შეძრწუნებული ი. სინანულის ნიშნად (,,სინანულს მიეცა'') კათოლიკოსობიდან გადადგა.



ჯ. იოსებიძე.

ი. იბრძოდა სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. მას სარწმუნოებრივ ნიადაგზე უთანხმოება ჰქონდა იმერეთში მყოფ იტალიელ კათოლიკე მისიონერებთან.

ი-ის სახელს უკავშირდება გელათის მონასტრის გალავნის აშენება. მისი დაკვეთითა და მონაწილეობით გელათში 1772 ბერმონაზონმა ზაქარია გაბაშვილმა დაასრულა იოანე ოქროპირის „საღმრთო ჟამის წირვის'' გადაწერა, რ-იც გელათს შესწირა. ასევე 1776 გელათს შესწირა „სჯულის კანონი'', რ-შიც შეტანილია რუის-ურბნისის საეკლ. კრების (1104) „ძეგლისწერა''.

მძიმე სენით შეპყრობილი ი. ქუთაისში გარდაიცვალა. დაკრძალეს გელათში.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», თბ., 1954, ნაკვ. 31; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო 1462–1810, თბ., 1989; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

თ. მარგველაშვილი.

იოსებიძე ჯუმბერ სოლომონის ძე (დ.19.I. 1938, გორი), ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1990). საქართველოსა და საერთაშ. საინჟინრო და ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიების ნამდვ. წევრი (1961). დაამთავრა სპი-ის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი შიგაწვის ძრავების სპეციალობით. სხვადასხვა დროს იყო ამავე ინ-ტის ავტომობილებისა და ტრაქტორების შიგაწვის ძრავებისა და საწვავსაცხი მასალების კათედრის გამგე, 2013-იდან ხელმძღვანელობს საავტ. ტრანსპორტის დეპარტამენტს.

ი-მ შექმნა სამეცნ. სკოლა მობილური მანქანების ხანგამძლეობისა და ეკოლოგიურობის გაუმჯობესების დარგში ნანოდისპერსიულ-ნახშირბადიანი სუსპენზიური ზეთების გამოყენებით. *ტრიბოლოგიაში* ე. *ქუთელიასთან* ერთად მის მიერ აღმოჩენილი ახ. მოვლენა მსოფლიოში ცნობილია *იოსებიძე–ქუთელიას ეფექტის* სახელწოდებით. მონოგრაფიისათვის ,,ავტომობილების ხანგამძლეობის, ეკონომიურობისა და ეკოლოგიურობის ამაღლება ახალი თაობის ზეთების დამუშავებითა და გამოყენებით'' 2004 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000) და მედლით ,,2004 წლის ინჟინერი''. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო; მიღებული აქვს საავტორო მოწმობები გამოგონებაზე.

თხზ.: Энергосберегающие автомобильные трансмиссионные масла на основе высокодисперсного углерода, Тб., 1993; Повышение долговечности, экономичности и экологичности автомобилей разработкой и применением масел нового поколения, Тб., 2000 (თანაავტ.).

ლიტ.: Innovative methods for improvement of technical, economic and ecological efficiency of Motor Cars (ჯ. იოსებიძის რჩეულ შრომათა კრებული, მიძღვნილი მისი 75-ე წლისთავისადმი), N. Y., 2015.

შ. ნემსაძე.

იოსებიძე–ქუთელიას ეფექტი, ლითონის მოხაზუნე ზედაპირებზე გარკვეული სტრუქტურების ტრიბოსინთეზი (იხ. სტ. *ტრიბოლოგია*). ეს სტრუქტურები შეიცავს ნანოდისპერსიული ალმასების, გრაფიტისა და ამორფული ნახშირბადის დისიპატურად მოწესრიგებულ ფაზებს. ამასთან, კუბური სტრუქტურის ალმასის გარდა წარმოიქმნება ჰექსაგონური სტრუქტურის ალმასი, ანუ ლონსდეილიტი, რ-იც ჩვეულებრივ ალმასთან შედარებით 58%-ით უფრო სალია და მისი ხელოვნური სინთეზი დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ი.–ჯ. ე. აღმოჩენილია ჯ. *იოსებიძისა* და ე. *ქუთელიას* მიერ 1990. კვლევებმა აჩვენა, რომ ეს მოვლენა აიხსნება ამორფული ნანოდისპერსული ნახშირბადის (ანნ) მეტასტაბილურობით, რაც განაპირობებს მის უნარს – ხახუნის ზონაში განიცადოს პოლიმორფული გარდაქმნები და ამით უზრუნველყოს ანნ-ის ბაზაზე შექმნილი შემზეთი მასალების მაღალი ტრიბოლოგიური ეფექტიანობა და მრავალფუნქციურობა.

აღნიშნული შემზეთი მასალები გამოირჩევა მაღალი ანტიფრიქციული, ცვეთა-აგლეჯისა და პიტინგსაწინააღმ თვისებებით, ასევე ამ თვისებების სტაბილურობით დატვირთვებისა და ტემპერატურების ფართო დიაპაზონში (+150 °C-იდან 600 °C-მდე), ასევე წყლისა და მტვრის თანაობისას და ზეთის მიწოდების შეწყვეტის ექსტრემალურ პირობებშიც კი. დადგენილია აგრეთვე ანნ-ის გამოყენების პერსპექტიულობა ეფექტური პლასტიკური საცხების, შემზეთ-გამაგრილებელი ტექნოლ. სითხეების, ანტიფრიქციული მყარი მასალების დასამზადებლად და ალმასების ხელოვნური სინთეზის ინოვაციური ნანოტექნოლოგიების დასამუშავებლად.

ლიტ.: Iosebidze D. C., Bersadsky L. I., Kutelia E. R., Tribosynthesis of graphite-diamond films and its obtaining structurally adaptive coatings, Proceedings of 17-th International Conference on Metallurgy coatings and 8-th International Conference on Thin Films, San Diego, CA.USA, 1990; Bakhtiyarov S. (NMT, USA) at al., The

„Iosebidze-Kutelia effect“ as a base for usage the phenomenon of cavitation for reduting the wear, Tb., 2014. *ჯ. იოსებიძე. მ. ნემსაძე.*

იოსებ მიტროპოლიტი, ერისკაცობაში – გიორგი მილენის ძე კიკვაძე (დ. 17. IX. 1959, სოფ. ზედა ფარცხმა, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), სასულიერო პირი. საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილ. ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში. 1985–90 სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში.

1990 საფარის მამათა მონასტერში მორჩილად აკურთხეს. იმავე წელს თბილ. სას. აკადემიაში ჩაირიცხა. 1991 წ. 16 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა *ილია II-მ* სვეტიცხოველში ი. მ. ბერად აღკვეცა, 1991 წ. 23 მაისს კი დავითგარეჯის მონასტერში დიაკვნად, ხოლო 1991 წ. 3 ნოემბერს მღვდელ-მონაზვნად აკურთხა და სვეტიცხოვლისა და წმ. ნინოს დედათა მონასტრის მწირველ მღვდლად განაწესა.

1992–93 ი. მ. მარტყოფის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო. 1993 ილია II-ის ლოცვა-კურთხევით არქიმანდრიტის პატივი მიენიჭა და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ დაინიშნა. 1995 წ. 7 აპრილს, წმ. სინოდის განჩინებით, ეკურთხა შემოქმედელ ეპისკოპოსად. მისი ღვაწლით ეპარქიაში არაერთი ეკლესია ამოქმედდა. 2000 წ. 28 ნოემბერს ი. მ-ს მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2007 წ. 3 ივნისს მიტროპოლიტის პატივი ებოძა.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორდენით (2007).

იოსებ სამებელი (1676 – IX. 1750), სასულიერო მოღვაწე, მესტამბე. წარმოშობით ქვაბულიძეებისა საგვარეულოდან. თავდაპირველად იყო შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი, 1696-იდან კი – სამების, ხოლო შემდეგ – წილკნის ეპისკოპოსი. ვახტანგ VI-ის რუსეთში წასვლის შემდეგ ისიც რუსეთს გაემგზავრა. ქართველმა ემიგრანტებმა ი. ს. ვორონეჟის მონასტერში მოაწყვეს. 1733 პეტერბურგში გადავიდა. 1734-იდან ნოვგოროდის მიტროპოლიტის თანაშემწე და იურის მონასტრის წინამძღოლი იყო. რუსეთში ცხოვრების პერიოდში ი. ს-მა ხელი მოჰკიდა საგამომცემლო საქმეს; მონაწილეობდა წიგნების გადაწერაში. ქ. გურამიშვილთან ერთად პეტერბურგის მეცნ. აკადემიის სტამბაში ჩამოასხა ქართ. შრიფტი და იქვე დაბეჭდა ,,რუსულ-ქართული ანბანი“. 1737 *ბაქართან* ერთად დააარსა სტამბა და დაიწყო ქართ. წიგნების ბეჭდვა-გამოცემა, მაგრამ 1743 ბიბლიის უნებართვოდ დაბეჭდვის გამო სტამბა დახურეს. 1750 ყიზლარში მიმავალი ი. ს. გზაში გარდაიცვალა.

ლიტ.: კასრაძე ო., ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1973; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; ჟორდანია თ., მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე XVIII საუკუნეში, «ივერია», 1884, №2, 3. *ო. კასრაძე.*


იოსებ ფლავიუსი (ლათ. – Josephus Flavius) (დაახლ. 37, იერუსალიმი, – დაახლ. 95, რომი), ებრაელი ისტორიკოსი, წარმოშობით მაღალი სამღვდელოების წრიდან. აქტიურად მონაწილეობდა იუდეის სამეფოს პოლიტ. ცხოვრებაში. შემდეგ რომაელების მხარეზე გადავიდა და მმართველი დინასტიის – ფლავიუსების – პატივსაცემად ფლავიუსი დაირქვა. მან დაწერა ისტ. თხზულებები: ,,იუდეველთა ომი“ (7 წიგნი, არამეულ ენაზე, შემდეგ ბერძნულად ითარგმნა), ,,იუდეველთა სიძველენი“ (20 წიგნი, მოიცავს პერიოდს სამყაროს შექმნიდან იუდეველთა ომამდე), თხზ. ,,აპიონის წინააღმდეგ“ (პოლემიკა I ს. ეგვ. მწერალ აპიონთან, რ-იც იუდეველებს შეურაცხყოფს), ,,ცხოვრება“ (ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, რ-ითაც ი. ფ. ცდილობს თავი გაიმართლოს თავისი ხალხის ღალატის ბრალდებისაგან).

ი. ფ-ის თხზულებები ძვირფასი წყაროა ძვ. აღმ. და ხმელთაშუა ზღვის ხალხების ისტორიის შესასწავლად. მას აქვს ცნობები ქართველურ ტომებზე. ი. ფ-ის მოსაზრებით ბიბლ. თუბალები მერმინდელი იბერები (ქართები) არიან: ,,თობელმა დააფუძნა თობელები, რომელსაც ახლა იბერები ეწოდებათ; მოსოხენები (მესხები) დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ. ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, ხოლო ძველი მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ; რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს“. ი. ფ. ,,იუდეველთა ომში“ (I ს. დასასრ.) აღნიშნავს, რომ ,,ჰენიოხები და კოლხები, ტავრები და ბოსფორელები, საერთოდ პონტოსა და მეოტიდის გარშემო მცხოვრები ხალხები, რ-ებიც წინათ საკუთარ მბრძანებლებსაც არ ცნობდნენ, ახლა მორჩილებაში იმყოფებიან 3000 ჰოპლიტისა (ქვეითი ჯარისკაცი) და 40 სამხედრო ხომალდის ძალით“. ი. ფ-მა შემოინახა ცნობები I ს. 70-იან წლებში ალანების ლაშქრობის შესახებ: ,,ალანებმა, განიზრახეს რა მიდიაში შეჭრა, მოლაპარაკება გამართეს ჰირკანიის მეფესთან, რომელიც ფლობდა თავის დროზე ალექსანდრე მაკედონელის მიერ რკინის კარით ჩაკეტილ გადასასვლელს. ჰირკანიის მეფემ გაატარა ისინი და ალანების დიდი ლაშქარი შეიჭრა მიდიაში... ასე მიაღწიეს მათ სომხეთს“ (მკვლევართა აზრით, ჰირკანიის მეფეში უნდა იგულისხმებოდეს იბერიის მეფე).

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961.

ლიტ.: ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თ. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1983; ინაძე მ., იბერიისა და რომის ურთიერთობა ახ. წ. II ს. პირველ ნახევარში, «საქართვ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინ-ტის შრომები», ტ. 1, თბ., 1955; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. *ლ. მანიავა.*

იოსებ ძართველი, აბესალამშვილი (აბესალამიანი) (1687 – XVIII ს. I ნახ.), დიპლომატი და ისტორიკოსი. გაქართველებული თბილისელი სომეხი, კათოლიკე. ი. ძ-ის წარმომავლობის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი მას სომეხად მიიჩნევენ (ინგლ. ისტ. ლ. ლოკარტი, სომეხი მემატიანე სარგის გილანეცი), მეორენი – ქართველად (ფრანგ. ისტ. ლუი ანდრე მამიე-კლერაკი, ვ. გაბაშვილი, თ. ნატროშვილი, ი. ტაბაღუა და სხვ.). თვითონ ი. ძ. თავისი ეროვნების შესახებ ამბობს: „Нации я грузинской из города Тифлиса“ („ეროვნებით მე ქართველი ვარ ქალაქ ტიფლისიდან“). ი. ძ. ეკუთვნოდა თბილისის მოქალაქეთა გავლენიან გვარს. მამამისი იყო თბილისის ნაცვალი. დაწყებითი განათლება თბილისის კათოლიკე მისიონერთა სასწავლებელში მიიღო. 1698 კათოლიკეთა წინააღმდეგ თბილ. მოქალაქეების გამოსვლის დროს ი. ძ. მამასთან ერთად ქალაქიდან გააძევეს. იგი ევროპაში წავიდა, სადაც შეისწავლა ფრანგ. და იტალ. ენები. 1703–09



გ. დ. იოსელიანი.

სწავლობდა ურბანოს კოლეჯში (რომი). საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ის საგანგებო დავალებით ირანის შაჰის კარზე ელჩად გაგზავნილმა ანჟე დე გარდანმა ი. ძ. თარჯიმნად აიყვანა. მისი შუამავლობით გარდანს უნდა დაემყარებინა კავშირი ირანში მყოფ ქართველებთან. 1717 იყო ყაზვინში, შემდეგ 1723-მდე – ისპაანში, სადაც საფრანგეთის საკონსულოში თარჯიმნად მუშაობისას ფრანგულ ენაზე შეადგინა ,,მოხსენებითი ბარათი სპარსეთში უკანასკნელი სამოქალაქო ომის შესახებ'' (1723 წ. 31 იანვ.). 1724-იდან ი. ძ. სტამბოლში იყო. იგი, როგორც თარჯიმანი, მონაწილეობდა სულთნის კარზე მყოფ დომენტი კათოლიკოსთან გამართულ მოლაპარაკებაში, იზიარებდა ანტიოსმალურ თვალსაზრისს და ოსმალეთთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა საფრანგეთს. 1726 ი. ძ-ის ურთიერთობა საფრ. საელჩოსთან შეწყდა. მან სტამბოლში დიდი ვეზირის დავალებით თურქულ ენაზე ვრცლად აღწერა ირანში მომხდარი ამბები. ი. ძ-მა დაწერა რამდენიმე თხზულება, რ-ებიც მნიშვნელოვანი პირველწყაროა XVIII ს. I მეოთხედის ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად. ამ თხზულებებში არის ცნობები ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ (გიორგი XI, ქაიხოსრო ბატონიშვილი, ვახტანგ VI, ყულარაღასი როსტომი...).

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., იოსებ ქართველი – XVIII ს-ის დიპლომატი და ისტორიკოსი, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», ნაკვ. 32, თბ., 1955; მ ი ს ი ვ ე, იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, «თსუ შრომები», 1965, ტ. 5, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 116; ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი თ., მასალები იოსებ ქართველის ბიოგრაფიისათვის, «მაცნე», 1969, № 5; მ ი ს ი ვ ე, ქართული ფეოდალური საზოგადოება და იოსებ ქართველი, იქვე, 1970, № 5; ტ ა ბ ა ღ უ ა ი., იოსებ ქართველის მოღვაწეობა ირანსა და თურქეთში 1717–26, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976; П а й ч а д з е Г., Один архивный документ об Иосифе Грузине, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1976, №3.

დ. კაციტაძე.

იოსებ ხუცესი, ს ა ს წ ა ულთმოქმედი, მოხევე (გ. 1763), ი. ხ-ის ცხოვრების შესახებ მწირი ცნობები არსებობს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იყო მოხევე და იქვე მსახურობდა მღვდლად. სავარაუდოდ, ი. ხ. პირველი ავიდა კავკასიონის ერთ-ერთ ულამაზეს მწვერვალ მყინვარწვერზე (5033 *მ*).

იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობაში'' დადასტურებულია, რომ ,,იოსებ მოხევე მღვდელი, ესე იყო ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი. ესე ნებითა ღვთისა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა, და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრამისა მამათ-მთავრისა, რომელ ჯერეთ არავინ აღსრულ არს მთასა მას, და მოართო მეფესა ირაკლის ნაჭერი კარავისა მის, და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულთ მოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა'' (მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის, «ძველი საქართველო», ტ. 1, ტფ., 1909, განყ. III).

მკვლევართა აზრით, ი. ხ. მყინვარწვერზე ავიდა XVIII ს. II ნახევარში, გაცილებით ადრე, ვიდრე მწვერვალს დალაშქრავდნენ ევრ. ალპინისტები.

საქართვ. სამოციქულო ეკლესიამ ღირსი ი. ხ. წმინდანად შერაცხა და ხსენების დღედ 7(20) ოქტომბერი დაადგინა.

ლიტ.: ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი ე., სპორტის ენციკლოპედია, თბ., 2006; კავკასიონზე. კრ., შემდგ. დ. ფურცელაძე, რედ. ნ. კეცხოველი, თბ., 1959; «საპატრიარქოს უწყებანი», 2009, №30, 15–21 ოქტ.; ქართველ წმინდანთა ცხოვრება, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ.–ათენი, 2003.

იოსელიანი ავთანდილ პავლეს ძე [8(21). XI. 1910, წყალტუბო, – 1991, თბილისი], ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). დაამთავრა თსუ (1935). 1937-იდან მუშაობდა ენიმკიში, ამავე პერიოდში კითხულობდა ლექციებს თსუში. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. შემდეგ მუშაობდა ისტ. ინ-ტში, II მსოფლიო ომის შემსწავლელ კომისიაში. 1961–65 ხელმძღვანელობდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის საბჭოთა პერიოდის განყ-ბას. 1965-იდან მუშაობდა უფროს მეცნიერ მუშაკად ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტსა და თსუ-ში. იკვლევდა ძვ. კოლხეთის, XVII–XX სს. საქართველოს სოც.-პოლიტ. ისტ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, საზ. აზრისა და ისტ. ქრონოლოგიის საკითხებს.

თხზ.: იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, თბ., 1950 (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28); ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1951; რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან (XIX ს. რეფორმამდელი პერიოდი), თბ., 1955; საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941–1945), თბ., 1958; საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი, თბ., 1972; ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973; საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII–XIX სს., თბ., 1980; ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე), თბ., 1990.

ლიტ.: ომგადახდილი მეცნიერები, თბ., 2000.

იოსელიანი ავთანდილ შოთას ძე (17. VIII. 1950, თბილისი, – 13.XI. 2007, იქვე), გენერალ-ლეიტენანტი (1996). 1973 დაამთავრა სპი-ის სატრანსპ. ფაკ-ტი, 1974–75 იყო სსრკ უშიშროების კომიტეტის უმაღლესი კურსების კურსანტი (ქ. მინსკი). 1975–87 მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე სახელმწ. უშიშროების კომიტეტში. 1987–91 იყო აფხაზეთის ასსრ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რის მოადგილე, 1991–92 – თავ-რე. 1992–93 – საქართველოს რესპ. საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავ-რის მოადგილე, 1993 მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება. 1995–96 იყო საქართვ. სახელმწ. უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, 1997–2004 – საქართველოს დაზვერვის სახელმწ. დეპარტამენტის თავ-რე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (1996). *ლ. დოლიძე.*

იოსელიანი გიორგი დავითის ძე (20. XII. 1917, თბილისი, – 6. IX. 2005, იქვე), ქირურგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1996); სსრკ მედ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1984), საქართვ. მედ. მეცნ. აკად. წევრი (1994), საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკადემიის წევრი (1994), მედ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975).

1941 დაამთავრა თსსი; 1941–43 იყო მოქმედ არმიაში. მუშაობდა თბილ. სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს ქირურგად და თსსი-ის ტოპოგრ. ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასისტენტად (1943–46; 1948–50); 1946–47 მოსკოვის ნ. სკლიფოსოვსკის სახ. სასწრაფო დახმარების ინ-ტის ქირურგი იყო, 1950-იდან – თბილ. ექსპერ. და კლინ. ქირურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1951–57 – სწავლული მდივანი, 1957–74 – დირექტორის მოადგილე, 1974–88

– დირექტორი; 1988-იდან – საპატიო დირექტორი.

ი-ის სამეცნ. შრომები ეხება საჭმლის მომნელებელი ორგანოების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ავთვისებიანი სიმსივნეების ქირურგ. მკურნალობას, ორგანოთა და ქსოვილთა გადანერგვას, სისხლის გადასხმას, გაუტკივარებასა და სხვა პრობლემებს.

არჩეული იყო საქართვ. ქირურგთა საზ-ბის საპატიო თავ-რედ (1999), თბილისის ქირურგ. საზ-ბის თავ-რედ (2000). ი. მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 8 მონოგრაფიისა და 12 გამოგონების ავტორია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: ღვიძლის ატროფიული ციროზი და მისი ქირურგიული მკურნალობა, თბ., 1964; Изолированная перфузия головного мозга и сердца в условиях умеренной гипотермии, Тб., 1966.

იოსელიანი გიორგი ივანეს ძე [2(15). V. 1904, გორი, – 4. I. 1970, თბილისი], რეჟისორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1961). 1925–26 იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. 1934 დაამთავრა მოსკ. თეატრ. ხელოვნების ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი; 1930, ჯერ კიდევ სტუდენტი, დაინიშნა რეჟისორ-ლაბორანტად მოსკ. მეორე სამხატვრო თეატრში. ი. სხვადასხვა დროს მუშაობდა რეჟისორად ლენინგრადის კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის და საოლქო დრამ. თეატრებში.

II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მონაწილეობდა ლენინგრადის დაცვაში, რისთვისაც დაჯილდოვდა სამამულო ომის მეორე ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

1947 მოღვაწეობას იწყებს ქართ. თეატრში. წლების განმავლობაში მუშაობდა სამხატვრო ხელმძღვანელად და დამდგმელ რეჟისორად ქუთაისის, სოხუმის, ფოთისა და თელავის დრამ. თეატრებში. დადგა 25-მდე სპექტაკლი, მ. შ. აღსანიშნავია: ა. ყაზბეგის ,,ქეთევან დედოფალი'', ა. ჩეხოვის ,,ივანოვი'', ნ. გოგოლის ,,ქორწინება''. უკანასკნელ წლებში მუშაობდა საქართვ. ფილარმონიის მთ. რეჟისორად.

იოსელიანი გიორგი ნიკოლოზის ძე (1847, წყალტუბო, – 1919, ხაშური), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. დაამთავრა მოსკოვის სას. აკადემია (1870). მუშაობდა თბილ. სას. სემინარიაში. 1873 დაითხოვეს როგორც ,,არაკეთილსაიმედო'' პირი. 1873–89 მასწავლებლად მუშაობდა თბილ. სამასწავლებლო ინ-ტში, შემდგომ – სათავადაზნაურო სასწავლებელსა და თბილ. I გიმნაზიაში, სიცოცხლის ბოლო წლებში კი – ხაშურის გიმნაზიაში.

პრესის ფურცლებზე ი. გამოდიოდა ,,წყალტუბოელის'' ფსევდონიმით. რამდენიმე წელი იმუშავა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' გამგეობაში. საზ-ბის დავალებით, ი. ჭყონიასთან ერთად, პირადად ხელმძღვანელობდა ნ. *ბარათაშვილის* ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებას. ი. მოღვაწეობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებში. ბავშვებისათვის დაწერა ,,ვეფხისტყაოსნის'' შინაარსი.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 1, თბ., 1953.

იოსელიანი დავით გიორგის ძე [17(29). VIII. 1894, სოფ. ქვემო ხვედურეთი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 25. II. 1968, თბილისი], ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1937), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1942). 1917 დაამთავრა პეტროგრ. სამხ.-სამედ. აკადემია. 1937–47 განაგებდა თბილ. სამედ. ინ-ტის ტოპოგრაფიული ანატ. და ოპერაციული ქირურგიის კათედრას, 1947–68 კი – ზოგადი ქირურგ. კათედრას. 1940–47 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის დირექტორი. ი. სწავლობდა ასაკობრივი და ვარიაციული ანატ., ანაერობული ინფექციის, ნაწლავთა გაუვალობის, ასეპტიკისა და ანტისეპტიკის საკითხებს; ტრავმული ანევრიზმის ქირურგ. მკურნალობას და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ბარძაყის და წვივის ძვლების ნერვები და მათი დაზიანების გავლენა ძვლის კორძის განვითარებაზე, თბ., 1936.

იოსელიანი დავით გიორგის ძე (დ. 3. VI. 1943, თბილისი), კარდიოლოგი. რუსეთის მეცნ. აკად. წ.-კორ. (2011), აკადემიკოსი (2016), მედ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1982). რუსეთის ფედერაციის მეცნ. დამს. მოღვაწე (2002).


1966 დაამთავრა თსსი. 1971-იდან მუშაობს მოსკოვის ა.ნ. ბაკულევის სახ. გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე: უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1972–77), უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1977–82), თავისივე შექმნილი (1992-იდან გადაუდებელი და ინტერვენციული კარდიოლოგიის) განყ-ბის გამგე (1982–96), 1996-იდან – მოსკოვის ინტერვენციული კარდიოანგიოლოგიის სახელმწ. ცენტრის (ასევე თავისივე დაარსებული) დირექტორი, 2011-იდან (შეთავსებით) – ნ.ი. პიროგოვის სახ. სამედიცინო უნ-ტის რენტგენოენდოვასკულარული მეთოდებით დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კათედრის, ასევე ი.მ. სეჩენოვის სახ. I სამედ. უნ-ტის ინტერვენციული კარდიოანგიოლოგიის კათედრის დამაარსებელი და გამგე (2016). 1988 გულის იშემიური დაავადების თანამედროვე მეთოდების მეცნ. დამუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისთვის მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია.

ი. 2000–04 იყო რუსეთის ინტერვენციული კარდიოანგიოლოგიის სამეცნ. საბჭოს თავ-რე; მოსკოვის კარდიოანგიოლოგთა საზ-ბის თავ-რე (2003-იდან), ვ.ი. ბურაკოვსკის სახ. პრემიის ლაურეატი (2010); მოსკოვის მთ. კარდიოლოგი (2000–10), ევროპის კარდიოლოგთა საზ-ბის ნამდვ. წევრი (2002); ორენოვან ჟურნალ „International Journal of Interventional Cardioangiology“-ის მთ. რედაქტორი (2002). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის (მ. შ. 9 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოს) და 5 გამოგონების ავტორი. საქართვ. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის უცხოელი წევრი (2017).

ი. არის რფ-ის სამთავრობო პრემიის ლაურეატი მეცნიერების და ტექნიკის დარგში (2010). მოსკოვის სამთავრობო პრემიის ლაურეატი (2003, 2008, 2011); არჩეულია ამერიკის კარდიოლოგიური კოლეჯის (1993), კუბის კარდიოლოგთა საზ-ბის გამგეობის (1980), ნიუ-იორკის აკადემიის (1995) წევრად და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (2003).

თხზ.: Актуальные вопросы кардиологии, М., 2006; Раннее поэтапное восстановление нарушенного кровоснабжения сердца и улучшение ближайшего и среднеотдаленного прогноза у больных острым инфарктом миокарда (клинико-патофизиологические и фармакологические аспекты), М., 2009.

იოსელიანი დიმიტრი ზაქარიას ძე [12. I. 1820 – 24. I. 1900, ქ. ხერსონი (უკრაინა)], რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1882), გენ.–მ. ზ. *იოსელიანის* შვილი. ყირიმის (1853–56) და რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომების მონაწილე. 1878-იდან პოლკოვნი-



დ. გ. იოსელიანი. (დ. 1894).



დ. გ. იოსელიანი. (დ. 1943).

კი. 1859–82 მსახურობდა აღმ. ციმბირის გენ.-გუბერნატორთან განსაკუთრებულ დავალებათა მიმართულებით. 1882 სამსახურიდან გადადგა. დაკრძალულია ქ. ხერსონში, წმ. ეკატერინეს ტაძრის გალავანში. *მ. გოგიტიძე.*

იოსელიანი დიმიტრი მელიტონის ძე (2. XII. 1913, სოფ. ჩიბათი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 13. III. 1989, თბილისი), სპორტსმენი (მძლეოსნობა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1936). საქართვ. ფიზ. კულტურის და სპორტის დამს. მოღვაწე (1978). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის სამრეწვ.-ეკონ. ფაკტი (1938) და მოსკოვის ცენტრ. ფიზ. კულტურის ინ-ტი (1949). იყო სპორტული საზ-ბა ,,ნაუკას'' თავ-რის მოადგილე (1937–41), ასევე მოსკოვში საქართვ. წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე (1944–45), საქართვ. სახელმწ. ფიზიკური კულტ. ინ-ტის რექტორი (1945–53), მძლეოსნობის კათედრის გამგე (1956–76) და პროფესორი (1979). მსოფლიოს რეკორდსმენი ადგილიდან ხტომაში (1936). საქართველოს, კავკასიისა და სსრკ მრავალგზის რეკორდსმენი მძლეოსნურ ტყორცნებსა და ხტომებში. იყო მრავალი სამეცნ. შრომისა და გამოგონების ავტორი მძლეოსნობის თეორიისა და პრაქტიკის დარგში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



ე. კ. იოსელიანი.

ა. ციბაძე.



თ. იოსელიანი.

იოსელიანი ეგნატე ონისიმეს ძე (1843, ქუთაისის მაზრა, – 1926), რევოლუციონერ-ხალხოსანი. დაიბადა მღვდლის ოჯახში. სწავლობდა სემინარიაში, 1874 დაამთავრა პეტერბურგის სამიწათმოქმედო ინ-ტის სატყეო ფაკ-ტი. 1873–74 ხელმძღვანელობდა პეტერბურგის „კავკასიელთა რევოლუციურ წრეს". საქართველოში დაბრუნების შემდეგ მ. ქ. *ყიფიანთან* და ი. *ქიქოძესთან* ერთად სათავეში ჩაუდგა კავკასიის სოც.-რევ. საზ-ბას. მან თბილ. მოსწავლე ახალგაზრდობისაგან შეადგინა რაზმები, რ-თაც ურიგებდა რევოლუციურ ლიტ-რას და კოორდინირებას უწევდა მათ საქმიანობას. 0-ის ბინაში ხშირად იმართებოდა თათბირები და კრებები. შექმნა საიდუმლო წრე, კავშირი გააბა ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ახალგაზრდა რევოლუციონერებთან.

1876 ოქტომბერში 0. დააპატიმრეს, 2 წლის შემდეგ ორენბურგის გუბერნიაში გადაასახლეს, საიდანაც XIX ს. 80-იან წლებში დაბრუნდა.

ხალხოსნური მოძრაობის კრახის შემდეგ 0-მა ხელი აიღო რევოლუციურ საქმიანობაზე და პოლიტ. ბრძოლის ასპარეზს ჩამოსცილდა. XX ს. დასაწყისში თბილისში მოღვაწეობდა, იყო კავკასიის სას.-სამ. საზ-ბის მდივანი.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; შველიძე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960. *პ. ყიფიანი.*

იოსელიანი ელენე (ლილი) კონსტანტინეს ასული (25. III. 1922, თბილისი, – 14. V. 2014, იქვე), რეჟისორი და პედაგოგი, პროფესორი (1979), საქართვ. პედ. მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1998). საქართვ. სახ. არტისტი (1976), შოთა რუსთაველისა (2010) და კ. მარჯანიშვილის (2002) პრემიების ლაურეატი. 1946 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (გ. *ტოვსტონოგოვის* ჯგუფი). მუშაობდა დამდგმელ რეჟისორად თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში (1947), კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში (1952–59 და 1963–65), სამხატვრო ხელმძღვანელად გორის გ. ერისთავის სახ. დრამ. თეატრში (1960–62 და 1966–69), თბილ. სანკულტურის თეატრში (1962–63); რეჟისორად – შოთა რუსთაველის სახ. თეატრში (1969–71).

1947-იდან 0. პარალელურად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში. მისი სპექტაკლები გამოირჩეოდა დახვეწილი პროფ. კულტურით, ღრმა ფსიქოლოგიზმითა და ლირიზმით. დადგმებიდან აღსანიშნავია: თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში – მ. ალიგერის „ზღაპარი სიმართლეზე" (1946); კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში – ვ. გაბესკირიას „გაზაფხულის დილა" (1952), რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი" (1954), „რას იტყვის ხალხი" (1956), ი. გალანის ,,სიყვარული გარიჟრაჟზე" (1954), ბ. შოუს ,,პიგმალიონი" (1955), მ. გორკის „ფსკერზე" (1957), უ. შექსპირის „აურზაური არაფრის გამო" (1963), ე. ციცაგის ,,ფითრი" (1964), გ. ჰაუპტმანის „მშვიდობის დღესასწაული" (1990); თბილ. სანკულტურის თეატრში – „ჩვენი ერთი საღამო" (1961), ვ. აქსიონოვის „კოლეგები" (1962), შ. ნარსიას და თ. ფერაძის „მეისრე" (1963); რუსთავის დრამ. თეატრში – უ. შექსპირის „ჰამლეტი" (1975) და სხვ. 0-ს შედგენილი აქვს სამსახიობო ოსტატობისა და რეჟისორული წარმოსახვის განმავითარებელი სავარჯიშოები. გადაღებულია კინოფილმებში: „დები წყვდიადში" („ბერნარდა ალბას სახლი"; 1980); „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" (1984), „წყარო" (1985), „ფესვები" (1987); მას ეძღვნება დოკუმენტური ფილმი ,,ოსტატობის გაკვეთილები" (რეჟ. ვ. ზუბაშვილი, 1986).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ხვთისიაშვილი დ., ლილი იოსელიანი, თბ., 2002.

იოსელიანი ზაქარია ონისიმეს ძე (1786 – 24. IV. 1866, სანქტ-პეტერბურგი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1828). გენ.-მ. დ. *იოსელიანის* მამა. 1807-იდან მსახურობდა ლაიბგვარდიის ულანთა პოლკში. მონაწილეობდა 1812 რუს. სამამულო ომში, რუსეთ-ირანისა (1826–28) და რუსეთ-ოსმალეთის (1828–29) ომებში. 1819 მიიღო პოლკოვნიკის წოდება, 1834 გავიდა თადარიგში. დაჯილდოებულია წმ. გიორგის, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, ასევე ოქროს იარაღით.

ლიტ.: Гогитидзе М., Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии), кн. 1, Тб., 2007. *მ. გოგიტიძე.*

იოსელიანი თეიმურაზ კლიმენტის ძე (21. X. 1929, ქუთაისი, – 16. VII. 2013, თბილისი), ფიზიოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1983). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1970). თავის ტვინის კვლევის საერთაშ. ორგანიზაციის წევრი. საქართვ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი და მისი პირველი პრეზიდენტი (1994), საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის (1994), საქართვ. ეკოლ. მეცნ. აკადემიის (1995), ნიუ-იორკის (აშშ) მეცნ. აკად. (1995) წევრი. 1955 დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი. 1958-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიოლ. ინ-ტის უმცროსი, 1962-იდან კი უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1976–83 – ამავე ინ-ტის თავის ტვინის ნერვული ცენტრების ფუნქციური ორგანიზაციის კვლევითი ლაბორატორიის გამგე. თსუ-ის ადამი-

ანისა და ცხოველთა ფიზიოლ. კათედრის გამგე (1978–2006). 0-მა შეისწავლა კუნთოვანი და ნერვული ბოჭკოების ფიზიოლოგიის ზოგიერთი ასპექტი, ტონური და ტეტანური ნერვ-კუნთოვანი აპარატის პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები, ზურგის ტვინის რეფლექსური მოქმედების შემაკავებელი მექანიზმები, თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნერვული მექანიზმები, მიკროელექტროდული ტექნიკის გამოყენებით – თავისა და ზურგის ტვინის ცალკეულ ნეირონთა უჯრედშიგა და უჯრედგარეთა ელექტრული პოტენციალები, ცხოველთა მოკლევადიანი მეხსიერების ფენომენი და სხვ.

1998 აშშ-ში დაჯილდოდა „2000-წლეულის ოქროს საპატიო მედლით'' და სიგელით – „1998 წლის გამოჩენილი ადამიანი''. მიღებული აქვს აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის, ი. ვ. გოეთეს, ე. ჰეკელის, მ. მუხაძის და ზაზა ფანასკერტელის სამახსოვრო მედლები, სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998) და საქართველოს სახელმწ. პრემია (2002).

თხზ.: ზოგადი ნეიროფიზიოლოგია, თბ., 1993; ვისცერალური სისტემები, თბ., 1996; ადამიანის ფიზიოლოგია: კუნთოვანი და ნერვული სისტემები, თბ., 2001.

იოსელიანი იაროსლავ კონსტანტინეს ძე (23. II. 1912, სოფ. ლახირი, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 23. III. 1978, თბილისი), საბჭოთა კავშირის გმირი (16. V. 1944). I რანგის კაპიტანი. 1938–39 მსახურობდა შავი ზღვის ფლოტში წყალქვეშა ნავის შტურმანად. II მსოფლიო ომის დროს (1939–45) იბრძოდა ოდესის, სევასტოპოლის, კავკასიისა და საბჭოთა იმიერპოლარეთის დასაცავად. მეთაურობდა წყალქვეშა ნავებს, მ. შ. ,,საბჭოთა სვანეთს'' (,,ს-17''). 0-ის მეთაურობით მოწინააღმდეგის 18 გემი ჩაიძირა. ომის შემდეგ მსახურობდა სამხ.-საზღვაო ფლოტში სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობაზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები, ასევე სახელობითი დაშნა. 0-ს ეკუთვნის სამეცნ. შრომები სამხ.-საზღვაო ხელოვნების ისტორიაში, აგრეთვე მხატვრული ნაწარმოებები.

თხზ.: საბედისწერო ნაღმი, თბ., 1971; ორთაბრძოლა წყალქვეშ, თბ., 1972; Записки подводника, М., 1954; Мурманск, 1962; Огонь в океане, М., 1959; Тб., 1975.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

ოსელიანი მიხეილ სტეფანეს ძე (15. XI. 1926, სოფ. მულახი, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 22. XII. 1992, თბილისი), გეოლოგი და გეოფიზიკოსი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1990). 1950 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1954–92 მუშაობდა გეოფიზიკის ინ-ტში (1971–92 – სეისმოძიების განყ-ბის გამგე). 0-ის ძირითადი შრომები ეხება დედამიწის ქერქისა და ლითოსფეროს სიღრმული აგებულების შესწავლას, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოფიზ. მეთოდებით კვლევას (სეისმოძიება, მაგნიტომეტრია), საინჟ. გეოლ. ამოცანების გადაწყვეტას. მან პირველმა გამოთქვა მოსაზრება კახეთის ტერიტორიის სამხრ. ნაწილისა და კოლხეთის დაბლობის ზოგიერთი პერიფერიული უბნის ნავთობგაზიანობის პერსპექტიულობის შესახებ.

თხზ.: Строение осадочного комплекса и кристаллического фундамента территории Грузии по геофизическим данным, Тб., 1969; Глубинное геологическое строение межгорной депрессии Восточной Грузии по сейсмическим данным, Тб., 1973 (თანაავტ.); Строение литосферы территории Грузии по сейсмическим данным, Тб., 1989 (თანაავტ.).

იოსელიანი ნანა მიხეილის ასული (დ. 12. II. 1962, თბილისი), სპორტსმენი, მოჭადრაკე. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1989), საერთაშ. დიდოსტატი (1979), სპორტის ოსტატი (1976), საერთაშ. ოსტატი (1978). დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1983). თბილისის ჩემპიონი (1975), სსრ კავშირის ჩემპიონი ქალთა შორის (1981, 1982, 1986, 1987), ევროპის ორგზის ჩემპიონი გოგონათა შორის (1978, 1979). მონაწილეობდა ქალთა მსოფლიო პირველობის შემდეგ ციკლებში: 1978–81 – საზონათაშორისო ტურნირი, რიო-დე-ჟანეირო (1979, I ადგილი); პრეტენდენტთა მატჩები (8 მონაწილე): ჟ. ვერეცთან (6:3); ნ. გაფრინდაშვილთან (7:7); ნ. ალექსანდრიასთან (2,5: 6,5). პრეტენდენტთა მატჩები (1981–84): ლიუ-შილანთან (6:3); ლ. სემიონოვასთან (4,5:5,5). 1986–88 საზონათაშორისო ტურნირი: ტუზლა (1987; I ადგილი); პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი, წყალტუბო (1988; I–II ადგილი). დამატებითი მატჩი ე. ახმილოვსკაიასთან (3:2). მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისთვის, თელავი (1988): მ. ჩიბურდანიძესთან (7,5:8,5). 1989–91 პრეტენდენტთა ტურნირი, ბორჯომი (1990; III–IV ადგილი). 1991–93 საზონათშორისო ტურნირი: სუბოტიცა (1991; III–IV ადგილი). პრეტენდენტთა ტურნირი: შანჰაი (1992; II–III ადგილი); მატჩი პრეტენდენტის საგზურისათვის: მონტე-კარლო (1993), ჟ. პოლგართან 4:4 (1:1, 1:1), კენჭისყრით გაიმარჯვა 0-მა. მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისთვის: მონტე-კარლო (1993), სე ცზიუნთან (2,5:8,5). 1993–95 პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი: ტილბურგი (1994; VII–VIII ადგილი).

0. 5-ჯერ გახდა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებული: 1980 და 1982 – სსრ კავშირის, ხოლო 1992, 1994, 1996 – საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში; არის მეორე (2000) და მესამე (1998) პრიზიორი, ასევე ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში (პულა, 1997).

დაჯილდოებულია ღირსებისა (1994) და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენებით (2001).

დ. გურგენიძე.



ნ. მ. იოსელიანი.



ნ. პ. იოსელიანი.

იოსელიანი ნიკოლოზ (ჯვებე) პავლეს ძე [1(13). VIII. 1894, სოფ. კვათანა, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 9. III. 1928, თბილისი], ზოოტექნიკოსი. ზოოტექ. მეცნიერების, გენეტ. განათლებისა და კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. 1921 დაამთავრა ბონის (გერმანია) აგრონ. აკადემია. 1923 ჰალეში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და დაბრუნდა საქართველოში. 0. სათავეში ჩაუდგა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტის შინაურ ცხოველთა მომშენებლობისა და გენეტიკის კათედრას. დაამუშავა საქართველოში აგრონ. განათლების მეთოდიკის საკითხები. ფართო ექსპერ. მუშაობა გაშალა მუხრანის სასწ. მეურნეობაში (ცხოველთა ადგილ. ჯიშების გენოფონდის შესწავლა, ზოგიერთი შემოყვანილი ჯიშის აკლიმატიზაციისა და ადგილ. ჯიშებთან შეჯვარების საკითხები, ცხოველთა წარმოშობა და ჯიშური დიაგნოსტიკა).

თხზ.: ქართული Brachyceros-ების კრანიოლოგიური გამოკვლევა, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1926, ტ. 3; მასალები თუშური ცხვრის ფენოანალიზისათვის, «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1928, ტ. 8.

გ. ჯორჯიკია.



ო. გ. იოსელიანი.



ო. დ. იოსელიანი.



ო. შ. იოსელიანი.

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ოთარ გრიგოლის ძე (27.VII.1938, თბილისი, – 12. V. 2009, იქვე), მეტალურგი. 1960 დაამთავრა სპი-ის მეტალურგიის ფაკ-ტი შავი ლითონების მეტალ. სპეციალობით, ხოლო 1965 – ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის ფიზიკის ფაკ-ტი მყარი ტანის ფიზ. სპეციალობით. 1961–68 მუშაობდა რუსთავის მეტალ. ქ-ნაში მეფოლადედ, 1968–76 სპი-ის ლითონმცოდნეობისა და ლითონთა ტექნოლ. კათედრაზეა. 1976–80 მივლინებული იყო ალჟირის სახალხო-დემოკრ. რესპუბლიკაში მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სასწ. ინ-ტში ლექციების წასაკითხად. 1981-იდან საქართვ. ტექ. უნ-ტის ლითონმცოდნეობისა და ლითონთა ტექნოლ. კათედრაზეა. 1975–90 წლებში შესრულებული ნაშრომებისათვის ეკონომიურად ლეგირებული ფოლადებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება-დანერგვა საწარმოო ციკლში – ,,ფოლადი – მზა პროდუქცია'' (ავტორთა ჯგუფთან ერთად) მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1993).

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ოთარ დავითის ძე (დ. 2. II. 1934, თბილისი), კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1979). საქართვ. სახ. არტისტი (1984), შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1998).1952 დაამთავრა თბილ. მუსიკალური სასწავლებელი. 1953–55 სწავლობდა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტზე. 1965 დაამთავრა მოსკ. საკავშ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა (ა. დოვჟენკოსა და მ. ჭიაურელის სახელოსნო). 1956-იდან სწავლის პარალელურად მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' რეჟისორის ასისტენტად, 1956–59 – მემონტაჟედ, 1959–61 – დოკუმენტური ფილმების რეჟისორად, ხოლო 1961-იდან იყო სტუდიის რეჟისორი და სცენარისტი.

Ი-ის პირველივე დოკუმენტურ მინიატიურაში ,,საპოვნელა'' (1959) პოეტურად გაჟღერდა ბუნებისა და ცივილიზაციის კონფლიქტის თემა. კინონოველა ,,აპრილში'' (1961) Ი. შეეხო ჭეშმარიტი და მოჩვენებითი ღირებულებების პრობლემას; ცხოვრებისეული სინამდვილის ძიებაში რამდენიმე თვე რუსთავის მეტალ. ქარხანაში იმუშავა და გადაიღო დოკუმენტური ფილმი ,,თუჯი'' (1964). სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმებში ,,გიორგობისთვე'' [1966, ჟორჟ სადულის პრიზი, FIPRESCI-ს პრიზი – კანის საერთაშ. კინოფესტივალის (სკფ), 1968], ,,იყო შაშვი მგალობელი'' (1970, პრიზი წლის საუკეთესო უცხოური ფილმისთვის, იტალია, 1972) და ,,პასტორალი'' (1976, FIPRESCI-ს პრიზი – ბერლინის სკფ, 1982) გამოიკვეთა მისი კინოპოეტიკის თავისებურებები – დოკუმენტურად ასახული სინამდვილისა და პირობითობის სინთეზი, ნოველური სტრუქტურა, ტიპაჟურობის პრინციპით მსახიობთა შერჩევა; გამოვლინდა ადამიანურ ურთიერთობათა რღვევით, ტრადიციების, ადამიანსა და სამყაროს შორის ჰარმონიის თანდათანობითი მოშლით, მომხმარებლური სულისკვეთების დამკვიდრებით გამოწვეული ავტორისეული განცდა.

XX ს. 80-იანი წლების დასაწყისიდან Ი. ცხოვრობს და მოღვაწეობს საფრანგეთში, სადაც გადაიღო ფილმები: ,,ეუსკადი-1982'' (დოკ., 1983), ,,მთვარის ფავორიტები'' (1984, ჟიურის დიდი სპეციალური პრიზი, OCIC-ის პრიზი – ვენეციის სკფ; CICAE-ს პრემია – ბერლინის სკფ, ყველა – 1985), ,,პატარა მონასტერი ტოსკანაში'' (დოკ., 1988 – SCAM-ის პრიზი წლის საუკეთესო ფრანგ. დოკუმენტური ფილმისთვის, 1988), ,,და იქმნა ნათელი'' (1989, ჟიურის დიდი სპეც. პრიზი – ვენეციის სკფ, 1989); ,,პეპლებზე ნადირობა'' (1992, იტალიელ კინოკრიტიკოსთა სპეც. პრიზი – ვენეციის სკფ; CICAE-ს პრემია; ბერლინის ხელოვნ. აკადემიის პრემია 1992 წლის საუკეთესო კინონაწარმოებისთვის: იტალიის კულტ. სამინისტროს კომისიის პრემია; მოსკოველ კინოკრიტიკოსთა პრიზი 1992 წლის საუკეთესო უცხოური ფილმისთვის; ა. ტარკოვსკის ფონდის პრემია, მოსკოვის XVIII სკფ; ყველა – 1993), ,,ყაჩაღები. თავი VII'' (1996, ჟიურის დიდი პრიზი რეჟისურისთვის – ვენეციის სკფ, 1996; რუსეთის კინოაკადემიის პრემია ,,ნიკა'' საუკეთესო რეჟისურისთვის, 1997); ,,მშვიდობით, ხმელეთო!'' (1999, ლუი დელიუკის პრიზი წლის საუკეთესო ფრანგ. ფილმისთვის; პრიზი ,,ოქროს ვერძი'' საუკეთესო უცხოური ფილმისთვის – მოსკოვის სკფ; FIPRESCI-ს პრიზი – კანის სკფ; ყველა – 2000), ,,ორშაბათის დილა'' (2002, ,,ვერცხლის დათვი'' საუკეთესო რეჟისურისთვის, FIPRESCI-ს პრიზი – ბერლინის სკფ, 2002); ,,ბაღები შემოდგომით'' (2006, ჟიურის სპეც. პრიზი – მარ-დელ-პლატას სკფ, 2007); ,,შანტრაპა'' (2010, ვიგოს სახ. პრემია – კანის სკფ, 2010); ,,ზამთრის სიმღერა'' (2015, ჟიურის სპეც. პრიზი – ლისაბონის სკფ, 2016). პარიზში, ვენეციაში, ბასკეთის, ტოსკანის, პროვანსისა თუ აფრიკის სოფლებში გადაღებული ეს ფილმები საქართველოში დაწყებული თემების ვარიაციებია, რ-შიც რეჟისორი თანამედროვე სამყაროს გამოწვევების მიმართ თავის ეჭვსა და ირონიას გამოხატავს. Ი-მა შექმნა საკუთარი სტილი და საკუთარი სამყარო, მისი ფილმები ერთი უწყვეტი, დაუსრულებელი ამბავია, ,,ადამიანთა კომედიად'' გააზრებული დიდი ტილო, რ-ის სივრცეშიც ყოველი ახალი ფილმი ,,ცხოვრების პიესის'' მომდევნო აქტის ადგილს იკავებს.

Ი. არის ევროპის კინოაკადემიის წევრი, საქართვ. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. დაჯილდებულია პროფესიული პრემიებით: ,,ტრიუმფი'' (მოსკოვი, 1993), CineMerit (მიუნხენი, 2011). ავტორია წიგნისა „ლუი. კადრირება'' (2009, თბ., გამომც. „კენტავრი''). სხვა ფილმები: საქართველოში – ,,აკვარელი'' (მოკლემეტრაჟიანი, 1958); ,,ძველი ქართული სიმღერა'' (დოკ., 1969); საფრანგეთში – ,,შვიდი პიესა შავთეთრი კინოსთვის'' (დოკ., 1982); ,,მარტოდმარტო, საქართველო'' (დოკ., 1994).

თხზ.: ტექსტი, მსახიობი, კრ.: კინოხელოვნების პრობლემები, თბ., 1992; «Жил певчий дрозд». Проект киносценария, «Киносценарий», 2003, №2–3.

ლიტ.: ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი ნ., ოთარ იოსელიანი, თბ., 2003; ბ რ ა შ ი ნ ს კ ი მ., უცხო კაცის სიბრძნის თვალი, «საბჭოთა ხელოვნება», 1987, №10; თ ვ ა ლ ჭ რ ე ლ ი ძ ე ტ., ოთარ იოსელიანი, კრ.: სიმართლე ეკრანზე, თბ., 1981; კ უ ჭ უ ხ ი ძ ე ი., ოთარ იოსელიანი, კრ.: ქართველი კინორეჟისორები, თბ., 2005–06; П л а х о в А., Enfant terrible уходящей природы, კრ.: Всего 33, Винница, 1999; Т и к а н а д з е Р., Грузинское кино... проблемы, искания, Тб., 1978; Ф о м и н В., Пересечение параллельных, М., 1976; Ц е р е т е л и К., Трилогия Отара Иоселиани, კრ.: Кинопанорама, М., 1981.

მ. კერესელიძე.

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ოტია შალვას ძე (16. VI. 1930, სოფ. გვიშტიბი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 14. VII. 2011, იქვე), მწერალი. 1961 დაამთავრა სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული უმაღლესი ლიტ. კურსები. ნაწარ-

მოებებს აქვეყნებდა 1954-იდან. მოთხრობების პირველი კრებ. ,,კარის მეზობლები'' გამოსცა 1957, საბავშვო წიგნი ,,უთაური ბიჭის თავგადასავალი'' – 1960. Ო. ნაყოფიერად მუშაობდა როგორც ნოველისტიკაში, ისე რომანისა და საბავშვო მწერლობის ჟანრში. რომანებში ,,ვარსკვლავთცვენა'', (1962); ,,ტყვეთა ტყვე'', ,,შავი და ცისფერი მდინარე'' (ორივე 1975) მთავარია ომის თემა. ზნეობრივ-ეთიკური პრობლემატიკაა წინ წამოწეული რომანში ,,იყო ერთი ქალი'' (1970). საბავშვო მოთხრობების კრებულებია: ,,ცხრა მთას იქით'' (1969); ,,დაჩის ზღაპრები'', ,,ცაგამთენია'' (ორივე 1973) და სხვ.

Ო. ნოველებით მოვიდა ქართ. მწერლობაში. მათში თავმოყრილი იყო ყველა ის საინტერესო თემა და მოტივი, რაც შემდეგ რომანებსა და პიესებში სხვადასხვა კუთხით გაიშალა. მის შემოქმედებას იმთავითვე თან ახლდა თავისთავადობა, ორიგინ. ხელწერა, იგრძნობოდა საკუთარი ხედვა საგნებისა და მოვლენების მიმართ. მწერალი ცდილობდა ადამიანის სულში გამართული სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილის დახატვას, პატივით ეკიდებოდა პოეტურის წარმოჩენას ადამიანთა ყოფით ცხოვრებაში, კარგად გრძნობდა ადამიანის ფსიქოლოგიას, რ-იც თითქმის წამყვანი ნიშან-თვისებაა Ო-ის მხატვრული აზროვნებისათვის. მწერალი კარგად იცნობდა სოფელს, მის ხასიათს, ავსა და კარგს, ყოველ ნიუანსს. მან შეძლო სოფლური ყოფის სხვათაგან შეუმჩნეველი ფერების დანახვა და მკითხველამდე მიტანა.

Ო. წერდა პიესებსა და კინოსცენარებს. მისი პიესებიდან რამდენიმე (,,ადამიანი იბადება ერთხელ'', ,,როცა სიყვარული მოვა'', ,,სანამ ურემი გადაბრუნდება'', ,,ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი'') დაიდგა საქართველოსა და საზღვარგარეთის თეატრების სცენებზე. ავტორია კინოსცენარებისა: ,,ჩქარი მატარებელი'', ,,მალე გაზაფხული მოვა'', ,,თეთრი ქალიშვილი'', ,,ჩემი ქალაქის ვარსკვლავი'' და სხვ. Ო-ის ცალკეული თხზულებანი თარგმნილია უცხო ენებზე.

ანდერძის თანახმად, დაკრძალულია სოფ. გვიშტიბში, საკუთარი სახლის ეზოში.

თხზ.: სამი რომანი, თბ., 1972; პიესები, თბ., 1973; ნოველები, თბ., 1974; ექვსტომეული, თბ., 2011 (სერია ,,ჩემი რჩეული'').

ლიტ.: ღ ვ ი ნ ჯ ი ღ ი ა ჯ., წერილები კლასიკურ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1990.

ᲝᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ პლატონ ეგნატეს ძე [15(27). XI. 1809, თბილისი, – 15(27). XI. 1875, იქვე], ისტორიკოსი, თეოლოგ-ფილოსოფოსი. 1835 დაამთავრა პეტერბურგის სას. აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. მუშაობდა თბილ. სას. სემინარიაში ფილოს. და ფიზ. მასწავლებლად. 1845–56 რედაქტორობდა გაზ. «ზაკავკაზსკი ვესტნიკს», რ-იც თბილისში გამოდიოდა. 1849 იმოგზაურა საბერძნეთში, მოინახულა ათონის ივერთა მონასტერი, შეისწავლა ქართ. კულტ. ძეგლები. Ო. იყო ათენის არქეოლ. საზ-ბის ნამდვილი წევრი. თანამშრომლობდა და კორესპონდენციებს გზავნიდა რუს. მეცნ. აკადემიაში. დაკავშირებული იყო აკად. მ. ბროსესთან. 1860–75 გამოქვეყნებული აქვს ქართველოლოგიის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ათეულობით ნაშრომი.

მსოფლმხედველობით Ო. იდეალისტი იყო. მისი აზრით, ისტ. პროცესს წარმართავდა უზენაესი განგება. კაცობრიობის ისტორიას იგი 3 დიდ პერიოდად ყოფდა: გვაროვნულ, ანუ პირველყოფილ-თემურ, ფეოდ. და კაპიტალისტურ წყობილებებად. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართვ. ქალაქების ისტორიის შესწავლას, მათი წარმოშობის პრობლემებს. Ო-ს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძვ. ქართ. ლიტ-რის ძეგლების შესწავლასა და გამოცემაში. გამოსცა რამდენიმე ლიტ. და ისტ.-სამეცნ. ნაშრომი: ჩახრუხაძის ,,თამარიანი'' (1838), იოანე შავთელის ,,აბდულმესიანი'' (1838), იოსებ თბილელის ,,დიდმოურავიანი'' (1851), ტიმოთე გაბაშვილის ,,მიმოსლვა'' (1852), ანტონ I-ის ,,წყობილსიტყვაობა'' (1853), არჩილ II-ის ,,თეიმურაზიანი'' (1853); 1850 Ო-ის წინასიტყვაობით გამოვიდა გ. ერისთავის ,,გაყრა''. ,,*მამების*'' და ,,*შვილების*'' *ბრძოლის* დროს Ო. ,,მამათა'' ბანაკს ემხრობოდა. ძვ. თაობის წინააღმდეგ მიმართულ ,,გამოცანებში'' (1871) ი. ჭავჭავაძემ სხვა მოღვაწეთა შორის Ო-იც გაკენწლა.

ისტ. საკითხების გაშუქებისას Ო. მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ფოლკლორულ მასალას, კრებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. იგი ქართ. გამოცანების პირველ ჩამწერად ითვლება. შეადგინა კრებულები: ,,გამოცანანი ქართულნი'' (1835) და ,,ანდაზები და გამოცანები'' (1839).

Ო. ანტონ I-ის ლიტ. სკოლისა და მისი ენობრივი პოზიციის მიმდევარი იყო, რაც გამოვლინდა მის თხზულებაში ,,პირუელ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა'' (1840). გრამატ. პირველი ვარიანტი შეიქმნა 1831 და მოიცავდა ორ ნაწილს – სინტაქსსა და ორთოგრაფიას. Ო-ის აზრით, მოქმედ სახელმძღვანელოს სწორედ ეს ორი ნაწილი აკლდა. ამავე წელს თბილ. სას. სემინარიის მმართველობას განუხილავს ეს ნაშრომი და სათანადო რეცენზირების შემდეგ შესაძლებლად მიუჩნევია მისი სასწ. სახელმძღვანელოდ დაშვება. მოგვიანებით (1832 წ. 24 ოქტ.) სემინარიის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა საქართვ. ეგზარქოსის წინაშე Ო-ის გრამატიკის სრულყოფილი რუს.-ქართ. ვარიანტის დაბეჭდვის შესახებ. 1836 საქართვ. ეგზარქოსმა *ევგენიმ* Ო-ს დაავალა ქართ. გრამატიკის შედგენა (რუს. თარგმანითურთ). 1837 წ. 29 აპრილს Ო-მა წარუდგინა პატაკი სას. სემინარიის გამგეობას ამ დავალების შესრულების შესახებ. სემინარიამ ხელნაწერი გადაუგზავნა ეგზარქოსს, რ-მაც ნაშრომის დაბეჭდვა ორი წლით შეაყოვნა. 1840 Ო-მა მიიღო აკად. წ.-კორ-ის დიპლომი. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ იმოქმედა გრამატიკის დაბეჭდვის საქმეზე და რეცენზირების შემდეგ (რეცენზენტი აკად. მ. ბროსე) დაიბეჭდა მხოლოდ ქართ. ნაწილი. რუს. ნაწილი ამ გრამატიკისა საერთოდ არ დაბეჭდილა. Ო-ის გრამატიკა ეფუძნება ანტონ I-ისა და გაიოზ რექტორის ნააზრევს, მაგრამ შეინიშნება სიახლეებიც. Ო. პირველი ქართვ. გრამატიკოსია, რ-მაც ბრუნვათა რიგიდან განდევნა წრფელობითი (შეცვალა სახელობითით), შემასმენლობითი და დაწყებითი, რითაც იმ დროისათვის უკეთ გადმოგვცა ქართ. ენის ბრუნვათა წყება. შეიძლება ითქვას, რომ Ო. არის ქართ. ენის ფონეტ. მოვლენების მეცნ. შესწავლის ერთ-ერთი პიონერი.




პ. იოსელიანი.

თხზ.: ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, ა. გაწერელიას რედ., თბ., 1978; Краткая история грузинской церкви, 2 изд., СПб, 1843; Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей-магометан (XIII–XVIII вв.), Тфл., 1849; Города существовавшие и существующие в Грузии, Тфл., 1850; Описание города Душети, Тифлисской губернии, Тфл., 1860;

Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, Тфл., 1871.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში, «საქართვ. მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე», 1963, №5; მ ი ს ი ვ ე, პლატონ იოსელიანი და იბერიის (ქართლის) ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, I, თბ., 1995; შ ა რ ა ძ ე გ., პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი, თბ., 1980; Барамидзе А. А., Ватейшвили Д. Л., П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности, Тб., 1978.

ა. ბარამიძე. გ. ცოცანიძე.



მ. იოფე.

იოსელიანი ჯაბა კონსტანტინეს ძე (10. VII. 1926, ხაშური, – 4. III. 2003, თბილისი), პოლიტიკოსი, მწერალი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1982). ახალგაზრდობაში წლების განმავლობაში იხდიდა სასჯელს სხვადასხვა დანაშაულისათვის. შემდეგ, 1973 დაამთავრა საქართველოს თეატრ. ინ-ტის თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი. 1973–75 მუშაობდა კინოსა და თეატრის ხელოვნების მუზეუმში, 1975–89 – თეატრ. ინ-ტში სწავლულ მდივნად, შემდგომ თეატრისა და კინოს სექტორის უფროსის მოადგილედ სამეცნ. დარგში.

1989 დააარსა არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფება ,,მხედრიონი'', რ-იც 1991 თებერვალში ზ. *გამსახურდიამ* უკანონოდ გამოაცხადა, ხოლო ი. ,,მხედრიონის'' წევრებთან ერთად დააპატიმრეს. 1991 დეკემბერში ი-მა ციხიდან გაქცევა მოახერხა და საქართვ. ეროვნ. გვარდიის განდგომილ წევრებს შეუერთდა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული მოქმედების მიზნით.

1992–93 ხელმძღვანელობდა ,,მხედრიონს'' ე. წ. აფხაზეთის ომში. 1993–94 ი. იყო ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მოლაპარაკებების საქართვ. დელეგაციის ხელმძღვანელი ჟენევაში, 1989–95 – მაშველთა კორპუსის (ყოფილი ,,მხედრიონი'') სატპატიო თავ-რე, 1993–94 – საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის თავ-რე, 1992–95 – საქართვ. პარლამენტის წევრი. 1995–99 იხდიდა სასჯელს საქართვ. პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორ. აქტში მონაწილეობის ბრალდებით.

არის პიესებისა და რომანების (,,სამი განზომილება'' 1999, ,,ლიმონათის ქვეყანა'', 2001) ავტორი. გამოქვეყნებულია მისი ესეები და მონოგრაფიები, სამეცნ. და ლიტ.-კრიტიკული წერილები.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1993).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

იოფე მიხეილ სიმონის ძე (დ. 21. XI. 1925, ხარკოვი, უკრაინა), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1983). თეატრ. ინ-ტის დამთავრების შემდეგ მიიწვიეს ხარკოვის ტ. შევჩენკოს სახ. თეატრში. 1966-იდან, 30 წლის განმავლობაში, იყო თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. რუს. თეატრის წამყვანი მსახიობი. ი. არის ფართო დიაპაზონის მსახიობი, გარდასახვის დიდოსტატი. მისი სამსახიობო ტექნიკა გამოირჩევა შესრულების რეალისტური მანერით. ი. საქართველოს



მ. იოფე. დვორეცკის ,,სადენები''.

მეორე სამშობლოდ თვლის. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ტისაფენი (გ. გორინის „ჰეროსტრატეს დავიწყება''), როდიონი (ა. არბუზოვის „ძველმოდური კომედია''), პოლიცმაისტერი (ა. სუხოვო-კობილინის „ტარელკინის სიკვდილი''), იუსოვი (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი''), ბარონი მიუნჰაუზენი (გ. გორინის „შემწვარი ბატის გაფრენა'') და სხვ.

გადაღებულია ქართ. ფილმებში: „მერცხლები და ბელურები'' (რეჟ. დ. ურუშაძე, 1991), „ომი ყველასათვის ომია'' (რეჟ. დ. აბაშიძე, 1990), „წარსული მუდამ ჩვენთანაა'' (რეჟ. გ. მგელაძე, 1989), ,,ორომტრიალი'' (რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1986) და სხვ. 1964–66 ი-მ ლუგანსკის საოლქო დრამატულ თეატრში დადგა ა. რანეტის ,,ძე ცდომილი'', დ. მედვედენკოს ,,ქვა გზაზე'' და სხვ.

ი. არის საქართვ. თეატრ. საზ-ბის პირველი პრემიის ლაურეატი.

იოხელესი ალექსანდრე ლევის ძე (27. II. 1912, მოსკოვი,– 19.VI.1978, იქვე), პიანისტი და პედაგოგი. 1932 დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია (პედაგოგი – კ. იგუმნოვი). მუსიკოს-შემსრულებელთა I საკავშ. კონკურსის ლაურეატი (1933, II პრემია). იყო მოსკოვისა (1935–42) და თბილისის (1946–52) კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი (1952). თბილ. კონსერვატორიაში აღზარდა მრავალი პიანისტი, მ.შ. მ. ჭავჭანიძე, ც. კარგარეთელი, ვ. თუმანიშვილი, ლ. შინჯიაშვილი, ლ. სანიკიძე, ი. ბახტაძე, ე. დვალი, ო. მელიქ-ფარსადანოვა და სხვ. ი-მა პირველმა შეასრულა ო. თაქთაქიშვილის, ო. გორდელის და სხვათა საფორტეპიანო კონცერტები. 1952-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო მოსკოვის გნესინების სახ. პედ. ინ-ტის პედაგოგი, 1965–73 – საფორტეპიანო კათედრის გამგე. 1943–58 უკრავდა კამერულ ტრიოში მ. ზატულოვსკაიასთან (ვიოლინო) და პ. ცაომიკთან (ჩელო) ერთად. *გ. ტორაძე.*

იოჰანი (XV ს.), სოლმის (გერმანია) გრაფი. იგი გვაწვდის ცნობებს (1483) ქართველების შესახებ: ,,არის კიდევ ერთი ხალხი, იერუსალიმიდან შორს მცხოვრები, რომლის სამეფოც კასპიის მთებამდე გადაჭიმულა. ეს მამაცი და მძლავრი მოდგმაა... მათ GEORGIAN-ებს, ქართველებს უწოდებენ წმ. გიორგის სახელის მიხედვით, რ-იც მფარველად აურჩევიათ. ბევრი მათგანი ცხოვრობს იერუსალიმში და ფლობს მრავალ წმინდა ადგილს, კერძოდ გოლგოთას მთას და ნაპრალს, სადაც ჯვარი იდგა. აქ მათ საკურთხეველი უდგათ და ერთი მათგანი ყოველთვის იქ არის ჩაკეტილი, რათა ეს ადგილი დაიცვას. ისინი (ქართველები) გაშლილი დროშებით მიემართებიან იერუსალიმში და უკანვე ბრუნდებიან, ხარკს არავის უხდიან. სარკინოზები ვერ უბედავენ ხელყოფას, რადგან შიშობენ, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ქართველები შურს იძიებენ მათ მეზობელ სარკინოზებზე. ომში საქართველოს წარჩინებული ქალებიც მონაწილეობენ, რომლებიც ამორძალებივით ხმარობენ იარაღს''.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004. *ა. თვარაძე.*

იპოდრომი (ბერძნ. hippodromos <hippos – ცხენი და dromos – სარბიელი, რბოლა), ცხენთსარბიელი, საგანგებოდ მოწყობილი ადგილი დოღსა და რბოლაში ცხენების გამოსაცდელად, ცხენოსნობაში შე-



თბილისის იპოდრომი. 1959.

ჯიბრებების ჩასატარებლად. აქვს სხვადასხვა სიგრძის ოვალური თიხნარი ბილიკები. ჩორთმავალი ცხენებისთვის განკუთვნილი ბილიკის სიგრძეა არანაკლებ 800 *მ*, სიგანე – არანაკლებ 15 *მ*, ფინიშის სწორი – 250 *მ* და მეტი. საჯდომი ცხენების საჭენებელი წრე იმავე სიგანისაა, საერთო სიგრძე – არანაკლებ 1600 *მ*, ფინიშის სწორი – არანაკლებ 400 *მ*. მოსახვევებში არის 10–12° ვირაჟები. ბილიკის შიგნითა კიდეში ჩადგმული ბოძებით აღინიშნება სტარტისა და ფინიშის ადგილები, დისტანციის ცალკეული მონაკვეთები. ი-ის შიდა მოედანს იყენებენ სტიპლ-ჩეიზის ტრასის მოსაწყობად და სხვადასხვა საცხენოსნო სპორტული თამაშობისთვის. ფინიშის მონაკვეთის გასწვრივ განლაგებულია მაყურებელთა ტრიბუნა, ფინიშის ბოძთან – სამსაჯო კოშკი. ი-ის ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს განთავსებულია თავლა, ვეტერინარული ლაზარეთი, კარანტინი და სხვა სამეურნ. სამსახურები.

ი-ებს საბერძნეთსა და რომში უძველესი დროიდან აგებდნენ. აპოლონიოს როდოსელის ,,არგონავტიკის'' მიხედვით, ძველ კოლხეთში, არესის ველზე, ვრცელი ი. იყო გადაშლილი, სადაც კოლხები გმირების მოსაგონებლად მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ. ი-ის შესახებ ცნობებს გვაწვდიან პროკოფი კესარიელი და იოანე შავთელი. საქართვ. მრავალ სოფელში გამოყოფილი იყო საგანგებო საცხენოსნო ადგილები. შუა საუკუნეების თბილისის მთავარი ცხენთსარბიელი მდებარეობდა გარეთუბანში, მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე. XIX ს. 40-იან წლებში გაიხსნა დიდუბის ი. აქ ასპარეზობდნენ ცნობილი ქართველი მხედრები: ა. ხაინდრავა, გ. ქიქავა, ა. სურმავა, კ. ყოჩიაშვილი და სხვ. 50-იან წლებში საცხენოსნო შეჯიბრებები ტარდებოდა ვაკის ველზე (ვაკის პარკისა და ლოკომოტივის სტადიონის ტერიტორია). თბილისის ი. გაიხსნა 1959, მდებარეობდა საბურთალოს რ-ნის (დელისი) შუაგულში, ტყეპარკიანად ეკავა 50 ჰა ტერიტორია. ჰქონდა საწვრთნელი და საშეჯიბრო 4 წრე (1800, 1600, 1300, 1000 *მ*), შუა ნაწილს იყენებდნენ ცხენოსნობის ეროვნ. და კლასიკურ სახეობებში შეჯიბრებების ჩასატარებლად. იქვე მოწყობილი იყო ,,სტიპლ-ჩეიზის'' ტრასა. ჰქონდა ტრიბუნები 12000 მაყურებლისათვის, სამსაჯო ჯიხური, ღია და დახურული მანეჟი, 11 თავლა. ი-ის ტერიტორიაზე განლაგებული იყო საქართვ. სპორტკომიტეტის ცენტრ. საცხენოსნო ბაზა, საქართვ. განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საცხენოსნო სპორტ. სკოლა, სპორტ. საზ-ბა ,,დინამოს'' თანამედროვე ხუთჭიდის ცხენოსნობის განყ-ბა. ი-ზე ცხენთგამოცდა (დოღები, რბოლა) ხდებოდა მაის-ივნისში, ტარდებოდა შეჯიბრებები ცხენოსნობის ეროვნ. და კლასიკურ სახეობებში, თანამედროვე ხუთჭიდში. ი-ზე მოქმედებდა ცხენების გამქირავებელი პუნქტი, გამაჯანსაღებელი ჯგუფები, ჰყავდათ თუშური ცხენები, რ-ებსაც საცხენოსნო ტურიზმშიც იყენებდნენ. ი-ზე და ბეთანიაში მუშაობდა საცხენოსნო ტურიზმის ბაზა ღამის გასათევად. ტერიტორიაზე განთავსებული იყო რესტორან ,,ისინდის'' შენობა (არქიტ. ი. კასრაძე). 2007 ი. გადაიტანეს ლისის ტბასთან, სადაც ფუნქციონირებს შპს ,,თბილისის იპოდრომი''.

იპოთეკა (ბერძნ. hypothēkē – დაგირავება, გირაო), უძრავი ქონების, უმთავრესად მიწისა და ნაგებობების დაგირავება, იპოთეკური სესხის მიღების მიზნით. იპოთეკური კრედიტი მოიხსენიება ძვ. წ. VI ს. ძვ. ბერძნ. დოკუმენტებში. ტერმინი გაჩნდა არქონტ სოლონის ბრძანების შედეგად, რითაც კრედიტორი ვალდებული იყო ვალის დაბრუნების უზრუნველსაყოფად გამოეყენებინა მიწის გირაო. ამ გარიგების დასტურად მსესხებლის მიწის ნაკვეთის საზღვარზე აღიმართებოდა ბოძი, რზეც დატანებული იყო მსესხებლის ყველა ვალი კრედიტორის მიმართ. ტერმინი „იპოთეკა'' მოიცავს სამ ძირითად ცნებას: სამართალურთიერთობას, ფასიან ქაღალდსა და იპოთეკურ სესხს. სამართალურთიერთობაში იგულისხმება უძრავი ქონების გირაო იპოთეკური სესხის მიღების მიზნით და ითვალისწინებს გირაოში ჩადებული უძრავი ქონების დატოვებას მის მფლობელთან. გირაო სამოქალაქო სამართალში არის ვალდებულების უზრუნველყოფის ერთერთი ხერხი. იგი რეგისტრირებული უნდა იყოს სავალდებულო წესით. მსესხებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა კმაყოფილდება რეალიზებული ქონებიდან მიღებული ამონაგებით ან დაგირავებული ქონების საკუთრებაში გადაცემით კრედიტორზე. ი. როგორც ფასიანი ქაღალდი, გულისხმობს „იპოთეკის მოწმობას'', „გირავნობის ფურცელს'' – სავალო დოკუმენტს, რ-იც ადასტურებს მოგირავნის უფლებას უძრავ ქონებაზე. იგი უფლებას აძლევს მის მფლობელს, მიიღოს ანაზღაურება ი-ის ხელშეკრულებაში აღნიშნული უძრავი ქონების ი-ით უზრუნველყოფილ ფულად ვალდებულებაზე. ი-ის მოწმობა, ჩვეულებრივ, თავისუფლად მიმოქცევადია ბაზარზე. ი. როგორც იპოთეკური სესხი, გაიცემა კრედიტორის მიერ მსესხებელზე უძრავი ქონების გირაოთი ან უძრავი ქონების შესაძენად. ამასთან, კრედიტორი წარმოადგენს მოგირავნეს, რ-საც სხვა კრედიტორებთან შედარებით გააჩნია უპირატესი უფლება, დაიკმაყოფილოს მსესხებლის მიმართ არსებული ფულადი მოთხოვნები დამგირავებლის ნივთის – ი-ის რეალიზაციის გზით. ი-ის ნივთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთი, საწარმო, შენობა, ნაგებობა, საცხოვრ. სახლი, ბინა, აგარაკი და სხვ.

მსოფლიოში ჩამოყალიბდა იპოთეკური დაკრედიტების ორი ძირითადი მოდელი: ერთდონიანი (გერმ. მოდელი) და ორდონიანი (ამერ. მოდელი). იპოთეკური და-

კრედიტების ერთდონიანი მოდელის თანახმად, საკრედიტო ურთიერთობები მყარდება კრედიტორსა და მსესხებელს შორის. ეს მოდელი გულისხმობს საკრედიტო და იპოთეკური ხელშეკრულებების დადებას კრედიტორსა და მსესხებელს შორის, გირაოს დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების დადებას მსესხებელსა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებას მსესხებელსა და უძრავი ქონების გამყიდველს შორის. კრედიტორი შეიძლება იყოს იპოთეკური ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება. კრედიტორს შეუძლია იპოთეკური კრედიტების რეფინანსირება ფასიანი ქაღალდების – იპოთეკური ფურცლების გამოშვების გზით, რითაც შესაძლო ხდება რისკების მინიმუმამდე შემცირება. იპოთეკური დაკრედიტების ორდონიანი მოდელის მიხედვით, გარდა კრედიტორისა და მსესხებლისა, იპოთეკური სესხის გაცემისას შუამავლის სტატუსით მონაწილეობს იპოთეკური სააგენტო ან საფინანსო ბაზრის მონაწილე – იპოთეკური საფინანსო-საინვესტიციო კომპანია. სახელშეკრულებო ურთიერთობების პირველ ეტაპზე იდება საკრედიტო და იპოთეკური ხელშეკრულებები კრედიტორსა და მსესხებელს შორის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება – მსესხებელსა და უძრავი ქონების გამყიდველს შორის. მეორე ეტაპზე, აღნიშნული მოდელის თანახმად, მონაწილეთა რაოდენობა იზრდება ძირითად მონაწილეთა რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. სადაზღვევო ორგანიზაციასთან იდება სამეწარმეო რისკისა და დაგირავებული უძრავი ქონების დაზღვევის ხელშეკრულება. მეორეულ იპოთეკურ ბაზარზე კრედიტორსა და იპოთეკურ სააგენტოს შორის იდება ხელშეკრულება იპოთეკურ კრედიტზე მოთხოვნების დათმობის შესახებ, ასევე ხელშეკრულება შეძენილი მოთხოვნების უფლების ნდობითი მართვის შესახებ. ეს კრედიტორს საშუალებას აძლევს სრულყოფილად გააკონტროლოს კრედიტორი, მიიღოს საკომისიო კრედიტის მომსახურებისათვის, ხოლო სააგენტოსაგან მიღებული სახსრებით გაზარდოს საკრედიტო ოპერაციების მოცულობა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ი. გულისხმობს კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოყენებული (დატვირთული) მსესხებლის უძრავი ნივთის გადაცემას კრედიტორის საკუთრებაში. ამის გარდა, კანონმდებლობა გამოყოფს საერთო და მესაკუთრის ი-ის სახეებს. საერთო ი. წარმოადგენს მოთხოვნას, რ-იც უზრუნველყოფილია რამდენიმე უძრავი ნივთით. მესაკუთრის ი-ის შემთხვევაში კი თუ მოთხოვნა არ წარმოშობილა, იგი გაქარწყლდება ან გადადის უძრავი ნივთის მესაკუთრეზე, შესაბამისად ი-ც გადადის ამ უკანასკნელზე. ი. იურიდ. ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ერთი უძრავი ნივთი შეიძლება რამდენჯერმე დაიტვირთოს ი-ით. ი-ის ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნით საჯარო რეესტრი გასცემს ი-ის მოწმობას. საერთო ი-ზე გაიცემა მხოლოდ ერთი მოწმობა. ი-ის მოწმობა არის ფასიანი ქაღალდი, რ-იც ადასტურებს მისი კანონიერი მფლობელის უფლებას, მოითხოვოს ი-ის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ი-ის საგნით. შესაძლებელია ი-ის მოწმობაში მოცემული უფლების დათმობა სხვა პირისათვის. ი-ის მოწმობა შეიძლება დაგირავდეს მისი მფლობელის ან სხვა ნებისმიერი პირის სასარგებლოდ ფასიანი ქაღალდების დაგირავებისთვის დადგენილი წესით. ი-ის მოწმობის გირავნობა რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. ი. და მის საფუძვლად არსებული მოთხოვნა ერთობლივად უნდა გადაეცეს სხვა პირს. მოთხოვნის გადაცემასთან ერთად ახ. კრედიტორზე გადადის ი-ც. თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რ-ის უზრუნველყოფის საშუალებაც არის ი., იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია. იმ შემთხვევაში, როდესაც ი-ით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის ი-ით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, მოთხოვნა დაუკმაყოფილებლად ითვლება.

ლიტ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997; Lederman J., The Handbook of Mortgage-Banking: Trends, Opportunities and Strategies, Chicago, 1993; Pinkowish Th. J., Residential Mortgage Lending: Principles & Practices, Cliftonpark (New Jersey), USA, 2011. *ლ. ელიავა.*

იპოთეკური ბანკი, სპეციალიზებული ბანკი, რომელიც გასცემს იპოთეკურ კრედიტს, ახორციელებს იპოთეკური ფასიანი ქაღალდების გადაყიდვას და ამ პროცესთან დაკავშირებულ მომსახურებას. ი. ბ. პირველად წარმოიშვა დას. ევროპაში XVIII ს. მიწურულს და განსაკუთრებული გავრცელება პოვა გერმანიაში. პირველი ამგვარი ბანკი შეიქმნა სილეზიაში 1770. ეს იყო სახელმწ. ი. ბ., რ-იც აფინანსებდა მსხვილ კომერციულ საწარმოებს. პირველი აქციონერული ი. ბ. კი შეიქმნა 1862 ქ. ფრანკფურტში.

ი. ბ. გასცემს გრძელვადიან კრედიტებს, რ-ებიც უზრუნველყოფილია იპოთეკური ჩანაწერებით ან იპოთეკური ვალებით მიწათმფლობელობაზე. აღნიშნული ბანკი საკრედიტო საქმიანობისათვის ფინანს. სახსრებს ღებულობს გირავნობის ფურცლების (mortgage bond) ემისიის გზით. გირავნობის ფურცელი წარმოადგენს მისი მფლობელისათვის მყარი პროცენტის მომტან ვალდებულებას, რ-იც უზრუნველყოფილია ბანკის მიერ გაცემული და იპოთეკით ან იპოთეკური ვალით გარანტირებული სესხებით. იპოთეკური სესხების ხანგრძლივი ვადა (20–30 წელი) განსაკუთრებით მოსახერხებელია დასაფინანსებლად იმ შემთხვევაში, როდესაც პროცენტისა და ძირი თანხის გადახდა შესაძლებელია მიმდინარე, როგორც წესი, დაბალი შემოსავლებიდან მცირე მოცულობის შენატანებით.

ი. ბ. გამოდის როგორც შუამავალი კაპიტალის დაბანდებასა და რეალურ კრედიტს შორის. გირავნობის ფურცლების მფლობელთა კაპიტალი უზრუნველყოფილია არა ერთი ობიექტით, არამედ ბანკის ყველა ობიექტის ერთობლიობით, რ-ებიც წარმოადგენენ მათი სესხების გარანტიას. ამ გზით ხდება რისკის გადანაწილება. კერძო პირისაგან განსხვავებით, რ-იც იძლევა სესხს ერთი ობიექტის უზრუნველყოფით, ბანკს აქვს საშუალება დააწესოს ძალიან დაბალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, ვინაიდან მრავალრიცხოვანი მსესხებლებიდან მიღებული სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახ. კრედიტების გასაცემად.

ძირითადი საქმიანობის გარდა, ი. ბ-ს შეუძლია განახორციელოს ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, გასცეს სესხები ფასიანი ქაღალდების გირაოთი, ასევე განახორციელოს ზოგიერთი სხვა საფინანსო მომსახურება. მას ეკრძალება რისკთან დაკავშირებული სხვა სახის საქმიანობა. მაგ., ბანკს

შეუძლია შეიძინოს მიწა თავისი მოვალეებისგან მხოლოდ ზარალის თავიდან აცილების მიზნით, ააშენოს ადმ. შენობები საკუთარი საჭიროებისათვის ან საცხოვრისები თავიანთი თანამშრომლებისათვის. მიწით სპეკულირება 0. ბ-ებისათვის აკრძალულია. იგი წარმოადგენს სპეციალიზებულ საბანკო ინ-ტს.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბანკების სპეციალიზაციას, შესაბამისად, ქვეყანაში მოქმედი ყველა ბანკი არის უნივერსალური და მათი საერთო სახელწოდებაა *კომერციული ბანკი.* საქართვ. კომერციული ბანკების საქმიანობა მოიცავს 0. ბ-ების საქმიანობის ნაწილს. ისევე როგორც 0. ბ-ები, კომერციული ბანკებიც გასცემენ იპოთეკით უზრუნველყოფილ სესხებს, მაგრამ, სპეციალიზებული 0. ბ-ისაგან განსხვავებით, გირაოს სახით არ იყენებენ იპოთეკურ ვალებს ქვეყანაში ამ ფინანს. ინსტრუმენტის გაუვრცელებლობის გამო. საქართვ. კომერციული ბანკები მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ფულად რესურსებს ძირითადად მოიზიდავს დეპოზიტებისა და სესხების სახით და სპეციალიზებული 0. ბ-ების მსგავსად არ ახდენენ გირავნობის ფურცლების ემისიას.

ლიტ.: Pinkowish Th. J., Residential Mortgage Lending: Principles & Practices, Cliftonpark (New Jersey), USA, 2011; Redmond R., Mortgages: The Insider's Guide, Heart of the Sun Press, UK, 2014.

ლ. ელიავა.

იპოლიტოვ-ივანოვი (ივანოვი) მიხეილ მიხეილის ძე [7(19). XI. 1859, გატჩინა, – 28. I. 1935, მოსკოვი], რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე. რფ. სახ. არტისტი (1922). 1882 დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია (ნ. რიმსკი-კორსაკოვის საკომპოზიტორო კლასი). 1882–93 ცხოვრობდა თბილისში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. პროფ. მუს. კულტურის განვითარებაში. იყო ,,რუსული მუსიკალური საზოგადოების'' საქართვ. განყ-ბის და თბილ. სამუსიკო სასწავლებლის ხელმძღვანელი (ასწავლიდა მუს. თეორიასა და ისტორიას). შემდგომში ამ სასწავლებლის ბაზაზე დაარსდა თბილ. კონსერვატორია, რ-ის დირექტორი და პროფესორი იყო 1924–25. მისი მოწაფეები იყვნენ ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი. 0.-0-ის მეცადინეობით თბილისში ეწყობოდა სიმფონიური მუსიკის კონცერტები, რ-საც თვითონ დირიჟორობდა. 1884–93 თბილ. ოპერის თეატრის დირიჟორი იყო. აქვე წარმატებით გამოდიოდა მისი მეუღლე, მომღერალი ბ. *ზარუდნაია.* 0.-0. იყო ქართ. მუს. ფოლკლორის ერთ-ერთი პირველი შემკრები და გამომცემელი. ქართ. ხალხ. მელოდიების, მ. შ. ძვ. თბილისის სიმღერების კვალი ნათლად ჩანს მის შემოქმედებაში. თბილისური ცხოვრების პერიოდის ანარეკლია მისი ნაწარმოებები: სიუიტები – ,,კავკასიური ესკიზები'' (1884), ,,ივერია'' (1895); სიმფონიური პოემა ,,მწირი'' (1924). მასვე ეკუთვნის ოპერები ,,რუთი'' (1887), ,,აბრა'' (1890), ,,ასია'' (1900) (სამივე დაიდგა თბილისში), ,,ღალატი'' (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ამავე სახელწოდების დრამის მიხედვით, დაიდგა თბილისში რამდენჯერმე, პირველად 1910, იმავე წელს მოსკოვში), კამერულ-საკრავიერი ანსამბლისათვის ,,საღამო საქართველოში'' (1934), ქართვ. პოეტების ტექსტებზე შექმნილი მთელი რიგი საგუნდო და სოლო სიმღერები. ავტორია ნარკვევისა ,,ქართული ხალხური სიმღერა და მისი სადღეისო მდგომარეობა'' (1895), მასში შეტანილია 12 ხალხ. სიმღერა ფორტეპიანოს თანხლებით (უპირატესად ქალაქური ფოლკლორის ნიმუშები), აგრეთვე დაუმთავრებელი ოპერა ,,ნესტან-დარეჯანი''. 0.-0-ს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართ. საეკლ. საგალობლების ნოტებზე გადატანაში.

1893 0.-0. საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა. მოღვაწეობდა როგორც დირიჟორი. 1922 იყო სრულიად რუს. მწერალთა და კომპოზიტორთა საზ-ბის თავ-რე, 1893-იდან – მოსკ. კონსერვატორიის პროფესორი, 1905–18 – დირექტორი, 1919–22 – რექტორი.

იპოსტასი, იხ. *ჰიპოსტასი.*

ირაგა (Anthemis), მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა.



ირაგა.

მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი ბალახები, ზოგჯერ ბუჩქბალახებია. 150-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდ. აფრიკაში, კავკასიაში 50-მდე სახეობა იზრდება, საქართველოში – 19, აქედან 7 საქართველოს ენდემია – ქართული 0. (A. iberica), ზიგიური 0. (A. zyghia), ემილიას 0. (A. emiliae), მსხვილენიანი 0. (A. macroglossa), საგურამოს 0. (A. saguramica), შავი ზღვის 0. (A. maris-nigri), შიშკინის 0. (A. schischkiniana). სახეობათა უმრავლესობა გავრცელებულია სუბალპური და ალპური სარტყლის კლდეებსა და ნაზვავებზე, ნაწილი – ნახევრად უდაბნოებში, უდაბნოებში, ველებზე, ტყისპირებზე, რუდერალურ ადგილებზე. ზოგი სახეობა ნათესების სარეველაა, ზოგი – დეკორატიული. *გ. ნახუცრიშვილი. ლ. ხინთიბიძე.*

ირაგა, თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების *დიდი ირაგისა* და *პატარა ირაგის* გავრცელებული სახელწოდება.

ირან-ბიზანტიის ზავი 591, შაჰ ხოსრო II-სა (591–628) და კეისარ მავრიკიოსს (582–602) შორის დადებული ზავი . ამ ზავით ირანის ხელისუფლება ბიზანტიას უთმობდა სომხეთის დიდ ნაწილს და იბერიის დას. ნაწილს ქ. თბილისამდე, ხოლო აღმოსავლეთი ისევ ირანელთა ხელში რჩებოდა. ირანმა აგრეთვე საბოლოოდ უარი თქვა სვანეთზე.

ლიტ.: ათანელიშვილი გ., სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში 562–590 წწ., თბ., 1959; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.

ირანი, ირანის ისლამური რესპუბლიკა (ჯომჰურიე ესლამიე ირან, 1935-მდე ქვეყნის ოფიციალური სახელი – სპარსეთი. იხ. *სპარსეთი და საქართველო*); სახელმწიფო სამხრ.-დას. აზიაში. ჩრდ-ით აკრავს კასპიის ზღვა, ესაზღვრება სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი, დას-ით – თურქეთი და ერაყი, აღმ-ით – ავღანეთი და პაკისტანი, სამხრ-ით – სპარსეთისა და ომანის ყურეები. ფართ. 1,65 მლნ. *კმ²,* მოსახლეობა – 79,93 მლნ. კაცი (2016). სახელმწ. ენა – სპარსული (ფარსი), სახელმწ. რელიგია – ისლამი (შიიტური). დედაქალაქი – თეირანი. სახელმწიფოს მეთაური – სულიერი ლიდერი აიათოლა საიდ ხამენეი; პრეზიდენტი – ჰასან რუჰანი (2017). საკანონმდებლო ორგანო – მეჯლისი (ერთპალატიანი პარლამენტი). ფულის ერთეული –



მ. იპოლიტოვ-ივანოვი.



ირანი. თეირანის ხედი.

რიალი.

1941 რეზა შაჰი II მსოფლიო ომში რომის, ბერლინისა და ტოკიოს ალიანსს (Axis allegiance) მიემხრო, რასაც მოჰყვა ი-ის ოკუპაცია დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა ჯარების მიერ და რეზა შაჰის ხელისუფლებიდან ჩამოცილება თავისი ვაჟის, მოჰამედ ფეჰლევის სასარგებლოდ.

1943 თეირანში ჩატარდა სამი მოკავშირე სახელმწიფოს კონფერენცია, რ-შიც მონაწილეობდნენ – ი. სტალინი, ფ. დ. რუზველტი და უ. ჩერჩილი. კონფერენციაზე მთავარი ყურადღება დაეთმო დას. ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხს.

1951 ი-ის პარლამენტმა ხმა მისცა ქვეყნის ნავთობის ინდუსტრიის ნაციონალიზაციას. იმჟამად ი-ის ნავთობის ინდუსტრიაში დომინირებდა ინგლისურ-ირანული სანავთობო კომპანია. 1953 დაპირისპირება შაჰსა და პრემიერ-მინისტრ მოჰამედ მოსადეყს შორის დასრულდა აგვისტოს თვეში შაჰის მიერ ი-ის დატოვებით.

1953 აგვისტოში მოჰამედ მოსადეყის ხელისუფლება დაემხო სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. გენ. ფაზლოლა ზაჰედი გამოცხადდა პრემიერ-მინისტრად და შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი დაბრუნდა ქვეყანაში.

1963 იანვარში ი-ის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ დაიწყო კამპანია ქვეყნის მოდერნიზაციისა და დასავლური კურსით განვითარების მიმართულებით. შაჰმა განახორციელა რეფორმები, რ-იც ცნობილია ,,თეთრი რევოლუციის'' სახელით. იგი ითვალისწინებდა მიწის რეფორმასა და სოც.-ეკონ. მოდერნიზაციას. 60-იანი წლების ბოლოს მნიშვნელოვნად გაიზარდა შაჰის დამოკიდებულება საიდუმლო პოლიცია „სავაქზე'', რ-ის საშუალებითაც იგი აკონტროლებდა რეფორმებისადმი კრიტიკულად განწყობილ ოპოზიციას.



ირანი. აბ-ო-ატაშ პარკი.

1978 სექტემბერში შაჰის პოლიტიკამ – მისმა ავტორიტარულმა მმართველობამ ქვეყანა მიიყვანა რევოლუციურ სიტუაციამდე, დაიწყო მასობრივი გაფიცვები და დემონსტრაციები. ქვეყანაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა.

1979 იანვარში ქვეყანაში პოლიტ. სიტუაციის გაუარესების გამო შაჰმა და მისმა ოჯახმა ქვეყანა იძულებით დატოვეს.

1979 წ. 1 თებერვალს, 14-წლიანი გადასახლებიდან (ერაყი, საფრანგეთი) ი-ში დაბრუნდა რელიგიური ლიდერი აიათოლა ხომეინი.

1979 წ. 1 აპრილს საერთოსახალხო რეფერენდუმის შედეგად გამოცხადდა ირანის ისლამური რესპუბლიკა. ძალაუფლება ხელში აიღეს ისლამური მიმართულების პოლიტიკურმა ძალებმა ხომეინის ხელმძღვანელობით (გ. 1989).

1979 წ. 4 ნოემბერს რადიკალი ისლამისტური ჯგუფები შეიჭრნენ ქ. თეირანში აშშ-ის საელჩოს ტერიტორიაზე და მძევლად აიყვანეს საელჩოს 52 თანამშრომელი, რებიც 444-დღიანი ტყვეობის შემდეგ გაათავისუფლეს.

1980 იანვარში აბდოლჰასან ბანისადრი აირჩიეს ი-ის პირველ პრეზიდენტად, თუმცა 1981 გადააყენეს. მოგვიანებით მან საფრანგეთს შეაფარა თავი. 1980 წ. 22 სექტემბერს დაიწყო ირან-ერაყის ომი. 1988 ივლისში ჟენევაში გაეროს ეგიდით ჩატარებული მოლაპარაკებების შედეგად, ი. დათანხმდა ერაყთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას.

ი-ისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობებში დღემდე უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება ბირთვული პროგრამა. ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობების ბრალდებით ი. დღემდე იმყოფება მკაცრი საერთაშ. სანქციების რეჟიმში.

2015 მსოფლიოს გავლენიანმა სახელმწიფოებმა შეძლეს ი-თან შეთანხმების მიღწევა ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. ი. დათანხმდა ბირთვული პროგრამის შეზღუდვას საერთაშ. ეკონომიკური სანქციების მოხსნის სანაცვლოდ.

2016 დეკემბერში აშშ-ის სენატმა 10 წლით გააგრძელა ი-ის სანქციების აქტი, რ-იც ამერიკულ კომპანიებს უკრძალავს ი-თან თანამშრომლობას.

საქართველოსა და ი-ის ისლამურ რესპუბლიკას შორის დიპლ. ურთიერთობები დამყარდა 1992 წ. 15 მაისს. საქართველო და ი-ის რე-

სპუბლიკა აქტიურად თანამშრომლობენ პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონ., საინვესტიციო, სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლებისა და ტურიზმის სფეროებში. ორ ქვეყანას შორის არსებობს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატი, მაგ., პოლიტ. კონსულტაციების ფორმატი, სამთავრობოთაშორისო ერთობლივი ეკონომიკური კომისია, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას. ასევე თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოსა და ი-ის საკანონმდებლო უწყებებს შორის.

1993 იანვარში საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა ე. შევარდნაძემ თავისი პირველი ვიზიტი განახორციელა ი-ის ისლამურ რესპუბლიკაში. 1995 საქართველოს ეწვია ი-ის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი. ორ ქვეყანას შორის მაღალი დონის დელეგაციათა ვიზიტებს რეგულარული ხასიათი აქვს.

ორი ქვეყნის ურთიერთობები ეყრდნობა სოლიდურ სამართლებრივ ბაზას, ხელმოწერილია მრავალი შეთანხმება.

2017 სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 181,48 მლნ. აშშ დოლარი, მ. შ. ექსპორტი – 76,32 მლნ. დოლარი, ხოლო იმპორტი – 105,15 მლნ. აშშ დოლარი.

2017 საქართველოში 5,35 მლნ. აშშ დოლარის ირანული ინვესტიცია განხორციელდა.

2017 მონაცემებით, საქართველოს ეწვია 322,938 ირანელი ვიზიტორი.

ირანისტიკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კომპლექსი, რ-იც შეისწავლის ირანულენოვანი ხალხების ენებს, ისტორიას, გეოგრაფიას, ეკონომიკას, ლიტერატურას, მატერიალურ და სულიერ კულტურას. ი., როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა XVIII ს. II ნახევარსა და XIX ს-ში. ი-ის ჩასახვა-განვითარებას ხელი შეუწყო სავაჭრო-ეკონ. და დიპლ. ურთიერთობების განვითარებამ ევროპასა და ირანს, შუა აზიასა და ინდოეთს შორის. XIII–XIV სს-ში გაჩნდა პირველი აღწერითი ხასიათის თხზულებები ირანის შესახებ – ვაჭართა, დიპლომატთა, ბერმონაზონთა ჩანაწერები და ნაშრომები.

საქართველოში ირანით დაინტერესებას დიდი ხნის ისტორია აქვს. უძველესი ქართ. წყაროები (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, მატიანე ქართლისა) საკმაო ადგილს უთმობს ირანის ისტორიის ცალკეულ მომენტებს. XIV–XVIII სს. ქართველი ისტორიკოსები (ჟამთააღმწერელი, ფარსადან გორგიჯანიძე, „სწავლულნი კაცნი“...) სარგებლობდნენ სპარსული საისტორიო წყაროებით (ჯუვეინი, რაშიდ ალ-დინი, აბდ ალ-რაზაყ სამარყანდი, ისქანდერ მუნში, მოჰამად თაჰერი...); ამავე დროს ზოგიერთ ქართ. თხზულებაში (ფ. გორგიჯანიძე, ს. ჩხეიძე, პ. ორბელიანი, ომან მდივანბეგი ხერხეულიძე) საინტერესო ცნობებია XVII–XVIII სს. ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ძვ. ქართული მწერლობის ძეგლებში არაერთი ისეთი ენობრივი თუ ლიტ. ფაქტი დასტურდება, რ-ებიც მოწმობს მათი ავტორების განსწავლულობას ირან. ენებსა და სპარს. ლიტერატურაში (მაგ. X ს. გადაწერილ „ნინოს ცხოვრებაში“ მთელი ფრაზაა სპარს. ენაზე ქართული ტრანსკრიფციით). სხვადასხვა დროს ქართულად ითარგმნა სპარს. მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები: ფახრ ად-დინ გორგანის „ვის ო რამინი“, ფირდოუსის „შაჰნამე“ და მისი მიბაძვანი, ვაეზ ქაშეფის „ქილილა და დამანა“ და სხვ. XIX ს. დასასრულს გამოქვეყნდა ნ. მარის წერილი, რ-შიც დაისვა საკითხი სპარს.-ქართ. ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლის შესახებ (გაზ. „ივერია“, 1891). XX ს. დასაწყისიდან ივ. ჯავახიშვილმა, საქართვ. ისტორიის კვლევისას, ჯეროვანი ადგილი დაუთმო ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობების ისტორიას, მან საქართველოს ისტორიის არაერთი ფაქტი დაადგინა და დააზუსტა სპარს. წყაროების მონაცემთა საშუალებით. ი-ის დაფუძნება-განვითარებას დიდი ყურადღება მიექცა თსუ-ის დაარსებისთანავე (1918). ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ იუსტ. აბულაძე, გ. ახვლედიანი, ივ. ჯავახიშვილი. შემოიღეს სპარსული ენის (იუსტ. აბულაძე), ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიის (ივ. ჯავახიშვილი), ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა (მ. წერეთელი) და სპარს. ლიტ-რის ისტორიის სწავლება. ასევე შემოიღეს სანსკრიტის (გ. ახვლედიანი) სასწავლო კურსი, რამაც გააფართოვა ი-ის არეალი და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ინდოირანულ ფილოლოგიას (მ. ანდრონიკაშვილი, ნ. კენჭოშვილი, გ. ნახუცრიშვილი, თ. ჭავჭავაძე). 1922 ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის შესწავლის მიზნით საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს ს. ჯანაშია. 1939 თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე, არაბულთან და თურქულთან ერთად, გაიხსნა სპარსული ფილოლოგიის კათედრა, ხოლო 1945 – აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი. უნ-ტის დაარსების პირველი დღიდანვე, სპარსულ ენასა და ლიტ-რას სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე ასწავლიდა ნ. მარის მოწაფე იუსტ. აბულაძე. თავდაპირველად სპარსული ენა, სხვა აღმოსავლურ ენებთან ერთად, კავკასიური ენების კათედრასთან იყო გაერთიანებული (ხელმძღვ. არნ. ჩიქობავა), 1939-იდან დაარსდა დამოუკიდებელი სპარსული ფილოლოგიის კათედრა, რ-საც 1953-მდე იუსტ. აბულაძე განაგებდა, ხოლო 1953–81 (გარდაცვალებამდე) – დ. კობიძე, რ-ის ხელმძღვანელობის დროსაც კათედრას „ირანული ფილოლოგიის კათედრა“ ეწოდა, რაც გულისხმობდა სხვა ირანული ენების: ძველი სპარსულის, ფალაურის, ოსურის, ქურთულის შესწავლასაც. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა კათედრის სამეცნ. და სასწ. ფარგლები, რასაც ხელი შეუწყო თსუ-ში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის ბაზაზე საქართვ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის დაარსებამ (1960). კვლევები ი-ში მიმდინარეობს ასევე აკადემიის სისტემის სხვა ინ-ტებშიც, კერძოდ, ქართული ლიტ-რის, ენათმეცნიერების, ისტორიის ინ-ტებში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ირანული ფილოლოგიის ქართ. სკოლის ძირითადი მიმართულებებია: სპარსული ლიტერატურათმცოდნეობა, კლასიკური სპარს. ლიტ-რის (იუსტ. აბულაძე, ი. მარი, დ. კობიძე, ა. გვახარია, ს. დევიძე, მ. თოდუა, ვ. კოტეტიშვილი, მ. ალექსიძე, მ. კვაჭაძე,) ახალი და უახლესი სპარს. ლიტ-რის (მ. ბურჯანაძე, ლ. გიუნაშვილი, თ. კეშელავა, ნ. ნონიაშვილი, კ. ფალავა, თ. ჯანაშია, პ. ჯაფარიძე); ქართულ-სპარსული ლიტ. ურთიერთობანი (იუსტ. აბულაძე, დ. კობიძე, თ. აბულაძე, მ. ალექსიძე, ალ. ბარამიძე, ნ. ბართაია, ალ. გვახარია, თ. გორელიშვილი, მ. გოცაძე, ქ. ვაშაყმაძე, ნ. თარგამაძე, მ. თოდუა, ნ. კალანდაძე ი. კალაძე, მ. კვაჭაძე, ი. კილაძე, მ. მამაცაშვილი, ე. მეტრეველი, მ. მიქაშავიძე,

ლ. ჟორჟოლიანი, ნ. სვინტრაძე, ნ. უგრეხელიძე, კ. ფაღავა, ნ. ჩხეიძე, ნ. ჯიშკარიანი), სპარსული ფოლკლორი (ჯ. გიუნაშვილი, ნ. თარგამაძე, ლ. კოტაშვილი, დ. ომიაძე, თ. შურღაია, მ. ჩაჩავა, ც. ხელაშვილი); ინდო-ირანული ენათმეცნიერება (იუსტ. აბულაძე, გ. ახვლედიანი, ე. ალექსიძე, მ. ანდრონიკაშვილი, ფ. ანთაძე, მ. ასათიანი, მ. გაბაშვილი, ქ. გადილია, ე. გიუნაშვილი, ჯ. გიუნაშვილი, მ. გორგოძე-კვაჭაძისა, თ. დემეტრაშვილი, ლ. თუშიშვილი, მ. კვაჭაძე, ქ. კიკვიძე, ქ. მეგრელიშვილი, მ. მოდებაძე, მ. ნათაძე, ნ. ნახუცრიშვილი, გ. ნახუცრიშვილი, მ. ნუცუბიძე, თ. რევია. მ. სახოკია, ი. სულაკაძე, თ. ფაშალიშვილი, თ. ჩხეიძე, ე. ჩუბინიძე, თ. ჭავჭავაძე); ქვედარგები: ირანული დიალექტოლოგია [ლ. თუშიშვილი, მ. კვაჭაძე, რ-მაც სოფ. გომბორში მიაკვლია საქართველოში ჩამოსახლებულ (XX ს. I ნახ.) ირანულენოვან ეთნოგრაფიულ ჯგუფს – ლაიჯებს, შეისწავლა თათურენოვანი ლაიჯებისა და აზერბაიჯანულენოვანი თათების ეთნოლინგვისტური თავისებურებანი]; ოსოლოგია (გ. ახვლედიანი, ნ. ბეპიევა, ო. თედეევა); ქურთოლოგია (ქ. ამოევი, შ. კოტეტიშვილი). საენათმეცნიერო კვლევათა უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ირანულ-ქართველური ენობრივი ურთიერთობანი (მ. ანდრონიკაშვილი, ფ. ანთაძე, ნ. ბართაია, ე. გიუნაშვილი, ო. თედეევა, ლ. ჟორჟოლიანი, რ. რამიშვილი, მ. ჩიქობავა, თ. ჩხეიძე, ალ. ჭულუხაძე,); ვ. გაბაშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა სკოლა ქართვ. აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსებისა, რ-ებიც შეისწავლიან: ირანის სოც.-ეკონ., პოლიტ. ისტორიისა და ქართულ-ირანულ ისტორიულ ურთიერთობებს (ვ. გაბაშვილი, თ. აბაშიძე, გ. ამირანაშვილი, ლ. ბააზოვა, ე. ბაბალაშვილი, ხ. ბაინდურაშვილი, გ. ბერაძე, რ. ბურჭულაძე, მ. გაბაშვილი, ნ. გელაშვილი, მ. გოგობერიშვილი, კ. დემეტრაშვილი, პ. თოფურია, ი. თოფურიძე, მ. კაპანაძე, დ. კაციტაძე, რ. კიკნაძე, კ. კუცია, თ. ლეკვეიშვილი, თ. ნატროშვილი, ნ. ნაჭყებია, გ. ჟორჟოლიანი, ნ. სურგულაძე, მ. სუხიაშვილი, კ. ტაბატაძე, მ. ცინცაძე, ო. ცქიტიშვილი, მ. ძნელაძე, ა. ჭეიშვილი), ირანის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს (ო. გვილავა, ი. გოჩელეიშვილი, გ. კაციტაძე, ა. კელენჯერიძე, ო. კიკნაძე, ი. ნაჭყებია, ვ. პაპავა, თ. პიტიურიშვილი, გ. სანიკიძე, პ. სურგულაძე, ნ. ტერ-ოგანოვი, ზ. შარაშენიძე, ლ. შენგელია, გ. ჭიპაშვილი), ირანული ხელოვნების ისტორიას (შ. ამირანაშვილი, გ. ბერაძე, ნ. გელაშვილი, ო. გვილავა, ა. გრიგოლია, ი. გუგუნავა, მ. დგებუაძე, გ. კვირკველია, ი. კოშირიძე, გ. მამულაშვილი, კ. მაჩაბელი, ნ. ჩიხლაძე, ი. ხუსკივაძე), ირანის გეოგრაფიისა და დემოგრაფიას (ქ. ამოევი, ე. ბაბალიკაშვილი, ნ. ნაჭყებია, ა. რონდელი), ნუმიზმატიკას (თ. აბრამიშვილი, მ. არჩვაძე, გ. ბერაძე, გ. დუნდუა, თ. დუნდუა, დ. კაპანაძე, ქ. რამიშვილი, ნ. უგრეხელიძე, ი. ფაღავა, თ. ქუთელია, ც. ღვაბერიძე, მ. წოწელია, ი. ჯალაღანია), საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებულ სიძველეთსაცავებში დაცულ სპარსულ დოკუმენტებს (ფირმანები, ოქმები) და ორენოვან ქართულ-სპარსულ ისტორიულ საბუთებს (თ. აბაშიძე, თ. აბულაძე, ვ. გაბაშვილი, ნ. დუნდუა, მ. თოდუა, კ. ტაბატაძე, ვ. ფუთურიძე, ა. ჭეიშვილი, ა. ჭულუხაძე, ნ. ხარებავა, თ. ჯანაშია), არქეოლოგიას (ი. გაგოშიძე), ეთნოგრაფიას (გ. გოცირიძე), ფერეიდანსა და ირანის სხვა პუნქტებში მცხოვრებ ქართველებთან დაკავშირებულ საკითხებს (ლ. აღნიაშვილი, მ. თოდუა, ზ. შარაშენიძე, ა. ჩიქობავა, თ. ცაგარეიშვილი, ა. ჭელიძე, გ. ჭიპაშვილი, ზ. ჭიჭინაძე). ვ. გაბაშვილის თანაავტორობითა და რედაქტორობით გამოვიდა ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი კრებული „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“ (1957), ნ. ნაჭყებიამ გამოაქვეყნა წიგნი „ირანი“ (1972), დ. კაციტაძემ – „ირანის ისტორია III–XVIII სს.“ (2009). ქართვ. ირანისტები ნაყოფიერად მუშაობენ ირანულ ენებზე შექმნილი როგორც ძველი (გ. ახვლედიანი, მ. ანდრონიკაშვილი, მ. სახოკია), ისე საშუალო (თ. ჩხეიძე), ახალი (ლ. ასათიანი, ნ. ბართაია, ა. ელერდაშვილი, მ. თოდუა, დ. კობიძე, ვ. კოტეტიშვილი, გ. ლობჟანიძე, ა. ლომთაძე, ლ. ჟორჟოლიანი, ბ. შალვაშვილი, ა. ჭელიძე), თანამედროვე და უახლესი (ჯ. აჯიაშვილი, მ. ბურჯანაძე, ნ. გიგაშვილი, ა. გლურჯიძე, თ. გორელიშვილი, ნ. თუშიშვილი, მ. ივანიშვილი, თ. კეშელავა, კ. ფაღავა, თ. შურღაია, ნ. ჩხეიძე) ძეგლების თარგმნაზე. დაიბეჭდა „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები სამ ტომად (I ტ. – 1916, იუსტ. აბულაძე; II ტ. – 1934, იუსტ. აბულაძე, ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე; III ტ. – 1974, დ. კობიძე); სხვადასხვა დროს გამოიცა სპარსული ენის სახელმძღვანელოები; სპარსული ქრესტომათიები; საკითხავი წიგნები სპარსულში; სპარსული ლექსიკონები; სპარსული ენის სასაუბროები. იუსტ. აბულაძემ გამოსცა სპარსული ენის სახელმძღვანელო (1933, 1953); დ. კობიძემ – სპარსული ლიტ-რის ისტორია (1975), მ. ანდრონიკაშვილმა ,,ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან“ (ტ. I, 1966; ტ. II, 1996), მ. თოდუამ – „ქართულ-სპარსული ეტიუდები“ (სამ წიგნად; 1971, 1975, 1979), ა. გვახარიამ ორ წიგნად დასტამბა „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“ (1995–2001); ა. გვახარიამ და მ. თოდუამ, გ. წერეთლის წინასიტყვაობით, ფახრ ად-დინ გორგანის „ვეის ო რამინის“ ქართულ თარგმანზე – „ვისრამიანზე“ დაყრდნობით, – თეირანში გამოსცეს პოემის კრიტიკული ტექსტი სპარსულ ენაზე (1969); გამოვიდა მ. ბურჯანაძის წიგნი „ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურის ისტორია“ (2016).

დ. კობიძის შემდეგ 0-ის კათედრას ხელმძღვანელობდნენ: კ. ფაღავა (1981–87), ა. გვახარია (1987–2004), ნ. ნახუცრიშვილი (2004–05), ლ. ჟორჟოლიანი (2005–14). ამჟამად კათედრას განაგებს ნ. ბართაია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ (1991), გარდა თსუ-ისა, 0. არაბისტიკასა და თურქოლოგიასთან ერთად, სპეციალობად არის შემოღებული ა. წერეთლის ქუთაისის სახელმწ. უნ-ტში (1991-იდან), ილიას უნ-ტში (1993-იდან). 1991-იდან სპარსული ენა ისწავლება თბილ. აზიისა და აფრიკის ინ-ტში, რ-იც 2011-იდან შედის თავისუფალ უნ-ტში. 2013-იდან საქართვ. უნ-ტში გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი, სადაც ფუნქციონირებს 0-ის მიმართულება და ისწავლება სპარსული ენა. 2015-იდან სპარსული ენა არჩევით საგნად ისწავლება კავკასიის საერთაშ. უნ-ტსა და თბილ. ოთხ საჯარო სკოლაში.

ირან-საქართველოს შორის დიპლ. ურთიერთობის დამყარების შემდეგ (1992), დაიწყო ახალი ერა ქართული 0-ის ისტორიაში. ქართულიდან სპარსულად თარგმანის (მ. ფათემი) ცალკეულ მცდელობას შედარებით ინტენსიური ხასიათი მიეცა და საუკუნეთა განმავლობაში ცალმხრივად

მიმდინარე ლიტ. პროცესი ორმხრივი გახდა. ორჯერ ითარგმნა სპარსულად „ვეფხისტყაოსანი“: 1998 – ფარშიდ დელშადის მიერ (რედ. ჯ. გიუნაშვილი) და 2000 – მ. იუსეფ-ფურის მიერ (რედ. – მ. თოდუა). 2008 ისლამმცოდნეობის ნომინაციაში პრიზი მიიღო გ. ლობჟანიძემ „ყურანის“ ქართ. თარგმანისათვის. 2009 და 2010 ირანის ისლამური რესპუბლიკის „წლის გამორჩეული მკვლევარი“-ს ნომინაციაში პრიზები მიიღეს მ. *თოდუამ* და ჯ. *გიუნაშვილმა*. 2012 ბ. შალვაშვილმა სპარსულიდან ქართულად თარგმნილი „შაჰ-ნამეს“ გარკვეული ნაწილისათვის ირანში მოიპოვა პრიზი „წლის წიგნი“ და ფირდოუსის პრემია.

ლიტ.: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, [ტ.] 1–2, თბ., 1966–96; აღმოსავლური ფილოლოგია - 25, «ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნტის აღმ. ფილოლ. დეპარტამენტის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნ. სესიის შრომები», ქუთ., 2017; კაციტაძე დ., ირანის ისტორიის შესწავლა საქართველოში, «თსუ შრომები», 1976, ტ. 180; საქართველოს ისტორიის სპარსულენოვანი წყაროები, «თსუ შრომები», 1979; ტ. 206, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია; სილაგაძე ა., საუნივერსიტეტო აღმოსავლეთმცოდნეობა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შრომათა კრ.: აღმოსავლეთმცოდნეობა, 4, თბ., 2015; ფაღავა კ., აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარება, კრ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1917–1957. თბ., 1957; წერეთელი გ., ფუთურიძე გ., აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი 30 წლის მანძილზე, «თსუ შრომები», 1976, ტ. 180; ჯიქია ს., აღმოსავლეთმცოდნეობა საქართველოში, იქვე, 1959, ტ. 73. *ნ. ბართაია.*

ირან-ოსმალეთის დროებითი ზავი 1554, დაიდო არზრუმში 1554 წ. 26 სექტემბერს, ირან-ოსმალეთის პირველი ომის (1514–55) დასკვნით ეტაპზე. 1549–50 მიჯნაზე თურქებმა ხელთ იგდეს სამცხე-საათაბაგოს დას. ნაწილი – ტაო-კლარჯეთის მხარე. ამის საპასუხოდ, შაჰ-თამაზ I-მა 1551 კვლავ ილაშქრა საქართველოში. იგი შეეცადა ხელში ჩაეგდო ოსმალეთის მიერ დაკავებული ტერიტორიები სამხრ.-დას. საქართველოში. 1553 ზაფხულის დამდეგს ირანის წინააღმდეგ საპასუხო ლაშქრობა განახორციელა სულთანმა სულეიმან I-მა. მან დაიკავა ერევნისა და ნახიჩევანის ოლქები. ამის შემდეგ ოსმალები შევიდნენ სამცხეში და ოლთისთან დაამარცხეს ირანელები. შაჰი იძულებული გახდა ელჩი გაეგზავნა სულთანთან და დაზავება ეთხოვა მისთვის. ეს დროებითი ზავი ოფიც. დიპლ. დოკუმენტის სახით გაფორმებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ჩვენამდე მოაღწია ოსმ. საარქივო დოკუმენტებმა, რ-ებიც არზრუმის დროებითი ზავის პირობებისა და მისი მიმდინარეობის გარკვევის საშუალებას იძლევა. ამ მონაცემებით ირკვევა, რომ ქართლი, კახეთი და ახალციხე-ბორჩალოს ტერიტორიები ირანელებს ერგოთ, ხოლო იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები, ტაოს მხარე და ოლთის-თორთომი ოსმ. ხელისუფლებას დაემორჩილა. საქართველოსა და არზრუმში, თავიანთი გავლენის სფეროში მოქცეულ ტერიტორიებზე, ოსმალებმა ოცი ადმ. ერთეული – სანჯაყი შექმნეს. გარდა ამისა, გურიისა და სამეგრელოს სამთავროებს და იმერეთის სამეფოს სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარაჯის გადახდა დაევალა.

ლიტ.: ურუშაძე ლ., ირან-ოსმალეთის 1554 წლის დროებითი ზავის შესახებ, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1988, ტ. 131, №1; ჩოჩიევი ვ., ირან-ოსმალეთის 1554 წლის დროებითი ზავი, «აღმოსავლური ფილოლოგია», [ნაკვ.] 3, თბ., 1973; Kirzioğlu F., Osmanlilarin Kafkas-Ellerini fethi (1451–1590), Ankara, 1976. *ლ. ურუშაძე.*

ირან-ოსმალეთის ომები XVI–XVIII სს., ირანსა და ოსმალეთს შორის ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, სავაჭრო-საქარავნო გზებისა და პუნქტების დასაპყრობად გაჩაღებული ომები.

1514–55 ომი სულთან სელიმ I-სა და შაჰ-ისმაილ I-ს შორის. ოსმალეთის წარმატებებმა აიძულა ირანი უარი ეთქვა მცირე აზიის მიმართულებით შეტევაზე და აგრესია სამხრ. კავკასიისაკენ მიემართა. XVI ს. დამდეგიდან ირანი აღმ. სომხეთში გაბატონდა. 1538 გაანადგურა შირვანშაჰების სახელმწიფო, 1551 – შაქის სამთავრო. 1541-იდან დაიწყო შაჰ-თამაზ I-ის ლაშქრობები ქართლში. 1548–49 სულეიმან I-მა ირანის შაჰის მფარველობაში შესულ სამცხე-საათაბაგოში დროებით დაიკავა თორთუმი, ახჩაყალა და სხვა ციხეები. 1551 შაჰმა დაიბრუნა ხლათი, არჭეში და სხვ. ქალაქები (იხ. *ამასიის ზავი* 1555). 1578–90 ომში ჩილდირის (ჩრდილეთ) ტბასთან ოსმალებმა დაამარცხეს (1578 წ. 9 აგვ.) ყიზილბაშები, დაიკავეს სამცხე-საათაბაგო და ქართლი, შეუდგნენ შირვანის დაპყრობას. ოსმალეთმა განდევნა ირანი სამხრ. კავკასიიდან. 1603–12 ომი შაჰ-აბას I-მა დაიწყო. 1603–04 მან ოსმალები განდევნა აზერბაიჯანიდან, დას. ირანიდან, 1605 – აღმ. სომხეთიდან, 1606 – ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან, 1607 – შირვანიდან. 1616–19 ომი. ოსმალებმა ისარგებლეს ირანის წინააღმდეგ კახეთისა და შირვანის 1615 აჯანყებით და 1616 დაიწყეს ლაშქრობა. დაიკავეს ყარსი, ალყა შემოარტყეს ერევანსა და ნახიჩევანს, მაგრამ ვერ აიღეს. ამ ბრძოლაში ოსმალები დამარცხდნენ. 1623–39 ომი. 1624 ირანმა ოსმალები განდევნა სამცხე-ჯავახეთიდან, მაგრამ ოსმალეთმა ისარგებლა გ. სააკაძის აჯანყების შედეგად ირანის დასუსტებით და 1625 დაიკავა ახალციხე და ახალქალაქი, თუმცა 1627 ირანელებმა კვლავ დაიბრუნეს ეს ქალაქები. ოსმალები ამ მხარეს საბოლოოდ 1635 დაეუფლნენ (იხ. *ზოჰაბის ზავი 1639*). 1723–27 ომი. 1723 ოსმალებმა დაიპყრეს აღმ. საქართველო, აიღეს თბილისი, 1724–25 – აღმ. სომხეთი, განჯა-ყარაბაღი, შირვანი, აზერბაიჯანი და სხვ. ოსმალეთის აგრესიული ზრახვებით შეშფოთებულმა რუსეთმა 1722–23 დაიკავა კასპიის ზღვის სანაპირო დარუბანდიდან ენზელიმდე და 1724 ივნ. ხელშეკრულებით ოსმალეთთან ერთად გაინაწილა სეფიანთა სამფლობელო სამხრ. კავკასიაში. 1730–36 ომი დაიწყო ირანის ფაქტობრივმა მბრძანებელმა ნადირ-შაჰმა. მან განდევნა ოსმალები სამხრ. აზერბაიჯანიდან და დას. ირანიდან. 1734–35 წაართვა მოწინააღმდეგეს ჩრდ. აზერბაიჯანი, აღმ. სომხეთი და აღმ. საქართველო. 1743–46 ომი. 1745 წ. 23 აგვისტოს ნადირ-შაჰმა დაამარცხა ოსმალები ერევნის დას-ით, მაგრამ წარმატების გამოყენება ვერ შეძლო. 1775–79 ომი. ქერიმ-ხან ზენდიმ ისარგებლა რუსეთთან ოსმალეთის მარცხით და 1775 ლაშქარი გაგზავნა ბასრის დასაკავებლად, რ-იც ამ დროს დიდ როლს ასრულებდა ვაჭრობაში ინდოეთსა და სპარსეთის ყურეს შორის და მეტოქეობას უწევდა ბუშირს. 1776 ხანგრძლივი ალყის შემდეგ, ირანელებმა ბუშირი აიღეს, მაგრამ ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ, 1779 ქალაქი თვითონვე დატოვეს.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI–XVII სს.), «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ის-

ტორიიდან (XVI–XVIII სს.), თბ., 1971; მისივე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990; მისივე, ოსმალეთის ისტორია, თბ., 1999; ჩოჩიევი ვ., ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, კრ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957. *ვ. ჩოჩიევი.*

ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებები XVI–XVIII სს., 1555 ხელშეკრულება (ამასია, 29 მაისი), იხ. *ამასიის ზავი* 1555. 1590 ხელშეკრულებით (სტამბოლი, 21 მარტი) ირანმა ცნო ოსმალეთის გაბატონება აღმ. სომხეთში, აღმ. საქართველოში, აზერბაიჯანსა (არდებილისა და თალიშის გარდა) და დას. ირანში. 1612 ხელშეკრულება (სტამბოლი, 20 ნოემბ.). ირანი ცნობდა სულთნის უზენაეს ხელისუფლებას დაღესტანზე, მხარს უჭერდა ოსმ. მოთხოვნას თერგის ციხის დანგრევისა და ჩრდ. კავკასიიდან რუსეთის განდევნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად აღდგა 1555-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვრები, ტერიტ. გამიჯვნა ამ პრინციპის საფუძველზე ვერ მოხერხდა, რადგან ოსმალეთმა ჯარი არ გაიყვანა სამცხე-ჯავახეთიდან და მთელი მესხეთი შეინარჩუნა. 1619 ხელშეკრულებამ (სტამბოლი, 29 სექტ.) აღადგინა 1555 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვრები სათანადო შესწორებებით, კერძოდ, ოსმალეთის სამფლობელოდ გამოცხადდა ახალციხის საბეგლარბეგო (სამცხე-ჯავახეთი) ყველა ციხით, აგრეთვე ყარსი. ახალციხის ნაცვლად ოსმალეთმა ირანს დაუთმო დერნისა და დერთენგის სანჯაყები ბაღდადის მხარეში. 1639 ხელშეკრულება (სოფ. ზოჰაბი, 18 მაისი), *იხ. ზოჰაბის ზავი 1639.* ხელშეკრულება ძალაში დარჩა 1723-მდე. ამ პერიოდში ირანი აგრძელებდა აგრესიას ქართლისა და კახეთის, ხოლო ოსმალეთი – დას. საქართველოს წინააღმდეგ. 1727 ხელშეკრულებით (ჰამადანი, 4 ოქტ.) ავღ. მბრძანებელმა ცნო ოსმ. გაბატონება დას. და ჩრდ.-დას. ირანში, აგრეთვე სამხრ. კავკასიაში. 1736 ხელშეკრულების (სტამბოლი, 17 ოქტ.) თანახმად ირანი და ოსმალეთი უნდა გამიჯნულიყო 1639 ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრის შესაბამისად. მხარეები თავს იკავებდნენ მაღალი ბაჟის დაწესებისაგან, ოსმ. ხელისუფლებას უნდა გაეთავისუფლებინა ტყვეები და ა. შ. 1736 ხელშეკრულება ძალაში არ შესულა. 1746 ხელშეკრულებამ (ქერდანი, 4 სექტ.) აღადგინა 1639 საზღვარი. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, თავი შეეკავებინათ მტრული მოქმედებისგან. 3 წელიწადში ერთხელ გაიმართებოდა ორ სახელმწ. წარმომადგენელთა შეხვედრა ,,მეგობრობისა და კავშირის დასადასტურებლად'', საჭრო საქონელზე ბაჟი უნდა დაეწესებინათ ძვ. ჩვეულებების შესაბამისად და სხვ.



ირანული ბაზი.

ლიტ. იხ. სტ-თან *ირან-ოსმალეთის ომები XVI–XVIII სს. ვ. ჩოჩიევი.*

ირანული ბაზი (Bombus persicus Radoszkowski, 1881), საზოგადოებრივი მწერი სიფრიფანაფრთიანების (Hymenoptera) რიგისა, ფუტკრების (apidae) ოჯახისა. მკერდი და მუცელი მორიგობით თეთრი და შავი ბუსუსებისაგან შემდგარი განივი ზოლებითაა დაფარული. თავი, ულვაშები და მუცელი შავია. გადაშენების გზაზე მდგომი სახეობა. გავრცელებული მთის მდელოების ყვავილოვან მცენარეთა დამატყვერიანებელია. ი. ბ. ერთ-ერთი უძველესი, მთებში გავრცელებულ ბაზთა ჯგუფის წარმომადგენელია. სახეობა კავკასიის სუბენდემს წარმოადგენს, მაგრამ იშვიათად გვხვდება. საქართველოში ბინადრობს აღმ. და დას., ასევე სამხრ. რეგიონებში. გავრცელებულია დიდ და მცირე კავკასიონზე, დაღესტანში, სომხეთის მთიანეთში, ჩრდ.-აღმ. თურქეთში, ჩრდ.-დას. ირანში, გვხვდება სუბალპურ მდელოებზე ზ. დ. 2000–2500 *მ* სიმაღლეზე. იზამთრებენ იმაგოები. მაისის თვეში თავდაპირველად მდედრები ვრცელდებიან. მდედრი და მამრი ინდივიდები ფრენენ აგვისტოს ბოლომდე. უმთავრესად იკვებებიან მრავალყვავილოვანი მცენარეების ყვავილის მტვრითა და ნექტრით, თუმცა უპირატესად რთულყვავილოვნებს (Compositae) ეტანებიან, რ-თაც ამტვრიანებენ. შეტანილია საქართველოს ,,წითელ ნუსხაში''. *ი. სხირტლაძე.*

ირანული ენები, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი შტო. დამოუკიდებელ არსებობას იწყებენ ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგიდან, როდესაც ხდება ამ ენებზე მოლაპარაკეთა მიგრაცია და ინდოირანული ენობრივი ერთიანობის დაშლა. ი. ე. დადასტურებულია უძვ. წერილობით ძეგლებში, რაც საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ამ ენათა განვითარების ისტორიას დაახლ. 25–27 საუკუნის განმავლობაში. ძირითადად განასხვავებენ 2 ჯგუფს: აღმოსავლურსა და დასავლურს. გამოიყოფა ი. ე-ის განვითარების 3 პერიოდი:

1. ძვ. ი. ე. – ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისიდან ძვ. წ. IV–III სს-მდე – მიდიური, ძვ. სპარსული, ავესტური, სკვითური. ძვ. სპარსული დადასტურებულია აკამანელთა მეფეების ლურსმულ წარწერებში (ძვ. წ. VI–IV სს.). ძვ. ი. ე. მდიდარი მორფოლ. სტრუქტურის მქონე ფლექსიური ენებია. სახელს აქვს 3 სქესი, 8 ბრუნვა, 2 რიცხვი (იშვიათად ორობითიც). ზმნური კატეგორიებიდან გვხვდება პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და გვარის კატეგორიები. მაგრამ უკვე ძვ. ირანულ ხანაშივე შეიმჩნევა რღვევის პროცესი, რ-იც სრულდება საშ. ი. ე-ში.

2. საშ. ი. ე. – ძვ. წ. IV–III სს-იდან ახ. წ. VIII–IX სს-მდე – ე. წ. საშ. სპარსული, პართული, სოღდური, ხორეზმული, საკა, ტოხარული და სხვ. საშ. სპარსულის ანბანი შემუშავებული იყო არამეული დამწერლობის საფუძველზე. საშ. ი. ე-ში მოშლილია ფლექსია: მახვილის გადაწევის შედეგად მოიკვეცა ბოლოკიდური ელემენტები – ბრუნვისა და სქესის სუფიქსები, ფართო გასაქანი მიეცა აღწერით წარმოებას. ცვლილებები განიცადა ბგერითმა სისტემამ: მოხდა დიფთონგების მონოფთონგიზაცია (ai > ē, au > ō), ხშულთა სპირანტიზაცია და სხვ.

3. ახ. ი. ე. – ახ. წ. IX–X სს-იდან. ეს ენებია: ახ. სპარსული (ირანის ოფიც. ენა), ტაჯიკური, ავღანური (პუშტუ), ოსური, ქურთული, ბელუჯური, თათური, თალიშური და სხვ. თანამედროვე სპარსულში თვალში საცემია ცვლილებები ლექსიკაში (დიდი რაოდენობით ნასესხობები, განსაკუთრებით – არაბულიდან). სალიტ. ენას საფუძვლად უდევს თეირანის დიალექტი. დამწერლობაში გამოყენებულია არაბ. გრაფიკა (დამატებულია 4 ნიშანი სპეციფ. ბგერებისათვის). მორფოლ. სტრუქტურა ანალიზურია: არა აქვს სქესისა და ბრუნვის კატეგორიები; ზმნას აქვს პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და გვარის კატეგორიები; ფართოდაა გავრცელებული ანალიზური კონსტრუქციები.

ქართველებს განსაკუთრებით

ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობა გვაკავშირებდა ირანელებთან, რაც საუკუნეთა განმავლობაში განპირობებული იყო რთული ისტ.-პოლიტ. თუ რელიგ.-კულტ. ფაქტორებით. ამ ურთიერთობამ განსაზღვრა მრავალრიცხოვანი ნასესხობების (საკუთრივ ირანულისა და ირანულის გზით – არაბულის) არსებობა ქართულში. ნასესხები ლექსიკა გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით და მოიცავს ანთროპონიმებს, პოლიტ.-ადმ., სამხ., რელიგ., ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებულ სიტყვებს. ნასესხობები განეკუთვნება ი. ე-ის სხვადასხვა დიალექტურ შტოს და სხვადასხვა ქრონოლ. დონეს (თუმცა ზოგჯერ სესხების წყაროს მკაცრი იდენტიფიკაცია გაძნელებულია). ქართულში შემოსულია ნასესხობები: სპარსულიდან – არმაზი – კერპი, ძვ. ქართველების მთავარი ღვთაება, შდრ. ძვ. სპარსული auramazdâ –,,ბრძენი უფალი‘‘; სავსებით სარწმუნო ჩანს ქართ. ეთნონიმების – სპარსი, სპარსული – დაკავშირება ძვ. სპარს. Parzaთან (პროვინცია ირანის სამხრ.-დას. ნაწილში, აქამენელებისა და შემდეგ სასანელების სამშობლო)... ავესტის ენიდან – დროშა, შდრ. ავესტური drapša; ეშმა ,,ავი‘‘, ,,ბოროტი‘‘, ,,ცოფიანი‘‘, ,,დემონი‘‘, შდრ. ავესტური adšma < aeš ,,მღელვარება‘‘, ,,შფოთი‘‘... სკვითურ-ალანურ-ოსური ენებიდან – კაპოეტი ,,მტკნარი წყლის თევზი ერთგვარი‘‘, შდრ. ოსური kæf ,,თევზი‘‘ < cap (საერთო აღმოსავლეთირანული სიტყვა, ვ. *აბაევი*)... პართულიდან – ჟამი ,,დღე‘‘, ,,საათი‘‘, ,,სეზონი‘‘, ,,დრო‘‘, შდრ. ძვ. სპარს. Jamâna, სომხ. žamanak ,,დრო‘‘, ,,ასაკი‘‘. ქართ. და სომხ. სიტყვებში თავკიდური ž (ჟ) საშუალებას იძლევა სესხების წყაროდ აღვადგინოთ პართული ფორმა žaman, რ-ის უფრო ადრინდელი სახეა ქართულში დადასტურებული უსუფიქსო žam; აბჟარი (სომხურის გზით) ,,საჭურველი‘‘, ,,იარაღი‘‘, შდრ. პართული apmčâr, apmzâr საშ. სპარს. afzâr ,,ძალა‘‘, ,,იარაღი‘‘, სომხ. aučar, aučan... საშ. სპარსულიდან – საკუთარი სახელები: ვარდან, ირან. Wardân; პეროჟ, პეროზ, შდრ. საშ. სპარს. pdrôz; ნარიმან, შდრ. საშ. სპარს. nar ,,მამაკაცი‘‘, men ,,ფიქრი‘‘, ,,აზრი‘‘, ე. ი. ,,ვაჟკაცურად მოაზროვნე‘‘, ,,ვაჟკაცური სულისკვეთებისა‘‘; მირიან, შდრ. საშ. სპარს. mihrân; ვახუშტი, შდრ. ძვ. ირან. Vahišta – ,,სამოთხე‘‘, საშ. სპარს. Vahišt; ,,შავის‘‘ აღმნიშვნელი ანთროპონიმებიდან ქართულში გვხვდება რამდენიმე ვარიანტი: შიოშ, შიაოშ, სიაუშ, შიოაოშ და სხვ. სამხ.-ადმ. თუ სხვა სახის ტერმინებიდან აღსანიშნავია: გუნდი ,,ჯარი‘‘, ,,რაზმი‘‘... შდრ. საშ. სპარს. gund; სპე ,,არმია‘‘, ,,ჯარი‘‘, შდრ. საშ. სპარს. spâh; ასპარეზი ,,მოედანი‘‘, ,,სტადიონი‘‘, შდრ. საშ. სპარს. asp(u)râs, asprds; პიტიახში, შდრ. საშ. სპარს. byty’hš ,,მეორე, მეფის შემდეგ‘‘, ,,ირანის შაჰინშაჰის ნაცვალი‘‘; ჯომარდი ,,რაინდი‘‘, შდრ. საშ. სპარს. jdvanmard < yuvânmart ,,ოსტატი‘‘, გადატანით – რამეში დახელოვნებული ადამიანი; ზენაარი ,,ფიცი‘‘, შდრ. საშ. სპარს. zdnhar ,,აღთქმა‘‘, ,,ფიცი‘‘; ანდერძი (< ანდერზი), შდრ. საშ. სპარს. han-darz ,,რჩევა‘‘, ,,დარიგება‘‘; ტახტი, შდრ. საშ. სპარს. tâxt ,,მეფის სავარძელი‘‘; ახ. სპარსულიდან – საკუთარი სახელები: ნესტანდარეჯან, შდრ. ახ. სპარს. შესიტყვება nestandarjehân ,,ქვეყნად არ არის (ჩემი მსგავსი)‘‘; გივი, შდრ. ახ. სპარს. Gôv; ზურაბ, შდრ. ახ. სპარს. Sohrâb (სავარაუდო ეტიმოლოგიით – ,,წითელი წყლისა‘‘); ნოდარ, შდრ. ახ. სპარს. Nadar, ავესტური Naotara ,,ნორჩი‘‘; სარდალი, შდრ. ახ. სპარს. sardâr ,,მეთაური‘‘; ხიშტი შდრ. ახ. სპარს. xešt (საშ. სპარს. xišt) ,,ლახვარი‘‘, ,,შუბი‘‘; აივანი, შდრ. ახ. სპარს. ayvan ,,დარბაზი‘‘, ,,კარიბჭე‘‘, ,,ღია გალერეა‘‘ და სხვა მრავალი.

კლასიკური სპარსულიდან დაწყებული, ახ. სპარსულში, განსაკუთრებით თანამედროვე ენაში, დიდი რაოდენობით შემოდის და მკვიდრდება არაბ. სიტყვები, რ-თა აბსოლუტური უმრავლესობა უკვე სპარს. ენის განუყოფელი ნაწილია. ბუნებრივია, ეს სიტყვები სპარსულის გზით ქართულშიც შემოდის და ქმნის მასში არაბ. ლექსიკის ძირითად ნაწილს (საკუთრივ არაბულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები შედარებით მცირეა). ასე, ფონეტ. იერის მიხედვით სპარსულის გზას გვავარაუდებინებს სიტყვები: ალამი (სპარს. alam, არაბ. ’alam), ხოტბა, ეშხი და სხვა მრავალი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულში შემოსული ირან. სიტყვების ნაწილი იმდენად დამკვიდრდა, რომ ამ სიტყვათა უცხ. წარმოშობა დღეს არ იგრძნობა. ისინი ექვემდებარებიან ქართულის გრამატ. მოდელს და იცვლებიან ქართ. ენობრივი ნორმების მიხედვით. მაგ., სპარსულიდან შემოსული ფანჯარა ქართულში კუმშვად-კეცადი სიტყვაა: ფანჯრის... (შდრ. ქართ. კედლის, კატის და მისთ.), თუმცა ანალოგიური პროცესები უცხოა სპარსულისათვის. ამგვარი სიტყვები, ბარბარიზმებისაგან განსხვავებით, ქართ. ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა.

ლიტ.: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I–II, თბ., 1966–96; Очерки по истории изучения иранских языков, M., 1962; Windfuhr G. Z., The iranian languages, L.–N. Y., 2009.

თ. ჩხეიძე.

ირანული ხავერდულა (Erebia iranica Grum-Grshimailo, 1895), დღის პეპელა ხავერდულების ოჯახიდან. კავკასიის ფართო ენდემია. გავრცელების არეალია: კავკასიონი, სამხრ. კავკასია, მცირე აზია, ირანი.



ირანული ხავერდულა.

საშ. ზომის მოშავო-ყავისფერი პეპელაა, რ-ის ზედაპირი ხავერდისებურია. ზედა ფრთების გარეთა ზედა კუთხეში ორი თეთრაშიაინი თვალუკი შეიმჩნევა; დანარჩენი გამყოლი თვალუკები კი თანდათან რედუცირდება და ქრება. ასეთივე თვალუკები ემჩნევა ქვედა ფრთების გარეთა კიდეზეც.

კავკასიის ტერიტორიაზე მკვეთრად გამოირჩევა ი. ხ-ს ორი ქვესახეობა: E. iranica sheljuzhkoi Warren, 1935, რ-იც დიდ კავკასიონზეა გავრცელებული, და E. iranica dromulus Staudinger, 1901, რ-იც ძირითადად მცირე კავკასიონზე, სამხრ. საქართველოსა და სომხეთის მთიანეთში გვხვდება. ორივე ფრენს სუბალპურ და ალპურ მდელოებზე 1900–2000 *მ*-იდან 3500 *მ*-მდე. მცირერიცხოვანია. ძირითადი მალიმიტირებელი ფაქტორი გადაჭარბებული ძოვებაა. რელიქტია. შეტანილია წითელ წიგნებსა და ნუსხებში (III კატეგორია).

ლიტ.: Батиашвили И. Д., Дидманидзе Э. А., Некоторые виды чешуекрылых Грузии, подлежащие охране насекомых, Ер., 1976; Дидманидзе Э. А., Некоторые редкие и эндемичные виды крупных чешуекрылых Кавказа, хранящиеся в Гос. Музее Грузии, «Вестник Гос. Музея Грузии», 1987, т. 34-А; Дидманидзе Э. А. и др., О некоторых эндемичных, редких и исчезающих видах фауны Грузии: новые ориентиры к решению проблемы, Тб.,2002; Didmanidze E., Lepidoptera – Georgian biodiversity country study report,

Tb., 1996. *ე. დიდმანიძე.*

ირაციონალიზმი (<ლათ. irrationalis – არაგონებისმიერი), მოძღვრება და მსოფლმხედველობა, რ-იც სამყაროს შემეცნების პროცესში ადამიანური გონების (ლათ. რაციოს) თვითკმარობის პრინციპს უარყოფს. მიუხედავად ამისა, ი. უფრო მეტად მაინც ამა თუ იმ ფილოს. მიმართულებისა თუ სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ვიდრე სრულიად დამოუკიდებელ ფილოს. მიმდინარეობას. ი-ის საპირისპირო მიმართულებად *რაციონალიზმი* განიხილება. ერთმანეთისგან განასხვავებენ შემეცნებით ი-სა და მეტაფიზიკურ ი-ს. პირველის თანახმად, ადამიანის გონებას არ ძალუძს სამყაროს, ობიექტური რეალობისა და მისი კანონზომიერებების ადეკვატური შემეცნება. ამ მიზნით შემეცნებითი ი. ისეთ უნარებს წამოსწევს წინა პლანზე, როგორიცაა ინტუიცია, რწმენა, არსების უშუალო ჭვრეტა და ა. შ. მეტაფიზიკური ი-ის ამოსავალი, პოზიციის მიხედვით, სიცოცხლე, ფსიქიკური პროცესები და ისტორია ირაციონალური ბუნებისაა და რაციონალურ კანონებსა და წესებს არ ემორჩილება. მაშასადამე, ი. თავად სინამდვილის არსს წარმოადგენს; ამდენად, ის მეცნიერული (რაციონალური) შემეცნების ობიექტი ვერ გახდება.

ი., როგორც მეცნიერული შემეცნების კატეგორია, ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი, თუმცა თავდაპირველად მას არ ჰქონდა უარყოფითი შეფერილობა და რაციონალიზმის ალტერნატიულ მოდელად განიხილებოდა. მაგ., ი. *კანტის* „ნივთი თავისთავად“, ა. შოპენჰაუერის „სამყაროს ნება“, ა. ბერგსონის „სიცოცხლის ძალა“ ირაციონალური ბუნებისანი არიან, რადგან რაციონალური შემეცნების მეშვეობით მათი ადეკვატური გაგება ვერ ხერხდება.

თანამედროვე ი-ის ფესვები გერმანულ იდეალიზმშია საძიებელი. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფ. ვ. ი. ფონ შელინგის „გამოცხადების ფილოსოფია“ და მის მიერ „ინტელექტუალური ჭვრეტის“ წინა პლანზე წამოწევა. გერმანული რომანტიზმიც ირაციონალური პოზიციის განსახიერებას წარმოადგენდა. XX ს. მრავალი გავლენიანი ფილოს. მიმდინარეობა (სიცოცხლის ფილოსოფია, *ეგზისტენციალიზმი*, ნეოთომიზმი, პერსონალიზმი და ა.შ.) ირაციონალური მოტივების სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებდა ყურადღებას. ს. კირკეგორი, ა. შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე, ა. ბერგსონი და სხვ. ი-ის წარმომადგენლებად ითვლებიან.

ი. განსაკუთრებით მკვეთრად წარმოჩნდა XX ს. ქართულ აზროვნებაში. ი-ის ძლიერი ზეგავლენა იგრძნობა გ. *რობაქიძის*, ა. *ჯორჯაძის*, შ. *ნუცუბიძის*, დ. *უზნაძის*, კ. *გამსახურდიას*, კ. *კაპანელის* და სხვათა შემოქმედებაზე. გარდა ამისა, ი-ის სხვადასხვა ასპექტებს იკვლევდნენ XX ს. II ნახ-ის ქართველი მეცნიერები, რ-ებიც დასავლური ი-ის ზემოთ დასახელებულ წარმომადგენელთა ნააზრევს განიხილავდნენ. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: კ. *ბაქრაძე*, თ. *ბუაჩიძე*, ზ. *კაკაბაძე*, ა. *ბოჭორიშვილი*, გ. *ცინცაძე*, გ. *თევზაძე* და სხვ. გ. თევზაძის მეტად მოხდენილი და მართებული შეფასების თანახმად, ი. აღქმული უნდა იქნეს გონების მიერ საკუთარი თავის კრიტიკად, ანუ თვითკრიტიკად.

ლიტ.: ბუაჩიძე თ., ფილოსოფიური ნარკვევები, ტ. 1, თბ., 2003; დანელია დ., ირაციონალისტური ფილოსოფია და მოდერნიზმი, თბ., 1993; თევზაძე გ., ირაციონალიზმი, როგორც გონების მიერ საკუთარი თავის კრიტიკა (თვითკრიტიკა), კრ.: ახალი სამეცნიერო–კვლევითი პროექტები ფილოსოფიაში, რედ. თ. ირემაძე, თბ., 2010; ირემაძე თ., ფრიდრიხ ნიცშე, თბ., 2006. *თ. ირემაძე.*

ირგანჩაი, ირგანი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), ლოქის მასივზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 1660 *მ*, დმანისიდან 25 *კმ*. 2,0 ათ. მცხ. (2014).

ირეთელი პოლიო (ნამდვ. სახელი და გვარი – პოლიევქტოს ანტონის ძე კალანდაძე) (9. I. 1876, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 10. IV. 1931, თბილისი), მწერალი. სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, საიდანაც 1893 გარიცხეს რევ. საქმიანობისათვის. 1895–98 მასწავლებლობდა. 1899-იდან მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზის სამმართველოში. 1901 დააპატიმრეს რევ. მოღვაწეობისათვის, ხოლო 1903 გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიის სოფ. ირეტში (აქედან მომდინარეობს ფსევდონიმი „ირეთელი“). მისი პირველი კორესპონდენცია (წერილი „ქადაგება ბორბალოში“) 1895 გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა. 1899-იდან „კვალში“ ბეჭდავდა სატირულ მოთხრობებსა და მინიატიურებს. იყო იუმორისტული ჟურნალების „შუამავლისა“ (1908) და „სალამურის“ (1911) ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რედაქტორობდა ჟურნ. „სხივს“ (1910). 1908 სცენაზე დაიდგა, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ი-ის პიესა „დამარცხებულნი“. მასვე ეკუთვნის პიესები: „ბედნიერი დღე“ (1913), „პირველი ზარი“, „ფოლადის კაცი“ (1924), „ნიალვარი“ (1925), ე. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით გადაკეთებული „ქრისტინე“ და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ (სათაურით „სოფლის გმირები“).

1921-იდან ასევე თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „მნათობი“, „ტარტაროზი“ და „ნიანგი“, თარგმნილი აქვს ლ. ტოლსტოის რომანი „აღდგომა“ (1904, „ივერიის პრემია“).

თხზ.: მოთხრობები, თბ., 1946; კედელი. მოთხრობები. მოგონებები. პიესები, თბ., 1964. *ვ. ცისკარიძე.*

ირემასოკო (Sarcodon imbricatus), ქუდიანი საჭმელი სოკო ზღარბასოკოების ოჯახისა. ქუდის დიამეტრია 5–20 *სმ*, მოყავისფრო-ხორცისფერია, შუაში ჩაღრმავებული. მისი ზედაპირი დაფარულია სქელი, დიდი, კონცენტრულად გაწყობილი მუქი ყავისფერი ქერცლით. ქვედა მხარეს აქვს ფეხისკენ წაწვეტებული თეთრი ეკლები, რ-ებიც სოკოს მომწიფებისას უკვე მოყავისფროა. ფეხი მშრალია, მისი სიგრძე – 2–8 *სმ*, ფორმა ცილინდრული აქვს, მოთეთრო-მოყავისფრო, ძირში – გამსხვილებული. რბილობი მკვრივია, თეთრი, სპეციფიური სუნით, ოდნავ მომწარო. საქართვ. იზრდება აგვისტოდან სექტემბრის ჩათვლით, ნაძვნარში, ფიჭვნარსა და შერეულ ტყეებში ზაფხულსა და შემოდგომაზე. საკვებად ვარგისია ნედლი. *ი. ნახუცრიშვილი. ა. ჯორჯაძე.*



ირემასოკო.

ირემაძე გიგლა აკაკის ძე (19. IV. 1960, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 13. VIII. 2004, თბილისი), გენე-

რალ-მაიორი (2001), ვიცე-ადმირალი (2003), ადმირალი (2004, სიკვდილის შემდეგ). დაამთავრა საქართვ. თავდაცვის სამინისტროს სამხ. აკადემია (1997), უკრაინის სამხ. აკადემია (2000), საბერძნეთის საზღვაო ომის კოლეჯი (2004). სახმელეთო ჯარების დაზვერვის უფროსი (1997). 1997–98 იყო საზღვაო ქვეითი ბატალიონის მეთაური, 1998–2001 – სამხ.-საზღვ. ფლოტის სარდლის მოადგილე სანაპირო დაცვაში, 2001–04 საქართვ. თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების უფროსი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (1997) და II ხარისხის ორდენებით (2002). *ლ. დოლიძე.*

ირემაძე ვალერიან ანდრიას ძე (22. III. 1922, სოფ. უცხერი, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი, – 7. X. 1982, ქუთაისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი. დაამთავრა ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1944), რ-ის დასრულების შემდეგ იქვე იყო პოლიტ. ეკონ. კათედრის თანამშრომელი, შემდეგ კი – კათედრის გამგე (1960–74), პრორექტორი (1962–72). 1949–52 შეთავსებით მუშაობდა საქ. სსრ პოლიტ. და მეცნ. ცოდნის გამავრცელებელი საზ-ბის საქალაქო, ხოლო შემდეგ საოლქო განყ-ბის პასუხისმგებელ მდივნად.

ი-ის სამეცნ. შრომები ეხება ქიმ. მრეწველობის განვითარების საკითხებს საქართველოში. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. მონოგრაფიებისა.

თხზ.: ლითოფონის წარმოების განვითარებისა და ეკონომიკის საკითხები, თბ., 1961; ქიმიური მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბ., 1978.

ირემაძე თენგიზ გელას ძე (დ. 9. III. 1973, სოხუმი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2007). გ. რობაქიძის სახ. უნ-ტის ფილოსოფიისა და სოც. მეცნიერებათა კვლევითი ინ-ტის დირექტორი (2007-იდან), კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნ.-კვლ. არქივის დირექტორი (2015-იდან).

სწავლობდა თსუ-ის ფილოს. და სოციოლოგიის ფაკ-ტზე (1993–98). ბოხუმის უნ-ტში (გერმანია) დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „აზროვნების კონცეფციები ნეოპლატონიზმში“ (2003).

ი-ს გამოქვეყნებული აქვს სტატიები „სტენფორდის ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში“. არის არაერთი ფილოს. და ლიტ. საზ-ბის, მ. შ. ერნსტ მაისტერის საზ-ბის საპატიო წევრი, იოანე პეტრიწის საფილოსოფოსო საზ-ბის თავ-რე, გ. ლესინგის აკად. წევრი (გერმ.), პატრისტიკული კვლევების საერთაშ. ასოციაციის წევრი, შუა საუკუნეების კვლევის საერთაშ. და სხვ. წევრი, ცნობილი ფილოსოფიური წელიწდეულების რედაქტორ-გამომცემელი და სამეცნ.-საგამომცემლო საბჭოს წევრი. მისი სამეცნ. ნაშრომებია: „ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია“; „ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები, თარგმანები“; „ფრიდრიხ ნიცშეს რჩეულ თხზულებათა ქართულენოვანი აკადემიურ-კრიტიკული გამოცემა“; „აღმოსავლეთი და დასავლეთი – კულტურათა დიალოგი“; „Philosophie und Sozialtheorie“ (Berlin) და სხვ. (გამოქვეყნებულია მრავალ ენაზე).

ი-ის ფილოს. ნაშრომების ანალიზს მიეძღვნა საერთაშ. სამეცნ. კონფერენცია „ნეოპლატონიზმი და თანამედროვეობა“ (2008), არაერთი სამეცნ. სტატია, კრებული და მონოგრაფია. უცხოელი და ქართვ. სპეციალისტები მის სამეცნ. ნაშრომებს მიიჩნევენ ანტ. ხანისა და შუა საუკუნეების ნეოპლატონიზმის კონცეფციათა ორიგინ. ფილოსოფიურ კვლევად, რაც გამოიხატა ამ მემკვიდრეობის ტიპოლოგიურ-სისტემური ინტერპრეტაციის ახალი, ინტერკულტურული მოდელის შემუშავებით. ფილოსოფიის ისტ. კვლევის ამ ინტერკულტურულმა მოდელმა დარგის არაერთი ცნობილი წარმომადგენლის საგანგებო ყურადღება მიიქცია.

ი-ის სახელთან არის დაკავშირებული კავკასიური ფილოსოფიის ცნების შემოტანა თანამედროვე ფილოს. დისკურსში და ამ მეტად საინტერესო თეორიული მემკვიდრეობის შესახებ ისტ.-სისტემური კვლევა-ძიების დაწყება.

თხზ.: ფრიდრიხ ნიცშე, თბ., 2006; ვალტერ ბენიამინი, თბ., 2008; ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე, თბ., 2013 (თანაავტ.); ფილოსოფიური ურბანისტიკა, თბ., 2014 (თანაავტ.); ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები, თბ., 2014; პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში, თბ., 2014; ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია და მისი გაგების პერსპექტივები, თბ., 2015; რელიგია, შემწყნარებლობა, სახელმწიფო, თბ., 2016; Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus, Amsterdam/Philadelphia, 2004, 2009.

ლიტ.: თ ა ვ ა ძ ე გ., რუკების ძალა, თბ., 2013; J e c k U. R., Erläuterungen zur georgischen Philosophie, Tb., 2010; Z a k a r a d z e L., New Perspectives of Georgian Philosophy in the Light of Intercultural Thought, In: European Scientific Journal, vol. 2 (December 2013). *გ. თავაძე.*

ირემაძე ქეთევან ნიკოლოზის ასული [8(21). IX. 1912, თბილისი, – 19. VIII. 1945, იქვე], მწერალი, მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1931). იგი ავტორია ლიტ. წერილებისა და ნარკვევებისა ბ. ჯორჯაძის, ნ. ორბელიანის, ე. გაბაშვილის, შ. არაგვისპირელის, ჭ. ლომთათიძის, აბატ პრევოს, ბ. კონსტანის, ა. დიუმას, გი დე მოპასანისა და სხვათა შესახებ; ისტ.-ლიტ. ნარკვევებისა – „ჩერქეზი ქალი აისე“, „ქართველი ქალები“; დაუმთავრებელი ისტ. რომანისა „ქეთევან“ და სხვ. ქართულად თარგმნა აბატ პრევოს, დ. დიდროს, ბ. კონსტანის, გი დე მოპასანის, ი. ტინიანოვის ნაწარმოებები, ქართულიდან რუსულად – ე. ნინოშვილის მოთხრობები.

თხზ.: ლიტერატურული მედალიონები, თბ., 1946; ლიტერატურული სილუეტები, ტფ., 1932 (ყდაზე – 1933) (თანაავტ.: შ. რადიანი).

ლიტ.: ქეთევან ირემაძე. კრებული, თბ., 1945. *ვ. ცისკარიძე.*

ირემაძეები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის დიდაჭარის თემში (აჭარის არ), მდ. ღორჯომისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1020 *მ,* ხულოდან 10 *კმ.* 453 მცხ. (2014).

ირემახოჭო (Lucanus cervus Linnaeus, 1758), მწერი ხეშეშფრთიანების რიგისა (Coleoptera), რქოვანების (Lucanidae) ოჯახისა. სიგრძე 25–75 *მმ,* თათები ხუთნაწევრიანია. მამრს აქვს დიდი ზომის ზედა ყბები (მანდიბულები), რ-ებიც ირმის რქებს ჰგავს. მდედრის სხეულის ფრთების ზედა ნაწილი მურა-შავია.



ირემახოჭო.

გავრცელებულია დას. ხმელთაშუაზღვისპირეთში, ევროპის ფართოფოთლოვან ტყეებში, ტყე-ველისა და ველის ზონაში, გვხვდება ჩრდ. აფრიკაშიც. საქართველოში გავრცელებულია შედარებით მცირე ზომის იბერიული ი. (L. c. ibericus), რ-იც ბინადრობს ფოთლოვან, განსაკუთრებით მუხის ტყეებში დას., აღმ. და სამხრ. საქართველოში. ხოჭოს მატლები იზრდებიან (5–6 წელი) მუხის, იფნისა და მსხლის მკვდარ ფესვებში. ხოჭოები გამოდიან მაისში, ფრენენ დაბინდებისას (განსაკუთრებით მამრები). კვერცხების დადების შემდეგ მათი ძირითადი ნაწილი იღუპება, ერთეულები აღწევენ ნოემბრამდე. იკვებებიან დაზიანებული ხეების

წვენით. *ი. სხირტლაძე.*

ირი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტის წედისის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1180 *მ*, ონიდან 15 *კმ*. 43 მცხ. (2014).

რაჭის 1991 წ. მიწისძვრამდე ი-ში მუშაობდა ჩორდის ბარიტის მადნის გამამდიდრებელი ქ-ნა, რ-იც ბარიტის კონცენტრატს აწვდიდა ლაქ-საღებავების მწარმოებელ და ნავთობის მომპოვებელ საწარმოებს.



ირმისბაწარა.

ი. წყაროებში პირველად მოიხსენიება XIII ს-ში. სოფელში შემორჩენილია ადრინდ. ფეოდ. ხანის ეკლესია.

ირიგაცია (ლათ. irrigatio – მორწყვა, შესხურება), 1. მ ე დ ი ც ი ნ ა შ ი – სამკურნალო პროცედურა, ანთებითი ქსოვილის მოსხურება წყლის ან სამკურნალო სითხის ნაკადით. ფართოდ იყენებენ ქირურგიაში, უროლოგიაში, გინეკოლოგიაში და სხვ. ი-თვის დანიშნულ ცისტოკოპებსა და ურეთროსკოპებს საირიგაციო ხელსაწყოებს (იარაღებს) უწოდებენ; 2. ს ო ფ ლ ი ს მ ე ურ ნ ე ო ბ ა შ ი – ნაკლებტენიან მიწაზე წყლის სისტემის გაყვანა, რაც ზრდის ნიადაგის ფესვთსამყოფელ შრეში ტენის მარაგს. *მელიორაციის* ერთ-ერთი სახე. იხ. აგრეთვე *რწყვა*.

ირითი, მყინვარი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) აუზში. ი. მყინვარ ტვიბერს უერთდება მარჯვ. მხრიდან 2750 *მ* სიმაღლეზე. მყინვარი კარული ტიპისაა. სიგრძე 2,5 *კმ*, ფართ. 2,6 *კმ*^{2}. ფირნის ხაზი ზ. დ. 3110 *მ*. *რ. შენგელია.*

„ირინოლა“, სატრფიალო-საყოფაცხოვრებო შინაარსის სვანური ფერხული ტრაგიკული დასასრულით. მკვლევართა აზრით, ის საქორწილო რიტუალს უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა ეს ფუნქცია დაკარგული აქვს. სიტყვიერი ტექსტი დედისა და ახალგათხოვილი ქალიშვილის დიალოგს ეფუძნება. ირინოლა არ დაემორჩილა მშობლების მოთხოვნას – უარი თქვას სიყვარულზე, ღამით სახლიდან ფეხშიშველი, უთავსაფროდ, უპერანგოდ გაიპარა და ულელტეხილზე გადასვლისას გაიყინა. სხვა ვარიანტის მიხედვით, უკვე ქმარშვილიანი ირინოლა დედამთილ-მამამთილმა აიძულა, რომ სახლ-კარი მიეტოვებინა. ფერხულში მამაკაცებისა და ქალების განუსაზღვრელი რაოდენობა მონაწილეობს. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუს. ზომა 4/4.

ლიტ.: თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართულ ცეკვათა განმარტებანი, თბ., 1986; ქართული ფოლკლორი. მასალები და გამოკვლევები, IV, თბ., 1974.

ირმისბაწარა (Hericium coralloides), თეთრი, მარჯნისებრი ფორმის საჭმელი სოკო ზღარბასოკოების ოჯახისა. მისი თეთრი ან მოყვითალო ნაყოფსხეული დატოტვილია და მოფენილია გრძელი, თავდაპირველად თეთრი, შემდეგ კი მოყვითალო-ვარდისფერი ეკლებით. რბილობი თავიდან თეთრია და რბილი, შემდეგ – მოყვითალო და უხეში. საქართვ. იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე გამხმარ და დამპალ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით წიფელზე. საკვებად ვარგისია ნედლი.

ი. ნახუცრიშვილი. ა. ჯორჯაძე.

ირმისებრნი (Cervidae), წყვილჩლიქოსან ცხოველთა ოჯახი. იყოფა ოთხ ქვეოჯახად: წყლის ირმები (Hydropotinae), შვლები (Capreolinae), მუნჯაკები (Muntiacinae) და ნამდვილი ირმები (Cervinae). ოჯახი შეიცავს 51 სახეობას. ირემთა ზომა



ირმისებრნი.

მერყეობს კურდღლის (პუდუ) და ცხენის (ლოსი, ანუ ცხენირემი) ზომებს შორის. ხარებს აქვთ რქები, ფურებს – არა, გამონაკლისია ორი სახეობა: წყლის ირემს რქები არა აქვს, ხოლო ჩრდილოეთის ირემს (როგორც მამრს, ასევე მდედრს) აქვს. რქებზე შეიძლება არ ჰქონდეთ არც ერთი განტოტვა (გვარ მუნჯაკის ზოგი სახეობა) ან ჰქონდეთ 20 (ბარასინგა). წელიწადში ერთხელ ირმები იცვლიან რქებს, რ-ებიც სცვივათ და შემდგომ ისევ ამოსდით. ი. გავრცელებულია აზიაში, ევროპაში, ამერიკასა და ჩრდ.-დას. აფრიკაში. ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ახალ გვინეაში და კარიბის ზღვის კუნძულებზე ინტროდუცირებულია. ზოგიერთი აზიური სახეობა ინტროდუცირებულია ინგლისსა და საფრანგეთში. ირმები გვხვდება როგორც ტყეებში, ასევე უდაბნოებში, ველებზე, სუბალპებსა და ალპებში, ტუნდრაში, ჭარბტენიან ადგილებში. მათი შეფერილობა ძირითადად სხვადასხვა იერის ყავისფერია, დაჰკრავს მოწითალო, მოყვითალო ან მორუხო ელფერი. ზოგ სახეობას კუდის ქვეშ აქვს სხვადასხვა ზომის ღია ფერის (თეთრიდან ყვითლამდე) ხალი, ე. წ. სარკე. ირმების სხვადასხვა სახეობები ან განმარტოებით ცხოვრობენ, ან ქმნიან მცირე ზომის ე.წ. „ჰარამხანის“ ტიპის დაჯგუფებებს, რ-შიც არის ერთი მამრი რამდენიმე მდედრით და ახალგაზრდა ირმები, რ-თაც მამრი იცავს. იგი მონიშნავს თავის ტერიტორიას თავზე, ფეხებზე განლაგებული განსაკუთრებული ჯირკვლების სეკრეტით, რ-იც არის შარდშიც. ტროპიკებში გამრავლება ხდება მთელი წლის განმავლობაში, ზომიერი კლიმატის სარტყელში გამრავლების პერიოდი (ხურაობა, მყვირალობა) გვიან შემოდგომასა და ზამთარში იწყება. მხოლოდ შველი მყვირალობს ზაფხულობით. შობენ 1–2 ნუკრს, იშვიათად – ოთხს. ნუკრები ხალებიანია. იკვებებიან მცენარეული საკვებით. ღრურქიანებისგან განსხვავებით, უფრო რბილ საკვებს ეტანებიან. კარგად დარბიან და ცურავენ. მათი ძირითადი მტრები არიან კატისებრნი, მგლები და ადამიანი. ამ უკანასკნელის უკონტროლო ნადირობის გამო გადაშენების პირას მდგარი ირმის მრავალი სახეობა საერთაშ. და რეგიონალურ წითელ ნუსხებსა და წიგნებშია შეტანილი, ზოგი სახეობა კი მხოლოდ ტყეობაშია შემორჩენილი (დავითის ირემი – Elaphurus davidianus). *ა. ბუხნიკაშვილი.*

ირმის მღიერი, ი რ მ ი ს ხ ა ვ ს ი, ი ა გ ე ლ ი (Cladonia rangiferina), ბუჩქისებრი ლიქენები კლადონიას გვარისა. გავრცელებულია დიდ ფართობებზე ტუნდრისა და ტყის ზონებში. ჩრდილოეთის ირმის



ირმის მღიერი.

საუკეთესო საკვებია ზამთარში. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. ჩვენთან გვხვდება ასევე ალპური ი. მ. (C. alpestris) და ტყის ი. მ. (C. sylvatica). ირმის ხავსი ი. მ-ის უმართებულო, თუმცა საკმაოდ გავრცელებული სახელწოდებაა.


ირმისმხალა (Serratula), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აქვს მარტოული ან საერთო ფარისებრ, იშვიათად, საგველა ყვავილედებად თავმოყრილი მრავალყვავილიანი კალათა ყვავილედები. 70-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდ. აფრიკაში, შუა აზიასა და კავკასიაში. საქართველოში გვხვდება 4 სახეობა. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ტყეებსა და ტყისპირებზე მთის ზედა



ირმისმხალა.

სარტყლამდე. ი-ს ზოგი სახეობა საღებავი და თაფლოვანი მცენარეა.

ირმის ნახტომი, ცის თაღზე გადაჭიმული მოთეთრო ნისლისმაგვარი, სუსტად მნათი ზოლი. შედგება ჩვენს გალაქტიკაში (იხ. სტ. *ასტრონომია*) შემავალი აურაცხელი ვარსკვლავისაგან, რ-ებიც დიდი სიშორის გამო ერთმანეთთან ძლიერ ახლოს მოჩანს. ი. ნ-ის ზოლის შუა ხაზი გალაქტიკის სიბრტყეშია, მასთან უშუალო სიახლოვესაა ჩვენი გალაქტიკის შემადგენელ ვარსკვლავთა უმრავლესობა. ი. ნ-ის სინონიმებია ქართ. სახელწოდებანი: ,,დათვისფეხა'', ,,დევის ნამუხლარი'', ,,იერუსალიმის გზა'', ,,ცისიკანკლედი'', ,,ხარის ნავალი''.



ირმის ნახტომის სპირალური სტრუქტურის კომპიუტერული გამოსახულება.



ირმის ნახტომი გალაქტიკური ცენტრის მიმართულებით. ფოტოსურათი ევროპის სამხრეთ ობსერვატორიიდან (ჩილე, მთა ლა სილა).

ირმისტუჩა (Hydnum repandum), საჭმელი სოკო ზღარბასოკოების ოჯახისა. აქვს კარგად განვითარებული ქუდი და ფეხი. ქუდის დიამეტრი 12 *სმ* აღწევს, თავდაპირველად არის ამობურცული, შემდეგ შუაში ჩაჭყლეტილი, ხავერდოვანი, მოყვითალო, თეთრი ან მოვარდისფრო ხორცისფერი ოქროსფრამდე. ქვედა მხარეს ფეხისკენ მიმართული მყიფე, ვარდისფერი ეკლები აქვს. ფეხი ცილინდრულია, მოკლე (3–5 *სმ*), ექსცენტრული, თეთრი ან მოყვითალო, ძირში – ღია ჟანგისფერი. საქართვ. იზრდება ზაფხულიდან პირველ ყინვებამდე, წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში. უყვარს ხავსიანი ადგილები, კირქვიანი ნიადაგები. საჭმელად ვარგისია ნედლი. *ი. ნახუცრიშვილი. ა. ჯორჯაძე.*

ირმოლოგიონი, ჰიმნოგრაფიული კრებული, რ-შიც თავმოყრილია 8 ხმის გალობათა ძლისპირები, ანუ ირმოსები. ბერძნ. ი-ისგან განსხვავებით, ქართ. ი-ში გალობათა ძლისპირებთან ერთად შესულია მათი შესაბამისი ,,ღმრთისმშობლისას'' ტროპარები. სწორედ ამიტომ ი-ის ქართ. შესატყვისია ,,ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი''.

გამოც.: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1971. *ლ. ჯღამაია.*

ისააკიანი ავეტიქ სააკის ძე [19(31). X. 1875, ღაზარაპატი, ალექსანდროპოლის (ახლანდ. გიუმრი) მახლობლად, – 17. X. 1957, ერევანი], სომეხი პოეტი, სომხ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943). 1889–92 სწავლობდა ეჩმიაძინის სას. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ გაფიცვაში მონაწილეობისათვის. ჩამოვიდა თბილისში და დაუახლოვდა თბილისელ სომეხ მწერალთა წრეს (ო. თუმანიანი, ღ. აღაიანი და სხვ.). 1892–93 გამოაქვეყნა ლექსები თბილ. სომხ. ჟურნალში ,,ტარაზ'' (,,მოდა''); ლექსების პირველმა კრებულმა ,,სიმღერები და ჭრილობები'' (1898, ალექსანდროპოლი) პოეტს აღიარება მოუტანა. ი-ის ლექსებში გაისმოდა ეროვნ. და სოც. ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივები, რისთვისაც ბევრჯერ იყო რეპრესირებული. 1908 მეტეხის ციხეში იჯდა. 1911-იდან დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ. 1936 საბოლოოდ დაბრუნდა სომხეთში. 1909 ჟურნ. ,,გელარვესტში'' (,,ხელოვნება'') გამოაქვეყნა პოემა ,,აბუ-ლალა-მაარი'' (ცალკე წიგნად გამოვიდა კონსტანტინოპოლში 1911; ქართ. თარგმ. 1929, 1963, 1968). პოემა თავისი სულისკვეთებით (ადამიანის სწრაფვა ბედნიერებისა და ნათელი მომავლისაკენ) ენათესავება ნ. ბარათაშვილის ,,მერანს'', ა. მიცკევიჩის ,,ფარისს'' და სხვა მსგავს ნაწარმოებებს. ი-ს ეკუთვნის ლექსებისა და მოთხრობების კრებ. ,,მოთმინების ჩიბუხი'' (1928), ლექსების ციკლი: ,,ჩვენი ისტორიკოსები



ირმისტუჩა.

და ჩვენი გუსანები'' (1939), ,,ჩემს სამშობლოს'' (1940) და სხვ.; აღსანიშნავია პოემა ,,სასმა მჭერი'' (1919, ქართ. თარგმ. 1939). ლექსში ,,თავისუფლების ზარი'' (1905) მყინვარწვერისა და მასისის სახით სიმბოლურად წარმოადგინა ქართვ. და სომეხი ხალხების მეგობრობა. ქართ. თემაზეა დაწერილი მოთხრობა ,,შაქრო ვალიშვილი'' (1906), პროზაული ნაწარმოები ,,ქართველი მგოსნის სიმღერა'' (1937), ლექსი ,,თამარის სიმღერა'' (1943) და სხვ. მისი ნაწარმოებები ნათარგმნი აქვთ ტ. ტაბიძეს, რ. თვარაძეს, გ. შაჰნაზარს, ი. აბაშიძეს და სხვ.

II მსოფლიო ომის წლებში გამოქვეყნებული პატრ. ლექსებისათვის ი-ს მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1946). მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა ენებზე.

თხზ.: Եիկեւ, հ. 1–4, Ե., 1958–59; რჩეული, თბ., 1955; რჩეული ლირიკა, თბ., 1975; საადის უკანასკნელი გაზაფხული, თბ., 1971.

ლიტ.: არველაძე ბ., მეგობრობის ნათელი ფურცლები, თბ., 1975; ნაჰაპეტიანი მ., არველაძე ბ., ავეტიქ ისააკიანი, თბ., 1975; Գանալանյան Օ. Տ., Очерки армянской поэзии XIX–XX веков, 2 изд., Ер., 1964. *ბ. არველაძე.*

ისააკ მცირე (გ. 1799, თბილისი), XVIII ს. ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი, კალიგრაფი, მესტამბე. მოღვაწეობდა ერეკლე II-ის სტამბაში, სადაც 1751 მისი უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა ,,კონდაკი''. ი. მ-ის სასტამბო მოღვაწეობა მალე შეწყდა. კათოლიკოს ანტონ I-სა და ზ. გაბაშვილს შორის უთანხმოების დროს ი. მ. უკანაკნელს მიემხრო, რისთვისაც სასტიკად დასაჯეს. ი. მ-ს გადაწერილი აქვს მრავალი წიგნი. მასვე ეკუთვნის რამდენიმე ორიგინ. და თარგმნილი სატირული ნაწარმოები, სამეცნ. ლიტერაში ცნობილი ,,თაგვებისა და კატის ომის'' სახელწოდებით.

წყარო და ლიტ.: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 2, თბ., 1948; იოსელიანი პ., ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, ა. გაწერელიას რედ., თბ., 1978; კასრაძე ო., ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1973. *ო. კასრაძე.*

ისაევ-ავარსკი ალი ისას ძე (დ. 29. XII. 1936, დაღესტანი, გუნიბის რ-ნი, აული ობოხი), კინომსახიობი, რეჟისორი, პოეტი. საქართვ. დამს. არტისტი (1985). 1974 დაამთავრა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმთან'' არსებული კინომსახიობთა სასწავლო სტუდია (ხელმძღვანელები: ე. შენგელაია, რ. ჩხეიძე). შესრულებული



ა. ისაევ-ავარსკი და იური სოლომინი ფილმში ,,წიგნი ფიცისა''.

აქვს ეპიზოდური როლები ფილმებში: ,,ლევან ხიდაშელი'' (1973), ,,საჰაერო ხიდი'', (1974), ,,გაქცევა გათენებისას'' (1975), ,,წიგნი ფიცისა'' (1983) და სხვ.

ი.-ა-მ გადაიღო დოკუმენტური ტრილოგია ,,საქართველო და დაღესტანი. მიზიდულობის ფორმულა'': ,,რასულ გამზათოვი და საქართველო'' (1998), ,,საქართველო დაღესტნელთა თვალით'' (2002), ,,ქართველების თვალით დანახული დაღესტანი'' (2010). ავტორია პროზაული და პოეტური ნაწარმოებებისა: ,,დაღესტნური რტო ქართულ მუხაზე'' (1978), ,,მთიელი ჭაბუკის ფიცი'' (1986), ,,ქვეყანა, სადაც სიყვარული მეფობს'' [სამტომეული ქართ. (2006–08), რუს. (2011–12) ენებზე] და სხვ.

მიღებული აქვს დაღესტნის რესპ. მედალი –,,შამილი'' (1998); დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001); არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2008).

ისაევი ბორის მიხეილის ძე (1913, მოსკოვი, – 1989, იქვე), ფიზიკოსი, ბიოფიზიკოსი, რადიობიოლოგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1967), ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატი (1949, 1951). 1935 დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფიზიკის ფაკ-ტი და მუშაობა დაიწყო ექსპერ. მედ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (შემდგომში – სსრკ-ის მედ. მეცნ. აკადემიის ბიოფიზიკის ინ-ტი). იყო ინ-ტის დირექტორის მოადგილე. 1949 მიენიჭა სტალინური პრემია დოზიმეტრის УП–2000Т შექმნისათვის. 1951 გამოუშვეს ამ ხელსაწყოს სამრეწველო სერიები, რ-ის წარმატებული საველე გამოცდების შემდეგ მეორედ მიენიჭა სტალინური პრემია.

1952–54 მუშაობდა სოხუმის ფიზ-ტექ. ინ-ტში დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1954–58 – დირექტორად. 1958–61 იყო სსრკ მეცნ. აკადემიის ბიოფიზიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე. 1961–64 მუშაობდა ატომური ენერგიის საერთაშ. კომიტეტში (МАГАТЭ, ვენა), 1965–68 – მოსკ. ფიზიკა-ტექ. და რადიოაქტიური გაზომვების საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (ВНИИФТРИ) დირექტორის მოადგილედ და მეცნიერ-ხელმძღვანელად. 1968–77 იყო სსრკ სახსტანდარტის კომიტეტის თავ-რის მოადგილე მეტროლოგიის მიმართულებით, 1977–89 – ВНИИФТРИ-ის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი.

ი. იკვლევდა რადიოაქტიური გამოსხივების ზემოქმედებას ცოცხალ ორგანიზმებზე. მუშაობდა დასხივებისა და შთანთქმული დოზის ერთეულისა და სახელმწ. ეტალონის შექმნაზე.

თხზ.: Ионизационные методы исследования излучений, М., 1950 (თანაავტ.: В. М. Векслер, А. В. Грошев); Нейтроны в радиобиологическом эксперименте, М., 1967 (თანაავტ. Ю. И Брегадзе).

ისაია მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ზურაბ მირდატის ძე ჭანტურია) (დ. 12. IV. 1961, ქ. წალენჯიხა), ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტი, სასულიერო მოღვაწე. სწავლობდა მ. თოიძის სახ. პროფესიულ ტექნიკუმში. 1986 ჩაირიცხა თბილისის თეატრ. ინ-ტში. 1993 ი. მ. შეიმოსა მორჩილის სამოსით. 1994 სვეტიცხოვლის ტაძარში ბერად აღიკვეცა და იმავე წლის 24 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა *ილია II*-მ ბერ-დიაკვნად აკურთხა. მალევე ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად და ასრულებდა მარტყოფის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას. 1995 ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის ი. მ-ს იღუმენის პატივი მიენიჭა. იმავე წლის 9 აპრილს ეპისკოპოსის ხარისხი ებოძა და ახლად შექმნილი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის საჭეთმპყრობელი გახდა. მისი ძალისხმევით ეპარქიაში ამოქმედდა არაერთი ეკლესია-მონასტერი. 2000 წ. 28 ნოემბერს მიენიჭა მთავარეპისკოპოსის, ხოლო 2006 – მიტროპოლიტის პატივი.

2008 აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ცხინვალის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის შემოჭრის მიუხედავად, ი. მ-მა არ დატოვა ეპარქია და ბოლომდე გაიზიარა სამწყსოს ხვედრი.

მიღებული აქვს წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორდენი (2007) და უმაღლესი სას. ჯილდო სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების

უფლებით (2017).

ლიტ.: ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010.

ისაკაძე ელდარ ალექსანდრეს ძე [5. I. 1936, თბილისი, – 27. VII. 2005, ინგოლშტადტი (გერმანია)], ვიოლონჩელისტი და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1983). 1954–57 სწავლობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში (ხელმძღვ. – გ. *ბარნაბიშვილი*), 1957–60 – მოსკ. კონსერვატორიაში (ხელმძღვ. – ს. კნუშევიცკი). 1962–90 თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი იყო (1984-იდან – პროფესორი). 1974–76, კაიროს (ეგვიპტე) კონსერვატორიაში მოღვაწეობდა. 1990–94 უკრავდა ინ-



ე. ისაკაძე სცენაზე.

გოლშტადტის კამერულ ორკესტრში, რ-საც მისი და – ლ. *ისაკაძე* ხელმძღვანელობდა. 1994-იდან იქვე დ. ოისტრახის სახ. მუს. აკად. პედაგოგი იყო. ი-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მაღალი საშემსრულებლო კულტურა, ხალასი ექსპრესია და ტემპერამენტი. რეპერტუარში ჰქონდა კლასიკური მუს. არაერთი ნიმუში. იგი ქართვ. კომპოზიტორთა მრავალი ნაწარმოების (ო. თაქთაქიშვილისა და ს. ცინცაძის სავიოლონჩელო კონცერტები და სხვ.) პირველი შემსრულებელი იყო. მანვე საქართველოში პირველმა შეასრულა ს. პროკოფიევის კონცერტი-სიმფონია და დ. შოსტაკოვიჩის №1 კონცერტი. გასტროლებს მართავდა სსრკ-ის ქალაქებში და საზღვარგარეთ.

გ. ტორაძე.

ისაკაძე ლიანა ალექსანდრეს ასული (დ. 2. VIII. 1946, თბილისი), მევიოლინე და დირიჟორი, საქართვ. (1974) და სსრკ (1988) სახ. არტისტი. ზ. ფალიაშვილის (1979), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1983) და საქართვ. სახელმწ. (2001) პრემიების, აგრეთვე მუსიკოს-შემსრულებელთა არაერთი საერთაშ. კონკურსის (მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ., პარიზი, 1965, I პრემია; პ. ჩაიკოვსკის სახ., მოსკოვი, 1970, III პრემია; ი. სიბელიუსის სახ., ჰელსინკი, 1970, I პრემია) ლაურეატი.

პირველდაწყებითი სამუსიკო განათლება მიიღო თბილ. ცენტრ. სამუს. სკოლაში (ხელმძღვ. – ლ. შიუკაშვილი). 1956 გახდა რესპ. მუს. ფესტივალის ლაურეატი, 1957 – ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა I კონკურსის, ხოლო 1961 – საკავშ. კონკურსის ლაურეატი. 1968 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (დ. ოისტრახის კლასი). 1971–90 იყო მოსკ. ფილარმონიის სოლისტი, 1981–97 – საქართვ. სახელმწ. დამს. კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი. 1988 ვენაში რამდენჯერმე ჩატარდა ი-ის სახ. მუს. ფესტივალი, სადაც მასთან ერთად მისი ორკესტრიც მონაწილეობდა. 1983-იდან მის მიერ დაარსებული საერთაშ. ფესტივალების [„ღამის სერენადები“ (1982–88) ბიჭვინთაში, ფესტივალი აიხშტეტში (გერმანია), ფესტივალი ღია ცის ქვეშ ბათუმში, „ხელოვნების ზეიმი“ ბორჯომში] სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. 1990-იდან მოღვაწეობს გერმანიაში, თავისივე დაარსებულ მუს. აკადემიაში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის (მ. შ. – საქართველოს) ნიჭიერი სტუდენტები სწავლობენ. გერმანიის ქ. ინგოლშტადტში ი-მ დააარსა ქართ. კულტ. ცენტრი – საქველმოქმედო ორგანიზაცია, რ-იც ეხმარება ახალგაზრდა ქართვ. ხელოვნების მოღვაწეებს თავიანთი შემოქმედების გამოფენა-რეალიზაციაში, უნიშნავს სტიპენდიებს. 1999 ჩამოაყალიბა საქართვ. სიმებიანი ორკესტრის ახ. კოლექტივი. სხვადასხვა დროს იყო საერთაშ. კონკურსების (პარიზში – ჟ. ტიბოს, ჰელსინკიში – ი. სიბელიუსის, მიუნხენში – არდ-ის, ბონში – ტ. ვარგას, ოდესაში – დ. ოისტრახის სახ.) ჟიურის წევრი, ხოლო 1998 – პ. ჩაიკოვსკის სახ. საერთაშ. კონკურსის ჟიურის თავრე (მოსკოვი). 1990 ქ. ინგოლშტადტში ჩაიყვანა საქართვ. კამერული ორკესტრი, რ-იც იქ ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. 1992 იქვე დააარსა თავისი მასწავლებლის – დ. ოისტრახის სახ. მუს. აკადემია.

ი. თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მევიოლინეა. მისი შესრულება გამოირჩევა არტისტიზმით, ღრმა მუსიკალურობით, ვირტუოზული ტექნიკით. რეპერტუარში აქვს კლასიკური და თანამედროვე მუს. საუკეთესო ნიმუშები.

ი. ქართვ. კომპოზიტორთა რიგი ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია (ო. თაქთაქიშვილის სავიოლინო კონცერტი და სხვ.). გადაღებულია ფინურ მხატვრულ ფილმში „სიბელიუსი“ (1975), მის შემოქმედებას მიეძღვნა იაპონური დოკუმენტური ფილმი „ლიანა ისაკაძე“ (1974). 2000 ჩაატარა „საკონცერტო პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში“ (გადაღებულია კინოფილმი, რეჟ. ა. ვახტანგოვი). 2003 სანქტ-პეტერბურგში გაიმართა მევიოლინეთა „ლიანა ისაკაძის სახ. I საერთაშ. კონკურსი“. ცხოვრობდა პარიზსა



ლ. ისაკაძე.



ლ. ისაკაძე სცენაზე.

და გრასში, 2017-იდან – დაბრუნდა საქართველოში. შეყვანილია XX ს. გამოჩენილ მუსიკოსთა ენციკლოპედიაში (კემბრიჯი, 2002).

თბილისში, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გახსნილია ი-ის ვარსკვლავი (2001). 2016 მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (ორგზის – 1998, 2000).

ლ. საყვარელიძე.

ისაკაძე შალვა გიორგის ძე (დ. 22. VIII. 1936, თბილისი), დეკორატორი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (2005); საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983); თბილ. მთ. დეკორატორი (1995-იდან). 1959 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი დეკორ. მებაღეობისა და ლანდშაფტური არქიტ. განხრით. 1969–74 იყო თბილ. საქალაქო საბჭოს დეპუტატი და გამწვანების ტრესტის მმართველი, 1972–76 – საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრ. ბოტან. ბაღის მთ. დეკორატორი, 1956 – მწვანე მშენებლობაში ქართული ჩუქურთმის დანერგვის ავტორი, 1974–78 – საქართვ. მეცნ. აკად. ბიოლ. განყ-ბის სწავლული მდივანი, 1982–90 – მცხეთის მთ. დეკორატორი. 1983-იდან საქართვ., 1983–91 – სსრკ-ის არქიტ. კავშირის წევრია. 1993–2003 იყო ლანდშაფტის არქიტ. და გარემოს დაცვის კომისიის თავ-რე. 1970–2005 ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას თსუ-ში, სპი-სა და აგრ. უნ-ტში. 2003–05 იყო საქართვ. აგრ. უნ-ტის დეკორ. მებაღეობისა და ლანდშაფტური არქიტ. კათედრის გამგე.

ი. ავტორია ე. წ. ,,საქართველოს ბაღისა'' მამაის ყორღანზე (ვოლგოგრადი; 1966), საქართვ. ექსპოზიციის გამწვანებისა სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე (ВДНХ) (მოსკოვი; 1983) და სხვ.

საქართველოში მისი ავტორობით შექმნილია მრავალი პარკი, სკვერი, ბაღი, გაფორმებულია შენობები, გამწვანებულია ტერიტორიები; კერძოდ, თბილ. დენდროპარკი (1959), თსუ-ის მთ. კორპუსის შემოგარენი (1968), საქართვ. ალკგ (ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი) შენობა (ლანდშაფტური გაფორმება; 1968), სანატორიუმი ,,საქართველო'' წყალტუბოში (გამწვანება, 1983), ი. სტალინის სახლ-მუზეუმი გორში (ლანდშაფტური გაფორმება; 1985), პარკი და თეატრონი მცხეთაში (1985), პარკი რუსთავში (1986), დიდუბის გამოფენის ცენტრისა (1992) და რუსთაველის გამზირის (1996) გამწვანება-რეკონსტრუქცია, გმირთა მოედანზე საქართვ. ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა სახელობის ბაღის (2005) გამწვანება და სხვ.

ი-ის ხელმძღვანელობით მოეწყო ყვავილების დღესასწაული და გამოფენა საქართვ. მრავალ ქალაქში. ი. თანამშრომლობს ქართ. ენციკლოპედიის რედაქციასთან დაარსებიდან დღემდე. არის საქართვ. ეროვნ. აკადემიის (2000), საქართვ. ეროვნ. და სოც. ურთიერთობის აკადემიის (2003), იუნესკოს საერთაშ. პროგრამის ,,ადამიანის და ბიოსფეროს'' საქართვ. ეროვნ. კომიტეტის (2010-იდან), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. ეკოლ. კომისიის წევრი (2015).

ი. მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და 12 მონოგრაფიის ავტორია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2000).

თხზ.: სან-სუსის ბაღი, თბ., 1960; თბილისის ბოტანიკური ბაღი, თბ., 1969; საქართველოს ხალიჩოვანი მცენარეები, თბ., 1970; ვერსალის პარკი, თბ., 1980; დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეები, წგ. 1, თბ., 2005; დეკორატიული დაბალბალახოვანი ინტროდუცირებული მცენარეები, წგ. 2, თბ., 2009.

ისაკჰაუ (ყოფ. გ ი ო რ გ ი წ მ ი ნ დ ა), სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის თიღვის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. შუა ფრონის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 900 *მ*.

ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ისანი, ძველი თბილისის ისტორიული უბანი. მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქალაქის ცენტრის აღმ-ით. ამ ადგილზე, VIII ს-ში იდგა სადილეგო (სატუსაღო). ამ სახელწოდებით ეს ადგილი მოხსენიებულია იოანე საბანის ძის ,,აბო თბილელის წამებაში'': ,,ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქვიან სადილეგო...''. 853 ბუღა თურქმა ფიჭვის ხით ნაშენი ,,სოღდებილის მედინა (ციხე)'' გადაწვა, რის შემდეგაც მის ადგილას IX ს-ში არაბებმა ააგეს ძნელად ასაღები ციხესიმაგრე ,,ისან-ჰისარი''. შემდგომში, მისი სახელი ციხის მიმდებარე ტერიტორიასაც დაერქვა და ადგილის საკუთარ სახელად იქცა. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, მეფე ბაგრატ IV-მ თბილისის დაკავების შემდეგ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადასვლა სცადა, მაგრამ ამაოდ – ისნელებმა მდინარეზე გადებული ,,ჩააგდეს ჯიდი და არა მოსცეს ისნი'' (მატიანე ქართლისა). 1184 ი-ში მყოფ თამარ მეფეს მამამისის – მეფე გიორგი III-ის გარდაცვალების ამბავი აუწყეს ,,... ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა მათსა ციხესა ისანს...'' (,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი''). ,,ქართლის ცხოვრების'' მემატიანის ცნობით 1185 ყუთლუ-არსლანმა ,,ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისნისასა''. XII–XIII სს-ში ი-ში იდგა სამეფო სასახლე. XII ს-ში ი-ში მეტეხთა ღვთისმშობლის სახელზე ააგეს ეკლესია, რის გამოც ამ ადგილს ახ. საკუთარი სახელი გაუჩნდა – ,,მეტეხი''. ი-ის უბანი, ისევე როგორც ,,ისნის ციხე'', გვიანდ. შუა საუკუნეებში მეტეხის სახელით იხსენიება, ხოლო ,,ისნის ველმა'' *ავლაბრის* სახელი დაიმკვიდრა.

თ. ბერაძე.

,,ისანი-ქართუ'' (სააქციო საზოგადოება), ფეხსაცმლის ფაბრიკა თბილისში, ამ დარგის ერთ-ერთი უდიდესი და წამყვანი საწარმო საქართველოში. 1935 ამუშავდა თბილ. ფეხსაცმლის №1 ფ-კა. 1962 მის ბაზაზე შეიქმნა ფეხსაცმელების საწარმოო გაერთიანება ,,ისანი'', რ-იც აერთიანებდა თბილ. ფეხსაცმლის №1 (შემდგომში – ფ-კა ,,ისანი'') და №2 ფ-კებს, სამოდელო ფეხსაცმლის ფ-კას, სასპორტო ინვენტარის საწარმოს, ტყავ-საგალანტერეო საწარმოს და ფეხსაცმლის საფირმო მაღაზიას. უშვებდა ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, ყველა სახის დანიშნულებისა და კონსტრუქციის (ძირის მიმაგრების სხვადასხვა მეთოდით) საბავშვო, სპორტულ, ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელს (საშუალოდ 8 მლნ. წყვილს წელიწადში). საწარმოს მაღალკვალიფიციური მუშახელით უზრუნველყოფდა მის ბაზაზე არსებული პროფ. სასწავლებელი. ფ-კის პროდუქციის 10 მოდელს მიღებული ჰქონდა სახელმწ. ხარისხის ნიშანი. 1958 მისი პროდუქცია ბრიუსელის საერთაშ. გამოფენაზე ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. 1965 საწარმოო გაერთიანება დაიშალა. 1972 შეიქმნა ახ. გაერთიანება, რ-ის შემადგენლობაში შევიდა ფეხსაცმლის ფ-კა ,,ისანი'' (სათავო საწარმო) და მისი ფილიალები: ვარკეთილის, ახალქალაქის, წალკისა და მანგლისის ფ-კები, სადაც დასაქმებული იყო 5000-მდე ადამიანი. 1996 ფეხსაცმლის თბილ.

საწარმოო გაერთიანება დაიშალა და ფ-კა ,,ისნის'' ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,ი.-ჟ.'', რ-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა სააქციო საზ-ბა ,,ქართუ ჯგუფი''. 1998 განხორციელდა საწარმოს ძირეული რეკონსტრუქცია, დამონტაჟდა ახ. ტექნოლ. ხაზები უახლესი მანქანადანადგარებით. თანამშრომელთა ნაწილმა გადამზადება საზღვარგარეთ გაიარა და დაეუფლა ფეხსაცმლის წარმოების იტალ. ტექნოლოგიას. 1998–2001 საწარმო აქტიურად თანამშრომლობდა იტალ. ფირმა ,,პრიმიჯთან'' და თურქ. ფირმა ,,ზილანთან'', რ-თა შეკვეთით შეკერილ ფეხსაცმელს მაღალი შეფასება ჰქონდა. ,,ი.'' უშვებდა საბავშვო, სპორტულ, ქალისა და მამაკაცის 120–150-მდე მოდელის ფეხსაცმელს, რ-ებიც გამოირჩეოდა ორიგინ. დიზაინით, დამზადებული იყო მაღალხარისხიანი ნატურალური ტყავისაგან და კონკურენციას უწევდა იმპორტ. ანალოგებს. გარდა ამისა, უშვებდა სპეცდანიშნულების ფეხსაცმელსაც. წარმოებული პროდუქცია მიეწოდებოდა როგორც ადგილ. ბაზარს, ასევე რუსეთს. 2003-იდან სააქციო საზ-ბა ,,ი.-ჟ-მ'' თავისი პროფილით შეწყვიტა ფუნქციონირება.

ლიტ.: დაუშვილი ა., გიგაური ს., ,,ისანი'' (თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა ,,ისანის'' ისტორია), თბ., 1985.

ა. ჯანაშია.

ისარა (Sagittaria), მცენარეთა გვარი წყლის მრავალძარღვასებრთა ოჯახისა. წყლის ან ჭაობის მრავალწლოვანი ბალახებია, აქვთ სამგვარი ფოთოლი: წყალში ჩაყურსული, მოტივტივე და საჰაერო. ერთსახლიანი ან ორსახლიანი მცენარეებია. ცნობილია 20-მდე სახეობა. უმრავლესობა გავრცელებულია ამერიკის ზომიერ და ტროპ. სარტყელში (მხოლოდ 3–4 სახეობაა ევრაზიაში). საქართველოში გვხვდება 3 სახეობა. მათგან ერთი – ბრტყელფოთოლა ი. (S. platyphylla) შემოტანილია ჩრდ. ამერიკიდან. ი. იზრდება ჭაობებში, წყალსატევების ნაპირებზე, სარეველად – ბრინჯის ნათესებში. ხშირად დიდ ფართობზე ქმნის შალდამებს. ზოგ სახეობას შემოდგომაზე უვითარდება სახამებლით მდიდარი გორგლები, რ-ებიც იჭმება. ი. წყლის ფრინველების საკვებია. ზოგი სახეობა დეკორატიულია.

ისართღელე, უელტეხილი დუშეთის მუნიციპალიტეტში, თუშეთხევსურეთის კავკასიონზე, მწვერვალებს – გომღისმაღალსა და მახისმაღალს შორის, მდინარეების ასისა და არღუნის წყალგამყოფზე. სიმაღლე 3461 *მ.* აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. ფერდობებზე სუბალპ. და ალპ. ლანდშაფტია.

მ. უთმელიძე.

ისარი, სასროლი *იარაღი.* ი-ის შემადგენელი ნაწილებია: ზრო, თბე (ფრთა), კილო და ისრისპირი. ს.-ს. ორბელიანი ასახელებს ცხრა სახის ისარს: საყალნო, სარჩა, ქეიბური, ქიბორჯი, ბოძალი, ყოდალი, ღრჯა, სეფქა, წინწკიტელა. ისტ. წყაროებში დასახელებულია ი-ის სხვა სახეობებიც, მაგ., ,,უტევანი'' (სწრაფი და შორს გასატყორცნი ი.), ,,წამლიანი ისარი'', ,,პირალმასი ისარი'', ,,ჩალხა ისარი'' და სხვა.

საქართველოში აღმოჩენილი ყველაზე უძველესი ისრისპირები მიეკუთვნება ზედა პალეოლითის ხანას და ძვლისგანაა დამზადებული. ნეოლით-ენეოლითში ჩნდება კაჟისა და ობსიდიანის, ხოლო მოგვიანებით – სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები. ამ პერიოდის ი-ის ზროები არ შემორჩა მათი ორგანული წარმოშობის გამო. ი-ის ზროს სიგრძე დამოკიდებული იყო მშვილდის ზომაზე. ჩვეულებრივი ი-ის სიგრძე დაახლ. 50-იდან 75 *სმ*-მდეა. გარკვეულია ისრისპირების შემდეგი სახეობები: პირგახსნილი, რომბისებური, პირბრტყელი, ფოთლისებური და სხვ., რაც მიუთითებს, რომ ისინი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა (სანადიროდ, სათევზაოდ, აბჯრის გასახვრეტად, სხეულის დასაზიანებლად, სასწავლოდ და ა. შ.). ბრტყელპირიანი ი., რ-საც ს.-ს. ორბელიანი ,,სარჩას'' უწოდებს, გამოიყენებოდა თევზაობის დროს, მისი ბოლო მშვილდზე იყო მიბმული, რათა გასროლისას წყალში არ დაკარგულიყო; ქეიბური დიდი ზომის ი. იყო და გამოიყენებოდა დიდ ცხოველებზე სანადიროდ.

არსებობდა ორ-, სამ- და ოთხფრთიანი ი-ები, მაგ., ყოდალი – სამფრთიანი, სეფქა – ფრთამაღალი, საყალნო – ფრთადაბალი და ა. შ. ი. საბრძოლო ხელოვნების უმნიშვნელოვანესი იარაღი იყო, ამიტომაც მისი დამზადება მოითხოვდა სათანადო ცოდნას, რის საფუძველზედაც ჩამოყალიბდა მეისრეობის, ანუ ჯოლბორდის ხელობა.

ლიტ.: გვახარია ა., კვლავ უტევანის შესახებ, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ., 1991; ელაშვილი ვ., მშვილდოსნობა, თბ., 1959; სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.

მ. ქაფიანიძე.

ისარლიშვილი იოსებ ლუკას ძე [3 (15). VII. 1862–1920 შემდეგ], რუსეთის იმპერიის არმის გენერალ-მაიორი (1914), ლ. *ისარლიშვილის* შვილი. 1882 დაამთავრა რეალური სასწავლებელი, 1884 – ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელი. მსახურობდა ლაიბგვარდიის ცხენოსან-გრენადერთა პოლკში, გვარდიაში. 1905 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1910–14 მეთაურობდა ასტრახანის მე-8 დრაგუნთა პოლკს. I მსოფლიო ომის (1914–18) დროს მონაწილეობდა ბრძოლებში პოლონეთის ტერიტორიაზე, მოგვიანებით კი გადაიყვანეს კავკასიის ფრონტზე. 1914–15 მეთაურობდა კავკასიის საკავალერიო დივიზიის მე-2 ბრიგადას, 1915–17 – ამავე დივიზიის I ბრიგადას. დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის (I, II), წმ. ანას, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

მ. გოგიტიძე.

ისარლიშვილი (ისარლოვი) ლუკა სტეფანეს ძე (23. XI. 1814 – 11. IX. 1893, თბილისი), სახელმწიფო მოხელე, პოეტი, ჟურნალისტი. დაამთავრა თბილ. გიმნაზია (1833; სწავლობდა ნ. ბარათაშვილთან ერთად, რ-ზეც საინტერესო მოგონება დატოვა). სხვადასხვა წლებში მსახურობდა თბილისის, ქუთაისის, გორის, ახალციხის ადმინისტრაციულ, სასწავლო და სასამართლო დაწესებულებებში. ერთგული დამცველგამტარებელი იყო საქართველოში ცარიზმის ოფიც. პოლიტიკისა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა 1881–88, როცა ,,კავკასიის საცენზურო კომიტეტში'' მსახურობდა უმცროს ცენზორად და მდივნად. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ი. ქართ. ჟურნალ-გაზეთებს უკრძალავდა ნებისმიერი ისეთი მასალის გამოქვეყნებას, რ-იც არ ეთანხმებოდა გაბატონებულ სახელმწ. იდეოლოგიას. თანამედროვენი მას მიაწერენ გაზ. ,,დროების'' დახურვის ინიციატივას.

ი. თანამშრომლობდა ქართ. (,,*ცისკარი*'') და რუს. (,,*კავკაზ*'', ,,ტიფლისსკი ვესტნიკ'', ,,ტიფლისსკი ლისტოკ'', ,,გოლოს''...) პრესასთან, აქვეყნებდა ორიგინ. თუ ნათარგმნ ლექსებს, ქართველოლოგიურ სამეცნ. და სამეცნ.-პოპულარული ხასიათის თხზულებებს, მემუარებს.

თხზ.: ლექსნი, თქმულნი ლუკა სტეფანეს ძე ისარლოვისა, ზ. ჭიჭინაძის



ისარა.

გამოც., ტფ., 1895; კათოლიკენი საქართველოში, ტფ., 1898; მოკლე კანონნი ქართულის პოეტიკისა ანუ ლექსთა თხზულებისანი, წგ.: ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII–XIX სს.), თბ., 1954; Письма о Грузии, Тфл., 1899.

ლიტ.: ბექირიშვილი ი., ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბათ., 1982; მანსვეტაშვილი ი., მოგონებები, თბ., 1985; ხელთუბნელი მ., სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938. *თ. ჯოლოგუა.*

ისარლიშვილი რაფიელ პეტრეს ძე (1843 – 29. XI. 1918, თბილისი), საზოგადო მოღვაწე. ი-ის წინაპრები მესხეთიდან გადმოსახლებულ წარჩინებულ ქართველ კათოლიკეთა წრეს ეკუთვნოდნენ. თბილ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან განათლება ევროპაში მიიღო, სადაც დაეუფლა რამდენიმე უცხო ენას. საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ი. ფართო საზ. მოღვაწეობას ეწეოდა. 1869 გამოსცა თავისივე შედგენილი ,,სინოპტიკური კალენდარი''. 1873 ი-მა ავჭალაში გახსნა უფასო სკოლა ღარიბთათვის. 1875 გამოსცა ,,პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად სურათებით ამერიკულ მეთოდზე სასოფლო სკოლებისათვის''. ეს წიგნი ი. გოგებაშვილის ,,დედა ენის'' წინამორბედი იყო.



ვ. ისელიძე.

1900 პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ი. ქართულ განყ-ბას ხელმძღვანელობდა. პავილიონში გამოფენილმა სას.-სამ. ნაწარმმა და ქართ. კულტურის ნიმუშებმა მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. უცხოელთათვის საქართველოს უკეთ გაცნობის მიზნით ი-მა პარიზში ფრანგ. ენაზე გამოსცა ა. ხახანაშვილის ,,საქართველოს ისტორია''. ევროპულმა და ქართულმა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო გამოფენაზე ქართ. განყ-ბას. გაწეული გარჯისათვის ი. საფრანგეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მედლითა და დიპლომით დააჯილდოვა.

ი-ის გარდაცვალებას ნეკროლოგი უძღვნა ზ. ჭიჭინაძემ.

ლიტ.: ნანიტაშვილი ლ., წერილები, თბ., 1981; მისივე, ქართული წიგნის ამაგდარი, თბ., 1985; ჭიჭინაძე ზ., რაფიელ ისარლიშვილი, «საქართველო», 1918, №223.

ე. ბუბულაშვილი.

ისარნა, იხ. *თაღარი.*

ისაყ I ჯაყელი, ახალციხის ფაშა 1701–45 (დროგამოშვებით). მამა მცირეწლოვანს გარდაეცვალა და საფაშო ტახტი ბიძამ – სალიმმა წაართვა. სალიმის გარდაცვალების შემდეგ (1701) ფაშობაზე პრეტენზია განაცხადა სალიმის შვილმა ასლანმა. ბიძაშვილთან ბრძოლაში ი. I-მა რამდენჯერმე დაკარგა საფაშო ტახტი. დაახლ. 1718-იდან, ძალაუფლების საბოლოოდ განმტკიცების შემდეგ, იგი აქტიურად მონაწილეობდა 1723–24 ოსმალთა მიერ სამხრ. კავკ. ქვეყნების და, კერძოდ, საქართველოს დაპყრობაში. 1727-მდე ი. I ორთულიანი ფაშა იყო, ხოლო 1727, როდესაც მას საგამგებლოდ მთელი სამხრ. კავკასია ჩააბარეს, მესამე თუღიც მიუმატეს და ვეზირის წოდება უბოძეს, ე. ი. სულთნის სახელმწ. საბჭოს (დივანის) შემადგენლობაში შეიყვანეს. 1727, იესე მეფის გარდაცვალების შემდეგ, სულთანმა ი. I ქართლის მმართველად დაადგინა და კახეთის დაპყრობაც დაავალა. XVIII ს. 30-იანი წლების შემდეგ ი. I-ს მორჩილებდა საკუთრივ საქართველო, ლორე, ყაზახ-შამშადილი, შაქი. ი. I დაპყრობილ მხარეებში ცდილობდა ოსმალური სოც.-პოლიტ. სისტემის შემოღებას და მაჰმადიანობის გავრცელებას. მის დროს გახშირდა ლეკიანობა, ტყვეებით ვაჭრობა, გაუკაცრიელდა სოფლები და მხარეები. 1735, როცა ოსმალობა ყიზილბაშობამ შეცვალა, ი. I თბილისიდან ახალციხეში ჩავიდა და სამემკვიდრო ტახტზე დაჯდა. 1737 ტახტი შვილს, იუსუფ III-ს დაუთმო. მისი გარდაცვალების შემდეგ კი, 1744, ი. I მეოთხედ დაუბრუნდა ტახტს.

წყარო: ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება (1469–1800-მდე), ზ. ჭიჭინაძის გამოც., თბ., 1913; სეხნია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., თბ., 1913.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე), თბ., 1975; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, მ. დუმბაძის რედ., თბ., 1973.

შ. ლომსაძე.

ისაყ II ჯაყელი, ახალციხის ფაშა 1791–92, ჰასან ფაშას შვილი, ისაყ ფაშა I-ის შვილიშვილი. სულეიმან ფაშას გარდაცვალების შემდეგ, 1791, ახალციხის ფაშობაზე პრეტენზიას ორი რეალური პრეტენდენტი აცხადებდა – სულეიმან ფაშას შვილი შერიფი და ჰასან ფაშას შვილი ისაყი. ტახტის დაუფლებისთვის ამტყდარი ბრძოლების შემდეგ სტამბოლმა ფაშობა ისაყს უბოძა. ი. II-ს ჯარმა არტანუჯის პატარა ფაშა შერიფი არტანუჯიდან გააძევა, მაგრამ 1792 პატარა ფაშამ არტანუჯი კვლავ დაიბრუნა და ახალციხეზე გაილაშქრა. ისაყს ჯარი (თარაქამები) ერეკლე II-მაც მიაშველა. შერიფ ფაშამ რიგრიგობით დაამარცხა თავდაპირველად თარაქამები, შემდეგ კი ისაყის ჯარებიც და 1792 ივლისში ახალციხეში შევიდა. 1793 ი. II-მ სცადა საფაშოს დაბრუნება, მაგრამ კვლავ დამარცხდა და ძმებთან ერთად ტყვედ ჩავარდა. მას გადასახლება გადაუწყვიტეს, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე დოღუბეიაზეთში, თავისსავე აგებულ სასახლეში ცხოვრობდა. *უ. ბლუაშვილი.*

ისა შიხის ძე, ისა იბნ-აშ-შეიხ-აშ-შაიბანი, თბილისის ამირა 870, შაიბანიანთა ,,სახლის'' მეორე ამირა. დანიშნა ხალიფა ალ-მუთამიდმა ამირა მუჰამედის ნაცვლად. ი. შ. ძ-ის ამირობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ის მალე გაიწვიეს და მის მაგივრად დანიშნეს ამირა აბრაჰამი.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.

ისა-ხანი (გ. 1615), კახეთის მეფე, ალექსანდრე II-ის ვაჟის, გიორგის ძე. აღიზარდა ირანში, შაჰის კარზე. აბას I-მა 1614, საქართველოში ლაშქრობის დროს, კახეთის მმართველად დანიშნა. ი.-ხ-მა კახეთში ფეხი ვერ მოიკიდა და იძულებული გახდა საქართველოს გასცლოდა. შემდეგში შაჰმა თავის ამალაში ჩარიცხა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; დათუაშვილი ზ., კაპანაძე მ., კახეთ-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის 20-იან წლებში, ჟურნ. ,,ქართველური მემკვიდრეობა'', X, 2006..

ისა-ხანი, იხ. *იესე ბატონიშვილი.*

ისელიძე ვლადიმერ ლევანის ძე (დ. 25. I. 1948, თბილისი), სპორტსმენი. წყალბურთელი, მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1981). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1974). საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1970). საქართვ. დამს. მწვრთნელი (2014). დაამთავრა სპი (1972) და სსრკ შსს აკადემია (1986, მოსკოვი). სპორტული კარიერა დაიწყო 1961. თამაშობდა ,,თბილისის დინამოში'' (1965–81; გუნდის კაპიტანი). იყო სსრკ ნაკრების წევრი (1967–80); სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1966); საქართვ. ნაკრების შემადგენლობაში სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის (1979), მეორე და IV სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1967); ორივე სპარტაკიადის საუკეთესო ბომბარდირი. სსრკ ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში (1967, გერმანია; 1968,

კუბა) ,,ოლიმპიური თამაშების იმედის'' ტურნირებში გამარჯვებული. მსოფლიო სტუდენტური თამაშების (უნივერსიადა) ორგზის გამარჯვებული (1970, 1973) და საუკეთესო ბომბარდირი (1973). მრავალი საერთაშ. ტურნირის (მ. შ. ,,ახალზელანდიური თამაშების'' 1975, კრაისჩერჩი) გამარჯვებული. სპორტსაზოგადოება ,,დინამოს'' საბჭოს ხელმძღვანელი (1990–94). 2009-იდან საქართვ. წყალბურთელთა ნაკრები გუნდის მთ. მწვრთნელი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

ისეცკი (ნამდვ. გვარი – ტერიოანესიანი) ლეონ ნიკოლოზის ძე [8(20). IX. 1890, თბილისი, – 10. V. 1946, იქვე], სომეხი მომღერალი (ბანი). საქართვ. სახ. არტისტი (1943) და სომხ. დამს. არტისტი (1933). 1915 დაამთავრა თბილ. სამუსიკო სასწავლებელი. 1916-იდან გარდაცვალებამდე (შუალედებით) იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. აქტიურად მონაწილეობდა ალექსანდროპოლის (ახლანდ. გიუმრის) სომხ. საოპერო თეატრის (1923) და ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის (1933) დაარსებაში. პარტიებს ასრულებდა რუს., სომხ. და ქართ. ენებზე. ქართ. სცენაზე შეასრულა აბიოსა და ცანგალას (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'' და ,,დაისი''), მეფე გიორგის (ა. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი''), მაკარის (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'') და სხვ. პარტიები. აღსანიშნავია აგრეთვე სუსანინის (ა. გლინკას ,,ივან სუსანინი''), ბორის გოდუნოვის (მ. მუსორგსკის ,,ბორის გოდუნოვი''), გრემინის (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'') და სხვ. პარტიები.

ისე ფილკნელი, საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ასურელი მამა (იხ. *ასურელი მამები*). მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში. იყო დიაკონი, *იოანე ზედაზნელის* მოწაფე. თავდაპირველად ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში, შემდეგ *ევლალე I* კათოლიკოსის კურთხევით დადგინდა წილკნის ეპისკოპოსად. გააქრისტიანა საქართველოს ჩრდ. მთიანეთის მოსახლეობა, სადაც დაანგრია წარმართულ კერპთა ტაძრები და ააშენა ეკლესიები. დაკრძალულია წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში. ღირსი ი. წ-ის ხსენების დღეა 2 (15) დეკემბერი.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 1, თბ., 1963; წგ. 3, თბ., 1971.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ს. მიქაბერიძე, თბ. – ათენი, 2003. *ბ. ლომინაძე.*

ისი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (VIII–IX სს.) ისტორიულ ტაოში, თორთუმის ტბის მახლობლად, სოფ. ისში (ამჟამად თურქ. ტერიტორია). წარმოადგენს ტრიკონქის ტიპის ნაგებობას. ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. მხარეს, მკლავებს შორის სივრცეში განლაგებულია აღმ-ით აფსიდებით დასრულებული 2 სათავსი, რ-იც გარედან კედლების სიბრტყეებშია მოქცეული. დას-ით წაგრძელებული მკლავი გრძივი კედლების საკმაოდ შვერილი პილასტრების ორი წყვილის მეშვეობით სამ მონაკვეთად იყოფა. საფეხურებად განლაგებულ ტრომპებზე ამოყვანილი რვაწახნაგა დაბალი გუმბათის ყელში 4 სარკმელი იყო გაჭრილი. ეკლესიაში შესასვლელი ორია. ორივე დას. მკლავშია გაჭრილი – დას. კედლის ღერძზე და სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში. კედლები შემოსილია სწორ რიგებად ნაწყობი, არცთუ სუფთად გათლილი ქვებით. მისი თავისებურებაა სამხრ. და ჩრდ. ფასადებსა და გვერდის მკლავების დას. კედლებში ნახევარწრიული ნიშების არსებობა. ე. *თაყაიშვილმა* აღნიშნა მოხატულობის მცირე ფრაგმენტები. მის დროს ეკლესია უკვე დანგრეული იყო.

ლიტ.: გივიაშვილი ი., კოპლატაძე ი., ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004; Беридзе В. В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб.,1981; Закарая П., Зодчество Тао-Кларджети, Тб., 1991.

ისიანი სევერიანე იოსების ძე (3. V. 1913, სოფ. ზოგიში, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი, – VI. 1943, დაკრძალულია ბრიანსკის მმათა სასაფლაოზე), პოეტი. 1936 დაამთავრა ქუთ. ა. წულუკიძის სახ. პედ. ინ-ტი. პირველი ლექსები დაიბეჭდა 1930, პირველი კრებული – 1940. 1941-იდან მონაწილეობდა II მსოფლიო ომში, რაც ი-ის პოეზიის მთავარი თემა გახდა (,,სამშობლო'', ,,მყინვარის გოდება'', ,,ქართლის ზეიმი'', 1936; ,,არ დაკარგულან'', 1938), ასევე ომის თემაზეა დაწერილი: ,,გაანადგურე!'', ,,ყველაფერს ვხედავ'' (1942), ,,ნახვამდის'', ,,საბრძოლო გადაძახილი'' (1943) და სხვ. ი–მ ლექსები უძღვნა ქართ. მხატვრული სიტყვის ოსტატებს (,,აკაკისადმი'', ,,ვაჟას სტრიქონები'', ორივე 1939). აქვს სატრფიალო ლექსებიც (,,სიყვარულის შემოპარვა'', ,,საყვედური ჩემს საათს'', ორივე 1939) და სხვა.

თხზ.: ლექსები, თბ., 1945; ლექსები, თბ., 1949; ყველაფერს ვხედავ. ლექსები, თბ., 1957. *ლ. ავალიანი.*

ისიდორე (ერისკაცობაში – იაკობ სერგეის ძე ნიკოლსკი) [1 (12). X. 1799, ტულის გუბერნია, – 7 (19). IX. 1892, სანქტ-პეტერბურგი), საქართველოს ეგზარქოსი 1844–58. დაამთავრა პეტერბურგის სას. აკადემია მაგისტრის ხარისხით. 1825 წ. 22 აგვისტოს აღიკვეცა ბერად. 1829 დაინიშნა ორიოლის სას. სემინარიის, ხოლო 1833 – მოსკოვის სემინარიის რექტორად. 1834 წ. 11 ნოემბერს აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა დიმიტროვის ვიკარად. 1841 მთავარეპისკოპოსის წოდება ებოძა. 1844 12 ნოემბრიდან განამწესეს საქართვ. ეგზარქოსად. 1858 მიიღო მიტროპოლიტის ტიტული. ი., სხვა ეგზარქოსებისაგან განსხვავებით, შედარებით ლიბერალურ პოლიტიკას ატარებდა. მისი ინიციატივით 1852–57 საეკლ. მამულებიდან შემოსული თანხებით შეკეთდა მცხეთის, ალავერდის, ქვათახევისა და მარტყოფის მონასტრები. ი-ის ძალისხმევით რუსეთის სინოდმა სას. პირებს დაუნიშნა ჯამაგირი. მანვე მცხეთაში, დედათა მონასტერში, 1857 დააარსა ქალთა სასწავლებელი, ასევე მისი მითითებით ათონის მთიდან პ. *იოსელიანმა* ჩამოიტანა ექვთიმე მთაწმიდლის მიერ X ს-ში შესრულებული ბიბლიის ქართ. თარგმანი, რ-იც გადაწერეს და შესწირეს სამეგრელოს, იმერეთის ეპარქიებსა და თბილ. სიონის ტაძარს.



ლ. ისეცკი.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, აგრეთვე იმპერიის უმაღლესი, წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენით (1866) და ამავე ორდენის ალმასის ჯვრით (1872).

ლიტ.: ბუბულაშვილი ე., XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ეგზარქოსები, წგ.: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2002; მისივე, ცარიზმის ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, «რელიგია», 2003, №1-2-3; ფერაძე ი., საქართველოს ეგზარქოსები, «მოგზაური», 1901, №4; Православная Богословская энциклопедия или Богословский энциклопедический словарь, т. 4, под ред. П. Лопухина, СПб., 1909. *ე. ბუბულაშვილი.*

ისიდორე სამთავნელი, ეზდერიოს სამთავნელი, საეკლესიო მოღვაწე, ერთ-ერთი *ასურელი მამა.* საქართველოში მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში თავის მასწავლებელ *იოანე*

ზედაზნელთან ერთად. თავდაპირველად ზედაზნის მონასტერში მოღვაწეობდა, შემდეგ – ქართლში. მდ. ლეხურის აღმ-ით, სამთავისის სანახებში, დააარსა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის მონასტერი (დაკრძალულია იქვე). ი. ს-ის ცხოვრების ამსახველი ცალკე თხზულება არ შემორჩენილა. მის შესახებ ცნობები მოიპოვება სხვა ასურელ მამათა ცხოვრების ტექსტებში. საქართვ. მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმ. სინოდმა 2005 ი. ს-ის ხსენების დღედ 12 (25) ივნისი დაადგინა.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 3–4, თბ., 1968–71.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ს. მიქაბერიძე, თბ. – ათენი, 2003. *ბ. ლომინაძე.*

ისინდი (ძვ. ჯ ი რ ი თ ი), ძველი ქართული ცხენოსნური სპორტული თამაშობა. ტარდება 150–210 *მ* სიგრძისა და 40–50 *მ* სიგანის ოთხკუთხა სწორ მოედანზე. მონაწილეობს ცხენოსანთა თანაბარი რაოდენობის ორი გუნდი – თითოეულში არანაკლებ ექვსი მხედრისა (მოთამაშეთა რიცხვი შეიძლება ათამდე გაიზარდოს). ყოველი მხედარი აღჭურვილია 120–150 *სმ* სიგრძის შუბით, რ-საც ბოლოზე დამაგრებული აქვს დარტყმის დასასუსტებელი ,,ჩაჩი'' (შუბსაც ,,ისინდი'' ჰქვია). გუნდები დაეწყობიან მოედნის სასტარტო ხაზზე. დამწყები (კენჭისყრით) გუნდის პირველი ,,გამომწვევი'' მსაჯის ნიშანზე მიიჭრება მოპირდაპირე გუნდთან, გადაკვეთს მის საჯარიმო ხაზს და ცდილობს თავისი ი. მოახვედროს მოწინააღმდეგეს (2 ქულა) ან მის ცხენს (1 ქულა). ტყორცნის შემდეგ იგი სწრაფად უბრუნდება თავის გუნდს და დგება ბოლოში. მეორე გუნდის პირველი მოთამაშე მსაჯის ნიშანზე ჭენებით გამოეკიდება მეტოქე გუნდის ,,გამომწვევს'' საჯარიმო ხაზამდე და ცდილობს გაიმეოროს იგივე, შემდეგ კი სწრაფად გაბრუნდეს უკან, რათა მოწინააღმდეგე გუნდის მომდევნო მხედარმა ვერ მოარტყას ი. მას ან მის ცხენს. მოწინააღმდეგის ნატყორცნი ი-ის ჰაერში დაჭერისათვის მხედარი დამატებით 2 ქულას იღებს. იმარჯვებს გუნდი, რ-იც მეტ ქულას დააგროვებს (საჯარიმო ქულების გამოკლებით). საჯარიმო ქულა ინიშნება გვერდითი ხაზის დარღვევის, სასტარტო ნიშნის შემოუვლელობის, შუბის ხელგაუშვებლად მხედრის ან ცხენის ჩხვლეტისას და სხვა შემთხვევებში. თამაშის ფრედ დამთავრებისას მსაჯს უფლება აქვს დაუმატოს დრო (არაუმეტეს 5 წუთისა). ი. განსაკუთრებით დას. საქართველოში იყო გავრცელებული.


ისინდი.

ლიტ.: Начкебия К. Г., Грузинские народные конные игры, Тб., 1964.

ვ. ელაშვილი.

ისპარი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ცალგმილის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ეცერის თემის ცენტრი (სოფლები: ი., ბარში, გვალდერი, ებუდი, კალაში, ლადერი, ლანტელი, ლაშხერი, უსგვირი, უღვალი, ფხუტრერი, ქურაში, ცალანარი, ჭელირი). ზ. დ. 1560 *მ*, მესტიიდან 24 *კმ*. 99 მცხ. (2014).

ისლამი (არაბ. ,,მორჩილება''), ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო მონოთეისტური აბრაამისეული რელიგია. ძირითადად გავრცელებულია არაბულენოვან, თურქულენოვან და ირანულენოვან ქვეყნებში. ი-ის მიმდევარია აგრეთვე ინდონეზიისა და ჩრდ. აფრიკის მოსახლეობის უმრავლესობა (მორწმუნეთა რიცხვი 1,55 მლრდ.).

ი. ჩაისახა არაბეთის ნ.-კ-ზე ახ. წ. VII ს-ში. მუსლიმური ტრადიციით ამ რელიგიის ფუძემდებელია წარმოშობით არაბი, მექას მკვიდრი მუჰამადი. გადმოცემის თანახმად, მუჰამადს რამდენჯერმე გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი და გადასცა მას ყურანის სურები. ებრაელთა ხუთწიგნეულისა და ქრისტიანთა სახარების მსგავსად, ყურანი ითვლება მუსლიმანთა წმინდა წიგნად. იგი შედგება მუჰამადის ქადაგებებისგან, რ-საც მისი მოწაფეები იწერდნენ. ეს ჩანაწერები დროთა განმავლობაში შეივსო, დაიხვეწა, ბოლოს ჩამოყალიბდა ერთი დიდი კრებულის სახით და მას ,,ყურანი'' ეწოდა. ყურანი შედგება ცალკეული თავებისაგან, ე. წ. სურებისაგან. მუჰამადი ძირითადად ქადაგებდა მექასა და მედინაში. მიჩნეულია, რომ მექას სურები შედარებით ადრეული ხანისაა. საგულისხმოა, რომ ყურანში ჩართულია ახალი აღთქმის სიუჟეტები, აპოკრიფულ თხზულებათა ფრაგმენტები. მუსლიმთა რელიგიურ წიგნად ითვლება აგრეთვე სუნა (ე. წ ,,ჰადისების'' კრებული), რ-შიც, ძირითადად, მოთხრობილია მუჰამადის ცხოვრების ეპიზოდები. მის მაღიარებლებს სუნიტები ეწოდებათ.

რელიგიის მკვლევართა აზრით, მუჰამადი იყო რეალური პიროვნება, რ-იც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 570–632. მან თავისი ქადაგება დაიწყო მექაში, მაგრამ მის მოღვაწეობას არ ჰქონდა ცალსახად წარმატებული ხასიათი, რადგან მუჰამადს დაუპირისპირდნენ ადგილ. მაღალი ფენის – კურაიშთა – წარმომადგენლები, რის გამოც იგი იძულებული გახდა მექადან მედინაში გაქცეულიყო. ამ გადასვლას (622) ეწოდება ,,ჰიჯრა'', რ-ის შემდგომ დაიწყო მუსლიმური წელთაღრიცხვა. კურაიშთა დიდგვაროვნებმა, რ-ებიც თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდნენ მუჰამადს, ახალ მოძღვრებაში იპოვეს სასარგებლო იდეები, საბოლოოდ დაუჭირეს მას მხარი და სულ მალე დაიწყეს ამ იდეების პროპაგანდა. მუჰამადის გარდაცვალებისას ახალ აღმსარებლობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ის კანონიკური სახე, რ-იც მან შემდგომ პერიოდში მიიღო.

ი-ის უმთავრესი თეზაა ერთი და შეუცვლელი ღმერთის – ალაჰის არსებობის იდეა, რ-ის მოციქულია მუჰამადი. ი-ის საწესჩვეულებო რიტუალი არ გამოირჩევა სირთულით და მისი ძირითადი დებულებებია: 1. არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამადია მისი მოციქული; 2. ხუთჯერადი ლოცვა, ე. წ. ,,სალიათი'', რ-იც სრულდება მზის ამოსვლამდე, შუადღისას, მზის ჩასვლის წინ; მზის ჩასვლის შემდეგ და ღამით; 3. ღარიბთა დახმარება და მათ სასარგებლოდ თანხის შეგროვება, ე. წ. ,,ზეკიათი''; 4. რამადანის თვეში მარხულობა; 5. მომლოცველობა მექასა და მედინაში. ამ უმთავრესი წესების გარდა არსებობს სხვა რიტუალებიც, მაგ., განბანვის სავალდებულო რიტუალი, მეჩეთში ფეხშიშველი ლოცვა და სხვ.

ი-ის ეთიკა მარტივია, მის ჰუმანურ საფუძველს წარმოადგენს

სამართლიანობა, მიმტევებლობა, გულუხვობა, ქველობა. ი-ის ერთ-ერთი მცნებაა ე. წ. სალვთო ომი – „ჯიჰადი“, რ-იც უნდა ხორციელდებოდეს მტრებისა და მოძალადეების მიმართ. 5–7 წლის მოზარდს უტარებენ წინადაცვეთას. იკრძალება ხატებისა და ქანდაკებების თაყვანისცემა.

VIII–IX სს. ი. იქცა არაბული ხალიფატის გაბატონებულ რელიგიად. მუჰამადის საქმის გამგრძელებელმა ხალიფებმა ძალზე გაფართოვეს მისი გავრცელების საზღვრები. პირველი მნიშვნელოვანი განხეთქილება, რ-იც ი-ში წარმოიშვა, ცნობილია შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირებით. შიიტებს მიაჩნიათ, რომ მუჰამადის ნათესავებს ეკუთვნით პატივი პირველობისა, ისინი არ ცნობენ მუჰამადის არანათესავი ხალიფების პრიორიტეტს და ამიტომ არ აღიარებენ სუნას, როგორც მათი დაკვეთით შედგენილს. ეს იყო პირველი დიდი დაპირისპირება ი-ში, რ-ის აღმსარებელნიც გაიყვნენ ორ მოწინააღმდეგე მიმდინარეობად – შიიტებად და სუნიტებად.

მუსლიმანური რელიგიის მორალურ-ეთიკური სამართლის კრებულს წარმოადგენს ე. წ. შარიათის კანონები, რ-იც საზოგადოების ცხოვრების ძირითად მიმართულებაზე ამყარებს კონტროლს. ამიტომ მუსლიმანი სამღვდელო პირი – მოლა საერო მოღვაწეცაა, ყადი – მოსამართლეა, მუფტა – მაღალი სამღვდელო პირი, ულემი – უმაღლესი სას. სკოლის მასწავლებელი. პირველდაწყებით სკოლას ეწოდება მექტა, ხოლო უმაღლესს – მედრესი.

საქართველოში ი. არაბთა ბატონობის შემდეგ გავრცელდა. პირველ ქართველ მუსლიმანთა გაერთიანება თბილისსა და დმანისში VIII–XIII სს-ში დასტურდება. ინტენსიური ისლამიზაცია პირველად დაიწყო XVI–XVIII სს-ში თურქებისაგან შევიწროებულსა და არაერთგზის დაპყრობილ სამხრ. საქართველოსა და აჭარაში. XIX ს. ისლამიზაციის ინტენსიურობის შესაბამისად გაჩნდა ტერმინი „ოსმალეთის საქართველოს“ მოსახლეობის იმ ნაწილის აღსანიშნავად, რ-ებიც მოექცნენ ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში და, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ მათი ერთი ნაწილი კვლავ დაბრუნდა საქართველოში, მათმა უმეტესობამ მუსლიმანობა შეინარჩუნა. ტრაგიკული გამოდგა მესხი მუსლიმანების ბედი, რ-ებიც პოლიტ. კონიუნქტურის გამო საბჭ. ხელისუფლებამ შუა აზიაში გაასახლა (1944).

ზოგადად, საქართველოში არაქართველ მუსლიმთა რაოდენობა 300000-ს უახლოვდება. ესენი არიან კახეთსა და ქვემო ქართლში დასახლებული აზერბაიჯანელები, ასევე ლეკები, ქისტები და ჩაჩნები, რ-თა რელიგიური რიტუალები გარკვეულწილად პაგანიზებულ ხასიათს ატარებს.

აჭარელი და აფხაზი მუსლიმანები ძირითადად სუნიტები არიან, ხოლო კახეთსა და ქვემო ქართლში მოსახლე აზერბაიჯანელები – შიიტები, რ-თაც ჰყავთ თავიანთი ზედამხედველი (ახუნდი) და გაერთიანებული არიან მუსლიმანთა სამმართველოს შემადგენლობაში. თბილისის მეჩეთში სუნიტები და შიიტები ერთად ლოცულობენ.

ლიტ.: ნადირაძე ე., მსოფლიოს რელიგიები, თბ., 1996; რელიგიები საქართველოში, თბ., 2008; Кривелев И. А., История религии, т. 1, М., 1975.

ე. ნადირაძე.

ისლანდიური ხავსი (Cetraria islandica), მოყავისფრო, მომწვანო-მოყავისფრო ბუჩქისებრი ლიქენი. მისი სიმაღლე 12 *სმ* აღწევს. იზრდება უპირატესად ქვიშიან ნიადაგზე შორეულ ჩრდ-ში, სამხრ-ით – მთაში. საქართველოში გვხვდება ძირითადად ზ. დ. 1800 *მ*-ზე ზე-



ისლანდიური ხავსი.

მოთ. ტუნდრაში ირმის ძირითადი საკვებია. შეიცავს ნახშირწყლებს – ლიქენინსა და იზოლიქენინს. გამოიყენება მედიცინაში.

ც. ინაშვილი.

ისლარი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ფარცხნალის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. ჯიხველის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 360 *მ*, ხარაგაულიდან 3 *კმ*. 137 მცხ. (2014).

ისლი (Carex), მცენარეთა გვარი *ისლისებრთა* ოჯახისა. მრავალწლოვანი, კორდის შემქმნელი ფესურიანი ბალახია. აქვს სამწახნაგოვანი, იშვიათად – მომრგვალო ღერო, რ-იც შემოსილია ხაზური ან ლანცეტა ფოთლებით. ი-ის 2000-მდე სახეობაა ცნობილი. უმეტესობა გავრცელებულია ზომიე-



ისლი.

რი და ცივი ჰავის ზონებში. საქართველოში 90-მდე სახეობა გვხვდება. ხარობს თითქმის ყველანაირი ტიპის ადგილსამყოფელში – ტყის ზონაში, უდაბნოში, ტუნდრასა და ალპურ მდელოებზე. განსაკუთრებით ხშირია ყველა ზონის ტენიან და ჭაობიან ადგილებში. იყენებენ სასილოსედ და თივად, ზოგ სახეობას – ჭილობის, ჩანთებისა და ქუდების მოსაქსოვად, იშვიათად გრეხენ თოკსაც. ი-გან მზადდება ქაღალდი და სხვ. *კ. ქიმერიძე.*

ისლიანი, მცენარეთა თანასაზოგადოება, რომელშიც გაბატონებულია *ისლი*. გავრცელებულია ყველა ზონაში, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტყის ზონის დაჭაობებული მდელოებისა და ქვედური ჭაობების მცენარეულ საფარში. წყალსატევებისა და მდორე მდინარეთა სანაპიროებზე, სადაც ზედაპირული წყლის დონე სეზონურად და წლითიწლობით მკვეთრად მერყეობს, განვითარებულია ორიგინალური ტიპის კოლბოხოვანი ი. (კოლბოხთა სიმაღლე ხშირად 1–1,3 *მ*-მდე აღწევს). ი. გვხვდება აგრეთვე უდაბნოში, ველებსა და მთებში. კავკასიის მაღალმთიანეთის ი-ში უმეტესად გაბატონებულია Carex meinshauseniana, ხოლო უდაბნოსა და ველებში – Carex physoides, Carex pachystylis, Carex supina, Carex humilis და სხვ. ამგვარი ი. კარგ საძოვარ-სავარგულადაა მიჩნეული. ყვავილობამდე მოთიბული ი-ის თივა საკვები ღირებულებით მარცვლოვანთა ნამჯას უახლოვდება. იყენებენ სასილოსედაც. *კ. ქიმერიძე.*



ისლისებრნი.

ისლისებრნი (Cyperaceae), ერთლებნიანი მცენარეების ოჯახი. მრავალწლოვანი, იშვიათად, ერთწლოვანი ბალახებია. ცნობილია

100-ზე მეტი გვარის 5500-ზე მეტი სახეობა, გავრცელებულია მთელ დედამიწაზე, განსაკუთრებით ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი და ცივი ჰავის ზონებში, უმთავრესად ტენიან და ჭაობიან სუბსტრატზე. საქართველოში 22 გვარის 140 სახეობაა. ზოგი სახეობისაგან ქსოვენ ჭილობებს, ქუდებსა და ჩანთებს, პაპირუსისაგან ძველთაგანვე ამზადებდნენ ქაღალდს. მრავალი სახეობა ტორფწარმომქმნელია, ზოგი – სამკურნალო და დეკორატიული. *კ. ქიმერიძე.*

ისლურა (Luzula), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი ჭილისებრთა ოჯახისა. ღეროშეფოთლილია ბრტყელი, ხაზურ-ლანცეტა კიდებეწვიანი ფოთლებით. ნაყოფი ერთბუდიანი და სამთესლიანი კოლოფია. 0-ს 80 სახეობა მეტწილად გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყელში. საქართველოში გვხვდება 8 სახეობა, იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლის ტყეებში. ხშირად გვხვდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, ალპურ ხალებზე, ქვიან და კლდოვან ფერდობებზე. 0. არსად არ ქმნის დამოუკიდებელ ცენოზებს.

ისმაილ I (17. VII. 1487, არდებილი, – 23. V. 1524, იქვე), სეფიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი. ირანის შაჰი (1501–24). სეფევიეს ორდენის შეიხის ერთ-ერთი ვაჟი. 1500–01 ყიზილბაში ტომების მხარდაჭერით დაიკავა ქ. თავრიზი, დაიმორჩილა აზერბაიჯანი. მომდევნო ათ წელიწადში დაიპყრო თითქმის მთელი ირანი, სომხეთი, შირვანი, არაბული ერაყი, ქურთისტანი, დიარბაქირი. 1512 შუა აზიისათვის ბრძოლაში დამარცხდა შაიბანიან უზბეგთან და მას 8 წლით დაუზავდა. სამხრ. კავკასიაში ბატონობისათვის დაუპირისპირდა ოსმალეთის იმპერიას. 1514 ჩალდირანთან ბრძოლაში დამარცხდა ოსმალეთთან და დაკარგა ქურთისტანი, დას. სომხეთი და არაბული ერაყი. თანმიმდევრულად ატარებდა ქართ. სამეფო-სამთავროების დამორჩილების პოლიტიკას (იხ. *ისმაილ I-ის ლაშქრობანი საქართველოში*). 1518-იდან აღმ. საქართველოს მეფეები და სამცხის მთავარი სეფიანთა სახელმწ. ვასალები გახდნენ. 0. I-მა სახელმწ. რელიგიად გამოაცხადა შიიზმი.

0. I იყო პოეტი, წერდა ხათაის ფსევდონიმით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV–XVIII სს.), თბ., 1990.

ისმაილ I-ის ლაშქრობანი საქართველოში, ირანის შაჰის მიერ სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისა და ოსმალეთის წინააღმდეგ თავისი პოზიციის განმტკიცების მიზნით მოწყობილი ლაშქრობები.

ისმაილ I-მა სხვადასხვა საბაბით რამდენჯერმე ილაშქრა საქართველოში. შაჰად გახდომამდე, 1500 შემოდგომაზე, ბასიანიდან საქართველოში გაგზავნა ხოლეფა-ბეგი. ყიზილბაშებმა სამცხე-საათაბაგო დაარბიეს და დიდი ნადავლი იგდეს ხელთ. 1516 სამცხის მთავარ ყვარყვარე III ჯაყელს აუჯანყდა ბიძა მანუჩარი და ძმისწულს ტახტი წაართვა. ყვარყვარემ დახმარებისათვის ისმაილ I-ს მიმართა. ყიზილბაშები დივ-სულთნის მეთაურობით სამცხეს შეესივნენ, მანუჩარი ოსმალეთში გაიქცა. დივ-სულთანმა თმოგვის ციხე აიღო და ყვარყვარე III-ს თავისი უფლებები აღუდგინა. 1518 მანუჩარი ოსმალეთა ჯარით სამცხეს შეესია, მაგრამ დამარცხდა. დივ-სულთანი ისევ შემოიჭრა საქართველოში, ოდიში დაარბია და უკან გაბრუნდა. რადგან მანუჩარი ბრძოლას განაგრძობდა, ყვარყვარე III-მ კვლავ ისმაილ I-ს სთხოვა დახმარება და დივ-სულთნის სარდლობით გამოგზავნილ ლაშქარს წამოუძღვა საქართველოში. ყიზილბაშებმა გორი და სურამი აიღეს. 1521 კახეთის მეფე ლევანმა შაქი დაარბია. ამის საპასუხოდ ისმაილ I-მა საქართველოში კვლავ დივ-სულთანი გამოგზავნა, რ-მაც გრემი და ზაგემი დაარბია. ლევანი ყიზილბაშებს დამორჩილდა და ვასალობა აღიარა. ამ ლაშქრობათა მიუხედავად, ისმაილ I-მა ვერ შეძლო საქართველოს დაპყრობა.

წყარო: ჰ ა ს ა ნ რ უ მ ლ უ ს ცნობები საქართველოს შესახებ, ვლ. ფუთურიძის გამოც., შენიშვნები რ. კიკნაძისა, თბ., 1966.

ლიტ.: კ ა ც ი ტ ა ძ ე დ., ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (შაჰ-ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობის საკითხისათვის), «თსუ შრომები», 1964, ტ. 108; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1966.

რ. კიკნაძე.

ისპაანი, ი ს ფ ა ჰ ა ნ ი, ქალაქი ცენტრალურ ირანში, მდინარე ზენდერუდის ნაპირზე. თეირანის შემდეგ ქვეყნის მეორე ეკონ. ცენტრი. მოსახლეობა – 1,961 მლნ. კაცი (2016). ანტიკურ წყაროებში (პტოლემე) იხსენიება ასპადანის სახელწოდებით. შუა საუკუნეებში ახლო და შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და პოლიტ. ცენტრი იყო. 1597/98 შაჰ-აბას I-მა ცენტრ. ხელისუფლების განმტკიცების მიზნით დედაქალაქი ყაზვინიდან 0-ში გადაიტანა, ხელახლა დაგეგმა და ააშენა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დედაქალაქის მართვა-გამგებლობას და 0-ის *ტარუღებად* ახლო ნათესავებს ანდა უერთგულეს პირებს ნიშნავდა. 1599-იდან 1618-მდე 0-ს სპარსელი ტარუღები განაგებდნენ, 1618-იდან კი, სპეც. სამცნ. ლიტერაში მიღებული თვალსაზრისით (ქ. პატკანოვი, ვ. მინორსკი, დ. ლენგი, ვ. გაბაშვილი, კ. კუცია და სხვ.), ეს ფრიად მნიშვნელოვანი თანამდებობა ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველების, უმთავრესად საქართვ. სამეფო გვარის წარმომადგენელთა ხელში იყო. ცნობების სიმცირის გამო



ისპაანი. ქალაქის ხედი.

ჯერჯერობით არ ხერხდება ყველა ქართვ. ტარულის ვინაობის დადგენა. ცნობილი არიან ი-ის ქართვ. ტარულები: ხოსრო-მირზა [როსტომი, რ-იც 1618–39 პირადად მართავდა ი-ს, ხოლო 1633–58 – ნაიბების (სპარსელი – მირ-ყასებ ბეგი, ქართველები – ფარსადან გორგიჯანიძე და პაატა-ბეგი) მეშვეობით]; ალექსანდრე ბატონიშვილი (1666–77, ვახტანგ V შაჰნავაზის ძე); მაჰმადყული-ხანი (1703–07, კონსტანტინე ერეკლე I-ის ძე); ბატონიშვილი ქაიხოსრო ლევანის ძე (1707–09); როსტომ ლევანის ძე (1709–18); დავით III (1718–22, ერეკლე I-ის ძე) – უკანასკნელი ქართვ. ტარუელა.

ი-ის არქიტ. ძეგლებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სასახლე ,,ჩეჰელ-სოთუნ'' (,,ორმოცი სვეტი''), რ-ის ზოგიერთი ფრესკა ალავერდი-ხან უნდილაძემ მოახატვინა. სხვადასხვა წყაროს ცნობით, მათზე ქართ. წარწერები ყოფილა. ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია აბას I, რ-საც გვერდით ალავერდი-ხან უნდილაძე უზის. ი-ის ღირსშესანიშნაობათაგან საყურადღებოა მდ. ზენდერუდზე ალავერდი-ხანის მიერ აგებული 33-მალიანი ხიდი, რ-იც მისი სახელობისაა.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), კრ.: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972; კუცია კ., ისფაჰანის ქართველი ტარულები (1618–1722), იქვე; გვილავა ო., ისფაჰანი, შირაზი, ჭაშანი..., თბ., 1980; თოდუა მ., ქართული ნეკროპოლი ირანში (წინასწარი ცნობები), მის წგ.: ქართულ-სპარსული ეტიუდები, I–II, თბ., 1971; კიკნაძე რ., ირანი, თბ., 1979; ნაჭყებია ნ., ირანი, თბ., 1979. *დ. კაციტაძე.*

ისპანის ნამოსახლარი, ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრის ტორფქვეშა ნამოსახლარი ქობულეთში, *ფიჭვნარის* ტერიტორიაზე.

ისპიანი, სოფელი ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში – დმანისხევში (ამჟამად ნასოფლარია); მდებარეობს მდ. მაშავრის მარჯვენა მხარეს კაზრეთის ხევში და მიეკუთვნება ბოლნისის მუნიციპალიტეტს.

ი-ში არის სამონასტრო კომპლექსი, ისპიანის სამება, რ-საც გალავანშემოვლებული ნასახლარები ახლავს. მთავარი ტაძარი XIII ს. I მეოთხედს შორის არის აგებული. შემორჩენილია მოხატულობის კვალი. ადრე იყო ბოლნელი ეპისკოპოსის, ნიკოლოზის წარწერაც.

ი. საბარათიანოში შედიოდა და მთელი კაზრეთის ხეობასთან ერთად ეკუთვნოდა ზურაბიშვილთა შტოს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: დოლიძე ვ., კაზრეთის ხეობის ორი ხუროთმოძღვრული ძეგლი, «ძეგლის მეგობარი», 1970, №20; თაყაიშვილი ე., სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, «თსუ შრომები», 1953, ტ. 43.

დ. ბერძენიშვილი.

ისპირი, ახლანდელი თურქული პროვინცია, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიულ სამხრ.-დას. მხარეს. იხ. *სპერა.*

ისრაელი (Israel), ისრაელის სახელმწიფო (Madinat Yisrael), სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. მდებარეობს სამხრ.-დას. აზიაში, ხმელთაშუა ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპიროზე. ი-ს ჩრდ-ით ესაზღვრება ლიბანი, სამხრ.-დას-ით – ეგვიპტე, აღმ-ით – იორდანია, ჩრდ.-აღმ-ით – სირია. ი-ის სანაპიროს დიდი ნაწილი გადის ხმელთაშუა ზღვაზე, ხოლო სამხრ-ით ვიწრო გასასვლელი აქვს აკაბის ყურეში, რ-ის მეშვეობითაც უკავშირდება წითელ ზღვას. ფართ. – 22 ათ. *კმ*², მოსახლეობა – 8, 673 მლნ. კაცი (2017). სახელმწ. ენები – ებრაული (ივრითი) და არაბული. მორწმუნეთა უმრავლესობა იუდაიზმის მიმდევარია, არიან აგრეთვე მუსლიმანები და ქრისტიანები. მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრია ქ. თელ-ავივი, პარლამენტისა და მთავრობის ადგილსამყოფელი – *იერუსალიმი.* 1950 ი-ის მთავრობამ იერუსალიმის დას. ნაწილი დედაქალაქად გამოაცხადა. 1967 ი-მა იერუსალიმის აღმ. ნაწილი დაიკავა და 1980 გაერთიანებული ქალაქი ი-ის დედაქალაქად აღიარა, რასაც გაერო არ ცნობს. თუმცა 2018 აშშ-მა დაიწყო თავისი საელჩოს გადატანა თელ-ავივიდან იერუსალიმში. საკანონმდებლო ორგანოა ქნესეთი (პარლამენტი) 120 წევრის შემადგენლობით. ქვეყანას მართავს პრემიერ-მინისტრი და კოალიციურად შედგენილი მთავრობა. 5 წლის ვადით არჩეული პრეზიდენტი ცერემონიულ ფუნქციას ასრულებს. ფულის ერთეულია შეკელი.

პალესტინაში, რ-იც 1516–1917 შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, ებრაელების დაბრუნებამ მასობრივი ხასიათი მიიღო 1881-იდან, როდესაც აღმ. ევროპის რეგიონში (რუსეთის იმპერიაში) გახშირდა ებრაელთა რბევა. ამ დაბრუნებას ეწოდა ,,პირველი ალია'' (,,ასვლა იერუსალიმში''). ,,მეორე ალიაში'' (1904–14) მონაწილეობდა მრავალი სოციალისტურად განწყობილი ებრაელი აღმ. ევროპიდან, რ-თაც პალესტინის ადგილ. არაბი მოსახლეობისაგან შეძენილ მიწაზე დააარსეს კიბუცები – სასოფლო კოლექტივები. 1917 წ. 2 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გამოხატა სურვილი (,,ბალფურის დეკლარაცია''), რომ პალესტინაში ებრაელებისათვის შეექმნა ,,ეროვნული კერა''. I მსოფლიო ომის შემდეგ პალესტინა დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიად გამოცხადდა (1922). ევროპაში ნაციზმის წარმოშობამ და ებრაელთა დევნამ XX ს. 30-იან წლებში გამოიწვია მათი მასობრივი ემიგრაცია პალესტინაში, რასაც მოჰყვა მძაფრი დაპირის-



ისრაელის დროშა.



ისრაელი. თელ-ავივი. ქალაქის ხედი.



ისრაელი. ხაიფა. ქალაქის ხედი

პირება არაბული მოსახლეობის უმრავლესობასთან. 1947 გაერომ დაადგინა ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიის – პალესტინის გაყოფა ებრაულ და არაბულ ნაწილებად და საერთაშ. კონტროლის დაწესება იერუსალიმსა და მიმდებარე რეგიონზე. 1948 წ. 14 მაისს პალესტინის ებრაულ ნაწილში შეიქმნა ი-ის სახელმწიფო. მეზობელმა არაბულმა ქვეყნებმა – ეგვიპტემ, იორდანიამ, სირიამ, ლიბანმა, აგრეთვე ერაყმა – სამარი მოქმედება დაიწყეს ახალშექმნილი ებრაული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ომის შედეგად არაბული მოსახლეობის უმრავლესობა ი-დან წავიდა, ხოლო იერუსალიმი ორად გაიყო: აღმ. იერუსალიმი და მდ. იორდანეს დას. ნაპირი (ისტ. იუდეისა და სამარიის დიდი ნაწილები) იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფომ შეიერთა, დას. იერუსალიმი კი ი-ს დარჩა. 1967 ივნისში, ,,ექვსდღიანი ომის'' მოგების შემდეგ, ი-მა დაიკავა აღმ. იერუსალიმი და ,,დასავლეთი ნაპირი'', ასევე სირიის კუთვნილი გოლანის მაღლობი

ი. არის ეკონომიკურად მაღალგანვითარებული სახელმწიფო (მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით ის მსოფლიოში 35-ე ადგილზეა), მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსებით, მოსახლეობის განათლებისა და ცხოვრების დონით. მისი არმია, რ-შიც სამსახური სავალდებულოა როგორც კაცების, ასევე ქალებისათვის, ახლო აღმ-ში ერთ-ერთი უძლიერესია. სავარაუდოდ, ი. XX ს. 60-იანი წლებიდან ფლობს ბირთვულ იარაღს.

საქართველოში ებრაული თემი ორ ათასწლეულზე მეტხანს ცხოვრობდა და მჭიდროდ იყო ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებასთან, ამავდროულად სრულფასოვნად აღასრულებდა თავისი სარწმუნოების წესებს. საბჭოთა პერიოდშიც კი საქართველოში შენარჩუნდა თითქმის ყველა ებრაული სინაგოგა. XX ს. 70-იანი წლების დამდეგს ქართ. ებრაელები პირველნი იყვნენ საბჭოთა კავშირში, რ-თაც საშუალება მიეცათ აქტიურად ჩაბმულიყვნენ ალიაში. ქართველი ებრაელები, რ-თა დიდი უმრავლესობა ი-ში წავიდა და სრულად შეერწყა თავის ერს, არ ივიწყებენ ძველ სამშობლოს – საქართველოს. ი-ის მრავალ ქალაქში მათ დააარსეს სათვისტომოები, კულტ. ცენტრები, ჩამოაყალიბეს ქართ. ცეკვის ანსამბლები; არსებობს ქართულენოვანი გაზეთი, ჟურნალები და ტელევიზია. რადიო ,,ისრაელის ხმა'' ყოველდღიურად მაუწყებლობს ქართულ ენაზე (იხ. *დიდი ალია*).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ი. ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რ-მაც 1992 წ. 1 ივნისს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან და თბილისში თავისი საელჩო გახსნა. 1998 თელავივში გაიხსნა საქართ. საელჩო. ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო პოლიტ., ეკონ. და კულტ. ურთიერთობა. რეგულარული ხასიათი აქვს სახელმწიფოს ხელმძღვანელთა და სხვა მაღალი რანგის დიპლომატთა ურთიერთვიზიტებს. 1999 მარტში საქართველოს ეწვია ი-ის პრემიერ-მინისტრი, ბ. ნეთანიაჰუ, ხოლო 2011 იანვარში – პრეზიდენტი მ. კაცავი, რაც მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო. 2014 საქართველოში საზეიმოდ აღინიშნა ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი მეგობრობის ი-ბილე, დასრულდა დ. ბააზოვის ქართველთა და ებრაელთა ისტ. მუზეუმის რეაბილიტაციის პროცესი. 2015 ოქტომბერში ი-ს ეწვია საქართვ. პრეზიდენტი გ. მარგველაშვილი, 2017 იანვარში კი საქართვ. – ი-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს ესტუმრა ი-ის პრეზიდენტი რ. რივლინი. უკანასკნელ წლებში საქართველოში აღადგინეს 7 სინაგოგა (ფოთი, სენაკი, მარტვილი, ცაგერი, გორი, ვანი და ქარელი), ორ ქვეყანას შორის ხორციელდება უვიზო მიმოსვლა.

ლიტ.: გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი – სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2011; მისივე, ისრაელი – უძლიერესი პატარათა შორის, «ჩემი სამყარო», 2015, № 10.

რ. გაჩეჩილაძე.

ისრაელ ორი [1658, სოფ. სისიანი (ახლანდ. აცავანი), სომხეთი, – 1711, ასტრახანი (რუსეთი)], სომეხი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი ირანისა და ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ. ევრ. სახელმწიფოების მხრიდან დახმარებაზე უარის მიღების შემდეგ მიმართა რუსეთს. პეტრე I-ისა და დევნილობაში მყოფი *არჩილ II-ისაგან* მიიღო მხარდაჭერის დაპირება. 1701 მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება. 1707 იყო რუს. დესპანი ირანში. მან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ირანში მყოფ *გიორგი XI-თან*. ი. ო. იზიარებდა იმ სომეხი მოღვაწეების იდეებს, რ-ებიც თავიანთი ქვეყნის განთავისუფლების საკითხს უკავშირებდნენ ქართველებს და ქართ.-სომხ. თანასწორუფლებიანი ფედერაციის შექმნას ქართვ. მეფის მეთაურობით. რუსეთში დაბრუნების დროს ი. ო. გარდაიცვალა ასტრახანში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. მაისურაძე.

ისრითი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. სულორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 300 *მ*, ვანიდან 6 *კმ*. 654 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოიხსენიება XVIII ს-ში. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ი. საჩინოში შედიოდა და ჩიჯავაძეთა ფეოდ. საგვარეულოს ეკუთვნოდა.

ი-ში დგას შუა ფეოდ. ხანის ვაზნარის წმ. გიორგის ერთნავიანი

ეკლესია. შემორჩენილია აგრეთვე ციხესიმაგრის ნანგრევები.

თ. ბერაძე.

ისრიმი, მკვახე ყურძენი. იხმარება სანელებლად.

ისროლისხვმი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბიყარის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. მეჯუდის ზემოწელში. ზ. დ. 1460 *მ*, ერედვიდან 45 *კმ*.

ი. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ალ-**ისტახრი** აბუ ისჰაკ ალ-ფარისი (დაახლ. 850–934), არაბი მოგზაური და გეოგრაფი. თავის თხზულებაში ,,წიგნი გზებისა და სახელმწიფოების შესახებ'' (,,ქითაბ ალ-მასალიქ ვა ლ-მამალიქ'') ავტორი მიმოიხილავს მუსლ. ქვეყნებს დას. ინდოეთიდან მაროკოსა და ესპანეთამდე. მოკლედ არის აღწერილი თბილისიც, რ-იც აღნიშნულია ი-ის მიერ შედგენილ სამხრ. კავკასიის რუკაზე. იგი წერს: ,,ტფილისი დარუბანდზე ნაკლებია და ორი კედელი აქვს თიხის. სიმდიდრით სავსე ადგილია, ხილ-ბოსტნეულისა და ნათესების უხვად მქონებელი; მრავალი სახლი და თაფლი მტკვრით გაქვთ იქიდან. აქვს თბილი წყლები მსგავსად ტიბერიისა, უცეცხლოდ ცხელი. მთელ არანში ბარდავზე, დარუბანდსა და ტფილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობს''.

ლიტ.: ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, თარგმ. შენიშვნებითა და საძიებლითურთ ვლ. ფუთურიძისა, თბ., 1937; Караулов Н. А., Сведения арабских географов IX–X веков, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. 29, Тфл., 1901. *გ. ჯაფარიძე.*

ისტორია (ბერძნ. historia – თხრობა, მოთხრობა გარდასულ ამბებზე), 1. განვითარების ყოველგვარი პროცესი ბუნებასა და საზოგადოებაში; 2. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოების წარსულს მთელი მისი კონკრეტული ფორმებითა და მრავალფეროვნებით.

ი. არის ,,გამოძიება, გამოძიების შედეგად მიღებული ცოდნა'', წერილობით წყაროებში აღწერილი წარსულის შესწავლა. ი. უკავშირდება წარსულ მოვლენებს და ამ მოვლენების შესახებ ინფორმაციის ინტერპრეტაციას. ეს არის აკად. დისციპლინა, რ-იც წარსულის მოვლენების თანმიმდევრულად შესასწავლად, გასაანალიზებლად და მათი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ობიექტურად განსასაზღვრად იყენებს წერილობით წყაროს. ი. არის ,,მეცნიერება ადამიანთა შესახებ დროში'' (მ. ბლოკი).

ცნებამ ,,ისტორია'' საუკუნეების განმავლობაში ცვლილებები განიცადა. ჩვენი დროის ტერმინოლოგიით იგი გამოხატავს მყარ ვითარებას, რ-ის დროსაც ერთი და იგივე ტერმინი გადმოსცემს კვლევის ობიექტსა და ცოდნასაც ამ ობიექტის შესახებ. ი-ს სამი მნიშვნელობა აქვს: ცოდნა, ტექსტი (ნარატივი) და რეალურობა.

ი., როგორც განსაკუთრებული ლიტ. ჟანრი, უხსოვარი დროის მითოლოგიური წარმოდგენებისაგან წარმოიშვა, რ-ებმაც ლეგენდარულ-ეპიკური თქმულებების ფორმა შეიძინა. ნიშანდობლივია, რომ პირველი ისტ. ტექსტები პოეტური ფორმისა იყო. ძვ. საბერძნეთში კლიო იყო ჰიმნოგრაფიის მფარველი და მხოლოდ ელინისტური პერიოდიდან გახდა ი-ის მუზა.

პირველი ფუნდამენტური შრომა, რ-შიც აღწერილია კონკრეტული ისტ. მოვლენები, კერძოდ, ბერძნ.-სპარს. ომები და მისი თანადროული ქვეყნები და ხალხები (აქემენიდთა იმპერია, ეგვიპტე, სკვითები), ეკუთვნის ბერძენ ისტორიკოსს *ჰეროდოტეს*. ამ ნაწარმოებს ეწოდება „ისტორია“, რის გამოც ჰეროდოტეს „ისტორიის მამა“ ეწოდა.

ი-მ მრავალი საუკუნის განმავლობაში თანდათანობით მიიღო მეცნიერების სახე. კაცობრიობის განვითარების პირველი ეთნოგენეტიკური კონცეფცია და ადამიანის განვითარების შესახებ წარმოდგენა მოცემულია ძველი აღთქმის ტექსტში. დაახლოებით ასეთივე ძვ. ისტ. ტრადიცია არსებობს ჩინეთში, ძველ ეგვიპტეში, შუამდინარეთსა და ცივილიზაციის სხვა უძველეს კერებში. ისტ. წარმოდგენათა განვითარების შემდეგი ეპოქა დაკავშირებულია ანტ. სამყაროსთან (ძვ. წ. V ს. – ახ. წ. V ს.), რ-მაც ერთიანი შემეცნებითი სისტემიდან საკუთრივ ი-ის გამოცალკევებისა და მისი შემეცნების დამოუკიდებელ სფეროდ ჩამოყალიბების წანამძღვრები შექმნა; გაჩნდა ბერძნული პოლისური და რომაული სახელმწიფოებრივ-იმპერიული ტრადიციები. III–V სს-ში ჩამოყალიბდა ისტ. განვითარების ქრისტ. კონცეფცია, რ-იც ბიბლ. ტრადიციებსა და ანტ. ისტ. აზრის მიღწევებს ეყრდნობოდა. ამავე დროს ამ კონცეფციამ უარი თქვა ანტიკურობისათვის დამახასიათებელი ი-ის ციკლურობისა და განმეორებადობის შესახებ არსებულ წარმოდგენებზე და წამოაყენა თავისი არსით პროვიდენციული, ერთიანი ხაზობრივი პროცესის იდეა, რ-იც მთელ ოიკუმენეზე ვრცელდებოდა. შუა საუკუნეების ი. მეტწილად აღწერილობითი ხასიათისაა, ახალ დროში უფრო განმარტებითი გახდა, რამაც განაპირობა მისი მეცნიერებად ჩამოყალიბება XVIII–XIX სს. დას. ევროპაში.

შუა საუკუნეებში რამდენადმე გრძელდებოდა ძველი ტრადიციები. ფართოდ გამოიყენებოდა შედარებითი მეთოდი – ისტ. პიროვნებების პარალელური დახასიათება. ბიოგრაფიული აღწერილობებიც რომაული კანონების შესაბამისად ხდებოდა. შუა საუკუნეების ავტორები, ანტიკური ისტორიკოსების მსგავსად, აუცილებლობად მიიჩნევდნენ ადგილმდებარეობის აღწერას (descriptio), ყურადღებას აქცევდნენ ქალაქების წარსულს, ბუნების მოვლენებს, უბედურ შემთხვევებს, სისხლიან ბრძოლებს. გარკვეულ ადგილს უთმობდნენ ხალხის, ქვეყნების და ქალაქების სახელწოდების ეტიმოლოგიურ ახსნას. ამ პერიოდის თხზულებებში ვხვდებით რიტორიკულ გამოთქმებს, მეტაფორებს, ჰიპერბოლებს, პათეტიკურ შეძახილებს და სხვ.

შუა საუკუნეების ევროპაში XI ს-იდან ჩნდება პირველი დიდი მატიანეები და მონოგრაფიები, რებიც ქვეყანათა ი-ს გადმოსცემენ. ამ დროიდან ჩნდება ცალკეული ხალხების ი-ის ამსახველი თხზულებები (გუთების, ფრანკების, ლანგობარდების, ანგლების), კვლევის საგანი ხდება ეკლესიის ი-ც.

ტერმინი ი. ფართოდ გამოიყენება XII ს-იდან. XIII ს-იდან თომა აქვინელის (იტალ.) მცდელობით ისტ. ტექსტებში ყურადღება მიექცა მხატვრულ ღირებულებასაც. ი-ის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო ხალხისთვის ადვილად გასაგებმა მარტივმა სალექსო ფორმამ.

ანტიკური ტრადიციის შესაბამისად ი. არ განიხილებოდა ცოდნის დამოუკიდებელ დარგად. ზოგჯერ იგი (ვიწრო გაგებით) გრამატიკაში შეჰქონდათ.

ისტ. ცოდნის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ფ. ბეკონმა (ინგლ.). მან ამოსავალ წერტილად გამოიყენა ცოდ-

ნის დაყოფა აზროვნების უნარად (გონება, მეხსიერება, წარმოსახვა), რასაც თავის დროზე არისტოტელემ, იბნ სინამ და სხვებმაც მიაქციეს ყურადღება. მან შემოიტანა ცოდნის მეთოდურად დაყოფა გონების მეცნიერებად (ფილოსოფია), მეხსიერების მეცნიერებად (ი.) და წარმოსახვის მეცნიერებად (პოეზია). გარკვეული პერიოდიდან ი. მოიცავდა გეოგრაფიას, ქრონოლოგიას, ზოგად ისტორიას, ბუნების, ხელოვნებისა და ლიტ-რის (მხატვრულ) ი-ს. შექმნილი ნაწარმოებები ძირითადად პოლიტ. პრობლემების აღწერით იფარგლებოდა.

XVIII—XIX სს-ში შეიქმნა ეროვნ. ისტორიოგრაფიული სკოლები, ჩამოყალიბდა მიმართულებები, რ-ებიც ამა თუ იმ მსოფლმხედველობრივი თეორიის ან ისტორიოსოფული იდეების დომინირებით იყო განპირობებული.

მკვლევარი, რ-იც ი-ის შესახებ წერს, არის ისტორიკოსი. ძველთაგან სიტყვით istor, რაც ნიშნავს ისტორიკოსს, იწოდებოდა ადამიანი, რ-იც კრებდა, აანალიზებდა, შეაფასებდა და გადმოსცემდა ამა თუ იმ ინფორმაციას.

ი-ის პოლიტოლოგიური ორიენტაცია ფიქსირდებოდა თეორ. დონეზეც – ისტ. კვლევის სფერო ადამიანთა ქმედებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტ. ასპექტებით შემოისაზღვრა.

დროთა განმავლობაში, როგორც ცოდნის სხვა დარგები, ი-ც წარმატებით განვითარდა (როგორც მ. ბლოკი (საფრ.) ამბობდა – გაიზარდა). XX ს. დასასრულს ისტ. ცოდნის კონცეპტუალურ დამუშავებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლ. სტოუნისა და მ. კამენის (აშშ), ფ. ბროდელისა და ჟ. ლე გოფის (საფრ.), რ. კოზელეკისა და ო. ექსელეს (გერმ.), რ. ევანსისა, პ. ბორკის და ა. ტოინბისა (ინგლ.) და სხვა მრავალი ცნობილი მეთოდოლ. პრობლემების მკვლევარი ისტორიკოსების შრომებმა. ი-ის მეთოდოლ. კვლევები მიმდინარეობს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებშიც – რუსეთის მეცნ. აკად. მსოფლიო ისტორიის ინ-ტში (ა. ჩუბარიანი, მ. ბარგი, ი. ბესმერტნი, ა. გურევიჩი, კ. ხვოსტოვა და სხვ.), მოსკოვის უნ-ტში (ი. კოვალჩენკო, ს. კარპოვი, ლ. ბოროდკინი და სხვ.), აზერბ. და სომხ. სამეცნ. ცენტრებში.

ისტ. მეცნიერებაში არის ფუძემდებლური ცნებები, ურომლისოდაც შეუძლებელია ემპირიული მასალის ორგანიზება. ერთი მათგანია დრო – ეპოქა, რ-იც წარმოადგენს კულტ., სოც. და პიროვნული სისტემების ერთობლიობას. მისი არსებითი ელემენტია წარსულის სტრუქტურირება-პერიოდიზაცია. ისტ. ეპოქების კონცეფციის ფორმირება თანხვდა ეპოქალური ისტ. მოვლენების ცნების დამკვიდრებას.

XX ს. დასასრულს მოხდა ი-ის ფრაგმენტაცია, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ისტ. სიუჟეტების თვალსაწიერში სოციალური რეალობის ახალი ელემენტების შეტანას. ეს უპირველესად გახლავთ ფრანგული ისტ. სკოლის „ანალების“ მცდელობა ი-ში წარსულის ყოველდღიურობის პრობლემის შემოტანის თაობაზე. დღის წესრიგში დადგა კვების, შრომის, სიჭაბუკისა და სიბერის, ქალთა, მენტალობისა და სხვა ი-ების კვლევა.

ი-ის მიერ გადასაჭრელ პრობლემათა გართულებამ გამოიწვია ისტ. ცოდნის სპეციალიზაცია და დიფერენციაცია. ი-ის შემადგენლობიდან გამოიყო *წყაროთმცოდნეობა* და დამხმარე ისტ. დისციპლინები (*არქეოგრაფია*, არქივთმცოდნეობა, ბონისტიკა, *გენეალოგია, დიპლომატიკა, მეტროლოგია, ნუმიზმატიკა, პალეოგრაფია, სფრაგისტიკა, ქრონოლოგია, ჰერალდიკა* და სხვ.). მეცნიერებათაშორისი დისციპლინებია: *ისტორიული გეოგრაფია* და *ისტორიული გეოლოგია*. როგორც მეცნ. ცოდნის დამოუკიდებელი დარგები, საკუთარი მეთოდიკებითა და მეთოდოლოგიით გამოიყო *არქეოლოგია* და *ეთნოლოგია*. კულტ., მეცნ. და ტექნ. ი. შეისწავლება შესაბამისი დარგების (მათემატიკის, ფიზიკის, მუსიკის, თეატრის ი. და სხვ.) მიერ.

შეიქმნა განსაკუთრებული დისციპლინა, რ-იც თვით ისტ. მეცნიერების განვითარებას შეისწავლის – *ისტორიოგრაფია*. ამ დისციპლინის ტერმინოლოგიით ი. არის მხოლოდ ის, რაც დოკუმენტურად დასტურდება. ამგვარად, ისტ. მეცნიერება იწყება იმ დროიდან, როცა გამოჩნდა წერილობითი ინფორმაცია. წერილობით ცოდნამდე მომხდარი მოვლენები პრეისტორიად ითვლება.

ისტორიკოსები საზ-ბის ი-ს შეისწავლიან მთლიანად ან ნაწილების მიხედვით. ი-ს სწავლობენ ფორმაციებისა და ეპოქების, კომპლექსური პრობლემების შესაბამისად, სივრცობრივ-გეოგრ. პრინციპით, გარდა ამისა ცალკე შეისწავლიან ადამიანთა ი-ის სხვადასხვა მხარესა და მოვლენას. მსოფლიო ი-ში გამოიყოფა: პირველყოფილი საზ-ბის, ძველი მსოფლიოს, შუა საუკუნეების, ახ. და უახლესი ი. სივრცობრივ-გეოგრ. პრინციპის მიხედვით გამოიყოფა: დიდი, ერთმანეთთან ისტორიულად დაკავშირებული რების რეგიონული და ცალკეული ქვეყნებისა და ხალხების ი.

საქართველოში ისტორიკოსის აღმნიშვნელი ტერმინები იყო ,,აღმწერელი“, ,,გამომთქმელი“, ,,მომთხრობელი“, ,,ჟამთააღმწერელი“, ,,ისტორიათა-აღმწერელი“, ,,მემატიანე“.

ქართულ სამწერლობო ტრადიციაში სხვადასხვა სახის საისტ. თხზულებები მოიპოვება და თითოეულს შესატყვისი სახელი აქვს: ,,მარტვილობაჲ“, ,,წამებაჲ“, ,,ცხორებაჲ“, ,,მატიანეჲ“. ბერძნულ ქრონოგრაფიას უნდა შეესაბამებოდეს ქართული ,,ჟამთააღმწერლობა“. თავად ტერმინი ,,ისტორია“ ქართულ წყაროებში პირველად თამარ მეფის პირველ ისტორიკოსთან (,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) გვხვდება. ამათ გარდა მიღებული ტერმინები იყო ,,ჰამბავი“, ,,მოთხრობა“, ,,თხრობა“, საისტ.-სამწერლობო მოქმედების აღსანიშნავად იხმარებოდა აგრეთვე ტერმინები ,,წარმოთქმა“, ,,წარმოჩენა“, ,,უწყებაჲ“ და ,,ვსენება“.

არსებობდა თეორ. მოძღვრება, როგორ უნდა დაწერილიყო კარგი საისტ. თხზულება. ამასთანავე ყურადღება ექცეოდა საისტ. თხზულების სანდოობას, თხრობის წესს, მოცულობას.

ი. ჭავჭავაძე თვლიდა, რომ ყოველმა კულტურულმა ერმა, თუ წარმატებული არსებობა სურს, თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. მისი აზრით, ნამდვილი ისტორიკოსის მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ,,რაკი ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებული კაცებისა, ამიტომაც ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა“. ი. ჭავჭავაძეს საქართვ. პოლიტ. მოღვაწეთა ნამოქმედარში პოლიტ. მხარესთან ერთად

მისი კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავს.

ი-ის მეთოდოლ. საფუძვლების შესწავლის მიზნით დიდი შრომაა გაწეული საქართვ. მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და თსუ-ში (*ივ. ჯავახიშვილი*, ნ. *ბერძენიშვილი*, ს. *ჯანაშია*, შ. *მესხია*, გ. *მელიქიშვილი*, ს. *კაკაბაძე*, ვ. *გაბაშვილი*, მ. *ლორთქიფანიძე* და სხვ.).

ლიტ.: «ანალები», საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნ. (1947-დან); «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოლ. და ხელოვნ. ისტორიის სერია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნ. (1971-იდან); მეტრეველი რ., ფიქრები ისტორიაზე, «მერმისი», 1, ქუთ., 2017; ყორანაშვილი გ., პროფესია ისტორიკოსი, თბ., 1986; ჭავჭავაძე ი., ერი და ისტორია, ტფ., 1888; ჯავახიშვილი ივ., ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, ტფ., 1938; მისივე, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977; Барг М. Ф., Шекспир и история, М., 1979; მისივე, Историзм Френсиса Бекона. წგ.: Бэкон Ф. История правления Короля Генриха VII, М., 1990; Блок М., Апология истории, или Ремесло историка, Таллин, 1983; Боден Ж., Метод легкого познания истории, М., 2000; Бэкон Ф., О достоинстве и приумножении наук (1623), Соч., т. II, М., 1977–78; Гоббс Т., Левиафан, или материя форма и власть государства церковного и гражданского, М., 2001; Дьяконов И. М., Пути истории, М., 2007; Ле Гофф Ж., Цивилизация средневекового Запада, Екатеринбург, 2005; Ковальченко И. Д., Методы исторического исследования, М., 2003; Мабли Г. Б., Об изучении истории (1755), О том, как писать историю (1783), М., 1993; Могильницкий Б. Г., Введение в методологию истории, М., 2002; Савельева И. М., Полетаев А. В., Знание о прошлом: теория и история, т. 1, СПб., 2003; Тойнби А. Дж., Постижение истории. Сб., М., 2001; мисивე, Исследование истории, в 3 т., СПб., 2006; Ясперс К., Смысл и назначение истории, М., 1991; Harary Y. N., Sapiens: A brief history of Humankind, L., Harvill Secker, 2014; Le Goff J., History and Memory, N.Y.: Columbia Univ. Press, 1992; Tosh J., The Pursuit of History, 2006.

„ისტორიანი“, ყოველთვიური ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. გამოიცემა საქართველოში 2011 იანვრიდან. „ი.“ არის ჰოლდინგ „კვირის პალიტრის“ და ჯ. სამუშაის (მთ. რედაქტორი) ერთობლივი პროექტი, რ-ის ძირითადი მიზანია ისტორიის პოპულარიზაცია. ჟურნალში იბეჭდება როგორც ცნობილ მეცნიერთა, ასევე ახალგაზრდა მკვლევართა ნაშრომები. „ი-მა“ გამომცემლობა „პალიტრა L-თან“ ერთად, არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელა: საისტორიო რომანების გამოცემა, „50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია“, „საქართველოს ილუსტრირებული ისტორია“, „ქართველი მეფეები“ და სხვ.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, საქართველოს მეფის – თამარის ე. წ. პირველი ისტორიკოსის თხზულება (XIII ს.), რ-შიც აღწერილია თამარისა და მისი მამის, გიორგი III-ის ისტორია. თხზულების სრული ტექსტი შემონახულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებსა და მცხეთური ნუსხის პირში. „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში იგი შერწყმულია თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებასთან. ძეგლის ავტორი უცნობია. სხვადასხვა დროს მის ავტორად ვარაუდობდნენ ანტონ გლონისთავისძეს (თ. ჟორდანია), სარგის I თმოგველს (პ. ინგოროყვა), მანდატურთუხუცეს *ჭიაბერს* (ს. კაკაბაძე), არსენ იშხნელს (კ. კეკელიძე), შოთა რუსთაველს (ი. ლოლაშვილი).

აზრთა სხვადასხვაობაა თხზულების შედგენილობასა და დაწერის კონკრ. თარიღის თაობაზე. ზოგიერთი მკვლევრის აზრით (პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე), აქ ორი ავტორის სხვადასხვა ნაწარმოებია გაერთიანებული. პ. ინგოროყვას შეხედულებით, დაწერილია 1195-სა და XIII ს. I მეოთხედს შორის, ს. კაკაბაძის აზრით კი – 1195 და 1270–95 წლებს შორის თ. ჟორდანიასა და ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდათ, რომ ძეგლი 2 ნაწილისაგან შედგება და დაწერილია ერთი პირის მიერ სხვადასხვა დროს (1195 ან 1196 და თამარის გარდაცვალებისთანავე). „ი. და ა. შ.“ ერთ მთლიან ნაწარმოებად მიაჩნიათ კ. კეკელიძეს, ს. ყაუხჩიშვილს, ი. ლოლაშვილს. კ. კეკელიძის აზრით, ის დაწერილია 1222 ახლო ხანებში.

მეფე თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში აღწერილია ძირითადად თამარის, ხოლო მოკლედ – მისი მამის, გიორგი III-ის ისტორია. რადგან მისი სათაური დაკარგულია, ივ. ჯავახიშვილმა მას უწოდა „ი. და ა. შ.“ – ნაწარმოების თავში წამძღვარებული ვრცელი წინადადების აზრობრივი შემოკლებით, რ-იც ზედმიწევნით გამოხატავს შარავანდედის მატარებელი ამ გვირგვინოსნის ქებას, ანუ შესხმას.

ისტორიკოსი თამარის თანამედროვე ყოფილა. ის, უდავოდ, საერო პირია – თავისი გმირის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ თვისებათა დახასიათებისა და მისი საქმიანობის შეფასებისას სახელმწ. მოღვაწისათვის დამახასიათებელ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს. როგორც გვირგვინოსანთა მეხოტბისათვის, ისტორიკოსისათვის დამახასიათებელია „იზოთესი“. ის თამარს უწოდებს არა მარტო „ღმერთისა მსგავსს“, არამედ „ღმერთისა სწორსაც“, გიორგი მეფეს – „სახედჩენილს ღმერთისას“, ხოლო ლაშა გიორგის – „სწორს მისი ღმრთისას“, მაგრამ, როგორც შენიშნულია ლიტერატურაში, ასეთი შედარებები სწორედ სას. პირისაგანაა ნაკლებად მოსალოდნელი.

ავტორის ისტ. აზროვნება პროვიდენციულია. მისი აზრით, ყველაფერი, „ზეგარდმოჩინებით“ ხდება, ანუ ყველაფერი ღვთის ნებაზეა დამოკიდებული. იგი გიორგი მეფის ერთი ბრძოლის შესახებ ამბობს: „უკეთუ მუშვა ზენასა განგებისასა“, ის დაამხობდა ერთიანად სარკინოზთა ძლიერებასო. ისტორიკოსის მიზანი იყო: „აწ მე რომელი გინა მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მსმებია, გარდავსცე ისტორიასო“. ე. ი. არა მარტო თვითმხილველი და თანამონაწილე ყოფილა თავის თხზულებაში აღწერილი ამბებისა, არამედ მასში სხვათა მიერ ზეპირ ცნობებზე დამყარებული მონათხრობიც შეუტანია.

თამარის პირველი ისტორიკოსი, სავარაუდოდ, წარჩინებული საზ-ბის წევრი იყო. მან მონაწილეობა მიიღო დიდებულთა იმ ბჭობაში, რ-იც თამარის საქმროს შერჩევის საკითხს იხილავდა. „გამო-ვინმე-ჩნდა მეტყველი“ და საქმროდ ანდრია რუსთა მთავრის შვილი გვირჩია, – ამბობს იგი. მაგრამ, ამასთან ერთად, მან სასახლის შინაური ამბები და მეფის პირადი ცხოვრების დეტალები კარისკაცთაგან განაგონით იცის. ხილულისა და სხვათა მონათხრობის გარდა, მან ფილოსოფოს იოანე ჭიმჭიმელის „შესხმა-მოთხრობითაც“ ისარგებლა, რ-იც, როგორც კ. კეკელიძე ვარაუდობდა, მეფე დემეტრე I-ის ცხოვრების აღწერასაც შეიცავდა.

თამარის პირველი ისტორიკოსი ცენტრ. ხელისუფლების ანუ მონარქიის თავგამოდებული დამცველი იყო. „მრავალმთავრობას“, მისი აზრით, თან სდევს ყოველგვარი



„ისტორიანი“.

უწესობა. მისთვის მიუღებელია როგორც დიდებულთა გამოსვლა გიორგი III-ის მიერ დაწინაურებულ ,,უხანო'' ხელისუფალთა წინააღმდეგ, ისე ყუთლუ არსლანისა და მისი დასის მოთხოვნები მეფის უფლებათა შეზღუდვის შესახებ. თამარის პირველი ისტორიკოსი მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეხოტბეა. ამასთან, იგი გვევლინება ჰუმანისტად, რადგან ,,მესისხლეობა-მიმძლავრებაზე'' დამყარებული მართვა-გამგეობა მისთვის მიუღებელია. ის თამარს დიდ დამსახურებად უთვლის, რომ თავის მეფობაში ,,არცა თუ ტაჯგანაგი (მათრახი) უბრძანა ვისმე დაკვრად''.

ავტორი დიდი პატრიოტია და სამშობლოს დასაცავად თავდადებასაც მოითხოვს. მას საგანგებოდ მოჰყავს გიორგი III-ის მიერ ერთერთი ბრძოლის წინ გაკეთებული განაცხადი: უფრო სასახელოა მამაცური სიკვდილი, ვიდრე ,,სულისაგან განლევითა'', რადგან კეთილი სახელი საუკუნო გზად გაგვყვებაო.

თამარის ისტორიკოსი განსაკუთრებით ვრცლად და დაწვრილებით აღწერს სამხ. საქმეებს და ომებს. მაგ., შამქორის ომისათვის სამზადისი და თვით ბრძოლაც ძალზე შთამბეჭდავად აქვს მოთხრობილი და მისი თარიღიც დიდი სიზუსტითაა განსაზღვრული; ფართოდ აქვს გაშუქებული ბასიანის ომი და საქართვ. მხედრობის ძლევამოსილი ლაშქრობა სპარსეთში. ისტორიკოსი ასევე უმნიშვნელოვანეს ცნობებს იძლევა სამეფო დარბაზობის, მეზობელ ხელმწიფეთა და მთავართა მიღების წეს-ჩვეულებების, სამეფო კარისა თუ პროვინციის დიდმოხელეთა დადგენა-გადაყენების შესახებ. ყოველივე ამას მოსდევს თამარის საერო თუ საეკლ.-ზნეობრივი მოღვაწეობის ჩვენება და დახასიათება.

თხზულებაში სრულადაა ასახული ჩვენი ქვეყნის კულტ. დონე. ავტორი კარგად იცნობს ორ კულტ. სამყაროს: ქრისტიანულს (ელინურ-ბიზანტ.) და მაჰმადიანურს (ირან.-არაბ.) ისტორიკოსი ღრმა განათლებასა და ნაკითხობას ამჟღავნებს როგორც ძვ. და ახ. აღთქმის წიგნების, ისე საისტ. და მხატვრული ლიტ-რის ცოდნაში. ,,ი. და ა. შ-ში'' უხვადაა მოხსენიებული ელინურ-ბიზანტ. და სპარს.-არაბ. მწერლობიდან და ისტორიიდან ამოღებული სახელები და ცნობები. ამ საქმის შესრულებისთვის ავტორი თავს უღირსად მიიჩნევს და თვლის, რომ ისტორიის დაწერა შეშვენდებოდა ,,დიდთა სიტყვას – მოქმედთა პირველთა''. ამათში მას დავითის ისტორიკოსიც უნდა ჰყავდეს ნაგულისხმევი, რ-ის დიდ გავლენასაც განიცდის, რადგან მიზნით, გეგმით, სტილითა და ხასიათით ეს ნაწარმოებები დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ერთმანეთთან. თუმცა თამარის პირველი ისტორიკოსის ენა და სტილი უფრო პოეტურ-ფილოსოფიური, რთული და ხელოვნურია, ამასთან იყენებს მდიდარ და მრავალფეროვან მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს.

მიუხედავად იმისა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება უშურველი ხოტბაა თამარისა და მისი მეფობის, ის აღნიშნული ეპოქის მნიშვნელოვან საისტ. წყაროს წარმოადგენს.

გამოც.: ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1906; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), კ. კეკელიძის რედ. და გამოკვლევით, თბ., 1941; მეორე გამოცემა წიგნში: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 12, თბ., 1973; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; История и восхваление венценосцев, пер. с груз., предисл. и прим. К. С. Кекелидзе, Тб., 1954.

ლიტ.: აბულაძე ილ., ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, «ენიმკის მოამბე», 1938, ტ. 3; გრიგოლია კ., თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობისა და მისი თხზულების დათარიღებისათვის, «თსუ შრომები», 1964, ტ. 108; კაკაბაძე ს., შოთა რუსთაველი და მისი ,,ვეფხისტყაოსანი'', თბ., 1966; კეკელიძე კ., ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი'' როგორც ლიტერატურული წყარო, წგ.: რუსთაველის კრებული, თბ., 1938; მისივე, ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი'', წგ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1954; კიკნაძე რ., ფარსადან გორგიჯანიძე და ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი'', თბ., 1975; ლოლაშვილი ი., რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, თბ., 1961; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

ა. ბოგვერაძე. რ. კიკნაძე.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, იხ. *ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი* ივანე ჯავახიშვილის სახელობისა.

ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ივანე ჯავახიშვილის სახელობისა, საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შემსწავლელი ძირითადი სამეცნიერო ცენტრი. მისი ისტორია 1917 წლის 1 ივლისს იწყება და თბილისში დაარსებულ „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტს'' უკავშირდება. აღნიშნული ინ-ტი რუსეთის მეცნ. აკად. სისტემაში შედიოდა. მისი დაარსების ინიციატორი და ოფიციალური ხელმძღვანელი იყო ნ. *მარი.* ინ-ტი იმ დროისათვის სულ რამდენიმე ადამიანს აერთიანებდა (მ. შ. ე. *თაყაიშვილი*, გ. *ჩუბინაშვილი*) და მის ძირითად მიზანს შეადგენდა კავკასიის მოსახლეობისა და მის მონათესავე ხალხთა ენებისა და ისტ. შესწავლა, კავკასიისმცოდნეობასთან დაკავშირებული სამეცნ. დისციპლინების განვითარება, ყოფ. კავკასიის სამეფისნაცვლოს ფარგლებში არსებული მატერ. და სულიერი კულტურის ძეგლების რეგისტრაცია-დაცვა. რადგან ინ-ტის თანამშრომლებს დამოუკიდებლად მოუხდათ საქმიანობის წარმართვა, ამის გამო ძირითადად ქართ. და სომხ. სიძველეების კვლევა-ძიებით შემოიფარგლნენ. 1931 ინ-ტს დაემატა საბუნებისმეტყველო მეცნიერების განყ-ბა და ეწოდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიისმცოდნეობის ინ-ტი, რ-ის ბაზაზეც 1932 შეიქმნა სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკასიის ფილიალი, 1933 კი ამ უკანასკნელის ბაზაზე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ფილიალის სექართვ. განყ-ბა. 1935 მოხდა სსრკ მეცნ. აკადემიის ფილიალის რეორგანიზაცია 3 დამოუკიდებელ ფილიალად – აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის. 1941 თებერვალში საქართვ. ფილიალის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია (ამჟამად – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია). აკადემიის სისტემაში შევიდა კავკასიისმცოდნეობის ინ-ტიც, რ-საც 1936 ნ. მარის სახ. ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის, მატერიალური კულტურის, ენისა და ლიტერატურის ინ-ტი ეწოდა, 1936 წლის ივლისიდან კი – ნ. მარის სახ. *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი* (,,ენიმკი''). პირველ ეტაპზე მიმდინარე ხშირი სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდგომ ენიმკის სტრუქტურა 1938-თვის ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ინ-ტი აერთიანებდა შვიდ განყ-ბას და ორ კაბინეტს.

განყოფილებებში შედიოდა: ქართველურ ენათა (გამგე ა. *შანიძე*, 1941-იდან – ვ. *თოფურია*), კავკასიურ ენათა (გამგე არნ. *ჩიქობავა*), ლექსიკოლოგიის, სამეცნ. ტერმინოლოგიის, მახლობელი აღმოსავლეთის ენათა (გამგე გ. *წერეთელი*), არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის (ეთნოლოგიის გამოყოფის შემდეგ – არქეოლოგიის განყ-ბა, გამგე გ. *ნიორაძე*) და ისტორიის (გამგე ს. *ჯანაშია*) განყ-ბებს, ასევე ფონეტიკისა და ნ. მარის კაბინეტებს. ინ-ტი აწყობდა სამეცნ. ექსპედიციებს, ლექცია-მოხსენებებს. მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ამიერკავკასიის და ჩრდ. კავკასიის სამეცნ. წრეებთან. 1938 ივნისიდან ცალკე გამოიყო ეთნოგრაფიის განყ-ბა (გ. *ჩიტაიას* ხელმძღვანელობით). 1939-იდან შეიქმნა ფილოლოგიის (ა. შანიძე, 1940-იდან – ს. *ყაუხჩიშვილი*) განყ-ბა, ლექსიკოლოგიისა და სამეცნ. ტერმინოლოგიის განყ-ბები გაერთიანდა (გამგე ვუკ. *ბერიძე*), ხოლო კაბინეტების ბაზაზე ჩამოყალიბდა ზოგადი ენათმეცნიერების განყ-ბა (გამგე გ. *ახვლედიანი*).

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის სრულიად საკავშ. კომიტეტის 1939 წ. 7 ნოემბრის ბრძანებულებით ენიმკის სამეცნ. საბჭომ მიიღო უფლებამოსილება, განეხილა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები (საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის, საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის, ქართ. სამართლის ისტორიის, საქართვ. ეკონომიკური ისტორიის, ქართველური ენათმეცნიერების, კავკასიური ენათმეცნიერების, ქართ.ფილოლოგიის, ირანისტიკისა და ქართ. ხელოვნების ისტორიის სპეციალობებში) და მიენიჭებინა სამეცნ. ხარისხი. ენიმკის სამეცნ. საბჭოს თავ-რედ დამტკიცდა ს. ჯანაშია (პირველი დისერტაციის დაცვა შედგა 1940 წ. 29 დეკემბერს და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნ. ხარისხი მიენიჭა ეთნოგრაფიის განყ-ბის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს ა. *რობაქიძეს*).

1937 წ. 17 დეკემბერს, სამეცნ. საბჭოს დადგენილების შესაბამისად, ენიმკის თანამშრომლები სამ კატეგორიად დანაწილდნენ: პროფესორი, უფრ. მეცნიერი თანამშრომელი და უმცროსი მეცნიერი-თანამშრომელი. ინ-ტს დაარსებიდან ჰქონდა ბ-კა, აგრეთვე ორი პერიოდული გამოცემა: ,,აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე'' (,,ენიმკის მოამბე'') და „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის''. 1938–40 გამოიცა „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის''. ამ პერიოდშივე დაიწყო ისეთი სერიების გამოცემა, როგორიცაა: „საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები'', „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან'', „საქართველოს სამართლის ძეგლები'' და „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ''.

1941 წ. 8 მაისს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნ. *მუსხელიშვილის* ბრძანებით ენიმკი გაიყო და მის ბაზაზე შეიქმნა ორი ინ-ტი: „ისტორიის ინსტიტუტი'' და „აკად. ნ. მარის ენის (შემდგომში – ენათმეცნიერების) ინსტიტუტი''. ამავე ბრძანებით, ისტორიის ინ-ტის დირექტორად დაინიშნა ს. ჯანაშია (მუშაობდა გარდაცვალებამდე – 1947). 1943 საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ისტორიის ინ-ტს მიენიჭა აკად. ივ. *ჯავახიშვილის* სახელი. 1944–45 გაიხსნა ახალი განყ-ბები: ფილოსოფიის (რ-იც 1946-იდან ცალკე ინ-ტად ჩამოყალიბდა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში), ქართული მუს. ფოლკლორისა და ქართ. ხალხური მედიცინის ისტორიის.

არქეოლ. და ეთნოგრ. სამუშაოების გაფართოების გამო, 1964 ისტორიის ინ-ტს ეწოდა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი'', ხოლო 1977 ცალკე სამეცნ. კერად ჩამოყალიბდა არქეოლ. კვლევის ცენტრი. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტში 15 განყ-ბა და 5 სექტორი ფუნქციონირებდა: ძველი ისტორიის (გ. *მელიქიშვილი*), შუა საუკუნეების საქართვ. ისტორიის (მ. *დუმბაძე*), საქართვ. ახალი ისტორიის (გ. მარგიანი), საბჭოთა საქართვ. ისტორიის (ი. *კაჭარავა*), დიდი სამამულო ომის პერიოდის საქართვ. ისტორიის (მ. ნათმელაძე), საქართვ. სსრ შრომითი კოლექტივების ისტორიის (მ. სამსონაძე), საქართვ. ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის (რ. *კიკნაძე*), საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართვ. ურთიერთობის ისტორიის (გ. *პაიჭაძე*), კავკასიის ხალხთა ისტორიის (გ. თოგოშვილი), ევროპის ქვეყნების ისტორიის (ი. *ტაბაღუა*), ისტორიული გეოგრაფიის (დ. *მუსხელიშვილი*), კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის (მ. გეგეშიძე, ა. კაცაძე), საქართვ. სსრ ქალაქებისა და სოფლების ისტორიის (ჯ. ოდიშელი), საქართვ. ისტორიის ძეგლთა ნუსხისა და ინფორმაციის (უ. სიდამონიძე), ეთნოგრაფიის (ა. რობაქიძე) განყ-ბები, რ-ებშიც გაერთიანებული იყო მატერ. კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრ. შესწავლის (ჯ. *რუხაძე*), სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრ. შესწავლის (ვ. *ითონიშვილი*), სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის (თ. *ოჩიაური*), ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ეთნოგრ. შესწავლის (ა. რობაქიძე) და ანთროპოლოგიის (მ. აბდუშელიშვილი) სექტორები. სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის სექტორში მოქმედებდა ქართ. ხალხ. მუსიკის (ნ. *მაისურაძე*) და ქართ. ხალხ. მედიცინის (ნ. მინდაძე) შემსწავლელი ჯგუფები. 1947–65 ინ-ტის დირექტორი იყო ნ. *ბერძენიშვილი*, 1965–99 – გ. მელიქიშვილი, 1999–2006 – დ. მუსხელიშვილი. ისინი ინტენსიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივ, საკავშ. თუ საერთაშ. ფორუმებზე. ფართოვდებოდა ასევე კვლევის თემატიკა და მიდგომები.

2006-იდან ინ-ტი გახდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი''. ამ პერიოდიდან იწყება შიდა სტრუქტურული რეორგანიზაციაც. 2018-იდან ინ-ტს ხელმძღვანელობს გ. ჭეიშვილი. ამჟამად ინ-ტში მოქმედებს 5 განყ-ბა და ერთი ლაბორატორია: ძველი ქვეყნების ისტორიის (ი. ტატიშვილი), შუა საუკუნეების საქართვ. ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის (მ. ჩხარტიშვილი), ახალი და უახლესი ისტორიის (ა. სონღულაშვილი), საქართვ. ეთნოლოგიის (ქ. ხუციშვილი), კავკასიის ეთნოლოგიის (რ. *თოფჩიშვილი*) განყ-ბები და ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია (ლ. ბითაძე).

საქართვ. მეცნ. აკადემიის რეორგანიზაციის შემდგომ ი. და ე. ი. გადავიდა თსუ-ის დაქვემდებარებაში, როგორც სამეცნ.-კვლევითი ინ-ტი.

ლიტ.: თოფურიძე ქ., ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ქსე, ტ. 5, თბ., 1980; ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რედ. აკად. გ. მელიქიშვილი, თბ., 1988; ჯანაშია ს., მოკლე ანგარიში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936–1944 წწ., «ენიმკის მოამბე»,1944, ტ. 14; Джорбенадзе С. М., Учреждения АН СССР и Тбилисский университет (Документы и факты), Тб., 1974; Жордания О., Институт истории, археологии и этнографии им. акад. И. А. Джавахишвили, Тб., 1988.

ქ. ხუციშვილი.

ისტორიოგრაფია (ბერძნ. historia – თხრობა, მოთხრობა გარდასულ ამბებზე და grapho – ვწერ, ვხაზავ, ვხატავ; სიტყვასიტყვით ნიშნავს ისტორიული მოვლენების აღწერას), 1. ისტორიული მეცნიერების *ისტორია*, აგრეთვე განსაზღვრული თემის, პრობლემის ან ისტ. ეპოქისადმი მიძღვნილი გამოკვლევების ერთობლიობა, ანდა სხვადასხვა ნიშნით გაერთიანებული ისტ. ხასიათის ნაშრომები; 2. ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინა; 3. ფართო მნიშვნელობით – თვით ისტორიული მეცნიერება (აქედან წარმოდგება ისტორიოგრაფი – იგივე ისტორიკოსი). თანამედროვე ი. გულისხმობს არა ისტ. ფაქტების, არამედ ამა თუ იმ ეპოქის ისტ. აზრის გადმოცემას. ისტორიოგრაფიული მეცნიერების კვლევის ძირითადი ასპექტებია: ისტ. კონცეფციის შესწავლის აუცილებლობა და ისტ. აზროვნების ყოველი მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური პრინციპების დადგენა, კვლევის კონკრეტული მეთოდიკისა და წყაროთა გამოყენების ფორმის ანალიზი, ისტორიის დარგში კვლევითი მუშაობის ორგანიზაციისა და ფორმის შესწავლა.

ქართულ ი-ს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ახ. წ. I–II სს. განეკუთვნება ქართლის (იბერიის) სამეფოს დიდმოხელეთა უცხოენოვანი წარწერები (ნაპოვნია მცხეთა-არმაზში), რ-ებიც ამ ეპოქის შესახებ მრავალ საინტერესო მასალას გვაწვდის.

უძველესი ქართ. წარწერები თარიღდება V ს-ით (ბოლნისის სიონი, პალესტინის იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, წმ. თეოდორეს მონასტერი). გვაქვს აგრეთვე ამავე საუკუნის ქართ. ი-ის უძველესი ჰაგიოგრაფიული ძეგლები, რ-ებშიც ასახულია ქვეყნის ისტ. განვითარება. ი-ის უძველეს ძეგლში *იაკობ ხუცესის* (ცურტაველი) „შუშანიკის წამებაში“ (V ს.) უხვადაა ცნობები იმ დროის აღმ. საქართვ. საზ. წყობის, ეკონ.-პოლიტ. და კულტ. მდგომარეობის შესახებ. VI ს. ქართლში არსებული ვითარება ასახულია *„ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“*. საქართველოს მდგომარეობა არაბთა ბატონობის ხანაში აღწერილია *იოანე საბანისძის* „აბო თბილელის წამებაში“ (786–790). ასეთივე ხასიათის თხზულებებია „კოსტანტი კახის მარტვილობა“ (IX ს.), *სტეფანე მტბევარის* „ეობრონის წამება“ (X ს.) და სხვ. საქართველოს პოლიტ. გაერთიანებისათვის ბრძოლის, ტაო-კლარჯეთში არსებული სოც.-პოლიტ. და კულტ. ვითარების გასაცნობად უპირველესი მნიშვნელობის ძეგლია *გიორგი მერჩულეს* (X ს.) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, აგრეთვე ამავე საუკუნის ავტორის, *ბასილი ზარზმელის* „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა *„მოქცევაჲ ქართლისაჲს“* ქრონიკა, რ-ის პირველ ნაწილში მოკლედ არის გადმოცემული ქართლის სამეფოს ისტორია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან IX ს-მდე, ხოლო მეორე ნაწილში – ქართველთა განმანათლებლის, ,,წმიდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი ვერსია. ეს ორი თხზულება, სავარაუდოდ, გვიან უნდა იყოს გაერთიანებული. თხზულების დათარიღების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს, რომ „ნინოს ცხოვრების“ მოთხრობათა ციკლი მისივე თანადროულია და მომდინარეობს ქართლის მოქცევის ბიზანტიური (IV ს.) და სომხური (V ს.) ვერსიებიდან. წყაროს შევსება-რედაქტირება უნდა მომხდარიყო V, VII, IX სს-ში.

შუა საუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნების ნაყოფია უმნიშვნელოვანესი ძეგლი – *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეთა კრებული, სადაც საქართველოს ისტორია უძვ. დროიდან XIV ს. დასაწყისამდე გადმოცემულია ერთიანი, მთლიანი, მწყობრად გამართული ისტორიის სახით.

„ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს საქართვ. ისტორიის უმთავრეს წყაროს, შესაბამისად, ქართული ი-ის კვლევას აქვს ხანგრძლივი ისტორია, რ-იც მუდმივი პროცესია და დღემდე გრძელდება. ამდენად, ი-ში მრავალი თვალსაზრისი არსებობს მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების მოცულობის, დასათაურებისა და ავტორების ვინაობის შესახებ. ყველაზე სრულყოფილ გამოცემად დღემდე ითვლება „ქართლის ცხოვრების“ ის გამოცემები (რედაქტორები: ს. *ყაუხჩიშვილი*, რ. *მეტრეველი*), რებიც ივ. *ჯავახიშვილის* მიერ შემუშავებული სტრუქტურის მიხედვით არის წარმოდგენილი.

„ქართლის ცხოვრებას“, როგორც ისტორიულ ნაშრომს, აქვს ყველა ის ნიშანი, რ-იც, ზოგადად, შუა საუკუნეების მატიანეებისთვისაა დამახასიათებელი. იგი თავისი მსოფლმხედველობით, იდეოლოგიით, ამოცანებით შუასაუკუნოვანი ი-ის ტიპური ნიმუშია: 1. იგი წარმოადგენს ქართული ფეოდ. საზ-ბის ისტორიას; მთლიანად გამოხატავს და იცავს გაბატონებული კლასის სოც.-ეკონ. და პოლიტ. ინტერესებს. თხრობა უპირველესად ეხება მეფეთა ცხოვრებას. ისტორიკოსის ამოცანას არ წარმოადგენდა უბრალო ხალხის ისტორიის გადმოცემა; 2. არის ტენდენცია, საქართვ. ისტორია აღქმულ იქნეს მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. თხზულებათა ავტორები საქართვ. ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს მსოფლიო ისტორიის ცნობილ ფაქტებთან აკავშირებენ. მაგ., ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით ქართლის სამეფოს შექმნა იწყება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებით საქართველოში. საკითხის ამგვარი გააზრება არ არის შემთხვევითი. შუა საუკუნეების ქრისტიანისთვის მისაღებია მსოფლიო ისტორიის მთლიანობაში აღქმა, ამიტომ ქართვ. მემატიანე საქართვ. ისტორიას წარმოაჩენს როგორც მსოფლიო ისტორიის ნაწილს, ხოლო, რადგან მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ოთხი მონარქის პრინციპით იყოფა და ერთ-ერთი ეპოქა კი ალექსანდრე მაკედონელით იწყება, ქართვ. ისტორიკოსიც ქართლის სამეფოს წარმოშობას მის სახელს უკავშირებს; 3. კრებულში, როგორც ზოგადად შუასაუკუნოვან მატიანეებში, მრავალი პრობლემის გააზრება ბიბლიურ „თეორიაზე“ დაყრდნობით ხდება (ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზი, სამეფო ხელისუფლებისა და სამეფო დინასტიების წარ-

მოშობა და სხვ.); მაგ., ქართლოსიანნი და მთელი კავკასიელები ბიბლიური თარგამოსის შთამომავლებად არიან გამოცხადებულნი, ხოლო მათ დამკვიდრებას ისტ. სამშობლოში „ბაბილონის გოდოლის“ ლეგენდას უკავშირებენ და ა.შ.; 4. კრებულის ავტორთა და რედაქტორთა მსოფლმხედველობა შუასაუკუნოვანი პროვიდენციალიზმით ხასიათდება. მეფეთა და გმირთა მოღვაწეობა აღწერილია როგორც ბრძოლა ქრისტ. რწმენის დასაცავად, ისტ. პირის დადებითად დახასიათებისას წამოწეულია მისი ღვთისმოსაობა, ხოლო სტიქიური უბედურებები და ომები მიჩნეულია ადამიანთა ურჩობის, ბიწიერი ცხოვრებისა და ურწმუნოების საპასუხოდ გამოგზავნილ ღვთის რისხვად. მატიანეებში ხშირია ციტირება „წმინდა წერილიდან“, ხოლო ადამიანთა ქცევა შეფასებულია წმიდა მამათა დოგმების მიხედვით. მაგ., მეფე დავით აღმაშენებლის წარმატებები ახსნილია, როგორც ღვთიური ნების გამოვლინება – „თვით მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი, და საცხებელი მისი წმინდა სცხო მას“. კრებულში მრავალი სასწაული, წინასწარმეტყველური სიზმარი თუ ლეგენდაა შეტანილი, რაც, აგრეთვე, შუასაუკუნოვანი მატიანეებისთვისაა დამახასიათებელი და გარკვეულ დატვირთვას ატარებს; 5. ავტორები კარგად იცნობენ ანტ. სამყაროს, ბერძენ და რომაელ მწერლებს. პერსონაჟთა დახასიათებისას და მოვლენათა აღწერის დროს წარმატებით იყენებენ შედარებით მეთოდს. მათთვის სამაგალითო პიროვნებაა ალექსანდრე მაკედონელი და ხშირად ქართველ მეფეებს მას ადარებენ. ამ ნიშნით განსაკუთრებით გამოირჩევიან დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები.

კრებულში წარმოდგენილი მატიანეები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით იწერებოდა და ისინი წარმოადგენს კომპოზიციურად კარგად აწყობილ თხზულებებს, რ-ებშიც მკვეთრად ჩანს მთავარი აზრი; ავტორებმა კარგად იციან, როგორ და რა გზით უნდა იწერებოდეს ისტ. თხზულება; შეგნებული აქვთ, რომ ჟამთააღმწერლობა, უპირველეს ყოვლისა, „ჭეშმარიტების მეტყველება არს“. არსებობს შეხედულება იმის შესახებ, რომ XII ს-იდან ქართ. საისტ. მწერლობა ბიზანტიური საისტ. მწერლობის ტრადიციების მძაფრ გავლენას განიცდის, რაც შესაბამისად აისახა თხზულებაში *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“*.

შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სწავლა-განათლების, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნებისა და, საერთოდ, კულტურის ცენტრებს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდა. აქ ქართვ. ბერების მიერ იწერებოდა ორიგინალური თხზულებები, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნ. კულტურის საგანძური. ქართ. კულტურის ამგვარი ცენტრები არსებობდა როგორც საქართველოში (ხანძთა, შატბერდი, ოშკი, შიომღვიმე, გელათი და სხვ.), ასევე საზღვარგარეთ (საბაწმინდა, სინა, ჯვარი, შავი მთა, ათონი, პეტრიწონი და სხვ.).

საზღვარგარეთის ქართულ ლავრებში XI ს. ცნობილმა მოღვაწეებმა – *გიორგი მთაწმიდელმა, გიორგი მცირემ, ეფრემ მცირემ* – განავითარეს ბიოგრ.-ისტ. ჟანრის მწერლობა, გააფართოვეს ისტ. წყაროების წრე და გარკვეული დოზით გამოიყენეს ისტ. კრიტიკა. მაგ., გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში („ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყება ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“) დამოწმებულია სამივე სახის წყაროს გამოყენების ფაქტი: წერილობითის, ნივთიერისა და ზეპირის. იგი უხვად სარგებლობს წერილობითი საბუთებითა და „სარწმუნო კაცთა“ ზეპირი ცნობებით. მას „უტყუარ“ მასალად საბუთის დედანი მიაჩნია. გიორგი მცირეს თხზულება („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისაჲ“) გამოირჩევა ისტ.-ლიტ. მასალის სიუხვით. ეფრემ მცირე („უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“) ოსტატურად ფლობს ანალოგიის მეთოდს, ახდენს ტექსტების რთულ ფილოლოგიურ ინტერპრეტაციას. მის გამოკვლევებშიც გვხვდება ისტორიული კრიტიკის ელემენტები. *იოანე პეტრიწმა* დატოვა მრავალი მეცნ.-ლიტ. თხზულება. მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ნეოპლატონურ ფილოს. სკოლას; პეტრიწმა და მისმა მოწაფეებმა შეიმუშავეს ქართ. სამეცნ. ენა, ტერმინოლოგია და დიდად შეუწყვეს ხელი ქართ. ფილოს. აზროვნების განვითარებას. მან გელათის აკადემიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

XIV ს. და შემდგომი პერიოდის საქართველოში, ისტ. აზრის განვითარების თვალსაზრისით, საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა, რ-იც დამპყრობელთა ხანგრძლივმა შემოსევებმა განაპირობა. მიუხედავად ამისა XV–XVI სს-ში იქმნება ცალკეული ფეოდალური სენიორიებისადმი მიძღვნილი საისტ. თხზულებანი: *„ძეგლი ერისთავთა“* (XV ს.), *„მესხური დავითნის ქრონიკა“* (XVI ს.) და სხვ.

XVII–XVIII სს. ქართ. კულტურის ისტორიის ახ. პერიოდია, რ-იც ქართ. ლიტ-რაში „აღორძინების“ სახელით არის ცნობილი. იგი თავისი შინაარსით არ წარმოადგენდა ევრ. ჰუმანიზმისა და, მით უფრო, რაციონალიზმის ხანას და ეს შეუძლებელიც იყო, რადგან, სოციალური განვითარების თვალსაზრისით, საქართველო ტიპური ფეოდ. ქვეყანა იყო. შესაბამისად, არ არსებობდა ის ბურჟუაზიული-ეკონ. ურთიერთობები, რ-ებიც ევროპაში ახ. აზროვნების ჩამოყალიბების საყრდენად იქცა. ქართ. მოწინავე საზ-ბას ესმოდა, რომ ეროვნ. სახის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო არა მხოლოდ ფიზიკურ არსებობაზე, არამედ კულტურასა და იდეოლოგიაზე ზრუნვა. ამ მხრივ განსაკუთრებულად ბევრი გაკეთდა XVIII ს. საქართველოში, სადაც ორი პერიოდი შეიძლება გამოიყოს: *ვახტანგ VI-ისა* და *ერეკლე II-ის* ხანა.

1709 თბილისში დაარსდა პირველი ქართული სტამბა. დაიბეჭდა „სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“, „ვეფხისტყაოსანი“. XVIII ს. 20-იან წლებში გაუქმებული თბილ. სტამბა 1749 აღადგინეს, 1782–94 კი ახალი ტექნიკით აღჭურვეს. 1755 თბილისში დაარსდა სას. სემინარია, 1758 თელავში – სას. სასწავლებელი. ნაყოფიერად მუშაობდა ვახტანგ VI-ის მიერ ჩამოყალიბებული *სწავლულ კაცთა* კომისია, რ-მაც იმუშავა „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება-გაგრძელებაზე. კათოლიკოს-პატრიარქმა *ანტონ I-მა* (1744–55;1764–88) მოამზადა „ქართული ღრამატიკა“, შეადგინა „ღვთისმეტყველების“ 4 ტომი, დაწერა „წყობილსიტყვაობა“, თარგმნა ქ. ვოლფის „შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკებრი“, ფ. ბაუმაისტერის „ლოგიკა“, „მეტაფიზიკა“

და სხვ.

ფრანგი მისიონერები საქართველოში ეწეოდნენ ევრ. ლიტ-რის პოპულარიზაციას და ნერგავდნენ სწავლების დასავლურ სისტემას, რამაც ქართ. ისტ. აზრის განვითარებაზე გარკვეული გავლენა იქონია, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მსოფლმხედველობა ისევ ფეოდალურ-ეკლესიური დარჩა.

ამდენად, XVII–XVIII სს. ქართ. ისტ. აზრის შეფასება იმდროინდელი ეპოქის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა უფრო მეტად წარმოაჩენს ამ პერიოდის ისტორიკოსთა დამსახურებას.

ქართ. ისტ. აზროვნება ახალ საფეხურზე *ვახუშტი ბატონიშვილმა* აიყვანა. მისი თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ შედგება შემდეგი ნაწილებისგან: 1. წინასიტყვაობა, სადაც მოკლედ არის აღნიშნული ნაშრომის მიზანი და ამოცანები; 2. შესავალი, „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსა“; 3. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“; 4. „საქართველოს ცხოვრება“. წიგნი მთავრდება საძიებლებითა და ბიბლიოგრაფიით, ერთვის ატლასები.

ვახუშტიმ ქართულ 0-ში საფუძველი ჩაუყარა მნიშვნელოვან დამხმარე ისტ. დისციპლინებს: *გენეალოგიას, ისტორიულ გეოგრაფიას, ქრონოლოგიას,* ნაწილობრივ *დიპლომატიკას,* რ-ებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ისტ. კვლევის მეთოდების გაუმჯობესებასა და ისტ. მეცნიერების წინსვლას. სწორედ ამ დისციპლინების შექმნით იწყება ისტორიული ცოდნის ისტ. მეცნიერებად გადაქცევა.

ვახუშტიმ დააფუძნა *კარტოგრაფია.* მისი შედგენილია საქართველოსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ორი ქართული გეოგრ. ატლასი, რ-იც წარმოადგენს კავკასიის ერთი ნაწილის პირველ დეტალურ, მსხვილმასშტაბიან და თავისი დროისათვის ზუსტ კარტოგრაფიულ გამოსახულებას. პირველი ატლასი მან 1735 შექმნა (8 რუკით), ხოლო მეორე – 1742–43 (19 რუკით).

ვახუშტიმ საქართველოს ისტორია ქრონოლ. ცნობებით გაამდიდრა. შექმნა თავისებური ქრონოლ. სისტემა, რ-იც არსებული წელთაღრიცხვების სისტემას დაუფუძნა. ჩამოაყალიბა სამეფო დინასტიების გენეალოგიური ტაბულები. იგი თვლიდა, რომ ქვეყნის გეოგრ. აღწერა ისტ. თხზულების აუცილებელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მისთვის ცნობილი იყო მეცნ. დიპლომატიკის მთავარი კანონები: დოკუმენტების სახეობისა და მისი შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობა.

ვახუშტი მეთოდოლ. კვლევების დროს ერუდიტთა სკოლის გავლენას განიცდიდა. კარგად ჩანს აგრეთვე მისი განსწავლულობა ევრ. მეცნიერებაში და მიზანი, რომ სწორედ ამ მეცნიერულ მეთოდებზე აეგო თავისი კვლევები, რასაც წარმატებით აღწევდა. განსაკუთრებით ეს ეხება წყაროებისადმი დამოკიდებულებას, მათ მრავალფეროვნებას და გამოყენების წესს, როგორც ეს იმ დროისათვის იყო მიღებული (ერუდიტთა მეთოდიკა).

წყაროთა კრიტიკა ითხოვს ამ წრის გაფართოებას. მართალია, ქართულ 0-ში ეს ტრადიცია არსებობდა (მაგ. „სწავლული კაცები“), მაგრამ მას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. ვახუშტიმ წყაროს მოხმობისა და გამოყენების წესი სავალდებულოდ აქცია და ფართო ხასიათი შესძინა. იგი იყენებდა როგორც ნარატიულ წყაროებს, ასევე დოკუმენტებს, საბუთებს, გუჯრებს, ეპიგრაფიკულ მასალას. მან კრიტიკული მეთოდი ყველა წყაროზე გაავრცელა და მოითხოვდა ნათქვამისა თუ აღნიშნულის დასაბუთებას, დამტკიცებას, რისთვისაც აუცილებელი იყო გამოყენებული წყაროს დამოწმება-ციტირება.

ვახუშტიმ ქართული სამეცნ. მეტყველება გაამდიდრა ევრ. მეცნიერული ტერმინოლოგიით (გენეალოგია, ეტიმოლოგია, აკადემია, პოლიტიკა, კატალოგი, ტომი და სხვ.). მისი მეთოდოლ. არსენალი მრავალფეროვანია: იყენებს ანალოგიას, შედარებას, განზოგადებასა და სხვა მეთოდებს.

ვახუშტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული წინარე ხანის და მის თანამედროვე ქართულ საისტ. მწერლობასთან. აქ არის საძიებელი მისი ისტ. შემოქმედების და, განსაკუთრებით, აზროვნების მთავარი წყარო. ამავე დროს მან ბევრი რამ აიღო და შეითვისა XVII–XVIII სს. ევრ. 0-იდან. სწორედ ამ თავისებურებებით განსხვავდება ვახუშტი წინამორბედი და ნაწილობრივ, მომდევნო ხანის ქართველი ისტორიკოსებისაგან.

ვახუშტი მოვლენებს განიხილავს და აფასებს ცვალებადობაში, განვითარებაში, სხვა მოვლენებთან და გარემო პირობებთან კავშირში. იგი მოვლენებს ხსნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. მისი შეხედულებით, სამყაროს ცვალებადობა, განახლება დროში, ობიექტური და შეუქცევადი პროცესია და არ წარმოადგენს ღმერთის მოქმედების შედეგს. ამიტომ მიჩნეულია, რომ ვახუშტიმ მოახდინა ისტორიის სეკულარიზაცია. იგი კარგად იცნობდა და იზიარებდა ჰუმანისტების, ერუდიტ-ისტორიკოსთა და რაციონალისტების (ნაწილობრივ) იდეებს, მათი კვლევის მეთოდებსა და მიზნებს; სამეცნ. მუშაობის დროს ეყრდნობოდა ერუდიტთა მიღწევებს და ისტ. მოვლენებისადმი ჰუმანისტური დამოკიდებულება გააჩნდა.

XVI–XVII სს. სპარსული საისტ. მწერლობის ტიპური წარმომადგენელია ფარსადან *გორგიჯანიძე.* მან საფუძვლიანად შეისწავლა სპარსული საისტ. მწერლობა, რ-ის ტრადიციები ფართოდ გამოიყენა სამეცნ. მუშაობაში. დაწერა მნიშვნელოვანი ისტ. თხზულება – „საქართველოს ისტორია“. იგი, ერთმნიშვნელოვნად, აღმოსავლური 0-ის ტრადიციების მიმდევარია, ხოლო თავისი პირუთვნელობის, პირდაპირობისა და ობიექტურობის გამო, მ. შ. საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს.

XVIII ს. დასაწყისში ქართული 0-ის განვითარების ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მიმართულება აღინიშნება: 1. „ქართლის ცხოვრების“ შევსება-რედაქტირება: ა) ტექსტი დაიყო თავებად, ქვეთავებად. გაკეთდა საძიებლები, ტექსტის მაჩვენებლები და სხვ. შესაბამისად, გაადვილდა ძეგლის გაცნობა და შესწავლა, სრულყოფილი გახდა მისი კომპოზიციური სტრუქტურა და მთლიანობა. ყველაფერი ეს პასუხობდა იმ მეთოდოლ. მოთხოვნებს, რ-საც ამ ეპოქის ისტ. თხზულებებს უყენებდნენ; ბ) ტექსტი შინაარსობრივად გამდიდრდა სას. მოღვაწეთა ცხოვრებით, რაც ნიშნავს საქართვ. ისტორიის წყაროთა წრის გაფართოებას. ტექსტი შეივსო ძეგლის სხვადასხვა ნუსხაში შემონახული ნაწარმოებების შერწყმის საფუძველზე, ბუნდოვანი ნაწილები გაიმართა, გამოტოვებული სიტყვები აღდგა, მცდარი ადგილები გასწორდა, ზოგიერთი ცნობა შეივსო; 2. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება (XIV ს-იდან). მისი მიზანი იყო გამოეკვლიათ საქართველოს XIV–XVII სს. ისტორია და პასუხი გაეცათ ეპოქის აქტუალური საკითხებისათვის: როგორ და რატომ დაიშალა საქართვ. ერთიანი

სამეფო, ვის რა წვლილი მიუძღოდა ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ საუკუნოვან ბრძოლაში, რაში მდგომარეობდა მარცხისა და წარმატების მიზეზები.

დღეისათვის ცნობილია „ქართლის ცხოვრების“ სამი გაგრძელება: 1. ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიის “ მიერ შედგენილი XIV–XVII სს. საქართველოს ისტორია, რ-იც გამოცემულია კომისიის ერთ-ერთი წევრის, ბერი *ეგნატაშვილის* მიერ და მისივე სახელით არის ცნობილი. 2. უცნობი ავტორის – *გიორგი V* ბრწყინვალის წინარე ხანის ისტორიით დაწყებული, ვიდრე 1605-მდე. შემონახულია „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერში: დადიანისეული, ბარათაშვილისეული, ფალავანდიშვილისეული, სხვიტორული; 3. ე. წ. „პარიზის ქრონიკა“, რ-იც დაცულია პარიზის ყოფ. სამეფო ბ-კის ხელნაწერთა განყ-ბაში. მოიცავს ისტორიას XIV ს. II ნახ-იდან 1703-მდე.

აღნიშნული პერიოდისათვის ქართულ საისტ. თხზულებაში გამოვლინდა ევრ. ტ-თვის დამახსიათებელი ნიშნები, განსაკუთრებით მეთოდოლ. თვალსაზრისით – წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, წყაროთა წრის გაფართოება; მათი ავკარგიანობის გამორკვევა კარგად ჩანს „სწავლულ კაცთა“ ნაშრომში. მასში სრულყოფილად არის შესწავლილი მათ მიერ გამოყენებული ქართ. და უცხოური წყაროები, ნარატიული თუ დოკუმენტური მასალა, ნაჩვენებია ამ წესთა მრავალფეროვნება და სიმრავლე.

გაგრძელების ავტორები, წერილობითი წყაროების გარდა, იმოწმებენ ნივთიერ მასალას, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ხალხურ წეს-ჩვეულებებს. მათი თხრობის ობიექტი ისევ ფეოდ. არისტოკრატიაა, ხოლო ინტერესის სფეროს (როგორც იმდროინდელ დასავლურ ტ-ში) ომების, პოლიტიკისა და გმირების ისტორიები წარმოადგენს.

სამივე გაგრძელების ავტორთა შეხედულება ისტ. პროცესების შესახებ ისევე პროვიდენციულია, როგორც ეს XVI ს. ერუდიტ-ისტორიკოსებისათვისაა მიღებული. ისინი ზოგიერთ შემთხვევაში ისტ. მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას ხედავენ; ღვთის განგების ნაცვლად ამა თუ იმ მოვლენის ახსნისას ობიექტურ პირობებს იშველიებენ, რაც ჰუმანისტებისათვის არის დამახასიათებელი. კარგად ჩანს განსაკუთრებული მოწიწება ეკლესიისა და სას. თუ საერო მოღვაწეების მიმართ. ძირითადი პოლიტ. ტენდენცია კი, ისევ სამეფო ხელისუფლების განდიდებასა და მათი პოზიციების დაცვაში მდგომარეობს.

XVIII ს. ისტორიკოსები არიან: სეხნია *ჩხეიძე*, რ-ის ისტ. თხზულება „ცხოვრება მეფეთა“ მოიცავს 1653–1739 ისტორიას, გადმოგვცემს ქართლ-კახეთის მეფეთა თავგადასავალსა და ირანში მიმდინარე პროცესებს; პაპუნა *ორბელიანი*, რ-ის ნაშრომი „ამბავნი ქართლისანი“, მოგვითხრობს 1739–58 ქართლის ისტორიას; ომან *ხერხეულიძე*, რ-ის ნაშრომში „მეფობა ირაკლი მეორისა, მეფისა თეიმურაზის ძისა“ კი აღწერილია 1722–82 საქართველოს ისტორია. სამივე ისტორიკოსი თავიანთ თხზულებებს მატიანური სტილით წერენ, ამიტომ ისინი მემატიანე-ისტორიკოსებად მოიხსენიებიან. თუმცა ავტორები ხშირ შემთხვევაში მოვლენების მნიშვნელობაზე მსჯელობენ და ამ მოვლენათა თავისებურ შეჯამებას იძლევიან.

მემატიანე-ისტორიკოსები თავადაზნაურული იდეოლოგიის მატარებლები არიან. მათი პოლიტ. მიმართულება მეფეთა ქებითა და ქვეშევრდომთა ერთგულების ქადაგებით გამოიხატება. იშვიათად მათ თხზულებებში არის ცნობები გლეხთა სოციალური ფენის (პაპუნა ორბელიანი), ირანის მოხელეთა დანიშვნის, ლეკიანობისა და სხვათა შესახებ, რაც საკითხთა ინტერესის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

მემატიანე-ისტორიკოსთა თხზულებები კომპოზიციურად კარგად არის გამართული, თხრობა ლაკონურია და სიუჟეტის ძირითად ხაზს მისდევს. ისინი აღსაწერი ამბების თვითმხილველები არიან და წარმატებით იყენებენ ზეპირ გადმოცემებსაც.

დასახელებულ ისტორიკოსთა შორის გამოირჩევა პაპუნა ორბელიანი. იგი იძლევა მოვლენათა რაციონალურ ახსნას, უთითებს მათ შორის მიზეზშედეგობრივ კავშირს, მიმართავს შედარებებს და იყენებს ანალოგიებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე ისტორიკოსის თხზულებებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეში, მათი ნაღვაწი ვერ აღმოჩნდა ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებათა დონეზე. სამშობლოდან იძულებით მოწყვეტილ ვახუშტის (მოღვაწეობდა რუსეთში) არ შეეძლო აქტიურად შეეწყო ხელი საქართველოში ახალი ისტორიოგრაფიული ტენდენციების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. ეს ფუნქცია XIX ს. II ნახ. ქართულმა ტ-მ იტვირთა.

ისტ. მეცნიერების სრულყოფისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XIX ს., რ-საც „ისტორიული რევოლუციის ეპოქასაც“ უწოდებენ. თანდათანობით მკვიდრდებოდა აზრი, რომ წარსული იმსახურებს ღირსეულ შესწავლას და აწმყო აუცილებლად გააზრებული უნდა იყოს წარსულთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ისტ. აზროვნების დიაპაზონი განუზომლად გაფართოვდა; ისტორიკოსებმა კაცობრიობის ისტორია წარმოადგინეს როგორც მთლიანი, ერთიანი განვითარების პროცესი, დაწყებული ველური, დამთავრებული რაციონალური, ცივილიზებული საზ-ბით. ჩამოყალიბდა სხვადასხვა თეორიებზე დამყარებული კვლევის მეთოდოლოგიები: რომანტიზმი, პოზიტივიზმი, მოგვიანებით მარქსიზმი და სხვ.

ზოგადად, აღნიშნული პერიოდის ისტორიის მეთოდოლოგიაში, როგორც აკად. ე. ტარლე (1874–1955), აღნიშნავდა, შეიმჩნევა ორი ძირითადი მიმართულება: სუბიექტური და ობიექტური. პირველი ამტკიცებს, რომ ისტ. კოლიზიებში მნიშვნელოვანი როლი პიროვნებას ეკისრება, მეორე კი თვლის, რომ ისტორიის მამოძრავებელ ძალას ხალხთა მასები წარმოადგენს.

XIX ს. ქართული ტ-ის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ქართველოლოგიური კვლევის ჩამოყალიბებამ საზღვარგარეთ და საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა თავმოყრამ „თერგდალეულთა“ იდეების ირგვლივ.

1801 რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობით დაიწყო საქართვ. სახელმწიფოს სრული გაუქმება და შეუდგა ქვეყნის კოლონიზაციის კარგად გააზრებული გეგმის განხორციელებას. რუსეთის იმპერიის მესვეურები ხედავდნენ, რომ ამგვარ პოლიტიკას ქართველი ერის მხრიდან მოჰყვებოდა წინააღმდეგობა, რ-ის მოთავეც ბაგრატიონთა სამეფო სახლი იქნებოდა. ამიტომ იმპერატორმა მათი საქართველოდან გადასახლება გადაწყვიტა. ასე აღმოჩნდნენ რუსეთში მეფე *გიორგი*

XII-ის ვაჟები: *დავით ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი,* და *თეიმურაზ ბატონიშვილი,* პოლიტ. ასპარეზს ჩამოშორებულმა ბატონიშვილებმა აქტიურად დაიწყეს სამეცნ.-საგანმან. მოღვაწეობა, რამაც ხელი შეუწყო ქართველოლოგიური კვლევა-ძიებების გაშლას პეტერბურგში.

1805 დავითმა რუსულ ენაზე გამოაქვეყნა საქართვ. მოკლე ისტორია. იგი ქართველ ვოლტარიანელთა პირველი წარმომადგენელია, რ-მაც თავის ნაწარმოებებში ახსნა ფრანგ განმანათლებელთა იდეები. საყურადღებოა მისი სპეციალური ნაშრომი „Обозрение Грузии по части права и законоведения“ და ისტ. ხასიათის სხვა მასალები, რ-თაც XIX ს. საქართვ. ისტორიის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბაგრატმა თავისი „ახალი მოთხრობა“ ძირითადად თეიმურაზ–ერეკლეს მეფობის პერიოდს და XIX ს. დამდეგის ამბებს მიუძღვნა. იგი თავისი მსოფლმხედველობით რომანტიკოსია, ხოლო მისი თხზულება ქრონიკალურ სტილშია დაწერილი. ლექსიკოლოგიურ და ისტ.-ფილოლ. მუშაობას ეწეოდა იოანე ბატონიშვილი. მან თხუთმეტწლიანი შრომის შედეგად შექმნა მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ნაშრომი – „კალმასობა“.

ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთის მეცნ. აკადემიის საპატიო წევრს (1837), თეიმურაზ ბატონიშვილს. მის ნაშრომში „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულად საქართველოჲსა“ ქვეყნის წარსული განხილულია ახლო აღმოსავლეთის ისტორიის გათვალისწინებით, გამოყენებულია ბერძნ.-რომაული და სომხური მასალები. მის ძირითად წყაროს „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენდა. ამავე დროს თეიმურაზი იყენებდა ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიას, თქმულებებს, ზეპირ გადმოცემებს, ხალხში დარჩენილ ზნე-ჩვეულებებს. საყურადღებოა, რომ მისთვის პირველწყაროს ცნობა ყოველთვის მისაღები არ იყო. ზოგჯერ იგი სხვადასხვა წყაროს მოშველიებით ასწორებდა ცნობას, იძლეოდა წყაროს კრიტიკას და სხვ.

საქართვ. ისტორიის შესწავლის საქმეში, ბერძნულ-რომაული წყაროები თეიმურაზმა პირველად გამოიყენა. იგი შეეცადა იბერ-კოლხთა წარსულის გასაშუქებლად მითების გამოყენებას, დღის წესრიგში დააყენა საქართვ. ისტორიის მრავალი საკითხის შესწავლა. მისმა შრომებმა ხელი შეუწყო საქართვ. ისტორიისადმი ინტერესის გაღვივებას. იგი თავისი მსოფლმხედველობით რომანტიკოსი იყო. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „ახალი ისტორია“.

თეიმურაზ ბატონიშვილს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ფრანგ ორიენტალისტ მ. *ბროსესთან,* რ-საც საქართველოს ისტორიის შესახებ უხვ მასალას აწვდიდა. იგი თავს ბროსეს მოწაფედ მიიჩნევდა. მ. ბროსეს სახელთან არის დაკავშირებული ქართველოლოგიის მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბება ევროპაში. რუსეთის მეცნ. აკადემიაში არჩევისა (1837) და პეტერბურგში გადასვლის შემდეგ მ. ბროსეს განკარგულებაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობის ქართული ისტ. მასალა – ხელნაწერები, მონეტები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ. გაფართოვდა სამუშაო ასპარეზი, განმტკიცდა დოკუმენტური ბაზა. მ. ბროსემ საქართველოშიც იმოგზაურა. მისი გარჯით პეტერბურგი გადაიქცა ქართველოლოგიის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად. თავისი მოღვაწეობის უმთავრეს ამოცანად თვლიდა ქართ. ისტ. მატიანეთა კრებულის კრიტიკულ, მეცნიერულ გამოცემას. მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში განათლებული ევროპა მიიღებდა უმდიდრეს ისტ. კრებულს, რ-იც თამამად გაუსწორებდა თვალს აზიის სხვა ხალხთა ისტ. ქრონიკებს. ამისთვის საჭირო იყო შესამოწმებელი მასალის, როგორც ეროვნ. (ქართული სიგელ-გუჯრები, წარწერები, ლიტ. ძეგლები), ასევე უცხოურის (სომხ., არაბ., თურქ., სპარსული, ბიზანტ., რუსული) მოძიება, შესწავლა და პუბლიკაცია. ამ მიმართულებით გაწეული შრომის შედეგად ბროსემ 1858 შვიდ წიგნად გამოსცა ნაშრომი პირობითი სახელწოდებით „ქართლის ცხოვრება“, სადაც შევიდა: „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების მეორე ნაწილი, მისივე „ქორონიკონები“, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის თხზულებები და ფარსადან გორგიჯანიძის ,,საქართველოს ისტორიის“ ნაწილი, „სომხური ქრონიკის“ („ქართლის ცხოვრების“ მოკლე სომხური თარგმანი) ფრანგული თარგმანი, ძმების – დავით, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილების თხზულებები. ამ გამოცემაში საკუთრივ „ქართლის ცხოვრება“ შედგება სამი ნაწილისაგან: დედნის ენაზე დაბეჭდილი ძეგლები, მათი ფრაგმენტული თარგმანი, გამომცემლის მიერ დართული დამატებები და განმარტებები. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბროსეს ხანგრძლივი ორიგინ. კვლევა-ძიებითი შრომის ნაყოფს, სადაც ავტორმა თავი მოუყარა უამრავ დამატებით მასალას, დააჯგუფა ისინი ცალკეული საკითხების მიხედვით, კრიტიკულად განიხილა და განმარტა. მან ასევე დიდი შრომა გასწია ქართული ეპიგრაფიკული მასალისა და ხელნაწერების შესწავლის საქმეში.

პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია ა. *ცაგარელი,* რ-მაც დ. *ჩუბინაშვილთან* ერთად საფუძველი ჩაუყარა პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკ-ტზე ქართ. სიტყვიერების კათედრას, ქართ. მწერლობისა და საქართვ. ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის შემოღებას.

ა. ცაგარელმა მოსკოვის საგარეო სამინისტროს არქივში მოიძია მრავალი დოკუმენტი, რ-თა გამოკვლევის შედეგად გამოსცა ნაშრომი „XVIII საუკუნეში ქართველი მეფეებისა და მთავრების მიმოწერა რუსეთის ხელმწიფესთან“, კრებული „XVIII ს. სიგელები და სხვა ისტორიული დოკუმენტები საქართველოს შესახებ“. 1876–78 მან აღწერა და მეცნიერულად შეისწავლა სოფ. გორდში დ. დადიანის ქართულ ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია, 1888 – ი. გ. *გრუზინსკის* ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების ცნობილი კოლექცია. 1882 გაეცნო პარიზის ნაციონალური ბ-კის ქართულ ხელნაწერებს. 1890 რომში, ვენეციასა და კრაკოვში ჩაატარა კვლევითი სამუშაოები, რ-ის დროსაც შეისწავლა XII ს. ქართული სიძველეები. 1892–94 ჩავიდა იტალიაში წიგნთსაცავებში სამუშაოდ. ვატიკანის ბ-კაში აღმოაჩინა ქართული ოთხთავი. 1883 მან პირველმა იმოგზაურა და იმ დროის კვალობაზე მეცნიერულად დაამუშავა სინას მთაზე, ათონის ივერთა და იერუსალიმის *ჯვრის მონასტერში* დაცული ქართ. მწერლობის ძეგლთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ შრომის შედეგად 1886–94 გამოსცა

სამი წიგნი: „ცნობები ქართული მწერლობის შესახებ“, „ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწა-სა და სინაზე“. იგი არის ქართ. ენათმეცნიერების ფუძემდებელი. მისი შრომები თარგმნილია ფრანგ., გერმ., ინგლ. ენებზე.

ბრიტანელმა დიპლომატმა, მწერალმა, მთარგმნელმა და საზოგადო მოღვაწემ, ო. *უორდროპმა* და მისმა დამ, ცნობილმა მთარგმნელმა მ. *უორდროპმა* თავიანთი მოღვაწეობა საქართვ. ისტორიისა და კულტურის შესწავლას მიუძღვნეს და სამეცნ. წრეებისათვის ხელმისაწვდომი გახადეს უმნიშვნელოვანესი ქართული მწერლობის ძეგლები. მათ თარგმნეს ქართ. ლიტ-რის საუკეთესო ნიმუშები (1912 გამოსცეს „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული თარგმანი). მათივე ძალისხმევით შეიქმნა ყველაზე მდიდარი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა ევროპაში. ოლივერმა ოქსფორდში დააარსა მარჯორის სახ. ფონდი, რ-ის ძირითად საქმიანობას ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ხელშეწყობა წარმოადგენდა; მაგ., აფინანსებდა ცნობილი მეცნიერის, რ. *სტივენსონის* ქართველოლოგიურ კვლევებს და სხვ. ცნობილ ინგლისელ ისტორიკოს უ. *ალენთან* ერთად ო. უორდროპმა დააარსა „საქართველოს საისტორიო საზოგადოება“ (1930), გამოსცა ჟურნ. „Georgian“. ფონდის ეგიდით გამოიცა გ. ბარეტის მიერ მომზადებული ინგლისში დაცული ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგი. ეს ფონდი დღესაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

საქართველოში ფეხმოკიდებულმა რუსეთმა XIX ს. II ნახ-იდან დაიწყო კოლონიური პოლიტიკის განხორციელება, რ-ის უმთავრეს მიზანს ქართველი ერის ასიმილაცია წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო ქართ. ეროვნ. ცნობიერების მოშლა. ამაში გადამწყვეტ როლს იმდროინდელი რუსული ი. ასრულებდა. ნ. *დუბროვინი*, ა. *ბერჟე*, ვ. პოტო, ვ. ივანენკო, როგორც სახელმწ. სკოლის წარმომადგენლები, ცდილობდნენ რუსული კოლონ. პოლიტიკის გამართლებას. გაყალბდა ან მიიჩქმალა XIX ს. დასაწყისიდან რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული ეროვნ. მოძრაობის ისტორია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის ი-მ სერიოზული სამუშაო ჩაატარა წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესაქმნელად.

ი. *ჭავჭავაძის* წინამძღოლობით ქართველი *სამოციანელები* თავგამოდებით ილაშქრებდნენ ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ. მათი აზრით, ასეთ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა საისტ. მეცნიერებას, რამდენადაც ხალხის გათვითცნობიერებას დიდად უწყობდა ხელს საკუთარი ისტორიის შესწავლა-შეფასება. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ი. ჭავჭავაძის, როგორც ისტორიკოსის, ღვაწლი. მან ფაქტობრივად ახალი მიმართულება მისცა ქართული ისტ. მეცნიერებისა და ი-ის განვითარებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი სტატიები: ,,დავით აღმაშენებელი|‘‘, ,,აი ისტორია‘‘, ,,ქვათა ღაღადი‘‘ და სხვ. ი. ჭავჭავაძეს, პირველ რიგში, ისტორიული პროცესის საფუძველი და მამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც. მისი აზრით, მთავარი ყურადღება შინაგან, ე. ი. სოც.-ეკონომიკურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიქცეოდა. მანვე პირველმა აღიარა ისტ. პროცესის გასაგებად ეკონ. საფუძვლის ღრმად ცოდნის აუცილებლობა. ქართველ პოლიტ. მოღვაწეთა ნამოქმედარში მას უფრო მეტად კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა. ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებზე მსჯელობისას, ი. ჭავჭავაძის აზრით, აუცილებელი იყო ისტ. კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენება, რ-იც ლინგვისტური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნებით გამდიდრდება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ილიას ,,საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთ ქართველს არა აქვს‘‘.

იმდროინდელი ქართ. სამეცნ. წრეებისათვის კარგად იყო ცნობილი დასავლური მეთოდოლოგიის ყველა მიმართულება. ეს ბუნებრივია, რადგან ამ პერიოდის მოღვაწე მკვლევრები განათლებას იღებდნენ რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი ეცნობოდნენ თანამედროვე მსოფლიოს ისტორიულ, სოციოლოგიურ, ფილოს. მოძღვრებებს, ი-ის მიზნებსა და კვლევის მეთოდებს, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ქართ. ისტ. მეცნიერების განვითარებას.

ქართ. საზოგადოებრივი აზრი, *თერგდალეულების* სახით, ილაშქრებდა პროვიდენციული პოზიციებიდან ისტორიის გააზრების წინააღმდეგ. „ფატალისტურ“ თეორიებს ისინი ისტორიის ლოგიკურ გაგებას უპირისპირებდნენ – თვლიდნენ, რომ საზ-ბის განვითარება და წინსვლა მისსავე ძალისხმევაზეა დამოკიდებული. მიიჩნევდნენ, რომ ისტორიკოსი არ ფლობს მოვლენის მიზეზების ამომწურავ ცოდნას, ამიტომ მისეული ახსნა არ შეიძლება იყოს სრულყოფილი, ხოლო სრულყოფისათვის აუცილებელია მუდმივი კვლევა. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას კვლევებში ანიჭებდნენ „შედარებითი მეთოდის“ გამოყენებას. მათი შეხედულებით, წერილობითი მასალების შესწავლა უნდა მომხდარიყო „კრიტიკულ-ისტორიული“ მეთოდის მიხედვით. აგრეთვე, ისტ. მოვლენების ხასიათის გარკვევისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ შესაბამისი ეპოქის მახასიათებლების გათვალისწინება.

XIX ს. II ნახ-ის ისტორიკოსებმა ახლებურად გაიაზრეს საქართვ. ისტორიის მთელი რიგი პრობლემები. ქართველოლოგიის წინაშე დააყენეს საქართვ. ისტორიის სისტემურად შესწავლის აუცილებლობა; შეეცადნენ ეპოქის შესაბამისად განესაზღვრათ მისი ნაკლოვანებები, ეჩვენებინათ სრულყოფის გზები და ამით საფუძველი ჩაეყარათ საქართვ. ისტორიის ახალი სკოლისათვის.

საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა დაკვირვებისა და შესწავლის საგანი იყო *დამწერლობის, ნუმიზმატიკის, პალეოგრაფიის*, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები; საქართველოს პოლიტ., სოც., საეკლ. ისტორიის პრობლემები. მიუხედავად მრავალმხრივი ინტერესებისა, მათ ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართვ. ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა. ისინი დიდი მონდომებით ცდილობდნენ საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი წყაროების მოძიებას, დამუშავებასა და პუბლიკაციას, რადგან კარგად ესმოდათ, რომ საისტ. მეცნიერების დასაყრდენს წყაროდან ამოკრებილი ფაქტები წარმოადგენს. ამ მიმართულებით ისინი პირდაპირ პასუხობდნენ იმდროინდელ ევროპაში ფეხმოკიდებული პოზიტივისტური სკოლის მოთხოვნებს.

აღნიშნული მიზნების წარმატებით განსახორციელებლად საჭირო

იყო პრაქტიკული ნაბიჯები – სამეცნ. პერიოდული გამოცემების დაარსება და დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ისტ. მეცნიერების კვლევისათვის საჭირო მასალების თავმოყრა. XIX ს. ბოლოს საქართველოში გამოდიოდა რამდენიმე სამეცნ. ჟურნალი: „ისტორიული“, „საიმპერიო გეოგრაფიული“, „კავკასიის კალენდარი“. სიონის ტაძართან დაარსდა საქართვ. საეგზარქოსოს საეკლ. მუზეუმი (1888), რ-ის დანიშნულება იყო საქართვ. ეკლესია-მონასტრებში შემონახული წერილობითი ძეგლების მოძიება, შეკრება, შენახვა და შესწავლა. მუზეუმის პროგრამას საფუძვლად დაედო დ. *ბაქრაძის* მიერ შედგენილი წესდება, ხოლო გამგედ თავდაპირველად დაინიშნა თ. *ჟორდანია*, შემდეგ – მ. *ჯანაშვილი*.

XIX ს. ქართული ისტ. აზრის განვითარებაში გარდამავალ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ პ. *იოსელიანის* მოღვაწეობა. იგი რელიგიურ-მონარქისტული აღზრდის ტიპური წარმომადგენელია. ძირითადად სწავლობდა ქართ. ეკლესიის საკითხებს. მან დაიწყო ახალი მასალების მოძიება და პირველი საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ქართულ სიძველეთა ძეგლების შესწავლას.

ს. *ბარათაშვილის* „საქართველოს ისტორია“ ქართულ ისტ-ში პირველი ნაშრომია, რ-იც აგებულია „მსოფლიო ისტორიის პრინციპზე“. მის მიერ მოცემული საქართვ. ისტორიის პერიოდიზაცია (ძველი, შუა საუკუნეებისა და ახალი ხანის ისტორია) მნიშვნელოვანი და სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ ისტ-ში. იგი ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ფორმირებაში განსაკუთრებულ როლს გეოგრაფიულ გარემოს ანიჭებდა.

დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“ ქართული ისტ-ის ახალ საფეხურს წარმოადგენს. მან ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში თითქმის სრულად გამოიყენა ის მასალა, რ-საც წლების განმავლობაში თავად აგროვებდა (მაგ., სვანეთში, აჭარასა და გურიაში მოგზაურობის შედეგად მოძიებული მატერ. კულტურის ძეგლები); შეისწავლა და ნაშრომში დაიმოწმა მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა, მრავალი სიგელ-გუჯარი, ჰაგიოგრაფიული ლიტ-რა, არქეოლ. ძეგლები და სხვ.; ამა თუ იმ საკითხის განხილვისას მოშველიებული აქვს მსოფლიო ისტორიული ცნობები, საქართველო-ამიერკავკასიის შესახებ იმ დროისთვის გამოქვეყნებული ლიტ-რა, სერიოზული შრომა გასწია „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისათვის; აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ნუსხა (1884) და ა.შ.

თ. ჟორდანიამ დიდი შრომა გასწია წყაროთა ბაზის გასამდიდრებლად. მას ეკუთვნის „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ სამ ტომად. მას, როგორც არქეოგრაფს, საკუთარი შეხედულებები გააჩნდა ძეგლის გამოსაცემად მომზადების თაობაზე. იგი ცდილობდა არ შეეტანა ტექსტში ცვლილებები და შეენარჩუნებინა მისი პირველადი სახე. თავის კრიტ. შენიშვნებს, განმარტებებს და დასკვნებს ათავსებდა ცალკე სქოლიოში. იგი წარმატებით იყენებდა „შედარებითი გამოცემის“ მეთოდს და დაინტერესებული იყო წყაროს კრიტ. შესწავლით. მან პირველმა შეისწავლა „ქართლის ცხოვრების“ სტრუქტურული შემადგენლობა და მრავალი გასაზიარებელი მოსაზრება გამოთქვა. მეცნიერმა საეკლ. ისტორიის შესწავლისათვის სერიოზული შრომა გასწია. მან პირველად მონოგრაფიულად შეისწავლა დ. *გურამიშვილის*, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის, *იოსებ სამებელის* ცხოვრება და მოღვაწეობა. შექმნა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო. იგი, როგორც ისტორიკოსი, არა მხოლოდ აღწერს, მოგვითხრობს ისტორიას, არამედ ფაქტებზე დაყრდნობით ერკვევა მოვლენებში, მათ შორის ეძებს მიზეზშედეგობრივ კავშირს, მის ხელთ არსებული წყაროების გაანალიზებით აზუსტებს ფაქტებს და ახდენს იმდროინდელი პოლიტ. გადაწყვეტილებების რეკონსტრუირებას.

მ. ჯანაშვილმა აღწერა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 5 263 ხელნაწერი, აღმოაჩინა და გამოსცა ბასილი ზარზმელის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ის ვარიანტი, რ-იც „სწავლულ კაცთა“ კომისიას ეკუთვნის; მნიშვნელოვანია მისი „ფარსადან გორგიჯანიძე და მისი ნაშრომი“. მის ყველა გამოცემას დართული აქვს წინასიტყვაობა და კომენტარი, სადაც ტექსტთან, ავტორის ვინაობასა და ნაწარმოების წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხებია გარკვეული. მასვე ეკუთვნის პირველი სახელმძღვანელო – „საქართველოს მოკლე ისტორია“ (1884), რ-შიც „ქართლის ცხოვრების“ სქემის მიხედვით არის მოთხრობილი ჩვენი ქვეყნის ისტორია.

ქართულ საზ-ბაში დიდი რეზონანსი გამოიწვია ე. *თაყაიშვილის* მიერ საქართველოს საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაფუძნებამ (1907, 1921-მდე თავრე ე. თაყაიშვილი), რ-იც მიზნად ისახავდა შეეგროვებინა, შეესწავლა და შეენახა ისტორიული, არქეოლ., ანთროპოლოგიური, ლიტ. თუ ეთნოგრაფიული ნაშთები როგორც საქართველოს, ასევე მთელი კავკასიის მასშტაბით; გაეხსნა ქართ. მუზეუმი და ბ-კა. მისი ეგიდით გამოდიოდა პერიოდული სამეცნ. გამოცემები: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. ოფიც. დოკუმენტში იგი იხსენიება, როგორც „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“. ე. თაყაიშვილს საკუთარი კვლევის მეთოდოლოგია გააჩნდა: მაგ., ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის დროს წარწერას ყოველთვის იმ ძეგლთან ერთად სწავლობდა, რ-ზედაც იყო ამოკვეთილი, ან რ-შიც ის საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა. მისი აზრით, წარწერა და ძეგლი ერთმანეთის წარმოშობის მაუწყებელნი არიან. ამდენად, ძეგლი განსაზღვრავდა არა მხოლოდ წარწერის ადგილ-სამყოფელს, არამედ წარმოადგენდა მისი ისტორ. წყაროსაც. მის კვლევებს ისტ. გეოგრაფიაში გააჩნია თითქმის ყველა ის ელემენტი, რ-იც დღეს აუცილებელი პირობაა ამ დარგში წარმატების მისაღწევად: გეოგრ. პუნქტების იდენტიფიკაცია, ფიზ.-გეოგრ. დაკვირვება, სამეურნ. და კულტურული ასპექტის, მოსახლეობის მიგრაციის პროცესის გათვალისწინება და ამავე დროს პრაქტ. ძიების დიდი გამოცდილება. მეცნიერის „შრომათა ბიბლიოგრაფია“ 278 დასახელებას შეიცავს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მის მიერ გამოცემული „საქართველოს სიძველენი“ სამ ტომად, მის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ხელმწიფის კარის გარიგება“ (XIV ს.), „ოსმალოს საქართველოს“ ისტ. ძეგლების შესწავლა-აღწერილობა, კვლევები „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში და სხვ.

XIX ს-ში მოღვაწე ქართველოლოგებმა ხელი შეუწყვეს მეც-

ნიერების წინსვლასა და განვითარებას, მის ახალ ეტაპზე აყვანას, რითაც მომავალ თაობას ახალი ქართველოლოგიური სკოლის შექმნის შესაძლებლობა მისცეს. ყოველივე ამის ფუძემდებელი არის ივ. ჯავახიშვილი. მან საქართველოს ისტ. მასალის გამომზეურება-ანალიზით მყარი მეცნ. საფუძველი დაუმკვიდრა ქართ. საისტ. მეცნიერებას.

ქართულ Ø-ს მეცნიერული საფუძველი ივ. ჯავახიშვილის იმ გამოკვლევებმა ჩაუყარა, რ-ებიც გაერთიანდა მის კაპიტალურ ნაშრომში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V–XVIII სს.)“. მასში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ფეოდალიზმის ხანის ქართული საისტ. თხზულებები უძველესი ქართული ძეგლიდან (იაკობ ხუცესის ,,შუშანიკის მარტვილობა“) მოყოლებული, XVIII ს. დასასრულის მწერლის – ომან მდივანბეგ ხერხეულიძის ნაშრომამდე (,,ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა“). ამ ნაშრომით ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის მეცნ. კვლევის ახალი საფეხურის წყაროთმცოდნეობითი საფუძველი შექმნა. მან მკაცრი მეცნიერული და კრიტიკული მეთოდით განიხილა მის დროს ცნობილი, V–XVIII სს. უმთავრესი ქართული ნარატიული საისტ. წყაროები, გაარკვია თხზულებათა ავტორების ვინაობა და მათი მოღვაწეობის დრო, დასახა ქართ. ისტ. აზროვნების განვითარების ძირითადი მაგისტრალური ხაზი და ყოველ თხზულებას მასში თავისი ადგილი მიუჩინა.

ივ. ჯავახიშვილმა განიხილა შუა საუკუნეების ქართული Ø-ის ზოგადი საკითხები: საისტ. თხზულებათა აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულში, ძველ ქართველ ისტორიკოსთა თვალსაზრისი ისტორიკოსის მოვალეობაზე, დანიშნულებაზე, წერის მანერაზე, საისტ. მწერლობის ორ დარგად (საეკლესიო და სამოქალაქო) დაყოფაზე. საგანგებოდ შეეხო ძველი ქართ. ფილოლ. სკოლის გავლენას საისტ. მწერლობის განვითარებაზე, აგრეთვე უცხოურ მწერლობასთან მის მიმართებას და სხვ.

საბჭ. ხელისუფლების წლებში საქართვ. ისტ. მეცნ. შესწავლის ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. თსუ-სა და საქართვ. სახელმწ. მუზეუმის გვერდით აღმოცენდა აკად. ინ-ტები ისტორია-არქეოლოგია-ეთნოგრაფიის დარგში. ისინი ფართო მასშტაბის მუშაობას ეწევიან ქვეყნის ისტ. და კულტურის შესასწავლად. გაიშალა არქეოლ. კვლევა-ძიება, დიდი მუშაობა ჩატარდა საარქივო მასალისა და ძვ. ხელნაწერების შესაკრებად და შესასწავლად, მომზადდა მრავალრიცხოვანი სამეცნ. კადრი. წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებამ შესაძლებელი გახადა არსებული ხარვეზების ამოვსება და უძველესი დროიდან დღემდე ქვეყნის ტერიტ-ზე მიმდინარე ისტ. პროცესის მეცნიერულად გამართული კონცეფციის შემუშავება. ახალგამოვლენილი არქეოლ. მასალის საფუძველზე შეისწავლეს ქვის ხანის (გ. *ნიორაძე*, ა. ნ. *კალანდაძე*, ნ. *ბერძენიშვილი*, დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებიერიძე და სხვ.), ენეოლითის (ო. *ჯაფარიძე*, ტ. *ჩუბინიშვილი*, ა. ი. *ჯავახიშვილი*), ადრინდ. ბრინჯაოს მტკვარ-არაქსის კულტურას (ბ. *კუფტინი*, ო. ჯაფარიძე, ა. ი. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი და სხვ.), შუა ბრინჯაოსა და გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანის (ბ. კუფტინი, გ. *გობეჯიშვილი*, ა. ნ. კალანდაძე, ო. ჯაფარიძე, კ. ფიცხელაური, რ. აბრამიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი და სხვ.), ანტ. (ა. *აფაქიძე*, ო. *ლორთქიფანიძე*, თ. მიქელაძე, ი. გაგოშიძე და სხვ.), ფეოდ. ხანათა (გ. *ლომთათიძე*, ვ. ჯაფარიძე და სხვ.) საქართვ. მოსახლ. ეკონ. ცხოვრების, სოც. ორგანიზაციის, მატერ. და სულიერი კულტურის არაერთი ასპექტი. ჩატარებული მუშაობა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ საქართვ. ტერიტორიაზე გვაროვნ. საზ-ბის ჩამოყალიბების, მისი ზრდა-განვითარებისა და დაშლის პროცესს. მკვლევართათვის თვალსაჩინო გახდა კულტ. განვითარების უწყვეტი ჯაჭვი, რაც ლინგვისტური კვლევა-ძიების მონაცემებთან ერთად უარყოფს ადრე გავრცელებულ მოსაზრებებს კავკ. მოსახლ. ეთნ. შემადგენლობის ერთიანი შეცვლის შესახებ და ქართვ. და სხვ. კავკ. ტომების უძველეს სამშობლოდ ამავე ტერიტორიას მოიაზრებს. არქეოლ. მასალისა და ძვ. აღმ. წყაროებზე დაყრდნობით მოხერხდა საქართველოში ჯერ კიდევ ძვ. წ. III–II ათასწლეულებიდან ტომთა დიდი კავშირებისა და ადრინდ. კლასობრივი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესისათვის თვალის გადევნება.

მცხეთაში აღმოჩენილი უძველესი წარწერების ინტერპრეტაციისადმი არის მიძღვნილი გ. ვ. *წერეთლის* ნაშრომები. საქართვ. ისტ. საკითხებს მიუძღვნა მრავალი გამოკვლევა ს. *კაკაბაძემ*. ანტ. და შუა საუკუნეების საქართვ. ისტ. შესწავლას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს შესახებ ამ პერიოდის უცხოური (ბერძნ.-ლათ. აღმოსავლური) წყაროების ცნობების პუბლიკაციამ (ს. ყაუხჩიშვილი და თ. *ყაუხჩიშვილი*, ა. გ. *გამყრელიძე*, ა. *ურუშაძე*, ს. *ჯიქია*, ვ. ფუთურიძე, ლ. *მელიქსეთ-ბეგი*, ი. *აბულაძე*, ნ. *ჯანაშია*, ნ. ცაგარეიშვილი, გ. ფუთურიძე, ნ. შენგელია, ც. *აბულაძე* და სხვ.). ინტენსიურად სწავლობდნენ საკუთრივ ქართ. წყაროებსაც (ს. ყაუხჩიშვილი, შ. *მესხია*, კ. ბ. *გრიგოლია* და სხვ.).

საქართველოში ფეოდ. ურთიერთობათა გენეზისის კონცეფცია შეიმუშავა ს. ჯანაშიამ. გამოქვეყნდა ნაშრომები ადრინდ. ფეოდ. ხანის ისტორიის საკითხებზე (მ. დ. *ლორთქიფანიძე*, ა. ბოგვერაძე, ა. ალექსიძე, შ. ბადრიძე და სხვ.); არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა ერთიანი ქართ. ფეოდ. მონარქიის სოც.-ეკონ., სახელმწიფოებრივი წყობილების, საშინაო და საგარეო პოლიტ. ვითარების საკითხებს (შ. მესხია, რ. მეტრეველი, ნ. შოშიაშვილი, მ. *ბერძნიშვილი* და სხვ.). ბევრი რამ გაკეთდა მონღოლების შემოსევის შემდეგ დაშლილ-დაქუცმაცებული საქართვ. სოც.-ეკონ. წყობილების შესასწავლად (ნ. ბერძენიშვილი, ლ. *მუსხელიშვილი*, დ. *გვრიტიშვილი*, ვ. *გუჩუა*, ო. სოსელია, გ. *ჯამბურია*, ბ. ლომინაძე, ქ. ჩხატარაიშვილი, დ. მეგრელაძე, კ. ტაბატაძე, დ. *კაციტაძე*, ბ. სილაგაძე, გ. აკოფაშვილი, ნ. შ. *ასათიანი* და სხვ.). ფეოდ. საქართვ. ქალაქების ისტორია და მასთან დაკავშირებული ქვეყნის სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიის მრავალი საკითხი შესწავლილია შ. მესხიას ნაშრომებში. მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა ფეოდ. საქართველოში მიმდინარე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლების შესწავლის მიზნით. დიდია ვ. ნ. *გაბაშვილის* დამსახურება გვიანდ. შუა საუკუნეებში არსებული ქართ. და აღმოსავლური ფეოდ. წყობილების შედარებითი შესწავლის საქმეში. ფეოდ. ურთიერთობათა სისტემაში ქრისტ. ეკლესიისა და საეკლ. მიწათმფლობელობის როლს არაერთი გამოკვლევა უძღვნა ბ. ლომინაძემ. საქართვ. საისტ. გეოგრ. საკითხები და-

მუშავებულია ნ. ბერძენიშვილის, დ. მუსხელიშვილისა და სხვათა ნაშრომებში; შუა საუკუნეების განმავლობაში სხვა ხალხებთან ქართვ. ხალხის ურთიერთობის შესასწავლად დიდი მუშაობა აქვთ გაწეული ქართვ. მეცნიერებს (რუსეთთან ურთიერთობას ეხებიან მ. *პოლიევქტოვი*, ნ. ბერძენიშვილი, პ. *გუგუშვილი*, ვ. *დონდუა*, ი. ცინცაძე, გ. *პაიჭაძე* და სხვ.; ევროპასთან ურთიერთობას – ვ. ნ. გაბაშვილი, გ. *ჟორდანია*, ი. *ტაბაღუა*, ბ. გიორგაძე; აღმოსავლეთის ქვეყნებთან – ვ. ნ. გაბაშვილი, რ. *კიკნაძე*, მ. *სვანიძე*, გ. ფუთურიძე, შ. *ლომსაძე* და სხვ.).

შეიქმნა რიგი განმაზოგადებელი ნაშრომები. მ. შ. აღსანიშნავია ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. *ჯანაშიას* ,,საქართველოს ისტორიის'' სახელმძღვანელო და ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების'' 8-ტომეული, მრავალი მონოგრაფიული ნაშრომი, მ. შ. ეთნოგრაფიაში (გ. *ჩიტაია*, ვ. *ბარდაველიძე*, ა. *რობაქიძე*, რ. *ხარაძე*, მ. *გეგეშიძე*), ნუმიზმატიკაში (დ. *კაპანაძე*, თ. *ლომოური*), ქართვ. ისტორიკოსებმა ნაყოფიერად იმუშავეს აგრეთვე ევროპის ქვეყნებისა (გ. *ნათაძე*, ა. *ნამორაძე*, გ. ჟორდანია, გ. *კილურაძე*, ი. ტაბაღუა და სხვ.) და ახლო აღმოსავლეთის ისტ. დარგში (ვ. გაბაშვილი, გ. გ. *გიორგაძე*, გ. *მელიქიშვილი*, ე. *მენაბდე* და სხვ.).

ქ ა რ თ უ ლ ი ე ვ რ ო პ ე ი ს ტ ი კ ა. საქართველოში დას. ევროპის ისტორიით დაინტერესების პირველი სპორადული ცნობები შეიძლება ადრევე არსებობდა, მაგრამ საკვანძო საკითხებით დაინტერესების ათვლა XIX ს-იდან იწყება. XIX ს. I ნახ-ში საქართველოში დას. ევროპის ისტორიით დაინტერესების გამოვლინებაა ნ. *ბარათაშვილის* ლექსი „ნაპოლეონი“ და ა. *ორბელიანის* ეპისტოლარული მემკვიდრეობა („ნაპალეონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა“, „ღმერთო, იტალია გადამირჩინე“ და სხვ.). დას. ევროპის ისტორიის საკვანძო საკითხებში გათვითცნობიერებას ამჟღავნებდა საქართველოს სამეფო კარი, ევროპული ორიენტაციის მქონე ქართვ. ბატონიშვილები (განსაკუთრებით დავით ბატონიშვილი). იგივე შეიძლება ითქვას 1832 შეთქმულების მონაწილე ქართველ თავადაზნაურობაზე. ისინი თავიანთი მოსაზრებების დასაცავად ხშირად იშველიებდნენ ევროპის ისტორიის გამოცდილებას.

XIX ს. II ნახ-ში ევროპის ქვეყნების ისტორიით დაინტერესდნენ „თერგდალეულები“. ყურადღებას იპყრობს ი. ჭავჭავაძის, ნ. *ნიკოლაძის*, ს. მესხის, გ. ფ. *წერეთლის*, დ. *მიქელაძის*, ვ. *ჩერქეზიშვილის*, ვ. *ლორთქიფანიძის*, ნ. *ჟორდანიას* ეპისტოლარული მემკვიდრეობა, სადაც მოცემულია მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების საინტერესო მიმოხილვა, რ-იც ემპირიული, ფაქტოლოგიური, ისტორიის ცოდნას ემყარება.

1918-მდე ევროპის შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესება ნაკლებად შეინიშნება. გამონაკლისია XIX ს. ბოლოს გამოსული ორი ბროშურა „ჟანა დარკზე“ (1889) და „იან ჰუსზე“ (1891). ეს დაინტერესება ეროვნ.-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ასოცირდება.

მსოფლიო ისტორიის შესწავლის მესამე პერიოდი უკავშირდება საქართვ. სუვერენულ რესპუბლიკას (1918–21). მსოფლიო ისტორიის შესწავლამ, პოპულარიზაციამ სამეცნ.-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში აისახა.

მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების დროს ქართულ 0-ში იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რ-იც, უმთავრესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული.

საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ განიცადა ევოლუცია ლიბერალური ღირებულებებიდან, ისტ. მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომიდან მარქსიზმისაკენ და მარქსიზმიდან – თავისუფალი აზროვნებისაკენ.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ მსოფლიო ისტორიის შესწავლამ, პოპულარიზაციამ სხვა მიმართულება მიიღო. ამ პერიოდის ქართულ 0-ში ევროპის ისტორიის შესწავლამ მეცნ. ელფერი შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული.

უნდა აღინიშნოს, რომ XX ს. 30-იანი წლების შუა ხანებამდე ქართ. მედიევისტიკა ჯერ კიდევ უმთავრესად XX ს. ევროპულ მედიევისტიკაში არსებულ სიახლეებზე და ნოვაციებზე იყო ორიენტირებული, რაც, უპირატესად, გამოჩენილი ავსტრიელი ისტორიკოსის, ალფონს დოფშის სახელთან ასოცირდება.

საქართველოში ევროპის შუა საუკუნეების და ახ. ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო გ. ნათაძე. საყურადღებოა მისი შრომები: „ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან. ბენეფიციუმის წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი“ და „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია“. აღსანიშნავია, რომ საკითხისადმი მრავალვარიანტულმა მიდგომამ ყველაზე მეტად თავი იჩინა ისტორიის მეთოდოლოგიის სფეროში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აზრთა სხვადასხვაობა ივ. ჯავახიშვილსა და გ. ნათაძეს შორის. ამ კუთხით საგულისხმო ჩანს გ. ნათაძის წიგნი „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხები“. ის ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრეა და ეკონომიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან მარქსიზმისაკენ ევოლუციას ცდილობს. დას. ევროპის ახალ ისტორიას შეეხება აგრეთვე მისი შრომები საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონზე.

საქართველოში დას. ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლის კიდევ ერთი ფუძემდებელია ა. ნამორაძე. მისი ძირითადი ნაშრომია „ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII – XVIII სს-ში“. შუა საუკუნეების ისტორიას ეხება მისივე ნაშრომი „დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1. ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება“.

ევროპის ისტორიის მკვლევართა პირველი თაობის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ნ. *დუბროვსკი*. მისი საუკეთესო შრომები დაწერილია XX ს. დასაწყისში. ის იყო იტალიური რენესანსის ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი. საბჭოთა პერიოდში მას შრომები არ დაუწერია, ის მხოლოდ ლექციების კითხვით შემოიფარგლა.

საფრანგეთის დიდ რევოლუციას წარმატებით იკვლევდა გ. კილურაძე. მისი მთავარი ნაშრომია „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს“. მან შეძლო სამეცნ. მიმოქცევაში შემოეტანა ახალი მასალა. გ. კილურაძე იკვლევდა საერთაშ. ურთიერთობების

ისტორიას XX ს. დასაწყისში, ქართ.-ევროპულ კულტურულ ურთიერთობებს. დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ევროპის ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, 0-ის და ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი შრომები: „პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან (მაროკოს პირველი კრიზისი)“, „XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია“ (ორ ნაწილად), „ახალი ისტორია“ (ნაწილი პირველი). მისი თაოსნობით ქართულ 0-ში პირველად გამოვიდა „ქრესთომატია ახალ ისტორიაში“.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის საკითხებს იკვლევდა პროფ. კ. ანთაძე. პოსტსაბჭოთა პერიოდში პროფ. კ. ანთაძის დამსახურება ახალი ტიპის სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა იყო.

დას. ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობას სწავლობდა ი. ტაბალუა. მისი მთავარი ნაშრომია „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში“. მან მოიძია ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში საქართველოს შესახებ არსებული წყაროები და გამოაქვეყნა სამ წიგნად – „საქართველო ევროპის არქივებს და წიგნსაცავებში“.

დას. ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიას იკვლევდა ვ. ბ. *დონაძე*. მისი შრომებია: „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე“, „ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები“, „ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ“, „ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდის აქტუალური პრობლემები“. მან შექმნა აზიის და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის სახელმძღვანელო.

დას. ევროპის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას იკვლევდა გ. ჟორდანია. მისი ნაშრომებია „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში“ და „რომის კათოლიკური მისია და საქართველო (XVI საუკუნის დასასრული და XVII საუკუნის 20–30-იანი წლები)“ (ზ. გამეზარდაშვილთან ერთად).

ქართული მედიევისტიკის წარმომადგენლები იყვნენ გ. *ტივაძე* და კ. ლილუაშვილი, აღმ. ევროპის, სლავების ისტორიას იკვლევდა კ. *მეშველიანი*.

შუა საუკუნეების ისტორიის სწავლების, შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს გ. ჩხარტიშვილმა, ი. ბერაძემ, გ. კუტალიამ, ი. ნოდიამ, ლ. შუბლაძემ; ახალ და უახლეს ისტორიაში: ნ. *კიკვაძემ*, გ. სიმონიძემ, ვ. ივანოვმა, რ. ლასკარმა, რ. სიკინჭილაშვილმა, ნ. ნამორაძემ, გ. ბოლოთაშვილმა; უახლეს ისტორიაში – ა. *ჩიკვაიძემ*, ლ. *სვანიძემ*.

ევროპის ისტორიის შესწავლის კიდევ ერთ ცენტრს წარმოადგენდა ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტი (ამჟამად ილიას სახელმწ. უნ-ტი), სადაც მოღვაწეობდნენ ა. ჩხეიძე, გ. *მანჯგალაძე*. შუა საუკუნეების ისტორიას იკვლევდა ზ. ჩიმაკაძე (შეფტელი), უახლესი ისტორიის აქტუალურ საკითხებს – ნ. *ნანიტაშვილი*.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართ. მედიევისტიკაში მუშაობენ გ. კუტალია, ბ. ჯავახია, ა. გეთიაშვილი, მ. პაპაშვილი, ი. ხუბაშვილი, თ. წითლანაძე, ნ. *გომართელი*, თ. ქარჩავა; ახალი და უახლეს ისტორიაში – ვ. თვალავაძე, ლ. ფირცხალავა, ნ. კიღურაძე, ც. ჩიკვაიძე, ვ. კაჭარავა, მ. კალანდაძე, ი. მენთეშაშვილი, ე. მეძმარიაშვილი, ნ. ციხისთავი, თ. პაპასქირი, ზ. გოგენია, თ. ანთაძე, ფ. შეყლაშვილი, გ. ბოლოთაშვილი.

ევროპის ისტორიის სწავლებას, შესწავლას, პოპულარიზაციას დიდი ყურადღება ეთმობა ქუთაისის (ლ. სვანაძე, შ. აბრამიძე, ტ. ჭიღვარია), სოხუმის (შ. ბასილია, ო. არდაშელია), ბათუმის (ი. ბელთაძე, ა. სულგულაძე, მ. შიორიძე), გორის (ე. მამისთვალიშვილი, ვ. ჩოჩია, მ. ეფრემიძე, თელავის (ე. ჯაჭვაძე) უნ-ტებში.

საქართველოს XX ს. ისტორიის ისტორიოგრაფია. ამ პერიოდის ქართულმა 0-მ განვითარების სამი ეტაპი განვლო: პირველი – 1900–21 დემოკრატიული; მეორე – საბჭოთა (მარქსისტულ-ლენინური) და მესამე – დამოუკიდებელი ქართული 0-ის ეტაპები.

პირველი – დემოკრატიული პერიოდის ქართული 0. (1900–21). ამ ეტაპზე ქართვ. ისტორიკოსები და საზ. თუ პოლიტ. მოღვაწეები მათი თანამედროვე საქართველოს რეალობის ცალკეულ საკითხებს შეისწავლიდნენ.

XX ს. დასაწყისში დაწყებული სოც.-ეროვნ. მოძრაობის შესახებ მეთოდოლოგიური დასკვნები შეიმუშავა ივ. ჯავახიშვილმა.

ქვეყნის ეკონომიკისა და მათ შორის ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების მდგომარეობის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომები შექმნეს ფ. *გოგიჩაიშვილმა* და ზ. *ჭიჭინაძემ*. ს. *ავალიანმა* ღრმად შეისწავლა გლეხურ-აგრ. საკითხი; ეროვნ. ისტორიის არაერთი საკითხი მეცნ. კუთხით განიხილა ვ. ჩერქეზიშვილმა, მ. *წერეთელმა*, ა. კ. *ჯორჯაძემ*. ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საკითხებს ეხებოდა კ. *ცინცაძის*, მ. კელენჯერიძის, ა. ცაგარელის ნაშრომები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის შესწავლას მისი არსებობის წლებში ჩაეყარა საფუძველი. გამოჩნდა პირველი ნაშრომები, რ-ებშიც მიმდინარე პოლიტ. პრობლემები და აღდგენილი ქართ. სახელმწიფოს ისტორიის საკითხებიც შეისწავლებოდა (ი. *გომართელი*, გ. *ეგნაპელი*, პ. *ინგოროყვა*, მ. კელენჯერიძე, გ. ჟორდანია, გ. *რცხილაძე*, პ. *სურგულაძე*, თ. ღლონტი და სხვ.). ცალკე გამოსაყოფია ნაშრომები, რ-ებიც მიეძღვნა პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის, ემიგრანტული მთავრობისა და პოლიტ. ელიტის წარმომადგენლების მოღვაწეობას. ამ საკითხს მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები შ. ამირეჯიბმა, კ. გვარჯალაძემ, კ. *კანდელაკმა*, ა. კვიტაიშვილმა, ა. *მანველიშვილმა*, ვ. *მგელაძემ*, ვ. *ნოზაძემ*, ნ. *რამიშვილმა* და სხვ.

მეორე – ქართული საბჭოთა (მარქსისტულ-ლენინური) პერიოდის 0. მარქსისტულ-ლენინური 0-ის მთავარი მახასიათებელია ისტ. მოვლენების კლასობრივი ბრძოლის პრინციპით კვლევა და წარმოდგენა. ამგვარ მიდგომას ჯერ კიდევ ქართ. სოც.-დემოკრატიის ორივე ფრთის, მენშევიკებისა და ბოლშევიკების წარმომადგენლებმა (ნ. ჟორდანია, ი. *სტალინი*, ფ. *მახარაძე* და სხვ.) ჩაუყარეს საფუძველი. XX ს. 20–30-იან წლებში ჩამოყალიბდა ქართ. საბჭ. ისტორიოგრაფიული სკოლა, რ-საც ახალი მახასიათებლები დაემატა: ისტორიული ფაქტების გაყალბება, დამახინჯება, წყაროებისა და დოკუმენტების შერჩევითი გამოყენება; ისტორიის წარმოდგენა მხოლოდ საბჭ. სახელმწიფოსა და კომუ-

ნისტური პარტიის ინტერესების გათვალისწინებით; მრავალი წყაროსა და ფაქტის უგულებელყოფა და მხოლოდ ბოლშევიკური ინტერესების წარმოდგენა და სხვ. ამ წინასწარ შემუშავებული პარტიული სქემის მიხედვით იქნა შესწავლილ-წარმოდგენილი XX ს. საქართვ. ისტორიის რამდენიმე სხვადასხვა პერიოდი (1900–21; 1921–41; 1941–45; 1945–91). ამგვარი გაყალბებული ისტორიის შესაქმნელად ჩამოყალიბდა სპეც. საკვლევი ორგანიზაციები, რ-ებიც მიმართულებას აძლევდნენ ისტორიკოსებს. 1923 შეიქმნა საქართვ. კომპარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის კომისია – პარტისი, XX ს. 30-იან წლებში კი – ამავე მიზნების მატარებელი კვლევითი ცენტრი: სკკპ ცენტრ. კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინ-ტის საქართველოს ფილიალი.

1900–21 ისტორიაში საბჭოთა 0-ის მიერ სრულიად უგულებელყოფილი აღმოჩნდა ეროვნ.-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არაბოლშევიკური პარტიები და პრესის ორგანოები. მათი ადგილი დაიკავა მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის საქმიანობის ცალსახა აპოლოგიამ. ისტორიის დამახინჯება ათეული წლების განმავლობაში ხდებოდა ფ. მახარაძის, მ. *ორახელაშვილის*, ლ. *ბერიასა* და სხვათა მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული იყო გ. *ბაჭაპურიძე* (პერაშკოვი). XX ს. 50–60-იან წლებში დამუშავდა 1900–21 საქართველოს ისტორია მარქსისტულ-ლენინური სქემების მიხედვით, რ-საც მიმართულებას მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართველოს ფილიალი აძლევდა. შეიქმნა საქართველოს 1900–21 პერიოდის ტენდენციური ისტორია, თუმცა ამ ინ-ტში მოღვაწე ისტორიკოსებმა შეისწავლეს აღნიშნული პერიოდის საარქივო და პრესის მასალები, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო მათი ობიექტური ინტერპრეტირება ვერ შეძლეს. 1900-იანი წლების ქართული რეალობის შესახებ სერიოზული ნაშრომები შექმნეს ისტორიკოსებმა ს. *ხუნდაძემ* და გ. გიორგაძემ XX ს. 20-იან წლებში, როდესაც საბჭ. იდეოლოგია ჯერ კიდევ არ იყო ერთპიროვნულად გაბატონებული. იყო ისეთი ნაშრომებიც, რ-ებშიც XX ს. დასაწყისის არაპოლიტ. მოვლენები იყო შესწავლილი და ავტორებს ობიექტური შეფასების შესაძლებლობა ეძლეოდათ (მაგ., გ. გამყრელიძის, რ. მეტრეველის, გ. ჟორდანიას, ს. ჯორბენაძის და სხვა ავტორთა ნაშრომები).

მთლიანად გაყალბდა 1917–21 დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია. ეს პერიოდი გამოცხადდა მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის ისტორიად. მიუხედავად მძიმე იდეოლოგიური წნეხისა, ზოგიერთმა ისტორიკოსმა (მ. *გაფრინდაშვილი*, ლ. *გორგილაძე*, ს. კაკაბაძე, ფ. *ლომაშვილი*, პ. *რატიანი*, ა. *სურგულაძე*) გარკვეულწილად შეძლო ცალკეული სერიოზული ნაშრომების შექმნა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია უ. *სიდამონიძის* ნაშრომი „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია 1917–21 წწ.“ (1970), აგრეთვე ა. ბენდიანიშვილის ობიექტურობით გამორჩეული ნაშრომი „ეროვნული საკითხი საქართველოში 1901–1912 წწ.“. ეს ისტორიკოსები გამოირჩეოდნენ XX ს. საქართველოს 0-ის ობიექტური ხედვით. შედარებით ნაკლები იყო იდეოლოგიური ზეწოლა ეკონომიკური ისტორიის სფეროში, რ-საც იკვლევდნენ გ. ბაქრაძე, ა. ბენდიანიშვილი, გ. *მარგიანი*, ნ. ტყემელაშვილი, დ. ცინცაძე. ფუნდამენტური ნაშრომები შექმნა პ. გუგუშვილმა. ქართ. საბჭ. 0-ის ნაღვაწი შეჯამდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VI ტომში (1972). სრულიად გაყალბდა ე. წ. საქ. სსრ XX ს. 20–30-იანი წლების ისტორია. 1921 საბჭ. რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა გამოცხადდა ქართვ. ხალხის განთავისუფლებად ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობისაგან; 1924 წლის აჯანყება და, საერთოდ, ეროვნული მოძრაობა მიჩნეული იყო ექსპლუატატორული კლასების ბატონობის აღდგენის მცდელობად; ისტორიკოსებს საშუალება აღარ ჰქონდათ ობიექტურად გაეშუქებინათ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტ. მოვლენები; ისინი წარმოაჩენდნენ მხოლოდ რესპუბლიკაში მიმდინარე სოციალიზმის რუსული მოდელის მშენებლობას; მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის სფეროში გეგმების შესრულებას; კულტურისა თუ მეცნიერების სფეროები მხოლოდ სოც. რეალიზმის იდეოლოგიური მოთხოვნების ჩარჩოებში განიხილებოდა და ა. შ. საბჭოთა 0-თვის ჩვეულებრივი ამბავი გახდა არასასურველი ფაქტების მიჩქმალვა, უგულებელყოფა, დამახინჯება, ტენდენციურად შეფასება და საბჭ. ხელისუფლების მიერ მითითებული დაკვეთებისა და სქემების მიხედვით ისტორიის შეთხზვა. ქართ. საბჭ. 0. იქცა მთლიანად კომუნისტური იდეოლოგიის მსახურად. ისტორიკოსები ვალდებულები იყვნენ განეხილათ სახელმწ. ლიდერების: ვ. *ლენინის*, ი. სტალინის, გ. *ორჯონიკიძის*, ფ. ძერჟინსკის, ფ. მახარაძის, ლ. ბერიას, მოგვიანებით კი – ნ. *ხრუშჩოვის*, ლ. *ბრეჟნევის*, ა. *კოსიგინისა* თუ სხვათა გამოსვლები, მოხსენებები. XX ს. 20–30-იან წლებში მიმდინარე სოც. ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, ე. წ. სოციალისტური საზ-ბების მშენებლობის საკითხებზე წერდნენ ისტორიკოსები და ხშირად კი – კომუნისტი ფუნქციონერებიც. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქართველმა საბჭ. ისტორიკოსებმა იდეოლოგიური მორჩილების ჩარჩოებში შეისწავლეს აღნიშნული პერიოდის წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი, რ-იც ნებადართული იყო ცენზურის მიერ. ქართულმა საბჭ. 0-მ ამ პერიოდის ისტორია შეაჯამა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VII ტომში (1976. რედ. ი. *კაჭარავა*), რ-შიც იკითხება იმ ეპოქაში გაბატონებული იდეოლოგიური კლიშეები. ტენდენციურია II მსოფლიო ომის (1939–45) პერიოდის საქართველოს ისტორიაც. ქართვ. ისტორიკოსები უმთავრესად იკვლევდნენ პერსონალიების მონაწილეობის ცალკეულ ეპიზოდებს, ჯარისკაცებისა და ოფიცრების გმირობას და თავგანწირვას, ქართ. საჯარისო ფორმირებების საბრძოლო გზას. მათ ნაშრომებში II მსოფლიო ომი გამოცხადებული იყო საბჭ. კავშირის ხალხების და მ. შ. ქართვ. ხალხის დიდ სამამულო ომად.

XX ს. 50–60-იან წლებში, საბჭოთა პოლიტ. სისტემა შევიდა ლიბერალიზაციის ხანაში. თითქოს შეიქმნა სათანადო პირობები ისტ. მოვლენების ობიექტური შესწავლა-შეფასებისათვის. მიუხედავად ამისა, ქართულ საბჭ. 0-ს ამ მხრივ პროგრესირება არ განუცდია. ამის გამო, საქართველოს 1946–91 ისტორია წინა პერიოდების პრინციპებით და კლიშეებით აღიწერა. ისტორიკოსები იძულებულნი იყვნენ თავიანთი

კვლევის ძირითადი აქცენტი გადაეტანათ საქართველოს სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სოც.-ეკონ. დარგების თუ კულტ.-სამეცნიერო პროცესების, კომპარტიის პანეგირიკული ისტორიის, ხუთწლედების შესწავლაზე. კვლევის სფეროდან სრულიად ამოიღეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტ. მოვლენები, ეროვნ. პრობლემატიკა, მწვავე სოციალური საკითხები და ა. შ. საქართველოს ისტორია გადაფარა სოციალიზმის რუსული მოდელის კონსტრუირების პანეგირიკულმა გაშუქებამ. 1946–85 წლების პერიოდი მოინათლა ომისშემდგომი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების, განვითარებული სოციალისტური საზ-ბის ეპოქად, თუმცა აღსანიშნავია პოზიტიური მხარეც – კვლევას შედეგად მოჰყვა ცალმხრივი, მაგრამ დიდძალი ფაქტოლოგიური მასალის შესწავლა (სტატისტიკური მონაცემები ხუთწლედების გეგმებისა და შესრულების შესახებ მრეწველობა-მეურნეობის დარგებში), რ-ებმაც თავი მოიყარა ისტორიკოსთა ნაშრომებში. პერსპექტივაში შესაძლოა მათი გამოყენება ისტორიის ბევრად უფრო ობიექტური სურათის შესაქმნელად. საბჭოთა 0-ის შესასწავლ ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისა და საქართვ. კომპარტიის ხელმძღვანელის როლის და ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის პანეგირიკული ისტორიის შექმნა. შეისწავლებოდა აგრეთვე ცალკეული ფაბრიკა-ქარხნების, საწარმოების, კოლმეურნეობების ისტორიაც. დემოგრაფიული მონაცემები პროფესიულად იყო შესწავლილ-წარმოჩენილი პ. გუგუშვილის, ა. კაცაძის, რ. კლიმიაშვილის, ვ. *ჯაოშვილისა* და სხვა ავტორების ნაშრომებში.

მესამე – თანამედროვე დემოკრატიული (დამოუკიდებელი, თავისუფალი) პერიოდის ქართულ 0-ში საბჭოთა იდეოლოგიამ სრული გაკოტრება იმაზე ადრე განიცადა, ვიდრე სსრკ დაიშლებოდა. XX ს-ში. 80-იანი წლების II ნახ-იდან ქართულ 0-ში დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი – თავისუფალი, ობიექტური, იდეოლოგიური ზეწოლისაგან გათავისუფლებული. XX ს. 80-ანი წლების მიწურულს დაიწყო ადრე აკრძალული პოლიტ. მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ სტატიებისა და პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნება. პირველ რიგში ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა XX ს. დასაწყისის და განსაკუთრებით, საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრ. რესპუბლიკის ისტორია. ქართ. პრესა აივსო ამ პერიოდის გამოჩენილი პოლიტ. მოღვაწეების (ნ. ჟორდანია, ა. *ჩხენკელი*, ე. *გეგეჭკორი*, ვ. მგელაძე, ა. კ. ჯორჯაძე, გ. *ლასხიშვილი*, ვ. ჩერქეზიშვილი, ს. *კედია* და სხვ.) ბიოგრაფიული ეპიზოდების ამსახველი სტატიებით. 1991–93 გამოქვეყნდა გ. *შარაძის* სამტომეული „უცხოეთის ცის ქვეშ“, რ-შიც პირველად იყო თავმოყრილი 1921 საზღვარგარეთ იძულებით გახიზნული პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და ქართული პოლიტ. ელიტის მოღვაწეთა ბიოგრაფიები და პატრიოტული საქმიანობა ემიგრაციაში. 1991 გამოქვეყნდა ლ. *თოიძის* მონოგრაფია „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის“. იმავე წელს გამოვიდა ა. და პ. სურგულაძეების „საქართველოს ისტორია 1783–1990“, რ-შიც ახლებურად და ობიექტურად იქნა გააზრებული ქვეყნის ახალი და უახლესი ისტორიის რიგი საკითხები. ობიექტურადაა განხილული XX ს. ისტორია ფ. ლომაშვილის ავტორობით შედგენილ საქართვ. ახალი და უახლესი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში. 2003 ავტორთა კოლექტივის მიერ (ვ. *გურული*, მ. *ვაჩნაძე*, დ. *შველიძე*, ნ. კირთაძე, ა. წოწკოლაური, პ. ფირანიშვილი) გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორია. XX საუკუნე“ – სახელმძღვანელო თსუ-ის სტუდენტებისათვის. დაიწყო საქართვ. ისტორიის ობიექტური კვლევა. შემდგომ წლებში მეცნიერულად შეისწავლეს 1900–21 პერიოდის ისტორიის მრავალი მოვლენა, პოლიტ. მოღვაწეთა საქმიანობა, პირველი რესპუბლიკის პერიოდი და ა. შ. თანმიმდევრობით გამოქვეყნდა დ. შველიძის, ვ. გურულისა და მ. ვაჩნაძის ერთობლივი, შ. ვადაჭკორიას, ო. *ჯანელიძის* მონოგრაფიები წამყვანი პოლიტ. პარტიების – სოციალისტ-ფედერალისტების, სოციალ-დემოკრატების, ეროვნ.-დემოკრატების შესახებ.

თანამედროვე ქართ. 0. ნაკლებ ყურადღებას იჩენს 1921–91 საბჭ. საქართველოს პერიოდის რიგი საკითხების მიმართ, სამაგიეროდ დიდ ინტერესს ავლენს საბჭ. პერიოდის ეროვნ.-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემების მიმართ (1924 აჯანყება; 1956 მარტის მოვლენები; დისიდენტური მოძრაობა; XX ს. 80-იანი წლების ეროვნ. მოძრაობა; 1989 წ. 9 აპრილი, ასევე, XX ს. 30-იანი წლების რეპრესიები, ი. სტალინის პოლიტ. ბიოგრაფია; II მსოფლიო ომი და ა. შ.). იხ. აგრეთვე სტ. *ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა*.

უპირატესად სწორედ ეს მოვლენებია შესწავლილ-წარმოჩენილი ტ. ბერიშვილის, რ. *გრძელიძის*, თ. ენდელაძის, ნ. ზოსიძის, ზ. კობახიძის, ე. კუპატაძის, ი. მანველიძის, შ. მურესიძის, მ. ნათმელაძის, ფ. და რ. ნიკოლაძეების, შ. ნოზაძის, უ. ოქროპირიძის, ვ. რცხილაძის, ა. სურგულაძის, გ. *ყორანაშვილის*, ა. *სონღულაშვილის*, რ. ჩხეიძის, გ. ციციშვილის, გ. ცხვრებაძის და სხვათა ნაშრომებში. XX ს. 30-იანი წლების ტერორი შესწავლილი და წარმოჩენილია ორტომეულში: „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“ (შემდგენლები: მ. იუნგე, ო. თუშურაშვილი, ბ. ბონვეჩი; 2015). ქართვ. ისტორიკოსები დაინტერესებული არიან თანამედროვე საქართველოს უახლესი ისტორიით (1991-იდან დღემდე). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების, ტერიტ. მთლიანობის, სეპარატისტული რეგიონების, რეგიონული კონფლიქტების, დემოკრ. სახელმწიფოსა და ინ-ტების მშენებლობის, გეოპოლიტიკური პრობლემატიკის საკითხებს, 2008 საქართველო-რუსეთის ომს და სხვ.

XX ს-ში მრავლად შეიქმნა მემუარული ლიტ-რა, რ-საც წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული მნიშვნელობაც აქვს. ზ. *ავალიშვილის*, ა. ასათიანის, ი. ბათიაშვილის, შ. ბერეჟიანის, ლ. ბერძენიშვილის, რ. *გაბაშვილის*, გ. გაბლიანის, ჯ. გახოკიძის, მ. გეგეშიძის, ვ. *გოგუაძის*, ბ. *გუგუშვილის*, დ. ვაჩნაძის, მ. ვაჩნაძის, ს. ზალდასტანიშვილის, ჯ. *იოსელიანის*, გ. კერესელიძის, გ. *კვინიტაძის*, გ. ლასხიშვილის, ნ. *ლომთათრის*, გ. *ლორთქიფანიძის*, გ. *მაზნიაშვილის*, შ. *მაღლაკელიძის*, ვ. მგელაძის, ი. მჭედლიშვილის, ნ. *ნათაძის*, ჯ. *პატიაშვილის*, ნ. ჟორდანიას, თ. *სახოკიას*, ა. სულხანიშვილის, გ. *ურატაძის*, გ. *ქიქოძის*, ე. *შევარდნაძის*, კ. *ჩარკვიანის*, ს. ჩიჯავაძე-კედიას, ვ. ძაბირაძის, ი. წერეთ-

ლის, ნ. ჯუმბურიძის, ვ. *ჯულელის* და სხვათა მემუარები ეხება XX ს. ცალკეულ პერიოდებს.

ლიტ.: ანთაძე თ., კალანდაძე მ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014; გაბაშვილი ვ., ვახუშტი XVII–XVIII სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს ისტორიის საკითხები. სტატიების კრებული, ტ. 2, თბ., 2017; გოგიაშვილი ო., ილია დღეს, ტ. 1–7, თბ., 2011–16; გურული ვ., საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია (1801–1991), თბ., 2011; კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999; მისივე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009; მისივე, პროფესორი კოტე ანთაძე, თბ., 2014; მისივე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015; მეტრეველი რ., ივანე ჯავახიშვილი, თბ., 2012; მისივე, ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში, თბ., 1999; მესხია შ., ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, «ანალები», 1947, [ტ.] 1; ნადირაძე ქ., ქართული ისტორიოგრაფია, თბ., 2012; ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძირითადი მიღწევები, თბ., 1978; ყორანაშვილი გ., ივანე ჯავახიშვილი: ახლებურად წაკითხვის ცდა, თბ., 1999; მისივე, ილიას ფენომენი, თბ., 2007; მისივე, ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები, თბ., 2008; ხანთაძე შ., ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში, თბ., 1985; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977; Хантадзе Ш., К историографической характеристике „Картлис Цховреба“, «ქართული ისტორიოგრაფია», [ტ.] 2, თბ., 1971.

გ. მელიქიშვილი. ქ. ნადირაძე. მ. კალანდაძე. დ. შველიძე.

ისტორიული ანთროპოლოგია, კაცობრიობის ისტორიის სოციოკულტურული შემეცნების ერთ-ერთი მიმართულება. გამოყენებითი მეცნიერება, ისტორიისთვის იძლევა ინფორმაციას, რ-იც არ მოიპოვება სხვა ისტ. წყაროებით. ი. ა. არ შეიძლება გამოიყოს ანთროპოლოგიის რომელიმე ცალკე დარგის სახით. მისი საგანი და მიზანი არის ანთროპოლ. მონაცემების გამოყენება ისტ. მეცნიერების ინტერესიდან გამომდინარე – დაწყებული უძველესი დროიდან, დამთავრებული თანამედროვეობით.

ადამიანის ფიზ. აგებულების საფუძველზე შესაძლებელია აზროვნების თავისებურების, მეტყველებისა და ქცევის, რასობრივი ერთობლიობების დინამიკა და დიფერენციაცია, უძველესი კოლექტივების დემოგრ. დახასიათება. მხოლოდ ანთროპოლ. მონაცემებითაა შესაძლებელი უძველესი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის, სიკვდილიანობის, რიცხოვნობისა და სხვა დემოგრ. პარამეტრების, ცხოვრების დონისა და წესის, მიგრაციის, ფიზიკური განვითარებისა და ა. შ. განსაზღვრა.

ანთროპოლ. მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგი ზოგადისტორიული პრობლემების გადაჭრაში: პირველყოფილი საზ-ბის პერიოდიზაცია, ადამიანის წინაპრების შრომითი და სოც. ცხოვრება, აზროვნებისა და მეტყველების განვითარება, ცივილიზაციის კერების ჩამოყალიბება; ბიოლ. და სოც. ფაქტორების როლის დადგენა კაცობრიობის ისტორიაში; მიგრაციის როლი კულტურის განვითარებასა და ხალხთა ჩამოყალიბებაში; თანამედროვე და უძველესი მოსახლეობის ნათესაობა და უწყვეტი განვითარება; ეთნოგენეზისის კვლევები და ა.შ.

ლიტ.: ჯოხაძე გ., ისტორიული ანთროპოლოგია, თბ., 2009.

ლ. ბითაძე.

ისტორიული გეოგრაფია, ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგი. შეისწავლის საზ-ბის განვითარების ისტ. პროცესის გეოგრაფიულ ასპექტებს. ი. გ. იკვლევს წარსული ეპოქების ფიზიკურ გეოგრაფიას (ადამიანის და გეოგრ. გარემოს ურთიერთდამოკიდებულება), მოსახლეობის გეოგრაფიას (ამა თუ იმ ტერიტორიის ან ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, სხვადასხვა ტომთა ლოკალიზაცია, მიგრაციები...), ეკონომიკურ გეოგრაფიას (სამეურნეო რაიონები, სავაჭრო-ეკონ. ცენტრები, შიდა და საგარეო ეკონ. ურთიერთობა, გზები) და პოლიტ. გეოგრაფიას (პოლიტ. საზღვრები, შიდა ადმ. დანაწილება, პოლიტ. ცენტრები...).

საზოგადოების წარმოქმნასთან ერთად წარმოიქმნა მისი ატრიბუტი ისტ.-გეოგრაფიული ტერიტორია, რ-იც ამ უკანასკნელის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა სივრცობრივად და შინაარსობრივად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად და ეთნიკურად. ი. გ-ის მიზანია ამ ცვლილებათა რეგისტრირება საზ-ბის განვითარების ძირითად ეტაპზე და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა. ი. გ. იკვლევს ამა თუ იმ სოციუმის, ქვეყნის თუ სახელმწიფოს ტერიტორიის ჩამოყალიბების პროცესს, მისი ტერიტორიის სტრუქტურას და ამ უკანასკნელის ცვლილებებს დროთა განმავლობაში.

ისტ.-გეოგრაფიული კვლევა-ძიების ელემენტები (ტერიტორიის საზღვრების დადგენა თუ მისი ცვლილებები, მნიშვნელოვანი პოლიტ. თუ ეკონ. ცენტრების ლოკალიზაცია, ეთნიკური ვითარება და სხვ.) ისევე ძველია, როგორც თვით ისტორია, მაგრამ მისი მეცნიერებად ჩამოყალიბება დაკავშირებულია XVI ს. II ნახ-ის ფლამანდიელი გეოგრაფის ა. ორტელიუსის სახელთან, რ-მაც შექმნა ძველი სამყაროს ქვეყნების მსოფლიოში პირველი ისტ. ატლასი. იგი თავისი და სხვების მიერ შედგენილ 70 რუკას შეიცავს მათზე თანდართული მოკლე განმარტებითი ტექსტებით. მანვე ,,გეოგრაფია ისტორიის თვალებად'' გამოაცხადა და ამდენად, ი. გ. ისტ. მეცნიერების დამხმარე დისციპლინათა რიგში ჩააყენა.

საქართველოში ისტ.-გეოგრაფიული კვლევა-ძიების დასაწყისი ლეონტი მროველს უკავშირდება (XI ს.), რ-მაც პირველმა შეიმუშავა მთელი კავკასიის და მისი მოსახლეობის ისტ.-გეოგრაფიული და ისტ.-ეთნიკური კონცეფცია. ამ დარგის მეორე ბრწყინვალე წარმომადგენელი ვახუშტი ბაგრატიონია (XVIII ს.). მან პირველმა შექმნა საქართველოს ,,ისტორიული ატლასები'' და ა. ორტელიუსის მსგავსად გეოგრაფია ისტორიის სამსახურში ჩააყენა.

XIX ს-სა და XX ს. დასაწყისში საქართველოს ი. გ-ის პრობლემატიკას წარმატებით იკვლევდნენ პ. *იოსელიანი*, მ. *ბროსე*, დ. *ბაქრაძე*, ე. *თაყაიშვილი*, ნ. *მარი*, მაგრამ ამ დარგის განვითარებას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ქართული ისტ. მეცნიერების ფუძემდებელმა ივ. *ჯავახიშვილმა*. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ დარგის განვითარებაში XX ს. ისტორიკოსებმაც (ს. *კაკაბაძე*, ს. *ჯანაშია*).

იშვიათი გამონაკლისის გარდა (ლ. *მუსხელიშვილი*, ნ. *ბერძენიშვილი*), სულ უკანასკნელ დრომდე ისტ.-გეოგრაფიული კვლევა-ძიების სარბიელი მეტად ვიწრო იყო და, ფაქტობრივად, იფარგლებოდა ქვეყნის გარეპოლიტიკური და შიდაადმინისტრაციული საზღვრების დადგენით, ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პუნქტის იდენტიფიკაციით, დროთა ვითარებაში ქვეყნის საზღვრების თუ პოლიტ. ცენტრების ცვალებადობის, სხვადასხვა ტომთა ლოკალიზაციისა

თუ მიგრაციის და სხვა მსგავსი საკითხებით. ამდენად, ი. გ-ის პრობლემატიკა ძირითადად პოლიტ. სფეროს მოიცავდა და ისტ. მეცნიერების დამხმარე სამეცნ. დისციპლინის როლში გამოდიოდა.

ამჟამად ვითარება არსებითად არის შეცვლილი. ი. გ-ის კომპეტენციის სფერო გაიზარდა და მისი კვლევის თვალსაწიერში, პოლიტ. და ეთნიკურ თემატიკასთან ერთად, სოც. და ეკონ. პრობლემატიკაც მოექცა. ეს არსებითი მეტამორფოზი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ნ. ბერძენიშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

ყოველი საზოგადოება მოცემულ დროს მოცემულ ტერიტორიაზე ტოვებს თავისი ცხოვრების ნაკვალევს ნამოსახლარების, სამეურნეო, თავდაცვითი თუ საკულტო ნაგებობების, ტოპონიმიკისა და სხვათა სახით. ი. გ-ის ამოცანაა წარმოაჩინოს საზ. ცხოვრების ეს ნაკვალევი და დაადგინოს კანონზომიერი კავშირი ამ ნაკვალევსა და შესაბამისი საზ. ცხოვრების საფეხურებს შორის. ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზმს თავისი შიდატერიტორიული სტრუქტურა აქვს, რ-იც, როგორც აღვნიშნეთ, ისტ. პროცესის შედეგად განუხრელად იცვლება და განპირობებულია საზ-ბის განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით. ამ შიდატერიტორიული სტრუქტურის მუდმივცვალებადი ერთეულის აღსანიშნავად ნ. ბერძენიშვილმა სამეცნ. მიმოქცევაში შემოიტანა ძველი ქართული ტერმინი – ,,ქვეყანა''. მისი თვალსაზრისით, ისტ.-გეოგრაფიული ,,ქვეყანა'' ეწოდება იმ ფიზიკურ მიწა-წყალს, რ-იც ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ საზ-ბის (გვარის, ტომის, სოფლის, თემის, ხალხის, ერის) აუცილებელი საწარმოო, სამეურნეო სარბიელია. ,,ქვეყანა'' ისტ. კატეგორიაა, რამდენადაც საზოგადოებრივი განვითარების ყოველ საფეხურს თავისი შესატყვისი ,,ქვეყანა'' ახასიათებს. სამეცნ. დისციპლინა, რ-იც ამგვარ ,,ქვეყნებს'' ავლენს და სწავლობს, არის სწორედ ი. გ.

ამგვარად, ი. გ-ის საგანი ადამიანის ამა თუ იმ საზ. განვითარებისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ტერიტ. ერთეულია მისი ცვალებადობის გათვალისწინებით. ზემოთქმულის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული დეფინიციით, ი. გ-ის სამეცნიერო დისციპლინის ძირითად შინაარსს ამა თუ იმ საზოგადოების შიდა ტერიტორიული სტრუქტურის და ამ უკანასკნელის დროთა ვითარებაში ევოლუციის კვლევა შეადგენს.

ზემოხსენებული დეფინიცია XX ს. 60-იანი წწ-ის ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვარია. ასეთი მეთოდოლ. თვალსაზრისი განაპირობებდა საქართველოს ისტ.-გეოგრაფიული პრობლემების პრაქტ. კვლევის მეთოდიკასაც: სათანადო ნარატიული, კარტოგრაფიული, დოკუმენტური, არქეოლ., ნუმიზმატიკური მასალის დამუშავებასთან ერთად, ხორციელდებოდა ინტენს. საველე ექსპედიციები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მატერ. კულტურის ძეგლთა და ტოპონიმიკის ფიქსაციის მიზნით. ამრიგად შეგროვებული მასალის დამუშავებისა და ქრონოლ. კლასიფიკაციის საფუძველზე დაისვა და დამუშავდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის კარდინალური საკითხების მთელი რიგი, ისეთები, როგორიცაა ძველ ქალაქთა და გარკვეული ტიპის ციხესიმაგრეთა წარმოქმნის მიზეზები; საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მეზობლებთან და ამ ურთიერთობების განხორციელების მაგისტრალური გზები; საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობა და ამ უკანასკნელის მნიშვნელობა არა მხოლოდ ცალკეული რეგიონების, არამედ მთელი საქართველოს გაერთიანებისათვის.

ამგვარად, ისტ.-გეოგრაფიული კვლევა-ძიება ნათლად აყენებს და ცალსახად წყვეტს საქართვ. ისტ. ტერიტორიის წარმოქმნის კანონზომიერების კარდინალურ საკითხს: ეს იყო არა ზედაპირული პოლიტ. პროცესის შედეგი, არამედ ღრმა სოციალურ-ეკონ. და კულტურული განვითარების ბუნებრივი დაგვირგვინება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისტ.-გეოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად ახლებურად დაისვა აგრეთვე ქართვ. ხალხის სოც. განვითარებისა და ქართვ. ერის გენეზისის მნიშვნელოვანი პრობლემებიც.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ი. გ-ის ძირითად შინაარსს საზოგადოების შიდატერიტორიული სტრუქტურისა და ამ უკანასკნელის დროთა ვითარებაში ევოლუციის კვლევა შეადგენს. ისტ.-გეოგრაფიულმა საველე კვლევა-ძიებამ საქართველოში შექმნა შესაძლებლობა, თვალი გაგვედევნებინა ისტ.-გეოგრაფიული ცვლილებებისათვის ათასწლეულთა განმავლობაში, წარმოგვეჩინა ადგილ. საზ-ბის სოც. და ამასთან დაკავშირებული შიდატერიტორიული სტრუქტურის ცვლილებები, გაპირობებული ეკონ. განვითარების კანონზომიერებით უძველესი პერიოდიდან შუა საუკუნეების ჩათვლით.

საქართველოს ტერიტორიის ისტ.-გეოგრაფიული ცვლილებების პროცესი მისი სოც. და ეკონ. განვითარების ადეკვატურია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებული თვალსაზრისი საზ-ბის ისტ.-გეოგრაფიული განვითარების კანონზომიერების შესახებ და ამის საფუძველზე მიღებული მეთოდოლ. დასკვნა ისტ.-გეოგრაფიული ცვლილებებისა და სოც.-ეკონ. განვითარების ადეკვატურობის შესახებ ქართული ისტოროგრაფიის მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს.

ლიტ.: აბაშიძე ზ., ვაშაკიძე ვ., მირიანაშვილი ნ., ჭეიშვილი გ., ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2014; ბერძენიშვილი ნ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, ნაკვ. 1, თბ., 1979; მისივე, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბ., 1985; მისივე, ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; წგ. 8, თბ., 1975; გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1963; მუსხელიშვილი დ., უჯარმა, თბ., 1966; მისივე, ექვთიმე თაყაიშვილი და ისტორიული გეოგრაფია, კრ.: ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1966; მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. 1–2, თბ., 1977–80; მისივე, ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1997; ნინიძე დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, თბ., 2005; ხარაძე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (ქვემო ქართლი), თბ., 1991; მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (შიდა ქართლი), თბ., 1992; მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (ზემო ქართლი), თბ., 2000; ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII–XII სს. ქ. შ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983; მისივე, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, იქვე, ტ. 12, თბ., 1998.

დ. მუსხელიშვილი.

ისტორიული გეოლოგია, გეოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის დედამიწის ქერქის განვითარებას მისი წარმოშობიდან დღემდე. ი. გ-ის ამოცანაა დედამიწის ქერქის ამგები ქანების წარმოშობის თანამიმდევრობისა (ასაკის) და დანალექი ქანების წარმოქმნის ფიზ.-გეოგრ. პირობე-

ბის დადგენა, ტექტონ. მოძრაობებისა და მაგმატიზმის (ინტრუზიულის და ეფუზიურის) ისტორიის შესწავლა. ამ ამოცანის გადასაჭრელად ი. გ. ემყარება პალეონტოლოგიის, ლითოლოგიის, ფაციესური ანალიზის, პეტროგრაფიის, მინერალოგიის, ტექტონიკის, რადიოგეოლოგიისა და სხვა მონაცემებს. დანალექი ქანები უმთავრესად სტრატიგრაფიული მეთოდით თარიღდება. ამ მეთოდის თანახმად, შრეები დალექვის პროცესში ერთმანეთზე ასაკობრივი თანამიმდევრობით ლაგდება – ქვევით ძვ. შრეებია, ზევით – უფრო ახალგაზრდა. სხვადასხვა ადგილებში აღწერილი ჭრილების კორელაცია ახლო მანძილზე შესაძლებელია წყებების ლითოლოგიური მსგავსების მიხედვით, შორეულ მანძილზე კი პალეონტოლ. მეთოდს (დედამიწის ქერქის დანალექი წყებების შეფარდებითი ასაკის განსაზღვრის მეთოდი) მიმართავენ. დანალექ ქანებში დაცული ორგანიზმების ნაშთების მიხედვით გამოყოფილია ძირითადი სტრატიგრაფიული და ქრონოლ. ერთეულების მტკიცე იერარქიული რიგი: ეონოთემა (ეონი), ჯგუფი (ერა), სისტემა (პერიოდი), სექცია (ეპოქა), სართული (საუკუნე) და ა. შ.

დედამიწის ქერქის ისტორიას ახასიათებს ფიზ.-გეოგრ. გარემოს უწყვეტი ცვალებადობა, ამიტომ პალეოგეოგრაფიული და პალეობიოგრაფიული ვითარების თანამიმდევრობის აღსადგენად მიმართავენ ფაციესურ ანალიზს. ფაციესი დანალექი ქანის ლითოლოგიური და პალეონტოლ. თვისებების ერთობლიობაა, რ-იც ასახავს ნალექის წარმოქმნის გარემოს (ღრმა თუ მარჩხი ზღვის აუზი, ჭაობი, უდაბნო და სხვ.). სინქრონულ ფაციესთა გეოგრ. გავრცელების მიხედვით აღადგენენ წარსული დროის პალეოგეოგრაფიას, ხოლო პალეოგეოგრაფიული რუკების თანამიმდევრობა იძლევა დედამიწის ზედაპირის გეოგრ. განვითარების სურათს (ზღვისა და ხმელეთის საზღვრების გადაადგილება, ზღვის ქვაბულისა და ხმელეთის რელიეფის გარდაქმნა, კლიმ. პირობების ცვალებადობა და სხვ.).

ეფუზიურ და ინტრუზიულ ქანთა დათარიღების მეთოდები განსხვავებულია. ეფუზივები წარმოქმნისას, დანალექი ქანების მსგავსად, დედამიწის ქერქის ზედაპირზეა განლაგებული და ამიტომ მათი დათარიღება უმთავრესად სტრატიგრაფიული მეთოდით ხდება. ინტრუზიული სხეულები კი შეჭრილია ქერქში და ამიტომ მათი დათარიღება შეიძლება ქვედა და ზედა ასაკობრივი საზღვრის დადგენით. ქვედა საზღვარი ის დანალექი ქანებია (ან სტრუქტურებია), რ-ებშიც შეჭრილია ინტრუზიული სხეული, ზედა საზღვარი კი ის ქანებია, რ-ებიც ამ ინტრუზივის გადარეცხილ მასალას შეიცავს. სტრატიგრაფიულ მეთოდს ემყარება ძირითადად მეტამორფული ქანების დათარიღებაც. დღეს ქანთა დათარიღების მიზნით ფართოდ იყენებენ აგრეთვე რადიოიზოტოპურ მეთოდებსაც.

ტექტონიკური მოძრაობების (დანაოჭება, ეპეიროგენეზისი) ისტ. შესწავლაც მათ დათარიღებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში საჭიროა ტექტონ. მოძრაობის და მის მიერ შექმნილი სტრუქტურის ასაკის ქვედა და ზედა საზღვრის დადგენა. ქვედა საზღვარი ის ქანებია, რ-ებიც სტრუქტურას აგებენ, ზედა – სტრუქტურაზე უთანხმოდ განლაგებული შრეებია, ხოლო ტექტონ. მოძრაობა ზოგადად თავსდება უთანხმოებით გამოხატულ ხარვეზებში: კუთხურ უთანხმოებაში ჩნდება დანაოჭება (ოროგენული მოძრაობა), სტრატიგრაფიულ უთანხმოებაში კი – რხევითი (ეპეიროგენული) მოძრაობები.

ლიტ.: ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ა., ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1963.

ა. ცაგარელი.

ისტორიული ლექსი, ქართული ზეპირსიტყვიერების ჟანრი, ისტ. მოვლენებისა და მოღვაწეების ცხოვრების ამსახველი ხალხური ლექსი. ი. ლ-ის ყველაზე ადრინდელი ნიმუშები ეძღვნება ვახტანგ გორგასალს და V–VI სს. თარიღდება. ცნობილია ლექსები კონსტანტინე არსაკიძის, თამარ მეფის, რუსუდან მეფის, ერეკლე II-ისა და სხვათა შესახებ. ასევე პოპულარულია ქართ. ხალხ. პოეზიაში ბახტრიონის აღების, ასპინძისა და კრწანისის ბრძოლების, 1804, 1812 სახალხო აჯანყებების, 1905–07 რევოლუციის თემატიკა და სხვ. ი. ლ-ებში აისახა ქართვ. ერის ისტორია, მისი ბრძოლა დამპყრობლებთან, ასევე ქართველთა საგმირო საქმენი.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქ., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქ. სიხარულიძის გამოც., ტ. 1–3, თბ., 1961–67.

ისტორიული მატერიალიზმი, მოძღვრება საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. შექმნა კ. *მარქსმა* XIX ს. მატერიალ. მსოფლმხედველობისა და გ. *ჰეგელის* მიერ განვითარებული დიალექტ. მეთოდის შეჯერების შედეგად. მარქსმა ჰეგელის დიალექტიკა ისტ. განვითარების დასახასიათებლად გამოიყენა, თავად ისტორია კი წარმოების პროცესად აღიქვა. მასთან ცნობიერების ისტ. ფორმების დაყვანა ხდება წარმოების ეკონ. სტრუქტურებზე. მისი აზრით, სწორედ წარმოების ეს სტრუქტურები განსაზღვრავს ადამიანის საზ. ყოფის რაობას, მაშასადამე, ყოფიერება (ადამიანის მატერ. პრაქტიკა) განსაზღვრავს ცნობიერებას. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ შრომას. კ. მარქსი საუბრობს წარმოებითი ურთიერთობებისა და საწარმოო ძალების დიალექტიკის შესახებ, რ-ებიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მაშასადამე, საზ-ბა დაყოფილია კლასებად; წარმოებითი საშუალებების მფლობელი კლასი უპირისპირდება უქონელთა კლასს. საზ-ბის განვითარებისთვის დამახასიათებელია სწორედ კლასობრივი ბრძოლა, რაც კლასთა შორის დაპირისპირებით გამოიხატება. ეს დაპირისპირება კი იწვევს რევოლუციებს და ახალი საზ.-ეკონ. ფორმაციების წარმოშობას. ი. მ-ში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროლეტარულ რევოლუციას, რ-მაც კაპიტალ. საზ. ფორმაცია უნდა შეცვალოს ახალი საზ. წესრიგით, სადაც არ იქნება მშრომელთა ძარცვა, ადამიანთა გაუცხოება, კერძო საკუთრება და ა. შ.

ი. მ. *დიალექტიკურ მატერიალიზმთან* ერთად ქმნის ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმს, რ-იც საბჭ. კავშირის ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენდა. ი. მ-ის დოქტრინა საბჭ. მეცნ. საფუძველი იყო. ამ პერიოდის ქართ. საბჭოთა სამეცნ. სკოლებიც (განსაკუთრებით, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა განხრით) ი. მ-ის დიდ გავლენას განიცდიდა.

ლიტ.: გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე მ., ისტორიული მატერიალიზმი (ქრესტომათია), ტფ., 1927; დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ნაწ. 1–2, ტფ., 1934; ლ უ ტ ი ძ ე ბ., ისტორიული მატერიალიზმის საკითხები, თბ., 1988; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ნ., ისტორიული მატერიალიზმი, თფ., 1911.

თ. ირემაძე.

ისტორიული ჟანრი, სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი

ჟანრი, რომელიც ასახავს ისტ. მოვლენებს თუ საზოგადოების ისტორიის სოციალურად მნიშვნელოვან ფაქტებს, ისტ. პირებს; ძირითადად საზრდოობს წარსულით, მ. შ. მოიცავს ახლო წარსულის იმ მოვლენებსაც, რ-თა ისტ. მნიშვნელობაც თანამედროვეთა მიერაა აღიარებული. აღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე, ი. ჟ. ხშირად იკვეთება სახვითი ხელოვნების სხვა ისეთ ჟანრებთან, როგორიცაა ყოფითი (ისტ.-ყოფითი) სცენები, პორტრეტი (ისტ. პირის გამოსახულებით; პორტრეტულ-ისტ. კომპოზიციები), პეიზაჟი (ისტ. პეიზაჟი). ყველაზე ხშირად ისტ. ჟანრი ერწყმის ბატალურს, მით უფრო, თუ ეს უკანასკნელი საბრძოლო მოვლენების ისტ. შინაარსს ეხება.

ჟანრული დიფერენციაცია სახვით ხელოვნებაში უმთავრესად ასახული ობიექტის რაობის მიხედვით განისაზღვრება. საკუთრივ ჟანრის ცნება, მისი კლასიკური გაგებით, XVII–XVIII სს-ში ჩნდება, როდესაც კლასიციზმის ხანის ესთეტიკა მკაცრად განსაზღვრულ, იერარქიულ ჟანრულ სისტემას აყალიბებს (ტერმინიც „ჟანრი“ სწორედ ამავე პერიოდში მკვიდრდება საფრანგეთში). ი. ჟ., დასრულებული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით, მართალია, მხოლოდ XVIII–XIX სს. მიჯნაზე იჩენს თავს, თუმცა მის არაერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს უძველესი დროიდან ვხვდებით, როდესაც რეალური ისტ. მოვლენები ხშირად ფოლკლორულ თუ მითოლ. თემებთან მიმართებით განიხილება.

ძვ. ეგვიპტესა და მესოპოტამიაში ისტ. რეალობის ამსახველი კომპოზიციები ან პირობით-სიმბოლურ კონტექსტში (მონარქის გამარჯვება, მისთვის ღვთაების მიერ ძალაუფლების გადაცემა და ა.შ.) გამოისახებოდა, ან თხრობითი ხასიათის ციკლებად, სადაც ნაჩვენები იყო მთავარი მმართველის და მისი არმიის წარმატებები.

ძვ. საბერძნეთში წარსულის ისტ. მოვლენები უმთავრესად მითოლ. თემებსა და სახეებში პოულობდა მხატვრულ განსხეულებას, თუმცა ცნობილია რეალური ისტ. სცენებისა და გმირების განზოგადებულ-იდეალიზებული გამოსახულებებიც (მოზაიკა ალექსანდრე მაკედონელის დარიოსთან ბრძოლის ამსახველი სცენებით, ძვ.წ. IV–III სს., შემორჩენილია რომაული ასლი, ძვ.წ. II ს.). ძვ. რომაული იმპერიის ძლევამოსილების იდეა და იმპერატორის კულტი რომაული რელიეფების ერთ-ერთი მთავარი თემაა. სწორედ ისტ. სიუჟეტი განსაზღვრავს საბრძოლო ტრიუმფების ამსახველი კომპოზიციებისა და დოკუმენტურ-თხრობითი ფრიზების მთავარ მხატვრულ ხაზს, მით უფრო, რომ აქ გამონაგონი, მ. შ. მითოლ. პერსონაჟების რაოდენობა, ისტ. პერსონაჟებთან შედარებით, საგრძნობლად მცირეა (ტრაიანეს სვეტი რომში, 111–114 წწ.).


თეოლოგიური აზრის დომინირებიდან გამომდინარე, შუა საუკუნეების ევროპაში ხშირია შემთხვევები, როდესაც რელიგ. სიუჟეტები – ისტორიულის, რეალური მოვლენები კი საკრალურის დატვირთვას იძენს. ამას გამომსახველობითი პირობითობის მაღალი ხარისხიც განაპირობებდა.

ისტ.-ბატალური და ისტ.-ყოფითი ხასიათის გამოსახულებებით მდიდარია აღმ-ის ხელოვნებაც. ჩინური სახვითი ხელოვნების ნიმუშებისათვის დამახასიათებელია ბრძოლებისა და ლაშქრობების სცენების ზედმიწევნითი სიზუსტით ასახვა. ისტ. რეალობის მახასიათებლების მითოლ. ფორმით ინტერპრეტირება ხდება ინდოეთის, ინდონეზიისა თუ ბირმის შუა საუკუნეების მოხატულობებსა და რელიეფებში. ისტ.-ყოფითი სიუჟეტები ჩნდება VII ს. ჩინურ და XI–XII სს. იაპონურ ფერწერაში; XV–XVI სს-იდან კი – აზერბაიჯანულ, ირანულ, ავღანურ, ინდურ და შუა აზიის სხვა ქვეყნების მინიატიურებშიც.

საკუთრივ ი. ჟ-ის, როგორც დამოუკიდებელი მხატვრული ერთეულის, შექმნა-ჩამოყალიბების



ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლა დარიოსთან. მოზაიკა პომპეიდან. ძვ. წ. დეტალი. 125–120 წწ. ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი. ნეაპოლი.



ჟ. ლ. დავიდი. „ფიცი ბურთის სათამაშო დარბაზში“. სეპია. 1791. ლუვრი. პარიზი.

უწყვეტი პროცესის დასაწყისი აღორძინების ეპოქის ევროპას უკავშირდება. ჰუმანიზმის პრინციპები, ეპოქისეული ინტერესი ისტ. მეცნიერებებისადმი, ისევე როგორც ზოგადად სამეცნ. აზრისადმი, ბუნებრივია, სათანადოდ აისახებოდა სახვითი ხელოვნების ნიმუშებში; ასევე წმ. წერილის ეპიზოდები, რებიც, ძირითადად, ზოგადსაკაცობრიო ისტ. ფაქტებად აღიქმებოდა. იცვლება დამოკიდებულება თანამედროვეობის მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი, რ-თა ამსახველი გამოსახულებები უკვე XIV ს-ში ახ. საზ. იდეების პროპაგანდის დატვირთვას იძენს. XV–XVI სს-ში იქმნება კედლის მხატვრობის არაერთი ნიმუში ბრძოლების (პაოლო უჩელო) და დღესასწაულების ამსახველი კომპოზიციებით. მათი უმეტესობა რეალური არქიტ. გარემოს და ინტერიერების ფონზეა წარმოდგენილი (ჯ. ბელინი, ვ. კარპაჩო, დ. გირლანდაიო). მსგავსი გარემო ხშირადაა გამოყენებული რელიგ. სიუჟეტებზე შექმნილ კომპოზიციებშიც, რაც გარკვეული, კონკრეტული ისტ. სინამდვილის განცდის გაჩენას განაპირობებს (ა. მანტენია, პიერო დელა ფრანჩესკა). უკვე აღორძინების ეპოქაში იქმნება საკუთრივ ისტ. კომპოზიციები, წარმოჩენილი იდეალურ-განზოგადებულ, დროისმიღმიერი სახით („ბრძოლა ანგიართან“ – ლეონარდო და ვინჩი; „ბრძოლა კაშინთან“ – მიქელანჯელო).

XVII–XVIII სს-ში აკადემიზმმა და კლასიციზმმა ი. ჟ. საკუთარი ინტერესის უმთავრეს ობიექტად აქცია და მას „მაღალი“ ჟანრის სტატუსი მიანიჭა. ამ ეტაპზე ეს ჟანრი საკუთარ თავში რელიგ., მითოლ. და საკუთრივ ისტ. სიუჟეტებს მოიცავს. ამ დროს შექმნილი პომპეზური, ისტ.-ალეგორიული კომპოზიციები მონარქებს ხშირად ანტ. მხედართმთავრების ამპლუაში წარმოადგენს. XVII–XVIII სს. ისეთი ოსტატების შემოქმედებითმა ძიებებმა, როგორებიც იყვნენ ნ. პუსენი (საფრანგეთი), დ. ველასკესი (ესპანეთი), პ. პ. რუბენსი (ფლანდრია), რემბრანდტი (ჰოლანდია) დიდწილად განსაზღვრა ი. ჟ-ის შემდგომი განვითარების ხაზი.

XVIII ს. 50-იანი წლებიდან, განმანათლებლობის ეპოქაში, უკვე საგრძნობლად იზრდება ი. ჟ-ის იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი დატვირთვა. აქ ძვ. და თანამედროვე გმირების საქციელი მაღალი საზ. მორალის ნიმუშად აღიქმება. თანდათანობით პოპულარული ხდება ისტ. პორტრეტის ჟანრი (ჟ. გუდონის ქანდაკებები, საფრანგეთი; ჯ. რეინოლდზის ფერწერა, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.). საფრ. ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდი (1789–94) კი სრულიად წარმოუდგენელია ჟაკ ლუი დავიდის შემოქმედების გარეშე. მხატვარი ჰეროიკულ-ამაღლებული განწყობით და რეალისტური ფორმათმეტყველებით ქმნის ეპოქის ვიზუალურ ანარეკლს („ფიცი ბურთის სათამაშო დარბაზში“, 1791; „მარატის სიკვდილი“, 1793). ამავე ეპოქას უკავშირდება ნაპოლეონისა და მისი არმიის თაყვანისცემის დანერგვა, რასაც არაერთი მხატვრის შემოქ-



ლ. გუდიაშვილი. „საკადრისი პასუხი“. 1945. კერძო კუთვნილება.

მედება ადასტურებს.

XVIII ს. პირველ ნახევარში რუსეთში ი. ჟ. სალონური ხელოვნების გაჩენის და ისტ. მეცნიერებათა განვითარების კვალდაკვალ იწყებს ჩამოყალიბებას (ფ. ზუბოვი, პეტრე I-ის ბრძოლებისა და დღესასწაულების აღმნიშვნელი გამოსახულებები, ბატალური სცენები, რ-თაც ი. ნიკიტინს მიაწერენ; რელიეფები სატრიუმფო სვეტისთვის, მიძღვნილი პეტრე I-ისა და ჩრდ-ის ომისადმი, შესრულებული ბ. რასტრელის მონაწილეობით).

ჩრდ. ამერიკაში, დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმართულმა ომმა (1775–83) აშშ-ის ხელოვნებაში ისტ. ჟანრის დემოკრატიზაცია მოახდინა. შეიქმნა ნამუშევრები, რ-ებიც გამორჩეული იყო ცხოვრებისეულ მოვლენათა დამაჯერებელი ასახვით (ჯ. ტრამბალი).

XIX ს-ში ი. ჟ-ში შექმნილი ნაწარმოებების უმეტესობას ტრაგიკულობის განცდა გასდევს მთავარ თემად. რომანტიზმის გავლენით აქ თავი იჩინა წარსულისა და თანამედროვეობის თანაბარი მნიშვნელობით განცდამ. გახშირდა მიმდინარე ისტ. მოვლენების ამსახველი ნაწარმოებებიც (ფ. გოია, თ. ჟერიკო, ე. დელაკრუა, ო. დომიე). ი. ჟ. სოც. უსამართლობასა და უკანონობას დაუპირისპირდა და თანამედროვე საზ. კონფლიქტების მძაფრი, ემოციური აღქმის დრამატულ-წინააღმდეგობრივი ხასიათი შეიძინა. მრავლად იყვნენ ის რომანტიკოსებიც, რ-ებიც საკუთარ ისტ. და ესთეტ. იდეალს შუა საუკუნეების წიაღში ხედავდნენ („ნაზარეველები“ – გერმანიაში, „პრერაფაელიტები“ – დიდ ბრიტანეთში). რაინდული ეპოქის სენტიმენტალურ სცენებს ქმნიდნენ დიუსელდორფის სკოლის (გერმანია) მხატვრები.

რომანტიზმის გავლენა და ევროპაში მიმდინარე აჯანყებების ტალღა ნაწილობრივ აისახა XIX ს. რუს. მხატვრობაში. ანტ. ცივილიზაციით დაინტერესება და სრული გარდაუვალობის წინაშე აღმოჩენილი ადამიანების განწირულობა იქცა კ. ბრიულოვის ცნობილი ნაწარმოების, „პომპეის უკანასკნელი დღე“ (1830–33) მთავარ თემად. რუს. ი. ჟ-ის ფორმირებაში გამორჩეული როლი ითამაშა ა. ივანოვმა, რ-ის რელიგიურ თემაზე შექმნილი კომპოზიციებისთვის ისტ. პროგრესისა და საზ-ბის ზნეობრივი აღორძინების პრობლემები იყო განმსაზღვრელი.

XIX ს. II ნახევარში ი. ჟ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ასევე პოლონეთში (ი. მატეიკო), ჩეხეთში (მ. აშელი, ი. ჩერმაკი), რუმინეთში (თ. ამანი), უნგრეთში (მ. მუნკაჩი). აქ რომანტიზმის ეპოქისეული ტრადიციები რეალისტურ ძიებებს ერწყმის და მძაფრი, მკაფიოდ სახასიათო ვიზუალური ელემენტებით მდიდრდება.

XIX ს. ბოლოს ი. ჟ-ში რეალური ისტ. სახეების ამაღლებული, სიმბოლურ-განზოგადებული ინტერპრეტაციებისადმი შემობრუნება გამოიკვეთა (ო. როდენი, „კალეს მოქალაქეები“). ამავე პერიოდს უკავშირდება რუსეთში „პერედვიჟნიკების“ მოღვაწეობა,

ასევე ი. რეპინის, ვ. სურიკოვის, ვ. ვერეშჩაგინისა და ვ. ვასნეცოვის ნამუშევრები – გამორჩეული ეპიკურობის განცდით, ბილინებისეული განწყობით და მძაფრი ემოციურობით.

XX ს. დასაწყისის ქანდაკებაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ისტ. პორტრეტის ჟანრი (საფრანგეთში – ო. როდენი, ხორვატიაში – ი. მეშტროვიჩი, ჩეხეთში – ი. მისლბეკი, ლ. შალოუნი, პოლონეთში – კ. დუნიკოვსკი და ა.შ.). სიმბოლიზმისა და მოდერნის სტილისათვის კი დამახასიათებელი ხდება დროისმიღმიერი მეტაფორულობა და ისტ. გამოსახულებების დეკორ. სტილიზაცია (პ. პიუვი დე შავანი – საფრანგეთში, ფ. ჰოდლერი – შვეიცარიაში და ა.შ.).

ქართულ ხელოვნებაში 0. ჟ-ის ჩანასახები ჯერ კიდევ შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაში გვხვდება მეფეების, მაღალი არისტოკრატიისა თუ ქტიტორ-დამკვეთთა გამოსახულებების სახით. ეს კომპოზიციები, ისტ. პორტრეტული მახასიათებლების გარდა, ყოფითი ისტორიზმის ელემენტებსაც მოიცავს; იგულისხმება ჩაცმულობა თუ ცალკეული ატრიბუტიკა (ვარძიის XII ს., ყინწვისის XIII ს., ბეთანიისა XII ს. და დავითგარეჯის VI–XVIII სს. ფრესკები). უფრო მოგვიანებით, XIV–XV სს-ში, ქართ. მინიატიურულ მხატვრობაში თავი იჩინა სამეფო კარის ყოფის, ბრძოლებისა და ლაშქრობების ამსახველმა კომპოზიციებმა. საინტერესოა ლაშთხვერის ეკლესიის (XIV ს.) ფასადზე აღბეჭდილი ამირანისა და ბაყბაყდევის შერკინების ამსახველი ბატალური სცენა, რაც მდიდარ მასალას იძლევა იმდროინდელი ქართ. სინამდვილის შესახებ.

XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. საქართველოში ისტ. პორტრეტის ჟანრი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს (ე.წ. „თბილისური პორტრეტი“). მეფე და მისი ოჯახის წევრები, ქართვ. დიდგვაროვნები თუ სას. პირები, მათ ირგვლივ არსებული მიკროსამყარო და უამრავი მცირედი დეტალი – ამ ნამუშევრებზე ასახული მთავარი ობიექტებია („გიორგი XII“, „თეიმურაზ II“, „ფარნაოზ ბატონიშვილი“, „მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი“ და სხვ.).

ქართველი პროფესიონალი მხატვრების პირველი თაობიდან 0. ჟ-ის როლი არსებითია გ. გაბაშვილის შემოქმედებაში. მასთან მრავლადაა სახ.-რელიგ. დღესასწაულებისა („ალავერდობა“, 1899) თუ ხევსურების ყოფის ამსახველი სცენები, მ. შ. ბატალურიც. საქართვ. ისტ. ცალკეული ეპიზოდები აქვს წარმოდგენილი თავის ნამუშევრებში ნიკო ფიროსმანაშვილს („გიორგი სააკაძე“, 1906, „რუსეთ-იაპონიის ომი“, 1906, „შამილთან ბრძოლა“, 1908 და ა.შ.). ისტ. სიუჟეტის ზოგადი მახასიათებლები იკვეთება ასევე ა. ბერიძის, რ. გველესიანის, ა. მრევლიშვილის და დ. გურამიშვილის სხვადასხვა დროის ნაწარმოებებში. ამ ჟანრის შემდგომი განვითარება საქართველოში უკვე XX ს. 20–40-იან წლებს უკავშირდება. მართალია, საკუთრივ ქართ. 0. ჟ-ის ფუძემდებლად ვ. სიდამონ-ერისთავი მიიჩნევა, თუმცა ამ თემაზე შესრულებული ნამუშევრები გვხვდება მოდერნისტების თაობის ისეთი წარმომადგენლების შემოქმედებაშიც, როგორებიც არიან ლ. გუდიაშვილი („საკადრისი პასუხი“, 1945), დ. კაკაბაძე („სვანეთი“, 1939). ისტ. პეიზაჟის ჟანრში მნიშვნელოვანია ა. ციმაკურიძისა და ე. ახვლედიანის ნამუშევრები. 0. ჟ-ის მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად იცვლება საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, როდესაც სახვითი ხელოვნება, ხელოვნების სხვა არაერთი დარგის მსგავსად, ძლიერი, სახელმწიფოებრივი, პროპაგანდისტული მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. აქ 0. ჟ. განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. მისთვის დამახასიათებელია გამოსახულების ზედმიწევნითი კონკრეტულობა და ხალხის, როგორც ისტორიის შემოქმედის, როლის გააქტიურება. საბჭ. ხელოვნებაში ჩამოყალიბდა და განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ისტ.-რევოლუციურმა თემატიკამ. XX ს. 40–60-იან წლებში 0. ჟ. ტოტალიტარული რეჟიმის ხელში ქმედითი საშუალება გახდა – წარსულის თემატიკამ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმისმიერი ხორცშესხმის დატვირთვა შეიძინა და ხშირად ფსევდოეროვნული ხასიათისა იყო. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ უ. ჯაფარიძე, ს. ქობულაძე, ს. მაისაშვილი, ა. ქუთათელაძე, ა. ვეფხვაძე, კ. მახარაძე, მ. ბერძენიშვილი, ე. ამაშუკელი, დ. გაბაშვილი, გ. ოჩიაური და სხვები.

XX ს. 70–80-იანი წლებიდან ქართ. რეალობაში 0. ჟ-ის მიმართ დამოკიდებულება საგრძნობლად იცვლება და ის იგავმეტყველების სახეს იძენს, რ-იც ეროვნ. ცნობიერების გაძლიერება-გააქტიურებას ისახავს მიზნად (ა. ბანძელაძე, დ. ხახუტაშვილი, გ. ბუღაძე, ლ. ჭოლოშვილი).

მოგვიანებით, ისტ. ჟანრისადმი ინტერესი ქართულ სახვით ხელოვნებაში ოდნავ კლებულობს, თუმცა XX ს. მიწურულს სამოღვაწეო ასპარეზზე ჩნდება მხატვარი გ. გეგეჭკორი, რ-იც ქართველ მეფეთა გალერეას ქმნის. 1995 წლიდან მხატვარი იწყებს მუშაობას ამ თემაზე და დაახლოებით 40-მდე ნამუშევარს ქმნის. ფორმათქმნის გამორჩეულად რეალისტური მანერა, დამჯდარი, ინტენსიური ფერადოვნება და დიდი, მოცულობითი სასურათე სიბრტყე, ასეთია ამ სერიის ნამუშევრების უმეტესობა. ქართველი მეფეები, რ-თაგან თითოეული საკუთარი ეპოქის ნიშანსვეტად ქცეულა, ხატვის ამ ზედმიწევნითი „ნამდვილობის“ წყალობით ისტ. სიშორის დაძლევის უჩვეულო კონკრეტიკით შემოვიდა თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში. ასეთია გ. გეგეჭკორის მიერ შექმნილი ყველა ქართველი მეფის პორტრეტი, განურჩევლად იმისა, მოგვეპოვება თუ არა რაიმე ისტ. ცნობები მათი გარეგნული იერის შესახებ.

თ. ბელაშვილი.

ისტორიული საბუთი, წერილობითი ისტორიული წყარო. 0. ს-ები ქმნის დოკუმენტური წყაროების განსაზღვრულ ტიპს და სოც. ფუნქციის (დანიშნულების) მიხედვით იყოფა ორ ძირითად სახეობად – იურიდიულ აქტებად და კერძო (არაიურიდიული) ხასიათის საბუთებად, რ-ებიც შედგენილია თანამედროვის მიერ და ახასიათებს ხანგრძლივი ტრადიციით ჩამოყალიბებული სტრუქტურა, გაფორმების წესები და სპეციფ. ენობრივი სისტემა.

იურიდიული აქტი ეწოდება ისეთ საბუთს, რ-იც სუბიექტებს შორის ურთიერთობის ამა თუ იმ მხარეს სამართლებრივად აწესრიგებს. იურიდ. აქტი სოც. ფუნქციის დაკარგვის შემდეგ იქცევა 0. ს-ად.

იურიდ. აქტები, სამართლებრივი რეგულაციის საგნის მიხედვით, რამდენიმე ქვესახეობად იყოფა. ესენია: წყალობის, შეწირულობის, შეუვალობის, სასისხლო (ვერგელდის), ანდერძის, ნასყიდობის, გაცვლილობის, გირავნობის, ვალის, გაყრილობის, შეყრი-

ლობის, პირობისა და ა. შ. საბუთები, აგრეთვე სულთა მოსახსენებლები, აღაპები და სხვ., რ-ებსაც სწავლობს სპეციალური ისტ. დისციპლინა – *დიპლომატიკა*.

შუა საუკუნეების საქართველოში იურიდ. აქტის აღსანიშნავად მრავალი ქართული და უცხოური წარმომავლობის ტერმინი გამოიყენებოდა. მ. შ., უძველესია „ჴელი“ (ქვაზე ამოკვეთილი) და „დაწერილი“ (ეტრატზე ან ქაღალდზე შესრულებული). ეს უკანასკნელი გაბატონებულია X ს. 70-იან წლებამდე. ამ დროიდან შემოდის „სიგელი“ (ბერძნული), მეფის მიერ გაცემული აქტის აღსანიშნავად, მაგრამ XI ს. ბოლომდე „დაწერილი“ ეწოდება ყველა აქტს, განურჩევლად გამცემის ვინაობისა. XII–XIV სს-ში „სიგელი“ მხოლოდ მეფის მიერ გაცემულ აქტს მიემართება, „დაწერილი“ – ყველა დანარჩენს. XV ს-იდან „სიგელის“ მნიშვნელობა გაფართოვდა და ყოველგვარი იურიდ. აქტის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, „დაწერილი“ კი იმავე საუკუნის ბოლოდან აღარ იხმარებოდა. XV ს-იდან მკვიდრდება ტერმინი „წიგნი“, რ-იც „სიგელთან“ ერთად იურიდ. აქტების ზოგად სახელწოდებად იქცა. ყველაზე გავრცელებული „დაწერილის“, „სიგელისა“ და „წიგნის“ გვერდით იურიდ. აქტების აღსანიშნავად სხვადასხვა დროს შემოვიდა: „ბრძანება“ (XI ს-იდან), „ჩაქი“, „ბარათი“ (თურქ.), „ანდერძი“ (XII ს-იდან), „ნიშანი“ (სპარს.), „პიტაკი“ (ბერძნ.), „პროარტაგი“ (სომხ.), „იადგარი“ (სპარს., XIV ს-იდან), „გუჯარი“ (არაბ.), „ქარტა“ (ბერძნ., XVI ს-იდან), „რაყამი“ (არაბ.), „თამასუქი“ (არაბ.), „განაჩენი“, „განწესება“ (XVI ს-იდან), „საბუთი“ (არაბ., XVIII ს-იდან) და სხვ.



ი. ისფაჰანლი.

არაიურიდიული კერძო ხასიათის საბუთებს განეკუთვნება ანგარიშები, კერძო ნუსხები, დღიურები, ეპისტოლეები, სტატისტიკური მასალები და სხვ.

შემორჩენილი ქართული Ი. ს-ის საერთო რაოდენობა 65 000 აჭარბებს. მათი ძირითადი ნაწილი დაცულია კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა (35 000-ზე მეტი) და საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივში (30 000-მდე), შედარებით მცირე რაოდენობით – რეგიონულ მუზეუმებში, აგრეთვე, საზღვარგარეთის (მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის და სხვ.) სიძველეთსაცავებში.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში („ჴელი“, „დაწერილი“), მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; სურგულაძე მ., ქართული საისტორიო აქტები, თბ., 2005; ჯავახიშვილი ივ., ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თხზ. 12 ტომად, ტ. 9, თბ., 1996. *გ. არახამია.*

ისტორიული ფჭარო, *იხ. წყაროთმცოდნეობა.*

ისულა, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ტეხურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 12 *მ*, სენაკიდან 4 *კმ*. 528 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

ისუნდერი, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის ზუბის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 740 *მ*, ცაგერიდან 17 *კმ*. 94 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. შემორჩენილია ციხესიმაგრე, რ-იც, სავარაუდოდ, ადრინდ. ფეოდ. ხანაშია აგებული.

ისფაჰანლი იბრაჰიმ ჰუსეინ-ოღლუ (ნამდვ. გვარი – ჰუსეინზადე) (10. III. 1887, თბილისი, – 13. X. 1967, იქვე), აზერბაიჯანელი მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1932). Ი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილ. სახელმწ. აზერბაიჯანულ თეატრს. იყო მისი სამხატვრო ხელმძღვანელი (1934–37). Ი. ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო. შექმნილი აქვს როგორც ტრაგიკული, ასევე კომედიური მხატვრული სახეები. წარმატებული აღმოჩნდა მის მიერ შესრულებული როლები: ჰამლეტი, იაგო (უ. შექსპირის „ჰამლეტი“, „ოტელო“), ხლესტაკოვი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), ანზორი (ს. შანშიაშვილის „ანზორი“) და სხვ. Ი-ს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა ქართვ. კოლეგებთან: ა. ხორავასთან, ს. შანშიაშვილთან, შ. დადიანთან და სხვებთან. მონაწილეობდა ქართვ. ავტორების პიესების სცენურ განხორციელებაში (ა. წერეთლის „კინტო“, ს. შანშიაშვილის „ანზორი“ და სხვ.). Ი-ს მოღვაწეობა განამტკიცებდა ორ ქვეყანას შორის არსებულ კულტ. კავშირებს.

ლიტ.: შურადინ მამედლი, საქართველოს სახალხო არტისტი იბრაჰიმ ისფაჰანლი, თბ., 1997.

ისძანდერ მუნში, ისქენდერბეგ თორქმანი (1560/61–1634), ირანელი ისტორიკოსი, წარმოშობით აზერბ. თორქმანის ტომიდან. მსახურობდა შაჰ-მუჰამად ხუდაბანდასთან ცხენოსანი ღოლამების კორპუსში. 1592/93 „უმაღლესი დივანის“ – „დიდი მდივნების“ რიგებში ჩარიცხეს. მონაწილეობდა შაჰ-აბას I-ის ლაშქრობებსა და მოგზაურობებში. მას ეკუთვნის თხზ. „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“ („თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი“ წგ. 1–2, თეირანი, 1956–57). თხზულება მნიშვნელოვანი პირველწყაროა XVI ს. და XVII ს. I მესამედის საქართვ. ისტორიისათვის: შაჰ-თამაზ I-ის შემოსევები; ქართლის ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ სიმონ I-ის დროს; „ყიზილბაშობის“ შემოღების მცდელობა XVI ს. 60-იან წლებში დაუდ-ხანის მმართველობის დროს; ირან-ოსმალეთის 1555, 1613 ზავები და საქართველოს საკითხი; შაჰ-აბას I-ის მიერ ერევნის ციხის აღება და ქართლ-კახეთის მეფეების მონაწილეობა ამ სამხ. ოპერაციაში, კონსტანტინე კახთბატონის ვერაგობა; შაჰ-აბას I-ის მიერ ლუარსაბისა და თეიმურაზის დანიშვნა ქართლისა და კახეთის მეფეებად (Ი. მ. ლუარსაბის შესახებ შენიშნავდა, რომ საქართვ. მეფეთა შორის იგი გამოირჩეოდა თავისი მამაცობითა და გულადობით და არასოდეს თავს არ დებდა მორჩილებისა და მოხარკეობის უღელში); შაჰ-აბას I-ის შემოსევები საქართველოში; ელების ჩასახლება კახეთში; 1615 აჯანყება კახეთსა და შირვანში; ბაგრატ-ხანის და სიმონ-ხანის დანიშვნა ქართლში; გიორგი სააკაძის ეპოპეა; მარტყოფის აჯანყება; მარაბდისა და ბაზალეთის ბრძოლები და სხვა.

Ი. მ. იძლევა 1606 თბილისის აღწერას; მას აქვს ცნობები ირანში პოლიტ. და სამხ. ასპარეზზე მოღვაწე ქართველების შესახებ: ბიგვერდი-ბეგ სულთანი, ხოჯასთე-ბეგი, ალავერდი-ხანი, იმამყული-ხანი, დაუდ-ხანი, გიორგი სააკაძე, ხოსრო-მირზა, სეფიყული-ხან გურჯი, ჯემშიდ სულთანი გურჯი და სხვ.; ქართველების მონაწილეობა ირანის სამეფო ტახტის პრეტენდენტთა შორის გამართულ ბრძოლაში შაჰ-თამაზ I-ის გარდაცვალების შემდეგ (ზაალ-გურჯი, ალხან-გურჯი). Ი. მ-ს აქვს ცნობები ირანში ქართველების კულტ. (სიაოშ-ბეგ გურჯი და სხვ.) და დიპლ. (ქართვ. ქალი *გულჩარა*)

სარბიელზე მოღვაწეობის შესახებაც. ამ თხზულებით სარგებლობდა XVII ს. ქართვ. ისტორიკოსი ფ. *გორგიჯანიძე*. 1629 ი. მ-მ სეფი I-ის დავალებით დაიწყო თავისი თხზულების წერა ,,აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება'' (,,ზეილე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი''). ამ თხზულებაშიც საყურადღებო ცნობებია საქართველოსა და ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ (გ. სააკაძის ცხოვრების ბოლო პერიოდი, მისი დაღუპვა ოსმალეთში, სიმონ-ხანისა და ზურაბ არაგვის ერისთავის ურთიერთობა, მტრობა თეიმურაზ I-სა და ზურაბს შორის, აჯანყება სეფიანთა წინააღმდეგ, ხოსრო-მირზას დანიშვნა ქართლის ვალად, იმამყული-ხანის ოჯახის ამოწყვეტა).

თხზ.: ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლიოთურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969; აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართ. თარგმანები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში (აღმოსავლურთან შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგ. 1 – ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945.

დ. კაციტაძე.

,,ისქანდერნამე'' (,,ალექსანდრე მაკედონელის წიგნი''), ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ფსევდოკალისთენეს რომანის აღმოსავლური რედაქციები. ფალაური, სირიული და არაბ. ქრონიკები საფუძვლად დაედო ახ. სპარსულ ენაზე შექმნილ მრავალრიცხოვან ვერსიებს (ბალამი, ფირდოუსი, ხალხური რომანები). პირველი ვრცელი პოემა ,,ი.'' ეკუთვნის ნიზამი განჯევის (XII ს.), რ-საც, წერილობითი წყაროების გარდა, გამოუყენებია სამხრ. კავკასიაში გავრცელებული ზეპირი გადმოცემებიც. პოემაში ნახსენებია აფხაზთა (ქართველთა) სამეფოც. შემდეგ შექმნილ ვერსიათაგან აღსანიშნავია ხოსროვ დეჰლევის (XIII ს.), ჯამის (XV ს.) და ნავოის (XV ს.) პოემები. ქართულად ჯერ კიდევ XI ს-მდე უნდა არსებულიყო უშუალოდ ბერძნულიდან გადმოღებული ვერსია (,,ალექსანდრეს რომანი''). XVIII ს-ში შექმნილი ქართ. ,,ალექსანდრიანის'' პროზაული (არჩილის) და პოეტური (ჩხტარაისძის) ვერსიები სერბიულ-რუსულ წყაროებს უკავშირდება.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; Бертельс Е. Э., Роман об Александре и его главные версии на Востоке, М. – Л., 1948. *ა. გვახარია.*

იტავაზა, ირტავაზა, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის არგვეთის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. იზვარის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 640 *მ*, საჩხერიდან 10 *კმ*. 533 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

იტალია (Italia), იტალიის რესპუბლიკა (La Republica Italiana), სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, აპენინის ნახევარკუნძულზე, ხმელთაშუა ზღვის აუზის ცენტრალურ ნაწილში. ი-ს დას-ით აკრავს ლიგურიისა და ტირენის ზღვები, სამხრ-ით – იონიის, აღმ-ით – ადრიატიკის, დას-ით ესაზღვრება საფრანგეთი, ჩრდ.-აღმ-ით – სლოვენია, ჩრდ-ით – ავსტრია და შვეიცარია. ქორონიმი „იტალია'' მომდინარეობს აპენინის ნახევარკუნძულზე ძვ. წ. II ათასწლეულიდან დასახლებული იტალიკური ტომების (ლათინების, საბინების, სამნიტების, ვოლსკების, უმბრიელების, საბელების და სხვ.) სახელწოდებიდან. ფართ. – 301,2 ათ.*კმ*², მოსახლ. – 61 მლნ. კაცი. (2017). დედაქალაქი – რომი, სახელმწ. ენა – იტალიური, ოფიც. კალენდარი – გრიგორიანული. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორპალატიან პარლამენტს, მოქმედებს 1947 კონსტიტუცია, სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რ-საც ირჩევს პარლამენტი 7 წლის ვადით. ფულის ერთეულია ევრო.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ი-ში შეიჭრნენ გერმ. ტომები, რ-თა დომინაციის ეპოქაა V–VIII სს. პირველ ეტაპზე ყველაზე ძლიერი და გავლენიანი იყო ლანგობარდების სამეფო, შემდგომში ქვეყნის ტერიტორია მოექცა ფრანკთა იმპერიის შემადგენლობაში. 781 ფრანკთა იმპერიის ფარგლებში ჩამოყალიბდა ი-ის სამეფო, რ-ის მეფე გახდა კარლოს დიდის ვაჟიშვილი პიპინი. 843 ვერდენის ხელშეკრულებამ ი. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აქცია, მაგრამ ქვეყნის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ტენდენცია იყო პოლიტ. დაქუცმაცებულობა და ერთიანი იტალიური სახელმწიფოს არარსებობა. პოლიტ. დაქუცმაცებულობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო 962-იდან „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის'' არსებობა, რ-ის შემადგენლობაშიც შედიოდა ჩრდ. და ცენტრ. ი-ის ტერიტორიები. ტერიტ. და პოლიტ. დაქუცმაცებულობას და გამუდმებულ ფეოდ. შინაომებს თან ერთვოდა უცხოელთა პერმანენტული ბატონობა. ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა დროს ოკუპირებული იყო ესპანეთის (1559-იდან), ავსტრიის (1701-იდან) და საფრანგეთის (1814-მდე) მიერ. ი-ის ისტ. განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1720 სარდინიის (პიემონტის) სამეფოს შექმნა (სათავეში – სავოიის ეროვნ. დინასტია). სწორედ სარდინიის სამეფო ჩაუდგა სათავეში XVIII ს. დასასრულს დაწყებულ რისორჯიმენტოს – უცხოელ დამპყრობლე-



იტალია. რომი. პიაცა დელ პოპოლო.

ბისაგან ქვეყნის ეროვნ. განთავისუფლებისა და ერთიანი იტალიური სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესს. რისორჯიმენტო წარმატებით დაგვირგვინდა 1870, როდესაც სავოიის დინასტიის ხელისუფლების ქვეშ (მეფე – ვიქტორ-ემანუელ II) მთელი ი. გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ი-ის ერთიანი კონსტიტუციური მონარქია, რ-იც 1946 რესპუბლიკური წყობით შეიცვალა.

საქართველოსა და ი-ის მრავალმხრივი ურთიერთობა საუკუნეების მიღმა იღებს სათავეს და რომის სახელმწიფოს ეპოქიდან დაწყებული თანამედროვეობის ჩათვლით მეტ-ნაკლები ინტენსიურობით გამოირჩევა. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქასა და გვიანდელ შუა საუკუნეებში ამ ურთიერთობებმა არსებითად განსაზღვრეს კიდეც ერთიანი ქართ. მონარქიისა და ქართ. სამეფო-სამთავროების ევროპული ორიენტაცია.

შუა საუკუნეებში საქართველოს ურთიერთობა იტალიურ სამყაროსთან, ძირითადად, ვითარდებოდა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან და ვატიკანის მისიებთან კონტაქტების ხაზით (იხ. *კათოლიკობა საქართველოში*).

XIII–XV სს-ში ვენეციისა და გენუის ქალაქ-სახელმწიფოები მრავალრიცხოვანი ფლოტის წყალობით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის ეკონ. ცხოვრებაში. აღნიშნულ ეპოქას შავიზღვისპირეთში „იტალიური კოლონიზაციის“ ხანასაც უწოდებენ, რადგანაც აქ ი-ის ქალაქ-სახელმწიფოების სავაჭრო ფაქტორიები (უცხოელი ვაჭრების ახალშენი) არსებობდა. XIII ს. 60-იანი წლებიდან საქართველოს შავიზღვისპირეთში გენუელები გამოჩნდნენ. საისტ. წყაროების მიხედვით, ისინი ცხოვრობდნენ ბათუმში, ფოთსა და ცხუმში. აღნიშნული ქალაქებიდან მათ თავიანთი სავაჭრო ფაქტორია მხოლოდ ცხუმში ჰქონდათ – ე. წ. „სებასტოპოლისის ფაქტორია“, რ-იც საქართველოს ხელისუფლების (*დავით VIII*) ნებართვით 1354 დააარსეს. გენუელთა ფაქტორიამ ცხუმში 1474-მდე, ანუ ოსმალთა მიერ ყირიმის დაპყრობამდე, იარსება. მას სათავეში კონსული ედგა, რ-იც სათანადო უფლებამოსილებას და რწმუნების სიგელს გენუის სენიორიის უხუცესთა საბჭოსაგან იღებდა. ქართველი ხელოსნებისა და ვაჭრებისაგან შემდგარი პატარა კოლონია ფუნქციონირებდა ყირიმში არსებული გენუის ფაქტორიის – კაფას საქალაქო ციტადელში. ყოველწლიურად სებასტოპოლისის ფაქტორია საქართვ. ხელისუფლებას სავაჭრო ბრუნვის 2%-ის სახით 42 *კგ* ვერცხლს უხდიდა, რაც იმ დროისათვის 15 *კგ* ოქროს უდრიდა და მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენდა. ცნობილია ისიც, რომ საქართველოდან გატანილ აბრეშუმის ნედლეულს ამუშავებდნენ ი-ის ქ. ლუკაში – მეაბრეშუმეობის მაშინდელ მსოფლიო ცენტრში.

XVIII–XIX სს-ში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა საქართველოსა და ი-ის საზ.-კულტ. ურთიერთობებში. XVIII ს. II ნახ-ში, რისორჯიმენტოს იდეურ-მსოფლმხედველობრივი მომზადების პერიოდში, ჩნდება ქართული თემატიკა იტალიურ ლიტ-რაში. ეს დაკავშირებულია ახალი იტალიური დრამატურგიის ფუძემდებლების – კარლო გოლდონისა (პიესა „მშვენიერი ქართველი ქალი“) და კარლო გოცის (პიესა „გველქალა“) სახელებთან. საქართველოში ჩამოდიოდნენ და აქ მოღვაწეობდნენ იტალიური კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. XIX ს. 40-იან წლებში თბილისის გიმნაზიაში ხატვის მასწავლებლად მუშაობდა იტალიელი მხატვარი და მოქანდაკე ჯ. კორადინი. სწორედ მან შექმნა გ. ერისთავის „გაყრის“ ხელნაწერის ფერადი ილუსტრაციები ამ პიესის პირველი წარმოდგენის მონაწილეთა სურათებით. 1851 თბილისში დაარსდა იტალიური ოპერა, რითაც საქართველო იტალიური მუსიკალური კულტურის პოპულარიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. 1853 იტალიურ ოპერაში ბალეტიც დაიდგა. 1874–76 საქართველოში იმყოფებოდა ცნობილი იტალიელი მხატვარი ლ. პრემაცი. მან დახატა ქართ. კულტურის მრავალი ძეგლი – გელათის მონასტერი, ვარძიის ძვ. მონასტერი და სამრეკლო, ზარზმა, ასევე თბილისის ქუჩები და უბნები.

ქართულ-იტალიური ლიტ. ურთიერთობების სფეროში თვალსაჩინო ადგილი უკავია იტალიური მწერლობის კლასიკური ნიმუშების თარგმნას ქართულ ენაზე. XIX ს. 70–90-იან წლებში ითარგმნა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა დანტე ალიგიერის, ფ. პეტრარკას, ჯ. ბოკაჩოს, ვ. ბელინის, ლ. მერკანტინის, ვ. ალფიერის, პ. ჯაკომეტისა და სხვათა ქმნილებები. ეს თარგმანები ახალი სახეებით ამდიდრებდა ჩვენს ეროვნულ ლიტ-რას და ესთეტიკურ აზროვნებას. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იმხანად ფართოდ გავრცელებული „ვეფხისტყაოსნისა“ და „ღვთაებრივი კომედიის“ ეთიკურ-ესთეტიკური კონცეფციებისა და კოსმოგონიური სისტემების შედარების მეთოდი.

იტალიური რისორჯიმენტო მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრისა და, ზოგადად, ეროვნული ცნობიერების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა. ი. ჭავჭავაძე, გ. წე-



იტალია. რომი. ვენეციის მოედანი.

რეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და ქართული განმანათლებლური აზროვნების სხვა კორიფეები უაღრესი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს იტალიელი ერის განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი მოძრაობის პერიპეტიებს, რისორჯიმენტოს პროცესში ეროვნ.-პოლიტ. და სოციალური მომენტების ურთიერთმიმართების, ასევე ლიბერალური და პროგრესულ-დემოკრატიული ნაკადების თანაფარდობის თემატიკას. ქართველი მოღვაწეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ „ივერიაში“, „დროებაში“, „ცისკარში“, „ნაკადულში“, „ჯეჯილში“ რისორჯიმენტოს ბელადების – ჯ. მაძინის, ჯ. გარიბალდის, კ. კავურის, ვიქტორ-ემანუელ II-ის, ჩ. ბალბოსა და სხვ. ბიოგრაფიების აღწერას. „რისორჯიმენტოს ტიტანების“ ცხოვრებისა და ბრძოლის ასახვით ისინი გამოხატავდნენ არა მხოლოდ თავიანთ სიყვარულსა და სიმპათიებს ი-ის ეროვნული გმირებისადმი, არამედ საკუთარ პოლიტ. ინტერესებსაც აფიქსირებდნენ რუსეთის იმპერიული ძალმომრეობის მიმართ, ასე ვთქვათ, „იტალიური საბურველის“ ქვეშ.

რუსეთის ცარისტული იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წ. 26 მაისი) შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო. I მსოფლიო ომის შემდგომ მიმდინარე პარიზის საზავო კონფერენციაზე, 1919 მარტში, „იტალიური საკითხის“ განხილვის ფარგლებში, დაისვა საქართველოზე იტალიური მანდატის დაწესებისა და აქ ი-ის შეიარაღებული ძალების განლაგების საკითხი. პროექტი ი-ის მხარეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დ. ლოიდ ჯორჯმა შესთავაზა ჯერ კიდევ 1915 წ. 26 აპრილის ლონდონის საიდუმლო შეთანხმებით ი-ისათვის გათვალისწინებულ ადრიატიკულ და ეგეოსურ ტერიტორიებზე უარის თქმის საკომპენსაციოდ.

ი-ის მეფეს, ვიქტორ-ემანუელ III-სა და პარიზის კონფერენციაზე ი-ის დელეგაციის მეთაურს, პრემიერ-მინისტრ ვ. ორლანდოს შორის 1919 წ. 16–24 მარტს გამართული საიდუმლო მიმოწერა ნათელს ჰფენს საქართველოთი ი-ის დაინტერესების ასპექტებს, რ-ებიც მოიცავდა სამხ.-სტრატ., საკომუნიკაციო და ეკონომიკურ-სანედლეულო სფეროებს. რომის პოლიტ. ელიტა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა მცირე აზია-კავკასიის სტრატეგიულ ხაზს, ჭიათურის მანგანუმს, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს, ასევე საქართველოს საკომუნიკაციო როლს ი-ის ახლო აღმოსავლეთთან ვაჭრობაში.

1919 წ. 22 მარტს ი-ის მთავრობამ მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება საქართველოში შეიარაღებული შენაერთების გაგზავნის შესახებ. გადაწყვეტილება ითვალისწინებდა თბილისში სამხ. მისიის მივლინებას, სამხ. ნაწილების მომზადებას საქართველოში დისლოცირებისათვის და ინგლისის უმაღლეს სარდლობასთან სამხ.-ტექ. ხასიათის კონსულტაციების გამართვას.

24 მარტს პარიზში ერთმანეთს შეხვდნენ ი-ისა და დიდი ბრიტანეთის არმიების გენ. შტაბების უფროსები – ა. დიაცი და ჰ. ვილსონი. კონფიდენციალურ შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და აზერბაიჯანში ინგლისის ჯარების იტალიური შენაერთებით შეცვლის პროცედურული საკითხები. განისაზღვრა იტალიური ჯარების დისლოკაციის წერტილები და ზონები, ასევე სამხ.-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები.

1919 წ. 8 აპრილს დ. ლოიდ ჯორჯმა და ვ. ორლანდომ ხელი მოაწერეს ინგლის-იტალიის შესაბამის პოლიტიკურ შეთანხმებას, ხოლო 26 აპრილს პარიზის კონფერენციის „ოთხთა საბჭომ“ დაამტკიცა ე. წ. „მინიმალური სქემა“, რ-ის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა საქართველოსა და აზერბაიჯანზე იტალიური მანდატის დაწესებას. ამასთან, საქმე ეხებოდა არა კოლონიურ მანდატს, არამედ პოლიტ. სამანდატო პროტექტორატს ერთა ლიგის ზოგადი სამეურვეო-სამანდატო სისტემის ფარგლებში. ეს გარემოება კარ-



იტალია. ფლორენციის ხედი.

გად ესმოდათ საქართველოს მთავრობასაც და პარიზის კონფერენციაზე აკრედიტებულ საქართველოს დელეგაციასაც. ამიტომაც იყო, რომ დელეგაციის მთავარი მრჩეველი ზ. *ავალიშვილი* იტალიურ მანდატს „თეთრ მანდატს'' უწოდებდა, „შავი მანდატის'', ანუ კოლონიურის საპირისპიროდ.

1919 წ. 9 მაისიდან 4 ივნისამდე საქართველოში იმყოფებოდა Ო-ის სამხ.-პოლიტ. მისია გენ. შტაბის პოლკოვნიკის, მელკიადე გაბას მეთაურობით. მისია პერსონალურად შედგებოდა სხვადასხვა პროფესიის 90 წევრისაგან, რ-ებმაც შეხვედრები გამართეს ნ. *ჟორდანიასთან,* ე. *გეგეჭკორთან,* დამფუძნებელი კრების წევრებთან, საქართველოს სამხ. ელიტის წარმომადგენლებთან. პოლკოვნიკ გაბასა და საქართველოს სამხ. მინისტრის მოადგილეს, გენ. ა. გედევანიშვილს შორის გამართულ შეხვედრაზე შემუშავდა იტალიური სამხ. ძალების დისლოკაციის ოპერატიული ზონების სქემა. ესენი იყო – თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი, სამტრედია, ლაგოდეხი, ახალციხე, ცალკეული სასაზღვრო მონაკვეთები, ასევე გაგრის ზონაში გენ. ა. დენიკინის ჯარებსა და ქართულ ჯარებს შორის არსებული სადემარკაციო ტერიტ. მდ. ბზიფსა და მდ. მეხადირს შორის.

ივნისის დამდეგს პოლკ. გაბა რომში დაბრუნდა და Ო-ის მთავრობას წარუდგინა საქართველოში განლაგებისათვის გამიზნული სამხ. შენაერთების რაოდენობისა და შიდასაარმიო სტრუქტურის გეგმა. ამ გეგმის საფუძველზე ვ. ორლანდომ დაამტკიცა Ო-ის საექსპედიციო კორპუსი – მე-12 საარმიო კორპუსი (ორი ქვეითი დივიზია და ალპურ მსროლელთა პოლკი) გენ. ჯ. პენელას სარდლობით. ივნისის შუა რიცხვებში კორპუსის ძირითადი ნაწილი უკვე გადასხმული იყო სამხ.-სატრანსპორტო ხომალდებში და საპორტო ქ. ტორონტოდან გასვლის ბრძანებას ელოდებოდა. ამავდროულად თბილისში ჩამოვიდა სავოიის პრინცი ედმონდი, რ-იც უნდა დანიშნულიყო საქართველოში Ო-ის უმაღლეს კომისრად. მაგრამ 1919 წ. 23 ივნისს Ო-ის პარლამენტმა უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა ვ. ორლანდოს მთავრობას, რ-ის გადადგომის შემდეგ ახალი კაბინეტი ჩამოაყალიბა ფ. ნიტიმ. მან იმთავითვე გააუქმა საქართველოში ჯარების გაგზავნის გადაწყვეტილება, ხოლო 27 ივნისს უარი თქვა მანდატის მიღებაზე.

ფ. ნიტის მთავრობის ახალი „ქართული პოლიტიკის'' მთავარი მიზეზი იყო „რუსეთის ფაქტორი''. ამასთან, Ო-ის მთავრობამ ანგარიში გაუწია არა მარტო მოსკოვის ბოლშევიკური რეჟიმის შესაძლო რეაქციას, არამედ თეთრგვარდიული მოძრაობისა და ძირითადი ანტიბოლშევიკური ცენტრების „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის'' იდეას. Ო-ის სამხ. აქტივობის მიმართ მათი უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულება აშკარად გაცხადდა ადმირალ ა. კოლჩაკის 1919 წ. 4 ივნისის ნოტასა და გენ. ა. დენიკინთან სპეციალურად მივლინებულ გენ. ბასინიანოს და მარკიზ მედიჩის მისიებში. იტალიური სამხ.-პოლიტ. პროექტის ჩაშლის შემდეგ საქართველო-Ო-ის ურთიერთობები სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობებისა და მეტ-ნაკლებად აქტიური დიპლომატიური პროცესის ფარგლებში მოექცა. 1919 შემოდგომაზე საქართველოში იმყოფებოდა Ო-ის სამრეწვ.-ფინანსური ოლიგარქიის გავლენიანი წარმომადგენელი ა. კორსი. 8 სექტემბერს ნ. ჟორდანიას მთავრობისადმი წარდგენილ მემორანდუმში იგი ასაბუთებდა ორ ქვეყანას შორის ინტენსიური და ორმხრივ სასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების აუცილებლობას. ამ დროიდანვე Ო-ში აქტიურ საქმიანობაში ჩაერთო საქართველოს ეკონ. მისია ნ. ჯაყელისა და ვ. ვოიტინსკის მონაწილეობით. 1919 ნოემბერში მისიამ მიაღწია შეთანხმებას ქ. ტურინის „სავაჭრო სახლთან'' საქართველოს შეიარაღებული ძალების ამუნიციისათვის ქსოვილის შესყიდვის შესახებ. ამავე წლის დეკემბერში შეთანხმება დაიდო ქართული ბონების ემისიის Ო-ში განხორციელების შესახებ.

1920 წ. 15 თებერვლიდან 21 მარტამდე საქართველოში იმყოფებოდა და სამთავრობო წრეებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა Ო-ის ეკონომიკურ-სამოქალაქო მისია სენატორ ე. კონტის ხელმძღვანელობით. მოლაპარაკებები ძირითადად ეხებოდა სავაჭრო და ფინანსურ საკითხებს. განიხილეს საქართველოსთვის იტალიური სამრეწველო, სასაქონლო და ფინანსური კრედიტების გამოყოფის შესაძლებლობა. 1920 თებერვალში Ო-ის ცენტრალური ბანკის ინიციატივით და მისი ფინანსური ფონდის ბაზაზე თბილისში დაარსდა „იტალია-კავკასიის სადისკონტო ბანკი''. მისმა საწესდებო კაპიტალმა 40 მლნ. ლირა შეადგინა. ბანკმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ექსპორტ-იმპორტის საკრედიტო ბაზის შექმნაში. 1920 წ. 10 მარტს Ო-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში თავისი წარმომადგენლობის სტატუსის შეცვლის შესახებ – გააუქმა სამხედრო მისია და ჩამოაყალიბა „იტალიის სამეფოს პოლიტიკური სააგენტო''. ეს ფაქტი, ცხადია, ადასტურებდა საქართველოში Ო-ის პოლიტ. და უფლებაუნარიანი წარმომადგენლობის ფორმირებას.

1920 ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოში ჩამოვიდა და მიწათმოქმედების სამინისტროსთან მოლაპარაკება გამართა იტალიელმა მრეწველმა ე. პოჯიმ. შეთანხმდნენ იტალიური ინვესტიციების ბაზაზე სამტრედიაში აბრეშუმის მრეწველობის საწარმოს ამუშავების თაობაზე.

საქართველოსა და Ო-ის ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიაში ყველაზე მასშტაბური მოვლენა იყო ხელშეკრულება ტყვარჩელის ქვანახშირის აუზის კონცესიის შესახებ. მას 1920 წ. 11 ოქტომბერს რომში ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კ. კანდელაკმა, Ო.-საქართველოს სადისკონტო ბანკის თავ-რემ რ. პოლიანიმ და იტალიური კონცერნ „ილვას'' გენერალურმა დირექტორმა ჯ. ორლანდომ.

Ო-მ განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართვ. დამოუკიდებლობის საერთაშ. დე იურე აღიარების დიპლ. პროცესის ორგანიზაციაში. 1920 წ. 30 აგვისტოს რომში ოფიც. ვიზიტით მყოფი საქართვ. საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი შეხვდა Ო-ის პრემიერ-მინისტრ ჯ. ჯოლიტის და საგარეო საქმეთა მინისტრ კ. სფორცას. შეხვედრაზე Ო-ის მხარემ თავის თავზე აიღო პარიზის კონფერენციის უმაღლესი საბჭოს წინაშე საქართველოს ფორმალურ-იურიდიული ცნობის საკითხის ინიციატივა. მართლაც, Ო-მ აღნიშნული საკითხი დასვა 1921 წ. 24 იანვარს. 27 იანვარს ანტანტის უმაღლესმა საბჭომ მიიღო აქტი საქართვ. დამოუკიდებლობის დე იურე ცნობის შესახებ.

Ო. ფაქტობრივად იყო პირველი სახელმწიფო, რ-მაც 27 იანვრის აქტის შემდეგ, უკვე 30 იანვარს შეცვალა საქართველოში თავისი ლეგაციის სტატუსი და შექმნა მუდმივი დიპლ. წარმომადგენლობა – საელჩო. ელჩად სრულუფლებიანი მინისტრისა და საგანგებო

დესპანის რანგში დაინიშნა ცნობილი დიპლომატი ვ. ჩერუტი.

1921 თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართვ. დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად ორი ქვეყნის ურთიერთობას წერტილი დაესვა. 1922 აპრილიდან ასევე შეწყდა საქართვ. ემიგრანტული მთავრობის დიპლ. კონტაქტები ოფიც. რომთან.

ქართული ემიგრაციის ძირითადი წარმომადგენლობა საფრანგეთში განთავსდა, მაგრამ მისმა ნაწილმა, სხვა ქვეყნების გარდა, ი-შიც დაიდო ბინა. ი-ში ქართულ პოლიტ. ემიგრაციას საფუძველი ჩაუყარა ამ ქვეყანაში საქართველოს საელჩოს ყოფილმა პირველმა მდივანმა გ. მაჩაბელმა. წლების განმავლობაში აქ მოქმედებდნენ ქართული სამხ.-პოლიტ. ემიგრაციის ცალკეული ჯგუფები, რ-თა პროფესიული სტრუქტურა საკმაოდ დიფერენცირებული იყო „სამხედრო კავშირისა“ და „თეთრი გიორგის“ დაჯგუფებების განშტოებათა ჩათვლით.

1934–44 ი-ში ქართულ პოლიტ. ემიგრაციას მეთაურობდა (ესპანეთში გადასვლამდე) ევროპაში ბაგრატიონთა სამეფო სახლის უფროსი ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი. ის დაქორწინებული იყო გრაფ პასკუინის ასულზე, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ი-ის არისტოკრატიულ ელიტასთან და ვიქტორ-ემანუელ III-ის ადმინისტრაციასთან. 1939 მან დააარსა რაინდული ორდენი – „მაცხოვრის კვართის ორდენი“, ხოლო 1942 შექმნა „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“, საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარების პროგრამით.

ქართველი და იტალიელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობების ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა II მსოფლიო ომის წლებში. როგორც ცნობილია, ბ. მუსოლინის გადაყენებისა და დაპატიმრების შემდეგ ი-ის სათავეში მოსულმა ახალმა მთავრობამ გაწყვიტა კავშირი ფაშისტურ კოალიციასთან და ომიც გამოუცხადა მას. ამის გამო 1943 სექტემბერში ცენტრ. და ჩრდ. ი-ში გერმანიის ჯარები შევიდნენ. დაიწყო ი-ის წინააღმდეგობის მოძრაობა („რეზისტენცა“), რ-შიც აქტიურად მონაწილეობდნენ ფაშისტურ ტყვეობას თავდაღწეული ქართველი მეომრები. „იტალიის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს“ დაქვემდებარებული პარტიზანული შენაერთების შემადგენლობაში ისინი იტალიელთა გვერდით გმირულად იბრძოდნენ ფაშისტური ოკუპაციის წინააღმდეგ. ერთ-ერთ მათგანს – ფ. *მოსულიშვილს* სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ი-ის უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ (პრეზიდენტ ჯ. სარაგატის 1970 წ. 28 თებერვლის დეკრეტით), რაც ი-ის ეროვნული გმირის წოდებას ნიშნავს.

საბჭ. კავშირის დაშლისა და საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვან პერიოდს ჩაეყარა საფუძველი. ი-მ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად ცნო 1991 წ. 25 დეკემბერს. 1992 წ. 11 მაისს ხელმოწერილ იქნა საქართველო – ი-ის შეთანხმება დიპლ. ურთიერთობების დამყარების შესახებ და თბილისსა და რომში გაიხსნა საელჩოები. ორმხრივი ურთიერთობის სამართლებრივ ჩარჩოს ქმნის 1997 წ. 15 მაისის დეკლარაცია ურთიერთობების პრინციპების შესახებ და 2004 წ. 21 ნოემბრის ხელშეკრულება ეკონ. ურთიერთობების შესახებ. განვლილი ოცდახუთი წელიწადი აღინიშნა ინტენსიური და ორმხრივი სასარგებლო თანამშრომლობით პოლიტ., სავაჭრო-ეკონ., საინვესტიციო, თავდაცვისა და უსაფრთხოების, სამეცნ.-კულტურულ (დღეისათვის ი-ში მოქმედ სამეცნ.-კვლევით კერებს შორის ყველაზე ძლიერია ბერგამოს, მილანისა და ვენეციის უნ-ტების ქართველოლოგიური ცენტრები), განათლებისა და ტურიზმის სფეროებში. ი. მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ არჩევანს, ამავე დროს, კონსტრუქციულად ეკიდება ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და ნატოში გაწევრიანების ეტაპობრივ სტრატეგიას.

ლიტ.: უბილავა ე., იტალიური ჩანაწერები, თბ., 1997; ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919–1921 წლებში, თბ., 1997; Орловская Н., Эхо Италии в Грузии, «Литературная Грузия», 1993, №2–3. *დ. ჯოჯუა.*

იტალიური კალია (Calliptamus italicus), მწერი ნამდვილი კალიების ოჯახისა. სას.-სამ. კულტურების საშიში მავნებელია. სხეული მურა ან ნაცრისფერია ყავისფერი ელფერით. ფრთები ძირში ვარდისფერია. სხეულის სიგრძე 14,5–41 *მმ* აღწევს. ფართოდ არის გავრცელებული ჩრდ. აფრიკასა და სამხრ. ევროპაში, შუა და დას. აზიაში, მონღოლეთის და ჩინეთის ჩრდ.-დას.-ში, კავკასიაში, გვხვდება საქართველოშიც. ავშან-მარცვლოვანი სტეპების ტიპური წარმომადგენელია. ჩრდ-ით უპირატესობას ანიჭებს ღია ადგილებს მსუბუქი ნიადაგით, ხოლო სამხრ-ით – მდინარის სანაპიროებსა და ოაზისებს. ზიანს აყენებს ბამბას, მზესუმზირას, პარკოსნებს, ბაღჩეულს, კარტოფილს და სხვა კულტურებს. ახასიათებს წელიწადში 1 გენერაცია. კვერცხი იზამთრებს ნიადაგის ზედა ფენაში. მასობრივი გამრავლების პერიოდში ი. ჯ. ქმნის ჯოგებს და იქცევა როგორც ჯოგური კალია. რიცხობრიობის დეპრესიის პერიოდში ცხოვრობს იზოლირებულად. ი. ჯ-ის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს ინტეგრირებულ მიდგომას როგორც ინსექტიციდების, ასევე აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენებას.

ე. აბაშიძე.



იტალიური კალია.

იტალიური მორიელი (Euscorpius italicus, Herbst 1800), მიეკუთვნება მორიელების ოჯახს (scorpionidae). გვარში ყველაზე დიდი ზომისაა. სხეულის სიგრძე აღწევს 50–55 *მმ*. გავრცელებულია ხმელთაშუა და შავი ზღვის ქვეყნებში. დას. საქართველოში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. უმეტესწილად ბინადრობს თბილ და ნოტიო ჰაბიტატებში, თუმცა ტენიანობის მიმართ ამტანია. საცხოვრებლად ირჩევს კლდენაშალიან ადგილებს და ქვაყრილებს, ძველი შენობების კედლებს, მორებს, სადაც ადვილად შეუძლია თავშესაფრის პოვნა ღრმულებსა და ნახვრეტებში, ბზარებში და ა.შ. ზ. დ. 700 *მ* მაღლა და ტყეში შედარებით იშვიათად გვხვდება, ირჩევს განათებულ ადგილებს, უმეტესად წიფლისა და წაბლის კორომებში. ყველაზე დიდი რაოდენობით ანთროპოლოგიურ ჰაბიტატებში გვხვდება, სადაც მრავლადაა ძველი შენობები და კედლები.

სხეული უმეტესწილად შავი ფერისაა, ხოლო კიდურები და მუცლის დაბოლოება სხეულთან შედარებით ღია მოწითალო-მოყვითალოა. ი. მ-ს დიდი ზომისა და ძლიერი მარწუხების წყალობით



იტალიური მორიელი.

შეუძლია იკვებოს პრაქტიკულად ყველა სახის უხერხემლო ცხოველით, რ-ებიც მის ტერიტორიაზე ბინადრობენ.

ი. მ-ები სოლიტარული (ცხოვრობენ მარტო) ცხოველები არიან და მხოლოდ გამრავლების პერიოდში (გაზაფხული-ზაფხული) ხვდებიან ერთმანეთს. სქესობრივი ქცევა მოიცავს რამდენიმესაათიან ცეკვისმაგვარ მოძრაობებს, რ-ის დროსაც მამრი მარწუხებით იჭერს მდედრს და ასე აგრძელებს მოძრაობას. განაყოფიერება გარეგანია. მამრი სპერმას ღვრის ნიადაგზე, რ-საც მდედრი ისრუტავს გენიტალიებით. განაყოფიერებული კვერცხები (მაქსიმუმ 30) ერთ წლამდე რჩება მდედრის სხეულში. ისინი იქვე იჩეკებიან და სხეულიდან გამოსვლისთანავე თავსდებიან მდედრის ზურგზე. დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ კანის პირველი გამოცვლის შემდეგ. მისი ნესტარი შხამიანია, თუმცა ადამიანისათვის უსაფრთხოა. ი. მ. არაა დაცული სახეობა საქართველოსა და ევროპაში. *ლ. მუმლაძე.*

იტალიური ოპერა თბილისში, იხ. *ოპერისა და ბალეტის ეროვნული აკადემიური თეატრი* ზ. ფალიაშვილის სახელობისა.

იტალიურ-ძართული ლექსიკონი, ანონიმური ლექსიკონი, ცნობილი ,,გორული ლექსიკონის'' სახელით. მას გარეკანზე იტალიურად აწერია – ,,ეს წიგნი დაწერილია 1724 წელს''. წარწერა ფურცლის ბოლოს, შუა ადგილზეა; იმავე გვერდზე, ზემოთ, მარჯვენა მხარეს, წერია თარიღი – 1787, ხოლო მეორე გვერდზე, სადაც წარმოდგენილია ქართ. ანბანის სამივე სახეობა, სხვა თარიღი – 1750,


DITTIONARIO
GIORGIANO
E ITALIANO.
COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R. P. D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Bafilio.
AD VSO DE' MISSIONARII
della Sagra Congregatione de Propaganda Fide.
IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
CIDDCXXIX.
CON LICENZA DE' SVPERIORI.

იტალიურ-ქართული ლექსიკონი.

რ-საც მოსდევს წარწერა ნუსხური ასოებით: ,,უფალო წარუმართე ჯერუსალიმოს'' (,,ღ~ო წარმართე ჯერუსალიმოს''). არსებობს მოსაზრება, რომ ლექსიკონი შექმნილია მოხსენიებულზე უფრო ადრე, რადგან იგი გამოყენებულია ს.-ს. ორბელიანის ,,ლექსიკონი ქართულისა'' B რედაქციის (1715–16) დანართში.

იტალიურად დაწერილი ქართ. ენის გრამატიკა და ი.-ძ. ლ. აღწერა ე. *მეტრეველმა* (ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1957, გვ. 459), მეცნიერულად შეისწავლა ნ. ორლოვსკაიამ.

ლექსიკონი შექმნილია *ბერნარდე ნეაპოლელის* ,,იტალიურ-ქართული ლექსიკონის'' პრინციპებით, ოღონდ სალექსიკონო ერთეულთა გრამატ. დახასიათება აქ უფრო სრულია. ლექსიკონს წინ უძღვის 33-გვერდიანი გრამატ. მიმოხილვა სახელთა და ზმნათა ვრცელი პარადიგმებით, რ-ებიც წინადადებებშიც არის წარმოდგენილი.

გრამატ. ნაწილში სახელი წარმოდგენილია ექვს ბრუნვაში:

N. მამა–მამები,
G. მამის ან მამისა–მამებისა,
D. მამასა–მამებსა,
Acc. მამა–მამები,
V. მამაო–მამებო,
Abl. მამისაგან–მამებისაგან.

თანხმოვანფუძიან სახელთაგან ნაბრუნებია პური, ხმოვანფუძიან კვეცად სახელთაგან – მამა და მზე, უკვეცელთაგან – კომბოსტო და ძუძუ. ბრუნვათა ფორმები რამდენიმე თვალსაზრისით იქცევენ ყურადღებას: (1) ნათ. ბრუნვაში ყველა სახელთან ნაჩვენებია როგორც გაუვრცობელი, ისე გავრცობილი ფორმა: მამის – მამისა და ა. შ.; (2) უკვეცელი სახელები ნათ. ბრუნვაში მხოლოდ ა-თი განივრცობა: კომბოსტოსა და მისთ. არ გვხვდება: კომბოსტოსი, ძუძუსი; (3) წოდ. ბრუნვაში ო-ს გვერდით ვ-ც ჩნდება: მზევ; (4) სახელები მრ. რიცხვში ძირითადად -ებ სუფიქსით არიან წარმოდგენილი: -თ სუფიქსიანი ფორმა სახელთა მრ. რიცხვში არ გვხვდება, ნ სუფიქსიც მხოლოდ ორ შემთხვევაშია დამოწმებული (ძუძუნი, ძუძუნო).

გორული მეტყველების თვალსაზრისით, საყურადღებოა მოზმნისწინის მო- || მა- ვარიანტების კანონზომიერი მონაცვლეობა: I ობიექტ. პირის მ- პრეფიქსის წინ მა- გვხვდება, სხვა შემთხვევაში – მო-; მაგ.: მამიტანა, მაგრამ მოგიტანა; მამცემენ, მაგრამ მოგცემენ; მამწერე, მაგრამ მოგვწერე და სხვ.

მორფოლ. თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს სახელი მზე -ებ სუფიქსიან მრავლობითში. ეე კომპლექსი ყველგან მარტივი ე ხმოვნით არის წარმოდგენილი: მზები, მზებისა, მზებსა და სხვ. ეს ქართლური მეტყველების თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ. ამით რეალიზებულია ფონემატური წესი, რ-იც კრძალავს ხმოვანთა კომბინაციებს მორფემათა ფარგლებში. ფ.-მ. *მაჯოს* პარადიგმებიც ამას უჭერს მხარს.

როგორც ლექსიკონის შესავალ გრამატ. ნაწილში, ისე სალექსიკონო სტატიებში ზმნათა უღლება საკმაოდ სწორად არის წარმოდგენილი; მაგ.:

1. Presente – აწმყო: ,,მე მიყვარს: შენ გიყვარს: იმას უყვარს; ჩვენ გვიყვარს: თქვენ გიყვარსთ: იმათ უყვარსთ''; 2. Imperfetto – ნამყო უსრული: ,,მე მიყვარდა: გი: უ; P. გვიყვარდა: თ: თ''. გი აქ მეორე პირის ფორმაა: გიყვარდა, უ- კი – მესამისა – უყვარდა; P. გამოხატავს მრ. რიცხვს (Plurale); თ მეორე და მესამე პირებში ნიშნავს იმას, რომ მხოლოობითის ფორმა უცვლელად მეორდება, მრ. რიცხვში მათ მხოლოდ -თ სუფიქსი ემატებათ; 3. Perfetto – ნამყო სრული: ,,მე შემიყვარე: შეი, შეიყვარა; P. თ:თ: შეიყვარეს''; 4. 2do perfetto – მეორე ნამყო სრული: ,,მე შემიყვარებია: შეგი: შეუ; P. შეგვიყვარებია: თ:თ''; 5. Piu che Perfetto – ნამყო უსრულესი (ე. ი. უფრო ნამყო სრული): ,,მე შემეყვარა: შეგე: შეე; P. შეგვეყვარა: თ:თ''; 6. Futuro – მყოფადი: ,,მე შევიყვარებ: შეი: შეიყვარებს; P. თ:თ: შეიყვარებენ''; 7. Imperativo – ბრძანებითი: ,,შენ შეიყვარე; იმან შეიყვაროს: ჩვენ შევიყვაროთ; თქვენ შეიყვარეთ: იმათ შეიყვარონ''; 8. Presente et Imperfetto dell' ottativo – აწმყოსა და ნამყო უსრულის ნატვრითი: ,,ნეტამც მე მიყვარდეს: გი: უ; P. გვი: გი: უყვარდესთ''; 9. Perfetto (ივარაუდება ,,ნატვრითის ნამყო სრული''): ,,ნეტამც მე შემეყვაროს; შეგე: შეე; P. შეგვეყვარო: თ:თ''; 10. Piu che Perfetto (ივარაუდება ნატვრითი კილოს ნამყო უსრულესი): ,,ნეტამც მე შემეყვარა; შემდეგ როგორც თხრობით კილოში''; 11. Futuro (ივარაუდება ნატვრითი კილოს მყოფადი): ,,რომ მე შევიყვარო: შე: შეიყვარო; P. თ:თ: შეიყვარონ''; 12. Coniuntivo Presente – კავშირებითის აწმყო: ,,როს შევიყვარო...'' (იმეორებს ნატვრითს).

თვით ლექსიკონში ავტორი არ ასხვავებს ნატვრითი და კავშირე-

ბითი კილოს ფორმებს, ისინი მხოლოდ ნეტამც ნაწილაკითა და რომ კავშირით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

გორული ანონიმური ი.-ძ. ლ-ის გრამატ. ნაწილი არსებითად მიჰყვება ფ.-მ. მაჯოს გრამატიკას. ანონიმი ქართ. ენას უკეთ ფლობს, მაგრამ გრამატ. დებულებები და მაგალითებიც კი ფ.-მ. მაჯოსაგან გადმოულია. ის მცირეოდენი განსხვავება, რაზედაც ლიტ-რაში მიუთითებენ (ნ. ორლოვსკაია), იმდენად გრამატ. კვალიფიკაციას არ ეხება, რამდენადაც განსხვავებას საანალიზო მასალის მიხედვით: ფ.-მ. მაჯო აანალიზებდა გორული დიალექტის სამეტყველო ფორმებს, ანონიმი კი – ქართლურისას. ანონიმის გორული ლექსიკონი გრამატ. დანართებით და შიგა ჩანართებით ერთგვარი შეჯამებაა იმ დებულებებისა, რ-ებიც მანამდე ჩამოაყალიბეს ქართ. ენისთვის ფ.-მ. მაჯომ, ბერნარდე ნეაპოლელმა და სხვ. მისიონერებმა.

საკუთრივ ლექსიკონს დაახლოებით 250 გვერდი უკავია.

ანბანში წარმოდგენილი ჯ, ჲ, ჭ, ჱ, ჳ ასოებიდან ლექსიკონში გამოყენებულია ჯ, თუმცა არა ყველა საჭირო შემთხვევაში. მაგ., ხელი ჩაწერილია ხ ასოთი (Mano), ჯელ-ეჩო სიტყვაში კი იგივე ხელი ჯ ასოთია ჩაწერილი (Ascetta), ჯ გვხვდება სხვა სიტყვებშიც: მოჯდა (Beretta), კლდის-ჯმა (Echo), თიჯა (Creta). წყვილბაგისმიერი თანხმოვანი უ გამოყენებულია ძუირი (Costa) სიტყვაში.

ლექსიკონის ორთოგრაფია საშ. ქართულის ბოლო პერიოდისაა: ჩვენ, ნაძვი, თქვენ და სხვ.

ზმნები ლექსიკონში წარმოდგენილია აწმყოს ფორმით, მიწერილი აქვთ უწყვეტლის, წყვეტილის, I თურმეობითის, II თურმეობითისა და მყოფადის ფორმები, მაგ., ,,Accendere ვანთებ: დი: ავანთე: ამინთია: ამენთო: ავანთებ'' (დი აქ გამოხატავს უწყვეტლის ფორმას – ვანთებდი)...

სახელები ხშირად წარმოდგენილია სემანტიკური ველებით, მაგ., ,,Colomboaio – მტრედი, სატრედო''; Fratello, Gemallo – ძმა, ტყუპი; მომდევნო სტრიქონზე წარმოდგენილია ძმობა, ძმობილობა, ძმობილი (Fratellaza : to); ,,Albero : otto – ხე, ბაყილო'' (otto – გადაიწერება; Alberotto – ახალგამოტანილი ყლორტია).

ლექსიკონის ბოლოს ჩამოწერილია არაბ. ციფრები მათი ქართ. დასახელებით: ერთი, ორი... ამათ მოსდევს რიგობითი რიცხვის ფორმები: მეერთე, მეორე... რიცხვთა შემდეგ ჩამოწერილია წყვის ერთეულები: ლიტრა, ჩარექა, სათლი, რუბი..., შემდეგ – ფულის ერთეულები: აბაზი, უზალთუნი, ფლური... სულ ბოლოს მოქცეულია საეკლ. ტერმინები: ბზობა, აღდგომა, ამაღლება და სხვ.

ლექსიკონი მთავრდება შეგონებით: ,,ადამის ტომო : მოიგონე : რომ : მიწა : ხარ : და : მიწათ : გარდაიქცევი''.

ლიტ.: უთურგაიძე თ., ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999; Орловская Н. К., Анонимная грузинская грамматика XVIII в. на итальянском языке, «თსუ შრომები», 1959, ტ. 75.

თ. უთურგაიძე.

იტრია, ყოფილი სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში. 1989 შეუერთდა დაბა სურამს.

ი. მოხსენიებულია 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში.

იუბეა (Jubaea), მერქნიან მცენარეთა გვარი პალმების ოჯახისა. მისი ერთადერთი სახეობაა წარმოსადეგი ი. (J. spectabilis). 15 *მ*-მდე სიმაღლის ხეა. ღეროს წვერზე ფრთისებრ განკვეთილი და ოდნავ რკალივით მოხრილი ფოთლები სხვედან (40 წელზე მეტი ხნის მცენარეს 60–100 ასეთი ფოთოლი აქვს).




იუბეა.

ნაყოფი გამოიყენება საკვებად. თესლი 35%-მდე ზეთს შეიცავს. ფოთლებს ქოხების სახურავად იყენებენ; მისგან იღებენ აგრეთვე ბოჭკოს. ღეროს გამონაჟონი ტკბილი წვენისგან ამზადებენ ბადაგს, ხდიან არაყს. ი. გვხვდება სამხრ. ამერიკაში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, საქართველოში – შავი ზღვის სანაპიროზე. აშენებენ დეკორატიულ მცენარედ.

იუდაიზმი, ებრაელთა რელიგია, ერთ-ერთი უძველესი მონოთეისტური რელიგია. მორწმუნეთა რიცხვი – 14,3 მლნ. იგი გამოირჩევა კონსერვატიზმით და ჩვენს დრომდე მოაღწია მცირეოდენი სახეცვლილებით. ი-მა დიდი როლი შეასრულა *ქრისტიანობისა* და *ისლამის* ჩამოყალიბებაში.

ი-ს ზოგჯერ მოსეს რჯულსაც უწოდებენ, რადგან ამ რელიგიის კანონიკური საფუძვლები ებრაელთა ერთ-ერთმა მამამთავარმა მოსემ ჩამოაყალიბა. ი-ის წმინდა წიგნია ბიბლია, ანუ ძველი აღთქმა, რ-შიც მოცემულია ებრაელთა რელიგ., სოც., პოლიტ. და ზნეობრივი საკითხები. ბიბლიის წიგნებიდან ი-ის უმთავრეს წყაროდ ითვლება მოსეს ხუთწიგნეული – ე. წ. თორა, ანუ ხუმაში. ესენია: დაბადება, გამოსვლა, ლევიანნი, რიცხვნი და მეორე რჯული.

ი-ის საფუძველს წარმოადგენს იაჰვეს კულტი, რ-იც ყველა ებრაელის ღმერთია და საბოლოოდ ეს მოძღვრება მონოთეისტური რელიგიის სახითაა ჩამოყალიბებული. ი-ის განმტკიცებაში უდიდესი როლი შეასრულა იუდეის მეფის, იოსიას რელიგიურმა რეფორმამ, რ-ის დროსაც მოხდა კულტის ცენტრალიზაცია და დამტკიცდა ის ძირითადი ნიშნები, რამაც განაპირობა მისი კანონიკური სახე: მკაცრი მონოთეიზმი და ბიბლიური წიგნების კანონიზაცია. ამ რელიგიის კონსერვატიული ბუნების განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი საყოფაცხოვრებო, რელიგიურ-იურიდიული და უფლებრივი კანონების კრებულმა, რ-საც თალმუდი ეწოდება. თალმუდი შეიქმნა ძვ. წ. II ს. ბაბილონელ და პალესტინელ ებრაელთა შორის და შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: ერთია ადრეული ხანის მიშნა (ფართო ხასიათის განმარტებათა კრებული) და მეორე, შედარებით გვიანდელი ხანის – გემარა. თავის მხრივ, თითოეული იყოფა ორ ნაწილად: გალახად (კანონთა და რიტუალთა წესები) და აგადად (ლეგენდებისა და გადმოცემების წიგნი). მიშნა დაწერილია ძველებრაულ ენაზე, ხოლო გემარა – არამეულზე. მოგვიანებით თალმუდს დაემატა სხვადასხვა სახის კომენტარების კრებული, რ-საც „მიდრაში'' ეწოდება. თალმუდში მოცემულია სხვადასხვა სახის აკრძალვები, მორწმუნის ცხოვრების წესები და ზნეობრივ-ეთიკური ნორმები ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისათვის. თალმუდის კომენტარებს იძლევა სამღვდელო პირი – რაბინი, რ-ის განსწავლულობა და რჯულისადმი



ა. იუდინი.



იუკა.

დამოკიდებულება განსაზღვრავს კომენტარების ხასიათსა და სიღრმეს. თალმუდი, ზოგადად, წარმოადგენდა რთული სიუჟეტური აგებულების კანონთა კრებულს, რ-იც რაციონალური ფორმის სახით ჩამოაყალიბა XII ს. ებრაელმა მოღვაწემ მოშე მაიმონიდმა.

ი-ში განსაკუთრებული როლი ენიჭება წინადაცვეთას, რ-იც ახალშობილს უტარდება დაბადებიდან 8 დღის შემდეგ. ი-ის მნიშვნელოვანი მონაპოვარია შაბათი დღე, რ-იც აღინიშნება იაჰვესა და ებრაელ ხალხს შორის მჭიდრო კავშირისა და შეურყეველი ვალდებულების ნიშნად. რელიგიური დღესასწაულებიდან ყველაზე საკრალურად ითვლება პასექი (ეგვიპტის მონობიდან გამოსვლა), როშხანაშა (ახალი წელი), იომ კიპური (თხოვნის დღე), სუქოთი (შვიდდღიანი საშემოდგომო დღესასწაული) და ფურიმი (საგაზაფხულო დღესასწაული), მიძღვნილი სახალხო გმირების – ესთერისა და მორდოხაისადმი. ი-ის საფუძვლების შესწავლა ხდება საგანგებო სას. სკოლაში, რ-საც ეწოდება „ეშობოთი“ და „ხედერი“, ხოლო აქ მოღვაწე სჯულის მასწავლებელს – „მელამედი“.

„ქართლის ცხოვრება“ ებრაული თემის საქართველოში მოსვლას ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელთა დარბევას უკავშირებს (ძვ. წ. 586), რაც პირველი ებრაული კოლონიის ჩვენში დამკვიდრებას თითქმის 26 საუკუნის წინ უდებს სათავეს. მომდევნო პერიოდში, ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნაზე, ებრაელ ლტოლვილთა კიდევ რამდენიმე ტალღა შემოსულა და ქართული წყაროების მიხედვით უკვე VI ს-თვის ისინი დამკვიდრებული ჩანან მცხეთაში, ურბნისში, ბოდბესა და კოდისწყაროში. მცხეთაში დასახლებულ ებრაელთა უბანს ერქვა „უბანი ჰურიათა“, რ-საც ჰქონდა სალოცავი „ბაგინი ჰურიათა“, ანუ ბეით-ქნესეთი (სინაგოგა).

ქართ. საერო და სას. საზ-ბის დამოკიდებულებას ებრაელთა მიმართ თვალნათლივ წარმოაჩენს ის გარემოება, რომ ებრაელი ქალი სიდონია არის ქართ. ეკლესიის უდიდესი წმინდანი, ხოლო საქართველოში *საუფლო კვართის* ჩამომტანი ასევე ებრაელი ელიოზია.

საქართველოში მოსულმა ებრაელებმა შეითვისეს ქართული ენა, გაეცნენ და ეზიარენ ადგილობრივ სამეურნეო სისტემას, ეროვნულ ადათ-წესებს და მთელი ისტორიის განმავლობაში არასდროს წასულან ქართ. სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ. თანაცხოვრების პერიოდში, საერო ცხოვრებაში ადაპტირების მიუხედავად, ისინი მტკიცედ იცავდნენ ი-ის წესსა და მორალს, მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევაში ი-ში შეინიშნება სხვადასხვა მიმდინარეობის სექტათა გაძლიერება. ჩვენში ასეთმა სექტებმა ვერ მოიკიდა ფეხი და შესაძლოა ითქვას, რომ ქართვ. ებრაელობა ბოლომდე დარჩა ტრადიციული, თალმუდისტური ი-ის ერთგული.

ებრაელები კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აგებდნენ თავიანთ სინაგოგებს და რაბინები დაუბრკოლებლივ ასრულებდნენ მათთვის დაწესებულ სარიტუალო მსახურებას. აღსანიშნავია, რომ დღემდე საქართველო ითვლება სანიმუშო ქვეყნად, სადაც არასდროს მომხდარა ებრაელთა დარბევა და მათზე კონფესიური ნიშნით ძალადობა. ებრაულ-ქართული კულტ. ურთიერთობის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ლაილაშისა და ბრეთის ებრაულ ენაზე დაწერილი ბიბლიები, რებიც წმ. წიგნებს წარმოადგენდნენ არა მხოლოდ ებრაელთათვის, არამედ ქართველთათვისაც.

ლიტ.: მეტრეველი რ., ებრაელები საქართველოში, თბ., 2002; ნადირაძე ე., მსოფლიოს რელიგიები, თბ., 1996; რელიგიები საქართველოში, თბ., 2008; Кривелев И. А., История религии, т. 1, М., 1975. *ე. ნადირაძე.*

იუდინი ალექსეი არკადის ძე (17. III. 1904, ასტრახანი, – 1990), რუსი მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1978). 1927-იდან თბილ. მოზარდ მაყურებელთა რუს.



ა. იუდინი სატელევიზიო ფილმში „იმპერიის დაცემა“.

თეატრის მსახიობი იყო. გარკვეული წვლილი შეიტანა ამ თეატრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. 1943–47 ერევნის დრამ. თეატრის მსახიობია, 1947-იდან – ისევ თბილ. მოზარდ მაყურებელთა რუს. თეატრის მსახიობია. აქ შეასრულა შემდეგი როლები: ლენინი (მ. შატროვის „რევოლუციის სახელით“), ფრიც ბაუერი (ნ. საცის „ფრიც ბაუერი“), ფრანცი (ფ. შილერის „ყაჩაღები“), შმაგა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ჟერონტი (მოლიერის „სკაპენის ოინები“), კიკილა (გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“), ბატისტა (ლ. შტეინის „კრაზანა“), კოტია (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“) და სხვ. ავტორია სიმღერებისა პიესებისთვის: ლ. გერასკინის „წითელი ყელსახვევი“, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“ და სხვ.

იუკა (Yucca), ერთლებნიან, მეტწილად მერქნიან მცენარეთა გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. ღეროს წვერზე 1 *მ*-ზე მეტი სიგრძის კონებად შეკრებილი, ჩვეულებრივ ეკლიანი, ხეშეში და ბრტყელი ფოთლები აქვს. მისი 30 სახეობა გავრცელებულია ცენტრ. ამერიკასა და ჩრდ. ამერიკის სამხრ. ნაწილში. საქართველოში გავრცელებულია როგორც დეკორატიული მცენარე.

იუკურიძე გიორგი ლუარსაბის ძე (დ. 13.IX. 1956, ახმეტა), გენერალ-მაიორი (2002). 1992–96 იყო საქართვ. თავდაცვის სამინისტროს გორის №1 სასწ. ცენტრის უფროსი, 1996–98 – საქართვ. პრეზიდენტის, საქართვ. სამხ. ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხ. ინსპექციის უფროსი. საქართვ. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის უფროსი (2004). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე,

იულიუს კაპიტოლინუსი (Julius Kapitolinus), III–IV სს. მიჯნის ბიზანტიელი ავტორი. იმპ. ანტონინუს პიუსის (138–161) ბიოგრაფიის შემდგენელი. მის თხზულებაში აღწერილია იბერთა მეფის, *ფარსმან II-ის* სტუმრობა რომში ვაჟითა და მეუღლითურთ. ი. კ. აღნიშნავს, რომ ანტონინუსმა „ლაზებს მისცა მეფედ პაკორი“ ე. ი. ბაკური (სავარაუდოა, რომ აქ ლაპარაკია მმართველის დანიშვნაზე ქვეშევრდომ ქვეყანაში). ი. კ-ის მიხედვით იბერები იმ ხალხთა შორის იყვნენ, რ-თაც სასანიანთა შაჰის, შაპურ I-ის (242–273) მიერ იმპ. ვალერიანეს (253–260) დატყვევების შემდეგ რომაელებს ალუთქვეს დახმარება იმპერატორის ტყვეობიდან დახსნაში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

იულონ ბატონიშვილი [4 (15). VI. 1760 – 2 (14). II. 1827, სანქტ-პეტერბურგი], ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის მეორე ვაჟი,

ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტის პრეტენდენტი.

1777, ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, ერეკლე II-მ ლიახვის ხეობა Ი. ბ-ს გადასცა. მეფის წყალობაში იგულისხმებოდა როგორც დიდი, ისე პატარა ლიახვის ხეობა. Ი. ბ. დაეუფლა სოფ. კეხვს და მაჩაბელთა სარეზიდენციო სოფ. აჩაბეთს, სადაც სადედოფლო ყმები სახლობდნენ. Ი. ბ-ის საუფლისწულოს ფარგლებში XVIII ს. 80-იანი წლების ბოლოს მოქცეული იყო დასახლებული პუნქტები ლორის მხარესა და ქ. თბილისში, მისი ყმა-მამულების არსებობა დასტურდება აგრეთვე სოფ. ორბსა და სამშვილდეში. XVIII ს. 90-იან წლებში Ი. ბ-ის საუფლისწულო საკუთრება გახდა აგრეთვე სურამი და გორი.

1778 Ი. ბ-მა ცოლად შეირთო რევაზ ამილახვრის ასული სალომე. ჰყავდათ 4 შვილი: ლევანი (1785–1811), ლუარსაბი (1788–1858), თამარი (1791–1857) და დიმიტრი (1803–45).

1791, ერეკლე II-ის ანდერძის თანახმად, ტახტის მემკვიდრის, *გიორგი XII-ის* მეფობის შემდეგ ტახტზე მისი შვილის ნაცვლად (უფროს-უმცროსობის პრინციპით ანუ მონაცვლეობით) მისი ძმები უნდა ასულიყვნენ და შესაბამისად, ტახტის მემკვიდრე Ი. ბ. ხდებოდა, რადგან გიორგი XII-ის მომდევნო და მისი უფროსი ძმა – ლევან ბატონიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო. 1799 გიორგი XII-ის მიერ ტახტის მემკვიდრედ თავისი ვაჟის, *დავით ბატონიშვილის* საჯაროდ აღიარებამ და იმავე წელს რუსეთის იმპერატორის მიერ ამ ფაქტის დადასტურებამ, მეტისმეტად დაძაბა ურთიერთობა ტახტის მემკვიდრეებს შორის. მკაფიოდ გამოიხატა ორი საპირისპირო დაჯგუფება – დარეჯან დედოფლის გარშემო შემოკრებილი ერეკლე II-ის შვილები და მათი მომხრეები ტახტის მემკვიდრედ Ი. ბ-ს აცხადებდნენ, ხოლო გიორგი XII-ის შვილები და მათი მომხრეები დავით ბატონიშვილს უჭერდნენ მხარს. ამ ორ დაჯგუფებას შორის სადავო არა მარტო ტახტის დაუფლება, არამედ გიორგი XII-ის მიერ ოფიციალურად გატარებული საგარეო კურსიც იყო. ერეკლე II-ის შვილები თვლიდნენ, რომ რუსეთის დასაინტერესებლად საკუთარი უფლებების მაქსიმალურად დათმობა ქართულ სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნიდა. Ი. ბ. არ დაემორჩილა 1801 იანვარში რუსეთის იმპ. პავლე I-ის მიერ გამოცემულ მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ და ,,საქართველოს მემკვიდრედ და მმართველად'' დავით გიორგის ძის დანიშვნის ბრძანებას. იგი თავდაპირველად დუშეთში, შემდეგ კი კახეთში გაიხიზნა, 1801 თებერვლის დასაწყისში Ი. ბ. თავის ძმასთან – *ფარნაოზ ბატონიშვილთან* ერთად მომხრე თავადაზნაურობის თანხლებით იმერეთში სოლომონ II-სთან გადავიდა, სადაც სამეფო ტახტის მოსაპოვებლად გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

1802 ივლისში აღმ. საქართველოში შინაპოლიტიკური ვითარება გამწვავდა და რუსული სამხ. ხელისუფლების წინააღმდეგ ფართო საპროტესტო მოძრაობა დაიწყო. კახეთის (სოფ. ქელმენჩურში) თავყრილობაზე ათასობით ადამიანი შეიკრიბა. სახალხო ყრილობის მონაწილეებმა – თავადაზნაურობის, სამღვდელოების და უბრალო ხალხის წარმომადგენლებმა – რუსეთის იმპერატორს 1783 ტრაქტატის პირობათა დაცვისაკენ მოუწოდეს და გაანცხადეს, რომ მათი მიზანი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ქართლ-კახეთის მეფედ იულონ ერეკლეს ძის გამოცხადება, რის დასტურადაც მის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება დაიწყეს. საქმეში სპარსეთის შაჰი ბაბა-ხანიც ჩაერთო, Ი. ბ. ძველი წესის თანახმად ,,მეფედაც'' კი დაამტკიცა და მის საშველად ჯარის შეკრება დაიწყო. იმერეთში გადახვეწილმა იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებმაც ჯარი შეკრიბეს და ქართლ-კახეთში შეჭრა სცადეს, თუმცა უშედეგოდ.

მთავარმართებელი პ. ციციანოვი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ Ი. ბ. რუსეთში წასვლაზე დაეთანხმებინა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. 1804 იფეთქა მთიულეთის აჯანყებამ, რ-ის მონაწილეებმა იმერეთში Ი. ბ-ს მოციქულები გაუგზავნეს და დახმარებისაკენ მოუწოდეს. ივნისში იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები მცირე რაზმით იმერეთიდან ქართლის საზღვრებისაკენ წამოვიდნენ და აჯანყებულ მთიანეთში გაჭრას ცდილობდნენ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და კვლავ იმერეთისკენ გაბრუნდნენ. 24 ივნისს მათ იმერეთში, ქართლის საზღვართან, ულევის ეწერში მოულოდნელად თავს დაესხა სურამის რუსთა რაზმი. Ი. ბ. შეიპყრეს და თბილისში ჩამოიყვანეს.

1805 იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები რუსეთში გადაასახლეს. Ი. ბ. თავდაპირველად, როგორც პატიმარი, ტულაში იმყოფებოდა. 1806 გაათავისუფლეს და პეტერბურგში დასახლდა. დაკრძალულია იქვე, ალექსანდრე ნეველის ლავრის იოანე ოქროპირის ეკლესიაში.

წყარო: დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტფ., 1906; Акты Кавказской археографической комиссии, т. 1–2, Тфл., 1866–68.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი მაქს., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, წგ. 2, თბ., 1983; ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ე., ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 1999; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ხ ი დ უ რ ე ლ ი ზ., ფეოდალური მიწათმფლობლობა XV–XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1989.

გ. ლორთქიფანიძე.

ᲘᲣᲜᲒᲔᲠ-ᲮᲝᲢᲘᲕᲐᲠᲘ (Jünger-Chotiwari) შტეფი (დ. 24. III. 1952, ლაიფციგი), გერმანელი ქართველოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. დაამთავრა ბერლინის ჰუმბოლდტის სახ. უნ-ტი რუსულ-ტაჯიკური ენებისა და ლიტ-რის განხრით. XX ს. 70-იან წლებში დაინტერესდა ქართ. ენითა და ლიტ-რით. ქართ. ენა შეისწავლა იენის უნ-ტში გერმ. ქართველოლოგის გ. *პეჩის* ხელმძღვანელობით. 1973 საქართველოში ჩამოვიდა და თსუ-ში სტაჟირება გაიარა. 1979 ბერლინის უნ-ტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია [,,კონსტანტინე გამსახურდია და მისი შემოქმედების ადრინდელი რომანები (1912–35)''], ხოლო 1994 თსუ-ში – სადოქტორო დისერტაცია (,,ქართული ისტორიული რომანის განვითარების გზები''). მისი პირველი სამეცნ. გამოკვლევა ,,კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში (1912–13 წწ.)'' გამოქვეყნდა საქართველოში 1978; პირველი მონოგრაფია ,,ქართული ისტორიული რომანის განვითარება (მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, გ. აბაშიძე, ო. ჭილაძე, ჭ. ამირეჯიბი)'' – ბერლინში 1993. Ი.-ხ. თავის მეუღლესთან, ა. ხოტივართან ერთად მუშაობს ჰუმბოლდტის სახ. უნ-ტში, იკვლევს უახლესი ქართ. ლიტ-რის განვითარების გზებს, გერმ. პრესაში

სისტემატურად აქვეყნებს ქართ. ლიტ-რის და ქართვ. მწერლების შესახებ სტატიებს, რეცენზიებს, ქართვ. მწერალთა ნაწარმოებების თარგმანებს (ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ა. წერეთელი, გ. ტაბიძე, ა. კალანდაძე, ნ. დუმბაძე, ი. აბაშიძე და სხვ.). მისი სტატიები იბეჭდებოდა ქართ. ჟურნალებშიც (,,კრიტიკა'', ,,ცისკარი''). Ო.-ხ-მა ე. ხინთიბიძის დახმარებით მოიპოვა და მასთან ერთად 2005 საქართველოში გამოსცა XX ს. 50-იან წლებში მ. პრიტვიცის მიერ გერმანულ ენაზე შესრულებული ,,ვეფხისტყაოსნის'' თარგმანი. იგივე თარგმანი 2011 გამოიცა ბერლინში. Ო.-ხ. ჰუმბოლდტის უნ-ტში უცხოელებს ქართ. ენას ასწავლის. 2010 გამოსცა წიგნი ,,ქართული სახელმძღვანელო სპეციალურად უცხოელებისათვის'', რ-ის პრეზენტაციაც თბილისში გაიმართა. 2005–12 იყო გერმანულენოვანი ქართველოლოგიური ჟურნ. ,,გეორგიკის'' რედაქტორი (მ. ლორთქიფანიძესთან ერთად).

Ო.-ხ. გერმანიაში ქართული კულტურის ელჩია.

თხზ.: კავკასიის ხალხთა ლიტერატურები, ვისბადენი, 2003; ქართველები ბერლინში. 1999, ბერლინი, თბ., 2001; ქართული ზმნის ტაბულები, ჰამბურგი, 2010 (თანაავტ.: დ. მელიქიშვილი, ი. ვიტკე).

ე. ხინთიბიძე.

ᲝᲣᲜᲔᲡᲙᲝ (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization –UNESCO), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია. დაარსდა 1945 წ. 16 ნოემბერს, როდესაც ქ. ლონდონში გამართულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე 37 ქვეყანამ ხელი მოაწერა Ო-ს კონსტიტუციას. 1946 წ. 4 ნოემბერს ოცმა სახელმწიფომ მოახდინა დოკუმენტის რატიფიცირება, ხოლო 19 ნოემბერს პარიზში გაიხსნა Ო-ს გენერალური კონფერენციის პირველი სესია და, შესაბამისად, დაიწყო ორგანიზაციის ოფიციალური ფუნქციონირება.

დღეს Ო., როგორც წამყვანი და განსაკუთრებული კომპეტენციის მქონე საერთაშ. ორგანიზაცია განათლების, მეცნიერების, კულტურის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის კუთხით, აერთიანებს მსოფლიოს 195 წევრ ქვეყანას. მისი მთავარი მიზანია მშვიდობის, ხალხთა და კულტურათა შორის დიალოგის ხელშეწყობა საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების პატივისცემის გზით. წევრი ქვეყნების, ასევე დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნების დელეგაციები, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები იკრიბებიან Ო-ს სათავო ოფისში (ქ. პარიზი), რათა მონაწილეობა მიიღონ გენერალური კონფერენციის სესიის მუშაობაში. კონფერენცია იმართება ორ წელიწადში ერთხელ, განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკას და მისი მუშაობის ძირითად მიმართულებებს, ამტკიცებს ორწლიან პროგრამასა და ბიუჯეტს, ირჩევს ორგანიზაციის მმართველი (აღმასრულებელი საბჭო) ორგანოს წევრებს და ოთხ წელიწადში ერთხელ ნიშნავს ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს. ორგანიზაციის სამუშაო ენებია – არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური.

საქართველო Ო-ს შეუერთდა 1992. ამავე წელს, საქართველოსა და Ო-ს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, დაარსდა საქართველოს Ო-ს საქმეთა ეროვნული კომისია და ქვეყანა სრულფასოვნად ჩაერთო ორგანიზაციის ძირითად პროგრამებსა და პროექტებში. 1994 ნოემბერში საქართველოსა და Ო-ს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რ-ის მიხედვითაც ორგანიზაციამ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იკისრა საქართველოსთან თანამშრომლობის ხელშეწყობის და, ქვეყნის პრიორიტეტული საჭიროებების გათვალისწინებით, რეგულარული და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების მობილიზების ვალდებულება. 1992-იდან საქართვ. დელეგაცია მუდმივად მონაწილეობს გენერალური კონფერენციის სესიების მუშაობაში, მათ ფარგლებში ჩატარებულ არჩევნებში და პერიოდულად წარმოდგენილია ორგანიზაციის როგორც მმართველ, ისე დამხმარე ორგანოებში. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს Ო-სთან ,,მონაწილეობის პროგრამის'' ფარგლებში, რაც ორგანიზაციის მხრიდან წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერის ერთ-ერთი საშუალებაა. ორ წელიწადში ერთხელ ქვეყანას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტები, რ-ებიც სრულად შეესაბამება Ო-ს პრიორიტეტებს. ორ წელიწადში ერთხელ Ო. აქტიურად მონაწილეობს წევრ ქვეყნებში ღირსშესანიშნავი ისტ. მოვლენებისა თუ გამოჩენილი პირების იუბილეთა აღნიშვნაში, რაც, თავის მხრივ, ამ მოვლენებს მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს. წლების განმავლობაში ორგანიზაციის ეგიდით საქართველოში აღინიშნა ,,შუშანიკის წამების'' 1500 წლის იუბილე (1978), საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ქუთაისის საქართველოს დედაქალაქად გამოცხადების 1000 წლისთავი (1995); ნ. ფიროსმანის დაბადებიდან 130 წლისთავი (1996); ვახუშტი ბაგრატიონის 300 წლისთავი (1997); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის 55 წლის იუბილე (1997); საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავი (1998); არნ. ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლის იუბილე (1998); თბილისის კლასიკური გიმნაზიის 200 წლისთავი (2000); ფრანგი ორიენტალისტის და ქართველოლოგის მ. ბროსეს 200 წლისთავი (2002); ბაგრატის საკათედრო ტაძრის აღმშენებლობის 1000 წლის იუბილე (2003); საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლის იუბილე (2004); გელათის მონასტრის მშენებლობის 900 და ჯვრის მონასტრის მშენებლობის 1500 წელი (2006–07); ვ. ჭაბუკიანის დაბადებიდან 100, ვაჟა-ფშაველას 150 და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის აღმშენებლობის 1000 წლის იუბილეები (2010–11); ,,ვეფხისტყაოსნის'' პირველი ბეჭდური გამოცემის 300, ნ. ფიროსმანის დაბადებიდან 150 და ე. თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი (2012–13); ა. წერეთლის გარდაცვალების 100 წლისთავი (2015), ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავი (2017).

მსოფლიო მნიშვნელობის დოკუმენტური მემკვიდრეობის – ხელნაწერების, აუდიოვიზუალური მასალის, ბიბლიოთეკებისა და არქივების ექსპონატების კოლექციების ხელმისაწვდომობისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა Ო-ს მსოფლიო საერთაშ. დოკუმენტური რეესტრი, სადაც შეტანილია შემდეგი ქართული ნომინაციები: „საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული უძველესი ხელნაწერები'' (რვა ხელნაწერი, 2015); ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა'', „გეოგრაფიული ატლასი'' და „ვეფხისტყაოსნის'' ხელნაწერების კოლექცია (2013); „ბიზანტიური პერიოდის ქართული ხელნაწერები'' (2011). საქარ-

თველო 0-ს 12 კონვენციის წევრი ქვეყანაა და შესაბამისად, აქტიურად თანამშრომლობს კონვენციების ძირითადი მოთხოვნების შესრულების მხრივ.

1993-იდან საქართველო არის მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ფასეულობათა დაცვის კონვენციის წევრი. კონვენციის ფარგლებში შექმნილია 0-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სია, სადაც წარმოდგენილ მსოფლიო ძეგლებს შორისაა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 3 ნომინაცია: 1. მცხეთის ისტორიული ძეგლები: ჯვარი, სვეტიცხოველი (1994); 2. ბაგრატის საკათედრო ტაძარი და გელათის სამონასტრო კომპლექსი (1994; 2015-იდან ბაგრატის საკათედრო ტაძარი რესტავრაციის შემდეგ ამოიღეს ნუსხიდან); 3. ზემო სვანეთი (1996), ჩაჟაშის კომპლექსი, მესტიის მუნიციპალიტეტი. ო. *თაქთაქიშვილი* იყო 0-სთან არსებული საერთაშ. მუს. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ვ. *კოტეტიშვილი* (1997-იდან) – 0-ს ხალხური ხელოვნების საერთაშ. ასოციაცია ,,იოფას'' საქართვ. განყ-ბის პრეზიდენტი. ჯ. *ლეჟავას* მიღებული აქვს 0-სგან ,,მსოფლიო სპორტსმენის'' დიპლომი. 2007-იდან საქართველო არის არამატერ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის წევრი. 2007-იდან შატილი შეყვანილია 0-ს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. კონვენციის ფარგლებში შექმნილია არამატერ. კულტ. მემკვიდრეობის ვრცელი სია, რ-შიც წარმოდგენილია 2 ქართ. ნომინაცია: 2001 ქართ. მრავალხმიანობა 0-მ აღიარა როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერ. მემკვიდრეობის შედევრი, ხოლო 2008, არამატერ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის კონვენციაზე საქართვ. მიერთების შემდეგ, ქართული მრავალხმიანობა შეტანილია არამატერ. კულტ. მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში. 2013 ამავე სიაში შეტანილია ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართ. ტრად. მეთოდი. 2014 0-ის ეგიდით რ. *სტურუას* მიენიჭა მსოფლიო თეატრის ელჩის წოდება. 2015 წ. 19 მარტს ,,უძველესი ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას'' არამატერიალური მემკვიდროების ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2017 0-ს მიერ აღიარებულ ძეგლთა სიაში შეიტანეს მცხეთის სამდინარო-სანაოსნო პორტი (კონკრეტულად მცხეთის ახალი ნავსადგური) და ენგურჰესის ტურისტული ცენტრი, 2018 – ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ხანში არსებული ყველის დამზადებისა და ქვევრში ხანგრძლივი ვადით შენახვის მეთოდი, 2019 კი – სვანეთის კოშკები, რ-საც ევროპელები ქართულ ჩინურ კედელს უწოდებენ.

საქართველო, როგორც შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 1954 ჰააგის კონვენციის და მისი მეორე ოქმის წევრი ქვეყანა, აქტიურად მუშაობს საქართვ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის საკითხზე. მისი მიზანია ორგანიზაციის ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა.

ორგანიზაციის მიზნებისა და ღირებულებების პოპულარიზაციისა და მსოფლიოში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 0-ს წევრ ქვეყნებში შექმნილია 0-ს ასოცირებულ სკოლათა და კათედრების ქსელი, რ-ებიც გაეროს ეგიდით ფუნქციონირებენ. საქართველოს ასოცირებულ სკოლათა ქსელი აერთიანებს როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების 25 სკოლას, ხოლო თსუ-ისა და სტუ-ის ბაზებზე ფუნქციონირებს შესაბამისი კათედრები. 2015 იანვარში საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინების საფუძველზე, პირველად საქართველოს ისტორიაში, გამოჩენილ ქართვ. პიანისტ ე. ბოლქვაძეს მიენიჭა წოდება ,,იუნესკოს ხელოვანი მშვიდობისათვის''. ამით ქართვ. ხელოვანი შეუერთდა მსოფლიოში გამოჩენილ იმ პიროვნებათა სიას, რ-ებსაც საკუთარი სახელით, დამსახურებით და მაღალი რეპუტაციით შეაქვთ თავიანთი წვლილი ორგანიზაციის ფასეულობების პოპულარიზაციის საქმეში. საქართველოს მუდმივი წარმომადგენლები 0-ში იყვნენ გ. ჩოგოვაძე (1993–2004), ლ. ღოღობერიძე (2004), ნ. ჯაფარიძე (2004–07), მ. კუდავა (2007–12), ე. სირაძე-დელონე (2013–18). საქართველოს მუდმივი დელეგატი 0-ში არის ნ. ლაღიძე.

0-ს უმაღლესი ორგანოა გენ. კონფერენცია, აღმასრულებელი – აღმასრ. საბჭო და სამდივნო. 0-ს სამდივნოს ხელმძღვანელობს გენ. დირექტორი, შტაბ-ბინა პარიზშია. 0-ს გამოცემაა ,,იუნესკოს კურიერი'' (15 ენაზე).

იუნკერთა სკოლა, ქართული სამხედრო სასწავლებელი. დაარსდა თბილისში 1919. მდებარეობდა პლეხანოვის (ახლანდ. დავით აღმაშენებლის) გამზირზე სამხედრო სასწავლებლის შენობაში. სკოლის შექმნის ინიციატორი და პირველი დირექტორი იყო გენ. გ. *კვინიტაძე*.

0. ს-ში სასწ. პროცესი ორწლიანი იყო – პირველ წელს ხდებოდა საერთო თეორ. და პრაქტიკული ცოდნის მიღება, ხოლო მეორე წელს სწავლება იყო დიფერენცირებული: ქვეითი ჯარის, მესანგრეთა ჯარის, ცხენოსანთა ჯარისა და საარტილერიო ჯარის დარგებად.

პროგრამა ითვალისწინებდა ისეთი საგნების შესწავლას, როგორიცაა სამხ. ისტორია, ტაქტიკა, ტოპოგრაფია, ფორტიფიკაცია, საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა და სხვ.

ნოემბერში მიიღეს ახალწვეულები, რ-თაგან შეიქმნა სამი ქვეითი ჯარის ასეული, ერთი მეტყვიამფრქვევთა ასეული, მესაზღვრეთა ნახევარასეული, ხოლო მოგვიანებით დაემატა საცხენოსნო პოლკის ოცეული. გ. კვინიტაძესთან ერთად სკოლაში მოღვაწეობდნენ პოლკოვნიკი ა. ჩხეიძე (დირექტორი გ. კვინიტაძის შემდეგ), კლასების ინსპექტორი ქ. ჩხეტიანი, ივ. ჯავახიშვილი, ი. კაკაბაძე; პედაგოგები, მ. შ. ვ. ბარნოვი.

სამხ. სკოლის მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღეს რუსეთის რეგულარული არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში (იხ. *თბილისის დაცვა 1921; კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლები 1921*).

სკოლამ არსებობა შეწყვიტა 1921, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ.

წყარო: კ ვ ი ნ ი ტ ა ძ ე გ., ჩემი მოგონებები. 1917–1921, თბ., 2014.

ლიტ.: მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი ნ., კ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი მ., იუნკრები, თბ., 1990; ს ა ი თ ი ძ ე გ., გენერალი გიორგი კვინიტაძე და თბილისის ქართული სამხედრო (იუნკერთა) სკოლა, კრ.: ისტორიანი, თბ., 2009.

მ. ზალდასტანიშვილი.

იური ანდრიას ძე, გ ი ო რ გ ი რ უ ს ი, საქართველოს მეფის, *თამარის* პირველი ქმარი, ნოვგოროდის მთავარი 1172–75, სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი. ბოიართაგან ანდრია ბოგოლიუბსკის მოკვლის (1174) შემდეგ 0. ა. ძ. ნოვგოროდიდან გააძევეს. ნოვგოროდის მატიანე 1175 შემდეგ მას აღარ იხსენიებს.

იპატის ნუსხის მიხედვით იგი შემდგომში ქ. ვლადიმირში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობდა სამთავროს ტახტის დაუფლებისათვის ატეხილ დავაში. 1176–77 ანდრია ბოგოლიუბსკის ძმამ, ვსევოლოდმა (ქართ. წყაროებით – სალავათი) მთლიანად დაიპყრო ანდრიას სამფლობელო და ძმისშვილიც გააძევა იქიდან. ამის შემდეგ უფლისწული ჩრდ. კავკასიაში აღმოჩნდა და მისი ბედი რუსი ისტორიკოსებისთვის ქართ. წყაროებიდან გახდა ცნობილი. 1185 ი. ა. ძ. *აბულასანის* წინადადების საფუძველზე, საქართვ. სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით, საქართველოში მოიწვიეს თამარის თანამეცხედრედ. იგი ჩამოსვლისთანავე ფეოდ. დაჯგუფებათა ბრძოლების ქარცეცხლში მოექცა. ჩანს, ი. ა. ძ. აბულასანის დასს უჭერდა მხარს. მისი, როგორც მეფექმრის, ფუნქცია მკვეთრად იყო განსაზღვრული და ძირითადად ლაშქრის მეთაურობით ამოიწურებოდა. თამარის ისტორიკოსების ცნობით, რუსი უფლისწული უზნეო გამოდგა, ამის გამო იგი განაშორეს მეუღლეს და საქართველოდან გააძევეს (1187–88). ი. ა. ძ-მ თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა. როგორც ჩანს, მასთან კავშირი არ შეუწყვეტიათ თამარის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს, რ-თა შემწეობითაც გაღვივდა აჯანყება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ (იხ. *იური ანდრიას ძის აჯანყება 1191*), თუმცა უშედეგოდ. ი. ა. ძ-მ მეორედაც სცადა ბედი, მაგრამ დამარცხდა და გადარჩენილ მებრძოლებთან ერთად სამუდამოდ გადაიხვეწა.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; Московский летописный свод конца XV века, Полное собрание русских летописей, т. 25, М., 1949; Новгородская летопись по синодальному харатейному списку, СПб., 1888.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 7, თბ., 1974; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მისივე, დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002; ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X–XVI სს.), თბ., 1956; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

რ. მეტრეველი.

იური ანდრიას ძის აჯანყება 1191, აჯანყება, რომელიც ფორმალურად მიზნად ისახავდა *იური ანდრიას ძის* უფლებების აღდგენას საქართველოში, ფაქტობრივად კი ითვალისწინებდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შერყევასა და მსხვილ ფეოდალთა გარკვეული ჯგუფის უფლებათა გაფართოებას, ამავე დროს იურის განდევნით დაზარალებულ მოქალაქეთა ზედაფენის გავლენის აღდგენას სამეფო ხელისუფლებაზე. აჯანყებაში თითქმის მთელი დას. და სამხრ. საქართველოს საკმაო ნაწილი იყო ჩაბმული. ამბოხებულთა რიგებში იყვნენ: მსახურთუხუცესი ვარდან *დადიანი*, კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი გუზანი (იხ. *გუზან აბულასანის ძე ტაოელი*), სამცხის სპასალარი ბოცო *ჯაყელი* და სხვ. მათ მოიწვიეს იური ანდრიას ძე და გეგუთში მეფედ გამოაცხადეს. თამარ მეფემ სცადა მოწინააღმდეგეებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება, მაგრამ დაზავება ვერ მოახერხა. მეამბოხეთა ერთმა ნაწილმა გადალახა ლიხის მთა, ააოხრა ქართლი და ნაჭარმაგევამდე მივიდა. მეორე ნაწილმა გადაიარა რკინისჯვარი, აიღო ციხისჯვარი, გადაწვა ქ. ოძრხე. საქართველოს სამეფო კარმა შეკრიბა ლაშქარი, რ-იც ამირსპასალარ გამრეკელ *თორელის* მეთაურობით აჯანყებულთა მეორე ნაწილს შეებრძოლა. მეამბოხეებმა უკან დაიხიეს. სამეფო ლაშქარი დაედევნა მტერს. თმოგვსა და ერუშეთს შუა გაიმართა დიდი ბრძოლა, რ-იც თამარის მოლაშქრეების გამარჯვებით დამთავრდა. შეიტყვეს თუ არა ქართლში მყოფმა მეამბოხეებმა თანამზრახველთა დამარცხება ჯავახეთში, თვითონაც გაიქცნენ. დამარცხებულ მეამბოხეთა ხელმძღვანელები ლიხთიმერეთიდან მორჩილებით გადმოვიდნენ და უფლისწული იურიც გადმოიყვანეს. თამარის ბრძანებით იური ანდრიას ძე სრულიად უვნებელი გაუშვეს (ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, იგი კვლავ ბიზანტიაში წავიდა). არც ამბოხების სხვა თავკაცები დაუსჯიათ მკაცრად, თუმცა თანამდებობები კი ჩამოართვეს. მეფის ერთგულები სათანადოდ იქნენ დაჯილდოებულნი და ,,შეწყალებულნი‘‘. იური ანდრიას ძემ ერთხელ კიდევ სცადა ბედი და არანის მხრიდან შემოიჭრა საქართველოში, დაარბია კამბეჩანის მხარე და ტყვე და ნადავლიც ,,აიღო‘‘. მას მცირე ლაშქრით დაედევნა ხორნაბუჯის პატრონი *წყარო და ლიტ.* იხ. სტ-თან *იური ანდრიას ძე.* *რ. მეტრეველი.*

იურიდიული განათლება, სახელმწიფოს, მმართველობისა და სამართლის შესახებ არსებული ცოდნის ერთობლიობა, რაც გვაძლევს პროფესიული იურიდიული საქმიანობის წარმოების საფუძველს. სამართალმცოდნეობის სპეციალისტთა მომზადების სისტემა. განათლების ერთ-ერთი უძველესი დარგი.

იურიდ. სასწავლებლები ჯერ კიდევ ძვ. რომში არსებობდა. შუა საუკუნეების ევროპის უნ-ტებში ერთ-ერთი პირველი ფაკ-ტი იყო იურიდიული, ხოლო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ბოლონიის უნ-ტი უმაღლესი იურიდ. სკოლის ბაზაზე შეიქმნა (1158). ევრ. უნ-ტებში იურიდ. ფაკ-ტების შექმნა-გაფართოებას დიდად შეუწყო ხელი რომის სამართლის რეცეფციამ. სამართალი ისწავლებოდა აგრეთვე ძველ აკადემიებში (საქართველოში – გელათისა და იყალთოს აკადემიები).

მოსკოვის უნ-ტში (დაარსდა 1755) პირველ სამ ფაკ-ტს შორის (სამედიცინოსა და ფილოსოფიის ფაკ-ტებთან ერთად) იურიდ. ფაკ-ტიც იყო, რ-იც ერთ-ერთ სავალდებულო ფაკ-ტს წარმოადგენდა. გარდა ამისა, რუსეთში არსებობდა იურიდ. ლიცეუმები და სამართალმცოდნეობის სასწავლებლები. ი. გ. ჰქონდათ მიღებული ი. *ჭავჭავაძეს*, გ. *რობაქიძეს*, სანქტ-პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე სწავლობდა აგრეთვე *ვაჟა-ფშაველა* და სხვ.

საქართველოში ი. გ-ის განვითარება განუყრელად არის დაკავშირებული თსუ-სთან, სადაც 1922 სოც.-ეკონ. ფაკ-ტზე შეიქმნა იურიდ. განყ-ბა. მის ბაზაზე 1930 ჩამოყალიბდა ,,საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი‘‘. 1933 ეს ინ-ტი გადაკეთდა თსუ-ის ფაკ-ტად და საბჭ. სამართლის ფაკ-ტი დაერქვა, ხოლო 1936-იდან – იურიდ. ფაკ-ტი.

თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტზე, მისი დაარსებიდან დღემდე, გაშლილია შესაბამისი სასწავლო და სამეცნ. მუშაობა, აქ იზრდებიან ახალგაზრდა მეცნიერები. 1957-იდან საქართვ. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში (ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტი – ახლანდ. თ. წერეთლის სახ. სახელმწიფოსა და სამართლის ინ-

ტი) სამართლის განხრით დაიწყო მეცნიერული კვლევა და სამეცნ. კადრების აღზრდა.

ი. გ. საქართველოში უფრო მეტად პოპულარული გახდა საბჭ. იმპერიის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. გაიხსნა იურიდ. ფაკ-ტები საქართვ. სხვადასხვა უნ-ტებში (თელავი, გორი, ქუთაისი, ბათუმი და სხვ.). მრავალი ახალგაზრდა ი. გ-ს იღებს აგრეთვე საზღვარგარეთ.

ლიტ.: ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ს., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის, «საბჭოთა სამართალი», 1973, №4–5. *ს. ჯორბენაძე. ო. გამყრელიძე.*

იურიდიული მეცნიერება, იურისპრუდენცია, სამართლის დარგთა ერთობლიობა, აგრეთვე თეორიული მოღვაწეობა სამართლის დარგში. იხ. აგრეთვე *სამართლისმცოდნეობა.*

იურისტთა კავშირი საქართველოსი, იხ. *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა კავშირი.*

იურჩიხინი თედორე (ფეოდორ) ნიკოლოზის ძე (დ. 3. I. 1959, ბათუმი), კოსმონავტი. 1976 დაამთავრა ბათუმის კოროლიოვის სახ. მე-5 საშ. სკოლა, 1983 – მოსკოვის საავიაციო ინ-ტის საფრენი აპარატების ფაკ-ტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით, 2001 – რუსეთის სახელმწ. სამსახურის აკადემია. ხუთჯერ მიიღო მონაწილეობა კოსმოსურ ექსპედიციებში, ხუთჯერ გავიდა ღია კოსმოსში, საერთო ხანგრძლივობით 31 *სთ* 54 *წთ.* არის ,,საპატიო ბათუმელი'' (2013). მიღებული აქვს რუსეთისა და საბერძნეთის სამთავრობო ჯილდოები.

იუსეფ გურჯი (დ. წ. უცნობია, – დაახლ. 1871), ირანელი პოეტი, წარმოშობით ქართველი. 7 წლისა ,,ისლამის სჯულისათვის მებრძოლმა'' მუსლიმმა ტყვედ წაიყვანა საქართველოდან, ისლამის სჯულზე მოაქცია და ცნობილ ლიტერატორს მაჰმუდ მირზა ყაჯარს ფეშქაშად მიართვა. ი. გ. წერდა *კასიდებს, რობაიებს, ღაზალებს,* მარსიებს (ელეგია). ავტორია დივანისა, რ-იც 540 ბეითს შეიცავს. დივანი მუჰამედ ალ-ყაზვინის გადაუწერია *ჰიჯრის* 1297 (1879), რ-იც ირანის მეჯლისის ხელნაწერთა საცავში ინახება. ი. გ-ის 5 ბეითი შეტანილია ირან. პოეტთა ცნობილ მიმოხილვაში ,,თეზქერეიე დელგოშა''. რამდენიმე ბეითი მაჰმუდ მირზა ყაჯარმაც შეიტანა თავის თეზქერეში (,,საფინათ ალ-მაჰმუდ''). მისივე ცნობით, ი. გ-ს 3000 ბეითი ჰქონდა (თეზქერეს შედგენის დროისათვის) შექმნილი.

თხზ.: [წიგნში] თ ო დ უ ა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, [წგ.] 1, თბ., 1971.

იუსტინე I (Justinus) (2. II. 450 – 1. VIII. 527, კონსტანტინოპოლი), ბიზანტიის იმპერატორი (518–527). ქართლის მეფე გურგენმა ფარული მოლაპარაკება გამართა ი. I-თან და მისი დახმარების იმედით აჯანყება მოაწყო ირანის წინააღმდეგ (იხ. *გურგენის აჯანყება 523*). კეისარი ქართლის მეფეს დაჰპირდა, რომ ,,რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს'', მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ბიზანტიელთა დამხმარე რაზმი იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ გურგენმა ბრძოლა ვეღარ გაუმართა ირანელებს. ი. I-მა ეგრისში ჯარები შეიყვანა და მისი გამაგრება გადაწყვიტა. მან შორაპანსა და სკანდაში ეგრისელი მცველების ნაცვლად ბიზანტ. ჯარისკაცები ჩააყენა, მათი რჩენა კი ეგრისელებს დააკისრა. ბოლოს ამ სამსახურზე ეგრისელებმა უარი განაცხადეს. ბიზანტიელები იძულებულნი გახდნენ დაეცალათ სიმაგრეები, რ-ებიც ირანელებმა უომრად ჩაიგდეს ხელში. ამ დროს ეგრისელების მეფე გარდაიცვალა. და სამეფო ტახტზე ასასვლელად მისი მემკვიდრე, *წათე I* ემზადებოდა. ი. I დაეხმარა წათეს სამეფო ტახტის დაკავებაში.

წყარო: პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965; ტ. 5, თბ., 1963.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ვ., ბიზანტიური ცივილიზაცია, თბ., 2006; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973. *ლ. მანიავა.*

იუსტინე II (Justinus) (520 – 5. X. 578, კონსტანტინოპოლი), ბიზანტიის იმპერატორი (565–578). 571 ქართლში გურგენის მეთაურობით იფეთქა აჯანყებამ ირანელების წინააღმდეგ (იხ. *გურგენის აჯანყება* VI ს. 70-იანი წლებისა). აჯანყებულებმა ი. II-ს მფარველობაში მიღება სთხოვეს. კეისარი მათ დახმარებას შეჰპირდა, რომ ,,რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელი იქნებოდა, ყოველგვარ საშუალებას იხმარდა, რათა დაეპყრო თვით მათი სამშობლო; თუ ის ვერ შეძლებდა ბოლომდე მიეყვანა ომი, ამ აჯანყების მოთავეებს და მათ ნათესავებს, იმათ, ვინც მოისურვებდა რომაელების სახელმწიფოს მოქალაქეობას, არასდროს არ გასცემდა''. ი. II-მ გაითვალისწინა ქართლის ერისთავთა თხოვნა – მათ მიერ წამოყენებულ კანდიდატს და ბიზანტიელთათვის სასურველ პირს, ქართ. წყაროებით ის უნდა იყოს ქართლის ერისმთავარი გუარამი, კურაპალატის პატივი მიანიჭა და ქართლის უმაღლეს ხელისუფლად ცნო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართლს სათავეში ჩაუდგა არა სუვერენი ,,მეფე'', არამედ კურაპალატის ტიტულის მქონე კეისრის წარმომადგენელი და მოხელე. ი. II-ის დროს გაგრძელდა დავა სვანეთის საკითხზე ბიზანტია-ირანს შორის. სპარსელებმა ბიზანტიას ლაზიკა დაუთმეს სვანეთის გარეშე, რ-საც ბიზანტიისთვის სატრანზიტო გზის მნიშვნელობა ჰქონდა.

წყარო: მ ე ნ ა ნ დ რ ე პ რ ო ტ ე ქ ტ ო რ ი, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, ტფ., 1936; ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ვ., ბიზანტიური ცივილიზაცია, თბ., 2006; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973. *ლ. მანიავა.*

იუსტინიანე I (Flavius Petrus Sabbatius Justinianus) დ ი დ ი [11. V. 482, ტაურეზიუმი (ზემო მაკედონია), – 14. XI. 565, კონსტანტინოპოლი], ბიზანტიის იმპერატორი 527–565, წმინდანი, წარმოშობით ილირიელი გლეხი. გაზარდა ბიძამ – იმპ. *იუსტინე I-მა,* მიიღო ბრწყინვალე განათლება. გაატარა მრავალი რეფორმა. დაპყრობითი ომების შედეგად (533–555) ხმელთაშუა ზღვის აუზი მთლიანად ბიზანტიას დაუმორჩილა. ი. I. თითქმის მთელი თავისი მმართველობის პერიოდში ებრძოდა სასანურ ირანს. ამ ომის ერთერთი ძირითადი ასპარეზი იყო სამხრ. კავკასია, კერძოდ, ეგრისის (ლაზიკის) სამეფო. სასანური ირანის შემოჭრის შიშით დაიწყო ეგრისის გამაგრება და მის ციხე-სიმაგრეებში (სკანდა, შორაპანი, ცხუმ-სებასტოპოლისი და პიტიუნტი) ბიზანტ. გარნიზონები ჩააყენა, პეტრაში (ახლანდ. ციხისძირი) დასვა თავისი სტრატეგოსი, რ-იც გარნიზონით და სათანადო უფლებებით აღჭურვა. პეტრას სიმაგრე ქალაქად აქცია და უწოდა თავისი სახელი. პირველად ბიზანტიის იმპერიას მან დაუმორჩილა ჭანეთი. აბაზგიაში (აფხაზეთში)



თ. ურჩიხინი.

გაავრცელა ქრისტიანობა, აუშენა მათ ეკლესია, დაუწესა მღვდელმსახურება და ეგრისის ხელისუფლების საპირისპიროდ იქ უშუალო მმართველობა დაამყარა. ეგრისში საფორტიფიკაციო მშენებლობას ეწეოდა.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; წმიდანთა ცხოვრება, ტ. 4, თბ., 2003.

ნ. ლომოური.

ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲘᲐᲜᲔ II, რინოტმეტი (669, კონსტანტინოპოლი, – 11. XII. 711, სინოპი, ბიზანტიის იმპერია), ბიზანტიის იმპერატორი 685–695 და 705–711. პროვინციების მიწათმფლობელ არისტოკრატიაზე დაყრდნობით ცდილობდა ხელისუფლების გაძლიერებას, ებრძოდა ქალაქების სეპარატისტულ ტენდენციებს. 687–689 ილაშქრა თრაკიასა და მაკედონიაში, რათა იქ მცხოვრები სლავები ბიზანტიისათვის დაემორჩილებინა. სლავების ნაწილი მცირე აზიაში გადაასახლა. 692 არაბებთან ბრძოლაში დამარცხდა. შეთქმულების შედეგად, რ-საც მეთაურობდა მხედართმთავარი ლეონტი, Ი. II 695 ტახტიდან გადააყენეს. მას ცხვირი მოკვეთეს (აქედან მომდინარეობს მისი ზეწოდება – რინოტმეტი, რ-იც ბერძნულად ცხვირმოჭრილს ნიშნავს) და ხერსონესში გადაასახლეს. Ი. II გადასახლებიდან გამოიქცა. მასთან ერთად იყო ქართლის ერისმთავარი ბაგრატიონთა სახლიდან ვარაზ-ბაკური (ძმასთან ერთად). მათი და ბულგართა ხანის, ტერველის დახმარებით 705 Ი. II-მ ტახტი დაიბრუნა. გაწეული დახმარებისათვის მან ვარაზ-ბაკური ოფსიკიონის თემის სტრატეგოსად დანიშნა და პროტოპატრიკიოსის მაღალი საკარისკაცო ტიტული უბოძა. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ვარაზ-ბაკური დროებით საქართველოში ჩამოვიდა. მისი ბრძანებით შესრულებულ აბასთუმნის ჯვრის კვარცხლბეკის ამოკვეთილ წარწერაში აღნიშნულია: ,,აქ შეწევნითა ქრისტესითა, ივსტინიანე მეფისა [ზე, მე] [... ვიქმენ ღმრთისაგან განდიდებული ნათესავთა ყოველთა ჩემთა] ...“ Ი. II სასტიკად გაუსწორდა თავის მოწინააღმდეგეებს, ხოლო მათგან დევნილები კი გაათავისუფლა. იმ დროისათვის უკვე ცნობილი სამხ. მოღვაწე ვარდანი ხერსონესში გადაასახლა. 711 ვარდანმა Ი. II ტახტიდან ჩამოაგდო და თავი იმპერატორად გამოაცხადა. მისი ბრძანებით Ი. II-ს თავი მოჰკვეთეს, მისი ერთგული ვარაზ-ბაკურიც სიკვდილით დასაჯეს.

ლიტ.: ასათიანი ვ., ბიზანტიური ცივილიზაცია, თბ., 2006; გოილაძე ვ., ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში, თბ., 2008. *ვ. გოილაძე.*

ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲘᲐᲜᲘᲐ ჰენრიეტა ქრისტეფორეს ასული (დ. 5. VI. 1933, თბილისი), ფერმწერი. საქართვ. დამს. მხატვარი (1982), ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1973). 1952–58 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკ-ტზე. 1985–2007 იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (2002-იდან – პროფესორი). მონაწილეობს გამოფენებში 1959-იდან. Ი. მუშაობს სხვადასხვა ჟანრში და იყენებს სხვადასხვა მასალას. ძირითადი ნამუშევრები: ,,შოპენის პორტრეტი“ (1960), სერია ,,თბილისის ხედები“ (1962–88), ,,ნატიურმორტი“ (1963), ,,ქალიშვილის პორტრეტი“ (1975), ,,შემოდგომის პეიზაჟი“ (1981), ,,ზამთარი“ (1988); ვიტრაჟები: ,,ქართული ცეკვა“ (1961), ,,ქართული პეიზაჟი“ (1974–75), ,,შავი ზღვა“ (1976); ბაქოს ხურდალანის საკონფერენციო დარბაზის კომპლ. გაფორმება – ჭედურობა, მოზაიკა, ბრეზი (1980–82); მოსკოვთან მდებარე სანატორიუმ ,,ტყის ტბის“ კომპლ. გაფორმება – გობელენი, შამოტი, ჭედურობა (1987–88); ,,მედიცინა“ (მარნეულის ცენტრ. კლინიკ. საავადმყოფო, 1988–89). გამოფენები: ,,ქართული ხელოვნება“ (1960, ვარშავა), რესპუბლიკური (1961, 1963, 1965, 1972, 1980, თბილისი), ,,მონუმენტური ხელოვნება“ (1967, მოსკოვი), ,,საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ (1998, თბილისი). Ი-ს ნამუშევრები დაცულია შოპენის (პოლონეთი), შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების, ქ. კრაკოვის ,,მლოდა პოლსკას“ მუზეუმებში, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში. მონაწილეობდა სიმპოზიუმში ,,სსრკ მონუმენტური ხელოვნება“ (1974, მოსკოვი) და ვიტრაჟის I საკავშ. სემინარში (1978, რიგა). ავტორია წიგნების – ,,Ян Матейко“ (1959), ,,თანამედროვე ქართული ჭედურობა“ (1986), ,,პოლონელი მხატვრები საქართველოში“ (2006) და სხვ. *თ. გერსამია.*

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ საქართველოსი, სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო, რ-საც ეკისრება სასამართლო ხელისუფლების თვითრეგულირებისა და თვითკონტროლის ფუნქციის ეფექტიანად განხორციელების პასუხისმგებლობა. Ი. Უ. Ს. არის საქართვ. კონსტიტუციის (მ. 86[1]) საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო, თუმცა თავდაპირველად იგი ჩამოყალიბდა საქართვ. პრეზიდენტის სათათბირო ორგანოდ. საბჭოს მიზნები და ამოცანები განსაზღვრულია საქართვ. კონსტიტუციითა და ორგ. კანონით საერთო სასამართლოების შესახებ (მმ. 47–53). საბჭო ხელმძღვანელობს თავისი რეგლამენტით, რ-საც თვითონვე ამტკიცებს; თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს (გარდა უზენაესი სასამართლოს წევრებისა), მოსამართლეთა მიმართ ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას, ორგანიზაციას უკეთებს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებას და განსაზღვრავს საგამოცდო კომისიის შემადგენლობას; შეარჩევს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩასარიცხ კანდიდატებს; შეიმუშავებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს, განიხილავს სასამართლო სტატისტიკის მასალებს; წყვეტს მოსამართლეთა მივლინებისა და წახალისების საკითხებს, განსაზღვრავს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობას, ახორციელებს მათი საქმიანობის პროფესიულ შეფასებასა და საგამოცდო ვადით დანიშნული მოსამართლეების მონიტორინგს. გარდა ამისა, შეიმუშავებს წინადადებებს სასამართლო რეფორმის საკითხებზე და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს. საბჭო შედგება 15 წევრისაგან. შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ მოსამართლეები, რებიც არჩეული არიან თვითმმართველობის ორგანოს – საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის მიერ. მათი შემადგენლობიდან კონფერენცია ირჩევს საბჭოს მდივანსაც. 5 წევრს ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართვ. პარლამენტი, ხოლო ერთ წევრს ნიშნავს საქართვ. პრეზიდენტი. პარლამენტისა და პრეზიდენტის მონაწილეობა Ი. Უ. Ს-ს დაკომპლექტებაში წარმოადგენს ხელისუფლების განშტოებათა შორის კონ-

ტროლისა და ბალანსის სისტემის ნაწილს და იმას ემსახურება, რომ სასამართლო არ გადაიქცეს დახშულ სივრცედ, კონტროლისაგან მოწყვეტილ ინსტიტუციად და საბჭოში ჯეროვნად იქნეს წარმოდგენილი საზ. ხედვა სასამართლოს პრობლემების და სამართ. სისტემის სრულყოფის საკითხზე.

ი. უ. ს-ს თავმჯდომარეობს საქართვ. უზენაესი სასამართლოს თავ-რე. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. საბჭოს წევრობა შეუთავსებელია პოლიტ. საქმიანობასთან. მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა, მაგ., მოსამართლეთა დანიშვნა, გათავისუფლება და დისციპლინური სამართალწარმოება, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 2/3-ის უმრავლესობით, დანარჩენ საკითხებზე კი – უბრალო უმრავლესობით.

მიუხედავად იმისა, რომ ი. უ. ს-ს სტრუქტურა, საქმიანობის წესი და ფუნქციები ძირითადად შეესაბამება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საყოველთაო პრინციპებს, მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევრ. ქარტიისა (1998) და ,,მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ'' ევრ. საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის [No.R(94)12] მოთხოვნებს, საქართვ. იურიდ. წრეებში მომწიფებულია აზრი, რომ საჭიროა საბჭოს საქმიანობის ქმედითობის ამაღლება გამოყენებული პროცედურების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების გზით. *ე. გოცირიძე.*

იუსუფ I ჯაყელი, ახალციხის ფაშა 1635–47. საფარ-ფაშას ძე. ქართ. წყაროებში იგი ათაბაგად ან ფაშა-ათაბაგად იხსენიება. XVII ს. 20–30-იან წლებში, როცა მესხეთი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა, საფარ-ფაშა თურქ. ზონაში რჩებოდა ფაშად, ხოლო ი. I – ირანის ზონაში. ასე ინარჩუნებდნენ ისინი თავიანთ სამემკვიდრო უფლებას სამცხე-ჯავახეთში.

ლიტ.: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე), თბ., 1975.

შ. ლომსაძე.

იუსუფ II ჯაყელი, ახალციხის ფაშა 1680–90 ან 1703. იგი, წინაპართა მსგავსად, ოსმალურ ყაიდაზე მართავდა ქვეყანას, ერეოდა იმერეთისა და ქართლის სამეფოს საქმეებში და საქართველოსთან დაკავშირებულ ყველა საქმეს ,,აგვარებდა'' ოსმ. სულთნის კარზე. სულთან მეჰმედ IV-თან იმერეთის დიდებულებისა და ქართლის მეფის, გიორგი XI-ის შუამდგომლობის შემდეგ 1683 ი. II-მ იმერეთის ტახტზე ბაგრატ IV-ის ვაჟი ალექსანდრე IV დასვა. 1685 ი. II-მ ღალატით მოაკვლევინა ქაიხოსრო გურიელი და გურიელად მისი ძე, მამია დასვა.

ი. II-ის გარდაცვალების თარიღად ქართულ წყაროებში 1690 სახელდება, თურქულ ისტორიოგრაფიაში კი მითითებულია 1703.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987; ჩოჩიევი ვ., სამცხე-საათაბაგო მე-17 საუკუნის მეორე მეოთხედში, «თსუ შრომები», 1958, ტ. 6.

ც. აბულაძე.

იუსუფ III ჯაყელი, ახალციხის ფაშა 1737–44. *ისაყ I-ის* ძე. საფაშო ტახტზე ავიდა მამის სიცოცხლეშივე. ცდილობდა საქართველოს სამეფო-სამთავროებთან ბრძოლაში ჩაება დაღესტნელი ფეოდალები. 1744 დიდი ხაზინითა და ჯარით დაიძრა ახალციხიდან დაღესტანში ლეკთა ლაშქრის დასაქირავებლად. გზად, მდ. არაგვზე, ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა. უკუქცეული ი. III აწყურში გარდაიცვალა და ტახტს კვლავ მამმისი დაუბრუნდა.

ლიტ.: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე), თბ., 1975.

შ. ლომსაძე.

იუსუფ IV ჯაყელი, ახალციხის ფაშა 1796–97. სულთნის ყოფილი სერასკირი (მთავარსარდალი). 1796 სექტემბერში ახალციხის ფაშის თანამდებობა უსისხლოდ დაიკავა. ოპონენტების მიმართ შერიგების გონივრულ პოლიტიკას ატარებდა. მიმოწერა ჰქონდა ერეკლე II-თან და მას ოსმალეთის მფარველობაში შესვლის სანაცვლოდ მილიონი მანეთის სესხებას ჰპირდებოდა. 1797 აპრილში იგი საბუდ მაჰმად ფაშამ შეცვალა.

უ. ბლუაშვილი.

იუფშარა, მდინარე გუდაუთის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. გეგის მარცხ. შენაკადი. გამოედინება რიწის ტბიდან. სიგრძე 11 *კმ*, აუზის ფართ. 236 *კმ*^{2}. სათავიდან 0,5 *კმ*-ზე იკარგება გრუნტში და 2 *კმ* შემდეგ კვლავ გამოდის ზედაპირზე. მიედინება კანიონში. საზრდოობს მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლებით. წყალდიდობა იცის აპრილ-მაისში, იშვიათად – ზამთარშიც. საშ. ხარჯი სათავეში არის 7,6 *მ*^{3}*/წმ*. წყალი მუდამ სუფთაა. ი-ის ხეობაში გადის რიწის ტბისკენ მიმავალი გზატკეცილი. *ი. აფხაზავა.*

იუხო, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ხადისწყლის (მთიულეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1650 *მ*, დუშეთიდან 78 *კმ*. 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ფერდობზე, მდებარეობს IX–X სს. ,,ზურგიანი'' კოშკი, რ-საც მოსახლეობა ირიაულების კოშკს უწოდებს. იგი შვიდსართულიანია და მთავარი ფასადით ხეობისკენაა მიმართული. ამ მხრიდან მას ეკვრის მოგვიანებით აგებული კუბის ფორმის შენობა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.

იფანი, კოპიტი (Fraxinus), ფოთოლმცვივანი ხეების გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა. მისი 67 სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ (იშვიათად ტროპ. და სუბტროპ.) სარტყელში. საქართველოში მთის შუა სარტყლამდე ხარობს სამი სახეობა: ჩვეულებრივი ი. (F. excelsior) – 30–40 *მ*-მდე სიმაღლის სწორტანიანი ხე. გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, კარგად ხარობს დაბლობისა და მთის შუა სარტყლის მეზოფილური ტყეების ნათელ უბნებში ფართოფოთლოვან ხეებთან ერთად; თუთუბოფოთოლა ი. (F. coriariaefolia) – იზრდება კახეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტყეებში, გვხვდება გაველურებულიც; მახვილნაყოფა ი. (F. oxycarpa) – უმთავრესად დას. საქართველოს ტყეებშია გავრცელებული; რგავენ



იფანი.

კიდეც (თბილისის მიდამოები). გარდა ამისა, საქართველოში 0-ის 20-ზე მეტი ეგზოტური სახეობა გვხვდება. 0-ის მერქანი მაღალხარისხიანია; ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ფოთოლი კი – ვიტამინებსა და ეთეროვან ზეთებს. *მ. იმედაძე.*

ᲘᲤᲜᲐᲠᲐ, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ბოშურის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. ტანის ხეობაში, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1270 *მ,* გორიდან 32 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

0-ში შემორჩენილია ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები.

ჯ. გვასალია.



იფნურა.

ᲘᲤᲜᲐᲠᲘ, სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის დაბა ბზიფის თემში (აფხაზეთის არ), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ბზიფის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 40 *მ,* გაგრიდან 15 *კმ,* ბზიფიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 *კმ.*

0. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ᲘᲤᲜᲐᲠᲘ (ყოფ. კ ი რ ო ვ ი ს ი), სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), გომარეთის პლატოზე. თემის ცენტრი (სოფლები: 0., ბახჩალარი, დაგარახლო, ორმაშენი, საჯა, ყიზილაჯლო). ზ. დ. 1300 *მ,* დმანისიდან 16 *კმ.* 272 მცხ. (2014).

ᲘᲤᲜᲐᲠᲘ, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ჭივჭავის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), მდ. თეთრწყაროსწყლის (ხრამის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1090 *მ,* თეთრი წყაროდან 5 *კმ.* 11 მცხ. (2014).



იფქლი.

0-ში მოიპოვება სამშენებლო მასალა – ბაზალტი.

ᲘᲤᲜᲘᲡᲒᲝᲠᲐ, ყოფილი სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტში.

ᲘᲤᲜᲣᲠᲐ (Dictamnus), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ტეგანისებრთა ოჯახისა. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი 0. (D. caucasica) და შ ი შ ვ ე ლ ს ვ ე ტ ი ა ნ ი 0. (D. gymnostylis). გავრცელებულია მეტწილად ტყისპირებზე, ნათელ ტყეებში, ბუჩქნარებსა და ნაკაფებში, აგრეთვე სტეპებში. მცენარე მოფენილია შავი ჯირკვლებით, რ-ებიც დიდი რაოდენობით გამოყოფენ (განსაკუთრებით ყვავილობისას) აალებად ეთეროვან ზეთებს.

ლ. ხინთიბიძე.

ᲘᲤᲠᲐᲠᲘ, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის კალის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ჩხუნდერის (ჩხუტნერი) ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1920 *მ,* მესტიიდან 35 *კმ.* 14 მცხ. (2014).

სოფელში დგას XI ს. მთავარანგელოზის (,,თარინგზელ'') ეკლესია.

ᲘᲤᲫᲚᲘ, საშემოდგომო ხორბლის ადგილობრივი ჯიში. აქვს თითისტარისებრი ან ცილინდრული თავთავი, ნახევარრქისებრი მარცვალი. 1000 მარცვლის მასაა 35–40 *გ.* გავრცელებული იყო ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რ-ნებში (ახლანდ. მუნიციპალიტეტები). იხ. აგრეთვე *რბილი ხორბალი.*

ᲘᲤᲪᲮᲝᲠᲘ, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშეთის (ომალოს) თემში (კახეთის რეგიონი). ზ. დ. 2255 *მ.* შეტანილია საქართვ. ტერიტორიაზე 2012 გამოვლენილი სოფლების სიაში. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

ᲘᲤᲮᲜᲘ, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ლატალის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), უშბის მასივის სამხრ. კალთის ძირას, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1600 *მ,* მესტიიდან 12 *კმ.* 35 მცხ. (2014).

სოფელში დგას წმ. გიორგის (,,ჯგრაგ'') ეკლესია.

ᲘᲫᲝᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ (ბერძნ. Ichthys – თევზი და logos – სიტყვა, მოძღვრება), ზოოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს თევზებს და მრგვალპირიანებს, მათ სისტემატიკას, აგებულებას, ცხოვრების წესს, გავრცელებას, ევოლუციას. თევზები ხერხემლიანთა შორის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ჯგუფია. დღეისათვის შესწავლილია მათი 30 ათასამდე სახეობა. კაცობრიობა უხსოვარი დროიდან მისდევს აკვაკულტურას — წყლის ორგანიზმების მოშენებას და გამრავლებას როგორც სამეურნეო, ასევე დეკორ. მიზნით. ადამიანი ქვის ხანიდან იყენებდა თევზს არა მარტო საკვებად, არამედ მისი ფხებისგან ამზადებდა ნემსებს, მსხვილი ძვლებისგან – ისრის პირებს. ჯერ კიდევ 3500 წლის წინ, ძველ ეგვიპტეში საკულტო, ასევე საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის ხორციელდებოდა დაკვირვება თევზების სხვადასხვა სახეობაზე. 2000 წლის წინ ჩინეთში გამოიყვანეს კობრის შინაური სახეობა და ვერცხლისფერი კარჩხანასაგან მიიღეს ოქროს თევზის ნაირსახეობა. არისტოტელემ ძვ. წ. IV ს. თევზები გამოყო წყლის ხერხემლიანთა ცალკე ჯგუფად. უძველესი წიგნი მეთევზეობის შესახებ ჩინელებს ეკუთვნით და თარიღდება 475 წლით. ძვ. ევროპაში თევზის მოშენების პირველი მცდელობის შესახებ შეიძლება ამოვიკითხოთ რომაელი მწერლების ნაწარმოებებში. პლინიუსის გადმოცემით, ძველ რომში აუზებში ინახავდნენ მრავალი სახეობის თევზს, მ. შ. მურენებსაც კი. შემდგომი პერიოდის ევროპაში სატბორე მეურნეობის გაშენებასა და თევზების გამრავლების საკითხში დიდი წვლილი მიუძღვის საფრანგეთის მეფე კარლოსს, რ-მაც იმპერატორად გახდომისთანავე გამოსცა ბრძანება: ,,თითოეული მბრძანებელი ვალდებულია თავის სავარგულზე გააჩნდეს თევზის მოსაშენებელი ტბორი''.

ამიერკავკასიაშიც, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მეთევზეობა ჯერ კიდევ ზემო პალეოლითის ხანიდანაა ცნობილი. ამაზე მიუთითებს ქვის, რქის, ძვლის ბარჯისა და ანკესების არქეოლ. მონაპოვარი. საქართველოს წყალსატევები და იქთიოფაუნა თავის ნაშრომებში ზუსტად აღწერა ვახუშტი ბატონიშვილმა. თევზის პროდუქტების დამუშავება საქართველოში შუა საუკუნეებიდან დამკვიდრდა. მდ. რიონის ზუთხისნაირთა რეწვის თაობაზე მონაცემები და ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა ზუთხის ქვირითის დამზადების შესახებ XVIII ს. II ნახევარს ეკუთვნის. ქართვ. მეცნიერები თევზის რეწვის უფრო ადრეულ პერიოდსაც აღწერენ. საქართვ. იქთიოფაუნის მეცნ. შესწავლა XVII ს-იდან დაიწყეს უცხოელმა მეცნიერებმა და მოგზაურებმა: ა. ნორდმანმა, კ. *კესლერმა,* ფ. შტონდახნერმა, ი. *გიულდენშტედტმა,* გ. *რადემ,* ფ. კავრაისკიმ, ი. არნოლდმა, ვ. მარტიმ; მილანელმა მისიონერმა და მოგზაურმა ჯ. *ჯუდიჩემ,* ჟ. *შარდენმა.* იმავეს იუწყება. საქართველოს იქთიოფაუნის რეწვის საკითხებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ *იოანე ბატონიშვილი,* ი. ფორტუნატოვი, ა. სადოვსკი, ლ. არნოლდი, ე. კულაკოვა, ნ. ვახვახიშვილი, რ. შავერდაშვილი. შავი ზღვის, მდინარეებისა და ტბების იქთიოფაუნა გამოიკვლიეს გ. ბარაჩმა, მ. ტიხიმ, რ. ელანიმემ, მ. დემეტრაშვილმა, ვ. შერვაშიძემ, ო. ბურჭულაძემ, ნ. ნინუამ, გ. ბურჯანაძემ, ჯ. მესხიძემ, რ. შავერდაშვილმა, ა. კოხიამ, ლ. ნათაძემ, ო. ჯაფოშვილმა, ბ. ჯაფოშვილმა, ო. გოგმაჩაძემ, ა. კომახიძემ, რ. გორაძემ, მ. შავლაყაძემ, თ. ქოქოსაძემ, ლ. გოლე-

თიანმა, პ. ხელაძემ, ა. გუჩმანიძემ და სხვ. 1852 თბილისში შეიქმნა კავკასიის მუზეუმი, რ-ის ზოოლოგიური ფონდები იქთიოლოგიური მასალით გამდიდრეს ცნობილმა მეცნიერებმა: გ. რადემ, ფ. კავრაისკიმ, კ. სატუნინმა, ა. შელკოვნიკოვმა, პ. შიდტმა, ვ. მარტომ, ვ. როსტომბეკოვმა, რ. ელანიძემ, მ. დემეტრაშვილმა. ბოლო 45 წლის განმავლობაში (1969–2015) ნ. ნინუას მიერ შეივსო და გამდიდრდა ფონდები შავი ზღვისა და მტკნარი წყლების იქთიოლოგიური მასალით (600-ზე მეტი). 1931-იდან იქთიოლოგიის დარგში დიდი სამეურნეო სამუშაოები ჩატარდა ბათუმის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საქართველოს განყ-ბაში; საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყ-ბაში; თსუ-სა და პედ. ინ-ტების ზოოლოგიის კათედრებზე. საქართველოში 1932 ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჯაპანაში აშენდა დიდი სატბორე მეურნეობა, რ-საც სარეალიზაციოდ გაჰქონდა როგორც მოზარდი, ასევე სასაქონლო კობრი. 1955 დამთავრდა შავწყალას საკალმახე მეურნეობის მშენებლობა. 1978 მდ. რიონზე, სოფ. გეგუთში აშენდა ზუთხსაშენი ქარხანა, სადაც დღემდე მიმდინარეობს თევზების ხელოვნური აღწარმოება.

ნ. ნინუა.

ᲘᲥᲗᲘᲝᲤᲗᲘᲠᲘᲣᲡᲘ (Ichthyophthirius multifiliis), უმარტივესი ერთუჯრედიანი ინფუზორია პარაზიტი. აქვს მომრგვალო, კვერცხისებრი, 0,5–1 *მმ* დიამეტრის წამწამებით დაფარული სხეული. მრავლდება მიტოზით. ინფუზორიის ზრდასრული ფორმა ლოკალიზდება თევზის კანის ეპითელიუმის ქვეშ, სადაც მისივე ქსოვილით იკვებება. ფსკერზე მასპინძელ ორგანიზმს გარედან ემაგრება, გარდაიქმნება ცისტად, რ-შიც იწყება უჯრედის დაყოფა. ერთი ზრდასრული უჯრედიდან დღე-ღამეში წარმოიქმნება ორი ათასამდე ახალი უჯრედი. ახალგაზრდა ინფუზორიები წყალში გადაადგილდებიან მასპინძელი ორგანიზმის მოსაძებნად. ის ინფუზორიები, რ-ებიც მასპინძელს ვერ პოულობენ, 2–3 დღეში იღუპებიან. ინფუზორია პარაზიტობს თევზის ფარფლებზე, კანის ეპითელიუმზე, ლაყუჩებზე. რამდენიმე დღეში იგი იზრდება 1 *მმ*-მდე და შეუიარაღებელი თვალით ჩანს თეთრი წერტილების სახით. ი. თევზის კანზე წარმოქმნის წყლულებს. სრული ციკლი გრძელდება 7–10 დღეს. ი. განსაკუთრებით სახიფათოა დახურულ წყალსატევებსა და აკვარიუმში, სადაც თევზების მასობრივ დაღუპვას იწვევს.

ᲘᲥᲡᲝᲚᲘᲡᲔᲑᲠᲘ ᲢᲙᲘᲞᲔᲑᲘ (Ixodidae), სამღვრის ტკიპები, ტკიპების ქვერიგი. სხეულის ზომა მერყეობს 0,5–20 *მმ*-მდე (ზოგიერთი სისხლით გაბერილი მდედრი). ი. ტ. გავრცელებულია ყველა კონტინენტზე, გარდა ანტარქტიდისა. დღეისათვის აღწერილია 840 სახეობა, რ-ებიც გაერთიანებულია სამ ოჯახში: Ixodidae, Argasidae და Nuttalliellidae. მათგან პარაზიტები მხოლოდ Ixodidae და Argasidae ოჯახის წარმომადგენლები არიან. აღინიშნება სქესობრივი დიმორფიზმი. მდედრი და მამრი ტკიპა ერთმანეთისაგან ვიზუალურად განსხვავებულია. განვითარების ციკლი მოიცავს კვერცხსა და 3 აქტიურ სტადიას (ლარვა, ნიმფა და ზრდასრული ფორმა – იმაგო). იკვებებიან სიცოცხლეში ერთხელ 3–10 დღე. გამაძღარი ტკიპა სცილდება მასპინძელს და დებს 3–10 ათასამდე კვერცხს. აქტიური, მშიერი ი. ტ-ები მასპინძლის საძებნელად ბალახზე ადიან და განვითარების სტადიის მიხედვით ირჩევენ მსხვერპლს: ნიმფები დაბალ ბალახში მღრღნელებზე იკვებებიან, ხოლო იმაგოები მსხვილ ძუძუმწოვრებს ეტანებიან. არგასისებრი ტკიპები მასპინძლების სადგომებში ცხოვრობენ და ამდენად, მსხვერპლის საძებნელად შორს წასვლა არ უწევთ.

საქართველოში ცნობილია ი. ტ-ის 31 სახეობა, რ-ებიც პარაზიტობენ გარეულ (ქვეწარმავლები, ძუძუმწოვრები და ფრინველები) და შინაურ ცხოველებზე. იკვებებიან სისხლით, ხშირად პარაზიტობენ ადამიანზეც. მასიური პარაზიტობის დროს შეუძლიათ ცხოველის დასუსტება, თუმცა განსაკუთრებით დიდია მათი უარყოფითი როლი როგორც ცხოველთა და ადამიანის სხვადასხვა დაავადების გამომწვევის გადამტანებისა. ესენია: ტკიპისმიერი ენცეფალიტი, ტულარემია, ბრუცელოზი, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ცხელება და პიროპლაზმოზი. საქართველოში ცნობილია პათოგენური ტკიპების რამდენიმე სახეობა: Boophilus calcaratus – გადააქვს ძროხის პიროპლაზმოზი და ანაპლაზმოზი; Rhipicephalus bursa – ცნობილია როგორც ძროხის, ცხენისა და ცხვრის რამდენიმე სახეობის სისხლის პარაზიტული დაავადების გადამტანი. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა Hyalomma გვარის ტკიპები, კერძოდ, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების გამომწვევის გადამტანები. საქართველოში ამ გვარის ოთხი სახეობაა რეგისტრირებული: H. aegyptium, H. scupense, H. anatolicum და H. plumbeum. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება საქართველოში გამოჩნდა 2009-იდან, ხოლო უკვე 2013-ში 12 შემთხვევა აღინიშნა. შემთხვევები ძირითადად რეგისტრირებული იყო ხაშურში, ასპინძისა და ბორჯომის შემოგარენში.

ი. ტ-ის ქვერიგის კიდევ ერთი პარაზიტული ოჯახის წარმომადგენლები – არგასისებრი ტკიპები წარმოადგენენ ღორის აფრიკული ცხელების პათოგენის გადამტანს. საქართველოში სულ ოთხი სახეობაა რეგისტრირებული: Ornithodoros alactagilis, O. verrucosus, O. asperus და O. lahorensis. ტკიპების ამ ოჯახმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა 2007, როდესაც საქართველოში მასობრივად აღინიშნა ღორის აფრიკული ცხელების შემთხვევები. ქვეყნის 65 რაიონიდან 52 ინფიცირებულად იქნა მიჩნეული, 30000-ზე მეტი ღორი გაწყდა, 3900 კი დაიკლა. ტკიპებში პათოგენი რამდენიმე წელს ძლებს.


იქსოდისებრი ტკიპა.

ლიტ.: ჯაფარიძე ნ., იქსოდისებრი ტკიპები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980; Гугушвили Г. М., Хозяева Ornithodoros verrucosus и O. alactagilis в Грузинской ССР. Результаты теста и осадки, «Медицинская паразитология и паразитные болезни», 1972,41(3); Джапаридзе Н., Иксодовые клещи Грузии, Тб., 1960; Keirans J. E., Order Ixodida, In: A manual of Acarology. Third ed., Texas University Press, 2009; Klompen H., Ticks, the Ixodida, In: Biology of disease vectors, Leiden, 2005. *მ. მურვანიძე.*

ᲘᲔᲣᲛᲔᲜᲘ (ბერძნ. hēgumenos – წინამძღოლი), მართლმადიდებელი მონასტრის წინამძღვარი, ზემდგომი. ი. უფრო თანამედროვე ტერმინია. იგი არ გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში. შესაბამისად, ამ სიტყვას არ იხსენიებს ს.-ს. *ორბელიანი* თავის ცნობილ ,,სიტყვის კონაში'' და არც ი. *აბულაძეს* აქვს შეტანილი ,,ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში''. ძველ ქართულში ი-ის შესატყვისი იყო ,,მამასახლისი''. ეს კარგად ჩანს ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან'', სადაც გადმოცემულია, თუ

როგორ ააშენა გრიგოლ ხანძთელმა უბისის მონასტერი ,,და ილარიონ ვინმე, იერუსალიმით მოსრული, სარწმუნო მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად‘‘. 0-ის ფუნქციებში შედის მონასტრის საძმოზე ზრუნვა, სამონასტრო ტიპიკონის დაწესება და მონასტრის მატერ. მხარის მოწესრიგება.

ლიტ.: ქართული კლასიკური მწერლობა. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 2010.

მამა გიორგი (ვაშალომიძე).

იყალთო, სოფელი თელავის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 640 *მ,* თელავიდან 8 *კმ.* 2,0 ათ. მცხ. (2014).

0-შია ბოჭორმის, ღვთისმშობლის, იოანე მახარებლის, კვირაცხოვლის, მიქაელ მთავარანგელოზის, იოანე ნათლისმცემლის, წმ. სტეფანეს, წმ. ელიას, წმ. გიორგისა და ციხისჯვრის ეკლესიები. 0-ს მიდამოებშია იყალთოს სამონასტრო კომპლექსი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, შოთა რუსთაველის სახ. სახალხო უნ-ტი.

იყალთო, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი, მდებარეობს სოფ. იყალთოს სამხრ-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, მთის ძირში. შემონახულია ფერისცვალების, სამებისა და ყველაწმინდის ეკლესიები, აკადემიის შენობა, სატრაპეზო, მარანი, ექვსი ეკლესიის და რამდენიმე შენობის ნაშთი.

მონასტერი VI ს. II ნახ-ში დააარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ – წმ. *ზენონ იყალთოელმა.* შუა საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც არსენ იყალთოელმა (XI–XII სს.) აქ აკადემია დააარსა, მონასტრის მნიშვნელობა გასცდა კახეთის ფარგლებს და მთელი საქართველოს დიდ კულტ.-საგანმან. ცენტრად იქცა.

მონასტრის ეკლესიებიდან მთავარია ფერისცვალების ეკლესია (,,ღვთაება‘‘). სავარაუდოდ იგი, აგებულია IX ს-ში, იმ ეკლესიის ადგილზე, რ-შიც დაკრძალული იყო მონასტრის დამაარსებელი წმ. ზენონი. XIX ს-ში შენობის კედლების დანგრეული ნაწილები აღადგინეს, ეკლესიას ახალი მაღალყელიანი გუმბათი დაადგეს, შიგნიდან და გარედან შელესეს და შეათეთრეს.

ეკლესია გეგმით ,,ჩახაზული ჯვრის‘‘ ტიპისაა. შესასვლელი სამია – სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით. სამივე კარი ჯვრის შესაბამისი მკლავის ცენტრშია გაჭრილი.

არქიტ. ფორმების თვალსაზრისით, ეკლესიის თავისებურებაა 4 ბოძზე დაყრდნობილი გუმბათი. გუმბათქვეშა ბურჯები გეგმით ჯვრის ფორმისაა.

ფერისცვალების ეკლესიის აღმ-ით, 10–12 *მ* დაშორებით, დგას სამების ეკლესია. იგი თავდაპირველად, გუმბათიანი ყოფილა, დანგრევის შემდეგ კი აღადგინეს (XIX ს.) და დარბაზულ ეკლესიად გადააკეთეს. კარიბჭის იატაკში, ეკლესიაში შესასვლელის წინ, ტაძრის ქვეშ არსებულ აკლდამაში ჩასასვლელი სწორკუთხა შახტია. თვით აკლდამას რეკონსტრუქცია არ შეხებია და უცვლელადაა შემორჩენილი.

ღვთაების ეკლესიის სამხრ-ით დგას ყველაწმინდის დარბაზული ეკლესია, რ-იც XI–XII სს. მიეკუთვნება. მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრ-ით, დგას რიყის ქვით ნაგები აკადემიის შენობა.

კომპლექსის დას-ით, 30 *მ*-ზე, წმ. ნინოს ეკლესიაა, რ-იც მთლიანად მიწით იყო დაფარული. 2012 გაიწმინდა ეკლესიის ინტერიერი და ნაწილობრივ გარეთა კედლები.

ეკლესია დარბაზულია, აფსიდიანი. ნაგებია ნატეხი ქვის ირეგულარული წყობით. ერთადერთი შესასვლელი (შემორჩენილია წირთხლების მცირე ნაწილი) ჩრდიდან აქვს. აფსიდი გადახურულია კონქით. კამარისგან მხოლოდ სამხრ. გვერდის ნაწილიღაა შემორჩენილი. დას. და ჩრდ. კედლების დიდი ნაწილი დანგრეულია. ეკლესია გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით.

ლიტ.: ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1–II, თბ., 2015; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

თ. დვალი.

იყალთოს აკადემია, საგანმანათლებლო დაწესებულება შუა საუკუნეების საქართველოში. აკადემია იყალთოს სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობაში შედიოდა. სავარაუდოა, რომ უკვე IX ს. იყალთო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმან. კერა იყო, თუმცა უშუალოდ 0. ა-ის დაფუძნება XI–XII სს-ში თვალსაჩინო ქართვ. ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის, *არსენ იყალთოელის* სახელს უკავშირდება; სწორედ აქედან უნდა იღებდეს დასაბამს მისი ზედწოდება – იყალთოელი.

თავდაპირველად არსენ იყალთოელი დავით IV აღმაშენებლის მიწვევით გელათში მოღვაწეობდა, მოგვიანებით კი ამ უკანასკნელის მოწოდებით იყალთოში გადავიდა, რათა იქ აკადემია დაეფუძნებინა. ცნობილია, რომ იყალთოში, გელათის აკადემიის მსგავსად, სწავლება შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული ,,ტრივიუმ-კვადრივიუმის‘‘ ციკლის საგნებით მიმდინარეობდა. სწავლების ამგვარი წესი ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში მოქმედებდა და მისი მიზანი თავისუფალი მოქალაქეების აღზრდა იყო, თუმცა ამ სასწ. კურიკულუმმა უფრო ჩამოყალიბებული სახე მოგვიანებით მიიღო. ცნება ,,კვადრივიუმი‘‘ პირველად VI ს. რომაელმა მოაზროვნემ ბოეციუსმა შემოიღო. ტრადიციულად, ,,კვადრივიუმი‘‘ შედგებოდა ოთხი



იყალთოს მონასტერი.



იყალთოს აკადემია. აკადემიის შენობა.

ფუნდამენტური სამეცნ. დისციპლინისაგან, ესენია: არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა. ,,კვადრივიუმის'' აღწერა მოცემულია პლატონის ,,სახელმწიფოს'' მეშვიდე თავში, იგი მას თავისი კურიკულუმის მეორე ნაწილად განიხილავდა. კურიკულუმის პირველ ნაწილში კი შედიოდა ჰუმანიტარული საგნები – გრამატიკა, ლოგიკა და რიტორიკა. ისინი ,,ტრივიუმის'' ციკლის საგნებად მიიჩნევა და უფრო ფართოდ განხილულია V ს. რომაელი მოაზროვნის მარციანე კაპელას ნაშრომებში, თუმცა თავად ცნება ,,ტრივიუმი'' IX ს-იდან იწყებს დამკვიდრებას. მიიჩნეოდა, რომ ,,ტრივიუმის'' ციკლის საგნები იყო მოსამზადებელი ეტაპი ,,კვადრივიუმის'' ციკლის საგნების შესასწავლად, ხოლო ,,ტრივიუმ-კვადრივიუმის'' ერთიანი ციკლი, უმაღლესი რანგის ცოდნის – ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების – დაუფლებისათვის მზადებად განიხილებოდა.

Ი. Ა-ის სასწ. კურიკულუმი სწორედ ზემოხსენებულ კლასიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით იყო აგებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მისი დამფუძნებლები კარგად იცნობდნენ ამ საგანმან. პრაქტიკას და ფართოდ ნერგავდნენ მას იმჟამინდელ საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ამ კლასიკურ კურიკულუმში შემავალი საგნების გარდა შუა საუკუნეების ქართულ საგანმან. დაწესებულებებში ასწავლიდნენ სხვა საგნებსაც. XVIII ს. ქართვ. მოაზროვნის და სას. მოღვაწის, ანტონ I-ის (ბაგრატიონის) ცნობით, არსენ იყალთოელს შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო, რ-ითაც ამ საგანს ასწავლიდნენ იყალთოსა და გელათის აკადემიებში. თუკი მხედველობაში მივიღებთ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ არსენი არისტოტელეს ნაშრომების ქართულ თარგმანებზე მუშაობდა, მაშინ შესაძლოა, მის თარგმანებს შორის არისტოტელეს ,,ფიზიკაც'' ყოფილიყო, ანდა მასზე დაყრდნობით არსენ იყალთოელს ფიზიკის ორიგინ. ქართული სახელმძღვანელო შეექმნა.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტ. და ეკონ. დაღმასვლის კვალდაკვალ Ი. Ა-ის მდგომარეობაც გაუარესდა. მიიჩნევა, რომ XVII ს. პირველ მეოთხედში, სპარსეთის მიერ აღმ. საქართველოში წარმოებული ომების შედეგად, აკადემიამ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა.

ლიტ.: მწიგნობრობა ქართული, ტ. 15: სასულიერო მწერლობა, წგ. 1, თბ., 2013; ხ ი დ ა შ ე ლ ი შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია (IV–XIII სს.), თბ., 1988. *გ. ხუროშვილი.*

იყალთოს არქეოლოგიური ძეგლები, არქეოლოგიური ძეგლები იყალთოს სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე. 1938 მცირე გათხრები ჩაატარა თელავის სახელმწიფო ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმმა (ხელმძღვ. – ა. მამულაშვილი, კონსულტანტი – გ. ჩუბინაშვილი).

1966 შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საქართვ. კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნ.-სარესტავრაციო სახელოსნომ იყალთოს მონასტრის გალავნის შიგნით ჩაატარა სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები (ხუროთმოძღვარი – გ. ჭეიშვილი). ამასთან დაკავშირებით ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) ჩაატარა არქეოლ. კვლევა-ძიება მონასტრის სხვადასხვა მონაკვეთში. პირველი უბანი მოიცავდა საკუთრივ აკადემიას თაღიანი საწნახლითა და ე. წ. სატრაპეზოთი. გაითხარა თაღიანი საწნახლის II სართული, სადაც გაიწმინდა კლდის ქვებით ნაგები შუასვეტიანი დიდი დარბაზი. აკადემიის სენაკებიდან დიდი მუშაობა ჩატარდა ბუხრიანი დარბაზის I სართულზე. დარბაზის ცენტრში გამოვლინდა დედაბოძი და კარიბჭის მრავალსვეტიანი დერეფანი ჩრდ. მხრიდან. მონასტრის ამ მონაკვეთში გამოვლინდა ასევე მოუჭიქავი და მოჭიქული თიხის ჭურჭლისა და ქვევრის ნატეხები, თონე, ჩიბუხები, ვაზის სასხლავი რკინის დანა და სხვ. აღმოჩენილია ბრტყელი და ღარიანი კრამიტები ასომთავრული რელიეფური წარწერებით, სადაც ხშირად მოიხსენიება სახელი იოანე. აღნიშნული მასალა განეკუთვნება შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპს.

მეორე უბანზე – ფერისცვალების ეკლესიის აღმ-ით – გაითხარა მოზრდილი ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რ-ის ცენტრ. დარბაზს აქვს ბუხარი და ორი სასურსათო ხარო. ეს ნაგებობა, სავარაუდოდ, ორსართულიანი იყო. თავის დროზე მოხატული ყოფილა, რაზედაც მეტყველებს დარბაზის შიგნით აღმოჩენილი მოხატული ბათქაშის მოზრდილი ფრაგმენტები. გამოვლენილია IX–X სს. მოუჭიქავი თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები, რ-თა წარწერებში კვლავ გვხვდება სახელი იოანე. მასალა ინახება იყალთოში. 2007–09, მონასტრის მთ. ეკლესიის რესტავრაციასთან დაკავშირებით, მიმდებარე ტერიტზე ჩატარდა არქეოლ. გათხრები (ხელმძღვ. კ. წერეთელი). აღმოჩენილია უძველესი მარანი, რამდენიმე სამლოცველოს და სხვადასხვა შენობის ნაშთები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ვერცხლისა და ბრინჯაოს მონეტები.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ალ., იყალთოს აკადემია, თბ., 1948; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ჭ ე ი შ ვ ი ლ ი გ., აღდგენითი მუშაობა და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყალთოში 1966 წელს. – XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1966 საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები, თბ., 1967; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 1-ი, თბ., 2015.

რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.

ᲘᲛᲔᲓᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ მარტონ (15. IX. 1930, ბუდაპეშტი, – 7. IV. 1991, იქვე), უნგრელი ფოლკლორისტი, ქართველოლოგი, მთარგმნელი.

უნგრ. მეცნ. აკად. ეთნოგრაფიის ინ-ტის ფოლკლორის განყ-ბის გამგე. 1955–59 სწავლობდა თსუ-ის ასპირანტურაში ფოლკლორის განხრით. 1959 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე «,,სქესის მეტამორფოზის'' სიუჟეტიანი ზღაპრის ქართული ლოკალური რედაქციის გენეზისის პრობლემა». 1968 უნგრ. მეცნ. აკად. საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ კრებულში გამოაქვეყნა ნაშრომი ქართ. ხალხ. პოეზიის შესახებ, რ-შიც საფუძვლიანადაა გაანალიზებული ,,არსენას ლექსი'' და გურული ,,ფირალის ეპოსი''. 0-მა თარგმნა ქართ. ხალხ. ზღაპრები [გამოიცა ბუდაპეშტში სათაურით ,,მეფე და ტოროლა'' (1958)]; ს.-ს. ორბელიანის, ა. წერეთლის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის თხზულებანი; პოეტ მარტონ კალაშთან ერთად – ი. ჭავჭავაძის პოემები: ,,აჩრდილი'', ,,რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ'' და ,,განდეგილი'' (გამოიცა ბუდაპეშტში სათაურით ,,ღამის მხედარი'', 1961). *ქ. სიხარულიძე.*

ᲘᲨᲢᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ მიხაი, იხ. *უნგრო-ვლახელი* მიხაილ.

ᲘᲨᲮᲐᲜᲘ, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი სამონასტრო ცენტრი. მდებარეობს ტაოში, მდ. ოლთისისწყლის მარჯვ. ნაპირზე (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია). ივარაუდება, რომ თავდაპირველად ეკლესია (ბანის ტიპის წრიულ გარსშემოსავლელში მოქცეული ტეტრაკონქი) VII ს. 30-იან წლებში ააშენა ეპისკოპოსმა ნერსესმა. არაბების დროს დანგრეული და მიტოვებული ეკლესია IX ს. 20–30-იან წლებში ახ. გეგმით განაახლა გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბა იშხნელმა, რ-იც გახდა მისი პირველი ეპისკოპოსი, ხოლო 0. ქართ. საეპისკოპოსო ცენტრად იქცა (იხ. *იშხნის საეპისკოპოსო*). ახ. ტაძარში, როგორც ჩანს, შევიდა პირვანდელი ტაძრის ზოგი ნაწილი (საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი სვეტებზე დაყრდნობილი თაღების მწკრივით. ძვ. აფსიდი გარედან დაფარულია ახ. კედლებით). X ს. შუა წლებში 0. საფუძვლიანად შეაკეთეს, რის შედეგადაც უფრო სრულყოფილი გახდა ტაძრის გეგმა და მასები, მაგრამ საბოლოო სახე მან 1032, ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, ხუროთმოძღვარ *ივანე მორჩაისძის* ხელში მიიღო, რაც მოთხრობილია სამხრეთის II სარკმლის თავზე მოთავსებულ წარწერაში. ახლანდ. ტაძარი თვალსაჩინოდ წაგრძელებული, ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა, რ-ის მოხაზულობა თითქმის მთლიანად იკვეთება გარედანაც. დას., სამხრ. და ჩრდ. მკლავები სწორკუთხაა. საკურთხევლის აფსიდის ორსავე მხარეს მცირე აფსიდებით დასრულებული სადიაკვნე და სამკვეთლოა. დას-ის მკლავი წარმოადგენს სწორკუთხა დარბაზს, რ-ის გრძივი კედლები პლასტიკურადაა დანაწევრებული კედლის სვეტებით. ჩრდ-ით მას გრძელი უაფსიდო სადგომი ეკვრის. გუმბათი ეყრდნობა 4 თავისუფლად მდგომ ბოძს, რ-თაც ძლიერ პროფილირებული და ჩუქურთმებით შემკული ბაზისები და სვეტისთავები ამშვენებს. გუმბათის ყელი შიგნიდან და გარედან მრგვალია და შეწყვილებულ, გრეხილ ლილვებზე დაყრდნობილი თაღებითაა შემკული.

0-ის ტაძარი ჩუქურთმის მრავალფეროვნებით და კვეთის ხარისხით თავისი დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ტაძრის შიგნით ძველი, XI ს. I ნახ. მხატვრობის ფრაგმენტებია შემორჩენილი. მოხატულობა საგრძნობლად დაზიანდა მას შემდეგ, რაც 0-ის ტაძარი მეჩეთად გადაკეთდა. დაიკარგა ისტ. პირთა – ტაოს ბაგრატიონთა წარმომადგენლების – გამოსახულებანი დას. მკლავში, თუმცა ე. თაყაიშვილმა მაინც მოახერხა ზოგიერთი წარწერის ამოკითხვა (,,ბაგრატ მაგისტროსი, ქართველთა მეფე'' და სხვ.). ასევე ქართ. წარწერები იყო წმინდანთა გამოსახულებებზეც. დიდი ეკლესიის გვერდით მშვენიერი, ჩუქურთმებით შემკული პატარა სამლოცველოა, რ-იც ჩრდ. შესასვლელის ტიმპანზე არსებული წარწერის თანახმად, აგებულია 1006 მეფეთა მეფის, ტაოს ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლის, მეფე ბაგრატ II-ის შვილის, გურგენის მიერ.

0-ის მონასტერი კულტ.-საგანმან. კერაც იყო. ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ნუსხის მინაწერი მოგვითხრობს იქაურ მოღვაწეთა მწიგნობრულ საქმიანობაზე. ილარიონ იშხნელის (X–XI სს.) დაკვეთით არის გადაწერილი ასკეტურ თხზულებათა კრებული და მესტიის სახარება (1033). ამბერკი იშხნელის (XVI ს.) დავალებითა და ხახმარებით განუახლებიათ 1233 წლით დათარიღებული ხელნაწერი. 0-ის საეპისკოპოსო კათედრამ დიდხანს იარსება. იგი ამ ოლქების თურქთაგან დაპყრობის შემდეგაც (XVI ს. ბოლოს) მოქმედებდა. უკანასკნელი ეპისკოპოსი იხსენიება XVII ს. შუა ხანებში. 2013 თურქეთის რესპ. კულტ. სამინისტროს თაოსნობით და ქართველ სპეციალისტთა მონაწილეობით დაიწყო ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რ-ებიც ამჟამადაც გრძელდება.

წყარო: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1960.

ლიტ.: გ ო გ ი ა შ ვ ი ლ ი ი., კ ო პ ლ ა ტ ა ძ ე ი., ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004; დ ვ ა ლ ი თ., იშხანი, თბ., 2010; ც ი ც ხ ვ ა ი ა ლ., იშხნის მცირე ეკლესია, თბ., 1998; ჯ ო ბ ა ძ ე ვ., აღრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007; Беридзе В. В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981.

თ. გერსამია.



იშხანი. XI ს.

ᲘᲨᲮᲐᲜᲘᲙᲘ, ჰერეთის მეფე დაახლ.

943 – X ს. 60-იან წლებში, ადარნასე პატრიკის ძე. Ო-ის თანამმართველი იყო დედამისი, *დინარ* დედოფალი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი. იბნ ჰაუკალის თხზულების მიხედვით, Ო-ის მეფობის დროს ჰერეთი დეილამის მთავრების – სალარიდების სახელმწიფოს ვასალი იყო. X ს. 50-იან წლებში Ო-მა ისარგებლა სალარიდების სახელმწიფოში ამტყდარი შინაფეოდ. ომებით და ხარკის მიცემა შეწყვიტა.

ქართ. წყაროების მიხედვით, Ო-ის მეფობის დროს ჰერეთმა უარყო მონოფიზიტობა და აღიარა ქალკედონური მრწამსი. ეს ფაქტი იმას მოასწავებდა, რომ ჰერეთის პოლიტ. ორიენტაცია მიმართული იყო ქართლისაკენ.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

ᲝᲨᲮᲕᲐᲠᲘ, იხ. *ყარყატი.*

ᲝᲨᲮᲜᲔᲚᲔᲑᲘ, დები ოშხნელები, ქართული ქალაქური სიმღერების შემსრულებელთა ოჯახი, ვოკალური კვარტეტი დების – ნინოს (1898–1967), თამარის (1900–94), ზინაიდას (1902–68) და ალექსანდრას (1904–55) შემადგენლობით [1955-იდან ალექსანდრა შეცვალა მისმა დამ მარიამმა (1889–1973)]. ანსამბლი ოფიციალურად ჩამოყალიბდა 1941. მანამდე კი დები ოშხნელების ოჯახური ანსამბლი წლების განმავლობაში არსებობდა თავდაპირველად ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში და მდიდარი, მრავალფეროვანი რეპერტუარით (ძირითადად ქალაქური ფოლკლორის დასავლური შტოს ნიმუშები), დახვეწილი გემოვნებით, არაჩვეულებრივი შეხმატკბილებით და შესრულების ორიგინალური მანერით ხიბლავდა მსმენელს (აღსანიშნავია, რომ დების სიმღერა მოხსენიებულია გ. ტაბიძის რამდენიმე ლექსში) და დიდ პოპულარობასაც იხვეჭდა. ანსამბლი 1941 შევიდა საქართვ. ფილარმონიის შემადგენლობაში. მისი ხელმძღვ. თამარ ოშხნელი რამდენიმე სიმღერის ავტორიცაა (,,არც ჰოს ამბობს, არც არას'', ,,შენ აყვავდი, ქართლო მეტად'', ,,ახალი წელი'', ,,არ დაიჯერებ'' და სხვ.). 1949 Ო-ს მიენიჭათ საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწეების, ხოლო 1976 თამარს – საქართვ. სახ. არტისტის წოდება.

დიდია Ო-ის როლი ქართ. სამხმიანი ქალაქური სასიმღერო ფოლკლორის დახვეწაში, რეპერტუარის გამდიდრებასა და სიმღერის პროპაგანდაში. კვარტეტმა იარსება 1967-მდე. 1972-იდან სიცოცხლის ბოლომდე თამარი გამოდიოდა ინდივიდუალურად, მღეროდა ქართ. და ძვ. რუს. რომანსებს. Ო-ის მუს. ტრადიციები გრძელდება მათი დიდი ოჯახის მომდევნო თაობებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თამარის შვილიშვილი, მომღერალი, კომპოზიტორი და მსახიობი მ. მენაბდე, რ-იც Ო-ის რეპერტუარის, საკუთარი სიმღერებისა და ქართ. და ძვ. რუს. რომანსების ჩინებული შემსრულებელია. 1999 დაარსდა ოშხნელების სახ. პრემია, რ-იც პირველად მიენიჭა ჭოხონელიძეების მომღერალ ოჯახს (1999). *მ. თაბუკაშვილი.*



დები ოშხნელები.

ᲝᲨᲮᲜᲔᲚᲘ ოთარ სიმონის ძე (20. IV. 1921, სოფ. ჩხარი, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 1992), საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი. ქ. ლვოვში დაამთავრა სამხ. სამეთაურო კურსები. 1939 გაიწვიეს სავალდებულო სამხ. სამსახურში. II მსოფლიო ომის (1939–45) დაწყებისთანავე ჩაება ბრძოლებში ბროდის, ლვოვის, ტერნოპოლის, ჟიტომირის, კრემენჩუგის, პოლტავის, ბოგოლიუბოვოს და ხარკოვის მიმართულებით. 1941 ჩავარდა ტყვედ. იმყოფებოდა ხარკოვის, პოლტავის, კრემენჩუგის ტყვეთა ბანაკებში. თავდაპირველად გადაიყვანეს რუმინეთში, ხოლო 1943 ბოლოს – სამხრ. საფრანგეთში; 1942-იდან იყო ტყვეთა ბანაკების არალეგალური ანტიფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 1944 დასაწყისში მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ტყვეთა აჯანყება, რ-იც გადაიზარდა პარტიზანულ მოძრაობაში ქ. კარბოსთან მდებარე ,,ლაპლანების ტყეში''. 1944 აგვისტოში, როდესაც დაიწყო საფრ. წინააღმდეგობის მოძრაობის საერთო გამოსვლები, მათ უკვე გაერთიანებული ძალით აიღეს ქ. ალბი (დეპარტამენტის ცენტრი). წინააღმდეგობის შტაბმა Ო-ს დაავალა რეგულარული სამხ. ფორმირების შექმნა. შეიქმნა პოლკი, რ-ის მეთაურად Ო. დაინიშნა. პოლკში საბჭოთა მეომრებთან ერთად ირიცხებოდნენ ფრანგები, ესპანელები, პოლონელები, იუგოსლავები და სხვ. Ო. ფრანგებისათვის ცნობილი იყო ,,მაკი ჟორჟიენის'' სახელით. როცა ქ. ტულუზის განთავისუფლებისადმი მიძღვნილი დიდი აღლუმი გაიმართა, ტრიბუნაზე იდგნენ მარშალი დე გოლი, პოლკ. კენინგი და ,,მაკი ჟორჟიენი''. 1945 ოქტომბერში Ო. სამშობლოში დაბრუნდა. ტყვედ ყოფნის გამო იყო რეპრესირებული – მიესაჯა 20 წლით პატიმრობა. 1955 ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს.

Ო. დაჯილდოებულია საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოთი – ორდენით ,,სამხედრო ჯვარი ხმლითა და ვერცხლის ვარსკვლავით'', ,,მამაცობის'' ორდენით, და მედლით ,,წინააღმდეგობისათვის'' და სხვ.

ლიტ.: ბებილეიშვილი ი., ,,მაკი ჟორჟიენ'', გაზ. «აჭარა», 1993, 18.IX; გავაშელი ვ., საზეიმო აღლუმი დე გოლთან ერთად ქართველმა მიიღო, გაზ. «კვირის პალიტრა», 2004, 15–21 III; ნიკოლაძე ფ., წითელარმიელი ქართველები ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობაში, [თბ.], 2009; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 8, თბ., 1980.

მ. ღვალაძე.

ᲝᲨᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲝ, ეპარქია ფეოდალურ საქართველოში. ცენტრი – ოშხანი (ახლანდ. თურქ. ტერიტ.). მდ. ოლთისისწყლის (ახლანდ. ოლთუ-ჩაი) მარჯვ. სანაპიროზე. დაარსდა IX ს. შუა წლებში, *ბაგრატ I* კურაპალატის ინიციატივით. პირველი ეპისკოპოსი იყო საბა ოშხნელი, *გრიგოლ ხანძთელის* თანამოღვაწე. Ო. ს-ს ეპარქიაში შედიოდა ძვ. ქართ. პროვინციები: თორთომი, პარხალი და სხვ. ვახუშტის ცნობით, ,,ოშხანს იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზუნდის მთამდე და აწ ცალიერ არს''. ოშხნელს საკმაოდ საპატიო როლი ჰქონდა საქართველოს მეფეთა კურთხევისა და

დარბაზობის დროს, ხოლო საეკლ. იერარქიაში კი რიგით მეათე იყო. იშხნის კათედრალურმა ტაძარმა და საეკლ. ცენტრმა მოქმედება XVII ს. II ნახ-ში შეწყვიტა. თურქთა ბატონობის პირველ ეტაპზე იშხნელ ეპისკოპოსებს თურქი სულთნები ამტკიცებდნენ.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: აბრამიშვილი გ., ზაქარაია პ., ციციშვილი ი., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000.

დ. მუსხელიშვილი.

ᲘᲨᲮᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ, ტაო-კლარჯეთის, კერძოდ, *იშხნის* ეპიგრაფიკული ძეგლები. მათ მეცნიერულ შესწავლას საუკუნენახევარზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ე. *თაყაიშვილს.* მის მიერ 1917 ე. წ. ,,თურქეთის საქართველოში'' მოწყობილი ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალა ყველაზე სრულია დღემდე არსებულ გამოცემათა შორის რაოდენობრივადაც და ხარისხობრივი თვალსაზრისითაც. ამასთანავე, იშხნის მხატვრობა და ფრესკული წარწერების უმრავლესობა ტაძრის მეჩეთად გადაკეთების, ხელოვნური ზემოქმედებისა თუ ჟამთა სიავის შედეგად განადგურდა და ე. თაყაიშვილის ნაშრომში მოტანილ წარწერათა პალეოგრაფიული პირები და დადგენილი ტექსტები ახლა ფაქტობრივად დედნების ტოლფასია.

იშხნის ტაძრის X–XII სს. ისტორიის, ბაგრატიონ მეფეთა და იშხნელ ეპისკოპოსთა მოღვაწეობის ამსახველი ფაქტები მთავარი ეკლესიის ფრესკულ და ლაპიდარულ წარწერებშია მოცემული.

მათგან ყველაზე ადრეულია ჩრდ. ეკვდერის სამხრ. კედელზე თეთრი საღებავით შესრულებული ისტ. წარწერა. ე. თაყაიშვილის დროს 28-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერიდან მხოლოდ 18 იყო დარჩენილი. ამჟამად იგი კიდევ უფრო მეტად არის დაზიანებული. წარწერის პალეოგრაფიული პირი ადგილზე გადმოიღო მ. ჭიაურელმა, თბილისში ტილოზე გადაიტანა ქ. მაღალაშვილმა. წარწერის ცნობით 917 ,,ადარნერსე ქართველთა მეფისა ბრძანებითა დაიდგინა'' იშხნის წმინდა კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსად მამა ბასილი, რ-იც 19 წლის მოღვაწეობის შემდეგ, 936 წ. 26 დეკემბერს აღესრულა. ,,და შემდგომად მათსა ბრძანებითა დიდებულთა ღირსთა მეფეთა'' – დავით ქართველთა მეფის, აშოტ კურაპალატის, ბაგრატ მაგისტროსის და სუმბატ ანთიპატრიკის მიერ იშხნის ეპისკოპოსად დადგენილ იქნა ,,პატიოსანი და ღირსი მამა'' სტეფანე, რ-იც გაგზავნეს ტრაპიზონში, სადაც ბასილი ბერძენთა პატრიარქმა აკურთხა. წარწერაში დასახელებული პირები არიან ტაოს შტოს ბაგრატიონთა წარმომადგენელი ადარნერსე// ადარნასე II (893–923) და მისი ოთხი ძე: დავით II (გ. 937), აშოტ IV (გ. 945), ბაგრატ II (გ. 945) და სუმბატ I (კურაპალატი 954 წ. შემდეგ, გ. 958). ბასილი ბერძენთა პატრიარქის ვინაობა უცნობია. წარწერა თარიღდება 954–955.

იშხნის ტაძარი მოიხატა X ს-ში, 966-მდე. დას. მკლავის ჩრდ. პალასტრზე შემორჩენილი ასომთავრული წარწერის თანახმად, ეკლესია მოიხატა ადარნერსე III (958–961) ქართველთა მეფის ძის, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის (გ. 966) ბრძანებით. საფიქრებელია, რომ მასთან ერთად მოხატვის ინიციატორი იყო მისი ძმა დავით III (გ. 1001), მაგრამ მისი პორტრეტი და თანმხლები წარწერა აღარ იკითხება. დას. მკლავში ტაოს ბაგრატიონთა სამი თაობის წარმომადგენელთა პორტრეტები იყო გამოსახული: ,,ბაგრატ მაგისტროსი, ქართველთა მეფე'' (937–945), ,,ადარნერსე კურაპალატი, ძე ბაგრატ მაგისტროსისაჲ'' (958–961) და ,,ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, ძე ადარნერსე კურაპალატისაჲ'' (გ. 966). მხატვრობა და წარწერები ამჟამად აღარ არსებობს.

ტაძრის გუმბათში, სარკმლებს ზემოთ, ოთხსავე მხარეს წარმოდგენილია აპოკალიფსური ეტლები ზაქარია წინასწარმეტყველის ჩვენებიდან – ოთხი ეტლი მეეტლეებით და სხვადასხვა ფერის ცხენებით – თანმხლები ასომთავრული წარწერებით: ,,და ეტლთა მათ პირველთა ებნეს ცხენნი შავნი'' (ჩრდ. ეტლი); ,,ხოლო დასავლეთით ცხენნი სპეტაკნი'' (თეთრი); ,,და ეტლთა მას სამხრისათა ებნეს ცხენნი ხსედნი'' (წაბლისფერი); ,,და აღმოსავლეთით ფესანგნი'' (ჭრელი).

ამავე პერიოდის ფრესკული ასომთავრული წარწერები წმინდანთა (წმ. ორენტი, დიმიტრი, ფოკა, თევდორე, ბარბარე, მარინე და სხვ.) და სახარების სიუჟეტების (ხარება, დაბადება, მირქმა და სხვ.) გამოსახულებებთან, აგრეთვე ბიზანტიის იმპ. კონსტანტინე დიდისა და დედამისის, ელენეს პორტრეტები განმარტებითი ასომთავრული წარწერებით ფიქსირებული აქვს ე. თაყაიშვილს. საკურთხევლის თაღზე გამოსახული იყო მედალიონში ჩასმული ორი მანდილოსნის ფიგურა: 1) პირველი ქართველი ქრისტიანი დედოფლის, ნანასი: ,,[ნანა მეუღლე მირიანისა, ქართლისა დედოფა]ლი, ნინოჲს მიერ განათლებული''; 2) სავარაუდოდ, სომეხთა პირველი ქრისტიანი დედოფლის, თრდატ მეფის მეუღლე აშხანავარის (აშხენის), რ-ის სახეც და წარწერაც მთლიანად გადაშლილია (განირჩეოდა მხოლოდ რამდენიმე სომხური ასო).

მოგვიანო, XII ს. და შემდგომი ხანის ფრესკული წარწერებიდან აღსანიშნავია ჩრდ. კედელზე წმინდანთა (ნიკოლოზ, იაკობ, ანდრია, ლუკა) გამოსახულებების განმარტებითი ასომთავრული წარწერების გვერდით მოთავსებული წარწერა-საბუთი – იშხნის



გურგენ მეფის სამშენებლო წარწერა. იშხანი. 1006.



იშხნის კიდურწაისრული წარწერა.

ტაძრისთვის სოფ. ლოზნის შეწირულების აქტი. ეს ყველაზე ვრცელი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი, ე. თაყაიშვილის დროს უკვე საკმაოდ დაზიანებული, დღეს განადგურებულია. წარწერაში მოთხრობილია, რომ საქართველოს მეფეების – გიორგი II-ისა (1072–89) და დავით IV აღმაშენებლის (1089–1125) – მიერ იშხნის ტაძრისთვის შეწირული სოფ. ლოზნი გირაოთი იქნა გაცემული, ხოლო დემეტრე I-ს (1125–56) გირაოსაგან გაუთავისუფლებია და კვლავ იშხნის ტაძრისთვის შეუწირავს. ამის სანაცვლოდ ეგნატი იშხნელმა, რ-იც დემეტრე მეფის, კათალიკოს თეოდორესა და ,,ყოველთა საყდრის შვილთა'' მიერ იყო დადგენილი იშხნის მთავარეპისკოპოსად, ტაძარში დაკიდა დღისით და ღამით მანათობელი სამი კანდელი ღვთისმშობლის, წმ. სვიმონ საკვირველმოქმედის და იოანე ნათლისმცემელის ხატების წინაშე და დააწესა აღაპის დღე – ,,წინადრჷ წმიდისა მოწამისა თეოდორესი: ა (პირველი): პარასკევი პირმარხვისაჲ'' – დემეტრე მეფისთვის, მისი დის – თამარ დედოფლისთვის, შვილების: დავით მეფისა (დავით V, 1155–56) და გიორგი მეფისათვის (გიორგი III, 1156–84). წარწერა თარიღდება 1155–56.

XII ს-ში ტაძარში მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა. ამის მაუწყებელი ასომთავრულით შესრულებული ორი ლაპიდარული წარწერა ამოკვეთილია ტაძრის სამხრ. ფასადზე. პირველი მოთავსებულია სამხრ. შესასვლელის ნახევარწრიული მოყვანილობის კარაკინის (ტიმპანის) თავზე და გვამცნობს სამხრ. კარიბჭის განახლებას გიორგი I-ის (1014–27) დროს ანტონ იშხნელის მიერ: ,,ქ. იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა გიორგი მეფე და შვილნი მათნი. ამინ. ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე, გლახაკმა ანტონი ეპისკოპოსმან იშხნელმან განვაახლე ესე კარის ბჭე წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა სადიდებლად მეფეთა, გიორგი მეფისა და შვილთა მათთა, სალოცველად სულისა ბაგრატ კურაპალატისა...''. წარწერაში ბაგრატ III (975/978–1014) გარდაცვლილად არის მოხსენიებული. კარიბჭე ამჟამად არ არსებობს. მეორე, უფრო დიდი და კარდინალური განახლება ტაძრისა მოხდა ბაგრატ IV-ის (1027–72) დროს ისევ ანტონი იშხნელის, იმჟამად უკვე მთავარეპისკოპოსის, ინიციატივით ხუროთმოძღვარ ივანე მორჩაისძის მიერ: ,,სახელითა ღმრთისაჲთა მე, ანტონი იშხნელ მთავარეპისკოპოსმან, განვაახლე და განვასრულე წმიდაჲ ესე ტაძარი ღმრთისაჲ, სადიდებლად ბაგრატ კურაპალატისა... ქრონიკონსა სნბ – ვაშენე ჴელითა ივანე მორჩაჲს ძისაჲთა''. წარწერას უზის თარიღი: ქრონიკონი სნბ=1032.

იშხნის ფასადზე ამოკვეთილია ბაგრატ IV-ის პერიოდის ძლიერ დაზიანებული კიდევ ერთი წარწერა. შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ირკვევა, რომ ვინმე გიორგის რაღაც შეუწირავს იშხნის ტაძრისთვის ,,ძლიერი ბაგრატის'' სალოცველად და თავისი ცოდვების შესანდობლად.

გარდა ფრესკული და ლაპიდარული წარწერებისა, იშხნის ტაძრის დას. მკლავის ჩრდ. კედელზე ამოკაწრული იყო ლამაზი მხედრული დამწერლობით შესრულებული პილიგრიმული გრაფიტები: ნარზეს ოქრომჭედლის ძის (XII ს., პალეოგრაფიული პირი გადმოიღო ლ. გუდიაშვილმა), ვინმე იოვანეს (XII ს.), ქობულ-ლიპარიტის (XIV–XV სს.) და სხვ.


იშხნის მთავარი ტაძრის გვერდით დგას მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია. ჩრდ. კარის ტიმპანის თავზე გამოქანდაკებულ წრესა და ნახევარწრიულ ტიმპანზე ამოკვეთილი სამშენებლო წარწერის თანახმად, ეკლესია 1006 აღაშენა გურგენ მეფეთა-მეფემ (ბაგრატ III-ის მამა). თარიღი აღნიშნულია ქართული ქრონიკონით – ,,სკვ'', მრგვლოვანი ასოებით (ისევე როგორც მთელი წარწერა).

იშხნის ტაძართან კიდევ ორი ეპიგრაფიკული ძეგლია დაკავშირებული – *იშხნის ჭედური საწინამძღვრო ჯვრის* (973) და სვიმონ საკვირველმოქმედის ვერცხლის ხატის (XI ს. I მესამედი) ჭედური წარწერები.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., 1917 წ. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, Археологическая экспедиция 1917 г. в южные провинции Грузии, Тб., 1952.

გ. ოთხმეზური.

იშხნის ჭედური საწინამძღვრო ჯვარი, ვერცხლისგან გამოჭედილი ოქროდაფერილი ჯვარი (51*სმ*×36 *სმ*). ახლავს ქართ. ასომთავრულით შესრულებული წარწერა – იხსენიება იშხნის ეპისკოპოსი ილარიონი (ჯვრის დამკვეთი) და ჯვრის შექმნის თარიღი, 973 წელი. ჯვრის წინაპირზე, ცენტრში ჯვარცმული ქრისტეს ფიგურაა, მკლავების ბოლოებზე კი ძვირფასი ქვებია ჩასმული. დეკორატიულად გაწყობილ ანსამბლში უმთავრესი არის მაცხოვრის



იშხნის ჭედური საწინამძღვრო ჯვარი. 973.

ექსპრესიული გამოსახულება, თავით პროფილში და ფრონტალურად წარმოდგენილი ფიგურით. იშხნის საწინამძღვრო ჯვარი შუასაუკუნოვანი ქართ. საოქრომჭედლო ხელოვნების ისტორიაში ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის ბრწყინვალე ნიმუშია.

ლიტ.: ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971; ჩხარტიშვილი ა., X–XI სს-ის ჭედური ხელოვნების რამდენიმე ძეგლის შესახებ, კრ.: აკად. შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, VII, თბ., 2001; Чубинашвили Г.Н., Грузинское чеканное искусство, Тб ., 1959.

თ. საყვარელიძე.

ᲝᲪᲫᲘᲡᲘ, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის არგვეთის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. იზვარის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 610 *მ,* საჩხერიდან 8 *კმ.* 399 მცხ. (2014).

Ო-ში შემორჩენილია ციხესიმაგრის ნანგრევები.

ᲘᲤᲐ, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), რაჭის ქედის ჩრდ. კალთის ძირას, მდ. კრიხულის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: Ო., ახალსოფელი, გორი, ზემო კრიხი, ქვემო კრიხი, შუა კრიხი). ზ. დ. 640 *მ,* ამბროლაურიდან 1 *კმ.* 64 მცხ. (2014).

სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XV ს-ში.

ᲘᲤᲠᲘᲐ (ყოფ. ყარადაში), სოფელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის აკაურთის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), ქვემო ქართლის ვაკის დას. ნაწილში. ზ. დ. 730 *მ,* ბოლნისიდან 15 *კმ.* 104 მცხ. (2014).

ყარადაშამდე სოფელს ერქვა წყნარი.

ᲘᲮᲕᲔᲑᲘ, ნამდვილი იხვები (Anatinae), ბატისნაირთა რიგის ფრინველთა, იხვისებრთა ოჯახის ქვეოჯახი. მოიცავს 31 გვარს. ფართოდ არის გავრცელებული ყველა კონტინენტზე, გარდა ანტარქტიდისა. Ო. იყოფა 4 ტრიბად: ნამდვილი Ო., ყვინთიები, ბატასინები და თეთრთავა Ო. საშუალო და დიდი ზომის ფრინველებია. კარგად ცურავენ და ფრენენ. აქვთ სარეწაო მნიშვნელობა. ნამდვილ Ო-ს გემრიელი ხორცი აქვთ. მასა მერყეობს 250-იდან 2000 *გრ*-მდე. ყვინთიებისა და ბატასინების ხორცი უფრო უხარისხოა.

Ო. მიმომფრენი ფრინველებია. საქართველოში 10 გვარის 22 სახეობაა, რ-თა უმრავლესობა აქ მიმოფრენისას და ზამთრის პერიოდში გვხვდება. ზოგი ბუდობს კიდეც ზოგიერთი შიდა წყალსატევის ნაპირზე.

საქართველოში მობუდარი Ო-იდან აღსანიშნავია წითელი იხვი (Tadorna ferruginea), რუხი იხვი (Anas strepera), გარეული იხვი (Anas platyrhynchos), წითელნისკარტა ყურყუმელა (Netta rufina), შავი გარიელი (Melanitta fusca). შესაძლო მობუდრებად ითვლებიან ამლაჟი იხვი (Tadorna tadorna), თეთრშუბლა იხვი (Anas penelope), წითელთავა ყვინთია (Aythya ferina), ქოჩორა ყურყუმელა (Aythya fuligula). გადაფრენისას და ზამთარში გვხვდება ბოლოსადგისა იხვი (Anas acuta), ფართონისკარტა იხვი (Anas clypeata), ჭიკვარა (Anas crecca), იხვინჯა (Anas querquedula), თეთრთვალა ყვინთია (Aythya nyroca), ზღვის ყვინთია (Aythya marila), ჩვეულებრივი კოკონა (Bucephala clangula), მეზღვია იხვი (Clangula hyemalis), შავი ყურყუმელა (Melanitta nigra), მცირე ბატასინი (Mergus albellus), დიდი ბატასინი (Mergus merganser), გრძელნისკარტა ბატასინი (Mergus serrator), წითელნისკარტა იხვი (Netta rufina), თეთრთავა იხვი (Oxyura leucocephala), ჩვეულებრივი სუსხუნი (Somateria mollis), მარმარილოსებრი იხვინჯა (Marmaronetta angustirostris).

საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია მარმარილოსებრი იხვინჯა, შავი გარიელი, თეთრთავა იხვი და წითელი იხვი.

ადგილობრივი იხვი (ფრინველი იხვისებრთა ოჯახიდან) წარმოშობილია გარეული იხვისაგან. დედლისა და მამლის ფერი განსხვავებულია. დედლები შემოსილი არიან რუხი ბუმბულით. მამლებს თავი და კისრის წინა ნაწილი მწვანე ბუმბულით აქვთ დაფარული. მკერდი და ზურგი – წაბლისფერით, მათ შორის თეთრი ფერის რკალია. კუდის ბუმბულები მოშავო-მომწვანოა. საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი იხვი დაბალპროდუქტიული მეკვერცხული მიმართულების ჯიშია. ცოცხალი მასა – 1–1,5 *კგ.* კვერცხმდებლობა წელიწადში – 40–50 ც. სწრაფად იზრდება, მოვლა-პატრონობის მხრივ ნაკლებმომთხოვნია, საკვებს ადვილად მოიპოვებს, კარგადაა შეგუებული ადგილობრივ პირობებთან.

ა. ბუხნიკაშვილი.
ა. ჩაგელიშვილი.

ᲘᲮᲢᲘᲚᲐ (ყოფ. ღრტილა), სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბარალეთის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ახალქალაქის პლატოზე. ზ. დ. 1720 *მ,* ახალქალაქიდან 22 *კმ.* 978 მცხ. (2014).

სოფელში დგას 1308 წელს აგებული წმ. სტეფანეს ეკლესია.

Ო-ის მიდამოებში, სოფ. სამსრისაკენ მიმავალ გზასთან ახლოს, მელვრეკისად წოდებულ ადგილზე, დგას განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული ეკლესია.

ᲘᲯᲐᲠᲐ (არაბ. იჯარა), არენდა, უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით და გადასახადი ასეთივე ხელშეკრულების მიხედვით (ქირავნობის გადასახადი). Ო. სხვისი ქონების დროებით გამოყენებისა და სარგებლობის უფლებაა საზღაურის გადახდით. Ო-ის ხელშეკრულებით მეიჯარე (Ო-ის გამცემი, გამქირავებელი) მოვალეა გადასცეს მოიჯარეს (Ო-ის მიმღები, არენდატორი, დამქირავებელი) განსაზღვრული ქონება (მიწა, შენობა-ნაგებობა, საწარმო და სხვ.) დროებით სარგებლობაში განსაზღვრული პირობითა და გარკვეულ საფასურად იმ მიზნით, რომ საიჯარო დროის განმავლობაში ქონების გამოყენების შედეგად მიიღოს შემოსავალი. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა, რ-იც შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის სხვა პირობებზეც. Ო. ქირავნობის იდენტური ცნებაა, თუმცა ქირავნობის ხელშეკრულების მიზანია მხოლოდ მოხმარება, ნივთით სარგებლობა შემოსავლის მიღების გარეშე, ხოლო Ო-ით გადაცემული ქონებით სარგებლობის მიზანია წარმოება, როგორც შემოსავლის მიღების წყარო და არსებობის ძირითადი საშუალება. Ო-ის ხელშეკრულების დროს მოიჯარე გადაცემული ქონების გამოყენების შედეგად ღებულობს შემოსავალს, რაც შეუძლებელია ქირავნობის ხელშეკრულების დროს. ქირავნობის ხელშეკრულებით კი დამქირავებლისთვის დაქირავებული ნივთი არ წარმოადგენს შემოსავლის მიღების წყაროს და იგი გამოიყენება მხოლოდ დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის. მოიჯარე უფლებამოსილია მეიჯარის ნებართვის გარეშე გაყიდოს, გაცვალოს, გასცეს დროებით გამოსაყენებლად ან გაასესხოს

მატერიალური და სხვა ფასეულობები, რ-ებიც შედის Ო-ით აღებულ ქონებაში; მიაგირაოს ქონება სუბმოიჯარეს და გადასცეს თავისი უფლებამოსილება და ვალდებულებები იმ პირობით, რომ ეს არ დაარღვევს საწარმოს Ო-ის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოთხოვნებს. მოიჯარეს ასევე უფლება აქვს განახორციელოს საწარმოს რეკონსტრუქცია, კაპ. რემონტი, გააფართოოს, ტექნიკურად გადააიარაღოს და გაზარდოს მისი ღირებულება თუ Ო-ის შესახებ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საწარმოს Ო-ით გადაცემის შემდეგ ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარეს ეკისრება სოლიდარული პასუხისმგებლობა Ო-ით გაცემული საწარმოს კუთვნილი ვალების მიმართ – ამ დროს ყველა ხარჯი, როგორც მეიჯარის ვალდებულება, იფარება მის მიერ.


არსებობს საიჯარო ოპერაციების ორი სახე: კაპიტალური Ო. (იგივე *ლიზინგი)* და ჩვეულებრივი (საოპერაციო, მიმდინარე) Ო. Ო-ის ობიექტებია: სას.-სამ. და არასასოფლო-სამეურნ. დანიშნულების მიწები, საცხოვრ. და სამეურნ. შენობა-ნაგებობები, სატრანსპ. საშუალებები, კავშირგაბმულობის ობიექტები და მოწყობილობები, სხვადასხვა სამეურნ. დანიშნულების ინვენტარი, მანქანა-მოწყობილობები და სამეურნ. მიზნით გამოსაყენებელი სხვა ქონება.

Ო-ის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა სას.-სამ. მიწის Ო., რ-ის დროსაც მესაკუთრე მიწის ნაკვეთს გადასცემს მოიჯარეს სამეურნ. გამოყენებისათვის განკუთვნილ საცხოვრ. ან სამეურნ. ნაგებობებთან (საწარმოსთან) ერთად ან მათ გარეშე, სანაცვლოდ მისგან იღებს საიჯარო ქირას.

საქართველოში საიჯარო ურთიერთობებს არეგულირებს ძირითადი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები: ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი'' (1997), კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ'' (1996), ,,საგადასახადო კოდექსი'' (2010), კანონი ,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' (2010). მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით 2010-იდან საქართველოში აიკრძალა სას.-სამ. დანიშნულების მიწების Ო-ით გაცემა. შემდგომ ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა მათი პრივატიზება მოიჯარეთა მიერ გამოსყიდვით ან მათთვის Ო-ის ხელშეკრულების გაუქმებით. Ო-ით გაუცემელი სახელმწ. საკუთრებაში არსებული სას.-სამ. დანიშნულების მიწის პრივატიზება ხორციელდება აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით. დღეს საიჯარო ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბება გარდამავალ ეტაპზეა და დასრულებული არ არის. *რ. ხარებავა.*

ᲘᲯᲐᲠᲔᲗᲘ, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის გორგულის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), მდ. ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1290 *მ*, ადიგენიდან 3 *კმ*, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 33 *კმ*. 262 მცხ. (2014).

სოფელში არის განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული სამონასტრო კომპლექსი, რ-შიც შედის ეკლესია, სამრეკლო და სხვა ნაგებობები.



კ, ქართული ანბანის მეათე (ძვ. ქართ. ანბანის მეთერთმეტე) ასო; მისი სახელია ,,კანი''. გრაფიკული სიმბოლო უკანაენისმიერი ყრუ ხშულ-მსკდომი აბრუპტივისა. ასომთავრულში იწერება ⴊ, ნუსხურში – ⴊ. ძვ. ქართულ სათვალავში აღნიშნავს ოცს (20). მისი მხედრული დაწერილობა ოთხხაზოვანი სისტემის ქვედა სამ ხაზში თავსდება, ნუსხური – ოთხ ხაზში.

კ-ს გრაფიკული განვითარება წარმოდგენილია V–XVII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერებისა და ისტ. საბუთების მიხედვით.

კაბალა (არაბ. – ვალდებულება, ხელწერილი), 1. ძვ. საქართველოში – იჯარა, სხვისი ქონებით სარგებლობის საზღაური. გვხვდება ნიკორწმინდის XI ს. სიგელში (მიწის ,,საკაბალოდ მიცემაჲ'' და სახლსა ,,ზედა კაბალისა დადებაჲ''), *დიდ სჯულისკანონსა* (დების, სოფლის ,,მიკაბალება'') და ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში (აქ საკაბალოდ გადაცემულად დასახელებულია ხარი). 2. ძვ. რუსეთში – პირადი დამოკიდებულების მძიმე ფორმა (ჩვეულებრივ, სესხთან დაკავშირებული), აგრეთვე სავალო ვალდებულების გამფორმებელი იურიდ. აქტი. ტერმინი ჩნდება XIV–XV სს. მიჯნაზე. 3. უკიდურესად მძიმე, მონური დამოკიდებულება ვინმეზე. 4. მოძღვრება იუდაიზმში.

ლიტ.: ანთელავა ი., ტერმინ ,,კაბალაჲს'' მნიშვნელობისათვის, «ქართული წყაროთმცოდნეობა», 1978, [ტ.]

5; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს., ტ. 2, თბ., 1956; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929. *ი. ფუტკარაძე.*

კაბალი, მდინარე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ალაზნის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2720 *მ*. სიგრძე 48 *კმ*, აუზის ფართ. 391 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში (იშვიათად – ზაფხულში), წყალმოვარდნა – შემოდგომაზე. იყენებენ სარწყავად. *ი. აფხაზავა.*

კაბალი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), ალაზნის ვაკეზე, მდინარეებს, კაბალსა და ბაისუბნისხევს შორის. თემის ცენტრი (სოფლები: პ., განჯალა, უზუნთალა, ყარავჯალა). ზ. დ. 340 *მ*, ლაგოდეხიდან 15 *კმ*. 3,2 ათ. მცხ. (2014).

კაბაჭრელა, ძაღლისკბილა (Erythronium), ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარეების გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. მისი 25-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ამერიკაში, სამხრ. ევროპაში, სამხრ. ციმბირის მთებში, კავკასიაში, მ. შ. საქართველოს მთიანეთში (E. caucasica – კავკასიის ენდემი). დეკორ. მცენარეებია. აშენებენ ბაღებში, პარკებსა და ალპინარიუმებში.

კაბენი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს მდ. ასურეთის-წყლის ხეობაში, სოფ. კიკეთის მახლობლად (ამჟამად თბილისის შემადგენლობაში, მთაწმინდის რ-ნი). კომპლექსში შედიოდა:



კაბენის მონასტრის ზლუდის გარეთ მდებარე დარბაზული ეკლესია. XII–XIII სს.

ღვთისმშობლის მიძინების დიდი გუმბათოვანი ტაძარი, სვიმონ მესვეტისა და მიქელ მთავარანგელოზის მცირე დარბაზული ეკლესიები. შემორჩენილი ნახატებისა და ფოტოსურათების მიხედვით პ-ის ტაძარი XIII ს. I ნახ. ქართ. ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი იყო. იგი მცირე ცვლილებებით იმეორებდა ბეთანიის გუმბათოვანი ტაძრის გეგმას (შიგა სივრცის საკითხიც იმდაგვარადვე იყო გადაწყვეტილი), მაგრამ, ამავე დროს, არსებითად განსხვავდებოდა მისგან ფასადების მორთულობის სისტემით, რ-იც სამთავისი*ს* ტაძართა დეკორ. სისტემას იმეორებდა.


მონასტრის ზლუდის გარეთ, ჩრდ.-აღმ-ით, ნატეხი ქვით ნაგები მომცრო დარბაზული ეკლესია დგას. ფასადები მოპირკეთებულია მოყვითალო ქვის კარგად გათლილი კვადრებით. მორთულობა შესრულებულია XII–XIII სს-ში შემუშავებული დეკორ. სისტემის მიხედვით. აღმ. ფასადის წარწერიდან ირკვევა, რომ ვინმე გიორგის ვაჟებს – ,,კ-ეს (კვირიკე?), ნიკოლოზს, ვასილს, ოქროპირსა და გრიგოლს'' – თამარ მეფის დროს (XII ს. დასასრ. – XIII ს. დასაწყ.) დაუმთავრებიათ ადრე დაწყებული ეკლესიის მშენებლობა.

ლიტ.: Шмерлинг Р. О., Долидзе В. О., Барнавели Т. В., Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель, Тб., 1960. *შ. სალარაძე.*

კაბენი ყანჩაეთისა, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო ტაძარი ქსნის ხეობაში, სოფ. ყანჩაეთის (ახალგორის მუნიციპალიტეტი) მახლობლად. ისტ. წყაროებით დასტურდება, რომ თავდაპირველად აქ IX ს-ში მდგარა ,,თავისუფალი ჯვრის'' ტიპის გუმბათოვანი ნაგებობა, რ-საც X ს-ში მიაშენეს გარშემოსავლელი, ხოლო მოგვიანებით, XIII ს. პირველ ათეულ წლებში, საფუძვლიანად გადააკეთეს. გაირჩევა რამდენიმე სამშენებლო ფენა. მათგან უძველესია რვაწახნაგა ყელზე აღმართული გუმბათი, ნალისებრი ფორმის აფსიდი, 4 გუმბათქვეშა თაღი და საყრდენების ნაწილი. საშენ მასალად გამოყენებულია თეთრი, ნასვრეტებიანი ტუფი (კონსტრ. ელემენტებში) და რიყის ქვა. კვადრატიდან წრეზე გადასვლა ხდება ტრომპებით. გადაკეთების შედეგად ახ. ფასადები შემოსეს სუფთად გათლილი ქვით და მდიდრულად მოაჩუქურთმეს. აღმ. ფასადის კომპოზიცია ისეთივეა, როგორც *იკორთის* ტაძრისა. მდიდრულად მოჩუქურთმებული სარკმლის თავზე აღმართულია დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი, ხოლო სარკმლის ქვეშ მოთავსებულია კუთხით დაყენებული ასევე მოჩუქურთმებული რომბები. მსგავსი კომპოზიცია ფართოდ იყო გავრცელებული XI–XIII სს. ქართ. ხუროთმოძღვრებაში. შენობის ძირითადი კორპუსი და გუმბათი შემკულია მოჩუქურთმებული ლავგარდნით. ინტერიერში, საკურთხევლის წინ დადგეს მაღალოსტატური ხელოვნებით შესრულებული ახ. მოჩუქურთმებული კანკელი, რ-ის ცალკეული ნაწილები ჩართულია მოგვიანო ხანის კანკელის წყობაში. ეკლესია, როგორც ჩანს, მაშინვე (XIII ს.) მოხატეს, მაგრამ გუმბათსა და გუმბათის ყელზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები, რ-ებიც საღებავებით შესრულებულ სამხრ. ფასადის წარწერაში მოხსენიებულ პირთა მიხედვით, IX ს. დასაწყისს მიეკუთვნება. წარწერაში მოხსენიებული არიან ერისთავთერისთავი ადარნასე და მისი ასული ლატავრა. ბიეთის ტაძრის წარწერაში ნათქვამია, რომ IX ს-ში ყანჩაეთი ერისთავთერისთავთა რეზიდენცია იყო და მათი ხელისუფლება ვრცელდებოდა მდ. მეჯუდის მთელ ხეობაზე. ტაძრის სამხრ-ით დიდი ნაგებობის ნაშთია, რ-იც, სავარაუდოდ, მონასტრის სატრაპეზო ან ადგილობრივი ფეოდალის საცხოვრებელი უნდა იყოს.



კაბაჭრელა.



კაბენი ყანჩაეთისა. XIII ს.

ლიტ.: ყანჩაეთი. კაბენის ღმრთისმშობლის მონასტერი, ქსნის ხეობა, თბ., 2013; Меписашвили Р. С., Цинцадзе В.Н., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975; Чубинашвили Г. Н., Архитектурные памятники VIII и IX веков в Ксанском ущелье, «ქართული ხელოვნება», 1942, ტ.1. *თ. გერსამია.*

კაბერი, ნასოფლარი კასპის მუნიციპალიტეტში. მის მახლობლად, ძვ. სასაფლაოზე დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგის ეკლესია (X–XI სს.). ასომთავრული სამშ. წარწერის თანახმად იგი აგებულია 1014–27. ეკლესია დარბაზულია. ნაგებია არათანაბარი ზომის უხეში ქვით.

ინტერიერის კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია კარგად დამუშავებული კვადრები, ხოლო კედლები ამოყვანილია წვრილი ქვით და შელესილია. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ნალისებრი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, გვერდებზე – სწორკუთხა ნიშები. კამარა ეყრდნობოდა საბჯენ თაღებს. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. აღმ. ფასადის კედელს განსაკუთრებულ მხატვრულ ელფერს ანიჭებს მოსაპირკეთებელი ქვების წყობა. აქ სარკმლის სათაურზე გამოსახულია სამი რელიეფური ჯვარი. დას. ფასადის ცენტრში ჩადგმულია ღია ყვითელი ფერის ოთხკუთხა ქვა. ქვაზე შვიდსტრიქონიანი ასომთავრული სამშ. წარწერაა. ეკლესიას ორი მინაშენი აქვს: ჩრდ-ით – სამკვეთლო, სამხრ-ით – ეკვდერი. ეს უკანასკნელი, ეკლესიის სამხრ. კედლის მთელ სიგრძეზე, მოგვიანებით მიაშენეს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990; Меписашвили Р. С., Памятники архитектуры X–XI веков в сел. Кабери и Гостибе, «ქართული ხელოვნება», 1979, ტ. 8 (სერია A).

კაბერნე, ფრანგული წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშთა ჯგუფი. XIX ს. დასაწყისში 2 ჯიში – ჰ. სოვინიონი და ჰ. ფრანი შეიტანეს ყირიმში, საიდანაც გავრცელდა რუს. იმპერიის სხვა რეგიონებში, მ. შ. საქართველოში.



კაბერნე.

საქართველოში დარაიონებულია და სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს ჰ. სოვინიონს. ამ ჯიშისგან კახეთში (თელავი) მზადდება მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინო ,,თელიანი''. *ვ. გოცირიძე.*

კაბისოვი გრიგოლ არსენის ძე (8. III. 1914, ჯავა, – 11. III. 1975, ქ. ცხინვალი), ოსი მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). 1941 დაამთავრა ლენინგრადის ა. ნ. ოსტროვსკის სახ. თეატრ. ინ-ტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის ოსურ დასში თავდაპირველად მსახიობად, ხოლო მოსკ. სამხატვრო თეატრის ორწლიანი სარეჟისორო კურსების დამთავრების შემდეგ – რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. მისი დადგმებიდან აღსანიშნავია მ. შავლოხოვის ,,სასიძო კაცი'', დ. თუაევის ,,ფასის ოცნება'' და ,,ობლების დედა'', გ. ბერძენიშვილის ,,მშვიდობის მტრედები'', ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი'' და სხვ. დაჯილდოებულია მედლებით.

კაბიწი, მარცვლეულის საწყაო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული VI–XVI სს-ში, ი შვიათად ხმარობდნენ XVII–XVIII სს-ში. XIII–XV სს. I ნახ-ში ჰ. საშუალოდ შეადგენდა 10 *კგ*. XV ს. II ნახ-სა და XVI ს-ში დაახლ. 18 *კგ*. XVIII ს. დასაწყისში ჰ. სამკოდიანი (90–100 *კგ*) საწყაო იყო და *თაღარს* შეესაბამებოდა. *გ. ჯაფარიძე.*

კაბუჭთა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის ედისის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 2060 *მ*, ჯავიდან 52 *კმ*.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კაბური, სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 1890 *მ*, წალკიდან 37 *კმ*. 298 მცხ. (2014).

კადარი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მაცხოვრის ეკლესია აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველი აბაშის დას-ით, გაშლილ ველზე. აგებულია არა უგვიანეს XIV ს. (ე. თაყაიშვილი). გეგმით



კადარი. მაცხოვრის ეკლესია. XIV ს.

სწორკუთხა, აგურით ნაგებ ერთნავიან შენობას აღმ-ით წახნაგოვანი შვერილი აფსიდი აქვს. გადახურვის კამარა ეყრდნობა ორ წყვილ პილასტრზე ამოყვანილ საბჯენ თაღებს. ეკლესიას სამხრ-იდან და დას-იდან მინაშენები ჰქონდა (ახლა მონგრეულია). აფსიდში 3 ვიწრო სარკმელია დაყოლებული. შესასვლელი ორია – სამხრ-იდან და დას-იდან. ფასადები სადაა. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

პ. ზაქარაია.

კადარი, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის ლათის თემში (აფხაზეთის არ), მდ. კოდორის ხეობაში. ზ. დ. 340 *მ*, გულრიფშიდან 57 *კმ*.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კადასტრი (ფრანგ. cadastre – ფურცელი, რეესტრი), პერიოდული ან მუდმივი დაკვირვების საფუძველზე ოფიციალურად შედგენილი, სისტემატიზებული ძირითადი ცნობების კრებული ქვეყნის რესურსების შესახებ. ჰ. მოიცავს რესურსებისა და ობიექტების განლაგებას, მათი სიდიდის, ხარისხობრივი მახასიათებლების მონაცემებს. ჰ-ის მონაცემები გამოიყენება გადასახადების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახდელების დადგენისას, ობიექტური ღირებულების შეფასებისათვის მათი ი ჯარის, გაყიდვის ან დაგირავების შემთხვევაში. არსებობს *მიწის კადასტრი*, აგრეთვე წყლის, ტყის, წიაღისა და სხვა სახის ჰ-ები.

კადენეცი ვასილ ივანეს ძე (დ. 3. I. 1938 სოფ. მერხეული, გულრიფშის მუნიციპალიტეტი), საზოგადო მოღვაწე. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. საშ. სკოლა დაამთავრა სოხუმში, შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართვ. სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის აგრონომიულ ფაკ-ტზე (დაუსწრებლად). მუშაობდა სხვადასხვა პარტ. თანამდებობაზე: იყო საქართვ. კომპარტიის სოხუმის რაიონული კომიტეტის მდივანი (1976–77), საქართვ. ალკკ ცკ მდივანი (1977–80), საქართვ. კომპარტიის სოხუმის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი (1980–91), აფხ. ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1980–91). 1993–99 ჰ. მუშაობდა საქართვ. საბაჟო სტრუქტურაში. მინიჭებული აქვს საბაჟო სამსახურის სახელმწ. მრჩევლის წოდება (1996). 1993 დააარსა საზ. ორგანიზაცია ,,საქართველოს კაზაკთა კავშირი''. არის მისი უმაღლესი ატამანი. დაჯილდოებულია სახელმწ. ჯილდოებით, მ.შ. ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

კადეტთა კორპუსი, 1. პრივილეგიური სამხედრო სასწავლებელი თავადაზნაურული წარმოშობის ახალგაზრდებისათვის.



კადეტთა კორპუსი.

პირველად 1732 დაარსდა პეტერბურგში. 1917-თვის რუსეთის იმპერიაში 29-მდე პ. პ. იყო. 1871, საქართველოში რუსეთის იმპ. ალექსანდრე II-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ,,თერგდალეულთა'' ჯგუფმა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით გადაწყვიტა, რომ იმპერატორისათვის მისართმევ ადრესში შეეტანა მოთხოვნა თბილისში უნტის გახსნის თაობაზე. თავადაზნაურობის მარშალმა რ. ანდრონიკაშვილმა თვითნებურად უარყო ეს გადაწყვეტილება და იმპერატორს წარუდგინა სხვა ადრესი, რ-შიც უნ-ტის ნაცვლად თბილისში პ. პ-ის გახსნას ითხოვდა (თავს იმით იმართლებდა, რომ უნ-ტში სწავლება ფასიანი იქნებოდა, პ. პ-ში კი – უფასო). ამ საქციელის გამო ი. ჭავჭავაძემ დაწერა ორი პამფლეტი: ,,გამოცანები'' და ,,კიდევ გამოცანები''.

1875 სამხ. გიმნაზიის (დაარსდა 1871) ბაზაზე გაიხსნა პ. პ., რ-შიც იღებდნენ საშ. სამოქალაქო და სამხ. განათლებას, ენიჭებოდათ უმცროსი ოფიცრის წოდება, წარჩინებულ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება სამხ. აკადემიაში. პ. პ. ექვემდებარებოდა რუსეთის იმპერიის სამხ. სამინისტროს სასწავლებელთა მთ. სამმართველოს. დაიხურა 1917. შენობა მდებარეობდა თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდ. შოთა რუსთაველის გამზ. 33).

პ. პ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსი, 1992 თებ. საქართვ. ეროვნ. უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს №7/23 დადგენილებით 1992 სექტ-ში თბილისის ყოფ. უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა პ. პ. – საშ. სასწავლებელი გაძლიერებული სამხ.-ფიზ. მომზადებითა და უცხ. ენების სწავლებით; მისი ამოცანა იყო მოემზადებინა თარჯიმნები საქართვ. შეიარაღებული ძალებისათვის. სწავლის ხანგრძლივობა თავდაპირველად 4, შემდგომ – 3 წელი იყო. 1994 შეიცვალა სასწავლებლის ორიენტაცია და ძირითად ამოცანად დაისახა კადრების მომზადება თბილ. გაერთიანებული სამხ. აკადემიისათვის და საზღვარგარეთის ქვეყნებში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის. 1995 პ. პ. განთავსდა კ. ლესელიძის სპეც. სკოლა-ინტერნატის სამხ. ქალაქში. პ. პ-ში იღებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საშ. სკოლის 9-კლასდამთავრებულებს. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების გარდა, დიდი ყურადღება ექცეოდა დაწყ. სამხ. და ფიზ. მომზადებას, უცხ. ენებს. პ. პ-ის აღსაზრდელები სამხ. ტანსაცმელს ატარებდნენ, ცხოვრობდნენ ყაზარმულ პირობებში, სამხ. დღის განაწესით. პ. პ-ს სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ პოლკოვნიკები: დ. მამისაშვილი (1992–94 იანვ.), ს. ზერეკიძე (1994-იდან). 2001 პ. პ. გაუქმდა. 2010 დაარსდა *კადეტთა სამხედრო ლიცეუმი* ქ. ქუთაისში.

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, სამხედრო სასწავლებელი, დაარსდა 2010 წლის 2 აგვისტოს, ქ. ქუთაისში. 2014 წ. 15 სექტემბერს ლიცეუმს გენ. გ. *კვინიტაძის* სახელი მიენიჭა და აღნიშნული თარიღი პ. ს. ლ-ის დღედ გამოცხადდა. 2012 წ. 1 ივლისს ლიცეუმის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება შედგა.

პ. ს. ლ-ში სასწავლო პროცესი განათლებისა და მეცნ. სამინისტროს ეროვნ. სასწ. გეგმის და დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. ლიცეუმი პანსიონური ტიპისაა და კადეტებს საცხოვრებელი პირობებით, სამედ. მომსახურებით, კვებით და სასწ. სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფს. კადეტები მონაწილეობენ ეროვნ. ოლიმპიადებში, სასწ. შემოქმედებით კონფერენციებში, სხვადასხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში.

კადიშევსკი ვლადიმერ გიორგის ძე (5. V. 1937, მოსკოვი, – 24. IX. 2014, დუბნა, მოსკოვის ოლქი), ფიზიკოს-თეორეტიკოსი. რუსეთის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (2000), აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (2002), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. უცხოელი წევრი (2008), ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნ. აკადემიების წევრი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1970).



კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ემბლემა.

პ-ის სამეცნ. ინტერესების სფერო ძირითადად უკავშირდება *ველის* კვანტური თეორიის რელატივისტურ ფორმულირებას და-კვანტულ სივრცე-დროში.

1994 პ-ის ინიციატივით დუბნაში გაიხსნა ახ. უნ-ტი. 1995-იდან პ. ამ უნ-ტის პრეზიდენტი იყო.

პ. მჭიდროდ თანამშრომლობდა ქართველ ფიზიკოს-თეორეტიკოსებთან – ა. *თავხელიძესთან*, ა. *ხელაშვილთან*, მ. ჩავლეიშვილთან, ფ. *ტყებუჩავასთან*, ა. *კვინიხიძესთან*, ვ. გარსევანიშვილთან და სხვებთან. მონაწილეობდა საქართველოში სამეცნ. კონფერენციებისა და სამეცნ. სკოლების ორგანიზებასა და ჩატარებაში.



ვ. კადიშევსკი.

პ. დაჯილდოებულია სსრკ, რუსეთის და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწ. ჯილდოებით. მიღებული აქვს მრავალი სამეცნ. პრემია, მეცნ. აკადემიების საერთაშ. ასოციაციის ოქროს მედალი (2012).

თხზ.: Представление для релятивистской амплитуды рассеяния при высоких энергиях, ТМФ, 1971, т. 7, №2 (თანაავტ.: В. Р. Гарсеванишвили, Р. М. Мир-Касимов, Н. Б. Скачков); On new geometrical concept of local quantum field, «Труды МИАН», 2011, т. 272.

კადოეთი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ალევის (ლომის-ალევის) ქედის აღმ. კალთაზე, მდ. დიდი ჯახის

(არაგვის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1320 *მ*, დუშეთიდან 33 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

კადომცევ–ფეტვიაშვილის განტოლება, მათემატიკასა და ფიზიკაში *კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლება*, რომელიც აღწერს არაწრფივ




ტალღები საფრანგეთის დასავლეთ ნაპირთან – ორგანზომილებიანი სოლიტონები.

ტალღებს სუსტი დისპერსიის მქონე ორგანზომილებიან გარემოში: $\partial_x(\partial_t u - 6u\partial_x u - \partial_{xxx}u)=3\alpha^2\partial_{yy}u$, სადაც $u=u(t,x,y)$ არის t დროზე და x, y სივრცულ კოორდინატებზე დამოკიდებული საძიებელი ფუნქცია; კოეფიციენტი α (საზოგადოდ, კომპლექსური რიცხვი) ახასიათებს გარემოს დისპერსიის თვისებებს. კ.-ფ. ბ. გამოიყვანეს 1970 ბ. კადომცევმა (1928–98) და ვ. *ფეტვიაშვილმა*. კ.-ფ. ბ. განაზოგადებს მსგავსი შინაარსის მქონე კორტევეგა დე ვრიზის განტოლებას (1885), რ-იც აღწერს ერთგანზომილებიან სისტემებს. ამის გამო კ.-ფ. ბ-ს ზოგჯერ უწოდებენ კორტევეგა დე ვრიზის ორგანზომილებიან განტოლებას. მიეკუთვნება განტოლებათა კლასს, რ-თა ამოხსნა ხერხდება გაბნევის შებრუნებული ამოცანის მეთოდით. კ.-ფ. ბ. აღწერს ჰამილტონურ სისტემას, რ-საც გააჩნია მოძრაობის ინტეგრალთა უსასრულო რაოდენობა; ამათგან, ინტეგრალებს $\iint u^2(t,x,y)dxdy=P$ და $\iint[(\partial_x u)^2-2u^3-3\alpha^2\omega^2]dxdy=E$ აქვს იმპულსისა და ენერგიის შინაარსი იმ გარემოსთვის, რ-საც აღწერს ეს განტოლება (აქ $\omega=\int_{-\infty}^{x}u_y(t,x,y)dx$). კ.-ფ. ბ. უკავშირდება მრავალ ცნობილ განტოლებას: კორტევეგა დე ვრიზის ჩვეულებრივ და რადიალურ განტოლებას, ბუსინესკის განტოლებას (კ.–ფ. ბ-ის სტაციონარული განტოლება) და სხვ. ნაპოვნია კ.-ფ. ბ-ის რამდენიმე



ა. კავაზაშვილი.



ი. კავალერიძე.

ზუსტი ამონახსნი, მ. შ. ერთგანზომილებიანი სოლიტონი, რ-იც არამდგრადია ორგანზომილებიანი შეშფოთებების მიმართ გარემოში დადებითი დისპერსიით (ანუ, თუ $\alpha^2>0$) და მდგრადია გარემოში უარყოფითი დისპერსიით (ანუ, თუ $\alpha^2<0$). კ.-ფ. ბ. აღწერს, მაგ., გრძელ ტალღებს წყლის ზედაპირზე (სურ.), ასევე ტალღებს ფერომაგნიტურ გარემოში, მაღალი სიმკვრივის პლაზმაში და სხვ.

ლიტ.: Кадомцев Б. Б., Петвиашвили В. И., Об устойчивости уединенных волн в слабо диспергирующих средах, «Доклады АН СССР», 1970, т. 192; Novikov S. P., Algebraic-Geometric Solutions of the Krichever-Novikov Equation, «Theoretical and Mathematical Physics», 1999, vol. 121; Weisstein E. W., Kadomtsev-Petviashvili equation, http://mathworld.wolfram.com/Kadomtsev-Petviashvili Equation.html. *ჯ. ჯავახიშვილი.*

კაენის ციხე, 1. ციხესიმაგრე შუა საუკუნეების საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში, მდ. აღსტევის (აღსტაფა) ზემო წელზე, ძველ ქართულ პროვინცია გარდაბანში (ახლანდ. აზერბ. რესპ.). სომხ. ისტ. წყაროს მიხედვით, აშენებულია X ს. II ნახევარში, სინამდვილეში კი უფრო ძველია. X ს. დასაწყისში გარდაბანი დროებით გავიდა ქართ. სახელმწიფოს გავლენის სფეროდან. XI ს-ში სომეხმა ფეოდალმა გრიგოლ მაგისტროსმა კ. ც. ბიჟნისისა და კაიწონის ციხეებთან ერთად ბიზანტიას გადასცა. საქართველოდან თურქ-სელჩუკების განდევნის შემდეგ ციხეს უკვე საქართვ. სამეფო ხელისუფლება აკონტროლებდა. XIII ს. 30-იან წლებში, საქართველოში მონღოლთა ლაშქრობის დროს, ავაგ ამირ-სპასალარი ჩაიკეტა კ. ც-ში, რ-იც მალევე მონღოლებს ჩააბარა. ამის შემდეგ კ. ც-მ დაკარგა ძვ. მნიშვნელობა. 2. ციხესიმაგრე მდ. დებედის ხეობაში, ახპატის მონასტრის მახლობლად (სომხ. რესპ.), აგებულია 1239.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959. *დ. მუსხელიშვილი.*

კაერი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), უშბის მასივის სამხრ. კალთის ძირას, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1400 *მ*, მესტიიდან 5 *კმ*. 81 მცხ. (2014).

კავაზაშვილი ანზორ ამბერკის ძე (დ. 19. VII. 1940, ბათუმი), სპორტსმენი, ფეხბურთელი (მეკარე). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1967). გამოდიოდა თბილისის ,,დინამოში'' (1957–59), მოსკოვის ,,ტორპედოში'' (1960–68), მოსკოვის ,,სპარტაკში'' (1969–71), ქუთაისის ,,ტორპედოში'' (1972), კოსტრომის ,,სპარტაკში'' (1974). სსრკ ჩემპიონი (1965, 1969), მეორე (1961, 1964) და მესამე (1959, 1968, 1970) პრიზიორი. სსრკ თასის მფლობელი (1968, 1971). სსრკ წლის მეკარე (1965, 1967). სსრკ ეროვნ. ნაკრების წევრი (29 მატჩი). მსოფლიო ჩემპიონატების (1966, 1970) მონაწილე. სსრკ ჩემპიონატში ჩაატარა 274 შეხვედრა. ლ. იაშინის სახ. სიმბოლური კლუბის წევრი (163 მატჩში არ გაუშვა გოლი). კარიერის დასრულების შემდეგ წვრთნიდა კოსტრომის ,,სპარტაკს'', ასევე ჩადისა (1976–77) და გვინეის (1985–86) ეროვნ. ნაკრებებს. რფ-ის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელი, რფ-ის პრეზიდენტთან არსებული წინასწარ შეთანხმებული მატჩების გამოსავლენი საექსპერტო კომიტეტის ხელმძღვანელი.

კავალერიძე ივანე პეტრეს ძე (14. IV. 1887, სოფ. ნოვოპეტროვკა, უკრაინა, – 3. XII. 1978, კიევი), მოქანდაკე, მხატვარი, კინოსა და თეატრის რეჟისორი, სცენარისტი. უკრაინის სახ. არტისტი (1969). სწავლობდა კიევის სამხატვრო სასწავლებელში (1907–09), პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში (1909–10), პარიზში, მოქანდაკე ნ. არონსონის სახელოსნოში (1911). როგორც მოქანდაკე და მხატვარი 1911–15 მუშაობდა ფირმა ,,ტიმანი და რეინგარდტის'' მოსკოვის განყ-ბაში ი. პროტაზანოვისა და ვ. გარდინის ,,რუსული ოქროს სერიის'' ფილმების მხატვარ-დეკორატორად. იყო უკრაინის დრამის თეატრის რეჟისორი (1918–21), ხარკოვის ქანდაკების სახელოსნოს სამხატვრო ხელმძღვანელი (1924–28). საკუთარი სცენარებით გადაიღო კინოფილმები: ,,ღვარცოფი'' (1929), ,,პერეკოპი'' (1930), ,,შტურმის ღამეები'' (1931), ,,კოლიივშჩინა'' (1933), ,,პრომეთე'' (1935), რ-ებიც კინოს ისტორიაში მიჩნეულია ავანგარდულ ექსპერიმენტად (,,ანტიისტორიზმის'' ბრალდებით ეს ფილმები დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო). ჰ-მ დიდი წვლილი შეიტანა უკრაინული დრამატული და საოპერო კლასიკის ეკრანიზაციის საქმეში [ფილმი-ოპერები: ,,ნატალკა პოლტავკა'' (1936), ,,ზაპოროჟიელი დუნაის გაღმა'' (1937) და სხვ.]. მან

ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა მსახიობის გამოსახულებაზე პროფესიონალი საოპერო მომღერლის ხმის დადების ხერხი, რ-იც შემდეგ ფართოდ გავრცელდა მსოფლიო კინოხელოვნებაში. იყო მრავალი მონუმენტური ძეგლისა და სკულპტურული კომპოზიციის ავტორი. 1987 იუნესკოს ეგიდით აღინიშნა პ-ის დაბადების 100 წლის იუბილე. *მ. კერესელიძე.*

კავალი (Cavalli) მარინო, XVI ს. ვენეციელი დიპლომატი. ელჩი ,,საღვთო რომის'' იმპერატორთან საფრანგეთში (1543), კონსტანტინოპოლში (1560), რომში (1566). იგი თავისი დიპლომატიური საქმიანობის შესახებ ვენეციის სენატში პერიოდულად წარადგენდა ,,რელაციებს'', რ-ებიც დღეს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. მან დაგვიტოვა საინტერესო ცნობა ოდიშის მთავარ ლევან I დადიანის კონსტანტინოპოლში მოგზაურობის შესახებ (დაახლ. 1557), რ-მაც სულთანს დახმარება სთხოვა იმერეთის მეფის გიორგისა და გიორგი გურიელის კოალიციის წინააღმდეგ. სულთანმა მას 9 ხომალდი აჩუქა, მისცა დამხმარე ჯარი და ისე გამოისტუმრა.

ლიტ.: მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981.
ე. მამისთვალიშვილი.

კავენიაკი (Cavaignac) ეჟენ (19. VIII. 1876 – 11. I. 1969, პარიზი), ფრანგი ისტორიკოსი, ხეთოლოგი. სტრასბურგის უნ-ტისა და პარიზის კათოლიკური ინ-ტის ძვ. ისტორიის პროფესორი. პ. ავტორია ძვ. სამყაროს ისტორიის შესახებ მრავალრიცხოვანი შრომებისა, ასევე იყო მრავალტომეული გამოცემის, ,,მსოფლიოს ისტორიის'' (,,Histoire du monde'' v. 1–8, P., 1924–48) მთ. რედაქტორი. ამ გამოცემაში ძველი ისტორიისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ტომი უშუალოდ პ-ს ეკუთვნის. მას ძვ. წ. XII ს. ზემო მესოპოტამიაში გამოჩენილი მუშქები ისტ. საქართველოს სამხრ.-დას. ოლქებიდან ჩამოსულებად მიაჩნდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

კავთა (2012-მდე – ჩ ა პ ა ე ვ კ ა), სოფელი წალკის მუნიციპალიტეტის დაბა თრიალეთის ტერიტორიულ ორგანოში (ქვემო ქართლის რეგიონი), წალკის ქვაბულში, ჯავახეთის ზეგანზე. ზ. დ. 1610 *მ,* წალკიდან 4 *კმ.* 69 მცხ. (2014).

კავთისხევი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. კავთურას (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: პ., გუდალეთი, ეზატი, თვალადი, მირიანი, ქებაანი, ქვემო ჩოჩეთი, ქვემო ხანდაკი, წიფორი). ზ. დ. 670 *მ,* კასპიდან 12 *კმ.* 864 მცხ. (2014).



სოფელი კავთისხევი.


სოფლის სახელწოდება უკავშირდება მდ. კავთურას. პ-ის უძველესი უბანია ციხისუბანი, სადაც შემორჩენილია თარხნიშვილთა ციხე-გალავნის საძირკველი. თარხნიშვილები გ. *სააკაძის* შთამომავალნი იყვნენ, ხოლო სააკაძეთა წინაპრები პ-ის მოურავები ყოფილან, რასაც მოწმობს გულშარა დედოფლის სიგელი პ-ის მოურავის – ივანე სააკაძისადმი. 1653 სიგელით ქართლის მეფე როსტომმა იორამ თარხან-მოურავს დაუმტკიცა პ-ის სათარხნო მამული.

პ-ს ხშირად თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ დაღესტნელი ფეოდალები, ამიტომ ხალხი მას შავსოფელსაც უწოდებდა.

სოფელში, მონასელიანთ უბანში, დგას VII–IX სს. *კავთისხევის კატაულას წმინდა გიორგის ეკლესია*; თხინვალაანთ უბანში – ადრინდ. შუა საუკუნეების *კავთისხევის ღომისის ეკლესია* და 1886 ოსტატ ჯაბადარის მიერ აგებული წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია; ძლევის ქედზე – განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული ძლევის ქედის წმ. გიორგის ეკლესია; ხვედრელიანთ უბანში, ძველ სასაფლაოზე – განვითარებული შუა საუკუნეების წმ. ნიკოლოზის ეკლესია. სოფელში, მონასელიანთ უბანში, 1963 აღმოჩნდა XVI–XVIII სს. აკლდამა, ხოლო ე. წ. ,,ლოდების მიწებში'' – მელითონეთა განძი, რ-იც ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულით დათარიღდა. სოფლის მიდამოებში გამოვლინდა რამდენიმე ნამოსახლარი, რ-თა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ციხიაგორას ნამოსახლარი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.
ჯ. გვასალია.

კავთისხევის აკლდამა, XVI–XVIII სს. სამარხი ნაგებობა, მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. *კავთისხევში,* მონასელიანთ უბანში, თამარ დედოფლის გორაზე. აღმოჩენილია მიწის სამუშაოების დროს (შეისწავლეს 1963, ხელმძღვ. გ. ლომთათიძე). აკლდამა შედგება საკისა და დრომოსისაგან (აკლდამაში განლაგებული საფლავისკენ მიმავალი გადახურული დერეფანი), რ-თა კედლები ნაგებია კლდის ქვითა და ბრტყელი აგურით. დრომოსის სიგრძეა 1,5 *მ,* სიგანე – 0,9–1,1 *მ,* სიმაღლე –



კავთისხევის აკლდამა.

1,0 *მ*. აღმ-იდან დრომოსი საკანთან დაკავშირებულია ისრულთაღიანი შესასვლელით და ოთხსაფეხურიანი კიბით. საკანი ოთხკუთხაა (2,8 *მ* × 2,3 *მ* × 3,0 *მ*), მრგვალგუმბათოვანი გადახურვით. კუთხეებში, 1,4 *მ* სიმაღლეზე, გადაყვანილია ისრული ტრომპები; აქედან იწყება აგურის წრიულგუმბათოვანი გადახურვა, რ-საც ზემოდან ადევს ფილაქვები, შემდეგ – ქვის გროვა და მიწაყრილი. საკნისა და დრომოსის კედლები დუღაბითაა ამოყვანილი. კედლები და იატაკი კირითაა შელესილი. საკნის სამხრ. და დას. კედლების ზედა ნაწილში დაყოლებულია შიდა მხარეს დაქანებული თიხის მილები. მათი გარე ნაწილი ყრუდაა დახშული, დანიშნულება გაურკვეველია. აკლდამაში არეულად ეყარა ადამიანის ძვლები, რაც იმას ადასტურებს, რომ იგი ადრევე გაუძარცვავთ. აკლდამის არქიტექტურაში შეინიშნება აღნიშნული პერიოდის ქართლ-კახეთის უმრავლესი ნაგებობისთვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნები. ამ ნიშნების გათვალისწინებით ჰ. ა. იმავე პერიოდით თარიღდება.

ლიტ.: ჯინჯიხაშვილი გ., კავთისხევის აკლდამა, წგ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

რ. რუსიშვილი.

კავთისხევის კატაულას წმინდა გიორგის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. დგას სოფ. კავთისხევის (კასპის მუნიციპალიტეტი) მონასტრიანთ უბანში. თარიღდება VII–IX სს-ით. ძეგლი სამეკლესიიანი ბაზილიკაა (10,8*მ* × 7,65*მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: გვერდის ნავები თითქმის სამეკლამდეა დანგრეული, სამხრ. ნავის კედლები აქა-იქ მხოლოდ მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი, ძნელი გასარჩევია ჩრდ. ნავის გეგმა. შედარებით კარგადაა შემონახული შუა ნავი, მაგრამ აქაც კედლების ზედა ნაწილები დაზიანებულია, სახურავი – ჩანგრეული. შესასვლელი სამხრ-ითაა. მეორე, უფრო ვიწრო კარი, ჩრდ. ნავში გადის. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, ხოლო ჩრდ-ით – ერთი ნიში. ეკლესიაში კიდევ ორი სწორკუთხა სარკმელია. აფსიდის კონქიცა და დარბაზის ნახევარწრიული კამარაც წვრილი ქვითაა ამოყვანილი. ინტერიერში, განსაკუთრებით აფსიდში, ყურადღებას იპყრობს წყობაში ცერად ჩასმული მოზრდილი ქვების მწკრივები, რაც თავისებურ დეკორატიულ მორთულობად აღიქმება. ეკლესია მოგვიანებით შეულესავთ. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. საკურთხევლის წინ იდგა VII ს. კატაულას სტელა (ინახება შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში).



კავთისხევის კატაულას წმინდა გიორგის ეკლესია. VII–IX სს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

მ. მგალობლიშვილი.

კავთისხევის ლომისის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევის თხინვალაანთ უბანში. ეკლესია დარბაზულია სამხრ-ის მინაშენით (8,8*მ* × 8,7 *მ*), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. ერთადერთი შესასვლელი სამხრ-ის კედელშია გაჭრილი და არქიტრავის ქვითაა გადახურული. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო, თაღოვანი სარკმელია, ჩრდ-ით – ოთხკუთხა ნიში. სარკმლის ქვეშ მიდგმულია სატრაპეზო ქვა. დარბაზის სამხრ. კედელში ძლიერ ვიწრო სარკმელია. ერთი სარკმელი დას. კედელშია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-ის საბჯენი თაღი ერთსაფეხურიან პილასტრებს ეყრდნობა. პილასტრებს პროფილირებული კაპიტელები აქვს. მოგვიანებით დარბაზის კედლები შეულესავთ. სამხრ. მინაშენი, რ-ის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, წინა მხრიდან გახსნილია ორი ნახევარწრიული თაღით, რ-ებიც შეერთების ადგილზე მრგვალ, მასიურ ბურჯს ეყრდნობა. ბურჯის კაპიტელი მარტივი ფორმისაა, კუთხეები გამობურცული აქვს. ფასადის აღმ. ნაწილში ორი დიდი ქვის ლოდი თითქმის კედლის ნახევარს ავსებს. 2006–07 მიმდინარეობდა ძეგლის აღდგენითი სამუშაოები (არქიტ. ლ. მენთეშაშვილი).



კავთისხევის ლომისის ეკლესია (მარცხნივ – XIX ს., მარჯვნივ – ადრინდელი ფეოდალური ხანისა).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

თ. გერსამია.

კავთურა, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში. სათავეს იღებს თრიალეთის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 1945 *მ*. ერთვის მდ. მტკვარს მარჯვნიდან, სოფ. ქვემო ხანდაკთან. სიგრძე 26 *კმ*, აუზის ფართ. 129 *კმ*². საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში. საშ. მრავალწლიური ხარჯი შესართავთან 0,96 *მ*³/*წმ*. იყენებენ სარწყავად. *ი. აფხაზავა.*

კავთურის ხეობა, ხეობა შიდა ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტში. ხეობის სიგრძე დაახლ. 15–20 *კმ*. მისი მეშვეობით შიდა ქართლი უმოკლესი გზებით უკავშირდება ქვემო ქართლსა და თრიალეთს.

ჰ. ხ. ძველთაგანვე მჭიდროდ იყო დასახლებული, რასაც ადასტურებს მრავლად შემორჩენილი ნასახლარი და ხუროთმოძღვრების



კავთურის ხეობა.

ძეგლი. მათგან აღსანიშნავია იდლეთის ნათლისმცემლის ეკლესია, *ქვათახევი, მაღალაანთ ეკლესია* და მაღალაანთ კოშკები სოფ. წინარეხთან. შემორჩენილია აგრეთვე ციხე-კოშკები, სამლოცველოები, აკლდამები, სამაროვნები და ნამოსახლარები (ციხე-გორა).

ხეობა მრავალჯერაა დარბეული მტრის მიერ, განსაკუთრებით თემურ-ლენგის ლაშქრობების დროს. ლეკთა განუწყვეტელი თარეშით შეწუხებული და ფიზიკური განადგურების წინაშე მდგარი კავთისხეველები მეფე ერეკლე II-მ კახეთში – სოფ. ნაფარეულსა და კურდღელაურში გადაასახლა იმ პირობით, რომ ლეკიანობის ალაგმვის შემდგომ ისინი უკან დაბრუნდებოდნენ. განადგურებული პ. ხ-ის შემდეგი მოშენება-დასახლება XIX ს. II ნახევრიდან დაიწყო. აქ ჩამოსახლდნენ მთიულები, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი.

ლიტ.: მაკალათია ს., კავთურის ხეობა, თბ., 1960; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990; ჯორბენაძე ბ., აკლდამა სოფ. კავთისხევში, «ძეგლის მეგობარი», 1970, № 23.

თ. გერსამია.

კავი, მიწის სახვნელი ძველი იარაღი (*აჩაჩა*). ამზადებენ ხისგან. შედგება მხარის, კბილის, ერქვნისა და სახნისისაგან. ცნობილი იყო ხევსურული, თუშური, კახური, ქართლური, მოხეური, მეგრული, იმერული, სვანური და სხვ. პ-ები. საქართვ. მთის ზოლში გავრცელებული იყო პ-ის ერთ-ერთი სახეობა ე. წ. კავწერა, რ-ის საშუალებითაც კაწრავდნენ სახნავ ფენას, რაც შემდეგ აადვილებდა ხვნის პროცესს.

პ-ს მიწათმოქმედებაში ენეოლითის ხანიდან იყენებდნენ. შუმერსა და ბაბილონში ძვ. წ. IV ათასწლეულში პ-ის რამდენიმე სახეობა იყო ცნობილი.

ლიტ.: ჩიტაია გ., შრომები, ტ. 1, თბ., 1997; ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; მისივე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1990; Читая Г. С., Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, კრ.: Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952.

გ. ჯალაბაძე.

კავილაძე მიხეილ შალვას ძე (9. I. 1928, თბილისი, – 12. I. 2017, იქვე), ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2000). 1953 დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფიზიკის ფაკ-ტი. 1954 მუშაობდა ობნინსკის (რუსეთი) ატომურ ელექტროსადგურზე, 1955-იდან – თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტზე, 1962-იდან – თსუ-ის გამოყენებითი ბირთვული ფიზ. ლაბორ-ში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1976–2006 პ. იყო ამ ლაბორ-ის ბაზაზე შექმნილი (რესპუბლიკასა და ყოფილ სსრკ-ში პირველი) მას-სპექტრომეტრული ცენტრის გამგე. წლების განმავლობაში ეწეოდა პედ. მუშაობას თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტზე. პ-ის სამეცნიერო ინტერესების სფეროა იზოტოპების ფიზიკა, მას-სპექტრომეტრია, გამოყენებითი ბირთვული ფიზიკა. პ. გამოირჩეოდა აქტიური და პრინციპული სამოქალაქო პოზიციით. მონაწილეობდა ჩერნობილის კატასტროფის შედეგების სალიკვიდაციო კომისიის მუშაობაში. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის და რამდენიმე გამოგონებისა.

თხზ.: About a complex method to predict earthquakes based on observations of Rn, H, He, Ne, organic gases and heavy elements from aerosols, «M. V. Radionuclides and Heavy Metals in Environment. NATO Science Series, IV. Earth and Environmental Sciences», 2001, vol. 5 (თანაავტ. Gubadze N. et al.); Determination of Li and B isotopic composition in the microvolumes of meteorites by a highly sensitive, precise method, «International Journal of Mass-Spectrometry and Ion Process», 1997, vol. 161 (თანაავტ. Gubadze N.).

კავილაძე ოთარ პავლეს ძე (27. I. 1919, თბილისი, – 17. X. 1994, იქვე), პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1973), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1983). 1940 დაამთავრა თსსი. 1941 საბჭოთა არმიაში იყო ლეგიონის სანიტ. სამსახურის უფროსი. 1946–50 მუშაობდა ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის განყ-ბის გამგედ. 1950–67 კვლავ საბჭოთა არმიის რიგებშია. 1967–72 იყო საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მეცნ. და სამედ. სასწავლებლების მთ. სამმართველოს უფროსის მოადგილე, 1972–74 – უფროსი. მუშაობდა საქართვ. მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტის მედ. და საბუნებისმეტყველო მეცნ. განყ-ბის (1974–78), შემდეგ – ამავე კომიტეტის სამეცნ.-საორგანიზაციო განყ-ბის უფროსად (1978–93).

პ. იკვლევდა ადამიანის პარაზიტულ დაავადებებს, მიღწეული შედეგების სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვამ ხელი შეუწყო სამხრ. კავკასიის ტერიტ-ზე მთელ რიგ ინფექციურ, მ. შ. პარაზიტულ და ტროპიკულ სნეულებათა ლიკვიდაციას ან მკვეთრ შემცირებას.

თხზ.: ეპიდემიოლოგია (სახელმძღვანელო სამ. სამედ. პერსონალისათვის), თბ., 1981 (თანაავტ. თ. კერესელიძე); К изучению очагов Кавказского клещевого возвратного тифа на территории ЗакВО, «Сборник научных трудов ВМО ЗакВО», Тб., 1960; Организация противоэпидемических мероприятий по холере и чуме в условиях Закавказья, Тб., 1978.

„კავკაზ“, ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა 1846–1918 თბილისში რუს. ენაზე. თავდაპირველად კერძო, არაოფიც. გამოცემა იყო, 1850-იდან კი კავკ. მეფისნაცვლის კანცელარია გამოსცემდა. გარდა ოფიც. ცნობებისა, იბეჭდებოდა წერილები კავკ. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ., კულტ., ეკონ., მეცნ. საკითხებზე და უცხოეთის ქრონიკა. გაზეთთან თანამშრომლობდნენ ნ. ბერძენიშვილი, დ. ბაქრაძე, პ. იოსე-





,,კავკაზსკი კალენდარ‘‘.



,,კავკაზსკი სბორნიკ‘‘.

ლიანი, რ. ერისთავი, მ. ბროსე და სხვ. ,,ჰ-ში‘‘ დაისტამბა მ. გორკის პირველი მოთხრ. ,,მაკარ ჩუდრა‘‘ (1892 წ. 12 სექტ.).

კავკაზაგი (ნამდვ. გვარი – კაჩმაზოვი) ილია თადეოზის ძე (16. V. 1910, სოფ. ყევსელთა, ახლანდ. ჯავის მუნიციპალიტეტი, –18. II. 1994, თბილისი), ოსი პოეტი, მთარგმნელი. წერდა ოსურ და ქართ. ენებზე. ადრე დაობლებული მოხვდა კოჯრის, შემდეგ თბილ. საბავშვო სახლში. 1934 დაამთავრა ლენინგრ. სასცენო ხელოვნების ინ-ტი, 1937 – რუსთაველის სახ. თეატრთან არსებული სტუდია. იყო ოსური სახელმწ. თეატრის რეჟისორი, დრამატურგი, მსახიობი, მწერალთა სამხრ. ოსეთის განყ-ბის მდივანი, ჟურნ. ,,ფიდუაგის‘‘ პ/მგ მდივანი და სხვ. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1925. გამოსცა ლექსებისა და პოემების კრებულები: ,,მზე‘‘ (1940, ოსურ ენაზე), ,,ოქროს მთები‘‘ (1955, ქართ. ენაზე), ,,ჩემი თბილისი‘‘ (1960, ქართ. ენაზე), ,,საქართველოს სა-გალობელი‘‘ (1968, კოლექტ. კრებ. ,,მზის სიმღერა‘‘). ავტორია პიესების [,,უკანასკნელი ხარკი‘‘ (1939), ,,ისაყ ხარებათი‘‘ (1944; იდგმებოდა ოსური თეატრის სცენაზე)], კინოსცენარებისა და მოთხრობების. ოსურად თარგმნა გ. ლეონიძის და სხვა ქართ. პოეტების ლექსები. გამოსცა ,,ოსური ანდაზები‘‘ (1955). *მ. მონია.*

„კავკაზსკაია სტარინა“, ყოველთვიური ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული ჟურნალი; გამოდიოდა თბილისში 1872 ნოემბრიდან 1873 ბოლომდე რუს. ენაზე. ჟურნალში იბეჭდებოდა ისტ. დოკუმენტები, კავკ. ხალხთა მე-



,,კავკაზსკაია სტარინა‘‘.

მატიანეების თხზულებათა თარგმანები, წერილები არქეოლ. და ისტ. საკითხებზე, ძეგლთა აღწერა და ბიბლიოგრაფია. ,,ჰ. ს-სთან‘‘ თანამშრომლობდნენ რ. *ერისთავი,* პ. *იოსელიანი,* დ. *ბაქრაძე* და სხვ. რედ.-გამომცემელი – ა. ერიცოვი.

„კავკაზსკი კალენდარ“, წელიწდეული, რ-საც გამოსცემდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია 1846–1917. ყოველი მომდევნო წლის კალენდარი დათარიღებული იყო წინა წლით. რედაქტორობდნენ მეფისნაცვლის კანცელარიის პასუხისმგებელი მოხელეები. ,,ჰ. ჰ-ში‘‘ იბეჭდებოდა საერთო კალენდარული მონაცემები, ჩინოვნიკების, სახელმწ. დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მისამართები, მეტეოროლ. და სტატისტ. ცნობები, სტატიები კავკასიისმცოდნეობის საკითხებზე, მთავრობის ზოგიერთი დადგენილება და ა. შ. ამას გარდა, ,,ჰ. ჰ-ში‘‘ გამოქვეყნდა საინტერესო სტატისტ. მასალა ამიერკავკ. ქალაქებსა და მათ მოსახლეობაზე, ქრონოლოგიური ცხრილები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, საგზაო ტარიფები, მეტროლოგიური ცხრილები, ნარკვევები ეკონ. საკითხებზე და სხვ.

როგორც ოფიც. გამოცემა, ,,ჰ. ჰ.‘‘ ეწეოდა მეფის მთავრობის ღონისძიებათა პოპულარიზაციას, ამართლებდა ცარიზმის კოლონ. პოლიტიკას. *შ. ხანთაძე.*

„კავკაზსკი კრაი“, ყოველთვიური საზოგადოებრივ-ლიტერატურული კარიკატურებიანი ჟურნალი. გამოდიოდა 1905 თბილისში რუს. ენაზე. გამოვიდა 12 ნომერი. გამომცემელი – ბ. ესაძე, რედაქტორი – გ. ესაძე. დაიხურა ადგილ. ხელისუფლების განკარგულებით. *ი. ლორთქიფანიძე.*

„კავკაზსკი კურიერ“, ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი; გამოდიოდა 1881 თბილისში რუს. ენაზე. გამოვიდა 159 ნომერი. რედ.-გამომცემელი – ხითაროანი, რედაქტორი – ა. კალანტაროვი. გაზეთი დაიხურა ადგილ. ხელისუფლების განკარგულებით. განახლდა 1906. *ი. ლორთქიფანიძე.*

„კავკაზსკი რაბოჩი“, ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი, რსდმპ(ბ) სამხარეო და თბილისის კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა თბილისში 1917 წ. 11(24) მარტიდან 1918 წ. 8 თებერვლამდე. ,,ჰ. რ‘‘. პროპაგანდას უწევდა ვ. ი. ლენინის იდეებს. რედაქციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ პ. ჯაფარიძე, მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი, ს. ქავთარაძე და სხვ.

გ. ჟვანია.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი, რსდმპ ამიერკავკ. კავშირის კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა თბილისში 1905 წ. 20 ნოემბრიდან (3 დეკ.) 14(27) დეკემბრის ჩათვლით რუს. ენაზე. გაზეთს ხელმძღვანელობდნენ ი. სტალინი და ს. შაუმიანი. გაზეთმა გადმობეჭდა ვ. ი. ლენინის მთელი რიგი სტატიები. აშუქებდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს, რევ. ბრძოლის და პარტ. მშენებლობის პრაქტ. ამოცანებს. *გ. ჟვანია.*

„კავკაზსკი სბორნიკ“, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ისტორიული განყოფილების ყოველწლიური გამოცემა 1877–1912. გამოვიდა 32 ტომი. დაარსდა კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძის განკარგულებით. სხვადასხვა დროს რედაქტორები იყვნენ: პოლკ. ჩერნიავსკი, გენ. ვ. პოტო, ტომკეევი, ს. ს. *ესაძე.*

კრებულში იბეჭდებოდა მასალები კავკ. ომების შესახებ – მონოგრაფიები, მემუარები, ცალკეულ მოღვაწეთა დახასიათებები და ა. შ. გამოცემის მიზანი იყო გაემართლებინა ცარიზმის პოლიტიკა კავკასიაში, ქება-დიდება შეესხა ომების გმირებისათვის, უკვდავეყო მათი სახელები. *შ. ხანთაძე.*

„კავკაზსკოე კნიჟნოე ობოზრენიე“, ყოველთვიური ილუსტრირებული ბიბლიოგრაფიული ჟურნალი; გამოდიოდა თბილისში 1900 რუს. ენაზე. რედ.-გამომცემელი – კ. ბეგიჩევი. ნახევარი წლის შემდეგ ადგილ. მთავრობის განკარგულებით ,,ჰ. ჰ. ო.‘‘ აიკრძალა. *ნ. გურგენიძე.*

„კავკაზსკოე ობოზრენიე“, ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1886–88 რუს. ენაზე. რედ.-გამომცემელი – ნ. ფრენკელი. *ი. ლორთქიფანიძე.*

კავკასია, ტერიტორია შავი, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის. ვრცელდება კუმა-მანიჩის ღრმულიდან (რუს. ფედერაცია) თურქეთისა და ირანის საზღვრებამდე. ფართ. დაახლ. 440 ათ. *კმ*^{2}.

ტოპონიმი ,,კავკასია‘‘, ,,კავკაზუს‘‘, პირველად მოხსენიებულია ბერძენი დრამატურგის ესქილეს (დაახლ. ძვ. წ. 525–456) ტრაგედიაში ,,მიჯაჭვული პრომეთე‘‘.

ჰ-ს *კავკასიონის მთავარი ქედი* ყოფს *ჩრდილოეთ კავკასიად* (ამიერკავკასია) და *სამხრეთ კავკასიად* (*ამიერკავკასია*). ბუნებრივი პირობების მიხედვით განასხვავებენ აგრეთვე დას. და აღმ. ჰ-ს, რ-თაგან პირველი მოიცავს აზოვისა და შავი ზღვის აუზს, მეორე – კასპიის ზღვის აუზს.

რელიეფი. პ-ის ტერიტ. ნახევარზე მეტი უჭირავს მაღალ მთებსა და ზეგნებს. ძირითადი ოროგრ. ერთეულებია: ჩრდილოეთ კავკასიის ვაკე, *კავკასიონი*, სამხრეთ კავკასიის ბარი, *მცირე კავკასიონი*, თალიშის მთები, სამხრეთ კავკასიის ვულკანური მთიანეთი.

ჩრდილოეთ კავკასიის ვაკეში გამოიყოფა 3 ნაწილი: ყუბანისპირა დაბლობი, სტავროპოლის მაღლობი და თერგ-კუმის დაბლობი.

კავკასიონი გადაჭიმულია ტამანის ნ.-კ-იდან აფშერონის ნ.-კ-მდე. მასაც 3 ნაწილად ყოფენ: დას. კავკასიონი (იალბუზამდე), ცენტრ. კავკასიონი (იალბუზსა და მყინვარწვერს შორის) და აღმ. კავკასიონი (მყინვარწვერის აღმ-ით). კავკასიონის უმაღლესი მწვერვალია *იალბუზი* (5642 *მ*). პ-ის ოროგრ. ღერძია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, რ-ის ჩრდ-ით და სამხრ-ით გადაჭიმულია გვერდითი, გასწვრივი და გარდიგარდმო ქედები.

სამხრეთ კავკასიის ბარი ვრცელდება შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. მისი სიგანე დას. საქართველოში – 90 *კმ*, აზერბაიჯანში –160 *კმ* აღწევს. იგი შემდეგ ნაწილებად იყოფა: *კოლხეთის დაბლობი* ირგვლივ მდებარე გორაკ-ბორცვებით, *იმერეთის მაღლობი* (ძირულის მასივი), *შიდა ქართლის ვაკე*, იორ-აჯინოურის ზეგანი, ალაზან-აგრიჩაის ვაკე, მტკვარ-არაქსის დაბლობი და მისი მომიჯნავე გორაკ-ბორცვიანი რეგიონები.

მცირე კავკასიონი გადაჭიმულია შავი ზღვიდან არაქსის ხეობამდე. აღმ-ით მისი გაგრძელებაა თალიშის მთები. მცირე კავკასიონი იყოფა აჭარა-თრიალეთის, ლოქ-ყარაბაღისა და ჩრდ. სომხეთის მთათა სისტემებად. მცირე კავკასიონის უმაღლესი მწვერვალია მთა გამიში (3724 *მ*) მუროვდაღის ქედზე.

თალიშის მთები მდებარეობს აზერბაიჯანისა და ირანის საზღვარზე. უმაღლესი მწვერვალია მთა გომურგოი (2477 *მ*).

სამხრეთ კავკასიის ვულკანური მთიანეთი წარმოადგენს მაღალი ვულკ. პლატოების, ქვაბულების, მასივებისა და ქედების ერთობლიობას. უმაღლესი მწვერვალია არაგაწი (4090*მ*).

ლ. მარუაშვილი.

გეოლოგიური აგებულება. პ. შედის ხმელთაშუა ზღვის კოლიზიურ ოროგენულ სარტყელში და მასში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ტექტონ. ერთეულები: ჩრდილოეთ კავკასიის (სკვითური) ფილაქანი, კავკასიონის ნაოჭა სისტემა, სამხრეთ კავკასიის მთათაშუა არე, მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონის) ნაოჭა სისტემა და არაქსის მთათაშუა როფი.

ჩრდილოეთ კავკასიის ფილაქნის სუბსტრატი აგებულია კამბრიულამდელი და პალეოზოური მეტამორფიზებული ქანებით, რ-ებიც გადაფარულია ზედაპალეოზოურ-ტრიასული მოლასური და მეზოზოურ-კაინოზოური მძლავრი დანალექი საფრით. მიოცენურის ბოლოს (სარმატულ საუკუნეში), სტავროპოლის მაღლობის წარმოშობის გამო, ეს ფილაქანი აზოვ-ყუბანისა და თერგ-კუმის დეპრესიებად გაიყო, რ-თა სამხრ. დაძირულ ნაწილში ჩამოყალიბდა ნეოგენური მოლასებით ამოვსებული დას. ყუბანის, თერგ-კასპიური და კუსარო-დივიჩის მთისწინა როფები. ჩრდ. კავკასიის ფილაქნის სამხრ. კიდეზე გამოიყოფა აგრეთვე კიდურა მასივი, რ-იც ნეოგენურ დროში ჩაერთო კავკასიონის აზევებაში. მის შემადგენლობაშია: წინა ქედის, ბეჩასინის, ლაბა-მალკის ზონები, ჩრდ. კავკასიის მონოკლინი და დაღესტნის კირქვიანი ზონა.

კავკასიონის ნაოჭა სისტემა ხასიათდება მკაფიოდ გამოხატული ასიმეტრიული სტრუქტურით: სამხრეთისკენ გადაბრუნებული იზოკლინური დანაოჭებით მის სამხრ. ფერდობზე და სუსტად დანაოჭებული ან მონოკლინური აგებულებით მის ჩრდ. ფერდობზე. კავკასიონის სამხრ. ფერდობის აღმ. ნაწილში განვითარებულია სამხრეთისკენ მიმართული მსხვილი ტექტონ. ზეწრები (შარიაჟები). კავკასიონის ნაოჭა სისტემის შემადგენლობაში გამოიყოფა კავკასიონის მთავარი ქედის ზონა. მის ცენტრ. ნაწილში შიშვლდება კამბრიულამდელი და პალეოზოური ასაკის კრისტალური სუბსტრატი, რ-იც გაკვეთილია სხვადასხვა ასაკის გრანიტოიდული ინტრუზივებით. მის სამხრ-ით გამოიყოფა ჩხალთა-ლაჰილის, ყაზბეგ-თფანის, მესტია-დიბრარის, ნოვოროსიისკ-ლაზარევსკოეს და გაგრა-ჯავის ზონები. ეს ზონები აგებულია შუა- და ზედაპალეოზოური სუსტად მეტამორფიზებული ქანებით (ჩხალთა-ლაჰილის ზონა), ქვედა და შუაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით, ბაიოსური ვულკანოგენურ-დანალექი სერიით და ზედაიურულ-პალეოგენური ასაკის ფლიშური ნალექებით.

სამხრეთ კავკასიის მთათაშუა არის ფარგლებში გამოიყოფა ნეოგენურ-მეოთხეული მოლასური ნალექებით ამოვსებული რიონის (კოლხეთის) და მტკვრის მთათაშუა როფები და მათი გამყოფი ცენტრ. აზევების ზონა, სადაც ძირულის კრისტალურ მასივში გაშიშვლებულია კამბრიულამდელი და პალეოზოური ასაკის კრისტალური სუბსტრატი, რ-იც გადაფარულია მეზოზოურ-კაინოზოური ასაკის ტერიგენული, ვულკანოგენურ-დანალექი და კარბონატული ნალექებით.

მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონის) ნაოჭა სისტემა შედგება აჭარა-თრიალეთის, ართვინ-ბოლნისის, სომხით-ყარაბაღის, სევან-ჰაქერის, კაფანის, მისხან-ზანგეზურის და ერევან-ორდუბადის ზონებისგან. აქ ხრამის, ლოქის, ახუნის, ასრიქჩაის და ცახკუნიაცის მასივებში ზედაპირზე შიშვლდება კამბრიულამდელი და პალეოზოური ასაკის კრისტალური სუბსტრატი, რ-იც გადაფარულია მეზოზოურ-კაინოზოური ასაკის დანალექი და დანალექ-ვულკანოგენური წარმოშობის ქანებით. სევან-ჰაქერის ზონაში გაშიშვლებულია იურულ-ცარცული ასაკის ოფიოლიტური ასოციაციის ქანები, რ-ებიც ხშირად სერპენტინიტულ მელანჟად არის გარდაქმნილი.

სამხრ. კავკასიის ვულკანურ მთიანეთზე (ახალქალაქის პლატო, გეღამის, ვარდენისის ქედები და სხვ.) განვითარებულია ახალგაზრდა (მიოცენურ-პლიოცენური და მეოთხეული) ანდეზიტ-დაციტური, ბაზალტური და დოლერიტული ლავური ნაკადები.

არაქსის მთათაშუა როფი სამხრ.-დას-იდან ესაზღვრება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემას. იგი წარმოიშვა ოროგენულ ეტაპზე და აგებულია ძირითადად მიოცენურ-პლიოცენური მოლასური ნალექებით, რ-ის ქვეშ ზოგან გაშიშვლებულია შუა და ზედაპალეოზოური, ტრიასული და იურული ქანები.

პ. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ტყვია-თუთიის საბადოებია ჩრდ. ოსეთსა და საქართველოში, სპილენძისა და მოლიბდენის – ყაბარდო-ბალყარეთსა

და სომხეთში, რკინის – აზერბაიჯანში, მანგანუმისა და ქვანახშირის – საქართველოში, ნავთობაირისა – აზერბაიჯანში, ჩაჩნეთში, ინგუშეთში, დაღესტანში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებსა და აღმ. საქართველოში. პ. მდიდარია აგრეთვე მინერ. წყლებით, საშენი მასალებითა და სხვ. *ე. გამყრელიძე.*

ჰავა. პ. მდებარეობს ზომიერი და სუბტროპ. ჰავის სარტყელების საზღვარზე. კავკასიონი მნიშვნელოვანი კლიმატგამყოფია. იგი აბრკოლებს ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასების გავრცელებას სამხრეთისკენ, ხოლო სამხრეთის თბილი ჰაერისას – ჩრდილოეთისკენ და მკვეთრ კლიმ. კონტრასტს ქმნის ჩრდ. კავკასიასა და სამხრ. კავკასიას შორის. იანვრის საშ. ტემპ-რა ჩრდ. კავკასიაში –2, –5°C; სამხრ. კავკასიის დას. ნაწილში (კოლხეთის დაბლობი) 4,5–6°C; სამხრ. კავკასიის აღმ. ნაწილში (მტკვარ-არაქსისა და ლენქორანის დაბლობები) 1–3,3°C. ზაფხულობით ტემპერატურული კონტრასტი ჩრდ. კავკასიასა და სამხრ. კავკასიას შორის მცირდება, დას. და აღმ. კავკასიას შორის კი უფრო შესამჩნევია. ივლ. საშ. ტემპ-რა პ-ის დას. ნაწილში 23–24°C, აღმ. ნაწილში 25–29°C, ჩრდ. კავკასიის დას. ნაწილში ჰავა ზომიერი კონტინენტურია (სტეპური), აღმ-ში კი – უფრო კონტინენტური და მშრალი (ნახევარუდაბნოსი). კოლხეთში ნოტიო სუბტროპ. ჰავაა, იცის რბილი ზამთარი და უხვი ნალექი (1200–1800 *მმ* და მეტი წელიწადში). ნოტიო სუბტროპ. ჰავაა ლენქორანის დაბლობზეც (ნალექები დაახლ. 1200 *მმ*-მდე წელიწადში), თუმცა ზაფხულის დასაწყისი აქ მშრალი იცის. მტკვარ-არაქსის დაბლობის ჰავა მშრალი სუბტროპიკულია (ნალექები 200–400 *მმ* წელიწადში, აღმ. ნაწილში – 200 *მმ*-ზე ნაკლებიც), ზამთარი რბილია, ზაფხული – ცხელი. მსგავსი ჰავაა არაქსის შუა დინების ქვაბულსა და სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთშიც.

მთიანი რელიეფის გამო პ-ს სიმაღლებრივი კლიმ. ზონალურობა ახასიათებს. ნალექები დიდი რაოდენობით (2500 *მმ*-მდე წელიწადში, ზოგან 4000 *მმ*-მდეც) მოდის დას. და ცენტრ. კავკასიონის სამხრ. და სამხრ.-დას. კალთებზე, მაქს. რაოდენობა (4520 *მმ*) კი – მთა მტირალაზე (მესხეთის ქედი). კავკასიონის კალთებზე 2000 *მ* სიმაღლეზე იანვ. საშ. ტემპ-რაა –8°C, აგვ. 13°C. უფრო მაღლა სუბალპ., ალპ. და ნივალური სარტყლებია. შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროზე (ნოვოროსიისკ-გელენჯიკის რ-ნში) ხმელთაშუა ზღვის ჰავაა, იცის ნოტიო ზამთარი და მშრალი ზაფხული.

კავკასიის ფიზიკური რუკა



მცირე კავკასიონის შიგა კალთების ჰავა ჰგავს კავკასიონის მოპირდაპირე სამხრ. კალთების შესაბამისი სარტყლების ჰავას. ტენიანობა აქაც დას-იდან აღმ-კენ კლებულობს. თალიშის ქედის კალთებზე ნოტიო ჰავაა. წელიწადში 1700 *მმ* ნალექი მოდის. სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთის შიგა ნაწილში (სომხეთი) ჰავა უფრო კონტინენტურია, ვიდრე კავკასიონის ამავე სიმაღლის კალთებზე. აქ 2000 *მ* სიმაღლეზე იანვ. საშ. ტემპ-რაა –12 °C, ივლ. 18°C; თოვლის საფარი 4–5 თვეს დევს. ნალექები 450–550 *მმ* წელიწადში, ჩრდ. ნაწილში 600–700 *მმ.* 2200–2300 *მ* ზევით გაბატონებულია მაღალი მთის ნოტიო ჰავა გრილი ზაფხულით და ხანგრძლივი ცივი ზამთრით.

შიგა წყლები. პ-ის მდინარეები ეკუთვნის შავი ზღვისა (მდ-ები: ყუბანი, ბზიფი, კოდორი, ცხენისწყალი, ენგური, რიონი, ჭოროხი და სხვ.) და კასპიის ზღვის (მდ-ები: მტკვარი, არაქსი, ალაზანი, იორი, თერგი, არღუნი, სულაკი და სხვ.) აუზებს. მდ-ებს, რ-ებსაც მყინვარებში აქვთ სათავე, ახასიათებს ხანგრძლივი (დაახლ. 6 თვე) წყალდიდობა წლის თბილ პერიოდში; კავკასიონის, მცირე კავკასიონისა და სამხრ. პ-ის ვულკ. მთიანეთის არამყინვარულ მდ-ებს კი – უმთავრესად გაზაფხულზე. კავკასიონის სამხრ. კალთის მდ-ებზეც ხშირია ზაფხულის წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები. ჩრდ. პ-ის არამყინვარული მდ-ების წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა (ზოგჯერ დაშრობაც კი) – ზაფხულში, იყინება ზამთარში. სტავროპოლის მაღლობს რწყავს მდ. ყუბანიდან გაყვანილი არხები. აღმ. პ-თვის ნიშანდობლივია ღვარცოფები. პ-ის კარსტულსა და ვულკ. რ-ნებში მდ-ები საზრდოობენ ძირითადად მიწისქვეშა წყლებით, ზედაპირული ჰიდროგრ. ქსელი სუსტადაა განვითარებული და მდინარეთა მეტი წილი მიწისქვეშ მიედინება. სანაოსნოა მდ-ების: მტკვრის, ყუბანისა და რიონის ქვემო დინებები. პ-ის მდინარეები მდიდარია ჰიდროენერგიით, მათზე აგებულია ჰესები და წყალსაცავები; მათ იყენებენ აგრეთვე სარწყავად და ხეტყის დასაცურებლად.

პ-ის ტბები გენეტიკურად მრავალგვარია. უდიდესი ტბაა სევანი, რ-იც ამუშავებს ჰესების კასკადს. აღმ. პ-ის ბარში არის მღაშე ტბები.

ლ. მარუაშვილი.

მცენარეულობა. პ-ის მცენარეული სამყაროს მრავალფეროვნებას განაპირობებს მისი ფიზ.-გეოგრ. ფაქტორთა სხვადასხვაგვარობა და გეოლ. წარსული. პ-ის მცენარეულობა თავისი შემადგენლობით ჰგავს ევრაზიისა და აფრიკის რეგიონთა მცენარეულობას. გვხვდება სხვადასხვა გეოლ. ასაკის მცენარეული ფორმაციაც, მ. შ. მესამეული ხანის რელიქტური ტყეების, უძველესი ხმელთაშუაზღვისპირეთის მთის ქსეროფიტებისა და სხვა მცენარეულობის ტიპები, რ-ებიც ზონალურად შემდეგნაირადაა განლაგებული: ჩრდ. პ-ის აღმ. ნაწილში, სამხრ. პ-ის აღმ. და სამხრ. ნაწილის დაბლობებსა და მთისწინეთში, ნაწილობრივ, 1000–1400 *მ* სიმაღლის ქვესარტყელში უდაბნო და ნახევარუდაბნოა; სამხრ. პ-ის სამხრ. ნაწილში კი – თავისებური ღორღიანი უდაბნო (ე. წ. ჰამადა).

ველი (სტეპი) გავრცელებულია ჩრდ. პ-ის ბარში, კავკასიონზე, სამხრ. პ-ის აღმ. ნაწილის მთისწინეთსა და მცირე კავკასიონზე 2600 *მ* სიმაღლემდე. ჩრდ. პ-ის მთისწინეთში, სტეპისა და ფოთლოვანი ტყის სასაზღვრო ზოლში ლანდშაფტურად გამოსახულია ტყესტეპი. შედარებით უფრო ტენიან პირობებში ვითარდება ნაირბალახოვანი სტეპი – მდელოსტეპი. ზოგან (3000 *მ* სიმაღლემდე) ზონალურად მთის სტეპებთან შეთავსებულია მთის ქსეროფილური მცენარეულობა. ამავე სარტყელშია ქსეროფილური მეჩხერი ტყეები (ნათელი ტყეები, არიდული მეჩხერი ტყეები). პ-ის დიდი ნაწილი (მთიანეთი) ტყიანია; ტყეები გავრცელებულია დაბლობიდან 2700 *მ* სიმაღლემდე. დაბლობის ტყეების მთავარი მასივები გვხვდება კოლხეთში. მდინარისპირა ტყეები ინტრაზონალურად მოქცეულია სამხრ. პ-ის უდაბნოს სარტყელში. პ-ისთვის უნიკალურია სამხრ. პ-ის აღმოსავლური ჭადრის ჭალის ტყე. ჭალის ტყეებს თან ახლავს ლიანები. სამხრ. პ-ის დას. მთის ქვესარტყელში, ნაწილობრივ მთისწინეთსა და შუა სარტყელში, 200–1200 *მ* სიმაღლემდე გავრცელებულია რელიქტური კოლხური ტყე – მრავალდომინანტური შერეულფოთლოვანი ტყე, რ-ის თავისებურებაა აგრეთვე მარადმწვანე ქვეტყე. ასეთივე რელიქტური შერეულფოთლოვანი ჰირკანული ტყეებია თალიშის მთების ქვესარტყელშიც, 600 *მ* სიმაღლემდე. შუა სარტყელში, 1300 *მ* სიმაღლემდე, გაბატონებულია მუხნარები, რ-საც სარტყელის ზედა ზოლში განსხვავებული ექსპოზიციის ფერდობებზე ენაცვლება წიფლნარები, უფრო მაღლა – ქართული მუხის მუხნარები. სამხრ. პ-ის აღმ. ნაწილში და კავკასიონის ჩრდ. კალთებზე ქვედა, ზოგან კი შუა სარტყელშიც (400–1600 *მ*) ფიტოლანდშაფტი შერეულია. სამხრ. პ-ის დას. ნაწილში ხშირია წიფლნარები მარადმწვანე ქვეტყით, ხოლო პ-ის სხვა ნაწილში – ბალახოვანი და მკვდარი საფრით. მუქწიწვოვანი ტყეები – ნაძვნარი და სოჭნარი ხშირად წიფლის თანადომინანტობით, მარადმწვანე ქვეტყითა და ბალახოვანი საფრით გავრცელებულია სამხრ. პ-ის დას. ნაწილში, კავკასიონის ჩრდ.-დას. ნაწილში და აღმ. საქართვ. დას. რაიონებში 100–2100 *მ*-მდე. სამხრ. პ-ის აღმ. და სამხრ. ნაწილში ეს სარტყელი შენაცვლებულია მუხნარებით და წიფლნარებით. ფიჭვნარებს ქმნის 5 სახეობის ფიჭვი. ტყის სარტყელში, ხეობებში შერეულფოთლოვანი ტყეებია. მთის ტყის სარტყლის ზემოთ (1700–2300 *მ* სიმაღლეზე) სუბალპური მცენარეულობაა: ტანბრეცილი და მეჩხერი ტყეები, ბუჩქნარები, მაღალბალახეულობა და მდელოები. პ-ის დას. ნაწილში ფართოდ არის გავრცელებული სუბალპური მაღალბალახეულობა, რ-იც აღმოსავლეთსა და სამხრეთში მცირდება და ღარიბდება ფლორისტიკულად. ალპური მცენარეულობა გვხვდება 2200–3100 *მ* სიმაღლეზე. დიდი ფართობი უკავია გაძოვების შედეგად წარმოქმნილ მეორეულ ხალებს. სუბნივალურ სარტყელში (3100–3600 *მ*-ზე) შეკრული მცენარეული საფარი აღარ არის, მას ეკარგება ლანდშაფტური მნიშვნელობა, თუმცა გვხვდება ზედა ალპური მცენარეულობის ფრაგმენტები; მცენარეთა განლაგება აქ მეჩხერ-ჯგუფურია; მთელი რიგი მიკროფიტოცენოზებისა შექმნილია ენდემური გვარებით. ნივალურ სარტყელში (4000 *მ*-ზე მაღლა), სადაც შიშველი კლდეების, მარადი თოვლისა და მყინვარების ლანდშაფტია, იზრდება ყვავილოვანი მცენარეების 15–20 სახეობა. მცენარეული ტიპების მთელი რიგი ინტრაზონალური ხასიათისაა. კასპიისზღვისპირეთის

დიუნების მცენარეულობა შუა აზიის ქვიშიანი უდაბნოების მცენარეულობის მსგავსია. მისგან განსხვავებულია შავი ზღვის რიყის – ქვიან-ქვიშიანი პლაჟის (ლიტორალის) მცენარეულობა. *მ. სახოკია.*

ცხოველთა სამყარო. პ-ში ცხოველთა სამყარო ნაირფეროვანია და წარმოადგენს ევროპული, შუააზიური და აფრიკული სახეობებისგან შექმნილ ფაუნისტურ კვანძს. ძუძუმწოვრებიდან ენდემურია ორი სახეობის ჯიხვი (დას. კავკასიური და დაღესტნური). ენდემურია აგრეთვე ალპური მდელოების ბინადარი პრომეთეს მემინდვრია. სამხრ. პ-ის ვულკანურ მთიანეთში ცხოვრობს მუფლონი, ალპურ მდელოებზე – ნიამორი და არჩვი. აღმ. პ-ის ველებზე გვხვდება ქურციკი და ზოლებიანი აფთარი, ხოლო ჩრდ.-აღმ. პ-ში – საიგა; ტყეებში მრავლადაა ირემი, შველი, გარეული ღორი, მურა დათვი, ფოცხვერი, ტყის კატა, მგელი, ტურა, მელა, ტყისა და თეთრყელა კვერნები, მაჩვი. პ-ის სამხრ. ნაწილში ალაგ-ალაგ გვხვდება ჯიქი, ლელიანის კატა, ბრუცა, ხოლო თალიშის მთებში – მაჩვ-ზღარბი; ტყეებში ბინადრობს კავკასიური ციყვი, ძილგუდა, ტყისა და ყვითელყელა თაგვი. მრავლადაა წყლის მემინდვრია, კურდღელი, სხვადასხვაგვარი ღამურა; მწერიჭამიებიდან – თხუნელა, ბიგა, კბილთეთრა, ფუღუ და სხვ.; ალაგ-ალაგ გვხვდება მიწის კურდღელი.

ფრინველებიდან ენდემურია კავკასიური და კასპიური შურთხი, კავკასიური როჭო, კოლხური ხოხობი, შავთავა ჩხიკვი. ბევრგანაა კაკაბი, გნოლი, იშვიათად გვხვდება დურაჯი. აღმ. პ-ის ველებზე გამოსაზამთრებლად მოფრინავს სავათი და სარსარაკი. მაღალმთაზე ბინადრობს მთის არწივი, ორბი, ბატკანძერი, მაღრანი, ალპური მთიულა და სხვ.

ქვეწარმავლებიდან გვხვდება ხმელეთისა და წყლის კუ, გეკონები, ჯოჯო, ხვლიკები, ველის მახრჩობელა, მცურავები, ანკარები, გიურზა, ცხვირრქოსანი გველგესლა, ენდემური კავკასიური გველგესლა და სხვ. ამფიბიებიდან – ენდემური კავკასიური ბაყაყი, კავკასიური ჯვრიანა, კავკასიური სალამანდრა (ეკუთვნის ენდემურ გვარს) და სხვ.; წყალსატევებში დიდი რაოდენობითაა კალმახი, მურწა, წერი, შამაია, ხრამული, კობრი, ზოგან ზუთხი, ორაგული და სხვ., უხერხემლო ცხოველთაგან ბევრია ენდემური სახეობა. კავკასიაში ობობის ათასზე მეტი სახეობა ბინადრობს.

დროთა განმავლობაში პ-ის ფაუნა მნიშვნელოვნად შეიცვალა. მრავალი სახეობა მოისპო, მაგ., ათი საუკუნის წინ – ლომი და კულანი (გარეული ვირი), XVII ს-ში – ავაზა, XVIII ს-ში – თახვი და ცხენ-ირემი, ხოლო XX ს. დასაწყისში – კავკასიური დომბა და თურანული ვეფხვი.

პ-ში აკლიმატიზებულია ნუტრია და ენოტისებრი ძაღლი, ალთაური ციყვი (ჩრდ. პ-ში), ტელეუტური ციყვი, ამერიკული წაულა (საქართველო, აზერბაიჯანი), ენოტი (აზერბაიჯანი) და სხვ.

ა. ჯანაშვილი.

ლანდშაფტები. პ-ის ლანდშაფტი მრავალფეროვანია. ჩრდ. პ-ის ვაკის ლანდშაფტები მიეკუთვნება ზომიერ სარტყელს, სამხრ. პ-ისა – სუბტროპიკულსა და კონტინენტურს. ჩრდ. პ-ის დას. და შუა ნაწილში გაბატონებულია სტეპური ლანდშაფტი, რ-ებიც სტავროპოლის მაღლობზე, კავკ. მინერ. წყლების რ-ნში, სუნჯის ქედის დას. ნაწილსა და კავკასიონის მთისპირა ვაკეებზე ტყე-სტეპურ ლანდშაფტში გადადის. კარბონატული და გამოტუტული ნოყიერი შავმიწანიადაგიანი სტეპი თითქმის მთლიანად ათვისებულია. ტყესტეპში და კავკ. მინერ. წყლების რ-ნის მთის კალთებზე ფართოფოთლოვანი ტყეებია (წიფელი, რცხილა, მუხა, იფანი). ჩრდ. პ-ის აღმ. ნაწილში აბზინდიანი ნახევარუდაბნოს ლანდშაფტია ღია წაბლა ნიადაგით. თერგისა და სულაკის დელტაში – ლელიანების, ჭაობისა და მდელოს ლანდშაფტებია.

მტკვარ-არაქსის დაბლობზე და აფშერონის ნ.-კ-ზე გავრცელებულია აბზინდიანი, ჭანგიანი და ეფემერული სუბტროპ. ტიპის ნახევარუდაბნოს ლანდშაფტები. აქ მდელოს რუხ და რუხ-ყავისფერ ნიადაგებზე მოჰყავთ ბამბა და სხვა კულტურები; უხნავი მიწები საზამთრო საძოვრებადაა გამოყენებული. კოლხეთისა და ლენქორანის დაბლობებზე ნოტიო სუბტროპიკების ლანდშაფტებია. აქ ვაკის ტყეების დიდი ნაწილი გაჩეხილია და ადგილი გამოყენებულია სხვადასხვა სუბტროპ. კულტურის პლანტაციებისა (კოლხეთში) და ბრინჯის (ლენქორანში) ნათესებისათვის. შემორჩენილია მურყნის დაჭაობებული ტყეების ფრაგმენტები, ჭაობის სუბტროპ. ლანდშაფტები. ჭაობების დიდი ნაწილი ათვისებულია.

პ-ის მთიან ლანდშაფტებში შემდეგი სიმაღლებრივი ტიპებია: კავკასიონზე – მთა-ტყის, მთა-მდელოსი და გლაციალურ-ნივალური; მცირე კავკასიონზე – მთა-ტყისა და მთა-მდელოსი; სამხრ. პ-ის ვულკ. მთიანეთზე – ვულკ. მთა-სტეპისა და მთა-მდელოსი; თალიშის მთებში – მთა-ტყისა და მთა-სტეპის. სუბტროპ. ტყიანი ლანდშაფტები გავრცელებულია 500–600 *მ* სიმაღლემდე კავკასიონის, მცირე კავკასიონისა და თალიშის მთების ძირას; სამხრ. პ-ის დას. ნაწილში, განსაკუთრებით აჭარა-გურიაში, ტიპობრივი სუბტროპ. ტყეებია მრავალრიცხოვანი რელიქტებით, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებით, ქვეტყითა და ლეშამბოთი. სამხრ. პ-ის აღმ. ნაწილში, მთის ყავისფერ ნიადაგზე, ქსეროფილური სუბტროპ. ტყეებია. კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთებში გაბატონებულია მთა-ტყის ლანდშაფტები. სამხრ. პ-ში სუბტროპ. ტყეების ზევით, მთა-ტყის ქვედა სარტყელში (თალიშში შუა სარტყელშიც) მუხნარი და რცხილნარია, უფრო მაღლა – წიფლნარ-რცხილნარი. კავკასიონისა და მცირე კავკასიონის დას. ნაწილში გავრცელებულია მუქწიწვოვანი ტყეები, კავკ. ნაძვი და კავკ. სოჭი („მთის ტაიგა“), ხოლო ცენტრ. კავკასიონის ჩრდ. კალთასა და აღმ. კავკასიონზე – ფიჭვნარი, ხშირად არყნარით. პ-ის მთის ტყეებში ჭარბობს მთის ტყის ყომრალი ნიადაგები. მთის ტყეები იძლევა ძვირფას მერქანს, იცავს ნიადაგს ეროზიისგან და აწესრიგებს მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმს. მთის შავმიწებზე განვითარებული მთა-სტეპის ლანდშაფტი ფართოდაა გავრცელებული აღმ. კავკასიონის ჩრდ. კალთაზე (დაღესტანი), აგრეთვე სამხრ. პ-ის ვულკ. მთიანეთის მაღალ ვაკეებზე, პლატოებსა და სერებზე. კავკასიონის, მცირე კავკასიონისა და სამხრ. პ-ის ვულკ. მთიანეთის მაღალ მთებში მთის მდელოს (სუბალპ. და ალპ.) ლანდშაფტებია. ყველაზე უფრო კონტინენტურ რეგიონებში მთა-მდელოს ცვლის მდელოსტეპი. სუბალპ. სარტყლის ლიხს (მაღალბალახოვანი მდელო) იყენებენ სათიბებად და საძოვრებად, ხოლო მთის მდელოთა ტორფიან ნიადაგებზე განვითარებულ ალპ. სარტყლის დაბალბალახიან მდელოებსა

და ალპ. ხალებს – საზაფხულო საძოვრებად. ალპ. სარტყლის ზედა, სუბნივალურ ქვესარტყელში ნიადაგ-მცენარეული საფარი წყვეტილია, ალაგ-ალაგ კლდეები და ლოდნარი გაშიშვლებულია. კავკასიონის თხემურ ზოლში, მცირე კავკასიონისა და სამხრ. კავკასიის მთიანეთის უმაღლეს მთებზე გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტია (მყინვარები, ფირნის ველები და ჭიუხები).

ჰ-ში გვხვდება ლანდშაფტის აზონალური ტიპებიც: კარსტული (კავკასიონის ჩრდ. კალთა, სამხრ. კალთის დას. ნაწილი), ვულკანური (იალბუზი, ხევ-მთიულეთის კავკასიონი, სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთი), ტალახიანი ვულკანებისა (აფშერონისა და ტამანის ნ.-კ-ები) და სხვ.

ბუნებრივი ლანდშაფტები დაცულია იმერეთის მღვიმეების, ვაშლოვნის, თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, კინტრიშისა და მტირალას, ლაგოდეხის, რიწის, ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე, ბიჭვინთა-მიუსერის, დილიჯანის, ზაქათალის, თებერდის, ლიახვის, მარიამჯვრის, ფსხუ-გუმისთის, ყიზილაღაჯის ნაკრძალებში, კოლხეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, თბილისის, ალგეთის, ყაზბეგის ეროვნულ პარკებში, აჯამეთის, ქციატაბაწყურის, ჭაჭუნის აღკვეთილებში.

ჰ. მნიშვნელოვანი საკურორტო რ-ნია, ტურიზმისა და ალპინიზმის ერთ-ერთი ცენტრი ევროპაში, რაც უპირატესად განაპირობა მისმა უნიკალურმა ბუნებრივმა ლანდშაფტებმა, მრავალფეროვანმა საკურორტო-რეკრეაციულმა რესურსებმა, ისტ.-კულტ. ძეგლების სიუხვემ და სხვ.

ლიტ.: მარუაშვილი ლ., კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1–3, თბ., 1975–86; საქართველოს ბუნება – ჩვენი ფასეულობები, თბ., 2013; ქსე, ტ. 5, თბ., 1980. *ლ. მარუაშვილი.*

მოსახლეობა. ანთროპოლოგიური შემადგენლობა. ჰ. მრავალეროვანი ხალხების სამშობლოა, ამავდროულად ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მიზნებით და შემდეგ აქ სამუდამოდ დარჩენილ მრავალრიცხოვან მოსულთა თავშესაფარიც.

უახლესი ისტორიის თანამედროვე ეტაპზე ჰ-ის რეგიონი თავისი ეკონ., კულტ. თუ მრავალეროვანი კონფლიქტების პრობლემატიკით მსოფლიოს აქტუალური და ურთულესი რეგიონია.

ჰ-ის ანთროპოლ. შესწავლა დაახლ. 150 წლის წინ დაიწყო. ჰ-ის უძველეს მოსახლეობაში ძირითადად ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ტიპი გამოიყოფა: ხმელთაშუაზღვისპირული, რ-იც წარმოდგენილია პონტოური და კასპიისპირული ტიპებით და ე. წ. წინააზიურით. მათ შიგნით კიდევ მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული ლოკალური ვარიანტი არსებობს. ასევე თავისებურებით გამოირჩევა ნოღაელთა ანთროპოლ. ტიპი, რ-ებიც მონღოლური რასის წარმომადგენლები არიან ჩრდ. ჰ-ში. ხმელთაშუაზღვისპირული რასის წარმომადგენლები ცხოვრობენ ჩრდ. ჰ-სა და წინა ჰ-ის ზოგიერთ დაბლობ ტერიტორიებზე, მაგ., ყუბანისპირეთში. მათ ახასიათებთ ვიწრო და გრძელი თავის ქალა, ვიწრო, მაღალი და მკვეთრად პროფილირებული სახე, დახვეწილი ყვრიმალი, ვიწრო და მკვეთრად გამოხატული ცხვირი და ა. შ. ჩრდ. ჰ-ის დაბლობ ადგილებში აგრეთვე გავრცელებული იყო მისგან მკვეთრად განსხვავებული ტიპი, ზომიერი სიგრძისა და სიგანის თავით, ფართო და ნაკლებად პროფილირებული სახით, ზომიერად გამოხატული ყვრიმალით.

ჰ-ის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლ. შემადგენლობაში გამოიყოფა სამი დიდი რასობრივი ტიპი: 1. ადიღური (ჰ-ის ჩრდ.-დას. ნაწილი); 2. დასავლურ-კასპიური (ჰ-ის კასპიისპირეთი), რ-იც ადიღურისაგან გასხვავდება მუქი პიგმენტაციით და ზოგიერთი სხვა ნიშნით. იგი გვხვდება აზერბაიჯანელებსა და დაღესტნელებშიც. ამ ტიპის მსგავსი ფორმები შეინიშნება ჩრდ. ინდოეთის, ავღანეთისა და შუა აზიის ევროპეოიდურ მოსახლეობაში. სამეცნ. ლიტერატურაში ხშირად მათ აღსანიშნად იყენებენ ტერმინს – ინდოხმელთაშუაზღვისპირული რასის ინდოპამირული განშტოება. 3. ცენტრალურ ჰ-ში ცხოვრობს წინააზიური ტიპი, რ-საც ახასიათებს საკმაოდ ფართო, მაგრამ მკვეთრად პროფილირებული სახე, ვიწრო, მაღალი და მკვეთრად გამოხატული ცხვირი, განვითარებული თმის საფარი და სხვ. ეს ტიპი გავრცელებულია თანამედროვე ქართველების ნაწილში, სომხებში, დას. აზერბაიჯანელებსა და დაღესტნელებში, ჩრდ. კავკასიელ მთიელთა ზოგიერთ ჯგუფში და სხვ. ამ ტიპის ანალოგიები წინააზიის თანამედროვე მოსახლეობაშიც გვხვდება.

ამავე დროს ჰ-ის თანამედროვე მოსახლეობაში ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ლოკალური ქვეტიპების არსებობაა დაფიქსირებული.

ეთნიკური შემადგენლობა. საუკუნეების მანძილზე ჰ-ში შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ სხვადასხვა ეთნოსები. ამ ფაქტორებმა გამოიწვია როგორც ჰ-ის მოსახლეობის რაოდენობრივი გაზრდა, ისე ეთნიკური შემადგენლობის გამრავალფეროვნება.

XXI ს. 10-იანი წლებისათვის ჰ-ში ცხოვრობდა 50-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების ხალხი. თანამედროვე ჰ-ის მოსახლეობის ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს ადგილობრივი – ავტოქთონური მოსახლეობა, რ-საც სამეცნ. ლიტ-რაში ქართველურ-კავკასიურ ერთობად, ენათმეცნიერებაში კი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახად მოიხსენიებენ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია ქართველები. ამ ოჯახში აგრეთვე შედის აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური ენათა ჯგუფები. ქართველები ცხოვრობენ კავკასიონის შუა ნაწილის სამხრ. ფერდობზე. ამ ენათა ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ყველა ხალხი, აფხაზების გარდა, კავკასიონის ჩრდ. ფერდობზეა განსახლებული. აფხაზურ-ადიღურ ჯგუფში შედიან ერთმანეთის მონათესავე ადიღეელები (ადიღესა და კრასნოდარის მხარის მეზობელი რ-ნები), ჩერქეზები (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) და ყაბარდოელები (ყაბარდო-ბალყარეთის დაბლობი ტერიტორია და ჩრდ. ოსეთის მოზდოკის რ-ნი). ამ ჯგუფში შედიან ასევე აფხაზები და აბაზები (ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ჩრდ. ნაწილში), ასევე დღეისათვის გამქრალი უბიხები. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის მესამე ჯგუფია ნახური ენების ჯგუფი, რ-შიც შედიან ჩაჩნები (ჩაჩნეთისა და ინგუშეთის აღმ. და ცენტრ. რ-ნები და დაღესტნის ხასავიურთის რ-ნი) და ინგუშები. ჩაჩნები და ინგუშები ახლო მონათესავე ენებზე ლაპარაკობენ და ამიტომ ზოგჯერ მათ აერთიანებენ ერთ ეთნიკურ ერთეულად – ,,ნახი‘‘, ,,ვეინახი‘‘. ინგუშები ძირითადად ცხოვრობენ ჩაჩნეთის და ინგუშეთის დას. რ-ნებსა და მის მომიჯნ-

ნავე ჩრდ. ოსეთის ზოგიერთ რ-ნში. ენობრივად ჯგუფში შედიან ბაცბები, იგივე *წოვა-თუშები*, რ-ებიც საქართველოში, კერძოდ, ახმეტის რ-ნში ცხოვრობენ. ჩრდ. კ-ში იბერიულ-კავკასიურ ხალხთა ოჯახის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს დაღესტნური ჯგუფი წარმოადგენს. დაღესტნურ ენათა ჯგუფი თავის მხრივ იყოფა 4 ქვეჯგუფად: ხუნძური, დარგუული, ლაკური და ლეზგიური. ხუნძურ ქვეჯგუფში გაერთიანებული არიან მთიანი დაღესტნისა და აზერბაიჯანის ჩრდ.-დას. რ-ნის მოსახლეობა, ასევე ხუნძებთან თითქმის შერწყმული მცირერიცხოვანი ანდიურ-დიდოური (ცეზური) ხალხები – ანდიელები, ბოთლიხელები, ღოღობერიელები, ჭამალელები, კვანდელები, ტინდიელები, ყარადაღელები, ახვახელები, ცეზები, ჰინუხები, ხვარშიელები, ბეჟიტელები, ჰუნზიბელები, არჩიბელები. დარგუულ ქვეჯგუფში შედიან შუა დაღესტნის მთიანი და მთისპირა ტერიტორიების დარგუელები, ხაიდაყელები და კუბაჩელები. მესამე ქვეჯგუფის ლაკური მოსახლეობა ცენტრ. დაღესტნის მთებში ცხოვრობს, მეოთხე ლეზგიურ ქვეჯგუფში შედიან დაღესტნის აღმ. და აზერბაიჯანის ჩრდ. რ-ნების ლეზგები, დაღესტნის სამხრ.-აღმ-ით მცხოვრები თაბასარანელები, დაღესტნის სამხრ-აღმ-ის მაღალმთიან ზონაში მცხოვრები აღულები, სამხრ. დაღესტანსა და მდ. სამურის ზემო წელზე მოსახლე რუთულელები, მათ დას-ით მცხოვრები წახები, ასევე ჩრდ. აზერბაიჯანის მცირერიცხოვანი ხალხები – უდიები, ბუდუხები, კრიწები და ხინალუღები.

არსებობს მოსაზრება, რომ იბერიულ-კავკასიურ ოჯახში შემავალი ხალხები და მათი ენები გენეტიკურად ენათესავებიან ქართველებს და ქართველურ ენებს, რ-ებიც იბერიულ-კავკასიური ენობრივი ოჯახის სამხრეთ, ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მეცნიერი არ თვლის დამტკიცებულად დებულებას იბერიულ-კავკასიური ოჯახის ყველა – ოთხივე ჯგუფის გენეტიკური ნათესაობის შესახებ.

კ-ის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს ინდოევროპულ ენათა ოჯახში შემავალი ხალხები. მათგან ზოგიერთი დიდი ხნის წინ დასახლდა ჩრდ. კ-ში. ინდოევროპული ოჯახის ირანულენოვან ჯგუფს მიეკუთვნებიან ჩრდ. კ-ში დასახლებული ოსები, რ-თა ნაწილი გვიანი საუკუნეების რთული მიგრაციული პროცესების შედეგად საქართველოს ტერიტ-ზე აღმოჩნდნენ. ირანულენოვან ჯგუფში შედიან აზერბაიჯანის ჩრდ.-აღმ-ით და დაღესტნის სამხრ. ტერიტ-ებზე მცხოვრები მცირერიცხოვანი თათები, რ-თაც იუდეური რწმენის გამო ხშირად ,,მთის ებრაელებსაც'' უწოდებენ. ამ ჯგუფში არიან საქართველოში, სომხეთსა, და აზერბაიჯანში მცხოვრები ქურთები და აზერბაიჯანის სამხრ.-აღმ. ნაწილში განსახლებული თალიშები.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის ცალკე ჯგუფს წარმოადგენს სომხური ენა. სომხები სომხეთის სახელმწიფოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ. ისინი ცხოვრობენ საქართველოშიც, კერძოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, აგრეთვე მთიან ყარაბაღსა და კ-ის ქალაქებში.

ენათა ამ ოჯახის კიდევ ერთი ჯგუფის მატარებლები არიან კ-ში მცხოვრები რუსები და უკრაინელები. მათი პირველი დასახლებები წინა კ-ში საკმაოდ ადრე წარმოიშვა, რაც რუსეთის სახელმწიფოში დაწყებულ სოც. ბრძოლასა და ასევე უკვე XVI ს-იდან სამხრ-ის მიმართულებით რუსეთის საგარეო პოლიტიკის გააქტიურებასთან იყო დაკავშირებული. რუსული მოსახლეობის ზრდას კ-ში არათანაბარი ტემპები ახასიათებდა. განსაკუთრებით ფართო და ინტენსიური მასშტაბი ამ პროცესმა XVIII–XIX სს. მიიღო, როდესაც რუსეთმა კ-ის დაუფლებისათვის ბრძოლაში ტრადიციულ მეტოქეებზე – თურქეთსა და ირანზე საბოლოო გამარჯვებას მიაღწია. დღეს კ-ში რუსები სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში ცხოვრობენ, ასევე ნაწილობრივ სამხრ. კ-ის სამივე სახელმწიფოსა და რუსეთის ფედერაციის ჩრდ. კავკასიურ სუბიექტებში, უკრაინელები – ძირითადად კრასნოდარის მხარეში. ჩრდ. კ-ის რუსი და უკრაინელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს თერგისა და ყუბანის კაზაკები შეადგენენ.

კ-ში მცხოვრები ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ენებზე ლაპარაკობენ აზერბაიჯანის აზერბაიჯანელები, აგრეთვე საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობა, ასევე ყუმუხები (კუმიკები), რ-ებიც ძირითადად დაღესტანში ცხოვრობენ. ამ ოჯახის ყივჩალურ ქვეჯგუფს მიაკუთვნებენ მონათესავე ყარაჩაელებს და ბალყარებს, რ-ებიც ამჟამად ყარაჩაი-ჩერქეზეთის სამხრ. მთიან რაიონებში და ყაბარდო-ბალყარეთის სამხრ. და სამხრ.-დას. რაიონებში, კერძოდ იალბუზის ჩრდ. კალთებზე (მდ. ჩეგემის, ბაქსანისა და ჩერეკის ხეობებში) და მდ. ყუბანის სათავეში ცხოვრობენ. მართალია, მათ წარმოშობას და ეთნოგენეზს სხვადასხვა მკვლევრები სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ, მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ყარაჩაელები და ბალყარები შედარებით გვიან, XIV–XV სს. ჩამოყალიბდნენ კ-ში მოსული სხვადასხვა ტომებისა და ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების შერწყმის საფუძველზე. ალთაურ ჯგუფში შედიან ნოღაელები, რ-ებიც დაღესტანში მცხოვრები ,,ყარა-ნოღაელებისგან'' და ყუბანის სათავეებში მცხოვრები ,,აკ-ნოღაელებისგან'' შედგებიან. ამავე ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან თათრები, რ-ებიც ძირითადად აზერბაიჯანის ქალაქებში ცხოვრობენ და კავკასიის თურქმენები, რ-ებიც ძირითადად სტავროპოლის მხარის აღმ. და ჩრდ. რ-ნებში არიან განსახლებულნი.

მკვიდრი მოსახლეობის გარდა, როგორც სამხრ. ისე ჩრდ. კ-ში სხვა, შედარებით გვიან მოსულ ხალხთა წარმომადგენლებიც ცხოვრობენ, მ. შ. როგორც აღნიშნული იყო, არიან რუსები, უკრაინელები, შედარებით მცირე რაოდენობით ბერძნები, ასურელები, მოლდაველები, ესტონელები და სხვ.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში კ-ში მიმდინარე რთული და მძიმე ეკონ., პოლიტ., სამხედრო, რელიგიური თუ სხვა მიზეზებით გამოწვეულმა სერიოზულმა კრიზისებმა გარკვეული გავლენა მოახდინა ცალკეული ხალხებისა და ჯგუფების რიცხობრივ შემადგენლობაზე. ქვემოთ მოცემულ მასალაში დღევანდელ რეალობასთან მაქსიმალურად შესატყვისი რიცხვებია მოტანილი, თუმცა უმნიშვნელო განსხვავება არ არის გამორიცხული.

კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ო ჯ ა ხ ი ს ხ ა ლ ხ ე ბ ი. ქართველური ენების ჯგუფის წარმომადგენლები არიან ამ ჯგუფის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი – ქართველები. საქა-

რთველოში დაახლოებით 3,3 მლნ. ქართველი ცხოვრობს.

აფხაზურ-ადიღურ ჯგუფში შედიან აფხაზები – 95 ათ., აბაზიხები – 31 ათ., ყაბარდოელები – 304 ათ., ჩერქეზები – 50 ათ., ადიღეელები – 115 ათ.

ნახური ჯგუფი წარმოდგენილია ჩაჩნებით – 840 ათ., ინგუშებით – 200 ათ.

დაღესტნური ჯგუფი: ავარიელები – 540 ათ., ლეკები – 430 ათ., ლაკები – 110 ათ., დარგუელები – 32 ათ., ტაბასარანელები – დაახლ. 100 ათ.

ალთაური ოჯახის ხალხები: თურქული ჯგუფი: აზერბაიჯანელები – 9 მლნ. [14 მლნ-მდე ირანის აზერბაიჯანში (2014 მონაცემები)], ყუმუხები – 255 ათ., ყარაჩაელები – 140 ათ., ბალყარელები – 69 ათ. მონღოლური ჯგუფი: ყალმუხები – 218 ათ.

ინდოევროპული ოჯახის ხალხები: სლავური ჯგუფი: რუსები – 8,1 მლნ., უკრაინელები – 350 ათ.

ბერძნული ჯგუფი: ბერძნები – 120 ათ.

ირანული ჯგუფი: ოსები – 570 ათ., ქურთები – 230 ათ.

სომხური ჯგუფი: სომხები – 3,2 მლნ. (2014 მონაცემები).

რელიგია. სამხრ. და ჩრდ. კ-ის მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში რელიგიური კუთვნილების ნიშნითაც იყოფოდა. დღევანდელი კ-ის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქრისტიანობასა და მუსლიმანობას აღიარებს. გარკვეულ პერიოდში მოხდა რელიგიისა და ეთნიკურობის დაკავშირება და ქრისტიანული თუ მუსლიმანური აღმსარებლობა ეროვნულობის განმსაზღვრელად ჩაითვალა. ისლამი, ფაქტობრივად, მთელ ჩრდ. კ-სა და აზერბაიჯანშია გავრცელებული. აზერბაიჯანში და ლეკების მცირე ნაწილში შიიტური ისლამი დომინირებს (მოსახლეობის დაახლ. 30% სუნიტია), ჩრდ. კ-ში ძირითადად სუნიტური ისლამი და სუფისტური მიმდინარეობებია გავრცელებული. დაღესტანში მუსლიმანობა არაბთა შემოსევების დროიდან (დაახლ. VIII ს.) იწყებს გავრცელებას და საკმაოდ წარმატებითაც. ჩრდ. კ-ს სხვა რეგიონებში ქრისტიანობისა და სხვა ტრადიციული რელიგიის ფორმების განდევნის შემდეგ ისლამმა საბოლოოდ XVIII ს-ში დაიმკვიდრა ადგილი.

ქრისტიანობას აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა – რუსები, უკრაინელები, ოსების ძირითადი ნაწილი, აფხაზების უმრავლესობა, მოზდოკელი ყაბარდოელები. მონოფიზიტები არიან სომხები. კ-ის მოსახლეობის მცირე ნაწილი კათოლიციზმის და ზოგიერთი პროტესტანტული განშტოების მიმდევარია.

კ-ის მოსახლეობის ნაწილში გავრცელებულია მესამე წიგნიერი რელიგია – იუდაიზმი. ძვ. წ. VI ს-ში აქ მოსულ ებრაელებს შორის ორი ჯგუფი ჩამოყალიბდა – ,,მთის ებრაელები'' და ქართველი ებრაელები. ქართველმა ებრაელებმა ქართული ენა გადაიღეს და კულტურული თვალსაზრისით მოხდა მათი ასიმილაცია, ,,მთის ებრაელები'' ირანული ჯგუფის თათურ ენაზე საუბრობენ.

ისტორიული ცნობა. კ. ადამიანთა ერთ-ერთი უძველესი საცხოვრებელი რეგიონია. საქართველოში დმანისის არქეოლოგიური მასალა ყველაზე მკაცრი ექსპერტიზით მინიმუმ 1 800 000 წლის წინანდელია. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ამ ეპოქიდან დაწყებული, კ-ის რეგიონში უძვ. ადამიანების – პირველი ევროპელების და თუნდაც პირველი აზიელების სამეურნეო და კულტ. საქმიანობა არ შეწყვეტილა. კ. ოდითგანვე არა მარტო დამპყრობლებს, რ-ებსაც აქ გაბატონება ორი კონტინენტის გასაღებს აძლევდა, არამედ მოგზაურებს, პოეტებს, გეოგრაფებს, მეცნიერებს იზიდავდა. თითქმის ყველა მათგანი აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნიდა ,,მთების ქვეყანას''.

კ-ს იცნობდა ,,ისტორიის მამა'' ჰეროდოტეც, რ-იც აღნიშნავდა, რომ ძალზე ბევრი ტომი ცხოვრობს კ-შიო. აღმატებულ ხარისხში წერდნენ კ-ისა და კავკასიელების შესახებ ცნობილი ევროპელი მეცნიერებიც: ი. ბლუმენბახმა სამეცნიერო ბრუნვაში თავის დროზე არცთუ წარუმატებლად სცადა ტერმინის ,,კავკასიური რასა'' დამკვიდრება, ასევე გერმანელმა მეცნიერმა კ. რიტერმა კ-ს ,,კაცობრიობის აკვანი'' უწოდა, ხოლო რუსმა დ. ანუჩინმა კ-ის მოსახლეობას ,,თეთრი რასა'' შეარქვა. კ-ის ბუნებისა და კავკასიელების თავისთავადობითა და სილამაზით აღფრთოვანებულები იყვნენ ი. კანტი, ფ. ჰეგელი, ა. დიუმა, მ. ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი, გერმანელი არქეოლოგი ი. ვინკელმანი, ე. სპენსერი და მრავალი სხვ.

კ-მ მრავალგზის განიცადა მომთაბარე კიმერიელების, სკვითების, სარმატების, ჰუნების, ხაზარების, ყივჩაღების დამარბეველი ლაშქრობები. იგი ასწლეულების მანძილზე აქემენიდური და სასანური ირანის, რომის, პონტოს, პართიის, აგრესიისა და პერიოდული ანექსიის ობიექტი იყო.

ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ-ში. სამხრ. კ-ში ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო – ურარტუ ჩამოყალიბდა. მოგვიანებით წარმოიშვა კოლხეთის (ძვ. წ. VI ს.), აირარატისა (ძვ. წ. IV ს.) და იბერიის (ძვ. წ. IV–III სს.) სამეფოები. ძვ. წ. II ს. ბოლოს ახლანდ. აზერბაიჯანის, საქართველოსა და დაღესტნის ტერიტ-ზე ჩამოყალიბდა კ-ის ალბანეთის სამეფო. ძვ. წ. II ს-ში წარმოიქმნა დიდი სომხეთის სახელმწიფოც.

ახ. წ. დასაწყისში კ. ჯერ ბიზანტიასა და ირანს შორის ხანგრძლივი ომის ასპარეზი გახდა, ხოლო VII–VIII სს. არაბების მიერ სამხრ. კ-ის დაპყრობის შემდეგ ბრძოლა ბიზანტიასთან და ახლად გამოჩენილ თურქ-სელჩუკებთან გაგრძელდა. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში, გამუდმებული თავდაცვითი ომების პირობებში სამხრ. კ-ში ორი მსხვილი სახელმწიფო – საქართველო და სომხეთი ჩამოყალიბდა. X ს-იდან დაწინაურდა საქართველო, რ-მაც XII–XIII სს. მთელ კ-ში სრულ ჰეგემონობას მიაღწია. XI ს. სომხეთის სახელმწიფო ამ ბრძოლებში დასუსტდა და განადგურდა (XX ს-მდე სომხეთმა ვეღარ შეძლო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა). XIII ს-ში კ. დაიპყრეს და ააოხრეს მონღოლებმა. XIV–XV სს-ში კ-ს გამუდმებით ესხმოდნენ თავს უცხოელი დამპყრობლები, რ-თაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა თემურლენგის შემოსევები. XVI ს-იდან კ. ირან-ოსმალეთის ომების ასპარეზად გადაიქცა. XVI ს. II ნახ-ში ჩრდ. კ-ში გაჩნდა რუსული ახალშენები და ციხესიმაგრეები (თერგი, სუნჯა და სხვ.). XVIII ს. I ნახ-ში რუსეთი შესამჩნევად გააქტიურდა (იხ. *სპარსეთის ლაშქრობა 1722–23*), მაგრამ კ-ში ფეხი მან მტკიცედ მხოლოდ XVIII ს. II ნახ-ში მოიკიდა. ქართლ-კახეთის სამეფოსთან დაიდო მფარველობის ხელშეკრულება (იხ. *გეორგიევსკის*

ტრაქტატი 1783). დაიწყო *საქართველოს სამხედრო გზის* მშენებლობა. 1801 რუსეთმა აღმ. საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო) შეიერთა. XIX ს-ში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად რუსეთმა შეიერთა სამხრ. კ-ში არსებული სახანოები, ასევე ჩრდ. კ-ში – დერბენდის სახანო და დას. საქართველო. სამხრ. კ-ში შეიქმნა საქართველოს გუბერნია (1801) და იმერეთის ოლქი (1811), რ-ებიც 1840 გაერთიანდნენ საქართველო-იმერეთის გუბერნიად (1846 გაიყო თბილ. და ქუთ. გუბერნიებად), სომხეთის ოლქი (1828, 1849 – ერევნის გუბერნია). 1844 შეიქმნა კ-ის სამეფისნაცვლო (ცენტრი – თბილისი), რ-ის სათავეში მეფისნაცვალი (наместник) იდგა. იმპერატორსა და მეფისნაცვალს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებდა *კავკასიის კომიტეტი.*

როგორც საგუბერნიო და საოლქო სამმართველოები, ასევე თვით მეფისნაცვალს უშუალოდ დაქვემდებარებული დარგობრივი დაწესებულებები, მტკიცედ ატარებდნენ ცარიზმის დამპყრობლურ კოლონ. პოლიტიკას, რაც ავტოქთონური მოსახლეობის ეროვნულ და ტომობრივ თავისებურებათა, მ. შ. ენის, ზნე-ჩვეულებათა და, საერთოდ თვითმყოფადი კულტურის თანდათანობით მივიწყებას გულისხმობდა. ამ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა *კავკასიის ომები.* მიმდინარეობდა ბუნებრივი სიმდიდრის ძარცვა და მოსახლეობის ძირითადი მასების კოლონ. ექსპლუატაცია. ამას ცარიზმი კაპიტალ. მეწარმეობის – მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების, დიფერენცირებული საგადასახადო, სააქციო, სატარიფო სისტემებისა და სხვა გზით აღწევდა. თუმცა ამ მოვლენებს ჰქონდა მეორე მხარეც. კარჩაკეტილ ფეოდ. ურთიერთობათა რღვევით ნატურალური მეურნეობის ადგილს იკავებდა სასაქონლო წარმოება, ვითარდებოდა კაპიტალ. მეწარმეობა. ვაჭრობის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია სოფლის მეურნეობისა და საერთოდ, კ-ის კულტ.-ეკონ. ცხოვრების გარდაქმნა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, განსაკუთრებით XIX ს. 80–90-იანი წლებიდან, რუსეთის კაპიტალიზმმა კ. ჩაითრია მსოფლიო სასაქონლო მიმოქცევაში. უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ფოთი–თბილისისა (1872) და ბათუმი–თბილისი–ბაქოს (1883) რკინიგზების გაყვანა და შემდეგ ამ მაგისტრალის რუსეთის რკინიგზის ქსელში ჩართვა; ბაქოს ნავთობის (1901 – მსოფლიო მოპოვების 50%) და ჭიათურის მანგანუმის (1900 – მსოფლიო მოპოვების 46% და ექსპორტის 47%) მრეწველობის განვითარება; ბაქო–ბათუმის ნავთობსადენის გაყვანა, ბათუმის ნავთობის გადამუშავებისა და საექსპორტო ოპერაციების აღმავლობა.

1914–18 მსოფლიო ომში კ. საომარი მოქმედების ასპარეზი იყო. 1917 თბილისში შეიქმნა *ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი* – დროებითი მთავრობის სამხარეო ორგანო. 1917 ოქტ. გადატრიალების შემდეგ ეს კომიტეტი გადაიქცა *ამიერკავკასიის კომისარიატად,* რ-მაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1918 წ. 22 თებ. *ამიერკავკასიის სეიმმა* ჩამოაყალიბა ფედერ. რესპუბლიკა, რ-იც უკვე მაისში დაიშალა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკებად, ჩრდ. კ-ში საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 დასაწყისში. შეიქმნა საბჭ. რესპუბლიკები (ყუბან-შავი ზღვის, თერგის, სტავროპოლის), რ-ებიც 1918 ივლისში ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკაში გაერთიანდნენ და შევიდნენ რსფსრ-ის შემადგენლობაში.

1920 აპრ. წითელი არმია შეიჭრა აზერბაიჯანში. 28 მაისს გამოცხადდა აზერბაიჯანის საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა. 1920 ნოემბ. სომეხმა ბოლშევიკებმა წითელი არმიის დახმარებით დაამხეს დაშნაკთა ძალაუფლება და 29 ნოემბ. გამოაცხადეს სომხეთის საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა. 1921 თებ. საბჭ. რუსეთის არმია თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მოახდინა მისი ანექსია. 25 თებ. შეიქმნა საქართველოს საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა, რ-შიც შევიდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, აგრეთვე ბათუმის ოლქის ნაწილი. ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე 1921 ივლ. შეიქმნა აჭარის ავტონ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა. 1921 მარტში სოხუმის ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნა აფხაზეთის საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა, რ-იც დეკემბერში შევიდა საქ. სსრ შემადგენლობაში, შემდეგ 1931 თებ. გარდაიქმნა აფხაზეთის ავტონ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკად. 1922 აპრ. ბოლშევიკებმა საქართველოს ეროვნ. ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მათთვის გაწეული დახმარების სამაგიეროდ ხელოვნურად შექმნეს სამხრ. ოსეთის აო.

1922 წ. 12 მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია (იხ. *ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა*), რ-იც იმავე წლის 30 დეკ. შევიდა სსრკ-ში. 1936 ამიერკავკ. ფედერაციამ შეწყვიტა არსებობა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებით უშუალოდ შევიდნენ სსრკ-ის შემადგენლობაში. 1921 რსფსრ შემადგენლობაში ჩამოყალიბდა მთიელთა ავტონ. სსრ და დაღესტნის ავტონ. სსრ. 1922 ყუბან-შავი ზღვის ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნა ადიღეს აო, მთიელთა ასსრ-ს (გაუქმდა 1924) გამოეყო ყაბარდოს აო (1921; 1922 დაერქვა ყაბარდო-ბალყარეთის აო), ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო (1922; 1926 დაიყო ყარაჩაის აო-ად და ჩერქეზეთის ნაციონალურ ოკრუგად; 1928 – ჩერქეზეთის აო), ჩაჩნეთის აო (1922) და ინგუშეთის აო (1924; 1934 გაერთიანდნენ ჩაჩნეთ-ინგუშეთის აო-ად); შეიქმნა ჩრდ. ოსეთის აო (1924).

1924 ჩრდ. კ., დაღესტნის ასსრ-ის გარდა, შევიდა რსფსრ სამხრ.-აღმ. ოლქში, რ-საც იმავე წელს ეწოდა ჩრდ. კ-ის მხარე. მისი ტერიტ. (7 აო-ის გარდა) დაიყო 14 ოკრუგად (მ. შ. 10 შევიდა ჩრდ. კ-ში: არმავირის, ყუბანის, მაიკოპის, სალსკის, სტავროპოლის, სუნჯის, თერგის, შავი ზღვის; ქ-ები – გროზნო და ვლადიკავკაზი – ოკრუგების უფლებით; დანარჩენი – დონისპირეთში). 1930 ოკრუგები გაუქმდა. 1934 ჩრდ. კ-ის მხარეს გამოეყო აზოვისა და შავი ზღვის მხარე, რ-იც 1937 დაიყო კრასნოდარის მხარედ და როსტოვის ოლქად. სსრკ 1936 კონსტიტუციის მიხედვით, 3 აო – ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდ.-ოსეთის და ჩაჩნეთ-ინგუშეთის – გარდაიქმნა ასსრ-ებად, 1937 ჩრდ. კ-ის მხარეს ეწოდა ორჯონიკიძის, ხოლო 1943 – სტავროპოლის მხარე.

II მსოფლიო (1939–45) ომის პერიოდში კ-ში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი მასშტაბური ბრძოლები (იხ. *კავკასიისათვის ბრძოლა 1942–43*). 1944 ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ გარდაიქმნა ყაბარდოს ასსრ-ად. გაუქმე-

ბული ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ის ნაცვლად წარმოიქმნა გროზნოს ოლქი, ყარაჩაელთა აო-ის ნაწილი შეუერთდა ჩერქეზთა აო-ს, მეორე ნაწილი კი – აფხ. ასსრ-ს. 1957 კვლავ შეიქმნა ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ები, ხოლო ჩერქეზთა აო გარდაიქმნა ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო-ად.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ (1991 დეკ.) სამხრ. კ-ში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიშვა, ხოლო ჩრდ. კ-ის ტერიტორიაზე კი მოქმედებს შემდეგი რესპუბლიკები: *დაღესტნის, ინგუშეთის,* ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩაჩნეთის, ჩრდ. ოსეთის (ალანია), რებიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩნენ.

ქალაქები. კ-ში დაახლოებით 30 მლნ. ადამიანი ცხოვრობს. ამათგან დაახლოებით ნახევარი კი – ქალაქებში. ქალაქის მოსახლეობის ყველაზე მაღალი პროცენტია ჩრდ. ოსეთში – 68% და სომხეთში – 66%, ყველაზე დაბალია დაღესტანში – 39%. სამხრ. კ-ის სამ ქალაქში 1 მლნ-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს: ბაქოში – 2 მლნ-მდე, თბილისში – დაახლ. 1,5 მლნ., ერევანში – დაახლ. 1,2 მლნ. 10 ქალაქში მოსახლეობა 200 ათ-ზე მეტია. 8 ქალაქში – 100 ათ. სჭარბობს. კ-ის დიდი ქალაქებია: ბაქო, თბილისი, ერევანი, კრასნოდარი, გროზნო, სოჭი, ვლადიკავკაზი, სტავროპოლი, მაჰაჭყალა, განჯა, ნალჩიკი, გიუმრი, ქუთაისი. ამ ქალაქების მოსახლეობა 200 ათ-ზე მეტია.

სამხრ. კ-ის ქალაქების ნაწილი ჩვენს წელთაღრიცხვამდეა დაარსებული (ქუთაისი – აია, ერევანი – ერებუნი, ვანი – სურიემი, სოხუმი – დიოსკურია, ფოთი – ფაზისი, ბარდა კ-ის ალბანეთის აღმ. ცენტრი და სხვ.) ჩრდ. კ-ის ქალაქები ძირითადად XVII–XVIII სს. წარმოიშვა, გარდა შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ქალაქებისა.

ეკონომიკა. კ. მდიდარია მინერალური რესურსებით. აქ მოიპოვებენ ნავთობს (ბაქო, გროზნო, მაიკოპი), გაზს (კრასნოდარი, სტავროპოლი), მანგანუმს (ჭიათურა). აგრეთვე განთქმულია მინერალური წყლებით.

აშენდა დიდი ეკონ. მნიშვნელობის ნავთობსადენები და გაზსადენები. კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში განვითარებულია სოფლის მეურნეობის დარგები, მოჰყავთ ხორბლეულისა და ბოსტნეულის მოსავალი. საქართველოსა და აზერბაიჯანის სუბტროპიკული ზონები ყურძნის, ჩაისა და ციტრუსების კულტურების მოყვანაზეა სპეციალიზებული. კ-ში შეიქმნა მეტალურგიული მრეწველობის ცენტრები (რუსთავი, სუმგაიტი). სომხეთში განვითარდა საშენი მასალების წარმოება. მთის რაიონების მოსახლეობა მესაქონლეობას (მეცხვარეობა და მსხვილფეხარქოსანი საქონელი) მისდევს.

კ-ის შავი ზღვის სანაპიროზე მნიშვნელოვანი პორტებია ფოთი, ბათუმი, ნოვოროსიისკი, საიდანაც სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობები წარმოეებს უცხოეთის სახელმწიფოებთან. მშენებლობის პროცესშია ღრმაწყლოვანი უნიკალური ანაკლიის პორტი.

ლიტ.: გასვიანი გ., გასვიანი თ., ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, თბ., 2006; დიუმა ალ., მოგზაურობის შტაბეჭდილებანი (თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა, შესავალი წერილი, რედ. და შენიშვნები ა. გაწერელიასი), თბ., 1964; კვიციანი ჯ., კავკასია და კავკასიელები, თბ., 2012; Абдушелишвили М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964; Алексеев В. П., Происхождение народов Кавказа, М., 1974; Бунаков В. В., Антропологический состав населения Кавказа, ,,ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე'', 1947, ტ. 13; Государственные и титульные языки России, М., 2002; Гулисашвили В. З., Природные зоны и естественно-исторические области Кавказа, М., 1964; История народов Северного Кавказа с древнейших времён до конца XVIII в., (отв. Ред. Б. Б. Пиотровский), М., 1988; Народы Дагестана, М., 2002; Народы Кавказа, т. 1-2, М., 1960, 1962. *ე. კოპალიანი.*

კავკასიელთა ᲒრᲔ, რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაცია საქართველოში (1871–74). წრის ხელმძღვანელები იყვნენ ე. იოსელიანი და ო. კანონოვა. წრეში ირიცხებოდა 59 ახალგაზრდა. კ. წ-ის წევრებს შორის იყვნენ ქართველები (მ. ყიფიანი, ი. ქიქოძე და სხვ.), სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, პოლონელები, რუსები და კავკ. სხვა ეროვნების წარმომადგენლები. თავიანთი შეხედულებით კ. წ-ის წევრები მ. ბაკუნინის (ანარქის ხალხოსანი) მიმდევრები იყვნენ. 1874 გაზაფხულზე ესენი მასობრივად გავიდნენ ხალხში და დაშალეს პროპაგანდა გლეხთა ასავჯანყებლად. კ. წ-ის წევრები თანაუგრძნობდნენ ეროვნ. თავისუფლების იდეას. ისინი რევ. გამარჯვებაში ხედავდნენ ჩაგრული ერების განთავისუფლების გარანტიას, ამიტომ თავიანთი პროპაგანდის არეში მოაქციეს მალოროსია და კავკასია. რუსეთში რევ. გამარჯვებისათვის დიდ იმედს ამყარებდნენ განაპირა მხარეების ხალხთა ავჯანყებაზე. 1874 წ. 28 მარტს შეკრებაზე კ. წ-ის წევრებმა საგანგებოდ იმსჯელეს პოლონეთსა და მალოროსიაში მოსალოდნელ ავჯანყებაზე და მიიღეს გადაწყვეტილება უკრაინაში თავიანთი პ[როპაგანდისტების გაგზავნის შესახებ.

როგორც ,,ხალხში გასვლა'', ისე ამ წრის პროპაგანდაც მარცხით დამთავრდა. ჟანდარმერიამ კ. წ-ის წევრებიც დააპატიმრა. კვლევაძიება 2 წელიწადს მიმდინარეობდა. 1876 წ. 19 თებერვალს კ. წ-ის წევრები ადმ. წესით დასაჯეს. დაპატიმრებას გადარჩენილებმა რევ. საქმიანობა ,,სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციაში'' განაგრძეს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970; შველიძე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960.

ზ. შველიძე.

კავკასიელთა ᲯგუᲤი, რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაცია. შეიქმნა 1874 შვეიცარიაში. ჯგუფის წევრები იყვნენ ი. ჯაბადარი (ხელმძღვანელი), მ. ჩიკოიძე, დ. გურამიშვილი, ა. ელიოზიშვილი და სხვ. 1874 ზაფხულში მათ მონაწილეობა მიიღეს საზღვარგარეთ არსებული საზ-ბა ,,ულიხის'' ჟენევის გაფართოებულ კონგრესში, შეადგინეს რევ. უმცირესობა, რ-მაც მოითხოვა კავკ. ახალგაზრდების აქტ. მონაწილეობა რუსეთის სოც. რევოლუციის მომზადებაში. დაგმეს სეპარატისტული თვალსაზრისი რუსეთიდან კავკასიის გამოყოფის შესახებ. 1874 შემოდგომაზე თავისივე ინიციატივით კ. ჯ. შეუერთდა ციურიხში არსებულ რუს სტუდენტ ქალთა წრე ,,ფრიჩს'', რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა ,,სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციას''. ამ ორგანიზაციასთან ერთად კ. ჯ. რუსეთში გადავიდა სამუშაოდ.

ლიტ.: შველიძე ზ., ამიერკავკასიელები ,,სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციაში'' (1874–76 წწ.), თბ., 1974; მისივე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960.

ზ. შველიძე.

კავკასიისათვის ბრძოლა 1942–43, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლა II მსოფლიო ომის (1939–45) დროს. 1942 წ. 25 ივლისს გერმანელთა ჯარებმა შეცვალეს

მთავარი დარტყმის მიმართულება და დაიწყეს შეტევა სამხრ-ით, ვოლგისა და კავკასიის მხარეს (კოდური სახელწოდება – „ედელვაისი“). კავკასიის ოპერაცია გულისხმობდა როსტოვის სამხრ-ით განლაგებული წითელი არმიის სამხრ. ფრონტის ჯარების ალყაში მოქცევას და განადგურებას, ჩრდ. კავკასიის დაუფლების შემდეგ შავიზღვისპირეთისა და კასპიის-პირეთის გასწვრივ შეტევას და კავკასიის მთავარი უღელტეხილის გავლით სამხრ. კავკასიის დაუფლებას – თბილისის, ქუთაისისა და სოხუმისაკენ გაჭრას. ვერმახტის პირველმა სატანკო არმიამ გაარღვია თავდაცვა სალსკი-მაიკოპის მიმართულებით ოსტროგოჟსკის რაიონში. საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით, ჯარებმა უკან, დონისკენ დაიხიეს, 1942 ივლ. ბოლოს კი როსტოვი და სტავროპოლი დათმეს. 1942 გერმანელთა ტანკებმა გადალახეს ყუბანი და 10 აგვისტოს დაიპყრეს მაიკოპი, 25 აგვისტოს კი აიღეს მოზდოკი და თერგის ფორსირება მოახდინეს. ამავე თვეს გერმანელებმა ყაბარდო-ბალყარეთის ხუთი რაიონი დაიკავეს, მაგრამ ჩაჩნეთ-ინგუშეთის აღება ვერ შეძლეს.

შეუპოვარი ბრძოლები გაიმართა კავკასიონის უღელტეხილის ცენტრ. ნაწილებში. კავკასიის უკეთ დაცვის მიზნით სსრკ-ის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ჩრდ. კავკასიის ფრონტი გარდაქმნა (1 სექტემბრიდან) სამხრ. კავკასიის ფრონტის ჯარების შავი ზღვის ჯგუფად. სამხრ. კავკასიის ფრონტს დაევალა კავკასიის უღელტეხილებსა და მდ. თერგზე თავდაცვითი ხაზის მოწყობა. ჯარების საბრძოლო მოქმედების მოხერხებულად წარმართვისათვის შეიქმნა სამხრ. კავკასიის ფრონტის ჩრდ. ჯგუფი გენ.-ლ. ი. მასლენიკოვის სარდლობით (44-ე, მე-9, 58-ე, 37-ე არმიების შემადგენლობით). სექტ. ბოლოს და ოქტომბერში მოწინააღმდეგემ არაერთხელ სცადა შეტევა ტუაფსესა და გროზნოს მიმართულებით, მაგრამ სამხრ. კავკასიის ფრონტის (სარდალი, არმიის გენ. ი. ტიულენევი) ჯარებმა 5 თვის მძიმე თავდაცვითი ბრძოლებით მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს და აიძულეს უკან დახევა.

სამხრ. კავკასიის ფრონტის ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა კავკასიის ხალხებისგან შემდგარი ათეულობით საჯარისო შენაერთი, მ. შ. 242-ე, 276-ე, 392-ე, 394-ე და 414-ე ქართული მსროლელი დივიზიები.

მძიმე ბრძოლები გაიმართა უღელტეხილების დასაკავებლად კავკასიონის ჩრდ. მისადგომებთან, მთებში. 46-ე არმიამ (სარდალი – გენ. კ. ლესელიძე, სამხ. საბჭოს წევრები – ვ. ბაქრაძე და გ. სანაკოევი, შტაბის უფროსი – მ. მიქელაძე) 1942 წ. 27 აგვისტოდან ოქტომბრის დასაწყისამდე კავკასიონის მაღალმთიან რეგიონში პერმანენტული ბრძოლების შედეგად მტრის შემოტევა შეაჩერა, უფრო მეტიც, უღელტეხილების ზოგიერთ მონაკვეთზე იგი უკუაგდო. 1942 ნოემბრის დასაწყისში გერმანელები დამარცხდნენ ნალჩიკიდან ვლადიკავკაზის მიმართულებით შეტევისას. 1942–43 ზამთარში აქტიური სამხ. მოქმედებები შეწყდა. გერმანელი ეგერები აკონტროლებდნენ კლუხორის, მარუხის, უმპირისა და ხატიყ-თაუს უღელტეხილებს. მათ რეგიონი 1943 წ. 24 იანვ. დასაწყისში დაჩქარებული წესით დატოვეს, რადგან ჩრდ-იდან მათ ალყაში მოქცევა დაემუქრათ. იმავე წლის 13 და 17 თებერვალს ალპინისტურმა რაზმმა, რ-შიც შედიოდნენ ქართვ. მთამსვლელებიც (ბ. ხერგიანი, გ. ხერგიანი, გ. სულაქველიძე და სხვ.), იალბუზის ორივე მწვერვალიდან ჩამოხსნა გერმანული დროშები და საბჭ. დროშა აღმართა. მთაში გერმანელი ეგერების დანაკარგმა 5 ათასს გადააჭარბა. აქ მტრის შეჩერებამ მდგომარეობა შეუმსუბუქა სტალინგრადის დამცველებს.

გერმანელების გეგმა, დაეპყროთ კავკასია, ჩაიშალა. 1943 შემოდგომაზე დიდი დანაკარგების შედეგად, რ-იც გერმანელებმა იწვნიეს სტალინგრადისა და კავკასიის ბრძოლებში, ძალთა თანაფარდობა საბჭოთა მხარის სასარგებლოდ გადაიხარა. 1943 გათავისუფლდა ყაბარდო-ბალყარეთი, 1943 წ. 12 თებერვალს – კრასნოდარი, 14 თებერვალს – როსტოვი, რითაც დამთავრდა ფაშისტებისგან კავკასიის გათავისუფლებისათვის ბრძოლა. სამხრ. კავკასიის ფრონტის ჯარების 70 მეომარს საბჭ. კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, მ. შ. არიან ქართველები: ნ. *გოგიჩაიშვილი*, ვ. *კანკავა*, ვ. *ლურსმანაშვილი*, ა. *პირმისაშვილი*.

ლიტ.: კვიციანი ჯ., კავკასია და კავკასიელები, თბ., 2012; კუპატაძე ე., 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა დიდ სამამულო ომში, თბ., 1990; მისივე, ქართული დივიზიების მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლებში, თბ., 2003; შამათავა პ., ქართველი მეომრები, თბ., 1960; История Дона и Северного Кавказа (1917–2000), Ростов-на-Дону, Нальчик, 2004; Регионоведение, Ростов-на-Дону, 2003.

ჯ. კვიციანი. პ. შამათავა.

კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპები, კავკასიის მოსახლეობაში გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპები. კავკასიის მოსახლეობა გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ევროპეოიდული რასის ნიშნებით და ძირითადად ხასიათდება მუქი თმით, მუქი ან შერეული თვალის ფერით, წინ მკვეთრად წაზიდული, გამოდრეკილი ცხვირის ზურგით და ოდნავ დაშვებული ცხვირის ფუძით, მძლავრად განვითარებული მესამეული თმოვანი საფარველით.

მონღოლოიდური ნიშნები კავკასიაში აღენიშნებათ მხოლოდ ნოღაელებს და თურქმენებს.

კავკასიელები ყველა ანთროპოლ. კლასიფიკაციის მიხედვით ევროპეოიდების სამხრეთულ შტოს, ანუ ინდოხმელთაშუაზღვისპირულ დიდ რასას მიეკუთვნებიან, თუმცა დღემდე არ არსებობს კავკასიის ხალხთა ერთიანი კლასიფიკაცია. განსხვავება უკვე დიდი სამხრეთევროპეოიდული რასის დასახელებიდან იწყება. ნ. ჩებოქსაროვი და მ. აბდუშელიშვილი სამხრეთევროპეოიდულ დიდ რასას ინდოხმელთაშუაზღვისპირულს უწოდებენ, ხოლო ვ. როგინსკი და მ. ლევინი მას უფრო დაბალ კატეგორიად, ანუ მცირე რასად განიხილავდნენ.

შემდეგი განსხვავება უკვე სამხრეთული შტოს მცირე რასებად დაყოფისას ვლინდება. ვ. ბუნაკი სამხრეთული შტოს შემადგენლობაში ხმელთაშუაზღვისპირულ და პამირულ-ალპურ რასებს განიხილავს; მ. აბდუშელიშვილის თანახმად, კავკასიის მოსახლეობა წინააზიური, ხმელთაშუაზღვისპირულ-ბალკანური, ინდოპამირული რასის კავკასიური ნაირსახეობით არის წარმოდგენილი; ნ. ჩებოქსაროვის მიხედვით კი ინდო-პამირული, წინააზიური, ხმელთაშუაზღვისპირული და ორი კონტაქტური–ატლანტურ-შავიზღვისპირული და სამხრეთინდური მცირე რასებია გავრცელებული. რაც შეეხება კავკასიაში გავრცელებულ ანთროპოლ. ტიპებს, მ. აბდუშელიშვილის თანახმად ესენია: კოლხური, იბერიული, კავკასიონის, ადიღური, კასპიური, წინააზიური (ასირიოიდული და არმენოიდული).

ამ რასებს შორის განსხვავება აღინიშნება სხეულის სიმაღლის, თმოვანი საფარველის განვითარების, ცხვირის ზურგის გამოდრეკილი ფორმების პროცენტის მიხედვით, რ-ებიც უფრო მეტად – ინდოხმელთაშუაზღვისპირელ დიდ რასას, მცირედ – წინააზიური რასის წარმომადგენლებს ახასიათებთ.

ლიტ.: Абдушелишвили М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964; Рогинский Я.Я., Левин М.Г., Антропология, М., 1978; Чебоксаров Н.Н., Основные принципы антропологических классификаций, წგ.: Происхождение человека и древнее расселение человечества, М., 1951.

ლ. ბითაძე.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისია (1864–1918), დაარსდა თბილისში. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის, ბარონ ა. ნიკოლაის ინიციატივით. მას უნდა შეეკრიბა, შეესწავლა და გამოსაცემად მოემზადებინა კავკ. უმაღლესი არქივის მასალა. ჰ. ა. კ-ს უნდა წარმოედგინა რუსეთის მიერ კავკასიის მფლობელობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია. მის განკარგულებაში იყო არქივმცოდნეთა მთელი შტატი, რ-ებიც თავს უყრიდნენ და სწავლობდნენ ისტ. მნიშვნელობის საქმეებს. საარქივო მასალის წესრიგში მოყვანა ჯერ კიდევ 1843 დაევალა საქართვ. მთავარმართებლის, გენ. ნეიდგარდტის განკარგულებით შედგენილ კომისიას. ჰ. ა. კ-მ 20 წლის შემდეგ უკვე მოწესრიგებული არქივი ჩაიბარა და გამოსაცემად ძირითადად მეფის რუს. მმართველობის დადებითი მხარეების ამსახველი მასალა შეარჩია. ამგვარი მუშაობის შედეგად მრავალი საყურადღებო დოკუმენტი ვერ მოხვდა შერჩეულ აქტებში, თუმცა გამოცემული 12 ტომი მეტად მნიშვნელოვანია კავკასიის ისტორიისათვის. ჰ. ა. კ-ის მუშაობაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით კომისიის პირველ თავრეს ა. *ბერჟეს* და პირველ მუდმივ წევრს ნ. *ბერძნიშვილს* (იხ. *„აკტი კავკაზსკოი არხეოგრაფიჩესკოი კომისსიი“*).

ლიტ.: Полиевктов М. А., Кавказская археографическая комиссия и ее наследие в Центр. архиве ССР Грузии, «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2.

ა. კიკვიძე.

„კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“, იხ. *„აკტი კავკაზსკოი არხეოგრაფიჩესკოი კომისსიი“.*

კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება, დაარსდა 1873 თბილისში. მიზანი იყო სიძველეთა გადარჩენა განადგურებისაგან, მათი შეძენა მოსახლეობისაგან, მეცნიერულად შესწავლა და შესწავლილი მასალის გამოქვეყნება. ჰ. ა. მ. ს-ს კავშირი უნდა ჰქონოდა რუსეთისა და ევროპის სამეცნ. საზ-ბებთან. წესდებით განსაზღვრული იყო ექსპედიციების მოწყობა და არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. 1875 გამოიცა ჰ. ა. მ. ს-ს პირველი წიგნი, რ-ის რედაქტორებიც იყვნენ ა. *ბერჟე* და დ. *ბაქრაძე*. მათ აგრეთვე ჰყავდათ კორესპონდენტები სხვადასხვა რეგიონებიდან. საზ-ბის წევრთა რიცხვი არ იყო განსაზღვრული, არ იზღუდებოდა არც ერთი სქესისა და ეროვნების წარმომადგენელი. საზ-ბა არსებობდა საწევრო გადასახადებით და საქველმოქმედო შემოწირულობებით, თუმცა არასაკმარისი სახსრების გამო ვერ შეძლო საქმიანობის ფართოდ გაშლა. არქეოლ. გათხრები თითქმის არ ჩაუტარებია, გამოიცა მხოლოდ ჰ. ა. მ. ს-ის შრომების ორი ტომი.

ჰ. ა. მ. ს. დ. ბაქრაძის აქტიური მონაწილეობით აღნუსხავდა და უყურადღებოდ არ ტოვებდა კავკასიის ტერიტ-ზე არქეოლოგიურ აღმოჩენათა არც ერთ ფაქტს, მ. შ. აღსანიშნავია სოფ. ნინოწმინდაში შემთხვევით აღმოჩენილი სპილენძის მახვილი, არტანუჯის ციხესთან მოპოვებული ბრინჯაოს ზარი ასომთავრული წარწერით. ჰ. ა. მ. ს. იყო თბილისში არქეოლოგთა მეხუთე ყრილობის ჩატარების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

1881 ჰ. ა. მ. ს. უსახსრობის გამო დაიშალა და მისი წევრები გაერთიანდნენ *კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებაში.*

ლიტ.: საქართველოს არქეოლოგია, ტ. 1, თბ., 1991.

ა. ნადირაშვილი.

კავკასიის გამაგრებული ხაზი („ლინია“), სიმაგრეთა სისტემა, რომელიც ააგო რუსეთის ჯარმა კავკასიის ომების დროს. შედგებოდა ციხესიმაგრეებისა და სტანიცებისაგან, რ-თა შორის 25–30 *კმ* დაშორებით განლაგებული იყო ფორტები და ყოველ 3–5 *კმ*-ზე – საგუშაგოები. ჰ. მ. ხ-ის მშენებლობა დაიწყო 1735–39 და, ძირითადად, 1785 დასრულდა. შემდეგ იგი დაიყო მარცხ. ფლანგად, ცენტრად, მარჯვ. ფლანგად და შავი ზღვის ხაზად. 1830 დაღესტანსა და კახეთს შორის (ყვარელი–ზაქათალა) აიგო ლეკეთის ხაზი, 1837–39 – შავიზღვისპირეთის ხაზი (ანაპა–სოხუმი). 1860 ჰ. მ. ხ. გაუქმდა.

„კავკასიის განვითარების ბანკი – საქართველო“ (Caucasus Development Bank – Georgia), სააქციო საზოგადოება, ერთ-ერთი კომერციული ბანკი საქართველოში. დარეგისტრირდა 2013 წ. 1 მარტს თბილისში და წარმოადგენდა ღია სააქციო საზ-ბა „კავკასიის განვითარების ბანკის“ (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი) თბილ. ფილიალის სამართალმემკვიდრეს (შეიქმნა 1999). ბანკის აქციონერი იყო „კავკასიის განვითარების ბანკი“. „ჰ. მ. ხ.–ს-ს“ განაღდებული და გაცხადებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 20 მლნ. ლარს (2015 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით). მას გააჩნდა ერთი სერვის-ცენტრი თბილისში.

ბანკი მომხმარებელს სთავაზობდა სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურებას: მცირე და საშ. ბიზნესის დაფინანსებას, იპოთეკურ, ავტო- და აგროსესხებს, პლასტიკურ ბარათებს, დისტანციურ საბანკო მომსახურებას, ფულადი გზავნილების სისტემებს და სხვ. იგი ახორციელებდა სხვადასხვა საქველმოქმედო პროგრამებს კულტ. სფეროში, დააფინანსა და გამოსცა ქართ. ლიტერატურის ნიმუშების თარგმანები რუს. და აზერბ. ენებზე.

2016 წ. 2 სექტემბრიდან ბანკს შეუჩერდა ლიცენზია.

კავკასიის განყოფილება რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება. დაარსდა 1845, პარიზის (1821), ბერლინის (1828), ინგლისის სამეფოს (1830) გეოგრ. საზ-ბების შემდეგ. იხ. აგრეთვე *კავკასიის განყოფილება რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა.*

კავკასიის განყოფილება რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების პირველი რეგიონალური ორგანიზაცია. იდეა მისი დაარსების შესახებ გაჩნდა 1848 ბოლოს. პროექტი-დებულება აღნიშნული განყ-ბის შექმნის შესახებ დაამტკიცა რუს. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1850 წ. 27 ივლისს. პირველი საზეიმო დამფუძნებელი სხდომა შედგა 1851 წ. 10 მარტს თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში (ახლანდ. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნ. სასახლე), თავმჯდომარეობდა მ. *ვორონცოვი*, რ-მაც დიდი წვლილი შეიტანა აღნიშნული განყ-ბის

შექმნაში და თვითონაც მისი ნამდვილი წევრი გახდა. განყოფილება ფაქტობრივად წარმოადგენდა დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რ-იც ეყრდნობოდა კავკასიის, კერძოდ, თბილისის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს. დამფუძნებლებს შორის იყვნენ ი. მ. *ანდრონიკაშვილი*, გ. მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი), ვ. *ბებუთოვი* (ბებუთაშვილი), *დავით დადიანი*, კ. *თარხან-მოურავი*, პ. *იოსელიანი*, დ. *ყიფიანი*, რ. ანდრონიკაშვილი და სხვ.

განყ-ბა მიზნად ისახავდა კავკასიის გამოკვლევას გეოგრ., გეოლ., ეთნოგრ., სტატისტ. თვალსაზრისით, მისი ფლორისა და ფაუნის შესწავლას, კავკასიის შესახებ გამოცემული, თუ სხვადასხვა არქივსა და კერძო პირთა განკარგულებაში არსებული მასალების გამოვლენას. განყ-ბას ხელმძღვანელობდა განმკარგულებელი კომიტეტი. მისი წევრები აწყობდნენ სამეცნ. ექსპედიციებს, ამასთანავე იგი სამეცნ.-საექსპედიციო მუშაობაში ხელს უწყობდა რუს. და საზღვარგარეთის სამეცნ. ცენტრებიდან კავკასიაში ჩამოსულ მეცნიერებს. განყ-ბას ჰქონდა სამეცნ. ბ-კა, არქივი, მუზეუმი. მისი პერიოდული გამოცემები იყო: *,,ზაპისკი კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვა''* და *,,იზვესტია კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვა''*. მათში ძირითადად იბეჭდებოდა განყ-ბის ადმ.-ორგანიზაციული საქმიანობის ანგარიში და მისი წევრების მიერ ჩატარებული სამეცნ.-კვლ. მუშაობის შედეგები. განყ-ბის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გ. *ორბელიანი*, გ. და დ. ჯამბაკურ-ორბელიანები, ვ. სარაჯიშვილი, რ. *ერისთავი*, მ. *გერსევანოვი* (გარსევანიშვილი), დ. *ბაქრაძე*, გ. ყაზბეგი, მ. *ჯანაშვილი*, გ. *წულუკიძე*, ა. *ხახანაშვილი*, ე. *თაყაიშვილი* და სხვ.; უცხოელებიდან – საქართველოს ეგზარქოსები *ისიდორე* (ნიკოლსკი) და *ევსევი* (ილინსკი), რუსი გეოდეზისტი, გენ.-ლეიტენანტი ი. *ხოძკო*, ინგლ. ალპინისტი დ. *ფრეშფილდი* (შემდგომში საქართვ. გეოგრ. საზ-ბის საპატიო წევრი) და სხვ. 1917-იდან განყ-ბის საქმიანობა შემოიფარგლა მხოლოდ სამეცნ. სხდომებით. 1924 საქართვ. *გეოგრაფიული საზოგადოების* დაარსებასთან დაკავშირებით განყ-ბამ შეწყვიტა არსებობა.

ლიტ.: თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002; Знаменательная дата истории географического общества Грузии, გაზ. «Свободная Грузия», 2000, 27. VII.

გ. გიგინეიშვილი.

კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი, საიდუმლო-კონსპირაციული ორგანო. შეიქმნა 1926 წ. 15 ივლისს პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურის, მარშალ იუზეფ პილსუდსკის მიერ დაფუძნებული პრომეთეისტული მოძრაობის ფარგლებში. კომიტეტის ფუნქციებში შედიოდა აღნიშნულ მოძრაობაში მონაწილე საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდ. კავკასიის ემიგრანტული ანტიბოლშევიკური ორგანიზაციების მოქმედების კოორდინაცია და ხელმძღვანელობა. კომიტეტის წესდების თანახმად, მისი მთავარი მიზანი იყო კავკასიის ხალხთა მომზადება: 1) ბოლშევიკური ოკუპაციისგან კავკასიის გასათავისუფლებლად ბრძოლისათვის; 2) საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდ. კავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად; 3) ხსენებული ქვეყნების კავკასიის დამოუკიდებელ კონფედერაციაში გაერთიანებისათვის.

კომიტეტი შედგებოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდ. კავკასიის ეროვნულ ცენტრთა მიერ მასში დელეგირებული ექვსი წევრისგან. მათ საკუთარი ცენტრებისგან მიღებული დირექტივების თანახმად უნდა ემოქმედათ. თავის მხრივ, ხსენებული წევრები ირჩევდნენ სამ თავ-რეს, რ-ებიც კომიტეტის საიდუმლო სხდომებს როტაციის წესის დაცვით თავმჯდომარეობდნენ. 1926 კომიტეტის თავ-რეებად აირჩიეს ნ. *რამიშვილი* (საქართველო), მამედ ემინ რასულ-ზადე (აზერბაიჯანი) და სეიდ-ბეი შამილი (ჩრდ. კავკასია).

კომიტეტის ოფიც. ბეჭდვითი ორგანო იყო პარიზში გამომავალი ფრანგულენოვანი ჟურნ. „პრომეთე'' – კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის ეროვნული თავდაცვის ორგანო (მთ. რედაქტორი – ეროვნულ-დემოკრატი გ. *გვაზავა*).

პოლონეთის მხრიდან კომიტეტის ორგანიზაციის საქმიანობაში მთავარი როლი ითამაშეს ი. პილსუდსკის თანამებრძოლებმა – თ. ჰოლოვკომ (1927–30 პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყ-ბის გამგე) და პოლკოვნიკმა თ. შეტცელმა (1924–26 თურქეთში პოლონეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშე).

1926–28 კ. დ. კ-ის ადგილსამყოფელი იყო სტამბოლში, რ-იც როგორც კავკასიელთა, ისე პოლონელთა მიერ კავკასიასთან ამ ორგანოს საიდუმლო ურთიერთობაში ბუნებრივ ხიდად განიხილებოდა. ამ დროს კომიტეტის მიერ არაერთხელ გაიგზავნა საიდუმლო ექსპედიციები საქართველოში, აზერბაიჯანსა და ჩრდ. კავკასიაში როგორც სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად, ისე იატაკქვეშა ანტიბოლშევიკური ეროვნ.-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დასამყარებლად. ამის გამო 1928-იდან ბოლშევიკებმა გააძლიერეს ზეწოლა თურქეთის მთავრობაზე, მათი ტერიტორიიდან კომიტეტის გაძევების მიზნით. იმავე წლის სექტემბერში ქემალისტურმა ხელისუფლებამ თურქეთიდან გააძევა კომიტეტის ქართული სექციის ხელმძღვანელი, სოც.-ფედერალისტი ს. *მდივანი*, რის გამოც ამ სექციის მუშაობა სტამბოლში შეუძლებელი გახდა, ხოლო აზერბაიჯანულ და ჩრდილოკავკასიურ სექციათა მოქმედება თურქეთის პოლიციის მიერ უკიდურესად შეიზღუდა. 1929 წ. აგვისტოში ქართულმა ეროვნულმა ცენტრმა კომიტეტის ადგილსამყოფელის პარიზში გადატანა მოითხოვა. აგრეთვე განაცხადა კომიტეტიდან ქართული სექციის გამოსვლის შესახებ, რასაც კომიტეტის მოქმედების დროებითი შეჩერება მოჰყვა. 1930 წ. 6–12 თებერვალს ვარშავაში გამართულ პრომეთეისტულ მოძრაობაში შემავალ კავკასიურ ორგანიზაციათა საგანგებო ყრილობაზე კ. დ. კ. აღდგა. მისი ადგილსამყოფელი ვარშავაში გადაიტანეს, ხოლო სტამბოლში, თურქეთის ტერიტორიიდან კავკასიაში სადაზვერვო ოპერაციების განხორციელების მიზნით, კომიტეტის საიდუმლო საგანგებო სექციის დატოვება გადაწყდა. კომიტეტის აღდგენის საქმეში დიდი როლი ითამაშა მისმა ერთ-ერთმა თავრემ ნ. რამიშვილმა.

კომიტეტი ყოველმხრივ უწყობდა ხელს კავკასიელ ემიგრანტთა პოლიტ. პარტიებსა და ორგანიზაციებს შორის საერთოკავკასიური სოლიდარობის ცნობიერების ზრდას, რაც 1934 წ. 14 ივლისს ვარშავაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდ. კავკასიის ეროვნულ ცენტრთა ხელმძღვანელების მიერ კავკასიის კონფედერაციის პაქტის ხელმოწერით დაგვირგვინდა. მიღებული დოკუმენტის თანახმად მხარეები პირობას

დებდნენ, რომ კავკასიის ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციისგან განთავისუფლებისთანავე შექმნიდნენ კავკასიის ერთიან კონფედერაციულ სახელმწიფოს. საქართველოს ეროვნ. ცენტრის სახელით კავკასიის კონფედერაციის პაქტს ხელი მოაწერეს მისმა თავ-რემ ნ. *ჟორდანიამ* და საფრანგეთში საქართველოს ყოფილმა დესპანმა ა. *ჩხენკელმა*.

1935 წ. 14–16 იანვარსა და 23 თებერვალს ბრიუსელში (ბელგია) ჩატარებულ კავკასიურ ორგანიზაციათა პრომეთეისტულ კონფერენციაზე საქართვ. დამოუკიდებლობის კომიტეტი კავკასიის კონფედერაციის საბჭოში გაერთიანდა, რ-საც საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებული დევნილი მთავრობის ფუნქციები მიენიჭა. *გ. მამულია.*

კავკასიის დიდი კედელი, საინგილოს გრძელი გალავანი, თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობა. მდებარეობს ისტ. ჰერეთის ტერიტ-ზე (ამჟამად აზერბაიჯანის რესპ., ბელაქნისა და ზაქათალის რ-ნები), სოფ. კატეხისა და სოფ. მაწეხის მახლობლად, ლაგოდეხ–ზაქათალის მაგისტრალური გზის მარცხენა მხარეს. აგებულია რიყის ქვითა და კაჭარით. ზოგიერთ ადგილას კედლის სისქე 150 *სმ* აღემატება, სიმაღლე – 250 *სმ*. კედლის სისტემაში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა იყო ჩართული – კოშკები, სამლოცველოები, საცხოვრებლები და სხვ. ძეგლის ნაშთები საკმაოდ შორ მანძილზე ვრცელდებოდა (სიგრძე დაახლ. 150 *კმ*), თუმცა თანამედროვე მშენებლობაში მისმა მასალად გამოყენებამ ბევრგან კედლის კვალი წაშალა.

კ. დ. კ-ს იხსენიებენ არაბი (იბნ ალ-ფაკიჰი, X ს.), სომეხი (მოვსეს კალანკატვაცი, X ს.) ავტორები,



კავკასიის დიდი კედელი.

თუმცა დათარიღების შესახებ პირდაპირი მითითება არ არსებობს. ხალხური გადმოცემით კედელი აგებულია XII ს-ში, თამარ მეფის დროს.

1936 კ. დ. კ-ის მიდამოებში გათხრები ჩაატარა ა. პახომოვმა. მისი აზრით, კედელი აგებული უნდა იყოს V–VII სს. სასანიდების მიერ. ი. ადამიას მოსაზრებით, კ. დ. კ. ქვეყნის თავდაცვის მიზნით აშენებული უნდა იყოს ადგილ. მოსახლეობის, სახელდობრ „26 ენაზე მოლაპარაკე ტომების“ მიერ, ჯერ კიდევ ადრინდ. ფეოდალურ ხანაში, დაახლ. V–VI სს. მიჯნაზე.

საქართველოს ტერიტ-ზე სხვა მსგავსი ძეგლია *კელასურის კედელი*.

ლიტ.: ადამია ი., ძველი ჰერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, «ძეგლის მეგობარი», 1969, №19; მისივე, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წგ. 3 – საინგილო, თბ., 1979.

მ. ზალდასტანიშვილი.

კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება, შეიქმნა 1881 წ. 28 ნოემბერს თბილისში. მასში გაერთიანდნენ *კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების* წევრები. მისი დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ისტორიკოსი დ. *ბაქრაძე*, რ-იც კ. ი. და ა. ს-ს 1886-მდე ხელმძღვანელობდა. საზ-ბის წესდების მიხედვით გაფართოვდა მისი მოღვაწეობის არე. მას უნდა შეესწავლა კავკასიის ისტორია, უპირატესად მისი ისტორიის წერილობითი და ნივთიერი წყაროები; შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაეცვა ეს ისტ. ძეგლები განადგურებისაგან; გათხრების შედეგად მოპოვებული ან მოსახლეობისაგან შესყიდული ძვ. ნივთები ბარდებოდა კავკასიის მუზეუმს (ამჟამად საქართ. ეროვნ. მუზეუმი), ხოლო ძველი ხელნაწერები – თბილ. საჯარო ბ-კას (ახლანდ. *ეროვნული ბიბლიოთეკა*).

1881–85 მოხერხდა ნაშრომების ორი ტომის გამოცემა. აქ გამოქვეყნებული ძეგლებიდან არქეოლ. თვალსაზრისით საინტერესოა პუნქტები, სადაც მოიპოვეს ზედაპირული არქეოლ. მასალა. ესენია: ახალციხე, ახალქალაქი, სოხუმი, ახალი ათონი, ხუცუბანი, ანაკოფია და სხვ. საინტერესოა კ. ი. და ა. ს-ს შრომებში დაბეჭდილი პოლკ. ნ. წილოსანის ინფორმაცია დილიჟანთან (ამჟამად სომხეთის ტერიტ.) ჩატარებული გათხრების შესახებ. მისი აზრით, აქ აღმოჩენილი სამარხები თავიანთი აღნაგობითა და ინვენტარით ჰგავს მცხეთის სამთავროს სამარხებს. საზოგადოების შრომების მეორე კრებულის გამოსვლის შემდეგ კ. ი. და ა. ს., მისი წინამორბედი კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების მსგავსად, უსახსრობის გამო დაიშალა. კ. ი. და ა. ს-ს არქეოლოგიური გათხრები არ უწარმოებია.

კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი, დაარსდა თბილისში 1917 წლის 1 ივლისს. ეს იყო პირველი ინ-ტი რუსეთის მეცნ. აკად. სისტემაში. დაარსების ინიციატორი და ოფიც. ხელმძღვანელი იყო ნ. *მარი*. ინ-ტის ძირითად მიზანს შეადგენდა კავკ. მოსახლეობის და მისი მონათესავე ხალხთა ენებისა და ისტ. შესწავლა, კავკასიისმცოდნეობასთან დაკავშირებული სამეცნ. დისციპლინების განვითარება, ყოფ. კავკ. სამეფისნაცვლოს ფარგლებში არსებული მატერ. და სულიერი კულტურის ძეგლების რეგისტრაცია-დაცვა.

1931 ინ-ტს დაემატა საბუნებისმეტყველო მეცნ. განყ-ბა და ეწოდა სსრკ მეცნ. აკად. კავკასიისმცოდნეობის ინ-ტი, რ-ის ბაზაზეც 1932 შეიქმნა სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალი. 1933 ამიერკავკ. ფილიალის ბაზაზე ჩამოყალიბდა სსრკ მეცნ. აკადემიის ამიერკავკ. ფილიალის საქართველოს განყ-ბა. 1935 მოხდა სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალის რეორგანიზაცია: ჩამოყალიბდა 3 დამოუკიდებელი ფილიალი – აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის. 1941 თებერვალში საქართვ. ფილიალის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქ. სსრ მეცნ. აკადემია.

1936 კავკასიისმცოდნეობის ინ-ტს ეწოდა აკად. ნ. მარის სახ. ამიერკავკ. ხალხთა ისტორიის, მატერ. კულტურის, ენისა და ლიტრის ინ-ტი, 1936 ივლისიდან კი – აკად. ნ. მარის სახ. *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი* (,,ენიმკი‘‘).

ინ-ტი აწყობდა სამეცნ. ექსპედიციებს, ლექცია-მოხსენებებს. მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ამიერკავკ. და ჩრდ. კავკ. სამეცნ. წრეებთან. ჰქონდა აგრეთვე პერიოდული ორგანო – ,,კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მოამბე‘‘.

ლიტ.: ჯანაშია ს., მოკლე ანგარიში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936–1944 წწ., «ენიმკის მოამბე», 1944, ტ.

14; Джорбенадзе С. М., Учреждения АН СССР и Тбилисский университет (Документы и факты), Тб., 1974.

ქ. თოფურიძე.

კავკასიის კომიტეტი, განსაკუთრებული საუწყებათაშორისო ორგანო, რომელიც 1845 დაარსა მეფის მთავრობამ კავკასიაში მმართველობის საერთო რუსული სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით. მანამდე არსებობდა რამდენიმე დროებითი კომიტეტი, რ-თაც ევალებოდათ კავკასიაში სამოქალაქო მმართველობის შემუშავება და შემოღება (1833–45).

კ. კ. გადაიქცა მუდმივ ორგანოდ, რ-იც ხელმძღვანელობდა მეფის ადმინისტრაციის სამოქალაქო საქმიანობას კავკასიაში. კ. კ-ის თავ-რე იყო სამხ. მინისტრი, გრაფი ა. ი. ჩერნიშოვი, შემდეგ – გენ.-ადიუტანტი, გრაფი ა. თ. ორლოვი; შემადგენლობაში შედიოდნენ სამხედრო, ფინანსთა, სახელმწ. ქონების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა მინისტრები, აგრეთვე ტახტის მემკვიდრე, ჟანდარმთა შეფი და სხვა მაღალი თანამდებობის მოხელეები. ამ ცვლილებების შედეგად გაფართოვდა მეფის მთავრობის გავლენა მთელ სამხრ. კავკასიაში. კ. კ. გაუქმდა 1882, კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმებასა და ახალი ადმ. წყობის შემოღებასთან დაკავშირებით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970; ჩხეტია შ., რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1840–1864), «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1944, ტ. 12B.

კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი ა. თვალჭრელიძის სახელობისა, იხ. *მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი* ა. თვალჭრელიძის სახელობისა.

კავკასიის მუზეუმი, კავკასიური მუზეუმი, მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. კ. მ., როგორც კომპლ. სამხარეთმცოდნეო დაწესებულება, დაარსდა 1852 თბილისში რუს. გეოგრ. საზ-ბის კავკასიის განყ-ბასთან (რგსკგ) მწერალ ვ. *სოლოგუბის* ინიციატივით. მის შექმნაში მონაწილეობდნენ რუსი და ქართვ. მოღვაწეები (ა. *ბერჟე*, ი. ბარტოლომეი, ნ. ხანიკოვი, ა. ნიკოლაი, გ. *ორბელიანი*, დ. *ყიფიანი*, გ. ერისთავი, რ. *ერისთავი* და სხვ.). 1853 დამდეგს რგსკგ-მ აირჩია კ. მ-ის დირექცია (დირექციის თავ-რე – ა. ნიკოლაი, ერთი დირექტორი – ვ. სოლოგუბი, ზედამხედველი – ა. ბერჟე). კ. მ-ს ჰქონდა 3 კაბინეტი: ეთნოგრ., ისტ. და საბუნებისმეტყველო. ეთნოგრ. კაბინეტის მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანა რ. ერისთავმა (მოაწესრიგა ეთნოგრ. მასალა, დაიწყო ეთნოგრ. კატალოგის შედგენა). კ. მ-თვის გამოყოფილი სახსრების სიმცირის გამო სამუზეუმო კოლექცია ივსებოდა უმთავრესად შეწირულებათა გზით. არსებობის პირველ წელს კ. მ-ს ჰქონდა მცირე კოლექცია (105 საგანი – ტანსაცმელი, ავეჯი, იარაღი, ჭურჭელი, სამკაული, მუს. საკრავები, ძვ. ფულები, მემორიალური ნივთები, ეგვიპტური მუმია, მინერალები და სხვ.). შეძენილ ექსპონატებს მეცნიერები სწავლობდნენ. 1855 სექტემბერში გაიხსნა პირველი გამოფენა. 1859 საბუნებისმეტყველო კაბინეტის კონსერვატორად (მცველად) მოიწვიეს ფ. *ბაიერნი.* მისი ხელმძღვანელობით მასალების შესაკრებად ეწყობოდა ექსპედიციები საქართვ. სხვადასხვა კუთხეში, რის შედეგადაც ფონდებს 28600 ექსპონატი შეემატა (მუზეუმის სივიწროვის გამო ბაიერნის კოლექციების დიდი ნაწილი ინახებოდა მის ბინაში). რგსკგ-ში სამუზეუმო საქმის საკითხებში იმხანად ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი თვალსაზრისი: ერთნი თვლიდნენ, რომ საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა (ამ თვალსაზრისს იცავდა რ. ერისთავი), სხვები მიიჩნევდნენ, რომ კ. მ. უნდა დახმარებოდა დასავლეთის მეცნიერებს კავკასიის გაცნობაში და ექსპონატებით შეევსო ევრ. მუზეუმების ფონდები. თანდათან გაიმარჯვა მე-2 თვალსაზრისმა (მისი მთავარი დამცველი იყო ი. ბარტოლომეი, რ-იც სოლოგუბის წასვლის შემდეგ, 1855-იდან, კ. მ-ის დირექტორად დაინიშნა). კ. მ-ის დირექცია ჯეროვანი ყურადღებით აღარ ეკიდებოდა ახ. ექსპონატების შეძენას. მაგ., 1857 მან უარი თქვა მ. *ბარათაშვილის* (ბარატაევის) ნუმიზმატიკური კოლექციის შეძენაზე, რ-იც შემდეგ ბერლინის მუზეუმში მოხვდა. რგსკგ-მ გააუქმა კ. მ-ის დირექცია და არსებითად, მუზეუმის ხელმძღვანელობა ი. ბარტოლომეის დაეკისრა. 1864 კ. მ. დაიხურა.

კ. მ. აღდგა 1865 გ. *რადეს* ინიციატივით. მუზეუმს გადაეცა აღრინდ. კ. მ-ის კოლექციები (173 ისტ.-ეთნ. და 3 ათასამდე გეოლ. და მინერალოგიური ექსპონატი). ამას შეემატა რადეს მიერ მოგზაურობის დროს (1864–66) მოპოვებული ექსპონატები. კ. მ-მა ურთიერთობა დაამყარა რუსეთისა და უცხოეთის მუზეუმებსა და სამეცნ. დაწესებულებებთან. 1867 წ. 2 იანვარს კ. მ. საზეიმოდ გაიხსნა. ჰქონდა 4 განყ-ბა: ეთნოგრ., ზოოლოგიის, ბოტანიკისა და გეოლოგიის, შემდეგ დაემატა მე-5 – ორნამენტებისა და სიძველეთა (მოგვიანებით არქეოლოგიის) განყ-ბა. 1865–67 შენაძენთა შორის აღსანიშნავია პასტორ რ. ფ. ჰოჰენაკერის კავკ. მცენარეთა დიდი ჰერბარიუმი, ბუნებისმეტყველ ქ. სტევენის ქართ. მუხების კოლექცია, მცხეთის მახლობლად ნაპოვნი თლილი ქვა რომის იმპ. ვესპასიანეს წარწერით. 1868 შეემატა ფ. ბაიერნის კოლექცია. 1869 მუზეუმის დირექციას დაექვემდებარა თბილ. სავჭარო ბ-კა (ახლანდ. *ეროვნული ბიბლიოთეკა*). 1881 გაიხსნა ახ. გამოფენა, რ-ზეც წარმოდგენილი იყო საბუნებისმეტყველო და ეთნოგრ. ექსპონატები, ქართულ მასალასთან ერთად – კავკასიელ და სხვა მეზობელ ხალხთა მასალაც. გამოფენის გახსნა დაემთხვა თბილისში მოწვეულ მე-5 საერთაშ. არქეოლ. კონგრესს და კ. მ-ს გადაეცა 1879–81 არქეოლ. გათხრებით მოპოვებული მასალა; ხოლო 1889 თბილისში მოწყობილი სას.-სამ. და სამრეწვ. გამოფენის დახურვის შემდეგ – იქ გამოფენილი შინამრეწვ. საგნები. 80-იან წლებში შეიძინეს ფოტოგრაფ დ. ერმაკოვის კოლექციის ნაწილი. რამდენჯერმე დაიბეჭდა კ. მ-ის გზამკვლევი, გამოიცა კატალოგის ,,Museum Caucasicum'' 6 ტომი, პერიოდულად ქვეყნდებოდა მუზეუმის ,,მოამბე''. XX ს. დამდეგის არქეოლ. შენაძენთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. *ახალგორის განძი* და ურარტული ლურსმულწარწერიანი ქვების დიდი კოლექცია. 1911 კ. მ. დაიხურა შენობის ავარიული მდგომარეობის მიზეზით და იქვე დაიწყო ახალი შენობის აგება, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო მშენებლობა შეჩერდა. 1919 კ. მ-მ არსებობა შეწყვიტა.

1919 აგვისტოში დაარსდა საქართველოს მუზეუმი, რ-მაც მემკვიდრეობით მიიღო კ. მ-ის ფონდები და ქონება (იხ. აგრეთვე *საქართველოს ეროვნული მუზეუმი* ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი).



კავკასიის მუზეუმი. ზოოლოგიის განყოფილება.

ლიტ.: ჟორდანია გ., კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავზე, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1957, ტ. 19A და 21B; Радде Г. И., Краткий очерк истории развития Кавказского музея в первые 25 лет существования. . . , Тфл., 1891.

გ. ჟორდანია.

კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი, შეიქმნა 1931, მას შემდეგ, რაც თბილისში 1917 დაარსებულ *კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტს* დაემატა საბუნებისმეტყველო მეცნიერების განყ-ბა და ეწოდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის-მცოდნეობის ინსტიტუტი. მის ბაზაზე 1932 შეიქმნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი. იხ. აგრეთვე *ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.*

„კავკასიის მხარეთა უწყებანი“, ქართული ყოველკვირეული გაზეთი, მთავრობის ოფიციალური გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1845 იანვრიდან 1846 ივლისამდე; წარმოადგენდა ,,ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ დუბლირებას. გაზეთი იბეჭდებოდა მცირე ზომის ქაღალდზე, 2 სვეტად, 8 გვერდზე. აქვეყნებდა ოფიც. ცნობებს და სხვა მასალებს. ,,კ. მ. უ.“ ერთ-ერთი ქართული გაზეთია, რ-მაც შემოგვინახა საყურადღებო მასალა XIX ს. 40-იანი წლების საქართველოს ეკონ. და სოც. ურთიერთობების შესახებ. რედაქტორი – პ. იოსელიანი. მთარგმნელები – ზ. ფალავანდიშვილი, ვ. გურამიშვილი. ტირაჟი 50 ც. ჩვენამდე მოაღწია გაზეთის მხოლოდ ორმა ნომერმა (№1, №11).

ი. ლორთქიფანიძე.

კავკასიის ომები, სამხედრო მოქმედებათა წყება, რომელიც მეფის რუსეთმა ჩაატარა კავკასიის დასამორჩილებლად XVIII–XIX სს-ში. ერთი მხრივ, ეს ბრძოლები მიმართული იყო კავკასიაში ირანისა და ოსმ. ექსპანსიის წინააღმდეგ, რაც კავკ. ხალხების ინტერესებს ეხმაურებოდა, მეორე მხრივ, ეს იყო დამპყრობლური ბრძოლა, რ-იც რუს. ცარიზმმა 1817–64 ჩრდ. კავკ. მთიელთა წინააღმდეგ წარმართა და ამით მთელი კავკასიის შემოერთების პროცესი დაასრულა.

ჩრდ. კავკასიაში საომარი მოქმედებების დაწყების თარიღთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ავტორთა ერთი ნაწილი 1714 ასახელებს, მეორე – 1763, მესამე – 1818, ხოლო მეოთხე – 1829. ზოგიერთი ისტორიკოსი კავკასიის ომის დასაწყისად შეიხ მანსურის (XVIII ს. 80-იანი წლები) ავჯანყებას მიიჩნევს, ხოლო კავკასიის ომის დასრულების თარიღზე (1859 – აღმ. კავკასიაში და 1864 – დას. კავკასიაში) ისტორიკოსთა დიდი ნაწილი თანხმდება.

XVI–XIX სს-ში რუსეთ-კავკასიის ურთიერთობები პირობითად ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს – მშვიდობიანი და არამშვიდობიანი (ძალდატანებითი). პირველი ეტაპი, ანუ მშვიდობიანი, მოიცავს XVI–XVIII სს. I ნახევარს. ამ ეტაპს სამხ.-სამოკავშირეო ხასიათი აქვს. მეორე ეტაპი, რ-იც იწყება XVIII ს. II ნახ-იდან და გრძელდება XIX ს-ში, სრულდება რუსეთის მიერ კავკასიის ხალხთა დაპყრობით.

1763 რუსეთის მიერ ყაბარდოს კუთვნილი ტერიტორიის მითვისებით, მოზდოკის (ამჟამად ჩრდ. ოსეთი – ალანია) დაარსებითა და ამავე დროს ყიზლარ-მოზდოკის სამხ. ხაზის მშენებლობით იწყება დაპირისპირება ყაბარდოსა და რუსეთს შორის, რაც მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ (ვ. ა. პოტტო, რ. ტრახო, ყ. ძამიხოვი და სხვ.) როგორც ადრე, ისე ამჟამად კავკასიის ომის დასაწყისად არის მიჩნეული. 1769 ზემოაღნიშნულ მოვლენებს ყაბარდოში საპრისტავოს დაარსება დაემატა, რაც ხელსაყრელი იყო რუსეთის მთავარი დასაყრდენი ძალის – ფეოდალებისათვის. ამავე დროს, 1774 რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ყაბარდო (1739 ბელგრადის ზავით დამოუკიდებელი იყო) რუსეთის შემადგენელ ნაწილად ცნეს. რა თქმა უნდა, ამან რუსეთი საბოლოოდ წააქეზა, უფრო ინტენსიურად გაეტარებინა დამპყრობლური პოლიტიკა ყაბარდოსა და კავკასიის ჩრდ.-დას. ნაწილში.

1774 რუსეთმა დაიწყო აზოვ-მოზდოკის სამხ. ხაზის მშენებლობა, რის შედეგადაც ყაბარდოელთა სახნავი მიწებისა და საძვალეთა დიდი ნაწილი გადაეცა ამ ხაზზე განლაგებულ ახალ სტანიცებს. ამ ფაქტმა 1778-იდან მხარეებს შორის ახალი შეიარაღებული შეტაკებები გამოიწვია. 1779 დიდი ყაბარდოსა და მცირე ყაბარდოს მმართველებმა რუსეთს მოსთხოვა ყველა საზღვრისპირა რუსული ციხესიმაგრის – პავლოვსკის, მარინსკის, ანდრეევსკის და ალექსანდროვსკის – ლიკვიდაცია. უარის მიღების შემდეგ დაიწყო სამხ. მოქმედებები. ყაბარდოელებთან ერთად იბრძოდნენ ყუბანს იქით მცხოვრები ჩერქეზები, ბესლანელები, თემირგოელები და სხვები.

რუსეთის პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა 1783 ყირიმის სახანოს გაუქმებამ და რუსეთთან მიერთებამ. ამის შემდეგ რუსეთის იმპერიისა და დას. ჩერქეზეთის საზღვარმა მდ. ყუბანზე გადაინაცვლა. ამავე წელს გეორგიევსკში რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ (1783) ყაბარდოსა და მთლიანად ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა.

1785 წ. 9 მაისს, კავკასიის გუბერნიის შექმნის შემდეგ (ცენტრი

ქ. ეკატერინოგრადი) ყაბარდოსა და ჩაჩნეთში რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ სახალხო მოძრაობა დაიწყო, რ-მაც მეზობელ რ-ნებშიც გადაინაცვლა და საკმაოდ დიდი მასშტაბი მიიღო. მუსლიმების ზედა ფენამ ეს მოძრაობა რელიგ. სამოსელში გაახვია და ღაზავათის დროშით წარმართა. მოძრაობას სათავეში შეიხი მანსური ჩაუდგა (1785–91). დაღესტნის ფეოდალების ნაწილმა მანსურს მხარი არ დაუჭირა და რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, რამაც გააადვილა მისი დამარცხება ჩაჩნეთსა და ყაბარდოში. მანსურმა ჩრდ. კავკასიის დას. ნაწილში გადაინაცვლა და იქ გააჩაღა ბრძოლა. 1791 ადიღეელთა მხარდაჭერის დაკარგვის შემდეგ, მანსურმა თურქულ ციხესიმაგრეს, სუნჯუყ-ყალეს (ანაპა), შეაფარა თავი, საიდანაც რუსებმა ტყვედ აიყვანეს.

XIX ს. დასაწყისში ყაბარდოელებმა, ჩაჩნებთან და დას. ჩერქეზებთან ერთად, გაილაშქრეს ცალკეულ რუსულ ციხესიმაგრეებზე – კამენობროდსკოეზე (1809), პრიბლიჟნაიასა და პროხლადნაიაზე (1810).

უნდა აღინიშნოს, რომ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ყაბარდოელები დიპლომატიასაც მიმართავდნენ: 1809 დეკემბერში, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ყაბარდო ფორმალურად ირანის ქვეშევრდომობაში შევიდა. ყაბარდოელი თავადების ნაწილმა მხარი არ დაუჭირა საქართველოს რუსეთთან მიერთებას, რასაც ისინი ღიად აცხადებდნენ ალექსანდრე ბატონიშვილთან და ირანის კართან მიმოწერაში.

1804 ირანის ხელისუფლებამ რუსეთს სამხრ. კავკასიიდან და დაღესტნიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვა, უარის მიღება მათ შორის ომის დაწყების (1804–13) საბაბად იქცა.

აჯანყებებმა (1804, 1809, 1810) და შავი ჭირის ეპიდემიამ (1804, 1807, 1810) დაასუსტა ყაბარდოს ეროვნ. ანტიკოლონ. მოძრაობა. ყაბარდოელთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საბოლოო ფაზაში შესვლა გენ.-ლ. ა. *ერმოლოვის* კავკასიის მთავარსარდლად დანიშვნას (1816) უკავშირდება. მას უკავშირებენ აგრეთვე კავკასიის ომის დაწყებას, თუმცა ომი გაცილებით ადრე დაიწყო.

ა. ერმოლოვმა ჩრდ. კავკასიაში საბრძოლო მოქმედებები სამ ნაწილად დაყო: ჩაჩნეთ-დაღესტანში, ყაბარდოსა და დას. ჩერქეზეთში. მთავარსარდლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, არ დაეშვა მათი შეკავშირება.

1825 აჯანყების ჩახშობით ყაბარდოს დაპყრობის საბოლოო ეტაპი დამთავრდა, რ-იც 1763-იდან დაიწყო.

ა. ერმოლოვის მიერ ყაბარდოში დასრულებულმა სამხ. ლაშქრობებმა დაღესტნისა და ჩაჩნეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა.

XIX ს. 20-იანი წლებისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა რელიგ. მიმდინარეობა მიურიდიზმი. 1824 ამ იდეოლოგიის მამამთავარი მაგომედ იარაგული თავის ე. წ. პროგრამაში მიურიდებს მოუწოდებდა: უარი ეთქვათ ყოველგვარ მიწიერ სიკეთეზე... სახლი, მეუღლე, ბავშვები დაეტოვებინათ და მიჰყოლოდნენ მოწოდებას ბრძოლისკენ.

ამ მიზნით XIX საუკუნის 20–30-იან წლებში დაღესტანსა და ჩაჩნეთში შეიქმნა სახელმწიფო – იმამატი. პირველი იმამი ყაზი-მუჰამადი (ყაზიმოლა) იყო. მან სცადა ჩრდ. კავკასიაში ყველა ფეოდალური სამფლობელოს გაერთიანება. მის წინააღმდეგ კავკასიის ჯარების სარდლობამ გამოყო დიდი სადამსჯელო ექსპედიციები და ყაზი-მუჰამადის რაზმები დაამარცხა. მომხრეთა მცირე ნაწილით ყაზი-მუჰამადმა მშობლიურ აულს – გიმრის შეაფარა თავი. 1832 წლის 17 ოქტომბერს, რუსეთის ჯარის მიერ გიმრის იერიშით აღების დროს, ყაზი-მუჰამადი დაიღუპა.

მეორე იმამი ჰოცატლელი ბეგი ჰამზატი გახდა. მან ავარიის სახანოს დამორჩილება სცადა, 1834 ხუნძახი აიღო და ხანის ოჯახი ამოწყვიტა, მაგრამ შემდგომ ავარიის ხანის ნათესავებმა, ოსმანმა და ჰაჯი-მურატმა, იგი მოკლეს (1834 წ. 13 სექტ.).

მესამე იმამი ხუნძი *შამილი* იყო. მან შეძლო დაღესტნისა და ჩაჩნეთის ტერიტორიაზე გაერთიანებული მთიელთა სახელმწიფოს – იმამატის შექმნა, რ-მაც 1834-იდან 1859-მდე იარსება.

შამილის ხელმძღვანელობით ანტიკოლონ. მოძრაობამ ჩაჩნეთსა და დაღესტანში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. 1834 წ. 18 ოქტომბერს რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო აულები – ძველი და ახალი ჰოცატლი. შამილი იძულებული გახდა ავარიიდან წასულიყო. რუსთა ჯარების სარდლობამ მიიჩნია, რომ შამილი დაასუსტა და ორი წლის განმავლობაში შეტევითი ბრძოლა შეწყვიტა. შამილმა ისარგებლა ამ შესვენებით და ძალა მოიკრიბა. 1837 შამილს მთელი ავარია და ჩაჩნეთი ემორჩილებოდა.

1833–41 გენ. გ. ზასის მეთაურობით გაანადგურეს ნათხვაჯების, შაფსუღების, უბიხების და აბაძეხების უამრავი აული. ადამიანთა განუკითხავი კვლა და ძარცვა ადიღეში შეუპოვარი წინააღმდეგობის მიზეზი ხდებოდა და მთის საზოგადოების კონსოლიდაციასა და საერთაშ. აქტივობას იწვევდა. კავკასიაში რუსეთისგან მთიელების ,,დაცვის'' საბაბით XIX ს. 30–50-იან წლებში წარმოიშვა ,,დამოუკიდებელი ჩერქეზეთის'' შექმნის იდეა დას. ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი) დახმარებით.

1835 მიიღეს ,,ჩერქეზეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია.'' ჩერქეზების დიდი მეჯლისის ისტ. ცნობაში ნათქვამია, რომ XIX ს. 30-იან წლებში შემოღებული დროშა 12 ვარსკვლავით და 3 გადაჯვარედინებული ისრით ჩერქეზების ერთობის სიმბოლო გახდა. 1848 მდ. ადაგუმის ველზე შემდგარმა კრებამ გადაწყვეტილება მიიღო მართვის ერთიანი სისტემის შექმნასთან დაკავშირებით, რ-შიც ერთიანდებოდნენ ადიღეელები და უბიხები. ამ დროიდან ჩერქეზეთი ხდებოდა პატარა რესპუბლიკების ფედერაცია.

ჩრდ. კავკასიაში, კერძოდ, ადიღეში განვითარებული მოვლენები იმამ შამილის დიდ ყურადღებას იპყრობდა. შამილმა, ადიღეელთა თხოვნით, იქ ნაიბები გაგზავნა. ერთ-ერთი მათგანი, მუჰამედ ამინი, აბაძეხების ნაიბი გახდა. იგი აქ 1848–59 მოღვაწეობდა.

მუჰამედ ამინმა შეძლო შამილის დავალების შესრულება – მიურიდიზმის გავრცელება და ადიღეს მოსახლეობის ნაწილში შარიათის რელიგ.-ეთნიკური და სამართლებრივი ნორმების დამყარება, მაგრამ ნაიბის მცდელობა, დას. ჩერქეზეთში ჩამოეყალიბებინა შამილის იმამატის მსგავსი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, უშედეგო აღმოჩნდა.

XIX ს. 40-იანი წლების მოვლენები ცნობილია როგორც ,,შამილის ბრწყინვალების ეპოქა''. 1841–43 შამილმა შეძლო რამდენიმე გამარჯვების მოპოვება, კვლავ

დაიკავა ხუნძახი და დაღესტნის მთელი რიგი რაიონები.

1844 რუსთა ჯარმა შამილის დასაყრდენი აული – დარგო იერიშით აიღო და დაანგრია; მთიელებმა ბრძოლით დაიხიეს უკან და მთებში მიუვალ ადგილებს შეაფარეს თავი.

მთიელთა ბრძოლა შამილის მეთაურობით უმაღლეს ფაზაში შევიდა ყირიმის ომის (1853–56) დროს. შამილმა თავისი მიზნების განხორციელება რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთისა და ინგლისის ბრძოლას დაუკავშირა. იგი ოსმალეთს წინასწარ მოელაპარაკა. 1853 აგვ. 15-ათასიანი ჯარით შამილმა ზაქათალასთან მოიერიშეთა ხაზის გარღვევა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ამავე დროს ადიღეელებმა სცადეს სიმაგრეთა ხაზების გარღვევა. ამ დროს ყირიმის ომიც დაიწყო, ფრონტი კავკასიაშიც გაიხსნა.

1854 ზაფხულში შამილის რაზმები საქართველოშიც (კახეთი) შემოიჭრნენ ახალციხესთან დაბანაკებულ ოსმალეთის არმიასთან შესაერთებლად. მართალია მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ გაძარცვეს კახეთის სოფლები, მძევლად აიყვანეს გავლენიან ქართველ თავადთა ოჯახები და გამოსასყიდი მოსთხოვეს. შამილს ამით სურდა რუსეთის არმიის ტყვეობიდან თავისი შვილის განთავისუფლება, რაც შეისრულა კიდეც.

1856 დანიშნულმა მთავარსარდალმა ა. ბარიატინსკიმ ახალი ძალით შეუტია იმამატს. 1859 თითქმის მთელი ჩაჩნეთი და მთიანი დაღესტანი რუსთა ჯარებმა დაიკავეს. იმავე წლის გაზაფხულზე შამილის ჯარს ალყა შემოარტყეს აულ ვედენოში. მან შეძლო მცირე რაზმით დაღესტნის აულ ღუნიბში გამაგრება, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა 1859 წ. 25 აგვ. რუსთა ჯარს დანებებოდა.

ადიღეელები კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1861 წ. 13 ივნისს ადიღეელთა და უბიხთა წარმომადგენლებმა საყოველთაო კრებაზე, მდ. სოტის ნაპირზე აირჩიეს მეჯლისი – ჩერქეზეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უბიხთა ლიდერის, ხაჯი გერანდუყ ბერზექის მეთაურობით; ჩერქეზთა სახელმწიფოს შექმნის შესახებ აუწყეს მეფის რუსეთს, თურქეთს, ინგლისსა და საფრანგეთს.

მეჯლისის თხოვნით ხელმძღვანელობამ 1861 ივნისიდან დაიწყო დიპლ. გზებით საკითხის მოგვარება და მიმართა ზემოაღნიშნულ ქვეყნებს ჩერქეზთა დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე. მათი დელეგაცია ინგლისშიც კი იმყოფებოდა, თუმცა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

1860 ადიღეელთა სუბეთნიკური გაერთიანების – ნათხვაჯების, ხოლო 1862–64 აბაძეხების, შაფსუღებისა და უბიხების წინააღმდეგობაც გატეხეს. 1864 წ. 21 მაისს რუსეთის ჯარებმა მდ. მზიმთის სათავეში მთიელთა ბრძოლის უკანასკნელი კერა – კბაადა (ახლანდ. კრასნაია პოლიანა) დაიკავეს. ეს თარიღი კავკასიური ომების დასასრულად ითვლება.

წყარო: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. 1–12; Тфл., 1866–1904; Движение горцев Сев.-Вост. Кавказа в 20–50 гг. XIX в. Сб. документов, Махачкала, 1959; Кавказ. Сб., т. 1–3, 6–32, Тфл., 1876–1912; Народно-освободительная борьба Дагестана и Чечни под руководством Имама Шамиля. Сборник документов, Махачкала, 2005.

ლიტ.: ბურჭულაძე ე., ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960; კვიციანი ჯ., კავკასია და კავკასიელები, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4–5, თბ., 1970–73; ხორავა ბ., აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004; Дадаев Ю. У., Наибы и Мудиры Шамиля, Махачкала, 2009; Дубровин Н. Ф., История войны и владычества русских на Кавказе, т. 1–6, СПб., 1871–88; Половинкина Т., Черкесия – дочь моя и надежда, Нальчик, 2014; Смирнов Н. А., Мюридизм на Кавказе, М., 1963.

ჯ. კვიციანი.

კავკასიის ომები 1817–64, სამხედრო მოქმედებები, რ-ებიც უკავშირდება ჩაჩნეთის, მთიანი დაღესტნისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მიერთებას რუსეთის იმპერიასთან. იხ. სტ. *კავკასიის ომები.*

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დაარსდა 1995. კ. ს. უ-ში ფუნქციონირებს ხუთი – ბიზნესის, სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა, მედიცინის, მევენახეობა-მეღვინეობის – ფაკ-ტი. კ. ს. უ. ახორციელებს საბაკალავრო, ერთსაფეხურიან (ქართ., ინგლ. და რუსულენოვან), სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

კ. ს. უ-ის ბიზნესის ფაკ-ტი ოთხ საბაკალავრო, სამ სამაგისტრო და ერთ სადოქტორო პროგრამას ახორციელებს: მენეჯმენტისა და ტურიზმის ქართულენოვანი, ფინანსების ქართ. და რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამები; საერთაშ. მარკეტინგის ქართ. და ინლისურენოვანი, საერთაშ. ბიზნესის მენეჯმენტის ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამები; ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა.

კ. ს. უ-ის სამართლის ფაკ-ტზე ხორციელდება სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო კომპონენტებთან ერთად, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებსაც მოიცავს.

კ. ს. უ-ის სოციალურ მეცნიერებათა ფაკ-ტზე აკრედიტებულია და მოქმედებს სამი საგანმან. პროგრამა: ჟურნალისტიკისა და საერთაშ. ურთიერთობების საბაკალავრო საგანმან. და საერთაშ. ურთიერთობებისა და საერთაშ. უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამები.

უნ-ტში 1995-იდან ფუნქციონირებს მედიცინის ფაკ-ტი, რ-იც 2012-იდან გაწევრიანებულია საერთაშ. სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების ფონდსა („FAIMER-IMED“) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში („AVICENNA“). ფაკ-ტი ცხრა აკრედიტებულ პროგრამას ახორციელებს: მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის საბაკალავრო და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამებს ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე.

2015 კ. ს. უ-ში შეიქმნა მევენახეობა-მეღვინეობის ფაკ-ტი. მოქმედებს ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა, რ-ის მიზანია ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებს შეასწავლოს ეს დარგი.

კ. ს. უ-ს აქვს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურა (საკუთარი ტელე- და რადიოსტუდიები, იურიდიული და სტომატოლოგიური კლინიკები, მედიცინისა და სტომატოლოგიის საბაზისო დისციპლინების შემსწავლელი სასწ.-კვლ. ლაბორატორიები, იმიტირებული სასამართლო პროცესების დარბაზი და სხვ.).



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

უნ-ტს მჭიდრო კონტაქტები აქვს საქართველოში მოქმედ საერთაშ. ორგანიზაციებთან, სახელმწ. დაწესებულებებსა და კერძო კომპანიებთან, აგრეთვე მრავალ სააგანმან. დაწესებულებასთან. მის ბაზაზე 2009-იდან დაარსებულია ყოველკვარტალური რეცენზირებადი, რეფერირებადი სამენოვანი სამეცნ. ჟურნ. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, რ-შიც იბეჭდება როგორც ჰ. ს. შ-ის, ასევე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე წამყვანი მეცნიერების სტატიები; 2011-იდან გამოდის ყოველკვარტალური პერიოდული ორგანო, გაზეთი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, რ-იც საინფორმაციო და რეკრეაციული ხასიათისაა და ასახავს ჰ. ს. შ-ის ყოველდღიურ სამეცნ. და კულტ.-საგანმან. საქმიანობას. უნ-ტი ასევე გამოსცემს საუნივერსიტეტო სტუდენტურ ჟურნალს.

თ. ალიბეგაშვილი.

კავკასიის სამედიცინო საზოგადოება, დაარსდა თბილისში 1864 წ. 5 აპრილს. საზ-ბის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით გამოჩენილ საზ. მოღვაწეებს: გ. ორბელიანს, ზ. ზუბალაშვილს, ს. ალექსი-მესხიშვილს, პ. სობოლშჩიკოვს, ი. პრიბილს, ი. მინკევიჩს და სხვ.

ჰ. ს. ს-ის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ,,ექიმთა სამეცნ. დახელოვნების, მედიცინის ყველა პროფილის განვითარების ხელშეწყობა და მოსახლეობაში სამედ. ცოდნის ფართო გავრცელება‘‘. სამეცნ.-კვლ. მიზნების გარდა ჰ. ს. ს. დაინტერესებული იყო მოსახლეობის სამედ. მომსახურების უზრუნველყოფის, სამედ. განათლების, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, სამედ. პერსონალის შრომითი პირობების საკითხებით. დებულებასთან ერთად ჰ. ს. ს-ს განსაზღვრული ჰქონდა საზ-ბის წევრობის სხვადასხვა ფორმა: ა) ნამდვილი წევრები (ამ ჯგუფში შედიოდნენ ექიმები); ბ) თანამშრომელი წევრები (ამ ჯგუფში ძირითადად შედიოდნენ ექიმი-ვეტერინარები, ფარმაცევტები და ყველა ის პირი, რ-ებიც მზად იყვნენ ,,საკუთარი ცოდნა გამოეყენებინათ საზოგადოებრივი მიზნებისათვის‘‘); გ) წევრები, რ-ებსაც შეეძლოთ ერთჯერადად საზოგადოებისათვის მსხვილი თანხის გადაცემა ან ყოველწლიური შენატანის გადახდა; დ) წევრ-კორესპონდენტები, რ-თა შერჩევა უცხოეთის მოქალაქეებიდან ხდებოდა; ე) საპატიო წევრები (გამოჩენილი მეცნიერები ან სამედ. მეცნიერების მხარდამჭერები).

წლების განმავლობაში ჰ. ს. ს-ის საპატიო წევრები იყვნენ ლ. პასტერი, რ. კოხი, ჯ. ლისტერი, რ. ვირხოვი, ნ. პიროგოვი, ი. პავლოვი, ი. სეჩენოვი, დ. მენდელეევი, ი. მეჩნიკოვი, ს. ბოტკინი, ვ. ბეხტერევი, ი. თარხნიშვილი და სხვ.

ჰ. ს. ს-ის წევრები სწავლობდნენ სამკურნ. და პროფილაქტიკური მედიცინის საკითხებს, მოსახლეობის სანიტარიულ მდგომარეობას, საქართვ. კლიმატის თავისებურებებს და საკურორტო ადგილებს, მოსახლეობის სამედ. მომსახურების უზრუნველყოფის საკითხებს, საქართვ. უძველეს სამედ. ტრადიციებს, ატარებდნენ ეპიდსაწინააღმდეგო და საგანმან. საქმიანობას.

ჰ. ს. ს-ს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კავკასიაში ეპიდემიების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში. მისი წევრების მოთხოვნის საფუძველზე 1892 ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სპეც. კომისია, რ-საც დაევალა საქიმო-სანიტ. დაწესებულების პროექტის შედგენა. კომისიის წინადადებით 1893 თბილისში შეიქმნა მუდმივმოქმედი სანიტარიული ორგანიზაცია, რ-საც დაევალა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება და მოსახლეობის ინფორმირება.

ჰ. ს. ს. გამოვიდა ინიციატივით, რომ ქვეყანაში შეესწავლათ სიკვდილიანობის სტატისტიკა, მოსახლეობის სანიტ. მდგომარეობა, მისი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, აგრეთვე წყლის ხარისხი.

ჰ. ს. ს-ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა მოსახლეობის სამედ. მომსახურების გაუმჯობესება. არსებობის პირველივე წელს საზ-ბამ წამოაყენა სამკურნ. დაწესებულებების დაფუძნების საკითხი. მათივე ძალისხმევით 1867 ამოქმედდა ამბულატორია აფთიაქთან ერთად, სადაც 20 წლის განმავლობაში საზ-ბის წევრები უსასყიდლოდ ღებულობდნენ პაციენტებს და უფასოდ გადასცემდნენ მათ საჭირო მედიკამენტებს.

ჰ. ს. ს-ის წევრები დეტალურად აკონტროლებდნენ სამკურნ. დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, რის საფუძველზეც დაწესებულების ხელმძღვანელობას აძლევდნენ სათანადო რეკომენდაციებს მოსახლეობის სამედ. მომსახურების გასაუმჯობესებლად. საზ-ბის წევრებმა შეაგროვეს და შეისწავლეს საქართვ. მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის სამკურნ. საშუალებები, რ-ებსაც სახალხო მკურნალები ფართოდ იყენებდნენ. 1872 მოსკოვში გამართულ გამოფენაზე საზ-ბამ წარადგინა სახალხო მკურნალების მიერ გამოყენებული სამკურნ. საშუალებების კოლექცია, რ-მაც II ხარისხის ჯილდო დაიმსახურა, ხოლო 1873 ვენის მსოფლიო გამოფენაზე იმავე კოლექციამ მიიღო მედალი ,,დამსახურებისათვის ჯვანდაცვაში‘‘.

ჰ. ს. ს-ის ინიციატივით პერიოდულად ტარდებოდა ექიმთა ყრილობები, რ-ებზეც განიხილებოდა ყველაზე მეტად გავრცელებულ დაავადებებთან და მათ მკურნალობასთან დაკავშირებული აქტ. საკითხები. მისი წევრები ამზადებდნენ საჯარო მოხსენებებს მკურნალობის ახალი მეთოდების, აპარატურისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შესახებ.

ჰ. ს. ს-ის დამსახურებას წარმოადგენს სამეცნ.-სამედ. ლიტ-რის შექმნა საქართველოში. საზ-ბამ 1864–1907 წლებში გამოსცა ,,კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ოქმების‘‘ 30 და ,,სამედიცინო კრებულის‘‘ 70 ტომი. 1908–17 წლებში პუბლიკაციები გამოდიოდა სახელწოდებით ,,კავკასიის სამედიცინო საზოგადოების შრომები და ოქმები‘‘. 1929 ამ სახით საზ-ბამ ფუნქციონირება შეწყვიტა. *რ. შენგელია. ნ. ჩიხლაძე.*

კავკასიის სამუსიკო საზოგადოება, დაარსდა თბილისში 1871. საზ-ბის დაარსების ინიციატორები იყვნენ რუსი კომპოზიტორი მ. *ბალაკირევი* და წარმოშობით გერმანელი ვ. კიუნერი. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ა. *მიზანდარი*, ე. *ეფშტაინი*. ჰ. ს. ს. მიზნად ისახავდა მუს. განათლების გავრცელებას და მუს. გემოვნების განვითარებას მოსახლეობაში. მის წევრთა შორის მრავლად იყვნენ ქართვ. თავადაზნაურობის წარმომადგენლები, მაღალი თანამდებობის პირები, მაღალი რანგის ოფიცრები, დიდი მოხელეები, მსხვილი ვაჭრები და კომერსანტები. მათი შემოწირულობებისა და საწევრო გადასახადების მეშვეობით შესაძლებელი გახდა სამუსიკო სკოლის, სიმფონიური ორკესტრის, სპეც. ბიბლიოთეკის შექმნა. მაგრამ ინტერესი საზ-ბის წამო-

წყებებისადმი თანდათან ნელდებოდა და 1876 საზ-ბამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა.

მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, ჯ. ს. ს-მ გარკვეული როლი ითამაშა თბილ. მუს. ცხოვრებაში. მან პირველმა შეძლო ქალაქში გაბნეული მუსიკოსების თავმოყრა და მხატვრულ კოლექტივებში (გუნდი, ორკესტრი) გაერთიანება, რითაც საფუძველი ჩაუყარა საკონცერტო ტრადიციებს. პირველმა დაუდო სათავე პროფ. სამუსიკო განათლებას საქართველოში.

ლიტ.: მშველიძე ა., სამუსიკო განათლება საქართველოში, თბ., 1976.

კავკასიის სასწავლო ოლქი, დაარსდა 1848, კავკასიის მეფისნაცვლის, მ. *ვორონცოვის* ინიციატივით. სათავეში ედგა სასწავლო ოლქის მზრუნველი. ჯ. ს. ო. თავდაპირველად შედგებოდა 4 დირექციისაგან: თბილისის, ქუთაისის, სტავროპოლისა და შავიზღვისპირეთის. 1860 მეფისნაცვალმა ა. *ბარიატინსკიმ* ჯ. ს. ო. გააუქმა და სკოლების მმართველობა გუბერნიებს გადასცა. ამ ღონისძიებამ არ გაამართლა და 1864 დააარსეს კავკ. სასწ. დაწესებულებების ინსპექცია, ხოლო 1868 ჯ. ს. ო. აღადგინეს და დააწესეს 6 დირექცია: თბილისის, ქუთაისის, ბაქოს, ერევნის, სტავროპოლისა და ყუბანის. ელიზავეტპოლის (განჯის) გუბერნიის სკოლები ემორჩილებოდა თბილ. სასწავლებელთა მმართველობას. 1872, კავკ. სასწავლებელთა მართვის ახ. დებულებით, ჯ. ს. ო-ის კონტროლს დაექვემდებარა არა მარტო ოფიც., არამედ საზ. და კერძო სკოლებიც, შეიქმნა სამზრუნველო საბჭო. დაწესდა 2 ინსპექტორის შტატი, დამატებით შეიქმნა ელიზავეტპოლის გუბ. სკოლების დირექცია. ადგილ. სასწ. სისტემა მთლიანად გაუთანაბრდა რუს. იმპერიაში მოქმედ სისტემას. ყველა სასწ. ოლქი, მ. შ., ჯ. ს. ო. გაუქმდა 1918. *ნ. პაპავა.*

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, დაარსდა თბილისში 1850. მან შეცვალა 1833–49 არსებული ,,სოფლისა და მანუფაქტურული მრეწველობის და ვაჭრობის საზოგადოება''. ჯ. ს. მ. ს-ს როგორც მთავრობის, ისე ,,განათლებულ კერძო პირთა და მემამულეთა'' დახმარებით ხელი უნდა შეეწყო სოფ. მეურნ. განვითარებისათვის. იგი მიზნად ისახავდა მარცვლეულის წარმოების, მებაღეობის, მებოსტნეობის, მევენახეობა-მელვინეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგების გაუმჯობესებას, ახ. იარაღ-მანქანების გავრცელებას, მორწყვის სისტემის სრულყოფას, უცხო ქვეყნების მიღწევათა დანერგვას, სპეციალისტების მოწვევას, სპეც. და ტექ. კულტურების – მეთამბაქოეობის, მებამბეობის და სხვ. გავრცელება-განვითარებას; მემცენარეობისა და მეცხოველეობის საუკეთესო ჯიშების, თესლების, ნერგების შემოტანასა და გავრცელებას; სოფ. მეურნ. პროდუქციისა და იარაღების გამოფენათა ორგანიზაციას, მემამულურ-სავაჭრო მიწათმოქმედების წახალისებას, სოფ. მეურნ. პროდუქციის ტექ. გადამუშავების, საოჯახო მრეწვ. და ხელოსნობის გაუმჯობესებას. ჯ. ს. მ. ს-ს თავდაპირველად სახელმწ. მოხელეები მეთაურობდნენ, რ-ებიც ნაკლებად იცნობდნენ ადგილ. პირობებს და სოფ. მოსახლ. ძირითადი მასის ინტერესებს. ამიტომაც დასავლეთის რაციონალური მეურნეობის მიღწევების გადმონერგვის ცდები მეტწილად არაეფექტური გამოდგა. ბატონყმობის გაუქმების (1964) შემდეგ ჯ. ს. მ. ს-ს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო. იგი ცდილობდა განევითარებინა სავაჭრო მიწათმოქმედება, რათა ცენტრ. სამრეწვ. გუბერნიები მოემარაგებინა „სამხრეთის კლიმატის'' სპეც. ტექ. კულტურათა იაფი პროდუქტებით, კავკასიაში დაბანაკებული ჯარის ნაწილები – სურსათ-სანოვაგით და სხვ.

ჯ. ს. მ. ს-ს სოფ. მეურნ. გაუმჯობესების მიზნით გაშენებული ჰქონდა სააკლიმატიზაციო ბაღი, მეთესლეობის დეპო, საცდელ-საჩვენებელი მინდვრები, ფერმები; ამზადებდა პრაქტიკოს მებაღეებს, ქმნიდა ადგილ. და უცხ. მცენარეების კოლექციას, ცდილობდა მათ დანერგვასა და გავრცელებას, მიწათმოქმედებას ამარაგებდა გაუმჯობესებული მანქანა-იარაღებით და სხვ.

ჯ. ს. მ. ს-ის საქმიანობა თანდათან გასცდა თბილისის გუბერნიის ფარგლებს; 1884 ქუთაისში გახსნა თავისი პირველი განყ-ბა, XX ს-იდან კი განყ-ბები გახსნა ამიერკავკ. სოფ. მეურნ. ყველა მნიშვნელოვან ცენტრში, სადაც აგრონ. და სხვა სახის დახმარებას უწევდა უპირატესად მსხვილ მემამულეებს. გლეხობას არ გააჩნდა არც ნივთიერი შესაძლებლობა და არც სათანადო ცოდნა, ამიტომ ჯ. ს. მ. ს-ის მიერ შეთავაზებულ დახმარებას ვერ იყენებდა.

ჯ. ს. მ. ს-ის (1850–1918) მოღვაწეობამ ხელი შეუწყო კავკასიაში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. საზ-ბამ იარსება 1921-მდე.

ლიტ.: გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს. მონოგრაფიები, ტ. 3–4, თბ., 1959–65; მისივე, Сельское хозяйство и аграрные отношения (Соц.-экон. история Грузии и Закавказья. Источники), т. 1–4, Тб., 1937–55; Иоселиани И., Обзор деятельности Императорского Кавказского общества сельского хозяйства за пятьдесят лет. 1850–1900, в. 1, Тфл., 1901.

პ. გუგუშვილი.

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობა, იხ. *რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) კავკასიის კავშირის I ყრილობა.*

კავკასიის სოციალ-რევოლუციური საზოგადოება, ქართველ და სხვა კავკასიელ ახალგაზრდათა ფარული რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაცია. ჩამოყალიბდა 1873–74. ფართო რევ. მუშაობა გაშალა 1875–76. საზ-ბის ბირთვი გახდა გორის წრე, რ-იც 1872–73 შეიქმნა. 1874–78 მასში გაერთიანდნენ თბილისის, ქუთაისის, კახეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, ვლადიკავკაზის წრეები, კავკ. სხვადასხვა კუთხეში მომუშავე ხალხოსანთა ჯგუფები და ცალკეული ხალხოსნები. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და ემორჩილებოდნენ საერთო ხელმძღვანელობას. საზ-ბას საქმიანი კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა სრულიად რუსეთის სოც.-რევ. ორგანიზაციასთან, რ-საც კავკ. ახალგაზრდები ხელმძღვანელობდნენ. საზ-ბის ადმინისტრაციაში შედიოდნენ ი. ქიქოძე, ე. იოსელიანი, მ. ყიფიანი. მათ ერთმანეთთან სისტემ. მიმოწერა ჰქონდათ საიდუმლო შრიფტით. პერიოდულად აწყობდნენ თათბირებს, რ-ებსაც ადგილ. ხალხოსნური წრეების აქტ. წევრებიც ესწრებოდნენ. 1876 მაისში მ. ყიფიანის თავრეობით ქუთაისში ჩატარდა საზ-ბის გაფართოებული თათბირი, რ-მაც ვ. გაბიჩვაძეს დაავალა საზ-ბის პროგრამის პროექტის შედგენა. მას ჰქონდა წესდება, რ-ის ფრაგმენტმაც ,,ჯამის წესდების'' სახით ჩვენამდე მოაღწია. წესდების მიხედვით, იგი მტკიცედ დარაზმული, დისციპლინებული, კონსპირაციული, ცენტრალიზებული ორგანიზაცია იყო. მისი წევრები რევ. პროპაგანდას

ეწეოდნენ გლეხობასა და მოსწავლე ახალგაზრდობაში, რისთვისაც იყენებდნენ როგორც რუსულიდან თარგმნილ აკრძალულ წიგნებს, ისე თავიანთ წერილებსა და პროკლამაციებს. საპროპაგანდო მასალას ბეჭდავდნენ სოფ. ტყვიავის არალეგალურ სტამბაში, რ-საც ხელმძღვანელობდა ხალხოსანი ვ. სამადაშვილი. საზ-ბა გურიაშიც აპირებდა სტამბის გამართვას. ამისათვის საზღვარგარეთიდან გამოიწერეს და ბათუმში ჩამოიტანეს სასტამბო მოწყობილობა, მაგრამ დაწყებული რეპრესიების გამო ეს ვერ განხორციელდა. ორგანიზაცია გასცა მოღალატემ. 1876 წ. 6 ოქტ. მთელ კავკასიაში დაიწყო რევოლუციონერთა დაპატიმრება, რაც 1878-მდე გაგრძელდა. დააპატიმრეს 80-ზე მეტი კაცი, მ. შ. არაერთი ქალი. მათგან 38 კაცი გამოძიების პერიოდშივე გაათავისუფლეს, 32 კაცი ადმ. წესით დასაჯეს, ხელმძღვანელებს – ე. იოსელიანსა და მ. ყიფიანს ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს.

წყარო: გ ი ო რ გ ა ძ ე გ., თვითმპყრობელობა და რევოლუცია. საბუთები რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870–1902), წგ. 1, ტფ., 1929.

ლიტ.: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს. მეორე ნახ.), თბ., 1967; შ ვ ე ლ ი ძ ე ზ., ამიერკავკასიელები ,,სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციაში'' (1874–1876 წწ.), თბ., 1974; მ ი ს ი ვ ე, ნარკვევები ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960; ხ უ ნ დ ა ძ ე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 2, ტფ., 1927.

ზ. შველიძე.

კავკასიის უნივერსიტეტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, კერძო სამართლის იურიდიული პირი (შპს). კ. უ-ის ისტორია იწყება 1998-იდან, კავკასიის ბიზნესის სკოლის (დაარსდა 2004) შექმნით, რ-იც დაფუძნდა სხვადასხვა უნ-ტების (თსუ, სტუ, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწ. უნ-ტი) ბაზაზე შექმნილი კონსორციუმის მიერ, ჯორჯიის სახელმწ. უნ-ტთან (ატლანტა, აშშ) ურთიერთთანამშრომლობით.

კ. უ. შედგება ბიზნესის; სამართლის; მედიის; ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა; ტექნოლოგიების; სახელმწიფო მართვის; ტურიზმის; ეკონომიკისა და ჯანდაცვის და ახალი კინოს სკოლებისგან. უნ-ტს აქვს უფლება, კურსდამთავრებულებს მიანიჭოს სპეციალისტის კვალიფიკაცია, ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხები. უნ-ტში მოქმედებს მრავალფეროვანი სასერტიფიკატო პროგრამები. კ. უ-ს მჭიდრო კავშირი აქვს ევროპის, ამერიკისა და აზიის უნ-ტებთან; სტუდენტები მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში; ამავდროულად, კ. უ-ში განათლებას იღებენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ბ ი ზ ნ ე ს ი ს ს კ ო ლ ა დაარსდა 2005 აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს [Eurasia Foundation and US Information Agency (USIA)] მიერ გამოყოფილი გრანტით, 2004 გახდა კერძო იურიდიული პირი და მის ბაზაზე შეიქმნა კ. უ., რ-ის შემადგენლობაშიც ერთერთი სკოლის (ფაკ-ტის) სახით დარჩა. მის ბაზაზე შეიქმნა კავკასიის ტურიზმისა და კავკასიის ჯანდაცვის სკოლები. ტურიზმის (ბაკალავრიატში) და ჯანდაცვის ადმინისტრირების (სამაგისტრო) პროგრამა თავდაპირველად ცალკე პროგრამების სახით არსებობდა. მოგვიანებით კი მათთვის დაარსდა სკოლები. 2004-ის შემდეგ იგი წარმოადგენს გრენობლის ბიზნესსკოლის (Grenoble Graduate School of Business) საერთაშ. კამპუსს და სტუდენტებს სთავაზობს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას. კავკასიის ბიზნესის სკოლის აკადემიურ პროგრამებს 2005–10 წლებში მინიჭებული ჰქონდა ცენტრ. და აღმ. ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (CEEMAN) აკრედიტაცია.

სკოლაში ფუნქციონირებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და სასერტიფიკატო პროგრამები: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა), ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა საერთაშ. ბიზნესის მენეჯმენტში, ბიზნესის ადმინისტრირების ორმაგი ხარისხის საბაკალავრო პროგრამა მარკეტინგში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია), მენეჯმენტში (აშშ, დიდი ბრიტანეთი), ფინანსებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი); სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (MBA); მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა (MSc).

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს ს კ ო ლ ა მ (CSL) ფუნქციონირება 2005 წლის სექტემბრიდან დაიწყო. აქ ხორციელდება სამსაფეხურიანი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლება. სკოლაში ფუნქციონირებს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა. კავკასიის სამართლის სკოლის მაგისტრატურაში მოქმედებს ქართულ-ევროპული ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა. კავკასიის სამართლის სკოლაში სამართლის სამაგისტრო პროგრამა ფუნქციონირებს თბილისსა და ბათუმში.

2015 სამართლის სკოლაში შეიქმნა ,,შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის'' სამაგისტრო პროგრამა, რ-ის მიზანია ქართ. და უცხო ქვეყნების სამოქალაქო სამართლის სისტემის შესწავლა. სკოლას აქვს იურიდიული კლინიკა. სტუდენტის კლინიკური სწავლება ხორციელდება სასამართლო ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, აგრეთვე სამართლებრივი პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს მ ე დ ი ი ს ს კ ო ლ ა შ ი (დაარსდა 2007) მოქმედებს საბაკალავრო [ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაცია, პიარი (PR – საზოგადოებასთან ურთიერთობა), მედიახელოვნება და რეჟისურა – აუდიოვიზუალური ხელოვნება] და სამაგისტრო (ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაცია, სტრატეგიული კომუნიკაცია) პროგრამები. სტუდენტებისთვის მუშაობს IREX-ის განათლების მულტიმედია ცენტრი.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ჰ უ მ ა ნ ი ტ ა რ ულ დ ა ს ო ც. მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა ს კ ო ლ ა შ ი (დაარსდა 2008) მოქმედებს საბაკალავრო (ევროპისმცოდნეობა, ინგლისური ფილოლოგია, ისტორია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია) და სამაგისტრო (ევროპისმცოდნეობა; მედიაკომუნიკაციის სოციოლოგია; კლინიკური ფსიქოლოგია) პროგრამები.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი ე ბ ი ს ს კ ო ლ ა შ ი (დაარსდა 2008) სამი საბაკალავრო პროგრამაა: კომპიუტერული ტექნოლოგიები (ინფორმატიკა), ტელეკომუნიკაცია და არქიტექტურა. ასევე მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში. სკოლა სტუდენტებს სთავაზობს დამატებით სპეციალობას – პროგრამირებას (Minor).

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ა რ თ ვ ი ს ს კ ო ლ ა შ ი (დაარსდა 2008) ხორციელდება საბაკალავრო



კავკასიის უნივერსიტეტი.

(საჯარო მართვა, საერთაშ. ურთიერთობები და პოლიტიკა მეცნიერებაში) და სამაგისტრო პროგრამები (დიპლომატია და საერთაშ. ურთიერთობები, საჯარო მმართველობა).

სახელმწ. მართვის სკოლაში 2016 ფუნქციონირება დაიწყო მშვიდობის კვლევის ინ-ტმა (Institute of Peace Studies). ამ განხრით პ. უ. თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან უნ-ტებთან: ირლანდიის ტრინიტის კოლეჯთან (Trinity College University), ქ. დუბლინისა (Dublin City University) და ინსბრუკის (ავსტრია) (The University of Innsbruck) უნ-ტებთან.

კავკასიის ტურიზმის სკოლა (დაარსდა 2009; საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები) ფუნქციონირებს თბილისსა და ბათუმში.

კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა დაარსდა 2012. 2013 დეკემბრიდან, მისი გაფართოებისა და პროგრამების დამატების შემდეგ, სკოლამ შეიცვალა სახელი და ეწოდა კავკასიის ჯანდაცვის სკოლა. აქ მოქმედებს საბაკალავრო (ჯანდაცვის მენეჯმენტი, ეკონომიკა), სამაგისტრო (ჯანდაცვის მენეჯმენტი, ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები) და სადოქტორო (ეკონომიკა) პროგრამები.

კავკასიის ახალი კინოს სკოლაში (დაარსდა 2014) მოქმედებს კინორეჟისურისა და კინოდრამატურგიის საბაკალავრო პროგრამები. *თ. ალიბეგაშვილი.*

კავკასიონი, მთათა სისტემა *კავკასიაში.* ტერმ. ,,კავკაზუს'' (,,კავკასიონის'' მნიშვნელობით) ყველაზე ადრე ძველბერძნულ წყაროებში იხსენიება. ,,მთათა ყოველთა ხელმწიფე'' – ასე უწოდა პ-ს ბერძენმა დრამატურგმა ესქილემ (დაახლ. ძვ. წ. 525–456). პ-ს იხსენიებს ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (დაახლ. ძვ. წ. 485–424), მას ,,კავკასიის მთებს'' უწოდებს ბერძენი პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი (დაახლ. ძვ. წ. 295–215). რომაელი მწერალი და სახელმწ. მოღვაწე პლინიუს უფროსი (23/24–79) თვლის, რომ სახელწოდება ,,პ.'' მოდის სკვითურიდან და ნიშნავს ,,თოვლივით თეთრს''.

პ. მოხსენიებულია *ვახუშტი ბატონიშვილის* შრომაში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' ,,კავკასის'' (,,კავკასიის მთის'') სახელით. საქართველოში ,,არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩდილოთ უძეს კავკასი შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ, და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა... დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი''. ,,კავკასიონი'', როგორც ტოპონიმი, დამკვიდრდა XX ს-ში.

პ. არის კავკასიის ირიბად გადმკვეთი თითქმის სწორხაზოვანი მთაგრეხილი, რ-იც თავისი ბოლოებით (ტამანისა და აფშერონის ნ.-კ-ები) მდებარეობს, ერთი მხრივ, აზოვისა და შავ ზღვებს შორის, მეორე მხრივ, კასპიის ზღვის შუა და სამხრ. ნაწილებს შორის.

პ-ის მთიანეთი ვრცელდება საქართველოს, აზერბაიჯანის და რუს. ფედერაციის სუბიექტების – კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდ. ოსეთის (ალანია), ინგუშეთის, ჩაჩნეთის (იჩქერია) და დაღესტნის ტერიტორიებზე.

პ. მნიშვნელოვანი კლიმატგამყოფია, რ-ის მეოხებითაც სამხრ. კავკასია დაახლ. 3 გრადუსით უფრო თბილია, ვიდრე ამ დამცველი კედლის გარეშე იქნებოდა. მთაგრეხილის მნიშვნელოვან მონაკვეთებზე ის ისტ.-ეთნოგრ. მიჯნასაც ქმნის ჩრდ. კავკასიისა და სამხრ. კავკასიის ხალხთა შორის, თუმცა ზოგან, მაგ. ხევსურეთში, თუშეთში, ხევში, იგი ვერ აბრკოლებს მოსახლეობის განსახლებას.

რელიეფი. პ-ის ოროგრაფიულ ღერძს წარმოადგენს *კავკასიონის მთავარი ქედი,* რ-იც უწყვეტად ვრცელდება მთათა სისტემის ერთი ბოლოდან მეორემდე. ამ ქედის თხემით პ. იყოფა ჩრდ. და სამხრ. მაკროფერდობებად, რ-თაგან პირველი შედის მდ-ების ყუბანის, თერგის, სულაკისა და სამურის აუზებში, მეორე – ბზიფის, კოდორის, ენგურის, რიონის, მტკვრისა და მთელ რიგ მცირე მდინარეთა აუზებში. ორივე ფერდობი გართულებულია მეორე თანრიგის ქედებითა და ხეობებით, რ-ებიც ღერძულ ზონაში ქმნიან მაღალმთიან, ხოლო პერიფერიულ ზონებში – საშუალმთიან რელიეფს. ჩრდ. ფერდობის გასწვრივი ქედებია: გვერდითი, კლდოვანი, ანუ კირქვიანი, საძოვრებიანი და ტყიანი, რ-ებიც მთავარი ქედის პარალელურია. გარდიგარდმოა შანის, კიდეგანის, ხევსურეთის, ანდის, ბოლოზის ქედები; სამხრ. ფერდობის გასწვრივი ქედებია: გაგრის, ბზიფის, კოდორის, სვანეთის, ეგრისის, ლეჩხუმისა და რაჭის ქედები; გარდიგარდმოა: ლიხის, ხარულის, ალევის, გუდამაყრის, ქართლისა და კახეთის ქედები. პ-ის ოროგრაფიულ სიმეტრიას არღვევს ჩრდ. ფერდობი, რ-იც უფრო განიერია დაღესტნის ტერიტორიაზე. პ-ის მრავალი მწვერვალის რელიეფი სახეშეცვლილია ძველი ეროზიის, მყინვარული და პერიგლაციალური პროცესების მოქმედებით.

პ-ზე ნაირგვარი გენეზისის რელიეფის ტიპები და ფორმები, აგრეთვე მნიშვნელოვანი მწვერვალები და უღელტეხილებია. ძირითადია ეროზიული რელიეფი, რ-იც შექმნილია ნაირ-ნაირი მორფოსტრუქტურების საფუძველზე და გართულებულია ვულკანური, მყინვარული, პერიგლაციალური,

კავკასიონი

უმაღლესი მწვერვალები (ზ. დ. 4000 *მ* ზევით)

იალბუზი	5642
დიხთაუ	5206
ყოშთანთაუ	5152
შხარა	5068
ჯანღა (ჯანღითაუ)	5058
მყინვარწვერი (ყაზბეგი)	5033
პუშკინის პიკი	5033
კატინთაუ	4979
შთა რუსთაველის მწვერვალი	4860
გისტოლა	4860
თეთნულდი	4858
ჯიმარა	4780
ალექსანდრე ჯაფარიძის მწვერვალი	4700
უშბა	4700
ულუაუზნა	4681
უილფათა	4649
შაუხოხი	4636
ტიხტენგენი	4618
მაილი	4597
აილამა	4547
სალინგინთაუ	4507
თებულოსმთა (დაქუეხი)	4498
სუგანი	4486
ბაზარდუზუ	4466
ჭანჭახი (ჭანჭახისწვერი)	4462
დონღუზ-ბაში	4454
შანი	4452
ჩატინი	4446
ტებლი	4431
თბილისასწვერი	4429
ბუბა	4419
ადაი-ხოხი	4408
ტიუტიუბაში	4404
ბეჟდუხი	4373
შხელდა	4368
ბურჭულა	4365
ჩეგემბაში	4351
ლალვერი	4350
შაურტუ	4350
დოპახი	4338
ლაბოდა	4314
ადიში	4306
ბიჩახი	4291
დიკლოსმთა	4285
პიკი კავკასია	4280
ჯორაშტი	4278
ახიელისმაღალი	4274
კიდეგანისმაღალი	4262
ქომიტო	4261
ალექსანდრე ჯავახიშვილის მწვერვალი	4250
შახდაღი	4243
ნამყვამი	4233
იუნომკარათაუ	4225
წურუნგალა	4222
ვაჟა-ფშაველას მწვერვალი	4200
დონისმთა	4174
გადილი	4162
არხონი	4158
ადალა-შუხგელმერი	4151

(გაგრძელება გვ. 446).

ბაშილი	4148
სირხიბარზონდი	4148
კენგჩოტი	4142
შალბეზდაღი	4142
ბაშყარა	4129
დიულთიდაღი	4127
სვეტლარი	4118
ცმიაკომხოხი	4117
მუსოსთაუ	4110
ჩაიხოხი	4098
მაისტის მთა (მაისტისმაღალი)	4081
ჟუროსწვერი	4071
ასმაში	4057
შინო	4048
დომბაი-ულგენი	4046
ნაზარტაბაში	4037
დაიგა	4019
დეავგაი	4016
ლაჰილი (ლაილა)	4010
გეზევცეკი	4009
ვახუშტის მწვერვალი	4000
თოთი	4000

მნიშვნელოვანი ულელტეხილები

აბანო	2950
აგეფსთა	2604
ადანგე	2299
ალაშთრახუ	2723
ამტყელი	1870
ანატორისელე	2768
ანდაქი	2887
ანჩხო	2031
არხოტი (არხოტის-თავისღელე)	3287
ატკვერი (ზაგარი)	2642
აძაფში	2497
აწუნთა	3431
აჭავჭარა	1795
ახუკდარა (ახიქუდარა)	2072
ბაკხი	2723
ბაშილი (ბაშილთაუ)	3448
ბახი	3137
ბახფანდაგი	2925
ბეჩო	3375
ბოგოვათჩოსლელე	2968
გორვაში	3665
გუდამაყარი (ბურსაჭირი)	2369
გუდაუთა	1565
გურძიეცეკი	3349
დათვისჯვარი	2677
დალარი	3291
დამხუცი	2200
დოლრა	3085
დოუ	1390
დურუჯი	2884
ერგზაშირა	2583
ერწო	1790
ვანთლიაშეთი	2441
ვაციწვერი	2910
ზანდარაკი (რკინის ჯვარი)	2758
ზეკარა	3184

კარსტული და სხვა გენეზისის ფორმებით. არის ეროზიულ რელიეფზე წარმოქმნილი ვულკანური პლატოები, კონუსები, ღვარები. პერიგლაციალურ ფორმათა განვითარების მთავარ კერას წარმოადგენს ყელის ზეგანი. კარსტულ ფორმებს – პოლიეებს, ქვაბულებს, ძაბრებს, მღვიმეებს, კარულ ზედაპირებს – დიდი ფართობი უკავია დას. და ცენტრ. კ-ის სამხრ. ფერდობზე და ჩრდ. ფერდობზე – ყარაჩაიდან დაღესტნამდე. კ-ის ბევრ რეგიონში წარმოქმნილია მინერალური წყაროების მიერ დალექილი *ტრავერტინები* (თრუსოს ხეობა, ჯვრის უღელტეხილი და სხვ.). *ლ. მარუაშვილი.*

გეოლოგიური აგებულება. კ. ნაოჭა-შარიაჟული ნაგებობაა (გეოლოგიურ რეტროსპექტივაში – განაპირა ზღვა), კავკასიის ერთ-ერთი მთავარი და რთული აგებულების მქონე ტექტონ. ერთეული. მის შემადგენლობაში გამოიყოფა კავკასიონის მთავარი ქედის ზონა, რ-ის ცენტრ. ნაწილში შიშვლდება კამბრიულამდელი და პალეოზოური ასაკის კრისტალური სუბსტრატი (გნაისები, მიგმატიტები, კრისტალური ფიქლები) და მისი გამკვეთი სხვადასხვა ასაკის გრანიტოიდული ინტრუზივები. მის სამხრ-ით გამოიყოფა ჩხალთა-ლაჰილის, ყაზბეგ-თფანის, მესტია-დიბრარის, ნოვოროსიისკლაზარევსკოეს და გაგრა-ჯავის ზონები. ისინი ძირითადად აგებულია ქვედა და შუაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით, ბაიოსური ვულკანოგენურ-დანალექი სერიით და ზედაიურულ-პალეოგენური ტერიგენული და კარბონატული ფლიშური ნალექებით. მხოლოდ ჩხალთა-ლაჰილის ზონაში შიშვლდება უფრო ძველი – შუა და ზედაპალეოზოური ასაკის სუსტად მეტამორფიზებული ქანები (ე. წ. დიზის წყება).

კ-ის ფარგლებში მდ. თერგის აუზში, აგრეთვე მდ-ების – თეთრი არაგვისა და ქსნის სათავეებში, ფართოდაა გავრცელებული მეოთხეული ასაკის ანდეზიტური, დაციტური და ანდეზიტ-დაციტური ლავური ნაკადები მათი ამომყვანი ვულკ. ცენტრებით.

კ. ხასიათდება მკაფიოდ გამოხატული ასიმეტრიული სტრუქტურით: სამხრეთისკენ გადაბრუნებული იზოკლინური დანაოჭებით მის სამხრ. ფერდობზე და სუსტად დანაოჭებული, ან მონოკლინური აგებულებით ჩრდ. ფერდობზე. მის აღმ. ნაწილში, მდ. რიონის ხეობიდან მდ. ალაზნის აუზამდე, განვითარებულია სამხრეთისკენ მიმართული მსხვილი ტექტონ. ზეწრები (შარიაჟები). *ე. გამყრელიძე.*

ჰავა. კ-ის ჰავა ცვალებადობს როგორც სიმაღლის მიხედვით, ისე ჰორიზ. მიმართულებით. აბსოლ. სიმაღლის ზრდასთან ერთად ტემპ-რა კლებულობს (საშ. წლ. ტემპ-რა სოხუმში უდრის 15°C, გუდაურში, 2200 *მ* სიმაღლეზე, 2,1 °C, ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოსადგურზე, 3700 *მ* სიმაღლეზე, –6,1°C). განსაზღვრულ სიმაღლემდე (2500–3000 *მ*-მდე) მატულობს ნალექიანობაც. კ-ის დას. ნაწილი გამოირჩევა უხვი ნალექებით (გაგრის ქედზე – 2300 *მმ*, აჭარაში – 1800 *მმ*). ზღვისაკენ მიპყრობილი ფერდობების ზოგიერთ ნაწილში ნალექები წელიწადში 3000–4000 *მმ* აღწევს. აღმ-კენ იგი კლებულობს და საქართველოს სამხ. გზის აღმ-ით თითქმის არსად აღემატება 1800 *მმ*. კ-ის სამხრ. ფერდობი უფრო ნალექიანია, ვიდრე ჩრდ. ფერდობი. სიმაღლის მატებასთან ერთად მატულობს თოვლის საფრის ხანგრძლივობა (დაბა სტეფანწმინდაში – 104 დღე, თუშეთის ომალოში – 121 დღე, მესტიაში – 134 დღე, ლებარდეში – 164 დღე, ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოსადგურზე – 277 დღე). თოვლის საფრის სისქე მაღალ ადგილებში რამდენიმე მეტრს აღწევს (ლებარდეში – 5 *მ*, აჩიშხოს მთაზე – 7 *მ*). ზვავიანობა ახასიათებს ყველა მაღალმთიან და ბევრ საშუალმთიან რ-ნს.

გამყინვარება. დედამიწაზე გლობალურმა დათბობამ კავკასიონზე მყინვარების შემცირება გამოიწვია. 1890–1990 გამყინვარების ფართობი საშუალოდ 29%-ით შემცირდა. მყინვარები ძირითადად თავმოყრილია კ-ის ცენტრ. ნაწილში, აქედან ჩრდ. კალთაზეა დაახლ. 70%. ჩრდ. კალთის ძლიერი გამყინვარება განაპირობა ექსპოზიციამ, ოროგრაფიულმა პირობებმა და სამხრ. კალთიდან ჩრდ. კალთაზე თოვლის გადახვეტამ ქარბუქის დროს. ცენტრ. და დას. კ-ზე გამყინვარება უფრო მძლავრია, ვიდრე აღმ. კ-ზე, რაც გამოწვეულია აღმ-კენ ჰავის კონტინენტურობის ზრდით. უდიდესი მყინვარები თავმოყრილია ცენტრ. კავკასიონზე (ჩრდ. კალთაზე – დიხსუ, ბეზენგი, ყარაუგომი; სამხრეთისაზე – *ლეხზირი, ტვიბერი, წანერი*). გამყინვარების მძლავრი კერებია: *იალბუზი* და *მყინვარწვერი.*

შიგა წყლები. კ-ზე მდინარეული ჩამონადენი მაღალია. მაღალმთიანი ზოლის დას. ნაწილის სამხრ. ფერდობზე (აღმ. აფხაზეთში, დას. სვანეთში და მთიან სამეგრელოში) ჩამონადენის მოდული 80–100 *ლ/წმ* უდრის ერთ *კმ*²-იდან. ჩრდ. ფერდობზე და აღმ. ნაწილში იგი ეცემა 30–40 *ლ/წმ*-მდე და მხოლოდ კახეთში აღწევს 70 *ლ/წმ*. კ-ის სამხრ. ფერდობის მთავარი მდინარეებია: შახე, მზიმთა, ბზიფი, კოდორი, ენგური, რიონი (შენაკადებით – ცხენისწყალი, ჯეჯორა, ყვირილა), ლიახვი,



კავკასიონი.

ლეხურა, ქსანი, არაგვი, იორი, ალაზანი, ქურმუხისწყალი, ალინჯაჩაი, თურიანჩაი, გოქჩაი, ფირსაათი. ჩრდ. ფერდობის მთავარი მდინარეებია: ყუბანი (შენაკადებით – აფიფსი, ფსეკუფსი, ფშიში, ბელაია, ლაბა, ურუპი, დიდი და პატარა ზელენჩუკი), თერგი (შენაკადებით – ბაქსანი, ჩერეკი, ჩეგემი, ურუხი, არდონი, სუნჯა, ასა, არღუნი), სულაკი (ოთხი მდგენელი ყოისუთი), სამური, ყარაჩაი. მაღალმთიანი ზოლის მდ-ები – ენგური, რიონი, კოდორი, თერგი, ყუბანი, მალტა, ჩერეკი, არღუნი, სულაკი (მისი მდგენელებით) უმთავრესად საზრდოობენ მყინვარებით. მაქს. ხარჯი მათ ზაფხულობით აქვთ. დანარჩენი მდ-ების წყალდიდობა გაზაფხულზეა.

პ-ზე არის მყინვარული (თებერდა, ტობავარჩხილი, ადუედააძიჟი, გორაფი), კარსტული (ცერიქოლი, ერწო), რელიეფის ნგრევით შეგუბებული (რიწა, ამტყელი, ქვედი), ვულკანური (ყელის ზეგნის ტბები) და სხვა გენეზისის ტბები.

პ-ის კირქვულ რ-ნებში მრავლადაა მიწისქვეშა მდინარეები (ამტყელი, თურჩუ, ტობა, შაორა, შარეულა, ბუჯა, ხეორი), დიდდებიტიანი წყაროები, ანუ ვოკლუზები (წაჩხურა, რეჩხი, მჭიშთა, ილორი და სხვ.). მთიანეთი მდიდარია მინერ. წყაროებით, რ-თა უმრავლესობა მიეკუთვნება ცივი ნახშირმჟავა წყლების ტიპს. არის თერმული უნახშირმჟავო (თორღვას აბანო, შატილი) და ცივი უნარხშირმჟავო (რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი და სხვ.) წყლების გამოსასვლელებიც.

ლანდშაფტები. პ-ის ლანდშაფტები ერთმანეთს ცვლის უმთავრესად ვერტ. მიმართულებით და ქმნის კლაკნილსა და გრძელ, ვიწრო ზონებს (სარტყლებს). გარდა ამისა, ლანდშაფტები ცვალებადობს ზღვისგან დაშორების, ფერდობთა ექსპოზიციისა და სხვა პირობების მიხედვით. ლანდშაფტური ზონების სისტემის შედგენილობა პ-ის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაა. გავრცელებულია აგრეთვე აზონალური (მაგ., ვულკანური, კარსტული) ლანდშაფტები. ქვევიდან ზევით გამოხატულია შემდეგი ლანდშაფტი: კოლხური ტიპის შერეული ფოთლოვანი ტყე (მუხა, რცხილა, წაბლი) მარადმწვანე ქვეტყით (შქერი, წყავი, ბზა, ბაძგი) და ლიანებით; წიფლნარი; ნაძვნარ-სოჭნარი; მთის მდელოები; სუბნივალური ჭიუხებისა და ღორღ-ლოდნარების ლანდშაფტი; ნივალური (ჭიუხ-მყინვარებიანი). მდ-ების ლიახვისა და ბაქსანის აღმ-ით ცალკეული რელიქტური ფრაგმენტების სახით გვხვდება მუქწიწვოვანი ტყე. ტყის ზედა სარტყელში, პ-ის სამხრ. კალთებზე, ბატონობს წიფლნარი, ხოლო ჩრდილოეთისაზე – ფიჭვნარი და ფიჭვნარ-არყნარი. კალთის ტყეებში შემორჩენილია სურო, წყავი, ბაძგი. არის ურთხლისა და ძელქვის რელიქტური კორომებიც (ბაწარის ხეობა, სოფ. ბაბანეურის მიდამოები). აზერბაიჯანსა და დაღესტანში პ-ის ქვედა ზონა ქსეროფიტულ ბუჩქნარს, ტყესტეპსა და სტეპს უჭირავს. სტეპები დაღესტნის შიდა ნაწილში დიდ სიმაღლეებზეც გვხვდება. ლანდშაფტური ზონების საზღვრები აღმ-კენ მაღლდება და ისეთ დონეებზე, რ-ებზეც აფხაზეთში ჭიუხ-მყინვარებიანი ლანდშაფტია გაბატონებული, თუშეთსა და აზერბაიჯან-დაღესტანში – ალპ. მდელოები, ხოლო კოლხეთის ტყის დონეზე – სტეპი. აზონალური ლანდშაფტები განვითარებულია ყელის ვულკ. ზეგანზე. თავისებური პერიგლაციალურ-კარსტული ლანდშაფტია არაბიკის მასივის ალპ. ზონაში, სადაც კარსტულ ძაბრებთან ერთად მუდმივი თოვლ-ყინულის შემცველი მღვიმეები და შახტებიც გვხვდება.

ლიტ.: კავკასიონზე. კრ., შემდგ. დ. ფურცელაძე, რედ. ნ. კეცხოველი, თბ., 1959; მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი ლ., კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1–3, თბ., 1975–86; ქსე, ტ. 5, თბ., 1980.

ლ. მარუაშვილი.

„კავკასიონი“, ქართული ყოველთვიური ჟურნალი, საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო, გამოდიოდა თბილისში 1924. გამოვიდა 4 ნომერი; თანამშრომლობდნენ: კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, დ. კლდიაშვილი, ს. აბაშელი, კ. ჭიჭინაძე, ა. არსენიშვილი, ს. ცირეკიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. მარჯანიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ვ. წერეთელი და სხვ. გამომცემელი – მწერალთა კავშირის საბჭო; რედაქტორი – პ. ინგოროყვა. 1925-იდან ჟურნალი გამოდიოდა *„ახალი კავკასიონის“* სახელწოდებით.

ი. ლორთქიფანიძე.

„კავკასიონი“, ჟურნალი, ხელოვნებისა და მეცნიერების ყოველთვიური კრებული, ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანებითიანებისა და ქართველ მწერალთა ერთობლივი გამოცემა. გამოდიოდა 1929–86 პარიზში. სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ ვ. *ნოზაძე*, გ. ყიფიანი, ე. პაპავა, ა. და თ. პაპავები, ი. მანწკავა. ჟურნალის მხატვარი იყო მ. ბილანიშვილი. გამოცემასთან თანამშრომლობდნენ: ს. ბერეჟიანი, ე. თაყაიშვილი, ვ. ნოზაძე, შ. ამირეჯიბი, რ. არსენიძე, ა. ცომაია, მ. ხუნდაძე, რ. ივანიცკი-ინგილო. მრავალი მათგანი ფსევდონიმითაც იბეჭდებოდა. მრავალფეროვანია ჟურნალში დაბეჭდილი სტატიების ჟანრობრივი თემატიკა. იგი მოიცავს საქართვ. ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნებათმცოდნეობის, მუსიკის, გეოპოლიტიკის, საერთაშ. სამართლის საკითხებს. ჟურნალის ნომრები ინახება გ. შარაძის კერძო კოლექციაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 3, თბ., 2003.

თ. დოლიძე.

კავკასიონის ანთროპოლოგიური ტიპი, კავკასიონის ქედზე მცხოვრებ მოსახლეობაში არსებული ანთროპოლოგიური ტიპი. ჰ. ა. ჭ. ხევსურების შესწავლის საფუძველზე პირველად 1953 წელს იქნა გამოყოფილი ა. ნათიშვილისა და მ. აბდუშელიშვილის მიერ. საქართველოს მაღალი მთიანეთის ეთნოგრ. ჯგუფები გამოირჩევა განსხვავებულ ნიშანთა კომპლექსით. მათ ახასიათებთ: მაღალი ფართო სახე, განიერი ქვედა ყბა, დიდი თავის ქალას მაჩვენებელი, ფართო შუბლი, ოდნავ დაშვებული ცხვირის წვეტი, ღია ფერის თვალების საშუალო პროცენტი, მაღალი ტანი, მაღალი ცხვირი, მედიალურ სიბრტყეში ოდნავ დაქანებული თვალის ჭრილი და საშუალო ან მაღალი ცხვირის უნაგირი. ქართული ჯგუფებიდან ნიშანთა ასეთი კომპლექსი ახასიათებთ ფშაველებს, თუშებს, მოხევეებს, ხევსურებს, მთიულებს, გუდამაყრელებს, მთის რაჭველებს, სვანებს, თიანეთის რაიონის კახელებს. აღწერილი ტიპი ძირითადად გავრცელებულია მაღალმთიან რეგიონებსა და კავკასიონის ქედზე მცხოვრებ მოსახლეობაში, ამიტომაც მას კავკასიონის ტიპი უწოდეს. მასში, გარდა ქართველებისა, გაერთიანებულია დაღესტნის მაღალმთიანეთის მთელი რიგი ჯგუფი. კავკასიონის ტიპი მეტად თავი-

თებულო 3342
თოთი 3500
თრუსო 3150
ისართღელე 3461
კალოთანა (კალოთანისღელე) 2978
კიბიში (კიბე) 3400
კლუხორი 2781
კუშონი 2221
ლაბა 2575
ლაროვანი 3317
ლასხედარი 3500
ლატფარი 2830
ლაჰილი 4000
ლეშყური 3061
ლუხუნი 2675
მაგანა 2555
მამისონი (ჭანჭახი) 2820
მარუხი 2746
მესტია 3750
ნაკრა (დონღუზორუნი) 3203
ნაქერალა 1218
როკა 2995
საყორნე 2835
სახარისღელე 3691
საჯიხვისღელე 3725
ტვიბერი 3607
უთვირი 2714
უკანტბა 2334
უღვირი 1929
ქაჩუ 3552
ღები (ღებივცეკი) 3461
ყადორი 2363
ყელიდა 3036
შახვეტილა 1173
წანერი 3887
ჭაუხი 3338
ხელედი (ხელერდი) 2564
ხიდა 2633
ხიმსა 2467
ჯვარი (გუდაური) 2379

სებურია. მ. აბდუშელიშვილის აზრით (1957), მსგავსი ფორმები არ გეხვდება არამცთუ კავკასიის, არამედ უფრო ფართო არეალზეც კი. მისივე აზრით, ის ფაქტი, რომ მის შემადგენლობაში შედის სულ სხვადასხვა ეთნ. წარმომავლობის ჯგუფები, მეტყველებს იმაზე, რომ კავკასიონის ტიპის ჩამოყალიბება წინ უსწრებდა ამ ეთნ. ჯგუფების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ამ ვარიანტის არქაულობის მაჩვენებელია (1971). გ. დებეცმაც მას კავკასიურ ვარიანტთა შორის „ყველაზე უფრო კავკასიური'' უწოდა (1956).

ჰ. ა. ტ-ის გამოყოფისთანავე გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება მის გენეზისთან დაკავშირებით. გ. დებეცის აზრით (1956), კავკასიონის ტიპის მქონე მოსახლეობის უფრო ღია პიგმენტაცია და სახის სიგანე პარალელებს პოულობს კავკასიის ჩრდ-ით ბრინჯაოს ხანის პროტოევროპეოიდულ მოსახლეობაში. ნ. მიკლაშევსკაია თვლიდა, რომ კავკასიონის ტიპის გენეზისი დაკავშირებულია სარმატთა ბრაქიკრანულ ტომებთან, ხოლო ვ. ალექსეევის მიხედვით, ამ ტიპის წარმომავლობა იზოლაციისა და კონსერვაციის შედეგია. მისი აზრით, კავკასია არ შედიოდა გრაცილიზაციის მოქმედების არეალში და ამდენად კავკასიონის ტიპი ჩამოყალიბდა იმავე ტერიტორიაზე, რ-იც მას ამჟამადაც უკავია უძველესი მოსახლეობის ანთროპოლ. თავისებურებების შენარჩუნებით. იგი, შესაძლოა, აღმოცენებულია ნეოლითის ან ზემოპალეოლითის ევროპეოიდული რასის პალეოევროპეოიდული ტიპისაგან. მაღალმთიან რეგიონში მოსახლეობის იზოლაციამ ხელი შეუწყო ამ თავისებურებების კონსერვაციას. მოგვიანებით ვ. ალექსეევმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კავკასიის მოსახლეობის ტიპების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპეოიდულმა ტიპმა – მასიურმა და ფართოსახიანმა, რ-იც შეიცავდა პროტომორფული ნიშნების საგრძნობ რაოდენობას, და ვიწროსახიანმა, რ-იც მიეკუთვნებოდა სამხრეთევროპეოიდულ რასას. ეს მასიური და ფართოსახიანი მოსახლეობა ძირითადად კავკასიონის ქედზე იყო გავრცელებული და იზოლაციისა და კონსერვაციის პირობებში იგი დღემდე შემორჩა.

ქართველი ანთროპოლოგების აზრით, კავკასიონის ტიპის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ადგილ. ანთროპოლოგიურ ტიპებთან, რებმაც განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილება სამხრეთევროპეოიდული ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაციის შედეგად, რაც გაძლიერებული იყო მაღალმთიან გეოგრაფიულ გარემოში იზოლაციის ფაქტორით. კავკასიონის ტიპის გენეზისის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ტიპის ჩამოყალიბების დროის განსაზღვრას. სიონის კრანიოლოგიური სერიის შესწავლამ ნათლად აჩვენა, რომ კავკასიონის ტიპისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნის ჩამოყალიბება აღინიშნება ახ. წ. VII ს-იდან. ეპოქალური ტრანსფორმაციის პროცესი კავკასიის მთასა და ბარში იდენტურად მიმდინარეობდა ერთი განსხვავებით – მთაში დამატებითი ფაქტორი მოქმედებდა, რაც გეოგრ. გარემოსთან და გენეტიკურ-ავტომატურ პროცესებთანაა დაკავშირებული.

ლიტ.: აბდუშელიშვილი მ., ოსები (ანთროპოლოგიური ნარკვევი), «საქართვ. მეცნ. აკადემიის ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტის შრომები», ტ. 6, თბ., 1957; მისივე, კრანიოლოგიური სერია ხევსურეთიდან, «მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის», II, თბ., 1971; მისივე, Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964; Алексеев В. П., Антропологические данные к проблеме происхождения населения предгорий Кавказского хребта, «Труды Института этнографии», т.82 – Антропологический сборник, IV, М., 1963; მისივე, Происхождение народов Кавказа, М., 1974; Дебец Г.Ф., Антропологические исследования в Дагестане, «Труды Ин-та этнографии». Новая серия, т. 33, М., 1956; Джавахишвили Э. Н., Сионская краниологическая серия, წგ.: Абдушелишвили М. Г., Краниология древнего и современного населения Кавказа, Тб., 1966; Миклашевская Н. Н., Антропологический состав населения Дагестана в алано-хазарское время, «Краткие сообщения Ин-та этнографии АН СССР», 1960, т. 16; Натишвили А. Н., Абдушелишвили М. Г., Об антропологическом составе современного населения Грузии, Тезисы докладов XI научной сессии Отд. биол. и мед. наук, Тб., 1953. *ლ. ბითაძე.*



კავკასიური აპოლონი.

კავკასიონის მთავარი ქედი, კავკასიონის ოროგრაფიული ღერძი, ვრცელდება ტამანის ნახევარკუნძულიდან აფშერონის ნახევარკუნძულამდე. მთათა სისტემის ყველაზე ამაღლებული ნაწილია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, რ-იც ყოფს ჩრდ. კავკასიისა და სამხრ. კავკასიის მდინარეთა აუზებს. მდებარეობს მდ. ბელაიას (ყუბანის მარცხ. შენაკადი) სათავეებსა და ადაი-ხოხის მთათა ჯგუფს შორის.

ქედი აგებულია პალეოზოურ-პროტეროზოური კრისტალური ქანებით, სხვაგან – ძირითადად მეზოზოური თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. საქართვ. ტერიტორიაზე უმაღლესი მწვერვალია *შხარა* (5068 *მ*). მნიშვნელოვანი უელტეხილებია: *ჯვრის უღელტეხილი, მამისონის უღელტეხილი, ბეჩო, კლუხორის უღელტეხილი, მარუხის უღელტეხილი* და სხვ. დამახასიათებელია მთა-ტყის, სუბალპ., ალპ. და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტები. იხ. აგრეთვე *კავკასიონი.* *ლ. მარუაშვილი.*

კავკასიონის მთავარი ქედის ანტიკლინორიუმი, კავკასიონის ნაოჭა სისტემის ძველი სახელწოდება.

კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნაოჭა-შარიაჟული სისტემა, კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ნაწილის ძველი სახელწოდება.

კავკასიური აპოლონი (Parnassius apollo caucasicus), პეპელა აფროსნების (Papilionidae) ოჯახიდან. რელიქტური ფაუნის სიცოცხლისმოყვარული წარმომადგენელი. ფრთების შლილი 64–86 *მმ*-ია. საერთო ფონი რძისფერი თეთრია, გარეთა კიდეები ბოლოვდება გამჭვირვალე, ბრტყელი, რუხი არშიით. წინა ფრთებზე რამდენიმე შავი ლაქაა, უკანაზე კი – ორი ალისფერი შავარშიიანი თვალაკი; ფრთების ძირი და სხეული შავია. მთის ევროპულ-ციმბირულ-კავკასიური სახეობაა. საქართველოში გვხვდება ყველგან – მაღალმთიანეთში. ტიპური ბიოტოპია სუბალპური ტყე, მაღალბალახეული ან ალპური მდელოების მშრალი, ქვიანი ან კლდოვანი კალთები. წელიწადში იძლევა ერთ თაობას. დაფრინავს ღღისით, ივნის-აგვისტოში. კვერცხდება და მატლის კვება მიმდინარეობს კლდისდუმასა და კლდისვაშლაზე. იზამთრებს მატლის ფაზაში.

შემცირებადი სახეობაა. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''. *ე. დიდმანიძე.*

კავკასიური ბელადონა, შმაგა (Atropa caucasica), მცენარე ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა. შეუბუსავი, ლეგა ნაფიფქით დაფარული ღერო და დიდი, მოიისფრო-მოწითალო ყვავილები აქვს. გავრცელებულია კავკასიაში, აგრეთვე თურქეთისა და ირანის მომიჯნავე რაიონებში, საქართველოში – კოლხეთში, ქართლსა და შიდა კახეთში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყეში (განსაკუთრებით წიფლნარში), მეტ-ნაკლებად ჩრდილიან და ტენიან ადგილებში, ტყისპირებზე,

ველობებზე, ნაკაფებზე, ნახანძრალებზე და სხვ. სამკურნალო თვისებებით ბელადონას მსგავსია და სავსებით ცვლის მას (ალკალოიდები კ. ბ-ში კიდევ უფრო მეტია). ფოთოლს აგროვებენ მაისის ბოლოდან ივლისამდე (ჩვეულებრივ, ყვავილობის დაწყებისას). ფესურების შეგროვება სასურველია მაისში ან შემოდგომაზე. მოჰყავთ ღრმა, ფხვიერ, ტენიან და ნოყიერ ნიადაგზე (სასურველია კირიანი). ამრავლებენ თესლით, ფესურის ნაწილებით და კალმით. ნაყოფი შხამიანია.

მ. სახოკია.

კავკასიური ბზუალა (Carabus caucasicus, Adams, 1817), მწერი ხეშეშფრთიანების (Coleoptera) რიგის, ბზუალების (Carabidae) ოჯახისა. 35–55 *მმ* სიგრძის ხოჭოა, ზურგი ლურჯი-იისფერი აქვს, ზოგჯერ მომწვანო შეფერილობის, მუცელი შავი, ბზინვარე, გვერდები კი – ლურჯი. დაფარულია უხეშნაოჭიანი ან მსხვილი მარცვლოვანი სტრუქტურით. ბინადრობს ზ. დ. 1500–1800 *მ*. გავრცელებულია კავკასიის, ჩრდ.-აღმ. თურქეთის, ჩრდ. ირანის რეგიონებში. წარმოდგენილია ორი ქვესახეობით: უფრო მცირე ზომის კ. ბ. (32–44 *მმ*) – C. c. caucasicus, რ-იც ეტანება უმთავრესად ფართოფოთლოვან, იშვიათად – შერეულ ტყეებს, ასევე ბაღებსა და პარკებს, და უფრო მოზრდილი კ. ბ. (45–55 *მმ*) – C. c. colchicus, ეტანება კირქვიან და კლდოვან ადგილებს. ბზუალა აქტიური მტაცებელია, იკვებება მუცელფეხიანი მოლუსკებით, წვიმის ჭიებით, მწერების მატლებით, მუხლუხოებით. ხოჭო ეწევა ღამის ცხოვრებას, გამრავლების პერიოდში აქტიურია დღისითაც, განსაკუთრებით – გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. გვხვდება მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. იზამთრებენ ზრდასრული ხოჭოები, მატლები ვითარდებიან ზაფხულში. გადაშენების გზაზე მდგომი სახეობაა. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''. *ი. სხირტლაძე.*

კავკასიური გველგესლა (Vipera kaznakovi), შხამიანი გველების სახეობა გველგესლასებრთა ოჯახიდან. ბინადრობს მხოლოდ კავკასიაში, რუსეთსა და თურქეთში. საქართველოში გვხვდება აფხაზეთში, გურიაში, იმერეთსა და აჭარაში. სხეულის ზედა ნაწილი წითელი და ყვითელი ფერისაა, ხერხემალს კი გასდევს შავი ან მუქი რუხი განიერი ზოლი, რ-იც ზოგჯერ ზიგზაგის ფორმისაა. სახეობას ახასიათებს მელანიზმი, მაგრამ პირთან რჩება წითელი ან ყვითელი შეფერილობა. წიწილები მოწითალო-ყავისფრები არიან. ახასიათებს მალული ცხოვრების ნირი. წყვილდება მაისსა და ივნისში. ცოცხალმშობიარეა. შემოდგომაზე ბადებს 5–10 წიწილს. იკვებება მღრღნელებით, ხვლიკებით, წვრილი ფრინველებით, ახალგაზრდა გველები – მწერებით, კერძოდ, კალიებითა და ჭრიჭინებით. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''. *ა. ბუხნიკაშვილი.*

კავკასიური გოჭალა (Barbatula barbatula caucasicus, Berg, 1899), თევზი გოჭალების ოჯახიდან (Balitoridae Swainson, 1839), ულვაშა გოჭალების გვარიდან (Barbatula Linck, 1790). კავკასიის ენდემი. ლ. ბერგი და სხვა მეცნიერები მიაკუთვნებენ განსაკუთრებულ ქვესახეობას (1949). მაქსიმალური სიგრძე 9 *სმ*, მასა – 5 *გ*. მტკნარი წყლის თევზია. ბინადრობს ტბებსა და წყალსაცავებში, შლამიან და ქვა-ქვიშიან ადგილებში. მრავლდება ივნისიდან სექტემბრამდე, სქესობრივად მწიფდება 2–4 წლის ასაკში, მისი ნაყოფიერება აღწევს 2000–3000 ქვირითს. იკვებება წყალმცენარეებით, ბენთოსითა და პლანქტონით.

საქართველოში გვხვდება თითქმის ყველა წყალსაცავსა და მდინარეში.

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Берг Л., Данные по ихтиофауне Кавказа, т. 1, Тфл., 1899; Богуцкая Н., Насека А., Каталог бесчелюстных и рыб, М., 2004.

ნ. ნინუა.

კავკასიური ზერინთია (Allancastria caucasica, Lederer, 1864), პეპელა აფროსნების (Papilionidae) ოჯახიდან. მესამეული პერიოდის რელიქტი და იშვიათი სახეობა; კავკასიის ენდემი; გვარის ერთადერთი წარმომადგენელი კავკასიის ტერიტორიაზე. საქართველოში სახეობა პირველად მოპოვებული და აღწერილია მდ. რიონის ხეობიდან. კ. ზ-ის წინა ფრთების სიგრძე 28–30 *მმ*-ია, საერთო შეფერილობა – მკრთალი ყვითელი შავი ლაქებით. ფრთების კიდეებს გასდევს დაკბილული შავი არშია. უკანა ფრთის კიდე დაკბილულია. კიდესთან წითელი და ცისფერი ლაქებია განლაგებული. ფრთის ძირი და სხეული შემუქებულია. გავრცელების არეალი მოიცავს კავკასიას და იჭრება ჩრდ. და ჩრდ.-დას. თურქეთში. ნომინატური სახეობა ბინადრობს დას. საქართველოს კოლხურ ტყეში. კახეთის მშრალ, სუბტროპიკულ ტყეებში დაფრინავს სტაბილური ფორმა ssp. cachetica Schel (აღმ. საქართველო), ხოლო დიდი კავკასიონის დას. ნაწილში (აფხაზეთი, კრასნოდარის მხარე) – ქვესახეობა ssp. Tkatschukovi Schel. თუმცა ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ისინი მხოლოდ ვარიაციებს წარმოადგენენ.

ზერინთიას ტიპური ადგილსამყოფელია ბარისა და მთის კოლხური ტიპის ფართოფოთლოვანი ტყეები ზ. დ. 200–2400 *მ*-ზე. ახასიათებს წყვეტილი არეალი, რაც წარსულში სახეობის ფართო გავრცელებაზე მიუთითებს. ამჟამად მისი რიცხვნობა მცირდება, თუმცა ლოკალურ ადგილებში ზოგჯერ დიდი რაოდენობითაც გვხვდება.

კ. ზ. წელიწადში ერთ თაობას იძლევა. ბარში მარტ-მაისში ფრენს, მთებში კი – ივნის-ივლისში. იკვებება ყვავილებით, დენდროფილია. კვერცხდება და მატლის კვება მიმდინარეობს ძირმწარას გვარის სახეობებზე, მ. შ. ქართულ ძირმწარაზე (A. iberica). ჭუპრი იზამთრებს მსუბუქ პარკში.

ძირითადი მალიმიტებელი ფაქტორებია წყვეტილი არეალი და მონოფაგია. ამჟამად სახეობის ადგილსამყოფელი ანთროპოგენული ფაქტორების ძლიერ ზეგავლენას განიცდის ტიპური ბიოტოპების საკურორტო, სატურბაზო ზონებად ათვისების გამო.

1976 წლიდან შეტანილია საქართველოს ტერიტორიაზე დასაცავ მწერთა სიაში.

ლიტ.: დოდმანიძე ე., საქართველოს პეპლები. ენდემური, რელიქტური და იშვიათი სახეობები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2005; Батиашвили И. Д., Дидманидзе Э. А., Об охране насекомых, Ер., 1976; Заповедники Кавказа, წგ.: Заповедники СССР, М., 1990; Красная Книга СССР, т. 1, М., 1984; Некрутенко Ю. П., Дневные бабочки Кавказа, К., 1990. *ე. დიდმანიძე.*

კავკასიური თრია (Citellus musicus), მღრღნელი ციყვისებრთა ოჯახიდან. საქართველოში გავრცელებულია კავკასიონზე, თერგის სათავეებთან. სხეულის სიგრძე 20–38 *სმ* აღწევს, ხოლო კუდის სიგრძე სხეულის ზომის ნახევარია. დაფარულია მურა, ნაცრისფერი ბეწვით. უდაბნოს, ველისა და ტყე-ველის ბინადარია, გვხვდება მთის ლანდშაფტებშიც. აქტიურია მხოლოდ 80–100 დღე, დანარჩენ დროს ზამთრის ძილქუშში ატარებს. შობს 3–11 (საშუალოდ 6–8) ნაშიერს. იკვებება მცენარეებით. ერთი თრია წელიწადში 4,5 *კგ* მარცვლეულს ანადგურებს. გადა-


კავკასიური ბელადონა.


კავკასიური ბზუალა.


კავკასიური გველგესლა.


კავკასიური ზერინთია.

აქვს ინფექციური დაავადებები. მის ტყავს ბეწვეულის წარმოებაში იყენებენ.

კავკასიური ირემი, იხ. *კეთილშობილი ირემი.*

კავკასიური კამეჩი, ინდური, ანუ მდინარის შინაური კამეჩების ჯგუფის სარძეო-სახორცე მიმართულების ჯიში. გავრცელებულია საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში. კურო კამეჩის ცოცხალი მასაა 650–780 *კგ*, ფურკამეჩის – 400–550 *კგ*, ახალშობილი ზაქის – 28–32 *კგ*; წლიური ლაქტაციური მონაწველი – 1400–1600 *კგ*, უდიდესი – 3500 *კგ*-მდე. რძეში 8–9% ცხიმი და 4% ცილაა. კ. კ-ის რძისაგან ამზადებენ მაღალხარისხოვან



კავკასიური კამეჩი.

პროდუქტებს: კარაქს (100 *კგ* რძიდან ღებულობენ 7,1 *კგ*), ყველსა და მაწონს. ხორცი მუქი წითელია, ქონი კი – მკრთალი თეთრი ფერის. კ. კ. კარგად იმატებს როგორც საიალაღო, ისე ინტენს. სუქებისას (დღეღამური ნამატი 1,1 *კგ*). ნაკლავის გამოსავლიანობა – 45–52%, ტყავი სქელია (0,6–0,9 *მმ*) და მძიმე (25–50 *კგ*), მისი გამოსავალი 6,5–8,5%-ს შეადგენს, იყენებენ ფეხსაცმლის ლანჩად.

ლიტ.: გოგოლი გ., ხატიაშვილი გ., მაჭარაშვილი გ., ტაბატაძე ლ., მეკამეჩეობა, თბ., 2012.

გ. გოგოლი. ლ. სააკოვა.



კავკასიური მდინარის ღორჯო.

კავკასიური მდინარის ღორჯო (Neogobius Ponticola constructor, Nordmann, 1840 – Caucasian river goby), თევზი ღორჯოსებრთა ოჯახიდან. გავრცელებულია აზერბაიჯანისა და დაღესტნის წყლებში, კასპიის ზღვის სამხრ. სანაპიროს მდინარეებში, მდ. ყუბანსა და სხვ. საქართველოს მდინარეებში გვხვდება თითქმის ყველგან, ასევე გავრცელებულია ზოგიერთ ტბასა და წყალსაცავში. სიგრძე – 20 *სმ*, მასა – 35 *გ*. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 2–3 წლის ასაკში. ტოფობს მაის-ივნისში. ნაყოფიერება აღწევს 400–1000 ქვირითს. უმეტესად ბინადრობს ჩქარი დინების მდინარეებში, ირჩევს ქვაქვიშიან ბიოტოპებს. იკვებება წვრილი თევზებით, ბენთოსური ორგანიზმებით, ნაწილობრივ – წყალმცენარეებით. სამეურნეო მნიშვნელობა არ აქვს.



კავკასიური მოცვი.

საჭიროებს ზრუნვას. *ნ. ნინუა.*

კავკასიური მოცვი, მაღალი მოცვი (Vaccinium arctostaphylos), ბუჩქი ან ტანდაბალი (2–4 *მ*) ხე მანანისებრთა ოჯახისა. მოწითალო-თეთრი ზარისებრი ყვავილი აქვს. ნაყოფი შავი კენკრაა, საკვებად ვარგისია. ძირითადად გავრცელებულია კოლხეთში, ნაკლებად გვხვდება ჩრდ. კავკასიაში, ქართლში, შიგა კახეთში, თალიშსა და თურქეთში (მდ. ჭოროხის აუზი). იზრდება ქვეტყედ ზ. დ. 2200 *მ*-მდე, მეტწილად წიფლნარში, სოჭნარ-ნაძვნარში, ფიჭვნარსა და სუბალპურ არყნარში, იშვიათად – დეკიანში. ფოთოლი შეიცავს 13%-მდე ტანიდებს. იყენებენ ტყავის მოსათრიმლად, ჩაის ნაცვლად; ნაყოფისაგან ამზადებენ მურაბას; ახმობენ კერკად. კულტივირებულია ბოტან. ბაღებში. *მ. სახოკია.*

კავკასიური ნაგაზი, მეცხვარისა და სადარაჯო ძაღლის უძველესი ჯიში.

XIX ს. დასაწყისში ზოოლოგმა ვ. მიულერმა საქართველოს მთიანეთში აღწერა ქართველური ტომების მიერ გამოყვანილი ჯიში, რ-საც დასაბამიდან ნაგაზი ეწოდებოდა. მას რუსმა კინოლოგებმა ,,კავკაზსკაია ოვჩარკა'' დაარქვეს; 1990 ეს სახელწოდება საერთაშ. კინოლოგიურ ფედერაციაში (FCI) დამტკიცებული სტანდარტით დამკვიდრდა. ს.-ს. ორბელიანი ,,სიტყვის კონაში'' ძაღლს შემდეგნაირად განმარტავს: ,,ძაღლთა და მხეცთა მამალსა ხვადი და დედალსა ძუ და შვილთა მათთა ლეკვი ეწოდებიან; ...დიდსა ძაღლსა, მიდამოს მცველსა – თართი; ...სწრაფსა და გვარიანსა – მწევარი; მწევრისა და თართისაგან შობილსა – ნაგაზი...''.

ჯიშთა წარმოშობის ვერსიებიდან ერთ-ერთის თანახმად, იგი შეიქმნა ტიბეტური მასტიფისგან, რ-იც კავკასიის ტერიტორიაზე, კერძოდ საქართველოში, აბრეშუმის გზით შემოიყვანეს (ძვ. წ. I ს.). საქართველოში მოშენებული კ. ნ. – ქართული მეცხვარულა – ხალხური სელექციით მიღებული დამოუკიდებელი ჯიშია. ჩამოყალიბდა შიდაჯიშური ტიპები და ქვეტიპები, რ-ებიც გავრცელდა მთელ კავკასიაში. კინოლოგი ა. პ. მაზოვერი აღნიშნავდა: „საუკეთესო კავკასიური ნაგაზები გავრცელებულია საქართველოს რესპუბლიკაში''. ძაღლი გამოირჩევა მასიური ძვალეულითა და ზომებით. კონსტიტუციის ტიპი მაგარი



კავკასიური ნაგაზი.

ან უხეშია, თავი – სხეულის პროპორციული; შეფერვა – ნაირგვარი: ნაცრისფერი, თეთრი, მურა, შავი, ჩალისფერი, ჭრელი და სხვ. ერთ ფერში დასაშვებია შავი ნიღაბი, თეთრი ნიშნები მკერდზე, მუცელზე, თათებსა და კუდის ბოლოზე. აქვს გრძელი ბეწვი ნიდაოში (მინდაო) სიმაღლე (სანტიმეტრობით) ხვადისა არის არანაკლებ 68, ძუსი – 64, სიმაღლე, შესაბამისად, 72–75 და 66–69; ფორმატის ინდექსი ცვალებადობს 104 – 108-მდე. ქართულ კ. ნ-ში განარჩევენ გერგეთულ, ყაზბეგურ და ახალციხურ ტიპებს.

ლიტ.: აგლაძე დ., მასალები კავკასიური Canidae-ების შესახებ, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1931, ტ. 6; ბოლქვაძე პ., ქართული მეცხვარულას წარმოშობის საკითხები, თბ., 1948; Мазовер А. П., Племенное дело в служебном собаководстве, М., 1954; Фогл Б., Новая энциклопедия. Собаки, М., 2003.

ნ. მამუკელაშვილი.

კავკასიური რასა, ევროპეოიდული, ანუ ევრაზიული რასის სახელწოდება. ტერმინი შემოიღო გერმ. ანთროპოლოგმა ი. ფ. ბლუმენბახმა (1775). იგი თვლიდა, რომ მის მიერ შესწავლილ ამ რასის თავის ქალათა შორის ყველაზე სრულყოფილი ქართველის თავის ქალა იყო. ი. ბლუმენბახი ცდილობდა რასობრივი სისტემატიკა დაემყარებინა სხვადასხვა რასების თავის ქალას, ცალკეული ორგანოების დეტალური ანატომიური შესწავლის საფუძველზე, რისთვისაც თვითონ აგროვებდა თავის ქალებს, თმების ნიმუშებს. თავის ნაშრომში ,,წიგნი ადამიანის გვარის თანდაყოლილი ცვალებადობის (ვარიაციების) შესახებ'' (1776) გამოყო ხუთი რასა: კავკასიური, მონღოლური, ეთიოპური, ამერიკული და მალაიზიური. ამ კლიმატურ სქემაში კავკასიური შეესაბამებოდა ევროპულს, მონღოლური – აზიურს, ეთიოპური – აფრიკულს, ხოლო ამერიკული – ამერიკელ ადამიანს.

ი. ბლუმენბახი თვლიდა, რომ რასები წარმოიქმნენ კლიმატური

განსხვავების გამო. ყველაზე ახლო საწყის, უძველეს ტიპთან ევროპული მიაჩნდა. მისი აზრით, ევროპულისგან წარმოიქმნა მონღოლოიდური და ნეგროიდული ტიპი. საწყის რასად მან შავთმიანი, შავთვალება კავკასიელი მიიჩნია. თავისი გეოგრ. მდებარეობით კავკასია უფრო მეტად მიესადაგებოდა ადამიანის წარმოშობის ადგილს, რადგან იგი აერთიანებს სამ მატერიკს – ევროპას, აზიას, აფრიკას. ტრადიციულად, ადამიანის წარმოშობის ადგილი მთიან მწვერვალებს უკავშირდება.

ლიტ.: Blumenbach J. F., De generis varietate nativa liber, Göttingen, Vandenhoech, 1775. *ლ. ბითაძე.*

კავკასიური როჭო (Lyrurus mlokosiewiczi), ფრინველი როჭოსებრთა ოჯახისა. გავრცელებულია კავკასიონის მთავარ ქედსა და მცირე კავკასიონის ალპურ ველებზე ზ. დ. 1500–3000 *მ*-მდე. ზამთარში ტყეს აფარებს თავს. მამალი *ჰ. რ.* შავია, კიდურა საჭის ბუმბული ქვემოთ აქვს მოხრილი. დედალი ჭრელია. ბუდეს მიწაზე იკეთებს. დებს 2–10 კვერცხს. იკვებება თესლით, კენკრით, ხილით, ნორჩი ყლორტებითა და ფოთლებით, ჭიებით, ლოკოკინებით. *ჰ. რ.* ჩვენი ფაუნის გამორჩეული წარმომადგენელია. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში“. მალიმიტირებელი ფაქტორია მისი ადგილსამყოფელის შემცირება, გადაძოვა და ბრაკონიერობა.

მ. სახოკია.

კავკასიური რცხილა (Carpinus caucasica, Carpinus betulus), ხე არყისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 35 *მ* აღწევს. გლუვქერქიანია. გავრცელებულია მთელ კავკასიაში, ყირიმში, ჩრდ. ირანსა და მცირე აზიის ჩრდ. ნაწილში. საქართველოში იზრდება დაბლობებიდან მოკიდებული ზ. დ. 2000 *მ*-მდე ტყის სხვადასხვა ტიპის ნაადაგზე. ერთ-ერთი მთავარი ტყის ჯიშია; ქმნის როგორც წმინდა კორომებს (ძირითადად ზ. დ. 1000 *მ*-მდე), ისე შერეულ ტყეებს ფოთლოვან (წიფელი, მუხა, წაბლი) და წიწვოვან (ნაძვი, სოჭი) ჯიშებთან. ჩრდილის ამტანი, ყინვა- და ქარგამძლეა. მეზოფილურია, თუმცა მეტ-ნაკლებად ეგუება ჰაერის სიმშრალეს. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით. ძალზე მაგარი და გამძლე თეთრი მერქანი აქვს, რ-საც სადურგლო და სახარატო საქმეში იყენებენ. ფოთლები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. დეკორატიულია, კარგად იტანს



კავკასიური რცხილა.

კრეჭას. აშენებენ ცოცხალ ღობედ, ხეივნებად. *მ. სახოკია.*

კავკასიური სადაფა (Boloria caucasica, Staudinger, 1870), პეპელა სადაფების (Nymphalidae) ოჯახიდან. კავკასიაში გავრცელებულია ამ სახეობის მხოლოდ კავკასიური ფორმა, რ-იც მაღალი მთის ენდემია. წინა ფრთის სიგრძე 16–18 *მმ*. საერთო ფონი – მოწითალო-ჟანგისფერი, რ-იც უხვადაა მოხატული შავი კოპლებითა და ლაქებით. ფრთის ძირები ჩამუქებულია. ქვედა მხარე შედარებით ნათელია: წინა – მოყვითალო-ნარინჯისფერი, უკანას იისფერი ანარეკლი გადაჰკრავს და მასზე რამდენიმე სადაფისმაგვარი ლაქაა.

ნომინატიური სახეობა ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და აზიაში, დას. ჩინეთში ალთაის მხარემდე. ფრენს ტყის ნაპირებზე, მინდვრებში და მდინარეების ხეობებში. არ გვხვდება სტეპში.

ჰ. ს. გავრცელებულია ყველგან. ბინადრობს სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, თუმცა ზოგჯერ ქვევითაც ჩამოდის. საქართველოში გვხვდება კავკასიონის როგორც დიდ, ისე მცირე ქედებზე.

ჰ. ს. წელიწადში ერთ თაობას იძლევა. ფრენს დღისით, ივნის-აგვისტოში. მატლი ალპური იის (Viola) ფოთლებით იკვებება, იზამთრებს კვერცხის ფაზაში. ძირითადი მალიმიტირებელი ფაქტორია გადაჭარბებული ძოვება. შეიმჩნევა მისი პოპულაციების რიცხოვნობის შემცირება. საჭიროებს დაცვას.

ლიტ.: დიდმანიძე ე., საქართველოს პეპლები. ენდემური, რელიქტური და იშვიათი სახეობები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2005; Дидманидзе Э. А., Схиртладзе И. А., Нинуа Н. Ш. и др., О некоторых эндемичных, редких и исчезающих видах фауны Грузии: новые ориентиры к решению проблемы, Тб., 2002. *ე. დიდმანიძე.*

კავკასიური სალამანდრა (Mertensiella caucasica), წყალხმელეთა ცხოველი კუდიანი ამფიბიების რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 19 *სმ* აღწევს, აქედან ნახევარზე მეტი კუდია. ზურგზე ყვითელი, ნარინჯისფერი ან წითელი კოპლები აქვს. გავრცელებულია ბორჯომის ხეობაში, მესხეთის ქედზე, აჭარაში. ბინადრობს ზ. დ. 2800 *მ*-მდე. არ გვხვდება რეგიონებში, სადაც ნალექები წელიწადში 1000 *მმ*-ზე ნაკლებია. ცხოვრობს ტყის ზონის მდინარეებსა და ნაკადულებში. დღისით იმალება ქვების ქვეშ, ნიადაგის ნაპრალებში, ბუჩქნარის ფესვებს შორის. იკვებება მწერებით, მატლებით, პატარა-პატარა უხერხემლო ცხოველებით. გადაადგილებისას მთელი ტანით იკლაკნება. ივნისში დებს 90-მდე კვერცხს. როგორც იშვიათი სახეობა, შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში“. *ა. ბუხნიკაშვილი.*

„კავკასიური სახლი“, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი. შეიქმნა 1993 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, ყოფ. მხატვრული თარგმანისა და ლიტ. ურთიერთობათა მთ. სარედაქციო კოლეგიის ბაზაზე და არის მისი სამართალმემკვიდრე. ექვემდებარება საქართვ. კულტურის სამინისტროს (გამგეობის თავ-რე ნ. *გელაშვილი*). იგი ხელს უწყობს საქართვ. და კავკ. ხალხთა კულტ. მემკვიდრეობისა და ბუნების დაცვა-გადარჩენას, საქართველოსა და კავკასიაში მშვიდობის დაცვასა და დემოკრ. აღმშენებლობას, საზ-ბის ჰუმანიზაციას, ახალგაზრდობის განათლებას, ეკოლ. უსაფრთხოებას, კავკ. ხალხების ინტეგრაციას.

,,*ჰ. ს-ის*“ განყ-ბები: კავკასიური (ქართ., ადიღეური, აფხ., ყარაჩაი-ჩერქეზული, ჩაჩნურ-ინგუშური, დაღესტნური, ოსური, სომხ., აზერბ. და სხვ. სექციები); სლავური; ესპანურ-ამერიკული; აღმოსავლური; კულტურის, პოლიტიკისა და ეკოლოგიის; საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული; ფუნქციონირებს სმირნოვების საგვარეულო მუზეუმი – ა. ს. პუშკინის მემორიალი; ქართ. (კავკ.) რეწვის სახელოსნო (ხდება ნამუშევრების მუდმივი გამოფენა-გაყიდვა); გამომც. ,,*ჰ. ს-ის*“ ცენტრის მიერ დაარსებული საზ-ბები: ა. ს. პუშკინის საერთაშ. საზ-ბა, რაინერ მარია რილკეს საერთაშ. საზ-ბა; კავკ. ხალხთა გილდია; კავკ. ხალხთა სოლიდარობის ფონდი. ,,*ჰ. ს-ის*“ სამეცნ.-პოლიტ. საბჭო საჭიროების შემთხვევაში აფასებს კავკასიაში მიმდინარე პრო-



კავკასიური როჭო.



კავკასიური სადაფა.



კავკასიური სალამანდრა.

ცესებს და საჯაროდ აფიქსირებს თავის პოზიციას.

„პ. ს.“ 2 თვეში ერთხელ უშვებს ლიტ., რელიგ.-ფილოს. და საზ. ჟურნ. „აფრას“ (1999-იდან), აგრეთვე გამოსცემს წიგნებს, ჟურნალებს („კავკაზსკი აქცენტ“, „მრავალსახოვანი ქვეყანა“, „ჩვენი სოფელი“, „ალტერნატივა“, „პოლიტიკის დოკუმენტები“).

თ. ალიბეგაშვილი.

კავკასიური სოჭი, ნორდმანის სოჭი (Abies nordmanniana), მარადმწვანე წიწვოვანი ხე ფიჭვისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 50 *მ* აღწევს, დიამეტრი – 1,5 *მ*. შეკრულ ხეთადგომაში მისი პირამიდული ვარჯი დიდ სიმაღლეზე ტოტებისაგან გაწმენდილია, ეული ხე კი ძირიდანვე დატოტვილია. სიბერეში გადასულ ხეს ქერქი ღრმად და ტალღისებრად აქვს დაღარული. 2–3(4) *სმ* სიგრძისა და 2–2,5 (3) *მმ* სიგანის წიწვები ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან 2 თეთრი ზოლი გასდევს; წიწვები 9–12 წელს ცოცხლობს. ზედა ტოტებზე 12–20 *სმ* სიგრძის ბლაგვთავიანი გირჩები კელაპტრებივით აქვს აღმართული, მომწიფებისას ზედვე იშლება ქერქლებად და ხეზე დროებით მხოლოდ გირჩის ღერძი რჩება. გავრცელებულია კავკასიის დას. ნაწილში მთავარი კავკასიონის ჩრდ. და სამხრ. ფერდობებსა და სამხრ. მთიანეთის აჭარა-იმერეთის, აგრეთვე თრიალეთის ქედებზე. საქართველოში მისი გავრცელების უკიდურესი აღმ. საზღვარი გადის მდ. ალგეთზე, მანგლისთან. პ. ს. გვხვდება თურქეთში, პონტოს ქედის ფერდობებზე. იზრდება ზ. დ. 1200–1500 *მ*-იდან 2000–2300 *მ*-მდე. ადგილ-ადგილ ტყის მცენარეულობის გავრცელების სუბალპურ საზღვრამდეც ადის, მთავარი კავკასიონის ჩრდ. ფერდობებსა და ამიერკავკასიის დას. ნაწილში იგი დაბლა, ზ. დ. 600 *მ*-მდე ეშვება. ქმნის წმინდა კორომებს, ხშირად შერეულია ნაძვთან და წიფელთან. პ. ს. ჩრდილის ამტანი და სიცივეგამძლეა. მგრძობიარეა ზაფხულის მაღალი ტემპერატურისა და ჰაერის სიმშრალისადმი, სუსხის დროს კი აღმონაცენი უზიანდება. მეზოფილური ჯიშია, თუმცა ჭარბტენიან ნიადაგს გაურბის. კარგად ხარობს ნოყიერ ნიადაგზე. მცირედ დაქანებულ ფერდობებზე საკმაოდ ღრმა ფესვთა სისტემას ივითარებს. არის ქარგამძლეც. შედარებით რბილი და მტვრევადი მერქანი აქვს, მაგრამ მაინც ფართოდ იყენებენ მშენებლობაში, აგრეთვე ქაღალდის წარმოებაში. ცოცხლობს 600–700 წელს. თესლს იძლევა 30–40 წლისა (კორომში უფრო გვიან). ყვავილობს მაისში, თესლი ცვივა ოქტომბერ-ნოემბერში. დეკორატიულია, აშენებენ ბაღებსა და პარკებში.



კავკასიური სოჭი.

ვ. მირზაშვილი.

კავკასიური სურო (Hedera caucasigena, Pojark), მცოცავი ბუჩქი სუროს გვარისა. მოსაკიდი ფესვებით ხეებზე, კლდეებზე, ხისა და ქვის კედლებზეა აყოლილი. აქვს დანაკვთული სამკუთხა, კვერცხისებრი ფოთლები, რ-ის ზედა მხარეზე თეთრი ძარღვებია. მარადმწვანე მცენარეა. ახალგაზრდა ტოტები შებუსვილია, ხანდაზმული კი – შიშველი. საკმაოდ გრძელყუნწიანი ტყავისებრი ფოთლები ყლორტებზე მორიგეობითაა განწყობილი, მომწვანო-მოყვითალო ყვავილები აღმამდგომი მტევნის ცალკეულ ტოტებზე ქოლგებადაა შეკრებილი. მთელი ყვავილედი თეთრი ვარსკვლავისებრი ბეწვითაა მოფენილი. ყვავის გვიან ზაფხულზე (ხშირად სექტემბერში). 2–4 თესლიანი შავი ფერის მრგვალი კენკრა ნაყოფი გვიან შემოდგომით მწიფდება. მრავლდება თესლითა და კალმებით. მიწაზე მხოხავი ყლორტები ცალკეულ კვანძებში ფესვებს ივითარებს. ხეებსა და სხვა საყრდენ საგნებზე მცენარე დამატებითი ფესვებით საიმედოდ ემაგრება. ჩრდილის ამტანია, ამიტომ კარგად იზრდება ტყეებში როგორც საბურველქვეშ, მიწაზე გართხმული, ასევე ადვილად აღწევს ხეთა ვარჯებში. უპირატესად ტყის მცენარეა, მაგრამ ზოგან შიშველ კლდეებზედაცაა შეფენილი. ტენით უზრუნველყოფილ მდიდარ ნიადაგზე იზრდება ზ. დ. 1200 *მ*-მდე სიმაღლეზე. გავრცელებულია მთელ საქართველოში – იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, აჭარაში, ქართლსა და თრიალეთში, აგრეთვე კავკასიის, შუა ევროპის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, მცირე აზიისა და ირანის ტყეებში. თაფლოვანი მცენარეა. გამოიყენება მედიცინაში.



კავკასიური სურო.

კავკასიური ტყის კატა (Felis silvestris caucasicus), ტყის კატის (მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა) ქვესახეობა. გავრცელებულია კავკასიასა და თურქეთში. აქვს მოყავისფრო ბეწვი, მომრგვალებული თავი, მოკლე თათები და შედარებით მოკლე კუდი. მასა დაახლ. 4–11 *კგ* (მამალი კატა დედალზე ოდნავ მძიმეა), მამალი კატის სხეულის სიგრძეა 63–75 *სმ*, დედლის – 52–63 *სმ*. ეს ქვესახეობა ტყის კატებს შორის ყველაზე დიდი ზომისაა. პ. ტ. პ. ბინადრობს უპირატესად კავკასიაში,



კავკასიური ტყის კატა.

ზ. დ. 2500 *მ*-იდან 3000 *მ*-მდე სიმაღლეზე; სახლდება ტყის უღრან მონაკვეთებში (უპირატესად ფართოფოთლოვან ტყეებში) და ცხოვრობს მარტოხელა. მაკეობს 63 დღე, შობს 3–4 კნუტს. ძირითადად იკვებება მღრღნელებით, პატარა-პატარა ფრინველებით, მაგრამ შეუძლია თავს დაესხას უფრო დიდ ცხოველებს: კურდღელს, ირემს, შვლის ნუკრს, აგრეთვე ხოხობს. პ. ტ. პ. ზოგჯერ სახლდება ადამიანის საცხოვრებლის ახლოს და თავს ესხმის შინაურ ფრინველს.

კავკასიური ფარშავანგთვალა (Saturnia cephalariae, Christoph, 1886), პეპელა ფარშავანგთვალათა (Saturniidae; Attacidae) ოჯახიდან, სამხრ. კავკასიის მთის ტროპიკული წარმოშობის ენდემი. ფრენს ღამით; იშვიათი და ულამაზესი პეპელაა. საქართველო მისი გავრცელების ჩრდ. საზღვარია. სხეული მსხვილი და შებუსვილია. წინა ფრთის სიგრძე 38–40 *მმ*, ფრთების ძირითადი ფონი – მონაცრისფრო-



კავკასიური ფარშავანგთვალა.

მოყავისფრო. ფრთას გარეთა კიდეზე გასდევს დატალღურკიდიანი ფართო კრემისფერი არშია. ოთხივე ფრთის შუა ნაწილში ცულის ფორმის მონაცრისფრო-მოცისფრო ლაქაა – თითოეული შავრგოლიანი დიდი ,,თვალით''. მკერდი და მუცელი ნაცრისფერია, მუცლის თითოეულ სეგმენტზე ნათელი რკალებით.

სახეობის ტიპური ადგილსამყოფელია სამხრ. კავკასიის მთიანი სისტემა: ზანგეზურისა და დარალგეზის ქედები. საქართველოში გვხვდება მესხეთ-ჯავახეთის ზეგანზე (სოფ. ხანდო, აწყური), მთის სტეპებისა და კლდის ქსეროფიტულ ლანდშაფტში ზ. დ. 1600–1800 *მ*-იდან 2500 *მ*-მდე. მატლი იკვებება რთულყვავილოვანთა ფოთლებით.

ჰ. ფ-ს მალიმიტირებელი ფაქტორებია: ტროპიკული წარმოშობა, იზოლირებული და მცირერიცხოვანი პოპულაციები, ექსტრემალური ჰაბიტატი, საძოვრებზე გადაჭარბებული ძოვება შესაძლოა იქცეს სახეობის სრული განადგურების მიზეზად.

ჰ. ფ. გასულ საუკუნეებშიც იშვიათობას წარმოადგენდა. 1976-იდან შეტანილია საქართვ. ტერიტორიაზე დასაცავ მწერთა სიაში.

ლიტ.: დიდმანიძე ე., საქართველოს პეპლები. ენდემური, რელიქტური და იშვიათი სახეობები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2005; Дидманидзе Э. А., Чешуекрылые аридных ландшафтов Грузии (Lepidoptera, Heterocera), Тб., 1978; Мирзоян С. А., Батиашвили И. Д. и др., Редкие насекомые, М., 1982; Didmanidze E., Georgian Biodiversity Country Study Report, INCN, Tb., 1996. *ე. დიდმანიძე.*

კავკასიური ფილოსოფია, იხ. სტ. *ფილოსოფია.*

კავკასიური ფოცხვერი (Felis lynx orientalis Sat., 1905), მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი კატისებრთა (Felidae) ოჯახიდან. მისი სხეულის სიგრძეა 80–95 *სმ*, მასა 12–24 *კგ* (იშვიათად 32 *კგ*-მდე) აღწევს. *ჰ. ფ*-ის თავი დამრგვალებულია ლოყებზე არსებული ,,ბაკენბარდებით'', კუდი მოკლე აქვს, 30 *სმ*-მდე, შავი ბოლოთი, ზემოთ კი აქვს 2–3 ძნელად გასარჩევი რგოლი. მისი შეფერილობა წითური ან მოწაბლისფრო-წითურია, ნათელი ლაქებით, აქვს ასევე მომრგვალებული ლაქები (დიამეტრი 2 *სმ*-მდე) შავიდან შავ-მორუხო ფერამდე. ზურგზე ნიდაოდან ხერხემლის გასწვრივ გასდევს ორი, ზოგჯერ რამდენიმე მუქი წვრილი ზოლი. ნიკაპი, მკერდი, მუცელი და საზარდულის სფერო თეთრი აქვს. კიდურები კარგად განვითარებული, ტერფი – ფართო, კვალი – მრგვალი, ბრჭყალების გარეშე, ბრჭყალები – მსხვილი და მკვეთრად მოხრილი. ტყის ტიპური ცხოველია. კარგად დაძვრება ხესა და კლდეზე, ცურავს, ეგუება თოვლს. ბუჩქნარებში დიდხანს არ ჩერდება, უფრო უღრან ტყეებსა ან ტყის ზედა სარტყელში ბინადრობს. დღისით წევს კლდის



კავკასიური ფოცხვერი.

ნაპრალში, წაქცეული ხეების ქვეშ, ზოგჯერ ხშირტოტიან ხეს აფარებს თავს. საკვების სიუხვის შემთხვევაში ფოცხვერი ერთ ადგილას ბინადრობს, უკმარისობისას – გადაადგილდება. დღე-ღამეში მას შეუძლია გაიაროს 30 *კმ*-მდე. ძირითადად იკვებება კურდღლებით, ნადირობს როჭოს-მაგვარ ფრინველებზე, პატარა მღრღნელებზე, იშვიათად – მცირე ზომის ჩლიქოსნებზე (როგორიცაა შველი), ზოგჯერ თავს ესხმის შინაურ კატებს და ძაღლებს, აგრეთვე მელიებს, ენოტისებრ ძაღლებს და სხვ. ნადირობს შებინდებისას. მსხვერპლის დევნა შეუძლია არა უმეტეს 60–80 *მ* მანძილზე. *ჰ. ფ.* მძუნაობს თებერვალ-მარტში, მაკეობა გრძელდება 64–67 დღემდე. შობს 2–6 უსუსურ ნაშიერს, თვალები ეხილებათ 10–12 დღეში. ბოკვრების აღზრდაში ორივე მშობელი მონაწილეობს. ბოკვრები ნადირობენ მოზრდილებთან ერთად შემდეგი გამრავლების სეზონის დადგომამდე. მდედრები სქესობრივ სიმწიფეს აღწევენ 21, მამრები კი 33 თვის ასაკში. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 15–20 წელია.

სახეობის ბინადრობის არეალი მუდმივად მცირდება. საქართველოში უფრო ხშირად გვხვდება ბორჯომის, კინტრიშის, ბაწარის და ლაგოდეხის ნაკრძალებში, ზეკარში, აბასთუმნის ტყეებში, ალაზნის, ივრის, არაგვის, ქსნის, ლიახვის ხეობათა სათავეებში, გუმისთის, ბზიფისა და კოდორის ხეობებში. აქ, სავარაუდოდ, 750 *ჰ. ფ.* ბინადრობს.

ლიტ.: საქართველოს სსრ წითელი წიგნი, თბ., 1982.

კავკასიური ძაშაპი (Leuciscus cephalus orientalis, Nordmann, 1840 – squalius cephalus, Linnaeus, 1758), თევზი კობრისებრთა ოჯახიდან (Cyprinidae, Fleming, 1822), ქაშაპების გვარიდან (Squalius Bonaparte, 1837).

ჰ. ძ., როგორც დამოუკიდებელი სახეობა – Leuciscus orientalis (აფხაზეთის მდინარეებიდან) პირველად აღწერა ა. ნორდმანმა (1840), შემდეგ ფ. დე ფილიპიმ (1865) – Squalius turcicus (მდ. არაქისიდან). საქართვ. წყლებში გავრცელებული *ჰ. ძ.* როგორც Squalius turcicus Filipi, სხვა ავტორებსაც ჰყავთ აღწერილი, ლ. ბერგი კავკასიაში მოგზაურობის (1909–10) დროს დარწმუნდა, რომ ნორდმანისა და ფილიპის მიერ ერთი და იგივე სახეობა იქნა აღწერილი და მას ქვესახეობის სტატუსი – Leuciscus cephalus orientalis Nordmann-ი – მიაკუთვნა.

ჰ. ძ-ის სიგრძე 50 *სმ*-მდეა, მასა – 1,5 *კგ*-მდე. სქესობრივად მწიფდება 2–3 წლის ასაკიდან. მრავლდება მაისიდან აგვისტომდე. ნაყოფიერება აღწევს 15000–150000 ქვირითს. მტკნარი წყლის თევზია, ბინადრობს ქვაქვიშიან ადგილებში. იკვებება როგორც ცხოველური, ასევე მცენარეული საკვებით. საქართველოში გავრცელებულია მდინარეებში: მტკვარი, ხრამი, არაგვი, ალაზანი, იორი, ჭოროხი, კინტრიში, სუფსა, ნატანები, რიონი, ხობი, ენგური, კოდორი, ბზიფი; ტბებში: ჯანდარი, ფარავანი, საღამო, ბაზალეთი, პალიასტომი, ბებესირი; წყალსაცავებში: ხრამის, თბილისისა და სიონის; გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთის, ბალტიის, შავი, თეთრი, ბარენცისა და კასპიის ზღვის აუზებში. მცირე სამეურნ. მნიშვნელობა აქვს. ბუნების კონსერვაციის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიხედვით საჭიროებს ზრუნვას (LC).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს

თევზები, თბ., 2013; Элашидзе Р., Ихтиофауна рек и озер Грузии, Тб., 1983.

ნ. ნინუა.

კავკასიური ღორჯო (Knipowitschia caucasica, Berg, 1916), თევზი, ღორჯოსებრთა ოჯახისა (Gobiidae Fleming, 1822), მიეკუთვნება ჯუჯა ღორჯოსებრთა გვარს (Knipowitschia Iljin, 1927). მაქს. სიგრძე 5 *სმ*. ევრიჰალური სახეობაა; ბინადრობს მომლაშო წყლებში. გვხვდება მტკნარშიც. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 1 წლის ასაკიდან; მდედრი ზომით მამრზე დიდია. მრავლდება მარტიდან აგვისტომდე. ნაყოფიერება 220–500 ქვირითს აღწევს. იკვებება უხერხემლოებით, ძირითადად – კიბოსნაირებით; მტკნარ წყლებში – მწერების მატლებით. გავრცელებულია შავ, აზოვის, კასპიისა და ეგეოსის ზღვებში (შავ ზღვაში გვხვდება კავკასიის, რუმინეთის, ბულგარეთის სანაპიროებთან), ბოსფორის სრუტესა და მარმარილოს ზღვაში. ინტროდუცირებულია არალის ზღვაში. სამეურნ. მნიშვნელობა არა აქვს. ბუნების კონსერვაციის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიხედვით საჭიროებს ზრუნვას (LC).




კავკასიური ღორჯო.



კავკასიური ყვითელა.



კავკასიური შავტუხა.



კავკასიური შურთხი.

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. 4, თბ., 1973.

ნ. ნინუა.

კავკასიური ყვითელა (Colias caucasica, Staudinger, 1871), პეპელა თეთრულების (Pieridae) ოჯახიდან. კავკასიური წარმოშობის. იშვიათი და ნაკლებშესწავლილი ენდემია. წინა ფრთების სიგრძე 25–30 *მმ*-ია. გამოირჩევა სქესობრივი დიმორფიზმით. მამრის ფრთები მოწითალო-ნარინჯისფერია, გარეთა ბრტყელი არშიით. წინა ფრთების ცენტრ. უჯრედის ბოლოში შავი წერტილია, ხოლო უკანა ფრთების ცენტრში – მრგვალი ნარინჯისფერი ლაქა, ასეთივე ტყუპი ლაქაა უკანა ფრთების ქვედა მხრის შუაში. მამრს აქვს მოწითალო-ნარინჯისფერი, ხოლო მდედრს – მოთეთრო-ყვითელი გვერდითი ზოლი. სახეობის გავრცელების არეალია კავკასია. გვხვდება როგორც დიდი კავკასიონის აღმ. ნაწილში, ისე მცირე კავკასიონსა და ჯავახეთში, ქვემო ქართლის სამხრ. ნაწილში, მთიანეთში. ბინადრობს მთებისა და მთაგორიანი ადგილების ქსეროფიტულ მცენარეულ დაჯგუფებებში. დღის პეპელაა. წელიწადში ერთ თაობას იძლევა. ფრენს ივნის-ივლისში. იკვებება ყვავილებით. კვერცხდება და მატლის კვება მიმდინარეობს გლერძაზე (Astragalus marshallianus, A. caucasicus და სხვ.). მატლი მწვანეა. იზამთრებს ჭუპრი, რ-იც თხელი ძაფით ემაგრება გლერძის ტოტს.

სახეობა წარსულში არცთუ იშვიათი იყო. ბოლო წლებში მისმა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, რაც გამოიწვია ანთროპოგენულმა ფაქტორმა (ძოვება, გატყიანება, გზებისა და სხვადასხვა ობიექტის მშენებლობა და სხვ.), 1976-იდან შეტანილია საქართველოს ტერიტორიაზე დასაცავ მწერთა სიაში.

ე. დიდმანიძე.

კავკასიური შავტუხა (Erebia graucasica, Jachontov, 1909), პეპელა ხავერდულების (Satyridae) ოჯახიდან. იშვიათი სახეობაა. კავკასიაში წარმოდგენილია ორი ენდემური ქვესახეობით: ssp. savalanica de Les. და ssp. transcaucasica Wrn. წინა ფრთების სიგრძე 18–22 *მმ*. ზედა მხარე ხავერდოვანია, საერთო ფონი – მუქი ყავისფერი წითური ანარეკლით. ფრთების გასწვრივ მოყვითალო-მოჟანგისფრო ლაქაა გადაჭიმული. მის ზედა ნაწილში ერთმანეთში გარდამავალი ორი შავარშიიანი თეთრი თვალაკია. ქვედა ფრთებზე ასეთი ლაქა საერთოდ გამქრალია და მხოლოდ თვალაკების გარშემოა შემორჩენილი. სულ სამი-ოთხი ლაქაა. ქვედა მხარე იმეორებს ზედა მხრის მოხატულობას. სახეობის არეალია კავკასია, სამხრ. კავკასია. ორივე ქვესახეობა მაღალი მთის ენდემია: ნომინატიური სახეობა დიდი კავკასიონის მკვიდრია, ხოლო ssp. transcaucasica – მცირე კავკასიონისა და პონტოს მთების. ერთნაირ ეკოლ. პირობებში არსებობა და ტერიტორიის ასეთი განაწილება მათ ავტოქტონურ წარმოშობაზე მიგვანიშნებს. ბინადრობს სუბალპურ და ალპურ სარტყლებში ზ. დ. 1700 *მ*-იდან თოვლის ხაზამდე (ზ. დ. 3000 *მ*). ფრენს მდელოზე, ალპურ ხალებსა და ნაშალებზეც კი. ზოგიერთ ლოკალურ ადგილებში ხშირია. მაგ., კავკასიური ქვესახეობა საკმაოდ დიდი რაოდენობითაა დიდი კავკასიონის აღმ. ნაწილის სამხრ. ქედებზე (ქოჩალოს მთა, ლაგოდეხი), ხოლო ბორჯომის ხეობის მაღალმთიანეთში ფართოდაა გავრცელებული სამხრ. კავკასიური ქვესახეობა (ssp. transcaucasica). რაც შეეხება ssp. savalanica-ს, ის ბინადრობს ნახიჩევანის მთებში. დღის პეპელაა. წელიწადში ერთ თაობას იძლევა. ფრენს ივლისიდან აგვისტოს ჩათვლით. ზოგჯერ უფრო ადრიდანაც იწყებს ფრენას. კვერცხდება და მატლების გამოჩეკა მიმდინარეობს მარცვლოვნებზე (raminidae). იზამთრებს მატლი. ძირითადი მალიმიტირებელი ფაქტორებია მდელოების ათვისება, გადაჭარბებული ძოვება, ტურიზმი. 1976-იდან შეტანილია საქართვ. ტერიტორიაზე დასაცავი მწერების სიაში, ასევე ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''.

ლიტ.: დიდმანიძე ე., საქართველოს პეპლები. ენდემური, რელიქტური და იშვიათი სახეობები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2005; Дидманидзе Э. А., кр.: Некоторые группы животных аридных ландшафтов Закавказья.,Тб., 1979; Красная Книга СССР, т. 1, М., 1984; Мирзоян С. А., Батиашвили И. Д. и др., Редкие насекомые, М., 1982; Didmanidze E., Proceedings of the Institute of Zoology, v. 21, Тб., 2002.

ე. დიდმანიძე.

კავკასიური შურთხი (Tetraogallus caucasicus), ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძეა 50 *სმ*, მასა – 2 *კგ*. ფერად რუხია, აქვს შავი და წითური წვრილი ზოლები და კოპლები. გავრცელებულია კავკასიონის მთავარ ქედსა და მის განშტოებებზე ზ. დ. 1800–4000 *მ*-ზე. მობინადრეა. ბუდეს იკეთებს მიწაზე – ქვებში ან კლდეებშუა. დებს 8–10 მორუხო-მონაცრისფრო კვერცხს. კრუხობს 3 კვირას. იკვებება მცენარის თესლით, კვირტებით, ყლორტებით, კენკრით, ტუბერებით, აგრეთვე მწერებით. ზამთარში ხშირად იკვებება ჯიხვების საბალახოზე (ჯიხვი ფლოქვებით აფხვიერებს თოვლს და უადვილებს შურთხს საკვების მოპოვებას, შურთხი კი მათ საფრთხეს ატყობინებს).

რ. ჟორდანია.

კავკასიური ცაცხვი (Tilia caucasica, Rupr), ფოთოლმცვენი, 35 *მ*-მდე სიმაღლის ხე. ხის ვარჯის დიამეტრი აღწევს 2 *მ*, აქვს თხელი, მსკდომარე ქერქი. ფოთლები



კავკასიური ცაცხვი.

მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, დაკბილული, ზედა მხრიდან – მწვანე, შიშველი, ქვედა მხრიდან – ნაცარა, ხშირად შებუსული; ყვავილები არომატულია, მოყვითალო-თეთრი, შეკრებილია ფარისებრ ნახევარქოლგა ყვავილედში. გავრცელებულია კავკასიისა და ყირიმის ტყეებში, მცირე აზიის ჩრდ.-აღმ-ის მთიანეთში. ცოცხლობს 300 წლამდე. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში‘‘.

კავკასიური ციმორი (Gobio lepidolaemus caucasica, Kamensky, 1901), თევზი, მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae Fleming, 1822), ციმორების გვარს (Gobio Cuvier, 1816). მტკნარი წყლის ბინადარია. მისი მაქსიმალური სიგრძეა 12,5 *სმ*, მასა – 10–14 გ. ირჩევს ნელი დინების თხელწყლიან ადგილებს, მდინარის მცირე ტოტებს. მრავლდება მაისიდან სექტემბრამდე. ქვირითს ყრის სამჯერ. ნაყოფიერება 1000–12000 ქვირითია. იკვებება მცენარეული და ცხოველური საკვებით.

გვხვდება საქართველოს მდინარეებში (ჭოროხი, ნატანები, სუფსა, რიონი, ხობი, ჭურია, ენგური, კოდორი, ბზიფი); პალიასტომის ტბასა და მასში ჩამავალ მდინარეებში; შაორისა და ტყიბულის წყალსაცავებში; კავკასიის დას. ნაწილში – მდ. ჭოროხიდან მდ. ტუაფსემდე. კავკასიის ენდემია. სამეურნ. მნიშვნელობა არ აქვს. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშ. მიერ (IUCN) შეფასებული არ არის (NE).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013. *ნ. ნინუა.*

კავკასიური ფაბლა ჯიში, მსხვილი რქოსანი საქონლის (ძროხის) სარძეო-სახორცე მიმართულების ჯიში. გამოყვანილია საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში ადგილ. ძროხის შეჯვარებით შვიცურ და კოსტრომულ ჯიშებთან. ჯიში დამტკიცებულია 1960. კ. წ. ჯ-ს მაგარი კონსტიტუცია და მკვრივი ძვალეული აქვს, ფერად წაბლაა. ცოცხალი მასა: კურისი – 700–800 *კგ*, ფურისა – 400–450 *კგ*; წლიური ლაქტაციური მოწველი – 2500–3500 *კგ* (უდიდესი 8800 *კგ*), რძის ცხიმიანობა – 3,9% (უდიდესი 5%-მდე), ნაკლავის გამოსავალი – 50–55%.

კ. წ. ჯ. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. ის კარგად



კავკასიური ფაბლა.

ეგუება მაღალი მთის პირობებს. ჯიშის შემდგომი სრულყოფის სამუშაოები მიმდინარეობდა სახელმწ. ჯიშთსაშენში (დედოფლისწყაროს რ-ნი), დმანისის რ-ნის ბაშკიჩეთის სამომშენებლოში, ბორჯომის რ-ნის ციხისჯვრის სანაშენე მეურნეობასა და სხვა რ-ნების 30-მდე სანაშენე ფერმაში.

ამჟამად სანაშენეების ფუნქციონირების შეჩერების გამო ხალასჯიშიანი სულადობა მკვეთრად შემცირებულია. ძირითადად გვხვდება ახალქალაქის, ნინოწმინდისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში.

ნ. გოცირიძე. გ. გოგოლი.

კავკასიური ზაულა (Mustela lutreola turovi), ძუძუმწოვარი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 45 *სმ*, კუდის – 20 *სმ*. თითებს შორის აქვს უმნიშვნელო საცურაო აპკი. იკვებება პა-



კავკასიური ზაულა.

ტარ-პატარა მღრღნელებით, ნაირგვარი ფრინველით, ბაყაყებით, თევზებით. თავს აფარებს სოროს, რ-საც თვითონვე თხრის. ცხოვრობს წყალსატევების მიდამოებში. საქართველოში გავრცელებულია ბზიფისა და ფსოუს ხეობებში. უნიკალური და გადაშენების გზაზე მდგომი ქვესახეობაა, შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში‘‘. სარეწაო ღირებულება არ აქვს. *ა. ჯანაშვილი.*

კავკასიური ზმინდამახვიარა, შამილის ზმინდამახვიარა (Phassus schamyl, Chrystoph, 1888), პეპელა ზმინდამახვიარების (Hepialidae) ოჯახიდან. მესამეული პერიოდის რელიქტი და კავკასიის იშვიათი ენდემი. ოჯახი უძველესი წარმოშობისაა. პირველად აღმოჩენილია მდ. რიონის ხეობაში. მისი სხეული ვიწრო და მოგრძოა ლანცეტისებრი ფრთებით. წინა ფრთების სიგრძეა 33–50 *მმ*, ზოგჯერ მეტიც. საერთო ფონი ყავისფერია, ნახატი – რთული, დახვეწილი კონტურებით. ალაგ-ალაგ ვარდისფერ-იისფერი და ოქროსფერი ანარეკლი გასდევს. წინა ფრთის ზედა კუთხესთან და ფუძის არეში 2–3 (ზოგჯერ მეტი ან ნაკლები) ოქროსფერ-მოვერცხლისფრო ლაქა აქვს. უკანა ფრთების ფონი მურაა და გარეთა კიდისკენ თანდათან თივისფერ-მოვარდისფრო ფერში გადადის. პეპლის ფერი და მოხატულობა მდგრადი არ არის. მჯდომარე კ. წ. გამხმარ, დაგრეხილ ფოთოლს წააგავს.



კავკასიური ზმინდამახვიარა.

დღეისათვის სახეობის არეალი მოიცავს კავკასიის შავი ზღვისპირა ზოლს აჭარის ჭალებიდან ყუბანის მთისწინებამდე; სამხრ. მთიანეთში – ბორჯომის ხეობის ლოკალურ ადგილს, ბანისხევს.

პეპლის ტიპური ადგილსამყოფელია ტყის ზონის ბიოტოპები და გაკულტურულებული ლანდშაფტი. დამახასიათებელი ეკოლოგიური ნიშაა აფხაზეთის კოლხური ტიპის ტყე. ასეთ ტყეში ის ამჯობინებს ღელეების ჩრდილიან ნაპირებს, ტყის ველობებს და გაჩეხილ ადგილებს. ასეთ ბიოტოპებში მრავლდება როგორც მთისწინეთში, ისე მთაში ზ. დ. 1600 *მ*-მდე. არეალის დიდ ნაწილში იშვიათია, შედარებით ხშირია აგრობიოცენოზში. ფრენას იწყებს ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში; ზღვის დონის სიმაღლის მიხედვით ფრენის ვადებმა შეიძლება გადაინაცვლოს აგვისტო-სექტემბერშიც. ბინდის პეპელაა. მდედრი და მამრი ფრენენ შებინდებისას 10–15 *წთ*, შემდეგ კი სხდებიან ბუჩქებზე და ნაყოფიერდებიან. კოპულაციის დროს მამრი სხეულზე მჭიდროდ მიკრული ფრთებით თავდაყირაა დაკიდებული. განაყოფიერების შემდეგ მდედრი ნიადაგის ზედაპირის ახლოს ფრენს და მოფანტვით ყრის კვერცხებს ბუჩქებს შორის. მატლი ცხოვრობს და იკვებება ბუჩქების (მაყვალი, მურყანი, თხილი და სხვ.) ფესვებზე. უმეტესად აზიანებს ფესვის ყელს (აღნიშნულია ვაზის დაზია-



ალ. გ. კავსაძე.

ნებაც). ზამთრობს მატლი. ჭუპრი ვითარდება ნიადაგში, მიღისებურ მიწის პარკში, რ-შიც თავისუფლად მოძრაობს წინ და უკან.

ძირითადი მალიმიტირებელი ფაქტორებია: სახეობის ტიპური საბინადრო ბიოტოპების სას.-სამ. მიზნით ათვისება, ტყეების გაჩეხვა, გადახვნა და მათ ადგილზე სუბტროპ. კულტურების გაშენება; კურორტების მშენებლობა, გზების გაყვანა და სხვ.

1976 წლიდან სახეობა შეტანილია საქართვ. ტერიტორიაზე დასაცავ მწერთა სიაში. ამჟამად ტიპური ბიოტოპები დაცულია კინტრიშის, რიონის, ბზიფისა და ბორჯომის ხეობებში.

ე. დიდმანიძე.

კავკასიური წმინდამატყლიანი ცხვარი, სახორცე-სამატყლე მიმართულების ცხვრის ჯიში. გამოყვანილია 1921–26 წლებში სტავროპოლის მხარის იპატოვოს რ-ნის სამომშენებლო მეურნეობა „ბოლშევიკში“ ახალკავკასიური წმინდამატყლიანი ცხვრის შეჯვარებით ამერიკულ რამბულიესა და ასკანიურ ერკემალთან. ერკემლის მატყლის ნაპარსია 10–12 *კგ* (ყველაზე დიდი რაოდენობა – 25 *კგ*-მდე), ნერბისა – 5,8–6,5 *კგ* (ყველაზე დიდი რაოდენობა 13 *კგ*); მატყლის სიგრძე 7,5–8,5 *სმ* (64-ე



კავკასიური წმინდამატყლიანი ცხვარი.

ხარისხისა). წმინდა მატყლის გამოსავალი – 38–43%; ცოცხალი მასა ერკემლისა – 90–100 *კგ*, ნერბისა – 50–60 *კგ*. ნერბის ნაყოფიერება 150%-ს აღწევს. ერკემალს იყენებენ ზოგიერთი წმინდამატყლიანი და უხეშმატყლიანი ჯიშების გასაუმჯობესებლად. ჰ. წ. ც. მოშენებულია რფ-ის ზოგიერთ მხარესა და ოლქში, აგრეთვე ყაზახეთში, საქართველოსა და სომხეთში.



ა. კავსაძე.

კავკასიური ჯვრიანა (Pelodytes caucasicus), წყალხმელეთა ცხოველი უკუდო ამფიბიების რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 55 *მმ* აღწევს. წენგოსფერი, მუქკოპლებიანი ზურგი და მოთეთრო მუცელი



კავკასიური ჯვრიანა.

აქვს. გავრცელებულია კავკასიონის მთის ტყეებში, მცირე კავკასიონზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასავლეთით. იმ ადგილებში, სადაც ნალექები წელიწადში 1000 *მმ*-ზე ნაკლებია, არ გვხვდება. ზ. დ. 2300 *მ*-მდე აღწევს. იკვებება მწერებით, მათი მატლებით და პატარ-პატარა უხერხემლო ცხოველებით. ივნისიდან სექტემბრამდე ყრის ქვირითს ტბორებსა და მდორე მდინარეებში. თავკომბალა მხოლოდ მომდევნო წელს ამთავრებს მეტამორფოზს. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში“.

ა. ბუხნიკაშვილი.

კავკასიური ჯოჯო (Laudakia caucasica), ქვეწარმავალი ჯოჯოსებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 15 *სმ* აღწევს. მასა – 170 *გ*. იკვებება მწერებითა და ფეხსახსრიანებით, მცენარეული საკვებით. გვხვდება კლდოვან და ფლატოვან ლანდშაფტებში, იშვიათად – ქვებით მოფენილ ვაკე ადგილებში. იმალება ქვების ქვეშ, ნაპრალებსა და სოროებში. გვხვდება სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, თურქეთში და სხვ. ქვეყნებში, აგრეთვე საქართველოს აღმ. და სამხრ. ნაწილებში, ივრის ზეგანზე, ქართლში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მესხეთში.

ა. ბუხნიკაშვილი.

კავსაძე ალექსანდრე (სანდრო) გრიგოლის ძე (1874, სოფ. ხოვლე, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი,



კავკასიური ჯოჯო.

– 12. VI. 1939, თბილისი), მომღერალი, ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი (ტენორი), მგალობელი, ლოტბარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1930). სპეც. მუს. განათლება არ მიუღია. სიმღერა შეისწავლა მამისგან, გ. კავსაძისგან (იხ. სტ. *კავსაძეები*), რ-იც შესანიშნავი მომღერალი და მგალობელი იყო. სწავლობდა გორის სას. სასწავლებელში და იქვე მღეროდა ს. გოგლიჩიძის გუნდში. შემდეგ ამ გუნდის ლოტბარიც გახდა. 1894-იდან ასწავლიდა სიმღერას გორის დაწყებით სკოლაში, აქვე დააარსა მომღერალთა გუნდი (ამ გუნდში მღეროდა ვ. *სარაჯიშვილი*). 1896–1911 ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდს თბილისში. 1911 მომღერალთა გუნდები ჩამოყალიბდა ტყიბულსა და ჭიათურაში, სადაც 24 წელი მოღვაწეობდა. 1935 თბილისში დააარსა აღმ. საქართვ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლი (100-კაციანი), რ-იც წარმატებით გამოვიდა მოსკოვში (1937) ქართული ხელოვნების დეკადაზე. ჰ-მ დიდი როლი შეასრულა ქართ. ხალხ. სიმღერების მოძიებაში, დახვეწასა და პოპულარიზაციაში. მან მრავალი ლოტბარი აღზარდა. მისი მოწაფეები იყვნენ გ. და დ. კავსაძეები (ჰ-ის შვილები), მ. კავსაძე, ვ. ხატელიშვილი, ს. გველესიანი და სხვ. ჰ. ქართული ხალხ. სიმღერების, განსაკუთრებით კი *,,ურმულისა“* და *,,ოროველას“* უბადლო შემსრულებელი და აღიარებული დიდოსტატი იყო.

ლიტ.: ასიეშვილი ბ., კავსაძეები, თბ., 2007; გეგეჭკორი ვლ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, თბ., 1966.

ბ. ასიეშვილი.

კავსაძე ალექსანდრე ირაკლის ძე (დ. 5. V. 1944, ჭუთაისი), მილიციის გენერალ-მაიორი (1981). საქართვ. სსრ შს მინისტრის მოადგილე (1976–82). საქართვ. რესპ. პარლამენტის წევრი (1992). საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი (1992–93). საერთაშორისო ეროვნ. ურთიერთობათა და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავ-რე (1993–97). საქართველოს წარმომადგენელი საერთაშ. ორგანიზაციებში (1997–2004, ჟენევა). 2010 ილიას სახელით აღიკვეცა ბერად. არის სვეტიცხოვლის მამათა მონასტრის მღვდელმსახური, არქიმანდრიტი.

ლიტ.: დოლიძე ლ., გენერლები საქართველოდან, თბ., 2003.

ლ. დოლიძე.

კავსაძე ანზორ გრიგოლის (გიგუშას) ძე (7. VIII. 1930, ჭიათურა, – 17. XII. 2007, თბილისი), საგუნდო დირიჟორი, მომღერალი, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1970). 1956 დაამთავრა თბილ. სა-

ხელმწ. კონსერვატორია საგუნდო-სადირიჟორო განხრით (ხელმძღვ. გ. ხახანაშვილი). ასპირანტურაში (საოპერო-სიმფ. დირიჟორობა, ხელმძღვ. ო. დიმიტრიადი) სწავლის პარალელურად ეწეოდა სადირიჟორო მოღვაწეობას. 1951–54 იყო საქართვ. რადიოს კაპელის დირიჟორი და მომღერალი, 1954–58 – თბილ. კონსერვატორიის საოპერო სტუდიის გუნდის დირიჟორი, 1955–2007 – იქვე საგუნდო-სადირიჟორო კათედრის პედაგოგი, 1957–66 – საქართვ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. დამს. ანსამბლის მთ. დირიჟორი, 1968–75 – ამავე ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი. ამ პერიოდში ანსამბლმა განსაკუთრებულ მაღალმხატვრულ საშემსრულებლო დონეს მიაღწია, წარმატებით გამართა გასტროლები საზღვარგარეთ (მ. შ. აშშ-სა და კანადაში). ჰ-ის მოღვაწეობის დროს ამ ანსამბლში მღეროდნენ ხალხ. სიმღერის დიდოსტატები: ი. *მჭედლიშვილი*, ჰ. *გონაშვილი*, ჯ. ხვადაგიანი, ი. *ზაქაიძე*, რ. *საგინაშვილი* და სხვ. სწორედ ი. ზაქაიძისა და რ. საგინაშვილის ნამღერი ,,ჩაკრულოს'' კავსაძისეული ვარიანტი გაუშვეს კოსმოსში 1977.

გ. ტორაძე.

კავსაძე დავით (დათაშკა) ალექსანდრეს (სანდროს) ძე [10. VIII. 1907, ჭიათურა, – 1952, ჩრდ. ურალის ბანაკი (სვერდლოვის მხარე)], მომღერალი, ლოტბარი. კავსაძეების მუსიკალური ოჯახიდან გამოსულს, ბავშვობიდანვე იშვიათი მონაცემები დაჰყვა – ერთი მოსმენით შეეძლო საქართვ. სხვადასხვა კუთხის სიმღერების დამახსოვრება. 14 წლიდან ხელმძღვანელობდა ჭიათურის საშ. სკოლის გუნდს. 1926 დაინიშნა შორაპნის რკინიგზის სკოლის სიმღერის მასწავლებლად, 1927 – ქუთაისის ვაჭრობის მუშაკთა კლუბის გუნდის ლოტბარად. 1929–31 სწავლობდა თბილ. მე-2 სამუსიკო სასწავლებელში, შემდეგ კონსერვატორიაში – თავდაპირველად საკომპოზიტორო (თხზავდა სიმღერებს), შემდეგ კი საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე. იმავე პერიოდში ძმასთან, გიგუშასთან (გ. ა. კავსაძე) ერთად მღეროდა წამყვან ხმებს ტყიბულის მაღაროელთა გუნდში მამამისის, ა. გ. *კავსაძის* ხელმძღვანელობით, 1935-იდან კი – აღმ. საქართვ. სახელმწ.-ეთნოგრაფიულ გუნდში. მსმენელს ხიბლავდა ძმების მიერ შესრულებული ,,მეტივური'', ,,ზამთარი'', ,,მრავალჟამიერი'' და სხვ. 1937 მოსკოვში, ქართ. კულტურის დეკადაზე და სსრკ ქალაქებში გამართულ კონცერტებზე იყო სახელმწ. გუნდის ფაქტობრივი ხელმძღვანელი, 1939-იდან კი – ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის ერთ-ერთი ლოტბარი. 1941 გაიწვიეს ჯარში. ტყვედ ჩავარდნილმა საფრანგეთის ტყვეთა ბანაკში გუნდი ჩამოაყალიბა, რ-ის რეპერტუარი ჩაწერილია, მაგრამ დაკარგული. 1945 დაბრუნდა საქართველოში, თუმცა სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს და ციმბირში გადაასახლეს. გარდაიცვალა იქვე. საფლავი უცნობია.

ლიტ.: ასიეშვილი ბ., კავსაძეები, თბ., 2007; გეგეჭკორი ვლ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, თბ., 1966; დისკოგრ.: კავსაძეები. 1909–1937 წწ. ჩანაწერები, თბ., 2007.

ბ. ასიეშვილი.

კავსაძე ვლადიმერ (ლადო) ლონგინოზის ძე (7. I. 1886, სოფ. ხოვლე, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 30. XII. 1953, თბილისი), მომღერალი (ლირიკული ტენორი). საქართვ. სახ. არტისტი (1943). სიმღერას სწავლობდა თბილისში ე. ბორჯგისთან. ერთხანს მღეროდა ა. გ. *კავსაძის* გუნდში. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო მოსკოვში 1908. 1917-მდე მუშაობდა მოსკოვის, ორენბურგის, პეტერბურგის, სმოლენსკისა და სხვ. ქალაქების ოპერეტის თეატრებში. ჰ. თბილ. მუს. კომედიის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელიცაა. 1921-იდან მღეროდა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. წარმატებით შეასრულა პარტიები: აბესალომი (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი''), შოთა რუსთაველი (დ. არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე''), კოტე, საქო (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე''), ლენსკი (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი''), ალფრედი (ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'') და სხვ. ჰ-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის ხმა და მაღალი სასცენო კულტურა. განსაკუთრებული წარმატებით ასრულებდა კომიკურ როლებს. გადაღებულია კინოფილმებში: ,,ქარიშხლის წინ'' (ყარაჩოხელი გიჟუა, რეჟ. კ. მარჯანიშვილი; 1924); ,,ხანუმა'' (ლევან ფანტიაშვილი, რეჟ. ა. წუწუნავა; 1926) და სხვ.

ჰ. თავისი დროის თვალსაჩინო სპორტსმენიც იყო.

კავსაძე იმერ დავითის ძე (დ. 16. VI. 1937, თბილისი), ოპერის მომღერალი (ლირიკული ტენორი). საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1960 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პედ. ა. აგლაძე-ჩიჯავაძე, ვოკალი). კონსერვატორიაში სწავლის დროს მონაწილეობა მიიღო სტუდენტურ დადგმებში (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'', ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'', ს. რახმანინოვის ,,ალეკო''). 1960–64 იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1964–71 გორკის (ახლანდ. ნიჟნი-ნოვგოროდის), 1971–72 ტაჯიკეთის, 1972–75 პერმის ოპერისა და ბალეტის თეატრებში მოღვაწეობდა. 1975–77 მღეროდა ქუთაისის ოპერის თეატრში, 1977–91 კი კვლავ თბილისის საოპერო თეატრის სოლისტია.

ჰ-ის რეპერტუარი მრავალფეროვანია. შესრულებული აქვს ტენორის თითქმის ყველა მთავარი პარტია, რ-თაგანაც განსაკუთრებით გამოირჩევა მალხაზი, აბესალომი (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი''), კოტე (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე''), არზაყანი (ო. თაქთაქიშვილის ,,მთვარის მოტაცება''), ანჯელო (გ. ყანჩელის ,,და არს მუსიკა''), ლენსკი, ვოდემონი (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'', ,,იოლანტა''), ალფრედი, მანრიკო, კასიო (ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'', ,,ტრუბადური'', ,,ოტელო''), ნადირი (ჟ. ბიზეს ,,მარგალიტის მაძიებელი''), არლეკინი (რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები''), ფაუსტი (შ. გუნოს ,,ფაუსტი''), ლოენგრინი (რ. ვაგნერის ,,ლოენგრინი'') და სხვ.

1991-იდან ჰ. მიიწვიეს პოლონეთში. შეასრულა მთავარი პარტიები ოპერებში: ჟ. ოფენბახის ,,ჰოფმანის



დ. კავსაძე.




ვ. კავსაძე.




ი. კავსაძე.



ი. კავსაძე. ჰერცოგი, ჯ. ვერდის ოპერა ,,ტრავიატა''.



კ. კავსაძე.



კ. კავსაძე. სიმონ ჩაჩავა, ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე''.



კ. კავსაძე. დონ კიხოტი, კადრი ფილმიდან ,,ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი''. 1989.

ზღაპრები'', ჟ. ბიზეს ,,კარმენი'', ჯ. ვერდის ,,ნაბუკო'' და ,,მაკბეთი'', გ. დონიცეტის ,,ლუჩია დი ლამერმური'', ვ. ა. მოცარტის ,,ჯადოსნური ფლეიტა'', ,,დონ-ჟუანი'' და სხვ.

2013 დაბრუნდა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. მოღვაწეობს როგორც ვოკალის პედაგოგ-კონსულტანტი, საოპერო დასის ადმინისტრაციის უფროსი.

არის ინტერნაციონალური პრემიის ოქროს მედლის ლაურეატი (რომი, 2003).

კავსაძე კახი დავითის ძე (დ. 5. VI. 1935, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1981). სსრკ სახელმწ. (1979), კ. მარჯანიშვილის (2009) და შოთა რუსთაველის სახ. (2010) პრემიების ლაურეატი. თბილისის საპატიო მოქალაქე (2014). შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტის დამთავრებიდან (1959) დღემდე რუსთაველის თეატრის მსახიობია. მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: ვაზუზი (დ. გაჩეჩილაძის ,,ბახტრიონი''), მარსელი (გ. მდივნის ,,ტერეზას დაბადების დღე''), ლევან დადიანი (მ. მრევლიშვილის ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი''), შუბოსანი ნიღაბი (გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა''), ნოე (რ. ნეშის ,,წვიმის გამყიდველი''), ჯიმი, სიმონ ჩაჩავა (ბ. ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა'', ,,კავკასიური ცარცის წრე''), გლეხი, ყმაწვილი, მოცინარი, მეფე (ს.-ს. ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა''), გურამი, დევდარიანი, ილიკო (ნ. დუმბაძის ,,მზიანი ღამე'', ,,საბრალდებო დასკვნა'', ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი''), ჩონთა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''), მარკიზი დორსინი (მ. ბულგაკოვის ,,ფარისეველთა შეთქმულება''), თავადი კოწია (შ. დადიანის ,,გუშინდელნი''), ლანცელოტი (ე. შვარცის ,,დრაკონი''), სოლეიმანი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), გენერალი ჰინდენბურგი, ჯექსონი (მ. კვესელავას ,,ას ერგასის დღე''), რასპუტინი (მ. ჯავახიშვილის ,,კვაჭი კვაჭანტირაძე''), ლომი, ფორტინბრასი, ლორდი ჰასტინგსი, აამორი (უ. შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'', ,,ჰამლეტი'', ,,რიჩარდ III'', ,,ტიტუს ანდრონიკუსი''), ქრისტეფორე (რ. ჰარვუდის ,,მოხუცი ჯამბაზები'') და სხვ. 2001 ვაშინგტონში, სინეტიკ თეატრში, ინგლისურ ენაზე განასახიერა მუსა (ვაჟა-ფშაველას ,,სტუმარ-მასპინძელი'').



კ. კავსაძე. აბდულა, კადრი ფილმიდან ,,უდაბნოს თეთრი მზე''.

კ-ის კინოდებიუტი შედგა ფილმში ,,ეთერის სიმღერა'' (რეჟ. ს. დოლიძე, 1956). წლების განმავლობაში ასრულებდა ეპიზოდურ როლებს. მის კინოკარიერაში გარდამტეხი აღმოჩნდა აბდულას როლი ფილმში ,,უდაბნოს თეთრი მზე'' (რეჟ. ვ. მოტილი, მოსფილმი, 1970). მონაწილეობს 80-მდე ფილმში, შექმნა განსხვავებული ხასიათის სახეები: ზაური (,,სამკაული სატრფოსათვის'', რეჟ. თ. აბულაძე, 1971), ინოჩენცი (,,ვერის უბნის მელოდიები'', რეჟ. გ. შენგელაია, 1973), სელიმი, (,,ერთი ნახვით შეყვარება'', რეჟ. რ. ესაძე, 1975), ელიბო (,,ღვინის ქურდები'', რეჟ. ვ. კვაჭაძე, 1975), საშიკო (,,აურზაური სალხინეთში'', რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1975), იორამი (,,ნატვრის ხე'', რეჟ. თ. აბულაძე, 1976), კოლა (,,სიყვარული ყველას უნდა'', რეჟ-ები: გ. შენგელაია, მ. ჭიაურელი უმც., 1980), სულხანი (,,ცხელი ზაფხულის სამი დღე'', რეჟ. მ. კოკოჩაშვილი, 1981), რიპაფრატა (,,მიიღეთ გამოწვევა, სენიორებო'', რეჟ. კ. სურმავა, 1982), მიხეილ კორიშელი (,,მონანიება'', რეჟ. თ. აბულაძე, 1984), დონ კიხოტი (,,ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი'', რეჟ. რ. ჩხეიძე, 1989), მაესტრო (,,ბესამე'', რეჟ. ნ. ახვლედიანი, 1989), ივანე მრისხანე (,,მეფე ივანე მრისხანე'', რეჟ. გ. ვასილიევი, 1991, რუსეთი), შეილოკი (,,შეილოკი'', რეჟ. ბ. ბლანკი, 1993, რუსეთი), ქეთოს ბაბუა (,,იავნანა'', რეჟ. ნ. ჯანელიძე, 1994), ელიზბარი (,,ორფეოსის სიკვდილი'', რეჟ. გ. შენგელაია, 1996), ბრიგადირი (,,სამოთხის გვრიტები'', რეჟ. გ. ჩოხელი, 1997), დონ კიხოტი (,,მიჯაჭვული რაინდები'', რეჟ. გ. ჩოხელი, 1999), მამა (,,შემთხვევითი პაემნები'', რეჟ. ლ. კოლუაშვილი, 2012) და სხვ. 2011 კ-ზე შეიქმნა ფილმი ,,ნეტავი იქ თეატრი არის?!'' (რეჟ. ნ. ჯანელიძე).

კ-ის მიერ განსახიერებულ ყოველ გმირს ემოციურად ტევადსა და ორიგინალურს ხდის მსახიობის ფართო იმპროვიზაციული შესაძლებლობა, მუსიკალობა, იუმორის გრძნობა, დახვეწილი პლასტიკა. თეატრსა და კინოში მაღალი პროფესიული კულტურით შესრულებული თითოეული როლი მაყურებლის განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებს.

ლიტ.: სახალხო არტისტი კახი კავსაძე (შემდგ.: დ. ღვთისიაშვილი, ხ. კიკვიძე), თბ., 2011. *მ. კერესელიძე. თ. კაბიანი.*

კავსაძე მიხეილ ლონგინოზის ძე (1880, სოფ. ხოვლე, ახლანდ. კას-



მ. კავსაძე.

პის მუნიციპალიტეტი, – 10. V. 1961, თბილისი), ლოტბარი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1930). სპეც. მუს. განათლება არ მიუღია. 1888–94 სწავლობდა გორის სას. სემინარიაში, 1895–99 – თბილ. ქართულ გიმნაზიაში. 1897 ი. ჭავჭავაძის რჩევით შეადგინა მომღერალთა გუნდი, რ-იც 1900–03 კონცერტებს მართავდა თბილ. უბნების მუშათა თეატრებში (ნაძალადევი, ავჭალის აუდიტორია, სახალხო სახლი, ავლაბარი). 1905 დააარსა მუშათა გუნდი, რ-იც ასრულებდა რევ. სიმღერებს (,,მარსელიეზა'', ,,ძმებო, დროშა გაიშალა!'', ,,ჩვენ ვართ მჭედელნი'' და სხვ.). ამავე წლებში მღეროდა თბილ. სახაზინო საოპერო თეატრის გუნდში. 1911 თვით ა. გ. *კავსაძემ* ანდო თავისი გუნდის ხელმძღვანელობა, მან მრავალი წარმატებული კონცერტი გამართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. 1923–26 პ. ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნ-ტის გუნდს. 1936 იყო გორის, 1938 – კასპის, 1940 – თბილ. ეთნოგრ. გუნდების ხელმძღვანელი. ამავე წელს კინოსტუდიასთან ჩამოაყალიბა გუნდი იმ მომღერალთაგან, რ-თაც 30 წლის წინ თვითონ ხელმძღვანელობდა. პ-მ ქართ. ხალხ. სიმღერას აზიარა თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, ხელოსნები, რკინიგზელები. ახალგაზრდობიდანვე აქვეყნებდა წერილებს ქართ. ჟურნალ-გაზეთებში მუსიკისა და მისი მესვეურების შესახებ. ჩაწერა, დაბეჭდა და გამოსცა 200-მდე ქართ. ხალხ. სიმღერა.

კავსაძეები, დიდი მუსიკალური ტრადიციების მქონე საგვარეულო, რომელმაც ქართულ მუსიკალურ კულტურას, თეატრს, ქორეოგრაფიას არაერთი სახელგანთქმული ხელოვანი აღუზარდა. საგვარეულოს სათავეში უდგას გრიგოლი.

გ რ ი გ ო ლ ი – XIX ს-ში კასპის რ-ნის სოფ. ხოვლეში მოღვაწე მღვდელი, მგალობელი და მომღერალი. იგი წერა-კითხვას, საღვთო წერილს, რუსულ ენას ასწავლიდა გლეხის შვილებს საკუთრ სახლში გახსნილ სკოლაში. გრიგოლის 7 შვილიდან ოჯახის მუს. ტრადიციები თავდაპირველად ძმებმა – ა. გ. კავსაძემ და ლონგინოზმა გააგრძელეს, შემდეგ კი მათმა შთამომავლებმა – გიგუშამ, დავითმა (დათაშკამ), ანდრომ, მიხეილმა, ნიკოლოზმა, ლადომ, ანზორმა, იმერმა და კახმ ისახელეს თავი.

ლ ო ნ გ ი ნ ო ზ გ რ ი გ ო ლ ი ს ძე – სიონის საკათედრო ტაძრის ღვთისმსახური, მამასთან და ძმებთან ერთად ქართლ-კახური სიმღერების უბადლო შემსრულებელი იყო. სწორედ ამ საოჯახო ანსამბლის მიერ ნამღერი ნიმუშები აქვს ნოტირებული ,,ქართული ხოროს'' ხელმძღვანელს – იოზეფ რატილს. გ ი გ უ შ ა ს ა ნ დ რ ო ს ძე, მეუღლესთან – ალექსანდრა ლეჟავასთან ერთად მღეროდა საოჯახო ანსამბლსა და ჭიათურის გუნდში. ა ნ დ რ ო ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი ს ძე კარგად ცეკვავდა და სახელმწ. ანსამბლების მოცეკვავეთა ჯგუფის წევრი იყო.

ნ ი კ ო ლ ო ზ (კოლა) ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ი ს ძე ძმის, მ. *კავსაძის* გუნდში ხშირად დამწყების პარტიებს ასრულებდა და ქართლსა და კახეთში გუნდებს დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა. იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო ბორჯომის კულტურის სახლის დირექტორი და მომღერალთა გუნდის ლოტბარი. 1948 ხელმძღვანელობდა ქარელის გუნდს, შემდეგ კი – თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. კულტურის სახლის ხანდაზმულთა ანსამბლს. დიდი ამაგი დასდო სახალხო თეატრებსაც.

ლიტ.: ა ს ი ე შ ვ ი ლ ი ბ., კავსაძეები, თბ., 2007; გ ე გ ე ჭ კ ო რ ი ვლ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, თბ., 1966; დისკოგრ.: კავსაძეები. 1909–1937 წწ. ჩანაწერები, თბ., 2007.

ბ. ასიეშვილი.

კავშირგაბმულობა, გზავნილებისა და შეტყობინებების მიღება-გადაცემა სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. პ. ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული დარგია. მისი ძირითადი ამოცანაა გადამცემი საშუალებებით დააკმაყოფილოს მოსახლეობის, კერძო და სახელმწ. სტრუქტურების მზარდი მოთხოვნები.

პ-ის განვითარების დასაწყისი ცივილიზაციის ადრინდელ პერიოდს მიეკუთვნება. ადამიანების შრომითი საქმიანობისა და ცხოვრების პირობების შეცვლა იწვევდა პ-ის საშუალებათა ცვლილებებს, მათ ტექ. სრულყოფას. ამასთან, პ-ის საშუალებათა გაუმჯობესება და მის საფუძველზე ადამიანთა ურთიერთობის განვი-



კავსაძეები.

თარება თავისთავად წარმოადგენდა სოც. პროგრესის ძლიერ ფაქტორს.

ჩვენს დროში პ-ის როლი განუზომლად გაიზარდა. მისი მრავალრიცხოვანი ტექ. აღჭურვილობა, ხაზები და არხები მოიცავს ყოველი განვითარებული ქვეყნის ტერიტორიას, საჰაერო სივრცეს, რებიც წარმოადგენს სახელმწიფოს თავისებურ ,,ნერვულ სისტემას''. მათ გარეშე შეუძლებელია მრავალფეროვანი ინფორმაციის განუწყვეტელი გადაცემა, რაც ესოდენ საჭიროა სახელმწიფოსა და თანამედროვე რთული სოც.-ეკონ., პოლიტ. პროცესების წარმართვისათვის, ადამიანთა საქმიანი და პირადი ურთიერთობების, სახელმწიფოთა თანამშრომლობის, პოლიტ. და ეკონ. კონტაქტებისა და სამეცნ.-კულტ. ფასეულობათა გაცვლისათვის.

დიდია პ-ის საშუალებათა როლი სხვადასხვა დარგის განვითარებაში, კერძოდ, სამრეწვ. წარმოების შეიარაღების საქმეში. თანამედროვე პ-ის საშუალებათა დახმარებით ხორციელდება წარმოების დისტანციური მეთვალყურეობა, ერთიანი ენერგოსისტემებისა და ავტომატიზებული საამქროების მართვა, ტექნოლ. პროცესების კონტროლი და სხვ.

ინფორმაციით გაჯერებულ თანამედროვე ეპოქაში პ-ის საშუალებათა განვითარების დონესა და ტემპზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის საზ. ცხოვრების ყველა სფეროს და თითოეული ადამიანის საქმიანობის წარმატება, მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში სახელმწიფოს ჩართულობა.

იხ. აგრეთვე სტ-ები: *ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტი, რადიომაუწყებლობა, სატელეგრაფო კავშირგაბმულობა, სატელეფონო კავშირგაბმულობა, საფოსტო კავშირგაბმულობა, სოციალური ქსელები, ტელევიზია, ციფრული კომუნიკაცია.* *მ. სულაბერიძე.*

კავშირი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შრომის თემში (კახეთის რეგიონი), ალაზნის ვაკეზე, მდ. შრომისხევის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ,* ლაგოდეხიდან 3 *კმ.* 433 მცხ. (2014).

კავშირის განძი, ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩნდა 1921 სოფ. კავშირში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი). ხვნის დროს ნაპოვნია 38 მონეტა (36 ც. არაბული, 2 ც. სასანური). 1924 მხოლოდ მათი ერთი ნაწილი აღმოჩნდა თსუ-ის ნუმიზმატიკის კაბინეტში. მოგვიანებით ისინი გადაეცა საქართვ. სახელმწ. მუზეუმს.

განძის შედგენილობა ასეთია: ა) სასანური – ხოსრო II-ის (590–628) დროინდელი მონეტები; ბ) თაბარისტანის აბასიანი მმართველის, ომარ იბნ ალ-ალას დროს მოჭრილი თაბარისტანის ერთი 120 წლის (ჰიჯრით 155=771/72) მონეტა; გ) ომაიანი ხალიფების – ვალიდ I-ის, სულეიმანის, ჰიშამის და იაზიდ III-ის – სახელით შემდეგ ზარაფხანებში მოჭრილი დირჰემები: ჰორმუზი, დარაბჯერდი, საბური, ანდალუსი, ვასიტი (708–743); დ) აბასიანი ხალიფების – მანსურის, მაჰდის, რაშიდის, ამინის და მამუნის – სახელით შემდეგ ზარაფხანებში მოჭრილი დირჰემები: ქუფა, ბასრა, ბაღდადი, აბასია, ჯეი, მუჰამადია, კასრ-ას სალამი, ჰარუნაბადი, იფრიკია, არმინია, ზერენჯი, ბალხი, ნისაბური (754–810). განძი ჩამარხული უნდა იყოს IX ს. მეორე ნახევარში.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ლომოური თ., სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი, კრ.: ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2005; ჯალაღანია ი., ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972; Джалаганиа И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–VIII вв., Тб.,1979; Пахомов Е. А., Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа, вып. 2, Баку, 1938.

კაზაკობა (თურქ. – კაზაკი – თავისუფალი ადამიანი), სამხედრო ფენა რევოლუციამდელ რუსეთში. ჩამოყალიბდა XIV–XVII სს-ში რუსეთის განაპირა ტერიტორიებზე მცხოვრები თავისუფალი მოსახლეობისაგან. XV–XVI სს-ში ფეოდ. ექსპლუატაციისა და ბატონყმობის გაძლიერებამ რუსეთისა და პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოებში გამოიწვია გლეხთა მასობრივი გაქცევა სამხრეთის აუთვისებელ მიწებზე – დონის, დნეპრის, ვოლგის, იაიკის აუზებში. მეზობელი ფეოდ. სახელმწიფოებისა და მომთაბარეების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ განაპირობა ამ თავისუფალი ხალხის გაერთიანება სამხ. ორგანიზაციებში – აღმოცენდა დონის, ვოლგის, დნეპრის (ჩერკასის), გრებენის და იაიკის კაზაკთა გასამხედროებული თემები. XVI ს. I ნახ-ში შეიქმნა ზაპოროჟიეს სეჩი, II ნახ-ში – ციმბირისა და თერგის თემები.

კაზაკები იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები (რუსები, უკრაინელები, ყალმუხები, ბურიატები, ბაშკირები, თათრები და სხვ.), თუმცა მათ აერთიანებდათ თავიანთი ხალხის დაცვისა და გადარჩენის საერთო ინტერესები. პ. სოციალური მდგომარეობის მიხედვით თავიდანვე არ იყო ერთგვაროვანი. შემდგომი დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა ღარიბ კაზაკთა დიდი ფენა, რ-იც აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ყმა გლეხების სოც. ბრძოლებში; კაზაკთა ზედაფენა (ე. წ. სტარშინები) კი მხარში ედგა რუსეთის თვითმპყრობელობას. XVIII ს. დასაწყისში კაზაკთა თემები გარდაიქმნა ირეგულარულ კაზაკთა ჯარებად. 1721 ისინი სამხ. უწყებას დაუმორჩილეს. 1920 სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით კაზაკთა დამოუკიდებელმა სამხ. ფენამ არსებობა შეწყვიტა.

XVI–XVII სს-ში პ-მ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. იტალ. მოგზაური პიეტრო დელა ვალე რომის პაპისადმი 1627 წარდგენილ მოხსენებით ბარათში წერდა დნეპრისპირელი კაზაკებისა და საქართველოს ზღვისპირა რ-ნების მოსახლეობის მოკავშირეობაზე თურქების წინააღმდეგ: ,,კაზაკები დღეს შავი ზღვის ბატონები არიან და ბევრად ძლიერნი... ქართველებს კი, თავის მხრივ, თავიანთი ნავსადგურებითა და უშიშარი თავშესაფარი ადგილებით, რომლებიც ზღვის ნაპირას აქვთ, შეუძლიათ დიდი დახმარება აღმოუჩინონ კაზაკებს მათ საქმეში. ქართველებს არაერთგზის გაუყვანიათ სამშვიდობოზე თურქთა მიერ რკალში მოქცეული კაზაკები, ხოლო ამ უკანასკნელთ, თავის მხრივ, მფარველობის ქვეშ ჰყოლიათ ზღვით მოსიარულე ქართველთა სავაჭრო ხომალდები''.

XVII ს. 40-იან წლებში სამეგრელოს სამთავროსა და დონისა და ზაპოროჟიელ კაზაკთა შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. 1650–51, რუსეთის ელჩის ა. იევლევის მონაცემებით, ლევან II-ს კაზაკები დაუჯილდოებია თურქეთის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის. შესაძლებელია კაზაკებსა და სამეგრელოს მთავრებს შორის თავისებური სამხ. კავშირიც არსებობდა. ამას ადასტურებს 1647 მეგრელთა მისვლა ერთ-ერთ ციხესიმაგრეში

ალყაშემორტყმული კაზაკების დასახმარებლად.

XVIII ს. გერმ. მოგზაური ი. *რაინეგსი* გვაწვდის ცნობას საქართველოში კაზაკების დასახლების შესახებ. ბამბაკის ქედის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ ,,ეს ქედები, ისევე როგორც მათი ნაყოფიერი ველები (ხეობები), დასახლებულია ხალხით, რომელიც თავს დონელი კაზაკებიდან წარმოშობილად თვლის...''

კაზაკები ხშირად ქართველთა ზღვისპირა ეკლესიებში ღმერთს სამადლობელს სწირავდნენ და დიდძალ ოქროსა და ვერცხლის ფულს ტოვებდნენ საჩუქრად. ერთი ამგვარი ფაქტის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის იტალ. მოგზაური *ლუკა ჯოვანი და*, რ-იც აღწერს ერთ ზღვისპირა ქართულ ეკლესიას: ,,ტრაპეზზედ იდგა ერთი თეფში სავსე ოქროსა და ვერცხლის ფულით... მღვდელს ვკითხე, ეს ფული ვის შეუწირავსმეთქი, იმანაც მიპასუხა, რომ კაზაკები, რომლებიც ნავებით... შავ ზღვაში შემოდიან ოსმალეთისა და თათრების დასარბევად, როდესაც მობრუნდებიან ნადავლით, ამ ეკლესიაში ლოცულობენ და სტოვებენ ფულს''.

გეორგიევსკის ტრაქტატის (1783) დადების შემდეგ კაზაკების რეგულარული პოლკები იმპერიის სამხრ. საზღვრების დასაცავად კავკასიაში გადმოიყვანეს. კაზაკების მყარად შემოსვლა საქართველოში განაპირობა საქართველოს მოქცევამ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. საიმპერიო კარი ყველა დიდ საომარ ოპერაციას კაზაკთა მეშვეობით ახორციელებდა. ისინი მონაწილეობდნენ ქართლის მთიანეთის (1804), იმერეთის აჯანყებების (1810) ჩახშობაში. კაზაკთა საგუშაგოები იყო მდ. ხობის მარცხ. ნაპირზე, მდ. ცივის, ალგეთის (მანგლისი) ხეობებში.

რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებისათვის ჰ. მთავარ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა. ასე მაგ., გერმ. მოგზაურის მ. *ვაგნერის* ცნობით ,,კათოლიკე მღვდლების საქართველოდან გაძევების დროს, გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, ისინი კაზაკთა თანხლებით საკმაოდ უხეშად (პირუტყვულად) მიათრიეს უახლოეს ნავსადგურთან და აქ ძალით არეკეს ტრაპეზუნდისკენ მიმავალ გემზე''. მ. ვაგნერი შეესწრო სამხედრო ტურნირს თბილისში, სადაც სხვებთან ერთად ,,დონელი ხაზის კაზაკები უჩვენებდნენ მხედრულ ხელოვნებას...'' უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ში სამხრ. კავკასიის რუსულ პროვინციებში ყველა თანამდებობა კაზაკებს ეკავათ. ისინი სამხ. სამსახურს აქ სამი წელი იხდიდნენ, რ-ის გავლის შემდეგ მათი ნაწილი მუდმივად რჩებოდა საქართველოში. ოჯახის შექმნის შემდეგ კაზაკები თანდათან ქართველდებოდნენ, ზოგიერთმა გვარიც შეიცვალა. ისინი ძირითადად სოფლის მეურნენი და ხელოსნები იყვნენ. XX ს-ში მხოლოდ გურიაში კაზაკთა 500 ოჯახი ცხოვრობდა. ისინი მონაწილეობდნენ საქართვ. სამხედრო გზის გაყვანაში, კურორტ ბორჯომის, ლიკანში მეფისნაცვლის სასახლის მშენებლობაში და სხვ.; 1918 აგვისტოში კაზაკები შედიოდნენ ქართ. ჯარის შემადგენლობაში, მათ გაანადგურეს თურქეთის დესანტი, რ-იც გადმოსვეს ოჩამჩირის რ-ნში. იმავე წელს კაზაკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რ-თაც დაკავებული ჰქონდათ გაგრა და გუდაუთა, მათ გენ. გ. მაზნიაშვილის რაზმთან ერთად განდევნეს ბოლშევიკები შავი ზღვის სანაპიროდან ტუაფსემდე.

XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პოლიტ. პროცესების ფონზე 1993 შეიქმნა საქართვ. კაზაკთა კავშირი (სკკ). ეს იდეა აღმოცენდა ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს. კავშირის შექმნის მიზანს შეადგენდა ქვეყნის ტერიტ. მთლიანობის აღდგენა და რუსეთ-საქართველოს შორის კულტ., ეკონ. და პოლიტ. კავშირების განმტკიცება. კავშირის უმაღლეს ატამანად აირჩიეს ვ. *კადენცი*. 1997 კაზაკთა 23 ატამანმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას ,,მშვიდობიანი კავკასიისათვის''. 2000 მოსკოვში, კაზაკთა III ყრილობაზე, ვ. კადენცმა მძაფრად გააკრიტიკა ის კაზაკები, რ-ებიც აფხაზ სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ. სკკ-ს წარმომადგენლობა ჰყავს სხვადასხვა ქვეყანაში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; სონღულაშვილი ა., ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, თბ., 2005; ცინცაძე ი., მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1966.

ლ. მანიავა.

კაზალიკაშვილი იაგორ ივანეს ძე (2.V.1882, სტეფანწმინდა, ახლანდ. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, – 15. IX. 1935, იქვე), ალპინისტი, ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მუშაობდა დევდარაკის სპილენძის მაღაროში. პარალელურად მონაწილეობდა ალპინისტურ ასვლებში. პირველად უცხოელებთან ერთად ავიდა მყინვარწვერზე (1907); იყო 1923 გ. *ნიკოლაძის* ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე მოწყობილი პირველი ქართ. ექსპედიციის გამყოლი, თეთნულდსა (1930) და უშბაზე (1934) მოწყობილი ასვლების მონაწილე, ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლ. სადგურის პირველი მოზამთრე (1934).

დალაშქრული აქვს კავკასიონის მწვერვალები: იალბუზი, მყინვარწვერი (25-ჯერ), თეთნულდი, უშბა, ადაი-ხოხი, ამანაუზი, ერწახვი, მარუხი და სხვ. გამოქვეყნებული აქვს ლექსები, მ. შ. ცნობილია ,,უშბაზე ასვლის ლექსი''. კ-ის ლექსები თარგმნილია რუს. ენაზე პოეტ ნ. ტიხონოვის მიერ.



ი. კაზალიკაშვილი.

იაგორ კაზალიკაშვილის სახელობის მთამსვლელობის მუზეუმი, გაიხსნა 1983 დაბა ყაზბეგში (ახლანდ. სტეფანწმინდა) მთამსვლელის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. იგი არის ა. ყაზბეგის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალი და განთავსებულია კ-ის სახლში. მუზეუმში გამოფენილია კ-ის მემორიალური ნივთები, წარმოდგენილია ფოტოგამოფენა, რ-იც ასახავს ალპინიზმის განვითარებას საქართველოში.

ლიტ.: კავკასიონზე. კრებული, შემდგ. დ. ფურცელაძე, რედ. ნ. კეცხოველი, თბ., 1959; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.

კ. ჯავრიშვილი. თ. ჭყონია.

კაზანოვი სარდიონ დავითის ძე (1. I. 1911, სოფ. სუქანაანთუბანი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 17. XII. 1994, ვლადიკავკაზი), საბჭოთა კავშირის გმირი (30.X. 1943), სერჟანტი. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იბრძოდა დას. ბრიანსკის და ცენტრ. ფრონტებზე. მდ. დნეპრის გადალახვის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.



ბ. კაზინეცი.

ლიტ.: Герои Советского Союза, т. 1, М., 1987.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

კაზინეცი ბორის მიხეილის ძე (დ. 16. X. 1930, მოსკოვი), რუსი მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1983). 1952 მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნების

ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ნოვოჩერკასკის დრამ. თეატრში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ნოვოჩერკასკის (1952–53), საბჭოთა არმიის (1954–55), როსტოვის კომედიის (1955–58) და მ. გორკის სახ. დრამატული (1958–60; 1971–74), პერმის დრამატული (1960–64), თბილისის გრიბოედოვის (1964–68), რიაზანის (1968–70), მინსკის მ. გორკის სახ. (1970–71) თეატრებში. 1974-იდან ჰ. თბილ. გრიბოედოვის სახ. დრამ. თეატრის მსახიობია. 1991-იდან ცხოვრობს აშშ-ში. 1992 ვაშინგტონის გარეუბანში დააფუძნა მოყვარულთა თეატრი, რ-საც მოგვიანებით ,,ბორის კაზინეცის თეატრი“ ეწოდა, ხოლო შემდეგ – ,,რუსული კლასიკის თეატრი‘‘.

ჰ-ს განსახიერებული აქვს 200-ზე მეტი როლი. თბილ. გრიბოედოვის სახ. თეატრის სცენაზე შექმნილი როლებიდან აღსანიშნავია: არისტახი, ჯადოქარი (ვ. შუკშინის „ენერგიული ადამიანები“, „თვალსაზრისი“), ქალაქკომის მდივანი (ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“), ზურაბ მოდრეკილაძე (ვ. იაქაშვილის „ჰორიზონტს იქით“), იოჰან ვილჰელმ მებიუსი (ფ. დიურენმატის „ფიზიკოსები“), შეფი (ა. კოტეტიშვილის „სამოთხის ვაშლები“), ბურგომისტრი (გ. გორინის „შემწვარი იხვის ფრენა“), ფილიპ ლუტიკოვი (ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“), იგორ გორჩაკოვი (ი. დვორეცკის „გაცილება“), პეტრე რიზაევი (ა. კაზანცევის „ძველი სახლი“) და სხვ. მსახიობი წარმატებით ასახიერებს დრამატულ, სახასიათო და კომედიურ როლებს, რაც მის ფართო სამსახიობო დიაპაზონზე მეტყველებს. მისი საშემსრულებლო კულტურა გამოირჩევა დახვეწილი გემოვნებით, მოქალაქეობრივი პოზიციების სიმკვეთრითა და მიზანდასახულობით.



ბ. კაზინეცი. აპოლოდორი, ბ. შოუს ,,კეისარი და კლეოპატრა‘‘.

კაზინო, იხ. *სათამაშო ბიზნესი.*

კაზლარი, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თულარის თემში (კახეთის რეგიონი), ივრის ზეგანზე, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 440 *მ,* საგარეჯოდან 40 *კმ,* ბადიაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ.* 1,3 ათ. მცხ. (2014).

კაზნაკოვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [26. I (7. II). 1871, ტვერის გუბერნია (რუსეთი), – 19. II. 1933, პარიზი], მოგზაური, ისტორიკოსი, ბუნებისმეტყველი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, ეთნოგრაფი; ტიბეტის მკვლევარი; კავკასიის მუზეუმისა და თბილ. საჯარო ბ-კის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (1903–19). დაამთავრა პაჟთა კორპუსი. მონაწილეობდა სხვადასხვა ექსპედიციაში. 1899 ცენტრ. აზიაში რუსეთის საიმპერატორო გეოგრ. საზ-ბის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში ყოფნისას დაინიშნა გენ. შტაბის გვარდიის კავალერიაში როტმისტრად. 1902 შტაბის უფროსის ბრძანებით მიავლინეს მთ. შტაბის სამხედრო-სასწ. კომიტეტის კანცელარიაში. 1903 წ. 4 სექტ. დაინიშნა კავკასიის მუზეუმის და თბილ. საჯარო ბ-კის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად, 1909 – კავკასიის მუზეუმის დირექტორად. მიიღო პოლკოვნიკის ჩინი.

ჰ-ის ინიციატივით დაინერგა მუზეუმში შემოსული ნივთების ზუსტი აღრიცხვა, შეიქმნა ბ-კის ფონდების საინვენტარო წიგნი. საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასთან ერთად ჰ. ზრუნავდა არქეოლ., ეთნოგრ., ისტ., ბოტან., ზოოლ. და გეოლ. კოლექციების შევსება-გამდიდრებაზე. მისი დამსახურებაა კავკასიის მუზეუმის გამდიდრება იმ ძვირფასი ნივთებით, რ-ებიც ცნობილია *ახალგორის განძის* სახელწოდებით.

ჰ-მა საჯარო ბ-კის კავკასიის მეცნ. კვლევისთვის საჭირო ლიტრით გამდიდრების მიზნით შეიძინა და ბ-კის ფონდს შემატა 1654 გამოცემული არქანჯელო ლამბერტის წიგნი ,,მოგზაურობა სამეგრელოში‘‘.

კავკასიის მუზეუმისა და თბილ. საჯარო ბ-კის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა ერთიანი წიგნადი კოლექცია (ზოოლოგია, ბოტანიკა, ეთნოგრაფია, გეოლოგია) და თბილ. საჯარო ბ-კაში დაარსდა ახალი განყ-ბა (XVII) – ,,მუზეუმის ბიბლიოთეკა‘‘.

ჰ. 1908–10 ევროპაში გაეცნო მუზეუმების შენობებსა და შიდამოწყობილობას. 1911 ჰ-ისა და მეფისნაცვალ ი. ვორონცოვ-დაშკოვის ინიციატივით იმპერიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კავკასიის მუზეუმის ახ. ნაგებობის მშენებლობის დაფინანსების შესახებ.

1914 წ. 31 აგვისტოს ჰ. სამხ. სამსახურში გაიწვიეს, კავკასიის მუზეუმის დირექტორის თანამდებობის შენარჩუნებით; გამგზავრების წინ მან მუზეუმის ბ-კას საჩუქრად გადასცა 303 დასახელების წიგნი; 1916 ვანის ვილაიეთიდან და ერზრუმიდან ჩამოიტანა 608, ხოლო მეჯიდ-უ-სულთნის ბ-კიდან – 415 წიგნი.

1917 ჰ. გადაიყვანეს სამხრ.-დას. ფრონტის შტაბის სამმართველოში; 1918 ავადმყოფობის გამო სამხ. სამსახურიდან გადადგა. 1919–21 ჰ. მუშაობდა ერმიტაჟში. სიცოცხლის ბოლო წლები ემიგრაციაში, პარიზში გაატარა, სადაც, როგორც მიმოწერიდან ჩანს, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ე. *თაყაიშვილთან.*

თ. ალიბეგაშვილი.

კაზრეთი, დაბა ბოლნისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), მდ. მაშავრის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ტერიტ. ორგანოს ცენტრი (დაბა ჰ., სოფ. ბალიჭი). ზ. დ. 700 *მ,* ბოლნისიდან 15 *კმ.* 4,3 ათ. მცხ. (2014). რკინიგზის სადგური (თბილისი–ერევნის სარკინიგზო ხაზს უკავშირდება მარნეულ–კაზრეთის განშტოებით).

ჰ-ში ფუნქციონირებს ოქროს მომპოვებელი საწარმო ,,*კვარცი-ტი*‘‘.

1970–76 ჰ-სა და მის მიდამოებში აღმოჩნდა (ხელმძღვ. მ. სინაურიძე) არქეოლ. ძეგლები: 1) ადრინდ. ბრინჯაოს ხანის სამოსახლოს ნაშთი და გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანის სამაროვნები (ძვ. წ. VII–VI სს.) რკინიგზის სადგურთან, ე. წ. ,,ველებზე‘‘. სამარხები ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი იყო. მიცვალებულები დასვენებული იყვნენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე ხელფეხმოკეცილნი. სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რკინის შუბისპირები, ისრისპირები და სატევრები, ბრინჯაოს ფიბულა და სამაჯურები, სხვადასხვა მასალის მძივები. 2) ანტ. ხანის (I–III სს.) ნამოსახლარი და სამაროვანი დაბაში. აღმოჩნდა ბრინჯაოს ენოხოია, რ-ზეც ამოკვეთილია მოცეკვავე ფიგურები; მინისა და თიხის ჭურჭელი. 3) ეკლესიის ნანგრევები და სამაროვანი ჰ-ის კარიერ ,,ბუჩურიანში‘‘. აღმოჩნდა VI–VII სს. ქვის სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტები. XI–XIII სს. პოლიქრომული ჭურჭლისა და ქართ. ასომთავრული წარწერებიანი კრამიტის ნატეხები. 4) მდ. კაზრეთის მარჯვ. ნაპირზე პატარა ეკლესიის გათხრების დროს იპოვეს V–VII სს. სტელები, ჯვრები და XVI–XVII სს. სამაროვანი. 5) წითელი ტუფის

ორფერდა სახურავით გადახურული ფეოდ. ხანის ქვიშაქვის სარკოფაგი სოფ. ბალიჭში (ხელმძღვ. – ვ. ჯაფარიძე). გულაღმა ჩასვენებულ მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა რკინისღეროიანი ოქროს საკინძი და ოქროს ბეჭედი. სარკოფაგის ჩრდ-ით აღმოჩნდა 11 ქვის სამარხი, მიცვალებულები დასვენებული იყვნენ გულაღმა, უინვენტაროდ. სარკოფაგის დას-ით ნაპოვნია მასიური კედლების ნანგრევები, V–VII სს. მოჩუქურთმებული ჯვრებისა და ადრინდ. ფეოდ. ხანის კერამიკის ნაშთები. სოფელში ზედაპირულად აიკრიფა XI–XIII სს. კერამიკა. სოფლის აღმ-ით, ,,სიპქვიებზე'', გამოვლინდა (ხელმძღვ. – მ. სინაურიძე) შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) სამარხები, რ-შიც აღმოჩნდა შავპრიალა კერამიკა. 6) ,,სამტრედოში'', ზურაბიშვილების სასახლის ნანგრევებთან, გამოვლინდა სამეურნეო სათავსები, კარის ეკლესია, აგრეთვე XVII ს. დასასრულისა და XVIII ს. დასაწყისის თიხის სადა და მოჭიქული ჭურჭელი, ქაშანურისა და მინის ნაკეთობანი, სამეურნეო იარაღი.

ჰ-ში მდებარეობს XIII ს. I მეოთხედის არქიტ. ძეგლი – სამონასტრო კომპლექსი, რ-ის ხუროთმოძღვრული დომინანტია სამების ერთნავიანი ეკლესია. გეგმით წაგრძელებული, სწორკუთხედის ფორმის მაღალი, უგუმბათო შენობა ნაგებია სუფთად დამუშავებული ქვით. შემკულია მდიდრული დეკორით. აღმ-ით ძალიან ღრმა აფსიდი აქვს, ჩრდ-ით და დას-ით – ორი პორტალებიანი შესასვლელი. ტრადიციულად შესასვლელს სამხრ-იდან აკეთებდნენ, მაგრამ აქ მთავარია ჩრდ. შესასვლელი, ვინაიდან ერთადერთი მისადგომი გზა ჩრდ.-დას-იდანაა. ძეგლის მეორე თავისებურებაა ის, რომ აფსიდს ჩრდ-იდან ორის ნაცვლად მხოლოდ ერთი სადგომი ეკვრის. აფსიდში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ფასადებს ამკობს სარკმლების დეკორ. ჩარჩოები, პორტალებს – რთულპროფილიანი ჩუქურთმები. ჰ-ის მიდამოებშია *სათხის* ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები).

ლიტ.: დოლიძე ვ. კაზრეთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, «ქართული ხელოვნება», 1987, №9; თაყაიშვილი ე., სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, «თსუ შრომები», 1951, ტ. 43; სინაურიძე მ., 1974–75 წწ. არახლო-კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, წგ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, [ტ.] 5, თბ., 1977; სინაურიძე მ., ბერიძე თ., კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, «ძეგლის მეგობარი», 1971, № 27–28; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013; ყაუხჩიშვილი თ., კაზრეთის ბერძნული წარწერა, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1967, ტ. 27B; ჯაფარიძე ვ., ჩვენი ისტორიის ერთი მემატიანე (კვლავ ბუჩურაშვილის ეკლესიის შესახებ), «ძეგლის მეგობარი», 1975, №39.

ვ. დოლიძე. მ. სინაურიძე.

კათალიკოსთა სამართალი, კანონები, რომლებიც შეადგინა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებამ XVI ს. შუა წლებში. შედგება 3 ნაწილისაგან: შესავალი, კანონთა მუხლები და კრების მონაწილე პირთა ხელრთვები; შეიცავს 23 მუხლს. ძეგლი სისხლის სამართ. სჯულდებას წარმოადგენს. დანაშაულთა სახეებიდან აღსანიშნავია მეფის ღალატი, მკვლელობა, კაცის გაყიდვა, ეკლესიის გატეხა, ქურდობა, რძლის შერთვა და სხვ. დაწესებულია მკაცრი სასჯელები: სიკვდილით დასჯა, ხელის მოკვეთა, გაძევება, შეჩვენება და სხვ. ჰ. ს-ის მთავარი წყაროა *დიდი სჯულისკანონი*; გათვალისწინებულია ქართ. საეკლ. სჯულმდებლობის ტრადიციებიც და პრაქტიკაც. ჰ. ს. შედგენილია დას. საქართველოსათვის, მაგრამ იგი მთელი საქართველოს საეკლ. წესწყობილების დამახასიათებელი ძეგლია. კანონთა შედგენაში მონაწილეობდა ,,ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მალაქია'', რის გამოც კანონთა მოქმედება ნებადართული იყო აღმ. საქართველოშიც.

პუბლ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963.

ლიტ.: ჩიგვაიძე დ., საეკლესიო სამართლის საკითხები, თბ., 2004.

ი. დოლიძე.

კათარსისი (ბერძნ. Katharsis – ამაღლება, განწმენდა), ესთეტიკური განცდის არსის აღმნიშვნელი ტერმინი ძვ. ბერძნულ ფილოსოფიასა და ესთეტიკაში; ტრაგედიაში – უმაღლესი ჰარმონიის განცდა. ის, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება არისტოტელეს ნაშრომ ,,პოეტიკას'' და მის ერთ-ერთ მთავარ ცნებას წარმოადგენს. ფილოსოფიური აზრით, ჰ. ნიშნავს სულის განწმენდას. არისტოტელესთან ტრაგედიას ადამიანის სულის განმწმენდი, გამაჯანსაღებელი ფუნქცია გააჩნია, რადგან ტრაგედიის შემქმნელი პოეტი ცდილობს, რომ ადამიანთა მანკიერებების გაღმოცემის გზით მაყურებელში აღძრას თანაგრძნობისა და შიშის განცდა. თუკი ეს მიზანი მიღწეულია, მაშინ საქმე გვაქვს ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის იდეალთან. ადამიანი საკუთარი თავის სრულყოფას ახერხებს ვნებებისგან გათავისუფლების გზითა და ზომიერების დაცვით. არისტოტელეს მიხედვით, ხელოვნებას, კერძოდ კი თეატრს, პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის სულზე. ამ საკითხში მისი პოზიცია განსხვავდება პლატონის პოზიციისგან – ტრაგედიის შემოქმედი ადამიანის სულში ქაოსის შეტანას კი არ ცდილობს, არამედ იგი სულის მკურნალია. მან კარგად იცის ადამიანის სულის თავისებურებანი და ისიც კარგად ესმის, თუ როგორ უნდა მოხდეს სულიერი აფექტების მართებული გზით მართვა და დაოკება. XIX ს. ბოლოს ჰ-ის ცნება დიდ როლს თამაშობდა ფსიქოანალიზში და ფსიქოთერაპიის ერთ-ერთ მეთოდადაც კი აღიარეს. კათარსისული მეთოდის მეშვეობით პაციენტს ეხმარებიან ცრუ შიშებისა და აკვიატებული აზრების დაძლევაში. თუმცა ზ. ფროიდი თანდათან დაშორდა კვლევის ამ ხერხს და უპირატესობა მიანიჭა ,,თავისუფალი ასოციაციის'' მეთოდს, რ-იც დღესაც განკურნების ძირითად საშუალებად ითვლება ფსიქოანალიზში.

საქართველოში ჰ-ის ცნებასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემათა სპექტრს იკვლევდნენ ს. *დანელია*, მ. *გოგიბერიძე*, გ. *თევზაძე* და სხვ. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. დანელიას თარგმანი არისტოტელეს ნაშრომისა ,,პოეტიკა'' და მისივე გამოკვლევა «არისტოტელეს ,,პოეტიკის'' შესავალი», სადაც ვრცელი მონაკვეთი ეთმობა ჰ-ის ცნების ანალიზს.

ლიტ.: არისტოტელე, პოეტიკა. წინასიტყვ., თარგმ. და კომენტარები ს. დანელიასი, თბ., 1944; გოგიბერიძე მ., ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1941; დანელია ს., არისტოტელეს ,,პოეტიკის'' შესავალი, მის წგ.: ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1978; თევზაძე გ., ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1995.

თ. ირემაძე.

,,კათარსისი'', სათნოების სახლი – საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი; დაარსდა 1990 წ. 31 მარტს თბილისში (დამაარსებელი – ზ.-ო. ალადაშვილი). ,,კ.'' წარმოადგენს კომპლექსური დახმარების ცენტრს, სადაც თავმოყრილია მოსახლეობისთვის აქტუალური, გადაუდებელი სოც. სამსახურები. ,,კ-ის'' ფილიალები არის

საქართვ. 6 ქალაქსა და რ-ნში, რ-ებიც ასრულებენ იმავე ხასიათის სამუშაოებს, რასაც ცენტრ. ორგანიზაცია. ,,კ-ში'' ფუნქციონირებს შემდეგი სამსახურები: სასადილო; სამედ. დაწესებულება (ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს სასადილოთი, აგრეთვე სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. სამედ. აღრიცხვაზე აყვანილთა რაოდენობა ათასს აჭარბებს); სარეაბილიტაციო დარბაზი ხანდაზმულებისთვის და რელაქსაციის ოთახი; კაფე „ჯული“ (აქ აღნიშნავენ დაბადების დღეებს, მართავენ შეხვედრებს), ბ-კა; ნოსტალგიის თეატრი (1993-იდან დღემდე დაიდგა 18-მდე სპექტაკლი და იუმორისტული სკეტჩი); ინტერნეტ-კაფე (ხანდაზმულები ეუფლებიან კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს), სამლოცველო (მოხატულია ხატმწერების – მ. ჩაკვეტაძისა და დ. ხიდაშელის მიერ); სილამაზის სალონი. ,,კ-ში'' სათნოების ძმები არიან სამხედროები, რ-ებიც სავალდებულო სამსახურს ალტერნატიული ფორმით იხდიან. გარდა ამისა, დამკვიდრებულია მოხალისეთა მხრიდან დახმარების გაწევაც. აქვს თავისი სასაფლაო მუხათგვერდის ტერიტორიაზე.

,,კ.'' ახორციელებს შემდეგ პროექტებს: „სადილი ყველას“ – მოქმედებს 2002-იდან და განკუთვნილია ყველა მსურველისათვის (მიუხედავად ასაკის და სოც. სტატუსისა); ,,საშობაო-სააღდგომო დახმარება'' – სოციალურად დაუცველ 181 ოჯახს წელიწადში ორჯერ მიეწოდება პროდუქტები; „მწოლიარეთა დახმარება“ – ყოველთვიური დახმარება პროდუქტებით სოციალურად დაუცველ იმ ოჯახებს, რებსაც პირველი ჯგუფის ინვალიდი ჰყავთ; „წლის ბებია და ბაბუა“ – საშობაო წარმოდგენა-კონკურსი იმართება 2005-იდან. ჟიური ავლენს ცეკვაში, სიმღერაში, ესტრადო ხელოვნებაში გამარჯვებულებს, რ-თაც გადაეცემათ სოლიდური ფულადი დახმარება და პრემიები; „ბერიკაცებო, დავრგოთ ნერგები“ – ამ ინიციატივის ფარგლებში თბილ. სხვადასხვა გარეუბანში ირგვება ხეები, კერძოდ, 2005 ,,კ-ის'' ხანდაზმულებმა დიდ დიღომში ქარსაცავი ზოლის შესაქმნელად 150 ძირი ცაცხვი დარგეს. 2013 წ. 15 დეკემბრიდან დღემდე ,,კ-მ'' დახმარება გაუწია მრავალ ადამიანს. პროექტი მიმდინარეობს საქართვ. მინისტრთა კაბინეტის ინიციატივით და ფინანსური უზრუნველყოფით.

თ. ალიბეგაშვილი.



,,კათარსისი''. სათნოების სახლი.

კათნატუ, სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ხანჩალის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ჯავახეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის სამხრ.-აღმ-ით. ზ. დ. 2020 *მ,* ნინოწმინდიდან 7*კმ.* 256 მცხ. (2014).

კათოლიკობა (ბერძნ. katholikos – მსოფლიო, საყოველთაო), ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა ქრისტიანობაში მართლმადიდებლობასთან და პროტესტანტიზმთან ერთად. ყველაზე მეტად გავრცელებულია იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, პოლონეთში, ავსტრიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ქრისტ. რელიგიასა და ეკლესიაში კ-ის ცალკე გამოყოფისა და კონფესიური თვითორგანიზაციის პროცესი III–V სს-ში დაიწყო. ამ გამოყოფის და, ზოგადად, საერთო ქრისტ. ეკლესიის დას. (რომაულ-კათოლიკური) და აღმ. (ბერძნულ-მართლმადიდებლური) ნაწილებად გათიშვის მთავარი მიზეზი იყო მეტოქეობა რომის პაპებსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებს შორის ქრისტ. სამყაროში პირველობისათვის. მაგრამ ორგანიზაციულ-იერარქიული ჰეგემონიზმის გარდა, განხეთქილების წანამძღვრები არსებობდა ღვთისმეტყველებისა და კულტმსახურების სფეროშიც.

ძირითადი განსხვავება, რამაც საბოლოო განხეთქილების თეოლოგიური საფუძვლები შექმნა, მდგომარეობს წმ. სამების დოგმატსა და ე. წ. ფილიოკვეს (ლათ. filioque – ძე, შვილი) საკითხში. კათოლიკურ მოძღვრებაში სულიწმინდის მოფენა ხდება არა მარტო მამა ღმერთისაგან, როგორც ეს მართლმადიდებლობის რწმენის სიმბოლოშია, არამედ ძე ღმერთისგანაც.

კ., მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, სამოთხისა და ჯოჯოხეთის გარდა, აღიარებს მესამე ინსტანციას – განსაწმენდელს (სალხინებელს); კათოლიკურ ეკლესიაში დადგენილია ცელიბატი – სამღვდელოების სავალდებულო უცოლობა (მართლმადიდებლობაში ეს ეხება მხოლოდ ბერმონაზვნებს) და სხვ.

756 ფრანკების მეფე პიპინ მოკლემ ცენტრ. იტალიაში (ლაციუმში, რომანიაში, მარკესა და უმბრიაში) არსებული ტერიტ.-სენიორალური წარმონაქმნები – რომის დუკატი, პენტაპოლისი და რავენის ეზარქატი – რომის პაპს გადასცა სამართავად. ასე შეიქმნა ვატიკანი – რომის პაპების თეოკრატიული სახელმწიფო.

პირველი სქიზმა ქრისტ. ეკლესიაში მოხდა 867 ახლო ხანებში, მაგრამ მალევე (IX–X სს. მიჯნაზე) აღმოიფხვრა. მეორე დიდი განხეთქილება, რ-საც უკვე საბოლოო გათიშვა მოჰყვა, მოხდა 1054 ივლისში (სხვა მოსაზრების თანახმად, ქრისტ. ეკლესიის გათიშვა დასრულდა 1204, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის ექსორიის შემდეგ).

კ-ის მოძღვრების თანახმად, რომის სამოციქულო ეკლესია დაარსებულია პეტრე მოციქულის მიერ და რომის პაპი წარმოადგენს მის მემკვიდრესა და ქრისტეს ჭეშმარიტ ნაცვალს დედამიწაზე. ამიტომ რომის პაპის ხელისუფლება მსოფლიო საეკლ. კრებების ხელისუფლებაზე მაღლა დგას. ეს დებულება 1869–70 ვატიკანის საეკლ. კრებაზე ოფიც. დოგმატად დაამტკიცეს. ამავე კრებაზე გამოცხადდა „რწმენის საკითხებში პაპის უცოდველობისა და შეუცდომლობის“ დოგმატი. ამ დოგმატიდან გამომდინარე, რომის პაპი ითვლება უმაღლეს მღვდელმსახურად, ყველა ქრისტიანის მწყემსად და მასწავლებლად, რწმენისა და მორალის საკითხებში დოქტრინების განმსაზღვრელად.

საქართველოს რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობა ჰქონდა VI ს-იდან, 1054 სქიზმის შემდეგ კი მეტი ინტენსიურობით გაგრძელდა სარწმუნოებრივი, პოლიტ.-დიპლომატიური და კულტ.-საგანმან. თვალსაზრისით. ამას განაპირობებდა ისტ. ფაქტორები. რომიდან, როგორც იმდროინდელი ევროპის პოლიტ. და ქრისტ. სამყაროს სას. ცენტრიდან,

საქართველო მოელოდა ქრისტიანთა ხსნასა და მფარველობას ისლამური იმპერიების პერმანენტული აგრესიისაგან. საქართვ. სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქართველ მეფე-მთავართა საუკუნეობრივი მისწრაფება იყო, დაკავშირებოდნენ რომის პაპებს და ვატიკანის მეშვეობით სამხედრო-პოლიტ. ურთიერთობა დაემყარებინათ ევროპულ სახელმწიფოებთან მაჰმადიანური აგრესიის შესაკავებლად.

XIII ს. 20–30-იან წლებში რუსუდან დედოფალი რომის პაპებს – ონორე III-სა და *გრიგოლ IX-ს* – სთხოვდა დახმარებას მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში და აღუთქვამდა საქართველოს ეკლესიის შეერთებას რომის კათოლიკურ ეკლესიასთან. მართალია, არც სამხ. დახმარება შედგა და არც უნიის საკითხი გადაწყვეტილა, მაგრამ აღნიშნულ დიპლომატიურ მიმოწერას მოჰყვა კათოლიკე მისიონერთა პირველი შემოსვლა საქართველოში. ესენი იყვნენ ფრანცისკელთა ორდენის წევრები – მინორიტები. მათ თბილისში მონასტერიც დააარსეს იაკობ როგსანელის წინამძღვრობით. XIII ს. 40-იან წლებში თბილისში მოღვაწეობა დაიწყეს და საკუთარი მონასტერი დააარსეს დომინიკელთა ორდენის მისიონერებმაც.

ქართ. ეკლესია, ბერძნულისაგან განსხვავებით, სქიზმის შემდეგ ორი საუკუნის განმავლობაში ექვს პატრიარქს ასახელებდა და, ამგვარად, საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის გარდა, დანარჩენ ხუთში რომის პაპსაც გულისხმობდა. 1318 ვატიკანმა თავისი დამოუკიდებელი საეკლ. ორგანიზაცია შექმნა მონღოლთა ილხანთა სახელმწიფოში (ჰულაგუს ულუსში), რ-შიც იურიდიულად საქართველოც შედიოდა. ამ ნაბიჯით, ქართ. ეკლესიის აზრით, რომის კათოლიკური ეკლესია საბოლოოდ გაემიჯნა მართლმადიდებელ სამყაროს და მანაც შეწყვიტა რომის პაპის პატრიარქად მოხსენიება. იმავე 1318, ჰულაგუს ულუსში შექმნილი „სულთანიეს საარქიეპისკოპოსოს“ კანონიკური იურისდიქციით, რომის პაპმა საქართვ. შავიზღვისპირეთში, ცხუმში დააარსა სებასტოპოლის საეპისკოპოსო კათედრა და კათოლიკე ეპისკოპოსად დანიშნა ფერნანდო მორე.

1321 პაპმა *იოანე XXII-მ* საგანგებო მიმართვა გამოუგზავნა *გიორგი V* ბრწყინვალეს. ამის გამო, სავარაუდოდ, საქართველოსა და ვატიკანს შორის დიპლომატიური ურთიერთობა აღდგა და რომის პაპმა თბილისში საეპისკოპოსო კათედრის გახსნის ნებართვა მიიღო. ცხადია, ამის მიზეზი საქართველოში კათოლიკური მრევლის რაოდენობის ზრდაც უნდა ყოფილიყო. 1328 იოანე XXII-მ, „ლათინთა ელემენტის შემცირების“ მიზეზით, გააუქმა სმირნის (ახლანდ. იზმირი, თურქეთი) კათედრა და 1329 წ. 6 თებერვლის ბულით დააარსა *თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო*.

მისიონერები, ღვთისმსახურების გარდა, ფლობდნენ სამკურნალო და სააფთიაქო სპეციალობებს, საერო დისციპლინებს (ისტორიას, ქიმიას, ფიზიკას, მხატვრულ ხელოვნებას), ქართულად თარგმნიდნენ სასწავლო წიგნებს, ეკლესიებთან ხსნიდნენ სკოლებს (თბილისი, გორი, ახალციხე), ქართულ საზ-ბას აცნობდნენ ევროპულ აზროვნებას და მეცნიერების მიღწევებს.

1438 წ. 8 თებერვლიდან 1439 წ. 6 ივლისამდე მიმდინარე *ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე* საქართველოს წარმომადგენლობა დიდი პატივით მიიღეს: მიტროპოლიტი გრიგოლი კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და ალექსანდრიის საპატრიარქოთა შემდეგ მეხუთე ადგილზე იჯდა, ხოლო საქართველოს ელჩი – საერო პირთა შორის საპატიო ადგილზე, ბიზანტიის იმპ. იოანე პალეოლოგის რიგში.

1453 წ. 29 მაისს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაკავებამ და ბიზანტიის იმპერიის დაცემამ დიდად შეაშფოთა ქრისტ. სამყარო. წარმოიშვა ანტიოსმალური კოალიციის მოწყობისა და თურქთაგან კონსტანტინოპოლის გათავისუფლების იდეა. რომის პაპმა კალიქსტ III-მ 1456 საქართველოში გამოავზავნა ელჩი (ნუნციის სტატუსით) ლუდოვიკო ბოლონიელი. 1458 ლუდოვიკო საქართველოს კვლავ ესტუმრა, ამჯერად ახალი პაპის – პიუს II-ის ჯვაროსნული ანტიოსმალური პროექტით. მაგრამ მალე დასავლეთმა უკან დაიხია (ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ოსმალების მიერ 1471 ტრაპიზონის აღებამ) და ეს გეგმაც ჩაიშალა.

XVI ს-ში საქართველოში ჰ-ის პოზიციები საგრძნობლად დასუსტდა. თურქების მიერ სრუტეების ჩაკეტვის გამო დომინიკელი და ფრანცისკელი მისიონერები საქართველოში შემოსვლას ვეღარ ახერხებდნენ. შემცირდა კათოლიკური მრევლი. XVI ს. 10-იან წლებში გაუქმდა თბილ. საეპისკოპოსო კათედრა.

საქართველოს ჰ-ის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება XVII ს. 10–20-იანი წლებიდან. ამ პერიოდში ქართლში, კახეთში, გურიასა და ოდიშის სამთავროში მოღვაწეობდნენ ავგუსტინელთა და იეზუიტთა შედარებით მცირერიცხოვანი მისიები.

1622 წ. 6 იანვარს რომის პაპმა გრიგოლ XV-მ ჩამოაყალიბა ვატიკანის წმინდა კონგრეგაცია – „დე პროპაგანდა ფიდე“. იმავე წლის 22 ივნისის ბულით განისაზღვრა კონგრეგაციის სტატუსი და ძირითადი მიზნები: ჰ-ის გავრცელება, კოლეჯებისა და სემინარიების მეშვეობით მისიონერთა მომზადება, სხვადასხვა ენაზე საღვთო წერილების თარგმნა და მრავალენოვანი სტამბის ორგანიზება. მათი მეშვეობით 1628 თბილისში დაარსდა პირველი ქართული სტამბა. 1629 გამოიცა პირველი ქართული წიგნი – ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

1626 მაისში „დე პროპაგანდა ფიდემ“ მიიღო დეკრეტი საქართველოში თეატინელთა ორდენის მისიონის დაარსების შესახებ (*იხ. თეატინელები*), რ-იც ქართლში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში უაღრესად ნაყოფიერად მოღვაწეობდა. მათ რიგებში იყვნენ მწერლები, ექიმები, ინჟინრები, მხატვრები. ისინი თავიანთ გახსნილ სკოლებში ქრისტ. მოძღვრებასთან ერთად ასწავლიდნენ ქართულ, იტალიურ, ლათინურ, ფრანგულ ენებს, ადგენდნენ ლექსიკონებს და გრამატიკულ სავარჯიშოებს, აგროვებდნენ ფოლკლორულ მასალას და სხვ. მათ მიერ შედგენილი წიგნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“, ქრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და ალბომი საქართველოზე“ და ჯუდიჩე მილანელის „რელაციები“.

1662–63-იდან საქართველოში მოქმედებდა კაპუცინთა ორდენის მისიები, რ-ებმაც ასევე ღრმა კვალი დატოვეს დიპლომატიურ, სარწმუნოებრივ და კულტ.-საგანმან. სარბიელზე.

XVII–XVIII სს. საქართველოს პოლიტ. ელიტა კვლავ მიუბრუნდა „კათოლიკური პოლიტიკის“

სამხ.-სტრატეგიულ დანიშნულებას. ქართვ. პოლიტიკოსები ცდილობდნენ რომის პაპის მეშვეობით ევროპის ქვეყნებთან (განსაკუთრებით საფრანგეთთან) მიეღწიათ სამხედრო-პოლიტ. კავშირისათვის ირანისა და ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია *თეიმურაზ I-ის* წარგზავნილის ნიკიფორე ირბახის (იხ. *ჩოლოყაშვილი* ნ.), *ვახტანგ VI-ის* ელჩის, ს.-ს. *ორბელიანისა* და *ერეკლე II-ის* კათოლიკე წარმომადგენლების მისიები.

ჰ-მ განსაკუთრებული როლი შეასრულა ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოში (ახალციხის საფაშოში). აქ საუკუნეების განმავლობაში გაწამებული ქართველების მიერ ქრისტ. სარწმუნოებისა და ეროვნ. მეობის შენარჩუნება მხოლოდ და მხოლოდ ჰ-ის მეშვეობით მოხერხდა. ეს პროცესი მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, სულთნის ცენტრ. მთავრობის და, მეორე მხრივ, სომეხ სას. პირთა წინააღმდეგობის ფონზე.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეტაპობრივმა ანექსიამ საგრძნობლად გააუარესა კათოლიკეთა მდგომარეობა. რუსეთი მხარს არ უჭერდა კათოლიკე მისიონერებს საკუთარ ქვეყანაში და, ბუნებრივია, არც საქართველოში შეეგუებოდა მათ საქმიანობას. 1804 აგვისტოში იმპ. *ალექსანდრე I-ის* ბრძანებით, საქართველოში მცხოვრები კათოლიკე მრევლი გადავიდა რუსეთის ლათინთა მიტროპოლიტისა და მოგილიოვის კონსისტორიის დაქვემდებარებაში. ანალოგიურ დაქვემდებარებაში გადავიდა 1828–29 რუს.-თურქეთის ომისა და ადრიანოპოლის ზავის შედეგად (იხ. სტ. *ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება 1829*) შემოერთებული სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური მრევლი.

1845 იანვარში იმპ. ნიკოლოზ I-ის დეკრეტით კაპუცინ პატრებს აეკრძალათ საქართველოში საქმიანობა, ასევე აიკრძალა ევროპიდან კათოლიკე მისიონერების შემოსვლა და მოღვაწეობა. 1859 მაისში პ. *ხარისჭირაშვილმა* ვატიკანიდან მიიღო ნებართვა და კონსტანტინოპოლში დააფუძნა ღვთისმშობლის მონასტერი. 1861 თებერვალში „პროპაგანდა ფიდემ“ ახალ ქართ. სავანეს იურიდიული სტატუსი მიანიჭა. ასე შეიქმნა ქართვ. კათოლიკეთა ძმობა-საზოგადოება (ე. წ. სტამბოლის კონგრეგაცია) თავისი სტამბით, სკოლითა და ქართულენოვანი ტიპიკონით. დამფუძნებელთან ერთად, კონგრეგაციის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ა. გოზალიშვილი, ა. წინამძღვრიშვილი [სტამბოლის კონგრეგაციის მიერ ქ. მონტობანში (საფრანგეთი) დაარსებული ახალი ძმობის წინამძღოლი], ა. ხითარიშვილი, ს. გიორგაძე, ი. გვარამაძე და სხვ. ამ სავანეში აღიზარდნენ ქართ. კულტურისა და მეცნიერების კორიფეები: მ. *თამარაშვილი*, მ. *თარხნიშვილი*, შ. *ვარდიძე* და სხვ.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1919 აგვისტოში აღადგინა ურთიერთობა ვატიკანთან. პაპმა ბენედიქტ XII-მ თბილისში გამოგზავნა ანტუან დელპუჩი. 1920 წ. 20 ოქტომბერს თბილისში აღდგა კათოლიკური საეპისკოპოსოც, თუმცა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად ურთიერთობები კვლავ შეწყდა. XX ს. 30-იან წლებში ბოლშევიკურმა რეჟიმმა დიდი დარტყმა მიაყენა როგორც მართლმადიდებელ, ისე კათოლიკურ ეკლესიას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991) შემდეგ დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და ვატიკანს შორის. 1993 თებერვალში თბილისში გაიხსნა ვატიკანის წმ. ტახტის სადესპანო, აღდგა კათოლიკეთა სამოციქულოც, საეპისკოპოსოც, ამოქმედდა ტაძრები და საკრებულოები თბილისში (ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, პეტრე და პავლე მოციქულთა ეკლესია), ქუთაისში, გორში, ბათუმში, ახალციხეში, ხონში და სხვ.

ამჟამად, საქართველოში, რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის მრევლის რაოდენობა დაახლ. 50 ათ. (აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მრევლი ემორჩილება „კავკასიის აპოსტოლურ ადმინისტრატურას“) შეადგენს. ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობს კარმილელთა ორდენი, სტიგმელთა კონგრეგაცია, დედა ტერეზა კალკუტელის მოწყალების ორდენი, საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასი“, იბეჭდება ყოველთვიური მაცნე „საბა“.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; ლ ო მ ს ა ძ ე შ., მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984; პ ა პ ა შ ვ ი ლ ი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI–XX სს., თბ., 1995.

დ. ჯოჯუა.

კათოლიკოსი (ბერძნ. katholikos – საყოველთაო, მსოფლიო), ზოგიერთი ქრისტიანული ავტოკეფალიური ეკლესიის მეთაურის უმაღლესი ტიტული, რ-საც ატარებდნენ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის გარეთ არსებული ეკლესიების (როგორც მართლმადიდებელი, ისე მონოფიზიტური და ნესტორიანული) საჭეთმპყრობლები. პირველ ჰ-ად იხსენიება ბაბილონის სელევკიის ეპისკოპოსი 310 (ოფიციალურად ჰ-ის წოდება დადგინდა 410). ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური ჰ-ად (466–474; ზოგიერთი ცნობით – 467-იდან) იწოდებოდა. XI ს-მდე იგი იხსენიებოდა როგორც ,,ქართლის (მცხეთის) კათალიკოსი‘‘. XI ს-იდან ქვეყნის მღვდელმთავარმა ,,საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის‘‘ ტიტული მიიღო.

დას. საქართველოში ცალკე საკათოლიკოსოს ჩამოყალიბების შემდეგ (VIII ს., ზოგიერთი ცნობით – X ს.) მისი მეთაური ,,აფხაზთა კათალიკოსად‘‘ იწოდებოდა, ხოლო XV ს-იდან – ,,აფხაზთა კათალიკოს-პატრიარქად‘‘.

რუსეთის მიერ აღმ. საქართველოს (1811) და დას. საქართველოს (1814) ეკლესიათა ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ჰ-ის ტიტული გაუქმდა. 1917 საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად ჰ-ის (კათოლიკოს-პატრიარქის) თანამდებობაც აღდგა.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; Ц ы п и н В., Церковное Право, М., 2009.

ზ. ეკალაძე.

კათოლიკოს-პატრიარძი, იხ. *კათოლიკოსი.*

კაიკაციშვილი (ნამდვ. გვარი – ქ ა თ ა მ ა ძ ე) გულახმედ (გულო) ხასანის ძე (1840–1923, სოფ. სამება, ქობულეთი), საზოგადო მოღვაწე. ჰ. იღვწოდა თურქეთის მფლობელობაში მოქცეული ქართ. მიწების შემოერთებისათვის, ზრუნავდა აჭარაში ეროვნ. თვითშეგნების ამაღლების, აჭარის სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებისა და მოსახლეობის კულტურული დაწინაურებისათვის. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. წერეთელთან, ს. მესხთან, გ. გურიელთან, პ. უმიკაშვილთან, დ. კლდიაშვილთან, ი. იმედაშვილთან, ჰ. აბაშიძესთან, ზ. ჭიჭინაძესთან, ე. თაყაიშვილთან,

დ. კარიჭაშვილთან, პ. მირიანაშვილთან და სხვ. სისტემატურად აქვეყნებდა კორესპონდენციებს ქართ. პრესაში (,,დროება'', ,,ივერია''), სადაც იმდროინდელი აჭარის საჭირბოროტო საკითხებს განიხილავდა. ეწეოდა ქართ. ენის დაცვისა და განმათ. იდეების პროპაგანდას ქობულეთის მხარეში. 1877–78 რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს იბრძოდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. თურქთა დამარცხების შემდეგ ქობულეთის მხარის მოსახლეობის სახელით კონკრეტული წინადადებით მიმართა რუს. არმიისა და ქართული მილიციის სარდლობას მუჰაჯირთა თავისუფალი მიწების ზემო აჭარის მოსახლეობისათვის გადაცემის შესახებ.

პ-ის ინიციატივით განხორციელდა გათხრები სოფ. ხუცუბანში. როგორც ხალხურმა მთქმელმა დიდი სამსახური გაუწია ზ. ჭიჭინაძეს ამ კუთხის შესახებ მასალის შეგროვებისას. 1881 პ-მ გაიცნო და სიტყვით მიმართა ბათუმში ჩასულ ი. ჭავჭავაძეს, რ-იც მას ,,აჭარის გულს'' ეძახდა (სავარაუდოდ, აქედან მომდინარეობს მისი სახელი ,,გულო'').

პ. აქტიურად იღვწოდა ქობულეთში ქართული სკოლის გახსნისათვის – უსასყიდლოდ გამოყო მიწის ნაკვეთი; ზრუნავდა ბიბლიოთეკის დაარსებისა და მისი წიგნადი ფონდის გაზრდაზე; მისი შუამდგომლობით ახალგაზრდები სასწავლებლად იგზავნებოდნენ საზღვარგარეთ; მიაჩნდა, რომ ქალებს განათლება აუცილებლად უნდა მიეღოთ.

1915 პ-ის გამოსვლას ა. წერეთლის დაკრძალვაზე ,,ისტორიული სიტყვა'' უწოდეს. იგი სიცოცხლის ბოლომდე მაჰმადიან ქართველთა შორის ქართული კულტ., განათლების აღორძინების საქმეს ემსახურებოდა.

ლიტ.: კაიკაციშვილი მ., ჩემი ბაბუა გულო კაიკაციშვილი, თბ., 1998; სურგულაძე ა., გულო კაიკაციშვილი, თბ., 1973.

კაირახი, ყოფილი სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

კაიროვი ვლადიმერ (ზალო) ზაურბეგის ძე [11. VI. 1913, არდონი (ჩრდ. ოსეთი), – 2004], ოსი მსახიობი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1960). 1936–41 სწავლობდა ლენინგრადის ა. ოსტროვსკის სახ. თეატრ. ინ-ტში სამსახიობო განხრით. 1944 დაამთავრა მოსკოვის თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. 1930–38 თვითმოქმედ დრამატულ წრეებში დადგა 20-ზე მეტი სპექტაკლი, რ-ებშიც ხშირად თვითონვე ასრულებდა მთავარ როლებს. 1932 ბესლანში ჩამოაყალიბა დრამ. წრე. 1938–54 იყო ცხინვალის სახელმწ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, შემდეგ მუშაობდა ამავე თეატრის რეჟისორად. პ-ის მიერ სხვადასხვა დროს განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია ედგარი (უ. შექსპირის ,,მეფე ლირი''), ხასანა (დ. მამსუროვის ,,ხასანა''), არსენა (ს. შანშიაშვილის ,,არსენა''), არკადი (ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი''), ფლორინდო (კ. გოლდონის ,,ორი ბატონის მსახური''), პარატოვი (ა. ოსტროვსკის ,,უმზითვო''), აკოფა (ა. ცაგარლის ,,ხანუმა''), კომანდორი (ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო'') და სხვ. პ. როგორც რეჟისორი ჩამოყალიბდა ეროვნული სპექტაკლებით, რებიც გამოირჩეოდა რომანტიკული თეატრისთვის ნიშანდობლივი მონუმენტურობით. მისი პირველი დადგმა განხორციელდა ცხინვალის თეატრში – დ. თემირაევის ,,შურისმაძიებელნი'', შემდეგ – მ. გუჩმაზოვის ,,მგლები'', მოლიერის ,,სკაპენის ოინები'', ნ. გოგოლის ,,ქორწინება'', ა. ცაგარლის ,,ხანუმა'' და სხვ. მასვე ეკუთვნის პიესები: ,,ბათას შვილები'', ,,აცამაზი''. პ-მა საზ. საწყისებზე სხვადასხვა დროს (1942, 1960) ცხინვალის თეატრთან დააარსა თეატრ. სტუდიები.

კაიშაურნი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მთიულეთის არაგვის მარცხ. მხარეს, დიდველის პლატოზე. ზ. დ. 1750 *მ,* დუშეთიდან 75 *კმ.* 12 მცხ. (2014).

სოფლის ცენტრ. ნაწილში დგას მოზრდილი დარბაზული ეკლესია (სამშენებლო წარწერის მიხედვით, აგებულია 1899), ხოლო სასაფლაოზე – ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (გვიანდ. შუა საუკუნეები); პ-ის სამხრ.-აღმ-ით კი, 1,5 *კმ*-ზე, შუა საუკუნეების სამლოცველოა – მხედართა ხატი; სოფლის მახლობლად, კაიშაურის ველზე, მდებარეობს XIII–XIV სს. ორი ე. წ. ზურგიანი კოშკი, რ-თაგანაც ერთს – დიდველის, ხოლო მეორეს სამების ციხეს უწოდებენ.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.

კაიფონი, ციხესიმაგრე ისტორიულ ქვემო ქართლის (გოგარენე) ტერიტორიაზე, საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. სავარაუდოდ, მდებარეობდა მდ. ინჯასუს ხეობის ზემო წელზე (სომხეთი), ახლანდ. სოფ. კოხბთან (ისტ. კოლბი). სომხ. წყაროების მიხედვით, ჰ. აგებულია X ს. II ნახევარში, კაენისა და ბიჯნისის ციხეებთან ერთად, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ იგი უფრო ადრინდ. ხანისა უნდა იყოს. XI ს. დასაწყისში კვირიკიანი ბაგრატუნების სამფლობელო იყო, XI ს. შუა წლებში ბიზანტიას გადაეცა. XII ს-იდან საქართვ. სამეფოს ფარგლებში მოექცა. ეს უნდა იყოს დღევანდელი ,,ბაჩანას ციხესიმაგრე'', რ-საც XII ს. ქართული ასომთავრული წარწერა ჰქონდა.

დ. მუსხელიშვილი.

კაკაბაური, კაკაბური, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის თუზის თემში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის მაღლობის ჩრდ. მთისწინეთში, მთა წიფორის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 520 *მ,* თერჯოლიდან 24 *კმ.* 139 მცხ. (2014).

კაკაბაძე ალდე გრიგოლის ასული (18. X. 1932, თბილისი, – 31. I. 2016, იქვე), მხატვარ-კერამიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1987). თანამედროვე კერამიკის ეროვნ. სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკ-ტი (1957). 1957-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. 1964–2011 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1980-იდან – პროფესორი).

ნამუშევრები: ღვინის ჭურჭელი „ხევსური პატარძალი" (1965), მარანი ,,ორნი'' (1968), მარანი „ძველი სიმღერა" (1970), ლარნაკი



ა. გ. კაკაბაძე.



ა. გ. კაკაბაძე. დეკორატიული დოქები. 1968–72 წწ.



ა. გ. კაკაბაძე. დეკორატიული კომპოზიცია. მარანი ,,საქართველო''. 1977. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.



დ. კაკაბაძე. 1926. პარიზი. უცნობი ფოტოგრაფი.

,,მზის ქვეშ'' (1983), თასი ,,საახალწლო'' (1991), ღვინის ჭურჭელი „თეთრი ზღაპარი'' (1972); „ქართული ხალხური ზღაპრები" (1957), „სალამურა" (1960), „საქართველო'' (1977), ,,მიტოვებული სოფელი'' (1982), ,,მოხუცი კახელის პორტრეტი'' (1975), „ქართველი ქალის პორტრეტი" (1975), ,,ხევსური გოგონას პორტრეტი'' (1976), „ლეონას პორტრეტი" (1977) და სხვ.

მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში: პოლონეთი (1960), თურქეთი (1965), შვეიცარია (1966), საფრანგეთი (1966, 1970, 1982), ალჟირი (1967), კანადა (1967), შვედეთი (1967, 1976), იუგოსლავია (1968), გერმანია (1969), ბულგარეთი (1970), უნგრეთი (1970), იაპონია (1970), იტალია (1972), საბერძნეთი (1977, 1989), ავსტრია (1979), ირლანდია (1980), პორტუგალია (1981, 1988) და სხვ. პერსონალური გამოფენები: თბილისი (1974), მოსკოვი (1977), ნანტი (1982, საფრანგეთი), ვლადიმირი (1983, რფ).

მიღებული აქვს ვალორისის (1966, 1970, საფრანგეთი), ფაიენცას (1972, იტალია) და ჟენევის (1977, შვეიცარია) კერამიკის საერთაშ. გამოფენა-კონკურსების დიპლომები; სსრკ სამხატვრო აკადემიის საპატიო დიპლომი კერამიკული ნამუშევრების სერიისათვის (1972); საქართვ. მხატვართა კავშირის მედალი საუკეთესო კერამიკული ნამუშევრისათვის (1977). მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების, მოსკოვის აღმ. ხალხთა ხელოვნების, კუსკოვოს (რფ) კერამიკის სახელმწ., პრაღის გამოყენებითი ხელოვნების, ბერლინის კერამიკის მუზეუმებში და სხვ. არის ავტორი წიგნისა – ,,ქართული თანამედროვე კერამიკა'' (1984, მოსკოვი). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2006).

ლიტ.: Мачабели К. Г., Алде Какабадзе. Керамика, М., 1981.


კაკაბაძე ამირ დავითის ძე (26. IX. 1941, თბილისი, – 23. III. 2015, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი, სცენოგრაფი. მხატვარ დ. *კაკაბაძის* შვილი. საქართვ. დამს. მხატვარი (1990). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ფერწერისა და თეატრ.-დეკორ. ფაკ-ტები (1967). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1967-იდან. ნამუშევრები: ფერწერა –



ა. დ. კაკაბაძე. ცისფერი სერია. ,,გული''. 1981. კერძო საკუთრება.

,,ქართული ნატურმორტი'' (1972), ,,ნატურმორტი კაქტუსით'' (1977), ,,კუმურდო'' (1985), ,,თოვლიანი მთა'' (1987), ,,ავტოპორტრეტი'' (1993), ,,წმინდა პეტრეს ტაძარი'' (1999), სერია ,,პარიზი'' (1994–95); პოპ-არტი: ,,ნიჭარები სივრცეში'' (1975), ,,მხატვრის ხელი'' (1980), ,,არქეოლოგია'' (1985), ,,გარიჟრაჟი'' (1987); გრაფიკა – ლითოგრაფიების სერია ,,მთიანი საქართველო'' (1976), სერიები ,,ალეგორიული ნატურმორტები'' (1984–85), ,,სკულპტურული ფანტაზიები'' (1986), ,,გზა'' (1991); თეატრ.-დეკორ. ხელოვნება – ო. მამფორიას ,,მეტეხის ჩრდილში'' (1968, მესხიშვილის თეატრი), კ. გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცება'' (1968), ვაჟა-ფშაველას ,,ორი პოემა'' (1970, ორივე – მარჯანიშვილის თეატრი), ო. იოსელიანის ,,სანამ ურემი გადაბრუნდება'' (1970, რუსთაველის თეატრი) და სხვ. დამდგმელ მხატვრად მუშაობდა ფილმებზე: ,,ნუცა'' (1970), ,,XIX საუკუნის ქართული ქრონიკა'' (1978), ,,გზა შინისაკენ'' (1982), ,,წინაპართა მიწა'' (1982). პერსონალური გამოფენები: თბილისი, გალერეა ,,კოპალა'' (2007), ლონდონი (2008), ბად-რაპენაუ (2008, გერმანია). მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, ციმერლის მუზეუმში (აშშ), საფრანგეთის, ბელგიის, საბერძნეთის, ინგლისის, აშშ-ის, გერმანიის, რუსეთის, საქართველოს კერძო კოლექციებში.

კაკაბაძე დავით ნესტორის ძე [8(20). VIII. 1889, სოფ. კუხი (დიდი კუხი), ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, – 10. V. 1952, თბილისი], ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების თეორეტიკოსი, გამომგონებელი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1950). ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს (1900–09) აქვეყნებდა ნახატებს ქართ. პერიოდულ პრესაში. 1910–16 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნ-ტში (ბიოლოგის დიპლომით დაამთავრა ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა), პარალელურად – მხატვარ ლ. დმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოში. ამ პერიოდში პ-მ დაიწყო ძვ. ქართ. ხელოვნების კვლევა. პირველი თეორიული ნაშრომი მიუძღვნა *ბეშქენ ოპიზარს.* პეტერბურგში ყოფნისას გაეცნო უახლეს მიმდინარეობებს რუსულ და დასავლეთევროპულ მხატვრობაში. ამავე პერიოდს განეკუთვნება ფინეთსა და საქართველოში ნატურიდან შესრულებული პეიზაჟები, ავტოპორტრეტები (,,ავტოპორტრეტი სარკესთან'', 1913,



დ. კაკაბაძე. კონსტრუქციულ-დეკორატიული კომპოზიცია. 1925. ბერარდოს მუზეუმის კოლექცია. ლისაბონი.

საქართვ. ეროვნ. მუზეუმი; ,,ავტოპორტრეტი ბროწეულებით'', 1913; ,,ავტოპორტრეტი რუხ ხალათში'', 1917 – ორივე კერძო საკუთრება); დედის (კერძო საკუთრება), მამის (კერძო კოლექცია, რუსეთი; ორივე 1914) და ძმის (დ. კაკაბაძის სახ. ქუთაისის გალერეა; 1915) პორტრეტები. ასევე ქმნიდა კუბისტურ სურათებს (,,დასაფლავება იმერეთში'', 1913 და ,,კუბისტური ავტოპორტრეტი'', 1914 – ორივე მხატვრის ოჯახის საკუთრება).

1918 დაბრუნდა საქართველოში. ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი, როგორც მკაფიო თავისებურებების მქონე მხატვრის, შემოქმედებითი სახე; ამ დროს შექმნა იმერეთის პეიზაჟების ციკლის პირველი ნიმუშები. ადრინდელი პეიზაჟებისგან განსხვავებით, ისინი უშუალოდ ბუნებას კი არ ასახავდნენ, არამედ მკაფიოდ



დ. კაკაბაძე. ,,ნავები“. 1921. კერძო საკუთრება.

გამოკვეთილ პრინციპებზე აგებულ სურათებს. მათში მოცემულია იმერეთის ბუნების განზოგადებული სახე. კომპოზიციებს ახასიათებს ნათელი, კლასიკური ტექტონიკურობა (,,პეიზაჟი წითელი გზით“, ,,პეიზაჟი ციხითა და მდინარით“, 1918, ორივე მხატვრის ოჯახის საკუთრება). სურათზე ,,იმერეთი – დედაჩემი“ (1918) მხატვრისთვის ჩვეული პეიზაჟის ფონზე გამოსახულია დედის პორტრეტული ფიგურა, რ-საც სიმბოლური დატვირთვა აქვს. სურათზე, რ-ის გრაფიკული გამოსახულება მოცემულია ამჟამინდელ ქართულ 10-ლარიან ბანკნოტზე, განზოგადებულია დედის და სამშობლოს



დ. კაკაბაძე. კომპოზიცია. 1923. კერძო საკუთრება.

იდეა. ამავე წელს არის შექმნილი ლაკონიური და გრაფიკულად მკაფიო ,,იმერული ნატიურმორტი“ (ორივე – საქართვ. ეროვნ. მუზეუმი). იმავე პერიოდს განეკუთვნება ძვ. თბილისის ამსახველი ნახატები და წაღვერის სერია (მხატვრის ოჯახის და სხვადასხვა კერძო კოლექციის საკუთრება). 1919 დამოუკიდებელი საქართვ. მთავრობის სტიპენდიით პ. პარიზში გაემგზავრა. საფრანგეთში ყოფნის პერიოდში მონაწილეობდა ,,დამოუკიდებელ მხატვართა“ საზ-ბის ყოველწლიურ გამოფენებში. შ. ქიქოძესთან და ლ. გუდიაშვილთან ერთად მოაწყო გამოფენა გალერეა ,,ლა ლიკორნში“ (1921). 1926 მისი 19 ნამუშევარი წარმოდგენილი იყო ნიუ-იორკში, ბრუკლინის მუზეუმში, მოდერნისტული ხელოვნების საერთაშ. გამოფენაზე, რ-იც მოაწყვეს ამერიკელმა მხატვარმა და კოლექციონერმა ქეთრინ დრაიერმა და ფრანგმა მხატვარმა მარსელ დუშანმა. აქედან მისი აბსტრაქტული ქანდაკება და 15 აკვარელი გადაიტანეს იელის უნტის სამხატვრო გალერეის კოლექციაში, სადაც დღემდე ინახება. მისი ერთი კოლაჟი ინახება ლისაბონის ბერარდოს მუზეუმში.


უცხოეთში პ. კითხულობდა ლექციებს ხელოვნების საკითხებზე, გამოიგონა სტერეო კინოსაპროექციო აპარატი (მიიღო ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და ევროპის მრავალი ქვეყნის პატენტი). გამოაქვეყნა თეორიული ნაშრომები ხელოვნების დარგში (ქართ. და ფრანგ. ენებზე). ამ პერიოდშიც პ-ის შემოქმედებაში ვითარდება ორი მიმართულება: ერთი მხრივ, ის ქმნის სურათებს, რ-საც შთააგონებს რეალური სამყარო [პარიზის ჩანახატები, აკვარელების სერია ,,ბრეტანი“ (შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის და კერძო კოლექციონერთა საკუთრება), ,,წურბელების გამყიდველი“, ,,ბანანების გამყიდველი“ (ადგილსამყოფელი უცნობია)], და, მეორე მხრივ, – კუბისტურ კომპოზიციებს, კოლაჟებს, აბსტრაქტულ ფერწერულ სერიებს (შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის და კერძო კოლექციონერთა საკუთრება). პ-მ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ბიომორფული, ანუ ორგანული სიურეალისტური აბსტრაქციები (1921–27).

1927 ბრუნდება საქართველოში. წამოსვლის წინ ქმნის ალეგორიულ სურათს ,,ინდუსტრია“ (შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი). საქართველოში დაბრუნების შემდეგ რეჟისორ კ. მარჯანიშვილის მიწვევით მუშაობას იწყებს სცენოგრაფიის დარგში. გააფორმა მრავალი სპექტაკლი (ე. ტოლერის ,,ჰოპლა, ჩვენ



დ. კაკაბაძე. აბსტრაქცია. 1927. კერძო საკუთრება.

ვცოცხლობთ“, 1928; პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი“, 1929; შ. დადიანის ,,ნინოშვილის გურია“, 1932; პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება“, 1946 – ყველა კ. მარჯანიშვილის თეატრი; ი. მოსაშვილის ,,სადგურის უფროსი“, 1947 – რუსთაველის თეატრი; პ. ჩაიკოვსკის ,,პიკის ქალი“, 1947 – ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრი და სხვ.). მუშაობდა აგრეთვე კინოს მხატვრად (,,ჯიმ შვანთე“, რეჟ. მ. კალატოზიშვილი, 1930; ,,დაკარგული სამოთხე“, რეჟ. დ. რონდელი, 1936 და სხვ.). პ-ის მიერ შექმნილ დეკორაციებს ახასიათებს ფუნქციური მიზანშეწონილობა, დრამატურგიისა და დადგმის სტილის ერთიანობა. ამავე პერიოდში აქტიურად მუშაობდა ფერწერისა და გრაფიკის განხრით. იგი კვლავ დაუბრუნდა იმერეთის პეიზაჟის თემას. XX ს. 30-იანი წლებიდან, შეძლებისდაგვარად სოციალ. რეალიზმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შექმნა ინდუსტრიული პეიზაჟები (,,რიონჰესი, 1934, ,,ყაზბეგი“, ,,ფოთი – ელევატორი“, – 1949, ყველა შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი, ,,სვანეთი – მადნის დამუშავება“, 1949, კერძო საკუთრება). სურათები კომპოზიციურად აგებულია მისთვის დამახასიათებელი სტილით,



დ. კაკაბაძე. კონსტრუქციულ-დეკორატიული კომპოზიცია. 1924. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.



დ. კაკაბაძე. ,,განგმირული თევზი‘‘. 1925. იელის უნივერსიტეტის (აშშ) სამხატვრო გალერეის კოლექცია.

თუმცა ციხის ნანგრევებს ცვლის ახალი ობიექტები და თემები – ელექტროსადგური, მშრომელთა დემონსტრაცია და სხვ. (,,მიტინგი იმერეთში‘‘, 1942, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი). იმავე წლებში ქმნის თბილისისა და მისი შემოგარენის, აგრეთვე, სვანეთის პეიზაჟებს (ყველა – მხატვრის ოჯახის საკუთრება). 1928–48 პ. იყო თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის პროფესორი, 1933–42 – პრორექტორი. 1948 მოსკოვის კომისიის დასკვნის საფუძველზე, როგორც ფორმალისტი, გაათავისუფლეს სამხატვრო აკადემიიდან. ამის შემდეგ იგი უშედეგოდ ეძებდა სამუშაოს. 1950 გამოიგონა სიბრტყითი გამოსახულებიდან მოცულობითის მიღების მეთოდი, რის გამოც შეიძლება ჩაითვალოს ჰოლოგრამის შექმნის ერთ-ერთ წინამორბედად, თუმცა ამ მეთოდით სტალინის გამოსახულების შექმნის საშუალებაც კი არ მისცეს. განუწყვეტელი დევნით მორალურად და ფიზიკურად განადგურებული მხატვარი გულის ინფარქტით გარდაიცვალა.



დ. კაკაბაძე. ,,იმერეთი – დედაჩემი‘‘. 1919. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

პ. არის მოდერნიზმის ეპოქისა და ახ. ქართ. ხელოვნების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. მის მიერ შექმნილი სურათები დიდი კომპოზიციური ოსტატობით, ფერადოვანი დახვეწილობითა და სიფაქიზით არის შესრულებული. რაციონალურობასთან ერთად მის ნამუშევრებში მჟღავნდება განსაკუთრებული პოეტურობა. პ-მ პირველმა შექმნა ქართული ბუნების ამსახველი განმაზოგადებელი სურათი.

დიდი მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა პ-ის მიერ ადრინდელ პერიოდში შექმნილი პორტრეტები. იგი არის თეატრისა და კინოს მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურა მოდერნიზმის ეპოქის ხელოვნებაში. მის შემოქმედებაში ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს კლასიკური და ავანგარდული საწყისები.

პ. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: Du Tableau Constructif, P., 1921; ,,პარიზი: 1920, 1921, 1922, 1923‘‘, პარიზი, 1924; ხელოვნება და სივრცე, პარიზი, 1926; თბ., 1983.

ლიტ.: კინწურაშვილი ქ., ჯანიაშვილი დ., დავით კაკაბაძე, თბ., 2013; მარგველაშვილი პ., დავით კაკაბაძის არქივიდან, თბ., 1988 (გამოც. მე-2, 2009); მემარიაშვილი მ., ლებანიძე დ., დავით კაკაბაძე, თბ., 1999; რჩეულიშვილი ლ., დავით კაკაბაძე, თბ., 1966; მისივე, დავით კაკაბაძე, თბ., 1983; Алибегашвили Г., Давид Какабадзе, Тб., 1958; Беридзе В., Медзмариашвили М., Лебанидзе Д., Давид Какабадзе, М., 1989; Кинцурашвили К., Давид Какабадзе – классик XX века, СПб., 2002; Kintsurashvili K., David Kakabadze: Georgian Modern Artist and Inventor, N.Y., 2013.

ვ. ბერიძე. ქ. კინწურაშვილი.

დავით კაკაბაძის ფონდი, დაარსდა 2012; ფონდის მიზანია თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობა, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა, ქართული კულტურის პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ და საერთაშ. პროექტების განხორციელება საქართველოში. 2012–17 ფონდის ორგანიზებით ჩატარდა არაერთი გამოფენა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. 2012, მხატვრის გარდაცვალებიდან 60 წლის აღსანიშნავად, ქუთაისში, დავით კაკაბაძის სახ. სახელმწ. გალერეაში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა, პარალელურად, ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა მ. კალატოზიშვილის ფილმ ,,ჯიმ შვანთეს‘‘ (მხატვარი დ. კაკაბაძე) ჩვენება. 2013 საქართვ. ეროვნ. მუზეუმის დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში პირველად მოეწყო პ-ის მასშტაბური რეტროსპექტული გამოფენა, სადაც სრულად იყო წარმოდგენილი მხატვრის შემოქმედების ყველა პერიოდი; ექსპონატებს შორის იყო პ-ის პარიზში ცხოვრების პერიოდში შექმნილი კოლაჟი, რ-იც სპეციალურად გამოფენისთვის ფონდმა ითხოვა პორტუგალიის ლისაბონის ბერარდოს მუზეუმისგან. 2014 ფონდის ეგიდით მოეწყო ხუთთვიანი გამოფენა პარიზის ,,მაიოლის‘‘ მუზეუმში. 2017 საქართველოს ეროვნ. მუზეუმის დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში გაიხსნა ა. კაკაბაძის რეტროსპექტული გამოფენა. *მ. კაკაბაძე.*

კაკაბაძე ეთერ სილოვანის ასული (დ. 7. XI. 1926, თბილისი), მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1966). 1950 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკ-ტი (პედაგოგები: ი. ნიკოლაძე, კ. მერაბიშვილი, დ. გაბაშვილი). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლებში (1957–67), თბილ. სამხატვრო აკადემიის ხატვის კათედრაზე (1967–2011), პროფესორი (1994). სამხატვრო



ე. კაკაბაძე. მონუმენტურ-დეკორატიული ფიგურა: ,,კარდიოლოგია‘‘. ბრინჯაო. 1985. კარდიოლოგიური ცენტრი. მოსკოვი.

გამოფენებში მონაწილეობს 1949-იდან. ძირითადი ნამუშევრები: ,,მამაკაცის პორტრეტი'' (1952, ბრინჯაო), ,,კოტე მარჯანიშვილის პორტრეტი'' (1952, მარმარილო), ,,მედეა ჯაფარიძის პორტრეტი'' (1953, მარმარილო), ,,ნანა'' (1954, ტერაკოტა), ,,ბიჭის პორტრეტი'' (1955, მარმარილო), ,,დემობილიზებული'' (1964, ბრინჯაო), დეკორატიული ბარელიეფი (1966, ქვა), ,,საბჭოთა კავშირის გმირის პაპუაშვილის'' პორტრეტი (1972, ბრინჯაო), მონუმ. - დეკორატიული ფიგურა ,,კარდიოლოგია'' (1985, ბრინჯაო, კარდიოლოგიური ცენტრი, მოსკოვის ოლქი), გრაფიკული სერია ,,ნიუ'' (2001–09). მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვის აღმ. ხალხთა ხელოვნების და შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში, თელავის, ქუთაისის, ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. არის მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალის ლაურეატი (1957). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2002).

კაკაბაძე ვასილ მიხეილის ძე [7(19). X. 1888, ქ. ხონი, – 10. III. 1968, თბილისი], ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1943), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1944), საქართველოში საინჟინრო მეცნიერებისა და განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა თავდაპირველად როსტოვის ტექ. სასწავლებელში, შემდეგ – ხარკოვის ტექ. ინ-ტში. ინ-ტის დამთავრების (1916) შემდეგ პ. მუშაობდა სამხედრო გზების მშენებლობაზე ერზურუმის (თურქეთი) რ-ნში. 1918 დაბრუნდა საქართველოში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილ. უნ-ტის პოლიტექ. ფაკ-ტის გახსნის (1922) პროცესში. 1930–45 ხელმძღვანელობდა ქიმ. და ქიმ. ტექნოლოგიის ფაკ-ტს სპი-ში; 1944-იდან იყო ამავე ინ-ტის არაორგ. ნივთიერებათა და ქიმ. სასუქების ტექნოლოგიის კათედრის გამგე. პ-ის ძირითადი შრომები ეხება ქიმ. ტექნოლ. საკითხებს, იკვლევდა მანგანუმის ღარიბი მადნებიდან და შლამებიდან ქიმ. გადამუშავების გზით მანგანუმის სულფატის, ნიტრატის, ქლორიდის, სულფიდის, პოლისულფიდისა და სხვა ნაერთების მიღების მეთოდებს, რ-იც შემდგომში საფუძვლად დაედო შავი ცემენტის წარმოებას, გოგირდმჟავას სინთეზს (კვაისის თუთიის მადნების მასულფატიზებელი გამოწვით; თანაავტ. ი. ბუჩუკური, ვ. ჩაგუნავა), სოდაპროდუქტების მიღებას საქართველოში მოპოვებული მირაბილიტებიდან (თანაავტ. ნ. ლანდია), ულტრამარინისა და თხევადი მინის წარმოებას ადგილობრივი ნედლეულიდან (თანაავტ. ი. ბუჩუკური, კ. ივანოვი). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი.

პ-ის აქტიური მონაწილეობით დაარსდა (1925–29) პირველი ქართ. ტექ. ჟურნ. ,,ტექნიკა და ცხოვრება'', რ-ის პირველი რედაქტორიც თავადვე იყო. დიდია პ-ის ღვაწლი ქართ. ტექ. ტერმინოლოგიის შემუშავებაში (გ. *ნიკოლაძესთან* ერთად). იყო ქართული ტექ. ტერმინოლოგიის დამდგენი კომისიის თავ-რე. მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა ტექ. ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი ქართ. ენაზე.

1938-იდან გარდაცვალებამდე იყო დ. მენდელეევის სახ. საკავშ. ქიმიური საზ-ბის რესპუბლიკური გამგეობის უცვლელი თავ-რე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

კაკაბაძე ვიტალი ლავრენტის ძე (1930, ქუთაისი, – 1998, თბილისი), ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1985). დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტი ფსიქოლოგიის სპეციალობით (1952), 1952–58 მუშაობა დაიწყო იქვე. 1959–62 მოღვაწეობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფსიქოლ., ხოლო 1962–80 – საქართვ. მეცნ. აკად. ფილოს. ინ-ტში. 1980–90 ხელმძღვანელობდა ფსიქოლ. ინ-ტის ლაბორატორიას, 1994–98 – განყ-ბას. 1990–94 იყო ქუთაისის პედ. უნ-ტის ფსიქოლ. კათედრის გამგე და პრორექტორი სამეცნ. დარგში.

პ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები, არაცნობიერის პრობლემა, სიღრმის ფსიქოლოგია, მოტივაცია, მუსიკის ფსიქოლოგია, პიროვნების რაობის საკითხი.

თხზ.: სიღრმის ფსიქოლოგიის პრობლემები, თბ., 1975; მოთხოვნილების ფსიქოლოგია, თბ., 1988; განწყობის ფსიქოლოგია და არაცნობიერის პრობლემა, თბ., 1990; მუსიკის ფენომენი, თბ., 1993.

კაკაბაძე ზაალ აბესალომის ძე (18. I. 1935, ბათუმი, – 10. VI. 2012, თბილისი), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე



ზ. ა. კაკაბაძე. კადრი ფილმიდან ,,მზიური''.

(1988). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (ი. კოპალინის სახელოსნო, 1960). 1960–68 მუშაობდა საქართვ. ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების სტუდიაში, 1969-იდან – საქართვ. სატელევიზიო ფილმების სტუდიაში (1994-იდან კომპანია ,,ქართული ტელეფილმი''), 2000–04 იქვე ხელმძღვანელობდა მხატვრული ფილმების განყ-ბას.

გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები: ,,ფოლადი და ადამიანი'' (1960), ,,შრომა და შემოქმედება'', ,,სიტყვა მკურნალობს'' (ორივე – 1963), ,,შვილიკა'' (1965), ,,იმპერიის რღვევა'' (1994) და სხვ.; მუს. მხატვრული ფილმები: ,,გადაღების ერთი დღე'' (1973), ,,უმცროსი და'' (1977), ,,მზე, ჰაერი და... ნა-ნა'' (1992); სიუჟეტური მუს. ფილმები პოპულ. საესტრადო ანსამბლების მონაწილეობით: ,,ორერა, სრული სვლით!'' (1970), ,,მზიური'' (1974), ,,სიყვარული, ივერია, და...'' (1976); შექმნა რამდენიმე ათეული დოკუმენტური მუს. ფილმი ცნობილ ქართველ შემსრულებლებსა და მუს. კოლექტივებზე [,,ლაურეატები'' (1979), ,,მღერის გიული ჩოხელი'', ,,მართვე'' (ორივე – 1980), ,,მღერის მედეა ძიძიგური'' (1981), ,,სამშობლოს სახელით'' (2003) და სხვ.]. ნაყოფიერი იყო პ-ის ძიებები სატელევიზიო ეკრანზე კინოსა და ქორეოგრ. სინთეზის თვალსაზრისით. საერთაშ. წარმატება ხვდა მის ფილმბალეტებს: ,,მწირი'' (მ. ლერმონტოვის პოემის მიხედვით, 1976 – კინობალეტის VII საერთაშ. კინოფესტივალის პრიზი, ნიუ-იორკი, 1978; სატელევიზიო ფილმების საერთაშ. კინოფესტივალის დიდი ვერცხლის მედალი, ჩიკაგო, 1979; სატელევიზიო ფილმების საკავშ. ფესტივალის პრიზი, 1979), ,,პრომეთეოსი'' (საკავშ. კინოფესტივალის პრიზი, კიევი, 1984),

,,მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ‘‘ (შექსპირის კომედიის მიხედვით, 1986 – საერთაშ. კინოფესტივალ ,,არაბესკის‘‘ პრიზი, 1987), ,,ალი-ბაბა და ორმოცი ყაჩაღი‘‘ (1989 – სატელევიზიო ფილმების საერთაშ. ფესტივალ ,,ოქროს საწმისის‘‘ მთავარი პრიზი, 1990, საერთაშ. კინოფესტივალის ,,პოსტ-მონტრე-92‘‘ პრიზი, 1992).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003). *მ. კერესელიძე.*

კაკაბაძე ზურაბ მეთოდეს ძე (13. III. 1926, თბილისი, – 15. II. 1982, იქვე), ფილოსოფოსი, თანამედროვე დასავლური ფილოსოფიისა და კულტურის მკვლევარი, ფილოს. მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1950). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ფილოს. ინ-ტის ესთეტიკის განყბის გამგე (1967–82).

ჰ. იკვლევდა ეთიკის, ესთეტიკის, დას. ფილოსოფიისა და კულტურის ძირეულ პრობლემებს. მისი ყველა გამოკვლევის ძირითადი მამოძრავებელია ადამიანის ბუნების რაობა და ბედი თანამედროვე სამყაროში. ამ საკითხების კვლევა ჰ-მ დაიწყო ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიური ფილოს. ღრმა ანალიზით, უჩვენა ამ მოძღვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე ადამიანის პრობლემის პოზიტიური ფილოს. კვლევისათვის მისი გამოყენების შესაძლებლობანი. დამაჯერებლად გააკრიტიკა ობიექტივისტური და, საერთოდ, პოზიტივისტური თვალსაზრისი ადამიანის შესახებ, ნათელყო ,,ტექნიკური გაუცხოების‘‘ ბუნება. ეს საკითხი გაშუქებულია ნაშრომში «,,ევზისტენციალური კრიზისის‘‘ პრობლემა და – ე. ჰუსერლის ,,ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია‘‘», რ-მაც ფართო გამოხმაურება პოვა. ადამიანს ჰ. მოიაზრებს როგორც თავისუფალ შემოქმედს და მოქმედ არსებას, რ-იც სწორედ ამის გამო პასუხისმგებელია იმ საზ-ბისა და სამყაროს წინაშე, რ-შიც იგი ცხოვრობს.

ჰ-ის მნიშვნელოვანი ნაშრომია ,,ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა‘‘ (1970; გამოქვეყნდა იაპონურ ენაზე 1971).

მრავალრიცხოვან წერილებში, რ-ებიც საკუთრივ ესთეტ. ფენომენს ეხება, ჰ. აყენებს თანამედროვე ადამიანის წინაშე მდგარ ცხოვრების საზრისის პრობლემას. მისი თარგმანები და მათი ანალიზი მკითხველს უჩვენებდა არა მარტო დასავლეთის კულტურის განვითარების რთულ პროცესს, არამედ სწორ მიმართულებასაც აძლევდა საკუთარი კულტურის სადღეისო პრობლემებში გასარკვევად და მისი შემდგომი განვითარების გზების ასარჩევად.

ჰ-ის უკანასკნელი ნარკვევები, ძირითადად, ბუნებისა და ადამიანის მიმართების პრობლემას ეძღვნება; მისთვის ადამიანი ერის ორგანული ნაწილია, ერი კი კავშირშია მშობლიურ მიწასთან – გარემოს დიდი როლი ენიჭება ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური ფორმირების სპეციფიკაში. ჰ-ის აზრით, რეალური ადამიანის, როგორც კონკრეტულ ბუნებრივ გარემოსა და კონკრეტულ სოციალურ წყობაში ჩამოყალიბებული თავისუფალი არსების, მიუკერძოებელი ანალიზი ერთმნიშვნელოვნად ასაბუთებს სამყაროს შემეცნებისა და, საერთოდ, საკაცობრიო კულტურის წარმატებული განვითარებისათვის ეროვნ. ენათა და ეროვნ. კულტურათა მრავალფეროვნების აუცილებლობას.

ჰ. ავტორია ქართ., რუს., გერმ., ინგლ., იაპონურ, პოლონურ ენებზე გამოქვეყნებული მრავალი ნაშრომისა.

თხზ.: წერილები, თბ., 1972; ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება, თბ., 1979; რჩეული ფილოსოფიური შრომები, ბათ., 2012; ფილოსოფია და ცხოვრება, ბათ., 2012; Проблема экзистенциального кризиса и трансцендентальная феноменология Э. Гуссерля, Тб., 1966 (1985 – ქართ. ენაზე); Человек, как философская проблема, Тб., 1970 (1971 – იაპონურ ენაზე); Феномен искусства, Тб., 1980. *გ. თევზაძე.*

კაკაბაძე ზურაბ შოთას ძე (დ. 26. III. 1952, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (2000). 1977 დაამთავრა ქ. ჩიტას (რფ) სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1977–80 იყო ამავე ქალაქის რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგი. 1982–2006 მუშაობდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგ. კათედრაზე. 2006-იდან დღემდე არის თსსუ-ის კლინიკური ანატომიის მიმართულების ხელმძღვანელი.

ჰ. არის მრავალი სამეცნ. შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, რებიც ეხება ღეროვანი უჯრედებისა და ქსოვილების ბიოინჟინერიას, ტრანსპლანტოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: ბავშვთა და მოზარდთა ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია (ორტომეული), თბ., 1997; ქალის სასქესო სისტემის კლინიკური ანატომია და ქირურგიული გინეკოლოგია, თბ., 2011.

კაკაბაძე მანანა პოლიკარპეს ასული (დ. 27. VI. 1937, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1989). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1961). 1965–2011 მუშაობდა ქართული ლიტ-რის ინ-ტში წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. პირველი პუბლიკაცია ,,დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა‘‘ გამოაქვეყნა 1962 (ჟურნ. «მნათობი», №4). გამოკვლევაში გაანალიზებულია დავით აღმაშენებლის ,,გალობანი სინანულისანი‘‘ და მისი ადგილი ქართ. ლიტ-რაში. ჰ-ის კვლევის სფერო ძირითადად ქართული რომანტიზმია, მისი წარმოშობა და ეროვნ. საფუძვლები, რ-საც მკვლევარმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა: ,,რომანტიზმის გმირის საკითხი ნ. ბარათაშვილის პოეზიაში‘‘ (კრებ. ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი‘‘, 1968), ,,ალექსანდრე ჭავჭავაძე და რუსოისტული განწყობილებანი‘‘ (კრებ. ,,ალექსანდრე ჭავჭავაძე‘‘, 1986), «ქართული რომანტიზმის ისტორიიდან. ,,ბედი ქართლისა‘‘, მისი რომანტიზმი და რეალიზმი» («ლიტერატურული ძიებანი», 1987) და სხვ. ჰ. იკვლევს თავისი მამის, პ. *კაკაბაძის,* ცხოვრებასა და შემოქმედებას, გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები: «პოლიკარპე კაკაბაძის არქივიდან, მასალები ტრაგედიისათვის ,,ვახტანგ გორგასალი‘‘» (ჟურნ. ,,დრამატურგია‘‘, 1989), «რევოლუციის ლიდერის სახე ,,ყვარყვარე თუთაბერისა‘‘ და ,,ლისაბონის ტუსაღების‘‘ მიხედვით» (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1994) და სხვ.

თხზ.: ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, თბ., 1983; წარსულის სევდა ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში, «ლიტერატურული ძიებანი», XX, თბ., 1999; ბედი-მდევარი და ბიბლიური სახისმეტყველება ,,მერანში‘‘, კრ.: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 2006; ანა კალანდაძე, კრ.: ლექსთმცოდნეობა, I, თბ., 2008; ,,Merani‘‘ und der romantische Held von Manana Kakabadze, კრ.: Nikoloz Barataschwili, Würzburg, 2006.

კაკაბაძე მართა (მათიკო) დავითის ასული (16. IX. 1928, ქუთაისი, – 30. VII. 2008, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1970). სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1944–50). 1950-იდან მუშაობდა ,,საქსოფლმშენსახპროექტში‘‘. ნამუშევრები: კ. ამირეჯიბის სახ. საქართველოს სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კომპლექსი სოფ. დიღომში (1967), მ. საბაშვილის სახ. საქართვ. ნია-

დაგთმცოდნეობის, აგროქიმ. და მელიორ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კომპლექსი (1971), საქართვ. მცენარეთა დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კომპლექსი (1979, ორივე თბილისში), ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კომპლექსი ანასეულში (1984; ყველა – თ. *ალავერდაშვილთან* ერთად) და სხვ. აზომილი აქვს (1962, 1963; თ. ალავერდაშვილთან ერთად) აღმ. საქართველოს მთიანეთის (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი) საცხოვრებელი, სამეურნეო, საზ.-საკულტო ნაგებობები. *თ. გერსამია.*

კაკაბაძე მიხეილ ვასილის ძე (ფსევდ. ,,მ. ხონელი‘‘; 16. IX. 1921, თბილისი, – 18. V. 1983, იქვე), საქართვ. სპორტის დამს. მოღვაწე, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1976). დაამთავრა თსუ (1953). იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. 1945-იდან მუშაობდა პრესაში. იყო გაზ. ,,მოლოდიო სტალინეცის‘‘ განყ-ბის გამგე, ,,ზარია ვოსტოკას‘‘ რედაქტორის მოადგილე; 1949–52 და 1964–76 – გაზ. ,,ლელოს‘‘ მთ. რედაქტორი. მისი ინიციატივით გაზეთს შეეცვალა ძვ. სახელწ. ,,ფიზკულტურელი‘‘ და დაერქვა ,,ლელო‘‘. 1953–55 რედაქტორობდა გაზ. ,,ახალგაზრდა კომუნისტს‘‘, რ-იც ამ პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მკითხველთა ფართო წრეში. სხვადასხვა წელს კ. მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართული ფილმის‘‘ სასცენარო განყ-ბის უფროსად, სასცენარო სახელოსნოს ხელმძღვანელად, მულტგაერთიანების მთ. რედაქტორად. 1961–64 იყო თსუ-ის ჟურნალისტიკის კათედრის დოცენტი.

კ-ის სცენარების მიხედვით გადაღებულია რამდენიმე ანიმაციური ფილმი. პერიოდულ პრესაში რეგულარულად იბეჭდებოდა კ-ის პუბლიც. წერილები, რეცენზიები, მოთხრობები და ლექსები. ავტორია მოთხრობების ორი კრებულისა: ,,უკანასკნელი წვიმა‘‘ (1965) და ,,სახლი‘‘ (1978), ასევე სპორტის თემაზე დაწერილი წიგნებისა: ,,თეთრი და მწვანე‘‘ (ოლიმპიურ თამაშებზე, 1970), ,,მეხიკო, მეხიკო‘‘ (1972), ,,ტოტალური ფეხბურთის ზეიმი‘‘ (1978), ,,არგენტინის ცის ქვეშ‘‘ (1979), ,,ოქროს ქალღმერთიდან ფიფას თასამდე‘‘ (1981). გამოცემული აქვს მრავალი საფეხბურთო ცნობარი, თარგმნა ი. ტრიფონოვის რომანი ,,სტუდენტები‘‘. 1954–56 იყო საქართვ. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის, ხოლო 1964–80 – საქართვ. სპორტ. ჟურნალისტთა ფედერაციის თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

1993 სპორტულ ჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართვ. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თაოსნობით დაწესდა მ. კაკაბაძის სახ. პრემია. *ც. ნიკოლაიშვილი.*

კაკაბაძე მიხეილ ვლადიმერის ძე (დ. 2. IV. 1939, თბილისი), გეოლოგი. საქართვ. მეცნ. ეროვნული აკად. წ.-კორ. (2009), საქართვ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (2001). გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1999).

დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი (1962). 1965-იდან მუშაობს ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში; 1989–95 იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში, 2004-იდან სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელია.


კ. ატარებდა სამეცნ. კვლევებს ტიუბინგენის (გფრ, 1979–80, 1989) და ჰაიდელბერგის (გერმანია, 1995, 2006, 2009, 2011, 2014) უნ-ტებში, ხოლო 1994–96, 1999–2005 – ლეიდენის (ნიდერლანდი) ბუნების ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში. 1971-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ა. პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტში, 1990-იდან – თსუ-ში.

1990 კ. კითხულობდა ლექციებს მიწვეული პროფესორის რანგში გრენობლის (საფრანგეთი), ხოლო 1996–97 და 1999 – ჰაიდელბერგის (გერმანია) უნ-ტებში.

კ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, აქედან 7 მონოგრაფიაა. მისი ძირითადი სამეცნ. ინტერესები მოიცავს პალეონტოლოგიისა და სტრატიგრაფიის საკითხებს. შეისწავლა ყირიმ-კავკასიის, შუა აზიის, სამხრ. აფრიკის, მოზამბიკის, ბრაზილიისა და კოლუმბიის ადრეცარცული ფაუნა (ამონიტები), რის საფუძველზეც დადგენილია ამონიტების ახალი გვარები და სახეობები, გამოყოფილია ახალი ბიოსტრატიგრაფიული ზონები, გამოკვლეულია ტეთისისა და ბორიული სარტყლების ცარცული პერიოდის ბიოგეოგრაფიისა და სტრატიგრაფიული კორელაციის საკითხები.

კ. არის საქართვ. კომკავშირის პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნიკის დარგში (1973), ა. ჰუმბოლდტის საერთაშ. სტიპენდიანტი (1979) და საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ა. ჯანელიძის სახ. პრემიის ლაურეატი (2012). 1981–90 იყო სსრკ სტრატიგრაფიული კომიტეტის ცარცული კომისიის ბიუროს წევრი; 1991–2004 – გეოლ. მეცნიერებათა საერთაშ. კავშირის (IUGS) ცარცული კომისიის ბიუროს წევრი; 2004-იდან არის გეოლ. მეცნიერებათა საერთაშ. კავშირის ქვედაცარცული ამონიტების სამუშაო ჯგუფის (კილიანის ჯგუფის) წევრი, ხოლო 1989-იდან – საქართვ. სტრატიგრაფიული კომიტეტის ცარცული კომისიის თავ-რე.

თხზ.: Колхидиты и их стратиграфическое значение, «Труды ГИН АН ГССР». Нов. сер., вып. 26, Тб.,1971; Анцилоцератиды Юга СССР и их стратиграфическое значение, იქვე, вып. 71, Тб., 1981; New data on Early Cretaceous (Hauterivian-Barremian) heteromorphic ammonites from Northern Germany, «Scripta Geologica», 140, Leiden, 2010 (თანაავტ. Ph. Hoedemaeker); Report on the 5th International Meeting of the IUGS Lower Cretaceous Ammonite Working Group, the Kilian Group (Ankara, Turkey, 31st August 2013), «Cretaceous Research 50», 2014 (თანაავტ.); Towards the morphological classification of the heteromorphy ammonites, «ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის და ა. ჯანელიძის გეოლოგიის ინ-ტის შრომები». ახალი სერია, ნაკვ. 127, თბ., 2015; Speculations on the ethology of some heteromorphy ammonites, «Swiss Journal of Palaeontology», vol. 134. Issue 2, Springer, 2015; Ammonites and the Mid-Cretaceous saga, «Cretaceous Research 88», 2018 (თანაავტ. P. Bengtson).




მ. დ. კაკაბაძე (დ. 1939).

კაკაბაძე ნოდარ მეთოდეს ძე (24. I. 1924, თბილისი, – 16. IX. 2007, იქვე), ლიტერატურათმცოდნე, გერმანისტი, პედაგოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1971). 1954–2006 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში დას. ევროპის ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტზე. უძღვებოდა საზღვარგარეთის ლიტ-რისა და გერმ. ლიტ-რის (მოდერნიზმი) ისტორიის კურსებს, ასევე ლირიკის თეორიისა და რომანის თეორიის სპეც. კურსებს. 1991–96 იყო ამავე ფაკ-ტის დეკანი, 1975–2001 – გოეთეს საერთაშ. საზ-ბის თბილისის ფილიალის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 2001–07 – პრეზიდენტი.

კ-ის კვლევის ძირითადი სფერო იყო მოდერნისტული და XX ს. II ნახ. გერმანულენოვანი ლიტ-რა: თ. მანის, ჰ. მანის, ფ. კაფკას, გ. ჰაუპტმანის, ბ. ბრეხტის, ჰ. ბიოლის და სხვ. შემოქმედება. თ. მანის შემოქმედებას მიუძღვნა ნაშრომები: ,,თომას მანი: ადრეული შემოქმედება‘‘ (1967), ,,თომას მანი და ნიცშე‘‘ (1971, რუს. ენაზე), ,,თომას მანი და დოსტოევსკი‘‘ (1976, ქართ., რუს. და გერმ. ენებ-

ზე); ასევე სტატიები: ,,თომას მანი (1875–1955)'' (1964), ,,თომას მანის უცნობი ნაწერები'' (1986), ,,თომას მანი და შილერი'' (1987) და სხვ. პ-მ ქართ. გერმანისტიკაში პირველმა შემოიყვანა მოდერნიზმის კლასიკოსი ფ. კაფკა და მის შემოქმედებას მიუძღვნა ნაშრომები: ,,ფრანც კაფკას ცხოვრება და შემოქმედება'', ,,თომას მანი და ფრანც კაფკა'' (ორივე 1971). ეს ნაშრომები მკითხველს აცნობს მოდერნიზმის ესთეტ. და ფილოს. საფუძვლებს.

პ. ასევე იკვლევდა გოეთეს შემოქმედებას, გერმანულ რომანტიზმს. ეს პრობლემატიკაა ასახული ნაშრომებში: ,,თანამედროვე დასავლური რომანი და მისი პოეტიკა'' (1971), ,,რომანტიზმი'' (1979), ,,ფაუსტი – ისტორიული, ფაუსტი – ლეგენდარული და ფაუსტი – ლიტერატურული, ანუ როგორ გადაიქცა ერთი ისტორიული პირი ლიტერატურულ პერსონაჟად'', ,,გოეთეს ლირიკული რომანი'' (ორივე 1983), ,,თანამედროვე დასავლური ლირიკა'' (1991) და სხვ.



პ. კაკაბაძე. (დ. 1893).

პ-ს ეკუთვნის ნაშრომები ქართ.-გერმ. ლიტ. ურთიერთობათა საკითხებზე: ,,კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში'' (1963, თანაავტორი ნ. რუხაძე), ,,საქართველოს თემა გერმანულ ლიტერატურაში'' (1971), ,,შოთა რუსთაველი და ვოლფრამ ფონ ეშენბახი'' (1980, გერმ. ენაზე), ,,იმპრესიონიზმი და ნიკო ლორთქიფანიძე'' (1982), ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპელი ავტორები'' (1998).

პ. ასევე დაინტერესებული იყო თეატრისა და კინოხელოვნების, პოეტიკისა და სტილისტიკის საკითხებით, რასაც არაერთი სტატია მიუძღვნა: ,,ფიქრები რიჩარდ III-ის ნახვის შემდეგ, ანუ რობერტ სტურუას თეატრალურ სამყაროში'', ,,ბერტოლდ ბრეჰტი და მისი ქართველი თეატრალური ინტერპრეტატორები'', «ვარიაციები რობერტ სტურუას ,,ვარიაციებზე'', ანუ ცდები ზნეობაზე» (სამივე 1981), «უღმრთო პარიზი, ანუ ეშმაკი საფრანგეთში (ოთარ იოსელიანის ფრანგული ფილმის ,,მთვარის ფავორიტების'' გამო)» (1985), ,,ტრიუმფი და დაქცევა ვარლამ არავიძის ოჯახისა'' (1987) და სხვ.

პ-მ ქართ. ენაზე თარგმნა ა. ზეგერსის, ე. შტრიტმატერის, ფ. კაფკას, ნ. ზაქსის, ი. ბახმანისა და სხვათა ნაწარმოებები.

თხზ.: ნარკვევები მე-20 საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან, თბ., 1964; პორტრეტები და სილუეტები, თბ., 1971; თომას მანი, თბ., 1973; საზელოვნებო და სალიტერატურო კოლაჟები, თბ., 1991; ,,Habent sua fata libelli'' ანუ ერთი წიგნის თავგადასავალი, «არილი», 2009, №6. *კ. ბრეგაძე.*

კაკაბაძე პლატონ მიხეილის ძე (1. IX. 1864, ხონი, – 10. XII. 1895, დაკრძალულია იქვე, მაცხოვრის ეკლესიის გალავანში), საოპერო მომღერალი (ლირიკულ-დრამატული ტენორი). დაწყებითი განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. აქვე გაიცნო და დაუახლოვდა ფ. *ქორიძესა* და მ. *ბალანჩივაძეს*, რ-ებმაც დიდი როლი შეასრულეს პ-ის მუს. გემოვნების ფორმირებაში. 1890 პ. მეგობრების დახმარებით გაემგზავრა პეტერბურგს და 1891 იქვე ჩაირიცხა კონსერვატორიაში. მალევე უნიკალური ხმის გამო მიავლინეს მილანში სწავლის გასაგრძელებლად, სადაც მისი პედაგოგი იყო ს. რონკონი. 1893–95 ,,იმერლის'' ფსევდონიმით გამოდიოდა იტალიის საოპერო სცენებზე (ასრულებდა მთავარ პარტიებს ოპერებში – შ. გუნოს ,,ფაუსტი'', გ. დონიცეტის ,,ფავორიტი ქალი'' და სხვ.). 1895-იდან იგი რუსეთში დაბრუნდა და ,,მარიას თეატრში'' დააპირა მოღვაწეობა, დებიუტიც დაუნიშნეს, თუმცა მოულოდნელად ავად გახდა და ხმაც დაკარგა. ამ ტრაგედიის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული მომღერალი მალევე გარდაიცვალა. პ-ს ჰქონდა უნიკალური ჟღერადობის ძლიერი ხმა, მდიდარი არტისტული მონაცემები.

ლიტ.: ცამციშვილი ა., უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანნი, თბ., 1962.

კაკაბაძე პოლიკარპე მალხაზის ძე [23. II(7. III). 1893, სოფ. კუხი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, – 15. X. 1972, თბილისი], დრამატურგი. 1911 დაამთავრა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. გატაცებული იყო ლიტ-რით. მისი პირველი ნოველა ,,ბრძენი მოქანდაკე'' დაიბეჭდა 1915 ჟურნალში ,,თეატრი და ცხოვრება'' (№46). 1919 დააარსა ჟურნ. ,,შვიდი მნათობი'', რ-შიც დაიბეჭდა პ-ის პიესები: ,,სისხლი სინათლემდე'' (№1) და ,,სამი ასული'' (№2). 1924–25 პ. ახალდაარსებული ,,მნათობის'' სათავეებთან იდგა. ამ ჟურნალში 1924 გამოქვეყნდა მისი პოემა ,,ძველი დაფები''.

პ-ის პიესები მნიშვნელოვანი შენაძენია ქართ. დრამატურგიისათვის. ისინი დღემდე ინარჩუნებენ აქტუალობასა და მიმზიდველობას. ამის მიზეზია ეპოქის უმთავრეს პრობლემათა მაღალმხატვრულად გააზრება, თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებისათვის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მინიჭება, მკვეთრად ინდივიდ. გმირთა სახეების დიდი ოსტატობით გამოძერწვა და სხვ. ამიტომაც პ-მ სიცოცხლეშივე მოიპოვა საზ-ბის დიდი აღიარება. XX ს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე მისი პიესები წარმატებით იდგმება ქართ. სცენაზე. 1925 შოთა რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე დაიდგა პ-ის დრამა ,,ლისაბონის ტუსაღები'' (რეჟ. დ. ანთაძე; იგივე პიესა 1994 სათაურით ,,პორტოპოლოს ტუსაღები'' დაიდგა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში); 1938 კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში კი – კომედია ,,კოლმეურნის ქორწინება'' (1937). ისტ. პიესა (კომედია) ,,კახაბერის ხმალი'' (,,დავით მერვე'', 1954), რ-საც ასაზრდოებს ქართ. ფოლკლორის სახეები, პირველად დაიდგა 1957 ქუთაისში (რეჟ. თ. მაღალაშვილი), 1965 კი – თბილისში (კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე). 2014 შოთა რუსთაველის სახ. თეატრში რეჟ. რ. სტურუამ პ-ის რამდენიმე პიესის მიხედვით დადგა სპექტაკლი ,,ასულნი''. დიდი პოპულარობით სარგებლობს პ-ის კომედია ,,ყვარყვარე თუთაბერი'' (1928), რ-იც ქართ. კომედიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშია. პიესის პოპულარობა მისი პერსონაჟის ტიპურმა სახემ განსაზღვრა – ყვარყვარე მედროვეა, რ-იც ყველა ეპოქაში შეიძლება წამოატივტივოს ობიექტურმა ვითარებამ. ყვარყვარე იქცა ზოგად სახელად, ხოლო ,,ყვარყვარიზმი'' – ამ მოვლენის აღმნიშვნელ ტერმინად. თ. ჭილაძის აზრით, ,,ყველა ადამიანის სულის კუნჭულში ზის პაწაწინა ყვარყვარე და მოთმინებით ელოდება ცხოვრების სცენაზე გამოსვლას''. ყვარყვარე მსოფლიო ლიტ-რაში შექმნილი პერსონაჟების გვერდით დგას: ,,ყოველ ადამიანში მეტ-ნაკლებად ზის დონ კიხოტი, ჰამლეტი, ფალსტაფი, ყვარყვარე...'' (ა. გეწაძე). ქართ. ფოლკლორული გმირის – ნაცარქექიას ნიღბით აღჭურვილმა გაიძვერა და თაღლითმა ყვარყვარემ «იცის მთავარი: როგორ მოექცეს ბრბოს, როგორ მოისყიდოს ან მოთანგოს იგი. მას რომ ეს ,,სიბრძნე'' არ გააჩნდეს, ესოდენ საშიშიც არ იქნებოდა ჩვენთვის»

(გ. ასათიანი). პიესა პირველად დადგა კ. მარჯანიშვილმა 1929; ახლებური იყო პიესის რ. სტურუასეული დადგმა შოთა რუსთაველის სახ. თეატრში (1974). რ. სტურუას აზრით, ,,ამ გენიოს კაცს არ მიეცა საშუალება, გამოევლინა თავისი თავი. მარტო ქართული პრობლემები არ არის მის პიესებში. პოლიკარპე კაკაბაძეს საკაცობრიო პრობლემები ეროვნულამდე დაჰყავდა... მე, როგორც რეჟისორი, ამ პიესით დავიბადე'' (,,თეატრი და ცხოვრება'', 1994, №4). ,,ყვარყვარე თუთაბერის'' მიხედვით გადაღებულია ფილმი ,,ყვარყვარე'' (1978, რეჟ. დ. აბაშიძე).

1958 კ-მ დაწერა საყურადღებო პიესა, კომედია ,,ლოპიანე'' (გამოქვეყნდა მწერლის სიკვდილის შემდეგ, 1996); 1962 – პიესა ,,ცხოვრების ჯვარა'', რ-შიც განზოგადებულია თანამედროვეობის ტკივილები.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში კ. ინტენსიურად მუშაობდა ისტ. დრამისა და ტრაგედიის ჟანრში. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა დრამ. პოემები: ,,მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი'' (1966), ,,მეფე ბაგრატ მეშვიდე''(1967); ტრაგედია ,,მეფე დიმიტრი თავდადებული'' (1971).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: პიესები, თბ., 1952; რჩეული თხზულებანი, თბ., 1954; დრამატული თხზულებანი, თბ., 1959; დრამატული პოეზია, ტ. 1–2, თბ., 1971–73.

ლიტ.: ბენაშვილი დ., ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1972; გეწაძე ა., პოლიკარპე კაკაბაძის უცნობი პიესა ,,ლოპიანე'', გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1996, №5–12; კაკაბაძე მ., ეროვნული გმირის იდეა პოლიკარპე კაკაბაძის ,,ვახტანგ გორგასალსა'' და ,,კახაბერის ხმალში'', «ლიტერატურული ძიებანი», XXIV, თბ., 2003; კაკაბაძე ნ., შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, ანუ ,,პორტოპოლოს ტუსაღები'', გაზ. «ქართული ფილმი», 1994, №40; კალანდაძე ა., ბრძენკაცი, ორტომეული, ტ. 2, თბ., 1996; ციციშვილი გ., ქართული საბჭოთა დრამატურგია, ნაწ. 1, თბ., 1962; ჭილაძე თ., დიდი კომედიოგრაფი, მის წგ.: ესეები, ნარკვევები, პუბლიცისტიკა, თბ., 2006; ჯიბლაძე გ., კრიტიკული ეტიუდები, [ტ.] 5, თბ., 1974; Паюровский Б., Тартюф – по грузински Кваркваре, გაზ. «Известия», 1991, 16 янв. *მ. კაკაბაძე.*

პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი, მემორიალური მუზეუმი სოფ. პატარა კუხში (ხონის მუნიციპალიტეტი). დაარსდა 1986, ააიპ (არასამთავრობო, არაკომერციული იურიდ. პირი), ექვემდებარება ხონის სამუზეუმო გაერთიანებას.




პ. კაკაბაძის სახლ-მუზეუმი.

მუზეუმში დაცულია პ. კაკაბაძის მემორიალური ნივთები, ხელნაწერები, გამოცემები, ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტო- და დოკუმენტური მასალა, სულ 450-მდე ექსპონატი.

მუზეუმში ყოველწლიურად ეწყობა გამოფენა დრამატურგის დაბადების დღესთან დაკავშირებით. მოეწყო გამოფენა ,,კაკაბაძეთა გვარის წარმომადგენლები''. მოქმედებს საგანმან. პროგრამები: ,,პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება'', ,,თეატრი და ცხოვრება''. მუზეუმი გამოსცემს გზამკვლევს. ყოველწლიურად მუზეუმს სტუმრობს დაახლ. 625 დამთვალიერებელი.


კაკაბაძე რევაზ აპოლონის ძე (9. III. 1932, თბილისი, – 19. II. 1994, იქვე), მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი. სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1953–59; პედაგოგი – უ. ჯაფარიძე). 1967–94 იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1960-იდან. მისი ნამუშევრებია: ,,თუჯის ჩამოსხმა'' (1961), ,,დასვენების დღე'' (1962), ,,პარტიზანები'' (1964), ,,წითელარმიელები მოვიდნენ'' (1972), ,,ძველი ეზო მარტყოფში'' (1974), სერია ,,ჩემი



რ. ა. კაკაბაძე. სერიიდან ,,ჩემი სოფელი''. 1974.

სოფელი'' (1974), ,,შემოდგომა'' (1975), ,,დილა სოფელში'' (1976) და სხვ. გამოფენები: იუგოსლავიაში, ბულგარეთში, საფრანგეთში (1980–84) და სხვ. კ-ის ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, თსუ-ში, ფრუნზეს (ახლანდ. ბიშკეკის) სახვ. ხელოვნ. მუზეუმში.

კაკაბაძე რევაზ სერგოს ძე (28. IX. 1928, თბილისი, – 2. XII. 1996, იქვე), მომღერალი (ბარიტონი), საქართვ. სახ. არტისტი (1985). 1953 დაამთავრა თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტი (გერმანული ენის სპეციალობით), 1959 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. გ. მარგიევის კლასი). 1961-იდან გარდაცვალებამდე თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრის სოლისტი იყო. შესრულებული აქვს 40-მდე მთ. პარტია, რ-თაგან განსაკუთრებით გამოირჩევა მურმანი (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი''), ჩალხია (ო. თაქთაქიშვილის ,,მინდია''), რიგოლეტო, დი ლუნა, ამონასრო, იაგო (ჯ. ვერდის ,,რიგოლეტო'', ,,ტრუბადური'', ,,აიდა'', ,,ოტელო''), ტომსკი (პ. ჩაიკოვსკის ,,პიკის ქალი''), ტონიო (რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები'') და სხვ. 1959–61 ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას თბილ. სახელმწ. ფილარმონიაში. კ-ს ჰქონდა ლამაზი ტემბრის, შესანიშნავი ჟღერადობის ხმა, სცენური გარდასახვის უნარი. გასტროლებს მართავდა (თეატრთან ერთად თუ ინდივიდუალურად) უცხოეთის ქვეყნებში (გერმანია, პოლონეთი) და სხვ.



რ. ს. კაკაბაძე.

კაკაბაძე სარგის ნესტორის ძე [7 (19). X. 1886, სოფ. კუხი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, – 2. IV. 1967, თბილისი], ისტორიკოსი და ფილოლოგი, პროფესორი (1949). სწავლობდა ვენის უნ-ტში, დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის აღმოსავლური ენების ფაკ-ტი. 1911–19 კითხულობდა ლექციებს თბილ. ქალთა უმაღლეს კურსებზე, ხოლო შემდეგ, 1952-მდე – საქართვ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1918–32 იყო სსრკ მეცნ. აკად. კავკ. ისტ.-არქეოლ. ინ-ტის თანამშრომელი, 1921–26 – საქართვ. ისტ. არქივის გამგე, 1945–61 – იმავე არქივის ძვ. აქტების განყ-ბის გამგე. 1924–34 ხელმძღვანელობდა სიძველეთა დაცვის კომიტეტს.

გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები საქართვ. სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიის, დამხმარე ისტ. დისციპლინების, ფილოლოგიისა და ტექსტოლოგიის საკითხებზე. შეისწავლა და გამოაქვეყნა მრავალი ისტ. დოკუმენტი. მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა ,,ვეფხის-



ს. კაკაბაძე.



კაკაბი.


ტყაოსანი'' ვრცელი გამოკვლევით (1913, 1927), ჩახრუხაძის ,,თამარიანი'' (1937), შავთელის ,,აბდულმესიანი'' (1913, 1937), ,,ამირანდარეჯანიანი'' (1939). მუშაობდა ეთნოგენეზის, ისტ. გეოგრაფიისა და დემოგრაფიის, ადმ. დაყოფისა და მმართველობის საკითხებზე. იყო ,,*საისტორიო მოამბის*'' (1924–25, 4 წიგნი), ,,*საისტორიო კრებულის*'' (1928–29, 4 წიგნი) რედაქტორი.

თხზ.: საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1920; საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500–1810 წწ.), ტფ., 1922; საისტორიო ძიებანი, ტფ., 1924; სასისხლო სიგელების შესახებ, ტფ., 1924; ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, წგ. 1, ტფ., 1924; საფასის ისტორიისათვის საქართველოში, ტფ., 1925; ძიებანი ქართველთა IV–VII საუკუნეების ისტორიის შესახებ, ტფ., 1928: ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959; რუსთაველი და მისი ,,ვეფხისტყაოსანი'', თბ., 1966; კრწანისის ომი, თბ., 1991; ვახტანგ გორგასლის ხანა, თბ., 1994; ქართველი ხალხის ისტორია (1737–1921), თბ., 2003; О древнегрузинских летописцах XI столетия, Тфл., 1912; Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков, Тфл., 1912; Из социально-экономических вопросов средневековой Грузии, Тфл., 1927; Краткий обзор истории Грузии, Сух., 1941.

ლიტ.: ბადრიძე შ., სარგის კაკაბაძე, თბ., 1986; ლომაშვილი ჯ., სარგის კაკაბაძის ღვაწლი ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2005; ტუხაშვილი ლ., ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1977, № 4.

ს. კაკაბაძე.

კაკაბაძე სილოვან იოაკიმეს ძე [31. VII (12. VIII). 1895, ხონი, – 10. VI. 1993, თბილისი], მოქანდაკე. საქართვ. სახალხო მხატვარი (1965). საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1941), სტალინური პრემიის ლაურეატი (1941). სწავლობდა მ. თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიაში (1922–24). 1930 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია ი. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. 1932-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1941-იდან – პროფესორი, 1936–42 – რექტორი, 1950–63 – ქანდაკების კათედრის გამგე). მუშაობდა მონუმ. და დაზგური ქანდაკების დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სკულპტურული პორტრეტები. ნამუშევრები: პორტრეტები – ,,მეტყევე'' (1935); ,,რაფიელ აღლაძე'' (1944); ,,სიმონ ჯანაშია'' (1946); ,,გალაკტიონ ტაბიძე'' (1947); ,,სულხან-საბა ორბელიანი'' (1947); ,,კოტე მარჯანიშვილის პორტრეტი'' (1951); ნესტორ კალანდარიშვილი'' (1961, 1967); ,,დავით გამრეკელი'' (1963); ,,თინათინი'' (1966); ,,სიმონ კლდიაშვილი'' (1969); ,,ციცინოს პორტრეტი'' (1970); ,,ელეფთერ ანდრონიკაშვილი'' (1972); ,,ახალგაზრდა ქართველი დედა'' (1978); ,,ივანე ბერიტაშვილი'' (1979, თსუ-ის ეზოსავანე) და სხვ. ძეგლები: ი. სტალინის (1939, ბრინჯაო, თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, აიღეს 1961); ა. წულუკიძის (1946, ქვა, ხონი), კ. ლესელიძის (1977, ბრინჯაო, ლესელიძე). მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეაში (მოსკოვი), დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში. მილებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



ს. კაკაბაძე. ,,დავით გამრეკელი''. მარმარილო. 1963.

კაკაბეთი, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 720 *მ*, საგარეჯოდან 17 *კმ*, ბადიაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. 2,8 ათ. მცხ. (2014).

სოფელში, კუპატაძეთან უბანში, დგას XIX ს. II ნახ-ში აგებული ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია; სოფლის ჩრდ-ით, სამიოდე *კმ*-ზე, კავთის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესიაა, რ-იც განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება.

კაკაბი (Alectoris chukar), ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. ფერად მოცისფრო-მონაცისფროა, თავსა და ფრთებზე მოვარდისფრო ელფერი დაჰკრავს; ზურგი მოყავისფრო-მონაცრისფროა; გვერდებზე გარდიგარდმო მუქი ზოლები გასდევს. შუბლიდან თვალებზე, კისრის გვერდებსა და ყელზე აქვს განიერი შავი ზოლი, რ-იც სხვადასხვა ფორმის რკალს ქმნის. მამალი ტანად დედალზე დიდია, ფეხებზე აქვს დეზები. კ-ის სხეულის მასა 350–700 *გ* აღწევს. გავრცელებულია ბალკანეთის მთებიდან ჩრდ. ჩინეთამდე, გვხვდება ჩრდ. აფრიკაში. საქართველოში ბინადრობს კავკასიონის სამხრ. კალთებზე, ცივ-გომბორის, გურია-აჭარის, თრიალეთისა და ერუშეთის ქედებზე, ივრის ზეგანზე, ქვაღორღიან, მეჩხერი ბუჩქნარით დაფარული მთების ფერდობებზე – მთისწინებიდან თითქმის თოვლის ხაზამდე. იკვებება მცენარის თესლით, ყლორტებით, კვირტებით და მწერებით. სპორტული ნადირობის ობიექტია.

ა. ბუხნიკაშვილი.

კაკალაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (13.IV. 1920, თბილისი, – 20.IV. 1995, იქვე), ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979), სსრკ-ისა და საქართვ. დამს. გამომგონებელი (1982). 1942 დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტი, 1943 კი – მოსკოვის საარტ. აკადემია. 1946 მუშაობა დაიწყო საქართვ. ინდუსტრიულ ინ-ტში, 1958-იდან იყო კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობების, ხოლო 1976-იდან – სამაცივრო ტექ. კათედრის გამგე. პარალელურად (1977-იდან) ხელმძღვანელობდა თავისსავე ჩამოყალიბებულ დარგობრივ ლაბორატორიას.

კ-ის სამეცნ. კვლევები ეხება კვების მრეწველობაში მანქანათმშენებლობის მიმართულებით გაანგარიშებისა და კონსტრუირების საკითხებს, კერძოდ, ჩაის გადამმუშავებელი მანქანების პრობლემების გადაჭრას. 1981 (მეცნიერების ჯგუფთან ერთად) მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. კ-ის გამოგონებებზე გაცემულია და გაყიდულია პატენტები ინგლისში, იაპონიაში, ინდოეთსა და შრილანკაში.

თხზ.: კვების მრეწველობის საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობების გაანგარიშებისა და კონსტრუირების საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 1972; Теоретические и экспериментальные основы расчета конструирования роллеров, Тб.,1971.

კაკალი, ნიგვზის ხე (Juglans regia), ფოთოლმცვივანი ხე კაკ-

ლისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 20–30 *მ* აღწევს, დიამეტრი – 1,5 *მ*. შვეულად მდგომს ვარჯი ფართოდ აქვს გადაშლილი, კორომში კი ვიწროდ არის აზიდული. აქვს ლეგა, დაშაშრული ქერქი, ერთსქესიანი და ერთსახლიანი ყვავილები, კენტფრთართული, პრიალა ფოთოლი, რ-იც ეთეროვან ზეთს შეიცავს. ნაყოფი კურკიანაა (ე. წ. „კაკალი“). ბუნებრივად გავრცელებულია მცირე აზიაში, ბალკანეთის ნ.-კ-ზე, ირანში, ჩინეთში, კავკასიასა და შუა აზიაში. სამხრ. კავკასიაში ველურად იზრდება თითქმის ყველგან, ქმნის მცირე კორომებს, მეტწილად კი ერთეული ხეებია. მდინარისპირა ვაკეთა ტყეებში შერეულია მუხასთან, თელასა და რცხილასთან. საქართველოში ველური კ-ის



კაკალი.

ყველაზე დიდი კორომია მდ. ალაზნის ნაპირებზე – პანკისის ხეობაში (10 *ჰა*) და ჯუმას ყურეში (ალაზნის ველის ჭალაში, 40 *ჰა*). კ. სინათლისა და სითბოს მოყვარულია. მაღალ მთებში (1500 *მ*-ზე ზევით) სიცივე აზიანებს, უძლებს 20–22 °C-მდე ყინვას. საკმაოდ გვალვაგამძლეა. ვერ ეგუება ჭარბტენიან და ეწერ ნიადაგს. კარგად ხარობს ნოყიერ ნიადაგზე, თიხნარ-კირნარზე. ყვავილობს ფოთლის გაშლასთან ერთად, ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ნაყოფმსხმოიარეა 12 წლიდან 200 წლამდე. მოსავლიანი ხეა, იძლევა 100–200 *კგ* ნაყოფს. აქვს მძლავრი ფესვთა სისტემა. მისი მერქანი (მეტადრე ნუჟრები) ძვირფასი საავეჯე მასალაა. კაკლის გული შეიცავს ცხიმებს (45–77%), ცილებს (8–21%), B_1 ვიტამინსა და პროვიტამინს. მკვახე ნაყოფი მდიდარია C ვიტამინით, მისგან მურაბას ამზადებენ. მწიფე კაკლის გულისაგან – ნიგვზისაგან – ხდიან ზეთს და ხმარობენ საკონდიტრო წარმოებაში.

ვ. მირზაშვილი.

კაკასხიდი, სოფელი ბაღდათის მუნიციპალიტეტის ხანის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. ხანისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 760 *მ*, ბაღდათიდან 18 *კმ*, რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 36 *კმ*. 13 მცხ. (2014).

სოფლის მახლობლად არის კარსტული მღვიმე.

კაკაჩა (Buteo), მტაცებელ ფრინველთა გვარი შავარდნისნაირთა რიგისა. ცნობილია 25 სახეობა, გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, მადაგასკარზე, ჰავაის კუნძულებზე, ამერიკაში. საქართველოში გვხვდება 3 სახეობის კ.: ჩვეულებრივი კ. (B. buteo); ველის კ. (B. rufinus); ფეხბანჯგვლიანი კ. (B. lagopus). საქართველოში ჩვეულებრივი კ-ს ორი ქვესახეობა გვხვდება: ქარცი კ. (B. buteo vulpinus), რ-იც მცირე კავკასიონზე ბუდობს, და კავკასიური კ. (B. buteo menetriesi), რ-იც მეტწილად დიდ კავკასიონზე გვხვდება. ზამთარში შემომფრენია ფეხბანჯგვლიანი კ. კ-ს სხეულის სიგრძე 46–57 *სმ* აღწევს, ფრთების შლილი – 110–130 *სმ*. დედალი ტანად მამალზე დიდია. იკვებებიან თაგვისებრი მღრღნელებით, პატარ-პატარა ფრინველებით და სხვ. სასარგებლო ფრინველია, საჭიროებს დაცვას. ველის კ. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“.

ა. ბუხნიკაშვილი.
რ. ჟორდანია.

კაკბის ბალახი, დრიადი (Dryas), მარადმწვანე, გართხმული ბუჩქოვანი მცენარეების გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. 10-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია არქტიკულ და სუბარქტიკულ რნებში, ჩრდილო ზომიერი სარტყლის მაღალმთიანეთში, ევრაზიასა და ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში ერთადერთი სახეობაა – კავკასიის ენდემი – D. caucasica. კ. ბ-ს იყენებენ „ალპური გორაკების“ მოსაწყობად.

კახი, კახი, საქართველოს ისტორიული პროვინციის, ჰერეთის მნიშვნელოვანი პუნქტი და მხარე ახლანდ. XX ს. 30-იანი წლებიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებშია. მოიცავს კახის რნის ტერიტორიას. ისტ. პუნქტი კ. რ-ნის ადმ. ცენტრია. პირველად იხსენიება XI ს. დასაწყისში, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო დაბა.

პოლიტ. ერთეულად ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც 1604 ირანის შაჰმა აბას I-მა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს ჰერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი – კ. ჩამოართვა და წახურელ ლეკებს გადასცა. კ. იყოფოდა 3 ნაწილად: კახ-ბაში, კახ-ინგილო და კახ-მუალი. XVIII ს. I მეოთხედში კ-ში საბოლოოდ ჩამოყალიბდა წახურელ ლეკთა ე. წ. უბატონო თემები (ელისუს, ყარადულაკის, სუვაგილისა და წახურის), რ-თაც კახეთის სამეფოს საკმაოდ დიდი ნაწილი თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს და დაიმორჩილეს. ასე ჩაეყარა საფუძველი შემდგომი დროის ელისუს სასულთნოს, რ-იც XIX ს. შუა ხანებში რუს. იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

1860–1917 კ. წარმოადგენდა თბილისის გუბერნიის ზაქათალის ოლქის ნაწილს. 1918–21 წლებში შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 3, თბ., 1966; პაპუაშვილი თ., ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972; მისივე, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.



კაკალი. ნაყოფი.

კაკილაშვილი ნუგზარ (ნუკრი) შალვას ძე (დ. 28. V. 1960, თბილისი), სპორტსმენი, ფეხბურთელი (ნახევარმცველი). თამაშობდა თბილისის ,,დინამოში'' (1977–87), ლანჩხუთის ,,გურიაში'' (1988), ბათუმის ,,დინამოში'' (1989), თბილისის ,,შევარდენი 1906-ში'' (1990). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 198 მატჩი (21 გოლი), საქართვ. უმაღლეს ლიგაში – 12. სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1981). სსრკ თასის მფლობელი (1979) და ფინალისტი (1980). ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1981). 1992–2004 იყო ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნ. სტადიონის დირექტორი.



კაკაჩა.

კაკლიანი, გაგრის მუნიციპალიტეტის სოფ. *ორეხოვოს* სახელწოდება 1955-მდე.

კაკლიანი (1949-მდე – ქართველების კაკლიანი), სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის გომარეთის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), გომარეთის პლატოზე. ზ. დ. 1340 *მ*, დმანისიდან 40 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

კაკლიანი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის ყიზილქილისის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), დმანისის პლატოზე. ზ. დ. 1340 *მ*, დმანისიდან 14 *კმ*, კაზრეთიდან



კაკბის ბალახი.



გ. კაკოიშვილი.



ე. კაკულია.



თ. კაკულია.



ი. კაკულია.

(უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 *კმ*. 321 მცხ. (2014).

პ-ში დგას ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (XI ს.) და ,,თოთეს ეკლესია'', ხოლო სოფლის მახლობლად – წვერის წმ. გიორგის ეკლესია (ორივე თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით).

კაკოიშვილი გიორგი ანდრიას ძე (დ. 4. XII. 1933, ქ. ხაშური), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1979). სამედ.-ბიოლ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1999). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989).

1957 დაამთავრა თსსი, რ-ის შემდეგ მუშაობდა ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სანიტ.-მედ. ნაწილის ქირურგად (1958–60), რესპ. ცენტრ. კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყ-ბის ორდინატორად (1960–72). იყო ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი (1979–2006); 2009-იდან არის თსსუ-ის ზოგადი ქირურგიის კათედრის მოწვეული პედაგოგი, 2012-იდან – რექტორთა საბჭოს წევრი.

პ. იკვლევდა იზოლირებული და იმპლანტირებული გულის აღდგენის საკითხს ნორმოთერმული პერფუზიის პირობებში, ჩირქოვანი დაავადებების დიაგნოსტიკისა და ოპერაციული მკურნალობის ზოგად პრინციპებს. ავტორია სამედ. ინ-ტის სტუდენტებისათვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოსი – ,,ქირურგიული გასტროენტეროლოგია''. საქართვ. სახელმწ. პრემია მიენიჭა შრომათა ციკლისათვის ,,გულის კუნთის მწვავე იშემია და გულის მუშაობის აღდგენა''.

პ. არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში; საზ-ბა ,,მედიკის'' ჩემპიონატების მონაწილე და პრიზიორი.

თხზ.: ჩიყვის ქირურგიული მკურნალობა, თბ., 1982; ჩირქოვანი ქირურგიის აქტუალური საკითხები, თბ., 1985.

კაკულია აკაკი გრიგოლის ძე (22. IV. 1922, სოფ. გურძემი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 27. III. 1996, თბილისი), ფიზიოთერაპევტ-კურორტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1977), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984).

1946 დაამთავრა თსსი. 1948–58 იყო კურ. მენჯის მთ. ექიმი. 1958–96 მუშაობდა ი. კონიაშვილის სახ. კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1968-მდე იყო ამ ინ-ტის ბალნეოთერაპიის განყ-ბის გამგე, 1968-იდან კი ხელმძღვანელობდა ფიზიო-ბალნეოთერაპიისა და სამკურნ. ფიზკულტურის განყ-ბებს. 1978-იდან იყო საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. სპეციალისტი.

პ. იკვლევდა კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის აქტუალურ საკითხებს. დაადგინა მიკროელემენტების ელექტროფორეზის, აგრეთვე სხვადასხვა ინტენსივობის მაგნიტური ველის ეფექტური გავლენა პათოლ. პროცესებზე გულ-სისხლძარღვთა და ძვალ-სახსართა დაავადებების დროს. შეიმუშავა 40-ზე მეტი ახ. სამკურნ. ფიზიოთერაპ. მეთოდი, რ-იც დაინერგა სამედ. პრაქტიკაში. 1979–96 იყო თბილისის კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე.

თხზ.: Применение некоторых новых активных методов физиотерапии, Тб., 1983; Новые эффективные методы и методика физиотерапии, Тб., 1986.

კაკულია ეთერ ირაკლის ასული (29. XI. 1942, თბილისი, – 26. VI. 2015, იქვე), საესტრადო მომღერალი. საქართვ. დამს. არტისტი (1983). 1965 დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენისა და ლიტრის ფაკ-ტი გერმანული ენის სპეციალობით. სტუდენტობის პერიოდში პ. აქტიურად ჩაერთო თსუ-ის თვითშემოქმედებაში და უნ-ტის საესტრადო ორკესტრის სოლისტი გახდა. 1969 მიიწვიეს სპი-ის საესტრადო ორკესტრში (ხელმძღვ. – ს. ტულუში) სოლისტად. 1964-იდან იგი იყო ფილარმონიის, 1975-იდან საქართვ. სახელმწ. ორკესტრ ,,რეროს'' (ხელმძღვ. – კ. პევზნერი), ხოლო 1986-იდან საქართვ. ტელერადიოს სოლისტი. პ-ის მიერ შესრულებული სიმღერებიდან აღსანიშნავია ვ. აზარაშვილის ,,მზე ჩემი კარგი მეგობარია'', ა. ბუკიას ,,ჭაღარა'', ი. ბობოხიძის ,,ცირა'', ი. გურგულიას ,,უშენოდ'', ე. ჭელიძის ,,თბილისის ქუჩები'', ნ. დუღაშვილის ,,გამიფრთხილდი, გამიფრთხილდი'', ,,შენი თვალები'', რ. სებისკვერაძის ,,მხარე ლამაზი'' და სხვ. გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მ. შ. საფრანგეთი, ინგლისი, ჩეხეთი, გერმანია, უნგრეთი, ბულგარეთი, ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ჰოლანდია და სხვ. პ. იყო ბალტიისპირეთის საკავშირო ფესტივალისა (1980) და პოლონეთის ფესტივალ ,,კაპონეს'' (1982) ლაურეატი. მიღებული აქვს საქართვ. ფესტივალ ,,მეგა-2009-ის'' სპეც. პრიზი ნომინაციაში ,,ყველა თაობის საყვარელი მომღერალი''. 2015 თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა პ-ს ვარსკვლავი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000). *ნ. გელოვანი.*

კაკულია თეიმურაზ ირაკლის ძე (26. IV. 1947, თბილისი, – 25. VIII. 2006, იქვე), სპორტსმენი, ჩოგბურთელი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1977). ოლიმპიური თამაშების საჩვენებელი ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი მამაკაცთა და შერეულ წყვილებში (მეხიკო, 1968). ევროპის ოთხგზის ჩემპიონი მოყვარულთა შორის (1974, 1976–77), სსრკ 6-გზის ჩემპიონი (1969, შერეულ წყვილებში მ. ჩუვირინასთან ერთად; 1972–76, წყვილებში ა. მეტრეველთან ერთად). სსრკ თასის სამგზის მფლობელი (1972, 1975–76). 11 წელი შედიოდა სსრკ საუკეთესო ჩოგბურთელ კაცთა ათეულში: 1966 (X ნომერი), 1967 (V), 1968 (VIII), 1971 (VII), 1972 (II), 1973 (II), 1974 (II), 1975 (III), 1976 (II), 1977 (II), 1978 (II). მონაწილეობა მიიღო დიდი მუზარადის 16 ტურნირში (32 შეხვედრიდან 15 მოიგო). მისი საუკეთესო შედეგია ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალი წყვილში ა. მეტრეველთან (1972), ამერიკის ღია პირველობაზე ითამაშა მერვედფინალში. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა ,,დევისის თასის'' 15 მატჩში (გუნდმა მიაღწია ნახევარფინალს 1974, 1976). უნივერსიადის ჩემპიონი ერთეულსა და წყვილში (მოსკოვი, 1973). სსრკ ნაკრების მწვრთნელი. საქართვ. დამს. მწვრთნელი. წლების განმავლობაში იყო ლ. მესხის პირადი მწვრთნელი.

კაკულია იური სიმონის ძე (17. I. 1923, ხარაგაული, – 2. III. 1997, თბილისი), რეჟისორი. საქართვ. სახალხო არტისტი (1985). 1946, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტზე, რ-იც 1952 დაამთავრა. 1953–55 იყო კულტ.-საგანმან. სასწავლებლისა და თეატრ. ინ-ტის პედაგოგი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა რეჟისორად, დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად ქუთაისის (1962–63, 1970–72, 1982–85), 1956–58 და 1967–68, 1979–82), ჭიათურის (1958–60), თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. (1964–67),



ი. კაკულია (რეჟისორი). ა. ფადეევის ,,ახალგაზრდა გვარდია'' 1977 წ.

რუსთავის (1972–75 და 1989), გორის (1975–79), ს. ახმეტელის სახ. (1986–88) და პანტომიმის (1988–89) სახელმწ. თეატრებში. მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: სოხუმის თეატრში – ი. ჭავჭანიძის ,,კეთილი მეზობლები'' და ,,მამლუქი'' (1956), ნ. დუმბაძის ,,ნუ გეშინია, დედა'' (1979), ლ. ტოლსტოის ,,კაზაკები'' (1981); ქუთაისის თეატრში – ა. ყაზბეგის ,,განკიცხულნი'' (,,მამის მკვლელის'' მიხედვით, 1982), ს. მარშაკის ,,წელიწადის თორმეტი თვე'' (1984); კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში – ჯ. სელინჯერის ,,თამაში ჭვავის ყანაში'' (1964); გორის თეატრში – სოფოკლეს ,,ანტიგონე'' (1976); ჯ. ოსბორნის ,,მოიხედე მრისხანების ჟამს'' (1977), მ. ხეთაგურის ,,თეთრი პალატა'' (1978), ა. ფადეევის ,,ახალგაზრდა გვარდია'' (1977); ს. ახმეტელის სახ. თეატრში – ი. ჭავჭავაძის მიხედვით ,,ბაზალეთისა ტბის ძირას'', ბ. ბრეხტის ,,დედილო კურაჟი და მისი შვილები'', შ. შამანაძის ,,ღია შუშაბანდი''. კ-ს რეჟისურა ხასიათდებოდა აქტიური, მაძიებლური ხასიათით. 1978 დ. კლდიაშვილის ,,უბედურებისა'' და ,,მსხვერპლის'' დადგმისათვის დაჯილდოვდა ა. პოპოვის სახ. მედლით, ხოლო 1979 ა. ფადეევის ,,ახალგაზრდა გვარდიის'' განხორციელებისათვის – კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიით.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).

კაკულია მერაბ რევაზის ძე (დ. 29. VI. 1961, ქ. მახარაძე, ახლანდ. ქ. ოზურგეთი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2002). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1983). 1987–92 იყო თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის თანამშრომელი. 1993–2005 – საქართვ. ეროვნ. ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, იმავდროულად (2000–05) – შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) მმართველი საქართველოდან. 2005–10 მუშაობდა ეკონ. პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართ.-ევრ. ცენტრის (GEPLAC) მთ. ეკონ. ექსპერტად და ჟურნ. ,,საქართველოს ეკონომიკური ტენდენციების'' მთ. რედაქტორად. 2010-იდან არის საქართვ. სტრატეგიისა და საერთაშ. ურთიერთობების კვლევის ფონდის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი და საქართვ. საზ. საქმეთა ინ-ტის (GIPA) სამართლისა და პოლიტიკის სკოლის სრული პროფესორი.

კ-ს კვლევის ძირითადი სფეროებია ეკონ. ზრდის, მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის, საბანკო სექტორის განვითარების, საერთაშ. ფინანსებისა და ვაჭრობის საკითხები.

თხზ.: დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბ., 2000 (თანაავტ.); სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2001; საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2012 (თანაავტ.); On the political economy of economic slowdown in Georgia, Tb., 2013.

კაკულია ნელი აკაკის ასული (დ. 11. VII. 1951, თბილისი), ექიმი (ფიზიკური მედიცინა, რეაბილიტაცია და კურორტოლოგია). მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2000).

1974 დაამთავრა თსსი; 1975–78 მუშაობდა ნევროპათოლოგად კურორტ მენჯში, 1980-იდან კი – თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრაზე (ლაბორანტად, ასისტენტად, იყო კათედრის პროფესორი), 2004-იდან კათედრის გამგე.

2006-იდან თსსუ-ის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის მიმართულების სრული პროფესორია. 2008-იდან არის ამავე უნ-ტის ფიზ. მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკ-ტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; 2009–16 – იქვე კურორტოლოგიისა და სამკურნ. ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სრული პროფესორი, 2016-იდან დღემდე – კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

კ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის (მ. შ. 3 მონოგრაფიის) ავტორია, რ-ებიც ეხება ფიზიკური ფაქტორების გამოყენებას კლინ. პრაქტიკაში.

კ. არის საქართვ. ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის ექსპერტი, საქართვ. ფიზიოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტი (2003-იდან) და სხვ.

თხზ.: ნევრასთენიით დაავადებულთა მკურნალობა მიკროელემენტების ელექტროფორეზით, თბ., 1994; საკურორტო ადგილი ,,გუდაური'', თბ., 2013 (თანაავტ.); კურორტოლოგია და კურორტოთერაპევტთა მცირე ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., 2015 (თანაავტ.).

კაკულია რევაზ შალვას ძე (დ. 1. IX. 1936, სოფ. ნორიო, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1996). 1959 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით. იყო საქართვ. ფინანსთა მინისტრის მოადგილე (1972–79, 1985–91), საქართვ. სოფლის მეურნეობის მინისტრისა და აგროსამრეწველო კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1979–85), ეკონომიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1991–2005). 1959-იდან კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 2006-იდან ქუთაისის უნ-ტის ჟურნ. ,,ეკონომიკური პროფილის'' მთ. რედაქტორია.

კ-ის მეცნ. კვლევის სფეროა ეკონ. თეორიის, ეკონ. მოძღვრებათა ისტორიის, საბაზრო ეკონომიკის, ფინანსებისა და საბანკო საქმის საკითხები. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა, მ. შ. 18 მონოგრაფია და 25 სახელმძღვანელო. ჟურნ. ,,საქართველოს ეკონომისტის'' და საქართვ. სავაჭრო-სამრეწვ. პალატის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მისმა სახელმძღვანელომ (ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი) ,,საგადასახადო საქმე'' ნომინაციაში ,,2007 წლის საუკეთესო ნაშრომი ეკონომიკაში'' მიიღო პირველი პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საპატიო ნიშნის ორდენი (1982); ღირსების ორდენი (1997); თბილ. სახელმწ. უნ-ტის ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი (2010).

თხზ.: საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფინანსო მეთოდები, თბ., 1978; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003; თანამედროვე ფული და ფულის მიმოქცევა, თბ., 2010; ფინანსების თეორია (სახელმძღვანელო), გამოც. მე-5, თბ., 2012.

კაკუშაძე ალექსანდრე მოსეს ძე [4(17). XI. 1903, სოფ. პატრიკე-

თი, ქუთ. გუბერნია, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 29. VII. 1986, თბილისი], ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი, სამშ. მექანიკის ქართ. სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. პროფესორი (1958), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1962). საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). 1929 დაამთავრა თსუ-ის ფიზ.-მათემატიკის ფაკ-ტი, 1932 – თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტი ხიდებისა და გვირაბების სპეციალობით. 1932-იდან მუშაობდა რიგ სასწ., სამეცნ.-საპროექტო და სამშ. დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მ. შ. იყო ბათუმის პედ. ინ-ტის უმაღლესი მათ. კათედრის გამგე; ხელმძღვანელობდა აფშერონის ნ.-კ-იდან კასპიის ზღვაში ნავთობმომპოვებელ აუზებში *ესტაკადების* მოწყობისა და გამოცდის კომისიას; 1963–77 სპი-ში იყო მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის გამგე; 1977-იდან – ამავე კათედრის პროფესორი.

პ-ის სამეცნ. შრომები ეხება მათ. მეთოდებით სამშ. მასალების მახასიათებლებისა და სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტის დადგენას; ნაგებობათა დინამიკის საკითხებს; დრეკადობის თეორიის დიფერენციალური განტოლების ზოგადი ამონახსნების საფუძველზე საანგარიშო სქემების შედგენას; თაღების გაანგარიშების ზოგად მეთოდებს. შესრულებული აქვს მრავალი მნიშვნელოვანი სამუშაო საპროექტო და სამშ. დაწესებულებებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი, ასევე სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორია, ტ. 1–2, თბ., 1958–59.

ლიტ.: ნანეიშვილი ნ., ალექსანდრე კაკუშაძე, თბ., 1973.

კაკუშაძე ზურაბ ჯემალის ძე (დ. 25. III. 1973, თბილისი), ფიზიკოს-თეორეტიკოსი, ფინანსური მათემატიკისა და რაოდენობრივი ფინანსების სპეციალისტი. 1988–91 სწავლობდა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტზე, 1996 დაამთავრა კორნელის უნ-ტი (აშშ) და მიენიჭა PhD ხარისხი ფიზიკაში. 1996–99 მუშაობდა ჰარვარდის უნ-ტში (აშშ), 1999–2002 იყო ნიუ-იორკის სტონი ბრუკის (Stony Brook) უნ-ტის თეორიული ფიზ. ინ-ტის პროფესორი, 2002–07 – კანადის საინვესტიციო ბანკის „RBC Capital Markets Corporation“ დირექტორი, 2007–08 – რაოდენობრივი საინვესტიციო ფირმის „World Quant“ მმართველი დირექტორი, 2008–09 – „Revere Data“ ფირმის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი. ამავდროულად, 2003–12 ხელმძღვანელობდა „Fynance Consulting“ ფირმას. 2008-იდან არის „Quantigic®Solutions LLC“ კომპანიის პრეზიდენტი. 2013 მუშაობდა კონექტიკუტის (აშშ) უნ-ტის პროფესორად, 2014-იდან თბილისის თავისუფალ უნ-ტში ფიზ. და ბიზნესის სკოლების პროფესორია.

პ-ის სამეცნ. კვლევების სფეროა მაღალი ენერგიების ფიზიკა, სიმების თეორია, გრავიტაცია, მათ. ფიზიკა, ფინანსური მათემატიკა, რაოდენობრივი ფინანსები. არის ფუნდამენტური სამეცნ. ნაშრომების ავტორი თეორ. ფიზიკაში, რისკების სტატ. თეორიასა და მის გამოყენებებში. 15 წლის ასაკში გაიმარჯვა ფიზიკის ოლიმპიადებში საქართველოსა (1988, თბილისი, თეორ. ფიზიკა, კომპიუტერული მოდელირება, ექსპერ. ფიზიკა) და სსრკ სტუდენტთა შორის (1988, კიშინიოვი, თეორ. ფიზიკა). 1983–85 მონაწილეობდა რ. *დოღონაძის* მიერ ორგანიზებული სამეცნ. სტუდენტური წრის მუშაობაში. 1994 მოიპოვა ეტორე მაიორანას ცენტრის (იტალია) პოლ დირაკის სახ. სტიპენდია, 2001 – ალფრედ სლოუნის ფონდის სტიპენდია.

თხზ.: String Expansion as Large N Expansion of Gauge Theories, «Nuclear Physics», B523, 1998 (თანაავტ.: M. Bershadsky, C. Vafa); Brane World, «Nuclear Physics», B548, 1999 (თანაავტ. S.-H. Henry Tye); Factor Models for Cancer Signatures, «Physics», 462, 2016 (თანაავტ.: Willie Yu); Statistical Risk Models, «The Journal of Investment Strategies», 6, 2017 (თანაავტ.: Willie Yu).

ი. ლომიძე.

კაკუშაძე ტერენტი ისიდორეს ძე [5(18). III. 1901, ქუთაისი, – 1. V. 1979, თბილისი], ფიზიკოსი. ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1950), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). დაამთავრა თსუ (1924). 1937-იდან იყო ა. პუშკინის სახ. თბილ. პედ. ინ-ტის (ამჟამად ილიას უნ-ტი) სწავლული მდივანი, 1946–78 – ამავე ინ-ტის ფიზ. კათედრის გამგე. პ-ის შრომები ეხება მყარი სხეულის ფიზიკასა და რენტგენის სპექტრების თეორიას. განავითარა რენტგენის სპექტრებში ჯგუფური გადასვლის თეორია და ახლებურად ახსნა სატელიტების წარმოქმნა.

კაკუჩა, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჭახათის თემში (აჭარის არ), მდ. კინტრიშის ხეობაში. ზ. დ. 240 *მ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

კაკუჩაია ვარლამ ალექსის ძე (3. XII. 1905, სოფ. დრანდა, ახლანდ. გულრიფშის მუნიციპალიტეტი, – 16. IV. 1982, მოსკოვი), საბჭოთა გენერალ-მაიორი (1945). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. აფხაზეთის ასსრ (1939–41) და საქ. სსრ შს სახ. კომისარი (1941), სსრკ შსს კომიტეტის განყ-ბის, სამმართველოს უფროსის მოადგილე (1941–43). ჩრდ. ოსეთის სახელმწ. უშიშროების სახ. კომისარი-მინისტრი (1943–47); საქ. სსრ შს მინისტრი (1953 მარტი–აპრილი); ამიერკავკასიის სამხ. ოლქის კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი (1953 აპრ.–ივლ.). 1953–68 დაპატიმრებული იყო ე. წ. ,,მეგრელთა საქმეზე‘‘. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: დოლიძე ლ., გენერლები საქართველოდან, თბ., 2003; თუშურაშვილი ო., ჯახუა ი., XX საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, თბ., 2013.

ლ. დოლიძე.

კალა, შუა საუკუნეების თბილისის ციხესიმაგრე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის ბირთვი, მისი მთავარი უბანი მტკვრის მარჯვ. მხარეს. მოიცავდა ტერიტორიას მდ. წავკისისწყლის მარცხ. მხარეს – ახლანდ. შ. დადიანის ქუჩის, თავისუფლების მოედნის, ა. პუშკინის, ნ. ბარათაშვილის ქუჩებისა და მტკვრის კალაპოტის გაყოლებით. წყაროებში პირველად იხსენიება V ს. მოვლენების თხრობასთან დაკავშირებით (კალის ციხე, კალის ველი). ერთი მოსაზრებით, ,,კალა‘‘ გეოგრ. სახელია; მეორე მოსაზრებით, ,,კალა‘‘ მომდინარეობს არაბ. სიტყვიდან ,,ყალა‘‘ (ციხესიმაგრე). ჯ. *გიუნაშვილმა,* ტერმინ ,,ნარიყალის‘‘ ახსნისას აღნიშნა, რომ ტერმინ ნარინ-ყალას მეორე ნაწილი ყალა, კარგად ცნობილი და აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული არაბული წარმოშობის ლექსემაა, რ-იც აღნიშნავს ,,ციხესიმაგრეს‘‘ (იხ. სტ. *ნარიყალა*). ს. *ჯანაშიას* მოსაზრებით, ,,კალა‘‘ და ,,ტფილისი‘‘ ,,...ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ადგილია, ერთი მოსახლეობის და მეორე ციხის პუნქტებია... არსაიდან არ ჩანს, რომ უკანასკნელი სახელწოდება ,,კალა‘‘ მართლაც არაბული სიტყვაა და არა საკუთარი გეოგრაფიული სახელი, გარეგნულად მსგავსი უცხო სიტყვისა‘‘. შ. *მესხიას* ვარაუდით, ,,კალა‘‘ არ



კალა. საერთო ხედი. ფოტო. 1860-იანი წწ.

უნდა მომდინარეობდეს მსგავსი არაბული ,,ყალა'' (ციხე) სიტყვიდან. ის ამ შემთხვევაში თბილისის ციხესიმაგრის გეოგრ. სახელად ჩანს. ლ. ჭილაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ,,კალა'' აქ ციხის აღმნიშვნელი სახელია, რ-იც გვხვდება კომპოზიტებშიც: ,,ნარიყალა'' და ,,კალოუბანი''.

ლინგვ. მასალის მოშველიებით ზოგიერთი თვლის, რომ ,,კალა'' ქვას, კლდეს ნიშნავს. ამ ახსნაში არსებობს საცთური – ძველი კ-ის ჩრდ.-დას. ფერდს (სოლოლაკის ქედის ჩრდ. ფერდს) ,,კლდის უბანი'' ეწოდებოდა. კ-ისა და მდ. წავკისისწყლის მარჯვ. ნაპირზე საკუთრივ თბილისის (აბანოთუბანი; უფრო გვიანდ. და ფართო მნიშვნელობით – *სეიდაბადი*) შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა ქალაქი. ვახუშტის გადმოცემით, ,,...კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელი... სამჴრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს''. ვახუშტი ბატონიშვილი აღგილის ძველ სახელებს – ტფილისს და კალას უსადაგებს გვიანი ხანის (V–XVIII სს.) სახელებს და წერს: ,,ხოლო აწ უწოდებენ... კალას – ტფილისსა, ტფილისს–სეიდაბადს...'' ამგვარად, კ., როგორც სამოსახლო პუნქტის სახელი, ადგილს უთმობს სახელს – ტფილისს. ამის შემდეგ კ. უფრო მეტად ქალაქის ციხის – ციტადელის სახელად იხმარებოდა (უფრო გვიან ასევე ეწოდებოდა შურის ციხე, ნარიყალა). პირველ გრაფიკულ საბუთს, რ-იც ზუსტად გადმოგვცემს ფეოდ. თბილისის ქალაქთმშენებლურ სტრუქტურას, ვახუშტი ბატონიშვილის გეგმა წარმოადგენს. კ-ის უბანი იყოფოდა *ზემო უბნად* (ცენტრი – ბატონის მოედანი, ახლანდ. *ერეკლე II-ის მოედანი*) და *ქვემო უბნად* (ცენტრი – ციხის მოედანი, იგივე თათრის მოედანი, ახლანდ. *ვახტანგ გორგასლის მოედანი*). მათი გამყოფი საზღვარი იყო შუა ბაზარი (გვიანდ. სომხის ბაზარი), ახლანდ. კ. აფხაზის (ყოფ. კ. ლესელიძის) ქუჩის ხაზზე. კ-ის გალავანს დატანებული ჰქონდა 6 კარიბჭე: აბანოს კარი, განჯის კარი, *კოჯრის კარი, დიღმის კარი, მოედნის კარი, წყლის კარი.*

ამ უბანში, ქართულის გარდა, სომხური და კათოლიკური (ე. წ. ,,ფრანგთა საყდარი'') ეკლესიები და მეჩეთიც იდგა. აღა-მაჰმად-ხანის ურდოებმა კ-ის დიდი ნაწილი დაანგრიეს და გადაბუგეს. თუ არ ჩავთვლით საკულტო ნაგებობებს, კ-ის დღევანდელი განაშენიანება (საცხოვრ. სახლები) მთლიანად XIX ს-შია ჩამოყალიბებული, თუმცა სარდაფები ხშირ შემთხვევაში ადრინდელია, ვინაიდან დანგრეულის აღდგენა ძირითადად ძველ საძირკვლებზე ხდებოდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჯუანშერი, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.

ლიტ.: კვირკველია თ., ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985; მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა., თბილისის ისტორია, თბ., 1958; ჯანაშია ს., თბილისის ისტორია, შრომები, ტ. 1, თბ., 1949.

თ. ბერიძე.

კალა (ლათ. Stannum – მტკიცე, მდგრადი), Sn, პერიოდული სისტემის მე-14 ჯგუფის (ძვ. კლასიფიკაციით – IV ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის) მეოთხე ქიმიური ელემენტი. ატომური ნომერი – 50, ატომური მასა – 118,710. ცნობილია უძველესი დროიდან (ძვ. წ. IV ათასწლეულიდან). კ. *სპილენძთან* ერთად ბრინჯაოს (კალიანი ბრინჯაოს) შემადგენელი კომპონენტია, ამიტომ მთელი *ბრინჯაოს ხანის* განმავლობაში ითვლებოდა ,,სტრატეგიულ ნედლეულად''.

კ-ის სტაბილური *იზოტოპების* რაოდენობა (10) მაქსიმალურია ქიმ. ელემენტთა შორის (მასური რიცხვები 112-იდან 124-მდე). ეს აიხსნება კ-ის ატომის ბირთვში პროტონების მაგიური რიცხვით (50). ასეთი ბირთვები განსაკუთრებით მდგრადია. კ-ის ორგზის მაგიური იზოტოპები $^{100}_{50}Sn$ (Z=N=50, ნეიტრონნაკლული) და $^{132}_{50}Sn$ (Z=50, N=82, ნეიტრონჭარბი) რადიოაქტიურია, რადგან ბირთვის β-სტაბილურობის ზონაში არ ხვდება.

კ. ქიმიურად მსგავსია მე-14 ჯგუფში მისი მოსაზღვრე ორივე ქიმ. ელემენტის – გერმანიუმისა და *ტყვიის*, ნაერთებში ამჟღავნებს ცვალებად ვალენტობას (+2 და +4). მიეკუთვნება მსუბუქი მეტალების ჯგუფს. ოთხვალენტიანი კ. ქმნის კალაორგანული ნაერთების ფართო კლასს, რ-იც გამოიყენება ორგანულ სინთეზში, ასევე, როგორც პესტიციდები და სხვ. ზოგიერთი კალაორგანული ნაერთი ძლიერ ტოქსიკურია. კ-ის ჰიდრიდი – სტანანი SnH_4 (მეთანის CH_4 ანალოგი) – უძლიერესი შხამია.

ნორმალურ პირობებში კ. პლასტიკური, ჭედადი, ადვილად დნობადი, რბილი, მოვერცხლისფრო-თეთრი მბზინავი ლითონია. კ. პოლიმორფულია, აქვს რამდენიმე ალოტროპული მოდიფიკაცია: 13,2 °C-ზე დაბალ ტემპერატურაზე მდგრადია ე. წ. $Sn_α$ ფაზა (რუხი კ.), რ-იც ნახევარგამტარულ თვისებებს ამჟღავნებს და 3,72 K ტემპერატურაზე ზეგამტარულ მდგომარეობაში გადადის. $Sn_α$ ფაზის სიმკვრივეა 5,77 *გ/სმ*^{3}. 13,2 °C – 161 °C ტემპერატურულ ინტერვალში მდგრადია $Sn_β$ ფაზა (თეთრი კ.), რ-ის სიმკვრივეა 7,29 *გ/სმ*^{3}. 161 °C – 213,9 °C ტემპერატურულ ინტერვალში, მაღალი წნევის პირობებში აღმოჩენილია (1999) კიდევ ორი ალოტროპული მდგომარეობა – $Sn_γ$, სიმკრივით 8,55 *გ/სმ*^{3} და $Sn_σ$, სიმკვრივით

10,42 *გ/სმ*^{3}. კ-ის დნობისა და დუღილის ტემპერატურებია $t_{დნ.}$ 231,9 °C და $t_{დუღ.}$ 2620 °C. 13,2 °C-ზე დაბალ ტემპერატურაზე $Sn_\beta - Sn_\alpha$ ფაზური გადასვლისას ხდება კ-ის მოცულობის მკვეთრი მატება (25,6%-ით), რაც იწვევს მისგან დამზადებული ნაკეთობების ფხვნილად დაშლას. წარსულში ამ მოვლენას „კალის ჭირს'' უწოდებდნენ. სწორედ ეს გახდა 1912 სამხრ. პოლუსზე რ. სკოტის (1868–1912; ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი) ექსპედიციის დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი: კ., რ-ითაც დარჩილული იყო საწვავის ავზები, დაიშალა და ექსპედიცია საწვავის გარეშე დარჩა. პეტერბურგელმა მეცნიერმა ი. ფრიცშემ შენიშნა (1870), რომ რუხი Sn_α ფაზის გახურებით მიღებული თეთრი Sn_β მეორედ გაცივებისას უფრო ადვილად გადადის Sn_α ფაზაში, ვიდრე პირველად. ამ მოვლენას კ-ის „მეხსიერებას'' უწოდებენ. „კალის ჭირისგან'' დაცვის ერთ-ერთი ხერხია კ-ში სტაბილიზატორების (მაგ., ბისმუტის) დამატება.



კალა. დოქი.

დედამიწის ქერქში გავრცელების მიხედვით, კ. 47-ე ადგილზეა. კ-ის შემცველი ძირითადი მინერალებია კასიტერიტი (კალის ქვა) SnO_2 (შეიცავს 78,8%-მდე Sn) და სტანინი – Cu_2FeSnS_4 (27,5% Sn). კ-ის მსოფლიო საბადოები მდებარეობს სამხრ.-აღმ. აზიაში (ჩინეთი, ინდონეზია, მალაიზია, ტაილანდი), სამხრ. ამერიკასა (ბოლივია, პერუ, ბრაზილია) და ავსტრალიაში.

საქართველოში კ-ის სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები უცნობია. მინარევების სახით კ-ის გარკვეულ რაოდენობას (სხვადასხვა შეფასებით, 41 ტ) შეიცავს *დარიშხანის* საბადო მდ. ჭოროხზე.

კ. მიეკუთვნება *კოროზიამედეგ მასალებს*, რაც აიხსნება მის ზედაპირზე ოქსიდის ფენის წარმოქმნით. კ-ის შესამჩნევი ჟანგვა ჰაერზე იწყება მხოლოდ 150°C ზევით.

კ-ის თავისუფალი ფორმა და მისი ჟანგეულები არატოქსიკურია. კოროზიისგან დასაცავად ფართოდ იყენებენ სპილენძისა და რკინის მოკალვას (თეთრი თუნუქის წარმოებაში). კ-ის დაბალი ტოქსიკურობის გამო მოკალული ჭურჭელი გამოიყენება საკვების დასამზადებლად და შესანახად. მოკალული იყო სპილენძის ან თითბრის თეფშები (ორმხრივად), ხორცის დასაკიდებელი კაუჭები, კონსერვის ქილები და საკვების შესაფუთი მასალა, საყოფაცხოვრებო მილსადენები. მოკალული სპილენძის გუმბათი ადგას ლაშარის ჯვრის საზარეს ფშავში. საქართვ. ეთნოგრაფიულ ყოფაში შემოგვრჩა მოკალული, ანუ მოჭიქული კრამიტიც, რ-ითაც იხურებოდა საკულტო ნაგებობები (ბაგინეთის, ვანის, ურეკის არქეოლ. ძეგლები). ასეთივე კრამიტით ყოფილა გადახურული ალავერდის ტაძარი და ლურჯი მონასტერი თბილისში. *თუთიასთან* (ცინკთან) ან ტყვიასთან კ-ის შენადნობებს იყენებენ ელექტრონიკაში, სადენების ერთმანეთზე მისარჩილად, დენის ქიმიურ წყაროებში და სხვ. უმნიშვნელოვანესია კ-ის შენადნობი სპილენძთან – ბრინჯაო (სპილენძი ჭარბობს). უძველესი დროიდან ცნობილია პიუტერი – კ-ის შენადნობი ბისმუტთან, ტყვიასთან (პროპორციით 10:1) ან სპილენძთან (პროპორციით 100:4), რ-იც ჭედადია და დღემდე გამოიყენება დეკორ. ჭურჭლისა და სამკაულების დასამზადებლად. ზეგამტარული სადენების შესაქმნელად იყენებენ კ-ის ინტერმეტალურ ნაერთს Nb_3Sn.

XVI ს-იდან კ-ს იყენებდნენ სათამაშო ფიგურების დასამზადებლად. XVIII ს. ბოლოს გაჩნდა იაფი ქაშანურის (ფაიანსი) ჭურჭელი; შედეგად, მრავალმა ჩამომსხმელმა დაკარგა შეკვეთები ჭურჭლეულზე და გადაერთო „კალის ჯვარისკაცებისა'' და მინიატიურების წარმოებაზე. თბილისში კალის ჯვარისკაცების დიდი კოლექცია გამოფენილია მუზეუმში ,,Yota Royal Gallery'', სადაც წარმოდგენილია კალისა და ბრინჯაოსგან დამზადებული სხვა ექსპონატებიც.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011; Большаков К. А., Федоров П. Н., Химия и технология малых металлов, М., 1984; Паравян Н. А., Оловянная чума, «Химия и жизнь», 1979, №7.

ი. ლომიძე. ლ. ნაკაიძე.



მოკალული სპილენძის გუმბათი ლაშარის ჯვრის საზარეზე. უკანა ფშავი.

კალათგონი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საჭამიასერის თემში (გურიის რეგიონი), გურიის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ხევისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 360 *მ*, ჩოხატაურიდან 18 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ*. 33 მცხ. (2014).

კალათბურთი, სპორტის ერთ-ერთი პოპულარული გუნდური სახეობა, რომელშიც ორი გუნდი ცდილობს ორგანიზებული წესების მიხედვით ქულები მოაგროვოს მოწინააღმდეგის კალათში ბურთის ხელით ჩაგდებით. 1891 სპრინგფილდში (მასაჩუსეტსის შტატი, აშშ) ჯეიმს ნეისმითმა შეიმუშავა კ-ის პირველი წესები. მალე ახალი თამაში მთელმა ამერიკამ აღიარა, მოგვიანებით კი დანარჩენმა მსოფლიომაც გაიცნო. თამაშის პირველი წესები არსებითად განსხვავდება დღევანდელისაგან. კ-ის სათამაშოდ იყენებენ მოედანს, რ-ის ზომაა 28 *მ*×15 *მ*. პირითი ხაზების შუა ადგილას სპეც. დგარებზე დაყენებულია ფარები, რ-ებზეც დამაგრებულია ლითონის რგოლებზე დაკიდებული უძირო ბადეები (კალათები). მანძილი იატაკსა და კალათს შორის 305 *სმ*, თვითონ ფარის ზომებია 180 *სმ*×105 *სმ* ან 120 *სმ*×80 *სმ*, ასევე არსებობს ქუჩის და სამოყვარულო კ-ის ფარი, რ-თა ზომაც განსხვავებულია. კალათის დიამე-

ტრი 45 *სმ*. ფარის წინ 625 *სმ*-იანი რადიუსით შემოსაზღვრულია 3-ქულიანი ტყორცნის არე და საჯარიმო ზონა. ჰ-ს თამაშობენ ტყავის, სინთეტიკური ტყავის ან სხვა სინთეტიკური მასალისაგან დამზადებული ბურთით, რ-ის გარშემოწერილობაა 75–78 *სმ*, ხოლო მასა – 567–650 *გ* (ქალებისთვის, შესაბამისად, 72–74 *სმ* და 510–567 *გ*). მოედანზე მოთამაშეთა რაოდენობა თითოეულ გუნდში 5 კაცით განისაზღვრება. გუნდში სულ 12 მოთამაშეა. დაშვებულია ნებისმიერი რაოდენობის შეცვლა. ყველა შეცვლილ მოთამაშეს უფლება აქვს დაბრუნდეს მოედანზე. თამაშის დროს ჩაგდებული ბურთისათვის გუნდს ერიცხება 2 ან 3 ქულა (ორქულიანი ან სამქულიანი ზონიდან ტყორცნისას), ყოველი რეალიზებული საჯარიმო ტყორცნისათვის – 1 ქულა, გამარჯვებულია ის გუნდი, რ-იც მეტ ქულას დააგროვებს. შეხვედრა შედგება ოთხი 10-წუთიანი (სუფთა დრო) ტაიმისაგან (NBA-ში – 12 *წთ*). ტაიმებს შორის შესვენებაა 2 *წთ*. გამონაკლისია შესვენება მეორე და მესამე ტაიმებს შორის, რ-იც 15 *წთ* გრძელდება. მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი 5-წუთიანი ტაიმი (ან ტაიმები) გამარჯვებულის გამოვლენამდე. ჰ-ს თამაშობენ ხელით. დაშვებულია ბურთის ხელით ტარება, გადაცემა და ტყორცნა როგორც ცალი, ასევე ორი ხელით. არ შეიძლება ორ ნაბიჯზე მეტის გადადგმა ბურთის დაუგდებლად, ბურთიანად ახტომა და დახტომა, მეტოქის საჯარიმო ზონაში სამ წამზე მეტხანს ყოფნა. გუნდს ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანისათვის ეძლევა 8, ხოლო შეტევისათვის – 24 *წმ*, რ-ის გასვლის შემდეგ ბურთი მეტოქეს გადაეცემა. მწვრთნელს უფლება აქვს თითოეულ ტაიმში აიღოს ერთი წუთშესვენება (მეოთხეში – ორი). ყველა ამ წესის დარღვევისათვის, აგრეთვე ბლოკირებისა და უხეში თამაშისათვის მოთამაშე ჯარიმდება როგორც ჩვეულებრივი ჯარიმით, ასევე პერსონალური შენიშვნით. 5 პერსონალური შენიშვნის მიღების შემთხვევაში მოთამაშე ტოვებს მოედანს. ოთხი გუნდური შენიშვნის შემდეგ ყოველი ჯარიმა სრულდება საჯარიმო ტყორცნებით.

კალათბურთის საერთაშ. ფედერაცია (FIBA) დაარსდა 1932 ივნისს ქ. ჟენევაში. ამჟამად ფედერაცია აერთიანებს 212 ქვეყანას და 5 ზონალურ (კონტინენტურ) კომისიას. ევროპის ჩემპიონატი ტარდება 1935-იდან. კაცთა ჰ. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1936-იდან (ბერლინი; ქალებისა – მონრეალი, 1976). ასევე უმნიშვნელოვანესი ტურნირია მსოფლიოს ჩემპიონატი (1950 – არგენტინა; ქალთა, 1953 – ჩილე). ზონალური (კონტინენტური) კომისიები ატარებენ თავიანთ ჩემპიონატებს და საკლუბო ტურნირებს. ევროპის ჩემპიონთა თასი თამაშდებოდა 1958–2000. ამის შემდეგ ტარდებოდა ორი ტურნირი – სუპერლიგა (ფიბა) და ევროლიგა (ULEB, შეიქმნა 1991); 2008-იდან ფიბასა და ULEB შეთანხმებით ტარდება: რანგით პირველი ტურნირი – ევროლიგა, რანგით მეორე – ევროთასი, რანგით მესამე – ევროჩელენჯი. წა-



კალათბურთი.

მყვან მსოფლიო საკალათბურთო ტურნირს 1949-იდან ატარებს ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია – NBA. ტურნირი საკლუბო დონეზე იმართება ამერიკულ და კანადურ კლუბებს შორის.

ქ ა რ თ უ ლ ი კ ა ლ ა თ ბ უ რ თ ი ს ისტორია XX ს. 20-იანი წლებიდან იწყება. 1922 მოსკოვში გამართულ ვსევობუჩის (,,ვსეობშჩეე ვოენნოე ობუჩენიე'') სპარტაკიადაში მონაწილე თბილისელმა მძლეოსანმა ა. ჭელიძემ შემთხვევით ნახა ბოძებზე დამაგრებული ჰ-ის ფარები და უცხო თამაში. ის საქართვ. მუშფაკის (შემდგომში – ინდუსტრიული ინ-ტი) ფიზკულტურის წრეს ხელმძღვანელობდა და, თბილისში დაბრუნებულმა, მუშფაკის ეზოში (ახლანდ. უ. ჩხეიძის ქუჩა) ჰ-ის პირველი მოედანი მოაწყო. 1923 წ. მარტში ამ მოედანზე გაიმართა პირველი ოფიც. მატჩი მუშფაკის ორ გუნდს შორის. პირველ კალათბურთელთა რიგებში იყვნენ გ. ეგნატაშვილის ტანმოვარჯიშეთა ჯგუფის წევრები – მ. ცხვედაძე, გ. საყვარელიძე, ბ. გერასიმოვი, ა. დავიდოვი, მ. იზაშვილი და სხვ. 1924 თბილისელ რკინიგზელთა თაოსნობით მოეწყო ტურნირი 6 გუნდის მონაწილეობით, რ-თაგან ერთი – ,,სინათლე'' – იმავე წელს ამხანაგური მატჩების გასამართავად ბაქოში გაემგზავრა. ,,სინათლის'' გამარჯვებით დამთავრდა თბილ. პირველი ჩემპიონატი (1925). იმავე ,,სინათლის'' კაცთა და ქალთა გუნდებმა მოიგეს 1927 ქუთაისში ჩატარებული საქართვ. პირველი ჩემპიონატიც. შემდგომში თბილისში მომრავლდა ჰ-ის მოედნები. გუნდები ჩამოყალიბდა სპორტულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში, ქართ. დივიზიის ნაწილებში, სასწ. დაწესებულებებში. პარალელურად, ჰ. გავრცელდა საქართვ. სხვადასხვა რეგიონში. ქუთაისში ჰ-ის პირველი ფარი 1923 აღიმართა გ. კილაძის თაოსნობით ე. წ. მესამე ლეგიონის ეზოში. 1926 მოეწყო პირველი საქალაქო შეჯიბრება. იმავე წელს ქუთაისელი კალათბურთელები ბათუმს ეწვივნენ და ადგილ. გუნდებს შეხვდნენ. 1927 ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ ჰ-ის პოპულარიზაციის მიზნით ა. ჭელიძე აფხაზეთში მიავლინა. შეიქმნა ჰ-ის შემსწავლელი ჯგუფები, მოეწყო შეჯიბრებები, ჩამოყალიბდა აფხაზეთის ნაკრები, რ-იც აქტიურად ჩაება საქართვ. პირველობაში. ჰ-ით განსაკუთრებით დაინტერესდა სტუდენტი ახალგაზრდობა. მარტო თბილისის უნ-ტს ათეულობით გუნდი ჰყავდა, საქალაქო პირველობის სხვადასხვა ჯგუფში კი უნივერსიტეტელთა 12 გუნდი გამოდიოდა. XX ს. 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოში რამდენიმე ძლიერი გუნდი იყო, რ-თა შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ლ. ფალავანდიშვილი, ვ. და რ. მდივნები, ვ. ციციშვილი, ა. წერეთელი, ლ. *ძეკონსკი*, შ. ყიასაშვილი, გ. *ავალიშვილი*, შ. *დიასამიძე* და სხვ. 1934 ვ. ციციშვილმა შეადგინა ჰ-ის სასწ. პროგრამა. მანვე სპორტსაზოგადოება

,,სტროიტელთან'' ჩამოაყალიბა პ-ის პირველი სკოლა, რ-მაც შემდგომ არაერთი ცნობილი კალათბურთელი აღზარდა. ქართული გუნდები სსრკ ჩემპიონატებში 1934-იდან ჩაებნენ. II მსოფლიო ომამდე ყველაზე უკეთ გამოდიოდა თბილ. ,,ლოკომოტივი''. სსრკ ჩემპიონი გახდა თბილ. ოფიცერთა სახლის გუნდი (1944, 1946), რ-ის შემადგენლობაშიც თამაშობდნენ ნ. *ჯორჯიკია*, ლ. ძეკონსკი, ბ. სარქისოვი, გ. ახვლედიანი, მ. ფილიპოვი, ო. სულაბერიძე და სხვ. შემდეგ ქართულ პ-ში ლიდერობდა *თბილისის ,,დინამოს'' კალათბურთელთა გუნდი''*, რ-ის კაპიტანი ო. *ქორქია* 40–50-იან წლებში სსრკ ნაკრები გუნდის წამყვანი მოთამაშე იყო. ეს გუნდი 1950, 1953, 1954 და 1968 წლებში გახდა სსრკ ჩემპიონი, 1949, 1950, 1951 და 1969 – სსრკ თასის მფლობელი, 1962 კი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ქართველმა კალათბურთელებმა სსრკ ნაკრების შემადგენლობაში არაერთ საერთაშ. ტურნირში მოიპოვეს გამარჯვება, მ. შ. ოლიმპიურ თამაშებში (ზ. *საკანდელიძე*, მ. *ქორქია*), მსოფლიოს (ზ. საკანდელიძე, ნ. *დერიუგინი*) და ევროპის (ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, გ. *მინაშვილი*, ვ. *უგრეხელიძე*, ზ. საკანდელიძე, ა. *სხიერელი*, ს. *კოვალენკო*, მ. ქორქია, ნ. დერიუგინი) ჩემპიონატებში. პ-ის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სხვადასხვა დროს სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ გ. ავალიშვილს, ლ. ძეკონსკის, შ. დიასამიძეს, მ. კეკელიძეს, გ. ბაბახანიდს, გ. მეუნარგიას, ა. მესხს, ს. თორთლაძეს და ო. ქორქიას. წლების განმავლობაში სხვადასხვა თაობის მწვრთნელთა ნაყოფიერმა მუშაობამ და კალათბურთელთა ოსტატობამ საქართველოს სახელი გაუთქვა პ-ის სამყაროში. XX ს. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ოფიც. თუ ამხანაგური მატჩების გასამართავად ჩვენთან ჩამოდიოდნენ ევროპის წამყვანი საკლუბო და ეროვნ. ნაკრები გუნდები. 1958–72 წლებში თბილისს ოთხჯერ ეწვია აშშ-ის კაცთა და ქალთა სამოყვარულო ნაკრები.

ქალთა პირველი გუნდები საქართველოში 30-იან წლებში შეიქმნა. მათგან საუკეთესო იყო თბილ. ,,ბურევესტნიკი'', რ-მაც სსრკ ჩემპიონატში ზედიზედ ორჯერ (1965–66) დაიკავა მეორე ადგილი, 1969 კი თასის გათამაშების ფინალში გავიდა. ამ გუნდში გამოდიოდნენ ე. დურმიშიძე, ლ. ქველიძე, ნ. ჯაფარიძე, ც. ჯანელიძე, მ. სურგულაძე, ა. კოჟზირიძე-რუსკინა და სხვ. ქართველ კალათბურთელ ქალთაგან ყველაზე ტიტულოვანია ა. ასიტაშვილი. მან სსრკ ნაკრებთან ერთად ორჯერ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატში (1954, 1956).

1991-იდან ქართ. პ. დამოუკიდებლად ვითარდება. 1994 შეიქმნა საქართვ. კაცთა და ქალთა ეროვნ. გუნდები, რ-ებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობენ. კაცთა ნაკრებმა ევროპის სამ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა (2011, 2013, 2015). რამდენიმე ქართვ. კალათბურთელი ევროპის ცნობილ კლუბებში ასპარეზობდა, ვ. *სტეფანია*, ნ. ცქიტიშვილი, თ. *შენგელია* კი აშშ-ის ეროვნ. საკალათბურთო ასოციაციაში იყვნენ მიწვეულები. დღეს იქ ჩვენი ერთადერთი წარმომადგენელი, ნაკრების კაპიტანი (2017-მდე) ზ. *ფაჩულია* (პირველი ქართველი კალათბურთელი, რ-იც 2017-ში აშშ-ის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა) ასპარეზობს. ესპანეთის ლიგაში ასპარეზობენ გ. *შერმადინი* (ევროლიგის ორგზის ჩემპიონი; 2009, 2013) და თ. შენგელია.

საქართვ. პ-ის ფედერაცია (ამჟამად – საქართვ. პ-ის ეროვნ. ფედერაცია) დაფუძნდა 1991 წ. 4 ივნისს. 1992 წ. 10 ივლისიდან იგი პ-ის საერთაშ. ფედერაციისა (FIBA) და ევროპის პ-ის კონფერენციის, ხოლო 2003-იდან ფიბა-ევროპის ფედერაციის წევრია. პრეზიდენტები: ა. ჩხეიძე (1991–95), ა. საყვარელიძე (1995–97), გ. ქათამაძე (1998–2001), ბ. ლიპარტელიანი (2001–13), მ. გაბრიჩიძე (2013–17), პ. გურასპაული (1917-იდან).

კალამბური (ფრანგ. calembour), სტილისტიკური ფიგურა, რ-იც აგებულია ფრაზაში ომონიმური (ბგერების მიხედვით ერთნაირი, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის) ან პოლისემიური (მრავალმნიშვნელობიანი) სიტყვების გამოყენებით. ტიპოლ. მსგავსებას ავლენს მაჯამასთან, მაგრამ, მისგან განსხვავებით, გამიზნულია კომიკური ეფექტისათვის. პ-ით იგება მცირე ფორმის ლექსი ან მინიატიურა. ჩართულია დიალოგებშიც. პ-ის მაგალითია:

,,გვასწავლეთ, საით გაფრინდა
ის ჩიტი ღვთით-მადლიანი
და მოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი ორ ბელიანი''.
(ა. წერეთელი).

ლექსში საუბარია დათვზე, რ-საც ორი ბელი ჰყავს. ნართაულად კი ნაგულისხმებია გრიგოლ ორბელიანი. *გ. გაჩეჩილაძე.*

კალანდა, კანდა, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ახალი წლის წინა დღის (ზოგან თვითონ ახალი წლის ან მეორე დღის) ყველაზე გავრცელებული სახელი. ჰ. შორეულ წარსულში რომაელთაგან ბიზანტიელი ბერძნებისაგან ნასესხებად ითვლება და იმავე მნიშვნელობისაა, რაც რუსული კოლიადა და რომაული კალენდა. შესრულებული რიტუალების მრავალფეროვნება და სიხშირე, რეგიონების მიხედვით, დამატებითი აღწერილობითი ხასიათის სახელწოდებების არსებობას განაპირობებს, მაგ.: ცხემლისჭრა (გურია), ღორით ლოცვა (ლეჯ-ხვამა – სამეგრელო და აფხაზეთი), ფაფით ლოცვა (შუშხვამ – სვანეთი), დამახვილება ღამე (ხევი) და სხვ.

საქართველოში საყოველთაოდ იყო გავრცელებული საახალწლოდ დილით ტყეში წასვლა და მარადმწვანე მცენარეებთან ერთად შეშით სავსე მარხილის მოტანა, ამ შეშით საახალწლო ცეცხლის დანთება და მასზე მკითხაობა.

საცხოვრებელ სახლსა და ყველა სამეურნეო ობიექტზე აუცილებლად უნდა დაეწყოთ ან გაეკეთებინათ ეკლისფოთლიანი ან ეკლიანი [დას-ში – ძეძვი (ბაძგარი), აღმ-ში – ასკილი] მცენარე. აღნიშნული წესი, მათი რწმენით, მიზნად ისახავდა ღამით ავი სულების დაფრთხობას. ხევში ამგვარი ეკლიანი მცენარის პატარა ნაწილებს მახვილებს ეძახდნენ. აქედანვე მომდინარეობს ახალი წლის წინა ღამის ადგილ. სახელწოდება ,,დამახვილება''.

დას. საქართველოში ამავე საღამოს ტყიდან მოტანილი თხილის ხისაგან აკეთებდნენ რიტუალურ ხეს – ჩიჩილაკს. სიცოცხლის ხის ერთ-ერთ ნაირსახეობად მიჩნეული ჩიჩილაკი ირთვებოდა და იკაზმებოდა ნაყოფიერების სხვადასხვა სიმბოლოთი (მაგ.: ვაშლი, ბროწეული, მანდარინი, ტკბილეულობა და სხვ.). ზოგიერთ რეგიონში (მაგ., რაჭასა და ლეჩხუმში) მას ცვლიდა გვერგვი, რ-იც ჩიჩილაკის მსგავსად ირთვებოდა და საახალწლო საკვლევის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა.

ახალი წლის წინა საღამოს (ზოგან – გამთენიისას) აუცილებლად სრულდებოდა ღორის სალოცავი (რაჭა-ლეჩხუმი; ლალყაჯის წესი – სვანეთი და სხვ.), რისთვისაც იკვლებოდა ე. წ. საკალანდო ღორი, ცხვებოდა საახალწლო რიტუალური პურები. ერთ-ერთი ასეთი საწესო პური იყო საკალანდო ღორისქონიანი განატეხი. დასტურდება ამ საწესო პურის სხვადასხვა ადგილ. სახელწოდება (სირის კუდი – რაჭა, საკვაკვავი – გურია და სხვ.). ოჯახის უფროსი კაცი ან ქალი ვახშმობამდე ამ პურს ღორის მოხარშულ ღვიძლსა და ერთ ჭიქა ღვინოს დაადებდა, საღორის კართან მიიტანდა და წმ. ბასილს შესთხოვდა მათ გამრავლებას.

საკალანდოდ აცხობდნენ აგრეთვე ზოომორფულნიშნიან პურებს, ბედის კვერებს, ხმელა პურებს ოჯახის ყველა წევრისთვის, კაცის ფორმის პურებს – *ბასილებს*. საქმიანობის მიხედვით, მამაკაცებისა და ქალებისათვის ცხვებოდა სხვადასხვა სახის (მაგ.: იარაღის ფორმის) რიტუალური პურები. ასევე სპეციალური პურები ცხვებოდა ცხოველთა ნაყოფიერებისა და მოსავლის სიუხვისთვის. ზოგჯერ ყველა რიტუალურ პურს ბასილა ეწოდებოდა. ქართულ ტრადიციაში დასტურდება რიტუალური პურებისათვის ან ცხოველებისათვის ღვთაების ან წმინდანების სახელების შერქმევა (ზოგიერთ შემთხვევაში მათ უკან წინაქრისტიანული ხანის რწმენა-წარმოდგენები იკითხება).

ხალხის წარმოდგენით კ-ის ღამეს მაგიური ძალა გააჩნდა და მომავალი წლის ავკარგიანობას განსაზღვრავდა. ახალი წლის პირველ დღეს ცდილობდნენ მთელი წლისთვის დაეკვებებინათ კეთილდღეობა და ნაყოფიერება, კერძოდ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რიტუალურ საკვებს და ტრაპეზს, რ-იც, გარკვეული აზრით, შელოცვას წარმოადგენდა, რათა მომავალ წელს ოჯახს ბარაქა დაჰბედებოდა. აგრარული ინტერესები მკაფიოდ ჩანს მეკვლის სურვილებსა და ქმედებებში.

ლიტ.: აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ქართველები. წგ. 18, თბ., 2016; ბარდაველიძე ვ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I (ახალი წლის ციკლი), თბ., 1939; ოჩიაური ალ., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი (არხოტის თემი), თბ., 1988; ღამბაშიძე ნ., ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში (ერწო-თიანეთი), თბ., 2004.

ნ. აბაკელია.

კალანდარიშვილი არნოლდ გალაქტიონის ძე (1. III. 1939, თბილისი, – 6. I. 2012, მოსკოვი), ფიზიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1989). 1962 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკტი. 1962–93 მუშაობდა სოხუმის ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-ტექნიკის ინ-ტში, ხელმძღვანელობდა სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიას. 1990-იდან მუშაობდა მოსკოვში კურჩატოვის სახ. ატომური ენერგიის ინ-ტში გენ. დირექტორის მოადგილედ.

კ-ის სამეცნ. კვლევები ეხება კოსმოსური საფრენი აპარატების თერმოემისიური რეაქტორ-გარდამქმნელების ფიზიკას. 1971–87 შესრულებულ სამუშაოთა ციკლისთვის – ,,თერმოემისიური გარდამქმნელების მასალათა თვისებების კვლევა'' – მიენიჭა (1989; მეცნიერთა ჯგუფთან ერთად) საქართვ. სახელმწ. პრემია.

თხზ.: Источники рабочего тела для термоэмиссионных преобразователей энергии, М., 1986; Рабочие процессы в термоэмиссионных установках, М., 2001 (თანაავტ.: А. Г. Квасников, В. З. Каибищев); Working Medium Sources of the Thermoionic Power Converters, Ohio, 1993.

კალანდარიშვილი გერასიმე (4. III. 1836, სოფ. იგოითი, ოზურგეთის მაზრა, – 27. I. 1874), საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი. 1862 დაამთავრა კიევის სას. აკადემია, დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო მუშაობა ქუთ. სას. სასწავლებელში ზედამხედველად. დიდი ამაგი დასდო ქართ. პედ. აზროვნების განვითარებას. იყო მრავალი პუბლიც. სტატიისა და პოლემიკური წერილის ავტორი. შეადგინა სახელმძღვანელო ,,რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველებისათვის'', რ-მაც დიდი პოპულარობა მოიპოვა.

თხზ.: რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის, ტფ., 1868.

ზ. შველიძე.

კალანდარიშვილი გრიგოლ მათეს ძე (1905, ბათუმი, – 1966, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1961). ლოგიკის ისტორიისა და თეორიული პრობლემების მკვლევარი; დაამთავრა თსუ (1930). 1938–41 მუშაობდა მოსკოვის სამეცნ.-კვლ. და პედ. ინ-ტებში ლექტორად და მეცნიერ თანამშრომლად. 1941–45 ასწავლიდა გორის პედ. ინ-ტში. 1942–54 მუშაობდა თსუ-ში, 1946–53 – ფილოს. ინ-ტში (უფრ. მეცნიერი თანამშრომელი), სხვადასხვა წლებში – რესპ. სამწლიან პარტ. სკოლასა და კონსერვატორიაში, 1958–60 იყო ვლადივოსტოკის პოლიტექ. ინ-ტის დიალექტიკური და ისტ. მატერიალიზმის კათედრის გამგე, 1960–65 – ლოგიკის განყ-ბის ხელმძღვანელი. მოსკოვის უნ-ტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე ,,დიალექტიკური ლოგიკა აზროვნებაში ობიექტურ წინააღმდეგობათა ასახვის შესახებ''.

პ. მუშაობდა ფილოს. ისტ. და დიალექტ. ლოგიკის საკითხებზე. აღსანიშნავია მისი ღვაწლი ქართ. ლოგიკური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში; მან პირველმა გამოიკვლია ს. *დოდაშვილისა* და სხვ. ქართვ. მოაზროვნეთა შეხედულებანი ლოგიკის შესახებ.

თხზ.: Очерки по истории логики в Грузии. Материалы и опыт исследования, Тб., 1952–57; О соотношении диалектической логики и логики формальной, Тб., 1959; Диалектика в «Основу общего науковедения» И. Г. Фихте, Тб., 1963; Проблема отражения движения в логике понятий, Тб., 1966.

ლიტ.: Кондаков Н., Логический словарь, М., 1971.

კალანდარიშვილი ვახტანგ ილიას ძე (1. II. 1924, სენაკი, – 18. X. 1997, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1994). სწავლობდა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტზე (1943–48), მუშაობა დაიწყო იქვე, ფილოს. კათედრაზე (1974–79 – პროფესორი); 1979–93 იყო საქართვ. აგრარულ უნ-ტში ფილოს. კათედრის გამგე, 1993-იდან – საქართვ. გაერთ. სამხ. აკადემიის ფილოს. და ეკონ. თეორიის საფუძვლების კათედრის გამგე. კ-ის შრომები ეხება ფილოს. და სოციოლოგიის პრობლემებს, საზოგადოებრივი პროგრესის სოციალურ-ფილოს. საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 6 მონოგრაფია; იყო სახელმძღვანელოების, სამეცნ. კრებულებისა და მონოგრაფიების რედაქტორი და თანაავტორი. მონაწილეობდა საქართვ. ფილოს. საზ-ბის, სოციოლოგიური ასოციაციისა და ი. ჭავჭავაძის სახ. საერთაშ. სამეცნ.-საგანმან. საზ-ბა ,,ცოდნის'' ღონისძიებათა მომზადებასა და ჩატარებაში. 1986-იდან იყო სენაკის აკადემიის პრეზიდენტი. დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით. სენაკის საპატიო მოქალაქე.

ი. კალანდარიშვილი.

კალანდარიშვილი მიხეილ გრიგოლის ძე (11. VII. 1952, თბილისი, – 16. V. 2014, იქვე), თეატრმცოდნე, თეატრის კრიტიკოსი. პედაგოგი. ხელოვნებათმცოდნეო-

ბის დოქტორი (1993), პროფესორი (1996). 1974, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინ-ტში, სადაც ვ. სახნოვსკი-პანკეევისა და ა. იუფიტის ხელმძღვანელობით 1979 დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1993 – სადოქტორო დისერტაცია. 1979-იდან იყო შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის პედაგოგი და მეცნიერი თანამშრომელი, 2006-იდან – თეატრისა და კინოს უნ-ტის სრული პროფესორი კრიტიკისა და თეორიის მიმართულებით. ჰ. იყო მრავალი ადგილობრივი და საერთაშ. სამეცნ. კონფერენციის მონაწილე და მომხსენებელი; რამდენიმე პროფესიული პრემიის ჟიურის წევრი; 10-მდე წიგნის რედაქტორი, მრავალი სამეცნ. ნაშრომის რეცენზენტი და პროფესიული გამოცემის სარედაქციო საბჭოს წევრი. არის 100-მდე თეორიული და ისტ. ხასიათის სამეცნ. პუბლიკაციის, რუსული და ფრანგული თეატრ. ენციკლოპედიების წერილების, რამდენიმე წიგნისა და სახელმძღვანელოს ავტორი, მ. შ.: ,,სანდრო ახმეტელის რეჟისურის პრობლემები'' (თბ., 1986, რუს. ენაზე), „მოდერნიზმი ქართულ თეატრში“ (2010), რ-თაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ქართული სათეატრო კრიტიკისა და თეორიის განვითარებაში. მიღებული აქვს საქართვ. თეატრალური საზ-ბის პროფესიული პრემიები (1984–85).

კალანდარიშვილი ოთარ დიმიტრის ძე (16. VII. 1925, თბილისი, – 18. IX. 2003, იქვე), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). 1950 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია. 1951–2003 მუშაობდა ,,თბილქალაქპროექტში'' არქიტექტორად, პროექტის მთ. არქიტექტორად, არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელად. გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, ეწეოდა პედ. მოღვაწეობასაც თბილ. სამხატვრო აკადემიის არქიტ. ფაკ-ტზე (1955–77).

საკონკურსო პროექტები: ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში, 1957, III პრემია (მოქანდაკე გ. კორძახია); საქართვ. კულტურული ცენტრი იერუსალიმში, 1997, წამახალისებელი პრემია (არქიტ. დ. მორბედაძესთან და ნ. ქუმსიაშვილთან ერთად). ნამუშევრები: პიონერთა და მოსწავლეთა (ამჟამად მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული) სასახლის ბაღის ჭედური ღობე (1952; არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად); ინდივიდ. სააგარაკო სახლები დაბა წყნეთში (1953); მეტროს სადგ. ,,რუსთაველის მოედნის'' ზედა პავილიონი (1965); სასტუმრო ,,ივერია'' (ამჟამად ,,რედისონ-ივერია'') თბილისში (1967; თანაავტორი არქიტ. ი. ცხომელიძე, სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1972); შ. ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების განაშენიანება თბილისში – საცხოვრ. კომპლექსი ,,შატილი'' (1974–76; არქიტ. გ. ფოცხიშვილთან ერთად); მემორიალი ქუთაისში (1978; მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი); რესპუბლიკის (ამჟამად პირველი რესპუბლიკის) მოედანი და სამსართულიანი სავაჭრო-საზოგადოებრივი ცენტრი თბილისში (1982; არქიტ. გ. ფოცხიშვილთან ერთად); დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისში (1998; მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).



ო. კალანდარიშვილი. რუსთაველის მეტროს სადგურის ზედა პავილიონი. 1965.

კალანდარიშვილი ფელიქს აგულის ძე (დ. 26. XI. 1947, თბილისი), ბიოლოგი, ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ (1971). სამეცნ. კვლევა დაიწყო მოსკოვის კოლცოვის სახ. ბიოლ. განვითარების ინ-ტის ბიოქიმ. განყ-ბაში აკად. ი. ზბარსკის ხელმძღვანელობით (1972–75). 1975-იდან იყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლ. ინ-ტის ნეიროქიმ. ლაბორატორიის თანამშრომელი, ქცევის გენეტიკის მიმართულების ჩამომყალიბებელი და ლაბორატორიის გამგე (2000–06), დირექტორის მოადგილე (1986–91; 2000–05). გაიარა დოქტორანტურა უეიკ-ფორესტის უნ-ტში (ჩრდ. კაროლინა, აშშ, 1992–93), ორგანიზატორი ფორუმისა ,,კულტურათა დიალოგი'' (UNESCO). აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ცენტრის გენ. დირექტორი (1996–2002), 2005-იდან – საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. პრეზიდენტის თანაშემწე, მოადგილე (2007–13); ადმ. აპარატის უფროსი (2013-იდან).

ჰ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა ქცევის გენეტიკური და ნეიროფიზიოლოგიური ასპექტები სტრესის პირობებში; დნმ-ის რეპლიკაცია და რეპარაცია, უჯრედის ბირთვის ბიოქიმია. ჰ-მ დაადგინა ვირთაგვას ღვიძლის დაბერებულ უჯრედებში დნმ-ის რაოდენობის, რეპლიკაციისა და რეპარაციის სიჩქარეების შემცირება; გამოიყვანა ვირთაგვების ხაზი, რ-თაც გააჩნდათ გენეტიკურად დეტერმინირებული ქცევის აშლილობა ინფორმაციული სტრესის პირობებში; აღმოაჩინა, რომ ვირთაგვას ღვიძლის უჯრედის ბირთვის ენერგეტიკული უზრუნველყოფა ხორციელდება ატფ-ით წარმოქმნილ ამფ-ის და მაკროერგული ფოსფატებისგან. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2003).

კალანდაძე ალექსანდრე ნესტორის ძე [2 (15). IV. 1909, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 16. XI. 1976, თბილისი], არქეოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971). 1937–41 მუშაობდა ენის, ისტ. და მატერიალური კულტურის ინ-ტში; 1939-იდან – საქართვ. სახელმწ. მუზეუმში; 1951-იდან გარდაცვალებამდე – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ.

და ეთნოგრ. ინ-ტში, თავდაპირველად უფროს მეცნიერ მუშაკად, ხოლო შემდეგ ქვის ხანის არქეოლ. განყ-ბის ხელმძღვანელად.

ჰ. მონაწილეობდა სსრკ მეცნ. აკად. აფხაზეთის ექსპედიციის მუშაობაში (1936), ხელმძღვანელობდა არქეოლ. გათხრებს მცხეთაში (1937–41, 1946–76), სოხუმში (1951–53), წონაში (1963–72) და სხვ.

ჰ-მ შეისწავლა ძველი ქალაქები, საქალაქო ცხოვრება; მდაბიოთა საცხოვრებელი სახლები სამთავროსა და ნარეკვავზე. ჰ-ს სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ქვის ხანის ნამოსახლართა სისტემური კვლევა. მისი შემწეობით 1961–65 გადარჩა ძვ. წ. VIII–VI სს. განძი მთიულეთის არაგვის ხეობაში – ჩაბარუხსა და ფასანაურში (ინახება საქართველოს ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმსა და დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

ჰ-ს მიღებული აქვს საპატიო ნიშნის ორდენი, აგრეთვე მედლები.

თხზ.: მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, «ენიმკის მოამბე», 1939, ტ. 4, ნაკვ. 3; ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, «მიმომხილველი», 1949, ტ. 1; სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხ., 1953; მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. 1–2, თბ., 1955–78 (თანაავტ.); საქართველოს ტერიტორიაზე წინაგვაროვნული საზოგადოების ჩამოყალიბების ისტორიისათვის, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1956, ტ. 2; Вопросы периодизации Самтавро, «Краткие сообщения Ин-та истории материальной культуры», 1949, в. 24; Цонская пещера и её культура, «Пещеры Грузии», 1965, №3.

კალანდაძე ალექსანდრე პავლეს ძე (1. VI. 1916, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 26. I. 1996, თბილისი), მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1966). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (იბრძოდა ბრესტის ციხესიმაგრეში). იყო წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი პოლონეთსა და საფრანგეთში. 1975-იდან ჰ. იყო რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბის ხელმძღვანელი. მისი რომანებია: ,,პიასტის ნამუხლარზე'' (1967), ,,მაკიზარებთან'' (1969), ,,მწვანე შტო'' (1974), ,,ნეიშნის ფიცი'' (1977); ლიტ.-კრიტიკული ნაშრომები: ,,ივანე კერესელიძე'' (1959), ,,საქართველოს მოამბე'' (1963), ,,ქართული ჟურნალისტიკის ისტორია'' (ტ. 1, 1978), ,,გემოვნების კრიტიკა'' (1976) და სხვ. ჰ-ის თხზულებები თარგმნილია რუს., უკრ., ბელორ. ენებზე.

თხზ.: დღეები ბრესტის სიმაგრეში, თბ., 1968; ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. წგ. 1, თბ., 1977.

კალანდაძე ანა პავლეს ასული (15. XII. 1924, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 11. III. 2008, თბილისი), პოეტი. საქართვ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1993), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985). თბილისის საპატიო მოქალაქე (1983). 1946 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1952-იდან მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტში. სხვადასხვა დროს იყო საქართვ. სახელმწ. ენის მუდმივი კომისიის, აგრეთვე მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1946, ლექსების პირველი კრებული – 1953. ამ კრებულმა მას პოპულარობა და საყოველთაო აღიარება მოუტანა. ამის შემდეგ მისი პოეტური კრებულები მრავალჯერ გამოიცა (1957, 1960, 1967, 1976, 1984, 1985). 1995 გამოიცა ორტომეული, რ-შიც, ორიგინალური ლექსების გარდა, დაბეჭდილია ს. მალარმეს, ა. პუშკინის და სხვ. პოეტური თარგმანები, აგრეთვე წერილები, ესეები, მოგონებები.

ჰ-ის პოეზია უაღრესად თვითმყოფადია. მან XX ს. ქართ. პოეზიაში შემოიტანა სულიერი სინაზე და სიფაქიზე. მის ლექსებს ახასიათებს სინატიფე და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურა. ნებისმიერ თემაზე დაწერილი მისი ლექსები გამოირჩევა ინტიმური ელფერით, სადა სტილითა და ჰარმონიული ფორმით. სინამდვილე ჰ-ის ლირიკაში მხოლოდ განწმენდილი სახით აისახება. მაღალი პათეტიკისა და წრფელი გულითადობის შეზავება ზომიერი არქაიზაციისა და სასაუბრო ინტონაციების შერწყმით მიიღწევა. ასე გახმოვანდა მის ლირიკაში ომის შემდგომი მშვიდობიანი ცხოვრების დაწყების თემა (,,კარში გამო, ჭია-ჭიამარია'', 1946); ბუნების განცდა (,,თუთა'', 1945; ,,ჟუჟუნა წვიმა მოვიდა'', 1946; ,,ბეთანიის გზაზე'', 1954). ისტორია ანას ლექსებში არასოდეს გვევლინება გაყინული სახით და თანადროულობაც პოეტის წარმოდგენაში ხშირად იწვევს გარდასულ დროთა ცხოველ მოგონებას (,,შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო''; ,,ასეთი დარი თუ იყო მაშინ'', ორივე 1945). ჰ-ის პატრიოტიზმი გამოხატავს ერის არსებით თვისებათა – სიკეთის, ქედუხრელობის, სიდიადის, შეწყალების ორგ. განცდას (,,საქართველოო, ლამაზო'', 1945; ,,ფეხი დამადგით'', ,,მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს'', ორივე 1959). სიყვარული ანას შემოქმედებაში განუმეორებელი, კდემით აღსავსე, ამაღლებული და სევდანარევი რომანტიკული განცდაა.



ა. კალანდაძე.

ჰ-ის ლექსები თარგმნილია ინგლ., ფრანგ., გერმ., რუს., პოლ., თურქ., არაბ. და სხვ. ენებზე. რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია მიენიჭა ციკლისათვის ,,თავაწეული ქართული დროშები'' და მთელი რიგი ლექსებისათვის. არის გ. ტაბიძის სახ. პრემიის (1985), საქართველოს სახელმწ. პრემიის (1997, პუბლიცისტიკის დარგში) ლაურეატი; ქართ. ლიტრაში შეტანილი წვლილისათვის ლიტ. პრემია ,,საბას'' საპატიო ლაურეატი (2006). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1994).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

თხზ.: რჩეული, თბ., 1976; ლექსები, რედ. გ. კვარაცხელია, თბ., 2014.

ლიტ.: ანას, რედ. გ. კვარაცხელია, თბ., 2014; ასათიანი გ., ოთხტომეული, ტ. 3. თანამდევი სულები, თბ., 2002; ჩხეიძე ნ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1969; ჩხენკელი თ., პოეზია – სიბრძნის დარგი, თბ., 1978; ჭილაძე თ., წერილები, თბ., 1978.

გ. ასათიანი.



ა. დ. კალანდაძე.

კალანდაძე ანტიფორე დიმიტრის ძე [22. X (4. XI). 1910, სოფ. ხორითი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 6. VII. 1976, თბილისი], სამთო ინჟინერ-გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1949), საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). სტალინური პრემიის ლაურეატი (1951).

1938 დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინ-ტის გეოლ.-სამიებო ფაკ-ტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ამიერკავკ. გეოლ. ტრესტში საველე პარტიების გეოლოგის, ტექ. ხელმძღვანელის, შემდგომ – უფროსის თანამდებობაზე.

ჰ. სხვადასხვა დროს იყო აზერბ., ჩრდ. კავკასიის, საქართვ. და სამხრ. კავკასიის გეოლ. სამმართველოების უფროსი (1939–50),

სსრკ გეოლ. სამინისტროს კოლეგიის წევრი, ტექ. სამმართველოს უფროსი (1950–51), ნავთობის გეოლოგიის მთავარი სამმართველოს უფროსი (1951–52).

1953–69 პ. იყო კავკ. მინერალური ნედლეულის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (სამეცნ. დარგში), თემატური სამუშაოების ხელმძღვანელი, შემდგომ – უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1969-იდან გარდაცვალებამდე კი – საქართვ. საწარმოო გეოლ. სამმართველოს თემატური ექსპედიციის მთ. ინჟინერი.

1949 პ-მ მიიღო გეოლ. სამსახურის III რანგის გენერალური დირექტორის პერსონალური წოდება.

საქართვ. ბარიტის საბადოთა შესწავლისათვის პ-ს, სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად, მიენიჭა სტალინური პრემია (1951).

პ-ის სამეცნ. შრომები ეხება სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ნ. კალანდაძე.*



ბ. კალანდაძე.

კალანდაძე ბონდო ვარლამის ძე (დ. 28. IV. 1942, თბილისი), მელვინე, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების სპეციალისტი. მევენახეობისა და მელვინეობის საერთაშ. აკად. ნამდვილი წევრი (1998), საქართვ. ვეტერან მელვინეთა საზ-ბის პრეზიდენტი (2008).

დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1965). სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართვ. კვების მრეწველობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში; მელვინეობის რესპუბლიკურ გაერთიანება ,,სამტრესტში'', თბილ. სამრეწველო გაერთიანება ,,კრისტალში''. 2006–11 იყო კომპანია ,,*სარაჯიშვილის*'' მაგარი ალკოჰოლური სასმელების სამსახურის უფროსი.

პ-ის მიერ შექმნილია ქართ. ალკოჰოლური სასმელების 60-ზე მეტი ნიმუში. მათგან არაყმა ,,ტარხუნამ'' დიდი მოწონება დაიმსახურა ამერიკის, შვედეთის და სხვა ქვეყნების ბაზრობებზე. პ. არჩეულია ახალი ორლეანის (აშშ, ლუიზიანას შტატი) საპატიო მოქალაქედ (1989). შეყვანილია სსრკ საპატიო მელვინეთა სიაში. დარგში დამსახურებისათვის 2012 უკრაინისა და ყირიმის მელვინეთა კავშირმა დააჯილდოვა ,,ლევ გოლიცინის'' ოქროს მედლით. 2014 მიენიჭა მელვინეობის საპატიო დეგუსტატორის წოდება. მონაწილეობდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მელვინეობის გამოფენებზე, ბაზრობასა და დეგუსტაციაზე. ეწევა პედ. საქმიანობას სომელიეთა და ბარმენთა ასოციაციაში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი მონოგრაფია და სახელმძღვანელო.

თხზ.: მსოფლიოს მაგარი ალკოჰოლური სასმელები, თბ., 2007; ქართული ღვინის ალკოჰოლური სასმელების მატიანე, თბ., 2008; სამტრესტი და სამტრესტელები, თბ., 2014; საქართველო – ღვინის აკვანი, თბ., 2015.

კალანდაძე გიორგი ალექსანდრეს ძე (24. VIII. 1912, სოფ. ძირულა, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 20. II. 1979, თბილისი), პოეტი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1974). სწავლობდა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, 1933–38 – თსუ-ის ფილოლოგიის ფაკ-ტზე. 1957-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნიერებათა აკად. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ-რის ინ-ტში. პირველი ლექსები 1934 გამოაქვეყნა. ეკუთვნის ლექსთა კრებულები: ,,ლექსები'' (1939), ,,ჩაუქრობელი კერა'' (1958), ,,მზე შუბის ტარზე'' (1964), ,,სატურფალო'' (1967), ,,ოცნება ცისკრად ამომავალი'' (1974); გამოკვლევები: ,,ქართული ხალხური ბალადა'' (1957), ,,ეგნატე ნინოშვილი'' (1959), ,,გიორგი ლეონიძის შემოქმედება'' (1967), ლიტ. წერილების კრებ. ,,დროის მხარდამხარ'' (1975) და სხვ. *დ. თევზაძე.*

კალანდაძე გიორგი ზურაბის ძე (დ. 24. VI. 1980, თბილისი), ბრიგადის გენერალი (2012). გაერთიანებული შტაბის უფროსი (2012). დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი (1997), გაერთიანებული სამხ. აკადემია (2001). მუშაობდა საქართვ. თავდაცვის ეროვნ. აკადემიაში (2001–06). იყო მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური (2006–09), სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე (2009–10), სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი (2010–11), გაერთიანებული შტაბის უფროსის პირველი მოადგილე (2010–12). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კალანდაძე დიმიტრი ფილიპეს ძე (1912, სოფ. ბუკისციხე, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 1992, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1967). სწავლობდა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტზე, 1944 დაამთავრა მოსკოვის უმაღლ. პარტიული სკოლა.

პ. 1946-იდან იყო თსუ-ის თანამშრომელი, დოცენტი, ფილოს. ფაკ-ტის დეკანის მოადგილე; 1953–55 – საქართველოს მეცნ. აკად. ფილოს. ინ-ტის დირექტორი, 1955–74 – საქართველოს მეცნ. აკად. ფილოს. კათედრის გამგე, 1974–79 – სას.-სამეურნეო ინ-ტის (ამჟამად საქართვ. აგრარული უნ-ტი) ფილოს. კათედრის გამგე, 1979-იდან გარდაცვალებამდე – თსუ-ის ფილოს. კათედრის პროფესორი.

პ. იკვლევდა ისტორიული მატერიალიზმის საკითხებს.

თხზ.: ობიექტურობისა და სუბიექტურობის ერთიანობის საკითხი შემეცნებასა და საზოგადოებაში, თბ., 1964.

კალანდაძე ედმონდ (გაბრიელ) ლავროსის ძე (4. V. 1923, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 13. VIII. 2014, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1985), შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1998), მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა I საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1957). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკ-ტი (1955). II მსოფლიო ომის მონაწილე.



ე. კალანდაძე. ,,ღრუბლები''. 2006.

სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1950-იდან. 1955–74 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში. პ. არაერთი საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენის მოწყობის ინიციატორია თბილისში. იყო საქართვ. კულტ. მინისტრი (1991). 1998 საქართვ. ეროვნულ გალერეაში, საშობაო გამოფენაზე, პ-ის ფერწერული სურათები (,,ავტოპორტრეტი'', ,,ლევან დავითაშვილის პორტრეტი'', ,,ფიჭვები და ზღვა'', ,,ჯვაროსნები'') გრან-პრით დაჯილდოვდა.

ნამუშევრები: ,,ნატიურმორტი'', ,,ზურაბ ნიჟარაძის პორტრეტი'', ,,ეთერ ანდრონიკაშვილის პორტრეტი'', ,,კარლ მარქსის ხიდი''



ე. კალანდაძე. ,,ქართული პეიზაჟი''. 2010.

(1955, ყველა შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი), ,,მეტეხი'' (1977), ,,ლტოლვილები'' (1978), ,,თბილისის ხედი'' (1985), ,,დახვრეტა აგურის კედელთან'' (1986), ,,თელეთის ბაზილიკა'', ,,გურია'', ,,სამი გრაცია'' (ყველა 1998); გრაფიკული პორტრეტები: ,,შოთა რუსთაველი'', ,,ბებია'', ,,მეუღლე''; გრაფიკული პეიზაჟები, კომპოზიციები (1999) და სხვ. გამოფენები: საბჭ. მხატვართა I ყრილობისადმი მიძღვნილი გამოფენა (1957, მოსკოვი), ქართვ. მხატვრების გამოფენა (1958, რიგა), ქართვ. მხატვართა რეტროსპექტული გამოფენა (1988, მოსკოვი), ქართვ. მხატვართა გამოფენა (1988, ვენა), ე. და ც. კალანდაძეების გამოფენა (1995, თბილისი) და სხვ. პერსონალური გამოფენები: ლუქსემბურგი (1991), სურათების ეროვნ. გალერეა (1995), შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი (1998, 2011), გალერეა ,,ჰობი'' (2002, 2008, თბილისი) და სხვ., პ-ის ნამუშევრები დაცულია: შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, ბათუმის ხელოვნების მუზეუმში, საქართვ. საპატრიარქოში, ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეაში (მოსკოვი), მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, კერძო კოლექციებში და სხვ.

ქართ. სახვითი ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპის ფორმირების პროცესში პ-ის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. *ნ. შერვაშიძე.*

კალანდაძე ვლადიმერ ანდრიას ძე (21.VI. 1921, თბილისი, – 19.XI. 1992, იქვე), სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1975). საბაგირო ტრანსპორტის ფუძემდებელი საქართველოში. 1951 დაამთავრა სპი-ის მექანიკის ფაკ-ტი. 1958-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე, იყო ინ-ტის სწავლული მდივანი (1958–60). მისი მონაწილეობით საქართველოში, მსოფლიოში პირველად, ტყვარჩელის ერთ-ერთ შახტზე გამოიცადა და დაინერგა მიწისქვეშა სამგზავრო კიდული ბაგირგზა, რ-საც შემდგომში ხშირად იყენებდნენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მისი გამოცდილება გაიზიარეს რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა შახტებში.

პ-ის სამეცნ. მოღვაწეობის მიმართულება შეეხებოდა სამგზავრო ბაგირგზების გამტარუნარიანობის გაზრდას, საიმედოობის ამაღლებასა და ექსპლუატაციის უსაფრთხოებას. პ. ითვლება სამგზავრო ბაგირგზების მდგრადობის თეორიისა და ბაგირგზების დეფექტოსკოპიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა და დაინერგა ბაგირგზებისათვის ინდუქციური კავშირისა და სიგნალიზაციის ორიგინ. აპარატურა, ფოლადის ბაგირებისა და ფოლადის მილების გაუმჯობესებული კონსტრუქციის დეფექტოსკოპები, ბაგირგზის მზიდი ბაგირის ბერკეტულ-ზამბარიანი დამჭიმავი მოწყობილობები და სხვ.

პ. იყო II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. უშუალოდ მონაწილეობდა ბერლინის აღებაში. მიღებული აქვს 18 საბრძოლო ორდენი და მედლები. ავტორია 25 გამოგონებისა და მრავალი სამეცნ. ნაშრომის.

თხზ.: Колебания вагонов подвесных канатных дорог, Тб., 1973.

ლიტ.: მახარაძე ლ., ვლადიმერ კალანდაძის დაბადების 70 წლისთავის გამო, «მეცნიერება და ტექნიკა», 1993, №9–10. *თ. არსენაძე.*

კალანდაძე ზურაბ ფილიპეს ძე (21. XI. 1923, ქუთაისი, – 31. X. 2003, თბილისი), თორაკო-ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1977), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1987), სამედ.-ბიოლ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1997). 1949 დაამთავრა თსსი. სწავლა განაგრძო მოსკოვში, თავდაპირველად კურორტოლოგიის საკავშ. ინ-ტის კლინიკურ ორდინატურაში (1952–56), შემდეგ რუსეთის ტუბერკულოზის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ასპირანტურაში (1956–60). თავდაპირველად იყო ამავე ინ-ტის უმცრ. (1962–66), შემდეგ უფრ. მეცნიერი თანამშრომელი და ქირურგიის კლინიკის ხელმძღვანელი (1966–72), თსსი-ის ფთიზიატრიისა და გულმკერდის ქირურგიის კათედრის პროფესორი და ამავე კათედრის გამგე (1972–79). დანერგა ფილტვების ერთმომენტიანი ორმხრივი რეზექცია ტუბერკულოზის დროს.

პ. არის განცალკევებული ბრონქოსპირომეტრიის ორიგინ. მეთოდიკის ავტორი, თორაკო-ქირურგ. ინსტრუმენტის, მ. შ. ,,ზვიგენის'' გამომგონებელი.

პ. იყო საქართვ. ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის ასოციაციის დამფუძნებელი; მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიის ავტორი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

კალანდაძე ლავროსი გიგილოს ძე (23. XII. 1903, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 1. V. 1977, თბილისი), კრიტიკოსი. 1930–33 სწავლობდა მოსკოვში, ენის, ლიტრისა და ხელოვნ. ინ-ტში. პირველი ნაწარმოები 1923 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი – ,,წერილები ლიტერატურაზე'' – 1955. პ-ის კვლევის ინტერესები მოიცავს




ე. კალანდაძე.



ვ. კალანდაძე.



ლ. პ. კალანდაძე.



გ. ვ. კალანდია.

როგორც კლასიკოსთა, ასევე უახლესი ლიტ. ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. აღსანიშნავია მისი ლიტ.-კრიტიკული წერილები ა. აბაშელის, გ. ქუჩიშვილის, გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, კ. ლორთქიფანიძის და სხვათა შემოქმედებაზე. პ-ის კრიტიკული წერილებია: ,,ლიტერატურული წერილები'' (1972), ,,ლიტერატურული შენიშვნები'' (1974, რუს. ენაზე), ,,ლიტერატურული ნაფიქრები'' (1976). მასვე ეკუთვნის ა. გერცენის და კ. უშინსკის თხზულებათა თარგმანები. პ-ის ნარკვევი ნ. ბარათაშვილის შესახებ ნათარგმნია რუს., ინგლ., გერმ., ფრანგ. და სხვა ენებზე.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

კალანდაძე ლეონიდე პოლიევქტის ძე [4(16). XI. 1898, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 23. VII. 1968, თბილისი], აგრონომ-ენტომოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1946); საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1954). დაამთავრა თსუ-ის აგრონ. (1921) და მიუნხენის უნ-ტის სატყეო (1927) ფაკ-ტი. 1932–68 იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ზოოლ. და ენტომოლოგიის კათედრის გამგე და დირექტორის მოადგილე სასწ. ნაწილში (1945–50). პ. საქართველოში სამედ. ენტომოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ხელმძღვანელობდა კოღოების სახეობრივი შედგენილობისა და გავრცელების შემსწავლელ ექსპედიციებს. მისივე თაოსნობით ტროპ. სნეულებათა ინ-ტში მოეწყო სპეც. ენტომ. ლაბორ., საგამბუზიო და სხვ. გამოიკვლია ჭაობების და მცირე ზომის წყალსატევების ფაუნა, დაამუშავა ქართ. ენტომოლოგიური ტერმინოლოგია; მისი საერთო რედაქციითა და თანაავტორობით შედგა ენტომოლ. სახელმძღვანელო (ნაწ. 1–2, 1956–62). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *გ. თოდუა.*

კალანდაძე მურმან ვარლამის ძე (29. X. 1941, თბილისი, – 27. III. 2003, იქვე), გენერალ-მაიორი (1993). 1963 დაამთავრა სპი-ის ენერგეტიკის ფაკ-ტი, 1970 – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის 2-წლიანი უმაღლესი სკოლა ქ. მოსკოვში. 1978–82 იყო აჭარის ასსრ უშიშროების კომიტეტის კონტრდაზვერვის უფროსი, 1983 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1986–87 – საქ. სსრ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის კონტრდაზვერვის, 1987–90 – დაზვერვის უფროსი, 1990–92 – სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რის მოადგილე, 1992–93 – საქართვ. რესპ. საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის უფროსის მოადგილე. 1998–2001 იყო საქართვ. ელჩის მრჩეველი უზბეკეთის რესპუბლიკაში.

დაჯილდოებულია ორდენითა და მედლებით. *ლ. დოლიძე.*

კალანდაძე (ფსევდ. ე შ მ ა კ ი) ნესტორ ლაზარეს ძე (1874, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 1942, პარიზი), პუბლიცისტი, მწერალი, მხატვარ-კარიკატურისტი. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: *,,ეკალი'', ,,შუამავალი'', ,,ოხუნჯი''* (სამივე 1907), ,,ჯოჯოხეთი'' (1909) და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია *,,ეშმაკის მათრახი''*, რ-ის ფაქტობრივი რედაქტორი იყო, თუმცა ცენზურის თვალის ასახვევად ჟურნალს ხელს აწერდა ასოთამწყობი თ. ბოლქვაძე. პ-ს შ. შარაშიძესთან (თაგუნა) ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართ. იუმორისა და სატირის განვითარების საქმეში.

ლიტ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1969.

ნ. ხომერიკი.

კალანდაძე პოლიევქტოს ანტონის ძე, იხ. *ირეთელი პოლიო.*

კალანდაძე ცეციელია პოლიევქტის ასული (21. VI. 1914, თბილისი, – 26. III. 2001, იქვე), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1972), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). 1938 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1937–38 მუშაობდა თსუ-ის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრ. განყ-ბის გამგედ, 1934–45 – მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვ. ფილიალში მეცნიერ თანამშრომლად. 1945–50 იყო მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული II მსოფლიო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისიის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1950-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1969-იდან – ამავე ინ-ტის საკვალიფიკაციო საბჭოს სწავლული მდივანი, 1996-იდან – აღმ. ევროპისა და ამიერკავკ. ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის განყ-ბის გამგე.

პ. იკვლევდა XX ს. 20–30-იანი წლების საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესების საყურადღებო და წინააღმდეგობრივ ხასიათს, აგრეთვე დიდ ყურადღებას უთმობდა მეზობელ ხალხებთან ქართველი ერის კულტურული ურთიერთობის პრობლემების შესწავლას.

თხზ.: საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიოგრაფია, თბ., 1948; Культурная революция в Грузии, Тб., 1963; Участие грузин в культурной и общественной жизни России в I-й половине XIX века, ч. 1–2, Тб., 1979–84; Культурное строительство в Грузинской ССР (1921–1932 гг.), т. 1. Документы и материалы, Тб., 1986 (შემდგ.).

კალანდია გენო ვლადიმერის ძე (15. IV. 1940, ზუგდიდი, – 15. III. 2017, თბილისი), პოეტი, დრამატურგი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2013). აფხაზეთის ომის ვეტერანი. 1962–64 სწავლობდა მოსკოვში, ჟურნალისტიკის უმაღლეს კურსებზე, მუშაობდა საოლქო გაზ. ,,საბჭოთა აფხაზეთის'' რედაქციაში. 1974-იდან იყო აფხაზეთის თეატრალური საზ-ბის თავ-რე, იმავდროულად – აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივანი, 1989-იდან – თავ-რე, ალმანახ ,,რიწის'' პ/მგ მდივანი, 2010-იდან – აფხაზეთის ლიტ-რისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის თავ-რე, 2015-იდან – საქართვ. მწერალთა ეროვნ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი. იყო საქართვ. პარლამენტის მე-2, მე-3, მე-4 მოწვევის დეპუტატი, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საპარლამენტო კომისიის თავ-რე. პ-ს პირველი წიგნი ,,ცა და ფოთლები'' გამოვიდა 1966, პირველი პიესები – ,,მთვარის საათი'', ,,ადგილის დედა'', ,,ძე შეცთომილი'' დაიდგა სოხუმის სახელმწ. დრამ. თეატრში. ავტორია 30-მდე პოეტური კრებულის და დრამატული პიესისა. კრებულები: ,,ფესვები'' (1990, 2011), ,,გრაალი და კარიატიდები'' (1994), ,,რეკვიემი'' (1999, 2008), ,,მესამე თვალი'' (2002), ,,ასი ლექსი'' (2009), ,,საგალობლები უფლისათვის'' (2014, 2017), ,,ორტომეული'' (2015) და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე. 1993 დააარსა და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აფხაზი პოეტის, გ. შერვაშიძის სახ. სახელმწ. პრემიების კომიტეტს. პ-ს მინიჭებული აქვს საქართვ. სახელმწ. პრემია (1994), ასევე გ. შერვაშიძის (2002), ი.

ჭავჭავაძის (2003), საგურამოს (2015) ლიტ. პრემიები.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

ლიტ.: ძმები კალანდიები, 3 ტომად, თბ., 2003.

კალანდია გიორგი ბორისის ძე (დ. 31. III. 1975, თბილისი), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (2003). 1996 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი, 2007 – ევროკავშირის პოლიტიკური სკოლა (სტრასბურგი), 2011 – ოქსფორდის უნ-ტის დუბლინის ECM კოლეჯი. ჰ-ს სამეცნ. კვლევის სფეროს დას. საქართველოს ისტორია (ცაიშის, ხობის, მოქვისა და დრანდის ეპისკოპოსთა ქრონოლ. რიგები; ცაიშის ფრესკული მხატვრობა, წალენჯიხის მონასტრის ეკვდერთა მოხატულობა, ბედიის საეპისკოპოსოს ისტორია, საზღვრები, ყმა-მოლაშქრეები) და უცხოეთში ქართული ისტ. კვალის ძიება წარმოადგენს.

1997–2002 მუშაობდა სტუდია „აუდიენციაში“ ჟურნალისტად და რედაქტორად. გადაცემა „ჩვენებურების“ ავტორი (2002–05 ტელეკომპანია „მზე“; 2005–08 ტელეკომპანია „იმედი“). 2009-იდან არის საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმის – ხელოვნების სასახლის დირექტორი, 2010-იდან სდასუ-ს პროფესორი.

2004–11 ჰ-ს ხელმძღვანელობით საზღვარს მიღმა მცხოვრები ქართველების ტრადიციების, ფოლკლორისა და ენის თავისებურებების შესასწავლად თურქეთში მოეწყო რამდენიმე სამეცნ. ექსპედიცია, რ-ის დროსაც ფირზე დაფიქსირდა ათეულობით ქართ. სოფელი, ფოლკლორის ნიმუში და ისტ. ძეგლი. 2006 ექსპედიციამ მოამზადა სამეცნ. დოკუმენტური ფილმების ციკლი (4 ფილმი) სომხეთში არსებული ქართ. კვალის შესახებ (ახტალისა და ქობაირის ქართ. მონასტრების კაძრები, მატენადარანში დაცული ქართ. ხელნაწერები და სხვ.).

2006–07 ჰ. მონაწილეობდა სამეცნ. ექსპედიციაში, რ-ის მიზანი იყო ქ. გოაში (ინდოეთი) არსებული სამონასტრო კომპლექსის და გადმოცემის მიხედვით იქ დაცული ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების მოძიება.

2007 ჰ-მ გადაიღო დოკუმენტური ფილმები ბალკანეთის ნ.-კ-ზე არსებული ქართული მონასტრების შესახებ. 2017 მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულმა სამეცნ. პროექტმა „ქსოვილი საქართველოდან“ ევროპის კულტ. მემკვიდრეობის უმაღლესი ჯილდო – „ევროპა ნოსტრა“ მიიღო.

ჰ. დაჯილდოებულია აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს პრემიით (2004). საერთაშ. მართლმადიდებლურ კინოფესტივალზე მიღებული აქვს მედალი საუკეთესო დოკუმენტური ფილმისათვის (2006) და I ადგილი საუკეთესო სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისათვის (2007), პრემია „პარნასი“ (2007), ,,ოქროს ფრთა‘‘ (2009).

თხზ.: ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004; გაძარცული საგანძური, თბ., 2006; ფერადი წარსული (სერგეი პროკუდინ გორსკის ფოტოალბომი), თბ., 2007; ახმედ მელაშვილი – ჩვენებურთა ბელადი, თბ., 2010; დადიანები (თანაავტ.: ლ. მამაცაშვილი, ლ. ბერაია, მ. ქუთათელაძე), თბ., 2011; ქართველები პირველ მსოფლიო ომში, თბ., 2014; მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში, თბ., 2017; პეტრე ოცხელი – 110, თბ., 2017; ექვთიმე თაყაიშვილი და ტაო-კლარჯეთი, თბ., 2017; ქსოვილი საქართველოდან (თანაავტ.: ი. ზამბახიძე, ი. საგანელიძე), თბ., 2017; სამი ქართული ამბავი, თბ., 2017.

კალანდია ზაურ ვლადიმერის ძე (დ. 23. III. 1949, ზუგდიდი), მწერალი. დაუსწრებლად დაამთავრა სოხუმის მ. გორკის სახ. პედ. ინ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი (1978). 1976-იდან ცხოვრობს თბილისში. სხვადასხვა დროს მუშაობდა წიგნის სახელმწ. პალატაში ,,მემატიანის‘‘ რედაქტორად, მთარგმნელობით კოლეგიაში – რედაქტორად; ეწეოდა პედ. მოღვაწეობას კულტურისა და ხელოვნების სახელმწ. უნ-ტში; იყო ჟურნ. ,,ცისკრის‘‘ თანამშრომელი, პროზის განყ-ბის გამგე, ხოლო 1992–2011 – მთ. რედაქტორი. 2014-იდან სამხატვრო-სალიტ. ჟურნ. ,,რიწის‘‘ მთ. რედაქტორია. პირველი მოთხრობები 1977 დაბეჭდა ჟურნ. ,,ნობათში‘‘. ავტორია რომანებისა: ,,ზვარაკი‘‘, ,,ჟამი უდაბნოში‘‘, ,,ძეგლი ყველასათვის‘‘; პროზაული წიგნებისა: ,,ჩემი ღამის ცა‘‘ (1982), ,,ესკიზები საშემოდგომო განწყობილებისათვის‘‘ (1985), ,,ზარი‘‘ (1997), ,,ვაშლის გემო‘‘ (1998), ,,ესკიზები საშემოდგომო განწყობილებისათვის-2‘‘ (2002), ,,ერთტომეული‘‘ (2002). მისი რომანისა (,,ზვარაკი‘‘) და სცენარების (,,დურუ‘‘, ,,გზა‘‘) მიხედვით გადაღებულია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები.

რომანისათვის ,,ძეგლი ყველასათვის‘‘ 2002 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია; 2010 – ი. ჭავჭავაძის პრემია.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

კალანდია რენე ვლადიმერის ძე (25. VII. 1944, ზუგდიდი, – 28. III. 2014, იქვე), პოეტი. 1961-იდან ცხოვრობდა ქ. სოხუმში. 1963–67 მსახურობდა სამხ.-საზღვაო ფლოტში. 1968–73 სწავლობდა სოხუმის მ. გორკის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში ფილოლ. ფაკ-ტზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთებისა და ალმანახ ,,რიწის‘‘ რედაქციებში. იყო სოხუმის რადიოს კორესპონდენტ-ორგანიზატორი. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1966. პირველი პოეტური კრებული ,,ხსოვნის ყვავილი‘‘ გამოსცა 1971. ავტორია კრებულებისა: ,,კონცერტი‘‘ (1975), ,,გამოფენა‘‘ (1977), ,,სეზონის დახურვა‘‘ (1979), ,,ოთხი სიმის ოთხი სხივი‘‘ (1981) და სხვ. ჰ. თარგმნიდა XX ს. ფრანგი, პოლონელი, ლიტველი პოეტების ნაწარმოებებს. მისი პოეზია თარგმნილია ლიტვურ, უკრაინულ, რუს., სომხ., აფხ. და სხვ. ენებზე. 1998 მიენიჭა გ. შერვაშიძის სახ. სახელმწ. პრემია.

ჰ. დაკრძალულია ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის პანთეონში.



გ. კალატოზიშვილი.


კალატოზი, ქვიტკირის მაშენებელი. ჰ. ქვითხუროს იდენტური პროფესიაა. უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში ჰ-ების და კალატოზთუხუცესების დეფინიციით გამორკვეულია ამ დარგის შინაგანი სტრუქტურა და ხელობის აქტიური ხასიათი. გვიან პერიოდში ჰ-მა მიიღო სახლის მაშენებლის მნიშვნელობა, რ-ის მოვალეობაში შედიოდა ქვის სახლის აშენება კირის, მიწის ან ცემენტის ხსნარით.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011. *ე. ნადირაძე.*

კალატოზიშვილი გიორგი (ტიტო) მიხეილის ძე (26. IX. 1929, თბილისი, – 22. VII. 1984, იქვე),

გ. მ. კალატოზიშვილი. კადრი ფილმიდან ,,ფილატელისტის სიკვდილი‘‘.






მ. კ. კალატოზიშვილი.

კინოოპერატორი, კინორეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1980). დაამთავრა კინემატოგრაფიის სკავშ. სახელმწ. ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (ბ. ვოლჩეკის სახელოსნო, 1954). ჰ-ის პირველი ოპერატორული ნამუშევარია ფილმი ,,პატარძალი'' (ვ. კოროტკოვთან ერთად. რეჟ. გ. ნიკულინი, ვ. შრედელი, 1957, რუსეთი). 1958-იდან მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' დამდგმელ ოპერატორად. გადაიღო ფილმები: ,,წარსული ზაფხული'' (1959), ,,ამბავი ერთი ქალიშვილისა'' (1960), ,,ჭიაკოკონა'' (1961), ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (1962), ,,თეთრი ქარავანი'' (ლ. კალაშნიკოვთან ერთად, 1963), ,,მე ვხედავ მზეს'' (1965), ,,მაცი ხვიტია'' (ი. ამასიისკისთან ერთად, 1966), ,,ლონდრე'' (1966). ჰ-ის სარეჟისორო დებიუტია სატელევიზიო ნოველა ,,არღანი'' (1967). დამდგმელი რეჟისორია ფილმებისა: ,,ფილატელისტის სიკვდილი'' (1969), ,,მე, გამომძიებელი'' (1971), ,,კაფე იზოტოპი'' (1977, ,,მოსფილმი''); ,,ცომბირელი პაპა'' (1973), ,,კიკვიძე'' (გ. გაბესკირიასთან ერთად, 1980). ლ. ტოლსტოის ნაწარმოებების მიხედვით გადაიღო სატელევიზიო ფილმები ,,კავკასიის ტყვე'' (1976 – კინოპრესის საერთაშ. ფედერაციის პრიზი, მონტე-კარლოს სატელევიზიო ფესტივალი, 1978) და ,,კავკასიური ამბავი'' (,,კაზაკების'' მიხედვით, 1978). ქართ. მუს. ფოლკლორის პოპულარიზატორს, ჩეხ მუსიკოსსა და მომღერალს, იოსებ ნავრატილს მიუძღვნა ფილმი ,,გმადლობთ, რატილი'' (1983). მუშაობდა ფილმზე ,,სკაპენის ოინები'' (მოლიერის პიესის მიხედვით), რ-იც მისმა ვაჟმა – მ. კალატოზიშვილმა დაასრულა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *მ. კერესელიძე.*

კალატოზიშვილი მიხეილ გიორგის ძე (19. V. 1959, თბილისი, – 12. X. 2009, მოსკოვი), კინორეჟისორი, პროდიუსერი. დაამთავრა კინემატოგრაფიის სკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა (ე. ძიგანის სახელოსნო, 1981). ინ-ტის სასწ. სტუდიაში გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი ,,მექანიკოსი'' (ა. პლატონოვის მოთხრობის მიხედვით, 1981). მუშაობდა მეორე რეჟისორად მამის – გიორგი კალატოზიშვილის ფილმზე ,,გმადლობთ, რატილი'' (1983), დაასრულა მისივე ფილმი



მ. გ. კალატოზიშვილი. კადრი ფილმიდან ,,ველური ვეღი''.

,,სკაპენის ოინები'' (მოლიერის პიესის მიხედვით, 1984). ,,ქართულ ფილმში'' გადაიღო მხატვრული ფილმი ,,რჩეული'' (პ. მერიმეს ,,მატეო ფალკონეს'' მიხედვით, 1991 – მადრიდის საერთაშ. კინოფესტივალის ჟიურის სპეც. პრიზი, 1992; საერთაშორისო კინოფესტივალი ,,ოქროს არწივის'' სხვადასხვა პრიზები), რ-ის სიუჟეტი და კონფლიქტი ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ საქართველოში გადმოიტანა. 1992-იდან ჰ. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსეთში, სადაც გადაიღო მხატვრული ფილმი ,,მისტერიები'' (2000), დოკუმენტური ფილმები: ,,ორი ატომი'' (2001), ,,მესიზმრება ჩემი ქედიანი თბილისი'' (2002), ,,ფილმი მიხეილ კალატოზოვზე'' (2006). საერთაშ. წარმატება ხვდა ფილმს ,,ველური ვეღი'' (2008 – ვენეციის, მარაკეშის, სოჭის, კოტბუსის საერთაშ. კინოფესტივალების პრიზები, რუსეთის კინოკრიტიკოსთა გილდიის პრემია ,,თეთრი სპილო'', რუსეთის ეროვნული კინოპრემია ,,ოქროს არწივი'' საუკეთესო ფილმის, სცენარისა და მუსიკისთვის) – დრამატულ მოთხრობას დროსა და სიყვარულზე, გმირზე, რ-იც არაადამიანურ გარემოში ადამიანობის შენარჩუნებას ცდილობს. 2000 დააფუძნა ეროვნული კინემატოგრაფიის მხარდაჭერისა და განვითარების ფონდი – ,,მიხეილ კალატოზოვის ფონდი'', იყო მისი პრეზიდენტი. დააარსა და 2009 ჩაატარა ტარუსის I კინოფესტივალი ,,ერთგული მეგობრები''. იყო პროდიუსერი ფილმებისა: ,,ღმერთის შემდეგ პირველი'' (რეჟ. ვ. ჩიგინსკი, 2005), ,,ლოვიტორი'' (რეჟ. ფ. აბდულაევი, 2005), ,,ვანეჩკა'' (რეჟ. ე. ნიკოლაევა, 2007, ყველა რუსეთი). გადაღებულია ფილმებში: ,,ადვოკატი'' (რეჟ. ი. ხამრაევი, 1990), ,,ანას დაბადების დღე'' (რეჟ. ლ. ჯოჯუა, 1992).

მ. კერესელიძე.

კალატოზიშვილი (კალატოზოვი) მიხეილ კონსტანტინეს ძე [15 (28). XII. 1903, თბილისი, – 26. III. 1973, მოსკოვი], კინორეჟისორი. საქართვ. (1965) და სსრკ სახ. არტისტი (1969). შემოქმედებითი გზა დაიწყო (1923) საქართვ. ,,სახკინმრეწვის'' სტუდიაში როგორც დოკუმენტური კინოს ნოვატორმა, გამომგონებელმა, ახალი გამომსახველობითი საშუალებების მაძიებელმა. მუშაობდა მექანიკოსად, მემონტაჟედ. ი. პერესტიანის კინოსამსახიობო სტუდიაში დაეუფლა სამსახიობო ხელოვნებას, მონაწილეობა მიიღო მის ფილმებში ,,სამი სიცოცხლე'' (1924) და ,,ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე'' (1925), ოპერატორის ასისტენტად იმუშავა ფილმზე ,,ვინ არის დამნაშავე?'' (რეჟ. ა. წუწუნავა, 1925). როგორც ოპერატორმა გადაიღო მელოდრამა ,,გიული'' (რეჟ. ნ. შენგელაია, ლ. პუში, 1927, მონაწილეობდა სცენარის შექმნაშიც) და ,,ბოშური სისხლი'' (რეჟ. ლ. პუში, 1928). მისი პირველი რეჟისორული ნამუშევარია დოკუმენტური ფილმები: ,,ზაჰესის ქრონიკა'', ,,ცხენები'' (ორივე – 1927). ,,მემარცხენე'' ხელოვანთა ჯგუფთან ერთად ჰ. იღვწოდა ხელოვნებაში ახალი მიმართულების დასამკვიდრებლად. მასალის მხატვრული ორგანიზების ახალ იდეებს ხორცი შეასხა (კინორეჟისორ ნ. ღონღობერიძესთან ერთად) 1918–20 კინოქრონიკის საფუძველზე შექმნილ დოკუმენტურ ფილმში ,,მათი სამეფო'' (,,18–28''), 1929 სვანეთში გადაიღო მხატვრული ფილმი ,,უსინათლო''. ქართულ კინოში პირველმა გამოიყენა თავისივე შექმნილი ფილტრები, მოუხერხავი კინოაპარატი დადგა მოძრავ საყრდენზე და კამერა მოვლენათა აქტიურ მონაწილედ აქცია. ფილმი ,,ფორმალისტურად'' მიიჩნიეს და აკრძალეს. ფილმისგან დარჩენილი სვანეთში გადაღებული მასალის საფუძველზე შექმნა დოკუმენტური ფილმი ,,ჯიმ შვანთე!'' (,,მარილი სვანეთს!'', 1930). ესაა პოეტური ნარკვევი საუკუნეთა განმავლობა-



მ. კ. კალატოზიშვილი. კადრი ფილმიდან ,,მიფრინავენ წეროები‘‘.

ში გარესამყაროს მოწყვეტილი ზემო სვანეთის თემის ყოველდღიურ ყოფაზე. ეთნოგრ. მასალის ექსპრესიული მონტაჟით, მკვეთრი რაკურსებით, საერთო და მსხვილი ხედების მეტაფორული დაპირისპირებით პ-მა დიდ მხატვრულ ეფექტს მიაღწია. 1932 გადაიღო ექსპერ. ფილმი ,,ლურსმანი ჩექმაში‘‘. ,,სოციალისტური რეალიზმის‘‘ პირობებში ორ ათეულზე მეტი წლით გადაიდო პ-ის ნოვატორული ძიებები. 1934–35 იგი სათავეში ედგა ,,სახკინმრეწვს‘‘. 1936, ხანმოკლე პატიმრობის შემდეგ, დატოვა საქართველო. 1937 დაამთავრა ლენინგრადის ხელოვნებათმცოდნეობის სახელმწ. აკადემია. მუშაობდა ,,ლენფილმში‘‘. გადაიღო ფილმები მფრინავებზე: ,,სიმამაცე‘‘ (1939) და ,,ვალერი ჩკალოვი‘‘ (1941). 1943-იდან მოღვაწეობდა ,,მოსფილმში‘‘, იყო სსრკ სახკომსაბჭოს კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის წარმომადგენელი აშშ-ში (1943–45). 1945–48 ხელმძღვანელობდა მხატვრული ფილმების წარმოების მთ. სამმართველოს. XX ს. 50-იან წლებში გადაიღო ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ფილმები – ,,ცივი ომის‘‘ დასაწყისის საბჭ. პროპაგანდის სულისკვეთების გამომხატველი ,,განწირულთა შეთქმულება‘‘ (ნ. ვირტას ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, 1950; სტალინური პრემია, 1951) და ლირიკული კომედია ,,ერთგული მეგობრები‘‘ (ა. გალიჩის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით, 1954; კარლოვივარის საერთაშ. კინოფესტივალის დიდი პრიზი, 1954). მსოფლიო აღიარება მოიპოვა პ-ის ფილმმა ,,მიფრინავენ წეროები‘‘ (ვ. როზოვის პიესის ,,მარად ცოცხლების‘‘ მიხედვით, 1957; კანის საერთაშ. კინოფესტივალის მთავარი პრიზი, ,,ოქროს პალმა‘‘ და საკავშირო კინოფესტივალის სპეციალური პრიზი, 1958). ამ ფილმმა დიდი გავლენა მოახდინა XX ს. 60–70-იანი წლების საბჭ. კინოსა და სხვადასხვა ქვეყნის რეჟისორთა შემოქმედებაზე. მოვალეობისა და პასუხისმგებლობის, ინდივიდუალური და ზოგადსაკაცობრიო თემა ახლებურადაა გადაწყვეტილი ფილმში ,,გაუგზავნელი წერილი‘‘ (ვ. ოსიპოვის მოთხრობის მიხედვით, 1960). იგივე თემა განავითარა რეჟისორმა დოკუმენტურ ფილმში ,,მე – კუბა‘‘ (1964), რ-იც ეძღვნება კუბის რევოლუციას. ჩრდ. პოლუსზე უმბერტო ნობილეს ექსპედიციის დოკუმენტების საფუძველზე პ-მა გადაიღო მხატვრული ფილმი ,,წითელი კარავი‘‘ (სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მსახიობთა მონაწილეობით; 1970). ამ ფილმმა თავი მოუყარა რეჟისორის შემოქმედების ძირითად სიუჟეტურ, იდეურ და პლასტიკურ მოტივებს და ერთგვარად შეაჯამა გზა ხელოვანისა, რ-მაც თავისი მსოფლმხედველობით და ნოვატორული ძიებებით მსოფლიო კინოს ისტორიაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა.

ლიტ.: ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, თბ., 1990; გვახარია გ., ყველა დროის რეჟისორი, «კინო», 2007, №3; თვალჭრელიძე ტ., ექსპრესიული ეკრანი, კრ.: კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., 1989; წერეთელი კ., ასე იწყებდა მიხეილ კალატოზოვი, «საბჭოთა ხელოვნება», 1973, №2; Калатозишвили А., Михаил Калатозов, Тб., 2012; Кремлев Г., Михаил Калатозов, М., 1964.

მ. კერესელიძე.

კალაური, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. სათავო სოფელი. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 550 *მ*, გურჯაანიდან 17 *კმ*. 2,0 ათ. მცხ. (2014).

პ. წყაროებში პირველად 1392 საკათოლიკოსო სოფლების ნუსხაში გვხვდება. სოფელი მოხსენიებული აქვს ი. *გიულდენშტედტს.*

სოფელში დგას XVIII ს. წმ. ნინოს დარბაზული ეკლესია. სოფლის ზემოთ, სასაფლაოზე, – წმ. გიორგის ე. წ. სამეკლესიოანი ბაზილიკაა, რ-იც VI–VII სს. განეკუთვნება. XVI ს-ში ეკლესია მოუხატავთ. დას. ფასადის წყობაში ჩასმულ ქვაზე ამოკვეთილი წარწერიდან ირკვევა, რომ 1873 სოფლის მოსახლეობას ეკლესია განუახლებია. 2009, მხატვრობის კონსერვაციისას, საკურთხევლის აფსიდის ჩრდ. ნაწილში, კედლის ზედაპირიდან ჭვარტლის მოხსნის შემდეგ, გამოჩნდა წმ. ნინოს გამოსახულება შესაბამისი ასომთავრული წარწერით. სოფლის ზემოთ, ტყეში, კიდევ რამდენიმე ეკლესიაა – სამყინაურის (VI–VII სს.), უნაგვერდის (VI–VII სს.), კორდომიანის (IX ს.) და მთავარანგელოზთა (შუა საუკუნეები). განსაკუთრებით საინტერესოა სოფლის სამხრ.-დასით, ხუთიოდე *კმ*-ის დაშორებით მდებარე მონასტერი, რ-იც IX ს-ით თარიღდება. მონასტერში შედის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, მცირე სამლოცველო, სატრაპეზო, მარანი, საძვალე, კარიბჭე და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევები.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 1-1, თბ., 2013.

კალაური, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის პერევისის თემში (იმერეთის რეგიონი), ჭიათურის პლატოზე, მდ. ფრონის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 680 *მ*, ჭიათურიდან 6 *კმ*. 356 მცხ. (2014).

კალაში, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ცალგმილის ქედის სამხრ. კალთის ძირას, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ*, მესტიიდან 26 *კმ*. 26 მცხ. (2014).

კალაშნიკოვი მიხეილ გიორგის ძე [6 (18). VII. 1886, ქ. თემირხან-შურა (ახლანდ. ქ. ბუინაქსკი), დაღესტანი, რფ, – 21. V. 1969, მოსკოვი], არქიტექტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1947). 1887–1957 ცხოვრობდა საქართველოში.

კ. 1904 გაემგზავრა პეტერბურგში და ჩაირიცხა სამოქალაქო ინჟინერთა ინ-ტში. 1910 გადავიდა საიმპერატორო სამხატვრო აკადემიასთან არსებულ უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში. 1917 მხატვარ-არქიტექტორის დიპლომით დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო კავკასიის ისტ.-არქეოლ. ინ-ტში მხატვარ-არქიტექტორად. 1938-იდან იყო საქართვ. კულტურის ძეგლთა დაცვის განყბის არქიტექტორი. კ-მა აზომა ქართული ხუროთმოძღვრების მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი, მ. შ. ატენი (VII ს.), წრომი (VII ს.), ძველი შუამთა (V–VII სს.), იკორთა (XII ს.), ყინწვისი (XII–XIII სს.), ბეთანია (XIII ს.) და სხვ.


კ. თავის პროექტებში, რ-ებიც გამოირჩევა მაღალი პროფესიული ოსტატობით, ეყრდნობოდა რუსული კლასიციზმის ტრადიციებს, თუმცა ძალიან ხშირად ქართულ ეროვნ. არქიტ. ფორმებსაც იყენებდა.

ძირითადი ნამუშევრები: ლიბანის სანატორიუმი (1926); ხაშურის თეატრი (1927); თბილისში – ადმ. შენობა (ლეონიძის ქ. 2, 1934); საცხოვრ. სახლი (დავით აღმაშენებლის გამზ. 147, 1935); ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობა (1937); ასბინიანი სახლი გმირთა მოედანზე (1939); სიონის ტაძრის ძველი (XV ს.) სამრეკლოს რესტავრაცია (1946).

დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით (1945).

თ. გერსამია.

კალაძე გულბათ (გულდა) კარლოს ძე (29. VIII. 1934, სოფ. ეწერი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 15. VIII. 1974, თბილისი), მოქანდაკე, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1957, ნ. კანდელაკის მოწაფე). 1957-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. კ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული დეკორატიულობა, მონუმენტურობა, დახვეწილი პროპორციები. ძირითადი ნამუშევრები: ,,განთიადი'' (1960, თაბაშირი), ,,მეგობრობა'' (1962, ბრინჯაო); ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსისათვის შექმნილი დეკორატიულ-სკულპტურული ჯგუფი ,,სამაია'' (1962) და ,,ოჯახი'' (1967), ,,ყურძნის მტევანი'' (1967, ბრინჯაო); მონუმენტური რელიეფი სასტუმრო ,,ივერიისათვის'' თბილისში (1968, ქვა), მარუხის მემორიალური კომპლექსის ბარელიეფი (1971, საქართვ. კომკავშირის პრემია), წიგნის გრაფიკა: ,,ქართული ხალხური ზღაპრები – ასი ზღაპარი'' (1971), ,,ქართული ხალხური პოეზია'' (1974); დაზგური გრაფიკა: საქართველოს პეიზაჟების ციკლი. შეასრულა გრაფიკული ჩანახატები საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში მოგზაურობის დროს (1959–67). 1976 თბილისში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა.



გ. კალაძე. ,,სამაია''. სკულპტურული კომპოზიცია. ბიჭვინთა. 1962.

კალაძე თამაზ დავითის ძე (დ. 25. V. 1945, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1990). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1967) თეორიული ფიზიკის სპეციალობით. 1967–98 მუშაობდა თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში მეცნიერ თანამშრომლად, 1998–2007 იყო ამავე ინ-ტის ლაბორ. გამგე, 2000 და 2005–07 – ჩინეთის მეცნ. აკადემიის მიწვეული პროფესორი (ქ. ნანჯინგი, ,,მეწამული მთის ობსერვატორია'' – Purple Mountain Observatory), 2007–14 – ქ. ლაჰორის (პაკისტანი) სახელმწ. უნივერსიტეტ-კოლეჯის ფიზ. ფაკ-ტის უცხოელი პროფესორი, 2014-იდან კი თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში უფრ. მეცნიერი თანამშრომელია. 2017 კვლავ ქ. ლაჰორის სახელმწ. უნივერსიტეტ-კოლეჯში კითხულობდა ლექციებს.

კ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა პლაზმის ფიზიკა; მაგნიტოსფეროსა და იონოსფეროს ფიზიკა; თერმობირთვული დანადგარების თეორია; მიწისძვრის წინამძღვრების თეორიული საკითხები; მზის ფიზიკა; არაწრფივი დინამიკა და ქაოსი. კ-მ (საქართველოში პირველად) დაიწყო ფიზ. ამოცანების რიცხვითი გათვლების რეალიზაცია ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებზე, საფუძველი ჩაუყარა თერმობირთვული არამდგრადობის თეორიას რეაქტორ ტოკამაკში.

მიღებული აქვს საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ი. ვეკუას პრემია (2002); პაკისტანის მეცნ. და



მ. კალაშნიკოვი. ასბინიანი სახლი გმირთა მოედანზე. 1939. თბილისი.

ტექნოლ. სამინისტროს პრემიები „ნაყოფიერი კვლევებისათვის“ (2011, 2012, 2013). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

ი. ლომმიძე.

კალაძე კარლო რაჟდენის ძე [16(29). III. 1907, სოფ. ეწერი (ჯიქთუბანი), ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 10. XII. 1988, თბილისი], პოეტი, დრამატურგი. თბილისის საპატიო მოქალაქე (1982). თავდაპირველად სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, შემდეგ – თბილისში. იყო ქართ. პროლეტარული მწერლობის წარმომადგენელი და მისი მეორე თაობის მეთაურთაგანი. 1968–77 მუშაობდა გამომც. ,,მერანის“ დირექტორად. პირველი ლექსები კაკი ეწერელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა 1920, ლექსების პირველი კრებული და პიესა ,,ტრაღედია, ოხ!“ – 1926. 1928 ქუთაისის თეატრში (ხელმძღვ. კ. მარჯანიშვილი) დაიდგა პ-ის პიესა ,,როგორ“, ხოლო 1929 – პიესა ,,ხატიჯე“. მისი დრამ. ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია კომედია ,,სახლი მტკვრის პირას“ (1930).

XX ს. 30-იან წლებში დაწერილი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია პოემა ,,უჩარდიონი“ (1932), ,,მთების ეპოსი“ (1934), ლექსების ციკლი ,,ხერთვისის განთიადები“ (1935). II მსოფლიო ომის თემაზეა დაწერილი პოეტის ლექსები: ,,საქვეყნოდ ომის ხმა დარხეულა“, ,,უსახელო მთის ბალადა“, ,,ჩემი გმირი“, ,,დიდი სამამულო ომი, თბილისი“, ,,შეხვედრები ბრძოლის ველზე“. ომისშემდგომი ნაწარმოებებია: ,,მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა“ (1945–55), ,,მედინადი“, ,,სიმღერები დნეპრის პირად“ (ორივე 1949) და სხვ. 60–70-იანი წლებიდან აღსანიშნავია სამშობლოს, ადამიანის დანიშნულების, სიცოცხლისა და სიხარულის თემატიკაზე შექმნილი ლექსები (,,დღისა და ღამის წიგნი“, ,,მამა“, ,,სამოციანი წლები“, ,,ლირიკა“, ,,ჩემს ძალაში“ და სხვ.). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: ლექსები და პოემები, თბ., 1970; მხოლოდ ახალი, მხოლოდ რჩეული, თბ., 1976.

კალაძე კახა კარლოს ძე (დ. 27. II. 1978, სამტრედია), პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. სპორტსმენი, ფეხბურთელი (მცველი). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (2003). ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი (2003, 2007) ,,მილანის“ (იტალია) შემადგენლობაში; მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული (2007); იტალიის ჩემპიონი (2004) და თასის მფლობელი (2003); იტალიის (2004) და უეფას (2007) სუპერთასის მფლობელი. თამაშობდა ,,სამტრედიაში“ (1993), თბილისის ,,დინამოში“ (1994–97), კიევის ,,დინამოში“ (უკრაინა, 1998–2000), ,,მილანსა“ (2001–10) და ,,ჯენოაში“ (2010–12). საქართვ. ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 75 მატჩი. საქართვ. სამგზის (1996–98), უკრაინის სამგზის (1998–2000) ჩემპიონი. საქართვ. ორგზის (1996–97), უკრაინის სამგზის (1998–2000) თასის მფლობელი. საქართვ. ხუთგზის წლის საუკეთესო ფეხბურთელი (2001–03, 2006, 2011). საქართვ. ნაკრების წევრი (83 მატჩი), ნაკრების კაპიტანი (2004–11). მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა მონაწილეობით 2013 წ. მაისს თბილისში, ,,დინამო არენაზე“, შედგა მისი გაცილება ფეხბურთიდან.

საერთაშ. საინვესტიციო ჯგუფ „კალა კაპიტალის“ დამფუძნებელი (2007). „პროგრეს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2008), საქველმოქმედო „კალა ფონდის“ დამფუძნებელი (2008).

პ. 2011-იდან ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, გახდა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრი. საქართვ. ენერგეტიკის მინისტრი (2012–17), ვიცე-პრემიერი (2012–17). პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი (2013), თბილისის მერი (2017-იდან). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

კალაძე ნიკოლოზ ივანეს ძე (28. V. 1909, დაბა კულაში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 29. III. 1997, თბილისი), საბჭოთა გენერალ-მაიორი (1945). 1927 დაამთავრა სამხ. მეთაურთა ქართ. გაერთიანებული სკოლა. 1933 – თბილ. პედ. ინ-ტის საზ.-ეკონ. ფაკ-ტი. 1938-მდე მსახურობდა ამიერკავკ. სამხ. ოლქში. 1938 ბოლოს დაინიშნა კიევის განსაკუთრებულ სამხ. ოლქში დივიზიის პოლიტ. განყ-ბის უფროსად, 1939 – დივიზიის სამხ. კომისრად. მონაწილეობდა დას. უკრაინის განთავისუფლებაში (1939), იბრძოდა თეთრფინელების წინააღმდეგ (1940). II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იყო მე-15 მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილე (1942-იდან), მეთაური (1943-იდან). მონაწილეობდა ლვოვთან, კიევთან, ხარკოვთან, დონის ველზე, სტალინგრადთან, კურსკთან, აგრეთვე პოლონეთის ბრძოლებში, ბერლინის ოპერაციაში. კ. ვოროშილოვის სახ. უმაღლესი სამხ. აკადემიის (ამჟამად – გენ. შტაბის აკადემია) დამთავრების (1948) შემდეგ მეთაურობდა სამხ. შენაერთებს. 1962-იდან გავიდა თადარიგში.

დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. ავტორია სამხ.-ისტ. ნარკვევებისა.

თხზ.: სტალინგრადი, კურსკი, ბერლინი, თბ., 1971; უდრეკი კავკასიონი, თბ., 1973.

კალგინი ანატოლი ნიკოლოზის ძე [20. IV (2.V). 1875, ვლადიკავკაზი, – 27. III. 1943, თბილისი], არქიტექტორი. დაამთავრა პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინ-ტი (1900). მუშაობდა პიატიგორსკში არქიტექტორის თანაშემწედ სააბაზანო შენობების მშენებლობაზე, 1901–05 – ბაქოში, 1905–07 დაწყებით დაპროექტებას ასწავლიდა მოსკოვის სტროგანოვის სასწავლებელში, 1907-იდან კი თბილისში დამკვიდრდა. 1922-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1922–30 იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის, ხოლო 1930-იდან გარდაცვალებამდე – ინდუსტრიული ინ-ტის პროფესორი.



კ. კ. კალაძე.

პ-მა თავისი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირა ქართულ კულტ.-სამეცნ. საქმიანობას. 1907 მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის მიერ ჩატარებულ ექსპედიციაში არტაანის, ოლთისისა და ყაღიზმანის ოლქებში, სადაც აზომა როგორც სას., ისე საფორტიფიკაციო დანიშნულების მრავალი ნაგებობა, მ. შ. ქართ. ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ბანას ტაძარი, რ-ის რეკონსტრუქციის საკუთარი ვარიანტიც შეადგინა. 1917 პ. ე. თაყაიშვილთან ერთად კვლავ ტაო-კლარჯეთშია. ამ ექსპედიციის დროს მის მიერ შესრულებულ ანაზომებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართ. ხუროთმოძღვრების კვლევისათვის, რადგანაც წლების განმავლობაში ეს იყო ერთადერთი გრაფ. დოკუმენტი X–XI სს. შესა-

ნიშნავი ძეგლებისა – ოშკის, ხახულის, იშხნის და სხვათა შესასწავლად. ჰ. შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდა. მის ნამუშევართაგან აღსანიშნავია თბილ. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობა, რ-ის პროექტი მან მხატვარ ჰ. *ჰრინევსკისთან* ერთად შეადგინა და რ-საც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ახ. ქართ. ხუროთმოძღვრების ისტორიაში (1913–16, ახლანდ. საქართვ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი), აგრეთვე ზემოავჭალის ჰესი (ზაჰესი, 1927, *კ. ლეონტიევთან* და მ. *მაჭავარიანთან* ერთად), რ-ის არქიტექტურამ დიდი გავლენა იქონია იმ დროის ქართულ ხუროთმოძღვრებაზე. დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს ტაძრის გალავანში.

კალდახვარა, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), მდ. ბზიფის მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., ამფარაარხუ, ახვაჯა, აჯახუ). ზ. დ. 100 *მ*, გუდაუთიდან 29 *კმ*, მიუსერიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. სოფელში მდებარეობს შუა საუკუნეების ციხე.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კალენდარი [ლათ. calendarium <Calendae (მრ. რ.) – თვის პირველი დღე, ვალების აღრიცხვის დავთარი], დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდებად (დღე-ღამეებად, კვირებად, თვეებად, წელიწადებად, საუკუნეებად) დანაწილებისა და აღრიცხვის სისტემა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საისტორიო გამოკვლევებში გამოსაყენებლად. აღნიშნული პერიოდები, ანუ დროის შუალედები, განისაზღვრება ციურ სხეულთა მოძრაობით (მზის ჩასვლა-ამოსვლა, წელიწადის დროთა ცვლა, მთვარის ფაზების მონაცვლეობა), რაც ყველასთვის ადვილი შესამჩნევია და უშუალოდ მოქმედებს ადამიანთა საქმიანობაზე. პერიოდებს შორის უფრო გამოკვეთილი და ყოველდღიურ საქმიანობასთან ყველაზე მეტად დაკავშირებულია *დღე-ღამე*. არსებობს ჰ-ის რამდენიმე სახეობა, რ-ებშიც ძირითადად იყენებენ მ ზ ი ს ი ე რ დ ღ ე-ღ ა მ ე ს. ეს უკანასკნელი განისაზღვრება მზის მიმართ დედამიწის ერთი შემობრუნებით თავისი ღერძის ირგვლივ და, როგორც თითქმის უცვლელი პერიოდი, დროის საზომ ერთეულს წარმოადგენს. დიდი შუალედების გასაზომი ძირითადი ერთეულია წელიწადი, მისი რამდენიმე სახეობიდან ჰ-ებისთვის უმთავრესია ტ რ ო პ ი კ უ ლ ი წ ე ლ ი წ ა დ ი, რ-იც მზის ირგვლივ დედამიწის ერთი გარემოქცევით განისაზღვრება (მზისიერი წელიწადი შეიცავს დღე-ღამეთა წილად რიცხვს – 365,2422 *დღ-ღ*, ანუ 365 *დღ-ღ*, 5 *სთ*, 48 *წთ* და 45,19 *წმ*).

მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჰ. შეიქმნა ძვ. წ. I ს-ში. იულიუს კეისარმა, ეგვიპტელი ასტრონომის, სოზიგენ ალექსანდრიელის რჩევით, ძვ. წ. 45 წ. 1 იანვრიდან შემოიღო წელთაღრიცხვის სისტემა, რ-ის მიხედვით ყოველი მომდევნო სამი წელიწადის ხანგრძლივობად მიჩნეულია 365 *დღ-ღ*, ხოლო ყოველი მეოთხე წელიწადისა (ნაკიანი წელიწადი) – 366 *დღ-ღ*. შესაბამისად, წელიწადის საშ. ხანგრძლივობად მიჩნეულია 365,25 *დღ-ღ*, რაც საკმარისად ახლოა მზისიერი წელიწადის ჭეშმარიტ ხანგრძლივობასთან (365,2422 *დღ-ღ*).

წელიწადის 12 თვედ დაყოფისას (ასეთი დაყოფა ადრეც იყო ცნობილი ძვ. რომში), ყოველ თვეში, გარკვეული კანონზომიერებით, 30 ან 31 *დღ-ღ* მოაქციეს, ხოლო თებერვალში – 28 (ჩვეულებრივი წელიწადი) ან 29 (ნაკიანი წელიწადი). ნაკიანად ჩაითვალა ყოველი ის წელიწადი, რ-ის რიგითი ნომერი 4-ზე იყოფა უნაშთოდ. იულიუსის წელიწადი შეიცავს 52 შვიდდღიან კვირას და 1 (ჩვეულებრივი წელიწადი) ან 2 (ნაკიანი წელიწადი) *დღ-ღ*-ს. ამიტომ კვირის დღე, რ-ითაც იწყება წელიწადი, წლიდან წლამდე ცვალებადობს. კვირის დღეთა თანმიმდევრობა თვეების (თარიღების) მიხედვით მეორდება ყოველ 28 (28=7×4) წელიწადში. ამ განმეორებადობას ზოგჯერ მ ზ ი ს 28-წ ლ ი ა ნ ც ი კ ლ ს უწოდებენ.

ქრისტიანულმა ეკლესიამ იულიუსის ჰ. 325 წ. ცნო, მაგრამ იგი საბოლოოდ VII ს-ში მოწესრიგდა. იულიუსის საშ. და მზისიერ წელიწადებს შორის ყოველი 4 წლის განმავლობაში დაგროვილი განსხვავება (დაახლ. 44 *წთ* და 56 *წმ*) საუკუნეების განმავლობაში იმდენად გაიზარდა (ერთი სრული *დღ-ღ* განსხვავება გროვდება დაახლ. 128 წელიწადში, რაც ყოველი 4 საუკუნის განმავლობაში 3 *დღ-ღ*-ზე მეტს იძლევა), რომ მისი უგულებელყოფა შეუძლებელი გახდა: ბუნიობებისა და მზებუდობების დღეები სულ უფრო ადრინდ. კალენდარულ რიცხვებზე გადადიოდა, ეს კი ქრისტიანული ეკლესიისთვის უმნიშვნელოვანესი დღესასწაულების, პირველ რიგში, აღდგომის დღესასწაულის თარიღის სწორად დადგენას ართულებდა. მაგ., IV ს-ში გაზაფხულის ბუნიობა 21 მარტს აღინიშნებოდა, XVI ს-ში კი – 11 მარტს, ანუ XVI ს-ში იულიუსის წელთაღრიცხვა 10 *დღ-ღ*-ით „ჩამორჩა ბუნებას“. იულიუსის წელთაღრიცხვის სისტემის რეფორმა განახორციელა რომის პაპმა გრიგოლ XIII-მ. მისი ბულის საფუძველზე თარიღები გადასწიეს 10 დღით: 1582 წ. 4 ოქტომბრის მომდევნო დღე გამოცხადდა 15 ოქტომბრად, რის შედეგად გაზაფხულის ბუნიობა კვლავ 21 მარტს დაემთხვა. აცდენის შემდგომი დაგროვების თავიდან ასაცილებლად გრიგოლ XIII-ის რეფორმა ითვალისწინებდა, რომ ყოველი საუკუნის ბოლო წელიწადი ჩაეთვალათ ჩვეულებრივ წლად, 28-დღიანი თებერვლით (იულიუსის ჰ-ის თანახმად, ეს წლები ნაკიანი უნდა ყოფილიყო), გარდა იმ საუკუნეებისა, რ-თა რიგითი ნომერი უნაშთოდ იყოფა 4-ზე. ეს რეფორმა კიდევ უფრო აახლოვებს სამოქალაქო წელთაღრიცხვას წელთა ბუნებრივ მიმდინარეობასთან: 400-წლიანი პერიოდი შეიცავს 146 097 *დღ-ღ*, ანუ ზუსტად 20871 კვირას, ამიტომ ამ პერიოდის შემდეგ კვირის დღეთა თანმიმდევრობა მეორდება თარიღების მიხედვით. წელიწადის საშ. ხანგრძლივობა უტოლდება 365,2425 *დღ-ღ*-ს; 1 *დღ-ღ* ცდომილება დაგროვდება დაახლ. 3300 წლის განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ ჰ-ის პრობლემები პრაქტიკულად გადაწყვეტილია. გრიგორიანულ ჰ-ს უწოდებენ წელთაღრიცხვას ა ხ ა ლ ი ს ტ ი ლ ი თ. პირველად ახალი სტილი შემოიღეს XVI ს. 80-იან წლებში იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, უნგრეთსა და ევროპის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში, უფრო გვიან – გერმანიაში (XVII – XVIII სს.), ინგლისში (XVIII ს.), იაპონიაში (XIX ს.). რუსეთსა და საქართველოში ახ. სტილი შემოიღეს 1918. მართლმადიდებელ ეკლესიათა უმეტესობა, მ. შ. ქართ. მართლმადიდებელი ეკლესია განაგრძობს იულიუსის ჰ-ით (ძვ. სტილით) სარგებლობას. განსხვავება ძველსა და ახ. სტილს შორის 1900 წ.

13 მარტის (ახ. სტილით) შემდეგ შეადგენს 13 *დღ-ღ*, და ასეთი დარჩება 2100 წლის 13 მარტამდე (ახ. სტილით; ძვ. სტილით – 28 თებერვლამდე). ამ თარიღის მომდევნო დღე ახ. სტილით იქნება 2100 წ. 14 მარტი, ხოლო ძვ. სტილით – 29 თებერვალი და განსხვავება ძვ. და ახ. სტილს შორის გაიზრდება 14 *დღ-ღ*-მდე.

აღმოსავლეთისა და აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში (ერაყი, ლიბანი, სირია, ალჟირი, მაროკო და სხვ.) იყენებენ მთვარის ფაზებზე დაფუძნებულ ე. წ. ჰიჯრას – მთვარისმიერ პ-ს, რ-ის მიხედვით წელიწადი შეიცავს 30 და 29 *დღ-ღ*-იან 12 თვეს (354 *დღ-ღ*). ამ პ-ის საწყისად მიჩნეულია ჰიჯრა – მექადან მედინაში მუჰამედ მოციქულისა და მის მიმდევართა გადასახლების თარიღი – ახ. წ. 622 წ. 16 ივლისი. მთვარისმიერი ჰიჯრით წელიწადის ხანგრძლივობა 11–12 *დღ-ღ*-ით ნაკლებია, ვიდრე გრიგორიანული პ-ით და ყოველ 33 წელიწადში გროვდება 1 წ განსხვავება ბუნებრივ მიმდინარეობასთან. ირანსა და ავღანეთში იყენებენ მ ზ ი ს ი ე რ ჰ ი ჯ რ ა ს (შემუშავდა ომარ ხაიამის მონაწილეობით). მას საფუძვლად უდევს მზის წელიწადი. მზისიერ ჰიჯრაში პ-ის საწყისად მიჩნეულია ახ. წ. 622, ხოლო წლის დასაწყისად – გაზაფხულის ბუნიობის თარიღი, ნ ა ვ რ უ ზ ი (გაზაფხულის დღესასწაული).

ტრადიციულსა და კონსერვატულ პ-ს უპირისპირდება ტენდენცია, დამკვიდრდეს ერთიანი მსოფლიო პ., რ-ის როლს ამჟამად გრიგორიანული პ. ასრულებს.

ლიტ.: Городецкий М. Л., К вопросу о точности григорианского календаря и лунного цикла, Историко-астрономические исследования, вып. XXXV, М., 2010; Фёдоров В. М., Межгодовые вариации продолжительности тропического года, «Доклады РАН», 2013, т.451, № 1.

ე. ხარაძე. ი. ლომიძე.

ქ ა რ თ უ ლ ი პ., უძველეს დროში, ძვ. წ. V ს-მდე (სხვა მოსაზრებით, ძვ. წ. I ს-მდე) ქართველები მთვარის პ-ით სარგებლობდნენ. ამ პ-ით წელიწადში 354 დღე-ღამეა. შემდგომ პერიოდში მთვარის პ. შეცვალა მზის პ-მა, რ-ის მიხედვით წელიწადი 365 *დღ-ღ*-ისგან შედგება. ძვ. წ. I ან ახ. წ. I ს-ში საქართველოში შემოიღეს ნაკიანი წლების სისტემა, რ-ის თანახმად კალენდარული წელიწადი შედგებოდა 30-დღეღამიანი 12 თვისგან. XII თვის ბოლოს ამატებდნენ ჩვეულებრივ წელიწადში 5, ხოლო ნაკიანში – 6 დამატებით დღეს (ეპაგომენებს, იხ. ცხრილი). ახალი წელი აგვისტოში იწყებოდა. ასეთ წელიწადს აგვისტოს სტილის წელიწადი ეწოდება. ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადების (IV ს.) შემდეგ, აგვისტოს სტილის წელიწადი თანდათანობით იცვლება სექტემბრის სტილის წელიწადით, რის თანახმად ახ. წელი 1 სექტემბერს იწყებოდა (განმტკიცდა VII–VIII სს-ში). ამ დროიდან შემოდის თვეთა რომაული სახელებიც (ე. ი. ის სახელები, რ-თაც ახლა ვიყენებთ), თუმცა პარალელურად ძვ. ქართ. სახელებსაც ხმარობდნენ. VIII–IX სს. მიჯნაზე შემოდის მარტის, ხოლო X ს-იდან – იანვრის სტილის წელიწადი, რ-იც XIII–XIV სს-ში მკვიდრდება. საქართველოში ერთდროულად სხვადასხვა სტილის წელიწადს იყენებდნენ. წლების აღსარიცხავად სარგებლობდნენ სხვადასხვა სისტემით: ირან. შაჰების, ბიზანტ. კეისრებისა და გაერთ. საქართველოს მეფეთა მეფობის წლები; არსებობდა სხვადასხვა რელიგიური ერა, ანუ წელთაღრიცხვის სისტემა: ერა „დასაბამითგან“ (ანუ „ქვეყნის შექმნიდან“), ერა ქრისტეს შობიდან, ერა ჯვარცმა-აღდგომიდან, ქრონიკონული ერა. დ ა ს ა ბ ა მ ი თ გ ა ნ ერათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იყო 5604-წლიანი ქართული და 5508-წლიანი ბიზანტიური ერა, რ-თა მიხედვით, ღვთის მიერ სამყაროს შექმნიდან ქრისტეს შობამდე 5604 ან, შესაბამისად, 5508 წელიწადი გავიდა. ქ რ ო ნ ი კ ო ნ უ ლ ი (ბერძნ.) ერა და მასთან ერთად მარტის სტილის წელიწადი VIII–IX სს. მიჯნაზე შემოვიდა, *ამოტ I* დიდის დროს. ეს არის წელთაღრიცხვა 532-წლიანი ციკლით. 532-წლიან პერიოდს მ ო ქ ც ე ვ ა ს (ციკლოსს, დიდ ინდიქტიონს) უწოდებენ. 532-წლიანი მოქცევა არის მზის 28-წლიანი ციკლისა (7×4=28) და მთვარის 19-წლიანი ციკლის (იხ. სტ. *მთვარე*) ნამრავლი: 28×19=532. ამიტომ ყოველ მოქცევაში მეორდება წელიწადის განმავლობაში კვირის დღეების თანმიმდევრობა, ახალმთვარეობათა და სავსემთვარეობათა თარიღები და (თითქმის ზუსტად) მზის და მთვარის დაბნელებათა მიმდევრობა (იხ. აგრეთვე სტ. *საროსი*). დიდი ინდიქტიონი ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მიღებული იყო ე. წ. პასქალური სისტემის საფუძვლად, რითაც მარტივია აღდგომის თარიღის გამოთვლა. მოქცევათა ათვლა ძვ. წ. 5604 წლიდან (დასაბამითგან) იწყება. ქრონიკონით, ქრისტეშობის წელიწადია (ანუ ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისია) მე-11 მოქცევის 284 წელი. მე-11 მოქცევა დასრულდა ახ. წ. 248. მე-12 მოქცევა დაიწყო ახ. წ. 249 და დასრულდა 780 წელს. შესაბამისად, 781–1312 პერიოდი არის მე-13, ხოლო 1313–1844 – მე-14 მოქცევა. ამჟამად ვცხოვრობთ მე-15 მოქცევაში, რ-იც დაიწყო 1845 და დასრულდება 2376 წელს. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში მე-13 მოქცევაზე ადრინდელი დათარიღება არ მოიპოვება.

1918-მდე საქართველოში იყენებდნენ იულიუსის პ-ს. გრიგორიანული პ. შემოიღეს 1918 წლის 1 მაისიდან (1918 წლის 18 აპრილი გამოცხადდა 1 მაისად).

ქართ. წარმართული პ-ის თვეთა სახელები და მათი შესაბამისობა იულიუსის პ-თან.

სახელწოდება	პერიოდი
I. ახალწლისა	6. VIII – 4. IX
II. სთვლისა	5. IX – 4. X
III. ტირისკნისი	5. X – 3. XI
IV. ტირისდენი	4. XI – 3. XII
V. აპანი, აპნისი	4. XII – 2. I
VI. სარწყუნისი, სურწყუნისი	3. I – 1. II
VII. მირკანი	2. II – 3. III
VIII. იგრიკა	4. III – 2. IV
IX. ვარდობისა	3. IV – 2. V
X. მარიალისა	3. V – 1. VI
XI. თიბისა	2. VI – 1. VII
XII. ქველთობისა	2. VII – 31. VII
XIII. ეპაგომენები	1.VIII–5(6)VIII.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., ძველ-ქართული წარმართული კალენდარი V–VIII სს. ძეგლებში, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1929–32, ტ. 6–7; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული წელიწადი, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1956. *ვ. გუჩუა.*

კალვათა, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის საირხის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. ყვირილის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 500 *მ*, საჩხერიდან 2 *კმ*. 353 მცხ. (2014).

1938 სოფლის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ძვ. წ. X–VIII სს. განძი – 6 ბრინჯაოს თოხი, 2 კოლხური ცული და ბრინჯაოს ზოდები. განეკუთვნება კოლხურ კულტურას. დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

კალვინიზმი (Calvinisme), პროტესტანტული რელიგიური მოძღვრება, რომლის ფუძემდებელია

ფრანგი თეოლოგი ჟან კოვენი (კალვინი). ჩამოყალიბდა 1530 ქ. ჟენევაში. მიმართული იყო როგორც კათოლიციზმის, ასევე სხვა რეფორმაციების წინააღმდეგ. ჰ. რწმენის ერთადერთ წყაროდ მიიჩნევს ბიბლიას, აღიარებს მოძღვრებას მხოლოდ რწმენით გამართლების შესახებ, საეკლ. წეს-ჩვეულებებს განიხილავს როგორც დამხმარე საშუალებას ღმერთთან სულიერი კავშირის დასამყარებლად. უარყოფს წმინდანთა გამოსახულებებს (ხატებს), სანთელს, ღვთისმშობლის კულტს. მათ ეკლესიაში გააუქმეს საკურთხეველი, ორღანი. ღვთისმსახურება ამოიწურება ბიბლიის კითხვით, ფსალმუნთა გალობითა და ქადაგებით. შემცირდა საეკლ. დღესასწაულთა რაოდენობა. შვიდ საიდუმლოთაგან მხოლოდ ნათლობასა და ზიარებას აღიარებენ. ჰ-ის უმთავრესი დოქტრინა ღმერთის უზენაესი ძალაუფლებაა, რის საფუძველზეც სახელმწ. ვალდებულია ეკლესიის დადგენილებებს დაემორჩილოს. კალვინისტური ეკლესიის სტრუქტურა გულისხმობს ავტონომიურ კონგრეგაციებს, რ-ებიც შესაბამისი საბჭოების მიერ იმართება. საბჭოს წევრები არიან მრევლის მიერ არჩეული პასტორი, დიაკვანი და ერთი უხუცესი.

ჰ. მთელ ევროპაში გავრცელდა. საფრანგეთში ისინი თავს ჰუგენოტებს, ინგლისში – პურიტანებს, შოტლანდიაში კი პრესვიტერიანებს უწოდებდნენ. გავრცელებულია კანადაში, ავსტრალიაში, აშშ-ში, სამხრ. კორეაში და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი კალვინისტური ეკლესია დაარსდა ქ. ბათუმში 1995 და წარმოდგენილია წმ. სამების პროტესტანტული ეკლესიის სახით. მას ურთიერთობა აქვს ამერიკისა და გერმანიის რეფორმატორულ ეკლესიებთან. აღიარებს თეოკრატიას ეკლესიაში. საეკლ. წოდებებია: პასტორი, პრესვიტერი და დიაკონი. მათი ძირითადი დღესასწაულებია: შობა, ვნების პარასკევი, აღდგომა, ამაღლება, სულთმოფენობა და რეფორმაციის დღე – 31 ოქტომბერი. ,,წმიდა სამების'' ეკლესიას დაქვემდებარებული თემები ბათუმის გარდა არსებობს ქობულეთში, ოზურგეთში, ფოთსა და ლანჩხუთში. კალვინისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ეკუმენურ შეხვედრებზე. მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ბათუმის კათოლიკურ ეკლესიასთან და ებრაული თემის წარმომადგენლებთან, ახორციელებენ ჰუმანიტარულ აქციებს.

ლიტ.: რელიგიები საქართველოში, თბ., 2008; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980; ძირითადი რელიგიური მიმართულებანი, თბ., 1963. *თ. მარგველაშვილი.*

კალიასებრნი, კ ა ლ ი ე ბ ი (Acridoidea), მწერების ზეოჯახი სწორფრთიანების რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 9 *სმ* აღწევს. აქვთ ორი წყვილი ფრთა ან სულ უფრთოები არიან. ზოგჯერ ფრთების განვითარება დაუმთავრებელია. უკანა ფეხებს სახტომად იყენებენ. კალია ზედა ფრთების გამსხვილებულ ძარღვებზე უკანა კიდურების ხახუნით გამოსცემს



კალიასებრნი.

ჭრიჭინა ბგერებს. მუცლის პირველი სეგმენტის გვერდებზე მდებარეობს კარგად განვითარებული სმენის ორგანოები. მათ მოკლე კვერცხსადები აქვთ. კვერცხებს დებენ გროვებად, რ-ებიც ქაფისებრი სითხის გარსშია გახვეული. გაცივებისას სითხე მკვრივდება. მატლები გაზაფხულზე იჩეკებიან. კანს 4–7-ჯერ იცვლიან. ზეოჯახში 10000-მდე სახეობაა. კალიების მრავალი სახეობა დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას. საქართველოში ყველაზე მავნე სახეობებია *ეგვიპტური კალია* (Anacridium aegypticum), *იტალიური კალია* (Caliliptamus italicus), *მაროკოს კალია* (Dociostaurus maroccanus), გადამფრენი, ანუ აზიური კალია (Locusta migratoria).

ე. აბაშიძე.

კალიგრაფია [ბერძნ. kalligraphia – ლამაზი ხელწერა (<kallós–ლამაზი და gráphō – ვწერ)], ლამაზად და მკაფიოდ წერის ხელოვნება.

ჰ-ის განვითარება დაკავშირებულია როგორც შრიფტისა და საწერი იარაღების ისტორიასთან, ისე წერის ხელოვნების სტილისტურ ევოლუციასთან. ჩინეთისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ჰ-ში მთავარი ყურადღება ექცეოდა ემოციურ-სიმბოლურ მნიშვნელობას. ისლამურ ქვეყნებში ჰ. გამდიდრდა ორნამენტებით და სხვადასხვა სახის გამოსახულებებით. შუა საუკუნეებში ჰ-ის კერებს მონასტრები წარმოადგენდნენ. XV ს-იდან წამყვანი როლი ევროპულ ჰ-ში მხატვრებსა და გრავიორებს ეკუთვნოდა. ისინი აფორმებდნენ წიგნებს, ქმნიდნენ შრიფტს და ა. შ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ჰ. ადრინდ. შუა საუკუნეებიდან განვითარდა. ლამაზი დაწერილობა ქართული ანბანის სამივე სახეობას – ასომთავრულს, ნუსხურსა და მხედრულს – ახასიათებს. დამწერლობის თითოეული სახეობა, მართალია, გრაფიკული თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი ესთეტიკური ხიბლი ახლავს. გადამწერლობა ძვ. საქართველოში ხელობად მიიჩნეოდა. გადამწერი ეტრატის შემქმნელთან, მომხატველთან, ამკინძავთან და მომჭედელთან ერთად ქმნიდა ხელნაწერი წიგნების უნიკალურ ნიმუშებს. V–XVIII სს-ში, სტამბების ჩამოყალიბებამდე, მხოლოდ ხელით გადაწერილი წიგნები ვრცელდებოდა.

შუა საუკუნეების საქართველოში წიგნებზე მოთხოვნილების ზრდამ განაპირობა (დროისა და მასალის ეკონომიის თვალსაზრისით) გამარტივებული წერისაკენ მისწრაფება.

საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა დამწერლობის გრაფიკა. ასომთავრული შეცვალა ნუსხურმა, ხოლო ნუსხური – მხედრულმა. ამ საერთო გრაფიკულ განვითარებაში თუ ასომთავრულის ასოთა მოხაზულობა ხელის რამდენჯერმე აღებით სრულდებოდა, მხედრულში ისინი ერთიან კონტურს დაემორჩილა. ქართული ხელნაწერები იწერებოდა ჭილსა (პაპირუსზე) და ეტრატზე. XI ს-იდან ქაღალდის შემოღებამ (იგი ჭილსა და ეტრატზე უფრო იაფი იყო), გაზარდა წიგნების შექმნის შესაძლებლობა და დააკმაყოფილა მათზე მზარდი მოთხოვნილება.

მნიშვნელოვანია გადამწერ-კალიგრაფის როლი ხელნაწერი წიგნის მხატვრული არქიტექტონიკის ჩამოყალიბებაში. იგი არა მარტო ლამაზად წერდა ტექსტს, არამედ განსაზღვრავდა წიგნის ფორმატს, ხაზავდა სტრიქონებს ტექსტის დასაწერად, ტექსტს ფურცლებზე ორ სვეტად ან მთელ სიგანეზე ანაწილებდა.

ანდერძ-მინაწერების მიხედვით დამწერლობის თითოეულ სახეობას შესაბამისი ტერმინები გააჩნდა. სახელწოდება ,,ასომთავრული'' დამწერლობის ამ სახეობას ეწოდა მოგვიანებით, როცა დიდი ზომის მთავრულმა ასოებმა ნუსხურისა და მხედრულის ტე-

ქსტებში აბზაცების დასაწყისები შეამკეს. გრაფიკულ სისტემაში მრგლოვანი ელემენტების სიმრავლის გამო ასომთავრულ დამწერლობას ,,მრგვალოვანიც'' ეწოდა. ნუსხურ დამწერლობას ,,გაკრული'' ეწოდა, ხოლო ჩვენი თანამედროვე დამწერლობა, რ-იც სამოქალაქო საქმეებისათვის იხმარებოდა, ,,მხედრულის'' სახელწოდებით მოიხსენიება. ასომთავრულს და ნუსხურს ,,ხუცურსაც'' უწოდებენ, რადგან მას ბერ-მონაზვნები იყენებდნენ.

ასომთავრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები V–VI სს-ით თარიღდება. ესენია პალიმფსესტური ხელნაწერები, რ-ზეც კალიგრაფი მონოქრომული ფურცლების ფონზე დიდი ზომის მთავრული ასოებით წერდა. ასოები სიტყვაში დაშორებული იყო. თითოეული მოხაზულობა, მკვეთრი და ნათელი, კვადრატშია ჩაწერილი. სტრიქონები ტექსტის საერთო აღქმაში ორნამენტულ ზოლებად იკითხება. ამის გამო მონუმენტური სახის დამწერლობა შემორჩა ეკლესიის ფასადებს, ფრესკულ წარწერებს, ხატებს. ისინი შორიდან ადვილად აღსაქმელი იყო.

ნუსხურმა დამწერლობამ დაარღვია ორხაზოვანი სისტემა. ასოთა მოხაზულობა ოთხხაზოვან სისტემაში გადანაწილდა, მარჯვნივ გადაიხარა და სიტყვებში მიჯრით დაიწერა. მხედრულმა დამწერლობამ გაამარტივა ასოთა მოხაზულობა, ისევ ოთხხაზოვან სისტემაში ჩაწერილი დარჩა და ვერტიკალს დაემორჩილა. იგი, ასომთავრულისაგან განსხვავებით, ხელის ერთი მოსმით შესრულდა. ხელნაწერები იწერებოდა ჭილზე, ტყავზე, ქაღალდზე, წარწერები სრულდებოდა ქვაზე, ლითონზე. უნდა აღინიშნოს, რომ საწერი მასალის გამოყენებამ ასოთა გრაფიკულ მოხაზულობაში განსხვავებები გამოიწვია. თუ ხელნაწერ ტექსტებს კალიგრაფი ასრულებდა ყალმით, რის გამოც ასოების მოხაზულობა იყო ნატიფი, ქვასა და ლითონზე წარწერები მაგარი იარაღით სრულდებოდა და მოხაზულობებიც უფრო სქელი კონტურით იკვეთებოდა.

შუა საუკუნეების საქართველოში წიგნი ძვირად ფასობდა. ეს დამოკიდებული იყო გადამწერ-კალიგრაფთა ხელწერაზე, მათ მიერ ტექსტის რედაქტირებაზე. ისინი ზოგჯერ ხელნაწერის შემკულობასაც ასრულებდნენ. ოსტატები ხშირად არა მხოლოდ წერაში, არამედ მხატვრობაშიც იყვნენ განსწავლულნი.

ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების მიხედვით დღეს ჩვენთვის ცნობილია მრავალი კალიგრაფის სახელი: *იოანე ბერაი, იოანე ზოსიმე, გაბრიელ პატარაძ, მიქაელ მოდრეკილი* (ყველა X ს.), *მიქაელი* (IX ს.), *ეფრემი* (XIII–XIV სს.), *ავგაროზ ბანდაისძე* (XIV ს.) და სხვ.

მოგვიანო პერიოდის საქართველოში ჩამოყალიბდა კალიგრაფთა ოჯახები. ცნობილია მესხიშვილების, თუმანიშვილების, გაბაშვილებისა და სხვათა საგვარეულო დინასტიები. ამ ოჯახთა წარმომადგენლები ცნობილი სას. პირები იყვნენ. ისინი არა მარტო დიდებულ კალიგრაფ-ოსტატებად, არამედ მთარგმნელებად, პოეტებად, მხატვრებად და საგანმანათლებლო კერების ხელმძღვანელებად გვევლინებიან.

2010–15 წლებში ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში მოეწყო ქართ. კალიგრაფიის საერთაშ. კონკურსი, რ-ის მიზანი იყო შუა საუკუნეების გადამწერ ოსტატთა ნიმუშების გაცნობა და მხედრულით შესრულებული ნამუშევრების საფუძველზე თანამედროვე წარჩინებულ შემოქმედ კალიგრაფთა გამოვლენა.

2016 იუნესკოს ეგიდით ქართ. სამსახოვანი ანბანი შეიტანეს არამატერიალური კულტ. მემკვიდრეობის სიაში, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართ. დამწერლობის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; მაჭავარიანი ე., გადამწერლობა შუა საუკუნეების საქართველოში, «ქართული კალიგრაფია», თბ., 2014; ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949.

ე. მაჭავარიანი.

კალინინი მიხეილ ივანეს ძე [7(19). X. 1875, სოფ. ვერხნიაია ტროიცა, ახლანდ. ტვერის ოლქი, – 3. VI. 1946, მოსკოვი), საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. სოციალისტური შრომის გმირი (1944). რევ. მოძრაობაში ჩაება 1896-იდან (1903-იდან – ბოლშევიკი). ჩამოაყალიბა მარქსისტული წრე, რ-იც შედიოდა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“. 1899 ივლისში დააპატიმრეს და 10 თვის პატიმრობის შემდეგ თბილისში გადაასახლეს. აქ მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, შევიდა თბილ. ს.-დ. ორგანიზაციის ცენტრ. ჯგუფში, მონაწილეობდა მუშათა გაფიცვის მოწყობაში (1900 აგვ.), რისთვისაც დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, 1901 კი რეველში (ტალინი) გადაასახლეს. 1917 სექტში ქ. პეტროგრადის სახელმწ. სათათბიროში აირჩიეს, აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის 1917 ოქტომბრის გადატრიალებაში, რ-ის შემდეგ პეტროგრადის ქალაქის თავად დაინიშნა. 1919-იდან იყო სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის (ცაკ) თავ-რე, 1922 დეკემბერში, სსრკ-ის შექმნის შემდეგ, აირჩიეს სსრკ ცაკ-ის თავრედ, 1926-იდან – საკ. კპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად. 1927 წ. 26 ივნისს დაესწრო ზაჰესის საზეიმო გახსნას, აამუშავა პირველი ტურბინა. 1938–46 სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავრე. იყო ი. ბ. სტალინის უახლოეს პოლიტ. გარემოცვაში. 30–40-იან წლებში მონაწილეობდა მასობრივი რეპრესიების სანქცირებაში.

უ. ბლუაშვილი.

კალინინო, სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), გარდაბნის ვაკეზე, რუსთავი–გარდაბნის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: კ., ამბართაფა, ახალშენი, ბირლიკი, ბოტანიკა, თაზაქენდი). ზ. დ. 300 *მ,* გარდაბნიდან 3 *კმ.* 377 მცხ. (2014).

კალინინო, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ *სამების* ყოფილი სახელწოდება.

კალისტრატე (ერისკაცობაში – ბიჭიკო მიხეილის ძე ცინცაძე) [12 (24). IV. 1866, სოფ. ტობანიერი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 3. II. 1952, თბილისი], სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1932–52). 1875 შევიდა ქუთ. სას. სასწავლებელში, რ-ის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილ. სას. სემინარიაში გააგრძელა. 1888–92 კიევის სას. აკადემიაში სწავლობდა, სადაც შეისწავლა ბერძნ., ლათ. და სლავური ენები. იქვე დაიცვა დისერტაცია თემაზე ,,ივერიის ეკლესია სასანიდების პერიოდში'' და მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი (1892).

საქართველოში დაბრუნებული ჯ. 1893 წ. 2 აპრილს დიაკვნად, ხოლო 18 აპრილს მღვდლად აკურთხეს და დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრად განაწე-

სეს. 1903-იდან მღვდელმსახურება გააგრძელა ქაშვეთის ეკლესიაში. 1909 დეკანოზის პატივი მიანიჭეს. იყო საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისა და მართვა-გამგეობის პროექტის ერთ-ერთი ავტორი. 1917 ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ კი საქართვ. ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოში აირჩიეს. 1923 ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 9 თვით და 23 დღით, თუმცა იმავე წლის ბოლოს ამნისტიით გაათავისუფლეს.

1925 პ. კათოლიკოს-პატრიარქ *ამბროსის* ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა ნინოწმინდელ ეპისკოპოსად. მალევე ებოძა მიტროპოლიტის პატივი და პატრიარქის თანამოსაყდრედ დაინიშნა, თუმცა 1926 ეკლესიაში მომხდარი შიდა დაპირისპირების გამო მან უარი განაცხადა თანამოსაყდრეობაზე. 1927-იდან მანგლისის ეპარქიას განაგებდა.

1932 პატრიარქ *ქრისტეფორე III-ის* გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მე-6 საეკლ. კრებამ პ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად დაადგინა. მისი დიდი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ეკლესია-მონასტრების დახურვისა და ძარცვა-რბევის პროცესის შეჩერება. პ. აქტიურად იბრძოდა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისთვის, რის შედეგადაც 1943 რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად პირველად აღიარა საქართვ. ეკლესიის დამოუკიდებლობა.

პ. საეკლ. მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული საზ. და სამეცნ. საქმიანობაში. 1897–1921 იყო საეკლ. მუზეუმის მდივანი, 1896–1917 – ქართ. საღვთისმსახურო წიგნების შემსწორებელი კომისიის წევრი, მცხეთის ტაძრების აღორძინების კომიტეტის მდივანი, საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის საბჭოს წევრი, ქართ. „ფილარმონიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი თაოსნობით შეიქმნა „სამუსიკო სკოლა“. დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. ხელნაწერების მოპოვება-შეგროვებაში. მან თბილ. სახელმწ. უნ-ტის საცავს არაერთი ხელნაწერი შესწირა. ყურადღების გარეშე არ ტოვებდა თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ქართ. პროვინციების მოსახლეობასა და ისტ. ძეგლების საკითხს. გამოაქვეყნა წერილი ,,საქართველოს საკათალიკოსოს ზემო ქართლის ეპარქიებისათვის“, სადაც ასახული იყო ისტ. ზემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული ეპარქიების სრული სია. საყურადღებოა მისი პედ. მოღვაწეობა და ღვაწლი განათლების კერების დაარსება-განმტკიცებაში. 1905 გამოქვეყნდა პ-ს მონოგრაფია „Историческая справка по вопросу об автокефальности Грузинской церкви“, რ-იც ქართვ. ავტოკეფალისტების მეცნიერულ მტკიცებულებად იქცა. მასვე ეკუთვნის ,,შენიშვნები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან“, ,,ვეფხის-ტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“ (კრ.: შოთა რუსთაველი, თბ., 1966), „ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია ტფილისში“, „ივერიის საეკლესიო წესი“, „ქართული ოდიკისათვის“. 1930–52 მანვე შეადგინა საქართვ. ეკლესიის კალენდრები და სხვა სამეცნ. ნაშრომები. პ-ს პირადი ფონდი დაცულია ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში.

2016 წ. 22 დეკემბერს საქართვ. სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ პ. წმინდანად შერაცხა და ეწოდა წმინდა პატრიარქი. მისი ხსენების დღეა 3 თებერვალი.

ლიტ.: ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეებში), თბ., 2010; ჟვანია ზ., საქართველოს კათალიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

თ. მარგველაშვილი.



კალისტრატე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

კალისტრატე მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – შოთა ილიას ძე მარგალიტაშვილი) (დ. 20. X. 1938, სოფ. ვარდისუბანი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი), სასულიერო პირი. 1967 დაამთავრა ქ. ვორონეჟის პოლიტექ. ინ-ტი. 1975 ჩაირიცხა თელავის სახელმწ. პედ. ინ-ტში ისტორია-ფილოლ. ფაკ-ტზე. 1982-იდან ბეთანიის მონასტრის მორჩილია, იმავე წელს ბერად აღიკვეცა. 1982 წ. 7 აპრილს დიაკვნად, 2 აგვისტოს კი მღვდელმონაზვნად აკურთხეს. 1983 აპრილიდან თელავის ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარია. 1983 წ. 25 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის *ილია II-ის* ლოცვა-კურთხევით არქიმანდრიტის პატივი მიენიჭა. 25 დეკემბერს აკურთხეს ეპისკოპოსად და წმ. სინოდის გადაწყვეტილებით დაინიშნა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველად. 1989 მთავარეპისკოპოსის, ხოლო 1992 წ. 25 დეკემბერს მიტროპოლიტის პატივი ებოძა. პ. მ. 1990 წ. 21 სექტემბერს ილია II-ის მიერ ახლადდაფუძნებული გელათის სას. აკადემიის რექტორი გახდა.

პ. მ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაჯილდოებულია წმ. გიორგის უმაღლესი ორდენით; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ – წმ. დანიელის, ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ – წმ. კირილესა და მეთოდეს ორდენებით; რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ – წმ. ანთიმოზ ივერიელის დიპლომით; 2000 წ. 21 სექტემბერს – სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით; საქართვ. საერო ხელისუფლების მიერ – ღირსების ორდენით.

ალ-კალკაშანდი (1355–1418), არაბი ავტორი, ენციკლოპედისტი. თავისი 14-ტომიანი კაპიტალური ნაშრომი ,,ბრმის განთიადი წერის ხელოვნებაში‘‘ (,,სუბჰ ალ-ა‘შა ფი სინა‘ ათ ალ-ინშა‘‘) დაასრულა 1412, სრული სახით დაიბეჭდა 1913–20 კაიროში. თხზულება 10 ნაწილად (მაკალა) იყოფა. მეორე ნაწილში (ტ. III–IV) მოცემულია მასალა საქართველოს ისტ. და გეოგრ. შესახებ; ოლქებისა და ქალაქების, სავაჭრო გზებისა და სხვ. აღწერა. ნაშრომში საყურადღებო ცნობებია საქართველო-ეგვიპტის, ასევე საქართვ. მეფისა და ირანის ილხანების ურთიერთობის ისტორიისათვის. ალ-კ-ის თხრობა ეყრდნობა ელომარის (გ. 1348) ნაშრომს. ალ-კ-ის წყაროს ცნობით,

ჩობანს (მონღ. ყაენის ვეზირი, გ. 1327) იმდენი დახმარება გაუწევია *გიორგი V* ბრწყინვალისათვის, რომ მეფე მას თავისი სამხ. ძალის საყრდენად და განსაცდელთა გამაქარწყლებლად თვლიდა. ცნობები საქართველოს შესახებ ამოკრიბა და რუსულად თარგმნა ვ. ტიზენჰაუზენმა [Заметка Эль-калькашанди о грузинах («Записки Восточного отделения Имп. русского археологического общества»., СПб, 1886, т. 1, вып. III], ხოლო ეგვიპტის სულთნის კარზე შემუშავებული ქართვ. მეფეებისადმი მიმართვის წესის არაბული ტექსტი შეტანილია გ. წერეთლის არაბ. ქრესტომათიაში (არაბული ქრესტომათია, თბ., 1949); მისი ქართული თარგმანი დაბეჭდეს ივ. ჯავახიშვილმა, ა. მენთეშაშვილმა და სხვ.

ლიტ.: მენთეშაშვილი ა., საქართველოს და ეგვიპტის ისტორიის ურთიერთობიდან, «დროშა», 1958, №9; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; სილაგაძე ბ., მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, «ქართული წყაროთმცოდნეობა», 1968, ტ. [2]; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

გ. ჯაფარიძე.

კალმახელიძე ლიანა მიხეილის ასული (დ. 25. X.1947, თელავი), მომღერალი (ლირიკულ-კოლორატურული სოპრანო). საქართვ. სახ. არტისტი (1987), საქართვ. სახელმწ. პრემიისა (1992) და მ. გლინკას სახ. მოსკოვის ვოკალისტთა საკავშ. კონკურსის (1975) ლაურეატი. 1973 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ი. ფალიაშვილის კლასი).

ჰ. 1975-იდან თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. წარმატებით ასრულებს ქართ. და კლასიკური საოპერო რეპერტუარის მთავარ პარტიებს, რ-თაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია მარიხი (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი''), ქეთო (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'' და განახლებული დადგმა – ჯ. და ვ. კახიძეების ,,ბარბალე''), მარგალიტა (ო. თაქთაქიშვილის ,,პირველი სიყვარული''), ვიოლეტა, ჯილდა (ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'', ,,რიგოლეტო''), როზინა (როსინის ,,სევილიელი დალაქი''), ცერლინა (ვ. ა. მოცარტის ,,დონ ჟუანი''), მარგარიტა (შ. გუნოს ,,ფაუსტი'') და სხვ. 1976–77 ჰ-მ სტაჟირება გაიარა იტალიაში, მილანის თეატრ ,,ლა სკალაში''. ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას. წარმატებით გამოდიოდა იტალიის, გერმანიის,



ლ. კალმახელიძე სცენაზე.

თურქეთის, ისრაელის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების ქალაქებში. 2004-იდან ჰ. თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური უნ-ტის პროფესორია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

კალმახი (Salmo trutta fario Linnaeus, 1758), თევზი, მიეკუთვნება ორაგულისებრთა ოჯახს (Salmonidae Cuvier, 1815), ორაგულთა გვარს (Salmo Linnaeus, 1758). მაქსიმალური სიგრძე 40 *სმ*-ია, მასა – 500 *გ*. ცოცხლობს 12 წლამდე. ბინადრობს მთის ჩქარი და ცივი მდინარეების ზემო დინებაში. სქესობრივად მწიფდება 2–4 წლის ასაკიდან. მრავლდება სექტემბრიდან თებერვლამდე, უმეტესად ოქტომბერ-ნოემბერში. ქვირითს ყრის მდინარის ჩქარი დინების თხელწყლიან, ქვა-ქვიშიან ადგილებში; ნაყოფიერება 200–2000 ქვირითია. იკვებება ბენთოსით, წყალში ჩაცვენილი მწერებით, ბაყაყებით, წვრილი თევზებით და ქვირითით. საქართველოში გავრცელებულია ყველგან – ტბებსა და მთის მდინარეებში, იშვიათად – ბარის მდინარეებშიც, მტკვარში – ტაშისკართან მდ. ოკამამდე და ზევით; მდ. მტკვრის შენაკადებში: ხრამში, არაგვში (საგურამოდან ქსნამდე), ლიახვში, ბორჯომულაში, ფოცხოვისწყალში, ახალქალაქისწყალში, ალაზანსა და მის შენაკადებში, ჭოროხში; წყალსაცავებში (ხრამის, თბილისის, სიონის). საქართველოს ფარგლებს გარეთ გვხვდება ბალტიის, თეთრი, კასპიის, შავი და აზოვის ზღვების აუზებში; დას. ევროპაში; მურმანსკიდან ხმელთაშუა ზღვამდე, ბალკანეთში; მცირე აზიაში, მაროკოში, ირანში. ჰ. მნიშვნელოვანი სარეწაო თევზია, დღეისათვის გამოიყენება სატბორე მეურნეობასა და სპორტულ მეთევზეობაში. შეტანილია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში''. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მხრიდან არ არის შეფასებული (NE).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Эленидзе Р., Ихтиофауна рек и озер Грузии, Тб., 1983.

ნ. ნინუა.

კალმახი, ისტორიული ციხესიმაგრე საქართველოში, ტაოში (ამჟამად – თურქეთის ტერიტ.). აგებულია VIII ს-ში, XI ს-მდე ტაოს ცენტრს წარმოადგენდა. XI ს-ში ჰ-ის გამგებლებს კალმახის ერისთავები ეწოდებოდათ. IX ს-ში გურგენ კურაპალატის რეზიდენციას წარმოადგენდა. ჰ-ის ციხეში ბაგრატ IV-ს დატყვევებული კლდეკარის მეამბოხე ერისთავი ლიპარიტი და მისი ძე ივანე ჩააბარეს.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

დ. მუსხელიშვილი.

კალმახის საერისთავო, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში. მდებარეობდა ტაოში. საერისთავოს ცენტრს წარმოადგენდა კალმახის ციხე (აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც). მისი არსებობა დასტურდება „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით XI ს. 40–50-იან წლებში უცნობია მისი შექმნის დრო. სავარაუდოდ, საერისთავო არსებობდა 1057–58-მდე, ვიდრე ის ბაგრატ IV-მ მამულებით არ გადასცა კალმახის ერისთავ სულას (ლიპარიტ ბაღვაშის შეპყრობის სანაცვლოდ). ამის შემდეგ სულა იწოდა კალმახელად და ეს გვარსახელი დაუმკვიდრდა მის შთამომავლებს.

XIII ს. განმავლობაში ჰ. ს. გაუქმებული ჩანს. XIV ს. I ნახ-ში გიორგი ბრწყინვალემ კალმახი, როგორც ზღვისპირა რეგიონი, საერისთავოდ აქცია (ვახუშტი). შემდგომში ჰ. ს. კვლავ გაუქმებულა. XVI ს. დასაწყისში შედგენილი მცხეთის სამწყსოს მამულების ნუსხაში კალმახის ერისთავთა ყოფილი მიწები სხვა მესხურ მიწებთან ერთად სამცხეთო მამულებს შორის მოიხსენიება.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003; ხიდურელი ზ., სამეფო დომენის საკითხისათვის XI–XV სს. საქართველოში, «საისტორიო კრებული», 1977, [ტ.] 7.

მ. ბახტაძე.

კალმახის საყდარი, იხ. *გოლიანქი.*



ლ. კალმახელიძე.



ქართული კალმახი.



ზ. კალოევი.

კალნიცკი მიხეილ ნიკოლოზის ძე (6. XI. 1870, თბილისი, – 29. VI. 1960, პარიზი), რუსეთის არმიის გენ.-ლეიტენანტი (1917). დაამთავრა თბილ. კლასიკური გიმნაზია. რუსეთ-იაპონიის (1904–05), I მსოფლიო (1914–18), სამოქალაქო ომების მონაწილე. გენ.-მ. 1914-იდან. 1912–14 იყო ქართ. მე-14 გრენადერთა პოლკის მეთაური, კავკასიის მე-5 კორპუსის შტაბის უფროსი (1916), 123-ე დივიზიის უფროსი (1917), თეთრი მოძრაობის მე-5 საკავალერიო კორპუსის მეთაური (1919). 1920-იდან ემიგრაციაში წავიდა. *ლ. დოლიძე.*

კალო, კალოობა, პურეულის სალეწი ადგილი (ღია ან დახურული). ღია კ. გავრცელებული იყო საქართვ. ყველა კუთხეში, დახურული კი – აღმ. საქართვ. მთის ზოლში. კ-ს უმთავრესად მართავდნენ სწორ, გაშლილ ადგილზე. საამისოდ ძველად მიწური სახლის ბანსაც იყენებდნენ. კ-ზე პურს ლეწავდნენ *კევრით,* ქვის დაკბილული მორგვებით (ჭარჭარა) ან შინაური საქონლის (ხარების) გადატარებით. კევრსა და ჭარჭარაში უმთავრესად ხარებსა და კამეჩებს აბამდნენ. ლეწვის დასაჩქარებლად ძნას ნიჩბით ხშირად აბრუნებდნენ, რასაც კ-ს ქცევა ერქვა. ნიჩბით ქცევის დროს იცოდნენ ,,კალოს გულის გამოღება'' – ნალეწის გახვეტა კ-ს ნაპირებისაკენ, რათა კევრის კოხებს მიწის ზედაპირი არ აეჩიჩქნა. ნალეწი არნადით იხვეტებოდა. ხვავს თავდაპირველად ფიწლით, შემდეგ ნიჩბით ანიავებდნენ, რასაც ნიჩაბში გამოყვანას ეძახდნენ. ხორბლის ხვავს ცხავში ატარებდნენ, შემდეგ – ცხრილში. გაცხრილული ხორბალი სახლში გადაჰქონდათ, ზოგჯერ კ-ზე მოწყობილ მარცვლეულის შესანახ ორმოებსა და ხაროებში ინახავდნენ. კ. წმინდა ადგილად მიაჩნდათ. ავი ძალისაგან დასაცავად კ-ზე დატოვებულ ხვავში რკინას ჩატოვებდნენ ან ტყემლის ტოტს ჩაასობდნენ. ძველად კ-ს განათვლა ცხვრის დაკვლითაც სცოდნიათ. კ-ზე გაჰქონდათ ახ. მოსავლისგან მომზადებული პირველი ნამცხვარი.

კ. და კალოობა (პურეულის ლეწვის პერიოდი) ხანგრძლივი და შრომატევადი სამეურნეო ციკლი იყო, რ-იც ივნისიდან იწყებოდა (კახეთი) და საქართვ. სხვადასხვა კუთხეში სექტემბრამდე გრძელდებოდა. მთის ზოლში დახურულ კ-ზე ხორბლეულს ზამთარშიც ლეწავდნენ.

ლიტ.: ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960.

გ. ჯალაბაძე.

კალოევი ზაურ გრიგოლის ძე (24 III. 1931, თბილისი, – 23. XII. 1997, იქვე), სპორტსმენი, ფეხბურთელი (თავდამსხმელი). ევროპის ჩემპიონი (1960), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1963). დაამთავრა თსუ (1963). თამაშობდა თბილისის „სპარტაკში" (1950–51), თბილისის „დინამოში" (1952–56, 1959–63), ასევე მოსკოვის „ლოკომოტივში" (1957–58). სსრკ ჩემპიონატების მეორე (1953) და მესამე (1959, 1962) ადგილის მფლობელი. სსრკ-ის ნაკრების წევრი. გ. ფედოტოვის კლუბის წევრი (139 გოლი). სსრკ თასის მფლობელი (1957) და ფინალისტი (1960). სსრკ ჩემპიონატის ბომბარდირი (1959, 1960). გამორჩეული იყო მისი თავით თამაში. ცხინვალის ,,სპარტაკის'', ჭიათურის ,,მაღაროელის'' (1968–70), თბილ. ასკ-ის (1973–75, 1980–83), მცხეთის ,,არმაზის'' (1986–88, 1991) მთ. მწვრთნელი და 35-ე საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი (1971–72). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996).



კალო. ნ. ფიროსმანაშვილი. ,,კალოობა''.

კალოთა, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის ხიხაძირის თემში (აჭარის არ), მდ. ხიხანისწყლის (სხალთის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1430 *მ,* ხულოდან 48 *კმ.* 132 მცხ. (2014).

კალოთანა, კალოთანისღელე, უელტეხილი დუშეთის მუნიციპალიტეტში, ფშავ-ხევსურეთის ქედზე, ხევსურეთის არაგვის სათავეში. სიმაღლე 2978 *მ.* აგებულია ლიასური თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კ-ის მიდამოები შემოსილია ალპ. მდელოებით. საცალფეხო ბილიკი გადადის ხევსურეთის არაგვის ხეობიდან მდ. წყაროსთავის (ასის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში.

კალოსმთა, ჰარმანთაფა, მთა ასპინძის მუნიციპალიტეტისა და თურქეთის საზღვარზე, ერუშეთის ქედზე, მდინარეების, ჯაყისწყლისა (ფოცხოვისწყლის მარჯვ. შენაკადი) და რაყისწყლის (ურავლის სათავე) წყალგამყოფზე. სიმაღლე 2950 *მ.* აგებულია ნეოგენური ანდეზიტ-დაციტური ლავით, გუმბათისებრი ფორმისაა. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ლ. მარუაშვილი.

კალოს მსხალი, ქართული მსხლის საზაფხულო ჯიშების საერთო სახელწოდება. გავრცელებულია სამრეწვ. მეხილეობის რ-ნებში, უმეტესად საკარმიდამო ნაკვეთებზე – სამარიობოს, საელიობოს, ივლისის მსხლისა და სხვ. სახელწოდებით. ხე სწრაფად იზრდება, განიერ-პირამიდულია. მსხმოიარობას გვიან იწყებს. უხვმოსავლიანია. ნაყოფი საშ. ზომისაა, მომრგვალო, უმეტესად ასიმეტრიული. მოყვითალო კანის ქვეშ უხვი მწვანე წერტილები აქვს. რბილობი მკვრივია, მუქი ყავისფერი, საკმაოდ წვნიანი. კარგი გემო და არომატი აქვს. ნაყოფი დიდხანს არ ინახება. *შ. დიასამიძე.*

კალოუბანი (ყოფილი ფაშიანი), სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ზემო ხანდაკის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 640 *მ*, კასპიდან 17 *კმ*, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ*. 91 მცხ. (2014).

კალოუბანი, კალობანი, თბილისის ისტორიული გარეთუბნის ერთ-ერთი მიკროუბანი. ახლანდ. რუსთაველის გამზირის დასაწყისში – ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლისა და რუსთაველის კინოთეატრის გარშემო მდებარე ტერიტორია. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში. არსებობს მოსაზრება, რომ სახელწოდება ,,კალოუბანი'' სემანტიკურად უკავშირდება ძვ. ქალაქის ერთ-ერთი შემადგენელი უბნის – *კალას* (კალა→კალო) სახელს; წარმოიქმნა თბილისის ქალაქად ჩამოყალიბების ადრინდ. ხანაში. ჰ-ში (ახლანდ. კინოთეატრ რუსთაველის ადგილზე) იდგა ადრინდ. შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია.

ისტორიკოსი პ. *იოსელიანი* წყაროს მიუთითებლად გადმოგვცემს ლეგენდას, თითქოს თემურლენგის მიერ თბილისის ერთ-ერთი დალაშქვრის დროს (XIV–XV სს. მიჯნა) აქ არსებულ კალოზე ბავშვები ცხენებით გაუთელავთ და სახელწოდება ჰ. აქედან უნდა მოდიოდეს.

ლიტ.: Иоселиани П. И., Описание древностей города Тифлиса, Тфл., 1866.

თ. ბერიძე.

კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი. აგებულია XII ს. მდებარეობს მცხეთის ჩრდ-ით, 5 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, მაღალი მთის თხემზე. ეკლესია დარბაზულია (4,51 *მ* × 2,72 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. დას-ით მასზე მიდგმულია კოშკისებრი ორსართულიანი ნაგებობა, რ-ის ცილინდრული კამარით გადახურული პირველი სართული ეკლესიის კარიბჭის როლს ასრულებს. მინაშენს სამხრ-იდან აქვს შესასვლელი. პირველი სართულის ჩრდ. ნაწილში, მეორე სართულზე (სამრეკლოზე) ასასვლელი სწორკუთხა ხვრელობაა. ეკლესიაში შესასვლელი დას-იდანაა. ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო თაღოვანი ნიშია. საკურთხეველი გამოყოფილია აგურის კანკელით. სატრაპეზოს ქვის წყობაში ჩატანებულია სტელის ფრაგმენტი (ადრინდელი). აქვეა ქვის ემბაზი. სამხრ. კედელში ერთი სარკმელია. შესასვლელის თავზე გაჭრილი სარკმელი მინაშენის მეორე სართულის სათავსში გადის. ეკლესია მთლიანად მოუხატავთ XII ს-ში. მხატვრობა მონუმენტური და მშვიდია, მაგრამ შეიმჩნევა დეკორაციულ-დინამიკური სტილისაკენ გადახრა. ხაზი მოძრავი და დენადია. კოლორიტი გამოირჩევა დახვეწილი ფერადოვანი გამით – ვარდისფერი, ცისფერი, თეთრი, ბაცი მწვანე ფერები შეხამებულია მოწითალო ყავისფერთან. 1975 ჩატარდა ძეგლის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები (ხელმძღვ. ვ. ცინცაძე).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თბილისში. მდებარეობდა გარეთუბანში, კერძოდ, კალოუბანში. ეკლესიას საძირკველი ჩაუყარეს 1851 წ. 31. VII (ძვ. სტილით), 1850 დანგრეული წმ. გიორგის ეკლესიის ადგილზე, რ-იც ასევე ,,კალოუბნის'' სახელწოდებით იყო ცნობილი. ეს უკანასკნელი ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის 1735 წლის გეგმაზეც არის დატანილი (№ 34), თუმცა მისი აგების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. გაზეთ ,,კავკაზის'' ცნობით (1851, № 61), კალოუბნის ძველი ეკლესია მდებარეობდა ბარონის (ახლანდ. ფურცელაძის) ქუჩაზე, თბილისის ,,ორდინანს ჰაუსის'' (ჰაუპტვახტის) შენობის უკან. ეს იყო შედარებით მცირე ზომის ეკლესია, რ-იც XIX ს. დასაწყისში უკვე საკმაოდ დაზიანებული ყოფილა. მ. *ჯანაშვილი* გადმოგვცემს, რომ ,,კალოუბნის წმ. გიორგი აგებულია უძველეს დროს და განახლებულია 1850 წ. მღვდლის იოსებ ნამორაძის მეცადინეობით''. პ. *იოსელიანი* წერს, რომ კალოუბანში იდგა ძველი (მისი აზრით – თბილისის დაარსებისდროინდელი) ქართ. ეკლესია, რ-იც 1850 წ. დაანგრიეს, რათა ახალი აეშენებინათ. კალოუბნის წმ. გიორგის ახალი ეკლესია ,,რუსული სტილისა'' იყო და ამ ,,სტილის'' ერთერთ უადრეს ნიმუშს წარმოადგენდა თბილისში. ზოგადად, იგი ადრინდელი რუსული ტაძრების ფორმას იმეორებდა (კუბური კორპუსი, მრგვალი გუმბათის ყელი, ,,ხახვისებრი'' გუმბათი), მაგრამ დეტალების დამუშავების მხრივ, სცილდებოდა ძვ. რუსული ხუროთმოძღვრების ნორმებს, კერძოდ, ეკლესიის ფასადთა გაფორმებაში ტრადიციულ რუსულ ფორმებთან ერთად გამოყენებულია კლასიციზმის ელემენტებიც. XX ს. 30-იან წლებში კალოუბნის ახალი ეკლესია, ისევე როგორც ჰაუპტვახტის შენობა, დაანგრიეს. მათ ადგილზე აიგო ახლანდ. რუსთაველის კინოთეატრი (1939; რუსთაველის გამზირი, 5).



კალოუბნის წმიდა გიორგის ეკლესია. თბილისი. ფოტო 1910–11.

ლიტ.: არქიტექტურა და იდენტობა, საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801–1918), თბ., 2016; ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წლები, ტ. 2, თბ., 1963; გერ-

სამია თ., ძველი თბილისი, თბ., 1984.
თ. გერსამია.

კალოუბნობა, ქართული ხალხური რელიგიური დღეობა. იმართებოდა კალოუბნად წოდებულ საკულტო ცენტრში აღდგომის მე-5 კვირას. დღესაც იმართება ზემო ხანდაკსა (ქართლი) და კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში (მცხეთის ზემოთ). მლოცველებს მიჰქონდათ შესაწირავი და ასრულებდნენ სათანადო რიტუალს. იმართებოდა პუროობა.

ლიტ.: სოხაძე ა., ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964.
ა. სოხაძე.

„კალოური“, კალოსპირული, კალოობაზე შესასრულებელი ქართული ხალხური ლექს-სიმღერა, დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან (კალოზე ხორბლის ლეწვა, განიავება). ჩაწერილია ქართლსა და კახეთში. პ. ერთხმიანია, კალოსპირული კი – ერთხმიანი და მრავალხმიანიც (ორ-სამხმიანი). ორივე ემყარება მღერად რეჩიტატივსა და შეძახილებს. ტექსტი უმთავრესად რვამარცვლიანი შაირით არის გამართული. მასში ასახულია შრომის პროცესი, სოც. უთანასწორობის განცდა, კარგი ამინდის ნატვრა და სხვ. ლექს-სიმღერებს ზოგჯერ წამახალისებელი, სალაღობო ხასიათი აქვს, ისე როგორც სხვა სამიწათმოქმედო სიმღერებში, პ-შიც ხშირად იხსენიება *„ოროველა“.*


კამა.

ლიტ.: მამალაძე თ., შრომის სიმღერები კახეთში, თბ., 1962; ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, თბ., 1963; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, ტ. 1, თბ., 1975; ჩხიკვაძე გრ., ქართული ხალხური სიმღერა, ტ. 1, თბ., 1960.

კალციტი, კირშპატი (ლათ. calx, ნათ. ბრ. calcis – კირი), კარბონატების კლასის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მინერალი. ქიმ. შედგენილობა $CaCO_3$. მინარევები Mg, Fe, Mn (8%-მდე) და სხვ. პ. ძირითადად უფეროა, ზოგჯერ თეთრი, ნაცრისფერი ან მინარევებით შეფერილი. გვხვდება მკვრივი, მარცვლოვანი, აგრეთვე ნაღვენთი წარმონაქმნები (*სტალაქტიტი, სტალაგმიტი*). კირიანი ცხელი წყაროებიდან გამოილექება *ტრავერტინების* სახით. $CaCO_3$-ითაა აგებული *კირქვა* და *მარმარილო.*

საქართველოში დეტალურადაა შესწავლილი მექვენისა და ღვედის საბადოები. მექვენის პ-ის საბადო მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ოკრიბა-ხრეითის ქვეზონაში და შედის ქუთაისის ბარიტ-კალციტის საბადოთა ჯგუფში. საბადო დაძიებული იყო 1970. იგი იმ დროისათვის ითვლებოდა ყოფ. სსრკ-ის პ-ის საბადოთა შორის ერთადერთ საბადოდ, რ-ის ნედლეულიც გამოიყენებოდა ლაქსაღებავების წარმოებაში შემავსებელ ნედლეულად.

ღვედის პ-ის საბადო ასევე მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში. მექვენის საბადოს მსგავსად, ღვედის პ-ის გამადნება დაკავშირებულია ბაიოსური პორფირიტული სერიის ქანებთან.

პ., ძარღვების სახით, უმთავრესად ბარიტთან ერთად, გვხვდება აგრეთვე წყალტუბოს (ჟონეთი), მესტიის (ხაიში), ონის (ჩორდი), ცაგერის (ქორეში) მუნიციპალიტეტებში და სხვ.

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტ. 1, თბ., 2015.

კამა (Anethum), მცენარის გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. ერთწლოვანი, იშვიათად ორწლოვანია. ღრმად დანაკვთული ფოთლები აქვს. ხმელთაშუა ზღვის აღმით გვხვდება 3 სახეობა. უფრო გავრცელებულია A. graveolens, ერთწლოვანი მცენარე. პ-ს მკვეთრი სურნელი აქვს, ყვავილედი რთული ქოლგაა, კულტივირებულია, ხშირად ველურდება და ამ სახით საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. იყენებენ კერძებში, როგორც საკაზმ-სანელებელს და ეთერზეთოვან მცენარეს, აგრეთვე მწნილეულის დასამზადებლად. პ. შეიცავს A პროვიტამინს, B ჯგუფის ვიტამინებს, C ვიტამინს და სხვ.

კამალოვი ნიკოლოზ გერასიმეს ძე [14(26). II. 1897, თელავი, – 30. II. 1986, თბილისი], პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1941), პროფ. (1946), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1924 დაამთავრა მოსკოვის სამედ. ინ-ტი; 1930–53 თბილისში სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში მუშაობდა ჰელმინთოლოგიის განყ-ბის გამგედ. 1953–63 თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტში განაგებდა ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ლაბორ. დიაგნოსტიკის კათედრას, ხოლო 1962–74 იყო კლინიკური ლაბორ. დიაგნოსტიკის კათედრის გამგე.

პ. შეისწავლიდა ანკილოსტომიდოზს საქართველოში; პაპატაჩისა და ლეიშმანიოზის გადამტანების საკითხებს; შეიმუშავა ამებიაზის, ლამბლიოზისა და ჰიპოქრომული ანემიის მკურნალობის მეთოდები და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: სამედიცინო პარაზიტოლოგია, თბ., 1960 (თანაავტ.); Библиографический указатель по анкилостомидозам СССР, Тб., 1974.

კამანი, კომანი, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის შრომის თემში (აფხაზეთის არ), მდ. გუმისთის ხეობაში. ზ. დ. 100 *მ,* სოხუმიდან 14 *კმ.*

არსებობს გადმოცემა, რ-ის თანახმად, პ-ში გაუვლია მაცხოვრის სამ მოწაფეს: ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელსა და მოციქულ ბართლომეს; აქ აღავლინა თავისი უკანასკნელი ლოცვა წმ. იოანე (იოვანე) ოქროპირმა, აქვე აღმოაჩინეს რამდენჯერმე გადამალული იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი. პ-ში დაკრძალულია წმ. ვასილისკო, რ-იც ქრისტიანობისთვის აწამეს (308).

პ-ში მდებარეობს XI ს-ით დათარიღებული დარბაზული ეკლესია.

აფხაზეთის კონფლიქტის დროს, 1993 წ. 5–9 ივლისს, სეპარატისტებმა, რუსი სამხედროების მხარდაჭერით, აიღეს პ. და ადგილობრივი მოსახლეობა გაანადგურეს, მ. შ. მღვდლები და მონაზვნები.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კამანია, იხ. *გვირილა.*

კამარა (ბერძნ. kamara), მრუდწირული მოხაზულობის გადახურვის სივრცული კონსტრუქცია, რომლის სისქის შეფარდება სიმრუდის რადიუსთან 1/20-ზე მეტია (თუკი კონსტრუქციის სისქის შეფარდება სიმრუდის რადიუსთან ნაკლებია 1/20-ზე, მაშინ იგი მიეკუთვნება თხელკედლიანი კონსტრუქციების კლასს და მას გარსი ეწოდება). იგი კუმშვაზე მომუშავე კონსტრუქციაა. საყრდენებში, გარდა ვერტ. დატვირთვისა, წარმოშობს ჰორიზონტალურად მიმართულ განმბჯენ ძალას, რ-იც გადაეცემა კედელს, სვეტების რიგს ან მიმდებარე კონსტრუქციებს.

პ. ამოჰყავდათ მცირე ზომის ბუნებრივი ქვისგან ან აგურისგან. პ-ების გავრცელებასთან ერთად იხვეწებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა მისი სახეობები. პ. გვხვდება ცილინდრული (ყველაზე გავრცელებული სახეობა), ჯვაროვანი, ვარსკვლავისებრი, წიბოვანი, სარკოვანი, სოლოვანი, ისრული, შეკრული, გუმბათოვანი,

აფრიანი და ა.შ. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხუროთმოძღვრებაში სხვადასხვა ტიპის კ-ები იგებოდა.

საქართველოში, ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრებაში, ეკლესიების გადასახურად კ-ების რამდენიმე სახეობას იყენებდნენ, ყველაზე ხშირად კი – პარალელურ კედლებზე ან სვეტთა რიგებზე დაყრდნობილ ცილინდრულ კ-ებს. ასევე გვხვდება ვარსკვლავისებრი, ისრული (XVI–XVIII სს.) და შეკრული კ-ები. ეს უკანასკნელი კ. ზოგჯერ გუმბათს ცვლიდა (VI ს.; შიომღვიმის ძვ. ეკლესია, ნინოწმინდის ტაძარი).

XIX ს-იდან მოყოლებული, როდესაც ძირითად სამშენებლო მასალად მაღალი სიმტკიცის ფოლადი და რკინაბეტონი დამკვიდრდა, შესაძლებელი გახდა მცირე სისქის კ-ების, ანუ გარსების აგება. გარსებით კი, კ-ებთან შედარებით, დიდი მალების გადახურვა და მრავალფეროვანი არქიტ. გამომსახველობის მქონე ნაგებობების აგებაა შესაძლებელი. ამჟამად კ-ებს მხოლოდ ძველი ნაგებობების რესტავრაციის დროს იყენებენ.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; კვირკველია თ., მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1961; ტექნიკური ტერმინოლოგია, თბ., 1977; Лопатто А. Э., Пролеты. Материалы, конструкции, М., 1982; Heyman J., The Stone Skeleton: Structural engineering of masonry architecture, Camb., 1995. *გ. ყვანია.*

კამარახევის სამაროვანი, ძვ. წ. V–III სს. სამაროვანი სოფ. წიწამურის (მცხეთის მუნიციპალიტეტი) სამხრ-ით, მდ. არაგვისა და მისი შენაკადის – დიდი კამარახევის მარცხ. ნაპირის გაშლილ ვაკეზე. 1953, 1976–77 გაითხარა (ა. აფაქიძე, რ. რამიშვილი, თ. ჯღარკავა) 111 სამარხი. ორმოსამარხები ჩაჭრილია თიხნარში 1,25–2 *მ* სიღრმეზე. ოვალურ ან სწორკუთხა ორმოსამარხებში დაკრძალული იყო თითო (იშვიათად 2), ხელფეხმოკეცილი მიცვალებული; მამაკაცები დაკრძალული იყვნენ მარჯვ. გვერდზე, ქალები – მარცხენაზე. მიცვალებულს აფარებდნენ ქსოვილს ან ტყავს, იშვიათად – ფოთლებიან ტოტებს, შემდეგ აყრიდნენ მცირეოდენ მიწას (50–70 *სმ*) და რიყის ქვებს. ქვაყრილს ისევ მიწით ფარავდნენ.

ქვის სამარხები გაჩნდა სამაროვნის არსებობის გვიანდ. საფეხურზე. კედლები ნაგები იყო ბრტყელი ლოდებით და ზოგჯერ ასეთივე ქვებით იყო გადახურული. ხელფეხმოკეცილ მიცვალებულებს თავქვეშ ამოდებული ჰქონდათ ბრტყელი რიყის ქვა. სამარხებში აღმოჩნდა წითლად და ლეგამონაცრისფროდ გამომწვარი და წერნაქით მოხატული ჭურჭელი, ქალების სამარხებში – სამკაული (ბრინჯაოს სამაჯურები, ცილინდრულთავიანი საკინძები, ზარაკები, ძეწკვები, ილარი, მძივები და ბეჭდები); მამაკაცების სამარხებში – საბრძოლო იარაღი (რკინის შუბისწვერი, მოხრილი დანა, მახვილ-სატევარი და სხვ.). კ. ს-ში აღმოჩენილი სამტუჩა ხელადების, სამფეხა ჯამებისა და ტოლჩების მსგავსი მასალა მოგვიანებით გვხვდება *ალაზან-იალოილუთეფეს კულტურაში.*


ლიტ.: მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. 2, თბ., 1978; რამიშვილი რ., კამარახევის სამაროვანი, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1959, ტ. 2. *რ. რამიშვილი.*

კამარლო, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), დმანისის პლატოზე. თემის ცენტრი (სოფლები: კ., ქარიანი, შახმარლო). ზ. დ. 1400 *მ*, დმანისიდან 5 *კმ*, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 37 *კმ*. 665 მცხ. (2014).

კამბალა, თევზი, კამბალასებრთა ოჯახიდან (Pleuronectidae Rafinesque, 1815). საქართველოში გავრცელებულია მდინარის კ. და შავი ზღვის კ. მდინარის კ-ს [Platichthys flesus luscus (Pallas), 1814] მაქსიმალური სიგრძეა 60 *სმ*, საშუალო – 25–29 *სმ*, მასა – 14 *კგ*, ასაკი – 15 წელი. კ-ს სხეული გვერდებიდან გაბრტყელებულია, ამიტომაც მათი უმრავლესობა მოკლე და განიერია. ცხოვრობს შავი ზღვის სანაპირო წყლებში; შეგუებულია ნაკლებმარილიან ლიმანებში ცხოვრებასაც. სქესობრივად მწიფდება 2–3 წლის ასაკიდან; ქვირითს იანვარ-სექტემბრამდე რამდენჯერმე ყრის, ნაყოფიერება 80–28000 ქვირითია. იკვებება მრავალჯაგრიანი ჭიებით, ქირონომიდებით, კიბოსნაირებით, ლოკოკინებით, თევზებით.

გავრცელებულია შავ და აზოვის ზღვებში; შედის მდინარის შესართავებში: რიონში, ხობში, ჭურიაში, თაქორში; პალიასტომის ტბაში; გავრცელებულია მდ. ბუგში, დნეპრში, კამჩიაში, ყუბანში, აგრეთვე მიმდებარე ტბებში. აღმ. ატლანტიკაში – დას. ევროპის სანაპიროსა და მლაშე წყლებში, თეთრი ზღვიდან ხმელთაშუა და შავ ზღვამდე. ინტროდუცირებულია ამერიკასა და კანადაში. გააჩნია მცირე სამეურნეო მნიშვნელობა. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიერ საჭიროებს ზრუნვას (LC).

შავი ზღვის კამბალა (Scophthalmus maeoticus, Pallas, 1814); ზღვის მარილიანი წყლის ბინადარი მტაცებელი თევზი. მაქსიმალური სიგრძე – 70 *სმ*, მასა – 9 *კგ* (იშვიათად 12 *კგ*). სქესობრივად მწიფდება 6–11



კამბალა.

წლის ასაკიდან. მრავლდება მარტ-ივლისში. ქვირითს ყრის პერიოდულად (2–3-ჯერ). უმეტესად იკვებება თევზებით, კიბოსნაირებითა და მოლუსკებით. გავრცელებულია შავი ზღვის მთელ სანაპიროზე. იშვიათია აზოვის ზღვაში.

სამეურნ. მნიშვნელობის თევზია. დღეისათვის მარაგი ძლიერ შემცირებულია. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიერ არ არის შეფასებული (NE).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Богуцкая Н., Насека А., Каталог безчелюстных и рыб, М., 2004; Световедов А., Рыбы Черного моря, М., 1964. *ნ. ნინუა.*

კამბერლენი (Camberlan) იოსებ (1766, ანტვერპენი,– 1821, თბილისი), მოქანდაკე, არქიტექტორი. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი (1809). სწავლობდა ანტვერპენის აკადემიაში, შემდეგ კი – პარიზში. 1798 დაბრუნდა სამშობლოში. 1805-იდან მოღვაწეობდა პეტერბურგში. 1816 დაინიშნა საქართვ. საგუბერნიო არქიტექტორად. 1817 კ-მა, რ-იც იყო ნიდერლანდების მოქალაქე, მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. ძირითადად მოქანდაკედ მუშაობდა. მან სხვებთან ერთად მიიღო მონაწილეობა ბირჟის შენობისა და როსტრალური კოლონების სკულპტურულ გაფორმებაში (1805–10, არქიტ. ტომა დე ტომონი); შეადგინა სამხ. სკოლის ფრონტონის პროექტი პეტერბურგში (დაახლ. 20,0 *მ* × 4,5 *მ*). თბილისში ცნობილია მის მიერ შესრულებული ერთადერთი პროექტი – თეკლა



კამელია.

ბატონიშვილის სახლი. პროექტი (ორი ფასადი) დათარიღებულია 1819 წ. 27 მარტით (ძვ. სტილით). დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წლები, ტ. 2, თბ., 1963; Русский биографический словарь, СПб., 1897. *თ. გერსამია.*

კამბეჩოვანი, კამბეჩანი, კამბეჩიანი (სახელწოდება მომდინარეობს კამეჩ-კამბეჩისაგან), მხარე შუა საუკუნეების საქართველოში, კახეთში. მოიცავდა ტერიტორიას მდ. ალაზნის ქვემოწელსა და მდ. მტკვარს შორის. ცენტრი – *ხორნაბუჯი.* ანტ. წყაროებში მოხსენიებულია სტრაბონთან (ძვ. წ. I – ახ. წ. I სს.) როგორც კამბისენე. ვარაუდობენ, რომ უძველეს ხანაში კ. კავკასიის ალბანურ (იხ. სტ. *ალბანეთი*) ტომთა კავშირის გაერთიანებაში შედიოდა. აქ ერთმანეთს ემიჯნებოდნენ იბერიელები (აღმ. ქართველები), ალბანელები და სომხები. კ-ის გამო ხშირად ერთმანეთს ედავებოდნენ იბერიისა და ალბანეთის სახელმწიფოები. V ს. ბოლოდან, მას შემდეგ რაც აქ მეფე ვახტანგ გორგასალმა *ხორნაბუჯის საეპისკოპოსო* დააარსა, კ. მოექცა ქართული კულტურული და პოლიტ. გავლენის სფეროში. VI ს-ში, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, კ. სპარსელთა მოხელეს ემორჩილებოდა. VII ს. შუა წლებიდან აქ არაბები ბატონობდნენ. VIII ს. II ნახ-იდან კ. ჰერეთის სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო. XI ს. დასაწყისში, კახეთისა და ჰერეთის გაერთიანების შემდეგ, იგი კახეთის სამეფოს საერისთავო გახდა. XII ს-ში, გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოში, კ. ერთ-ერთი განაპირა საერისთავო იყო. XIII ს. დასაწყისში იგი რამდენიმეჯერ ააოხრეს ხვარაზმელებმა, შემდეგ – მონღოლებმა. XV ს. ბოლოდან ისტ. კ. *ქიზიყად* იწოდება.

ლიტ.: მუსხელიშვილი დ., კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII–XIII სს., «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1967, [ტ.] 3.

დ. მუსხელიშვილი.

კამბისენე, იხ. *კამბეჩოვანი.*

კამეა (ფრანგ. camée < იტალ. cammeo), კვეთილი ქვა, რელიეფურად შესრულებული ამობურცული გამოსახულებით. ცნობილია ძვ.წ. IV ს-იდან. კ-ის ამოსაკვეთად, ჩვეულებრივ, იყენებენ მრავალფეროვან ქვებს (ფონი ერთი ფერისაა, გამოსახულება – სხვა ფერის). საქართვ. ტერიტორიაზე კ-ის მრავალი ნიმუშია ნაპოვნი (მცირეაზიული, ირანული, ანტ.-ელინისტური, იტალიკური, რომანული და სხვ.). ყველაზე ადრინდელია ძვ.წ. V–IV საუკუნეების კ. საქართველოში ძირითადად აღმოჩენილია მაღალი სიმტკიცის ძვირფას ქვებზე ამოკვეთილი კ-ები. ძვ. წ. I ს-თვის მცხეთაში უნდა ყოფილიყო კ-ის საჭრელი სახელოსნოები. რბილ ქვაზე ინიციალებიც იჭრებოდა. სამთავროსა და არმაზისხევის ტერიტორიაზე ნაპოვნი ეს მასალა საქართველოში ქვაზე კვეთის ტექნიკის განვითარების მაღალი დონის არსებობაზე მეტყველებს (იხ. აგრეთვე *გლიპტიკა*).

კამელია (Camellia), მარადმწვანე ხეებისა და ბუჩქების გვარი ჩაისებრთა ოჯახისა. მისი 80-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია აზიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. იაპონური კ. (C. japonica) და მისი ჰიბრიდული ფორმები კარგად ხარობს ოთახებსა და ორანჟერეებში, კავკასიასა და სამხრ. ყირიმში კი – ღია გრუნტში. ჩინური კ-ის, ანუ ჩაის ბუჩქის (C. sinensis და C. assamica) ნორჩი ყლორტებისაგან ამზადებენ ჩაის. ზეთის, ანუ ევგენოლის კ-ის (C. sasanqua) ფოთლებისაგან იღებენ ეთეროვან ზეთს. დეკორატიული მცენარეებია. მოშენებულია საქართვ. შავი ზღვის სანაპიროს ბაღებსა და პარკებში.

კამენსკი ვასილი ვასილის ძე [5(17). IV. 1884, პერმის მახლობლად, – 11. XI. 1961, მოსკოვი], რუსი პოეტი. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1904-იდან. 1914 ,,კუბოფუტურისტების'' ჯგუფთან (ვ. მაიაკოვსკი, დ. ბურლიუკი) ერთად იმოგზაურა საქართველოში. მისი ადრეული ლექსები ფუტურისტული ხასიათისაა. კ-ის მთავარი ნაწარმოებებია: პოემები ,,სტენკა რაზინი'' (1912–20), ,,ემელიან პუგაჩოვი'' (1931), ,,ივანე ბოლოტნიკოვი'' (1934). საქართველოს თემატიკას ეხება კ-ის ლექსები: ,,თბილისი'', ,,მატარებელი მიგვაქროლებს'', ,,არ შემიძლია უთბილისოდ'', ,,აჭარისტანი'', ,,წერილი სორენტოში'' და სხვ.

თხზ.: Юность Маяковского, Тфл., 1931; Путь энтузиаста. Автобиографическая повесть, Пермь, 1968; Стихи, М., 1977.

დ. თუხარელი.

კამერალური აღწერა (გვიანდ. ლათ. camera – ოთახი), მოსახლეობის აღწერის ერთ-ერთი ფორმა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ფისკალური და სამხედრო მიზნით ჩატარებული სტატისტიკური დაკვირვება, რომლის დროსაც ღებულობდნენ მონაცემებს დასაბეგრი და ჯარში გასაწვევი კონტინგენტის შესახებ. ტერმინი კ. ა. უკავშირდება XVIII ს-ში გერმანიაში ფართოდ გავრცელებული კამერალური მეცნიერებების, ანუ კამერალისტიკის განვითარებას. ამ უკანასკნელში გულისხმობდნენ სახელმწ. ქონების მართვისთვის აუცილებელი ცოდნის ერთობლიობას, კ. ა. კი იძლეოდა მასალას კამერალური მეცნიერებების შესასწავლად. მართვის ასეთ სპეციალისტებზე მოთხოვნამ განაპირობა სწორედ ამ პერიოდში კამერალური ფაკ-ტების (გერმ. Kameralwissenschaft, Cameralia) შექმნა გერმანიაში, სადაც სწავლის ძირითად მიზანს სახელმწ. ქონებიდან მაქს. მოგების მიღების ხერხების შესწავლა წარმოადგენდა. 1843–63 ანალოგიური კამერალური განყ-ბა არსებობდა პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტის ბაზაზე.

კ. ა-ები ტარდებოდა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში საყოველთაო აღწერების შემოღებამდე.

საქართველოში კ. ა-ის ჩატარება XIX ს. დამდეგიდან დაიწყო რუსეთის ხელისუფლებამ, რ-იც შეუდგა საქართველოს ფისკალურ-ეკონომიკურ შესწავლას. კ. ა-ები, რ-ებიც იძლეოდა არასრულ, მაგრამ საკმაოდ ვრცელ მონაცემებს, ეხებოდა მხოლოდ მთელ დასაბეგრ მოსახლეობას კომლობრივად, ამასთან მამრობითი სქესის მოსახლეობა აღირიცხებოდა ჩამოთვლით და ასაკის ჩვენებით, ხოლო მდედრობითი სქესისა – მხოლოდ საერთო რიცხვის ჩვენებით.

კ. ა-ის შედეგები ძირითადად განკუთვნილი იყო ფისკალური მიზნებისთვის. საფინანსო უწყება (სახაზინო პალატები და მისი დაწესებულებანი) სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე კრეფდა გადასახადებს. სოფლადაც და ქალაქადაც კ. ა-ებს აწარმოებდნენ ადმ. ორგანოები. სოფლად აღწერის ჩატარება ევალებოდათ მაზრის ხელმძღვანელებს, ხოლო ქალაქად – ქალაქის კომენდანტებს.

მრავალგვარი უზუსტობების გამო კ. ა-ის მონაცემები სისტემატურად მოწმდებოდა, თუმცა მისი შედეგები არსებითად არ უმჯობესდებოდა და სარგებლობა მხოლოდ მონაცემთა კრიტიკული შესწავლა-დამუშავების შემდეგ იყო შესაძლებელი.

საერთოდ, ჰ. ა-ები, რ-ებიც საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1803–05, 1816–17, 1821–24, 1831–32, 1841–43, 1849–51, 1867–68 და 1873–74 წლებში ჩატარდა, ცვლიდა რუსეთის შიდა გუბერნიებში ,,რევიზიების'' სახელწოდებით ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებს, მაგრამ თავიანთი პროგრამითა და მიღებული შედეგების სიზუსტით მათგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.

ლიტ.: გამყრელიძე გ., დემოგრაფიული სტატისტიკა, თბ., 1955; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს., ტ. 1, თბ., 1949.

ე. ორჯონიკიძე. ა. სახვაძე.

კამერული ანსამბლი, ერთიან მხატვრულ კოლექტივში თავმოყრილი შემსრულებელთა ჯგუფი, რ-იც ასრულებს *კამერულ მუსიკას.* გავრცელებული სახეობაა სიმებიანი კვარტეტი. ჰ. ა-ს უწოდებენ აგრეთვე შემსრულებელთა მცირე შემადგენლობისათვის (ინსტრუმენტალისტების ან ვოკალისტებისათვის) დაწერილ ნაწარმოებს.

კამერული მუსიკა, შემსრულებელთა მცირე შემადგენლობისათვის დაწერილი ინსტრუმენტული ან ვოკალური მუსიკა. საგუნდო, თეატრალური (საოპერო და საბალეტო) მუსიკისაგან განსხვავებით ჰ. მ. წარმოდგენილია ანსამბლებით (დუეტი, ტრიო, კვარტეტი და ა. შ.), აგრეთვე სოლო მუს. პიესებით, რ-ებიც არ მიეკუთვნება საკონცერტო ვირტუოზულ ან საესტრადო-გასართობ ჟანრს, მაგ., სონატები, ფუგები, ნოქტიურნები და სხვ. თავდაპირველად განკუთვნილი იყო პატარა შენობაში, ოჯახურ გარემოში შესასრულებლად (აქედან წარმოდგება სახელწოდებაც). XIX ს. დაიწყო ჰ. მ-ის საჯარო კონცერტების გამართვა. ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი კამერული ანსამბლები. ჰ. მ-ის სხვადასხვა ჟანრი ფართოდ არის წარმოდგენილი ქართ. მუსიკაში.

კამერული ორკესტრი, მუსიკალური კოლექტივი. შედგება 12–30 შემსრულებლისაგან, რ-თა ძირითად ბირთვს სემებიან საკრავებზე შემსრულებლები წარმოადგენენ. ზოგჯერ ნაწარმოები სრულდება უდირიჟოროდ, მის ფუნქციას ასრულებს პირველი ვიოლინო. საქართველოში ჰ. ო. დაარსდა 1963 (ხელმძღვ. გ. *აზმაიფარაშვილი*). 1967 მიენიჭა საქართველოს სახელმწ. ორკესტრის სტატუსი. პირველი კონცერტი გაიმართა 1964. 1967-იდან ჰ. ო. ფილარმონიის უწყებაში შევიდა. 1968–73 ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ მ. *იაშვილი* და ი. *პოლიტკოვსკი.* ამ პერიოდში ორკესტრმა წარმატებას მიაღწია ,,ბახის ფესტივალზე'' ქ. ლაიფციგსა (1970) და ჰენდელის სახ. ფესტივალზე ქ. ჰალეში (1973). ხანმოკლე დროით ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ შ. შილაკაძე და ტ. დუგლაძე, 1974–80 – ე. *სანაძე,* ხოლო 1981–97 – ლ. *ისაკაძე.* ამ პერიოდში საგრძნობლად ამაღლდა ორკესტრის საშემსრულებლო ოსტატობა.

კამეჩი, ძუძუმწოვრების კლასის (Mamalia), ღრურქიანთა ოჯახის (Bovidae) მცოხნელთა ქვერაზმის (Ruminantia) წარმომადგენელი. შეტანილია პლანეტის ყველაზე დიდტანიანი და ძლიერი ცხოველების ხუთეულში. ცნობილია 2 გვარი: აზიური (Bubalus) და აფრიკული (Sincerus), ანუ სავანის, კაფრის (S. caffer). აზიური კამეჩი იყოფა 3 სახეობად: არნი (B. arnee), მინდოროს (B. mindorensis), იგივე ტამაროუ და ანოა. აფრიკული ჰ. მხოლოდ გარეულია, აზიური კი წარმოდგენილია გარეული და შინაური ფორმით. მოშინაურებულია ძვ. წ. IV–III ასწლეულში. აზიური შინაური ჰ. იყოფა ინდურ (ანუ მდინარის) და ფილიპინურ (ანუ ჭაობის – კარაბაო) ჯგუფებად. ინდური ჰ. გავრცელებულია სამხრ.-აღმ. აზიის, სამხრ. ევროპისა და ჩრდ. აფრიკის ქვეყნებში. სსრკ-ში მოშინაურებული იყო აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში. მსოფლიოში აღრიცხულია 70-ზე მეტი ჯიშის 193,8 მლნ. სული შინაური ჰ., რ-იც მსხვილი, ღონიერი, დიდტანიანი ცხოველია. სიმაღლე მინდაოში – 130 *სმ,* ცოცხალი მასა ფურკამეჩისა – 450–600 *კგ,* კუროკამეჩისა – 700–800 *კგ* (1000 *კგ*-მდე). ცოცხლობს 28–35 წელს. სამეურნეოდ გამოიყენება 18–20 წლის ასაკამდე. მისგან იღებენ რძეს, ხორცს, ტყავს (იხ. *კავკასიური კამეჩი*). ხასიათდება კარგი სამუშაო თვისებებით. ძროხასთან არ ჯვარდება. ყოველწლიურად იძლევა 1 ნაშიერს (ზაქს). ლაქტაციური მონაწველი – 1400–1600 *კგ,* რეკორდული – 4500 *კგ* რძე. მაღალი წველადობით გამოირჩევიან მურაჰისა (ინდოეთი) და ნილი-რავის (პაკისტანი) ჯიშები. აშენებენ ცხელ კლიმატურ ზონებში, წყალსატევების მახლობლად. იკვებება უხეში მცენარეული საკვებით (ისლი, ლელქაში, ლერწამი), ხემცენარეების ფოთლებითა და ყლორტებით. ძროხასთან შედარებით მდგრადია დაავადებების მიმართ.

ლიტ.: გოგოლი გ., თორთლაძე ლ., მაჭარაშვილი გ., ტაბატაძე ლ., მეკამეჩეობა, თბ., 2012.


გ. გოგოლი.

კამიშლო, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის გუგუთის თემში (ქვემო ქართლის რეგიონი), დმანისის პლატოს ჩრდ. ნაწილში. ზ. დ. 1460 *მ,* დმანისიდან 40 *კმ,* კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 40 *კმ.* 219 მცხ. (2014).

კამკამიძე ანატოლი მიხეილის ძე (7. VI. 1936, სოფ. ღარიხევი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 23. VI. 1999, ლვოვი, უკრაინა), რუსეთის არმიის გენ.-პოლკოვნიკი (1992). 1957 დაამთავრა ოდესის კ. ვოროშილოვის სახ. სამხ. სასწავლებელი. მსახურობდა საბჭოთა ჯარების დაჯგუფებაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1970 დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია და დაინიშნა მოტომსროლელი პოლკის (1972), შემდეგ კი მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად (1974). გენ.-მაიორი 1976-იდან. 1984 მიენიჭა გენ.-ლ-ის წოდება. 1981–91 იყო კარპატისპირეთის სამხ. ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე. 1992 დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ. 1992–93 იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი. *ლ. დოლიძე.*

კამკამიძე გიორგი კონსტანტინეს ძე (დ. 31. VII. 1968, თბილისი), იმუნოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2005), თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნ-ტის სრული პროფესორი (2017), ილიას სახელმწ. უნ-ტის მოწვეული პროფესორი (2015).

1991 დაამთავრა თსსი. 1994–97 იყო ბავშვთა რეაბილიტაციის რესპ. ცენტრის პოლიკლინიკის ალერგოლოგი; 1997–2001 – შიდსის და კლინ. იმუნოლოგიის რესპ. ცენტრის განყ-ბის გამგე. 1998–2000 პოსტდოქტორანტურა გაიარა მოლეკულურ ვირუსოლოგიაში (აშშ; ქ. ოლბანის ვოდსვორსის ლაბორატორია და სამეცნ.-კვლ. ცენტრი), 2000–01 – უჯრედულ იმუნოლოგიაში (პარიზი, პიტიე სალპეტრიეს ჰოსპიტალი), 2006–09 – მაგისტრატურის კურსი ბიოსტატისტიკის განხრით (ნიუ-იორკის სახელმწ. უნ-ტი). 2008–10 იყო სამედ. ცენტრ ,,ნეოკლინიკის'' დირექტორი; 2012–13 – რ. ლუგარის



ნ. კამკია.



კამო.



მ. კამოევა.

საზ. ჯანმრთელობის სამეცნ.-კვლ. ცენტრის ლაბორატორიის ხელმძღვანელი; 2008–10 – თსსუ-ის ასოცირებული პროფესორი; 2010-იდან – კლინიკა ,,ნეოლაბის'' დირექტორი.

ჰ-ის სამეცნ. ინტერესის სფეროს წარმოადგენს ბრონქოსპაზმის პათოგენეზისა და მკურნალობის საკითხები, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის კონცენტრაციის განსაზღვრის მეთოდი, შიდსის იმუნოპათოგენეზი და სხვ.

ჰ. არის საქართვ. და საერთაშ. ასოციაციებისა და საზ-ბების წევრი, მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: აივ ინფექცია, თბ., 2002 (თანაავტ.); ინფექციათა გადაცემა დედიდან ბავშვზე, თბ., 2003 (თანაავტ.).

კამკია ნურბეი თეიმურაზის ძე (15. VII. 1934, სოფ. აჯუფთა, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, – 04. IV. 2013), თეატრისა და კინოს მსახიობი, აფხაზეთის დამს. არტისტი (1967), საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1959 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტი. ამავე წლიდან იყო სოხუმის ს. ჭანბას სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის აფხაზური დასის წამყვანი მსახიობი. სხვადასხვა წლებში აფხაზეთის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ასწავლიდა მსახიობის ოსტატობას. მის მიერ განხორციელებული როლებია: ოტელო (უ. შექსპირის ,,ოტელო''), ანჟელო (ვ. ჰიუგოს ,,ანჟელო''), კენტი (უ. შექსპირის ,,მეფე ლირი''), ლიმონა (ნ. დუმბაძის ,,თეთრი ბაირაღები''), მეფე ფილიპე (ფ. შილერის ,,დონ კარლოსი''), რაშიტი (ს. ჭანბას ,,მოხაჯირები''), სტენლი (ტ. უილიამსის ,,ტრამვაი – სურვილი'') და სხვ.

კ. ნაყოფიერად მოღვაწეობდა კინემატოგრაფიაში. შესრულებული როლები: უხუცესი (,,დესანტურა''; რეჟ-ები: ო. ბაზილევი, ვ. ვარაბიოვი; 2009), ქართველი გამცილებელი (,,სასტიკთა დრო''; რეჟ. ვ. პლოტკინი, ა. სტეფანოვიჩი; 2004), გურამ თოხაძე (,,უკანასკნელი შემოდგომა''; რეჟ. ვ. პლოტკინი; 1990), რიტას მამა (,,კანონიერი ქურდები''; რეჟ. ი. კაპა, 1988), მეკსუდი (,,ბედნიერი მიგნებების დრო''; რეჟ. ჰ. გაბაი; 1969) და სხვ.

დაჯილდოებულია შრომის ორდენით (1970) და აფხაზეთის ,,ღირსებისა და სახელის'' III ხარისხის ორდენით.

კამლაძე ალექსანდრე არტემის ძე (3. IV. 1898, სოფ. ტაბაკანი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 30. XII. 1953, თბილისი), სამთო ინჟინერი. სტალინური პრემიის ლაურეატი (1951). 1930 დაამთავრა ბაქოს პოლიტექ. ინ-ტი სამთო ინჟინრის სპეციალობით. 1930–47 მუშაობდა ,,აზნეფტის'' სისტემაში ინჟინერ-ტექნიკოსად, შემდეგ – ნავთობის სხვადასხვა ტრესტის მმართველად. 1941–44 ბაშკირეთში იყო ნავთობის მოპოვების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ტრესტის მმართველი. 1947-იდან მოღვაწეობს საქართველოში, 1947–53 იყო ტრესტ ,,საქნავთის'' მმართველი. ჰ-მ დიდი წვლილი შეიტანა ნავთობის მრეწველობის განვითარებაში. პირველმა შეისწავლა კასპიის ზღვის ფსკერი და აღმოაჩინა ნავთობი არტიომ-კუნძულზე (ახლანდ. ჰ. პირალაჰი). იყო ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ერთ-ერთი ორგანიზატორი. აღზარდა ნავთობის მრეწველობის მრავალი სპეციალისტი. 1951 სპეციალისტების ჯგუფთან ერთად, ,,ნავთობის ზღვიური საბადოების აღმოჩენისა და ათვისებისათვის'' მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინური პრემია. მიღებული აქვს მრავალი სახელმწ. ჯილდო.

კამო (პარტ. ფსევდონიმი; ნამდვ. სახელი და გვარი – სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანი) [15 (27). V. 1882, გორი, – 14. VII. 1922, თბილისი], რევოლუციონერი. რსდმპ-ის წევრი (1901-იდან). დაიბადა ვაჭრის ოჯახში. 1901-იდან ავრცელებდა არალეგალურ ლიტ-რას თბილისში, ბაქოში, ქუთაისში, ბათუმში, გორში და სხვ. იყო არალეგალური სტამბების დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1905 მონაწილეობდა მუშათა საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბებასა და თბილისში სამხ. ნაწილებთან შეტაკებაში. 1906 სანქტ-პეტერბურგში შეხვდა ვ. ლენინს, რ-ის დავალებით გაემგზავრა საზღვარგარეთ რუსეთში იარაღის შემოსატანად. პარტიის ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის მიზნით 1905–07 რამდენჯერმე მოახდინა ხაზინის თანხის გატაცება (,,ექსპროპრიაცია''). აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1907 წ. 13 ივნისს თბილისში გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის (ახლანდ. თავისუფლების) მოედანზე საქალაქო ბანკის ორ კარეტაზე თავდასხმა, რ-იც ისტორიაში „ტფილისური ექსპროპრიაციის“ სახელით შევიდა (გაიტაცა 250 ათ. მან.). 1907 ნოემბერში დააპატიმრეს ბერლინში. ციხეში ყოფნისას ჰ-მ თავი სულით ავადმყოფად გაასაღა, თუმცა 1909 ბოლოს მაინც გადასცეს რუსეთის პოლიციას. 1911 წ. 15 აგვისტოს ჰ-მ მეტეხის ციხის საავადმყოფოდან გაქცევა მოახერხა და ლენინის დავალებით პარიზში გაემგზავრა, საიდანაც რუსეთში პარტიული ლიტ-რის შემოტანის საქმეს ხელმძღვანელობდა. 1912 რუსეთში დაბრუნებული მალევე დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს. 1913 წლის ამნისტიით სასიკვდილო განაჩენი 20-წლიანი კატორღით შეუცვალეს. 1917 მარტში გაათავისუფლეს. 1919 თეთრგვარდიელთა ზურგში ჩამოაყალიბა პარტიზანული რაზმი, რ-იც სამხრეთის ფრონტზე იბრძოდა ა. დენიკინის წინააღმდეგ. 1920 აპრილში მონაწილეობდა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. 1920 სწავლობდა მოსკოვის სამხ. აკადემიაში. 1921 მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სისტემაში. 1922 წ. 14 ივლისს თბილისში საეჭვო ვითარებაში დაილუპა (ვერის დაღმართზე ველოსიპედით მიმავალი ავტომობილს შეეჯახა).

უ. ბლუაშვილი.

კამოევა მარია კონსტანტინეს ასული (4. XI. 1907, თბილისი, – 13. XII. 1987, იქვე), პიანისტი, კონცერტმაისტერი, პედაგოგი. ქართული კამერული სიმღერის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1960). 1929 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია, სწავლა განაგრძო მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახ. კონსერვატორიის ასპირანტურაში (პროფ. ა. გოლდენვეიზერის, გ. გინზბურგის და ნ. რაისკის ხელმძღვანელობით), შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის კამერული კლასის პედაგოგად, კონცერტმაისტერად. პარალელურად – საქართვ. რადიოკომიტეტში კონცერტმაისტერად.

ჰ. იყო მაღალი ერუდიციის მქონე მუსიკოსი, რ-მაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არაერთი მომღერლის შემოქმედებით წარმატებაში. მისი მოწაფეები იყვნენ: ზ. სოტკილავა, მ. ქასრაშვილი, ა. ხომერიკი, ჯ. მდივანი და სხვ. წლების განმავლობაში აქტიურად და წარმატებით თანამშრომლობდა ქართველ მომღერლებთან (დ. და ნ. ანდღუ-

ლაძეები, პ. და მ. ამირანაშვილები, დ. ბაღრიძე, დ. გამრეკელი, თ. მუშკუდიანი, თ. გურგენიძე, ვ. დავიდოვა-მჭედლიძე, თ. ლაფერაშვილი, ა. მიქაბერიძე, ნ. ხარაძე და სხვ.), კომპოზიტორებთან (ი. ტუსკია, შ. მშველიძე, გ. კილაძე, ა. კერესელიძე და სხვ.), გასტროლიორებთან (ზ. დოლუხანოვა, პ. ლისიციანი). იყო მრავალი ქართ. ნაწარმოების პირველი შემსრულებელი, ქართ. მუსიკის პოპულარიზატორი საქართვ. და სსრკ-ის რესპუბლიკებში. ეწეოდა აქტიურ სამეცნ. მოღვაწეობასაც. პ-მ აღნუსხა ქართ. კამერული მუსიკა (ა. მიქაბერიძესა და ნ. ბახუტაშვილთან ერთად), შეადგინა ვოკალური მუსიკის ანოტირებული ქრესტომათია, გამოსცა მეთოდური პროგრამები ყველა დონის ვოკალისტებისათვის, სახელმძღვანელოები, მ. შ. ,,კონცერტმაისტერის როლი და ამოცანები კამერულ რეპერტუარზე მუშაობისას'' (1958); ,,ქართველ კომპოზიტორთა რომანსები'' (1978–81) და სხვ. *მ. ჯაფარიძე.*

„კამპა“ (შპს), უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ერთ-ერთი წამყვანი კომპანია საქართველოში. დაარსდა 2008, ხოლო პირველი პროდუქცია გამოუშვა 2009 დეკემბერში. საწარმო მდებარეობს საგურამოში, აღჭურვილია უახლესი მანქანა-დანადგარებით. კომპანია აწარმოებს მსოფლიო სტანდარტების 20-მდე დასახელების ნატურალურ წვენსა და ნექტარს, აგრეთვე ცივ ჩაის, რ-ებიც მზადდება უმაღლესი ხარისხის ხილისა და სასარგებლო მინერალების შემცველი ნატახტრის წყლისაგან, რაც განაპირობებს პროდუქციის მაღალ ხარისხს. იგი არ შეიცავს ემულგატორებსა და კონსერვანტებს. ნედლეული, ძირითადად, შემოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (აშშ, ბრაზილია, იტალია და ჩინეთი), ნაწილობრივ გამოიყენება ადგილობრივი ხილი (ქაცვი, ასკილი). პროდუქცია ჩამოისხმება Tetra pak-ის 1- და 0,2-ლიტრიან ჭურჭელში. მისი რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე, აგრეთვე გადის საზღვარგარეთ (დუბაი, რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი).

,,კ-ს'' მიღებული აქვს ხარისხისა და სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის საერთაშ. სერტიფიკატები: ISO 9001, HACCP (2010) და ISO 22000 (2014).

ლ. აბრამიშვილი.

კამური თეთრი, ქართული ვაზის ჯიში. მიეკუთვნება გურიის ვაზთა ჯიშების ჯგუფს. ნაყოფი თეთრია, სუფრისა, ლამაზი მარცვალი და მტევანი აქვს, კარგად ინახება. ერთეული ძირების სახით გვხვდება გურიასა და იმერეთში. ჯიში დაცული იყო საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. და სას.-სამ. ინ-ტების საკოლექციო ვენახებში.

ვ. გოცირიძე.

კანანაძე ალექსანდრე გიორგის ძე (5. XI. 1916, ქ. კროპოტკინი, კრასნოდარის მხარე, რფ, – 25. X. 1999, მოსკოვი), საბჭოთა კავშირის გმირი (16. V. 1944). I რანგის კაპიტანი (1973). 1937 დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი, 1941 – შავი ზღვის უმაღლესი სამხ.-საზღვაო სასწავლებელი. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს შავი ზღვის ფლოტში მეთაურობდა სატორპედო კატერების I ბრიგადას. სევასტოპოლის განთავისუფლების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება. ომის შემდგომ კვლავ სამხ. სამსახური განაგრძო. ცხოვრობდა და მუშაობდა მოსკოვში სხვადასხვა თანამდებობაზე. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

კანატია, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღაროსკარის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), გუდამაყრის ქედის აღმ. კალთაზე, ფშავის არაგვის ხეობაში. ზ. დ. 1400 *მ*, დუშეთიდან 32 *კმ*. 18 მცხ. (2014).

სოფლის მიდამოებში, მდ. ფშავის არაგვის მარჯვ. ნაპირზე, კუდოს მთაზე, მდებარეობს VIII–IX სს. წმ. გიორგის ეკლესია, ხოლო გუდამაყრის ქედის აღმ. კალთაზე – ჭალის ეკლესია, რ-იც შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.

კანაფი (Cannabis), ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარის გვარი კანაფისებრთა ოჯახისა. ცნობილია ჩვეულებრივი კ. (C. sativa), ინდური კ. (C. indica), ველური კ. (C. ruderalis) და ამერიკული კ. (C. Americana). ჩვეულებრივი კ. ორსახლიანია (მამრობითი და მდედრობითი), ღერო სწორია (0,5–4 *მ* სიმაღლის), ფესვი – მთავარღერძიანი, ფოთოლი – დანაკვთული, მწვანე. მამრობითი კ-ის ყვავილები საგველა ყვავილედია, მდედრობითი კ-ისა – თავაკისებრი. ნაყოფი ერთთესლიანი კაკლუჭაა. კ. იზრდება ჭარბტენიან ნიადაგზე. მოჰყავთ ბოჭკოს მისაღებად. მამრობითი კ-ისგან და ტექ. სიმწიფის პერიოდის მდედრობითი კ-ისგან იღებენ ბოჭკოს (ქერელს), რ-ისგანაც ამზადებენ ქსოვილს. კ-ის სამშობლოა ცენტრ. აზია, მოჰყავთ მრავალ ქვეყანაში: რუსეთის ცენტრ. შავმიწა ზონაში, სამხრ. უკრაინაში, ბელარუსში, ვოლგისპირეთში, ჩრდ. კავკასიასა და დას. ციმბირში. საქართველოში ბუნებრივად გვხვდება ჩვეულებრივი და ველური კ. მისგან წნავდნენ თოკს, ქსოვდნენ ტილოს, ამზადებდნენ ზეთს, იყენებდნენ სანელებლად, განსაკუთრებით სვანეთში.

ჩვეულებრივი, ინდური და ამერიკული კ-ის ფოთლების, ყვავილღოვანი და მსხმოიარე ყლორტებისაგან მიიღება ნარკოტიკული ნივთიერება კანაბისი.

კანგარი, ისტორიული ქვემო ქართლის (გოგარენეს) უკიდურესი სამხრეთი მხარე. მოიცავდა მდ. დებედის (ქურდვაჭრისხევის) სათავეებში მდებარე ტერიტორიას (ახლანდ. სომხ. რესპ.). კ-ის უძველესი ცენტრი უნდა ყოფილიყო დაბა გოგარანი (ახლანდ. გუგარქი). V ს. 80-იან წლებში, სპარსელებთან ერთობლივი ბრძოლის წინ, მეფე ვახტანგ გორგასალი ქართლის ლაშქრით აქ შეხვდა მსხვილ სომეხ ნახარარს (ფეოდალს) – ვაჰან მამიკონიანს.

დ. მუსხელიშვილი.

კანდელაკი, იხ. სტ. *მწათე.*

კანდელაკი ალექსანდრე ეპიფანეს ძე [17(29). IV. 1885, ქუთაისი, – 14. VII. 1966, თბილისი], თერაპევტი. საქართვ. დამს. ექიმი (1946). საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

1912, მოსკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სანქტ-პეტერბურგის ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკის ორდინატორად. I მსოფლიო ომის დროს გაჰყვა წითელი ჯვრის ჰოსპიტლის შემადგენლობას ფრონტის განაპირა ქალაქებში. იყო მოსკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის თანამშრომელი (1916–19), ქ. თბილისის რკინიგზის სამედ. სამსახურის მთ. ექიმი (1919–20), ქალაქის I საავადმყოფოს თერაპიული განყ-ბის გამგე (1921–66).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: გამცემლიძე მ., ლაბაძე რ., ალექსანდრე კანდელაკი, თბ., 1972.

კანდელაკი ალექსანდრე (სანდრო) იოსების ძე (6. X. 1893,



სავაჭრო ნიშანი.


კამური თეთრი.


კანაფი.



ა. (სანდრო) კანდელაკი.



ა. (სანდრო) კანდელაკის ბიუსტი. 1976. მცხეთა.

ნიჩბისი, ახლანდ. მცხეთის მუნიციპალიტეტი, – 21. X. 1959, მცხეთა), ფალავანი. გამოირჩეოდა განსაკუთრებული ფიზიკური ძალით. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. დემობილიზაციის შემდეგ მცხეთაში მუშაობდა რკინიგზაზე, პერიოდულად ჩამოდიოდა თბილისში და ცირკში გამართულ ჭიდაობაში იღებდა მონაწილეობას. დაახლ. ორი მეტრი სიმაღლის და 170 კგ წონის ფალავანს ხალხმა „ქართველი გოლიათი“ უწოდა. რეგულარული ჭიდაობა 1921-იდან დაიწყო თბილისის ესიკოვსკის ცირკში. ჰ-ს ბევრი ცნობილი მოჭიდავე ჰყავს დამარცხებული, მ. შ. თ. კოჟემიაკინი, ი. ზაიკინი, პ. ზაგორუიკო, გ. ლურიხი. აღსანიშნავია ჰ-ისა და ი. პოდდუბნის შერკინება. ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ბაქოში (1923). ერთი შერკინება ფრედ დამთავრდა, ხოლო მეორე შეხვედრაში ჰ-მა გაიმარჯვა. 1921–30 ჰ. უფრო კლასიკურ ჭიდაობას მისდევდა; მას კლასიკური ჭიდაობის ილეთები საგანგებოდ არ ჰქონდა შესწავლილი, თუმცა განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემების წყალობით მაინც იმარჯვებდა. გადაღებულია ქართულ ფილმებში: „ხანუმა“ (1926), „ჯანყი გურიაში“ (1928), „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (1933), „ქაჯეთი“ (1936), „მეგობრობა“ (1940), „ქაჯანა“ (1941). დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით. 1976 მცხეთაში გაიხსნა ჰ-ის ძეგლი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი).

კანდელაკი ანდრო ვალერიანის ძე (15.III. 1916, პეტროგრადი, – 21.VI. 1988, თბილისი), მხატვარი, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1965). დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინრების ინ-ტი (1946). ცნობილია როგორც კარიკატურისტი. 1952–88 თანამშრომლობდა ჟურნალ „ნიანგთან“ და შექმნა მძაფრი სატირითა და ლაღი იუმორით გამსჭვალული კარიკატურების სერიები, რ-ებიც ზუსტად და ლაკონურად ასახავდა კონკრეტულ მოვლენასა თუ სიტუაციას. ავტორია პორტრეტებისა, რ-ებიც გამოირჩევა პიროვნების გარეგნული ნიშან-თვისებების ხაზგასმით.



ა. ვ. კანდელაკი. „ტელეფონი“.

კანდელაკი ბიძინა სიმონის ძე [7 (20). III. 1902, ქუთაისი, – 22. V. 1970, თბილისი], ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1930), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). მის სახელს უკავშირდება საქართველოში პირველი მეცნ. კვლევები კოლოიდურ ქიმიაში. თსუ-ის დამთავრების შემდეგ (1927), პ. *მელიქიშვილის* რეკომენდაციით, ჰ. გაიგზავნა გერმანიაში, სადაც ექსტერნად დაამთავრა გეტინგენის უნ-ტი; გუსტავ ტამანის (გერმანია) ლაბორატორიაში შესრულებული გამოკვლევების საფუძველზე 1929 დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფილოს. დოქტორის ხარისხი. ჰ-ის დისერტაციას მაღალი შეფასება მისცა კოლოიდური ქიმიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა (1925) რიჰად ზიგმონდმა, რ-მაც იგი სამუშაოდ მიიწვია (1929–31) თავის ლაბორატორიაში. იქ ჰ. იკვლევდა ე. წ. უკულაბვის თვისებების მქონე კოლოიდურ სისტემებს მუდმივ ტემპ-რაზე.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1935-იდან გარდაცვალებამდე, ჰ. ხელმძღვანელობდა სპი-ის ფიზ. და კოლოიდური ქიმიის კათედრას. 1936–39 იყო პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინ-ტის დირექტორი, ამასთან აგრძელებდა მუშაობას კოლოიდური ქიმიის მნიშვნელოვან საკითხებზე. მაღალი სანდოობის ექსპერ. მასალის განზოგადებამ ჰ-ს საშუალება მისცა სრულფასოვნად განეხილა მრავალფაზიანი სისტემები, რითაც დაადგინა კოლოიდებში მიმდინარე პროცესების მექანიზმი, განამტკიცა მოსაზრებები მათი მიკროჰეტეროგენული სტრუქტურის შესახებ. მისი მეცნ. მოღვაწეობა ასევე დაკავშირებულია ტიქსოტროპული სტრუქტურის თვისებების კვლევასთან. დაადგინა ტიქსოტროპული მოვლენის (კოლოიდური სისტემების გალაბვის იზოთერმული შექცევადი პროცესი) კავშირი კოლოიდური ნაწილაკების მუხტთან, აჩვენა ელექტრული პოტენციალის გავლენა დალაბვის პროცესზე, შექმნა ლაბების ორიგინ. კლასიფიკაცია.

ჰ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იკვლევდა პრაქტ. მნიშვნელობის მთელ რიგ საკითხებს: შავი ჩაის ბიოქიმიას, ბალბის (ჰერანის) ზეთის ხარისხის გაუმჯობესების მეთოდებს და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კანდელაკი გაიოზ ვახტანგის ძე (დ. 27. VI. 1945, თბილისი), მუსიკალურ ღონისძიებათა ორგანიზატორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1982). 1976 დაამთავრა მოსკოვის კულტ. მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ინ-ტი. 1971–74 იყო თავისივე დაარსებული საქართვ. ახალგაზრდული შემოქმედებითი კლუბის პრეზიდენტი, 1974–77 – თბილ. თეატრ „მეტეხის“ დირექტორი, 1977–84 – საერთაშ. ჯაზ/როკ ფესტივალის დამაარსებელი და ორგანიზატორი საქართველოში, საქართვ. ფილარმონიის დირექტორი, 1978 – თბილისში ჩატარებული პირველი ჯაზ-ფესტივალის ორგანიზატორი, 1977–82 – ჯაზ-ვოკალის საერთაშ. ფესტივალის ჟიურის წევრი (ზამოჟჩი, პოლონეთი), 1982–87 – სსრკ-ის გრამფირფიტების ფირმა „მელოდიის“ თბილ. სტუდიის დირექტორი, 1996 – თბილისის მერიის ორკესტრის, „ბიგ-ბენდის“ დამაარსებელი და მთ. კონსულტანტი, 2006 – რადიო „სინდიკატის“ თანადამფუძნებელი, 1987–2006 – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის გენ. დირექტორი, პარალელურად – მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მთ. კონსულტანტი. 1997 იყო მ. თუმანიშვილის სახ. ხელოვნების საერთაშ. ფესტივალ „საჩუქრის“ იდეის ერთ-ერთი ავტორი და ხელმძღვანელი; კომპანია „ისტერპრომოუშენის“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1997).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998, 2005). მიღებული აქვს საქართვ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო – „ხელოვნების ქურუმი“ (2015). თბილისის საპატიო მოქალაქე (2018).

კანდელაკი გელა ირაკლის ძე (დ. 2. V. 1940, თბილისი), კინორეჟისორი. 1958–61 სწავლობდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტზე (მ. თუმანიშვილის სახელოსნო). 1965 დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტი დოკუმენტური კინოს რეჟისორის სპეციალობით (ი. კოპალიანის სახელოსნო). 1963-იდან მუშაობდა საქართვ. ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების სტუდიაში. გადაიღო დოკუმენტური ფილმები: „დღეს“ (1965), „გრძელი ღიღინი“ (1966) და სხვ. 1969-იდან მუშაობდა სა-



გ. ი. კანდელაკი. კადრი ფილმიდან ,,იყო შაშვი მგალობელი‘‘.

ქართვ. ტელეფილმების სტუდიაში. აქ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს შორის აღსანიშნავია: ,,ფეხბურთი უბურთოდ‘‘ [ლ. სიხარულიძესთან ერთად, 1969; ერევნის, რიგის, კიევის საკავშ. კინოფესტივალებისა და კორტინა დ’ამპეცოს (იტალია) საერთაშ. კინოფესტივალის პრიზები, 1970], ,,ბავშვთა ნახატების გამოფენა‘‘ (1975), ,,იმერეთი‘‘ (1976), ,,ძველი კოლხეთის ქალაქი‘‘ (1984), ,,ვარძია‘‘ (1986) და სხვ. მთავარი როლი (გია აღლაძე) შეასრულა ფილმში ,,იყო შაშვი მგალობელი‘‘ (რეჟ. ო. იოსელიანი, 1970). გადაიღო მხატვრული ფილმი ,,უბედურება‘‘ (დ. კლდიაშვილის პიესის მიხედვით, 1979), დოკუმენტური ფილმი საქართველოზე ,,ხმელეთის 0,047%‘‘ [2007, მთ. პრიზი ,,ბრინჯაოს ტოტების კონა‘‘ კულტურათშორის საერთაშ. კინოფესტივალზე (ლემპო, საფრანგეთი), 2010]. 1979–89 ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის კინოფაკ-ტის ანიმაციური ფილმების სახელოსნოს (თ. გომელაურთან ერთად). არის დამოუკიდებელი სტუდია ,,კვალი XXI-ის‘‘ და მასთან არსებული ჩრდილების თეატრ ,,ბუდრუგანას‘‘ სამხატვრო ხელმძღვანელი. *მ. კერესელიძე.*

კანდელაკი გიორგი თარაშის ძე (დ. 10. IV. 1974, სოფ. ვარიანი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი, მოკრივე. მსოფლიო ჩემპიონი ზემძიმე წონაში (ბუდაპეშტი, 1997), ევროპის ჩემპიონი (1993), მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი (1993); მსოფლიო ჩემპიონი კრივში იუნიორთა შორის (1992); მსოფლიო თასის II პრიზიორი (1994); პროფესიონალი მოკრივე (1997-იდან). ჩაატარა 24 შეხვედრა, მოიგო 24-ვე, მ. შ. 18 ნოკაუტით. მსოფლიო ჩემპიონი WBU (World boxing union) ვერსიით (2002–04). საქართვ. წლის საუკეთესო სპორტსმენი (1997). დაამთავრა გორის პედ. ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი (1997). სპორტულ კლუბ ,,ჩემპიონის‘‘ დამფუძნებელი (1999). საქართვ. პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტი (2002). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

კანდელაკი დავით ერმალოზის ძე (3.II. 1903, ქუთაისი, – 25. VI. 1960, თბილისი), კინოოპერატორი, კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1942). სწავლობდა თბილ. სამხედრო სკოლაში (1921–27), მუშაობდა ლენინგრ. ფაბრიკაში ,,სოვკინო‘‘ ოპერატორის ასისტენტად, პარალელურად სწავლობდა კინოინ-ტში საოპერატორო ფაკ-ტზე. 1932–34 იყო კინოსტუდია ,,აზერკინოს‘‘ (ბაქო) ოპერატორი, 1934-იდან – თბილისის კინოსტუდიის დამდგმელი ოპერატორი. გადაიღო მხატვრული ფილმები: ,,არშაულა‘‘ (შ. აფაქიძესთან და ვ. პოლიკევიჩთან ერთად, რეჟ. დ. რონდელი, 1936), ,,ფრთოსანი მღებავი‘‘ (რეჟ. ლ. ესაკია, 1936), ,,ბედნიერი შეხვედრა‘‘ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1949), ,,ქალიშვილი ხიდობნიდან‘‘ (რეჟ. დ. ანთაძე, 1940), ,,გაზაფხული საკენში‘‘ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1951), ,,ბაშა-აჩუკი‘‘ (რეჟ. ლ. ესაკია, 1955),



დ. ე. კანდელაკი. კადრი ფილმიდან ,,ბაშა-აჩუკი‘‘.

,,ოთარაანთ ქვრივი‘‘ (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1958), აგრეთვე რამდენიმე დოკუმენტური ფილმი. საკუთარი სცენარით როგორც რეჟისორმა გადაიღო მხატვრული ფილმი ,,ორი ოჯახი‘‘ (1959). არის ავტორი წიგნებისა ფოტოგრაფიის და საოპერატორო ხელოვნების შესახებ: ,,ფოტოხელოვნება‘‘ (1955), ,,კინოხელოვნება‘‘ (1957) და სხვ. პ-მა დიდი წვლილი შეიტანა კინოსაოპერატორო საქმის განვითარებაში. *მ. კერესელიძე.*

კანდელაკი დავით ვლადიმერის ძე (1895, ყოფ. სოფ. კულაში, ქუთაისის მაზრა, ახლანდ. დაბა კულაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 29. VII. 1938, მოსკოვი), ეკონომისტი, დიპლომატი და მეცნიერი. სპი-ის პირველი დირექტორი (1928–30). საუნივერსიტეტო განათლება მიიღო გერმანიაში. 1921 საქართველოში დაინიშნა განათლების სახალხო კომისრად. 1928 სათავეში ჩაუდგა სპი-ს. ხელმძღვანელობდა ახ. კადრების ჩამოყალიბებას, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას; უშუალოდ მის სახელთანაა დაკავშირებული სახელმწ. სამეცნ. საბჭოს პედ. სექციების შემოქმედებითი მუშაობა, ქართ. ენაზე საშ. და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების შექმნა და სხვ. 1930 პ. სამუშაოდ მოსკოვში გადაიყვანეს – იყო სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე. 1934 მიავლინეს შვედეთში სსრკ-ის სავაჭრო წარმომადგენლად, 1935–37 – გერმანიაში იმავე თანამდებობაზე. ასრულებდა ი. სტალინის პირად დავალებებს გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში სსრკ-ისთვის სამხედრო და სტრატეგიული მასალების მიწოდების თაობაზე (ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც ,,კანდელაკის მისიას‘‘). 1937 დაბრუნდა მოსკოვში. იმავე წელს დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. ემსხვერპლა პოლიტ. რეპრესიებს.

ლიტ.: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (1922–2012), თბ., 2012; Абрамов Н. А., Особая миссия Давида Канделаки, «Вопросы истории», 1991, №4–5. *ი. ლომიძე.*

კანდელაკი ევგრაფ იაკინთეს ძე (28. VIII. 1917, სოფ. ნიკორწმინდა, რაჭის მაზრა, ქუთაისის გუბერნია, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 17. V. 2013, თბილისი), ინჟინერ-ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1969). 1950 დაამთავრა თსუ-ის მრეწვ. ეკონომიკის ფაკ-ტი. 1952–60 მუშაობდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში პოლიტეკონომიის კათედრაზე; 1960-იდან სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა სამეცნ. და პედ. მოღვაწეობას სპი-ში (ამჟამად – სტუ), იყო პოლიტეკონომიის (შემდგომში – ეკონ. თეორიისა და მარკეტინგის) კათედრის დოცენტი, პროფესორი, კონსულტანტი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45).

პ. მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და ორი გამოგონების ავტორია. მისი შრომები ეხება მინერ. ნედლეულის ეკონომიკის, უმაღლესი განათლების ორგანიზაციის, საერთაშ. ეკონ. ურთიერთობების, საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებისა და სხვა პრობლემებს. განსაკუთრებით აღსანიშ-




გ. თ. კანდელაკი.



დ. ე. კანდელაკი.



ვ. ა. კანდელაკი.



ვ. ლ. კანდელაკი.

ნავია მისი მოღვაწეობა მეტალურგიის დარგში. ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა შავი მეტალურგიის ეკონომიკურ პრობლემებს საქართველოში. მან ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა ზესტაფონის ფეროშენადნობების წარმოების ეკონომიკა. მისი მონაწილეობით შემუშავებულია და დანერგილია ადგილ. ქალცედონების გამოყენებით ფეროშენადნობების მიღების ახ. ტექნოლოგია.

მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები და ღირსების ორდენი (2000).

თხზ.: შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი უმაღლეს სკოლაში, თბ., 1971; ჩინეთის ფენომენი და თანამედროვეობა, თბ., 1997; Экономические проблемы черной металлургии Грузинской ССР, т. 1–2, Тб., 1968–69.

კანდელაკი ელეონორა (ნელი) ნიკოლოზის ასული (21. I. 1929, თბილისი, – 27. XII. 2004, იქვე), მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი (1971). სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკ-ტზე (1952–58; პედაგოგები – კ. სანაძე, ა. ქუთათელაძე, ვ. შუხაევი). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. იყო აკადემიის მოსამზადებელი კურსების დირექტორი (1979–2001). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1962-იდან. ნამუშევრები: პორტრეტები – ,,ნიკოლოზ კანდელაკი'' (1958), ,,ირაკლი აბაშიძე'', ,,გიორგი ლეონიძე'', ,,იოსებ გრიშაშვილი'', ,,ლეო ქიაჩელი'' (ყველა 1959), ,,ფრიდონ ხალვაში'', ,,პარმენ ლორია'' (ორივე 1960), ,,გენერალი აბრამიძე'' (1965), ,,ერნესტ ჰემინგუეის სახლი კუბაზე'' (1967), ,,გალაკტიონ ტაბიძე'' (1971), ,,თამარ თეთრაძე'' (1976), ,,ყირიმი'' (1981) და სხვ. გამოფენები: ,,კუბა მხატვრის თვალით'' (1968, თბილისი), ,,საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება'' (1987, მოსკოვი); პერსონალური – თბილისი (1977, 1996) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში, კუბის, რუსეთის, საფრანგეთის, სომხეთისა და სხვა კერძო კოლექციებში.

კანდელაკი ვალერიან ანტონის ძე [22.VIII (3.IX). 1881, სოფ. გამოჩინებული, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 4. III. 1944, თბილისი], მეღვინე. შექმნა სუფრის სამარკო ღვინოები: ,,*მანავის მწვანე*'', ,,ყვარელი №50''; შემაგრებული ღვინოები: ,,სალხინო'', ,,*კარდანახი*'', ,,საამო'', ,,ანაგა'' და სხვ. პ-მა პირველმა დაამზადა კაჰორის ტიპის ღვინო საფერავის ყურძნისაგან; დანერგა პასტერიზებული ყურძნის წვენის წარმოება; არის ვაზის ჯიშის –,,ხიხვის'' აღდგენის ინიციატორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კანდელაკი ვალერიან ლაზარეს ძე (19. VII. 1918, სოფ. სუფსა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 22. IV. 1983, თბილისი), დრამატურგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961), თბილისის საპატიო მოქალაქე (1982). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი (1940). მისი პირველი პიესა ,,ბაბუა თევდორე'' 1944 დაიდგა, პირველი წიგნი ,,ამაღლებული სოფელი'' 1952 გამოქვეყნდა. XX ს. 50-იანი წლებიდან იდგმებოდა პ-ის პიესები: ,,სარეველა'' (1953), ,,მაია წყნეთელი'' (1955, 1956), ,,ქართლის ჩირაღდნები'' (1960), ,,ნაკრძალში'' (1966), ,,დრო – 24 საათი'' (1970), ,,გრძელი დღე'' (1974), ,,აიეტი'' (1975) და სხვ. ავტორია კინოსცენარისა ,,მაია წყნეთელი'' (1959), სატელევიზიო პიესებისა ,,მოლოდინი'' (1967) და ,,იხატებოდა სურათი'' (1968).

თხზ.: სამი პიესა, თბ., 1966; დონ კიხოტი საქართველოში. აეტი, თბ., 1975.

კანდელაკი ვლადიმერ არკადის ძე [16(29). III. 1908, თბილისი, – 10. III. 1994, მოსკოვი], მომღერალი (ბანი-ბარიტონი) და რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1970), სტალინური პრემიის ლაურეატი (1952). 1928 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (ე. *ვრონსკის* კლასი), 1933 – მოსკოვის თეატრ. ხელოვნების სახელმწ. ინ-ტის სარეჟ. ფაკ-ტი (პედაგოგები – მ. ვლადიმიროვა და ბ. მორდვინოვი). 1929-იდან იყო კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. მუს. თეატრის სოლისტი, პარალელურად (1954–64) – მოსკოვის ოპერეტის თეატრის მსახიობი და მთ. რეჟისორი. პ-მა შექმნა კომედიური და დრამ. სახეები: სტეფანი (ი. შტრაუსის ,,ბოშათა ბარონი''), საქო (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე''), სულთანბეგი (უ. ჰაჯიბეკოვის ,,არშინ-მალ-ალან''), ტარასი (დ. კაბალევსკის ,,ტარასის ოჯახი''), სალიერი (ნ. რიმსკი-კორსაკოვის ,,მოცარტი და სალიერი'') და სხვ. 1943 თბილისში მისი რეჟისორობით დაიდგა ჟ. ოფენბახის ,,პერიკოლა'' (ოპერისა და ბალეტის თეატრი), ხოლო 1950 მოსკოვში – ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'' (ნ. კემარსკაიასთან ერთად) და სხვ.

კანდელაკი ზურაბ კონსტანტინეს ძე (დ. 25. II. 1941, თბილისი), რეჟისორი, მწერალი. 1965 დაამთავრა თბილ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. 1965–67 იყო სოხუმის დრამ. თეატრის დამდგმელი რეჟისორი, 1967–73 – ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის რეჟისორი, 1973-იდან რადიოთეატრის მთ. რეჟისორია. დადგმული აქვს 500-მდე რადიოსპექტაკლი, მ. შ. კ. გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცება'' (1968), ლ. ტოლსტოის ,,ომი და მშვიდობა'' (1981), რ. გაბრიაძის ,,მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი'' (1982), ნ. დუმბაძის ,,მზიანი ღამე'' (1984), გ. დოჩანაშვილის ,,სამოსელი პირველი'' (2001), ე. მ. რემარკის ,,ტრიუმფალური თაღი'' (2006), ,,ნასესხები სიცოცხლე'' (2009), მაქს ფრიშის ,,ჰომო ფაბერი'' (2016) და სხვ. რეჟისორია ტელესპექტაკლებისა: რ. ოტკალენ-



ე. კანდელაკი. ,,ერნესტ ჰემინგუეის სახლი კუბაზე''. 1967.

კოს ,,გამარჯობა, ჩვენო მამებო‘‘ (გადმოქართულებული ჯ. ნინუას მიერ, 1971), ვ. სპივაკის ,,ეს არ უნდა მომხდარიყო‘‘ (გადმოქართულებული თ. გოდერძიშვილის მიერ, 1973), ვ. შუკშინის ,,ენერგიული ადამიანები‘‘ (1976), გ. დოჩანაშვილის ,,კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა‘‘ (1978), ,,ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება‘‘ (1979) და სხვ. განახორციელა რადიოდადგმები ბუდაპეშტში, ტალინში, ვარშავაში, მოსკოვში, მინსკში, აგრეთვე დადგა სპექტაკლები საქართველოს სხვადასხვა თეატრში. მისი რადიოპიესები – ,,რეპეტიცია‘‘, ,,კურდღლები‘‘, ,,დაუმთავრებელი პიესა‘‘, ,,მელოდრამის ჩვეულებრივი ხიბლი‘‘ – სხვადასხვა დროს დაიდგა გერმანიაში, სლოვენიაში, სლოვაკეთში, სერბეთში, პოლონეთში. ჰ-მ შეადგინა რადიოპიესების ორი კრებული, გამოსცა მოთხრობების (,,უფალო, გამიყვანე დერეფნის ბოლოს‘‘, 1992) და პიესების (,,სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო‘‘, 2012) კრებულები; რომანი ,,უძრავი ქარი‘‘ (2014). მიღებული აქვს რადიოდადგმების პირველი საკავშირო ფესტივალის (1990) და საერთაშ. ფესტივალ ,,ოსტანკინოს პრიზის‘‘ (1994) გრან-პრი; არის დსთ-ის, ბალტიისპირეთის ქვეყნების ფესტივალებისა (1992) და ბერლინის რადიოფესტივალის (,,Prix Europe‘‘) ჟიურის სპეც. პრიზის მფლობელი (2005). დაჯილდოებულია ჟურნალისტთა საერთაშ. ფონდის პრიზით ,,ოქროს ფრთა‘‘ (2013). საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990–92). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1995). *თ. კახიანი.*

კანდელაკი თეიმურაზ ელიზბარის ძე (დ. 19. VIII. 1941, თბილისი), სატყეო მეურნეობის ინჟინერი, ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1988), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (2011). საქართვ. დამს. მეტყევე (2001), საქართვ. მეტყევეთა ასოციაციის პრეზიდენტი (2010). ადგილ. მერქნის შემცვლელი ნედლეულის სამრეწვ. გამოყენების ერთ-ერთი მკვლევარი. დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სატყეო-სამ. ფაკტი (1964). 1965-იდან მუშაობს საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში, იყო სამეცნ.-კვლ. სექტორის უფროსი (1974–83), სატყეო ეკონომიკის, ტაქსაციისა და ხეტყის დამზადების კათედრის გამგე (1983–2006), რეორგანიზაციის შემდეგ – მეტყევეობის, ლანდშაფტური დაგეგმარებისა და სატყეო მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსი (2006–07), საქართვ. აგრ. უნ-ტის სატყეო დეპარტამენტის უფროსი (2007–11), 2011-იდან ამავე დეპარტამენტის სრული პროფესორია. 1997–2001 იყო საქართვ. სატყეო მეურნეობის სახელმწ. დეპარტამენტის თავ-რის მოადგილე. არის საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის საქართვ. მთიანეთის პრობლემების კომპლ. შესწავლის კომისიის წევრი (2011-იდან), საქართვ. პარლამენტის გარემოს დაცვისა და რესურსების კომიტეტის სამეცნ.-საკონსულტაციო საბჭოს წევრი (2013-იდან), რამდენიმე საერთაშ. ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

ჰ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორია, მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების. გამოქვეყნებული აქვს შრომები სსრკ-სა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. მისი სამეცნ. შრომები ეხება ტყის რესურსების გამოყენების, სატყეო სექტორის ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგისა და მერქნის შემცვლელი ნედლეულის სამრეწვ. ათვისების პრობლემებს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: საქართველოს მერქნული ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი და მისი ეფექტიანი გამოყენება, თბ., 2010; სატყეო მარკეტინგი (სახელმძღვანელო), თბ., 2010; Проблемы промышленного освоения местных ресурсов – заменителей древесного сырья, Тб., 1985; Forest Resources of Europe, CIS, North America, Australia, Japan and New Zealand. – UN-ECE/FAO Contribution to the Global Forest Resources Assessment 2000. Main Report, N. Y. – Geneva, 2000.

ლ. აბრამიშვილი.

კანდელაკი თეიმურაზ შალვას ძე (25. II. 1928, თბილისი, – 21. XII. 2003, იქვე), არქიტექტორი. არქიტექტურის კანდიდატი (1967). საქართველოს დამს. არქიტექტორი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1952). სხვადასხვა დროს მუშაობდა ,,თბილქალაქპროექტში‘‘, ,,საქქალაქმშენსახპროექტში‘‘, ,,სოიუზგიპროტორგში‘‘ (მოსკოვი). იყო საქართვ. კულტურის სამინისტროს სახვ. ხელოვნ. და ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი (1964–73). 1959-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა სპი-ში (1991-იდან სტუ), ხოლო 1985–2003 – თბილ. სამხატვრო აკადემიაში (დოცენტი 1974-იდან). ნამუშევრები: განთიადის ბაზილიკის (VI ს.) რესტავრაციის პროექტი (გაგრის



თ. შ. კანდელაკი. საცხოვრებელი სახლი. 1955. თბილისი.

მუნიციპალიტეტი; 1952, არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად), საცხოვრ. სახლები თბილისში: დავითაშვილის (ახლანდ. ამაღლების ქ., №35, 1955), მცხეთის ქ., №2 (1962, არქიტ. რ. ბაირამაშვილთან და არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად), ცაგერის ქ., №4 (1973), ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში (1967, მოქანდაკე ე. ამაშუკელთან და არქიტ. დ. მორბედაძესთან ერთად), ერეკლე II-ის ძეგლი თელავში (1971, მოქანდაკე მ. მერაბიშვილი) და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. შრომები. მონაწილეობას ღებულობდა ქართ. ხუროთმოძღვრული ძეგლების აზომვაში – აწყურის ციხე (1949), რუისისა (1951) და ბაგრატის ტაძრები (1953–54) და სხვ.

ლიტ.: ნახუცრიშვილი კ., თეიმურაზ კანდელაკი. არქიტექტორი, თბ., 2003. *თ. გერსამია.*



თ. ე. კანდელაკი.

კანდელაკი თეოფილე იოსების ძე [3 (15). III. 1855, სამტრედია, – 17. X. 1931, გორი], პედაგოგი, პუბლიცისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა I გიმნაზია (1873) და პედ. სასწავლებელი (1878). 1878–80 მუშაობდა ქუთაისის სას. სემინარიაში. 1880-იდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გორში. 1898-იდან აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის მუშაობაში. 1922 დაბა მეჯვრისხევში დააარსა მუშათა სკოლა, რ-საც ხელმძღვანელობდა 1930-მდე. ჰ. ავტორია საყმაწვილო ლექსებისა; იბეჭდებოდა ჟურნ. ,,ნაკადულსა‘‘ და ,,ჯეჯილში‘‘.

თ. ალიბეგაშვილი.

კანდელაკი ირაკლი ისაკის ძე (27. IX. 1901, თელავი, – 22. VII. 1970, თბილისი), კინორეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1965).


ი. კანდელაკი.


კ. კანდელაკი.

1932 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია ვოკალის განხრით. 1932–36 მუშაობდა საქართვ. ,,სახკინმრეწვში'' რეჟისორის თანაშემწედ. 1937–70 იყო ,,თბილისის კინოსტუდიის'' ქრონიკის სექტორისა და საქართვ. ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების სტუდიის წამყვანი რეჟისორი. გადაიღო საქართვ. საზ.-პოლიტ. და კულტ. ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა ამსახველი 200-ზე მეტი სიუჟეტი, 100-ზე მეტი დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმი, მ.შ. აღსანიშნავია: ,,აფხაზეთში'' (1938), ,,თბილისი'' (1939), ,,ბედნიერი თაობა'' (1940), ,,შემოდგომა კახეთში'', ,,აყვავებული აფხაზეთი'' (ორივე – 1941), ,,ამიერკავკასიის ხალხთა ფიცი'' (შ. ჩაგუნავასთან ერთად), ,,კავკასიის დასაცავად'' (ორივე – 1942), ,,ჰიტლერული ავანტიურის დასასრული კავკასიაში'', ,,საბჭოთა ჯარების დარტყმა ორჯონიკიძის მისადგომებთან'' (ორივე – 1943), ,,ქართველები ირაწში. ფერეიდანი'' (1944), ,,საინგილო'' (1945), ,,საუკუნის მეოთხედი'' (1946), ,,შემოდგომა საქართველოში'' (1947), ,,ოსეთის სამხედრო გზა'' (1949), ,,საბჭოთა შამპანური'' (1950), ,,სამხრეთ ოსეთი'', ,,სამგორი'' (ორივე – 1951), ,,ამბავი სოფელ ნატანებისა'' (1954), ,,მზიურ მხარეში'' (ფილმი კონცერტი, 1957), ,,უძველესი ქალაქის გაზაფხული'', ,,ქალაქი ზეიმობს'' (ორივე 1958), ,,მტკვრის კვალდაკვალ'' (1959), ,,წლის დრონი საქართველოში'' (1959), ,,საქართველოს სამხედრო გზაზე'' (1960), ,,ქართული ფუტკარი'' (დიდი პრიზი ,,ბროლის გლობუსი'', მეფუტკრეობისადმი მიძღვნილი ფილმების საერთაშ. კინოფესტივალი, პრაღა), ,,სამგორის მიწაზე'', ,,სიონის კაშხალი'', ,,ორი ძეგლი'' (ყველა – 1962), ,,ჩაძირული ქალაქის საუნჯენი. დიოსკურია'' (1963), ,,იზმირის საერთაშორისო ბაზრობა'', ,,მოგზაურობა წარსულში'', ,,მოთხრობა კალმახზე'' (სამივე – 1965), ,,საქართველოს მაღალმთიანი ტბები'' (1966), ,,თბილისი და ყვავილები'' (1967), ,,სხივური წყალსაცები'', ,,თეირანის შთაბეჭდილებანი'' (ორივე – 1968), ,,ისპაჰანი, შირაზი, პერსეპოლისი'', ,,სურნელოვანი პლანტაციები'' (ორივე – 1969) და სხვ.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. *მ. კერესელიძე.*

კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე [14. V. 1883, სამტრედია, – 11. X. 1958, ლოზანა (შვეიცარია), დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე (საფრანგეთი)], ეკონომისტ-ფინანსისტი. ქართული პოლიტ. ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართვ. დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. მოწერილი აქვს ხელი ,,საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე''. XIX ს. 90-იან წლებში სწავლობდა ქუთაისის სემინარიაში. დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი კომერციული სასწავლებელი.

1909 პ-მა თბილისში გამოაქვეყნა პირველი წიგნი – „კოოპერაცია. თეორია, ისტორია და პრაქტიკა"; 1914 გამოიცა მისი მეორე წიგნი – ,,ანგარიშთა და საქმეთა წარმოება წვრილ კრედიტის საკოოპერაციო დაწესებულებაში''. პ-ის სახელს უკავშირდება ქართული ფულის ერთეულის გამოშვება.

1921 მარტში პ-მა დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით ეროვნ. მთავრობის სხვა წევრებთან ერთად საფრანგეთს შეაფარა თავი, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა სამეცნ. და პოლიტ. მოღვაწეობას. იგი იყო საქართვ. პირველი მთავრობის არქივის შემნახველი სამთავრობო კომისიის წევრი, რადიო ,,თავისუფლების'' ერთ-ერთი პირველი დიქტორი.

1935 პარიზში დაიბეჭდა პ-ის ფუნდამენტური მონოგრაფიის, ,,საქართველოს ეროვნული მეურნეობის'' I ტომი, სადაც რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად განხილულია საქართვ. ბუნებრივი პირობები; მოცემულია ბუნებრივი კომპლექსის ცალკეული ელემენტების (რელიეფი, გეოლ. აგებულება, ჰავა, მდინარეები, ტბები, ნიადაგები, ფლორა, ფაუნა) დახასიათება მათი სამეურნეო მნიშვნელობის თვალსაზრისით. 1960, ავტორის გარდაცვალების შემდეგ, პარიზში გამოვიდა დასახელებული მონოგრაფიის II ტომი: ,,საქართველოს ეროვნული მეურნეობა. დამოუკიდებელი საქართველო. მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა''. მონოგრაფიას ერთვის დასკვნა, ბოლოსიტყვაობა, ბიბლიოგრაფია და რეზიუმე ინგლ., გერმ. და ფრანგ. ენებზე.

პ. უცხოეთში ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. თანამშრომლობდა პერიოდულ ორგანოებთან – ,,ბრძოლა'', ,,დამოუკიდებელი საქართველო'', ,,ჩვენი დროშა'' და სხვ. მასვე ეკუთვნის ფუნდამენტური ისტ.-პოლიტ. გამოკვლევა ,,ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე'' (ინგლ. ენაზე, 1953, პარიზი; 2012 გამოიცა ქართ. ენაზე თბილისში), სადაც განხილულია საქართვ. ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი – 1921 წითელი არმიის მიერ საქართვ. ოკუპაცია, ხელისუფლების მიერ ქვეყნის დატოვება და მათი პოლიტ. მოღვაწეობა უცხოეთში.

,,აღსანიშნავია კონსტანტინე კანდელაკის დიდი დამსახურება ქართველი ებრაელების გადარჩენაში ნაცისტური ოკუპაციის დროს საფრანგეთში: ის ადგენდა შესაბამის დოკუმენტებს გადახვეწილობაში მყოფი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებით, რის მეშვეობითაც ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკებისაგან გადაარჩინა არა მარტო ქართველი, არამედ სხვა ერებთან მიკედლებული ებრაელებიც'' (კ. ინასარიძე).

ლიტ.: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 2, თბ., 1993. *ე. ლოლუა.*

კანდელაკი ლალი ჯემალის ასული (დ. 10. X. 1972, თბილისი), ბალერინა. ედინბურგის (ინგლისი, 1999, I პრემია) და ვარნის (ბულგარეთი, 2000, I პრემია და ოქროს მედალი) საერთაშ. პრემიების ლაურეატი. 1990 დაამთავრა ვ. ჭაბუკიანის სახ. თბილ. სახელმწ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი (პედაგოგები: მ. *გრიშკევიჩი,* ნ. დიდებულიძე, ვ. *ჭაბუკიანი).* 1990–97 თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი იყო. მისი დებიუტი შედგა ს. პროკოფიევის ბალეტ ,,კონკიაში'' (ბალეტმაისტერი – გ. ალექსიძე). 1997–2003 – თურქეთის (ქ. მერსინი), 2003 – უნგრეთის (ქ. ბუდაპეშტი), 2004-იდან თბილისის ოპერისა და ბალეტის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტია. გამოირჩევა ვირტუოზული ტექნიკით, ჰაეროვანი ნახტომით, ფენომენალური ,,ტრიალით'', დიდი ,,ბიჯით'', მოძრაობის კანტინელური კოორდინაციით, არტისტიზმით. შესრულებული პარტიებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ოდეტა-ოდილია, დაშა (პ. ჩაიკოვსკის ,,გედების ტბა''), ,,მაკნატუნა''), ჟიზელი (ლ. ადანის ,,ჟიზელი''), ჯულიეტა (ს. პროკოფიევის ,,რომეო და ჯულიეტა''),



ლ. კანდელაკი. ჩელიტა, სცენა ბალეტიდან ,,დონ-კიხოტი‘‘.

ბესი (ჯ. გერშვინის ,,პორგი და ბესი‘‘), ლაურენსია (ა. კრეინის ,,ლაურენსია‘‘), ჩელიტა (ი. მინკუსის ,,დონ-კიხოტი‘‘), ჯავარა (დ. თორაძის ,,გორდა‘‘). მონაწილეობდა გ. ალექსიძის ბალეტების ყველა პრემიერაში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ,,სიმფონიურ ცეკვებში‘‘. 2003-იდან ნ. ანანიაშვილის დასის პრიმა-ბალერინაა. გასტროლებით შემოიარა საბერძნეთი, ინგლისი, გერმანია, ავსტრია, კორეა, შვედეთი, ჩინეთი, იაპონია (ანხელ კორეასთან ერთად). 2011–13 იყო საბალეტო დასის გამგე.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2004).

ლიტ.: ნადარეიშვილი ლ., ქართული ბალეტი, თბ., 2010.

ბ. ბარამიძე.

კანდელაკი მემნონ დავითის ძე [16 (28). IV. 1897, სოფ. ნაბოსლევი, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, – 22. IV. 1972, თბილისი], თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1941), პროფესორი (1943), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967).

1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1930 მუშაობა დაიწყო თსსი-ში, სადაც 1943–54 ხელმძღვანელობდა ინფექციურ სნეულებათა კათედრას, 1954–57 – შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრას, ხოლო 1957–72 – საფაკულტეტო თერაპიის კათედრას.

ჰ. იკვლევდა სამხარეო პათოლოგიას, ახ. სამკურნ. პრეპარატების მოქმედებას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა კლინიკას, მკურნალობას და სხვ.


თხზ.: ღვიძლის ციროზის კომპლექსური თერაპია, თბ., 1960; Материалы к фармакологической характеристике периплоцина, Сборник трудов Тбилисского химикофармацевтического н.-и.ин-та, Тб., 1941.

კანდელაკი ნიკოლოზ ილიას ძე (9. VII. 1907, სოფ. ბახვი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 25. V. 1965, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962). 1929 თსუ-ის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბათუმის სამ. სპეც. სასწავლებელში პედაგოგად და პარალელურად ეწეოდა სამეცნ. მოღვაწეობას. ამ პერიოდში გამოაქვეყნა პირველი სამეცნ. ნაშრომი. 1938-იდან ცხოვრობდა თბილისში და მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე (თელავის, ბათუმის, გორის პედაგოგიურ ინ-ტში ლექტორად, კათედრის გამგედ).


ჰ. ერთი პირველთაგანია, რ-იც იკვლევდა ქართ. მჭევრმეტყველების ისტორიას. ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა ნაშრომებმა: ,,ქართული მჭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები‘‘, ,,ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება‘‘, ,,ქართული მჭევრმეტყველება. პირველი ქართველი ორატორები‘‘ და სხვ.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

კანდელაკი ნიკოლოზ პორფირეს ძე [5(17). X. 1889, სოფ. კულაში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 24. VIII. 1970, სოხუმი, დაკრძალულია თბილისში], მოქანდაკე, თანამედროვე ქართული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. სახ. მხატვარი (1957). პეტერბურგის ფსიქონევროლოგიურ ინ-ტში სწავლის პერიოდში, დ. კაკაბაძის დახმარებით მეცადინეობდა მხატვარ ლ. დიმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოში. ქანდაკების დარგში მუშაობა გვიან დაიწყო. 1922–25 სწავლობდა ლენინგრადის უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინ-ტში (ВХУТЕИН) ა. მატვეევის ხელმძღვანელობით. 1926 საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ქვეყნის კულტ. ცხოვრებაში. იმავე წელს თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში მიიწვიეს, სადაც 1926–70 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1944-იდან – პროფესორი). ჰ. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობდა პორტრეტის დარგში. მან შექმნა ქართვ. მწერალთა, მეცნიერთა, მხატვართა, მსახიობთა, სამხ. და სახელმწ. მოღვაწეთა პორტრეტების მთელი გალერეა. ჰ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ხაზგასმული პლასტიკურობა, თავშეკავებული დინამიკა, ძლიერი და განზოგადებული ფორმა, მოცულობის შესანიშნავი გრძნობა, სადა, ნათელი კომპოზიციები, მატერიალურობა; დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნახატს, ფორმის პლასტიკურობას იყენებდა შინაგანი ხასიათის გასახსნელად. აღრინდ. პერიოდის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ვ. ბერიძის (1935, თაბაშირი), ა. თოიძის (1937, თაბაშირი), განსაკუთრებით გამორჩეულია ლ. გუდიაშვილის პორტრეტი (პირველი ვარიანტი 1934; ბოლო – 1935, ქვა, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი) – კომპოზიციურად რთული, დინამიკური, ცოცხალი და მეტყველი, შინაგანი დრამატიზმით აღსავსე. შემდეგ ნამუშევრებში ჰ. გაურბოდა ასეთი მკვეთრი მოძრაობის გადმოცემას. საინტერესოდ გადაწყვიტა ა. ხორავას პორტრეტი (1948, ბრინჯაო – შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი), რ-შიც მხატვრისთვის დამახასიათებელი მონუმენტურობით ნაჩვენებია მსახიობის განსაკუთრებული შინაგანი ძალა. ასევე დიდი პლასტ. და ფსიქოლ. ძალით განასახიერა იმერელი მაღაროელის (1938, ბრინჯაო), დ. არაყიშვილის (1939, თაბაშირი), შ. დადიანის (1941, ქვა), დ. ანდღულაძის (1941, თაბაშირი), ა. შანიძის (1942, თაბაშირი), ა. ალადაშვილის (1944, თაბაშირი), ა. კვანტალიანის (1945, ბრინჯაო), საბჭ. კავშირის მარშალ თ. ტოლბუხინის (1947), გენ.



ნ. პ. კანდელაკი.



ნ. პ. კანდელაკი. ,,ვახტანგ ბერიძე‘‘. 1935.



ნ. პ. კანდელაკი. ,,ალექსანდრა თოიძე‘‘. 1937.

ა. ანტონოვის (1950, თაბაშირი), ნ. ბერძენიშვილის (1952, ბრინჯაო), ნ. ვაჩნაძის (1952, თაბაშირი), ჰუგო ჰუპერტის (1953, ბრინჯაო), ნ. მუსხელიშვილის (1954, ბრინჯაო), კ. ილურიძის (1959, ბრინჯაო, ყველა – შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი) პორტრეტები. აგრეთვე აღსანიშნავია შიშველი ქალის ფიგურა (1949–50, თაბაშირი), კომპოზიცია ,,სიმშვიდე‘‘ (1959) და ფ. მახარაძის ძეგლი [1958, ბრინჯაო, ქ. მახარაძე (ახლანდ. ოზურგეთი)]. ღრმა ფსიქოლოგიზმითა და მაღალი ოსტატობით გამოირჩევა სიცოცხლის ბოლო წლებში შესრულებული ნამუშევრები [ი. აბაშიძის (1968), პ. კაკაბაძის (1969) პორტრეტები და სხვ.]. მნიშვნელოვანია კ-ის პედ. ღვაწლი, მან აღზარდა ქართვ. მოქანდაკეების არაერთი თაობა (თ. აბაკელია, ვ. თოფურიძე, ე. მაჩაბელი, შ. მიქატაძე, ე. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. ოჩიაური, ჯ. მიქატაძე, ბ. ციბაძე და სხვ.). მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში, მოსკოვის აღმ-ის ხალხთა ხელოვნების მუზეუმსა და კერძო კოლექციებში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



ჯ. კანდელაკი.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: კვასხვაძე შ., ნიკოლოზ კანდელაკი, თბ., 1961; შანიძე ლ., ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბ., 1975; Беридзе В., Езерская Н., Искусство Советской Грузии. 1921–1970, М., 1975.

თ. გერსამია.

კანდელაკი სიმონ პლატონის ძე [1 (13). IX. 1887, სოფ. კულაში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 25. II. 1966, თბილისი], პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1936), პროფესორი (1936), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). 1913 დაამთავრა იურიევის (ახლანდ. ტარტუ) უნტის სამედ. ფაკ-ტი. 1921–38 იყო ს. ვირსალაძის სახ. ტროპ. მედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. 1930–42 განაგებდა ტროპ. სნეულებათა კათედრას თსი-ში, ხოლო 1935–38 – იმავე კათედრას (პარალელურად) ექიმთა დახელოვნების ინ-ტში. კვალიფიკაცია აიმაღლა რომში, ლონდონში, პარიზსა და ჰამბურგში.

კ. ძირითადად სწავლობდა ტროპ. მედ. პრობლემებს; დაასაბუთა მალარიასთან ბრძოლაში ზოოპროფილაქტიკის წამყვანი როლი; შემოიღო სპლენომეტრიის ორიგინ. მეთოდი; სსრკ-ში პირველმა გამოიყენა ეფექტურად მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა (მკურნალობა, პროფილაქტიკა, ჭაობების ამოშრობა, კოღოს წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.) კომპლ. მეთოდი; საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ლეიშმანიოზის ნოზოგეოგრაფიას; აღმოაჩინა ვისცერული ლეიშმანიოზის გადამტანის ახ. სახეობა, აგრეთვე ამიერკავკ. ტკიპისმიერი სპიროქეტოზი და მისი გამომწვევი სპიროქეტა, რსაც კ-ის სახელი ეწოდა – Borrelia (spirochaeta) caucasica, Kandelakii, 1928.

თხზ.: ექსპერიმენტული ლეიშმანიოზები, თბ., 1936; Опыт оздоровления злостно-малярийной местности, Тфл., 1927; Кавказский клещевой возвратный тиф, Тб., 1941.

ი. თოფურია.

კანდელაკი ქეთევან ისაკის ასული [14(27). X. 1911, თბილისი, – 19. XI. 1982, იქვე], თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1968), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1976).

1942 დაამთავრა თსსი. 1946–57 იყო ამავე ინ-ტის კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიების გამგე, 1966–75 – ქ. თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის თერაპიის კათედრის პროფესორი, 1976-იდან კი – ამავე ინ-ტში ნეფროლოგიის კურსის ხელმძღვანელი.

კ. იკვლევდა ძვლის ტვინის ენდოგენური სტიმულატორების – ერითროპოეტინების გავლენას ანემიის განვითარებაზე ზოგიერთი დაავადების დროს. იყო მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 1 მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: ლაბორატორიული ტექნიკა, გამოც. მე-2, თბ., 1966; ანემიის პათოგენეზის საკითხისათვის თირკმლის დაავადების დროს, თბ., 1968.

კანდელაკი ციალა გაიოზის ასული (დ. 29. III. 1930, თბილისი), მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი (1987). 1952–58 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკად. ფერწერის ფაკ-ტზე (პედაგოგები: უ. ჯაფარიძე, გ. ჯაში, ბ. შებუევი, ი. გაბაშვილი, კ. სანაძე). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1959-იდან. ძირითადი ნამუშევრები: ,,დიდება გმირებს‘‘, ,,სვანეთი‘‘, ,,მიხეილ ხერგიანი‘‘, ,,იმერეთის პეიზაჟი‘‘; პორტრეტები: ,,ზინაიდა კვერენჩხილაძე‘‘, ,,ლალო გუჯაბიძე‘‘, ,,ოთარ რჩეულიშვილი‘‘, ,,გიორგი ბოჭორიშვილი‘‘, ,,ლადო ასათიანი‘‘ (ყველა ქაღალდი, პასტელი). პერსონალური გამოფენები: ხელოვნების მუშაკთა სახლი (1976), საქართვ. ეროვნ. გალერეა (2001), შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი (2010). 1958–2016 მუშაობდა ხატვისა და ფერწერის კაბინეტის გამგედ, სხვადასხვა წრის პედაგოგად მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნ. სასახლეში (ყოფ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე).



ც. კანდელაკი. ნატიურმორტი. 1990.

თ. გერსამია.

კანდელაკი ჯუანშერ ირაკლის ძე (4. XI. 1925, თბილისი, – 1. VI. 1988, იქვე), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1970). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975). 1947 დაამთავრა თსსი. 1968–75 იყო აკად. კ. ერისთავის სახ. ექსპერ. და კლინ. ქირურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სისხლძარღვთა ქირურგიის განყბის ხელმძღვანელი.

ჯ. ითვლება სისხლძარღვთა ქირურგიის დანერგვისა და განვითარების, აგრეთვე თირკმლის ჰემოდიალიზისა და თირკმლის

გადანერგვის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მუცლის აორტისა და მისი დისტალური ტოტების აღდგენითი ქირურგიის განვითარებასა და ვაზორენალური ჰიპერტენზიის ქირურგ. მკურნალობის საკითხების დამუშავებაში.

პ. იყო მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. 2 მონოგრაფიის) და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი.

თხზ.: К вопросу о замещении магистральных артерий аутовеной, Тб., 1969 (თანაავტ.); Резекция и пластика стенки желудочка сердца в эксперименте, Тб., 1976 (თანაავტ.).

კანთაროსი (ბერძნ. kantharos), ძვ. წ. VI–II სს. ბერძნული ქუსლიანი, ღრმა, პირგადაშლილი ღვინის სასმელი ჭურჭელი ვერტიკალურად მიმაგრებული ორი ყურით. ამზადებდნენ უპირატესად თიხისაგან, ზოგჯერ – ლითონისგანაც. სხვადასხვა კ-ები განსხვავდება პროპორციებით, ყურის მოყვანილობითა და ქუსლის სიმაღლით. კ. ღვინის ღმერთის, დიონისეს ერთერთი მუდმივი ატრიბუტი იყო.

ძვ. წ. IV–II სს. ბერძნ. თიხის შავლაქიანი კ-ები აღმოჩენილია საქართველოშიც (სოხუმი, ვანი, დაბლაგომი, ფიჭვნარი, ნოქალაქევი და სხვ.).

ლიტ.: ლორთქიფანიძე ო., ანტიკური არქეოლოგია, თბ., 1971; Благатский В. Д., История античной расписной керамики, [М]., 1953.

ი. გაგოშიძე.

კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ერთვნული ცენტრი (შპს), სამკურნალო დაწესებულება. 1906 წლის 15 სექტემბერს თბილისის გუბერნატორის ბრძანებით დაარსდა კანის, ვენერიული და სიფილისური დაავადებების პირველი სპეციალიზებული სამკურნალო დაწესებულება, სადაც მუშაობდნენ საქართველოში პირველი დერმატო-ვენეროლოგები – ი. ზაბლუდოვსკი და გ. გედალინი. მოგვიანებით (1918) გაიხსნა თბილ. სიფილისური საავადმყოფო ქალებისათვის. 1922 ჯანდაცვის სახ. კომისარიატში შეიქმნა ე. წ. ,,ვენსექცია'', რ-საც დაევალა ვენერიულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა. 1928 ი. ლორთქიფანიძის, ა. დიასამიძის, ი. გულაძის, ა. ჯავრიშვილის, მ. ბერიძის, გ. ფხალაძის ინიციატივით იმ დროისათვის უკვე შექმნილ ვენდისპანსერს კანისა და ვენსნეულებათა ინ-ტის ფუნქცია დაეკისრა, რ-ის მოქმედების არეალი მხოლოდ თბილისით შემოიფარგლებოდა. ამიტომ 1935 წ. 3 ნოემბერს თბილ. ინ-ტისა და დისპანსერის ბაზაზე ჩამოყალიბდა კანისა და ვენსნეულებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-საც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ვ. ბურგსდორფი, პ. ბუაჩიძე, ვ. იაშვილი, ი. თოფურიძე, ი. შველიძე, ს. მაჭავარიანი, ლ. *შეწირული* (1970–89), ბ. ჩლაიძე (1989–2004), გ. გალდავა (2004–12).

2011 აპრილში, საქართველოში დერმატო-ვენეროლოგიური სამსახურის ოპტიმიზაციის მიზნით, კანისა და ვენსნეულებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტს შეუერთდა ქ. თბილისის კანისა და ვენსნეულებათა კლინიკური დისპანსერი, რ-ის სამართალმემკვიდრე გახდა (2012) შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნ.-კვლ. ეროვნ. ცენტრი (გენ. დირექტორი გ. გალდავა).

ინ-ტში (ცენტრში) მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: გ. ფხალაძე, ა. ვართაპეტოვი, პ. მგალობლიშვილი, ა. ცინცაძე, ი. ხატრიძე, პ. ფოჩხუა და სხვ.

საკავშ. სამედ. აკადემიის სამეცნ. საბჭოს გადაწყვეტილებით ინ-ტი მიჩნეულ იყო სათავო დაწესებულებად დერმატო-კურორტოლოგიის დარგში, რ-იც მუშაობდა დერმატოზებით დაავადებულთა ფიზიო- და საკურორტო თერაპიის პრინციპებისა და მეთოდების შემუშავების პრობლემაზე.

ინ-ტში ფუნქციონირებდა არაგონორეულ დაავადებათა შემსწავლელი სამეცნ. ლაბორატორია, დერმატოლოგიური განყ-ბა, სადაც, სხვა პრობლემებთან ერთად, იკვლევდნენ ფსორიაზს, ალერგოდერმატოზს, პროფესიულ დერმატოზს, კანის ლიმფომებს. ტარდებოდა მიკოლოგიური კვლევები, რ-თაც ფართოდ გაუთქვეს სახელი ქართ. მიკოლოგიურ სკოლას, აგრეთვე მნიშვნელოვანი შრომებია შესრულებული ალერგოიმუნოლოგიის ლაბორატორიაში.

ინ-ტის სამეცნ. მუშაობაში წამყვანი ადგილი ეკავა აქტუალურ მიმართულებას – ეპიდემიოლოგიურ კვლევას, დაავადებათა ადრეულ დიაგნოსტიკასა და პირველადი პრევენციის სრულყოფას. ინ-ტი იყო სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა პროფილაქტიკის ფედერალური პროგრამის კოორდინატორი, აგრეთვე დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის, დახმარების ახ. მეთოდებისა და ფორმების ინიციატორი (გაიხსნა ანონიმური მიღების კაბინეტი, ანდროლოგიური განყ-ბა).

2004-იდან გ. გალდავამ, ვ. გოგოხიამ და თ. ქიტუაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში დერმატო-ვენეროლოგიის შემდგომი განვითარების საქმესა და მსოფლიო სტანდარტებთან მის დაახლოებაში.

ინ-ტის (ახლანდ. ცენტრის) სამეცნ. მიღწევები ასახულია სამეცნ. შრომების კრებულთა 22 ტომში, საქართვ. დერმატო-ვენეროლოგთა სამეცნ. კონფერენციების მასალებში, სახელმძღვანელოებში, მონოგრაფიებში, სამეცნ.-პოპულარულ ბროშურებში. ცენტრის მეცნიერი თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამართულ სამეცნ. კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. იგი წარმოადგენს თსუ-ის მედიცინის ფაკ-ტის, დ. ტვილდიანის სამედიცინო უნ-ტის, პ. შოთაძის სახ. თბილ. სამედ. აკადემიისა და სხვა მრავალი უმაღლესი სამედ. სასწავლებლის სასწავლო ბაზას დერმატო-ვენეროლოგიაში.

ცენტრი მუშაობს დერმატოლოგიური, სქესობრივი გზით გადამდებ (სგგ) დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, ვირუსული ინფექციების, სექსოლოგიის, ანდროლოგიის და სხვ. მიმართულებით.

ცენტრი თანამშრომლობს შემდეგ საერთაშ. ორგანიზაციებთან: ჯანმო, წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საერთაშ. ფედერაცია, ექიმები საზღვრებს გარეშე, ჯანდაცვის საერთაშ. ქსელები და სხვ.

1946 კანისა და ვენსნეულებათა სამეცნ.-კვლევითი ინ-ტის ბაზაზე ჩამოყალიბებულ საქართვ. დერმატოლოგ-ვენეროლოგთა საზ-ბას ჰქონდა სამი ფილიალი – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. გასული საუკუნის 70–80 წლებში მას ხელმძღვანელობდა ლ. შეწირული.

2004 დაფუძნდა თბილ. დერმატო-ვენეროლოგთა სამეცნ.-პროფ. საზ-ბა(თავ-რე – გ. გალდავა), რ-ის მიზანს წარმოადგენდა დერმატო-ვენეროლოგთა პროფესიული დონის ამაღლება, კანისა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა პრევენციასა და მკურნალობაში საერთაშ. სტანდარტების დამკვიდრება და სხვ. 2006 ქ. ბათუმში გაიმართა საქართვ. დერმატო-ვენეროლოგთა პირველი შეკრება, სადაც გადაწყდა თბილ.

დერმატო-ვენეროლოგთა სამეცნ.-პროფ. საზ-ბას შეცვლოდა წესდება, სახელი და დაფუძნებულიყო საქართვ. დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაცია.

ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან. მისი ზოგიერთი წევრი არჩეულია უცხოეთის ასოციაციების საპატიო წევრად. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ჰუმანიტარულ აქციაში. *გ. გალდავა.*

კანკავა გურამ ისაის ძე (10. XI. 1928, თბილისი, – XI. 1992, იქვე), კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1963). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1952). სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზ. ,,ზარია ვოსტოკას'' რედაქციაში, გამომც. ,,საქმედგამში'' (რედაქტორად), 1953–59 – საქართვ. განათლების მუზეუმში, 1959–92 კი – შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტში. წერილებს აქვეყნებდა 1955-იდან. პირველი წიგნი ,,ლიტერატურული ეტიუდები'' 1964 გამოსცა. კ-ს ეკუთვნის წიგნები: ,,ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები'' (1969), ,,ლიტერატურული შენიშვნები'' (1972), ,,ქართველი მწერლები და ლიტერატურული სამანები'' (1978), ,,ლიტერატურული წერილები'' (1980, 1985), ,,წერილები და პორტრეტები'' (1985). კ. გამოირჩეოდა ერუდიციით, დახვეწილი გემოვნებითა და უტყუარი ლიტ. ალღოთი.

კანკავა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე (8. I. 1916, სოფ. სერგიეთი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 9. IX. 1942), საბჭოთა კავშირის გმირი (13. XII. 1942, სიკვდილის შემდეგ). 1941 დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი. II მსოფლიო ომში (1939–45) ჩაება 1942 აგვისტოდან. იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში, იყო 392-ე მსროლელი დივიზიის 673-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონის სამხ. კომისარი. 9 სექტ. ნოვოპოკროვსკის ხუტორთან (ყაბარდო-ბალყ. რესპ.) ბრძოლისას გაათავისუფლა დასახლებული პუნქტი, მოიგერია მტრის რამდენიმე კონტრშეტევა. დაიღუპა ალყის გარღვევის დროს. დაკრძალულია ქ. მაისკის (ყაბარდო-ბალყ. რესპ.) ძმათა სასაფლაოზე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ლიტ.: Цкитишвили К. В., Чинчилакашвили Т. Г., Герои Советского Союза из Грузии, Тб., 1981.

კანკავა მიხეილ ბართლომეს ძე (29. V. 1900, სოფ. ხორში, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 29. IV. 1977, თბილისი), ენათმეცნიერი, რუსისტი, ლექსიკოგრაფი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1953), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1924 დაამთავრა თსუ. მუშაობა დაიწყო მასწავლებლად (1920–35). კითხულობდა ლექციებს თსუ-ში (1940–44), ზუგდიდის სამასწავლებლო ინ-ტში (1940–44), იყო გორის პედ. ინ-ტის რუს. ენის კათედრის გამგე (1944–52), თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის პრორექტორი (1958–70), განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნიერებათა ინ-ტის რუს. ენისა და ლიტ-რის მეთოდიკის სექტორის გამგე (1956–60). კ-მ წვლილი შეიტანა ქართ. სკოლებში რუს. ენის სწავლების გაუმჯობესებაში, შეადგინა სახელმძღვანელოები საშ. და უმაღლესი ქართ. სასწავლებლებისათვის, მოკლე ქართ.-რუს. და რუს.-ქართ. ლექსიკონები (1965–77) და სხვ. აღზარდა მრავალი ახალგაზრდა მეცნიერ-რუსისტი და მეთოდისტი.

თხზ.: თ. ი. ბუსლაევის მეთოდიკური მემკვიდრეობა, თბ., 1961; В. И. Даль как лексикограф, Тб., 1958.

ლიტ.: მაჭარაშვილი კ., მოქალაქე, მეცნიერი, პედაგოგი, თბ., 1976.

კ. მაჭარაშვილი.

კანკელი, ი კ ო ნ ო ს ტ ა ს ი (ბერძნ. eikón – გამოსახულება, ხატი; stásis – ადგილმდებარეობა, განთავსება), მართლმადიდებელ ეკლესიაში ტიხარი, ზღუდე, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს ეკლესიის ინტერიერის ძირითადი ნაწილისგან. საქართველოში კ-ის უძველესი ნიმუშები VIII–IX სს. მიეკუთვნება. დროთა განმავლობაში თანდათან შემუშავდა კ-ის სპეციფიკური ქართული სახე. საქართველოში არ არსებობდა რუსული ეკლესიისთვის დამახასიათებელი ფერწერული ხატებით შევსებული მაღალი იკონოსტასები, რ-ებიც, არსებითად, სრულიად თიშავს ეკლესიისგან საკურთხეველის სივრცეს. ქართული კ. ქვის ან თაბაშირისაა, იშვიათად – ხის. იგი წარმოადგენს შედარებით დაბალ ბარიერს – ზედ დადგმული თაღებით შეკავშირებულ სვეტებს, რ-თა შორის მანძილი შევსებულია ფარდით. თაღების თავზე ზემო ხაზი აუცილებლად ჰორიზონტალურია. უთაღო (არქიტრავიანი) კ-ები ჩვენში არ არსებობდა (გავრცელებულია ბიზანტიაში). ქართ. ეკლესიისთვის დამახასიათებელია ერთადერთი შესასვლელი (აღსავლის კარი). კ-ში ეს ტრადიცია მხოლოდ ძალიან გვიან, XVI ს-ში დაირღვა. ჩვეულებრივ კ-ს ამკობდნენ ორნამენტული ან რელიეფური მორთულობით. რელიეფები გვხვდება მხოლოდ ქვის კ-ებზე (ქვემო ბარიერზე) და მათ ყოველთვის ფართო ორნამენტული არშია აქვს შემოვლებული. თაბაშირის კ-ები მხოლოდ ჩუქურთმებითაა მორთული. ჩუქურთმა ამკობს როგორც ქვემო ბარიერს, ისე სვეტებსა და თაღებსაც. ზოგჯერ დეკორატიულობის გასაძლიერებლად კეთდებოდა კბილანებიანი თაღები. იშვიათად გვხვდება წარწერებიანი კ-ებიც, მოგვიანებით – მოხატულიც.

საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანია XI ს. კ-ები. მათგან ზოგიერთის რელიეფი (საფარა, ხოვლე) შუა საუკუნეთა ქართ. პლასტიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. შესანიშნავია სპეტის, პატარა ონის ეკლესიების დიდი ოსტატობით შესრულებული ჩუქურთმებით შემკული კ-ები. ცნობილია აგრეთვე გველდესის, ატენის, ურთხვისა და სხვ. კ-ები, ხოლო არმაზის ეკლესიის კ-ზე შემონახულია უძველესი მხატვრობის ნიმუში.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; ქსე, ტ. 5, თბ., 1980; Шмерлинг Р.О., Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962.

კანონი (სამართ.), სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ურთიერთობებს და უზრუნველყოფს სახელმწიფო იძულების წესის გამოყენების შესაძლებლობას.

სივრცეში მოქმედების მიხედვით ჩვენს ქვეყანაში განასხვავებენ საქართვ. კანონებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს. საქართვ. კ. მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ კ-ით სხვა რამ არ არის დადგენილი; ავტონ. რესპ. კ. მოქმედებს ავტონ. რესპ. ტერიტორიაზე.

იურიდიული ძალის მიხედვით მიღებულია საქართვ. კ-თა შემდეგი იერარქია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს

ორგანული კანონი, საქართველოს კანონი (ე.წ. ჩვეულებრივი კანონი).

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართ. აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. კონსტიტუციური კ. ორი სახისაა: კონსტიტუციური კ. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ და კონსტიტუციური კ. საქართვ. სახელმწიფოებრივი ტერიტ. მოწყობის შესახებ. კონსტიტუციურ კ-ს იგივე იურიდ. ძალა გააჩნია, რაც კონსტიტუციას.

საქართველოს ორგანული კ-ით მოწესრიგებულია საკითხები სახელმწ. სიმბოლოების, არჩევნების, რეფერენდუმის, პარლამენტის წევრის სტატუსის, საკონსტიტუციო სასამართლოს, იმპიჩმენტის, მოქალაქეობის, ადგილ. თვითმმართველობის, საერთო სასამართლოებისა და სხვათა შესახებ. მათი მიღება და მიღების განსხვავებული წესი პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართვ. კონსტიტუციით.

კ. (ჩვეულებრივი კ.) აგვარებს საზ. ურთიერთობათა ცალკეულ სფეროებს.

საქართველოს კ-თა მიღების (გამოცემის) უფლება მხოლოდ საქართვ. პარლამენტის პრეროგატივაა; ავტონ. რესპ-ში კ-ს იღებს შესაბამისი ავტონ. რესპ. უმაღლესი საბჭო. იგი უნდა მომზადდეს, გამოიცეს და გამოქვეყნდეს ქართ. ენაზე, ხოლო აფხაზეთის არ-ში – აგრეთვე აფხ. ენაზე. კ. შეიძლება გამოქვეყნდეს არასახელმწიფო ენაზეც, მაგრამ ასეთ ტექსტს არ ექნება ოფიც. იურიდ. ძალა. საქართვ. კონსტიტუციისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართვ. კ-ის თანახმად, კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონპროექტების ინიციატივის უფლება აქვთ საქართვ. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობას და 200 000 ამომრჩეველს, ხოლო ე.წ. ჩვეულებრივი კანონპროექტების – საქართვ. მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის არ-ების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, აგრეთვე არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს. საქართველოში მოქმედებს კ-თა უზენაესობისა და დაცვის უზრუნველმყოფი სპეციალიზებული ინტები და პროცედურები – საკონსტიტუციო სასამართლო, რ-იც ადგენს კონსტიტუციასთან სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობას, და საერთო იურისდიქციის სასამართლოები, რ-ებიც ადგენენ სამართლებრივი აქტების კ-თან შესაბამისობას. *ა. დემეტრაშვილი.*

კანონი, იხ. *ლექციონარი.*

კანონიზაცია (ლათ. canonizatio <ბერძნ. kanonizō – ვაკანონებ; კანონის საფუძველზე განსაზღვრება, დაკანონება), გარდაცვლილი ქრისტიანი მოღვაწის წმინდანად შერაცხვა. პირველ საუკუნეებში წმინდანად შერაცხვას სტიქიური ხასიათი ჰქონდა და მისი სისტემატიზაციის პრინციპები დასავლეთის ეკლესიაში თანდათანობით ჩამოყალიბდა. კ-ის მტკიცედ განსაზღვრული წეს-განაგება რომის პაპმა ალექსანდრე III-მ შემოიღო XII ს. II ნახ-ში, ხოლო 1200 პაპმა ინოკენტი III-მ კ. რომის პაპების პრეროგატივად აქცია. კათოლიკურ ეკლესიაში კ. ორი ეტაპისაგან შედგება: ბეატიფიკაცია – ნეტარად შერაცხვა და საკუთრივ კ., რ-იც მკაცრად დადგენილ სავალდებულო წესებს ემორჩილება. მართლმადიდებელ ეკლესიაში ამგვარი მკაცრი რეგლამენტაცია არ არსებობს. წმინდანად შერაცხვისას მთავარი ყურადღება ექცევა ქრისტიანი მოღვაწის რწმენის სიწმინდეს, სათნო ცხოვრების წესს, სარწმუნოების დასაცავად გამოჩენილ სიმტკიცეს, სასწაულებს და ა. შ.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში წმინდანთა კ-ს წმ. სინოდი ახდენს. ეკლესია განასხვავებს წმინდანთა სხვადასხვა დასებს: წინასწარმეტყველნი, მოციქულები, სწორნი, დიდმოწამენი, მოწამენი, მღვდელმოწამენი, წმ. მამები, მართალნი, ღირსნი, აღმსარებელნი, უვერცხლონი, სალოსნი და ა. შ.

ლიტ.: Павлов А. С., Курс Церковного права, СПб., 2002; Православная энциклопедия, т. 30, М., 2012; Цыпан В., Церковное право, М., 2009. *ზ. ეკალაძე.*

კანონიკა, канонический литература, სასულიერო მწერლობის დარგი; მოიცავს საეკლ. იურიდიულ ლიტ-რას, რ-იც უმაღლესი საეკლესიო ორგანოების მიერ იყო ნებადართული იურიდიულ საკითხებში პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის. კ-ის პირველი ძეგლების აღმოცენება ბიზანტ. საეკლ. მწერლობის საწყისებს უკავშირდება; ბიზანტიაში მათი კრებულებში გაერთიანება ქრისტიანობის ადრეული პერიოდიდან დაიწყო და 883 ჩამოყალიბდა ,,ნომოკანონის'' სახით.

ქართ. კანონიკური მწერლობა *ექვთიმე მთაწმიდლის* (X ს.) მიერ ბერძნულიდან თარგმნილი ,,მცირე სჯულისკანონით'' იწყება. კრებულში გაერთიანებულ სხვადასხვა პერიოდის თხზულებათაგან ცენტრ. ადგილი უჭირავს VI მსოფლიო კრების კანონებს, რ-ებიც საფუძვლიანად განსხვავდება დედნისაგან. როგორც ჩანს, ექვთიმე მთაწმიდელს შეუდგენია ნახევრად ორიგ. კოდექსი, რ-შიც გაუერთიანებია იმდროინდელი მოქმედი საეკლ. კანონები. XI ს. მიწურულს ან XII ს. დამდეგს *არსენ იყალთოელმა* ბერძნულიდან თარგმნა ,,ნომოკანონი'' ,,დიდი სჯულისკანონის'' სახელწოდებით. სავარაუდოდ XII ს-ში ბერძნულიდან უნდა იყოს ნათარგმნი ,,კითხვანი მონაზონისა ვისნიმე, რ~თა აჴსნა გამოსცა პეტრე პატრიარქმან ხარტოფილაქსმან''. კანონიკურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს XV ს. ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქის, მიხაილის მიერ იოაკიმე ბედიელის აფხაზეთის კათალიკოსად დადგინებასთან დაკავშირებით გამოგზავნილი ეპისტოლე, ე. წ. ,,სასჯულო მცნება''. *ანტონ I-მა* სომხურიდან თარგმნა III მსოფლიო კრების (ეფესოს) აქტები (1776). *ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში,* სხვა მასალასთან ერთად, შეტანილია ,,სამართალი ბერძული'', რ-იც ერთ-ერთი ბიზანტიური ,,ნომოკანონის'' (XIII–XIV სს.) თარგმანია. ქართ. ორიგინ. კ-ის სათავედ უნდა მივიჩნიოთ ექვთიმე მთაწმიდლის პასუხები გიორგი ჭყონდიდლის შეკითხვებზე, რ-ებშიც საეკლ. სამართლის საკითხებიც არის განმარტებული. ქართ. კ-ის უმნიშვნელოვანესი ძეგლია *რუის-ურბნისის საეკლესიო კრების* დადგენილებანი, ე. წ. ,,ძეგლისწერა''. სხვა ძეგლთაგან აღსანიშნავია ,,კათალიკოსთა სამართალი'', 1543–49 იმერეთში მოწვეული საეკლ. კრების კანონთა კრებული, 1762 ერეკლე II-ისა და იოსებ კათალიკოსის ინიციატივით მოწვეული საეკლ. კრების კანონთა კრებული, ანტონ I-ის მიერ შედგენილი კანონიკური ეპისტოლე და სხვ. საეკლ. სამართლის საკითხებს ხშირად ეხება დოკუმენტები, რ-ებიც სიგელებისა და გუჯრების სახელწოდებითაა ცნობილი.

გამოც.: დიდი სჯულისკანონი, გამოსცეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975; მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1972; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1–5, თბ., 1963–74.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ.,



ი. კანტი.

1960; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 1, ნაკვ. 1, ტფ., 1928 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6, თბ., 1982). *ე. გაბიძაშვილი.*

კანონიკური სამართალი, საეკლესიო კრებებისა და რომის პაპის დადგენილებათა ერთობლიობა. კ. ს-ის პირველი კოდიფიკაცია XII ს-ში წამოიწყო ბოლონიელმა ბერმა გრაციანმა, რ-მაც შეადგინა ე. წ. გრაციანის დეკრეტი. XVI ს-ში იგი საფუძვლად დაედო ,,კანონიკური სამართლის კრებულს'', რ-ის მიხედვით განიხილებოდა სას. პირთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები, საოჯახო-ზნეობრივი ხასიათის გადაცდომები და დანაშაულებანი. 1917 პაპმა ბენედიქტე XV-მ გამოსცა ,,კანონიკური სამართლის კოდექსი'', რ-ის მიხედვითაც კ. ს. აწესრიგებს მხოლოდ შიდასაეკლესიო საქმეებს. მართლმადიდებელ ეკლესიაში კ. ს-ად იწოდება უმთავრესად საეკლ. კრებებზე დადგენილი კანონიკური წესების ერთობლიობა. ამ წესების მნიშვნელოვანი ნაწილი შედიოდა საეკლ. სამართალში, რ-იც მოქმედებდა ძვ. საქართველოშიც.

იხ. აგრეთვე სტ. *კანონიკა.*

ე. გაბიძაშვილი.

კანონი მეწარმეთა შესახებ, მეწარმე სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მომწესრიგებელი კანონი საქართველოში. შეიქმნა ქართვ. და გერმ. იურისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად. მიღებულია 1994 წ. 28 ოქტომბერს, ამოქმედდა 1995 წ. 1 მარტიდან. კანონი განიხილავს ექვს მეწარმე სუბიექტს: *ინდივიდუალურ მეწარმეს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას* (სპს), *კომანდიტურ საზოგადოებას* (კს), *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას* (შპს), *სააქციო საზოგადოებას* (სს), *კოოპერატივს.* სხვადასხვა დროს ითვალისწინებდა სახაზინო საწარმოსა და სამეწარმეო ამხანაგობის არსებობასაც, რ-ებიც ამჟამად გაუქმებულია. ყველა მეწარმე სუბიექტს, ინდივიდ. მეწარმის გარდა, იურიდ. პირის სტატუსი აქვს. კ. მ. შ. შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან.

ზოგადი ნაწილი არეგულირებს მეწარმე სუბიექტების მოწყობის ზოგად საკითხებს [მეწარმე სუბიექტები, მათი დაფუძნება, რეგისტრაცია, პასუხისმგებლობა, შენატანი, საფირმო სახელწოდება, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, პროკურა (გენერალური სავაჭრო მინდობილობა) და იურიდ. მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება, ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია, ხანდაზმულობა], ხოლო კერძო ნაწილი – მეწარმე სუბიექტების (იურიდიული პირი) მოწყობის სპეც. საკითხებს. ამ კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში საკორპორაციო სამართლის განვითარებას. მიღების შემდეგ მასში მრავალი ცვლილება შევიდა და თავდაპირველი მოდელი მნიშვნელოვნად შეიცვალა, თუმცა დღემდე სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სამართლებრივი მოწყობის ძირითად ნორმატიულ ბაზად რჩება.

წყარო: კანონი მეწარმეთა შესახებ, «საქართველოს პარლამენტის უწყებები», 1994, №21–22, მ.455.

ლიტ.: ჭანტურია ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1996; ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბ., 2002. *ლ. ლაზარაშვილი.*

კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, იხ. სტ. *საჯარო სამსახური.*

კანტარი, კინტარი, მასის ერთეული შუა საუკუნეებში ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. სამხრ. საქართველოში გავრცელდა ოსმალეთიდან. კ-ის სიდიდე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა იყო. XIX ს-ში ახალციხის მაზრაში კ. შეადგენდა 30 ოსმალურ *ბათმანს,* ანუ დაახლ. 220 *კგ. გ. ჯაფარიძე.*

კანტატა (იტალ. cantata <ლათ. canto – ვმღერი), დიდი ზომის ვოკალურ-საკრავიერი ნაწარმოები სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისათვის. შედგება რამდენიმე დასრულებული ნაწილისაგან. კ. შეიძლება იყოს საზეიმო, ლირიკული, სამგლოვიარო და თხრობითი ხასიათისა. გვხვდება საერო და საკულიერო (რელიგიური) კ-ები. კ. შედგება საორკესტრო შესავლის, არიის, რეჩიტატივისა და გუნდისაგან. აღმოცენდა XVII ს. I ნახ-ში იტალიაში. განსაკუთრებით სრულყოფილი გახდა ჯ. კარისიმის, ა. სტრადელის, ა. სკარლატისა და სხვათა შემოქმედებაში. იტალ. კ. საერო ხასიათისა იყო. სას. კანტატა შეიქმნა გერმანიაში. სას. და საერო კ-ების მაღალმხატვრული ნიმუშები ეკუთვნის ი. ს. ბახს, XIX ს. II ნახ-ში – პ. ჩაიკოვსკის, ს. რახმანინოვს, ს. ტანეევს. ქართული კ-ის ავტორები იყვნენ: ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ო. თაქთაქიშვილი, რ. ლაღიძე, ნ. სვანიძე, ა. ჩიმაკაძე და სხვ.

გ. ტორაძე.

კანტაური, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის წონიარისის თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ,* ქედიდან 8 *კმ.* 76 მცხ. (2014).

კანტი (Kant) იმანუელ [22. IV. 1724, კენიგსბერგი (პრუსია), ახლანდ. კალინინგრადი (რუსეთი), – 12. II. 1804, იქვე], გერმანელი ფილოსოფოსი. 1740–46 კენიგსბერგის უნ-ტში შეისწავლა ფილოსოფია, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და თეოლოგია. პირველი ნაშრომი „ცოცხალ ძალთა ჭეშმარიტი შეფასების შესახებ" გამოსცა 1746. ხელმოკლეობის გამო რამდენიმე წელი კერძო მასწავლებლად მუშაობდა. 1754 გამოაქვეყნა მოკლე ნაშრომები ,,გამოკვლევა საკითხისა, განიცადა თუ არა ცვლილებები დედამიწის დღეღამურმა ბრუნვამ დედამიწის წარმოქმნის შემდგომ'' და ,,საკითხი, ბერდება თუ არა დედამიწა, განხილული ფიზიკის თვალსაზრისით'', სადაც შეეხო ფიზიკური ფაქტორების, კერძოდ, ოკეანის მიქცევა-მოქცევის გავლენას დედამიწის ევოლუციაზე. 1755 გამოაქვეყნა ,,ზოგადი ბუნებისმეტყველება და ცის თეორია'' (,,Allgemeine Naturgeschichte und Theorie des Himmels''; ზოგჯერ თარგმნიან როგორც ,,ბუნების ზოგადი ისტორია და ცის თეორია''), სადაც ჩამოაყალიბა და დაამუშავა პირველადი ქაოსური ნისლოვანებიდან მზის სისტემის წარმოშობის საკუთარი კოსმოგონიური ჰიპოთეზა. ამ ნაშრომს ფ. ენგელსმა ,,გენიალური აღმოჩენა'' უწოდა. 1755-იდან კ. იყო კენიგსბერგის უნ-ტის პრივატ-დოცენტი, ხოლო 1770-იდან – ლოგიკისა და მეტაფიზიკის პროფესორი. ორჯერ (1786 და 1788) აირჩიეს რექტორად. ლექციებს კითხულობდა მეტაფიზიკაში, ლოგიკაში, ეთიკაში, ფიზიკაში, ფიზიკურ გეოგრაფიაში და სხვ. 1756–62 კ-მა გამოაქვეყნა რამდენიმე ესსე (,,მოსაზრებები ქარის თეორიაზე'', ,,უძრაობისა და მოძრაობის ახალი თეორია'' და სხვ.), სწავლობდა ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობისა და ევოლუციის საკითხებს. 1781 გამოვიდა კ-ის ნაშრომი ,,წმინდა გონების კრიტიკა'', 1783 – ,,პროლეგომენები...'', 1788 – ,,პრაქტიკული გონების კრიტიკა'', 1790 – ,,მსჯელობის უნარის კრი-

ტიკა'', 1794 – ,,რელიგია მხოლოდ გონების ფარგლებში'' (ეს ნაშრომი, ცენზურის გამო, 1793 ვერ გამოვიდა) და სხვ. 1802 გამოიცა ,,ემანუელ კანტის ფიზიკური გეოგრაფია''. 1838 დაიწყო კ-ის ნაშრომთა სისტემატური გამოცემა. 1897–1922 გამოდის სპეც. ჟურნ. ,,Kant-Studien'', რ-იც ჰ. ფაიჰინგერმა დააარსა. მანვე 1904 ქ. ჰალეში (გერმანია) დააფუძნა ,,კანტის საზოგადოება''. 1935 საერთაშ. ასტრონომიულმა კავშირმა კ-ის სახელი მიანიჭა ერთ-ერთ კრატერს მთვარის ზედაპირზე.

კ-ის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში, ევრ. რაციონალიზმი და ემპირიზმი ჩიხში იყო შესული. კ. წერდა, რომ იგი დ. იუმმა (დ. ჰიუმი, შოტლანდია) გამოაღვიძა ,,დოგმატური ძილისაგან'', ე. ი. დააეჭვა ლაიბნიც-ვოლფის ფილოსოფიის სამართლიანობაში. მან ერთმანეთისგან განასხვავა ლოგიკური და რეალური საფუძველი, ფილოსოფიაში შემოიტანა უარყოფითი სიდიდეების ცნება, დაინახა კავშირი მეტაფიზიკასა და მისტიკას შორის. იუმის სკეპტიციზმი კ-სთვის მიუღებელი იყო, ამიტომ იგი ცდილობდა ეშველა მეტაფიზიკისთვის, ერთი მხრივ, მათემატიკასთან და ნიუტონის ფიზიკასთან მისი დაკავშირებით, მეორე მხრივ, ღვთის არსებობის ახ. დასაბუთების გამონახვით. როცა კ-მ შემეცნების ახ. პრინციპები დაადგინა და ღვთის არსებობის თეორ. დასაბუთების შესაძლებლობა უარყო, დაიწყო მისი ფილოს. შემოქმედების მეორე, ე. წ. კრიტიკული პერიოდი. პირველ პერიოდს უწოდებენ დოგმატურს, რადგან მაშინ კ. აღიარებდა შემეცნების შესაძლებლობას წინასწარი შემოწმების – კრიტიკის გარეშე.

კ-ის მტკიცებით, მათ. და ფიზ. მეცნიერებათა არსებობა იმის დასტურია, რომ არსებობს ჭეშმარიტება. ფილოსოფიას უფლება არა აქვს უარყოს ეს ფაქტი, მას მხოლოდ მისი შესაძლებლობის პირობების დადგენა შეუძლია. კ-ის აზრით, ძველი დროის ფილოსოფიამ ეს საკითხი ვერ გადაწყვიტა, რადგან მისი ამოსავალი პრინციპი იყო ის, რომ ჭეშმარიტი აზრი საგანს უნდა ეთანხმებოდეს. კ. მოითხოვდა საპირისპირო პრინციპის დაშვებას, რ-ის მიხედვით საგნები ჩვენს შემეცნებას ექვემდებარება. ამ რადიკალურ შემობრუნებას ფილოსოფიაში მან „კოპერნიკისებური გადატრიალება" უწოდა. მისი შეხედულებით, ახ. ფილოსოფიამ ეს პრინციპი საფუძვლად უნდა დაუდოს შემეცნების ბუნების ახსნას, მისი საზღვრების დადგენას, აგრეთვე იმის გარკვევას, თუ რისი ცოდნაა შესაძლებელი ამ საზღვრების მიღმა. ამრიგად, კ-ის მიზანი არის არა მეტაფიზიკის საერთოდ უარყოფა, არამედ მისი ახლებური დასაბუთება.

საქართველოში კ-ის კრიტ. ფილოსოფიის სერიოზული ათვისების პირველი მცდელობა უკავშირდება „პირველ ქართველ კანტიანელს", ს. *დოდაშვილსა* და მის ნაშრომს „ლოგიკა". კ-ის სინთეზურ-აპრიორული მსჯელობების საგულისხმო კრიტიკას ვხვდებით *გაბრიელის* (გ. ქიქოძის) ნაშრომში „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" (1858). XX ს. დასაწყისიდანვე ქართვ. მოაზროვნეები კ-ის ფილოსოფიისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ, რაც განპირობებული იყო იმდროინდელ ფილოსოფიაში ნეოკანტიანელთა მზარდი გავლენითაც. 1901 ჟურნ. „მოამბეში" გამოქვეყნდა ს. გორგაძის სტატია „ფილოსოფია და მისი პროგრესი", რ-შიც სათანადოდ იყო შეფასებული კ-ის კრიტ. მეთოდი და საორიენტაციო ხაზად ნეოკანტიანელი ვ. ვინდელბანდის „ფილოსოფიის ისტორია" იყო აღიარებული. 1920 გამოცემულ ნაშრომში „ფილოსოფიის შესავალი" შ. *ნუცუბიძე* განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კ-ის მოძღვრებისა და მისი „კოპერნიკისებური გადატრიალების" აღეკვატური გაგების საკითხს, რადგან, მისი აზრით, „კანტი თანამედროვე ფილოსოფიის კარია". კ-ის კრიტ. ფილოსოფიის საყურადღებო რეცეფციასა და ტრანსფორმაციას გვთავაზობს შ. ნუცუბიძე მოგვიანებით გამოქვეყნებულ თავისსავე ალეთოლოგიურ ნაშრომებში. აქ იგი ნეოკანტიანელთა (გერმ. ფილოსოფოსის ე. ლასკის და სხვ.) მკაფიო გავლენას განიცდის. მ. *გოგიბერიძემ* ცნობილი გერმ. ფილოსოფოსის, ნ. ჰარტმანის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სალომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტთან და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებით" (მარბურგი, გერმანია, 1922), რ-შიც კ-ის ფილოსოფიის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო მონაკვეთი დაწვრილებით არის გაანალიზებული. კ-ის აზროვნების აქტუალურ საკითხებს ეხება მ. გოგიბერიძე სხვა გამოკვლევებშიც. მანვე ქართულად თარგმნა და 1936 გამოსცა კ-ის მნიშვნელოვანი თხზულება „პროლეგომენები..." 1929 გამოდის კ. *ბაქრაძის* საეტაპო გამოკვლევა „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში", რ-შიც კ-ს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

XX ს. II ნახევარში კ-ის ფილოსოფიისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. ითარგმნა კ-ის რამდენიმე მთავარი თხზულება, გამოქვეყნდა არაერთი გამოკვლევა მისი ფილოს. შემოქმედების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. 1966 გამოვიდა კ. ბაქრაძის „ახალი ფილოსოფიის ისტორია", რ-შიც კ-ის მოძღვრება საინტერესოდ არის გადმოცემული, 1967 – ა. *ბოჭორიშვილის* გამოკვლევა „კანტის ესთეტიკა", 1974 – გ. *თევზაძის* „იმანუელ კანტი", 1977 – ს. *დანელიას* „კანტის ცხოვრება და მოღვაწეობა", ხოლო 1989 კი – რ. შენგელიას მონოგრაფია „ესთეტიკა და გონების ერთიანობის პრობლემა კანტის ფილოსოფიაში". ეს ნაშრომები კ-ის თეორ. ფილოსოფიის სხვადასხვა ასპექტს ეხება და „ქართული კანტოლოგიის" განვითარების ისტორიაში მეტად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. XX ს. ბოლოს და XXI ს. დასაწყისში ქართვ. მეცნიერთა შრომებში გვხვდება კ-ის კრიტ. ფილოსოფიისადმი სისტემური მიდგომის არაერთი საგულისხმო მცდელობა, რ-ის მიზანიც კ-ის მდიდარი თეორ. მემკვიდრეობის გათვალისწინებით საკუთარი ფილოს. კონცეპტების შემუშავებაა (გ. ბარამიძე, თ. *ირემაძე*, მ. *მამარდაშვილი* და სხვ.).

თხზ.: Gesammelte Schriften, Bd. 1–29, B., 1900–80 (2009); პროლეგომენები ყოველი მოსალოდნელი მეტაფიზიკისათვის, რომელიც მეცნიერების სახით შესძლებდა გამოცხადებას, თარგმ. და წინასიტყვ. მ. გოგიბერიძისა, ტფ., 1936; გამოც. მე-2, თბ., 2006; წმინდა გონების კრიტიკა, თარგმ. შ. პაპუაშვილისა, თბ., 1979; რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში, გერმანულიდან თარგმ., წინასიტყვ. და კომენტ. გ. თევზაძისა, თბ., 1989; რა არის განმანათლებლობა? თარგმ., რედ. და ბოლოსიტყვა გ. ზედანიასი, თბ., 2012; ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება, თარგმ. ლ. რამიშვილისა, თბ., 2013.

ლიტ.: ბაქრაძე კ., დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში, ტფ., 1929; გამოც. მე-2, თბ., 1971; მისივე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969; ბოჭორიშვილი ა., კანტის ესთეტიკა, თბ., 1967; გოგი-

ბერიძე მ., მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე, ტფ., 1928; გულიგა ა., კანტი, რუსულიდან თარგმნეს ო. გრატიაშვილმა და ლ. რამიშვილმა, თბ., 1986; დანელია ს., კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა, თბ., 1977; თევზაძე გ., იმანუელ კანტი, თბ., 1974; მისივე, კანტი და ფიხტე გოეთეს „ფაუსტში“, თბ., 2002; მშვენიერაძე ნ., კანტის მოძღვრება ადამიანის შესახებ, თბ., 1986; ნუცუბიძე შ., ფილოსოფიის შესავალი, ნაწ. 1, ტფ., 1920; შენგელია რ., ესთეტიკა და გონების ერთიანობის პრობლემა კანტის ფილოსოფიაში, თბ., 1989; შუშანაშვილი გ., კანტის ეთიკური ფორმალიზმის მარქსისტული კრიტიკისათვის, თბ., 1974; ძამაშვილი ა., მოცემადობის პრობლემა კანტის თეორიულ ფილოსოფიაში, თბ., 2006; წერეთელი ს., არისტოტელესა და კანტის მოძღვრებათა ურთიერთობისათვის კატეგორიების შესახებ, «თსუ შრომები», 1936, ტ. 3.

გ. თევზაძე.
თ. ირემაძე.

კანუნნამე, კანონის წიგნი, საკანონმდებლო აქტებისა და კოდექსების საერთო სახელწოდება მუსლიმურ სახელმწიფოებში. ყველაზე ბევრი კ. შეიქმნა ოსმალეთში. ისინი ასახავდნენ ოსმალეთის სოც.-ეკონ. და პოლიტ. განვითარების ეტაპებს. პირველი სულთნების კ-ებს ჩვენამდე არ მოუღწევია. XV ს. II ნახ-ში დაიწყო მათი კრებულებად შედგენა. ცნობილია მეჰმედ II-ის, სელიმ I-ისა და სულეიმან კანუნის კ-ები. დაპყრობილი ქვეყნებისათვის შედგენილი კ-ები ითვალისწინებდა ოსმ. წესების, კერძოდ, საგადასახადო სისტემის შემოღებას. ამიტომ ზოგჯერ, ისინი წინ უსწრებდნენ საგადასახადო დავთრებს, მ. შ. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს''. ცნობილია აგრეთვე გურჯისტანის 1537–74 კ., განჯის 1727 კ. და სხვ. თურქეთში კ-ების მხოლოდ ნაწილია გამოცემული.

ვ. ჩოჩიევი.

კაოლინი, სხვადასხვა ელფერის თიხიანი ქანი. კ. ჩინური სიტყვაა და ნიშნავს მაღალ ბორცვს. შედგება უმთავრესად მინერალ კაოლინიტისაგან $Al_4[Si_4O_{10}](OH)_8$. კ-ის აგრეგატები არის მიწისებრი, ფხვიერი, წმინდამარცვლოვანი, ცეცხლგამძლე. მინარევები ქანს აძლევს მოყვითალო, მოწითალო, მურა მტრედისფერ შეფერილობას. კ. წარმოიქმნება პირველადი ქანების გამოფიტვით, კაოლინიზაციით. არჩევენ კრისტალური ქანების გამოფიტვით წარმოქმნილ პირველად და პირველადი კ-ის გადალექვით წარმოქმნილ მეორეულ კ-ს. ცნობილია მეტამორფული წარმოშობის კ-ც. კ-ს იყენებენ ფაიფურის დასამზადებლად, პარფიუმერიაში, კერამ., ქაღალდის, რეზინის, საღებავების წარმოებაში და სხვ.

საქართველოში კ-ის საბადოებია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (მაკვანეთი, უჩხუბი, გოგოლაური), იმერეთში (ჯვარისა, სორმონი, ზარათი, გურნა, თამარისეული, ორპირი, ოჯოლა, შრომა), ცხინვალთან (ოჯორისწყლის ხეობა), შიდა ქართლში (ნაბაკევი, ლისა, ჩრდილეთი), ბოლნისის მუნიციპალიტეტში (დარბაზი) და სხვ.

ვ. ზუხბაია. ნ. ფოფორაძე.

კაოსი, *ლეონტი მროველის* მიხედვით, ქართლის მე-12 მეფე. მეფობდა ფარსმანთან ერთად I ს. 30–60-იან წლებში (იხ. აგრეთვე სტ-ები *ორმეფობა ქართლში, ფარსმან I).*

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

კაპა რობერტ (ნამდვ. სახ. და გვარი – ანდრე ერნო ფრიდმანი) [22. X. 1913, ბუდაპეშტი, – 25. V. 1954, ნამ-დინხი (ვიეტნამი)], ფოტოჟურნალისტი. 1929 კ. დასახლდა გერმანიაში, სადაც შეისწავლა სოციოლოგია და ჟურნალისტიკა. 1933–36 ცხოვრობდა საფრანგეთში. ახალგაზრდობიდანვე ჩაება პოლიტ. ცხოვრებაში, აქტიურად მონაწილეობდა მიტინგებსა და დემონსტრაციებში. იმყოფებოდა ესპანეთის სამოქალაქო, ჩინეთ-იაპონიის, ინდო-ჩინეთის, 1948 არაბეთ-ისრაელის და II მსოფლიო ომების მოვლენათა ეპიცენტრში. ომზე გადაღებული ფოტომასალიდან საუკეთესო ნაშრომად აღიარებულია ფოტო სახელწოდებით ,,ჯარისკაცის სიკვდილი''. 1947 კ-მ ჯ. სტაინბეკთან ერთად საქართველოში იმოგზაურა. მოინახულა თბილისი, ბათუმი, გორი. ამ მოგზაურობის ამსახველმა 81 ფოტოსურათმა ამჟამად ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა.

1947 კ-მ მეგობრებთან ერთად დააარსა ფოტოსააგენტო ,,მაგნუმი''. ტრაგიკულად დაიღუპა ვიეტნამში.

თ. დოლიძე.

კაპადოკია (Kappadokia), ოლქი მცირე აზიაში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია). სახელი მომდინარეობს ძვ. სპარსულიდან (Katpatuka – ლამაზი ცხენის ქვეყანა). კ-ის საზღვარი დას-ით მდ. ჰალისამდე (ახლანდ. ყიზილ-ირმაქი) ვრცელდებოდა, ჩრდ-ით – შავი ზღვის სანაპირომდე, სამხრ-ით – ტავრის მთებამდე, აღმ-ით – მდ. ევფრატამდე. უძველეს ხანაში (დაახლ. ძვ. წ. II ათასწლ.) კ. დასახლებული იყო ხათების (პროტოხეთების) ტომებით. ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისშივე კ-ში გამოჩნდნენ ინდოევროპული ტომები (ხეთები). კ. გახდა ხეთების სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორია. აქ მდებარეობდა მათი დედაქალაქი ხათუსა. ძვ. წ. XIX ს-ში ასირიელებმა კ-ში სავაჭრო დასახლებები შექმნეს. დაახლ. ძვ. წ. 1200-იდან კ. ფრიგიის ხელქვეით მოექცა. ძვ. წ. VIII ს-იდან კ-ის ტერიტორიაზე კიმერიელები შევიდნენ და ერთხანს იქ სახლობდნენ. დაახლ. ძვ. წ. 546 კიროს II-მ კ. აქემენიანთა სახელმწიფოს შეუერთა. კ-ის მოსახლეობა აქემენიანებს ყოველწლიურად 1500 ცხენს, 50 ათ. ცხვარსა და 20 ათ. ჯორს უგზავნიდა. ძვ. წ. 327-იდან კ. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში, შემდეგ სელევკიდებისა და მითრიდატე VI-ის მფლობელობაში იმყოფებოდა. ახ. წ. I–IV სს-ში კ. რომის პროვინცია გახდა. 371 რომაელებმა კ. ორ ნაწილად გაყვეს: პირველის ცენტრი იყო ქ. კესარია (ახლანდ. კაისერი, ძვ. მაზაკა), მეორის – თიანა. ბიზანტიურ ხანაში კ. ანატოლიკის თემს წარმოადგენდა. 1074 სელჩუკებმა დაიპყრეს, XV ს-იდან ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაშია.

კ-ის ტერიტორიაზე ქართველური მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ შავი ზღვის სამხრ. სანაპიროზე, პონტოს კ-ში – ლაზები და ჭანები, შიდა კ-ში კი – მუშქ/მესხები. პონტოს კ-იდან იყვნენ ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო, წმ. გიორგი, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის მეუღლე ნანა დედოფალი, ქართლის პირველი კათოლიკოსები (ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ) – პეტრე და სამოელი და სხვანი. როგორც ქართულ სამეცნ. ლიტერატურაშია მითითებული: ,,ქართველი ხალხის ტრადიცია კ-ს მშობლიურ ქვეყნად მიიჩნევდა, ხოლო კაპადოკიელ მოღვაწეებს – ქართველებად'' (ე. ხინთიბიძე), ,,კაპადოკია-პონტო-კოლხეთი (ლაზიკა)-იბერია ის ერთიანი ეთნიკური სამყარო იყო, რომელიც ერთიანი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა'' (გ. გოზალიშვილი).

კ-ის ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე ჩამოყალიბდა დიდი სატაძრო ცენტრები. ახ. წ. I ს-იდან კ. ქრისტიანობის გავრცელების კერა იყო და ადრევე გახდა განდე-



კაპადოკია.

გილების ასკეტური ცხოვრების ადგილი. მონასტრების მშენებლობა ბასილი დიდის (გ. 379) დროიდან დაიწყო. ქრისტიანები ტუფისა და ბაზალტის კლდეებში კვეთდნენ სენაკებს, ეკლესიებსა და მონასტრებს. დღეისათვის ჰ. გიგანტურ მუზეუმს წარმოადგენს. მარტო გერემის ველზე 350-მდე კლდეში ნაკვეთი ეკლესიაა (სულ 500-მდე), რ-თა კედლები მოხატულია ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებით. ჰ. ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი კაპადოკიელი წმ. მამების (*ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი* და *გრიგოლ ნოსელი*) სამშობლოა. მისი რელიგიური ცენტრი, კესარია ქრისტ. სამყაროში დიდი გავლენით სარგებლობდა.

ლიტ.: ბახსოლიანი ნ., დიდი კაპადოკია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 2008; გოზალიშვილი გ., ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის ცხოვრებიდან, თბ., 1965; გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991; ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978; Дандамаев М. А., Каппадокия. Православная энциклопедия, т. 13, М., 2009.

ვ. გოილაძე.

კაპადოკიელთა ფილოსოფია, IV ს. II ნახევარში კაპადოკიის „სამი დიდი მნათობის“ (ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი) მიერ შექმნილი ქრისტიანული ფილოსოფიის მოდელი. თავიანთ შრომებში ეს სამი კაპადოკიელი წმ. მამა ეყრდნობა ადრინდელ ქრისტიან ავტორებს, იყენებს ელინისტური ფილოსოფიის მდიდარ ტერმინოლოგიას და ქმნის ქრისტ. ფილოსოფიის მთავარ პრინციპებს, რ-ებმაც არსებითად განსაზღვრა ქრისტ. აღმოსავლეთის სააზროვნო ტრადიცია და დღემდე ინარჩუნებს დიდ ზეგავლენას. მათი აზრით, „ჭეშმარიტი ფილოსოფია“ მხოლოდ ქრისტიანული შეიძლება იყოს. ამდენად, მათი აზროვნება „ღვთაებრივის“ სტატუსს იძენს და, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია „წმიდას“ შემეცნებისა და გაგების გზების სრულყოფისკენ. მაშასადამე, აქ ტრანსცენდენტული არსი ჭეშმარიტი ფილოსოფიის მთელ შინაარსს წარმოადგენს. ქრისტ. ფილოსოფია განასახიერებს ცხოვრების გარკვეულ წესს, რ-იც ბერმონაზონთა ასკეტურ ცხოვრებაში აისახება. ბერმონაზვნური ცხოვრების წესის შესაბამისი ადგილი კი არის მონასტერი. მაშასადამე, ასეთი სახის ფილოსოფია მხოლოდ თეორიაში კი არ რეალიზდება, არამედ პრაქტიკაში. ბერმონაზონი არის „ჭეშმარიტი ფილოსოფოსი“, რადგან იგი ფილოსოფიის უმთავრეს მიზანს – ტრანსცენდენტურ არსებას, ღვთაებას სწვდება. ბერმონაზონი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი ფილოსოფოსი, ახერხებს ანტ. ხანის ფილოსოფოსთა და ბრძენთა ცალმხრივობების გადალახვას. ამდენად, რასაც ბერმონაზონი განიცდის და გრძნობს, თითოეული ადამიანის სწრაფვის ობიექტი უნდა იყოს.

შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია, უწინარეს ყოვლისა, ქრისტ. ეკლესიის ბერძენი მამების მოძღვრებათა საფუძველზე ჩამოყალიბდა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სწორედ ამ სამი დიდი კაპადოკიელი მამის ღვაწლი და შემოქმედება. X–XI სს. საქართველოში კაპადოკიელთა მრავალი ნაშრომი ითარგმნა ქართულად. მათ ნაშრომებს ინტენსიურად თარგმნიდნენ ათონის ივერთა მონასტერში, ასევე ექვთიმე ათონელი და გიორგი მთაწმიდელი. ეს შემთხვევით არ მომხდარა, რადგან კაპადოკიელთა საღვთისმეტყველო ფილოსოფიაზე დაყრდნობით ქრისტ. რელიგიის ფილოს. საფუძვლების მოხაზვა და დადგენა არის შესაძლებელი. ძვ. ქართ. კულტურაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბასილი დიდი და გრიგოლ ნაზიანზელი. მათ შემოქმედებას კარგად იცნობდნენ ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. ეფრემ მცირეს კაპადოკიელთა თხზულებების მრავალი თარგმანი ეკუთვნის. შუა საუკუნეების ქართ. აზროვნებაში კაპადოკიელთა სულიერი და ინტელექტუალური ზეგავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ამ ფაქტის აღსანიშნავად ქართულ ფილოს. ისტორიოგრაფიაში სპეც. ტერმინიც კი დამკვიდრდა – „კაპადოკიელთა რენესანსი“. ამ საკითხის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს გ. *თევზაძე* თავის ნაშრომში „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ X–XI სს. საქართველოში კაპადოკიელთა მიმართ ინტერესის ზრდამ ხელი შეუწყო არა მარტო მთარგმნელობითი კულტურის აღმავლობას, არამედ ფილოს. აზროვნების განვითარებასაც. ამ დროს დამკვიდრებული ჰუმანისტური იდეების საფუძველი ხშირად სწორედ კაპადოკიელთა ნააზრევშია საძიებელი. კაპადოკიელთა ქრისტ. ფილოსოფიის სხვადასხვა ასპექტებს ქართვ. მეცნიერთაგან საგანგებო კვლევები მიუძღვნეს *კ. კეკელიძემ*, *შ. ნუცუბიძემ*, *მ. გოგიბერიძემ*, მ. რაფავამ, თ. დოლიძემ, მ. მჭედლიძემ, ე. ჭელიძემ და სხვ.

ლიტ.: გოგიბერიძე მ., ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1941; თევზაძე გ., შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1996; კოჭლამაზაშვილი ე., დოლიძე თ., წმინდა გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 2009.

თ. ირემაძე.

კაპადოკიური მონეტა, კაპადოკიაში (მცირე აზია) მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. იყოფა ორ ჯგუფად: 1. საკუთრივ კაპადოკიის მეფეთა სახელით მოჭრილი მონეტები, 2. რომის იმპერატორთა სახელით მოჭრილი მონეტები. პირველი ჯგუფის მონეტების ემისია დაიწყო არიარათ (არიარათე) I-ის (ძვ. წ. 333–322) ეპოქიდან და გრძელდებოდა ძვ. წ. 36–17-მდე. სამონეტო ტიპების რეპერტუარი არცთუ ისე მრავალფეროვანია, ხოლო ძვ. წ.

III ს. 20-იანი წლებიდან ხდება მათი საბოლოო უნიფიკაცია. მონეტის შუბლზე ყოველთვის გამოსახულია კაპადოკიის მეფის პროფილი, ხოლო ზურგზე – მარცხნივ მიმართული ათენა მთელი ტანით, რ-საც გაწვდილ მარჯვენა ხელში უჭირავს გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ქანდაკება, მარცხენაში კი – შუბი და გორგონას გამოსახულებიანი ფარი. ბერძნ. ლეგენდაში აღნიშნულია კაპადოკიის ამა თუ იმ მეფის სახელი და მონეტის მოჭრის თარიღი. კაპადოკიის მეფეთა სახელით მოჭრილი დრაქმები აღმოჩენილია საქართველოშიც, კერძოდ, ვანში [არიარათ VI (ძვ. წ. 130–116) – 1 ც. არიარათ VII (116–101) 1 ც., არიარათ IX (101–87) 2 ც., არიობარძანე (96–63) – 2 ც.] და სხვაგან.

მეორე ჯგუფის მონეტების ემისია იწყება ახ. წ. 30 წ-იდან, კერძოდ, იმპ. ტიბერიუსის (14–37) დროს. თავდაპირველად იჭრებოდა დრაქმა, კალიგულას (37–41) ხანიდან ცირკულაციაში ჩართეს დიდრაქმა, ხოლო ნერონის ეპოქიდან (54–68) – ტეტრადრაქმები და ჰემიდრაქმები. სპილენძის მონეტები მოიჭრა კლავდიუსის (41–54) მმართველობისას. ემისია გრძელდებოდა III ს. შუა ხანებამდე. სამონეტო ტიპოლოგია მრავალფეროვანია, მაგრამ განსაკუთრებით გავრცელებულია მონეტების ზურგზე არგეის მთისა და ჰერაკლეს ლახტის გამოსახვა. შუბლზე ყოველთვის რომის იმპერატორის პორტრეტია ამოტვიფრული. ზედწერილები ბერძნულია. კაპადოკიის მთავარი ქალაქის, კესარიის ზარაფხანა II ს-ში უდიდესი მასშტაბით ახორციელებდა სამონეტო ემისიას და აკმაყოფილებდა მთელი მცირე აზიის ბაზრის მოთხოვნებს. ამ საერთო ეკონომიკურ ფერხულში ჩაბმული იყო კოლხეთიც. დას. საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილია 1200-მდე კაპადოკიური მონეტა (სოხუმის რ-ნი, ბიჭვინთა, ბანძა, სეფიეთი, ურეკი, სუფსა, ეკი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ კესარიული მონეტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ჩართული კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში. ასე მაგ.: ადრიანეს (117–138) დიდრაქმები აღმოჩენილია III ს. 30-იან და 50-იან წლებში ჩამარხული განძების შემადგენლობაში (ეკი, ბიჭვინთა) ან მიკვლეულია III ს. შუა ხანის შემდეგ ხელშეუხებელ კულტურულ ფენაში (ბიჭვინთა).

ლიტ.: დუნდუა გ., სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II – ახ. წ. IV სს., წგ.: დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975; მისივე, საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან), თბ., 1979; დუნდუა გ., წირღვავა გ., ეკის განძი, «ძეგლის მეგობარი», 1971, №27–28; დუნდუა გ., ჯალაღანია ირ., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ფუთურიძე რ., ბიჭვინთის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, წგ.: დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975; Голенко К. В., Денежное обращение Колхиды в Римское время, Л., 1964; Иващенко М. М., Герзеульский клад монет Кесарии Каппадокийской, ИГАИМК, вып. 10, т. 7, Л., 1931; Лорткипанидзе Г. А., К истории древней Колхиды, Тб., 1970; Simonetta B., Notes on the coinage of the Cappadokian Kings, NC, 1961; Sydenham E., The coinage of Caesarea in Cappadokia, L., 1933.

გ. დუნდუა.

კაპათა, ქართული კულტურის კერა იერუსალიმში, სიონის მთაზე. 1010 ეგვიპტის სულთანმა ჰაქემმა, იერუსალიმის სხვა ქრისტ. ტაძრებთან ერთად კ-ც დაანგრია. იგი VI ს-ში იუსტინიანე კეისრის მიერ იყო აგებული ძველი ტაძრის ადგილას. კ-ს აღდგენა, ქართულ საგანმანათლებლო კერად ქცევა და მასში დედათა მონასტრის დაარსება დაკავშირებულია ბაგრატ IV-ის (1027–72) მეუღლის – ბორენას – და ასულის – მართას – სახელებთან. კ. განადგურდა 1244 ხვარაზმელების ლაშქრობის დროს, მასთან ერთად განადგურდა მონასტერში არსებული მდიდარი წიგნსაცავიც.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 4, თბ., 1957; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980.

ე. მამისთვალიშვილი.

კაპანაძეები სტეფანე გრიგორის ძე (8. II. 1877, თბილისი, – 4. V. 1944, იქვე), სომეხი რეჟისორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1940). 1900 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. იმავდროულად ესწრებოდა დრამატულ კურსებს. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო თბილისში. 1904-იდან იყო თბილ. სომხური დრამ. საზ-ბის რეჟისორი. აქ კ-მა, სომხ. თეატრში პირველად, დადგა მ. გორკის ,,ფსკერზე'' (1908). 1921 მან რეჟისორ ლ. კალანტართან ერთად თბილისში დააარსა სომხ. თეატრი (იხ. *თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი*). 1921–22 სასცენო მეტყველებას ასწავლიდა სომხ. დრამ. სტუდიაში (მოსკოვი). მთ. რეჟისორად მუშაობდა თბილ. სომხ. დრამ. თეატრში (1923–26, 1930–37), ბაქოს სომხ. თეატრში (1926–27), თბილ. სომხ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში (1937–44). კ-ის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო სომხ. სათეატრო კულტურის ამაღლებას, ეროვნ. სამსახიობო ხელოვნებაში რეალიზმის გაღრმავებას. თბილ. სომხ. თეატრში დადგმული გამორჩეული სპექტაკლებია: ჰ. ბერგერის ,,წყალდიდობა'' (1923), ფ. შილერის ,,ვილჰელმ ტელი'' (1924), ა. ლუნაჩარსკის ,,ცეცხლის გამჩაღებლები'' (1924), ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი'' (1936) და სხვ.

კაპანაძე გოჩა სევერიანის ძე (დ. 29. XI. 1966, ზესტაფონი), თეატრის მსახიობი და რეჟისორი. 1986 დაამთავრა თბილ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი, 1993 – პარიზის პ. ბრუკის საერთაშ. თეატრ. ცენტრი. 1986-იდან არის შოთა რუსთაველის თეატრის მსახიობი და რეჟისორი, 1993-იდან– თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტის პედაგოგი, 2005–10 – თბილ. ჰ. ალიევის სახ. აზერბაიჯანული დრამ. თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი, 2010-იდან – რუსთავის მუნიციპალური თეატრის, ხოლო 2014-იდან – ცხინვალის ი. მაჩაბლის სახ. სახელმწ. პროფ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დადგმული სპექტაკლები: რუსთაველის თეატრში – ფ. გ. ლორკას ,,ბერნარდა ალბას სახლი'', ფ. შილერის ,,მარიამ სტიუარტი'', რ. ჰარვუდის ,,მოხუცი ჯამბაზები'' და სხვ.; თავისუფალ თეატრში – ევრიპიდეს ,,მედეა'', რ. გაბრიაძის ,,სამოთხის ჩიტი'', ფ. გ. ლორკას ,,სისხლიანი ქორწილი''; რუსთავის თეატრში – დ. კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი'', ე. დე ფილიპოს ,,მილიონერი ნეაპოლი'' და სხვ.; აზერბაიჯანულ თეატრში – ქ. აბდულას ,,ერთი, ორი, სამი...'', გ. ერისთავის ,,უჩინმაჩინის ქუდი'', ა. ჩეხოვის ,,ხელის თხოვნა'' და სხვ.; ცხინვალის თეატრში – მ. ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნების'', ,,კვაჭი კვაჭანტირაძის'', ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონის'' სცენური ინტერპრეტაციები. კ-ის მიერ თეატრში განხორციელებული როლებიდან აღსანიშნავია ჰამლეტი (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'', რეჟ. ა. ვარსიმაშვი-



გ. კ ა პ ა ნ ა ძ ე. სცენა სპექტაკლიდან ,,მოხუცი ჯამბაზები''.

ლი; სახელმწ. პრემია; 2000), არისტო, ცხენი (დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი''; რეჟ. გ. ჟორდანია). ჰ-ის რეჟისურით განხორციელებულ სპექტაკლ ,,მარიამ სტიუარტს'' ვაიმარის XV საერთაშ. თეატრ. ფესტივალზე (გერმანია) მიღებული აქვს გრანპრი. შესრულებული აქვს როლები შემდეგ ფილმებში: ,,ბესამე'' (რეჟ. ნ. ახვლედიანი, 1989), ,,სტუმრები'' (რეჟ. დ. ცინცაძე, 1991), ,,გარიგება'' (რეჟ. ზ. კოლელიშვილი, 2011) და სხვ. დადგა რამდენიმე სპექტაკლი გერმანიაში, საბერძნეთში, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში, საფრანგეთში. *თ. კახიანი.*

კაპანაძე დავით გიორგის ძე (15. IV. 1898, თბილისი, – 7. III. 1971, იქვე), ნუმიზმატი. დოქტორი (1958), პროფესორი (1965), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967), დაამთავრა გორის კლასიკური გიმნაზია. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ-ბის გამგე (1959–71). ჰ. 1937-იდან მონაწილეობდა საქართველოს არქეოლ. ექსპედიციებში (მცხეთა, გუდარეხი, კლდეეთი, ბიჭვინთა და სხვ.), გამოავლინა მრავალი უცნობი ქართ. მონეტა, დაადგინა ზოგიერთის ქართ. წარმომავლობა, მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა ქართ. მონეტების დათარიღებაში და სხვ. ქართ. ცენტრ. და საზღვარგარეთის ჟურნალებში გამოაქვეყნა მრავალი სამეცნ. ნაშრომი ქართ., რუს., გერმ., პოლონურ და ჩეხურ ენებზე. ჰ-მ თავისი პუბლიკაციებით მსოფლიოს გააცნო ქართ. ფულის ისტორია და გააცხოველა ინტერესი ამ პრობლემისადმი. მისი შრომებიდან მნიშვნელოვანია ,,ქართული ნუმიზმატიკა'' (მრავალჯერ გამოიცა ქართ. და რუს. ენებზე). ჰ-მ დიდი სამუზეუმო მუშაობა გასწია (მონეტების შეგროვება, განსაზღვრა, კოლექციის სისტემატიზაცია და დაცვა).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: წარსულის მაცნეები, თბ., 1965; ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; Грузинская нумизматика, Тб., 1950; Новый тип монеты Давида Строителя, «Византийский временник», 1956, т. 8; О продолжительности обращения динариев Августа и драхм Готарза в древней Иберии, «Советская археология», 1962, №4.

ვ. ლექვინაძე.

კაპანაძე ვახტანგ მიხეილის ძე (დ. 17. VIII. 1960, ოზურგეთი), გენერალ-მაიორი (2013). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის უფროსი (2013–16). სამხედრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (2014). დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1983); ჯ. მარშალის სახ. სამხედრო ბიუჯეტის დაგეგმარებისა და უსაფრთხოების კოლეჯი (გერმანია, 1997); თავდაცვის ნაციონალური აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკ-ტი ოქროს მედლით (უკრაინა, 1999); სახმელეთო ძალების ომის წარმოების კოლეჯი (აშშ, 2003). იყო ავღანეთის ვეტერანთა ბატალიონის შტაბის უფროსი (1991–92), სპეციალური დაზვერვის ბატალიონის მეთაური (1992), საქართვ. გენ. შტაბის საჯარისო დაზვერვის სამმართველოს განყ-ბის უფროსი (1993–95), საქართვ. შეიარაღებული ძალების მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური (1999–2001), საქართვ. გენ. შტაბის J–2 დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი (2001–02), საქართვ. გენ. შტაბის სახმელეთო ძალების (სწრაფი რეაგირების ძალების) შტაბის უფროსი (2003–04), საქართვ. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის უფროსი (2004–05), საქართველოს პრეზიდენტის სამხ. მრჩეველი (2005–06), აფხაზეთის მთავრობის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი (2006), საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი (2007), სრულუფლებიანი და საგანგებო დესპანი პოლონეთის რესპუბლიკაში (2007–08), საქართვ. საგარეო დაზვერვის სპეც. სამსახურის უფროსის მოადგილე (2008–12).

ჰ. დაჯილდოებულია ღირსებისა (1992) და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2000) ორდენებით, აშშ-ის ეროვნული გვარდიის სახელეთო ძალების ომის წარმოების კოლეჯის ,,ღირსების დარბაზის'' საპატიო წევრი. სპორტის ოსტატი (1981, რაგბი).

კაპანაძე ზურაბ რაჟდენის ძე (15. XI. 1925, თბილისი, – 20. X. 1989, იქვე), მხატვარი-გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1953). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (იყო გამოყენებითი გრაფიკის კათედრის პროფესორი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1953-იდან. ძირითადად მუშაობდა წიგნის გაფორმების დარგში. მხატვრის მიერ შექმნილი გრაფ. სახეები გამოირჩევა მონუმენტურობით. ძირითადი ნამუშევრებია ილუსტრაციები წიგნებისათვის: დ. დემირჭიანის ,,ვარდანანქი'' (ისტ. რომანი ორ წიგნად, 1962); ი. აბაშიძის ,,რას გადაურჩა თბილისი'' (1963, II ხარისხის დიპლომი, რუსული წიგნის 400 წლისადმი მიძღვნილ კონკურსზე); მუს. სახელმძღვანელოები I და II კლასებისათვის (1964, ბრინჯაოს მედალი სსრკ სახ. მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე); ,,ვეფხისტყაოსანი'' (1966, II ხარისხის დიპლომი საკავშ. კონკურსზე); მინიატიურული ,,ვეფხისტყაოსანი'' (1967, ოქროს მედალი, იქვე); ,,ქართული ხელნაწერები'' (1970, ი. ფეოდოროვის სახ. დიპლომი); ისიკავა ტაკიბოკუს მინიატიურული გამოცემის ილუსტრაციები (ასი ტანკა, 1970) და სხვ. მის მიერ შექმნილია მეფე ფარნავაზის წარმოსახვითი პორტრეტი. ჰ., გარდა გრაფიკისა, ნაყოფიერად მოღვაწეობდა მონუმ. მოზაიკის დარგშიც (გააფორმა

ზ. კ ა პ ა ნ ა ძ ე. ,,რას გადაურჩა თბილისი'' (ი. აბაშიძის ნაწარმოების მიხედვით). 1963.



კაფე ,,ფანტაზია'' ე. წ. ,,რვაფეხა'' ბათუმში, ავტორთა ჯგუფთან ერთად).

კაპანაძე იასონ ლუკას ძე (ფსევდ. – თ ა ვ ბ ე რ ა) (19. XII. 1857, სოფ. ბოსლევი, შორაპნის მაზრა, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 28. XII. 1931, იქვე), პედაგოგი. საქართვ. სახალხო მასწავლებელი. დაამთავრა ქუთაისის სას. სასწავლებელი (1876), ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო და მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად გამოცდები ჩააბარა. მოკლევადიანი პედ. პრაქტიკა გაიარა ხონში და 1877 მუშაობა დაიწყო სოფ. მარნის დაწყებით სკოლაში, სადაც 22 წელი მოღვაწეობდა. ი. გოგებაშვილის დახმარებით, სკოლასთან ქართ. წიგნების მდიდარი ბ-კა შეიქმნა. 1897 კ. სოფ. ნიკორწმინდაში გადავიდა მასწავლებლად, ხოლო 1898 – სოფ. კაცხის სკოლაში, რ-იც ერთ-ერთ სანიმუშო სასწავლებლად აქცია. 1901 კ-მ მშობლიურ სოფელში გახსნა დაწყებითი სკოლა, რ-საც 30 წელი ხელმძღვანელობდა. მისი ძალისხმევით სკოლა თავდაპირველად 2-კლასიანი სასწავლებელი გახდა, ხოლო შემდეგ 7-წლიან სკოლად გადაკეთდა. კ-ის მოღვაწეობის შედეგად გაუმჯობესდა სოფ. ბოსლევის რკინიგზის სადგურის მუშაობა, შეიქმნა საფოსტო განყ-ბა, დაარსდა შემნახველი სალარო, სოფლის საურთიერთო ამხანაგობა, ბ-კა-სამკითხველო და სხვ.

კ. ეწეოდა ნაყოფიერ ლიტ. მუშაობასაც. მისი წერილები 1878-იდან იბეჭდებოდა მაშინდელ ქართ. და რუს. ჟურნ.-გაზეთებში და იმდროინდელი საქართველოს პედ. და საზ. ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხს ეხებოდა. კ-ს ეკუთვნის ბროშურა ,,სოფლის მასწავლებლის ხმა'' (1906) და საისტ.-ეთნოგრ. ნარკვევი ,,სოფელი საჭილაო'', რ-იც დაიბეჭდა კრებულში ,,Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа'' (XXVII გამოშვება).

კ. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის წევრი (1893-იდან).

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 1, თბ., 1953.

თ. ალიბეგაშვილი.

კაპანაძე ირინე ბიძინას ასული (დ. 14. I. 1960, თბილისი), ენათმეცნიერი-რუსისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ის რუს. ფილოლ. ფაკ-ტი (1984). 1991-იდან მუშაობს იქვე. 2005–09 იყო სლავური ენების კათედრის რუს. ენის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2009-იდან თსუ-ის მიწვეული პროფესორია რუსულის, კავკასიოლოგიისა და თარგმანის მიმართულებაზე. ამავე წლიდან არის საქართვ. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნ-ტის მიწვეული პროფესორი. ავტორია მონოგრაფიებისა: ,,Особенности передачи древнегреческих сакральных лексем в славяно-русских библейских книгах'' (2012). ,,Фонетическая адаптация лексических заимствований в современном русском языке'' (2012); სახელმძღვანელოებისა: Русский язык (для студентов-филологов) (თანაავტ.: ნ. ჭოხონელიძე, თ. აღლაძე, 2012), `Практический курс русского языка~ (Базовый уровень) (თანაავტ. თ. ჭეიშვილი, 2015); 1999 კ-ის თანაავტორობით (გ. გოლეთიანთან და თ. აღლაძესთან ერთად) გამოვიდა ,,რუსულ-ქართული ლექსიკონი''. თარგმნის სამეცნ. ლიტ-რას რუს. ენაზე. შესრულებული აქვს არნ. ჩიქობავას, მ. ქურდიანის, ც. ბარამიძის და სხვა ავტორთა ნაშრომების რუს. თარგმანები. თანამშრომლობს სამენოვან სამეცნ. ჟურნალთან ,,კავკასიოლოგიური ძიებანი'' (რუს. ტექსტების რედაქტირება).

კაპანაძე კარპეზ სერაპიონის ძე (12. IV. 1919, სოფ. კორბოული, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 31. X. 2005, თბილისი), ვეტერინარი ექიმი. ვეტერინარიის მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1995), საქართვ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1997). 1943 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი. 1958–59 იყო საქართვ. მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, 1962–90 – საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-სამეცნ. ინ-ტის პრორექტორის მოადგილე ვეტერინარიის დარგში, 1990-იდან – ამავე ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი. კ-მ შეისწავლა საქართველოში ვეტ. ისტორიის პრობლემები, დაამუშავა ვეტ. ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და ორთოგრაფიის საკითხები. ავტორია ვეტ. დამხმარე სახელმძღვანელოსი, ასევე მონოგრაფიული ნაშრომების. კ-მ პირველმა განაზოგადა მსოფლიო სავეტერინარო კონგრესების ისტორიის მასალები. 1979 მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ XXI მსოფლიო სავეტერინარო კონგრესის მუშაობაში. კ. იყო ქართული ენციკლოპედიის სამეცნ.-საკონსულტაციო საბჭოს წევრი და ვეტერინარიის სექციის ხელმძღვანელი. მიღებული აქვს სახელმწ., მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

თხზ.: ქართული სავეტერინარო ლექსიკონი, თბ., 1994; ვეტერინარიის ფუძემდებლები საქართველოში და მათი მომდევნო თაობები, თბ., 1997 (თანაავტ. ჯ. წულაია); К истории ветеринарии в Грузии, Тб., 1960; Развитие ветеринарии в Грузии (за годы советской власти), Тб., 1965.

თ. ყურაშვილი.

კაპანაძე ლია დავითის ასული (დ. 8. III. 1934, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1979). 1959 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის (1959–70), კ. მარჯანიშვილის (1970–80) თეატრებში. დღემდე მ. თუმანიშვილის თეატრის მსახიობია. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: რუსთაველის თეატრში – ლოლა (რ. ებრალიძის ,,თანამედროვე ტრაგედია''), მაიკო (ვ. როზოვის ,,ხალისიანი მეგობრები''), ჯენი (ბ. ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა''), სარე (კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია''), აბიგაილი (ა. მილერის ,,სეილემის პროცესი''), ტატიანა (მ. გორკის ,,მდაბიონი''), ქალი (გ. ნახუცრიშვილის ,,ფიროსმანი''), იპოლიტა (უ. შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'') და სხვ.; კ. მარჯანიშვილის თეატრში – ლია (პ. კაკაბაძის ,,სამი ასული''), ქურთი მეეზოვე (ჯ. იოსელიანის ,,ტაკიმასხარა''), დედა (ნ. დუმბაძის ,,ნუ გეშინია, დედა''), დალი (ჯ. მონიავას ,,აღუვსებელი საწყაული), კალანტაი (მ. შატროვის ,,30 ივლისი'') და სხვ. მ. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში – მარია ბოსფა (ფ. გ. ლორკას ,,ბერნარდა ალბას სახლი''), ბებია (თ. ჯუჯუნო ლილუს ,,ზვავი'') და სხვ.

1963-იდან იღებენ კინოფილმებში. მთავარი როლი (პირიმზე) შეასრულა ფილმში ,,დიდი მწვანე ველი'' (რეჟ. მ. კოკოჩაშვილი, 1967), სადაც ემოციურად, დამაჯერებლად გადმოსცა დრამა ცივილიზაციას მოწყვეტილი ახალგაზრდა ქალისა, რ-იც საკუთარი არჩევანის უფლების მოპოვებას ცდილობს. მონაწილეობს ფილმებში: ,,ფერისცვალება'' (რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1968), ,,დიდედები და შვილიშვილები'' (რეჟ. ნ.



ლ. კ ა პ ა ნ ა ძ ე. პირიმზე, კადრი ფილმიდან ,,დიდი მწვანე ველი‘‘. 1967.

მჭედლიძე, 1969), ,,წყალდიდობა‘‘ (რეჟ. თ. გოშაძე, 1970), ,,ლია, პაპა და პატარა მედოლე‘‘ (რეჟ. პ. ჩარკვიანი, 1973), ,,კაცები‘‘ (რეჟ. ბ. რაჭველიშვილი, 1974), ,,არ დაივჯერო, რომ აღარა ვარ‘‘ (რეჟ. ყ. მგელაძე, 1975), ,,ამბავი აფხაზი ჭაბუკისა‘‘ (რეჟ. ა. ჟღენტი, 1977), ,,ჰელადოს‘‘ (რეჟ. ყ. მგელაძე, 1979), ,,როგორ ვიცხოვრო უშენოდ‘‘ (რეჟ. ყ. მგელაძე, 1980), ,,საფეხური‘‘ (რეჟ. ა. რეხვიაშვილი, 1986), ,,ანემია‘‘ (რეჟ. ვ. კოტეტიშვილი, 1987), ,,ცოდვის დღესასწაული‘‘ (რეჟ. ე. ბადურაშვილი, 1990), ,,ვირთხა‘‘ (რეჟ. პ. მილორავა, 1991), ,,ტბა‘‘ (რეჟ. კ. კიკაბიძე, 1996), ,,ბოდვა‘‘ (რეჟ. თ. ბზიავა, 2003), მთავარი როლი შეასრულა ფილმში ,,ლუკა‘‘ (ნინა; რეჟ. გ. ბარაბაძე, 2016) და სხვ.

მ. კერესელიძე.

კაპანაძე ნუკრი გრიგოლის ასული (დ. 19. IX. 1964, ქ. ზესტაფონი), მომღერალი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002, თ. ჭოხონელიძესა და ე. მამალაძესთან ერთად). 1987 დაამთავრა სპი-ის ქიმიის ფაკ-ტი. სიმღერა დაიწყო ანსამბლ ,,თაიგულში‘‘, ასრულებდა სიმღერებს ძირითადად დები *იშხნელების* რეპერტუარიდან. სტუდენტობის პერიოდში მღეროდა ინ-ტის ვოკალურ ტრიოში, დუეტებში. XX ს. 90-იანი წლებიდან როგორც სოლისტი აქტიურად მონაწილეობდა თბილისში გამართულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან კონცერტში. კ-ის მიერ შესრულებული სიმღერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. *სეფისკვერაძის* მიერ სპეციალურად მისთვის დაწერილი ,,იმერეთი‘‘. საგასტროლოდ იყო ევროპის მრავალ ქვეყანაში, აშშ-ში. კ-ის შესრულება გამოირჩევა განსაკუთრებული მუსიკალურობით, ხმის ფართო დიაპაზონით, ქართ. სიმღერისათვის დამახასიათებელი ნიუანსების ოსტატური გამოყენებით.

2009 კ-მ ბავშვებისათვის დააარსა ,,ნუკრის სტუდია‘‘, სადაც იგი თავის გამოცდილებას გადასცემს მომავალ თაობას. ეწევა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. ჩაწერილი აქვს 4 ალბომი. ბოლო ალბომი სახელწოდებით ,,რეპეტიცია‘‘ გამოსცა 2014. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2007).

ნ. გელოვანი.

კაპანაძე პეტრე სოლომონის ძე [1(13). VI. 1877, სოფ. წაღვლი, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი, – 10. VI. 1949, ხაშური], პედაგოგი, რევ. მოძრაობის მონაწილე. საქართვ. დამს. მასწავლებელი (1934). დაამთავრა თბილ. სას. სემინარია (1901). აქტ. მონაწილეობას იღებდა არალეგალური მარქსისტული წრის მუშაობაში. ეწეოდა არალეგალურ აგიტაციას მოსწავლე ახალგაზრდობასა და ჯარისკაცთა შორის. 1901-იდან მუშაობდა ხაშურში მასწავლებლად, სკოლის დირექტორად. კ-ს ეკუთვნის მოგონებათა წიგნი ,,ბავშვობა და ყრმობა‘‘ (1945), რ-იც ი. სტალინის რევ. მოღვაწეობის დასაწყისს ეხება. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

კაპანაძე რევაზ ვლადიმერის ძე (დ. 22. IV. 1924, სოფ. ჩხირაული, ახლანდ. ჭიათურის მუნიციპალიტეტი), პათოლოგანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1995). 1948 დაამთავრა თსსი. 1949-იდან იყო საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მ. წინამძღვრიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერ. კარდიოლოგიის ინ-ტის პათოლ. მორფოლოგიისა და ჰისტოქიმიის ლაბორ. მეცნიერი მუშაკი, გამგე (1960-იდან); თსსი-ის პათოლ. ანატ. კათედრის პროფესორი (1973). საქართვ. პათოლ. ანატ., კარდიოლოგიის, ბიოფიზიკის სამეცნ. საზ-ბების, თსსი-ის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი (1978).

კ. იკვლევდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიის, მიოკარდიოპათიის, ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონულ დაავადებათა საკითხებს, უეცარი კარდიული სიკვდილის თანატოგენეზს და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).



ნ. კაპანაძე.

თხზ.: მიტრალური სტენოზის პათოლოგიური ანატომია, თბ., 1968; მიოკარდის სტრუქტურული ცვლილებები და მათი შექცევადობა გულის მუშაობის სხვადასხვა ფუნქციური მდგომარეობის დროს, თბ., 1969.

კაპანაძე სეით ამბაკოს ძე (20. X. 1900, სოფ. მეორე სვირი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 15. II. 1956, მოსკოვი), საბჭოთა კონტრ-ადმირალი (1951). 1921–23 სწავლობდა ბათუმის სამხ.-საზღვ. სასწავლებელში, 1923–26 – ლენინგრადის მ. ფრუნზეს სახ. სამხ.-საზღვ. სასწავლებელში. 1941–42, II მსოფლიო ომის (1939–45) დროს, კ. იყო 77-ე საზღვაო ქვეითი ბრიგადის მეთაური, 1942 – 45 წყნარი ოკეანის ფლოტის 1-ლი გამანადგურებელი ბრიგადის მეთაური. 1949–51 – კამჩატკის სამხ. ფლოტილიის შტაბის უფროსი. 1948 დაამთავრა ლენინგრადის სამხ.-საზღვაო აკადემია, 1951–53 სწავლობდა გენ. შტაბის აკადემიაში. 1954–56 იყო სსრკ სამხ.-საზღვაო ფლოტის მთ. ინსპექტორი. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ლ. დოლიძე.



ს. დ. კაპანაძე.

კაპანაძე სიმონ დავითის ძე (27. V. 1938, ქ. ფოთი, – 28. VIII. 2015, თბილისი), კარდიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1994), საქართვ. სახელმწ. პრემიების ლაურეატი (1981, 2004); საქართვ. სამედ. და სოციალურ მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1998). საქართვ. დამს. ექიმი (1988).

1962 დაამთავრა თსსი; 1962–64 იყო სოფ. ღორეშას საუბნო საავადმყოფოს გამგე. 1968–94 მუშა-

ობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს თერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კარდიოლოგიის განყ-ბაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1994–2010 იყო აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის დირექტორის მოადგილე, 2010–11 – სამედ. ხარისხის მართვის დირექტორი, 1975–95 – თბილ. მთ. თერაპევტი.

ჰ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიის, 3 მეთოდური რეკომენდაციის, ერთი გამოგონების და 4 რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. მისი სამეცნ. ნაშრომები ეხება კარდიოლოგიის აქტუალურ საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

კაპანახჩი (2012-მდე – ქაფანახჩი), სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), მარნეულის ვაკეზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., ალგეთის მევენახეობა, ამბაროვკა, ილმაზლო, მეორე ქესალო, პირველი ქესალო, ქეშალო). ზ. დ. 290 *მ*, მარნეულიდან 25 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2014).

კაპანელი (ნამდვ. გვარი – ჭანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე (5. V. 1889, სოფ. კაპანა, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 11. XII. 1952, თბილისი), ფილოსოფოსი, ხელოვნების სოციოლოგი, ლიტერატურათმცოდნე. სწავლობდა ქ. ფოთის საქალაქო გიმნაზიაში, შემდეგ ნანსისა და გრენობლის (საფრანგეთი) უნ-ტებში. გრენობლის უნ-ტის სიტყვიერების ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ, ჰ-ს, როგორც დოქტორანტს, უფლება დართეს წარედგინა დისერტაცია თემაზე ,,შოთა რუსთაველის მორალური და ფილოსოფიური იდეები‘‘. 1910 ჰ. სამშობლოში დაბრუნდა. 1931-იდან იყო თბილისის პედ. ინ-ტის დას. ევროპის ენების კათედრის გამგე, პარალელურად თსუ-ში კითხულობდა ლექციებს ლიტ. თეორიასა და ევროპის ლიტ. ისტორიაში; ხელმძღვანელობდა მსოფლიო ლიტ. კათედრას (1931–49); 1946-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინ-ტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. იყო საქართვ. მწერალთა კავშირისა და მწერალთა გაერთიანება ,,არიფიონის‘‘ წევრი, ჟურნ. ,,არიფიონის‘‘ ერთ-ერთი თანაავტორი. 1940 უმაღლესმა საატესტატო კომისიამ მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვის ნება დართო თემაზე ,,მშვენიერების წარმოშობის შესახებ‘‘ (მეცნ. კანდიდატის ხარისხის დაუცველად). 1949, კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის პირობებში, ჰ. გაათავისუფლეს ყველა სამსახურიდან და, შესაბამისად, შეწყდა მისი შრომების გამოქვეყნება. მოგვიანებით ჰ-ს ლექციების წაკითხვის უფლება დართეს მხოლოდ ბათუმის პედ. ინ-ტში.

ჰ-ის პირველი ფილოს. ნაშრომები (,,ნიცშეანელობის ლაიტმოტივები‘‘, ,,ტანჯვის იდეა და ზეკაცის პოეზია ქართულ ლიტერატურაში‘‘, ,,ტანჯვა და შემოქმედება‘‘) წარმოადგენს სიცოცხლის ფილოსოფიის (ძირითადად ვ. ჰიუგოს, ფ. ნიცშეს, ო. შპენგლერის, ნაწილობრივ კი ვ. დილთაის, ა. ბერგსონისა და ნ. ბერდიაევის) უმთავრესი იდეების საფუძველზე ქართ. კულტურის ცალკეული ფენომენის ანალიზის მცდელობას. კაცობრიობის ისტორია, ჰ-ის აზრით, წარმოადგენს მარადიული ბრძოლისა და დაპირისპირების არენას, სადაც არაფერი ხორციელდება ტანჯვის გარეშე. ამ პროცესის წარმმართველი ძალაა ორგანიზმების ინსტინქტური სწრაფვა სიცოცხლისაკენ. რელიგიური და სოც. იდეალები ერთნაირად განუხორციელებელია, რადგან კაცობრიობის ისტორიასა და კულტურას არ გააჩნია საზრისი და საბოლოო მიზანი. ბიოლ. საწყისი განსაზღვრავს ცალკეული ინდივიდისა და მთლიანად კაცობრიობის არსებობას. ძლიერი პიროვნებებისთვის ცხოვრება წარმოადგენს ესთეტიკური ტკბობის სფეროს; ჰ-ის აზრით, სიცოცხლის იდეალისაკენ სწრაფვაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ გენიოსებს. გენიოსის შემოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორია უშუალო განცდის სიძლიერე, სუბიექტური ფსიქოლ. მოტივები და არა სოციალურ-ეკონ. გარემო. ამიტომ, ჰ-ის აზრით, პოეტური შემოქმედების საიმედო მეთოდი პოეტურ განცდათა ფსიქოლ. ანალიზია. მოგვიანებით ჰ. შეეცადა საკუთარი მსოფლმხედველობის ბიოლოგისტურ მოტივებთან მარქსიზმის თეორიის ცალკეული იდეების შეთანხმებას; ნაშრომში ,,სოციალური ესთეტიკის საფუძვლები: ორგანოტროპიზმი‘‘ ჰ. ავითარებს ესთეტიკური პრინციპების სოციალური ფაქტორებით განსაზღვრულობის იდეას, რ-ის თანახმად, ყოველი ხალხის და ყოველი საუკუნის სოციალურ-ისტ. პირობების კომპლექსი თავისებურ ხასიათს ანიჭებს ხელოვნების ესთეტიკურ-ფილოს. იდეალებს. ხელოვნებასა და სოც. გარემოს შორის ორგანოტროპული კავშირი გულისხმობს კორელაციას: მდგომარეობა აძლევს ფორმას სულიერებას, მაგრამ მდგომარეობის შეცვლის დაჩქარება შეუძლია სულიერების გავლენას.

ჰ. უკიდურესი რელატივიზმისა და აგნოსტიციზმის პოზიციის დამცველია. იგი უარყოფს ცოდნის ობიექტურ ხასიათს და მეცნიერების თეორ. ღირებულებას. მეცნიერების წარმოშობას ცხოვრების პრაქტ. ინტერესები განაპირობებს, მაგრამ მეცნიერებამ არაფერი უწყის მოვლენათა არსის შესახებ. სოც. და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცნებები მხოლოდ ყოფიერების შესაძლებლობებს გამოხატავენ და აბსოლუტური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ა. ბერგსონის მსგავსად, ჰ-ს მიაჩნია, რომ აზროვნება მთელი მატერიისთვისაა დამახასიათებელი, რადგან აზროვნება ორგანული მატერიის გარეშე არ არსებობს. არ არსებობს მატერია სულის გარეშე და სული მატერიის გარეშე. სული მატერიის დინამიკური სახეა, მატერია კი – სულის სტადიური მდგომარეობა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ჰ-ის კვლევის ძირითადი მიმართულება იყო ქართ. ლიტ-რის სოციოლოგიური ანალიზი. მან ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობას. იდეოლ. წნეხის პირობებშიც კი ჰ. ახერხებდა ობიექტურად შეეფასებინა ქართ. კულტურის წინაშე ი. ჭავჭავაძისა და მ. ჯავახიშვილის დამსახურება. ევროპული ლიტ-რის საფუძვლიანი ცოდნა მას საშუალებას აძლევდა შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ქართული ლიტ-რის ნიმუშები ეკვლია შესაბამისი დროის ევრ. ლიტ-რის კონტექსტში და განესაზღვრა მათი მნიშვნელობა და ადგილი მსოფლიო ლიტ. ისტორიაში.

თხზ.: სოციალური ესთეტიკის საფუძვლები: ორგანოტროპიზმი, ტფ., 1925; სოციალური მიმოქცევის იდეა ორგანოტროპიზმის სისტემიდან, «არიფიონი», 1928, №1; ქართული ლიტერატურის [სოციალური] გენეზისი: პრინციპული ნარკვევი, ტფ., 1928; მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი, თბ., 1937; მეტყველებისა და ლიტერატურის პრობ-

ლემები, თბ., 1938; ფაშიზმი კულტურის მტერია, თბ., 1943; ფილოსოფიური შრომები, თბ.: 1996; რენესანსი ლიტერატურაში, თბ., 2014; Стихи философа: Юношеские мечты, Поти, 1909; Страдание и творчество: Фрагменты, Тфл.,1917.

ლიტ.: ბაგრატიონი ი., კონსტანტინე კაპანელის ფილოსოფია, ბათ., 2008; გოგიბერიძე მ., ორგანოტროპიზმი, «მნათობი», 1925, №8–9; კარტოზია ბ., ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან, თბ., 1986.

გ. ხეოშვილი.

კაპარი (Capparis), მცენარეთა გვარი კაპარისებრთა ოჯახისა. გვხვდება ხეების, ბუჩქების, ბუჩქბალახებისა და მრავალწლოვანი ბალახების სახით. 300-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. ევკლიანი კ. (C. spinosa) ბუჩქბალახია. აქვს გრძელი, გართხმული ღეროები და თეთრი ან მოთეთრო-ვარდისფერი გრძელყუნწა ყვავილები. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, წინა და ცენტრ. აზიაში, ინდოეთში, სამხრ. ყირიმში, კავკასიასა და შუა აზიაში. ჩვენში აღმ. საქართველოში გვხვდება. კ. იზრდება ბარისა და მთისწინეთის უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოში, თიხიან, ხშირად ბიცობიან ნიადაგზე. კოკორს, მკვახე ნაყოფს და ნორჩ ყლორტებს ამწნილებენ, მწიფე ნაყოფი იჭმება. თესლში 30%-მდე ზეთია. შეიცავს ალკოლოიდ კაპარიდინს. იყენებენ ხალხურ მედიცინაში, აგრეთვე მშრალ რეგიონებში მოშიშვლებული ადგილების დასაფარად. თაფლოვანი მცენარეა.

მ. სახოკია.

კაპარჭი, ისრების ჩასაწყობი ბუდე. ს.-ს. ორბელიანი მას ისრის ქარქაშს უწოდებს, ხოლო დიდი ზომის კ-ს – ნიჯგორს (მენიჯგორე და ნიჯორგალი – მათი მნე). კ-ში 20–30 ისარი ეტეოდა, ზოგში – უფრო მეტიც.

კ. ძირითადად ორი ტიპისა იყო: გრძელი, ცილინდრული და უფრო მოკლე, ბრტყელი, გახსნილი აბგის მსგავსი. ცილინდრულ კ-ში ისრები წვერით ზემოთ იდებოდა. ასეთი კ. ქვემოთ ფართოვდებოდა, რათა ისრის ფრთები თავისუფლად და დაუზიანებლად მოთავსებულიყო. დახურული ფორმის ცილინდრული კ. კარგად იცავს ისრებს გარემო პირობების ზემოქმედებისა და ფიზიკური დაზიანებისაგან.

ისრის წვერებით ზემოთ მიმართული კ. მომთაბარეებისთვისაა დამახასიათებელი და VI–VIII სს-ში დამკვიდრდა ევრაზიის სტეპებში. დაპყრობების კვალდაკვალ, XIII–XIV სს-ში მონღოლებმა ეს კ. უზარმაზარ ტერიტორიებზე გაავრცელეს, მ. შ. საქართველოშიც.

შუა საუკუნეების (XIII–XIV სს.) არაბულ სამხ. ტრაქტატში – „სრული რჩევები სამხედრო საქმეში გასაწვრთნელად“ საინტერესო ცნობაა დაცული ქართველებისთვის დამახასიათებელ ცილინდრულ, მილძაბრას ფორმის კ-ზე: „აიღე კაპარჭი ზემოთ მიმართული ისრის პირებით, ისეთი, როგორსაც ქართველები იყენებენ, და დაცალე. დადე მიწაზე, დაადე თავი და გაიგონებ ფეხის ან ჩლიქების ხმას“.

XV ს-იდან ვრცელდება ბრტყელი კ-ები, სადაც ისრები ფრთებით მაღლა იყო ჩალაგებული,



კაპარჭი.

ისრის სიგრძის 1/3 კი ზემოთ იყო დარჩენილი. ის კიდანებმა (ხატაელები) შემოიღეს X ს-ში, განსაკუთრებით პოპულარული გახდა მონღოლთა ბატონობის ხანაში და XIV ს. შემდეგ ხმარებიდან განდევნა ცილინდრული კ. XVI–XVII სს. ბრტყელი კ-ები ტყავისაგან მზადდებოდა. მათი სიგრძე 40–50 *სმ*, ხოლო სიგანე 17–20 *სმ* იყო, მასა ისრების გარეშე 600 გ არ აღემატებოდა. ისრები კ-ში განსაზღვრული შუალედებით თავსდებოდა. ვ. ელაშვილის მოსაზრებით, ამ მიზნით კ-ის ძირში ვერტიკალურად იყო ჩამაგრებული ფრინველის ფრთის ღეროები. ორივე ტიპის კ-ს იკიდებდნენ სარტყელზე ან ყაწიმით მხარზე ძვლის ანჯამებისა და რკინის კაუჭების მეშვეობით. კ. სარტყელზე ორ ადგილას მაგრდებოდა. ეს მეთოდი მონღოლებისგანაა გადმოღებული, რ-ებიც კ-ს ქამარზე ძვლის ფირფიტაში გაყრილი ღვედებით იმაგრებდნენ. წელზე კ-ის დაკიდების წესი შენარჩუნებულია XV ს-შიც, ახალი ტიპის, ბრტყელი კ-ის შემოღების შემდეგაც და დასტურდება ქართული ეთნოგრ. მონაცემებითაც. ქართ. ხალხ. პოეზიაში გვხვდება კ-ის ხევსურული სახელწოდებაც: ,,კვათეს ჩაყარეს ისარი, დილა რო ცამა ნამიო‘‘, ხოლო, გ. ჩიტაიას განმარტებით, ხევსურს «სათადარიგო ისრები მოთავსებული ჰქონდა სპეც. ხელსაწყოში ე. წ. ,,კვათეში‘‘, ამ უკანასკნელს თასმის ქამარზე იმაგრებდნენ».

ლიტ.: ელაშვილი ვ., მშვილდოსნობა, თბ., 1959; ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, ტ. 1, თბ., 1991; შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია. ხევსურული, თბ., 1931; ჩიტაია გ., ხევსურული მშვილდ-ისარი, შრომები ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 2000; წურწუმია მ., შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი. 900–1700, თბ., 2016.

მ. ქაფიანიძე.



კაპარი.

კაპარჭინა [Abramis brama (Linnaeus, 1758)], მტკნარი წყლის ნახევრად გამსვლელი თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae Fleming, 1822), კაპარჭინების გვარს – Abramis Cuvier, 1816; მისი მაქსიმალური სიგრძეა 75 *სმ* (საშუალო – 45 სმ), მასა – 6 *კგ* და მეტი. ბინადრობს უმეტესად მდინარის ქვემო დინებაში, მცენარეებით მდიდარ მდორე ადგილებში. უპირატესობას ანიჭებს ტბებს. სქესობრივად მწიფდება 3–4 წლის ასაკიდან. მრავლდება აპრილიდან ივლისამდე. ნაყოფიერება აღწევს 90–700 ათ. ქვირითს. იკვებება ძირითადად კიბოსნაირებით, მოლუსკებით, ჭიებით, უმეტესად ქირონომიდებითა და წყალმცენარეებით. საქართველოში გავრცელებულია შავ ზღვაში ჩამდინარე ზოგიერთ მდინარეში (სუფსა, რიონი, ტეხური, ჭურია, თიქორი, ენგურის ქვემო დინება), პალიასტომისა და ნაბადას ტბებში. გვხვდება ევროპასა და აზიაში – ადრიდან (საფრანგეთი) პეჩორამდე (თეთრი ზღვის აუზი), ეგეოსის ზღვაში, მარმარილოს ზღვის აუზში (თურქეთი), აღმოსა-



კაპარჭინა.

ვლეთით – არალის ზღვამდე. ინ-ტროდუცირებულია ირლანდიაში, ესპანეთსა და ჩრდ.-აღმ. იტალიაში, ბაიკალის ტბაში, ობის ზემო დინებასა და ენისეის აუზში.

საქართველოში სამეურნ. მნიშვნელობა არა აქვს. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მონაცემით საჭიროებს ზრუნვას.

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Богуцкая Н., Насека А., Каталог бесчелюстных и рыб, М., 2004. *ნ. ნინუა.*

კაპარჭინა (მალთაყვა), მდინარე ქ. ფოთთან. გამოდის პალიასტომის ტბის ჩრდ.-დას. ნაპირიდან, უხვევს სამხრ-კენ, მიედინება ტბის დას. ნაპირის გასწვრივ და ერთვის შავ ზღვას. სიგრძე 7 *კმ.*

ი. აფხაზავა.

კაპელა (გვიანდ. ლათ. capella; იტალ. cappella – საჭამნო, ეგვტერი), 1. კათოლიკურ და ანგლიკანურ არქიტექტურაში – მცირე ზომის ნაგებობა ან სათავსო, განკუთვნილი დიდგვაროვანი ოჯახის სალოცავად, მგალობელთა მოსათავსებლად. კ. ეწყობოდა ტაძრებში, ციხე-დარბაზებსა და სასახლეებში. აშენებდნენ აგრეთვე ცალკე კაპელებსაც (მაგ., სიქსტეს კაპელა). 2. საეკლესიო მგალობელთა გუნდი. სახელწოდება წარმოდგება იმ ნაგებობის სახელიდან, სადაც სრულდებოდა საეკლესიო მსახურება (გალობა). თავდაპირველად მომღერლები გალობდნენ საკრავიერი თანხლების გარეშე. აქედან წარმოდგა ტერმინი *a capella*, რაც გულისხმობს გალობას, სიმღერას საკრავიერი თანხლების გარეშე.

საქართველოში საგუნდო კ. დაარსდა 1935 (თბილისში), აკადემიური გუნდის (1921) ბაზაზე. საგუნდო კ. არსებობდა აგრეთვე სოხუმსა და ბათუმში. იხ. *საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა.*

კაპეტინაძე ილია ივლიანეს ძე (3. VI. 1917, ქუთაისი, – 22. III. 2011, თბილისი), უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1970), აჭარის მეცნ. დამს. მოღვაწე (1971). 1941 დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტი, 1949 – მოსკოვის სამედ. ინ-ტი. იყო II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1940–52 მუშაობდა მოსკოვის ოლქის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უროლოგიური კლინიკის ორდინატორად; 1952–63 – ბათუმის რესპ. საავადმყოფოს უროლოგიური განყ-ბის გამგედ; 1965–79 – თბილ. უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მოზრდილთა კლინიკური განყ-ბის გამგედ, ამავე ინ-ტის წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. კ-ის მიერ დადგენილია აჭარაში იოდის უკმარისობის როლი შარდკენჭოვანი დაავადებების წარმოშობაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მიკროქირურგიული ტექნიკა უროლოგიაში, თბ., 1931; შარდსადენის ტრავმული შევიწროვება და მისი მკურნალობა, თბ., 1957; ცისტოსკოპიური ატლასი, თბ., 1980.

კაპიკი, რუსული ხურდა მონეტა, უდრის რუბლის 1/100. თავდაპირველად (XVI ს. 30-იანი წლები) მოიჭრა ვერცხლის მონეტები. XVI–XVII სს-ში მას უფრო ხშირად ნოვგოროდკას უწოდებდნენ. 1704 პეტრე I-მა მიმოქცევაში შემოიღო სპილენძის კ. 1718-იდან ვერცხლის კ. აღარ იჭრებოდა. სსრკ-ში კ. იჭრებოდა ყვითელი ფერის სპილენძ-თუთიის შენადნობისაგან. იგი 1992-მდე საქართველოშიც მიმოიქცეოდა.

კაპიტალიზმი, კერძო საკუთრებასა და დაქირავებული შრომის გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა და საზოგადოებრივი წყობილება. კ-ს მრავალი ფორმა გააჩნია. იგი შეიძლება იყოს თავისუფალი ბაზრის (laissez-faire) კ., კეთილდღეობის კ. ან სახელმწ. კ. ყველა ქვეყანაში ეს ფორმები ყოველთვის შერეულია და აერთიანებს კერძო და სახელმწ. საკუთრებას, თავისუფალი ბაზრის ელემენტებს სახელმწ. ინტერვენციასთან. კ-ის სხვადასხვა მოდელში განსხვავებულია ბაზარზე კონკურენციის ხარისხი, სახელმწიფოს ინტერვენციისა და რეგულირების ხარისხი და სახელმწ. საკუთრების სფერო. ზოგიერთი კაპიტალ. ქვეყნისათვის დამახასიათებელია თავისუფალი ბაზრებისა და კერძო კაპიტალის მაღალი წილი ეკონომიკაში, სხვა ქვეყნებისათვის კი – რეგულირებადი ბაზრები და სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებული სოც. პოლიტიკა. შესაბამისად, კ-ის ფორმებს წარმოადგენს ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა და რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა ემყარება საბაზრო მექანიზმს – საწარმოების თავისუფალ კონკურენციას, მაგრამ ქმნის შემოსავლების უთანაბრობას. რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში, იგივე სახელმწ. კ-ის პირობებში, განვითარებულია არასაბაზრო ურთიერთობები და ძლიერია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ეკონომიკაში. სახელმწ. კ-ის პირობებში კერძო კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას ჩაენაცვლება სახელმწიფოს კონტროლი სხვადასხვა სფეროებში. სახელმწიფოს მიერ საზ-ბის სოც. დაცვის უზრუნველყოფა და შრომის ბაზრის რეგულირება აყალიბებს სოც. საბაზრო ეკონომიკას. კ-ის სხვადასხვა ფორმისათვის საერთოა ის, რომ ეკონომიკაში დომინირებს კერძო საკუთრება, საქონლისა და მომსახურების წარმოება ხორციელდება კაპიტალის გაზრდის მიზნით და ეკონომიკა ემყარება რესურსების განაწილების საბაზრო პრინციპებს. კ. ქმნის კერძო მესაკუთრეთა ფენას, რ-იც ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. ამ პროცესს ხშირად თან სდევს სოც. უთანასწორობის გაღრმავება, გარემოს დაბინძურება ინდუსტრიული წარმოებისა და ბუნებრივი რესურსების საწარმოო გამოყენებით, შემოსავლების დიფერენცირება, თუმცა საბაზრო კონკურენციის გზით კერძო საწარმო ყველაზე უკეთესად უზრუნველყოფს ეკონ. ზრდას, შრომის მაღალ მწარმოებლურობას და საზ-ბის კეთილდღეობას. თანამედროვე კ-ისათვის დამახასიათებელია საწარმოების გამსხვილების პროცესი, ფინანს. კაპიტალის კონცენტრაცია, კორპორაციებისა და სახელმწიფოს ეკონ. სტაბილიზაციაზე დამოკიდებულების ზრდა.

კ. ფეოდალიზმის წიაღში სასაქონლო მეურნეობის განვითარების საფუძველზე ჩაისახა. XV–XVII სს. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა დააჩქარა მსოფლიო ბაზრის შექმნა და კაპიტალ. სასაქონლო ურთიერთობების განვითარება. კაპიტალ. საზ-ბის კლასიკური გზა – კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება, მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურული წარმოება, ფაბრიკა-ქარხნების წარმოშობა – თავდაპირველად ინგლისმა და ჰოლანდიამ გაიარეს. XIX ს. II ნახ-ში ინგლისმა სამრეწვ. და სავაჭრო-საფინანსო სფეროში მსოფლიო ბატონობას მიაღწია. ინგლისს კვალდაკვალ მიჰყვნენ დას. ევროპის დანარჩენი ქვეყნები. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ, სამოქალაქო ომმა, მონათმფლობელობის ლიკვიდაციამ, მიწის საკითხის ბურჟ.-დემოკრატიული პრინციპებით

გადაწყვეტამ კ-ის სწრაფი განვითარების წანამძღვრები აშშ-შიც შექმნა. XIX ს. დასასრულს სამრეწველო პროდუქციის მოცულობით აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა.

1861 იმპ. ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთში გატარებულმა საგლეხო და სხვა ბურჟ. რეფორმებმა, მათი სანახევროდ განხორციელების მიუხედავად, ქვეყანაში საგრძნობლად დააჩქარა კაპიტალ. ურთიერთობების განვითარება.

საქართველოში ალექსანდრე II-ის რეფორმები, რუსეთის ცენტრ. რაიონებთან შედარებით, კიდევ უფრო შეზღუდული ფორმით გატარდა 1864–70. თუმცა საქონელწარმოება საქართველოშიც კ-ისთვის დამახასიათებელ დონემდე ამაღლდა. შეიცვალა გლეხობის სოც. სტრუქტურა, წარმოიშვა სოფლის ბურჟუაზია და პროლეტარიატი. გლეხობის ძირითადი ბირთვი იყო საშ. გლეხობა, რ-იც გლეხური წარმომავლობის მოსახლეობის 60%-ს შეადგენდა. დაახლ. 5% სოფლის ბურჟუაზიად იქცა, 35% კი სიღარიბის ზღვარზე მოექცა. სწორედ გლეხობის ეს ნაწილი თანდათან ავსებდა სას.-სამ. და სამრეწვ. მუშების კონტინგენტს და დაქირავებულ შრომაში ებმებოდა.

კაპიტალ. ურთიერთობების განვითარების შესაბამისად ცვლილებები ხდებოდა თავადაზნაურულ მიწათმფლობელობასა და მემამულურ მეურნეობაშიც. ყმა-გლეხთა პირადი გათავისუფლების საზღაურად მიღებულ თანხებს და საადგილმამულო ბანკში აღებულ კრედიტებს თავადაზნაურთა უმრავლესობა ყოველდღიური საჭიროებისთვის იყენებდა, ამის გამო აღებულ სესხს ვეღარ ფარავდა და დაგირავებულ მიწას კარგავდა. მოხდა ის, რის შესახებაც ი. *ჭავჭავაძე* თავიდანვე აფრთხილებდა ქართველ თავადაზნაურობას. 1903-მდე მათ თავიანთი მიწების 65% დააგირავეს: 350 ათ. ჰა – ბანკებში, 302 ათ. ჰა – მევახშეებთან. 1904-თვის ამ მიწებიდან 400 ათ. ჰა უკვე მევახშეებისა და ბანკების ხელში აღმოჩნდა.

გარდამავალი პერიოდის სიძნელეების მიუხედავად, მემამულური მეურნეობა თანდათან ბაზრის მოთხოვნებს ეგუებოდა და სასაქონლო-სავაჭრო ხასიათს ღებულობდა. თავადაზნაურთა ერთმა ნაწილმა სასაქონლო მარცვლეულის წარმოება აითვისა, უმეტესობამ კი ვენახებისა და ბაღების გაფართოებას მიჰყო ხელი. ზოგი მათგანის ზვარი 40–50 და 100 ჰა-ზეც იყო გადაჭიმული. კახეთში საუკეთესო ღვინოს აყენებდნენ ჭავჭავაძეები, ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ვახვახიშვილები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ზ. ჯორჯაძე, რ-ის ღვინოებმა თავდაპირველად რუსეთის გამოფენებზე მიიღო პირველი ხარისხის ჯილდოები, შემდეგ კი ფრანგები აიძულა კახური ღვინო ბურგუნდიულის გვერდით დაეყენებინათ. ქართლში მევენახეობა-მეღვინეობა მაღალ დონეზე აიყვანა ივანე მუხრანბატონმა. ღვინის რეალიზაციის შედეგად 1886 მუხრანბატონის წლიურმა შემოსავალმა 224 ათ. მან. შეადგინა.

საქართველოში მსხვილ მიწათმფლობელად ჩამოყალიბდა რომანოვთა საგვარეულო. იმპერატორისგან ნაჩუქარ 150 ჰა მიწას მათ ჭავჭავაძეებისგან შესყიდული მამულები დაუმატეს და მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალიზებული უმსხვილესი საწარმოები მოაწყვეს. ბორჩალოს მაზრაში რომანოვებმა მებამბეობისა და მეცხოველეობის, აჭარაში კი მეჩაიეობის მეურნეობები დააარსეს. 300 ჰა მიწას ფლობდა აჭარაში რუსეთიდან ჩამოსახლებული დიდვაჭარი კ. პოპოვი. თავის მამულში მან მილიონობით მანეთი დააბანდა და ერთ-ერთი პირველი შეუდგა ჩაის პლანტაციების გაშენებას.

ცარიზმი შეგნებულად აფერხებდა საქართველოში მრეწველობის განვითარებას, მაგრამ სოფლის მეურნეობის ჭარბი პროდუქციის საზღვარგარეთ გატანის აუცილებლობა, მსოფლიო ბაზარზე საქართველოს წიაღისეულ მადნებზე მზარდი მოთხოვნა აიძულებდა მას მნიშვნელოვანი თანხები დაეხარჯა გზებისა და სატრანსპორტო ქსელის გასაფართოებლად. 1872 დაიწყო მატარებლების რეგულ. მოძრაობა ფოთი–თბილისის ხაზზე. 1877 საქართველოს სარკინიგზო ქსელს რიონი–ქუთაისის, 1883 კი სამტრედია–ბათუმის ხაზები შეემატა. ამავე წელს გაიხსნა თბილისი–ბაქოს სარკინიგზო გზაც. 1886 ამოქმედდა ქუთაისი–ტყიბულის, ხოლო 1895 – შორაპანი–ჭიათურის ხაზი. რკინიგზამ ხელი შეუწყო აღებ-მიცემობის განვითარებას, გააადვილა წიაღისეული სიმდიდრის მოპოვება-რეალიზაცია, ეკონომიკურად შეაკავშირა ქვეყნის სხვადასხვა კუთხე. საქართველოს მსოფლიო ბაზარში ჩართვამ კიდევ უფრო დააჩქარა მანუფაქტურის მანქანური წარმოებით ჩანაცვლების პროცესი. სატრანსპორტო ხარჯების შემცირებამ განსაკუთრებით დააწინაურა ქვანახშირისა და მანგანუმის წარმოება, გააფართოვა მისი მოხმარების არეალი. მსხვილ სამრეწვ. ობიექტებად იქცა რკინიგზის საწარმოები – ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა და რკინიგზის სახელოსნოები. რკინიგზა ქვანახშირის მსხვილი მომხმარებელი გახდა. ჭიათურის მანგანუმის მოპოვება-რეალიზაციის საქმეში მკაცრი კონკურენცია გაიმართა ქართვ. მეწარმეებსა და უცხოელ ბიზნესმენებს შორის. ქართველი მეწარმეები (გ. ჩუბინიძე, ნ. ღოღობერიძე, ს. აბესაძე, ნ. კაკაბაძე და სხვ.) კარგა ხანს ლიდერობდნენ, მაგრამ XX ს. დასაწყისიდან პოზიციები გერმანელმა და ფრანგმა ბიზნესმენებმა განიმტკიცეს. მაშინ ქართული მანგანუმი მსოფლიოს მეტალ. მრეწველობის მოთხოვნის 45–50% ფარავდა. XIX ს. 70–80-იან წლებში კვლავ მიმდინარეობდა სპილენძის მადნის მოპოვება ალავერდსა და ბორჩალოს მაზრაში. 1888-იდან ეს საქმე ფრანგული კომპანიების ხელში აღმოჩნდა. ფრანგი კაპიტალისტები დაეპატრონენ ბათუმის ოლქის სამხრ. ნაწილში აღმოჩენილ სპილენძის საბადოებსაც. 1903–13 სოფ. ჭინკათხევში მოქმედი სპილენძის ქარხნების მწარმოებლობამ ალავერდში არსებული საწარმოების დონეს გადააჭარბა. ბაქოს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტირების საჭიროებამ ბათუმის სამრეწვ. განვითარებაც განაპირობა. ნავთობის ექსპორტირებისთვის საჭირო თუნუქის ბიდონებისა და მათი ჩასაწყობი ხის ყუთების დამამზადებელი ქარხნები გახსნეს ბათუმში სიდერდისმა, რიხტერმა, ხაჩატურიანცმა, მანთაშოვებმა და ძმებმა ციციანოვებმა. XIX ს. ბოლოსთვის ბათუმის ტარის ქ-ნებში 3 ათასამდე მუშა იყო დასაქმებული, რ-ებიც წლიურად 22 მლნ. მანეთის ბიდონებსა და 11 მლნ. მანეთის ხის ყუთებს აწარმოებდნენ. ბორჯომის მინერალური წყლების ექსპლუატაციისა და ქართულ ღვინოზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით XIX ს. 80–90-იან წლებში მწყობრში ჩადგა რამდენიმე მინის ქ-ნა. მათგან ყველაზე მსხვილი

იყო ბერგმანის მინის ქ-ნა ბორჯომში. ღვინის ბოთლებსა და სააფთიაქო ჭურჭელს ამზადებდა კ. კუჩენბახის მინის ქ-ნა ბორჩალოს მაზრაში. ქალაქმშენებლობის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სამშენებლო მასალებზე მოთხოვნილება. აგურის ქ-ნებში დაინერგა ორთქლის ძრავები, XIX ს. 90-იან წლებში თბილისში ასეთი 4 ქ-ნა ფუნქციონირებდა. მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნებოდა მსუბუქ მრეწველობაშიც. მთლიანად სამანქანო წარმოებაზე გადავიდა ბამბის დამუშავება. 1875 გ. ადელხანოვმა თბილისში ტყავის დამმუშავებელი ქ-ნა ააგო. მოგვიანებით მანვე გახსნა ქეჩისა და ფეხსაცმლის ფ-კებიც. ტყავის მსხვილი ფ-კები ჰქონდათ ზარგარიანსა და ვართაზარიანსაც. XIX ს. 80–90-იან წლებში განვითარების მნიშვნელოვან დონეს მიაღწია თამბაქოს გადამმუშავებელმა წარმოებამ. 1903 საქართველოში თამბაქოს 7 მსხვილი ფ-კა მუშაობდა, აქედან 4 – თბილისში. ქართველი მეწარმეები დაწინაურდნენ სპირტისა და სპირტიანი სასმელების წარმოებაში. ამ სფეროში გამორჩეული ადგილი დაიკავა დ. სარაჯიშვილმა. XX ს. დამდეგს მისი კუთვნილი სპირტსახდელი და კონიაკის ქ-ნა წლის განმავლობაში 600 ათ. მან. პროდუქციას უშვებდა. დ. სარაჯიშვილის მაღალხარისხოვანი კონიაკი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ევროპაშიც იგზავნებოდა და დიდი მოთხოვნით სარგებლობდა.

საქონელწარმოების პარალელურად საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობაც. უკვე XIX ს. 70-იან წლებში საქართველოში ევროპის ქვეყნებიდან 4 მლნ. მანეთის, რუსეთიდან 4,5 მლნ. მანეთის პროდუქცია შემოდიოდა. 90-იან წლებში დასავლეთიდან საქონლის იმპორტმა 10 მლნ. მანეთი, რუსეთიდან კი – 25 მლნ. მანეთი შეადგინა.

ამრიგად, XIX ს. ბოლოსთვის ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამოშვებული სამრეწვ. პროდუქციის ხვედრითმა წილმა 80–90% შეადგინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში სამრეწვ. გადატრიალება განხორციელდა. ჩამოყალიბდა 100-ათასიანი მუშათა კლასი, რ-იც ბურჟუაზიას დაუპირისპირდა. ამ პრობლემას თავისებურ ელფერს აძლევდა საქართველოში ჰ-ის განვითარების ორი ძირითადი თავისებურება: 1. საქართველოს პროლეტარიატის ძირითად ნაწილს ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ მაშინ, როდესაც ბურჟუაზიის რიგებში უპირატესად ადგილ. სხვატომელები და უცხოელები იყვნენ; 2. ქალაქად ჩამოსული და გაპროლეტარებული გლეხობის საგრძნობი ნაწილი სოფელთან კავშირს არ წყვეტდა და იქ მიწის ნაკვეთს ინარჩუნებდა.

XX ს. 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების ბოლომდე საბჭოთა საქართველოში კაპიტალისტური წყობის განვითარება წყდება.

1991-იდან დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში საქართველო ცენტრალიზებული გეგმიური მეურნეობიდან იწყებს ჰ-ში გადასვლას. ტრანსფორმაცია ეკონომიკური ლიბერალიზმის გზით წარიმართა, რ-იც გულისხმობდა ფასების ლიბერალიზაციას, თავისუფალი საგარეო ვაჭრობის ფორმირებას და სახელმწ. საკუთრების კერძო საკუთრებაში გადაცემას პრივატიზების გზით. XX ს. 90-იანი წლების ბოლოს ყველა საქონელზე სრულად განხორციელდა ფასების ლიბერალიზაცია, გაუქმდა სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ფასები და მისი ფორმირება დაემყარა საბაზრო მოთხოვნა-მიწოდებას. ამავე პერიოდში ექსპორტი გათავისუფლდა გადასახადებისაგან, თანდათანობით მოიკლო შეზღუდვებმა იმპორტზე და მასზე დაწესდა გადასახადები, რ-იც შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა. საბაზრო რეფორმირების ამ ეტაპზე საქართველოში ნელა, მაგრამ თანდათანობით ხდებოდა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის წინაპირობების შექმნა. 2000 მისი განვითარების ახ. ინსტიტუციური პირობა შექმნა საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებამ. კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა საქართველოს კავშირი გარე სამყაროსთან, გამარტივდა ექსპორტ-იმპორტის პროცედურები, შემცირდა გადასახადები და გადასახადის სახეები, გამარტივდა სატარიფო და არასატარიფო რეგულირება, განხორციელდა სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიცირება თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით რეგიონალურ და მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან, გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, შემცირდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები საბაჟოს, ლიცენზირების და ნებართვების, საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებით. ამჟამად საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ეკონ. რეჟიმი, გამარტივებული სავაჭრო პროცედურები, არ არსებობს რაოდენობრივი შეზღუდვა ვაჭრობაში და სატარიფო კვოტები. არ არსებობს მნიშვნელოვანი არასატარიფო შეზღუდვებიც. პრივატიზების პროცესი, სხვა მიზნებთან ერთად, მიმართული იყო იმისკენ, რომ სახელმწიფოსაგან გათავისუფლებულიყო ის საწარმოები, რ-თა მართვაც არ შეიძლება ყოფილიყო ეფექტიანი, თუ კი ისინი დარჩებოდნენ სახელმწ. საკუთრებაში. ჰ-ის ტრანსფორმაციის შედეგად წარმოებრივი რესურსები უნდა გადანაცვლებულიყო დაბალმწარმოებლურიდან ისეთ საწარმოებზე, რ-ებიც უკეთ შეძლებდნენ რესურსების გამოყენებასა და ახ. რესურსების მოზიდვას. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მათ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობა.

XX ს. 90-იანი წლებიდან სახელმწ. საკუთრებაში არსებული ქონება თანდათანობით კერძო მესაკუთრეების ხელში გადავიდა, რითაც საფუძველი ჩაეყარა კაპიტალ. საბაზრო ეკონომიკას. საწყის ეტაპზე პრივატიზებას დაექვემდებარა მცირე და საშუალო საწარმოები, რ-თა განსახელმწიფოებრიობა შექმნიდა კონკურირებად ბაზარს. შემდგომ ეტაპზე მასობრივ პრივატიზებაში ჩაერთო მთელი მოსახლეობა და დაიწყო მსხვილი საწარმოების პრივატიზება სააქციო საზ-ბებად გარდაქმნით. ამჟამად, სახელმწ. საკუთრებაში არის დარჩენილი მსხვილი საწარმოები. ამავე პერიოდში მიწის რეფორმამ საქართველოში სათავე დაუდო მიწის კერძო საკუთრებისა და მიწის ბაზრის ჩამოყალიბებას. საპრივატიზაციო პროგრამით მიწა მოსახლეობას უფასოდ გადაეცემოდა. გლეხებს შეეძლოთ, საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული, მათ გამგებლობაში არსებული 0,25 ჰა მიწის ნაკვეთები გაეზარდათ მაქსიმუმ 1,2 ჰა-მდე. სოფლად მაცხოვრებლებს დაემატათ 1 ჰა მიწა, ხოლო ქალაქად მაცხოვრებლებს, რ-ებსაც კავშირი ჰქონდათ სოფელთან, დასამუშავებლად გადაეცათ 0,25 ჰა, ქალაქის იმ მოსახლეობას კი, რ-საც მიწა მხოლოდ საცხოვრებლად სჭირდებოდა, გადაეცა მხოლოდ 0,15 ჰა მიწა.

მეცხოველეობაში დასაქმებულ გლეხებს გადაეცათ 5 ჰა-მდე მიწის ფართი. პრივატიზების შედეგად მსხვილი სოციალ. ტიპის მიწათსარგებლობის სისტემა დაიშალა და ორიენტაცია გაკეთდა მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარებაზე. დამოუკიდებლობის აღდგენის ადრეულ პერიოდში მიწების განაწილება ემსახურებოდა შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სოფლად ჰ-ის განვითარების მიზნით აუცილებელი გახდა სახელმწ. მიწების შემდგომი პრივატიზება, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ რთული აღმოჩნდა საქართველოში კერძო კაპიტალის ნაკლებობის გამო. უცხ. კაპიტალისათვის მიწების მიყიდვა კი პოლიტიკურად გართულდა, რადგან წარმოიშვა რეალური საფრთხეები, კონფლიქტები, რ-საც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინა სახელმწიფოს ეკონ. უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვაზე, ქვეყნის უშიშროებაზე, ასევე, მნიშვნელოვნად დაეზარალებინა სოფლის ადგილ. მცხოვრებლები. სას.-სამეურნეო დანიშნულების მიწა არსებითად განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტ.-ეკონ. დამოუკიდებლობის ხარისხს. ამ მიზნით მიწების უცხოელი მოქალაქეებისათვის მიყიდვა სხვადასხვა პერიოდში საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ან შეზღუდული იყო, ან მორატორიუმი იყო გამოცხადებული მის გაყიდვაზე. თუმცა სოფლად ჰ-ის განვითარების არასაკმარისი დონე მოითხოვდა უცხ. ინვესტიციების მოზიდვას, კაპიტალის კონცენტრაციის ზრდას და შრომის ნაყოფიერების გაზრდას. ეს საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია.

ლიტ.: ბენდიანიშვილი ა., კაპიტალისტური წარმოება. ვაჭრობისა და კრედიტის ფორმები, წგ.: საქართველოს ისტორია, მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტ. 4, თბ., 2012; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს. მონოგრაფიები, ტ. 1–6, თბ., 1949–79; საქართველოს ისტორია XIX ს., თბ., 2004; პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002; სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010; Hayek F. A. (ed.), Capitalism and the Historians, Chi., 1953; Mises Ludwig von, The Anti-capitalistic Mentality, Alabama, 2008; Piketty Th., Capital in the Twenty-First Century, Cambr., 2014.

უ. ბლუაშვილი. მ. თოქმაზიშვილი.

კაპიტალური მშენებლობა, იხ. *მშენებლობა.*

კაპიტელი (გვიანდ. ლათ. capitellum – თავი), იხ. *სვეტისთავი.*

კაპიტონოვი ლევ ნიკოლოზის ძე (27. XII. 1910, თბილისი, – 13. XII. 1993, იქვე), სპორტსმენი (ბერძნ.-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა). სსრკ დამს. მწვრთნელი (1957). საქართვ. ჩემპიონი მსუბუქ წონაში (1933–34), ამიერკავკასიის პირველობის მეორე პრიზიორი (1934). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. საკავშ. კატეგორიის მსაჯი (1946), საკავშ. კატეგორიის საპატიო მსაჯი. სამწვრთნელო კარიერა დაიწყო 1930-იდან. მისი აღზრდილები არიან მ. *ცალქალამანიძე* და ო. ბლიაძე.

კაპიცა პეტრე ლეონიდეს ძე [26. VI (8. VII). 1894, კრონშტადტი, – 8. IV. 1984, მოსკოვი], რუსი ფიზიკოსი, ინჟინერი, მეცნიერების ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939). ნობელის პრემიის ლაურეატი 1943. 1957-იდან – სსრკ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

1919 დაამთავრა პეტროგრადის პოლიტექ. ინ-ტი. 1921–34 სამეცნ. მივლინებით იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, მუშაობდა ე. რეზერფორდთან. 1922 ჰ-მ კემბრიჯში (ინგლისი) ჩამოაყალიბა ფიზ. სემინარი (,,კაპიცას კლუბი''), რ-ის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ა. *აინშტაინი,* ნ. *ბორი,* პ. დირაკი, ვ. პაული, ვ. *ჰაიზენბერგი.* 1930–34 იყო მონდის სახ. ლაბორ-ის (კემბრიჯის უნ-ტი) დირექტორი. 1935 ჰ-მ დააარსა სსრკ მეცნ. აკად. ფიზ. პრობლემათა ინ-ტი (ამჟამად კაპიცას სახ. ფიზ. პრობლემათა ინ-ტი) და იყო მისი დირექტორი 1935–46 და 1955–84.


ჰ-მ ფუძემდებლური წვლილი შეიტანა დაბალი ტემპერატურების ფიზიკის, მძლავრი და ზემძლავრი მაგნიტური ველების, მძლავრი მაღალსიხშირული გამომსხივებლების განვითარებაში. 1938 აღმოაჩინა თხევადი ჰელიუმის *ზედნადობის* მოვლენა (სტალინური პრემია, 1943; ნობელის პრემია, 1978). 1939 დაამუშავა ჰაერის გათხევადების ახალი მეთოდი და ააგო სათანადო დანადგარი (სტალინური პრემია, 1941). იკვლევდა მაღალტემპერატურულ *პლაზმას,* კერძოდ, მაგნიტურ ველში ასეთი პლაზმის შეკავების საკითხებს და მართვადი თერმობირთვული სინთეზის პრობლემებს. იკვლევდა დინამიკური (არასტატიკური) სისტემების წონასწორობის მდგრადობას (,,კაპიცას საქანი''), სფერული ელვის მოვლენას და სხვ.

ჰ-მ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ექსპერ. ფიზიკის განვითარებაში. აქტიურად თანამშრომლობდა ქართვ. მეცნიერებთან: ე. *ანდრონიკაშვილთან,* რ. ბაბლიძესთან, გ. გამცემლიძესთან, ი. *მამალაძესთან,* ნ. *მუსხელიშვილთან,* ვ. *ჭავჭანიძესთან,* გ. *ხარაძესთან* და მრავალ სხვა ფიზიკოსთან და საზ. მოღვაწესთან.

თხზ.: Электроника больших мощностей, М.,1962; Жизнь для науки, М., 1965; Теория, эксперимент, практика, М., 1966; Физические задачи, М., 1972; Collected papers, v. 1–3, Oxf., 1964–67.

ლიტ.: Алексеевский Н. Е., Петр Леонидович Капица (к 70-летию со дня рождения), «Успехи физических наук», 1964, т. 83, в. 4 (ახლავს ბიბლიოგრ.); Андроникашвили Э. Л., Воспоминания о жидком гелии, Тб., 1980; Кедров Ф. Б., Капица. Жизнь и открытия, М., 1979.

რ. ბაბლიძე. ი. ლომიძე.



პ. კაპიცა.

კაპნისთავი, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აჭარისწყლის თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 360 *მ,* ხელვაჩაურიდან 16 *კმ.* 373 მცხ. (2014).

კაპოეტის ციხე, ისტორიული ციხესიმაგრე მდინარე ბზიფის ხეობაში. ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დგინდება. შესაძლოა ეს იყოს გაგრის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფ. ბზიფის IX–X სს. ციხესიმაგრე. აქ თავი შეაფარა არაბებისაგან დევნილმა სომხეთის მეფე სუმბატმა, რ-იც 914 იძულებული შეიქნა დანებებოდა აბულ კასიმს.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ვახუშტი, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

თ. ბერაძე.

კაპოეტისწყალი, მდინარე *ბზიფის* სახელწოდება XVIII ს. დასასრულამდე.

თ. ბერაძე.

კაპრაშიანი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. თეძმის ხეობაში. ზ. დ. 700 *მ,* კასპიდან 19 *კმ,* მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ.* 34 მცხ. (2014).

სოფლის სამხრ.-დას-ით, მდ. თეძმის მარჯვ. ნაპირზე, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების საქრისის დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

კაპრებისმთა, მთა საჩხერისა და ქარელის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ლიხის ქედზე, მდ. ჭერათხევის (სურამულის მარცხ. შენაკადი) ზემოწელში. ზ. დ. 1182 *მ.* აგებულია იურული პორფირიტული

წყებისაგან. აქვს მოვაკებული წვერი და დამრეცი კალთები. აღმ. და სამხრ. კალთები შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, მთის წვერი – მდელოს ბალახეულით.

მ. უთმელიძე.

კაპრეშუმი, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ორთაბათუმის თემში (აჭარის არ), მდ. ყოროლისწყლის ნაპირზე. ზ. დ. 280 *მ*, ხელვაჩაურიდან 16 *კმ*. 1,2 ათ. მცხ. (2014).

კაპუციხი, კახეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. შტოქედი, მდინარეების – შრომისხევისა და ნინოსხევის წყალგამყოფი. აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. იწყება 2720 *მ* სიმაღლეზე და სამხრ-ით ეშვება ალაზნის ვაკეზე. ქედზე აღმართულია მთა კაპუციხი (2176 *მ*) და 2262 *მ* სიმაღლის უსახელო მთა. ჰ-ის კალთები ციცაბოა, სუსტად დანაწევრებული. კაპუციხის ქედის თხემი სუბალპ. და ალპ. ბალახეულითაა შემოსილი, კალთები – ფართოფოთლოვანი (უმთავრესად წიფლის) ტყით.

დ. უკლება.

კაპუჭური ენა, კ ა პ უ ჭ უ რ - ჰ უ ნ ზ ი ბ უ რ ი ე ნ ა, ბ ე ჟ ი ტ უ რ ი ე ნ ა, იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია დაღესტნის წუნტის რ-ნის აულებში: ბეჟიტაში (ქართ. კაპუჭი), ხოშარხოტაში, ანუ ხოშარხოში (ქართ. ხაშალხუტი), ტლადალში (ქართ. ქალაქი), ჰუნზიბში, ღარბუთლსა და ნაჰადაში, აგრეთვე ყვარლის რ-ნის სოფ. ჩანთისყურეში, სარუსოსა და თხილისწყაროში. კ. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 4500 კაცი. გაირჩევა 2 დიალექტი: კაპუჭური და ჰუნზიბური. კაპუჭურ დიალექტში გამოიყოფა სამი კილოკავი: საკუთრივ კაპუჭური, ხაშალხუტური და ტლადალური. სხვაობა მათ შორის ძირითადად ფონეტ. ხასიათისაა.

ფონეტ. სისტემაში 5 მარტივი – ა, ე, ი, ო, უ – ხმოვნის გარდა წარმოდგენილია მეორეული წარმოშობის გრძელი ნაზალური და აგრეთვე უმლაუტიზებული (კაპუჭური) ვარიანტები, ე. წ. ირაციონალური ხმოვანი (**S**), ვიწრო, ლაბიალიზებული ა და ღია, ა-სკენ გადახრილი ო (რ) (ჰუნზიბური). მახვილი სუსტი, დინამიკურია და ძირითადად მოძრავი. თანხმოვნებში დასტურდება ხშულთა სამეულების, სპირანტთა წყვილეულებისა და ცალეულების სისტემა. სპეციფ. თანხმოვნებია: ყრუ ლატერალები (ფშვინვიერი აფრიკატი და სპირანტი, მკვეთრი აფრიკატი), ქვემო ხახისმიერი მჟღერი და ფშვინვიერი სპირანტები, აგრეთვე ხორხისმიერი მკვეთრი ხშული. ფუძეებს ახასიათებს სრულხმოვანება. წყობა აგლუტინაციურია. გრამატ. კატეგორიები უმთავრესად სუფიქსებით იწარმოება, სახელისა და ზმნის საზიარო კატეგორიებია კლასი და რიცხვი. მხ. რიცხვში არის 4 გრამატ. კლასი: ი, ჲ, ბ (>მ), რ(>ჲ – კაპუჭური, ნ- ჰუნზიბური), მრ. რიცხვში – 2: ბ(>მ) და რ(ჲ; ნ). მდიდარია მრ. რიცხვის ფორმანტებით. ძირითადი ბრუნვებია: სახ., მოთხრ., მიც., ნათ. და მოქმ.; ახასიათებს ლოკატიური (წარმოშობით თანდებულიანი) ბრუნვების სერიათა სისტემა. ბრუნება არის ერთფუძიანიც და ორფუძიანიც. ზმნაში კლასისა და რიცხვის გარდა გარჩეულია დრო, კილო, კაუზატივი, მრავალგზისობა და უნახაობა. დიფერენცირებულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. კლასნიშნით გამოხატულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი. გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის, გარდაუვალი – ნომინატიურს, ხოლო გრძნობა-აღქმის ზმნები – დატიურს. რთული ქვეწყობილი წინადადება არ მოეპოვება, მის ფუნქციას ასრულებს მარტივი წინადადება საგარემოებო და პირ-კილოს ფორმების მეშვეობით. სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულების ძირითადი სახეებია შეთანხმება, მართვა, მირთვა. მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს. სიტყვაწარმოება სუსტადაა განვითარებული. თვლის სისტემა ათობითია. მრავლადაა ნასესხები სიტყვები ხუნძურიდან, ქართულიდან, რუსულიდან. არაბ.-სპარს.-თურქ. ლექსიკა უმთავრესად შესულია ხუნძურის მეშვეობით.

კ. ე. უმწერლობოა. სამწერლობო ენად იყენებენ ხუნძურს.

ლიტ.: ლ ო მ თ ა ძ ე ე., მრავლობითის წარმოება კაპუჭურ-ჰუნზიბური ენის ზმნაში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1953, ტ. 5; მ ი ს ი ვ ე, Анализ капучинско-гунзибского языка, იქვე, 1956, т. 8; Б о к а р е в Е. А., Гунзибский язык, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; Б о к а р е в Е. А., М а д и е в а Г. И., Бежитинский язык, იქვე; М а д и е в а Г. И., Грамматический очерк бежитинского языка, Махачкала, 1965.

ე. ლომთათიძე.

კაჟბალი, იგივეა, რაც *სილიციუმი.*

კაჟეზი, ქვედა პალეოლითის (გვიანდ. აშელი და ადრინდ. მუსტიე) და ნეოლით-ენეოლითის ხანის ნაბინავარი სახელოსნო სოფ. სკინდორის ტერიტორიაზე (ჭიათურის მუნიციპალიტეტი). უშუალოდ კაჟის საბადოსთან (აქედან მოდის სახელწოდებაც) აღმოაჩინეს 1957. დაახლ. 1 ჰა სახნავი მიწის ზედაპირზე მოპოვებულია პალეოლითის ხანის 2000-მდე ქვის ნივთი, მ. შ. დისკოიდალური, ერთფუძიანი და ორფუძიანი, აგრეთვე კუს ჯავშნის ფორმის ნუკლეუსები, მასიური კლექტონური და ლევალუაზური ანატკეცები, ლევალუაზური და არალევალუაზური ლამელები. აგრეთვე უხეში საჩეხი იარაღი, სახოკები, დანები და წვეტანები. ანატკეცების მნიშვნელოვანი ნაწილის ზურგი დაფარულია კაჭრის კანით, ნაწილს კი ეტყობა წინამორბედი ფირფიტების ატკეცის კვალი. აშელ-მუსტიეს ხანის ქვის იარაღი და ანატკეც-ლამელები დაფარულია მოთეთრო-მონაცრისფრო და მოვარდისფრო სქელი პატინით.

ნეოლით-ენეოლითის ხანის მასალიდან აღმოჩენილია ორმხრივ დამუშავებული კაჟის ნამგლისპირები, სხვადასხვა მოყვანილობის ისრისპირები და მათი ფრაგმენტები, ორმხრივ დამუშავებული მინიატიურული საჩეხი, მჭრელი და პიკისებური იარაღი, საფხეკსახოკები, სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსები, ანატკეც-ლამელები და სხვ. ჰ-ის ქვის ნაწარმისათვის ნედლ მასალად გამოყენებულია ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი თურონის იარუსის მონაცრისფრო და მოწითალო მაღალხარისხოვანი კაჟი. ნასახლარზე საძიებო თხრილმა კულტ. ფენების არსებობა არ დაადასტურა. როგორც ჩანს, ქვის მასალა მიწის ზედაპირზე მოხვდა ნიადაგის ლოკალური გადარეცხვისა და ფართობის ხშირი ხვნა-გადაბრუნების შედეგად. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ. იხ. სტ-თან კ ა ჟ ნ ა რ ი.

დ. თუშაბრამიშვილი.

კაჟის იარაღი, კაჟის ქანისაგან დამზადებული შრომისა და საბრძოლო *იარაღი.* განსაკუთრებული თვისებების (სიმტკიცე, ტკეცადობის უნარი, ბასრი გვერდები, სხვა მასალასთან შედარებით პლასტი-

კურობა და სხვ.) გამო ადამიანი კაჟს ფართოდ იყენებდა საზ-ბის განვითარების უძველესი პერიოდიდან რკინის მეტალურგიის განვითარებამდე და ნაწილობრივ შემდგომ ხანაშიც.

საქართველოს ტერიტ-ზე გამოვლენილ სხვადასხვა ხანის არქეოლ. კულტურებში მრავლადაა ქვის, მ. შ. ჰ. ი. მის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის შერჩევას უმთავრესად განაპირობებდა შესაბამის საბადოთა სიახლოვე. ალბათ, ამიტომაა, რომ დას. საქართველოში ძირითადად კაჟი გამოიყენებოდა, აღმ-ში – ობსიდიანი.

დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე უძველესი სადგომის გამოვლენამ კავკასიაში ადამიანის პირველად გამოჩენის საკითხი ახლებურად დააყენა. სამხრ. კავკასიის ამ რეგიონში, როგორც ჩანს, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო. უხვად მოიპოვებოდა აგრეთვე იარაღისათვის საჭირო ქვის მასალა, მ. შ. კაჟიც. დმანისის უძველესი სადგომის ქვის არტეფაქტები ძირითადად გაკაჟებული ტუფისგანაა მიღებული.

ქვედა პალეოლითში, აშელის ეპოქის დასაწყისიდან კავკასიას ფართოდ ითვისებს უძველესი ადამიანი და შემდგომ, ძველი ქვის ხანის თითქმის მთელ პერიოდში საკმაოდ ინტენსიურად განაგრძობს აქ ცხოვრებას. მის მიერ დამზადებული აშელური ჰ. ი. უხეშია, წარმოადგენს უმთავრესად დისკოსებრი ნუკლეუსებიდან ჩამოტეხილ ანატკეცებს, რ-ებიდანაც გაკეთებულია წვეტანები და სახოკი იარაღი. დამახასიათებელია აგრეთვე ბიფასური ტექნიკით ორმხრივად დამუშავებული ხელცულები. ამ დროს ჯერ კიდევ არ იციან იარაღის მეორეული რეტუშით დამუშავება.

პირველყოფილი ადამიანის მიერ სამხრ. კავკასიის ინტენსიურად ათვისების პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა აშელის მომდევნო – მუსტიეს პერიოდში, როდესაც ადამიანი ძირითადად კავკასიის თითქმის ყველა ლანდშაფტურ ზოლს იკავებს. ჩნდება კაჟის ახალი სახის იარაღი, უპირატესად ხელწვეტანა და საფხეკი. განსაკუთრებით ინტენსიური ცხოვრების კვალი ჩანს ზემო იმერეთში, რ-იც მდიდარია ბუნებრივი გამოქვაბულებითა და კაჟის მასალით. აქ მოპოვებული წვეტანები, სამკუთხა ლამელები წითელი კაჟისგანაა დამზადებული და დაფარულია მოყვითალო-ყავისფერი პატინით. ლამელები უკვე ნაკლებმასიურია. გახშირებულია იარაღის მეორეული დამუშავების შემთხვევები. მუსტიეს დროს ადამიანები დაეუფლნენ ქვის ჩამოტკეცვას და ანატკეციდან უფრო მსუბუქი იარაღის დამზადებას. მუსტიური ღია სადგომები აღმოჩნდა აღმ. საქართველოშიც. აქ იარაღის გასაკეთებლად ძირითადად გამოყენებულია ადგილ. ანდეზიტი. შედარებით მცირეა ობსიდიანისა და კაჟის ნაწარმი, რ-იც, ალბათ, თრიალეთიდან და იმერეთიდანაა შემოტანილი.

ზედა პალეოლითის დასაწყისისთვის გლობალური გამყინვარების გამო კავკასიაში აცივდა, რამაც გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრების პირობებზე. იგი იძულებული გახდა აეთვისებინა ბარის ის ადგილები, სადაც ბუნებრივი თავშესაფრები არსებობდა – გამოქვაბულები, ფარდულები, ეხები. ამ დროის ადამიანი ძირითადად დას. საქართველოში, უპირატესად მდ. რიონისა და ყვირილის აუზში ცხოვრობდა. სრულად გადახალისდა ქვის ინდუსტრიაც. ჩნდება ახალი ტიპის იარაღი, წვეთითი ტექნიკით დამუშავებული მაკროლითები.

ნეოლითის ხანაში იწყება მწარმოებლური მეურნეობა, უმჯობესდება ჰ. ი-ის დამუშავების ტექნიკა. ამ დროის უადრესი ძეგლები სამხრ. კოლხეთშია გამოვლენილი. ქვის ინვენტარი შედგება უპირატესად კაჟისა და ობსიდიანისგან. ზოგან ჭარბობს ობსიდიანი, რაც გასაკვირია მახლობლად მაღალხარისხოვანი კაჟის გამოსავლების არსებობის პირობებში. არსებობს მოსაზრება, რომ ამ მხარეში ობსიდიანის გავრცელება უკავშირდება სამხრ. საქართველოს მაღალმთიანეთიდან მოსახლეობის გარკვეული მასის გადმოსახლებას. ჰ. ი-ს უპირატესობა დადასტურდა ამავე ხანის რამდენადმე მოგვიანო ძეგლებზე.

ენეოლითის პერიოდის აღმ. საქართველოში ჰ. ი. ცოტაა. მეტწილად გამოიყენება ობსიდიანი. ამავე პერიოდის დას. საქართველოში ძირითადად ჰ. ი. გამოიყენება. კაჟის პირველადი დამუშავება ხდებოდა ძირითადად ბუდობების ადგილას, რაც ზემო იმერეთში ბლომადაა. ნამოსახლარებზე კი ნახევარფაბრიკატები მიჰქონდათ, სადაც იარაღის დამამზადებელი სახელოსნო იყო. იარაღი დამუშავებულია ორმხრივად, წვეთითი „მცოცავი“ რეტუშით. ჩნდება კაჟის დიდი ზომის შუბისა და ისრისპირები, კომბინირებული იარაღი და სხვ.

ჰ. ი-ის სიმრავლე დამახასიათებელია დას. საქართველოს მომდევნო – ადრე *ბრინჯაოს ხანისათვისაც*. კვლავ გვხვდება კაჟის ისრისა და შუბის პირები, საფხეკები, საჭრისები და სხვ. რიონ-ყვირილის აუზში გამოვლენილ ადრე ბრინჯაოსა და წინარე ხანის ამ რეგიონის კულტურას შორის სხვაობა თითქმის არ ჩანს. მრავლადაა ჰ. ი., განსაკუთრებით კი ნამგლის ჩასართები ამავე ხანის აღმ. საქართველოშიც. ვარაუდობენ, რომ მაღალხარისხოვანი, მუქი ყავისფერი კაჟი აქ იმერეთიდან შემოჰქონდათ. იყენებდნენ ადგილობრივ, დაბალხარისხოვან კაჟსაც. აღმ. საქართველოს ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურა ქვის იარაღის მხრივ ნაკლებად უკავშირდება ადგილ. წინარე კულტურას, რ-თვისაც უფრო ობსიდიანის იარაღი იყო დამახასიათებელი. ჰ. ი-ის ფართო გამოყენების გამო მას მეტი საერთო აქვს დას. საქართველოსთან.

ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ-ში მტკვარ-არაქსის კულტურას ენაცვლება ე. წ. ადრეული ყორღანების კულტურა, წარმოდგენილი მართყოფული და ბედენური ჯგუფის ყორღანული სამარხებით. თუ მართყოფული ჯგუფის ყორღანებში ქვის იარაღი იშვიათია, ბედენურში იგი მრავლად გვხვდება მეტად ფაქიზად, წვრილი პარალელური ამოღარვის ტექნიკით დამუშავებული კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირების სახით.

დამუშავების მხრივ მნიშვნელოვნადაა დეგრადირებული მომდევნო – გვიანი ბრინჯაოს ხანის ისრისპირი აღმ. საქართველოდან, რ-იც აქ მალევე მთლიანად ქრება. დას. საქართველოში კი ქვის იარაღის, მ. შ. კაჟის ისრისპირის გამოყენება ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ ანტ. ხანის ეპოქალური ძვრების შედეგად ქვის ისრისპირების გამოყენების ტრადიცია აქაც ისპობა – კაჟი მხოლოდ კევრის კოხებისთვის, კაჟიანი თოფების კვესებისა და სხვ. წვრილმანი იარაღის დასამზადებლად გვიანობამდე გამოიყენებოდა.

ლიტ.: ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული

საფეხურები, თბ., 1986; ორჯონიკიძე ა., ქვის ისრისპირები საქართველოდან, «ძიებანი», 2004, №13–14; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1992; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ჯაფარიძე ო., საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2003; მისივე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006.

ა. ორჯონიკიძე.

კაჟნარი, საქორია-კაჟნარი, კულტურულ ფენას მოკლებული ღია ტიპის ქვედა პალეოლითური ნაბინავარი სახელოსნო. მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხის ტერიტორიაზე, სოფლის სამხრ. განაპირას, ადგილ. საქორია-კაჟნარზე, მდ. ყვირილის მარჯვ. ნაპირიდან 400–500 *მ* დაშორებით, 200–250 *მ* სიმაღლის პლატოზე, რ-საც ჩრდ.-დას-ის მხრიდან ჩაუდის მდ. კაცხურა, აღმ-იდან – საკმაოდ ღრმა ღელე, ხოლო სამხრ-ით – მდ. ყვირილა. ტერიტორია (დაახლ. 4 *ჰა*) ძირითადად წარმოადგენს მოვაკებულ სახნავ ფართობს, რ-ის ზედაპირი თითქმის მთლიანად დაფარულია კაჟის სხვადასხვა ზომის ბუნებრივი ნატეხებით, მ. შ. გვხდება ადამიანის ნახელავი იარაღი და წარმოების სხვა ნაშთები. საქორია-კაჟნარზე კაჟის შემადგენელი კირქვის ქანები ნაწილობრივ გაშიშვლებულია. ნიადაგის ხშირმა ხვნა-გადაბრუნებამ კი ხელი შეუწყო კაჟის დამტვრევას და მის დიდ ფართობზე მიმოფანტვას (მ. შ. კულტურული ნაშთებისაც). კაჟი თურონ-სენონის იარუსისაა და ძირითადად მოყავისფრო ან მონაცრისფროა; წარმოების ნაშთები მიწის ზედაპირზე სავარაუდოდ მოხვედრილია ნიადაგის ლოკალური გადარეცხვის გზით – მასალას არ ეტყობა შორ მანძილზე გადაადგილება, ამ პროცესს არც რელიეფი უწყობს ხელს. ძეგლი მიკვლეულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმის ყვირილის აუზის არქეოლ. ექსპედიციის მიერ (1958; ხელმძღვ. დ. თუშაბრამიშვილი). მასალის შეგროვება მიწის ზედაპირზე მომდევნო წლებშიც ხდებოდა. სულ მოპოვებულია 4000-მდე ქვის ნივთი. კოლექცია წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსებით, კლექტონური და ლევალუაზური ანატკეცებით, ლამელებით და მათზე დამზადებული იარაღებით. მ. შ. აღსანიშნავია უაღრესად მასიური, ტლანქი ხელცული ფართო ქუსლით, შედარებით სრულყოფილად დამუშავებული მცირე ზომის ხელცულები, სახოკები, ნუკლეუს-საჩეხები და სხვ. მთელი მასალა დაფარულია მოყვითალო, მოწითალო და მოთეთრო ღრმა პატინით. საქორია-კაჟნარის ქვის ნაწარმი არაერთგვაროვანია, კოლექციის მცირე ნაწილი თარიღდება შუა აშელის ეპოქით, მოზრდილი ნაწილი კი – გვიანი აშელით. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმის ფონდებში.


ლიტ.: გაბუნია მ., ნიორაძე მ., ნებიერიძე ლ. და სხვ., ძველი და ახალი ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე. ცნობარი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბ., 2015; თუშაბრამიშვილი დ., არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირილას ხეობაში, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1962, ტ. 23 B; საქართველოს არქეოლოგია, ტ. 1, თბ., 1991; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.1, თბ., 1970. *დ. თუშაბრამიშვილი.*

კარა, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ლარგვისის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ჭურთის (ქსნის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1690 *მ*, ახალგორიდან 39 *კმ*.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კარაბადინი, სამკურნალო წიგნების საერთო სახელწოდება ძველ საქართველოში. ძირითადად განკუთვნილი იყო პრაქტიკოსი ექიმებისთვის, საოჯახო კარაბადინი – არაექიმთათვის, მოკლე კარაბადინი კი თანამედროვე ცნობარივით გამოიყენებოდა.

საქართველოში დღემდე შესწავლილი და გამოცემულია ქანანელის ,,უსწორო კარაბადინი'' (XI ს.), ხოჯაყოფილის ,,წიგნი სააქიმოჲ'' (XII ს.), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ,,სამკურნალო წიგნი – კარაბადინი'' (XV ს.), დავით ბატონიშვილის ,,იადიგარ დაუდი'', ი. ბაგრატიონის ,,წიგნი სამართლისა და აქიმობის'', აგრეთვე პ. კლაპიტონიშვილის ,,მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება ადვილად წამლობისთჳს მრავალთა გვართა შინაგანთა და გარეგანთა სნეულებათა'' და ,,მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის, თუ ვითარი ღონისძიება და შემწეობა მოიხმარონ კაცთათვის ჟამთა უცრად ჩავარდნისა და სასიკვდილოსა მდგომარეობისა შინა'' (ორივე XIX ს.) და სხვ.



კარაბადინი. XI ს.

პ-ში მოცემულია ზოგადი საექიმო პრინციპები, აღწერილია სხვადასხვა დაავადება, მათი მკურნალობისა და სამკურნ. საშუალებათა დახასიათება. განმარტებულია სანიტ., ფიზიოლ., ბიოლ., ფარმაკოლ., ჰიგიენური და სხვა ცნებები.

კარავი, ადგილიდან ადგილზე გადასატანი ან უძრავი, ადვილად ასაწყობ-დასაშლელი საცხოვრებელი. კულტ. ისტორიაში ჰ-ის წინამორბედად მიჩნეულია ხის ტოტებისა და ქერქისაგან ნაგები ქარსაფარი, რ-იც XX ს. დამდეგამდე შემორჩა (ავსტრალიელები, ცეცხლისმიწელები, აფრიკის ბუშმენები, პიგმეები). მიჩნეულია, რომ ორი ქარსაფრის შეერთებით პირველი ორფერდა ჰ. წარმოიშვა.



კარავი.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში ცნობილია კონუსისებური, ნახევრადსფერული, პირამიდული და სხვ. ჰ. (ვიგვამი, ჩუმი, ტიპი, ვეჟა და სხვ.). ბინადარ მიწათმოქმედ ხალხში ჰ. თანდათან მყარ ნაგებობად იქცა. ჰ-მა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია ტიბეტის, ირანის, არაბ., მონღ. და შუა აზიის მომთაბარე ხალხებში (იურთა, გედანი და ა. შ.). გადასატანი ჰ-ების ეს სახეები დაედო საფუძვლად ისტორიაში ცნობილ სალაშქრო, აგრეთვე თანამედროვე სამხ., ტურისტულ, საექსპედიციო და სხვ. ჰ-ებს.

საქართველოში ჰ-ს საცხოვრებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ. მისი უმარტივესი ფორმა – მონადირის ჰ. – ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი. ჩვენში ჰ-ის განვითარების შემდგომი საფეხურია წნული ფაცხა – ალაჩოყი,

რ-იც ეთნოგრ. სინამდვილეში სამეურნეო დანიშნულებისაა, ალპურ საძოვრებზე კი მწყემსის სეზონურ სადგომს წარმოადგენს.

ლიტ.: Липс Ю., Происхождение вещей, пер. с нем., М., 1954. *ვ. შამილაძე.*

„კარავი“, პარლამენტის მსგავსი დაწესებულება, რომლის დაარსებაც მოსთხოვა *ყუთლუ-არსლანის* პოლიტიკურმა დასმა საქართველოს მეფე *თამარს.* „კ.“ უნდა დაედგათ *ისანში,* მეფის სასახლის მახლობლად და უნდა მისცემოდა საკანონმდებლო უფლებები. სავარაუდოდ, მასში მსხვილ ფეოდალებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქალაქის ზედაფენის წარმომადგენლებსაც. მის წევრებს უნდა გადაეწყვიტათ ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი: „მიცემისა და მოღებისა“, „წყალობისა და შერისხვისანი“ (სხვადასხვა თანამდებობის წყალობა და ჩამორთმევა, საჭიროების შემთხვევაში – დამნაშავე თანამდებობის პირთა დასჯა, ე. ი. უზენაესი მართლმსაჯულების უფლება). საქართვ. მეფე არც „კ-ის“ მუშაობაში იღებდა მონაწილეობას და არც საქმის განხილვაში უნდა ჩარეულიყო. მას მხოლოდ „კ-ში“ გადაწყვეტილი („განგებული“) საკითხის სისრულეში მოყვანა („სრულექმნა“) ევალებოდა. ამგვარად, ყუთლუ-არსლანის დასის მიერ წამოყენებული პროგრამა მეფეს მხოლოდ აღმასრ. უფლებებს უტოვებდა. „კ.“ არსებითად განსხვავებული იქნებოდა „დარბაზისგან“, რადგან იგი უნდა ყოფილიყო არა სათათბირო და ერთჯერადი ორგანო, არამედ მუდმივი დაწესებულება ჩამოყალიბებული საკანონმდებლო უფლებებით.

ყუთლუ-არსლანის პოლიტ. დასის გამოსვლა მარცხით დამთავრდა და „კ-ის“ დაარსების იდეაც ვერ განხორციელდა. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა და პროგრამა ნათლად გვიჩვენებს, თუ განვითარების რა მაღალ დონეზე იდგა ქართვ. საზოგადოებრიობა, რ-იც ჯერ კიდევ XII ს-ში მოითხოვდა სახელმწ. წესწყობილების შეცვლას და ე. წ. კონსტიტუციური მონარქიის შექმნას. არის მოსაზრება (ნ. ბერძენიშვილი), რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტ. პროგრამა იყო შემდგომი განვითარება იმ საუკუნოვანი ბრძოლისა, რ-საც ფეოდალური ოპოზიცია ეწეოდა მეფის თვითმპყრობელური მიდრეკილების წინააღმდეგ.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., შინაკლასობრივი ბრძოლა საქართველოში XII ს. 80-იან წლებში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 7, თბ., 1974; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მისივე, დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929. *რ. მეტრეველი.*

კარაიანი (კარაპეტიანი) ოვანეს (5. X. 1915, თბილისი, – 1985, იქვე), პოეტი. სწავლობდა საქართვ. სამხატვრო-პედ. სასწავლებელში. წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისში გამომავალი სომხურენოვანი გაზ. „სოვეტაკან ვრასტანის“ (შემდეგ „ვრასტანი“) რედაქციაში. იყო საქართვ. მწერალთა კავშირის წევრი. კ-ს ეკუთვნის ლექსების 11 კრებული, მათგან ორი – „ლექსები“ და „ჩემი ქართული“ – ქართულ ენაზე. სომხურად თარგმნილი აქვს დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, ი. ნონეშვილისა და სხვა პოეტების ლექსები. კ-ს ეკუთვნის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული პოეტური თარგმანი სომხ. ენაზე, რ-იც 1983 გამოვიდა თბილისში. კ-ს ამ თარგმანისათვის 1985 ივანე მაჩაბლის სახ. პრემია გადაეცა.

ს. არაქელიანი.

კარალეთი (ყოფ. ნაჭარმაგევი), სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), ტირიფონის ვაკეზე, გორი–ცხინვალის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: კ., დიდი გარეჯვარი, პატარა გარეჯვარი, სათბურების დასახლება). ზ. დ. 660 *მ,* გორიდან 9 *კმ.* 6,2 ათ. მცხ. (2014).

კ-ში მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორა. კ. იყო საქართველოს მეფეთა ერთერთი რეზიდენცია. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) წერს: „ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო, და აწ კარალეთად წოდვილი, ადგილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნაღირიანი, ფრინველიანი“. XV ს. II ნახევრიდან კ. ზაზა ფანასკერტელის მამულია. XVII ს-ში აქ ციცოშვილები (ფანასკერტელთა შთამომავალნი) ფლობდნენ ყმა-მამულს, XVII ს. მიწურულს – ქსნის ერისთავები, XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში კ. ერისთავთა ხელში გადავიდა.

სოფლის სასაფლაოზე დგას შუა საუკუნეების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. *ჯ. გვასალია.*

კარამზინი ნიკოლოზ მიხეილის ძე [1(12). XII. 1766, სოფ. მიხაილოვკა, ახლანდ. ბუზულუკის რ-ნი, ორენბურგის ოლქი, – 22. V (3. VI). 1826, სანქტ-პეტერბურგი], რუსი მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი. რუს. სენტიმენტალიზმის მამამთავარი. ამ მიმდინარეობის სულისკვეთებითაა დაწერილი მისი „რუსი მოგზაურის წერილები“ (1789–91), მოთხრობები: „ფროლ სილინი“, „საწყალი ლიზა“ (1792). თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუს. სალიტ. ენის განვითარებაში, რუს. ისტორიოგრაფიაში. ნაშრომში „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ (ტ. 1–12, 1816–26) საკმაოდ ვრცლადაა მიმოხილული რუს.-საქართვ. ურთიერთობა XVII ს-მდე. კ. ხოტბას ასხამს თამარ მეფეს, მისი მმართველობის პერიოდს ქართ. სიტყვიერების ოქროს ხანას უწოდებს, სიმამაცეს უქებს ქართველებს. კ. პოპულარული იყო ქართ. სალიტ. წრეებში. მის შემოქმედებას დიდად აფასებდნენ ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი და სხვ. ჟურნ. „ცისკარში“ იბეჭდებოდა კ-ის ნაწარმოებების ქართ. თარგმანები.

ლიტ.: რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1950. *ვ. შადური.*

კარანაძე გრიგოლ თეოფილეს ძე (25. II. 1902, სოფ. სამიქაო, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 2. V. 1970, თბილისი), სახელმწიფო უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი (1945). შსსკ დამსახურებული მუშაკი (1942), 1930–38 იყო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე საქართვ. სხვადასხვა რ-ნში. მუშაობდა ყირიმის ასსრ შს სახელმწ. უშიშროების სახ. კომისრად (1938–42), დაღესტნის ასსრ შს სახ. კომისრად (1942–43), საქართვ. სსრ შს სახ. კომისრად (1943–52), საქ. სსრ შს მინისტრის მოადგილედ (1953) და საქართვ. სატყეო მეურნეობის სახელმწ. კომიტეტის თავ-რის მოადგილედ (1957–70). დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. *ლ. დოლიძე.*

კარაპეტი, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის ოლადაურის თემში (აჭარის არ), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1420 *მ,* შუახევიდან 18 *კმ.* 145 მცხ. (2014).

კარატაული ენა, იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დიდოური

ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია დაღესტნის ახვახის რ-ნის აულებში – კარატაში, არჩოში, ანჩიხში, ზემო და ქვემო ენხელოში, ტოქიტაში. რუსეთის 2010 აღწერის მიხედვით, ამ ენაზე ლაპარაკობს სულ 255 ადამიანი (Большая Российская Энциклопедия), ადრინდელი მონაცემებით ეს რიცხვი 6000-ს უდრიდა. ძირითადად გამოიყოფა 2 დიალექტი: საკუთრივ კარატაული და ტოქიტური. მათ შორის გაგებინება გაძნელებულია.

კ. ე-ის ფონეტ. სისტემაში 5 მარტივი (ა, ე, ი, ო, უ) და 3 ნაზალიზებული ხმოვანია. თანხმოვანთა სისტემა რთულია, აღსანიშნავია ხშულ-მსკდომთა სამეულები; სპირანტებიც სამეულებს ქმნის. ლატერალურ თანხმოვანთაგან, სონორი ლ-ს გარდა, არის აგრეთვე 5 ჩქამიერი ფონემა. დასტურდება სუსტი, მკვეთრი აფრიკატი ლატერალიც.

სახელები იყოფა გრამატ. კლასების მიხედვით. მხოლოობითში გამოიყოფა 3 კლასი, მრავლობითში – 2. არსებით სახელთა მრ. რ. იწარმოება საგანგებო სუფიქსებით; ზმნებსა და ზედსართავ სახელებში რიცხვის საწარმოებლად კლასის ნიშნებია გამოყენებული. ძირითადი ბრუნვებია: სახ., მოთხრ., ნათ., მიც. (ტოქიტურში – აფექტივიც) და ადგილობითი ბრუნვების რთული სისტემა, რაც 8 სერიას ქმნის. ბრუნება ორფუძიანია, თვლა – ათობითი (ტოქიტურში – ოცობითი). პირის ნაცვალსახელებში გაირჩევა ინკლუზივი და ექსკლუზივი.

ზმნა იცვლება გრამატ. კლასის მიხედვით, პირისა და გვარის კატეგორია არ მოეპოვება, აქვს დადებითი და უარყოფითი ფორმები. გავრცელებულია ზმნურ ფორმათა აღწერითი წარმოება. არის მიმღეობები, ინფინიტივიცა და მასდარიც. დიდ როლს ასრულებს აბსოლუტივი (განსაკუთრებით რთული წინადადების გადმოსაცემად). სიტყვაწარმოება შედარებით ღარიბია. ლექსიკაში კარგადაა დაცული უძველესი ფენა. მრავლადაა ნასესხები სიტყვები რუს. და ხუნძური ენებიდან. *კ.* ე. უმწერლობო ენაა (სამწერლობო ენად იყენებენ ხუნძურს).

ლიტ.: Бокарев А. А., Материалы по диалектологии андо-цезских языков, I. Наречие аула Токита, *კრ.*: Памяти акад. Н. Я. Марра, М.–Л., 1938; Гудава Т. Е., Консонантизм андийских языков, Тб., 1964; Магомедбекова З. М., Каратинский язык, წგ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; მისივე, Каратинский язык. Грамматический анализ, тексты, словарь, Тб., 1971; Магомедова П. Т., Халидова Р. Ш., Каратинско-русский словарь, СПб., 2001.

ზ. მაჭომედბეკოვა.

კარატე, აღმოსავლური საბრძოლო და სპორტული ხელოვნების ერთ-ერთი სახეობა. მისი კონცეფცია გამოირჩევა რაციონალურობით, წარმოადგენს უნიკალურ სისტემას როგორც ფიზიკური მომზადების, ასევე ფსიქოლოგიური მზადყოფნის, მდგრადობის განვითარებისათვის. 2016 საერთაშ. ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, *კ.* მასში შემავალი ხუთივე სტილით (შოტოკანი, შიტო-რიუ, ვადო-რიუ, გოჯუ-რიუ და კიოკუშინკაი) აღიარებულია სპორტის ოლიმპიურ სახეობად და შეტანილია 2020 ოლიმპიადის პროგრამაში. კიოკუშინკაის სტილიდან ოლიმპიურ თამაშებში სპორტული *კ.*-ს წესებით მონაწილეობის მიღებაზე ნება დაერთო მხოლოდ ორ ორგანიზაციას – IKO-სა და IKO-1-ს.

აღმოსავლურ ორთაბრძოლებში შიშველი ხელით ბრძოლის განვითარება უკავშირდება ბუდისტ ბერს – ბოდჰიდჰარმას. შაოლინის მონასტერში მან შეიმუშავა ვარჯიშების კომპლექსი და განახორციელა მათი შერწყმა ხელჩართული ბრძოლის ილეთებთან. თანამედროვე იაპონური *კ.* სათავეს იღებს რიუკიუს არქიპელაგის კ. ოკინავადან. ჩინელმა ლტოლვილებმა ჩინურ კემპოსთან გააერთიანეს ორთაბრძოლის აღგილ. მეთოდები და ჩამოყალიბდა ტა-ტე (,,ტა'' იეროგლიფი ჟღერს როგორც ,,კარა'' და ტანის ჩინურ დინასტიას აღნიშნავს; ,,ტე''– ხელი, კარატე – ,,ჩინური ხელი''). საბრძოლო ხელოვნების ეს სახეობა, რ-იც მოგვიანებით იწოდებოდა ,,ოკინავა-ტედ'', აითვისა ადგილ. მოსახლეობამაც. ,,ტა-ტემ'' (კარატემ) ორთაბრძოლის ხელოვნებასთან ერთად მიიღო გასამხედროებული ტანვარჯიშის სახე.

თანამედროვე *კ.*-ს პოპულარიზაცია უკავშირდება გიჩინ ფუნაკოშის სახელს. მან შეცვალა იეროგლიფი ,,კარა'' იმავე ჟღერადობის სხვა იეროგლიფით, რ-იც ნიშნავდა ,,სიცარიელეს''. მას მერე დამკვიდრდა დეფინიცია: კარატე – ცარიელი ხელი. XX ს. 40-იანი წლების ბოლოსათვის მასუტაცუ ოიამამ შექმნა ოკინავური ფესვების მქონე სტილი ,,კიოკუშინკაი'' (გზა აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ), პირველი ,,დოჯო'' გახსნა 1953.

არსებობს *კ.*-ს სპორტული, გამოყენებითი და ტრად. მიმდინარეობები. ოკინავური *კ.*-ს მრავალი მიმდინარეობიდან დროის გამოცდას გაუძლო რამდენიმე სტილმა: შოტოკანი, შიტო-რიუ, ვადო-რიუ, გოჯუ-რიუ და კიოკუშინკაი. *კ.* განსაკუთრებით პოპულარული გახდა გასული საუკუნის 50-იან წლებში.

1966 პარიზში ჩატარდა ევროპის პირველი ჩემპიონატი *კ.*-ში. 1990 შეიქმნა *კ.*-ს მსოფლიო ფედერაცია (WKF), რ-შიც გაერთიანებულია შოტოკანის, ვადო-რიუს, გოჯუ-რიუსა და კიოკუშინკაის სტილობრივი სახეობები. შესაბამისმა ფედერაციებმა მოახდინეს ამ სტილთა სპორტული უნიფიკაცია, რის შემდეგაც *კ.* აღიარეს სპორტის სახეობად (კიოკუშინკაის სტილის უმეტესი მიმდინარეობა არ იზიარებს შეჯიბრების ჩატარების სპორტულ წესებს).

საქართველოში *კ.*-ს ისტორია მეტწილად უკავშირდება ზ. ლეჟავას სახელს. 1970-იდან მას შეუერთდნენ მ. წვერავა, ვ. გონჩარენკო, პ. ჯიჯეიშვილი და ი. ყეინაშვილი. იმხანად არ იყო *კ.*-ს არც ერთი ქართვ. სპეციალისტი. ენთუზიასტები მწირი ინფორმაციით ცდილობდნენ მაქსიმუმის ათვისებას. მათ შექმნეს ჯგუფი და დაიწყეს რეგულარული ვარჯიში. 1976-იდან ამ ჯგუფს შეუერთდნენ თ. რამიშვილი, გ. ბარაბაძე, დ. გვალია, დ. თევზაძე, ა. მიქაძე, გ. დარჩიაშვილი, თ. ჯორჯაძე, დ. სულაქველიძე, ო. რევიშვილი, ს. დოლიძე, გ. ბერიძე, ბ. მაღალთაძე. ასეთივე ჯგუფი ჩამოყალიბდა სოხუმშიც – ს. დარახველიძე, ვ. ჯაფარიძე, რ. ხუროძე, თ. ჯახაია. ენთუზიასტთა ძალისხმევამ ხელი შეუწყო საქართველოში *კ.*-ს პოპულარიზაციას.

შემდგომ წლებში ენთუზიასტთა მომდევნო ჯგუფმა [კ. ბასილია, გ. ბაკურაძე, ა. შენგელია, ო. გელაძე, დ. მოდებაძე, ა. (საჩინო) კიკაბიძე, ვ. გულბანი, თ. ცქიტიშვილი, ზ. კობაიძე, ბ. ხუციშვილი, ტ. ძებისაშვილი, მ. ყუბუსიძე, ა. რუბაშვილი, გ. ახალაძე, თ. და თ. გიგნაძეები, ა. მელაძე; აფხაზეთიდან: ვ. ბარაბაძე, ს. და კ. გოგიები, კ. კაკაბაძე, ტ. და ა. ბიწაძეები] კიდევ უფრო განავითარა სპორტის ეს სახეობა.

სსრკ-ის II ჩემპიონატზე (ტალინი, 1982) *კ.*-ში გ. ბაკურაძემ ოქროს მედალი მოიპოვა და სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა, ხოლო მის მწვრთნელს, ზ. ლეჟავას – საქართვ. დამს. მწვრთნელის



კარატე.

წოდება. იგივე შედეგი გაიმეორა კ. ბასილიამ (1989). 1980 ჩატარდა საქართვ. პირველი ჩემპიონატი ჰ-ში. 1983 სსრკ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ჰ. აიკრძალა და მისი სწავლება სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდა. 80-იანი წლების ბოლოს ეს გადაწყვეტილება გაუქმდა და ჰ-ს განვითარების მეორე ეტაპი დაიწყო.

გ. ბარაბაძის და ა. შენგელიას ინიციატივით ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა კიოკუშინკაი ჰ-ს ჯგუფი, რ-ის ბაზაზეც შეიქმნა საქართვ. კიოკუშინკაი კარატეს ფედერაცია. გაჩნდა უცხოელ, მ. შ. იაპონელ ოსტატებთან კავშირის დამყარებისა და მათი საქართველოში მოწვევის შესაძლებლობა.

1989 საქართველოს ტრად. კარატე-დოს (ზ. ლეჟავა) და კიოკუშინკაი ჰ-ს (გ. ბარაბაძე) ფედერაციებმა მიიღეს საერთაშ. აღიარება და გაწევრიანდნენ შესაბამის მსოფლიო ფედერაციებში. 1990 ჩატარდა საქართვ. პირველი ღია, ლეგიტიმური ჩემპიონატი კიოკუშინკაი ჰ-ში.

საქართველოში მოქმედებს ჰ-ს მსოფლიო ფედერაციაში (WKF) შემავალი სხვადასხვა მიმართულებების ეროვნ. ფედერაციები: შოტოკანი (კ. ბასილია, საქართვ. ჰ-ს ფედერაციის – GKF – პრეზიდენტი), ვადო-რიუ (მ. მახარაძე), შიტო-რიუ, გოჯუ-რიუ (ო. გრძელიშვილი).

დღეისათვის არსებობს კიოკუშინკაი ჰ-ს სტილის სხვადასხვა მიმდინარეობის რამდენიმე მსოფლიო ორგანიზაცია. საქართველოში ამ საერთაშ. ორგანიზაციებს წარმოადგენს ანალოგიური მიმდინარეობის ეროვნ. ფედერაციები და კლუბები. ამ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ კიოკუშინკაი ჰ-ს ოსტატები: ა. შენგელია, ტ. ძებისაშვილი, ნ. კვანჭიანი, ა. ჩუბინიძე, გ. კაკაბაძე, ა. (საჩინო) კიკაბიძე, მ. ქანთარია, გ. ემინაშვილი.

ქართველმა სპორტსმენებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საერთაშ. სარბიელზე. 1990 დამოუკიდებელი საქართველოს სახელით პირველმა წარმომადგენლებმა იასპარეზეს ჰ-ს მსოფლიო ჩემპიონატზე.

ამჟამად ტრადიციული (სპორტული) და სხვადასხვა სტილის სახეობებში საქართველოს ჰყავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა შორის; მსოფლიოს ჩემპიონები ვაჟთა შორის არიან: გ. არქანია, კ. ბასილია, ლ. გორელაშვილი, ჰ. ვეკუა, გ. ზურაბიშვილი, დ. ტყებუჩავა, ი. ტყებუჩავა; ევროპის ჩემპიონები – ლ. ბარამიძე, ტ. ბახტაძე, ს. მოვსესიანი, ლ. ყამარაული, მ. წიკლაური; ქალთა შორის – თ. ბიბილეიშვილი, დ. დარჩიაშვილი, ქ. მამედოვა, თ. მელუა, მ. ქებურია. ამას გარდა – მსოფლიოს, ევროპისა და საერთაშ. ტურნირების პრიზიორები და იაპონიის ორი ჩემპიონი სხვადასხვა სტილის სახეობებში.

საქართველოში მოქმედებს IKO-ს მსოფლიო ორგანიზაციის ეროვნ. ორგანიზაციები. მათი ოფიც. წარმომადგენლები არიან: ტ. ძებისაშვილი, მ. ქანთარია და ა. (საჩინო) კიკაბიძე.

ა. კიკაბიძე. ტ. ძებისაშვილი.

კარატი, 1. მასის ერთეული ძველ საბერძნეთში. შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ბერძნ.-რომაული კ. უდრიდა 0,189 გ, ეგვიპტური – 0,196 გ. საქართველოში დამკვიდრდა კერატის (XI–XVII სს.) და ყირათის (XVII–XVIII სს.) სახელწოდებით. კერატი შედიოდა *დრამის* მასების სისტემაში და მისი 1/12, ანუ 0,21 გ იყო. ყირათი შეადგენდა *მისხლის* 1/24, ანუ 0,19 გ. 2. ძვირფასი ქვების მასის საზომი. 1907 პარიზის საერთაშ. კონვენციის განსაზღვრით კ. უდრის 200 *მგ*, ანუ $2 \cdot 10^{-4}$ *კგ*. სსრკ-ში შემოიღეს 1922-იდან. ზოგ ქვეყანაში აღნიშნავს ძვირფასი ლითონების შენადნობის სინჯს. *გ. ჯაფარიძე.*

კარატისჯვარი, მთა დუშეთის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. განშტოებაზე, მდინარეების ლიქოკისხევისა და აკუშოსხევის (ხევსურეთის არაგვის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფზე. სიმაღლე 2684 *მ*. აგებულია შუაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები ციცაბოა და შემოსილია სუბალპ. და ალპური მდელოებით. *ლ. მარუაშვილი.*

კარბელაანთ კილო, ქართული (ქართლ-კახური) გალობის კილო, რომელიც *კარბელაშვილების* საგვარეულო ტრადიციამ ზეპირად შემოინახა. საგვარეულოს სათავეში დგანან პეტრე კარბელა (ხმალაძე, 1754–1848), რ-იც გალობას მცხეთის საკათალიკოსო სემინარიაში დაეუფლა, და მისი შვილი – გრიგოლი (1812–80), რ-იც შიომღვიმის მონასტერსა და მარტყოფში მოღვაწეობდა. XIX–XX სს. გრიგოლის შვილებმა – ფილიმონმა, პოლიევქტოსმა და ვასილმა – განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს გალობის აღდგენისა და მისი ნოტებზე გადატანის საქმეში. ,,კარბელაანთ კილო'' ფიქსირებულია მათ მიერ მომზადებული და გამოცემული კრებულების სატიტულო გვერდებზე.

ლიტ.: ანდღულაძე ს., ძმები კარბელაშვილები, «მუსიკა», 2012, №4; ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი, I ნაწ., «მწუხრი», ტფ., 1897; II ნაწ., «ცისკარი», ტფ., 1898; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938; Ониани Е., Сухиашвили М., Семья Карбелашвили, Православная энциклопедия, М., 2012.

კარბელაშვილები, მგალობელ-მომღერალთა საგვარეულო, რო-

მელიც თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში (XVIII–XX სს. პირველ მესამედამდე) თაობიდან თაობას გადასცემდა სრული მგალობლის ტრადიციას, რაც ყოველი საგალობლის სამივე ხმის ცოდნასა და ლოტბარობას გულისხმობს.

კ-ის საგვარეულოს სათავეში ედგა პეტრე გრიგოლის ძე ხმალაძე (1754–1848), იგივე კარბელა (სახელი შეარქვეს სოფ. კარბში ცხოვრების გამო, საიდანაც მომდინარეობს კ-ის გვარიც). პეტრემ სამგალობლო ხელოვნება ერეკლე II-ის კარზე შეისწავლა. წლების განმავლობაში გალობდა კათოლიკოს პატრიარქ *ანტონ II-თან* სამთავისის საკათედრო ტაძარში. გალობას ასწავლიდა მდ. ლეხურის ხეობის ტაძრებსა და სოფლებში.



ვ. კარბელაშვილი (სტეფანე აღმსარებელი).

გრიგოლ პეტრეს ძე კარბელაშვილი (1812–80) იყო მღვდელი, დიაკვანი, სრული მგალობელი. გალობა მამისაგან ისწავლა. მსახურობდა სოფ. ქვემოჭალაში, ამილახვრების კარის ეკლესიაში, 1862-იდან – ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტერში; 1864–72 ქართულ გალობას ასწავლიდა თბილისის სას. სემინარიაში. ჰყავდა 6 შვილი – სიდონია და მისი ხუთი ძმა – ფილიმონი, ანდრია, პ. *კარბელაშვილი*, ვ. *კარბელაშვილი*, პეტრე 2011 წმ. სინოდის გადაწყვეტილებით ხუთივე ძმა წმინდანებად შერაცხეს (ხსენების დღე – 6 სექტემბერი).

ფილიმონ გრიგოლის ძე კარბელაშვილი (1836–79) – მღვდელი. 1869–79 იყო სამთავისის საკათედრო ტაძრის მქადაგებელი და მგალობელი.

ანდრია გრიგოლის ძე (1851–1924) და პეტრე გრიგოლის ძე (1860–1924) კ. – მღვდელმოწამენი, მგალობლები, საბჭოური რეპრესიების მსხვერპლნი. ბოლშევიკებმა 1924 აჯანყებაში მონაწილეობის გამო ძმები დააკავეს და ტირიფონის ველზე დახვრიტეს.

ფილიმონ პოლიევქტოსის ძე კარბელაშვილი (1870–1930) – მღვდელი, მგალობელი და პედაგოგი. განათლება მამასთან, პოლიევქტოსთან მიიღო. მუშაობდა დიაკვნად, მღვდლად სას. სასწავლებელსა და თბილისის სას. სემინარიაში. დიდი წვლილი შეიტანა ქართლ-კახური საგალობლების ნოტებზე გადატანისა და გამოცემის საქმეში.



ძმები კარბელაშვილები.

ლიტ.: ანდღულაძე ს., ტოგონიძე ლ., ძმები კარბელაშვილები, თბ., 2012; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938; Ониани Е., Сухиашвили М., Семья Карбелашвили, Православная энциклопедия, М., 2012.

ე. ონიანი. მ. სუხიაშვილი.

კარბელაშვილი ანდრე ლუარსაბის ძე (18. III. 1927, თბილისი, – 12. IV. 2013, იქვე), ინჟინერი, პუბლიცისტი. საქართვ. დამს. რაციონალიზატორი (1961), საქართვ. ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1982). 1966 დაამთავრა სპი-ის კავშირგაბმულობის ფაკტი. 1956–72 მუშაობდა თბილ. სხვადასხვა რ-ნში სატელეფონო კვანძის ხელმძღვანელ თანამდებობებზე; იყო საქალაქო სატელეფონო ქსელების განყ-ბის უფროსი, ხოლო შემდეგ – საქალაქო და სასოფლო სატელეფონო ქსელების სამმართველოს უფროსი (1972–78); საქართვ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონ., დაგეგმვისა და მართვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კავშირგაბმულობის სექტორის გამგე (1980–83); საქართვ. კავშირგაბმულობის სამინისტროს ტექ. სამართველოს უფროსი (1983–91); საქართვ. კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე (1991–92). სამინისტროში მუშაობის პერიოდში კავშირგაბმულობის სფეროში დანერგა უახლესი ტექნოლოგიები.

კ. საქართვ. კავშირგაბმულობის ისტორიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარია და მრავალი პუბლიკაციის ავტორი. მისი წიგნი ,,ძმები სიმენსები საქართველოში'' ითარგმნა გერმ. ენაზე და გამოიცა მიუნხენში (1990), ერთი ეგზემპლარი ინახება ამავე ქალაქის სიმენსების მუზეუმში. კ. მრავალი გამოგონების ავტორია. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

კარბელაშვილი გივი ლუარსაბის ძე (17. II. 1923, სოფ. გურჯაანი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 14. I. 1994, თბილისი), მწერალი. 1943 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი, 1946 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი დიპლ. სკოლა. იყო სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ატაშე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტ. ურთიერთობის საქართვ. საზ-ბის პრეზიდიუმის თავ-რე, 1971–88 – გაზ. ,,სამშობლოს'' მთ. რედაქტორი. კ-ს ეკუთვნის მოთხრობებისა და ნარკვევების კრებულები: ,,ერთი პეშვი მიწა'' (1967), ,,რა შეედრება საქართველოს ოქტომბრის თვეში'' (1977), რომანი ,,მგზნებარებით ჩაფერფლილი გულები'' (1979); აგრეთვე ა. ტოლსტოის, ლ. ლეონოვის, გ. სევუნცის, ე. მ. რემარკის, ჟ. სადულის, ვ. ჰიუგოსა და სხვ. თხზულებების თარგმანები. არის საქართვ. ჟურნალისტთა პრემიის ლაურეატი (1973).

კარბელაშვილი ვასილ გრიგოლის ძე [1(13). I. 1855, სოფ. ქვემოჭალა, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 8. IV. 1936, თბილისი], მუსიკოსი, მგალობელი და საზ. მოღვაწე (სას. პირი, ეპისკოპოსი). საქართვ. ეკლესიის წმინდანი – სტეფანე აღმსარებელი. მამამისი ცნობილი მგალობელი იყო, ვასილმა და მისმა ძმამ პოლიევქტოსმა ბავშვობიდანვე ოჯახში შეითვისეს ქართ. სას. გალობის ქართლ-კახური კილო, რ-ის განვითარებასაც შემდეგში დიდი ამაგი დასდეს. კ-მა დაამთავრა თბილ. სას. სემინარია.

1882 შევიდა მოსკოვის კონსერვატორიაში. 90-იან წლებში მოღვაწეობდა თბილისში. გალობას ასწავლიდა სას. სემინარიაში. ამავე პერიოდში გამოაქვეყნა 2 კრებული – ,,ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი'' (,,მწუხრი'', I ნაწ. 1897 და ,,ცისკარი'', II ნაწ. 1898). ამ კრებულებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. კ. იყო თბილ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრის (მდებარეობს ახლანდ. უზნაძის ქუჩაზე) პირველი წი-

ნამძღვარი. 2012-იდან ამ ტაძარში დეკანოზ ა. გალდავას თაოსნობით დაარსდა სტეფანე აღმსარებლის სახ. კულტ.-საგანმან. ცენტრი, რ-ის მიზანი ტრადიციული გალობის, ხატწერის, კლასიკური მუსიკისა და ლიტ-რის სწავლება და პოპულარიზაციაა. *გ. ჩხიკვაძე. ნ. კალანდაძე.*

კარბელაშვილი ლუარსაბ ანდრიას ძე [5 (17). II. 1896, სოფ. მუხრანი, ახლანდ. მცხეთის მუნიციპალიტეტი, – 5. XI. 1973, თბილისი], სტატისტიკოსი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1954), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1923 დაამთავრა თსუ-ის სოც.-ეკონ. ფაკ-ტი. იმავე წელს იქვე დაიწყო მეცნ.-პედ. მოღვაწეობა. 1923–38 მუშაობდა რესპ. სახელმწ. სტატისტ. და საგეგმო ორგანოებში. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის ეკონ. გეოგრაფიის განყ-ბას და თსუ-ის ეკონ. გეოგრაფიის კათედრას.

ჰ. ავტორია მრავალი შრომის, რ-თა მნიშვნელოვანი ნაწილი სტატისტ., დემოგრაფიის, ეკონ. გეოგრაფიისა და საქართვ. ეკონ. პრობლემებისადმია მიძღვნილი. დიდი მუშაობა გასწია ეკონ. ტერმინოლოგიის დასამუშავებლად, 1958 გამოიცა ჰ-ის ,,სააღრიცხვო-სტატისტიკური ტერმინოლოგია'' (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული), შეადგინა და გამოსცა პირველი სახელმძღვანელოები საშუალო (,,საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფია''; 1961–77, ქართ., რუს., სომხ., აზერბ. ენებზე) და უმაღლესი სკოლებისათვის (,,საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია''; 1973), შექმნა საქართვ. ეკონ. დარაიონების ბადე.

ჰ-მა საინტერესო მუშაობა გასწია ინდოეთში ქართველთა ნაკვალევის ძიების მიმართულებით. ამ საკითხს ეხება მისი ნაშრომები: ,,ქართველთა ნაკვალევი ინდოეთში'' და ,,შუა საუკუნეების შესანიშნავი ქართველი მოგზაური''.

კარბელაშვილი მერი შალვას ასული (8. II. 1927, თბილისი, – 24. IV. 2006, იქვე), ხელოვნებათმცოდნე. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი (1963). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1949). 1956-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკად. ქართ. ხელოვნების ისტორიის ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1988-იდან 2005-მდე ხელმძღვანელობდა ინ-ტის ახალი და თანამედროვე ქართ. ხელოვნების განყ-ბას. მის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თემატიკა მრავალფეროვანია და ძირითადად ქართ. გრაფ. ხელოვნების სფეროს მოიცავს; თუმცა, გარდა გრაფიკისა, მისი კვლევის ინტერესი სახვ. ხელოვნების სხვა დარგებსაც უკავშირდება. აქვს ნაშრომები ქართ. არქიტ. ძეგლების, ფერმწერი მხატვრებისა და მოქანდაკეების შესახებ. *მ. გაჩეჩილაძე.*

კარბელაშვილი პოლიევქტოს გრიგოლის ძე (1855–1936), მუსიკოსი, მგალობელი, დეკანოზი, მწერალი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. საქართვ. ეკლესიის წმინდანი. სწავლობდა გორის სას. სემინარიაში. ავტორია წიგნებისა ,,ქართული საერო და სასულიერო კილოები. ისტორიული მიმოხილვა'' (1898) და ,,გამოჩენილი მგალობელნი და მწერალ მწიგნობარნი'', სადაც განხილულია მიქაელ მოდრეკილის ,,იადგარი'' და გამოთქმულია საყურადღებო შეხედულება საგალობლებში ჩართულ სამუსიკო ნიშნებზე. იგი თვლის, რომ ქართ. საეკლ. მუსიკა წარმართული ჰანგებიდან მომდინარეობს. ქართ. საგალობლები პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილებისაგან ჩაიწერა და ერთ კრებულად გამოსცა კომპოზიტორმა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა. იგივე მასალა ქალ-ვაჟთა გუნდისათვის დაამუშავა და კრებულის სახით გამოსცა ზ. ფალიაშვილმა (1910). აღსანიშნავია ჰ-ის საგამომცემლო მოღვაწეობა. მან მოამზადა და გამოსცა ძვ. ქართული ლიტერატურის ძეგლები – «,,ვეფხისტყაოსნის'' დამატებანი» (,,ივერია'', 1880, №3), ანტონ პირველის ,,მზამეტყველება'' (1892), იოანე საბანისძის ,,წმიდა მოწამე აბო თბილელი'' (1899), ,,წმიდა ნინოს ცხოვრების'' მეტაფრასული რედაქცია, რ-იც არსენ ბერს მიეწერება (XI–XII სს.), ,,ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში'' (ორივე – 1902), ,,ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა'' (1903), ,,იონა ხელაშვილის ოქროს წყარო'' (1905) და სხვ.

ლიტ.: ანდღულაძე ს., ძმები კარბელაშვილები, «მუსიკა», 2012, №4.

გ. ჩხიკვაძე. ს. ცაიშვილი.

კარბი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მერეთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), ტირიფონის ვაკეზე, მდ. პატარა ლიახვის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 860 *მ*, გორიდან 25 *კმ*. 613 მცხ. (2014).

სოფლის შუა ნაწილში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია; სოფლის განაპირას, სამხრ-ით – XVI–XVII სს. სამების დარბაზული ეკლესია, ამავე მხარეს (მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირზე) კი – წმ. მარინეს დარბაზული ეკლესია, რ-იც XVIII–XIX სს. მიეჯნას მიეკუთვნება. სოფელში დგას 6 კოშკი, მ. შ. ორი სწორკუთხაა, დანარჩენები – ცილინდრული. სწორკუთხა კოშკებიდან უძველესია ე. წ. დავითაშვილების ციხე, რ-იც, სავარაუდოდ, XV–XVI სს-ით თარიღდება, ხოლო მეორე – XVII–XVIII სს-ით. ცილინდრული კოშკები XVIII ს. განეკუთვნება, მ. შ. ერთს გნოლიძეების ციხეს უწოდებენ, მეორეს – ხუბაშვილების ციხეს, დანარჩენი ორი უსახელოა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

კარგარეთელი ვასილ დიმიტრის ძე (29. VII. 1880, სოფ. ერთაწმინდა, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 1938, თეირანი), გენერალ-მაიორი (1920). განათლება მიიღო თბილ. პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. 1899 სამხ. სამსახური დაიწყო იუნკრად მოსკოვის სამხ. სასწავლებელში. 1901-იდან მსახურობდა ლაიბგვარდიაში (სანქტ-პეტერბურგი), შემდეგ – გვარდიული ქვეითების რეზერვში, გორის 259-ე ქვეით პოლკში. 1913 დაამთავრა ნიკოლოზის გენ. შტაბის აკადემია (I თანრიგით). მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). 1915–16 მსახურობდა კავკასიის კაზაკთა პირველი დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად;

1918-მდე იმყოფებოდა ირანში რუსული ჯარების შემადგენლობაში. 1918-იდან მსახურობდა ქართულ ჯარში, ქართ. კორპუსის მე-2 დივიზიის მეთაურად. 1919 წ. 17 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება და დაინიშნა საქართვ. დიპლომატიური მისიის სამხ. ატაშედ აზერბაიჯანში. 1919 წ. 15 ივლისიდან მსახურობდა აზერბაიჯანის ჯარში, გენ. შტაბის მთავარი სამმართველოს გენერალ-კვარტირმაისტერად. გენ.-მ-ის წოდება მიანიჭა აზერბაიჯანის რესპ. მთავრობამ ,,განსაკუთრებული დამსახურებისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის წინაშე'' (24. III. 1920, №6 ბრძანებულება). 1920 წ. 28 აპრილს წითელი არმიის მიერ

აზერბაიჯანის ტერიტ. დაკავების შემდეგ დაინიშნა სპარსეთის საბჭოთა რესპ. არმიის მთავარსარდლად. 1920 ნოემბერში თანამდებობიდან გაათავისუფლეს ს. ორჯონიკიძის პირადი განკარგულებით. 1920 დასასრულიდან ცხოვრობდა ირანში. იყო თეირანის საპატიო მოქალაქე, ორგანიზაცია ,,თეთრი გიორგის'' ერთ-ერთი დამაარსებელი; ჰ-ის ავტორობით (,,გურჯი ხანის'' ფსევდონიმით) სპარსულ ენაზე გამოიცა მთელი რიგი სამხ. სახელმძღვანელოები. დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. სტანისლავის, ,,თამარ მეფის'' სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. დაკრძალულია თეირანის რუსულ სასაფლაოზე.



ი კარგარეთელი.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015. *მ. გოგიტიძე.*

კარგარეთელი ია (ილია) გიორგის ძე (2.VII. 1867, სოფ. ერთაწმინდა, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 31. III. 1939, თბილისი), კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, მომღერალი (ტენორი) და საზ. მოღვაწე. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1938). ბავშვობიდანვე მღეროდა თბილ. სიონის ეკლესიისა და ვ. *აღნიაშვილის* გუნდებში, სიმღერის გაკვეთილებს იღებდა ი. *რატიშვილთან.* 1889–91 სწავლობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში, ეწეოდა ქართ. მუს. პროპაგანდას, მართავდა ქართ. მუს. საღამოებს, კითხულობდა ლექციებს. 1895-იდან იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერალი, 1905-იდან – რეჟისორი. ვ. გუნიასთან ერთად ქართ. ენაზე თარგმნა ოპერები ,,დემონი'' და ,,სევილიელი დალაქი'', რ-ებიც თვითონვე დადგა (შეასრულა სინოდალისა და გრაფის პარტიები).

მანვე გააქართულა თბილ. ოპერის თეატრის თითქმის მთელი რეპერტუარი (ოპერები: ,,პიკის ქალი'', ,,ფაუსტი'', ,,ტრავიატა'', ,,რიგოლეტო'' და სხვ. მრავალი). ამავე პერიოდს განეკუთვნება პირველი რომანსების შექმნაც (,,შევიშრობ ცრემლსა'', ,,მშვენიერთა ხელმწიფავ''). ჰ-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართვ. ფილარმონიული საზ-ბის დაარსებაში (1903). 1910 დააფუძნა ,,ქართული საგუნდო საზოგადოება''. ამავე წლიდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სას. სემინარიასა და კონსერვატორიაში. ავტორია რომანსებისა და საგუნდო ნაწარმოებებისა. მის შემოქმედებას საფუძვლად დაედო თბილ. ქალაქური ფოლკლორი. გამოაქვეყნა ხალხ. სიმღერების 3 კრებული (1890, 1909, 1921). ნაშრომებიდან აღსანიშნავია ,,ქართული მუსიკის შესახებ'' (მოსკოვი, 1893), ,,მოკლე ნარკვევი ქართულ მუსიკაზე'' (1901), ,,მოკლე პოპულარული მუსიკალური ენციკლოპედია'' (1933) და სხვ.

თხზ.: მემუარები, თბ., 2008.

ლიტ.: არაყიშვილი დ., ია კარგარეთელი, «ლიტერატურა და ხელოვნება», 1945, №14; გავაშელი ლ., ია კარგარეთელი, თბ., 1959; ჩიქოვანი მ., ქართული ფოლკლორი, თბ., 1946.

კარგარეთლები, ქართველი კალიგრაფები, რომლებიც XVI–XVII საუკუნეებში მოღვაწეობდნენ. თ. ჟორდანიას თანახმად, ,,ცნობილი კალიგრაფები კარგარეთელნი სვიმონ, გიორგი და ზებედე ცხოვრობდნენ XVI საუკუნეში,... კარგარეთელნი მესხეთიდან ჩამოსულან; სვიმონის მამა სოფრონ და სოფრონის მამა – ვარსიმე''.

სვიმონი იღვწოდა სამხრ. საქართველოს სავანეებში. 1541 მან მაწყუერელი მთავარეპისკოპოსის, იოაკიმეს დავალებით გადაწერა პოლემიკურ-დოგმატიკური და სამეცნ. კრებული. ანდერძში ნათქვამია, რომ წიგნი ,,გათავდა საფარას'' დიაკონ სვიმონ კარგარეთლის ხელით, სკთ ქრონიკონს (229+1312=1541), საბას ლავრაში. ეს 108-ფურცლიანი მცირე ზომის წიგნი (22,8 *სმ* × 16,8 *სმ*) გადაწერილია ნუსხურით ერთ სვეტად შავი მელნით. ნაწერი უჩვეულოდ წვრილია, ასოები მოკლე, გაკრულ-გამოკრული კიდურების გარეშე, სტრიქონებს შორის დიდი მანძილია, სინგური ტრადიციულადაა ნახმარი საზედაო ასოების, ცალკეული სტრიქონებისა და სიტყვებისთვის. წიგნი მაღალი კალიგრაფიული ოსტატობის ნიმუშია. სვიმონის მიერ ნუსხურით ორ სვეტადაა გადაწერილი გულანი, დიდი ფორმატის წიგნი (ორ ტომად შეკრული), რ-იც შესრულებულია მაღალმხატვრულ დონეზე.

იესეს გადაწერილია სადღესასწაულო, რ-საც ხელისა და თავსამკაულების მიხედვით XVII ს-ით ათარიღებენ. ეს მოზრდილი წიგნი (28 *სმ*× 20 *სმ*) ნაწერია ნუსხურით ორ სვეტად შავი მელნით. სინგური აქაც ტრადიციულადაა გამოყენებული საზედაო ასოების, სათაურებისა და ხაზგასასმელი სიტყვებისათვის; თავსამკაულის შესრულება მაინცადამაინც მაღალ დონეზე არ დგას, თუმცა არც ტლანქი და უმწეოა. სამაგიეროდ ნაწერი ბრწყინვალე კალიგრაფიული ოსტატობით გამოირჩევა: ძალიან წვრილი, მოკლე, პროპორციული ასოები არაჩვეულებრივი სიფაქიზით არის გამოყვანილი. ანდერძი, რ-შიც გადამწერი იხსენიება, მშვენიერი მხედრულითაა შესრულებული.

ამბროსე გაბრიელის ძე მონაწილეობდა ბედიის გულანის გადაწერაში გაბრიელ ლომსიანისძესა და საბა ნაჭოფაძესთან ერთად. ამ გულანის გადაწერის მოთავე იყო ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტისძე, რ-მაც შავშეთიდან საგანგებოდ დაიბარა კალიგრაფი ლომსიანისძე. საფიქრებელია, რომ ამბროსეც სამხრ. საქართველოდან ჩავიდა ბედიაში. მისი ხელითაა ნაწერი 130–194 და 582–610 ფურცლები. იგი შესანიშნავი ოსტატი იყო – ერთი საუკეთესო გადამწერთაგანი ნუსხური ხელით (გულანი უზარმაზარია – 45,7 *სმ* × 31,5 *სმ*, ორ სვეტად ნაწერი, სვეტში 41 სტრიქონია; სინგური, ჩვეულებისამებრ, გამოყენებულია საზედაო ასოებსა და ცალკეულ სტრიქონებში).

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ოსტატები, თბ., 1967. *ვ. ბერიძე.*

კარდანახი, კარდენახი, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ-ით, გურჯაანი–წნორის საავტ. გზაზე. რკინიგზის სადგური. სათავო სოფელი. ზ. დ. 400 *მ*, გურჯაანიდან 14 *კმ*. 3,9 ათ. მცხ. (2014).

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' მოხსენიებულია კარდანეხი და კარდანეხის წყალი.

სოფელში შემორჩენილია რამდენიმე ეკლესიის (ნათლისმცემლის, ფერისცვალების, ღვთაების) ნანგრევი და ნაეკლესიარი. დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლისა და წმ. ელიას დარბაზული ეკლესიები, ასევე იმავე პერიოდის დარბაზული ეკლესია. სოფლის მახლობლად, ნასოფლარ დიდვარდნულის ტერიტორიაზე, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, ე. წ. ონანაანთ საყდარი. სოფლის ზემოთ, დაახლ. 1 *კმ*-ზე, მდებარეობს საბაწმინდის მონასტერი, რ-შიც გაერთიანებულია წმ. საბას დიდი გუმბათოვანი ეკლესია (XIII ს. I ნახ.), სამეკლესიანი ბაზილიკა (VI ს. შუა ხანები), წმ. ბარბარეს ეკლესია (გვიანდ. შუა საუკუ-

ნეები) და კლდეში გამოკვეთილი სათავსი – სავარაუდოდ სამეურნ. დანიშნულებისა.

ჰ-ში გვიანდ. შუა საუკუნეების ორი ოთხკუთხა კოშკია, მ. შ. ერთი – ათანაანთ მიწებზე, მეორე კი – წარაფებად წოდებულ ადგილზე. სოფელში XVIII ს. ორი მრგვალი კოშკიცაა.

სოფელში მდებარეობს დ. აფხაზის მიერ XIX ს-ში აგებული სასახლე, რ-იც გარკვეული დროის განმავლობაში ეკუთვნოდა გრაფ შერემეტიევს. XX ს. დასაწყისში აფხაზთა საგვარეულომ სასახლე კვლავ დაიბრუნა. მისი ბოლო მფლობელები იყვნენ ი. *ჭავჭავაძის* სიძე ნ. აფხაზი და მისი შვილი კ. *აფხაზი*.

ჰ-ის სასახლეს ხშირად სტუმრობდა ი. ჭავჭავაძე, რ-საც აქვე დაუწერია ლექსი ,,ყვარლის მთებს'' და პოემა ,,რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ''. სოფელში არის ი. *ნონეშვილის* სახლ-მუზეუმი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 1-ი, თბ., 2013.

„კარდანახი“, თეთრი შემაგრებული ღვინო. მზადდება რქაწითელის ჯიშის ყურძნისგან, რ-იც გაშენებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კარდანახში. აძველებენ კასრში სამი წლის განმავლობაში. აქვს ქარვისფერი, სასიამოვნო ჯიშური ბუკეტი, პორტვეინის მსგავსი გემოთი. შეიცავს 18% სპირტს, 10% შაქარს. მჟავიანობაა 5–6 *გ/დმ*^{3}. პირველად ,,კ.'' დაამზადა ცნობილმა მეღვინემ, ვ. *კანდელაკმა* (1926). უშვებს კარდანახის ღვინის ქ-ნა. საერთაშ. გამოფენებზე მიღებული აქვს 8 ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი. *ბ. კალანდაძე.*

კარდიოლოგია (ბერძნ. kardia – გული, logos – სიტყვა, სწავლება), კლინიკური მედიცინის დარგი. კ. შეისწავლის გულსისხლძარღვთა სისტემის (გსს) ფუნქციასა და სტრუქტურას (ნორმასა და პათოლოგიაში), დაავადებათა განვითარების მიზეზებსა და მექანიზმებს, ამ სისტემის რეგულირებისა და კომპენსაციის კანონზომიერებებს, გულის ავტომატიზმის დარღვევებს, მათ კლინიკურ გამოვლინებებსა და დიაგნოსტიკას, აგრეთვე პრევენციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის მეთოდებს.

თანამედროვე კ-ში ფართოდ გამოიყენება კვლევის მეთოდები: ბიოქიმ., იმუნოლოგიური, რადიოიზოტოპური, ელექტროკარდიოგრაფიული, ექოკარდიოგრაფიული და სხვ. აგრეთვე მუდმივი კარდიოსტიმულაცია-იმპლანტირებადი დეფიბრილატორებით, მაგნიტურ-რეზონანსული, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული და სხვ. კვლევები. ძირითადი კარდიოლოგიური მანიპულაციებია: კორონარული ანგიოგრაფია, ანგიოპლასტიკა, გულის ღრუების და ფილტვის არტერიის კათეტერიზაცია, დროებითი ელექტროკარდიოსტიმულაცია, პერიკარდიოცენტეზი, ელექტრული კარდიოვერსია, მიოკარდიუმის ბიოფსია, შიდააორტალური ბალონური კონტრპულსაცია, საყლაპავშიდა ექოკარდიოგრაფია.

ორგანიზმისთვის გულის მუშაობის მნიშვნელობის შესახებ ცნობებს ვხვდებით ეგვიპტის უძველეს ებერსის პაპირუსში (ძვ. წ. XVII ს.). ძვ. წ. V ს-ში *ჰიპოკრატემ* პირველად აღწერა გულის, როგორც კუნთოვანი ორგანოს, აგებულება და ჩამოაყალიბა წარმოდგენა გულის პარკუჭებსა და მსხვილ სისხლძარღვებზე. რომაელმა ექიმმა კ. გალენმა (II ს.) პირველად აღწერა ორგანიზმში სისხლის მიმოქცევა, რ-იც XVII ს-ში უარყო ინგლისელმა ექიმმა უ. ჰარვეიმ. მან ჩამოაყალიბა სისხლის მიმოქცევის ობიექტური კანონები და დაადასტურა გულის, როგორც ტუმბოს ფუნქცია. აღორძინების ეპოქაში მოღვაწეობდა ბელგიელი ბუნებისმეტყველი, ქირურგი, თანამედროვე ანატომიის ფუძემდებელი ა. ვეზალიუსი, ამავე პერიოდში ლეონარდო და ვინჩიმ, გვამების პრეპარირების შედეგად, საკმაოდ ზუსტად აღწერა გულის სარქველთა სტრუქტურა. იტალიელმა ბიოლოგმა და ექიმმა მ. მალპიგიმ (1628–94) მიკროსკოპის გამოყენებით პირველმა დაინახა კაპილარები და ჩამოაყალიბა წარმოდგენა სისხლის მიმოქცევის წრიულ ბუნებაზე. XVII–XIX სს-ში აღწერეს გულის ცალკეული მანკები, კორონარული სისხლის მიმოქცევა, გულის ანგინა. გულის დაავადებათა ამოცნობა ბევრად გაადვილდა მას შემდეგ, რაც პრაქტიკულ მედიცინაში ფრანგმა ექიმებმა შემოიღეს პერკუსიის (ჟ. ნ. კორვიზარი) და აუსკულტაციის (რ. ლაენეკი) მეთოდები. XIX–XX სს-ში ჩეხმა ფიზიოლოგმა ი. პურკინიემ, გერმ. ექიმებმა ვ. ჰისმა და ლ. აშოფმა, იაპონელმა ს. ტავარამ, ინგლ. მკვლევარებმა ა. კისმა და მ. ფლეკმა გულის ანატ.-ფიზიოლ. კვლევის საფუძველზე აღწერეს გულის გამტარი სისტემა. 1903 ნიდერლანდელმა ფიზიოლოგმა ვ. ეინთჰოვენმა შეიმუშავა და დააფუძნა ელექტროკარდიოგრაფიული მეთოდი, რისთვისაც მას 1924 მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინისა და ფიზიოლოგიის დარგში. 1947 ამერიკელმა ბიოფიზიკოსმა ნ. ჰოლტერმა გამოიგონა მოწყობილობა, რ-საც შეეძლო მოძრაობის დროს, უწყვეტად ჩაეწერა პაციენტის ელექტროკარდიოგრამა (ეკგ). 1980 პირველად გამოიყენეს ციფრული ეკგ-ს ჩანაწერები. 1929 გერმ. ქირურგმა ვ. ფორსმანმა შეიმუშავა გულის კათეტერიზაციის მეთოდი, რ-იც თავის თავზე გამოცადა. 1956 შემუშავებული მეთოდისთვის მას ამერიკელ მეცნიერებთან (ა.კურნანი და დ. რიჩარდსი) ერთად მიენიჭა ნობელის პრემია. 1958 კლივლენდში (აშშ-ში) ფ. მ. სოუნსის მიერ განხორციელდა პირველი კორონაროანგიოგრაფიული გამოკვლევა, რ-მაც დასაბამი მისცა გულის შუნტირების და ინტერვენციული კ-ის განვითარებას. ინტერვენციული კ-ის ფუძემდებლად ითვლება გერმ. ქირურგი ა. რ. გრიუნტციგი, რ-მაც 1977 პირველმა განახორციელა გულის ათეროსკლეროზულად შევიწროვებული კორონარული არტერიის ბალონური ანგიოპლასტიკა. 1986 ფრანგი ექიმის, ჟ. პუელის მიერ, პირველად იქნა იმპლანტირებული სტენტი გულის კორონარულ არტერიაში. 2001 მეცნიერების (ფრანგი კ. მორისი, ბელგიელი პ. სერიუსი, ბრაზილიელი ე. სოუსა) მიერ შემუშავდა სტენტის ახალი სახეობა, დაფარული აქტიური ანტითრომბოზული საშუალებებით.

გულის პარკუჭთა ფიბრილაციის შესახებ პირველი კვლევები ჩაატარეს შვეიცარელმა ფიზიოლოგებმა ჟ. პრევომ და ფ. ბატელიმ. მათ შექმნეს პირველი დეფიბრილატორი. 1959 ამერ. კარდიოლოგმა ბ. ლაუნმა მოახდინა მოციმციმე არითმიის და პაროქსიზმული ტაქიკარდიის კუპირება დეფიბრილაციის მეთოდით. ულტრაბგერითი კარდიოგრაფიის მეთოდი შემუშავდა შვეიცარიაში 1953, კარდიოლოგ ი. ედლერის და ფიზიკოს ჰ. ჰერცის მიერ. 1929 ნიუ-იორკში ა. მასტერმა შეიმუშავა პირველი დოზირებული ფიზ. დატვირთვის სინჯი, რ-იც ავლენდა კორელაციას ეკგ-ის ცვლი-



ეთიკეტი.

ლებებს, მიოკარდიუმის იშემიასა და კორონარული არტერიების დაზიანებას შორის. ტრედმილის შემოღების შემდეგ (1966), 1971 ველოერგომეტრიული სისტემა შემოიღო შვედმა კარდიოლოგმა კ. გ. ბლომქვისტმა. 1972 ჩიკაგოში ჩატარდა რენტგენის კომპიუტერული ტომოგრაფის დემონსტრირება. ეს იყო რევოლუცია სამედ. გამოსახულებით კვლევებში. 1999 შემუშავდა მულტიშრეობრივი სკანერი, რაც ინვაზიური კორონარული ანგიოგრაფიის მსგავს გამოსახულებას იძლეოდა. 1990-იდან ბირთვული მაგნიტური რეზონანსი გამოიყენება გულის ფუნქციის და სტუქტურის შესაფასებლად.

საქართველოში ადრექრისტიანული ხანის ქართ. სამედიცინო დამწერლობის ძეგლებში (,,კაცისა შესაქმე'', ,,სინანულისა და სიმდაბლისთვის'') გული იყო მიჩნეული მთავარ სასიცოცხლო ორგანოდ, ორგანოთა მეუფედ (,,მეუფე აროთაისა''), აქვე აღნიშნულია მისი ფუნქცია – ორგანოების სისხლით მომარაგება. XIII ს. ძეგლში ,,წიგნი საქიმოჲ'' ნახსენებია გულის კუნთოვანი შრე და მისგან გამომავალი მთავარი სისხლძარღვები. XV ს-ში ზაზა *ფანასკერტელ-ციციშვილის* ,,სამკურნალო წიგნში'' აღწერილია გულის მდებარეობა და ფორმა.

საქართველოში პ-ის ფუძემდებლად აღიარებულია მ. *წინამძღვრიშვილი.* მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით 1946 საქართველოში დაარსდა პ-ის ინ-ტი (იხ. *კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი*), რ-იც 21 წლის განმავლობაში ამ პროფილის პირველი და ერთადერთი დაწესებულება იყო სსრკ-ში. სხვადასხვა წლებში ინ-ტის დირექტორები იყვნენ: მ. წინამძღვრიშვილი, ი. *ჯავახიშვილი*, ვ. *წინამძღვრიშვილი*, ვ. *ქავთარაძე*, ბ. *ქობულია*, ბ. *წინამძღვრიშვილი.*

2000-იდან ინ-ტი გარდაიქმნა სააქციო საზ-ბად. დღეს ინ-ტის ბაზაზე ჩამოყალიბდა აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახ. პ-ის ცენტრი (გერმ.-ქართ. კლინიკა; დირექტორი – ბ. წინამძღვრიშვილი) და კლინიკური პ-ის ინ-ტი (დირექტორი – ც. კაჭახიძე).

გსს-ის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოში შექმნილია საკმაოდ განვითარებული კარდიოლოგიური და კარდიოქირურგიული პროფილის ქსელი, რ-საც აქვს შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული ბაზა.

სადღეისოდ თბილისში ფუნქციონირებს აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი (დამაარსებელი გ. ჩაფიძე; მისი ხელმძღვანელობით, პირველად საქართველოში ჩამოყალიბდა და დაინერგა კორონარული არტერიების ინვაზიური დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდოლოგია); კარდიოქირურგიული კლინიკა ,,ღია გული''; ჯო ენის სახ. სამედ. ცენტრი; ისრაელ-საქართველოს სამედ. კლინიკა ,,ჰელსიკორი''; კარდიოლოგიური კლინიკა ,,გული''; თბილ. გულისა და სისხლძარღვთა გერმ.-ქართული კლინიკა ,,ევრომედი'' და სხვ.

საქართველოში პ-ის დარგში სამედ. მეცნიერებისა და პრაქტიკული მიღწევების დანერგვასა და განვითარებას უზრუნველყოფენ ექიმთა პროფესიული საზ-ბები და ასოციაციები: საქართვ. პ-თა ასოციაცია (პრეზიდენტი ა. *ალადაშვილი*), საქართვ. ჰიპერტონიის შემსწავლელი საზ-ბა (ბ. წინამძღვრიშვილი), საქართვ. ათეროსკლეროზის ასოციაცია (ნ. კაკაურიძე), საქართვ. კარდიოქირურგიის ასოციაცია (ს. ლომინაძე), თბილ. პ-თა საზ-ბა (რ. აგლაძე), საქართვ. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციისა და რეაბილიტაციის ასოციაცია (ზ. კლიმიაშვილი) და სხვ. ასოციაციები ინტეგრირებული არიან ევროპის ანალოგიურ სტრუქტურებთან.

ლიტ.: ალადაშვილი ვ., შინაგანი დაავადებები, თბ., 1977; ჟღენტი ვ., გელბახიანი პ., ტატიშვილი ირ., მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბ., 1971.

ბ. წინამძღვრიშვილი.

ბავშვთა პ. შეისწავლის გულის შეძენილ და თანდაყოლილ მანკებს და სხვ. პათოლოგიებს. ბავშვთა პ-ის სუბსპეციალობა წარმოიშვა პედიატრიისა და კლინიკ. პ-ის საფუძველზე. ბოლო 60 წლის განმავლობაში პ-ის პროგრესი აიხსნება გულის თანდაყოლილი მანკების დიაგნოსტიკისა და ოპერაციული მკურნალობის ტექნოლოგიების განვითარებით.

XIX ს-ში გულის თანდაყოლილი მანკების შესახებ გამოქვეყნებული იყო რამდენიმე მონოგრაფია. 1938 ჩატარდა პირველი წარმატებული ოპერაცია – ღია არტერიული სადინრის გადაკვანძვა, 1945 – კოარქტაციის წარმატებული მკურნალობა. 1960 ჰიპოთერმიით, ექიმმა ვ. ჯ. რაშკინდმა გამოიყენა ატრიოსეფტექტომიის, ღია არტერიული სადინარისა და წინაგულთაშორის ძგიდის დეფექტის არაქირურგიული (ანგიოგრაფიული) დახურვის მეთოდი. XX ს. 70-იან წლებში პროსტაგლანდინების ჩართვა, ექოკარდიოგრაფიისა და დოპლეროგრაფიის გამოყენება მნიშვნელოვანი წინსვლა იყო ბავშვთა პ-ში.

ბავშვთა კარდიოქირურგია საქართველოში დასაბამს იღებს 1960-იდან, როდესაც კ. ერისთავის სახ. ექსპერ. და კლინ. ქირურგ. ინ-ტში გაიხსნა კარდიოქირურგ. განყ-ბა, სადაც ტარდებოდა ოპერაციები ბავშვებსა და მოზარდებზე. შემდეგ (1996) დაარსდა ჯო ენის სახ. სამედ. ცენტრი. 2015 მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში გაიხსნა ბავშვთა კარდიოქირურგიული კლინიკა.

მ. მათიაშვილი.

კარდიოლოგიის ინსტიტუტი, იხ. *კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი* მ. წინამძღვრიშვილის სახელობისა.

კარდიოქირურგია, გულ-სისხლძარღვთა ქირურგია, გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების თანდაყოლილი და შეძენილი დაავადებების აღმოფხვრა ოპერაციული გზით. მოიცავს ბავშვთა და მოზრდილთა პ-საც.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის შესახებ ზოგიერთი მონაცემი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. XVII–XIX სს-ში აღწერეს გულის ზოგიერთი მანკი და კორონარული სისხლის მიმოქცევა.

XX ს-ში კარდიოლოგიის განვითარებასთან ერთად ვითარდება პ-ც. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქირურგ. ოპერაციაა კორონალური შუნტირება. ამავე საუკუნეში განხორციელდა გულის გადანერგვაც (კ. ბარნარდი, 1967, სამხრ. აფრიკის რესპუბლიკა).

1941–70 თბილისში, ექიმთა დახელოვნების ინ-ტის თორაკალური ქირურგ. კათედრას განაგებდა ნ. *ანთელავა.* კლინიკაში პირველად საქართველოში განხორციელდა ოპერაციები ,,ჰიპოთერმიის ქვეშ'' და ,,მშრალ გულზე''.

საქართველოში გულის პირველი წარმატებული ოპერაცია – მიტრალური სარქვლის დახურული

კომისუროტომია – 1961 ჩაატარა მ. *ჩაჩავამ.*

1969 აკად. კ. ერისთავის სახ. ექსპერ. და კლინიკური ქირურგიის ინ-ტში გაიხსნა პ-ის პირველი განყ-ბა, სადაც ბავშვებსა და მოზრდილებზე ტარდებოდა გულის ოპერაციები სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გარეშე. ამ ოპერაციების უმეტესობა პალიატიურ ხასიათს ატარებდა (განყ-ბის ხელმძღვ. – ვ. ფუფინი, შემდგომ – ვ. გეტმანსკი). 1970-იდან თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის გულმკერდის ქირურგ. კათედრას განაგებდა ვ. *ფიფია.* მან ერთერთმა პირველმა დაიწყო გულის მანკის ქირურგ. მკურნალობა.

პ-ის შემდგომი განვითარების მიზნით, 1984 ახალგაზრდა ქართველ ექიმთა ჯგუფი გაიგზავნა მოსკოვის ა. ბაკულევის სახ. გულ-სისხლძარღვთა ქირურგ. ცენტრში (ხელმძღვ. ვ. *ბურაკოვსკი*). იმ დროისათვის ცენტრი წარმოადგენდა წამყვან კარდიოქირურგიულ დაწესებულებას, სადაც მოღვაწეობდა 50-ზე მეტი ქართვ. სპეციალისტი ქირურგ., ანესთეზია-რეანიმაციის და კარდიოლოგიის მიმართულებით (ე. კობახიძე, ვ. *ალექსი-მესხიშვილი,* დ. *იოსელიანი* და სხვ.). ვ. ბურაკოვსკის და მისი ცენტრის პატრონაჟით თბილ. კ. ერისთავის სახ. ექსპერ. და კლინიკური ქირურგ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის პ-ის განყ-ბაში დაინერგა თანდაყოლილი და შეძენილი მანკების ოპერაციული მკურნალობა სისხლის ხელოვნური მიმოქცევის მეთოდის გამოყენებით. იქვე დაარსდა ექსპერ. პ-ის ლაბორატორია (ხელმძღვ. ს. ჭილაია), რ-იც მუშაობდა ხელოვნური სისხლის მიმოქცევის, ხელოვნური სისხლის, ხელოვნური გულის, დამხმარე სისხლის მიმოქცევის პრობლემებზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქირურგ. ინ-ტის პ-ის განყ-ბამ დაამყარა მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა მსოფლიოს წამყვან კარდიოქირურგიულ ცენტრებთან და ქირურგებთან, კერძოდ, დებორასა (აშშ, ნიუჯერსი) და ზაბჟეს (პოლონეთი) კარდიოქირურგიულ ცენტრებთან, ამერიკის წამყვან კარდიოქირურგებთან (ჯ. კლიკი და ს. მირჰუსეინი). ამ თანამშრომლობის საფუძველზე მოხდა მატერ.-ტექ. ბაზის გაუმჯობესება და ექიმთა პროფ. უნარების ამაღლება, რამაც განაპირობა ქართვ. ქირურგების მიერ ოპერაციების დამოუკიდებლად ჩატარების შესაძლებლობა; ჩატარდა ოპერაციები ბავშვებში თანდაყოლილ (თ. ჩაჩანაშვილი) და შეძენილ მანკებზე – გულის სარქვლების პროთეზირება (ო. გიორგაძე და ნ. ხურცილავა). პირველი კორონარული შუნტირება გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტზე შესრულდა ზ. ბახუტაშვილის მიერ (1993).

1996 აშშ-ის დახმარებით თბილისში ფუნქციონირება დაიწყო ახალმა ბავშვთა პ-მა განყ-ბამ (შემდგომში – ჯო ენის სახ. სამედიცინო ცენტრი; პროექტის ავტორი – ი. მეტრეველი, კოლეგებთან ერთად). 1999-იდან ცენტრმა დამოუკიდებლად დაიწყო თანდაყოლილი მანკების რადიკალური კორექცია, რამდენიმე წლის შემდეგ კი – მოზრდილთა პათოლოგიის კარდიოქირურგიული მკურნალობა (ხელმძღვ. – ა. ცინცაძე).

2001 გ. ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ბაზაზე, გერმ. კოლეგების დახმარებით, გაიხსნა მოზრდილთა კარდიოქირურგიული განყ-ბა, სადაც ამჟამად სრულდება ყველა სახის ოპერაცია. 2012 განყ-ბამ ზ. ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით განავითარა მინიინვაზიური პ.

2002-იდან ქირურგ. ინ-ტის გულის ქირურგ. ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყო კარდიოქირურგიულმა კლინიკამ „ღია გული“. ამჟამად კლინიკაში წარმოდგენილია მოზრდილთა და ბავშვთა კარდიოქირურგიული ოპერაციების სრული სპექტრი (ხელმძღვ. ს. ლომინაძე).

2006-იდან ქ. ქუთაისში, აკად. ცხაკაიას სახ. დას. საქართვ. ინტერვენციული მედიცინის ცენტრში, გაიხსნა კარდიოქირურგიული განყ-ბა (ხელმძღვ. კ. ბესელია). ამ ცენტრში პირველად საქართველოში განხორციელდა აორტო-კორონარული შუნტირების ოპერაცია მომუშავე გულზე. ეს მეთოდი უკვე გამოიყენება თბილ. წამყვან კლინიკებში.

2008-იდან ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრ. საუნივერსიტეტო კლინიკაში ფუნქციონირება დაიწყო კარდიოქირურგიულმა განყ-ბამ (ხელმძღვ. ზ. კაციტაძე). 2013 გაიხსნა თბილ. გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა, სადაც ასევე ფუნქციონირებს კარდიოქირურგიული განყ-ბა (ხელმძღვ. კ. ბესელია). კლინიკაში პირველად საქართველოში წარმატებით შესრულდა აორტო-კორონარული შუნტირების ოპერაციები მინიინვაზიური თორაკოსკოპიური მეთოდით.

2016 ჩამოყალიბდა ისრაელ-საქართველოს ერთობლივი სამედ. კლინიკა „ჰელსიკორი“ (ხელმძღვ. ლ. ქარაზანაშვილი), სადაც პირველად დაინერგა და შესრულდა აორტის სარქვლის პლასტიკა მინი-თორაკოტომიური კვეთით, რ-ის სიგრძეც 5 *სმ* არ აღემატება.

საქართვ. ზემოხსენებულ კარდიოქირურგიულ კლინიკებში წელიწადში საშუალოდ 300–500 ოპერაცია კეთდება. მთლიანად ქვეყანაში (2017 მონაცემებით) დაახლ. 2700 კარდიოქირურგიული ოპერაცია ჩატარდა. საქართველოში შესრულებული ოპერაციები სრულად ასახავს მსოფლიო პ-ში არსებული ოპერაციული მკურნალობის სპექტრს გულის გადანერგვის გამოკლებით.

ზ. ბახუტაშვილი. კ. ბესელია.

კარდუხები, ჩრდილო შუამდინარეთში მცხოვრები ხალხი; ქართველური ტომი. ძველი ბერძენი ისტორიკოსის, ქსენოფონტეს (გ. ძვ. წ. 355/354) ცნობით, პ-ის განსახლების სამხრ. საზღვარი ქურთისტანის მთებზე იმ ადგილას გადიოდა, სადაც ეს მთები მდ. ტიგროსს ებჯინება. ჩრდ-ით სომხეთისაგან პ-ის ქვეყანას მდ. ტიგროსთან მდ. კენტრიტი (ახლანდ. ბოსტან-სუ) ყოფდა (გ. მაქსიმოვა), დას-ით ქ. ურფას რნსაც მოიცავდა (ბ. ჰროზნი). მეცნიერთა დიდ ნაწილს (კ. ფ. ლემან-ჰაუპტი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, ს. გორგაძე, ვ. გოილაძე და სხვ.) პ. ქართველური მოდგმის ხალხად მიაჩნია. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეთნონიმი პ. ,,ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური ტომის სახელია'' და იგი ეროვნების აღმნიშვნელი ,,ხი''-თ ბოლოვდება ისევე, როგორც ტაოხი, კოლხი, ხოლო მდინარის სახელი ,,კენტრიტი'' იგივეა, რაც მდ. კინტრიში (აჭარაში). საყურადღებოა ისიც, რომ პ-ის ტერიტორიაზე მრავლად არსებული საცხოვრებელი გამოქვაბულები ძალზე წააგავს უფლისციხისა და ვარძიის ნაგებობებს (კ. ფ. ლემან-ჰაუპტი). ძვ. წ. 401 კუნაქსთან ბრძოლის შემდეგ ჩრდ-კენ მიმავალმა ბერძნებმა პ-ის მიწა-წყალზე გავლას შვიდი დღე მოანდომეს და ამ დროის განმავლობაში განუწყვეტელი ომი ჰქონდათ პ-

თან. როგორც ქსენოფონტე წერს, პ. კარგად იყვნენ დაუფლებულნი თავდასხმებისა და უკანდახევის ტაქტიკას. ბრძოლისას ისინი მღეროდნენ. ჰქონდათ კარგად გამაგრებული ქალაქები, იყვნენ საალყო მანქანების განთქმული მშენებლები; ცხოვრობდნენ მდიდარ სოფლებში; მისდევდნენ მესაქონლეობას, მევენახეობას – ღვინოს მიწაში ჩადგმულ ქვევრებში აყენებდნენ. მიცვალებულის მოხსენიებისას სვამდნენ ზედაშეს და მიცვალებულის საფლავზე აქცევდნენ. ძვ. წ. 333, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აზიის დაპყრობის შემდეგ, პ-ის ტერიტორიაზე მაკედონიიდან გადასახლებული მიგდონები დასახლდნენ, რის გამოც ეს მხარე მიგდონიად იწოდა. პ-ის ნაწილი ჩრდილოეთში გადმოსახლდა და მესხებს შეერია. სამშობლოში დარჩენილი პ. რომაულ ხანაში სხვადასხვა ბრძოლაში მონაწილეობდნენ. *სტრაბონის* ცნობით, როცა სომხეთის მეფე ტიგრან II-მ (ძვ. წ. 95–55) სირია და ფინიკია დაიმორჩილა, ქალაქი დააარსა იბერიის (იგულისხმება პ-ის ქვეყანა) მახლობლად. მისივე ცნობით, პ-ის ქვეყანაშია ქ. ,,ნისიბიდა'', რ-საც მიგდონიის ანტიოქიას უწოდებენ (ქ. ნისიბისი ანტიოქიად იწოდება ვახტანგ გორგასლის ,,ცხოვრებაშიც''). ნისიბისის ახლოს იყო ციხე ,,ჰარმაზი''. სტრაბონი ასახელებს პ-ის ქვეყნის სხვა ქალაქებსაც, აღწერს ბუნებას, ცხოველთა სამყაროს. 363 რომსა და ირანს შორის დადებული ზავით, პ-ის ქვეყანა ირანის ხელქვეით მოექცა, ამიტომ ქვეყნის ქრისტიანი მოსახლეობა ქ. ედესაში გადასახლდა, რის შედეგადაც ედესის ქართ. კოლონია ქართველური მოსახლეობით შეივსო. ნისიბისიდან ედესაში გადაიტანეს ცნობილი სკოლა-აკადემია. პ. კეკელიძის მოსაზრებით, ძველ საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმე ნისიბისის სკოლის ყაიდაზე იყო მოწყობილი. ედესისა და მის შემოგარენში მცხოვრებ ქართველებს მშობლიური ენა და ქრისტიანული რწმენა XIX ს. დამდეგამდე ჰქონდათ შენარჩუნებული.

ლიტ.: გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002; მისივე, ქართველთა განმანათლებლები, თბ., 2015. *ვ. გოილაძე.*

კარეტა, კლდოვანი მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. ფერდობზე, მდინარეების – ენგურისა და ხალდეჭალის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე 3524 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით და კრისტალური ფიქლებით. ჩრდ. ფერდობი თოვლიანია.

ლ. მარუაშვილი.

კარეტა, მთა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ლეჩხუმის ქედზე, მდ. ხეორისწყლის (ლუხუნის მარჯვ. შენაკადი) სათავესთან. სიმაღლე 3354 *მ.* აგებულია ბაიოსური პორფირიტებით. კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ლ. მარუაშვილი.

კართანის ეკლესია, არქიტექტურის ძეგლი. მდებარეობს სოფ. მაღაროსკარის ჩრდ-ით 4 *კმ*-ზე, მდ. ფშავის არაგვის მარცხ. ნაპირზე, ნასოფლარ კართანის ტერიტორიაზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. ძეგლი 1986 გათხარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის არქეოლ. კვლევის ცენტრის ჟინვალის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი). ეკლესია (7,2 *მ* × 5,3 *მ*) ნაგებია ნატეხი ქვით. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 0,5–0,7 *მ* არ აღემატება. შესასვლელი დასავლეთიდანაა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია. იატაკი თიხატკეპნილია. საკურთხევლის ბაქანი ეკლესიის იატაკის მიმართ შემაღლებულია 0,2*მ*-ზე. ბაქანზე წინიდან მიდგმულია ნატეხი ქვით ნაგები კუბის ფორმის კვარცხლბეკი, რ-იც, როგორც ჩანს, ჯვრისათვის იყო განკუთვნილი. *გ. რჩეულიშვილი.*

კართისუფელი (ყოფ. კართაყაუ), სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კობის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), თრუსოს ხეობაში, მდ. თერგის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2260 *მ,* სტეფანწმინდიდან 38 *კმ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

სოფელში ექვსი კოშკი დგას. ამათგან ორი მის დას. ნაწილშია, ხოლო ოთხი – აღმ-ით. ყველა კოშკი თითქმის ერთი და იმავე პერიოდისაა. მათი ქვედა ნაწილი ყრუა. პირველი სართული კარით მაღლაა. ამ კოშკებიდან შედარებით უკეთ შემორჩენილია ხუთსართულიანი კოშკი, რ-იც აღმართულია პ-ის აღმ. ნაწილის სამხრ.-დას. კუთხეში. ყოველი სართული აღჭურვილია სათოფეებით. კოშკის ბოლო სართული გამორჩეულია. ბრტყელი გადახურვის ქვეშ არსებული სამხრ. კედელი (მთლიანად) და გვერდითი კედლების ერთი მესამედი ღიაა. ასეთი რამ სხვაგან არსად გვხვდება. სავარაუდოდ, ამგვარი კოშკიდან დაზვერვა ხდებოდა უფრო ფართო ფრონტით. ბანი, როგორც კოშკების უმრავლესობაში, აქაც საბრძოლო დანიშნულების არ უნდა ყოფილიყო. იგი ხის კოჭებზე ფიქლით იყო გადახურული. კოშკს ამთავრებს სწორკუთხად შვერილი სალოდეები და სახურავის შვერილი ფილები ქუდივით ადევს. ნასოფლარის ექვსივე კოშკი შიგნით უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაგები, ხოლო ფასადები – შედარებით კარგად დამუშავებული ქვით. კოშკების აგების თარიღი უცნობია, მაგრამ ანალოგიებით XVII ს-ს უნდა ეკუთვნოდეს.

ლიტ.: ზაქარაია პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002.

კართუშანი (ყოფ. ყარსუბანი), სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), ალაზნის ვაკეზე. თემის ცენტრი (სოფლები: პ., ბოლოკიანი, ნაენდროვალი, ნაწისქვილარი). ზ. დ. 260 *მ,* ლაგოდეხიდან 18 *კმ,* წნორიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 *კმ.* 1,8 ათ. მცხ. (2014).

კარი, ქ. ყარსის (თურქეთი) ძველი ქართული სახელწოდება.

კარიატიდა [ბერძნ. karyatides, სიტყვასიტყვით – არტემიდას ტაძრის ქურუმი ქალები კარიედი (ლაკონიკეს ოლქი, ძვ. საბერძნეთი)], ფეხზე მდგომი ქალის ქანდაკება, რ-იც არქიტექტურულ ნაგებობაში გამოყენებულია კოჭის საყრდენად ან დეკორატიულად გამოხატავს ამ ფუნქციას. პ. ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურსა და XVII–XIX სს. ევრ. არქიტექტურაში. საქართველოში პ-ის გამოყენების ნიმუშია ყოფ. ,,საარტისტო წრის'' შენობა თბილისში (შოთა რუსთაველის გამზ. №14).

კარიაულთკარი, ყოფ. სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში.

კარიბოვი (კარიბიდისი) სერგო (სერგიოს) ივანეს ძე (დ. 15. IV. 1935, სოფ. ბეშთაშენი, ახლანდ. წალკის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1989). 1958 დაამთავრა სპი-ის ენერგეტ. ფაკ-ტი სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობის სპეციალობით. 1958–64 მუშაობდა თბილ. ელექტროტექნიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1964–72 მივლინებული იყო მოსკოვის ენერგეტ. ინ-ტში. 1972–86 მუშაობდა თბილ. ელმავალმშენებელ ქ-ნაში წამყვან სპეციალისტად. 1988-იდან

სპი-ში ელექტრული ტრანსპორტის კათედრას ხელმძღვანელობდა, 2011-იდან კი მიმართულების ხელმძღვანელია. შრომისათვის ,,დამოუკიდებელი აგზნების მქონე ეკ-14 კოქსმქრობი ელმავლის კვლევა, შექმნა და დანერგვა'' 1982 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია.

პ-ის ნაშრომები ძირითადად ეძღვნება ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის ამძრავის კონსტრუირებას და კვლევას. არის მრავალი სამეცნ. შრომის (მ.შ. სამი გამოგონების), მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს ავტორი.

თხზ.: Динамика нелинейных систем тягового электропривода постоянного тока, Тб., 2012; Статистические преобразователи, Тб., 2014.

პარიბჭე, პორტიკი, შენობის წინ გამოწეული ნაწილი, რომელიც სახურავის საყრდენი სვეტებით ან თაღებით არის შექმნილი და ღიაა ერთი ან სამი მხრიდან. ძირითადად აფორმებს მთავარ, საზეიმო შესასვლელს. დაგვირგვინებულია ფრონტონით ან ატიკით. პ. ფართოდ იყო გავრცელებული ანტ. ეპოქის ძვ. საბერძნეთში. ამ პერიოდში ხშირად განცალკევებულად მდგომ პ-ებსაც აგებდნენ. პ-მ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა ევრ. არქიტექტურაში (ძირითადად კლასიციზმის ხანაში – XVIII ს. – XIX ს. I მესამედი). საქართველოში ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ეკლესიას აქვს პ-ები დას-ით, უფრო ხშირად – სამხრ-ით, ზოგჯერ – ორივე მხარეს. მათ ამკობდნენ მდიდრული დეკორით. ცნობილია *დმანისის სიონის, ნიკორწმინდის, მანგლისის, ბეთანიის* და სხვ. ტაძართა პ-ები. ცალკე მდგომთაგან საყურადღებოა *სვეტიცხოვლის* გალავნის პ.

კარიკატურა (იტალ. caricatura <caricare – ზედმეტად დატვირთვა, გადაჭარბება, გაზვიადება), სახვითი ხელოვნების ჟანრი; დაზგური გრაფიკის ამ ჟანრში შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ცალკეულ პიროვნებას ან საზოგადოებრივ მოვლენას დაცინვის, კრიტიკული შეფასების ან სულაც მსუბუქი გაკილვის მეშვეობით კომიკურ იერს სძენს. კ-ში ერთიანდება სატირის, იუმორის, შარჟის, გროტესკის, მხატვრული ჰიპერბოლის ხერხები; ფიგურის რეალური და ფანტასტიკური, გადაჭარბებული და გამძაფრებული სახასიათო დეტალები; გამოიყენება მოულოდნელი ურთიერთმიმართებები, პარალელები და მეტაფორები. კ-ს ფართო საზ. მნიშვნელობა აქვს და, შესაბამისად, ხშირად იყენებს გრაფიკის მრავალტირაჟიან ფორმებს (ქსილოგრაფია, ოფორტი, ლითოგრაფია, ციფრული ტექნოლოგიები).

1590 იტალიელმა ფერმწერმა და გრავიორმა ანიბალე კარაჩიმ (1560–1609) და მისმა ძმამ აგოსტინომ საკუთარი ნამუშევრების მიმართებით პირველად გამოიყენეს ტერმინი კ. და ის უტრირებულ, პორტრეტულ ჩანახატებს მიუსადაგეს. მათთვის გამოსახულებაში ორიგინალის მახასიათებლების გაზვიადების მიზეზი ბოლონიის აკადემიის მხატვრული თეორიებისადმი დაპირისპირება გახდა. დროთა განმავლობაში გამოიკვეთა, რომ მსგავსი სატირული გამოსახულების სპეციფ. ნიშანი ცალკეული ნაწილების, რაიმე დეტალის ან კონკრეტული თემის ირონიულ კონტექსტში ინტერპრეტირება იყო. ჩრდ. ევროპაში პიტერ ბრეიგელი უფროსი (1525–69) და მისი თანამედროვენი პორტრეტულ გამოსახულებებში ასევე მიმართავდნენ ფორმების გაზვიადების მხატვრულ ხერხს.

უძველესი მანუსკრიპტების კიდეებზე შესრულებული ფანტასტიკური არსებების ავტორები ასევე შეიძლება კ-ის ჟანრის ერთ-ერთ წინამორბედებად მივიჩნიოთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიდერლანდელი ი. ბოსხი (1450–1516) სწორედ ამ ნახატებით შთაგონებული ქმნიდა უჩვეულო პერსონაჟებს.

კ-ის წინაპირობად შეიძლება აღვიქვათ იტალიელი მხატვარ-დეკორატორის ჯ. არჩიმბოლდოს (1527–93) ნამუშევრები. ამ მხრივ საინტერესოა იტალიელი მოქანდაკისა და არქიტექტორის ჯ. ლ. ბერნინის (1598–1680) ჩანახატებიც.

პირველი მხატვარი, რ-იც პროფესიონალ კარიკატურისტად იქნა მიჩნეული, იყო იტალიელი პიერ ლეონე გეცი (1674–1755), განმანათლებლობის ეპოქის გამორჩეული წარმომადგენელი. ადრეული ასაკიდან გეცი გატაცებული იყო კ-ით. მის ნამუშევრებს, ხშირად, ირონიული ტექსტუალური მასალაც ერთვოდა თან. ცნობილია მისი კ-ები როგორც სას. პირებზე, ასევე იტალიაში სამოგზაუროდ ჩასულ ტურისტებზე.

უკვე XVIII ს-იდან კ. პოპულარობით სარგებლობს საფრანგეთში, ინგლისსა და ამერიკაში. ლონდონში კ-ის ჟანრისა და იტალიელი კარიკატურისტების პოპულარიზებას ახდენს მხატვარი, გრავიორი და კოლექციონერი ა. პონდი (1701–58).

ერთ-ერთი პირველი ინგლისელი მხატვარი, რ-მაც სატირული გრავიურების შექმნაზე დაიწყო მუშაობა, უ. ჰოგარტი (1697–1764) იყო (,,მეძავის კარიერა'', ,,მოდური ქორწინება''). მისმა ნამუშევრებმა უბიძგა კ-ის ჟანრის სისტემურ განვითარებას. ინგლისელი კარიკატურისტი ჯ. გილრეი (1757–1815) და ტ. როულენდსონი (1756–1827) ფრანგ. რევოლუციის პოლიტიკოსებს თხების, ობობებისა და ღორების სახით გამოსახავდნენ, ამასთან ინარჩუნებდნენ პორტრეტულ ნიშნებს და ისეთი მანკიერებების აქცენტირებას ახდენდნენ, როგორიცაა უზნეობა, ეშმაკობა, ღორმუცელობა. ჯ. გილრეი თავის სატირულ ოფორტებზე ნაპოლეონ ბონაპარტს მის ირგვლივ არსებულ სამყაროსთან შედარებით ძალიან მცირე ზომისას ხატავს. ეს ცეროდენა არსება კი მთელი მონდომებით ცდილობს სერიოზული და დიდებული იერის მიღებას.

XIX ს. 40-იან წლებში დიდ ბრიტანეთში დაარსდა იუმორისა და სატირის ჟურნ. ,,პანჩი'' (,,Punch''), რ-იც ყველაზე პოპულარული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი იყო იმ პერიოდში. ამავე ჟურნალთან თანამშრომლობდნენ მხატვარ-კარიკატურისტი ჯ. ლიჩი (1817–64) და ო. ბიერდზლი (1872–98).

კ-ის გროტესკული ენა და მხატვრული ზემოქმედების უნარი წარმოუდგენელ ძალასა და სიღრმეს იძენს ფ. გოიას (1746–1828, ესპანეთი) სატირულ ოფორტებში ,,კაპრიჩოსები'' (დასრულებულია 1799).



კარიკატურა. ო. შმერლინგი. ,,მსახიობები''. XX ს. დასაწყისი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.



კარიკატურა. ო. დომიე. ,,გარგანტუა‘‘. 1831. საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა.

XIX ს. საფრანგეთში პ-ის ჟანრში მოღვაწე ხელოვანთა შორის გამორჩეული ადგილი ეთმობა ო. დომიეს (1808–79). მან მუშაობა დაიწყო ანტიმონარქისტულ ყოველკვირეულ ჟურნალში ,,La Caricature‘‘. პოლიტიკური პ-ის გამო (,,გარგანტუა‘‘, 1831) მას ექვსთვიანი პატიმრობაც კი მიესაჯა. მას შემდეგ რაც საფრანგეთის ხელისუფლებამ 1835 ე. წ. ,,სექტემბრის კანონებით‘‘ აკრძალა ხელოვნების რევოლუციურად განწყობილი ყველა ჟანრი, ო. დომიე სრულად გადაერთო ყოფით პ-ზე.

დაზგური გრაფიკის გამოყენებამ პ-ის ჟანრის განვითარების ისტორიაში (XIX–XX სს. მიჯნა) განსაკუთრებული როლი შეასრულა. ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია პოლიტ. ვნებათაღელვის დროს. ავსტრალიელი კარიკატურისტი უ. დაისონი (1880–1938) ვერსალის ხელშეკრულების დადების ფაქტთან დაკავშირებით ხატავს პ-ს ,,მშვიდობა და მომავალი საზარბაზნე ხორცი‘‘ (1919). პერიოდული გამოცემების რაოდენობრივი ზრდის კვალდაკვალ პოპულარობა შეიძინა საგაზეთო პ-მ [ჯ. უისტლერი (1834–1903), ტულუზ ლოტრეკი (1864–1901), ჯ. გროსი (1893–1959), ბენ შანი (1898–1969)].

I მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში პ-ის ბუმი დაიწყო. უამრავი პ. იბეჭდებოდა გაზეთებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებში (ე. გირშფელდი 1903–2003; მ. კოვარუბიასი, 1904–57). პოპულარობით ეს სატირული ჟანრი კონკურენციას ფოტოგრაფიასაც კი უწევდა.



კარიკატურა. ი. როტერი. ,,Aureus Vitilus Internationalis‘‘. XX ს. დასაწყისი. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.

საქართველოში XIX–XX სს. მიჯნაზე პ-ის განვითარება პერიოდული გამოცემების გაჩენა-მომძლავრებას უკავშირდება: ,,*ცნობის ფურცელი*‘‘, ,,*ეკალი*‘‘, ,,*შუამავალი*‘‘, ,,*ეშმაკის მათრახი*‘‘, ,,შოლტი‘‘, ,,*ობუნჯი*‘‘. დარგის განვითარების ადრეულ ეტაპზე მნიშვნელოვანია დ. გურამიშვილის მოღვაწეობა, რ-იც თავის ნამუშევრებს ,,ფალანგასა‘‘ და ,,ობზორში‘‘ აქვეყნებდა. ასევე მნიშვნელოვანია ა. გოგიაშვილის, პ. ღიბრაძის, ვ. კილაძისა და სხვათა სატირული ხასიათის ნამუშევრები.

ქართული პ-ის ისტორიაში სრულიად გამორჩეული ადგილი ეთმობა საქართველოში დაბადებული გერმ. მხატვრის ო. *შმერლინგის* შემოქმედებას. ის წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ჟურნ. ,,ეშმაკის მათრახთან‘‘. ამ პერიოდში გამოსული თითქმის ყველა ნომრის მხატვრული გაფორმების უმეტესი ნაწილი მას ეკუთვნის. მხატვრის ნამუშევრებს დაუნდობლობა არ ახასიათებდა, იგი უპირატესობას ძირითადად მსუბუქ სარკაზმს ანიჭებდა.

XX ს. დასაწყისში ქართული პრესა საზ-ბაში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება როგორც კრიტიკული წერილებით, ასევე კარიკატურული ნამუშევრებითაც. აღსანიშნავია მიუნხენიდან ჩამოსული მხატვრის, ი. როტერის ნამუშევრები. იგი ო. შმერლინგის მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში და წლების განმავლობაში აქ მოღვაწეობდა. მის პ-ებს მკაფიო ინდივიდ. ხელწერა, ინტენსიური შტრიხი, შეკრული მრავალფიგურიანი კომპოზიციური წყობა და მკაფიო დინამიკა გამოარჩევს.

პერიოდულ გამოცემებთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართული მოდერნიზმის წარმომადგენლებიც: მ. *თოიძე*, მ. *ჭიაურელი*, შ. *ქიქოძე* და სხვ. ჯერ კიდევ პარიზში გამგზავრებამდე შ. ქიქოძე სხვადასხვა ქართულ და რუსულ ჟურნალებში აქვეყნებდა შარჟებსა და პ-ებს Chalico-ს ფსევდონიმით. მისი კარიკატურული ნამუშევრები გამოირჩევა მკაფიო, ძლიერი და ლაკონური მონასმით. აქცენტირებულია ხასიათისა და ინდივიდუალობის განმსაზღვრელი მთავარი ნიშნები.

XX ს. 30-იანი წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქტიურად იბეჭდებოდა ს. *ნადარეიშვილის* პ-ები, ასევე ი. *გუროს* და *დონის* (დ. ნაცვლიშვილი) ნამუშევრები.

40–50-იან წლებში საქართველოში აქტუალურია II მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი მწვავე ისტ.-პოლიტ. ხასიათის პ-ები, რებშიც გერმ. ჯარი და ა. ჰიტლერი დაცინვის მთავარი ობიექტები არიან (ი. ლომიძე, ი. ქოქიაშვილი, ა. *კანდელაკი* და სხვ.).

ქართველი კარიკატურისტი მხატვრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა 1923, რუსული



კარიკატურა. ა. კანდელაკი. ,,ცივი ომი‘‘. 1961.

გამოცემის ანალოგად, თბილისში დაარსებულმა სატირულ-იუმორისტულმა ჟურნ. ,,ნიანგმა‘‘, რ-იც 1924–30 წლებში უკვე ,,ტარტაროზის‘‘ სახელით გამოდიოდა, როგორც ჟურნ. ,,მუშის‘‘ დამატება. 1931-იდან კი კვლავ ,,ნიანგის‘‘ სახელით გამოიცემოდა. ამ ჟურნალთან წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ ქართვ. გრაფიკოსები და ხელოვანები: მ. *ლოლუა*, გ. *ფირცხალავა*, ნ. *მალაზონია*, ზ. *ნიჟარაძე*, დ. ვ. *ერისთავი*, ზ. *ლეჟავა*, დ. ზარაფიშვილი და სხვ.

XX ს. მიწურულისთვის პ-ის ჟანრში დამოუკიდებელი ნახატის (შარჟის) მიმართულება განსაკუთრებით პოპულარული გახდა (ზ. სულაკაური). ციფრული ტექნოლოგიების გზით პ-მ ვირტუალურ სივრცეშიც გადაინაცვლა, რაც მის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ტირაჟირებადი ჟანრის, სპეციფიკას სრულად შეესაბამება.

თ. ბელაშვილი.

კარის ეპისკოპოსი, მეფის ან დიდებულის კარის (სახლეულის) მოძღვარი, უმთავრესად მღვდე-



კარიკატურა. მ. ა ბ ა შ ი ძ ე. ,,უსიტყვოდ‘‘.

ლი, თუმცა ზოგჯერ ეპისკოპოსიც შეიძლება ყოფილიყო. ,,შუშანიკის წამებაში‘‘ (V ს.) გვხვდება ცნობა კ. მ-ის თაობაზე: ,,და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს‘‘. *ზ. ეკალაძე.*

კარის საეპისკოპოსო, შუა საუკუნეების საეპისკოპოსო სამცხე-საათაბაგოში. ცნობები ამ საეპისკოპოსოს არსებობის შესახებ მწირია. XVI ს. დოკუმენტის, სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა ნუსხის საფუძველზე კ. ს-ს სამწყსოში შედიოდა მთელი ყარსი კოლისა და ოლთისის საზღვრამდე, ხოლო კარელი ეპისკოპოსი მეთერთმეტე ადგილზე სახელდება.

წყარო: ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979.

კარიჭაშვილი დავით გიორგის ძე (1862, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 26. VII. 1927, თბილისი), მწერალი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი. 1876 დაამთავრა გორის სას. სასწავლებელი. იმავე წელს ჩაირიცხა თბილ. სას. სემინარიაში, რ-იც დაამთავრა 1882. სწავლა განაგრძო პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე, შემდეგ კი პარიზში – სორბონის უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტზე. 1885 საქართველოში დაბრუნდა. თავდაპირველად თბილ. სათავადაზნაურო სკოლაში ასწავლიდა ქართ. ენას, შემდეგ კი თბილ. ქართ. გიმნაზიაში – ქართ. ენასა და ისტორიას.

1885-იდან კ-ის (ზოგჯერ ფსევდონიმით – დეკანოზიძე) კრიტ.-პუბლიც. წერილები, მოთხრობები და გამოკვლევები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში (,,დროება‘‘, ,,თეატრი‘‘, ,,მოამბე‘‘, ,,ჯეჯილი‘‘, ,,კვალი‘‘, ,,ივერია‘‘ და სხვ.). 1887 ცალკე წიგნაკად გამოსცა მოთხრ. ,,სამი მსხვერპლი‘‘. 1885–92 იყო ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების‘‘ მდივანი, 1921–27 – უნ-ტის სიძველეთსაცავის მცველი. 1905 შეადგინა ,,კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა‘‘ (II გამოცემა, 1911).

კ. იყო ფართო პროფილის მკვლევარი. ავტორია რუსთველოლოგიური ნაშრომებისა: «,,ვეფხისტყაოსანის‘‘ ახალი გამოცემის რეცენზიის გამო» (1904), «,,ვეფხისტყაოსნის‘‘ შედგენილობა» (1913); 1903 და 1920 გამოსცა ,,ვეფხისტყაოსანი‘‘, რ-საც საფუძვლად დაედო პოემის 1888 დაბეჭდილი ტექსტი. კ. იყო ა. ყაზბეგის თხზ. სრული კრებულის (1910), ა. ხახანაშვილის ,,ქართული სიტყვიერების ისტორიის‘‘ (1913, 1919), ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების კრებულის (1910) რედაქტორი. აქვს გამოკვლევები ქართ. ქორონიკონის, ქართ. ანბანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ (,,ხუცური ანბანი‘‘ 1910, 1914), აგრეთვე ნაშრომები საქართვ. ისტორიაში (,,როსტომ მეფე‘‘, 1894; ,,საქართველო მეთორმეტე საუკუნეში‘‘, 1902; ,,საქართველოს მოკლე ისტორია‘‘, 1908 და სხვ.). მასვე ეკუთვნის ,,ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია‘‘ (1929).

კ. ავტორია ქართ. გრამატიკისა (,,ქართული ენის გრამატიკა. ეტიმოლოგია‘‘). დაიბეჭდა 1930, მისი გარდაცვალების შემდეგ (შედგენილი იყო 1924). შეიძლება ითქვას, რომ კ-ის გრამატიკა ერთგვარი წინამორბედია მომავალი ნამდვილი მეცნ. გრამატიკისა, რ-იც ჩვენში XX ს. 30-იანი წლებიდან შეიქმნა.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი ლ., დავით კარიჭაშვილი, რედაქტორ-გამომცემელი და ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიკოსი, «მწიგნობარი», 2002, №2; ც ა ი შ ვ ი ლ ი სოლ., დ. გ. კარიჭაშვილი, კრ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, [ტ.] 2, თბ., 1955.

ს. ცაიშვილი. ა. მარტიროსოვი.

კარკლუხი (ძვ. ქ ა რ გ ლ უ ხ ი), სოფელი ისტორიულ კოლაში (კოლას ხევი), მდ. მტკვრის სათავეში, ოლთისიდან ჩრდ-ით 12 *კმ*-ში (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). 1907 ე. *თაყაიშვილმა* მოინახულა კ., სადაც აღწერა იქ მდებარე ორი ეკლესია. ერთი მათგანი, შედარებით უფრო მოზრდილი, ნაშენია ნახევრად გათლილი, მოწითალო ფერის პატარა ქვებით. გეგმით მართკუთხაა, აღმ-ით საკურთხევლის აფსიდია, კამარა – ჩამონგრეული, შესასვლელი ჩრდ-იდან და სამხრ-იდან აქვს. სამხრ-იდან მიშენებულია ეკვდერი ფანჯრიანი აფსიდით და დას. კარით. მეორე პატარა ეკლესია, როგორც მას ე. თაყაიშვილი უწოდებს, მუსლიმანებს მეჩეთად გადაუკეთებიათ. მას აღმ-ით აფსიდი აღარ ჰქონდა. შესასვლელი სამხრ-იდანაა. შიგნით კედლები შელესილია. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, ამ ეკლესიათაგან ერთი წმ. გიორგის სახელზე უნდა იყოს აშენებული. ჯვრუჭის სახარების ერთ ფურცელზე, გვიანდელ მინაწერში ნათქვამია, რომ ,,თემსა მას ბანისასა ქარგლუხს‘‘ წმ. ბერმა ავქსენტიმ ააშენა წმ. გიორგის ეკლესია. ადგილ. ურწმუნო სანჯაკ ბაადინ-ბეგმა წმ. ბერი ციხეში ჩასვა, თუმცა შემდეგ გაათავისუფლა. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, აქ აღწერილია XVI–XVII სს. ამბები.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938; ტაო-კლარჯეთი. ხუროთმოძღვრული ძეგლების კატალოგი, რედ. თ. ხუცოშვილი, თბ., 2004.

კარკუჩა, სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სნოს თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. სნოსწყლის (თერგის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1810 *მ,* სტეფანწმინდიდან 13 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

სოფელში დგას წმ. გიორგის სამი ნაშა – ნადარბაზევის, ღალანგურის და ყანანაზისა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.

კარკუჩისწყალი, მდინარე ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, იხ. *სნოსწყალი.*

კარლემან–ვეკუას განტოლება, *კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლება*, რომლის ამონახსნთა გარკვეული კლასის ანალიზი საფუძვლად უდევს განზოგადოებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიას.

კლასიკური ანალიზური ფუნქციების თეორიის აგების ბ. რიმანის მიდგომა ემყარება დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის (დგს-ის) $\partial u/\partial x-\partial v/\partial y=0$, $\partial u/\partial y+\partial v/\partial x=0$ (მას უწოდებენ კოში–რიმანის სისტემას, აგრეთვე დალამბერ–ეილერის სისტემასაც), $u(x,y)$, $v(x,y)$, ამონახსნების ანალიზს (x,y) სიბრტყეში. კომპლექსურ აღნიშვნებში $\partial/\partial\bar z=(\partial/\partial x+i\partial/\partial y)/2$, $w=u+iv$, $\bar w=u-iv$, კოში–რიმანის დგს-ს აქვს მარტივი სახე $\partial\bar w/\partial\bar z=0$. XIX ს. ბოლოს ფრანგმა მათემატიკოსმა შ.-ე. პიკარმა (1856–1941) დასვა მსგავსი თეორიის აგების ამოცანა ზოგადი ელიფსური დგს-ებისთვის, რ-თა კოეფიციენტები (x,y) სიბრტყეზე განსაზღვრული მოცემული ფუნქციებია. ასეთი დგს-ების (მათი კოეფიციენტების სიგლუვის მიმართ საკმარისად ზოგადი მოთხოვნების პირობებში) კანონიკური წარმომადგენელია კომპლექსური განტოლება $\partial w/\partial\bar z+Aw+B\bar w=0$, რ-საც კ.–ვ. ბ-ს უწოდებენ.


შ. კარმელი.

XX ს. 30-იანი წლების დასაწყისში შვედმა მათემატიკოსმა ტ. კარლემანმა (1892–1949) დაამტკიცა კ.–ვ. ბ-ის ამონახსნის ერთადერთობის თეორემა. 1952 ი. *ვეკუამ* ჩამოაყალიბა ამავე განტოლების ამონახსნთა თეორიის – განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის – საფუძვლები. 1958 გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია ,,Обобщенные аналитические функции‘‘, რ-შიც შეჯამებულია ი. ვეკუას, მის მოწაფეთა და მიმდევართა მრავალწლიანი კვლევების შედეგები; განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია იქცა მათ. ანალიზის დამოუკიდებელ მიმართულებად.

კ.–ვ. ბ. წარმოადგენს ინტენსიური კვლევის ობიექტს როგორც წმინდა თეორიული, აგრეთვე გამოყენებითი ხასიათის მიმართულებით მრავალი სპეციალისტისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. გ. მანჯავიძემ და გ. ახალაიამ გამოიკვლიეს სასაზღვრო ამოცანები კ.–ვ. ბ-ისათვის და განტოლებათა სისტემებისთვის; ნ. ქალდანმა შეისწავლა მისი ამონახსნის წარმოდგენის საკითხი ხარისხოვან მწკრივად; კ.–ვ. ბ რიმანის ზედაპირებზე და მის ამონახსნთა სივრცის სტრუქტურა შეისწავლა გ. გიორგაძემ, განტოლება კლიფორდის ანალიზის თვალსაზრისით განიხილა ე. ობოლაშვილმა. მას ფართოდ იყენებენ გ. მაქაცარია (შეისწავლა კ.—ვ. ბ-ები, რ-თაც პოლარული განსაკუთრებულობა აქვს), ვ. ა. ჯიქია (იკვლევს კარლემან–ვეკუას არარეგულარულ განტოლებებს, რებიც წარმოადგენს ამ ტიპის ერთი განტოლების განზოგადებას) და სხვები.

კ.–ვ. ბ-ების სისტემასთან უშუალო კავშირშია ბერსის ფსევდოანალიზურ ფუნქციათა თეორია, კვაზიკონფორმული ასახვები და ბელტრამის განტოლება, აგრეთვე მათი განზოგადებები.

ლიტ.: Векуа И. Н., Системы дифференциальных уравнений первого порядка эллиптического типа и граничные задачи с применением к теории оболочек, «Математический сборник», 1952, т. 31, № 2; მ ი ს ი ვ ე, Обобщенные аналитические функции, М., 1958 (2-е изд. М., 1988); Akhalaia G., Giorgadze G., Jikia V. A., Kaldani N., Makatsaria G., Manjavidze N., Elliptic systems on Riemann surfaces, «Lectures Notes of TICMI», v.13, Tbilisi, 2012; Obolashvili E., Partial Differential Equations in Clifford Analysis, Longman, 1998.

გ. გიორგაძე. გ. მაქაცარია.

კარლემან–ვეკუას რეგულარიზაციის მეთოდი, მათემატიკური მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ერთ-ერთი ძირითადი სასაზღვრო ამოცანა ჩამოყალიბდეს ჰარმონიული ანალიზის ტერმინებში. ბ. რიმანისა და დ. *ჰილბერტის* მიერ დასმულია ფუნქციათა თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა: მოიძებნოს D არეზე ანალიზური $\Phi(z)$ ფუნქცია, რ-იც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას: $\mathrm{Re}[\lambda(t)\Phi^+(t)]=g(t)$, $t\in\partial D$ (1), სადაც მოცემული ფუნქციები $\lambda(t)$ და $g(t)$ განსაზღვრულია D არის ∂D საზღვარზე, ხოლო $\Phi^+(t)$ საძიებელი $\Phi(z)$ ფუნქციის სასაზღვრო მნიშვნელობაა, როდესაც $Z\to t$ D არეში. აღნიშვნებს $\lambda(t)=\lambda_1(t)+i\lambda_2(t)$ და $\Phi(z)=(\partial/\partial x-i\partial/\partial y)u(x,y)$ ამოცანა (1) დაჰყავს ა. *პუანკარეს* შემდეგ ამოცანაზე: მოიძებნოს D არეზე ჰარმონიული $u(x,y)$ ფუნქცია, რ-იც აკმაყოფილებს პირობას $(\lambda_1\partial/\partial x+\lambda_2\partial/\partial y)u=g(t)$, $t=x+iy\in\partial D$ (2).

(1) და (2) ამოცანების კვლევისას იყენებენ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებას (სიგ) $A\varphi(t)=a(t)\varphi(t)+\beta(t)S\varphi(t)+T\varphi(t)=f(t)$, $t\in\partial D$ (3), სადაც S არის კოშის სინგულარული ოპერატორი:

$$S\varphi(t)=\frac{1}{i\pi}\int_{\partial D}\frac{\varphi(\tau)}{t-\tau}d\tau,\ t\in D_2$$

ხოლო T _ ფრედჰოლმის ინტეგრალური ოპერატორი. (3) სახის განტოლებათა თეორიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს განტოლების დაყვანა ფრედჰოლმის მეორე გვარის ეკვივალენტურ განტოლებაზე (ე.წ. ეკვივალენტური რეგულარიზაციის ამოცანა). სწორედ ამ ამოცანის ამოხსნა წარმოადგენს ი. *ვეკუას* ძირითად მიღწევას სიგ-ების თეორიაში. XX ს. 40-იან წლებში ი. ვეკუამ ჩამოაყალიბა (3) ტიპის სიგ-ების თეორია, რსაც კ.-ვ. რ. მ-ის სახელით მოიხსენიებენ. მეთოდში გამოიყოფა სამი ეტაპი: 1) ეფექტურად იგება მახასიათებელი სიგ-ის [(3) განტოლება $T=0$ შემთხვევისათვის] და მასთან დაკავშირებული სიგ-ის ამონახსნი; 2) ამ ამონახსნის საშუალებით მიიღწევა (3) განტოლებისა და მასთან დაკავშირებული სიგ-ის ეკვივალენტური რეგულარიზაცია; 3) ამ გზით მიღებული ფრედჰოლმის განტოლებებისთვის მტკიცდება ნოეთერის ტიპის თეორემები (3) სიგ-ისთვის.

კოშის გულიანი სიგ-ების თეორიის საკვანძო საკითხები (წყვეტილი კოეფიციენტებისა და არაშეკრული კონტურის შემთხვევების ჩათვლით), რ-ებიც ემყარება რიმანის სასაზღვრო ამოცანის ამოხსნას, ძირითადად დამუშავდა ქართ. მათ. სკოლის წარმომადგენელთა მიერ. რეგულარიზაციის მეთოდს, ნ. მუსხელიშვილის წინადადებით, უწოდეს კარლემან–ვეკუას სახელი.

ლიტ.: Александров П. С., Бицадзе А. В., Вишик М. И., Олейник О. А., Илья Несторович Векуа (к семидесятилетию со дня рождения), «Успехи математических наук», 1977, т. 32, 2(194).

ზ. გორგაძე.

კარმელი (ნამდვ. სახელი და გვარი – შალვა პავლეს ძე გოგიაშვილი) (1899, ქუთაისი, – 25. I. 1923, იქვე), პოეტი. 1920-იდან სწავლობდა თსუ-ის სიტყვიერების ფაკ-ტზე. პირველი ლექსი ,,რიონი‘‘ დაბეჭდა გაზ. ,,საქართველოში‘‘ 1915. ფსევდონიმად ,,კარმელი‘‘ აირჩია (მთა პალესტინაში, ქ. ხაიფის მახლობლად). თბილისში სწავლის დროს მუშაობდა ჟურნ.-გაზეთების რედაქციებში, ბეჭდავდა ლექსებს. 1920 კ. აირჩიეს ახალჩამოყალიბებული საქართვ. მწერალთა კავშირისა და საქართვ. ახალი მწერლობის საბჭოს წევრად.

1921 იგი ,,ცისფერყანწელთა'' ორდენის წევრი გახდა. ლექსების პირველი კრებ. ,,ბაბილონი'' ამავე წელს გამოსცა თბილისში. პ-ის გარდაცვალების შემდეგ დაიკარგა მისი ორი გამოუქვეყნებელი კრებული: ,,აპოკალიფსის ცხენები'' და ,,თეთრი გიორგი''. 1960 გამოსაცემად გამზადებული პ-ის ლექსების კრებული, როგორც იდეოლოგიურად მიუღებელი, ხელისუფლებამ აკრძალა. 1970 თბილისში გამოვიდა კრებ. ,,ლექსები'', ხოლო 1982 ქუთაისში – ,,სემირამიდას ბაღი''. 2000, პ-ის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, ხელახლა გამოიცა პოეტის პირველი კრებული ,,ბაბილონი'' აღდგენილი ტექსტებით, თარგმანებით ფრანგული პოეზიიდან, ,,ცისფერყანწელთა'' წერილებითა და ლექსების კომენტარებით (შემდგ. ნ. გოგიაშვილი).

პ-ის შემოქმედება გამოირჩევა ღრმა ლირიზმით, პატრიოტიზმით, მუსიკალობით, შიდა რითმების სიუხვით. ,,ცისფერყანწელი'' პოეტების აზრით, პ. შეუდარებელ სონეტებს ქმნიდა და ,,ჩუქურთმების ოსტატი იყო პოეზიაში'' (პ. იაშვილი), რ-მაც ,,მონაზონის სიწმინდით გაიარა თავისი გზა პოეზიაში'' (ტ. ტაბიძე), პ. ,,უპირველეს ყოვლისა, რითმის კავალერი იყო'' (ვ. გაფრინდაშვილი). მისი სიმბოლისტური ლექსები გამოირჩევა ეგზოტიკური თემების დამუშავებით. ამ მხრივ, ვ. გაფრინდაშვილის სიტყვებით, ,,ის იყო ნამდვილი პარნასელი''.

პ-ს ეკუთვნის ფრანგი სიმბოლისტების – შ. ბოდლერისა და ა. სამენის ლექსების თარგმანები.

ნ. გოგიაშვილი.

,,კარმელიტების ქრონიკა'', უპოვართა კათოლიკური მონაზვნური ორდენის (დააარსა იტალ. ჯვაროსანმა ბერტოლდმა XII ს. II ნახ. პალესტინაში) მისიონერთა ქრონიკა, რ-იც მრავალი მეცნიერის ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შეიკრიბა, აიკინძა და 1939 წ. 4 ტომად გამოიცა ლონდონში სათაურით: ,,სპარსეთში მყოფ კარმელიტთა ქრონიკა და კათოლიკური მისიები XVII–XVIII საუკუნეებში''. კრებული შეიცავს კარმელიტ მისიონერთა დღიურებს, სხვადასხვა ქვეყნიდან გამოგზავნილ წერილებს და ანგარიშებს, ,,პროპაგანდის კონგრეგაციის'' სესიების ოქმებსა და სხვ. ეს მასალები ნათლად ასახავს ვატიკანის მისწრაფებას, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაება ირანი და საქართველო, გაევრცელებინა კათოლიკობა აღმ. ქვეყნებში. ,,კ. ძ-ში'' არის საქართველოს მეფეებისა და ირანის შაჰების მიმოწერა რომის პაპებთან, აღწერილია ირან-ოსმალეთის ომები საქართველოს წინააღმდეგ. ,,ქრონიკა'' არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის შაჰ-აბასის მიერ კახელთა აყრა-გადასახლების, ვახტანგ VI-ის სახელმწ. საქმიანობის, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის და სხვათა შესახებ.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ.,1979; A chronicle of Carmelits in Persia and Papal mission of the XVII and XVIII centuries, v. 1–4, L., 1939.

ქ. პავლიაშვილი.


,,კარმენ-K'' (შპს), ერთ-ერთი დიდი წისქვილკომბინატი საქართველოში (ყოფ. კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატი). მდებარეობს სოფ. *კაჭრეთში.* კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1975 მარტში. შედგებოდა შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან: ელევატორი (პირველი ხორბალი მიიღო 1977 ოქტომბერში, საპროექტო სიმძლავრე – 118 ათ. ტ მარცვლის ტევადობა წელიწადში); წისქვილის საამქრო (ამუშავდა 1979 ოქტომბერში, ხორბლის გადამუშავების საპროექტო სიმძლავრე – 245,0 *ტ/დღ-ღ*); კომბინირებული საკვების საამქრო (ამოქმედდა 1980, კომბინირებული საკვების წარმოების საპროექტო სიმძლავრე – 630,0 *ტ/დღ-ღ*). საწარმოს ძირითადი საქმიანობა იყო ხორბლის მიღება, შენახვა, გადამუშავება, ფქვილის წარმოება, რეალიზაცია და მეცხოველეობისა და მეფრინველეობისათვის კომბინირებული საკვების წარმოება. 1996-იდან კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზ-ბა ,,კახეთის პური'', რ-იც შემდეგ აუქციონის წესით გაიყიდა, 2006 წ. 6 იანვრიდან კერძო საკუთრება გახდა და ფუნქციონირება დაიწყო შპს ,,ფორტე-კახეთის'' სახელწოდებით. 2007 მას შპს ,,მკათათვე'', 2010 წ. 3 ნოემბრიდან კი [დაფუძნდა შპს ,,აგროსისტემების'' (მარნეულის წისქვილკომბინატი) მიერ] ,,კ-K'' ეწოდა. წარმოება ხორბლით მარაგდებოდა ყაზახეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან. ადგილ. ხორბალს ყიდულობდნენ ფერმერებისგან. კაჭრეთში წარმოებული ფქვილი მიეწოდებოდა კახეთის, თბილისის და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის პურის საცხობებს და მოსახლეობას. 2015 სექტემბრიდან საწარმოს საქმიანობა შეჩერებულია. ამჟამად ,,კ-K'' მხოლოდ შპს ,,აგროსისტემებიდან'' მიღებული ფქვილის რეალიზაციას ახდენს. პროდუქცია ბაზარზე გამოდის სავაჭრო ნიშნით ,,KARMEN''-ი.

ლ. აბრამიშვილი.

კარნავასი, სოფელი ისტორიულ ტაოში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია). ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 შედიოდა ფანაკის ლივის ფანასკერტის ნაჰიეში და ყველაზე დიდი სოფელი იყო. მაშინ იქ 150 კომლი ქართველი ცხოვრობდა: ბულყულა მურადისძე, ალმაზ ოქონელისძე, სიმონ აღ-



,,კარმენ-K''.



ვ. კარჭავინი.

დგომელასძე, ორდან ამირისძე, ელია მარკოზისძე, ელგუჯა გურჯისძე, აბგარ ძე მისი, ფანოსა ამირნა ზარისძე, ზოჰრან გუბელაძე, ასლანბეგ ძმა მისი, ლაზარ მეორე ძმა, დოლმაზ ზარასპასძე და სხვ. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, ცერცვი. ჰქონდათ ვენახი, ბაღი, საყანე და სათიბე მიწა. წლიური გამოსაღები 12000 *ახჩას* შეადგენდა. 1889-თვის ჰ-ში 97 კომლი იყო დარჩენილი.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. 2, თბ., 1941; ტ. 3, თბ., 1958. *მ. ზალდასტანიშვილი.*

კარნიზი, იხ. *ლავგარდანი.*

კარნიფორი, მხარე და ციხე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ახლანდ. თურქეთის რესპ.). ჰ. მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას – ქ. კარნუდან (ახლანდ. ერზურუმი) ციხე-ქალაქ კარის (ყარსის) ქვეყნამდე.

პირველად იხსენიება *ჯუანშერთან* მაშინ, როდესაც ბრძოლა მოხდა სპარსეთისა და ბიზანტიის ჯარებს შორის (V ს.). აქ ორივე მხრიდან დაღვრილი დიდძალი სისხლის გამო ,,მის მიერ ეწოდა ადგილსა მას კარნიფორა რეცა სისხლისა მუცელი‘‘.

XI ს-ში გიორგი II-მ ბიზანტიისგან დაიბრუნა *იბერიის თემი* ბასიანის მხარეთა შემადგენლობით, მ. შ. ჰ. XI–XII სს-იდან ბასიანი და ჰ. შეადგენდა ერთ სამხარეო ერთეულს – კარნიფორ-ბასიანს, ანუ ჰ-ს. XI ს. 70-იანი წლებიდან XIII ს. დასაწყისამდე საქართველო გამუდმებით იბრძოდა ამ მხარის დასაცავად. დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა ის თურქთაგან, რის შემდეგაც დაიწყო ამ გაპარტახებული მხარის ხელახალი აღორძინება. XII ს. 60-იან წლებში თურქებმა ისევ მოახერხეს ჰ-ის მიტაცება, 1206 კი საქართველომ კვლავ დაიბრუნა იგი.

XIII–XVI სს-ში ჰ., ადმ.-ტერიტორიულად საკუთრივ საქართვ. ტერიტორიის, კერძოდ კი სამცხის საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ პერიოდში ბასიანის მხარეთა მოსახლეობა საერთო სახელწოდებით ,,კარნიფორელნი‘‘, ყოველთვის მოიხსენიება მესხეთის ტომთა ჯგუფში.

XVI ს. II ნახ-იდან XIX ს. II ნახ-მდე ბასიანის მხარეები (მ. შ. ჰ.) ოსმალთა მფლობელობაში მოექცა. 1878 შეიერთა რუსეთმა, მაგრამ 1918–20 კვლავ თურქეთის შემადგენლობაში გადავიდა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1955–59.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩული, თბ., 1954.

მ. ზალდასტანიშვილი.

კარნუ-ქალაქი, ქ. *ერზურუმის* (თურქეთი) ძველი ქართული სახელწოდება.

კარაპაჰი, II–III სს. ქართლის წარჩინებულ მოხელე-დიდებულთა წრის წარმომადგენელი ქალი. იხსენიება არმაზისხევის პიტიახშთა (ერისთავთა) სამაროვანში აღმოჩენილ ოქროს ბალთის თვალზე ქალ-ვაჟის გამოსახულების გარშემო გაკეთებულ წარწერაში, რ-იც იკითხება ასე: ,,ჯავახ სიცოცხლეა ჩემი კარპაკ‘‘.

კარპინი (Carpini) იოანე (ჯოვანი) დე პლანო (1182–1253), ფრანცისკელი ბერი. იტალიელი მისიონერი. რომის პაპის ელჩი მონღოლეთის იმპერიაში 1246/47. იყო ბათო-ყაენთან ოქროს ურდოში, შემდეგ – დიდ ყაენ გუიუქთან. თავის წიგნში ,,ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ‘‘ საუბარია ქართველებისა და საქართველოს შესახებ. მისი თხრობა ემყარება მონღოლთა დიდი ყაენის კარზე საკუთარი თვალით ნანახს და იქ მყოფ ქართველთა მონათხრობს. ავტორს ყურულთაიზე პირადად უნახავს ქართველი უფლისწულები – დავით რუსუდანის ძე და დავით ლაშა-გიორგის ძე, რ-ებიც იქ იმყოფებოდნენ. ავტორი აღწერს გუიუქ-ყაენის მიერ 1246 აგვისტო-ნოემბერში საქმის მონღოლური სამართლით გადაწყვეტას – ორივე დავითის დამტკიცებას საქართველოს მეფეებად, მოგვითხრობს მონღოლთა მიერ საქართველოზე შეწერილი ხარკის რაოდენობის, ქართველების მიერ განზრახული აჯანყებისა და სხვათა შესახებ.

თხზ.: ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, გ. ქიქოძის გამოც., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1942, ნაკვ. 2.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

კარჭავინი ვსევოლოდ ალექსანდრეს ძე (4.VI. 1904, მოსკოვი, – 19.VIII. 1992, დაბა აგუძერა, სოხუმი), ქიმიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1949), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1974). 1925 დაამთავრა მოსკოვის დ. მენდელეევის სახ. ქიმ. ტექნოლოგიის ინ-ტი. მუშაობა დაიწყო გამოყენებითი მინერალოგიის ინ-ტში. პარალელურად მოღვაწეობდა მოსკოვის ქიმიური ტექნოლოგიის ინ-ტში. 1931–36 სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ,,აზოტი‘‘ იყო განყ-ბის გამგე. 1936 გადაასახლეს (ბრალდებით კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის). 1942–43 მუშაობდა ქ. მაგადანში, ქიმიური კვლევების ლაბორატორიაში, 1943–46 – ქ. ნორილსკის მეტალურგიულ კომბინატში; სპეც. ობიექტზე ქ. ობნინსკში. 1947-იდან სოხუმის ფიზ.-ტექნიკის ინ-ტში ხელმძღვანელობდა სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიას.

ჰ-ის სამეცნ. კვლევები ეხება თხევადი საწვავის სინთეზის საკითხებს; ნახშირბადის ჟანგეულებისა და წყალბადისაგან ნახშირწყალბადოვანი ნაერთების კატალიზურ სინთეზს. სტალინური პრემია მიენიჭა ურანის იზოტოპების განცალკევების ექსპლუატაციაში გაშვების სამუშაოებში მონაწილეობისათვის (1951) და დიფუზური ფილტრების ოქსიდირების ტექნოლოგიის დანერგვისათვის (1953). 1958 მიენიჭა ლენინური პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1971).

კარსანი, სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტის ძეგვის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), თრიალეთის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. კარსნისხევის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 700 *მ,* მცხეთიდან 8 *კმ.* 18 მცხ. (2014).

ჰ. დაბალი მთის კლიმ. კურორტია. იცის რბილი, თითქმის უთოვლო ზამთარი და ზომიერად მშრალი ზაფხული. ნალექები 600 *მმ* წელიწადში.

1904-იდან ჰ-ში ფუნქციონირებდა თბილისის ფიზ. (შემდგომში გეოფიზ.) ობსერვატორიის მაგნიტური განყ-ბა, რ-იც 1935-იდან გადაიტანეს დუშეთში (იხ. *დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია*).

სოფელში დგას IX–X სს. ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია; სოფლის მიდამოებში, კარსნისხევის მარჯვ. ნაპირზე, მდებარეობს ძვ. წ. I და ახ. წ. I–III სს-ით დათარიღებული მეთუნეთა ნამოსახლარი, რ-იც 1975 გათხარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ა. აფაქიძე). კომპლექსში შედის ნამოსახლარი, საწარმოო უბანი და სამაროვანი. ნამოსახლარი ტერასულადაა განლაგებული ბორცვის თხემსა და ძირში. გამოვლინდა

სამი სამშ. ფენა. საცხოვრებელი შედგებოდა საცხოვრ. სახლისა და მსუბუქი კონსტრუქციის დამხმარე ნაგებობისაგან. შენობები გეგმით ოთხკუთხაა, ნაგებია ქვიშაქვითა და ტალახით. მათი უმეტესობა გადახურული ყოფილა მცხეთური ღარისებრი და ბრტყელი კრამიტით. იატაკი თიხისაა, მის ცენტრ. ნაწილში ქვითა და თიხით ნაგები კერებია. ნამოსახლარზე გამოვლინდა დიდი რაოდენობის სამეურნეო დანიშნულების კერამიკა, ლითონისა და თიხის ქანდაკებები, რკინის დანები, მონეტები. ნამოსახლარის აღმ-ით, 60 *მ*-ზე, მდებარეობს სახელოსნო უბანი. აქ გამოვლინდა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები და მასთან დაკავშირებული ფარდულის ტიპის ნაგებობების ნაშთი.

სამაროვანზე გაითხარა ძირითადად კრამიტსამარხები. დადასტურდა აგრეთვე ორმოსამარხები და ქვევრსამარხი. კრამიტსამარხები ძირითადად კრამიტით ნაგები ორფერდსახურავიანი კრამიტყუთებია, რ-იც ორმოში ყოფილა ჩადგმული.

ნამოსახლართან ახლოს გამოვლინდა საწნახელი და მარნის ნაშთი. 1918 კარსნისხევის მარჯვ. ნაპირას, ფერდობზე, გ. ლემლეინმა გათხარა მინის სახელოსნო (მოპოვებული მასალა ინახება სანქტ-პეტერბურგის სახელმწ. ერმიტაჟში). ფერდობის ძირში (როგორც ჩანს, აქ ყრიდნენ წარმოების ნარჩენებს), თიხის ფენის ქვეშ აღმოჩნდა 0,75 *მ* სისქის კულტ. ფენა. სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, ქართლის ქედის ერთერთ მწვერვალზე შემორჩენილია ადრინდ. შუა საუკუნეების ციხე-გალავნის ნანგრევები. 1961–62 ძეგლზე არქეოლ. გათხრები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი). გაითხარა გალავანი, რ-იც გამაგრებულია ერთმანეთისგან სხვადასხვა მანძილით დაშორებული, გარეთ გაშვერილი ოთხკუთხა კოშკებით. გალავნის კედელსა და კოშკებში ჩაშენებულია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრები, რ-ებზეც ამოკვეთილია ფოსოები ე. წ. მერცხლისკუდა გადასაბმელებისათვის. გალავნის შიგნით გამოვლინდა ნატეხი ქვით ნაგები ნახევრად მიწური ტიპის საცხოვრ. ნაგებობანი, რ-თა ცენტრში მოწყობილია ოთხკუთხა კერები. გალავნის ჩრდ. უბანზე გაითხარა ორი მარანი, ერთში – 14, ხოლო მეორეში 4 საშ. სიდიდის ქვევრი აღმოჩნდა. გამოვლინდა სხვადასხვა ფორმის, სიდიდისა და დანიშნულების დიდძალი კერამიკა, რ-იც ძირითადად V–VII სს-ით თარიღდება. კერამიკის ნაწილი და ქვევრსამარხი გვიანდ. ელინისტური ხანისაა. ციხე-გალავნის ჩრდ. კედელში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. ნინოს დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

კარსანიძე ვლადიმერ დავითის ძე (23. V. 1910, სოფ. მათხოჯი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, – 2.VI. 1968, იქვე), დრამატურგი, სცენარისტი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1934 დაამთავრა კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტი. მუშაობდა საქართვ. ,,სახკინმრეწვში'' სასცენარო განყ-ბის (1935–37) და ქრონიკალურ-დოკუმენტური სექტორის (1940–46) გამგედ, კულტ. სამინისტროში – სასცენარო განყ-ბის უფროს რედაქტორად. კ. გოგოძესთან ერთად დაწერა სცენარი ფილმისთვის ,,დაგვიანებული სასიძო'' (რეჟ. კ. მიქაბერიძე, 1940). კ-ის სცენარებით გადაღებულია მხატვრული ფილმები: ,,ბედნიერი შეხვედრა'' (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1949), ,,ბაში-აჩუკი'', ,,გლახის ნაამბობი'' (ორივეს რეჟ. ლ. ესაკია 1956; 1960); ანიმაციური ფილმები: ,,გაზაფხულის სტუმრები'' (რეჟ. ვ. მუჯირი, 1949), ,,ნიკო და სიკო'' (რეჟ. შ. გედევანიშვილი, 1961); სამეცნ.-პოპულ. და დოკუმენტური ფილმები: ,,აკაკი წერეთელი'' (რეჟ. შ. ჩაგუნავა, 1940), ,,ქართველები ირანში. ფერეიდანი'', ,,ამბავი სოფელ ნატანებისა'' (ორივეს რეჟ. ი. კანდელაკი, 1944; 1952) და სხვ.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. *მ. კერესელიძე.*

კარსნისხევის არქეოლოგიური ძეგლები, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი სოფ. კარსნის მიდამოებში. მდებარეობს თბილისი–მცხეთის გზატკეცილის მე-17 *კმ*-ზე (მცხეთის მუნიციპალიტეტი), მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას. კარსნისხევი დასახლებული ყოფილა გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან. გამოვლენილია ამ ხანის სამარხები. მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა 1925 (გ. ნიორაძე). 1975-იდან მიმდინარეობდა სტაციონარული გათხრები (ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი). აღმოჩნდა ძვ. წ. და ახ. წ. I სს. კომპლ. ძეგლი, რ-იც შედგება ხელოსანთა დასახლების, საწარმოო უბნისა და სამაროვნისაგან. ნასახლარზე გამოვლინდა 3 სამშენებლო ჰორიზონტი. გეგმით მოგრძო, ოთხკუთხა შენობები ნაგებია ქვიშაქვითა და ტალახით. გადახურული ყოფილა ანტ. ხანის მცხეთური ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. ნაგებობანი ორი ნაწილისაგან შედგებოდა – საცხოვრებელი და სამეურნეო. იატაკი თიხატკეპნილია. მის ცენტრ. ნაწილში ქვითა და თიხით ნაგები კერები იყო. დიდი რაოდენობითაა მოპოვებული უმთავრესად მოწითალოდ გამომწვარი თხელკეციანი კერამიკული ნაწარმი (ქვევრები, დერგები, სამტუჩა ხელადები, კოპებიანი სასმელები და სხვ.), ლითონისა და თიხის ქანდაკებები. ნამოსახლარის აღმ-ით, დაახლ. 60 *მ*-ზე აღმოჩნდა საწარმოო უბანი. გამოვლინდა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები და მასთან დაკავშირებული ნაგებობათა ნაშთები. ალიზით ნაგები მოგრძო ფორმის ქურები ორსართულიანი ყოფილა. პირველი სართული დახურული იყო ალიზის დიდი აგურებისაგან შეკრული თაღით. ნასახლარის მახლობლად გამოვლინდა I–III სს. სამაროვანი. ძირითადად გაითხარა კრამიტსამარხები, აგრეთვე ორმოსამარხები (მ. შ. ხის ძელებით გადახურულიც). კრამიტსამარხები ბრტყელი და ღარიანი კრამიტითაა ნაგები. გადახურვა ორფერდაა. ზოგს იატაკიც კრამიტისა ჰქონდა. სამარხებში აღმოჩნდა ჭურჭელი (მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის სამტუჩა ხელადები, კოპებით შემკული ჭურჭელი, მინის სანელსაცხებლეები), სამკაული (ოქროს საყურეები და სასაფეთქლე რგოლები, სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები, გემიანი ბეჭდები და სხვ.), რომაული და პართიული მონეტები.

1925 კარსნისხევის ბოლოში აღმოჩნდა და გაითხარა ადრინდ. ფეოდ. ხანის დასაწყ. (IV–V სს.) სამაროვანი. ქვიშაქვის დიდი ქვებით ნაგები ქვაყუთები ბანურად იყო გადახურული. სამარხებში აღმოჩნდა სამკაული და ტანისამოსთან დაკავშირებული ნივთები.

კარსნისხევის სათავესთან, მიწის ზედაპირზე შეინიშნება შუა ფეოდ. ხანის ნასოფლარი და მცირე ზომის ეკლესიები. იქვე, ხეობის მარჯვ. ნაპირას დადასტურდა მინის საბერი საწარმოს ნაშთები.

ლიტ.: ლემლეინი გ., მინის საბერი წარმოების ნაშთები კარსანში, მცხეთის მახლობლად, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1945, ტ. 6, № 9; ლომთათიძე გ., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945; მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. 1, თბ., 1955; ნიორაძე გ., კარსნისხევის სასაფლაო, «საქართველოს მუზეუმის შრომები», 1926, ტ. 4; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

ვ. ნიკოლაიშვილი.

კარსტი, კარსტული მოვლენები [გერმ. Karst, სლოვენიაში მდებარე კარსტის (კრასის) პლატოს სახელწოდებიდან], მოვლენები, რ-ებიც თავს იჩენს წყალში ხსნად ქანებში (კირქვა, დოლომიტი, ცარცი, თაბაშირი, ქვამარილი) მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის ნაკადების ზემოქმედების შედეგად. კარსტულ მოვლენებში წამყვანი როლი ენიჭება ქანების ქიმ. ხსნადობას. კარბონატული ქანები იხსნება თავისუფალი ნახშირორჟანგის ან სხვა მინერ. და ორგ. მჟავების ზეგავლენით. ქანების გახსნასთან ერთად ხდება მათი მექან. გადარეცხვა და წარმოიქმნება კ-ის ზედაპირული და მიწისქვეშა ფორმების კომპლექსი (კარები, ძაბრები, ქვაბულები, ბრმა ხეობები, პოლიეები, ჭები, შახტები, უფსკრულები და სხვ.). კარსტვად ქანებში, განსაკუთრებით ნაპრალების გასწვრივ, ყალიბდება მიწისქვეშა სიცარიელეები, მღვიმეები. მსოფლიოში უგრძესი მღვიმური სისტემაა ფლინტ-მამონტი (ჯამური სიგრძე 590,6 *კმ*, სიღრმე 115 *მ*; აშშ).

საქართველოში ,,საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრის'' მიხედვით რეგისტრირებული 826 ვერტიკალური მღვიმიდან 100 *მ*-მდე სიღრმისაა 724 მღვიმე; 101 *მ*-იდან 500 *მ*-მდე – 88; 501 *მ*-იდან 1000 *მ*-მდე – 7; 1000 *მ*-ზე ღრმაა 7 მღვიმე. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს უღრმესი (>1000 *მ*) კარსტული უფსკრულების პირველი ათეულიდან 4 საქართველოშია. ესენია: *კრუბერის უფსკრული, ილუზია-თოვლიან-მეჟენის მღვიმური სისტემა,* უფსკრული ,,*სარმა*'', *პანტიუხინის სახელობის უფსკრული,* ამათგან კრუბერის უფსკრული უღრმესია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009; Гвоздецкий Н. А., Карст, М., 1981; Кикнадзе Т. З., Таташидзе З. К., Цикаришвили К. Д. и др., Атлас карстовых пещер Грузинской ССР, Тб., 1990; Тинтилозов З. К., Карстовые пещеры Грузии (Морфологический анализ), Тб., 1976.

კარსტოლოგია (გერმ. Karst და ბერძნ. logos – სიტყვა, მოძღვრება), კარსტმცოდნეობა, *გეომორფოლოგიის* ნაწილი, რომელიც შეისწავლის კარსტულ მოვლენებს, კარსტის წარმოშობას, განვითარებას, გავრცელებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას, აგრეთვე ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული წყლების თვისებებს, კარსტული სიცარიელეების მინერ. აგრეგატებს, სასარგებლო წიაღისეულს, კარსტით გამოწვეულ უარყოფით მოვლენებთან ბრძოლის ღონისძიებებს და სხვ. კ. იყოფა კარსტის ჰიდროლოგიად, კარსტის ჰიდროგეოლოგიად, საინჟინრო კარსტთმცოდნეობად, ისტ. კარსტთმცოდნეობად და სხვ. კ. მჭიდრო კავშირშია *სპელეოლოგიასთან.*

ლიტ.: მარუაშვილი ლ., მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1973.

ზ. ტატაშიძე.

კარტანი ელი ჟოზეფ (Cartan) (9. IV. 1869, დოლომიე, საფრანგეთი, – 6. V. 1951, პარიზი), ფრანგი მათემატიკოსი. პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1931), საფრ. მეცნ. აკად. პრეზიდენტი (1946). დაამთავრა პარიზის უმაღლესი ნორმალური სკოლა (1891). 1894 მიენიჭა სორბონის (პარიზი) დოქტორის წოდება. 1894–1912 კითხულობდა ლექციებს საფრანგეთის სხვადასხვა უნ-ტში. 1912-იდან პარიზის უნ-ტის პროფესორია. ფუნდამენტური წვლილი შეიტანა ლის ჯგუფთა თეორიაში. მნიშვნელოვანია მისი წვლილი დიფერენციალური განტ., დიფერენციალური გეომ., კვანტური მექ. მათ. ფიზ. და სხვა მიმართულებებით; შექმნა განზოგადებული სივრცეების თეორია გრეხის გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვანია გრავიტაციის თეორიისთვის. შექმნა სპინორების თეორია (1938), რ-საც იყენებს კვანტური მექანიკა და ველის კვანტური თეორია და სხვ.

1924 კ-მა სორბონაში (პარიზი) დააარსა უმაღლესი გეომ. კათედრა, რ-ის წევრი 1927–28 იყო გ. *ნიკოლაძე.* მას ვრცელი მიმოწერა ჰქონდა კ-თან, რამაც სტიმული მისცა გ. ნიკოლაძის 1927–28 კ-ის ხელმძღვანელობით შესრულებულ კვლევებს. კ. იყო გ. ნიკოლაძის სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი (სორბონა, პარიზი, 1928).

კ. იყო მრავალი ქვეყნის მეცნ. აკად. და სამეცნ. საზ-ბის წევრი. დაჯილდოებულია ლობაჩევსკის პრემიით (1937). მისი სახელი ეწოდა კრატერს მთვარის ზედაპირზე. საფრ. მეცნ. აკადემიამ დააწესა კ-ის სახ. სამეცნ. პრემია.

ლიტ.: Chern Shiing-Shen, Chevalley C., Élie Cartan and his mathematical work, „Bull. Amer. Math. Soc.'', 1952, vol. 58, № 2.

ი. ლომიძე.

კარტიკამი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ახალქალაქის პლატოზე. თემის ცენტრი (სოფლები: კ., აბული, ბუზავეთი, გულიკამი, თახჩა, ხულგუმო). ზ. დ. 1760 *მ*, ახალქალაქიდან 7 *კმ*. 1,7 ათ. მცხ. (2014).

კარტოგრამა აგროკლიმატური, რუკა, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად უზრუნველყოფილია ნიადაგი მცენარისათვის შესათვისებელი საკვები ელემენტებით (ფოსფორი, კალიუმი, აზოტი, მაგნიუმი, მიკროელემენტები) ან რამდენად საჭიროებს ნიადაგი მოთაბაშირებას ან მოკირიანებას.

საქართველოში პირველი კ. ა. 1959 შეადგინეს საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგროქიმ. და ნიადაგმცოდნეობის კათედრის თანამშრომლებმა ორხამურის ჩაის საბჭ. მეურნეობისათვის. კ. ა-ზე მუშაობდნენ აგროქიმ. ლაბორატორიები.

კ. ა-ის შესადგენად საჭიროა ნიადაგის მსხვილმასშტაბიანი რუკა და მიწათსარგებლობის გეგმა. რუკით დგინდება ნიადაგის ტიპებისა და სახესხვაობების გავრცელების საზღვრები. ასეთი რუკები შეიძლება იყოს 1:5000, 1:10000 და 1:25000 მასშტაბის. მიწათსარგებლობის გეგმაზე გამოყოფილ 0,5–10 *ჰა* ფართობის ნაკვეთებიდან იღებენ ნიადაგის სინჯებს დიაგონალურად 5–12 ადგილზე; მათი შერევით მიიღება შერეული ნიმუში. მასზე ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ხდება თითოეული აგროქიმიური მაჩვენებლის დაჯგუფება და მათი გადატანა რუკაზე სხვადასხვა ფერით ან სხვა პირობითი ნიშნით. კ. ა-თან ერთად შედგება აგროქიმ. ნარკვევი, რ-შიც მოცემულია ფერმერული მეურნეობის ნიადაგურ-კლიმატური პირობების, ნიადაგწარმომქმნელი ქანების დახასიათება, სამი წლის განმავლობაში კულტურათა მოსავლიანობა და სხვ. ასეთი ნარკვევის მიხედვით შედგენილ რეკომენდაციებში გაანგარიშებულია სასუქის გამოყენების ნორმები, შერჩეულია

მათი ფორმები, შეტანის ვადები, ხერხები და სხვ. პ. ა. საშუალებას იძლევა, ნიადაგში სასუქი შევიტანოთ საკვები ელემენტების მოძრავი ფორმების შემცველობის გათვალისწინებით, რაც ამცირებს სასუქისა და ფულადი სახსრების დანახარჯებს.

ლიტ.: თხელიძე ა., სასუქების გამოყენების სისტემა, თბ., 2009; სარიშვილი ი., აგროქიმიური კარტოგრამა და მისი მნიშვნელობა, თბ., 1965.

ი. სარიშვილი. ა. თხელიძე.

კარტოგრაფია (ბერძნ. chartēs – საწერი ფურცელი ან პაპირუსის გრაგნილი და graphō – ვწერ, ვხაზავ, ვხატავ), მეცნიერება ობიექტური რეალობის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცის დროში ცვალებადობის შესახებ. ეს კონკრ. სივრცე, როგორც ობიექტური რეალობის საგნებისა და მოვლენების ურთიერთგანლაგების ერთობლიობა, სამგანზომილებიანია. მისი ასახვისათვის კ. იყენებს სპეციფ. ხელოვნურ ნიშნობრივ სისტემას – ,,რუკის ენას'' და სპეციფ. მეთოდს – კარტოგრაფიულ მოდელირებას. კარტოგრაფიული შემეცნების შედეგს წარმოადგენს საკვლევი სინამდვილის კარტოგრაფიული მოდელი, რასაც მეცნიერებასა და საზ. პრაქტიკაში რუკა ეწოდება (იხ. *გეოგრაფიული რუკები*), შესაბამისად, კ. და რუკები ორ ჯგუფად იყოფა – დედამიწისეული და კოსმოსური. პირველში შედის გეოგრ. კ. და გეოგრ. რუკები, მეორეში – ასტრონ. კ. და ასტრონ. რუკები.

გეოგრ. რუკების ათვლის სივრცით სისტემად მიჩნეულია დედამიწის საკოორდინატო გრადუსთა ბადე (მერიდიანებისა და პარალელების გამოსახულება სიბრტყეზე), რ-იც რუკის მათ. საფუძველს წარმოადგენს და მიიღება გარკვეული კარტოგრაფიული პროექციის დახმარებით.

გეოგრაფიულ ობიექტებს (ოკეანე, ხმელეთი, ჰიდროგრ. ქსელი, რელიეფი, დასახლ. პუნქტები, ატმ. მოვლენები, მოსახლ. ეროვნ. შემადგენლობა და სხვ.) რუკაზე კარტოგრაფიული ბადის მიმართ ზუსტად ისეთივე გამოსახულება აქვს, როგორც სინამდვილეში. ეს არის სინამდვილის კარტოგრაფიული მოდელის უნიკალური თავისებურება, რაც მას დიდ მეცნ. და პრაქტ. მნიშვნელობას ანიჭებს.

გეოგრ. კ-თვის მნიშვნელობა აქვს გეოდ. მონაცემებს დედამიწის ფორმისა და ზომების შესახებ, საყრდენი წერტილების კოორდინატებსა და აეროფოტოგადაღების მასალას, რ-თა საფუძველზე მიიღება დედამიწის ყველა რუკის პირველი წყარო – ტოპოგრაფიული რუკა, რ-საც შეისწავლის ზოგადი გეოგრაფია და კ. ამ თვალსაზრისით კ. მიეკუთვნება ტექ. მეცნიერებათა ციკლს, ხოლო ობიექტური სინამდვილის გარკვეული მხარის კარტოგრაფიული მეთოდით გამოკვლევის პროცესში კ. უკავშირდება საბუნებისმეტყველო და საზ. მეცნიერებებს. ამ კავშირის საფუძველზე იქმნება თემატური კ-ის დარგები: გეოლ., გეომორფოლოგიური, კლიმატური, ლანდშაფტური, ეკონ., ისტ. და სხვ.

კ-ის შემადგენელი სამეცნ. დისციპლინებია: კ ა რ ტ ო გ რ ა ფ ი ი ს ზ ო გ ა დ ი თ ე ო რ ი ა – მოძღვრება საგანზე, მეთოდსა და რუკის ენაზე; რ უ კ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა – მოძღვრება რუკისა და მისი ანალიზის, კარტოგრაფიული წყაროთმცოდნეობის, რუკათა კლასიფიკაციის, ისტორიისა და მათი გამოყენების შესახებ; მ ა თ ე მ ა ტ ი კ ი ს კ ი კ ა რ ტ ო გ რ ა ფ ი ა – მოძღვრება კარტოგრაფიულ პროექციებზე; რ უ კ ა თ შ ე დ ე გ ე ნ ა და რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ ა – რუკათა შექმნის თეორიული საფუძველი და ტექნოლოგია, რ-იც მოიცავს აგრეთვე რუკის გაფორმების ხელოვნებას (კარტოგრაფიული დიზაინი); კ ა რ ტ ო მ ე ტ რ ი ა – მოძღვრება რუკებზე ობიექტური სინამდვილის, საგნებისა და მოვლენების გაზომვების შესახებ.

კარტოგრაფიული რუკებისა და ატლასების გამოცემა ხდება სპეციალურ პოლიგრაფიულ საწარმოებში.

უძველესი კარტოგრაფიული გამოსახულებანი, რ-ებმაც ჩვენს დრომდე მოაღწია, შექმნილია ბაბილონში, ეგვიპტესა და ჩინეთში. პირველი რუკები, რ-ებშიც გათვალისწინებულია დედამიწის სფერული ფორმა, ძვ. საბერძნეთს ეკუთვნის. კლავდიოს პტოლემეს ,,გეოგრაფიის სახელმძღვანელო'' (II ს.) არსებითად რუკათშედგენის წესთა კრებულს წარმოადგენს 27 რუკით.

შუა საუკუნეებში ნაოსნობისა და კოლონიზაციის განვითარებას მოჰყვა რუკების, გლობუსებისა და ატლასების შექმნის ინტენს. პროცესი. იმ დროს ,,კ-ის'' ცნება არ არსებობდა, გეოგრაფიასა და ასტრონომიასთან ერთად იგი კ ო ს მ ო გ რ ა ფ ი ა დ მიიჩნეოდა. კ-მ კულმინაციურ განვითარებას გ. მერკატორის (XVI ს.) ნაშრომებში მიაღწია.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ისტ. წყაროები მიგვანიშნებს კარტოგრაფიული სამუშაოების საწყისებზე. ჩვენამდე მოღწეულია *არჩილ II-ის* მიერ შედგენილი საქართველოს რუკა (1703), კავკასიის რუკა (1723), რ-ის შედგენაში გამოყენებული იყო ს.-ს. *ორბელიანის* მიერ მოპოვებული მასალები და ტ. *გაბაშვილის* მიერ შედგენილი ,,ლიხთ-იმერეთის რუკა'' (1737). ვახტანგ VI პირადად მუშაობდა საქართველოსა და სომხეთის რუკების შედგენაზე.

აღსანიშნავია ქართული მეცნიერული გეოგრ. და კარტოგრაფიის ფუძემდებლის, *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილი საქართველოსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების სამი ატლასი (1735 და 1745) და იმავე საუკუნის 40–50-იან წლებში ქართულ და რუს. ენებზე შესრულებული 9 რუკა.

XIX ს-ში გეოგრ. მეცნიერებას გამოეყო რუკათშედგენის დარგი, რ-საც ,,კარტოგრაფია'' ეწოდა, მაგრამ მეცნიერებად მხოლოდ მათ. კ. ითვლებოდა, ხოლო ყველა დანარჩენი კ. რუკათშედგენის ხელოვნებად იყო მიჩნეული.

1924 ა. *ჯავახიშვილის* ინიციატივით გეოგრ. საზ-ბასთან შეიქმნა კარტოგრაფიის ინ-ტი, რ-იც შემდგომში გეოგრ. ინ-ტად გადაკეთდა.

1936 თსუ-ის გეოგრ.-გეოლოგიის ფაკ-ტზე დაარსდა ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის კათედრა, რ-საც ხელმძღვანელობდა გეოგრაფ-კარტოგრაფი ს. *ცხაკაია*. მას ა. ჯავახიშვილთან ერთად მრავალი გეოგრ. რუკა აქვს შედგენილი, მ. შ. კავკასიის ოროგრაფიული, ჰიფსომეტრიული, გეოლოგიური, პოლიტ.-ადმინისტრაციული და სხვ.

მრავალი ქართული რუკისა და ატლასის შედგენა-გაფორმებაში 1932-იდან აქტიურად მონაწილეობდა კარტოგრაფი მ. *ქავთარაძე*.

კ-ის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის გეოგრაფ-კარტოგრაფს ა. *ასლანიკაშვილს*. აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური მეცნ. შრომები: ,,კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები'' (1968) და ,,მეტაკარტოგრაფია'' (1974), რ-ებშიც მოცემულია კ-ის, როგორც მეცნიერების განსაზღვრება. ა.

ასლანიკაშვილმა ,,მეტაკარტოგრაფიაში'' განიხილა კარტოგრაფიის სემიოტიკური ასპექტები, რის გამოც კარტოსემიოტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად აღიარეს.

ჰ-ის დარგის განვითარებასა და სასწ.-სამეცნ. საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით კარტოგრაფებს: ნ. ბერუჩაშვილს, თ. გორდეზიანს, ც. ვაშაკიძეს, ჯ. *კეკელიას,* გ. ლიპარტელიანს, ი. *ქართველიშვილს,* ვ. ჭეიშვილს და სხვებს.

ქართ. ჰ-ის ღირსშესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს ,,საქართველოს სსრ ატლასი'' – პირველი ეროვნული ატლასი (1964; საქართვ. სახელმწ. პრემია; 1971), შედგენილი ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინ-ტში. ამავე ინ-ტში შეადგინეს და გამოსცეს ,,საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასი'' (1992; საქართვ. სახელმწ. პრემია; 1994).

1997 ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაიბეჭდა გეოგრაფიის ინ-ტში მომზადებული ვახუშტი ბაგრატიონის ,,საქართველოს ატლასი''. 2012 იმავე ინ-ტმა შეადგინა და გამოსცა ,,საქართველოს ეროვნული ატლასი''; 2003 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტმა – ,,საქართველოს ისტორიის ატლასი'' (მისი განახლებული გამოცემა განხორციელდა 2016), ხოლო 2018 თსუ-მა და ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტმა – ,,საქართველოს გეოგრაფიული ატლასი''.

კარტოგრაფიულ პროდუქციას უშვებს თბილ. კარტოგრაფიული ფაბრიკა (იხ. სტ. ,,*კარტოგრაფია*'').

ლიტ.: ასლანიკაშვილი ა., კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები, თბ., 1968; ლიპარტელიანი გ., ლიპარტელიანი დ., გეოგრაფიული კარტოგრაფიის ტერმინოლოგიური ცნობარი, თბ., 2012; სამადბეგოვი ა., კარტოგრაფიის საფუძვლები, თბ., 1977; ცხაკაია ს., კარტოგრაფია, თბ., 1962; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980; Асланикашвили А. Ф., О предмете познания картографии, «თსუ შრომები», 1972, ტ. 144; მისივე, Метакартография, Тб., 1974; Салищев К. А., Предмет и метод картографии (некоторые современные взгляды), «Вестник МГУ. География», 1970, №2; მისივე, Картоведение, 3 изд ., М., 1990.

ა. ასლანიკაშვილი. ც. ვაშაკიძე.

,,კარტოგრაფია'' (სააქციო საზოგადოება), კარტოგრაფიული ფაბრიკა. 1929 თბილისში შეიქმნა ამიერკავკ. გეოდ. სამმართველო რუკების შემდგენელი სექტორით, რ-ის რეორგანიზაციის საფუძველზეც 1934 ჩამოყალიბდა ამიერკავკ. კარტოგრაფიული ფ-კა. მისი დაარსების პირველ წლებში საწარმოს ხელმძღვანელობდა ქართ. კარტოგრაფიის ფუძემდებელი, მეცნიერი პრაქტიკოსი ს. *ცხაკაია.* ფ-კა რამდენიმე სრულიად მოუწყობელი საამქროსაგან შედგებოდა, ბეჭდავდნენ ლითოგრაფიული ქვებით (თითოეული ქვის მასა იყო 5 ფუთი ანუ 80 *კგ*).

ფ-კა თავდაპირველად ს.-ს. ორბელიანის ქუჩაზე იყო განთავსებული, შემდეგ – კამოს (ახლანდ. დ. უზნაძის) ქუჩაზე, საცხოვრ. სახლის სარდაფში, მოგვიანებით მისი ნაწილი თბილ. ტოპოგრ. ტექნიკუმის შენობაში გადაიტანეს. 1976 ექსპლოატაციაში შევიდა კავკასიაში ერთადერთი №8 (თბილისის) კარტოგრაფიული ფ-კის ახალაშენებული კომპლექსი (საერთო ფართ. 17,0 ათ. *მ*^{2}), რ-იც გლდანის I მ/რ-ში მდებარეობს. 1991-მდე ფ-კა, როგორც სახაზინო საწარმო, ექვემდებარებოდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთ. სამმართველოს, 1991-იდან – საქართვ. გეოლ., გეოდ. და კარტოგრაფიის სახელმწ. დეპარტამენტს, 1995-იდან კი – საქართვ. გეოდ. და კარტოგრაფიის სახელმწ. დეპარტამენტს. 1993 წ. 23 აგვისტოს თბილისის კარტოგრაფიული ფ-კის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო სზ-ბა ,,ჰ.''.

1983–84 ფ-კაში დაიწყეს პლასტმასის გლობუსებისა და რუკების წარმოება, ამ მხრივ იგი ერთადერთი იყო არა მარტო სსრკ-ში, არამედ აღმ. ევროპაშიც. ფ-კამ გამოუშვა პლასტმასისაგან დამზადებული 320 *მმ* დიამეტრის დედამიწის ქართულენოვანი გლობუსი და ორი სხვადასხვა მასშტაბის საქართვ. რელიეფური რუკა. გამოსცა აგრეთვე სხვადასხვა თემატიკის დარგობრივი და ზოგადგეოგრ. რუკები, ბუკლეტები, ატლასები, საქართვ. კურორტებისა და საკურორტო რესურსების ატლასი, ვახუშტ ი ბაგრატიონის საქართველოს ატლასი, ქართ. ენციკლოპედიის ფერადი რუკები, აგრეთვე სხვადასხვა სასწავლო რუკა და ატლასი.

2013–17 საწარმოში დაინერგა ახ. ტექნოლოგიები კომპიუტერული კარტოგრაფიის სახით, აგრეთვე ახ. პოლიგრ. ტექნიკა. ამავე პერიოდში ფ-კამ გამოსცა ფუნდამენტური ატლასები: ,,საქართველოს ისტორიის ატლასი'' (2003), ,,საქართველოს ეროვნული ატლასი'' (2012), ,,თბილისი. ატლასი-ცნობარი'' (2013, ქართ. ენაზე; 2014 – რუს. ენაზე), ასევე სხვადასხვა თემატიკის ახ. თუ განახლებული კარტოგრაფიული პროდუქცია.

,,ჰ.'' ემსახურება საქართველოში კარტოგრაფიის განვითარებას, მეცნ. სხვადასხვა დარგის, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მოსახლეობის კარტოგრაფიული პროდუქციით უზრუნველყოფას.

ო. საბანაძე.

კარტოზია ალექსანდრე გურამის ძე (დ. 8. I. 1959, თბილისი), გერმანისტი. დოქტორი (1995), პროფესორი (2015). დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენებისა და ლიტრის ფაკ-ტის გერმანული განყ-ბა (1981). 1989–2005 იყო თსუ-ის გერმ. ფილოლ. კათედრის გამგე; 1990–91 – ზაარლანდის უნ-ტის მიწვეული პროფესორი; 1994–96 – გეტინგენის უნ-ტის სპეციალურ კვლევათა ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი; 1997–98 – საქართვ. ერთვნ. ბ-კის დირექტორი; 1998–2004 – საქართვ. განათლების მინისტრი; 2005–06 – ბრემენის უნ-ტის აღმ. ევროპის ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი; 2006-იდან – ოლერის ფრანკფურტის უნ-ტის მიწვეული პროფესორი (კულტურის მეცნიერებათა ფაკ-ტი, შედარებითი ენათმეცნიერების კათედრა); 2015-იდან – თსუ-ის პროფესორი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტი, გერმ. ფილოლოგია).

ჰ-ს კვლევის სფეროა გერმანიკული ენები, ზოგადი ენათმეცნიერება, თარგმანმცოდნეობა, გერმ. ფილოლოგია. არის ა. ფონ ჰუმბოლდტის ფონდის (გერმანია) სტიპენდიანტი (Fellow) (1994-იდან) და საქართვ. ჰუმბოლდტის კლუბის პრეზიდენტი.

თხზ.: მხატვრული ტექსტი როგორც სიტყვის ობიექტივაცია, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, №1; გრამატიკულ-სემანტიკური ველის ობიექტივაცია მხატვრულ ტექსტში, იქვე, 1991, №4; Begegnung mit Ursprung und Zeit. In: Chr. Vogel (Hrsg.), «Georgien». Editon Braus, Heidelberg, 2008; Kunst kennt keine Grenzen? Hermann Wedekind und Georgien. In: K.Bohr (Hrsg.), Kunst kennt keine Grenzen. Erinnerungen an Hermann Wedekind, Saarbrücken, 2010.

კარტოზია ალექსანდრე სოლომონის ძე (18. I. 1899, სოფ. ნოქალაქევი, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 9. III. 1958, თბილისი), პედაგოგი, მეთოდისტი. საქართვ. დამს. მასწავლებელი (1941).

1930–34 სწავლობდა თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის საბუნებისმე-

ტყველო ფაკ-ტის ბიოლ. განყ-ბაზე. ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თსუ-ის ფიზიოლ. ინ-ტში ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. 1935–37 შეთავსებით მუშაობდა ა. პუშკინის სახ. სამასწავლებლო ინ-ტში ფიზიოლოგიის კათედრაზე.

პ. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. 1922 იყო სოფ. გეჯეთის (ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი) შვიდწლიანი შრომითი სკოლის მასწავლებელი, 1927–30 – ბეთლემის (ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი) ოთხწლედის გამგე, 1937-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილ. 33-ე საშ. სკოლაში (ამჟამად მე-18 საჯარო სკოლა) თავდაპირველად სასწ. ნაწილის გამგედ, ხოლო 1940-იდან – დირექტორად.

პ. ავტორია სასწ.-მეთოდური ხასიათის შრომებისა, მ. შ. აღსანიშნავია მონოგრაფია ,,ნერვული სისტემის სწავლება მე-8 კლასში''.

კარტოზია არნოლდ თეიმურაზის ძე [28. III (10.IV). 1909, ზუგდიდი, – 11.VI.1979, მოსკოვი], სამთო ინჟინერი. სტალინური პრემიის ლაურეატი (1948). დაამთავრა მოსკოვის საინჟ.-სამშ. ინ-ტი (1934). იყო მოსკ. მეტროპოლიტენის ერთ-ერთი რადიუსის მშენებლობის უფროსი (1935–37). II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მთავრობის საგანგებო დავალებით სსრკ აღმ. რ-ნებში ორგანიზებას უწევდა ქვანახშირის საწარმოთა მუშაობას. 1943-იდან იყო სსრკ თავდაცვის სახელმწ. კომიტეტის რწმუნებული, ომის შემდგომ ხელმძღვანელობდა დონბასის შახტების აღდგენით სამუშაოებს. 1948 (სხვა სპეციალისტებთან ერთად) ,,დონბასის დატბორილი შახტების ამოტუმბვისთვის და მათი მოწყობილობის აღდგენისთვის'' მიენიჭა სტალინური პრემია. 1953–60 იყო ,,საქნახშირის'' კომბინატის უფროსი. 1960-იდან მუშაობდა საკავშ. საგეგმო კომიტეტში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი.

კარტოზია ბორის არნოლდის ძე (დ. 23.II.1940, მოსკოვი), სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1980), რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1993). დაამთავრა მოსკ. სამთო ინ-ტი (1963). 1987–96 იყო მოსკ. სახელმწ. სამთო უნ-ტის პრორექტორი. 1996-იდან ამავე უნ-ტში ხელმძღვანელობდა მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობის კათედრას.


პ-ის სამეცნ. შრომები დაკავშირებულია მიწისქვეშა წიაღისეული სივრცის ათვისების პრობლემების გადაწყვეტასთან. მან დაადგინა ქანის მასივებზე სხვადასხვა სამთო სამშ. ტექნოლოგიების გავლენის ზოგადი კანონზომიერებები; დაამუშავა რთულ სამთო-გეოლ. პირობებში სამთო გვირაბების მშენებლობის მეთოდები; შეიმუშავა ხელოვნურად გაყინული ქანებით აგებული მზიდუნარიანი კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდები და ქალაქის მიწისქვეშა ნაგებობათა ეკოლოგიურად უსაფრთხო დაპროექტების კონცეფცია. თანამედროვე სამშ. გეოტექნოლოგიების მეთოდოლ. საფუძვლების დამუშავებისათვის 1989 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. მიღებული აქვს ა. სკოჩინსკის სახ. პრემია (1996).

თხზ.: Механика горных пород, М., 1975; Механика подземных массивов, М., 1984; Строительство горных выработок в сложных горно-механических условиях, М., 1992; Строительная геотехнология, М., 1998.

კარტოზია გივი ალექსანდრეს ძე (29. III. 1929, ბათუმი, – 3. IV. 1998, თბილისი), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1956, მელბურნი) და მესამე პრიზიორი (1960, რომი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1953). 1954 დაამთავრა საქართვ. ფიზკულტურის ინ-ტი. მსოფლიო სამგზის ჩემპიონი (1953, ნეაპოლი; 1955, კარლსრუე; 1958, ბუდაპეშტი), მსოფლიო თასის მფლობელი (1956, სტამბოლი), სტუდენტთა IX (1951, ბერლინი) და X (1953, ბუქარესტი) მსოფლიო თამაშების გამარჯვებული, სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1952,1953, 1954, 1955). გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკით, ფიზიკური ძალით, სწრაფი, შემტევი სტილით. იყო მსოფლიოს პირველი ჩემპიონი საქართვ. სპორტსმენთა შორის. ნომინაციაში საქართველოს XX ,,საუკუნის 3 საუკეთესო სპორტსმენი კაცი'' მიენიჭა ვერცხლის პრიზი (მეორე ადგილი).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების (1996), ვახტანგ გორგასლის მეორე (2003) და მესამე (1999) ხარისხის და ფილას ორდენები.

კარტოზია გურამ ალექსანდრეს ძე (31. X. 1934, თბილისი, – 9. XII. 2010, იქვე), ენათმეცნიერი. პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1957). 1958–59 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ცენტრ. სამეცნ. ბ-კაში სწავლულ მდივნად, 1963 – საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტის დამდგენი კომისიის მეცნიერ თანამშრომლად, 1966-იდან – ამავე კომისიის (1969-იდან – მთავარი რედაქციის) სწავლულ მდივნად. 1994-იდან მოღვაწეობდა თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში, სადაც 1999 სათავეში ჩაუდგა ქართველურ ენათა სამეცნ.-კვლევით ლაბორატორიას. პ. წლების განმავლობაში იყო შოთა რუსთაველის სახ. ლიტ-რის ინ-ტისა და პედ. ინ-ტის სამეცნ. საბჭოების წევრი, ჟურნ. ,,ენათმეცნიერების საკითხების'' სარედაქციო კოლეგიისა და ,,ქართველოლოგიური ბიბლიოთეკის'' სარედაქციო საბჭოს წევრი. პ-მ გ. *წერეთელთან* და ს. *ცაიშვილთან* ერთად გამოსაცემად მოამზადა ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტი (1966, რედ. გ. წერეთელი, ი. აბაშიძე). მისი მონაწილეობით მომზადდა ,,ვეფხისტყაოსნის'' აკად. გამოცემის ტექსტი, რ-ის ძირითადი ნაწილი (ჩანართი სტროფების გარეშე) დაიბეჭდა 1988. ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტის დადგენის ენობრივ ასპექტებს ეხება მისი ცალკეული წერილები და ნაშრომი «,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტის საკითხები» (1975). იგი იკვლევდა ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხებსა და საერთო ქართველურ ლექსიკას, საბიბლიოთეკო დარგის ტერმინოლოგიას. პ-მ დაადგინა და გამოსაცემად მოამზადა თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების – ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის'' – ტექსტი, რისთვისაც დაჯილდოვდა ივ. ჯავახიშვილის სახ. პრემიით.


გ. კარტოზია (დ. 1929).

თხზ.: ტექსტოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2004; ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005; მეგრული და ლაზური ტექსტები, თბ., 2008; მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010; საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი, თბ., 1962, გამოც. მე-2, თბ., 1974 (თანაავტ. გ. გიორგიძე).

კარტოზია ცარო ივანეს ასული (8. XI. 1925, გუდაუთა, – 31. I. 2004, თბილისი), ბიოლოგი, ბიოქიმიკოსი. ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1975), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1988). დაამთავრა თსსი (1947).

იყო პედიატრიის სამეცნ.-კვლევითი ინ-ტის ბიოქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1971–75), საქართვ. რესპ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნ.-სამედ. საბჭოს პრეზიდიუმის სწავლული მდივანი და თსსი-ის სამედ. ბიოლ. საბჭოს წევრი (1974–76).

პ-ს სამეცნ. კვლევის სფეროს წარმოადგენს დედის, ნაყოფისა და ბავშვის ნივთიერებათა ცვლის თავისებურებების, მ. შ. მეტაბოლური პროცესების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემების შესწავლა. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. პ. იყო სამედ.-ბიოლ. (1997), სამედ.-სოციოლოგიური (1998), ნიუ-იორკის აკადემიის ნამდვ. წევრი (1998). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კარტოფილი (გერმ. Kartoffel), მრავალწლოვანი მცენარე, გორგლიანი სახეობები Solanum-ის გვარის (Tuberium-ის სექციის), ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა (Solanaceae). გავრცელებულია 200-მდე ველური და კულტ. სახეობა. კულტურაში დანერგილია უმთავრესად 2 მონათესავე სახეობა: ანდიური პ. (S. andigenum) და ჩილური პ. (S. tuberosum). გვხვდება ზომიერი ჰავის ქვეყნებში. მისი სამშობლო სამხრ. ამერიკაა (ჩილეს, პერუსა და ბოლივიის მთიანი რაიონები). პ-ის ნათეს ფართობს მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია პურეულისა და ბამბის შემდეგ.

პ-ის ფესვი ფუნჯაა, სუსტად განვითარებული. ბუჩქის სიმაღლე 50–80 *სმ* აღწევს, შედგება 3–6 ღეროსაგან. გორგლი ღეროს მიწისქვეშა სახეცვლილებაა. მის ზედაპირზე, ჩაღრმავებებში, 3–4 კვირტიანი თვლები ზის. გორგლის ფორმა შეიძლება იყოს მომრგვალო, წაგრძელებული, ოვალური და სხვ.; გარეგანი შეფერილობა და რბილობის ფერი – თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი, წითელი და ლურჯი. ფოთოლი კენტფრთისებრგანკვეთილია, აქვს ნაკვთები და ნაკვთულები, ფერად მომწვანო-მოყვითალო ან მუქი მწვანეა. ყვავილი ხუთწევრიანია, თეთრი, მოწითალო-იისფერი ან მოლურჯო-იისფერი. ნაყოფი სფეროსებრი ან ოვალური კენკრაა, აქვს ძალიან წვრილი თესლი (1000 ცალი 0,5–0,6 *გ* იწონის).

პ. მრავლდება ვეგეტატიურად – გორგლით (სელექციის მიზნით – თესლით). პ. ზომიერი ჰავის მცენარეა და კარგად ხარობს ტენიან და გრილ ადგილებში, ამიტომ მთიან რეგიონებში პ-ის ზრდა-განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობებია, მოსავლიანობაც მაღალია და ვირუსული დაავადებებიც ნაკლებია. გამოყენების თვალსაზრისით არსებობს სასუფრე, საკვები და უნივერსალური პ.; ვეგეტაციის მიხედვით არჩევენ საადრეო, საშ. და საგვიანო ფორმებს.

პ. კულტურაში შემოიტანეს სამხრ. ამერიკელმა ინდიელებმა ჯერ კიდევ 9–7 ათ. წლის წინათ, ევროპაში (ესპანეთში) – დაახლ. 1565, შემდეგ გავრცელდა მრავალ ქვეყანაში.

საქართველოში პ-ის ნათესები პირველად XIX ს. 20-იან წლებში გაჩნდა თბილისის ახლომახლო. 1913 პ-ის ნათესებმა 6200 ჰა მიაღწია. 1975 სათესი ფართობი 28 ათ. ჰა აღემატებოდა.



კარტოფილი.

XX ს. 70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა საადრეო პ-ის მოყვანა უმთავრესად ბოლნისის რ-ნში. საქართველოში პ-ს თესავენ ახალქალაქის, ახალციხის, წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს, ხულოს, შუახევის მუნიციპალიტეტებში, მოჰყავთ მთაშიც (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სვანეთი, რაჭა და სხვ.), ზ. დ. 2200–2300 *მ*-მდე. ახალქალაქში, ახალციხესა და წალკაში მოსავალი მეტია. საქართველოში მოჰყავდათ და მოჰყავთ როგორც საადრეო, ასევე საგვიანო პ. ბარის ზონაში პ-ს თესავენ ზაფხულშიც, თავთავიანი პურეულის აღების შემდეგ და მეორე მოსავალს იღებენ. ამ ზონაში (ზ. დ. 500 *მ*-მდე) საადრეო მოსავლის მისაღებად პ. შეიძლება დაითესოს შემოდგომაზეც – ნოემბერში. ახლო წარსულში საქართველოში მოჰყავდათ პ-ის ჯიშები: მაჟესტიკი, თრიალეთური, სახალხო, ლორხი, ეპიკურე, ვოლჟსკი, ოგონიოკი და სხვ. 2000-იდან გასავრცელებლად დაშვებულია და ფერმერებს მოჰყავთ შემდეგი ჯიშები: დეზირე, პალმა, კოსმოსი, პიკასო, იმპალა, სანტე, ნევსკი, ტემპო, რედსკარლეტი, იზორა და სხვ.

პ-ის ტუბერი საშუალოდ შეიცავს 76,3% წყალს, 23,7% მშრალ ნივთიერებას, მ. შ. 17,5% სახამებელს, 0,5% შაქარს, 1–2% ცილას, 1%-მდე მინერ. მარილებს, აგრეთვე C, B_1, B_2, B_6, PP და სხვ. ვიტამინებს. პ. ადამიანის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტია. საადრეო პ. გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებით. ის 2–3-ჯერ მეტ C ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ტუბერები, რ-ებიც ზამთარში ინახება. პ. საქონლის საკვებიცაა, ნედლეულია ბადაგის, დექსტრინის, გლუკოზის, მალტოზას, სპირტის და სხვა ნივთიერებების მისაღებად, გამოიყენება საფეიქრო მრეწველობაში, ქაღალდისა და მედიკამენტების წარმოებაში და სხვ.

ამჟამად, პ-ის სტერილურ მასალას, ქსოვილის კულტურის ,,in vitro'' მეთოდის გამოყენებით, ამუშავებს სსიპ სოფ. მეურნეობის სამეცნ.-კვლ. ცენტრის წილკნის ლაბორატორია. მიღებული სარგავი მასალა თავისუფალია ვირუსებისაგან, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა საკუთარი პროდუქციით დავაკმაყოფილოთ საქართვ. მოსახლეობის მოთხოვნილება პ-ზე, რისი განხორციელებაც, სავარაუდოდ, ახლო მომავალში გახდება შესაძლებელი.

ლიტ.: ბადრიშვილი გ., კარტოფილის კულტურა საქართველოში, თბ., 1963; ჯაფარიძე ა., მემცენარეობა, თბ., 1975; ჯაფარიძე ვ., მებოსტნეობა, თბ., 2016. *გ. ბადრიშვილი. ვ. ჯაფარიძე.*

კარუშეთი, ისტორიული სოფელი თრიალეთში (ახლანდ. სოფ. არწივანი, წალკის მუნიციპალიტეტი). წყაროებში იხსენიება X ს-იდან. XIX ს-ში აქ თურქეთიდან დევნილი ბერძნ. მოსახლეობა დასახლდა და მათ სოფელს ჯინისი უწოდეს. 2012-იდან ეწოდება არწივანი. 485 მცხ. (2014).

ლიტ.: საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II).

კარჩხანა, კარასი (Carassius carassius, Linnaeus, 1758), თევზი კობრისებრთა ოჯახიდან (Cyprinidae Fleming, 1822), კარჩხანების გვარისა (Carassius Jarocki, 1822). მაქსიმალური სიგრძე – 45 *სმ,* მასა – 1–3 *კგ.* ბინადრობს მტკნარ და მარილიან წყლებში. სქესობრივად მწიფდება 4 წლის ასაკიდან. ნაყოფიერება



კარჩხანა.

300000 ქვირითია, ტოფობს მრავალჯერ.

ახალგაზრდა თაობა იკვებება პლანქტონით, მოზარდი კ-ები – მცენარეული და ცხოველური საკვებით. გავრცელებულია ევროპაში, ინტროდუცირებულია მრავალ ქვეყანაში, მ. შ. საქართველოშიც. უარყოფით ზეგავლენას ახდენს წყლის ეკოსისტემებზე (თევზების კონკურენცია კვებისა და გამრავლების ადგილებში). მცირე სარეწაო მნიშვნელობისაა. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მხრიდან საჭიროებს ზრუნვას (LC).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013. *ნ. ნინუა.*

კარწაულთა, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ხევსურეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ლიქოკისხევის (ხევსურეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1820 *მ*, დუშეთიდან 70 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

კარწახი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ხოზაფინის (კარწახის) ტბის ჩრდ.-აღმ-ით. თემის ცენტრი (სოფლები: კ., ფილიპოვკა). ზ. დ. 1860 *მ*, ახალქალაქიდან 30 *კმ*. 776 მცხ. (2014).

კარწახის ტბა, იხ. *ხოზაფინის ტბა.*

კარჭინის ზარაფხანა, ლითონის ფულის მოსაჭრელი სახელოსნო, რომელიც ფუნქციონირებდა ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე. მისი არსებობის ფაქტი ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით დაადგინა ც. ღვაბერიძემ. დღეისათვის ცნობილია კ. ზ-ში მოჭრილი 5 მონეტა. 1 დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ-ბის განძის ფონდში (№5549), 3 ც. – ერმიტაჟში (სანქტ-პეტერბურგი) და 1 ც. – სომხეთის ისტ. მუზეუმში (ერევანი). მათი ემისიის თარიღია ჰიჯრით 749–750 (1348/49–50). ყველა მათგანი მოჭრილია ილხან ანუშირვანის (1344–53) სახელით. ვინაიდან ჩრდ. ოსეთის ტერიტორია ოქროს ურდოს იურისდიქციას ექვემდებარებოდა, პარადოქსულად გამოიყურება ის ფაქტი, რომ კ. ზ. და *ალაგირის ზარაფხანაც* სამონეტო ემისიას აწარმოებდა ჰულაგუიდების სახელით. ც. ღვაბერიძე ამას იმით ხსნის, რომ გაორება ბრწყინვალისა (1318–46) და დავით IX-ის (1346–60) დროს ჩრდ. ოსეთი ემორჩილებოდა საქართველოს, სადაც მონეტების ემისია ილხანთა სახელით ხორციელდებოდა. ამიტომაც დამორჩილებული რეგიონის ზარაფხანებშიც საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტები მოიჭრა.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ღვაბერიძე ც., კარჭინის ზარაფხანა, «ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1976, ტ. 32B.

კასათა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის ხვწის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. ლიახვის მარცხ. მხარეს. ზ. დ 1300 *მ*, ჯავიდან 5 *კმ*.

კ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კასარა, თრუსოს ხეობის მონაკვეთი. იხ. *კასრისხევი.*

კასია (Cassia), მრავალწლოვანი ბალახის, ბუჩქების ან ტანდაბალი ხეების გვარი ცეზალპინიასებრთა ოჯახისა. 500–600 სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. სამკურნ. მნიშვნელობა აქვს სინამაქის ხეს (C. acutifolia), რ-ის სამშობლოდ სუდანს მიიჩნევენ. მისი ერთწლიანი კულტურა გვხვდება შუა აზიასა და ყაზახეთში. საქართველოში ხარობს სუბტროპ. მცენარეთა სარტყელში. ბუჩქის სიმაღლე 1,5 *მ* აღწევს. სამკურნალოდ იხმარება მისი ფოთოლი, რ-იც „ალექსანდრიული ფოთლის“ (სინამაქის ფოთლის) ან სენას სახელით არის ცნობილი, აგრეთვე პარკი (ალექსანდრიული პარკი); შეიცავს ანტრაგლიკოზიდებს. ხიარიშამბარი, ანუ ხეჩერჩხელა (C. fistula) საქართველოში ეგვიპტიდან და ინდოეთიდან შემოჰქონდათ. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში.



კასია.

ნ. წუწუნავა.

კასიდა, აღმოსავლური პოეზიის ჟანრი. ჩამოყალიბდა არაბ. ლიტრაში VI ს-ში. ტრად. კ. შედგება ერთიანი რითმითა (მონორითმი) და მეტრით გაწყობილი 20-იდან 200-მდე ბაითისაგან. ყოველი ბაითი ლოგიკურად დასრულებული ნაწყვეტია. თავისი ბუნებით კ. სინკრეტულია. იგი იწყება ლირ. ნაწილით – ნასიბით, რ-შიც პოეტი მიტოვებული სადგომის დანახვაზე მისტირის სატრფოსთან ერთად აქ გატარებულ დღეებს. მომდევნო ნაწილში (ვასფი) აღწერილია პოეტის მოგზაურობა, ბუნება, მისი აქლემის ან ცხენის თვისებები და სხვ. მესამე ნაწილში პოეტი ხოტბას ასხამს თავის ტომს, ბელადს (მადჰი) ან საკუთარ ღირსებებს (ფახრი), შემდგომ ისტ. პერიოდში – მფარველ ფეოდალს. ეს ნაწილი ხშირად სატირულია, მიმართულია პოეტის ან მისი მფარველის მტრების წინააღმდეგ (ჰიჯა – დაცინვა). კ-ის შემადგენელი ნაწილია ხამრიათიც – ღვინის თემა. დროთა განმავლობაში ზოგი ნაწილი და თემა დამოუკიდებელ ჟანრად იქცა. კ. ადრე გავრცელდა ირანში, თურქეთსა და აღმ. სხვა ქვეყნებში. არსებითი ცვლილება განიცადა ნასიბმა, რ-იც ეროვნ. შინაარსით დაიტვირთა (მაგ., რუდაქი, ხაკანი).

კ-ის ჟანრი გამოყენებული აქვს თავის ლირ. სახოტბო და სატირულ ლექსებში ქართული წარმოშობის ირანელ პოეტს *თალებ შირაზი გორჯის.*

ლიტ.: Бертельс Е. Э., История персидско-таджикской литературы, Избр. труды, [т.] 1, М., 1960; Brockelmann C., Geschichte der arabischen Literatur, 2. Aufl., Bd. 1–2, Leiden, 1943–49.

კასიუს დიო კოჟცეიანუსი (Cassius Dio Cocceianus), იხ. სტ. *დიონ კასიოსი (კოკეიანოსი).*

კასლანძია ლეუარსან შარდინის ძე [25. V. 1912, სოფ. კუტოლი (ახლანდ. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი), – 1996], აფხაზი მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1954). 1929–33 სწავლობდა სოხუმის თეატრ. სტუდიაში. 1931-იდან სოხუმის თეატრის აფხა-



ლ. კასლანძია.

ზური დასის მსახიობია. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ოტელო (უ. შექსპირის ,,ოტელო''), დაური (დ. გულიას ,,გმირის კლდე''), გიორგი (ვ. გაბესკირიას ,,სამი მეგობარი''), ჯემალი (ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები''), თარაში (გ. გაბუნიას ,,მზის ამოსვლის წინ''), მაცი (ს. ჭანბას ,,კერაზი''), მოხუცი (მ. კოვეს ,,კეხსაჯარათი''), კომისარი და კონტრადმირალი (ა. კორნეიჩუკის ,,ესკადრის დაღუპვა''), განდეგილი რაში (ს. ჭანბას ,,ახმაჯირი''), ბაროვსკი (ბ. ლავრენიოვის ,,ვინც ზღვაშია''), კაკუტა (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), უჩა (ვ. პატარაიას ,,უჩა უჩარდია''), შაბათი (ბ. შინკუბას ,,კლდის სიმღერა''), მეფე (ე. შვარცის ,,შიშველი მეფე''), მუროვი (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), არდაშელი (ა. ლასურიას ,,სპეტაკი სიყვარული''), რაული (გ. მდივანის ,,კეთილი ნების ადამიანები''), რეჯებ ბეი (ნ. ჰიქმეთის ,,ახირებული''), იაკობი (ქ. აგუმას ,,დიდი მიწა'') და სხვ. პ-ს შემოქმედება გამოირჩეოდა ფართო დიაპაზონით. ის ერთნაირი სიძლიერით ქმნიდა დრამატულ, სახასიათო და კომედიურ სახეებს. მისი სცენური გმირები სხვადასხვა ეროვნების, მსოფლშეგრძნებისა და სრულიად განსხვავებული ხასიათის ადამიანები იყვნენ, გამოირჩეოდნენ სულიერი სიძლიერით, ჰუმანურობით, სამართლიანობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით და მიზნისაკენ დაუოკებელი ლტოლვით.

ლიტ.: არგუნი ა., ლეუარსან კასლანძია, თბ., 1970.



კასპის გერბი (2009-იდან).

კასპი, ქალაქი (1959-იდან) აღმოსავლეთ საქართველოში (შიდა ქართლის რეგიონი), კასპის მუნიციპალიტეტის ცენტრი. გაშენებულია მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ორივე ნაპირზე, იქ, სადაც მდინარე კვეთს *კვერნაქებს* და გამოდის შიდა ქართლის ვაკეზე. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 560 *მ*, თბილისიდან 48 *კმ*. 13,4 ათ. მცხ. (2014).

ქალაქი ძირითადად გორაკ-ბორცვებზეა გაშენებული. ჰავა სტეპურიდან ნოტიოზე გარდამავალია; იცის ზომიერად ცივი ზამთარი და მშრალი, ცხელი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 11,4°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 0,5°C, აგვ. 23°C; აბსოლ. მინ. –27°C, აბსოლ. მაქს. 40°C. ნალექები 450 *მმ* წელიწადში.

ახლანდ. ქალაქის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია. მატიანეში ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'' პ. ქართლის ოთხ უძველეს ქალაქთა (პ., სარკინე, ურბნისი, ოძრხე) შორის მოიხსენიება. მემატიანე *ლეონტი მროველი* (XI ს.) ქალაქის დაარსებას ქართველთა ერთ-ერთ ეთნარქ უფლოსს მიაწერს.

ბუნებრივმა პირობებმა და გეოგრ. გარემომ ადრიდანვე განაპირობა ამ ადგილზე ქალაქის ტიპის დასახლების წარმოქმნა. ,,მოქცევაი ქართლისაის'' მიხედვით ძვ. წ. I ს-ში მეფე არსუკმა ,,კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო''. პ. იხსენიება ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებითაც 337.

პ. განსაკუთრებით V ს-ში დაწინაურდა. ქალაქს დიდი სამხედრო-სტრატეგიული და კულტ. მნიშვნელობა ჰქონდა, ჰყავდა საკუთარი სპასალარი და წარმოადგენდა გარკვეული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის — ,,კასპის სასპასალაროს'' ცენტრს. პ-ში იზრდებოდა *ვახტანგ I* გორგასალის და მირანდუხტი, რ-იც, მემატიანის გადმოცემით, სამი წლის ასაკში ტყვედ წაიყვანეს. V–VIII სს-ში პ. კვლავ ინარჩუნებდა მნიშვნელოვანი პოლიტ. ცენტრის როლს ქართლში. VIII ს. 30-იან წლებში არაბთა სარდალმა მურვან-ყრუმ ქალაქი ისე ააოხრა, რომ მასში საბოლოოდ ჩაკვდა საქალაქო ცხოვრება. ,,და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი'' – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი.

ქალაქის ტერიტორიაზე მიკვლეული არქეოლ. ძეგლები ადასტურებს, რომ პ. შემდეგ ხანაშიც პოლიტ., ეკონ. და კულტურულად საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა (ყურადღებას იქცევს აქ აღმოჩენილი XII ს. მოჭიქული კერამიკა ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით). პ. და მისი შემოგარენი საქართველოს ერთიანი ფეოდ. სამეფოს არსებობის პერიოდში (XI–XV სს.) ადმინისტრაციულად ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში იყო. საქართველოს ერთიანი ფეოდ. სამეფოს დაშლისა და სათავადოთა სისტემის წარმოქმნის შემდეგ (XV ს. II ნახ. – XVIII ს.) იგი ქართლის სამეფოს მსხვილი ფეოდალების, თავად ამილახვართა სამფლობელოში შედიოდა. ერთ ხანს, კერძოდ, XVI ს. II ნახ-ში, ირანის შაჰის ტყვეობიდან გათავისუფლებულმა ქართლის მეფე სიმონ I-მა პ. ბარძიმ ამილახვარს ჩამოართვა და სვეტიცხოველს შესწირა. XIX ს. პ. სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა.

პ-ში არის რამდენიმე სამრეწველო საწარმო, მ. შ. ცემენტის ნედლეულის საბადო, რ-ის ბაზაზე მუშაობს *კასპის ცემენტის ქარხანა*. ქალაქში ფუნქციონირებს სს ,,*კასპიელექტროაპარატი*'', საკონსერვო მრეწვ. საწარმო – შპს ,,*თიემთი*'', სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, ბ-კები, ო. კელაპტრიშვილის სახ. კულტ. სახლი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამედ. დაწესებულებები.



კასპი. ცენტრალური მოედანი.

ქალაქში შემორჩენილია ფეოდ. ხანის ეკლესიები – კვირაცხოველი, ღვთისმშობელი და სხვ. 2012 წ. 13 დეკემბერს კ-ში ეკურთხა ვახტანგ გორგასლის საკათედრო ტაძარი, რ-იც მოცულობით უდიდესია შიდა ქართლის რეგიონში არსებულ ტაძრებს შორის, ხოლო საქართვ. ტერიტორიაზე ერთ-ერთი უდიდესი ბაზილიკაა. კ-ში დგას გიორგი სააკაძის ძეგლი (1971, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, არქიტ. გ. ჯაფარიძე), II მსოფლიო ომში (1939–45), ასევე საქართვ. ტერიტ. მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალები.

ვ. ჯაოშვილი. ჯ. გვასალია.

კასპიები (ბერძნ. Kaspioi, ლათ. Caspii), იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ტომები, ცხოვრობდნენ აღმ. აზერბაიჯანის სტეპებში. პირველად იხსენიებს ჰეროდოტე ძვ. წ. V ს-ში. მოგვიანებით (დაახლ. ძვ. წ. I ს-ში) შეერივნენ მიდიელებს, ალბანელებს და სხვა ტომებს. მათი სახელი ეწოდა კასპიის ზღვას და ძვ. აზერბაიჯანის ერთერთ ოლქს – კასპიანეს.

არსებობს მოსაზრება, რომ კ. მიეკუთვნებიან ინდოევროპულამდელ ტომებს. კ-ის შესახებ ცნობები შემონახულია ანტ. წყაროებში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ.,1970; Сванидзе А., Материалы по истории алародийских племен, Тб., 1937.

„კასპიელექტროაპარატი“ (საქციო საზოგადოება), ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმო, ამ პროფილის ერთადერთი საწარმო ამიერკავკასიაში. შეიქმნა 1958 კასპში. 1991-მდე საკავშ. დაქვემდებარებაში იყო, 1972 თბილ. საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ შემადგენლობაში შევიდა. 1994 აღნიშნული გაერთიანების დაშლის შედეგად კასპის ქ-ნა „კასპიელექტროაპარატი“ ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა „კ.“ უშვებდა ფართო ასორტიმენტის ელექტროტექნიკურ პროდუქციას: სხვადასხვა ტიპის მართვის ფარებს, პულტებს, ბლოკებს, კარადებს და სხვ. საშუალოდ წლიურად აწარმოებდა 25 მლნ. მანეთის პროდუქციას, ჰყავდა 600-მდე მომწოდებელი, 1600-მდე მომხმარებელი; პროდუქცია იგზავნებოდა საბჭ. კავშირის რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის 50 ქვეყანაში. ქ-ნას საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა ფრანგ. ფირმა „პენტამელეკთან“, უნგრულ ფირმა „ნოვოგლობუსთან“, ბულგარულ ფირმა „ელექტროიმპექსთან“ და სხვ. „კ-ს“ მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობაში საქართველოსა (თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის, რუსთაველის თეატრის აღდგენა-რეკონსტრუქცია, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი, თბილ. „დინამოს“ სტადიონი და სხვ.) თუ საბჭ. კავშირის ქალაქებში (ბაკანურის კოსმოდრომი, კალინინგრადის კოსმ. მართვის ცენტრი, მოსკ. 22-ე ოლიმპიური თამაშების ობიექტები, ურენგოი–უჟგოროდის გაზსადენი, მოსკ. კრემლის რეკონსტრუქცია, ატომური ელექტროსადგური და სხვ.).


1990-იდან ქვეყანაში მიმდინარე ეკონ. და პოლიტ. პროცესების გამო გაწყდა ეკონ. კავშირები ყველა დამკვეთ და მომწოდებელ ორგანიზაციასთან, რამაც გამოიწვია გამოშვებული პროდუქციის შემცირება. ქ-ნამ დროებით შეიცვალა პროფილი და დაიწყო საყოფაცხოვრებო საქონლის წარმოება. ამჟამად „კ.“ მუშაობს კერძო დაკვეთებზე, უშვებს ოთხზე მეტი სახეობის სხვადასხვა ნომენკლატურის პროდუქციას: დაბალი და მაღალი ძაბვის გამთიშველებს, საქალაქო და სასოფლო დანიშნულების სატრანსფორმატორო ქვესადგურებს, აღრიცხვის კარადებს, შენობების სართულშორის გამანაწილებელ კარადებს და სხვ.

უ. მოსიაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში (შიდა ქართლის რეგიონი). ჩრდ-ით ესაზღვრება ახალგორის, აღმ-ით – დუშეთისა და მცხეთის, სამხრ-ით – თეთრი წყაროსა და წალკის, დას-ით – გორის მუნიციპალიტეტები. ფართ. 803,2 *კმ*². მოსახლ. 43,8 ათ. კაცი (2014). ცენტრი – ქ. *კასპი*. მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი, 74 სოფელი, 1 სათავო სოფელი (ხოვლე), 15 თემი: აღაიანის, ახალქალაქის, ახალციხის, დოესის, ზემო ხანდაკის, თელიანის, კავთისხევის, კოდისწყაროს, ლამისყანის, მეტეხის, ოკმის, სამთავისის, ქვემო გომის, ქვემო ჭალის, წინარეხის.

ბუნება. კ. მ-ის მთავარი ოროგრაფიული ერთეულია *თრიალეთის ქედი* (მთა ობოლი კლდე, 2022 *მ*). მუნიციპალიტეტის ფარგლებში შედის ქედის ჩრდ. კალთა. იგი აგებულია ინტენსიურად დანაოჭებული ზედაცარცული (შუა კალთებზე – კარბონატული) და მესამეული ასაკის ქანებით (თიხა, ქვიშაქვა, მერგელი, ალაგ-ალაგ – ვულკანოგენური წყება). კალთაზე კარგად არის გამოხატული სამ. სიმაღლის მთა-ხეობათა რელიეფი და საფეხურებრივად განლაგებული მოვაკებული ზედაპირები, ხოლო დაბლა სერებიან-ბორცვიანი მთისწინეთია. მუნიციპალიტეტის შუა ნაწილი უჭირავს მეოთხეული ალუვიური ნალექებით აგებულ მტკვრისპირა ტერასულ ვაკეს. იგი დანაწევრებულია ხევ-ხეობებით, რ-თა ბოლოებში გამოზიდვის ფართო კონუსებია. ვაკის ჩრდ-ით ზედამიოცენურ-ქვედაპალეოცენური მოლასური წყებებით აგებული მონოკლინური სერია – *კვერნაქები* (მთა წლევი, 1097 *მ*), რ-იც გაკვეთილია ლეხურისა და ქსნის ხეობებით. ხშირია ხევ-ხრამები, კვერნაქების თხემზე შემორჩენილია მოვაკებული ზედაპირები და ტერასები. სამხრ. კალთაზე განვითარებულია ბედლენდები (უნაყოფო ნიადაგი). არის ხელოვნური გამოქვაბულებიც. კვერნაქის სერის ჩრდ-ით მდებარეობს პლეისტოცენური ფხვიერი ნალექებით აგებული ტირიფონისა და მუხრან-საგურამოს ვაკეები, რ-თა შუაში აღმართულია იგოეთის ამაღლება. მუნიციპალიტეტის უკიდურესი ჩრდ. ნაწილი უჭირავს სარმატული და მეოტურ-პონტოური თიხებით, ქვიშაქვებითა და კონგლომერატებით აგებულ სერებიან-ბორცვიან და გამოზიდვის კონუსებიან მთისწინეთს.

მუნიციპალიტეტის უმთავრესი წიაღისეულია მერგელები, თეძმის ტუფი, ბენტონიტური თიხა (ხოვ-



ლის მიდამოები), სააგურე და საკრამიტე თიხები (მდ. ქსნის ქვემოწელში და მეტეხთან), გოგირდწყალბადიანი წყლები (სოფ. ხოვლესთან).

ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. კარგად არის გამოხატული ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობა. მუნიციპალიტეტის ვაკე ნაწილში ზომიერად თბილი, სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ჰავაა, იცის ცხელი ზაფხული. თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთებზე ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი, თბილი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპრა 11,4° C-იდან (კასპში) 0°C-მდეა (თრიალეთის ქედის თხემზე), შესაბამისად, იანვ. საშ. ტემპ-რა 0,5° C-იდან –6°C-მდე, აგვ. 23°C და 10–11°C. აბსოლ. მინ. –30°C, აბსოლ. მაქს. 40°C. ბარში ნალექების რაოდენობა 500–550 *მმ* წელიწადში, მთაში – 600–700 *მმ*. ნალექების მაქს. მაისშია (110 *მმ*), მინ. – იანვარში (25 *მმ*). ზაფხული გვალვიანია. გაბატონებულია დას. და აღმ. ქარები. მთიან ნაწილში ხშირია მთა-ხეობათა ქარები.

მუნიციპალიტეტს თითქმის შუაზე კვეთს მდ. მტკვარი. მისი შენაკადებიდან მთავარია: მარცხნიდან – ქსანი და ლეხურა, მარჯვნიდან – თეძამი და კავთურა. მდინარეები შერეული საზრდოობისაა, ჭარბობს წვიმის წყლით საზრდოობა. მდინარეებს იყენებენ ენერგეტ. მიზნებისათვის და სარწყავად.

მტკვრისპირა და მუხრანის ვაკეებზე, აგრეთვე მთავარ მდინარეთა ხეობების ძირზე კარბონატული და უკარბონატო ალუვიური ნიადაგებია, ვაკის ტენიან უბნებში – მდელოს კარბონატული ნიადაგი, მთისწინეთსა და თრიალეთის ქედის კალთების ქვემო ნაწილში – ტყის ყავისფერი, შუა და ზემო ნაწილში – ტყის ყომრალი ნიადაგი. თხემურ ზოლში კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგებია. კვერნაქების სამხრ. კალთასა და მდინარეთა ხევ-ხეობების ციცაბო ფერდობებზე სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ზოგან ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგია.

მუნიციპალიტეტის ვაკის მდინარეთა ჭალებსა და ჭალისზედა ტერასებზე შემორჩენილია ჭალის ტყეები. ძირითადი ჯიშებია: ტირიფი, ვერხვი, ოფი, მურყანი, ჭალის მუხა; ქვეტყეში გვხვდება კუნელი, ქაცვი, მგლისყურძენა და სხვ. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს ჯაგეკლიან სტეპს, მათი მთავარი შემქმნელია ძეძვი, შავჯაგა, გრაკლა, კვრინჩხი, კუნელი; აქა-იქ გვხვდება აკაკი, ქართული მუხა. ბალახეულიდან გავრცელებულია ურო, წივანა, ურცი, იორდასალამი და სხვ. მთების ქვემო კალთებზე მუხნარი და რცხილნარია, იზრდება აგრეთვე ნეკერჩხალი, იფანი, პანტა, მაჟალო და სხვ. ტყეების დიდი ნაწილი გაჩეხილია.

თრიალეთის ქედის შუა კალთებზე წიფლნართან ერთად იზრდება იფანი, ცაცხვი, მთის ნეკერჩხალი; ქვეტყეში – თხილი, უცვეთელა, ჭანჭყატი და სხვ. ამავე ზონაში მცირე კორომებად ნაძვნარი და ნაძვნარ-სოჭნარია, ტყის ზემო საზღვრის გასწვრივ – ტანბრეცილი წიფლის, არყის, მაღალმთის ბოყვისა და მუხის სუბალპ. ტყეები. თრიალეთის ქედის თხემი შემოსილია მეორეული მთის მდელოებით.

ცხოველთაგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება შველი, კვერნა, მაჩვი, მგელი, მელა, ტურა, მურა დათვი; ბევრია მღრღნელები: ციყვი, თაგვი, ზაზუნა, კურდღელი, ღამურა, ზღარბი, თხუნელა, ბიგა; ფრინველთაგან – ყორანი, ყვავი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, შოშია, ტოროლა, კოდალა, გუგული და სხვ.; ქვეწარმავლებიდან – კუ, გველგესლა, ანკარა; ამფიბიებიდან – ბაყაყი, გომბეშო, ტრიტონი. მდინარეებში ვხვდებით კალმახს, ხრამულს, ტობს და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. ჭალები ძირითადად ჭალის მცენარეულობით, ალუვიური ნიადაგით; 2. დახრამული ტერასული ვაკე ჯაგეკლიანი და სტეპური მცენარეულობით, ალუვიური და ყავისფერი ნიადაგებით; 3. ხევ-ხეობები ციცაბო (ალაგ-ალაგ ბედლენდური) ფერდობებით, ფრიგანოიდული, სტეპური და კლდის ქსეროფილური მცენარეულობითა და ჩამორეცხილი ნიადაგით; 4. ხევხრამიანი მთისწინეთის კალთები, ჯაგეკლიანი და სტეპური მცენარეულობით, ტყის ყავისფერი ნიადაგით; 5. მთისწინეთის კალთები ჯაგრცხილნარ-მუხნარით და ჯაგეკლიანებით, ტყის ყავისფერი ნიადაგით; 6. ბორცვიანი მთისწინეთი ჯაგეკლიანებით და ჯაგრცხილნარ-მუხნარით, ტყის ყავისფერი ნიადაგით; 7. დაბალი მთები რცხილნარ-მუხნარით, ტყის ყავისფერი და ტყის ყომრალი ნიადაგებით; 8. საშ. მთები (მოსწორებული ზედაპირების უბნებით) წიფლით, ზოგან ნაძვნარ-ფიჭვნარით, ტყის ყომრალი ნიადაგით; 9. სუბალპ. ტყეები და მდელოები, მთის ტყისა და მთის მდელოს ნიადაგებით.

მოსახლეობა. მოსახლ. 86,5% ქართველია, ცხოვრობენ აგრეთვე აზერბაიჯანელები (8,1%), ოსები (3,9%) და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 500–800 *მ* ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 54,5 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე (2014).

მეურნეობა. სოფ. მეურნ. ძირითადი დარგებია მევენახეობა, მეხილეობა და მარცვლეულის მეურნეობა, განვითარებულია აგრეთვე



კასპი. საერთო ხედი.

მეცხოველეობა. სას.-სამ. სავარგულს უჭირავს მუნიციპალიტეტის ფართობის დაახლ. 40%. ძირითადად მოჰყავთ მარცვლეული (ხორბალი), პარკოსანი და საკვები კულტურები. მნიშვნელოვან ფართობზეა ვენახისა და ხეხილის ნარგავები. მეცხოველეობაში წამყვანია მესაქონლეობა. განვითარებულია მეფრინველეობა.

მრეწველობაში წამყვანია სამშენ მასალათა წარმოება. ადგილ. მერგელების ბაზაზე მუშაობს *კასპის ცემენტის ქარხანა*, მნიშვნელოვანია სს ,,*კასპიელექტროაპარატის*'', კასპის საკონსერვო კომბინატის ბაზაზე დაარსებული შპს ,,*თიემთის*'' და შპს ,,ჯორჯიან პლასტიკ პაიპსის'' (მეტეხის პოლიეთილენის მილების ქარხანა) მიერ დამზადებული პროდუქცია. მუნიციპალიტეტს აღმ-იდან დასკენ კვეთს სარკინიგზო მაგისტრალი და ავტობანი თბილისი–სარფი.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, ბ-კები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (კასპი), ივ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ხოვლე). მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება შპს ,,გინიკა''.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები: *იდლეთის* იოანე ნათლისმცემლის (VI ს.), *იკვის* წმ. გიორგის (XI ს. II ნახ.), *კაბერის* (X–XI სს.) ეკლესიები, *სამთავისის* საეპისკოპოსო ტაძარი (XI ს.), ქვათახევის მონასტერი (XII–XIII სს. მიჯნა), *მაღალაანთ ეკლესია* (XII ს. დასასრ.) წინარეხის მიდამოებში. *რკონის* სამონასტრო ანსამბლის ბაზილიკა (ადრინდ. შუა საუკუნეები) და ეკლესიები (განვითარებული შუა საუკუნეები), *მეტეხის* (XIII ს.), *ერთაწმინდის* წმ. ესტატეს (XIII ს.) ეკლესიები, *გუდალეთის* ღვთისმშობლის ტაძარი (XIII–XIV სს. მიჯნა), გიორგი სააკაძის კოშკი (XVII ს.) *ნოსტეში*, სხვილოს ციხე (შუა საუკუნეები), *აღაიანის* წმ. ნინოს (VII–VIII სს.), წმ. გიორგის (XIX ს.) ეკლესიები.

ქ. კასპში დგას გიორგი სააკაძის ძეგლი (1971, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), II მსოფლიო ომში და საქართვ. ტერიტ. მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალები. *ქ. ჯაყელი. ვ. ჯაოშვილი. თ. გერსამია.*

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ისტორიული მუზეუმი ქ. კასპში (ააიპ – არასამთავრობო, არაკომერციული იურიდიული პირი), დაარსდა 1960 წ. 22 ივნისს. ჯ. მ. მ. ექვემდებარება კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებას. მუზეუმის ფართობია 633 $მ^2$, აქედან მუდმივ ექსპოზიციას უჭირავს 199 $მ^2$, პერიოდულ გამოფენებს – 200 $მ^2$, საცავს – 108 $მ^2$.

მუზეუმის ჩამოყალიბებისას არც ერთი ექსპოზიცია და სამუზეუმო კოლექცია არ არსებობდა. პირველი ექსპოზიცია ჯ. მ. მ-ში 1963 წ. 5 ოქტომბერს გაიხსნა, დღეისათვის სამუზეუმო ფონდებში ითვლება 20 ათ-ზე მეტი ექსპონატი და სამუზეუმო მასალა.

ჯ. მ. მ-ში დაცულია კასპის, რენეს, მეტეხის, თეზის ტერიტორიებზე არქეოლ. გათხრების შედეგად მოპოვებული ადრე- და შუაბრინჯაოს ხანის მასალები, ყორღანებიდან მოპოვებული ძვ. წ. III–I ათასწლეულებით დათარიღებული ნივთები, ძირითადად თრიალეთის კულტურისთვის დამახასიათებელი კერამიკა; გვიანბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი, ძვ. წ. XIV–XII სს-ით დათარიღებული სამოსელის დეტალები, ცხენის აღკაზმულობა, სამუშაო და საბრძოლო იარაღი (აღმოსავლეთქართული ცულები, სატევრები, შუბისპირები; ძვ. წ. XIII–VII სს.), სოფ. სასირეთში შემთხვევით აღმოჩენილი მოოქრული ვერცხლის დისკო (ძვ. წ. III ს.), ელინისტური ხანის დიონისეს ქანდაკება (ბრინჯაო, ძვ. წ. III–II სს.) და სამტუჩა სურა-ოინოხოია (ახ. წ. I ს.), შუა საუკუნეების თიხის მოჭიქული ჭურჭელი.

მუზეუმში პერიოდულად ეწყობა გამოფენები.

ჯ. მ. მ-ში მოქმედებს საგანმან. პროგრამები: ,,ეს ჩვენი წარსულია'', ,,გაკვეთილი მუზეუმში'', ,,მუზეუმი – სიძველეთსაცავი''. მუზეუმი გამოსცემს გზამკვლევს. მას ყოველწლიურად სტუმრობს დაახლ. 600 დამთვალიერებელი.

ჯ. მ. მ-ს აქვს 4 ფილიალი: ივ. ჯავახიშვილის (სოფ. ხოვლე), გენერალ გ. მაზნიაშვილის (სოფ. სასირეთი), ა. და მ. ჯამბაკურ-ორბელიანების (სოფ. ლამისყანა), ო. კელაპტრიშვილის (სოფ. კავთისხევი) სახლ-მუზეუმები.

თ. ალიბეგაშვილი.



კასპი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზი.

კასპის სამაროვანი, გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. XIV–VIII სს.) სამაროვანი ქ. კასპში, რკინიგზის სადგურის მახლობლად, მდ. ლეხურის მარჯვ. ნაპირზე. 1962–63 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრაფიის ინტის მცხეთის არქეოლ. ექსპედიციის კასპის რაზმმა (ხელმძღვ. ა. *კალანდაძე*, რაზმის უფროსი მ. ბარამიძე) გათხარა ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი ქვაყუთები, აგრეთვე სწორკუთხა (1,5$მ$×1$მ$) და ოვალური ფორმის ორმოსამარხები, რ-ებიც უმეტესად გადახურულია ხის ძელებით და მიწით ან ქვით არის მოზვინული, აგრეთვე 1 კენოტაფი. ორი ორმოსამარხი თიხაფიქლის ქვებით იყო გადახურული. გვხვდება როგორც ინდივიდ., ისე წყვილადი სამარხები. მიცვალებული მოთავსებულია ხელფეხმოხრილ მდგომარეობაში და ძირითადად დამხრობილია ჩრდიდან სამხრ-კენ. ქალების ჩონჩხი დასვენებულია მარცხ. გვერდზე, მამაკაცების კი – მარჯვენაზე. იშვიათია ქალების მარჯვ. გვერდზე ან ზურგზე დაკრძალვის შემთხვევა. ზოგიერთ სამარხში ჩატანებულია წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ნაწილები.

გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრინდ. ეტაპის (ძვ. წ. XIV–XIII სს. დასაწყისი) სამარხებში გამოვლინდა უმეტესად ჩარხზე დამზადებული კერამიკა (დერგები, ქილები, ქოთნები, ლანგრები, სასმისები, პირმოყრილი ჭურჭელი), სამკაული (თავხვია, სადა ან გრეხილტარიანი, მრგვალგანივკვეთიანი, ოთხი კოპით შემკული მრგვალთავა საკინძები, სარდიონის ნა-

პობი მძივები და სხვ.). გვიანდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XIII–XII სს.) სამარხებში გვხვდება მრავალფეროვანი დახვეწილი კერამიკა; იარაღიდან – ,,კახური'' სატევარი, რელიეფურსალტეებიანი შუბისპირი და სხვ. მომდევნო, ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდის (ძვ. წ. XI–X სს.) სამარხებში წარმოდგენილია ბრინჯაოს მთლიანსხმული მახვილები, ორნამენტიანი შუბისპირები, მრგვალთავიანი საკინძები. კერამიკული ნაწარმიდან – ლითონის ჭურჭლის მიბაძვით დამზადებული სასმისები და მთლიანი ბადიები. ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. IX–VII სს.) სამარხებში აღმოჩნდა რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები, ოვალური და გრძელი სწორკუთხაყუნწიანი სატევრები, მოხრილი დანები; ბრინჯაოს გრძელყუნწიანი ორფრთიანი ისრისპირები, ბოთლისებურთავიანი და სხვაგვარი საკინძები.



კასპიური შურთხი.

მოპოვებული მასალა ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლიტ.: ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი, წგ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990. *რ. რუსიშვილი.*

კასპის ცემენტის ქარხანა (შპს ,,ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია'' კასპის ცემენტის ქარხანა), ცემენტის მრეწველობის პირველი საწარმო საქართველოში. მისი მშენებლობა დაიწყო 1927 კასპში არსებული კირქვისა და თიხის მარაგების ბაზაზე. ამუშავდა 1931, როგორც ი. სტალინის სახ. კასპის ცემენტის ქ-ნა. იმ დროისათვის მისი სიმძლავრე შეადგენდა 120 ათ. *ტ* კლინკერს (ცემენტის დასამზადებელი შეცხობამდე გამომწვარი ნედლეული) და 150 ათ. *ტ* ცემენტს წელიწადში. 1938 საწარმოს დაერქვა ი. სტალინის სახ. საქართველოს ცემენტის ქ-ნა, ხოლო 1957-იდან კვლავ დაუბრუნდა პირვანდელი სახელი – პ. ც. ქ. 1954 ქ-ნას შეუერთდა შიფერის ქ-ნა (ამუშავდა 1945) საამქროს სახით და 1978-იდან ეწოდა ,,კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი'', ხოლო 1987 გახდა საწარმოო გაერთიანება ,,კასპიცემენტი''. საწარმოს ძირითადი პროდუქცია იყო ცემენტი, შიფერი და წვრილი საკედლე ბლოკი. 1949–75 რეკონსტრუქციისა და განახლებითი სამუშაოების შედეგად ქ-ნის სიმძლავრემ 830 ათ. *ტ* ცემენტს და 647 ათ. *ტ* კლინკერს მიაღწია წელიწადში, ხოლო 1980–88 განხორციელებული მომდევნო რეკონსტრუქციის შემდეგ ცემენტის წარმოება წელიწადში 966 ათ. *ტ*-მდე, კლინკერის კი – 700 ათ. *ტ*-მდე გაიზარდა.



კასპის ცემენტის განახლებული ქარხანა.

1991-იდან ქვეყანაში მიმდინარე ეკონ. კრიზისის გამო ქ-ნაში ცემენტის წარმოება საგრძნობლად შემცირდა, 1994–99 კი სრულიად შეწყდა. 1991 მოხდა ქ-ნის პრივატიზაცია, რ-ის შემდეგაც ,,კასპიცემენტი'' ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა. 2004 ქ-ნა კომპანია ,,საქცემენტის'' მფლობელობაში გადავიდა. 2000–06 აღდგა ქ-ნის საწარმოო პროცესი. 2006 ,,საქცემენტის'' აქციების 75% შეიძინა სამშ. მასალების წარმოების მსოფლიო ლიდერმა, გერმანულმა კომპანიამ ,,ჰაიდელბერგცემენტმა''. 2007-იდან კომპანიას სახელი კვლავ შეეცვალა და ,,*ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია*'' ეწოდა, რ-ის შემადგენლობაშიც შევიდა ,,კასპის ცემენტის ქარხანა'' როგორც შპს. ამ პერიოდიდან განხორციელდა ქ-ნის ტექ. მოდერნიზაცია, თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, დაიხვეწა ცემენტის წარმოების ტექნოლოგია, რამაც გაზარდა პროდუქციის წარმადობა და ხარისხი. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა აგრეთვე ბუნებრივი გარემოს დამტვერიანების პრობლემის გადასაჭრელად (დამონტაჟდა თანამედროვე იტალიური საფილტრე დანადგარები). 2017-თვის კლინკერის წარმოებამ წელიწადში 798 ათ. *ტ*, ხოლო ცემენტის წარმოებამ 732 ათ. *ტ* შეადგინა. პროდუქციის რეალიზაცია ხდება მთელი კავკასიის მასშტაბით.

ლ. აბრამიშვილი.

კასპიური ანთროპოლოგიური ტიპი, კავკასიაში გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპი. პირველად გამოარჩია ვ. ბუნაკმა. კასპიური ტიპისთვის დამახასიათებელია მუქი თმები და თვალები, თავის დაბალი მაჩვენებელი (მეზოკეფალია), თავის მცირე, განივი დიამეტრი, ვიწრო სახე, საშუალოზე მაღალი ან თავის დიდი გრძივი დიამეტრი, ვიწრო შუბლი, საშუალოდ გამოხატული ყვრიმალები, საშუალოზე მცირე ან პატარა ქვედა ყბის დიამეტრი, საშუალოზე მაღალი ზედა ტუჩი, სხეულის საშ. სიმაღლე, ცხვირის გამოდრეკილი ფორმების საშ. პროცენტი და საშუალოზე მცირე გამოდრეკილი ცხვირის ზურგის ძვლოვანი პროფილი. ნიშანთა ეს კომპლექსი აღენიშნებათ ლაჩინის ქურთებს, ყაზახის, ქედაბეკის, სეფაილისა და აღსთაფის აზერბაიჯანელებს, თბილისის ეზიდებს. ყველაზე ახლო ამ ჯგუფთან არიან მარნეულის, შიშ-თეფეს, დალმამედლის, გერანბოის, ბარდის, გეოქჩაის, აქსუს, მარაზის, შუშას, ნახიჩევანის, ერფისა და დერბენდის აზერბაიჯანლები, აპარანის რ-ნის ქურთები, შემახის, აფშერონის, ალტი-აღაჩის და კონახკენდის აზერბაიჯანელი თათრები, ყვარლისა და ოზურგეთის რეგიონების ქართველები.

ლიტ.: Абдушелишвили М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964; Бунак В. В., Антропологический состав населения Кавказа, «ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1947, ტ. 13 A. *ლ. ბითაძე.*

კასპიური შურთხი (Tetraogallus caspius, Gmelin, 1784), ფრინველთა გვარი ქათმისნაირთა რიგისა. გვხვდება მცირე აზიაში, მცირე კავკასიონზე, აღმოსავლეთით აღწევს ქოპეთ-დაღამდე. საქართველოში კ. შ. გვხდება გურია-აჭარისა და თრიალეთის ქედებზე. მობუდარია. ვერტიკალურად ვრცელდება 3000 *მ*-მდე. ბუდეს იკეთებს მიწაზე – ქვებში ან კლდეებს შორის. დებს 8–10 მორუხო კვერცხს. კრუხობს 3 კვირას. იკვებება მცენარის თესლით, კვირტებით, ყლორტებით, კენკრით, ტუბერებით, აგრეთვე მწერებით. შეტანილი საქართველოს ,,წითელ ნუსხაში''. *ა. ბუხნიკაშვილი.*

კასრაძე გიორგი (გივი) ამირანის ძე (დ. 27. II. 1929, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკ-ტი (1955).

საქართვ. დამს. მხატვარი (1979). 1971–2016 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში (2003 – პროფესორი). 1955-იდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. 1959-იდან მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში‘‘. არის რეჟისორი და დამდგმელი მხატვარი თოჯინური ფილმებისა: ,,ცნობისმოყვარე‘‘ (1970), ,,მგელი და კრავი‘‘ (1979), ,,კომბლე‘‘ (1988) და სხვ. ჰ-ის ნამუშევრები: ნატიურმორტების სერია – ,,ფერწერული პრობლემები‘‘, ,,თეთრი ნატიურმორტი‘‘, ,,თეთრი ქილა ბროწეულით‘‘, ,,სამი განზომილება‘‘ და ლეონარდო და ვინჩის ფონზე‘‘ და სხვ. (1955–99); პეიზაჟები – ,,ზამთარი‘‘, ,,თოვლი‘‘, ,,მთვარიანი დღე‘‘ და სხვ. (1960–70); პორტრეტები – ,,თუში ქალი‘‘, ,,თუში მამაკაცი‘‘, ,,კოსტა‘‘, ,,ლუხუმი‘‘, ,,ზურაბ ქაფიანიძე‘‘, მეუღლის პორტრეტები, ავტოპორტრეტები და სხვ. (1960–70). გამოფენები: გალერეა TMS (1996), ქართველ მხატვართა გამოფენები (1996, დიჟონი, საფრანგეთი; 1997, მოსკოვი), ,,ქართული ნახატის გამოფენა‘‘ (2015, გ. ჩუბინაშვილის სახ. ეროვნული ცენტრი) და სხვ. პერსონალური გამოფენები: ,,100 ნახატი‘‘ (1996, საქართველოს ეროვნული გალერეა), თანამედროვე ხელოვნ. გალერეა (1997), გალერეა ,,ჰობი‘‘ (2003). გაფორმებული აქვს წიგნები: ,,ნიალის საგა‘‘, ,,რამაიანა‘‘, ,,გილგამეში‘‘. მისი ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, აშშ-ის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, იაპონიის, რუსეთისა და საქართველოს კერძო კოლექციებში.



გ. კასრაძე. ეკლები. 2001. კერძო საკუთრება.

კასრაძე დავით ილარიონის ძე (27. XII. 1885, სოფ. ავნევი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი,– 16. II. 1965, თბილისი), მწერალი. დაამთავრა გორის სას. სასწავლებელი, შემდეგ თბილ. სამხატვრო სასწავლებელი. 1908–10 სწავლობდა პარიზის უნ-ტის ფილოს. და ლიტ-რის ფაკ-ტზე. ჰ-ის კრიტ.-პუბლიც. წერილები და მოთხრობები 1901-იდან იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. 1923 იყო ბათუმის გაზ. ,,მწვერვალის‘‘ რედაქტორი. ჰ-ის თხზულებათაგან აღსანიშნავია რომანები: ,,გურანდა‘‘ (,,როსკიპი‘‘, 1912, მასში მძაფრადაა გაკრიტიკებული ცარიზმის რეჟიმი), ,,კეთრი‘‘ (1928); ჰეროიკული პოემა ,,ლეგენდა რუსთაველზე‘‘ (1961); ისტ. რომანი ,,იბერიის დედოფალი‘‘ (1964). ავტორია ორიგინ. და გადმოკეთებული პიესებისა: ,,მეფე არლეკინი‘‘ (1912), ,,რია‘‘ (1918), ,,ციხის ცრემლები‘‘ (1922), ,,იუდა‘‘ (1924) და სხვ.

ჰ-მ თარგმნა ლ. ტოლსტოის, ნ. გოგოლის, ი. ტურგენევის, მოლიერის, ა. ფრანსის, ე. ზოლას, მ. მეტერლინკის, ე. როსტანის, კ. გოლდონის და სხვათა თხზულებანი. ავტორია მონოგრაფიებისა ქართ. სცენის მოღვაწეებზე (,,ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი‘‘, 1913; ,,ალექსანდრე წუწუნავა‘‘, 1957), წერილებისა ქართ. ლიტ-რისა და თეატრ. ხელოვნების საკითხებზე. წერდა საბავშვო ნაწარმოებებსაც. 1932 შეადგინა და გამოსცა ოსური ლიტ-რის პირველი ანთოლოგია ქართ. ენაზე.

თხზ.: ლიტერატურული პორტრეტები, თბ., 1962; კეთრი, თბ., 1965.

ვ. ცისკარიძე.

კასრაძე დინარა გურამის ასული (დ. 27. XII. 1954, მოსკოვი), პათოლოგანატომი. კლინიკური პათოლოგიის სპეციალისტი, მედ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2001). საქართვ. სამხედრო სამედ. აკადემიის (2005) და საქართვ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკადემიის წევრი (2017).

1977 დაამთავრა თსსი. 1980-იდან მუშაობდა ამავე ინ-ტის პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე, 1999–2006 – პროფესორი. ამასთან ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ ენდოკრინულ პათოლოგიათა სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიას. იყო კლინიკა ,,ენმედიცის‘‘ იმუნოციტოქიმიის ლაბორატორიის დამაარსებელი და გამგე (1999–2000); თსსუ-ის კლინიკური ჩვევების ცენტრის დირექტორი (2004–06); ამავე უნ-ტის კლინიკური და ექსპერ. მედიცინის ინ-ტის მორფოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (2008–09), მთ. სპეციალისტი (2009–10). 2009–12 – წმ. ლუკა მახარებლის სახ. ქართულ-ჰოლანდიური კლინიკის განყ-ბის გამგე.

ჰ. 2007-იდან არის დ. ტვილდიანის სახ. თსუ-ის ადამიანის პათოლოგიისა და მორფოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი; 2007–10 – გრ. რობაქიძის სახ. თბილისის უნ-ტის სრული პროფესორი; სხვადასხვა სამედ. უნ-ტის მიწვეული პროფესორი; 2017-იდან – თბილ. პერსონალიზებული მედიცინის ინ-ტის ლუი პასტერის სახ. ლაბორ. კლინ. პათოლოგიის მთ. მკვლევარი; მრავალი დარგობრივი სამეცნ. საბჭოს, სამეცნ. ჟურნალების რედკოლეგიისა და სხვადასხვა პროფესიული ასოციაციების წევრი.

ჰ. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 8 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელოა. მისი სამეცნ. კვლევების ძირითადი სფეროა მელატონინის ეფექტების შესწავლა, აგრეთვე ონკოლოგიური, გერონტოლოგიური და ენდოკრინოლოგიური დაავადებები.

თხზ.: ცხიმოვანი ტვირთი, თბ., 2005 (თანაავტ. კ. ქუნთელია); შინაგანი სნეულებანი, ტ. 1–2, თბ., 2008–09 (თანავტ. ნ. ემუხვარი); ,,Ad augusta per angusta (ოსტეოკალცინი, პანკრეასის β-უჯრედები, მელატონინი), თბ., 2013 (თანაავტ.: ა. თავართქილაძე, მ. კასრაძე); ქვეყნის შხამი (მოზარდ ორგანიზმზე ზოგიერთი მავნე გავლენის პათოლოგიური საფუძვლები), თბ., 2014 (თანაავტ.: თ. ხვედელიანი, მ. კასრაძე); Kliniké Desmurgija, Klajpéda, 2007 (თანაავტ. M. Kasradze).

კასრაძე იური სერგოს ძე (25. I. 1911, სოფ. ალი, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი, – IX. 1991, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინ-ტი (1936) არქიტექტურის განხრით. ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა არქიტექტორად თბილსაბჭოში (1935–38), ხოლო 1938–39 – საპროექტო

ინ-ტ ,,თბილქალაქპროექტში‘‘. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში (1939–45). 1944–91 მუშაობდა ,,თბილქალაქპროექტის‘‘ არქიტექტორად, არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელად, მთ. სპეციალისტად. ნამუშევრები: კულტურის სახლი ამბროლაურსა (1946) და ონში (1947), იპოდრომი ზუგდიდში (1950), ადმ. შენობა აბაშაში (1951); საცხოვრებელი სახლები პ. მელიქიშვილის (1950), ჩელუსკინელების (ამჟამად – თამარ მეფის გამზირი, არქიტ. ა. თევზაძესთან ერთად, 1953), ჭავჭავაძის (1956) ქუჩებზე, იპოდრომი (1945), ,,საქმთავარენერგოს‘‘ ადმ. შენობა რუსის ქუჩაზე (ამჟამად – ი. ვეკუას ქუჩა, 1956),



ი. კასრაძე. ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი. 1957.

ფიზიკური კულტურის სახელმწ. ინ-ტი (1957), სპორტის სასახლე (არქიტ. ვ. *ალექსი-მესხიშვილთან* ერთად, კონსტრუქტორი დ. *ქავჭაია*, 1961), სასტუმრო აეროპორტის ტერიტორიაზე (1965; ყველა თბილისში); სასტუმრო ,,კახეთი‘‘ თელავში (1977; არქიტ. ი. ტარასაშვილთან და ა. ხეჩუაშვილთან ერთად).

თ. გერსამია.

კასრაძე მინდია გურამის ძე (დ. 8. X. 1962, თბილისი), ტრავმატოლოგ-ორთოპედი. ბიომედიცინის მეცნ. დოქტორი (2002, ლიტვა). 1986 დაამთავრა თსსი. 1987–91 მუშაობდა ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკასა და ბათუმის რესპ. ბავშვთა საავადმყოფოს ტრავმატოლოგ-ორთოპედად; 1992–93 – საქართვ. თავდაცვის სამინისტროსა და თბილ. სამამულო ომის ვეტერანთა ჰოსპიტალში.

ჰ. 1993-იდან ლიტვაში კლაიპედას ბავშვთა საავადმყოფოს ტრავმატოლოგ-ორთოპედია, 2004-იდან – კლაიპედას უნ-ტის ჯანმრთელობის მეცნიერებათა ფაკ-ტის დოცენტი, 2015-იდან – პროფესორი. არის დ. ტვილდიანის სახ. თბილისის სამედიცინო უნ-ტის საპატიო პროფესორი (2013).

ჰ. 1989–91 იყო აჭარის არ-ის ახალგაზრდა ექიმ-მეცნიერთა და სპეციალისტთა სამეცნ. საბჭოს თავ-რე; 2010–15 – საერთაშ. სამეცნ. ჟურნ. ,,Innovative Medicine and Biology‘‘ (კანადა) ლიტვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ჰ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 4 მონოგრაფია, 2 ლექსიკონი და 1 სამეცნ.-მეთოდური სახელმძღვანელოა.

თხზ.: ეპონიმები ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში, თბ., 1999; ბარძაყის ძვლის დიაფიზის მოტეხილობების ქირურგიული მკურნალობა ბავშვებსა და მოზარდებში, თბ., 2000; მოლეკულური და უჯრედული ონკოლოგია, თბ., 2012 (თანაავტ.: ა. თავართქილაძე, დ. კასრაძე); ,,Ad Augusta per Angusta‘‘ (ოსტეოკალცინი, პანკრეასის β-უჯრედები, მელატონინი), თბ., 2013 (თანაავტ.: დ. კასრაძე, ა. თავართქილაძე); ქვეყნის შხამი (მოზარდ ორგანიზმზე ზოგიერთი მავნე გავლენის პათოლოგიური საფუძვლები), თბ., 2014 (თანაავტ.); Traumatologijos ir Ortopedijos Eponimal: simptoma, ir sindromai, Klajpéda, 2015 (თანაავტ. David Kasradze); Kliniké Desmurgija, Klajpéda, 2007 (თანაავტ. Dinara Kasradze).

კასრაძე ნინო ვილენის ასული (დ. 3. III. 1970, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. 1991 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტი. 1993-იდან რუსთაველის თეატრის მსახიობია. აქ განხორციელებული მნიშვნელოვანი როლებია: შენ ტე, შუი ტა (ბ. ბრეხტის ,,სეჩუანელი კეთილი ადამიანი‘‘, მიენიჭა წლის საუკეთესო მსახიობი ქალის წოდება თეატრ. საზ-ბის მიერ, 1994); ირინე (დ. კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება‘‘); ლედი მაკბეტი (უ. შექსპირის ,,მაკბეტი‘‘, საქართვ. სახელმწ. პრემია, 1996; რუსთაველის თეატრ. ფესტივალ ,,ოქროს ნიღბის‘‘ გრან-პრი და წინანდლის პრემია, 2000); ლამარა (გ. რობაქიძის



ნ. კასრაძე. ქერესტანი. კ. გოცის ,,ქალი-გველი‘‘.

,,ლამარა‘‘); ქერესტანი (კ. გოცის ,,ქალი-გველი‘‘); გერტრუდა, ვიოლა (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი‘‘, ,,შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ‘‘); მართა (დ. კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი‘‘); დეზდემონა (კ. ხოდიკიანის ,,ტრაქტატი ცხვირსახოცის შესახებ‘‘); დოდო (თ. ჭილაძის ,,ჭალას ჩიტი მომკვდარიყო‘‘); ბაბეტა (მ. ფრიშის ,,ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი‘‘); კლიტემნესტრა (სოფოკლეს ,,ელექტრა‘‘); ტელმა (ტ. სტოპარდის ,,მაგრიტის შემდეგ‘‘), მესამე ქალი (ლ. ბუღაძის ,,ლისისტრატე‘‘, პრემია ,,დურუჯი‘‘; 2016). მონაწილეობდა სპექტაკლებში ,,იაკობის სახარება‘‘, ,,სტიქსი‘‘ და სხვ. სამეფო უბნის თეატრში შესრულებული როლებისათვის სოლანჟი (ჟ. ჟენეს ,,მოახლეები‘‘ (2015) და მარინა რევია (ა. ჩიღვინაძის ,,მარინა რევია‘‘; 2016) მიენიჭა წლის საუკეთესო მსახიობი ქალის წოდება თანამედროვე თეატრის კვლევის ცენტრის მიერ, ხოლო როლისათვის მარინა რევია იგივე წოდება მიიღო თეატრ. საზ-ბისგან.

ჰ-ს შესრულებული აქვს როლები კინოფილმებსა და სატელევიზიო სერიალებში, მ. შ. ნინო (,,ორფეოსის სიკვდილი‘‘; რეჟ. გ. შენგელაია; 1996), მერი (,,მარტოობის ორდენის კავალერი‘‘; რეჟ. ა. ცაბაძე; 1998), ნანა (,,გასეირნება ყარაბაღში‘‘; რეჟ. ლ. თუთბერიძე; 2005), ანა (,,დინოზავრი‘‘; რეჟ. მ. ზუბაშვილი; 2013), ნინო (,,კრედიტის ლიმიტი‘‘; რეჟ. ნ. ალექსი-მესხიშვილი; 2014), ეკა (,,ოჯახი‘‘; რეჟ.: დ. ცინცაძე; 2017), მაკა („ჩემი ცოლის დაქალები“) და სხვ.

თ. კახიანი.

კასრაძე ქართლოს დავითის ძე (27. VIII. 1926, გორი, – 29. I. 2005, თბილისი), ესტრადის მსახიობი (სალაპარაკო ჟანრი). საქართვ. სახ. არტისტი (1988), ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1967). 1952 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. სტუდენტობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ბეჭდავდა მოთხრობებს სტუდენტურ ლიტ. ალმანახ ,,პირველ სხივში‘‘. გამოაქვეყნა 2 რომანი – ,,მზის ამოსვლამდე‘‘ (1948) და ,,ნაცნობი თვალები‘‘ (1950). მონაწილეობდა სტუდენტური თეატრის წარმოდგენებში (ბასანი, უ. შექსპირის ,,ვენეციელი ვაჭარი‘‘, ინგლ. ენაზე; ვაისლინგე-



ქ. კასრაძე. სცენაზე.

ნი, ი. ვ. გოეთეს ,,გეც ფონ ბერლიხინგენი'', გერმ. ენაზე). წარმატებით გამოდიოდა ესტრადაზე. პ-ის რედაქტორობით გამოდიოდა სტუდენტური იუმორისტული გაზ. ,,ჭინჭარი''. 1944-იდან გამოდის პროფ. ესტრადაზე როგორც სალაპარაკო ჟანრის მსახიობი, კონფერანსიე (1957-იდან საქართვ. სახელმწ. საესტრადო ორკესტრ ,,რეროში'' ა. *გელოვანთან* ერთად). სასიამოვნო სცენური გარეგნობის, შესანიშნავი იუმორისა და გონებამახვილური რეპერტუარის მეოხებით პ-მ დიდი პოპულარობა მოიპოვა. ესტრადაზე მოღვაწეობის 60 წლის განმავლობაში მონაწილეობდა 2 ათასამდე კონცერტში. გამოდიოდა ყოფ. სსრკ ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში (ფინეთი, დანია, ნორვეგია, შვეცია, ინგლისი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია). ეწეოდა ლიტ. საქმიანობას. ავტორია წიგნებისა: ,,ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე'' (1971) და ,,ტრიუმფი გრძელდება'' (1980, საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლის გასტროლების შესახებ), ,,ფარნავაზი'' (1986), ,,სოსელო'' (მამასთან, დ. *კასრაძესთან* ერთად, 1988) და სხვ.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

კასრაძე-დამერი მანანა დიმიტრის ასული (დ. 3. X. 1954, თბილისი), ფიზიკოსი, პედაგოგი. პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1996), პროფესორი (1997), საქართვ. განათლების აკადემიის ნამდვილი წევრი (1998). 1980 დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის ფიზ. ფაკ-ტი მყარი სხეულების ფიზიკის სპეციალობით. 1981-იდან ასწავლიდა ფიზიკას ჩელიაბინსკის (რუსეთი) სხვადასხვა საშ. სკოლაში, 1988-იდან მუშაობს ჩელიაბინსკის პედ. ინ-ტის ფიზ.-მათ. ფაკ-ტზე (1997-იდან პროფესორი). ხელმძღვანელობს დოქტორანტურას, ასპირანტურას და სამაგისტრო პროგრამებს. პ.-დ. არის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნ. საბჭოს თავრე.

პ.-დ. იკვლევს ფიზიკის სწავლების ასპექტებს (ცნებათა ფორმირება, სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავება, სწავლების ტექნოლოგიების გამართვა), უმაღლესი განათლების საკითხებს.

1994-იდან ხელმძღვანელობს ფართომასშტაბიან პედ. ექსპერიმენტს სკოლაში ფიზიკის წინმსწრები სწავლების დასანერგად, დაამუშავა და შექმნა ფიზიკის სახელმძღვანელოები მე-5–6 კლასებისთვის, რ-ებიც დაინერგა რუსეთის სკოლებში. არის მრავალი სასწავლო კურსის ავტორი, 1994-იდან – ფიზიკის სწავლების მეთოდიკაში ჩატარებული რუსეთის სტუდენტების ოლიმპიადების ორგანიზატორი და ჟიურის თავრე.

პ.-დ. არის ქართულ ენაზე შექმნილი ფიზ. სახელმძღვანელოების ერთ-ერთი ავტორი. გამოქვეყნებული აქვს 10 მონოგრაფია და 200-ზე მეტი სამეცნ. სტატია. მიღებული აქვს პატენტი დიდი ჰადრონული კოლაიდერის სასწავლო მოდელის შექმნისთვის. თანაავტ. ერთად გამოცემული აქვს ფიზიკის სახელმძღვანელოები ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-7, მე-8 და მე-9 კლასებისთვის (1998–2006).

მიღებული აქვს რუსეთის განათლების აკადემიის ჯილდოები.

თხზ.: Методические основы построения опережающего курса физики основной школы, Челябинск, 1996.

კასრი, დამორილი, ცილინდრის ფორმის ძირჩადგმული, სალტით გარშემორტყმული ხის ჭურჭელი, იხმარება სანოვაგისა და სითხის სათავსოდ, მარცვლეულისა და ღვინის საწყაო XVI–XVIII სს. იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქართლ-კახეთში. XVIII ს. აღმ. საქართველოში მარცვლეულის საწყაო პ. შეადგენდა კოდის 1/2, ანუ 16,5 (17) *კგ*, ხოლო დას. საქართველოში ღვინის საწყაო პ. საშუალოდ 46 *ლ* ტოლი იყო.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. ე. ნადირაძის გამოც., თბ., 2011.

გ. ჯაფარიძე.

კასრი, ისტორიული პუნქტი შუა საუკუნეების აღმ. საქართველოში. წყაროებში პირველად იხსენიება აღმ. კახეთში (ჰერეთში) ერისმთავარ *არჩილის* მოღვაწეობასთან დაკავშირებით (VIII ს.). შემდგომში არჩილმა პ. უბოძა ერთ-ერთ კლარჯ მთავარს. პ-ის ეკლესია [ნანგრევები შემორჩენილია დაბა კახის (აზერბ. რესპ.) ტერიტორიაზე] იხსენიება 1310. შესაძლებელია პ. კახის უძველესი სახელწოდება იყოს.

პ. იხსენიება ჯუანშერის (XI ს.) თხზულებაში ჩართულ VIII ს. ანონიმ ავტორთან და დაკავშირებულია ერისმთავარ არჩილის მოღვაწეობასთან: ,,მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურნი ყვნა იგინი .... და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი'' (ქც 1:243,14, 15). მდებარეობდა დაბა კახის (აზერბაიჯანი) ტერიტორიაზე.

პ. არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ნანგრევების სახით შემორჩენილა კასრის წმ. სამების ეკლესია, რ-იც მოიხსენიება მაღალაშვილისეული ოთხთავის 1310 წ. მინაწერში. აღნიშნული მინაწერი წარმოადგენს ქურმუხის მთავარეპისკოპოსის, კირილე დონაურის ანდერძს. მასში დაცულია ცნობა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ექვთიმეს, XIV ს. I ნახ-ში სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად მოუნახულებია კასრის წმ. სამების ტაძარიც. დარბაზული ტიპის ტაძარი ნაგები ყოფილა შირიმისა და რიყის კვადრებითა და ფლეთილი ქვით. შემორჩენილია 1,5 *მ* სიმაღლის კედლები და ნახევარწრიული აფსიდა. ტაძრის მიახლოებითი ზომებია 8×6 *მ*, კედლის სისქე – 80 *სმ*. ეკლესიის ჩრდ. კედელში შემორჩენილია თაღი, რ-იც შესაძლოა საძვალე ყოფილიყო. ტაძრის სამხრ.-აღმ-ით, 1,5 *მ*-ზე შეჭრილი ყოფილა აკლდამის მსგავსი ქვის ვიწრო ნაგებობა. აკლდამა გაძარცულია. ეკლესია 1912 განუახლებია საინგილოში მოღვაწე მღვდელ მ. ყულოშვილს.



ქ. კასრაძე.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1945; პაპუაშვილი

თ., საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008; ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., კახეთის ქალაქები (XIV–XVII სს.), თბ., 1980; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1884.

დ. მუსხელიშვილი.

კასრისკარი, ხუროთმოძღვრების ძეგლი, სასაზღვრო სიმაგრე კასრის ხეობაში, მდ. არდონის მარცხენა ნაპირზე, ნასოფლარ ქვემო ზრამაგიდან მე-8 *კმ*-ზე. ისტ. წყაროებში დაცულია ცნობები V–VI სს-ში ქართლის ჩრდ. საზღვრების დამცავი ნაგებობების შესახებ, რ-ებიც აღმართული იყო არა კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებზე, არამედ ჩრდ. ხევების ვიწროებში. ასეთებია ჰ., ხილაკას ჩამხერგავი კედლები და დარიალის ციხე და კედელი. ერთ განედზე განლაგებული ეს სიმაგრეები ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში ქმნიდა თავდაცვით ნაგებობათა ერთიან ხაზს, რ-იც კეტავდა საქართვ. საზღვრებზე გამავალ მთავარ სამიმოსვლო გზებს ქართლიდან ოსეთისა და ჩრდ. კავკასიის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ მშენებლებმა კარგად იცოდნენ კავკასიონის ოროგრაფია – ისინი ოსტატურად იყენებდნენ ბუნებრივ პირობებს, ვიწრობებისა და ყინულოვან მთათა მასივების მონაცვლეობას. ,,ახალი ქართლის ცხოვრების'' (ბერი ეგნატაშვილი) ცნობით, XVI ს. I მეოთხედში ქართლის სამეფოს უკიდურესი ჩრდ. პუნქტები იყო ,,ხევ-ხილაკა და კასრის-ხევი''. ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიულ აღწერილობაში კასრის ხეობასთან ერთად მოიხსენიებს ,,კასრის-კარს'' და იძლევა ამ ნაგებობის მოკლე დახასიათებას. ჰ. მდებარეობს ხეობის მომცრო, დავაკებულ ადგილზე, რ-ის სიგანეა 50-ოდე *მ*, ხოლო სიგრძე (მდინარის გაყოლებით) – ოდნავ მეტი. ნაგებობა მდინარის დონიდან ამაღლებულია დაახლ. 12 *მ* სიმაღლეზე. ნაპირი წარმოადგენს გაშიშვლებულ ფრიალო, სრულიად პერპენდიკულარულ კლდეს. დავაკებულ ადგილს დასიდან ზღუდავს მთა, სახელდობრ, ამ მთის 15–18 *მ* სიმაღლეზე შვეულად აღმართული კლდე. ჰ. აგებულია ამ კლდისა და მდ. არდონის ფრიალო ნაპირს შორის.

XX ს. 60-იანი წლების მონაცემებით, ნაგებობათაგან დარჩენილია კედელი, რ-იც იწყება მდინარის მაღალი ნაპირიდან, კვეთს დავაკებულ ადგილს და დას-ით ეკვრის მთის შვეულ კლდეს. ამ კედლის აღმ. ნაწილში ჩაშენებულია კოშკი. მთელი ნაგებობის სიგრძეა 52 *მ*, სისქე – 1,7 *მ*, შემორჩენილი სიმაღლე აღწევს 4,3 *მ*. კედელი და კოშკი ამოყვანილია დუღაბით; კოშკი შემოსილი იყო პერანგით, რ-ის უმეტესი ნაწილი გამოყენებულია გზის მშენებლობაში (XIX ს.). მოგვიანებით, გზის მშენებლობის დროს კედლის ნაწილი მოანგრიეს. კოშკს ორი კარი აქვს – სამხრ-ით და დას-ით. სავარაუდოდ, ხეობის გზა კოშკის კარში ცერად, ,,მრუდედ'' გადიოდა, ამიტომ ადგილობრივმა მოსახლეობამ მას ,,მრუდე კარი'' შეარქვა. იქ, სადაც კედლის დას. ბოლო შვეულ კლდეს ეკვრის, კლდის თავზე აშენებულია ცალკე მდგარი კოშკი, საიდანაც ნათლად ჩანს კასრისხევის მიმდებარე ჩრდ. ნაწილი. ეს კოშკი, ჰ-ის ძირითად ნაგებობასთან ერთად, ერთ საერთო კომპლექსს წარმოადგენდა. უეჭველია, ბუნებრივი პირობების გამო შუა საუკუნეებში კასრისხევზე ფეხით თუ ცხენით მიმავალი მგზავრი ჰ-ს გვერდს ვერ აუვლიდა. იგი პირით მიქცეულია ჩრდილოეთისაკენ, თვით ხეობა კი გამაგრებული იყო არაერთი საფორტიფიკაციო ნაგებობით, მ. შ. ზრამაგას გალავნიანი ციხით.

ლიტ.: გ ა მ რ ე კ ე ლ ი ვ., დვალეთის კარნი ცენტრალურ კავკასიონზე (სასაზღვრო სიმაგრეები), «ძეგლის მეგობარი», 1965, № 5. *თ. გერსამია.*

კასრისსერი, მთა ასპინძის მუნიციპალიტეტში, ერუშეთის მთიანეთში, მდინარეების – ინჯისწყლისა (ურავლის მარჯვ. შენაკადი) და ქარზამეთისწყლის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) სათავეებთან. სიმაღლე 2944 *მ*. აგებულია ნეოგენური ანდეზიტ-დაციტური ლავით. შემოსილია ალპ. მდელოებით. *ლ. მარუაშვილი.*

კასრისწყალი (1966-მდე – ელდარი), სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), შირაქის ვაკეზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 520 *მ*, ახმეტიდან 162 *კმ*, დედოფლისწყაროდან 45 *კმ* (ტერიტორიულად სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს). 214 მცხ. (2014).

კასრისხევი, კ ა ს ა რ ა, თერგის ხეობის შევიწროებული, კლდეკარისებრი მონაკვეთი თრუსოს ხეობის ქვემო ნაწილში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობიდან 5–6 *კმ* დაშორებით. სიგრძე 2 *კმ*. ფსკერის სიმაღლე ზ. დ. 2100–2200 *მ*. წარმოიქმნა მეოთხეული პერიოდის ბოლოს, მცირე ხორისარის ვულკანის კრატერიდან ამონთხეული ლავური ღვარის ეროზიული მოქმედების შედეგად. ჰ-ში არის უხვდებიტიანი მინერ. წყაროები. აუწერელ სალამაზეს ქმნის წყლის მიერ მოდელირებული ტრავერტინული ,,მინდვრები''.

ლ. მარუაშვილი.

კასტელას აბრეშუმის მანუფაქტურა, აბრეშუმსართავი საწარმო თბილისში, რომელიც 1826 გახსნა ფრანგმა ნეგოციანტმა კასტელამ (კასტელომ) (Castella, Castello). საწარმოს იაფი ნახევარფაბრიკატი (ნართი) უნდა მიეწოდებინა მოსკ. და პეტერბ. საფეიქრო ფ-კებისათვის. ამასთან დაკავშირებით კასტელა აცხადებდა, რომ იგი ირანთან, თურქეთთან, რუსეთთან და ევროპასთან გააჩაღებდა ფართო ვაჭრობას და თბილისი მსოფლიო კომერც. ოპერაციების ცენტრი გახდებოდა.

კასტელამ თავის ოპერაციებში ჩააბა იმპერიის ცენტრ. ხელისუფლების ადგილ. წარმომადგენლები, მიიღო I გილდიის ვაჭრის წოდება და დიდძალი თანხა როგორც სახელმწ. ხაზინისაგან, ისე კერძო პირთაგან. მან ჩამოიყვანა ფრანგი სპეციალისტები, დაიქირავა ადგილ. მუშები, დაიწყო იაფი მუშახელის – სამხ. ტყვეებისა და პატიმარი ქალების – ექსპლუატაცია და მოსახლეობისაგან ღალისა და სხვა გადასახადების სახით მიღებული აბრეშუმის პარკისაგან ნართის ამოხვევა. ფ-კა წამგებიანი აღმოჩნდა არასაკმარისი სახსრების, მუშახელის სიმცირისა და გასაღების ბაზრების უქონლობის გამო. კასტელა 1828 გარდაიცვალა. ამიერიდან მთავრობამ თავად მოჰკიდა ხელი აბრეშუმძაფსართავ წარმოებას – წესრიგში მოიყვანა მანქანაიარაღები, მოწყობილობანი და ამ სახით შეიქმნა ,,სახაზინო სასწავლო აბრეშუმსართავი საწარმო'', რ-ის მთავარი დანიშნულება იყო ამიერკავკასიაში აბრეშუმის ნართის გაუმჯობესებული წარმოების გავრცელება. ამ ე. წ. ,,სახელმწიფო მანუფაქტურამ'' დიდხანს ვერ იარსება და როგორც წამგებიანი, 1844 დაიხურა.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1938, ნაკვ. 3; მ ი ს ი ვ ე, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941; ღ უ დ უ შ ა უ რ ი მ., თბილისის ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნეში, თბ., 2009; Гугушвили П. Б., Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX–XX вв., т. 1, Тб., 1957.

კასტელი (Castelli) დონ კრისტოფორო დე, XVII ს. იტალიელი მისიონერი, პატრი, თეატინელთა ორდენის წევრი. მხატვარი. საქართველოში ჩამოვიდა 1628 სხვა თეატინელებთან (ვინჩენცო კარაფა, ანტონიო ჯვარდინა და ჯუსტო პრატო) ერთად. პირველ ხანებში ცხოვრობდა აღმ. საქართველოში (გორი). 1634 ანტონიო ჯვარდინასთან ერთად შემოქმედის ეპისკოპოს მაქსიმე მაჭუტაძის (შემდგომში *მაქსიმე I*) მიწვევით გურიაში გადავიდა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა დას. საქართველოს კათოლიკოს *მალაქია II-თან* – ცდილობდა რომში ქართველი ახალგაზრდების გაგზავნას სასწავლებლად. 1640 სამეგრელოში დასახლდა. მოგვიანებით ცხოვრობდა ქუთაისში, იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის კარზე, საიდანაც კვლავ სამეგრელოში დაბრუნდა. რამდენ ხანს დაყო კ-მ საქართველოში, ცნობილი არაა. სავარაუდოდ, ჯერ კიდევ 1650 იგი ქუთაისში იყო, შემდეგ იტალიაში დაბრუნდა.

კ-მ იცოდა ქართული ენა. მას მიაწერენ ორ ლიტ. ნაწარმოებს ქართ. ენაზე: ,,ღვთაებრივი სიყვარულის სიტკბოს შესახებ'' (უძღვნა ელენე ათაბაგს, რ-იც, ზოგიერთი ცნობით, კათოლიკედ მოაქცია) და ,,ფიქრები ქრისტეს წამების შესახებ'' (უძღვნა კათოლიკოს მალაქია II-ს).

საქართველოში ყოფნის დროს კ-მ მრავალი საყურადღებო ჩანახატი გააკეთა – დახატა მრავალი ისტ. პირის პორტრეტი (მამია, სიმონ და ვახტანგ გურიელები, ლევან დადიანი, ელენე ათაბაგი, კათოლიკოსი მალაქია II, იმერეთის მეფე ალექსანდრე III, ნიკიფორე ირბახი, ქართლის მეფე გიორგი X, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, კახეთის მეფე თეიმურაზ I და ა. შ.); ადგილებისა და ცალკეული ნაგებობების ხედები (ტაძარი ბიჭვინთაში; გორი, ზუგდიდი, ქუთაისი, არგვეთი); ქართველთა ტიპები, კერძოდ, მეგრელები, ჩერქეზები, თურქი და მოსკოველი მეომრები; მოსახლეობის სხვადასხვა ფენის საცხოვრებელი ადგილი, საყოფაცხოვრებო სცენები და ა. შ. ყველა სურათს აქვს ისტორიულად ღირებული მინაწერი. მისი ჩანახატები 2 ალბომს მოიცავს (500-ზე მეტი სურათი). ერთი ალბომი კ-ს იტალიაში დაბრუნებისას დაიკარგა, მეორე კი დაცულია ქ. პალერმოს კომუნალურ ბ-კაში. ამ ჩანახატების ნაწილი გამოაქვეყნა მ. *თამარაშვილმა,* მანვე ჩამოიტანა საქართველოში ჩანახატების ნაწილის ფოტოპირები. 1977 კ-ს ალბომი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა ბ. *გიორგაძემ.* კ-ს რელაცია, ჩანახატები და მინაწერები ძვირფას ცნობებს იძლევა XVII ს. საქართველოს პოლიტ. და ეკონ. ისტორიისათვის.



კასტელი დონ კრისტოფორო დე. იმერეთის მეფე ალექსანდრე III.

თხზ.: ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1976 [1977].

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ქ. ჩხატარაიშვილი.

„კასტელ ჯორჯია“ (შპს), ლუდისა და უალკოჰოლო გაზიანი სასმელების კომპანია. 1998 დეკემბერში თბილისში, ლუდის საწარმოების – შპს ,,ყაზბეგისა'' (დაარსდა 1995) და შპს ,,გომბორი BGI-ის'' (დაარსდა 1997) – გაერთიანების შედეგად შეიქმნა ფრანგულ-ქართული ერთობლივი კომპანია შპს ,,ყაზბეგი-კასტელი'', რ-ის სიმძლავრე შეადგენდა 10 მლნ. დკლ ლუდს წელიწადში. უშვებდა შემდეგი დასახელების ლუდს: ,,ყაზბეგი'', ,,ფშავი'', ,,ანანური'', ,,არგო'', ,,ყაზბეგი პორტერი'', ,,კასტელი'' და სხვ. 2002 მარტში მოხდა ,,ყაზბეგი-კასტელის'' რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა ლუდის ორი დამოუკიდებელი საწარმო: შპს ,,*ყაზბეგი 1881*'' და შპს ,,კასტელი-საქართველო'' (მდებარეობს ლილოს დასახლებაში). 2013 შპს ,,კასტელი-საქართველო'' შეიძინა ქართულმა კომპანია შპს ,,ჯ. ჯ-მ'', რ-მაც განახორციელა საწარმოს რებრენდინგი. საწარმოს საპროექტო სიმძლავრეა 80 მლნ. ლ ლუდი წელიწადში. უშვებს შემდეგი დასახელების ლუდს: ,,არგო'', ,,გერმანული'', ,,ჰერცოგი'', ,,კალტენბერგი'', ,,ზუბრი'' და სხვ., აგრეთვე ლიმონათს – ,,ზანდუკელი''. ნედლეული (სვია, ალაო, საფუარი) და დამხმარე მასალები (ბოთლი, საცობი, ეტიკეტი) ძირითადად შემოდის გერმანიიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან. გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილ. ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ (უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩეხეთი, აშშ, გერმანია, ტაჯიკეთი, ავღანეთი და სხვ.).

კასტოდიანი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციური მონაწილე, რომელიც მეურვეობის პრინციპით ახორციელებს კლიენტების მომსახურებას, კერძოდ, მათი აქტივების აღრიცხვას, შენახვას, ინვესტირებას, ანგარიშსწორებას, დივიდენდების მიღებას, ჩანაწერების წარმოებასა და დაანგარიშებას.

საქართველოს კანონმდებლობით კასტოდიანურ მომსახურებაზე სპეც. ლიცენზია გათვალისწინებული არ არის და იგი დეპოზიტარული საქმიანობის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს. 2011-იდან კ. წევრის სტატუსი და კასტოდიანური მომსახურება გათვალისწინებულია სააქციო სა-



,,კასტელ ჯორჯია''.

ბა *„საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“* თვითრეგულირების წესებით. *ვ. სვანაძე.*

კასტორიუსის რუკა, ტაბულა პოიტინგერიანა, რომაული საგზაო რუკა, შედგენილი IV ს-ში სავარაუდოდ, გეოგრაფ კასტორიუსის მიერ. დიდხანს ინახებოდა სიძველეთა ცნობილ გერმ. მკვლევარ კონრად პოიტინგერთან (XII ს. ასლი). ჰ. რ. სრულიად განსხვავდება იმ დროისთვის ცნობილ მსოფლიო რუკებისაგან, რებზედაც დედამიწა გამოხატული იყო ელიფსის სახით. ჰ. რ. გრძელ ზოლად არის გაჭიმული და სიგანე 21-ჯერ თავსდება სიგრძეში. ამ რუკის დანიშნულება იყო მოგზაურ-ვაჭრებისთვის გზების მიმართულების მიცემა, მათზე მდებარე ძირითადი პუნქტების (დიდი თუ მცირე ქალაქები, გასაჩერებელი სადგურები) აღნიშვნა და ამ პუნქტებს შორის მანძილის ჩვენება რომაულ მილებში (1 რომაული მილი უდრის 1,4815 *კმ*). რუკაზე დატანილია აგრეთვე უმთავრესი მდინარეები, მთები და ზღვები, დასახელებულია იმ ხალხთა, ქვეყანათა თუ პროვინციათა სახელები, რ-ებზედაც გზები გადიოდა.

ჰ. რ-ის XI–XII სეგმენტებზე დატანილია სამხრ. კავკასიის ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო გზები, მ. შ. სომხეთის ქ. არტაშატიდან არმაზციხე-მცხეთამდე მიმავალი გზაც. ამ გზაზე არმაზციხის უშუალო სიახლოვეს აღნიშნულია სადგური Philado (ფილადო), რ-იც მკვლევართა საერთო აზრით, უნდა იყოს Tphilida-ს (ტფილადა) დამახინჯებული ფორმა. მდებარეობითაც და სახელწოდებითაც ამ სახელში უნდა მოიაზრებოდეს თბილისი (ტფილისი). ამდენად, ჰ. რ-ზე თბილისი პირველადაა აღნიშნული.

გამოც.: Itineraria Romana – Römische Reisewege an der Hand der Tabula Peutingeriana, dargestellt von K. Miller, Stuttg., 1916.

ლიტ.: თვარაძე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004; ლომოური ნ., ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, «ისტორიის ინ-ტის შრომები», 1958, ტ. 4, ნაკვ. 1.

ნ. ლომოური.

კასუმლო, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი), მარნეულის ვაკეზე. თემის ცენტრი [სოფლები: ჰ., აღმამედლო, ბაითალო, ბეითარაფჩი (ბეითარაბჩი), კუშჩი (კუშჩუ), ულაშლო]. ზ. დ. 400 *მ*, მარნეულიდან 27 *კმ*. 2,3 ათ. მცხ. (2014).

კატა (Felis), მტაცებელი ძუძუმწოვრების გვარი კატისებრთა ოჯახისა. იხ. *კატისებრნი.*

კატაბალახა (Valeriana), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი კატაბალახასებრთა ოჯახისა. გვარში 200-ზე მეტი სახეობაა. გავრცელებულია მთელ ევრაზიაში, სამხრ. ამერიკის ანდებსა და ჩრდ. ამერიკის ზომიერ სარტყელში. საქართველოში იზრდება 10 სახეობა (მათგან 2 კავკასიის ენდემია). სამკურნალო ჰ. (V. officinalis) ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა. 1,5 *მ*-მდე სიმაღლის ვარდისფერყვავილებიანი ბალახია. მრავლადაა საქართველოს ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. ფესურა და ფესვები შეიცავს ეთეროვან ზეთს, ვალერიანის მჟავას, ძმარმჟავასა და ჭიანჭველმჟავას, ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქარს. საქართველოში იზრდება აგრეთვე კოლხური ჰ. (V. colchica), რ-იც ასევე დიდი რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთს



კატაბალახა.

და ვალერიანის მჟავას.

ჰ-ს პრეპარატებს (ექსტრაქტი, ნაყენი სპირტსა და ეთერზე) იყენებენ ნერვული აგზნების, უძილობის, გულსისხლძარღვთა სისტემის ნევროზის დროს და სხვ. კავკასიაში, უკრაინასა და ზოგ სხვა რეგიონში იყენებენ ველური ჰ-ის ფესვებსა და ფესურებს, სხვაგან ჰ. კულტივირებულია.

კატაბარდა (Clematis), მცენარეთა გვარი ბაიასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახები ან ხვიარა, მცოცავი და სწორლეროიანი მერქნიანი მცენარეებია. მოიცავს 250-ზე მეტ სახეობას. გავრცელებულია ზომიერ და თბილ რაიონებში. საქართველოში 5 სახეობა იზრდება. მათგან ჩვეულებრივი ჰ. (C. vitalba) ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხვიარა ბუჩქია. აქვს წიბოებიანი ღერო და სურნელოვანი მოყვითალო ყვავილები. ხარობს ყირიმსა და კავკასიაში. საქართველოში იზრდება კოლხეთის



კატაბარდა.

და აღმ. საქართველოს ჭალისა და ვაკეთა ტენიან ტყეებში. ღერო და ფოთოლი შეიცავს ალკალოიდ კლემატინს. ნორჩი ყლორტებისაგან ამზადებენ მხალს. ჰ-ს ბევრი სახეობა დეკორატიულია.

კატაი, კატაჲ, *დავით IV* აღმაშენებლის ასული. სამხრ. კავკასიიდან თურქ-სელჩუკთა განდევნისათვის ბრძოლის პირობებში, ბიზანტიის იმპერიასთან კეთილი დამოკიდებულების დამყარების მიზნით, 1116 მეფემ ჰ. მიათხოვა იმპ. ალექსი კომნენოსის (1081–1118) უმცროს ძეს – ისაკს (მანამდე დავითმა თავისი მეორე ქალიშვილი თამარი შირვან შაჰის შვილზე დააქორწინა). ბიზანტიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა არ შეცვლილა დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლო წლებამდე (დავითი არ ჩარეულა თავის სიძე ისაკსა და ალექსი კომნენოსის უფროს ვაჟს – იოანეს შორის ატეხილ უთანხმოებაში), რითაც საქართველოს სამეფომ უზრუნველყო სამხრ.-დას. საზღვრების უსაფრთხოება.

წყარო: ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე; ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002; მისივე, Внешняя политика Грузии в средние века (XII век), Тб., 1995.

ბ. კუდავა.

კატალანური ატლასი, 1375 შექმნილი მსოფლიო რუკა. ჰ. ა. ისტ. კარტოგრაფიის ერთ-ერთ შედევრად ითვლება. ვარაუდობენ, რომ მისი ავტორია ესპანელი აბრაჰამ კრესკე. ჰ. ა-ზე ჩვენთვის საინტერესოა საქართველოსთან დაკავშირებული ნაწილის განხილვა. საყურადღებოა ორი დეტალი, რ-ებიც დატანილია სევასტიასა (სავასტო – Savasto) და სებასტოპოლისთან (Sauastopoli), ანუ სოხუმთან. სევასტიასთან გამოსახულ დეტალზე კვლავ ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – წითელი ხუთჯვრი-

ანი დროშა მოცემულია სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოს დროშასთან კომბინაციაში. სავარაუდოდ, ეს კომბინაცია ასახავს იმდროინდელ ისტ. რეალობას – ოლჯაითუ ყაენის დროს მცირე აზიაში მონღოლ-ქართველთა ერთობლივ ლაშქრობას და *გიორგი V* ბრწყინვალის პოლიტიკას. მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი: ეს დროშები ერთმანეთის გვერდზე კი არ არის მოთავსებული, არამედ ეს არის პრაქტიკულად ერთი დროშა, რ-ის ქვედა ნახევარი წითელი ხუთჯვრიანი დროშაა, ხოლო ზედა ნახევარი – მოყვითალო ფონზე გამოსახული წითელი კვადრატი, ანუ ზუსტად ასახულია ის ისტ. სურათი, როდესაც აღმ. საქართველოს ჯარი იბრძოდა ილხანთა სახელმწიფოს ჯართან ერთად.

ჰ. ა-ზე დროშა ასევე დატანილია სოხუმთან. მისი გამოსახულება, სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში წაშლილა; აქაც, სავარაუდოდ, მოცემული უნდა ყოფილიყო წითელი ხუთჯვრიანი დროშა.

ამგვარად, ჰ. ა. არის ფაქტობრივად მეექვსე რუკა, სადაც ხუთჯვრიანი დროშა საქართველოს ტერიტორიაზეა დატანილი.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004. *ა. თვარაძე.*

კატალიზი (ბერძნ. katalysis – დაშლა), ქიმიური რეაქციის სიჩქარის ცვლილება ან მისი ინიცირება ისეთი ნივთიერებების (კატალიზატორების) თანაობისას, რომლებიც მრავალჯერ მონაწილეობს შუალედურ ქიმიურ ურთიერთქმედებებში რეაქციის პროდუქტებთან და აღიდგენს თავის ქიმიურ შემადგენლობას (განიცდის რ ე გ ე ნ ე რ ა ც ი ა ს) ურთიერთქმედების ყოველი მომდევნო ციკლის შემდეგ. ამასთან, პროცესის დასრულების შემდეგ კატალიზატორის რაოდენობა უცვლელი რჩება. კატალიზატორი არ მონაწილეობს პროცესის სტექიომეტრულ განტოლებაში, არ ცვლის მორეაგირე სისტემის საბოლოო წონასწორულ მდგომარეობას და რეაქციის წონასწორობის K – მუდმივას (წინაალმდეგ შემთხვევაში დაირღვევა თ ე რ მ ო დ ი ნ ა მ ი კ ი ს მ ე ო რ ე კ ა ნ ო ნ ი). კატალიზატორი ერთნაირად ზრდის როგორც პირდაპირი, ასევე შებრუნებული რეაქციების სიჩქარეთა მუდმივებს.

რეაქციის სიჩქარის K-მუდმივას გაზრდა უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია რეაქციის ეფექტური აქტივაციური ბარიერის შემცირებასთან – პროცესის აქტივაციის ენერგია კატალიზატორის თანაობისას უფრო ნაკლებია, ვიდრე კატალიზატორის გარეშე.

საზოგადოდ, კატალიზატორის მონაწილეობა ცვლის რეაქციის კინეტიკურ მექანიზმს (რეაქცია მიმდინარეობს განსხვავებული ,,მარშრუტით''). კატალიზატორი ვერ წარმართავს თერმოდინამიკურად აკრძალულ რეაქციას, მას მხოლოდ თერმოდინამიკურად დასაშვები პროცესების დაჩქარება შეუძლია.

ქიმ. რეაქციის შენელებას (ან მის სრულ დათრგუნვას) ისეთი ნივთიერებების თანაობისას, რებიც ურთიერთქმედებს მორეაგირე ნივთიერებებთან და შემდგომ აღიდგენს თავის თვისებებს, ი ნ ჰ ი ბ ი ტ ო რ ე ბ ი ეწოდება, თავად პროცესს კი – ი ნ ჰ ი ბ ი რ ე ბ ა. როგორც წესი, რეაქციის სიჩქარის ზრდით მიმდინარე პროცესებს კ-ს მიაკუთვნებენ. ქიმ. რეაქციების უმრავლესობა კატალიზური პროცესებია.

ცოცხალ ორგანიზმთა უჯრედებში მრავალი სასიცოცხლო პროცესი ხორციელდება ბიოკატალიზატორების – ფერმენტების (ენზიმები) უშუალო მოწილეობით. თუ რეაქციის ერთ-ერთი პროდუქტი ამავე რეაქციის კატალიზატორს წარმოადგენს, მაშინ ასეთ მოვლენას ავტოკატალიზს უწოდებენ.

კატალიზატორის მოქმედების მექანიზმის მიხედვით განასხვავებენ ფუძე-მჟავური და ჟანგვა-აღდგენითი კ-ის რეაქციებს. რეაქციები, რ-ებიც მიმდინარეობს მორეაგირე ნივთიერებების ფუძე-მჟავური შუალედური ურთიერთქმედებით კატალიზატორთან პროტონის ან ჰიდროქსილ-იონის გადაცემით (მაგ., კ-ური კრეკინგი, ჰიდრატაცია, დეჰიდრატაცია, ჰიდროლიზი, იზომერიზაცია) ფუძე-მჟავურ კ-ს წარმოადგენს. თუ მორეაგირე ნივთიერებებსა და კატალიზატორს შორის შუალედური ურთიერთქმედება ელექტრონების გადაცემით მიმდინარეობს (მაგ., ჟანგვა, აღდგენა, ჰიდრირება, დეჰიდრირება, პოლიკონდენსაცია, წყალბადის პეროქსიდის ტიპის ნაერთების დაშლა), მაშინ რეაქციები ჟანგვა-აღდგენით კ-ს მიეკუთვნება.

გარდა ქიმ. კ-ისა, არსებობს და დიდი მნიშვნელობა აქვს კ-ს ბირთვულ რეაქციებში, მაგ., მზეზე მიმდინარე C-N-O ციკლს (იხ. აგრეთვე სტ. *მართვადი თერმობირთვული სინთეზი*).

კატალიზური პროცესები საფუძვლად უდევს ნავთობგადამამუშავებელი, ნავთობქიმიისა და ქიმ. მრეწველობის თანამედროვე პროცესების უმრავლესობას. კ-ს იყენებენ უმნიშვნელოვანესი არაორგ. და ორგ. პროდუქტების მისაღებად. კატალიზურ რეაქციებს ეფუძნება სინთეზური საწვავის მიღების ყველა მეთოდი ნახშირიდან, ბუნებრივი აირებიდან და ბიომასიდან. კ. საფუძვლად უდევს ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ყველა თანამედროვე მეთოდს (კრეკინგი, ჰიდროკრეკინგი, რიფორმინგი და სხვ.) და გარემოსდაცვითი თანამედროვე ტექნოლოგიების უმრავლესობას.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი პირველი გამოკვლევები კ-ში XX ს. 30-იან წლებში დაიწყო, 1929-იდან ახალგახსნილ პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1965-იდან – საქართვ. მეცნ. აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინ-ტი; 2006-იდან – თსუ-ის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინ-ტი). აღნიშნულ სამუშაოებს სათავეში ჩაუდგა ლ. *პისარჟევსკი* თანამშრომლებთან (ქ. ავალიანი, დ. *ერისთავი*, ვ. *კოკოჩაშვილი* და სხვ.) ერთად.

საინტერესოა პირველი ქართვ. ფარმაკოქიმიკოსის, პ. ჭეიშვილის გამოკვლევები ასბესტის კატალიზური თვისებების შესახებ (1903, ხარკოვი).

თსუ-ში გ. *ციციშვილმა* და შ. *სიდამონიძემ* პირველებმა გამოავლინეს და შეისწავლეს (1963) მონოვალენტური კათიონებით მოდიფიცირებული და დეკათიონირებული ცეოლითების კატალიზური აქტივობა.

საქართვ. მეცნ. აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგანული ქიმიის ინ-ტის ორგანული კ-ის ლაბორ-ში ქ. *არეშიძემ* და მისმა თანამშრომლებმა (ე. ბენაშვილი, თ. ჩარკვიანი, გ. ჩივაძე, დ. შენგელია-გაჯიევი, ა. დოლიძე) გამოკვლევები ჩაატარეს საქართვ. ნავთობის შემადგენელი ნახშირწყალბადების კატალიზური გარდაქმნების სფეროში. ქიმიური გარდაქმნების ჰეტეროგენულ კატალიზატორებად მათ პირველად გამოიყენეს ადგილობრივი ბუნებრივი ნედლეული – გააქტიურებული მონტმორილონიტური თიხები. მნიშვნელოვანია ქ. არეშიძის



კატალპა.



კატაპიტნა.

გამოკვლევები თხევადი ცხიმების ჰიდროგენიზაციისა და ასევე ციკლოჰექსანონის სინთეზის პროცესში სინთეზური ცეოლითების გამოყენების შესახებ.

საერთაშ. აღიარება მოიპოვა პროფ. ა. *ქორიძის* (თსუ) გამოკვლევებმა ჰომოგენური კატალიზის სფეროში. მან თანაავტორებთან ერთად შექმნა ალკანების დეჰიდრირების ახ. თაობის ჰომოგენური კატალიზატორები, მიიღო ახ. ტიპის მეტალორგანული კომპლექსები, აღმოაჩინა ახ. გადაჯგუფებები – C-H და C-C ბმების წარმოქმნისა და გახლეჩის რეაქციები, რ-ებიც მიმდინარეობს განსაკუთრებით რბილ პირობებში. ა. ქორიძის მიერ სინთეზირებული ირიდიუმის ჰიდრიდული კომპლექსები ბის(ფოსფინური) პინსერული ლიგანდებით ფეროცენისა და რუთენოცენის ბაზაზე ალკანების დეჰიდრირების რეაქციებში თავისი აქტიურობით აღემატება ყველა ცნობილ ჰომოგენურ კატალიზატორს. აღნიშნული ახ. თაობის ჰომოგენური კატალიზატორის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ალკანების კატალიზური დეჰიდრირებით უფრო ღირებული, რეაქციისუნარიანი ოლეფინების მიღება საკმაოდ რბილ პირობებში. ა. ქორიძემ თანამშრომლებთან ერთად ასევე შეისწავლა სპირტების კატალიზური დეჰიდრირება ირიდიუმის პინსერული კომპლექსებით.

ლიტ.: Еремин В. В., Борщевский А. Я., Основы общей и физической химии, М., 2012; Цицишвили Г. В., Сидамонидзе Ш. И., Доклады АН СССР, 1963, т. 156; Atkins P., J. de Paula, «Physical Chemistry», 8-th ed., Oxford University Press, 2006; Kuklin S. A., Sheloumov A. M., Dolguchin F. M., Koridze A. A., et al., Highly active iridium catalysts for alkan dehydrogenation. Synthesis and properties of iridium bis(phosphine) pincer complexes based on ferrocene and ruthenocene, «Organometallics», 2006, 25(22); Polukeev A. V., Petrovski P. V., Peregudov A. S., Ezernitskaya M. G., Koridze A. A., Dehydrogenation of alcohols by bis(phosphinite) benzene based and bis(phosphine) ruthenocene based iridium pincer complexes, «Organometallics», 2013, 32(4). *გ. ბეზარაშვილი.*

კატალპა (Catalpa), მცენარეთა გვარი ბიგნონიასებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ხეებია. ცნობილია 11 სახეობა. მათ სამშობლოდ ითვლება ჩრდ. ამერიკა და აღმ. აზია. კულტივირებულია საქართვ. ბევრ რაიონში. ამრავლებენ თესლით, კალმით და ფესვის ამონაყარით. კარგად ხარობს მსუბუქტენიან ნიადაგებზე. სინათლის მოყვარულია. აქვს მსუბუქი და რბილი მერქანი, რ-იც ძნელად ლპება. დეკორატიული მცენარეებია.

კატამონის სვიმეონ მიმრქმელის მონასტერი, ქართველთა მონასტერი იერუსალიმში. მდებარეობდა იერუსალიმის სამხრ.-დას-ით, ჯვრის მონასტრის საწინააღმდეგო მხარეს, ამაღლებულ ადგილას. გადმოცემის მიხედვით, ვახტანგ გორგასალს შეუსყიდია სამონასტრო ადგილი და ქართველი ბერებისათვის სავანე აუშენებია. 1515–24, ბედუინების თავდასხმების შედეგად, 19 ბერი დაიღუპა. გადარჩენილები იძულებული შეიქნენ სავანე მიეტოვებინათ. კატამონი ჯვრის მონასტრის იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ მოხდა განხეთქილება და კატამონელებმა უარი თქვეს მისადმი მორჩილებაზე. მონასტერი ქართველებმა განაახლეს XVI ს. 20-იანი წლების შემდეგ.

XIX ს. 50-იან წლებში კატამონის სავანეში აღმოჩნდა ქართ. წარწერები.

წყარო: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II (1213 წლიდამ 1700 წლამდე), თფ., 1897. *ე. მამისთვალიშვილი.*

კატაპიტნა (Nepeta), მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახების გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. აერთიანებს 250-მდე სახეობას. გავრცელებულია ევრაზიის არქტიკის გარე ოლქებში, აგრეთვე აფრიკაში. კავკასიასა და შუა აზიაში 80-ზე მეტი სახეობა იზრდება, საქართველოში – 12, მათგან 2 საქართვ. ენდემია, 4 – კავკასიისა. იზრდება მშრალ და ქვიან ფერდობებზე. კ. (N. cataria) თაფლოვანი და ეთერზეთოვანი მცენარეა, იყენებენ პარფიუმერიაში; დიდყვავილა კ. (N. grandiflora) დეკორატიულია.

კატეგორიოლოგია, ფილოსოფიის ქვედარგი, მოძღვრება კატეგორიების შესახებ. კატეგორიები ლოგიკის, ონტოლოგიისა და მეტაფიზიკის საყრდენი ცნებებია და არსებულთა მთავარ ნიშან-თვისებებს გამოხატავს.

კატეგორიების შესახებ მოძღვრება ანტ. ხანის ბერძნ. აზროვნებაში დამუშავდა. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია პარმენიდეს, ჰერაკლიტეს, პლატონისა და არისტოტელეს წვლილი. პლატონი საკითხს სვამს არსებულთა არსის შესახებ და იმის თაობაზე, თუ რა სახის არსებობა მიეწერება არსებულებს. აქვე ისმის კითხვა: რას ნიშნავს გამოთქმა „რაიმე არის?“ კატეგორიები არსებულთა ფუძემდებლური ცნებებია და სწორედ მათი მეშვეობითაა შესაძლებელი საგანთა ადეკვატური შემეცნება. პლატონური დიალოგების მთავარი მოტივიც არსებულთა აუცილებელი და ზოგადი პრინციპების დადგენაა. დიალოგში „სოფისტი“ პლატონი არსებულთა ხუთ უმაღლეს გვარზე (არსებული, უძრაობა, მოძრაობა, იგივეობა, განსხვავება) მსჯელობს, რ-იც არსებულთა არსებობის უზოგადესი პრინციპებია, რადგან მათი სხვა პრინციპებზე დაყვანა შეუძლებელია. კ-ის განვითარებაში, პლატონის მიერ შეტანილი წვლილის მიუხედავად, ამ დარგის პირველი სისტემური განვრცობა და განვითარება არისტოტელეს სახელს უკავშირდება. არისტოტელე ითვლება კ-ის დამფუძნებლად, რაზეც მეტყველებს მისი ნაშრომი „კატეგორიები“, რ-შიც იგი ათი კატეგორიის (არსება, რაოდენობა, თვისება, მიმართება, ადგილი, დრო, მდგომარეობა, ფლობა, მოქმედება და ვნება) შესახებ მოძღვრებას ავითარებს. არისტოტელეს შემდეგ, ფილოს. აზროვნების ისტორიაში, კატეგორიები სპეციალური განხილვისა და ხშირი დავა-კამათის საგანი იყო. შუა საუკუნეების ფილოსოფიაში კატეგორიების სპეციფიკური ინტერპრეტაცია მოხდა და ფართოდ გავრცელდა მოძღვრება პრედიკაბილიების (გვარი, სახე, განსხვავება, საკუთრივი ნიშანი, აქციდენცია) შესახებ. მომდევნო ეპოქებში კი სხვადასხვა ფილოს. მიმდინარეობა (იდეალიზმი, რეალიზმი, სიცოცხლის ფილოსოფია, პრაგმატიზმი, ანალიზური ფილოსოფია და სხვ.) განსხვავებული ასპექტებითა და პერსპექტივებით განიხილავდა კ-ის თემატურ სპექტრს. ი. კანტის მიხედვით, კატეგორიები აზროვნების აპრიორული ფორმებია და ყოველგვარი სახის გამოცდილების წინაპირობას წარმოადგენს. კატეგორიების სისტემატიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური მცდელობა სწორედ კანტის სახელს უკავშირდება. მან კატეგორიები განსჯის ძირითად ცნებებად მიიჩნია, მათი ონტოლოგიური სტატუსის რელატივირება მოახდინა და ისინი შემეცნების თეორიის ფარგლებში მოათავსა. ამით კანტმა სათავე დაუდო კრიტიკულ ფილოსოფიას, ხოლო მისი მოძღვრება „კოპერნიკისებური შემოტრიალების“ სახელით დამკვიდრდა.

ქართულ ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო აზროვნებაში კ-ს საგანგებო ადგილი უკავია. ანტ. კ-ის ქრისტ. ინტერპრეტაციის თვალსაჩინო მაგალითია მოცემული *იოანე დამასკელის* „დიალექტიკაში“, რ-იც ქართულად თარგმნეს *ეფრემ მცირემ* და *არსენ იყალთოელმა*. პლატონის ხუთი უმაღლესი გვარის საინტერესო განმარტება და ანალიზი ეკუთვნის *იოანე პეტრიწს*, რ-მაც გვართა თეორიის შუაგულში ,,მყოფის ცნება“ განათავსა. შუა საუკუნეების ქრისტ. აზროვნებასა და იოანე პეტრიწის შემოქმედებაზე დაყრდნობით, ქრისტ. კ-ის საგულისხმო მოდელი გადმოსცა ანტონ პირველმა. კატეგორიების ლოგიკური სისტემატიზების თვალსაჩინო ნიმუშია მოცემული ს. დოდაშვილის ნაშრომში „ლოგიკა“. XX ს. ქართ. ფილოსოფიაში კ-ის პრობლემატიკას განიხილავდნენ: შ. *ნუცუბიძე*, დ. *უზნაძე*, ს. *დანელია*, მ. *გოგიბერიძე*, კ. *ბაქრაძე*, ს. *წერეთელი*, გ. ბაჩულაშვილი, გ. მაჩიტაძე, გ. *თევზაძე*, თ. *ბუაჩიძე* და სხვ. ასევე საგანგებო ყურადღება ექცეოდა მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიების ანალიზსა და ინტერპრეტაციას (გ. რუსია, ბ. ურიდია, გ. ცინცაძე, ბ. ლუტიძე და სხვ.). თანამედროვე ქართ. ფილოსოფიაში ინტენსიურად განიხილება ანტ. კატეგორიათმოძღვრებისა და ქრისტ. კ-ის ურთიერთმიმართების პრობლემები (გ. თევზაძე, თ. ირემაძე და სხვ.).

ლიტ.: ბაკურია მ., ბუაჩიძე თ., ერქომაიშვილი ვ., თანაფარდობითი კატეგორიები, თბ., 1993; ბაჩულაშვილი გ., კატეგორიების კავშირი კარლ მარქსის „კაპიტალში“, თბ., 1961; თევზაძე გ., იმანუელ კანტი, თბ., 1974; ირემაძე თ., მყოფი და ყოფნა, მის წგ.: ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე, თბ., 2013; მაჩიტაძე გ., კატეგორიების პრობლემა უაიტჰედის ფილოსოფიაში, თბ., 1966; წერეთელი ს., არისტოტელესა და კანტის მოძღვრებათა ურთიერთობისათვის კატეგორიების შესახებ, «თსუ შრომები», 1936, ტ. 3.

თ. ირემაძე.

კატენი (ლათ. catenae), ეგზეგეტიკურ მწერლობაში (იხ. სტ. *ეგზეგეტიკა*) დამკვიდრებული ჟანრი; ბიბლიური ტექსტის განმარტება-კომენტირება. კ-ები მიწერილი იყო ხელნაწერის გვერდის არშიებზე და ძირითადად რომელიმე მწერლის თხზულებიდან ამოღებულ განმარტებებს შეიცავდა; თუკი ავტორი ცნობილი იყო, მისი სახელი იქვე აღინიშნებოდა. ყველაზე ცნობილი კ-ების ავტორია თომა აკვინელი. ქართ. კ-ების თვალსაჩინო ნიმუშია ე. წ. კატენებიანი გელათის ბიბლია (XII ს., ხელნაწ. ინ-ტი, A-1108). კ. კეკელიძის ვარაუდით, ასეთი მთლიანი და სრული კ. ბიზანტიის მწერლობაშიც არ მოიპოვება.

ლიტ.: კეკელიძე კ., თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმჟრნელ მიტროპოლიტისაჲ, ტფ., 1920; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; Блейк Р. П., О древнегрузинских версиях Ветхого Завета, «Известия Кавк. отделения Моск. археол. об-ва», 1921, в. 6.

უ. ცინდელიანი.

კათედრა, საქართველოს ისტორიული მხარის, *ჰერეთის* მნიშვნელოვანი პუნქტი (ამჟამად სოფელი აზერბ. რესპ. ბელაქნის რ-ნში). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა *მელქისედეკ I-მა* XI ს-ში აქ დააარსა მონასტერი, რ-იც ერთ-ერთ მსხვილ საეკლ. ცენტრად იქცა. XVIII ს-ში ირან-ოსმ. აგრესიისა და დაღესტნელი ფეოდალების გამუდმებული თავდასხმების შედეგად კახეთის სამეფოს ჩამოსცილდა აღმ. ნაწილი, რ-შიც კ-ც შედიოდა და ჩამოყალიბდა ჭარ-ბელაქნელ ლეკთა ე. წ. უბატონო თემები.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013.

თ. პაპუაშვილი.

კათეხიზისი (ბერძნ. katēchēsis – დარიგება, დამოძღვრა, სწავლება), სახელმძღვანელო, რ-შიც გადმოცემულია ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი დებულებები, განკუთვნილი ქრისტიანულ ეკლესიაში ახალმოსულთათვის (კათაკმეველთათვის). ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში კ. იყო ზეპირი დარიგება ქრისტიანობაზე მოსაქცევად, XVI ს-იდან კი – წიგნი, რ-იც პოპულარულ ენაზე გადმოსცემს ქრისტ. ეკლესიის მოძღვრებას. მართლმადიდებლურ, კათოლ. და პროტესტანტულ ეკლესიებს აქვთ თავიანთი კ-ები. ამ ჟანრის პირველი ნაბეჭდი წიგნი ქართულ ენაზე (ხუცურად), წმ. იოანე დამასკელის – „გადმოცემა უცილობელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“, დაბეჭდილია 1744, მოსკოვში, ბაქარის სტამბაში.

ცარიზმის დროს გამოიცა „დაწყებანი საქრისტიანო სწავლისა, ანუ მოკლე სამღუდელო ისტორია და მოკლე კატეხიზმო“; „ვრცელი ქრისტიანობრივი კატეხიზმო მართლმადიდებელის კათოლიკე-აღმოსავლეთის ეკლესიისა“; „სამღვთო სჯულისა და მცნებათათვის მართლმადიდებელ კატეხიზმოს სახელმძღვანელოსამებრ“; ,,სახელმძღვანელო მართლმადიდებელ ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად“ და სხვ.

საბჭოთა პერიოდში, ათეიზმის ხანაში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1989 წლის საქართვ. ეკლესიის კალენდარში პირველად დაიბეჭდა (1911 წლის გამოცემის მიხედვით) სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კ-ის შესასწავლად (მრწამსის, ათი მცნების, ცხრა ნეტარების და ,,მამაო ჩვენოს“ განმარტება). მას შემდეგ სხვადასხვა სახის შინაარსითა და რედაქციით შექმნილია და ქართ. ენაზე გამოცემულია შემდეგი კ-ები: „სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად“ (1990); „მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოკლე კატეხიზმო კათაკმეველთათვის“ (ოზურგეთი, 1991–92); ,,სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად“ (1994); „სახელმწიფოებრივი კატეხიზმო: მართლმადიდებლური სწავლება საღვთო ხელისუფლებაზე“ (1999); „ნესტორ (ყუბანეიშვილი) ეპისკოპოსი – მოკლე კატეხიზმო“ (2000); ალექსანდრე ეპისკოპოსი – ,,მართლმადიდებლური კატეხიზმო“ (2001), ალექსანდრე ეპისკოპოსი – ,,მართლმადიდებლური კატეხიზმო: ანტიქრისტეს მოსვლის ნიშნები“ (საქართვ. საპატრიარქოს გამომც. 2011).

კ. ალიბეგაშვილი.


კათინათაუ, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, ბეზენგის (ხალდის) კედელზე, მდინარეების – ენგურისა და ბეზენგის ჩერეკის წყალგამყოფზე. სიმაღლე 4979 *მ*. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი.

კ-ზე მთამსვლელთა ჯგუფი პირველად ავიდა 1931 შ. მიქელაძის ხელმძღვანელობით (მონაწილეობდა დ. *წერეთელი* და სხვ.).

მ. უთმელიძე.

კატისებრნი (Felidae), ძუძუმწოვრების ოჯახი მტაცებელთა რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 50–380 *სმ* აღწევს, მასა – 1,5–275 *კგ*. აქვთ კუნთოვანი და მოქნილი სხეული, მოკლე ფეხები, ჩამალული ან ნახევრად ჩამალული ბრჭყალები. თითითმავალი მტაცებლებია. ტყის კატები ღია ფერისანი არიან,


ველისა და უდაბნოს სახეობები – ყვითელი ან ქვიშისფერი. გავრცელებული არიან ყველა მატერიკზე ავსტრალიის, მისი მოსაზღვრე კუნძულების და მადაგასკარის გარდა. ბინადრობენ ტყეში, მდინარის სანაპიროზე, ველზე, უდაბნოში, ალპურ ზონაში. ბინდისა და ღამის ცხოველებია. ცხოვრობენ ცალ-ცალკე ან ოჯახებად. კ-თა მრავალი წარმომადგენელი კარგად დაცოცავს ხეზე და ცურავს. იკვებებიან ძუძუმწოვრებით, ფრინველებით, ქვეწარმავლებით, თევზებით, ზოგჯერ – მწერებითაც. მსხვერპლს უმთავრესად უსაფრდებიან ან ეპარებიან, შემდეგ კი თავს ესხმიან დიდი ნახტომით (მხოლოდ ავაზა იჭერს მსხვერპლს დადევნებით). აერთიანებს სამი გვარის (კატა, ჯიქი, ავაზა) 37 სახეობას, მათგან საქართველოში გვხვდება 4 სახეობა – ტყის კატა, ლელიანის კატა, ფოცხვერი და ჯიქი. ტყის კატის (Felis silvestris) ქვესახეობაა *შინაური კატა* (F.S. catus). კ-ის დედალი სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 12–15 თვისა. მაკეობა 55–270 დღე გრძელდება, შობს 2–6 ნაშიერს. კ. ცოცხლობენ 30 წლამდე.



კატისთვალა გველი.

კატისთვალა გველი (Telescopus), გველების გვარი ანკარასებრთა ოჯახისა. კ. ზ-ის თვალის გუგა სინათლეზე ვერტიკალურადაა შეკუმშული და კატის თვალებს მოგვაგონებს. აქვთ შხამიანი, ღარიანი კბილები. გავრცელებულია ევროპაში, სამხრ.-დას. აზიასა და აფრიკაში. გვარი შეიცავს 12 სახეობას. სამხრ. კავკასიაში ერთი სახეობაა ცნობილი – ჩვეულებრივი კ. ზ. (T. fallax), რ-იც გავრცელებულია აღმ. და სამხრ. საქართველოში. ბინდისა და ღამის ცხოველია. იკვებება პატარა-პატარა ცხოველებით. ადამიანისათვის უვნებელია, კბილების მდებარეობა დაშხამვის საშუალებას არ იძლევა.

თ. მუსხელიშვილი.



კატრანი.

კატრანი, ქიცვიანი ზვიგენი, ზღვის ძაღლი (Squalus acanthias, Linnaeus, 1758). ხრტილოვანი თევზი კატრანების გვარიდან (Squalus Linnaeus, 1758), კატრანისებრთა ოჯახიდან (Squalidae Blainville,1816). გავრცელებულია ატლანტის ოკეანის დას. და აღმ. ნაწილში, ხმელთაშუა ზღვაში. შავი ზღვის სანაპიროზე გვხვდება ყველგან. იშვიათად შედის აზოვის ზღვაში. იკვებება უმთავრესად თევზებით. სიგრძით 105–140 *სმ*-ია, ზოგჯერ 2 *მ*-მდე იზრდება. მასა 15–20 *კგ*-ია. ცოცხლადმშობი თევზია. თებერვლიდან მაისამდე შობს 15–20 ლიფსიტას, იშვიათად – 25–30. სარეწაო მნიშვნელობის თევზია. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მხრიდან საჭიროებს ზრუნვას (VU). გამოიყენება საკვებად როგორც ნედლი, ისე შებოლილი სახით. მისი ღვიძლისაგან მზადდება სამედ. პრეპარატები, ტყავს იყენებენ მსუბუქ მრეწველობაში.

ნ. ნინუა.

კატრენი (ფრანგ. quatrain<quatre – ოთხი), დასრულებული აზრის მქონე ოთხტაეპიანი სტროფი. კ-ის რითმების ძირითადი სქემებია aaaa (მონორითმიანი კ.), abab (ჯვარედინრითმიანი კ.), aabb (მოსაზღვრე, ანუ პარალელურრითმიანი კ.), abba (რკალურრითმიანი კ.) და სპარსულიდან მომდინარე aaba (რობაი). კ-ის ნიმუშია:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები“.

(გ. ტაბიძე).

„კაუკაზიშე პოსტი“ („Kaukasische Post“ – „კავკასიის ფოსტა“), ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა 1906-იდან თბილისში გერმ. ენაზე. დამაარსებელი და პირველი რედ. – ა. ლაისტი. სხვადასხვა დროს მისი გამომცემლები იყვნენ კ. ფონ კუჩენბახი და ი. შლოინინგი.

„კ. პ-ის“ ფურცლებზე შუქდებოდა მასალები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გაზეთი ასახავდა კავკასიის გერმანელთა ყოფას, ქართ. საზ. ცხოვრებას, გერმანელ კოლონისტთა და ქართველთა ურთიერთობას.

გაზეთის პირველი ნომერი 1906 წ. 18 ივნისს გამოვიდა. I მსოფლიო ომის დაწყებისას მისი გამოცემა შეწყდა, ხოლო 1918–22 – განახლდა.

„კ. პ-ში“ ა. ლაისტმა გამოაქვეყნა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ლექსების, აგრეთვე ა. დეკანოზიშვილის პროზაული მინიატიურის თავისივე თარგმანები.

გაზეთს ჰქონდა სხვადასხვა რუბრიკა: „პოლიტიკური მიმოხილვა“, „სხვადასხვა ცნობები“, „კოლონიებიდან“, „მთელი მსოფლიოდან“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „ახალი წიგნები“, „მხიარული კუთხე“.

ლიტ.: ბრეგაძე ლ., მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე, თბ., 2010.

თ. დოლიძე.

კაუცკი (Kautsky) კარლ (16. X. 1854, პრაღა, – 17. X. 1938, ამსტერდამი), გერმანელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, იურისტი და პუბლიცისტი. გერმანიის და დას. ევროპის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ლიდერი, მემარჯვენე სოციალისტთა იდეოლოგიის მამამთავარი. XIX–XX სს. მიჯნაზე უარყო კლასიკური მარქსიზმი, რ-ის კრიტიკას უძღვნა არაერთი მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომი. 1917 კ. იყო გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრ. პარტიის ფუძემდებელი. იგი, იცავდა რა დაპყრობილ ერთა კანონიერ უფლებებს, გადაჭრით ილაშქრებდა ერთა ლიგაში საბჭ. იმპერიის მიღების წინააღმდეგ.

კ. იყო II ინტერნაციონალის იმ დელეგაციის ხელმძღვანელი, რ-იც 1920 შემოდგომაზე ოფიც. ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს დემოკრ. სახელმწიფოს საერთაშ. აღიარების საქმეში, რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველო იყო პირველი სახელმწიფო, რ-ის სათავეში მოექცა სოციალ-დემოკრ. პარტია. კ-მ ქართვ. მენშევიკებს გადარჩენის ასეთი გზა შესთავაზა: „თქვენ ვერ გაძლებთ დასავლეთ ევროპის დაუხმარებლად... თქვენ იძულებული იქნებით უცხო კაპიტალი მოიწვიოთ თქვენს ქვეყანაში... აქ კაპიტალიზმი სათანადოდ არ არის განვითარებული და თქვენი მისია იმაშია, რომ ხელი შეუწყოთ მის განვითარებას“ (გაზ. „ერთობა“, 1920, № 223, 238). კ-მ საქართველოს შესახებ დაწერა ბროშურა, რ-შიც იგი მენშევიკებს უცხოეთიდან ტექნიკური კადრების ჩამოყვანას ურჩევდა. ქართ. ენაზე ითარგმნა კ-ს არაერთი თხზულება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; შარაძე გ., საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003; Брайович С. М., Карл Каутский – эволюция его воззрений, М., 1982.

ლ. ურუშაძე.

კაშია, ქართული ზეპირსიტყვიერების პოეტური ჟანრი, სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსი, რ-იც ექსპრომტად გამოითქმება. არსებობს ცალფა (მონოლოგური) და ორფა (დიალოგური) კ. ცალფა კ. მთელ საქართველოშია გავრცელებული, ორფა კი – უპირატესად ფშავ-ხევსურეთში.

ლიტ.: კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, გამოც. მე-2, თბ., 1961; ყრუაგიორგი, კაფიები, ლ. ბოძაშვილის გამოც., თბ., 1973; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.

კაქტუსისებრნი, კაქტუსები (Cactaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ხისებრი, ბუჩქისებრი და ლიანისებრი ფორმებია, იშვიათად – დაბალი ხეები. აქვთ ეკლით, ბუსუსით ან ქერქლით დაფარული წვნიანი, ხორცოვანი ღერო, რ-იც სფეროსებრი, კვერცხისებრია, ცილინდრული და სვეტისებრია, ზოგჯერ გაბრტყელებულია და დაყოფილია ნაწილებად. ფოთლები რედუცირებული აქვთ. ფოტოსინთეზი და ტრანსპირაცია ხდება ღეროთი,



კაქტუსი. მამილარია.

რ-შიც მძლავრადაა განვითარებული წყლის შემცველი პარენქიმა (დიდ კაქტუსებში 2000-მდე ლ წყალი გროვდება). ხშირად კ-ს ცვილისებრი ნაფიფქი აქვს ან ქეჩისებურად არის შებუსვილი. თითქმის ყველას აქვს წიბოებიანი დვრილები. განსაკუთრებით დამახასიათებელია ე. წ. არეოლები (მკვეთრად შემოსაზღვრული ბუსუსიანი და ეკლიანი უბნები, რ-ებიც უბის კვირტებისგანაა წარმოშობილი). ყვავილები მეტწილად დიდი და კაშკაშაა, მარტოული, იშვიათად კენწრულ ყვავილედებად შეკრებილი; მრავალთესლიანი ნაყოფი კენკრისებრია, ზოგჯერ მშრალი. ყვავილები იშლება საღამოს ან გვიან ღამით. ცნობილია კ-თა 85 გვარი (სხვა მონაცემებით 50 – 220) და 2000-ზე მეტი სახეობა. გავრცელებულია უმეტესად ამერიკაში (აქედან ნახევარი – მექსიკაში), მხოლოდ ერთადერთი გვარი – Rhipsalis – გვხვდება ტროპიკულ აფრიკაში (გზადმოყოლილია). კ. იზრდება ტროპ. და სუბტროპ. უდაბნოებში (ზოგან მთებშიც 4500 *მ*-მდე), იშვიათად – ტროპ. წვიმის ტყეებში, ზღვის სანაპიროებსა და სავანეებშიც. ზოგი კ. (უმეტესად ოპუნციის სახეობები) გავრცელდა ავსტრალიაში (სადაც იგი სათიბ-საძოვრის ძლიერ სარეველად იქცა), ჩინეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებში, ყირიმის სამხრ. სანაპიროზე და სხვ. საქართველოში ძირითადად მხოლოდ ბოტანიკურ ბაღებში გვხვდება. თბილ. ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ხარობს თვითნათესი ოპუნციები. კაქტუსის მრავალი სახეობის ნაყოფი და ღეროს რბილობი საკვებად ვარგისია. ზოგს იყენებენ საქონლის საკვებად (უეკლო ოპუნციები), სათბობად და მსუბუქ სამშენ მასალად (გამერქნებული ღეროები), ცოცხალ ღობედ (ეკლიანი ოპუნციები და ზოგი ცერეუსი). სახეობების უმეტესობას (მამილარია, ოპუნცია, ცერეუსი, ცეფალოცერეუსი და სხვ.) აშენებენ სათბურებში, აგრეთვე ოთახის პირობებში.

კაშია ვალტერ გიორგის ძე (1. IX. 1948, სოფ. გორა, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 9. VIII. 2015, თბილისი), ფიზიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1997). 1971 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი. 1973-იდან მუშაობდა *სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში*, 2000–05 იყო ამავე ინ-ტის დირექტორი; იქვე ხელმძღვანელობდა არატრადიციული ენერგეტიკის განყ-ბას. 1985-იდან ეწეოდა პედ. საქმიანობას სოხუმის უნ-ტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკ-ტზე. 1996 აირჩიეს აფხაზეთის რეგიონული აკადემიის წევრად. 1997-იდან იყო საქართვ. ეკოლ. მეცნიერებათა და საინჟინრო აკადემიების წევრი. არის მრავალი გამოგონების ავტორი. დაჯილდოებულია სახელმწ. ჯილდოებით, მ.შ. ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: ელექტროენერგიის თერმოემისიური გენერატორები და მათი უსაფრთხოების სისტემები, თბ., 2012.

კაშია ჯანრი ილიას ძე (8. V. 1939, ბათუმი, – 11. III. 2012, პარიზი, დაკრძალულია თბილისში), ფილოსოფოსი, მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე. დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1964). 1967–77 თბილ. სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა ფილოსოფიას, ფილოს., ხელოვნ. და კულტ. ისტორიას, 1969–75 იქვე იყო ხელოვნების თეორიისა და ისტორიის, ესთეტიკისა და პედაგოგიკის ფაკ-ტის დეკანი, 1969–70 – თბილისის ბავშვთა სამხატვრო გალერეის (ბავშვთა შემოქმედების მუზეუმი) თანადამაარსებელი და დირექტორი.

1982 კ-მ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო საფრანგეთში (1992 გახდა საფრანგეთის მოქალაქე). 1982–83 ცხოვრობდა და მუშაობდა პარიზში, 1983–84 – მიუნხენში, სადაც იყო რადიო ,,თავისუფლების'' ჟურნალისტი, შემდეგ ქართ. რედაქციის უფროსი და მთ. რედაქტორი (1984–86). 1983-იდან იქვე დააარსა და ხელმძღვანელობდა ქართულ-ევროპულ ინ-ტს (საქართველოს, კავკასიის და ევრაზიის ცივილიზაციის კვლევის ცენტრი). ამავე წლებში იყო მიუნხენის აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემსწავლელი ცენტრის მიწვეული პროფესორი. 1984-იდან გამოსცემდა და რედაქტორობდა ქართ.-ევრ. ინ-ტის ჟურნ. ,,ივერიას'' (ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ჟურნალის გაგრძელება, გამომცემელი მ. ქავთარაძე), ამავე ინ-ტში დააარსა ი. ჭავჭავაძის პრემია. 1986 ვაშინგტონში მუშაობდა ,,ამერიკის ხმის'' ქართ. რედაქციის მიწვეულ კონსულტანტად, 1987–92 – რადიო ,,თავისუფლების'' ქართ. რედაქციის ოფიციალურ კორესპონდენტად პარიზში, 1993–97 თანამშრომლობდა ფრანგ. ჟურნალთან ,,Politique international''; ამ პერიოდში იკვლევდა პოსტტოტალიტარული ქვეყნების განვითარების გზებს, მათ წინაშე მდგარ გამოწვევებსა და სირთულეებს. 2004 საქართველოში დაბრუნდა და მოქალაქეობა აღიდგინა.

2002–05 მიჰყავდა საკუთარი ტელეგადაცემები: ,,არჩევანი თქვენი'', ,,ნადიმი ჯანრი კაშიასთან'' (,,იმედი'', ,,202''). 2009–12 იყო ევრო-კავკ. უნ-ტის პროფესორი.

კ. არის მრავალი სოციოლ. ნაშრომის ავტორი. 2013 გამოიცა კ-ს თხზულებების 11 ტომი.

ს. ზურაბიშვილი.



ჯ. კაშია.

კაშიბაძე ვახტანგ ვასილის ძე [14 (27). VII. 1914, ქუთაისი, – 19. II. 1999, თბილისი], სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1969).

დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის სამთო ფაკ-ტი (1937). მუშაობა დაიწყო დონბასში (1937–40). მონაწილეობდა II

მსოფლიო ომში (1939–45). 1943-იდან მუშაობდა სპი-ში შრომის დაცვისა და მაღაროს აეროლოგიის კათედრაზე, 1959-იდან ხელმძღვანელობდა ამავე კათედრას.

პ-ის სამეცნ. კვლევები ეხება მაღაროს აეროდინამიკური წინაღობის მნიშვნელობის თეორიულ და ექსპერ. განსაზღვრას. მან შეისწავლა შახტებისა და მაღაროების აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტის დამოკიდებულება ნახშირის სანგრევების (ლავების) სიმძლავრეზე; შექმნა ორიგინალური ტიპის აეროდინამიკური სასწორი, რ-ის მეშვეობით დაადგინა აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტები და მათი საანგარიშო ფორმულები სხვადასხვა ტიპის სამაგრებითა და მექანიზებული და ლენტიანი კონვეიერებით აღჭურვილ გვირაბებში; მაღაროში დანერგა პნევმოკონტეინერული ტრანსპორტი (იხ. სტ. *პნევმატიკური ტრანსპორტი*).

აღსანიშნავია პ-ის მოღვაწეობა ხელოვნების დარგში – ავტორია რამდენიმე მუს. ნაწარმოების (რომანსი, სონეტი, ფანტაზია ფორტეპიანოსათვის).

თხზ.: Исследование аэродинамического сопротивления квершлаго-штрекообразных выработок при новых видах крепления, М., 1951; Исследование аэродинамического сопротивления механизированных горных выработок, М., 1965.

კაშხალი, ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელიც დინების ზემო ნაწილში ხერგავს მდინარეს (ან სხვა წყალსადინარს) წყლის დონის ასაწევად, ნაგებობის მდებარეობის ადგილზე წყლის დაწნევის კონცენტრაციისთვის და წყალსაცავის შესაქმნელად. ძველად პ-ს ძირითადად *ირიგაციისთვის* აშენებდნენ. პ-ის მშენებლობის შესახებ პირველი ცნობები მოიპოვება ეგვიპტეში, ინდოეთსა და ჩინეთში (ძვ. წ. 4000). ძველად მას უმეტესად მიწისგან ან ხისგან აგებდნენ. მცირე სიმაღლის პ-ების მშენებლობა ფართოდ გაიშალა XVI–XVII სს-ში, განსაკუთრებით კი XIX ს. II ნახევრიდან, როდესაც დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების აგება.



ენგურჰესის კაშხალი.

დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ წყალსაცავისა და წყალსაწევის, აგრეთვე ყრუ და წყალგადასაშვებ პ-ებს. ძირითადი საშენი მასალის მიხედვით არსებობს ხისა და მიწის, ქვის, შერეული, რკინაბეტონის პ-ები. ხისა და მიწის პ. უძველესია და ყველაზე ფართოდ იყო გავრცელებული. აგებდნენ მშრალად, ყოველი შემდგომი ფენის დატკეპნით. საქართველოში ასეა აგებული სიონის მიწაყრილის პ. მდ. იორზე (სიმაღლე 70 *მ*), აგრეთვე პ. ჟინვალის (დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჟინვალი) წყალსაცავზე, რ-იც წარმოადგენს მიწანაყარ თიხისგულიან ნაგებობას [სამშ. სიმაღლე 102 *მ*, მუშა სიმაღლე (წყლის შეტბორვის სიმაღლე) 96 *მ*]. ქვის პ-ს აგებენ ქვის ღორღის ან კენჭების დაყრით (ე. წ. ქვაყრილი პ.), ან ქვის მშრალი წყობით, ანდა მშრალი წყობისა და ქვაყრილის შერწყმით (ე. წ. ნახევრად ქვაყრილი პ.). საქართველოში ამ ტიპის პ. აგებულია მდ. ხრამზე (სიმაღლე 30 *მ*), შაორის წყალსაცავზე (რაჭა; ქვაყრილის სიმაღლე 11,5 *მ*) და სხვ.; შერეული ტიპის პ-ს აგებენ ქვაყრილისა და მიწისგან ან ქვაყრილისა და ბეტონისგან. როგორც ქვის, ისე შერეული ტიპის პ. ყრუა. ასეთია მაგ., ვარციხის პ. (სიმაღლე 21,2 *მ*). ბეტონისა და რკინაბეტონის პ., თავის მხრივ, სამი სახისაა: გრავიტაციული, თაღოვანი და კონტრფორსებიანი. გრავიტაციული პ. ყრუა ან წყალგადასაშვები. ხშირად მის თხემზე ეწყობა წყალსაშვები, ზემო წახნაგთან კი – დრენაჟი გაფილტრული წყლის ასარინებლად. თაღოვანი პ. წარმოადგენს ვერტიკალურღერძიან ბეტონის თაღს, რ-იც ხეობის ნაპირებსა და ფუძეს ეყრდნობა. მას მხოლოდ მტკიცე გრუნტზე (კლდე-გრუნტზე) აგებენ. იგი შეიძლება იყოს როგორც ყრუ, ისე წყალგადასაშვები. თაღოვანი პ. აგებულია მდ. ლავჯანურზე, დაბა ცაგერის სამხრ.-დას. მიმართულებით (სიმაღლე 69 *მ*). კონტრფორსებიანი პ. ყრუცაა და წყალგადასაშვებიც, შედგება ფორსებზე მიბჯენილი ფილისა და თაღების რიგისგან. ხის პ-ის მდგრადობას უზრუნველყოფს გრუნტში ჩასობილი ხიმინჯები, ძელყორეები. ხის პ. წყალგადასაშვებია. მისი სიმაღლე აღწევს 10–15 *მ*. იყენებდნენ ხეტყის დასაცურებელ სისტემებში, სოფ. მეურნეობაში (წისქვილი, ირიგაცია) და სხვ. მისი აგება ეკონომიკურად გამართლებულია ხეტყის წარმოების რეგიონებში. ამჟამად ამ ტიპის პ-ს თითქმის აღარ იყენებენ.

მსოფლიოში ყველაზე მაღალია როგუნის მიწის პ. (ტაჯიკეთი), მდ. ვახშის (სიმაღლე 325–345 *მ*) და ენგურის თაღოვანი პ. (სიმაღლე 270 *მ*). ენგურის პ. ერთ-ერთი უმაღლესი თაღოვანი რკინაბეტონის კონსტრუქციაა და შედის მსოფლიოს უმაღლესი თაღოვანი პ-ების ხუთეულში. 2015 მას მიენიჭა ეროვნ. კატეგორიის ძეგლის სტატუსი.

ლიტ.: გავარდაშვილი გ., ბუნებრივი და ტექტონიკური კატასტროფებისას მთის ღანდშაფტების უსაფრთხოების ღონისძიებები, თბ., 2011; იორდანიშვილი ი., საქართველოს მთის წყალსაცავების ეკო-ევოლუციის საკითხები, თბ., 2012; მოწონელიძე ნ., ჰიდროტექნიკური ნაგებობები, ნაწ. 1, თბ., 1977. *გ. გავარდაშვილი.*

კაშხიანი სერგო ამაიაკის ძე (17. II. 1918, თბილისი, – 29. X. 1993, იქვე), მხატვარი-გრაფიკოსი. საქართველოს დამს. მხატვარი. 1940–47 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (პედაგოგები – დ. კაკაბაძე, ს. ნადარეიშვილი, ი. შარლემანი). მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში, მ.შ. „ახალგაზრდა მხატვრების საშემოდგომო გამოფენაში“ (1954, თბილისი) და სხვ. 1959-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში, იყო გრაფიკის კათედრის თანამშრომელი. პ-ის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პლაკატს, ლინოგრავიურას, ოფორტს, აგრეთვე ქართ. არქიტ. ძეგლების



ს. კაშხიანი. „ძველი თბილისი“. 1958.

თემას. მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში, დ. შევარდნაძის

სახ. ეროვნულ გალერეასა და კერძო კოლექციებში.

კაჩაეთი, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ნიკორწმინდის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1180 *მ*, ამბროლაურიდან 18 *კმ*, ტყიბულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 *კმ*. 94 მცხ. (2014).

ჰ. პირველად მოხსენიებულია ნიკორწმინდის იადგარში (1071–88). გვიანდ. ფეოდალურ ხანაში ჰ. რაჭის საწულუკიძეოს შემადგენლობაში შედიოდა. სოფელში დგას შუა საუკუნეების გუმბათიანი ტაძარი. *თ. ბერაძე.*

კაჩალინი გავრილ დიმიტრის ძე (17. I. 1911, მოსკოვი, – 23. V. 1995, იქვე), სპორტსმენი, ფეხბურთელი (ნახევარმცველი), მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1950). სსრკ დამს. მწვრთნელი (1956). მისი ხელმძღვანელობით სსრკ ნაკრები გახდა ოლიმპიური ჩემპიონი (1956) და ევროპის პირველი ჩემპიონი (1960). თამაშობდა „ვოლნი ტრუდში“ (1928), გომელის ,,დინამოში‘‘, მოსკოვის ,,დინამოში‘‘ (1936–42). იყო სსრკ ორგზის ჩემპიონი (1937, 1940) და სსრკ თასის მფლობელი (1937); ბასკეთის ეროვნ. ნაკრების წინააღმდეგ გამართული ამხანაგური შეხვედრის მონაწილე. სამწვრთნელო კარიერა დაიწყო მოსკოვის ,,ტრუდოვიე რეზერვიში‘‘ (1945–48); წვრთნიდა: მოსკოვის ,,ლოკომოტივს‘‘ (1949–52), ტაშკენტის ,,პახტაკორს‘‘ (ფახთაკორი, 1960; 1975), თბილისის ,,დინამოს‘‘ (1964–65, 1971–72), მოსკოვის ,,დინამოს‘‘ (1973–74). იყო სსრკ ნაკრების მთ. მწვრთნელის თანაშემწე (1954) და მთ. მწვრთნელი (1955–58, 1960–62, 1968–70). მისი ხელმძღვანელობით სსრკ ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის სამ გათამაშებაში (1958, 1962, 1970). სსრკ-ის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების (1965) და სსრკ-ის ოლიმპიური ნაკრების (1966–68) მწვრთნელი. ჰ-ის ხელმძღვანელობით თბილისის ,,დინამო‘‘ თავის ისტორიაში პირველად გახდა საბჭ. კავშირის ჩემპიონი (1964).

კაჩინსკი (Kaczyński) ლეხ ალექსანდერ [18. VI. 1949, ვარშავა,–10. IV. 2010, სმოლენსკი (რფ), დაკრძალულია ქ. კრაკოვში], პოლონეთის პრეზიდენტი 2005–10. ქ. ვარშავის მერი 2002–05. პარტია ,,სამართალი და სამართლიანობის‘‘ (შექმნა ტყუპისცალ ძმასთან ერთად 2001) ერთ-ერთი ლიდერი. სწავლობდა ვარშავის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე, 1972 მიიღო მაგისტრის ხარისხი. 1979 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გდანსკის უნ-ტში, 1990-იდან იყო ამ უნ-ტის პროფესორი. პოლიტ. კარიერა დაიწყო 1977 მუშათა დაცვის კომიტეტში, რაც ანტიკომუნისტური ოპოზიციის იატაკქვეშა მოღვაწეობად ითვლებოდა. 1980 დაინიშნა გდანსკის საგაფიცვო კომიტეტის იურიდ. მრჩევლად. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემდეგ 11 თვე იყო დაპატიმრებული, გათავისუფლების შემდეგ სეიმისა და სენატის წევრი გახდა. პოლონეთის პრეზიდენტის კანცელარიაში ხელმძღვანელობდა ეროვნ. უსაფრთხოების ბიუროს, შემდეგ – უმაღლესი კონტროლის პალატას. იყო იუსტიციის მინისტრი. 2005 ოქტომბერში გაიმარჯვა პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნებში. 2008 აგვისტოში, საქართველო-რუსეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ჰ. ჩამოვიდა თბილისში და რუსეთი აგრესიაში დაადანაშაულა. მონაწილეობა მიიღო მთავრობის სასახლის წინ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ გამართულ მრავალათასიან მიტინგში.

ჰ. სამთავრობო დელეგაციასთან ერთად დაიღუპა ავიაკატასტროფაში, როდესაც სმოლენსკში ,,კატინის ტრაგედიის‘‘ 70 წლისთავის აღსანიშნავად მიფრინავდა.

პოლონეთისა და სხვა ქვეყნის ჯილდოებთან ერთად ჰ-ს მიღებული აქვს საქართვ. უმაღლესი ჯილდოები – წმ. გიორგის გამარჯვების ორდენი (2007), ეროვნული გმირის ორდენი (2010 წ. 10 აპრილს, სიკვდილის შემდეგ). თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდა.

კაციია I დადიანი (გ. 1710), ოდიშის მთავარი 1704–10. 1704 მამამ, გიორგი IV-მ, დადიანის ტიტული უბოძა, თუმცა სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი თვითონ იყო. რამდენიმე წლის შემდეგ ჰ. I დ-მა მამა ოდიშიდან გააძევა და სამთავროს მართვას შეუდგა, მაგრამ მალევე გარდაიცვალა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), [ტ.] 1, თბ., 1973.

კაციია II დადიანი, ოდიშის მთავარი 1758–88, ოტია დადიანის ძე. 1757 ოდიშის დამხმარე ლაშქარს ხელმძღვანელობდა *ხრესილის ბრძოლაში*. 1770–71 დას. საქართველოში მყოფ რუს. კორპუსს ეხმარებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში (რუს. წყაროების ცნობით, საკმაოდ ორჭოფული პოზიცია ეკავა). 1780 ჰ. II დ-მა სოლომონ I-ის დახმარებით რუხის ბრძოლაში დაამარცხა აფხაზეთის მთავარი. შემდეგში იგი აქტიურად ერეოდა აფხაზეთის სამთავრო სახლის შინაურ საქმეებში; ეხმარებოდა ზურაბ შარვაშიძეს თავისი ძმისწულის – ქელაიშ-აჰმედ-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ დაეხმარა დავით გიორგის ძეს იმერეთის სამეფო ტახტის დაუფლებაში.

წყარო: ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941; დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. 1, СПб., 1891.

ლიტ.: საქართველოს ისტორია, ტ. 3, მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, რედ. მ. დუმბაძე, თბ., 1973.

თ. ბერაძე.

კაციტაძე ალექსანდრე გურგენის ძე (დ. 16. XII. 1958, თბილისი), დერმატო-ვენეროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1995). 1981 დაამთავრა თსსი, 1984–91 იყო ამავე ინ-ტის დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის კათედრის თანამშრომელი, კათედრის პროფესორი (1993–99). 1999-იდან თსსუ-ის დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

ჰ-ის სამეცნ. მუშაობის ძირითადი სფეროა დერმატოლოგია, ვენეროლოგია, დერმატოპათოლოგია, დერმატოკოსმეტოლოგია. ავტორია საქართველოში პირველად გამოცემული ატლასის – ,,კანისა და ვენერიული დაავადებები‘‘ (2014).

ჰ. არის ევროპის დერმატოლოგიის და ვენეროლოგიის (1998-იდან), ამერიკის დერმატოლოგიის (1998-იდან), ნიუ-იორკის მეცნ. (2013-იდან) აკადემიების წევრი.

კაციტაძე გურამ კონსტანტინეს ძე (დ. 16. VII. 1934, თბილისი), მიკრობიოლოგი, ეპიდემიოლოგი; მედ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1984), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1987). 1958 დაამთავრა თსსი. 1959–65 მუშაობდა ვაქცინებისა და შრატების სამეცნ.-



გ. კაჩალინი.



ლ. კაჩინსკი.

კვლ. ინ-ტში; 1965–78 – სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ლაბორატორიის გამგედ, დირექტორის მოადგილედ, 1978–89 – ტროპიკული მედ. და სამედ. პარაზიტოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ლაბორატორიის გამგედ. 1983–84 იყო საქართვ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდსამმართველოს უფროსი, 1984–91 – ამავე სამინისტროს სამეცნ. საბჭოს მთ. სპეციალისტი; ეპიდემიოლოგიისა და ჰიგიენის სამეცნ. ცენტრის გენ. დირექტორი (1989–91); 1991–92 – განსაკუთრებით საშიში ინფექციების საწინააღმდეგო სამეცნ.-პრაქტ. ცენტრის დირექტორი. ამჟამად არის დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნ. ცენტრის სამეცნ. ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სამეცნ. საბჭოს მრჩეველი.



ზ. კაციტაძე.

პ-ის მრავალი სამეცნ. შრომა ეხება მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და ჰიგიენის აქტუალურ საკითხებს. არის გელათის მეცნ. აკადემიის წევრი (1995); მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

კაციტაძე დავით (დევი) ვარლამის ძე (8. XI. 1928, თბილისი, – 30. V. 2009, იქვე), ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1974), თსუ-ის აღმ. ისტორიის კათედრის გამგე (1973). 1955 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი ირანის ისტორიის სპეციალობით. პ. იკვლევდა ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობის სოც.-ეკონომიკური და პოლიტ. ისტორიის, ქართული და სპარსული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს. მრავალი ნაშრომის ავტორია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).



ჯ. კაციტაძე (დ. 1937).

თხზ.: სპარსული საისტორიო ტექსტები, I. ქრესტომათია, შეადგინეს ჯ. გიუნაშვილმა და დ. კაციტაძემ, თბ., 1972; საქართველო XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975; ვ. გაბაშვილი. ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა, თბ., 1986; ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII–XVIII სს.), თბ., 1992; Грузино-иранские культурно-исторические связи, Тб., 1978 (თანაავტ. Ал. Гвахария).

კაციტაძე ვასილ თადეოზის ძე [1(14). I. 1905, სოფ. მუხლი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 19. V. 1989, თბილისი], ჰიგიენისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1951), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1932 დაამთავრა თსსი. 1939-იდან იყო სტომატოლოგიური ინ-ტის, შემდეგ კი თსსი-ის ჰიგიენის კათედრის გამგე, 1948–72 – ამავე ინ-ტის სანიტ.-ჰიგიენური ფაკ-ტის დეკანი.

პ. იკვლევდა კვების, შრომისა და კომუნალური ჰიგიენის საკითხებს. ქართ. ენაზე შეადგინა ჰიგიენის პირველი სახელმძღვანელოები: ,,ზოგადი ჰიგიენა'' (1942), ,,სამხედრო ჰიგიენა'' (1950), ,,კვების ჰიგიენა'' (1957) და ,,რადიაციული ჰიგიენა'' (1968).

პ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კაციტაძე ზურაბ ირაკლის ძე (დ. 28. VIII. 1927, თბილისი), ანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1974). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1990). 1949 დაამთავრა თსსი. 1949–51 მუშაობდა ქ. რუსთავში პოლიკლინიკის მთავარ ექიმად; 1954–56 – მოსკოვში, 1956–61 კი თბილისში იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი. 1961-იდან თსსი-ის ადამიანის ანატომიის კათედრაზეა, სადაც 1971 აირჩიეს კათედრის პროფესორად, 1974–90 – კათედრის გამგედ.

პ. იკვლევდა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ბიომექანიზმებს, ანთროპოლოგიის, ასაკობრივი ანატომიისა და ექსპერ. მედ. საკითხებს. პ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 6 მონოგრაფია და 5 სახელმძღვანელოა.

თხზ.: ადამიანის ანატომია, ნაწ. 1–4, თბ., 1988–91; Эволюция вертикальной ходьбы, Тб., 1968; Лимфатическое русло женских половых органов, Тб., 1990 (თანაავტ.: М. Абесадзе, А. Борисов).

კაციტაძე კონსტანტინე თადეოზის ძე [7(19). X. 1899, სოფ. მუხლი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 24. X. 1982, თბილისი], ეპიდემიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1964). 1929 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1934–37 იყო თბილ. სანიტარიისა და ჰიგიენის ინ-ტის ეპიდემიოლოგიური განყ-ბის გამგე. 1939–76 განაგებდა თსსი-ის ეპიდემიოლოგიის კათედრას. 1976-იდან იყო ამავე კათედრის პროფესორი, 1954–56 და 1964–73 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ეპიდემიოლოგი.

პ. იკვლევდა დიფთერიის, ტიფის, დიზენტერიის, წითელას, ვირუსული ჰეპატიტისა და სხვა ინფექციური დაავადებების ეპიდემიოლოგიისა და პროფილაქტიკის საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: პარაზიტული ტოფების ეპიდემიოლოგია, თბ., 1947; დიფთერია, თბ., 1960.

კაციტაძე ჯემალ ბენიას ძე (დ. 26. V. 1937, სოფ. ხოტევი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-მექანიკოსი. საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1993). ტექ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1989). 1961 დაამთავრა ქუთაისის სას.-სამ. ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი. 1961–79 მუშაობდა საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტში (სოხუმი). იყო ლითონთა ტექნოლ. და მანქანათა რემონტის კათედრის გამგე. 1979–90 საქართვ. აგრარულ უნ-ტში ხელმძღვანელობდა ლითონთა ტექნოლ. კათედრას. 1990–2001 იყო მანქანების საიმედოობის, რემონტისა და მასალათა ტექნოლ. კათედრის გამგე, აგრარული უნ-ტის პრორექტორი სამეცნ. ნაწილში (2013–14). ეწევა სამეცნ.-პედ. საქმიანობას.

პ-ის შრომები ეხება სას.-სამ. ტექ. საიმედოობის გაანგარიშებისა და გაზრდის თეორ. საფუძვლების დამუშავებას, ინოვაციური რესურსდამზოგი ტექნოლ. ხერხების შექმნას გაცვეთილი დეტალების აღდგენისათვის ავტომატური გალვანური (ასევე მდნობის თანაობისას) დადუღების მეთოდებით, აგრეთვე მათ. საფუძვლებს მანქანების საიმედოობისა და აღდგენის რეჟიმების ოპტიმიზაციისათვის (განზომილებათა და მსგავსობის თეორიისა და ალბათურ-სტატისტ. მოდელირების გამოყენებით). მის მიერ ნაპოვნია მსგავსობის კრიტერიუმები და აგებულია ადეკვატური მათ. მოდელები.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998) და სომხეთის ეროვნ. აგრარული უნ-ტის ოქროს მედალი (2015). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები. აქვს 14 საავტორო მოწმობა და პატენტები გამოგონებებზე.

თხზ.: მანქანების საიმედოობა და რემონტი (სახელმძღვანელო), თბ., 1989; მანქანების ტექნიკური სერვისი (სახელმძღვანელო), თბ., 2008; რუსულ-ქართული აგროსაინჟინრო ტერმინოლოგიური და განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2015; გაცვეთილი დეტა-

ლების აღდგენის თანამედროვე ინოვაციური რესურსდამზოგი ტექნოლოგიები, თბ., 2017. *თ. არსენაძე.*

კაციტაძე ჯუმბერ ბენიას ძე (23. VI. 1940, სოფ. ხოტევი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 21. VI. 1995, თბილისი), ინჟინერ-მექანიკოსი. საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1994). ტექ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1994). 1963 დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტის (სოხუმი) მექანიზაციის ფაკ-ტი. იყო ამბროლაურის სას.-სამ. ტექნიკუმის პედადოგი. 1976–82 მუშაობდა საქართვ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ლაბორატორიის ხელმძღვანელად და მთ. კონსტრუქტორად. 1982–85 ამბროლაურის რ-ნში ხელმძღვანელობდა აგროსამრეწველო გაერთიანებას, ხოლო 1986-იდან იყო კომბინირებული საკვების მრეწველობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი.

ჰ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და 10 გამოგონების ავტორი. დაამუშავა სას.-სამ. ტექნიკის სამთო პირობებში მუშაობის გაუმჯობესების მეცნ. რეკომენდაციები და სუბტროპ. კულტურების კომპლექსური მექანიზაციისათვის საჭირო მანქანების გაანგარიშების საფუძვლები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. სამეცნ. მიღწევათა გამოფენის ორი ვერცხლის მედალი.

თხზ.: სიმძიმისა და წნევის ცენტრების გადაადგილების გამოკვლევა სამთო პირობებში მომუშავე სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორებისათვის დამატებითი ბალასტის გამოყენებით, თბ., 1978; ფხვნილოვანი დატვირთვა-განტვირთვის მექანიკურ-ტექნოლოგიური საფუძვლები კომბინირებული საკვების საწარმოებში, თბ., 1991. *თ. არსენაძე.*

კაციხაბლა, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ფოქვეშის თემში (აფხაზეთის არ), მდ. ღალიძგის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 60 *მ*, ოჩამჩირიდან 18 *კმ*, ბესლახუბიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ*.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კაცხი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ცალგმილის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1400 *მ*, მესტიიდან 33 *კმ*. 21 მცხ. (2014).

კაცხი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), მდ. კაცხურის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას, ჭიათურა–ზესტაფონის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., დიდი კაცხი, ეწერი, მორძგვეთი, ნავარძეთი, სალიეთი, ჯოყოეთი). ზ. დ. 610 *მ*, ჭიათურიდან 11 *კმ*, სალიეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 403 მცხ. (2014).

ჰ-ის ტერიტორიაზე არის ზედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული კარსტული მღვიმეები (კაცხის I მღვიმე, კაცხის II მღვიმე და ხორბოულისკლდის მღვიმე).

ჰ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. იგი ბაღვაშთა საგვარეულო მამულს წარმოადგენდა. გვიანდ. ფეოდ. ხანის წყაროებში გვხვდება ,,კაცხის ციხე''. იგი თავდაპირველად სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, XVII ს. 60-იანი წლებიდან კი აბაშიძეთა ფეოდ. საგვარეულო განაგებდა. XVIII ს. 50-იანი წლებიდან კვლავ სამეფო ხელისუფლების კუთვნილებაა. ციხის ნანგრევები შემორჩენილია მდ. კაცხურის მარჯვ. ნაპირზე. 1970 ჰ-ში ჭის გათხრის დროს აღმოჩნდა სხვადასხვა ნივთები და მონეტები, მ. შ. ორი კოლხური თეთრი. სოფლის ცენტრში დგას X–XI სს. მიჯნის ხუროთმოძღვრების ძეგლი – *კაცხის ტაძარი.*


სოფლის ჩრდ-ით, ორიოდე *კმ* დაშორებით, მდ. კაცხურის ხეობაში მდებარეობს შთენილი კლდე *–კაცხის სვეტი.*

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

თ. ბერაძე. შ. საღარაძე.

კაცხის სვეტი, კირქვის სვეტისებრი დენუდაციური ,,მოწმე'' – შთენილი კლდე ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ-ების – კაცხურისა (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) და ღვითორის (ბუჯის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე ზ. დ. 650 *მ*, მიწის ზედაპირიდან – 40 *მ*. ჰ. ს. ბოლოვდება მართკუთხედის ფორმის მოედნით, რ-ის გვერდები 17 და 10 *მ* სიგრძისაა. სვეტის ფერდობები ვერტიკალურად ეშვება, რის გამოც მასზე ასვლა მხოლოდ სპეც. აღჭურვილობითაა შესაძლებელი.

ადრინდ. შუა საუკუნეებში აქ მონოფიზიტ განდეგილთა სამყოფელი იყო. სვეტის ზედა ბაქანზე დგას ორი მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია. ასეთ ადგილებში სამლოცველოების აგებას მკვლევრები უკავშირებენ მესვეტეობას, რ-იც VI ს-ში გავრცელებული იყო წინა აზიასა და, უპირველეს ყოვლისა, სირიაში, რ-თანაც ქრისტ. საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ერთი ეკლესია (V ს.) მშრალადაა ნაშენი ადგილზე მოპოვებული უხეშად დამუშავებული ქვით, ხოლო აფსიდი კლდეშია გამოკვეთილი. მეორე ეკლესია (VI ს.) აგებულია ქვემოდან აზიდული კარგად გათლილი ტუფის კვადრებით, აქვს კრიპტა (ქვედა სართული – სამარხი). ჰ. ს-ის არქიტ. ძეგლები (ორი ეკლესია, განდეგილი ბერის საკანი და ჩაფლული ქვევრები) პირველად 1944 ნახა მთამსვლელთა ჯგუფმა ალექსანდრე *ჯაფარიძის* ხელმძღვანელობით. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე არქიტ. ვ. *ცინცაძე*, მწერლები: ლ. *გოთუა* და ა. *ბელიაშვილი*. სვეტზე 1999 ავიდა მეორე ექსპედიცია (ხელმძღვ. ბ. *გუჯაბიძე*). სვეტის ეზოში 2000 ააგეს სვიმონ მესვეტის ეკლესია. 2006 სვეტზე ასასვლელად მოეწყო ლითონის კიბე.



ჯ. კაციტაძე (დ. 1940).



კაცხის სვეტი.

ლიტ.: საქართველოს ბუნება, თბ., 2013; ცინცაძე ვ., კაცხის ,,სვეტი'', «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1946, ტ. 7, № 8. *ლ. მარუაშვილი. შ. საღარაძე.*

კაცხის ტაძარი, X–XI სს. მიჯნის ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხში. აღმართულია სოფლის ცენტრში. სამხრ.-დას. შესასვლელის ტიმპანის წარწერის მიხედვით იგი 1010–14 დაასრულეს. ტაძარი დიდი, შიგნიდან ექვსაფსიდიანი მრავალწახნაგა გუმბათოვანი ნაგებობაა. გარედან, სამი მხრიდან, აკრავს გარშემოსასვლელი, რ-იც დაახლ. 30 წლის შემდეგ მიუშენებიათ. მთელი ნაგებობა შედგება საფეხურებად

განლაგებული სამი კონცენტრული, წახნაგოვანი მოცულობისაგან – გარსშემოსავლელის, საკუთრივ ტაძრის კორპუსისა და გუმბათის ყელისაგან. ყოველი წახნაგი დასრულებულია ფრონტონით, რის გამოც იქმნება ტეხილი, ხერხისებრი ლავგარდანი. ტაძრის შიგნით, ცენტრ. გუმბათქვეშა ფართობის ირგვლივ, რადიალურადაა განლაგებული აფსიდები. ხუთი მათგანი უბემოა და უშუალოდ ერთვის ცენტრ. სივრცეს. აღმ. აფსიდის წინ ბემაა. ამგვარად, ეს მხარე რამდენადმე წაგრძელებულია და გარედან ხუთწახნაგა შვერილს ქმნის. შესასვლელი სამია: დას., სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას-ისა. ექვსწახნაგიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ხორციელდება ბრტყელი ტრომპების ორი რიგით. საკურთხეველი ერთი საფეხურითაა შემაღლებული. იატაკი თლილი ქვის ფილებითაა მოფენილი. ეკლესია შიგნით სადაა, თითქმის ყოველგვარი მორთულობის გარეშე. გარედან შემოსილია სუფთად გათლილი მოყვითალო კირქვით. ტაძარს გარს აკრავს ხუთკუთხა გალავანი (აღადგინეს 1937). მის ჩრდ.-დას. კუთხეში დგას ძვ. სამრეკლო, რ-იც კარიბჭის ფუნქციასაც ასრულებდა. შენობა მდიდრულად იყო მოჩუქურთმებული. XIX ს. რესტავრაცია-შეკეთების შემდეგ ეკლესიის კორპუსის მთელი ზემო ნაწილი და გუმბათის ყელის გარე პერანგი მთლიანად განახლებულია. თავდაპირველი მორთულობიდან გადარჩა მხოლოდ გარშემოსავლელის მდიდარი სპირეები და კარნიზი, აგრეთვე საკუთრივ ტაძრის კორპუსის შესასვლელთა მორთულობა. გარშემოსავლელის აღმ. სადგომში შემორჩენილია ქართ. პლასტ. ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში – რელიეფური ქანდაკება – ოთხი ანგელოზის მიერ ჯვრის ამაღლების სიმბოლური სცენა, რ-იც მოჩუქურთმებულ მრგვალ ჩარჩოშია ჩასმული. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, აქ ადრე მონასტერი იყო, რ-მაც XIX ს-მდე იარსება. ჯ. ჭ-ს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი – XI ს. წყაროებში მას სამებას უწოდებენ, ხოლო XVI–XVIII სს-ში – მაცხოვრის ტაძარს. 2016 ეკლესიასა და სამონასტრო კომპლექსში ჩატარდა სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (არქიტ. მ. გელაშვილი). სოფლის მახლობლად მდებარეობს *კაცხის სვეტი*.



ა. პ. კაჭარავა.



კაცხის ტაძარი. X–XI სს. მიჯნა.

ლიტ.: ბერიძე ვ., კაცხის ტაძარი, «ქართული ხელოვნება», ტ. 3, თბ., 1950; მისივე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; საქართველოს სულიერი საგანძური, წგ. 1. კაცხი, თბ., 2005; ციციშვილი ი., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1995.

კაცხურა, მდინარე რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე. სათავეს იღებს ზ. დ. 1160 *მ*-ზე. მარჯვნიდან ერთვის მდ. ყვირილას. სიგრძე 13 *კმ*. აუზის ფართ. 31 *კმ*^{2}. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნა – ზაფხულ-შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 0,9 *მ*^{3}/*წმ*.

ი. აფხაზავა.

კაფალო, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. საგამის (ივრის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1620 *მ*, თიანეთამდე 12 *კმ*.

2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

ც. ვაშაკიძე.

კაფალხევი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღაროსკარის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), გუდამაყრის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ფშავის არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1230 *მ*, დუშეთიდან 47 *კმ*. 63 მცხ. (2014).

კაფარეთის საეპისკოპოსო, ფეოდალური ხანის (V–VII სს.) საეპისკოპოსო ცენტრი. მდებარეობდა კახეთში (ამჟამად ნასოფლარი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე). ვარაუდობენ, რომ უძველეს ხანაში აქ კუხებისა და სუჯების ტომთა წარმართული რელიგ. ცენტრი იყო. გადმოცემით, ქართველთა განმანათლებელმა ნინომ აქ მიაღებინა ქრისტიანობა კუხ და სუჯ მთავრებს და მათ ქვეშევრდომებს. ქართ. საეკლ. იერარქიაში კაწარელი ეპისკოპოსი რიგით მეოცედ იხსენიებოდა.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციკულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, თბ., 1996. *დ. მუსხელიშვილი.*

კაფარეთის სამება, იხ. *ხაშმის სამება.*

კაჭარავა ალექსანდრე (სანდრო) პეტრეს ძე (19. V. 1940, გორი, – 9. X. 2017, თბილისი), პიანისტი, მუსიკალურ ღონისძიებათა ორგანიზატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1982). 1966 დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორია (ფორტეპიანოს განხრით, პედ. – რ. ასტახიშვილი). 1966–70 გორის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი იყო. 1970 დააარსა გორის გოგონათა გუნდი (შ. *მოსიძესთან* ერთად; ამჟამად ,,გორის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა კამერული გუნდი''), რ-იც მსოფლიო საგუნდო შეჯევრებთან ერთად ქართველი კომპოზიტორების არაერთი ნაწარმოების პირველი შემსრულებელი და პროპაგანდისტია. 1979 კ-მ დააარსა გორის საოპერო სტუდია (მის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის რ. *ტაკიძეს*). ამ სტუდიაში დაიდგა (1990–94) ქ. გლიუკის ,,ორფევსი'', ვ. ა. მოცარტის ,,ბასტიენი და ბასტიენა'', კ. ორფის ,,ჭკვიანი ქალი'', ო. თაქთაქიშვილის ,,ნიშნობა'' (მუსუსი), ვ. გოკიელის ,,წითელქუდა'', შ. მილორავას ,,ძუნწი'', ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'' და სხვ. 1986 კ-მ გორში საფუძველი ჩაუყარა საგუნდო მუსიკის საერთაშ. ფესტივალს (1986, 1990, 1996). 2003 გოგონათა გუნდმა ანსამბლ ,,რუსთავთან'' ერთად კონცერტი გამართა ლონდონის საგუნდო ფესტივალზე ,,როიალ-ჰოლში'', გასტროლებით შემოიარა სსრკ და სხვ. ქვეყნები. 2009-იდან გუნდის ხელმძღვანელია თ. *ცირამუა*. კ-ს ინიციატივით დაარსდა ხელოვნების მუშაკთა დასასვენებელი სახლი ატენის ხეობის სოფ. ბობნევში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996). *ბ. ბარამიძე.*

კაჭარავა ანატოლი ალექსანდრეს ძე (15. VIII. 1910, სოხუმი, – 9. V. 1982, ბათუმი), მეზღვაური, შორეული ნაოსნობის კაპიტანი.

1927 მუშაობა დაიწყო შავი ზღვის სანაოსნოში შტურმანად. დაამთავრა ხერსონის (1930), შემდეგ – ვლადივოსტოკის (1933) საზღვაო სასწავლებელი, 1960 – ლენინგრადის საზღვაო ინ-ტი გემთმართვის ინჟინრის სპეციალობით. 1940–41 იყო ყინულმჭრელი გემების (,,სადკო'', ,,პოლარული ვარსკვლავი'', ,,ვასილი მოლოკოვი'') კაპიტანი, კ. დიქსონის პორტის მთ. კაპიტანი, 1941–42 – ყინულმჭრელი გემის ,,ალექსანდრე სიბირიაკოვის'' კაპიტანი.

1942 წ. 8 აგვისტოს მსუბუქად შეიარაღებულ ყინულმჭრელ ,,ალექსანდრე სიბირიაკოვს'', რ-საც კარის ზღვაში პოლარულ სადგურზე გადაჰქონდა საწვავის მარაგი, ტვირთი და გადაჰყავდა ეკიპაჟის რამდენიმე წევრი. თავს დაესხა გერმანული მძიმე ჯავშნოსანი კრეისერი ,,ადმირალი შეერი''. ჰ. არ დაემორჩილა მტრის მოთხოვნას და მისი ბრძანებით ეკიპაჟმა ყინულმჭრელი ჩაძირა. მძიმედ დაჭრილი კაპიტანი გერმანელებმა სხვებთან ერთად ტყვედ აიყვანეს (100-ზე მეტი ეკიპაჟის წევრისა და სამოქალაქო პირიდან გადარჩა მხოლოდ 19). საკონცენტრაციო ბანაკიდან ჰ. 1945 მარტში გაათავისუფლეს.

1945-იდან ჰ. დაუბრუნდა თავის საქმიანობას – ლენინგრადსა და მურმანსკში იყო ყინულმჭრელი გემების (,,ილია მურომეცი'', ,,ლევანევსკი'') კაპიტანი, სატრანსპორტო ფლოტის კაპიტან-დამრიგებელი მურმანსკში. 1960-იდან მუშაობდა ბათუმში. მისი ძალისხმევით დაარსდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამმართველო (1967), რ-საც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. ეწეოდა პედ. საქმიანობას, იყო ბათუმის სანაოსნოს კაპიტან-დამრიგებელი.

მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1971). ჰ-ს სახელი ეწოდა იუგოსლავიაში საგანგებო შეკვეთით აგებულ (1984) ტანკერს.

ლიტ.: Белов М. И., Оборона порта Диксон в августе 1942 года, «Проблемы Арктики и Антарктики», 1963, вып. 13.

თ. არსენაძე.

კაჭარავა ვაჟა სოლომონის ძე (დ. 2. I. 1937, თბილისი), სპორტსმენი (ფრენბურთელი). ოლიმპიური ჩემპიონი (1964, ტოკიო), ევროპის ჩემპიონი (1967).

სსრკ სპორტის დამს. ოსტატი, სსრკ და რფ-ის დამს. მწვრთნელი. თამაშობდა თბილისის ,,ბურევესტნიკში'' (1955–64), მოსკოვის ,,დინამოში'' (1965–71), სსრკ ნაკრებში (1963–67). ევროპის ჩემპიონატის (1963) და მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1966), მსოფლიოს თასის მფლობელი (1965), მსოფლიო უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი (1963, 1965), სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1965), სსრკ ხალხთა სპარტაკიადების ორგზის მეორე (1967, 1971) და მესამე პრიზიორი (1963). მოსკოვის ბაუმანის სახ. ტექნიკური სასწავლებლის გუნდისა და სსრკ ახალგაზრდული ნაკრების (1976–77), აგრეთვე საქართველოს ნაკრების მთ. მწვრთნელი (1984–94). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, სეოკის და ღირსების ორდენებით. მისი სახელი ეწოდა (2017) სპორტულ კომპლექს ,,ახალი თბილისის'' ფრენბურთის არენას.

კაჭარავა ივანე ბესარიონის ძე [24. VIII (5. IX). 1894, სოფ. საჭილაო, ახლანდ. მარანი, აბაშის მუნიციპალიტეტი, – 4. V. 1977, თბილისი], გეოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955; წ.-კორ. – 1944). გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1944), პროფესორი (1944), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1960). საქართვ. გეოლ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (1933–77). 1914–17 სწავლობდა კიევის უნ-ტში. 1924 დაამთავრა თსუ-ის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტი. 1925-იდან მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში. 1969-იდან ხელმძღვანელობდა ამავე ინ-ტის პალეოგენური ნალექების პალეონტოლოგიისა და სტრატიგრაფიის განყ-ბას. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-სა და სპი-ში. ჰ-ს შრომები ძირითადად შეეხება საქართვ. პალეოგენური ნალექების სტრატიგრაფიას და მათში განამარხებულ ფაუნას. თანაავტორია საქართვ. გეოლ. შესახებ შექმნილი პირველი განმაზოგადებელი ნაშრომისა (Геология СССР, т. 10 – Грузинская ССР, ч.1. Геологическое описание, М., 1964; საქართვ. სახელმწ. პრემია, 1973). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: რაჭა-ლეჩხუმის აუზი და მოსაზღვრე რაიონები პალეოგენის დროს, «გეოლოგიური ინ-ტის შრომები. გეოლოგიური სერია», 1944, ტ. 2 (7); Сопоставление палеогеновых отложений Грузии, Азербайджана и Армении, იქვე, 1957, ტ. 10 (15).

ლიტ.: ივანე კაჭარავა. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. გ. მგელაძე-ბორჯაძე, რედ. ნ. გურგენიძე, თბ., 1990; ჭელიძე გ., აკად. ი. კაჭარავას დაბადების 80 წლისთავის გამო, «მეცნიერება და ტექნიკა», 1974, №11.

გ. ჭელიძე.

კაჭარავა იური მიხეილის ძე (22. III. 1913, სოფ. ბანძა, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 22. II. 1994, თბილისი), ისტორიკოსი. საქართველოს მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. – 1983). ისტ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). დაამთავრა თსუ-ის სამზ.-ეკონ. ფაკ-ტი ფილოს. სპეციალობით (1937). 1938-იდან თბილ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში კითხულობდა ლექციების კურსს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, სკკპ ისტორიის, სსრკ ისტორიისა და ქართ. ისტორიოგრაფიის შესახებ. 1946–54 თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტში იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე, 1954–58 – მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვ. ფილიალის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1958-იდან – საქართვ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის საბჭ. საქართვ. ისტორიის განყ-ბის ხელმძღვანელი.

ჰ. მუშაობდა XIX–XX სს. საქართვ. ისტ., საზ.-პოლიტ. მოძრაობისა და საზ. აზრის ისტ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, საქართვ. კომპარტიისა და რევ. მოძრაობის ისტ., ეროვნ. საკითხის თეორ. და ისტ., საბჭ. პერიოდის საქართველოს ისტორიისა და ქართ. ისტორიოგრაფიის საკითხებზე.

თხზ.: საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921–1925 წწ.), თბ., 1958; ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962; ვ. ი. ლენინი და ისტორიული მეცნიერება, თბ., 1965; ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, თბ., 1966; პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში, თბ., 1975; ისტორიოგრაფიული ეტიუდები, თბ., 1977.


კაჭარავა პეტრე მიხეილის ძე (6. V. 1908, ქუთაისი, – 2. VI. 1969, თბილისი), აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1964). 1930 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი. 1948–59 ხელმძღვანელობდა სოფ. სკრის მეხილეობის საცდელ სადგურს, 1959–69 იყო საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მეხილეობის აგროტექ. განყ-ბის გამგე. 1934-იდან ეწეო-




ა. ა. კაჭარავა.



ვ. კაჭარავა.



ი. ბ. კაჭარავა.



ი. მ. კაჭარავა.

და სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში. შეისწავლა ხეხილოვან მცენარეთა გენერაციული განვითარების საკითხები, ხეხილის ბაღების ნიადაგის დამუშავების სხვადასხვა სისტემა აღმ. საქართველოში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

გ. ქველაძე.



კაჭიჭი.

კაჭახიძე ალექსანდრე ვლადიმერის ძე (3. VII. 1911, ქუთაისი, – 19. V. 1997, თბილისი), ვეტერინარი ექიმი. ვეტერინარიის მეცნ. კანდიდატი (1953), საქართველოს სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989). 1932 დაამთავრა მოსკოვის სავეტერინარო აკადემიის სამხედრო-სავეტერინარო ფაკ-ტი.

1941–45 მუშაობდა ,,პრიმორსკის'' არმიის სავეტერინარო სამსახურის უფროსად. 1947 დაინიშნა თბილ. სავეტერინარო საცდელი სადგურის დირექტორად, რ-ის ინ-ტად გადაკეთების შემდეგ განაგებდა ფრინველთა დაავადებების შემსწავლელ განყ-ბას. პ-მ თანამშრომლებთან ერთად დაამუშავა და წარმოებაში დანერგა ნიუკასლის დაავადების (ფრინველის ცრუ ჭირი) საწინააღმდეგო ორი ვაქცინა და შეიმუშავა მშრალი ვირუსვაქცინების შეფრქვევის აეროზოლური მეთოდი. 1953 გადაეცა ი. მიჩურინის სახ. მედალი, ამავე წელს მიიღო საქართვ. დამს. ვეტერინარი ექიმის წოდება. მიღებული აქვს სახელმწ. და საბრძოლო ჯილდოები.

თ. ყურაშვილი.



კაჭკაჭი.

კაჭახიძე გიორგი ვარლამის ძე (3. II. 1907, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 2. XII. 1979, თბილისი), პოეტი. 1930 დაამთავრა თსუ. პირველი ლექსი 1927 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი წიგნი ,,ჩემი პირველი უჯრედი'' – 1932. პ. ავტორია ლირიკული კრებულებისა: ,,ის უბანი და ის კარმიდამო'' (1934), ,,ახალი ლექსები'' (1950), ,,რჩეული'' (1958), ,,მადლი მიწისა'' (1962), ,,მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ'' (1964), ,,ერთტომეული'' (1970), ,,იმ ვარსკვლავების შუქი'' (1976); საბავშვო ლექსების წიგნებისა: ,,ალუბლები ჰყვავიან'' (1940), ,,სწავლასა და სიხარულში'' (1955), ,,მალხაზებისთვის რაც მიმღერია'' (1959), ,,გაზაფხული მოგვილოცეს'' (1963), ,,გამარჯობა, ნატვრის ჩიტო'' (1973), ,,ის ურჩევნია მამულსა'' (1977) და სხვ. გამოცემული აქვს მონოგრაფია ,,შიო მღვიმელის ცხოვრება და პოეზია'' (1966). პ-ის ლექსები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე.

კაჭიჭი, აფხაზური წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში. ვაზის კულტ. ჯიშების კოლხეთის კერის ტიპობრივი წარმომადგენელი. აქვს შებუსული ფოთოლი, საშ. სიდიდის მტევანი (100–160 *გ*), მრგვალი მარცვალი. გვხვდება აფხაზეთსა და სამეგრელოში. პ-ისგან ამზადებენ მაღალხარისხოვან მუქი ფერის სუფრის ღვინოს.

ნ. ცერცვაძე.

კაჭკაჭი (Pica pica), ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა, ყორნისებრთა ოჯახისა. სხეულის სიგრძე 45–48 *სმ*, მასა 250 *გ*. ფერად შავთეთრია; აქვს გრძელი, საფეხურისებრი ბოლო. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდ. აფრიკაში, ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება პ-ის ქვესახეობა – აღმოსავლეთევროპული პ. (Pica pica fennorum). აღმ. საქართველოში იგი მობინადრეა, დას. საქართველოს ზოგ ადგილას – მოზამთრე. ბინადრობს ბუჩქნარებსა და ტყისპირებში, ჭალებში; ბუდეს იკეთებს ხეზე. საზრდოობს მცენარეული და ცხოველური საკვებით. ანადგურებს მავნე მწერებს. ბოლო წლებში შეიმჩნევა მათი რიცხოვნობის ზრდა.

კაჭკაჭიშვილი იაგო ალექსანდრეს ძე (დ. 11. XII. 1965, თბილისი), სოციოლოგი, სოციოლოგიის დოქტორი (2001), თსუ-ის სრული პროფესორი. სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი თსუ-ის სოც. და პოლიტ. მეცნ. ფაკ-ტზე. დაამთავრა თსუ-ის ფილოს. და ფსიქოლ. ფაკ-ტი (1987). კითხულობს სალექციო კურსს როგორც სოციალური თეორიების, ისე კვლევის მეთოდების სფეროში; არის არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია ,,სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის'' (ISSA) ხელმძღვანელი.

პ. იკვლევს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სოც. ცხოვრების პოსტმოდერნული პერსპექტივა, ობიექტურობა სოც. მეცნიერებებში, ,,უცხოს'' ფენომენი და დემოკრატიზაცია, შრომის ეთიკა რელიგ. ჯგუფებში და სხვ.

პ. არის 5 წიგნის და მრავალი სამეცნ. სტატიის ავტორი. განახორციელა ერთობლივი აკად. და გამოყენებითი კვლევითი პროექტები ნიუ-ჯერსის სახელმწ. (აშშ), ლივერპულის (ინგლისი), ფრანკფურტის გოეთეს (გერმანია), შეფილდ-ჰალამის (ინგლისი), ტალინის (ესტონეთი), ვილნიუსის პედ. (ლიტვა), ლიუბლიანის (სლოვენია) უნ-ტებთან. სისტემატურად მონაწილეობს საერთაშ. კონფერენციებში. არის საერთაშ. რეფერირებადი ჟურნ. „Social Policy and Social Work in Transition“ თანარედაქტორი (გამოიცემა დიდ ბრიტანეთში). წლების განმავლობაში თანამშრომლობს საერთაშ. და ადგილობრივ ფონდებთან (,,ღია საზოგადოება – საქართველო'', შოთა რუსთაველის სამეცნ. ფონდი და სხვ.) როგორც აღმასრულებელი წევრი ან ექსპერტი.

თხზ.: სოციალური მოქმედების თეორიები – მოღვაწეობა სტრუქტურა დუალიზმის შუქზე: ვებერი, პარსონსი, თბ., 2001; სოციალური მოქმედების თეორიები. სახელმძღვანელო სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისთვის, თბ., 2001; სოციალური პრაქსისის თეორიები: სიმბოლური ინტერაქციონიზმი, გიდენსის სტრუქტურაციის თეორია, თბ., 2001; შიდსის რაინდები: ნარკომანია, შიდსი და თინეიჯერები, თბ., 2008.

თ. ალიბეგაშვილი.

კაჭკაჭიშვილი ომარ ვლადიმერის ძე (დ. 16. I. 1944, თბილისი), მხატვარი. საქართველოს დამს. მხატვარი (1986). დაამთავრა საქართვ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1973). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1964-იდან. ნამუშევრები: ,,ქალაქური პეიზაჟი'' (1975), გრაფიკული სერია ,,მესხეთი'' (1975), ,,ზამთარი'' (1977), ,,წინაპართა ძახილი'' (1984), ,,კოშკი სიღნაღში'' (1986), ,,თბილისის პანორამა'' (1987), ციკლი ,,ვარიაციები ძველი თბილისის თემაზე'' (1975–98) და სხვ.; გამოფენები: ,,ახალგაზრდა მხატვრები'' (1976, 1982, მოსკოვი), საქართველოს სახვ. ხელოვნების რეტროსპექტული გამოფენა (1987, თბილისი), საქ. სსრ სახვ. ხელოვნება (1987, მოსკოვი) და სხვ. გარდა ამისა მონაწილეობდა გამოფენებში, რ-ებიც გაიმართა ბულგარეთში (1978), ავსტრიაში (1985), გფრ-ში (1988), ქუვეითში (1994) და სხვ. 2013 ჩატარდა პ-ის პერსონალური გამოფენა თბილისში (,,ქარვასლა''). მისი ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში, მოსკოვის აღმ. ხალხთა ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში, დ. კაკაბაძის სახ. ქუთაისის სახვ. ხელოვნ. გალერეასა და კერძო კოლექციებში.

კაჭრეთი, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის სამხრ.



ო. კაჭკაჭიშვილი. ,,თბილისის პანორამა‘‘. პანო. 1987.

კალთაზე. სათავო სოფელი. რკინიგზის სადგური თბილისი–წნორის სარკინიგზო ხაზზე. ზ. დ. 580 *მ*, გურჯაანიდან 32 *კმ*. 1,9 ათ. მცხ. (2014).

პ-ში ფუნქციონირებს შპს ,,*კარმენ-K*‘‘ – ერთ-ერთი უდიდესი წისქვილკომბინატი საქართველოში.

კაჭრეთის გორასამარხები, არ ქეოლოგიური ძეგლი. ერთი მათგანი მდებარეობს გურჯაანი–თბილისის საავტომობილი გზის სამხრეთით 200 *მ*-ზე, ხევში. განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარს. აღმოჩნდა სარწყავი არხის გაყვანის დროს. 1979 პ. გ. შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

სამაროვნის ყრილი (დიამეტრი – 20 *მ*, სიმაღლე – 1,50 *მ*) შედგებოდა საშ. ზომის ქვებისგან. ყრილის ქვეშ, ცენტრ. ნაწილში, აღმოჩნდა წრიული ორმო (დიამეტრი – 3 *მ*, სიღრმე – 0,2–0,3 *მ*), რ-ის იატაკს წრიულადვე ერტყა ქვითა და მიწით ამოვსებული არხი (სიგრძე – 0,2 *მ*, სიღრმე – 0,35 *მ*). სამარხი ორმოს აღმ-ით, 15–20 *სმ*-ით შემაღლებულ ადგილზე აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის 5 თავის ქალა. სამარხის მთელ ფართობზე მიმოფანტული იყო 12 ადამიანის ძვლები. ცენტრ. ნაწილში კიდურებმოხრილი მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდ-კენ. სამარხში აღმოჩნდა ოცამდე სილანარევი თიხით ნაძერწი, კარგად გამომწვარი, მოყვითალო, მონაცრისფრო ან მოწაბლისფრო ჭურჭელი, ზოგან მურის მუქი ლაქებით. ჭურჭელს შორის გვხვდება ცილინდრულყელიანი თუნგულები, ერთი კონუსურკოპიანი ჯამი, ერთიც ჰორიზონტალურშვერილიანი ბადია.

მეორე გორასამარხი რკინიგზის სადგურის ჩრდ-ით მდებარეობს და განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს. იგი 1978 გაითხარა იმავე ექსპედიციის (ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი) მიერ. სამარხი დაზიანებული იყო. მსხვილი რიყის ქვის ყრილის (დიამეტრი – 10 *მ*, სიმაღლე – 0,8 *მ*) ცენტრ. ნაწილის ქვეშ აღმოჩნდა ოვალური მოყვანილობის, დასიდან აღმ-კენ დამხრობილი სამარხი ორმო (სიგრძე – 2,10 *მ*, სიგანე – 1,70 *მ*, სიღრმე – 1 *მ*). კიდურებმოხრილი მიცვალებული ესვენა ორმოს ცენტრ. ნაწილში მარჯვენა გვერდზე, თავით დასკენ. იქვე გამოვლინდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი, წვრილფეხა საქონლის კიდურები და ხელით ნაძერწი თიხის 7 ჭურჭელი. მერვე ჭურჭელი იდო მიცვალებულის მუხლებთან. თავის ქალის უკან აღმოჩნდა ბრინჯაოს ყუნწგახვრეტილი, პირზე ქედიანი სატევარი.

სამარხში გამოვლენილ კერამიკაში იყო მორუხო-მოყავისფრო, ოდნავ პირგადაშლილი, დაბალყელიანი, კვერცხის ფორმის ქილა, ქილის პირისა და მხრის ფრაგმენტები. ერთი ქილა დამზადებულია უხეში სილანარევი, მეორე – სილანარევი მკვრივი თიხით. სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე შავპრიალა, ფოსოთი შემკული ცალყურა და მოყავისფრო-მოვარდისფრო, ოდნავ პირმოყრილი სასმისები, ასიმეტრიული 2 ქოთანი და 2 კოჭობი. მათ მოწითალო ფხვიერი კეცი, ოდნავ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი და თითქმის სწორი გვერდები აქვთ. ქოთნებს და კოჭობებს ყელის ძირში ოდნავ რელიეფური წყვეტილი წიბო შემოუყვება. ერთ კოჭობს ასეთი წიბო მუცლის ზედა ნაწილზეც აქვს შემოვლებული.

ორმოსამარხის ყრილის ცენტრ. ნაწილის ქვეშ, ორმოს ფსკერიდან 0,8 *მ*-ის სიმაღლეზე, ჩანაყარ ქვაზე დასვენებული იყო მიცვალებული.

ორივე სამარხის მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნოგრ. საცავში.

ლიტ.: ბ უ ჩ უ კ ურ ი ნ., კაჭრეთის ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულის გორასამარხი, კრ.: არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა IV და V სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1985; ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ვ., ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის I ნახევრის გორასამარხი კაჭრეთიდან, წგ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა [ტ.] 1-, თბ., 2013; რ უ ს ი შ ვ ი ლ ი რ., კაჭრეთის ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის გორასამარხი, იქვე; П и ц х е л а у р и К. Н., Новые находки Кахетской археологической экспедиции, კრ.: Полевые археологические исследования в 1978 году, Тб., 1981.

რ. რუსიშვილი.

კაჭრეთის პურაპროდუქტების კომბინატი, იხ. ,,*კარმენ-K*‘‘.

კახაბერ I გურიელი, *გურიის საერისთავოს* გამგებელი XIV ს. II ნახევარში. გიორგი დადიანის ვაჟი. იწოდება ერისთავთერისთავად, სვანთა ერისთავად.

კახაბერ II გურიელი (გ. 1483), გურიის მთავარი XV ს. II ნახევარში, ლიპარიტ I დადიანის ვაჟი. დაეხმარა ქართლის მეფის, *გიორგი VIII-ის* წინააღმდეგ აჯანყებულ სამცხის ათაბაგს – *ყვარყვარე II* ჯაყელს, რ-ისგანაც სამაგიეროდ აჭარა და ჭანეთი მიიღო, ხელი შეუწყო იმერეთში გიორგი VIII-ის მოწინააღმდეგე ერისთავის, ბაგრატის გამეფებას. შემდეგში კ. II გ. დადიანთან ერთად დაუპირისპირდა სამეფო ხელისუფლებას და გურიის სამთავროს დამოუკიდებლობისათვის დაიწყო ბრძოლა, მაგრამ ბაგრატმა დაამარცხა. კ. II გ. არ გამოცხადდა *ალექსანდრე II-ის* იმერთა მეფედ კურთხევაზე, შემდეგ კი ქართლის მეფე *კონსტანტინე II-სთან* ერთად ებრძოდა (1479–80) მას. ამ დროიდან გურია ფაქტობრივად დამოუკიდებელი სამთავრო გახდა.

ქ. ჩხატარაიშვილი.

კახაბერი, ყოფ. სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ). სოფელი საქართვ. ტერიტორიული ერთეულების ჩამონათვალიდან ამოღებულია 2012.

კახაბერისძე კახაბერ, XII ს. 80-იანი წლების ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რაჭისა და თაკვერის ერისთავი. გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, თამარის მეორე კორონაციის დროს, ქუთათელ მთავარეპისკო-

პოს ანტონ სალირისძესთან ერთად სამეფო გვირგვინი დაადგა მას. შემდეგ *კახაბერისძენი* ოპოზიციაში ჩაუდგნენ მეფეს. მართალია, წყაროებში უშუალოდ კახაბერს არ ასახელებენ განდგომილთა შორის, მაგრამ საფიქრებელია, რომ საგვარეულოს მეთაური და რაჭის ერისთავი პ. თამარის ,,ქუეგამხედვართა'' შორის იქნებოდა.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: სოსელია ო., რაჭის ერისთავთა სათავადო, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1970. *ი. ანთელავა.*

კახაბერისძე კახაბერ, XIII ს. II ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რაჭის ერისთავი. დას. საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად დიდად შეუწყო ხელი *დავით VI* ნარინის გამეფებას დას. საქართველოში. შემდგომში მოინდომა იმერეთში დავით ლაშას ძის გამეფება, მაგრამ უშედეგოდ. კავშირი დაამყარა მონღოლებთან, დავით ნარინს აუმხედრა აბაღაყაენის წინააღმდეგ აჯანყებული და დას. საქართველოში თავშეფარებული ღალღური. პ. ყაენის კარზეც წაჰყვა ღალღურს, სადაც დავით ნარინის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა. იქიდან პ. ქართლში, ატენში, დაბრუნდა. დავით ნარინმა შეიწყალა ორგული ერისთავი და რაჭაც დაუბრუნა. მცირე ხნის შემდეგ პ-მ კვლავ უღალატა მეფეს. მონღოლ სარდალ ალიყანთან გააბა მიმოწერა დავით ნარინის შეპყრობის თაობაზე. მეფემ ხელთ იგდო პ., თვალები ამოუშანთა და ცალი ხელი და ფეხი მოჰკვეთა. ერისთავის ორი შვილი განდევნეს კონსტანტინოპოლში. ამით დასრულდა პ-ების მფლობელობა რაჭაში.



ი. კახაძე.

წყარო: ჟამთააღმწერელი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1983. *ი. ანთელავა.*

კახაბერისძენი, დიდებულთა საგვარეულო დასავლეთ საქართველოში. *ბაღვაშთა* საგვარეულოს განშტოება. პ. XI ს-იდან რაჭის ერისთავები იყვნენ. სხვავის ეკლესიის ჯვრის XI ს. წარწერაში მოხსენიებულია რაჭის ერისთავი რატი და მისი ძე კახაბერი. მკვლევართა აზრით, იგივე კახაბერი, უკვე ბერად შემდგარი კირიღეს სახელით, იხსენიება თავის ძესთან, ერისთავთერისთავ რატისთან ერთად ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის XI ს. წარწერაში. მათ გააფართოვეს თავიანთი სამფლობელოს მიწა-წყალი. თამარის მეფობის დასაწყისისთვის ისინი ფლობდნენ არა მხოლოდ რაჭას, არამედ თაკვერსაც (ლეჩხუმი) და რაჭისა და თაკვერის ერისთავებად იწოდებოდნენ. პ. მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ XII–XIII სს. საქართველოს პოლიტ. ცხოვრებაში (იხ. *კახაბერისძე* კახაბერ). XIII ს. 80-იან წლებში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ პ-თა ბრძოლის გამო დავით VI-მ გააუქმა *რაჭის საერისთავო* და სახასო მამულად აქცია. პ-თა საგვარეულო, როგორც ჩანს, ამოწყდა. XIV ს. მიწურულს, კვლავ აღდგენილ რაჭის საერისთავოს სხვა საგვარეულო ჩაუდგა სათავეში.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჟამთააღმწერელი, იქვე.

ლიტ.: ანთელავა ი., XI–XV სს-ის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980; თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963; სოსელია ო., რაჭის ერისთავთა სათავადო, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1970. *ი. ანთელავა.*

კახაბრის ვაკე, დაბლობი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), ქ. ბათუმსა და მდ. ჭოროხს შორის, ზ. დ. 22 *მ*-მდე. წარმოადგენს მდ. ჭოროხის ძველი დელტის ნაწილს. აგებულია მეოთხეული კენჭნარით და ქვიშებით. სიგრძე 8 *კმ*, სიგანე 5 *კმ*. ვაკის უმეტესი ნაწილი უჭირავს კულტ. ლანდშაფტს. *ლ. მარუაშვილი.*

კახათი, სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ენგურის მარცხ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 40 *მ*, ზუგდიდიდან 10 *კმ*. 4,0 ათ. მცხ. (2014). სოფელში შემორჩენილია XVII ს. ციხესიმაგრის ნანგრევები.

კახარეთი, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის ლელოვნის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), მდ. ქვაბლიანის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ*, ადიგენიდან 5 *კმ*. 285 მცხ. (2014).

კახაძე ივანე რაჟდენის ძე [24. XII. 1904 (6. I. 1905), სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 17. V. 1955, თბილისი], გეოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1950), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947). დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტი (1930). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-სა და სპი-ში. პ-ის შრომები შეეხება კავკასიის მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და ტექტონიკის საკითხებს. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართვ. და ჩრდ. კავკ. სასარგებლო წიაღისეულის (ქვანახშირი, ბარიტი, პოლიმეტალები, სამშენებლო ქვები და სხვ.) საბადოების გეოლ. აგებულების შესწავლის საქმეში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: საქართველოს შუა იურულის ფაუნა, «გეოლოგიური ინ-ტის შრომები. გეოლ. სერია», 1942, ტ. 1 (6)₁; შენიშვნები კვაისის რაიონის ტექტონიკის შესახებ, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1951, ტ. 12, № 2; Грузия в юрское время, «გეოლოგიური ინ-ტის შრომები. გეოლ. სერია», 1947, ტ. 3 (8).

ლიტ.: ივანე კახაძე. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. გ. მგელაძე-ბორჯაძე, რედ. ნ. გურგენიძე, თბ., 1997.

ვ. ზესაშვილი.

კახაძე ოტია ილარიონის ძე (28. III. 1918, ტყიბული, – 28. X. 2003, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენათა მკვლევარი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1973), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1945). სამეცნ. მოღვაწეობას ეწეოდა ენათმეცნ. ინ-ტში (როგორც ინ-ტის მთ. სპეციალისტი), პედაგოგიურს – თსუ-ში.

პ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება არჩიბულისა და სხვა ლეზგიურ ენათა ისტ. ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის საკითხებს. იბერიულ-კავკ. ენათა სპეციფ. რიგის ლატერალურ თანხმოვანთა ჩამოყალიბებისა და ისტორიის თვალსაზრისით ფასეულია პ-ის შრომები: ,,ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში'' (1958), ,,ზოგი შენიშვნა ლატერალური თანხმოვნების შესახებ''(1959) და სხვ. ავტორია მონოგრაფიებისა: ,,არჩიბული ენა და მისი ადგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის'' (1977), ,,გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში'' (1984).

პ-ის არაერთი შრომა ეხება ქართველურ ენათა ფონეტიკისა და ლექსიკის საკითხებს: ,,პურეულის ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულში'' (1956), ,,ხმოვანთა ასიმილაციის ზოგიერთი საკითხის თაო-

ბაზე ქართველურ ენებში“(1981), ,,ლექსიკური ზანიზმებისათვის იმერულში“ (1987); აგრეთვე ქართ. ენის დიალექტთა შესწავლას: ,,ატენისა და წედისის ხეობის ქართლური“ (1953), ,,ოკრიბულის თავისებურებანი“ (1954) და სხვ.

პ. მონაწილეობდა ,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ტ.1–8, 1950–64) მომზადებაში, იყო V ტომის ერთ-ერთი რედაქტორი, რისთვისაც, სხვებთან ერთად, მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971). იყო ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ რედკოლეგიის წევრი.

თხზ.: პურეულის ლექსიკა ქართულში, თბ., 1987; ტერმინი ეგრისი, კრ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

გ. ბურჭულაძე.

კახ-ბაში, საქართველოს ისტორიული მხარის, *ჰერეთის* ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულის – *კაკის* ნაწილი. ამჟამად შედის აზერბ. რესპ. კახის რ-ნში. რ-ნული ცენტრის, დაბა კახის ნაწილი. კ.-ბ-ის ტერიტორიაზე დაცულია საკულტო არქიტექტურის ძეგლი – VI–VIII სს. ბაზილიკა.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

კახეთელიძე მიხეილ (ვახტანგ) კოზმას ძე [4(17). XII. 1911, სოფ. სამთისი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 27. VII. 1994, თბილისი], ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1983). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1936). 1935–40 კითხულობდა პოლიტ. ეკონომიის კურსს თბილ. სხვადასხვა ტექნიკუმში; 1942–54 იყო პარტიულ სამუშაოზე. 1954–80 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ეკონ. და სამართლის ინ-ტში უფრ. მეცნიერ თანამშრომლად, სხვადასხვა განყ-ბის გამგედ. აგრეთვე წლების განმავლობაში ეწეოდა პედ. მოღვაწეობას საქართვ. სახელმწ. თეატრალურ ინ-ტში, თბილ. სამხატვრო აკადემიაში, საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში, თსუ-სა და სპი-ში. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები.

პ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების), რ-ებიც ეძღვნება პოლიტ. ეკონომიის, ეკონ. მოძღვრებათა ისტორიის, აგრ. ურთიერთობათა, სახალხო მეურნ. ისტორიის, სტატისტიკისა და აღრიცხვის პრობლემებს.

თხზ.: მიწის რენტის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა, თბ., 1958; საქართველოს სსრ მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები, ნაწ. 1–3, თბ., 1962–73; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, თბ., 1972 (თანაავტ.).

კახეთი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. მოიცავს მდ. ივრისა და მდ. ალაზნის აუზებს. კ-ს დას-ით ესაზღვრება ქართლი, სამხრ.-აღმ-ით – აზერბაიჯანი, ჩრდ.-აღმ-ით – დაღესტანი, ხოლო ჩრდ-ით – ჩაჩნეთი (ორივე – რუს. ფედერაცია). კ-ის ადმ.-ტერ. დაყოფა იხ. სტ-ში *კახეთის რეგიონი.* დღევანდელი კ. ოთხ მცირე ერთეულად იყოფა: შიგნიკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვ. სანაპირო), გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), *ქიზიყი* (მდ. ივრისა და მდ. ალაზნის ქვემო წელი) და გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხ. სანაპირო). XVII ს-იდან, შაჰ აბასის დაპყრობითი ლაშქრობების შედეგად, კ-ს ჩამოსცილდა ჩრდ.-აღმ. ნაწილი, რ-იც დღეს აზერბაიჯანის შემადგენლობაშია და *საინგილო* ეწოდება.

თავდაპირველად კ. გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა და იგი მდ. ივრის ზემო წელით შემოისაზღვრებოდა. ცენტრი იყო *ჩელეთი* (იხ. აგრეთვე *ჟალეთი*), IV ს-იდან – *უჯარმა.* კ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. ხელსაყრელი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დროთა განმავლობაში თავდაპირველი კ-ის გარშემო გაერთიანდა მომიჯნავე პოლიტ. ერთეულები. ადრინდ. ფეოდ. ხანაში კ. უკვე ერწო-თიანეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიებსაც მოიცავდა. VIII ს. ბოლოსთვის მან *ჰერეთის* მნიშვნელოვანი ნაწილი და *კუხეთი* გადაფარა: ,,ხოლო ქუეყანისა ამისა სახელნი არიან სამნი: რამეთუ ჰერეთი ეწოდა თარგამოზის ძისა ჰეროსის გამო, რომელსა ძმათა თჳსთა შორის წილად ხუდა ქუეყანა ესე და დაიპყრა საზღვარი თჳსი... ხოლო კახეთი და კუხეთი არიან წილნი ქართლოსის, რამეთუ შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა, განუყო დედამან მათმან ძეთა თჳსთა ქართლოსის წილი ქუეყანა“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ (XV ს. II ნახევარი) კ. ცალკე სამეფო ერთეულს წარმოადგენდა (იხ. *კახეთის სამეფო*).

საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად კ-ც რთული ისტ. პროცესის შედეგად წარმოქმნილი რეგიონია. აწინდელი კ. გაცილებით უფრო გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე საქართველოს სხვა დანარჩენი კუთხეები. XVII ს-ში ყიზილბაშთაგან გაჩანაგებული კ. იმერეთიდან, ქართლიდან და მთიდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ შეავსო. კ-ში მოსახლეობის მიგრაცია საქართველოს სხვა ისტ.-ეთნოგრ. მხარეებიდან ბოლო დრომდე არ შეწყვეტილა.

ქართლისაგან განსხვავებით კ-ში გვიან შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად იყო წარმოდგენილი სახნავ-სათესი მიწების საერთო-სასოფლო (თემური) მფლობელობა.

კ. დაწინაურებული მეურნეობის მხარე იყო: ,,ხოლო ქუეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა... რამეთუ თჳნიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმონისა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვსწერეთ, აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით და ხურმა, წაბლი იმერეთისგანაცა აქ უმჯობესი არს“ (ვახუშტი ბაგრატიონი). კ-ში განსაკუთრებით მაღალ განვითარებას მიაღწია მევენახეობა-მეღვინეობამ. კახური ღვინო არა მარტო ამჟამად, არამედ ადრეც გადიოდა საექსპორტოდ. თითქმის ყველა სოფელში ვაზის ადგილ. მცირე რეგიონისათვის დამახასიათებელი ჯიშებია გავრცელებული. კახელ მევენახეს 80-ზე მეტი ვაზის ჯიში ჰქონდა გამოყვანილი, მაგრამ გვიანი პერიოდისათვის, საბაზრო ურთიერთობების შედეგად, განსაკუთრებით *რქაწითელი* და *საფერავი* გავრცელდა. გარეკახეთში ამ მხრივ *მანავის მწვანე* გამოირჩეოდა. ვენახის ნიადაგის განაყოფიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასუქის შეტანას. მევენახეს 7-8 წელიწადში ერთხელ მაინც ვენახში ნაკელი უნდა შეეტანა. წყლით მდიდარ რეგიონში ვენახის მორწყვასაც მიმართავდნენ. XIX ს. კახეთში ვენახის დიდი მამულები გააჩნდათ თავადებს – ჭავჭავაძეებს, ვაჩნაძეებს, ჯორჯაძეებს, ანდრონიკაშვილებს და სხვ.

მეღვინეები დიდ ყურადღებას აქცევენ ღვინის დაყენების ყველა ტექნოლოგიურ პროცესს, განსაკუთრებით – *ქვევრის* რეცხვას. ამბობენ: ,,უსუფთაო ჭურჭელი ღვინო-

ის მტერიაო‘‘. ამიტომ ქვევრებს საგულდაგულოდ რეცხავენ.

კ-ის ეთნოგრაფიულ ყოფაზე საუბრისას აღსანიშნავია *ჩურჩხელა*, რ-იც ყურძნის ტკბილი წვენისა და ფქვილის ნახარშში (ფელამუში, თათარა) ამოვლებული ნიგვზის ასხმულაა. თათარაში ამოვლებულ ჩურჩხელას მესამე-მეოთხე დღეს ,,აბადაგებენ‘‘, ანუ ,,აშაქრებენ‘‘ – მოდულებულ ტკბილს (ბადაგს) წაუსვამენ და ერთი დღე-ღამის განმავლობაში სუფთა ნაჭერში გაახვევენ, შემდეგ მზეზე გაშლიან. როგორც კი მზე დახედავს, ჩურჩხელა მაშინვე თეთრდება და რბილდება.

კახელები რთველის დაწყებამდე ორი დღით ადრე ვენახში შესანახ ყურძენს შეარჩევენ და დაკრეფენ. მტევნებს წნელზე ასხამენ, ,,აჯაგნავენ‘‘ და მზის გულზე მარნის თავხეზე ან სახლის სხვენზე ჰკიდებენ. იცოდნენ ჯაგნების გოდრებში ჩაკიდებაც. ასეთ გოდრებს ზემოდან ჩალას აყრიდნენ, შემდეგ კი ხის ტოტებზე შემოდგამდნენ; ყურძენს კახელები მიწაშიც, ანუ ორმოშიც ინახავდნენ, ქიზიყში კი – კოკალში (დაბალნაპირებიანი, მოგრძო სინის მსგავსი ჭურჭელი). კოკალზე გაშლილ ყურძენს მეორეს ზედ დააფარებდნენ და ნაპირებს დაუგლესავდნენ.

კ-თვის ტრადიციულია დახურული *მარანი* (,,საღვინე სახლი‘‘), სადაც იწურება ყურძენი, დგება და ინახება ღვინო.

კახური ღვინო ძველთაგანვე განთქმულია მთელ საქართველოში. კ-ში (და, საერთოდ, საქართველოში) ღვინის სმის მაღალი კულტურა არსებობდა. არც გლეხი და არც თავადაზნაურობა გადამეტებულად არასდროს სვამდა. ამის შესახებ XIX ს. შუა ხანებში ალექსანდრე ორბელიანიც წერდა: ,,მომატებულს ღვინის მსმელსა კაცსა, ჩვენი მამა-პაპა ვაჟკაცს არ ეტყოდნენ და არც კაი კაცად ახსენებდნენ იმას. იმას უძახიან მთვრალსა ლექსადა, ცუდსა კაცსა‘‘. ამას ბარონი დე ბაიც აღნიშნავდა: ,,ერთ-ერთი ქართველი მარწმუნებდა, – ათას კაცზე ერთი ლოთი თუ შეეხვდება, ისიც ნაცემი და სასაცილოდ აგდებული არისო. კახეთში ბევრ ღვინოს აყენებენ, ბევრსაც სვამენ, მაგრამ არ თვრებიან‘‘.

კ. საქართველოს კერამიკული წარმოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ თელავი, იყალთო, რუისპირი, კურდღელაური და ბოდბისხევი. XX ს. დასაწყისში თელავში 60 მეჭურჭლე ყოფილა. ბოლო დროს აქ ძირითადად აკეთებდნენ წვრილ ჭურჭელს – ჭინჭილას, ფიალას, ღვინის ჩარექას, ღვინის ხელადას, კოკას (ექვსსათლიანი), ორ- და სამხელადიან წყლის სურას, მწნილის ქოთანს (სამსათლიანი), სახაშეს, ღვინის ჩაფულას (ორ- და სამხელადიანი), ღვინის ჯამებს, ქვაბქოთანს, სადუღარს, ჩარექიანს, ლიტრს, ორლიტრიანს, გოზაურს... კრამიტსა და აგურს უფრო მეტად იყალთოსა და ვარდისუბანში ამზადებდნენ. ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტ.-ეთნოგრ. მხარეებში, კ-შიც მოწნული ჭურჭლის ნაირსახეობას აკეთებდნენ, მაგრამ კ-ს, ქიზიყთან ერთად, ამ მხრივ ერთი თავისებურება ახასიათებდა – XIX ს-სა და XX ს. დასაწყისში იცოდნენ დაწვნა ძალიან დიდი გოდრის, რ-საც კ-ში ,,გოგროხას‘‘ უწოდებდნენ, ქიზიყში – ,,სულადის გოდორს‘‘.,,სულადი‘‘ ქართველი კაცისთვის იგივე მარცვლეულია, ე. ი. მას მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ. ქიზიყურ ,,სულადის გოდორში‘‘ ერთი ურემი მარცვლეული ჩადიოდა.

ქართლში ცხრილებს თუ ხის პწკალისაგან ქსოვდნენ, კ-ში საამისოდ ტყავის თასმას იყენებდნენ.

კ-ის ბუნებრივ-გეოგრ. და კლიმატური პირობები მემინდვრეობის ფართოდ განვითარების შესაძლებლობას იძლევა. საერთო კახური მემინდვრეობისაგან მკვეთრად გამოყოფენ ქიზიყურ მემინდვრეობას. მასთან მსგავსებას იჩენს გარეკახური მემინდვრეობა. ამ ორ რეგიონს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი აახლოვებდა – ურწყავი მიწათმოქმედება და მიწის



კახეთი. სიღნაღი. უკანა პლანზე: ალაზნის ველი.

თემური/სასოფლო საკუთრება. პურეულის მრავალსახეობით გამოირჩეოდა შიგნიკახეთი და გაღმამხარი. ქიზიყში ცალკე გამოიყოფოდა ე. წ. ,,საბლის მიწები'' – მიწები დროდადრო ნაწილდებოდა, ისაბლებოდა. ეს ტერმინი იმიტომ დამკვიდრდა, რომ გადაზომვა საბლით/თოკით ხდებოდა. იცოდნენ მიწის დაჩემებაც. კ-ში სახნავ-სათესი მიწების 83% საერთო სარგებლობაში იყო.

კ-ში მოჰყავდათ წითელი და თეთრი დოლი, თავთუხი, შავფხა, პოშოლა, ხულუგო, დიკა, გაზაფხულის ქერი, სიმინდი, ასლი, ჭვავი, შემოდგომის ქერი, ლობიო, მუხუდო, ცერცვი, უგრეხელი, ფეტვი და ბრინჯი. ტექნიკური კულტურებიდან – ბამბა და ენდრო. ხნავდენ შეამხანაგებულები, რასაც ,,მოდგამობა'' (იხ. *მოდგამი*) ეწოდებოდა. *ანეულის* დაწყების წინ გარკვეული ცერემონიალი, ე. წ. ,,სასოფლო საღმრთო'' იმართებოდა.

ხვნის დროს ,,მოდგამის'' წევრები ძირითადად ,,*ოროველას*'' მღეროდნენ. კ-ში გაზაფხულსა და ზაფხულში მიწას სამჯერ ხნავდნენ. შემოდგომით მოხნულს ან მეორედ გადახნულ ანეულს აოშვას უწოდებდნენ. ნაპირებიდან დაწყებულ ხვნის პროცესს ,,ნაღარაზე ხვნა'' ეწოდებოდა, ხოლო შუაგულიდან დაწყებულს – ,,ნაზურგით ხვნა''. დათესვის შემდეგ აუცილებლად კაბდოს შემოატარებდნენ, რ-იც მიწის დიდ ბელტებს შლიდა და მარცვალს ფარავდა. მოწეული თავთავი ავდარს რომ არ გაეფუჭებინა, მკა აუცილებლად ერთ დღეში უნდა დაემთავრებინათ, რისთვისაც ხშირად ოცდაათი მომკელიც კი იყრიდა თავს. მკიდნენ რამდენიმე მწკრივად; თითოეულ მწკრივს ჰყავდა თავისი მესვეური, რ-იც წინ მიდიოდა. ყოველი სვის გატანის შემდეგ მასპინძელი მკელებს თითო ჯამი ღვინით უმასპინძლდებოდა. მესვეურს უკან ორი მომკელი მისდევდა, ამ უკანასკნელთ კი – მეძნეური მიჰყვებოდა, რ-იც ხელეულს ულოზე აწყობდა და ძნას კრავდა. მკაში მიღებული ყოფილა ეროტიკული და სატრფიალო ხასიათის შაირები. მარცხენა ხელის სამ თითზე მკელი სათითეებს ატარებდა.

მარცვლეულს ინახავდნენ ორმოსა და ხაროში. ხარო ქვითკირით იყო ამოშენებული, ორმოს კი კედლების გარშემო ნამჯა ჰქონდა მიკრული. ორმოს ეფარა ხის ბადიმი, რ-საც ზემოდან მიწას აყრიდნენ. ორმოს პირი ვიწრო ჰქონდა და შიგნით განივრდებოდა. მარცვალს ინახავდნენ *ბელელშიც* (ფიცრული ნაგებობა); იყენებდნენ კოდებსაც (მრგვალი ფორმის გულამოღარული დიდი მორი, რ-საც ძირი აქვს ჩადგმული). ხორბალს ინახავდნენ ,,უხეირო ქვევრებშიც'', რ-იც ღვინისათვის უკვე გამოუსადეგარი იყო.

კ-ში გავრცელებული ტრადიციით მკის დამთავრების დროს მესვეური პურის საუკეთესო თავთავისაგან კრავდა ჯვარს, რ-იც ყანის პატრონთან – დიასახლისთან მიჰქონდა; დიასახლისი მას ასაჩუქრებდა მამლით, რ-საც ,,ჯვარის მამალი'' ერქვა. მამალს ვახშმად კლავდნენ და თავს მესვეურს მიართმევდნენ. თავთავებისგან შეკრულ ჯვარს მომავალი წლის თესვამდე ინახავდნენ. ,,თესლის გატანის'' დღეს მას ფშვნიდნენ, ,,ღვინით აზიარებდნენ'', დასათეს თესლში შეურევდნენ და იტყოდნენ: ,,ასე კაკალივით მარცვალი მოვიდესო''. ყოველივე ამას სამეურნეო-რელიგიური დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა და ოჯახის წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ მეზობლები, ნათესავები, თანასოფლელები. ყანის მკის დამთავრების შემდეგ ძნებს კალოზე კევრით ლეწავდნენ.

გვალვიანობის დროს იცოდნენ ,,გუთნით წყლის მოხვნა''. ამ რიტუალს ქალები ასრულებდნენ: გუთანს უღელს გამოაბამდნენ, უღელში თავად შეებმებოდნენ, მას მდინარეში გაათრევდნენ და დინებას აღმა აუყვებოდნენ, თან ღმერთსა და ელია წინასწარმეტყველს ადიდებდნენ: ,,აღარ გვინდა გორახი, ღმერთო, მოგვე ტალახი. დიდება და დიდება, ღმერთსა ჩვენსა დიდება''...

კ-ში განსაკუთრებით განვითარებული იყო მეცხოველეობა. ამ მხრივ გამოირჩეოდა *პანკისის ხეობა* (მდ. ალაზნის ზემო წელი), ცნობილი თავისი მდიდარი ტყეებით, სადაც ღორებისათვის ბუნებრივი საკვები უხვად მოიპოვებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ზოგიერთ გლეხს 400, 1000 და ზოგჯერ 2 ათ. ღორიც ჰყოლია. კახეთში მეაბრეშუმეობაც სათანადო დონეზე იყო განვითარებული.

კ-ში ერთგვარად გამოირჩეოდა ქიზიყის მხარე, რ-ის ადრინდელი სახელწოდება იყო *კამბეჩოვანი*.

კ-ში მრავლად ჰყავდათ სახედრები (ვირები), განსაკუთრებით კი – ქიზიყში. მეცხვარეთათვის ცხენზე მეტად საჭირო იყო სახედარი, რ-საც ზედ ეკიდა მწყემსის ბარგი და ხურჯინი. სახედარი ადვილი დასამორჩილებელი და იოლი შესანახი იყო. ქიზიყში წყაროები შორს ჰქონდათ და წყლის საზიდადაც ვირს იყენებდნენ – გადაჰკიდებდნენ მოწნულ საკოკეებს, შიგ კოკებს ჩადგამდნენ და წყაროზე მიდიოდნენ. ვენახების სიშორის გამო მას საგზლის მისატანად და იქიდან სხვადასხვა ჭირნახულის წამოსაღებად იყენებდნენ.

გარეკახეთში ქართლური დარბაზული და ბანიანი საცხოვრებელი სახლები იყო გავრცელებული. მათი ძირითადი ნაწილი ქვითკირით იყო აგებული და კრამიტით გადახურული. უფრო გავრცელებული იყო ერთსართულიანი ქვის შენობა, რ-იც ჭაობის ლერწმით ორფერდად იყო გადახურული. სახლზე მიშენებული იყო სამეურნეო სათავსოები – მარანი, *ბოსელი,* საბძელი. კ-ში სცოდნიათ აგრეთვე ,,წნური სახლები'', ,,ფიცრული სახლები'', ქოხები. ქოხი, როგორც დროებითი ნაგებობა, ძირითადად კალოებზე იყო განთავსებული. სამეურნეო ნაგებობებიდან შეიძლება დავასახელოთ: სათივე, ბეღელი, სასიმინდე...

კ-ში, განსაკუთრებით ქიზიყში, მეურნეობა დაქსაქსული, სპეციალიზებული იყო. გლეხი მეცხვარეობას, მემინდვრეობას, მევენახეობას, მებოსტნეობას სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა ადგილას მართავდა. ამა თუ იმ მეურნეობის სფეროზე მიმაგრებული ოჯახის ერთი წევრი სწორედ ამ საქმიანობაში იყო დახელოვნებული. შრომის დანაწილება აიძულებდა ქიზიყელ გლეხს უპირატესობა მიენიჭებინა დიდი ოჯახისათვის. აღნიშნული მდგომარეობა სიმდიდრისა და დოვლათის დაგროვებასაც უწყობდა ხელს.

ისტორიულად ნაირგვარი იყო კახელთა კვებითი კულტურა, სადაც ფხლის შეჭამანდისათვის იხმარებოდა შემდეგი მცენარეები: ხაჭიჭორა შავჩოხა, ყაყაჩო, წოწნარა, ჭინჭარი, ჭინჭრისდედა, ნაცარქათამა, ბოლოკა, ღოლო, ბალბა, დანდური, ქათმის კუჭეჭა. კ-ში ძველად ამზადებდნენ ,,შვინდის შეჭამანდს'', ,,ხირხი-

ტოს'', ,,ზღმარტლის შეჭამანდს'', ,,თხლის შეჭამანდს'', ,,პურის ხაშის მახუხს'' და სხვ.

კ-ში იცოდნენ ბავშვის (როგორც ვაჟის, ისე გოგონასი) ბერად შეყენება; ბერად შეყენებულ ბავშვს ლენტს შეაბამდნენ, სამი ან მეტი წლისა სალოცავში მიჰყავდათ, მანამდე კი თმას არ შეკრეჭდნენ. ეკლესიაში ბერს თმას ცოტათი ააჭრიდნენ. ამ დროს ეკლესიაში შესაწირიც – ცხვარი, ,,ქათმის ზვარა'' – მიჰყავდათ და ღმერთს შვილის გაზრდას შესთხოვდნენ.

საქართველოს ყველა ისტ.-ეთნოგრ. მხარეში, გარდა ოფიციალური მართლმადიდებლური სახელებისა, გავრცელებული იყო ზედმეტსახელებიც. კ. ამ მხრივ გამორჩეული იყო. XIX ს. აღწერის ერთერთ დავთარში ოჯახის უფროსები ორივე სახელით არიან ჩაწერილი. მაგალითად შეიძლება სოფ. კარდენახის აღწერა მოვიყვანოთ: ,,გიორგი იგივე ხარება გელუკაშვილი'', ,,გიორგი იგივე ხოხობა გელუკაშვილი'', ,,გიორგი იგივე საბრალო გელუკაშვილი'', ,,თევდორე იგივე ნემსა აფრიაშვილი'', ,,გიორგი იგივე ჭუკა ხოსიტას ძე ვაჟიბედაშვილი'', ,,ივანე იგივე ჯაგო ბეროზაშვილი''; ქოდალოში – ,,სოლომონ იგივე წამალა მეშველიშვილი'', ,,ივანე იგივე ბიბილა თანდილაშვილი'' და სხვ.

კ. მდიდარია ისტ. ღირსშესანიშნავი ადგილებით, რელიგიური სიწმინდეებით, ქართულ საეკლ. არქიტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია *ალავერდი, ბოდბის მონასტერი, გრემის* მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი, *გურჯაანის ყველაწმინდის* ორგუმბათიანი ეკლესია (ერთადერთი ორგუმბათიანი ტაძარი საქართველოში), *დავითგარეჯის* სამონასტრო კომპლექსი, *დართლოს* კოშკურნაგებობათა კომპლექსი, თავწმინდა გიორგის ეკლესია (ახალსოფელი, ყვარლის მუნიციპალიტეტი), *იყალთოსა* და *ნეკრესის* სამონასტრო კომპლექსები, უჯარმის ციხე-ქალაქი, შუამთა, *ხორნაბუჯი* და სხვ.

კ-ის ეკლესიების კარზე საუფლო, საღვთისმშობლო თუ წმინდანთა მოსახსენებელ დღეებში სახალხო-რელიგიური დღესასწაულები იმართება. განსაკუთრებით სახალხოდ აღინიშნება *ალავერდობა, აღდგომა, ბარბაროба*, თავწმინდა გიორგობა, თეთრი გიორგობა, კვირაცხოვლობა (სოფ. ვაქირი), მამა დავითობა (გარეჯობა), *მარიამობა*, ნეკრესობა, ნინოობა, სამებობა (სოფ. ბოდბეში), *შობა* და სხვ.

ლიტ.: გვიმრაძე თ., სამეურნეო-რელიგიური დღესასწაულები კახეთში, თბ., 2005; თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX საუკუნეებში, თბ., 1984; მისივე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017; ლეკიაშვილი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1972; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1977; ნანობაშვილი ი., ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში, თბ., 1960; რუხაძე ჯ., ცოცხალი ისტორიები – კახეთი II, თბ., 2015; სონღულაშვილი ჯ., საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, წგ. 2, თბ., 1974; შილაკაძე მ., ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა, თბ., 1988; ჩიტაია გ., შრომები ხუთ ტომად, ტ. 4, თბ., 2001; ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986.

რ. თოფჩიშვილი.

,,კახეთი'' (სააქციო საზოგადოება), პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმო, ტარა-შესაფუთი ნაწარმის ინდუსტრიული წარმოების ფუძემდებელი საქართველოში. დაარსდა 1952 თბილისში, როგორც ,,საქმრეწვგაფორმება'', 1982-იდან ეწოდა საქმრეწვკომბინატი ,,კახეთი'', ხოლო 1995-იდან ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბად ,,კ.'' საბჭ. პერიოდში შედიოდა საქართვ. კვების მრეწველობის სამინისტროს შემადგენლობაში და 85%-ით აკმაყოფილებდა კვების მრეწველობის მოთხოვნას პოლიგრაფიულ პროდუქციაზე. განსაკუთრებით დიდი მოცულობით ამარაგებდა ტარა-შესაფუთი ნაწარმით და ეტიკეტებით ისეთ დარგებს, როგორიცაა ჩაის, სიგარეტის, საკონდიტრო, მინერალური, უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელების, რძის პროდუქტების, საკონსერვო მრეწველობის დარგები.

XX ს. 90-იანი წლებიდან მკვეთრად გაფართოვდა ,,კ-ს'' სპეციალიზაციის სფერო და მოიცვა ქიმიური, ფარმაცევტული, მსუბუქი მრეწველობის, ელექტროტექნიკური, სოფ. მეურნეობის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმის შეფუთვების მიმართულებაც. განხორციელდა საწარმოს გადაიარაღება, ახ. ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა. ,,კ.'' სპეციალიზებულია პოლიგრაფიულად გაფორმებული ტარა-შესაფუთი ნაწარმის, მ. შ. ქაღალდის პოლიმერული ფირის, მოლითონებული ეტიკეტების, სამომხმარებლო მუყაოს კოლოფების, გოფრირებული ტარის დამზადებაზე, პოლიგრაფიული სარეკლამო ატრიბუტიკის, მუყაოს საფირმო ჩანთების, ქაღალდის პაკეტების და სხვა ანალოგიური პროდუქციის წარმოებაზე. საჭირო დამხმარე მასალებს (მუყაო, საღებავები, წებო, ქაღალდი, პოლიმერული ფირები და სხვ.) იღებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. პროდუქცია (მუყაოს კოლოფები და ლამინირებული გოფრო-ტარა) გადის საექსპორტოდ სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ამჟამად ,,კ.'' ერთ-ერთი მძლავრი პოლიგრაფიული საწარმოა სამხრ. კავკასიაში. აქ ფუნქციონირებს ოფსეტური ბეჭდვის 13 დანადგარი, მ. შ. ყველაზე ფართოფორმატიანი 4-ფერიანი მანქანები, 4- და 6-ფერიანი ფლექსოგრაფიული საბეჭდი, ,,ჰაიდელბერგის'' ფირმის ფურცლოვანი ციფრული ბეჭდვის, რულონური ბეჭდვის ციფრული საბეჭდი მანქანები, მუყაოს ფიგურულად კვეთის ექვსი ავტომატი (მ. შ. მსოფლიოში წამყვანი შვეიცარიული ფირმა ,,ბობსტის''), ლამინირების, ცხელი ფოლგირების, თერმული ბეჭდვის, ეტიკეტების ფიგურული კვეთის შვეიცარიული ფირმა ,,ბლუმერის'' პროგრამულ-მართვიანი ავტომატები, მუყაოს კვეთის იტალიური ტიგელური წნეხები, გამომკვეთი ტვი-



სააქციო საზოგადოება ,,კახეთი''.

ფრების დამამზადებელი შვეიცარიული და ფოტოპოლიმერული საბეჭდი ფორმების იაპონური მოწყობილობები და სხვ.

საქართველოში პირველად ,,კ-ში'' განხორციელდა ოფსეტური ბეჭდვა წინასწარ ფოტომგრძნობიარე ოფსეტური საბეჭდი ფორმებით; ასევე პირველად დამზადდა და გამოყენებულ იქნა ფოტოპოლიმერული საბეჭდი ფორმები ფლექსოგრაფიისათვის, ტიპოოფსეტური ბეჭდვისთვის, ცხელი ფოლგირებისთვის, ულტრაიისფერი შრობის გალაქვისთვის; განხორციელდა ოფსეტურად ნაბეჭდი ფურცლების ,,კაშირება'' (ქაღალდის გადაკვრა) გოფრირებულ მუყაოზე ელიტარული ტარის დასამზადებლად (1982), აგრეთვე ოფსეტური ბეჭდვა მოლითონებულ (1991) და თვითკოპირებად (1993) ქაღალდებზე. ,,კ-მა'' საქართველოში პირველმა დაამზადა მუყაოს ფიგურული კვეთის გამომკვეთი ტვიფრები და გამოიყენა მასში ე. წ. იუსტირების პლასტმასის ღარები, ასევე ჩაანაცვლა ჯანმრთელობისთვის მავნე პოლიგრაფიული პროდუქციის მობრინჯაოების ფხვნილი უვნებელი ოფსეტური ბრინჯაოს პასტით.

საქართველოს ბიზნესრეიტინგების კავშირის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით 2015 წლის მაჩვენებლებით ,,კ'' ნომინირებულ იქნა ვერცხლის რეიტინგით როგორც ,,წლის ექსპორტიორი'' და ოქროს რეიტინგით – როგორც ,,წლის იმპორტიორი''. *ნ. რობიტაშვილი.*

კახეთის აჯანყება 1605, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. აჯანყების უშუალო საბაბი გახდა შაჰ-აბას I-ის დავალებით კონსტანტინე მირზას მიერ (იხ. *კონსტანტინე I,* კახეთის მეფე) მამის, *ალექსანდრე II-ის,* ძმისა და სხვა კახელი დიდებულების დახოცვა (12. III). ამ ფაქტმა კახეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მოსახლეობამ გამაჰმადიანებული კონსტანტინე I მეფედ არ მიიღო და იარაღს მოჰკიდა ხელი. აჯანყება ქიზიყიდან დაიწყო. კონსტანტინე I სასწრაფოდ გაემართა იქ და დიდი საჩუქრებით, დაპირებებითა და შაჰის აგენტების დახმარებით მოახერხა აჯანყებულთა ასისთავების მოსყიდვა. მარტის დამლევს კონსტანტინე I გრემში ჩავიდა. აქ თავადებსა და სხვა თავკაცებს დიდი პატივი სცა, შაჰის სახელით შირვანში ლაშქრობა გამოაცხადა, მოლაშქრეებს კი დიდ ჯილდოს შეჰპირდა. ამით მან აჯანყება დროებით შეაჩერა. კახეთის მესვეურები, რ-თაც სათავეში მეფე დავით I-ის ქვრივი – ქეთევან დედოფალი ედგა, გარეგნულად კონსტანტინეს ერთგულობდნენ, ფარულად კი აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. კონსტანტინე I-მა კახეთის 10-ათასიანი ჯარით და ყიზილბაშთა ლაშქრით შირვანზე გაილაშქრა და ქ. შემახას ალყა შემოარტყა. ალყა ძალიან გაჭიანურდა. კახთა ლაშქარი უკმაყოფილებამ მოიცვა. შეთქმულებმა ისარგებლეს მომენტით და ღამით კონსტანტინე I-ის კარავს დაეცნენ. რენეგატი გაიქცა, მეორე დილით კი კახ მოლაშქრეთა შეჩერება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. აჯანყებულებმა ბრძოლის ველი მიატოვეს და შინისაკენ დაიძრნენ, ყიზილბაშები კი – ირანისაკენ. აჯანყებულ კახთა მოციქულებმა აბას I-ს მორჩილება აღუთქვეს და მეფედ ქრისტიანი თეიმურაზი (დავით I-ის ძე, შემდეგში *თეიმურაზ I*) მოითხოვეს. შაჰმა, რ-იც ოსმალეთთან ომისათვის ემზადებოდა, ისინი იმედით გამოისტუმრა. აჯანყებულებმა დახმარება სთხოვეს ქართლის მეფე *გიორგი X-ს,* რ-მაც მათ პაპუნა ამილახვარი მიაშველა ზემო ქართლის ჯარით. ბრძოლა გაიმართა 22 ოქტომბერს ბელაქნისწყალზე, სადაც კონსტანტინე I-ის ლაშქარი დამარცხდა, ხოლო თვითონ ბრძოლაში დაიღუპა. კ. ა-მ აიძულა შაჰი დათმობაზე წასულიყო. მან 1606 კახეთის მეფედ *თეიმურაზ I* დაამტკიცა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., შენიშვნები რ. კიკნაძისა, თბ., 1966.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; საქართველოს ისტორია, ტ. 3, მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, თბ., 2012. *გ. ნარსია.*

კახეთის აჯანყება 1615, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. ირანის შაჰის, *აბას I-ის* ლაშქრობათა შედეგად შევიწროებული კახეთის მოსახლეობა შესაფერის მომენტს ელოდა აჯანყების დასაწყებად. იმერეთში ლტოლვილმა *თეიმურაზ I-მა* სპარსელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით კავშირი შეკრა დას. საქართველოს მეფე-მთავრებთან. აჯანყება დააჩქარა ოსმალეთის არმიის დაძვრამ სპარსეთის საზღვრებისაკენ. აჯანყება 15 სექტემბერს, ალავერდობას დაიწყო. მას სათავეში ჩაუდგნენ ნოდარ ჯორჯაძე და დავით ჯანდიერი. შეიარაღებული ქართველები შევიდნენ ალავერდის ეკლესიის გალავანში, სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები დათქმულ ნიშანზე ამოხოცეს. აჯანყებულებმა თეიმურაზ I მეფედ მიიწვიეს. იგი კახეთში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. კ. ა-ს მხარი აუბა შირვანმაც. აბას I-მა აჯანყების ჩასაქრობად 15-ათასიანი არმია გაგზავნა ალიყული-ხანის სარდლობით. ყიზილბაშების სარდლობასთან მყოფი ქართველები მტერს თეიმურაზ I-ის ლაშქრის გადაადგილების მიმართულებას უმალავდნენ, ხოლო სპარსელთა ჯარის გეგმას აჯანყებულებს ატყობინებდნენ. ამით ისარგებლა თეიმურაზ I-მა და 5–6 ათ. კაცით დაამარცხა მტრის ლაშქარი, რ-ის ერთი ნაწილი უბრძოლველად გაიქცა, მრავალი მათგანი მდ. მტკვარსა და არაგვში დაიხრჩო.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; საქართველოს ისტორია, მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტ. 3, თბ., 2012. *გ. ნარსია.*

კახეთის აჯანყება 1660, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. კახეთის საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად სპარსელმა დამპყრობლებმა გადაწყვიტეს კახეთიდან აღგილ. მოსახლეობის გასახლება და იქ მომთაბარე-მეჯოგე ტომების ჩასახლება. ყიზილბაშებმა დაიწყეს კახეთში ციხეების აგება (ბახტრიონი, ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრედ გადააკეთეს), რ-თა გარნიზონებს ჩასახლებული თურქმანები ქართველთა თავდასხმისაგან უნდა დაეცვა. კახეთის ტერიტორია ორად გაყვეს; სამხრ.-აღმ. ნაწილი ყარაბაღის ბეგლარბეგს გადასცეს, დანარჩენი – ნახიჭევანის მმართველს, რ-თაც მათზე დაქვემდებარებული ელები კახეთში უნდა დაესახლებინათ. ამ ღონისძიების

შედეგად კახეთის ბარში 80 ათასამდე თურქმანი ჩაასახლეს. კახეთი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თურქმანთა ჩასახლების წინააღმდეგ დაიწყო სახალხო მოძრაობა, რ-შიც მოსახლ. დიდი ნაწილი ჩაება. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა *ზაალ არაგვის ერისთავი.* უშუალო ორგანიზატორები იყვნენ ბიძინა *ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი* და მისი ძმა *ელიზბარ ქსნის ერისთავი.* აჯანყებაში აქტ. მონაწილეობა მიიღეს თუშ-ფშავ-ხევსურებმა ზეზვა *გაფრინდაულის,* ნადირა *ხოშარაულის, გოგოლაურის* მეთაურობით. ქართველები გაერთ. ძალით თავს დაესხნენ ბახტრიონისა და ალავერდის ციხეებს და მთლიანად ამოწყვიტეს იქ გამაგრებული თათრები, შემდეგ გაანადგურეს კახეთის სხვა ადგილებში მყოფი ყიზილბაშები. აჯანყებულთა გათიშვისა და დაქსაქსვის შედეგად მტერმა შეძლო აჯანყების შეჩერება, მაგრამ შაჰი იძულებული გახდა ხელი აეღო თავის გეგმაზე. ზაალ არაგვის ერისთავი მტრის დავალებით თავისივე ძმისწულებმა მოკლეს, მისი შვილები კი შაჰს გაუგზავნეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და ელიზბარ ქსნის ერისთავი შაჰთან გამოცხადდნენ და პატიება სთხოვეს. შაჰმა ისინი იმ ტომებს გადასცა, რ-თა თანამომმენი კახელებმა გაჟლიტეს. გმირები წამებით დახოცეს. ქართ. ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. აჯანყების მოთავე მთიელებს ხალხმა მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვნა. ეს მოვლენებია ასახული ა. წერეთლის ,,ბაში-აჩუკისა'' და ვაჟა-ფშაველას ,,ბახტრიონში''.

ჰ. ა-ის შედეგად კახეთის მოსახლეობა ფიზიკურ გადაშენებას გადაურჩა, მაგრამ სპარსელთა ბატონობის საბოლოოდ მოსპობა ვერ მოხერხდა. თავისუფლებისთვის ბრძოლა ისევ გრძელდებოდა.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; საქართველოს ისტორია, მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტ. 3, თბ., 2012. *გ. ნარსია.*

კახეთის აჯანყება 1812–13, რუსეთ-საქართველოს ფაქტობრივი ომი, რომელიც წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა და 5000 ადამიანზე მეტი სიცოცხლე შეიწირა.

აჯანყება დაიწყო 1812 წ. 31 იანვარს ახმეტაში. საბაბად იქცა რუსი ჯარისკაცების მიერ ადგილ. ქალის (ზოგიერთი ვერსიით – მღვდლის) შეურაცხყოფა. მიზეზი კი ბევრად გლობალური იყო და იგი მთლიანად პოლიტიკას უკავშირდებოდა.

მთავარმართებელი ფ. პაულუჩი აჯანყებას ქართველი ხალხის ძლიერ პოლიტ. გამოსვლად მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ ,,ცოტა დარჩა რუსული ჯარი მთლიანად არ გაწყდა საქართველოში'' და რომ ,,კავკასია მთლიანად ეკარგებოდა რუსეთს''.

აჯანყება დაიწყო ურთულესი საგარეო ვითარების ფონზე. მის ხელმძღვანელობას კავშირი ჰქონდა ირანის, თურქეთის მთავრობებთან, ინგლისელ და ფრანგ დიპლომატებთან.

შეიარაღებული გამოსვლები რამდენიმე ადგილას ერთდროულად დაიწყო და მთელ კახეთს მოედო. თავადების: სვიმონ და ადამ ბებურიშვილების, ნინია ანდრონიკაშვილის, ოთარ ქართველიშვილის, იოსებ სიდამონიშვილის, ივანე მაყაშვილის, პაატა ჯანდიერის, დავით ქართველიშვილის რაზმებმა დაიკავა ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი, ციხე თუ პუნქტი. გადაიკეტა რუსთა დამაკავშირებელი კომუნიკაციები. დამპყრობლის დანაკარგები ასეულებს ითვლიდა.

თებერვლის II ნახ-ში აჯანყებულებმა საქართველოს მეფედ ბატონიშვილი გრიგოლ *ბაგრატიონი* (გიორგი XII-ის შვილიშვილი) გამოაცხადეს.

ქართველი მეომრები თბილისს მიუახლოვდნენ. ომის ალი მოედო არაგვის ხეობას, ფშავს, ხევსურეთს. გაჩნდა საერთო კავკასიური ომის დაწყების საშიშროება. აჯანყებაში ჩაებნენ ლეკთა, ოსთა, ქისტთა და ჩერქეზთა დიდი რაზმები; დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები დაღესტანში, შირვანსა და ყაზახში.

საპირისპიროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რუსების მხარი დაიჭირა საქართველოში მცხოვრებმა სომხურმა მოსახლეობამ, რისთვისაც მათ იმპერატორის უმაღლესი სიგელიც დაიმსახურეს.

დამპყრობელს დახმარება გაუწია ქართველი თავადების ნაწილმა; მათი მეშვეობით გაიხსნა დარიალის გზა და რუსებს ახალი დამხმარე ძალა შეუერთდა. ტყვედ ჩავარდა გრიგოლ ბატონიშვილი.

15 აპრილიდან თელავის მაზრასა და ქიზიყში ომი მას შემდეგ განახლდა, რაც გავრცელდა ცნობა ირანში გახიზნული *ალექსანდრე ბატონიშვილის* საქართველოში შესაძლო დაბრუნების შესახებ.

1812 წ. 1 სექტემბერს ალექსანდრემ შემოაღწია საქართველოში, რაც ომის ახალი ენერგიით გაშლის საფუძველი გახდა. კახეთი და ფშავ-ხევსურეთი ფეხზე დადგა, აღელვებამ იმატა ქართლშიც, გავრცელდა ცნობები აწყურის ციხეში სოლომონ II-ის ყოფნის შესახებ.

მთავარმართებელმა ომში ჩართო დრაგუნთა, ეგერთა, ნიჟეგოროდის, ასევე იმერეთში განლაგებული პოლკები. გენერლები: ფ. სიმანოვიჩი, ა. ტიხანოვსკი, დ. ორბელიანი, ფ. უშაკოვი და სხვანი მრავალრიცხოვანი ძალებით ცდილობდნენ ალექსანდრეს განეიტრალებას, მაგრამ რამდენადაც ბატონიშვილი პატარა რაზმებით მოქმედებდა, მის წინააღმდეგ დიდი საბრძოლო ოპერაციების ჩატარებას ვერ ახერხებდნენ. მაშინ რუსებმა იმ საბაბით, რომ მეამბოხეები ქართული სოფლების მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობდნენ, მშვიდობიანი მცხოვრებლების მასობრივი რეპრესიები განახორციელეს, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

პროცესის შესაჩერებლად ალექსანდრე თავდაპირველად სიღნაღთან, შემდეგ კი მელაანთან პირისპირ შეება მტერს. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა 23 ნოემბერს ჩალაუბანთან. ამ შეტაკებაში რუსებმა 300-მდე კაცი დაკარგეს. ბატონიშვილმა საგარეჯოსკენ დაიხია და მანავის ციხეში გამაგრდა. 28 ნოემბერს გენერლები დ. ორბელიანი და ა. ტიხანოვსკი 2 ათასი მეომრითა და რამდენიმე ზარბაზნით ციხისაკენ დაიძრნენ. ალექსანდრემ დაასწრო მათ და ქართველთა და ლეკთა ცხენოსანი რაზმით მტრის რიგებში შეიჭრა. ბრძოლას 200-ზე მეტი რუსი ემსხვერპლა. ლეკთა და ქართველთა კავშირით შეშფოთებულმა რუსებმა საჩუქრებითა და დაპირებებით ჩამოაშორეს აჯანყებულებს ლეკები, რის შემდეგაც მოახერხეს ამბოხებულთა დამარცხება.

ალექსანდრე დანებებას არ აპირებდა. მან გომბორის ქედი გადაკვეთა და თიანეთში ავიდა, სადაც გადარჩენილი კახელი და ქართლელი თავად-აზნაურები შეუერთდნენ.

ნაპოლეონის მარცხმა, უცხოეთიდან მიუღებელმა დახმარებამ დაარწმუნა ალექსანდრე, რომ ომის გაგრძელება ქართული გენოფონდის ამოჟლეტას ნიშნავდა, ამიტომ ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში დროებით ხევსურეთს გაიხიზნა. რუსებმა ფშავ-ხევსურეთს უზარმაზარი ჯარი და არტილერია შეუსიეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ ქისტების დახმარებით და ბატონიშვილის მეთაურობით საგრძნობი ზიანი მიაყენა მტერს. 36-საათიანი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ მათ შატილისკენ დაიხიეს. რუსების ჯარმა პირწმინდად გაანადგურა ხევსურთა 20 და ქისტების 9 სოფელი, ,,მეამბოხეთა ბუდე'' – ახმეტა (იგი 1813 საბუთებში უკვე ნასოფლარადაა მოხსენიებული). ასეთივე დღე დაადგა საბუეს, თიანეთს, მატანს და სხვ.

სადამსჯელო რაზმები შეესივნენ კახეთს. მასობრივი სახე მიიღო რეპრესიებმა, ვენახებისა და ბაღების გაკაფვამ. ათასობით ადამიანი ბრძოლაში დაიღუპა, მრავალი მათგანი კი სასჯელის შიშით სამშობლოდან გადაიხვეწა.

უმძიმესი იყო აჯანყების შემდგომ განხორციელებული რეპრესიები. ასობით გლეხი ჩამოახრჩვეს. გადაიწვა და გაუდაბურდა ათობით სოფელი, ამოწყდა მოსახლეობის ნაწილი, დანარჩენს კი უდიდესი ფულადი და ნატურალური გადასახადი დაეკისრა. განსაკუთრებული სისასტიკით დაისაჯნენ სას. პირები, რ-თა მონაწილეობამ მამულისა და სარწმუნოებისათვის ბრძოლას წმინდა ომის სახე მისცა.

ქონება, მამული და წოდება ჩამოერთვა აჯანყების ყველა მონაწილეს. მათგან 62 ადამიანი გადაასახლეს ციმბირში, მ. შ. იყო 2 გმირი ქალი – ე. ჩოლოყაშვილი და გ. ნათალიშვილი. გზაში და გადასახლებაში დაიღუპნენ გ. ციციშვილი, ა. ვაჩნაძე, ა. მაყაშვილი, ს. ანდრონიკაშვილი, დ. ჯანდიერი, დ. ჭავჭავაძე, ნ. ჩერქეზიშვილი, ფ. შატბერაშვილი, ე. ჭავჭავაძე, სას. პირები: ჩიხტაური, დემეტრაშვილი, ხირსელიშვილი, მეჭურჭლიშვილი, ქრისტესიაშვილი და სხვები.

1812 აჯანყებამ ,,არა მარტო მატერიალური გაჩანაგება და ზიანი მოუტანა ქვეყანას, არამედ სახელი და დიდებაც''. მ. წერეთლის აზრით, ქართველობამ დაამტკიცა, რომ ,,მაშინ ჯერ კიდევ თურმე კაცები ვყოფილვართ და ქუდი გვხურებია. ვიბრძოლეთ როგორც შეგვეძლო. დამარცხებაში მაინც მოვიპოვეთ საუკუნო სინდისი შთამომავლობის წინაშე''.

ლიტ.: გელაშვილი ა., კახეთის 1812 წ. აჯანყება, თბ., 2003; კიკვიძე ა., გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წ., თბ., 1971; ორჯონიკიძე ე., ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 1999; ფრონელი ალ., ამბოხება კახეთისა 1812 წ., თბ., 1907; ხანთაძე შ., დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, თბ., 1999; Маркова О. П., Восстание в Кахети 1812 г., М., 1951.

ა. გელაშვილი.

კახეთის კავკასიონი, კავკასიონის უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთი საქართველოს ფარგლებში. იწყება მწვ. დიდი ბორბალოდან და მთავრდება მწვ. ტინოვროსთან. ჩრდ. საზღვარი მიუყვება ჰ. პ-ის ალპურ ლანდშაფტიან თხემს, ხოლო სამხრეთი საზღვარი – მთისწინეთს. მოიცავს მდ. ალაზნის ზემო დინების ხეობას (*პანკისის ხეობა*), ალაზნის მარცხ. შენაკადებისა და ილტოს (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) აუზებს. აგებულია ძირითადად ქვედა და შუაიურული ასაკის თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების ინტენსიურად დანაოჭებული წყებებით. ქვემო კალთებზე აქა-იქ ცარცული სისტემის ნალექებია. მდ-ების – დიდხევის, სტორისა და ლოპოტის ხეობებში გავრცელებულია პალეოზოური გრანიტოიდები, კრისტ. ფიქლები და მარმარილო. მთავარი წიაღისეულია მარმარილო (*ლოპოტის მარმარილოს საბადო*), მინერ.-სამკურნ. წყალი (*თორღვას აბანო*). ჰ. პ-ის რელიეფში გაბატონებულია მთავარი ქედის მოკლე, ციცაბო, ეროზიული განშტოებები და მდინარეთა ღრმა გარდიგარდმო ხეობები. ჰ. პ-ის თხემური ზოლის დას. ნაწილში შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების კვალი. უმაღლესი მწვერვალებია: შავი კლდე (3578 *მ*), ტინოვროსო (3374 *მ*), ნინიკასციხე (3116 *მ*), გველისმთა (3089 *მ*), ყადორი (2866 *მ*).

ჰ. პ-თვის დამახასიათებელია ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობა დაწყებული ზომიერად ნოტიო, ზომიერად თბილიდან დამთავრებული მაღალმთის ზაფხულს მოკლებული ჰავით. მდ-ებს ახასიათებს წყალმოვარდნა და ღვარცოფი, წყალდიდობა – აპრილ–ივნისში, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში. სუბალპ. და ალპ. ზონაში არის მცირე ზომის ტბები: გრძელი ტბა, ნახევარტბა, მართოთი (*მარტოტბა*) და სხვ. ჰ. პ-ის ქვემო კალთებზე, მთის ტყის ყომრალ ნიადაგებზე, განვითარებულია მუხნარ-რცხილნარი, რ-საც ურევია წიფელი, წაბლი, ცაცხვი და სხვ. ზემო კალთებზე, ღია ფერის და გაეწრებულ ტყის ყომრალ ნიადაგებზე, გაბატონებულია წიფლის ტყე. მასში შერეულია რცხილა, ნეკერჩხალი და სხვ. ჰ. პ-თვის დამახასიათებელია კოლხეთისა და ჰირკანის მცენარეულობის რელიქტები: ძელქვა, ბზა, თალიშური სურო და სხვ. ტყის ზონის ზემოთ არყის ტანბრეცილი ტყეებია, აგრეთვე გვხვდება ცირცელი, ბოკვი. უფრო ზემოთ (2400–2500 *მ*-იდან) მთის კორდიან და კორდიან-ტორფიან ნიადაგებზე გავრცელებულია სუბალპ. და ალპ. ბალახეულობა, რ-საც იყენებენ საძოვრებად. ჩრდ. ექსპოზიციის კალთებზე დეკიანებია.



კახეთის კავკასიონი.

პ. პ-ზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიოჰავიანი შერეული ფართოფოთლოვანი მთა-ტყისა და მთა-მდელოს ლანდშაფტები. პ. პ-ზე არის ლაგოდეხისა და ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები. *დ. უკლება.*

კახეთის მევენახეთა ყრილობა, ყრილობა, რომლის მიზანი იყო კახეთის სოფ. მეურნ. ძირითადი დარგის – მევენახეობის მოვლა-პატრონობისა და მავნებელთაგან ვაზის კულტურის დაცვის ღონისძიებათა შემუშავება. შედგა 1899 წ. 20–25 ნოემბერს ქ. თელავში ფილოქსერის კავკასიური კომიტეტისა და მისი წევრის, ი. ანდრონიკაშვილის ინიციატივით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ფილოქსერა, რ-იც ანადგურებდა დას. საქართვ. ვენახებს და გავრცელებას იწყებდა გორის მაზრაშიც. კახეთს ამ მავნებლისაგან იცავდა მთები და უვენახო სივრცეთა ზოლი, მაგრამ ფილოქსერის გავრცელების საფრთხე მაინც იზრდებოდა.

პ. მ. ყ-მ განიხილა კახეთში გავრცელებული ვაზის სოკოვან დაავადებათა (მილდიუსა და ოიდიუმის) წინააღმდეგ ბრძოლის, ფილოქსერისაგან დასაცავად ამერ. ვაზის სანერგეთა გაშენების (ასეთი სანერგე იყო საქარაში 1893-იდან) საკითხები. ამერ. ვაზის საძირეზე დამყნობით უნდა გადაერჩინათ კლასიკური ჯიშის ადგილ. ვაზი (დას. საქართველოში ეს უკვე კეთდებოდა). ყრილობამ განიხილა სხვა საკითხებიც.

პ. მ. ყ-მ მოისმინა მევენახეთა ცნობილი სპეციალისტების (ი. ანდრონიკაშვილი, პ. ავერკინი, პ. გეევსკი, ნ. გოზალიშვილი, გ. კოლელიშვილი, ნ. ვაჩნაძე, ს. ვახვახიშვილი, მ. ვერმიშევი, ს. ზავაროვი, ა. დემენტიევი, დ. მაყაშვილი, პ. სააკაშვილი, ი. და ვ. სტაროსელსკები, ვ. რცხილაძე, ლ. ჯანდიერი, ი. ჯორჯაძე, გ. შალიკაშვილი და სხვ.) მოხსენებები.

ლიტ.: გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს., ტ. 4, წგ. 1, თბ., 1962; ტ. 5, თბ., 1965; Труды съезда виноградовладельцев и виноградарей Кахетии в г. Телави в 1899 г., Тфл., 1907.

პ. გუგუშვილი.

კახეთის მემინდვრეობის საცდელი სადგური, იხ. *საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.*

კახეთის რეგიონი, 2016-მდე – კახეთის მხარე (შეიქმნა 1994), ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში. მოიცავს აღმ. საქართველოს ნაწილს, ივრისა და ალაზნის აუზებს (საქართვ. ფარგლებში). ჩრდ-ით და ჩრდ.-აღმ-ით ესაზღვრება რუს. ფედერაცია, აღმ-ით და სამხრ-ით – აზერბაიჯანი, დას-ით – მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები. ფართ. 11375,0 *კმ*². მოსახლ. 318,6 ათ. კაცი (2014). ცენტრი – ქ. *თელავი.*

რეგიონში არის 8 მუნიციპალიტეტი [ახმეტის მუნიციპალიტეტი (*ახმეტის რაიონი*), *გურჯაანის მუნიციპალიტეტი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, თელავის მუნიციპალიტეტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ყვარლის მუნიციპალიტეტი*], 9 ქალაქი (ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, წნორი), 333 სოფელი, 77 სათავო სოფელი, 56 თემი.

კ. რ. ტერიტორიულად დაახლ. ემთხვევა ისტ.-ეთნოგრ. მხარე *კახეთს.* მოსახლ. 85% ქართველია, 9,9% – აზერბაიჯანელი, ცხოვრობენ აგრეთვე ქისტები, სომხები, ოსები, რუსები და სხვ. საშ. სიმჭიდროვეა 28,0 კაცი 1 *კმ*²-ზე (2014).

მოსახლ. დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. ოჯახური და სხვა ტიპის მეურნეობების სარგებლობაშია 131811 ჰა სახნავი მიწა, მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს 25573 ჰა, ვენახებს – 22227 ჰა, ხეხილის ბაღებს – 2860 ჰა.

სოფ. მეურნ. მთავარი დარგებია: მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა. კვების მრეწვ. ძირითადი დარგია მეღვინეობა.

კ. რ. ქვეყნის მნიშვნელოვანი საკურორტო-რეკრეაციული რაიონია. მის ტერიტორიაზეა ოთხი ნაკრძალი და ორი ეროვნ. პარკი. რეგიონში ბუნების სილამაზესა და უამრავ ისტ. ძეგლთან ერთად მრავლადაა ლიტ-რისა და ხელოვნ. მოღვაწეთა სახლ-მუზეუმები, რაც უამრავ დამთვალიერებელს იზიდავს.

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მთ. რედ. ირ. ჟორდანია, ტ. 1–2, თბ., 2015.

ე. ლოლუა.


კახეთის საერისთავო, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში. თავდაპირველად შეიქმნა ბაგრატ III-ის მიერ 1010–14 შორის. მას შემდეგ, რაც კახეთ-ჰერეთი ისევ ჩამოსცილდა ერთიან საქართველოს, კვირიკე III დიდმა კ. ს. გააუქმა. მისი აღდგენა მოხდა დავით IV აღმაშენებლის მიერ, კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ, დაახლ. 1104–05. თამარის მეფობის დასაწყისში კახეთის ერისთავობა ძაგანისძეთა საგვარეულოს ხელშია. წყაროებში მეტად მწირი ცნობებია დაცული კ. ს-სა და მისი ერისთავების შესახებ. სავარაუდოდ, კახეთის ერისთავები იყვნენ ბაკურ ძაგანისძე (XII ს. 80-იანი წლები), ეგარსლან ბაკურციხელი (XIII ს. I ნახ.), ივანე აბულეთისძე (XIII ს. 50-იანი წლები), თორღვა პანკელი (XIII ს. 60-იანი წლები). წყაროებით არ დასტურდება მოსაზრება (პ. ინგოროყვა), რომ კახეთის ერისთავები 1255-იდან XIII ს. ბოლომდე იყვნენ უჯარმელნი, მათ შემდეგ კი – ბურსელნი. კ. ს-ს უნდა ეარსება XV ს. 60-იანი წლების ბოლომდე, ვიდრე კახეთის მეფე გიორგი I-მა სამეფოში ადმინისტრაციული რეფორმა არ ჩაატარა – გააუქმა საერისთავოები და შექმნა სამოურავოები.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ვახუშტი, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ჟამთააღმწერელი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003; ინგოროყვა პ., რუსთველიანა, თხზ., კრ., ტ. 1, თბ., 1963.

მ. ბახტაძე.

კახეთის სამეფო, 1. ქართული ფეოდალური სახელმწიფო XI ს. და XII ს. დასაწყისში. ბიზანტიასთან *გიორგი I-ის* ურთიერთობის გართულებით ისარგებლა კახთა ქორეპისკოპოსმა *კვირიკე III-მ,* განუდგა საქართველოს მეფეს, ,,დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა'' (ვახუშტი). ამიერიდან მთელი XI ს. განმავლობაში კ. ს. მთლიანი საქართველოსაგან განცალკევებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მისი მესვეურები „კახთა და რანთა (ჰერთა) მეფის'' ტიტულს ატარებდნენ. კ. ს. მოიცავდა ტერიტორიას მდ. ქსნიდან (დას-ით) ალჯიგანჩაიმდე (აღმ-ით) და დიდოეთ-ხუნძახიდან (ჩრდ-ით) მტკვრამდე (სამხრ-ით). მის ფარგლებში შედიოდა ახლანდ. აზერბ. რესპუბლიკის ჩრდ.-დას. ნაწილი (ბელაქნის, ზაქათალის, კახის და შაქის რ-ნები), ამიტომ ქართ. წყაროების მიხედვით კახეთის მფლობელი ოფიციალურად ,,რანთა და კახთა მეფედ'' იწოდებოდა, არაბ. წყაროებში კი იგი



კახეთის სამეფო XI ს. II ნახევარი. საქართველოს ისტორიის ატლასი. 2003.

,,შაქთა და გურჯთა მეფედ'', ანუ იმავე ,,რანთა (ჰერთა) და კახთა მეფედ'' იხსენიება. კვირიკემ ახალშექმნილი სახელმწიფოს ცენტრი თელავში გადაიტანა. ააგო სასახლე (დღევანდელი ,,ძველი გალავანი'' თელავში), ჩაატარა გარკვეული ადმ. რეფორმა – სამეფო დაიყო 7 საერისთავოდ (რუსთავის, კვეტერის, პანკისის, შტორის, ვეჯინის, ხორნაბუჯის და მაჭის). როგორც ჩანს, კვირიკემ ფაქტობრივად შერყეული ძვ. ვითარება აღადგინა. პირველ ხანებში კახეთის მეფეები გაერთ. საქართველოს მეფეების მოკავშირედ გამოდიოდნენ უცხო აგრესორებთან ბრძოლაში. მაგ., კვირიკე III გიორგი I-ს ეხმარებოდა ბიზანტიასთან, ხოლო ბაგრატ IV-ს – განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ უფრო მოგვიანებით, როდესაც ბაგრატ IV-მ ენერგიული ღონისძიებები გაატარა, პ. ს-ს კვლავ საქართველოსთან შესაერთებლად, კახთა მეფეები თურქ-სელჩუკებს დაუკავშირდნენ და ამ გზით შეეცადნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. *აღსართან I-მა* პ. ს-ს შესანარჩუნებლად ქრისტიანობაც კი დათმო და გამაჰმადიანდა. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება დროებითი აღმოჩნდა, რადგან გაერთ. საქართველოს მეფეს პ. ს-ში საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი ჰყავდა ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი აზნაურების სახით (აშოტ მარიელელი, ხახულა გურნი, ვეჟინის ერისთავი წირქვალელი და სხვ.). სწორედ დიდებულ აზნაურთა ამ დასის, კერძოდ, არიშიანისა და მისი მომხრეების მხარდაჭერით შეძლო დავით აღმაშენებელმა XII ს. დასაწყისში კახეთის უკანასკნელი მეფის, აღსართან II-ის შეპყრობა და პ. ს-ს შემოერთება. ამიერიდან პ. ს. გაერთ. საქართველოს ადმ. წესწყობილებისდა კვალად რამდენიმე ადმ. ერთეულად დანაწილდა (კახეთის, ჰერეთის საერისთავოები, ხორნაბუჯის სანაპირო, ,,არიშიანის ადგილი'').

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

დ. მუსხელიშვილი.

2. გვიანდ. საუკუნეების ფეოდ. საქართველოს ერთ-ერთი სამეფო (1465–1762). მისი პოლიტ. საზღვრები იყო: დას-ით მდ. არაგვი, სამხრ. და სამხრ.-დას-ით მდ. მტკვარი, ჩრდ-ით კავკ. მთავარი ქედი (ადგილ-ადგილ საზღვარი ქედს გადაღმაც გადადიოდა: პირიქითა ხევსურეთი და თუშეთი, გარკვეულ პერიოდამდე დიდოეთი და წახური პ. ს-ს საზღვრებში შედიოდა). XVII ს. დასაწყისამდე კახეთის აღმ. საზღვარი იწყებოდა იქ, სადაც იორ-ალაზანი მდ. მტკვარს უერთდება, შემდეგ მიემართებოდა ჩრდ-ით ავჯინოურის



კახეთის სამეფო XV ს. II ნახევარი. საქართველოს ისტორიის ატლასი. 2003.

ტბის გასწვრივ, კვეთდა მდ. აგრიჩაის და მდ. გიშისწყლის (გიშჩაი) გაყოლებით კავკ. ქედამდე გადიოდა. შემდეგ საზღვარმა დასით ყაფიჩაიმდე (კარის მდინარე) გადმოიწია. დედაქალაქი – გრემი, XVII ს. 70-იანი წლებიდან – თელავი.

ჰ. ს-ს ისტორია შეიძლება 3 ძირითად პერიოდად გაიყოს: 1. სამეფოს წარმოქმნიდან XVII ს. დასაწყისამდე; 2. XVII ს. დასაწყისიდან 1744-მდე; 3. 1744–62 წწ.

ჰ. ს. წარმოიქმნა ფეოდ. საქართველოს დაშლის შედეგად. 1465 სამცხის ათაბაგმა *ყვარყვარე II-მ* ქართლის მეფე გიორგი VIII დაატყვევა, რის შემდეგაც კახეთის ერისთავებმა და წარჩინებულებმა თავიანთ დამოუკიდებელ მთავრად დასვეს ერთ-ერთი ადგილ. ერისთავი დავითი. 1466 გიორგი VIII-მ ქართლის სამეფოს დაკარგვის შემდეგ დაამარცხა დავითი, დამკვიდრდა კახეთში და სათავე დაუდო კახეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. გიორგი VIII-ის (კახეთში გიორგი I) დროს გაუქმდა საერისთავოები და ერისთავების გამგებლობაში მყოფი სამეფო სამფლობელო მოურავებს გადაეცათ. მოურავობის ინ-ტი კახეთის მეფეების ხელში ადგილ. ფეოდალების დამორჩილების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. ამ სახელოს იღებდნენ კახეთის ძლიერი ფეოდ. საგვარეულოების ცალკეული წარმომადგენლები სხვა თანამოგვარეებისაგან (სახლიკაცებისაგან) დამოუკიდებლად, რაც საფუძველს აცლიდა ამ სახლების ერთიანობას. კახეთში ფეოდ. გვარების საერთო-სახასო მიწათმფლობელობასთან შედარებით უფრო განვითარებული იყო კერძო-ინდივიდ. (სათავისთავო) მიწათმფლობელობა. საქართვ. სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, სადაც XV და შემდეგ საუკუნეებში შეუფერხებლად განვითარდა სათავადოთა სისტემა, ამავე პერიოდის ჰ. ს-ში სათავადოები არ აღმოცენებულა, მეფის ხელისუფლება აქ შედარებით ძლიერი იყო. ამ საუკუნეებში ქვეყანა ეკონ. წინსვლას განიცდიდა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, წარმოიქმნა ახ. ქალაქები. გარეშე ძალა სამეფოზე რაიმე შესამჩნევ ზეგავლენას ვერ ახდენდა. XVII ს. II ნახევრიდან ჰ. ს-შიც

დაიწყო სათავადოების ჩამოყალიბება (არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რ-ის მიხედვითაც ქართლისა და საქართვ. სხვა რეგიონების ანალოგიური სათავადოები კახეთშიც არსებობდა თვით XV–XVI სს-ში). ჰ. ს-ში თავადთა წოდებას ფლობდნენ უძლიერესი ფეოდალები (ჩოლოყაშვილები, მაყაშვილები, ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯორჯაძეები, ჯანდიერები, ჭავჭავაძეები, ვახვახიშვილები და სხვ.), რ-თაც, იმავდროულად, უმაღლესი სამოხელეო თანამდებობებიც ეკავათ (სახლთუხუცესობა, ბოქაულთუხუცესობა, ეშიკაღასბაშობა, მდივანბეგობა, მოლარეთუხუცესობა, აგრეთვე მსხვილი სამოურავოების გამგებლობა და სხვ.). მათზე დაბლა იდგნენ აზნაურები, რ-თა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო მოქცეული თავადებისა და ეკლესია-მონასტრების ყმობაში. ისინი ძირითადად სამეფო ყმები იყვნენ.

ჰ. ს-ში შედიოდა ალავერდის, ბოდბის, რუსთავის (მარტყოფის), სამების, ნინოწმინდის, ჭერემის, ნეკრესის, ხარჭაშნის და სხვ. საეპისკოპოსოები. ეპისკოპოსებს მეფე ნიშნავდა. კახეთი, სამხ.-აღმ. თვალსაზრისით, სადროშოებად იყო დაყოფილი, რ-თაც სათავეში, საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ეპისკოპოსები ედგნენ. ეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო, ამიტომ ისინი ყოველმხრივ მეფეზე იყვნენ დამოკიდებული. ზოგჯერ ამა თუ იმ სადროშოს სათავეში მეფის მიერ დანიშნული უფლისწული ედგა. თავისებურება შეინიშნება მწარმოებელი საზბის სოც.-ეკონ. მდგომარეობაშიც, საგლეხო მიწათმფლობელობაში. აქ ძირითადად ჭარბობდა სახნავ-სათესი მიწების საერთო-სასოფლო (თემური) მფლობელობა, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავდა ბეგარა-ჟალანის გაწერის წესსაც. მკვიდრი გლეხობა 2 ძირითად სოც.-ეკონ. კატეგორიად იყოფოდა: მოყალნეებად და მსახურებად. მოყალნე გლეხები საგადასახადო ვალდებულებების მიხედვით 4 კატეგორიად იყოფოდნენ: 1. „შემძლენი“, ანუ „დიდი მოსავლის პატრონნი“; 2. „ამათ ქუედანნი“, ანუ „ნაკლების მოსავლის პატრონნი“; 3. „მცირე შეძლების“ მქონენი და 4. „შეუძლებელნი“, ანუ „ბეზმისქინნი“. მსახურები გლეხთა უმაღლეს ფენას ქმნიდნენ. მოყალნეებისაგან განსხვავებით მათ უფრო პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავათ, სამსახურიც უფრო საპატიო ეკისრებოდათ და საბატონო გამოსაღებისაგან (ყალან-ბეგარისაგან) თავისუფლდებოდნენ (მთლიანად ან ნაწილობრივ). მათ უმთავრესად ევალებოდათ ბატონის ხლება-მოლაშქრეობა, მოხელეობა და საბატონო მეურნ. გაძღოლაში სხვადასხვა დამხმარე ფუნქციის შესრულება. ჰ. ს-ში იყვნენ „გარემოსულნიც“ – თავშეწირულნი, ნებითმოსულნი (ნებიერნი), ხიზანნი და მონასყიდენი (ნასყიდნი).

XV–XVI სს-ში ჰ. ს-ში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა (მ. შ. მეცხვარეობა), მეაბრეშუმეობა, მოჰყავდათ ტექ. მცენარეები და სხვ. პროდუქტის ნაწილი გასაყიდად მზადდებოდა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება. აღმოცენდა და განვითარდა ახ. ქალაქები: გრემი, ბაზარი. კახეთის ფეოდ. ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის მთისა და ბარის ეკონ. კავშირურთიერთობას. კახეთის მეფე *ალექსანდრე I-მა* (1476–1511) მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა ქართლის სამეფოსთან, შაქისა და შირვანის სახანოებთან. უზუნ-ჰასანის, იაყუბ-ყაენის (1477, 1488–89) და შაჰ ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობათა დროს ალექსანდრე I-მა ფორმალური მორჩილებით მშვიდობა შეინარჩუნა. მისი მეფობის დროს ჰ. ს-მ (პირველმა ქართ. სამეფოებს შორის) ურთიერთობა დაამყარა რუს. სახელმწიფოსთან. 1483 მოსკოვში ჩავიდა კახეთის მეფის პირველი ელჩობა, რ-შიც შედიოდნენ ნარიმანი, დამიანე და შაქელი ხოზემარუმი; 1492 იანვარში – მე-2 ელჩობა. კახეთის მეფე *გიორგი II-მ* (ავგიორგი) მიზნად დაისახა ქართლის შემოერთება, მაგრამ მარცხი განიცადა. უშედეგო გამოდგა კახეთის დასაუფლებლად ქართლის მეფის მცდელობაც; 1520 ქართლის მეფე დავით X იძულებული გახდა კახეთის მეფედ ეცნო *ლევანი* (1520–74). მათ შორის დაიდო შეთანხმება გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხორციელდებოდა. 1524 ლევანმა შაქის დაპყრობა სცადა, მაგრამ ირანის შაჰის ჩარევის გამო იძულებული გახდა უკან დაეხია. შაქ-შირვანის დაუფლებისათვის ბრძოლამ კახეთს სარგებლობა ვერ მოუტანა. პირიქით, დააჩქარა ყიზილბაშური ირანის მიერ ამ ქვეყნების ინკორპორაცია (1538 ირანმა შირვანი დაიპყრო, 1551 – შაქი), რაშიც ძალაუნებურად ლევანსაც მოუხდა მონაწილეობის მიღება. ჰ. ს. ყიზილბაშთა ურდოების შემოსევების მუდმივი საფრთხის ქვეშ მოექცა. XVI ს-ში გაძლიერებული საშამხლო კახეთს პირიქითი თემების (წახურის, დიდოეთის) მფლობელობაში ეცილებოდა. ლევანი დაუკავშირდა შამხლის მოწინააღმდეგე ჩერქეზთა მთავარს და ურთიერთობის გასამტკიცებლად მისი შვილი მოიყვანა ცოლად. ლევანმა დაიმორჩილა გამდგარი თუშ-ფშავ-ხევსურეთიც. XVI ს. 60-იან წლებში მან აღადგინა პოლიტ. კავშირი რუსეთთან. შეთანხმების შესაბამისად, რუს მეთოფეთა რაზმი ჰ. ს-ს სანაპირო ციხეებში ჩააყენეს, მაგრამ რუსეთი მოერიდა ოსმალეთთან ურთიერთობის გართულებას, ამავე დროს ირანის შაჰის მოთხოვნასაც გაუწია ანგარიში და 1572 ჯარი კახეთიდან უკან გაიწვია. 1578 ირან-ოსმალეთის ომის (1578–90) დროს ოსმალთა სარდალმა მუსტაფა ლალა-ფაშამ სამცხე და ქართლი დაიკავა. მეფე ალექსანდრემ ოსმალთა სარდალს მორჩილება გამოუცხადა. კახეთი ამჯერადაც გადარჩა დარბევა-აოხრებას. კავკასიაში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ გაძლიერდა საშამხლოს მთიელთა თავდასხმები კახეთზე, ჩაიკეტა კახეთისათვის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამიმოსვლო გზები როგორც ირანისაკენ, ისე თერგისა და ასტრახანისაკენ. ჰ. ს-ს ოსმალთაგან საბოლოო დაპყრობა ემუქრებოდა. 1585 კახეთში ჩავიდა რუსეთის მეფის მოციქული რ. დანილოვი. მან ალექსანდრე II-ს შესთავაზა კავშირის შეკვრა რუსეთთან (იხ. *დანილოვის ელჩობა* კახეთში 1585). კახეთიდან დაუყოვნებლივ გაიგზავნა ელჩობა (იხ. *იოაკიმე მღვდლის ელჩობა* რუსეთში), რ-იც ჰ. ს-ს რუსეთის მფარველობაში მიღებას ითხოვდა. შემდეგ წელს საქართველოში ჩამოვიდა მოსკ. ოფიც. ელჩობა რ. ბირკინის მეთაურობით (იხ. *ბირკინის ელჩობა* კახეთში). 1587 წ. 28 სექტემბერს კახეთის მეფემ თავის დარბაისლებთან ერთად ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს“, რითაც რუს. მეფის ქვეშევრდომად აღიარა თავი, ხოლო რუსეთმა იკისრა კახეთის დაცვა ყველა გა-

რეშე მტრისაგან. ამ კავშირის წინააღმდეგი იყვნენ ოსმალეთი და სპარსეთი.

ჰ. ს-ს ისტორიის მე-2 პერიოდი იწყება კახეთის წინააღმდეგ ირანის შაჰის, აბას I-ის აგრესიით. 1603 ირან-ოსმ. ახ. ომი დაიწყო, შაჰი აბას I ერევნის ციხეს შემოადგა და იხმო ქართლისა და კახეთის მეფეები. ალექსანდრე II დიდი ყოყმანის შემდეგ გამოცხადდა შაჰთან. აბას I-მა კახეთს ჩამოაშორა კაკ-ენისელი და იქ მუსლ. სასულთნო შექმნა. შაჰი ალექსანდრეს არ ენდობოდა, ამიტომ უკან გამობრუნებულს თან გაატანა მასთან მძევლად მყოფი ალექსანდრეს უმცროსი ვაჟი კონსტანტინე მირზა (იხ. *კონსტანტინე I*), რ-იც ვერაგულად დაეუფლა ტახტს. ჰ. ს-ში კონსტანტინე I-ის წინააღმდეგ ავჯანყება დაიწყო (იხ. *კახეთის ავჯანყება 1605*). ავჯანყებულებმა გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს და მოკლეს კონსტანტინე I. შაჰი აბას I იძულებული გახდა კახეთის მეფედ დაემტკიცებინა ალექსანდრეს შვილიშვილი თეიმურაზი (შემდეგში *თეიმურაზ I*), მაგრამ ოსმალეთთან მშვიდობის დამყარებისთანავე, 1614–17, აბას I-მა 4-ჯერ ილაშქრა კახეთში და ქვეყანა მიწასთან გაასწორა (იხ. *აბას I-ის ლაშქრობანი საქართველოში*). 1618 თეიმურაზ I-ის ინიციატივით დას. საქართველოს მეფე-მთავრებმა საერთო ელჩობა გაგზავნეს რუსეთში დახმარების სათხოვნელად. 1624 ახ. ელჩობა კვლავ გაიგზავნა რუსეთში. ქართლ-კახეთში ირანის საწინააღმდეგო მოძრაობა გაიშალა. ქართლ-კახეთის საბოლოოდ განადგურებისათვის გამოგზავნილი ირანის არმია ავჯანყებულმა ქართველებმა, გ. *საკაძის* მეთაურობით, მარტყოფთან გაანადგურეს (იხ. *მარტყოფის ბრძოლა 1625*). გაერთიანებული და გათავისუფლებული ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზ I გამოცხადდა. აბას I-ის მიერ გამოგზავნილ ახალ მრავალრიცხოვან ჯართან *მარაბდის ბრძოლაში* ქართლ-კახეთის გაერთ. ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ მტერმა მიზანს ვერ მიაღწია. მალე 1626 წელს, *ბაზალეთის ბრძოლაში* თეიმურაზმა დაამარცხა გ. საკაძე და ქართლ-კახეთიდან განდევნა. აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი ირანს აუმხედრდა. ახალმა შაჰმა სეფი I-მა თეიმურაზის წინააღმდეგ როსტომი გაგზავნა, რ-მაც შეძლო თეიმურაზ I-ის განდევნა ქართლ-კახეთიდან. 1634 თეიმურაზ I-მა კვლავ დაიკავა კახეთი. 1639 მან საზეიმოდ მიიღო რუს. მეფის ერთგულების „ფიცის წიგნი“, 1648 შაჰის, აბას II-ის ბრძანებით როსტომმა ყიზილბაშთა ჯარით კახეთში ილაშქრა, დაამარცხა თეიმურაზ I და აიძულა იმერეთში გადახვეწილიყო. თეიმურაზმა რუსეთიდან დახმარების მიღების მიზნით 1652 მოსკოვში გაგზავნა თავისი შვილიშვილი ერეკლე დავითის ძე დედამისთან, ელენე დედოფალთან ერთად. აბას II-მ კახეთი სამართავად გადასცა განჯის ხანს. ისინი თურქმანთა ჩასასახლებლად მზადებას შეუდგნენ. ამ დიდ საფრთხეს კახეთის მოსახლეობა კარგად გრძნობდა. 1658 მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზ I. რუსეთი პოლონეთთან და შვედეთთან ომით იყო დაკავებული და საქართველოს დახმარება ვერ შეძლო. ამით ისარგებლეს სპარსელებმა და მალევე კახეთში თურქმანების 15000 ოჯახი ჩაასახლეს; ჰ. ს. 2 ნაწილად გაყვეს და სამართავად გადასცეს ყარაბაღის ბეგლარბეგსა და ნახჭევნის მმართველს. კახეთში იფეთქა მძლავრმა სახ. ავჯანყებამ (იხ. *კახეთის ავჯანყება 1660*), რ-ის შემდეგ სამეფო ერთიანად გაიწმინდა ჩასახლებული თურქმანებისაგან (იხ. *ბახტრიონის ბრძოლა 1660*). კახეთი ქართლის მეფე ვახტანგ V-მ დაიკავა. 1664 აბას II-მ კახეთი გადასცა ვახტანგ V-ის უფროს ვაჟს – არჩილს (იხ. *არჩილ II*). 1661-იდან თუშეთში იმყოფებოდა მოსკოვიდან ჩამოსული თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე (იხ. *ერეკლე I*), რ-მაც რამდენჯერმე სცადა კახეთის დაკავება, მაგრამ მამა-შვილთან (ვახტანგ V და არჩილ II) ბრძოლაში დამარცხდა და რუსეთში დაბრუნდა (1666). არჩილ II-მ დედაქალაქი თელავში გადაიტანა, განაახლა ეკლესიები, ააშენა მრავალი შენობა, სცადა ლეკიანობის ალაგმვა. ირანის შაჰმა სულეიმან I-მა არჩილ II-ს დაუპირისპირა ერეკლე ბატონიშვილი, რ-იც 1674 რუსეთიდან მოიწვია. არჩილი იმერეთში გადავიდა. შაჰმა ერეკლეს გამაჰმადიანება მოსთხოვა. 1677 კახეთის მმართველად (ჯანიშინად) დაინიშნა გამაჰმადიანებული გორჯასპი კახაბრიშვილი (იხ. *ბეჟან-ხანი*). 1688-იდან 1703-მდე კახეთს განჯის ხანები მართავდნენ. ამ პერიოდში ჰ. ს-ში მოიშალა აღგილ. მმართველობა, გაძლიერდა ლეკიანობა. დაღ. მთიელები მასიურად ჩასახლდნენ აღმ. კახეთის ტერიტორიაზე. ყოველივე ეს კახეთის მოსახლეობის თავდადებულ წინააღმდეგობას იწვევდა. 1703 შაჰი იძულებული გახდა კახეთში ხანების მმართველობა გაეუქმებინა და კვლავ ქართვ. მეფეთა ხელისუფლება აღედგინა.

შაჰმა კახეთის მეფედ ერეკლე I დაამტკიცა, რ-იც აქამდე (1688–1703) ქართლს განაგებდა. შაჰმა იგი ირანში დაიტოვა, ხოლო კახეთში ჯანიშინად მისი უფროსი ვაჟიშვილი დავითი (იხ. *დავით II*) გაგზავნა. დავით II-ის (იმამყული-ხანი) მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ლეკიანობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა, ამასთან კახელი გლეხობა მასობრივად გადადიოდა ლეკების მხარეზე, რადგან მათთან „უბატონობას“ ეძებდა. ხშირად ხდებოდა გლეხთა აქტ. ანტიფეოდ. გამოსვლებიც (იხ. *ბოდბისა და ბოდბისხევის გლეხთა ავჯანყებანი 1699, 1711–16*). 1722-იდან კახეთს განაგებდა დავითის ძმა *კონსტანტინე II* (მაჰმადყული-ხანი), რ-საც ირანის შაჰმა თბილისის დაკავება უბრძანა. 1723 კონსტანტინემ თბილისი დაიკავა, ამასობაში ქართლში ოსმალები შეიჭრნენ და კონსტანტინე II კახეთში დაბრუნდა. მან ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ რუსეთიდან დახმარების მიღება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. კონსტანტინე II ოსმალებთან ბრძოლაში დამარცხდა თავდაპირველად ყაზახთან (1724), შემდეგ გუფასთან (1725) და ფშავში გაიხიზნა.

ამ ვითარებით ისარგებლეს ლეკებმა და განიზრახეს კახეთის მთლიანად დაკავება და გამაჰმადიანება. როდესაც ლეკებმა მოინდომეს კახელი გლეხების ყმადქცევა, მოსახლეობამ ისინი ქვეყნიდან გააძევა. მეფე კონსტანტინე II თელავში დაბრუნდა. ლეკთა წვრილ-წვრილი თარეში მაინც გრძელდებოდა. ამავე დროს მათ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი გაღმა მხარის კახეთის აღმ. ნაწილში. 1727 ოსმ. სულთანმა საგანგებო ფირმანით დაუმტკიცა ჭარელ ლეკებს მათ მიერ მიტაცებული კახური მიწა-წყალი. ასე ჩამოსცილდა კახეთს საბოლოოდ მისი აღმ. ნაწილი (*საინგილო*), სადაც ჭარბელაქნელი აღალარების სახელმწიფო ჩამოყალიბდა. კონსტანტინე II იძულებული გახდა ოსმალებს დაზავებოდა და ხარკი ეკისრა.

კახეთის მოსახლ. ბრძოლას ოსმალებისა და ლეკების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა *თეიმურაზ II*. ეს მოძრაობა ირანის სარდალმა ნადირმა (თამაზ I ყული-ხანი) ქართლ-კახეთიდან ოსმალების გასაძევებლად გამოიყენა (1735), ხოლო თეიმურაზ II დააკავა და კახეთის მმართველად მისი ძმისწული, გამაჰმადიანებული ალექსანდრე ბატონიშვილი (დავითის ძე), დანიშნა. მალე თეიმურაზ II-მ თავი დააღწია ირანელთა ტყვეობას და ავჯანყებას ჩაუდგა სათავეში. 1736 იგი ირანის დამსჯელი ჯარის სარდალმა, სეფი-ხანმა ვერაგულად დაატყვევა და ისპაანში გაგზავნა. ირანის შაჰმა ნადირმა თეიმურაზი კახეთის მმართველად დააბრუნა (1738), ხოლო ინდოეთში სალაშქროდ მისი ძე ერეკლე (შემდეგში *ერეკლე II*) იახლა. ნადირ-შაჰი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო: 1742 მან კახეთი ხარკისაგან გაათავისუფლა და მხოლოდ 500-კაციანი ნოქრის (დაქირავებული ჯარი) გამოყვანა დაევალა. ქვეყანა შედარებით დამშვიდდა, მოსახლეობა მომრავლდა. კახეთისაკენ მასობრივად მიემართებოდნენ ქართლიდან აყრილი გლეხები. 1743 არაგვისხველები ბეჟან ერისთავს აუჯანყდნენ და მოკლეს (იხ. *არაგვის საერისთავოს გლეხთა აჯანყება 1742–46*). მათ თავიანთ პატრონად თეიმურაზ II მიიწვიეს. ნადირ-შაჰმაც არაგვის საერისთავო კახეთის მეფეს დაუმტკიცა. 1744 თეიმურაზმა ქსნის ხეობაც დაიკავა. თეიმურაზი და ერეკლე აქტიურად დაეხმარნენ ნადირ-შაჰს ოსმალებისა და მათი მომხრე ქართლის თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. *აჩაბეთის ბრძოლაში 1744* ერეკლეს მეთაურობით კახელებმა დაამარცხეს ოსმალთა ჯარი, 1744 ივნისში ნადირ-შაჰმა თეიმურაზ II ქართლის, ხოლო ერეკლე II კახეთის მეფედ დანიშნა.

მე-3 პერიოდი ჰ. ს-ს ისტორიაში არის ქართლისა და კახეთის ფაქტობრივი გაერთიანების დასაწყისი. ქართლ-კახეთის ტახტზე ქრისტ. წესით ასული მამა-შვილი ერთობლივად მოქმედებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე. 1746 ერეკლე II-ს მოუხდა ქსნის, არაგვის და თრუსოს ხეობის მთიელების აჯანყების ჩახშობა. 1747 ქართლი და კახეთი აუჯანყდა ნადირ-შაჰს. საქართველოს მაგალითით აჯანყდნენ კავკ. სხვა ქვეყნებიც, შემდეგ კი – მთელი ირანიც. იმავე წელს ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს და ირანი გაუთავებელმა არეულობამ მოიცვა. თეიმურაზის ირანში ყოფნის დროს ერეკლე II-მ დაამარცხა ქართლის ტახტის პრეტენდენტი *აბდულა-ბეგი*. თეიმურაზის დაბრუნების შემდეგ მამა-შვილი წარმატებით იბრძოდა ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის და ზედიზედ დაამარცხეს კავკასიაში გაბატონების მოსურნე ყიზილბაში ხანები (მაჰმად-ხანი, 1749; ფანა-ხანი, 1750).

ამ გამარჯვებების შედეგად ქართლ-კახეთს დამორჩილდნენ ერევნის, ნახჭევანისა და განჯის სახანოები. დღის წესრიგში დადგა აღმ. კახეთის (ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის) დაბრუნების საკითხი. 1750 ერეკლე II-მ დაამარცხა პირაქეთა და დაღ. ლეკთა გაერთ. ჯარი, 1751 კი ქართლ-კახეთის ჯარი ქვეშევრდომ ხანთა დამხმარე ჯარებთან ერთად ჭარში შევიდა, მაგრამ ერეკლე-თეიმურაზის ჯარი დამარცხდა (იხ. *აგრის ბრძოლა 1751*), რადგან მათ წინააღმდეგ გამოვიდა შაქის ხანი *აჯი-ჩალაბი,* თანაც ქართლ-კახელებს მაჰმადიანმა ხანებმა უღალატეს. 1752 ერეკლემ და თეიმურაზმა *განჯის ბრძოლაში* ისევ მაჰმადიანი ხანების ღალატის გამო მეორედ განიცადეს მარცხი აჯი-ჩალაბთან, თუმცა მამა-შვილმა ენერგიული ღონისძიებების შედეგად საბოლოოდ დაამარცხა იგი. აღმ. კახეთის შემოერთება მაინც ვერ მოხერხდა. 1752 ერეკლემ და თეიმურაზმა რუსეთში ელჩობა გაგზავნეს *ათანასე თბილელისა* და ს. *მაყაშვილის* მეთაურობით. ეს ელჩობაც უშედეგოდ დამთავრდა. ქართლ-კახეთის პოლიტ. მდგომარეობის გართულებით ისარგებლეს დაღ. ფეოდალებმა და წვრილ-წვრილ შემოსევებთან ერთად 2 დიდი ლაშქრობაც მოაწყვეს (მჭადიჯვრის ბრძოლა, 1754; ყვარლის ალყა, 1755), მაგრამ ისინი ერეკლემ ორივეჯერ სასტიკად დაამარცხა. ლეკიანობის აღსაკვეთად ქართლ-კახეთის სამეფო კარი არაერთ ღონისძიებას სახავდა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ძალებით მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იყო. 1760 თეიმურაზ II პეტერბურგს გაემგზავრა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ რუსეთი მაშინ პრუსიასთან ომში იყო ჩაბმული და ქართველთა თხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო.

თეიმურაზ II-ის პეტერბურგში გარდაცვალების (1762) შემდეგ ერეკლე II-მ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. 1762 ქართლი და კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

ლიტ.: აბაშიძე ზ., ბახტაძე მ., ჯანელიძე ო., საქართველო და ქართველები, თბ., 2015; ასათიანი ნ., ბახტრიონის გმირული ეპოპეის 300 წლისთავის გამო, «მნათობი», 1959, №8; მისივე, საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI–XVIII სს. კახეთის სამეფოში, «თსუ შრომები», 1959, ტ. 77; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (კახეთის სამეფოს წარმოქმნის საკითხისათვის), იქვე, 1963, ტ. 78; ბერძენიშვილი ნ., აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; მისივე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII საუკუნეთა მიჯნაზე, იქვე, წგ. 4, თბ., 1967; მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 6, თბ., 1973; პაპუაშვილი თ., ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ტყავაშვილი მ., კახეთის სამეფოს ურთიერთობა საშამხლოსთან და ,,ფიცის წიგნი'', «კლიო», 2007, №27; ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X–XVI სს.), თბ., 1956; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

ნ. ასათიანი.

კახეთის სამთავრო, ფეოდალური ხანის ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული, რ-იც VIII ს. 80-იან წლებში (ვახუშტის ცნობით – 787) გამოეყო ქართლის საერისმთავროს. ჰ. ს-ს გამოყოფა განპირობებული იყო ქართლის საერისთავოს ეკონ. აღმავლობის შედეგად ფეოდ. ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებით და ამის ნიადაგზე სეპარატული ტენდენციების განვითარებით. ეს პროცესი, რ-ის საწყისები ჯერ კიდევ VI ს-იდან შეიმჩნევა, VII–VIII სს-ში მიმდინარეობდა არაბთა წინააღმდეგ ქართლის საერისმთავროს ბრძოლის პარალელურად და მასთან კავშირში. კერძოდ, ქართლის (პოლიტ. მნიშვნელობით) ერთ-ერთ აღმ. პროვინციაში, კახეთში, ამ ბრძოლას თაოსნობდა წანართა ტომი, რ-იც ამ დროისათვის კახეთში პოლიტ. ჰეგემონის როლს თამაშობდა. სწორედ წანარ წარჩინებულთა ირგვლივ გაერთიანდნენ კახეთის სხვადასხვა თემები და შესაძლებელია, ამ წარჩინებულთა წარმომადგენელი იყო კახეთის მთავარი გრიგოლიც. ჰ. ს-ს ჩამოყალიბება ტერიტ. ექსპანსიით აღინიშნა, როგორც დას-ით, ქართლისაკენ (სადაც საზღვარი IX ს. დასაწყისში აშოტ კურაპალატთან ბრძოლის შედეგად მდ. ქსანზე

დაიდო), ისე აღმ-ით, ჰერეთისაკენ (რ-თანაც მიჯნა დაახლ. ყვარელ–გურჯაანის ხაზზე გადიოდა, ალაზნის ველზე და გარეჯის უდაბნოს აღმ-ით, ივრის ზეგანზე). ჩრდ-ით კ. ს-ს კავკასიონის ქედი ესაზღვრებოდა (ზოგან საზღვარი ქედს გადაღმაც გადიოდა), ისე რომ ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ქისტეთის სამხრ. მთიანეთი (ძურძუკ-ღლიღვები) კ. ს-ს ფარგლებში შევიდა. კ. ს. სამხრ-ითაც გაფართოვდა და ძვ. ქართ. პროვინცია *გარდაბანი* X ს. შუა წლებამდე მის შემადგენლობაში ითვლებოდა. VIII–IX სს-ში კ. ს-ს ცენტრი უჯარმა იყო, X ს-ში – ბოჭორმა, შემდეგ – თიანეთი. კახეთის მთავარი *ქორეპისკოპოსის* ტიტულს ატარებდა. ვარაუდობენ, რომ IX ს. დასაწყისში სამთავროში გადატრიალება მოხდა და ტახტს გარდაბნელთა დინასტიის წარმომადგენლები დაეუფლნენ. საუკუნის ბოლოს გარდაბნელები არევმანელებმა შეცვალეს. შინაგან მმართველობას მთავრები ერისთავების საშუალებით ახორციელებდნენ. ვახუშტი ასახელებს კახეთის 3 დიდმოხელეს: რუსთავის, კვეტერის და პანკისის ერისთავებს. კახელ მთავართა საგარეო პოლიტიკა, პირველ რიგში, მიმართული იყო არაბ. ცენტრ. ხელისუფლების ადგილ. წარმომადგენლების წინააღმდეგ. 840 სოფ. გავაზთან კახელებმა დაამარცხეს არაბი სარდლის, ხალიდ იაზიდის ძის ლაშქარი. ხალიფის წარმომადგენლებთან ბრძოლაში კახელები თბილისის ამირებს, რ-ებიც აგრეთვე ებრძოდნენ ცენტრ. ხელისუფლებას. მაგ., ბუღა თურქის დამარბეველი ლაშქრობისას (853) კახელები თბილისის ამირას მომხრედ გამოვიდნენ, 914 ებრძოდნენ არაბ სარდალ აბუ ლ-კასიმს (იხ. *კვირიკე I*). გარდა ამისა, კახეთის მთავრები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში – იბრძოდნენ ჰერეთის სამეფოს შემოერთებისათვის „აფხაზთა“ მეფესთან ერთად, ასევე შიდა ქართლის დაუფლებისათვის. XI ს. დასაწყისში კახეთის ქორეპისკოპოსებმა მოახერხეს ჰერეთის სამეფოს შემოერთება (იხ. აგრეთვე *კვირიკე III*). ასე წარმოიქმნა *კახეთის სამეფო*.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბადრიძე შ., მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, «მაცნე», 1964, №5; მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966; საქართველოს ისტორია, მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტ. 2 – საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973. *დ. მუსხელიშვილი.*

კახეთის ქედი, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი განშტოება, მდინარეების ილტოსა და ივრის წყალგამყოფი. 40 *კმ* სიგრძის მერიდიანული მიმართულების ქედი დიდი ბორბალოდან შახვეტილის მთამდე. ებმის გომბორის ქედს. გამოეყოფა ქართლის ქედს 3279 *მ* სიმაღლის უსახელო მწვერვალით და მდ. ივრით. კ. ქ. აგებულია მეზოზოური ასაკის ტერიგენული წყებით. ქედის თხემზე აღმართულია მთები: ლაღის მთა, გარეჯა, მუხათი, დამასტი, დიდი ველევი. კ. ქ-ის უღელტეხილზე გადადის თიანეთ–ახმეტის გზა. ქედის კალთების ქვემო ნაწილი შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, ზემო – სუბალპ. და ალპ. ბალახეულით. *ლ. მარუაშვილი.*

კახელები, ქართველთა ტერიტორიული, ლოკალური, ეთნოგრაფიული ჯგუფი. კ. საქართველოს აღმ. ნაწილში — *კახეთის* ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, ივრისა და ალაზნის აუზებში ცხოვრობენ. მეტყველებენ ქართული ენის კახურ დიალექტზე. ისტო-



„მაღალი წოდების კახელები“. მხატვარი ნ. ბრაილაშვილი.

რიულად კ. უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი. მათი საცხოვრებელი არეალის შემცირება საგარეო ფაქტორებმა განაპირობა. აღმ. კახეთში სხვა ეთნიკური ერთეულები დასახლდნენ. აქ მხოლოდ მცირე რაოდენობით შემორჩა ადგილ. კახური მოსახლეობა, რ-ებიც დღეს *ინგილოებად* იწოდებიან. კ-ის შემადგენლობაში შედიან ქიზიყელებიც. *ქიზიყს* ფეოდალი არ ჰყოლია. როგორც განაპირა მხარის წარმომადგენლები, ისინი უშუალოდ სამეფო ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. კ. ადრე შუა საუკუნეებში მოხსენიებული კახების, კუხების, კამბეჩოვანელებისა და ჰერების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენ.

შუა საუკუნეებში კახეთის მცხოვრებნი ჰერკახებად მოიხსენიებოდნენ. XV ს-იდან ჰერკახებს საბოლოოდ კ. ეწოდათ. კ-ის შესახებ ვახუშტი შემდეგს წერდა: „ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი და მგზავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩუეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებით ქართლისათა, და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი“.

აბას I-ის შემოსევის დროს კ-ის დიდი ნაწილი ტყვედ წაიყვანეს (იხ. სტ. *ფერეიდანი*). ნაწილი ამ ბრძოლებს შეეწირა. ამის შედეგად მათი რაოდენობა საკმაოდ შემცირდა. საბოლოოდ კ., როგორც ქართველთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი, გაქრობისაგან ბახტრიონის ავჯანყებამ იხსნა (იხ. *ბახტრიონის ბრძოლა 1660*). ავჯანყების შემდეგ კახეთის მოსახლეობა ძირითადად მთიელთა და დას. საქართველოდან მიგრირებულთა ხარჯზე შეივსო.

კ. გამორჩეული მეურნეები იყვნენ, განსაკუთრებით დაწინაურებული იყო მიწათმოქმედება – როგორც მემინდვრეობა, ისე მევენახეობა. მევენახეობა მათი ძირითადი საქმიანობა იყო. კ-ის დაყენებული ღვინო შუა საუკუნეებში უცხოეთშიც გადიოდა.

კ. ძველთაგანვე ქართული ხალხური სიმღერების შესანიშნავი შემსრულებლები არიან; გამორჩეულია მათი ხალხური მრავალხმიანი სიმღერები. მრავალი მათგანი კ-ს ქართლელებთან საზიარო ჰქონდათ, ზოგიერთი კი მხოლოდ კ-თვის იყო დამახასიათებელი, მაგ., ასეთ სიმღერებს შორისაა „ოდური“, რ-საც შესვენების დროს ან სამუშაოდან დაბრუნებისას ასრულებდნენ. სუფრულ სიმ-



კახელი ტიკით.

ღერებს გარკვეული თანამიმდევრობა ჰქონდა. მაგ., ქორწილში. ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს შემდეგ სრულდებოდა ,,წაიყვანეს თამარ ქალი'', პატარძლის მოსაყვანად როდესაც მიდიოდნენ, ,,მაყრულს'' მღეროდნენ, დაბრუნების შემდეგ ისევ ,,მაყრულს'' ასრულებდნენ; სახლში შესვლამდე – ,,ჯვარი წინა, ჯვარი უკან'' იმღერებოდა, ნეფის ოჯახში შემოსვლისას – ფერხული. ამას რიგით ,,მრავალჟამიერი'', ,,თამარ ქალი'', ,,სუფრული'', ,,ბერიკაცი'', ,,თეთრო ბატო'', ,,დიამბეგი'', ,,შაშვი კაკაბი'' მოსდევდა.

რ. თოფჩიშვილი.

კახთუბანი, პუნქტი ისტორიულ ჰერეთში, ამჟამად ქ. გურჯაანის ერთ-ერთი უბანი. ტოპონიმ კ-ის არსებობა კიდევ ერთი დადასტურებაა ჰერეთის ტერიტორიაზე კახების ტომის ინფილტრაციისა. ამ უბანში შემორჩენილია ყველაწმინდის ორგუმბათიანი ეკლესია (VIII ს.).

დ. მუსხელიშვილი.

კახი, ქალაქი აზერბაიჯანში, იხ. აგრეთვე *კაკი.*

კახიანი ეკატერინე (ეკა) იმედას ასული (დ. 16. I. 1964, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი, მომღერალი. 1971–80 იყო გოგონათა ანსამბლ ,,მზიურის'' წევრი. 1988 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (მ. თუმანიშვილის სახელოსნო). 1988–2004 იყო მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი. 2006-იდან არის თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი. კინომსახიობთა თეატრში განახორციელა როლები: ტასო (გ. ერისთავის ,,ჭკუისა მჭირს'', 1989); ტიტანია (უ. შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'', 1992); ჯადოქარი ოსიმა (რ. აკუტაგავას ,,ცხოვრება იდიოტისა'', 1993); ლედა (ჟ. ჟიროდუს ,,ამფიტრიონი 38'', 1994); ნათია (ლ. თაბუკაშვილის ,,ნატაძრალზე'', 1991); მუსიკისა და დრამის თეატრში: მარლენ დიტრიხი (დ. დოიაშვილის ინსცენირება ,,მარლენ დიტრიხი'', 2006), ბარონესა შრედერი (ცნობილი მიუზიკლის ,,მუსიკის ჰანგების'' ამავე სახელწოდების ქართ. ვერსია, 2010); ბათუმის მუსიკალურ ცენტრში: ქაბატო (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'', 2011). შესრულებული აქვს როლები ფილმებსა და ტელესერიალებში: ,,ავტოპორტრეტი'' (1987), ,,მარტივი პასუხი'' (1990), ,,ოცნების ქალაქი'' (2010); ,,დიდების ზღაპარი'' (2000), ,,ძილის წინ'' (2000–03), ,,ჩემი ცოლის დაქალები'' და სხვ. კ. არის პოპულარული სიმღერების ავტორი: ,,ზაფხულის საღამო'' (1996; მუსი-




ე. კახიანი. მარლენ დიტრიხი, დ. დოიაშვილის ,,მარლენ დიტრიხი''. 2006.

კალური პრემია ,,მეგას'' ნომინაციაში – საუკეთესო სიმღერა), ,,მე ვიმღერებ'' (2003, დაჯილდოვდა რადიო ,,ფორტუნას'' მუსიკალურ კონკურსში) და სხვ. 2010 გამართა საავტორო კონცერტი – ,,ზაფხულის საღამო''.

მონაწილეობს კონცერტებსა და მუსიკალურ პროგრამებში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

კახიანი ვლადიმერ ივანეს ძე (20. VII. 1905, ქუთაისი, – 30. VIII. 1966, თბილისი), ბიბლიოგრაფი, სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. დაამთავრა თსუ-ის სიბრძნის-მეტყველების ფაკ-ტი (1930). 1931–45 მუშაობდა მთ. ბიბლიოგრაფად საქართვ. სახელმწ. საჯარო ბ-კაში, სადაც ხელმძღვანელობდა სამეცნ. ბიბლიოგრაფიის განყ-ბას; იმავდროულად (1932–38) მოღვაწეობდა პირველი ,,ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის'' რედაქციაში. კ. ავტორია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და თეორ. ბიბლიოგრაფიის დარგებში გამოქვეყნებული ნაშრომებისა. გარდა ამისა, ვრცელი მეცნ. ანოტაციებით გამოსცა ბიბლიოგრაფია ,,მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები'' (1937). კ. ავტორია ასეთივე ნაშრომისა ,,ქართველი მოაზროვნეები. უძველესი დროიდან 1921 წლამდე'' (თანაავტ.: ნ. რეხვიაშვილი, კ. კახიანი). 1941 გამოქვეყნდა კ-ის მიერ შედგენილი ანოტირებული ბიბლიოგრაფია ,,უცხოელები საქართველოს შესახებ'' («ბიბლიოგრაფიის მოამბე», №2–3). 1945–49 იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის მეცნიერი მუშაკი, სადაც მოამზადა ნაშრომი ,,სამკურნალო წიგნის ადგილი ქართული მედიცინის ისტორიაში'' (1949). იქვე მონაწილეობდა ,,ქართლის ცხოვრებისა'' და ბერძნ.-ქართ. დოკუმენტური ლექსიკონისათვის მასალების მოძიებაში. 1953–56 კ. მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, სადაც მისი თანაავტორობით დაიბეჭდა ,,1921–56 წლებში მუზეუმის მიერ გამოცემული კრებულების, შრომების და სტატიების ბიბლიოგრაფია'' (1957). კ-ის სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია თემატური ბიბლიოგრაფიები საქართველოს ისტორიიდან (რედ. ნ. ბერძენიშვილი).



ზ. ნ. კახიანი.

თხზ.: ანოტაციის საგნის საკითხისათვის, «საქართველოს სახელმწიფო სავჯარო ბიბლიოთეკის შრომები», 1938, ტ. 4; ნარკვევ-თხრობითი ანოტაცია, «ბიბლიოგრაფიის მოამბე», 1940, №1; ბიბლიოთეკათმცნიერების ცალკეულ დისციპლინათა, მისი საერთო სისტემის და ორგანიული წყობის საკითხისათვის, იქვე, 1941, №2–3. *ნ. გიოშვილი.*

კახიანი ზაალ ნიკოლოზის ძე (5. VII. 1927, სოფ. როკითი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 31. X. 2000, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1968), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). საქართვ. სახელმწ. (1980) და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის (1991) სახ. პრემიების ლაურეატი, საქართვ. სამედიცინო მეცნ. აკადემიის პირველი პრეზიდენტი (1994).

1951 დაამთავრა თსსი. 1954–60 იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის სამეცნ. საბჭოს მდივანი, შემდეგ – დეკანი, 1967–2000 – ამავე ინ-ტის გადაუდებელი ქირურგიის კათედრის გამგე, 1989–98 – რექტორი, 1962–72 – საქართვ.

ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

პ. იკვლევდა მუცლის ღრუს ქირურგ. და ონკოლოგიის, პორტალური ჰიპერტენზიისა და სხვ. საკითხებს.

პ. მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 36 მონოგრაფიის, 5 გამოგონების და 4 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. იყო საქართვ. სამეცნ.-სამედ. საბჭოს პრეზიდიუმისა და თბილ. გ. მუხაძის სახ. ქირურგიული საზბების თავ-რე, ევროპის იმპლანტოლოგთა აკადემიის საპატიო წევრი (1991).


პ. შეყვანილია კემბრიჯის უნ-ტის მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში ,,საერთაშორისო აღიარების ლიდერები'' (1997), დაჯილდოებულია ნ. პიროგოვის სახ. მედლით ,,ჰუმანური მოღვაწეობისათვის'' (1990) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998), თბილისის საპატიო მოქალაქე (2000).



ზ. ვ. კახიანი.

თხზ.: საუბრები ახალგაზრდა ქირურგებთან, თბ., 1989; გადაუდებელი ქირურგიული უროლოგია, თბ., 1973 (თანაავტ.: ო. ჩხაიძე, კ. გოგელიანი); ჩაჭედილი თიაქრები, თბ., 1975 (თანაავტ. ა. გოგიბერიძე); სისხლძარღვთა მაობლიტირებელი დაავადებანი, თბ., 1975.



ი. ვ. კახიანი.

კახიანი ზურაბ ვლადიმერის ძე (10. II. 1929, ქუთაისი, – 6. VII. 2010, თბილისი), მსახიობი, რეჟისორი, ლიბრეტისტი. საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1955 დაამთავრა თბილ. თეატრ. ინ-ტი (პედ. დ. *ალექსიძე*). იმავე წლიდან მუშაობდა თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრში. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: გია, კარაპეტა, ბარუხა (შ. მილორავას ,,სიმღერა თბილისზე'', ,,ძუნწი'', ,,პაემანი ცაში''), ივანიკა (ვ. კურტიდის ,,ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს'', რ. ერისთავის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით), კუკური (გ. ცაბაძის ,,შესანიშნავი სამეული''), დულიტლი (ფ. ლოუს ,,ჩემი მშვენიერი ლედი''), ველი სულეიმანი (უ. ჰაჯიბეკოვის ,,არშინ მალ-ალან''), ოთარი (ვ. აზარაშვილის ,,შვიდნი ძმანი გურჯანელნი''), მეირო (გ. ჩლაიძის ,,ო, ადონაი'') და სხვ. 1965-იდან მისი რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლები: ს. ნასიძის ,,სტუდენტები'', ა. ივანოვის ,,ჩემი სიდედრი'' და ,,მხიარული მელოდიები'', მ. ჩირინაშვილის ,,ძველი თბილისის სურათები'', შ. მილორავას ,,მე-13 შეხვედრა'' (ლიბრეტო ლ. ჭუბაბრიასი), დ. ტურიაშვილის ,,პეპი გრძელი წინდა'' (ლიბრეტო ზ. კახიანისა) და სხვ. მისი ლიბრეტოებით დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია ,,მოვდივართ და მოვიმღერით'' (საბავშვო სპექტაკლი-კონცერტი), ,,მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო'' (კომპ. შ. მილორავა). პ-ის შემოქმედებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართულ სცენაზე მუსიკალური კომედიის, როგორც ჟანრის დამკვიდრებას.



ზ. ვ. კახიანი. რამონი, ი. მილიუტინის ,,ჩანიტას კოცნა''.

კახიანი თეოდორა მალხაზის ასული (დ. 14. X. 1993, პლოვდივი, ბულგარეთი), სპორტსმენი, ფარიკაობა (ხმალი). ევროპის ჩემპიონი (2017). დაამთავრა პენსილვანიის უნ-ტი (2017, აშშ). ევროპის თასის პრიზიორი იუნიორებში (2009). საქართვ. მრავალგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული.

კახიანი იმედა ვლადიმერის ძე (დ. 12. V. 1937, სოფ. ეწერი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), კინომსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1979). 1959 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. ინ-ტში სწავლისას შეასრულა მთავარი როლები ფილმში ,,საბუდარელი ჭაბუკი'' (გოგიტა; რეჟ. შ. მანაგაძე, 1957) და სატელევიზიო ნოველაში ,,დედის ხელი'' (ზაზა; რეჟ. მ. ჯალიაშვილი, 1959). მნიშვნელოვანი როლებია: გელა (,,თეთრი ქარავანი''; რეჟ. თ. მელიავა, ე. შენგელაია, 1963), პიერი (,,პიერი – მილიციის თანამშრომელი'', რეჟ. დ. რონდელი, 1965), პლატონ სამანიშვილი (,,სამანიშვილის დედინაცვალი'', რეჟ. ე. შენგელაია, 1977), ერმილე (,,სიცოცხლე, ერმილეს!'', რეჟ. ნ. სანიშვილი,



ი. კახიანი. პლატონ სამანიშვილი, დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი''. 1977.

1977), გოგი წულაძე (,,დათა თუთაშხია'', რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, გ. გაბესკირია, 1978), ანდრო (,,მიზანი'', რეჟ. გ. ხოჯავა, 1979), ისიდორე ბუაძე (,,მოცურავე'', რეჟ. ი. კვირიკაძე, 1981), ბაჩანა (,,მარადისობის კანონი'', რეჟ. ვ. კვაჭაძე, 1982); მონაწილეობს ფილმებში: ,,განაჩენი'' (რეჟ. ლ. ხოტივარი, 1959), ,,პაპა გიგია'' (რეჟ. ზ. გუდავაძე, 1960), ,,უყაიმო თამაში'' (რეჟ. ი. ქავთარაძე, 1966), ,,ჩაძირული ქალაქის მაძიებელნი'' (რეჟ. დ. აბაშიძე, 1972), ,,მთვარის მოტაცება'' (რეჟ. თ. მელიავა, 1973), ,,გაქცევა გათენებისას'' (რეჟ. ს. დოლიძე, 1975), ,,გმადლობთ, რატილი'' (რეჟ. გ. კალატოზიშვილი, 1983), ,,ელისა და რარუს თავგადასავალი'' (რეჟ. გ. პეტრიაშვილი, 1986), ,,ზღვის მაშვრალნი'' (რეჟ. ე. სეშანი, გ. გაბესკირია, 1986), ,,შავი მერცხალი'' (რეჟ. თ. დულარიძე, 1986), ,,დღიურის ჩანაწერები'' (რეჟ. ლ. ერისთავი, 1986), ,,ფარანი ქარში'' (რეჟ. ნ. ომიაძე, 1987), ,,ომი ყველასათვის ომია'' (რეჟ. დ. აბაშიძე, 1990), ,,მხოლოდ სიკვდილი მოდის აუცილებლად'' (რეჟ. მ. წურწუმია, 1992), ,,წარსულის აჩრდილები'' (რეჟ. ლ. თუთბერიძე, 1996); ,,სავარძელი'' (რეჟ. ე. შენგელაია, 2017) და სხვ. იღებდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების ფილმებში: ,,აფეთქებული ჯოჯოხეთი'' (არჩილ ტატიშვილი; რეჟ. ი. ლუკინსკი, 1967, ,,მოსფილმი''), ,,24–25 არ ბრუნდება'' (მილიციის კაპიტანი; რეჟ. ა. ბრენჩი, რ. გორიაევი, 1969; ლატვია); ,,ლერმონტოვი'' (ალექსანდრე ჭავჭავაძე; რეჟ. ნ. ბურლიაევი, 1986, რუსეთი) და სხვ. მისი საშემსრულებლო მანერა გამოირჩევა დახვეწილი აქტიორული ოსტატობით, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, თბილი იუმორით. *მ. კერესელიძე.*

კახიანი იოსებ (ერმილე) გიორგის ძე (16. II. 1921, სოფ. მულახი, ახლანდ. მესტიის მუნი-

ციპალიტეტი, მყინვარი ტერსკოლი, ყაბარდო-ბალყარეთი – 1992), მთამსვლელი, მეკლდეური. პროფესიონალი მწვრთნელი ალპინიზმში. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1961), რფ-ის დამს. მწვრთნელი (1967). ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი (1958). 14 წლის ასაკში გ. *ზურებიანთან* ერთად მონაწილეობა მიიღო დაღუპული უკრაინელი ალპინისტების მთიდან ჩამოსვენებაში (1935). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე, უფროსი სერჟანტი. გასული საუკუნის 50–60 წლებში მრავალი რთული ასვლის მონაწილე კავკასიონსა და პამირზე. მთამსვლელობაში სსრკ ჩემპიონატების სამგზის ოქროს (სტალინის პიკი – 1955, ვოროშილოვის პიკი – 1959, ტაჯიკისტანის პიკი – 1966), ორგზის ვერცხლისა (ლენინის პიკი – 1960, შუროვსკის პიკი – 1962) და ორგზის ბრინჯაოს (1957, მ. *ხერგიანთან* ერთად გაიარა რთული და სახიფათო მარშრუტი მთა დონღუზორუნის ჩრდ.-დას. კედელზე, 1958 – ტუტუბაში) მედლის მფლობელი. მწვ. იალბუზთან სამთო-სამაშველო სამსახურის ერთ-ერთი ორგანიზატორი. აღზრდილი ჰყავს ასობით ალპინისტი, მ.შ. ათობით სპორტის ოსტატი და სსრკ ჩემპიონი. ინგლისში მ. ხერგიანთან ერთად მიენიჭა ,,კლდის ვეფხვის'' წოდება (1960). ჰ-ის პატივსაცემად ერთ-ერთ მთის მწვერვალს (3367 *მ*) იალბუზთან მისი სახელი ეწოდა. დაჯილდოებულია ,,სამამულო ომის'' მედლით და ორდენით ,,მამაცობისთვის''.

მ. მირიანაშვილი.

კახიანი მარინა გიორგის ასული (დ. 19. IX. 1959, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. 1980 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1975–76 ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის, ხოლო 1981-იდან შოთა რუსთაველის თეატრის მსახიობია. მის მიერ განხორციელებული როლებია: საპოჟნიაკოვა (ა. შატროვის ,,ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე'', 1980); ნატო (თ. ჭილაძის ,,როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის'', 1984); კიწი (რ. იბრაგიმბეკოვის ,,დაკრძალვა კალიფორნიაში'', 1984, საქართვ. თეატრ. საზ-ბის პრემია – საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალი); ევა ბრაუნი (მ. კვესელავას ,,ას ერგასის დღე'', 1985); კორდელია (უ. შექსპირის ,,მეფე ლირი'', 1987); ლიდა (ი. სამსონაძის ,,აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე'', 1991, საქართვ. თეატრ. საზ-ბის პრემია – საუკეთესო მსახიობი ქალი); ლავინია (უ. შექსპირის ,,ტიტუს ანდრონიკუსი'', 1992); ბერნარდა (ფ. გ. ლორკას ,,ბერნარდა ალბას სახლი'', 1993); ნათელა აბაშვილი (ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე'', 1994); მარინა (ი. სამსონაძის ,,იქ, სადაც ღვარად მოედინება'', 1995); მარიამ სტიუარტი (ფ. შილერის ,,მარიამ სტიუარტი'', 1997); ტანცადე (კ. გოცის ,,ქალი გველი'', 1998); ხორეშანი (ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი?!'', სცენური ვერსია; 2000); ვიოლა, ოლივია (უ. შექსპირის ,,შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ'', 2001); ალექსანდრა (რ. ჰარვუდის ,,მოხუცი ჯამბაზები'', 2008); ასული (პ. კაკაბაძის ,,ასულნი'', 2015, პრემია ,,დურუჯი'' ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის); ბრუსკონი (თ. ბერნჰარდის ,,სანახაობის მომწყობი'', 2015) და სხვ. თავისუფალ თეატრში ითამაშა მედეა [ევრიპიდეს ,,მედეა'', 2001, მიენიჭა საქართვ. კრიტიკოსთა ასოციაციის პრიზი – საუკეთესო ტრაგიკოსი მსახიობი ქალი, (2002)]; თეატრალურ სარდაფში, რუსთაველზე – ანტონია (დ. ფოს ,,თავისუფალი სიყვარული'', 2003); ბათუმის თეატრში, მა მურე (ჟ. მარსანის ,,მა მურე''). გადაღებულია კინოფილმებში: ,,უმცროსი და'' (1977, რეჟ. ზ. კაკაბაძე), ,,ბანდიტი აგურის ქარხნიდან'' (1983, რეჟ. გ. მატარაძე), ,,მონანიება'' (1984, რეჟ. თ. აბულაძე), ,,მოკვეთილი'' (1992, რეჟ. გ. მატარაძე), ,,შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი'' (1996, რეჟ. ნ. ჯორჯაძე) და სხვ. მონაწილეობდა ტელეფილმებში: ,,სახლი ძველ უბანში'', ,,უჩინარი'', ,,ცხელი ძაღლი'', ,,მტვრის გემო'' და სხვ. ჰ-ის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები გამოირჩევა ექსპრესიულობით, ორგანულობითა და დახვეწილი პლასტიკით.



მ. კახიანი. მარიამ სტიუარტი, ა. შილერის ,,მარიამ სტიუარტი''.



ნ. კახიანი.

კახიანი ნიკოლოზ საულის ძე [11(23). VII. 1884, სოფ. როკითი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 15. II. 1928, თბილისი], ქირურგი და მორფოლოგი. ქართული მეცნ. ქირურგ. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მედ. მეცნ. დოქტორი (1917), პროფესორი (1917). 1910 დაამთავრა ოდესის უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტი. 1910–14 მუშაობდა ამავე ფაკ-ტის ანატ. კათედრაზე; ოთხჯერ იყო მივლინებული კაიროში ბალზამირების ეგვ. წესის შესასწავლად. 1917 აირჩიეს ეკატერინოსლავის (ახლანდ. დნეპროპეტროვსკი) უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტის ანატ. კათედრის გამგედ, 1919 თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის ტოპოგრაფიული ანატ. და ოპერაციული ქირურგ. კათედრის გამგედ, ხოლო 1921–28 განაგებდა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის ქირურგ. პროპედევტიკის კათედრას.

ჰ-მა საქართველოში დანერგა გასტროენტეროანასტომოზის, კუჭის რეზექციის, ჰიპოფიზის ამოკვეთის, თირკმლისა და თირკმელზედა ჯირკვლის რეზექციის, ტუბერკულოზით დაზიანებული თირკმლის სისხლძარღვების გადაკვანძვის, თავის ქალას ტრეპანაციის, გულის ჭრილობის გაკერვისა და სხვ. ოპერაციები.



ს. კახიანი.

თხზ.: ქირურგიული ანატომიის მოკლე სახელმძღვანელო, ნაწ. 1, ტფ., 1925; Повторительный курс нормальной анатомии человека, Екатеринослав, 1918; Радикальная операция по поводу рака молочной железы под местным обезболиванием, Тфл., 1927.

ლიტ.: კახიანი ვ., გამოჩენილი ქართველი ქირურგი ნიკოლოზ კახიანი, თბ., 1951; Пипия И. К., Жизнь и деятельность Николая Сауловича Кахиани, კრ.: Актуальные вопросы хирургии, Тб., 1969.

კახიანი საულ ნიკოლოზის ძე (15. III. 1922, თბილისი, – 7. II. 1992, იქვე), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982), საქართვ. სახელმწ. (1980) და ზაზა ფანასკერტელის (1992) სახ. პრემიების ლაურეატი.



კ. კახიაშვილი.

1944 დაამთავრა თსსი. იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწ. ინ-ტის ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგ. კათედრის გამგე (1952-იდან). ამავე ინ-ტის ქირურგ. ფაკ-ტის დეკანი (1963–72) და პრორექტორი სამეცნ. დარგში (1972-იდან). არჩეული იყო თსსი-ის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგ. კათედრის გამგედ (1986–92). კ-მ შეისწავლა ზედა კიდურების სისხლძარღვებისა და ნერვების ტოპოგრაფია, მუცლის ღრუს ტოპოგრ. ანატომია და სხვ.

კ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 14 მონოგრაფიის, 4 სახელმძღვანელოს, 2 გამოგონებისა და 3 რაციონალური წინადადების ავტორი.

თხზ.: ადამიანის ანატომია, თბ., 1970; პლასტიკური ანატომია, თბ., 1975; ზედა კიდურების ნერვების კლინიკური ანატომია, თბ., 1977.

კახიანი ჯუმბერ გრიგორის ძე (1936, სოფ. მულახი, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 12. VIII. 2014, იქვე), სპორტსმენი (ალპინისტი). მონაწილეობდა მწვ. იალბუზზე ზამთრის პირველ ასვლაში (1957). სსრკ სპორტის ოსტატი (1962), ალპინიზმის I კატეგორიის ინსტრუქტორ-მეთოდისტი. შესრულებული აქვს უმაღლესი კატეგორიის სირთულის მრავალი ასვლა როგორც კავკასიონზე, ასევე პამირისა და ტიან-შანის მთიანეთში. მიღებული აქვს ალპინიზმში სსრკ ჩემპიონატის 2 ოქროსა (,,უშბა'', ჩრდ. მწვერვალი აღმ. კედლით, ე. წ. ,,უშბის სარკე'', 1964; ,,აილამა'' – ,,მისეს-თაუ'' ცენტრ. კავკასიონის ურთულესი მონაკვეთის ტრავერსი) და 1 ვერცხლის (,,რაზელნაია''– ,,დერჟინსკის''–,,ლენინის''– ,,XIX პარტყრილობის'' პიკთა ტრავერსი, 1960) მედალი.

კ-ს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში როგორც მასობრივი, ასევე სპორტ. ალპინიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. *შ. მირიანაშვილი.*

კახიაშვილი კახი თამაზის ძე (აკაკიოს კახიაშვილესი, ბერძნ. Ακάκιος Καχιασβίλης (დ. 13. II. 1969, ცხინვალი), სპორტსმენი (ძალოსანი). სამგზის ოლიმპიური (ბარსელონა, 1992; ატლანტა, 1996; სიდნეი, 2000) და სამგზის მსოფლიო (1995, 1998–99) ჩემპიონი. ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1993–94; 1995–96). მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (1993–94), ევროპის ჩემპიონატების ორგზის მეორე (1994; 1999) და მესამე პრიზიორი (1998). სპორტის დამს. ოსტატი. დაამყარა მსოფლიო რეკორდები: ორჭიდში 420 *კგ* (99 *კგ* კატეგორიაში, 1996); ატაცში – ორი მსოფლიო რეკორდი: 185,5 *კგ* (91 *კგ* კატეგორიაში, 1994) და 188 *კგ* (94 *კგ* კატეგორიაში, 1999); აკვრაში – სამი: 227,5 *კგ* (91 *კგ* კატეგორიაში, 1995), 228,5 *კგ* (91 *კგ* კატეგორიაში, 1995) და 235 *კგ* (99 *კგ* კატეგორიაში, 1996). 1994-იდან გამოდიოდა საბერძნეთის სახელით. 2006 კვლავ აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (1994).

კახისის ტბა, ტბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე, მდ-ების – ჭობისხევისა და დვირულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფ შტოქედზე, დაბაძველის პლატოზე. ფართ. 0,05 *კმ*^{2}, უდიდესი სიღრმე 10 *მ*. ტბის ქვაბული წარმოქმნილია სუფოზიის (მიწისქვეშა ეროზია) შედეგად. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალი მტკნარია. ტბის მიდამოებში არის ნაძვნარი. *ი. აფხაზავა.*

კახიფარი, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტის ვაჩნაძიანის თემში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. აკურისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 590 *მ*, გურჯაანიდან 22 *კმ*, ვაჩნაძიანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 171 მცხ. (2014).

კახიძე ამირან უსუპის ძე (დ. 8. VI. 1935, სოფ. ქვედა ჩხუტუნეთი, ახლანდ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), არქეოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1981), ემერიტუსი. 1959 დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტ. ფაკ-ტი. 1959–60 მუშაობდა სოფ. ჩხუტუნეთის საშ. სკოლის მასწავლებლად, 1964–66 – აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის ანტ. ხანის არქეოლოგიის განყ-ბაში, 1966–2006 – ნ. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნ.-კვლევით ინ-ტში, 1994-იდან არის ბათუმის არქეოლ. მუზეუმის დირექტორი. პარალელურად კითხულობდა ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტში.

1970-იდან კ-მ დაიწყო აჭარის-წყლის ხეობის არქეოლ. ძეგლების გეგმაზომიერი კვლევა, 1974 მონაწილეობდა დონის ექსპედიციაში.

კ-ის კვლევის უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს ფიჭვნარის ნაქალაქარი და ვრცელი სამაროვანი. 1998–2011 ხელმძღვანელობდა საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის პირველ საერთაშ. ერთობლივ ექსპედიციას. მოპოვებული მასალის საფუძველზე გამოიცა მონოგრაფიები: ,,ფიჭვნარი I'' (2004, თანაავტ. მ. ვიკერსი), ,,ფიჭვნარი II'' (2007, თანაავტ. მ. ვიკერსი), ,,ფიჭვნარი IV'' (2009, თანაავტ. თ. შალიკაძე), ,,ფიჭვნარი III'' (2010, თანაავტ. ნ. ვაშაკიძე), ,,ფიჭვნარი V'' (2014, თანაავტ. ე. კახიძე), ,,ფიჭვნარი VI'' (2014, თანაავტ. მ. ვიკერსი), ,,ფიჭვნარი VII'' (2015).

1999-იდან კ. ხელმძღვანელობდა გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედ ექსპედიციას. ასევე მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ექსპედიციები ბათუმის ციხეში, სოფ. ორცვასა და აჭარის მთიანეთში, ჩაქვის ჩაისუბანში, კაპანდიბში, მახოში და ა. შ.

კ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მიღებული აქვს აბუსერისძე ტბელის სახ. პრემია.

თხზ.: საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთი–ფიჭვნარი), თბ., 1971; აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათ., 1975; აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993 (თანაავტ. შ. მამულაძე); Восточное Причерноморье в античную эпоху (Колхские могильники), Батуми, 1981.

კახიძე გურამ პეტრეს ძე (26. X. 1931, თბილისი, – 16. VIII. 2008, იქვე), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1993). 1955 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-ტექნიკის ფაკ-ტი. 1951–60 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში კოსმ. სხივების ლაბორატორიაში სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 1960–62 – ამავე ლაბორ-ის გამგედ. მონაწილეობდა სამეცნ. აპარატურის, კერძოდ, მაგნ. სპექტრომეტრის შექმნაში იალბუზის *კოსმოსური სხივების* შემსწავლელი სადგურისთვის. 1963–74 მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ბირთვული ფიზიკის (ბფ) სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (НИИЯФ МГУ) იკვლევდა მაღალი ენერგიების პირველად კოსმოსურ გამოსხივებას *დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე* (დხთ). შეიმუშავა, დაამზადა და გამოიკვლია სამეცნ.

აპარატურა, რ-იც დაიდგა ,,პრო-ტონ'' სერიის დხთ-ებზე (1970–86), მ. შ. წილადმუხტიანი *კვარკების* და მაგნ. მონოპოლების არსებობის შესამოწმებლად. 1974–93 მუშაობდა *აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში* მთ. მეცნიერ თანამშრომლად და კოსმ. კვლ. ინ-ტის (მოსკოვი) ლაბორ-ის გამგედ, სადაც ,,კოსმოს'' სერიის დხთ-ებზე (1971–78) იკვლევდნენ კოსმ. გამა-აფეთქებებისას წარმოქმნილ ახლადაღმოჩენილ გამოსხივებას. 1979 ,,კოსმოს-1106'' დხთ-ზე შესრულებული გაზომვებით დადგინდა დედამიწის მაგნიტოსფეროში პოზიტრონული სარტყლის არსებობა. 1986 ჰ-ის ხელმძღვანელობით შემუშავდა და დამზადდა სამეცნ. აპარატურის კომპლექსი ორბიტალური სადგურისათვის МИР. 1992–2008 ჰ. მუშაობდა რუსეთის მეცნ. აკად. მართვის პრობლემების ინ-ტში მთ. მეცნიერ თანამშრომლად. პარალელურად 1995-იდან მონაწილეობდა საერთაშ. კოსმ. ორბიტალურ სადგურზე მიმდინარე კვლევებში.

ჰ-ის სამეცნ. კვლევები ეხება რენტგენისა და გამა-გამოსხივების კოსმ. წყაროების შესწავლას, შესაბამისი აპარატურის შემუშავებასა და დამზადებას.

თხზ.: Исследование рентгеновских источников неба в диапазоне 20–600 кэВ спектрометрами ИСЗ «Космос-1106», «Бюллетень Абастуманской астрофизической обсерватории», 1989, 68-69 (თანაავტ. Е. К. Харадзе); Georgian Space Research Programme. High-Energy Astrophysics American and Soviet Perspectives, Wash., 1991.

დ. ღარიბაშვილი.

კახიძე ვახტანგ ჯანსუღის ძე (დ. 23. III. 1959, თბილისი), დირიჟორი, კომპოზიტორი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (2010) და ზ. ფალიაშვილის სახ. (2015) პრემიების ლაურეატი. 1981 დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორიის საკომპ. განყ-ბა ნ. სიდელნიკოვის (კომპოზიცია) და ე. დენისოვის (ინსტრუმენტობა) ხელმძღვანელობით. 1988–89 ეუფლებოდა სადირიჟორო ხელოვნებას მამის, ჯ. *კახიძის* ხელმძღვანელობით. ჰ-ის, როგორც დირიჟორის, დებიუტი შედგა 1989, საკუთარი ბალეტის, ,,ამორძალების'' დადგმით თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში (ბალეტს დირიჟორობდა რამდენიმე სეზონის განმავლობაში). 1993-იდან თბილ. სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი იყო. საკონცერტო გამოსვლების გარდა ორკესტრთან ერთად ჩაწერა 25 ლაზერული



ვ. კახიძე სცენაზე.


დისკი სხვადასხვა უცხოური ხმის-ჩამწერი კომპანიებისათვის. 2002-იდან ჰ. თბილისის სიმფონიური ორკესტრის მთ. დირიჟორი და ჯ. კახიძის სახ. თბილ. *მუსიკალურ-კულტურული ცენტრის* სამხატვრო ხელმძღვანელია. გასტროლებს მართავს როგორც ინდივიდუალურად, ისე ,,თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან'' ერთად (2004 – მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი და იტალია, 2005 – ჩინეთი). ხელმძღვანელობს მამამისის, ჯ. კახიძის მიერ დაარსებულ ყოველწლიურ საერთაშ. მუს. ფესტივალს ,,შემოდგომის თბილისი'', რ-იც თანამშრომლობს თანამედროვეობის გამორჩენილ უცხოელ და ქართველ მუსიკოსებთან და მუს. კოლექტივებთან.

ჰ. როგორც კომპოზიტორი მოღვაწეობს სხვადასხვა მუს. ჟანრში (ოპერა ,,ბარბალე'', მუს. პარაფრაზი ვ. დოლიძის ოპერა ,,ქეთო და კოტეს'' მიხედვით, ჯ. კახიძესთან ერთად, 1986; ბალეტი ,,ამორძალები'', 1988; არაერთი კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის, ვოკალურ-საკრავიერი შესრულებისათვის, კანტატები, გუნდები). მისი ნაწარმოებები შესრულებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. აქტიურად მოღვაწეობს კინოსა და თეატრში. არის 50-ზე მეტი დრამ. სპექტაკლისა და 20 კინოფილმის მუსიკის, მრავალი ჯაზური კომპოზიციისა და საესტრადო სიმღერის ავტორი.


დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000). საქართვ. კინოაკადემიის პრიზით ,,ნატო'' (1997); საუკეთესო კინომუსიკის, თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრიზით, დრამატ. სპექტაკლის საუკეთესო მუსიკისათვის (1998, 2005, 2013).

2003 მუსიკალურ კულტურაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის მიიღო ალბერტ შვაიცერის სახ. საპატიო მედალი. *გ. ტორაძე.*

კახიძე მედეა ილიას ასული (30. XII. 1930, სოფ. ახალსოფელი, ახლანდ. ყვარლის მუნიციპალიტეტი, – 23. IV. 2015, გერმანია, დაკრძალულია თბილისში), პოეტი. დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1954) და სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული უმაღლესი ლიტ. კურსები (1960). 1977-იდან იყო საქართვ. მწერალთა კავშირის ლიტ. პროპაგანდის ბიუროს თავ-რე. ლექსების პირველი კრებ. ,,სიყვარულის ასაკი'' 1950 გამოაქვეყნა. ჰ-ის ძირითადი პოეტური კრებულებია: ,,განა წყარო ვარ'' (1959), ,,სადა ხარ, ჩემო მებალეო'' (1962), ,,სიყვარულს უშენებია'' (1963), ,,ინდი-მინდი'' (1964), ,,წინათგრძნობა'' (1972), ,,ლექსები'' (1974) და სხვ. მასვე ეკუთვნის საბავშვო ლექსთა კრებულები: ,,ჯიუტი ჩიტები'' (1956), ,,მოდი, ეკა შევრიგდეთ'' (1970), ,,ინდი-ფრინდი'' (1976) და სხვ. ჰ-ის ლექსები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე.



ვ. კახიძე.



ჯ. კახიძე.


კახიძე ჯანსუღ ივანეს ძე (26. V. 1935, სოფ. ობჩა, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 12. III. 2002, თბილისი), დირიჟორი, ლოტბარი, მომღერალი, კომპოზიტორი. საქართვ. (1978) და სსრკ (1985) სახ. არტისტი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1977) და ზ. ფალიაშვილის სახ. (2003, სიკვდილის შემდეგ) პრემიების ლაურეატი. 1958 დაამთავრა თბილისის სახელმწ. კონსერვატორია საგუნდო-სადირიჟორო განხრით

ჯ. კახიძე სცენაზე.



ხელმძღვ. (ო. დიმიტრიადი). ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ხელმძღვანელობდა საქართვ. სახელმწ. საგუნდო კაპელას, 1955–62 იყო მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი. 1957 ჩამოაყალიბა ხალხ. სიმღერის ანსამბლი ,,*შვიდკაცა*'' (ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი; მოსკოვი, 1957, ოქროს მედალი).

1962-იდან პ. იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრის დირიჟორი (1965–68 და 1982–2002 მთ. დირიჟორი). 1971–73 მუშაობდა ქ. ლოძში (პოლონეთი) ოპერის თეატრის დირიჟორად. აქ 1972 დადგა ზ. ფალიაშვილის ოპერა ,,აბესალომ და ეთერი''; 1973–93 საქართვ. სახელმწ. დამს. სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი იყო. 1993 მისი თაოსნობით დაარსდა თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი (რ-საც პ-ის სახელი მიენიჭა), *თბილისის სიმფონიური ორკესტრი* (რ-თა მთ. დირიჟორი იყო სიცოცხლის ბოლომდე) და საერთაშ. მუს. ფესტივალი ,,შემოდგომის თბილისი''. პ. დირიჟორობდა თბილისში დადგმულ ახ. ქართ. ოპერებს (გ. ყანჩელის ,,და არს მუსიკა'', ბ. კვერნაძის ,,იყო მერვესა წელსა'', ,,კოლხთა ასული'', ,,მედეა''). მისივე დირიჟორობით შესრულდა მსოფლიო კლასიკური და ქართ. სიმფ. მუსიკის რიგი საუკეთესო ნიმუშები – ი. სტრავინსკის ,,სალვთო გაზაფხული'', გ. მალერის მე-3, მე-5, დ. შოსტაკოვიჩის მე-4 სიმფონიები, ფ. ჰაიდნის 86-ე სიმფონია, რ. შჩედრინის ,,ანცი შაირები'', გ. ყანჩელის შვიდი სიმფონია და სხვა ნაწარმოებები, ს. ნასიძის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 სიმფონიები, ა. მაჭავარიანის 2 სიმფონია, რ. გაბიჩვაძის ,,როსტოკური სიმფონია'', დ. თორაძის მე-2 სიმფონია და სხვ. პ. ავტორია პოპულარული სიმღერებისა კინოფილმებისათვის: ,,შერეკილები'' (გ. ყანჩელთან ერთად), ,,პირველი მერცხალი'' და ,,დათა თუთაშხია'' (ბ. კვერნაძესთან ერთად), რ-თა შესანიშნავი შემსრულებელი თვითონვე იყო. პ-ის მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებაში.



ვ. კახნიაშვილი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996). ქ. ლოძის (პოლონეთი) საპატიო მოქალაქე.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

გ. ტორაძე.

კახნიაშვილი ავთანდილ (პაატა) სიმონის ძე (5. VIII. 1928, თბილისი, – 10. III. 1983, იქვე), ინჟინერ-გამომგონებელი, საქართვ. დამს. გამომგონებელი (1975). 1950 დაამთავრა სპი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. 1950–59 მუშაობდა ,,სოფლპროექტსა'' და ,,სოფლსახპროექტში'', 1959-იდან გარდაცვალებამდე – ,,საქსახწყალპროექტში''. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მსოფლიოში პირველი კონტეინერული *პნევმატიკური ტრანსპორტის* ხაზი. ავტორია 35 გამოგონებისა, რ-თაგან 14 დაპატენტებულია იაპონიაში, აგრეთვე აშშ-სა და დას. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი).

პ. იყო სპი-ის საესტრადო ორკესტრის პირველი კონფერანსიე (ა. *გელოვანთან* ერთად).

ლიტ.: გელოვანი ბ., მოგონებები, თბ., 2013.

კახნიაშვილი ალექსანდრე ილარიონის ძე [14 (26). VII. 1898, სოფ. დილიკაური, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 22. VI. 1982, თბილისი], ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1954), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1963). დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1927). 1929-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თსუ-ის ქიმიის ფაკ-ტის ორგანული ქიმიის კათედრაზე. წლების განმავლობაში იყო თსუ-ის ქიმიის ფაკ-ტის დეკანი, დ. მენდელეევის სახ. საკავშ. ქიმიური საზ-ბის საქართვ. განყ-ბის პრეზიდიუმის წევრი.

პ-ის სამეცნ. შრომები ეხება ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნაერთების სინთეზსა და კვლევას. მისი ხელმძღვანელობით შესწავლილია ფენოლების, კრეზოლების (მეთილფენოლების) და გვაიაკოლის (ორთო-მეთოქსიფენოლების) ალკილირების რეაქციები უჯერი სპირტებით. დადგინდა ფენოლების კატალიზური ალკილირების მექანიზმი, გამოკვლეული იყო მიღებული ნივთიერებების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები მცენარეთა ზრდის სტიმულატორებად. ვაზის ნერგის გამოსავლიანობაზე განხორციელებული კვლევის შედეგები აღინიშნა გამოგონების სერტიფიკატით.

პ-ს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართულ ენაზე ქიმიის სახელმძღვანელოების შექმნაში. ქართულად თარგმნა რამდენიმე სახელმძღვანელო ორგანულ ქიმიაში.

თხზ.: ქიმიის კურსის პრაქტიკუმი არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის, თბ., 1950; ორგანული სინთეზი და მისი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში, თბ., 1959.

კახნიაშვილი ვასილ ილიას ძე (9. V. 1910, ქ. გორი, – 25. III. 1990, იქვე), მსახიობი. საქართვ. სახალხო არტისტი (1988). 1931 დაამთავრა თბილ. სამრეწველო-ეკონ. ტექნიკუმი. 1935-38 სწავლობდა კ. მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში. 1939-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო გორის თეატრის მსახიობი. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: კ. მარჯანიშვილის თეატრში – მიხა (შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან''), ბოქაული (პ. ბომარშეს ,,ფიგაროს ქორწინება''), მანო (ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში''), გრაფი დე ლინიერი (ა. დენერის ,,დები, ჟერარ'') და სხვ. გორის თეატრში – სტეფანე (ი. გედევანიშვილის ,,გადასასვლელზე''), ტიმოთე, ავტიკა (ა. ცაგარლის ,,ხანუმა'', ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ''), ჰაჯი მურატი (ი. ვაკელის ,,შამილი''), ვატა (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება''), შვაჩი (ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა''), გოგია (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), ფონ მოორი (ფ. შილერის ,,ყაჩაღები''), ანანია (ი. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), გელა (ა. წერეთლის ,,პატარა კახი''), ხევისბერი (ს. შანშიაშვილის ,,ხევისბერი გოჩა'', ა. ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით) და სხვ. პ-ის მიერ შექმნილი სცენური სახეები გამოირჩეოდა მკვეთრი ინდივიდ. ხასიათით, რეალისტური განსახიერების სისადავითა და დამაჯერებლობით. შესრულებული აქვს ღრმად ემოციური კინემატოგრაფიული სახეები: პაპუნა (,,მზე შემოდგომისა'', რეჟ.



ვ. კახნიაშვილი. ვასო, კადრი ფილმიდან ,,ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი'', 1983.

თ. ფალავანდიშვილი, 1973), ეზუ (,,კუჭხი ბედინერი'', რეჟ. გ. პატარაია, 1978), ბაბუა (,,მარადისობის კანონი'', რეჟ. ვ. კვაჭაძე, 1982), ჯაბანა (,,ზოგი ჭირი მარგებელია'', რეჟ. პ. ჩარკვიანი, 1984) და სხვ. განსაკუთრებული წარმატება მოუტანა ე. შენგელაიას ფილმებში მონაწილეობამ: ,,სამანიშვილის დედინაცვალი'' (ბეკინა, 1977) და ,,ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი'' (ვასო, 1983, სსრკ სახელმწ. პრემია, 1985).

კახნიაშვილი თინათინ ავთანდილის ასული (დ. 29. X. 1962, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1999, მოსკოვი; 2002, თბილისი), პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი (1984). 1988-იდან მუშაობს აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მეცნიერ-მკვლევრად, 1999 – პ. ლებედევის სახ. ფიზიკის ინ-ტის (ФИАН, მოსკოვი) ასტრო-კოსმოსურ ცენტრში მიწვეულ მკვლევრად. 2008-იდან ილიას სახელმწ. უნ-ტის პროფესორია. 2000–03 მუშაობდა მიწვეულ პროფესორად რატგერსის (აშშ) და ჟენევის (შვეიცარია) უნ-ტებში, 2005–06 – პროფესორ-მკლევრად კანზასის (აშშ) სახელმწ. უნ-ტში. 2006-იდან არის ლაურენტიან უნ-ტის (კანადა) საპატიო პროფესორი, 2009-იდან – კარნეგი მელონის უნ-ტის (აშშ) პროფესორ-მკვლევარი.

პ-ის სამეცნ. ინტერესების სფერო მოიცავს კოსმოლოგიასა და ასტროფიზიკას. დაადგინა პირველადი მაგნიტური ველების ევოლუციის კანონზომიერებები სამყაროს გაფართოებისას, გამოითვალა კოსმოლოგიური ფაზური გადასვლებისას გენერირებული გრავიტაციული ტალღების მახასიათებლები. არის ათეულობით სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს მრავალი სამეცნიერო ფონდის გრანტი (მ. შ. NASA-ს სამწლიანი გრანტი, 2010, National Science Foundation-ის გრანტი, 2016 და სხვ.).

თხზ.: Microwave background signatures of a primordial stochastic magnetic field (თანაავტ.: A. Mack, A. Kosowsky), «Physical Review», D, vol. 65, id.123004, 2002; Gravitational Radiation from Primordial Helical Magnetohydrodynamic Turbulence (თანაავტ.: G. Gogoberidze, B. Ratra), «Physical Review Letters», vol. 100, id.231301, 2008; Testing Lorentz invariance violation with Wilkinson Microwave Anisotropy Probe five year data (თანაავტ.: R. Durrer, Yu. Maravin), «Physical Review», D, vol. 78, id.123009, 2008; Evolution of primordial magnetic fields from phase transitions (თანაავტ.: A. Tevzadze, A. Brandenburg, A. Neronov), «Physical Review», D, vol. 87, id. 083007, 2013; Classes of hydrodynamic and magnetohydrodynamic turbulent decay (თანაავტ.: A. Brandenburg), «Physical Review Letters», vol. 118, id. 055102, 2017.

კახნიაშვილი ნათელა სიმონის ასული (25. V. 1926, თბილისი, – 17. III. 1989, იქვე), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1978), პროფესორი (1984). დაამთავრა თსუ (1949). წლების განმავლობაში ეწეოდა პედ. და სამეცნ. საქმიანობას თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტზე. პ-ის ძირითადი სამეცნ. შრომები ეხება *დრეკადობის თეორიისა* და თერმოდრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანებს. არის უმაღლეს ალგებრასა და ანალიზურ გეომეტრიაში ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების (სტუდენტებისთვის) ავტორი.

თხზ.: ანალიზური გეომეტრია, თბ., 1982; უმაღლესი ალგებრა, თბ., 1982; К доказательству теорем существования для основных динамических задач термоупругости, «Сообщения АН ГССР», 1972, т. 66, №3.

თ. ებანოიძე.

კახოიანები, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ტუშურების თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ქუსნოს (ივრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1130 *მ*, თიანეთიდან 4 *კმ*. 62 მცხ. (2014).

კახოსი, ქართველი ხალხის ერთ-ერთი ეთნარქი ლეონტი მროველის მიხედვით. იხ. *ქართველთა ეთნარქები.*

კახურა, სოფელი ლენტეხის მუნიციპალიტეტის დაბა ლენტეხის ტერიტორიულ ორგანოში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1050 *მ*, ლენტეხიდან 4 *კმ*. 32 მცხ. (2014). სოფელში არის მინერ. წყაროები, დგას შუა საუკუნეების კოშკი.

,,კახური'', თეთრი მშრალი ღვინო. მზადდება რქაწითელისა და კახური მწვანე ჯიშის ყურძნისგან ქვევრში დურდოზე დადუღებით. ხასიათდება ქარვისფერი სრული შეფერვით, ხილის არომატით, სასიამოვნო სიმწკლარტით, ხავერდოვნებითა და ჰარმონიულობით. სიმაგრე 10,5–15,5%, ტიტრული მჟავიანობა – 5–6 *გ/დმ*^{3}. ,,კ-ს'' 1948-იდან უშვებენ კახეთის რეგიონის ღვინის პირველადი გადამუშავების ქ-ნები. საერთაშ. კონკურსებზე მიღებული აქვს ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი. 2013 პოლონეთში, ,,ენოექსპოს'' გამოფენაზე, დაჯილდოვდა მეორე ვერცხლის მედლით.

ბ. კალანდაძე.

კახური დიალექტი, ქართული ენის დიალექტი, რ-ზედაც მეტყველებს ისტორიული კახეთის – ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რ-ნების – მოსახლეობა. მთლიანად კახეთში მრავლადაა, ერთი მხრივ, ქართ. ენის დიალექტებზე (თუშური, ფშაური, ხევსურული, მთიულური, იმერული კილოები) მეტყველი მოსახლეობა, ხოლო, მეორე მხრივ, არაქართულენოვანი (ოსური, ქისტური, აზერბ., რუს.) სოფლები, რ-თა მოსახლეობაც აზერბაიჯანულ, რუსულ და სხვ. ენაზე მეტყველებს და სხვადასხვა დროსა და პირობებშია აქ მიგრირებული. ეს გარემოება საგრძნობ დაღს ასვამს კახურ მეტყველებას, განსაკუთრებით მის ლექსიკას.

კ. დ. სამ კილოკავად იყოფა: შიგნიკახური, რ-ზედაც მეტყველებს ალაზნის ველის – ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის რ-ნების მოსახლეობა; გარეკახური – გურჯაანის რ-ნის ნაწილი და საგარეჯოს რ-ნის სოფლების მოსახლეობა და ქიზიყური – სიღნაღის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს რნების მოსახლეობა. შიგნიკახური და გარეკახური ერთმანეთისაგან მხოლოდ მეტყველების ინტონაციით განსხვავდება, ქიზიყურს კი ორივესაგან, მკვეთრად გამოხატული ინტონაციის გარდა, ფონოლოგიური და გრამატ. ნიშნებიც განასხვავებს.

კ. დ-ის ფონოლოგიურ ინვენტარში, სალიტ. ქართულისაგან განსხვავებით, მოიპოვება ორი ერთეული – ფარინგალური და ყრუფშვინვიერი ხშული აფრიკატი ʒ და შუაენისმიერი მჟღერი სპირანტი ჲ. ʒ ქიზიყურ კილოკავს ახასიათებს და იქ იგი ფონოლოგიური ღირებულებისაა: ჯელი, ფეჯი, ჯმალი... კ. დ-ის სხვა კილოკავებში, იმავე ლექსიკურ ერთეულებში – უფროსი თაობის მეტყველებაში, იგი მონაცვლეობს ხ სპირანტთან.

ჲ დამახასიათებელია ყველა კილოკავისათვის. იგი სიტყვის ფუძეში ს და შ სპირანტების რეფლექსია V-C (წინაენისმიერი მკვეთრი): ტაჲტი, ფლოჲტი. გვხვდება II სუბიექტ. და III ობიექტ. პირების V-C პოზიციაში, რ-საც ქმნის ზმნისწინის ხმოვანი და ფუძისეული თანხმოვანი: მოჲტეხა, მოჲგლიჯა... ან წინამავალი სიტყვის ემფატიკური ა და ზმნის ფუძის თანხმოვანი: რასა ჲფიქრობ? მეზობელსა ჲთხოვა...

კ. დ-ს პრეფიქსულ და სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე ახასიათებს ხმოვანთა სრული კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია: მეწონა, შააშინა, გეეგო; იმეებს, კოდალეები... რთული ზმნისწინების შემთხვევაში ხდება კონტაქტურის თანადროული დისტანციური ასიმილაცია: ემეეტანა, გედეეგდო...

კ. დ-ში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერი თანხმოვნები ყრუვდება: ცუდათ, კაცათ... ამავე გზითაა მიღებული ქ- სიტყვაფორმებში: კარქი, კარქო, კარქათ... გვაქვს მ და ნ ფონემათა სუბსტიტუცია, ერთი მხრივ: ბანბა, ანბავი; მეორე მხრივ – სამთელი, ამთებს. ასევე, დისიმილაციური, ოღონდ დისტანციური, სუბსტიტუციის შედეგია ბ და ვ ფონემათა მონაცვლეობა სიტყვაფორმებში: ეუბნევა, მებნევი... ხდება სხვადასხვა ხასიათის ერთდროული ფონეტ. პროცესები; მეტათეზისი – სუბსტიტუცია – ასიმილაცია სიტყვაში ,,ავანტყოფი'', – ამოსავალი ფორმა ავადმყოფი, ბლერტამს – ამოსავალი ბერტყავს... გვაქვს სიტყვათა ფონეტ. გამარტივების შემთხვევები: ფეხშიშველა–> ფეხშველა, შარშანდელი –> შარანდელი; ამავე რიგისა ჩანს მყავს –> მყავ; გყავს; –> გყავ...

კ. დ-ში სახელთა ბრუნებისას ვლინდება ბრუნვის ნიშანთა თავისებური ვარიანტები: სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ს ფონემა სუსტდება და ჲ-დ რეალიზდება ხმოვნების შემდეგ, ხოლო Ø-მდე დადის თანხმოვნების მომდევნოდ. ამისდა კვალად მიც. ბრუნვის ნიშნად ხმოვნების შემდეგ გვაქვს -ჲ: დედაჲ, ძმაჲ, ხოლო თანხმოვნების შემდეგ – Ø: კაც ვეძახი... მაგრამ პოზიციის შეცვლისას მიც. ბრუნვის ნიშანი აღდგება: კაცსაც; იმავე მიზეზით, ნათ. ბრუნვის ნიშნად -ის სუფიქსის ნაცვლად გვაქვს გამარტივებული -ი ან -იჲ ვარიანტი: სოფლი ბოლოში, თხიჲ რძე...; რადგანაც კ .დ-ში სიტყვის ბოლოში მჟღერი ფონემები ყრუვდება, ვით. ბრუნვის ნიშნად გვაქვს -ათ და არა -ად: კარქათაც შავჯორე; ზოგჯერ გვაქვს ბრუნვის ნიშნის -ა ვარიანტი: კარქა.

კ. დ. ზმნაში სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ასახვისას ძვ. ქართ. სალიტ. ენის ტრადიციას აგრძელებს და აღმ. საქართვ. მთის დიალექტების თავისებურებებს იზიარებს: ზმნაში აფიქსით აისახება II სუბიექტური პირი და მიც. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ობიექტური პირი (პირდაპირიც და ირიბიც). თანხმოვნების წინა პოზიციაში ყველგან -ჲ- ვარიანტია: მიჲგვარე, ჲხნავს, მიჲწერა.

კ. დ-ში ირიბი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აღინიშნება. შიგნი- და გარეკახურში მას თ სუფიქსი გამოხატავს (უთხრათ იმათა), ქიზიყურში კი ირიბი ობიექტის სიმრავლეს –კე ნაწილაკი გადმოსცემს (უთხრა კე იმათა).

კ. დ. უაღრესად მდიდარია ლექსიკურად. განსაკუთრებით გამოირჩევა მემინდვრეობისა და მევენახეობის ლექსიკა. მათზე ვერ მოუხდენია გავლენა უცხო ენებს, რ-თა ხანგრძლივ გარემოცვაშიც უხდებოდა განვითარება კ. დ-ს. სამაგიეროდ, რამდენადმე შესამჩნევია თურქულენოვანი სამყაროს გავლენა მეცხოველეობის ლექსიკონზე.

კ. დ. გამორჩეულად მდიდარია ხატოვანი ფრაზეოლოგიით.

ლიტ.: თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961; მარტიროსოვი ა., იმნაიშვილი გ., ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956; ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გამოც. მე-2, თბ., 1970; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ვ. კუზიბაბაშვილი.

კახური თეთრი, საშემოდგომო ატმის ჯიში, გავრცელებულია კახეთში. ხე სწრაფად იზრდება. მომრგვალო ვარჯი აქვს. მე-3 წლიდან მსხმოიარობს. ნაყოფი (მწიფდება სექტ. ბოლოს) მრგვალია და მსხვილი, ღარი ოდნავ ემჩნევა, სახრავია. აქვს მოთეთრო, მკვრივი, თხელი შებუსული კანი და თეთრი, მკვრივი, ტკბილი, ოდნავ მწკლარტე, წვნიანი, არომატული რბილობი. კარგი საკომპოტე და სასუფრე ჯიშია.



კახური თეთრი.

მ. ვარძელაშვილი.

„კახური ტრადიციული მეღვინეობა“ – KTW (შპს), ქართული ღვინის ერთ-ერთი მსხვილი კომპანია საქართველოში. დაარსდა 2001 ძირძველ საგვარეულო ტრადიციებზე დაყრდნობით (დამფუძნებელი – ზ. ჩხაიძე). მისი ძირითადი მიმართულებაა აღმ. და დას. საქართველოში გაშენებული უნიკალური ვაზის ჯიშებისაგან ღვინის, ბრენდისა და ტრად. ჭაჭის წარმოება. აქ იწარმოება როგორც ქართ. კლასიკური (ქინძმარაული, ახაშენი, ხვანჭკარა, წინანდალი, მუკუზანი), ასევე ყურძნის იშვიათი ჯიშებისგან დამზადებული ღვინოები [ჩხავერი, ჩინური (ჩინებული), ცოლიკაური, ციცქა, შავკაპიტო, ბუზა, დანახარული, გორული მწვანე, ქისი, ხიხვი და სხვ.].

კომპანია ფლობს საკუთარი ინვესტიციებით აშენებულ ღვინისა და საბრენდე სპირტის ოთხ ქ-ნას: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატარძეულში (აშენდა 2013, წარმადობა – 15000000 ბოთლის წარმოება-ჩამოსხმა წელიწადში), სადაც ხორციელდება ღვინის, ბრენდისა და ტრად. ჭაჭის ჩამოსხმა; აჭარის მაღალმთიან რეგიონში ქედის ღვინის ქ-ნას (აშენდა 2014, წარმადობა – 1000 ტ ყურძნის გადამუშავება სეზონზე), რ-იც ორიენტირებულია გურია-აჭარის უნიკალური ყურძნის ჯიშების მიღება-გადამუშავებასა და ღვინის ჩამოსხმაზე; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ველისციხეში (აშენდა 2014, წარმადობა – 25000 ტ ყურძნის გადამუშავება სეზონზე), უშვებს საღვინე მასალებს და საბრენდე სპირტს; ყურძნის გადამამუშავებელ და საბრენდე სპირტის სახელე ქ-ნას სოფ. ველისციხეში (აშენდა 2016, წარმადობა – 8000 ტ ყურძნის გადამუშავება სეზონზე). ქ-ნები აღჭურვილია საერთაშ. სტანდარტების შესაბამისი უახლესი დანადგარებით და ტექნიკით, ლაბორატორიებით, უჟანგავი ფოლადის ცისტერნებითა და სამაცივრე მეურნეობებით. კომპანიას აქვს აგრეთვე საკუთარი ვენახები რაჭა-ლეჩხუმში, საგარეჯოსა (მანავი, ახაშენი, ვაჩნაძიანი) და ყვარლის (ახალსოფელი, თელავი, წინანდალი) მუნიციპალიტეტების სოფლებში; ქართლში (საგურამო) – სულ 6 ჰა. ღვინო ისხმება როგორც იტალ. შუშის ბოთლებში, ასევე ტრად. მეთოდით დამზადებულ თიხის ჭურჭელში, რ-იც მას აძლევს უნიკალურ სამკურნ. და გემურ თვისებებს. კომპანია ღვინის თიხის ჭურჭელში ჩამოსხმის ნოვატორია საქართვ. ბაზარზე. თითოეული თიხის ჭურჭელი მზადდება ხელით და გამოირჩევა ორიგინ. დიზაინითა და ფორმით. ამასთან კომპანიას აქვს უძველესი



,,კახური ტრადიციული მეღვინეობა‘‘.

კახური ტექნოლოგიით დაყენებული ქვევრის ღვინოებიც. იგი, პირველად მეღვინეობის ისტორიაში, გურმანებს სთავაზობს პრემიუმ კლასის იშვიათი ღვინოების კოლექციას (,,როიალ მუკუზანი‘‘, ,,ველისციხის საფერავი‘‘).

,,კ. ტ. მ-ს‘‘ თავისი პროდუქცია გააქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, ყაზახეთი, ბელორუსი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ისრაელი, დიდი ბრიტანეთი და სხვ.), მონაწილეობს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშ. კონკურსებსა და გამოფენებზე, სადაც მიღებული აქვს 200-მდე ჯილდო (მ. შ. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები). ბრენდი ,,ძველი კახეთი‘‘ ექსპორტის ლიდერია რუსეთსა და უკრაინაში, ბრენდის გაყიდვების მხრივ იგი ლიდერობს ყველა ქართ. კომპანიას შორის. მისი ინიციატივით 2003 დაფუძნდა ყოველწლიური ფესტივალი ,,ქართული სული‘‘, რ-იც ქართ. ხელოვნების პოპულარიზაციას ემსახურება და საქართვ. სხვადასხვა კუთხეში ტარდება. 2009 კი ,,ქართული სულისა‘‘ და ,,კ. ტ. მ-ის‘‘ დამფუძნებელთა ინიციატივით ქვეყანაში კულტურისა და განათლების განვითარების მიზნით დაარსდა საქველმოქმედო ,,თამარ მეფის ფონდი‘‘. კომპანია ხელს უწყობს ქვეყანაში ენოტურიზმის განვითარებას (მისი ტურისტული ობიექტებია ქ. მცხეთაში არსებული ,,ქართული ღვინის პალატა‘‘, საგურამოში – თადეოზ გურამიშვილის ისტ. ,,გურამიშვილის მარანი‘‘, ქედაში – ,,აჭარული სახლი‘‘, სოფ. ველისციხეში – ,,ველისციხის ვერანდა‘‘).

კომპანია, ღვინის ქ-ნების გარდა, ფლობს ორ საკონსერვო ქ-ნას (,,KTW-აგრო-ქედა‘‘ და ,,KTW-აგრო-ჩოხატაური‘‘) და სამშენებლო კომპანიას (,,KTW-დეველოპმენტი‘‘). ,,კ. ტ. მ.‘‘ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სოც. პროექტში. *ლ. აბრამიშვილი.*

კახური ღორი, უძველესი ენდემური ჯიში. ევრ. მოკლეყურა გარეული ღორის მოშინაურების შემდეგ, ხალხური სელექციის გზით ჩამოყალიბდა ცალკე ჯიშად. განკუთვნება მომთაბარე ტიპს. ფერად შავია, ზოგჯერ მუქი ნაცარა ან მოწითალო, აქვს უხეში კონსტიტუცია, სქესობრივად გვიან მწიფდება. გარემო პირობებს ადვილად ეგუება, ნაკლებმომთხოვნია. იკვებება ტყის მცენარეთა ნაყოფით, იყენებს აგრეთვე თავთავიანი კულტურების ნაწვერალსა და ნაკლებნაყოფიერი ტენიანი ჭალის საძოვრებს. კერატის ცოცხალი მასაა 110–120 *კგ* (უდიდესი – 160 *კგ*), ნეზვისა – 95–100 *კგ* (უდიდესი – 130 *კგ*-მდე). ნაყოფიერება – 7–8 გოჭი, მერძეულობა – 30–40 *კგ*. გარეული ღორის მსგავსად, იბადებიან ზოლიანი გოჭები (ასეთი შეფერვა ქრება 3–5 თვის ასაკში). გასუქების პერიოდში დღეღამური წონამატია 200–300 *გ*. 1 *კგ* მასის მოსამატებლად სჭირდება 8–8,5 საკვები ერთეული. აქვს მაღალხარისხოვანი მჭლე ხორცი, რ-ის წმინდა (ტანხორცის) გამოსავალია 63–64%, ქონისა – 20–21%. კ. ღ. გავრცელებული იყო თიანეთის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, დუშეთის, თეთრი წყაროს და სხვ. რ-ნებში, სადაც 1974 მისი რაოდენობა 2 ათ. სულს აღწევდა.

კ. ღ-ის სულადობა ღორის აფრიკული ცხელების ეპიზოოტიის გამო (2006–07) მკვეთრად შემცირდა. ძირითადად შემორჩენილია ახმეტის მუნიციპალიტეტში.

ნ. მელითაური. გ. გოგოლი.

კბილთეთრა (Crocidura), ძუძუმწოვრების გვარი ბიგასებრთა ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძეა 4–10 *სმ*. ბინადრობს უმთავრესად აფრიკაში, აგრეთვე ევროპასა და აზიაში. 179 სახეობიდან საქართველოში კ-ს ორი სახეობაა გავრცელებული: კავკასიური კ. (C. gueldenstaedtii) და თეთრმუცელა კ. (C. leucodon). ბინადრობს ტყეში, ბუჩქნარში, ბაღებში, მთის ხევებსა და ხრამებში, ზოგჯერ ადამიანის სამოსახლოს მახლობლად. გავრცელებულია ზ. დ. 2200 *მ*-მდე. იკვებება მწერებით, მათი მატლებით, მოლუსკებით, რითაც მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს.

კედელი, კ ე გ ლ ი (გერმ. Kegel), სასტამბო შრიფტის ზომა, მოიცავს ასონიშნის (თვალის) სიმაღლესა და ე. წ. მხარულებს – თვალის ზემოთ და ქვემოთ მდებარე თავისუფალ სივრცეს, რ-იც ქმნის შუალედებს ტექსტის სტრიქონებს შორის დაბეჭდილ წიგნში, გაზეთში და ა. შ. კ-ს ზომავენ სასტამბო პუნქტებით (პუნქტი უდრის 0,376 *მმ*) ან კვადრატებით (48 პუნქტი). ფართოდ იყენებენ შემდეგი კ-ის შრიფტებს: 5; 6 (ნონპარელი); 7; 8 (პეტიტი); 9 (ბორგესი); 10 (კორპუსი); 12 (ციცერო); 14; 16; 20; 24; 28 და 36 პუნქტი, აგრეთვე 1; $1^{1/4}$, $1^{1/2}$; 2; $2^{1/2}$; 3; 4; 5; 6; 8; 10; 12 და 15 კვადრატი. ,,ქართული ენციკლოპედიის‘‘ სტატიების ძირითადი ტექსტი აწყობილია კ. 6 შრიფტით (ა. *დუმბაძის* მიერ სპეციალურად შექმნილი ე. წ. ,,საენციკლოპედიო შრიფტი‘‘), ენციკლოპედია ,,საქართველო‘‘ კი კ. 7,5 შრიფტით იბეჭდება. თანამედროვე საგამომცემლო საქმიანობაში იყენებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ხოლო კ-ს – სულ უფრო იშვიათად.



კახური ღორი.

კედარი (Cedrus), მარადმწვანე წიწვოვან მცენარეთა გვარი ფიჭვისებრთა ოჯახისა. ერთსახლიანი, მაღალი, პირამიდული ან გაშლილვარჯიანი ხეებია. გვარი მოიცავს 4 სახეობას, რ-თაგან 3 (ლიბანური, ატლასური და მოკლეწიწვა კ.) გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის ოლქის აღმ. და სამხრ. ნაწილში, ერთი (ჰიმალაიური კ.) – ჰიმალაის დას. ნაწილში, აგრეთვე ყირიმში, კავკასიასა და შუა აზიის სამხრ. ნაწილში, სადაც კულტივირებულია 3 სახეობა: ლიბანური, ატლასური და ჰიმალაიური კ.

საქართველოში ყველაზე ფართოდ არის მოშენებული ჰი-



კედარი.



მ. კედია.

მალაიური პ. (C. deodara), რ-ის სიმაღლეა 50–60 *მ*, სისქე – 3,5 *მ*. აქვს 7–10 *სმ* სიგრძის გირჩა და სხვა სახეობებთან შედარებით უფრო გრძელი (25–50 *მმ*) მომწვანო-ლეგა წიწვი. გავრცელებულია ავღანეთის, ბელუჯისტანის და ჩრდ.-დას. ჰიმალაის მთებში ზ. დ. 1000–3600 *მ*-მდე. საქართველოში, თბილისსა და მის მიდამოებში შემოიტანეს XIX ს. II ნახევარში. მიუხედავად იმისა, რომ ტენის მოყვარული ხეა, მეტ-ნაკლებად გვალვა- და ყინვაგამძლეც გამოდგა. კარგად ხარობს ზ. დ. 1200 *მ*-მდე. საკმაოდ სწრაფმზარდია. სამშობლოში ცოცხლობს 1000 წლამდე. თბილისის ბოტანიკურ ბაღში ყვავის ნოემბერ-დეკემბერში, სხვა პ-ებზე 1 თვით გვიან და მათთან ჰიბრიდებს არ იძლევა. დეკორატიულია, იყენებენ სოლიტერებად და სახეივნო ჯიშად. აქვს მაგარი, მკვრივი და გამძლე მერქანი, რ-საც იყენებენ სამშენებლო და საავეჯო მასალად, გემთმშენებლობაში. ლიბანური პ. (C. libani) და ატლასური პ. (C. atlantica) დიდად არ განირჩევა ჰიმალაიური პ-გან და იმავე დანიშნულებით იყენებენ. მოკლეწვიწვა პ. (C. brevifolia) კი ტანდაბალი (12 *მ*-მდე) ხეა და ჩვენში არ გვხვდება. *ვ. მირზაშვილი.*

კედელა, ქედი ონის მუნიციპალიტეტში. *შდრ.-კედელას ქედის* აღმ. ნაწილი.

კედელაური, იხ. *საბაშვილი* სერაპიონ სოგრატის ძე.

კედელაშვილი, ზაზა ნიკოლოზის ძე (დ. 12. XI. 1985, სოფ. ქვემო ქედი, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (ძიუდოისტი). ევროპის სამგზის ჩემპიონი (2006—08), ევროპის (2007, 2010) და მსოფლიოს (2006, 2008) გუნდური ჩემპიონატების გამარჯვებული. დაამთავრა შსს-ის აკადემია (2006). საქართველოს VIII და IX მოწვევის პარლამენტის წევრი (2012, 2016).

კედია ვალერიან ალექსანდრეს ძე [1 (14). VIII. 1911, ზუგდიდი, – 5. V. 1968, თბილისი], არქიტექტორი. საქართველოს დამს. ინჟინერი (1961). 1932 დაამთავრა საქართვ. საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტი (ახლანდ. სტუ). ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა არქიტექტორად ტრესტ ,,საქკომუნპროექტში''. II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ,,საქსახპროექტში'' უფრ. არქიტექტორად, ხოლო 1948–68 – ,,საქქალაქმშენსახპროექტის'' არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელად. ნამუშევრები: ფოთის გენერალური გეგმა (1934–35, არქიტ. ა. ნიკოლაიშვილთან ერთად; ამავე ავტორების მიერ გადამუშავებულია 1938); სოფსაბჭოს ტიპური შენობა ხევსურეთისათვის (აშენდა 1938 სოფ. ბარისახოში); ქ. წყალტუბოს განვითარების და განაშენიანების გენერალური გეგმა (1951, არქიტ. ი. ზაალიშვილთან ერთად); ფოთის დაგეგმარების ახ. პროექტი (1956, არქიტ. ა. ნიკოლაიშვილთან და გ. თოთიბაძესთან ერთად); დაბა ბაკურიანის დაგეგმარება (1960, არქიტ. გ. ბაქრაძესთან, რ. ხატიაშვილთან, ფ. ყუფარაშვილთან, გ. ჯაფარიძესთან ერთად); სანატორიუმი ,,მეტალურგი'' (1957, თანაავტ. არქიტ. ნ. სოლოვიოვა); გაერთიანებული სააბაზანო შენობის კომპლექსი 200 ნომერზე (1963, არქიტ. ი. ზაალიშვილთან ერთად); სანატორიუმი ,,გეოლოგი'' (არქიტ. გ. ავსაჯანიშვილთან ერთად); პანსიონატი უსინათლოთათვის (1968) – ყველა ქ. წყალტუბოში. პ. პედ. საქმიანობას ეწეოდა საქართვ. საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტსა 1932–40 და თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1947–68). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კედია მიხეილ მელქისედეკის ძე (1902, ზუგდიდი, – 1953, ჟენევა), იურისტი, ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი. დაამთავრა თბილისის I გიმნაზია. სწავლობდა ბერლინისა და ჰაიდელბერგის უნ-ტებში იურიდიულ ფაკ-ტზე (გაგზავნა საქართველოს მთავრობამ). 1921-იდან ცხოვრობდა პარიზში.

1940 შემოდგომაზე გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა გააუქმა პარიზის ქართ. წარმომადგენლობა, რის შემდეგაც ქართული ემიგრაციის დაცვის მისია გერმანიის ხელისუფლების წინაშე დაევალა პ-ს.

პ., ქართული ემიგრაციის ნაწილის მსგავსად, ფიქრობდა, რომ გერმანელების მხარდაჭერით შესაძლებელი იყო საქართველოს გათავისუფლება ბოლშევიკური რეჟიმისაგან, ამიტომ მისი შუამდგომლობით ჩამოყალიბდა საგანგებო დანიშნულების სამხედრო შენაერთი (იხ. *,,თამარა''*).

1943 ოქტომბერში პ-ს ხელმძღვანელობით დაარსდა ,,სამეკავშირეო შტაბი'', რ-საც ტყვეთა ბანაკებიდან ქართველების გამოყვანა და მათი სამსახურით უზრუნველყოფა დაევალა, აგრეთვე იმ სამხედრო ერთეულების ორგანიზება, რ-ებშიც ქართველები ირიცხებოდნენ.

პ. წინ აღუდგა გენ.-ლ. ა. ვლასოვის არმიაში არარუსული ფორმირებების გაერთიანებას. იგი მეგობრობდა ჰიტლერთან დაპირისპირებულ ისეთ გავლენიან გერმანელებთან, როგორებიც იყვნენ გრაფი შულენბურგი, პროფ. გერჰარდ ფონ მენდე და ერიხ ენგელჰაუპტი.

1944 აპრილში პ-მ თავი შვეიცარიას შეაფარა. 1946 წ. 3 მაისს



ვ. კედია (თანაავტორი ნ. სოლოვიოვა). სანატორიუმი ,,მეტალურგი''. 1957, წყალტუბო.

მან წერილობითი ჩვენება მისცა, რომ გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს, შეძლო მრავალი ქართველი მაჰმადიანისა და ებრაელის (მ. შ. ი. *ელიგულაშვილი*) დახსნა სასჯელისაგან, რასაც დოკუმენტებითაც ადასტურებდა.

დაავადებულმა პ-მ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ლიტ.: ქართველები უცხოეთში, წგ. 1, თბ., 2012; ცომაია ალ., რჩეული თხზულებანი, თბ., 2000; ჯავახიშვილი ნ., ქართველი შინდლერი, «ისტორიანი», 2011, N3.

კედია სპირიდონ მალხაზის ძე (20. IX. 1884, ზუგდიდი, – 1948, პარიზი, დაკრძალულია ლევილში), საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, *ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის* თავმჯდომარე. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1905 სასწავლებლიდან გარიცხეს გაფიცვებისა და პოლიტ. დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის. ზუგდიდში დაბრუნებული გლეხთა საპროტესტო გამოსვლების ორგანიზატორი გახდა, რის გამოც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პ. დროებით სვანეთში მიიმალა, შემდეგ ჩერქეზეთში გადავიდა. 1906 პ. საფრანგეთში ჩავიდა და კოლეჟ დე ფრანსის მსმენელი გახდა, 1907 კი სორბონის უნ-ტში შევიდა (სპეციალობა – ბუნების შემსწავლელი მეცნიერება), ისმენდა ლექციებს ტულუზის უნ-ტშიც, დაამთავრა მონპელიეს უნ-ტი.

I მსოფლიო ომის დაწყების გამო სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, თუმცა რუსეთში დააპატიმრეს. მისი გათავისუფლება პეტერბურგის ქართ. კოლონიის წევრთა ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

1914 პ. თბილისში ჩამოვიდა. 1915 წ. 24 მაისს აქვე, მისი თაოსნობით და იმდროინდელ მრეწველთა თანადგომით, ეროვნ. და დემოკრ. მიმართულების ჟურნ. ,,კლდის'' ბაზაზე გამოსვლა დაიწყო გაზეთმა ,,საქართველომ'', რთანაც სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად პ-ც აქტიურად თანამშრომლობდა.

პ-მ თანამოაზრე ჯგუფების შესაკავშირებლად შეიმუშავა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტ. პარტიის შექმნის გეგმა. 1917 მარტში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი, 4–10 ივნისს ეროვნულ-დემოკრატთა I ყრილობაზე იგი თავ-რედ აირჩიეს. 1917 პ. დანიასა და შვედეთში ჩავიდა ,,საქართველოს გათავისუფლების კომიტეტთან'' შესახვედრად. დაბრუნებული აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნ. საბჭოს საქმიანობაში.

1918 მაისში პ. მონაწილეობდა ბათუმის საზავო კონფერენციაში, საიდანაც, როგორც დამოუკიდებელი ქართ. სახელმწიფოს ოფიციალური დელეგაციის მდივანი, გერმანიაში გაგზავნეს.

პ. იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. ოპოზიციაში ედგა მმართველ (სოციალ-დემოკრატიულ) პარტიას. აკრიტიკებდა მის საგარეო და საშინაო, განსაკუთრებით კი, პერიფერიებთან ურთიერთობის პოლიტიკას. იყო ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი.

1921 ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ პ. საქართველოში დარჩა. 1922 თებერვლისთვის იგი ამზადებდა მასშტაბურ საპროტესტო დემონსტრაციას, რისთვისაც დააპატიმრეს. გაათავისუფლეს მხოლოდ უცხოეთში წასვლის პირობით. 1923 სტამბოლიდან პ. საფრანგეთში ჩავიდა, სადაც განაგრძობდა პოლიტ. მოღვაწეობას. პ. მუშაობდა გ. *მაჩაბლის* პარფიუმერულ კომპანიაში. მისი მიზანი იყო ,,ქართველთა მთლიანობის აღდგენა ემიგრაციაში''. 1925 დააარსა ჟურნ. ,,სამშობლოსთვის'', 1932 კი – გაზ. ,,საქართველოს გუშაგი''.

ემიგრაციაში მყოფ პ-თან ოჯახმა [მეუღლე – სოფიო ჩიჯავაძე, ქალიშვილი თეო] მხოლოდ 1928 შეძლო ჩასვლა.

II მსოფლიო ომის (1939–45) დროს პ. მონაწილეობდა გერმანიის მიერ შექმნილ ქართ. ეროვნული კომიტეტის საქმიანობაში.

წყარო: სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, თბ., 2007.

ლიტ.: ჯანელიძე ო., სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002.

კედლის მხატვრობა, კედელზე, უშუალოდ ბათქაშზე ან მასზე მიმაგრებულ ტილოზე, ანდა ქაღალდზე სალებავებით დახატული სურათები და ორნამენტები. პ. მ. შეიძლება შესრულდეს ფრესკის, (სველ ბათქაშზე), სეკოს (მშრალ ბათქაშზე) ან შერეული ტექნიკით. პ. მ-ის მასალად გამოიყენება ბუნებრივი პიგმენტებისაგან დამზადებული სალებავები, ტემპერა, XV ს-იდან გავრცელდა ზეთის, XIX ს-იდან კი – სილიკატური სალებავები; თანამედროვე პ. მ-ში გამოიყენება ასევე აკრილი. მხატვრობის ამავე სახეობას მიეკუთვნება მოზაიკა. პ. მ-ის უძველესი ნიმუშებია მღვიმეებსა და კლდის ზედაპირებზე შესრულებული გვიანდ. პალეოლითის ეპოქის მოხატულობები. ფართოდ იყო გავრცელებული პ. მ. ძვ. ეგვიპტეში, სადაც ტაძრებსა და სამარხებს საკულტო, ბატალური, ყოფითი თუ სხვ. შინაარსის გამოსახულებებით ამკობდნენ. ძვ. წ. II ათასწლ. მიეკუთვნება ჩინური პ. მ-ის ნიმუშები; ძვ. წ. I ათასწლ. – ურარტული, ძვ. წ. II ათასწლეულში ეგეოსურ სამყაროში შეიქმნა პ. მ., რ-იც ანტ. ფერწერის წინამორბედად არის მიჩნეული. ძვ. საბერძნეთის პ. მ-ის ნიმუშებმა ჩვენს დრომდე ნაკლებად მოაღწია, თუმცა მითოლოგიური თუ სხვა შინაარსის მრა-



ს. კედია.



კედლის მხატვრობა. ,,ქრისტეს დიდება''. დავითგარეჯა. დოდორქის მონასტერი. IX ს.

ვალრიცხოვანი მოხატულობების არსებობის შესახებ წერილობითი წყაროები გვატყობინებს. ცნობილია სახელგანთქმულ ოსტატთა სახელებიც: აპელესი, პოლიგნოტე ტასოსელი, პარასიოსი, ზევკსისი და სხვ. ფართოდ გამოიყენებოდა ჰ. მ. რომში, სადაც მას სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მოსართავად იყენებდნენ (მაგ., პომპეისა და ჰერკულანუმის ჰ. მ.). შუა აზიის ტერიტორიაზე უძველესი ჰ. მ. შესრულებულია ძვ. წ. I ს-ში (ხვარაზმი), VII–VIII სს-ში (ფენჯიკენტი, ვარახშა და სხვ.). ამ რეგიონის მომდევნო საუკუნეების მოხატულობები განსაკუთრებული დეკორატიულობით გამოირჩევა და ორნამენტული სახეებისგან არის შედგენილი. ჰ. მ-ის მრავალრიცხოვანი ნიმუშები შეიქმნა ჩინეთში (დუნხუანი, V–XI სს.), ინდოეთში (აჯანტა, VI–VII სს.), ცეილონში (V ს. მღვიმეები), კორეაში, იაპონიასა და სხვ. ჰ. მ-ით ირთვებოდა სასახლეები, ტაძრები და სხვ. ნაგებობები.

შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა რელიგ. შინაარსის ჰ. მ. (რომი, ბიზანტია, საქართველო, სერბეთი, ბულგარეთი, რუსეთი). დას. ევროპაში ჰ. მ. განსაკუთრებით გავრცელდა რომანულ ხელოვნებაში. გოთიკურ შენობებში კედლის დიდი არეების ნაკლებობის გამო ჰ. მ-ს ვიტრაჟიც დაემატა. ჰ. მ-ის განვითარებაში ახ. ეტაპი დაიწყო რენესანსის ეპოქაში. იტალ. ოსტატებმა – ჯოტომ, მაზაჩომ, პიერო დელა ფრანჩესკამ, ლეონარდო და ვინჩიმ, რაფაელმა, მიქელანჯელომ არაერთი ფერწერული შედევრი შექმნეს. ამ ხანაში რელიგიური შინაარსის გამოსახულებებთან ერთად გაჩნდა მითოლოგიურ სიუჟეტებსა და საერო თემებზე დაფუძნებული მოხატულობებიც. ბაროკოს ეპოქაში ჰ. მ-სთან ერთად ფართოდ გამოიყენება შპალერი, სარკეები; კლასიციზმის ეპოქაში ჭარბობს სიმბოლურ-ალეგორიული შინაარსისა და ჟანრული ხასიათის სიუჟეტები, ასევე პეიზაჟი. სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების შესამკობად ფართოდ გამოიყენებოდა ჰ. მ. XIX და XX სს-შიც.




კედლის მხატვრობა. ,,ჯვარცმა“. დავითგარეჯა. საბერეების მონასტერი. X ს.

საქართველოში ჰ. მ-ის ჩვენამდე მიღწეულ უძველეს ნიმუშებს მიეკუთვნება წრომის ტაძრის საკურთხევლის შემამკობელი, ქრისტეს დიდების გამომსახველი VII ს. დამდეგის მოზაიკა, ქსნის არმაზის ეკლესიის კანკელისა (864) და თელოვანის ტაძრის (VIII–IX სს.) მოხატულობის ფრაგმენტები. დავითგარეჯის მრავალმთის დოდორქის მონასტრის ეკლესიისა და საბერეების ეკლესიათა აფსიდებში ქრისტეს დიდების, თეოფანიური შინაარსის IX–X სს. გამოსახულებებია შემორჩენილი. სავარაუდოდ, IX–X სს. ეკუთვნის მაცხოვრის ეკლესიის აფსიდის მოხატულობა სოფ. ნესგუნში (სვანეთი). ამ ხანის მოხატულობებს, ზოგადად, ახასიათებს გამოსახულებათა სიბრტყობრიობა, ფორმათა ფერწერული მოდელირების უგულებელყოფა, მოუხეშავი ნახატის ექსპრესიულობა, მკვეთრ ფერთა დაპირისპირებაზე აგებული კოლორიტი და სხვ. ჰ. მ-ის განვითარების შემდეგი ეტაპი მოიცავს X ს. დასასრულს – XIII ს. ცნობილია ამ პერიოდის რამდენიმე ფერწერული სკოლა: მეფისკარის, ტაო-კლარჯეთის, დავითგარეჯის და სვანეთის. X–XI სს. მიჯნაზე მთლიანად შეიცვალა ტაძართა მოხატულობების დეკორატიული სისტემა – თუ ადრე მხატვრობა მხოლოდ ტაძრის მთავარ ნაწილებს გამოყოფდა (საკურთხეველი, ჩრდ. კედელი), ახლა ის უკვე ინტერიერის მთელ სივრცეს იკავებს. ჰ. მ. სიუჟეტურადაც გამდიდრდა – ქრისტეს დიდება საკურთხევლის კონქში ვედრებამ და აღსაყდრებული ჩვილედი ღვთისმშობლის გამოსახულებებმა შეცვალა, ძირითად სივრცეში კი მრავალრიცხოვან სახარებისეულ სიუჟეტებთან ერთად, ღვთისმშობლისა და ცალკეულ წმინდანთა, მ. შ. ქართველ წმინდანთა ნარატიული ციკლებიც გამოისახებოდა (მაგ., წმ. გიორგის, წმ. ნინოს, წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების სცენები და ა. შ.). X–XI სს. შესანიშნავ მოხატულობათა ნიმუშებია: ოთხთა ეკლესიის, ოშკის, იშხნის, ხახულის, ტბეთის (ტაო-კლარჯეთი) ჰ. მ., რ-იც ხასიათდება წერის დახვეწილი მანერით, უმდიდრესი ფერადოვნებითა და ხატებათა განსაკუთრებული სულიერებით; კუმურდოს, მანგლისის, უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრისა და სატრაპეზოს ფრესკები (დავითგარეჯა), ატენის სიო-

ნის (ე. წ. დედაქალაქური სკოლა), ზემო კრიხის (რაჭა) და სხვა მოხატულობანი ინდივიდუალურ ნიშნებთან ერთად, ზოგადად, განსაკუთრებული მონუმენტურობით, ფორმათა გამომსახველობითა და ძლიერი პლასტიკური ნახატით ხასიათდება. XII ს. დასაწყისს განეკუთვნება გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხევლის კონქის შემამკობელი ბრწყინვალე მოზაიკა ღვთისმშობლის დიდების გამოსახულებითა და იმავე ტაძრის ნართექსის მოხატულობა, რ-ზეც მსოფლიო საეკლესიო კრების ერთ-ერთი უძველესი გამოსახულებაა. ამავე ხანას განეკუთვნება შესრულების მაღალი ოსტატობითა და ექსპრესიულობით გამორჩეული მოხატულობები ზემო სვანეთში: მეფის მხატვარ თევდორეს მიერ შექმნილი იფრალი (1096), ლაგურკა (XI–XII სს. მიჯნა), ნაკიფარი (1130) და 1140 მიქაელ მაღლაკელის მიერ შექმნილი ლატალის თემის მაცხვარიშის ტაძრის მოხატულობა.

ქართული სახელმწიფოს ,,ოქროს ხანად'' ცნობილ ეპოქაში (XII–XIII სს. მიჯნა) იქმნება ბრწყინვალე ფერწერული ანსამბლების დიდი ჯგუფი, რ-იც მეტი დინამიკურობით, დეკორატიულობით, დახვეწილი, დენადი, პლასტიკური ნახატით, ფორმათა ნაზი მოდელირებით, ლირიკული ემოციურობითა და ცივი და თბილი ტონების კონტრასტზე დამყარებული, განსაკუთრებული ჟღერადობის მქონე ფერადოვნებით გამოირჩევა (ვარძია, ბეთანია, ნათლისმცემელი, ყინწვისი, ბერთუბანი). ამ მოხატულობებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც მატებს, რომ აქ ქართველ მეფეთა – გიორგი III-ის, თამარის და გიორგი-ლაშას – პორტრეტებია წარმოდგენილი.

XIII ს. II ნახ. – მონღოლთა ბატონობის პერიოდში, მიუხედავად უმძიმესი პოლიტ.-ეკონ. მდგომარეობისა, ქართულ ჰ. მ-ს განვითარება არ შეუწყვეტია. ამ ხანაში იქმნება რიგი შესანიშნავი მოხატულობებისა, რ-თა ფორმასა და შინაარსში თანაბრად აისახა როგორც ქართული მხატვრობის განვითარების წინა ეტაპებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ისე თანადროული მოწინავე ტენდენციები. ასეთია: ახტალა (II ფენა), ქობაირი, კირანცი (ისტორიული ლორე), ხარების ეკლესია (დავით-გარეჯა), საფარა, ჭულე (სამცხე), აჭის წმ. გიორგი (გურია) და ა. შ.



კედლის მხატვრობა. ,,ჯვრის ამაღლება''. იშხნის ტაძრის გუმბათის მოხატულობა. XI ს. დასაწყისი.

XIV–XV სს. ჰ. მ-ში [გელათი (მეფე დავით ნარინის ეგვტერი), უბისა, საფარა, ზარზმა, წალენჯიხა, ლიხნე, ნაბახტევი, სორი და სხვ.] მკაფიოდ ჩანს ბიზანტიაში იმ დროს გავრცელებული ე. წ. პალეოლოგიური სტილის ნიშნები. ამ ხანის მოხატულობებს ახასიათებს სიუჟეტების რაოდენობის ზრდა, სცენათა და ფიგურათა ზომის შემცირება, პერსონაჟების უფრო აქტიური და დინამიკური ქმედება, მნიშვნელოვნად გამდიდრებული და დეტალიზებული არქიტექტურული და პეიზაჟური ანტურაჟი, უფრო დაქუცმაცებული ფორმა და ა. შ., თუმცა არც ადგილობრივი მხატვრული ტრადიციებია მივიწყებული.

XVI–XVIII სს-ში ახლდებოდა ძველი მოხატულობები და მრავლად იქმნებოდა ახალიც. ათონის სკოლის მხატვრული ტრადიციების გავლენა ემჩნევა ამ პერიოდის კახეთის (მაგ., ალვანი, ახალი შუამთა, ნეკრესი, გრემი და ა. შ.), ასევე გელათის მთავარი ტაძრის ცენტრ. ნაწილისა და გელათის წმ. გიორგის ეკლესიის ჰ. მ-ს. იგი მრავლად შემოგვრჩა XVII ს-შიც [სვეტიცხოველი, გელათის ღვთისმშობლის ტაძარი (ჩრდ. ეგვტერი და ტაძრის დას. მკლავი), სამთავისი, ნიკორწმინდა, მარტვილი, შემოქმედი, ხობი (ცენტრ. ნავი), ხონის წმ. გიორგი, ბობნევი და სხვ.]. ამ პერიოდის ნიმუშები გამოირჩევა გართულებული იკონოგრაფიული პროგრამებით, ახალ სიუჟეტთა სიმრავლით, უმრავლეს შემთხვევაში, შესრულების მაღალი ოსტატობით, თუმცა უკვე პოსტ-ბიზანტიური მხატვრობისთვის დამახასიათებელი შესრულების ერთგვარი ,,სიმშრალე'' ახასიათებს.

სრულიად განსხვავებულ მიმართულებას განეკუთვნება XVI ს-ში შექმნილი ე. წ. ,,ხალხური'' მოხატულობების ჯგუფი (ჭალა, გელათის წმ. ელია, ილემი, ქორეთი, ბუგეული, ფარახეთი, კალაური, ტაბაკინი და ა. შ.), რ-იც პროფესიულ მოხატულობებთან შედარებით, შესრულების ნაკლები ოსტატობით ხასიათდება, თუმცა განსაკუთრებული უშუალობით, ნათელი, ხალისიანი ფერადოვნებითა და ორნამენტული სამკაულის სიუხვითაა გამორჩეულად მიმზიდველი.

XIX ს. I ნახ. მოხატულობებით (ბოდბე, სამთავროს წმ. ნინოს მცირე ტაძარი, მუხრანის ეკლესია და ა. შ.) არსებითად სრულდება შუა საუკუნეების ქართული ჰ. მ-ის ისტორია. ამ პერიოდის მხატვრობას უკვე რუს. და ევრ. ნიმუშების გავლენის კვალი ემჩნევა.

თანამედროვე ჰ. მ-ის აღორძინება XX ს. 50–80-იან წლებში დაიწყო. ქართველ მხატვრებს საშუალება მიეცათ მოეხატათ სხვადასხვა დანიშნულების შენობები, მ. შ. ეკლესიები. 40-იანი წლების ბოლოს ლ. *გუდიაშვილმა* დაიწყო ქაშვეთის ეკლესიის მოხატვა (მოიხატა მხოლოდ საკურთხეველი), 80-იან წლებში ა. *ბანძელაძემ* მოხატა დიდუბის ეკლესია, ლ. *ცუცქირიძემ* – სიონის საკათედრო ტაძრის ნაწილი. მოხატულობით შეიმკო ასევე სხვადასხვა საჯარო სივრცეები: თსუ-ის სააქტო დარბაზის ჰოლი (კ. *მახარაძე*), რიტუალების სასახლე (ზ. *ნიჟარაძე*), ქართული ენციკლოპედიის ფოიე, ფუნიკულიორის ზედა სადგური (ორივე ნ. იგნატოვი) და სხვ. საეკლ. და საერო ნაგებობების ჰ. მ-ით შემკობის

ტრადიცია XXI ს-შიც გაგრძელდა. აღსანიშნავია ი. ცინცაძის, დ. ხიდაშელის, გ. მაღლაკელიძის, ა. გოგლიძის თუ სხვათა საეკლ. მოხატულობები, ასევე გ. *ბულაძის მიერ* სხვადასხვა საჯარო სივრცისთვის (თსუ-ის ბიბლიოთეკის პლაფონი, პარლამენტის სხდომათა დარბაზი, ბათუმის პიაცა და ა. შ.) შექმნილი ჰ. მ-ის ნიმუშები და სხვ.

ლიტ.: ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961; გელათი-900, თბ., 2007; დავით-გარეჯის მონასტრები. ლავრა, უდაბნო, გამოსაცემად მოამზადეს მ. ბულიამ და დ.თუმანიშვილმა, თბ., 2008; დავითგარეჯის მონასტრები. ნათლისმცემელი, ბერთუბანი, გამოსაცემად მოამზადეს მ. ბულიამ და დ. თუმანიშვილმა, თბ., 2010; დიდებულიძე მ., ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის ფერწერული ანსამბლის მხატვრული სახე, თბ., 2006; ვირსალაძე თ., ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1986; მისივე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან, თბ., 2007; სხირტლაძე ზ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა. თელოვანის ჯვარპატიოსანი, თბ., 2008; მისივე, ოთხთა ეკლესიის ფრესკები, თბ., 2009; ქართული ქრისტიანული ხელოვნება, რედ.: დ. თუმანიშვილი, მ. დიდებულიძე, ქ. მიქელაძე, თბ., 2008; Аладашвили Н., Алибегашвили Г., Вольская А., Живописная школа Сванети, Тб., 1983; Алибегашвили Г., Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979; Вирсаладзе Т., Избранные труды, Тб., 2007; Вольская А., Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974; мисивэ, Роспись пещерных монастырей Давид Гареджи, კრ.: გარეჯი, თბ., 1988; Лордкипанидзе И., Роспись в Цаленджиха, Тб., 1992; Привалова Е., Роспись Тимотесубани, Тб., 1980; Philippot P., Die Wandmalerei, W.– München., 1972. *მ. ბულია.*

კევლიანი, სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტის ცხვარიჭამიას თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), იალნოს ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. თეზმის (არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1180 *მ,* მცხეთიდან 28 *კმ.* 57 მცხ. (2014).

სოფლის დას-ით, ოთხიოდე *კმ*-ზე, ტყიან მთაზე დგას სამეკლესიანი ბაზილიკა, ე. წ. ბნელა საყდარი, რ-იც ადრინდ. შუა საუკუნეების მიწურულით თარიღდება. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ტყის პირას, ადრინდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიაა. სოფლიდან დაახლ. 3 *კმ*-ზე, ტყიან ფერდობზე დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (გვიანდ. შუა საუკუნეები), ამ უკანასკნელის დას-ით კი – იმავე პერიოდის კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

კევლიშვილი გიორგი ევსევის ძე (11. IV. 1920, თბილისი, – 14. III. 1995, იქვე), ჰემატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1972). 1942 დაამთავრა თსსი. 1943-იდან იყო ევაკოჰოსპიტლების წამყვანი ქირურგი, 1948-იდან – ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი, ამავე ინ-ტში – ძვლის ტვინის და ქსოვილთა კონსერვაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1951–61), ტრანსფუზიოლოგიის განყ-ბის გამგე (1969–74, 1983–92), დირექტორი 1974–83.

ჰ. იყო მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 3 მონოგრაფიის, 2 გამოგონების და 2 რაციონალური წინადადების ავტორი.

კევრი [სკვერი (რაჭა, ქვემო ქართლი), კიავირ (სვანეთი)], პურეულის სალეწი იარაღი. ტრაპეციის ან სამკუთხედის ფორმისაა. შეკრულია გათლილი ფიცრებისაგან. გვხვდება ,,ერთიანი'' – ცალფიცრიანი ან ერთ ხეში გამოყვანილი ,,ორიანი'' – ორფიცრიანი და სამფიცრიანი ჰ. აგებულებითა და დამზადების ტექნიკით ცნობილია თავიანი (თავაწეული, ნავიანი) ან სწორი (ბრტყელი, უთავო). მისი ძირი ქვით ან ქვითა და რკინით (კაჟისა და რკინის ნატეხები) არის მოკოხილი (რკინა თავთავს ჭრიდა, ქვა კი ბუდიდან მარცვალს ფშვნეტდა). ჰ-ში აბამდნენ ხარს ან ცხენს. საქართველოში ჰ-ის გავრცელების არეები დაკავშირებული იყო ხორბლის გარკვეულ ჯიშებთან. ,,ქართული კევრი'' ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და დას. საქართველოს ზოგიერთ ოლქში იყო გავრცელებული, ,,თრიალეთური'' – უმთავრესად კახეთში და ა. შ. სამხრ. კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში ჰ. ცნობილია ძვ. წ. I ათასწლეულიდან. განათხარი ჰ-ის ნაშთები აღმოჩენილია ხოვლეგორაზე (ძვ. წ. XI–IX სს.), მცხეთაში (ძვ. წ. VII–VI სს.), უფლისციხეში (ანტიკური ხანა), კავთისხევში (გვიანდ. ფეოდ. ხანა) და სხვ.

ლიტ.: გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962; მენთეშაშვილი ს., კევრი, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1936, ტ. 9B; ჩუბინიშვილი ტ., მიცვალებულის კევრზე დასაფლავება სამთავროში, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1951, ტ. 12, № 1.

გ. გასიტაშვილი.

კევრული, იხ. *კალოური* და *ოროველა.*

კეზელი თამარ ალექსანდრეს ასული (9. XII. 1909, დუშეთი, – 25. XII. 1996, თბილისი), ბიოლოგი, მცენარეთა ფიზიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნიერების დამს. მოღვაწე (1979). იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის ბოტანიკის ინ-ტის ბიოაქტიურ ნივთიერებათა ლაბორატორიის გამგე. მისი გამოკვლევები ეხება ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. ძირითადად შეისწავლიდა ვიტამინებს, მათ როლს და მნიშვნელობას მცენარეების ცხოველმოქმედებისათვის (ვეგეტატიური გამრავლება, ვაზის და სხვა კულტურების ქლოროზი, ყინვაგამძლეობა და სხვ.). გამოავლინა საქართველოს ფლორის რიგი პოლივიტამინური მცენარეები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Витамины в растениях Грузии, Тб., 1966.

კეთილარი, სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშ-გურიის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., გაღმა კოდორი, გულეიკარი). ზ. დ. 15 *მ,* აბაშიდან 9 *კმ,* ჯვაპანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6,5 *კმ.* 377 მცხ. (2014).

კეთილაური, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში. ზ. დ. 25 *მ,* სამტრედიიდან 18 *კმ,* დაფნარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ.* 57 მცხ. (2014).

კეთილაძე კონსტანტინე ერემიას ძე (10. XI. 1919, ტყიბული, – 20. IX. 1996, თბილისი), შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი (1975). სსრკ შსს დამსახურებული მუშაკი (1964). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1952-იდან მსახურობდა საქართვ. სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. იყო აჭარის ასსრ შს მინისტრი (1962–65), თბილისის შსს სამმართველოს უფროსი (1965–70), საქართვ. შს მინისტრი (1972–79). *ლ. დოლიძე.*

კეთილაძე სერგო პოლიკარპეს ძე (17. V. 1910, ზესტაფონი, – 1. IV. 1942, ლიუბანი, ლენინგრადის ოლქი), საბჭოთა კავშირის გმირი (10. II. 1943, სიკვდილის შემდეგ), მაიორი. 1941 დაამთავრა მ. ვ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია. მონაწილეობდა ხასანის ტბასთან იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში (1938). II მსოფლიო ომის

(1939–45) დაწყებისთანავე ჩაება ბრძოლებში. ლენინგრადის მისადგომებთან (ლიუბანთან) ბრძოლის დროს (1942 წ. 18 მარტი – 1 აპრილი) მეთაურობდა 32-ე ცალკე მსროლელ ბრიგადას, რ-მაც ჩაშალა მოწინააღმდეგის ყველა მცდელობა, დაეკავებინა ამ შენაერთის პოზიციები. ჰ. ბრძოლის დროს დაიღუპა. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. დაკრძალულია ქ. ვოლხოვის (ლენინგრადის ოლქი) ძმათა სასაფლაოზე.

ლიტ.: Герои Советского Союза, т. 1, М., 1987. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus), ძუძუმწოვარი წყვილჭლიქოსან ცხოველთა რიგიდან, ირმისებრთა ოჯახიდან. სახეობა იყოფა 15 ქვესახეობად: კავკასიური, ევროპული, ბუხარული, მარალი, ვაპიტი და სხვ. სხეულის სიგრძე – 2,3 *მ*, ნიდაოში – 1,6 *მ*, მასა – 350 *კგ*. ზედა მხარე ყავისფერი აქვს, წითური ან მოყვითალო ელფერით, ქვედა – უფრო მკრთალი; ყელსა და თავს დაჰკრავს მორუხო ელფერი, კუდის ქვეშ აქვს დიდი თეთრი ლაქა. ზამთრობით მთელ სხეულს მორუხო ელფერი დაჰკრავს. ნუკრებს თეთრი ხალები აქვთ, რ-ებიც ზრდასრულ ასაკში უქრებათ. კავკასიურ ქვესახეობას (C. maral) ხალები ზოგჯერ რუდიმენტის სახით შეიძლება შერჩეს. ირემი 20 წლამდე ცოცხლობს. რქები მხოლოდ ხარირემს აქვს (ქვესახეობიდან გამომდინარე სხვადასხვა რაოდენობის ტოტებით – 2–10). გამრავლების პერიოდის (ხურაობა, მყვირალობა) შემდეგ, გაზაფხულზე რქები სცვივა და შემდგომ ისევ ამოსდის. ახალგაზრდა მამრებს მცირე რაოდენობის ტოტები აქვთ, 5–12 წლის ასაკში მათი რაოდენობა და რქების სისქე მაქსიმუმს აღწევს, შემდეგ ტოტების რაოდენობა იკლებს და რქები სუსტდება. მყვირალობა აგვისტოდან თებერვლამდე შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში სექტემბერ-ნოემბერზე მოდის. მრავლდება წელიწადში ერთხელ.

ჰ. ი. გავრცელებულია ევროპაში, ჩრდ. და ცენტრ. აზიაში, ჩრდ. ამერიკაში; აფრიკაში მხოლოდ ტუნისში შემორჩა. ინტროდუცირებულია ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ჩილესა და არგენტინაში. კავკასიაში ბრაკონიერობისა და ადგილსამყოფლის დეგრადაციის გამო უმეტესად გამქრალია. შემორჩენილია მხოლოდ დაცულ ტერიტორიებზე და მთიან დაღესტანში. საქართველოში გვხვდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ლაგოდეხის ნაკრძალში, ძალიან მცირე რაოდენობით – გარდაბნის აღკვეთილში. ერთეულების სახით ზოგჯერ გვხვდება თრიალეთის ქედზე, ასევე თუშეთის ეროვნულ პარკში, სადაც დაღესტნიდან გადმოდის.



კეთილშობილი ირემი.

გვხვდება ფოთლოვან, ნათელ და ჭალის ტყეებში, სუბალპებსა და ალპებში, სადაც ზაფხულობით ადის. იკვებება მცენარეული საკვებით, ეტანება სამარილეებსა და მინერალებით მდიდარ მიწას, რ-საც ჭამს კიდეც.

ჰ. ი. შესულია ,,საქართველოს წითელ ნუსხაში'', როგორც გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი ტაქსონი (CR).

ა. ბუხნიკაშვილი.

კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, დახურული ტიპის პრივილეგიური სასწავლებლები თავადაზნაურთა ქალიშვილებისათვის რევოლუციამდელ რუსეთში. პირველი ასეთი ინ-ტი 1764 გაიხსნა პეტერბურგში (შემდგომ – სმოლნის ინ-ტი), ხოლო XIX ს. I ნახევარში – მოსკოვში, ხარკოვში, ოდესაში, კიევში, ორენბურგში, ქერჩში, ნოვოჩერკასკში, თბილისსა (იხ. *ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი*) და სხვა საგუბერნიო ქალაქებში. ჰ. ძ. ი. გაუქმდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

ვ. გაგუა.

,,კეისრული'', დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, გურია) ფართოდ გავრცელებული პოლიფონიური (სამხმიანი), მხნე, ომახიანი სიმღერა. ასრულებს მამაკაცთა გუნდი. ხმათა რთული კონტრაპუნქტული შეხამებითა და მკვეთრი რიტმით ,,ჰ.'' *ლაშქრულს* ჩამოგავს.

ლიტ.: კოკელაძე გრ. (შემდგ.), ქართული ხალხური სიმღერა, I, თბ., 1979; ჭუმბურიძე ელ. (შემდგ.), ქართული ხალხური სიმღერების კრებული (იმერეთი), თბ., 1971. *გ. ჩხიკვაძე.*

კეკავმენოსი (Kekaumenos) (დაახლ. 1020–81-ის შემდეგ), ბიზანტიელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. მამის მხრიდან ტაოელი ქართველი (სხვა მოსაზრებით – სომეხი), დედით ბულგ. ვოევოდას შთამომავალი. სიბერის ჟამს გაიტაცა მწერლობამ. მისი თხზ. ,,სტრატეგიკონი'' წარმოადგენს სხვადასხვა შრომების კრებულს (,,რჩევები იმპერატორს'', ,,რჩევები ტოპარქოსს'' და სხვა) მასში ავტორი იძლევა დარიგებებს როგორც სამხედრო ხელოვნების, ისე საყოფაცხოვრებო საკითხებზე, მაგრამ მისი მთავარი ღირებულებაა ის ცნობები, რ-ებიც ეხება ბიზანტიის ურთიერთობას სხვადასხვა ხალხებთან, კერძოდ, ბიზანტიის სახელმწიფო საქმეებს ბასილი II-ის (976–1025) დროიდან ვიდრე რომანოზ IV დიოგენემდე (1067–71). ჰ. გვაწვდის ცნობას იბერიის მძიმე გადასახადებით დაბეგვრის შესახებ: ,,უსათნოესი მეფის მონომახოსის დროს იყო, რომ იბერიასა და მესოპოტამიაში გაემგზავრა მეფის ბრძანებით სერვლია (გადასახადის ამკრეფი), რომ მოეხდინა იქ აღწერა და დაედო ისეთი მძიმე გადასახადები, რომლებიც არასდროს არ ჰქონიათ მათი ქვეყნის მცხოვრებლებს და ამით აიძულა ისინი მთელი კომლებით გადასულიყვნენ სპარსელთა მეფის მხარეზე. ამიტომ მოხდა, რომ მათ სპარსთა მეფე წამოიყვანეს დიდძალი ჯარებით რომანიის წინააღმდეგ''.

ლიტ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963. *ლ. მანიავა.*

კეკელია მიხეილ მიხეილის ძე (23. IX. 1927, სოფ. ნაბაკევი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 31. III. 1993, თბილისი), იურისტი, ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი. იურიდ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1978). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1951). 1951–67 მუშაობდა საქართვ. პროკურატურის ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობაზე. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტზე (1967–93). იყო საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული ეროვნ. ტრადიციათა პრობლემების სამეცნ. საკოორდინაციო ცენტრისა და ამ ცენტრთან მისივე თაოსნობით დაარსებული ,,ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის'' ხელმძღვანელი (1990–93). ჰ-ს რედაქტორობით 1988–93 ოთხ ტომად გამოიცა სამეცნ. კრებული ,,ქართული ჩვეულებითი სამართალი''.

ძირითადად იკვლევდა XVIII ს. II ნახევრისა და XIX ს. I ნახევრის საქართვ. სამეფო-სამთავროების სასამართლოს ორგანიზაციის, სასამართლო პროცესისა და მტკიცებულებათა საკითხებს. განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ქართ. ჩვეულებითი სამართ. შესწავლის საქმეში. აწყობდა საველე-ეთნოგრ. ექსპედიციებს საქართვ. სხვადასხვა კუთხეში (სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი, სამეგრელო, აჭარა, მესხეთი და სხვ.), რის შედეგადაც მოიპოვა უნიკალური მასალა ქართ. ჩვეულებითი სამართ. ცალკეულ ინტებზე.

თხზ.: სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, [ტ.] 1–2, თბ., 1970–81; ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის, თბ., 1982; ეროვნული ტრადიციების სოციალური ფუნქცია, თბ., 1989; Древнегрузинское законодательство, суд и судебный процесс, Тб., 1986. *გ. დავითაშვილი.*



კ. კეკელიძე.

კეკელია ჯანსუღ იოსების ძე (14. II. 1935, თბილისი, – 25. IX. 2013, იქვე), გეოგრაფ-კარტოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1996). საქართვ. კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი (1999). 1961 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლოგიის ფაკ-ტი. 1962-იდან მუშაობდა თსუ-ის გეომორფოლოგიის კათედრაზე ტექნიკოს-კარტოგრაფად, 1972-იდან – დოცენტად, 1996-იდან – პროფესორად.

1989-იდან ხელმძღვანელობდა თსუ-ის გეოსისტემათა კარტოგრაფიული მოდელირების სამეცნ.-კვლევით ცენტრს, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა და გამოსაცემად მომზადდა ,,საქართველოს სამედიცინო-გეოგრაფიული ატლასი'', ,,ონკოლოგიურ სნეულებათა ნოზოლოგიური ატლასი'' და ,,საქართველოს სოციალური ატლასი''.

1996-იდან მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტში კარტოგრაფიისა და აეროკოსმოსური კვლევის მეთოდების განყ-ბის გამგედ. კ-მ საფუძვლიანად გამოიკვლია კარტოსემიოტიკური და პალეოკარტოგრაფიული კვლევის პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 160-მდე სამეცნ. ნაშრომი, რებიც ეძღვნება კარტოგრაფიულ ნიშანთა ზოგადი თეორიის (კარტოსემიოტიკის), ,,რუკის ენის'' ტერმინოლოგიური სისტემის კვლევას. 1992 ორგანიზებულ საერთაშ. სამეცნ. სემინარის კრებულებში ,,კარტოსემიოტიკა'' ფართოდ იყო გაშუქებული კ-ს მიერ დამუშავებული კარტოსემიოტიკისადმი მიძღვნილი საკითხები.

კ. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თსუ-ში (გეოდეზიაში, მათ. კარტოგრაფიასა და კარტომეტრიაში). იყო საერთაშ. კარტოგრაფიული ასოციაციის წევრი კარტოსემიოტიკის კომისიაში. მონაწილეობდა საქართვ. ტერიტორიის სახელმწ. საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამუშაოებში.

თხზ.: კარტომეტრია (სახელმძღვანელო), თბ., 1982; კარტოსემიოტიკა, კარტოგრაფიულ ნიშანთა თეორიის ზოგადი საკითხები, თბ., 1998.

ც. ვაშაკიძე.

კეკელიძე გიორგი ზურაბის ძე (დ. 10. IV. 1984, ქ. ოზურგეთი), პოეტი, პროზაიკოსი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (2009). 2006–08 მუშაობდა რუსთავის №2 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ქართ. ენისა და ლიტ-რის პედაგოგად. დააარსა და იყო მთ. რედაქტორი (2006–12) ელექტრონული ბ-კისა ,,Lib.ge''; ასევე თსუ-ში დააარსა გაზეთი (მოგვიანებით ჟურნალი) ,,ლილ''. 2010-იდან კითხულობს ლექციებს თავისუფალ უნ-ტში, 2011–14 – აგრარულ, 2017-იდან კი – შავი ზღვის უნ-ტში, 2010–12 იყო ,,ახალ არხზე'' (ტელეკომპანია ,,რუსთავი-2-ის'' საგანმანათლებლო არხი) თავისუფალი უნ-ტისა და ,,Lib.ge-ს'' ტელეგადაცემა ,,ინტერპრეტაციის'' წამყვანი და ავტორი. 2012-იდან არის საქართვ. პარლამენტის ეროვნ. ბ-კის დირექტორი.

ჯ. ავტორია პოეტური კრებულებისა: ,,ოდები'' (2008), ,,პოეზია 2008–2013''; პოემისა ,,ყორანი'' (2011); ასევე პროზაული ნაწარმოების ,,გურული დღიურები'' (2014). ნათარგმნი აქვს ავსტრიელი პოეტების ლექსები, მსოფლ. ლიტ. ზღაპრების კრებ. ,,ჯადოსნური კარი'', ს. დორენკოს ,,რომანი 2008''. მიღებული აქვს ლიტ. პრემია ,,საბა'' კრებულისათვის ,,ოდები'' (2009), ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის პრემია ,,ოქროს ფრთა'' ლიტ., ტელე- და ინტერნეტპროექტებისათვის ,,ინტერპრეტაცია და ლიტარეა'' (2012), მუშვინგის საერთაშ. ლიტ. პრემია (2013), წინანდლის ლიტ. პრემია კრებულისათვის ,,პოეზია 2008–2013'' (2015), გ. რჩეულიშვილის პრემია ,,გურული დღიურებისათვის'' (2015).

კეკელიძე ვლადიმერ დიმიტრის ძე [დ. 21. X. 1947, რიგა (ლატვია)], ფიზიკოსი. ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი (1970). 1970–90 მუშაობდა თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1990–2007 იყო ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინ-ტში (ბგგი, დუბნა, რუსეთი) ნაწილაკთა ფიზიკის ლაბორატორიის სექტორის ხელმძღვანელი, შემდეგ – დირექტორი, 2007–08 – მაღალი ენერგიების ლაბორატორიის დირექტორი; 2009-იდან მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორია. მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა მრავალ საერთაშ. ექსპერიმენტს. კვლევის ძირითადი მიმართულებაა მაღალი ენერგიების ფიზიკა და ელემენტარული ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკა. შესრულებული აქვს უნიკალური სიზუსტის გაზომვები, რ-ებმაც დაადასტურა სტანდარტული მოდელის სამართლიანობა. ხელმძღვანელობს ბგგი-ის საერთაშ. პროექტს NICA, რ-ის მიზანია ცხელი და ზემკვრივი ჰადრონული მატერიის თვისებების შესწავლა მისი ფაზური გადასვლების არეში. მიღებული აქვს საქართვ. სახელმწ. პრემია (1986) მეცნიერებასა და ტექნიკაში, ბგგი-ის 10 სამეცნ. პრემია და სამთავრობო ჯილდოები.

თხზ.: Observation and study of a narrow state in a $\Sigma^-(1{,}385)K^+$ system (თანაავტ.), «Zeitschrift für Physik», C Particles and Fields, 25(3), 1984; NICA at JINR: New prospects for exploration of quark-gluon matter (თანაავტ.), «Physics of Atomic Nuclei», 75(5), 2012; Three stages of the NICA accelerator complex, «The European Physical Journal», A, 52 (211), 2016 (თანაავტ.).

კეკელიძე ივანე გრიგოლის ძე [18(31). X. 1903, სოფ. ტობანიერი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 2. XI. 1973, თბილისი], მეტალურგი. 1931 დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტი. მანგანუმიანი შენადნობების გამოდნობის ახ. ტექნოლ. დამუშავებისა და დანერგვისათვის სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა სტალინური პრემია (1951). მიღებული აქვს მრავალი სახელმწ. ჯილდო, მ. შ. 2 ლენინის ორდენი.

კეკელიძე კორნელი სამსონის ძე [18(30). IV. 1879, სოფ. ტობანიერი, ვანის მუნიციპალიტეტი, – 7. VI. 1962, თბილისი], ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1943). 1905-იდან იყო წინამძღვარი ქუთაისის წმ. მიხეილის ეკლესიაში, შემდეგ – დე-

კანოზი. სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში. 1904 დაამთავრა კიევის სას. აკადემია. 1905–06 მას წავლებლობდა ქუთაისსა და თბილისში. მონაწილეობდა საეკლ. მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის მუშაობაში. 1916 დაინიშნა თბილ. სას. სემინარიის რექტორად. პ. იყო *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის* ერთ-ერთი დამაარსებელი. ივ. ჯავახიშვილმა პ-ს შესთავაზა ძვ. ქართული ლიტ-რის ისტორიის კათედრის დაარსება და დეკანის თანამდებობა. პ. თვლიდა, რომ ეს თანამდებობა და სას. წოდება შეუთავსებელი იყო, ამიტომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს თანხმობით დათმო სას. წოდება და 1918-იდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ძვ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის კათედრას. იყო სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის დეკანი (1919–25), სასწ.-სამეცნ. ნაწილის პრორექტორი (1926–30), ხელმძღვანელობდა თსუ-თან არსებულ სიძველეთსაცავს (1921–30), ქუთ. პედ. ინ-ტის ქართ. ლიტ-რის ისტორიის კათედრას (1933–36), განაგებდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტს (1942–49). სხვადასხვა დროს იყო განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი და სახელმწ. სამეცნ. საბჭოს თავ-რის მოადგილე; საქართვ. და ამიერკავკ. ცაკის წევრი (1927, 1929).

პ-ის პირველი სამეცნ. ნაშრომი ,,ახალი საგალობლები აბო თბილელისა'' 1905 ჟურნ. ,,მწყემსში'' (№13, 14) დაიბეჭდა. 1907 გადამუშავებული საკანდიდატო ნაშრომისათვის ,,ლიტურგიკული ქართული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და მათი მეცნიერული მნიშვნელობა'' (რუს. ენაზე, ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში, 1908) მიენიჭა მაგისტრის ხარისხი. 1905–12 თანამშრომლობდა სამეცნ. ჟურნალთან ,,კიევის სასულიერო აკადემიის შრომები'', 1912–17 – რუსეთის მეცნ. აკად. ორგანოსთან ,,ქრისტიანული აღმოსავლეთი'' (,,Христианский Восток'').

სამეცნ. ასპარეზზე გამოსვლისთანავე პ-ს მძიმე სამუშაოს შესრულება მოუხდა არქივებსა და სიძველეთსაცავებში, კერძო მეპატრონეთა კოლექციებში; ძვ. ქართ. ლიტ. მემკვიდრეობის დიდი ნაწილი სრულიად ხელუხლებელი იყო. მან დიდი ამაგი დასდო ქართ. ხელნაწერების გამოვლენის, შეგროვებისა და აღწერილობის საქმეს. პ-ის ადრინდ. სამეცნიერო ნაშრომებმა (,,იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა'', რუს. ენაზე, 1912, მ. ნ. ახმატოვის სახ. პრემია; ,,ძველი ქართული არქიერატიკონი'', რუს. ენაზე, 1912) მრავალ უცხოელ მეცნიერს აღუძრა ინტერესი ქართ. მწიგნობრობისადმი. პ-მ მეცნიერულად აღწერა გელათსა (1905) და სვანეთში (1911) დაცული ქართ. ხელნაწერები. 1948–54 გამოქვეყნდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობათა რამდენიმე ტომი პ-ის საერთო რედაქციით. განუზომელია პ-ის ღვაწლი ტექსტოლოგიაში: 1918 და 1946 გამოსცა ქართ. ჰაგიოგრაფიული თხზულებების კიმენურ რედაქციათა ორტომეული (პ. პეეტერსმა აქ გამოქვეყნებული ტექსტების ერთი ნაწილი ლათინურად თარგმნა), 1930 – ნ. ციციშვილის ,,შვიდი მთიები'', 1935 – იოანე საბანისძის ,,აბო თბილელის წამება'' და ბასილი ზარზმელის ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება'', 1936 და 1948 – იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობის'' ორტომეული (თანარედაქტორი ა. ბარამიძე), 1938 – ,,ვისრამიანი'' (თანარედაქტორები ა. ბარამიძე და პ. ინგოროყვა), 1941 – ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი'' და სხვ.

პ-ის დიდმა ერუდიციამ, ძვ. ქართ. მწერლობის როგორც ზოგად, ისე ვიწრო სპეც. საკითხებში ღრმა განსწავლულობამ განაპირობა ძვ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ფუნდამენტური ორტომეულის შექმნა (1923–81 გამოიცა რამდენჯერმე). ორტომეულის საფუძველზე პ-მ შექმნა ,,ძველი ქართული ლიტერატურის კონსპექტური კურსი'' (რუს. ენაზე, 1938, 1955 რომში გერმ. ენაზე გამოქვეყნდა მ. თარხნიშვილისა და ი. ასფალგის მიერ გადამუშავებული პ-ის ორტომეულის I ტომი).

პ-მ თავიდანვე განსაზღვრა ძვ. ქართ. ლიტ-რის შესწავლის დიდი მნიშვნელობა როგორც საკუთრივ ქართ. კულტ. ისტორიის, ისე მსოფლიო საქრისტიანო კულტ. ისტორიის თვალსაზრისით. იგი იკვლევდა ქართ.-ბიზანტ., ქართ.-სპარს. ლიტ. ურთიერთობებს, ძვ. ქართ. ლიტ-რისა და ხალხ. სიტყვიერების ურთიერთმიმართების საკითხებს. პ-მ დიდი ამაგი დასდო ქართ. ისტორიოგრაფიასაც, აქვს საგანგებო გამოკვლევები ძვ. ქართ. დამწერლობის, ქართ. წელთაღრიცხვისა და კალენდრის, ძვ. ქართ. სტამბისა და ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტორიის, ძვ. ქართ. ლიტ-რაში მთარგმნელობითი მეთოდისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მისმა ნაშრომებმა აამაღლა და განამტკიცა ქართ. ფილოლ. მეცნიერების პრესტიჟი მთელ მსოფლიოში. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართვ. მეცნიერთა კადრების აღზრდაშიც.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნტის ეზოში.

თხზ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1–13, თბ., 1945–74; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1–2, თბ., 1960, 1958.

ლიტ.: ალიბეგაშვილი კ., დეკანოზ კორნელი კეკელიძის ბიბლიოგრაფია, თბ., 2013; ბარამიძე ა., ჩვენი დიდი მეცნიერი, თბ., 1979; დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე. კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1965; კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად. [კრებული], თბ., 1959; კორნელი კეკელიძის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინა რ. კავილაძემ, თბ., 1979; კორნელი კეკელიძე (1879–1962), ბიობიბლიოგრაფია. შემდგ. ს. ყუბანეიშვილი, ე. დოლიძე, მთ. რედ. შ. ძიძიგური, თბ., 1979.

ა. ბარამიძე.

კეკელიძე მიხეილ ალექსის ძე [26. VII (8. VIII). 1911, სოფ. ზემო სურები, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 12. III. 1973, თბილისი], მეტალურგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1959), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის ქიმ.-ტექნოლ. ფაკ-ტი (1937). მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში (1937–38), პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1938–41), საქართვ. მეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინ-ტში (1945–51), საქართვ. მეცნ. აკად. მეტალურგიის ინ-ტში ხელმძღვანელობდა პირომეტალურგიის ლაბორატორიას (1951–73), 1957–69 ამავე ინ-ტში იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში.

პ-ის შრომები ეხება საქართველოში მანგანუმისა და რკინის მადნების შესწავლას და წარმოებაში მათი გამოყენების საკითხებს, აგრეთვე ფეროშენადნობთა წარმოების პროგრესული ტექნოლ. სქემების დამუშავებას.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: წარმოების მართვის თანამედროვე პრობლემები, თბ., 1974.

კეკელიძე მიხეილ ერმილეს ძე (11. II. 1921, თბილისი, – 22. XI. 1973, იქვე), სპორტსმენი, კალათბურთელი, მწვრთნელი. სსრკ დამს. მწვრთნელი (1957). დაამთავრა თსუ (1944). თამაშობდა თბილისის გუნდებში – ,,ნაუკასა'' (1939–41) და ,,დინამოში'' (1947–51). სსრკ ჩემპიონატების მეორე (1947) და მესამე (1948) პრიზიორი. სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1949–50). იყო საქართველოს იუნიორთა ნაკრებისა (1947–65) და სპი-ის გუნდის მთ. მწვრთნელი (1950–71). მისი ხელმძღვანელობით იუნიორთა ნაკრებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა (1957), სპი-ის გუნდმა კი სსრკ-ის არაერთი სტუდენტური ტურნირი მოიგო. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული საკალათბურთო ტერმინოლოგიის შექმნასა და დანერგვაში. პ. საქართველოში კალათბურთელ ბავშვთა ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი იყო.



კელაპტარა.

კეკელიძე ნოდარ პროკლეს ძე (დ. 15. IV. 1930, სოფ. ჩოხატაური, ახლანდ. დაბა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ცენტრი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1984). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1955). 1961-იდან მუშაობს თსუ-ში სხვადასხვა ლაბორ. და კათედრის ხელმძღვანელად. 1984–85 იყო თსუ-ის სამეცნ. ნაწილის გამგე, 1985–93 – პრორექტორი საბუნებისმეტყველო მეცნ. დარგში; თანამშრომლობს სოხუმის ი. ვეკუას ფიზ.-ტექ. უნ-ტთან, ფ. თავაძის სახ. მეტალ. და მასალათმცოდნეობის ინ-ტთან და სხვა სამეცნ. ცენტრებთან. 2009-იდან არის თსუ-ის ნივთიერებათა კვლევის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი.

პ-ის კვლევის ძირითადი სფეროა ნახევარგამტარებისა და მყარი სხეულების ფიზიკა, ტექნოლოგია, ელექტრონიკა, მასალათმცოდნეობა, რადიაციული ფიზიკა, ფიზ. მეთოდები ეკოლოგიაში. მის მიერ აღმოჩენილია მესრის ორმოდიანი რხევის მოვლენა InP-InAS მყარ ხსნარებში, რ-ებიც გამოიყენება მიკრო- და ოპტოელექტრონიკაში. მონაწილეობდა მრავალ საერთაშ. სამეცნ. ფორუმში.

პ-ს მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის პრემია (1990), ლაიფციგის გამოფენის ოქროს მედალი და დიპლომი (1977), ივ. ჯავახიშვილის მედალი (2000), ღირსების ორდენი (2013).

თხზ.: Lattice Vibrations of In As_xP_{1-x} solid solutions, «Journal of Phys. Chem. Solids», v. 34, 2117, 1973 (თანაავტ.); Optical Absorption near the Threshold in *n*-Type InP, InAs Crystals and their InP_xAs_{1-x} solid solutions, «Physics Letters», 1972, v. 42, №2 (თანაავტ. G. Kekelidze).

კეკელიძე პროკლე ლევარსის ძე (15. III. 1905, სოფ. იანეული, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 23. VI. 1990, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1956-იდან იყო თსუ-ის ახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. კათედრის გამგე. მისი ნაშრომები ეხება ა. წერეთლის შემოქმედებასა და საშუალო სკოლებში ქართ. ენის სწავლების საკითხებს. ძირითადი გამოკვლევები: ,,ქართული ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში'' (1952), ,,აკაკი წერეთელი'' (1953), ,,აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები: თორნიკე ერისთავი, ნათელა. ტექსტოლოგიური გამოკვლევა'' (1961).

კეკუა დავით ვახტანგის ძე (16. X. 1964, ქუთაისი,– 25. X. 2007, თბილისი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2004). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1992), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (1998). 1986-იდან მუშაობდა შსს ორგანოებში. იყო შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განყ-ბის (1995–97), შემდეგ – სამმართველოს უფროსი (1997–98), თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, კრიმინალური პოლიციის უფროსი (2001–04); გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს უფროსი (2004–05); საქართველოს შსს გენ. ინსპექციის უფროსის მოადგილე (2005). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1999). *ლ. დოლიძე.*

კელაპტარა (Orobanche), მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი უქლოროფილო პარაზიტი მცენარეების გვარი კელაპტარასებრთა ოჯახისა. ღეროს სიმაღლე 50 *სმ* აღწევს. ფესვები გადაქცეული აქვს მოკლე ხორცოვან მისაწოვრებად – ჰაუსტორიებად, რითაც ისინი ეხებიან მასპინძელი მცენარის ფესვებს და იჭრებიან შიგნით. მცენარეს აქვს თეთრ-რუხი, მოყვითალო, მოვარდისფრო ან მოლურჯო შეფერილობა. გვაროში 150-ზე მეტი სახეობაა. გავრცელებულია ზომიერ და სუბტროპ. სარტყელში. საქართველოში 28 სახეობა იზრდება. ბევრი მათგანი ძნელად მოსაშორებელი პარაზიტი სარეველაა: მზესუმზირას პ., დატოტვილი პ., კომბოსტოს პ., ეგვიპტური პ., ყვითელი პ. და სხვ. პ. მასპინძელ მცენარეს ართმევს წყალს და საკვებ ნივთიერებებს, მისგან დაავადებული მცენარე ჭკნება და კვდება. ბრძოლის ღონისძიებებია: მცენარეთა სელექცია, თესლბრუნვა, ნიადაგის ღრმად (20 *სმ*) დამუშავება, ჰერბიციდების გამოყენება.

კელაპტრიშვილი ომარ მიხეილის ძე (1. I. 1943, სოფ. კავთისხევი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 16. VIII. 1992, თბილისი), მუსიკოსი, მუსიკალური ნაწარმოებების ვირტუოზი შემსრულებელი სალამურზე. საქართვ. სახ. არტისტი (1989), საერთაშორისო ფესტივალების (ქ. კონფოლანი, საფრანგეთი, 1970; ქ. კელნი, გერმანია, 1980, 1990; პირველი ადგილი და ოქროს მედალი) ლაურეატი; 1964 დაამთავრა ს. ზაქარიაძის სახ. თბილ. კულტ.-საგანმანათლებლო სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყ-ბა ორკესტრის დირიჟორის სპეციალობით. 1971–72 სწავლობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში ფლეიტის განყ-ბაზე. 1964–69 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის ხალხ. საკრავთა ორკესტრის (ხელმძღვ. კ. ვაშაკიძე) სოლისტად. 1964 საქართვ. ინდივიდ. შემსრულებელთა კონკურსზე პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა. 1981 სათავეში ჩაუდგა საქართვ. ტელე-რადიოკომიტეტის ხალხ. საკრავთა ორკესტრს, რ-საც ქალთა ფოლკლორული ანსამბლი ,,იავნანა'', მოგვიანებით კი ,,კელაპტრები'' ეწოდა. 1980 პ-მა გახსნა ლაბორატორია-სახელოსნო, სადაც ქართ. ხალხ. საკრავებს ამზადებდნენ. იგი მოგზაურობდა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში



ო. კელაპტრიშვილი სცენაზე.

და აგროვებდა ფოლკლორულ მასალას. მრავალი წლის განმავლობაში გამოდიოდა ანსამბლ ,,რუსთავთან'' ერთად. 1987 ხელოვნ. მუშაკთა სახლთან ჩამოყალიბდა ხალხ. საკრავთა ტრიო (ო. კელაპტრიშვილი, გ. და დ. კანდელაკები), რ-მაც ამავე წელს საკავშ. დათვალიერებაზე ლაურეატის წოდება მოიპოვა. 1978-იდან დააარსა ხალხ. საკრავთა რამდენიმე სკოლა-სტუდია, 1988 – ხალხ. საკრავთა ორკესტრი. სალამურზე მაღალი ოსტატობით უკრავდა ქართვ. და უცხოელ კომპოზიტორთა ურთულეს მუს. ნაწარმოებებს. მან გააფართოვა ამ საკრავის რეპერტუარი, გამოავლინა მისი უჩვეულო შესაძლებლობები. იყო დები იხშნელების პრემიის ლაურეატი (1999). თბილისში პ-ის საცხოვრებელ სახლთან მდებარე მისივე სახ. სკვერში დგას პ-ის ბიუსტი (2003, მოქანდაკე გ. პიპინაშვილი). მის მშობლიურ სოფ. კავთისხევში გაიხსნა პ-ის სახლ-მუზეუმი.

კელასური, მთა ბზიფის ქედის აღმ. ნაწილში, სიმაღლე 2576 *მ*. აგებულია შუაიურული პორფირიტული წყებებით. აღმ. კალთები ფლატოვანია, დანარჩენი – ციცაბო. ახასიათებს სუბალპ. და ალპ. მცენარეულობა. გამოყენებულია საზაფხულო საძოვრებად.

მ. უთმელიძე.

კელასური, მდინარე აფხაზეთში. სათავეს იღებს ბზიფის ქედის სამხრ. კალთაზე, ხიმსის მყინვარიდან, 2582 *მ* სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას სოფ. კელასურთან. სიგრძე 42 *კმ*, აუზის ფართ. 220 *კმ*^{2}. საზრდოობს წვიმის, თოვლის, მიწისქვეშა და მყინვარული წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე – ინტენსიური წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნა. წყალმცირეა ზამთარში. საშ. მრავალწლ. ხარჯი შესართავთან 13,2 *მ*^{3}/*წმ*. პ-იდან ზღვაში წლიურად ჩაედინება 420 მლნ. *მ*^{3} წყალი. ქვემო დინებაში პ-ის მარცხ. ნაპირიდან წყლის ნაწილი მიემართება მიწისქვეშა კარსტულ ნაპრალში და გამოდის მდ. ბესლეთის სათავესთან მძლავრი წყაროების სახით. 1978, შესართავიდან 13 *კმ*-ზე, კლდეზვავმა დააგუბა მდინარე და წარმოშვა ტბა, რ-ის ფართობია დაახლ. 3 *ჰა*, უდიდესი სიღრმე 21 *მ*. პ-ის აუზში, განსაკუთრებით ხეობის მარჯვ. მხარეს, ხშირია ზედაცარცულ შრეებში გამომუშავებული კარსტული მღვიმეები (იხ. *კელასურის მღვიმოვანი*).

ი. აფხაზავა.

კელასური, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის მაჭარის თემში (აფხაზეთის არ), მდ. კელასურის ხეობაში. ზ. დ. 240 *მ*, გულრიფშიდან 3 *კმ*.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კელასური 1, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის წებელდის თემში (აფხაზეთის არ), ჩხალთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. კელასურის ხეობაში. ზ. დ. 350 *მ*, გულრიფშიდან 42 *კმ*.

პ. 1 ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კელასური 2, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის წებელდის თემში (აფხაზეთის არ), ჩხალთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. კელასურის ხეობაში. ზ. დ. 800 *მ*, გულრიფშიდან 50 *კმ*.

პ. 2 ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კელასური (ყოფ. ეკატერინოვკა), სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), მდ. კელასურის ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: პ., აკაფა, ბირჯა, გვარდა, ლეკუხონა, ლინდა). ზ. დ. 200 *მ*, სოხუმიდან 11 *კმ*.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კელასური, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემში (აფხაზეთის არ), მდ. კელასურის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 160 *მ*, სოხუმიდან 5 *კმ*.

სახელწ. ,,კელასური'' (,,კლისურა'') ბერძნ. წარმოშობისაა და ნაშნავს გასასვლელ ადგილს, ვიწრობს. ქართ. საისტორიო წყაროებიდან მოხსენიებულია ჯუანშერის XI ს. თხზულებაში ორჯერ – ჯერ V ს. უკანასკნელი მეოთხედის, შემდეგ კი VIII ს. დასაწყ. მოვლენებთან დაკავშირებით როგორც ,,ზღუდე კლისურისა''. სოფელში ზღვის ნაპირზე შემორჩენილია *კელასურის კედლის* ნაწილი.

სოფლის მახლობლად, მდ. კელასურის მარცხ. ნაპირას, აღმოჩენილი და შესწავლილია (1935–38, ხელმძღვ. ს. ზამიატნინი) მუსტიეს ხანის ღია ტიპის ძეგლი. მიწის ზედაპირზე შეგროვებულია მუსტიეური წვეტანები, ლევალუაზური წვეტანები, სახოკები, ორმხრივ დამუშავებული დისკოსებრი იარაღი, ანატკეცები, აგრეთვე დისკოიდალური და ერთფუძიანი ნუკლეუსები, ანატკეც-ლამელები და წარმოების სხვა ნარჩენები; ნედლ მასალად გამოყენებულია აფხ. პალეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელი მონაცრისფრო კაჟი. მასალა დაცულია სანქტ-პეტერბურგის ანთროპოლ. და ეთნოგრ. მუზეუმში. მსგავსი ნივთები აღმოჩენილია ჩრდ. კავკასიაში (ილსკის ნამოსახლარი).

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: Замятнин С. Н., Палеолит Абхазии, «Труды Ин-та абхазской культуры», 1937, в. 10; Миссиа, Очерки по палеолиту, М.–Л., 1961.

თ. ბერაძე. დ. თუშაბრამიშვილი.

კელასურის კედელი, აფხაზეთის დიდი კედელი, თავდაცვითი ნაგებობა. იდგა ჩრდ. კავკასიიდან დას. საქართველოსკენ მიმავალ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაზე, რ-იც უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროს მიუყვებოდა. ქართულ საისტორიო მწერლობაში, ჯუანშერის თხზულებაში, VIII ს. ამბებთან დაკავშირებით ნახსენებია ,,ზღუდე კლისურისა'' და ჩრდ. კავკასიიდან შავიზღვისპირეთში მიმავალ გზებს იცავდა. VIII ს. დასასრულიდან, აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ზღუდემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და თანდათან დაინგრა. მისმა ნაშთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

შემორჩენილია ლევან II დადიანის მიერ აფხაზი ფეოდალების შემოსევების შესაჩერებლად XVII ს-ში აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემა (საერთო სიგრძე 60 *კმ*). კედელი იწყება მდ. კელასურის შესართავიდან, მიუყვება მდინარის მარცხ. სანაპიროს, შემდეგ უხვევს ჩრდ.-აღმ-კენ და ფანავის ქედის ძირის სამხრ. მხრიდან გრძელდება მდ. ღალიძგის ხეობაში. პ. პ. ერთმანეთთან კოშკებით დაკავშირებული ცალკეული საფორტიფიკაციო ნაგებობე-



კელასურის კედელი.

ბია (კოშკების სისტემა, ზოგჯერ ცალ-ცალკე კოშკები და კედლები). ზღუდით გამაგრებულია მხოლოდ ვიწრო გადმოსასვლელები საკუთრივ აფხაზეთის, დალისა და წებელდის მხრიდან. ლევან II დადიანის საგანგებოდ შემოღებული ღონისძიებების მიხედვით, ყოველი ფეოდალი (სასულიერო ან საერო) ვალდებული იყო წელიწადში 1 თვე თავისი მხედრებით ემორიგევა ჰ. ჰ-ის დასაცავად. ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ ჰ. ჰ. უყურადღებოდ დარჩა. როდესაც აფხაზი ფეოდალების ძალაუფლება მდ. ენგურამდე გავრცელდა, ჰ. ჰ-მა თავისი ფუნქცია დაკარგა.

თ. ბერაძე.

კელასურის მღვიმოვანი, კარსტული მღვიმოვანი გულრიფშის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), მდინარეების – კელასურისა და მაჭარის მთისწინეთში, სოფ. კელასურის (წებელდის თემი) ჩრდ.-აღმ-ით. ჩასასვლელის სიმაღლე ზ. დ. 190 *მ*, მდინარის დონიდან 1–2 *მ*. გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში. აერთიანებს ერთიმეორესთან მიჯრით განლაგებულ და ერთმანეთთან დაკავშირებულ მდ. კელასურის ფსკერქვეშა მღვიმეებს, რ-ებიც შედგება ვერტ. და სუბჰორიზ. მონაკვეთებისაგან. მიწისქვეშა გამდინარე ნაკადები ასაზრდოებს ბესლეთის წყაროებს. მღვიმოვანის ჯამური სიგრძეა 1400 *მ*, ჯამური სიღრმე – 25 *მ*, ფსკერის ფართ. – 2300 $მ^2$, მოცულობა – 14000 $მ^3$.

მღვიმეთა დიდი ნაწილი თავმოყრილია მდ. კელასურის ხეობის მარჯვ. მხარეს, ესენია: კელასურის V (ზემო კელასურის, ნასკალის), კელასურის (ალექსანდროვკის), კელასურის II, III და IV მღვიმეები.



მ. კელდიში.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

კელდიში მსტისლავ ვსევოლოდის ძე [28. I (10. II). 1911, რიგა, – 24. VI. 1978, მოსკოვი], საბჭოთა მათემატიკოსი და მექანიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), ვიცე-პრეზიდენტი (1960–61), პრეზიდენტი (1961–1975). საქართველოს მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1974). მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის დამთავრების (1931) შემდეგ მუშაობდა ცენტრ. აეროჰიდროდინამიკის ინ-ტში, მოსკოვის სახელმწ. უნ-ტში (პროფესორი 1937-იდან), სსრკ მეცნ. აკად. ვ. სტეკლოვის სახ. მათ. ინ-ტში, სსრკ მეცნ. აკად. გამოყენებითი მათ. ინ-ტის დირექტორად (1953-იდან).

ჰ-ს ეკუთვნის მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა მათემატიკაში, გამოთვლით მათემატიკაში, აეროჰიდროდინამიკაში, რხევათა თეორიაში. დიდი წვლილი შეიტანა ავიაციის, ატომური და კოსმოსური ტექნიკის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. ჰ-მა პირველმა შეისწავლა სხეულის აეროდინამიკურ მახასიათებლებზე გარემოს კუმშვადობის გავლენა და განაზოგადა ნ. ჟუკოვსკის თეორემა ფრთის ამწევი ძალის შესახებ. ჰ-ის ძირითადი მათ. შრომები ეძღვნება ნამდვილი ცვლადისა და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიას, კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებებს, ფუნქციონალურ ანალიზს.

ჰ-მა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სსრკ-ში, მ. შ. საქართველოში გამოთვლითი და მანქანური მათემატიკის განვითარებაში.

ჰ. იყო უცხოეთის მრავალი აკად. წევრი, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი (1956, 1961, 1971), სტალინური (1942, 1946) და ლენინური პრემიების (1957) ლაურეატი. დაჯილდოებული იყო ლენინის 6 ორდენითა და სხვა სახელმწ. ჯილდოებით. მჭიდრო სამეცნ. და პირადი კონტაქტები აკავშირებდა ქართველ მათემატიკოსებთან – ნ. *მუსხელიშვილთან*, ა. *ბიწაძესთან*, ი. *ვეკუასთან*, ვ. *კუპრაძესთან* და სხვებთან.

ზ. გორგაძე.

კელენჯერიძე ანტონ კირილეს ძე (26. I. 1904, ქუთაისის გუბერნია, ქუთაისის მაზრა (ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვანი) – 20. III. 1997), ჟურნალისტი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1976). დაამთავრა თბილისის II გიმნაზია (1922), თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1930), მოსკ. უმაღლესი პარტ. სკოლის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1949). მუშაობდა გაზ. ,,კომუნისტში'' რეპორტიორად, პ/მგ მდივნად (1923–42), გაზ. ,,საბჭოთა აჭარის'' რედაქტორად (1942–49). იყო ,,მთავლიტის'' უფროსი (1950), საქართვ. რადიოკომიტეტის თავ-რე (1951–56), საქტელერადიოკომიტეტის პირველი თავ-რე (1956–61), თბილისში ვ. ი. ლენინის მუზეუმის დირექტორი (1961–83), ტელევიზიის საფონდო განყ-ბის გამგე (1996-მდე).

ჰ. რამდენიმე წიგნის ავტორია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

ლიტ.: ანტონ კელენჯერიძე (სერია – ქართული ჟურნალისტიკის მოამაგენი), თბ., 1995.

კელენჯერიძე მელიტონ სპირიდონის ძე (5. II. 1864, სოფ. ტაბაკინი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 15. VIII. 1942, თბილისი), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი. სწავლობდა თბილისის სას. სემინარიაში. კიევის სას. აკადემიის დამთავრების (1894) შემდეგ მასწავლებლობდა ქუთაისსა და ფოთში. იკვლევდა ხალხ. ზეპირსიტყვიერების საკითხებს, კრებდა და აქვეყნებდა ფოლკლორულ ნიმუშებს. 1893–94 ჟურნ. ,,მოამბეში'' დაიბეჭდა მისი ნაშრომი ,,სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა'' (ცალკე წიგნად – 1896, ქუთაისი); 1915 გამოსცა ხალხ. ზღაპრების, აფორიზმებისა და გამოცანების კრებ., შეადგინა სახელმძღვანელოები სკოლებისათვის: ,,სიტყვიერების თეორია'', ,,ქართული ქრესტომათია'', ,,ქართული ენის გრამატიკა'' და სხვ. ჰ. ავტორია გამოკვლევებისა ქართ. ეკლესიის ისტორიიდან: ,,გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა'' (1913), ,,საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია'' (1918), ,,სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე'' (რუს. ენაზე, 1906) და სხვ.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 3, თბ., 1968.

კემულარია კლოდ დე (Claude de Kemoularia) (30.III. 1922, პარიზი, – 4. XI. 2016, იქვე), საფრანგეთის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, საბანკო საქმის ორგანიზატორი. პოლიტ. და ეკონ. მეცნ. დოქტორი. პოლიტ. ემიგრანტის, საქართველოს დემოკრ. რესპ. მთავრობის წევრის, იოსებ კემულარიას (1880–1957) შვილი. დაამთავრა სორბონის უნტის იურიდ. ფაკ-ტი და პარიზის პოლიტ. მეცნ. უმაღლესი სკოლა. ჰ-ს მინიჭებული ჰქონდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი (1982), 1982–84 იყო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდებში. 1957–80 და 1984–87 მსახურობდა გაეროში. იყო გაეროს გენ. მდივნის თანაშემწე, სამდივნოს უფროსი და პირადი წარმომადგენელი, საინფორმაციო სამსახურის დირექტორი ჟენევაში.

საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში. 1985–86 ორჯერ აირჩიეს უშიშრ. საბჭოს თავ-რედ. საფრანგეთის პრეზიდენტის, ფ. მიტერანის მრჩეველი საგარეო ეკონ. ურთიერთობათა დარგში (1981–82). საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის, ,,პარიბას'' პრეზიდენტი (1988–98). პ. არჩეული იყო ომანის საერთაშ. ბანკის დირექტორთა საბჭოს უფრ. წევრად, საფრანგეთ-კატარის და საფრანგეთ-ომანის ბიზნესკლუბების პრეზიდენტად, ფრანგულ-არაბული სავაჭრო-სამრეწვ. პალატის დირექტორთა საბჭოს წევრად. 1992 მონაწილეობდა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტ. ელიტის პოლიტ.-ეკონ. გაერთიანების – ,,ბილდერბერგის კლუბის'' – კონფერენციაში, როგორც საფრ. დელეგაციის წევრი. იმავე წლებში აირჩიეს გაეროს საფრანგეთის ასოციაციისა და საერთაშორისო საბჭოს ,,მოძრაობა ევროპისაკენ'' (,,Mouvement Europeen'') საპატიო წევრად. 1987–96 იყო ფრანგული მოდის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავის, ფირმა Nina Ricci-ს დირექტორთა საბჭოს წევრი.

2002-იდან პ. იყო საერთაშ. პოლიტ. გაერთიანება ,,მონაკოს'' კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი, 2005-იდან – პრეზიდენტი, კლუბთან არსებული ხმელთაშუა ზღვის საკითხების პოლიტ. შესწავლის ინ-ტის დირექტორი, 2006 მსოფლიო პოლიტ. ფორუმის – ,,ახალი მსოფლიოს პოლიტიკური არქიტექტურა'' – ერთ-ერთი ორგანიზატორი და მთავარი მომხსენებელი.

პ-ს გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი შრომები პოლიტ. მეცნ. და ეკონ. დარგში. შეყვანილია საფრ. პრესტიჟულ ენციკლ. გამოცემაში ,,ვინ ვინ არის საფრანგეთში'' (,,Who's Who in France''). დაჯილდოებულია ,,საპატიო ლეგიონის'' 2 ორდენით, საფრ. ღირსების ორდენით და სხვა სახელმწ. ჯილდოებით. 1988 მიენიჭა ,,საპატიო ლეგიონის'' ოფიცრის წოდება.

2010 პ. საქართველოში ჩამოვიდა და თავისი წიგნის პრეზენტაციაზე განაცხადა: ,,...სანამ ცოცხალი ვარ, ევროპაში საქართველოს ინტერესების დასაცავად ყველაფერს გავაკეთებ... იამაყეთ, რომ ქართველები ხართ... მჯერა, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანდება და ევროპაში კუთვნილ ადგილს დაიკავებს''.

თხზ.: ცხოვრება გაშლილი ფრთებით. მემუარები, ფრანგულიდან თარგმნეს: პრინცესა ვერონიკა მიურატმა, შ. ჭაბაშვილმა, მ. გობეჩიამ, თბ., 2010.

ლიტ.: კობაშვილი ნ., პარიზი. კლოდ დე კემულარია (შორეული – ახლობელი), თბ., 2010; ურუშაძე ლ., კლოდ კემულარია – საფრანგეთში მოღვაწე ქართველი, «ფუძე», 2007, №2; The Journal of Modern African Studies, 1993, v. 31, №4.

ლ. ურუშაძე.

კემულარია-ნათაძე ლუბა მანუჩარის ასული (28. III. 1891, სოფ. ზუბი, ახლანდ. ხობის მუნიციპალიტეტი, – 15. II. 1985, თბილისი), ბოტანიკოსი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1965), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966).

სამეცნ. საქმიანობა დაიწყო თბილ. ბოტანიკურ ბაღში (1911). 1933-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილ. ბოტანიკის ინ-ტში. ავტორია ნაშრომებისა კავკასიის და საქართვ. სისტემატიკისა და ნომენკლატურის, ფარულთესლოვან მცენარეთა ფილოგენეტიკისა და სხვ. საკითხების შესახებ, რ-შიც მოცემულია რანალების რიგის კავკასიური ტაქსონების ორიგინალური კლასიფიკაციური სისტემა. ,,საქართველოს ფლორის'' I და II გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ავტორი. პ.-ნ-ის მიერ აღწერილია ფარულთესლოვან მცენარეთა უცნობი ერთი ახალი ოჯახი, 3 ტრიბი, 2 გვარი და 80-ზე მეტი სახეობა, მრავალი შიდასახეობრივი ტაქსონი. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. საქმიანობას საქართვ. უმაღლეს სასწავლებლებში: კითხულობდა ზოგადი ბოტანიკის, მცენარეთა სისტემატიკისა და ფიტოგეოგრაფიის კურსებს.

პ.-ნ-ის ღვაწლი ღირსეულად არის დაფასებული: მისი სახელი ეწოდა ფარულთესლოვან მცენარეთა ერთ გვარს, ერთ სექციასა და 20 სახეობას. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: რანალები კავკასიაში და მათი ტაქსონომია, თბ., 1966.

გ. ნახუცრიშვილი.

კენაში, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის აღვის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), მდ. ცხენისწყლის ხეობაში. ზ. დ. 750 *მ,* ცაგერიდან 10 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

კენდო (იაპონ. – ხმლის გზა), იაპონური საბრძოლო და სპორტული ხელოვნების ნაირსახეობა. ჰგავს ფარიკაობას. 118 *სმ* სიგრძის ბამბუკის ხმალი (სინაი) მებრძოლს ორივე ხელით უჭირავს, მეტოქეს წესებით ნებადართულ ადგილებში ახვედრებს და მომგებიან ქულებს აგროვებს. ფეოდ. იაპონიაში პ. სამურაების წვრთნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. XVIII ს-ში პ-ს ოსტატმა ცუსო ნაკანიშიმ ნამდვილი ხმალი ბამბუკის ჯოხით შეცვალა, სხეულის დასაცავად კი სპეციალური სამოსელი შემოიღო. 1914 პ. საშ. სკოლების სასწავლო პროგრამაში შეიტანეს. 1928 შეიქმნა ,,სრულიად იაპონიის კენდოს ფედერაცია''. II მსოფლიო ომში იაპონიის ჩაბმის შემდეგ პ-მ სპორტული ფუნქცია დაკარგა (მთავრობამ ეს ორთაბრძოლა უკვე დაწყებითი კლასებისთვის აუცილებელ საგნად აქცია), ზრდასრულ მოსახლეობას ომის სამზადისში ნამდვილი ხმლით ვარჯიში უწევდა. ომში დამარცხების შემდეგ (ამერიკული ოკუპაციის დროს) პ., ძიუდო და კიუდო (იაპონური მშვილდოსნობა) აიკრძალა. 1952 ,,სრულიად იაპონიის კენდოს ფედერაცია'' აღდგა. 1970 ტოკიოში შეიქმნა პ-ს საერთაშ. ფედერაცია (IFK), რ-იც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს პირად და გუნდურ ჩემპიონატებს მართავს. ამჟამად პ-ს საერთაშ. ფედერაციაში 44 ქვეყანაა გაერთიანებული (მსოფლიოში ამ სახეობას 8 მლნ-მდე ადამიანი მისდევს, მ. შ. თითქმის 40 % ქალია).

საქართველოს პ-ს ეროვნ. ფედერაცია დაარსდა 2009 წ. 30 ნოემბერს (პრეზიდენტი გ. ლეკაშვილი). სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში დაიწყო 2001-იდან იაპონელი ,,სენსეის'' კუნიო ოკადას ხელმძღვანელობით. ფედერაცია 2011 (ევროპის პ-ს ფედერაციის გენერალურ ასამბლეაზე) ოფიციალურად გაწევრიანდა ევროპის პ-ს ფედერაციაში. საქართველოს პ-ს ეროვნ. ფედერაცია თბილისსა და მთელ საქართველოში ხელს უწყობს პ-ს საბრძოლო ხელოვნების განვითარებას და პოპულარიზაციას.

კენკრა (bacca, uva), მცენარის უხსნადი, მრავალთესლიანი, იშვიათად ერთთესლიანი ნაყოფი. მომწიფებისას მთელი ნაყოფსაფარი წვნიანია, ეგზოკარპიუმი – თხელკანიანი. პ. აქვს ვაზს, ხურტკმელს, მოცხარს, შტოშს და სხვ.

კენკროვანი კულტურები, ველური და კულტურული მრავალწლოვანი მცენარეების (ბუჩქები, ნახევრადბუჩქები, ბალახები) ჯგუფი, რომელთა ნაყოფი, ე. წ. კენკრა საჭმელად ვარგისია. ევროპის ქვეყნებში უმეტესად გავრცელებულია მარწყვი, ხურტკმელი, მოცხარი, ჟოლო; შორეულ აღმოსავ-

ლეთში – შავი მოცხარი. საქართველოში უმეტესად მოჰყავთ მარწყვი, ჟოლო, მოცვი, მაყვალი, მოცხარი და ხურტკმელი.

კენკრა შეიცავს ადამიანისათვის მნიშვნელოვან ორგ. მჟავებს, შაქარს, მინერ. მარილებს, ვიტამინებსა და არომატულ ნივთიერებებს. იხმარება ნედლად, გაყინული, გამხმარი; გამოიყენება საკონსერვო და საკონდიტრო წარმოებაში (ამზადებენ მურაბას, ჯემს, კომპოტს, სასმელს, მარმელადს და სხვ.), ნაყოფს (მოცვი, ჟოლო, შავი ცირცელი და სხვ.) იყენებენ სამკურნალოდაც. კ. კ. ადვილად მრავლდება, ადრე იწყებს მსხმოიარობას (მარწყვი – მე-2, ჟოლო – მე-3, მოცხარი და ხურტკმელი – მე-3–მე-4 წელს) და ყოველწლიურად იძლევა მაღალ მოსავალს. მრავლდება ვეგეტატიურად – კალმით, გადაწიდვნით, ბუჩქის დაყოფით, ამონაყარითა და პწკალით; თესლით გამრავლებას მიმართავენ სელექციისათვის. კ. კ-ის სამრეწველო ბაღებს აშენებენ ვეგეტატიურად ნამრავლი ნერგით ისეთ ნაკვეთებზე, რებიც დაცულია ქარისაგან, სწორია ან ოდნავ დაფერდებული. მათი განვითარებისათვის უმჯობესია თბილი და ტენიანი ჰავა. კ. კ-ის პლანტაციების მოვლა ითვალისწინებს ნიადაგის დამუშავებას, მცენარეთა დაცვას მავნებლებისა და დაავადებებისაგან, გასხვლას, პწკალის შეცლას და სხვ.

მარწყვისთვის საუკეთესო ექსპოზიციად ითვლება სამხრეთის, სამხრ.- დას. და სამხრ.-აღმ. ფერდობები. მისი დარგვა შესაძლებელია თითქმის მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, საქართველოში კი უმჯობესია ადრე გაზაფხულსა ან შემოდგომაზე (როცა ნიადაგის ტემპ-რა 0–20 *სმ* სიღრმეზე 8°C-ზე მეტია). დღითიდღე იზრდება მარწყვის სამრეწველო ბაღის ფართობები კახეთის, ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და აჭარის რეგიონებში. მათ 20 ჰა-ზე მეტი ფართობი უკავიათ, სადაც დარგულია 25-ზე მეტი პერსპექტიული და გამოცდილი ჯიში.

ჟოლოსთვის საუკეთესოა ჩრდილოეთის, ჩრდ.-აღმ. და ჩრდ.-დას. დაქანებები. უნდა დაირგას ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომაზე. 2014–15 გურჯაანში, თელავში, საგარეჯოში, მარნეულში, კასპში, ახალციხეში, გორსა და ქარელში ჟოლო 25 ჰა ფართობზე იყო გაშენებული.

საქართველოში გავრცელებულია მოცვის 4 სახეობა: მთის, ლურჯი, წითელი და კავკასიური. ეს კულტურა მაქსიმალურ მოსავალს იძლევა მჟავე ნიადაგებზე. ნაკლებად მომთხოვნია (ველური ფორმა) სინათლისა და ტენის მიმართ. იტანს 20–25 °C ყინვას. ნერგის გამოყვანა-გამრავლება ხდება უჯრედის კულტურის წესით (სინჯარაში) ლაბორატორიულ პირობებში. საქართველოში ლურჯი მოცვის გაშენება 2006-იდან დაიწყო. დას. საქართველოში დიდი პოტენციალია მის მოსაყვანად. პლანტაციები გაშენდა შუახევში, ქედაში, ხულოში, ხელვაჩაურში, ქობულეთში, ზუგდიდში, ხობში, ოზურგეთსა და ანასეულში, დარგულია 15 ჯიშის 220 ათასზე მეტი მცენარე.

საქართველოში კ. კ-ის ფართო ასორტიმენტია წარმოდგენილი, 500-ზე მეტი ჯიში (როგორც შემოტანილი, ისე ადგილობრივი), ბუნებრივი და ეკონ. პირობების გათვალისწინებით, ზონების მიხედვით არის დარაიონებული. მთაში, ტყეში, ჭაობსა და ველზე უხვადაა ველური კენკროვნები, რ-თა ნაყოფი საკვებად ვარგისია; მათ კულტ. ფორმებთან შესაჯვარებლადაც იყენებენ.

ლიტ.: გოგინავა ლ., მიროტაძე ნ., ძერაია კ., მიროტაძე მ., ჟოლოსა და უეკლო მაყვლის კულტურის გაშენება-მოვლა, გადამუშავება, შენახვა, თბ., 2018; მათივე, ლურჯი მოცვის კულტურის გაშენება-მოვლა, გადამუშავება, შენახვა, თბ., 2018; მაღლაკელიძე ე., გოგინავა ლ., მეხილეობა, თბ., 2018.

ლ. ლასარეიშვილი. ლ. გოგინავა.

კენკროვანნი (Thymelaeaceae), ფურცლებგანცალკევებულ ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. უმრავლესობა ბუჩქი ან ტანდაბალი ხეა, მცირე ნაწილი კი – ბალახი. აქვთ კიდემთლიანი, პატარა და ვიწრო ფოთლები, ორსქესიანი აქტინომორფული ყვავილები, კაშკაშა ჯამი და ყვავილსაჯდომი. გვირგვინის ფურცელი არა აქვთ ან ძალზე პატარაა და ქერქლისებრი. ნაყოფი კაკლუჭა ან კურკიანაა. ოჯახში 50-მდე გვარი და 600-მდე სახეობაა. ძირითადად გავრცელებულია ავსტრალიასა და სამხრ. აფრიკაში. ბევრი სახეობის ქერქში არის ლაფნის ბოჭკო. საქართველოში 3 გვარის 8 სახეობაა, მ. შ. *მაჯალევერიც.*

კენოტაფი (ბერძნ. kenotaphion < kenos – ცარიელი და taphos – საფლავი), სამარხი ნაგებობა, სატიო მონუმენტი ერთი ან რამდენიმე გარდაცვლილისათვის. ჩვეულებრივი საფლავისაგან განსხვავებით კ. მხოლოდ გარდაცვლილის ხსოვნას ეძღვნება და მასში მიცვალებული არ არის დაკრძალული. კ-ებს აშენებდნენ უმეტესად იმ შემთხვევაში, როდესაც რაღაც მიზეზის გამო მიცვალებულის დამარხვა არ შეეძლოთ (ან დაკარგული იყო, ან შორს იყო დაკრძალული და სხვ.). დაკრძალვის ეს წესი კარგადაა ცნობილი მრავალ ქვეყანაში (ეგვიპტე, რომი, საბერძნეთი, შუა აზია და სხვ.). ანალოგიური წესი განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოკვეთილი კავკასიისა და საქართველოს ბრინჯაო-რკინის ხანის ძეგლებში და დამახასიათებელია პატრიარქალური პერიოდის მესაქონლე ტომებისათვის. კ-ები აღმოჩენილია მინგეჩაურსა და ჩრდ. კავკასიაში (გატიან კალეს სამაროვანი, პიატიგორსკის ყორღანი); საქართველოში – სამთავროსა და ნატახტრის, კასპისა და წაღვლის; კახეთში – სათვალისწყლისა და თეთრიწყლების სამაროვნებზე, აგრეთვე ფოხორაულების ნამოსახლარებზე და სხვ. აღნიშნული სამარხები ძვ. წ. II – I ათასწლეულებით თარიღდება.

ლიტ.: ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», თბ., 1965; კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სამთავროს სამაროვანი, წგ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990; მენაბდე ც., ფოხორაულების ნამოსახლარი, იქვე, ტ. 1_{II}, თბ., 2015; ნიკოლაიშვილი ვ., ნატახტარის სამაროვნები და ნამოსახლარი, იქვე, [ტ.] 5, თბ., 1990; რამიშვილი ა., წაღვლის სამაროვანი, იქვე.

რ. რუსიშვილი.

კენჭაკლდე, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ხეობის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ქართლის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 1260 *მ,* დუშეთიდან 30 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რიცხვნობა არ აღემატება 10 კაცს.

კენჭაძე ლევან ფარნაოზის ძე (დ. 2.II. 1949, თბილისი), გენერალ-მაიორი (1997). დაამთავრა სპი (1972), თსუ-ის იურიდიული ფაკტი (1986). კ. იყო ქ. თბილისის შსს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის პოლკის სპეცდივიზიონის მეთაური (1981–84), შსს სახავტოინსპექციის განყ-ბის უფროსი (1985–87), საქართვ. შსს ადმ. პოლიციის დეპარტამენტის თავ-რე (1997–98), საქართვ. სახელმწ. დაცვის სპეცსამსახურის უფროსის მოადგილე

(1998–99), სახელმწ. უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი (2000–02). ამჟამად თადარიგშია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1995).

ლ. დოლიძე.

კენჭიყარა, მთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდ.-დას. ნაწილში, ციხისჯვრის შტოქედზე, მდინარეების – ქციის ზემო დინებისა და გუჯარეთისწყლის წყალგამყოფზე. სიმაღლე 2349 *მ.* აგებულია კაინოზოური თიხებით, ქვიშაქვებითა და მერგელებით. შემოსილია მეორეული სუბალპ. მდელოებით.

ლ. მარუაშვილი.

კერა, 1. ცეცხლის დასანთები და შესანახი ადგილი საცხოვრებელში. მისი გამოყენება ადამიანმა ისწავლა განვითარების ადრინდ. საფეხურზე. სავარაუდოდ, 1,8 – 2 მლნ. წლის წინ ცეცხლს იყენებდა უძველესი ადამიანი ე. წ. ზინჯანთროპი, რ-ის ნაშთები აღმოჩენილია ტანზანიაში, ოლდოვაის ხეობაში (ლ. ლიკის გათხრები). ჩინეთში, ჯოუ-ქოუტიანის მღვიმეში, აშელური ხანის ადამიანის – სინანთროპის – ნამოსახლარში აღმოჩნდა მუდმივი ცეცხლის კვალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ქვებისაგან მოწყობილი კ-ის ნაშთები. აშელური ხანის კ-ის ნაშთები მიკვლეულია დას. ევროპაშიც. მუსტიეს ხანიდან კ. გვხვდება ადამიანის ყველა ნამოსახლარში. ცნობილია კ-სთან მიცვალებულთა დაკრძალვის შემთხვევებიც.

დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა კ-ის სხვადასხვა ფორმა – მრგვალი, სწორკუთხედი, ორმოსებრი, მიწის ზედაპირზე გამართული და ა. შ. მრგვალ საცხოვრებელში კ., როგორც წესი, შუა ადგილზე იყო (ნენები, ევენკები და ჩრდ. სხვ. ხალხები), სწორკუთხედებში – კედლის ახლოს (დაღ. ხალხები). გარდამავალ ტიპადაა მიჩნეული კედლისპირა კ., რ-იც შემდგომში ბუხარმა შეცვალა.

საქართველოში უძველესი კ. (გარკვეული წესით განლაგებული ქვები, ორმო, რ-საც ცეცხლის კვალი ეტყობა) გვხვდება ადრინდ. მუსტიეს ხანაში (წოფი, ბრინჯაოს მღვიმე), გვიანდ. მუსტიეს ხანასა (ჯრუჭულის მღვიმე) და ზედა პალეოლითის მთელ რიგ ძეგლებში (დევისხვრელი და სხვ.). შულავერში, იმირში და ხრამის დიდ გორაზე (ძვ. წ. VI–V ათასწლ.) თიხის კ-ები გვხვდება ნაგებობებში და ზოგჯერ მის გარეთაც. ხრამის დიდ გორაზე კ-ებში ნაპოვნია თიხის ანთროპომორფული ქანდაკებანი (ერთ მათგანში 17). გამომწვარი თიხის კ-ები გვხვდება *მტკვარ-არაქსის კულტურის* (ძვ. წ. IV ათასწლ. დასასრ. – III ათასწლ. დასაწყისი) ძეგლებში (ოზნი, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ამირანის გორა და სხვ.). წრიული ფორმის თიხის გამომწვარ კ-ს შიდა მხარეს აქვს რამდენიმე შვერილი. კ-ებს იყენებდნენ გასათბობად, საჭმლის მოსამზადებლად, ცდილობდნენ მასში ცეცხლი არასდროს გამქრალიყო. ამავე დროს ის ოჯახის წმინდა, საკულტო ადგილიც იყო. იქვე სრულდებოდა სხვადასხვა რელიგ. რიტუალი. კ-ები გვხვდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრული I ათასწლ. დასაწყისი) ნამოსახლარებში (ხოვლეგორა, დიღომი). ფეოდ. ხანის თიხის კ-ებია აღმოჩენილი ურბნისში (IV–VIII სს.), დმანისში (XI–XIII სს.) და სხვ.; ქვით ნაგები კ-ები – არახლოზე (XII–XIII სს.), ქოჩულოში (XII–XIII სს.) და სხვ. გვიანდ. ფეოდ. ხანაში მას ზოგჯერ თონე ცვლიდა. თონის მსგავსი უძველესი კ-ები აღმოჩენილია სამადლოსა და ციხეგორაზე (ძვ. წ. IV–III სს.).

ქართვ. ხალხის ძვ. საცხოვრებელ ნაგებობებში (მთის სახლი, ოდა, დარბაზული სახლი) კ. საცხოვრებლის ცენტრში იყო გამართული. აქვე იყო ცეცხლის დასანთები და შესანახი ადგილი – ყვერბი, პურის გამოსაცხობი ოთხფეხა კ. (სვანეთი), ჯაჭვის ჩამოსაკიდებელი – აყარი და სასანთლე – საკვარე. კ-თან სრულდებოდა სხვადასხვა საწესო ჩვევები, მაგ., პატარძლის წაღმა დატრიალება, მესისხლეთა შერიგება და სხვ.

2. გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავდა ოჯახს, სახლ-კარს, რაზეც მიანიშნებს შემდეგი გამოთქმები: კ-ის დავსება, კ-ის გაცივება, კ-ის დანგრევა და სხვ.

3. ადგილი, საიდანაც რაიმე მოვლენა ან მოძრაობა იწყება და ვრცელდება.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011; ჩართოლანი მ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961; ჩიტაია გ., გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, «მიმომხილველი», 1926, ტ. 1; მისივე, შრომები, ტ. 1, თბ., 1997.

ნ. ვაჩეიშვილი. მ. ჩართოლანი.

„კერა“ (შპს), ალტერნატიული ბიოსაწვავის ერთადერთი მწარმოებელი კომპანია საქართველოში. დაარსდა 2016 თბილისში. მოიცავს 3 საწარმოს, რ-ებიც განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ესენია: 1. შპს „კ-ის“ შვილობილი კომპანია – ქართულ-უკრაინული საწარმო შპს „Ecolin Energy“ (ზუგდიდი; გადაამუშავებს თხილის ნაჭუჭს); 2. შპს „კ.“ (სოფ. ფშაველი; თელავის მუნიციპალიტეტი, გადაამუშავებს ნახერხს); 3. შპს „კ.“ (სოფ. ფარცხანაყანევი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი; გადაამუშავებს ნახერხს). კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავი ბრიკეტების წარმოება, რ-იც მზადდება ბიომასის (ტყეკაფვის, ასევე სანიტარიული ჭრის შედეგად მიღებული ორგ. ნარჩენები, სამხერხაოების, მერქნის გადამამუშავებელი საამქროების და ერთწლიანი კულტურული მცენარეების ნარჩენები, თხილის ნაჭუჭი და სხვ.) ორგ. ნარჩენების გამოყენებით. ქ-ნაში სპეციალურ დანადგარებში ხდება აღნიშნული ბიომასის გამოშრობა, დამუშავება და დაპრესვა, რ-ის შედეგადაც მიიღება კომპაქტურად შეკრული მსუბუქი მასა ბრიკეტის (პელეტის) სახით. ბრიკეტის მასაა საშუალოდ 800 გ, იგი წარმოადგენს ენერგიის მნიშვნელოვან წყაროს და მისი გამოყენება შეიძლება შეშის ალტერნატივად. ხისგან განსხვავებით ბრიკეტს ცეცხლი ადვილად ეკიდება, ნაკლებად ბოლავს, წვის დროს თანაბარ ტემპერატურას გამოყოფს და მაღალი თბოკალორიული ღირებულება აქვს. ორგ. მასისაგან დამზადებული ბრიკეტი შეშაზე დიდხანს იწვის, მეტ სითბოს გამოყოფს და იაფია. ის უფრო ადვილად შესანახი და ტრანსპორტაბელურია. შესაბამისად, ბრიკეტი, გარდა ეკოლ. და ენერგოუსაფრთხო თვისებებისა, ბევრად ეკონომიურია.


გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილობრივად. დაგეგმილია ბიოსაწვავის (რ-ზეც დიდი მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე) გატანა საექსპორტოდ.

ი. შანიძე.



„კერის“ სავაჭრო ნიშანი.

კერამიკა (ბერძნ. keramikē – სამეთუნეო ხელოვნება, გამომწვარი თიხის ნაკეთობები, <keramos – თიხა), სუფთა ან მინერალურ და ორგანულმინარევებიანი თიხის გამომწვარი ნაკეთობები: საყოფაცხოვრებო ნივთები (ჭურჭელი და სხვა სამომხმარებლო საგნები), სამშენებლო და სამეურნეო მასალა (კრამიტი, შორენკეცი, ფილები, მილები, ელექტრო- და თბო-



კერამიკა. ჭურჭელი. ძვ. წ. IV–III ათასწლეული.

საიზოლაციო, სატრანსპ., სანიტარიული მოწყობილობები და სხვ.), დეკორ. დანიშნულების ნიმუშები (ქანდაკება, დეკორ. თეფში, დეკორ. ლარნაკები და სხვ.). მზა ნაწარმის ძირითადი ტექ. თვისებებია მეტ-ნაკლები ქვისებრი სიმაგრე, წყალგაუმტარობა (ზოგ შემთხვევაში), ცეცხლგამძლეობა, იზოლაციის უნარი და ა. შ. მხატვრული კ-ის ძირითადი ტექნოლ. სახეებია: ტერაკოტა, მაიოლიკა, ფაიანსი, ფაიფური და სხვ.

კ-ის ნაწარმი კაცობრიობის ისტორიის უძველესი ხანიდან გამოიყენება. მასალა მდგრადია ატმოსფერული ფაქტორების ზემოქმედებისადმი, ამდენად, ჩვენამდე თითქმის ყველა ეპოქის ნიმუშმა მოაღწია. შესაბამისად, ისტ. ეპოქების შესასწავლად კ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნივთიერ წყაროს წარმოადგენს. განათხარ უძველეს ნამოსახლარებზე და სამარხებში თითქმის ყველგანაა აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, რ-ის თავისებურებას ხშირად გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის არქეოლ. ძეგლის ქრონოლოგიურ თუ კულტ.-ეთნოგრ. განსაზღვრაში. კ-ის ცალკეულ დარგს გარკვეული ისტორია აქვს, მ. შ. ყველაზე ხანგრძლივი – თიხის ჭურჭლის წარმოებას, რ-იც ოდითგანვე საყოველთაოდ იყო გავრცელებული. ფორმების, ორნამენტული სტილის, დამზადების ტექ. და თიხის ტექნოლ. თავისებურებათა გამო სხვადასხვა ხალხთა კ. განსხვავებულია.



კერამიკა. ჯამი. ფრაგმენტი. XIII ს.

სამხრ. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, კ-ის წარმოება ნეოლითის ხანიდან დასტურდება და მრავალსაუკუნოვანი, უწყვეტი ისტორია აქვს. იგი გამოყენების ფართო სპექტრით ხასიათდება და ჭურჭლის გარდა მოიცავს დეკორატიული დანიშნულების ნაკეთობებს, რელიეფსა და ქანდაკებას; დამკვიდრებულია არქიტექტურაში და ა. შ.

ადრეული კ-ის ნიმუშები (დას. საქართველო – ოდიში, კისტრიკი, ანასეული II, გურიანთა და სხვ. – ძვ. წ. VI ათასწლ.) ხელით უხეშად ნაძერწია, სუსტად, არათანაბრად გამომწვარი (ღია ცეცხლზე) და ხასიათდება მარტივი ფორმებით. ძირითადად გვხვდება ქილისებრი, უყურო, სწორკედლა, ბრტყელძირიანი ჭურჭელი ვარდისფერი ან მორუხო ფერის კეცით. წარმოდგენილია როგორც თითქმის სრულიად სადაზედაპირიანი ჭურჭელი, ასევე მრავლადაა სხვადასხვა პრიმიტიული ორნამენტით (უმთავრესად თევზიფხური) გაფორმებული ნაკეთობები. მომდევნო – ენეოლითის ხანის (ძვ. წ. VI–IV ათასწლ.; შულავერ-შომუთეფეს კულტურა) ნაკეთობათა ფორმები ჯერ კიდევ საკმაოდ პრიმიტიულია, მაგრამ უკვე ფართოდ გამოიყენებოდა ყოფაში (ოკუმი, ძირის გორა, ფსოუ, შულავრის გორა, არახლოს გორა და სხვ.). აღმოჩენილ ნიმუშებს ხშირად ცილინდრული ფართო ყელი აქვს და გადმოკეცილი პირის ჩანასახიც ემჩნევა. უმეტესობას გაკეთებული აქვს ორი ან სამი პატარა ყური. კ-ის შემკულობა გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანი მოტივებით გამოირჩევა. ზედაპირი გაპრიალებულია (ოვალური ფორმის ძვლისაგან ან ხისაგან გაკეთებული მარტივი საკრიალოს გამოყენებით), რ-ზედაც გვხვდება როგორც ამოკაწრული (თევზიფხური, ტეხილხაზოვანი, ტალღისებრი სახეები და სხვ.), ისე რელიეფური ორნამენტი (კონუსისებრი კოპებით დაძერწილი სხვადასხვა დეკორი, რელიეფური ტალღისებრი ხაზები, ჯვრისებრი, ნალისებრი დანაძერწები და სხვ.). აღსანიშნავია ჭურჭელზე რელიეფურად გამოსახული ადამიანის სქემატური ფიგურა და გამოუწვავი თიხისგან დამზადებული მცირე ზომის ქალის სკულპტურები (ხრამის დიდი გორა). თიხის კეცში აღმოჩენილი გამაჭლეფებელი ნივთიერებები (უმთავრესად კვარცი) გვაფიქრებინებს, რომ ნედლეული უკვე წინასწარაა შერჩეული და მომზადებული. ამავე პერიოდში გაჩნდა დახურულ ორმოში მოწყობილი პრიმიტიული ქურის პირველი, უმარტივესი სახე. საქართველოს ენეოლითის კ-ში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ანგობის ტექნიკის ჩასახვა. ადრებრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. IV ათასწლ. დასასრ. და ძვ. წ. III ათასწლ. I ნახ., მტკვარ-არაქსის კულტურა) კ-ის წარმოება განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა და, როგორც ჩანს, ხელოსნობის ცალკე დარგად ჩამოყალიბდა მეთუნეობა (გუდაბერტყა, ხიზანაანთ გორა, ამირანის გორა, ქვაცხელები და სხვ.). ნიმუშების უმრავლესობას წარმოადგენს სამზარეულოს დანიშნულების თიხის ჭურჭელი – ქოთნები, ქილები, დერგები, დოქები, სასმისები, კოჭობები და სხვ. კ-ის კეცი შედარებით თხელკედლიანია. მოწითალოდ გაპრიალებული ზედაპირის მქონე კ-ის გვერდით გაჩნდა ახალი ტიპის – შავი და რუხი ფერის კეცის მქონე შებოლილი კ. ნაკეთობების ზედაპირი ძირითადად სადაა, ზოგჯერ გრაფიკული ორნამენტით შემკული. სამხრ. კავკასიაში ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურაში აქა-იქ თავს იჩენს არქაული მოხატულობა (ოზნი, ქვაცხელები). შუაბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ. და II ათასწლ. I ნახ.) თრიალეთის (ყორღანული) კულტურისათვის (თრიალეთი, ბედენი, მარტყოფი, წნორი და სხვ.) დამახასიათებელი კ. საგრძნობლად განსხვავდება წინარე ხანის თიხის ჭურჭლისგან. ჩნდება ახალი, სხვადასხვა სტილის მოხატული (წითელი და შავი საღებავებით) მაღალმხატვრული და მაღალტექ. კ. იგი, ძირითადად, შავპრიალა ჭურჭელთან ერთად იყო გავრცელებული. ნაკეთობები კვლავ ხელით ნაძერწია, მაგრამ დახვეწილი და მრავალფეროვანი. გვხვდება რო-

გორც მცირე ზომის თხელკეციანი ჭურჭელი, ისე შედარებით დიდი ზომის სქელკედლიანი ჭურჭლის ფორმები (სასმისები, ქილები, პირგადაშლილი ცალყურა და სწორპირიანი ორყურა ქოთნები, დერგები და სხვ.). გვიანბრინჯაოს ხანის კ. (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ. და ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ.) დამზადებულია სამეთუნეო ჩარხზე და მასობრივი წარმოების საგანია (ხოვლეგორა, თრელიგორების ნამოსახლარი და სხვ.). ისტორიული კოლხეთისა და იბერიის კერამ. ნაწარმი მრავალფეროვანი ფორმებით ხასიათდება. აღნიშნულ პერიოდში შედარებით დაბალმხატვრული ჭურჭლის გვერდით გვხვდება კ-ის საუცხოო ნიმუშებიც (სამთავროს სამაროვანის კ.). გაფართოვდა ჭურჭლის ასორტიმენტი. ფართოდაა გავრცელებული ვიწროყელიანი და მოხერხებულსახელურიანი ჭურჭელი (ხელადა, კოკა, თუნგი), რ-იც უფრო ადრეულ ნიმუშებში არ გვხვდება. მუქი რუხი ფერის კეცის მქონე თიხის ნაკეთობები ხშირად სხვადასხვა ხასიათის გეომ. ორნამენტითაა შემკული. ნაპოვნია მოჭიქული ჭურჭლის ნიმუშებიც. რკინის ხანიდან (ძვ. წ. I ათასწლ.) ხშირია ცხოველის ფორმის ჭურჭელი, მისი ცალკეული ზოომორფული დეტალები კი (მაგ., ყური) უფრო ძვ. დროიდანაა ცნობილი. კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანაში წამყვანია თავისებური სახის ღარებიანი და ჭდეებიანი ორნამენტით შემკული მუქი, მონოქრომული კ. დას. საქართვ. ზოგიერთ რ-ნში (მაგ. საჩხერე) თავდაპირველად თავს იჩენს მტკვარ-არაქსის, შემდეგ კი – აღმ.-ქართული ტიპის კ.

კ-ის წარმოება აღორძინდა ანტ. სამყაროში. სოფ. მეურნ., ხელოვნ., ვაჭრობისა და ქალაქური ცხოვრების განვითარებამ განაპირობა კ-ის მასიური წარმოება და მისი ფუნქციური დიფერენციაცია. ანტ. სახელმწიფოში არისტოკრატიული და შეძლებული ფენების გამორჩეული მდგომარეობა ზრდიდა მოთხოვნილებას მაღალხარისხოვან და მაღალმხატვრულ ფუფუნების საგნებზე. კ-ის წარმოება მხატვრული დონით არ ჩამორჩებოდა ხელოვნ. სხვა დარგებს. საქართველოში აღმოჩენილია დიდძალი იმპორტული ანტ. კ. კოლხეთსა და იბერიაში ადგილ. კერამ. ნაწარმის გვერდით დაიწყო ამფორებისა და სხვა წითელლაქიანი ჭურჭლის დამზადება. დამკვიდრდა თიხის დამუშავების ახ. წესი, რ-იც ადრინდ. ფეოდ. ხანაშიც არსებობდა. განახლდა მოხატული კ-ის ტრადიცია. აღმ. საქართველოში, ადრინდ. ანტ. ხანაში, კარგად ჩანს გვიანდ. ბრინჯაოს ხანის კ-ის ტრადიციები. ჭურჭლის ფორმებიდან ძირითადად გვხვდება სხვადასხვა სახის შავპრიალა ჯამები, წითელკეციანი ქვევრები და დერგები, წითლად შეღებილი წითელპრიალა პატარა დოქები. უნიკალურია სამადლოში აღმოჩენილი ელინისტური ხანის დიდი ზომის მოხატული ქვევრები. იბერიული შავპრიალა პატარა ზომის ჭურჭელი (აღმოჩნდა ურბნისში, გორში, რუსთავში, ხოვლეში, თბილისში, თრიალეთში, ხუნანში და სხვ.) კონკურენციას უწევდა ბერძნ. შავლაქიან კ-ს. იშვიათად გვხვდება შავად მოხატული ნაცრისფერი პრიალა ჭურჭელი. ზოგიერთი ნაწარმი (ბორცობებიანი ჭურჭელი) დამზადებულია ვერცხლისა და მინის ჭურჭლის მსგავსად. შავპრიალა კ-ის ტრადიცია აღმ. საქართველოში II ს-მდე აღწევს. წინა და ადრინდ. ანტ. ხანაში კოლხურ ადგილ. კ-ში მრავალ სიახლეს ვხვდებით: ჩნდება ყურმილიანი ბიკონუსური ხელადები და ჭინჭილები, მაღალფეხიანი და კონუსურძირიანი სასმისები, პირგადაკეცილი სხვადასხვა ჭურჭელი, წრიულ-კონცენტრული ჭდეული ორნამენტი და სხვ. კოლხეთში ამ დროს შავი და მუქზედაპირიანი ნაწარმი ჭარბობს. კოლხური კ-ის ნიმუშები ხარისხით ხშირად არ ჩამოუვარდებოდა იმპორტულს.

ქართული კ-ის ერთ მთავარ ჯგუფს წყლის, ღვინის, სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების მრავალნაირი ჭურჭელი შეადგენს, მეორეს კი – კრამიტი, აგური და თიხის მილები. საქართვ. ანტ. ხანის არქეოლ. მასალაში საღვინე ჭურჭლის სპეციფ. ადგილ. ფორმების (ქვევრები, სხვადასხვა სახის დოქები, ხელადები, ჭინჭილები, ფიალები) სიმრავლე, პირველ რიგში, მაღალგანვითარებულ მევენახეობაზე მიგვითითებს. ამასთან, ქვევრები და დიდი დერგები განკუთვნილი იყო მარცვლეულის, ზეთისა და სხვა პროდუქტის შესანახადაც. გვიანდ. ანტ. ხანაში ვრცელდება სამტუჩა (სამყურა ბალახის ფორმის) ფართოძირიანი, მოვარდისფრო, მოწითალო, ზოგჯერ შავკეციანი



კერამიკა. ზ. მაისურაძე. „აღაზა და ზვიადაური“. პანო. 1963.

დოქები, მატულობს ყელწიბოიანი მსხლის ფორმის წითელი თიხის დოქები, რ-თა ფორმა ადრინდ. და შუა ფეოდ. ხანაშიც გადმოდის. ამ დროს გვხვდება მოჭიქული კ-ის ცალკეული ნიმუშებიც (არმაზისხევი, ურბნისი, თრიალეთი, ყოღოთო). საქართველოში ფართოდ გამოიყენებოდა სამშენებლო კ. შენობების ასაგებად გამოყენებულია განსხვავებული ზომის გამომწვარი აგური. ქალაქებში საცხოვრ. და სხვა ნაგებობები ხშირად გადახურული იყო წითლად შეღებილი გვერდებაკეცილი და ღარებიანი კრამიტით (მცხეთა, ურბნისი, გორი, სამადლო, სარკინე, რუსთავი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ არმაზისხევის და ბაგინეთის მშენებლობაში (ძვ. წ. VI ს.) უკვე გამოყენებულია კერამ. მილები. მცხეთაში აღმოჩენილია კრამიტ-სამარხები (ძვ. წ. I – ახ. წ. III სს.), აგურითა და კერამ. ფილებით ნაგები სამარხები (I–III სს.) და სხვ.



კერამიკა. ჟ. ფოჩხიძე. დოქი. 1969.

ფეოდ. ხანაში კ-ის წარმოების განვითარება ახ. სოც.-ეკონ. საფუძველს ემყარებოდა. ადრინდ. ფეოდ. ხანაში (IV–IX სს.) ძვ. (ანტ.) საქალაქო მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების შეჩერებამ სასოფლო მეურნეობის აღორძინება გამოიწვია. შეიმჩნეოდა კერამ. ნაწარმის თანდათანობითი რეგრესი. IV–V სს. კერამ. წარმოებამ ჯერ კიდევ შეინარჩუნა ინტენს. ხასიათი და მნიშვნელოვანი მასშტაბი, ნაწარმმა კი – ანტ. კ-ის მრავალი ნიშანი, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც განიცადა. თხელკეციან კ-ს IV–VI სს-ში სხვა



კერამიკა. ნ. კიკნაძე. დეკორატიული სასმისი ,,შეწყვილებული ირმები“. 1965.



კერამიკა. ე. ბაბლიძე. დეკორატიული ლარნაკი. 1967.

ფორმა ჰქონდა და განსხვავებული ტექნოლოგიით მზადდებოდა. აღნიშნულ პერიოდში საშენ მასალად ქვასთან ერთად აგური გამოყენებულია ნაქალაქევის ძველი ციხე-ქალაქის კედლებში (IV–VI სს.), ასევე ვარციხის, შორაპნის და სკანდის ძველი ციხეების მშენებლობაში (V–VI სს.). აგური თავისი ზომითა და ფორმით ,,ქართულ აგურს“ (23,5*სმ*×23,5*სმ*×5,5 *სმ*) უახლოვდება.

ფეოდ. საქართვ. პოლიტ. გაერთიანებას, ეკონ. წინსვლას და ქების აღორძინებას ჰ-ის წარმოების ახ., მკვეთრი აღმავლობა (IX–XIII სს.) მოჰყვა. აღორძინების ხანის პროდუქციის წარმოებაში ჰ. განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. XII–XIII სს-ში გაუმჯობესდა ჰ-ის წარმოების ტექნოლოგია. ამზადებდნენ საოჯახო და სამეურნეო დანიშნულებისა (ჯამები, სხვა სახის პატარა დოქები, საყვავილე ლარნაკები, ჭრაქები, სამარილეები და სხვ.) და სადღესასწაულო (მ. შ. ოქროთი მოვარაყებული თხელკედლიანი ლარნაკები და სხვ.) ნაკეთობებს. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მოჭიქულ ჭურჭელს, რ-იც მასიურად მზადდებოდა სხვადასხვა საწარმოო ცენტრში – თბილისში, დმანისში, რუსთავში და სხვ. მოჭიქული ჰ. წარმოადგენდა ერთი ან რამდენიმე ფერით მოხატულ, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარულ ჭურჭელს. გვხვდება ფერადი ჭიქურებით მოხატული ჭურჭლის ნიმუშებიც. განსაკუთრებით ბევრი იყო ფრინველის გამოსახულებიანი და მცენარეული ორნამენტით შემკული ჯამები. ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენდა ქაშანურის ზოგიერთი ნიმუშიც, რ-იც თავისებური ორნამენტული სტილითა და ტექნოლოგიით გამოირჩევა. აღმოჩენილია კერამ. სახელოსნო გამოსაწვავი ქურებით და სათანადო პროდუქციითურთ (,,განჯისკარი“), მიაგნეს წარმოების უშუალო კვალს (თბილისი, დმანისი, რუსთავი). სავარაუდოა, რომ კერამიკული ნაწარმი მზადდებოდა უჯარმაში, იყალთოში, ძვ. ანაგაში, გუდარეხში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ზუგდიდსა და ცაგერში. საქართველოში აღმოჩენილია ამ დროის იმპორტული, უმეტესად აღმ. ქვეყნებიდან შემოტანილი ჭურჭელი. ცნობილია უცხოურის მიბაძვით ნაკეთები ჰ-ც. დასტურდება სავაჭრო ურთიერთობა ქართულ ქალაქებს შორის, სავარაუდოდ, კერამ. ჭურჭელი საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. აღნიშნულ პერიოდში მხატვრული ჰ-ის წარმოებამ უმაღლეს დონეს მიაღწია და ადგილ. კულტ. ტრადიციებზე დაფუძნებული თავისებური ახ. მხატვრული სტილი შექმნა. ამას ხელს უწყობდა მეზობელ კულტ. გარემოსთან ურთიერთობაც. შუა საუკუნეების საქართველოში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სამშენებლო ჰ-მ. აგურის მასიურ გამოყენებას ვხვდებით სახლების, სასახლეებისა (გეგუთის სასახლის დიდი ნაწილი აგებულია აგურით) და ეკლესია-მონასტრების გუმბათისა და თაღების მშენებლობაში. აღნიშნული პერიოდის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვაფრად მოჭიქული შორენკეცების დამზადება და მოსაპირკეთებელ მასალად გამოყენება (რუისის, ბოდბის ტაძრები და სხვ.). იმავე პერიოდის მშენებლობაში ვრცელდება მოჭიქული კრამიტიც (კრამიტით გადახურული იყო გეგუთის სასახლის დიდი ნაწილი, ასევე გელათის მონასტერი, იშხნისა და დოლისყანის ტაძრები და სხვ.).

XIII ს. II ნახ. – XIV ს-ში კერამ. წარმოებაში ახ. ეტაპი გამოიყო, რითაც დასრულდა აღმავლობის პერიოდი. მხატვრულ ჰ-ში ეს მომენტი ახ. ტექნოლ. ხერხებისა და ორნამენტული სახეების შემოღებით გამოიხატა (მაგ., ჭიქურის იმიტაცია, ამოკაწრულ ორნამენტზე ანგობისა და მოხატულობის დატანა და ამ ნაწილის უთხელესი ჭიქურით დაფარვა). გვიანდ. ფეოდ. ხანის ძეგლები და მასალა შედარებით უკეთ არის შესწავლილი აღმ. საქართველოში (თბილისის დედაციხე, დმანისი, გუდარეხი, მცხეთა, ჯავახეთის ახალქალაქი, თელავი, გრემი, არეში, ძველი გავაზი და სხვ.). აქ აღმოჩენილი კერამ. ნაწარმი იმდროინდელი საზ-ბის ეკონ. მდგომარეობის ამსახველი ერთერთი პირველწყაროა. შესამჩნევია კერამ. წარმოების დაქვეითება, რისი მიზეზიც ქვეყნის პოლიტ. და ეკონ. დასუსტება, ფეოდ. დაქუცმაცებულობა და აშლილობა, საქალაქო მეურნ. შეჩერება, გარეშე მტრის შემოსევები და თარეში იყო. მშვიდობიანობისა და მომძლავრების ცალკეული მომენტები (მაგ., XV–XVI სს-ში კახეთის სამეფოს გაძლიერება) ბიძგს აძლევდა ხელოვნ. დარგების, კერძოდ, ჰ-ის წარმოების განვითარებასაც. გვიანდ. ფეოდ. ხანაში მკვეთრად იცვლება მოჭიქული ჰ-ის ფორმები, კეცი, ორნამენტის სახეები და შესრულების ხერხები, საღებავის ფერი და ა. შ. ქუსლიანი ჯამები, ფიალები, ლანგრები და ხელადები მზადდება სუფთად განლექილი თიხისაგან. მათი კეცი მოყვითალო ან მოწითალოა და ორივე მხარეს დაფარულია მაღალი ხარისხის ყვითელი ან თეთრი ანგობითა და ჭიქურით. მოცემული პერიოდის ჰ-ში ერთ-ერთ ძირითად ჯგუფად გამოიყოფა წერნაქიანი ჭურჭელი – სხვადასხვა სახის დოქები, ხელადები, ჯამები, თეფშები, სამარილეები, ქოთნები, ქილები, დერგები, ქვევრები, ჩიბუხები და სხვ. XVII–XVIII სს-ში თბილისი ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრი იყო. ამ დროს შედარებით მცირე მასშტაბით აღდგა კერამ. წარმოება. იმპორტული ნაწარმის ჰ-ში გამოირჩევა ჩინეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან და დაღესტნიდან შემოტანილი ნიმუშები.

XVI ს-იდან იზრდება აგურის მნიშვნელობა, როგორც საერო (კახეთის XV–XVII სს. ნაგებობები; XVII–XVIII სს. თბილი-

სის შენობები და ქალაქის გალავანი; ერეკლე II-ის სასახლის თაღები თბილისში), ისე საეკლ.-სამონასტრო არქიტექტურაში (ახ. შუამთის და გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიები კახეთში, დანახვისისა და უფლისციხის ეკლესიები ქართლში, კადარის ეკლესია სამეგრელოში და სხვ.). იყენებდნენ დეკორ.-მოსაპირკეთებელ აგურსაც. კერამ. მილები გამოყენებულია თელავის, გრემის, „მუნის წყაროს“ და სხვ. აბანოებსა და წყალსადენებში (XV–XVII სს.).

XVIII–XIX სს-ში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობდა მეთუნეობის ცენტრები, სადაც საყოფაცხოვრებო, მხატვრული და სხვა დანიშნულების კ-ის ნიმუშები მზადდებოდა, მ. შ. მეჯურჭლეობის ცენტრებია: კახეთში – თაღლაური, რუისპირი, არტოზანი, მერე, ვარდისუბანი, თელავი, მაჩხაანი, ბოდბისხევი; ზემო იმერეთში – შრომა, საწაბლე, მაქათუბანი, გეზრულა, ჯოყოეთი; ქართლში – ცხავატი; ლეჩხუმში – საირმე; რაჭაში – ლაჩთა და შოუბანი; სამეგრელოში – ნამიკოლავო; აფხაზეთში – ეკვასკე და სხვ. მექვევრეობა-მეთორნეობის ცენტრებია: კახეთში – ვარდისუბანი, ახალსოფელი, ყარსუბანი; ზემო იმერეთში – ჩხირული, დიდწითელა; ასეთივე ცენტრებია აგრეთვე ქსნის ხეობაში, ლეჩხუმში და ა. შ. ასევე სხვადასხვა ადგილას ამზადებდნენ კრამიტსა და აგურს. სხვადასხვა კუთხის ცალკეული სახის ნაწარმს შორის უმთავრესად მსგავსებაა ფორმის, დამზადების ტექ. მიხედვით და სხვ. ამავე დროს ვლინდება ადგილ. თავისებურებებიც. აღნიშნულ პერიოდში თანდათან ჩამოყალიბდა ქართ. აგურის სტანდ. ზომა. გვერდებაკეცილი კრამიტი კი საბოლოოდ შეცვალა პატარა და მსუბუქმა ღარისებრმა კრამიტმა.

XIX ს-ში ქართ. ხალხური კ-ის გვერდით უხვად გამოჩნდა დას.-ევროპული და რუს. საქარხნო კერამიკული ნაწარმი, რ-მაც, გარკვეულწილად, შეაფერხა შინამრეწველური ქართული კ-ის რეალიზაცია. იმავე საუკუნის ბოლო წლებიდან, ქართ. კულტურის სხვა დარგებთან ერთად გამოცოცხლება კერამიკულმა ხელოვნებამაც დაიწყო. მხატვრული კ-ის წარმოებისა და მისი ტრადიციების აღორძინების საკითხით დაინტერესდნენ საზ. მოღვაწეები და მხატვრები (მ. შ. ა. ბერიძე და ა. მრევლიშვილი). ამ პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მცხეთის კერამიკული სკოლის დაარსება (1912), რ-საც კერამიკოსი ბ. შებუევი ხელმძღვანელობდა.

სამშენებლო კერამიკის წარმოებაში შემოიღეს ორთქლის ძრავით მომუშავე თიხის საზელი და დამყალიბებელი მანქანები, აგრეთვე განუწყვეტელი მოქმედების ჰოფმანის სისტემის გამოსაწვავი ღუმელი. 1878 მდ. ვერეზე მოეწყო კერამიკული კომბინატი აგურის, კრამიტის, თიხის მილების, ტერაკოტისა და ჭურჭლის დასამზადებლად, ვერის უბანში – ახ. ტექნიკით შეიარაღებული პირველი აგურის მსხვილი ქ-ნა (1882–86). საერთოდ XIX ს. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში წვრილი მრეწველობა თბილისში საგრძნობლად შემცირდა, მ. შ. აგურის წარმოებაც. 1898 კუკიის სასაფლაოს სიახლოვეს კვლავ დაიწყო ფუნქციონირება გაუმჯობესებული ტექნიკის ბაზაზე მომუშავე აგურის ქ-ნამ.

1909 წლისათვის ქუთაისში არსებობდა 35 აგურ-კრამიტის საწარმო, ამას გარდა აგურის წვრილი სარეწავები იყო ფოთში, ახალციხეში, ახალქალაქში, გორში, სიღნაღში, თელავში.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების პირველივე თვეებში განახლდა ქსნის აგურ-კრამიტის და შრომის ცეცხლგამძლე მასალების ქ-ნები. ქსნის ქ-ნა საქართვ. კერამ. მრეწველობის ერთადერთი საწარმო იყო, სადაც ამზადებდნენ თიხის მილებს. თუმცა მათი წარმოება თანდათან ეცემოდა იმ მეტალურგიული ქ-ნების მშენებლობის გამო, რ-ებიც ყოველწლიურად აფართოებდნენ მაღალხარისხოვანი თუჯისა და ფოლადის მილების დამზადებას. შემდგომ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა რ-ნში აშენდა აგურ-კრამიტის ახ. ქ-ნები, ხდებოდა არსებულის რეკონსტრუქცია-გაფართოება. 1941 წლის დასაწყისისათვის მწყობრში ჩადგა საბურთალოს მშრალი წნეხის მექანიკური აგურის ქ-ნა, რ-იც ყველაზე მძლავრი და მექანიზებული იყო. პარალელურად შენდებოდა კრამიტის ქ-ნებიც.

ჩვენს კერამ. მრეწველობაში დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა XX ს. II ნახ-იდან საოჯახო საჭიროებისათვის სათუთი კერამიკის წარმოება. გარდა ამისა, ფაიფურის ნაწარმი ფართოდ გამოიყენებოდა ელექტროტექნიკაში საიზოლაციო მასალად, ნახევრადფაიფურის ნაკეთობანი კი – სანიტარიული ტექნიკის დარგში.

კერამ. მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა თბილ. კერამიკული კომბინატის აშენება XX ს. 50-იან წლებში – უშვებდა ნახევრად ფაიფურის სანიტარიულ ნაწარმს, შემდეგ კი დაიწყო კაფელის (მოსაპირკეთებელი ფილები) დამზადება.

თანამედროვე ქართ. პროფესიული კ-ის ისტორია XX ს. 20-იანი წლებიდან იწყება. 1925 ახლად დაარსებულ თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა კერამიკული სახელოსნო (მხატვრული ხელმძღვ. – ი. ნიკოლაძე, გამგე – ბ. შებუევი, ოსტატი – ა. იორდანაშვილი). 1927 ქანდაკების ფაკ-ტთან კერამიკული განყ-ბა (ხელმძღვ. ა. ფიცხელაური), ხოლო 1930 კ-ის ფაკ-ტი ჩამოყალიბდა. სახელოსნო მხატვრებს თიხის ნაწარმის შექმნისა და გამოწვის საშუალებას აძლევდა. 1928 აქვე დაარსდა ქიმ. ლაბორატორია (ხელმძღვ. მ. ხანანაშვილი), რ-შიც საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული თიხის ნედლეულის კვლევა ხდებოდა. ტარდებოდა სამუშაოები ანგობისა და ჭიქურის ნაირსახეობების შესასწავლად. კ-ის ფაკ-ტზე ასწავლიდნენ: ბ. შებუევი, ა. ფიცხელაური, მ. ხანანაშვილი, ი. ნიკოლაძე, ლ. გუდიაშვილი, ლ. ტომაშუკი და სხვ. მალევე მათ სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული პედაგოგები (დ. ციციშვილი, ზ. მაისურაძე, ნ.



კერამიკა. რ. ცუხიშვილი. დეკორატიული ლარნაკები. 2001.

გომელაური და სხვ.) შეუერთდნენ. აღნიშნულ პერიოდში ახალ მიმართულებას – ფაიფურის ხელოვნებას – ჩაეყარა საფუძველი (მ. გიორგაძე, ე. ბაბლიძე, ე. ხაჩიძე, ი. ბუზარიაშვილი, მ. ჯალაღანია, გ. ყანდარელი, მ. ბაიდაშვილი, ა. ნაჩარიანი, მ. ჩიხლაძე, ი. გაჩეჩილაძე, გ. გოგიჩაიშვილი, ე. ვატაევა, ვ. გელაშვილი და სხვ.). ძირითადად შეიქმნა დიდი ზომის, დეკორით და სიუჟეტური კომპოზიციით უხვად შემკული საზეიმო ხასიათის მქონე დეკორატიული ლარნაკები (ი. ყანდაშვილი, 1948, 1952; ი. ბუზარიაშვილი, 1948; შ. ციციშვილი, 1952; გ. გოგიჩაიშვილი, 1953 და სხვ.), სახილე ლარნაკები (მ. ჩიხლაძე, 1954; გ. ლომიძე, XX ს. 50-იანი წლები და სხვ.), ტორშერები (ა. სპარსიაშვილი, 1958; შ. ნარიმანიშვილი, 1958), ჭაღები (გ. ფაჩუაშვილი, 1959) და სხვადასხვა კომპოზიციები, თუმცა ქართ. კერამიკული წარმოებისათვის ,,უცხო მასალა'' – ფაიფური, სათანადოდ ვერ განვითარდა ჩვენს სინამდვილეში. ბოლომდე ვერ მოხერხდა გამართული საწარმოო ბაზის შექმნა, ადგილობრივი ნედლეულის ათვისება, მისი წარმოებაში დანერგვა და ა. შ., სხვა მრავალი პრობლემის დაძლევა, რაც თავისთავად უარყოფითად აისახა პროდუქციის მხატვრულ ხარისხზეც. ამიტომაც, XX ს. 50-იან წლების ბოლოდან მხატვარ-კერამიკოსების უმრავლესობა ეროვნულ, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე მასალას – წითელ თიხას მიუბრუნდა, რაც მათ მდიდარ ტექნოლოგიურ, ფორმისეულ და დეკორატიულ მემკვიდრეობას სთავაზობდა. აქ კი გადამწყვეტი როლი სამხატვრო აკადემიის პ-ის ფაკ-ტთან არსებული ტექნოლოგიური ლაბორატორიის სასწავლო ექსპერიმენტულ სახელოსნოდ გადაკეთებამ ითამაშა (1958). სახელოსნოში თავი მოიყარა გამორჩეულმა, ინდივიდუალური ხელწერის მქონე კერამიკოსთა ჯგუფმა (ს. სულხანიშვილი, ე. ბაბლიძე, რ. იაშვილი, ა. კაკაბაძე, მ. ჩიხლაძე, ნ. კიკნაძე, მ. ჯალაღანია, რ. მეტრეველი, ი. გაჩეჩილაძე, ქ. კარგარეთელი, რ. ეკალაძე, გ. გოგიჩაიშვილი, რ. მეტრეველი-ჭელიძე, გ. ფაჩუაშვილი და სხვ.), რ-თა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც საკუთრივ 1960–70 წლების, ისე, საერთოდ, ქართული პ-ის ისტორიაში. ამასთან, საგულისხმოა სხვა მხატვარ-კერამიკოსების (ი. ყანდაშვილი, რ. ცუხიშვილი, ლ. ნაკაშიძე, ა. ბასიშვილი, ო. მუხიგული, ნ. ბოტკოველი, გ. მირზოევი, ა. ბარამიძე, რ. ქუჩულორია და სხვ.) შემოქმედებითი მოღვაწეობა. აქვე უნდა აღინიშნოს იმ მხატვრების დიდი დამსახურება (ე. მეგრელიშვილი, ნ. ლუარსაბიშვილი, ა. ბარამიძე, მ. ბაიდოშვილი, ე. ხაჩიძე, მ. აბაშიძე, ლ. ყიფიანი, დ. კობიაშვილი, ქ. ვაშაკიძე, მ. ჯალაღანია და სხვ.), რ-ებიც ამ დროისათვის სხვადასხვა წარმოებაში (თბილისის კერამიკული კომბინატი, კაფელის ფილების, საბურთალოს აგურის; ზუგდიდის ფაიფურის ქ-ნები და სხვ.) მუშაობდნენ და მხატვრულ-დიზაინურ ნაწარმს ქმნიდნენ. მათ მიერ განხორციელებული ეტალონებით გამოშვებული ნაწარმი დაინერგა ადგილობრივ წარმოებაში, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ გამოფენებზე არაერთი ჯილდო დაიმსახურა.

თანამედროვე მხატვარ-კერამიკოსთა მიერ შესრულებულ კერამ. ნიმუშებში ნათლად იკითხება მრვალსაუკუნოვანი გამოცდილება, ეროვნული ხასიათის ღრმა წვდომა და, ამავდროულად, სიახლის ძიების წყურვილი. მხატვრული სახის შესაქმნელად, ფორმათა მრავალფეროვნებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერადოვან გამას, რ-იც სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხების შერწყმითაა მიღებული (შებოლვა, აღდგენითი ჭიქურები, მაიოლიკის ჭიქურები, ანგობის საღებავები და სხვ.). XX ს. ქართული პროფ. პ. მრავალი მიმართულებით განვითარდა. წამყვანი როლი კვლავ მცირე ზომის საყოფაცხოვრებო და დეკორ. ჭურჭელს ენიჭება, ამასთან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიუჟეტურ, ანიმალისტურ, დეკორატიულ პლასტიკასა და პორტრეტულ კერამიკას.

განსხვავებული ხედვა და მიდგომა გამოჩნდა კერამიკოსთა მომდევნო თაობის შემოქმედებაში (ქ. რუხაძე, გ. იაშვილი, ნ. ციციშვილი, ლ. ქუთათელაძე, ლ. ბაგრატიონი, ო. ვეფხვაძე, ო. შარაბიძე, გ. უსტიაშვილი, გ. კიკნაძე, მ. იზორია, თ. კუპრაშვილი და სხვ.). მხატვარ-კერამიკოსები ნაკლებად მიმართავენ უტილიტარული და ყოფითი დანიშნულების ნიმუშების დამზადებას, ისინი ძირითადად მხატვრულ-ვიზუალური ხასიათის დეკორატიულ, საექსპოზიციო ნამუშევრებს ქმნიან. განსხვავებულია მხატვრული ფორმები. მასალად, წითელ თიხასთან ერთად, ხშირ შემთვევაში გამოყენებულია შამოტი. ნიმუშები იმკობა პლასტიკური და ფერწერული ხერხებით, რაც კერამიკული ნაკეთობების სინთეზურ ხასიათს განაპირობებს.

საქართველოს სხვადასხვა რაიონში (შედარებით შემცირებული მასშტაბით) დღემდე არსებობს ხალხური კერამიკის საწარმოო კერები, სადაც ძირითადად საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების წითელი თიხისა და ტერაკოტის ჭურჭლის მოხატულ-მოჭიქულ ნიმუშები მზადდება. XX ს. II ნახ-ის მრავალრიცხოვან ოსტატთა შორისაა ა. სულთანიშვილი (კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალქალაქი), რ. არსენიშვილი (თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. იყალთო), ტ. მეჭურჭლიშვილი (სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბოდბისხევი), ლ. ბუნტური (ახალგორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხავატი), შ. სვანიძე (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შროშა) და სხვ. მათი შემოქმედება მრავალსაუკუნოვან ქართული ხალხური პ-ის ტრადიციებს ემყარება.

დღეს საქართველოში ფუნქციონირებს 600-მდე კერამიკული მრეწველობის საწარმო, რ-ის ძირითადი ნაწილი წვრილ, კერძო საწარმოებს წარმოადგენს.

ქართ. კერამიკის ძველი ტრადიციების შენარჩუნებისა და აღორძინების მიზნით კერამიკულ ხელოვნებას სტუდენტები ეუფლებიან თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში. მიმართულებას ხელმძღვანელობს გ. იაშვილი. აქვე ფუნქციონირებს კერამიკა-მინის სასწავლო-ექსპერ. სახელოსნო.



კერამიკა. ი. გაჩეჩილაძე. მარანი. 1967.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გააჩნია საკმაო რაოდენობის კერამ. ნედლეული – კაოლინი, თიხები, რიოლიტები, ტრაქიტები, პეგმატიტები.

ჰ. უძველესი ხანიდან დღემდე ქართველი ხალხის ყოველდღიური ყოფისა და შემოქმედებითი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და ერის ისტორიის კვალდაკვალ ვითარდება.

ლიტ.: ა ფ ა ქ ი ძ ე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, [წგ.] 1, თბ., 1963; ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი ლ., კერამიკული წარმოება საქართველოში, თბ., 1995; დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, [წგ.] 1, თბ., 1975; ვანი I, თბ., 1972; ი ზ ო რ ი ა მ., ახალი მასალები ქართული მხატვრული თანამედროვე კერამიკის ჩამოყალიბების ისტორიიდან, «საქართველოს სიძველენი», 2016, № 19; კ ვ ა ს ხ ა ძ ე შ., კერამიკული ხელოვნება აღმავლობის გზაზე, «საბჭოთა ხელოვნება», 1954, №1–2; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო., არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტ. სერია, 1976, № 2; მ ა ი ს უ რ ა ძ ე ზ., ქართული მხატვრული კერამიკა IX–XIII სს., თბ., 1953; ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972; საქართველოს ისტორია, მთ. რედ. მ. ლორთქიფანიძე, ტ. 1, თბ., 2012; ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი ა., დეკორატიული კერამიკა, თბ., 1954; ჯ ა ო შ ვ ი ლ ი ვ., კერამიკული მრეწველობა საქართველოში, თბ., 1958.

ე. გოგაძე. გ. ტაბატაძე. ს. ჩიტორელიძე.

კერესელიძე აკაკი ერმილეს ძე [15 (28). VIII. 1916, სოფ. უწერა, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 6. VIII. 1996, თბილისი], ენერგეტიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1970), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1979). 1938 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი. მუშაობა დაიწყო თბილ. ენერგეტიკულ ნაგებობათა ტრესტში ინჟინერ-ლაბორანტად. 1940-იდან მივლინებული იყო აზერბაიჯანში ნავთობქიმიის ინ-ტში. მუშაობდა ,,აზნავთობის'' ერთ-ერთ საწარმოში მთ. ენერგეტიკოსად. 1947-იდან სპი-ში ეწეოდა პედ. საქმიანობას. პარალელურად ხელმძღვანელობდა თბილ. ელექტროტექ. სამეცნ.-კვლ. ინტ-ის ელექტრული მანქანების განყ-ბას (1958–63). 1972–89 სპი-ში იყო ელექტროტექ. კათედრის გამგე. 1982 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია.

კერესელიძე არჩილ (ტუხა) პავლეს ძე (24. XII. 1912, დაბა ღუნიბი, დაღესტანი, – 21. XII. 1971, თბილისი), კომპოზიტორი და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1961), ჩრდ. ოსეთის ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958). ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1973, სიკვდილის შემდეგ). 1934 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (ა. ვირსალაძის საფორტეპიანო და მ. ბაგრინოვსკისა და ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასები), 1939 – მოსკოვის კონსერვატორიის საკომპოზიციო განყ-ბა (დ. კაბალევსკისა და ნ. მიასკოვსკის კლასები). 1940–44 იყო თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (პოლიფონია), 1940–46 – კ. მარჯანიშვილის სახ. დრამ. თეატრის მუს. ნაწილის გამგე; 1953–71 – კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' მუს. რედაქტორი. მისი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ოპერა ,,ბაში-აჩუკი'' (1956; დაიდგა თბილისსა და ქუთაისში), ბალეტი ,,ნაზიბროლა'' (1947), მუს. კომედიები – ,,თბილისის ცის ქვეშ'' (1949), ,,მთვარიდან დაბრუნება'' (1963), ,,ალუბლის ყვავილობა'' (1965) და სხვ.; სიმფონია (1940), 2 საფორტეპიანო კონცერტი (1941, 1949); მუსიკა სპექტაკლებისათვის: ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი'', ,,მეფე ერეკლე'', ,,ძველი ვოდევილები'', ,,მაია წყნეთელი'', ,,ხარატაანთ კერა'' (კ. მარჯანიშვილის თეატრის დადგმები) და სხვ. მუსიკა მხატვრული კინოფილმებისთვის: ,,ქეთო და კოტე'' (ვ. დოლიძის ოპერის მუს. რედაქცია და რამდენიმე ორიგინალური ნომერი, მ. შ. ,,გინდ მეძინოს'' 1948), ,,ბედნიერი შეხვედრა'' (1949) ,,გაზაფხული საკენში'' (1950), ,,მაგდანას ლურჯა'' (1955), ,,ჩვენი ეზო'' (1956), ,,ფატიმა'' (1958), ,,სხვისი შვილები'' (1958), ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (1962, ნ. ვაწაძესთან ერთად), ,,დიდოსტატის მარჯვენა'' (1969). შექმნა პოპულარული სიმღერები, მ. შ. ,,ყელსაბამი'' (ქართ. ტელევიზიის მუს. ემბლემა წლების განმავლობაში), რომანსი ,,ვედრება'' (გ. ტაბიძის ლექსზე ,,დედაო ღვთისა'') და სხვა მრავალი.

ჰ-ის მუსიკისათვის დამახასიათებელია მელოდიურობა, სახოვანება, ნათელი კოლორიტი, მკაფიოდ გამოხატული ეროვნ. სტილი.

ჰ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

წყარო.: საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი: (1914–1918), ქართული ემიგრაცია, თბ., 2013, №1(4).

ლიტ.: ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ზ., ნ ო ზ ა ძ ე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ი ა შ ვ ი ლ ი მ., არჩილ კერესელიძე, თბ., 1977.

გ. ტორაძე.

კერესელიძე გიორგი მათეს ძე [17. III. 1885, გორი, – 1960, საფრანგეთი (დაკრძალულია ვეზინეს სასაფლაოზე)], პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათ. მოძრაობისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელი, ლ. *კერესელიძის* ძმა. 1905 რევოლუციის შემდეგ დაწყებულ რეაქციას ჰ. გაერიდა და 1906 ცოლ-შვილთან ერთად წავიდა შვეიცარიაში, სადაც ჟენევის უნ-ტის სტუდენტი გახდა. მალე რუსეთმა პოლიტ. საქმიანობის გამო ძმები კერესელიძეების გადაცემა მოითხოვა. შვეიცარიის სასამართლოზე ბელგიელმა ავტორიტეტულმა საერთაშ. სამართალმცოდნე ერნესტ ნისმა მათ დასაცავად წარმოთქვა სიტყვა: რ-შიც აღნიშნა, რომ რუსეთმა დაარღვია 1783 ხელშეკრულება, ამიტომ ქართველთა ყველა ქმედება პოლიტ. ბრძოლაა და დაუშვებელია მძების რუსეთისათვის გადაცემა. სასამართლომ ბრალდებულები გაამართლა.



ა. პ. კერესელიძე.

1910 ჰ. პ. *სურგულაძის* თაოსნობით დაფუძნებული ,,ქართველ სეპარატისტთა ჟენევის ჯგუფის'' წევრი გახდა. მათ დააარსეს ჟურნ. *,,თავისუფალი საქართველო''* (1913–14), რ-ის ერთ-ერთი რედაქტორი იყო ჰ. ჯგუფის წევრები გერმანიას თვლიდნენ ყველაზე რეალურ ძალად, რ-საც შეეძლო საქართველოს დახმარება. ამიტომ I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დაუკავშირდნენ გერმანიის მმართველ წრეებს, ჟენევიდან ბერლინში გადავიდნენ და ,,საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი'' შექმნეს (პ. სურგულაძე, ძმები ლ. და გ. კერესელიძეები, ნ. მაღალაშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი და სხვ.). ჰ. რედაქტორობდა კომიტეტის მიერ დაარსებულ ,,ქართულ გაზეთს'' 1916–18, 1918–21 იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს, 1919-იდან – დამფუძნებელი კრების წევრი. საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ (1921), ჰ. ემიგრაციაში წავიდა. იყო გაზეთ *,,თეთრი გიორგის''* რედაქციის წევრი და ერთ-ერთი ავტორი. II მსოფლიო ომის წლებში (1939–45) თანამშრომლობდა ბერლინში ხელისუფლების მიერ შექმნილ ,,კავკასიის სამმართველოსთან'' (ხელმძღვ. ვ. *ახმეტელი).* პოლიტ. საკითხების გარდა, იღვწოდა ქა-

რთველ ტყვეთა გათავისუფლებისათვის. *რ. დაუშვილი.*

კერესელიძე დავით ნოდარის ძე (დ. 14. V. 1956, თბილისი), ინჟინერ-ჰიდროლოგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1997), საქართვ. ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1997-იდან), საინჟინრო აკადემიის ნამდვ. წევრი (2007-იდან), იუნესკოსთან არსებული საქართვ. ჰიდროლ. კომიტეტის თავ-რე (1997-იდან).

1978 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1982–87 მუშაობდა წყალთა მეურნ. ინ-ტის მეცნიერ თანამშრომლად. 1986–87 სამეცნ. სტაჟირებით იმყოფებოდა კიოტოს (იაპონია) უნ-ტის საინჟინრო ჰიდროლოგიის ლაბორატორიაში, სადაც იკვლევდა იაპონიის წყალსაცავებს. მონაწილეობდა წყალსაცავებში მიმდინარე პროცესების პროგნოზირების მათ. მოდელის შემუშავებაში, რ-იც შემდგომ დაინერგა საქართვ. წყალსაცავებში.

1987–95 პ. იყო თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტის ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრის დოცენტი, 1995–2006 – პროფესორი. ამ პერიოდში მის მიერ შემუშავდა წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და დატბორვის უვნებელყოფის მეთოდები.

2003–05 პ. იყო თსუ-ის გეოგრ. ფაკ-ტის დეკანი, 2005–06 – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ტის დეკანის მოადგილე გეოგრ. დარგში, 2006–10 – ჰიდროლ., მეტეოროლ. და ოკეანოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი. 2000–10 მუშაობდა ჰიდრომეტეოროლ. ინ-ტში. 2010-იდან პ. არის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტის გეოგრ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ჰიდროლ., ოკეანოლოგიის და მეტეოროლ. კათედრის გამგე; 2014-იდან – წყალთა მეურნეობის ინ-ტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

პ-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, რ-ებიც ძირითადად ეხება წყლის რესურსების ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას, რეკრეაციის გავლენას წყლის ეკოსისტემებზე და სხვ. 1999–2012 თანაავტორებთან ერთად მონაწილეობდა გეოგრაფიის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაში.

თხზ.: ჰიდროლოგიური მახასიათებლების განსაზღვრის მეთოდები, თბ., 2009; ზოგადი ჰიდროლოგია, თბ., 2011; ზოგადი ოკეანოლოგია, ნაწ. 1 – ზღვებისა და ოკეანეების ჰიდროლოგია, თბ., 2013; Assessment of the flooding in the Black See coastal area of Western Georgia, «Journal of Environmental Protection and Ecology (JEPE)», 2010, vol. 11, №4; Allowable Soil Erosion Rates in Georgia // ISSN: 1064–2293, «Eurasian Soil Science», 2013, vol. 46, №3; Assessment of the river-side vulnerability, «Journal of Environmental Biology», 2017, vol. 38, №5.

კერესელიძე ვლადიმერ სიმონის ძე (9. II. 1890 – 11. XII. 1967), კინოოპერატორი. საქართვ. კულტურის დამს. მუშაკი (1968). კინომექანიკოსი (1908), მუშაობდა ს. ივანიცკაიას ლაბორატორიასა და გამქირავებელ კანტორაში (1910–12), ა. დრანკოვის კინოფაბრიკაში (მოსკოვი, 1912–16), საქართვ. ,,სახკინმრეწვის'' ლაბორატორია-



ვ. ს. კერესელიძე. კადრი ფილმიდან ,,ელისო''.

ში (1924–25), შემდგომ წლებში ქრონიკალურ-დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ოპერატორად. გადაიღო რამდენიმე ეპიზოდი ფილმისა ,,კავკასიის დამორჩილება'' (სავაჭრო სახლი ,,ა. დრანკოვი, ა. ტალდიკინი და კომპანია'', რუსეთი, რეჟ. ლ. ჩერნი, 1913). დამდგმელი: ოპერატორია ფილმებისა: ,,გოგი რატიანი'' (ს. ზაბოზლაევთან ერთად, რეჟ. კ. მარჯანიშვილი, 1927), ,,ელისო'' (რეჟ. ნ. შენგელაია, 1928), ,,უგუბზიარა'' (ა. დიღმელოვთან ერთად, რეჟ. დ. რონდელი, 1930), ,,განწირულნი'' (რეჟ. ლ. პუში, 1930), ,,ჰასანი'' (ბ. ბაშთან ერთად, რეჟ. კ. მიქაბერიძე, 1932), ,,მდინარის გაღმა'' (რეჟ. ზ. ბერიშვილი, 1935). გადაიღო დოკუმენტური ფილმები: ,,აფხაზეთი'' (რეჟ. დ. რონდელი, 1930), ,,ზოოპარკი'' (რეჟ. ვ. ჭანკვეტაძე, 1939), ,,აჭარის სანაპიროზე'' (რეჟ. შ. მარტაშვილი, 1940) და სხვ.

მ. კერესელიძე.

კერესელიძე თამაზ მიხეილის ძე (დ. 24. V. 1946, თბილისი), ფიზიკოს-თეორეტიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (2002). 1971 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი. 1972–74 მუშაობდა მოსკოვის ი. კურჩატოვის სახ. ატომური ენერგიის ინ-ტში. 1975-იდან მუშაობს თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტზე სხვადასხვა თანამდებობაზე. ეწევა პედ. საქმიანობას. პ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა მოლეკულური და ატომური ფიზიკა, დაჯახებათა კვანტური თეორია. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა.

თხზ.: Correlation of the diabatic molecular orbitals in diatomic quasimolecules, «Journal of Physics B: Atomic, Molecular and Optical Physics», 20, 1981,1987; Analytical expressions for two-Coulomb-centre wavefunctions at large internuclear distances (თანაავტ.: ი. ნოსელიძე, მ. ჩიბისოვი), «Journal of Physics B: Atomic, Molecular and Optical Physics», 36 853, 2003.

კერესელიძე თამაზ სერგოს ძე (18. VIII. 1925, თბილისი, – 28. XII. 1998, იქვე), მიკრობიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1976), საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1994). 1948 დაამთავრა თსსი. 1948–50 მუშაობდა თბილისის მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1952–59 იყო ამავე ინ-ტის ლაბორატორიის გამგე; 1959–60 – კანის და ვენეროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ექსპერ. განყ-ბის გამგე; 1964–66 – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსულტანტი სამხრ.-აღმ. აზიაში (ინდოეთი); 1966–70 – ინფექციურ დაავადებათა განყ-ბის სპეციალისტი, ხოლო 1979–84 – მთ. სპეციალისტი (პროგრამის ხელმძღვანელი) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შტაბ-ბინაში (შვეიცარია); 1972–76 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ეპიდემიოლოგი (შეთავსებით); 1974–79, 1984–92 – თსსი-ის მიკრობიოლოგიის კათედრის გამგე, 1992–98 – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კოორდინატორი საქართველოში.

პ. დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნ. მუშაობას ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში. მისი სამეცნ. ინტერესების სფერო იყო განსაკუთრებით საშიში ინფექციური სნეულებების ეპიდემიოლოგია და პროფილაქტიკა.

პ-ის მიერ ი. როტასთან (ჩეხოსლოვაკია), დ. კრაუზესთან (აშშ), ჟ. კოსთან (საფრანგეთი), ბ. ცვეტნოვიჩთან (იუგოსლავია) ერთად შემუშავდა სამეცნ. დოკუმენტები სხვადასხვა ინფექციების დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკის შესახებ, რაც საფუძვლად დაედო ამ

პრობლემებისადმი მიძღვნილ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საექსპერტო კომიტეტის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. პ. აირჩიეს ჰოსპიტალური ინფექციების და ანტიბიოტიკების სამეცნ. საზ-ბების წევრად (აშშ, ინგლისი). სამეცნ. და პედაგოგიურ საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ჟენევაში დააჯილდოვა ,,ბიფურკაციის ნემსის ორდენით'' (1980). ის იყო პირველი ქართველი მკვლევარი, რ-მაც აღნიშნული ორდენი ,,ყვავილის'' წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიიღო.

პ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, რ-ებიც ეხება მიკრობიოლოგიის და ეპიდემიოლოგიის აქტუალურ საკითხებს (აქედან 3 მონოგრაფიაა).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: ეპიდემიოლოგია. სახელმძღვანელო, თბ., 1981 (თანაავტ.); Международные аспекты борьбы с холерой, М., 1971.

კერესელიძე ივანე ივანეს ძე [10(22). XI. 1829, თბილისი, – 21. XII. 1892(2. I. 1893), იქვე], პუბლიცისტი, მწერალი, საზ. მოღვაწე, რედაქტორ-გამომცემელი. 1850 დაამთავრა თბილ. პირველი გიმნაზია. 1851 სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა მიიწვია ზუგდიდში შვილების აღმზრდელ-მასწავლებლად. 1852-იდან დაიწყო საგამომცემლო მოღვაწეობა. 1854-იდან მეთაურობდა ქართ. დრამ. დასს. 1857 იანვარს აღადგინა და გამოსცა ჟურნ. ,,*ცისკარი*'', რ-საც ხელმძღვანელობდა 18 წლის განმავლობაში. 1862 დააარსა ჟურნ. ,,*გუთნის-დედა*'', 1887-იდან უშვებდა გაზ. ,,ცისკარს''.

პ-ის პირველი ლექსები დაიბეჭდა 1851 გაზ. ,,ზაკავკასკი ვესტნიკში''. შემდეგ იბეჭდებოდა ,,დროებაში'', ,,იმედში'', ,,ივერიაში'' და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. მისი ლექსები ,,შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი'' და ,,ჩემო თვალის სინათლევ'' პოპულარულ სიმღერებად იქცა. 1855 ცალკე წიგნად გამოიცა პ-ის პოემები, 1859 – ლექსთა პირველი კრებული. პ-ს ურთიერთობა ჰქონდა ა. *დიუმასთან* (მამა) მისი კავკასიაში მოგზაურობის დროს.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. *ნ. ხომერიკი.*

კერესელიძე კონსტანტინე გიორგის ძე [18. XI (1.XII). 1907, სოფ. ბოყვა, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 5. V. 1996, თბილისი], ინჟინერ-გეოლოგი. სტალინური პრემიის ლაურეატი (1951), საქართვ. დამსახურებული ინჟინერი (1961), გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. კანდიდატი (1971).

1934 დაამთავრა ამიერკავკ. ინდუსტრ. ინ-ტის გეოლ.-საძიებო ფაკ-ტი. წლების განმავლობაში იყო საქართვ. გეოლ. სამმართველოს უფროსი. 1951 პ-ს მიენიჭა გეოლ. სამსახურის III რანგის გენერალური დირექტორის პერსონალური წოდება. პ-ის გეოლ. სამმართველოში მუშაობის პერიოდში აღმოაჩინეს და შეისწავლეს სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ, ტყვია-თუთიისა და ბარიტის საბადოები, რითაც ქვეყნის მრეწველობის სხვადასხვა დარგს შეექმნა ნედლეულის მყარი ბაზა. საქართვ. ბარიტის საბადოთა შესწავლისათვის პ-ს, სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად, მიენიჭა სტალინური პრემია.

1958 პ. მივლინებული იყო ჩინეთის სახ. რესპუბლიკაში დელეგაციის ხელმძღვანელად, სადაც მისი უშუალო მონაწილეობით უმოკლეს ვადაში აღმოაჩინეს და აითვისეს რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის საბადო, რისთვისაც სახელმწ. საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენლაიმ სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

1966 პ. დაინიშნა დას. საქართველოს თემატურ-კომპლექსური ექსპედიციის უფროსად, ბოლოს მუშაობდა კავკ. მინერალური ნედლეულის ინ-ტში საფინანსო სამსახურის უფროსად.

პ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ვ. კერესელიძე.

კერესელიძე კონსტანტინე გიორგის ძე (დ. 5. I. 1932, მოსკოვი), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983). დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკტი (1963). 1954-იდან მუშაობდა ,,ქართულ ფილმში'' ოპერატორის ასისტენტად. სატელევიზიო ფილმების სტუდიაში გადაიღო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,მხოლოდ 17 კილომეტრი'' (1964). 1965–92 მუშაობდა საქართვ. ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების სტუდიაში, სადაც გადაიღო სამეცნ.-პოპულარული ფილმები: ,,მარო თარხნიშვილი'' (1967), ,,ჯადოსნური სასმელი'' (1969), ,,უთოფო მონადირე'' (1968), ,,ადამიანი ლეგენდა'' (1969), ,,ბალადა'' (1974), ,,პარამეტრი პ'' (1975), ,,ტვინი და მშობიაროობა'' (1975), ,,ხელოვნური ინტელექტი'' (1976), ,,ალავერდი'', ,,ნიკორწმინდა'' (1977), ,,ფანჯარა სამყაროში'' (1978), ,,ალქიმიკოსები'' (1980), ,,უჩა ჯაფარიძე'' (1981), ,,ოქროს თევზი'' (1982), ,,აღმოჩენა №250'' (1983), ,,ნიშნული ატომი'' (1986), ,,ბიჭვინთის ფიჭვი'' (1987), ,,დინასტია'' (1989), ,,უჩინარი ხელი'' (1989), ,,დავით ბადრიძე (1989), ,,ივანე კერესელიძე'' (1990), ,,ვიქტორ დოლიძე'' (1991), ,,სიყვარულის ახსნა'' (1991) და სხვ. 1993-იდან ცხოვრობს აშშ-ში.

მ. კერესელიძე.



კ. გ. კერესელიძე (დ. 1907).

კერესელიძე ლეო მათეს ძე (1883 – 23. XI. 1942), სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-განმათ. მოძრაობისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, გ. *კერესელიძის* ძმა. საქართვ. დემოკრ. რესპ. ეროვნული არმიის გენერალი (1918). ფილოსოფიის დოქტორი (1902). დაამთავრა ჟენევის უნ-ტი და ერთხანს იქვე მოღვაწეობდა პრივატ-დოცენტად. 1913–14 გ. კერესელიძესთან და სხვებთან ერთად ჟენევაში გამოსცემდა ჟურნ. ,,*თავისუფალ საქართველოს*''. იმავე ხანებში ხელმძღვანელობდა ,,ქართველ სეპარატისტთა ჟენევის ჯგუფს''. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე 1914 ჟენევაში შეიქმნა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი'', რ-შიც შევიდნენ პ., გ. კერესელიძე, პ. სურგულაძე, მოგვიანებით გ. *მაჩაბელი* და მ. *წერეთელი.* კომიტეტმა პ-ის ინიციატივით კავშირი დაამყარა გერმანიის სარდლობასთან, მათთან შეთანხმებით გადავიდა სტამბოლში და გერმანიის სარდლობასთან ერთად შეუდგა ქართ. ლეგიონის შედგენას. პ-მ და გერმ. ოფიცერმა ფონ კიშკემ ლეგიონი შექმნეს ოსმალეთში, ლაზისტანის ქ. ვიწეში. პირველ შემადგენლობაში შედიოდა 70 მებრძოლი, რ-ებსაც პ. მეთაურობდა. 1916 ოსმალეთის სარდლობამ არ ისურვა თავის ტერიტორიაზე ქართ. ლეგიონის არსებობა და გერმანიის სარდლობას მოსთხოვა მისი დაშლა. 1918 ეს სამხ. დაჯგუფება სრული შემადგენლობით



კ. გ. კერესელიძე (დ. 1932).

საქართვ. ეროვნ. არმიაში შევიდა.

1916–18 ლ. და გ. კერესელიძეების თაოსნობით ბერლინში გამოდიოდა ,,*ქართული გაზეთი*'', რ-მაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1918–21 პ. თავდაპირველად იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნ. საბჭოს, შემდეგ კი დამფუძნებელი კრების წევრი (1919-იდან). საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ, პ. ემიგრაციაში წავიდა. 1939-მდე ცხოვრობდა საფრანგეთში, ხოლო 1939–42 – გერმანიაში. 1924 მისი მონაწილეობით პარიზში დაარსდა ქართველ პატრიოტთა ორგანიზაცია ,,*თეთრი გიორგი*''. პ-ს ეკუთვნის ქართ. ემიგრანტულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიც. წერილი. 1918 ჟენევაში ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნი ,,აღმოსავლური ფანტაზიები'' (,,Fantasies Orientales'').

დაჯილდოებულია თამარ მეფის ორდენით.



შ. კერესელიძე.

ლიტ.: სალია კ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს, «ბედი ქართლისა», პარიზი, 1962, №39–40; სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914–1918), ბათ., 1998; სურგულაძე ა., სურგულაძე კ., ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათ., 1994.

ლ. ურუშაძე.

კერესელიძე ნოდარ ბაგრატის ძე (10. I. 1927, თბილისი, – 13.VIII. 2002, იქვე), ჰიდროენერგეტიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1972). საქართვ. ეროვნული და საერთაშორისო ენერგეტ. აკადემიების ნამდვ. წევრი (1998). 1949 დაამთავრა სპი. მუშაობა დაიწყო თბილ. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1976-იდან ამავე ინ-ტის დირექტორია. პ. იყო მაღალი კაშხლების საერთაშ. კომიტეტის და ჰიდრავლიკურ კვლევათა საერთაშ. ასოციაციის წევრი. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართვ. ენერგეტიკის განვითარების საქმეში. ეწეოდა პედ. საქმიანობას სტუ-ში.

პ-ის სამეცნ. შრომები ეხება ენერგეტ. მშენებლობის ჰიდრომექან. და ჰიდრავლიკის საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: მოუპირკეთებელი დეფორმირებადი არხების ჰიდრავლიკა, თბ., 1977.

კერესელიძე შალვა იასონის ძე [12(25). XII. 1913, სოფ. უწერა, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 3. I. 1997, თბილისი], ინჟინერ-მექანიზატორი, კონსტრუქტორი. საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1992). ტექ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1962), საქართველოს დამს. გამომგონებელი (1961), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1962). 1943–49 მუშაობდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში, 1949–54 – ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად, 1955–62 – საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტის პრორექტორად; 1962–71 იყო საქართვ. სოფ. მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინ-ტში დირექტორის მოადგილე და პრობლემური ლაბორატორიის უფროსი, 1971–75 – სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპ. კულტურების მანქანების სამეცნ. და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინ-ტის დირექტორი და გენ. კონსტრუქტორი. 1975-იდან საქართვ. სოფ. მეურნ. მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ინ-ტში ხელმძღვანელობდა ჩაისა და სუბტროპ. კულტურების მანქანების სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო ტექნოლ. ლაბორატორიას.

პ-ის ძირითადი შრომები ეხება ჩაისა და სუბტროპ. კულტურების მექანიზაციას. ჩაის საკრეფი მანქანის ,,საქართველოს'' შექმნისა და წარმოებაში დანერგვისთვის სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია (1967), ხოლო ნაშრომისთვის ,,სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაცია'' – კ. ამირაჯიბის სახ. პრემია (1992). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით.

თხზ.: ჩაის მოვლა-მოყვანის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები, თბ., 1964; Индустриальная технология возделывания, сбора, загрузки, выгрузки, транспортировки и переработки чайного листа, Тб., 1972; Механизация горного земледелия и субтропических культур, Тб., 1988.

კერვალიშვილი ზურაბ იასონის ძე (20. IX. 1934, სოფ. სორი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 12. V. 2017, თბილისი), ქიმიკოსი. საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (1988), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993), საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. 1961 დაამთავრა სპი-ის ქიმ.-ტექნოლ. ფაკ-ტი ორგანული სინთეზის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო რუსთავის ქიმიურ კომბინატში. 1972–83 იყო მთ. ინჟინერი, 1983–92 – რუსთავის საწარმოო გაერთიანება ,,აზოტის'' გენ. დირექტორი. 1994-იდან ,,რიცეულა-ჰესის'' (რაჭა) სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობდა. სპეციალისტების ჯგუფთან ერთად სახელმწ. პრემია მიენიჭა რუსთავის საწარმოო გაერთიანება ,,აზოტის'' კაპროლაქტამის წარმოებაში რესურსდამზოგავი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლ. პროცესების დამუშავებისა და დანერგვისათვის. 2001 აირჩიეს ქ. რუსთავის საპატიო მოქალაქედ.

პ-ის ხელშეწყობით მრავალმა ახალგაზრდამ ქ. რუსთავიდან მიიღო განათლება საზღვარგარეთ. მან თავისი სახსრებით აღადგინა სოფ. სორის გვიანდ. შუა საუკუნეების ჯვარცმის ერთნავიანი უგუმბათო ეკლესია, სოფლის მოშორებით მდებარე დანგრეული სალოცავები და კოშკები.

პ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1976) და მრავალი მედლით.

კერვალიშვილი პაატა ჯამლეთის ძე (დ. 17. IX. 1949, თბილისი), ინჟინერ-ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1989). საქართვ. საინჟინრო აკად. პრეზიდიუმის წევრი (1995). დაამთავრა სპი-ის საინჟინრო-ფიზ. ფაკ-ტი (1971), მოსკოვის უცხო ენათა ინ-ტის ინგლ. ენის ფაკ-ტი (1976). მუშაობდა სსრკ ატომური ენერგიის სახელმწ. კომიტეტის სხვადასხვა სამეცნ.-ტექნოლ. ცენტრში – სოხუმის ფიზიკა-ტექ. ინ-ტში (1970–71); სტაბილური იზოტოპების ინ-ტში (1971–75, 1981–93); ,,გირედმეტში'' (1975–80); ი. კურჩატოვის ატომური ენერგიის ინ-ტში (1982–91); ხელმძღვანელობდა სამეცნ. და სამრეწვ.-ტექნოლ. თემებს, პროექტებსა და პროგრამებს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში (1993–2000).

1991-იდან პ. მუშაობს სტუ-სა და თსუ-ში. ხელმძღვანელობს საერთ. სამეცნ.-ტექნოლოგიურ პროექტებს. მიწვეული იყო პროფესორად აშშ-ის და ევროპის უნ-ტებში (1991–2015).

პ. 400-მდე სამეცნ. ნაშრომის და გამოგონების ავტორია, რიგი მისი გამოგონებებისა დანერგილია წარმოებაში. მისი სამეცნ. ინტერესების სფეროა მყარი სხეულისა და ნახევარგამტარების ფიზიკა; ინფორმატიკა და კომპიუტერული

ტექნოლოგიები; ნანოსისტემების ფიზიკა.

პ. არის საქართვ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად. პრეზიდენტი, ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ხელოვნებისა და მეცნ. აკად. პრეზიდენტი (2010). საქართვ. ეკოლ. მეცნ. აკად. (1997) და ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად. წევრი (2003). სხვადასხვა დროს იყო რამდენიმე საერთაშ. კომისიის წევრი, მუშაობდა ნატოს სამეცნ.-ტექნოლოგიურ საბჭოში (1995–2000).

პ-ს მიღებული აქვს სსრკ ახალგაზრდა მეცნიერთა პრემია ფიზიკაში (1978); ევროპის აკადემიის ოქროს არწივის ორდენი (2004); ათენის უნ-ტის უმაღლესი ჯილდო (2008), ვ. ვერნადსკის ვარსკვლავი (2008) და სხვ.

თხზ.: О поведении примеси лития в карбиде бора, «Атомная энергия», 1981, т. 751, вып. 2; Semiconducting Nanostructures – Materials for Spintronics, «Nanotechnology Perceptions», 2005, vol. 1, №3; Nuclear Radiation Nanosensors and Nanosensory Systems, Springer, 2016 (თანაავტ. Panayotis H. Yannakopoulos).

კერკენი, ქერქენი, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის კუტოლის თემში (აფხაზეთის არ), მდ. დღამშის ნაპირას. ზ. დ. 150 *მ,* კუტოლიდან 10 *კმ.*

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კერკეტები, ერთ-ერთი უძველესი ტომი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ადიღეელთა წინაპრები. ანტიკურ ხანაში სახლობდნენ შავიზღვისპირეთში, ეკავათ სანაპირო ზოლი დაახლ. დღევანდელი ნოვოროსიისკიდან ტუაფსემდე. პ-ს იხსენიებენ სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემაიოსი და სხვ. პ-ის შესახებ ნათქვამია, რომ ,,ესაა სამართლიანი და კეთილი ხალხი, ზღვაოსნობაში დიდად დახელოვნებული, რომელთა სანაპიროზე არის ნავმისადგომები და სოფლები, სადაც მუშაკნი გასაყიდად საქონელს დაატარებენ''. პ-ის ქვეყანაში ანდრია პირველწოდებული ჯიქების ქვეყანაზე გავლით შევიდა. ჯიქებმა ქრისტეს მოციქულის ქადაგება არ შეისმინეს, მაგრამ პ-ში, ასევე მათ ჩრდილოეთით მცხოვრებ სინდებში, ანდრიამ წარმატებით იქადაგა ქრისტეს მცნებანი, რაც ამ რეგიონში ბერძნულ-რომაული კულტურის დიდი გავლენით იყო განპირობებული. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (IX ს.) სინდებს ,,ზემო სუგდებად'' მოიხსენიებს, ჩნდება საფუძველი, რომ სინდების ახლო მონათესავე პ. ,,ქვემო სუგდებად'', ე. ი. სინდების ნაწილად მივიჩნიოთ. პ-მა ახლანდ. ჩერქეზების ეთნოგენეზშიც მიიღეს მონაწილეობა, ამიტომ ხშირად მათ აიგივებენ ჩერქეზებთან. შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე მცხოვრები პ-ის ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა მთიდან ჩამოსულმა ჯიქებმა დააჩქარეს.

ლიტ.: გოილაძე ვ., ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, თბ., 2015; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგ. 1 – საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950. *ვ. გოილაძე.*

კერნბახი (Kernbach) ვიქტორ (14. X. 1923, კიშინიოვი, – 16. II. 1995, ბუქარესტი), რუმინელი მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი. XX ს. 50-იანი წლების დასაწყისიდან დაინტერესდა ქართ. კულტურით, შეისწავლა ქართ. ენა. 1956 დაასრულა ,,ვეფხისტყაოსნის'' სრული პოეტური თარგმანი, რ-იც 2-ჯერ (1957, 1963) გამოიცა. პ-მა თარგმნა და გამოსცა ნ. ბარათაშვილისა (ბუქარესტი, 1959; თბილისი, 1968) და გ. ლეონიძის (1959) ლექსების კრებულები. მასვე ეკუთვნის ,,ქართული ხალხური ზღაპრების'', კ. გამსახურდიას ,,დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის'', აგრეთვე დ. გურამიშვილის, გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის ლექსების თარგმანები. პ. ქართული კულტურის პოპულარიზატორი იყო, რუმინულ პრესაში აქვეყნებდა სტატიებს საქართველოს შესახებ. რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში, რ-საც მიუძღვნა წიგნი ,,მყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა'' (1958, ქართ. თარგმანი – 1968). 2018 პ. ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. *ფ. ჯინჯიხაშვილი.*

კერპთაყვანისმცემლობა, კერპთმსახურება, წარმართობის ერთ-ერთი სახე. პ., როგორც ადამიანის რელიგიური ცნობიერების გამოხატულება, უძველეს დროში აღმოცენდა. მისი თაყვანისცემის ობიექტია *კერპი,* რ-იც განასახიერებს ამა თუ იმ ღვთაებას ან მის ძალას. პ. მოიცავს გარკვეულ რიტუალებსა და წესჩვეულებებს. ძველი აღთქმა მკაცრად კრძალავდა პ-ს: ,,არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი'' (გამოსვლა 20.4.) დეკალოგოსის მესამე მცნებაა ათი მცნებიდან და ის მთლიანად გაიზიარა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ.

საქართველოში ქრისტ. გავრცელების შემდგომ პ. მოისპო, თუმცა მისი მრავალი გადმონაშთი დღემდე შემორჩა, განსაკუთრებით მთაში, სადაც ეკლექტური, წარმართულ-ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები ჩამოყალიბდა.

ლიტ.: პაპუაშვილი ნ., მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ., 2002; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1960. *ზ. ეკალაძე.*

კერპი (ბერძნ. εἴδōlon), მატერიალური საგანი, რელიგიური თაყვანისცემის ობიექტი. პ. აღმოცენდა უძველეს დროში, ცვლიდა ღვთაებას, განასახიერებდა მას ან მის ძალას. უძველეს რელიგიებში არსებობდა როგორც ზოომორფული, ისე ანთროპომორფული პ. მაღალგანვითარებული რელიგიებისათვის ანთროპომორფული პ-ები იყო დამახასიათებელი.

ანთროპომორფული პ. საქართვ. ტერიტორიაზე ჩნდება ენეოლითის ხანიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა ქალის ქანდაკებები, რ-ებიც ნაყოფიერების ქალურ საწყისს განასახიერებენ. მოგვიანებით, ბრინჯაოსა და რკინის ხანაში, მრავლად გვხვდება მამრობითი ღვთაებების გამოსახულებებიც.

აღმ. საქართველოში დაახლ. ძვ. წ. IV–III სს. შეიქმნა ღვთაებათა პანთეონი. ფარნავაზის დროს მცხეთაში მდგარ პ-ებს, გაცსა და გაიმს, შეემატა ახ. ღვთაების, *არმაზის* პ. მომდევნო მეფეებს კიდევ რამდენიმე პ. აღუმართავთ. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეკლესიამ ძვ. პ-ები გაანადგურა.

გადატანითი მნიშვნელობით პ. თაყვანისცემის ობიექტს აღნიშნავს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2002. *ი. სურგულაძე.*

კერ-პორტერი (Ker-Porter) რობერტ (14. IV. 1775, დარემი, – 22. IV. 1842, სანქტ-პეტერბურგი), ინგლისელი მხატვარი და მოგზაური, რუსეთის იმპ. ალექსანდრე I-ის კარის მხატვარი (1804). იმოგზაურა კავკასიაში, ირანსა და მცირე აზიაში. 1817 წ. 12 ოქტ. საქართველოს სამხ. გზით თბილისში ჩამოვიდა, სადაც ნოემბრის

დასაწყისამდე დარჩა. იყო სოღანლუღში, კოდაში, შულავერში, ლორეში. ნაშრომში „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთსა და ძველ ბაბილონში“ პ-მა დაწვრილებით აღწერა საქართველოს სამხ. გზა, ქვეყნის წარსული, ქართველთა ჩვევები და ადათები, ქალთა ტიპები, ტანსაცმელი. აქვს ცნობები ცალკეულ მოღვაწეებზე, მაგ., ალექსანდრე ბატონიშვილზე, ა. პ. ერმოლოვზე და სხვ.

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу в 1800–1830 гг., Тб., 1946.

კერსელიანი აკოფ სამველის ძე (6. XII. 1918, სოხუმი, – 22. XII. 2004, იქვე), სპორტსმენი (მძლეოსანი). სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სახუკუნის მწვრთნელი. დაამთავრა პ. ლესგაფტის სახ. სახელმწ. ფიზ. კულტურის ინ-ტი. მისი აღზრდილია ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი ვ. *სანეევი.* მრავალი ათეული წელი მუშაობდა სოხუმში ბავშვთა მწვრთნელად. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: სპორტის ენციკლოპედია, თბ., 2006.

კერძო საკუთრება, იხ. სტ. *საკუთრება.*

კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები, განტოლებები, რომლებიც აკავშირებს ერთმანეთთან მრავალ ცვლადზე დამოკიდებულ საძიებელ ფუნქციას და ამ ფუნქციის კერძო წარმოებულებს. კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების ზოგადი ფორმაა

$$F[x,u(x),u_{\alpha}^{(1)}(x),\ldots,u_{\alpha}^{(m)}(x)]=0 \quad (1),$$

სადაც F არის მოცემული ნამდვილი, ნულისგან განსხვავებული ფუნქცია, რ-იც დამოკიდებულია ევკლიდური E_n სივრცის ($n \geq 2$) D არეში მოცემულ $x=(x_1,\ldots,x_n)$ წერტილზე, ამავე არეში განსაზღვრულ $u=u(x)$ ფუნქციაზე და $u(x)$ ფუნქციის კერძო წარმოებულებზე $u_{\alpha}^{(|\alpha|)}=u^{(|\alpha|)}{}_{\alpha_1\ldots\alpha_n}=(\partial^{|\alpha|}/\partial x_1^{\alpha_1}\ldots\partial x_n^{\alpha_n})u(x)$, სადაც $\alpha\equiv(\alpha_1,\ldots,\alpha_n)$. აქ $(\alpha_1,\ldots,\alpha_n)$ არაუარყოფითი მთელი რიცხვებია, $|\alpha|=\sum_{i=1}^{n}\alpha_i$, $|\alpha|=1,2,\ldots,m$. ნატურალურ m რიცხვს ეწოდება (1) განტოლების რიგი, თუ არანულოვანია ერთი მაინც კერძო წარმოებული $(\partial/\partial u_{\alpha}^{(m)})$ $D\subset E_n$ არეში განსაზღვრულ უწყვეტ $u=u(x)$ ფუნქციას, რ-საც აქვს ამ არეში უწყვეტი კერძო წარმოებულები და (1) განტოლებას აკმაყოფილებს, ეწოდება ამ განტოლების რეგულარული ამონახსნი. რეგულარული ამონახსნების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ამონახსნებს, რ-ებიც არ არის რეგულარული D არის ზოგიერთი იზოლირებული წერტილის (ან სპეციალური სახის მრავალსახეობის) მიდამოში. ასეთია, კერძოდ, კ. დ. ბ-ის ფუნდამენტური ამონახსნები. ფუნდამენტური ამონახსნებით გამოისახება კ. დ. ბ-ის რეგულარული ამონახსნების ფართო კლასები, რაც მათი თვისებრივი ყოფაქცევის და სტრუქტურული თავისებურებების შესწავლის საფუძველია.

(1) სახის კ. დ. ბ-ის თეორიაში ფუნდამენტურ როლს თამაშობს ე. წ. მახასიათებელი ფორმა. თუ ფუნქცია F წრფივად არის დამოკიდებული $u^{(|\alpha|)}{}_{\alpha_1\ldots\alpha_n}$ ცვლადებზე, მაშინ (1) განტოლებას წრფივი ეწოდება. მე-2 რიგის წრფივ კ. დ. ბ-ს შეესაბამება კვადრატული მახასიათებელი ფორმა

$$Q(\lambda_1,\ldots,\lambda_n)=\sum_{i,j=1}^{n}A_{ij}\lambda_i\lambda_j, \quad (2),$$

რ-ის კოეფიციენტები $A_{ij}=(\partial/\partial u_{\alpha}^{(2)})F$ დამოკიდებულია მხოლოდ $x\in D$ წერტილზე. ფორმა (2) თითოეულ $x\in D$ წერტილში მიიყვანება კანონიკურ სახეზე $Q=\sum_{i=1}^{n}a_i\xi_i^2$, სადაც $a_i=\pm1$ ან 0, $i=1,\ldots,n$. როცა ყველა $a_i=+1$ ან ყველა $a_i=-1$, მაშინ მე-2 რიგის წრფივ კ. დ. ბ-ს ეწოდება ელიფსური $x\in D$ წერტილში. თუ ერთი რომელიმე $a_i>0$, ყველა დანარჩენი კი უარყოფითია (ან პირიქით), მაშინ განტოლებას ეწოდება ჰიპერბოლური $x\in D$ წერტილში. თუ დადებითი (უარყოფითი) კოეფიციენტების რაოდენობაა l, $1<l<n-1$, ხოლო უარყოფითებისა (დადებითებისა) – $n-l$, მაშინ განტოლებას ეწოდება ულტრაჰიპერბოლური $x\in D$ წერტილში. იმ შემთხვევაში, თუ a_i კოეფიციენტებიდან რომელიმე (მაგრამ არა ყველა) ნულის ტოლია, განტოლებას ეწოდება პარაბოლური $x\in D$ წერტილში. განტოლებას ეწოდება ელიფსური (ჰიპერბოლური, ულტრაჰიპერბოლური, პარაბოლური) ტიპისა D არეში, თუ ის ელიფსურია (ჰიპერბოლურია, ულტრაჰიპერბოლურია, პარაბოლურია) ამ არის ყოველ წერტილში. თუ განტოლება სხვადასხვა ტიპისაა D არის სხვადასხვა ნაწილებში, ამბობენ, რომ ის ამ არეში შერეული ტიპისაა. მე-2 რიგის წრფივი კ. დ. ბ-ით აიწერება მრავალი ფიზიკური პროცესი.

ანალოგიურად, მათი მახასიათებელი ფორმის საფუძველზე ხდება არაწრფივ კ. დ. ბ-ის კლასიფიცირება. რამდენადაც არაწრფივ შემთხვევაში მახასიათებელი ფორმის კოეფიციენტები, გარდა $x\in D$ წერტილისა, დამოკიდებულია აგრეთვე $u(x)$ ამონახსნზე და მის კერძო წარმოებულებზე, არაწრფივი კ. დ. ბ. ამა თუ იმ ტიპს მიეკუთვნება თითოეული ამონახსნისთვის ცალ-ცალკე. განიხილება აგრეთვე კ. დ. ბ-ის სისტემები. კერძოდ, კ. დ. ბ-ის სისტემის შესწავლაზე დაიყვანება (1) განტოლება, თუ მისი მარცხ. მხარე შეიცავს კომპლექსურ სიდიდეებს.

კ. დ. ბ-ს, რ-ებიც აღწერს ბუნების მოვლენებს, როგორც წესი, აქვს ამონახსნთა მთელი ოჯახი (თუმცა არსებობს ისეთი კ. დ. ბ., რ-თაც საერთოდ არ აქვს ამონახსნი). ბუნებრივი მოვლენის აღმწერი ამონახსნი უნდა აკმაყოფილებდეს დამატებით პირობებსაც, როგორც წესი, D არის საზღვრის წერტილებში (ე.წ. სასაზღვრო პირობები). კ. დ. ბ-ის თეორიაში ცენტრ. ადგილი უჭირავს ისეთი რეგულარული ამონახსნების პოვნის ამოცანებს, რ-ებიც აკმაყოფილებს ამა თუ იმ სასაზღვრო პირობებსაც. ასეთი სასაზღვრო ამოცანები გამოკვლეულია მეტწილად სისრულით მხოლოდ ზოგიერთი კერძო შემთხვევისათვის, წრფივი მე-2 რიგის კ. დ. ბ-ისთვის.

ისტორიულად პირველი კ. დ. ბ. [თანამედროვე აღნიშვნებში $\partial z/\partial x=f(x,y)$] აღმოაჩინეს ლ. *ეილერის* 1734–35 წლების შრომებში. 1743 ჟ. დალამბერმა (ფრანგი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ფილოსოფოსი) ამოხსნა სიმის რხევის განტოლება (ერთგანზომილებიანი ჰიპერბოლური განტოლება). კ. დ. ბ-ის თეორიის განვითარების II ეტაპი (1770–1830) უკავშირდება ჟ. ლაგრანჟის (საფრანგეთი, 1736–1813), ო. კოშის (საფრანგეთი, 1789–1857), კ. იაკობის (გერმანია, 1804–51) სახელებს. ზოგიერთ შემთხვევაში კ. დ. ბ-ის ამოხსნა დაიყვანება ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნაზე ცვლადთა განცალების მეთოდით, რ-იც შექმნა ჟ. ფურიემ (საფრანგეთი, 1768–1830). XIX ს. 70-იან წლებში კვლევის ახ. მიდგომა, რ-იც იყენებს უწყვეტ *ჯგუფთა თეორიის* იდეებს, განავითარა ნორვეგიელმა მათემატიკოსმა ს. ლიმ (1842–99). XIX ს. დასასრულს და XX ს. კ. დ. ბ-ის

თეორიის განვითარება უკავშირდება ამ განტოლებათა სულ უფრო ფართო გამოყენებას მათემატიკის სხვა დარგებში, კლასიკურ და კვანტურ ფიზიკაში, ქიმიაში და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ასევე ტექნიკაში, XX ს. II ნახ-იდან კი – ეკონომიკაში, სოციოლოგიაში და სხვ.

უმეტეს შემთხვევაში ჰ. დ. ბ-ის ზუსტი ამოხსნა შეუძლებელია და მათი ამონახსნების ასაგებად იყენებენ მიახლოებით მეთოდებს. მ. შ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია *რიცხვით მეთოდებს,* კერძოდ, სასრულ-სხვაობიან მეთოდებს. რიცხვითი მეთოდების გამოყენებამ და მძლავრ კომპიუტერებზე ამ მეთოდების რეალიზაციამ მოითხოვა ჰ. დ. ბ-ის ამონახსნების მდგრადობის შესწავლა. ამოცანა ითვლება კლასიკური აზრით კორექტულად დასმულად, თუ მას აქვს ერთადერთი მდგრადი ამონახსნი. XX ს. II ნახ-ში საბჭოთა მათემატიკოსმა ა. ტიხონოვმა (1906–1993) დაიწყო არაკორექტული ამოცანების შესწავლა. ასეთ ამოცანებზე დაიყვანება, მაგ., ჰიდრო- და აეროდინამიკაში ცნობილი სასაზღვრო ფენის პრობლემა.

მიახლოებითი ამონახსნების პოვნისა და მათი პრაქტიკული აგებისთვის განვითარდა ჰ. დ. ბ-ის ამოხსნის ფუნქციონალური მეთოდები.

საქართველოში ჰ. დ. ბ-ის შესწავლა XX ს. 20-იან წლებში დაიწყო. სხვადასხვა ტიპის ჰ. დ. ბ-ის ამოხსნაზე დაიყვანება *ვარიაციათა აღრიცხვის* ძირითადი ამოცანა, რ-საც იკვლევდა ა. *რაზმაძე.* მან მსოფლიოში პირველად შეისწავლა ამოცანები, რ-ებიც მოითხოვს წყვეტის მქონე ფუნქციებისა და მათი კერძო წარმოებულების განხილვას (ამ კვლევებში ა. რაზმაძემ ფაქტობრივად შემოიტანა სინგულარული განზოგადებული ფუნქციები). ვარიაციათა აღრიცხვის მეთოდებს ფართოდ იყენებენ ეილერის ტიპის მრავალგანზომილებიან ჰ. დ. ბ-ის შესწავლისას, განსაკუთრებით, ელიფსური ტიპის ჰ. დ. ბ-ის ამოხსნისათვის.

ნ. *მუსხელიშვილმა* და ა. რაზმაძემ ცვლადთა განცალების მეთოდით იპოვეს და შეისწავლეს შროდინგერის განტოლების (პარაბოლური ტიპის სამგანზომილებიანი ჰ. დ. ბ; იხ. სტ. *კვანტური მექანიკა*) ამონახსნები რამდენიმე საინტერესო სისტემისათვის, ამ განტოლების ფორმულირებისთანავე (1926–27).

ელიფსური ტიპის ჰ. დ. ბ-ს და მათ სხვადასხვა გამოყენებას 1936-იდან ინტენსიურად იკვლევდა ი. *ვეკუა.* 40-იან წლებში ეს კვლევები დასრულდა ორი დამოუკიდებელი ცვლადისთვის ანალიზურკოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის წრფივ ჰ. დ. ბ-ის მწყობრი თეორიის შექმნით. ასეთი ჰ. დ. ბ-ის ამონახსნთა ზოგადი კომპლექსური წარმოდგენები, რ-ებიც ი. ვეკუამ ააგო, სასარგებლო აღმოჩნდა ამ ამონახსნების (ე. წ. განზოგადებული ანალიზური ფუნქციების, იხ. სტ. *კარლემან–ვეკუას განტოლება*) ახალი თვისებრივი და სტრუქტურული თავისებურებების დასადგენად, აგრეთვე ჰ. დ. ბ-ის ფართო კლასისა და სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად, რ-ებსაც მანამდე ცნობილი მეთოდები არ შეხებია (სტალინური პრემია, 1950).

ორ ცვლადზე დამოკიდებულ ელიფსურ ჰ. დ. ბ-ის გამოკვლევისას წარმატებით იყენებენ კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდებს (ნ. მუსხელიშვილი). ასეთი ტიპის ჰ. დ. ბ-ით აიწერება *დრეკადობის თეორიის* და *გარსთა ზოგადი თეორიის* (ი. ვეკუა) ამოცანების ფართო კლასი. n-განზომილებიანი ($n\geq 3$) ელიფსური ტიპისაა ჰ. დ. ბ., რ-ებითაც აიწერება, მაგ., ელექტროსტატიკური ველის პოტენციალი სივრცეში დამუხტული სხეულის გარშემო (ლაპლასის განტოლება) და ელექტრული მუხტის მქონე გარემოში (პუასონის განტოლება). ჰიპერბოლური ტიპისაა ტალღური განტოლება სივრცეში ($n\geq 3$), რ-ის შესწავლას სხვადასხვა თვისებების მქონე გარემოში მიეძღვნა ქართველ მათემატიკოსთა (თ. *ბურჭულაძე,* თ. *გეგელია,* ნ. *ვეკუა,* ა. კალანდია, ი. *კიღურაძე* და სხვ.) და ფიზიკოსთა (გ. აბურჯანია, თ. *კახნიაშვილი,* ჯ. *ლომინაძე,* გ. *მაჩაბელი,* გ. *მელიქიძე,* ა. *როგავა,* ვ. *ქორია,* გ. *ჩაგელიშვილი,* ნ. *ცინცაძე* და სხვ.) მრავალი ნაშრომი.

გარემოში სითბოს გავრცელება აიწერება პარაბოლური ტიპის ჰ. დ. ბ-ით – თბოგამტარობის განტოლებით

$$\sum_{i=1}^{n-1}(\partial^2/\partial x_i^2)\,u(x) - (\partial/\partial x_n)u(x) = 0,\ n\geq 3.$$

ამ და სხვა პარაბოლური ტიპის ჰ. დ. ბ-ის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა ვ. *კუპრაძემ.* მასვე ეკუთვნის ჰიპერბოლური ტიპის ჰელმჰოლცის ჰ. დ. ბ-ის თეორიის განვითარება, დრეკადობის თეორიისა და თერმოდრეკადობის 3-განზომილებიანი ამოცანების შესაბამისი წრფივი ჰ. დ. ბ-ის გამოკვლევა, ჰ. დ. ბ-ის მიახლოებითი ამონახსნების აგების მძლავრი მეთოდები (დამხმარე წყაროების მეთოდი და სხვ.). თერმოდრეკადობის 3-განზომილებიან ამოცანებთან დაკავშირებული ჰ. დ. ბ. შეისწავლა ნ. *კახნიაშვილმა.* პარაბოლური ტიპის ჰ. დ. ბ-ის ამოსახსნელად შემუშავებულ დამხმარე წყაროების მეთოდს წარმატებით იყენებენ სხვადასხვა გარემოში ელექტრომაგნიტური ტალღის გავრცელების აღსაწერად (რ. *ზარიძე,* დ. ქარქაშაძე, რ. ჯობავა და სხვ.).

ა. *ბიწაძემ* დაამუშავა მეთოდები, რ-ებიც საშუალებას იძლევა დავიყვანოთ ჰ. დ. ბ-ის ამოხსნის ამოცანა (მოცემული სასაზღვრო პირობებით) *ინტეგრალური განტოლების* შესწავლაზე. მანვე განავითარა ჰიპერბოლური და შერეული ტიპის ჰ. დ. ბ-თა თეორიის მეთოდები, შეისწავლა შესაბამისი არალოკალური სასაზღვრო ამოცანები, სასაზღვრო ამოცანები ელიფსური ტიპის ჰ. დ. ბ-თა სისტემებისთვის (მ. შ. არალოკალური; შემდგომ ეწოდა *ბიწაძე–სამარსკის ამოცანა*), კვაზიწრფივ ჰ. დ. ბ-თა სისტემები, რ-ებიც ბუნებისა და ტექ. მრავალ მოვლენას აღწერს (ამ მიმართულებებით დასმული ლოკალური და არალოკალური ამოცანების გამოკვლევას მიეძღვნა ჯ. გვაზავას, ო. ჯოხაძის, ტ. კიღურაძის, დ. *გორდეზიანის,* გ. *ჯაიანის,* თ. ჯანგველაძის, ს. *ხარიბეგაშვილის* და სხვ. მათემატიკოსთა შრომები). ცნობილია *ლავრენტიევ–ბიწაძის განტოლება* და *ბიწაძის განტოლება.*

ჰ. დ. ბ-ის ამონახსნის აგების მეთოდებს კვაზიკონფორმული ასახვების გამოყენებით იკვლევდა ი. ვეკუას მოსწავლე ბ. ბოიარსკი (მოსკოვის ვ. სტეკლოვის სახ. მათ. ინ-ტი).

ჰ. დ. ბ-ის მიახლოებითი ამონახსნის აგების ახ. მეთოდი, რ-ითაც ხერხდება ზუსტი ამონახსნის განსაკუთრებულობათა ნაწილობრივი გათვალისწინება (რაც რადიკალურად აუმჯობესებს აგებული მწკრივების კრებადობას), დამუშავდა ა. ტურბინერის, ა. *უშვერიძის* და სხვათა შრომებში. ამ მეთოდის ჩარჩოებში მე-2



კესანე.



ფ. კესნერი.



გ. კეტაშვილი.



კეფალი.

რიგის წრფივი ჰ. დ. გ-ის ამოხსნა დაიყვანება (არაწრფივი) პირველი რიგის განტოლებების ამოხსნაზე, რაც რიცხვითი მეთოდებით გამოთვლებს ამარტივებს.

არაწრფივ ჰ. დ. გ-ებს და მათ სისტემებს იკვლევდნენ და იყენებდნენ ქართვ. მეცნიერები *პლაზმის* თეორიაში (გ. აბურჯანია, ჯ. ჯავახიშვილი), სხვადასხვა სტრუქტურის მქონე გარემოს მექან. თვისებების აღსაწერად (თ. *ვაშაყმაძე*), მაღალი ენერგიის პროცესების აღმწერ ამოცანებში (შრედინგერის არაწრფივი განტოლება; საინგორდონის განტოლება და სხვ., ი. *ვაშაკიძე*, გ. *ჭილაშვილი*, ა. *ხელაშვილი* და სხვ.; *კადომცევ–ფეტვიაშვილის განტოლება*) და მრავალ სხვა ამოცანაში. *ქრომოდინამიკის* ზუსტი ჰ. დ. გ-ის გამოყენებით ა. ხელაშვილმა, ქ. ნატროშვილმა და ვ. *ხმალაძემ* მიიღეს (1985) *კვარკების* პოტენციალის სრული სახე.

რიცხვით მეთოდებს პლაზმის თვისებების აღმწერი ჰ. დ. გ-ის ამოსახსნელად იყენებს თ. *კალაძე*. არაკორექტულ ამოცანებთან დაკავშირებული ჰ. დ. გ-ის ამოხსნის რიცხვითი მეთოდები დამუშავდა ჰ. მელაძის, ნ. სხირტლაძის და სხვ. მკვლევართა შრომებში.

ვითარდება სიმბოლური კომპიუტერული გამოთვლების მეთოდები, რ-ებიც შესაძლებლობას იძლევა ჰ. დ. გ-ის ამოხსნის შრომატევადი პროცედურა შესრულდეს რეალურ დროში (ნ. მახალდიანი, ი. ლომიძე, ნ. ჩაჩავა და სხვ.).

ლიტ.: Берс Л., Джон Ф., Шехтер М., Уравнения с частными производными, пер. с англ., М., 1966; Бицадзе А. В., Некоторые классы уравнений в частных производных, М., 1981; მისივე, Уравнения математической физики, М., 1982; მისივე, Equations of the Mixed Type, Pergamon Press,1964; მისივე, Partial Differential Equations, Word Scientific, 1993; მისივე, Boundary Value Problems for Second Order Elliptic Equations, «Applied Mathematics and Mechanics», vol. 5, North-Holland, 2012; მისივე, Integral Equations of First Kind, Word Scientific, 2014; Купрадзе В. Д., Основные задачи математической теории дифракции, Л. М., 1935; მისივე, Методы потенциала в теории упругости, М., 1963; Курант Р., Уравнения с частными производными, М., 1964; Тихонов А. Н., Самарский А. А., Уравнения математической физики, 4 изд., М., 1972.

ს. ხარიბეგაშვილი.

კესანე, ცისანა (Myosotis), ერთ-, ორ- ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლაშქარასებრთა ოჯახისა. აქვს პატარა ცისფერი (იშვიათად თეთრი) ყვავილები. გვარში 50-მდე (სხვა მონაცემებით 80-მდე) სახეობაა. გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში, აგრეთვე ტროპიკული აფრიკის მთებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, მცირე ნაწილი – ამერიკაში. საქართველოში გვხვდება 15 სახეობა. იზრდება ჭაობში, ტენიან და დაჩრდილულ ადგილებში, ტყისპირებზე, ბუჩქნარებში, მდელოებზე. ზოგი სახეობა სარეველაა, ბევრი – დეკორატიული. საქართველოს სუბალპურ და ალპურ მდელოებზე ფართოდ არის გავრცელებული ალპური კ. (M. alpestris).

კესნერი (Kessner) ფრანც კარლის ძე (1851, ბერლინი, – 1930, თბილისი), საქართველოში მოღვაწე გერმანელი პიანისტი, პედაგოგი, თბილისის კონსერვატორიის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. 1876 დაამთავრა ბერლინის სამუსიკო აკადემია ფორტეპიანოს განხრით და იმავე წელს იქვე დაიწყო პედ. მოღვაწეობა. 1879 კ-მა მოაწყო საკონცერტო ტურნე გამოჩენილ მევიოლინე ჰ. ვენიავსკისთან ერთად დას. ევროპასა და რუსეთის დიდ ქალაქებში. 1881 ჩამოვიდა საქართველოში, დაქორწინდა და დასახლდა თბილისში. წარმატებული კონცერტების შემდეგ იგი მიიწვიეს თბილ. სამუსიკო სასწავლებელში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა საფორტეპიანო კლასს. 1918-იდან იყო თბილ. კონსერვატორიის პროფესორი. თბილისში დააარსა პირველი პროფესიული სიმებიანი კვარტეტი (ვ. *ვილშაუ*, ა. პოლივკა, ე. სემიგალოვი, კ. მინიარი), ინსტრუმენტული ანსამბლები (კვარტეტი, ტრიო, დუეტი) და პირველი კამერული ორკესტრი. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. გამოდიოდა მეუღლესთან, მომღერალ ნ. შევჩენკო-კესნერთან (იყო თ. შალიაპინის უცვლელი პარტნიორი მისი საქართველოში ყოფნის დროს) ერთად. კ-ს მოწაფეებიდან აღსანიშნავია მ. *კამოევა*, ა. ანისიმოვა, დ. გარბუზოვი და სხვ. ქალაქის მმართველობამ კ-ს მიანიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მემკვიდრეობით და გადასცა ოქროს მედალი.

ლიტ.: მშველიძე ა., სამუსიკო განათლება საქართველოში, თბ., 1970.

კეტაშვილი გელა გიორგის ძე (დ. 27. IX. 1965, თბილისი), სპორტსმენი, ფეხბურთელი (მცველი). ოლიმპიური ჩემპიონი (1988, სეული). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1989). თამაშობდა ქუთაისის ,,ტორპედოში'' (1983), თბილისის ,,დინამოში'' (1984–90; 1995), ლანჩხუთის ,,გურიაში'' (1991), ,,თეთრ არწივში'' (1993–94). სსრკ ჩემპიონატებში ჩაატარა 164 მატჩი (4 გოლი), სსრკ ოლიმპიურ ნაკრებში – 11 (1986–88), სსრკ ნაკრებში – 3 მატჩი (1989). თბილისის ,,დინამოს'' კაპიტანი (1989). საქართვ. ნაკრებში ჩაატარა ერთი შეხვედრა (1990). ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ქართულ ფეხბურთში.

კეტრისი, ქეთრისი, სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კობის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), თრუსოს ხეობაში, მდ. თერგის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 2150 *მ*, სტეფანწმინდიდან 32 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

კეფალი, თევზი კეფალისებრთა ოჯახიდან (Mugilidae Bonaparte, 1831). საქართველოში გავრცელებულია 2 გვარი: კეფალები (Mugil Linnaeus, 1758) და კეფალები – ლიზა (Liza aurata, Risso, 1810; Liza saliens, Risso, 1810; Liza haematocheilus, Temminck et Schlegel, 1845).

პირველ გვარს მიეკუთვნება – Mugil cephalus Linnaeus (1829). მისი მაქსიმალური სიგრძე 75 *სმ*, მასა 5–6 *კგ*, გვხვდება 12 *კგ*-იანებიც. ზღვის ქარავნული თევზია. შავ ზღვაში მრავლდება მაისიდან სექტემბრამდე. ქვირითი პელაგიურია, ნაყოფიერება – 2–8 მლნ-მდე ქვირითი. ეს სახეობა ყველა კ-ზე სწრაფად იზრდება; ცოცხლობს 16 წლამდე. ხშირად შედის მტკნარ წყლებში, ოკეანეებსა და ზღვის სანაპირო ტბებში, ტბორებში, ყურეებში.

მეორე გვარის კ-ებს – ლიზა – მიეკუთვნება L. aurata, L. saliens და L. haematocheilus, რ-თა სიგრძე 35–55 *სმ* აღწევს. კარგად იტანენ როგორც ზღვის, ასევე მტკნარ წყალს. სქესობრივად მწიფდებიან 3–5 წლის ასაკიდან. ნაყოფიერება 0,5–2,1 მლნ. ქვირითია. ქვირითი პელაგიურია, ტოფობა მიმდინარეობს მრავალგზის.

კეფალის ლიფსიტები იკვებებიან დეტრიტით და პლანქტონით, მოზარდები – მოლუსკებით, კიბოსნაირებით, ჭიებით და ქვებზე წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებებით.

ჰ. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებთან გავრცელებულია ყველგან. შედის მდინარეების შესართავებსა და ტბებში. ფართოდ

არის გავრცელებული ატლანტის ოკეანეში, ამერიკის, კანადის, იაპონიის, ავსტრალიის, აფრიკის სანაპიროებთან, აგრეთვე ინდოეთის ოკეანეში, წითელ, ხმელთაშუა, შავ და აზოვის ზღვებში. ინტროდუცირებულია კასპიის ზღვაში. Liza saliens-ი აკლიმატიზებულია ირანში, Liza haematocheilus-ი (XX ს.) – აზოვის ზღვაში, საიდანაც გავრცელდა შავ ზღვაში. ძვირფასი სარეწაო თევზია. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მონაცემით საჭიროებს ზრუნვას (LC).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Богунцкая Н., Насека А., Каталог бесчелюстных и рыб, М., 2004; Световидов А., Рыбы Черного моря, М., 1964 . *ნ. ნინუა.*

კეშელავა ბონდო კონსტანტინეს ძე (22. IX. 1908, სოფ. ტალერი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 23. II. 1985, თბილისი), პოეტი. სწავლობდა ქუთ. რეალურ სასწავლებელში, ქუთ. პედ. ინ-ტში (1935–36). მასწავლებლობდა წლების განმავლობაში, მუშაობდა ქუთაისის თეატრში, რსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა კ. მარჯანიშვილი. პირველი ლექსი 1923 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი წიგნი – 1950. ავტორია ლექსების კრებულებისა: ,,გულის პასუხი'' (1955), ,,ჩემი რჩეული'' (1959), ,,ვარდის სტუმარი'' (1961), ,,ჩემო კარგო ქვეყანავ'' (1965), ,,ცაო, მაღალო'' (1969), ,,წუთიდან წუთამდე'' (1976). მისი ლექსები თარგმნილია რუს. ენაზე (კრებულები: ,,მაღლარის ყლორტები'', ,,მაღალი ცა'').

თხზ.: რჩეული, თბ., 1973.

კეშელავა ვაჟა ვარლამის ძე (დ. 14. IX. 1930, ქ. გაგრა), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1971). დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტი (1953).

ჰ. ეწევა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის ფილოს. ინ-ტის კათედრის გამგე (1975–98), საქართვ. მეცნ. აკად. პოლიტოლოგიის ინ-ტის დირექტორი (1999-იდან).

ჰ. იკვლევს სოციალური ფილოს. პრობლემებს; გაუცხოების ფენომენი გააზრებული აქვს როგორც ისტ. აუცილებლობის გაგების საწინდარი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, პუბლიცისტური სტატია, მონოგრაფია ქართ., რუს., სომხ., პოლონ., გერმ. და ესპ. ენებზე.

თხზ.: პოლიტიკური კულტურა და სოციალიზმი, თბ., 1980; Миф о двух Марксах, М., 1963 [ბუენოს-აირესი, 1964 (ესპ. ენაზე); ერევანი, 1966 (სომხ. ენაზე)]; Действительный и мнимый гуманизм, М., 1973 [ვარშავა, 1974 (პოლ. ენაზე)].

კეშელავა ვლადიმერ ანტონის ძე (24. VIII. 1893, თბილისი, – 2. III. 1981, იქვე), მხატვარი-გრაფიკოსი. საქართველოს ხელოვნების დამს. მოღვაწე (1958). 1930 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (პედაგოგები – ე. *ლანსერე*, ე. *თათევოსიანი*, ი. *შარლემანი*). 1936-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას, იყო გრაფიკის კათედრის გამგე (1943-იდან – პროფესორი). მუშაობდა დაზგური გრაფიკის დარგში. 1928-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. ნამუშევრები: ,,კასპის ცემენტის ქარხანა'' (1932), ,,კვირიკეთი. ჩაის პლანტაციები'' (1940, მონოტიპია), ,,თბილისის ახალი სანაპირო'' (1942), ,,ინდუსტრიული ტყვარჩელი'' (1953, ესტამპების სერია), ,,ბორჯომი. ლიკანი'' (1955, ავტოლითოგრაფია), ,,ბორჯომის ხეობა'' (1955), ,,ქვიშხეთი'' (1956), ,,ზღვის პეიზაჟი'' (1957), ,,ზაკოპანე'' (1960), ,,პრაღა'' (1960) და სხვ. გამოფენები: ამიერკავკასიის ფედერაციის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა (1932, თბილისი), რესპ. სამხატვრო გამოფენა (1954, თბილისი), საქართვ. სახვითი ხელოვნების გამოფენა (1958, ქართული კულტურის დეკადა, მოსკოვი), საიუბილეო სამხატვრო გამოფენა ,,საბჭოთა საქართველო'' (1961, თბილისი) და სხვ.



ვ. ა. კ ე შ ე ლ ა ვ ა. ,,ტალინი''. 1970.

ჰ. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილ. სამხატვრო აკადემიის ოფორტისა და ლითოგრაფიის სახელოსნოებს. მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (სოხუმი), დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

თ. გერსამია.

კეშელავა იური ილიას ძე (5. I. 1941, ბათუმი, – 26. XII. 2001, თბილისი), გენერალ-მაიორი (1993). 1974 დაამთავრა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწ. უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) უმაღლესი სკოლა. 1984–92 იყო აფხაზეთის ასსრ სუკ-ის თავ-რის მოადგილე, 1992–93 – აფხაზეთის არ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავ-რე, ამავდროულად 1993 – საქართვ. საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავ-რის მოადგილე. 1993–96 ფოთის საბაჟო დეპარტამენტის უფროსი. მინიჭებული აქვს საბაჟო სამსახურის სახელმწ. მრჩევლის წოდება (1996). დაჯილდოებულია ვახტან გორგასლის II ხარისხის ორდენით (2003, გარდაცვალების შემდეგ). *ლ. დოლიძე.*

კეჩუთის ქედი, იხ. *ჯავახეთის ქედი.*

კეჩხუაშვილი არჩილ გრიგოლის ძე (7. IX. 1915, გორი, – 7. XI. 2008, თბილისი), ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1987), სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. სა-პატიო წევრი (1995). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1938 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი. 1969–89 სას.-სამ. ინ-ტში ხელმძღვანელობდა მასალათა ტექნოლოგიისა და მანქანათა რემონტის კათედრას. 1989-იდან იყო ამავე კათედრის პროფესორი.

ჰ-ის ძირითადი შრომები (მ. შ. 7 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო) ეხება სას.-სამ. მანქანათმშენებლობისა და მანქანათა რემონტის სისტემისა და საიმედოობის ძირითად პრობლემებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მასალათა ტექნოლოგია, ნაწ. 1–3, თბ., 1962–77; Проблемы автоматизации сельскохозяйственного производства, М., 1964; Исследование обработки почвы в междурядьях виноградников и разработка технических средств для повышения точности процесса, Тб., 1967.

კეჩხუაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე (24. I. 1920, გორი, – 18. IX. 1997, თბილისი), ფსიქოლოგი. ფსიქოლ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1972). დაამთავრა თსუ-ის ფსიქოლ. ფაკ-ტი (1942). 1945–48 მუშაობდა ამიერკავკასიის საარტილერიო სასწავლებელში, 1947–49 – სოხუმის პედ. ინ-ტში, 1961–71 ხელმძღვანელობდა თსუ-ის ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის საინჟინრო ფსიქოლოგიის განყ-ბას, ხოლო 1972-იდან გარდაცვალებამდე – იქვე ფსიქოლოგიის ფაკ-ტის შრომისა და ეკონ. ფსიქოლოგიის კათედრას. პ. ითვლება შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის დარგის დამაარსებლად საქართველოში. იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართვ. ფსიქოლოგთა საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი.

პ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: განწყობის ფსიქოლოგია, ხელოვნების ფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია, ეკონომიკის ფსიქოლოგია. პ-ის გამოკვლევებმა მუსიკის აღქმის სფეროში განსაკუთრებული გამოხმაურება პოვა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

თხზ.: ფსიქოლოგიის პრაქტიკუმი, თბ., 1975 (თანაავტ.: რ. ახობაძე, ჯ. ყვავილაშვილი); ფსიქოლოგია საწარმოში, თბ., 1981; შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია, თბ., 1982; Бессознательное, установка, музыка, წგ.: Хрестоматия по психологии художественного творчества, М., 1996.

კეჩხუაშვილი-ბუჩუკური თამარ გრიგოლის ასული (22. XII. 1913, გორი, – 2. II. 2013, თბილისი), მხატვარი-გრაფიკოსი. მუშაობდა გობელენის დარგშიც. საქართველოს დამს. მხატვარი (1966). 1932–38 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკ-ტზე (პედაგოგები – ლ. გრიგოლია, ი. შარლემანი, ა. ციმაკურიძე, ჰ. ჰრინევსკი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1945-იდან. 1945–91 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა მ. თოიძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში. ნამუშევრები: გრაფიკა – ,,ლაკათხევის მთები'', ,,ნაღვარევის ეკლესია'', ,,ჩარგალი შემოდგომას'', ,,კაიშაურის ველი'', ,,მთიულეთი'', ,,დიაკათხევი'', ,,არაგვის ხეობა'', ,,თმოგვი'' (1945–95); გობელენი – ,,მინდვრის ყვავილები'', ,,ვარდები'', ,,ფოთოლცვენა'', ,,ფანტაზია'' (1977–97) და სხვ. გამოფენები: რესპ. სამხატვრო გამოფენა (1967, თბილისი), თბილისელ მხატვარ ქალთა გამოფენა (1972, მოსკოვი), გობელენის გამოფენა (1988, 1990, თბილისი) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია საქართვ. კერძო კოლექციებში.



თ. კეჩხუაშვილი-ბუჩუკური. ,,მთიულეთის ხედი''. XX ს. 70-იანი წლები.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

კეცი, თიხის ან ქვის ბრტყელი, მრგვალი, დაბალკიდიანი ჭურჭელი. გამოიყენება მჭადისა და პურის გამოსაცხობად, აგრეთვე კერძების მოსამზადებლად. პ-ები სხვადასხვა ზომისაა. ტერმინი ,,კეცი'' ძველად თიხის მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

თიხის პ. – ,,კელამიტა'', ,,ჩაჩამუტა'' – მზადდებოდა საქართვ. ყველა კუთხეში როგორც მეთუნე ხელოსნების მიერ, ისე შინაური წესითაც – უმორგვოდ. აკეთებდნენ ქალებიც და კაცებიც. პ-ს მიწაც ცოტა სჭირდება და ადვილი გასაკეთებელიცაა. დაზელილ თიხას ფიცარზე მრგვალად გააბრტყელებდნენ, სველი ხელით ნაპირებს ამოუქნიდნენ, ამოუხვევდნენ და გამოწვავდნენ.

პურის და მჭადის გამოსაცხობად პ-ებს დააპირქვავებენ ძლიერი ცეცხლის მუგუზლებზე და გაახურებენ გაწითლებამდე, შემდეგ გადმოიღებენ საკეცით. სიწითლე რომ გადაუვლის, ზედ დადებენ ცომს და მიუფიცხებენ ნაკვერჩხლებს; სხვა წესით – ცომჩაკრულ პ-ს ზემოდან მეორე გახურებულ პ-ს აფარებენ. ამავე წესით პ-ებში წვავენ წიწილას და სხვადასხვა სახის საკვებს (გოგრის მარცვალი, წაბლი, თხილი, კაკალი).

ქვის პ-ებს ძირითადად ამზადებდნენ იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. პ-თვის საჭირო მასალა მოლურჯო-მორუხო-მოლიბერო რბილი ქანია, რ-იც ადვილად ითლება რკინის სათლელით. მას ამოტეხავენ წერექოთი, მოაცლიან უხეშ დანამატებს, გათლიან ჩხოტით, მოსაყვანით და საბოლოოდ გაასუფთავებენ საფხეკით. საკეცე ქვის ჯიში ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ დიდხანს შეინარჩუნოს მხურვალება და სრულყოფილად გამოაცხოს. ქვის პ-ების წარმოებას შინამრეწველობის ხასიათი ჰქონდა – გაჰქონდათ ბაზარზე გასაყიდად და იკმაყოფილებდნენ საოჯახო მოთხოვნილებასაც.

ლიტ.: ბოჭორიშვილი ლ., ქართული კერამიკა, [ტ.] 1 – კახური, თბ., 1949; გარდაფხაძე ფ., მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, «საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1947, ტ. 14 B; ნადირაძე ე., ქართული ქვითხუროობა იმერეთში, თბ., 2001.

მ. ზანდუკელი. ე. ნადირაძე.

კეცხოველი ვლადიმერ (ლადო) ზაქარიას ძე [2 (14). I. 1876, სოფ. თლია, გორის მაზრა, – 17 (30). VIII. 1903, თბილისი], რევოლუციონერი, რსდმპ ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი დამაარსებელი სამხრ. კავკასიაში. 1889–91 სწავლობდა გორის სას. სასწავლებელში. 1891 ჩაირიცხა თბილ. სას. სემინარიაში. აქვე ჩაება მოსწავლეთა არალეგალურ წრეში. 1893 დეკემბერში ხელმძღვანელობდა სემინარიელთა გაფიცვას, რის გამოც სასწავლებლიდან გარიცხეს. 1894 ჩაირიცხა კიევის სას. სემინარიაში, საიდანაც რევ. საქმიანობისათვის დაითხოვეს (1896) და დააპატიმრეს. 3 თვის შემდეგ საქართველოში გადმოასახლეს და პოლიციის ზედამხედველობა მიუჩინეს. 1897 ფარულად ჩამოვიდა თბილისში და ს.-დ. ორგანიზაციის *,,მესამე დასის''* წევრი გახდა. 1901 ბაქოში მისი აქტ. მონაწილეობით დაარსდა ლენინურ-ისკრული მიმართულების რსდმპ ბაქოს კომიტეტი და არალეგალური სტამბა ,,ნინა''. 1902 სექტემბერში დააპატიმრეს ბაქოში, შემდეგ გადაიყვანეს თბილისში, მეტეხის ციხეში, სადაც პოლიტ. პატიმართა შორის რევ. პროპაგანდას ეწეოდა. პ. 1903 წ. 17 აგვისტოს ციხის საკანში მოკლეს.

ლიტ.: გეგეშიძე ზ., ლადო კეცხოველი (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1977.

კეცხოველი ზაქარია ნიკოლოზის ძე (10. VII. 1902, სოფ. ტყვიავი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტე-

ტი, – 22. VII. 1970, თბილისი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რე (1952–53). მიღებული ჰქონდა აგრონომიული განათლება. სას.-სამ. კოოპერაციაში ეკავა ხელმძღვანელი თანამდებობა, ამავე დროს სამეცნ.-კვლ. საქმიანობას ეწეოდა ხილ-კენკრის მეურნეობის ინ-ტში.

კ. 1944-იდან იყო საქართვ. სახკომსაბჭოს თავ-რის მოადგილე და კვების მრეწველობის სახ. კომისარი, 1946–47 – საქართვ. სსრ გემო-კვების მრეწველობის მინისტრი და მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე, 1947-იდან – საქართვ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რის პირველი მოადგილე, შემდეგ – თავ-რე; 1953-იდან – საქართვ. სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი, ხოლო 1957-იდან – ცეკავშირის გამგეობის თავ-რე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კეცხოველი ნიკოლოზ (ნიკო) ნიკოლოზის ძე (26. XII. 1897, სოფ. ტყვიავი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 26. XII. 1982, თბილისი), ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941). ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1937), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1945). საქართვ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მონაწილე (1917). პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. საქართვ. დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი. მხედრული მამაცობისთვის დაჯილდოვდა „თეთრი გიორგის“ ჯვრით (1919). 1921 თებერვალში აქტიურად მონაწილეობდა კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართვ. დამოუკიდებლობის ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტის წევრი (1922–24). 1924 აგვისტოს აჯანყებამდე დააპატიმრეს.

1926 დაამთავრა თსუ-ის ფედ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა. 1929-იდან იყო თსუ-ის ბოტანიკის კათედრის დოცენტი, 1933-იდან – ამავე კათედრის გამგე, საქართვ. მეცნ. აკადემიის სას.-სამ. განყ-ბის თავ-რე (1942–57), ბიოლ. განყ-ბის თავ-რე (1957–63). საქართვ. მეცნ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1943–45), თსუ-ის რექტორი (1945–52), საქართვ. მეცნ. აკადემიის ბოტანიკის ინ-ტის დირექტორი (1963–82), საქართვ. ბოტანიკოსთა საზ-ბის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (1958) და უცვლელი თავ-რე. ქსე-ის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.


კ-ის შრომები ეხება საქართვ. მცენარეული საფარის გეობოტანიკურ, ბოტან.-გეოგრ. და სისტემ. გამოკვლევას, მის თანამედროვე მდგომარეობას, აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. ავტორია მრავალი ლიტ. ნარკვევის, ნოველისა და მოთხრობის („თოვლიან მთებში“, 1927; „ცხრათვალა მზის ქვეშ“, 1968; „მორბის არაგვი არაგვიანი“, 1971; „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“, 1974; „მეცხრე მთაც გადავიარე“, 1976; „კიდევაც დაიზრდებიან“, 1978). სრულიად საკავშირო სას.-სამ. გამოფენაზე მიიღო მცირე ოქროს მედალი (1939). იყო ი. გოგებაშვილის სახ. (1960), ივ. ჯავახიშვილის სახ. (1970) პრემიების, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის (ორჯერ 1974, 1979) ლაურეატი. თბილისის საპატიო მოქალაქე (1980).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ნიკო კეცხოველი. ბიობიბლიოგრაფია. შემდგ. მ. ბარკავა, ე. დოლიძე, თბ., 1978; ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ურუშაძე ლ., უცნობი ნიკო კეცხოველი, თბ., 2009.

კეცხოველი სევერიან ნიკოლოზის ძე (14. XII. 1906, სოფ. ტყვიავი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 31. V. 1980, თბილისი), გრაფიკოსი. საქართველოს დამს. მხატვარი (1962). 1926–30 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (პედაგოგები – გ. გაბაშვილი, ე. ლანსერე). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1931-იდან. მუშაობდა წიგნის გრაფიკასა და ლითოგრაფიაში, აგრეთვე პორტრეტის ჟანრში. კ-ის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: ,,აკაკი წერეთლის პორტრეტი'' (1933), ,,ვაჟა-ფშაველა მონადირე'' (1933, გ. ლეონიძის სახ. საქართვ. ლიტ. სახელმწ. მუზეუმი), ,,ვაჟა-ფშაველას პორტრეტი'' (1938), გრაფიკულად გააფორმა ,,ვეფხისტყაოსანი'' (1947) და სხვ.

კეფერა (Empetrum), მცენარეთა გვარი კეწერასებრთა ოჯახისა. მარადმწვანე (ფოთოლს ინარჩუნებს 3–5 წელს) ქონდარა გართხმული ბუჩქია. კ-ის 16-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში, სამხრ. ანდებში, ატლანტის ოკეანის სამხრ. ნაწილში მდებარე კუნძულებსა და ანტარქტიკაში. იზრდება ბარისა და მთის ტუნდრაში (გოლცებზე), ტყე-ტუნდრაში, სფაგნუმიან ჭაობებში, წიწვოვან ტყეებში, ალპურ სარტყელში და სხვ. სინათლის მოყვარული და მიკოტროფული მცენარეებია. უფრო მეტად ცნობილია შავი კ. (E. nigrum). საქართველოსა და მთელ კავკასიაში იზრდება კავკასიური კ. (E. caucasicum). აქვს წვრილი დაკლაკნილი ტოტები და წვეროსკენ შევიწროებული ჯირკვლოვან-ბუსუსიანი მოყვითალო-მწვანე ფოთლები. იზრდება მეტწილად ალპურ ხალებზე, სუბნივალური სარტყლის ღორღიან ადგილებში, კლდეებზე და სხვ. კ. სამკურნალო დეკორატიული მცენარეა. ნაყოფი შეიცავს C ვიტამინს, საკვებად ვარგისია. *მ. სახოკია.*



ნ. კეცხოველი.

კეფეფურა (Koeleria), მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახების გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. მკვრივი ან მეჩხერკორდოვანი თავთავიანი მცენარეებია. 60-მდე სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერი ჰავის ზონაში. საქართველოში 11 სახეობაა. უმრავლესობა იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე – ველებსა და მდელოებზე, ბუჩქნარებში, ქვიან ფერდობებზე, 4 სახეობა კი – სუბალპურ და ალპურ სარტყელში. მაღალმთის მდელოებზე უფრო ხშირია გვალვაგამძლე დიდყვავილა კ. (K. gracilis) და ლუერსენის კ. (K. luerssenii). საქართველოს ენდემია ალბოვის კ. (K. albovii). იზრდება აჭარისა და გურიის ალპურ სარტყელში. კ-ის სახეობები ნაკლებმნიშვნელოვანი საძოვრის ბალახია. *მ. სახოკია.*



კეწერა.


კეჭალმაძე რევაზ სერგოს ძე (19. II. 1925, ოზურგეთი, – 28. XII. 2016, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). 1945–51 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკ-ტზე (პედაგოგები – ა. ციმაკურიძე, კ. სანაძე, უ. ჯაფარიძე, ვ. შუხაევი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1953-იდან. ძირითადი ნამუშევრები: ,,რუსთავის მეფოლადე ზურაბ კვახაძე'' (1953),



კეწეწურა.



რ. კეჭაღმაძე. ,,დედის პორტრეტი‘‘. 1972.



ი. კეჭაყმაძე.



ნ. კეჭაყმაძე.

,,ნიკო ნიკოლაძე და ჩერნიშევსკი‘‘ (1955), ,,ქალიშვილის პორტრეტი‘‘ (1958), ,,ცხენბურთი‘‘ (1962), ,,გარეჯის პეიზაჟი‘‘ (1964), ,,ჭაშნიკი‘‘ (1967), ,,ენგურჰესის მშენებლობა‘‘ (1971), ,,აკად. ანგია ბოჭორიშვილის პორტრეტი‘‘ (1971), ,,დედის პორტრეტი‘‘ (1972), ,,უჩა ჯაფარიძის პორტრეტი‘‘ (1982), ,,ბიძინა ავალიშვილის პორტრეტი‘‘ (1995); ნატიურმორტები: ,,ყაყაჩოები‘‘, ,,ვარდები‘‘ (ორივე – 1996). მონაწილეობდა გამოფენებში: ,,დიდება შრომას‘‘ (1974, მოსკოვი), ,,თანამედროვე ქართული ხელოვნება‘‘ (1977, თბილისი), ,,სსრკ 60 წლისთავი‘‘ (1978, მოსკოვი, თბილისი), ,,ქვეყნის ახალგაზრდობა‘‘ (1982, მოსკოვი). მისი ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეასა და კერძო კოლექციებში.

კეჭაყმაძე იოსებ (სოსო) ილიას ძე (27. III. 1939, ოზურგეთი, – 24. III. 2013, თბილისი), კომპოზიტორი და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1981). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1995), ზ. ფალიაშვილის სახ. (1976) და საქართვ. სახელმწ. (2004) პრემიების ლაურეატი. 1968 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია კომპოზიციის სპეციალობით (ხელმძღვ. ი. ტუსკია და დ. თორაძე). 1962–66 მუშაობდა კონსერვატორიაში კონცერტმაისტერად საგუნდო-სადირიჟორო კათედრაზე, 1968-იდან – პედაგოგად (1984-იდან – პროფ.), 1980–2007 – საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგედ, 1972–2013 – საქართვ. კულტურის სამინისტროს მუს. დაწესებულებების სამმართველოს უფროსად. ძირითადად მუშაობდა საგუნდო (ა კაპელა) ჟანრში. მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: ,,ფშავური იდილიები‘‘ – საგუნდო ციკლი (ა. კალანდაძის ლექსებზე, 1972), ,,ძველი თბილისის სიმღერები‘‘ – 5 პერიფრაზი (იეთიმ გურჯის, გ. სკანდარნოვას და ხალხ. ლექსებზე, 1976), ,,დავითიანიდან‘‘ (საგუნდო ციკლი დ. გურამიშვილის ლექსებზე, 1981), 20 საგუნდო ნაწარმოები ი. ჭავჭავაძის ლექსებზე (1986), საეკლესიო გუნდები და საგალობლები (50-მდე) დაწერილი სიონის საკათედრო ტაძრისთვის (1978–94). კ. ავტორია აგრეთვე დრამ. სპექტაკლებისა (,,ოიდიპოს მეფე‘‘, 1978; ,,შუშანიკის წამება‘‘, 1979; ,,ლამარა‘‘, 1997; პრემია ,,დრამატული სპექტაკლისათვის შექმნილი საუკეთესო მუსიკისათვის‘‘) და კინოფილმების მუსიკისა (მუზიკლი ,,არსენას ლექსი‘‘, 1985; პრემია წლის საუკეთესო კინომუსიკისათვის, 1986). კ-მ ზ. ფალიაშვილის ოპერა ,,დაისის‘‘ მუსიკა გადაამუშავა ჰიმნად, რამაც გაიმარჯვა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე (1998) და საქართველოს სახელმწ. ჰიმნად დამტკიცდა (2004). *გ. ტორაძე.*

კეჭაყმაძე ნაზი ქრისტეფორეს ასული (21. I. 1913, სოფ. კვირიკეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 25. V. 1996, ბათუმი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1987). ოზურგეთის თეატრის მსახიობი (1930–34). ჩოხატაურში სახელმწ. თეატრის დაარსების შემდეგ იყო ამ თეატრის მსახიობი, შემდეგ – დირექტორი (1943–45), 1949-იდან



ნ. კეჭაყმაძე. კადრი ფილმიდან ,,ჩემი ბოშები‘‘. 1987.

გარდაცვალებამდე – ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრის მსახიობი. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ქეთევანი (დ. ერისთავის ,,სამშობლო‘‘), ხანუმა, გულჯავარი (ა. ცაგარლის ,,ხანუმა‘‘, ,,გლეხის ქალი გულჯავარი‘‘), ტურფა (ა. წერეთლის ,,პატარა კახი‘‘), გულთამზე (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი‘‘), ფატი (ნ. ნაკაშიძის ,,ვინ არის დამნაშავე?‘‘), მარინე (ვ. გუნიას ,,დაძმა‘‘), ქრისტინე (პ. იორეთელის ,,ქრისტინე‘‘), ძიძია (ა. ყაზბეგის ,,ხევისბერი გოჩა‘‘), მამიდა (ტ. რამიშვილის ,,სტუმარ-მასპინძლობა‘‘), მელანო (დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი‘‘), საშა (ლ. ტოლსტოის ,,ცოცხალი ლეში‘‘), ტატიანა (ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა‘‘), მართა (გ. ნახუცრიშვილის ,,ნაცარქექია‘‘), კაკანო, ბებია (ნ. დუმბაძის ,,მე ვხედავ მზეს‘‘, ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი‘‘), მანანა ორბელიანი (მ. მრევლიშვილის ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი‘‘), ეფროსინე (კ. ბუაჩიძის ,,მკაცრი ქალიშვილები‘‘), გულსუნდა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი‘‘), დედა (თ. ჭილაძის ,,როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის‘‘), ფერმის გამგე (ა. აბდულინის ,,მეცამეტე თავმჯდომარე‘‘) და სხვ. გადაღებულია ფილმებში: ,,ნეილონის ნაძვის ხე‘‘ (1985), ,,ჩემი ბოშები‘‘ (1987) და სხვ.

კეჭიეთი, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჭახათის თემში (აჭარის არ), მდ. კინტრიშის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 300 *მ,* ქობულეთიდან 17 *კმ.* 78 მცხ. (2014).

კეჭინარი, დიდი ეწერი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწრის თემში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის დაბლობზე. ზ. დ. 100 *მ,* სამტრედიიდან 10 *კმ.* 251 მცხ. (2014).

კეჭნაობა, შუღლი, ჭრა, ქართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა. არსებობდა უძველესი დროიდან XX ს. 50-იან წლებამდე.

ხევსურეთში გავრცელებული ფარიკაობა ხმლებითა და პატარა ფარებით. იყენებდნენ თითებზე წამოსაცმელ საბრძოლო რგოლებსაც, რ-ებსაც „სათითენს“ ეძახდნენ. ბავშვებს ორთაბრძოლის ხერხებს 5–6 წლის ასაკიდან ასწავლიდნენ: „ბავშვების, განსაკუთრებით ვაჟების აღზრდას ხევსურები დიდის ყურადღებით ეპყრობიან... პატარაობიდანვე ავარჯიშებენ ფარიკაობასა და მშვილდისრობაში, და ამგვარად ხევსურები ბავშვობიდან ემზადებიან შუღლისა და კეჭნაობისათვის“ (ს. მაკალათია).

კ-ის მიზეზი უფრო ხშირად ძველი წყენა, ანუ „ჯავრი“ იყო. ერთმანეთს ებრძოდნენ შელახული თავმოყვარეობის აღსადგენად, ხალხის, ძირითადად, ქალების წინაშე საკუთარი ვაჟკაცობის გამოსავლენად. მოშუღლეები ცდილობდნენ მეტოქე დაეჭრათ თავის არეში – შუბლის სამი ნაოჭის ზემოთ, ამასთან ისე მსუბუქად გაეკაწრათ, რომ ერთ წვეთზე მეტი სისხლი არ გამოედინათ.



კეჭნაობა.

გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვინც მოწინააღმდეგეს მეტ ამგვარ ჭრილობას მიაყენებდა. შუბლის ნაოჭებს ქვემოთ გაკაწვრის ან მძიმედ დაჭრისათვის დაზარალებულს (სათითენით იქნებოდა დაჭრილი თუ ხმლით), „რჯულის კანონის“ თანახმად, ასანაზღაურებელი, ანუ „დრამა“ უნდა მიეღო. რაოდენობას შუაკაცი და „აქიმი“, ანუ დასტაქარი განსაზღვრავდა: ჭრილობის სიგრძე-სიგანეს ძაფით გაზომავდნენ, ზომას ბრტყელ ქვაზე გადაიტანდნენ, ზედ ქერის მარცვლებს დაალაგებდნენ, კიდურა მარცვლებს მოაკლებდნენ და დანარჩენით დრამის ოდენობას ადგენდნენ – ქერის თითოეული მარცვალი ერთი ძროხის საფასურს უდრიდა. თავის ქალის დაზიანების შემთხვევაში დამჭრელს დაზარალებულისთვის 12 ძროხის საფასური უნდა გადაეხადა. ასეთი ტრავმების გამო ხევსურ დასტაქრებს რთული ქირურგიული ოპერაციაც არაერთხელ ჩაუტარებიათ.

პ-ის ელემენტები საფუძვლად დაედო ცეკვა „*ფარიკაობას*“. მისმა კანონებმა (ხმალს არ დაჰკრავდნენ უიარაღოს, წაქცეულს, ზურგშექცევით მდგომს) განსაზღვრა ამ ცეკვის ტრადიციული რაინდული ბუნება.

ლიტ.: თათარაძე ა., ქართული ცეკვების განმარტებანი, თბ., 1986; მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1984.

პ. ყიფიანი.

კეხვი, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ქურთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. დიდი ლიახვის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 950 *მ*, ქურთიდან 7 *კმ*.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კეხვის ციხე, თავდაცვითი ნაგებობა. მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. *კეხვთან*. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში, როცა ქვეყანაში გაბატონებულ ოსმალებს აუჯანყდა მეფე სიმონ I და ოსმალოფილი ვახტანგ მუხრანბატონი პ. ც-ში ჩასვა. 1625 გ. სააკაძემ სპარსელებთან ბრძოლის წინ პ. ც. გაამაგრა. 1745 ციხე აიღო მეფე თეიმურაზ II-მ და დააპატიმრა აქ გამაგრებული სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფეოდალის, გივი ამილახვრის მომხრენი. XVIII ს. ბოლომდე პ. ც. არაერთგზის იყო ლეკი ფეოდალების თავდასხმების ობიექტი.

ციხე აღმართულია მაღალი მთის წვერზე. იგი არ არის ერთი დროის ნაგებობა და სხვადასხვა პერიოდის სულ მცირე ოთხ სამშენებლო ფენას შეიცავს. თავდაპირველად აქ იდგა კოშკი, რ-ისთვისაც მომდევნო ხანებში სამხრ-იდან გალავანი მიუშენებიათ. შემდეგ ეს გალავანი დანგრეულა და ახალი გალავანი აუგიათ, რ-შიც ძველი გალავნის შემორჩენილი ნაწილები გამოუყენებიათ. უფრო გვიან, ციხის ოდნავ ქვემოთ, აუგიათ მოზრდილი, კოშკიანი გალავანი, რ-იც ციხეს სამხრ-იდან ეკვრის. არც ერთი ეს ფენა არაა დათარიღებული. ციხეს ჰქონდა დიდი ტევადობის წყალსაცავი. შესასვლელი დას. მხრიდან აქვს. მოგვიანებით მასზე გარედან კოშკი მიუშენებიათ.

ლიტ.: გვასალია ჯ., ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1982, [ტ.] 6; მისივე, ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, თბ., 2002; ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980; Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

ჯ. გვასალია. შ. საღარაძე.

კეხიჯვარი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მდ. ძამის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: პ., ვედრება, თათანაანთუბანი, კლდუ, კრობანი, სამწევრისი, სანებელი, ქობესაანთუბანი). ზ. დ. 680 *მ*, ქარელიდან 6 *კმ*. 919 მცხ. (2014).

სოფლის სასაფლაოზე დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

კეხოვანი, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის ჭეჭლის თემში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), არსიანის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1450 *მ*, ადიგენიდან 14 *კმ*, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 42 *კმ*. 143 მცხ. (2014).

კეხურა, ძველი ქართული ვაშლის ჯიში. გავრცელებულია ქართლში, მესხეთში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამაჩაბლოში. ხე სწრაფად იზრდება, აქვს ძლიერ გადაშლილი ვარჯი. მსხმოიარობას იწყებს მე-6–მე-7 წელს. უხვმოსავლიანია (სრულმოსავლიანი ხე საშ. 700–800 *კგ* ნაყოფს იძლევა), მეწლეა, ნაყოფი მსხვილი ან საშ. ზომისაა, ფერად უფრო მომწვანო-მოყვითალო, ზემოდან წითლად შეფერილი, მასა 190 *გ*. აქვს სქელი, უხეში და მკვრივი კანი, მოთეთრო-მომწვანო, წვნიანი, უარომატო რბილობი. კრეფენ ოქტ. II ნახევარში. სარდაფის პირობებში ინახება მეორე მოსავლის აღებამდე. ტრანსპორტაბელურია.



კეხურა.

შ. ახვლედიანი.

კვავლო, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის თუშეთის (ომალოს) თემში (კახეთის რეგიონი), თუშეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. დიდი ხევის (პირიქითის ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1700 *მ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

სოფლის განაპირას, კლდეზე, დგას ძლიერ დაზიანებული, გვიანდ. შუა საუკუნეების ხუთსართულიანი კოშკი, სოფელში არის ამავე პერიოდის ოთხსართულიანი ციხე-სახლი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2004.

კვაზიპოტენციალური განტოლება ლოგუნოვ–თავხელიძისა, *ველის კვანტური თეორიის* სამგანზომილებიანი ფორმულირების ჩარჩოებში მიღებული განტოლება (განტოლებათა სისტემა), რომელიც აღწერს ორი რელატივისტური ნაწილაკის ურთიერთქმედებას. კ. გ. ლ.–თ-ს იყენებენ წყალბადის ატომის სპექტრის ზენაზე შესწორებების, ასევე *კვარკების* ბმული მდგომარეობების ენერგიების გამოსათვლელად და სხვა ფუნდამენტურ ამოცანებში. იხ. სტ. *ლოგუნოვ–თავხელიძის კვაზიპოტენციალური მეთოდი.*

კვაისა, დაბა ჯავის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჯეჯორის ხეობაში. კვაისის ტერიტ. ორგანოს ცენტრი. ზ. დ. 1350 *მ*, ჯავიდან 41 *კმ*.





ა. კვალიაშვილი.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

სოფლის მახლობლად, ხშირი ტყით დაფარულ მთაზე, შემორჩენილია უხეშად დამუშავებული რუხი ქვითა და შირიმით ნაშენი მცირე დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ნანგრევებში დიდი რაოდენობითაა მოჩუქურთმებული, რელიეფური გამოსახულებებით შემკული ღვინისფერი ქვის ფრაგმენტები, რ-ებიც სხვა ეკლესიას ეკუთვნოდა. ფრაგმენტები X ს. II ნახევრით თარიღდება. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სკულპტურული დეკორით შემკული სამი, დაახლ. 100 *სმ*×60 *სმ* ზომის ფილა. ერთ ფილაზე ეგვიპტისკენ ლტოლვის სცენაა გამოსახული – ჩვილი იესოთი სახედარზე მჯდომ ღვთისმშობელს და მათ უკან მიმავალ იოსებს წინ მიუძღვით ანგელოზი. სცენის მარცხნივ ამოკვეთილია შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა – ,,არსენს და მშობელთა მისთა შეუნდვნეს ღმერთმა''. მეორე ფილაზე გამოსახულია ორი მეომარი, რ-ებსაც ხელი უკიდიათ მათ შორის მდებარე სწორკუთხა პოსტამენტზე დაყრდნობილ ჯვარზე. ფილის მარცხ. ნაწილში ასომთავრულით ამოკვეთილია –,,ა'' და ,,რ''. მესამე ფილის მარჯვ. ნაწილში გამოსახულია ეკლესიის ამშენებელი, რ-საც სამმალიანი თაღოვანი შესასვლელის მქონე ეკლესიის მოდელი მიმართული აქვს ფილის მარცხ. ნაწილში გამოსახული წინასწარმეტყველ იონას სასწაულებრივი ხსნის სცენისკენ (ორთავიანი გველეშაპი ერთი თავით შთანთქავს იონას, მეორე თავიდან კი ამოტყორცნის).

ლიტ.: დადიანიძე ც., შიდა ქართლი, III, თბ., 2004; Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

თ. დვალი.

კვაისის ტყვია-თუთიის საბადო, მდებარეობს ჯავის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის რეგიონი), ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზე. საბადო განლაგებულია წედის-ახსარგინის ანტიკლინის ჩრდ. ფრთისა და თაღის გამკვეთ რღვევებში. მადნეული სხეულები (ძარღვები და მეტასომატური ბუდობები) რთული ფორმისაა. მადანი მასიური, ბრექჩიული და ზოლებრივი ტიპისაა. მინერ. შედგენილობა: სფალერიტი, გალენიტი, პირიტი, მარკაზიტი, კალციტი, ქალცედონი, ბარიტი და სხვ. საბადო ვულკანოგენურ-ჰიდროთერმულია, წარმოქმნილია ზედაპირთან ახლოს, დაბალი ტემპ-რისა და მცირე წნევის პირობებში. გამადნების ასაკი, სავარაუდოდ, კაინოზოურია.

საბადოდან მოპოვებული და გამდიდრებული მადნები (კონცენტრატი) ადრე იგზავნებოდა ქ. ვლადიკავკაზის (რფ) ქ-ნა ,,ელექტროცინკში''.

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მთ. რედ. ირ. ჟორდანია, ტ. 1, თბ., 2015.

„კვალი“, ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი, ეროვნულ-ლიბერალური მიმართულებისა; გამოდიოდა 1893–1904 თბილისში. 1893–96 გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა ,,მესამე დასის'' დამწყებ ლიტერატორებს; 1897-იდან გადავიდა ,,მესამე დასის'' უმრავლესობის ხელში, ხოლო ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციებად გაყოფის შემდეგ ქართვ. მენშევიკების ორგანო გახდა. ქვეყნდებოდა სტატიები საქართვ. ეკონ., ისტ., ეთნოგრ., გეოგრ. და მეცნ. სხვადასხვა დარგის შესახებ; იბეჭდებოდა მხატვრული ლიტ-რა, პუბლიც. და კრიტ. წერილები, ბიბლიოგრაფია. გაზეთის 1895 წ. ზოგიერთ ნომერში ნახსენებია მეცნ. კომუნიზმის ფუძემდებლების, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომები.

რედ.-გამომცემლები – ა. თუმანიშვილი-წერეთლისა (ფაქტობრივი რედ.-გამომცემელი – გ. წერეთელი), ნ. ალექსი-მესხიშვილი. ,,კ.'' დაიხურა მთავრობის განკარგულებით.

ლიტ.: კარიჭაშვილი დ., ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, «წიგნის მეგობარი», 1925, №2; კიკვიძე ა., გაზეთი ,,კვალი'', 1893–1904 წწ., თბ., 1969; მგალობლიშვილი ქ., ქართული გაზეთების ბიბლიოგრაფია, «პროლეტარული რევოლუცია», 1943, №3; ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. 3, თბ., 1944.

ი. ლორთქიფანიძე.

„კვალი“, აშშ-ის ქართველთა საინფორმაციო ცენტრი. ,,კ.'' შეიქმნა 1998 როგორც კომპანია, 2001 ჩამოყალიბდა საქველმოქმედო ორგანიზაციად. მისი ოფისი თბილისში გაიხსნა 2003. ,,კ-ის'' დამაარსებელი და პრეზიდენტი იყო შ. *ვაშაკიძე*. ამერიკაში წასულ ქართველებს ცენტრში ასწავლიან ინგლ. ენას, ეხმარებიან იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, ასევე იქაური განათლების სისტემის პრინციპების გარკვევაში. ,,კ.'' ეხმარება საქართველოდან შერჩეულ ახალგაზრდებს ამერიკაში წასვლასა და განათლების მიღებაში.

,,კ-მა'' თსუ-თან ერთად განახორციელა აშშ-ში სტუდენტებისა და მაძიებლების გაცვლითი პროგრამა, მოაწყო საქართვ. კულტ. დღეები აშშ-ში (ნიუ-ბრანზუიკი, ნიუ-იორკი, ფილადელფია, ვაშინგტონი), ქართველ ლინგვისტებთან და პროგრამისტებთან ერთად შექმნა ინგლ.-ქართ. ინტერნეტ-ლექსიკონი, ჩაატარა განათლების, მეცნ. და მედ. საერთაშ. ფორუმი (2004, თსუ).

2002–10 ქართვ. ჟურნალისტების მონაწილეობით გამოდიოდა ინტერნეტ-გაზეთი ,,კვალი''. 2005–15 სისტემატურად ტარდებოდა სპეციალურად მოწვეული ქართვ. და ამერ. მეცნიერების ლექციები ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკასა და მეცნ. სხვა დარგებში.

,,კ-ის'' ეგიდით ჩატარდა კონკურსი პროზასა და დრამატურგიაში, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ პრემიებით, ასევე პრემიებით აღინიშნა რამდენიმე ნაწარმოები. გამოიცა კრებული. შეგროვდა და დამუშავდა ამერიკაში მცხოვრები ქართვ. ემიგრანტების არქივები, რ-ებიც 2015 გამოავაზანეს თბილისში, მათი ნაწილი განთავსდა ეროვნ. ბ-კის ,,კვალის'' სახელზე გახსნილ სპეც. ოთახში, ნაწილი – თსუ-ის ბ-კაში.

ბ. ვაშაკიძე.

კვალიაშვილი ალექსანდრე არჩილის ძე [25. IV(7. V). 1895, სოფ. მოხისი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 6. II. 1974, თბილისი], რენტგენოლოგი, რენტგენოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1947), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961).

1920 დაამთავრა ხარკოვის უნტის სამედ. ფაკ-ტი. 1938–73 განაგებდა თსსი-ის რენტგენოლოგიის კათედრას.

ჰ. იკვლევდა შინაგანი ორგანოების და ძვლოვანი სისტემის რენტგენოდიაგნოსტიკის საკითხებს. შეადგინა რენტგენოდიაგნოსტიკის პირველი სახელმძღვანელო ქართ. ენაზე (1963). იყო საქართვ. რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა, აგრეთვე რადიოლოგთა საკავშ. სამეცნ. საზ-ბის საპატიო წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ფიბროზული ოსტეო-დისტროფიის საკითხისათვის, «ცენტრალური კლინიკური ინ-ტის შრომები», 1939, №1.

კვალიაშვილი ეკა ფირანის ასული (დ. 20. III. 1965, თბილისი), საესტრადო მომღერალი. 1982 დაამთავრა სპი-ის ტელემექანიკის ფაკ-ტი. სწავლის პერიოდში მღეროდა ინ-ტისა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრებში, ანსამბლ ,,ჯორჯიასა'' და ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ ,,შანსში''. მაღალი ვოკალური შესაძლებლობის მქონე მომღერალი ასრულებს ღრმად ემოციური ჟღერადობის სიმღერებს – გ. გაჩეჩილაძის ,,აღარ გელოდები'', მ. კვალიაშვილის ,,გაზაფხულზე სიყვარული მოვა'' და სხვ. 1995 გაიმარჯვა კონკურსში ,,ბათუმის ტრუბადური'' (გრან-პრი 95), ამავე წელს გახდა სატელევიზიო კონკურსის – ,,გალას'' ნომინანტი. იგი მრავალი ჯილდოსა და პრემიის მფლობელია, მათ შორისაა ,,მის როკ-ევროპა-92'', ,,მეგა-2000'', ,,ოქროს დისკი'', ,,2000 წლის ბოლო ათწლეულის საუკეთესო შემსრულებელი'', ,,ლიგა-96'' და სხვ.



ე. კვალიაშვილი სცენაზე.

პ-ის რეპერტუარი მრავალფეროვანია, ასრულებს სხვადასხვა ჟანრის (ფოლკლორი, ჯაზი, სოული, პოპი და რომანსები) ნაწარმოებებს. მართავს სოლო კონცერტებს. ჩაწერილი აქვს რამდენიმე ალბომი: ,,დამივიწყე'' (1997), ,,ფერისცვალება'' (2001), ,,როგორ მიყვარხარ'' (2005). გასტროლებზე იმყოფებოდა საფრანგეთში, ფინეთში, საბერძნეთში, რუსეთისა და უკრაინის ქალაქებში, მ. შ. მოსკოვსა და კიევში.

ნ. გელოვანი.

კვალიაშვილი ვაჟა რომანის ძე (დ. 29. VIII. 1936, გორი), მეხილე-მევენახე, სელექციონერი. საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (2013; წ.-კორ. 2003). სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (2002), მოსკოვის მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშ. აკადემიის (2006) და საქართვ. ბიზნესის მეცნ. აკადემიის (2009) ნამდვ. წევრი. 1959 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მევენახეობის და მეხილეობა-მებოსტნეობის ფაკ-ტი. 1960–66 იყო მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინ-ტის ხიდისთავის (გორის რ-ნი) ექსპერ. ბაზის გამგე, 1966–70 – სკრის საცდელი სადგურის მევენახეობის განყ-ბის გამგე, 1971–73 – გორის რ-ნის მთ. აგრონომი, 1973–77 – ამავე რ-ნის აღმასკომის თავ-რე, 1977–83 – კასპის რაიკომის მდივანი, 1980–85 – საქართვ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1983–2006 – საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში, 1989–91 – ამავე ინ-ტის ციტო-გენეტიკის განყ-ბის გამგე, 1990–95 – სკრის საცდელი სადგურის დირექტორი, 2004–07 – სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. მემცენარეობის განყ-ბის მრავალწლიანი კულტურების სექციის თავ-რე, 2005-იდან – მებაღეობის საერთაშ. სამეცნ. საზ-ბის წევრი. 2006–11 მუშაობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ვაზისა და ხეხილის გენოფონდის კვლევისა და გენეტიკა-სელექციის განყ-ბაში მთ. მეცნიერ თანამშრომლად. 2011–12 საქართვ. აგრ. უნ-ტის, ხოლო 2017-იდან სოფ. მეურნ. მეცნ. აკადემიის ექსპერტია მეხილეობის დარგში.

პ-მ სელექციონერ ვ. ბესტავაშვილთან ერთად გამოიყვანა ატმისა (ვაჟური, მარია ჯორჯანა, წედისური – თეთრი, ყვითელი, წითელი, გორის ყვითელი და სხვ.) და ყურძნის ახ. ჯიშები. ნუგურა და ატენური ყვითელი წარმატებით ინერგება ფერმერულ მეურნეობებში. 2005–08 გამოიყო ატმის 5 ახ. სახეობა: ალექსანდრეს იუბილე, ლალება, ყვითელი საკონსერვო, ალმურა, იუბილე 60, რებიც მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან. ყურძნის ჯიშებიდან აღსანიშნავია ბესტავაშვილის თეთრა და გორული თეთრი.

პ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (აქედან 3 გამოგონებაა), მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. აკად. ნ. ი. ვავილოვის მედალი (1987).

თხზ.: ხეხილის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები (აგროწესები), თბ., 2016 (თანაავტ.: გ. ალექსიძე, გ. ბადრიშვილი).

კვალიაშვილი მარიამ კონსტანტინეს ასული (დ. 7. V. 1937, თბილისი), კომპოზიტორი. თბილისის საპატიო მოქალაქე (2009). 1961 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (კომპოზიციის განხრით, ხელმძღვ. ი. ტუსკია). იმავე წლიდან დაიწყო პედ. მოღვაწეობა მესტიაში, თავდაპირველად საჯარო სკოლაში მუს. პედაგოგად, შემდეგ კი მუს. სკოლაში, რ-იც მისი ინიციატივით გაიხსნა და დღემდე ფუნქციონირებს. 1967-იდან (45 წელი) მუშაობდა თბილ. №1 სამუსიკო სკოლის პედაგოგად (თეორიული საგნები). შეადგინა ცნობილი ლოტბარისა და მომღერლის, მ. თარხნიშვილის (პ-ის ბებია) მიერ შესრულებული ხალხ. სიმღერების კრებული. პ. ძირითადად ვოკალური მუსიკის ჟანრში მოღვაწეობს. მისი სიმღერები გამოირჩევა განსაკუთრებული მელოდიურობით (,,ცოტა კიდევ დაიცადე, გულო'', ,,იანვარიც მოირთვება'' და სხვ.), მ. შ. სჭარბობს ლირიკული და პატრიოტული თემატიკა. სიმღერებს ქმნის როგორც სოლისტების, ასევე ვოკალური ანსამბლებისთვის.



ვ. კვალიაშვილი.

პ-ის სიმღერებმა არაერთხელ გაიმარჯვა წლის საუკეთესო სიმღერების ნომინაციაში (2000, 2004, 2005, 2007). 2005 მიენიჭა პრემია ,,წლის საუკეთესო კომპოზიტორი'', 2008 – ,,ქართული კულტურის ამაგდარი''; 2009 დაჯილდოვდა ,,ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის''. 2009 თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა პ-ის ვარსკვლავი. პერიოდულად ტარდება კომპოზიტორის საავტორო კონცერტები (1996, 2003, 2010), გამოშვებულია მისი სიმღერების 2 კომპაქტდისკი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).



მ. კ. კვალიაშვილი.

ნ. გელოვანი.

კვალიაშვილი მიხეილ გრიგოლის ძე [28. XII. 1898 (9. I. 1899) – 29. IV. 1974, თბილისი], საოპერო რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1943). 1919–24 სწავლობდა თბილ. კონსერვატორიაში (ვოკალის განხრით). 1921–22 იყო თბილ. ოპერის მომღერალი, 1922–24 – რუსთაველის

თეატრის მსახიობი. 1925–26 მუშაობდა კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში. 1935–40 – მოსკოვის დიდი თეატრის, ხოლო 1926–36, 1941–51 თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორია. დადგმები: ზ. ფალიაშვილი ,,აბესალომ და ეთერი'' (პრემიერა – 1942); ა. კერესელიძე ,,ბაში-აჩუკი'' (1946); დ. თორაძე ,,მთების ძახილი'' (1947); ზ. ფალიაშვილი ,,ლატავრა'' (რედაქტირებული ვარიანტი, 1949); ა. ბალანჩივაძე ,,მზია'' (1949); ესპოზიტო ,,კამორრა''; დონიცეტი ,,დონ პასკუალე''; ჟ. ბიზე ,,კარმენი''; ჯ. ვერდი ,,აიდა'' (ქართ. ენაზე), ,,ოტელო'', ,,ტრავიატა'' (მოსკ. 1937, თბილ. 1948), ,,ტრუბადური''; ჯ. როსინი ,,სევილიელი დალაქი''; ჟ. ოფენბახი ,,ჰოფმანის ზღაპრები''; ლ. დელიბი ,,ლაკმე''; ა. ბოროდინი ,,თავადი იგორი''; შ. გუნო ,,ფაუსტი''; ავეტისოვი ,,ლტოლვილი'' (1943); ჯ. პუჩინი ,,ბოჰემა''; პ. ჩაიკოვსკი ,,პიკის ქალი'', ,,იოლანტა'', ,,მაზეპა''; ე. ნაპრავნიკი ,,დუბროვსკი''; ე. სუხონი ,,კრუტნიავა'' (სსრკ-ში პირველი დადგმა). საოპერო რეპერტუარი: მგოსანი (დ. არაყიშვილი ,,თქმულება შოთა რუსთაველზე''); ვალენტინი, ვაგნერი (შ. გუნო ,,ფაუსტი''); ბარონი (ჯ. ვერდი ,,ტრავიატა''). მასვე ეკუთვნის მემუარების ორი წიგნი ,,საოპერო რეჟისორის მოგონებები'' (რუსულ ენაზე, I – 1969; II – 1975); რედაქტირება ზ. ფალიაშვილის ოპერისა ,,ლატავრა'' (1949, სხვებთან ერთად).



ა. კვანტალიანი.



ა. კვანტალიანი. ვარდენი, კადრი ფილმიდან ,,უდიპლომო სასიძო''. 1961.

ლიტ.: ტატიშვილი გ., მიხეილ კვალიაშვილი, «სამშობლო», 1975, 14. II; ქართული საოპერო სტუდია, «თეატრი და ცხოვრება», 1920, №6.

კვალითი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზედა კვალითის, შუა კვალითისა* და *ქვედა კვალითის* გავრცელებული სახელწოდება. ჰ. წყაროებში პირველად XVIII ს. I ნახევარში იხსენიება.

კვანაფა, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტის ხოფის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. ზ. დ. 160 *მ,* ახალსოფლიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ.*

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კვანაფა, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტის ჯირხვის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. ზ. დ. 160 *მ,* გუდაუთიდან 20 *კმ,* ზვანდრიფშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ.*

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კვანტალიანი აკაკი (კაკო) ლუკას ძე [14 (27). XII. 1907, სამტრედია, – 27. VII. 1967, თბილისი], თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1957). 1925-იდან სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე, ამავე დროს მონაწილეობდა თბილ. მუშათა თეატრის წარმოდგენებში. 1928-იდან იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. წარმატებით ასრულებდა მკვეთრად სახასიათო როლებს. მ. შ. აღსანიშნავია: ქუჩარა, ხახული, ლოპიანე (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'', ,,კოლმეურნის ქორწინება'', ,,ცხოვრების ჯვარა''), კორნელი (კ. კალაძის ,,როგორ''), მაქსიმელა (შ. დადიანის ,,ნინოშვილის გურია''), გრუმიო (უ. შექსპირის ,,ჭირვეული ცოლის მორჯულება''), ქერუბინო (პ. ბომარშეს ,,ფიგაროს ქორწინება''), ოლიმპიო (პ. ბ. შელის ,,ბეატრიჩე ჩენჩი''), ბანკირი, ბანკირის შვილი (ე. ტოლერის



ა. კვანტალიანი. ბერიკა, კადრი ფილმიდან ,,მაია წყნეთელი''. 1959.

,,ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!''), კარლოს VII, ალფრედ დულიტლი (ბ. შოუს ,,წმინდა ქალწული'', ,,პიგმალიონი''), ზემლიანიკა (ნ. გოგოლის ,,რევიზორი''), ტებანო (ლოპე დე ვეგას ,,ცეკვის მასწავლებელი''), ტიტიკო (ვ. გაბესკირიას ,,გაზაფხულის დილა''), შტეფან პეტრიჩი (ი. გალანის ,,სიყვარული გარიჟრაჟზე''), ბოგა (დ. დობროჩანინის ,,სამი ბულბულის ქუჩა 17'') და სხვ. ჰ-ს ეკუთვნის მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებული კ. გოგიაშვილის ,,გულსუნდას'' (1948) და პ. კაკაბაძის ,,ცხოვრების ჯვარას'' (1966) დადგმები. წარმატებით მოღვაწეობდა კინოში, შექმნა კოლორიტული სახასიათო სახეები: გელა (,,უკანასკნელი ჯვაროსნები'' რეჟ. ს. დოლიძე, 1934), მღებავი ლექსო (,,ფრთოსანი მღებავი'', რეჟ. ლ. ესაკია, 1936), აფრასიონი (,,ბედნიერი შეხვედრა'', რეჟ. ნ. სანიშვილი, 1950), მიტუა (,,მაგდანას ლურჯა'', რეჟ. თ. აბულაძე, რ. ჩხეიძე, 1955), გიორგი (,,ჩვენი ეზო'', რეჟ. რ. ჩხეიძე, 1956), ბერიკა (,,მაია წყნეთელი'', რეჟ. რ. ჩხეიძე, 1959), ვარდენი (,,უდიპლომო სასიძო'', რეჟ. ლ. ხოტივარი, 1961), პაპა ლაზარე (,,რაც გინახავს, ველარ ნახავ'', რეჟ. მ. ჭიაურელი, 1965), ქიშვარდი (,,მე ვხედავ მზეს'', რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1965) და სხვ. ჩამოყალიბა ქართული ესტრადის თეატრი; წარმატებით მოღვაწეობდა საესტრადო ჟანრში. სამსონ ნებიერიძის როლის განსახიერებისათვის (ი. მოსაშვილის ,,მისი ვარსკვლავი'') მიენიჭა სტალინური პრემია (1952). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ძიგუა ვ., აკაკი (კაკო) კვანტალიანი, თბ., 1972.

კვანტალიანი გივი შალვას ძე (27. IX. 1933, თბილისი, – 19. III. 1999, იქვე), მილიციის გენერალ-მაიორი (1984). თბილისის შს სამმართველოს უფროსი (1980–82). საქართვ. სსრ შს მინისტრის მოადგილე (1982–88). ქ. მოსკოვის შსს მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე (1988–90). საქართვ. შსს უმაღლესი სკოლის უფროსი (1990–93). საქართვ. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის თავ-რის მოადგილე (1997–99). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2003, გარდაცვალების შემდეგ). *ლ. დოლიძე.*

კვანტური ინფორმატიკა, მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის რთული კვანტური სისტემების დინამიკის ზოგად კანონზომიერებებსა და პრინციპებს. ჩამოყალიბდა *კვანტური მექანიკის,* ალგორითმების თეორიისა და *ინფორმაციის თეორიის* მიჯნაზე. ჰ. ი. მოიცავს კვანტური გამოთვლებისა და კვანტური ალგორითმების საკითხებს, კვანტური კომპიუტერების ფიზიკას, კვანტურ კრიპტოგრაფიასა და ინფორმაციის კვანტურ თეორიას.

კვანტური ინფორმაცია იზომება ქუბიტებში (ინგლ. quantum bit). ქუბიტებს შეუძლია იყოს

მდგომარეობაში, რ-იც 0 და 1 მნიშვნელობების სუპერპოზიციაა: ნაცვლად ორი ფიქსირებული მდგომარეობისა, ქუბიტი ω ალბათობით იქნება კლასიკური 0-ის შესაბამის მდგომარეობასა (რ-იც აღინიშნება |0⟩) და 1–ω ალბათობით მდგომარეობაში |1⟩, რ-იც შეესაბამება კლასიკურ 1-ს. ამას უწოდებენ *კვანტურ პარალელიზმს*. შესაბამისად, ქუბიტის შესაძლო მდგომარეობათა სიმრავლე *კონტინუუმია*.

კვანტური კომპიუტერი არის სისტემა, რ-შიც გამოთვლები ხორციელდება კვანტური მექანიკის კანონებით. ოპერაციები ამ სისტემებში, ისევე როგორც ნებისმიერ კვანტურ სისტემაში, არის *უნიტარული გარდაქმნები* ამ სისტემის მდგომარეობათა სივრცეში. კვანტურ კომპიუტერში არსებობს ოპერაციათა ბაზისი; მათი კომბინირებით მიიღება გამოთვლებისთვის საჭირო ყველა გარდაქმნა. გარდაქმნების (კვანტური გამოთვლების) პროცესში წარმოქმნილი მონაცემები წარმოადგენს კვანტურ ინფორმაციას, რ-იც გამოთვლის პროცესის დასრულებისას გარდაიქმნება კლასიკურ ინფორმაციად კვანტური *რეგისტრის* (კვანტური კომპიუტერის მეხსიერების) საბოლოო მდგომარეობის გაზომვით. გამოთვლის შედეგი, ისევე, როგორც ნებისმიერი გაზომვა კვანტურ სისტემაში, მხოლოდ გარკვეული ალბათობითაა ჭეშმარიტი (და არა ზუსტი, როგორც კლასიკურ შემთხვევაში), მაგრამ გამოთვლების რამდენჯერმე განმეორება ამ ალბათობას ზრდის და საიმედო შედეგს გვაძლევს (ნებისმიერი სიზუსტით).

უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რ-საც ჰ. 0. შეისწავლის, არის კვანტურ მდგომარეობათა *გადახლართვა* (ინგლ. entangled). გადახლართვა დამახასიათებელია სისტემებისთვის, რ-ებშიც ინფორმაცია სისტემის ერთი ნაწილის მდგომარეობის შესახებ *მაშინვე* ცალსახად (ან ნაწილობრივ) გვაძლევს ინფორმაციას დანარჩენი ნაწილების მდგომარეობაზე, ანუ გადახლართვის შედეგად შედგენილი სისტემებისთვის დამახასიათებელია *არალოკალურობა*. კვანტურ სისტემებში ინფორმაცია ყოველთვის არასრულია (კლასიკური აზრით). ამიტომ კორელირებული (მაგ., მუდმივობის კანონების შედეგად ან პაულის პრინციპის შესაბამისად) ნაწილებისგან შედგენილი სისტემების მდგომარეობები გადახლართული უნდა იყოს.

1981–85 რ. ფეინმანმა (აშშ) და დ. დოიჩმა (ინგლ.) აჩვენეს, რომ გადახლართულ მდგომარეობათა არსებობა და კვანტური პარალელიზმი შეიძლება გამოვიყენოთ კომპიუტერული გამოთვლების სიჩქარის რადიკალური გაუმჯობესებისთვის. კვანტური კომპიუტერი ბევრად მძლავრი (სწრაფი და ეფექტური) იქნება კლასიკურ გამომთვლელ მოწყობილობასთან შედარებით. კვანტური გამოთვლები პრინციპულ უპირატესობას იძლევა მაგ., ნატურალური რიცხვის მარტივ თანამამრავლებად დაშლის პოვნისას. 1994 პ. შორმა (აშშ) შეადგინა ალგორითმი კვანტური კომპიუტერისთვის, რ-იც ამ ამოცანას სწრაფად (პოლინომურ დროში) ხსნის. ანალოგიური სწრაფი კვანტური ალგორითმი მონაცემთა ბაზაში ჩანაწერის პოვნის ამოცანისთვის 1996 შეადგინა ლ. გროუვდერმა (აშშ).

XXI ს. დასაწყისში კვანტური კრიპტოგრაფიული სისტემების განვითარებამ მიაღწია კომერციულ დონეს და აქტიურად გამოიყენება საიდუმლო ინფორმაციის საიმედო დაცვისათვის. მნიშვნელოვანია, რომ პრინციპულად შეუძლებელი ხდება კვანტურ მონაცემებში ფარულად შეღწევა. გადახლართულ მდგომარეობათა ტექნოლოგია გულისხმობს ათეულამდე ნაწილაკის (ან კვაზინაწილაკის – ფოტონების, ელექტრონების ან ე. წ. კუპერის წყვილების მდგომარეობები, ელექტრონებისა და ბირთვების სპინები) გადახლართულ მდგომარეობათა საიმედო მომზადების, შედარება-შემოწმების და თვისებათა შესწავლის შესაძლებლობას. ეს რეალიზებულია ზოგიერთ მოქმედ ხელსაწყოში – კვანტური კომპიუტერის მოქმედ პროტოტიპებში [მცირექუბიტიან (10-მდე ქუბიტი) კვანტურ პროცესორებში]. მრავალნაწილაკოვანი სისტემების კომპიუტერული მოდელირება გულისხმობს ქიმიური პროცესების და რთული სისტემების კვანტური ყოფაქცევის (ჰიპოთეტურ) სიმულაციებს. ჯერჯერობით მოდელირება ხდება კვანტური კომპიუტერის მხოლოდ კლასიკური სიმულატორების გამოყენებით.

კვანტური კომპიუტერის აგების ძირითადი ტექნიკური დაბრკოლებაა დეკოჰერენტიზაციის მოვლენა – კვანტური სუპერპოზიციების დაშლა, რ-იც მიკროსისტემების მაკროსისტემებზე გავლენის შედეგად ხდება. თუ დეკოჰერენტიზაციის სიჩქარე არ აღემატება გარკვეულ ზღვრულ მნიშვნელობას, მაშინ შეცდომების გასწორებისათვის კვანტური კოდების გამოყენება იძლევა იმის საშუალებას (თეორიულად), რომ კვანტური სისტემა გახდეს სტაბილური. ამისთვის კვანტური რეგისტრის ზომები უნდა გაიზარდოს რამდენიმე რიგით.

საქართველოში ჰ. 0-ის მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს სტუ-ის *კიბერნეტიკის ინსტიტუტსა* (გ. გიორგაძე, ზ. მელიქიშვილი და სხვ. იკვლევენ როგორც ჰ. 0-ის ფუნდამენტურ პრობლემებს, ასევე მუშაობენ კვანტური კომპიუტერის ფიზიკური რეალიზაციის შესაძლებლობაზე) და ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტში (ვ. *კვარაცხელია* და სხვ.), თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინ-ტში ეფექტური ალგორითმების შედგენაზე მუშაობს თ. *ვაშყმაძე*, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტზე – ა. *კვინიხიძე* და სხვ. ინტენსიურად მიმდინარეობს ერთობლივი კვლევები საზღვარგარეთის წამყვან ცენტრებთან.

ლიტ.: გიორგაძე გ., მელიქიშვილი ზ., კვანტური გამოთვლები, თბ., 2009; Яковлев В. П., Квантовая информатика, М., 2008.

გ. გიორგაძე.

კვანტური კომპიუტერი, იხ. სტ. *კვანტური ინფორმატიკა.*

კვანტური მექანიკა, ტალღური მექანიკა, თეორია, რომელიც ადგენს მიკრონაწილაკებისა და მათი სისტემების აღწერის ხერხებსა და მოძრაობის კანონებს, აგრეთვე ნაწილაკთა და მათი სისტემების აღმწერ სიდიდეთა კავშირს მაკროსკოპული ცდისას უშუალოდ გაზომილ ფიზიკურ სიდიდეებთან (მიკროსკოპული ნაწილაკებისათვის დამახასიათებელი ტალღური თვისებების გათვალისწინებით). ჰ. მ-ის კანონები ნივთიერების აგებულების შესწავლის საფუძველია. ჰ. მ-ით აიხსნა ყველა ატომური მოვლენა, აირების, სითხეებისა და მყარი სხეულების თვისებები, ფერომაგნეტიზმი, ზეგამტარობა, *ზეგენადობა*, ატომბირთვის ძირითადი თვისებები, რადიოაქტიური გამოსხივების კანონზომიერებანი (მ. შ. მაღალ

კვანტური მექანიკის განვითარების ძირითადი ეტაპები

1900

მ. პლანკმა (გერმანია) ჩამოაყალიბა ოსცილატორების დაკვანტვის ჰიპოთეზა და ახსნა გახურებული სხეულის მიერ ენერგიის გამოსხივების კანონზომიერებები.

1905

ა. აინშტაინმა (გერმანია) გამოთქვა ჰიპოთეზა სინათლის ორმაგი, ტალღურ-კორპუსკულური, ბუნების შესახებ და ახსნა ფოტოეფექტის კანონები.

ვ. ნერნსტმა (გერმანია) აღმოაჩინა დაბალ ტემპერატურებზე კუთრი თბოტევადობის ნულამდე შემცირება (1907, კვანტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ახსნა ა. აინშტაინმა).

1913

ნ. ბორმა (დანია) ჩამოაყალიბა კვანტური პოსტულატები და მათ საფუძველზე ახსნა წყალბადის ატომის აგებულება და თვისებები.

1914

ჯ. ფრანკმა (გერმანია, აშშ) და გ. ჰერცმა (გერმანია) ექსპერიმენტულად დაადასტურეს ატომში დისკრეტული ენერგეტიკული დონეების არსებობა.

ა. ზომერფელდმა (გერმანია) აჩვენა სივრცეში ელექტრონის ორბიტის მხოლოდ ზოგიერთი ორიენტაციების არსებობის შესაძლებლობა და იპოვა ამ ორიენტაციათა რაოდენობა. მანვე, რელატივისტური ეფექტების საფუძველზე, ახსნა წყალბადის ატომის სპექტრის ე.წ. ნაზი სტრუქტურა.

1916

რ. მილიკენმა (აშშ) ექსპერიმენტულად დაამტკიცა სინათლის კვანტების ჰიპოთეზის მართებულობა.

ა. ზომერფელდმა თეორიულად აჩვენა კვანტურ მდგომარეობათა გადაგვარების შესაძლებლობა.

1917

ა. აინშტაინმა გამოთქვა სპონტანური და იძულებითი კვანტური გამოსხივების ჰიპოთეზები.

1922

ო. შტერნმა და ვ. გერლახმა (გერმანია) აღმოაჩინეს მაგნიტურ ველში ვერცხლის ატომების ნა-

(გაგრძელება იხ. გვ. 644).

კადის ორად გახლეჩის მოვლენა – მითითება მანამდე უცნობი კვანტური მახასიათებლის არსებობაზე.

1922–23

ა. კომპტონმა (აშშ) აღმოაჩინა თავისუფალ ელექტრონებზე რენტგენის სხივების გაბნევისას მათი ტალღის სიგრძის ცვლილება (ე. წ. კომპტონის ეფექტი) და დაამტკიცა სინათლის კვანტების რეალობა. ანალოგიური მოსაზრებების საფუძველზე პ. დებაიმ (ნიდერლანდები) ახსნა კრისტალებზე რენტგენის სხივების გაბნევის თავისებურებები.

1923—24

ლ. დე ბროილმა (საფრანგეთი) გამოთქვა და განავითარა ჰიპოთეზა კორპუსკულების ტალღური თვისებების (ნივთიერების კორპუსკულურ-ტალღური დუალიზმის) შესახებ.

1925

ვ. ჰაიზენბერგმა, მ. ბორნმა და პ. იორდანმა (გერმანია) განავითარეს ე. წ. მატრიცული მექანიკა.

ვ. პაულიმ (ავსტია, შვეიცარია) განავითარა ატომის ელექტრონული შრეების შევსების თეორია (ე. წ. პაულის აკრძალვის პრინციპის საფუძველზე).

შ. ბოზემ (ინდოეთი) და ა. აინშტაინმა აღწერეს ჩ სპინის მქონე იგივური ნაწილაკების (ბოზონების) სისტემის სტატისტიკური თვისებები.

პ. დირაკმა (ინგლისი) კვანტური მდგომარეობის აღსაწერად შემოიტანა წარმოდგენა მდგომარეობის ვექტორებისა და მათზე მოქმედი წრფივი ოპერატორების შესახებ.

1926

ე. შროდინგერმა (ავსტრია) შეადგინა „ტალღური მექანიკის“ ძირითადი განტოლება. ენერგიის დაკვანტვის ამოცანა დაუკავშირა მეორე რიგის კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების საკუთარი მნიშვნელობების პოვნის ამოცანას. მანვე აჩვენა კვანტურ თეორიაში მატრიცული და ტალღური მიდგომის ეკვივალენტობა; განავითარა შეშფოთების თეორია ტალღური განტოლების ამოსახსნელად.

ე. ფერმიმ (იტალია, აშშ) და პ. დირაკმა აღწერეს ჩ/2 სპინის მქონე და ზემაღალ ენერგიებზე მიმდინარე ბირთვული რეაქციები) და სხვ.; XX–XXI სს. მრავალი ტექ. მიღწევა ემყარება ჯ. მ-ს. მას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება სამყაროსა და მის ევოლუციაზე ჩვენი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში.

კლასიკურმა მექანიკამ ვერ შეძლო ატომური მოვლენების თანმიმდევრული რაოდენობრივი (ხშირად კი – თვისებრივიც) ახსნა.

ჯ. მ. არსებითად ეყრდნობა კლასიკური ფიზიკის ჩარჩოებში დადგენილ კანონებს და მხოლოდ აზოგადებს მათ ისეთ პირობებში, როდესაც აღარ შეიძლება ობიექტის ტალღური თვისებების უგულებელყოფა. ე. წ. შესაბამისობის პრინციპის თანახმად, ჯ. მ-ის ყველა თანაფარდობა შესაბამისია თანაფარდობებისა შესატყვის კლასიკურ ფიზიკურ სიდიდეთა შორის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გაზომვის პროცედურას (რ-იც კლასიკურ ფიზიკაში გასაზომი ობიექტის მდგომარეობას არ ცვლის) ჯ. მ-ში ობიექტი, საზოგადოდ, ახალ მდგომარეობაში გადაჰყავს. ჯ. მ-ში ცენტრალური ადგილი უჭირავს წარმოდგენას კვანტური მდგომარეობისა და მისი მათ. აღწერის შესახებ. ე. შროდინგერის თანახმად, მდგომარეობის (და ამ მდგომარეობის აღმწერი ტალღური ფუნქციის) დროში ევოლუცია განისაზღვრება *კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებით* – შროდინგერის ტალღური განტოლებით (შტგ) $i\hbar(\partial/\partial t)\Psi(t,\vec{r})=\hat{H}\,\Psi(t,\vec{r})$ (კლასიკურ ფიზიკაში მისი შესაბამისია ჰამილტონ–იაკობის განტოლება), სადაც $\Psi(t,\vec{r})$ არის დროსა და კოორდინატებზე დამოკიდებული ტალღური ფუნქცია, $\hat{H}$ – კვანტური სისტემის ჰამილტონის ოპერატორი – ჰამილტონიანი: $\hat{H}=-\hbar^2(2m)^{-1}\Delta+U(t,\vec{r})$ (აქ Δ არის ლაპლასის მეორე რიგის დიფერენციალური ოპერატორი, $U(t,\vec{r})$ – სისტემის პოტენციალური ენერგია, m – ნაწილაკის მასა), ხოლო $\hbar=1.05^{-34}$ ჯ·წმ – პლანკის უნივერსალური მუდმივა, რ-საც ქმედების კვანტსაც უწოდებენ. შტგ-ის ამოხსნით $\Psi(t,\vec{r})$ ტალღურ ფუნქციას გამოსახავენ ტალღური ფუნქციის მნიშვნელობით დროის საწყის მომენტში $\Psi(0,\vec{r})$ – კვანტური სისტემის საწყისი მდგომარეობით. თუ სისტემის ჰამილტონიანი $\hat{H}$ არ არის დამოკიდებული დროზე, მაშინ შტგ დაიყვანება ე. წ. შროდინგერის სტაციონარულ ტალღურ განტოლებაზე (შსტგ) $\hat{H}\psi(\vec{r})=E\psi(\vec{r})$, სადაც E სისტემის სრული ენერგიაა, რ-იც მოიძებნება, როგორც $\hat{H}$ ჰამილტონიანის საკუთარი მნიშვნელობა, ანუ ისეთი რიცხვი, რ-საც შეესაბამება არატრივიალური (ნულისაგან განსხვავებული) სტაციონარული ტალღური ფუნქცია $\psi(\vec{r})$. სრული ენერგია E განსაზღვრავს $\Psi(t,\vec{r})$ ფუნქციის დროზე დამოკიდებულებასაც: $\Psi(t,\vec{r})=\psi(\vec{r})\exp(-iEt/\hbar)$. საზოგადოდ, შსტგ-ს გააჩნია არატრივიალური ამონახსნები E ენერგიის მხოლოდ გარკვეული (დისკრეტული) მნიშვნელობისთვის (რ-თა სიმრავლე შეადგენს კვანტური სისტემის სპექტრს), ხოლო ენერგიის ყველა სხვა მნიშვნელობისთვის ტალღური ფუნქცია $\psi(\vec{r})\equiv 0$, რაც ნიშნავს, რომ ნულის ტოლია ექსპერიმენტზე ასეთი ენერგიის პოვნის ალბათობა $w(\vec{r})\equiv|\psi(\vec{r})|^2$.

საქართველოში შროდინგერის განტოლების ამოხსნადობის საკითხების შესწავლა XX ს. 20-იან წლებში დაიწყო. ამ განტოლებების ზუსტად ამოხსნადობის მრავალი მაგალითი იპოვეს და შეისწავლეს ნ. *მუსხელიშვილმა* (1927) და ა. *რაზმაძემ* (1927). შსტგ-ის მიახლოებითი ამოხსნის მეთოდთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია შეშფოთებათა თეორიის მეთოდი, რ-საც ფართოდ იყენებდნენ XX ს. 30-იანი წლებიდან ქართვ. თეორეტიკოსები: ვ. *მამასახლისოვი*, ი. *ვაშაკიძე*, გ. *ჭილაშვილი*, თ. *კოპალეიშვილი*, მ. კობიაშვილი, რ. *ჯიბუტი* (მსუბუქი ბირთვების კლასტერული მოდელის შემუშავება). საინტერესო შედეგები მიიღეს მსუბუქი ბირთვების ენერგეტიკული სპექტრის შესწავლისას ჰარტრი-ფოკის მეთოდის (ი. ვაშაკიძე, ჯ. *მებონია*, თ. ჯალაღანია) და ფადეევის განტოლების გამოყენებით (გ. ჭილაშვილი, ვ. ტუსკია). ჩამოყალიბდა სამი ნაწილაკის ფადეევის განტოლების ალტერნატიული ვარიანტი (ა. ხელაშვილი, მეთოდი ცნობილია როგორც ალტ–გრას-ბერგერ–სანდჰას–ხელაშვილის მიდგომა). ჯ. მ-ის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ა. *თავხელიძისა* და ა. *ლოგუნოვის* მიერ *კვაზიპოტენციალური განტოლების* (1963) გამოყვანამ (იხ. აგრეთვე სტ. *ლოგუნოვ–თავხელიძის კვაზიპოტენციალური მეთოდი*), მისმა შემდგომმა შესწავლამ და გამოყენებამ (ა. ხელაშვილი, ვ. გარსევანიშვილი, მ. ჩავლეიშვილი და სხვ.), ასევე რელატივისტური სამნაწილაკოვანი განტოლებების გამოყვანამ და შესწავლამ (ა. *კვინიხიძე*, ი. ლომიძე და სხვ.). რ. ჯიბუტმა, შ. წიკლაურმა, ნ. შუბითიძემ და სხვ. განავითარეს ე. წ. ჰიპერსფერული ფორმალიზმი მრავალნაწილაკოვანი სისტემებისათვის. ამ ფორმალიზმის ჩარჩოებში მიიღეს ჯამთა წესები *კვარკონიუმებისათვის* (ა. ხელაშვილი, ვ. *ხმალაძე*, ნ. ჩაჩავა), შესრულდა კვარკონიუმების სპექტრების შესწავლა, აგებული და შესწავლილია ამოხსნადი რელატივისტური მოდელები (ა. ხელაშვილი, მ. მარგველაშვილი, ზ. სილაგაძე, ლ. სლეპჩენკო და სხვ., პ. მელიქიშვილის პრემია, ა. ხელაშვილი, 1983).

1948 თსუ-ში შეიქმნა მოლეკულური ფიზიკის კათედრა, რ-საც 1951-იდან ეწოდა ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრა (გამგეები: ე. *ანდრონიკაშვილი*, გ. გამცემლიძე, ბ. ბერულავა). კათედრასთან დაარსდა დაბალი ტემპერატურების სამეცნ.-კვლ. ლაბორ. (1955), სადაც გაიზომა მბრუნავი He-II-ის გრიგლების დაკვანტული ცირკულაცია. შეიქმნა ამ მოვლენის აღმწერი თეორია (გ. გამცემლიძე, ი. *მამალაძე*, ჯ. *წაქაძე*, რ. ბაბლიძე, გ. გუჯაბიძე). ლ. *ბუიშვილმა* განავითარა მაგნიტური რეზონანსის კვანტურ-სტატისტიკური თეორია, რ-იც ეფექტურად გამოიყენება სპინური სისტემების არაწონასწორული პროცესების აღწერისას. გ. *ხუციშვილმა*, ლ. ბუიშვილმა და მ. *ზვიადაძემ* აღზარდეს მრავალი სპეციალისტი და ჩამოაყალიბეს საერთაშორისოდ აღიარებული მაგნიტური რეზონანსის ქართ. სკოლა (ე. ხალვაში, ნ. ბენდიაშვილი, ა. უგულავა, თ. აბესაძე, ნ. ფოკინა, ა. *ტულუში*, გ. ადამაშვილი და სხვ.). 1966 თსუ-ში ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) კვლევისას აღმოაჩინეს ე. წ. დისკრეტული გაჯერების მოვლენა (თ. *სანაძე*, ბ. ბერულავა, ფ. ბექაური, ო. ხახანაშვილი), რ-იც შემდგომ ახსნეს გ. ხუციშვილმა და თ. სანაძემ (პ. მელიქიშვილის პრემია, 1970). 1972 აღმოაჩინეს რადიოსიხშირული დისკრეტული გაჯერების მოვლენა, რ-ის საფუძველზეც შემუშავდა ლიგანდური ურთიერთქმედებების კვლევის ახ. მეთოდიკა. მიიღეს მნიშვნელოვანი შედეგები კონდენსირებული სის-

ტემების მაგნიტური თვისებების კვლევაში, რ-საც საფუძველი ჩაუყარა გ. ხუციშვილის შრომებმა. მანამდე, 50-იანი წლების დასასრულს, მანვე შექმნა პარამაგნიტური სისტემების რელაქსაციის კვანტური თეორია.

თსუ-ის რადიოფიზიკის კათედრასთან, კვანტური ელექტრონიკის სამეცნ.-კვლ. ლაბორ-ში დამუშავდა და შეიქმნა უნიკალური წვრილღეროვანი ნეოდიუმის მინის მძლავრი ტალღგამტარი ლაზერი (მ. *ჯიბლაძე*, პ. მელიქიშვილის პრემია, 1983). ექსპერიმენტული კვლევები კვანტურ რადიოფიზიკაში მიმდინარეობდა ფერომაგნიტურ ნიმუშებში ბირთვული სპინური ექოს (თ. შავიშვილი, ა. ახალკაცი, გ. მამნიაშვილი) და ეპრ-ის კვლევის მიმართულებით (ი. ქილიფთარი). ატომურ-მოლეკულური პროცესების კვლევების ციკლისთვის ბ. კიკიანს, თ. მ. *კერესელიძეს*, მ. გოჩიტაშვილს, რ. ლომსაძეს, გ. მესხს მიენიჭათ პ. მელიქიშვილის პრემია (1993).

1973 თსუ-ში შეიქმნა ელემენტარული ნაწილაკების (ენ) კათედრა (რ. *სალუქვაძე*, თ. კოპალეიშვილი, ა. თავხელიძე, ი. *თევზაძე*). მაღალი ენერგიების ფიზიკის პრობლემურ ლაბორატორიასთან ერთად (1979-იდან – თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტი) აქ კვლევები მიმდინარეობდა სამი მიმართულებით: ა) მაღალი და ზემაღალი ენერგიების ლეპტონების, ჰადრონების და იონების ურთიერთქმედებების შესწავლა და მოდელური ანალიზი (ი. თევზაძე, ლ. ჩხაიძე, თ. ჯობავა, ნ. ლომიძე); ბ) თეორიული გამოკვლევები ენ-ის ფიზიკაში, *ველის კვანტურ თეორიაში*, ატომბირთვის ფიზიკასა და შუალედურ ენერგიებზე მიმდინარე პროცესებში (ა. თავხელიძე, თ. კოპალეიშვილი, მ. ელიაშვილი, გ. *ჯორჯაძე*, ა. ლიპარტელიანი, გ. დევიძე და სხვ.); გ) ამჩქარებლიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების სისტემების, დეტექტორების შექმნა (რ. ქვათაძე, ზ. მოდებაძე, ნ. გრიგალაშვილი).

XX ს. 60-იანი წლებიდან ი. *მირცხულავას* ხელმძღვანელობით მყარი სხეულების ფიზიკის კათედრის პრობლემურ ლაბორ-ში დაიწყო ნახევარგამტარების კვლევა ძლიერ ელექტრულ ველში, რ-იც 80-იან წლებში გაგრძელდა ზ. *ქარჩიშვილის* ხელმძღვანელობით. თეორიულად იწინასწარმეტყველეს ცხელი ელექტრონების განივი გაქცევა (ზ. ქარჩიშვილი); ექსპერიმენტულად პირველად დამზერილ იქნა უარყოფითი გამტარობა ნახტომისებური გამტარებლობის არეში (დ. ალადაშვილი).

ა. გერასიმოვის კონცეფციის თანახმად, კონდენსირებულ გარემოში ატომების გადაადგილებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ელექტრონთა კვანტური მდგომარეობები, რის საფუძველზეც შემუშავდა ნახევარგამტარული ხელსაწყოების და მიკროელექტრონული ნაკეთობების შექმნის დაბალტემპერატურული სტიმულირებული პროცესები (ა. გერასიმოვი, ზ. ჯიბუტი და სხვ.).

ჯგუფთა თეორიის მეთოდებით ჰ. მ-ის ამოცანებს იკვლევდნენ გ. ჭილაშვილი, თ. კოპალეიშვილი, ი. მაჩაბელი, თ. ბაბუციძე და სხვ. XX ს. ბოლოდან ველის კვანტური თეორიის და *კოსმოლოგიის* პრინციპული სირთულეების გადაჭრის იმედი უკავშირდება ბუნებაში ე. წ. *სუპერსიმეტრიის* არსებობის დადასტურებას. ა. ხელაშვილმა და თ. ხაჩიძემ გამოიკვლიეს დინამიკური სიმეტრიები რელატივისტურ (დირაკის) კვანტურ თეორიაში და აჩვენეს, რომ სუპერსიმეტრიის მოთხოვნას აკმაყოფილებს ერთადერთი, კულონური პოტენციალი (ი. ვეკუას პრემია, 2009). ჰ. მ-ის ამოცანების შესასწავლად ასევე მეტად მნიშვნელოვანია სისტემის დამახასიათებელი სინგულარობების პოვნა და გამოყოფა – ასიმპტოტური ამონახსნების აგება და მათი გამოყენება დაზუსტებული (ზოგჯერ – ზუსტი) ამონახსნების ანალიზური თვისებების მისაღებად. ა. ხელაშვილმა და თ. ნადარეიშვილმა შეისწავლეს კოორდინატთა სათავეში შრედინგერის რადიალური ოპერატორის სინგულარობის ხასიათი და გამოიკვლიეს აქედან გამომდინარე შედეგები (2014). მრავალნაწილაკიან კვანტურ-მექანიკურ სისტემაში გაბნევის ამპლიტუდის ასიმპტოტური და ანალიზური თვისებები შეისწავლეს ჯ. მებონიამ, ვ. შ. ჯიქიამ და სხვ. ნებისმიერი სპინის ნაწილაკების გაფანტვის ამპლიტუდების ანალიზური და ასიმპტოტური თვისებების კვლევები შესრულდა მ. ჩავლეიშვილის მიერ (1982–98).

ჰ. მ-ის დებულებები და მათგან გამომდინარე შედეგები უდიდესი გამოთვლითი და ექსპერიმენტული სიზუსტით არის შემოწმებული. ამჟამინდელ და მომავალ ექსპერიმენტთა უმრავლესობა მოითხოვს დიდ მატერიალურ რესურსებს, უმძლავრეს ექსპერიმეტულ ბაზას და განვითარებულ ინფრასტრუქტურას, ამიტომ საქართვ. მეცნიერები ასეთ კვლევებში მონაწილეობენ საერთაშ. ცენტრებთან თანამშრომლობის ფორმით: *დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე* მიმდინარე კვლევებში, დუბნის (რუსეთი) ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინ-ტში JINR, აშშ-ის და იაპონიის სამეცნ. ცენტრებში. ჰ. მ-ის მეთოდების სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანეს ს. შათაშვილმა (ინტეგრებადი სისტემების დაკვანტვა), ა. უშვერიძემ (კვაზიამოხსნადი მოდელები ჰ. მ-ში) და სხვ.

საქართველოში ჰ. მ-ის სპეციალისტთა მომზადება მიმდინარეობს ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ში, თბილ. თავისუფალ უნ-ტში, ილიას სახელმწ. უნ-ტში და სხვ.

ა. ხელაშვილი.

კვანტური სითხე, ნივთიერება, რომლის მდგომარეობა და თვისებები განპირობებულია კვანტური ეფექტებით და რომელიც ამ ეფექტების შედეგად თხევადი რჩება აბსოლუტურ ნულთან მიახლოებულ ტემპერატურებზე. ლაბორატორიულ პირობებში; ვარაუდობენ, რომ კვანტური სითხის მდგომარეობაშია ნივთიერება ნეიტრონული და *კვარკული ვარსკვლავების* შიგნით, სადაც ტემპერატურა მაღალია. ჰ. ს. შეიძლება შედგებოდეს ბოზონებისგან – ჩ პლანკის მუდმივის მთელი ჯერადი სპინის მქონე ნაწილაკებისგან ან ფერმიონებისგან – ჩ/2 სპინის მქონე ნაწილაკებისგან. კვანტური ეფექტები სითხეებში (და საერთოდ ნივთიერებაში) თავს იჩენს მაშინ, როდესაც სითბური მოძრაობის შესაბამისი დე ბროილის ტალღის სიგრძე შესადარი ხდება ნივთიერების შემადგენელ ნაწილაკებს შორის მანძილებთან.

ჰ. ს. თვისებების შესწავლა მიმდინარეობს ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტში და თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტზე. იხ. აგრეთვე სტ. *ზეგენადობა.*

კვანტური სიმეტრია, განვითარებადი თეორია ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში, რომელიც მიზნად ისახავს *კვანტური მექანიკისა* და ფარდობითობის ზოგადი თეორიის (იხ. *გრავიტაცია*) შერწყმას. ჰ. ს. თ. არის ერთ-ერთი კანდიდატი ე. წ. ყველა ნაწილაკების (ფერმიონების) სისტემის სტატისტიკური თვისებები.

ვ. ჰაიტლერმა და ფ. ლონდონმა (გერმანია) შექმნეს ქიმიური ვალენტობის კვანტური თეორია.

მ. ბორნმა დაუკავშირა ტალღური ფუნქცია კვანტური მდგომარეობის ალბათობას.

1927

კ. დევისონმა, ლ. ჯერმერმა (აშშ) და ჯ. პ. ტომსონმა (ინგლისი) აღმოაჩინეს კრისტალზე ელექტრონების დიფრაქციის მოვლენა და ექსპერიმენტულად დაასაბუთეს დე ბროილის ტალღების არსებობა.

ვ. ჰაიზენბერგმა ჩამოაყალიბა კვანტურ-მექანიკური განუზღვრელობის პრინციპი.

ნ. ბორმა კორპუსკულურ-ტალღურ დუალიზმის აღსაწერად ჩამოაყალიბა დამატებითობის პრინციპი (განუზღვრელობის თანაფარდობის განზოგადება).

ვ. პაულიმ ჩაწერა განტოლება ჩ/2 სპინის მქონე ელექტრონისთვის (პაულის განტოლება).

პ. ერენფესტმა (ავსტრია, ნიდერლანდები) დაამტკიცა ნოუტონის მექანიკის კანონების მართებულობა, გამომდინარე კვანტური თეორიიდან.

პ. დირაკმა, პ. იორდანმა და ო. კლაინმა (შვედეთი) განავითარეს მეორეული დაკვანტვის ფორმალიზმი ბოზონებისთვის; ფორმალიზმი ფერმიონებისთვის 1927 განავითარა ი. ვიგნერმა, (აშშ) და 1928 პ. იორდანმა).

პ. დირაკმა ჩამოაყალიბა ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივებისა და შთანთქმის კვანტური თეორია.

1927—30

დ. ჰარტრიმ (ინგლისი) და ვ. ფოკმა (სსრკ) შექმნეს მრავალელექტრონიანი ატომების აღწერის მეთოდი.

1928

პ. დირაკმა გამოიყვანა რელატივისტური კვანტური მექანიკის ძირითადი განტოლება (დირაკის განტოლება) და მის საფუძველზე იწინასწარმეტყველა ანტინაწილაკების არსებობა, ასევე ანიჰილაციისა და წყვილთა დაბადების პროცესები [ანტიელექტრონი (პოზიტრონი) ექსპერიმენტულად აღმოაჩინა კ.

(გაგრძელება იხ. გვ. 646).

ანდერსონმა (აშშ) 1932].

გ. გამოვმა (სსრკ, გერმანია) კვანტურ-მექანიკური გვირაბის ეფექტის საფუძველზე ახსნა რადიოაქტიური α-დაშლის კანონზომიერებები.

1929

ჯ. ფონ ნეიმანმა (უნგრეთი, აშშ) შემოიღო ე. წ. სიმკვრივის მატრიცის ცნება.

ო. შტერნმა აღმოაჩინა ატომების და მოლეკულების დიფრაქცია.

1931—32

ს. ჩანდრასეკჰარმა (ინდოეთი, ინგლისი), კვანტურ სტატისტიკაზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბა დიდი მასის მქონე ასტროფიზიკური ობიექტების ევოლუციის თეორია.

1933

ნ. ბორმა და ლ. როზენფელდმა (ბელგია) აჩვენეს განუზღვრელობის თანაფარდობის მართებულობა ელექტრული და მაგნიტური ველების კომპონენტებისთვის.

1934

პ. ჩერენკოვმა (სსრკ) აღმოაჩინა ფოტონების გამოსხივების მოვლენა გარემოში სინათლეზე სწრაფად მოძრავი დამუხტული ნაწილაკის მიერ – ე. წ. ჩერენკოვის ეფექტი – "ელექტრომაგნიტური დარტყმითი ტალღა" [1937 ახსნეს ი. ტამმა და ი. ფრანკმა (სსრკ)]

1936—40

ვ. პაულიმ, მიზეზობრიობის პრინციპზე დაყრდნობით, დაადგინა კვანტების სპინის კავშირი შესაბამის კვანტურ სტატისტიკასთან.

1941

ლ. ლანდაუმ (სსრკ) კვანტური თეორიის საფუძველზე ახსნა ზედნადობის მოვლენა.

1947

უ. ლემბმა და რ. რიზერფორდმა (აშშ) გაზომეს წყალბადის ატომის $2S_{1/2}$ და $2P_{1/2}$ დონეების გახლეჩის სიდიდე (ე. წ. ლემბის წანაცვლება). იმავე წელს თეორიულად ახსნა ჰ. ბეთემ (გერმანია, აშშ).

1948

ჯ. შვინგერმა, რ. ფეინმანმა, ფ. დაისონმა (აშშ) და ს. ტომონაგამ (იაპონია) საფუძველი ჩაუყარეს კვანტური განაწორმირების მეთოდს.

რ. ალფერმა (აშშ), ჰ. ბეთემ და გ. გამოვმა ლაფრის თეორიისა (ToE), ანუ ფუნდამენტური ძალებისა და მატერიის მათემატიკურად კორექტულად აღმწერი ერთიანი თეორიისა.

ჰ. ს. თ. მიიჩნევს, რომ ლეპტონები (იხ. სტ. *ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკა*) და *კვარკები* არის არა წერტილოვანი, ანუ ნულგანზომილებიანი ობიექტები, არამედ წარმოადგენს ერთგანზომილებიან ოსცილირებად წირებს – „კვანტურ სიმებს", რ-თა სიგრძე პლანკის სიგრძის რიგისაა (10^{-35} *მ*). სიმის ოსცილაციები (რხევები) სხვადასხვა სიხშირისა შეიძლება იყოს და თითოეული სიხშირის რხევა შეესაბამება გარკვეული მასის ელემენტარულ ნაწილაკს. შედეგად, ერთმა სიმმა ცნობილ ელემენტარულ ნაწილაკთა დიდი ოჯახი უნდა აღწეროს, ამასთან, ამ ნაწილაკებს შორის ბუნებრივად ჩნდება სხვადასხვა ,,ნათესაური კავშირი''. თავდაპირველად ჰ. ს. თ. იხილავდა მხოლოდ ბოზონურ სიმებს, რ-ებიც დაკავშირებული იყო მხოლოდ ბოზონებთან. შემდგომ განვითარდა სუპერსიმების თეორია, რ-ის მთავარი დაშვებაა *სუპერსიმეტრიის* არსებობა ბოზონებსა და ფერმიონებს შორის.

ჰ. ს. თ-ის განვითარება დაიწყო 1969 ე.წ. ვენეციანოს მოდელიდან, რ-იც აღწერდა დუალურობას ჰადრონთა ურთიერთქმედებებში. დღეს ჰ. ს. თ-ში ხშირად გულისხმობენ სუპერსიმების თეორიასაც. ჩამოყალიბებულია ამ თეორიის ხუთი სხვადასხვა კორექტული ვარიანტი. XX ს. 90-იან წლებში ჩამოყალიბდა ე. წ. M-თეორია. იგი წარმოადგენს ყველა წინამორბედი ჰ. ს. თ-ის გაერთიანებას (ჰ. ს. თ-ის ცნობილი ვარიანტები M-თეორიის ზღვრული შემთხვევებია) და ამტკიცებს, რომ სიმები არის 11-განზომილებიან სივრცე-დროში (1 დროითი და 10 სივრცული განზომილების მქონე) არსებული ორგანზომილებიანი მემბრანის ერთგანზომილებიანი რეალური ნაწილები. ჰ. ს. თ-ის ჩარჩოებში ბუნებრივად ყალიბდება ელემენტარულ ნაწილაკთა ე. წ. სტანდარტული მოდელი, რ-იც დღეისთვის ცნობილ ყველა (ძალზე მრავალრიცხოვან) ექსპერ. შედეგს აღწერს. ხერხდება ფარდობითობის ზოგადი თეორიის ზოგიერთი შედეგის კორექტული აღწერაც. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი [ე. ვიტენი (აშშ), ხ. მალდასენა, ლ. სასკინდი] მიიჩნევს, რომ ჰ. ს. თ. წარმოადგენს სამყაროს კორექტული ფუნდამენტური აღწერის ერთ-ერთ საფეხურს, ზოგიერთი (რ. ფეინმანი, ჯ. გლეშოუ) კი ჰ. ს. თ-ს აკრიტიკებს, რადგანაც მის ჩარჩოებში ვერ მოხერხდა რაიმე ექსპერიმენტის რაოდენობრივი წინასწარმეტყველება.

საქართველოში ჰ. ს. თ-ზე მუშაობს მკვლევართა დიდი ჯგუფი. მნიშვნელოვანი შედეგები მიიღეს გ. *დვალმა*, შ. *ვაშაკიძემ*, ზ. *კაკუშაძემ*, ა. *კვინიხიძემ*, გ. ლავრელაშვილმა, მ. მაზიაშვილმა, ნ. მახალდიანმა, ო. ვ. *ყანჩელმა*, ჯ. *ჩქარეულმა*, ა. *ხელაშვილმა*, გ. *ჯორჯაძემ* და სხვ. *ი. ლომიძე.*

კვანტური „ფერი", იხ. *„ფერი".*

კვანტური ქიმია, თეორიული ქიმიის დარგი, რომელიც ქიმიური სისტემების (ატომების, მოლეკულების, ქიმიური რეაქციების) შესწავლისას ეყრდნობა *კვანტური მექანიკის* კონცეფციებსა და მეთოდებს. ჰ. ქ-ის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ისეთი ფუნდამენტური პრობლემების გამოკვლევა, როგორიცაა პერიოდულობის კანონის არსი, ვალენტობა, ქიმიური ბმის ბუნება, მოლეკულის სტრუქტურა, თვისებები და სხვ. ამგვარად, ჰ. ქ. ფიზიკისა და ქიმიის მომიჯნავე დარგია.

ჰ. ქ-ის საფუძველს წარმოადგენს ე. შროდინგერის სტაციონარული (დროზე დამოუკიდებელი) განტოლება მ. შ. $\hat{H}\Psi=E\Psi$, სადაც $\hat{H}$ არის სისტემის ჰამილტონიანი, E – სისტემის სრული ენერგია, ხოლო Ψ – სისტემის ტალღური ფუნქცია, რ-იც აღწერს სისტემის კვანტურ მდგომარეობას (ფიზიკურ სიდიდეთა გაზომვების შედეგებს). შროდინგერის განტოლების ზუსტი ანალიზური ამოხსნა ცნობილია მხოლოდ ერთელექტრონიანი ნაწილაკებისათვის (წყალბადის ატომი, წყალბადისნაირი, ანუ ერთელექტრონიანი იონები, წყალბადის მოლეკულური იონი H_2^+). რაც შეეხება მრავალელექტრონიან სისტემებს, შესაბამისი განტოლების ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ მიახლოებითი მეთოდებით.

კოვალენტური ბმის ფიზიკური არსი ნათელი გახდა H_2 უმარტივესი მოლეკულის კვანტურ-მექანიკური გამოთვლით (1927, ვ. ჰაიტლერი, ფ. ლონდონი). ამ პერიოდიდან თანდათანობით აღმოცენდა და განვითარდა ჰ. ქ-ის ძირითადი მიახლოებითი მეთოდები: ვალენტური ბმების – ვბ (ვ. ჰაიტლერი, ფ. ლონდონი, ლ. პოლინგი, ჯ. სლეტერი), მოლეკულური ორბიტალების – მო (რ. ჰუნდი, ჯ. ლენარდ-ჯონსი, რ. მალიკენი, ვ. ჰიუკელი), კრისტალური ველის – კვ (ჰ. ბეტე, ჯ. ვანფლეკი).

ვბ მეთოდი ეყრდნობა ჯ. ლუისის უაღრესად შორსმჭვრეტელურ კონცეფციას, რ-ის მიხედვითაც საზიარო ელექტრონული წყვილის (ან წყვილების) მეშვეობით წარმოიქმნება ორცენტრიანი ქიმიური ბმები. ამ თვალსაზრისით ვბ მეთოდი წარმოადგენს აღნაგობის კლასიკური წარმოდგენების კვანტურ-მექანიკურ ეკვივალენტს. ვბ თეორიის ფარგლებში შესაძლებელი გახდა მოლეკულათა რიგი ფიზ.-ქიმ. მახასიათებლის, განსაკუთრებით – ტოპოლოგიის (გეომეტრიული აღნაგობის) ახსნა. ვბ თეორიის გამოყენება განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა კოორდინაციული ნაერთების აღნაგობისა და თვისებების გამოკვლევისას.

კრისტალური ველის (კვ) თეორიის წარმოდგენები ჰ. ქ-ში გადმოტანილია მყარი სხეულის ფიზიკიდან. ეს მიდგომა ეყრდნობა დაშვებას, რომ სფერულისაგან განსხვავებული სიმეტრიის კრისტალურ ველში გადაგვარებული (ერთნაირი ენერგიის მქონე) ორბიტალები სხვადასხვანაირად ჯგუფდებიან. ამ მიდგომის მათემატიკურ საფუძველს *ჯგუფთა თეორია* წარმოადგენს.

დღეისთვის დომინანტურია მო მეთოდი, რ-შიც ძირითადია დაშვება, რომ მოლეკულური ორბიტალები მრავალცენტრიანია – მოიცავს მთელ მოლეკულას. მო მეთოდის ფარგლებში გადაიჭრა და აიხსნა არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა (ჟანგბადის პარამაგნიტულობა, ელექტრონდეფიციტური სისტემების აღნაგობა, გარდამავალი კომპლექსის სტრუქტურა და სხვ.). მო მეთოდი აერთიანებს როგორც ურთულეს არაემპირიულ (ab initio) გამოთვლებს, ისე შედარებით იოლ ნახევრადემპირიულ და ემპირიულ მეთოდებს (მ. შ. უმარტივესია ჰიუკელის მიდგომა – ე. წ. π ელექტრონული მიახლოება).

კომპიუტერული გამოთვლითი მეთოდების განვითარებამ ხელმისაწვდომი გახადა ურთულესი სისტემების კვანტურ-ქიმიური შესწავ-

ლა და ინტერპრეტაცია.

საქართველოში ჯ. ჟ-ის ჩარჩოებში პირველი გათვლები უმარტივესი სამატომიანი მოლეკულებისთვის განახორციელა გ. *გორდაძემ* (1935). XX ს. II ნახევარში აქცენტი ქიმიური სტატიკიდან (იზოლირებული მოლეკულა) ქიმიურ დინამიკაზე (ქიმიური რეაქციები) იქნა გადატანილი. მეთოდოლოგიური და გამთვლითი სირთულეების მიუხედავად, მიღებულია ძალზე საინტერესო ფუნდამენტური შედეგები. ამ მიმართულების ერთ-ერთი უახლესი განხრის – პოლარულ გამხსნელებში მიმდინარე რეაქციების კვანტური კინეტიკის – ფუძემდებელია რ. *დოღონაძე*, რ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება ქიმიურ, ელექტროქიმიურ და ბიოქიმიურ პროცესებში მუხტის გადატანისა და ფოტოგადატანის კვანტურ თეორიებს.

გ. *ციციშვილმა* შეიმუშავა მოლეკულებს შორის განზიდვაზე პოლარობის გავლენის გაანგარიშების კვანტურ-ქიმ. მეთოდი, იკვლევდა მოლეკულათშორის წყალბადური ბმების თავისებურებებს, ვალენტური რხევების სიხშირის შემცირების მიზეზებს, ჰალოგენწყალბადების ასოციაციის მექანიზმს.

მ. გვერდწითელის მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები (1985–95) ეძღვნება ორგანულ ნაერთთა ზოგიერთი კლასის და მათი გარდაქმნების კვანტურ-მექანიკურ და მათ.-ქიმ. შესწავლას.

ჰიუკელის მიდგომის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული გ. ალმანოვს. მრავალატომიანი სისტემების მდგრადობას იკვლევდა ნ. ვაშაყმაძე-ვასილიევა. მანვე რ. და ა. გახოკიძეებთან ერთად 2005–08 გამოიკვლია სინათლის შთანთქმის შედეგად ბიომოლეკულებში მექანიკური ძალების და მაბრუნებელი მომენტის წარმოქმნის შესაძლო მექანიზმი. მომავალში ასეთი მოვლენა შესაძლოა გამოიყენონ მზის ენერგიის უშუალოდ მექანიკურ ენერგიად გარდასაქმნელად. XXI ს. დასაწყისში უკვე შეიქმნა ,,მოლეკულური მანქანები'', ანუ ისეთი მოლეკულები, რ-თა ნაწილები გარეშე ზემოქმედების, კერძოდ, ულტრაიისფერი დასხივების გავლენით შეიძლება ავამოძრავოთ ერთმანეთის მიმართ სასურველი მიმართულებით (ჟ.-პ. სოვაჟი, ფ. სტოდარტი, ბ. ფერინგა, ნობელის პრემია ქიმიაში, 2016).

XXI ს. დასაწყისში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მოლეკულების ელექტრონული აღნაგობის და რეაქციისუნარიანობის რაოდენობრივი აღწერის კვლევებს ჯ. ჟ-ის თანამედროვე მეთოდის – სიმკვრივის ფუნქციონალის თეორიის (Density functional Theory) – გამოყენებით (ჯ. კერესელიძე).

საქართველოში აღზრდილი მრავალი მეცნიერი, წარმატებით მონაწილეობს ქიმ. და ბიოქიმიური მოლეკულური სისტემების ელექტრონული აღნაგობის და რეაქციისუნარიანობის კვლევებში.

ლიტ.: გვერდწითელი მ., კერესელიძე ჯ., ტუღუში დ., ქიმიური ბმები, თბ., 1999; Догонадзе Р. Р., Кузнецов А. М., Кинетика химических реакций в полярных растворителях, კრ.: Итоги науки и техники. Физическая химия. Кинетика, т. 2, М., 1973; Kereselidze J., Kvaraia M., Mikushadze G., Quantum-Chemical Modeling of the Stacking mechanism for the 1H–4H Proton Transfer in Piridin Derivatives. A DFT Study, «Journal of Physical and Theoretical Chemistry», 2015, 12; Kereselidze J., Mikushadze G., Bobokhidze L., Quantum-Chemical Study of the Propensity of the Amino Acid Pairs for the Peptide Bond Formation, «Journal of Computer Science & Systems Biology», 2017, v. 10(1), 014-016; Kuznetsov A. M., Schultze J. W., Ulstrul P. W., Revaz R. Dogonadze (1931–85), «Journal of Electroanalitical Chemistry», 1986, v. 204.

მ. გვერდწითელი.

კვანტური ქრომოდინამიკა, ფერების დინამიკა (ინგლ. Quantum chromodynamics, QCD), ჰადრონებისა და მათი შემადგენელი ნაწილაკების – *კვარკებისა* და გლუონების – ურთიერთქმედების აღმწერი *ველის კვანტური თეორია.* თანამედროვე წარმოდგენებით, ატომბირთვის შემადგენელი პროტონები და ნეიტრონები შედგება სხვადასხვა ,,*ფერის*'' (ნ. *ბოგოლიუბოვი*, ბ. სტრუმინსკი, ა. *თავხელიძე;* აშშ-ში მოღვაწე იაპონელი მეცნიერები მ. ჰანი და ი. ნამბუ) სამ-სამი კვარკისგან და მათი შემაკავშირებელი ,,ფერადი'' ურთიერთქმედების გადამტანი გლუონებისგან *g* (ი. ნამბუ). ,,ფერადი'' შემადგენელი ნაწილაკების არსებობა პროტონებსა და ნეიტრონებში განაპირობებს მათ ძლიერ (ბირთვულ) ურთიერთქმედებას, რაც სამყაროს ქიმიური მრავალფეროვნების (და სიცოცხლის არსებობის) საფუძველია. არსებობს (აღმოჩენილია და ექსპერიმენტულად შესწავლილია) 6 სხვადასხვა ტიპის (ე. წ. არომატის) კვარკი *q* და ამდენივე ანტიკვარკი $\bar{q}$. შესაბამისად, არსებობს მათი სხვადასხვა კომბინაციით შედგენილი რამდენიმე ასეული ჰადრონი – ძლიერად (ბირთვულად) ურთიერთქმედი ელემენტარული ნაწილაკი (იხ. აგრეთვე სტ. *ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკა*). ექსპერიმენტულად დადასტურებულია გლუონების არსებობაც. გლუონების გამოსხივებისა და შთანთქმისას იცვლება გამომსხივებელი და შთამნთქმელი ნაწილაკების იმპულსები, ე. ი. ორივე მათგანზე მოქმედებს ძალა. გლუონების გამოსხივებისა და შთანთქმის ინტენსივობა განისაზღვრება გამომსხივებლის (შთამნთქმელის) ,,ფერის'' სიდიდით. გლუონებს თვითონაც აქვს ,,ფერი'', ამიტომ ის კვარკების მსგავსად გლუონებს ასხივებს (და შთანთქავს). ამდენად, ჯ. ჟ. არაწრფივი თეორიაა, რაც მის საფუძველზე გამოთვლების შესრულებას ძალზე ართულებს. ექსპერ. მონაცემები მიუთითებს ,,ფერადი ძალის'', ,,ფერის'' მიმართ სრულ სიმეტრიაზე. მათ. თვალსაზრისით, ჯ. ჟ. არის ყალიბრული ველის კვანტური თეორია, რ-საც 8 ფერადი, უმასო, ვექტორული (ფერის გარდაქმნათა ჯგუფის მიმართ), *ჩ* სპინის მქონე გადამტანი – გლუონი შეესაბამება.

ჯ. ჟ-ის თავისებურებაა ,,ფერადი ძალის'' მანძილზე დამოკიდებულების ხასიათი: ყველა სხვა ცნობილი ურთიერთქმედების ინტენსივობა კლებულობს ობიექტებს შორის მანძილის ზრდასთან ერთად. ჯ. ჟ-ს კი აქვს ე. წ. ასიმპტოტური თავისუფლება – ,,ფერადი ძალა'' მცირდება კვარკებს შორის მანძილის შემცირებისას. ასიმპტოტური თავისუფლების ფიზიკურ მიზეზად მიიჩნევენ ,,ფერის'' ანტიეკრანირების მოვლენას, რაც ჯ. ჟ-ის დამახასიათებელი უნდა იყოს: ფერადი კვარკის გარშემო წარმოქმნილი გლუონების ღრუბელს თვითონაც აქვს ,,ფერი'' და ღრუბლის რადიუსის ზრდასთან ერთად ეს ,,ფერადი'' მუხტი შეიძლება ,,გაძლიერდეს'', ხოლო რადიუსის შემცირებისას – ,,შემცირდეს''. მათემატიკურად მკაცრი გამოთვლების შესრულება (1973, დ. გროსი, ფ. უილჩეკი, ჰ. დ. პოლიტცერი) შესაძლებელი გახდა არააბელური ყალიბრული ველების მათ. თეორიის მეთოდებით. გამოთვლებით მიღებული შედეგები ექსპერიმენტულად დასტურდება ჰადრონებზე შექმნეს ქიმიური ელემენტების წარმოქმნისა და ევოლუციის თეორია – კოსმოსური ნუკლეოსინთეზის თეორია.

1954

ნ. ბასოვმა და ა. პროხოროვმა (სსრკ) და ჩ. ტაუნსმა (აშშ) კვანტურ გადასვლებზე წარმოდგენის საფუძველზე შექმნეს ლაზერი.

1955

ნ. ბოგოლიუბოვმა და ო. პარასიუკმა (სსრკ) დაამტკიცეს გადანორმირების პროცედურის მათემატიკური კორექტულობა.

1956

ჯ. ბარდინმა, ლ. კუპერმა და ჯ. შრიფერმა (აშშ) შექმნეს ზეგამტარობის თეორია (სხვა მიდგომით მოგვლენა ახსნა ნ. ბოგოლიუბოვმა 1958).

1963

ლ. ფადეევმა (სსრკ) შეადგინა სამი კვანტური ნაწილაკის სისტემის აღმწერი განტოლება (ფადეევის განტოლება).

ა. თავხელიძემ და ა. ლოგუნოვმა (სსრკ) შეადგინეს რელატივისტური კვანტური სისტემების აღმწერი ე. წ. კვაზიპოტენციალური განტოლება.

1964

ჯ. ბელმა (ირლანდია) გამოიყვანა ჰაიზენბერგის განუზღვრელობის თანაფარდობების განმაზოგადებელი უტოლობები, რაც იძლევა ე. წ. აინშტაინ-პოდოლსკი-როზენის პარადოქსის (1935) შემოწმების შესაძლებლობას.

1971

ი. გოლფანდმა და ე. ლიხტმანმა (სსრკ) შემოიღეს ე. წ. სუპერსიმეტრიის ცნება და განავითარეს შესაბამისი ფორმალიზმი.

1972

ჯ. კლაუზერმა და ს. ფრიდმანმა (აშშ) ექსპერიმენტულად შეამოწმეს ბელის უტოლობები და აჩვენეს ე. წ. გადახლართული კვანტური მდგომარეობების არსებობის რეალობა.

1979

ა. ტურბინერმა (სსრკ) განავითარა შეშფოთებათა თეორიის ახალი ვარიანტი.

1989

დ. გრინბერგმა (აშშ), მ. ჰორნმა (ინგლისი) და ა. ცაილინგერმა (ავსტრია) საფუძველი ჩაუყარეს ე. წ. კვანტური ტელეპორტაციის (ინფორმაციის გადაცემა გადახლართული კვანტური მდგომარეობების

(გაგრძელება იხ. გვ. 648).

გამოყენებით) შესწავლას.

1995

ე. კორნელმა და კ. უიმანმა (აშშ) ექსპერიმენტულად მიიღეს რუბიდიუმის ატომების ბოზე-კონდენსატი.

2006

განხორციელდა (ნილს ბორის ინსტიტუტი, დანია) კვანტური ტელეპორტაცია ლაზერული გამოსხივების კვანტებსა და ნივთიერების (ცეზიუმის) ატომებს შორის.

2010

ი. კლაერსმა, ფ. ფეინგერმა, მ. ვაიტცმა და ი. შმიტმა (გერმანია) მიიღეს ფოტონების ბოზე-კონდენსატი.

2015

განხორციელდა (აშშ) ფოტონების კვანტური ტელეპორტაცია ოპტიკური ბოჭკოთი, 100 *კმ* მეტ მანძილზე.

2017

კვანტური ტელეპორტაცია განხორციელდა (ჩინეთი) 1200 *კმ* მეტ მანძილზე.

(პირველ რიგში, პროტონებსა და ნეიტრონებზე) მაღალი ენერგიის ელექტრონების ღრმად არადრეკადი გაბნევის პროცესების შესწავლით. მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიღებულია აგრეთვე *კვარკონიუმის* თეორიული და ექსპერ. შესწავლით. კერძოდ, მძიმე კვარკონიუმის (*bb̄* კვარკების ბმული მდგომარეობა) დაშლისას უნდა ჩნდებოდეს სამი გლუონი, რ-ებმაც სამი ჰადრონული ჭავლი უნდა წარმოქმნას. სათანადო კუთხური განაწილების მქონე ასეთი ჭავლების წარმოქმნა დადასტურებულია ექსპერიმენტებით, რაც ვექტორული გლუონების არსებობის (და ჯ. ქ-ის ძირითადი დებულებების სამართლიანობის) ექსპერ. დადასტურებად მიიჩნევა.

ჯ. ქ-ის ჩარჩოებში ხერხდება მცირე და დიდ მანძილებზე მიმდინარე მოვლენების წვლილთა გამოცალკევება – ე. წ. ფაქტორიზაცია შეშფოთებათა თეორიის ნებისმიერ რიგში. ეს, ასიმპტოტური თავისუფლების მოვლენის გათვალისწინებით, შესაძლებელს ხდის ჰადრონების მონაწილეობით მიმდინარე რეალური პროცესების თეორიულ შესწავლას, კერძოდ, *დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე* მაღალი ენერგიის პროტონების დაჯახებების შედეგების გამოთვლას.

კვარკებს შორის მანძილის ზრდასთან ერთად ქრომოდინამიკური ურთიერთქმედება ძლიერდება. შედეგად, მათემატიკურად არაკორექტული ხდება შეშფოთებათა თეორიაზე დაფუძნებული გამოთვლები (კერძოდ, არ შეიძლება ე. წ. დაბალენერგეტიკული თეორემების უშუალო გამოყენება). კონფაინმენტის დასაბუთება ჯ. ქ-ის ჩარჩოებში ,,ათასწლეულის ამოცანად'' არის გამოცხადებული. ე. წ. მესერზე რიცხვითი გამოთვლები ადასტურებს კონფაინმენტის შესაძლებლობას. ამდენად, ჯ. ქ-ის ჩარჩოებში, ექსპერიმენტულად დამზერადი ჰადრონები (სამკვარკიანი ბარიონები, კვარკ-ანტიკვარკისგან შედგენილი მეზონები, აგრეთვე ეგზოტიკური ჰადრონები), რ-ებიც ერთმანეთს დიდი მანძილით შეიძლება დაშორდეს, მხოლოდ უფერო ობიექტები უნდა იყოს.

საქართველოში ჯ. ქ-ის პრობლემებს იკვლევდნენ თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტში, საქართვ. მეცნ. აკად. ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტსა და საქართვ. მეცნ. აკად. ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში. არაწრფივი ველის თეორიის მოდელებში ვაკუუმის პოლარიზაცია და მისი გავლენა ნუკლონებისა და მეზონების ურთიერთქმედებაზე შესწავლილია მ. *მირიანაშვილის* მიერ. კრიტიკულად გაანალიზდა რენორმირებული მუხტის სასრულობის პრობლემა სხვადასხვა მიახლოებითი მეთოდის გამოყენების არეში, როგორც ზოგადი დისპერსიული წარმოდგენებით (მ. მირიანაშვილი), ისე ფუნქციონალური (კონტინუალური) ინტეგრალის მეთოდის საფუძველზე (ნ. *პოლიევქტოვ-ნიკოლაძე*). შესწავლილია ჰადრონთა კვარკ-გლუონური შედგენილი მოდელი სინათლის ფრონტის ცვლადებში (ვ. გარსევანიშვილი, ა. თავხელიძე, ა. *კვინიხიძე*, ზ. მენთეშაშვილი, ლ. სლეპჩენკო, ა. *ხელაშვილი*). ნაპოვნია *კვარკული თვლის წესების* კვანტურ-ქრომოდინამიკური შესწორებები (ლ. სლეპჩენკო და სხვ.). მათემატიკურად მკაცრი ინტეგრალური წარმოდგენების გამოყენებით დამტკიცდა ჰადრონების ფორმფაქტორთა ავტომოდელური ქცევა (ა. თავხელიძე, ა. კვინიხიძე, ბ. მაღრაძე). გამოკვლეულია გლუონის პროპაგატორის ინფრაწითელი ქცევა და აგებულია შვინგერ-დაისონის განტოლებათა ცხადი ამონახსნი, რ-იც შეესაბამება კვარკონიუმების სპექტრებში დამზერილი წრფივად ზრდადი და კულონური პოტენციალების სუპერპოზიციას (ლ. ვაჩნაძე, ნ. კიკნაძე, ქ. ნატროშვილი, ა. ხელაშვილი, ვ. *ხმალაძე*). გლუონის ასეთი პროპაგატორის გამოყენებით შესწავლილია კვარკის პროპაგატორის ანალიზური თვისებები (ვ. გოგოხია), გლუონური და კვარკული კონდენსატები (ქ. ნატროშვილი, კ. ტურაშვილი, ა. ხელაშვილი, ვ. ხმალაძე). შესწავლილია აგრეთვე ეფექტური კირალური ლაგრანჟიანების რენორმირების საკითხები სიმეტრიის დარღვევის შემთხვევისათვის და მიღებულია დაბალი ენერგიების ზღურბლური თეორემების შესწორებები კირალური სიმეტრიის ზღვარში (ა. ხელაშვილი, ვ. ხმალაძე). განვითარებულია არაპერტურბატული (შეშფოთებათა თეორიის მიღმა მოქმედი) მეთოდები. ველის კვანტური თეორიის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, დადგინდა სასრული ენერგიების ჯამთა წესები (ა. თავხელიძე, ა. კვინიხიძე და სხვ.), რაც საფუძვლად დაედო მაღალ და დაბალ ენერგეტ. არეებში მიმდინარე პროცესების ფუნდამენტური კანონზომიერების – გლობალური დუალურობის – დასაბუთებას. ამ მეთოდის შემდგომმა განვითარებამ განაპირობა *კვანტური სიმებისა* და სუპერსიმების მოდელების შესწავლის აუცილებლობა. ანალიზური თვისებები და ასიმპტოტური შეფასებები განზოგადებულია ღრმად არადრეკადი (ინკლუზიური) პროცესებისათვის (მ. *მესტვირიშვილი*, ა. *ლოგუნოვთან* ერთად). ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები ჯ. ქ-ში ტოპოლოგიური მეთოდების გამოყენების მიმართულებით (მ. ელიაშვილი, გ. ციციშვილი, გ. *ჯორჯაძე*).

ლიტ.: Ефремов А. В., Радюшкин А. В., Теоретико-полевой подход к процессам с большой передачей импульса, «ТМФ», 1980, т. 44; Индурайн Ф., Квантовая хромодинамика, М., 1986; Иниксон К., Зюбер Ж. Б., Квантовая теория поля, М., 1984; Общие принципы квантовой теории поля, М., 1987; Окунь Л. Б., Лептоны и кварки, 2 изд., М., 1990; Славнов А. А., Фаддеев Л. Д., Введение в квантовую теорию калибровочных полей, 2 изд., М., 1988; Смолянов О. Г., Шавгулидзе Е. Т., Континуальные интегралы, М., 1990, http://lib.mexmat.ru/books/; Mueller A. H., Perturbative QCD at high energies, «Physica. Reports», 1981, v. 73.

ა. ხელაშვილი.

ᲙᲕᲐᲜᲫᲗᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ, მათემატიკური თეორია, რომელიც შეისწავლის კვანძების ტიპებს, მათი ერთმანეთისგან განსხვავების (კლასიფიცირების) შესაძლებლობებსა და მეთოდებს, ასევე კვანძებთან დაკავშირებული იდეების გამოყენებას მათემატიკასა და სხვა მეცნიერებებში (ფიზიკაში, ბიოლოგიაში და სხვ.).

კვანძებს უძველესი დროიდან იყენებენ მეზღვაურები, მეთევზეე-



კვანძები. ნიკორწმინდა. ჩუქურთმის დეტალი.

ბი, მშენებლები, ალპინისტები, მქსოველ-მქარგავები, ქირურგები და სხვ. ანტიკური ხანიდან კვანძები ითვლებოდა სირთულის, ,,ჩახლართულობის'' სინონიმად, მას მისტიკური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. კვანძები გამოიყენებოდა საჭურვლის შესამკობად, ორნამენტებისათვის არქიტექტურულ ძეგლებზე, ხელნაწერებში, სამოსსა და სამკაულზე და სხვ. ე. წ. კვადრატული კვანძი ამშვენებდა მერკურის (ვაჭართა და მოგზაურთა მფარველი ღვთაება) კვერთხს. ამ კვანძს რომაელები ,,ნოდუს ჰერკულეს'' – ჰერაკლეს კვანძს უწოდებდნენ. გადმოცემის თანახმად, ჰერაკლე ატარებდა თავისივე მოკლული ლომის ტყავს, რ-ის წინა თათებს ასეთი კვანძით კრავდა. ლეგენდარული ,,გორდიას კვანძი'' ალექსანდრე მაკედონელმა მახვილით გაკვეთა... ცნობილია 700-ზე მეტი კვანძის გამოსახულება.

მათ. კვანძების არსებითი მახასიათებელია ,,გადაწებებული'' ბოლოები. მათ. კვანძის გახსნა მას შეკრულ რგოლად აქცევს. ჰ. თ.-ს ენათესავება (და აზოგადებს მას) ხლართების თეორია, რ-იც იხილავს ერთმანეთში გადახლართული (ერთმანეთზე გადაბმული) დამოუკიდებელი კვანძების ერთობლიობას.

ჰ. თ. ჩაისახა XIX ს. 60-იან წლებში. თანამედროვე ჰ. თ. ფართოდ იყენებს ტოპოლოგიურ მეთოდებს. XX ს. ბოლოს და XXI ს. დასაწყისში მისი გამოყენება დაიწყეს ფიზ. მოვლენების აღსაწერად *ველის კვანტურ თეორიაში, ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკაში,* მაგნეტიზმში, ჰიდროდინამიკაში, ქიმიაში, მოლეკულურ ბიოლოგიაში, გენეტიკაში და სხვ.

ჰ. თ.-ის მთავარი ამოცანაა ორი მოცემული კვანძისთვის გაირკვეს, შესაძლებელია თუ არა ერთი გადავიყვანოთ მეორეში რაიმე მოძრაობით თოკის გაწყვეტის ანდა გადაწებების გარეშე (ანუ ე. წ. იზოტოპური გარდაქმნებით), კერძოდ, შეიძლება თუ არა მოცემული კვანძის (ხლართის) გახსნა. ამ პრობლემაზე მუშაობდნენ კ. ფ. გაუსი (გერმ.), ა. პუანკარე (საფრ.), ასევე ჯ. ალექსანდერი (აშშ), ე. არტინი (გერმ.), ჯ. კონვეი (ინგლ.), ვ. ჯონსი (ახ. ზელანდია) და სხვ. კვანძთა (ხლართთა) არაიზოტოპურობის დასამტკიცებლად განიხილავენ ე.წ. იზოტოპურ *ინვარიანტებს* – ისეთ სიდიდეებს, რ-ებიც არ იცვლება იზოტოპური გარდაქმნებისას, თანაც სხვადასხვაა მოცემული ორი კვანძისთვის. ასეთ ინვარიანტებს მიეკუთვნება, მაგ., კვანძის ე.წ. წესიერ შეღებვათა რაოდენობა; ე.წ. ალექსანდერის (1923), კონვეის (1969), ჯონსის [ერთი ცვლადისა (1984) და ორი ცვლადისა (1987)] მრავალწევრები და სხვ. იზოტოპურ ინვარიანტს ეწოდება სრული, თუ ის სხვადასხვაა ნებისმიერი არაიზოტოპური კვანძებისათვის. პრობლემის ამოხსნის დღეისთვის (2018) ცნობილი ალგორითმი (ვ. ჰაგენი, გერმ.) იმდენად რთულია, რომ მისი რეალიზება კომპიუტერითაც კი შეუძლებელია.

საქართველოში კვანძების და ხლართების გამოსახულებები მრავლად გვხვდება საეკლესიო და საერო არქიტ. ძეგლების ჩუქურთმებში, ხელნაწერებში, ძველებურ იარაღზე. ქართვ. ოსტატები პრაქტიკულად იყენებდნენ კვანძებისა და ხლართების ისეთ გარდაქმნებს, რ-თა მათ. თეორია და ღრმა შინაარსი მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში გაირკვა. მაგ., ლ. კაუფმანმა (აშშ) ააგო კვანძის მანამდე ცნობილი ინვარიანტები ახ. მეთოდებით, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ კაუფმანის მიერ ნაპოვნი და გამოყენებული თანაფარდობა პრაქტიკულად ცნობილი ყოფილა და გამოიყენებოდა ნეოლითური ხანის ორნამენტების შემქმნელთა მიერ. ე. ვიტენმა (აშშ) ჰ. თ. გამოიყენა ე. წ. ტოპოლოგიური ველის კვანტური თეორიის (ტკვთ) ასაგებად (1990 მიენიჭა ფილდსის მედალი). მ. ატიამ (ინგლ.; საქართვ. ეროვნული მეცნ. აკად. უცხოელი წევრი) ვიტენის მოდელზე დაყრდნობით შექმნა (1989) აქსიომატური ტკვთ. ჰ. თ.-ის საფუძველზე დ. *ვაშაყმაძემ* (1984) აღწერა ელემენტარულ ნაწილაკთა ზოგიერთი თვისება და გარდაქმნათა პროცესები. ი. თავხელიძემ განაზოგადა ჰ. თ. 2- და 3-განზომილებიანი მრავალსახეობებისთვის და იპოვა კვანძების და მათი განზოგადებების ანალიზური აღწერის მეთოდები.

შესაძლოა მოიძებნოს კავშირები ჰ. თ.-სა და *კვანტური სიმების* თეორიას შორის.


ლიტ.: Атья М., Геометрия и физика узлов, пер. с англ., М., 1995; Lickorish W. B. R., An introduction to knot theory, N.-Y., 1997; Tavkhelidze I., On Some Properties of Ribbon Links Generated by Generalized Mobius–Listing Surfaces GML^n_m, «Journal of Mathematical Sciences», 2013, vol. 191, N 6.

ი. თავხელიძე.
ი. ლომიძე.

კვანჭახაძე გივი შალვას ძე (7. XI. 1927, თბილისი, – 22. XII. 1995, იქვე), ექიმ-ჰიგიენისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1970), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990). საქართვ. მედიცინის და ადამიანის ეკოლოგიის მეცნ. აკადემიების ნამდვ. წევრი (1989). 1951 დაამთავრა თსსი. 1954–70 მუშაობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ნ. მახვილაძის სახ. შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, სადაც 1960 შექმნა სოფლის მეურნეობის შრომის ჰიგიენის სექტორი, ხოლო 1963 – საწარმოო აეროზოლების ლაბორატორია. 1970-იდან თსსი-ის ზოგადი ჰიგიენის კათედრის (შემდგომში, თსსუ-ს პრევენციული მედიცინის და გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი) პროფესორია, 1985–95 – კათედრის გამგე, ხოლო 1973–94 – თსსი-ის სანიტ.-ჰიგიენური ფაკ-ტის დეკანი (შემდგომში თსსუ-ის საზ. ჯანდაცვის ფაკ-ტი). პირველმა შეადგინა თამბაქოს წარმოების სანიტ. წესები, რ-ებიც 1969 დაამტკიცა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტრომ. 1986-იდან იყო ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის ხარისხების მიმნიჭებელი სპეც. საბჭოს თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ვიბრაციული დაავადება და მისი პროფილაქტიკა, თბ., 1961 (თანაავტ.: ი. ყიფიანი, ა. დანდუროვი).

კვანჭახაძე ვასილ ალექსის ძე (2.II. 1858, ცხინვალი, – 1919 შემდეგ, რუსეთი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1913). დაამთავრა ვორონეჟის სამხ. გიმნაზია (1874), თბილ. იუნკერთა სამხ. სასწავლებელი (1878). 1901-მდე მსახურობდა კავკასიის სასწავლო ასეულში და კავკასიის მე-4 მსროლელ ბატალიონში. 1901–03 – ივანგოროდის ქვეით პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78), რუსეთ-იაპონიის (1904–05) და I მსოფლიო (1914–18) ომებში. 1904 წ. 6 დეკ. მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1906–07 მეთაურობდა ბაქოს გუბერნიის სამხედრო რაიონს, 1907–13 – 206-ე ქვეით პოლკს. 1913–16 იყო 52-ე ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაური. სამოქალაქო ომის დროს მსახურობდა ,,მოხალისეთა არმიაში''. დაჯილდოებულია



კვანძთა თეორია. კვანძების მაგალითები.

წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, ასევე სპარსეთის ,,ლომისა და მზის'' ორდენით, წმ. გიორგის ოქროს იარაღით.

ლიტ.: Гогитидзе М., Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии), кн. 1, Тб., 2007. *მ. გოგიტიძე.*

კვანჭიანარი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ლატალის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), უშბის მასივის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ*, მესტიიდან 11 *კმ*. 119 მცხ. (2014).

კვანჭილაშვილი ტარიელ სოლომონის ძე (25. XII. 1920, სოფ. შრომა, ახლანდ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, – 26. II. 1998, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1967). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1949), მუშაობდა იქვე უახლესი ქართ. ლიტ-რის კათედრაზე. პირველი ნაშრომი 1950 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი – მონოგრაფია ,,ლეო ქიაჩელი'' – 1955. მისი ნაშრომებია: ,,ლიტერატურული წერილები'' (1959), ,,მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება'' (1987), ,,საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები'' (1970), ,,ლიტერატურული წერილები და პორტრეტები'' (1974), ,,ლიტერატურა და ცხოვრება'' (1976), ,,პარტია და ლიტერატურა'' (1979) და სხვ.



გ. კვარაცხელია.

კვარასციხე, იხ. *კვარის ციხე.*

კვარაცხელია გუჩა შალვას ასული (დ. 2. X. 1940, თბილისი), ენათმეცნიერი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის აკადემიკოსი (2013). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1988). 1963 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ქართველურ ენათა განყ-ბა. იყო თსუ-ის ზოგადი ენათმეცნ. კათედრის პროფესორი, ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის გამგე (1984–94), განათლების მინისტრი (1992), არაქართველთათვის ქართ. ენის სწავლების სამეცნ. ლაბორატორიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი (1993–94), ენათმეცნ. ინ-ტის დირექტორი (1993–2006); საქართვ. პრეზიდენტთან არსებული სახელმწ. ენის სახელმწ. კომისიის თავ-რის მოადგილე (1995–2005); არის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტის ზოგადი ენათმეცნიერების განყ-ბის ხელმძღვანელი და საქართვ. მეცნ. აკად. ენის, ლიტ-რისა და ხელოვნების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი.

ჰ. იკვლევს ზოგადი ენათმეცნიერების, ტექსტის ლინგვისტიკის, ქართ. ენის სტრუქტურისა და პრაგმატიკის საკითხებს. მისმა გამოკვლევებმა ქართ. სალიტ. ენის ისეთი ფუნქციური ქვესისტემების შესახებ, როგორიცაა სამეცნ., საგაზეთო-პუბლიც., ოფიციალურ-საქმიანი და მხატვრული სტილი, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ფუნქციური სტილისტიკის შექმნას. იგი ავტორია ნაშრომებისა ენათმეცნ. თეორიასა და ისტორიაში, მათ. ლინგვისტიკისა და ენის სტატისტ. მეთოდებით კვლევის სფეროში. მან შეისწავლა და დაადგინა პრაღის სკოლის ლინგვისტიკური კონცეფციის გენეზისური კავშირი ,,ოპოიაზის'' თეორიულ დებულებებთან. იკვლევს აგრეთვე ქართ. ენის კომპიუტერიზაციისა და ენის ფორმალიზაციის პრობლემებს.

ჰ. ეწევა აქტიურ ლიტ. მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და პოემების კრებულები: ,,საით მიემართება დრო'' (1981); ,,უფრო მაღლა ცა'' (1987), ,,მართალთა და უღმრთოთა გზები'' (2000), ,,ათინათები'' (2015) და სხვ. ასევე გატაცებულია მხატვრობით. 2010 თბილისის გალა-გალერეასა და 2015 ზ. წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიმართა მისი პერსონალური გამოფენა. წიგნად გამოიცა გრაფ. ნამუშევრები (60 რეპროდუქცია, 2015).

ჰ. დაჯილდოებულია საქართვ. საპატრიარქოს სიგელით ,,ქართველი ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისა და მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის'' (2007), ა. შანიძის პრემიით ენციკლოპედია ,,ქართული ენის'' რედაქტორობისათვის (2011; ი. ქობალავასთან ერთად); საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის საპატიო სიგელით (2014); საქართვ. ქალთა საბჭოსა (2015) და ივ. ჯავახიშვილის (2017) მედლებით.

თხზ.: მხატვრული მეტყველების შესწავლის საკითხები პრაღის სკოლასა და ,,ოპოიაზში'', კრ.: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, III, თბ., 1972; ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990; მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995; მეტყველების კულტურა, ნორმა და ნორმალიზაცია, «ქართული ენა და ლიტერატურა არაქართულენოვან სკოლებში», 1998, №2; ენობრივი თვითშეგნება და სალიტერატურო ნორმა როგორც ღირებულება, კრ.: ვ. თოფურია – 100, თბ., 2001; ტექსტურ გადაძახილთა მრავალფეროვნება, «ქართული სიტყვის კულტურის საკითხები», წგ. 14, თბ., 2014; ანას მსოფლშეგრძნება – უმდიდრესი მემკვიდრეობა, თბ., 2014.

კვარაცხელია ვახტანგ ვარლამის ძე (დ. 15. VII. 1950, ჩხოროწყუ), მათემატიკოსი, კიბერნეტიკოსი და გამოთვლითი მათემატიკის სპეციალისტი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (2002), საქართვ. საინჟინრო აკად. აკადემიკოსი (2011), სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათ. ინ-ტის დირექტორი (2008-იდან). 1971 დაამთავრა თსუ-ის კიბერნ. და გამოყენებითი მათ. ფაკ-ტი, 1973–77 მუშაობდა იქვე შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრაზე, ხოლო 2003–07 – ალბათობის თეორიისა და მათ. სტატისტიკის კათედრაზე. 1975-იდან მუშაობს საქართვ. მეცნ. აკად. ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათ. ინ-ტში (ამჟამად სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათ. ინ-ტი), იყო ამავე ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი, სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე. 1978-იდან ეწევა პედ. საქმიანობას სტუ-ის უმაღლ. მათ. კათედრაზე. 2002–07 მუშაობდა სოხუმის სახელმწ. უნ-ტის ალგებრა-გეომეტრიის და მათ. სტატისტიკის კათედრაზე, 2007–13 იყო თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტის მათ. ლაბორატორიის გამგე. 2013-იდან სტუ-ის და სოხუმის სახელმწ. უნ-ტის პროფესორია. ჰ. არის საქართვ. მათემატიკოსთა კავშირისა და საქართვ. სტატისტიკური საზ-ბის წევრი; არჩეულია აშშ-ის მათ. საზ-ბის წევრად. 2012-იდან არის ქართული ენციკლოპედიის კონსულტანტი.

ჰ-ს სამეცნ. ინტერესთა სფეროა ალბათობის თეორია ვექტორულ სივრცეებში; შემთხვევით ვექტორთა კორელაციური თეორია და შემთხვევითი მწკრივები; მატრიცებისა და ოპერატორების თეორია. 2003 მიიღო საქართვ. მეცნ. აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახ. პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013).

თხზ.: Some inequalities related to Hadamard matrices, «Functional Analysis and Applications», 36, 1, 2002; Unconditional Convergence of Functional Series in Problems of Probability Theory, «Journal of Mathematical Sciences», 200, 2, 2014 (თანაავტ. A. Figula); Some numerical characteristics of Sylvester and Hadamard matrices, «Publ. Math. Debrecen», 86/1–2, 2015.

კვარაცხელია ზვიად თენგიზის ძე (დ. 22. IV. 1980, ზუგდიდი), მწერალი. 2005–08 სწავლობდა ზუგდიდის შ. მესხიას სახ. სა-

ხელმწ. უნ-ტის იურიდიულ ფაკ-ტზე. 2007–08 იყო საზ. ჟურნ. ,,პრემიერის'' არტრედაქტორი; 2010–11 – ჟურნ. ,,ქართული მწერლობის'' რედაქტორის მოადგილე; 2010-იდან – გამომცემლობების: ,,ინტელექტისა'' და ,,არტანუჯის'' პროექტების კოორდინატორი და მთ. რედაქტორი. 2013-იდან არის ინტერნეტგაზეთ-ის ,,Mastsavlebeli.ge'' ბლოგერი.

კ. ავტორია ნოველების, მინიატიურებისა და მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებების, რ-ებსაც აქვეყნებს ლიტ. პერიოდიკაში (,,მნათობი'', ,,ცისკარი'', ,,ჩვენი მწერლობა'', ,,ლიტერატურული პალიტრა'' და სხვ.); ასევე ავტორია წიგნებისა: ,,მარჯვენა'' (2005), ,,ქარაგმა'' (2006), ,,ჰაე'' (2008), ,,ილია სამეგრელოში'' (2009), ,,ყიფლიბანდი'' (2011), ,,ფორმა №100'' (2013). ავტორი და ხელმძღვანელია სხვადასხვა საგამომცემლო პროექტებისა.

2014 მიენიჭა ლიტ. პრემია ,,საბა'' რომანისათვის ,,ფორმა №100''.

კვარაცხელია ილარიონ თეოფანეს ძე (21. X. 1907, სოფ. ნაკიფუ, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 17. VI. 1993, თბილისი), გეოფიზიკოსი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1965). აეროლოგიური კვლევის ფუძემდებელი საქართველოში. 1932 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1934-იდან მუშაობა დაიწყო თბილ. გეოფიზიკური ობსერვატორიის აეროლოგიური განყ-ბის გამგედ. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დაიწყო ატმოსფეროს მაღალი ფენების გამოკვლევა რადიოზონდირების მეთოდით. 1935 აგვისტოში მისივე ხელმძღვანელობით თბილისში პირველად გაუშვეს რადიოზონდი.

1941–45 კ. იმყოფებოდა მოქმედ არმიაში, სადაც სამხ. ქვეგანყოფებს უზრუნველყოფდა მეტეოროლ. ინფორმაციითა და ამინდის პროგნოზით.

ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დაარსების შემდეგ (1953) კ. 20 წლის განმავლობაში იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში, ამავე ინ-ტში ხელმძღვანელობდა აეროლოგიურ განყ-ბას (1953–60) და აეროლოგიურ ლაბორატორიას (1973–79). იგი წლების განმავლობაში ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში. ავტორია მრავალი ნაშრომის და მონოგრაფიისა ატმოსფეროს ზედა ფენების ფიზ. დარგში. მისი ხელმძღვანელობითა და რედაქციით შედგენილია ამიერკავკ. (სამხრ. კავკასიის) აეროლოგიური ცნობარები.

კვარაცხელია ნინო ტარასის ასული (28. XI. 1913, სოხუმი, – 16. X. 1979, თბილისი), აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნე. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1956), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1969). 1935 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. 1947-იდან ამავე ინ-ტის სუბტროპიკული კულტურების კათედრაზე ეწეოდა სამეცნ.-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1961-იდან გარდაცვალებამდე იყო საქართვ. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის იზოტოპების ლაბორ. გამგე. საქართველოში მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა სტაბილური და რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენების თეორ. და პრაქტიკული საკითხები ნიადაგმცოდნეობაში. კ-მ შეისწავლა საქართველოში ბუნებრივი რადიონუკლიდების მიგრაციის საკითხები. გამოიკვლია კოლხეთის დაბლობის წყლების გენეზისისა და ნიადაგის ჰუმუსის ტრანსფორმაციის სპეც. თავისებურებანი.

ავტორია 4 სახელმძღვანელოსი, 2 მონოგრაფიის და სხვ.

თ. ჩხეიძე.

კვარაცხელია პავლე დიმიტრის ძე (20. VII. 1883, სოფ. ნაა, ახლანდ. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, – 12. XI. 1973, ქ. ფორტ-ლოდერდეილი, აშშ), საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ბოტანიკოსი, პედაგოგი, ქართ. პოლიტ. ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. საბუნებისმეტყველო მეცნ. დოქტორი, პროფესორი. დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია (1904). 1913–14 სწავლობდა პეტერბურგის ფსიქონევროლოგიურ ინ-ტში. 1905-იდან იყო საქართვ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის, საქართვ. ეროვნ. საბჭოს წევრი (1917–18), საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის განათლების მინისტრის თანაშემწე (1918–19). 1919 საქართვ. ეროვნ. მთავრობამ რამოდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა, მ. შ. კ. საზღვარგარეთ სასწავლებლად გააგზავნა. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, კ-მ უარი განაცხადა საბჭოთა ხელისუფლებისაგან სტიპენდიის მიღებაზე და სამშობლოში აღარ დაბრუნდა. 1920-იდან ცხოვრობდა აშშ-ში, სადაც 1923 დაასრულა კორნელის უნ-ტის საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტი. 1945-მდე მოღვაწეობდა ამავე უნ-ტის ტომპსონის სახ. მემცენარეობის ინ-ტში, იყო ინ-ტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი და ლაბორ. ხელმძღვანელი, იქვე კითხულობდა ლექციებს. იყო ბოტანიკისა და მემცენარეობის დარგში არაერთი სადისერტაციო ნაშრომის სამეცნ. ხელმძღვანელი და ოფიც. ოპონენტი.

კ-მ აშშ-ში მოღვაწე სხვა ქართვ. ემიგრანტებთან ერთად დააარსა აშშ-ის ქართ. სათვისტომო (1931). იყო ნიუ-იორკის ქართ. სათვისტომოს პირველი თავ-რე, 1924-იდან – პოლიტ. ორგანიზაცია ,,თეთრი გიორგის'' წევრი. შედიოდა ,,საქართველოს გათავისუფლებისათვის ამერიკული კომიტეტის'' შემადგენლობაში. ,,ნაურის'' ფსევდონიმით აქტიურად თანამშრომლობდა ქართ. ემიგრანტულ პრესასთან (,,დამოუკიდებელი საქართველო'', ,,ქართული აზრი'', ,,კავკასიონი'' და ა. შ.).


ტ. კვარაცხელია.

კ-ს ანდერძის თანახმად, მისი ფერფლი ოკეანეზე მოაბნიეს. კ-ს ,,მოგონებების'' ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნ. ,,კავკასიონში'' (პარიზი).

ლიტ.: ნოზაძე ვ., პავლე კვარაცხელია, «კავკასიონი», წგ. 16–17, პარიზი, 1972–73; შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 2, თბ., 2001. *ლ. ურუშაძე.*

კვარაცხელია ტარასი ყარამანის ძე [10(22). IV. 1889, სოფ. ნაკიფუ, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 27. VIII. 1951, თბილისი], აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1936), პროფესორი (1946), საქართვ. მეცნ. აკად. (1941) და საკავშირო სას.-სამ. მეცნიერებათა აკად. აკადემიკოსი (1948), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1925 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი. იკვლევდა სუბტროპ. კულტურების დიფერენცირებული აგროტექნიკის, ნიადაგის ეროზიის და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. შეისწავლა და გამოავლინა სუბტროპ. კულტურების ახ. რ-ნები; დაადგინა, რომ კონტინენტური სრულასაკოვანი ხეხილის ფესვთა სისტემა იკავებს რიგთაშორისების მთელ ფართობს, სიღრმეში კი აქტ. ფესვების უმეტესი ნაწილი საშუალოდ 30 *სმ*-ზე ღრმად არ ვრცელდება. ამ გამოკვლევების საფუძველზე დამუშავდა ბაღის გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკა.

პ. არის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი. მისი თანაავტორობით გამოცემულია ნაშრომი ,,მეჩაიეობა'' (1950), რ-იც თარგმნილია რუს. და ჩინ. ენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მანდარინის ბაღის მოვლა, ტფ., 1925; ნიადაგის გადარეცხვა და წვალეკვა ჩაის პლანტაციებზე, ტფ., 1933; ჩაის ბუჩქი და მისი თანამგზავრი კულტურები, ტფ., 1936.

ბიბლ.: ტარასი კვარაცხელია. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ნ. ბაღათურია, ი. დუდუჩავა, თბ., 1980. *გ. თოდუა.*


კვართი, პერანგი, იხ. *საუფლო კვართი.*

კვარიათი, დასახლება ქ. ბათუმში (აჭარის არ). ყოფ. სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გონიოს თემში. გაუქმდა 2011.

პ. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შავიზღვისპირა კურორტია საქართველოში, რასაც განაპირობებს სუფთა, გამჭვირვალე წყალი, მთისა და ზღვის ჰაერი. პლაჟი 1 *კმ* სიგრძისაა. მისი ჩრდ. ნაწილი გადადის გონიოს პლაჟში, სამხრეთ კი სარფის პლაჟისგან ყოფს კლდე. პ-ის პოპულარობას ხელს უწყობს მდიდარი წყალქვეშა სამყარო, აქ ფუნქციონირებს დაივინგ-ცენტრი. სასტუმროების უმეტესობა პლაჟიდან 100 *მ*-ში მდებარეობს, ნაწილი განლაგებულია მთის ფერდობზე.

კვარის ციხე, ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე საქართველოში, რაჭაში, მდ. კრიხულის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ზემო სხვავიდან (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) 1,5 *კმ* დაშორებით. ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. გვიანდ. ფეოდ. ხანაში სამეფო სამფლობელო იყო, XVI ს. 90-იან წლებში დაეუფლა ქართლის მეფე სიმონ I, XVIII ს. დასაწყისში – იაშვილთა ფეოდ. საგვარეულო, 1769-იდან კი კვლავ სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. 1786 პ. ც-ს თავს აფარებდა იმერეთის მეფის, დავით გიორგის ძის მოწინააღმდეგე ბატონიშვილი დავით არჩილის ძე (მეფობაში სოლომონ II). 1802 აქ თავი მოჰკვეთეს ახალციხის ფაშას – საბუდს. 1810, იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების დროს, პ. ც. გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ რუს. ჯარმა დაიკავა, შემდგომ ხანებში კი თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

პ. ც. ტიპური ციხე-დარბაზია. გარს უვლის 6–7 *მ* სიმაღლის გალავანი. საერთო ფართობი დაახლ. 2000 *მ*^{2}, შესასვლელი მხოლოდ



კვარის ციხე. XI–XIII სს.

ერთი მხრიდან აქვს. გალავნის შიგნით შემორჩენილია ორსართულიანი მრგვალი საცხოვრ. კოშკი, მცირე ზომის ეკლესია, აუზი და სხვა შენობათა ნანგრევები. 1991 მიწისძვრების შედეგად კლდის უმეტესი მასივი, რ-საც ციხე აგვირგვინებდა, მოირღვა.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; გიორგაძე მ., საქართველოს სტიქიით დაზარალებული ძეგლები, თბ., 1991; ქვათაძე ი., სხვავები, თბ., 2005. *თ. ბერაძე.*

კვარკები, ფუნდამენტური ნაწილაკები, ძლიერად ურთიერთქმედი ელემენტარული ნაწილაკების – ჰადრონების შემადგენელი სტრუქტურული ნაწილები. პ. $\hbar/2$ სპინის მქონე ნაწილაკებია. აღმოჩენილია 6 სხვადასხვა სახეობის – არომატის – კვარკი, რ-თაც აერთიანებენ 3 ე. წ. ,,თაობად''. ყოველ თაობაში შედის ორი კვარკი: დადებითად დამუხტული ზედა და უარყოფითად დამუხტული ქვედა პ. ზედა პ-ის მუხტია $(+2/3)e$, ხოლო ქვედასი – ერთი e-ით ნაკლები: $(-1/3)e$ (e ელემენტარული მუხტის სიდიდეა). პ. მონაწილეობს ელექტრომაგნიტურ ურთიერთქმედებაში – შეუძლია გამოასხივოს ან შთანთქას ფოტონი γ. ამ პროცესებში პ-ის არომატი და მუხტი არ იცვლება. მათი არომატის ცვლილება ხდება სუსტი ურთიერთქმედების გადამტანი ე. წ. საშუალედო $W^{\pm}$ და Z^0 ბოზონების გამოსხივებისას ან შთანთქმისას. ელექტრონეიტრალური Z^0 ბოზონის გამოსხივება პ-ის მუხტს, ცხადია, არ ცვლის.

პ-ის არსებობის შესახებ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვარაუდი გამოთქვეს 1964 ამერ. მეცნიერებმა მ. გელმანმა და ჯ. ცვეიგმა. ბ. სტრუმინსკიმ, ნ. *ბოგოლიუბოვმა* და ა. *თავხელიძემ* (1965 იანვარი), მოგვიანებით კი იაპონელმა მეცნიერებმა მ. ჰანმა და ი. ნამბუმ (1965 აგვისტო) ივარაუდეს, რომ პ-ს უნდა ჰქონდეს დამატებითი კვანტური მახასიათებელი, რ-საც შემდგომში ,,ფერი'' ეწოდა. თითოეული კვარკი q შეიძლება იმყოფებოდეს 3 სხვადასხვა ,,ფერად'' მდგომარეობაში, რ-საც პირობითად უწოდებენ წითელ, მწვანე და ლურჯ მდგომარეობას (იხ. აგრეთვე სტ. *ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკა*). შესაბამისი ანტი-კვარკი $\bar{q}$ ასევე ,,ფერადია''. ი. ნამბუს ვარაუდით, კვარკის ,,ფერის'' შეცვლა ხდება გლუონის გამოსხივებისას ან შთანთქმისას, რაც არ ცვლის პ-ის არომატს. გლუონის გაცვლა (სულ არსებობს 8 სხვადასხვა ,,ფერის'' გლუონი g) იწვევს პ-ს შორის ქრომოდინამიკურ (,,ფერად'') ურთიერთქმედებას. სამი სხვადასხვა ,,ფერის'' პ-ის ბმული მდგომარეობა იძლევა ბარიონს, რ-იც ,,უფეროა''. სხვადასხვა არომატების პ-ის ასეთი ,,უფერო'' გაერთიანებები იძლევა სხვადასხვა ბარიონებს. ,,უფერო'' შეიძლება იყოს $qq\bar{q}$ წყვილის გაერთიანებაც, რაც იძლევა მეზონს. თუმცა ჰადრონები (ბარიონები და მეზონები) ,,უფეროა'', ითვლება, რომ სწორედ მათ შიგნით ,,ფერადი'' პ-ის არსებობა განაპირობებს ჰადრონებისთვის დამახასიათებელ ძლიერ (,,ბირთვულ'') ურთიერთქმედებას. ,,ფერად'' პ-ს შორის g გლუონების გაცვლით მიმდინარე ქრომოდინამიკური ურთიერთქმედების დამახასიათებელი თავისებურებაა ე. წ. კონფაინმენტი (,,ფერის დატყვევება''): ,,ფერის'' მქონე ნაწილაკების ურთიერთდაშორებისას მათი ურთიერთმიზიდვა სულ უფრო ძლიერდება. როდესაც ამ მიზიდვის ენერგია საკმაოდ იზრდება, კვანტური ეფექტების შედეგად იბადება კვარკ-ანტიკვარკების $qq\bar{q}$ წყვილები და ურთიერთქმედების ზონიდან გამოიტყორცნება ვიწრო ჰადრონული ჭავლები (ვჰჭ, «hadron jets») – ,,უფერო'' ჰადრონების ნაკადები [ახლადწარმოქმნილი კვარკი q და ანტიკვარკი $\bar{q}$ შეიძლება შეუერთდეს სხვა (მ. შ. ვირტუალურ) კვარკს ან ანტი-


კვარკს და წარმოქმნას ბარიონები ან მეზონები, რ-ებიც ვრცელდება თავდაპირველი ,,ფერადი'' ობიექტის – კვარკის ან გლუონის მოძრაობის მიმართულებასთან თანხვედრილი ღერძის მქონე ვიწრო კონუსში. კონუსის გაშლის კუთხე მცირდება ვჰჯ-ის ენერგიის ზრდასთან ერთად]. ამ პროცესს ჰადრონიზაცია ეწოდება. მისი დეტალები არ არის ბოლომდე შესწავლილი, რამდენადაც არ არსებობს კონფაინმენტის დამაჯერებელი ახსნა *კვანტური ქრომოდინამიკის* საფუძველზე (თუმცა ის დასტურდება კვანტურ-ქრომოდინამიკური კომპიუტერული გამოთვლებით მესერზე). ვჰჯ-ის მახასიათებლების გაზომვით მოიპოვებენ ინფორმაციას მისი ,,დედა-კვარკის'' თვისებების შესახებ, რაც ჰ-ის რეალური არსებობის დასაბუთებად არის მიჩნეული.

ჰ-ისათვის დამახასიათებელია ე. წ. ასიმპტოტური თავისუფლება – ჰადრონების შიგნით, ერთმანეთისგან მცირე მანძილზე, ისინი მოძრაობს ურთიერთქმედების გარეშე და იქცევა თავისუფალი ნაწილაკებივით.

ნ. ბოგოლიუბოვის, ა. თავხელიძის, ბ. სტრუმინსკის, ვ. მატვეევის, ნგუენ ვან ჰიეუს, ა. ლოგუნოვის, მ. *მესტვირიშვილის*, რ. მურადიანის, ვ. ვლადიმიროვისა და სხვათა შრომებში კვაზითავისუფალ ჰ-ზე წარმოდგენების საფუძველზე შეიქმნა (1964) ჰ-ის ურთიერთქმედების რელატივისტურად ინვარიანტული მოდელი, რ-მაც სწორად აღწერა ჰადრონების მრავალი თვისება. კერძოდ, ამ მოდელმა ჰ-ის ფერადი მდგომარეობების შესაძლო რაოდენობა დაუკავშირა (1965) ნეიტრალური π^0 პიონის ორ ფოტონად დაშლის ალბათობას. ჰადრონთა კვარკულ სტრუქტურაზე წარმოდგენების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ჰადრონთა ლოკალური დენების ალგებრიდან გამომდინარე ჯამთა წესების შესწავლამ. ელექტრონების ნუკლონებზე ღრმად არადრეკადი გაბნევის *ინკლუზიური პროცესების* შესწავლისას 1968 სტენფორდის (აშშ) უნ-ტის ამჩქარებელზე SLAC იპოვეს მინიშნებები ნუკლონის შიგნით წერტილოვანი ხისტი დამუხტული ობიექტების არსებობაზე (ჯ. დ. ბიორკენი, აშშ).

ამ შედეგებზე დაყრდნობით, 1969 ა. თავხელიძემ, ვ. მატვეევმა და რ. მურადიანმა ჩამოაყალიბეს ე. წ. ავტომოდელობის პრინციპი და იპოვეს მაღალი ენერგიების პროტონ-პროტონული დაჯახებებისას წარმოქმნილი მიუონური წყვილების სპექტრის აღმწერი კანონი. ასევე 1969 აღმოჩენილი იქნა *კვარკული თვლის წესები*.

ჰ. (და ლეპტონები) წარმოადგენს ნივთიერების დღეისთვის ცნობილ უმცირეს სტრუქტურულ ერთეულებს. 2017 მონაცემებით, მათი შესაძლო (ჰიპოთეტური) სტრუქტურული ნაწილების ზომა არ აღემატება $0.5 \cdot 10^{-19}$ *მ* (ექსპერიმენტული შესწავლისთვის მისაწვდომი მინ. მანძილი). ჰ-ის დაშლა ლეპტონებად აკრძალულია ბარიონული რიცხვის მუდმივობის კანონით. ა. თავხელიძის ჰიპოთეზით (1988), ამ მუდმივობის კანონს შეიძლება ჰქონდეს დინამიკური, ყალიბრული ხასიათი, რაც ექსპერიმენტულად დამზერად შედეგებს მოგვცემდა.



ურთიერთქმედების ენერგიის დიდი წვლილის გამო ჰ-ის ბმული მდგომარეობების (მეზონების, ბარიონების) მასები ბევრად აღემატება შემადგენელი (ე. წ. ვალენტური) ჰ-ის მასათა ჯამს. განსხვავება განსაკუთრებით დიდია მსუბუქი ჰ-ით შედგენილი ჰადრონებისთვის. ა. *ხელაშვილმა* თანამშრომლებთან ერთად (ვ. *ხმალაძე*, ქ. ნატროშვილი, კ. კიკნაძე, ლ. ვაჩნაძე და სხვ.) შეისწავლა (1978–82) მძიმე ჰ-ით შედგენილი *კვარკონიუმი*. ჰ-ის თვისებებს იკვლევენ ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინ-ტის ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განყ-ბაში. მნიშვნელოვანი შედეგები ჰადრონიზაციის პროცესის აღწერაში ეკუთვნის ო. ვ. ყანჩელს თანამშრომლებთან ერთად. ჯ. *ჩქარეულმა*, ზ. ბერეჟიანმა და სხვებმა ჯგუფთა *თეორიის* მეთოდებით პირველად (1980–85) შეძლეს ჰ-ისა და ლეპტონების თაობებში მასებისა და კვანტური შერევების აღწერა. *დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე* LHCb და ALICE ექსპერიმენტებში ინ-ტის თანამშრომელთა მონაწილეობით მიმდინარეობს მძიმე *b* კვარკის, ასევე კვარკ-გლუონურ პლაზმაში ფაზური გადასვლების შესწავლა (იხ. აგრეთვე სტ. *კვარკული ვარსკვლავი*), რაც ჰადრონიზაციის შებრუნებულ პროცესს წარმოადგენს. ჰ-ისა და ჰადრონების ყოფაქცევას ცხელ და მკვრივ გარემოში იკვლევს ა. *კვინიხიძე*. ვ. *კეკელიძემ*, დ. *მჟავიამ*, ზ. წამალაიძემ და სხვებმა ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინ-ტში JINR (დუბნა, რუსეთი) და მსოფლიოს სხვა წამყვან ლაბორატორიებში შეასრულეს მაღალი სიზუსტის გაზომვები (1976–92) ჰ-ის მონაწილეობით მიმდინარე იშვიათი პროცესების თავისებურებების შესასწავლად.

2014 დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე LHCb ექსპერიმენტმა დაადასტურა 2007 შემჩნეული ახალი ე. წ. ეგზოტიკური ტიპის ჰადრონის – ტეტრაკვარკის არსებობა, რ-იც 4 სხვადასხვა არომატის (*u, d, s̄, b*) კვარკისგან შედგება. არსებობს სხვა ეგზოტიკური ნაწილაკების არსებობის მიმანიშნებელი მონაცემებიც. ეგზოტიკური ჰადრონების არსებობის შესაძლებლობა გააანალიზა ა. ხელაშვილმა.

ჰ-ის შესწავლისას მიღებული შედეგები დაჯამდა საქართველოში ჩატარებულ რამდენიმე საერთაშ. სემინარზე ,,Quarks'' (თბილ., 1982–86), ასევე საერთაშ. დონის სხვა სამუშაო შეკრებებზე. 1976 თბილისში ჩატარდა მაღალი ენერგიების ფიზიკაში უდიდესი ე. წ. ,,როჩესტერის'' საერთაშ. კონფერენცია.

ლიტ.: ვაშაკიძე ი., ნიკობაძე გ., თანამედროვე ფიზიკა ყველასათვის, თბ., 1999; Матвеев В. А., Тавхелидзе А. Н., Квантовое число – цвет, цветные кварки и КХД (к 40-летию открытия квантового числа – цвет), Дубна, ОИЯИ, 2005; Bogolubov N., Matveev V., Tavkhelidze A., ,,Coloured Quarks'', Advance in Science and Technology in the USSR, M., 1983; Logunov A., Mestvirishvili M., Nguen Van Hieu, Proceedings of the International Conference on Particles and Fields, Rochester, 1967.

ი. ლომიძე.

კვარკონიუმი, მეზონის (ელემენტარული ნაწილაკი) ნაირსახეობა, რომელიც შედგება ერთნაირი არომატის (სახეობის) კვარკისა და ანტიკვარკისგან (იხ. აგრეთვე სტ. *ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკა*). მაგ., J/Ψ-მეზონი (ე. წ. ჩარმონიუმი) შედგება ჩარმიანი *c* კვარკისა

და $\bar{c}$ ანტიკვარკისგან; Y-მეზონი (ბოტტომონიუმი) $b\bar{b}$ კვარკ-ანტიკვარკის ბმული მდგომარეობაა. $t\bar{t}$ კვარკ-ანტიკვარკის ბმული მდგომარეობა – ,,ტოპონიუმი'' – რეალურად არ არსებობს, რადგან $t\bar{t}$ კვარკი ასწრებს დაშლას (სუსტი ურთიერთქმედების შედეგად) მანამდე, ვიდრე ბმული მდგომარეობა წარმოიქმნება (შესაძლებელია $t\bar{t}$ ვირტუალური წყვილების არსებობა). მსუბუქი $u\bar{u}$, $d\bar{d}$ და $s\bar{s}$ კვარკ-ანტიკვარკული წყვილები ექსპერიმენტებში დაიმზირება სამივე არომატის კვანტურ-მექანიკური შერევის (სუპერპოზიციის) მდგომარეობაში (მაგ., π^0-მეზონი). მძიმე c და b კვარკების სუპერპოზიცია ერთმანეთთან და მსუბუქ u, d და s კვარკებთან არ ხდება მათი მასების დიდი სხვაობის გამო. ჰ-ს, როგორც სხვა კვანტურ-მექანიკურ ბმულ სისტემებსაც, ახასიათებს ენერგეტიკულ მდგომარეობათა დისკრეტული სიმრავლე – სპექტრი, რ-ის სტრუქტურა (დონეების ურთიერთგანლაგება) დამოკიდებულია კვარკების ურთიერთქმედების თავისებურებებზე და მდგომარეობის დამახასიათებელი სხვა კვანტურ-მექანიკური სიდიდეების (მაგ., ორბიტალური მომენტის) მნიშვნელობაზე. ამდენად, ჰ-ის სპექტრების შესწავლა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა კვარკ-გლუონური ურთიერთქმედების (იხ. სტ. *კვანტური ქრომოდინამიკა, ველის კვანტური თეორია*) შესახებ. ჰ-ის ნაწინასწარმეტყველები დონეების (ახალი მეზონების) ექსპერიმენტული ძებნა მიმდინარეობს დიდ ამჩქარებლებზე – ფერმილაბში (FERMILAB, აშშ), ჯეიპარკში (JPARC, იაპონია), *დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე* და სხვ.

საქართველოში ჰ-ის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა ა. *ხელაშვილმა* თანამშრომლებთან (ვ. *ხმალაძე*, ქ. ნატროშვილი, ნ. ჩაჩავა, ნ. კიკნაძე, ლ. ვაჩნაძე და სხვ.) ერთად. პირველად (1978) იქნა ნაჩვენები, რომ ლოგარითმული ეფექტური პოტენციალის გამოყენებით შესაძლებელია აიხსნას ჰ-ის სპექტრის ეკვიდისტანტური ხასიათი. გამოითვალეს სხვადასხვა დონის სიგანეები და ზოგიერთ დონეს შორის გადასვლის ალბათობები. მძიმე ჰ-ში ასეთი გამოთვლები გამართლებულია კვარკული სისტემის არარელატივისტური ხასიათით; მსუბუქი კვარკების ბმული მდგომარეობის მასა, ურთიერთქმედების ენერგიის დიდი წვლილის გამო, ბევრად აღემატება შემადგენელი კვარკების მასათა ჯამს და სისტემა არსებითად რელატივისტურია. კვანტურ ქრომოდინამიკაში ჰ-ის თვისებებს იკვლევენ მესერზე კომპიუტერული გამოთვლებით (ჯ. გეგელია, ა. რუსეცკი და სხვ.). ეს მეთოდი შრომატევადია, მაგრამ გამოსადეგია როგორც არარელატივისტური ჰ-თვის, ასევე მსუბუქი კვარკების ბმულ მდგომარეობათა აღსაწერად და თანხმობაშია ექსპერიმენტთან, რაც კვანტური ქრომოდინამიკის მიდგომის სამართლიანობის ერთერთ ძირითად დასაბუთებად ითვლება.

ლიტ.: Khelashvili A. A., Khmaladze V. Yu., Chachava N. D., Many-particle problem with logarithmic potentials and its application to quark bound states, «Theoretical and Mathematical Physics», 1985, vol. 62(1).

ი. ლომიძე.

კვარკული ვარსკვლავი, ჰიპოთეტური ობიექტი, რომელიც ძირითადად შედგება ,,კვარკული ნივთიერებისგან''. კ. ვ-ის არსებობა იწინასწარმეტყველეს დ. *ივანენკომ* და დ. *კურდღელაიძემ* (1965). თუ ნეიტრონული ვარსკვლავის ბრუნვა საკმარისად შენელდება, ვარსკვლავის ცენტრ. არეების ზემაღალი სიმკვრივის ნივთიერებაში ფაზური გადასვლის შედეგად, ის შეიძლება გადაიქცეს კ. ვ-ად (ბნელი მატერიის ხელშემწყობი გავლენით). ამ პროცესის (ფაქტობრივად, კვარკული დეკონფაინმენტის) აღსაწერად აუცილებელია დღეს ცნობილი ოთხივე ფუნდამენტური ურთიერთქმედების (გრავიტაციული, სუსტი, ელექტრომაგნიტური და კვარკ-გლუონური) გათვალისწინება. შეფასებების თანახმად, ის იწვევს უმძლავრეს აფეთქებას 10^{47} ჯ რიგის ენერგიის გამოთავისუფლებით. ვარაუდობენ, რომ ამ მოვლენით აიხსნება შორეულ კოსმოსში დამზერილი ზოგიერთი მაღალენერგიული პროცესი, მაგ., ე. წ. γ-ბარსტები. ამასთან, შესაძლოა, ამ პროცესებში წარმოიქმნებოდეს ზოგიერთი მძიმე ქიმიური ელემენტის (მაგ., პლატინის) *იზოტოპები*. გამოთვლები აჩვენებს, რომ კ. ვ-ში დიდი რაოდენობით უნდა იყოს ე. წ. უცნაური s კვარკი, ამიტომ ასეთ ობიექტებს ,,უცნაურ ვარსკვლავებსაც'' უწოდებენ. 2018 მდგომარეობით რამდენიმე განსაკუთრებით სწრაფადმბრუნავი პულსარი განიხილება კ. ვ-ის შესაძლო კანდიდატად.

ლიტ.: Leahy D., Ouyed R., Supernova SN2006gy as a first ever Quark Nova?, «Monthly Notices of the Royal Astronomical Society», 2008, vol. 387, №3.

ი. ლომიძე.

კვარკული თვლის წესები, ზოგადი ფორმულები, რომლებიც შედგენილი ნაწილაკების ფორმფაქტორების (და გაბნევის დიფერენციალური განივკვეთის) ასიმპტოტურ (დაჯახების ენერგიის ზრდისას) თვისებებს უკავშირებს შემადგენელი ნაწილაკების რაოდენობას. კ. თ. წ. დადგინდა (1973) ა. *თავხელიძისა* და მისი თანამშრომლების, ვ. მატვეევისა და რ. მურადიანის მიერ კვაზითავისუფალ *კვარკებზე* წარმოდგენებზე დაყრდნობით. კ. თ. წ-ის თანახმად, ორი ჰადრონის გაბნევის ექსკლუზიური პროცესის (იხ. სტ. *ინკლუზიური პროცესები*) დიფერენციალური განივკვეთი დიდ კუთხეებზე გაბნევისას (ანუ დიდი გადაცემული იმპულსის შემთხვევაში), დაჯახების ენერგიის ზრდასთან ერთად, კლებულობს ხარისხოვანი კანონით. ამასთან, ხარისხის მაჩვენებელი, რ-იც განსაზღვრავს განივკვეთის კლების სიჩქარეს, წრფივად არის დამოკიდებული ჰადრონების შემადგენელი კვარკების რაოდენობაზე. დაჯახების ენერგიის ზრდასთან ერთად, ასეთივე ხარისხოვანი კანონით ჰადრონის ფორმფაქტორები კლებულობს. ამ აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა ჰადრონებისა და მსუბუქი ბირთვების კვარკული სტრუქტურის ექსპერ. შესწავლა. 1987 კ. თ. წ. დარეგისტრირდა (№343) სსრკ აღმოჩენათა რეესტრში. კ. თ. წ-ის დასაბუთება *კვანტური ქრომოდინამიკის* საფუძველზე ემყარება ფორმფაქტორთა ავტომოდელური ასიმპტოტური ყოფაქცევისა (ა.თავხელიძე, ნ. *ბოგოლიუბოვი*, ვ. ვლადიმიროვი; ა.თავხელიძე, ა.*კვინიხიძე*, ბ.მაღრაძე) და კვაზითავისუფალი კვარკების მოდელის მკაცრ მათ. დასაბუთებას, რაც ბუნებრივად მიიღწევა ქრომოდინამიკაში ასიმპტოტური თავისუფლების მოვლენის გათვალისწინებით. ამ მიდგომაში კ. თ. წ. აღწერს ფორმფაქტორების ენერგიაზე დამოკიდებულების მხოლოდ მთავარ, ხარისხოვან ნაწილს და არ ითვალისწინებს ე. წ. რადიაციულ ლოგარითმულ შესწორებებს, რ-ებიც, საზოგადოდ, არ არის მცირე (ს. ბროდსკი და სხვ.).

ლიტ.: Matveev V. A., Muradyan R. M., Tavkhelidze A. N., Automodelism in the large-angle elastic scattering and structure of hadrons, «Lettere al Nuovo Cimento», 1973, vol. 7; Bogolubov N., Matveev



სულხან ცინცაძის სახელობის სიმებიანი კვარტეტი. სხედან (მარცხნიდან): ო. ჩუბინიშვილი, ნ. ჟვანია; დგანან: თ. ბათიაშვილი, კ. ვარდელი.

V., Tavkhelidze A., ,,Coloured Quarks'', Advance in Science and Technology in the USSR, M., 1983. *ი. ლომძე.*

კვარტეტი საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი სულხან ცინცაძის სახელობისა, დაარსდა თბილისში თავდაპირველად სტუდენტთა სიმებიანი კვარტეტის (1921), შემდეგ ,,ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების სიმებიანი კვარტეტის'' (1924), 1928-იდან ,,თბილისის კონსერვატორიის სიმებიანი კვარტეტის'' სახელწოდებით, 1944-იდან კი მას საქართვ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტი ეწოდა. კვარტეტის პირველ შემადგენლობაში იყვნენ ვ. ნეიმან-ბარნაბელი, მ. ძიძიშვილი, გ. *თაქთაქიშვილი*, შ. *თაქთაქიშვილი*, ხოლო შემდგომ თაობას წარმოადგენდნენ: ბ. *ჭიაურელი*, გ. *ხატიაშვილი*, ა. *ბეგალიშვილი*, გ. *ბარნაბიშვილი*. ამ შემადგენლობით ანსამბლმა დიდ წარმატებას მიაღწია – გახდა პრაღის საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1950), ოთხივე მონაწილე სსრკ სახელმწ. პრემიით დაჯილდოვდა (1952). 1958 ანსამბლს საქართვ. ხელოვნ. დამს. კოლექტივის სახელი მიენიჭა. 1966-იდან მის შემადგენლობაში არიან საქართვ. სახ. არტისტები, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1992) და ზ. ფალიაშვილის (1971) სახ. პრემიების, აგრეთვე მუსიკოს-შემსრულებელთა ლ. ვაინერის საერთაშ. კონკურსის (უნგრეთი) ლაურეატები (1973): კ. *ვარდელი* (2017-იდან გ. ხაინდრავა), თ. *ბათიაშვილი*, ნ. *ჟვანია* და ო. *ჩუბინიშვილი*. ანსამბლის რეპერტუარშია კლასიკური და თანამედროვე საკვარტეტო მუსიკა, აგრეთვე ქართვ. კომპოზიტორთა საკვარტეტო ნაწარმოებები. კვარტეტმა გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. 1993-იდან კვარტეტი ლ. *ისაკაძის* მიწვევით წარმატებით მოღვაწეობდა გერმანიაში კამერული ორკესტრის შემადგენლობაში. 1991 მიენიჭა ს. ცინცაძის სახელი.

ლიტ.: დუმბაძე მ., საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, თბ., 2006. *გ. ტორაძე.*

კვარშა, ყვარშა, ხუროთმოძღვრების ძეგლი, VII ს. დასასრულისა და VIII ს. დასაწყისის დარბაზული ეკლესია, მისივე თანადროული ჩრდ. და სამხრ. მინაშენებით. მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების ნასოფლარში, ისტ. ჯავახეთში, ხერთვისის ციხის ზემოთ. ეკლესიას აღმ-ით სამი აფსიდი აქვს, მათგან შუა, მთავარი, ორჯერ აღემატება გვერდითებს მალის სიდიდით. იგი გვერდითი აფსიდებისგან გარედან გამოყოფილია გეგმით სამკუთხა ორი ღრმა ნიშით. ეკლესიის კედლების ქვედა ნაწილები ნაგებია სხვადასხვა ზომის ზედაპირმოსწორებული ბაზალტის ქვით, ზოგი მათგანი ძალიან დიდია (1,25 *მ* × 1,60 *მ*), ზედა ნაწილი ნაწყობია უხეშად გათლილი ქვის ჰორიზონტალური რიგებით და მოგვიანო ხანის (მაგრამ არა X–XIII სს.) კაპიტალური შეკეთების შედეგია. ცენტრალური ნავი გადახურულია საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი კოლოფა კამარით. შიგნით კედლები ნაწყობია უხეშად ზედაპირმოსწორებული ქვების სწორი რიგებით. საკურთხევლის კუთხეების, პილასტრებისა და მათი კაპიტელების, აგრეთვე კარ-სარკმლის სათაურებისათვის გამოყენებულია სუფთად გათლილი ქვები. ინტერიერსა და ფასადებზე შემონახულია ასომთავრულითა და ნუსხურით სხვადასხვა დროს შესრულებული წარწერები. ჩრდ. ფასადზე უხეშად ამოკვეთილი ადამიანის გამოსახულებაა.

ლიტ.: ჯაბუა ნ., ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2012; Чубинашвили Н. Г., Церовани, Тб., 1976. *თ. გერსამია.*

კვარჩხიღალი, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტის ძველი სენაკის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის დაბლობზე, მდ. კვარჩხიღალის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 80 *მ*, სენაკიდან 10 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.



კვარშა. VII–VIII სს.

სოფლის მახლობლად მდებარეობს ზედაცარცული ასაკის მასიურ კირქვებში გამომუშავებული კარსტული მღვიმე. მღვიმის სიგანე (3,5 *მ*) და სიმაღლე (3 *მ*) შესასვლელიდან 45 *მ*-მდე თითქმის უცვლელია. მთავარი გვირაბის სიგრძე 65 მეტრია, ფსკერის ფართობი – 200 *მ*^{2}, საერთო მოცულობა – 400 *მ*^{3}. მღვიმე პირველად აღწერა ლ. *მარუაშვილმა*, კომპლექსურად გამოიკვლია ბ. გერგედავამ.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

კვარციანი ქვიშა, დანალექი ქანი. შედგება ძირითადად ჟანგეულთა კლასის მინერალ კვარცისაგან, სადაც Sio_2-ის რაოდენობა 90%-ზე მეტია. ჰ. ძ. გამოფიტვით წარმოიქმნება. წარმოშობის ადგილის მიხედვით განარჩევენ ზღვიურ, მდინარეულ, ელუვიურ, დე-

ლუვიურ, ტბიურ ქვიშებს. პ. ქ-ს უმთავრესად მინის წარმოებაში მოიხმარენ.

არქეოლ. მონაპოვრებით დადასტურებულია, რომ საქართველოში (ამირანის გორა, ქვაცხელები, ურბნისი, მცხეთა, სამთავრო, კარსანი, ნატბეური) უძველესი დროიდან ამზადებდნენ მინის ჭურჭელს, ხოლო შუა საუკუნეებში მინის წარმოების მაღალმა დონემ განაპირობა საქვეყნოდ ცნობილი მინანქრული ხელოვნების შედევრების შექმნა.

მინის წარმოებისათვის საჭირო პ. ქ-ის საბადოებია საჩხერის (სარეკი, ბავჭითი), ჭიათურის (რგანი, დარკვეთი, მღვიმევი, ითხვისი, შუქრუთი), ხარაგაულის (ქროლი, ფარცხნალი), ხაშურის (დაბა სურამის მიდამოები) მუნიციპალიტეტების სოფლებში, ზემო ავჭალაში და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში მინას ,,ჭიქა'' ერქვა. ,,ჭიქა იგივეა რაც მინა'' (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი) – ,,ჭიქის კრიალოსანი'', ,,ჭიქის საღვინე'' (ს.-ს. ორბელიანი). საქართველოში მინის დამზადება ხელოსნობის ერთ-ერთი უძველესი დარგია.

ვ. ზუხბაია.
ნ. ფოფორაძე.

,,კვარციტი'' (ახლანდ. შპს ,,არემჯი გოლდი''), ოქროს მომპოვებელი საწარმო. მდებარეობს დაბა კაზრეთში (ბოლნისის მუნიციპალიტეტი). დაფუძნდა 1995 საქართველო-ავსტრალიის ერთობლივი საწარმოს სახით, რ-მაც საქმიანობა დაიწყო შპს „კ-ის'' სახელწოდებით. კომპანია 1996-მდე ადგილზე საძიებო-მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებდა, ხოლო 1997 წ. 2 აპრილს ჩამოისხა პირველი ოქრო. ოქროსშემცველი მადნების მოპოვება და გადამუშავება ხდება საყდრისისა და მადნეულის საბადოებიდან, რ-ებიც მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთთან ახლოს, თბილისიდან სამხრ.-აღმ-ით 80 *კმ* დაშორებით. ასევე ხდება სხვადასხვა ტექნოგენური ნარჩენების გადამუშავებაც. 2005-იდან ერთობლივი საწარმო ფუნქციონირებს პარტნიორების – სააქციო საზ-ბა ,,მადნეულისა'' (საქართველო) და საერთაშ. კომპანია ,,ჯეოპრომაინინგის'' (ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები) – თანაბარი წილობრივი მონაწილეობით. 2012 ივნისში შპს ,,კ.'' გადავიდა საერთაშ. კომპანია ,,არემჯის'' (RMG – Rich Metals Group B. V., ჰოლანდია) 100%-იან მფლობელობაში და ამჟამად მისი იურიდ. სახელწოდებაა შპს ,,არემჯი გოლდი''. კომპანია ,,არემჯი გოლდი'' ოქროსშემცველი მადნების მოპოვება-გადამუშავების შედეგად აწარმოებს ოქროს დორე შენადნობს (ნახევარფაბრიკატის სახით), რ-საც ყიდულობენ მსხვილი საერთაშ. ტრეიდერული კომპანიები. აფინაჟის (გაწმენდა) შედეგად მიღებული სუფთა ლითონი (ოქრო და ვერცხლი) კი შემდგომ ლონდონის საფონდო ბირჟაზე იყიდება.

შპს ,,არემჯი გოლდი'' გროვული გამოტუტვის მეთოდით, ოქროსშემცველი მეორეული კვარციტული მადნის გადამუშავების გზით ახორციელებს ძვირფასი ლითონების ამოკრეფას. ეს მეთოდი ითვალისწინებს მაღალი სიმკვრივის გაუმტარი პოლიეთილენით დაფარულ გამოსატუტ მოედანზე მოთავსებული დამსხვრეული მადნის გროვის ციანიდის დაბალი კონცენტრაციის ხსნარით დამუშავებას დახურულ საწარმოო ციკლში. აღნიშნული *ციანირების* მეთოდი ძვირფასი ლითონების მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რ-იც გამოირჩევა ეკონომიურობით და გარემოზე მინიმალური ნეგატიური ზემოქმედებით. ის ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ციანიდის ხსნარით ოქროს დაბალი კონცენტრაციის ამოკრეფის ხერხი ინჟინერმა და მეცნიერმა პ. რ. *ბაგრატიონმა* აღმოაჩინა 1843. ძვირფასი ლითონების ამოკრეფის პროცესი მოიცავს სამთო, გეოდეზიურ, მეტალ., მექან., ტექ. და სხვა სახის სამუშაოებს, რ-ებიც 24-საათიანი უწყვეტი რეჟიმით მიმდინარეობს.

კომპანიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა გარემოს დაცვაზე ზრუნვა. კარიერის დამუშავების შედეგად ხდება მცენარეული საფარის დაზიანება და რელიეფის დარღვევა, ამიტომ სამთო სამუშაოების დაწყების წინ ხდება გასაჩეხი ხეების მოცულობის აზომვა და შესაბამისი საკომპენსაციო ტყის გაშენება. კომპანია ,,არემჯის'' საწარმოში შემოსვლის შემდეგ გარემოს დაცვის სფეროში გატარდა რიგი ღონისძიებები – 2012 ჩამოყალიბდა ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის ახ. სტრუქტურა; შემუშავდა ახ. გარემოსდაცვითი პოლიტიკა. კომპანიის ქიმ. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ექსპრესანალიზატორებით ხსნარებში მძიმე ლითონების, ციანიდებისა და სულფატის იონების შემცველობისა და ატმ. ჰაერის დაბინძურების განსასაზღვრავად. ყოველდღიურად მიმდინარეობს მონიტორინგი წყლის ჩაშვებაზე, ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევებზე, ციანწყალბადმჟავას (HCN) აირის რაოდენობაზე, სანაყაროებზე, მილსადენების გამართულობაზე, კუდსაცავზე (ნარჩენი მასის ე. წ. ,,კუდების''



,,კვარციტი''. დაბა კაზრეთი. შპს ,,არემჯი გოლდი''.

სპეც. სანაყარო). საკარიერო მჟავე წყლების ნეიტრალიზაციის გარდა, აქ ტარდება მტვერთან ბრძოლის ქმედითი ღონისძიებები, რ-თაგან ძირითად საშუალებას წარმოადგენს მტვერწარმოქმნის კერების პერიოდული მორწყვა წყლით. მტვრის გამოფრქვევის შესამცირებლად კომპანიის სპეც. მანქანებით ყოველდღიურად ირწყვება სატრანსპ. გზები. მტვერწარმოქმნის ძირითადი წყაროებია საკარიერო და მაგისტრალური გზები, ფუჭი ქანების სანაყაროები. მტვრის ემისიის კონტროლი ხორციელდება წყლის საშხეფი სისტემებით, რ-ებიც დამონტაჟებულია მადნის დამსხვრევისა და გადატანის პუნქტებზე. ლაბორატორიაში სინჯების დამსხვრევისა და დაფქვის შედეგად წარმოქმნილი მტვერი გროვდება კოლექტორში, რ-შიც ჰაერი იფილტრება და მტვერი ხვდება კონტეინერში. აქედან იგი რეგულარულად იცლება გროვებში და დაუყოვნებლივ სველდება, რის შედეგადაც მტვერი იქვე ჩაირეცხება.

,,არემჯი გოლდი'' ბოლნისის რ-ში ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია, სადაც მუშაობს 1000-ზე მეტი ადამიანი, რ-თა 90% ადგილ. მოსახლეა. 2012–16 კომპანია ,,არემჯი გოლდმა'' საქართველოში 300 მლნ. დოლარამდე ინვესტიცია განახორციელა.

მ. ნაცვლიშვილი.

კვარხითი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მეჯვრისხევის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. მონაკვეთი). ზ. დ. 710 *მ*, გორიდან 14 *კმ*. 379 მცხ. (2014).

სოფლის სამხრ.-აღმ-ით დგას გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

კვატია, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის სხალთის თემში (აჭარის არ), მდ. სხალთის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1120 *მ*, ხულოდან 30 *კმ*. 358 მცხ. (2014).

კვაუთი, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტის ლეძაძამეს თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ტეხურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 160 *მ*, სენაკიდან 23 *კმ*. 76 მცხ. (2014).

ჰ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში.

კვაშტა, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის ზვარის თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 500 *მ*, ქედიდან 8 *კმ*. 279 მცხ. (2014).

კვაშხითი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხეორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., ბოყვა, ზვარეთი, ზუდალი, ჯოის უბანი, ხეითი). ზ. დ. 960 *მ*, ონიდან 11 *კმ*. 30 მცხ. (2014).

კვაცხუთი, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი), მდ. რიონის მარჯვ. მხარეს, ქუთაისი–ონის საავტ. გზაზე. ხიდიკრის თემის ცენტრი. ზ. დ. 620 *მ*, ამბროლაურიდან 2 *კმ*. 334 მცხ. (2014).

ჰ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

კვაჭალათი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიხაურის თემში (გურიის რეგიონი), მდ. აჭისწყლის (ბჟუჟის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 140 *მ*, ოზურგეთიდან 6 *კმ*. 952 მცხ. (2014).

კვაჭანტირაძე ვასილ შალვას ძე (15. I. 1907, სოფ. გურიანთა, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 9. II. 1950, იქვე), საბჭოთა კავშირის გმირი (24. III. 1945), ზემდეგი, სნაიპერი. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იბრძოდა სტალინგრადთან და ქერჩში; მონაწილეობდა ბელორუსიის, ლიტვისა და ლატვიისათვის ბრძოლებში. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: Герои Советского Союза, т. 1, М., 1987. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

კვაჭანტირაძე თამაზ კასიანეს ძე (დ. 7. VI. 1940, თბილისი), ფილოლოგი. პროფესორი (1998). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2011). 1963 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1963–2006 იქვე იყო ახ. ქართ. ენის კათედრის თანამშრომელი. 1978–89 რედაქტორობდა ჟურნ. ,,ბალავარს'' (,,ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში''). 1989–90 იყო რუსთაველის საზ-ბის თანაპრეზიდენტი, 1991–92 – საქართვ. სახელმწ. საბჭოს წევრი, 1993–98 – საქართვ. განათლების მინისტრი, 1998–2008 – საქართვ. პარლამენტის სასწავლო ცენტრის უფროსი, 2008–12 – საქართვ. პარლამენტის წევრი, მეცნ. და კულტურის კომიტეტის თავ-რის მოადგილე.

2002–04 ჰ. უძღვებოდა საავტორო ტელეპროგრამას ,,მოგზაურობა სასიტყვეთში'', 2010–11 – ტელეციკლს ,,თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი'', ხოლო 2015–16 – ტელელექციათა ციკლს ,,რუსთაველის სამყაროში''. ავტორია სამეცნ. და კრიტ.-პუბლიცისტური წერილების, ასევე წიგნებისა: ,,მსგავსებითი შედარება ქართულში'' (1978), ,,სიტყვა'', ,,სასიტყვეთი'', ,,ჰა, ბურთი და მოედანი'' (სამივე 2002), ,,განსჯანი'' (2013). ნათარგმნი აქვს ი. ბაბელის ,,მარია'' (1977) და ,,ნასისხლფასევი'' (2013). 2004 წიგნისათვის ,,სასიტყვეთი'' მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია; შოთა რუსთაველის სახ. პრემია მიიღო ელექტრონული სახელმძღვანელოსათვის ,,მოგზაურობა სასიტყვეთში'', ხოლო წიგნისათვის ,,განსჯანი'' – ლიტ. პრემია ,,საბა'' (2014).



თ. კვაჭანტირაძე.

ჰ-ს მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

კვაჭაძე გიორგი ალექსის ძე [28. II(13.III). 1909, ჭიათურა, – 6. IX. 1993, თბილისი], აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი და პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). 1931 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი. 1934–46 იყო საქართვ. მემინდვრეობის ინ-ტის დირექტორი, 1955-იდან – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მებოსტნეობის კათედრის გამგე. ჰ-მ დაამუშავა ბოსტნეული კულტურების დამულჩვის წესი, თბილ. საგარეუბნო ზონაში შემოდგომაზე დარგული კომბოსტოს და დათესილი ხახვის აგროტექნიკა, დაადგინა შემოდგომა-ზამთრის ბოსტნის კულტურათა ასორტიმენტი და სხვ. გამოცემულია ჰ-ის ,,მებოსტნეობის სახელმძღვანელო'' (1959, 1965), მისი თანაავტორობით – ,,სოფლის მეურნეობის საფუძვლები'' და ,,ხილ-ბოსტნეულის ჯიშთმცოდნეობა''. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *გ. თოდუა.*



დ. კვაჭაძე.

კვაჭაძე დავით ივანეს ძე (დ. 25. XII. 1951, თბილისი), სპორტსმენი, მოკრივე. ევროპის ჩემპიონი (1977), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1981), საქართველოს დამს. მწვრთნელი. დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტი (1977). სსრკ სამგზის ჩემპიონი (1976–77, 1980), მეორე (1978) და

მესამე (1979) პრიზიორი. სსრკ უნივერსიადის გამარჯვებული (1976) და ხალხთა სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1979). საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1977). გამოირჩეოდა თავდაცვის საუკეთესო უნარითა და მანევრირებით. სპორტული კარიერა დაასრულა 1980.

პ. იყო თსუ-ის ფიზ. კულტურის კათედრის გამგე (1990–95), ქ. სანქტ-პეტერბურგის სპორტის აკადემიის კრივის კათედრის თანამშრომელი (1995–2010), საქართვ. კრივის ეროვნ. ფედერაციის პრეზიდენტი (2012–16). ქ. ნიუ-ორლეანის (აშშ) საპატიო მოქალაქე (1977). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2001), სპორტის რაინდის საპატიო წოდება (2017).

კვაჭაძე ვალერიან ივლიანეს ძე (15. IV. 1918, თბილისი, – 4. XI. 2006, იქვე), კინორეჟისორი, მსახიობი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფიზ.-მათ. ფაკტი (1940) და შოთა რუსთაველის თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკტი (გ. ტოვსტონოგოვის სახელოსნო, 1945). მუშაობდა რუსთაველის (1945–48), სოხუმის დრამ. (1948–50) და მოსკ. სამხატვრო (1950–62) თეატრებში. პ-ის კინოდებიუტი შედგა ფილმში ,,მოსკოვიდან დაშორებით'' (ინჟინერი ბერიძე, რეჟ. ა. სტოლპერი, 1950). შეასრულა ზ. ფალიაშვილის როლი ფილმში ,,ეთერის სიმღერა'' (რეჟ. ს. დოლიძე, 1956). მუშაობდა რეჟისორად ,,მოსფილმში'', 1968-იდან – ცენტრალური ტელევიზიის გაერთიანება ,,ეკრანში''. საქართველოში გადაიღო ფილმები: ,,ბებერი მეზურნეები'' (მ. ელიოზიშვილის მოთხრობის მიხედვით, 1973), ,,ღვინის ქურდები'' (შ. არაგვისპირელის მოთხრობის მიხედვით, 1975), ,,საქმე გადაეცემა სასამართლოს'' (1975), ,,ჩემი მეგობარი ძია ვანია'' (1978), ,,მარადისობის კანონი'' (ნ. დუმბაძის რომანის მიხედვით, 1982), ,,ორშაბათი, ჩვეულებრივი დღე'' (1984), ,,შარვალი'', ,,ლუიზა'', ,,ქველი'' (სამივე – 1988). როგორც მსახიობი მონაწილეობდა თავისსავე გადაღებულ ფილმებში.

მ. კერესელიძე.

კვაჭაძე იოსებ მახარობლის ძე (31. X. 1926, სოფ. ლესა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 8. VII. 1993, თბილისი), პედიატრი. კლინიკური გენეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984).

1946 დაამთავრა თსსი; 1965–71 თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის პედიატრიის კათედრის დოცენტია. 1972-იდან განაგებდა თსსი-ის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრას. პ. შეისწავლიდა პედიატრიის ბიოქიმიურ, მორფოლოგიურ და იმუნო-გენეტიკურ საკითხებს, შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაზიანებით მიმდინარე დაავადებათა ეტიოპათოგენეზს. ბავშვის ორგანიზმში აღმოაჩინა პარაზიტი ტოქსოპლაზმა, შექმნა ნივთიერებათა ცვლის კონსტიტუციურ მოშლილობათა და რევმატიული ჯგუფის დაავადებათა კვლევის ახალი მიმართულება, შეისწავლა ნაწლავთა შეწოვის ფუნქციის დარღვევით მიმდინარე დაავადებები – მუკოვისციდოზი, ცელიაკია, ექსუდაციური ენტეროპათია, დისაქრიდული უკმარისობა; იმუნოდეფიციტის სინდრომით მიმდინარე პათოლოგიები; რევმატიზმი და სხვ.

პ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 10 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოს, 11 მეთოდ. რეკომენდაციის ავტორი.

1988-იდან იყო საქართვ. პედიატრთა საზ-ბის, ხოლო 1986-იდან – საქართვ. რევმატოლოგთა საზ-ბის ბავშვთა სექციის თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზი, თბ., 1968; ზოგიერთი თანდაყოლილი და მემკვიდრეობითი დაავადება ბავშვებში, თბ., 1983; ენდოკარდიუმის ფიბროელასტოზი ბავშვებში, თბ., 1989; მუკოვისციდოზი ბავშვთა ასაკში, თბ., 1990; ბავშვთა დაავადებები, ტ. 1, თბ., 1990.

კვაჭაძე ირინე დავითის ასული (დ. 5. II. 1962, თბილისი), ფიზიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1999).

1984 დაამთავრა თსსი და მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტის ფიზიოლოგიის კათედრაზე. 1997–2006 იყო კათედრის პროფესორი, 2006–14 – სრული პროფესორი; 2004-იდან დღემდე არის თსსუ-ის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის, 2009-იდან კი – ამავე უნ-ტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

პ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 1 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელოა. მისი სამეცნ. კვლევის ძირითადი სფეროა ადამიანის ორგანიზმის ვეგეტატიური ფუნქციების რეგულაციის საკითხები სხვადასხვა დატვირთვის პირობებში.

თხზ.: ვაჟების ვეგეტატური სარეგულაციო მექანიზმების თავისებურებები სუსტი ინტენსივობის გარემო ფაქტორთა ზემოქმედების დროს, თბ., 2005; ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები, თბ., 2009, 2013; ადამიანის ფიზიოლოგია, თბ., 2014.

კვაჭაძე იროდი სიოს ძე (21. XII. 1913, სოფ. მაჩხვარეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 28. IX. 1986, თბილისი), ვეტექიმი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1954), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1938 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი. 1946-იდან იყო ამავე ინ-ტის სას.-სამ. ცხოველთა ანატომიის კათედრის გამგე. იკვლევდა ძუძუმწოვარი ცხოველების პერიფერიული ნერვული სისტემის შედარებითი ანატომიის საკითხებს. მისი თანაავტორობით გამოცემულია უმაღლესი და საშ. სპეც. სასწავლებლების სახელმძღვანელოები (შინაურ ცხოველთა ანატომია, თბ., 1972; სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ანატომია და ფიზიოლოგია, თბ., 1973). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კ. კაპანაძე.

კვაჭაძე ლევან (ლეო) მიხეილის ძე (3. X. 1908, სოფ. ლახამულა, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 22. I. 2011, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართული ენისა და მისი სწავლების მეთოდიკის მკვლევარი. საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1983), საქართვ. სკოლის დამს. მასწავლებელი (1966), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1988). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1930). პედ. მოღვაწეობა 1931-იდან დაიწყო. სხვა-



ვ. კვაჭაძე. კადრი ფილმიდან ,,მარადისობის კანონი''. 1982.

დასხვა დროს მუშაობდა მესტიის, სოფ. ლახამულის, თბილისის საშ. სკოლებში მასწავლებლად, დირექტორად. 1947-იდან დაიწყო სამეცნ.-კვლ. მოღვაწეობა ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში ქართ. ენის კათედრაზე. იმავდროულად იყო ზუგდიდის სამასწავლებლო ინ-ტის ქართული ენისა და ლიტ-რის კათედრის გამგე (1950–52).

პ-ის ნაშრომებში განხილულია ქართ. ენის გრამატიკის, მეტწილად სინტაქსის, და საშუალო სკოლაში ენის სწავლების მეთოდიკის ძირეული საკითხები. მნიშვნელოვანი ნაშრომებია: ,,რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა'' (1950), ,,წინადადების წევრები ქართულში'' (1954), ,,მიმღეობისა და სახელის ზოგიერთი ფორმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის'' (1957), ,,ქართული ენა'' (1961), ,,თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი'' (1966), ,,თანიანი მრავლობითის მოქმედებითი და ვითარებითი ახალ ქართულში'' (1997) და სხვ.

აღსანიშნავია პ-ის დიდი დამსახურება სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში. იგი ა. შანიძის თანაავტორია ,,ქართული ენის გრამატიკის'' ორივე ნაწილისა (1964-იდან 70-იანი წლების მიწურულამდე), ხოლო შემდეგ V–IX კლასების ,,ქართული ენის'' სახელმძღვანელოსი.

საქართვ. სახელმწ. პრემია მიენიჭა წიგნისათვის ,,თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი''.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). *ც. ბარბაქაძე.*

კვახაჯელეთი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხვაშითის თემში (იმერეთის რეგიონი), რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 760 *მ,* ჭიათურიდან 18 *კმ.* 42 მცხ. (2014).

კვახჭირი, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), იმერეთის დაბლობზე, მდ. წყალწითელას (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: პ., ოდილაური, სარბევი). ზ. დ. 130 *მ,* თერჯოლიდან 28 *კმ,* რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ.* 647 მცხ. (2014).

კვების მრეწველობა, იხ. სტ. *სურსათის წარმოება.*

კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. დაარსდა 1960 კვების მრეწველობის ცენტრ. ლაბორატორიის ბაზაზე. 1961–91 ინ-ტი შედიოდა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინიტროს შემადგენლობაში, 1991–2011 – საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. სისტემაში, 2012-იდან – საქართვ. ტექ. უნტის შემადგენლობაშია როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული და წარმოადგენს კვების მრეწვ. სხვადასხვა დარგის მეცნ. უზრუნველყოფის ცენტრს. ინ-ტის დამფუძნებელი და პირველი დირექტორი იყო ა. ნიჟარაძე (1960–87), შემდეგ – ა. ჭლიკაძე (1987–90), 1991-იდან ინ-ტს ხელმძღვანელობს ნ. *ბაღათურია.* ინ-ტში არის 12 სამეცნ. დარგობრივი განყ-ბა. საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: კვების მრეწვ. სხვადასხვა დარგებისათვის (ღვინის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება, ნატურალური საკვები დანამატების – ეთეროვანი ზეთები, საღებავები, არომატიზატორები, სანელებლები – წარმოება) პროგრ. ტექნოლოგიების შექმნა, ხილ-კენკროვანთა ნედლეულიდან ფუნქციური დანიშნულების კვების პროდუქტების მიღების რაციონალური ტექნოლოგიების კვლევა. ინ-ტში ჩატარებული კვლევების შედეგები ასახულია მრავალ სამეცნ. ნაშრომში.

ინ-ტი ამუშავებს და ამტკიცებს ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებს კვების მრეწვ. დარგში. არის ეროვნ. სერტიფიცირების ორგანო. პერიოდულად გამოსცემს სამეცნ. შრომებს და აქვეყნებს სტატიებს საქართველოსა და საზღვარგარეთის სამეცნ. ჟურნალებში.

ლიტ.: ბაღათურია ნ., ენოლოგია. ღვინის წარმოქმნა და დავარგება, თბ., 2015; მისივე მცენარეული ზეთები. ქიმია, ტექნოლოგია, გამოყენება, თბ., 2017; მისივე, ქართული მეღვინეობა. თეორია და პრაქტიკა, თბ., 2017; ბაღათურია ნ., ბეგიაშვილი ნ., ღვინის ექსპერტიზა, თბ., 2014; მათივე, საქართველოს კვების მრეწველობა. საექსპორტო პოტენციალი და მისი ამოქმედების ინოვაციური ტექნოლოგიები, თბ., 2017; იაკობაშვილი ნ., ეთეროვანი ზეთების ტექნოლოგია, თბ., 1958; კვების პროდუქტების ტექნოლოგია, ნ. ბაღათურიას რედ., თბ., 2016; ნიჟარაძე ა., ბუჩუკური ა., საქართველოს გარეული ხილი და მათი გამოყენება, თბ., 1982; Багатурия Н. Ш., Эфирные масла лекарственных и пряно-ароматических растений. Химия, технология, применение, Тб., 2007; мисивэ, Грузинское виноделие, Тб., 2010; Нижарадзе А. Н., Плоды Грузии и их промышленное использование, М., 1972. *ნ. ბაღათურია.*

კვეზერელი-კოპაძე ავთანდილ ნიკოლოზის ძე (1. IV. 1925, თბილისი, – 2. III. 2017, იქვე), პედიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1990), სამედ.-ბიოლ. აკადემიის ნამდვილი წევრი (2002). 1949 დაამთავრა თსსი. 1949–50 იყო ქ. სოხუმის სანეპიდსადგურის კომუნალური სანიტარიის განყ-ბის გამგე, 1950–53 იქვე – ჩვილ ბავშვთა სახლის პედიატრი, 1956–60 – აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს მთ. პედიატრი და ბავშვთა საავადმყოფოს განყ-ბის გამგე, 1960–61 – თბილისში პედიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1962–66 – ამავე ინ-ტის სწავლული მდივანი და დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში; ასევე ბავშვთა ჰემატოლოგიური განყ-ბის ხელმძღვანელი (1966–2011).


ა. კვეზერელი-კოპაძე.

პ.-პ. იყო სამედ.-სოციალური აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1998–2010), საქართვ. პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი (2003–13) და მრავალი დარგობრივი ასოციაციის წევრი.

პ.-პ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მ. შ. 4 მონოგრაფიაა, რ-ებიც ეხება პედიატრიის აქტუალურ საკითხებს, საქართველოში ჯანმრთელ ბავშვთა სისხლის ნორმატივების, ახალშობილთა სიყვითლეების, ბავშვთა ანემიების პრობლემებს და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2015). თბილისის საპატიო მოქალაქე (2010). 2010 მიანიჭეს ,,მედიცინის რაინდის'' წოდება.

კვეზერელი-კოპაძე ნიკოლოზ ივანეს ძე [7(19). XI. 1888, თბილისი, – 14. VI. 1984, იქვე], ინჟინერ-ხიდმშენებელი. საქართვ. გეოგრაფიული საზ-ბის წევრი (1944). დაამთავრა პეტერბურგის პოლიტექ. ინ-ტის სამშ. ფაკ-ტი (1915). I მსოფლიო ომის (1914–18) მონაწილე. მუშაობდა რკინიგზის ხაზების მშენებლობაზე (1915–18) კავკასიის ფრონტზე, საქართვ. გზათა სამინისტროში (1918–20), საქართვ. გზატკეცილების სამმართველოში, საქართვ. სამხ. გზის საწარმოო და საექსპლუატაციო ნაწილის გამგედ (1933–37). 1937–39 იმყოფებოდა გადასახლებაში და მუშაობდა ბელომორსკ-ბალტიის არხთან მიმდებარე გზების მშენებლობაზე. პ.-პ. თავად იყო დამპროექტებელიც და მშენებელიც. ეწეოდა პედ. მო-



ზ. კვერენჭხილაძე.

ღვაწეობას თბილ. ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში (1941–56).

ა.-ა. იკვლევდა საქართველოს ძვ. ხიდებსა და გზების მშენებლობას (,,ძველი გზა დარიალის ხეობაში და საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა'', ,,ტრანსპორტის შეუწყვეტელი მოძრაობა ჯვრის უღელტეხილზე''). გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მ. შ. 10 მონოგრაფია.

თხზ.: საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972; გზათა მშენებლობა საქართველოში, თბ., 1974; საქართველოს საგზაო მშენებლობა, თბ., 1978.

კვენაკელი, ყოფილი სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში. მიუერთდა წნორს.

კვერეთი, დაბალმთიანი ბალნეოკლიმატური კურორტი საჩხერის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს რაჭის ქედის ფერდობზე, მდ. ჩიხურის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 570–600 *მ.* რელიეფი მთაგორიანია, მთის კალთები დაფარულია შერეული ტყით. სუბტროპიკული დაბალი მთის სარტყლის ტყის ზონა. იცის რბილი, თითქმის უთოვლო ზამთარი (იანვრის საშ. ტემპ-რა 3,0 °C); თბილი, ზომიერად ნოტიო ზაფხული (აგვისტოს საშ. ტემპ-რა 22 °C). ნალექი 1100–1200 *მმ* წელიწადში. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 1900–2000 *სთ.* ძირითადი სამკურნალო ფაქტორია სუსტად სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმიანი 16°C ტემპ-რის მინერალური წყალი, საერთო მინერალიზაციით 0,5–0,9 გ/ლ. დებიტი – 40 *ათ. ლ/დღ-ღ.* მკურნალობის სახეობებია: ბალნეოთერაპია და პასიური კლიმატოთერაპია.

ა-ში მრავალი კარსტული მღვიმე, წყარო და ვოკლუზია. ძუძუანის მღვიმეში 2009 აღმოაჩინეს 34 ათ. წლის წინანდელი ველური სელის გრეხილი ძაფის ბოჭკოები (უძველესი ძაფი მსოფლიოში). მდ. ყვირილის ხეობაში მდებარეობს XIII ს. დედათა მონასტერი.

კვერენჭხილაძე ვალერიან კონსტანტინეს ძე [10(23). I. 1902, სოფ. ხორეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 8. I. 1985, თბილისი], ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1955), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). 1928 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1941–45 იყო საველე ჰოსპიტლის მთ. ქირურგი, 1952–60 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ქირურგი, 1968–74 – თსსი-ის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე, 1974–85 – ამავე კათედრის კონსულტანტი.

ჰ. შეისწავლიდა გულმკერდისა და მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებებსა და მკურნალობას.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ნაწლავთა გაუვალობის კლინიკა და მკურნალობა, თბ., 1956; მუცლის ღრუს თიაქრები, თბ., 1964; Хронические неспецифические нагноения легких, Тб., 1954.

კვერენჭხილაძე ზინაიდა (ზინა) ვასილის ასული (25. VIII. 1932, თბილისი, – 2. IX. 2011, იქვე,



ზ. კვერენჭხილაძე. ანტიგონე, ჟ. ანუის ,,ანტიგონე''.

დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს ტაძრის ეზოში), მსახიობი. საქართვ. სახალხო არტისტი (1976). 1956 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო რუსთაველის თეატრში, პარალელურად იყო თეატრ. ინ-ტის მსახიობის ოსტატობის კათედრაზე რეჟისორის თანაშემწე (1970-იდან), მეტყველების კათედრის პედაგოგი (1974-იდან). 1988 მიენიჭა დოცენტის წოდება. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: სლავკა (ბ. ნუშიჩის ,,ფილოსოფიის დოქტორი''), ლიზი (რ. ნეშის ,,წვიმის გამყიდველი''), ლელა (დ. გაჩეჩილაძის ,,ბახტრიონი''), ვარინკა, ტურა (გ. ნახუცრიშვილის ,,ფიროსმანი'', ,,ჭინჭრაქა''), ელიზაბეტ პროქტორი (ა. მილერის ,,სეილემის პროცესი''), სახლის პატრონი (ბ. ბრეხტის ,,სეჩუანელი კეთილი ადამიანი''), დედა (ნ. დუმბაძის ,,მზიანი ღამე'', ,,საბრალდებო დასკვნა''), ანტიგონე, მედეა (ჟ. ანუი ,,ანტიგონე'', ,,მედეა''), ფედრა (ჟ. რასინის ,,ფედრა''), პორცია, კლეოპატრა (უ. შექსპირის ,,იულიუს კეისარი'', ,,ანტონიოსი და კლეოპატრა''), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), იოკასტე (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), პენელოპე (ა. ვალიეხოს ,,ოცნება'') და სხვ. 1990 მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა დმანისის თეატრი-სტუდია ,,ქვემო ქართლი''.

ა. იყო დიდი შესაძლებლობების, ემოციური, ფართო დიაპაზონის მსახიობი, გამოირჩეოდა დახვეწილი მხატვრული სასცენო მეტყველებითა და პლასტიკით. შესრულებული აქვს რამდენიმე კინოროლი: ეფემია (,,დათა თუთაშხია'', 1978), გულქანი (,,ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა'', 1984), ფარნაოზის დედა (,,გათენების წინ'', 1971) და სხვ. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999). გამოაქვეყნა წიგნი ,,ჩემი ანტიგონე'' (თბ., 2003).

ლიტ.: გეგეჭკორი მ., ზინა კვერენჭხილაძე, თბ., 1986; მეტრეველი ს., ტრაგიკული ტალანტი, თბ., 2012.

კვერენჭხილაძე რევაზ გენადის ძე (დ. 20. I. 1948, სოფ. ხორეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), ჰიგიენისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1997), საქართვ. პროფილაქტიკური მედ. მეცნ. აკად. (1994), ეკოლოგიისა და ცხოველმყოფელობის უსაფრთხოების მეცნიერებათა საერთაშ. აკადემიების ნამდვ. წევრი (2002). 1971 დაამთავრა თსსი და მუშაობა დაიწყო ნ. მახვილაძის სახ. შრომის, ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1998–2000 იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში, 2002–04 – ნ. მახვილაძის სახ. შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის აღმასრ. დირექტორი.

1973-იდან ჰ. პარალელურად ეწევა პედ. მოღვაწეობას. მუშაობს თსსი-ის (ახლანდ. უნ-ტი) შრომის, ჰიგიენის და პროფ. დაავადებათა კათედრაზე (უფრ. მასწავლებელი, დოცენტი), 1995–2002 იყო კათედრის პროფესორი, 2002–06 – კათედრის გამგე, 2006–09 – გარემოსა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. 2009-იდან დღემდე – გარემოს ჯანმრთელობისა და პროფ. მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

ჰ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, რ-ებიც ეხება გარემოსა

და შრომის მედიცინის აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: შრომის ჰიგიენა, თბ., 2005; ბუნებრივი გარემოს ჰიგიენა, თბ., 2012; ხელოვნური გარემოს ჰიგიენა, თბ., 2014; Труд и здоровье рабочих керамического производства, Тб., 2006; Итоги и перспективы исследований по медицине труда среди рабочих горячих профессий (на примере металлургической промышленности Грузии), Тб., 2009.

კვერენჩხილაძე რევაზ კასიანეს ძე (დ. 5. VIII. 1928, სოფ. ხორეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1952). 1952–2013 მუშაობდა საქართვ. მწერალთა კავშირში, 1960–2005 იყო მწერალთა კავშირის ბ-კის გამგე. 2013-იდან საქართვ. მწერალთა ეროვნ. აკადემიის წევრია. იკვლევს XX ს. სამწერლო გაერთიანება-ორგანიზაციების ისტორიას, მწერალთა ცხოვრებისა და რეპრესიების ამსახველ საკითხებს. აქვეყნებდა სტატიებსა და ნარკვევებს ჟურნალ-გაზეთებში, 2001–07 კითხულობდა მოხსენებებს საავტორო ,,ლიტერატურულ ორშაბათობებზე''. მწერალთა კავშირის ისტორიას ეხება პ-ის წიგნები: ,,საქართველოს მწერალთა კავშირი. 1917–1982'' (1983), ,,XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება'' (2008), ,,ქვიშხეთის ხიბლი'' (2009), ,,XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურები'' (2012). 2010 პ-ს მიენიჭა ,,ქართული კულტურის ამაგდარის'' წოდება, 2012 – ნ. ნიკოლაძის სახ. პრემია; მიღებული აქვს დავით აღმაშენებლის პრემია (2013) ,,ქართული მწერლობის მატიანის'' შედგენისათვის. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: წამების გზა. ორტომეული, თბ., 1999, 2005, 2014; რეპრესირებული ოჯახის ისტორია, თბ., 2006; საბუთები ლაღადებენ, თბ., 2007, 2011; რეპრესირებული პოეზია, თბ., 2013.

კვერენჩხილაძე რომან ილიას ძე (20. VII. 1933, სოფ. ჩოჩხათი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 10. I. 1993, თბილისი), გეოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1981). 1956 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლოგიის ფაკ-ტი ეკონ. გეოგრაფიის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტში. იყო რეგიონალური გეოგრაფიის ლაბორ. ხელმძღვანელი (1979–81), დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1981–91), დირექტორი (1991-იდან).

პ-ის მეცნ. ინტერესების სფეროს წარმოადგენდა საქართველოს ეკონ. და სოც. გეოგრაფია, რეგიონალური გეოგრაფია, ეკონ. დარაიონება, გეოგრ. ისტორია და სხვ. იკვლევდა რაიონთაშორისი კავშირების თეორიულ და რეგიონალურ პრობლემებს. პ. ითვლება ტრანსპ. გეოგრაფიის ფუძემდებლად საქართველოში. მუშაობდა სატრანსპორტო-ეკონ. კავშირების რაციონალიზაციის საკითხებზე.

პ. აქტიურად მონაწილეობდა ინ-ტის ეკონ. გეოგრაფიის განყ-ბის ექსპედიციებში და იყო საქართვ. რეგიონების გეოგრ. პრობლემებისადმი მიძღვნილი 20-მდე მონოგრაფიის თანაავტორი. წლების განმავლობაში იყო საქართვ. განათლების სამინისტროს გეოგრაფიის სამეცნ.-მეთოდური საბჭოს თავ-რე, სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოების თანაავტორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, რ-თა ნაწილი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ (აშშ, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და სხვ.).

პ-ს მიღებული აქვს ა. ჯავახიშვილის სახ. პრემია (1989), ვახუშტი ბაგრატიონის სახ. პრემია (1993; თანაავტორებთან ერთად) მონოგრაფიისათვის ,,თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა''. ,,საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასის'' შედგენაში მონაწილეობისა და რედაქტორობისათვის მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწ. პრემია (1994; გარდაცვალების შემდეგ).

თხზ.: საქართველოს ტრანსპორტი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1986; გ. გეხტმანის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1992; Географические проблемы транспорта Грузии, Тб., 1976.

ლიტ.: ხარაძე კ., გეოგრაფიული მეცნიერების მოამაგე რომან კვერენჩხილაძე, თბ., 2018. *ვ. ხეიძე.*

კვერეხსი, მართლმადიდებელ ეკლესიაში გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული მოკლე ლოცვების წყება, რომელსაც დიაკონი ან მღვდელი კითხულობს, ხოლო ლოცვების თითოეულ მუხლზე გუნდი პასუხობს: „უფალო შეგვიწყალენ“, ზოგიერთ შემთხვევაში – „მოგვმადლენ უფალო“. პ. მოსახსენიებელი ვედრებაა უფლისადმი. არსებობს მისი რამდენიმე სახეობა: მცირე, დიდი, მრჩობლი, თხოვნითი, მშვიდობიანი, მიცვალებულის მოსახსენიებელი. მშვიდობიანი პ. ორნაირია – დიდი, რ-იც 12 თხოვნისაგან შედგება და მცირე, რ-იც მხოლოდ 2 თხოვნას შეიცავს.

კვერთხი, მაღალი ხელისუფლების პირთა რეგალია. დამზადებულია ძვლის, რქის, ხის ან ლითონისაგან. პ., როგორც ინსიგნია (წარმატების ნიშანი), უძველეს დროში შეიქმნა, ხელთ ეპყრათ გვარისა და ტომის ბელადებს და განსაკუთრებული საზ. მდგომარეობის აღმნიშვნელ სიმბოლოს წარმოადგენდა. საბჭენი პ. (ყავარჯენი), საქართველოს მთიანეთში, ხევისბერთა ინსიგნიას წარმოადგენდა და დაცული იყო ხატში. დიდ დღესასწაულებზე იგი დროშებთან ერთად გამოჰქონდათ და საზეიმო ცერემონიალის თუ საკულტო რიტუალის შესრულებისას ხევისბერებს ეპყრათ ხელში. იგი უმაღლესი სას. და საერო ხელისუფლების აღმნიშვნელი ატრიბუტი იყო.



რ. ი. კვერენჩხილაძე.

პ-ის ნაირსახეობაა სკიპტრა – ძვირფასი ლითონისა და სპილოს ძვლის მოჩუქურთმებული და პატიოსანი თვლებით შემკობილი ხელთსაპყრობი, რ-იც სამეფო რეგალიას წარმოადგენდა. პ., საქართველოში, როგორც ხელისუფლების სიმბოლო, ენიჭებოდა ადმ. აპარატის მოხელეს. სახელდობრ, ოქროს პ., ანუ არგანი მანდატურთუხუცესს ეკუთვნოდა, ხოლო რიგით მოხელეებს – მანდატურებსა და ბაზიერებს – ხის არგნები, კომბლები ეჭირათ (ამიტომ მათ ხელარგნოსნებს ან ხელჯოხიანებს უწოდებდნენ). საკუთარი პ. ჰქონდათ ერისთავებსაც. მაგ., სოფ. მურყმელის წმ. ბარბარეს ეკლესიაში დაცულია სვანი ერისთავების სახელისუფლო ემბლემა – ვერცხლის 2 პ. მონარქიისა და ფეოდ. სახელმწ. აპარატის გაუქმებასთან ერთად პრაქტიკულად პ-ც დაიკარგა.

პ., როგორც უმაღლესი სამწყსოს მსახურების სიმბოლო, ხელთ უპყრიათ ეპისკოპოსებს. სამღვდელთმთავრო პ. ორგვარია: განმშვენებული, რ-საც ღვთის მსახურების დროს ხმარობენ, და უფრო სადა პ., რ-საც ეკლესიის გარეთ ატარებენ.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970.

ლიტ.: ჩიტაია გ., სამი ინსიგნია (წარჩინების ნიშანი) ამიერკავკასიიდან, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», 1972, ტ. 16–17.

ი. სურგულაძე.

კვერნა (Martes), ძუძუმწოვრების გვარი კვერნისებრთა ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძე 40–60 *სმ* აღწევს, კუდისა – 20–50 *სმ*. აქვთ წაგრძელებული და მოქნილი სხეული, ფაფუკი და რბილი ბეწვი. ცნობილია 8 სახეობა. გვხვდება ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში. საქართვ. ტერიტორიაზე 2 სახეობაა გავრცელებული: *თეთრგულა კვერნა* (Martes foina) და *ტყის კვერნა* (Martes martes). უმეტესობა ტყეში ცხოვრობს. იკვებებიან პატარა-პატარა ცხოველებით, ხილით, კენკრით.

კვერნაულა, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის არტნის თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1200 *მ*, თიანეთიდან 7 *კმ*. 40 მცხ. (2014).

სოფლის ჩრდ-ით, 2 *კმ*-ზე, ტყეში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ორი დარბაზული ეკლესია და ამავე პერიოდის სწორკუთხა კოშკი. სოფლის სამხრ-ით, 2 *კმ*-ზე, საყდარასგორაზე, დგას ლაშარის დარბაზული ეკლესია, რ-იც ასევე გვიანდ. შუა საუკუნეებით თარიღდება. სოფლის მახლობლად, ჩრდ-ით, გვიანდ. შუა საუკუნეების ორი მცირე ზომის სამლოცველო და XX ს-ში აგებული ორი ნიშია, მ. შ. ერთს ,,ადგილის დედის'' ხატს უწოდებენ, მეორეს კი – კვირიას ხატს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008.



კვერნა.

კვერნაულა, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ღულელების თემში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ერწოს ქვაბულში. ზ. დ. 1050 *მ*, თიანეთიდან 32 *კმ*. 74 მცხ. (2014).

კვერნაქები, კვერნაქის ქედი, კვერნაქის სერი, ბორცვიან-დაბალმთიანი სერი (ქედი) აღმოსავლეთ საქართველოში, ტირიფონ-მუხრანის ვაკეებსა და მტკვრის შუა ხეობას შორის. გადაჭიმულია მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს მდ. საქაშეთისხევიდან მდ. არაგვამდე. საერთო სიგრძე დაახლ. 70 *კმ*, სიგანე 7–8 *კმ*. აგებულია ნეოგენური მოლასური ნალექებით: კონგლომერატებით, ქვიშაქვებით და თიხებით. კ-ს მონოკლინური სტრუქტურა აქვს, მორფოლოგიურად ასიმეტრიულია; სამხრ. კალთა ციცაბოა, ჩრდ. – დამრეცი; გარდიგარდმო გადაკვეთილია მდ-ების ლიახვის, ლეხურისა და ქსნის ხეობებით, რ-ებიც მას ოთხ მონაკვეთად ყოფს. ყველაზე დაბალია დას. კვერნაქები, ანუ რუისის სერი (მაქს. სიმაღლე – 878 *მ*). იგი იწყება მდ. საქაშეთისხევიდან და გრძელდება მდ. ლიახვამდე. მის აღმ-ით მდ. ლეხურამდე ვრცელდება აღმ. კვერნაქები, ანუ საკუთრივ კვერნაქები (მთა კვერნა – 1074 *მ*, მთა ზეგარდა – 1114 *მ*), რ-ის თხემური ზოლის ღრმულში, ზ. დ. 856 *მ*-ზე მდებარეობს ნადარბაზევის ტბა. ამ სერის სამხრ. კალთის ფლატეებსა და ქარაფებშია გამოკვეთილი ხელოვნური გამოქვაბული, ციხე-ქალაქი უფლისციხე. მდებს ლეხურასა და ქსანს შორის კ-ის მონაკვეთს წლევი-თხოთის სერი ეწოდება (მთა წლევი – 1097 *მ*).

კ-ის უკიდურესი აღმ. მონაკვეთი – სხალტბის კუესტური სერი (მთა სხალტბა – 1091 *მ*) – მდ-ებს ქსანსა და არაგვს შორისაა გაწოლილი. სხალტბის ჩრდ. კალთა დამრეცია, სამხრ. კი ციცაბო, განსაკუთრებით ფლატოვანია მდ. არაგვისკენ მიქცეული კალთა და ძეგვსა და მცხეთას შორის მდებარე მონაკვეთი. შიომღვიმის მონასტრის მიდამოებში არის ხელოვნური გამოქვაბულები. კ-სათვის დამახასიათებელია მშრალი ხევებითა და ხრამებით ძლიერ დანაწევრებული და მოვაკებული ზედაპირები. გამკვეთი ხეობებიდან ლეხურის ხეობა ვიწრო და ციცაბოგვერდებიანია, ქსნის ხეობა ფართოა, ხოლო ლიახვის ხეობა – უფრო ფართო, სადაც შემორჩენილია ეროზიული შთენილი ბორცვი გორის ციხით.

კ-ის კლიმატი ზომიერად მშრალი სუბტროპიკულია, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი, მშრალი ზაფხულით. საშ. წლ. ტემპ-რა 9°C, იანვ. საშ. ტემპ-რა –2, –2,5°C, აგვ. 19,5–20°C. ნალექების რაოდენობა წელიწადში – 475–593 *მმ*.

კ-ის კალთებზე, ტყის ყავისფერ ნიადაგებზე, ხარობს ძეძვი, შავჯაგა, ქონდარა ნუში, ჯაგრცხილა. ჯაგეკლიან ბუჩქებს შორის იზრდება ბალახეულობა: ურო, ველის წივანა, ვაციწვერა და სხვ. ჩრდ. კალთის ტყის ყავისფერ და ნაწილობრივ ყომრალ ნიადაგებზე, აღმ. ნაწილში ჯაგრცხილნარი და მუხნარ-რცხილნარი ტყეებია, ყველაზე მაღალ ადგილებში გვხვდება წიფელიც. ფლატეებზე, კლდოვან და ღორღიან ადგილებში, ძლიერ ჩამორეცხილ ნიადაგებზე იზრდება გლერძი, შავჯაგა და სხვ. კ-ის სამხრ. კალთაზე მცხეთასა და ძეგვს შორის გვხვდება არიდული ნათელი ტყე, რ-ის შემადგენელი ჯიშებია: ღვია, საკმლის ხე, აკაკი, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა, თრიმლი; შიომღვიმის მიდამოებში არის ქართული მუხის, ჯაგრცხილისა და შინდის ტყე, ზოგან მდ-ების ხეობებში კი – ტუგაის (ჭალის) ტყე. *დ. უკლება.*

კვერნაძე ბიძინა (ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე (29. VII. 1928, სიღნაღი, – 8. VII. 2010, თბილისი), კომპოზიტორი და პედაგოგი. საქართვ. სახალხო არტისტი (1979), ზ. ფალიაშვილის სახ. (1981) და შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1985) პრემიების ლაურეატი. 1953 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ა. ბალანჩივაძის კლასი), 1963–2010 იყო კონსერვატორიის პედაგოგი (სპეც. კომპოზიციის კლასი), 1980-იდან – პროფესორი, 1996–2007 – კომპოზიციის კათედრის გამგე.



ბ. კვერნაძე როიალთან.

კ-ის რჩეული ნაწარმოებებია: ოპერები – ,,და იყო მერვესა წელსა'' (თბილისი, 1983), ,,მედეა'' (ქუთაისი, 1993, გადამუშავებული რედაქცია სახელწ. ,,კოლხთა ასული'', დაიდგა თბილისში, 1997); ბალეტები – ,,ქორეოგრაფიული ნოველები'' (1963, ლ. გუდიაშვილის მოტივებზე, დაიდგა 1964) და ,,ბერიკაობა'' (1973, ორივე თბილისში), სიმფონია (1961), ,,ცეკვა-ფანტაზია'' ორკესტრისათვის (1959), ,,ძველი ქართული წარწერები'' სოლისტისა და სიმფ. ორკესტრისათვის (1978), ვოკალურ-სიმფ. პოემა (ე. თათარაიძის ლექსებზე, 1979), ,,რჩება სიმღერის ხმა'' – სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის (2008), 2 საფორტეპიანო (1950, 1966) და სავიოლინო (1957) კონცერტი. კ. მრავალი საესტრადო სიმღერის ავტორია, მასვე ეკუთვნის მუსიკა 30-ზე მეტი კინოფილმისათვის (მ. შ. მრავალსერიანი ფილმისათვის ,,დათა თუთაშხია'', 1978, ჯ. *კახიძესთან* ერთად). გაფორმებული აქვს დრამ. სპექტაკლები (,,ჭინჭრაქა'', ,,ყვარყვარე თუთაბერი'', ,,მე ვხედავ მზეს'', ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'' და სხვ.).

ჰ. თანამედროვე ქართ. მუსიკის გამოჩენილი წარმომადგენელია. მისი მუსიკა გამოირჩევა მკაფიო ინდივიდუალობითა და არტისტული ხიბლით.

ჰ. იყო თბილისისა (1996) და სიღნაღის (2008) საპატიო მოქალაქე. მისი ვარსკვლავი გაიხსნა თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ (2003). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. *გ. ტორაძე.*

კვერნაძე ერისტო გრიგოლის ძე (დ. 21. I. 1950, სოფ. მაღლაკი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), პოლიციის გენერალ-მაიორი (1999), საქართვ. შსს დამსახურებული მუშაკი (2001). დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ჩადენილ ორგანიზებულ და სხვა სახის დანაშაულთან ბრძოლის საკოორდინაციო ბიუროს საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი – მთ. ინსპექტორი (1996). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1998).

ლიტ.: დოლიძე ლ., გენერლები საქართველოდან, თბ., 2003.

ლ. დოლიძე.

კვერნაძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ლიტ. ფსევდონიმი – ნიკო გერგესელი (VI. 1893, სამტრედია, – VIII. 1924, თბილისი), მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, 1921–24 საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე, 1913-იდან საქართვ. სოც.-დემოკრ. (მენშევიკური) პარტიის წევრი. 1912 დაამთავრა ქუთაისის ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია. 1918–23 აქტ. თანამშრომლობდა ქართ. პერიოდულ პრესასთან. აქვეყნებდა ნარკვევებს, მცირე ესკიზებს და დრამებს. 1923 თბილისში გამოსცა სამმოქმედებიანი დრამა ,,ნიღაბქვეშ''. მასვე ეკუთვნის სამმოქმედებიანი პიესა ,,დიდების მემკვიდრენი'', რ-იც დაკარგულად ითვლება.

საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის (1918–21) საბჭ. რუსეთის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის (1921 თებ.–მარტი) შემდეგ (1922–23) იყო საქართველოს *დამოუკიდებლობის კომიტეტის* რწმუნებული. 1923 დამლევს საქართვ. სსრ ,,საგანგებო კომისიამ'' (ე. წ. ,,ჩეკა'') დააპატიმრა. მეტეხის ციხეში განაგრძობდა აქტ. პოლიტ. მოღვაწეობას. შექმნა მწერალთა ფარული ორგანიზაცია, რ-მაც მისი რედაქტორობით 1923–24 გამოსცა ხელნაწერი ლიტ.-პოლიტ. ჟურნ. ,,მეტეხის'' 5 ნომერი (ამჟამად დაკარგულად ითვლება). 1924 აგვისტოში თბილისში ,,საგანგებო კომისიის'' გადაწყვეტილებით ჰ. დახვრიტეს.

ლიტ.: მანწკავა ის., ნიკო გერგესელი, «კავკასიონი», წგ. 4, პარიზი, 1930.

ლ. ურუშაძე.

კვერნაძე შალვა იპოლიტეს ძე (5. VIII. 1930, სოფ. მაღლაკი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 3. XII. 2006, ბათუმი), მხატვარი-კერამიკოსი. აჭარის არის დამს. მხატვარი. 1949–58 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში გამოყენებითი ხელოვნების ფაკ-ტზე (პედაგოგი – რ. იაშვილი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1958-იდან. ძირითადი ნამუშევრები: ჩაის, კონიაკის, წყლის სერვიზები, ლარნაკები, დეკორ. თეფშები, ჭაღების ესკიზები. გრაფიკა: ,,მედეა'', ,,სადღეგრძელო'', ,,1941–45 წლები'', ,,ორი სამკუთხედი'', ,,ომის საშინელება''. მონაწილეობდა გამოფენებში (ბათუმი, თბილისი, მოსკოვი). მისი ნამუშევრები დაცულია აჭარის მხატვართა ფონდში. 1970-იდან წლების განმავლობაში პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ბათუმის ბავშვთა სამხატვრო სკოლაში.

კვერნაძე ციალა გრიგოლის ასული (დ. 26. VI. 1937, თბილისი), პიანისტი და პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1967), პ. ჩაიკოვსკის სახ. II საერთაშ. (მოსკოვი, 1962) და ლისაბონის საერთაშ. (1964) კონკურსების, აგრეთვე არაერთი საკავშ. კონკურსის ლაურეატი. 1955 დაამთავრა თბილ. ნიჭიერთა ათწლედი (პედაგოგები: ა. *ვირსალაძე*, მ. ევთიშვილი; ფორტეპიანო), 1961 – პ. ჩაიკოვსკის სახ. მოსკოვის სახელმწ. კონსერვატორიის საფორტეპიანო განყ-ბა (ხელმძღვ. – ი. მილშტეინი, ი. ზაკი), 1964 – ამავე კონსერვატორიის ასპირანტურა (პედ. ი. ზაკი). 1964–65 იყო მოსკოვის იპოლიტოვ-ივანოვის სახ. მუს. სასწავლებლის პედაგოგი (ფორტეპიანო), 1967–90 – ,,მოსკონცერტის'' სოლისტი. ჰ-ის, როგორც შემსრულებლის, რეპერტუარი მუსიკის ფართო სპექტრს მოიცავს (ი. ს. ბახიდან დ. შოსტაკოვიჩის ჩათვლით). მევიოლინე ი. მიხლინთან ერთად ასრულებდა ლ. ვ. ბეთჰოვენის, ც. ფრანკის, ბ. ბარტოკის, ბ. მარტინუს, ნ. მეტნერის და სხვა კომპოზიტორების სონატებს, მოცარტ-ბუზონის უვერტიურას 2 ფორტეპიანოსათვის ოპერა ,,ჯადოსნური ფლეიტიდან'' (ე. ვირსალაძესთან ერთად) და ი. მენდელსონის კონცერტს ვიოლინოს, ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის (ა. მიხლინთან ერთად) – ორივე თელავის ფესტივალზე ,,ქება ვაზისა'' (1988).

ჰ-ის შესრულება აღინიშნება გამორჩეული ტექნიკით, არტისტული ტემპერამენტით, ფორმის ლოგიკური გააზრებითა და ფაქიზი ფრაზირებით. გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მ. შ. სსრკ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, კუბა, ირანი. *მ. ჯაფარიძე.*

კვერნეთი, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ძარის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდინარეების, დიდი ლიახვისა და აღმ. ფრონის წყალგამყოფი ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1040 *მ.*

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კვერცხი, მასის ერთეული XVIII–XIX სს. საქართველოში. *ლიტრის* 1/60. ჰ-ის მასა ჩვეულებრივ დაკავშირებული იყო ქათმის კვერცხის მასასთან და დაახლ. 50–60 გ შეადგენდა.

კვესეთი, სოფელი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ვაკის რ-ნი). 2007-მდე შედიოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს საყარაულოს ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ვერის ხეობაში. ზ. დ. 1160 *მ.*

ჰ-ის მიდამოებში, მდ. ვერის მარჯვ. მხარეს, მდებარეობს ბეთანიის მონასტერი, რ-ის მთავარი ნაგებობაა XII–XIII სს. მიჯნაზე აგებული ღვთისმშობლის შობის ტაძარი *ბეთანია.*

კვესელავა დავით ალექსანდრეს ძე (25. VIII. 1911, სოფ. ლეციცხვაიე, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 6. XI. 1978, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1954), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა თსუ (1936). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი ცენტრის (ამჟამად ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტი) დირექტორი (1956–78). ჰ-ს შრომები ეხება კონფორმულ ასახვათა მიახლოებით მეთოდებს, ანალიზურ ფუნქციათა



მ. კვესელავა.



გ. კვესიტაძე.

სასაზღვრო ამოცანებსა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებს. წლების განმავლობაში ეწეოდა პედ. საქმიანობას თსუ-ში. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: კომპლექსური ცვლადის ფუნქციები, თბ., 1966; Сингулярные интегральные уравнения с ядрами типа Коши на разомкнутых контурах, «Труды Тбилисского математического ин-та им. А. Размадзе», 1941, т. 9 (თანაავტ. Н. И. Мусхелишвили).

ლიტ.: ებანოიძე თ., წერილები ქართველ მათემატიკოსებზე, თბ., 1981. *თ. ებანოიძე.*

კვესელავა მიხეილ ალექსანდრეს ძე (27. V. 1913, თბილისი, – 5. XII. 1981, იქვე), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1976). 1936 დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენებისა და ლიტრის ფაკ-ტი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). 1946-იდან კითხულობდა ლექციებს თსუ-ში. სხვადასხვა დროს იყო კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' დირექტორი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტ. ურთიერთობის საზ-ბის პრეზიდიუმის თავრე, უცხო ენათა პედ. ინ-ტის დირექტორი. ჰ. ავტორია მონოგრაფიებისა: ,,ბულგარული ლიტერატურა'' (1953) და ,,ადამ მიცკევიჩი'' (1965). მისი ორტომიანი ,,ფაუსტური პარადიგმები'' (1961) დას. ევრ. ლიტ. აზროვნების ფართო პანორამის შემქმნელი გამოკვლევაა. როგორც თარჯიმანი, გერმანული ენის შესანიშნავი მცოდნე, მონაწილეობდა ქ. ნიურნბერგში მთავარ სამხ. დამნაშავეთა გასამართლების პროცესში (1945–46), რაც აისახა მის ტრილოგიაში ,,ას ერგასის დღე'' (,,თემიდას თვალები'', 1967; ,,ევროპის მოტაცება'', 1970; ,,ნემეზიდას მახვილი'', 1971), რ-იც II მსოფლიო ომის თემაზე დაწერილი კულტ.-ფილოს. და ისტ.-ლიტ. განზოგადებით მდიდარი ნაშრომია. მასვე ეკუთვნის მონოგრაფია ,,პოეტური ინტეგრალები'' (1977), რ-შიც გ. ტაბიძის პოეზიის ძირითადი ტენდენციები დას. ევროპის პოეტური აზროვნების მასშტაბშია განხილული. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: ნიურნბერგის პროცესი, თბ., 2017. *ნ. ყიასაშვილი.*

კვესიტაძე გიორგი ივანეს ძე (დ. 30. V. 1942, თბილისი), ბიოტექნოლოგი, ბიოქიმიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. პრეზიდენტი (2013-იდან). საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. – 1983), ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1980), პროფესორი (1984).

დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი (1964). მოსკ. მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტში გაიარა სალექციო და პრაქტიკული კურსი ბიოქიმიაში, მოლეკულურ ბიოლოგიაში, ენზიმოლოგიასა და მცენარეთა ფიზიოლოგიაში (1966–69). სამეცნ. მოღვაწეობა დაიწყო რუს. მეცნ. აკად. ა. ბახის სახ. ბიოქიმ. ინ-ტში (1966–69). საქართვ. მეცნ. აკად. მცენარეთა ბიოქიმ. ინ-ტის (1968-იდან – ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმ. და ბიოტექნოლ. ინ-ტი) ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1971–83) და ინ-ტის დირექტორი (1987–2008 და 2013-იდან დღემდე). სტუ-ის ბიოტექნოლ. კათედრის დამაარსებელი და გამგე (2012-იდან – იქვე ბიოქიმ. და ბიოტექნოლ. ცენტრის დირექტორი); საქართვ. რესპ. სოფ. მეურნ. და სურსათის მინისტრი (1992–94); საქართვ. სახელმწ. მეთაურის მრჩეველი მეცნ. და ეკოლ. დარგში (1994–98); საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. ბიოლ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (2003–13); თსუ-ის, სტუ-ის, საქართვ. აგრარული უნ-ტის მიწვეული პროფესორი (1972–2010). 2011-იდან საქართვ. აგრარული უნ-ტის პროფესორია.

ჰ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ექსტრემოფილური მიკროორგანიზმების სტაბილური ფერმენტების ფუნქციური და სტრუქტურულ-კინეტიკური შესწავლა; მცენარეებსა და მიკროორგანიზმებზე დაფუძნებული ეკოლოგიური ბიოტექნოლოგიების დამუშავება; კავკასიის ბიომრავალფეროვნების შესწავლა, მიკროორგანიზმების, მ. შ. მათი ექსტრემოფილური ფორმების კოლექციების შექმნა, შემდგომი სელექცია და სამრეწველო მნიშვნელობის მქონე სტაბილური ფერმენტების (ამილაზები, ცელულაზები, პროტეაზები, ლიპაზები და სხვ.) პროდუცენტების სელექცია; მიკრობული ჰიდროლიზური ფერმენტების იმობილიზების ეფექტური მეთოდების შემუშავება და მათი გამოყენების სფეროები; ლიგნოცელულოზური და სახამებლის შემცველი დისუბსტრატების (მ. შ. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ნარჩენების) განახლება და ფერმენტული ჰიდროლიზი; ახალი თაობის ლიგნოცელულოზის დამშლელი ფერმენტები. ჰ-მ დააარსა საქართველოში პირველი და ერთადერთი სამრეწვ. ბიოტექ. ქ-ნა ,,ბიოტექი''; დანერგა ალფა-ამილაზა თბილ. საფუვრის ქ-ნაში (1972); ჰ-ის ტექნოლოგიები დაინერგა ქ. ოლაინეს ბიოპრეპარატების ქ-ნაში (რიგა, ლატვია, 1970). შეისწავლა მიკროორგანიზმებისა და მცენარეების მიერ გარემოს დამაბინძურებელი ორგანული ტოქსიკური ნაერთების შთანთქმა და გარდაქმნა, ამ კვლევების საფუძველზე დამუშავებულია გარემოს დაცვის ახალი გლობალური კონცეფცია – ბიო- და ფიტორემედიაციული ტექნოლოგიები.

ჰ. არის საქართვ. და საერთაშ. სამეცნ. გამოცემების (,,Fresenius Environmental Bulletin'', ,,Ecotoxicology and Environmental Safety'', ,,Journal of Biological Physics and Chemistry''); რუსეთის მეცნ. აკადემიის ჟურნალების (,,Биохимия и Прикладная Биохимия'' და ,,Микробиология''); დონის ტექნიკური უნ-ტის ჟურნ. ,,Almanach of Black Sea Region Countries'' რედკოლეგიის წევრი და სხვ.; საქართვ. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის ჟურნ. ,,მოამბის'' მთ. რედაქტორი.

ჰ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 9 მონოგრაფიის, აგრეთვე საერთაშ. – 3, სსრკ – 46 და საქართვ. 15 პატენტის ავტორია.

ჰ. არის მეცნ., განათლების, მრეწვ. და ხელოვნ. საერთაშ. აკად. (კალიფორნია, აშშ, 1995), ევროპის მეცნ. და ხელოვნ. აკად. (2013), მსოფლიო ხელოვნ. და მეცნ. აკად. (2013), რუმინელ მეცნიერთა აკად. უცხოელი წევრი (2016); ნატოსთან ასოცირებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების საბჭოს (NATO Life Sciences Panel. 1999–2001), ევროპის ბიოტექნოლოგთა ფედერაციისა და ევროპის მიკრობიოლოგთა საზ-ბის (2004), გარემოს დაცვის და მეცნ. ასოციაციის (AEHS, 2005–06) წევრი; მრავალი საერთაშ. უნ-ტის საპატიო დოქტორი და მიწვეული პროფესორი – პენსილვანიის უნ-ტი, ფილადელფია (აშშ, 1975–76); ლეჰაის უნ-ტი (აშშ, 1983–84); მაქს პლანკის ბიოქიმიის ინ-ტი (გერმანია, 1986); მიუნხენის ტექ. უნ-ტი (გერმანია, 1987–88) და სხვ. დაჯილდოებულია ,,ჰეიდარ ალიევის მედლით'' (2014), ასევე სამახსოვრო მედლით რუმინელ მეცნიერთა აკადემიასთან ნაყოფიერი თანამშ-

რომლობისთვის (2015). დაჯილდოებულია მოლდოვას მეცნ. აკად. მედლით (2017). ჩინეთის შანდონის პროვინციის სახ. მთავრობის მეგობრობის პრემიის ლაურეატი (2017).

ჯორჯიას შტატის (აშშ; 2006) და თბილისის საპატიო მოქალაქე (2016).

თხზ.: პრაქტიკული ენზიმოლოგია, თბ., 1975 (თანაავტ.); ბიოტექნოლოგია, თბ., 1999 (თანაავტ. ე. კვესიტაძე); ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები, თბ., 2000 (თანაავტ.); Амилазы плесневых грибов и бактерий, Тб., 1984; Ферменты микроорганизмов, живущих в экстремальных условиях, Баховские чтения XLII, АН СССР, М., 1990; Введение в биотехнологию, М., 2002 (თანაავტ. А. М. Безбородов); Детоксикация антропогенных токсикантов в высших растениях, М., 2005 (თანაავტ.: Г. Хатисашвили, Т. Садунишвили); Метаболизм антропогенных токсикантов в высших растениях, М., 2007; Микробиологический синтез, СПб., 2011 (თანაავტ. А. М. Безбородов); Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants-Basis of Phytoremediation, Berlin, Heidelberg, 2006 (თანაავტ.: G. Khatisashvili, T. Sadunishvili, J. J. Ramsden); Degradation of anthropogenic contaminants by higher plants, In: Complexity and Security. J. J. Ramsden and P. J. Kervalishvili (Editors), Amsterdam, Berlin, Oxford, Tokyo, Wash., D. C., 2008 (თანაავტ. E. Kvesitadze); Metabolism of contaminants in plants and microorganisms, In: Dharmendra Kumar Gupta, Clemens Walther (Editors): Radionuclide Contamination and Remediation Through Plants, Dordrecht, 2014 (თანაავტ.: G. Khatisashvili, T. Sadunishvili); The Science, Religion and Culture of Georgia. A Concise and Illustrated History. Caucasus Region Political, Economic and Security Issues, N. Y., 2017 (თანაავტ. R. Shengelia).

მ. გორდეზიანი.

კვესიტაძე ედიშერ გიორგის ძე (დ. 8. VII. 1962, თბილისი), ინჟინერ-ქიმიკოსი, ბიოქიმიკოსი, ბიოტექნოლოგი. ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996). დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. ნატიფ ქიმიურ ნაერთთა ტექნოლოგიის ინ-ტი (1986). სამეცნიერო კვლევა დაიწყო რუსეთის მეცნ. აკადემიის ა. ბახის სახ. ბიოქიმიის ინ-ტში (1986–89). ლეჰაის უნ-ტის (აშშ) მიწვეული პროფესორი (1983–84). გაიარა პოსტდოქტურანტურა ფინეთის სამეცნ. ტექნიკურ ცენტრსა (Espoo, 1990) და შეფილდის ჰალამის უნ-ტში (ინგლისი, 1991–93). იყო საქართვ. მეცნ. აკად. მცენარეთა ბიოქიმ. ინ-ტის თანამშრომელი (1985–94), ცილის კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1994–99), სტუ-ის ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგე (1995–2007) და სრული პროფესორი (2008). საქართვ. აგრარული უნ-ტის ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმ. და ბიოტექნოლ. ინ-ტის დირექტორი (2008–12).

პ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა: გამოყენებითი ენზიმოლოგია; გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები; მიკრობული ტექნოლოგიები; მიკრობული მრავალფეროვნების გამოყენება ახ. ბიოტექნოლოგიებში; ექსტრემალურ პირობებში მზარდი მიკროორგანიზმების სტაბილური ფერმენტები (ამილაზები, ცელულაზები, პროტეაზები, პექტინაზები, ლიპაზები); მიკროორგანიზმებსა და მათ ფერმენტებზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიების დამუშავება; მიკროორგანიზმებისა და მცენარეების უნარის შესწავლა, მოახდინოს გარემოს დამაბინძურებელი ორგანული ნაერთების და მძიმე მეტალების შეთვისება; მცენარეთა ბაქტერიული დაავადებების ბიოლოგიური კონტროლი.

პ. არის ევროპის ბიოტექნოლოგიური, მიკრობიოლოგთა და ბიოქიმიკოსთა საზ-ბების წევრი; მრავალი სამეცნ. ნაშრომის, ასევე საქართველოში სამი პატენტის ავტორი.

თხზ.: ბიოტექნოლოგია, თბ., 1999 (თანაავტ. გ. კვესიტაძე); Ecological Potential of Plants. Chapter 11, In: Advanced Bioactive Compounds Countering the Effects of Radiological, Chemical and Biological Agents. Strategies to Counter Biological Damage. Ed. Grant N. Pierce, V. I. Mizin, A. Omelchenko, Berlin, 2012 (თანაავტ.: G. Kvesitadze, T. Sadunishvili); Industrial Engineering, In.: Text Book. Current Applications of Biotechnology, Kayseri, 2015 (თანაავტ. G. Kvesitadze, T. Urushadze, T. Sadunishvili); Plants for Remediation: Uptake, Translocation and Transformation of Organic Pollutants, In: M. Ozturk et al. (Eds.): Plants, Pollutants and Remediations, Springer, Dordrecht, 2015 (თანაავტ.: G. R. Kvesitadze, T. Urushadze, T. Sadunishvili).

მ. გორდეზიანი.

კვესიტაძე ივანე ფილიპეს ძე (6. VI. 1902, სოფ. რკვია, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 8. III. 1966, თბილისი), ვეტერინარი ექიმი. ვეტ. მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. ვეტ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1948). 1932 დაამთავრა ქ. ერევნის სავეტერინარო ინ-ტი. სხვადასხვა დროს პ. იყო საქართვ. ექსპერ. ვეტ. და საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტებში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენის დაავადებათა შემსწავლელი, ასევე ეპიზოოტოლოგიური განყ-ბებისა და ეპიზოოტოლოგიის კათედრის გამგე. 1939–44 მუშაობდა საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სავეტერინარო სამმართველოს უფროსად. 1944–48 იყო სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, 1949–56 – ზოოტექ.-სავეტერინარო, ხოლო 1946–56 – მეცხოველეობის და ვეტ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტების დირექტორი.

პ-ის სამეცნ. შრომები ეძღვნება სას.-სამ. ცხოველთა ინფექციური დაავადებების შესწავლის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავების პრობლემებს. პ-მ, სსრკ-ში პირველად (თანაავტორებთან ერთად), შეისწავლა და წარმოებაში დანერგა ბაქტერიოფაგი, როგორც ხბოების პარატიფისა და კოლიბაქტერიოზის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება. ამ პერიოდში პ. თანამშრომლობდა რ. კოხის ლაბორატორიასთან. XX ს. 40-იანი წლების ბოლოს, პ-მ შექმნა ნახევრად თხიერი ფორმოლვაქცინა, რ-იც წარმატებით გამოიყენეს იმ დროისათვის საქართველოში გავრცელებული ცხვრის ინფექციური აგალაქტიის წინააღმდეგ. პ. ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. მან, თანაავტორებთან ერთად, გამოსცა ეპიზოოტოლოგიის (1951) და კერძო ეპიზოოტოლოგიის (1960) სახელმძღვანელოები.პ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



ი. კვესიტაძე.

ლიტ.: კაპანაძე კ., წულაია ჯ., ვეტერინარიის ფუძემდებლები საქართველოში და მათი მომდევნო თაობა, თბ., 1997.

თ. ყურაშვილი.

კვესრევი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორითის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. ძირულის ხეობაში. ზ. დ. 440 *მ*, ხარაგაულიდან 28 *კმ*. 46 მცხ. (2014).

კვეტერა, კ უ ე ტ ე რ ა, ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში, მდ. ილტოს ნაპირზე, ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელ მაგისტრალზე (ახმეტის მუნიციპალიტეტი), კახეთის სამთავროს (შემდეგ სამეფოს) ერთ-ერთი ცენტრი. წყაროებში პირველად XI ს. შუა წლებიდან იხსენიება, თუმცა, ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) მიხედვით, ჯერ კიდევ VIII ს-ში არსებობდა. ჩატარებული არქეოლ. კვლევა-ძიება ადასტურებს ამ ვერსიას.

პ-ის გრანდიოზული ნანგრევები მაღალ მთაზეა, გარს არტყია რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები მძლავრი გალავანი, რ-ის კედლებში დატანებულია კონტრფორსები, მრგვალი და ოთხკუთხა კოშკები. ციხესიმაგრის ჩრდ.-აღმ. მხარეს, ყველაზე მაღალ ადგილზე, აკროპოლისია, რ-შიც განლაგებულია სასახლე და ეკლესია. გეგმით ჯვრისებრი ეკლესია X ს. I ნახ.

მიეკუთვნება. იგი, როგორც ჩანს, მეფის კარის ეკლესიად იყო გათვალისწინებული. ხუროთმოძღვარს ყოველგვარი მორთულობისა და ჩუქურთმების გარეშე შეუქმნია კომპოზიციურად მომხიბლავი არქიტ. ნაგებობა. ეკლესიის ყოველი მკლავი დასრულებულია აფსიდებით, რ-თა შორის მოთავსებულია ნიშები. ცენტრ. კვადრატზე აღმართულია მრგვალ ყელზე დაყრდნობილი გუმბათი.

1968 პ-ის ტერიტორიაზე არქეოლ. გათხრები ჩაატარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის კახეთის შუა საუკუნეთა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე). იმავე წელს საქართვ. კულტურის სამინისტროს სპეც. სამეცნ.-სარესტავრაციო საწარმო სახელოსნომ (არქიტ. თ. თორთლაძე, კონსულტანტი ლ. რჩეულიშვილი) დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები, რ-იც რამდენიმე წელს მიმდინარეობდა.



კვიდო.

ციხის სამხრ.-აღმ. კუთხეში გათხრებით გამოვლინდა ადრეული შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიის ნაშთი, რ-ის აფსიდზე დაშენებული ყოფილა IX–X სს. მძლავრი ზღუდე, აგრეთვე ადრეული შუა საუკუნეების მიწურულის თიხის ჭურჭლის ნატეხები. გარდა ამისა გაიწმინდა და გაითხარა კარის საყდარი, ერისთავის ორსართულიანი ბუხრიანი სასახლის ნანგრევები, შიდა ციხის წყალსაცავი (ცისტერნა), ქვედა კარიბჭე და იქვე მდგარი რვაწახნაგოვანი კოშკი, გაიჭრა საცდელი თხრილები.

გათხრების დროს დიდი რაოდენობით აღმოჩნდა IX–XIII სს. მოუჭიქავი და მოჭიქული თიხის ჭურჭელი, მოჭიქული კრამიტი, ფაიანსისა და მინის ჭურჭლის ნატეხები და სხვ. საწარმო წუნი, ნახევარფაბრიკატები, ქურის ნაწილები და ზოგიერთი ჭურჭლის თავისებურება მოწმობს, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში პ-ს საკუთარი სამეურნეო წარმოება ჰქონდა. მასალა ინახება არქეოლ. კვლევის ცენტრის დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში.

ლიტ.: კვეტერა, საქართველოს სულიერი საგანძური, წგ. 1, თბ., 2005; ლომთათიძე გ., რამიშვილი რ., პირველი არქეოლოგიური კამპანია კვეტერაში, XVIII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები, თბ., 1969 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი); საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013; Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Полихромная керамика из раскопок в Кветера и Хорнабуджи (Восточная Грузия), Международный I Симпозиум по проблеме „Полихромная поливная керамика Закавказья. – Истоки и пути распространения“. Тезисы, Тб., 1985 (Центр археологических исследований Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили); Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

რ. რამიშვილი. დ. მუსხელიშვილი. მ. საღარაძე. ბ. ჯორბენაძე.

კვეტერის საერისთავო, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში. სავარაუდოდ, მოიცავდა მდ. ილტოს ხეობას. ცენტრს წარმოადგენდა კვეტერის ციხე-ქალაქი (საერისთავოს სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს). საერისთავო შეიქმნა 1014-ის შემდეგ, როდესაც კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდმა ადმ. რეფორმა განახორციელა და სამეფო დაყო შვიდ საერისთავოდ. მათ შორის ერთ-ერთი პ. ს. იყო. ერისთავთა ვინაობა უცნობია. საერისთავოს უნდა ეარსება XII ს. დასაწყისამდე, სანამ დავით IV აღმაშენებელმა კვლავ არ შემოიერთა კახეთ-ჰერეთი და არსებული საერისთავოების ნაცვლად აღადგინა კახეთისა და ჰერეთის საერისთავოები.

წყარო: ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.

მ. ბახტაძე.

კვეშლევი, მთა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. იხ. *ველტყევი.*

კვიახიძეები, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის დღვანის თემში (აჭარის არ), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1280 *მ*, შუახევიდან 17 *კმ*. 157 მცხ. (2014).

კვიდო (Ligustrum), ფოთოლმცვივანი ან მარადმწვანე ბუჩქების (იშვიათად ხეების) გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა. ცნობილია 40-მდე სახეობა. საქართველოში ბუნებრივად იზრდება მხოლოდ ჩვეულებრივი პ. (L. vulgare), რ-იც ფოთოლმცვივანია. მისი სიმაღლე 2–5 *მ* აღწევს. აქვს სურნელოვანი და თაფლოვანი ყვავილები. ყვავილობს მაის-ივნისში. ნაყოფი შავია, მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში და ხეზე მთელი ზამთარი რჩება. ფართოდაა გავრცელებული მთელ ტყიან საქართველოში. ველურად იზრდება ყირიმსა და კავკასიაში, სამხრ. და დას. ევროპაში, ჩრდ. აფრიკასა და მცირე აზიაში. დეკორატიულია. კრეჭას კარგად იტანს, ქმნის მჭიდრო და ლამაზ ცოცხალ ღობეს. იყენებენ მინდორსაცავი ზოლების გასაშენებლად. ნაყოფის გადამუშავების შედეგად მიიღება შავი, მწვანე და სხვა ფერის საღებავი. *მ. იმედაძე.*

კვიკვიძე ირაკლი სამსონის ძე [9 (22). III. 1902, სოფ. ბაჯი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 2. IV. 1951, სარატოვი, რფ], ინჟინერ-გეოლოგი. 1935 დაამთავრა ტექ. განათლების საკავშ. ინ-ტი. 1946 ვოლგისპირეთში დევონური ასაკის ნავთობის საბადოების აღმოჩენაში მონაწილეობისათვის (სხვა სპეციალისტებთან ერთად) მიენიჭა სტალინური პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ვ. ჯავრიშვილი.*

კვინიკაძე გიორგი ლევანის ძე (დ. 3. I. 1946, სოფ. წაღვლი, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი, – 25. IX. 2018, თბილისი), გენერალ-მაიორი (1996). 1965—91 მსახურობდა სსრკ, ხოლო 1992–98 საქართვ. შეიარაღებულ ძალებში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვის პუნქტის განყ-ბის უფროსი (1992–93). საქართვ. ჰაერსაწინაღო თავდაცვის ჯგარების უფროსი, სარდლის მოვალეობის შემსრულებელი (1993–95), სარდალი (1995–98). 1998-იდან დაითხოვეს სამხ. სამსახურიდან. 1998–2018 მუშაობდა საქართვ. სამოქალაქო ავიაციაში. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1995).

ლ. დოლიძე.

კვინიკაძე მურმან სოლომონის ძე (დ. 10. VIII. 1940, ქ. ზესტაფონი), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (2006), საქართვ. საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (2011). 1966 დაამთავრა ყაზანის სახელმწ. უნ-ტის გეოლ. ფაკ-ტი. 1966–68 მუშაობდა იაკუტიის (რფ) ცენტრალურ გეოლ.-აგეგმვით და საძიებო ექსპედიციაში გეოლოგად (სამუშაოები ტარდებოდა პოლარული ხაზის ჩრდ-ით, ვერხოიანსკის მთებში), 1968–71 – საქართვ. გეოლ. სამმართველოს ექსპედიციაში გეოლოგისა და უფრ. გეოლოგის თანამდებობებზე, 1973–84 – ა. თვალჭრელიძის კავკ. მინერ. ნედლეულის ინ-ტის გეოლ.-მეთოდურ ექსპედიციაში, იყო პარ-

ტიის უფრ. გეოლოგი, მთავარი გეოლოგი, წამყვანი მეცნიერი მუშაკი.

1985–88 პ. ალჟირის სახალხო რესპუბლიკის გეოლ. დეპარტამენტის უფრ. გეოლოგ-კონსულტანტია (სამუშაოები ტარდებოდა საჰარის უდაბნოში), 2000-იდან – ა. თვალჭრელიძის კავკ. მინერ. ნედლეულის ინ-ტის გეოეკოლოგიისა და გამოყენებითი გეოქიმიის სამეცნ.-კვლ. განყ-ბის გამგე. მონოგრაფიისათვის „საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია“ (*გ. ქებურიასთან* ერთად) მიენიჭა საქართვ. ეროვნული პრემია (2010).

პ. მონაწილეობს საერთაშ. და რეგიონალურ სამეცნ. კონფერენციებსა და პროგრამებში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა.

თხზ.: Geoecological assessment of the environment: An example from the territory of Georgia, «Geochemistry, Mineralogy and Petrology», Sofia, 2006 (თანაავტ.: D. Kuparadze, Th. Kerestedjian, I. Sirbiladze).

კვინიტაძე (ჩიქოვანი) გიორგი ივანეს ძე [21. VIII (2. IX). 1874, დაღესტანი, – 7. VIII. 1970, დაბა შატუ, საფრანგეთი], გენერალმაიორი (1917). დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი (1892) და პეტერბურგის კონსტანტინეს ქვეითთა სასწავლებელი (1894), 1910 – ნიკოლოზის გენ. შტაბის აკადემია. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904–05) და I მსოფლიო (1914–18) ომებში. პ. კავკასიის მე-4 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი იყო. 1917 სექტემბერში დროებითმა მთავრობამ დანიშნა კავკასიის მე-15 მსროლელი პოლკის მეთაურად. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. 1918–21 მსახურობდა ქართულ ჯარში. 1918 დეკემბერში, საქართველო-სომხეთის ომის დროს, პ. ქართული ჯარების შტაბის უფროსად დანიშნეს. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ომის წარმატებით დამთავრებაში. 1919 თებერვალში პ. სარდლად დაინიშნა ახალციხის ფრონტზე, სადაც სეპარატისტული მოძრაობის მეთაურმა სერვერ-ბეგ ათაბაგმა შექმნა ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა“. პ-მ ორთვიანი ლაშქრობა არტაანში დაასრულა უძველესი ქართული პროვინციების შემოერთებით. 1919 აგვისტოში პ-ს პირველი ქართ. სამხ. სასწავლებლის ჩამოყალიბება დაევალა (იხ. *იუნკერთა სკოლა*). 1920 წ. 2 მაისს, საბჭოთა რუსეთმა დაიწყო შეიარაღებული აგრესია საქართვ. დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ქართულმა ჯარმა პ-ის მთავარსარდლობით დაამარცხა საბჭოთა რუსეთის ჯარის ნაწილები და აზერბაიჯანის გასათავისუფლებლად ბაქოსკენ აპირებდა შეტევის გაგრძელებას, მაგრამ შეაჩერა რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულებამ. 1920 ივნისში პ. ხელმძღვანელობდა სამხ. ოპერაციებს აჯანყებულ ოს სეპარატისტთა წინააღმდეგ და უმოკლეს დროში ჩააქრო ამბოხი. 1921 წ. 16 თებერვალს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, პ. დაინიშნა მთავარსარდლად. მიუხედავად მნიშვნელოვანი წინააღმდეგობისა (*თბილისის დაცვა 1921*, ხაშურის ოპერაცია), ომი მარცხით დასრულდა და პ. ემიგრაციაში წავიდა. თავდაპირველად ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, შემდეგ – საფრანგეთში (1922-იდან). აქტიურ მონაწილეობას იღებდა ემიგრაციის პოლიტ. ცხოვრებაში. იყო XX ს. 50-იან წლებში დაარსებული ,,პარიზის ბლოკის‘‘, ,,ქართველთა დემოკრატიული კავშირის‘‘, `,,ქართველ მხედართა დარაზმულობის‘‘ და სხვ. ორგანიზაციის ნამდვილი და საპატიო წევრები. დაჯილდოებულია ოქროს ხმლით (წარწერით ,,მამაცობისათვის‘‘), წმ. გიორგის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

თხზ.: Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917–1921, Париж, 1985.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; ივანიძე გ., გენერალი გიორგი კვინიტაძე. ბრძოლა მესხეთისათვის (1917–1921 წლები), თბ., 2008; წურწუმია მ., გენერალი გიორგი კვინიტაძე, წგ.: საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბ., 2013. *მ. წურწუმია.*

კვინიხიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (დ. 24. IX. 1946, თბილისი), ფიზიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. წ.-კორ. (2009), ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (2002). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკტი (1967). 1968–73 მუშაობდა ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებული ინ-ტის (JINR, ქ. დუბნა, რფ) თეორიული ფიზიკის ლაბორატორიაში, 1973–2002 – საქართვ. მეცნ. აკად. ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში (2010-იდან ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ანდრია რაზმაძის მათ. ინ-ტი) სხვადასხვა თანამდებობაზე.

პ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ველის კვანტური თეორია, ველის ეფექტური თეორია, დენები და ჟალიბური ინვარიანტობა, კვარკები და ჰადრონები ცხელ და მკვრივ გარემოში. გამოიყვანა სამი რელატივისტური ნაწილაკის აღმწერი კვანტური განტოლებები – მათი გამოყენებით პირველად (1970) გათვალისწინებულ იქნა ფარდობითობის თეორიის ეფექტები; ავტორია განტოლებებისა, რ-ებიც დღემდე ყველაზე დეტალურად აღწერს ე. წ. ეგზოტიკურ სისტემებს (1992); ზოგადი სახით გადაჭრა ე. წ. „ორმაგი დათვლის“ პრობლემა, ნაწილაკთა დაბადების გათვალისწინებით – კორექტულად აღწერა გაფანტვის პროცესები მცირე მანძილებზე (1994). პ -ის „განტოლებათა დაჟალიბების“ მეთოდი (1999) ნაწილაკთა სტრუქტურის შესწავლის ძირითად იარაღს წარმოადგენს; ერთ-ერთი პირველი ავტორია ბმული მდგომარეობის განტოლებისა სინათლის ფრონტზე; გამოიკვლია (თანაავტორებთან ერთად) მრავალნაწილაკოვანი გრინის ფუნქციების თვისებები სინათლის ფრონტზე (კოვარიანტულ ფორმალიზმში); დაამტკიცა, რომ სინათლის ფრონტზე დაკვანტული ველის თეორია ეკვივალენტურია სტანდარტული თეორიისა სასრული ტემპერატურის შემთხვევაშიც (2004). მას ეკუთვნის ე. წ. რენორმჯგუფის განტოლება, რ-საც იყენებენ, მაგ., ბირთვში მუხტის განაწილების თანამედროვე კვლევებში (2007); შეისწავლა (თანაავტორებთან ერთად) პროტონის ფორმა (2007); გარეშე ელექტრომაგნიტურ ველში მყოფი ახლოქმედი ძალებით შექმნილი ბმული სისტემისთვის გამოიყვანა რენორმჯგუფის განტოლება ურთიერთქმედების დენის სიმკვრივისათვის, შეისწავლა მისი ამონახსნის თვისებები და დაკვირვებად სიდიდეებთან კავშირი (2018).

თხზ.: Covariant three-body equations in phi^3 field theory (თანაავტ. B. Blankleider), «Nuclear Physics» A 574, გვ. 788 (1994); Gauging of equations method (თანაავტ. B. Blankleider), «Physical Review» C 60, გვ. 044003 (1999); On the Wilsonian renormalization group equation for nuclear current operators (თანაავტ. B. Blankleider), «Physical Review» C 76, გვ. 064003 (2007); Subtleties of Lorentz invariance and shapes of the nucleon (თანაავტ. G. Miller), «Physical Review» C 76, გვ. 025203 (2007). Renormalisation group analysis of electromagnetic couplings in the pionless effective field theory (თანაავტ. M. Birse), «European Physics Journal» A54, № 12, გვ. 216 (2018). *ი. ლომიძე.*



გ. კვინიტაძე.



ა. კვინიხიძე.

კვინიხიძე (ნამდვ. გვარი – ფაინციმერი) ლეონიდ ალექსანდრეს ძე (დ. 21. XII. 1937, ლენინგრადი), კინორეჟისორი და სცენარისტი. რუსეთის ხელოვნების დამს. მოღვაწე (1993). 1961 დაამთავრა კინემატოგრაფიის სკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტი დოკუმენტური კინოს რეჟისორის სპეციალობით (ი. კოპალიანისა და გ. კოზინცევის სახელოსნო). გადაიღო ფილმები:



ლ. კვინიხიძე (რეჟისორი). კადრი ფილმიდან ,,ცის მერცხლები''. 1976.

,,მოჰაბიტური რვეული'' (1968), ,,მისია ქაბულში'' (1971), ,,ინჟინერ გარინის კრახი'' (1973). პოპულარობა მოუტანა მუსიკალურმა ფილმებმა: ,,ჩალის ქუდი'' (1975), ,,ცის მერცხლები'' (1976), «კაკალი ,,კრაკატუკი''» (1978), ,,31 ივნისი'' (1978), ,,შლაპა'' (1982), ,,ნახვამდის, მერი პოპინს!'' (1983), ,,თეთრი ღამეები'' (1992), ,,სახლი'' (კომედიური სერიალი, 1995) და სხვ. მის ფილმებში მონაწილეობენ ქართვ. მსახიობები: ო. კობერიძე, ი. ნინიძე, გ. ფერაძე და სხვ. 1999-იდან მოღვაწეობს თეატრში. ხელმძღვანელობდა რამდენიმე რუსულ თეატრს, მ. შ. სანქტ-პეტერბურგის სახელმწ. მუსიკალურ თეატრ ,,კარამბოლს'' (2006–08) და ხაბაროვსკის ოლქის მუსიკალურ თეატრს (2011 წლამდე). მიღებული აქვს თეატრალური პრემია ,,ოქროს ნიღაბი'' (2006, სპექტაკლისთვის ,,ფიგარო აქ'').

მ. კერესელიძე.

კვინიხიძე ნიკოლოზ ვლადიმერის ძე (20.I. 1889, ვიტებსკი, – 7. II. 1968, პოზნანი, პოლონეთი), ნიადაგმცოდნე, საზოგადო მოღვაწე. მეცნიერებათა დოქტორი (1933), პროფესორი (1951), პოზნანის სოფლის მეურნეობის აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1951), პოლონეთის ნაციონალური პრემიის ლაურეატი (1951). 1907–10 სწავლობდა კიევის უნ-ტის მათ.-საბუნებისმეტყველო ფაკ-ტზე, საიდანაც გარიცხეს სტუდენტურ დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო. 1918–20 იყო დენიკინის არმიის შტაბის კავალერიის ოფიცერი და იბრძოდა საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ. 1922 დაამთავრა პოზნანის უნ-ტი. 1951–59 პ. მუშაობდა მისივე მონაწილეობით დაარსებული პოზნანის სას.-სამ. უმაღლესი სკოლის (1972-იდან აკადემია) ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგედ. პოლონეთის ნიადაგების რუკის შედგენა-გამოცემისათვის მიენიჭა პოლონეთის ნაციონალური პრემია. იყო რამდენიმე სამეცნ. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, წლების განმავლობაში – პოლონეთის ქართველთა საზ-ბის წევრი; აქტიურად მონაწილეობდა ქართული დიასპორის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. მიღებული აქვს პოლონეთის სახელმწ. ჯილდოები.

ლ. ურუშაძე.

კვინიხიძის ელჩობა რუსეთში, იმერეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში 1769, 1774 და 1784 დიპლომატ დავით კვინიხიძის მეთაურობით. პ. ე-ს რუსეთის მთავრობისათვის უნდა ეთხოვა დამხმარე ჯარი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ელჩობის შედეგად იმერეთში რუს. საექსპედიციო ჯარის რაოდენობა გაიზარდა. რუსეთ-ოსმალეთის (1768–74) ომში მოპოვებულ წარმატებათა განსამტკიცებლად კვინიხიძე 1774 მეორედ გაემგზავრა რუსეთს, თუმცა ამჯერად ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან რუსეთის მთავრობა ოსმალეთთან ურთიერთობის გართულებას მოერიდა. ამ ომის საერთო შედეგებმა და ყირიმის საკითხის გამწვავებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა იმერეთის მეფეს ოსმალთა ძალმომრეობისაგან ქვეყნის დასახსნელად. 1784 კვინიხიძე მ. აბაშიძესთან და ზ. წერეთელთან ერთად ისევ ეწვია რუსეთს. ამ ელჩობის მიზანი იყო იმერეთის სამეფოს რუს. მფლობელობაში შესვლა რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიური პირობით.

ლიტ.: მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957; მისივე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968.

ვ. მაჭარაძე.

კვიპაროზი, სარო (Cupressus), მარადმწვანე ხეების, იშვიათად ბუჩქების გვარი კვიპაროზისებრთა ოჯახისა. პირამიდული ან გაშლილვარჯიანი ხეებია. აქვთ ყავისფერი ქერქი და ჯვარედინმოპირისპირედ გაწყობილი ქერქლისებრი წიწვები. მომსხო ბურთისებრი გირჩები მწიფდება მეორე წელს. გვარში 15–20 სახეობაა. გავრცელებულია ევროპის, აზიის, ჩრდ. აფრიკასა და ჩრდ. ამერიკის ზომიერად თბილ სარტყელში. ყირიმში, კავკასიასა და შუა



კვიპაროზი.

აზიის ზოგ რ-ნში კულტივირებულია 11 სახეობა. საქართველოში შემოტანილი 9 სახეობიდან უფრო ფართოდ მოშენებულია მარადმწვანე პ. (C. sempervirens), რ-ის სიმაღლე 30–60 *მ* აღწევს. ცნობილია მისი 2 ფორმა: პირამიდული და ჰორიზონტული. პ. მეზოფიტია, იტანს ყინვას –20°C-მდე, ნიადაგის მიმართ საკმაოდ განურჩეველია.

პ-ს სამშობლოდ ჰიმალაის მთების სამხრ. კალთებს მიიჩნევენ. XIX ს-მდე პირამიდულ პ-ს საქართველოში ალვის ხეს ეძახდნენ. ეს სახელი დაკავშირებულია მაზდეანობის გავრცელებასთან. „ალვის ხე“, ანუ „წვის ხე“ თავისი ვიწრო პირამიდული ჰაბიტუსის გამო მართლაც კარგად ესადაგებოდა მარადმწვანე პ-ს, როგორც მაზდეანური სარწმუნოების ემბლემას.

საქართველოში იზრდება აგრეთვე ლუზიტანური, ჰიმალაიური, არიზონული და სხვა პ-ები, რ-ებსაც იყენებენ ქარსაფარ ზოლებად, დეკორატიულ ბაღმშენებლობაში.

ვ. მირზაშვილი.

კვიჟინაძე რევაზ (1928, ოზურგეთი, – 1984, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1976). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1950).

კ. ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას თსუ-ისა და საქართველოს მეცნ. აკად. ფილოს. კათედრაზე. 1970-იდან იყო საზ. მეცნიერებათა დარგში სამეცნ. ინფორმაციის ცენტრის ფილოს. განყ-ბის გამგე.

კ-ის ფილოს. კვლევის ცენტრ. საგანი იყო ჭეშმარიტების პრობლემა. მისი აზრით, ჭეშმარიტება შეიძლება სწორად იყოს შეცნობილი მხოლოდ დიალექტიკური ასახვის თეორიის საფუძველზე.

თხზ.: ჭეშმარიტების პრობლემა და თანამედროვე პოზიტივიზმი, თბ., 1965; რწმენა და ცოდნა, თბ., 1968; ჭეშმარიტების თანამედროვე ინტერპრეტაციები. კრიტიკული ანალიზი, თბ., 1973; ჭეშმარიტების ცნება და ალტერნატივები შემეცნების თეორიაში, თბ., 1976; Понятие истины и альтернативы в теории познания, Тб., 1977.

კვირა, დროის შვიდდღიანი შუალედი, რომელშიც თითოეულ დღეს საკუთარი სახელწოდება აქვს; კ. მეშვიდე დღის სახელწოდებაა. შვიდდღიანი კ. პირველად ძვ. აღმოსავლეთში შემოიღეს, ახ. წ. I ს-ში რომშიც დაკანონდა, შემდეგ კი მთელ დას. ევროპაში გავრცელდა. კ-ის დღეებს ციურ სხეულთა სახელწოდებები შეარქვეს, მაგ., შაბათს – სატურნის, კვირას და დანარჩენ დღეებს შესაბამისად – მზის, მთვარის, მარსის, მერკურის, იუპიტერის, ვენერას სახელები. ძვ. ქართულში ამ ციურ სხეულთა სახელწოდებების შესაბამისად კ-ის დღეებს ერქვა: კრონოსისა (შაბათი), მზისა ან საუფლო (კვირა), მთოვარისა (ორშაბათი), არიასი (სამშაბათი), ერმისა (ოთხშაბათი), აფროდიტესა (ხუთშაბათი) და დიოსისა (პარასკევი).

რუკების სია

(ფრჩხილებში მითითებულია გვერდები)

თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი (12), თელავის მუნიციპალიტეტი (27), თერჯოლის მუნიციპალიტეტი (51), თიანეთის მუნიციპალიტეტი (63), იბერია, საქართველო II—I სს. (ძვ. წ. აღ.), საქართველო I—II სს. (ახ. წ. აღ.) (182), საქართველო V ს. მეორე ნახევარში (184), იმერეთის სამეფო XVI—XIX სს. (247), კავკასიის ფიზიკური რუკა (426), კასპის მუნიციპალიტეტი (561), კახეთის სამეფო XI ს. II ნახევარი (593), კახეთის სამეფო XV ს. II ნახევარი (594).

პირობითი აღნიშვნები რუკებზე

დასახლებული პუნქტები

ადმინისტრაციული მნიშვნელობის მიხედვით

- საქართველოს დედაქალაქი
- ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქები
- ქალაქები
- მუნიციპალიტეტების ცენტრები
- დაბები
- თემების ცენტრები
- სოფლები

მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით

თბილისი	1 000 000-ზე მეტი
ქუთაისი	100 000 – 500 000
ზუგდიდი	50 000 – 100 000
გორი	10 000 – 50 000
პატარძეული	10 000-ზე ნაკლები

საზღვრები

- სახელმწიფო
- ავტონომიური რესპუბლიკების
- საქართველოს მუნიციპალიტეტების
- ნაკრძალების

გზები

- რკინიგზები
- მაგისტრალური საავტომობილო
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის
- უღელტეხილები
- ნავსადგურები
- აეროპორტები

სხვადასხვა აღნიშვნები

- სამელიორაციო არხები
- მდინარეები და ჩანჩქერები
- პერიოდულად შრობადი მდინარეები
- ა - წყალსაცავები და ტბები, ბ - მლაშე ტბები
- ჭაობები
- • 2757 — სიმაღლეების ნიშნულები ზღვის დონიდან მეტრობით

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვერდი	სვეტი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
		ზემოდან	ქვემოდან		
				I ტომი	
6 7	I		10—9	*სოციალისტ-ფედერალისტების პარტია*	*სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია*
219	I	27		*იაკობ ცურტაველის*	*იაკობ ხუცესის*
256	II	21		*იოანე მარუშისძე*	*ივანე მარუშისძე*
319	III		9—8	*ლ. თათეიშვილი*	*თ. თათეიშვილი*
				II ტომი	
7 7	III	27	—	*ალექსანდრე II-ისა*	*ალექსანდრე I-ისა*
144	II	1	—	*გ. კიკალიშვილი*	*გ. კიკალეიშვილი*
213	III	—	30	*მ. მნათობაშვილი*	*მ. მნათობიშვილი*
225	I	9	—	*ოდა სახლი*	*ოდა-სახლი*
273	II	—	27	*იოვანეს*	*იოანე VI*
303	I	25	—	*მ. მაჩაბელი*	*გ. მაჩაბელი*
657	II	—	18	*„ივერია“* (1961–77)	*„ივერია“* (1949–91)
				III ტომი	
61	II	19	—	*დ. კანდელაკთან*	*ჯ. კანდელაკთან*
66	II	—	33—32	*ზემო ერკეთისა და ქვემო ერკეთის*	*ზემო ერკეთისა და ქვემო ერკეთის*
93	I	—	23—22	*ვ. მჭედლიშვილისა*	*ი. მჭედლიშვილისა*
135	III	19—20	—	*მუჯურეთული წულუკიძის*	*მუჯურეთული, წულუკიძის*
230	ილუსტრაციის წარწერა	4	—	იყო სტამბა	იყო პირველი ქართული სტამბა
255	II	—	4	*ზარზმის ფერისცვალების ხატი*	*ზარზმის ფერისცვალების ხატი*
257	II	21	—	*ზოგიაქო*	*ზოდიაქო*
389	II	19—20	—	*ხოზიტა-მარიამი*	*ხოზიტა-მაირამი*
395	I	—	5—4	*თბილისის ბოტ. ბაღს*	*თბილისის ბოტანიკურ ბაღს*
409	III	24—25	—	*ბათუმის გემთსაშენი ქ-ნა*	*ბათუმის გემთსაშენი ქარხანა*
462	I	2	—	*შაჰ-აბას I-ის*	*აბას I-ის*
488	ილუსტრაციის წარწერა	4	—	1960	1962
495	სამინდვრე ტექსტი	—	5	532	533
523	ილუსტრაციის წარწერა	1	—	მუშათაიდის	მუშთაიდის
561	ქვედა სურათის წარწერა	3	—	ინწკრიველი	ინწკირველი
561		3	—	სხირელი	სხიერელი
561		3—4	—	(მწრთნელი)	(მწვრთნელი)
570	II	—	21—20	*ო. ტურნეფორის*	*ჟ. ტურნეფორის*

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია მადლობას უხდის ენციკლოპედია ,,საქართველოში‘‘ გამოყენებული ფოტოებისა და რუკების ავტორებს.

სტამბა შპს ,,საქართველოს მაცნე‘‘
თბილისის გრ. რობაქიძის გამზ. №7ა